ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

# სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

## 2023 წელი

თბილისი

ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -**

**ამერიკისმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტი**

- **ელენე მეძმარიაშვილი, ასოცირებული პროფესორი, ინსტიტუტის ხელმძღვანელი**
- **ქეთევან ანთელავა, ასოცირებული პროფესორი**
- **მიხეილ ბარნოვი, ასოცირებული პროფესორი, ინსტიტუტის სწავლული მდივანი**

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

**2.**

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

*დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **მიხეილ ბარნოვი,** 2019 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით (YS-19-3098) დაფინანსებული პროექტი: წარმავალი ძველი დასავლეთი და ,,ახალი დასავლეთის" წარმოშობა: ანგლო-ამერიკული და ინდიელთა პერსპექტივა (1862-1930) (YS-19-3098), პროექტის დაყწების წელი: 2019, დამთავრების სავარაუდო თარიღი: 2024 წლის აგვისტო.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. მიხეილ ბარნოვი, პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი.
2.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. კვლევის პირველ ეტაპზე დავამუშავე შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა ,,ძველი დასვალეთისა" და ,,ახალი დასავლეთის" შესახებ. მრავალრიცხოვანი და კვლევისთვის საჭირო ლიტერატურა მოვიძიე ონლაინ წყაროების მეშვეობით, ასევე ნიუ მექსიკოს უნივერსიტეტში მუშაობისას, ზიმერმანის ბიბლიოთეკაში და ფულბრაიტის გრანტით ნიუ მექსიკოს უნივერსიტეტში მივლინებისას. კვლევის პირველ ეტაპზე ფოკუსირებული ვიყავი შორეული დასვალეთის ექვს რეგიონზე: ნევადა, აიდაჰო, მონტანა, ვაიომინგი, დაკოტა და არიზონა. გავაანალიზე და აღმოვაჩინე კონრკეტულ მახასიათებლებს, რომლებიც ამ რეგიონს აქცევდნენ ,,ძველ დასავლეთად" და შევისწავლი ტრანსფორმაციის პროცესს რომელმაც გზა გაუხსნა ,,ახალი დასავლეთის" დაბადებას ამ კონკრეუტლ ტერიტორიებზე, ანგლო-ამერიკული და ინდიელთა პერსპექტივებიდან.

მეორე პერიოდში კვლევის მიზანი იყო სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება, რომელიც საშუალებას მომცემს გავაანალიზო და დადავადგინო ,,ძველი" და ,,ახალი" დასვალეთის ეპოქები დიდი დაბლობების რგიონში, კერძოდ, კანზას-ნებრასკაში, ანგლო-ამერიკული და ინდიელთა პერსპექტივებიდან.

მესამე პერიოდში ერთმანეთს შევადარე ,,ძველი დასავლეთის" გაქრობისა და ,,ახალი დასავლეთის" წამროშობის პროცესს ექვს რეგიონსა და კანზას-ნებრასკის რეგიონებში. ამან საშუალებაა მომცა დამედგინა მსგავსი და განსხვავებული ფაქტორები, რომელთაც განაპირობეს ტრანსფორმაციის პროცესის თავისებურება ორივე რეგიონში.

მეოთხე და დასკვნით პერიოდში ვიმუშავე რეგიონებისთვის დამახასიათებელი იმ კონკრეტული თავისებურებების განზოგადებაზე, რომლებიც განაპირობებდა ტრანსფორმაციის პროცესს. თავისებურებების განზოგადება საშუალებას მომცემს ჩამოვაყალიბო კრიტერიუმები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება წარმავალი ,,ძველი დასავლეთისა" და ,,ახალი დასავლეთის" ტერმინების დეფინიცა, ასევე მათი ქრონოლოგიური და გეოგრაფიული საზღვრების განსაზღვრა. გამომდინარე იქიდან, რომ კვლევა ფოკუსირებულია ანგლო-ამერიკულ და ინდიელთა გამოცდილებაზე დავამუშავე წამყვანი ამერიკელი ისტორიკოსების მონოგრაფიებს, ამერიკის ინდიელთა ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომებს, ინდიელთა ზეპირსიტყვიერი ისტორიის საკითხებისამდი მიძღვნილ ნაშრომებს, ამერიკელი ინდიელების ფოლკლორისა და ეთნოგრაფიისადმი მიძღვნილ გამოკვლევები. აგრეთვე დავამუშავე შესასწვალი პერიოდის ანგლო- ამერიკელი ახალმოსახლეებისა და ინდიელების ბიოგრაფიები. ბიოგრაფიების შესწავლა საშუალებას მომცემს კონკრეტული პიროვნებების მაგალითზე დავადგინო როგორ განსაზღვრავდა გარემო მათ ირგვლივ არსებულ სოციალურ რეალობას და პირად გამოციდლებას, როგორი

იყო მათი დამოკიდებულებები სოციუმის/თემის ცხოვრებას ტრანსფორმაციის პროცესში, როგორ ყალიბდებოდა მათი დამოკიდებულება წარმავალი ,,ძველი დასავლეთისადმი“.

2023 წლის აგვისტოში განვახორციელე სამეცნიერო ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. მოპოვებული მასალის შეჯამების შედეგად პროექტის ფარგლებში 2024 წელს დაგეგმილია მონოგრაფიის გამოცემა.

2.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

***დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1.

2.

## 3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

### 3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **ელენე მეძმარიაშვილი,** ისტორიის სწავლების მეთოდური რეკომენდაციები კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის. კონკურსი „ისტორიის გაყალბება. პროპაგანდის ინსტრუმენტი“. ისტორია, ისტორიის სწავლების დიდაქტიკა. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, გერმანია, 2023-2024.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ელენე მეძმარიაშვილი, მკვლევარი, ექსპერტი

2.

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1. საწყის ეტაპზე შესწავლილია პროპაგანდის ინსტრუმენტები, რომლებიც ისტორიის გადმოცემისას, მისი სწავლებისას გამოიყენება. ყურადღება გამახვილებულია ამერიკულ კონკრეტულ მაგალითებზე, რომლებშიც კარგად ჩანს თითოეული ინსტრუმენტი, კერძოდ, სახელის შერქმევა (name-calling propaganda), ფრთიანი ზოგადი სიტყვები (glittering generalities), გადაცემა (transfer), შეფასება (testimonial device), უბრალო ხალხი (plain-folks), ბანქოს დაწყობა (card stacking), ფეხის გამოდება (bandwagon). შემუშავებულია რეკომენდაციები, როგორ შეიძლება ამა თუ იმ ტიპის პროპაგანდის იდენტიფიცირება. ამ მიზნით ასევე მმოფიქრებულია კითხვები, რომელიც საკუთარი თავის მიმართ უნდა დაისვას.

ეს შედეგები წარმოდგენილია თსუ-ის ისტორიის და ამერიკისმცოდნეობის იმ სტუდენტების წინაშე, რომლებიც აღნიშნული პროექტის ფარგლებში აპირებენ კონკურსში ჩართვას და შესაბამისი ნაშრომების მომზადებას. კვლევის შედეგების გაცნობა დაგეგმილია საქართველოს სხვა ქალაქებისა და უნივერსიტეტების სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის.

2.

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **ელენე, მეძმარიაშვილი,** ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დახვეწა/განვითარება; ამერიკისმცოდნეობა; 2021-2023. N SGG80021IN3133, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში, აშშ, 01.10.2021-01.06.2023.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ელენე მეძმარიაშვილი,** სამეცნიერო ხელმძღვანელი, ძირითადი შემსრულებელი
2. მარიამ ხატიაშვილი, პროექტის მენეჯერი

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. პროექტი მიზნად ისახავდა კვლევას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ამერიკრიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის დახვეწა/განვითარების მიზნით. პროექტმა ხელი შეუწყო ამერიკულ უნივერსიტეტებთან კავშირის დამყარებას ამერიკკისმცოდნეობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების გადამუშავების მიზნით. ეს დაგვეხმარა საქართველოს განათლების სისტემაში დასავლური განათლების ტენდენციების უკეთ ინტეგრირებაში.

თსუ-ის ამერიკკისმცოდნეობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ინტერდისციპლინური ხასიათისაა და მოითხოვს ისტორიის, ლიტერატურის, პოლიტიკის, დიპლომატიის, ეკონომიკის, საზოგადოების, ფილოსოფიის, კულტურის და სხვა სფეროებისადმი ინტეგრირებულ მიდგომას, ახალი ინტერდისციპლინური კურსების, მათ შორის, ამერიკისმცოდნეობის ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდების სწავლების აუცილებლობას.

შესრულდა პროგრამის მიზანი: 2007-2009 წლებში გახსნილი თსუ-ის ამერიკამცოდნეობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის პროცესისთვის მომზადება, მათი ანალიზი, გაძლიერება; შინაარსის, სტრუქტურისა და სწავლების მეთოდების მოდერნიზება, აშშ-ს უნივერსიტეტების გამოცდილების გათვალისწინებით, რათა ის მზად იყოს საბოლოო აკრედიტაციის პროცესისთვის. ჩატარდა ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შინაარსის, სტრუქტურისა და სწავლების მეთოდების სიღრმისეული ანალიზი, ისინი განახლდა, დაიხვეწა, მათი კონკურენტული უპირატესობის შესანარჩუნებლად. ამ მიზნის მისაღწევად, კვლევის შედეგად, გადაიჭრა შემდეგი ამოცანები:

1. ამერიკული უმაღლესი განათლების უკეთ გააზრება აშშ-ს უნივერსიტეტებთან ორმხრივი ურთიერთობისა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარებით. პარტნიორობა

მნიშვნელოვანია პროგრამის ხარისხისა და ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის გასაზრდელად. ამ პროექტის ფარგლებში შეიქმნება ქსელი ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტების ამერიკისმცოდნეობის პროგრამებთან, რათა ხელი შეუწყოს პროფესიონალურ კავშირს და ხელი შეუწყოს ამერიკული უმაღლესი განათლების უკეთ გააზრებას თსუ-ს ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების თანამშრომლებსა და სტუდენტებს შორის.

2. სამაგისტრო პროგრამის განახლება ამერიკისმცოდნეობაში უკეთესი განათლებისა და მისი აკადემიური და სასწავლო სტრუქტურის ხელახალი დიზაინის გზით, რომელიც შეესაბამება საქართველოს ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას. 2007-2008 წლებიდან გასულმა დრომ აჩვენა მისი სტრუქტურის განახლების აუცილებლობა საქართველოს დღევანდელი საჭიროებების გათვალისწინებით. მოეწყო ერთობლივი სემინარი აშშ-ს რამდენიმე უნივერსიტეტის (რატგერსის, ვესტ-პოინტის აკადემიის, სტენფორდის) ამერიკისმცოდნეობის დეპარტამენტების წარმომადგენლებთან, მათი საუკეთესო პრაქტიკის, პროგრამების პროცედურების, პოლიტიკის, აკადემიური და სასწავლო სტრუქტურის გაზიარების მიზნით.

3. ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის განახლება შეერთებული შტატების გამოცდილებისა და დემოკრატიული ღირებულებების უფრო ღრმა გაგების გათვალისწინებით, მისი სტრუქტურის, ხარისხის მოთხოვნების, სტრატეგიებისა და კვლევის მიზნების ცალკეული ასპექტების ცვლილების გზით. ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის კურსების ზოგადი მიზანი არ არის ორიენტირებული აშშ-ს კვლევების კომპონენტზე. იგი უპირველეს ყოვლისა ხაზს უსვამს კვლევის ტენდენციებს ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და სწავლების ზოგად მეთოდებში; ასე რომ, დოქტორანტები, რომლებსაც არ აქვთ ამერიკული კვლევების გამოცდილება, ნაკლებად იციან შეერთებული შტატების შესახებ. ამიტომ მომზადდა ერთობლივი სემინარი აშშ-ს უნივერსიტეტების ამერიკისმცოდნეობის პროგრამების წარმომადგენლებთან, მათი გამოცდილების გაზიარების მიზნით. პროგრამისთვის მომზადდა აშშ-ს და ლათინური ამერიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი სპეციალური კურსები, მათი საბოლოო დანერგვის დანერგვის მიზნით. კვლევამ აჩვენა, რომ ეს აუცილებელია ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის შინაარსის, ხარისხის მოთხოვნების, სტრატეგიებისა და კვლევის მიზნების გადახალისებისა და დოქტორანტებს შორის აშშ-ის გაგების გასაღრმავებლად.

4. საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტების გაძლიერება პროექტის მისიის ეფექტურად შესასრულებლად. კვლევამ აჩვენა, რომ მათი გაძლიერება არის ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განვითარებისა და აშშ-ს და სხვა უნივერსიტეტებთან შემდგომი კავშირების დამყარების მთავარი პირობა.

პროექტზე მუშაობის პრაქტიკული შედეგები:

1. შეიქმნა ახალი სამაგისტრო კურსები, უპირველესად, ამერიკისმცოდნეობის კვლევის მეთოდები.
2. დაიწერა და გამოსაცემად მომზადდა ამერიკისმცოდნეობის პროგრამების ორენოვანი გზამკვლევი.
3. შეიქმნა ამერიკისმცოდნეობის განახლებული ბილინგვური (ქართულ-ინგლისური) სამაგისტრო და სადოქტორი პროგრამები, რომლებიც პრაქტიკულად მზად არის აკრედიტაციისთვის.

4. მოხდა აღნიშნული პროგრამების ინტერნაციონალიზაცია.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)

4.1. საერთაშორისო პატენტები;

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

4.2. ეროვნული პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ელენე მემმარიაშვილი,** ამერიკისმცოდნეობის ნარკვევები, თბილისი, გამომცემლობა „კლიო" (გადაცემულია გამოსაცემად)

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. მონოგრაფიაში გაერთიანებულია ამერიკისმცოდნეობის სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხზე შექმნილი ნაშრომები, რომელთა დიდი ნაწილი ქართულ-ამერიკული პრობლემატიკის შედარებითი ანალიზის საფუძველზე არის შექმნილი. ნარკვევები ამერიკისმცოდნეობის ისეთ საკითხებს ეხება, რომლებიც საქართველოში პირველად არის შესწავლილი და როგორც ამერიკისმცოდნეთათვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის ინტერესის ობიქტს წარმოადგენს.

წიგნი შედგება შესავლის, 10 თავისა და დასკვნისგან. თითოეულ თავს დართული აქვს გამოყენებული მასალების სია. ზოგიერთი ნარკვევი სტატიის სახით გამოქვეყნებული იყო სხვადასხვა დროს, სხვადასხვა კრებულსა თუ ჟურნალში, ზოგიერთი პირველად ქვეყნდება. მათი შეკრების აუცილებლობა განაპირობა ბოლო წლებში ამერიკისმცოდნეობისადმი ინტერესის გაზრდამ, მისი თემატიკის გამრავალფეროვნებამ და იმ საკითხებისადმი ინტერესის გაზარდამ, რომელიც მანამდე ნაკლებად აქტუალური იყო.

შესავალში მკითხველს ვთავაზობ ამერიკისმცოდნეობის რაობაში გარკვევას, ქართული, ამერიკული და სხვა ქვეყნებში არსებული ამერიკისმცოდნეობის თავისებურებების კვლევას, მათ შედარებას და აქედან გამომდინარე დასკვნებს.

წიგნში განხილულია როგორც ამერიკისმცოდნეობის ზოგადი, ასევე კონკრეტული საკითხები, კერძოდ: არის თუ არა აშშ სადნობი ღუმელი; როგორია ამერიკული და ქართული იდენტობა, გაკეთებულია მათი შედარებითი ანალიზი; ასევე შესწავლილია და შედარებულია ამერიკული და ქართული სიმბოლოები; როგორია ამერიკის შეერთებული შტატების იმიჯის ტენდენციები მსოფლიოსა და საქართველოში და რა განაპირობებს მას; ყურადღება გამახვილებულია შეერთებულ შტატებში ქართული დიასპორის ამერიკანიზაციის პრობლემებზე. შედარების მიზნით შესწავლილია მექსიკელების

ამერიკანიზაციის საკითხიც; ასევე გამოკვლეულია რელიგიის როლი ქართული იმიგრაციის ცხოვრებაში.

ცალკე გამოყოფილია 1960-იანი წლების ახალგაზრდული მოზრაობის საკითხები, ამ მოძრაობის მიზეზები და ჰიპები, მათი იდეოლოგია და გავლენა სხვა ქვეყნების, მათ შორის, საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ახალგაზრდებზე. ნაშრომში შეტანილია ამერიკელი ქალების კვლევის რამდენიმე შედეგიც, რომელიც ვერ მოხვდა მონოგრაფიაში „ქალი ამერიკის შეერთებული შტატების მე-20 საუკუნის პოლიტიკაში“ (2017 წ.), კერძოდ, ჰილარი კლინტონი თეთრ სახლში, ქალი-პრეზიდენტები ლათინურ ამერიკაში და ა.შ.

დასკვნაში შეჯამებულია კვლევის შედეგები, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამერიკისმცოდნეობის როგორც ინტერ და მულტიდისციპლინური დარგის განვითარების მნიშვნელობას საქართველოში.

2.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ელენე მეძმარიაშვილი,** ქალი-პრეზიდენტების ფენომენი XXI საუკუნის ლათინურ ამერიკაში. X საერთაშორისო კონფერენციის მასალები ამერიკისმცოდნეობაში, ISSN 1512-2379, ქუთაისი, ქუთაისის უნივერსიტეტი, 19 გვ.

2. **ქეთევან ანთელავა,** ამერიკელი მწერალი ჯუმფა ლაჰირი და მისი ლიტერატურული ტრიპტიქი
"ტექსტი და ინტერპრეტაცია," ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტის რეცენზირებადი, ელექტრონული, ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალია (ISSN 2960-9461 ) ტომ. 1 No. 1. 2023 https://interpretation.tsu.ge/index.php/main

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**1.** ნაშრომში განხილულია ლათინური ამერიკის ქვეყნების ისტორიის ერთ-ერთ საინტერესო მოვლენა, რომელიც განსაკუთრებით XXI საუკუნის პირველ ორ ათწლეულში მოხდა, როდესაც ქალები ლათინური ამერიკის ექვსი ქვეყნის სათავეში იყვნენ. რა იყო ამის მიზეზი? ვინ იყვნენ ეს ქალბატონები? რა იყო საერთო და განსხვავებული მათ შორის? ეს ის კითხვებია, რომლებსაც ვცდილობ ვუპასუხო.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა: 1. ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ლათინურ ამერიკაში 1970-იანი წლებიდან საპრეზიდენტო სკამი პირველ ლედის მეუღლისგან მემკვიდრეობით ერგო. გზა პირველი ლედის სტატუსიდან ქვეყნის პრეზიდენტობამდე რამდენიმე ქალმა გაიარა (მაგალითად, იზაბელ პერონმა და კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერმა არგენტინაში, მირეა მოსკოსომ პანამაში). პირველი ლედობის დროს სოციალურ პროგრამებში ჩართვამ რეალური გახადა მათი პრეზიდენტად გახდომის შანსი; 2. ქალი პრეზიდენტების დროს ქალების წარმომადგენლობა მთავრობაში სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალია, რაც ძირითადად საზოგადოების განწყობის შედეგი იყო; 3. გავლენიან პოლიტიკოსზე დაქორწინება არ არის ერთადერთი გზა ქალებისთვის, რათა მიაღწიონ პოლიტიკურ ლიდერობას ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ამის მაგალითებია ლაურა ჩინჩილა კოსტა რიკაში, მიშელ ბაჩელეტი ჩილეში, დილმა რუსეფი ბრაზილიაში და სხვები. 4. საჯარო თანამდებობებზე ქალთა რაოდენობის გაზრდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია გლობალიზაცია, რამაც ბიძგი მისცა ფემინიზმის აღზევებას ლათინური ამერიკის რეგიონში. 5. ქალთა როლის გაზრდა პოლიტიკაში არ ნიშნავს ქალთა უფლებების გაუმჯობესებას ლათინური ამერიკის სამოქალაქო საზოგადოებაში. მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ კონტინენტის ქვეყნებში ქალები უფრო ნაკლები უფლებებითა და შესაძლებლობებით სარგებლობენ, ვიდრე მამაკაცები. 6. ქალთა საკითხები არასოდეს ყოფილა პრიორიტეტი ლათინოამერიკელი ქალი პრეზიდენტებისთვის.

მიუხედავად ამისა, პოლიტიკაში ქალების გაძლიერებით, ლათინურმა ამერიკამ გადადგა უზარმაზარი ნაბიჯი კონტინენტზე გამეფებული მაჩოს სტერეოტიპული ტრადიციების წინააღმდეგ. თუმცა, რეგიონში ქალთა მიმართ მიმდინარე ძალადობა ადასტურებს, რომ კონტინენტის ქვეყნებში მეტი ცვლილებებია საჭირო.

ამავდროულად, 21-ე საუკუნის პირველ ორ ათწლეულში ქალი პრეზიდენტების სიმრავლე ლათინური ამერიკის ქვეყნებში შეიძლება ჩაითვალოს ამ რეგიონის თავისებურებად, მის ფენომენად.

2. ინდური, უფრო ზუსტად კი, ბენგალიური წარმოშობის ამერიკელი მწერლის ჯუმფა ლაჰირის მითხრობათა კრებული უცხო მიწა (Unaccustomed Earth) 2008 წელს გამოვიდა და მაშინვე ნიუ-იორკ თაიმსის #1 ბესტსელერად იქცა. ათი წლით ადრე გამოსული მისი სადებიუტო მოთხრობების კრებული, სნეულებათა განმმარტებელი (Interpreter of Maladies) 1999 პულიცერის პრემიით აღინიშნა. 2003 წელს გამოსულმა რომანმა სეხნია (The Namesick) მისი პოპულარობა გაზარდა და ამას 2006 წელს ამ რომანის მიხედვით შექმნილმა ფილმმაც შეუწყო ხელი. რომანის ეკრანიზაცია ასევე ბენგალელ რეჟისორ ქალს, მაირა ნაირის ეკუთვნის. ამჟამად ჯუმპა ლაჰირი იტალიაში ცხოვრებს. ამერიკელი ავტორების იტალიისკენ სწრაფვა უცხო სრულიად არაა და ჯუმპა ლაჰირიც, ჰენრი ჯეიმსის რომანების პერსონაჟებივით თავით გადაეშვა ევროპულ გარემოსა და ახალ ცხოვრებაში.

„ რთულია ახსნა რა ძალას მიყავხარ ახალ ენასთან, შემდეგ ახალ ადგილამდე და შემდეგ ახალ ცხოვრებამდე“, წერს იგი ერთერთ ინტერვიუში. ( Lisa Allardice. https://www.theguardian.com/books/2021/may/01/jhumpa-lahiri-ive-always-existed-in-a-kind-of-linguistic-exil )

2018 წელს მწერალმა გამოსცა იტალიურ ენაზე დაწერილი წიგნი სად ვარ? (Dove Mi Trovo). წიგნი იტალიურ ენაზეა დაწერილია და ავტორისვე ინგლისურ თარგმანში ადგილსამყოფელი (Whereabouts) ჰქვია. მოგვიანებით, იტალიელი ავტორების ინგლისურად თარგმნის გამოცდილების საფუძველზე მან ესეების კრებული Translating Myself and Others (2022) დაეწერა.

ჯუმპა ლაჰირის მოთხრობებისა და რომანების მოქმედების ადგილი (ამერიკა, ინდოეთი, იტალია, ტაილანდი) ისეთივე მრავალფეროვანია როგორც თემები რომლებსაც ის ეხება: გარიგებით ქორწინება და ზოგადად ოჯახური პრობლემები, გაუცხოება, კულტურული ფესვების დაკარგვა და ძიება, ემიგრანტების თაობებს შორის არსებული სირთულეები და ასიმილაციის თავისებურებები, უმცირესობათა კოსმოპოლიტიზმი???. ყველა ეს პრობლემა პირადად მისთვისაც არაა უცხო და ამდენად მათი მხატვტული ასახვა კიდევ უფრო დამაჯერებელი და ფასეული ხდება.

ჯუმფა ლაჰისის ტრილოგია „ჰემა და ქაუშიკი“ კრებულ უცხო მიწის სხვა მოთხრობებისგან გამოირჩევა. თვალშისაცემია, რომ ავტორს ისინი გამოყოფილი აქვს როგორც კრებულის მეორე ნაწილი. დაკვირვებულ მკითხველს უყურადღებოდ არ დარჩება, რომ სამივე მოთხრობას, ცხოვრებაში ერთხელ, წლის მიწურულს და ნაპირისკენ (Once in a Lifetime, Year's End Going Ashore) სათაურშივე გამოტანილი, საერთო პერსონაჟები ჰყავს. მათი ტრილოგიად მიჩნევის მთავარი მიზეზი კი მაინც ისაა, რომ მოთხრობების სერია მხოლოდ ერთობლიობაში იძლევა სიუჟეტური თუ მხატვრული სიღრმეების აღქმის საშუალებას. მიუხედავად იმისა, რომ ჯუმფა ლაჰირის ეს მოთხრობებიც მისთვის ტრადიციულ თემას, ემიგრაციას და მასთან დაკავშირებულ სირთულეებს და ტრავმებს ეხება, ტრილოგიის „ჰემა და ქაუშიკი“ მთავარი ფოკუსი ემიგრანტების იდენტობის არაერთგვაროვნება და ჰიბრიდულობა, გაუცხოება და ამ სამყაროში, და არა მხოლოდ ახალ გარემოში, საკუთარი ადგილის პოვნაა. მკითხველი თვალს ადევნებს ერთ ზამთარს მასაჩუსეტში შემთხვევით შეხვედრილი გოგო-ბიჭის ცხოვრებას. მათი განვლილი გზები სავსეა ტკივილით, სიყვარულით, სიკვდილის მოლოდინითა და შიშით და ბედისწერის ხაზით. და მაინც, ეს სერია შორსაა წმინდად ემიგრანტული ლიტერატურისგან. ძნელია არ დაეთანხმო მის მკვლელარს, რომელიც წერს, რომ ჰემა და ქაუშიკის ადგილას შესაძლებელია პატარა ქალაქის გარეუბანში მცხოვრები სმიტებისა და ტეილორების შვილები იყვნენ, იმდენად ზოგადადმიანურ საკითხებს ეხება ეს ტრილოგია. (By Liesl Schillinger. https://www.nytimes.com/2008/04/06/books/review/Schillinger3-t.html)

მიუხედავად იმისა, რომ აკადემიურ წყაროებსა და პოპულარულ პერიოდულ გამოცემებში ჯუმფა ლაჰირის ინდოელ-ამერიკელ ან სამხრეთ-აზიელ მწერლად მოიხსენიებენ, ის თავს ინდოელ მწერლად არ თვლის და „უცხო მიწისთვის“ შერჩეული ეპიგრაფით ხაზს უსვამს მის მჭიდრო კავშირს ამერიკულ ლიტერატურულ ტრადიციებთან.

„ადამიანი, კარტოფილისა არ იყოს, ვერა და ვერ გაიხარებს, თუ თაობიდანთაობამდე ერთსა და იმავე გამოფიტულ ნიადაგში ასაზრდოვე. ჩემი შვილები სხვადასხვა ადგილას დაიბადნენ, მაგრამ სანამ მათი ბედი ჩემს ხელთ იქნება, ფესვებს უცხო მიწაში გაიდგამენ“. (ჯუმფა ლაჰირი, უცხო მიწა. პალიტრა L, 2018. გვ. 5)

ნათანიელ ჰოთორნის ამ ციტატით ის ერთის მხრივ, ხაზს უსვამს მის ერთგულებას ამერიკული ლიტერატურული ტრადიციის მიმართ და მეორე მხრივ, ამ კრებულის მთელი სულისკვეთებით და ასევე, პირადი გამოცდილებით, ერთგვარად პოლემიკაში შედის ეპიგრაფად გამოტანილ მოსაზრებასთან.

## 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. **ელენე მეძმარიაშვილი,** ამერიკული და ქართული ეროვნული იდენტობის შედარებითი ანალიზი. 2023 წლის მაისი, თბილისი, თსუ
2. **ელენე მეძმარიაშვილი,** ისტორიის სწავლების გამოწვევები საქართველოში, Challenges of History Teaching in Georgia, ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 147-ე წლისთავისადმი მიძღვნილი
სამეცნიერო კონფერენცია, თსუ, 27-28 აპრილი, 2023, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
3. **მიხეილ ბარნოვი,** ,,რუდოლფო ანაიას „მაკურთხე ულტიმა“, (ჩიკანო მწერლობის რამდენიმე საკითხის შესახებ) Rudolfo Anaya's "Bless Me, Ultima" (Several Characteristics of Chicano Literature)", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თსუ 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია, 2023 წლის 6 თებერვალი
4. **მიხეილ ბარნოვი,** ,,ჩაქვი- 2023“, მედიკოსთა ტრადიციული 54-ე საერთაშორისო სკოლა-კონფერენცია, მოხსენების სათაური: შიდსის ეპიდემია 1980-ნი წლების ამერიკაში, ჩაქვი, 2023 წლის 26 ივლისი.
5. **მიხეილ ბარნოვი,** ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტი, ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, ამერიკისმცოდნეობის 24-ე ყოველწლიური საერთაშორისო

კონფერენცია, 2023 წლის 19 მაისი,თსუ, თბილისი, მოხსენების სათაური: კუ კლუქს კლანის დაარსება.

6. **ქეთევან ანთელავა.** ლიტერატურული ტექსტების ინტეგრირების მნიშვნელობა ენის სწავლების პროცესში. ამერიკისმცოდნეობის 24-ე საერთაშორისო კონფერენცია. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2023 მაისი.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

**1.**მოხსენებაში შედარებულია ამერიკული და ქართული იდენტობა. გამოტანილია შემდეგი დასკვნები:

• ქართული იდენტობის ცენტრალური ნაწილი დღემდე საერთო წარსულშია; აქედან წარმოიშვა ქართველი ერის გამორჩეული პატრიოტიზმი და ეროვნული სიამაყე, მიუხედავად მისივე ისტორიაში არსებული „შავი ლაქებისა“.

• სხვა უძველესი ერების მსგავსად, ქართველებსაც აქვთ ეთნოკულტურული იდენტობა, მაგრამ მულტიეთნიკური და მულტიკულტურული საზოგადოების მიუხედავად, მათ არ აქვთ ამერიკელების „სამოქალაქო“ ეროვნული იდენტობა.

• ქართული იდენტობა სხვა ძველი ერების იდენტობას ჰგავს, რადგან იგი დაკავშირებულია ერთ კონკრეტულ ლოკაციასთან, მიუხედავად უამრავი ქართველი იმიგრანტისა მსოფლიოში. ქართველებისთვის სამშობლო არის მიწის ნაკვეთი და არა პოლიტიკური პრინციპებისა და ინსტიტუტების ერთობლიობა, როგორც ეს ამერიკული იდენტობისთვის არის დამახასიათებელი.

კვლევამ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ეროვნული იდენტობის კომპლექსურ და მრავალმხრივ ბუნებას და მნიშვნელოვან როლს. ნათელი გახდა, რომ იდენტობის ინდივიდუალური და კოლექტიური აღქმის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს კულტურული, ისტორიული და სოციალური ფაქტორები. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ და ამერიკულ იდენტობას გარკვეული მსგავსება აქვს, ისინი ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან თავიანთი ისტორიული გამოცდილებისა და კულტურული ღირებულებების მიხედვით. ამ განსხვავებებისა და მსგავსებების გაგება კი უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის გლობალიზაციის პროცესებში ჩართულობის პირობებში.

2. მოხსენებაში განხილულია საქართველოში ისტორიის სწავლების გამოწვევები; დასაბუთებულია, რომ მოსწავლეთა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების, მათი კომპეტენციების განვითარება სასკოლო განათლების პერიოდშია შესაძლებელი და ამაში განსაკუთრებულ როლს ისტორიის სწავლება თამაშობს. აქედან გამომდინარე, განათლების ეს დარგი სახელმწიფოს პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს.

ვინაიდან ისტორია „გადამწყვეტ როლს თამაშობს ისეთი ფუნდამენტური ფასეულობების, როგორიცაა ტოლერანტობა, ურთიერთგაგება, ადამიანის უფლებები და დემოკრატია“ დამკვიდრებაში, ამიტომ ისტორიის გაკვეთილებზე დემოკრატიული ღირებულებების სწავლება ერთ-ერთი საუკეთესო გზაა ამ მიზნის მისაღწევად.

მოხსენება ეფუძნება როგორც ევროსაბჭოს ფუძემდებლურ დოკუმენტებს, ასევე ქართული, ევროპული და ამერიკული ისტორიის სახელმძღვანელოების, არსებული ისტორიის კურიკულუმების კვლევას, აღნიშნულ საკითხზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სხვადასხვა დონეზე სწავლების თანამედროვე უნარების ნაკლებობა, რაც საჭიროა ხარისხიანი ინტერკულტურული განათლების უზრუნველსაყოფად, რჩება პოსტსაბჭოთა განათლების სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად. ჩვენს ქვეყნებში საგანმანათლებლო სისტემის რეფორმის ფარგლებში გაწეული დიდი ძალისხმევა ამ

მიმართულებით საკმარისი არ არის, რადგან ისტორიული განათლების განვითარება დამოკიდებულია ღირებულებათა სისტემასა და საგანმანათლებლო გარემოზე. ამიტომ აუცილებელია ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება, მასწავლებლების სათანადო მომზადება, ასევე საბჭოთა წარსულის უკეთ გააზრება (პოსტსაბჭოთა ქვეყნებში), რაც დაგვეხმარება ისტორიის სწავლების მიზნების განხორციელებაში.
მოხსენებაში შეთავაზებულია კონკრეტული რეკომენდაციები, კერძოდ, შესაბამისი სასწავლო გეგმების შექმნა და მათ საფუძველზე ისტორიის სათანადო სახელმძღვანელოების დაწერა; როგორც დემოკრატიული ფასეულობების დასამკვიდრებლად აუცილებელი ისტორიული ნარატივის შექმნა, ასევე კრიტიკული, დამოუკიდებელი აზროვნების გასავითარებელი სწავლების მეთოდების გამოყენება.
ამის მიღწევა კი შესაძლებელი იქნება აკადემიური ისტორიკოსებისა და ისტორიის მასწავლებლების მჭიდრო თანამშრომლობით. აკადემიური ისტორიკოსების მოვალეობაა შექმნან საკმარისი რესურსები, გამოიკვლიონ ის საკითხები, რომლებიც სათანადოდ არ არის შესწავლილი ჩვენს ისტორიაში, როგორიცაა ეთნიკური, რელიგიური უმცირესობების წვლილი, ქალების როლი ისტორიაში, სხვადასხვა სახის ურთიერთობა ქვეყნის შიგნით, მგრძნობიარე საკითხები, განსაკუთრებით თანამედროვე ცხოვრებაში და ა.შ.
არანაკლებ მნიშვნელოვანია ისტორიის მასწავლებლების მიზანმიმართული გადამზადება, რათა მათ სწორად ასწავლონ სოციალური და პოლიტიკური პრობლემები მულტიკულტურულ საზოგადოებაში, მათ შორის, მგრძნობიარე საკითხები და აღზარდონ ტოლერანტული თაობები.
დაბოლოს, აუცილებელია, რომ „გადაწყვეტილების მიმღებებმა განახორციელონ არსებული ევროპული და ეროვნული რეკომენდაციები, მხარი დაუჭირონ განათლებაში ინტერდისციპლინურ მიდგომებს და შეცვალონ სასწავლო პროგრამების შეფასება საჭირო ცვლილებების/რეკომენდაციების შესაბამისად“.

3. ამერიკელ მწერალს რუდოლფო ანაიას განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩიკანო მწერლობაში. დახვეწილმა, ემოციურმა პროზამ და საუცხოო თხრობის მანერამ ანაია ჩიკანო მწერლობის მამად აქცია. ანაიას მოთხრობებში მრავალფეროვნადაა არეკლილი ჩიკანო ამერიკელების მდიდარი კულტურა, მათ შორის: ესპანურენოვანი სოფლის მოსახლეობაში ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენებისა და კათოლიციზმის ნაზავი. ავტორის შემოქმედებაში ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოებია 1972 წელს გამოცემული ბესტსელერი ,,მაკურთხე ულტიმა“. მოთხრობაში ასახულია 1940-იანი წლების ნიუ მექსიკოს ესპანურენოვანი მოსახლეობის (ჩიკანოების) ყოფითი და სულიერი კულტურა. „მაკურთხე ულტიმა“ მრავალშრიანი ნაწარმოებია და არა ერთი კუთხითაა საინტერესო. ამერიკის სამხრეთ-დასავლეთის ისტორიის დიდი, კომპლექსური და ჭრელი პანორამის აღსაქმელად ჩიკანო ამერიკელების პერსპექტივის გამოყენება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ჩიკანოები, ინდიელებთან ერთად, რეგიონის უძველეს მოსახლეობას წარმოადგენენ. 1960-იანი წლების ამერიკაში სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლის ეპოქაში, ჩიკანო მწერლების მოთხრობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა „სამშობლოს“/„მამულის“ კონცეპტის ძიება. მიუხედავად მთავარი თემების მრავალფეროვნებისა, 1970-იანი წლების ჩიკანო მწერლების შემოქმედების უმეტესობაში წამყვან ქვეთემას წარმოადგენს მექსიკური წარმოშობის ამერიკელების, ჩიკანოების მიმართება სამხრეთ-დასავლეთთან. სამხრეთ -დასავლეთის (ნიუ მექსიკო, არიზონა, კალიფორნია), როგორც სამშობლოს ხატება ჩიკანო მწერლობაში იმდენივე ფორმას იღებს, რამდენი ნაწარმოებიც შექმნილა, მაგრამ ეს ფორმები ოთხ ძირითად ძირითად კატეგორიამდე შეგვიძლია დავიყვანოთ. ჩიკანო მწერლობაში რუდოლფო ანაია „სამშობლოს“ ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ და კომპლექსურ კონცეპტს

ქმნის. „მაკურთხე ულტიმაში“ ანაია ნიუ მექსიკოს წარმოაჩენს როგორც მიკროკოსმოსს, ამერიკელების მიერ ჩიკანოებისთვის წართმეულ მიწას. ნაწარმოებში ანაია სამშობლოს მრავალშრიან ხატს აყალიბებს და კარგად წარმოაჩენს ნიუ მექსიკოს ესპანურენოვანი მოსახლეობის სულიერ და სისხლით ნათესაურ კავშირს ინდიელებთან. რუდოლფო ანაიას შემოქმედებაში სრული სისავსითაა ნაჩვენები ჩიკანოების სულიერი კავშირი სამხრეთ-დასავლეთთან, მათი ფოლკლორისა
და კულტურის ღრმა ფესვები. ჩიკანოები ინდიელებთან ერთად სამხრეთ-დასავლეთის ძირძველ მოსახლეობად მიიჩნევდნენ თავს და მათი იდენტობა ამერიკის პრეისტორიულ წარსულსა და ევროპული კოლონიზაციის შემედგომ პერიოდებს აერთიანებს. ჩიკანოები ერთი მხრივ, ინდიელებისა და მეორე მხრივ, ესპანელი კოლონიზატორების შთამომავლები არიან და სამხრეთ￾დასავლეთში ანგლო-ამერიკულ კოლონიზაციამდე დიდი ხნით ადრე ცხოვრობდნენ. რუდოლფო ანაიას შემოქმედებაში ასახული ჩიკანოების „სამშობლოს“ ხატება მათ უნიკალურ, თვითმყოფად კულტურაზე მიუთითებს, ისინი, ჩიკანოები – არც მექსიკელები არიან და არც ამერიკელები, არამედ ნიუ მექსიკოელები. ამგვარად, ანაიას გამოცემულ მოთხრობებში სამხრეთ-დასავლეთი აღწერილია როგორც: ჩიკანოების უძველესი, მამა-პაპათა საცხოვრისი, მშობლიური მიწა; ამერიკელების მიერ მიტაცებული მიწა; ჩიკანოების მიერ დაბრუნებული მიწა. ანაია ჩიკანოების თვალით დანახული რეგიონის ფართე სურათს გვთავაზობს და ინდიელთა მითოლოგიაზე დაყრდნობით (აცტეკების მითი აცტლანის შესახებ) ასაბუთებს ნიუ მექსიკოს ესპანურენოვანი მოსახლეობის განსაკუთრებულ კავშირს მიწასთან. ჩიკანო მწერლობაში მოცემული „სამშობლოს“ ხატება მნიშვნელოვანია რეგიონის იმიჯის არა ანგლო-ამერიკული პერსპექტივით აღსაქმელად. ადგილობრივ ინდიელთა ზეპირსიტყვიერება და ჩიკანოების ხედვა სახმრეთ-დასავლეთის კომპლექსური ისტორიის ობიექტური გააზრებისთვის აუცილებელია.

**4**.მოხსენებაში განხილულ იქნა აშშ-ში შიდსის ეპიდემიის ადრეული პერიოდი, ინფიცირებულ პირთა მკურნალობის პრობლემები, ჯანდაცვის მუშაკთა წინაშე მდგარი გამოწვევები და ეპიდემიის დაწყების შესაძლო მიზეზები. ასევე, მიმოხილულ იქნა აივ-ინფექციის წარმოშობასთან დაკავშირებული თეორიები, 1980-იანი წლების შიდსის ეპიდემიის გავლენა ამერიკულ საზოგადოებასა და სექსუალურ უმცირესობათა უფლებებზე. ეპიდემიის ადრეულ ეტაპზე მთავრობამ დააგვიანა დროული რეაგირება არსებულ პრობლემაზე და დიდხანს არც აღიარებდა ეპიდემიის ფაქტს. ახლადაღმოჩენილი ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლა ექიმებს საკმაოდ უჭირდათ, ეფექტური მედიკამენტების შემუშავებას კი ხანგრძლივი დრო დაჭირდა. მოხსენებაში გაანალიზდა აივ ინფექციის სტატისტიკა 1980-იანი წლებიდან დღემდე, რეგიონების, ეთნიკური და გენდერული ნიშნების მიხედვით.

5.მოხსენებაში გაანალიზებულ იქნა კუ კლუქს კლანის დაარსების განმაპირობებელი სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ფაქტორები. პასუხი გაეცა კითხვას: თუ რატომ აღმოჩნდა კუ კლუქს კლანის იდეოლოგია ესოდენ მიმზიდველი და ფართოდ გავრცელებული 1860-70-იანი წლების სახმრეთ შტატებში. კუ კლუქს კლანის არსებობის პირველ ეტაპზე მისი მხარდაჭერის ძირითადი მიზეზი კონფედერაციის სამოქალაქო ომში დამარცხების შედეგებიდან გამომდინარეობს, რასაც ხელს უწყობდა ისტორიულად დამკვიდრებული რასიზმი და ამერიკული ინდივიდუალიზმი.

6. ქეთევან ანთელავა. ამერიკელი მწერალი ჯუმფა ლაჰირი და მისი ლიტერატურული ტრიპტიქი. პროფესორ თემურ კობახიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის ,,ტექსტი და მისი ინტერპრეტაცია''. ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი. 2023, მაისი.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **Elene Medzmariashvili.** Discussant, Expert, The 3rd Annual Conference of the Observatory on History Teaching in Europe, Council of Europe, 30 November-1 December, 2023, Strasbourg.

2.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

1. როგორც OHTE-ეს (ევროსაბჭო) მრჩეველთა სამეცნიერო საბჭოს წევრი, ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელი **ელენე მეძმარიაშვილი** მუშაობდა OHTE-ს ძირითადი (ისტორიის სწავლება ევროპაში) ანგარიშის რედაქტირებაზე. 2023

2. **ელენე მეძმარიაშვილი** ასევე მონაწილეობდა OHTE-ს მრჩეველთა სამეცნიერო საბჭოს სამუშაო შეხვედრებში. ოთხი შეხვედრა, სტრასბურგი.

**ყურადღება!**

*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**

*** ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.**

*** ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.**

*** ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.**

*** ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა˜.**

არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2
(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება**

**არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**

- ვ
  **ახტანგ ლიჩელი, პროფესორი, ინსტიტუტის ხელმძღვანელი**
- ზ
  **ვიად კვიციანი, ასოცირებული პროფესორი**
- მ
  **არინა ფუთურიძე, ასოცირებული პროფესორი**
- კ
  **ონსტანტინე ფიცხელაური, ასოცირებული პროფესორი**
- ა
  **ნა თეთრუაშვილი, ასისტენტი**

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. **სვანეთი არქეოლოგიური გათხრები ,მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვ,იფარის ადრეშუასაუკუნეების რკის მეტალურგიული საწარმოები.** აგვისტო 2023

**2. სვანეთი, მესტიის municipalitetis, ეცერისა და მულახის თემების ტერიტორიაზე კულტურულ–ისტორიული ძეგლების / ობიექტების / ინვენტარიზაცია.** ივნისი-ივლისი 2023

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **ზვიად კვიციანი-** ექსპედიციის ხელმღვანელი

2. ლერი ჯიბლაძე-წევრი

3. თამარ ჩეკურიშვილი-არქიტექტორი

4გალაქტიონ კვიციანი -წევრი

5.ჯეირან ჭკადუა-წევრი

6.ეკა ჩართოლანი- წევრი

2.
*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
*დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. **ახალგაზრდა მეცნიერთა გრანტი, ჰუმანიტარული მეცნიერებები, არქეოლოგია, საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები, YS-21-104; 16.12.2021-16.12.2023**
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **ანა თეთრუაშვილი,** ხელმძღვანელი
2.
*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

## 3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

### 3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

### 3.2. **დასრულებული პროექტი**

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

**1. EU4Culture, კულტურის კვლევები, არქეოლოგია. დამფინანსებელი ევროკავშირი. 1.02-7.03.2023 პროექტი განხორციელდა ერევნის არქეოლოგიის ინსტიტუტში**

**2. CultureMovesEurope, კულტურის კვლევები, არქეოლოგია, დამფინანსებელი ევროკავშირი. 1.04-31.05.2023, პროექტი განხორციელდა ტორუნის არქეოლოგიის ინსტუტში.**

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **ანა თეთრუაშვილი,** ხელმძღვანელი
2. **ანა თეთრუაშვილი,** ხელმძღვანელი

2.
*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1. პროექტი მიზნად ისახავდა ერევნის არქეოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში დაცული ქვის მაკრო იარაღების შესახებ სამეცნნიერო ლიტერატურის მოძიებასა და დამუშავებას. სომხეთის ტერიტორიაზე დაფიქსირებული ხელსაფქვავის ქვების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია და საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ თანადროულ ნიმუშებთან შედარება.
2.პროექტი მიზნად ისახავდა ტორუნის ნიკოლაუს კოპერნიკუსის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში დაცული ექსპერიმენტული არქეოლოგიის

შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებას, თარგმანსა და დამუშავებას. ექსპერიმენტული არქეოლოგიის ისტორიის, ქვის იარაღების ექსპერიმენტული სამუშაოების, მარცვლეულის დამუშავებისა და საფქვავი ქვების შესახებ ინფორმაციის გაცნობა.

2.

## 4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)

4.1. საერთაშორისო პატენტები;

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

4.2. ეროვნული პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

## 5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ანა თეთრუაშვილი,** საფქვავი ინსტალაციის ექსპერიმენტული დღიური, ISBN 978-9941-36-101-2, თბილისი, უნივერსალი, 1-107 გვ.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლზე ნაგებობათა შიგნით თუ გარეთ ხელსაფქვავის ქვების აღმოჩენა ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ყურადღება მიიპყრო ნაგებობის შიგნით არსებული ხელსაფქვავისათვის გამოყენებულმა სპეციალურმა პლატფორმამ, რომელიც არქეოლოგიური ძეგლის, გრაკლიანი გორის, მესამე ტერასის B ოთახში დაფიქსირდა. წინამდებარე კვლევის მიზანია გრაკლიან გორაზე აღმოჩენილი საფქვავი ინსტალაციის ექსპერიმენტული შესწავლა, კერძოდ, ექსპერიმენტული საფქვავი ინსტალაციის აშენება და მარცვლეულის დამუშავება მისი გამოყენებით.

მიზანშეწონილად მივიჩნიე, დღიურში ყურადღება გამემახვილებინა მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კვლევისას განხილული იქნება არქეოლოგიური ძეგლები გრაკლიანი გორა, ციხიაგორა, არადეთის ორგორა და იქ აღმოჩენილი ინსტალაციები. სამიწათმოქმედო საქმიანობისას გამოყენებული იარაღებიდან და საკვლევი ობიექტიდან გამომდინარე, მოვიძიე ინფორმაცია, ერთი მხრივ, საფქვავის გამოყენების ადრეულ შემთხვევებზე, სხვა მხრივ კი, მათი ექსპერიმენტული შესწავლის ისტორიაზე.

დღიურში დეტალურად არის აღწერილი ჩატარებული ექსპერიმენტული სამუშაოები – საფქვავი ინსტალაციის აშენების პროცედურა და მისი მეშვეობით მარცვლეულის დაფქვის პროცესი. ამ ტიპის ექსპერიმენტული სამუშაოები საქართველოში პირველად ამ კვლევის ფარგლებში შესრულდა. ჩემი მიზანი იყო, დამედგინა საფქვავი ინსტალაციის მწარმოებლობის მაჩვენებელი და განმესაზღვრა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისი გამოყენება პრაქტიკული თვალსაზრისით.

2.

5.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. **ვახტანგ ლიჩელი.** გრაკლიანი გორა. კავკსიის ენციკლოპედია, V, რედაქტორი რ. გორდეზიანი, თბილისი, 2023

2. **ვახტანგ ლიჩელი,** Greek Architectural Details at Grakliani Gora (Caucasian Iberia). საერთაშორისო კონფერენცია „კავკასიის აღქმა მითელბსა და ლიტერატურაში ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე“. დაფინანსებულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ. თბ., 2023. თეზისები, გვ. 56-58

3. **ვახტანგ ლიჩელი,** გრაკლიანის ცერემონიალური დარბაზი ( წინასწარული მოსაზრებები). თეზისები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია VIII სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები, მიძღვნილი ისტორიკოს აკაკი კვიციანის მე-100 წლისთავისადმი, თბილისი, 2023, გვ. 23-26

4. **მარინა ფუთურიძე.** აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის არქეოლოგიური კონტექსტის არსებობა სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურებში. აღმოსავლეთმცოდნეობა, #11, თბილისი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2023, გვ. 95-110

5. **მარინა ფუთურიძე.** თრიალეთის კულტურა - გავლენათა შეხვედრის გზაჯვარედინი და მისი როლი ძვ.წ. მე-2 ათასწლეულის პირველი ნახევრის სამხრეთ კავკასიის დაწინაურებაში. კრებული: საქართველო და კავკასია. წარსული, აწმყო, მომავალი. I საერთაშორისო კონფერენციის შრომები. თბილისი: „საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2023, გვ. 537-562.

6. **მარინა ფუთურიძე.** ინკრუსტირებული ორნამენტაციის რეპრეზენტირების თავისებურება თრიალეთის კულტურის ერთ სამკაულზე. VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

„კულტურა და ხელოვნება თანამედროვე კონტექსტში“, ბათუმი: „უნივერსალი“, 2023, გვ.139-145.

7. **მარინა ფუთურიძე.** ინოვაციური მიმართულებები ძვ.წ. მე-2 ათასწლეულის პირველი ნახევრის სამხრეთ კავკასიის ოქრომჭედლობაში. კრებული: საქართველო და კავკასია. წარსული, აწმყო, მომავალი. II საერთაშორისო კონდერენციის შრომები. თბილისი: „საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა“, (იბეჭდება)

8. **Marina Puturidze.** For the Problem of Cultural Interconnections of the North-West Iran and Transcaucasia North-West Iran and Transcaucasia in the First Half of the II Millennium Millennium BC. in: Proceedings of X Congress of the Spanish Society of Iranology (SEI I). თბილისი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. (იბეჭდება).

9. **TETRUASHVILI, ANA.** INTERDISCIPLINARY STUDY OF NEOLITHIC-EARLY BRONZE AGE MACRO TOOLS (BASED ON GRINDING STONES FROM GEORGIAN NATIONAL MUSEUM). **HISTORY, ARCHAEOLOGY, ETHNOLOGY**, [S.l.], n. IX, p. 256-267, june 2023. ISSN 2449-285X.

2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ენციკლოპედიის ეს ტომი ეძღვნება კარტოგრაფიულ და ფოტო მასალას და მოცემულია მოკლე ინფორმაცია არქეოლოგიური ძეგლების შესახებ. გრაკლიანის შესახებ არსებულ მოკლე სტატიაში განხილულია ძეგლის ქრონოლოგია და დახასითებულია ძირითადი ეტაპებისათის ტიპიური არქეოლოგიური მასალა.

2.ნაშრომში გამოკვლეულია გრაკლიან გორაზე აღმოჩენილი ძვ.წ. V – IV საუკუნების ქვისაგან დამზადებული ბერძნული დეკორატიული დეტალები. გათვალისწინებულია, რომ იბერიაში ძ.წ. II საუკუნემდე ბერძნული დეკორატიული მოტივი არ არსებობს ( იგი არც კოლხეთში არსებობს ძვ.წ. III საუკუნემდე) და შესაბამისად, ასეთი ადრეული ნიმუშების აღმოჩენა ახსნას ითხოვს. მიმაჩნია, რომ ეს დეკორი ანალოგიურია დასავლეთ ანატოლიაში არსებულისა, რაც გულისხმობს იშვიათ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც სამარხის არეალში(და არა მასთან) იგება ე.წ. „სიმბოლური კარი“. ამ კარით მიცვალებულები სხვა სამყაროში გადადიან. წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის საფუძველზე დადგენილია, რომ ეს ტრადიცია ანატოლიიდან ქართლში დაბრუნებული მესხური ტომების მიერ არის შემოტანილი.

3.2021-2023 წლებში გრაკლიანი გორის V ტერასაზე გამოვლინდა და შესწავლილია ძვ.წ. III საუკუნის ცერემონიალური დარბაზი. იგი აგებული იყო 40-45 სმ-ის დიამეტრის მქონე მასიური სვეტებით, რომლებიც თითქმის მიჯრით იყო ჩასმული თირის კლდეში ამოკვეთილ ორმოებში. სვეტების სავარაუდო სიმაღლე უნდა ყოფილიყო 3-3,5 მეტრი. შენობა, რომელიც გეგმაში ოთხკუთხაა, ამ პერიოდის ერთადერთი ამ ტიპის ნაგებობაა საქართველოში.

4. სტატია, მიძღვნილი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის არქეოლოგიური კონტექსტის არსებობაზე სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურებში ეძღვნება შუა ბრინჯაოს ხანის ორი სხვადასხვა ფაზების, კერძოდ, ბედენისა და თრიალეთის კულტურებში დადასტურებულ იმ არქეოლოგიურ არტეფაქტებს, რომლებიც ფართოდაა დამახასიათებელი არმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ამავე პერიოდის არქეოლოგიური კონტექტისათვის. კონკრეტულად კი ეს ეხება ე.წ. ღუზისებური ტიპის საპარადო ცულებს, ბრინჯაოს რაპირებსა და ლითონის სარიტუალო ქვაბებს, რომელთა უახლოესი ანალოგების გავრცელებასა და დახასიათებას ეძღვნება ეს ნაშრომი.

5. ნაშრომი, თრიალეთის კულტურა - გავლენათა შეხვედრის გზაჯვარედინი და მისი როლი ძვ.წ. მე-2 ათასწლეულის პირველი ნახევრის სამხრეთ კავკასიის დაწინაურებაში ეხება შუა ბრინჯაოს ხანის განვითარებული ფაზის - თრიალეთის კულტურის არსებობის ხანაში დადასტურებულ იმ მრავალფეროვან არქეოლოგიურ კონტექსტს, რომლებიც უდავოდ მეტყველებენ წინა აზიის რეგიონებიდან მომდინარე სხვადასხვა კულტურულ გავლენებსა და სავაჭრო-გაცვლითი ხასიათის კონტაქტებზე. ამ ფაქტებმა სამხრეთ კავკასიის ამ კულტურის არნახულ დაწინაურებაში აშკარა გავლენა იქონიეს, რაც აღნიშნული რეგიონის გავლენათა შეხვედრის გზაჯვარედინად მის მიჩნევას გვავარაუდებინებს.

6. სტატია ეძღვნება ინკრუსტირებული ორნამენტაციის რეპრეზენტირების თავისებურებას თრიალეთის კულტურის ერთ სამკაულზე. ინკრუსტაციის ტექნიკა სამხრეთ კავკასიაში პირველად იწყებს გამოჩენას თრიალეთის კულტურაში და ის თავიდანვე იქცევა ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ მეთოდად. ამ კულტურის თოტხმეტმძივიანი და აქატის კულონიანი ყელსაბამი ამ მრივ განსაკუთრებული არტეფაქტია, რომლის ინკრუსტირების სხვადასხვაგვარად შემკობისა და მისი ანალიზისადმისაცაა მიძღვნილი ეს ნაშრომი.

7. სტატია, ინოვაციური მიმართულებები ძვ.წ. მე-2 ათასწლეულის პირველი ნახევრის სამხრეთ კავკასიის ოქრომჭედლობაში ეძღვნება იმ ყენდენციებსა და სიახლეებს, რომელთა ერთი ნაწილი აქ გამოჩენას იწყება მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციებიდან (შუმერი, ანატოლია) მომდინარე ზეგავლენის შედეგად და საბოლოოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თრიალეთის კულტურის განუმეორებელი ოქრომჭედლური ტრადიციის ფორმირებაზე.

8. ინგლისურენოვანი ნაშრომი For the Problem of Cultural Interconnections of the North-West Iran and Transcaucasia in the First Half of the II Millennium Millennium BC ეძღვნება ძვ.წ. მე-2 ათასწლეულის პირველ ნახევარში სამხრეთ კავკასიაში გამოჩენილ ახალ ტენდენციას, ე.წ. „წყლის სქემის“ მოტივით მოხატული კერამიკას, რომელიც აქამდე უცნობი იყო ამ რეგიონისათვის. ის ფართოდ დამახასიათებელი კულტურული მოვლენაა ვანი-ურმიისპირეთის რეგიონისათვის და, როგორც ჩანს, სწორედ ჩრდილო-დასავლეთ ირანიდან მომდინარე ზეგავლენას უკავშირდება. სწორედ აღნიშნული გავლენის დამადასტურებელ არგუმენტებზეა საუბარი ამ ნაშრომში.

9. ხელსაფქვავის ქვა სამეურნეო დანიშნულების ერთ-ერთ წამყვან იარაღს წარმოადგენს, რომელთა გამოყენების აქტუალობა ამიერკავკასიის არაერთ სხვადასხვა არქეოლოგიურ

ძეგლზე დასტურდება. აღსანიშნავია, რომ ხელსაფქვავის ქვებს ნაკლები ყურადღება ექცეოდა სხვა არტეფაქტებთან შედარებით, როგორიცაა ნატკეცი ქვის მასალა, თიხის ჭურჭელი და ლითონის არტეფაქტები. ამ თეორიულმა და მეთოდოლოგიურმა ხარვეზმა გამოიწვია გადამწყვეტი ინფორმაციის ნაკლებობა პრეისტორიული სოციალური-ეკონომიკური საქმიანობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. სწორედ, წინამდებარე სტატიის მიზანია ხელსაფქვავების ტიპის, საიარაღე მასალისა და ფუნქციის, აგრეთვე დამუშავებული მცენარის სახეობის დადგენა აღმოსავლეთ საქართველოს ქვემო და შიდა ქართლის რეგიონების ნეოლით (ძვ.წ. მე-6 ათასწლეულის მეორე ნახევარი)-ადრებრინჯაოს ხანის (ძვ.წ. მე-4 ათასწლეულის მეორე ნახევარი) არქეოლოგიური ძეგლებზე დადასტურებული მასალების მიხედვით. გარდა ამისა, სტატიის მიზანია ხარისხობრივ, ასევე რაოდენობრივ მონაცემებთან ერთად ქვის მაკრო იარაღების ტექნიკა-ტიპოლოგიური და ფუნქციონალურ ასპექტებთან დაკავშირებული საკითხების კვლევა. კვლევისათვის შეირჩა ხელსაფქვავის ქვები, რომლებიც აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოში ნეოლით-ადრე ბრინჯაოს ხანის არქოლოგიურ ძეგლებზე - გადაჭრილი გორა, შულავერის გორა, იმირის გორა, ქვაცხელები. ხელსაფქვავების ტიპოლოგიურმა შესწავლამ გამოავლინა ოვალური, უნაგირისებური და ოთხკუთხა ფორმის იარაღები, რომელთა სამუშაო ზედაპირი ძირითადად ბრტყელი და ჩაღრმავებულია. პეტროგრაფიული ანალიზის მიხედვით განისაზღვრა რვა განსხვავებული საიარაღე მასალის გამოყენება იარაღის დასამზადებლად, როგორებიცაა რიოლითი (პორფირი), რიოლითური ჰიალოკლასტიტი, რიოდაციტი, ტუფი (რიოლითური), ფორებიანი ბაზალტი, ბაზალტი, ქვიშაქვა (კარბონატული) და დიორიტი. არტეფაქტების ფუნქციონალურმა ანალიზმა, რომელიც ჩატარდა ომაქს ბინოკულარული (OMAX, 40X გადიდება) და დინო-ლაით დიგიტალური (Dino-Lite Digital, 50X გადიდება) მიკროსკოპების გამოყენებით, გამოავლინა მოგლუვების, სიპრიალისა და იშვიათ შემთხვევაში ხაზოვანი კვალი, რაც მიუთითებს იარაღის გამოყენებას მცენარის დასამუშავებლად. გარდა ამისა, პალინოლოგიური ანალიზის გამოყენებით განისაზღვრა თუ რა სახის ორგანული ნარჩენები იყო არტეფაქტის სამუშაო ზედაპირზე; დადასტურდა მცენარეთა მრავალფეროვნება, რომელიც გამოიყენებოდა როგორც საკვები (სათესი მარცვლოვნები, კაკალი, თხილი, ვაზი, ნაცარქათამა) ასევე სამკურნალო (ცაცხვი, მუხა, ავშანი, მრავალძაღვა, ჭინჭარი) მიზნებისთვის.

## 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

### 6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Katie Campbell , Davit Naskidashvili, Katya Turchin, **Vakhtang Lichel.** Household Archaeology and the Agricultural Economy of an Iron Age Village: The 10th–3rd Centuries BC at Grakliani Gora, Shida Kartli, Georgia. On the Shoulders of Prometheus International collaboration and the archaeology of Georgia Edited by Emanuele E. Intagliata and Paul Everill Archaeopress Archaeology, 2023, pp. 15-42

2. **Vakhtang Licheli.** City Phasis – a problem of location ( Abstract of the project). In: Tri –national conference of Archaeological Cooperation and Academic Exchange: Georgia, Azerbaijan, Korea. June 19-20, 2023. Universitas Tphlisiensis , Azerbaijan National Academy of sciences, The Embassy of the Republic of Korea to Georgia, Korean Association for Eurasian Civilization Research. **Printed in Korea** ( p.8).

3. **Ana Tetruashvili,** Expreimental study of grinding installation (abstract). In: Tri –national conference of Archaeological Cooperation and Academic Exchange: Georgia, Azerbaijan, Korea. June 19-20, 2023. Universitas Tphlisiensis , Azerbaijan National Academy of sciences, The Embassy of the Republic of Korea to Georgia, Korean Association for Eurasian Civilization Research. **Printed in Korea** ( p.33).

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. 2018 წელს გრაკლიან გორაზე არქეოლოგიური საველე პრაქტიკა გაიარეს კემბრიჯისა და ლონდონის უნივერსიტეტების სტუდენტებმა. სამუშაოების შედეგები აისახა ერთობლივ პულიკაციაში, რომელშიც აქცენტი გაკეთებულია გრაკლან გორაზე გამოვლენილ სასოფლო-სამეურნეო პროფილზე ძვ.წ. X საუკუნიდან ძვ.წ. III საუკუნემდე. ყურადღება არის გამახვილებული N6 შენობის გათხრების შედეგზე, სადაც დადასტურებულია რკინის ნივთების შეწირვის ფაქტი - შენობის სამხრეთ- აღმოსავლეთ კუთხეში ჩადგმულ ხის ყუთში ჩალაგებული იყო რკინის ნივთები, რომელთა იდენტიფიცირება მათი სრული კოროზიის გამო ვერ მოხერხდა, თუმცა, გამოირჩა შუბისპირის, ძვლის ტარიანი სადგისის, საყბეურისა და დანის ფრაგმენტები. ამავე შენობაში ღუმელისა და ხელსაფქვავის პალეობოტანიკურმა ანალიზმა უჩვენა, რომ მარცვლეულიდან დიდი რაოდენობთ გამოიყენებოდა ქერი, ხორბალი, ჭვავი, ფეტვი.

2. თეზისებში განხილულია ბერძნული კოლონია ფასისის ლიკალიზაციის პრობლემა და მითითებულია მისი მდებარეობის ერთ-ერთი სავარაუდო ადგილი სანაპირო ზოლიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 20 კმ -ზე.

3. ნაშრომში განხილული საფქვავი ინსტალაციის ექსპერიმენტული კვლევის შედეგები, საიარაღე მასალის წარმომავლობა, სამშენებლო პროცესი, გამოყენებული სამშენებლო მასალა, გარემო-პირობები, დაფქვილი და დასაფქვავი მასის რაობა.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ვახტანგ ლიჩელი,** სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია VIII სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები, მიძღვნილი ისტორიკოს აკაკი კვიციანის მე-100 წლისთავისადმი, თბილისი, 2023, (მოხსენების თემა გრაკლიანის ცერემონიალური დარბაზი ( წინასწარული მოსაზრებები). თეზისები, გვ. 23-26

2. **Vakhtang Licheli,** Greek Architectural Details at Grakliani Gora (Caucasian Iberia). saerTaSoriso konferencia kavkasiis aRqma miTebsa da literaturaSi antikurobidan Tanamedroveobamde დაფინანსებულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ Tezisebi, 2023, თბილისი, გვ. 56-58

3. **Vakhtang Licheli.** City Phasis – a problem of location (Abstract of the project). In: Tri –national conference of Archaeological Cooperation and Academic Exchange: Georgia, Azerbaijan, Korea. June 19-20, 2023. Universitas Tphlisiensis , Azerbaijan National Academy of sciences, The Embassy of the Republic of Korea to Georgia, Korean Association for Eurasian Civilization Research. **Printed in Korea (p.8).**

5. **ზვიად კვიციანი** სვანეთის არქეოლოგია - წარსული და თანამედროვეობა.“სამეცნიერო–პრაქტიკულიკონფერენცია: ,,სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები“ VII მიძღვნილი ეთნოლოგ, პუბლიცისტ, საზოგადო მოღვაწე ბესარიონ ნიჟარაძის ხსოვნისადმი“ საქართველო, სვანეთი,მესტია, 03-04 აგვისტო

6. **ზვიად კვიციანი** ,,ოქროს საწმისის“ კვალი შუმერულ ტექსტებში სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია: ,,სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები“ VI მიძღვნილი ეთნოგრაფ ციალა ჩართოლანის 90 წლის იუბილისადმი. საქართველო, სვანეთი,მესტია, 30-07- 2023.

7. **ზვიად კვიციანი.**-.,,ოქროს მოპოვებისა და დამუშავების სვანური მეთოდები ლურსმული ტექსტების მიხედვით.“(ნ.სამსონია,ზ.კვიციანი) ისტორიკოს აკაკი კვიციანის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია,,სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები“ VIII, საკონფერენციო თეზისები 23 სექტემბერი 2023წ.საქართველო, თბილისი,

8. **ზვიად კვიციანი** -„ საფორთიფიკაციო-სასიმაგრო ნაგებობათა სისტემა ენგურის ხეობაში“(ტობარის ციხე-სიმაგრე). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკად. გურამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცი:„კულტურულ-საისტორიო ძიებანი“ , 9-11 ოქტომბერი 2023 წელი. საკონფერენციო მასალები

9. **მარინა ფუთურიძე.** 2023 7-8.10. თბილისი, კავკასიის უნივერსიტეტი. მომხსენებელი II საერთაშორისო კონფერენციაზე „საქართველო და კავკასია. წარსული, აწმყო,მომავალი“. მოხსენება: ინოვაციური მიმართულებები ძვ.წ. მე-2 ათასწლეულის პირველი ნახევრის სამხრეთ კავკასიის ოქრომჭედლობაში.

10. **მარინა.ფუთურიძე.** 2023 9 ივნისი. ქ. ახალციხე, ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფ. ოთარ ღამბაშიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებული სამეცნიერო სესია. მოხსენება: ოთარ ღამბაშიძის გამორჩეული წვლილი სამცხის მხატვრული ბრინჯაოს შესწავლაში.

11. **Ana Tetruashvili,** Experimental study of grinding installation, Tri –national conference of Archaeological Cooperation and Academic Exchange: Georgia, Azerbaijan, Korea. Tbilisi, 19-20, 2023. Universitas Tphlisiensis , Azerbaijan National Academy of sciences, The Embassy of the Republic of Korea to Georgia, Korean Association for Eurasian Civilization Research.

12. **კონსტანტინე ფიცხელაური,** საქართველოს ეროვნული აკადემიის წ.კ. გურამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურულ-საისტორიო ძიებანი“ – უძველესი მეტალურგიული ცენტრი საქართველოში, 2023 წლის 9-11 ოქტომბერი, გვ. 99-100.

13. **კონსტანტინე ფიცხელაური,** ევროპის უნივერსიტეტის აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით ჟურნალი „არქეოლოგია“ (N8) - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, „დიდნაურის“ ნაქალაქარზე და სამაროვანზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში (იბეჭდება).

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

9.მოხსენება, წაკითხული საქართველოს უნივერსიტეტში ჩატარებულ II საერთაშორისო კონფერენციაზე „საქართველო და კავკასია. წარსული, აწმყო,მომავალი“ მიეძღვნა ძვ.წ. მე-2 ათასწლეულის პირველი ნახევრის სამხრეთ კავკასიის, კერძოდ კი, შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის კულტურის ოქრომჭედლობაში მიმდინარე ინოვაციურ მიმართულებებს, რომელთა ერთი ნაწილი აქ გამოჩენას იწყება მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციებიდან (შუმერი, ანატოლია) მომდინარე ზეგავლენის შედეგად და საბოლოოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თრიალეთის კულტურის განუმეორებელი ოქრომჭედლური ტრადიციის ფორმირებაზე.

10. მოხსენება, წაკითხული ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ პროფ. ოთარ ღამბაშიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებულ სამეცნიერო სესიაზე მიეძღვნა ამ მეცნიერის მიერ სამცხე-ჯავახეთში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისა და კვლევების საკითხს. მათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო სამცხის მხატვრული ბრინჯაოს შესწავლა, რომელმაც მის სამეცნიერო პროდუქციაში არსებითი ადგილი დაიკავა. სწორედ ბრინჯაოს მხატვრული ხელოსნობის სამცხის გამორჩეული კომპლექსების ანალიზსა და მის მიშვნელობას მიეძღვნა ჩვენი მოხსენება.

13. ივრის ზეგნის მონაკვეთში, ველების ირგვლივ მდებარე მთაგორებზე, წინა წლებში აღმოჩნდა 40-ზე მეტი, კარგად დაგეგმარებული მცირე, ორწილადი დასახლება - ციტადელით მთის თხემზე და ქვედა საცხოვრებელი უბნებით მთის ფერდობებზე, რომლებიც ცალ-ცალკე მძლავრი გალავნებით და თავდაცვითი თხრილებით არის შემოსაზღვრული. ყველა ეს დასახლება ერთი კულტურის ფარგლებში ექცევა და დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება. ცნობილია მათი სამაროვნებიც.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ დასახლებათა სისტემის ერთ-ერთ სამლოცველოზე ცხენებშებმული საბრძოლო ეტლის ბრინჯაოს მოდელი აღმოჩნდა, სამაროვნებზე კი გათხრილ სამარხებში ყველა მამაკაცი მძლავრი ბრინჯაოს საბრძოლო იარაღით - მახვილით, სატევრით, შუბით და ცულით იყო აღჭურვილი, რაც აქ მოსახლე საზოგადოების დიდ საბრძოლო პოტენციალზე მიგვანიშნებს. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ივრის ზეგანზე, სამოსახლოებისგან მოშორებით არსებულ, ძვ. წ. X-IX სს. რელიგიური ცხოვრების ორ დიდ ცენტრში, კოლოსალური რაოდენობით აღმოჩნდა ბრინჯაოს და რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, რაც ამ მხარეს და მის კულტურას მთელ მახლობელ აღმოსავლეთში, პალეომეტალურგიის თვალსაზრისით გამორჩეულ ადგილს ანიჭებს. ყოველივე ეს თითქოს ადასტურებს აქ მოსახლე საზოგადოების გაერთიანებას ერთ სოციალ-ეკონომიკურ და დასაშვებია პოლიტიკურ სისტემაში, რომელიც მცირე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ყველა ნიშანს ატარებს.

2014 წელს, სატელიტური ფოტოების დეშიფრაციით და არქეოლოგიური გათხრების შედეგად, გამოვლინდა გრანდიოზული, როგორც ჩანს ცენტრალური ქალაქის ნაშთები, რომელიც დაახლოებით 15 ჰა ფართობს მოიცავს.

პროექტის მიხედვით, ძირითადი სამუშაოები ჩატარდა „დიდნაურის“ N1 სამაროვანზე, სადაც გაგრძელდა გასულ წელს გამოვლენილი სამარხების შესწავლა.

2023 წლის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად, განხორციელდა სამაროვნის მთლიანი ფართობის შესწავლა. სამარხები სრულად იქნა გაწმენდილი და შესწავლილი, მოხდა მათი გრაფიკული და ფოტოფიქსაცია. ავტორის თქმით, სამ სამარხში ადამიანის ჩონჩხის არ აღმოჩენამ დაადასტურა ის ფაქტი, რომ სამარხები კენოტაფებს უნდა წარმოადგენდნენ. სამარხებში სხვადასხვა ტიპის ექვსი თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა, რომელთაგან არც ერთი არ გამოდგა მთლიანი და ყველა ძლიერ არის დაზიანებული. ჭურჭლების უმეტესი ნატეხი ადგილზეა და შესაძლებელია მათი აღდგენა. სამაროვანზე არც თუ იშვიათად გვხვდება ჩალისფერ წერნაქში ამოვლებული, წაბლისფრად გამომწვარი ეს ჭურჭლები, რაც ამ დროის კავკასიის სამეთუნეო ნაწარმისათვის სრულიად არ არის დამახასიათებელი და ჯერჯერობით მხოლოდ დიდნაურის ძეგლებზე დაფიქსირდა. თიხის ჭურჭლის შემკობის ეს ტექნიკა არც

თუ იშვიათია წინააზიის თანადროული ძეგლებისათვის, რაც მკვლევარს აძლევს შესაძლებლობას სამხრეთ კავკასიაში თიხის ჭურჭლის შემკობის ეს ტექნიკა სწორედ წინააზიური ძეგლებიდან, კონკრეტულად ხეთური თიხის ნაკეთობებიდან ნასესხებად ივარაუდოს.

ქალის სამარხებში აღმოჩენილია ბრინჯაოს სამკაული (სამაჯური), ზანზალაკი, რომბისებრი საკიდი, ღილი და დიადემა. ასევე, სარდიონის რამდენიმე მძივი.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **Vakhtang Licheli,** The Archaeology and Ancient History of the Southern Caucasus: A view from Georgia. International conference, Venice, 24 March, 2023.

2. **Vakhtang Licheli,** Archaeology of Georgia, Course of Lectures (14-25 March 2023), Ca Foscari University, Venice (Italy).

3. **Vakhtang Licheli,** Colchis in the 1st mill. BC University of Bern (his October 22, 2023), Bern, Switzerland.

4. **Vakhtang Licheli,** Traditions and Novelties in the 1st mill. BC Iberia. University of Bern (October 22, 2023), Bern, Switzerland.

5. **Vakhtang Licheli,** The Archaeology of Grakliani Gora, Georgia: A center of Iron Age intellectual innovation in the South - Caucasus (24.11.2023), Cambridge University, UK

6. **Marina Puturidze.** 2023, 26-27 October. Santiago de Compostela (Spain). XI Congress of the Spanish Society of Iranian Studies. მოხსენება: An Early Transcaucasian Culture's Distribution in North-West Iran.

7. **A. Tetruashvili,** D. Dolaberidze, T. Davadze, Experimental study of grinding installation, EXARC, Torun, 1-5.05.2023.

2.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

1.ვენეციაში წაკითხულ მოხსენებაში განხილული იყო ქართლის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძვ.წ. X - VIII საუკუნეების არქეოლოგიური მასალა გრაკლიანი გორის აღმოჩენების ფონზე და ნაჩვენები იყო ადგილობრივი საზოგადოების ინტელექტუალური დაწინაურების ფაქტი.

2.ვენეციის კა'ფორსკარის უნივერსიტეტში ჩატარებული სალექციო კურსი ეხებოდა საქართველოს არქეოლოგიის შესწავლის ისტორიას.

3.ბერნის უნივერსიტეტში ჩატარებულ პირველ მოხსენებაში განხილული იყო ძვ.წ. I ათასწლეულში კოლხეთში მიმდინარე მოვლენები. ყურადღება გამახვილდა ეგეოსურ

სამყაროსთან არსებულ ინტენსიურ კონტაქტებზე, რომლის დასტურადაც მოყვანილი იყო რამოდენიმე მაგალითი ( 1.ცხენოსანი ქალღვთაებები. ამ შემთხვევაში სიახლე არის ის, რომ მათი გენეზისი კრეტისა და კვიპროსის აღმოჩენების მიხედვით განიხილება;2. ბრინჯაოს ფიბულები. ხაგასმულია მოსაზრება, რომ ეს ატრიბუტები კავკასიაში შემოდის სახმელეთო გზით, რის დატურადაც მოტანილია კონიას ვერლზე აღმოჩნილი ნიმუშები, რომლებიც ანკარის მუზეუმში ინახება).

4.ბერნის უნივერსიტეტში ჩატარებული მეორე მოხსენების მიზანი იყო ის, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი ინტელექტუალური სიახლეებისა, ნათლად ყოფილიყო წარმოჩენილი მემკვიდრეობითობა, რომელიც ძვ.წ. VII – II საუკუნეებისათის დადგენდა გრაკლიანი გორის გათხრების შედეგად. კერძოდ, პირველ ტერასაზე გამოვლენილი ძვ.წ. II საუკუნის შენობაში აღმოჩენილი საკურთხევლის მიხედვით, რომელიც ქართლში აქამდე მხოლოდ ძვ.წ. VII საუკუნისათვის იყო დამახასიათებელი.

5.კემბრიჯის უნივერსიტეტმა თვითონ დამიკვეთა მოხსენების თემა გრაკლიან გორაზე აღმოჩენილ წარწერასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ძირითადი აქცენტი გაკეთდა გრაკლიანი გორის ძვ.წ. X საუკუნის ორივე წარწერის ანალიზსა და ამავე სამლოცველოში აღმოჩენილ საინფორმაციო სტელასთან დაკავშირებით. ყურადღება გამახვილდა, ასევე, იმ ფაქტზე, რომ ქართლში განვითრებული სოციალური და ეკონომიკური მოვლენები შეესაბამება იმ აღმავლობას, რასაც მახლობელი აღმოსავლეთის არეალში ჰქონდა ადგილი ძვ.წ. X საუკუნეში (მაგალითად, ნეო-ასურული ტექნოლოგიური სიახლე გრაკლიანზე). ინტერნეტის საშუალებით მოხსენება ონლაინ რეჟიმშიც გადაიცემოდა.

6.ქ.სანტიაგო დე კომპოსტელაში (ესპანეთი) წაკითხული მოხსენება მიეძვნა ჩრდილო-დასავლეთ ირანის ერთ-ერთ ცნობილ ძეგლს გოდინ თეფეს და მის არქეოლოგიურ კონტექსტს, რომელიც აშკარად მიუთითებს, რომ ძვ.წ. მე-4 ათასწლეულის სრულიად მიწურულსა და მე-3 ათასწლეულის პირველ ნახევარში წინა აზიის ზოგიერთ რეგიონებსა და სამხრეთ კავკასიაში ფართოდ წარმოდგენილი ცნობილი მტკვარ-არაქსის კულტურა ასევე გავრცელებული იყო ჩრდილო-დასავლეთ ირანის რეგიონშიც. მატერიალური კულტურის ძეგლები მეტყველებენ იმის სასარგებლოდ, რომ სამხრეთ კავკასიიდან აღნიშნული კულტურა გავრცელდა მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებითაც.

**სხვა სახის აქტივობა**

**ვახტანგ ლიჩელი**

1. ა
   რქეოლოგიური გათხრები გრაკლიან გორაზე (ხელმძღვანელი), 2 ივლისი-2 სექტემბერი.
2. ა
   რქეოლოგიური გათხრები კვიპროსზე (სოფტადესის ნაეკლესიარი)(ხელმძღვანელი), 24 სექტემბერი - 18 ოქტომბერი.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

**ყურადღება!**

*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**

* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.
* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.
* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.
* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა~.

აღმოსავლეთმცოდნეობის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2
(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** - - - - - - - - - - - - - - - - - -
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება** - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

**აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**

**აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელი - პროფ. დარეჯან გარდავაძე**

**არაბისტიკის კათედრა**

1. დარეჯან გარდავაძე – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
2. მაია ანდრონიკაშვილი – ასოცირებული პროფესორი
3. ნინო ეჯიბაძე – ასოცირებული პროფესორი
4. გიორგი ლობჟანიძე – ასოცირებული პროფესორი
5. მარიამ ნანობაშვილი – ასოცირებული პროფესორი
6. ხათუნა თუმანიშვილი - ასოცირებული პროფესორი
7. ნინო დოლიძე – ასისტენტ პროფესორი

**ირანისტიკის კათედრა**

8. თეა შურღაია – ასოცირებული პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
9. მარინე ალექსიძე – ასოცირებული პროფესორი
10. ფატმან ანთაძე-მალაშხია – ასოცირებული პროფესორი
11. მანანა კვაჭაძე – ასოცირებული პროფესორი
12. მზია ბურჯანაძე – ასოცირებული პროფესორი

**თურქოლოგიის კათედრა**

12. მარიკა ჯიქია – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
13. ელისაბედ ბჟალავა – ასოცირებული პროფესორი
14.ნანული კაჭარავა – ასოცირებული პროფესორი
15.ქეთევან ლორთქიფანიძე – ასოცირებული პროფესორი
16. მზისა ბუსკივაძე – ასისტენტ პროფესორი

**ებრაისტიკა–არამეისტიკის კათედრა**

17.მარიამ ჩაჩიბაია – ასოცირებული პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
18.მამუკა ბუცხრიკიძე – ასოცირებული პროფესორი

**არმენოლოგიის კათედრა**

19.ნათია ჩანტლაძე – ასოცირებული პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
20.დალი ჩიტუნაშვილი – ასოცირებული პროფესორი

**ასირიოლოგიის კათედრა**

21.ირინე ტატიშვილი – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
22. ნინო სამსონია – ასოცირებული პროფესორი
23.მაია ღამბაშიძე – ასოცირებული პროფესორი

**აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა**

24. ნანი გელოვანი – პროფესორი
25. ნანა გელაშვილი – ასოცირებული პროფესორი
26. მირიან მახარაძე – ასოცირებული პროფესორი
27. ომიკო ეჯიბია - ასისტენტ პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. **საქართველოს ისტორია, წყაროთმცოდნეობა. შუა საუკუნეების სომხური საისტორიო წყაროების თარგმნა-შესწავლა.**
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
**1. ნათია ჩანტლაძე (პროექტის ხელმძღვანელი და ძირითადი შემსრულებელი)**
**2. დალი ჩიტუნაშვილი (პროექტის ძირითადი შემსრულებელი)**
3. ნინო აფციაური (პროექტის ძირითადი შემსრულებელი)
4. თინათინ ევდოშვილი (პროექტის ძირითადი შემსრულებელი)
5. ნინო გოქაძე (პროექტის ძირითადი შემსრულებელი)
6. ხათუნა გაფრინდაშვილი (პროექტის ძირითადი შემსრულებელი)
7. ირმა ხოსიტაშვილი (პროექტის ძირითადი შემსრულებელი)

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1. სამეცნიერო-კვლევით პროექტის მიზანია შუა საუკუნეების იმ სომხური საიტორიო წყაროების თარგმნა, შესწავლა და გამოსაცემად მომზადება, რომლებიც დღემდე არ ყოფილა ქართულ ენაზე თარგმნილი და გამოცემული. შესაბამისად არაა სრულად შემოსული

ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში. პროექტის ფარგლებში დადგეგმილია როგორც ცალკეული თხზულებების, ასევე „მცირე ქრონიკების“ სახელით ცნობილი სომხური ხელნაწერებისათვის დართული „ჰიშატაკარანების“ და ქრონიკათა გაგრძელებების თარგმნა და კომენტირება. ეს მუშაობა არმენოლოგიის კათადრის პერსონალის მხრიდან დიდი ხანია დაწყებულია, მაგრამ ამჯერად განისაზღვრა დროითი ფარგლები, როდესაც მრავალწლიან და მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით მუშაობა უნდა შეჯამდეს და საბოლოო სახე მიეცეს. 2023 წლის ბოლოსთვის - თარგმნილია 20-მდე მცირე ქრონიკა, დაწყებულია მუშაობა ამ ტექსტების კვლევით ნაწილზე და კომენტარებზე.ნათია ჩანტლაძე აგრძელებს მუშაობას XIIIს-ის კირაკოს განძაკელის „სომხეთის ისტორიის“ ქართულ თარგმანზე, გამოსაცემად ამზადებს XIIIს-ის სირიელი ავტორის მიქაელ ასურის „ჟამთააღმწერლობის“ ძველი სომხური თარგმანის ქართულ თარგმანს, გამოკვლევითა და კომენტარებით.დალი ჩიტუნაშვილს გამოსაცემად მზადაა აქვს აჰარონ ვანანდელი „ნინოს ჯვრის ისტორიის“ ქართული თარგმანი.
2.

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
*დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

**1. ფუნდამენტური სამეცნიერო გრანტი „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია: ახალი მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური მიდგომები საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო ცნობარისთვის; FR-21-660. 2022-2024;**
**2. თბილისის ეთნორელიგიური მოზაიკა (1801-1921), ფუნდამენტური, ისტორია, საქართველოს შემსწავლელი, FR21-8081, 2022-2024.**
**3. გილგამეშიანის კორპუსი (გლოსირება, კონკორდანსი, ლემატიზაცია)**
**(ასირიოლოგია), #FR-21-17153.2022 – 2025.**
**4. 2022-2025 წწ.ქართველთა და ებრაელთა კომუნიკაციური მეხსიერება, ძირითადი შემსრულებელი სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი - ფუნდამენტური კვლევები (FR-21-20691), შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;**
**5. მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების ძველი ქართული თარგმანები (ტექსტის გამოცემა, გამოკვლევა); ჰუმანიტარია; FR-21-3104 – 2022-2024.**

**6. ქართული დროშები და ევროპული პორტოლანები, საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები, FR-21-2041, 2022/15/03-2025/15/03.**
**7. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები.SP-23-274. შარიათი: ისტორია, დოგმატიკა, სამართალი.**
**8. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. ორი ოსმალური დავთარი და დოკუმენტები ბათუმის შესახებ. FR-19-7386; 2020-2024 წლები.**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **დარეჯან გარდავაძე/არაბისტიკა/,** ძირითადი შემსრულებელი; **თეა შურღაია /ირანისტიკა/,** ძირითადი შემსრულებელი

2. **მარინე ალექსიძე/ირანისტიკა/,** ძირითადი შემსრულებელი

3. **ირინე ტატიშვილი/ასირიოლოგია/; ნინო სამსონია/ასირიოლოგია/,** ძირითადი შემსრულებლები

**4. ქეთევან ლორთქიფანიძე/თურქოლოგია/,** ძირითადი შემსრულებელი

5. ანა ხარანაული (ხელმძღვანელი) **ნათია ჩანტლაძე/არმენოლოგია/** (ძირითადი პესონალი).

6. მამუკა წურწუმია (პროექტის ხელმძღვანელი, ძირითადი პერსონალი); **ნანი გელოვანი/აღმოსავლეთის ისტორია/** (პროექტის კოორდინატორი, ადმინისტრატორი); **ომიკო ეჯიბია**/აღმოსავლეთის ისტორია/ (ძირითადი პერსონალი).

7. **ნანი გელოვანი/აღმოსავლეთის ისტორია/,** ხელმძღვანელი; **გიორგი ლობჟანიძე/არაბისტიკა/,** კოორდინატორი.

8. **მირიან მახარაძე/აღმოსავლეთის ისტორია/,** ძირითადი პერსონალი.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**1.** კვლევითი პროექტის შუალედურ ეტაპზე მოხდა ქართული საერო მწერლობის გამორჩეულად მნიშვნელოვან ძეგლზე „ვეფხისტყაოსანზე“ აღმოსავლური ესთეტიკის გავლენის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, დამუშავება და ახლებური ინტერპრეტაცია. შედეგად შესაძლებელი გახდა ტექსტის შესაძლო ინტერპრეტირების აქამდე მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩენილი დეტალების გამოვლენა და ანალიზი, მათი შეჯერება აღმოსავლურ (არაბულ/სპარსულ) ლიტერატურულ მასალასთან და ტრადიციასთან. გრძელდება მუშაობა ტექსტებზე („ვისრამიანი“, „ვეფხისტყაოსანი“), მათი ყოველმხრივი ანალიზი და მიმართებები აღმოსავლურ ლიტერატურულ ჟანრებთან და რეალიებთან. მომზადდა მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციისთვის.

**2.** სრულად დამუშავდა და ითარგმნა მოპოვებული მასალა, მათ შორის პრესის მასალები და სპარსული „მოგზაურობის წიგნები“ თუ მემუარული თხზულებები. გამოიკვეთა XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისის სპარსული თემის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების ამსახველი სურათი. კვლევის შედეგები აისახა პროექტის ფარგლებში ჩატარებულ საანგარიშო მრგვალ მაგიდასა და სამეცნიერო კონფერენციებზე წარმოდგენილ მოხსენებებსა და სტატიებში. შედგა პროექტით გათვალისწინებულ მივლინებაში პარიზში, სადაც დამუშავდა საარქივო-საბიბლიოთეკო და მოძიებულ იქნა პროექტის განხორციელებისთვის საჭირო მასალები. საფრანგეთის სამეცნიერო კვლევითი ეროვნული ცენტრის (CNRS) მუდმივმოქმედ სემინარში „კავკასია

იმპერიებს შორის (XVI-XXI საუკუნეები)", წაკითხულ იქნა მოხსენება თბილისის სპარსული თემის შესახებ.

**3.** შესრულდა სამუშაო, რომელიც გათვალისწინებულია პროექტის - „გილგამეშიანის კორპუსი (გლოსირება, კონკორდანსი, ლემატიზაცია)" გეგმა-გრაფიკით: I საანგარიშო პერიოდის შედეგი: ტექსტის ქართული თარგმანი. თარგმანს დართული აქვს ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათის კომენტარები (= თეორიული მიზანი) და ლექსიკონი (= პრაქტიკული მიზანი). გრძელდება მუშაობა აღნიშნული საგრანტო პროექტის II საანგარიშო პერიოდით (2023 წ. მარტი - 2024წ. მარტი) გათვალისწინებულ მასალაზე (ხეთური გილგამეში). შედეგი - ტექსტის ისტორიულ-ფილოლოგიური დახასიათება - წარმოდგენილი იქნება საგრანტო პროექტის ვადებით განსაზღვრულ დროში - 2024 წლის მარტში.

**4.** ქართველი ებრაელები საქართველოს დღესაც "მეორე სამშობლოს" უწოდებენ. 1970-იანი წლებიდან, დიდი "ალიას" შემდგომ, საქართველოში ისინი მხოლოდ რამდენიმე ქალაქსღა შემორჩნენ. მთლიანად დაიცალა რეგიონებში სოფლები, დარჩა მხოლოდ სინაგოგები, სასაფლაოები, მუზეუმები... და რაც მთავარია, ისინი დარჩნენ ქართველთა ცოცხალ მეხსიერებაში. სამწუხაროდ, ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებული თაობის რიცხვი ნელ-ნელა მცირდება. იგივე პროცესი მიმდინარეობს საქართველოშიც. თანდათან მიდის ქართველთა ის თაობაც, ვინც უშუალოდ თანაცხოვრობდა, მეგობრობდა და შეხება ჰქონდა ქართველ ებრაელობასთან. შესაბამისად, ყოველდღიური მეხსიერების ამსახველი მრავალი მოვლენა დავიწყებას ეძლევა. ამ ეტაპზე აქტუალურია ყველა იმ ზეპირი ისტორიის ფიქსაცია, სადაც თითოეული ნარატივი ქართულ-ებრაული ცოცხალი ურთიერთობების იმ რეალურ ისტორიას მოგვიყვება, რომელიც აკავშირებდა ამ ორი ქვეყნის ხალხს ერთმანეთთან.ზეპირი ისტორიების მთხრობელი ჩვენი პოტენციური ქართველი რესპოდენტები მოიცავენ საქართველოს ყველა იმ არეალს, სადაც კომპაქტურად სახლობდნენ ებრაელები.ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად სამეცნიერო კვლევის მეორე ეტაპზე მოვიპოვეთ ღირებული მასალა დედაქალაქში მცხოვრები ქართველი ებრაელების ყოფა-ცხოვრებასა და სულიერ მოღვაწეობაზე.ჩვენ მიერ მოპოვებულ პიროვნულ ისტორიებში (ვიდეო-აუდიო მასალა, პირადი კორესპონდენცია) ნათლად იკვეთება ის რეალიები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ებრაული ეთნოსის ინტეგრაციის მაღალ ხარისხს საქართველოში და ქართული სოციუმის კეთილგანწყობას მის მიმართ. მოპოვებული მასალა საშუალებას გვაძლევს სამეცნიერო წრეებს და ფართო საზოგადოებასაც გავაცნოთ საქართველოში ქართველთა და ებრაელთა თანაცხოვრების დღემდე უცნობი ის ადამიანური ისტორიები, სადაც ცხადად არის წარმოჩენილი საქართველოსა და ქართველი ხალხის წვლილი მათი რელიგიური იდენტობისა თუ თვითმყოფადი კულტურის შენარჩუნების საქმეში.

**5.** ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით კრიტიკული ტექსტების დადგენა, ქართული და სომხური ტექსტების შეხვედრების გამოვლენა.

**6.** 2023 წლის 15-17 სექტემბერს საგრანტო პროექტის ფარგლებში ჩავატარეთ საერთაშორისო კონფერენცია - ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის III კონფერენცია: ჰერალდიკა და ისტორიული წყაროები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამ დარგში საერთაშორისოდ აღიარებულმა მკვლევრებმა, მათ შორის პროექტის ორმა უცხოელმა კონსულტანტმა ანტვერპენის უნივერსიტეტიდან. გამოსაცემად მოვამზადეთ აგრეთვე კონფერენციის მასალები.

**7.** პროექტი გრძელდება სამი თვე. დაიწყო 2023 წლის 1 დეკემბრიდან. ნაშრომი დასრულებულია. შესრულდა სარედაქციო სამუშაოები.

**8.** პროექტის ორი ოსმალური დავთარი და დოკუმენტები ბათუმის შესახებ დაიწყო 2020 წელს და მთავრდება 2024 წელს. მიზანს წარმოადგენს 1700-იან წლებში შედგენილი ორი უმნიშვნელოვანესი ოსმალური ხელნაწერი დოკუმენტის - ,,ბათუმის სადროშოს ვრცელი და მოკლე დავთრების" მეცნიერული დამუშავება - გაშიფვრა, თარგმნა, აკადემიური კვლევა და

მონოგრაფიად გამოცემა. დოკუმენტები ინახება ანკარის მიწის და კადასტრის მთავარი სამმართველოს არქივში. მათი ასლები დაცულია სტამბოლში, პრეზიდენტის საარქივო სამმართველოს ოსმალურ არქივში. ბათუმი ოსმალეთის იმპერიაში ცალკე სადროშოს სახით იყო გაერთიანებული. იგი სხვადასხვა დროს ვილაიეთის ცენტრიც იყო. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მოცემულ პერიოდში ბათუმის სადროშო, დღევანდელი ქალაქის და მიმდებარე ტერიტორიების (დღევანდელი აჭარის 20-მდე სოფელი) გარდა შედიოდა ისტორიული ჭანეთიც. დოკუმენტები შეიცავს დიდი რაოდენობით ვრცელ ჩანაწერს, რომელთა წაკითხვა, თარგმნა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა ნათელს მოჰფენს ბათუმის და მთელი რეგიონის ისტორიის ისეთ საკითხებს, რომელიც დღემდე უცნობია ქართული საზოგადოებისათვის. მათი გამოქვეყნება უთუოდ პირველწყარო იქნება საკითხით დაინტერესებულ პირთათვის. პროექტის ფარგლებში 2022 წელს გაიშიფრა და ითარგმნა ორივე ოსმალური დავთარი. ამავე დროს მოეწყო მივლინება სტამბულის ოსმალურ არქივში, სადაც მოძიებული იქნა დოკუმენტები XVII საუკუნის ბათუმის შესახებ. მზადდება სტატია XVII საუკუნის ბათუმის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ოსმალური დავთრების მიხედვით.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

***დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1.

2.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

3.2. დასრულებული პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1. **ნინო დოლიძე/არაბისტიკა/.** გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მოკლევადიანი სამეცნიერო სტიპენდია კელნის უნივერსიტეტის ისლამური სამყაროს ენების და კულტურების ინსტიტუტში სამუშაოდ თემაზე „ახლებური მიდგომები თანამედროვე არაბული ლიტერატურის სწავლებაში“ 01.09.23 – 29.11.23

2.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
**1. ნინო ეჯიბაძე/არაბისტიკა/.** არაბული ენის გრამატიკა, ISBN 978-9941-36-159-3, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 500 გვ.
2. **მაია ღამბაშიძე/ასირიოლოგია/**.ხეთის სამეფოს მითები და ზღაპრები (თარგმანი და კომენტარები), ასირიოლოგთა, ბიბლეისტთა და კავკასიოლოგთა საზოგადოების წიგნები, აკადემიური წიგნი, 2023, 110 გვ. ISBN; 9789941976292.

3. **ნანა გელაშვილი/აღმოსავლეთის ისტორია/,** ჩინეთის ისტორიული დედაქალაქები, ISBN 978-9941-8-5462-0, თბ., „ოქროს საწმისი", 234 გვერდი
4. **გიორგი ლობჟანიძე/არაბისტიკა/.** ჯალალ ედ-დინ რუმი. არსთა მესნევი. წიგნი მესამე. სპარსულიდან თარგმნა, შესავალი და განმარტებანი დაურთო გიორგი ლობჟანიძემ გამომცემლობა „სულაკაურის გამომცემლობა", თბილისი, 691გვ. ISBN 9789941373978.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. მონოგრაფია წარმოადგენს ერთიანი არაბული ენის თეორიულ გრამატიკას. მასში წარმოდგენილი სიახლეები მდგომარეობს შემდეგში:
ა) წიგნში მოცემულია არაბულის, როგორც ასეთის, როგორც ერთიანი ენის გრამატიკა, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში გათვალისწინებულია კლასიკური სალიტერატურო ენის, თანამედროვე სალიტერატურო ენისა და არაბული დიალექტების (როგორც ასეთთა) მონაცემები, გაგებულია არაბული როგორც ერთიანი სხეული (ჩვეულებრივ, გრამატიკები განიხილავენ მხოლოდ რომელსამე ერთს არაბული ენის ამ დასახელებულ ფორმათაგან);
ბ) წიგნში გათვალისწინებულია არაბული ენის ორივე, ფუნდამენტურად განსხვავებული, აღწერა - დასავლური და საკუთრივ არაბული; კონკრეტული თემის დესკრიფციისას არჩევანი არგუმენტირებულია და ეყრდნობა სათანადო მასალის ანალიზს; გ) ზოგიერთი საკითხის საკუთრივ მოცემულია ავტორისეული ხედვით, იმგვარად, როგორც საკითხი არ ყოფილა აქამდე დასმული, მაგ., დერივაციული სისტემის ისტორიული (პრეკლასიკური) და თანამედროვე სპეციფიკა, ამ სპეციფიკის გამომწვევი ფაქტორები და მათი მოქმედების შედეგები; იმპერატივის სპეციფიკა; ზოგიერთი სტილისტური მეთოდი, რომელიც თანამედროვე სტანდარტ ენას ახასიათებს და სხვ.
http://acad.ge/index.php?run=product/product&id=23946
3. ნაშრომში შესწავლილია ჩინეთის ისტორიული დედაქალაქები წარმოშობის და განვითარების ისტორია, ჩინური ქალაქთმშენებლობის ტრადიციები და არქიტექტურული სპეციფიკური მახასიათებლები. პარალელურ რეჟიმში ნაშრომში გაანალიზებულია თითოეულ ქალაქთან დაკავშირებული პოლიტიკურ-ეკონომიკური, კულტურული და იდეოლოგიური პროცესები ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.
4. არაბულ-სპარსული ლექსთწყობის, „არუდის" სპეციფიკური სალექსო საზომის – „მასნავის" – ფორმით შექმნილ ამ უკვდავ პოემას თავისი დიდი მნიშვნელობის გამო ზოგჯერ „სპარსულ ყურანადაც" მოიხსენიებენ. ნაწარმოები აღმოსავლური (მუსლიმური) მისტიციზმის ნამდვილ ენციკლოპედიად გვევლინება და თავს უყრის მისი შექმნის დროისათვის ისლამურ სამყაროში წამოჭრილ ყველა მნიშვნელოვან სააზროვნო ტენდენციას. ამ ტენდენციათა გარკვევაში ქართველ მკითხველს თარგმანს თან დართული კომენტარები დაეხმარება. პოემის მიზანია, მკითხველი ღმერთთან მიახლების, ადამიანის ღმერთში განზავების მისტიკურ საიდუმლოებებს აზიაროს, ნაწარმოების თითოეული ნაწილი კი, მისი ყოველი წიგნი, ამ მეტაფიზიკური კიბის ახალი, წინასთან დაკავშირებული, თუმცა თვისებრივად განსხვავებული საფეხურია.

5.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.
2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ნინო დოლიძე/არაბისტიკა/.** „ალ-ჰარირის „თაღლითობანი“ – მოშინაურება თუ ადეკვატური თარგმანი, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის საერთაშორისო ასოციაციის 23-ე კონგრესის მასალები, 15 გვ. https://icla.openjournals.ge/index.php/icla/issue/view/721/251
2. **მაია ღამბაშიძე/ასირიოლოგია/.** THE STORY OF ULLIKUMMI (CTH 345), History, Archaeology, Ethnology, N IX (2023), 306-316, http://www.sciencejournals.ge/index.php/HAE
3. **მაია ღამბაშიძე/ასირიოლოგია/.** Ancient Anatolian Myths and Tales, History, Archaeology, Ethnology, N X (2023), http://www.sciencejournals.ge/index.php/HAE
4. **ირინე ტატიშვილი/ასირიოლოგია/,** ლევან გორდეზიანი, „ოქროს საწმისის ნაკვალევზე“ („Sur les traces de la Toison d'or"), კავკასიის აღქმა მითებსა და ლიტერატურაში ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე, თბილისი, 2023, 36-37 (ISBN 978-9941-9856-5-2).
5. **ნანა გელაშვილი/აღმოსავლეთის ისტორია/,** იაპონია საოკუპაციო რეჟიმის კონტექსტში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ,ISSN 2587-490X, E-ISSN 2720-8168, აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, ტ.6,გამოშვების #1, ბათუმი,-ბსუ, გვ. 9-30.
6. **ნანა გელაშვილი/აღმოსავლეთის ისტორია/,** იაპონური სახვითი ხელოვნების განვითარების ეტაპები, მე-6 საერთაშორისო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვე კონტექსტში“ კონფერენციის მასალები, 21-21 ოქტომბერი, ISBN 978-9941-9519-4-7, ბათუმი-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, „უნივერსალი“, გვ. 153-163.
7. **ნანა გელაშვილი/აღმოსავლეთის ისტორია/,** საისტორიო წყაროები მეფე თეიმურაზ I-ის ასულის ირანის სამეფოკარზე გაგზავნის შესახებ, საქართველო და კავკასია: წარსული, აწმყო, მომავალი, I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი - საქართველოს უნივერსიტეტი, ISBN 978-9941-9844-7-1, გვ. 83-97.
8. **ხათუნა თუმანიშვილი/არაბისტიკა/.** ინდივიდუალური ასპექტები ზეპირსიტყვიერ მცირე ფორმათა ფოლკლორიზაციის პროცესში (სირიულ დიალექტური არაბული ანდაზების კორპუსზე ქართული შესატყვისებით). კულტურათაშორისი დიალოგები, 7. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2023. თბილისიhttps://journals.4science.ge/index.php/IDW. DOI: https://doi.org/10.52340/idw

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ....
2. .....
3. ......
4. როგორც ცნობილია, არგონავტების ლაშქრობის მთავარ მიზანს ოქროს საწმისის მოპოვება წარმოადგენდა. ოქროს საწმისის და მისი პარალელების შესასწავლად მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გამართლებულად მიგვაჩნია, რომ ცალ-ცალკე იყოს განხილული სამი სხვადასხვა საკითხი: არგონავტების ლაშქრობა (დათარიღება, მიმართულება და სხვ.); ოქროს საწმისი (მისი სიმბოლიკა და ფუნქცია); მითის ასახვა გვიანდელ ტრადიციაში. მითის პოპულარობა კლასიკურ თუ ელინისტურ სამყაროში, ჩვენი

აზრით, შეიძლება იმით აიხსნას, რომ გარკვეული დროიდან მოყოლებული ის ბერძნების საერთო ცოდნის ნაწილი იყო და არ გამოდგება მითის ან მისი ცალკეული ელემენტის ზუსტი დათარიღებისა თუ ლოკალიზაციისთვის. სავარაუდოდ, ოქროს საწმისი არ იყო თავიდანვე დაკავშირებული არგონავტების შესახებ თქმულებასთან, რომელიც შავ ზღვაში ბრინჯაოს ხანაში ბერძნების პირველ შეღწევას უნდა ასახავდეს. ვფიქრობთ, რომ ამ ორი მოტივის ერთ თქმულებაში გაერთიანება ბერძნული კოლონიზაციის დაწყებისას უნდა მომხდარიყო. მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პარალელებს, რომლებიც ჩანს კოლხურ მასალაში (არქეოლოგიური არტეფაქტები, ფოლკლორი), აგრეთვე ხეთების ხანის ანატოლიაში. როგორ შეიძლება ამ პარალელების ახსნა? შევეცდებით ვაჩვენოთ, თუ როგორ აკავშირებს ეს ესოდენ სანუკვარი საგანი სამ სხვადასხვა ეთნოკულტურულ სამყაროს - ძველბერძნულს, ანატოლიურსა და ქართველურს და ავხსნათ მათ შორის გამოვლენილი მრავალრიცხოვანი მსგავსებები კავკასიური კოინეს არსებობით.

5. ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია იაპონიაში მიმდინარე მოვლენები II მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ. კონკრეტულად, ყურადღება ფოკუსირებულია იმ პერიოდზე, როდესაც მოკავშირე სახელმწიფოების (აშშ, დიდი ბრიტანეთი, სსრკ) გადაწყვეტილებით იაპონია აშშ-ს საოკუპაციო ძალების დაქვემდებარებაში იმყოფებოდა (1945-1952 წწ.). ამ კონტექსტში ხაზგასასმელია, რომ იაპონია უაღრესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ომის დასრულებისას: ატომური დაბომბვების შედეგად განადგურებული იყო ქალაქების უმეტესი ნაწილი, საკომუნიკაციო საშუალებები და ტრანსპორტი, დიდი ზარალი განიცადა მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ. ამ ყველაფერს ზედ ერთვოდა შიმშილობა, ბუნებრივი კატაკლიზმები და სხვ. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, იაპონიას არ ძალუძდა თავად გადაეჭრა ქვეყნის წინაშე წამოჭრილი რთული პრობლემები. აუცილებელი იყო ქვეყნის მომავალი განვითარების ახალი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება, რადიკალური ხასიათის რეფორმების გატარება. აღნიშნული მისიის შესრულება დაევალა აშშ-ს საოკუპაციო ძალებს, გენერალ დუგლას მაკარტურის მეთაურობით. საოკუპაციო რეჟიმის მიერ დასახული იყო კონკრეტული მიზნები, კერძოდ: ქვეყნის დემილიტარიზაცია, დემოკრატიული ტენდენციების დამკვიდრება, ეკონომიკის აღორძინება, სიტყვის, რწმენისა და აზროვნების თავისუფლების უზრუნველყოფა; ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა და პატივისცემა. მიუხედავად გარკვეული უარყოფითი მხარეებისა, საერთო ჯამში აშშ-ს საოკუპაციო რეჟიმმა პოზიტიური როლი შეასრულა იაპონიის ისტორიაში. წარმატებით განხორციელდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები. ეს ნათლად გამოვლინდა საოკუპაციო რეჟიმის დასრულების შემდგომ, როდესაც იაპონიამ გიგანტური ნახტომით და აღმასვლით დაიწყო განვითარება.

6. ..............

7. მეფე თეიმურაზ I-ის ხანგრძლივი ზეობის ხანა (1606-1663) დრამატული მოვლენებითა და მწვავე პერიპეტიებით იყო აღსავსე. დროის სხვადასხვა მონაკვეთში ის იყო კახეთის, ასევე - ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს მეფე, ხან კი, გარკვეულ მიზეზთა გამო, საერთოდ კარგავდა სამეფო ტახტს. 1606 წელს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა თეიმურაზი, შაჰ აბას I-მა (1587-1629) კახეთის მეფედ დაამტკიცა. ის იმედოვნებდა, რომ სპარსული კულტურის ტრადიციებზე და მუსლიმურ გარემოცვაში აღზრდილი ქართველი ბატონიშვილი საქართველოში ირანის პოლიტიკური ინტერესების გამტარებელი იქნებოდა. თუმცა, როგორც ისტორიიდან ცნობილია, თეიმურაზმა ეს იმედები არ გაამართლა და მას მეტად ძვირად დაუჯდა ირანის ხელისუფლებასთან დაპირისპირება. 1632 წელს, დაუდ-ხან უნდილაძესთან ერთად, ირანის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აჯანყების გამო, თეიმურაზი სამეფო ტახტიდან გადაყენებულ იქნა. სამეფოს გარეშე დარჩენილმა მეფემ იმერეთში შეაფარა თავი მეფე გიორგი III-თან. მოგვიანებით,

შექმნილი კრიტიკული ვითარების საღი გონებით შეფასების საფუძველზე, მან დათმობაზე წასვლა არჩია და ცოდვების გამოსასყიდად, შაჰ სეფი I-ს (1629-1642) თავისი ქალიშვილის გაგზავნას შეპირდა. თეიმურაზის შემორიგებით კმაყოფილმა შაჰმა, სამაგიეროდ მას კახეთის სამეფო ტახტი დაუბრუნა. ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია თეიმურაზ მეფის ასულის - თინათინის ირანის სამეფო კარზე გაგზავნის გარემოებები, მისი მიზეზები და შედეგები. ჩვენთვის საინტერესო საკითხები შესწავლილია სხვადასხვა (ქართულ, სპარსულ, ევროპულ, რუსულ) წერილობით წყაროთა მონაცემების ურთიერთშეჯერებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.

8. ზეპირსიტყვიერების კოლექტიურ შემოქმედებად აღიარების დებულებამ ფოლკლორისტიკა დააყენა ინდივიდის როლის თეორიული კუთხით გააზრების წინაშე. ნაშრომში კოლექტიური და ინდივიდუალური ელემენტების ხვედრითი წილის დასადგენად, საანალიზოდ აღებულ იქნა სირიულდიალექტური არაბული ანდაზები. მაგალითები მოპოვებულია არაბული პირველწყაროდან, უშუალოდ (სირიელი, ლიბანელი) ინფორმანტებისგან. დასკვნები პრობლემის ზოგადთეორიულ მხარესაც მოიცავს. მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ ანდაზა ინდივიდუალური და კოლექტიური ელემენტების ერთობლივი მოცემულობაა. ანუ, ამა თუ იმ ზეპირსიტყვიერი ქმნილების ფოლკლორიზაციის პროცესი ინდივიდუალური შემეცნების, დაკვირვების კოლექტიური განმეორებადობაა (ზოგჯერ ინდივიდუალური ვარიაციებით მოცემულ თემაზე), ეთნოსისათვის ფუნქციურად საჭირო იდეის შენახვა (მიუღებელი არ მიიღება), შესაძლებელია ვიხმაროთ ,,კონსერვაცია˜, ეროვნულ ღირებულებათა ფონდში, რომელიც ზეპირსიტყვიერი გზით თაობიდან თაობას გადაეცემა. შესაბამისად, მას ეროვნული ცნობიერება (დამოუკიდებლად იმისგან, ავტორი ანონიმია თუ ცნობილი) ხალხურად –ეროვნულ ფასეულობად აღიქვამს.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **მაია ანდრონიკაშვილი**. დამხმარე მორფების სპეციფიკა არაბულ ენაში. - აღმოსავლეთმცოდნეობა, 12, 2023. ISSN 2298-0377.

2. **მარიამ ნანობაშვილი/არაბისტიკა/.** ყურანის მე-18 სურისა და ადრეული ჰაგიოგრაფიული თხზულების სიუჟეტი ისლამურ მინიატურაში. - აღმოსავლეთმცოდნეობა, 12, 2023. ISSN 2298-0377.

3. **ნინო დოლიძე/არაბისტიკა/.** *Arab Prison Literature*, Proceedings of the International Conference, 18-20 April, Tbilisi State University Publishing House, 2023, 9 pages.

4. **ნინო დოლიძე/არაბისტიკა/**. *ზეპირსიტყვიერების კვალი კლასიკურ არაბულ მაკამებში,* „სპეკალი“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი, ელექტრონული, ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი (ISSN 1987-8583), #17, 2023, 13 გვ. https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/17/305

5. **ნინო დოლიძე/არაბისტიკა/.** *„თბილისური მაკამის“ უახლესი ინგლისური თარგმანი,* „ტექსტი და ინტერპრეტაცია“, ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტის რეცენზირებადი, ელექტრონული, ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი (ISSN 2960-9461), #1, 2023, 13 გვ.

**6. მარინა ალექსიძე/ირანისტიკა/,** გრ. ზერაძე, XX საუკუნის დამდეგის თბილისი ირანელი მხატვრის მემუარებში, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, XV, ილიაუნის გამომცემლობა, ISBN 978-9941-18-192-4, გადაცემულია დასაბეჭდად.

7. **ფატმან ანთაძე-მალაშხია/ირანისტიკა/.** ენათა შუამავლობისათვის ირანულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობებში, Actas del X congreso de la Sociedad Española de Iranología (SEI), თბილისი, 2023, გვ. 94-122 ISBN: 978-84-09-54801-9, გადაცემულია დასაბეჭდად.

8. **თეა შურღაია/ირანისტიკა/, დარეჯან გარდავაძე/არაბისტიკა/.** How Oriental is the 'Orient' in Amirandarejaniani? Actas del X congreso de la Sociedad Española de Iranología (SEI), თბილისი, 2023, გვ. ISBN: 978-84-09-54801-9, გადაცემულია დასაბეჭდად.

9. **მზია ბურჯანაძე/ირანისტიკა/,** პორტრეტი ინტერვიუში (ირანელი ემიგრანტი მწერალი ქალები),
Actas del X congreso de la Sociedad Española de Iranología (SEI), თბილისი, 2023, გვ. 70-92, ISBN: 978-84-09-54801-9, გადაცემულია დასაბეჭდად.

10. **მზია ბურჯანაძე/ირანისტიკა/,** ისლამური ირანის რეპრეზენტაცია ორ თანამედროვე სპარსულ რომანში: რეკლამა და ანტირეკლამა, ფილოლოგიური კვლევები (გვ. 145-154), სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, Online-ISSN: 2667-9612, სსიპ - გორის სახ. უნივერსიტეტი, 266 გვ.

11. **მარიკა ჯიქია/თურქოლოგია/;** გივი გეგეჭკორის უნიკალური სტროფი – ლექსმცოდნეობა XIV, გივი გეგეჭკორისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის XIV სამეცნიერო სესია(მასალები), ISSN: 1987-6823, თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2022-2023, გვ.296-306.

12. **მარიკა ჯიქია/თურქოლოგია/;** თურქულ ენათა ერთი ფონოტაქტიკური თავისებურების შესახებ – VIII საერთაშორისო კონფერენცია „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები". კონფერენცია ეძღვნება ოს მუჰაჯირ პოეტს თემირბოლათ მამსუროვს. მასალები. ISBN: 978-9941-33-422-1. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი", გვ.417-420.

13. **მარიკა ჯიქია/თურქოლოგია/;** ოთარ ჭილაძის პოეტური მეტყველების ზოგიერთი თავისებურება ლექსმცოდნეობა XV, ოთარ ჭილაძისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის XV სამეცნიერო სესია (მასალები), ISSN: 1987-6823, თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2023, გვ.320-328.

14. **ნანული კაჭარავა/თურქოლოგია/,** ქართული ენის სწავლების საკითხი თურქეთში, სტატია დადებითად შეფასდა რეცენზენტების მიერ და გამოქვეყნების პროცესშია. წიგნი - სამეცნიერო კრებული დაიბეჭდება საქართველოში თურქეთის საელჩოს, თსუ-სა და იუნუს ემრეს სახ. თურქული ენის ცენტრის ხელშეწყობით.

15. **მზისა ბუსკივაძე/თურქოლოგია/.** ოღუზ ათაის რომანი "გარიყულები" ჰაბიტუსის კონცეფციის კონტექსტში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი", ISSN 1987-8583, N 17, 2023, https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge

16. **ნათია ჩანტლაძე/არმენოლოგია/,** ქართველ-სომეხთა პოლემიკა დოგმატურ-ლიტურგიკულ საკითხებზე XVIII საუკუნეში; სამეცნიერო შრომების კრებული/არმენოლოგია 100/ISBN 978-9941-36-102-9.თბილისი, თსუ გამომცემლობა,2023, გვ.85-105.

17. **ნათია ჩანტლაძე/არმენოლოგია/,** რამდენიმე შენიშვნა ანისის ტიგრან ჰონენცის ეკლესიის სამშენებლო წარწერასთან დაკავშირებით. აღმოსავლეთმცოდნეობა # 12, ISSN 2298-0377. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2023, გვ.242-253.
18. **ნათია ჩანტლაძე/არმენოლოგია/,** ზაზა ალექსიძე, მეცნიერის პორტრეტი; აღმოსავლეთმცოდნეობა # 12, ISSN 2298-0377. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2023, გვ.9-36.
19. **დალი ჩიტუნაშვილი/არმენოლოგია/,** სომეხ წმინდანთა ხსენებები ქართულ კიტურგიკულ კრებულებში, დავითისა და ტირიჭანის საგალობელი; სამეცნიერო შრომების კრებული/არმენოლოგია 100/ISBN 978-9941-36-102-9.თბილისი,თსუ გამომცემლობა,2023, გვ.105-134.
20. **დალი ჩიტუნაშვილი/არმენოლოგია/,** მიქაელ საბაწმინდელის უცნობი საგალობლები, აღმოსავლეთმცოდნეობა # 12, ISSN 2298-0377. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2023, გვ.121-138.
21. **დალი ჩიტუნაშვილი/არმენოლოგია/,** ვინ არის ჩანჩხი ვესტარიტი?, „ქრონოსი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი“, გამომცემლობა: „უნივერსალი“ 4, 2023, გვ. 55-63. ISSN: 2667-9477.
22. **ნანი გელოვანი/აღმოსავლეთის ისტორია/.** აზერბაიჯანული პრესა თბილისში /XIX საუკუნე/, სპეკალი, 17. ISSN 1987-8583, https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/17/308
23. **მირიან მახარაძე/აღმოსავლეთის ისტორია/,** საქართველოში ოსმალთა სანჯაყების ჩამოყალიბების პირველი მცდელობა და მისი შედეგები, აღმოსავლეთმცოდნეობა 12, თბილისი, 2023, თსუ-ს გამომცემლობა.
24. **ომიკო ეჯიბია/აღმოსავლეთის ისტორია/.** ფირი რეისი – შავი ზღვის პორტოლანის აღმოსავლეთ სანაპირო (ხელნაწერი: Baltimore, Walters Art Museum, MS. W. 658).

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ცნობილია სემიტურ ენებში მოქმედი თავისებური დამხმარე მორფის – ტრანსფიქსის სპეციფიურობა. იგი მხოლოდ ვოკალებისგან შედგება, ხლეჩს ჩვეულებრივ – თანხმოვნური შემადგენლობის – ძირეულ მორფს და ვოკალთა რაოდენობით და ხარისხით უპირისპირდება კატეგორიის სხვა გრამემებს. მაგ.: fa‘ala (აქტ.); fu‘ila (პას.) და სხვა. ტრანსფიქსი – შინაგანი ვოკალიზმი – არაბულ მორფოლოგიაში ზოგჯერ თანხმოვნური შემადგენლობის ძირთან ერთად ძირეული მორფის ფუნქციასაც ასრულებს სახელთა და ზმნათა გარკვეულ რაოდენობაში და ემსახურება სემანტიკური შინაარსის დიფერენციაციას ( მაგ.: ṭarīḳ „გზა“; ṭarḳ „კაკუნი“; Ṣağar „ხე“; ṣağr „ბრაზი, რისხვა“; nafīr „საყვირი“; nafūr “მშიშარა”). გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევიან არაბულში სხვა ტიპის
მორფებიც.
2. ყურანის მე-18 სურის მთავარი სიუჟეტი ჰაგიოგრაფიული ძეგლის იდენტურია, ოღონდ საგრძნობლად შეკვეცილი და ბევრად უფრო ლაკონურად გადმოცემული. საყოველთაოდაა აღიარებული, რომ არაბთა შორის შვიდი ეფესელი წმინდანის მოტივი კარგად იყო ცნობილი სირიული წრეებიდან, რაც ყურანის კომენტატორთა შრომებშიც სათანადოდ აისახა. მართალია, ისლამში წმინდანთა კულტი არ არსებობს, მაგრამ მუსლიმები განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ ზოგიერთ მათგანს, უპირველეს ყოვლისა – წმინდა გიორგისა და შვიდ ეფესელ ყრმას. ამ წმინდანთა სახელზე აგებულ ეკლესიებში ლოცულობენ არა მხოლოდ ქრისტიანები, არამედ – მუსლიმებიც. გარდა ამისა, შვიდი ყრმის საოცარი მიძინებისა და აღდგომის ადგილას, გამოქვებულში, რომელიც ისტორიულ ეფესოში (ამჟამად თურქეთში) მდებარეობს, საპილიგრიმოდ დადიან ორივე რელიგიის წარმომადგენელნი. ხსენებული

ჰაგიოგრაფიული თხზულების სიუჟეტი უკავშირდება მიცვალებულთა ხორციელ აღდგომას. ქრისტიანები ეფესელ ყრმებს „შვიდ ლაზარედაც" კი მოიხსენიებდნენ. ყურანის მე-18 სურასაც ძირითადად ესქატოლოგიური, თანაც დიდად მაღალმხატვრული მოტივები ამშვენებს. შემთხვევითი არ არის, რომ ლუი მასინიონი ყურანის ამ სურას „ისლამის აპოკალიფსს" უწოდებს. ყოველივე ეს კარგად ხსნის, თუ რატომ იყო შვიდი

ეფესელი ყრმის კულტი ესოდენ პოპულარული ისლამურ სამყაროში.

3. პოსტკოლონიურ არაბულ კულტურაში ციხის ნარატივებმა განსაკუთრებული ფუნქცია შეიძინა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კოლონიზატორთა გავლენა არაბულ ქვეყნებში შემცირდა, თუმცა ადგილობრივი ნაციონალური რევოლუციების შედეგად უმეტეს მათგანში ტოტალიტარული რეჟიმი დამყარდა. უამრავი მოაზროვნე, ხელოვანი თუ მწერალი, აღმოჩნდა გისოსებს მიღმა. მათ მიერ დაწერილი ციხის ლიტერატურა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ როგორც იმ ეპოქის დოკუმენტი, არამედ როგორც მაღალი რანგის მხატვრული მწერლობა. სტატიაში არაბული ციხი ლიტერატურა გაანალიზებულია ზოგადად, როგორც პერიფერიაში განვითარებული სუბ-ჟანრი, რომელსაც, სამწუხაროდ, დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა.

4. მაკამა არაბული კლასიკური პროზის ერთადერთი მხატვრული ჟანრია. ის წარმოიშვა და ჩამოყალიბდა ეპოქაში, როცა ზეპირი და წერითი ლიტერატურა თანაარსებობდა. სტატიაში დეტალურადაა გაანალიზებული მაკამის ჟანრის ის ფორმალური ნიშნები, რომელიც სწორედ ზეპირსიტყვიერების ტრადიციამ წარმოშვა. თუ ტრადიციული, წარმართული ან რელიგიური ლიტერატურული მემკვიდრეობა (ყურანი, *ჰადისები*, პოეზია, ლეგენდები, თქმულებები, სარაინდო ისტორიები, ანეკდოტები, იგავ-არაკები და ა. შ.) კლასიკურ მაკამებში შინაარსის თვალსაზრისით აისახა, ზეპირი გზით გადაცემისა და ზეპირსტიყვიერების გავლენა ამ უნიკალური ჟანრის ფორმისა (*საჯ'ი, ისნადი*, ნარატიული პერფორმანსი, სტილიზებული, რთული ლექსიკა...) და კომპოზიციის (რითმოვანი პროზისა და პოეზიის მონაცვლეობა, სიუჟეტური ელემენტების გამეორება, ტექსტის ფრაგმენტაცია...) თავისებურებებში გამოვლინდა.

5. ალ-ჰარირის (1054-1122) „მაკამები" არაბული ლიტერატურის ძეგლია, რომელიც მ. კუპერსონმა თარგმნა და 2020 წელს გამოსცა სახელწოდებით „თაღლითობანი". მთარგმნელმა მხოლოდ სათაური კი არ შეცვალა, გლობალური ინგლისურით შესრულებული იმიტაცია წარმოადგინა, რათა კლასიკური ნიმუში თანამედროვე მკითხველებში პოპულარული გახდეს. სტატიაში განხილულია „თბილისური მაკამის" (რიგით 33-ე) თარგმანი. აქ გამოყენებულ ამერიკული ინგლისურისა და იდიშის ნაზავს, რომელზეც აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მეტყველებენ, ეწოდება Yinglish. მისი ანალოგიით „თბილისური მაკამის" სათაური ასეა გადაკეთებული – *The Joy of Yarabic*. იმიტაციაში აზრის შეცვლაც დასაშვებია, თუმცა ამერიკელი მთარგმნელი მას ინარჩუნებს და ორიგინალის ჩახლართული ენის თავისებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს.

**6.** სტატია ეხება გასული საუკუნის გამოჩენილი ირანელი მხატვრის ʻაბას რასამ არჟანგის (1892-1975) მემუარებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მემუარების იმ მონაკვეთებზე, რომლებშიც ირანელი ავტორი იხსენებს და აღწერს 1910-იანი წლების დასაწყისში თბილისში მისი ოთხწლიანი ცხოვრებისა და სამხატვრო სასწავლებელში სწავლის სხვადასხვა ეპიზოდს. ამასთანავე, როგორც ირანის კონსტიტუციური რევოლუციის იდეებით გამსჭვალული ირანელი სტუდენტი, იგი მონაწილეობდა თბილისში მუდმივად (ან ხანგრძლივად) მცხოვრებ თუ აქ დროებით მყოფ ირანელთა პრორევოლუციურად განწყობილი ნაწილის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში.

'აზას რასამ არჟანგის მემუარები შეიცავს საინტერესო მასალას XX საუკუნის დამდეგის თბილისის ისტორიის სხვადასხვა ასპექტებით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

**7.** ირანულ-ქართველურ ენათა ურთიერთობები ირანულ ენათა ისტორიის სამივე(ძველ – ძვ. წ. VI-III სს., საშუალო – ძვ. წ. IV- ახ. წ. IX სს. და ახალ – ახ. წ. X-იდან) პერიოდს მოიცავს. ქართულში შემოსული რიგი ირანიზმები, მ. ანდრონიკაშვილის მოსაზრებით, ძველ ირანულ ენობრივ პერიოდშია შემოსული და წარმოდგენილია მიდიზმების, ავესტიზმებისა და ძველი სპარსიზმების სახით(ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 31-40). ამავდროულად მ. ანდრონიკაშვილი თავადვე აღნიშნავდა, რომ ამ ნასესხობათა ძველი პერიოდით მკაცრი დათარიღებისა და დიალექტური დიფერენციაციისათვის მყარი საფუძველი არ არსებობდა, რადგან პირველი წერილობითი ქართული ძეგლი მხოლოდ ახ. წ. V საუკუნეში, ანუ საშუალო ირანული პერიოდის ტოლფარდ დროის მონაკვეთში ჩნდება. ეს გარემოება შეუძლებელს ხდის ზუსტად განისაზღვროს ძველ თუ საშუალო ირანულ ენობრივ პერიოდში ისესხა ქართულმა ესა თუ ის მიდიზმი, ავესტიზმი და ძველი სპარსიზმი. ამ გარემოების გათვალისწინებით, ხსენებულ ნასესხობათა პირდაპირი თუ სხვა ენის მეშვეობით შემოსვლის შესახებ მსჯელობა ნაკლებად რელევანტურია. ეს ეხება სკვითურ-სარმატულ-ალანურ-ოსურ ნასესხობებსაც, რადგან არსებულ მასალათა მიხედვით, სხვა ენის შუამავლობა, ქართულ-ოსურ ენობრივ ურთიერთობებში არ ვლინდება.ენობრივი შუამავლობის საკითხი აქტუალურია როგორც საშუალო, ასევე ახალი ირანული ენობრივი პერიოდის სპარსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობათა კვლევისას, რადგან ძველი ირანული ენობრივი პერიოდისაგან განსხვავებით, საშუალო და ახალ პერიოდებში ნასესხებ სიტყვათა ქრონოლოგიზაცია დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ეს ნასესხობები ქართულში შემოდიოდა როგორც უშუალოდ, ასევე გაშუალებულად, შუამავალი ენის მეშვეობით ან თავად ირანული ენა, კერძოდ, სპარსული გვევლინებოდა შუამავლად ქართულში შემოსული არაირანული ნასესხობებისთვის, რაც სრულიად მკაფიოა არაბიზმების შემთხვევაში.

საშუალო სპარსული და პართული ნასესხობები ქართულში შემოდიოდა როგორც პირდაპირი გზით, ასევე სომხურის მეშვეობით. უშუალო და გაშუალებულ ნასესხობათა გამიჯვნა დიდწილად ეფუძნება ილ. აბულაძისა და მ. ანდრონიკაშვილის მიერ გამოვლენილ ფონეტიკურ მახასიათებლებს, რომლებიც ცხადყოფენ გარკვეულ ფონეტიკურ სხვაობებს ირანული წარმომავლობის სიტყვათა გადმოცემისას ქართულსა და სომხურში.

ჩვენი მოსაზრებით, ხსენებული ფონეტიკური მახასიათებლები შესაძლოა შეივსოს კიდევ ერთი მახასიათებლით, რომლის გათვალისწინებით, საშუალო სპარსული **č**-ს ქართული **ჭ**-თი გადმოცემა ირანული ნასესხობის სომხური მეშვეობით შემოსვლაზე უნდა მიუთითებდეს. ამას გვაფიქრებინებს ლექსიკურ პარალელებში საშუალო სპარსული და პართული **č**-ს სომხურ **č□**-დ და იდენტური ჟღერადობის ქართულ **ჭ**-დ გადმოსვლა. ქართულ და სომხურ ფონეტიკურ სისტემათა დიდი მსგავსების გამო, განმასხვავებელი ფონეტიკური მახასიათებლები რიგ შემთხვევებში ნათელს ვერ ჰფენს ქართულში ამა თუ იმ საშუალო სპარსიზმისა თუ პართიზმის უშუალო ან გაშუალებული გზით შემოსვლის საკითხს. ამ მხრივ, გარკვეული დახმარების გაწევა შეუძლია საშუალო ირანულ, სომხურ და ქართულ პარალელთა სემანტიკურ შეპირისპირებას.

ახალ ირანულ ენობრივ პერიოდში სპარსული თავად გვევლინებოდა შუამავალ ენად ქართულში შემოსულ არაბიზმთათვის. ეს შუამავლობა იწყება XI-XII საუკუნეებიდან, როცა სრულიად საქართველოში ბოლო ეღება არაბთა ბატონობას, რაც განაპირობებს პირდაპირ ურთიერთობათა შეწყვეტას არაბულ და ქართულ ენებს შორის. ქართულში უშუალოდ არაბულიდან ნასესხები სიტყვები და სპარსულის შუამავლობით შემოსული არაბიზმები ერთმანეთისაგან მეტწილად მ. ანდრონიკაშვილის მიერ შემუშავებული ფონეტიკური კრიტერიუმების მიხედვით იმიჯნება. ფონეტიკურ კრიტერიუმთა საფუძველზე ქართულში არაბიზმთა შემოსვლის გზის დადგენა რთულდება, როცა ნასესხობებში არაა წარმოდგენილი

ის სპეციფიკური ფონემები, რომელთაც ქართული სხვადასხვაგვარად ითვისებს სიტყვის უშუალოდ არაბულიდან და სპარსულის შუამავლობით სესხებისას. ამგვარ შემთხვევებში გასათვალისწინებულია ქრონოლოგიური და მორფოსემანტიკური ფაქტორები, კერძოდ, ნასესხობის შემოსვლის დრო არაბულ ეტიმონთა და მათგან მომდინარე სპარსულ და ქართულ პარალელთა მორფოსემანტიკური მახასიათებლები. ქართულში დადასტურებული ახალი სპარსულიდან მომდინარე ზოგიერთი ნასესხობის ფონეტიკური ფორმა და სემანტიკური შინაარსი ცხადყოფს, რომ ახალ ირანულ ენობრივ პერიოდში სპარსიზმებს ქართული მხოლოდ უშუალო გზით არ სესხულობდა და ამ სიტყვათა ნაწილი თურქულ-აზერბაიჯანული გზითაც შემოდიოდა.

**8.** კლასიკური ხანის ძეგლი „ამირანდარეჯანიანი“, რომლის ავტორადაც მოსე ხონელი მიიჩნევა, საუკუნეზე მეტია, რაც ქართველ და უცხოელ მკვლევართა ყურადღებას იპყრობს. ძეგლზე იმუშავეს ქართველოლოგებმაც და ირანისტებმაც. გამოთქმულია რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები. მიუხედავად ამისა, თითქმის ყველა კარდინალური საკითხი (სადაურობა - სპარსული თუ ორიგინალური; ჟანრობრივი კუთვნილება - სარაინდო რომანი თუ ზღაპარი, მისი მიმართება ხალხურ „ამირანიანთან“ ან „ვეფხისტყაოსანთან“; სტრუქტურის თავისებურება, შექმნის დრო) საბოლოოდ და ცალსახად გადაწყვეტილი არ ჩანს. ტექსტი კვლავაც იძლევა ინტერპრეტაციისა და ვარაუდების გამოთქმის საშუალებას.
მოხსენებაში მოცემულია მცდელობა, თხზულების აღმოსავლური რეალიებისა და ჟანრული სტერეოტიპების ანალიზის გზით, დადგინდეს „ამირანდარეჯანიანის“ „აღმოსავლურობის მასშტაბები“, ყურადღება გამახვილდეს ზოგიერთ დეტალზე, რომელიც წინამორბედ მკვლევრებს მხედველობიდან გამორჩათ, მნიშვნელოვნად არ მიიჩნიეს ან განსხვავებული ინტერპრეტაცია მისცეს მათ. ამავე, აღმოსავლურ, კონტექსტში „ამირანდარეჯანიანის“ კომპოზიციაში აღნიშნულია ზეპირსიტყვიერების ეპიკური კანონების გავლენის კვალი (დასაწყისის და დასასრულის კანონი, განმეორებები, რიცხვები, სქემატიზაცია და სხვ.). საგანგებოდ მახვილდება ყურადღება „ამირანდარეჯანიანის“ რაინდების („ჭაბუკთა“) თვისებების სასანური ირანის აღზრდის ინსტიტუტის პრინციპებთან მსგავსებაზე. „ამირანდარეჯანიანში“ აღწერილი ბრძოლისა და ნადიმის (შდრ. „შაჰნამეს“ bazm o razm”) წესები და რიტუალები განხილულია სპარსულ და, ზოგადად, აღმოსავლურ მონაცემებთან მიმართებაში. ამ კონტექსტში ყურადღება ექცევა „მგოსანთა“ (საშ. სპარს. gusān) როლსა და დანიშნულებას. „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტი ამდიდრებს ინფორმაციას გუსან-მგოსანთა ხელოვნების შესახებ.

**9.** მწერალი ქალების ფენომენი დღევანდელი ირანის რეალობაში ძალიან მრავლისმომცველი თემაა. ასევე აქტუალური თემაა ემიგრაცია. ამის გათვალისწინებით, ორმაგად საინტერესო Cans ემიგრაციაში მცხოვრებ ირანელ მწერალ ქალებზე დაკვირვება. რამდენადაც ერთი სტატიის ფარგლებში ამ ვრცელი ლიტერატურული მასალის მოცვა SeuZlebelia, ყურადღება ემიგრანტი ქალი მწერლების ინტერვიუებზე შევაჩერე. მწერალი ქალების სამშობლოდან წასვლის მიზეზები სხვადასხვაა, თუმცა უმეტესწილად გამოუვალობას უკავშირდება. ბევრი მათგანი პოლიტიკური დევნის გამო გახდა იძულებული, სამშობლოდან წასულიყო. საზღვარგარეთ მცხოვრებ მწერალთა მხოლოდ მცირე ნაწილს შეიძლება დაერქვას ნებაყოფლობითი მიგრანტი, რომლებიც სამშობლოდან განათლების მისაღებად ან უკეთესი ცხოვრების საძიებლად, ასე ვთქვათ, „დასავლური ოცნების“ ასასრულებლად გაემგზავრნენ.
ემიგრანტთა უმრავლესობა დარწმუნებული იყო, „წასვლა“ დროებითი აღმოჩნდებოდა და აუცილებლად დაბრუნდებოდნენ... მაგრამ მოგვიანებით იმ რეალობის წინაშე დადგნენ, რომ სამშობლოში დაბრუნება ისევე რთული ყოფილა, როგორც იქიდან წასვლა. უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტული ირანელი მწერლების პირველი თაობის წარმომადგენლები უფრო მეტად სპარსულად წერდნენ და იმ ქვეყნებში გამოსცემდნენ თავიანთ ნაწერებს, სადაც

შესაბამისი გამომცემლობები ეგულებოდათ. თითო-ოროლა თუ ცდილობდა საკუთარი წიგნების ირანში ბეჭდვას.
ემიგრანტი მწერლების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით, მათი მეორე თაობა, მასპინძელი ქვეყნის ენაზე წერას ამჯობინებს, მიზეზად კი სხვადასხვა ფაქტორს ასახელებს. მათ არჩევანში, მათ დამოკიდებულებაში ფასეულობების მიმართ და საკითხების პრიორიტეტულობაში იკვეთება პროფესიონალური თუ პიროვნული პორტრეტები. ემიგრანტი მწერალი ქალების ლიტერატურა, რომელიც საზღვარგარეთ სხვადასხვა ენაზე ითარგმნება ან პირდაპირ მასპინძელი ქვეყნის ენაზე იწერება, დასავლელი მკითხველის ყურადღებას ისლამურ სამყაროში ქალების საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხების ასახვის გამო იპყრობს. მათი ძირითადი თემები, თუ პოლიტიკურ საკითხებს არ ჩავთვლით, იდენტობის ძიებასთან, დასავლურ სამყაროში საკუთარი თავის აღმოჩენასთანაა დაკავშირებული. ფარზანე მილანი, ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები მწერალი და მკვლევარი, ასე ახასიათებს ირანელ ემიგრანტ ქალებს: „განსხვავებულობის და მრავალფეროვნების ფასი ესმით. ირანისა და მსოფლიოს მიჯნაზე დგანან და საერთაშორისო ასპარეზზე სპარსული ლიტერატურის ახალ სახეს გამოხატავენ. ამ ლიტერატურას შეიძლება მიჯნის ლიტერატურა ეწოდოს. ლიტერატურა, რომელიც ტრადიციული საზღვრებიდან გათავისუფლდა და წერისა და ხედვის ახალ გზებს ეძიებს. იცის, რომ თავის ადგილს მოსწყდა და სხვადასხვა იდენტობასა და შეხედულებას გამოხატავს".
**10.** წიგნის საერთაშორისო ბაზრის კვლევა გვიჩვენებს, რომ თანამედროვე სპარსული ლიტერატურა მსოფლიოში არ არის იმდენად პოპულარული და დაფასებული, რამდენადაც, შესაძლოა, იმსახურებდეს. ამ მოვლენას, მის სავარაუდო მიზეზებსა და გარემოებებს აქტიურად იკვლევენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ირანშიც და დასავლეთის ქვეყნებშიც.
წინამდებარე სტატიის მიზანია, ორი თანამედროვე რომანის შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე დაადგინოს, რა როლს ასრულებენ ირანში მოქმედი სახელმწიფო საგრანტო პროექტების მიერ დაფინანსებული მთარგმნელობითი ცენტრები ან სააგენტოები მსოფლიოში სპარსული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში.კვლევამ აჩვენა, რომ, არსებული პოლიტიკური რეჟიმის გათვალისწინებით, ირანის მთარგმნელობით-საგამომცემლო სააგენტოების საქმიანობა წინასწარვე წარუმატებლობისთვისაა განწირული. თითქმის შეუძლებელია, დასავლეთმა მიიღოს და წაახალისოს ის ლიტერატურა, რომელიც ნებადართულია ოფიციალური ირანის მიერ. ასევე, გამორიცხულია, რომ ირანის ოფიციალურმა ინსტიტუციებმა თარგმნონ და დასავლურ სამყაროს მიაწოდონ მისთვის მისაღები ლიტერატურული პროდუქცია. დასავლური სამყაროს მასობრივი მკითხველის დაკვეთის გათვალისწინებით, ირანის ხელისუფლებისთვის მიუღებელი რომანი, ემიგრანტი მწერლის შექუფე აზარის „ალუჩის ხის ემანაცია", ბუნებრივად მოხვდა აზიური ბუკერის პრემიის მოკლე სიაში. მწერალი თითქოს დასახულ მიზანს და შედგენილ გრაფიკს მიჰყვება იმ საკითხების ჩამონათვალით, რაც აღმოსავლეთის ტოტალიტარული სახელმწიფოებიდან ემიგრირებულ მწერალს მოეთხოვება, რათა დასავლეთის ლიტერატურულ წრეებში ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს. ებრაჰიმ ჰასანბეიგის რომანი კი, „ეკლესიის ზარები რეკას იწყებენ", რომელიც ირანის მთარგმნელობითი სააგენტოს მიერ დასაფინანსებელი წიგნების ჩამონათვალშია შესული, გამოკვეთილად ისლამური რევოლუციის სარეკლამო ბანერს წარმოადგენს და დასავლური სამყაროსთვის სრულიად უინტერესოა.
ამ ორი რომანის შეპირისპირებითი ანალიზი ცხადჰყოფს, თუ რატომ არის ირანის კულტურისა და ისლამური დამოძღვრის სამინისტროს მიერ დაფინანსებული საგრანტო-მთარგმნელობითი პროექტები წიგნის საერთაშორისო ბაზრისთვის უმოქმედო.
11. გივი გეგეჭკორის ლექსების კითხვისას ჩემი ყურადღება მიიქცია ტრადიციული ფორმის ლექსების მეზობლობაში განსხვავებულმა – მოკლე ექვსსტრიქონიანმა დიდი მოცულობის

ლექსებმა – თითქოს 7 და 6- მარცვლიანი სტრიქონები "კომპენსირებული" იყო 10, 11, 14, 15, 16, 17 თუ 21 მოქნილი, ნატიფი სტროფით. უჩვეულო,უცნობი სტროფი-კის მქონე ლექსები არაორდინალური სათაურებით (' ლექსი კითხვის ზიანზე', 'ლექსი დაქანცულ მდინარეზე', ' ლექსი ატირებულ კარის ფიცარზე', 'მუხა საბურთალოს ბაზრის მოედანზე' და სხვ.) იმთავითვე ბადებდა დაუყოვნელივ წაკითხვის სურვილს. გივი გეგეჭკორის სალექსო შემოქმედებაში გამორჩეულია ექვსტრიქონიანი და უხვსტროფიანი ლექსები, რაც მის უკიდეგანოდ კრეატიულ პოეზიას სიმსუბუქესა და განუმეორებელ ხიბლს სძენს. ფაქტია, რომ გივი გეგეჭკორი უმაღლეს დონეზე ფლობდა სალექსო ტექნიკას.

12. თურქული მოდგმის ხალხებისათვის გადაულახავი არტიკულაციური მომენტია მარცვლის დასაწყისში ორი ან მეტი თანხმოვნის წარმოთქმა (მარცვლის ბოლოს ორი თანხმოვანი არცთუ იშვიათად გვხვდება; შდრ. თვით მოდგმის დასახელება _ Türk). ნასესხებ სიტყვათა ორი ან მეტი თანხმოვით დაწყებული სიტყვების ადაპტაცია თურქულ ენებში ორი გზით ხორციელდება.1. პროთეზა – მარცვლის დასაწყისში ორთანხმოვნიან სიტყვას წინ დაემატება ხმოვანი და ახალ მარცვალს წარმოქმნის კომპლექსის პირველ თანხმოვანთან.მაგ: რუს. стакан _ აზერბ. Istakan; ფრანგ. station – თურქულში ასე „გადაკეთდა": istasyon; იტალ. skala – თურქ. iskele 'ნავსადგური'. 2. ეპენთეზა – მარცვლის დასაწყისში ორ თანხმოვანს შორის ჯდება ვიწრო ხმოვანი და იქმნება მარცვალი, რითაც თავიდან აცილებულია მარცვლის დასაწყისში თანხმოვანთა თავმოყრა. მაგ.: ფრანგ. club – თურქ. kulüp 'კლუბი'; იტალ. brillante – თურქ. pırlanta 'ბრილიანტი'; იტალ. tromba – თურქ. tulumba 'ტუმბო'. სწორედ ეს ფონეტიკური ფაქტია რეალიზებული საქართველოს დედაქალაქის სახელის თურქული არტიკულაციით წარმოთქმაში: თურქმა ვერ დაძლია /თბილ-/ მარცვლის /თბ/კომპლექსი, განახშო იგი /i/ ხმოვნით, რის შედეგადაცაა მიღებული Tiflis. მდინარე მტკვრის სახელიც – ოთხი თანხმოვნით მარცვლის დასაწყისში – აგრეთვე ძნელი წარმოსათქმელი შეიქნა თურქულენოვანისთვის. მისი გათავისება განსხვავებული ტაქტი-კით წარიმართა, კერძოდ კი: /მტკ/- თანხმოვანთკომპლექსის გამარტივების გზით მივიღეთ /k/, ხოლო /ვა/>/u/; აზერბაიჯანელები, ისევე როგორც თურქები, მდინარე მტკვარს უწოდებენ Kur nehri-ს.

**13**. ოთარ ჭილაძის პოეზია განსჯითია; მისი უპირატესად უსათაურო ლექსები აზრის ლოგიკურობაზე აგებული ფიქრის პოეზიაა; პოეტური ენის გამოვლენა ტრადიციული პოეტური ლექსიკით არის „უზრუნველყოფილი". ტრადიციული პოე-ტური ლექსიკა იყოფა სიტყვათა სემანტიკურ ჯგუფებად. ერთ-ერთია ბუნების მოვლენები. ოთარ ჭილაძისათვის ამ რიგში უპირატესია წვიმა. ჯეროვანი ემოციის წარმოსაჩენად პოეტი ხშირად მიმართავს ერთი და იმავე სტრიქონის გამეორებას. წერილში ოთარ ჭილაძის ხატოვანი აზროვნება მის ლექსებში მიმობნეული სინტაგმების, ფრაზებისა თუ წინადადებების სახით არის წარმოჩენილი.

**14.** როგორც ცნობილია, თურქეთის ოთხ - ყარსის, არდაჰანის, რიზესა და დუზჯეს - უნივერსიტეტში გახსნილია ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებები. ართვინის უნივერსიტეტის წესდებაში დევს კავკასიოლოგიის განყოფილების გახსნა, მაგრამ ჯერჯერობით ეს მიმართულება არ ამოქმედებულა.

თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტროს მიერ გადაწყვეტილება ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებების გახსნის შესახებ მიღებულ იქნა 2005 წელს. ეს მთელი 6 წლით წინ უსწრებდა დემოკრატიული ინიციატივის ე.წ. გამჭვირვალობის პერიოდს ან, როგორც მას სხვაგვარად უწოდებდნენ, რეგულირების პროცესს, რომელიც თურქეთში 2011 წელს დაიწყო.

ნაშრომის მიზანია თურქეთში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების დღევანდელი მდგომარეობის მიმოხილვა; კერძოდ კი, დუზჯეს უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული ფაკულტეტის კავკასიური ენებისა და კულტურების განყოფილების

ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებაზე შვიდი წლის მუშაობის გამოცდილებიდან გამომდინარე მიღწეული წარმატებებისა თუ სირთულეების წარმოჩენა, საკადრო შემადგენლობაზე ყურადღების გამახვილება, შენიშნული სიძნელეების დაძლევისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზების ძიება. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინება დაგვეხმარება ოთხი ქართველოლოგიური ცენტრიდან ფაქტობრივად, დარჩენილი სამის გაძლიერება-განმტკიცების საქმეში და აქედან გამომდინარე ნაშრომიც შესაბამისად მნიშვნელოვანია.

როგორ მიმდინარეობს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება თურქეთში? მიგვაჩნია, რომ თურქეთის უნივერსიტეტებში ქართული ენა (პირველ ეტაპზე მაინც) ქართველმა თურქოლოგებმა უნდა ასწავლონ, ხოლო თურქული ენის არმცოდნე ქართველი მასწავლებელი, წმინდა ქართველოლოგი იქ ისედაც ყოველთვის საჭირო იქნება, სანამ არ აღიზრდება ამ საქმის სათანადო დონეზე შემსრულებელი თურქი სპეციალისტები. როგორი მდგომარეობაა თურქეთის ქართველოლოგიურ განყოფილებებში კადრების თვალსაზრისით? თუ გვსურს, რომ თურქეთის უნივერსიტეტების ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებები თანდათანობით ქართველოლოგიური ენების კვლევით კერებად ჩამოყალიბდეს, აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საზღვარგარეთ გასაგზავნ კადრებს. ვინ თუ არა ჩვენ უნდა ვასწავლოთ თურქებს ქართული? თუ პედაგოგი სათანადოდ მაღალ დონეზე ვერ ფლობს ორივე ენას (ქართულსა და თურქულს), იქ სრულყოფილ, აკადემიურ განათლებაზე ზედმეტია ლაპარაკი; ასეთ პირობებში რთულდება ქართული ენის სწავლება, ლექციები გაუგებარია, შესაბამისად იკარგება ინტერესი ენის მიმართ და შედეგად ვკარგავთ სტუდენტების კონტიგენტს. გასათვალისწინებელია, აგრეთვე ის, რომ თეორიული საგნები (ქართული ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, კულტურა, ხელოვნება) მათ უნდა წავუკითხოთ მშობლიურ ანუ თურქულ ენაზე. საქართველოდან წარგზავნილ კანდიდატს თურქული ენის კარგად ცოდნა სჭირდება ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან საურთიერთოდ და კოლექტივში ინტეგრაციის თვალსაზრისითაც. იმ უნივერსიტეტებში, სადაც ქართული ენის მიმართულებები გაერთიანებულია კავკასიური ენებისა და კულტურების განყოფილებაში, ქართველი პედაგოგისათვის უპრიანია რუსული ენის ცოდნაც, რათა ელემენტარული ურთიერთობა დაამყაროს კოლეგებთან, აფხაზეთიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩასულ პროფესურასთან.

საქართველოს უნივერსიტეტების თურქოლოგიის კათედრებმა, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრებთან ერთად, მომავალში მჭიდრო ურთიერთობები უნდა იქონიოს თურქეთის სხვადასხვა ქალაქების უნივერსიტეტებში აღმოცენებულ ქართული ენისა და ლიტერატურის ცენტრებთან. ესენი უნდა დაკომპლექტდნენ ჩვენი პროფესიონალი კადრებით და არა შემთხვევით, პროტექციით მოხვედრილი სპეციალისტებით. მით უმეტეს, დღეს, თანამედროვე საქართველოს პირობებში, ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, თუ როგორი მონდომებით ეწევიან საკუთარი ენისა და კულტურის პროპაგანდას თურქები და ამას აღწევენ თავიანთი მასწავლებლებისა და ჩვენი აღზრდილი კურსდამთავრებულების დახმარებით. შედეგიც არ აყოვნებს. თანამედროვე პირობებში თურქული ერთ-ერთი პოპულარული ენაა საქართველოში. დღესდღეობით თურქოლოგიის კათედრების მოვალეობა არ არის მხოლოდ თურქული ენის სწავლება ქართველი სტუდენტებისათვის. გამოჩნდა ახალი გზა, ახალი მიმართულება, გადავდივართ შემდეგ ეტაპზე. ქართველმა თურქოლოგებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ თურქებისათვის ქართული ენის სწავლებაში. მეცნიერული მუშაობა, ახალი სახელმძღვანელოების შედგენა და მისთ. უნდა გაძლიერდეს ამ მიმართულებითაც.

15. ...............

**16**. ნაშრომში განხილულ იქნა იმ დოგმატურ-პოლემიკურ საკითხთა წრე, რომელთა გამოც ქართული და სომხური ეკლესიების წარმომადგენლები კამათობენ საუკუნეთა მანძილზე ზოგადად და კერძოდ XVIIIსაუკუნეში, მასალა მოხმობილ იქნა ანტონ I ბაგრატიონის „მზამეტყველებიდან“ და გევორგ გორელის ხელნაწრი კრებულიდან, ლაზარე ჯაჰუკელის „საწადლი სამოთხიდან“. აღნიშნული საკითხების გამოყოფის, გარკვეული პრინციპით დაჯგუფების და ანალიზის შედეგად, წარმოდგენილ იქნა კვლევის შედეგები, უმთავრესი კი არის შემდეგი - კამათი აღნიშნულ საკითხებზე მწვავდება მაშინ, როდესაც პოლიტიკურად და სოციალურად განსაკუთრებული დაახლოების ფონზე ერთი ეკლესია მეორისგან გრძნობს აგრესიულ ზეწოლას და ნიველირების საფრთხეს; ამასთან ისიც გამოიკვეთა,რომ მაშინ, როდესაც ერისკაცნი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური საჭიროებების გათვალისწინებით ერთობაზე ფიქრობენ და ამ ერთობის მიღწევის საშუალებებს ეძებენ, მათ შორის ქართული და სომხური ეკლესიების გაერთიანების გზითაც, თავად ეს ეკლესიები კიდევ ერთხელ საქვეყნოდ განაცხადებენ ასეთი გაერთიანების და საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებულ წინააღმდეგობათა დაძლევის შეუძლებლობას.

**17**. ნაშრომში საუბარია ანისი წმ.გრიგოლ განმანათლებლის სახელობის ეკლესიაზე, რომელიც მეცამეტე საუკუნეში ააგო ტიგრან ჰონენცმა. ჩვენამდე მოაღწია სამშენებლო წარწერამ, რომელიც მნიშვნელოვან და საინტერესო მონაცემებს გვაწვდის აღნიშნული სავანეს აგების ისტორიაზე, იმ დროინდელი ანისის ცხოვრებაზე. სტატიაში წარმოდგენილია ამ წარწერის ქართული თარგმანი, რომელიც აზუსტებს მანამდე შესრულებულ თარგმანს, რაც ავტორის აზრით, აუცილებელია წარწერის სწორად გაგებისათვის. გამოთქმულია რიგი მოსაზრებები წარწერის მონაცემთა საფუძველზე ტაძრისა და მისი მომგების კონფესიური კუთვნილების თაობაზე.

**18.** ზაზა ალექსიძის სამეცნიერო მოღვაწეობის მიმოხილვა და შეფასება.

**19.** ნაშრომში შესწავლილია სხვადასხვა ლიტურგიკულ კრებულში წარმოდგენილი სომეხი წმინდანების ხენებები, ახსნილია მათი ამ კრებულებში გაჩენის მიზეზები. განსაკუთრებული ყურადღება სტატიაში ეთმობა დავითისა და ტირიჭანის ხსენებასა და მათ სახელზე დაწერილ საგალობელს, რომელიც თვენის პირველ რედაქციაშია დაცული. ნაშრომში საგალობელი შესწავლილია დავითისა და ტირიჭანის წამებასთან“ მიმართებით.

**20**. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სომხურ ხელნაწერთა ფონდში 299-ე ნომრად ინახება XIVს-ის კრებული, რომელშიც დაცულია გრიგოლ ნარეკაცის „სოლომონის „ქებათა ქების“ თარგმანება“ და მხითარ სკევრაცის თხზულება „მოციქულთათვის“. ხელნაწერი 1922 წელს დ. გორდეევს შეუძენია სომეხი დიაკვნის ტერ-ავეტისიანისგან. თავის მხრივ, სომეხ დიაკვანს ოდესღაც ირანის შაჰის პირად ბიბლიოთეკაში დაცული მანუსკრიპტი ყაჯარი პრინცისაგან გამოუსყიდია. ხელნაწერს ყდის საცავ ფურცლებად თავსა და ბოლოში ახლავს ქართული ხელნაწერის ეტრატის ორი ფურცელი, რომელიც უცნობი ქართული იადგარის ფრაგმენტებს უნდა წარნმიოადგენდეს. ფრაგემნტში შემორჩენილია იყოს და 4,5,6 და 7 დეკემბრის საგალობელ მასალა. 7 დეკემბერს იადგარის ახლადგამოვლენილ ფრაგმენტში მითითებულია ხსენება მიქაელ მოწამისა, რასაც მოჰყვება მისი საგალობელი. სამწუხაროდ, ტექსტი სრულად არ არის შემონახული. ჩვენს იადგარში მოხსენიებული მიქაელ მოწამე, საგალობლის ტექსტიდან გამომდინარე არის მიქაელ საბაწმიდელი, რომელიც აბდ ალ-მალიქის დროს (685-705 წწ.) იერუსალიმში აწამეს. 7 დეკემბერი, რომელსაც მიქაელის ხსენების დღედ ჩვენი იადგარი მიუთითებს, არ დასტურდება არცერთ სხვა, ჩვენთვის ცნობილ წყაროში. არ გვხვდება მისი ხსენება 7 დეკემბერს არც ადრეულ იოანე ზოსიმეს კალენდარსა და იერუსალიმურ ლექციონარში. არ იცნობს მიქაელის წამებას არც კონსტანტინეპოლური დიდი ეკლესიის სვინაქსარი. ამასთანავე მიქაელ საბაწმიდელის

ხსენება და მისივე საგალობელი შემორჩენილია თვენის პირველი რედაქციის ხელნაწერად მიჩნეულ Jer.Geo 42 ხელნაწერში, რომელშიც ხსნების დღედ 17 აპრილია მითითებული. იადგარის უცნობ ხელნაწერსა და თვენის რედაქციაში დაცული საგალობლები შინაარსობრივად მიქაელ საბაწმიდელის ადრეულ ცხოვრებაზე დგას, ორივეში ასახულია წამების ძირითად მომეტები, სედიას ცთუნება, სიტყვისგება და წამება. მიქაელ საბაწმიდელის ცხოვრების ორი განსხვავებული რედაქციისა და ორი განსხვავებული საგალობლის არსებობა კი ამ წმინდანის ქართულ ქრისტიანულ სინამდვილეში არსებობის მყარი არგუმენტია და საბაწმიდური ტრადიციის ასახვას წარმოადგენს.

**21.** ნაშრომში საუბარია ათონზე, ივირონის მონასტერში დაცულ 1043 წელს, დიდი ეკლესიის ხარტულარის, იოანეს დაკვეთით მიქაელ და გიორგი გადამწერების გადაწერილი კონსტანტინეპოლურ ლიტურგიაზეა გამართულ საწელიწდო სახარებაში დაცულ (Ivir.georg.60). ვინმე ჩანჩხზე, მოცემული ამ პიროვნების იდენტიფიკაციისა და მისი სამოღვაწეო არეალის გარკვევის მცდელობა.

**22.** სტატიაში განხილულია მე-19 საუკუნის აზერბაიჯანული პრესა თბილისში. XIX საუკუნის II ნახევრიდან აზერბაიჯანის კულტურა და ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბება მჭიდროდ იყო დაკავშირებული თბილისის კულტურულ გარემოსთან და მუსლიმურ თემთან. ქალაქ თბილისში, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე იყო ამიერკავკასიის (სამხრეთ კავკასიის) ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი, აზერბაიჯანელი ინტელიგენციის მთელი თაობა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქალაქის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. სწორედ თბილისის კულტურულ-ლიტერატურულმა გარემომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აზერბაიჯანული პრესის ჩამოყალიბებაში. აზერბაიჯანელმა ძმებმა უნსიზადეებმა თბილისში დააარსეს რამდენიმე ბეჭდვითი ორგანო („ზიყა“, „ზიყაი კაფკაზიე“, „ქეშქული“) აზერბაიჯანულ ენაზე და მათ ტიპოგრაფიაში იბეჭდებოდა სამეცნიერო, სასწავლო და მხატვრული ლიტერატურა. აზერბაიჯანულენოვანმა პრესამ ხელი შეუწყო ამ ენის გავრცელებასაც ადგილობრივ მოსახლეობაში.

**23.** ოსმალო ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი გადმოვცემს, რომ 1536 წელს ოსმალებმა სამცხეში გარკვეული ტერიტორიები დაიპრეს და სანჯაყები დააარსეს. ოსმალთა სამცხეში შემოსვლა გადმოცემულია ქუნულ-აჰბარსა და მურადნამეში. თურქი ისტორიკოსოს ისმაილ დანიშმენდის ცნობით ოსმალებმა საქართველოს დაპყრობილ ადგილებზე ოლთისის, ართვინის, ქისქიმისა და ნარმანის სანჯაყები შექმნეს. აღნიშნული სანჯაყების შესახებ გადმოცემულია არზრუმის 1538 წლის თაჰრირ დავთარში, სადაც ქართული ტერიტორიები არზრუმის საფაშოსაა დაქვემდებარებული. ეს პერიოდი ემთხვევა იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის სამცხეში ლაშქრობას. 1535 წელს იმერეთის მეფე თავის ქვეშევრდომებთან დადიანთან და გურიელთან ერთად სამცხეში შეიჭრა. მურჯახედის ბრძოლაში დაამარცხა სამცხის ათაბაგი ყვარყვარე III და ტყვედ აიყვანა. ეს უკანასკნელი ტყვეობაში გარდაიცვალა. სამცხის დიდგვაროვანმა ოთარ შალიკაშვილმა, ათაბაგის მცირეწლოვან ძე ქაიხოსროსთან ერთად ოსმალეთს შეაფარა თავი. ფაჰრეთინ ქირზიოღლუ გამოთქვამს ვარაუდს, რომ ვახუშტის ცნობაში ბაგრატ III-ს მიერ სამცხის დაპყრობა არასწორადაა დათარიღებული და აღნიშნული დაპყრობა განხორციელდა არა 1435, არამედ 1436 წელს, რაც ქართული წყაროების ანალიზით არ დასტურდება. 1436 წლის თარიღის საფუძველზე თურქი მკვლევარი სადიქ ბილგე ვარაუდობს, რომ არზრუმის ახლად დანიშნული საბეგლარბეგოს ბეგლარბეგი და ბაგრატ III ერთობლივად მოქმედებდნენ სამცხე-საათაბაგოს მბრძანებლის წინააღმდეგ. აღნიშნული ვარაუდიც საფუძველს მოკლებულია, რადგანაც ბაგრატი 10 წლის განმავლობაში ებრძოდა

ოსმალებს და მათ წინააღმდეგ გალაშქრებას სთხოვდა არა მარტო ქართველ მეფე-მთავრებს, არამედ სეფიანთა ირანსაც. 1536 წელს არზრუმის ახლადდანიშნული ბეგლარბეგი სამცხეში შემოდის. გალიპოლელი მუსტაფა ალის მიხედვით ოსმალებმა ზარაკანის ციხე და ფანაკის მხარე აიღეს, ხოლო მურადნამეში გადმოცემულია, რომ არზრუმის ვალმა მეჰმედ ფაშა მამირვანში შეიჭრა და ოლთისისა და ფანაკის ციხეები აიღო. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ აღნიშნული შემოსევის შესახებ ცნობებს გვაწვდის იბრაჰიმ ფეჩევი: „დიდი ომისა და ბრძოლის შემდეგ გამარჯვება ისლამის [ლაშქარს] ერგო. აურაცხელი დასამიწებელი ურჯულო გაწყდა. გადარჩენილები, რომ დაიფანტნენ, ასქერები ეძგერენ საშოვარს და იმდენი ნადავლი ჩაიგდეს ხელში, რომ გადმოცემა ძნელია. ასეთი მაგალითის შემდეგ სამმა-ოთხმა სასანჯაყო ადგილის [მოსახლეობამ] მორჩილება გამოაცხადა და სულტანს ვალისა და მართებლის დანიშვნა სთხოვა“. ცნობაში გაუგებარია ბოლო წინადადება, სადაც საუბარია, თითქოსდა დაპყრობილმა ქართველმა მოსახლეობამ სთხოვა სულთანს ვალისა და მართებლის დანიშვნა სთხოვა. ბაიკალის მიერ გადმოთურქულებულ ვარიანტში და თვით დედანში ვკითხულობთ, რომ „არზრუმის ფაშამ სამი-ოთხი სასანჯაყო ადგილი დაიპყრო, რომლის მოსახლეობამაც მორჩილება გამოაცხადა და [არზრუმის ფაშამ] სულთანს სანჯაყის მმართველების დანიშვნა სთხოვა“. წინამდებარე ცნობის საფუძველზე ზოგიერთი ქართველი და თურქი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ეს იყო საქართველოს ტერიტორიაზე ოსმალთა სანჯაყების პირველი დაარსება,6 რაც საკამათოდ შეიძლება მივიჩნიოთ. უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა სანჯაყების შექმნის მცდელობა.

ქართველებმა დაკარგული ტერიტორიები მალევე დაიბრუნეს. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, უკვე 1541 (1543) წელს ოსმალებს ხელახლა შემოდიან საათაბაგოს ტერიტორიაზე, მუსტაფა ფაშასთან ერთად ოსმალებს წინ მოუძღვოდნენ ოსმალეთში გადახვეწილი ათაბაგობის მაძიებელი და ოთარ შალიკაშვილი. იმავე ცნობიდან ვიგებთ, რომ ქართველებმა გაიმარჯვეს და ქაიხოსრო და ოთარი იძულებული გახდა თავი კვლავ ოსმალეთისათვის შეეფარებინა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება შემდეგი დასკვნის გამოტანა. მიუხედავად იმისა, რომ 1536 წელს ოსმალებმა დაიპრეს სამცხის გარკვეული ტერიტორიები და სანჯაების ჩამოალიბება სცადეს, იმერეთის მეფე ბაგრატმა დაპრობილი ტერიტორიები მალევე გაანთავისუფლა, რის გამოც ოსმალებს, რამოდენიმე უშედეგო მცდელობა განახორციელეს ამ ტერიტორიების კვლავ დასაპრობად და საბოლოო ჯამში მხოლოდ 1545 წელს შესძლეს საათაბაგოდან ბაგრატ III-ის განდევნა და ათაბაგობა ქაიხოსროს უბოძეს.

**24.** XVI საუკუნე ოსმალეთის იმპერიისთვის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ძლიერების ხანაა, რაც არა მხოლოდ მის მიერ წარმატებით წარმოებულ სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე, არამედ სოციალურ და კულტურულ სფეროზეც აისახა. თუმცა, სხვა ადრე არსებული იმპერიების მსგავსად, ოსმალეთის კულტურული თუ საზოგადოებრივი წინსვლა პირდაპირ კავშირში იყო სამხედრო-პოლიტიკურ წარმატებებთან. მათ შორის იყო კარტოგრაფიის განვითარება, რომელიც ერთგვარ შერწყმას წარმოადგენდა შუა საუკუნეების არაბულ-მუსლიმური გეოგრაფიული და დასავლეთ ევროპული გეოგრაფიული ცოდნისა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ეტაპობრივად შესაძლებელი გახდა, ოსმალური ისტორიული რუკებისა თუ ატლასების შესწავლა-გამოქვეყნება. მიუხედავად ამისა მაინც რჩება გარკვეული სირთულეები, რაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს იყო აღნიშული. კერძოდ, თურქეთის მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში დაცული ხელნაწერების არასრული კატალოგები; ელექტრონული ვერსიების არარსებობა და ხელნაწერებზე სამუშაოდ საჭირო დაშვების სირთულეები (Karamustafa 1992:207). აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ოსმალეთის

იმპერიაში ყალიბდება განსხვავება რუკების აღმნიშვნელ ტერმინოლოგიაშიც. კერძოდ, შუა საუკუნეების არაბულ გეოგრაფიულ ლიტერატურაში რუკის აღსანიშნავად ძირითად ტერმინებად გვხვდება Surat (სახე, რეპრეზენტაცია, გამოსახვა). ოსმალურ კარტოგრაფიაში კი გაიყო ტერმინოლოგია, კერძოდ, Suret და Resm (ნახატი, სურათი) გახდა ხმელეთის, სახმელეთო რუკის აღმნიშვნელი ტერმინები, ხოლო საზღვაო რუკების, პორტოლანების, შესატყვისად გვხვდება Kharti – რუკა.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

**1. ნინო ეჯიბაძე/არაბისტიკა/.** "Dialectal Adventure of the King Shahriyar". - Romano-Arabica (ბუქარესტის უნივერსიტეტი, რუმინეთი). იბეჭდება. 9 გვ.

2. **ნინო ეჯიბაძე/არაბისტიკა/.** Tell a Joke, Teach Arabic Dialects". - AIDA 14 (გრანადის უნივერსიტეტი, ესპანეთი) იბეჭდება. 7 გვ.

3. **ირინე ტატიშვილი/ასირიოლოგია/,** ლევან გორდეზიანი, „მეფის სასამართლო ხეთურ კანონებში"
(King's Court in Hittite Law) https://cdn.istanbul.edu.tr/FileHandler2.ashx?f=xii.-uluslararasi-hititoloji-kongresi-bildiri-ozetleri--12th-international-hittitology-congress-abstracts.pdf

4. **ნინო სამსონია/ასირიოლოგია/.** Nino Samsonia: Enguri Basin toponims in cuneiform texts, PRO GEORGIA Journal of Kartvelological studies, No. 33-2023, Centre for east European Studies, Faculty of Orientan studies, University of Warsaw, 2023.p. 147-161 .ISSN 1230-1604 e. ISSn 2956-73 43.
(15 გვერდი).

5. **დალი ჩიტუნაშვილი/არმენოლოგია/.** Z. Aleksidze, D. Chitunashvili, Unknown Palimpsest of an Iadgari from Sinai Collection of Georgian Manuscripts, New Light on Old Manuscripts, წიგნში: The Sinai Palimpsests and Other Advances in Palimpsest Studies, Ed. C.Rappe, G.Rossetto, J.Gruskova, G.Kessel, Austrian Academy of Sciences, 2023:ISBN 978-3-70001-9157-5, doi:10.1553/978OEAW91575 გვ179-186.
6. **ნანა გელაშვილი/აღმოსავლეთის ისტორია/.** N. Gelashvili, Georgia-China relations in historical and contemporary context, Chinese Modernization and Development of Silk Road, ISBN 978-7-5227-2610-6, Beijing, CIP, pp. 466-476.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
**1.** 1980-იან წლებში გამოიცა „1001 ღამის“ მანამდე გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, რომელიც მაშინვე გახდა ცნობილი, როგორც „დიალექტური“. ზღაპართა ამ კრებულის ყველა მანამდე ცნობილი ხელნაწერი არის სტანდარტიზებული, გალიტერატურულებული, რის გამოც, „დიალექტური“ ვარიანტის აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. 2000-იან წლებში Brill-მა კვლავ გამოსცა ეს ვარიანტი. სტატიაში წარმოდგენილია ამ ხელნაწერის წმინდა ლინგვისტური (და არა - ლიტერატურული) ანალიზი, რომლის საფუძველზეც უკუგდებულია აზრი მისი „დიალექტურობის“ შესახებ და მიღებულია დასკვნა, რომ ეს ტექსტი არ გამოხატავს რომელსამე არაბულ დიალექტს, მაგრამ არც სალიტერატუროა, რადგანაც მასში სპონტანურადაა აღრეული სალიტერატურო და დიალექტური ელემენტები; ტექსტი წარმოადგენს არაბულის იმ ნარევ ვარიანტს, რომელიც ცნობილია „საშუალო არაბულის“ სახელით და გულისხმობს ისეთ ტექსტებს, სადაც სტანდარტიზების მიზანი ვერ განხორციელდა სალიტერატურო ენის არასაკმარისი ცოდნის გამო. ტექსტში უხვადაა ფსევდოკორეგირების შემთხვევები, როგორც ჰიპერკორეგირების, ასევე - ჰიპოკორეგირებისა.
**2.** სტატიაში განხილულია შუა საუკუნეებისა და თანამედროვე არაბულ სინამდვილეში მიმოქცევაში არსებული ხუმრობები, ანეკდოტები, რომლებიც წმინდა ლინგვისტური ხასიათისაა და ეხება არაბული ენის გრამატიკის რომელსამე ნაწილს: ფონეტიკას, მორფოლოგიას ან სინტაქსს. იმის გამო, რომ არაბული გრამატიკა ისტორიულად იყო არაბი ფილოლოგების სკრუპულოზური დაკვირვების ქვეშ, ხოლო მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ეს გრამატიკა, ისევე, როგორც თვითონ სალიტერატურო ენა, ნაკლებად ესმოდათ, ამ ტიპის ხუმრობები საკმაოდ მრავლად დაიძებნა. სტატიაში გაანალიზებული მასალა სუმირებულია იმ დებულებით, რომ ამგვარი მასალა ინფორმატიულია არა მხოლოდ წმინდა გრამატიკული საკითხების, ლექსიკური ფონდისა და მისთ., წმინდა ფილოლოგიური საკითხების თვალსაზრისით, არამედ, შეუცვლელ ინფორმაციას იძლევა არაბული მენტალობის, სოციალური მოწყობის, ფუნდამენტური სოციოლინგვისტური საკითხებისა და მით. გაგებისთვისაც.
**3.** ხეთოლოგებს შორის საყოველთაოდ გაზიარებული ჩანს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ყველაზე დიდი დანაშაულებები (მაგ., მკვლელობა, ქურდობა, ცოლ-ქმრული ღალატი, ინცესტი, ჯადოქრობა, სასამართლოსადმი დაუმორჩილებლობა), რომლებიც ხეთური კანონებით სიკვდილით ისჯებოდა, მეფის სასამართლოს იურისდიქციას ექვემდებარებოდა. თუმცა, ერთი მხრივ, ანალიზი სხვადასხვა კონტექსტისა, სადაც მეფე და მისი სასამართლო იხსენიება და მეორე მხრივ იმ შემთხვევების განხილვა, რომლებისთვისაც სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული, ეჭვქვეშ აყენებს, ჩვენი აზრით, მათ შორის პირდაპირ კავშირს. მეფის სასამართლო განიხილავდა არა ყველა სერიოზულ დანაშაულს, არამედ ისეთ რთულ შემთხვევებს, რომლებიც საჭიროებდა გულდასმით განხილვასა და გამოძიებას. „მეფის სასამართლო“, „მეფის გადაწყვეტილება“ გულისხმობდა სწორედ ამგვარ პროცედურას, რომელშიც სასახლის რესურსები და ადმინისტრაცია იყო ჩართული. „მეფის /

სასახლის ჭიშკართან“ დამნაშავის მიყვანა, ალბათ, დამნაშავის შეწყალების შესაძლებლობას გულისხმობდა. ყოველი შემთხვევისთვის, საბოლოო ვერდიქტი ინდივიდუალური იყო და მეფე თავისუფალი იყო თავის გადაწყვეტილებაში.

**4.** ენგურის აუზის ტოპონიმები ლურსმულ ტექსტებში სტატიაში ყურადღება გავამახვილეთ ლურსმულ ტექსტებში ენგურთან დაკავშირებულ შუმერულ სიტყვა La- ḫa – ma -ზე, რაც ასევე სვანური ენაში, ტოპონიმ ლახამულას და მდინარე ენგურს უკავშირდება. ენგურის 50 ლახამა, ისევე როგორც აბზუ-ენგური ძვ.წ. III ათასწლეულიდან არაერთ შუმერულ და ძველბაბილონურ ტექსტში ფიქსირდება და ჩვეულებრივ ენგურს, აბზუს წყლებს ანუ სიბრძნის სამყოფელს უკავშირდება. ლახამა შუმერულ ტექსტებში მცველი ღვთების ქანდაკებების სახითაც გვევლინება, რომლებიც დიდი ტაძრების კარიბჭესთან იდგნენ, როგორებიც იყო E-ABZU ერიდუში, E-KUR ნიფურში და E-ninnu გირსუში. ისინი ასევე იწოდებიან როგორც „აბზუს ლახამები“. (akkad. lahmum, სავარაუდოდ ნიშნავს „თმიანი“ დაფანჩული/hairy). ლახმუ laḫmu - ენქისთან (akkad. Ea-) ასოცირებული მცველი ღვთაება, მოგვიანებით მარდუქთან ასოცირდებოდა. გამოსახებოდა წვეროსანი გრძელი თმით და, ზოგჯერ 4 ან 6 კულულით. ხელოვნებაში იწოდება შიშველ გმირად. ასოცირდებოდა ადამიანი-ხარის ფიგურასთან. ბაბილონურ შესაქმის მითში ენუმა ელიშ (akkad. enuma eliš-ოდეს მაღლა) laḫmu და laḫamu მდედრი და მამრი წყვილია და პირველარსებულ არსებებში მოიხსენიებიან. ისინი ერთი ძირიდან მომდინარეობენ (akkad. ტალახიანის მნიშვნელობითაც). ბაბილონური შესაქმის მითში თიამათი შობს 11 ურჩხულს. მათ შორისაა laḫamu ლახამუ -გრძელთმიანი „გმირი“. მათ ყველას ამარცხებს მარდუქი. მარდუქის გამარჯვების შემდგომ კი მარდუქის მსახურებად ჩანან და ხალხს დემონებისგან იცავდნენ. შესაბამისად სახლის დამცველ რიტუალებში და მაგიურ შელოცვებში ლახმუ ღვთაება ხშირად გვხვდება. ლახამებს თიამათის არსებები ეწოდებათ. აბზუ-ენგურშივე იშვნენ აფქლებიც. 7 აფქალი (apkallu) ენგურიდან ამოდის ადამიანებისთვის სიბრძნის მისაცემად. აფქლები იკონოგრაფიაში გამოისახებოდნენ როგორც ადამიანი-თევზი, რასაც ჩვენ მიერ წარმოდგენილი ახალასურული პერიოდის(ძვ.წ. VII ს.) ერთერთ შელოცვის ტექსტში, რომელიც სახლის ბოროტი ძალებისგან განწმენდას უკავშირდება, ლახამა ისევ მცველის კონტესტში გვხვდება ქუსარიკუ ღვთაებასთან ერთად:ასურული პერიოდის მაგიური შელოცვის ტექსტი იწყება ძალზედ საინტერესო რიტუალით, სადაც ბოროტი ძალის განსადევნად კარიბჭესთან წრეს ხაზავენ ფქვილით. აღსანიშნავია რომ მსგავსი პასაჟები კავკასიურ რიტუალებშიც ფიქსირდება. პრინციპი ასურულ და კავკასიურ რიტუალშიც ერთია - მაგიური წრის შექმნა, რომელსაც ბოროტი ძალა ვერ გადალახავს . ასურული პერიოდის მაგიური შელოცვის ტექსტის შემდეგ სტრიქონებში ჩამოთვლილია მცველი ღვთაებები, მათ შორისაა ლახამა და ქუსარიკუ (სტრ.16)

ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალა შუმერული ლურსმული ტექსტებზე მუშაობისას გამოიკვეთა, რაც ძვ.წ.III ათასწლეულს ცდება და ერთ ათასწლეულზე მეტი ხანის საერთო სურათს წარმოგვიდგენს. მსგავს სურათს გვიჩვენებს შუამდინარული იკონოგრაფიის კვლევაც, რაც ძველაღმოსავლურ პერიოდს(ძვ.წ. III-I ათასწ) მოიცავს (იხ. დანართი) აქიდან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო საკითხი, როგორც არსებული საკითხის, ასევე ძველი ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის კულტურული ურთიერთობებისთვის, კიდევ ერთი ნათელი დასტურია.

**5.** ნაშრომში საუბარია სინას მთაზე ეკატერინეს მონასტერში დაცულ ქართულ პალიმფსესტზე N/Sin.geo-7, ხელნაწერის ქვედა ფენაში აღმოჩნდა საგალობელთა კრებული - იადგარი, კრებულის გაშიფვრის შემდეგ გაირკვა, რომ საგალობელთა კრებული იადგარის განვითარების გვიანდელ ეტაპს განეკუთვნება, მასში დაცულია ე.წ. ახალი იადგარი, თუმცა არქიტექტონითა და მასალით პალიმფსესტური იადგარი სხვაობს ახალი იადგარის სხვა ნუსხებისაგან და ამდენად მნიშვნელოვანი მისი სრული შესწავლა და გამოცემა. ამასთანავე

პალიფსესტში დაცული ანდერძ-მოსახსნებელების ამოკითხვამ დაადასტურტა, რომ ხელნაწერი დაკვეთილია მეათე საუკუნის ცნობილი მოღვაწის , თორნიკე ერისთავის მიერ, მისი ერში ყოფნის პერიოდში - 979 წლამდე, რაც თორნიკეს მიერ მოგებული ხელნაწერების რაოდენობას კიდევ ერთით ზრდის და მნიშვნელოვანი ტაო-კლარჯული სამწიგნობრიო კერის შესწავლის ისტორიისათვის.

**6**. ნაშრომში განხილულია საქართველო-ჩინეთის ურთიერთობები წარსულში და თანამედროვე პერიოდში. ისტორიული წიაღსვლის შემდეგ, წარმოდგენილია ორ ქვეყანას შორის განვითარებული ურთიერთობები აბრეშუმის გზის კონტექსტში. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, 1992 წელს საქართველოსა და ჩინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შედეგად, ორ ქვეყანას შორის თვისობრივად ახალ, მრავალმხრივ ურთიერთობებს ჩაეყარა საფუძველი. რაც შეეხება აბრეშუმის გზას, ხაზგასმულია, რომ მისმა ადრინდელმა მარშრუტმა XIV საუკუნიდან მნიშვნელობა თანდათანობით დაკარგა, მას შემდეგ, რაც ამ გზებზე მოთარეშე მომთაბარეებმა ვაჭრები დააფრთხეს, ხოლო ევროპელებმა აფრიკის შემოვლით საოკეანო გზა აითვისეს. აბრეშუმის გზის იდეის გაცოცხლება 1990-იანი წლებიდან დაიწყო, განსაკუთრებით XX საუკუნის მიწურულს, როდესაც გეოპოლიტიკური გადანაწილება დასრულდა. ახალმა გლობალურმა პოლიტიკამ ძველი მარშრუტის აღდგენის პერსპექტივა გააჩინა. 1998 წელს აშშ-ს სენატმა მიიღო რეზოლუცია „ახალი აბრეშუმის გზის“ მხარდასაჭერად და მალევე ამ ინიციატივის ფარგლებში ამოქმედდა ტრასეკას (TRACECA) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის მაგისტრალები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეცვალეს ეკონომიკური რეალობა კასპიისა და შავი ზღვის რეგიონში. აბრეშუმის გზის იდეას ახალი იმპულსები მიეცა 2013 წელს ჩინეთის მიერ საყოველთაოდ ცნობილი ე. წ. „სარტყელისა და გზის“ იდეის წამოყენებით. ეკონომიკის ზრდასთან ერთად, ჩინეთმა ინტენსიურად დაიწყო საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება. სამხედრო ბაზების და ლოჯისტიკის სხვა ელემენტების განთავსება სამხრეთ-ჩინეთის ზღვიდან სპარსეთის მიმართულებით - იმ საზღვაო კომუნიკაციების გვერდიგვერდ, საიდანაც ჩინეთს შემოაქვს ნავთობი და სხვა რესურსები. დღესდღეობით საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების, მათ შორის პოლიტიკურ-დიპლომატიური დიალოგის უმთავრეს ქვაკუთხედს სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში მჭიდრო თანამშრომლობა წარმოადგენს. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია „სარტყელისა და გზის“ მასშტაბური პროექტი, რომელშიც საქართველო, თავისი განსაკუთრებული გეო-სტრატეგიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, აქტიურადაა ჩართული, როგორც ევრაზიის შემაერთებელი სატრანსპორტო-სატრანზიტო ჰაბი.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **დარეჯან გარდავაძე/არაბისტიკა/.** იდიომატური გამოთქმების გამოყენება არაბული ენის სწავლების პროცესში /Idiomatic expressions in the process of teaching Arabic language/ - მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვური განათლების კონტექსტში/Second Language

Teaching/Acquisition in the Context of Multilingual Education/. მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია /Fifth International Conference/. 2023 წლის 11-13 სექტემბერი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ვილნიუსის უნივერსიტეტთან, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრთან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით.

2. **ნინო ეჯიბაძე/არაბისტიკა/.** თსუ, ნ/ კაკაბაძისადმი მიძღვნილი კონფერენცია, 20-21 ივლისი. მოხსენება „არაბული al-jinās" (თეზისები ატვირთულია რეპოზიტორზე).

**3. მარიამ ნანობაშვილი/არაბისტიკა/.** Towards the Study of Verb Aspect in Arabic. Fifth International Conference Second Language Teaching/Acquisition in the Context of Multilingual Education. 11-13 September, 2023. Book of Abstracts.

**4. ნინო დოლიძე/არაბისტიკა/.** *არაბული ციხის ლიტერატურა,* საერთააშორისო კონფერენცია „ცენტრი და პერიფერია: პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ენობრივი სივრცის ადაპტაცია თანამედროვეობაში", 18-20 აპრილი, თსუ, ილიაუნი, კავკასიის უნივერსიტეტი, 2023.

5. **ნინო დოლიძე/არაბისტიკა/.** *თბილისური მაკამის უახლესი ინგლისური თარგმანი,* კონფერენცია „ტექსტი და ინტერპრეტაცია", ეძღვნება თ. კობახიძის ხსოვნას, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტი, 25 მაისი, თსუ, 2023.

6. **ნინო დოლიძე/არაბისტიკა/.** *სიურრეალიზმი როგორც თავშესაფარი,* პროფ. დ. ფანჯიკიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ინსტიტუტი, დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტის გერმანული ფილოლოგიის კათედრა, თარგმანმცოდნეობის კათედრა, საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი, 29-30 ივნისი, 2023.

7. **მარინა ალექსიძე/ირანისტიკა/,** აჰმად ად-დუმანისი და მისი აფორიზმების წიგნი, საერთაშორისო კონფერენცია „შუა საუკუნეების კავკასიის ქალაქები. კვლევა და პერსპექტივები", ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, 25-26 ოქტომბერი, 2023, თბილისი;

8. **მარინა ალექსიძე/ირანისტიკა/,** სპარსელი მომღერლები თბილისში (1801-1921), მრგვალი მაგიდა: პროექტის „თბილისის ეთნორელიგიური მოზაიკა (1801-1921)" განხორციელების მეორე წლის შედეგები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციის ფარგლებში, 15-17 დეკემბერი, თბილისი.

9. **ფატმან ანთაძე-მალაშხია/ირანისტიკა/,** ირანულ-ქართველურ ენობრივ ურთიერთობათა სწავლებისათვის/მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვური განათლების კონტექსტში(SELTAME). 11-13 სექტემბერი, 2023 წელი, თბილისი.
https://seltame.tsu.ge/public/uploads/images/09.09_abstracts_eng.pdf

10. **ფატმან ანთაძე-მალაშხია/ირანისტიკა/, ნანა კაჭარავა/თურქოლოგია/,** თურქულისა და აზერბაიჯანულის შუამავლობისათვის სპარსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობებში/გურამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურულ-საისტორიო ძიებანი". 9-11 ოქტომბერი, 2023 წელი, თბილისი. თეზისები. გვ. 3-5. https://seltame.tsu.ge/public/uploads/images/09.09_abstracts_eng.pdf

11. **მანანა კვაჭაძე/ირანისტიკა/,** „შაჰნამეს თხრობის სტრუქტურისა და პოეტური ენის შესახებ". საქართველოს ეროვნული აკადემიის წ.კ. გურამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85

წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურულ-საისტორიო ძიებანი“, თეზისები, 9-11ოქტომბერი, 2023 წელი, თბილისი, გვ. 44-45.

12. **ირინე ტატიშვილი/ასირიოლოგია/**, ლევან გორდეზიანი, „ოქროს საწმისის ნაკვალევზე“ (საერთაშორისო კონფერენცია: კავკასიის აღქმა მითებსა და ლიტერატურაში ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე, 20-22 სექტემბერი, 2023, თბილისი).

13. **ირინე ტატიშვილი/ასირიოლოგია/**, Levan Gordeziani, "King's Court in Hittite Law"(„მეფის სასამართლო ხეთურ კანონებში") (მე-12 ხეთოლოგიური საერთაშორისო კონგრესი, 4-8 სექტემბერი, 2023, სტამბოლი) https://www.arkitera.com/wp-content/uploads/2023/09/xii.-uluslararasi-hititoloji-kongre-programi-12th-international-hittitology-congress-program.pdf

14. **ნინო სამსონია/ასირიოლოგია/**, ზვიად კვიციანი; ოქროს საწმისის კვალი შუმერულ ტექსტში; მესტიის მუზეუმი, 30 ივლისი 2023. სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია: „სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები“ მიძღვნილი ეთნოგრაფ ციალა ჩართოლანის 90 წლის იუბილესადმი. (გადაგზავნილია დასაბეჭდად).

15. **ნინო სამსონია/ასირიოლოგია/**, ზვიად კვიციანი: ოქროს მოპოვების და დამუშავების სვანური მეთოდი ლურსმული ტექსტების მიხედვით., ისტორიკოს აკაკი კვიციანის დაბადებიდან,100=ე წლისთავისადმი მიძღვნილიო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია.თსუ, 23 სექტემბერი, 2023.

16. ამირან კახიძე, **ნინო სამსონია/ასირიოლოგია/**, ემზარ კახიძე: ინოვაციები ძვირფასი ლითონების მეტალურგიის ისტორიაში: ლეგენდარული კოლხეთი _ ოქროს საწმისის აკვანი. (გადაცემულია დასაბეჭდად). Amiran Kakhidze, Nino Samsonia, Emzar Kakhidze. Innovations in the History of Metallurgy of Precious Metals: Legendary colchis _the Craddle of the Golden Fleece. 22 სექტემბერი, 2023.ს აერთაშორისო კონფერენცია: კავკასიის აღქმა მითებსა და ლტერატურაში; 20-22 სექტემბერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;Internatiol conference: Perception of Caucasus in Myths and Literature from Antiquity till contemporaneity, Tbilisi, 2023.

17. **მარიკა ჯიქია/თურქოლოგია/.** Выдающийся мастер слова и гуманист – Махтумкули Фраги; 17 მაისი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.

18. **მარიკა ჯიქია/თურქოლოგია/.** დაკვირვებანი თურქული ენების ფონოტაქტიკურ სვლებზე – პროფესორ ირინე მელიქიშვილის დაბადების მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. 30 მაისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

19. **მარიკა ჯიქია/თურქოლოგია/.** ქართული მასალა თურქული ფონოტაქტიკის ჭრილში – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ქუთაისური საუბრები XVIII, 9-10 ივნისი, ქუთაისი.

20. **მარიკა ჯიქია/თურქოლოგია/.** ცისანა აბულაძე – ენათმეცნიერი – პროფ.ცისანა აბულაძის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია,19 ივნისი; კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

21. **მარიკა ჯიქია/თურქოლოგია/.** ოთარ ჭილაძის პოეტური ლექსიკის ზოგიერთი თავისებურება –შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი ; 29-30 ივნისი.

22. **მარიკა ჯიქია/თურქოლოგია/.** ონიმთა ინფორმაციულობის ერთი ეპიზოდი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტ გურამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურულ-საისტორიო ძიებანი“, 9 - 11 ოქტომბერი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

23. **მარიკა ჯიქია/თურქოლოგია/.** სიტყვათთხზვა გაიოზ რექტორის ორატორულ მეტყველებაში – IX საერთაშორი-სო კონფერენცია ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები; კონფერენცია ეძღვნება გაიოზ რექტორს; 13-14 ოქტომბერი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
24. **მარიკა ჯიქია/თურქოლოგია/.** თურქიზმები ქართულ სამზარეულო ტერმინოლოგიაში – პროფესორ ბაქარ გიგინეიშვილის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია; 15 დეკემბერი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
25. **ელისაბედ ბჟალავა/თურქოლოგია/.** მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვური განათლების კონტექსტში (11-13. 11. 2023. თბილისი ) მოხსენების სათაური: -mAdAn/-mEksIzIn აბსოლუტივების სწავლების სტრატეგია. https://seltame.tsu.ge/public/uploads/images/09.09._abstracts_geo-.pdf
26. **ქეთევან ლორთქიფანიძე/თურქოლოგია/.** (თანამომხსენებლებთან ერთად), *დედაბრულ ხელნაწერთა ისტორიული მნიშვნელობის განსაზღვრისა და კულტურული ღირებულებების წარმოჩენისათვის,* ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, რუმინეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, რუმინეთის კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტი; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე-II";
27. **ქეთევან ლორთქიფანიძე/თურქოლოგია/.** (თანამომხსენებლებთან ერთად), ორი სამშობლოს ცნება ქართველ ებრაელთა ეპისტოლურ მემკვიდრეობაში, საქართველოს ეროვნული აკადემიის წ.კ. გურამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურულ-საისტორიო ძიებანი",თსუ, 9-11 ოქტომბერი, 2023 წ.
28. **ნანული კაჭარავა/თურქოლოგია/,** ქართული ენის სწავლება თურქეთში (დუზჯეს უნივერსიტეტის მაგალითზე), მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია - მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვური განათლების კონტექსტში, 11-13.09.2023, თბილისი. ორგანიზატორები: თსუ, ვილნიუსის უნივერსიტეტი, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ცენტრი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. თეზისები დაბეჭდილია ქართულ და ინგლისურ ენებზე, გვ.21-22; 80-81.
29. **მზისა ბუსკივაძე/თურქოლოგია/.** XVI საერთაშორისო სამეცნირო სიმპოზიუმი „სოციალისტური რეალიზმის ეპოქა ლიტერატურასა და ხელოვნებაში" . 27-29 სექტემბერი თბილისი, საქართველო საბჭოთა კომუნისტური დისკურსი ნაზიმ ჰიქმეთ რანის შემოქმედებაში.
**30. დალი ჩიტუნაშვილი/არმენოლოგია/,** X საუკუნის უცნობი გადამწერი ულუმბო – იერუსალიმი – ათონი; ხელნაწერთა ეროვნული ცეტრის 65 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია: ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა II, თბილისი, 28-30 ივნისი
**31. დალი ჩიტუნაშვილი/არმენოლოგია/,** ტბეთის ოთხავის საკითხავთა საძიებლის კალენდრისათვის, საერთაშორისო სამეცნიერო კომფერენცია: არქივთმცოდნეობა-წყაროთმცოდნეობა, ტენდენციები და გამოწვევები, თბილის 2023, 21-23 სექტემბერი. file:///C:/Users/Chitunashvili/Downloads/programm_2023.pdf
32. **ომიკო ეჯიბია/აღმოსავლეთის ისტორია/,** 'ალი ალ-შარაფის შავი ზღვის პორტოლანი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, მე-3 კორპუსი (თბილისი), 15-17/09/2023

33. **ომიკო ეჯიბია/აღმოსავლეთის ისტორია/,** ატ-ტაბარისა და იბნ ალ ასირის ცნობები თბილისის შესახებ (შედარებითი ანალიზი), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტი (თბილისი), 7-9/07/2023
34. **ომიკო ეჯიბია/აღმოსავლეთის ისტორია/,** XVI საუკუნის შავი ზღვის ერთი ოსმალური რუკის შესახებ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი), 24/05/2023.
35. **ნანა გელაშვილი/აღმოსავლეთის ისტორია/,** კულტურათაშორისი დიალოგი იაპონური ფერწერის ნიმუშზე, პროფ. ნ. კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნ. XVII საფაკულტეტო კონფერენცია, თბ., თსუ, 20-21 ივლისი, თეზისები, გვ. 34-38.
36. **ნანა გელაშვილი/აღმოსავლეთის ისტორია/,** ქართლის მეფის სიმონ I-ის ალამუთის ციხიდან განთავისუფლების საკითხისათვის, II საერთაშორისო კონფერენცია, მიძღვნ. პროფ. თამაზ ზერაძისადმი, თბ., - საქართველოს უნივერსიტეტი, 7-8 ოქტომბერი.
**37.** **ნანა გელაშვილი/აღმოსავლეთის ისტორია/,** მონღოლთა იმპერიის იდეოლოგიური პოლიტიკის სპეციფიკური თავისებურებანი, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ.ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85 წლისთავისადმი მიძღვნ. საერთაშორისო სამეცნ. კონფერენცია „კულტურულ-საისტორიო ძიებანი“, თეზისები, თბ.,- თსუ, 9-11 ოქტომბერი.
38. **ნანა გელაშვილი/აღმოსავლეთის ისტორია/,** იაპონური სახვითი ხელოვნების განვითარების ეტაპები, მე-6 საერთაშორისო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვე კონტექსტში“, ბათუმი - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 21-21 ოქტომბერი.
39. **თუმანიშვილი ხათუნა/არაბისტიკა/.** ინდივიდუალური ასპექტები ზეპირსიტყვიერ მცირე ფორმათა ფოლკლორიზაციის პროცესში (სირიულ დიალექტური არაბული ანდაზების კორპუსზე ქართული შესატყვისებით). იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტიVII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ,,კულტურათაშორისი დიალოგები“

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

1. ............./დარეჯან გარდავაძე/
2. რეპოზიტორზე
3. რეპოზიტორზე
4. სტატია
5. სტატია
6. სტატია
7. მოხსენებაში განხილულია XIII საუკუნის მოღვაწის აჰმად ად-დუმანისი ას-სივასის ცხოვრება და მოღვაწეობა და ყურადღება გამახვილებულია მის თხზულებაზე „მუჯმალ ალ-

აკვალ ფი-ლ-ჰიქამ ვა ლ-ამსალ“ („კრებული აფორიზმებისა სიბრძნესა და ანდაზებში“), რომელიც 1293 წელს დაიწერა და 2016 წელს წიგნად პირველად გამოიცა (2002 წელს დაიბეჭდა კრებულის ავტოგრაფის ფაქსიმილე ).

8. XIX საუკუნე და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ევროპეიზაციას სპარსული კულტურული გავლენის მკვეთრი შემცირება მოჰყვა, თუმცა ის მეტ-ნაკლებად კვლავ იჩენდა თავს ყოფაში, საცხოვრებლის შემკობა-გაწყობაში, ქცევის ნორმებში, ეტიკეტსა თუ „სუფრის კულტურაში“. აღმოსავლური კულტურის ერთ-ერთ უკანასკნელ ბასტიონს საქართველოში სპარსული მელოდიები და მათი შემსრულებელი მუტრიბები წარმოადგენდნენ. მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია სახალხო მომღერლების - აშუღ-საზანდარების ინსტიტუტზე და გამოკვეთილია ყველაზე ცნობილი სპარსელი საზანდარები: ალავერდა, სათარა და ჯაფარა. ასევე მიმოხილულია როგორც თბილისში მცხოვრებ სპარსელ მუსიკოსთა პატარა ანსამბლები, რომლებიც თავს ევროპულ ყაიდაზე ორკესტრად მოიხსენიებდნენ, ისე ირანიდან მცირე ხნით „საგასტროლოდ“ ჩამოსული მუსიკალური ჯგუფები. ისინი უკრავდნენ აღმოსავლურ, თუმცა სახეცვლილ, „გათბილისებულ“ საკრავებზე და კონცერტებს მართავდნენ ქუჩებსა და ბაღებში, დუქნებსა და სარდაფებში, საკონცერტო სცენებზე თუ თბილისელ დიდგვაროვანთა ნადიმებზე.

9. ............

10. ..........

11. ..........

12. .........

13. .............

14. ...........

15. ოქროს მოპოვების და დამუშავების სვანური ცოდნა ლურსმული ტექსტების მიხედვით _სვანეთში არსებობდა სპილენძის, ოქროსა და რკინის მოპოვებისა და დამუშავებისათვის საჭირო ყველა აუცილებელი წინაპირობა: ბუნებრივი რესურსების სიუხვემ და მრავალფეროვნებამ ისტორიულად ხელსაყრელი პირობები შექმნა ამ ტერიტორიაზე მეურნეობის ძირითადი დარგების მეტალურგიის, ოქრომჭედლობის, მესაქონლეობასა და მიწათმოქმედების ჩასახვა-განვითარებისათვის. სვანეთში აღმოჩენილი ოქრომჭედლობის შედევრების დიდი ნაწილი სვანეთშივე უნდა იყოს დამზადებული სვანი ოსტატების მიერ სვანეთშივე მოპოვებული ოქროდან. აკად. გ. ჩუბინაშვილმა დაადგინა – ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშების ნაწილი, რომლებიც სვანეთშია შემონახული და დამზადებულია ადგილობრივ სახელოსნოებში. პლანეტის სხვადასხვა რეგიონები ხასიათდებიან სხვადასხვა მეტალოგენიური თავისებურებებით, შესაბამისად ამ რეგიონებში ლოკალიზებული ოქროს საბადოების თვითნაბადი ოქროს მარცვლები განსხვავდებიან მიკროელემენტების ( Cu, Ag, Pb, Zn, Se, Te, Ti, და სხვა ) შემცველობებით და ფიზიკური თვისებებით, რაც საშუალებას იძლევა დადგენილი იქნას ოქროს მარცვლების სადაურობა. ამ მხრივ კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს მდ. ენგურის ქვიშრობული ოქროს მკვებავი მარცხენა და მარჯვენა შენაკადები. აქამდე სვანური ოქროს მოპოვების წესებზე, მხოლოდ ალუვიური ოქროს მოპოვების მეთოდია ცნობილი (ისიც წერილობით) ახალა ფაქტებით, დოკუმენტალურად დასტურდება, ჭუბერის აღმოჩენა, კლდეში ნაკვეთი გობი. ადრეული დროიდან ოქროს მოპოვება ხდებოდა, როგორც მდინარეული ნალექებიდან უმცირესი ნაწილაკების სახით (ოქროს სილა), ასევე – სამთო გამონამუშევრებიდან. მადნიან ზონაში დაფიქსირებულია 300-ზე მეტი ოქროსმატარებელი, ძლიერ დამსხვეული კვარცის ძარღვი და ლინზა. თვითნაბადი ოქრო გვხვდება ფირფიტების, ნახევრად დამრგვალებული კრისტალების და უფორმო მარცვლების სახით. სვანეთის მადნიანი რაიონის პერსპექტივა ოქროს გამადნების თვალსაზრისით ამოუწურავია. სვანეთის ენგურის ნაპირის სოფლებში დღემდე არსებობს ოქროს ქვიშის მოპოვების უწყვეტი ტრადიცია. თაობიდან თაობაზე

გადმოსული ემპირიული ცნობა დღემდეა შემონახული.მოხსენებაში დეტრალურად განვიხილავთ ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდს, ტექსტის 420-434 სტრიქონებს. დეტალურად წარმოვადგენთ კომპოზიტების მნიშვნელობას და სავარაუდო წაკითხვებს. ეპიზოდი იწყება ენქის მიერ ენმერქარისთვის დაფარული სიბრძნის ბოძებით (420-21სტრ.), ხოლო 423-ე სტრიქონში ვკითხულობთ:დაზიანებული სტრიქონიდან მხოლოდ წარმოდგენილი სიტყვების აღდგენა ხერხდება, რაც ჩვენთვის საინტერესო საკითხისთვის მეტად მნიშვნელოვანია. აქ აშკარაა, რომ საქმე გვაქვს მეტალების დაქუცმაცების უძველეს, ენგურის აუზისთვის ცნობილ მეტალების დამუშავების წესთან. ტექსტის შემდეგი სტრიქონები კი მოგვითხრობენ სხვადასხვა მინარევებისგან და ქიმიური პროცესებისგან გარკვეული მასალის მიღების ცოდნის შესახებ.

16. უახლესი აღმოჩენების მიხედვით დასტურდება, რომ ფერადი ლითონების მეტალურგიის პროცესებთან დაკავშირებული ნოვაციები თავის ასახვას ჰპოვებს როგორც მესოპოტამიის ასევე ანატოლიის წერილობით ძეგლებთან.რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია მახვილაურის ნივთიერი კულტურის ძეგლების მაგალითზე. ერთი ნაწილი მომდინარეობს ჩრდ. ანატოლიის უძველეს მკვიდრთა ხათების, პროტოხეთების საცხოვრისიდან, რომლებიც ძვ.წ. III ათასწლეულით თარიღდებიან. ამას ემატება ისიც, ფერადი მეტალურგიის კვლევის პროცესებში თავი იჩინა უნიკალურმა არქეოლოგიურმა არტეფაქტებმა (მხედველობაშია ბრინჯაოს ნახევარფაბრიკატების ზოდების ჩამოსასხმელი ფორმების დასამზადებლად განკუთვნილი კერამიკული ყალიბები და მათთვის განკუთვნილი ქვის მოდელები).ძველი კოლხეთი წარმოადგენდა ბრინჯაოს ზოდების გავრცელების კლასიკურ ქვეყანას, რომლებიც ფართოდ არის გამოყენებული ძველაღმოსავლურ ქვეყნებში, ექსპორტისთვის განკუთვნილი ნახევარფაბრიკატების საზღვაო, სამდინარო თუ სახმელეთო გზებით ტრანსპორტირებისათვის. გაოცებას იწვევს, რომ მსგავსი ზოდები აღმოჩენილია ძველი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მემკვიდრეობაში, განსაკუთრებით კი ანატოლიასა და მესოპოტამიაში. ასევე ითქმის ევროპის კონტინენტის მიმართაც. ცხადზე უცხადესია, რომ მსგავსი არეალის მქონე ქვეყნებში, ლითონზე დიდი მოთხოვნილების მქონე ქვეყნებში ნახევარფაბრიკატების მიწოდების ერთერთი მთავარი მიმწოდებელი ჩვენი ქვეყნის მეტალურგები უნდა ყოფილიყვნენ. რა თქმა უნდა, ახლადაღმოჩენილი ტრანსკონტინენტური მეგაკულტურის შემომქმედნი ნედლეულის გარდა, ფერადი ლითონების სამთამადნო მოპოვებას, მეტალურგიასა თუ ლითონდამუშავებაში ემპირიული ცოდნის მიმწოდებელი უნდა ყოფილიყვნენ. ჩვენ ვთვლით, რომ სრულიად არაა შემთხვევითი, რომ ხეთურ ლურსმულ ტექსტებში და უფრო ადრეც, შუმერულ ტექსტშიც ასე ბლომად არის გაბნეული ამ შემთხვევაში ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ძვირფასი ლითონების წარმოებასთან დაკავშირებული მითიურ-ალქიმიური თუ მეცნიერული ცოდნა-ჩვევები.

17. .......
18. .......
19. .......
20. .......
21. .......
22. .....
23. .....
24. .......
25. ........
26. ჩვენი მოხსენება ეხება მხედრული ანბანის გრაფიკულად გარდასახული ხელწერით შესრულებულ დოკუმენტებს, რომლებიც, ძირითადად, დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და თარიღდება XIX ს-ით. ისინი სხვადასხვა შინაარსისაა:

ეთნოგრაფიული შინაარსის თხზულებები, ლექსები,თქმულებები,ზღაპრები, კარაბადინები და სხვ. როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, ქართული დამწერლობის ამგვარი განსაკუთრებული სახე ცნობილი იყო „დედაბრული ხელის" სახელწოდებით, რადგან მას უმთავრესად ქალები ხმარობდნენ". "დედაბრული ხელი" ასოთა თავისებური მოხაზულობით ხასიათდება, ძირითადად ტეხილი, წახნაგოვანია. სიტყვები და წინადადებები ხშირად გადაბმულია. ახასიათებს ასოთა, სხვადასხვა ხმოვნისა და თანხმოვნის, მეტობა.ხმოვანმეტობა დასტურდება „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით" შესრულებულ ყველა ხელნაწერში.იგი მიჩნეულია მხედრული დამწერლობის ადრეულ სახეობად (ვ. სილოგავა, ნ. ბერძენიშვილი, თ. სახოკია და სხვ.), რადგან ძალიან ჰგავს XI ს-ის მხედრულის გრაფიკულ მოხაზულობას.აღსანიშნავია, რომ წერის ამგვარი მანერა ჩნდება აჭარაში, ანუ იქ, სადაც ძლიერი იყო უცხო, ოსმალური კულტურის ზეგავლენა, რაც საფრთხეს უქმნიდა ქართულ-ეროვნულ თვითმყოფად კულტურას. დამწერლობის ამ ახალ სტილს საიდუმლო დამწერლობასაც უწოდებენ (მ. ხახუტაიშვილი), რაც მრავალ კითხვას აჩენს მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. ჩვენი აზრით,წერის საიდუმლო კულტურა, დედაბრული ხელნაწერები ემსახურებოდა არა მხოლოდ ენის გადარჩენას, არამედ იმავდროულად ავთენტური, ქართული ტრადიციებისა და ფასეულობების შენარჩუნებასაც.

27. ............

28. .............

29. საბჭოთა კომუნისტური იდეოლოგიის გავლენა და მასშტაბები მხოლოდ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების ლიტერატურასა და კულტურაზე არ ვრცელდებოდა. „ხალხთა თანასწოროების" ქვეტექსტით შენიღბული „ხალხზე გაბატონების" იდეოლოგია არც თურქული ლიტერატურისთვისაა უცხო. მე-20 საუკუნის დასაწყისში თურქეთის პოლიტიკურიმდგომარეობის სიმძიმე ჯერ კიდევ სრულიად ახლაგაზრდა პოეტთა გარკვეულ ჯგუფს იძულებულს ხდის მოსკოვში წავიდეს. იქამდე კი თურქეთის კომუნისტური პარტია შეფარვით ცდილობს კომუნისტური იდეების საზოგადოებაში გავრცელებას, რაც სრულ დისონანშია მუსტაფა ქემალ ათათურქის მიზნებსა და ამოცანებთან. ნაზიმ ჰიქმეთ რანი ლამის ერთადერთი თურქი პოეტი, მწერალი და სცენარისტია, რომელიც გარდაცვალებამდე ერთგულ კომუნისტად დარჩა. პოეტის შემოქმედებაში საბჭოთა კომუნისტური იდეოლოგია საწყისს ეტაპზე ბელადის,სტალინის, გაიდიალების, მოგვიანებით კი მისი კრიტიკის მკაფიო ელემენტებს შეიცავს. აღნიშნული, მჭიდროდ უკავშირდება ნაზიმ ჰიქმეთის მოსკოვში სწავლისა და ცხოვრების წლებს. ლექსში, რომელიც სტალინს ეძღვნება იგი გლეხი მეჰმედის პირით საკუთარი ქვეყნის გათავისუფლების ერთადერთ იმედად ბოლშევიკებს მიიჩნევს. გარდა ამისა, მისთვის სტალინიკომუნიზმის სიმბოლოა, მარად ახალგაზრდა და მარად ცოცხალი. სტალინის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში პოეტი წერს ლექსს, რომელშიც ნათლად იკითხება სტალინისგან გათავისუფლების სიხარული და შვება. ნაზიმ ჰიქმეთის კომუნისტური იდეები ათათურქისხელისუფლებისათვის სრულიად მიღებელი იყო. სწორედ ამიტომ მან ცხოვრების 16 წელი თურქეთის სხვადასხვა ციხეში გაატარა. მოქალაქეობაც ჩამოართვეს და დაკრძალვითაცოსკოვშია დაკრძალული. ნაწარმოებში „ჩემი ქვეყნის ადამიანები" თურქეთს იგი ადარებს შავ მატარებელს, რომლის მგზავრებიც სხვადასხვა დროისა და სოციალური ფენის წარმომადგენლებიარიან. პერსონაჟების გარკვეული ნაწილი პატიმარია. ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედებაში სოციალისტური რეალიზმი ეროვნული თვითშეგნების გაჯანსაღებაზეა ორიენტირებული, რაც პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ბედნიერ მომავალს. იქამდე კი იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი გზა მისთვის საბჭოთა კომუნისტური იდეოლოგიიას.

30. ..................

31. ..............

32. ...............
33. ...............
34. ................
35. .............
36. ქართლის მეფე სიმონ I 1569 წელს ფარცხისთან, ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლის დროს, ტყვედ ჩავარდა, რის შემდეგაც ის შაჰ თამაზს მიჰგვარეს ირანში. შაჰმა დიდი პატივით მიიღო ქართლის მეფე, მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ, ისლამის მიუღებლობისთვის, ის ირანის მიუვალ ციხეში - ალამუთში გამოკეტა. სიმონმა ტყვეობაში რვა წელი გაატარა, ქართლს კი იმ ხნის მანძილზე მისი ძმა - გამუსლიმებული დაუდ-ხანი მართავდა. ბედის ირონიით, სიმონთან ერთად ციხეში იმყოფებოდა შაჰ თამაზის უფროსი ვაჟი - ისმაილი, რომელიც მამამისმა ჯერ კიდევ 1557 წელს დაატყვევა, უსაფუძვლო ეჭვიანობის გამო. სხვადასხვა წერილობით წყაროთა გადმოცემით, ქართველ მეფესა და ირანელ უფლისწულს შორის ციხეში ისეთი გულთბილი ურთიერთობა ჩამოყალიბდა, რომ ისმაილმა ციხიდან განთავისუფლებისა და სეფიანთა სამეფო ტახტის დაკავებისთანავე, თავისი ტყვეობის მეგობარი პატიმრობიდან გაანთავისუფლა. ცოტა მოგვიანებით, კერძოდ, შაჰ ისმაილ II-ის გარდაცვალების შემდეგ გამეფებულმა მოჰამმად ხოდაბანდემ სიმონი საქართველოში გაისტუმრა. როგორც ისტორიიდან ცნობილია, 1578 წლის შემოდგომაზე სამშობლოში დაბრუნებული სიმონ მეფე აქტიურად ჩაერთო ახლად გაჩაღებულ ირან-ოსმალეთის ომში. ნაშრომში განხილული და დაზუსტებულია ზემოთ ხსენებული ისტორიული მოვლენების ცალკეული დეტალები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებულადაა გაშუქებული სხვადასხვა წერილობით წყაროებში. მათი მონაცემების ურთიერთშეჯერებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, ასევე განხილულ კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში განვითარებული მოვლენების თანადროულობის გათვალისწინებით, ნაშრომში გამოტანილია სათანადო დასკვნები. კერძოდ, სიმონ მეფე პატიმრობიდან გაანთავისუფლა სწორედ შაჰ ისმაილ II-მ, ამის მიზეზი ქართლის მეფის მიმართ მისი გულთბილი დამოკიდებულება იყო. 1577 წელს მოულოდნელი გარდაცვალების გამო, მან სიმონის სამშობლოში გასტუმრება ვეღარ მოასწრო, ეს ირანის მომდევნო შაჰმა - მოჰამად ხოდაბანდემ განახორციელა. ამჯერად სიმონის მიმართ გამოჩენილი გულმოწყალება - საქართველოში გასტუმრება და მისთვის ქართლის სამეფო ტახტის დაბრუნება, ირანის პოლიტიკური ინტერესებით იყო განპირობებული, კერძოდ, მას საქართველოს ტერიტორიაზე შეჭრილ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა ევალებოდა.
37. ..............
38. .................
39. დაბეჭდილია მასალები.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **დარეჯან გარდავაძე/არაბისტიკა/.** იდიომატური გამოთქმები უცხო ენის სწავლებასა და ტესტირებაში. - 2023 წლის 12-13 დეკემბერი. მეფე სალმანის არაბული ენის საერთაშორისო აკადემია, საუდის არაბეთის სამეფო, ქ. რიადი (არაბულენოვანი აბსტრაქტების წიგნი, გვ. 35-36).
2. **დარეჯან გარდავაძე/არაბისტიკა/.** ოსამა ლ-ისას რომანი „ბეთლემის გიჟები“ – მეტაფიქციური პოსტმოდერნული ტექსტი/Osama Alaysa’s Novel “The Fools of Bethlehem” as a Metafictional Postmodern Text/: 2023 წლის 1-2 ივნისი. პოლონეთი, ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის არაბისტიკისა და ისლამისტიკის დეპარტამენტი.

INTERNATIONAL CONFERENCE MODERN ARABIC LITERATURE — BETWEEN MYTH AND REALITY/ საერთაშორისო კონფერენცია „არაბული ლიტერატურა მითსა და რეალობას შორის“/;

3. **ნინო ეჯიბაძე/არაბისტიკა/.** ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 28-29 ივნისი, Armenian Conference on Teaching Arabic as a Foreign Language, მოხსენება: „Arabic Heterography“.

4. **ნინო დოლიძე/არაბისტიკა/.** Surrealist Images and their Function in the Poetry of Ahmad Taha, La volonté d'horizon of Georges Henein: Art, Literature and Politics 50 Years Later, Istituto per l'Oriente C. A. Nallino, Rome, 14th and 15th December, 2023.

5. **მარინა ალექსიძე/ირანისტიკა/,** თბილისის სპარსული თემი (1801-1921), საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ცენტრის (CNRS) მუდმივმოქმედი სემინარი „კავკასია იმპერიებს შორის (XVI- XXI საუკუნეები)“, 3 ნოემბერი, პარიზი.

6. **ფატმან ანთაძე-მალაშხია/ირანისტიკა/,** ანა ზერაძე, On Etumologization and Chronologization of Some Middle Persian Loanwords in Georgian (ქართულში შემოსულ რიგ საშუალო სპარსულ ნასესხობათა ეტიმოლოგიზაციისა და ქრონოლოგიზაციისათვის)/XI Congress of the Spanish Society of Iranian Studies, October 26-27, 2023, Santiago de Compostela.

7. **მანანა კვაჭაძე/ირანისტიკა/,** ავტორ-მთარგმნელთა კონცეფციის შესახებ: „ალექსანდრეს რომანი“, „ისქანდერნამე“, „ალექსანდრიანი“. On the concept of author-translators: Alexander Romance, Iskander-nameh, Alexandriani. XI Congress of the Spanish Society of Iranian Studies. October 26-27, 2023, Santiago de Compostela. პროგრამა (მასალები იბეჭდება).

8. **მარიკა ჯიქია/თურქოლოგია/.** Грузинские учёные о творчестве Абу Али ибн Сины –1 ოქტომბერი, აშხაბადი (on-line, zoom-ის პლატფორმა). ქართველი მეცნიერები აბუ ალი იბნ სინას (ავიცენას) შემოქმედების შესახებ.

9. **ელისაბედ ბჟალავა/თურქოლოგია/.** გაზის უნივერსიტეტის და სასწავლო პროცესების მართვის სპეციალისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული მე-14 საერთაშორისო განათლების ფორუმი (EYFOR-XIV) „თურქული განათლების სისტემა და მისი მომავალი“ (02-07.05.2023 ქ.ანტალია, თურქეთი). მოხსენების სათაური: „ ქართული თურქოლოგიის გამოწვევები“.

10. **ქეთევან ლორთქიფანიძე/თურქოლოგია/,** *For the Function of the Turkish –lik Suffix in Laz.(თურქული –lik სუფიქსის ფუნქციონირებისათვის ლაზურში)* საერთაშორისო სიმპოზიუმი - განათლება, სწავლება, სწავლა (STEL - 2023), საერთაშორისო კვლევების ფონდი; 2023 წ. 15 თებერვალი, ბერლინი, გერმანია;

11. **მზისა ბუსკივაძე/თურქოლოგია/.** საქართველოში “დედე ქორქუთის წიგნი” შესახებ (ჰუბრისი საკითხი დელი დუმრულისა და ამირანის ეპოსში) ანკარა, თურქეთის რესპუბლიკა.

12. **დალი ჩიტუნაშვილი/არმენოლოგია/.** Dali Chitunashvili, Georgian Palimpsests: Paleography, Codicology, Dating Problems, WORKSHOP: Removed and Rewritten: Palimpsests and Related Phenomena from a Cross-Cultural Perspective"; Hamburg, Germany, 10-11 July.

**13. მირიან მახარაძე,** ლოზანის კონფერენცია ქართული საბჭოთა პრესის „წითელი არმიელის“ ფურცლებზე (თურქულ ენაზე), 17-18 ივლისი, 2021. ანკარა თურქეთი.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

1. ......
2. .......

3. არაბული დამწერლობის ხარვეზიანი ხასიათი განაპირობებს, რომ არაბულ სინამდვილეში ფუნქციონირებს მოვლენა, რომელსაც ჰეტეროგრაფია ეწოდება და გულისხმობს, რომ ერთსა და იმავე გრაფიკულ ტექსტს შეიძლება შეესაბამებოდეს ზეპირი დეშიფრირების ერთზე მეტი ვატიანტი. არაბულ სიმანდვილეში, სადაც დიგლოსია, რომელიც ჩვეულებრივ არის ზეპირი მოვლენა, იღებს წერილობით გამოვლინებასაც, ჰეტეროგრაფიაც შესაძლებელია იყოს დიგლოსიური (ისევე, როგორც, პირობითად, ბილინგვური). პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რომ დიგლოსია, კოდის გადართვა, ჰეტეროგრაფია და დიგლოსიის სხვა თანმხლები მოვლენები, რომლებიც ჩვეულებრივ ენობრივ სივრცეს ეკუთვნის, არაბულის შემთხვევაში ლიტერატურულ მხატვრულ ხერხადაც იქცა.

4. მოხსენებაში გაანალიზებულია ეგვიპტელი პოეტ აჰმად ტაჰას (1952-) 90-იან წლებში გამოქვეყნებული პოეზია, სადაც სიურრელისტური ნიშნები იჩენს თავს. რამ განაპირობა სიურრეალისტური ხატების გაჩენა მე-20 ს-ის მიწურულის არაბულ პოეზიაში? გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს ჯ. ჰანინმა სიურრელისტური ორგანიზაცია დააარსა, რომელიც ტაბუების მსხვრევის, დრომოჭმულ ტრადიციულ ნორმებთან ბრძოლის, სიახლის დამამკვიდრებელ კულტურულ და საგანმანათლებლო მოძრაობად იქცა. ამ მოძრაობამ მთელი მე-20 ს-ის ეგვიპტურ კულტურაზე მოახდინა გავლენა, რის შედეგადაც, სიურრეალისტური ენა პროტესტის ენად და სათქმელის არაპირდაპირი გზით თქმის საშუალებად ჩამოყალიბდა. თუ ევროპაში თვითგამოხატვის სიურრელისტური ფორმები, როგორც რეალობასთან შეუგუებლობის საშუალება, მხოლოდ 60-იანელთა ახალგაზრდული გამოსვლების დროს გაიხსენეს, ეგვიპტეში ის დღემდე აქტუალურია.

5. მოხსენებაში განხილულია XIX საუკუნისა და XX საუკუნის დამდეგის თბილისის სპარსული თემი და ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: თბილისელი სპარსელების საცხოვრებელი უბანი - სეიდაბადი, იგივე აბანოთუბანი და ქალაქის ციხის მიმდებარე ტერიტორია, ანუ „თათრის მოედანი“ მოსაზღვრე ქუჩებით; თბილისელი სპარსელების ძირითადი პროფესიული ჯგუფები: მშენებლები, ვაჭრები, ხელოსნები და სპეციფიკურად „სპარსული პროფესიები“ - მექისეები, თულუხჩები, საზანდარები და მირზები; სპარსელი დიპლომატები და პოლიტიკური ემიგრანტები; სპარსელების საქველმოქმედო საქმიანობა თბილისში; ისლამი და კონფესიათშორისი ურთიერთობები თბილისში.

6. მოძიებულია ქართულში შემოსული ორი საშუალო სპარსული ნასესხობა – ბადაგი 1)„ყურძნის წვენი(ტკბილი), შესანახად მოდუღებული“; 2)„გურული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში“<საშ. სპარს. bādag „ღვინო, მუშკი“ და ჭაშნიკი „სასმელის ნიმუში გემოს გასასინჯად; გემო“<საშ. სპარს. čāšnīk „გემო“. ორ შემთხვევაში დაზუსტებულია ეტიმონები – ბუნაგი „ნადირის სადგომი“<საშ. სპარს. bunag „ბარგი, საცხოვრისი, ბანაკი“ და მატიანე „ისტორიული მოვლენების ყოველწლიური ქრონოლოგიური ჩანაწერი; ისტორია“<საშ. სპარს. mātiyān „დოკუმენტი“. პართიზმად მიჩნეული მარაგი საშუალო სპარსული წარმომავლობის სიტყვაა, რომლის ეტიმონად marag „რიცხვი“ გვევლინება.განხილულია ქართულში შემოსულ საშუალო სპარსულ ნასესხობათა ქრონოლოგიური ასპექტი, მათი მომდინარეობა საშუალო სპარსულის ადრინდელი თუ გვიანდელი პერიოდიდან. ამგვარი კლასიფიკაცია მხოლოდ სპეციფიკურ შემთხვევებშია შესაძლებელი, კერძოდ, როცა ნასესხობა პოსტვოკალური და ინტერვოკალური საშუალო სპარსული p, t, k-ს შემცველ ეტიმონთაგან მომდინარეობს. საკვლევ ერთეულთა ადრინდელ და გვიანდელ ნასესხობებად დაყოფისას ხსენებულ თანხმოვანთა ქართულში გადმოცემის ფორმას ვეფუძნებით. პოსტვოკალური და ინტერვოკალური p, t, k დამახასიათებელი იყო ადრინდელი საშუალო სპარსულისა და პართულისათვის, გვიანდელ საფეხურზე კი p, t, k მითითებულ პოზიციაში გამჟღერდა და b,

d, g-დ გადაიქცა. შესაბამისად, პოსტვოკალური და ინტერვოკალური p, t, k ქართულში პ, ტ, კ-დ გადმოდის, ხოლო b, d, g-ს ბ, დ, გ შეესაბამება. მოხსენება წარმოადგენს ქართულში ნასესხებ საშუალო სპარსულ ნასესხობათა ქრონოლოგიური თვალსაზრისით განხილვის პირველ მცდელობას. სამ შემთხვევაში წარმოდგენილია ერთი და იმავე ნასესხობის როგორც ადრინდელი, ასევე გვიანდელი ტიპის ვარიანტები, რაც გარკვეულ პერიოდში მათ თანაარსებობაზე მიუთითებს. იხილეთ: ადრ. იაკინთი<საშ. სპარს. yākint/გვიანდ. იაგუნდი<პართ. yākund/*yāgund „იაგუნდი", ადრ. არზანიკი/გვიანდ. არზანიგი „ღირსი, ღირსეული, ჯეროვანი; ღირსება, ხარისხი; ძღვენი, საჩუქარი"<საშ. სპარს. arzānīg/arzānīg „ღირებული, ღირსეული", ადრ. ხოსტაკი/გვიანდ. ხუასტაგი/ხოსტაგი „ქონება, საქონელი, პირუტყვი, განძი, ფული"<საშ. სპარს. xvāstak/xvāstag „ქონება, სიმდიდრე".

7. ამბები ალექსანდრე დიდის შესახებ ძველი დროიდანვეა გავრცელებული მთელ მსოფლიოში როგორც წერილობითი, ისე ზეპირსიტყვიერი სახით. ალექსანდრე მაკედონელი (ძვ. წ. 356 – 323) სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდარულ გმირად, გარდაცვალების შემდეგ კი ერთმანეთს შეერია ისტორიული ფაქტები, ფოლკლორული მოტივები, ლიტერატურული სიუჟეტები, სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის რეალობას მისადაგებული ამბები.„ალექსანდრეს რომანი" არის ძველბერძნული თხზულება, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის გაიდეალებულ თავგადასავალს გადმოგვცემს, მასში ერთმანეთს ენაცვლება რეალური და ფანტასტიკური ამბები. თხზულების ავტორობა მიეწერებოდა ალექსანდრეს თანამედროვეს, მისი კარის ისტორიკოსსა და მკურნალს, კალისთენეს; მოგვიანებით გაირკვა, რომ ამ თხზულებას კალისთენესთან საერთო არაფერი ჰქონდა და იგი ფსევდოკალისთენესეულად მოინათლა. რომანი გაცილებით გვიან, ძვ. წ. II – I საუკუნეებში ჩამოყალიბდა და შემდეგაც მრავალგზის გადამუშავდა. მისი 80-მდე რედაქცია არსებობს.ბერძნული დედანი დაედო საფუძვლად რომანის პირველ თარგმანს აღმოსავლეთში. იგი ითარგმნა საშუალო სპარსულ, სირიულ, კოპტურ, ეთიოპურ, სომხურ ენებზე. ფალაური, სირიული და არაბულ ქრონიკები საფუძვლად დაედო ახალ სპარსულ ენაზე შექმნილ მრავალრიცხოვან ვერსიებს, როგორებიცაა ბალამის ქრონიკა, ფირდოუსის „შაჰნამეში" ჩართული ეპიზოდი ალექსანდრე მაკედონელის შესახებ, ხალხური რომანები და სხვა. პირველი ვრცელი პოემა „ისქანდერნამე" ეკუთვნის ნიზამი განჯევის (XII ს.), რომელსაც წერილობითი წყაროების გარდა გამოყენებული აქვს ამიერკავკასიაში გავრცელებული ზეპირი გადმოცემები. შემდგომში შექმნილ ვერსიათაგან აღსანიშნავია ხოსროვ დეჰლევის (XIII ს.), ჯამის (XV ს.) და ნავოის (XV ს.), პოემები. თითოეულ მათგანში იკითხება მოვლენათა განსხვავებული ხედვა, იხატება ისტორიული პირის იდეალიზებული, მაგრამ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სახე. „ალექსანდრიანი" – ქართულად ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლი; მისი პირველწყაროა ფსევდოკალისთენეს „ალექსანდრეს რომანი", რომლის კვალი ჩანს ჯერ კიდევ IX საუკუნის ძეგლში „მოქცევაი ქართლისაი" და ლეონტი მროველის ნაშრომში. ისტორიული წყაროებით დგინდება, რომ ქართველი მემატიანეები იცნობდნენ როგორც ბერძენ, ისე აღმოსავლელ მწერალთა ნაწარმოებებს ალექსანდრე მაკედონელის შესახებ. „ალექსანდრიანის" უძველეს ქართულ თარგმანს ჩვენამდე არ მოუღწევია, გვაქვს მხოლოდ გვიანი, XVIII საუკუნის არჩილ მეფისეული თარგმანი, რომელიც სერბულ-რუსულ წყაროებს უკავშირდება. XIV – XV საუკუნეებში სამხრეთ ევროპაში შექმნილი და ფართოდ გავრცელებული ახალი რედაქცია ალექსანდრეს რომანისა 1700 – 1713 წლებში პროზად თარგმნა არჩილ მეფემ, 1713 – 1724 წლებში არჩილის თავისუფალი თარგმანი გალექსა სასულიერო პირმა და მწერალმა პეტრე ჩხატარაისძემ, მანვე ხელახლა პროზაულად გადაამუშავა ქართული „ალექსანდრიანი", სრულიად გადააკეთა ზოგიერთი ეპიზოდი, დაურთო ახალი თემატური დეტალები, გააღრმავა ანტიმუსლიმური ტენდენცია, გააძლიერა ქრისტიანული მოტივი და სხვა.სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებსა და ჩვენს დაკვირვებებზე დაყრდნობით მოკლედ მიმოვიხილავთ ალექსანდრე მაკედონელის

სახის ტრანსფორმაციის თემას, შევეხებით ავტორ-მთარგმნელების კონცეფციისა და მოტივაციის საკითხებს.

8. მრავალმხრივმა, პროგრესულმა მოაზროვნემ აბუ ალი იბნ სინამ დიდი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების მეცნიერების განვითარებაზე როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში. მან დატოვა უზარმაზარი მემკვიდრეობა მედიცინის ისტორიაში, შექმნა გამორჩეული ნაშრომები მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში. მოხსენება ეძღვნება ავიცენას მემკვიდრეობის შესწავლას ქართულ სამეცნიერო სივრცეში. გამოჩენილმა ქართველმა სემიტოლოგმა ვლადიმერ ახვლედიანმა გამოსცა ავიცენას არაბულენოვანი ფონეტიკური ტრაქტატი, დაურთო მას რუსული თარგმანი და გამოკვლევა. აბუ ალი იბნ სინას კვლევებმა მუსიკათმცოდნეობის დარგში გზა გაუხსნა ფონეტიკური აკუსტიკის საკითხების განვითარებას. დიდი მოაზროვნის მიერ შექმნილი სუფთა წყობა განსხვავდება შუა საუკუნეების ევროპული სუფთა წყობისგან მთელი რიგი ძირითადი და შუალედური ინტერვალებით. ავიცენას სუფთა წყობის შექმნა გახდა ქართველი მუსიკათმცოდნის, ბორის გულისაშვილის საკვლევი დომინანტური თემა. აკად. გიორგი ჯიბლაძემ ეგზოტერიული ესე უძღვნა ავიცენას ფილოსოფიურ სისტემას.

9. ........

10. ...........

11. მოხსენებაში შესწავლილია საქართველოში "დედე ქორქუთის წიგნის" შესახებ არსებული სამეცნიერო მასალები. დალაგებულია თემატიკისა და გამოცემული წლების მიხედვით. გამოყოფილია ძეგლის მნიშვნელოვანი საკითხები. დელი დუმრულისა და ამირანის ეპოსში გაანალიზებული ჰუბრისის საკითხი. კვლევის მეთოდოლოგიურ ბაზას წარმოადგენს შედარება-ანალიზის მეთოდი. კვლევის შედეგად მიღებულია დასკვნები. დელი დუმრულისა და ამირანის ეპოსში ვხდებით ღმერთის გამოწვევის თემას, ერთ შემთხვევაში ადგილი აქვს სინანულს , ხოლო მეორე შემთხვევაში არა.

12. მოსხენებაში საუბარი იყო ქართული ხელნაწერების დათარიღების პრობლემებზე.ხელნაწერების დათარიღებისას მნისვნელოვანია არა მხოლოდ პალეოგრაფიული მონაცმები, არამედ კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური მონაცეების გათვალისწინება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს პალიმფსესტების თარიღების გარკვევისას.

13. ....................

14.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

**1. თარგმანები:**

1. ირაჯ ფეზეშქზადი, ბიძაჩემი ნაპოლეონი, დიოგენე, 628 გვ., სპარსულიდან თარგმნა თეა შურღაიამ

ISBN 9789941118388

2. მეჰრი აზარიაზდი, კარგი ზღაპრები კარგ ბავშვებს, უნივერსალი, სპარსულიდან თარგმნა მზია ბურჯანაძემ.

3. /ნანა კაჭარავა/. ფაქირ ბაიქურთი, ნოდარ დუმბაძის სამშობლოში, რუბრიკა ჩვენებურები, ლიტერატურული ჟურნალი „ანეული" №2, 2023, გვ.26-30.

4. ნანა კაჭარავა/ მუსტაფა იაკუთი (გურამ ხიმშიაშვილი), თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ნოდარ დუმბაძე თურქულად, რუბრიკა „ჩვენებურები,“ ლიტერატურული ჟურნალი „ანეული“ №3, 2023, გვ. 33-35.

2. **ჟურნალი - აღმოსავლეთმცოდნეობა, 13, 2023/თსუ გამომცემლობა/.**
3. აკად. ზაზა ალექსიძისადმი მიძღვნილი, აღმოსავლეთმცოდნეობის X ახალგაზრდული სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება, **თეზისების კრებულის გამოცემა** (თსუ გამომც.).

რედაქტირება:

1. მანანა კვაჭაძე - **რედაქტორი** ქართულად ნათარგმნი „შაჰნამეს“ ცხრატომეულისა.
2023 წელს გამოიცა ფირდოუსის „შაჰმანეს“ ზელა შალვაშვილისეული თარგმანის ბოლო 5 (V, VI, VII, VIII, IX) ტომი.
2. თეა შურღაია - ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევის“ მესამე ტომის (მთარგ. გ. ლობჟანიძე) რედაქტორი, „ბაკურ სულაკაური“;

**ასირიოლოგიის კათედრის იუბილესადმი მიძღვნილი** თსუ მუზეუმის, ასირიოლოგიის კათედრისა და თსუ ბიბლიოთეკის ერთობლივი **გამოფენა**, 30 მაისი, 2023 (თსუ 1 კორპ., მეორე სართ., მუზეუმის საგამოფენო დარბაზი)

ყურადღება!
* სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.
* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.
* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.
* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.
* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა~.

აკად. შოთა ძიძიგურის სახელობის ბასკოლოგიის ცენტრი

ანგარიშის ფორმა №1
(სსიპ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უნივერსიტეტთან არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისთვის)

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**სსიპ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (ინსტიტუტის/ცენტრის) ან უნივერსიტეტთან არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (ინსტიტუტის/ ცენტრის) დასახელება:**

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:
1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები
2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

2.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.

2.

*დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

## 3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

3.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

## 4. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

4.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.
2.

4.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა, პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
***დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***
1.
2.

5. პატენტები (არსებობის შემთხვევაში):
5.1. საერთაშორისო პატენტები:
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***
1.
2.

6.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. **რევაზ ჭანტურია, იური ზიცარი — ბასკურ-ქართული სასაუბრო; ISBN 978-9941-36-127-2, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 141 გვერდი.**
2.
***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***
1. მალმოს უნივერსიტეტის პროფესორის, ფილოლოგიის დოქტორის – რევაზ ჭანტურიასა და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის პროფესორის, ბასკური ენის სამეფო აკადემიის უცხოელი წევრის, აწ გარდაცვლილი იური ზიცარის თანაავტორობით შედგენილი ბასკურ-ქართული სასაუბრო ორივე ენაზე მოსაუბრეთათვის ყოვლისმომცველ რესურსს წარმოადგენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისტორიის დოქტორის – მარტინ არტოლას ფასდაუდებელი წვლილი. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სასაუბრო ბასკური კომპონენტის უზრუნველყოფასა და თანამედროვე სალიტერატურო ენის მოთხოვნების მიხედვით მათი გამართვის პროცესში.

სასაუბრო მოიცავს 45-ზე მეტ თავს, რომელიც გვთავაზობს იდიომებისა და ფრაზების ზუსტ და მკაფიო თარგმანებს. სასაუბროს თითოეულ თავში მოცემულია სიტყვა ან ფრაზა ბასკურად და მისი ქართული შესატყვისი. თითოეული თავის დასახლება დიდი სიფრთხილით იქნა შერჩეული, რათა ორივე ენაში ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვები და ფრაზები ყოფილიყო წარმოდგენილი. ასევე, ყურადღება გამახვილდა ისეთ ფორმებზე, რომლებიც ნიშანდობლივია ბასკური და ქართული კულტურული, ისტორიული და ლინგვისტური ტრადიციებისათვის.

ბასკურ-ქართული სასაუბრო შექმნილია იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს ორივე ენის შესწავლას და გაამარტივოს ბასკურ და ქართულ ენაზე მოსაუბრეთა შორის კომუნიკაცია.

ბასკური და ქართული მსოფლიოს უნიკალურ ენებს შორისაა. თითოეული მათგანი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობისა და ლინგვისტური ტრადიციის მატარებელია. მიუხედავად ამ ენების თვითმყოფადი ხასიათისა, ბოლო ათწლეულში მათზე მზარდი ინტერესი შეიმჩნევა, განსაკუთრებით, საქართველოში. ბასკურ-ქართული სასაუბრო ლექსიკონი ერთგვარი პასუხია ამ მზარდ მოთხოვნაზე და ამასთან, აღნიშნული ენებითა და კულტურით დაინტერესებულ პირთათვის ღირებულ წყაროს წარმოადგენს.

სასაუბრო შექმნილია ენის შემსწავლელთა და სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით. თითოეული თავი მარტივად გამოსაყენებელ ფორმატშია წარმოდგენილი, ნათელი და ლაკონური სქემა კი დაინტერესებულ პირს მისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიების პროცესს უადვილებს. წიგნის ღირსებათა ჩამონათვალს ემატება ისიც, რომ ბასკურ-ქართული სასაუბრო ძვირფასი წყაროა მათთვის, ვინც დაინტერესდება ბასკეთისა და საქართველოს კულტურული, ისტორიული და ლინგვისტური ტრადიციებით.

ბასკურ-ქართული სასაუბრო შეუცვლელი საშუალებაა ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელიც ინტერესს გამოთქვამს ამ ორი შესანიშნავი ენისა და კულტურის მიმართ. აღნიშნული წიგნი ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში დაეხმარება როგორც მათ, ვისთვისაც ერთ-ერთი ენა მშობლიურია, ასევე, მათ, ვინც რომელიმე ენის შესწავლას აპირებს. ამდენად, დასახელებული წიგნი აუცილებელი დამხმარეა. დარწმუნებულები ვართ, ბასკურ-ქართული სასაუბრო ყველასთვის ძვირფასი სახელმძღვანელო იქნება და ვიმედოვნებთ, რომ ეს ხელს შეუწყობს ბასკურ და

ქართულ ენაზე მოსაუბრეთა და მკვლევართა შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის ჩამოყალიბებას.

2.

6.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ირინა ნოზაძე – XX საუკუნის დისტოპიური რომანის სათავეებთან — ევგენი ზამიატინის „ჩვენ". ლიტერატურის თეორიისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი „სჯანი", 24 (2023). ISSN 1512-2514. თბილისი, თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. 369 გვერდი.**
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. XX საუკუნის რუსი მწერლის ევგენი ზამიატინის რომანი „ჩვენ" სოციალური ფანტასტიკის ერთ-ერთ ქვეჟანრს – ანტიუტოპიას მიეკუთვნება. მისი ანტიუტოპიური რომანი წინ უსწრებს ოლდოს ჰაქსლისა და ჯორჯ ორუელის ანტიუტოპიებს. საგულისხმოა, რომ ჯორჯ ორუელი საკუთარ თავს ზამიატინის რომანის მემკვიდრედ თვლიდა. როგორც XX საუკუნის ფენტეზისა და სამეცნიერო ფანტასტიკის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ამერიკელი მწერალი და ლიტერატურული კრიტიკოსი – ურსულა კრებერ ლე გუინი აღნიშნავს, ევგენი ზამიატინის რომანი „ჩვენ" სამეცნიერო ფანტასტიკის საუკეთესო ნიმუშია, რაც კი ოდესმე შექმნილა.[1]

მიუხედავად იმისა, რომ ზამიატინის „ჩვენ" საბჭოთა ცენზურის წნეხის ქვეშ მოექცა, საზღვარგარეთული კრიტიკა მას დიდი ინტერესით შეხვდა. მშობლიურ ქვეყანაში კი პოლიტიკურ შეცდომად მიჩნეული რომანი მასობრივი კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. „ჩვენ" დაწერიდან მხოლოდ 70 წლის შემდეგ დაიბეჭდა რუსეთში. ამ ფონის გათვალისწინებით,

[1] აღნიშნული სიტყვები დატანილია რომანის 1993 წლის გამოცემის გარეკანზე (Penguin Twentieth Century Classics).

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა რომანის პირველი ქართული თარგმანი (მთარგმნელი – ტატა ნიკოლაძე), რომელიც 2018 წელს გამოიცა. ფაქტობრივად, ავად თუ კარგად, ევგ. ზამიატინი სწორედ ამ თარგმანით გაიცნო თანამედროვე ქართველმა მკითხველმა, რამაც ერთგვარი საფუძველი შექმნა აქამდე არც თუ ისე ფართოდ ცნობილი მწერლისა და მისი რომანის – „ჩვენ“ – ხელახლა აღმოჩენისა და შესწავლისთვის.

რომანი „ჩვენ“ მწერლის ინგლისიდან რევოლუციური განწყობით აღვსილ რუსეთში დაბრუნებიდან მალევე – 1920 წელს დაიწერა (ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ტექსტზე მუშაობა 1921 წლამდე გაგრძელდა). საბჭოთა რუსეთის ცენზურის პირობებში რომანის სამშობლოში გამოქვეყნება შეუძლებელი შეიქნა, თუმცა მწერალი მას ლიტერატურულ საღამოებზე კითხულობდა მოსკოვსა და ლენინგრადში (სანქტ-პეტერბურგი). ამგვარად, ფართო ინტერესიდან გამომდინარე, „ჩვენ“ ხელნაწერის სახით გავრცელდა. ამასთან, რომანმა უცხოელ მკითხველ საზოგადოებათა ყურადღებაც მიიპყრო და ევგ. ზამიატინმა მის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით უამრავი შეთავაზება მიიღო.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზამიატინი ანტიუტოპიის ჟანრის ფუძემდებლად გვევლინება, ისევე, როგორც თომას მორი (1478-1535) უტოპიის ჟანრისა. თუმცა, აღნიშნულში ერთგვარ უზუსტობას ვაწყდებით, თომას მორის სახელს მხოლოდ ტერმინი „უტოპია“ უკავშირდება. საკუთრივ უტოპიები მასზე გაცილებით ადრე არსებობდა; საკმარისია დავასახელოთ პლატონის „სახელმწიფო“. მსგავსად, ანტიუტოპიური ელემენტები შეიძლება დავძებნოთ ზამიატინამდეც – ჯონათან სვიფტის, ჟიულ ვერნისა და ჰერბერტ უელსის შემოქმედებაში, რომ აღარაფერი ვთქვათ  ჯეკ ლონდონის დისტოპიურ რომანზე „რკინის ქუსლი“ *(Iron Heel).* და მაინც, ზამიატინმა შესაშური გულმოდგინებით შექმნა XX საუკუნის პირველი სტრუქტურულად გამართული მოდელი ახალი, მაგრამ არაც და არამც, ჰარმონიული სამყაროსი.

როგორც ოლდოს ჰაქსლი, ისე ჯორჯ ორუელი, სწორედ აღნიშნულ მოდელს ეყრდნობოდნენ (თუმცა, ჰაქსლი არ აღიარებდა, რომ გაეცნო ზამიატინის რომანს, განსხვავებით ორუელისგან, რომელმაც „ჩვენ“ არათუ წაიკითხა, არამედ, მისი რეცენზიაც დაწერა). ცალსახაა, რომ ორუელმა ზამიატინისგან ისესხა არა მხოლოდ სიუჟეტი და მთავარი მოქმედი გმირები, არამედ, მათ მიერ აღწერილი საზოგადოების მრავალი მახასიათებელი: *„ის, რაც პირველ რიგში იქცევს ჩვენს ყურადღებას რომანის „ჩვენ“ კითხვისას,* – წერდა ჯორჯ ორუელი 1946

წელს, – *არის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: ოლდოს ჰაქსლის რომანი „საოცარი ახალი სამყარო" სწორედ ზამიატინის რომანის გავლენას განიცდის"* (Orwell 1968: 72).

ანალოგიური აზრი გამოთქვა ამერიკელმა მწერალმა, დრამატურგმა და ესეისტმა კურტ ვონეგუტმა, რომელმაც ჟურნალ "Playboy"-სთან ინტერვიუში თავის „მექანიკურ ფორტეპიანოზე" *(Player Piano)* საუბრისას, აღნიშნა, რომ მისი რომანი ვალშია ზამიატინის რომანთან: *„მე უდარდელად „ავაცალე" ფაბულა „საოცარ ახალ სამყაროს", რომლის ფაბულაც ასეთივე უდარდელობით „ააცალეს" ევგენი ზამიატინის რომანს – „ჩვენ"* (Allen 1999: 93).

ჯორჯ ორუელი საკუთარ თავს ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე თვლიდა ზამიატინის რომანის „ჩვენ" მემკვიდრედ, ზუსტად გააცნობიერა რა მისი ორიგინალურობის არსი, რომანის მოკლე, მაგრამ სწორად აქცენტირებული რეცენზიის დასკვნაში: *„1906 წელს ცარისტულმა მმართველობამ ზამიატინი დააპატიმრა, 1922 წელს იგივე ბედი იწვნია ბოლშევიკების ხელით. ამ დროისთვის მწერალს არ ჰქონდა არანაირი საბაბი, აღფრთოვანებულიყო არსებული პოლიტიკური რეჟიმით, ამასთან, საგულისხმოა, რომ მისი რომანი მხოლოდ იმპულსური სიბრაზის შედეგი არ ყოფილა. ესაა ერთგვარი გამოკვლევა „მანქანა-ჯინისა", რომელიც ადამიანმა დაუფიქრებლად გამოუშვა ბოთლიდან, ახლა კი მის უკან დაბრუნებას ვეღარ ახერხებს"* (Orwell 1968: 75). ნაკლებ სავარაუდოა, რომ ორუელი ცნებაში „მანქანა" მხოლოდ ტექნოლოგიის უკონტროლო განვითარების პროცესს გულისხმობდეს, რამეთუ „მანქანად", ე. ი. უსულო და უკონტროლო საგნად, XX საუკუნეში საკუთრივ ადამიანთა ცივილიზაცია მოგვევლინა.

თავის რეცენზიაში ორუელმა ყურადღება გაამახვილა რომანის მხატვრულ ღირებულებასა და ტოტალიტარიზმის ირაციონალურობის წინასწარგანჭვრეტაზე. ზემოხსენებული სიტყვების დაწერიდან სამი წლის შემდეგ, მან გამოაქვეყნა ანტიუტოპიური რომანი „1984", რომლის მთავარი პერსონაჟი, სახელად უინსტონი, მომავლის ქალაქში ცხოვრობს. „ჩვენ" და „1984" მრავალი მსგავსების დაძებნის საშუალებას გვაძლევს. როგორც Д-503, ისე უინსტონი უძლურნი არიან, წინ აღუდგნენ სახელმწიფოს ფილოსოფიას. ორივე რომანში თავისუფლება გააზრებულია ბოროტებად და მოწესრიგებული ცხოვრების მტრად.

**როდის შეიტყო ორუელმა პირველად ზამიატინის შესახებ?** ზამიატინის რომანისადმი მიძღვნილ რეცენზიაში ორუელი აღნიშნავს, რომ იგი გაეცნო რუსი პოეტის, ლიტერატურისმცოდნისა და კრიტიკოსის გლებ სტრუვეს ნაშრომს „საბჭოთა რუსეთის

ლიტერატურის ოცდახუთი წელი“. 1944 წლის თებერვალში სტრუვესადმი მიწერილ წერილში ორუელი მას მადლობას უხდის წიგნის ეგზემპლარისთვის და აღნიშნავს: *„ამ ნაშრომმა უკვე გამიღვივა ინტერესი ჩემთვის აქამდე უცნობი მწერლის – ზამიატინის რომანის მიმართ. მოხიბლული ვარ მისი წიგნით და ჩანაწერებსაც ვაკეთებ, ადრე თუ გვიან კი, ნაწერმა შესაძლოა დღის სინათლეც იხილოს“* (Bowker 2003: 330). 1948 წლის 21 აპრილით დათარიღებულ წერილში კი ორუელი ახსენებს ზამიატინის სატირულ ნაწარმოებს „კუნძულელები“ და სტრუვეს სთხოვს, თუ შესაძლებელი იქნება, მწერლის მეუღლეს დააკავშიროს, რათა სხვა წიგნებზეც მოიპოვოს წვდომა. წერილიდან აშკარად იგრძნობა, ორუელი ღრმად დარწმუნებულია, რომ ინგლისელი გამომცემლები ზამიატინის შემოქმედების სხვა ნიმუშების დაბეჭდვითაც დაინტერესდებიან.

1945 წლის დასასრულს, როგორც იქნა, ორუელის ხელში აღმოჩნდა ზამიატინის „ჩვენ“, 1946 წლის იანვარში კი მან სოციალურ-დემოკრატიულ ჟურნალში „ტრიბუნა“ *(Tribune)* რომანის რეცენზია გამოაქვეყნა. ორუელს ყველაზე მეტად ზამიატინის რომანსა და ოლდოს ჰაქსლის „საოცარ, ახალ სამყაროს“ შორის მსგავსება აოცებდა: *„ორივე წიგნი წარმოგვიდგენს პირველყოფილი, ადამიანური სულის ამბოხებას, რომელიც მიმართულია რაციონალური, მექანიზებული, უმტკივნეულო სამყაროს წინააღმდეგ [...] და უხეშად რომ ვთქვათ, ორივე რომანში ერთმანეთის მსგავსი საზოგადოებაა დახატული, თუმცა ჰაქსლისთან პოლიტიკური ცნობიერების საკითხი ნაკლებად ხელშესახებია და მწერალი უმეტესად ბიოლოგიისა და ფსიქოლოგიის თანამედროვე თეორიების გავლენას განიცდის“* (Orwell 1968: 72).

ჰაქსლის მიხედვით, ჰერბერტ უელსის „ადამიანები, როგორც ღმერთების“ წაკითხვამ მასში ცინიკური ანტიიდეალიზმისკენ მიმართული აკვიატებად ქცეული რეაქცია გამოიწვია. ამდენად, მანამ, სანამ წიგნის კითხვას დაასრულებდა, უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა უელსისეული ყველაზე ოპტიმისტური უტოპიების შეუბრალებელი პაროდირება. თუმცა, როდესაც ნეგატიური არარსებობის შექმნის პრობლემის პირისპირ აღმოჩნდა, აღმოაჩინა საკითხი, რომელიც თავისი ლიტერატურული და ფსიქოლოგიური შესაძლებლობებით განსაცვიფრებლად ფართო გასაქანს აძლევდა. ამდენად, „ადამიანები, როგორც ღმერთები“ სულ გადაავიწყდა და მთელი შემართებითა და სერიოზულობით მიმართა ყურადღება წიგნის დაწერისკენ, რომელიც მოგვიანებით ცნობილი გახდა, როგორც „საოცარი, ახალი სამყარო“ (Keiper 2007). რადგან ჰაქსლიმ მიზანმიმართულად გადაწყვიტა, ღვარძლიანი სატირის საგნად ექცია ჰერბერტ უელსის უტოპიური იდეები, მაშინ ჩნდება შეკითხვა: სად უნდა ვეძებოთ საკუთრივ მის დისტოპიურ იდეათა საფუძვლები?

ზამიატინი აღნიშნულ საკითხს ფრედერიკ ლეფევრთან[2] ინტერვიუში დიდსულოვნად პასუხობს: *„პიერ დრიე ლა როშელმა[3] ამ რამდენიმე დღის წინ მიამბო, რომ შეხვედრისას ჰაქსლისთვის უკითხავს, იცნობდა თუ არა ჩემს რომანს. დამთხვევა, რასაკვირველია, შემთხვევითი აღმოჩნდა. თუმცა, ამგვარი დამთხვევა იმაზე მიანიშნებს, რომ მსგავსი იდეები ჩვენ გარშემოა მიმოფანტული, იმ ავისმომასწავებელ ჰაერში, რომელსაც ჩვენ ვსუნთქავთ“* (Замятин 1988: 16).

როგორც ცნობილია, ევგ. ზამიატინის მიერ რომანში აღნიშნული ცალკეული მოვლენა მომავალში ახდა, გარკვეული საკითხისადმი მწერლის დამოკიდებულება კი დღესაც იქცევს ყურადღებას და აქტუალობას არ კარგავს. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე რომანს ერთგვარად ჩრდილში მოუწია ყოფნა, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ XX საუკუნის ანტიუტოპიური რომანის ორგანიზებული მოდელი პირველად სწორედ ევგენი ზამიატინმა შემოგვთავაზა. თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობაში ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ XX საუკუნეში რომანის „ჩვენ“ გამოჩენამ ბიძგი მისცა ახალი ჟანრის – ანტიუტოპიური რომანის დამკვიდრების პროცესს.

2.

## 7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 7.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.
2.

### 7.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.
2.

### 7.3. სტატიები

[2] ფრედერიკ ლეფევრი (1889-1949) – ფრანგი მწერალი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ლიტერატურული გაზეთის *Les Nouvelles Littéraires* რედაქტორი.

[3] პიერ დრიე ლა როშელი (1893-1945) – ფრანგი მწერალი, ესეისტი.

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

## 8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

### 8.1. საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.
2.
*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

### 8. 2. უცხოეთში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.
2.
*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

დაწესებულებას თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

**დამატებითი აქტივობები:**

| № | შესრულებული სამუშაოს თარიღი | განხორციელებული სამუშაოს სახელწოდება | დამატებითი ინფორმაცია სამუშაოს შესახებ(სამუშაოს სპეციფიკურობა, თანამონაწილეები...) |
|---|---|---|---|
| 1. | 2023/12/06. | ბასკური ენისა და ლიტერატურის აქტუალური პრობლემები (სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია) | თანაორგანიზატორი: თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ს/ს ინსტიტუტი.<br>• ბასკური ფილმის ჩვენება: Loreak (2014). |
| 2. | 2023/14.12. | აკად. შოთა ძიძიგურის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია | თანაორგანიზატორი: დასავლეთევროპული<br>ენებისა და ლიტერატურის ს/ს ინსტიტუტის რომანული ფილოლოგიის |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | კათედრა – ესპანური ენისა და ლიტერატურის მიმართულება). |

ყურადღება!

* სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.

* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.

* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.

* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა~.

# დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი

# ანგარიშის ფორმა №2

2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება**

**დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი**

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით**

ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი - პროფ. მანანა გელაშვილი

წავლული მდივანი: ასოც. პროფ. მარინე კობეშავიძე

**ინგლისური ფილოლოგიის კათედრა:**

მანანა რუსიეშვილი – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

მანანა გელაშვილი - პროფესორი

რუსუდან დოლიძე – ასოცირებული პროფესორი

ნათელა ნემსაძე – ასოცირებული პროფესორი

ნინო დარასელია – ასოცირებული პროფესორი

ირინე გველესიანი – ასოცირებული პროფესორი

დავით მაზიაშვილი – ასოცირებული პროფესორი

ირინე დემეტრაძე – ასოც. პროფესორი

სოფიო თოთიბაძე –ასოც. პროფესორი

თამარ გელაშვილი - ასისტენტ პროფესორი

**გერმანული ფილოლოგიის კათედრა**

ლალი ქეცბა-ხუნდაძე – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

ალექსანდრე კარტოზია – პროფესორი

მარინა ანდრაზაშვილი – ასოცირებული პროფესორი

ნუნუ კაპანაძე – ასოცირებული პროფესორი

ნინო ქიმერიძე – ასოცირებული პროფესორი

სოფიო მუჯირი – ასოცირებული პროფესორი

კონსტანტინე ბრეგაძე – ასოცირებული პროფესორი

თამარ ჭუმბურიძე – ასისტენტ პროფესორი

**რომანული ფილოლოგიის კათედრა**

ბელა ხაბეიშვილი –პროფესორი
ნანა გუნცაძე – ასოცირებული პროფესორი
მარინე კობეშავიძე – ასოცირებული პროფესორი
მაია ჯავახიძე – ასოცირებული პროფესორი
სალომე კენჭოშვილი – ასისტენტ პროფესორი
ნინო ჭრიკიშვილი – ასისტენტ პროფესორი
ნინო ქავთარაძე – ასისტენტ პროფესორი
თეა თათეშვილი -ასისტენტ პროფესორი

**თარგმანმცოდნეობის კათედრა**

ინესა მერაბიშვილი – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
ლელა ებრალიძე – ასისტენტ პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 01.06.2023 – 15.12.2023 **ქართული ლიტერატურის ნიმუშების მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე განხორციელებული თარგმანების ერთიანი ბაზის შექმნა (V-XIX საუკუნეეები - პირველი ეტაპი).** რეგისტრაციის №17961.
„კულტურის ხელშეწყობის"/„მუზეუმების განვითარების ხელშეწყობა" პროგრამის ფარგლებში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თარგმანმცოდნეობის კათედრის ერთობლივი *საგრანტო პროექტი.*

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ფინანსური აღმასრულებელი - მარიამი გოგოჭური -** იმუშავა პროექტის ფინანსური მხარის უზრუნველყოფაზე.

2. **ანგლისტი - ელისო გოდუაძე -** იმუშავა პროექტის მუშა ჯგუფის შექმნაზე, საკვლევი არეალის მოხაზვაზე, ინფორმაციის მოძიებაზე, მასალის ანალიზზე, მონაცემთა ბაზის შექმნაზე.

3. **ანგლისტი - ლელა ებრალიძე** - იმუშავა ინგლისურენოვან სამყაროში არსებული თარგმანების შესახებ ინფორმაციის მოძიებაზე, მასალის ანალიზზე, მონაცემთა ბაზის შექმნაზე.
4. **სლავისტი - ნათია ამირეჯიბი** - იმუშავა სლავურ ენებზე არსებული თარგმანების შესახებ ინფორმაციის მოძიებაზე, მასალის ანალიზზე, მონაცემთა ბაზის შექმნაზე.
5. **ფილოლოგი, ბერძნული ენა და ლიტერატურა - ქეთევან ჯერვალიძე** - იმუშავა ბერძნულ და რომანულ ენებზე არსებული თარგმანების შესახებ ინფორმაციის მოძიებაზე, მასალის ანალიზზე, მონაცემთა ბაზის შექმნაზე.
6. **თარგმანმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი** - იმუშავა მოპოვებული მასალის სისტემატიზაციაზე და გამართული ბაზის შექმნაზე.
7. **თარგმანმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი** - იმუშავა მოპოვებული მასალის სისტემატიზაციაზე და გამართული ბაზის შექმნაზე.

2.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა V-XIX საუკუნეების ქართული ლიტერატურული ძეგლების (პროზა, პოეზია)მსოფლიოს უცხოურ ენებზე შესრულებული თარგმანების მოძიება და აღრიცხვა, შეიქმნა თარგმნილი ქართული ლიტერატურის ერთიანი ბაზა. ბაზა შეიცავს სრულ ინფორმაციას, თუ ვინ არის ამა თუ იმ ნაწარმოების მთარგმნელი, რამდენჯერ ითარგმნა ნაწარმოები, როდის და სად გამოიცა ყოველი შესრულებული თარგმანი.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1

2. **შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**
2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
**1. უნივერსალური და ვარიანტული კონცეპტუალური მეტაფორები: ქართული და ინგლისური ენების კონტექსტი ( შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი, ფუნდამენტური, FR-23, ჰუმანიტარული მეცნიერებები, ენა და ლიტერატურა, ლინგვისტიკა) ხელმძღვანელი, მკვლევარი; 2022-2025**
2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. პროფ. მანანა რუსიეშვილი (პროექტის ხელმძღვანელი)
ასოც. პროფ. რუსუდან დოლიძე (პროექტის კოორდინატორი და მკვლევარი)
ასოც. პროფ. სოფიო თოთიბაძე (მკვლევარი, ახალგაზრდა მეცნიერი)
ფილოლოგიის დოქტორი. მარიამ ქებურია (მკვლევარი, ახალგაზრდა მეცნიერი)

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს გეგმის მიხედვით. ამ ( მეორე პერიოდში) გამოიყო დადებითი და უარყოფითი ემოციების კონცეპტუალიზაციის მეტაფორული მოდელები და სრულდება მონოგრაფიის მეორე თავი. პროექტის 2023 წლის კვლევის შედეგებზე ჩატარდა საჯარო ლექციები და პრეზენტაციები საქართველოსა და საზღვარგარეთ. გამოქვეყნდა ერთი სტატია საერთაშორისო ჟურნალში ( რეგისტრირებულია ერიჰ+ ბაზაში), ასევე გაკეთდა ორი მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე კოპენჰაგენში, დანია 3-5 ნოემბერი).

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო გრანტი საფრანგეთის Côte d'Azur უნივერსიტეტის ინტერდისციპლინარული კვლევის ლაბორატორია CTEL, განათლების მეცნიერებები მიმართულებით განსახორციელებელი კვლევისთვის თემაზე : „ ფრანგული ენისა და ცივილიზაციის სწავლა-სწავლების კრიზისი საქართველოში: ისტორიული, დიდაქტიკური და პოლიტოლოგიური ანალიზი“.

- პროექტის განხორციელების მე-3 ფაზა (2022-2023)
- პროექტის დაწყების წელი 2018
- პროექტის დასრულების წელი 2026
- პროექტი მიმდინარეობს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსების ფორმატში, ეტაპობრივი საკონკურსო დაფინანსების საფუძველზე,სადოქტორო კვლევის პარალელურად
- მიმდინარე საგრანტო დაფინანსება: დადებითი 2021-2022; 2022-2023 წლის დაფინანსება სამეცნიერო პროექტის შეფასების საფუძველზე.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **ბელა ხაბეიშვილი,** ინდივიდუალური გრანტი

3. **საზოგადოებრივ, ჰუმანიტარულ, ხელოვნებისა და ლიტერატურულ მეცნიერებათა (SHAL) სკოლა, განათლების მეცნიერებები მიმართულება, ინტერდისციპლინარული ლაბორატორია CTEL (CENTRE TRANSDISCIPLINAIRE D'ÉPISTÉMOLOGIE DE LA LITTÉRATURE ET DES ARTS VIVANTS (CTEL), საფრანგეთის უნივერსიტეტი Côte d'Azur**
პროექტის განხორციელების მე-3 ფაზა (2022-2023)
2. **ბელა ხაბეიშვილი,** ინდივიდუალური გრანტი

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1. წარმოდგენილი კვლევა ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის პროექტის საფუძველზე და მოიცავს შემდეგ კონკრეტული პუნქტუალური აღწერით ( გეგმა მოდიფიცირებადია და დამოკიდებულია სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობაზე)
პროექტი ეხება ევროინტეგრაციის პროცესში ენის, ლიტერატირისა და კულტურის მნიშვნელობას ევროპული ღირებულებების შექმნისა და გაზიარების მიმართულებით და უკავშირდება ჩემს პედაგოგიურ და სამეცნიერო აქტივობას, რაც, ფრანგული ენისა და ლიტერატურის სწავლების და კვლევის პარალელურად, უახლესი პროექტების ინიცირებასაც გულისხმობს.

ჩვენი ქვეყნის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში უცხოური ენისა და ლიტერატურის სწავლების აპრობირებული პრაქტიკა, ხშირ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ან ძველი სისტემის გადმონაშთია, ან ახალი პრაქტიკული მოდელის ბრმა კალკია, რაც დიდაქტიკური მიდგომის შიგნით სრულიად გამორიცხავს ლინგვოკულტუროლოგიურ საფუძველს და ენის სწავლებას მხოლოდ საკონტაქტო დონეზე განიხილავს. აღნიშნული გარემოება ევროპაში მოქალაქეთა სრულფასოვანი ინტეგრაციის მიმართულებით დაბრკოლებად წარმოჩინდება. კვლევის მიზანი ლინგვოპოლიტოლოგიური მიდგომის საფუძველზე ენის სწავლების გზით ღირებულებათა გაზიარების ახალი მეთოდოლოგიის შექმნა და ქართულ რეალობაში დანერგვაა, რაც ხარისხიანი ლინგვისტური განათლების მიმრთულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობასაც შექმნის. შედეგად, სწავლების ინფორმაციული მოდელი მიუახლოვდება ლინგვისტური განათლების ევროპულ მოდელს, რაც ხელს შეუწყობს ენათა სწავლების სფეროში მეთოდოლოგიური მიდგომების ჰარმონიზაციას და ევროინტეგრაციის პროცესში არსებულ დაბრკოლებათა გადაჭრას.

პროექტის განხორციელების მე-2 ეტაპის შედეგები შეფასდა, როგორც ძალიან კარგი (Très favorable) და შესაძლოა გაიწეროს შემდეგნაირად:
საპროექტო კვლევითი სამუშაო დაეთმო თეორიული და ბიბლიოგრაფიული ნაწილის დამუშავებას კონტექსტუალური მორგების თვალსაზრისით. ნაშრომის ამ ნაწილმა „ფრანგული ენის სწავლება საქართველოში- სინქრონული და დიაქრონული ანალიზი“, შეადგინა 120 გვერდი. სამუშაო აგრეთვე შეეხო კვლევის ესპერიმენტული ნაწილის მოზადებასა და განხორციელებას, რაც მდგომარეობდა სამიზნე ჯგუფების შესახებ მონაცემთა შეგროვებასა და შემუშავებული მეთოდოლოგიური მასალის საფუძველზე კვლევის წარმოებაში. აღნიშნულმა ექსპერიმენტულმა ფაზამ მოიცვა ქართული საგანმანათლებლო სექტორის აქტორები: მოსწავლეები, მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაციული ხელმძღვანელები, ისევე როგორც საფრანგეთში მყოფი ქართველი მიგრანტები მათი ლინგვისტური ინტეგრაციის შეფასების მიზნით.

გაწეულმა სამუშაოებმა შესაძლებლობა მოგვცა:

1) მოგვეხდინა სათაურის რეფორმულირება: „ფრანგული ენისა და ცივილიზაციის სწავლების კრიზისი საქართველოში: ისტორიული, დიდაქტიკური და პოლიტოლოგიური ანალიზი“.
2) გადაგვეხედა ბიბლიოგრაფიულ მინიშნებათა სტანდარტებისთვის ტექსტში და ბიბლიოგრაფიულ დანართში, საკვლევ საკითხთან მიმართებაში განსაკუთრებული შეზღუდვების გათვალისწინებით.
3) შევაჯერეთ ტექსტში არსებული ციტირებისა და რეფორმულირებული მოსასრებების წარმოდგენის წესები, აგრეთვე დისკურსის წესები. გადაწყდა, რომ ნაშრომის განვითარება განხორციელდებოდა მთავარი ჰიპოთეზის და მასთან დაკავშირებული დისკუსიის ირგვლივ, რის გამოც მოხდა საკითხის კონკრეტიზაცია უშუალოდ საქართველოში ფრანგული ენის სწავლების საკითხთან მიმართებაში, რამაც გამორიცხა წმიდად ისტორიული დისკურსი და თეორიული და ექსპერიმენტული კუთხით მკვლევარის სუბიექტური მისაზრებები.
**4)** შეგვედგინა **სამუშაოთა დეტალური გეგმა, მოკლე ანალიტიკური ააღწერილობებით:**

**ნაწილი I : კვლევის კონტექსტი**

თავი I: საფრანგეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების
ისტორია

თავი II : საქართველოში ფრანგული ენისსწავლების ისტორია
თავი III :საქართველოში ფრანგული ენის სწავლების თანამედროვე სისტემა

**ნაწილი II** : თეორიული და მეთოდოლოგიური ჩარჩო

თავი I : ერთიანი ევროპული ჩარჩო და ფრანგული, როგორც უცხოური ენის სწავლების მეთოდოლოგია
თავი II : ლინგვისტური პოლიტოლოგია
თავი III : კვლევის ორდონიანი პრობლემატიკა: გარე (ფრანკოფონული დასაქმების ბაზარი) და შიდა (ფრანგული ენის სწავლება საქართველოში)

**ნაწილი III:** ექსპერიმენტული ძიებები, შედეგები და პრაქტიკაში რეალიზაცია

თავი **I :** ექსპერიმენტული ჩარჩოს პრესენტაცია
თავი II : შედეგების ანალიზი
თავი III :კვლევის შედეგები და პერსპექტივები

**მიმდინარე წელს პროექტი წერდგა ფრანგი სპეციალისტებით დაკომპლექტებული ორი მონიტორინგის კომიტეტის წინაშე და მიიღო ძალიან კარგი შეფასება, რამაც საშუალება მოგვცა მემეღო დამატებითი დაფინანსება, გრანტის სახით და გამეგრძელებინა კვლევითი სამუშაოები.**

2.2.
1) **დასრულებული (მრავალწლიანი)** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **2021 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში გამარჯვებული პროექტი YS-21-339, ჰუმ მეცნიერებები, ენები და ლიტერატურა, ლინგვისტიკა (16 დეკემბერი, 2021- 16 დეკემბერი 2023)., სიძულვილის ენა და გენდერული სტერეოტიპები ქართულ ციფრულ მედია-დისკურსში".**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **სოფიო თოთიბაძე-** პროექტის ხელმძღვანელი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
პროექტის ფარგლებში გამოიცა სტატია და მონოგრაფია. პროექტი ეხება სიძულვილის ენასა და გენდერულ სტერეოტიპებს ქართულ ონლაინ სივრცეში. კვლევამ აჩვენა, რომ საქართველო უდიდესი გამოწვევის წინაშე დგას, როდესაც საქმე სიძულვილის ენას ეხება. წიგნის მთავარ მიზანს წარმოადგენს, შეისწავლოს სიძულვილის ენა, მისი რაობა და წარმოშობა და წარმოაჩინოს უდიდესი პრობლემა, რომელიც არცთუ ისე სერიოზულად მიიჩნევა დღევანდელ საზოგადოებაში. სიძულვილის ენის შესწავლა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც პრობლემის არსის გაგება და გააზრება წინ გადადგმული ნაბიჯია მის აღმოსაფხვრელად. მასზე ცნობიერების ამაღლება კი დაეხმარება საზოგადოებას,

გააცნობიეროს და ამოიცნოს სიძულვილის შემცველი ენის ბუნება და გავლენა. ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ სიძულვილის ენა ხშირად მიემართება კონკრეტული თემის, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის, სქესის თუ სექსუალური ორიენტაციის ჯგუფებს, მისი შესწავლა ხელს შეუწყობს მარგინალიზებული ჯგუფების უფლებების დაცვასა და საზოგადოებაში სრულ ინტეგრა- ციას და მათდამი შემწყნარებლური მიდგომის გამომუშა- ვებასა და დაცვას. სიძულვილის ენის ლინგვისტური ანალიზი დაგვეხმარება სტრატეგიების შემუშავებაში, რო- მელთა საშუალებითაც თავიდან ავიცილებთ რადიკალიზაციასა და ძალადობას, რომელიც მომდინარეობს სი- ძულვილით სავსე იდეოლოგიებიდან. აღსანიშნავია სი- ძულვილის ენის გავრცელების სისწრაფეც ოცთამეერთე საუკუნეში ტექნოლოგიისა და ონლაინ საიტების სწრა- ფად მზარდი პოპულარობის გამო. ონლაინ სივრცეში გავრცელებული სიძულვილის ენის შესწავლით დავეხმა- რებით საკითხის ირგვლივ არა მხოლოდ ცნობიერების ამაღლებას, არამედ ონლაინ პლატფორმები შეძლებენ საჭირო სტრატეგიების შემუშავებას, რომ უფრო ეფექტუ- რად ებრძოლონ პრობლემას. არ უნდა დაგვავიწყდეს გამოხატვის თავისუფლებაც, რომელიც ხშირად მოდის წინააღმდეგობაში სიძულვილის ენასთან. ამ უკანასკნე- ლის კარგად შესწავლა, რომელიც დღემდე პრობლემურ საკითხად რჩება, დაგვეხმარება სიძულვილის ენასა და სიტყვის თავისუფლებას შორის ბალანსის პოვნაში.

2. **მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვური განათლების კონტექსტში (მე-5 კონფერენცია), SeLTAME**-2023, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი), **№ MG-ISE-23-865, 2023 წ.**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. გიული შაბაშვილი - პროექტის ხელმძღვანელი
**2.თეა თათეშვილი - პროექტის კოორდინატორი**
3. კახა გაბუნია - ძირითადი მონაწილე
**4. მანანა რუსიეშვილი -ძირითადი მონაწილე**
**5. რუსუდან დოლიძე - ძირითადი მონაწილე**

***დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

2023 წლის 11-13 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (საქართველო) საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (MG-ISE-23-865) ფარგლებში გაიმართა მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტი- ლინგვური განათლების კონტექსტში“.
პროექტის თანამონაწილე ორგანიზაციები:
1. ვილნიუსის უნივერსიტეტი (ლიეტუვა);
2. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (საქართველო);
3. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (საქართველო).

კონფერენცია მიზნად ისახავდა, განხილულიყო და ერთიან კონცეფციად ჩამოყალიბებულიყო ადგილობრივ და უცხოელ სპეციალისტთა ნააზრევი **მეორე ენის სწავლების მიდგომებისა და სტრატეგიების** თაობაზე **მულტილინგვური განათლების** კონტექსტში.

კონფერენციაზე მუშაობდა შემდეგი სექციები:

- მულტილინგვური განათლება
- მულტიკულტურალიზმი / ინტერკულტურული და სოციოკულტურული კომპეტენციების განვითარება
- ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების პრაქტიკული ასპექტები
- მეორე / უცხო ენის სწავლების პრაქტიკული ასპექტები
- მეორე / უცხო ენის სწავლების თეორიული ასპექტები.

კონფერენცია ჩატარდა ჰიბრიდული ფორმატით. მასში მონაწილეობა მიიღო დარგის 132 მკვლევარმა-მეცნიერმა (როგორც საქართველოდან, ისე უცხოეთიდან); წელს ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სან დიეგოს (აშშ), მაკგილის (კანადა),ფრანკფურტის (გერმანია), მალაგის (ესპანეთი), ვარშავის (პოლონეთი), ტრაპიზონის (თურქეთი), კალიფორნიის (აშშ), ალიკანტეს (ესპანეთი), კიოტოს (იაპონია), ვილნიუსის (ლიეტუვა), ჰელსინკის (ფინეთი), გდანსკის (პოლონეთი) და 27 ქვეყნის 42 უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

კონფერენციის პლენარული მომხსენებლები იყვნენ: კრისტინა ალფარო (სანდიეგოს უნივერსიტეტი), მიხალ დაზკიევიჩი (გდანსკის უნივერსიტეტი), რომა კრიაიჩიუიენე (ვილნიუსის უნივერსიტეტი), მიხალ პარადოვსკი (ვარშავის უნივერსიტეტი), კახა გაბუნია (თსუ), გიული შაბაშვილი (თსუ), შალვა ტაბატაძე (CCIIR).

კონფერენციის მონაწილეებმა წარმოადგინეს როგორც კონცეპტუალური მიდგომები, ასევე - საკუთარი პრაქტიკული გამოცდილება. გარდა ამისა, ქართველმა სპეციალისტებმა კონფერენციაზე სამსჯელოდ გამოიტანეს იმ საპილოტე პროექტებისა და აქტივობების ანგარიშები, რომელთა ნაწილი უკვე განხორციელდა ან ამჟამად მიმდინარეობს უმაღლეს სასწავლებლებსა თუ რეგიონების (ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში) სკოლებში.

კონფერენციის ფარგლებში ჩატარდა **ვორკშოპი** სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის. ვორშოპის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 50-ზე მეტმა მონაწილემ.

პროგრამა და კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების თეზისები დაიბეჭდა ცალკე კრებულის სახით; სტატიებად გაფორმებული მოხსენებები (ვრცელი სახით) გამოქვეყნდა ელექტრონულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში: მულტილინგვური განათლება (https://www.multilingualeducation.org/).

## 3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

### 3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **COST Action CA22126, European Network On Lexical Innovation (ENEOLI) ( 2024-2028)**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **მანანა რუსიეშვილი** , პროექტის ადმინისტრაციის კომიტეტის წევრი, ორი კვლევის ქვეჯგუფის წევრი.

პროექტი მიზნად ისახავს ნეოლოგიზმის, როგორც ლექსიკური ინოვაციის, შესწავლას მთელ რიგ ენებსა და კონტექსტში, როგორც სინქრონულ, ისე დიაქრონულ ჭრილში. უფრო კონკრეტულად, პროექტი მიზნად ისახავს: 1) ნეოლოგიზმების ძირითადი ტერმინოლოგიის დადგენას და ჰარმონიზაციას, მასთან დაკავშირებული მრავალენოვანი ტერმინების შექმნას და საერთაშორისო კვლევების წარმართვას; 2) ციფრული მეთოდოლოგიებისა და ინსტრუმენტების ადაპტირებას ლექსიკური ინოვაციების პრობლემებზე, ლექსიკური ინოვაციებისა და მათი სოციალური შედეგების შესახებ ცნობადობის ზრდას, 3) ევროპულ ენებში ლექსიკური ინოვაციების შედარებითი კვლევების ჩატარება, ნასესხები ერთეულებისა და მათი ეკვივალენტებზის გამოვლენა და კვლევა; 4) თარჯიმნების, რედაქტორების, ჟურნალისტების, ტექნიკური პერსონალისა და მასწავლებლებისთვის ნეოლოგიზმების სპეციფიკური ტრენინგის უზრუნველყოფა.

**2. გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) პროექტი (2020-2023 ) Philologie - Technologie – Translation კარლ რუპრეხტის ჰაიდელბერგის უნივერისტეტის თარგმნისა და და თარჯიმნობის ინსტიტუტსა და თსუ-ს გერმანული ფილოლოგიის კათედრას შორის GIP-ის პარტნიორობის ფარგლებში გერმანისტიკის დარგში.**

**2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

1. 2.

1. პროფ. ვ. ატაინი (ჰაიდლებერგის უნივერისტეტი, პროექტის ხელმძღვანელი
2. პროფ. ლ. ქეცბა-ხუნდაძე (თსუ, პროექტის თანახელმძღვანელი)
3. პროფ. ა. კარტოზია (თსუ, პროექტის თანახელმძღვანელი)
4. ასოც. პროფ. ნუნუ კაპანაძე.

ა. ენის ტექნოლოგიური რესურსების შემუშავება და ტესტირება მცირე რესურსების მქონე ენებისთვის: ორი სპეციალური კორპუსის (გერმანულ-ქართული, ქართულ-გერმანული) მომზადება; ფუნქციები: პროექტის ძირითადი პერსონალი;

ბ. კარლ რუპრეხტის ჰაიდელბერგის უნივერისტეტის თარგმნისა და და თარჯიმნობის ინსტიტუტსა და თსუ-ს გერმანული ფილოლოგიის კათედრას შორის GIP-ის პარტნიორობის ფარგლებში ვ. ადმონის სახელობის დოქტორანტთა სკოლის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი;

გ. ადმონის სკოლის დოქტორანტის თ. ელბაქიძის სამეცნიერო თანახელმძღვანელი.

5. ასოც. პროფ. ნინო ქიმერიძე.
6. ასოც. პროფ. სოფიო მუჯირი
7. ასოც. პროფ. მარინა ანდრაზაშვილი

პროექტზე მუშაობა კათედრას დაყოფილი აქვს ასპექტების მიხედვით მასში მონაწილე პირთა ინდივიდუალური კომპეტენციების გათვალისწინებით. პროექტის წარმატებით გაგრძელებისა და მომდევნო, 2024 წელს პროექტის თეორიულ ეტაპზე გადასვლის მიზნით წლევანდელი ეტაპი ითხოვდა პროექტის მონაწილეთაგან პრაქტიკული სამუშაოების შესრულებს, კერძოდ, *კორპუსის ლინგვისტიკაში* თემატური კურსის გავლას, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტიდან დელეგირებული *თარგმნისა და თარჯიმნობის ინსტიტუტის* წარმომადგენლები.

ვმონაწილეობდი სამ ვორკშოპში (საერთო მოცულობა ათი საათი) თემაზე:

- „კორპუსის ლინგვისტიკა თარჯიმნობის თეორიაში“ *Korpuslinguistik in der Dolmetsch-Wissenschaft.* ხელმძღვანელი: დოქტ. *ევა კლიუბერი* (Eva Klüber); 26.10. და 27.10 – ოთხი საათი (ორი თეორიული, ორი პრაქტიკული);

- „კორპუსის ლინგვისტიკა თარჯიმნობის პრაქტიკაში“ *Korpuslinguistik in der Dolmetsch-Praxis.* ხელმძღვანელი: დოქტ. *ევა კლიუბერი* (Eva Klüber); 26.10. და 27.10 – ოთხი საათი (ორი თეორიული, ორი პრაქტიკული);
- „შესავალი კორპუსის ლინგვისტიკაში და პრაქტიკული სავარჯიშოები“ (Einführung in die Korpuslinguistik und Praxisübungen) ხელმძღვანელი: დოქტ. *ბეტინა ფეცერი* (Bettina Fetzer); 26.10. და 27.10 – ოთხი საათი (ორი თეორიული, ორი პრაქტიკული);
თეორიული სამუშაოები გაგრძელდება 2024 წლის იანვრიდან.

2.
***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

პროექტის მიზანია ენის ტექნოლოგიის რესურსების შემუშავება და გამოცდა მცირე რესურსების მქონე ენებისთვის. ორი სპეციალური კორპუსის (გერმანულ-ქართული, ქართულ-გერმანული) შემუშავება და ექსპერიმენტის ჩატარება მომზადებული კორპუსების ხარისხის და სარგებლიანობის შემოწმების მიზნით, ენის, კულტურისა და თარგმანმცოდნეობის პრობლემატიკასთან მიმართებით. პროექტი ინტერდისციპლინურია და მოიცავს ქვემოდულებს: ლიტერატურულ, მედიალურ და დარგობრივ კომუნიკაციას. თითოეული მოდულის ფარგლებში ეტაპობრივად ხორციელდება (ქართულ-გერმანული და გერმანულ-ქართული) კულტურის ტრანსფერის შესაძლებლობათა შესწავლა, რეალიზაცია და სწავლება.

**2. მოცემული ეტაპის თეორიული შედეგები:**
როგორც თსუ - ში, ასევე ჰაიდელბერგის რუპრეხტ კარლის სახ. უნივერსიტეტის თარგმანისა და თარჯიმნობის ინსტიტუტში სემინარებსა და ვორკშოპებზე დასწრების, ასევე მივლინების შედეგად, მოვიპოვე და დავამუშავე შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა, რომლის სისტემატიზაციის, ასევე თანამედროვე გერმანული ენის სპეციფიკისათვის შესატყვისი მიდგომებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრის შედეგად, მოვამზადე მასალები თარგმნის, თარჯიმნობისა და დიდაქტიკის სფეროში, სახელმძღვანელოს და დამხმარე სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსიის შესაქმნელად.

**მოცემული ეტაპის პრაქტიკული შედეგები:**
მოცემული პერიოდისათვის გამზადებულია:

ა). დასაბეჭდად გამზადებულია ელექტრონული ვერსია სახელმძღვანელოსათვის თარჯიმნობის, ნაწილობრივ დიდაქტიკის სფეროშიც, რომელიც მოიცავს დარგისათვის სპეციფიკურ ტექსტებსა და სავარჯიშოებს თარჯიმანთა უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. მომავალი თარჯიმნებისათვის მომზადებულია მხატვრული, პუბლიცისტური და დარგობრივი (სამედიცინო) ხასიათის მასალა პრაქტიკული, დამოუკიდებელი თარგმანისათვის.

**დასაბეჭდად გამზადებულია:**

ბ). დამხმარე სახელმძღვანელო მხატვრული თარგმანის ანალიზისა და კრიტიკის სფეროში. მოპოვებული და დამუშავებულია როგორც თეორიული ნაწილი, ასევე თარგმანის ანალიზისა და კრიტიკისათვის საჭირო პუბლიცისტური და მხატვრული ლიტერატურა.

პროექტთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურასა და საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებზე მოპოვებული ცოდნა და გამოცდილება აისახა:
1. **იხ.: 2023, ასევე წინა წლებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები და საკონფერენციო მოხსენებები**

2.შემდეგი სამაგისტრო კურსების სწავლების პროცესზე: „მხატვრული თარგმანის ანალიზი და კრიტიკა," „ზეპირი თარგმნის სტრატეგიები," „ტექსტის თარგმნამდელი ანალიზი" (სამაგისტრო პროგრამა: თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა/გერმანული ენა). სტუდენტებისათვის შექმნილია თეორიული მასალის, ასევე თარგმანისათვის საჭირო მხატვრული, პუბლიცისტური და დარგობრივი ლიტერატურის ელექტრონული ვერსიები. ზემოთ დასახელებულ კურსებზე გამოყენებულია თარგმანისა და თარჯიმნობის სწავლების ახალი, ინოვაციური მეთოდები, რაც აისახა როგორც სწავლების პროცესზე, ასევე სტუდენტთა (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) ნაშრომების ხელმძღვანელობისა და რეცენზირების ხარისხზე.

1. ა. ენის ტექნოლოგიური რესურსების შემუშავება და ტესტირება მცირე რესურსების მქონე ენებისთვის: ორი სპეციალური კორპუსის (გერმანულ-ქართული, ქართულ-გერმანული) მომზადება;

ბ. კარლ რუპრეხტის ჰაიდელბერგის უნივერისტეტის თარგმნისა და და თარჯიმნობის ინსტიტუტსა და თსუ-ს გერმანული ფილოლოგიის კათედრას შორის GIP-ის პარტნიორობის ფარგლებში ვ. ადმონის დოქტორანტთა სკოლა.

**3. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე კავკასიელი/ქართველი ტყვეების საარქივო მასალების დამუშავება „Übersetzung und Auswertung von Tonaufnahmen der Kriegsgefangenen des ersten Weltkriegs"**

- მეცნიერების დარგი და სამეცნიერო მიმართულება: კავკასიოლოგია, ისტორიოგრაფია, გერმანული ფილოლოგია, ქართული ფილოლოგია

- პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

პროექტს ყავს თანაბარუფლებიანი ორი თანაავტორი:
მარინა ანდრაზაშვილი, პროფ. დოქტ. – თსუ / საქართველო
ჰაიკე ლიბაუ, დოქტ. – ბერლინის ლაიბნიცის სახ. თანამედროვე აღმოსავლეთის ცენტრის განყოფილების გამგე
- პროექტის დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა: ლაიბნიცის სახელობის ბერლინის თანამედროვე აღმოსავლეთის კვლევის ცენტრი ZOM; გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა;
- პროექტის დაწყების და დამთავრების წლები: პროექტი დავგეგმეთ 2019 წელს. პირველი სამუშაოები დავიწყეთ 2020 წელს. პანდემიის გამო მუშაობის განახლება შევძელით 2022 წელს.
ბოლო სამუშაო შეხვედრა გვქონდა 2023 წლის აგვისტოში. დავასრულებთ სავარაუდოდ 2026 წელს.
- შესრულების ადგილი: ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული აუდიოარქივი / ბერლინი.

3.1.2. გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ტყვეების აუდიოარქივის დამუშავება ითვალისწინებს ჩანაწერების მოსმენას, ტრანსკრიპტის შედარებას თარგმანთან, აუდიოჩანაწერების ანალიზს ენობრივი დონეების მიხედვით, მათ ანალზს სოციოლინგვისტურ და სემანტიკურ პლანში.

მუშაობის პირველ ეტაპზე 2019 წელს საარქივო მასალების გაცნობის მიზნით ჩავატარეთ სასინჯი სამუშაოები, კერძოდ შევისწავლეთ ომის მონაწილე ტყვედ ჩავარდნილი რამდენიმე ქართველის აუდიოჩანაწერი და შესატყვისი ტრანსკრიპტები თარგმანითურთ ეპოქის კულტურისტორიულ კონტექსტში. იმ ეტაპზე გაწეული სამუშაოების დანიშნულება იყო, რამდენიმე ნიმუშზე დაყრდნობით შეგვემუშავებინა კვლევის ტექნოლოგიები და მეთოდები, რომლებსაც დავეყრდნობოდით არქივის აქტუალური სეგმენტის – კავკასიელი/ქართველი ტყვეების აუდიოჩანაწერების გლობალური შესწავლისას. პანდემიის გამო პროექტზე მუშაობის აღდგენა შევძელით 2022 წლის ივნის-აგვისტოში. პროექტთან უკან დაბრუნებამ გამოკვეთა სურათი, რასაც არ ველოდით, კერძოდ, 2020–2022 წლებში არქივის რეორგანიზაციისა და ხელახალი კატალოგიზაციის ფონზე სრულიად შეცვლილი ინვენტარის ნომრები, რის გამოც ფაქტობრივად თავიდან მოგვიხდა საძიებო სამუშაოს წარმართვა და რამაც საკმაო დრო შეიწირა. ინსტიტუტის (ZOM) წინაშე მუშაობის შედეგების პრეზენტაციისას პროექტს მიენიჭა – დასამუშავებელი ჩანაწერების მოცულობითობის, საარქივო მასალის კონფიდენციალურობისა და საქართველოს ტერიტორიული დაშორების გათვალისწინებით – გარდამავალი მრავალწლიანი პროექტის სტატუსი და ვადა გაუგრძელდა 2026 წლამდე.

2023 წელს სრულად დავამუშავეთ ე.წ. მანჭაიმის კორპუსის პირველი ნაწილი 24 აუდიჩანაწერი და შედეგები ავსახეთ სტატიაში: ბერლინის ჰუმბოლდტ-უნივერსიტეტის აუდიოარქივი და იქ არსებული ქართულენოვანი აუდიოჩანაწერები. წარვადგინეთ გამოსაქვეყნებლად რეცენზირებად ორენოვან ინტერნეტჟურნალში „სპეკალი“. რეცენზირების შედეგად მიღებულ დადებით პასუხზე დაყრდნობით სტატია აიტვირთა ინტერნეტჟურნალში „სპეკალი“. ბიბლიოგრაფიული მონაცემი: 2023 წელი, კრებული N 17. https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge; ISSN 1987 8583 (იხ. პუნქტი 5.3.).

დავასრულეთ ასევე ზემოხსენებული სტატიის გერმანული ვერსია, მისადაგებულს გერმანელი მკითხველის ინტერესებსა და წინარეცოდნასთან. სტატია აიტვირთება 2024 წლის მარტში ბერლინის თანამედროვე აღმოსავლეთის შემსწავლელი ცენტრის საიტზე.

ნაშრომის პრაქტიკული დანიშნულებაა: ჰუმბოლდტ-ფორუმის ფონოარქივში არსებული ქართულენოვანი მასალის შესწავლისას მიღებული შედეგები მიეწოდოს ქართულ საზოგადოებას.

თეორიული დანიშნულება უკავშირდება სამომავლო პერსპექტივებს, მიგნებული მეთოდოლოგია გამოყენებული იქნას აუდიოარქივის სხვა კორპუსების აღწერის მიზნითაც. სემანტიკურად და თემატურად ინტეგრირებული იქნას პუბლიკაცია აუდიოარქივში წარმოდგენილი ჩანაწერების ეპოქალურ ნარატივში.

## 3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

### 3.2.1. პროექტის დასახელება: გერმანიის ტოპონიმების ქართული ეკვივალენტები.

- პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

**მ. ანდრაზაშვილი** – პროექტის ავტორი და მისი ერთპიროვნული განმხორციელებელი.

- მეცნიერების დარგი და სამეცნიერო მიმართულება: პროექტი არის ინტერდისციპლინური პროფილის, მოიცავს კერძოდ, გერმანული ფილოლოგიის, ქართული ფილოლოგიის, კულტურგეოგრაფიისა და კარტოგრაფიის მიმართულებებს.

- შესრულების დრო: მრავალწლიანი პროექტი, სრულდებოდა 2013 – 2023 წლებში

- შესრულების ადგილი: მონაცვლეობით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და საქართველო.

- დამფინანსებელი: გერმანიის გაცვლითი აკადემიური სამსახური

### 3.2.2. დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წინამდებარე ლექსიკონი-ცნობარი ეძღვნება საკუთრივ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (და არა საზოგადოდ გერმანული ძირის მქონე ან სხვა გერმანულენოვანი ქვეყნების) გეოგრაფიულ სახელებს. ნაშრომი ინტერდისციპლინური ხასიათისაა, თუმცა ძირითადი აქცენტები მაინც ლინგვისტურ ასპექტზე მოდის; შესაბამისად, მისი უპირველესი მიზანია, გააცნოს მკითხველს გერმანიის ტოპონიმებისადმი ქართული ეკვივალენტების მისადაგებისა და მათი სწორად ჩაწერა-წარმოთქმის ნორმები, პარალელურად კი ასევე წიგნში შეტანილ ტოპონიმებთან დაკავშირებული არსებითი კულტურგეოგრაფიული და კულტურისტორიული რეალიები.

არსებობს საკუთარ სახელთა სწორად ტრანსფერირების უამრავი ხელშემშლელი ფაქტორი, რომელთა ნაწილი წმინდა ლინგვისტური ხასიათისაა: უკავშირდება, დავუშვათ, ამოსავალი და სამიზნე ენების ფონემური და გრაფემული ინვენტარის რაოდენობრივ და თვისებრივ არათანხვდენილობას, შრიფტების განსხვავებულობას, ფონოტაქტიკური და გრაფოტაქტიკური წესების ინდივიდუალობას, ჰომოფონების არსებობას, მარცვლის ღიაობა-დახურულობას, ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლეს და ა.შ.; მეორე ნაწილი კი არის ექსტრალინგვისტური ბუნების, ანუ შეპირობებული: ეპოქის ესთეტიკური შეხედულებებით, პოლიტიკური ვითარებით, გარკვეული რეგიონების იზოლირებულობით მსოფლიო ცივილიზაციისგან, პრედომინანტური ენების დიქტატით, მცირე (უპირველესად ეგზოტიკური) ენების უნებლიე მოქცევით ზონალური/მედიალური ენების გავლენის ქვეშ, ინტერლინგვალური ალონიმებისადმი ტოლერანტობით და ა.შ.; თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში შედეგი, ანუ მათი გამოვლენის ფორმა, მაინც ენობრივია.

არ გამოვრიცხავ, ლექსიკონში შემოთავაზებული ბევრი ფორმა ერთი შეხედვით უცნაური და მიუღებელიც კი აღმოჩნდეს სხვა ჟღერადობას მიჩვეული ქართველის ყურისთვის; ამას

თავისი ახსნა აქვს: ერთი მხრივ, სრულიად ბუნებრივია აზრთა სხვადასხვაობა; მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ფსიქოლოგიაში ცნობილი ბავშვის სააზროვნო პროცესების ეგოცენტრიზმი არცთუ იშვიათად ზრდასრული ასაკის ადამიანშიც აგრძელებს არსებობას პიროვნული ეგოცენტრიზმის სახით და, თავის მხრივ, გარკვეულწილად ეროვნული მეხსიერების სტაბილურობა-კონსერვატულობასაც ასაზრდოებს – როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გაგებით; ამის ფონზე სავსებით მოსალოდნელია, ახალშემოთავაზებული ვერსიის არსებულის ფილტრში გატარებისას ინდივიდმა მისდაუნებურად არჩევანი გააკეთოს უფრო შეჩვეულის, ნაცნობის სასარგებლოდ. ამ პროცესში ერთ-ერთი, ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია თაობებს შორის არსებული ასაკობრივი სხვაობა, კულტურული ტრადიციებისა და ესთეტიკური შეხედულებების ზეგავლენა და ა.შ.; მაგრამ ისიც ცხადია, რომ ყოველივე ახლის დამკვიდრებას დრო სჭირდება. თუ ამ თვალით შევხედავთ აღსაწერ ობიექტსაც თანამედროვე მსოფლიოს ღიაობის ფონზე რეალურად შევნიშნავთ, რომ მომწიფდა საფუძველი გერმანიის ტოპონიმთა სისტემური გადასინჯვის და მათი ჩაწერის რეფორმირების აუცილებლობისა ლინგვისტურად არგუმენტირებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

წიგნის ბიბლიოგრაფიული მონაცემები - იხ. პუნქტი 5.1.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

## 5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

### 5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. 1. ავტორი/ავტორები**; სოფიო მუჯირი**
მონოგრაფიის/წიგნის სათაური: **„გერმანული და ქართული იდიომები ენის სისტემასა და კონტექსტში“**
გამოცემის ადგილი, გამომცემლობა: უნივერსალი
გვერდების რაოდენობა: 150
საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN: იბეჭდება. ცნობა თან ერთვის

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. მონოგრაფიაში განხილულია ფრაზეოლოგიის, როგორც ლინგვისტური დისციპლინის დამოუკიდებელი დარგის ჩამოყალიბების ისტორია, განხილულია ამ დარგის ცნობილ ქართველ და უცხოელ მკვლევართა მოსაზრებები (შ. ბალი, ვ. ვინოგრადოვი, ი. ჩერნიშოვა ნ. შანსკი, ა. რაიხშტაინი, ი. ამოსოვა, ჰ. ბურგერი, ჩ. ფიოლდესი, დ. დობროვოლსკი, ი. კორჰონენი, ქ. შინდლერი ალ. ონიანი, ა. თაყაიშვილი, ალ. ღლონტი, შ. ძიძგური, და სხვ.), ფრაზეოლოგიური სისტემის ურთიერთქმედება ენის ლექსიკურ და გრამატიკულ სისტემებთან, ფრაზეოლოგიზმის ფუნქცია: ცნებათა ჯგუფის ხატოვანი და ექსპრესიული გამოხატვა. მოცემულია ფრაზეოლოგიური ერთეულის განსაზღვრება, რომელიც მოიცავს სამ დონეს: 1. სემანტიკურს, ანუ მნიშვნელობის დონეს; 2. პრაგმატულს ანუ ენობრივი ერთეულის მოხმარების დონეს: რის საფუძველზე, როგორი ინტენციით იყენებს კომუნიკანტი ამა თუ იმ გამოთქმას; 3. სიტუაციურ ანუ სოციალურ დონეს. აღწერილია ფრაზეოლოგიის კლასიფიკაციის ცდა სხვადასხვა თანამედროვე ავტორთა მიერ.

მონოგრაფიაში კვლევის ძირითადი ობიექტია იდიომები. განხილულია იდიომთა თარგმნის ისტორიის საკითხები, ცნობილ მკვლევართა ნაშრომებზე დაყრდნობით (დ. ფანჯიკიძე, გ. გაჩეჩილაძე, წინახაშვილი, ქ. კანდელაკი, ა. ალხაზიშვილი, ვ. ვინოგრადოვი, რ. მანტენი, ს. კალი, ქ. შინდლერი და სხვ.), იდიომების სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია, სემანტიკური და სტრუქტურული თავისებურებები და თარგმნის პრობლემები. მოცემულია მათი თარგმანის შეფასების კრიტერიუმები: თარგმანში დედნის შინაარსისა და ფორმის, სტილის, ემოციურ-ესთეტიკური ასპექტების ადეკვატური გადმოცემა და სხვ.

მონოგრაფიაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა თარგმნის პრობლემებს: თარგმანში უცხო და მშობლიურის თანაფარდობის საკითხი, ,,ნაციონალური კოლორიტის“, და ,,დედნის მხატვრული შთაბეჭდილების“ შენარჩუნება, უცხო იდიომის მნიშვნელობის, ხატოვანების და ექსპრესიულობის შენარჩუნება, ქართული შესატყვისის მოძებნის და მისი კონტექსტთან მისადაგების საკითხი. განხილულია ეკვივალენტთა სახეები: სრული, ნაწილობრივი და ნულოვანი ეკვივალენტი და იდიომთა თარგმნის საშუალებები: იდიომით, ფრაზეოლოგიზმით, სიტყვით, სიტყვათა ჯგუფით ან მნიშვნელობის აღწერით. მიჩნეულია, რომ შეძლებისდაგვარად, იდიომთა თარგმნისას სხვა პარამეტრებიც უნდა იყოს დაცული. ესენია: ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა, ან მნიშვნელობები, მისი კონოტაცია, კომპონენტთა შემადგენლობა, ვარიანტების არსებობა, ლექსიკურ-გრამატიკული კლასისადმი მიკუთვნება, ფრაზეოლოგიზმის გრამატიკული ან ლექსიკური კომბინირების უნარი, ისტორიულ-დროული მახასიათებლები, რომელთა გათვალისწინებით, მთარგმნელმა უნდა დაადგინოს გერმანული და ქართული იდიომების ეკვივალენტური მიმართებები კონტექსტში. გერმანული იდიომისა და ლექსიკონში მოცემული ქართული ეკვივალენტის პარამეტრები შესაძლოა დაემთხვნენ, მაგრამ არ ესადაგებოდნენ ერთმანეთს მოცემულ კონტექსტში. ამ შემთხვევაში მთარგმნელმა უნდა მოიძიოს შესაბამისი „კონტექსტური ეკვივალენტი“.

მონოგრაფიაში ცალკე თავი ეთმობა იდიომთა ავტორისეული მოდიფიკაციის ხერხებს: ფრაზეოლოგიზმის კომპონენტების სუბსტიტუციას, ელიმინაციას, რედუცირებას და სხვ. და ამგვარი იდიომების თარგმნის საკითხებს. გერმანულენოვან მხატვრულ ტექსტებში და მათ ქართულ თარგმანებში მოძიებული იდიომების ბაზაზე, ნაშრომში მოცემულია იდიომთა თარგმნის შეპირისპირებითი ანალიზი (ანალიზისათვის გამოყენებულია ჰ. კანტის რომანი: „აუდიტორია“, ნ. ხარატიშვილის რომანი: ,,მერვე სიცოცხლე“ (ბრილკასთვის), გ. გრასის ტექსტები:

,,დედალი ვირთაგვა,“ თუნუქის დოლი.“ და განხილულია თარგმანთან დაკავშირებულისირთულეები: ავტორისეული ინტენციის სრულყოფილად გადმოცემა, დედნის ერთგულება, ხარვეზები თარგმანში: გაუმართლებელი სუბსტიტუციები, გამოტოვებები და დამატებები.

მოცემულ ნაშრომში ცალკე თავში განვიხილავთ დასურათებულ სარეკლამო განცხა- დებებში განთავსებულ იდიომებს, რომელთა იდიომატური ხატი იცვლება სარეკლამო სურათის ზეგავლენით. დადგენილია, რომ სარეკლამო განცხადებებში განთავსებულ იდიომებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის პოტენციალი გააჩნიათ. სარეკლამო სურათმა იდიომატურ ხატზე შეიძლება საერთოდ არ მოახდინოს გავლენა. სარეკლამო სურათმა იდიომატურ ხატზე იმ შემთხვევაში შეიძლება მოახდინოს გავლენა, როდესაც: ერთდროულადაა აქტუალიზებული იდიომატური ხატის ერთი კომპონენტის სიტყვასიტყვითი და გადატანითი მნიშვნელობა; სარეკლამო სურათი იწვევს იდიომატური ხატის ან მისი რომელიმე კომპონენტის სპეციფიკაციას. ამასთან, იდიომის მნიშვნელობა უცვლელი რჩება, მაგრამ შესაძლებელი ხდება მისი ორმაგი ინტერპრეტაცია; იდიომს „ემატება“ ერთი კომპონენტი, მაგრამ იგი ინარჩუნებს იმავე ფრაზეოლოგიურ მნიშვნელობას და ა. შ.

მოცემულ ნაშრომში შემდეგი თავის კვლევის საგანია უზუალური პარემიები, ასევე, ფორმალურად და სემანტიკურად სახეშეცვლილი ანდაზები. დადგენილია მოდიფიკაციის მიზეზები: ანდაზით გადმოცემული რეალიის მოძველება და შეუსაბამობა თანამედროვე ცხოვრების წესთან; ანდაზის ხშირი ციტირება, რის გამოც იგი კარგავს ხატოვნებას. მოდიფიკაცია განპირობებულია ასევე ანდაზის გრძელი ფორმულირების ლაკონურად გადმოცემის, მისი დედააზრის ახლებურად ან იუმორისტულად მიწოდების სურვილით. პაროდიის საგანი ხდება უზუალური ანდაზის აპოდიქტიკური ტონი და ავერსიის გამომწვევი მითითებები. ჟურნალისტური ტექსტის ტიპში (ფელეტონი, სარეკლამო ტექსტი, მკითხველის წერილი, მოდების ჟურნალი და სხვ.) ჩვენს მიერ მოპოვებული და გაანალიზებული ანდაზა-მოდიფიკაციები სათავეს იღებენ ლათინური და ბერძნული ენებიდან, ბიბლიიდან, ლიტერატურული წყაროებიდან. ეს ანდაზები გერმანულ ენაში დამკვიდრდნენ გერმანული ენის სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელის გამოყენების საფუძველზე. მოდიფიკაციის შედეგად ისინი უფრო ზუსტად და ხატოვნად გადმოსცემენ აზრს, უკეთ ესადაგებიან კონტექსტსა და სიტუაციას, ხასიათდებიან პაროდიული და სემანტიკურ-სტილისტიკური კონოტაციების მრავალფეროვანი სპექტრით.

გაანალიზებულ ტექსტებში გვხვდება მოდიფიკაციის შემდეგი ტიპები: ფორმალური მოდიფიკაცია სემანტიკური მოდიფიკაციით ან მის გარეშე და სემანტიკური მოდიფიკაცია ფორმალური მოდიფიკაციის გარეშე. ყველაზე ხშირად ჟურნალისტური ტექსტის ტიპში გვხვდება ფორმალური მოდიფიკაციის კომბინაცია სემანტიკურ მოდიფიკაციასთან. ადრესანტი მოდიფიკაციების შესაქმნელად ყველაზე ხშირად იყენებს სუბსტიტუციის ხერხს, რომელიც გულისხმობს ანდაზის ერთი ან რამდენიმე ლექსემის ჩანაცვლებას სინონიმური ან ანტონიმური სიტყვით, სინტაგმით ან წინადადებით. სუბსტიტუციის ხერხის გამოყენება ხშირად იწვევს სიტყვათა თამაშს, ანდაზის ორაზროვან გაგებას ანუ მისი ძირითადი და სიტყვასიტყვითი მნიშვნელობების პარალელურ აქტუალიზაციას. ასეთ შემთხვევაში ანდაზაში ერთდროულადაა რეალიზებული მოდიფიკაციის ორივე ხერხი: „სუბსიტუცია“ და „ორმაგი აქტუალიზაცია“. გარდა აღნიშნული ხერხებისა ანდაზის პაროდიული ტრანსფორმაციისათვის ადრესანტი იყენებს „დამატების“, „კონტამინაციის“ და „ანდაზის ხატის გამოყენების“ ხერხებს.

მონოგრაფიაში განხილულია საკითხები, რომელთა გადაჭრა აუცილებელია იდიომთა ლექსიკოგრაფიული ასახვისათვის ორენოვან (ქართულ - გერმანულ), ენის შემსწავლელთათვის განკუთვნილ ლექსიკონში. ესენია: ლექსიკონის ტიპის (რეცეფციული თუ პროდუქტიული) განსაზღვრა, იდიომების როგორც ლექსიკონის ერთეულების არჩევისა და აღწერის კრიტერიუმებისა და საშუალებების დადგენა. აღნიშნულია, რომ პროდუქტიული ტიპის (აქტიური) ლექსიკონი, რომელიც უცხოური ენის შემსწავლელს ყველაზე მეტად ენის შესწავლის საწყის ეტაპზე ესაჭიროება, უნდა შეიცავდეს ყველაზე

გავრცელებულ და ხშირად ხმარებულ იდიომებს, მათი სემანტიკის, სინტაქტიკისა და პრაგმატიკის დაწვრილებითი აღწერით, რათა ენის შემსწავლელმა შესძლოს იდიომის აქტიური გამოყენება მისი ადეკვატური გაგების, თარგმნისა და ფორმულირებისათვის სხვადასხვა კონსიტუაციაში. ლექსიკონი უნდა ითვალისწინებდეს ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს საკომპეტენციო დონეებისათვის განსაზღვრულ თემატურ სფეროებს. იდიომების შერჩევა, შემოსაზღვრა და აღწერა სწორედ ამ თემატური სფეროების პერცეფციისა და პროდუქციისათვის იქნებოდა ამავე დროს იდეალური მეთოდი ლემების თემატური რელევანტობის პრინციპით შერჩევისათვის.

მიგვაჩნია, რომ იდეალური იდიომატური ლექსიკონი უნდა შეიცავდეს მონაცემებს იდიომთა მნიშვნელობის ახსნის, მათი ხატოვანი კომპონენტის ექსპლიკაციის, ეტიმოლოგიისა და კულტურული სპეციფიკის, პრაგმატიკული გამოყენების, სინტაქსური ტრანსფორმაციების, ლექსიკური მოდიფიკაციებისა და გამოყენების შეზღუდვების შესახებ, ასევე იდიომთა სხვადასხვა ტიპის ტექსტში, ონომასიოლოგიურ და იდეოგრაფიულ სტრუქტურებში ფუნქციობის შესახებ.

გერმანული და ქართული იდიომებისა და პარემიების თეორიული საკითხების კვლევას, მონოგრაფიის მეორე ნაწილში ახლავს პრაქტიკული ნაწილი: შესასწავლი გერმანული იდიომების ჩამონათვალი, მათი გერმანული შესატყვისები, ქართული თარგმანები და მრავალფეროვანი სავარჯიშოები.

ვფიქრობთ მოცემული მონოგრაფია საშუალებას მისცემს როგორც ფრაზეოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ პირებს, ასევე ჩვენს სტუდენტებს, სიღრმისეულად გაეცნონ გერმანული და ქართული იდიომებისა და პარემიების თავისებურებებს ენის სისტემასა და კონტექსტში, იდიომთა უნივერსალურ მახასიათებლებს და თითოეული ენისათვის სპეციფიკურ, კულტურულად განპირობებულ სტრუქტურულ –სემანტიკურ განსხვავებებს, მათი ლექსიკოგრაფიული ასახვის პერსპექტივას, ლიტერატურულ ტექსტებში და სარეკლამო განცხადებებში იდიომების და ანდაზების მოდიფიცირების ხერხებს. ფრაზეოლოგიის კვლევის ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები

წარმოადგენენ არა მარტო თანამედროვე ფრაზეოლოგიური კვლევის უმნიშვნელოვანეს პრობლემას, არამედ აგრეთვე საკმაოდ საინტერესო სასწავლო მასალას გერმანული ენის შემსწავლელთათვის. მათი სწავლება მიზნად ისახავს სტუდენტთა კოგნიტიური, ენობრივი და სოციალური კომპეტენციების გაზრდას, რაც გულისხმობს სხვადასხვა წყაროებიდან წარმოქმნილი იდიომების, პარემიების და მათი მოდიფიკაციების ცნობას, გაგებასა და გამოყენებას.

იდიომისა და ანდაზის ადეკვატური აღქმა-გაგებისა და აქტიური გამოყენებისათვის მოცემული კონტრასტული და რეცეპტიული და პროდუქტიული ტიპის სავარჯიშოებში, კონტექსტსა და მცირე ზომის აუთენტიკურ ტექსტებში დაეხმარება სტუდენტებს ინტერფერენციული შეცდომების რედუცირებაში, ზეპირ და წერილობით ტექსტში იდიომების და პარემიების თავისუფლად გამოყენების უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბებაში.

2. **მ. ანდრაზაშვილი: „გერმანიის ტოპონიმების ორთოგრაფიული ლექსიკონი კულტურგეოგრაფიული** კომენტარებით“ (ორ ტომად). გერმანულ-ქართული, ქართულ-გერმანული. (Orthographisches Wörterbuch der Toponyme Deutschlands mit kulturgeographischen Kurzkommentaren. In zwei Bänden) თსუ გამომცემლობა 2023.

ორტომეულის: ISBN 978-9941-491-97-9
პირველი ტომის: ISBN 978-9941-491-98-6
მეორე ტომის: ISBN 978-9941-491-99-3

ორტომეული მოიცავს 1.000-მდე გვერდს და მასში შესულია 2.100 ტოპონიმი, წარმოდგენილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის აქტუალურ სტანდარტულ რუკაზე.

**5.1.2. ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

გერმანულ ტოპონიმთა ზემოხსენებულ ლექსიკონს წინ უძღვის ტიტულატურა. სამენოვანი შესავალი აღწერს წიგნის არსს, დანიშნულებას და მასში შემავალ ექვს ნაკვეთს:

ნაკვეთი I ეძღვნება წინათქმას, შესრულებულს ქართულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე; მას ერთვის ამოსავალი და სამიზნე ენების ანბანი, ასევე გერმანული ენის გრაფემათა და ფონემათა ურთიერთმიმართებისა და მათი ქართული შესატყვისების ამსახველი ცხრილი.

ნაკვეთი II მოიცავს პირველ, ანუ გერმანიის ტოპონიმთა ძირითად – გერმანულ-ქართულ – კორპუსს, რომელშიც ამოსავალი ენა არის გერმანული, სამიზნე ენა – ქართული. ეს ნიშნავს, რომ მოპოვებული გერმანულენოვანი ტოპონიმები, როგორც სიტყვასტატიის თავკიდური ანუ საძიებო სიტყვები, აქ გერმანულ ანბანზეა დალაგებული.

ფორმალური ნორმატივები სიტყვასტატიის არქიტექტონიკის, ანუ აგების მოდელის თვალსაზრისით უნიფიცირებულია, კერძოდ:

- ყოველი სიტყვასტატია იწყება ლათინური შრიფტით ჩაწერილი ენდონიმით;
- დართული აქვს შესატყვისი საწარმოთქმო ნორმები კვადრატულ ფრჩხილებში განთავსებული ტრანსკრიფციული სიმბოლოების სახით;
- მას მოსდევს ქართული ეკვივალენტი, აგებული სახელთტრანსფერის თეორიაზე დაყრდნობით;
- სიტყვასტატიას სრულყოფს ტერიტორიული, ადმინისტრაციული, დემოგრაფიული, მხარეთმცოდნეობითი, კულტურისტორიული, კულტურგეოგრაფიული ხასიათის კომენტარი.

ნაკვეთი III მოიცავს მეორე, დამატებით – ქართულ-გერმანულ – კორპუსს, რომელიც თავისი არსით პირველი/ძირითადი გერმანულ-ქართული კორპუსის სარკისებრი ანარეკლია იმ გაგებით, რომ მასში ამოსავალი ენა არის ქართული, სამიზნე ენა – გერმანული; შესაბამისად, ქართული ეკვივალენტები ამჯერად დალაგებულია ქართულ ანბანზე, გერმანულენოვანი ენდონიმები კი ასრულებენ თანმხლების ფუნქციას. ამ კორპუსის დანიშნულებაა, მკითხველს საშუალება მისცეს, საჭიროებისამებრ მარტივად გადაამოწმოს ტოპონიმის მართლწერა როგორც ერთ, ისე მეორე ენაზე (ტრასკრიპციული სურათისა და მხარეთმცოდნეობითი ინფორმაციის განმეორებით მიწოდება ამ ეტაპზე არარაციონალური იქნებოდა და წიგნს უმიზნოდ გაზრდიდა).

ნაკვეთი IV ჩაფიქრებულია როგორც დანართი-1 და მისი დანიშნულებაა, მკითხველს თვალის ერთი მოვლებით შეუქმნას წარმოდგენა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ორგანიზაციაზე, მითუმეტეს, რომ თავისი იერარქიული საფეხურებით ის არაერთტიპურია, კერძოდ: ზოგიერთ ბუნდესლანდში (ბაიერნში, ჰესენში, ნორდრაინ-ვესტფალენში, ბადენ-ვიურტემბერგში, ზაქსენში) ფუნქციონირებს ადმინისტრაციული მოწყობის სამსაფეხურიანი იერარქიული სისტემა: ბუნდესლანდი (ბუნდესლანდ) → სამთავრობო-ადმინისტრაციული რეგიონები (რეგირუნგსბეცირკე) → მხარეები/სამხარეო-ადმინისტრაციული ერთეულები (ლანდკრაიზე ან კრაიზე); სხვა დანარჩენში (ბრანდებურგში, მეკლენბურგ-ფორპომერნში, შლეზვიგ-ჰოლშტაინში, ნიდერზაქსენში, ზაქსენ-ანჰალტში, თიურინგენში, ზაარლანდში) – ორსაფეხურიანი: ბუნდესლანდი (ბუნდესლანდ) → მხარეები/სამხარეო-ადმინისტრაციული ერთეულები (ლანდკრეიზე/კრეიზე); თითოეულ სამთავრობო რეგიონს, ისევე როგორც მხარეს, აქვს საკუთარი ადმინისტრაციული ცენტრი; პარალელურად ყველა ბუნდესლანდში არის სამხარეო-ადმინისტრაციული დაქვემდებარების გარეშე მყოფი ანუ თვითმმართველი ქალაქები/კრეისფრაიე შტეტე, მთელი ფედერაციული რესპუბლიკის მასშტაბით კი არის

ბუნდესლანდის სტატუსის მქონე სამი ქალაქი (ჰამბურგი, ბრემენი და ბერლინი), ანუ ქალაქი-ბუნდესლანდი.

ნაკვეთი V – დანართი-2 ეძღვნება საილუსტრაციო მასალას, რომელშიც ხდება ლექსიკონში შესული ერთეულების ვიზუალიზაცია ფიზიკური და პოლიტიკური რუკების სახით – როგორც გაერთიანებული გერმანიის, ისე ცალკეული ბუნდესლანდების მასშტაბით;

ნაკვეთი VI ეძღვნება ბიბლიოგრაფიას, თუმცა წინასწარვე შევნიშნავ, რომ ის მხოლოდ მთავარი წყაროების ჩამონათვალს მოიცავს, რადგან არაფრისმომცემი იქნებოდა ინტერნეტრესურსების დაწვრილებითი სიის შედგენა თანამედროვე პირობებში მათი სიუხვის ფონზე.

ლექსიკონის პრაქტიკული ღირებულებაა ის, რომ: ა) ის აცნობს ქართული საზოგადოების ფართო ფენებს გერმანული ენის გრაფემულ და ფონემურ სისტემათა ურთიერთმიმართება და ორივე მათგანის შესაბამისობას ქართულთან; ბ) ნათელს ხდის გერმანულ საკუთარ სახელთა ქართულად ტრანსლიტერაციის წესებს; ბ) გერმანულ ტოპონიმთა და ანთროპონიმთა სწორად ჩაწერასა და წარმოთქმას; გ) ეხმარება მკითხველს იმსჯელოს გერმანიის პოლიტიკური და ადმინისტრაციული მოწყობის სისტემის ინდივიდუალობაზე; დ) წარუდგენს ცალკეული ბუნდესლანდების რუკებს; დ) აზიარებს მკითხველს გერმანიის კულტურგეოგრაფიულ რეალიებს.

წიგნის ძირითადი პრაქტიკული დანიშნულებაა მისი გამოყენება დამატებითი ლიტერატურის სახით გერმანისტიკის მიმართულებაზე გერმანიის მხარეთმცოდნეობისა და კულტურის ტრანსფერის კურსის გავლისას;

მთავარი თეორიული ღირებულება ის არის, რომ ორტომეულმა მოამზადა საფუძველი ახალი თეორიული პროექტისთვის: გერმანისტული ონომასტიკა და სახელთტრანსფერი (იხ. პუნქტი 7.3.). წიგნი შეიძლება გამოდგეს როგორც ნიმუში სხვა მიმართულების ფილოლოგიური განხრის მკვლევართათვის ანალოგიური პროფილის ლექსიკონის შესადგენად სხვა ქვეყნების ტოპონიმთა მიმართ.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **Manana Rusieshvili, Ketevan Surguladze, Natela Mosiashvili, Sopio Totibadze** -Speak Outside the Box , I (TSU Publishing House, ISBN 978-9941-36-067-1 ( ყველა წიგნის): ISBN 978-9941-36-068-8 ( წიგნი I).61 pages.

2. **Manana Rusieshvili, Ketevan Surguladze, Natela Mosiashvili, Sopio Totibadze** -Speak Outside the Box, II ( TSU Publishing House, ISBN 978-9941-36-067-1 ( ყველა წიგნის): ISBN 978-9941-36-133-3 ( წიგნი I).61 pages.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ორივე წიგნი მიზნად ისახავს სტუდენტის სასაუბრო უნარ-ჩვევების განვითარებას სხვადასხვა ტიპის ზეპირი აქტივობისა და ჯგუფური აქტივობების საშუალებით.

**5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო** კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **მანანა რუსიეშვილი-კარტლეჯი, რუსუდან დოლიძე,** მარიამ ქებურია და **სოფიო თოთიბაძე**- Metaphoric Conceptualisation of PRIDE in the Georgian Language and Culture. სიამაყის მეტაფორული კონცეპტუალიზაცია ქართულ ენაში. (Online Journal of Humanities ETAG, TSU, 2023 (ჟურნალი რეგისტრირებულია მრავალ ბაზაში, მათ შორის, ერიჰ+-შიც) DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2023.2346-8149.02 **e-ISSN:** 2346-8149

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

მეტაფორა გამოხატავს საზოგადოების კულტურულ ფასეულობებს და გადმოსცემს მის მსოფლმხედველობას (Lakoff & Johnson, 2008). ამ თვალსაზრისით, ემოციის, მაგალითად, „სიამაყის" კონცეპტუალიზაციამ შეიძლება გამოავლინოს სამყაროს მეტაფორული აღქმის უნივერსალური და კულტურულ- სპეციფიკური მოდელები, რომლებიც წარმოიქმნება, ერთი მხრივ, მსგავს გამოცდილებაზე დაფუძნებული, გაზიარებული და, მეორე მხრივ, კულტურულ-სპეციფიკური კონტექსტზე დაყრდნობით. ეს ნაშრომი იკვლევს მეტაფორის უნივერსალურ უნივერსალურ და მათ სპეციფიკურ გამოვლინებებს, რომლებიც გამოიყენება ქართულ ენასა და კულტურაში სიამაყის კონცეფციის კონცეპტუალიზაციისას. ემპირიული მონაცემები შეგროვდა საქართველოს ეროვნული კორპუსიდან. მონაცემები გაანალიზებულია რუსეშვილის მიერ შემოთავაზებული მეტაფორის მოდელზე დაყრდნობით (2005).

2. **ნანა გუნცაძე** - სიმბოლიზმი და მითოლოგია DOI –is ინდექსი hteps// doi.org /105234o/lac

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

თემატური კრიტიკა ჰერმენევტიკული კრიტიკის სხვა ფორმებისაგან განსხვავდება იმით, რომ ის უარყოფს პოსტულატს – ლიტერატურა ადამიანის, საზოგადოების და ისტორიის გამოხატვაა; თემატური კრიტიკა იზიარებს რომანტიზმისგან მემკვიდრეობით მიღებულ ახალ კონცეფციას: ლიტერატურული ნაწარმოები, უპირველეს ყოვლისა, ეს არის უხილავი და ფარული კავშირების გამოვლენა, ზეშთაგონება. დამოკიდებულება, რომელსაც მწერალი ენის მიმართ იჩენს, მხატვრულ ტექსტს აქცევს გამოგონების ადგილად და არა საკუთარი თავის გამოხატვად. თემატური კრიტიკა ინტერნალურია. მათთვის, ვინც კითხვა იცის, მწერლის დამოკიდებულება სამყაროსთან, სხვა ადამიანებთან და საკუთარ თავთან მთლიანად მწერლის ტექსტშია მოთავსებული; ეს ის ადგილია, სადაც ავტორი თავის თავს იგონებს, საკუთარ თავს შეიცნობს. ამ მიმართულების კრიტიკოსს მიაჩნია, რომ მან უნდა გააცნობიეროს მწერლის მიერ განვლილი სულიერი გამოცდილება. ერთი და იმავე ტექსტზე სხვადასხვა კრიტიკული მეთოდის გამოყენებას ზოგჯერ ძალზე საინტერესო შედეგებამდე მივყავართ. რემბოს ცნობილ ნაწარმოებზე „გასხივოსნებაზე" მუშაობისას ძირითადად თემატიური მეთოდით ვხელმძღვანელობდი. ამასთან, შევეცადე ნაწილობრივ გამომეყენებინა მითოკრიტიკული მიდგომებიც და ყურადღება დამეთმო მითოსური ელემენტებისათვის რემბოს „გასხივოსნებაში".

3. **მარინა კობეშავიძე, კარდინალ სისნეროსი და მისი მოღვაწეობის მნიშვნელობა ესპანეთში."** კულტურათაშორისი დიალოგები", ტომი -7, 2023/9/29
https://journals.4science.ge/index.php/IDW

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

კარდინალი სისნეროსი ესპანეთის რელიგიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი ცენტრალური ისტორიული ფიგურაა. ტოლედოს არქიეპისკოპოსის, კარდინალ სისნეროსის სახელთან არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა დაკავშირებული, მათ შორის: საეკლესიო რეფორმა კასტილიაში, რაც მარტინ ლუთერის რეფორმაციულ მოძრაობას ორი ათეული წლით უსწრებს წინ. საეკლესიო რეფორმის ფარგლებში, სისნეროსი მიზნად ისახავს კასტილიის სამღვდელოებაში ჯერ მორალურ-ზნეობრივი კრიზისის აღმოფხვრას, შემდეგ კი იგივე სამღვდელოების განათლებისთვის და ინტელექტუალური ზრდისთვის ალკალაში აარსებს უნივერსიტეტს - Universitas Complutensis და ბეჭდავს პირველ მრავალენოვან ბიბლიას, რომელიც ისტორიაში „Biblia políglota Complutense"-ს სახელით შევიდა. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში მოხდა ბიბლიის - როგორც ორიგინალი ტექსტის, ისე ბერძნული (სეპტუაგინტა) და ლათინური (ვულგატა) თარგმანების - დამუშავება და დაბეჭდვა.

4. **მარინა კობეშავიძე მორფოლოგიური ურთიერთმიმართებანი სხვადასხვა სისტემის ენებში (ესპანური და ქართული ენების მასალაზე)**, ფილოლოგიური კვლევები, N VI (2023), გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (http://www.sciencejournals.ge/index.php/NJ/article/view/322).

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

შესავალი. ესპანური (კასტილიური) ენის გრამატიკის ისტორია ანტონიო დე ნებრიხას 1492 წლით დათარიღებული ნაშრომით „Gramática de la lengua castellana" იწყება. 1 მეორე მნიშვნელოვანი თარიღი ესპანური გრამატიკული აზროვნების ისტორიისათვის არის 1771 წელი, როცა სამეფო აკადემიამ (Real Academia Española) კასტილიური ენის ახალი გრამატიკა „Gramática de la lengua castellana" გამოაქვეყნა. 2 დაარსებიდან დღემდე აკადემიამ ნაშრომი რამდენჯერმე განაახლა და უახლესი ვერსია „Nueva gramática de la lengua española" 2009 წელს დაბეჭდა. რაც შეეხება ქართული ენის გრამატიკის ისტორიას, ქართული ენის პირველ მაღალ დონეზე დაწერილ გრამატიკად ანტონ ბაგრატიონის „ქართული ღრამმატიკა" ითვლება (პირველი რედაქცია - 1753 წ., მეორე რედაქცია - 1767 წ.), ხოლო აკაკი შანიძის ნაშრომები - „ქართული გრამატიკა" და „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები" - ქართული ენის ყველა მკვლევარისათვის ფასდაუდებელი განძია. უახლესი გრამატიკული ნაშრომებიდან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს 2016 წელს გიორგი გოგოლაშვილისა და ავთანდილ არაბულის რედაქციით გამოცემული „ახალი ქართული ენა". ზემოხსენებული მეცნიერების გარდა, ესპანური და ქართული ენების გრამატიკას და გრამატიკის ისტორიას იკვლევდნენ ისეთი ცნობილი ენათმეცნიერები, როგორებიც არიან: რამონ მენენდეს პიდალი, ემილიო ალარკოსი, მანუელ სეკო, სამუელ ხილი გაია, ხოსე მანუელ ბლეკუა, ლეონარდო გომეს ტორეგო, გაიოზ რექტორი, იოანე ქართველიშვილი, სოლომონ დოდაშვილი, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, ბესარიონ ჯორბენაძე და სხვები. ტარდებოდა შეპირისპირებითი კვლევებიც, სადაც ესპანურ (კასტილიურ) და ქართულ ენებს უპირისპირებდნენ როგორ მონათესავე, ისე არამონათესავე ენებს. ჩატარებული კვლევების სიმრავლის მიუხედავად, ამ დრომდე არ გამოქვეყნებულა მონოგრაფია, რომელიც აგებული იქნებოდა მხოლოდ ესპანური (კასტილიური) და ქართული ენების გრამატიკული სისტემების კონტრასტულ ანალიზზე. წინამდებარე სტატიის ავტორებმა ამ საკითხზე უკვე დავიწყეთ მუშაობა. ვმუშაობთ, რომ შეიქმნას მონოგრაფია, სადაც წარმოდგენილი იქნება ესპანური (კასტილიური) და ქართული ენების გრამატიკის, კერძოდ მორფოლოგიის შედარება-შეპირისპირება. ბუნებრივია, ნაშრომი დიდ სამსახურს გაუწევს ესპანური და ქართული ენების კონტრასტული გრამატიკით დაინტერესებულ სტუდენტებს და მკვლევარებს. კვლევის დასრულებამდე და მონოგრაფიის გამოქვეყნებამდე კი წარმოვადგენთ სტატიას, სადაც განხილულია ესპანურ და ქართულ

არსებით სახელებსა და ზმნებს შორის გამოკვეთილი რამდენიმე განმასხვავებელი ნიშანი. ყურადღება გავამახვილეთ იმ ფორმა-საშუალებებზეც, რომელსაც ესპანური (კასტილიური) ენა იყენებს ესპანურისთვის უცხო, მაგრამ ქართულ ენაში არსებული გრამატიკული კატეგორიების გადმოსაცემად, და პირიქით.

არსებით სახელთან ესპანურ ენაში გვხვდება სქესისა და რიცხვის მორფოლოგიური კატეგორიები, ხოლო ქართული ენისათვის დამახასიათებელია ბრუნება და რიცხვი. როგორც ვხედავთ, არსებითი სახელის მორფოლოგიური კატეგორიებიდან საერთო ორივე ენისთვის მხოლოდ რიცხვის მორფოლოგიური კატეგორიაა. როგორც ესპანურ (კასტილიურ), ისე ქართულ ენაში არსებობს მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი. სიმრავლის გადმოსაცემად ორივე ენა გრამატიკულ მორფემას იყენებს, მაგალითად: libro-s, წიგნ-ებ-ი. მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ფლექსიური მორფემა (-s) ესპანურ ენაში ჩნდება მაშინაც, როცა არსებით სახელს წინ უსწრებს რაოდენობის აღმნიშვნელი მსაზღვრელი (cinco libros). აღნიშნული მოვლენა ქართული ენისთვის უცხოა. სიმრავლის ლექსიკურად (სხვა სიტყვის გამოყენებით) გადმოცემის დროს ქართულ ენაში არსებითი სახელი მხოლობით რიცხვში რჩება (diez hombres - ათი კაცი). სქესის გრამატიკული კატეგორია არ მოგვეპოვება ქართულ ენაში, მაგრამ რიგ შემთხვევებში სქესის ლექსიკური საშუალებებით გადმოცემა ფიქსირდება: დედა, მამა, და, ძმა. არსებითი სახელი ესპანურ ენაში არ იბრუნვის, რასაც ვერ ვიტყვით ესპანურის ფუძე-ენაზე. ლათინურ ენაში ექვს ბრუნვას განარჩევდნენ (ნომინატივი, გენეტივი, დატივი, აკუზატივი, აბლატივი და ვოკატივი). თითოეულ ბრუნვას თავისი ბრუნვის ნიშანი და კონკრეტული ფუნქციური დატვირთვა ჰქონდა, მაგალითად: ნომინატივი (nominativus) ქვემდებარის ბრუნვაა, დატივი (dativus) - ირიბი დამატების, აკუზატივი (accusativus) - პირდაპირი დამატების, გენეტივი (genetivus) გამოხატავს კუთვნილებას, აბლატივი (ablativus) გარემოების ბრუნვაა, ხოლო ვოკატივი (vocativus) მხოლოდ მიმართვის დროს გამოიყენება. პირენეის ნახევარკუნძულის რომანიზაციის პროცესში ესპანეთში გავრცელებულმა ლათინურმა (ხალხური) ნელ-ნელა დაკარგა ბრუნვის ნიშნები. ბრუნვის ნიშნების დაკარგვით გამოწვეული სინტაქსური გაუგებრობა ესპანურ (კასტილიურ) ენაში წინდადებულის გამოყენებით გადაიჭრა. ფუნქცია, რომელსაც ლათინურში ბრუნვის ნიშანი ასრულებდა, ესპანურში წინდებულმა შეასრულა. ესპანური წინადადების სინტაქსური გამართვა წინდებულის ფუნქცია გახდა. სწორედ წინდებულია ის მეტყველების ნაწილი, რომელიც გვჭირდება სხვადასხვა ბრუნვაში ჩასმული არსებითი სახელების ესპანური ეკვივალენტების მოძიებისას, მაგალითად: ნათესაობით ბრუნვაში ჩასმული არსებითი სახელი ესპანურ თარგმანში ითხოვს წინდებული „de"-ს გამოყენებას (კაცის - del hombre, მეზობლის - del vecino), მოქმედებითი ბრუნვა - „con" და „por" წინდებულებს (დანით დაჭრა პური - Cortó el pan con un cuchillo, ბავშვებით მოვიდა - Vino con los niños, სიყვარულით - con amor, დილით - por la mañana), ხოლო ვითარებით ბრუნვასთან ხშირად გვჭირდება „en" ან "a" წინდებული (წყალს ღვინოდ აქცევს - Convierte el agua en vino / შეგიძლია გადათარგმანო ქართულად? - ¿Lo puedes traducir al georgiano?). წინდებულის გარეშე გადადის ესპანურ ენაში სახელობით, მოთხრობით ან მიცემით ბრუნვაში ჩასმული არსებითი სახელი, თუ მას ქვემდებარის ფუნქცია აქვს (ბავშვი წერს წერილს - El niño escribe la carta, ბავშვმა დაწერა წერილი - El niño escribió la carta, ბავშვს დაუწერია წერილი - Al parecer, el niño escribió la carta). თუ მიცემით ბრუნვაში ჩასმული არსებითი სახელი დამატების ფუნქციით გამოიყენება, ესპანურ თარგმანში „a" წინდებული გვჭირდება (მე ველოდები ჩემს მეგობარს - Yo espero a mi amiga, ბავშვი წერს წერილს მეგობარს – El niño escribe la carta a su amigo).

**5. მარინა კობეშავიძე,** ფერთა ლექსიკა ესპანურ და ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში და მათი ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები, მე-8 საერთაშორისო კონფერენცია „ ენა და კულტურა", ქუთაისი, 2023. https://journals.4science.ge/index.php/enadakultura/article/view/1824

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ფრაზეოლოგია და მისი ლინგვოკულტურული ასპექტების კვლევა ბოლო წლებში გამოქვეყნებული ლინგვისტური ნაშრომების ერთ-ერთი მთავარი თემაა, რაც ენისა და კულტურის ურთიერთკავშირების კვლევისადმი გაზრდილი ინტერესით არის განპირობებული. ენათმეცნიერები ფრაზეოლოგიურ ერთეულებს სხვადასხვა კუთხით იკვლევენ, ახდენენ მათ სტრუქტურულ კლასიფიკაციას, წერენ ფრაზეოლოგიზმების ლექსიკურ-სემანტიკურ თავისებურებებზე, ატარებენ შედარებით-შეპირისპირებით კვლევებს და ა.შ. ლინგვოკულტუროლოგიის მიმართ გაზრდილმა ინტერესმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კონკრეტული კონცეპტის, მაგალითად, გასტრონომიული ლექსიკის, რიცხვების, ტოპონიმების, ზოონიმების, სხეულის ნაწილების, ფერების და ა.შ. შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების კვლევას.

ფერი უნივერსალური კატეგორიაა, თუმცა თითოეული ენობრივი საზოგადოება ინარჩუნებს ერთგვარ თავისებურებას, რაც კონკრეტული ლინგვისტური საზოგადოების მიერ სამყაროს თავისებურ აღქმასთან არის დაკავშირებული, მაგალითად: თეთრი სინათლის, სიწმინდის, უმწიკლობის, სიხარულის ფერია არაერთი ლინგვისტური საზოგადოებისთვის (მათ შორის ქართველებისთვის და ესპანელებისთვის), მაშინ როცა იგივე თეთრი გლოვის ფერია აზიისა და აფრიკის რიგ ქვეყნებში.

ადამიანი ოდიდგანვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფერებს და იყენებდა მათ კონკრეტული შინაარსით. საკმარისია, გავიხსენოთ ამერიკელ ინდიელთა სახეებზე გამოყენებული ფერები, რასაც კონკრეტული მნიშვნელობა და სიმბოლური დატვირთა ჰქონდა. დროთა განმავლობაში ადამიანის ცნობიერებაში ფერთა სიმბოლიკამ ცვლილებები განიცადა, რაც გამოწვეული იყო სხვადასხვა ექტრალინგვისტური თუ ლინგვისტური ფაქტორებით და გაფართოვდა, მაგალითად: წითელი ფერი საუკუნეების განმავლობაში ასოცირდებოდა ძლიერ ემოციებთან, ხოლო მოგვიანებით შეიძინა პოლიტიკური მნიშვნელობაც. XX საუკუნეში წითელი ფერი გახდა საბჭოთა ფერი და ყველაფერი, რაც საბჭოთა კავშირთან იყო დაკავშირებული წითელ ფერთან მოიხსენიებოდა. აღნიშნულის დასტურად მოგვყავს ორი მაგალითი: ქართველები „წითელ ინტელიგენციას“ ვეძახით ქართული ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ერთგული და მისი იდეოლოგიის გამტარებელი იყო, ხოლო ესპანელები „წითლებად“ ან „წითელ პოლიტიკოსებად“ (“rojos”, “políticos rojos“) მოიხსენიებენ რესპუბლიკელებს, ანუ პარტიას, რომელიც საბჭოთა კავშირთან იყო დაახლოებული.

ენაში არსებული ფერთა ლექსიკის ისტორიის და მისი ევოლუციის კვლევა არაერთი მეცნიერისთვის იყო ინტერესის სფერო, მათ შორის არიან: Turner (1983), Frúmkina (1984), Pamies Bertrán (1998), Wierzbicka (1999), Waszakowa (2000), Szałek (2005), Yanyshyn (2006), Luque Durán (2007), Komorowska (2010), Jurek (2011), Dedrick (2014) და სხვ. ქართველი ენათმეცნიერებიდან ფერთა აღმნიშვნელ ქართულ ლექსიკას იკვლევდა ნ. მირიანაშვილი, რომელიც მონოგრაფიაც „ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულსა და რუსულში“ საკითხით დაინტერესებული ქართველი მეცნიერებისთვის უმთავრესი ნაშრომია.

ფერების სიმბოლიკა და ფერთა კავშირი კულტურასთან ნათლად ვლინდება ფრაზეოლოგიაში. გამონაკლისს არც ესპანური და ქართული ფრაზეოლოგია წარმოადგენს. ფერის სემანტიკური ელემენტის შემცველი ესპანური და ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულების მოძიება და მათი ლინგვიკულტურული ანალიზი წინამდებარე სტატიის მთავარი თემაა. განხილულმა მასალამ გვაჩვენა, რომ როგორც ესპანურ, ისე ქართულ ენაში მრავლად არის ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, ანდაზები და სიტყვა-თქმანი,

რომელთა სტრუქტურაშიც შედის ფერის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული. ესპანურ და ქართულ ფრაზეოლოგიაში გვხვდება არაერთი ფერი, მათ შორის თეთრი, შავი, ყვითელი, წითელი, ლურჯი, მწვანე და ა.შ. თუმცა, ყველაზე მრავალრიცხოვანი იმ ფრაზეოლოგიური ერთეულების ჩამონათვალია, სადაც თეთრი, შავი და წითელი ფერები ფიქსირდება. სწორედ ამ სამ ფერზე გავამახვილეთ ყურადღება და განვიხილეთ თითოეული მათგანის სიმბოლური დატვირთვა ესპანურ და ქართულ ფრაზეოლოგიაში.

ზოგადად, ფერების ორ ჯგუფს განარჩევენ, ესენია: ქრომატული ფერები და აქრომატული ფერები. **აქრომატულ ფერებს** მიეკუთვნება: თეთრი (blanco), შავი (negro) და ნაცრისფერი/რუხი (gris), რომელიც წარმოადგენს გარდამავალ ფერს თეთრსა და შავს შორის და მიიღება თეთრი და შავი ფერების სხვადასხვა პროპორციით შეზავების შედეგად. აქრომატულ ფერებს ქრომატული ფერებისგან განასხვავებს სინათლის ხარისხი (ნ. მირიანაშვილი, 1985). დანარჩენი ფერები **ქრომატულ ფერებს** წარმოადგენენ. ქრომატული ფერების რაოდენობა უამრავია. თუმცა, გამოყოფილია რამდენიმე ძირითადი სპექტრული ფერი: წითელი (rojo), ფორთოხლისფერი / ნარინჯისფერი (naranja), ყვითელი (amarillo), მწვანე (verde), ლურჯი (azul), იისფერი (violeta). ჩამოთვლილი ფერების გარდა, როგორც ესპანურ, ისე ქართულ ენაში გხვდება ისეთი ფერები, სადაც კონკრეტული ფერის ნაკლები ინტენსივობა ჩანს. ფერის ოდნაობითი ხარისხი ქართულში გადმოცემულია მო-ო თავსართ-ბოლოსართით (თუმცა, იგივე შინაარსი ლექსიკური საშუალებითაც გადმოიცემა: ოდნაც ლურჯი, ოდნავ წითელი), ხოლო ესპანურში ადიექტიური დერივაცია ფიქსირდება: მოყვითალო - amarillento (que tira a amarillo), მომწვანო - verdoso (que se asemeja al color verde), მოლურჯო - azulado (de color parecido al azul), მოწითალო - rojizo (que tira a rojo).

6. **ლელა ებრალიძე.** სტატია „სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ ედგარ პოს შემოქმედებაში" - „ქართველი მეცნიერები" (google scholar-სა და სხვა საერთაშორისო რეფერირებად ბაზებში ინდექსირებული, DOI-ს მქონე ჟურნალი) ტომ. 5 No. 3 (2023) გვ. 206-215

სტატია ეხება ცნობილი ამერიკელი მწერლისა და პოეტის, ედგარ პოს დამოკიდებულებას სიკვდილთან, საიქიოსთან – სამოთხისა და ჯოჯოხეთის თემატიკას მის შემოქმედებაში. წარმოჩენილია, თუ რა როლი ითამაშა პოს ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ, მისმა პირადმა ტრაგედიებმა აღნიშნული ცნებების მისეული აღქმის ჩამოყალიბებაში; ცალკე ყურადღება ეთმობა რომანტიზმისა და გოთური ჟანრის, მეტადრე ორივე მათგანის თვისებების მატარებელი ე.წ. „ბნელი რომანტიზმის" თავისებურებებს, როგორიცაა იდუმალი და შიშისმომგვრელი ატმოსფეროს შექმნა, სიკვდილისა და საიქიოს თემები, დაკარგულ სიყვარულზე გლოვა. სტატიაში წარმოდგენილია ედგარ პოს პიროვნება თავისი გენიალობითა და ტრაგიზმით, მოცემულია ბიოგრაფიული ცნობები, რაც მკითხველს წარმოდგენას უქმნის მის აღზრდასა და განათლებაზე, რელიგიასთან დამოკიდებულებასა და რწმენაზე. შესასწავლად არჩეული საკითხის განხილვა ხდება პოს შემოქმედებაზე დაყრდნობით – სტატიაში გამოთქმული აზრების საილუსტრაციოდ მოყვანილია მაგალითები მისი ნაწარმოებებიდან. უმთავრესად ამ მაგალითების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, კერძოდ, განსაზღვრულია მთელი რიგი ფაქტორები – პირადი ტკივილი, აღზრდა, ბუნება, რომანტიკული და გოთური ლიტერატურული ჟანრების თავისებურებები, რელიგიური რწმენა – რაც ხელს უწყობს ხელოვნის რეალური სახის წარმოჩენას.

7. **ლელა ებრალიძე.** სტატია „ჯენი ჯოზეფის ლექსი “Warning” და მისი ქართული თარგმანი“ - „ქართველი მეცნიერები“ (google scholar-სა და სხვა საერთაშორისო რეფერირებად ბაზებში ინდექსირებული, DOI-ს მქონე ჟურნალი) ტომ. 5 No. 4 (2023) გვ. 392-401

სტატიაში განხილულია ბრიტანელი პოეტის, ჯენი ჯოზეფის ლექსი “Warning” და მისი ქართული თარგმანი. აღნიშნული ნაწარმოებისადმი ჩვენი ინტერესი განპირობებულია მისი განსაკუთრებული პოპულარობით გაერთიანებულ სამეფოში და მის გარეთ. ეს არცთუ დიდი, სახუმარო ლექსი აღსანიშნავია იმით, რომ იგი აშშ-სა და კიდევ 30 სხვა ქვეყანაში შთაგონების წყაროდ გადაიქცა უამრავი ქალისათვის და საფუძველი ჩაუყარა ქალთა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. სტატიაში წარმოჩენილია ლექსისათვის დამახასიათებელი დახვეწილი იუმორი, ის მხატვრული ხერხები, რომელთა მეშვეობითაც პოეტი მკითხველზე ესთეტიკურ და ემოციურ ეფექტს ახდენს, ასევე მათი ქართულ თარგმანში გადმოტანის შესაძლებლობები და საშუალებები. ქართული თარგმანი გაანალიზებულია დედანთან შეპირისპირებით. ყურადღება გამახვილებულია იმ ელემენტებზე, რომელთა თარგმნამაც ჩვენგან განსაკუთრებული ძალისხმევა მოითხოვა და წარმოდგენილია საბოლოო შედეგი, თუ როგორ გადმოვიდა ისინი თარგმანში. ასეთი ელემენტებია, მაგალითად, დედნისეული რიტმი და ჟღერადობა, კულტურული რეალიები, რამაც კომენტარის დართვის საჭიროებაც კი შექმნა, ასევე ცნებები, რომლებიც ინგლისურად მოკლე სიტყვებით გამოიხატება, ქართულად კი გაცილებით ვრცლად გადმოიცემა; მეტად მნიშვნელოვანი იყო ლექსის უშუალო, ლაღი განწყობისა და მსუბუქი იუმორის შენარჩუნება და ქართული თარგმანის სახუმარო ტონით მიწოდება მკითხველისათვის, რაც, მეტწილად ლექსიკური საშუალებების მეშვეობით მოხდა.

**8. სოფიო მუჯირი: აუდიო ტექსტების გაგებისა და რეპროდუცირების ტექნიკები,**
**DOI:** https://doi.org/10.52340/idw, ,,კულტურათაშორისი დიალოგები,“ შრომები # 7, 2023, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი,“ გვ.644-650. **ISSN: 2233-3401**

**E-ISSN 2667-999X,** https://journals.4science.ge/index.php/IDW, **Crossref (DOI), Google scholar, ORCID, Directory of research Journals indexing, World Cat-International Scientific Indexing, Index Copernicus International Scilit Indexing database.**

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

სტატიაში განხილულია აუდიო ტექსტის გაგებისა და რეპროდუცირების ტექნიკები, "მოსმენის" მეთოდები და უახლესი ტენდენციები. აღნიშნულია, რომ თანამედროვე ეტაპზე უპირატესობა ენიჭება კომუნიკაციურ, ალტერნატიულ მეთოდებს, მოსმენის სხვადასხვა სტილების და იმიტაციური მიდგომის გამოყენებას. ყურადღება გამახვილებულია მოსმენილი ავთენტური ტექსტის შინაარსის გაგებაზე და მისი ზეპირი, ასევე წერითი სახით რეპროდუქციაზე, აუდიოტექსტის თანმხლები სავარჯიშოების დახმარებით. სასწავლო მასალა ორიენტირებულია როგორც საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს, ასევე უახლეს მეთოდიკურ-დიდაქტიკურ მოთხოვნებზე. სხვადასხვა ტიპის ზეპირ აუდიო-ტექსტში თემატიზებულია ენის შემსწავლელთა ინტერესები და ინტერკულტურული პრობლემები. ენის შემსწავლელთა ენობრივი აქტივობის, მათი სუბიექტური ემოციებისა და ასოციაციების ვერბალიზაციის სტიმულად გამოყენებულია მუსიკალური ნაწარმოების ფრაგმენტთა რეცეფცია და რეფლექსია.

**9. სოფიო მუჯირი: იდიომთა მოდიფიკაცია და ფუნქციები ტექსტში,**

**DOI:** **https://doi.org/1052340/lac.** VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ენა და კულტურა" შრომები, ნაწილი I. ქუთაისი, ა. წერეთლის სახ. უნივერსიტეტი, 2023. გვ. 339-348.
**ISSN 1987-7323**
**E-ISSN 27 20-7900**
https://journals.4science.ge/index.php.enadakultura

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ნაშრომში გამოკვლეულია იდიომთა ფუნქციები და მოდიფიკაციის სახეები მხატვრულ, ჟურნალისტურ და დასურათებულ სარეკლამო ტექსტებში. დადგენილია, იდიომთა ვარიაციის სახეები: გრამატიკული, ლექსიკური, მოკლე და გრძელი ფორმები, კომპონენტთა ცვალებადი წყობა და ექსტერნული ვალენტობით განსაზღვრული ვარიანტები.

იდიომის ოკაზიონალური ცვლილება ემსახურება ავტორის და კონკრეტული ტექსტის ინტენციასა და მიზნებს. იდიომის მოდიფიკაცია ეფუძნება იდიომის იმანენტურ სემანტიკურ პოტენციალს, თუმცა მისადაგებულია კონკრეტულ კონტექსტთან. გვხვდება მოდიფიკაციის ორი სახე: 1.იდიომის გარეგანი ფორმის (ლექსიკური შემადგენლობის) და მორფოსინტაქსური სტრუქტურის შეცვლა; 2. იდიომის მნიშვნელობის შეცვლა მისი გარეგანი ფორმის უმნიშვნელოდ შეცვლით ან შეცვლის გარეშე. პირველ შემთხვევაში იკვეთება სამი შესაძლებლობა: ა)ფორმალური მოდიფიკაცია სემანტიკური მოდიფიკაციის გარეშე; ბ)ფორმალური მოდიფიკაცია სემანტიკური მოდიფიკაციით; გ)სემანტიკური მოდიფიკაცია ფორმალური მოდიფიკაციის გარეშე.

ლიტერატურულ ტექსტში იდიომის მოდიფიკაცია ემსახურება „სიტყვათა თამაშის,“ იუმორისტული ეფექტის შექმნას, მაგ. იდიომის მნიშვნელობის ორმაგი აქტუალიზაციის დროს. ჟურნალისტურ ტექსტში მოდიფიკაციები გამოირჩევიან ექსპრესიულობით და ძირითადად სათაურებში გვხვდებიან. დასურათებულ სარეკლამო ტექსტებში მოდიფიკაცია ძირითადად ვერბალურ იდიომებშია გავრცელებული. მათ ემოციური ან შეფასებითი მნიშვნელობა აქვთ და მკითხველზე კომერციულად გამიზნულ ზეგავლენას ახდენენ. სამივე სახეობის ტექსტში იდიომების მოდიფიკაციას განსაზღვრავს კონტექსტი.

ტექსტის სახეობისა და კომუნიკაციური სიტუაციის მიხედვით იდიომთა ფუნქციებია: აფექტური, კომიკური, შეფასებითი ასპექტების წარმოჩენა, პერსონაჟთა მეტყველების დახასიათება და ტექსტში კოჰეზიური კავშირების დამყარება.

**5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით**

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

**1. მანანა რუსიეშვილი-კარტლეჯი, რუსუდან დოლიძე, მარიამ ქებურია და სოფიო თოთიბაძე-** Metaphoric Conceptualisation of PRIDE in the Georgian Language and Culture. სიამაყის მეტაფორული კონცეპტუალიზაცია ქართულ ენაში. (Online Journal of Humanities ETAG, TSU,

2023 (ჟურნალი რეგისტრირებულია მრავალ ბაზაში, მათ შორის, ერიჰ+-შიც) DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2023.2346-8149.02 **e-ISSN:** 2346-8149

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

მეტაფორა გამოხატავს საზოგადოების კულტურულ ფასეულობებს და გადმოსცემს მის მსოფლმხედველობას (Lakoff & Johnson, 2008). ამ თვალსაზრისით, ემოციის, მაგალითად, „სიამაყის“ კონცეპტუალიზაციამ შეიძლება გამოავლინოს სამყაროს მეტაფორული აღქმის უნივერსალური და კულტურულ- სპეციფიკური მოდელები, რომლებიც წარმოიქმნება, ერთი მხრივ, მსგავს გამოცდილებაზე დაფუძნებული, გაზიარებული და, მეორე მხრივ, კულტურულ-სპეციფიკური კონტექსტზე დაყრდნობით. ეს ნაშრომი იკვლევს მეტაფორის უნივერსალურ უნივერსალურ და მათ სპეციფიკურ გამოვლინებებს, რომლებიც გამოიყენება ქართულ ენასა და კულტურაში სიამაყის კონცეფციის კონცეპტუალიზაციისას. ემპირიული მონაცემები შეგროვდა საქართველოს ეროვნული კორპუსიდან. მონაცემები გაანალიზებულია რუსეშვილის მიერ შემოთავაზებული მეტაფორის მოდელზე დაყრდნობით (2005).

**2. ნინო დარასელია,** მორალურობა-ამორალურობა და სისუფთავის მეტაფორები (ინგლისურ და ქართულ ენათა მასალაზე), ,საენათმეცნიერო ძიებანი' # 43, არნ.ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება, თბილისი 2023, ISSN 1987-6653, გვ.43-54

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ბოლოდროინდელმა კვლევებმა კოგნიტიურ ლინგვისტიკაში ცხადყო, რომ მორალურობა-ამორალურობის კონცეპტუალიზაცია ძირითადად ადამიანის სხეულისებრ გამოცდილებას ეფუძნება და წარმოდგენილია კონტრასტული კატეგორიების (ნათელი-ბნელი, ძლიერი-სუსტი, ჯანმრთელი-ავადმყოფი, სუფთა-ჭუჭყიანი/ბინძური, წმინდა-ბილწი, მაღალი-დაბალი, თეთრი-შავი) სახით (იუ 2016:195). წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ინგლისურ და ქართულ ენათა მასალაზე შეისწავლოს ბინარული კატეგორიების სუფთა-ჭუჭყიანი/ბინძური, წმინდა-ბილწი მიმართება მორალურობა-ამორალურობის ცნებებთან. ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის კოგნიტიური ლინგვისტიკა (ბარსელონა 2008; გიბსი 2006; კოვეკსესი 2010; ჯონსონი 1987; ფილმორი 1977), ლექსიკური სემანტიკა(სინკლერი 1991), კვლევები კულტუროლოგიასა (ტრიანდისი 2001; სუმბაძე 1999) და ფსიქოლოგიაში (შნალი 2011; შნალი 2012; შნალი, კენონი 2012). ემპირიული მასალა მოძიებულ იქნა ინგლისური და ქართული ენების ავტორიტეტული ლექსიკონებიდან, ორი ენის ეროვნული კორპუსებიდან და ასევე, ავტორის მიერ ზეპირმეტყველებითი და წერილიბითი დისკურსის ნიმუშების მასალაზე შედგენილი კორპუსიდან.

ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ინგლისურ და ქართულ ენებში სისუფთავე-სიბინძურესთან დაკავშირებულმა ლექსიკურმა ერთეულებმა მეტაფორული გავრცობის გზით შეიძინეს მორალური შეფასების გამომხატველი მნიშვნელობები. აღნიშნული მეტაფორიზაცია ეფუძნება უნივერსალურ სხეულისებრ გამოცდილებას, რომელიც ავლენს ფსიქოლოგების მიერ ექსპერიმენტალურად დადასტურებულ კავშირს (ქვეცნობიერის დონეზე) ფიზიკურ და მორალურ სისუფთავეს შორის. ეფუძნება რა ხატოვან სქემას არაფიზიკური არის ფიზიკური, ორივე ენაში აღნიშნული მეტაფორიზაციის ტენდენციები მსგავსია. შეიმჩნევა ზოგადი მსგავსება ლექსიკური ერთეულების გადატანითი მნიშვნელობების დისტრიბუციაშიც. თუმცა შესამჩნევია კულტურის სპეციფიკით

განპირობებული განსხავევბანი. კერძოდ, განსხვავებით ინგლისურისგან, რომელიც ინდივიდუალისტური კულტურის ნიმუშს წარმოადგენს და ინდივიდი კონცენტრირებულია საკუთარ მორალურ სისუფთავეზე, ქართულში, როგორც კოლექტივისტური (ჰორიზონტალური ტიპის) კულტურის ნიმუშში, ინდივიდი ზრუნავს ჯგუფის წევრის მორალურ სახეზე.

**3. ირინე დემეტრაძე.** „გარე მოვაჭრეთა დისკურსის ლინგვისტური თავისებურებები" (ინგლისური და ქართული ენების მასალაზე). საენათმეცნიერო ძიებანი, ნომერი 44, 2023. გვ. 163-183. ISSN 1987-6653

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ნაშრომის მიზანია გარე მოვაჭრეთა დისკურსის ლინგვისტური მახასიათებლების კვლევა ინგლისურ და ქართულ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით. მოცემული მასალა მოპოვებულია ინტერნეტ-წყაროებიდან და ცოცხალი მეტყველებიდან. ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს სამეტყველო აქტების თეორია და გრაისის კოოპერაციის პრინციპი. გარე მოვაჭრეთა დისკურსის თავისებურებები განხილულია სოციოლინგვისტიკისა და პრაგმატიკის კუთხით. როგორც კვლევამ აჩვენა, ინგლისურ და ქართულ გარე მოვაჭრეთა შეძახილებში მრავალი მსგავსი დისკურსული მახასიათებელია. თუმცა, ცხადია, ამ საანალიზო ენებს შორის გამოვლინდა გარკვეული განსხვავებებიც, რადგან ქუჩის მოვაჭრეთა შეძახილებზე კულტურული, ეკონომიკური და ყოფითი განსხვავებები აისახება. გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურ ქუჩის მოვაჭრეთა შეძახილების ნიმუშები ძირითადად 19-ე საუკუნის მაგალითებია, ხოლო ქართველ გარე მოვაჭრეთა დისკურსის ნიმუშები აღებულია თანამედროვე ყოფიდან. ეს არჩევანი, ბუნებრივია, შესაბამისი ექსტრალინგვისტური ფაქტორებითაა განპირობებული. მიუხედავად ზემოჩამოთვლილი განსხვავებებისა, ორივე საანალიზო ენასთან მიმართებით გამოიკვეთა ქუჩის მოვაჭრეთა დისკურსის შემდეგი საერთო ლინგვისტური მახასიათებლები: პროდუქტის სახელის გამეორება, სპეციფიური ინტონაცია, ხმოვნების დაგრძელება/გამღერება, კითხვითი ფორმების გამოყენება, პროდუქტის წარმოშობისა და ხარისხის ხაზგასმა, აქცენტის გაკეთება ხელმისაწვდომ ფასზე და მყიდველის ყურადღების მიქცევა შორისდებულების მეშვეობით.

**4. . ირინე დემეტრაძე.** Certain Phraseological Units Based on Religious Faith and Superstitions"

(On the Material of English and Georgian Languages). Civilization Researches. Volume 20. 2023. ISSN – 1512-1941. (იბეჭდება)

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

რელიგიური წარმოდგენები და ცრურწმენები ყველა ერის კულტურის ნაწილია და, შესაბამისად, აისახება ენაშიც. არაერთი ფრაზეოლოგიური ერთეული, იდიომი, ევფემიზმი, დალოცვის, წყევლისა და ფიცილის ფორმულა შეიცავს სიტყვას „ღმერთი" და სხვა რელიგიურ ტერმინებს, როგორიცაა სამოთხე, ჯოჯოხეთი, ეშმაკი, მფარველი ანგელოზი და სხვა. ასეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები გამოხატავს სხვადასხვა ემოციას, შესაბამისად, მრავალი მეცნიერი თვლის, რომ ისინი შორისდებულებად უნდა ჩაითვალოს. ნაშრომში ზემოხსენებული ფრაზეოლოგიური ერთეულები შესწავლილია ინგლისური და ქართული ენების მაგალითზე. შესაბამისად, უმეტესწილად გაანალიზებულია ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ქრისტიანულ რელიგიას უკავშირდება. ემპირიული მასალის

ანალიზმა ცხადყო, რომ რელიგიასა და ცრურწმენებზე აგებული ფრაზეოლოგიური ერთეულები როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კონოტაციისაა. მათი უმეტესობა დაცლილია თავდაპირველი რელიგიური მნიშვნელობისგან და დღესდღეობით გამოხატავს ემოციებს, როგორიცაა სიხარული, გაოცება, მადლიერება, იმედგაცრუება და ბრაზი.

**5. . ირინე დემეტრაძე.** „წამლების დასახელებები, ეტიმოლოგია, სემანტიკა და სტრუქტურა". „ტერმინოლოგიის საკითხები". ნომერი V, 2022-2023. გვ. 111-120.

https://termbank.ge/%e1%83%99%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%91%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98/

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ცნობილია, რომ ფარმაცევტული საშუალებები, იგივე წამლები/მედიკამენტები, არის ნივთიერებები, რომელთა მიზანია დაავადებების პრევენცია ან მკურნალობა. წამლები სხვადასხვა მცენარეული, ცხოველური ან ქიმიური ნივთიერებისგან მზადდება. ნაშრომში წამლების დასახელებები გაანალიზებულია მხოლოდ ლინგვისტური კუთხით. კვლევა მოიცავს მედიკამენტების სახელწოდებების ეტიმოლოგიას, სემანტიკასა და სტრუქტურას. ემპირიული მასალა აღებულია ინტერნეტ-წყაროებიდან, სამედიცინო და ფარმაცევტული ცნობარებიდან და მკურნალობის პირადი გამოცდილებიდან.

დასაწყისში განხილულია ზოგადი ტერმინების - ინგლისური სიტყვის *drug* და ქართული სიტყვის *"წამალი"* ეტიმოლოგია. შემდგომ მოცემულია სხვადასხვა სამკურნალო საშუალების დასახელებათა ლინგვისტური ანალიზი.

წამლების სახელწოდებების კლასიფიკაცია ემყარება შემდეგ სემანტიკურ კომპონენტებს: ორგანო, რომლის განკურნებასაც ისახავს მიზნად ესა თუ ის მედიკამენტი, დაავადება, რომელსაც ებრძვის მოცემული წამალი, ქიმიური შემადგენლობა, მცენარე, რომლისგანაც წამალი არის დამზადებული, ცხოველი, რომლისგანაც მიღებულია სამკურნალო ნივთიერება, ანტიკური მითოლოგია, ღმერთების და ქალღმერთების სახელები, რომლებიც გამოყენებულია ამა თუ იმ მედიკამენტის დასახელებაში, წამლის გამომგონებლის გვარი, რომლის საპატივცემოდაც წამალს სახელი დაერქვა, მედიკამენტის წარმოების ადგილის დასახელება.

წამლების სახელწოდებები ასევე კლასიფიცირებულია სიტყვის სტრუქტურაზე დაყრდნობით. რამდენადაც წამლების დასახელებები ძალზე იშვიათად არის წარმოდგენილი მარტივი სიტყვებით, ნაშრომში განხილულია ნაწარმოები და შედგენილი სიტყვები. ყურადღება ასევე გამახვილებულია აბრევიატურებზე.

კვლევამ აჩვენა, რომ წამლების დასახელებებში შემავალი პრეფიქსებისა და სუფიქსების უმეტესობა ადრე იყო ძირითადად ბერძნული ან ლათინური დამოუკიდებელი სიტყვები. მოგვიანებით, გრამატიკალიზაციის შედეგად, ისინი აფიქსურ მორფემებად იქცა.

წამლების დასახელებები ძალზე ხშირად წარმოდგენილია შედგენილი სიტყვების სახით. ასეთი სიტყვები ძირითადად ორი ძირისგანაა შემდგარი, თუმცა გვხვდება სამი ან მეტი ძირისგან შემდგარი სიტყვებიც.

მედიკამენტების დასახელებები ხშირად წარმოადგენს აბრევიატურებს. ამ კუთხით, მოცემულ ნაშრომში განხილულია შემოკლებული სიყვები, აკრონიმები და ინიციალიზმები.

**6. მანანა გელაშვილი,** ვირჯინია ვულფი და ფემინიზმი. ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები "ენა და კულტურა" ეძღვნება მამა-შვილს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწესდია ჩიანელს (დავით ჩხეიძეს) და სახელგანთქმულ კინო რეჟისორს რეზო ჩხეიძეს, ქუთაისი, 2023, გვ. 31-36 https://enadakultura.com/conferences/
ISSN 1987-7323
e-ISSN 27 20- 7900
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**ვირჯინია ვულფი და ფემინიზმი**

ვირჯინია ვულფის ნაწარმოები ,,საკუთარი ოთახი'' ('A Room of One's Own', 1929) ერთერთ პირველ ფემინისტურ ტესტად ითვლება. გენდერული პრობლემები სხვადასხვა სახით ასახულია მის მხატვრულ ნაწარმოებებში (,,მისის დელოუეი'' ('Mrs. Dalloway',1925), ,,შუქურისკენ'' (To the Lighthouse, 1927), ,,ორლანდო'' ('Orlando', 1928). ასევე მის მრავალრიცხოვან ესეებში.

თავის შემოქმედებაში ვულფი ხაზს უსვამს იმ გენდერულ სტერეოტიპებს, რომელიც არსებობს საზოგადოებრივ აზროვნებაში, რაც საბოლოო ჯამში წარმოქმნის გენდერულ უთანასწორობას. გენდერული დისკრიმინაცია ყველაზე მეტად, ვულფის აზრით, თავს იჩენს განათლების მიღების, პიროვნული თავისუფლებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის სფეროში. ქალების სიმცირეს ლიტერატურულ ასპარეზზე იგი სწორედ ამ უუფლებობით ხსნის და მიიჩნევს, რომ ლიტერატურა სწორედ ის ასპარეზია, სადაც ქალებს მეტი საშუალება აქვთ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის, რადგანაც წერისათვის მხოლოდ მცირეოდენი შემოსავალი და პირადი სივრცეა საჭირო. ამასთანავე ვულფის აზრით, რომანი, რომელიც შედარებით ახალი ჟანრია, ნაკლებად არის პატრიარქალური კლიშეების გავლენის ქვეშ და მეტ თავისუფლებას იძლევა, რათა მწერალმა ქალმა საკუთარი ხმა გააჟღეროს. ეს აზრი, საკუთარი ხმის ძიების მნიშვნელოვნება გამსჭვალავს ვულფის ესეებს, რომელიც მწერალი ქალების (ემილი და შარლოტ ბრონტეები, ჯორჯ ელიოტი. ჯეინ ოსტინი, დოროთი რიჩარდსონი) შემოქმედების ანალიზს ეძღვნება.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ვულფი მთელი თავისი შემოქმედებით ქალთა უფლებებისათვის იბრძოდა, იგი არაერთხელ კატეგორიულად აღნიშნავდა, რომ არ მიაკუთვნებდა საკუთარ თავს ფემინისტებს. ხოლო მის ნაწარმოებებში ვხვდებით ფემინისტ გმირებს, რომლებსაც ავტორი საკმაოდ არამიმზიდველად ხატავს.

ნაშრომში გაანალიზებულია ვულფის ფემინიზმის წინააღმდეგობრივი მხარე და ნაჩვენებია ის სიღრმე და მრავალფეროვნება, რომელიც თავს იჩენს ვულფის მიერ გენდერული პრობლემების წარმოჩენაში.

**7. მანანა გელაშვილი,** ტრადიცია, როგორც ტექსტის ინტერპრეტაცია. ჟურნალი ,,ტექსტი და ინტერპრეტაცია.'' პროფესორ თემურ კობახიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, N 1, 2023
ISSN 2960-9461
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

პოსტმოდენიზმი ლიტერატურულ ტექსტს მიიჩნევს არა, როგორც რეალობის მიბაძვითა და მისი ასახვით შექმნილ პროდუქტს, არამედ უკვე არსებული ტექსტის ახალ, ავტორისეულ წაკითხვად და ახლად გადაწერად. ამიტომ, პოსტმოდერნული ტექსტი არ არსებობს იმ კონტექსტის გარეშე, რომლის ციტირებას, პაროდირებას, რეფერირებასაც იგი ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად ახდენს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ პოსტმოდერნისტ ავტორთა უმეტესობისათვის ინტერტექსტუალობა გაცნობიერებული მხატვრულ ხერხს წარმოადგენს, რომელიც შემოქმედებითი თამაშისა და თამამი ექსპერიმენტირების საშუალებას იძლევა.

თანამედროვე ბრიტანელი პოეტი რიჩარდ ბერნსი (ბერენგარტენი) ერთერთი საინტერესო ავტორია, რომლის შემოქმედებაში სხვა ცნობილი ტექსტების პოსტმოდენისტული ვარიაციები ძალიან საინტერესო მხატვრულ ქსოვილს წარმოქმნის. მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოები გასული საუკუნის 90-იან წლებში შექმნილი პოემა სახლელად ,,მენეჯერი'', მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის პასუხი და პოსტმოდერნული წაკითხვაა მაღალი მოდერნიზმის ისეთი ავტორების, როგორიც ტომას სტირნზ ელიოტი და ეზრა პაუნდია.

ბერნსს არაერთხელ უთქვამს ინტერვიუებში, რომ იგი ისტორიას აღიქვამს, როგორც დაუსრულებელ წინადადებას, რაც იმას გულისხმობს, რომ ესა თუ ის ქმნილება მუდმივ დინამურ დიალოგშია ქრონოლოგიურად მის წინ და მის შემდეგ შექმნილ ნაწარმოებებთან. ტრადიციის ამგვარი აღქმა კარგად ჩანს მის მხატვრულ ნაწარმოებებსა და ესეებშიც. ამიტომ ბერნსის ,,დიდი ნარატივი'' ბუნებრივია, რომ დიალოგშია მოდენიზნის ორ უმთავრეს ტექსტთან – ელიოტის ,,უნაყოფო მიწასა'' და პაუნდის ,,კანტოებთან''. საინტერესოა, რომ რიჩარდ ბერნსი თვითონ ახასიათებს თავის პოემას, როგორც გაცნობიერებულ, გააზრებულ ,,პასუხს ელიოტის ,,უნაყოფო მიწაზე'' (ბერნსი: 2002).

მაღალი მოდერნიზმის გამოცდილების გადამუშავება, ამ ნაწარმოებების ინტერტექსტად გამოყენება კარგად ჩანს არა მხოლოდ ბერნსის ნაწარმოების აზრობრივ, კონცეპტუალურ მხარეში, არამედ მხატვრული ფორმიდანაც. უპირველესი მსგავსება, რაც მაშინვე გვხვდება თვალში ნაწარმოების თავუსუფალი ფორმაა, რომელიც სრულიად განსხვავდება ტრადიციული, კონვენციური პოემისაგან. ფრაგმენტულობა, ქაოტურობა, ნარატივის დანაწევრება, ლიტერატურული ალუზიებისა და რემინისცენციების სიუხვე – ყველა ეს თვისება, რომელიც მოდერნიზმს ახასიათებდა თავს იჩენს ამ ნაწარმოებშიც.

პოსტმოდერნისტი ბერნსი თავისი დიდი მოდერნისტი წინამორბედების მსგავსად, ნაწარმოების ფრაგმენტულობას გარკვეულ მხატვრულ ხერხად იყენებს, რომელიც XX საუკუნის ბოლოს მცხოვრები ადამიანის გახლეჩილ ცნობიერებასა და ეგზისტეციურ გაუცხოებას გამოხატავს. მოდერნისტული პოეზიის მსგავსად ფრაგმენტულობა უფორმობას კი არ ნიშნავს, არამედ ელიოტისა და პაუნდის თეორიული ნააზრევისა და პოეზიის შემდეგ გარკვეულ ნიშნადობას იძენს. ბერნსის პოემაში მრავალ სხვადასხვა თემათა შორის მხატვრული ფორმის დანიშნულების საკითხიც დგას. პოსტმოდენისტული ტექსტისათვის დამახსიათებელი თვითრეფლექსიურობა ამ ნაწარმოებში უპირველეს ყოვლისა სწორედ იმაში გამოიხატა, რომ ტექსტი თავისი მხატვრული ფორმის ახსნასა და განმარტება/კომენტირებას თვითონვე შეიცავს. ხშირად ამ ფუნქციას – ელიოტისა და პაუნდის ტექსტზე ალუზიები ასრულებენ, ისევე როგორც, პოემაში ერთერთ ხმად/პერსონაჟად პაუნდის შემოყვანა.

ავტორს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ მოდერნისტების ძიებები, ან როგორც თვითონ ამბობს ,,ახალი ხიდების შენება'', აიძულებს მათ უარი თქვან უკვე მიღებულ კონვენციურ ფორმებზე. ამასთანავე მაღალი მოდერნიზმის მიერ შემოტაილმა ინოვაციებმა უკვე თავად წარმოქმნა გარკვეულო ტრადიცია, რომელსაც პოსტმოდერნიზმმა უნდა უპასუხოს. მართლაც, ბერნსის პოემა ,,მენეჯერი'' XX საუკუნის დასასრულის ადამიანის ირონიული პასუხია XX საუკუნის 20-იან წლების მაღალი მოდერნიზმის მსოფლხედველობასა და პოეტიკაზე. ამიტომ, ბუნებრიცია, რომ მას ელიოტის ,,უნაყოფო მიწისა'' და ეზრა პაუნდის ,,კანტოების'' აჩრდილი თან სდევს. ამ ტექსტების ციტირება, კომეტირება, პაროდირება წარმოქმნის იმ რთულ პოსტმოდერნიტულ ჰიპერტექსტს, რომელიც ახალი ეპოქის პასუხია მოდერნიტული ეპოქის კანონიკურ ტექსტებზე. როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს: ,,თუ ,,უნაყოფო მიწასა'' და ,,კანტოებს'' მოდერნიზმის პარადიგმად მივიღებთ, მაშინ ,,მენეჯერი'' მოდერნიზმის კრიტიკაა. (ბერნსი 2002). თუმცა აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ბერნსის პოემა მხოლოდ კრიტიკა არ არის, რადგან ავტორი კარგად აცნობიერებს იმ სიახლეს, რაც მოდერნიზმმა მოიტანა და რომლის გარეშეც მისი პოემის, ისევე როგორც ზოგადად პოსტმოდერნიზმის არსებობა შეუძლებელი იქნებოდა.

**8. მანანა გელაშვილი:** საბედისწერო თარგმანი: ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრა" ქართულად. 16-ე საერთაშორისო სიმპოზიუმი „სოციალისტური რეალიზმის ეპოქა ლიტერატურასა და ხელოვნებაში" საკონფერენციო მასალები, ივ. ჯავახიშვილისი სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი 2023 წელი **(გადაცემულია დასაბეჭდად)**

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ნაშრომში განხილულია გასული საუკუნის 30-40-იან წლებში შესრულებული თარგმანი ნიცშეს ფილოსოფიური თხზულების „ესე იტყოდა ზარატუსტრა", რომელიც ერეკლე ტატიშვილს ეკუთვნის. ერეკლე ტატიშვილი (1884- 1946) იყო პოლიგლოტი და ერუდიტი, საერთაშორისო სამართლისა და დიპლომატიის ისტორიის სპეციალისტი, თსუ უცხო ენათა კათედრის პირველი გამგე და დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ერთერთი დამარსებელი. იგი ფილოსოფიას სწავლობდა ლაიფციგის უნივერსიტეტში და იმ დროიდან მოყოლებული დაინტერესებული იყო ნიცშეს ფილოსოფიით. მის მიერ შესრულებული თარგმანი გამოირჩევა ფორმის სრულყოფილებითა და სიზუსტით. ეს თარგმანი ამავე დროს მთარგმნელისათვის საბედიაწეროც აღმოჩნდა და ერეკლე ტატიშვილის დაპატიმრებაში დიდი როლი ითამაშა.

სტატიაში კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით გაანალიზებულია მთარგმნელის სტრატეგია და ტაქტიკა და ნაჩვენებია, როგორ ხდება ქართულ ენაზე ნიცშეს ტექსტის მხატვრული ეკვივალენტის შექმნა, რომელიც ნიცშეს სიტყვებით რომ ვთქვათ „პოეზიისა და ფილოსოფიის ნაზავია".

კვლევაში აგრეთვე, გამოყენებულია ერეკლე ტატიშვილის მიერ თხზულების თარგმანდე 20 წლით ადრე, 20-იან წლებში დაწერილი ესე ნიცშეზე, რაც საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ როგორ ეძებს მთარგმნელი თარგმანის სტილს (სტატიაში ჩართულია რამდენიმე პასაჟის ქართული თარგმანი) და ასევე ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რით დააინტერესა ამ თხზულებამ მისი მთარგმნელი და როგორ ხედავდა ერეკლე ტატიშვილი ნიცშეს ფილოსოფიას.

თარგმანის ანალიზი ცხადყოფს რომ წიგნი საბჭოთა სინამდვილისათვის მიუღებელი იყო არა მხოლოდ იდეოლოგიური, პოლიტიკური თვალსაზრისით, რადგან საბჭოთა იდეოლოგია ნიცშეს ფილოსოფიას ფაშიზმთან აიგივებდა, არამედ მხატვრულ ესთეტური, პოეტიკური თვალსაზრისითაც, რომელიც შორს იყო სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკისგან.

9. **დავით მაზიაშვილი** - „ტომ სტოპარდის როკ-ენ-როლი და სოციალისტური რეალიზმი"
16-ე საერთაშორისო სიმპოზიუმი „სოციალისტური რეალიზმის ეპოქა ლიტერატურასა და ხელოვნებაში" საკონფერენციო მასალები, ივ. ჯავახიშვილისი სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი 2023 წელი **(გადაცემულია დასაბეჭდად)**

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**ტომ სტოპარდის როკ-ენ-როლი და სოციალისტური რეალიზმი**

თანამედროვე ბრიტანელი დრამატურგის, ტომ სტოპარდის შემოქმედებას გამორჩეული ადგილი უკავია, როგორც ბრიტანეთის, ისე მსოფლიო თეატრალურ და ლიტერატურულ სივრცეში. იგი იმ მწერალთა რიგს მიეკუთვნება, რომლებმაც სიცოცხლეშივე კლასიკოსის სახელი მოიპოვეს. მისი პიესები, სცენარები, რადიო და ტელე პიესები, ასევე კინემატოგრაფიული ნამუშევრები დიდი პოპულარობით სარგებლობს, როგორც სახელოვნებო, ისე აკადემიურ წრეებში. ამას მოწმობს უამრავი მნიშვნელოვანი თეატრალური, ლიტერატურული და კინემატოგრაფიული ჯილდო, რომელიც თან სდევდა სტოპარდის ნამუშევრების გამოჩენას მთელს მსოფლიოში.

ტომ სტოპარდის შემოქმედებაში სოციალისტური რეალიზმის ეპოქაზე ყველაზე ცნობილი პიესებია: „პაროდისტები" (*Travesties*) (1974), „კაი ბიჭებს პატივი ვცეთ"[1] (*Every Good Boy Deserves Favour*) (1977), „პროფესიული ფოლი" (*Professional Foul*) (1977) და „როკ-ენ-როლი" (*Rock'n Roll*) (2006). ამ პიესების უმრავლესობა ქრონოლოგიურად ემთხვევა სოციალისტური რეალიზმის აღზევებას საბჭოთა კავშირში.

ჩემი სტატიის მიზანია სტოპარდის შემოქმედებაში ერთ-ერთი გამორჩეული პიესის „როკ-ენ-როლის" შესწავლა. პიესის სოციო-პოლიტიკური, ლიტერატურული და მუსიკალურ-სახელოვნებო ასპექტების ანალიზის შედეგად წარმოვაჩინო რა დამოკიდებულება აქვს სტოპარდს სოციალიზმის და სოციალისტური რეალიზმის მიმართ საბჭოთა ჩეხოსლოვაკიაში და როგორ აისახა ის დრამატურგის შემოქმედებაზე. სტოპარდის „როკ-ენ-როლი" საინტერესოა ინტერტექსტუალობისა და მეტაფიქციის მხატვრული ტექნიკის მხრივაც. პიესაში შერწყმულია ისტორიული სინამდვილე, დრამატურგის ბიოგრაფია, ფიქციური რეალობა, თანამედროვე რეალობა და ანგლო-ამერიკული როკ-მუსიკა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტატიაში, სტოპარდის „როკ-ენ-როლი" რამდენიმე მიმართულებითაა განხილული:

1. ტომ სტოპარდი, ვაცლავ ჰაველი და საბჭოთა ჩეხოსლოვაკია;
2. როკ-მუსიკა და 1968 წლის პრაღა;
3. პიესის ინტერტექსტუალობა - მილან კუნდერას ფიქციური რეალობა.

**10. დავით მაზიაშვილი - „სათადარიგო ჰამლეტი" "ტექსტი და ინტერპრეტაცია"**

[1] ამ პიესის სათაურის ზუსტი თარგმნა რთულია. სტოპარდი სიტყვებით თამაშობს და სათაური ერთდროულად რამდენიმე მნიშვნელობას ატარებს. ერთ-ერთი მნიშვნელობით EGBDF (Every Good Boy Deserves Favour) ( მი, სოლ, სი, რე, ფა) მუსიკალური ნოტების მნემონიკაა (დავით მაზიაშვილი).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტის რეცენზირებადი, ელექტრონული, ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი **(ISSN 2960-9461)** https://interpretation.tsu.ge/index.php/main/article/view/25/25

2023 წელს, ბრიტანეთის, ამერიკის თუ მთელი მსოფლიოს წიგნის მაღაზიების დახლები პრინცი ჰარის მემუარებით გაივსო. „სათარიგოს" (Spare) გამოცემას ბრიტანეთის ისტორიით, კულტურით, პოლიტიკითა თუ თანამედროვებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო სპექტრი ელოდა. ბაკინგემში განვითარებული არაერთი სკანდალური მოვლენის შემდეგ, ყველას აინტერესებდა რას დაწერდა უფლისწული დედოფალ ელისაბედზე, დედაზე, მამაზე, ძმაზე, ბაბუაზე და ზოგადად სამეფო ოჯახზე. წიგნის პოპულარობა იმანაც განაპირობა, რომ ის, ასე ვთქვათ „ინსაიდერის" თვალით გვიჩვენებს, ერთ-ერთ ყველაზე დახურულ და პოპულარულ სამეფო ოჯახს, რომლის მიმართ მსოფლიოს ინტერესი, ნეთფლიქსის სერიალის, „გვირგვინის" (The Crown) გარდა, 2022 წელს დედოფალ ელისაბედ II-ს დაკრძალვის ცერემონიალმაც ცხადყო.

ინგლისის და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, სასახლიდან გამოსული ყველაზე ცნობილი და ტრაგიკული ამბავი ალბათ შექსპირის „ჰამლეტია", რომელიც დღემდე ლიტერატურისა და თეატრის სამყაროს განსჯისა და განხილვის თემაა. შექსპირის დროს, სწორედ თეატრი იყო წიგნის მაღაზია, პრესა, ტელევიზია, კინო თუ სერიალი, სადაც იმდროინდელი საზოგადოება სასიყვარულო, პოლიტიკურ თუ რელიგიურ ამბებს იგებდა. სათაგურის სცენაში, თავად ჰამლეტიც ხომ მსახიობების დახმარებითა და სპექტაკლის წარმოდგენით ადგენს სიმართლეს.

ბაკინგემის, უინძორის, სენტ ჯეიმზის, ბალმორალისა თუ კენსინგტონის სასახლეში მიმდინარე ისტორიები, ახალი დრამების, ტრაგედიებისა თუ კომედიების გენეზისია და ფაქტია, რომ შექსპირის შემოქმედება ბრიტანეთის სამეფო კარის „გენეტიკურ კოდად" იქცა. უინძორების სამეფო ოჯახის ისტორიები, შექსპირის ბევრ პიესას მოგვაგონებს, მაგრამ დღეს ალბათ ყველაზე მეტად „ჰამლეტს", რადგან პრინცი ჰარის მემუარები, ბაკინგემის ელსინორიზაციას გვთავაზობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტატიაში პრინცი ჰარის წიგნი „სათადარიგო", შექსპირის „ჰამლეტსაა" შედარებული და ტექსტების ლიტერატურულ-ტექსტუალური და სოციო-კულტურული თავისებურებები გააზრებულია კომპარატივისტული კვლევის მეთოდით.

11. **თამარ გელაშვილი**, ქალთა ნარატივი ელის მანროს ნაწარმოებში ,,გაქცევა' ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ენა და კულტურა" ქუთაისი, 2023, გვ. 25-30 https://enadakultura.com/conferences/
ISSN 1987-7323
e-ISSN 27 20- 7900
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**ქალთა ნარატივი ელის მანროს ნაწარმოებში ,,გაქცევა"**

ელის მანრო, თანამედროვე კანადელი ინგლისურენოვანი მწერალი, რომელმაც 2013 წელს ნობელის პრემია მიღებით მოთხრობის როგორც ჟანრის მნიშვნელობა დაამტკიცა, უდავოდ საინტერესო ავტორს წარმოადგენს ქალთა ნარატივის კვლევის კუთხით. მართალია მანროს მოთხრობათა უმეტესობა ჰარონ ქანთრიში ვითარდება, მაგრამ იმ რეგიონალური თავისებურებებისა, ადათებისა თუ ჩვეულებების გამოყენებით მანრო ზუსტად ისეთივე უნივერსალურ ტექსტებს ქმნის, როგორც თავის დროზე უილიამ ფოლკნერი და ფლანერ ო'კონერი. ფოლკნერისა და ო'კონერის მსგავსად, მანროს პერსონაჟებიც ხშირად უპირისპირდებიან ღრმა ფესვგადგმულ და დრომოჭმულ ადათებსა თუ ტრადიციებს, მაგრამ მანროს პერსონაჟების რეაქცია, ძირითადად, ნაკლებად მწვავეა, ვიდრე მისი სამხრეთელი კოლეგების. ამას გარდა, მანროსეული მამაკაცი პერსონაჟები ერთი ტიპაჟის, ერთფეროვანიდა მოსაწყენები არიან, ხოლო ქალი პერსონაჟები - უფრო რთულები, კომპლექსურები, თავისებურები და გამორჩეულები.

წინამდებარე სტატიაში განხილულია ელის მანროს მოთხრობათა კრებული,,გაქცევა'' (2004), რომელიც 8 მოთხრობისაგან შედგება. ერთი შეხედვით სხვადასხვა ასაკისა და სტატუსის ქალების შესახებ არსებული მოთხრობების მთავარი გამაერთიანებელი გაქცევის სურვილია, რომელიც სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული (უბედური ქორწინება, ოჯახური პრობლემები, პროვინციული ქალაქიდან თავგადასავლების საძიებლად გაქცევა). საინტერესოა ისიც, რომ კრებულის მეორე, მესამე და მეოთხე მოთხრობა ერთსა და იმავე პერსონაჟზე ჯულიეტაზე, და მისი ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდებსა და ეტაპებზე გვიყვება, რომელიც პედრო ალმადოვარმა 2016 წელს ფილმადაც კი აქცია. მაშინ როცა მანრო ,,ჯულიეტას'' ამბავს სამ დამოუკიდებელ, თუმცა მთავარი პერსონაჟით გაერთიანებულ მოთხრობად ჰყოფს, კრებულის მერვე მოთხრობა ხუთნაწილიანია და მთავარი პერსონაჟის ნენსის ცხოვრებას მთლიად მოიცავს. მანროს ეს გადაწყვეტილება შემთხვევითი არ არის და ამგვარი ქმედებით კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ სიახლეებს რაც მოთხრობის ჟანრში შემოიტანა.

12. **თამარ გელაშვილი,** პოლიტიკური დისკურსი პოსტმოდერნისტულ და მეტაპოსტმოდერნისტულ ირლანდიურ დრამაში. ჟურნალი ,,ტექსტი და ინტერპრეტაცია.'' პროფესორ თემურ კობახიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, N 1, 2023

ISSN 2960-9461

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

პოლიტიკური დისკურსი პოსტმოდერნისტულ და
მეტაპოსტმოდერნისტულ ირლანდიურ დრამაში.

პოლიტიკური დისკურსის როლი და ადგილი მხატვრულ ლიტერატურაში რთული და კომპლექსური პრობლემაა. არაერთგვაროვანია არა მხოლოდ მკვლევარების, არამედ თავად ავტორების დამოკიდებულება იმის მიმართ, თუ რაოდენ დასაშვებია პოლიტიკური დისკურსის არსებობა ლიტერატურაში. მწერალთა ნაწილი ცნობილი ირლანდიელი მოდერნისტი მწერლის ჯეიმზ ჯოისის მსგავსად მიიჩნევს, რომ ლიტერატურა პოლიტიკისაგან დისტანცირებული უნდა იყოს, ან როგორც თავის ერთ-ერთი მოთხრობის (,,მკვდრების'') მომქმედ პირს, გაბრიელ კონროის ათქმევინა ,,ლიტერატურა პოლიტიკაზე მაღლა დგას" (ჯოისი, 1968), თუმცა ამავე ნაწარმოებში ჯოისი უპირისპირდება გაბრიელის ამ ფრაზას და აჩვენებს, რომ ლიტერატურა ნებსით თუ უნებლიედ ყოველთვის არის გარკვეული პოლიტიკის გამტარებელი. თავად ჯოისის შემოქმედებაშიც მიუხედავად მისი

ავტორის სურვილისა პოლიტიკიდან დისტანცირების, კარგად ჩანს მისი უკმაყოფილება ბრიტანული იმპერიალიზმისადმი, რომელმაც მისი აზრით ირლანდია დაბეჩავებამდე და პარალიზამდე მიიყვანა.

მეოცე საუკუნეში მნიშვნელოვანი პოლიტიკური კატაკლიზმების ფონზე მნიშვნელოვნად გამოკვეთა ძლიერი პოლიტიკური დისკურსი მოდერნისტულ ლიტერატურაში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც კი, პოსტ-მოდერნიზმის ეპოქაში არ განელებულა და პირიქით პოლიტიკური მოვლენების რეტროსპექტულ, გადასხვაფერებულ და ახლებურ გაგებას გვთავაზობს.

წინამდებარე სტატიაში განხილულია ფლენ ო'ბრაიენის "ფაუსტუს კელი", ფრენკ მაკგინესის "დააკვირდით სომისაკენ მიმავალ ალსტერის შვილებს" და ოუენ მაკკაფერტის "ჩუმად". სამივე პიესა საკმაოდ დიდი შუალედითაა შექმნილი (ო'ბრაინი - 1943, მაკგინესი - 1986, მაკკაფერტი - 2012), რაც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ არამხოლოდ პოლიტიკური დისკურსის განვითარების დიქოტომიას ირლანდიაში მეორე მსოფლიო ომიდან დღემდე არამედ იმასაც თუ როგორ სახეცვლილებას განიცდის ჩვენთვის ნაცნობი პერსონაჟები თუ ისტორიული მოვლენები და რა მიზანს ემსახურება ეს ცვლილება და როგორია პოლიტიკური დისკურსი ადრეული პოსტ-მოდერნიზმიდან მეტა-პოსტმოდერნიზმამდე. სამივე პიესა პოლიტიკურ ელემენტებს შეიცავს და მაშინ როცა ფლენ ო'ბრაიენი კომიკურად ცვლის ყველასთვის ნაცნობი ფაუსტის მარადიულ სახეს და მას დუბლინელ პოლიტიკოსად წარმოგვიჩენს, რომელიც ერთნაირად აგიჟებს მეფისტოფელსაც და მის გარშემო ხალხსაც, მაკგინესი და მაკაფერტი პირველ მსოფლიო ომსა და ბელფასტში მიმდინარე წარსული მოვლენების რეტროსპექტივას გვთავაზობენ. ფაუსტუს კელი - ფაუსტის კომიკური პაროდიაა, სადაც ადგილობივი საბჭოს თავჯდომარე მეფისტოფელთან პაქტს არა მეტის შესამეცნებლად არამედ კარიერული წინსვლისათვის დებს. ამ მხრივ, ფლენ ო'ბრაიენის ფაუსტი უფრო ყვარყვარე თუთაბერისეულ პერსონაჟად წარმოგვიდგება ვიდრე იმ ფაუსტად რომელიც ჩვენს ცნობიერებაშია და რომელიც შემეცნებისაკენ მიისწრაფის. ირლანდიელ ფაუსტს მხოლოდ მაღალი თანამდებობა ანაღვლებს, და ამასთანავე როგორც ჯოისის მოთხრობაში "სუროს დღე" მსოფლიო პოლიტიკისა და მტრების განხილვისას თითქოს ერთგვარად ერთიანდებიან პიესის პერსონაჟები, თუმცა ამ "ერთიანობაშიც" ჩანს სრული გათიშულობა და ო'ბრაინის დამოკიდებულება ირლანდიელი პოლიტიკოსების მიმართ - ო'ბრაიენისთვის სწორედ მათი უუნარობის ბრალია ირლანდიის იმდროინდელი პრობლემებიცა და გათიშულობაც. ფრენკ მაკგინესი პიესაში "დააკვირდით სომისაკენ მიმავალ ალსტერის შვილებს" პირველი მსოფლიო ომისა და ერთ-ერთი უმძიმესი და ყველაზე სისხლიანი ბრძოლის, სომის, შესახებ მოგვითხრობს. პიესის მთავარი გმირი კენეტ ფაიფერი, რომელიც ალსტერის 36-ე დანაყოფის ერთადერთი გადარჩენილი წევრია ერთი შეხედვით იხსენებს სომის ბრძოლასა და თავის თანამებრძოლებს, თუმცა სომის ბრძოლის პარალელურად, რომელიც 1 ივლის მოხდა, საუკუნეებით ადრე ამავე თარიღზე მომხდარი ბოინის ბრძოლაც (1690) ტივტივდება, რადგან სწორედ ამ ორმა მოვლენამ განმსაზღვრელი როლი ითამაშა ჩრდილოეთ ირლანდიელი იუნიონისტების ცნობიერების ჩამოყალიბებაში. დონეგალში დაბადებული და გაზრდილი ფრენკ მაკგინესისათვის უდავოა, რომ ალსტერი განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია და ერთგვარად განსაზღვრა კიდევაც მისი დრამატურგად ჩამოყალიბება. პროტესტანტები და კათოლიკეები, იუნიონისტები და ნაციონალისტები - ეთნო-ნაციონალურ-რელიგიური დაპირისპირება ჩრდილოეთ ირლანდიის კონფლიქტის სახელით და შინაურულად "The Troubles"-ად წოდებული, რომლიც უშუალო მონაწილე თავის დროზე მაკგინესიც იყო, ოუენ მაკკაფერტის 2012 წლის პიესის "ჩუმად" მთავარი მოვლენაა. 50 წელს მიტანებული ორი ბელფასტელი მამაკაცი გადაწყვეტს რომ წლების შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს და 1974 წელს ბელფასტში მომხდარი დამანგრეველი აფეთქება გაიხსენონ, როცა ორივენი 16 წლის იყვნენ და ერთი მათგანი ამ

აფეთქების ერთ-ერთი მომწყობი იყო, ხოლო მეორე - დაზარალებული. მაკკაფერტის პიესა იმაზე, თუ როგორ განსაზღვრავს წარსულის შეცდომები დღევანდელ ყოფასა და ცნობიერებას და რეალურად შესაძლებელია თუ არა ამ მასშტაბის მოვლენათა დავიწყება და წინ სვლა მომავლისაკენ. ორივე პერსონაჟი ერთსა და იმავე ისტორიულ მოვლენას საკუთარი პერსპექტივდან ყვებიან და თითქოს ისიც ნიშანდობლივია რომ იმ ლუდხანაში, რომელშიც ახლა ხვდებიან და სადაც ფეხბურთის თამაში გადის ჩრდილოეთ ირლანდიასა და პოლონეთს, ზუსტად ასეთივე საკვალიფიკაციო თამაში იყო 1974 წელს, მაშინ როცა ეს ინციდენტი მოხდა მათ შორის. თითქოს ერთგვარად ისტორია მეორდება, თუ არაფერი არ იცვლება და ციკლურია? ფლენ ო'ბრაიენისაგან განსხვავებით მაკგინესიცა და მაკკაფერტი რეალურ ისტორიულ მოვლენებზე წერენ, და მიუხედავად იმისა, რომ თავად არ ყოფილან ამ ყველაფრის მონაწილეები აშკარად იკვეთება ის გავლენა, რომელიც ამ მოვლენებს ჰქონდათ ქვეყნისა და შესაბამისად მათი ცნობიერებაზე.

13. **კონსტანტინე ბრეგაძე:** "კონცეპტ *თავისუფალისა* ("frei") და *თავისუფლების* ("Freiheit") გაგება ფაუსტის უკანასკნელ, სიკვდილისწინა მონოლოგში და მისი ზღვისპირა კოლონია, როგორც "ტოტალიტარიზმის" ერთგვარი გოეთესული ვიზიონი"; „სჯანი". ჟურნალი ლიტერატურის თეორიასა და შედარებით ლიტერატურათმცოდნეებაში, #24. თბილისი, ლიტ. ინსტ. გამ-ობა **(ISSN 1512-2514)** [19 გვ.]

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

კონცეპტი "თავისუფალი" ("frei") გვხვდება ტრაგედიის მეორე ნაწილის მეხუთე მოქმედებაში, კერძოდ, ფაუსტის უკანასკნელ, სიკვდილისწინა მონოლოგში, 11580-ე ტაეპში: ფაუსტი:
"და, დაე ვიდგე თავისუფალ ხალხთან თავისუფალ მიწაზე" ("Auf freiem Grund mit freiem Volke stehen") [V. 11580] (Goethe 2001: 203).
ამ ტაეპში გარდა კონცეპტ "თავისუფალისა", ასევე, მნიშვნელოვანია შემდეგი კონცეპტებიც _ a) "ხალხი" ("Volk"), b) "მიწა" ("Grund") (ეს სიტყვა, ასევე ნიშნავს "ნიადაგს", "მიწის წიაღს", "სამირკველს"),
ვინაიდან "თავისუფალისა" და, შესაბამისად, "თავისუფლების" ცნების ის შინაარსი, რასაც თავად ფაუსტი მოიაზრებს ამ ცნებებში, ამ ტაეპში მოცემულ სხვა კონცეპტთა კონტექსტში და მათთან შედარებისას უნდა დადგინდეს.

ამასთან, ცხადია ისიც, რომ თუ გვინდა ზუსტად გავიგოთ, რას გულისხმობს ფაუსტი კონცეპტში "თავისუფალი", შესაბამისად, "თავისუფლება", რასაც ბუნდოვან და გაურკვეველ მომავალში ფაუსტი თავისი კოლონიის მოსახლეობას თუ აბსტარქტულ კაცობრიობას ჰპირდება, თუ გვსურს ზუსტად გავიგოთ, რას გულისხმობს, მისი, ერთი შეხედვით, ეს ერთგვარი პოლიტიკური გზავნილი თუ პოლიტიკური ანდერძი (ან, საერთოდაც, საკითხავია, პოლიტიკური შინაარსი აქვს თუ არა აქ "თავისუფალის" კონცეპტს), უნდა განვსაზღვროთ, თავად ამ მესიჯის გამხმოვანებელი ფაუსტი მოცემულ მომენტში რას წარმოადგენს. ამასთანავე, ისიც უნდა გაირკვეს, ერთი მხრივ, ვინაა ის "ხალხი", ვისაც ფაუსტი "თავისუფალ მიწაზე თავისუფლად დგომას" და ჰპირდება, მეორე მხრივ, უნდა გაირკვეს, რა "ხალხია" ის ვიზიონირებული "თავისუფალი ხალხი". აღნიშნული კონცეპტების ("თავისუფალი", "თავისუფლება", "ხალხი", "მიწა") შინაარსთა ზუსტად განსაზღვრის თვალსაზრისით საყურადღებოა ფაუსტის შემდეგი სიტყვები, რომლითაც ის ზღვის სანაპიროზე პორტებსა და დამბებზე მომუშავე ადამიანებს მიმართავს:ფაუსტი: "ძალაუფლებას მოვიპოვებ და საკუთრებას! / საქმეა ყველა, დიდება _ არარა! [...] ნაზრძანებია, სწრაფად, უსწრაფესად ქმნა!) [...] რაც გავიფიქრე, მყისვე აღსრულდეს; მხოლოდ ბატონის სიტყვას აქვს ძალა. ჰა, დროზე, ადექით ყმებო, ქუდზე კაცი! მალე იხილავთ ბედნიერნი ჩემს თამამ ჩანაფიქრთა ნაყოფს. დაავლეთ ხელი ხელსაწყოებს, ნიჩბებსა და ბარს, რაც გამოვკაფეთ

და გავიყვანეთ, შევინარჩუნოთ ხამს. მკაცრი წყობით და სწრაფი გარჯით, დავიმსახურებთ ყოვლადმშვენიერ ჯილდოს; და რომ აღსრულდეს დიადი საქმე, კმა არს ერთის გონება და ათასის ხელი. [...] ო, რარიგ მაღელვებს ნიჩბების ზრიალი. ეს არის მასსა, რომელიც მეყმო, მმორჩილებს, მეთაყვანება" [V.10197-10198; 11382; ლ11501- 11510; 11539-11540] (Goethe 2001: 163, 201, 202).

ამგვარად, ფაუსტის სამფლობელოში, მის ზღვისპირა კოლონიაში დამყარებულია აშკარა ტირანული, ავტორიტარული, დიქტატორული მმართველობა ("ჰერშაფტ") და, უფრო მეტიც, ტოტალიტარული რეჟიმის მსგავსი მმართველობა, ვინაიდან აქ მოცემული პოლიტიკური დისპოზიცია უკიდურესი იერარქიული სტრუქტურაა, სადაც სრულიად გაუქმებულია პოლიტიკურობა ("das Politische") (ჰ. არენდტი): ერთი მხრივ, ფაუსტი, რომელიც არის "ბატონი", "მბრძანებელი" ("Herr") და ერთპიროვნული მმართველი, ლამის პოლიტიკური ბელადი, ფიურერი, რომელსაც უსიტყვოდ ემორჩილებიან და ეთაყვანებიან როგორც მისი უშუალო ხელქვეითნი (იგივე, მეფისტო), ისე კოლონიის მოსახლეობა ("ძალაუფლებას მოვიპოვებ და საკუთრებას"); მეორე მხირვ კი, მისი "ყმები" ("Knechte"), ანუ ფაუსტის კოლონიის პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად ყოვლად უუფლებო მოსახლეობა, ფაუსტის "ტერმინოლოგიით" "მასსა" ("Menge") _ "ეს არის მასსა, რომელიც მეყმო, მმორჩილებს, მეთაყვანება"; შემდგომ: ერთი მხრივ, ფაუსტი, ვინც, ვითარცა ელიტარული მმართველი კლასის უცვლელი ცენტრალური ფიგურა, გეგმავს სხვადასხვა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო თუ ტექნოკრატულ პროექტებს ("ერთის გონება"), ვინც ერთპიროვნულად გასცემს სახელმწიფო ბრძანებულებებს (შდრ.: "დაავლეთ ხელი ნიჩბებსა და ბარს", "მხოლოდ ბატონის სიტყვას აქვს ძალა", "ჰა დროზე, ადექით ყმებო!"), ხოლო თავად კი Legibus solutus-ია, ე. ი. კანონს მიღმაა, კანონებზე მაღლა დგას და მასზე კანონი არ მოქმედებს, მეორე მხრივ კი, ზღვისპირა ჯებირების მშენებლობაზე, არხებსა და პორტებში მომუშავე მონებად ქცეული და უსიტყვოდმორჩილი ლუმპენ-პროლეტარიატი ("ნაბრძანებია სწრაფად, უსწრაფესად ქმნა").

შესაბამისად, ფაუსტის მიერ თავის ვიზიონერულ სიტყვებში ნახსენები "ხალხი" ("Volk") გულისხმობს არა პოლიტიკურად თავისუფალ მოსახლეობას, არამედ "ხალხს", როგორც ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინსტრუმენტს, მასობრივ გამწევ ძალას, რომელზე დაყრდნობითაც პოლიტიკური ბელადი (ფაუსტი) და მისი ვიწრო პოლიტიკური ელიტა (მეფისტოფელი და მისი სამი "მოხეული" ჯანიანი ხელქვეითი) ახორციელებენ გიგანტურ ტექნოკრატულ და ეკონიმიკურ პროექტებსა და გლობალურ კოლონიზაციას. შესაბამისად, კონცეპტი "ხალხი" აღნიშნავს ადამიანთა ფუნქციურობასა და არა მათ მოქალაქეობრიობას.

ფაუსტის ზღვისპირა კოლონიაში სწორედ ტოტალიტარიზმის ტიპის რეჟიმია დამყარებული და ამ რეჟიმს, გარდა ტოტალური პროპაგანდისა და რეპრესიებისა _ "ფაუსტი: გაამხნევე, დაუყვავე და მკაცრად მოეპყარ, გადაუხადე, მიიყვავილე, გამოსძალე!" [V.11553-11554] (Goethe 2001: 203), ასევე განამტკიცებს მასობრივი შრომის ესთეტიზება, შრომის კულტი და გიგანტური მშენებლობები, რაც ქმნის ხალხზე ზრუნვის ილუზიას. სინადვილეში კი, ამ მასშტაბურ მშენებლობებს პროპაგანდისტული ფუნქცია აქვთ და იდეოლოგიზებულ ნიშნებს შეიცავენ, ვინაიდან ისინი ხაზს უსვამენ რეჟიმის ძლევამოსილებას, აბსოლუტურობას, ერთადერთობასა და ჭეშმარიტებას _ "ფაუსტი: მუდმივი საფრთხით გარემოცულმა ბეჯითად, გამრჯედ განვლოს თვისი ცხოვრება ბავშვმა, მოხუცმა და ახალგაზრდამ. სწორედ ასეთ გნიასსა და ფუთფუთს მინდა ვხედავდე" [V. 11577-11579] (Goethe 2001: 203).

ამგვარად, ფაუსტის კოლონიის მოსახლეობა, ეს ე. წ. "ხალხი", ახალი ჟამის, ანუ მომავალი მოდერნის ეპოქის მომავალი უუფლებო პროლეტარიატია, ან საკონცენტრაციო ბანაკებსა და "გულაგ"-ებში გამომწყვედული მილიონობით ადამიანია, რომლის ერთადერთი ფუნქციაა, იყოს გამწევი ძალა ბუნების სრული დამორჩილებისა და კონტროლის საქმეში. სწორედ ამ

საქმეში მოიპოვებს ის “თავისუფლებას”, ანუ ბუნებაზე დამოკიდებულებისაგან გათავისუფლებას, როდესაც კი ფაუსტის კოლონიის მოსახლეობა ბოლომდე მიიყვანს ზღვისპირა ჯებირების მშენებლობასა და ზღვისაგან გამოტაცებული მიწის დაჭაობებული ზედაპირის ბოლომდე ამოშრობას.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ფაუსტის სიკვდილისწინა ვიზიონებში ნახსენებ “მიწას” _ “გრუნდ” (“Grund”) _ ცხადია, რომ მითო-საკრალური გაგება არ აქვს, არამედ ეს კონცეპტი აღნიშნავს “მიწას”, როგორც “მკვდარ” მატერიას, გეოლოგიურ ფაქტს. შესაბამისად, სიტყვის “გრუნდ” სემანტიკა გულისხმობს “ნიადაგს”, “გრუნტს” და მიანიშნებს იმ “მიწაზე”, რომელიც მხოლოდ ტექნოკრატული, საინჟინრო და ეკონომიკური ათვისების ობიექტია: ამგვარად “გრუნდ”, ანუ კულტივირებული, ათვისებული “მიწა”, ნიადაგი, სავარგული; “გრუნდ”, ანუ წიაღისეულის, მადნეულის საბადო, ზღვისაგან გამოტაცებული ხმელეთი. ამიტომაც არ ამბობს ფაუსტი სიტყვას “ერდე” (“Erde”), რომლის სემანტიკაც მიწას, უპირატესად, მოიაზრებს მითო-საკრალურ ფენომენად, რომლის (“ერდე”-ს) წიაღშიც ღვთაებრივ-კოსმიური ელემენტებით შემოსილი “სული”, ე. წ. “მიწის სული” (“Erdgeist”) მოქმედებს. ტრაგედიის პირველი ნაწილის “რომანტიკოსი” და მეტა-ფიზიკოსი ფაუსტისაგან განსხვავებით, მეორე ნაწილის კოლონიზატორ და ტექნოკრატ ფაუსტისათვის ამ “მიწას”, ანუ “ერდე”-ს ღირებულება დაკარგული აქვს, ის მის აწ უკვე პოზიტივისტურ და ტექნოკრატულ ცნობიერებაში აღიქმება და განიხილება ნიადაგად, გრუნტად, წმინდად ტექნიკურ მონაცემად.

ამგვარად, ამ ზღვისპირა კოლონიაში დამყარებული დესპოტიისა და ტირანიის გათვალისწინებით, ფაუსტის ვიზიონებში არც თავისუფალი და სამართლებრივი სახელმწიფოს კონტურები შეიძლება ჩანდეს და მისივე დანაპირებში გახმიანებული კონცეპტები “თავისუფალი მიწა” და “თავისუფალი ხალხი” შეუძლებელია რომ პოლიტიკურ თავისუფლებას უკავშირდებოდეს, ვინაიდან ფაუსტს აწმყო პოლიტიკური ვითარება უკვე ათწლეულებია “ტოტალიტარიზებული” აქვს და თავისი კოლონიის ეს პოლიტიკური დღის წესრიგი სამარადისოდ განსაზღვრული. ეს კი იმის წინაპირობაა, რომ მომავალიც ასეთივე “ტოტალიტარიზებული” იქნება.

შესაბამისად, “თავისუფლება” (“Freiheit”), რასაც ფაუსტი მომავალ კაცობრიობას ჰპირდება და მისივე კონცეპტი “თავისუფალი” (“frei”) გულისხმობს:

a) ბუნებაზე დამოკიდებულებისაგან გათავისუფლებას ბუნების დამორჩილების, ბუნების ძალების სრული კონტროლის საფუძველზე;

b) თავისუფლება, თავისუფალი, როგორც ტექნიკურ-საინჟინრო მახასაითებელი და არა როგორც პოლიტიკური და აქსიოლოგიურ-ეთიკური მდგომარეობა: კერძოდ, თავისუფლება, როგორც სივრცის გამოთავისუფლება კოლონიზატორულ-ტექნოკრატული სამუშაოებისათვის (შდრ.: “გავუხსნი სივრცეებს მრავალ მილიონთ”; “მიწა გამყარდა, ზღვის ტალღებს დაუდო ზღვარი, ზღვას შემოევლო ძლიერი გარსი”).

c) თავისუფლება, თავისუფალი, როგორც ძალაზე, ძალადობაზე, ძალმომრეობაზე დამყარებული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და მილიტარისტული აღვირახსნილობა (ფაუსტი და მეფისტოფელი, ვითარცა მისი “იკონები” და “ადეპტები”) _ “მეფისტოფელი: ვრცელი ზღვა სულს (“Geist”: აქ მოდერნის ეპოქის მოძალადე სული _ კ. d) ათავისუფლებს და ამიტომაც არცა გვჭირდება ხანგძლივი ფიქრი, მსწრაფლ, უსწრაფესად საქმეს ვაკეთებთ. [...] ვისაც ძალა აქვს, უფლებაცა და სამართალიც მისი ხვედრია (“Man hat Gewalt, / so hat man Recht“) [V. 11177-11179; 11184] (Goethe 2001: 192).

**14. კონსტანტინე ბრეგაძე:** „ტექსტის ინტერპრეტცია იდეოლოგიური დისკურსის პირობებში: გოეთეს *ფაუსტის* ინტერპრეტაცია საბჭოთა პერიოდის ქართულ

გერმანისტიკაში“; "ტექსტი და ინტერპრეტაცია". ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის რეცენზირებადი, ელექტრონული, ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი, N# 1 (2023). **(ISSN 2960-9461)** [14 გვ.]

ინტერ.-მისამართი: https://interpretation.tsu.ge/index.php/main

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

საბჭოთა პერიოდში (1921-1990 წწ.) გოეთეს „ფაუსტს“ უპირატესად პირველი თაობის ქართველი გერმანისტები განიხილავდნენ თავიანთ გამოკვლევებში: კერძოდ, ოთარ ჯინორია - იხ. მისი მონოგრაფია „გოეთეს შემოქმედებითი გზა (1966, გვ. 259-396), გრიგოლ ხავთასი - იხ. მისი ნარკვევები „გოეთეს *ფაუსტის* პრობლემისათვის“ და „გოეთეს დამოკიდებულება საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისადმი“ მისივე წიგნიდან „ნარკვევები გერმანული კლასიკური ლიტერატურიდან“ (1975, გვ. 196-231, 258-283) და დავით ლაშქარაძე - იხ. მისი ნაშრომი „გოეთე ქართულ ლიტერატურაში“ (1983; გვ. 110-241), ასევე, ლიტერატურათმცოდნე, პროფ. მიხეილ კვესელავა - იხ. მისი მონოგრაფია „ფაუსტური პარადიგმები“, წიგნი I (1961, გვ. 372-453).
ვინაიდან ამ ავტორთა გამოკვლევები საბჭოთა პერიოდში იწერებოდა და ვინაიდან ისინი იზიარებდნენ კვლევის მარქსისტულ მეთოდებს (დიალექტიკური მატერიალიზმი) და *კლასთა ბრძოლის* პოსტულატს, ცხადია, რომ მათ მიერ განხილულ გოეთეს „ფაუსტს“ საბჭოთა იდეოლოგიური დაღი აზის: კერძოდ, მათ ნაშრომებში გოეთეს ტრაგედია უპირატესად ბურჟუაზიული და სოციალისტური რევოლუციური იდეების, ბურჟუაზიულ-ფეოდალური სოციალური ყოფის კრიტიკის, კლასთა ბრძოლისა თუ კომუნისტური ესქატოლოგიის პერსპექტივებიდანაა განხილულ-წაკითხული, ან დიალექტიკური მატერიალიზმის, ფრ. ენგელსის ვულგარული ისტორიზმისა თუ რადიკალური საბჭოთა მარქსიზმის პერსპექტივებიდან. იმავე, მ. კვესელავას “ფაუსტური პარადიგმებისადმი” მიძღვნილ ვრცელ რეცენზიაში შ. ნუცუბიძე ავტორს სწორედ კვლევის “მარქსისტულ მეთოდოლოგიას” (ანუ, დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდს) და “მარქსისტულ მსოფლგაგებას” უწონებს (1966, გვ. 360), ხოლო ო. ჯინორიას ნაშრომში “გოეთეს შემოქმედებითი გზა” მთელი შვიდი გვერდი ეძღვნება დასავლური ბურჟუაზიის კრიტიკას მარქს-ენგელსისა და გ. პლეხანოვის ნაშრომებზე დაყრდნობით (1966, გვ. 300-307), რათა შემდგომ *კლასობრივი ბრძოლის* თუ *კლასთა ბრძოლის* პერსპექტივიდან დაასაბუთოს მეფისტოფელის ცალსახად “ბურჟუაზიული” არსი.
ამ იდეოლოგიზებულ ინტერპრეტაციებს კი მკვლევრები (ო. ჯინორია, მ. კვესელავა, გრ. ხავთასი და სხვ.) მიჰყავს, რბილად რომ ვთქვა, კურიოზულ დასკვნებამდე და საფუძველშივე მცდარ თვალსაზრისებამდე, თითქოს “ფაუსტს” “არსებითად მაინც იაკობინური სული” ედგას, თითქოს გოეთესა და მის პერსონაჟ ფაუსტს “რევოლუციური ბრძოლის იდეა შეეთვისებინოთ” და გოეთეს ლიტერატურულ მემკვიდრეობას (მათ შორის “ფაუსტს”) “რევოლუციური არსი” ჰქონდეს (ჯინორია, 1966, გვ. 109, 110, 371), თითქოს გოეთე და ფაუსტი “რევოლუციონერი” “იაკობინელები”, “მებრძოლი კომუნისტები” ყოფილიყვნენ (ჯინორია, 1966, გვ. 112, 113, 466) ან მომავალში “სოციალისტური სახელმწიფოს” მშენებლობას გეგმავდნენ (ჯინორია, 1966, გვ. 465-466), ან ფაუსტური იდეების განახლებული გენერირებით “კომუნისტური საზოგადოების” მშენებლობას აპირებდნენ (კვესელავა, 1961, გვ. 209), თითქოს გოეთე და ფაუსტი საფრანგეთის 1789 წლის დიდი რევოლუციის იდეებს მეტ-ნაკლებად იზიარებდნენ (ხავთასი 1975, გვ. 268, 282), ანდა, სულაც, ამ იდეებით ყოფილიყვნენ “გაზრდილნი” და თავად “ფაუსტი” “რევოლუციური იდეის” მატარებელი

ნაწარმოები ყოფილიყოს (ჯინორია, 1966, გვ. 387, 390), თითქოს ისინი "უკლასო კომუნისტური საზოგადოების" ჩამოყალიბებისაკენ ისწრაფვოდნენ (ჯინორია, 1966, გვ. 112, 318; კვესელავა, 1961, გვ. 105-106), თითქოს ფაუსტისა და მეფისტოფელის დაპირისპირება ალეგორიულად დასავლური ბურჟუაზიული საზოგადოების შიგნით მიმდინარე "კლასთა ბრძოლას" ასახავდეს (კვესელავა, 1961, გვ. 104), თითქოს ფაუსტი "კაპიტალისტურ საზოგადოებასთან" "შეურიგებელ წინააღმდეგობაში მოდიოდეს" (ჯინორია, 1966, გვ. 390), ხოლო თავად ისტორიული ფაუსტი - გეორგიუს ფაუსტუსი (მ. კვესელავას მიხედვით კი, იოჰან ფაუსტი) - ჩამოყალიბებული "მემარცხენე" ყოფილიყოს (კვესელავა, 1961, გვ. 205), ანდა თითქოს "ფაუსტი" "გოეთეს მატერიალისტურ-ჰუმანისტური აზრის გვირგვინი" ყოფილიყოს (ჯინორია, 1966, გვ. 274) და თურმე "გოეთე იმის სიმბოლურ სურათს გვიჩვენებს, მეფისტოფელურ-კაპიტალისტური სინამდვილის წინააღმდეგობებიდან თუ როგორ აღმოცენდება მათი იდეური დაძლევისა და მოხსნის სახით ფაუსტურ-სოციალისტური ჰუმანიზმი" (ჯინორია, 1966, გვ. 466), ხოლო თავად ფაუსტს თითქოს "სოციალისტური ოცნება" ჰქონდა (ჯინორია, 1966, გვ. 463) და მისთ.

გარდა იმისა რომ საბჭოთა პერიოდის "ფაუსტის" მკვლევარი ქართველი გერმანისტები აბსურდულ დასკვნებამდე მიდიან, მსგავსი აბსურდული და იდეოლოგიზებული ინტერპრეტაციების ფონზე საბჭოთა პერიოდის ქართული გერმანისტიკის ფაუსტურ კვლევებში სრულიად იგნორირებულია გოეთეს "ფაუსტის" სიმბოლიკისა (სახისმეტყველებისა) და პოეტიკის საკითხები, ე. ი. წმინდად ლიტმცოდნეობითი და პოეტოლოგიური საკითხების დეტალური განხილვა, რაც სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ქართველი "მარქსისტი" "გოეთოლოგები" თუ "ფაუსტმცოდნენი" ისე გაიტაცა დიალექტიკური მატერიალიზმის, კლასთა ბრძოლისა თუ კომუნისტური ექსატოლოგიის პერსპექტივებიდან „ფაუსტის" ინტერპრეტირებამ, რომ ტრაგედიის ტექსტის პოეტიკის საკითხები იმთავითვე განზე დარჩათ.

ამგვარად, აქ ზუსტად ის ვითარებაა, რა ვითარებაც იყო კომუნისტურ გერმანიაში, ე. წ. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (გდრ, DDR), სადაც "ფაუსტის" კვლევა მეტწილად ასევე იდეოლოგიზებული იყო და გოეთეს ტრაგედია ასევე კლასთა ბრძოლისა თუ კომუნისტური ესქატოლოგიის პერსპექტივებიდან და სოციალიზმის მშენებლობის კონტექსტში განიხილებოდა (Schmidt, 2011, p. 316-319).

ასეთ იდეოლოგიზებულ ინტერპრეტაციებში კი ფაუსტი გამოყვანილი იყო "რეფორმატორად", მანქანურ-ტექნიკური "პროგრესის" "მედროშედ" და ახალი "სოციალისტური სახელმწიფოს" აღმშენებელად. ამიტომაც ის, როგორც პერსონაჟი, ხშირად იყო ჰეროიზებული, ხოლო მისი საქმენი - იდეალიზებული: შდრ., "ხალხთა ბედნიერებისათვის გაბედული მებრძოლი", "ხალხთა საკეთილდღეოდ გამიზნული მისი პრაქტიკული საქმიანობა" (ხავთასი, 1975, გვ. 214, 218), "მებრძოლი ჰუმანისტი" (ჯინორია, 1966, გვ. 377) და მისთ.

ბელადომანიით შეპყრობილ მოძალადე ფაუსტში, - რომელიც თავისი კოლონიის მოსახლეობას მუდმივად "ყმებად" ("Knechte") მოიხსენიებდა და მათ თავის თაყვანისცემას აიძულებდა, - ალბათ, სწორედ მისი ვიზიონერულ-უტოპისტურ-დიქტატორული პოზა იზიდავდათ და ხიბლავდათ როგორც ნაცისტური გერმანიის, ისე კომუნისტური გერმანიის (გდრ-ის) იდეოლოგებსა და ტირან მმართველებს და ისინი გოეთეს ტრაგედიას სწორედ საკუთარი რეჟიმების ლეგიტიმაციის განმტკიცების ბერკეტადაც იყენებდნენ, რასაც ხელს უწყობდა როგორც ნაცისტური, ისე კომუნისტური გერმანიის (გდრ-ის) "გოეთოლოგიასა" და გერმანისტიკაში აპრობირებული და დომინირებული "ფაუსტის" იდეოლოგიზებული ინტერპრეტაციები.

15. **კენჭოშვილი სალომე;** უმბერტო ეკო - ფილოსოფოსი, შემოქმედი და მარადიული ფაშიზმის მამხილებელი; ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი, N13, ISSN 2233-3568; თბილისი: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა"; 5 გვ.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

უმბერტო ეკო, იტალიელი კულტუროლოგი, სემიოტიკოსი, ფილოსოფოსი და მწერალი XX საუკუნის იმ მეცნიერთა და შემოქმედთა რიგს განეკუთვნება, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით თანამედროვეობის როგორც ინტელექტუალური დარგების, ასევე ლიტერატურის ახალი, კერძოდ, პოსტმოდერნიზმის მიმართულებით განვითრებაში. თავისი ფუნდამენტური გამოკვლევებით მედიავისტიკის, ფილოსოფიის, ესთეტიკის, სემიოტიკის, პოსტმოდერნიზმისა და მასობრივი კომუნიკაციის საკითხებზე ეკო უაღრესად მრავალმხრივ და მნიშვნელოვან თეორეტიკოსად გვევლინება.

ეკოს აკადემიურ ინტერესთა შორის გამორჩეული ადგილი შუა საუკუნეებს ეთმობა, რადგან, მისი თქმით, შუა საკუნეები ჩვენი ბავშვობაა, რომელსაც ამნეზიისაგან თავის დასაცავად გამუდმებით უნდა ვუბრუნდებოდეთ. იგი ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ თანამედროვე კულტურის მრავალი არსებითი მახასიათებელი შუა საუკუნეებში იღებენ სათავეს. ეკოს თანახმად, ჩვენი თანამედროვეობა რენესანსის წინამორბედ ხანას იმით ენათესავება, რომ ორივე შემთხვევაში თავს იჩენს მისწრაფება მაღალ, ელიტარულ და მასობრივ კულტურას შორის ზღვარის წაშლისაკენ; ის ფუნქცია და გავლენა მასებზე, რომელსაც ამჟამად მედიის საშუალებანი ასრულებენ, თავის დროზე არქიტექტურას, სახვით ხელოვნებასა და კარნავალებს ჰქონდათ. შუა საუკუნეების აზროვნების თეორიული საკითხების კვლევისას ეკო დიდ ყურადღებას უთმობს იმ დროის ისეთ სემიოტიკურ გამოვლინებებს, როგორებიცაა ტაძრები, ლიტურგიკა, მაგია, ალქიმია და სხვ.

ეკოს ნაშრომში „არარსებული სტრუქტურა" (1968) გატარებულია ის აზრი, რომ სტრუქტურა იმდენად მოუხელთებელი და მრავალწახნაგოვანია, რომ არ ექვემდებარება ინტელექტუალურ წვდომას და ამ მიმართულებით ყოველგვარი ძიება, სქოლასტიკის მსაგავსად, სქემატური მოდელის სახეს იძენს. თავის გამოკვლევაში „ინტერპრეტაციის საზღვრები" (1990) ეკო უპირისპირდება ყოველგვარ ისეთ თეორიას, მათ შორის დეკონსტრუქტივიზმის ისეთ გაგებას, რომელიც ხელს უწყობს ტექსტის ინტერპრეტირების უსასრულო ნაკადის წარმოქმნას. ეკოს მეცნიერულ შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია ელიტარული და მასობრივი კულტურის ტრადიციული ურთიერთმიმართების საკითხს; იგი იცავს იმ იდეას, რომ კულტურის ნებისმიერი გამოვლინება ყოველთვის კონტრკულტურაა.

ეკოს თეორიული იდეები პოსტმოდერნიზმის თავისებურებაზე მხატვრულ მის მის რომანებში, რომლებშიც წაშლილია ზღვარი „მაღალ" და „დაბალ" ჟანრებს, ელიტარულ და მასობრივ ლიტერატურას შორის, თავიანთ პრაქტიკულ გამოვლინებას პოულობენ. ეკო არა მხოლოდ მეცნიერი და მწერალი, არამედ ამასთანავე პუბლიცისტი იყო, რომელიც თანამედროვეობის მწვავე და საჭირბოროტო საკითხებს ეხმაურებოდა. დღესაც აქტუალურია მისი ესსე „მარადიული ფაშიზმი" (1995), რომელშიც იგი ფაშიზმის 14 ნიშან-თვისებას აყალიბებს და აცხადებს, რომ თუ რამდენიმე მათგანია მოცემული, შეგვიძლია ვილაპარაკოთ, რომ საზოგადოება მძიმედაა დაავადებული. ესსე „სიკვდილის წყურვილი", რომელიც იმ დროს ეხმაურება, როდესაც იტალიაში თავი იჩინა ნეოფაშისტური ტალღის მომძლავრებამ. ამ ესსეს მთავარი დებულება ისაა, რომ ფაშიზმის არსს სიკვდილის კულტი, მისი თაყვანისცემა განაპირობებს. დღეს ეს ესსე ახალ აქტუალობას იძენს იმ პირობებში, როდესაც ევროპის ერთ-ერთ უდიდეს ქვეყანაში, რუსეთში, ფაშიზმმა მრავალი მახინჯი სახით ჰპოვა გამოვლინება.

16. **მაია ჯავახიძე, .** ადამიანის მახასიათებელთა კონცეპტუალიზაცია „მაიმუნის“ შემცველ ცხოველთა მეტაფორებში (იტალიურ და ქართულ ენებში) Scripta Manent N1 (55) ISSN 1987-7390 www.odageorgia.ge

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**ადამიანის მახასიათებელთა კონცეპტუალიზაცია „მაიმუნის“ შემცველ ცხოველთა მეტაფორებში (იტალიურ და ქართულ ენებში)**

ცხოველთა სფერო ძალიან გავრცელებული წყაროს სფეროა. ენებში ადამიანი და მისი თვისებები ხშირად სწორედ ცხოველების თვისებებისა და მახასიათებლების საშუალებით არის გაგებული. წინამდებარე კვლევა ქართული და იტალიური ენების მასალაზე განვახორციელეთ იმ მიზნით, რომ დაგვედგინა ადამიანთა მახასიათებლების კონცეპტუალიზაცია ლექსემის - მაიმუნი - საშუალებით. აღნიშნული მიზნით გამოვიყენეთ იტალიური ენის განმარტებითი ლექსიკონი (Zingarelli 2001), ტრეკანის ონლაინ ლექსიკონი (Treccanni), იტალიური ენის კორპუსი (CORIS/CODIS), ქართული ენის კორპუსი, ქართული ენის ეროვნული კორპუსი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. წინამდებარე ანალიზი ეფუძნება მხოლოდ ლექსემას „მაიმუნი“ და მის შემცველ თავისუფალ შესიტყვებებს, არ არის განხილული ფრაზეოლოგიზმები ფართო გაგებით და ანდაზები.

ჩვენ მიერ გაანალიზებულ კორპუსში წყაროს სფეროდან „მაიმუნი“ მიზნის სფეროში „ადამიანი“ პროექცირებულია ორი ძირითადი სქემა: ფიზიკური გარეგნობა და ქცევა.

გარდა იმ კონცეპტუალური მეტაფორებისა, რომლებიც გაუცნობიერებლად და ავტომატურად ახდენენ ჩვენ მიერ სამყაროს გაგების მწყობრ სისტემად ქცევას ერთი კონცეპტის მეორეში პროექციით, არსებობს მეტაფორები, რომლებიც წარმოადგენენ არა კონცეპტების პროექცირებას, არამედ ხატებისა (იმიჯების). ეს არის ე.წ. „ერთი-კადრის“ მტაფორები. ეს ის შემთხვევებია, როდესაც გასაანალიზებელ მასალაში გვაქვს ლექსემა „მაიმუნი“ სწორედ ამ ფორმით წარმოდგენილი (და არა **როგორც** მაიმუნი, ან მაიმუნი**ვით**). მეტაფორული ხატების პროექცია ზუსტად იმგვარად მუშაობს, როგორც ნებისმიერი სხვა პროექცია - ერთი სფეროს სტრუქტურის მეორე სტრუქტურაში პროექციით, მაგრამ სფეროები ამ შემთხვევაში მენტალური ხატებია. ჩვენს წარმოსახვით ხატებში არსებობს ამგვარი სტრუქტურები, რომელიც საშუალებას აძლევს ერთ ხატს პროექცირდეს მეორეში სწორედ ამ საერთო სტრუქტურის გამოისობით. ამგვარ შემთხვევაში ხდება ცხოველთა კონცეპტუალური სფეროს პროექცირება ადამიანის კონცეპტუალურ სფეროში, მაგრამ კონცეპტუალური პროექციის დროს არ არის საჭირო შედარების ფუნქციონალური ელემენტების (მაგ. *როგორც, -ვით*) გამოყენება. ასეთი მაგალითები ორივე ენაშია, ორივე ენაში დასტურდება ზმნური ფორმაც:

*„მეჯავრება, როდესაც ადამიანი მაიმუნობს“ (ე.ნინოშვილი)* - ანუ, მაიმუნივით, უშნოდ ბაძავს ვისამე, იმანჭება, იგრიხება; პამპულაობს (ქეგლი). იტალიურში დასტურდება scimmieggiare (მაიმუნობა) და ლექსიკონები ორ მნიშვნელობას გამოყოფენ: ვისამეს მიმბაძველობით მის მასხრად აგდებას და უშნო მიმბაძველობას (მაგალითად სხვა ქვეყნის ტრადიციების გადმოღება).

**თავისებურებები.** უნდა გამოვყოთ ქართულში მაიმუნის დადებითი კონოტაციით პროექცირება, როდესაც მიზნის სფერო ბავშვია:

*„ერთი **შეხედეთ ამ მაიმუნს!“** - წამოიძახა ნინომ და ბავშვი აიტაცა, გულში ჩაიკრა (ვ.ლომთ.).*

პატარა ბავშვთან მიმართებაში scimmiotto - მაიმუნის კნინობითი ფორმა ფიქსირდება იტალიურში, მაგრამ მას არ აქვს დადებითი კონოტაცია.

იტალიურ ენაში გვხვდება მანდრილი - მაიმუნების გვარის კონკრეტული წარმომადგენელი, რომელიც მეტაფორული გაგებით ქართულ ენის კორპუსში არ არის წარმოდგენილი. გადატანით მნიშვნელობით ის ნიშნავს ავხორც მამაკაცს, ან ისეთ მამაკაცს, რომელიც განსაკუთრებული სექსუალური აქტივობით გამოირჩევა.

**დასკვნა:** აღნიშნული კონცეპტის ორ ენაში შედარების მიზნით მივმართოთ მეტაფორულ გამოყოფას (highlighting) (Kovecses, 2010; 79), რაც მოგვცემს შესაძლებლობას დავადგინოთ, არიან ისინი ერთნაირნი (იდენტურნი) თუ ერთმანეთის მსგავსნი; როდესაც მეტაფორა ფოკუსირდება მიზნის კონცეპტის გარკვეულ ასპექტზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის გამოყოფს ამ ასპექტს (ასპექტებს). შესაბამისად, წყაროს B კონცეპტის მხოლოდ ნაწილის პროექცია ხდება მიზნის A კონცეპტში და მხოლოდ მიზნის A კონცეპტის ნაწილია ჩართული B-დან პროექცირებაში. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სრული დამთხვევა ორ შესადარებელ კონცეპტს შორის ძალიან იშვიათად იქნება. სწორედ ამას ადასტურებს ჩვენ მიერ განხილული მასალა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი მსგავსნი არიან, ხატოვანი (იმიჯ) მეტაფორებში მოქმედებს ორი სქემა - გარეგნობა და ქცევა, მაგრამ, ქართულში ის ზავშვთან მიმართებაში შეიძლება დადებითი კონოტაციით იყოს, რაც არასოდეს არ არის იტალიურში.

17. **მაია ჯაცახიძე,** მელა, აფთარი და ტურა ცხოველთა სახელების შემცველ მეტაფორებში (იტალიურ და ქართულ ენებში) Scripta Manent N2 (56) ISSN 1987-7390 www.odageorgia.ge

**2. მელა, აფთარი და ტურა ცხოველთა სახელების შემცველ მეტაფორებში (იტალიურ და ქართულ ენებში)**

ენებში გარდა გაპიროვნებისა, როდესაც ცხოველები იღებენ ადამიანის თვისებებს, ფართოდ დასტურდება ისეთი მოვლენა, როდესაც ადამიანები იღებენ ცხოველების თვისებებს და ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მეტაფორასთან *ადამიანები ცხოველებია* (HUMANS ARE ANIMALS) და *ადამიანის საქციელი ცხოველის საქციელია* (HUMAN BEHAVIOR IS ANIMAL BEHAVIOR), სადაც ცხოველები წყაროს სფეროა და ადმიანები - მიზნისა. ზოგადად, ამ მეტაფორაში „არასასურველობა" არის მნიშვნელობების ძირითადი ფოკუსი (ანუ, ჭარბობს უარყოფითი კონოტაცია).

ჩვენ მიერ განხილულ მასალაში წყაროს სფეროს წარმოადგენს მელა, აფთარი და ტურა.

ორივე ენაში მელას წყაროს კონცეპტიდან პროექცირებულია ხასიათის თვისებები: ეშმაკობა, გაიძვერობა, ცბიერება. ქართულში ფართოდ არის წარმოდგენილი ქცევაც (მელასავით მიიპარება...), თუმცა იტალიურ ენაში, ქართულისაგან განსხვავებით, დასტურდება დადებითი კონოტაციის მქონე *ბებერი მელა* გარკვეულ კონტექსტში, რაც ძალიან გამოცდილ პროფესიონალს აღნიშნავს.

რაც შეეხება აფთარს, ქართულ ენაში იკვეთება წყაროდან მიზანში პროექციის შემდეგი შემადგენლები: განსაკუთრებული სიავე, სისწრაფე, ლეშის საკვებად მოხმარება. განსაკუთრებული სიავე კიდევ ერთხელ არის გამოკვეთილი ლექსიკალიზებული ფორმის - „გააფთრება" - არსებობით. იტალიურ ენაში კი პროექციაში სხვა ელემენტია გამოყოფილი, კონკრეტულად კი ის ფაქტი, რომ აფთარი იკვებება ლეშით; აღნიშნული წყაროდან ადამიანის გარეგნობაში პროექცირდება ტუჩები, კბილები და ღიმილი (აფთრის „ღიმილი" -

მიმიკის მიმსგავსებაა ადამიანის ღიმილთან, რასაც აწეული ტუჩები და კბილების გამოჩენა განაპირობებს).

გაანალიზებული მასალა გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ *ტურა* ზევრად ფართოდ და დეტალურად არის პროექცირებული იტალიურ ენაში, ვიდრე ქართულში, ქეგლი საერთოდ არ გამოყოფს ამ ლექსემის გადატანით მნიშვნელობას, თუმცა მასალა გვიჩვენებს, რომ ის პროექცირდება როგორც ადამიანის თვისებებში (გაიძვერა, მხდალი, ქურდბაცაცა), ისე ქცევაშიც (დარბის, დაწანწალებს ტურასავით).

18. ***ინესა მერაბიშვილი.*** ***რატომ უწოდა რუსთველმა პოემას „ვეფხისტყაოსანი"?*** (ინგლისურ რეზიუმესთან ერთად), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე", ენის ლიტერატურისა და ხელოვნების სერია, №2, 2023, გვ. 84-100.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

მკითხველს ოდითგანვე შესანიშნავად მოეხსენება, რომ ტარიელი, როგორც პოემის მთავარი პერსონაჟი, ვეფხვის ტყავითაა შემოსილი ნიშნად ნესტან-დარეჯანისადმი სიყვარულისა, რომელიც თავად არის უმშვენიერესი ვეფხვის განსახიერება. ნუთუ, მხოლოდ ამ მიზეზით აიხსნება, რომ შედევრთა შედევრს რუსთველმა „ვეფხისტყაოსანი" უწოდა? ნუთუ, ასე მარტივია „ვეფხისტყაოსნის" კონცეპტუალური და ქვეტექსტური დატვირთვა? ამ საკითხის გასარკვევად კვლევის ფოკუსში ტარიელი და ნესტან-დარეჯანის პერსონაჟები მოვაქციეთ.

ნესტან-დარეჯანის შეგონებით, ტარიელი მუნათურად კლავს უდანაშაულო კაცს - ნესტან-დარეჯანის საქმროდ შერჩეულ ხვარაზმშას შვილს. მიუხედავად ამისა, ქართული ლიტერატურული კრიტიკა, ფაქტობრივად, დუმს ამ წყვილის მიერ ჩადენილ ცოდვებზე. უფრო მეტიც, ის აიდეალებს ნესტან-დარეჯანს და ვერ, ან არ ხედავს მის ნაკლსა და დანაშაულს. ქართული კრიტიკული აზრის ერთგვარ თავმოყრად შეგვიძლია დავასახელოთ შეფასება, რომელიც ასახულია ჯერ კიდევ 1984 წელს დასტამბული ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მე-8 ტომში (იხილეთ სტატია „შოთა რუსთაველი"), სადაც ნესტან-დარეჯანი წარმოდგენილია, როგორც „ხორცშესხმული სიკეთე" და „მარადიული ქალურობის განსახიერება".

გამიჯნურებულმა ტარიელმა ვერ შინარჩუნა რა საკუთარი „მე", მიჯნურის შეგონებით მისივე ტყავში გაეხვია და ასე ჩაიდინა დანაშაული. სწორედ სხვისტყაოსნობაშია მისი ტრაგედია და არა მხოლოდ იმ ვეფხისტყაოსნობაში, რომლითაც ის სიყვარულის გამოა შემოსილი. აღიარებულ შეხედულებათა თანახმად, პოემა თამარის მეფობის პერიოდშია შექმნილი და ის ქალისა და მამაკაცის თანასწორობითაა გასხივოსნებული - „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია". ამ აფორიზმით გენიოსი პოეტი გაბედულ ზარს ჩამოჰკრავს იმ პრინციპების დასაცავად, რომელთა უგულებელყოფამ შეიძლება არა მარტო დაარღვიოს ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის ჰარმონია, არამედ ავნოს მათ თანასწორობას.

პოემის მთლიან ტექსტში და საკუთრივ, მის ნარატივში, გამოიკვეთება ეპიზოდთა რიგი, რომელთა შინაარსობრივი ერთობა ქმნის ერთიან ზნეობრივ-სამართლებრივ ხაზს, რაც მეტ ჩაღრმავებასა და ახალ ინტერპრეტაციას მოითხოვს. ამასთანავე, აღმოჩნდება, რომ ეს შინაარსობრივი ხაზი სავსებით მიესადაგება პოემაში არსებულ რელიგიურ-ფილოსოფიურ წინაპირობას, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება პოემის ტექსტის, როგორც ერთიანი ქსოვილის, ავთენტურობა.

19. . **სოფიო მუჯირი: ემოციური იდიომების რეფლექტირების ხერხები მხატვრულ ტექსტში,** XIX საუკუნე _ ეპოქათა მიჯნა, სამეცნიერო შრომათა ჟურნალი N 3, **ISSN 2720-7862,** თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2022-2023, გვ.128-139.
სტატიების კრებული განთავსებულია თსუ-ს ბიბლიოთეკის რეპოზიტორზე.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
ნაშრომის დასაწყისში განხილულია მოცემულ სფეროში არსებული სამეცნიერო გამოკვლევები და თანამედროვე მეცნიერთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები გერმანული იდიომებისა და მათი მახასიათებლების შესახებ. დახასიათებულია იდიომების მნიშვნელოვანი, განმსაზღვრელი თვისები, როგორიცაა: ხატოვნება, აფექტურობა, სპონტანურობა, ექსპრესიულობა, ემოციურობა, ინტენსიურობა და კვანტიტატიურობა. საკითხის თეორიული ნაწილის განხილვისა და შეჯამების ბაზაზე მიჩნეულია, არც ერთი ენობრივი ნიშანი არ შეიძლება იყოს აპრიორულად ექსპრესიული, ემოციური, ხატოვანი და ა. შ., რადგან ყოველი მათგანი წარმოადგენს სპეციფიკურ კომუნიკაციურ სიტუაციაში განსაზღვრული ფაქტორების ინტერაქციის შედეგს. იდიომების ექსპრესიულობა შეფასებულია როგორც დომინანტური კატეგორია, რომელიც მოიცავს ემოციურობას, შეფასებას, ინტენსიურობასა და კვანტიტატურობას და აქედან გამომდინარე, განსაზღვრულია ნაშრომის კვლევის საგანი: „ემოციური იდიომების რეფლექტირების ხერხები მხატვრულ ტექსტში“.

ლიტერატურული ტექსტებიდან მოყვანილი მაგალითების ბაზაზე დადგენილია, რომ: ექსპრესიული იდიომები უმთავრესად გამოხატავენ: ემოციას, ინტენსიურობას. კვანტიტატიურობას, რაიმის წარმოჩენასა და ხაზგასმას. ემოციური იდიომები მოიცავენ ემოციათა მრავალფეროვან სპექტრს, რომლებიც შეიძლება დავყოთ სამ ძირითად კატეგორიად, ესენია: შეფასება, აფექტი და განაჩენი. იდიომთა ემოციური, შეფასებითი კონოტაციების შესწავლა გვიჩვენებს, რომ აფექტი კავშირშია ექსპრესიული იდიომების პოზიტიურ და ნეგატიური კონოტაციებთან. აღწერილია პოზიტიური (სიყვარული, მადლიერება, სიმამაცე, აღფრთოვანება, გამბედაობა, გამოსწორება) და ნეგატიური (გაბრაზება, განადგურება, შიში, საფრთე, აღელვება, წუხილი, იმედის დაკარგვა, გამოუვალ სიტაციაში ყოვნა) იდიომების თემატური ჯგუფები, ასევე მათი მოდიფიკაციის ხერხები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია მათი ხატოვნებისა და ექსპრესიულობის ხარისხის მნიშვნელოვანი ზრდა.

პოზიტიური იდიომების ხატოვნებისა და ექსპრესიულობის გასამძაფრებლად ავტორი იყენებს ტრანსფორმაციის განსაზღვრულ ხერხებს, ესენია: იდიომში ან მის უშუალო გარემოცვაში სიტყვების ჩამატება, იდიომის კომპონენტების გამოტოვება ან მათი ჩანაცვლება სხვა სიტყვებით (სუბსტიტუცია), სემანტიკური გაორმაგება (იდენტური ან მსგავსი სემანტიკის სიტყვების ორმაგად გამოყენება იდიომში ან მის მიკროკონტექსტში.

ნეგატიური ემოციის გასაძლიერებლად ავტორი იყენებს მოდიფიკაციის შემდეგ ხერხებს: იდიომის კომპონენტის ორმაგი ნომინაცია იდიომში ან მის მიკროკონტექსტში, იდიომში ემოციის გამაძლიერებელი სიტყვის ჩამატება, ემოციის ვერბალური (იდიომით) და არავერბალური (ინტონაცია, პუნქტუაცია) საშუალებებით გამოხატვა და იდიომის კომპონენტის სუბსტიტუცია (ჩანაცვლება სხვა სიტყვით).

სხვადასხვა ხერხით მოდიფიცირებული ემოციური იდიომები ხასიათდებიან ხატოვნებით (მეტაფორული ან მეტონიმიური გადააზრებით), ბგერითი და რიტმული მახასიათებლებით, სემანტიკური (მსგავსი სიტყვების) გაორმაგებით და სხვ.

მოდიფიცირებული იდიომები მარკირებული ელემენტებია. ისინი არიან გაცილებით ხატოვანი და ექსპრესიული თავის უზუალურ შესატყვისებთან შედარებით, უფრო მძაფრად გამოხატავენ სხვადასხვა ემოციებს, პერსონაჟის შეფასებებს, აფექტურ განწყობებს, რაიმე თვისებების ან მოვლენის სიჭარბეს და ემსახურებიან ემოციების ხაზგასმას, ინტენსიურობისა და კვანტიტატიურობის მანიფესტაციას.

20. სიფიო მუჯირი: **The issue of transnational memory and cultural identity in nino kharatishvili's novel "the eighth generation" (for brilka)**, ჟურნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები," №36-37, საერთაშორისო სამეცნიერო-პერიოდული გამოცემა, **ISSN 1512-4363,** თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი", 2022-2023, გვ. 135-142. **ელ. ვერსია:** **http://www.nplg.gov.ge**

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ნაშრომში განხილულია ნინო ხარატიშვილის ტრანსკულტურული რომანი „მერვე თაობა (ბრილკასთვის)", რომლის დროული ჩარჩო მოიცავს რუსეთის 1917 წლის რევოლუციის, მეორე მსოფლიო ომის, „პერესტროიკის", საბჭოთა კავშირის დაშლის, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და ბერლინის კედლის ნგრევის პერიოდებს; გაანალიზებულია საქართველოს, რუსეთისა და გერმანიის „ნაციონალური ჰაბიტუსები", ისტორიული და ეროვნული ცნობიერების მახასიათებლები და კულტურული იდენტობების ტიპები. ჯაშების ოჯახის ისტორიული მეხსიერება ქმნის საფუძველს პროტაგონისტთა იდენტობის კრიტიკული რეფლექსიისა და თვითშემეცნებისათვის.

21. **სოფიო მუჯირი, მადონა შელია: Prosodic Structure of German, Georgian, English and Russian Language,** ჟურნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები," №38, საერთაშორისო სამეცნიერო-პერიოდული გამოცემა, **ISSN 1512-4363,** თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი", 2023, გვ. გვ. 55-62. **ელ. ვერსია:** **http://www.nplg.gov.ge**

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

წარმოდგენილი ნაშრომი არის გერმანული, ქართული, ინგლისური და რუსული ენების ინტონაციის კონტრასტული აღწერის მცდელობა. ერთმანეთისათვის არამონათესავე ენების სუპრასეგმენტური დონეების კონტრასტული შედარება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მოცემულ ენებს შორის არსებული მსგავსებები და განსხვავებები. კვლევის შედეგად გამოვლენილი ინტერლინგვალური ტრანსფერების აღწერა ქმნის წინაპირობას, სტუდენტთა საწარმოთქმო შეცდომების პროგნოზირებისათვის და მათთვის შესაბამისი მეთოდიკურ-დიდაქტიკური რეკომენდაციების შემუშავებისათვის. დადგენილია, რომ მოცემულ ენებში ინტონაცია სამ ძირითად ფუნქციას ასრულებს: სტრუქტურულ-სინტაქსურ, ლოგიკურ-კომუნიკაციურს და ემოციურ-ექსპრესიულს. გერმანულ, ქართულ, ინგლისურ და რუსულ

ენებში ინტონაცია სამივე ფუნქციით გამიყენება, თუმცა არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებებიც.

**22. „ბერლინის ჰუმბოლდტ-უნივერსიტეტის აუდიოარქივი და იქ არსებული ქართულენოვანი აუდიოჩანაწერები (1915–1918)“**

ავტორები: **მარინა ანდრაზაშვილი,** პროფ. დოქტ. – თსუ / საქართველო,
დოქტ. ჰაიკე ლიბაუ – ბერლინის ლაიბნიცის სახ. თანამედროვე აღმოსავლეთის ცენტრის განყოფილების გამგე.
რეცენზირებად ორენოვან ინტერნეტჟურნალში „სპეკალი“; 2023 წელი, N 17. https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge; ISSN 1987 8583
სტატიის მოცულობა: 20 გვერდი

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

პუბლიკაცია ეძღვნება ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის საცავებში ინტეგრირებულ, ე.წ. *ხმოვან არქივში* შემონახულ ქართულენოვან ჩანაწერებს, შესრულებულთ როგორც ქართველ, ისე არაქართველ კავკასიელ ტყვეთა მიერ 1915–1918 წლებში პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის გერმანიის ტერიტორიაზე მოქმედ ბანაკებში. ამ კონტექსტში სტატიაში გაშუქებულია ასევე შემდეგი საკითხები:

– ჰუმბოლდტ-უნივერსიტეტის აუდიოარქივის რაობა და მისი არსებობის ისტორია;

– პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის მიწაზე ჩამოყალიბებულ ტყვეთა ბანაკების ზოგადისტორიული და კულტურული კონტექსტი, მათი საჭიროება, ფორმალური ფუნქცია და რეალური დანიშნულება, ზოგიერთი მათგანის საგანგებო პროფილის არსი;

– ხმოვანი ჩანაწერების გაკეთების იდეის დაბადება, იდეის ავტორები და მისი რეალიზაციის ინიციატორები; ჩანაწერების შესრულების ტექნოლოგიები და ხარისხი; თვით ჩანაფიქრის თავდაპირველი დანიშნულება და მისი მისადაგება ბანაკებში რეალურად არსებული ვითარებით ნაკარნახევ მოთხოვნებთან;

– არქივში წარმოდგენილი ქართულენოვანი კორპუსები, მათი კატალოგიზაციის ზოგადი პრინციპები; *მანჰაიმის კორპუსი*, როგორც უშუალო კვლევის ობიექტი;

– *მანჰაიმის კორპუსზე* დაყრდნობით ლინგვისტური და სემანტიკური ასპექტების კვლევის კრიტერიუმების შემუშავება; ჩამოყალიბებული მოდელის განზოგადება სხვა კორპუსთა შესწავლა-აღწერის მიზნით.

საგულისხმოა, რომ ჩანაწერების ანალიზმა მართლაც გამოავლინა ჩვენ მიერ შემუშავებული კვლევის საფეხურებრივი მეთოდის კორექტულობა კულტურულ, ისტორიულ, ლინგვისტურ, სემანტიკურ და სოციოლინგვისტურ დონეებზე (იხ. პუნქტი 5.3.), რომელიც ასევე შეიძლება გამოვიყენოთ დანარჩენ ქართულენოვან კორპუსთა (ორდრუფის, მიუნსტერის, პუხჰაიმის, ზაგანის კორპუსების) მიმართაც, რათა მანჰაიმის კორპუსის დღის შუქზე გამოტანა არ დარჩეს ამ ტიპის მცდელობის ერთადერთ ფაქტად და, შეძლებისდაგვარად, გავეცნოთ, ასევე, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე სხვა თანამემამულეების ჭირ-ვარამს, კოდირებულს გრაფემულ თუ აკუსტიკურ ჩანაწერებში.

ანალიზის შემდგომ საფეხურად გვესახება, სხვადასხვა ტიპის ბანაკებში შესრულებული ქართულენოვანი ჩანაწერების კონტექსტუალიზაცია, ანუ მათი გამოკვლევა შედარება-შეპირისპირებით პლანში დოკუმენტაციის შედგენისა და ჩანაწერების შესრულების თვალსაზრისით;

ნაშრომში შემოთავაზებული მეთოდოლოგიური საფუძველი, ასევე, წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული მსოფლიოს სხვა ენებზე (ესტონურზე, სომხურზე, ინდურის დიალექტებზე და ა.შ.) შესრულებულ ჩანაწერთა კვლევის შემთხვევაშიც. უფრო შორეულ მომავალში, როცა სხვა ენაზე შესრულებულ ჩანაწერთა შედეგებიც დაიდება, საინტერესოდ გვესახება მათთან ქართულენოვანი ჩანაწერების შედარება-შეპირისპირების გზით ჩვენი

თანამემამულეების შესახებ მოპოვებული ინფორმაციის კონტექსტუალიზაცია საზოგადოდ პირველი მსოფლიო ომის ზოგადისტორიულსა და კულტურულ ნარატივში.

**23. ავტორები: ანდრაზაშვილი, მარინა / ბასილაია, ნატალია**

სტატიის სათაური: *სინესთეტი პოეტის ფსიქოლოგიური პორტრეტი და მისი თვალით დანახული სამყარო* სტატიის ბიბლიოგრაფიული მონაცემები: საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში: „ცივილიზაციური ძიებანი“, 2023 წელი, N 19 ნაშრომი მოცულობა: გვ. 78 – 94

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

წინამდებარე სტატია აგრძელებს სინესთეზიის ფენომენისა და სინესთეტ შემოქმედთა მიერ სამყაროს აღქმისა და მის სიტყვიერ ფორმაში გამოცემისადმი მიძღვნილ ციკლს, ერთობლივად დაწყებულს ორივე თანაავტორის მიერ ამ ორი წლის წინ. შესწავლის ობიექტი ამჯერად სახავს ოთხ ავტორს, რომლებიც გამოკვლევაში წარმოდგენილნი არიან ორი წყვილის სახით: *გეორგ თრაკლი* (*1887–†1914) // *მარინა ცვეტაევა* (*1892– †1941) და *ვლადიმირ ნაბოკოვი* (*1899 -†1977) // *ფერდინანდ ფონ შირახი* (*1964). შემთხვევითი არ არის არც ავტორთა შერჩევა და არც მათი დაჯგუფება ორ წყვილად, რამდენადაც ის ეყრდნობა, ერთი მხრივ, მწერალთა საკუთარ პიროვნულ-ბიოგრაფიულ ინდივიდუალობებს, მეორე მხრივ კი, მათი წერის მანერას, ჟანრობრივ თავისებურებებს.

ოთხივე შემოქმედს გამოარჩევს მეტ-ნაკლებად მსგავსი ცხოვრებისეული გზა, ასევე საკუთარ ნეირობიოლოგიურ მოცემულობები, მათზე დაყრდნობით კი გარკვეული საერთო ან მსგავსი ფსიქიკური გადახრები, გამოვლენილი დეპრესიების, მელანქოლიური აშლილობების, ინცესტის, ბიპოლარიზმის სახით, ხშირად ასევე სუიციდისკენ სწრაფვა და მისი განხორციელებაც კი. სამყაროსთან მიმართებაში ეს აისახება ფერთა არაადეკვატურ არეკვლაში, მათი ისეთ პრიზმაში გარდატეხვაში, რომელიც იძლევა სრულიად ინდივიდუალურ გამას, განსხვავებულს თვით ერთი მწერლის განწყობის მიხედვითაც კი ცხოვრების სხვადასხვა ფაზაში პირადული დრამისა თუ მსოფლიო კატაკლიზმების ფონზე. ამდენად მცდარი იქნებოდა, ფერთა ესოდენ მყისიერი, მერყევი აღქმა გაგვეთანაბრებინა სიმბოლიზმთან.

შედეგი სინესთეტური გადახრებისა არის ოთხივე ავტორის მიერ დატოვებული მსოფლიო მასშტაბის შედევრები, რომლებიც ამონარიდების სახით უხვად არის მოტანილი ნაშრომში და სათანადოდ გაანალიზებული როგორც მხატვრულ-ლიტერატურულ ჭრილში, ისე ლექსიკური და ლინგვისტური პარამეტრების მიხედვით.

ზემოხსენებული ოთხი ავტორის ერთგვარ გამოძახილად აღიქმება თანამედროვე გერმანელი ესეისტი ქალის *მარლენ შტოისელის* შემოქმედება, რომელიც დაბადებიდან სინესთეტია; ის თავის ერთ-ერთ რადიოსიუჟეტს უწოდებს: «Das „E“ ist weiß, die „4“ veilchenblau» („ე“ – თეთრია, „4“ – იისფერია), თხრობას კი ისე ავითარებს, რომ მსმენელს დაანახოს, რა სიფრიფანაა ზღვარი „კომიკურობასა“ და „ტრაგიკულობას“ შორის. სინესთეტია ასევე შირახის რომანის „ტაბუს“ პროტაგონისტიც, რომლის მთლიანი ცხოვრებაც ტრაგიზმია, გადმოცემული შესაბამისი ლექსიკური საშუალებებით.

ნაშრომში ვითარდება ასევე მეორე ხაზი: პარალელი „ჭეშმარიტსა“ და ე.წ. „მოგონილ“/ „შეთხზულ“ სინესთეზიას შორის; კერძოდ ხომ არ იქცა ერთგვარ „მოდად“, დროის ტენდენციად წერა სინესთეზიაზე. ვფიქრობთ, ეს მარადიულად არსებული ფენომენია, დანახული სხვადასხვა თაობის მიერ სხვადასხვა რაკურსში, და ის კვლავაც მრავალჯერ

იქცევა შემოქმედთათვის თხრობის ობიექტად, ფილოლოგებისა თუ ფსიქოლოგებისთვის – კვლევის საგნად, მკითხველისთვის კი – მასში მძაფრი ემოციების აღძვრის საშუალებად.

**6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში**

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **(თავი წიგნში)** მანანა რუსიეშვილი-კარტლეჯი, რუსუდან დოლიძე- The issue of equivalence and the principles of creating a multilingual electronic database of idioms and proverbs. (თავი წიგნში- **Phraseology, Constructions and Translation**, edited by Jean-Pierre Colson. Presses universitaires de Louvain, 2023) ISBN 978-2-39061-332-9; **9 გვერდი**

***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

ეკვივალენტობის საკითხი და იდიომებისა და ანდაზების მრავალენოვანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნის პრინციპები

ეს ნაშრომი განიხილავს ენობრივ, კონცეპტუალურ და კულტურული ეკვივალენტურობის საკითხებს იდიომებსა და ანდაზებზე დაყრდნობით მნიშვნელობით „საქმე უნდა გაკეთდეს თავის დროზე“ ქართულ, ინგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე.

მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის გამოყენებულია მ. რუსიეშვილის ( 2005) მიერ შემოთავაზებული პრაგმა-სემანტიკური მოდელი, რომლის მიხედვითაც რომ მეტაფორული იდიომებისა და ანდაზების სემანტიკური სტრუქტურა შედგება სამი ურთიერთდამოკიდებული ფენისგან. იდიომები და ანდაზები, რომლებიც ემთხვევა მოდელის ყველა შრეზე, მიიჩნევა სრულ ენათაშორისი ან ენობრივი ეკვივალენტებად. იდიომები, რომლებიც მხოლოდ შუა შრეზე ემთხვევა, ითვლება ნაწილობრივ ეკვივალენტებად.

ნაშრომში გამოყენებული მონაცემები აღებულია ქართული იდიომებისა და ანდაზების ბაზიდან (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული, თურქული და არაბული ეკვივალენტებით), რომელიც დააფინანსა საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდმა.

2.( **თავი წიგნში)** Manana Rusieshvili-Cartledge and Sopio Totibadze

A battle of the sexes and gender solidarity in the Georgian version of the British show “The Weakest Link?” დაიბეჭდა Communication and gender; Debates in English, Italian and Spanish. (eds Sonia Maria Melchiorre and Sergio Marin Conejo. 2023 ISBN Series 979-12-5524-077-8

ISBN-book: 979-12-5524-078-5 ( მანანა რუსიეშვილი არის სერიის რედკოლეგიის წევრიც) 10 gverdi

„სუსტი რგოლი“ თავდაპირველად შეიქმნა, როგორც BBC-ს პროექტი და პოპულარობის გამო სწრაფად გავრცელდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. შოუს პოპულარობა ბრიტანეთში განსაზღვრა ენ რობინსონის მიერ შექმნილმა სატელევიზიო პერსონამ, რომლის სარკასტული დამოკიდებულება შოუს მონაწილეებისადმი და კომუნიკაციის სტილი, ისევე როგორც მისი ვერბალური და ქცევითი ნორმები მიიღო ყველა ქვეყანამ, რომლებმაც საკუთარ ტელეგადაცემების ფორმატში ჩართეს ეს შოუ. საინტერესოა,

რომ ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში, გადაცემის შინაარსი საზოგადოების ტრადიციებისა და მოთხოვნების მიხედვით, გარკვეულწილად, შეიცვალა.
წინამდებარე ნაშრომი იკვლევს (1) გადაცემის ქართულ ვერსიაში განხორციელებულ ცვლილებებს, რამაც ის უფრო გენდერზე ორიენტირებული გახადა, და (2) შოუს მონაწილეების მიერ გენდერული მიკერძოების ან გენდერული სოლიდარობის გამოხატვისას გამოყენებული ლინგვისტური (ვერბალური) და სუპრალინგვისტური (არავერბალური) სტრატეგიები.

### 6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

### 6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **Rusieshvili-Cartledge Manana** (INTERCULTURAL LEARNING AND INTERCULTURAL AWARENESS IN ELT- ინტერკულტურული სწავლება და ინტერკულტურული ცნობიერება). დაიბეჭდა IX International Spring Symposium Proceedings, 24-25 March, Alecu Russo Balti University, Moldova (დაფინანსებულია ამერიკის საელჩოს მიერ) ISBN 978-9975-3596-2-7.pp. 18 გვერდი (ავტორის მიერ პლენარულ მოხსენებაზე წაკითხული მოხსენება)

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
გლობალიზაციის პროცესში გაიზარდა კულტურული და ინტერკულტურული თვალსაზრისით მარკირებული ტექსტების (მასალის) სწავლების მნიშვნელობა. ინტერკულტურული კომუნიკაცია განიმარტება, როგორც „კონსტრუქციული ურთიერთობის უნარი ადამიანებთან, რომლებსაც აქვთ აზროვნების და/ან კომუნიკაციის განსხვავებული სტილი (Dypedahl, 2019: 102). ნაშრომში შესწავლილია, თუ როგორ განიხილავენ და უმკლავდებიან ინგლისურის ენის პრაქტიკუმზე ტექსტის ანალიზსა და ინტერპრეტაციაში პედაგოგების ნოველების ანალიზის დროს წარმოქმნილ კულტურულ განსხვავებებს. ნაშრომი ეყრდნობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევას. კერძოდ, მონაცემები აღებულია (1) ელექტრონული კითხვარიდან, რომელიც შევსებულია ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ინგლისური ენის კითხვის უნარების, ტექსტის ანალიზისა და ინტერპრეტაციის მულტიკულტურული ჯგუფების (ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები და ა.შ.) მასწავლებლების მიერ
და (2) გასაუბრება მასწავლებლების ფოკუს ჯგუფთან. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები ავლენს კულტურული პრობლემებსა და კულტურული განსხვავებების

„შერიგების“ გზებს, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეებს სამიზნე და საკუთარი კულტურის გაგებას და გამოკვეთოს მასწავლებლის როლი ამ რთულ პროცესში.

2. **მანანა რუსიეშვილი, მარინე მახათაძე** ( თსუ, ენათმეცნიერების საკითხები, 2023.
ორენოვანი თემატური ლექსიკონის როგორც ჰიბრიდული ლექსიკოგრაფიული ჟანრის მიკროსტრუქტურა (`თოვლის” სემანტიკური ველის მაგალითზე)

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ლექსიკური ფონდის საგნობრივ–თემატური აღწერა ერთ-ერთი ნაბიჯია ლექსიკის სისტემური დახასიათებისათვის. ლექსიკონი არა მხოლოდ დამხმარე საცნობარო საშუალებაა კითხვისას, არამედ თავისთავადი ღირებულების ნაშრომია, რომელიც ენაში აღბეჭდილ ლექსიკურ რეალურ მიმართულებებს ასახავს. თემატური ლექსიკოგრაფიის შესწავლის უმთავრესი საგანი თემატური ლექსიკონების სტრუქტურა, შედგენის პრინციპები და მათი პრაქტიკული გამოყენების შეფასებაა. ლექსიკოგრაფიაში საკმაოდ გავრცელებული ფენომენია რამდენიმე განსხვავებული ჟანრის შერევის გზით ახალი ტიპის ლექსიკონების შექმნა. წინამდებარე ნაშრომი ეხება ორენოვან თემატურ ლექსიკონს, რომელიც აერთიანებს თარგმნითი, თემატური და პედაგოგიური ლექსიკოგრაფიული ტრადიციების ძირითად პრინციპებს.

ორენოვანი თემატური ლექსიკონების ასეთი კომპლექსურობა სიახლეების შემცველი ლექსიკოგრაფიული კვლევის საშუალებას იძლევა. არა მხოლოდ აუცილებელია თემატური ლექსიკონების უპირატესობების შეფასება, არამედ ასევე საჭიროა გადავჭრათ მთელი რიგი საკითხები იმისათვის, რომ ერთდროულად მივიღოთ წარმატებული თემატური, ორენოვანი და სასწავლო ლექსიკონი. ნაშრომის მიზანია: 1. განსაზღვროს ორენოვანი თემატური ლექსიკონების რაობა და მეტალექსიკოგრაფიული მახასიათებლები; 2. წარმოაჩინოს პრაქტიკული ლექსიკოგრაფიული გზები და მეთოდები ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონის შექმნის პროცესში. სტატიაში წარმოდგენილია რამდენიმე სიტყვა-სტატიის ნიმუში, რომელშიც გათვალისწინებულია დასავლეთევროპული ორენოვანი თემატური ლექსიკოგრაფიის ფუნდამენტური პრინციპები.

საკვლევი თემის აქტუალობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ორენოვან თემატურ ლექსიკონებს განვითარების დიდი პოტენციალი აქვთ, პრაქტიკული ღირებულებიდან გამომდინარე. მათი შექმნის, გაუმჯობესების საჭიროება და აუცილებლობა კვლევის თანამედროვე მოთხოვნილებებით არის განპირობებული. ნაშრომის მეცნიერული სიახლე განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ქართულ სამეცნიერო სინამდვილეში არ მომხდარა ორენოვანი თემატური ლექსიკონების საფუძვლიანი და სრულფასოვანი ლინგვისტური კვლევა. სტატიაში წარმოვადგენთ „თოვლის“ თემატიკის გარშემო თავმოყრილ რამდენიმე სალექსიკონო ერთეულს და მისი დამუშავების მოდელს.

კვლევის შედეგად, როგორც სხვა ჟანრის ლექსიკონების შემთხვევაში, ორენოვან თემატურ ლექსიკონებშიც განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ისეთ მიკროსტრუქტურულ ელემენტებს, როგორიცაა გრამატიკული ინფორმაცია, სტილისტიკური კვალიფიკაციები, კოლოკაციური ინფორმაცია, თარგმნითი ან მნიშვნელობის ეკვივალენტი ინგლისურ ენაზე, საილუსტრაციო წინადადება ქართულად და მისი თარგმანი ინგლისურად, მითითებანი და სიტყვათხმარებასთან დაკავშირებული შენიშვნები.

ქართული ტერმინების აქტუალიზაციის კარგი მაგალითია `თოვლის~ სემანტიკური ველის სისტემა, რომელშიც ტერმინების უმრავლესობა ქართულია და ენობრივი კოლექტივის სააზროვნო სივრცის ნაწილია. გარდა ამისა, `თოვლის~ სემანტიკური ველის კვლევამ აჩვენა, რომ საკმაოდ ზევრი ლემა, რომელიც გვხვდება სხვადასხვა საცნობარო წყაროებში (მაგ.

მხატვრული ლიტერატურა, სპეციალური დარგობრივი ლიტერატურა და ლექსიკონები) და საკვლევ მასალად შერჩეულია ჩვენი თემატური ლექსიკონისათვის, არ იყო დამოწმებული სხვა არსებულ ქართულ-ინგლისურ ან ინგლისურ-ქართულ ლექსიკონებში.

**3.Nino Daraselia,** *Metaphors of Conscience in Georgian and English*. In Studien zur Text-und Diskursforschung, band 30, Inter-and Intralinguistic Contrasts. Anna Hanus, Dorota Miller, Iwona Szwed (eds.), Lausanne-Berlin-Bruxelles-Chennai-New York-Oxford: Peter Lang, ISSN 2191-3714, ISBN 978-3-631-88074-6, (Print)E-ISBN 978-3-631-90237-0 (E-Book), E-ISBN 978-3-631-90238-7 (EPUB), DOI 10.3726/b20843. pp 41-53.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

*სინდისის მეტაფორები ქართულსა და ინგლისურში*

ნაშრომი განიხილავს სინდისის ცნების მეტაფორიზაციის თავისებურებებს ქართულ და ინგლისურ ენებსა და კულტურებში. კვლევის თეორიულ საფუძველ ქმნის კოგნიტიური ლინგვისტიკა (კერძოდ, კოგნიტიური სემანტიკა, კონცეპტუალური მეტაფორის თეორია და განსხეულების ჰიპოთეზა), კვლევები კულტუროლოგიასა და პრაგმატიკაში. ემპირიული მასალა მოპოვებულ იქნა ქართული და ინგლისური ენების კორპუსებიდან, ავტორიტეტული ლექსიკონებიდან და ასევე, ავტორის მიერ შედგენილი კორპუსიდან. კვლევისას გამოყენებულია კომპონენტური და კონტექსტუალური ანალიზის მეთოდები და ასევე, მეტაფორის იდენტიფიკაციის სტინისეული პროცედურა. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სინდისის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების მეტონიმურ და მეტაფორულ გავრცობაზე; აღნიშნული ცნების კონცეპტუალიზაციის პროცესში კულტურის სპეციფიკით განპირობებულ განსხვავებებზე.

**4.ირინა გველესიანი,** ახალი მიდგომა Trust-ის წარმომავლობისადმი, Revista de Științe Politice. Revue des Sciences Politiques, No. 77, რუმინეთი, Universitatea din Craiova, 9 გვერდი;

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**ახალი მიდგომა Trust-ის წარმომავლობისადმი**

ნაშრომში წარმოდგენილია ახალი მიდგომა ტრასტის წარმოშობის საკითხის შესწავლისადმი. ძირითადი აქცენტი კეთდება სალიანი ფრანკების ***affatomie***-ისა და ინგლისური ტრასტის შედარებით ანალიზზე, მათ იურიდიულ და ენობრივ თავისებურებებზე, სალიანთა კოდექსში წარმოდგენილი ზოგიერთი ცნების ვერბალურ რეალიზაციაზე. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სხვადასხვა ისტორიულ საკითხს, კერძოდ, გერმანიკული ტომების მიგრაციას, გერმანიკული ტომებისა და ენების ურთიერთკავშირს, ენობრივ კონტაქტებს და სხვა. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საერთო სამართლის ტრასტსა და სალიანი ფრანკების ***affatomie***-ს აქვთ მსგავსი თავისებურებები. უფრო მეტიც, არსებული ლინგვისტური და იურიდიული მონაცემები მიუთითებს ბრიტანული ნდობითი ურთიერთობების გერმანიკულ ფესვებზე.

5. **ირინა გველესიანი,** ინგლისური სპეციალური მიზნებისთვის – ახალი სტრატეგიები და მიდგომები, The Journal of Research in Higher Education, ტომი VII, No 1, ISSN: 1584-224X, რუმინეთი, 14 გვერდი;

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
**ინგლისური სპეციალური მიზნებისთვის – ახალი სტრატეგიები და მიდგომები**

ნაშრომში განხილულია ESP-ს (ინგლისური სპეციალური მიზნებისთვის) სწავლების ინოვაციური მეთოდები, რომლებიც სტუდენტთა მრავალეთნიკურ ჯგუფებზე არის ორიენტირებული. წარმოდგენილი კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს დაკვირვებას და ანალიზს. ნაშრომში განხილულია სხვადასხვა მიდგომის (თარგმანი, ჰეტეროგლოსია, კოდების გადართვა, კორპუსზე დაფუძნებული ანალიზის და სხვა) ერთდროული გამოყენება ESP-ს სწავლების პროცესში, მიღებული შედეგები და მომავალი პერსპექტივები. წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება რამდენიმეწლიან გამოცდილებას.

6. **დარეჯან თვალთვაძე,** ირინა გველესიანი, კორპუსებზე ორიენტირებული პროექტები და კურსები – საუნივერსიტეტო ცხოვრების ინოვაცია, მასალები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა „SOCIETY. INTEGRATION. EDUCATION“, ტომი I, Rēzekne, Rēzeknes Tehnoloģiju akadēmija, 9 გვერდი.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**კორპუსებზე ორიენტირებული პროექტები და კურსები – საუნივერსიტეტო ცხოვრების ინოვაცია**

კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ უამრავი ახალი შესაძლებლობა გააჩინა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ახალი ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება საგანმანათლებლო სივრცეში, მათ შორის, უმაღლეს განათლებაში, სწავლებისა და კვლევის ფორმების მოდერნიზებას და მნიშვნელოვან ცვლილებებს ითხოვს. ძირითადი საკითხები, რომლებსაც ნაშრომი ეხება შემდეგია: სტუდენტთა ციფრული უნარების გაუმჯობესება, კორპუსლინგვისტური და კორპუსზე დაფუძნებული კვლევის მეთოდების დანერგვის მიზნით საგანმანათლებლო კურიკულუმში (სასწავლო კურსები, საკვალიფიკაციო ნაშრომები და სხვ.) ამ კომპონენტის შეტანის საჭიროება და მიზნობრივი სტუდენტური პროექტების (სეზონური სკოლები, ციფრული ბიბლიოთეკები, თემატური კორპუსების და სხვ.) განხორციელების ხელშეწყობა. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ, ერთი მხრივ, ჰუმანიტარულ კვლევებში ემპირიული მასალის მოსაძიებლად არსებული ტექსტური ბაზებისა და ენის კორპუსების გამოყენება, ხოლო, მეორე მხრივ, თავად კორპუსის აგების უნარები (დიგიტალიზაცია, ანოტირება, მეტამონაცემების შეგროვება და ა.შ), ხელს უწყობს კორპუსლინგვისტური და კორპუსებზე დაფუძნებული კვლევის პრაქტიკაში დანერგვას, საკვლევი პრობლემის სწორად განსაზღვრის, ეკვივალენტების პოვნის, კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარებასა და სამეცნიერო მეტაენის გამდიდრებას. ნაშრომში თსუ-ს რამდენიმე სასწავლო კურსისა და პროექტის მაგალითზე წარმოდგენილია საუნივერსიტეტო სწავლებასა და კვლევაში ენის კორპუსების ინტეგრირების შედეგად

მიღწეული შედეგები, გაანალიზებულია ხარვეზებიც და განსაზღვრულია მათი "შევსების" შესაძლებლობებიც. კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებას, მათ ანალიზსა და შეფასებას.

7. O. Kapandze. **N. Kapanadze**. G. Kotze. N. Purtkaradze (2023). *Unsupervized Syntactic Analysis of the Georgian Language Clause.* IN: Human Langiage Technologies as a Challenge for Computer Scinece and Lingusitics - 2023. eds. Zygmund Vetulani & Patric Paroubek. Poznań. ISBN 978-83-232.4176-8 (Print); ISBN 978-83-232.4177-5 (PDF); pp. 126 -130.

# 7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

## 7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **რუსუდან დოლიძე, სოფიო თოთიბაძე-** მეტაფორის ევოლუცია არისტოტელედან დღემდე. თსუ 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია, 6 თებერვალი, 2023. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://tsu.ge/assets/media/files/57/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%97%E1%83%94%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf
2. **მანანა რუსიეშვილი** ვრცელი ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონის თაობაზე Towards the creation of an extensive Georgian-English thematic dictionary, თსუ 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია, 6 თებერვალი, 2023 chromeextension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://tsu.ge/assets/media/files/57/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%97%E1%83%94%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf

3. **მანანა რუსიეშვილი, რუსუდან დოლიძე-** კიდევ ერთხელ ეკფრაზისის შესახებ- პროფ. ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. 20-21 ივლისი, 2023, თსუ,თბილისი https://www.researchgate.net/publication/375598176_17th_Faculty_Scholarly_Conference_In_Honour_of_the_100th_Anniversary_of_the_Birth_of_Prof_Nodar_Kakabadze

4. **მანანა რუსიეშვილი,** Developing Reading Comprehension skills (Using an example of a textbook for Georgian HEI). The Fifth International Conference SeLTAME, 11-13 სექტემბერი, 2023. hrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/http://www.seltame.tsu.ge/public/uploads/images/09.09_abstracts_eng.pdf

5. **მანანა რუსიეშვილი,** თარგმანის სოციოლინგვისტური და იდეოლოგიური ასპექტები. პროფესორ დალი ფანჯიკიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია (ივნისი 29-30,

2023)
https://www.researchgate.net/publication/371958002_Scientific_Conference_dedicated_to_Prof_Dali_Panjikidze_propesor_dali_panjikidzisadmi_midzghvnili_sametsniero_konperentsia

6. **ირინე დემეტრაძე.** *გარე მოვაჭრეთა დისკურსის ლინგვისტური თავისებურებები (ინგლისური და ქართული ენების მასალაზე).* ნოდარ კაკაბაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საფაკულტეტო კონფერენცია. 20-21 ივლისი, 2023. თსუ. გამოქვეყნებულია კონფერენციის მასალებში.

7. **მანანა გელაშვილი,** თარგმანის როლი მიმღები ენისა და კულტურის განვითარებაზე (,,ჯოისის'' ულისე ქართულად). პროფესორ გიორგი (ჟორჟ) ეკიზაშვილის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ს/ს ინსტიტუტი დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ს/ს ინსტიტუტის რომანული ფილოლოგიის კათედრა, 13 მარტი თბილისი 2023.

8. **მანანა გელაშვილი,** ლირიკული გმირი ინგლისურ რომანტიზმში. პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, ივლისი 20-21, თბილისი, 2023
https://tsu.ge/assets/media/files/87/%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94%20%20_%20%E1%83%97%E1%83%94%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%2013,11.pdf

9. **მანანა გელაშვილი,** Fin de siècle - ეპოქის დასასრული თუ ახალი ეპოქის დასაწყისი?! ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალი ქართული ლიტერატურის კათედრა XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა. VI სამეცნიერო კონფერენცია, 25 დეკემბერი, 2023

10. **მანანა გელაშვილი,** საბედისწერო თარგმანი: ნიცშეს „ასე იტყოდა ზარატუსტრა" ქართულად. XVI საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდეობის თანამედროვე პრობლემები - „სოციალისტური რეალიზმის ეპოქა ლიტერატურასა და ხელოვნებაში", 2023 წლის 27-29 სექტემბერი.

11. **მანანა გელაშვილი,** ტრადიცია როგორც ინტერპრეტაცია. პროფესორ თემურ კობახიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტი, 25 მარტი. 2023

12. **დავით მაზიაშვილი - „სათადარიგო ჰამლეტი"**
პროფესორ თემურ კობახიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია,
თსუ, თბილისი, 25 მაისი.
https://tsu.ge/assets/media/files/57/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A0%20%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94%20-%20%20akademiuri%20(1).pdf
**https://interpretation.tsu.ge/index.php/main/article/view/25/25**

13. **დავით მაზიაშვილი - „12 პაემანი როგორც ნუგეში“**

პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 20, 21 ივლისი, 2023 წელი.

https://www.researchgate.net/publication/375598176_17th_Faculty_Scholarly_Conference_In_Honour_of_the_100th_Anniversary_of_the_Birth_of_Prof_Nodar_Kakabadze?fbclid=IwAR3vFGUkRL9LTSDbr-uIBeDG-tC0zYSb29nd6KO3MYGIKs9ZR49Ss_xQobU

14. **დავით მაზიაშვილი - „ტომ სტოპარდის როკ-ენ-როლი და სოციალისტური რეალიზმი“**
16-ე საერთაშორისო სიმპოზიუმი „სოციალისტური რეალიზმის ეპოქა ლიტერატურასა და ხელოვნებაში” ივ. ჯავახიშვილისი სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი 27-29 სექტემბერი, 2023 წელი https://conference.litinstituti.ge/wp-content/uploads/XVItesis2023.pdf
https://conference.litinstituti.ge/wp-content/uploads/XVI-20231.pdf

15. **თამარ გელაშვილი,** ფრენკ მაკგინესის ადრეული პიესების ქართულად თარგმნის სპეციფიკა.პროფესორ გიორგი (ჟორჟ) ეკიზაშვილის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ს/ს ინსტიტუტი დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ს/ს ინსტიტუტის რომანული ფილოლოგიის კათედრა, 13 მარტი თბილისი 2023

16. **თამარ გელაშვილი,** პოლიტიკური დისკურსი პოსტმოდერნისტულ და მეტაპოსტმოდერნისტულ ირლანდიურ დრამაში. პროფესორ თემურ კობახიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტი, 25 მარტი. 2023

17. **თამარ გელაშვილი,** ლუის კეროლის ,,ელისი საოცრებათა ქვეყანაში'', როგორ პროტო-მოდერმისტული ტექსტი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალი ქართული ლიტერატურის კათედრა XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა. VI სამეცნიერო კონფერენცია, 25 დეკემბერი, 2023

18. . **ლალი ქეცბა-ხუნდაძე** - მოხსენების სათაური: "Othello vor Gericht* als Ontotext" (ოტელო სასამართლოს წინაშე). კავკასიური სახლი, თბილისი, 16 დეკემბერი, 2023წ.
19. წიგნის პრეზენტაცია - **ლალი ქეცბა-ხუნდაძე,** დიტრიხ ბუსე - Grundzüge der germanistischen Sprachwissenschaft: Eine Einführung (გერმანული ენათმეცნიერების საფუძვლები: შესავალი). გოეთეს ინსტიტუტი, თბილისი, 20 ნოემბერი, 2023წ.

*20.* **კონსტანტინე ბრეგაძე: „კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დიდოსტატის მარჯვენაში“ განვითარებული ხელოვნების კონცეფცია, როგორც ხელოვნების *მოდერნისტული* გაგება და როგორც *ანტისოცრეალიზმი“;***
27-29 სექტემბერი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

XVI საერთაშორისო სიმპოზიუმი. ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები: „სოციალისტური რეალიზმის ეპოქა ლიტერატურასა და ხელოვნებაში“.

**21. კონსტანტინე ბრეგაძე:** „ტექსტის ინტერპრეტაცია იდეოლოგიური დისკურსის პირობებში: გოეთეს *ფაუსტის* ინტერპრეტაცია საბჭოთა პერიოდის ქართულ გერმანისტიკაში“; 25 მაისი, თსუ. სამეცნიერო კონფერენცია „ტექსტი და ინტერპრეტაცია“. ეძღვნება პროფესორ თემურ კობახიძის ხსოვნას.

**22. მარინა კობეშავიძე,** კარდინალ სისნეროსი და მისი მოღვაწეობის მნიშვნელობა ესპანეთში." კულტურათაშორისი დიალოგები“, ტომი -7, 2023/9/29 https://journals.4science.ge/index.php/IDW. თელავის იაკობ გოგებაშვილი უნივერსიტეტი. 27-29 ოქტომბერი 20023 წ.

**23. მარინა კობეშავიძე,** ფერთა ლექსიკა ესპანურ და ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში და მათი ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები, მე-8 საერთაშორისო კონფერენცია „ ენა და კულტურა“, ქუთაისი, 2023. 2-4 ივნისი.

24. **კენჭოშვილი სალომე.** იტალიური მხატვრული პროზის ქართული თარგმანის ზოგიერთი თავისებურებანი. პროფესორ გიორგი (ჟორჟ) ეკიზაშვილის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. 13 მარტი 2023, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

***მოხსენების ანოტაცია*** *(საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

ლიტერატურული ნაწარმოების ნებისმიერი ენიდან თარგმანის სირთულეებს განაპირობებენ როგორც დედნისა და მიმღები ენის სისტემებსა და გრამატიკულ ნორმებს შორის არსებული სხვაობანი, ასევე ამა თუ იმ ქვეყნისათვის დამახასიათებელი ეთნოკულტურული რეალიები, ანუ ე. წ. არაეკვივალენტური ლექსიკა და ამა თუ იმ ავტორის ტექსტისათვის ნიშანდობლივი ინდივიდუალური თავისებურებანი. მაგრამ არაერთი სხვა ევროპული ენისაგან განსხვავებით, იტალიურ ნაწარმოებთა თარგმანს ხშირად ის დამატებითი სირთულე ემატება, რომ იტალიელი მწერლები არა მხოლოდ პერსონაჟთა მეტყველებაში, არამედ ავტორისეულ თხრობაში ფართოდ იყენებენ დიალექტურ ლექსიკას, რაც იმით აიხსნება, რომ ევროპულ ენებს შორის იტალიური ენა დიალექტების განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა, ხოლო იტალიური ლიტერატურა იმთავითვე სხვადასხვა რეგიონალურ ენებზე დაწერილი ნაწარმოებებით იქმნებოდა. რაოდენ დიდი ფუნქცია აქვს დიალექტიზმების საწყისს იტალიურ ლიტერატურაში, ამას თავისებურად ცხადყოფს ის ფაქტი, რომ თავის რომანებში „ქუჩის ბიჭები“ და „ძალადობრივი ცხოვრება“ პიერ პაოლო პაზოლინი იტალიური ენის პარალელურად რომაულ დიალექტს მიმართავს. ასევე, ფილმში „დეკამერონი“ - ნეაპოლური დიალექტია გამოყენებული, ხოლო ფილმში „მათეს სახარება“ აბრუცოს დიალექტი. ზოგჯერ დიალექტურ შრეს დედანში არ გააჩნია მნიშვნელოვანი აზრობრივი დატვირთვა; იგი ჩვეულებრივ დაბალი რეგისტრის სასაუბრო ენის ან სლენგის საშუალებით ითარგმნება და ამდენად არ უქმნის მთარგმნელს განსაკუთრებულ სირთულეს. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც იტალიურ ნაწარმოებებში სემანტიკურად მნიშვნელოვანი დიალექტიზმები იმდენად სპეციფიკური სახითაა წარმოდგენილი, რომ მათი ფუნქციის შენარჩუნება თარგმანში უაღესად რთულია. ასე, მაგალითად, ჯუზეპე ტომაზი დი ლამპედუზას რომანში „ლეოპარდი“ გარიბალდისადმი სიცილიელთა დამოკიდებულების

აღწერისას, სახლებზე გაჩენილი წარწერების ჩამოთვლილსას ასეთ წარწერას ახსენებს: «Viva Garibbaldi!»; აქ გარიბალდის სახელი შეცდომითაა წარმოდგენილი, კერძოდ: *გარიბალდის* ნაცვლად არის *გარი__ბბ__ალდი*. ბაგისმიერი თანხმოვნის გაორმაგება სიცილიურისთვისაა დამახასიათელებელი; იტალიელი მკიხველისათვის გასაგები ხდება, რომ კედელზე წარწერა ადგილობრივ მაცხოვრებელს, სიცილიელს ეკუთვნის, რომელიც არ ფლობს იტალიური ენის ნორმებს. იტალიელი მკითხველი ამგვარ დიალექტიზმებში ჩაქსოვილ სემანტიკას სათანადოდ აღიქვამს. მაგრამ თარგმანებში იგივე ეფექტის მიღწევა მხოლოდ __კომპენსაციის ხერხით__ თუ იქნება შესაძლებელი. ცხადია, „ლეოპარდი"-ს თარგმანში ვერ აისახება ის ენობრივი მომენტი, რომ რომანში ნეაპოლის მეფის მეტყველებაში ნეაპოლური დიალექტიც ისმის ისეთი ელემენტების სახით, როგორებიცაა, მაგალითად, იტალიური grande-ს ნაცვლად granne, una-ს ნაცვლად 'na, და tue-ს ნაცვლად toie. მთარგმნელის ამოცანას კიდევ უფრო ართულებს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ენობრივ ქსოვილში რამდენიმე დიალექტის ლექსიკა და გრამატიკული ნორმებია გამოყენებული. ამგვარი, ასე ვთქვათ, პასტიშის მხატვრული ეფექტის შენარჩუნება მთარგმნელისაგან განსაკუთრებულ გამომგონებლობას მოითხოვს.

კომედიურ ფილმში „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სამხრეთში" საუბარში მსგავსი ჟღერადობის, მაგრამ სემანტიკურად განსხვავებული სიტყვები სრულ გაუგებრობას იწვევს და კომიკურ ეფექტს ქმნის, რომლის შენარჩუნება ქართულ თარგმანში რთულია, მაგრამ აუცილებელი.

იტალიური მხატვრული ნაწარმოებების თარგმნისას ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც დედანში კათოლიკური ეკლესიის ღვთისმსახურთა მიერ წარმოთქმული ლოცვები და ბიბლიიდან დამოწმებული ციტატები ლათინურ ენაზეა წარმოდგენილი. იტალიურიდან თარგმნილ ნაწარმოებებში ლათინური ფრაზები ჩვეულებრივ ისევე გადმოაქვთ, როგორც დედანშია. მაგრამ ასეთი პრინციპი და პრაქტიკა ვერ ჩაითვლება უცვლელ წესად ყველა ტიპის ნაწარმოებისათვის. უმბერტო ეკოს რომანში „ვარდის სახელი" ავტორისეულ თხრობაში ხშირად გვხვდება მრავალი ლათინური ციტატა სხვადასხვა ტექსტებიდან, თანაც სქოლიოებშიიტალიური თარგმანის გარეშე. ასეთ შემთხვევაში მთარგმნელები სხვადასხვაგვარ გადაწყვეტილებას იღებენ. მაგალითად, უმბერტო ეკოს ამ რომანის ხათუნა ცხადის თარგმანში, ისევე როგორც რუსულ თარგმანში, ლათინურ სიტყვებს, ფრაზებსა და ციტატებს, იტალიური დედნისაგან განსხვავებით, სქოლიოებში მათი თარგმანი ახლავს; ამ მხრივ განსხვავებული ვითარებაა ინგლისურ თარგმანში, სადაც მთხრობელის ტექსტში მიმობნეული ლათინური სიტყვები და ფრაზები ინგლისურადაა გადმოღებული, ციტატები ლათინურადაა დატოვებული, ხოლო სქოლიოებში მითითებულია მათ წყარო. ასე რომ ჩვენს წინაშეა მთარგმნელების მხრიდან დედნის გარკვეული კომპონენტისადმი ორი სხვადასხვაგვარი მიდგომა.

25. **ბელა ხაბეიშვილი,** „ანტუან დე სენტ ეგზიუპერის „პატარა პრინცი"- ფილოსოფიური ზღაპარი ქართულ მთარგმნელობით რეალობაში", პროფესორ გიორგი (ჟორჟ) ეკიზაშვილის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი,13 მარტი, 2023.

26. **ბელა ხაბეიშვილი, « La périphérie géorgienne au centre de la prolifération de l'esthétique moderne »**, ცენტრი და პერიფერია: პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ენობრივი სივრცის ადაპტაცია თანამედროვეობაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2023 წ.

27. **ბელა ხაბეიშვილი,** „საქართველოში ფრანგული ენის სწავლების სოციოლინგვისტური და ლინგვოპოლიტოლოგიური ასპექტები“, მეორე ენის სწავლა/სწავლებამულტილინგვური განათლების კონტექსტში SeLTAME, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2023

28. **თამარ ჭუმბურიძე,** რილკეს რამდენიმე ლექსის ქართული თარგმანები, პროფესორ დალი ფანჯიკიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 29-30 ივნისი 2023, თბილისი, თსუ,

29. **თამარ ჭუმბურიძე,** არჩილ მეტრეველი და მისი თარგმანი , 13 სექტემბერი 2023, ბაკურციხე, ინტერდისციპლინარული კვლევების საერთაშორისო ცენტრი

*მოხსენების ანოტაცია:*

არჩილ მეტრეველი გერმანიაში მცხოვრები ქართველი მოღვაწეა. იგი მანქანათმშენებლობის შესასწავლად გაემგზავრა მიუნხენში, თუმცა საინჟინრო საქმიანობას არ გაჰყოლია, ჯერ ბერლინში დააარსა ქართული სტამბა და აპირებდა ქართული ლიტერატურული ძეგლებისა და ხელნაწერების გამოცემას სერიით „ქართული ბიბლიოთეკა“(სამწუხაროდ ამ სერიით მხოლოდ მიხაკო წერეთლის მიერ გერმანულ ენაზე ნათარგმნი „სიბრძნე-სიცრუისა“ გამოიცა), შემდეგ იგი თანამშრომლობდა პარიზში გამომავალი გაზეთის „ახალი საქართველოს“ რედაქციაში. მეორე მსოფლიო ომის მერე არჩილ მეტრეველი მიუნხენში გადავიდა და იქაც ჰქონდა სტამბა და პატარა გამომცემლობა, სადაც დაბეჭდა მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „გივი შადური“, მის მიერ თარგმნილი გერმანულ ენაზე. მასვე ეკუთვნის ქართულ-გერმანული და გერმანულ-ქართული მცირე ლექსიკონი. ამას გარდა მას შეუდგენია კრებული „ქართველი პოეტები“ და სხვ. მიუნხენის უნივერსიტეტში არჩილ მეტრეველი ახალ ქართულ ენას ასწავლიდა. მისი მოწაფე იყო ცნობილი ქართველოლოგი და აღმოსავლეთმცოდნე იულიუს ასფალგი. სწორედ მის არქივში აღმოაჩინა გერმანელმა პროფესორმა ჰუბერტ კაუფჰოლდმა არჩილ მეტრეველის თარგმანი ვაჟა ფშაველს პოემისა „სული ობლისა“. რამდენადაც ვიცით, ეს თარგმანი არ გამოქვეყნებულა, შეიძლება მთარგმნელი მის ჩასწორებას აპირებდა და ჩვენს ხელთ არსებული ტექსტი არც იყოს საბოლოო ვარიანტი, მაგრამ თვითონ ფაქტი საყურადღებოა და მისი შედარება დედანთან ან ზოგადად მისი ანალიზი უთუოდ საინტერესოა.

**30. მაია ჯავახიძე . ადამიანთა მახასიათებლების კონცეპტუალიზაცია გარეული ცხოველების აღმნიშვნელ მეტაფორებში იტალიურ და ქართულ ენებში (ლომი, მგელი, დათვი).** VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, ქუთაისი, 2023

**31. მაია ჯავახიძე, . ადამიანთა მახასიათებლების კონცეპტუალიზაცია გარეული ცხოველების შემცველ მეტაფორებში.(მაიმუნი, მელა, აფთარი, ტურა).** ვიქტორ ნოზაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 5/12/2023

**32. ნინო ქავთარაძე, ,,ზღაპარი- ინიციაცია და ფრანგული საყმაწვილო ლიტერატურა”,** პროფესორი გიორგი ეკიზაშვილის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, თსუ, 2023 წლის 13 მარტი

33. **ნინო ქავთარაძე, ,,ლიბერტინაჟის ინტერპრეტაცია გუშინ და დღეს'',** თემურ კობახიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, თსუ, 2023 წლის 25 მაისი

ანოტაცია:

,,სახიფათო კავშირები'' 1782 წელს გამოიცა და მის ავტორს, არტილერიის გენერალს და გამომგონებელს – შოდერლო დე ლაკლოს, მსოფლიო აღიარება მოუტანა. ამ მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის მიმართ ინტერესი დღესაც დიდია, თუმცა მისი გაცნობა უკვე ხელოვნების სხვა დარგების საშუალებითაც ხდება: თეატრალური დადგმებით, კინოადაპტაციებით თუ სერიალებით. შოდერლო დე ლაკლოს მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის ინტრეპრეტაციათა (ტრანსპოზიცია იქნება ეს, კომენტირება თუ ანალოგია) მრავალფეროვნება განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით:

1. ტექსტი მოგვითხრობს ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის შესახებ, რაც ყოველთვის აქტუალური და მუდმივი თემაა;

2. ტექსტი დაწერილია განმათლებლობის ეპოქაში (რაციონალური აზროვებისკენ სწრაფვის ხანა) და პერსონაჟები იმ საზოგადოების კანონებით განისჯებიან, რომელმაც ისინი შვა;

3. ნაწარმოები ეპისტოლარულ ჟანრს ეკუთვნის, შესაბამისად ძირითადი მოთამაშეების გარდა, ე.წ. მეორეხარისხოვანი პერსონაჟების მხრიდან ამბის დანახვის საშუალებასაც იძლევა.

დე ლაკლოს მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის ძირითადი მომენტები, რომელებიც ინტერპრეტაციას ექვემდებარება, შემდეგია: პროტაგონისტები, მოქმედების ადგილი და დრო, მეორეხარისხოვანი პერსონაჟების და დასასრულის განსხვავებული ხედვა.

რომანის მთავარი მოთამაშეები მაღალი წრის წარმოადგენელი, თავიდან ერთმანეთის მოკავშირე და ბოლოს – გადამტერებული ორი ლიბერტენია: ვიკონტ დე ვალმონტი და მარკიზ დე მერტეი. რომანის პირველ კინოვერსიაში, როჟე ვადიმის 1960 წლის ფილმში, ისინი ქორწინებაში არიან და მოქმედება გასული საუკუნის სამოციან წლებში ვითარდება. 2022 წლის Netflix-ის ფრანგულ სერიალში, გარემო და დრო შეცვლილია: ახალგაზრდები საფრანგეთის სამხრეთის ზღვისპირა ქალაქის, ბიარიცის კოლეჯში სწავლობენ და ერთად ატარებენ დროს. მოქმედება ასევე კოლეჯშია გადატანილი 1999 წლის ამერიკულ კინოვერსიაში, სათაურით – ,,სასტიკი ზრახვები''. 2003 წლის ჟოზე დაიანის ფრანგულ მინი-სერიალში (,,სახიფათო კავშირები''), ნაჩვენებია თანამედროვე საფრანგეთის ინტელექტუალთა და ხელოვანთა წრე: მადამ დე მერტეი თავისი ქველმოქმედებითაა სახელგანთქმული, ხოლო ვალმონი – სახელმოხვეჭილი ფოტოხელოვანია.

შოდერლო დე ლაკლოს რომანის საუკეთესო კინოადაპტაციად აღიარებულ, 1988 წლის სტივენ ფრირზის კინოვერსია საქებარ ერთგულებას ავლენს მეთვრამეტე საუკუნის ლიბერტენთა ცხოვრების ჩვენებით და საზოგადოების მანკიერების მხილების სურვილით ნაკარნახევი სატირული ეპისტოლარული მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის მიმართ. პოსტმოდერნისტული ეპოქის პიმრშოა მილოშ ფორმანის 1989 წელს გადაღებული ,,ვალმონი''. სათაურიდანაც ჩანს, რომ სახელმოხვეჭილ რეჟისორს დე ლაკლოს ნაწარმოების საკუთარი ინტერპრეტაციის წარდგენა სურდა. მიუხედავად იმისა, რომ ფორმანის ადაპტაცია კომერციული თვალსაზრისით წამგებიანი აღმოჩნდა და კრისტიკოსებმაც არ დაინდეს ოსკაროსანი მეტრი, ვფიქრობ, რომანის ეს ეკრანიზაცია საუკეთესოთა შორისაა: ფრაგონარისა და ვატოს გაცოცხლებული ტილოების მიღმა ჩანს ლიტერატურული ტექსტის ტრადიციული ინტერპრეტაციის გაქილიკების მცდელობა და ტრაგიკული სიუჟეტის მიმართ ოდნავ ფრივოლური დამოკიდებულებაც.

რაც შეეხება მეოხერისხოვან პერსონაჟებს: როჟე ვადიმის კინოვერსიაში, სესილი დიდი გონიერებით არ გამოირჩევა. სასამართლო პროცესიდან გამოსული, იგი თავს იწონებს ჟურნალისტების წინაშე. ამერიკულ კინოვერსიაში (1999), სესილი კეტრინის (მარკიზ დე მერტეი) მზაკვრობის დამადასტურებელი სამხილების შეგროვებისთის და მათი სააშკარაოდ გამოსატანად ხალისით ირჯება. ფორმანის სესილიც არაა თავჩაღუნული თხუთმეტი წლის ქერა მომხიბვლელი მონასტრის აღსაზრდელი. მან საუკეთესოდ შეითვისა მარკიზ დე მერტეის და ვიკონტ დე ვალმონის ცხოვრებისეული გაკვეთილები: თავისი პროტოტიპისგან განსხვავებით, სესილი მონასტერში არ ბრუნდება. იგი ფეღმძიმედაა და ვალმონის შვილს ატარებს მუცლით. მილოშ ფორმანის ხელდასმით, სესილი თხოვდება და, დიდი ალბათობით, შუფერხებლად გააგრძელებს ლიბერტენის ცხოვრებას.

34. **ლელა ებრალიძე.** შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მეცამეტე საერთაშორისო კვლევითი კონფერენცია განათლების, ინგლისური ენის სწავლების, ინგლისური ენისა და ინგლისურენოვანი ლიტერატურის საკითხებზე. თბილისი 2023. მოხსენება: დედასთან დაკავშირებული ინგლისური იდიომების თვისებურებები.

35. **ლელა ებრალიძე.** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ს/ს ინსტიტუტის, დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ს/ს ინსტიტუტის გერმანული ფილოლოგიის კათედრის, თარგმანმცოდნეობის კათედრისა და საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული პროფესორ დალი ფანჯიკიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი 2023. მოხსენება: ლიტერატურული ზღაპრის თარგმნის სპეციფიკა (ინგლისური და ქართული ენების ბაზაზე)

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

მოხსენება ეძღვნება ზღაპრის თარგმნის პრობლემას, კერძოდ, მასში განხილულია ამერიკული ზღაპრების თავისებურებები და ქართულ თარგმანებში მათი ასახვის მეთოდები თუ სტრატეგიები. ემპირიულ მასალად გამოყენებულია ჰელენ დინ ფიშის, ლუიზა მეი ალკოტის, ქეთრინ ფაილის, ჰოვარდ ფაილის, მარჯორი უილიამსის, ები ფილიპს უოქერის, კარლ სენდბერგის, ფრენკ რიჩარდ სტროქტონისა და ლაიმან ფრენკ ბამის ზღაპრები და მათი საკუთარი თარგმანები. აღნიშნული ზღაპრები ლიტერატურული ზღაპრის კატეგორიას მიეკუთვნება, თუმცა ხალხურ ზღაპრებთან მათ აერთიანებთ მოცემული ჟანრისათვის დამახასითებელი ზოგადი ნიშნები, როგორიცაა გამეორება, ტექსტში ჩართული გარითმული ლექსები, ეროვნული კოლორიტი, უცხო რეალიები, პერსონაჟების სპეციფიკური სახელები და სხვანი. ზღაპრები დაჯგუფებულია ოთხ კატეგორიად: 1) ზღაპრები, რომლებიც ზეაწეული სტილით, მაღალფარდოვანი ლექსიკით ხასიათდება; 2) ხალხური ზღაპრებითა და უძველესი მითებით ნასაზრდოები ლიტერატურული ზღაპრები; 3) ფილოსოფიური, ზნეობრივი შეგონებების შემცველი და ამავდროულად, მსუბუქი იუმორით სავსე ზღაპრები; და 4) ექსცენტრიული ზღაპრები ნონსენსის ელემენტებით. მოხსენებაში აღწერილია თითოეული ტიპის ზღაპრის თარგმნის სპეციფიკა და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები არსებულ სირთულეებთან დაკავშირებით.

36. **ინესა მერაბიშვილი,** საჯარო ლექცია, წაკითხული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში თემაზე: რატომ უწოდა რუსთველმა პოემას ''ვეფხისტყაოსანი''? 15 თებერვალი, 2023.

37. **ინესა მერაბიშვილი,** საჯარო ლექცია, წაკითხული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თემაზე: ''სიტყვის მნიშვნელობა და მისი ახალი სემანტიკური სამკუთხედი'', 6 დეკემბერი, 2023.

38. Oleg Kapanadze, **Nunu Kapanadze,** Bogdan Babych and Natia Putkaradze.
*Automatic Morphological Analysis and Syntactic Parsing for the Georgian Language.*
14th Tbilisi Symposium on Logic, Language and Computation (TbiLLC 2023). 18-22 September, Telavi
https://events.illc.uva.nl/Tbilisi/Tbilisi2023/Programme/Programme-Grid/

39. **.სოფიო მუჯირი, ირინა კაპანაძე:** ვლადიმერ კამინერი: „რუსი ეროვნების გერმანელი მწერალი, ჰიბრიდული ენითა და იდენტობით," 29 დეკემბერი 2022-2023, იხ.: თეზისები, თბილისი, სლავისტიკის ს/ს ინსტიტუტი პროფესორ დავით გოცირიძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, ატვირთულია თსუ დეპოზიტორზე.

**მოხსენების ანოტაცია**

ქ. მოსკოვში დაბადებულმა, შემდეგ კი გერმანიაში ემიგრირებულმა მწერალმა, ვლადიმერ კამინერმა შეძლო „ახალ" სამშობლოში მაქსიმალური ინტეგრაციის გზით მიეღწია მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის, როგორც ლიტერატურულ ასპარეზზე, ასევე ბერლინის ტელევიზიაში თავისი საავტორო გადაცემებით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ვ. კამინერის მხატვრული ტექსტების ენობრივი მხარე, მისი წერის მანერა, მისი რომელიც თანამედროვე გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში კვლევისა და დისკუსიის საგანია. მოცემულ ნაშრომში, ვ. კამინერის მოთხრობების („მოგზაურობა ტრულალაში") მაგალითზე, განვიხილავთ ავტორის წერის მანერის თავისებურებებს, ნაწარმოებების ენას - ლექსიკას, განსაკუთრებით, ავტორისეულ ნეოლოგიზმებს და ფრაზეოლოგიზმებს, რომლებიც გამოირჩევიან გამოყენების მრავალფეროვნებით, როგორც სტრუქტურულ, ასევე სემანტიკურ პლანში. ვ. კამინერი კრეატიულად იყენებს ნეოლოგიზმებს და ფრაზეოლოგიზმების მოდიფიკაციის ხერხებს (სუბსტიტუცია, დამატება, კონტამინაცია), რაც შეზავებულია მისი წერის მანერისათვის ნიშანდობლივი მსუბუქი ირონიით.

ვ. კამინერის მხატვრულ ტექსტში უჩვეულო ენობრივი ვარიანტებისა და კონცეპტების გამოყენება, არასტანდარტული პერსონაჟებისა და სიტუაციების შერჩევა, იძლევა კონვენციური ფასეულობების სრულიად ახალი კუთხით დანახვის საშუალებას.

ვ. კამინერის ნაწარმოებებს ახასიათებს ლიტერატურული ბილინგვიზმი; ერთმანეთს უპირისპირდება რუსული და გერმანული კულტურა და ენობრივი ფორმა. ვ. კამინერი გერმანულ ენაზე წერს, თუმცა ითვალისწინებს როგორც გერმანელ, ასევე რუს მკითხველსაც და ახდენს ორივე ენის კულტურული პლასტების აქტუალიზებას.

გარდა ლიტერატურული ორიენოვნებისა, ვ. კამინერის ნაწარმოებებში ყურადღება გამახვილებულია კულტურათა ურთიერთობების, ნაციონალურ–კულტურული იდენტობის საკითხზე, მისი უარყოფის სურვილზე და ჰიბრიდულ კულტურასთან მიერთების, კულტურულ–ეთნიკური საზღვრების გადალახვის ტენდენციაზე. ვ. კამინერი როგორც ინტერკულტურული მიმართულების მწერალი, ცდილობს თავის ნაწარმოებებში მოახდინოს

თავისი ჰიბრიდული მენტალობის დემონსტრირება. ის ეჭვქვეშ აყენებს ნებისმიერი კულტურის შესახებ სტერეოტიპების შექმნას და ხაზს უსვამს კულტურათა ურთიერთობების არა მარტო უარყოფით, არამედ კონსტრუქციულ ასპექტებსაც. ამასთან კავშირში, ვ. კამინერის შემოქმედება ხასიათდება ისეთი საკითხების წარმოჩენით, როგორიცაა: რუსული სივრცე, ხასიათი და სტერეოტიპები, ძველი და ახალი მიგრაციის ტალღები, „უცხოს“ და „მესამე სივრცის“ ფენომენები და სხვ. მის მოთხრობებში იუმორითაა აღწერილი სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობა, რომელსაც არაფერი არ აკავშირებს ნამდვილ მოგზაურობასთან, გარდა მწერლის ფანტაზიის და ასოციაციური აზროვნებისა. ეს წიაღსვლები ორგანულად, დიდი ტაქტითა და იუმორით არის ჩაქსოვილი მის მოთხრობათა მხატვრულ ქსოვილში. ვ. კამინერის მხატვრული სიტყვა, იუმორი თუ მენტალიტეტი – მისი „კოლექტიური ქვეცნობიერის“ სხვადასხვა სახეა.

40. **Sophie Mujiri**: Transcultural aspects n. in Kharatishvili's novel: "The Eighth Life (for Brilka)," 23.06-24.06. 2023. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ევროკავშირის საგრანტო პროექტის KEAC-BSR მხარდაჭერით გამართული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ინტერდისციპლინარული კვლევების ახალი ჰორიზონტები,“რომელიც ეძღვნება პროფესორის დავით გოცირიძის 70-წლისთავს.იხ.: პროგრამა
მოხსენების ანოტაცია

ნაშრომში გაანალიზებულია მრავალი რომანისა და სცენარის ავტორის, ჰამბურგის თეატრის რეჟისორის ნინო ხარატიშვილის ტრანსკულტურული რომანი ,,მერვე თაობა (ბრილკასთვის)“ და განხილულია: რომანის პროტაგონისტების გენეალოგიის, ტრანსკულტურული მეხსიერებისა და კულტურული იდენტობის განვითარების საკითხები. რომანის ვრცელი დროული ჩარჩო შესაძლებელს ხდის საქართველოს, რუსეთის, გერმანიისა და ინგლისის ძველი და ახალი ,,ნაციონალური ჰაბიტუსების,“ ეროვნული ცნობიერების მახასიათებელი სტერეოტიპების (მაგ. რუსული მაქსიმალიზმი, იპერიული პატრიოტიზმი, ტოლერანტობის დეფიციტი), სემანტიკური ოპოზიციების (მაგ. ქართული ინდივიდულიზმი - რუსული კოლექტივიზმი) და სხვ. ანალიზისა და რეფლექსიის საშუალებას.
რომანი მოიცავს ჯაშების ოჯახის რვა თაობის ისტორიას, რომელშიც იკვეთება იდენტობის სამი განსხვავებული ტიპი. პირველი წარმოდგენილია საქართველოში განმანათლებლობის აღზევების ხანის სუბიექტით, რომელიც ავტონომიურ, მთლიან ინდივიდუუმს წარმოადგენს. იდენტობის მეორე სახის მაგალითია სოციოლოგიური სუბიექტი, რომელიც ცდილობს გადალახოს უფსკრული შინაგან და გარეგან, პიროვნულ და საზოგადოებრივ სამყაროებს შორის. მისი შინაგანი ბირთვი აღარაა ავტონომიური, არამედ ფორმირდება ,,სიგნიფიკანტურ“ სხვასთან დამოკიდებულებაში, რომელიც კომუნისტური სამყაროს აღქმის კონტექსტში მას აწვდის შესაბამის ფასეულობებს, მნიშვნელობებსა და სიმბოლოებს. იდენტობის მესამე კონცეფციას შეესაბამება პოსტმოდერნული სუბიექტი, რომელიც აღარ ხასიათდება სტაბილური იდენტობით. მასში სხვადასხვა, ურთიერთსაწინააღმდეგო იდენტობები იჩენენ თავს. განმანათლებლობის სუბიექტიდან პოსტმოდერულ სუბიექტამდე იდენტობის განვითარების პროცესზე ზეგავლენას ახდენენ პოლიტიკური იდეოლოგია და საზოგადოებრივი თეორები (მაგ. მარქსიზმი, ფროიდის ქვეცნობიერის თეორია, ფემინიზმი და სხვ.). გარდა კულტურული იდენტობის საკითხისა, რომანის ანალიზი ითვალისწინებს ისეთი საბაზისო ტრანსკულტურული კატეგორიების განხილვას როგორიცაა, უცხოობის, მიმიკრიის, ჰიბრიდულობის და სხვ. კატეგორიები.
ნაშრომში გაანალიზებულია ასევე ნინო ხარატიშვილის თხრობის მანერა და ენობრივი თავისებურებები, როგორიცაა: გერმანულისათვის არატიპური კონსტრუქციის წინადადებები, ნეოლოგიზმები, მეტაფორები, ქართული რეალიები. ნინო ხარატიშვილი

ერთდროულად გვევლინება რომანში შექმნილი მულტიეთნიკური გარემოს თანამონაწილედ და დამკვირვებლად. ტექსტის ჰიბრიდული ჟანრი, გაუცხოების ეფექტები და ავტობიოგრაფიული წერის მანერა მიზნად ისახავენ ტრანსკულტურული ეფექტების შექმნას და მკითხველს დისტანციური ხედვის საშუალებას აძლევენ.

41. **სოფიო მუჯირი:** ცალმხრივი თანმიმდევრული თარგმნის პრობლემები, 20-21. 06. 2023, თსუ I კორპუსი, პროფესორ დალი ფანჯიკიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია იხ.: პროგრამა: 29-30.06. 2023, იხ.: ResearchGate: ttps://www.researchgate.net/publication/371958002 www.press.tsu.edu.ge
მოხსენების ანოტაცია
მოცემულ ნაშრომში განხილულია ცალმხრივი თანმიმდევრული თარგმნის სპეციფიკა: საკომუნიკაციო სიტუაციების ტიპები, კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით ხდება თარგმანის მოცემული სახეობების განსაზღვრა, მომზადება თარჯიმნობისთვის. ჩამოთვლილია თარჯიმნის ვალდებულებები (მსოფლმხედველობის დიაპაზონის გაფართოვება, ენობრივი, დარგობრივი და კულტურული კომპეტენციის ამაღლება, ცოდნის დეფიციტის სწრაფად შევსების უნარი, ინფორმაციის მოპოვების უნარი სხვადასხვა წყაროებიდან და სხვ.).
ნაშრომში განხილულია თარჯიმნის ურთიერთობა დამსაქმებელთან, რომლისგანაც მან ენდა მოითხოვს: დეტალური ინფორმაცია კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებით, ღონისძიების მსვლელობა, ინფორმაცია მონაწილეთა ენობრივი კომპეტენციის სავარაუდო დონის შესახებ. თარჯიმანმა უნდა მოიძიოს მოცემულ თემაზე უკვე ჩატარებული თათბირების, კონფერენციების და ა .შ. დოკუმენტები და შესძლოს დარგის კვალიფიციურ სპეციალისტთან საუბარი.
დასახულია ცალმხრივი, თანმიმდევრული თარჯიმნობის პრობლემების გადაჭრის გზები (მაგ. ტექსტის მონაკვეთების სიგრძე, თარჯიმნის მეხსიერების საკითხი და სხვ.) განხილულია რეცეფციული და პროდუქტიული ფაზები, მენტალური ოპერაციები, რომლებიც ამ ფაზებს ქმნიან, თარჯიმნის მიერ საკომუნიკაციო სიტუაციის სპეციფიკის გათვალისწინება, მოსმენილის გაგების წინაპირობები, დროისა და ფსიქიკის წნეხი, სათარგმნი ტექსტის გაგებული ფრაგმენტების დამახსოვრების, ასოცირების, ანტიციპაციის, მოსმენის სტილების განსაზღვრის საკითხები, ასევე ნაკლებად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაფილტვრისა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების უნარი მიზან-ტექსტის შექმნამდე. ნაშრომში გაანალიზებულია ტექსტის რეცეფციის სირთულეები: გამომსვლელის ინტენციისა და აზრის ჰოლისტური გათვალისწინება, სემანტიკური, კოგნიტიური და სტილისტური ელემენტების აღქმა, ვიზუალური და პარავერბალური საშუალებების მხედველობაში მიღება და ბოლოს, ამოსავალი ტექსტის აზრის ეფექტურად გადატანა მიზან ენაზე, მისი რედაქტირება და წარდგენა.

42. **სოფიო მუჯირი:** ნოტაციის ტექნიკის განვითარების ისტორია, ფუნქცია და გამოყენება თანმიმდევრული თარგმანის სწავლების პროცესში, 05.12. 2023, თსუ I კორპუსი, ვიქტორ ნოზაძის 130 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენცია.
იხ.: კონფერენციის პროგრამა: 05.12.2023, აიტვირთულია თსუ ბიბლიოთეკის რეპოზიტორზე და ინდექსირებულია GOOGLE SCHOLAR-ის ბაზაში. იხ. researchgate-ის ბმული, რომელზედაც ატვირთულია თეზისების ელ.ვერსია.https://www.researchgate.net/publication/376190737_viktor_nozadzisadmi_midzghvnili_sametsniero_konperentsiis_tezisebi_Abstracts_of_the_Conference_Dedicated_to_Viktor_Nozadze?fbclid=IwAR2zjlLiMs2g8M5ysbRwRGxMa97IaqFjKV_17dj9Iuxk3TVV2Yf20qK01Cw

**მოხსენების ანოტაცია**

ნაშრომში განხილულია ნოტაციის ტექნიკის განვი¬თა¬რების ისტორია, ნოტაციის ფუნქცია და მისი გამოყენების შესაძ¬ლებლობები, ხაზგასმულია სამი სკოლის მნიშვნე¬ლო¬ვანი წარმომადგენლების: ჟ. როზანის (ჟენევის სკოლა), დ. სელესკოვიჩის (პარიზის სკოლა) და ჰ. მატუშეკის (ჰაი¬დელბერდის სკოლა) როლი ნოტაციის ტექნიკის შექმნასა და განვითარებაში.

გაანალიზებულია ჟ. როზანის მიერ ჩამოყალიბებული დიდაქტიკური კონცეპტი, ნოტაციის პრინციპები (აზრის და არა სიტყვის თარგმნა, შემოკლების, უარყოფის, მახვილის აღნიშვნის წესების, ასევე ეკონომიკის პრინციპის დაცვა და ნოტაციის ვერტიკა¬ლური განლაგების პრინციპი). განხილულია ჟ. როზანის მიერ გამოყენებული სიმბოლოები (გამოხატვის, მოძრაო-ბის, მიმართება-შესაბამისობის), ნიშნები, გრაფიკული საშუალებები და აზრობრივ ერთეულთა შორის არსებული (მიზეზობრივი, საპირისპირო, პირობითი და სხვ.) მიმართებები.

ჟ. როზანისაგან განსხვავებით დ. სელესკოვიჩი ნო¬ტაციას მიიჩნევს ინდივიდუალურ ფენომენად, რომელიც თვითოეულმა თარჯიმანმა თავად უნდა შეიმუშავოს. ამი¬ტომ ის ნოტაციის სისტემას ნა¬კლებ ყურადღებას უთმობს.

გაანალიზებულია ჰ. მატუშეკის ნოტაციის ტექნიკა, რო¬მელშიც მოცემულია არა ვერბალური, არამედ მხოლოდ სიმბოლოებისაგან შემდგარი ნოტაციის სისტემა. ჰ. მატუშეკის სიმბო¬ლოთა კომპლექსი მოიცავს: ძირითად სიმბოლოებს (ადა¬მია¬ნი, მუშაობა, პოლიტიკა და სხვ.), დროის სიმბოლოებს (წარსული, მომავალი და ა. შ.), ცაკლეულ სიმბოლებს (საფუძველი, თეზა, ანტითეზა და სხვ.), ასევე განმარტებით და ცვალებად სიმბოლოებს (გრამატიკულ კატეგორიებს, სტენოგრაფიულ ნიშნებს). ჰ. მატუშეკი განსაკუთრებულ ყურადღებაა უთმობს `ნოტაციის სივრცის~ გამოყენებას და ტრანსმისიის წევრების აზრობრივი კავშირების აღნიშვნას.

ნაშრომში მოკლედაა განხილული ჰ. კუსტერერის ნო¬ტაციის შერეული სისტემა, რომელიც ეფუძნება მის წინა¬მორ¬ბედ მეცნიერთა მოსაზრებებს. მათგან განსხვავებით ჰ. კუსტერერს ნოტაციის სისტემაში დამატებით შემოაქვს მათემატიკური და კოჰეზიის აღმნიშვნელი ნიშნები, რო¬მელ¬თა მეშვეობით შესაძლებელია ტექსტის სეგმენტთა შორის არსებული მიმართებების, ასევე ვერბალური და არავერბალური ინფორმაციების გამოხატვა.

მოცემული კვლევის დასასრულს, რეკომენდაციის სა¬ხით მოცემულია ნოტაციის პრაქტიკული მოდელი გერ¬მა¬ნული ენის სფეროში მომუშავე თარჯიმნებისათვის; აღწერ¬ლია ნოტაციის შესწავლის დიდაქტიკური ეტაპები: 1. ტექს¬ტის მოსმენის, გაგების და დამახსოვრების უნარების განვითარება, გამომსვლელის ინტენციის ანალიზის უნა¬რის ჩამოყალიბება; 2. დავალებებისა და სავარჯიშოების შერჩევა ნოტაციის ტექნიკის დაუფლებისათვის; 3. ნოტა¬ციის ტექნიკის ავტომატიზაციამდე ათვისება და მისი პრაქტიკული გამოყენება.

**43.** **მარინა ანდრაზაშვილი** „უარყოფითად კონოტირებული საკუთარი სახელები და მათი ტრანსფერი“28.06.2023, თსუ, პროფესორ დალი ფანჯიკიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

**მოხსენების ანოტაცია**

„უარყოფითად კონოტირებული საკუთარი სახელები და მათი ტრანსფერი“

პუბლიკაცია ემღვნება პეიორატიული კონოტაციის ენობრივი ფენომენის კვლევას უარყოფით ემოციებთან მიმართებით პროპრიალურ ლექსიკურ ერთეულებზე, კერძოდ გერმანულენოვან ანთროპონიმებსა და ტოპონიმებზე, როგორც საკუთარ სახელთა სუბკლასის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლებზე დაყრდნობით; გაშუქებული იქნება ფენომენი, ერთი მხრივ,

უარყოფითი კონოტაციის იმპლიციტურად შემცველ პროპრიალურ ერთეულებში, მეორე მხრივ კი, უარყოფითი აფიქსოიდებით მარკირებულ ლექსემებში; ანალიზი იმავდროულად შეეხება ამ ტიპის სახელთა რეალიზებას ტექსტში და მათი გადატანის სირთულეებს ამოსავალი ენიდან სამიზნე ენაზე.

ნებისმიერი ლინგვისტური ლექსიკონი საკუთარი სახელის დეფინირებისას წინა პლანზე წამოწევს მის უპირველეს თვისებას, სახელდების გზით მოახდინოს ამა თუ იმ ტიპის საგანთა სიმრავლიდან/თემატური ჯგუფიდან ერთი კონკრეტული საგნის გამოყოფა და მისი იდენტიფიცირება. საგულისხმოა, რომ ეს პროცესი შესაძლებელია დარჩეს მხოლოდ კატეგორიზების დონეზე, ისე რომ არ შეეხოს სახელის თვისობრივ დახასიათებას – ინდივიდუალიზებას; მაგ., ტოპონიმი ჰაიდელბერგი კატეგორიზების დონეზე გვაწვდის ინფორმაციას: ქალაქი გერმანიაში, ან უფრო ზედმიწევნით, ქალაქი ბუნდესლანდ ბადენ-ვიურტემბერგში; მაგრამ მეორე მხრივ, ინდივიდუალიზებაზე დაყრდნობით აქვს იმავდროულად სიმბოლიზაციის უნარი და გვაწვდის დენოტატის შესახებ დამატებითი ინფორმაციას, განურჩევლად მოცემული მომენტისთვის მისი რელევანტურობა-არარელევანტურობისა; კერძოდ ჰაიდელბერგთან ასოცირდება მარკერები – საუნივერსიტეტო ქალაქი, კლინიკების ქალაქი, გერმანიის ლამაზ ქალაქთა ნუსხაში შეტანილი ქალაქი; ამათგან პირველი ორი გამოირჩევა ობიექტურობითა და ემოციური ნეიტრალობით, მესამე კი უკავშირდება ცალსახად გამოხატულ დადებით ემოციას, რომელიც შესაბამისად კონტექსტისა შეიძლება იყოს ობიექტური ან სუბიექტური ხასიათის, ან ერთდროულად მოიცავდეს ორივე მომენტს. ობიექტურია კონოტაცია, თუ ის არის საყოველთაოდ აღიარებული, დავუშვათ საენციკლოპედიო სტატიაში, საცნობარო ლიტერატურაში მოხსენიებული; სუბიექტურია, თუ ის უკავშირდება უშუალოდ ინდივიდის პირად ასოციაციებს, თუნდაც მისი სენტიმენტები არ იყოს ობიექტურ საფუძველს მოკლებული. დადებითი ობიექტური კონოტაციის ცალსახა ნიმუშებია: ბაიროითი – ვაგნერის ქალაქი, ჰამბურგი – კლასიკური ჩრდილოური რენესანსის მარგალიტი, დესაუ – ბაუჰაუზის ქალაქი, ბადენ-ბადენი – ფეშენებელური საკურორტო ქალაქი და ა.შ. აშკარად ობიექტური უარყოფითი კონოტაციის მქონეა, მაგალითად, ბანანის რესპუბლიკა, მსოფლიო მასშტაბით აღიარებული ავტოკრატულობისა და კორუფციის სიმბოლოდ; გერმანიის ქალაქებიდან უარყოფითი კონოტაციისაა – მაგრამ რესტრიქტიულობაზე დაყრდნობით/აღმოსავლეთ გერმანიის უფროსი თაობის პირთათვის – გდრ-ის რეჟიმის დროინდელი ბაუცენი, როგორც შინაგანი დამსჯელობითი ორგანოების საპყრობილეებისა და პოლიტპატიმრების ქალაქი.

დადებითი თუ უარყოფითი კონოტაციები ზემოგანხილული პროპრიალური ლექსიკური ერთეულებისთვის ითვლება იმანენტურად, რის გამოც ისინი ვერ ზემოქმედებენ სახელის ტრანსფერზე გრაფოფონემურ დონეზე; ხოლო სახელში იმპლიცირებული სტაბილური თუ ლატენტური კონოტატიური მახასიათებლების ამოცნობა მთლიანად მინდობილია ინდივიდის ერუდიციაზე, მის წინარეცოდნაზე. ნათქვამი ასევე ვრცელდება ისტორიული მნიშვნელობის პირთა სახელებზე.

მეორე კატეგორიაში გაერთიანებული ნეგატიურად კონოტირებული სახელების ამოცნობა დამოკიდებულია ამოსავალი ენის ფლობაზე; გერმანულში პეიორატიული კონოტაციის არის, მაგალითად ჰაინი, ფრიცე (მიღებული სახელებიდან ჰაინერი, ფრიცი), რომელნიც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულის სახით იხმარებიან, როცა ვინმეს აგდებით მოიხსენიებენ: Du bist mir vielleicht ein Heini! (აფიქსოიდის სახით იხ. მომდევნო პუნქტი).

მესამე კატეგორიაში შემავალი ნეგატიური/პეიორატიული კონოტაციის გამომხატველი სახელები ნაწილობრივ სისტემურობით ხასიათდებიან, რამდენადაც ისინი ექვემდებარებიან კომპოზიციას მყარ ენობრივ მოდელზე დაყრდნობით; ნაწილობრივ კი საკომუნიკაციო მოტივით არიან შეპირობებული, რამდენადაც ახდენენ მოშველიებული ონიმური ელემენტის მოტივაციას; ასეთია: ა) პროფესიის აღმნიშვნელი სახელი + სუფიქსოიდი -heini/-fritze: Zeitungsheini, Werbeheini, Reklameheini, Versicherungsheini / Zeitungsfritze, Werbefritze, Reklamefritze, Versicherungsfritze და ა.შ.; ბ) თვისების აღმნიშვნელი ზედსართავი სახ. + ანთროპონიმი (ხშირად -lise/-suse მედრ. სქესისთვის; -hans/-peter/-fritze მამრ. სქესისთვის): Bummellise, Heulsuse / Faselhans, Struwwelpeter, Bummelfritze და ა.შ.

ნაშრომში საგანგებოდ არის გაანალიზებული ბოლო ორ კატეგორიაში შემავალ სახელთა ნეგატიური კონოტაცია (დამცირების, აბუჩად აგდების, დაცინვის სემა) და ამ სახელთა რეალიზაცია ტექსტში; საკითხის დასმის დონეზე/საპოლემიკოდ შემოთავაზებულია ასევე მათი ქართულად გადმოტანის შესაძლო/სავარაუდო ვერსიები.

**44. მარინა ანდრაზაშვილი, ნატალია ბასილაია** მოხსენების სათაური: *„მხატვრული თარგმანი – ხელობა თუ ხელოვნება?"* 23.06-24.06.2023, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ინტერდისციპლინარული კვლევების ახალი ჰორიზონტები, მიძღვნილი პროფესორ დავით გოცირიძის 70 წლის იუბილესადმი. https://bsu.edu.ge/main/page/18678/index.html

**მოხსენების ანოტაცია**

მიუხედავად მხატვრული ტექსტის თარგმანის ირგვლივ არსებული ლიტერატურული, ლინგვისტური და ინტერკულტურული თეორიების რადიკალური სხვადასხვაობისა, მაინც შეინიშნება მსგავსება მათ შორის იმ თვალსაზრისით, რომ სამივე მათგანი თარგმანს მიიჩნევს *შემოქმედებად/ხელოვნებად*, რომელიც ეფუძნება პრინციპს: *„თარგმნო, ნიშნავს თვითონ იყო მწერალი".* ბუნებრივია, ნათქვამი ეხება უპირატესად ინტელექტუალურ ტექსტებს, რომლებიც ხშირად გასაგებადაც კი ძნელია სათანადო წინარეცოდნის არმქონე რიგითი მკითხველისთვის; ნაკლებად ეხება იგი ლაპიდარულ ტექსტებს, აგებულთ მარტივი ლექსიკითა და გამჭვირვალე სინტაქსით, მხატვრული ხერხებისა და ორაზროვანი ფრაზების გარეშე, რომლებიც იოლად ექვემდებარებიან დიდაქტიზებასა და საუნივერსიტეტო მთარგმნელობით პროგრამაში ინტეგრირებას. ანალოგიურ ფენომენს ეძღვნება წინამდებარე გამოკვლევა, რომელშიც ამოსავალ ტექსტად აღებულია ვლადიმიერ კამინერის ორი გერმანულენოვანი ნოველა და შეპირისპირებით პლანში არის გაანალიზებული პირველწყაროს ქართულ- და რუსულენოვანი ვერსიების სტუდენტური, საავტორო და მანქანური თარგმანები.

ნაშრომში თანამიმდევრულად ხდება რამდენიმე პლასტის გახსნა, როგორიცაა: ა) ავტორის პიროვნება – გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში საბჭოთა რუსეთიდან აღმოსავლეთ ბერლინში ემიგრირებული ებრაული წარმომავლობის რუსი დიჯეი, რომლისთვისაც *მწერლობა* ერთგვარ *ხელობად* ქცეულა ახალ გარემოში ფიზიკური არსებობის შენარჩუნების, საზოგადოებაში თვითდამკვიდრების, უპირველესად კი გერმანულის შესწავლის მიზნით; ბ) ეპოქალური ინტერკულტურული კონტექსტი – პერესტროიკის პერიოდის მოსკოვური რეალობისა და გდრ-ული ყოფის ცოცხალი პანოების შედარება; გ) ავტორის მწირი გერმანულის კვალობაზე პირველწყაროში ორმაგი შუალედური რგოლის – პწკარედული და ლიტერატურული თარგმანის შესრულების აუცილებლობა ამ პროცესში ენის მატარებლის ჩართვის გზით.

თარგმანის შეფასების კუთხით გაკეთებული დასკვნები ეფუძნება ამოსავალი ტექსტის გაგების ხარისხს, შეპირობებულს განსხვავებული ენობრივი, უპირატესად კი ეპოქალური, ყოფითი და კულტურული წინარეცოდნით.

45. **თათეშვილი თ., «**Médiation » linguistique et culturelle du mythe biblique de la Tour de Babel, საერთაშორისო კონფერენცია - ცენტრი და პერიფერია, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ენობრივი სივრცის ადაპტაცია თანამედროვეობაში, თბილისი, საქართველო, 2023 **https://centreetperipheries.tsu.ge/**

7.2. **უცხოეთში**
1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **მ. რუსიეშვილი, რ.დოლიძე, ს.თოთიბაძე, მ. ქებურია** - Metaphoric Models of Happiness and Hatred in Georgian and English Electronic Media. - 7th International Conference on Modern Approaches in Humanities and Social Sciences. Copenhagen, Denmark, 03-05 November 2023 https://www.dpublication.com/proceeding/7th-icmhs#Table-of-Contents

2. **Manana Rusieshvili-Cartledge**. TERMINOLOGY ISSUES REGARDING THE THEMATIC DICTIONARY BEING COMPILED AT IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY Scientific, Administrative and Educational Dimensions of Terminology, Vilnius, 19-20 October 2023 chrome extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/http://lki.lt/wp-content/uploads/2023/10/TERMIN1.pdf

3. **Rusudan Dolidze** Metaphoric idioms based on Conceptual Metaphors and issues of their Equivalence (Using examples from the Georgian and English languages and culture. 7th International Conference on Modern Approaches in Humanities and Social Sciences. Copenhagen, Denmark, 03-05 November, 2023. https://www.dpublication.com/proceeding/7th-icmhs#Table-of-Contents

4. **Sopio Totibadze**- Hate Speech is Like a Weapon… It Destroys People"- Attitudes in Georgian Society Towards Hate Speech, The Eurasia Proceedings of Educational & Social Sciences (EPESS), 2023 Volume 29, Pages 48-53. ISSN: 2587-1730 https://doi.org/10.55549/epess.1352005 http://www.epess.net/en/pub/issue/79582/1352005

5. **Sopio Totibadze**- Metaphoric Conceptualization of Unhappiness in English and Georgian Languages and Cultures, IAI Academic Conference Proceedings, Budapest, 12 May 2023, ISSN 2671-3179 chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://ia-institute.com/wp-content/uploads/2023/06/Budapest-Proceedings-23.pdf

6. **Nino Daraselia**, *The Concept of Soul in Georgian and English Phraseological Units,* EUROPHRAS 2023 New Trends in Phraseology: Languages and Cultures in Comparisom, The University of Milan, May 29-June 1, Book of Abstracts, pp41-42. europhras2023unimi.it

7. **მანანა რუსიეშვილი,** The International Conference "Terminology: Domain Loss and Gain" (Brussels, 20-21 April 2023). Harmonization of Georgian-English vocabulary and the challenges of

translation lexicography in Georgia (ქართულ-ინგლისური ლექსიკის ჰარმონიზაცია და თარგმნითი ლექსიკოგრაფიის პრობლემები საქართველოში)

8. **დარეჯან თვალთვაძე, ირინა გველესიანი,** კორპუსებზე ორიენტირებული პროექტები და კურსები – საუნივერსიტეტო ცხოვრების ინოვაცია, რეზეკნე, 2023 წლის 26-27 მაისი;

9. **ირინა გველესიანი,** ახალი მიდგომა *Trust*-ის წარმომავლობისადმი, რუმინეთი, 2023 წლის 17-18 მარტი;

10. **ირინა გველესიანი,** სიტყვა "ნდობის" წარმომავლობა (გერმანიკული ენების პერსპექტივიდან), თურქეთი, 2023 წლის 2-3 ნოემბერი.

11. **დავით მაზიაშვილი - „შექსპირის იულიუს კეისარი პოსტ-საბჭოთა ქართულ სცენაზე" (Shakespeare's Julius Caesar on the Post-Soviet Georgian Stage).** შექსპირის კვლევის ევროპის ასოციაციის კონფერენცია; პეტრე პაზმანის კათოლიკური უნივერსიტეტი, 6-9 ივლისი, ბუდაპეშტი, უნგრეთი 2023 წელი. (EUROPEAN SHAKESPEARE RESEARCH ASSOCIATION CONFERENCE 6-9 July, Pázmány Péter Catholic University, Budapest, Hungry 2023)
**https://esra2023.btk.ppke.hu/wp-content/uploads/2023/07/ESRA2023_Book_of_abstracts.pdf**

12. **დავით მაზიაშვილი - „შექსპირის სიტყვა როგორც მუსიკა და მოძრაობა" (Shakespeare's Word as Music and Movement)** შექსპირის კვლევის ევროპის ასოციაციის კონფერენცია; პეტრე პაზმანის კათოლიკური უნივერსიტეტი, ბუდაპეშტი, უნგრეთი 2023 წელი. (EUROPEAN SHAKESPEARE RESEARCH ASSOCIATION CONFERENCE 6-9 July, Pázmány Péter Catholic University, Budapest, Hungry 2023) **https://esra2023.btk.ppke.hu/wp-content/uploads/2023/07/ESRA2023_Book_of_abstracts.pdf**

13. **დავით მაზიაშვილი - „შექსპირის სიტყვა როგორც მუსიკა და მოძრაობა" (Shakespeare's Word as Music and Movement)** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **შექსპირი და ცეკვა** (Shakespeare et la danse), 9,10 ნოემბერი, სორბონას უნივერსიტეტი, პარიზი, საფრანგეთი.
https://lettres.sorbonne-universite.fr/evenements/shakespeare-et-la-danse
**https://www.fabula.org/actualites/116738/colloque-international-danser-shakespeare.html**

14. **თამარ ჭუმბურიძე,** გრიგოლ ფერაძე ლიტერატურის შესახებ საბჭოთა საქართველოში (გერმანულ ენაზე), გერმანული და აზერბაიჯანული ლიტერატურა ემიგრაციისა და რეპრესიების კონტექსტში, 23-25 ივნისი 2023 , ბაქო, ბაქოს სლავისტიკის უნივერსიტეტის გერმანისტიკის ინსტიტუტი, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური

*მოხსენების ანოტაცია:*
მოხსენება ეხებოდა გრიგოლ ფერაძის წერილს „სულიერი ცხოვრება დღევანდელ საბჭოთა საქართველოში მხატვრული ლიტერატურის სარკეში", რომელშიც მოცემულია ცალკეული მწერლებისა და პოეტების შემოქმედების ანალიზი: თემატიკა, იდეოლოგიური დამოკიდებულება. ავტორი იხილავს საბჭოთა საქართველოში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს და მხატვრული ლიტერატურის მაგალითზე - ქართველი ერის სულიერ მდგომარეობას. ნაშრომი შეიცავს მნიშვნელოვან კომენტარებს როგორც ქართველი საბჭოთა ავტორების ტექსტების პოეტიკასა და სტილისტიკაზე, ისე ხელოვანის ეგზისტენციალურ პრობლემებზე კომუნისტურ სახელმწიფოში.

*15.* Oleg Kapanadze, **Nunu Kapanadze,** Gideon Kotzé and Natia Putkaradze. *Unsupervised Syntactic Analysis of the Georgian Language Clause.*
10th Language & Technology Conference: Human Language Technologies as a Challenge for Computer Science and Linguistics . 2023. April 21-23, 2023, Poznań, Poland. https://ltc.amu.edu.pl/

16. **Софиja Муџири, Ирина Капанадзе: Сравнительный анализ просодических средств русского и немецкого языков с дидактической точки зрения,** 12–13 января 2023, Белградский университет, 61-я конференция славистов Сербии «Славистические исследования – между филологией и культурологией». **იხ. პროგრამა:**
Сајт: http://slavistickodrustvo.org.rs/ www.ruskidom.rs

*მოხსენების ანოტაცია*

В настоящее время как в отечественной, так и в зарубежной литературе наблюдается особый интерес к дидактическому исследованию просодических средств языка, причем обучение интонации занимает автономное место в современной методике и дидактике преподавания иностранных языков. В статье дается контрастивное описание просодических средств русского и немецкого языков. Различия сравниваемых языков обусловлены специфическими особенностями их фонетического, морфологического и синтаксического строя. Интонационные характеристики сравниваемых языков имеют некоторые общие и различительные признаки.
*Общим для мелодии немецкого и русского языков является* реализация интонационных структур в основных коммуникативных типах предложения: терминальная мелодия используется в повествовательном, побудительном предложениях и при частном вопросе; прогредиентная – в неконечных синтагмах простых и сложных интонационных структур; интеррогативная – в общем вопросе; при терминальной мелодии часть диапазона падения тона приходится на конец предложения. Темп замедляется.
*Различия между сравниваемыми языками состоят в следующем:*
1) терминальная мелодия немецкой фразы характеризуется либо восходящей и резко нисходящей мелодией, либо ступенчатообразной, нисходящей мелодией, в то время как русская мелодия такого же типа допускает чисто нисходящий тон. Затакт немецкой фразы достигает самого низкого уровня, тогда как русская фраза заканчивается выше, ниже среднего уровня;
2) прогредиентной мелодии немецкого языка свойственен ровный или восходящий тон с сохранением уровня предтакта. Однако в русском языке данной мелодии соответствует преимущественно восходяще-нисходящее движение тона. Возможен и восходящий тон.

Вышеизложенное дает нам основание заключить, что при обучении немецкого языка в русской аудитории необходимо учитывать как общие, так и различительные признаки просодических структур данных языков. С этой целью нами разработаны модели и упражнения, которые облегчат усвоение русскоязычными студентами просодических структур родного и немецкого языка.

**17. Sophie Mujiri: Deutsche und georgische Idiome im Sprachsystem und Kontext,** 27-28, 04. 2023, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანიის გაცვლითი აკადემიური სამსახურის(DAAD) მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „*Neue*

*Herausforderungen im Bildungssystem und neue sprachliche Realität*". **იხ. პროგრამა და სერტიფიკატი**

*მოხსენების ანოტაცია*

Idiomatische Ausdrücke gelten als besonders schwierig für das Übersetzen, mitunter gar als unübersetzbar oder als nicht vollständig übersetzbar. Das gilt für die Übersetzung von Idiomen im mehrsprachigen Wörterbuch ebenso wie für die Übersetzung von Idiomen im Text. In Bezug auf beide Fälle werden häufig semantische oder pragmatische Verluste beklagt.
Das Ziel der vorliegenden Arbeit besteht darin: 1. auf der Grundlage des Forschungsüberblickes die Kriterien/Parameter aufzustellen, anhand derer die deutschen Idiome mit ihren georgischen Entsprechungen verglichen werden; 2. unter Berücksichtigung der festgestellten Parameter die Äquivalenzbeziehungen deutscher und georgischer Idiome zu erforschen; 3. den Übereinstimmungsgrad und die Funktionsweise von vergleichbaren Idiomen in konkreten Texten zu untersuchen.

Zur Bearbeitung der obenerwähnten Fragestellung wird eine Materialgrundlage verwendet, die sich aus zwei Teilen zusammensetzt: 1. aus den deutschen Textbeispielen, die die normative und nicht normative Verwendung der Idiome im Kontext verdeutlichen und 2. aus Übersetzungen dieser Beispiele ins Georgische, die einen Vergleich der Verwendung und der Funktionsweise deutscher und entsprechender georgischer Idiome im Kontext ermöglichen.

Die Ergebnisse der durchgeführten Arbeit können die Grundlage für präzisere Übersetzungen von Idiomen, sowie für die Erstellung zweisprachiger idiomatischer Lernwörterbücher im Bereich der Fremdsprachendidaktik bilden.

18. **3. Муджири Софья, Капанадзе Ирина: Парадигма русской миграционной литературы, 11–12. 11. 2023,** Государственний университет Чжэнчжи (Тайбэй, Тайвань). **См. ПРОГРАММУ:** IX Международная научная конференция «Современные проблемы славянской филологии: Форма и смысл. К 130-летию со дня рождения В. Шкловского». Сборник материалов с индексацией в РИНЦ. Веб-сайт: https://slavic.nccu.edu.tw Официальный сайт факультета: http://www.tfux.tku.edu.tw/main.php

*მოხსენების ანოტაცია*

Preconditions of formation of intercultural literature are considered in the beginning of the paper, among which modern globalist, migration processes are of a big importance.
In the first part of the given work it is analyzed the attitude of non-ethnic German, Russian migrant authors: Marina Paley, Maria Rubakova and Yulia Kissina∀s Works and their attitudes towards cultural identity and German language. Here it is considered ambiguously defined concepts of intercultural literature, such as: “own”, “foreign”, “hybrid”, “third space” etc.  In the second part of the work the authors studies the works by famous authors of intercultural literature within lingvoculturological sphere, using hermeneutic method.
It is established that the key object of narration of German-language, but not non-ethnic German authors is to search for a place for their identity and culture within European transcultural sphere. They try to use effective literary and stylistic devices and turn German language into experiment object.

Scrutinizing language of the works is a reflection of the fact that sometimes it includes vocabulary and phraseology of the author’s native language. One can often face bilingual interpretation of the saying, its transformation to phonetic, grammatical or lexical levels, using manner of distant narration, exchange of cultural roles and perspectives, description of “intermediary” or so-called “hybrid space.”
In the conclusive part of the work it is indicated that the authors of intercultural literature skillfully use the aforementioned means, as well as humorous, emotional and alienation effects in order to express their thoughts in a better way and provoke the reader’s interest that eventually will destroy the borders between mentalities of the different cultures, enable get closer to the German reader and engage in open intercultural dialogue with him.

**19. მომხსენებელი: მარინა ანდრაზაშვილი** ლექცია თემაზე: „საკუთარ სახელთა ტრანსფერთან დაკავშირებული ტერმინოლოგია“ (Eigennamen und Transferterminologie)
დრო, ადგილი: 07.07.2023, ლაიპციგის უნივერსიტეტი/გერმანია,
ლექცია, წაკითხული სტუდენტებისთვის პროფ. დოქტ. დიტლინდ კრემერის „ონომასტიკის საფუძვლების“ კურსის ფარგლებში.

**2. მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)**
ლექცია წინასწარ იგეგმებოდა და ის მოიაზრებოდა, როგორც პროფ. დიტლინდ კრემერის „ონომასტიკის საფუძვლების“ კურსის შემადგენელი ნაწილი. შესაბამისად შევეცადე ისე შემერჩია თემატიკა, რომ ის მიმესადაგებინა კურსის პროგრამისადმი, გამეთვალისწინებინა სტუდენტთა წინარეცოდნა, მიმეღწია მათი ჩართულობისთვის ლექციის დასკვნით ნაწილში. ლექცია შედგებოდა ორი აკადემიური საათისგან და ითვალისწინებდა ოთხ საკვანძო პუნქტს:
შესავალი ანუ ისტორიული ნაწილი; სტუდენტებს გავაცანი სახელთტრანსფერის, როგორც სახელმცოდნეობის ახალგაზრდა დარგის ისტორია, მისი წარმოშობის წინაპირობები და ხელშემშლელი ფაქტორები თეორიის შემდგომი განვითარებისა და ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისთვის. თეორიას საფუძველი ეყრებოდა გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებში ლაიპციგის ონომასტიკურ სკოლაში; მაგრამ იმდროინდელი სახელმცოდნე-მკვლევრების ხანდაზმული ასაკისა და, რაც მთავარია, ემპირიული მასალის ხელთ არქონის გამო, თეორია დარჩა მხოლოდ საწყის, ანუ საკითხის დაყენების დონეზე, ტერმინოლოგიის საჭიროებამდე, არამცთუ მის შექმნამდე, საქმე არ მისულა;
მეორე პუნქტი ითვალისწინებდა იმ მომენტების განხილვას, რომლებიც ლაიპციგის სკოლისგან დამოუკიდებლად იქცნენ უშუალოდ ჩემთვის (ჯერ კიდევ წინამავალ პროექტზე „გერმანული ენის გრამატიკის ოთხტომეულზე“ მუშაობის დროს) ბიძგის მომცემად, რათა ჩავღრმავებოდი სახელთტრანსფერის დანიშნულებას, აუცილებლობასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს ქართულ-გერმანულ კონტექსტში, რამაც თავისთავად აქტუალური გახადა ქართულ-რუსული კონტრასტის ჩართვაცა და რუსულის როგორც მედიალური ენის ზეგავლენის ფაქტორების გამოვლენა თავისი უარყოფითი, მაგრამ ნაწილობრივ ასევე დადებითი პერიპეტიებითაც;
მესამე პუნქტი მივუძღვენი უშუალოდ სახელთტრანსფერის თეორიასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას, რომელიც პროექტზე მუშაობის ათი წლის მანძილზე საკუთარი დაკვირვებების შედეგად თვითონ ჩამოვაყალიბე და რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ / ეტაპობრივად წარვადგენდი ვიწრო დარგის სპეციალისტთა კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე. ტერმინოლოგიის ძიების პროცესს კვლავაც ვაგრძელებ, რადგან არასოლიდური იქნებოდა გვეფიქრა, თითქოსდა მიგნებულით სათქმელი ამოწურულია;ლექციის დასკვნით

მონაკვეთში აქცენტი გადავიტანე ინტერაქტიურ მუშაობაზე, კერძოდ, სტუდენტებს მოეთხოვებოდათ, რომ განხილულზე დაყრდნობით დაესახელებინათ ტერმინოლოგიისადმი მისადაგებული ნიმუშები მშობლიური ან მათთვის ნაცნობი ნებისმიერი სხვა ენიდან და ემსჯელათ თვით ფენომენის ირგვლივ.

20. მომხსენებელი: მარინა ანდრაზაშვილი მოხსენების სათაური: „გერმანიის ტოპონიმების ორთოგრაფიული ლექსიკონი კულტურგეოგრაფიული კომენტარებით“ (ორ ტომად)
(Orthographisches Wörterbuch der Toponyme Deutschlands mit kulturgeographischen Kurzkommentaren. In zwei Bänden) დრო, ადგილი: 18.07.2023, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი/გერმანია
მოხსენება-პრეზენტაცია ზემოხსენებული წიგნისა გერმანისტიკის სემინარიზე პროფ. დოქტ. ეკეჰარდ ფელდერის მიწვევით (ხანგრძლივობა ორი საათი).

**მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)**
ორტომეული მზადდებოდა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში. უშუალო მასპინძელი/საკონტაქტო პირი იყო პროფ. დოქტ. იორგ რიკე†, რომლის ხსოვნასაც მიეძღვნა წიგნი. ამ ნიშნით თავი ვალდებულად ჩათვალა ამჟამინდელმა მიმართულების ხელმძღვანელმა, პროფ. დოქტ. ეკეჰარდ ფელდერმა, რომ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის გერმანისტულ სემინარს ემასპინძლა წიგნის პრეზენტაციისთვის და მიეცა მისთვის სამეცნიერო აქტის ფორმატი, ანუ მეწარმოებინა ნაშრომის სიღრმისეული ანალიზი.
საკუთარი სახელები ტექსტის ნებისმიერი სახეობის განუყოფელი ნაწილია, განსაკუთრებით მაღალია მათი გამოჩენის სიხშირე ზეპირ მეტყველებაში; თუმცა ამ სუბკლასის სახელთა გრამატიკული ფორმების სწორად ხმარება ხშირად ირღვევა თვით ენის მატარებლის მიერ მშობლიურ ენაზე მეტყველების დროსაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ სპეციფიკურ საკითხზე, როგორიც არის უცხოურენოვანი სახელებისადმი ეროვნული ეკვივალენტების ადეკვატურად მისადაგება. ნNებისმიერი ტიპის უცხოური საკუთარი სახელის, განსაკუთრებით კი ტოპონიმებისა და ანთროპონიმების, ეროვნული ეკვივალენტის შერჩევისას ბრმად ვერ მივენდობით ინდივიდის ენობრივ კომპეტენციებს, ვერც მთარგმნელისა თუ თარჯიმნის ალღოსა და გემოვნებას, რამდენადაც მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილება, ყოველგვარი წინარე დარგობრივი თეორიული ცოდნის გარეშე, არ შეიძლება იყოს შეცდომის თავიდან აცილების გარანტი; მითუმეტეს, რომ გერმანულენოვანი საკუთარი სახელები, თუნდაც ერთსა და იმავე ქვეჯგუფში შემავალი, მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგანაც კი საკუთარი მორფოსინტაქსური სტრუქტურით, უშუალო შემადგენელთა რაოდენობითა და ტიპებით, მათი შესაYძლო სემანტიზაციის ხარისხით, ვიწრო კატეგორიალური ნიშნებით, სქესით მარკირებულობითა და კიდევ სხვა მრავალი ისეთი მახასიათებლით, რომლებიც შეუძლებელს ხდის მათ მოქცევას ერთ ტრაფარეტულ ჩარჩოში. არასწორად შერჩეული ეკვივალენტი კი არღვევს სახელის იდენტობას, მას სხვა რეალობაში მოაქცევს, სახელს კონტექსტიდან ამოგდებულს, იდენტობადაკარგულს ხდის, რასაც ხშირად ტექსტის რეცეფციის გართულება ან მისი სრული დარღვევა ახლავს თან.
არანაკლებ მნიშვნელოვანია ტოპონიმებისთვის კულტურგეოგრაფიული კომენტარების დართვა, რომელიც სუბკლასის ნებისმიერ კატეგორიულ ჯგუფს ინდივიდუალურად უნდა მიესადაგოს და დაექვემდებაროს მისთვის საგანგებოდ შედგენილ სტრუქტურულ ჩარჩოს. პრეზენტაციამ განსაკუთრებული ინტერესი აღძრა იმ მსჯელობების გამო, რომლებიც

წარმოდგენილი იყო მასში სხვადასხვა კატეგორიის საკუთარ სახელების — კულტურონიმების, ინსტიტუციონიმების, პრაქსონიმების, ქრემატონიმების – მიმართ.

21. **მარინა ანდრაზაშვილი. მოხსენების** სათაური: კულტურგეოგრაფიული ლექსიკონის შედგენის , ამოსავალი პრინციპები და ლექსიკონის სტრუქტურა
(Orthographisches Wörterbuch der Toponyme Deutschlands mit kulturgeographischen Kurzkommentaren. In zwei Bänden) დრო, ადგილი: 04.08.2023, ფრაიბურგის უნივერსიტეტი/გერმანია
ინდივიდუალური მოხსენება, წაკითხული პროფ. დოქტ. კონრად კუნცეს ხელმძღვანელობით მოქმედ „ონომასტიკის სემინარის" ფარგლებში (ხანგრძლივობა ორი სთ., განკუთვნილი ფრაიბურგის უნივერსიტეტის გერმანისტი კოლეგებისთვის)

**მოხსენების ანოტაცია (საჭიროა** იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)
სახელთა ტრანსფერირებისას ერთნაირად გასათვალისწინებელია სახელის სტრუქტურაში წარმოდგენილი ყველა ენობრივი დონე, რომლებიც თავისთავად სახელის გადმოტანის პროცედურაზეც აისახება და შესაბამისად მას რამდენიმესაფეხურიანს ხდის. ამ საფეხურთა აღწერა, ისევე როგორც შეცდომების განმაპირობებელ ფაქტორთა ანალიზი და მათი დაძლევის გზების ძიება წარმოადგენს წინამდებარე მოხსენების თემატიზების ობიექტს; ისინი საგანგებო მსჯელობას იმსახურებენ და განეკუთვნებიან ვიწრო დარგის სპეციალისტების – გეოგრაფების, კარტოგრაფების, სახელმცოდნეების, ლექსიკოგრაფების – ინტერესთა სფეროს. ენის პრაქტიკული მომხმარებელი კი არ საჭიროებს მსგავს თეორიულ შემეცნებებს; მისთვის არსებითია მხა კორექტული ფორმების ხელმისაწვდომობა, რომელთაც ის სათანადო საცნობარო ლიტერატურაში მოიძიებს და საჭიროებისამებრ გამოიყენებს. სწორედ ამ ფუნქციის შესრულებაში – მკითხველისთვის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გეოგრაფიული რეალობის ამსახველ სახელთა, ანუ გერმანიის ტოპონიმთა, სწორი ქართული ეკვივალენტების მიწოდებაში – ვხედავ წინამდებარე ინტერდისციპლინური ლექსიკონის უმთავრეს დანიშნულებას.
ცხადია, არანაკლებ მნიშვნელოვნად მესახება დაინტერესებული მკითხველისთვის, უპირატესად ლინგვისტებისთვის, თვით კვლევის პროცესის გაზიარება და შედეგების თეორეტიზება, რომლებმაც წინამდებარე ლექსიკონში შემოთავაზებული ფორმების ნორმად/უზუსად აღიარების გადაწყვეტილება მიმაღებინა; ამ პრობლემებს რამდენიმე პუბლიკაცია ვუძღვენი და ვფიქრობ, მიგნებული შემეცნებები, სახელთტრანსფერის თეორიად ჩამოყალიბებული, ახლო მომავალში საგანგებო ნაშრომის სახითაც წარვუდგინო დარგის სპეციალისტებს.
ლექსიკონის შედგენის კიდევ ერთი ინდივიდუალობა ის იყო, რომ იგი არ ეფუძნება ტოპონიმთა მხა თემატურ კორპუსებს, განთავსებულს ინტერნეტ სივრცეში; ის შედგა რუკის თანამიმდევრული სისტემატური კითხვით გეოგრაფიული და კულტურული კონტექსტის შენარჩუნების პრინციპებიდან გამომდინარე.

22. **მარინა ანდრაზაშვილი.** შესავალი გერმანისტულ ონომასტიკასა და სახელთტრანსფერში. (Einführung in die germanistische Onomastik und in den Namentransfer) 18.09.2023, რეგენსბურგის უნივერსიტეტი/გერმანია
ინდივიდუალური მოხსენება, წაკითხული პროფ. დოქტ. ჰერმან შოირინგერის გაცილებასთან დაკავშირებით მოწყობილ ონომასტიკური სემინარის საგანგებო სხდომაზე (ხანგრძლივობა ორი საათი; განკუთვნილი რეგენსბურგის, ვენის, ციურიხის უნივერსიტეტების გერმანისტი და ონომასტიკოსი კოლეგებისთვის)

**მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)**

გერმანისტული ონომასტიკა და სახელთტრანსფერი (Germanistische Onomastik und Namentr) არის იმ ახალი პროექტის სათაური, რომელიც ჩაფიქრებული მაქვს, როგორც უკვე დასტამბული გერმანიის ტოპონიმთა ორტომანი ლექსიკონის ერთგვარი გაგრძელება. ეს არის მონოგრაფიის ტიპის გამოკვლევა, რომელიც წარმოდგენილი იქნება ორი დამოუკიდებელი ნაკვეთის სახით. შესავალში განიხილება გერმანისტული ონომასტიკის ისტორია, მისი კურიკულარული ინტეგრირება საუნივერსიტეტო სივრცეში, ტრადიციული კვლევის ობიექტი და დარგის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული თანამედროვე მიმართულებები. საგანგებო ადგილი დაეთმობა ონომასტიკაში ახლად გამოვლენილ და ასევე თვით ჩემ მიერ მოკვლეულ საკუთარ სახელებს, კვალიფიცირებულს პრაქსონიმებად, კულტურონიმებად, ქრომონიმებად, ინსტიტუციონიმებად, ქრემატონიმებად და ა.შ.
ნაშრომის პირველ ნაკვეთში წარმოდგენილი იქნება გერმანულენოვანი ტოპონიმები და ანთროპონიმები, როგორც სუბკლასის ყველაზე ტიპური რეპრეზენტანტები და განხილული იქნება მათი პარამეტრები ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ ჭრილში.
ნაშრომის მეორე ნაკვეთი დაეთმობა საკუთრივ სახელთტრანსფერის თეორიას, კერძოდ, იმ ცალკეულ წესებს, რომლებიც გამოვავლინე ლექსიკონზე მუშაობისას სახელთა ცალკეულ ქვეკლასებზე, მათ სტრუქტურასა და პროპრიალურობაზე დაკვირვების შედეგად და ჩამოვაყალიბე მწყობრი კანონზომიერების, ერთიანი/მთლიანი თეორიის სახით.
დასკვნებში წარმოდგენილი იქნება მიგნებული კანონზომიერების ზოგადი ნაწილი, რომელიც შეიძლება გამოდგეს ფენომენის ენობრივ უნივერსალიათა რანგში აყვანის თვალსაზრისით.

23. **მარინა ანდრაზაშვილი**. რუკის ვერბალური ელემენტები – მარადიული მოცემულობა? (Verbale Elemente der Landkarte – eine konstante Gegebenheit?) 20.09.2023, ფრაიბურგის უნივერსიტეტი/გერმანია
ინდივიდუალური მოხსენება, წაკითხული პროფ. დოქტ. ლობინის მიწვევით მანჰაიმის გერმანული ენათმეცნიერების ინსტიტუტში (ხანგრძლივობა ორი საათი; განკუთვნილი ინსტიტუტისა და მანჰაიმის უნივერსიტეტის გერმანისტი კოლეგებისთვის)

**მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)**
წინამდებარე მოხსენებაში რუკა განიხილება როგორც ინტერდისციპლინური დისკურსის გამორჩეული ნაირსახეობა, რომლის გრაფიკული ნიშნები ახდენენ გარკვეული შინაარსების იმპლიცირებას, მაგრამ იმავდროულად ამ შინაარსების სიგნალიზებას. გრაფემული ელემენტები კი ახდენენ ამ შინაარსების ვერბალიზაბას ანუ ექსპლიცირებას. გრაფიკულმა ელემენტებმა – როგორებიცაა: ფერი, კონტურები, ციფრები, იკონური ნიშნები/ლოგოები და ა.შ. – უკვე კარგა ხანია ჰპოვა მსოფლიო აღიარება და დაიმკვიდრა ადგილი ადამიანთა ცნობიერების გავლით კარტოგრაფიაში. გრაფემული სიმბოლოები, საკუთარი ვერბალური ბუნების გამო განსხვავებულია ენებს შორის და ნებისმიერ შემთხვევაში ითხოვენ გადატანას ერთი ენობრივი სისტემიდან მეორეში, რათა შეინარჩუნონ თავიანთი ლექსიკური მნიშვნელობა / ცნობადობა, რომელიც ამ შემთხვევაში ასევე სიმბოლურია და რჩება პროპრიალურ სფეროში. ამ ვერბალურ სიმბოლოთა გადატანა განსაკუთრებულ სირთულეებს უკავშირდება იმ ენათა სისტემაში ტრანსფერირებისას, რომელთაც აქვთ ლათინურისგან განსხვავებული ანბანური სისტემა, როგორც მაგალითად ქართულს.

მოხსენებაში გერმანიის ტოპონიმთა ტრანსფერი ექცევა ყურადღების ცენტრში, თანაც თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზაციის პროცესების კონტექსტში და მასთან უშუალო მიმართებით. იმავდროულად მხედველობის არეში ექცევა მსოფლიო პოლიტიკა, ენობრივი პოლიტიკა, რაც უშუალოდ უკავშირდება კონფლიქტურ სიტუაციას დიდსა და მცირე ენებს შორის და ხშირად მიდის ეგზოტიკური ენების დისკრედიტაციამდეც. ამ პროცესში საგანგებო როლი ეკისრებათ შუალედურ/შუამავალ ენებს, რომლებიც შექმნილი ვითარებით „სარგებლობისას" საკუთარ დიქტატს აწესებენ და ამკვიდრებენ მათთვის მისაღებ, მაგრამ სამიზნე ენისთვის მიუღებელ ფორმებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ამ ფორმათა ჰეგემონიზაციისა და ინტერრეგიონულ ალონიმებად გადაქცევის პოტენციურ საშიშროებაზე. მოხსენებაში არის მცდელობა, ამ პროცესს შევხედოთ უფრო ფართო მასშტაბით გერმანიის რუკაზე დაყრდნობით და სახელმძღვანელოდ გავიხადოთ მხოლოდ ლინგვისტურად ლოგიკური და მისაღები კრიტერიუმები თვით სახელის მორფოსინტაქსური სტრუქტურიდან გამომდინარე და მის ლექსიკურ კომპონენტთა სემანტიზაციის ხარისხის მიხედვით.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

**ყურადღება!**

*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**

*** ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.**

*** ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.**

*** ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.**

*** ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა~.**

ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2
(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება**

**ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**

- **ქეთევან ხუციშვილი, პროფესორი, ინსტიუტის ხელმძღვანელი**
- **როზეტა გუჯეჯიანი, ასოცირებული პროფესორი**
- **თეიმურაზ გვიმრაძე, ასოცირებული პროფესორი**

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. **მრავალწლიანი პროექტი: საზღვრების ეთნო-კულტურული განზომილებები (2020-2024) დარგი: ეთნოლოგია, მიმართულება: საზღვრების კვლევა**

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **ქ. ხუციშვილი (მკვლევარი), რ. გუჯეჯიანი (მკვლევარი)**
2.
***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***
**2023 წელს შესრულდა თემები: საზღვრების მატერიალურობა და სიმბოლურობა** (ენგურის დე ფაქტო სასაზღვრო ზოლის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით) (შემსრულებელი: ქ. ხუციშვილი) და ყარაჩაელთა და ქართველთა ეთნო-კულტურული ურთიერთობები (შემსრულებელი: რ. გუჯეჯიანი)

მატერიალურობის და სიმბოლურობის კვლევა საზღვრების კვლევების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხთაგანია. საზღვრები, როგორც ფიზიკურ-სივრცობრივი ფენომენი ძირითადად პოლიტიკური თვალსაზრისით განიხილებოდა, თუმცა მალევე საინტერესო გახდა კულტურული საზღვრების კვლევაც. საზღვრების პოლიტიკური დატვირთვა თანამედროვე ვითარებაში კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, როცა თანამედროვე

მსოფლიოს პოლიტიკური მოწყობა, მოქნილი საზღვრების არსებობის პარალელურად კონტროლის მაღალ მოთხოვნებსაც აყენებს. საზღვრები მატერიალურ გარემოსთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. ამიტომ გახდა საინტერესო იმის ანალიზი, თუ როგორ ახდენენ ადამიანები საზღვრების მატერიალურ გაფორმებას, როგორია იმ ობიექტების თუ საგნების დატვირთვა, რომლებიც საზღვრების მოსანიშნად და მათი კვეთისას გამოიყენება. სიმბოლური არტეფაქტები თვალსაჩინოს ხდის სივრცობრივ საზღვრებს, ამიტომ ისინი აუცლებელია საზოგადოების “ტერიტორიული ანბანისთვის”. საქართველო კონფლიქტურ ზონაში ენგურის დე ფაქტ სასაზღვრო ზოლი განსაკუთრებით საინტერესო და აქტუალურია, რადგან პოლიტიკური მზეზების გამო გაჩენილი დე ფაქტო ფიზიკური საზღვარი არ ემთხვევა ეთნო-კულტურულ საზღვარს. მნიშვნელოვანია ტერიტორიის სიმბოლური მნიშვნელობებით დატვირთვაც. სახელმწიფოებრიობის მნიშვნელოვნი სიმბოლური გამოხატულება მატერიალურად არის თავად სასაზღვრო-გამშვები პუნქტი. რომლის გაჩენაც ენგურის აფხაზების კონტროლირებად ტერიტორიაზე “სახელმწიფოებრიობის პერფორმანსის” სახეს იძენს.

**ქართველთა და ყარაჩაელთა ურთიერთობა ისტორიულად ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს**. ისტორიულად დადასტურებულია, რომ ყარაჩელებსა და ქართველებს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ჰქონდათ ურთიერთობა და ქართველებს, კერძოდ სვანებს ყარაჩაელთა ეთნოგენეზშიც აქვთ წვლილი შეტანილი. ცნობილია, რომ მათი განსახლების არეალის სამხრეთ მონაკვეთში სვანთა დასახლებები იყო. ამ ფაქტს ადასტურებს ისტორიული წყაროები, ზეპირი გადმოცემები, ენობრივი მონაცემები და სხვ. არის ტოპონიმური პარალელები. დასტურდება გვართა მონათესაობა ნაშრომში ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე განხილულია ქართულ-ყარაჩაული ურთიერთობები და სასაზღვრო კომუნიკაცია.

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

***დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1.

2.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. კოვიდ პანდემია და საქართველო: ახალი რეალობის ანთროპოლოგიური კვლევა FR-22-040 (2022-2025)

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ქეთევან ხუციშვილი - მკვლევარი
2. თამილა კოშორიძე - მკვლევარი
3. გიორგი ჭეიშვილი - მკვლევარი (კოორდინატორი)
4. თამარ ანთაძე - მკვლევარი
5. თეა ქამუშაძე - მკვლევარი (პროექტის ხელმძღვანელი)

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1. 2020 წლის დასაწყისიდან მსოფლიოში SARS-CoV-2 პანდემიის გავრცელებამ ახალი რეალობა დაამკვიდრა, სიტუაციასთან გამკლავების მიზნით დაწესდა სხვადასხვაგვარი რეგულაციები, რომელთაგან უმთავრესი მოთხოვნა პანდემიის პირველივე დღეებიდან იყო ე.წ. სოციალური დისტანციის დაცვა. საქართველოში ეპიდემიის შესახებ ინფორმაცია ოფიციალურად 2020 წლის 6 იანვარს გამოცხადდა, დაუყოვნებლივი შეზღუდვები დაიწყო 16 მარტს და შეეხო სოციალურ ურთიერთობებს. ოფიციალური ინფორმაციისა და რეგულაციების პარალელურად ვრცელდებოდა განსხვავებული შეფასებები და დამოკიდებულებები ზოგადად პანდემიის, ვირუსისა და აკრძალვების შესახებ. ეთნოგრაფიული კვლევა საშუალებას იძლევა გაანალიზდეს განსაკუთრებულ გარემოებებში ყოველდღიურობის ჩვეული მახასიათებლების ცვლილების პროცესი. ტრადიციულ ან ნახევრად ტრადიციულ საზოგადოებებში, სადაც ჯგუფის შიდა სოციალური კავშირები ფუნქციურად დიდი დატვირთვის მატარებელია, მათი შესუსტების ნებისმიერი მცდელობა უკურეაქციის მქონეა. ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე ღირებულებითი ცვლილებების მიუხედავად, ნათესაობის სისტემა განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს. მისი მნიშვნელობა ყველაზე მეტად ადამიანის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტების - ქორწინებისა და გარდაცვალების დროს იკვეთება. პანდემიის რეგულაციებმა ამ შემთხვევაში სოციალური ინტერაქციის შეზღუდვები გამოიწვია. საქართველოში ხშირი სოციალური ურთიერთობები სოციუმის ყოველდღიურობის მნიშვნელოვანი ატრიბუტია. ქართულ საზოგადოებაში შიდა სოციალური ინტერაქციის შეზღუდვა გარკვეული კონფლიქტის გამომწვევი შეიძლება გახდეს. კულტურის ზოგადი ანალიზისას ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში ყოველღიურობის ელემენტების ცვლილების კვლევა მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საფუძველს იძლევა. კვლევა ორენტირებულია ქართველების "სოციალური დისტანციის" მოთხოვნასთან ადაპტირების ანალიზზე.

2.

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების სოციო-კულტურული მახასიათებლები და სასაზღვრო ურთიერთობები - ჯავახეთი, BRG-I-22-282, 2022-2023

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. როზეტა გუჯეჯიანი - მკვლევარი (ხელმძღვანელი)
2. ქეთევან ხუციშვილი - მკვლევარი (კოორდინატორი)
3. მირიან ხოსიტაშვილი - მკვლევარი
4. ზორის კომახიძე - მკვლევარი

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ანოტაცია

ჯავახეთი რომელიც მოიცავს ახლანდელი ასპინძის (ნაწილს), ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებს, სასაზღვრო რეგიონია თავისი სპეციფიკური ეთნო-სოციალური მახასიათებლებით. კვლევამ ცხადყო ქართული კულტურის ელემენტების სიმყარე ჯავახეთში. ტრადიციული კულტურის ელემენტთა ნაწილი შეცვლილია, თუმცა დღემდე შემორჩენილი. ყველაზე თვალსაჩინოდ ცვლილებები მატერიალურმა კულტურამ განიცადა, შენარჩუნებულია მეურნეობის ძირითადი ტრადიციული დარგები, შეინიშნება ტრადიციულ ტერასათა აღდგენის მაგალითებიც. სრულადაა შენარჩუნებული ტრადიციული სამზარეულო. სახეცვლილია სამეურნეო იარაღები და ძირითადად ახალი ტექნოლოგიებითაა ჩანაცვლებული. შიდა ინტერეთნიკური ურთიერთობები ემყარება განსახლების მახასიათებლებს (სიმჭიდროვე, მანძილი, დისპერსიულობა) და ძირითადად კეთილმეზობლურ დამოკიდებულებებზეა აგებული. განსაკუთრებულ როლს ასრულებს რელიგიური შემწყნარებლობა და რეგიონში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაცათა ურთიერთდამოკიდებულება. დიდია სახელმწიფოს როლი, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ენის სახელმწფო პროგრამების განხორცილების შედეგად სახელმწიფო ენის პოზიციების გაძლიერებაში. განსაკუთრებული დატვირთვა საზღვარს ეკონომიკური თვალსაზრისით გააჩნია, საერთაშორისო გადაზიდვებზე ორიენტირებული ეკონომიკური ურთიერთობები სასაზღვრო ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ჯავახეთში მოქმედი სამი სასაზღვრო გამშვები პუნქტი სრული დატვირთვით ფუნქციონირებს. სახელმწიფოთა მიერ შეთანხმებული პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული სტრატეგიები აწესრიგებს ფართომასშტაბიან სახელწიფოთაშორის და საერთაშორისო ურთიერთობებს. ამ პროცესების პარალელურად ადგილობრივ მოსახლეობაც ჩართულია შედარებით მცირემასშტაბიან ეკონომიკურ ურთიერთობებში. ამ ინტერაქციის სიხშირეს განაპირობებს დასახლებული პუნქტების სიახლოვე საზღვართან, ასევე ინტენსიური მოძრაობა და არანაკლებ, ისტორიული მახსოვრობაც, რომელიც საზღვრის ორივე მხარეს მოსახლეთ გააჩნიათ. ქართველ და თურქ ადგილობრივთა შორის კომუნიკაციას ენობრივი ბარიერის გარდა მნიშვნელოვანი წინაღობა არ აქვს. განსხვავებულია სომეხთა და თურქთა ურთიერთდამოკიდებულება. ჯავახეთის მაგალითი ადასტურებს, რომ სასაზღვრო ზონებში ურთიერთობების ფორმასა და ხარისხს საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრები ადამიანების მიერ საზღვრის აღქმა, საკუთარი და მეზობლების იდენტობის განსაზღვრა, ისტორიული მეხსიერება და ტერიტორიული სიახლოვე განაპირობებენ.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები
3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***
1.
2.

3.2. დასრულებული პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
***დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***
1.
2.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. რ. გუჯეჯიანი, ქ. ხუციშვილი, მ. ხოსიტაშვილი, "საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების სოციო-კულტურული მახასიათებელები და სასაზღვრო ურთიერთობები - ჯავახეთი" ISBN 978-9941-9867-4-1 თბილისი, ფავორიტი სტილი, 226 გვ.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ჯავახეთი რომელიც მოიცავს ახლანდელი ასპინძის (ნაწილს), ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებს, სასაზღვრო რეგიონია თავისი სპეციფიკური ეთნო-სოციალური მახასიათებლებით. კვლევამ ცხადყო ქართული კულტურის ელემენტების სიმყარე ჯავახეთში. ტრადიციული კულტურის ელემენტთა ნაწილი შეცვლილია, თუმცა დღემდე შემორჩენილი. ყველაზე თვალსაჩინოდ ცვლილებები მატერიალურმა კულტურამ განიცადა, შენარჩუნებულია მეურნეობის ძირითადი ტრადიციული დარგები, შეინიშნება ტრადიციულ ტერასათა აღდგენის მაგალითებიც. სრულადაა შენარჩუნებული ტრადიციული სამზარეულო. სახეცვლილია სამეურნეო იარაღები და ძირითადად ახალი ტექნოლოგიებითაა ჩანაცვლებული. შიდა ინტერეთნიკური ურთიერთობები ემყარება განსახლების მახასიათებლებს (სიმჭიდროვე, მანძილი, დისპერსიულობა) და ძირითადად კეთილმეზობლურ დამოკიდებულებებზეა აგებული. განსაკუთრებულ როლს ასრულებს რელიგიური შემწყნარებლობა და რეგიონში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაცათა ურთიერთდამოკიდებულება. დიდია სახელმწიფოს როლი, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ენის სახელმწფო პროგრამების განხორცილების შედეგად სახელმწიფო ენის პოზიციების გაძლიერებაში. განსაკუთრებული დატვირთვა საზღვარს ეკონომიკური თვალსაზრისით გააჩნია, საერთაშორისო გადაზიდვებზე ორიენტირებული ეკონომიკური ურთიერთობები სასაზღვრო ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ჯავახეთში მოქმედი სამი სასაზღვრო გამშვები პუნქტი სრული დატვირთვით ფუნქციონირებს. სახელმწიფოთა მიერ შეთანხმებული პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული სტრატეგიები აწესრიგებს ფართომასშტაბიან სახელწიფოთაშორის და საერთაშორისო ურთიერთობებს. ამ პროცესების პარალელურად ადგილობრივ მოსახლეობაც ჩართულია შედარებით მცირემასშტაბიან ეკონომიკურ ურთიერთობებში. ამ ინტერაქციის სიხშირეს განაპირობებს დასახლებული პუნქტების სიახლოვე საზღვართან, ასევე ინტენსიური მოძრაობა და არანაკლებ, ისტორიული მახსოვრობაც, რომელიც საზღვრის ორივე მხარეს მოსახლეთ გააჩნიათ. ქართველ და თურქ ადგილობრივთა შორის კომუნიკაციას ენობრივი ბარიერის გარდა მნიშვნელოვანი წინაღობა არ აქვს. განსხვავებულია სომეხთა და თურქთა ურთიერთდამოკიდებულება. ჯავახეთის მაგალითი ადასტურებს, რომ სასაზღვრო ზონებში ურთიერთობების ფორმასა და ხარისხს საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრები ადამიანების მიერ საზღვრის აღქმა, საკუთარი და მეზობლების იდენტობის განსაზღვრა, ისტორიული მეხსიერება და ტერიტორიული სიახლოვე განაპირობებენ.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. 1. რ. გუჯეჯიანი, რელიგიური ვითარების ტრანსფორმაიის პროცესი სვანეთში გვიანი შუასაუკნეეიდან დღემდე (ტერმინი პაპ/ბაპ), მასალები საქართველოს ეთნოგრაფისათვის 4(30) ISSN 2667-9582 თბილისი, უნივერსალი

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1. სვანეთისთვის დამახასიათებელია კარგად განვითარებული ქრისტიანული კულტურა. დღემდე შემორჩენილი წყაროების მიხედვით, სვანეთი ორ ეპარქიად იყო დაყოფილი: ბალსქვემო ნაწილი ეკუთვნოდა ცაიშის საეპისკოპოსოს, ბალსზემო და ქვემო სვანეთი ცაგერის საეპისკოპოსოს. ამასთან, სვანეთის ისტორიულ საბუთებში არაერთხელ იხსენიება ადგილობრივი მაღალი რანგის სასულიერო პირის – სეტის ქორეპისკოპოსის სახელი. ის სეთის შუა მესტიის თემში ცხოვრობდა. საქართველოს სამთავროებად დაყოფის შემდეგ სვანეთი გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმერეთის სამეფოში შევიდა, შემდეგ კი თანდათან დამოუკიდებელ სამთავროდ იქცა. ამ დროიდან, ანუ გვიანი შუა საუკუნეების დასაწყისიდან, მკვეთრად შეიცვალა სვანეთის რელიგიური ვითარება და სვანეთის ყოველდღიურ ცხოვრებაში ახალი ფორმები ჩამოყალიბდა. უკუსვლა განიცადა სვანეთის სამივე კუთხის სულიერ-კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაც: აღარ არსებობდა უმნიშვნელოვანესი დაწესებულებები და ეპარქიები - სეტის ქორეპისკოპოსი, ცაიშისა და ცაგერის ეპისკოპოსები. განათლებული სასულიერო პირები დაბლობიდან სვანეთში აღარ იგზავნებოდნენ, ეკლესიებს აკლდათ წმინდა ლიტურგიისთვის საჭირო აღჭურვილობა და ა.შ. ნელ-ნელა ნორმატიულად განათლებული და ნაკურთხი მღვდლების ნაცვლად მღვდლობა შეცვალა სახლში განათლებულმა ადამიანებმა, ძირითადად, მემკვიდრეობით მიღებული ცოდნით. მათ „პაპ"/„ბაპსაც" უწოდებდნენ. რუსეთის იმპერიის მიერ სვანეთის დაპყრობის შემდეგ სინოდიური მმართველობა ამოქმედდა, ხელისუფლება თანდათან ყველა სოფელში მღვდლებს ნიშნავდა. ეთნოგრაფიული მასალით ირკვევა, რომ ადგილობრივების დამოკიდებულება ახლადშექმნილი სამღვდელოების მიმართ თავდაპირველად უარყოფითი იყო, მაგრამ მალე ახალმა მღვდლებმა სვანების ნდობა მოიპოვეს. ზოგან მღვდლები ხშირად თანამშრომლობდნენ ძველ, ეგრეთ წოდებულ „ხალხურ მღვდლებთან". ტერმინი "პაპ"/"ბაპ" ჯერ კიდევ გამოიყენება სვანურ ენაში და ახლა ისევ თავდაპირველი მნიშვნელობით - საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიერ ნაკურთხი და ხელდასხმული მღვდლების აღსანიშნავად.

2. **თეიმურაზ გვიმრაძე, ეთნოლოგიის კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში**, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის IV (30), გვერდების რაოდენობა - 46-52 (12 გვ.); **გამომცემლობა** ,,უნივერსალი" თბ., 2023 წ. ISSN 2667-9582

**ანოტაცია:** ნაშრომში განხილულია თსუ თნოლოგს კათედრის ისტორია დაფუძნებიდან დღემდე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგია-ეთნოგრაფიის კათედრას აქვს ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია, მისი დამფუძნებელი იყო აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია, ქართული ეთნოლოგიური სკოლის დამფუძნებელი, რომელიც 50 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ახალი თაობის ეთნოგრაფების მომზადებას. 1951 წელს გაუქმდა ეთნოგრაფიის განყოფილება და შეუერთდა არქეოლოგიის განყოფილებას. 1968 წლიდან ეთნოგრაფია კვლავ ცალკე განყოფილებად ჩამოყალიბდა და მას 1973 წლამდე გიორგი ჩიტაია ხელმძღვანელობდა. 1973-1983 წლებში ეთნოგრაფიის კათედრას ხელმძღვანელობდა დოცენტი ანდრო ლეკიაშვილი, რომელიც შეცვალა პროფესორმა ვახტანგ შამილაძემ. პროფ. შამილაძის დაუღალავი შრომის შედეგად დეპარტამენტის მიერ შეიქმნა ეთნიკური კულტურისა და ეროვნული ტრადიციების შემსწავლელი სამეცნიერო ლაბორატორია, ასევე ეთნოეკოლოგიის სამეცნიერო ლაბორატორია. ˜აკადემიურ გიორგი ჩიტაიას კაბინეტი” გაიხსნა 1987 წელს. პარალელურად შეიცვალა ეთნოგრაფიის კათედრა და ეწოდა ეთნოლოგიის კათედრა, რომელმაც 2006 წლამდე იარსება. 2006 წელს ეთნოლოგიის კათედრის ბაზაზე ˜ დაარსდა ეთნოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელიც წარმატებით აგრძელებს შესანიშნავ ტრადიციებს.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.

2.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 1. ხუციშვილი ქ., «Introduction to Georgian Culture throughout centuries», მეხუთე საერთაშორისო კვირეული, 6-10 თებერვალი, თბილისი
2. ხუციშვილი ქ., ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ინსტიტუტი, კონფერენცია ქართულ-ბულგარული ურთიერთობები: ისტორიული და თანამედროვე პერსპექტივები, სათაური: «ქართულ-ბულგარული კულტურულ-ისტორიული კავშირები» 5 ივნისი, თბილისი
ანოტაცია:
კლიმენტ ორჰიდელის სახელობის სოფიის უნივერსიტეტი, უძველესი და წამყვანი უნივერსიტეტია ბულგარეთში, მაღალი აკადემიური ავტორიტეტით. ბულგარელ კოლეგებთან ქართველ ეთნოლოგებს მანამდეც ჰქონიათ ურთიერთობა, 1988 წელს ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებლის გიორგი ჩიტაიას ხლმძღვანელობით დაიცვა დისერტაცია ისტორია/ეთნოგრაფიის სპციალობით ვალენტინ ლაზაროვმა თემაზე - ქართულ-ბულგაული პარალელები სახალხო მეურნეობაში - მეღვინეობა და მევენახეობა. ვ. ლაზაროვი დღეს ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიაში მოღვაწეობს. არსებობს ნ. ბრეგაძის შრომები ქართული და ბულგარული აგრარულ-საგაზაფხულო დღესასწაულების შედრებითი ანლიზის, პურის სახეობის შესახებ და სხვ. ბულგარელ კოლეგებთან თანამშრომლობენ ბათუმელი ეთნოლოგებიც. მოხსენებაში განხილული იყო ეტნოლოგიის მიმარტულებით ქართველ და ბულგარელ მკვლევართა თანამშრომლობა.

3. ხუციშვილი ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრის ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე II, მოხსენების სათაური: “პანდემიის გავლენა სოციალურ ურთიერთობებზე: როგორ ადაპტირდნენ ქართველები “სოციალური დისტანციის” მოთხოვნასთან”, 20-21 სექტემბერი ბათუმი
ანოტაცია:
2020 წლის დასაწყისიდან მსოფლიოში SARS-CoV-2 პანდემიის გავრცელებამ ახალი რეალობა დაამკვიდრა, სიტუაციასთან გამკლავების მიზნით დაწესდა სხვადასხვაგვარი რეგულაციები, რომელთაგან უმთავრესი მოთხოვნა პანდემიის პირველივე დღეებიდან იყო ე.წ. სოციალური დისტანციის დაცვა. საქართველოში ეპიდემიის შესახებ ინფორმაცია ოფიციალურად 2020 წლის 6 იანვარს გამოცხადდა, დაუყოვნებლივი შეზღუდვები დაიწყო 16 მარტს და შეეხო სოციალურ ურთიერთობებს. ოფიციალური ინფორმაციისა და რეგულაციების პარალელურად ვრცელდებოდა განსხვავებული შეფასებები და დამოკიდებულებები ზოგადად პანდემიის, ვირუსისა და აკრძალვების შესახებ. ეთნოგრაფიული კვლევა საშუალებას იძლევა გაანალზდეს განსაკუთრებულ გარემოებებში ყოველდღიურობის ჩვეული მახასიათებლების ცვლილების პროცესი. ტრადიციულ ან ნახევრად ტრადიციულ საზოგადოებებში, სადაც ჯგუფის შიდა სოციალური კავშირები ფუნქციურად დიდი დატვირთვის მატარებელია, მათი შესუსტების ნებისმიერი მცდლობა უკურეაქციის მქონეა. ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე ღირებულებითი ცვლილებების მიუხედავად, ნათესაობის სისტემა განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს. მისი მნიშვნელობა

ყველაზე მეტად ადამიანის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტების - ქორწინებისა და გარდაცვალების დროს იკვეთება. პანდემიის რეგულაციებმა ამ შემთხვევაში სოციალური ინტერაქციის შეზღუდვები გამოიწვია. საქართველოში ხშირი სოციალური ურთიერთობები სოციუმის ყოველდღიურობის მნიშვნელოვანი ატრიბუტია. ქართულ საზოგადოებაში შიდა სოციალური ინტერაქციის შეზღუდვა გარკვეული კონფლიქტის გამომწვევი შეიძლება გახდეს. კულტურის ზოგადი ანალიზისას ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში ყოველღიურობის ელემენტების ცვლილების კვლევა მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საფუძველს იძლევა.

4. ხუციშვილი ქ. სერგი მაკალათიას 130 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია, მოხსენების სათაური: “ეთნოლოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიური გამოწვევები”, 2 დეკემბერი, გორი
ანოტაცია:
ეთნოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა ეტაპობრვად ვითარდებოდა, ეთნოლოგიის კვლევის საგნის გამოკვეთასთან ერთად. საგნს გაფართოება ბუნებრივად განაპირობებდა მეთოდოლოგიური მიდგომების გაფართოებას. პროცესი უწყვეად მიმდნარეობს დღესაც და შეიძლება ითქვას რომ კიდევ უფრო აქტუალური ხდება რიგი ობიექტური (საკვლევი ობიექტის კომპლექსურობის ზრდა, ტექნოლოგიური განვთარება და სხვ.) და სუბიექტური (მკვლვარის მიერ დასახული მიზნის და სხვ.) მიზეზების გამო. პოსტმოდერნისტული მეთოდოლოგიური მიდგომების ფარგლებში კვლევის ლიმიტაციები დიდი ხანია აკადემიური დებატების საგანია. ამას თან ერთვის ტექნოლოგიური განვითარების თანმდევი პრობლემები. 2020 წლიდან მიმდინარე გამოწვევებს დაემატა, არასაგნობრივი, არამედ წმინდად ტექნიკური გამოწვევაც -
კოვიდპანდემიით გამოწვეული ფიზიკური და სოციალური კომუნკაციის შეზღუდვა და შედეგად დასმული საკითხები თუ როგორ იმუშაოს ეთნოლოგმა ასეთ პირობებში? არის თუ არა შესაძლებელი ველი და საველე სამუშაობით მოპოვებული მასალა ჩანაცვლდეს სხვა სივრცეში და სხვა ხერხებით მოპოვებული მასალით?, როგორი უნდა იყოს ახალი მიდგომები? ამ პრობლემებზე დებატები სულ სამი წელია დაწყებულია, მაგრამ უკვე მრავალმხრივი სპექტრის მიდგომებს დაუდო სათავე. მოხსენებაში მეთოდოლოგიურ დისკუსიასთან ერთად მიმდინარე ეთიკური დილემებიც იქნება განხილული.

5. გუჯეჯიანი რ. **დეკანოზი ბესარიონ ნიჟარაძე - ქართული ეთნოგრაფიის სათავეებთან. სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები - დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის დაბადებიდან 170 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია** . ორგანიზატორები: საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი. მესტია. **3-4 აგვისტო, 2023**
ანოტაცია: მოხსენებაში ასახულია დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის, როგორც ერთ-ერთი პირველი ქართველი ეთნოგრაფის მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები და მისი წვლილი სვანეთის ეთნოგრაფიულ მონაცემთა შეკრებისა და გაანალიზების საქმეში.

6. **გუჯეჯიანი რ.** სერგი მაკალათიას 130 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია, გორი, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. მოხსენება: **სერგი მაკალათიას ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის სწავლება თსუ ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროგრამებში. 2.დეკმბერი, 2023, გორი**
ანოტაცია: მოხსენაში წარმოდგენილ იქნა სეგი მაკალათიას ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის მნიშვნელობა თანამედროვე მეცნიერებისათვის და მისია დგილი თსუ ეთნოლოგია-

ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროგრამებში. განხილულ იქნა ყველა კონკრეტული პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) ის სილაბუსები, რომლებშიც ერთი ან რამდენიმე სალექციო შეხვედრის დროს ისწავლება სერგი მაკალათიას ბიოგრაფია, მისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი ღვაწლი, კვლევის მეთოდები, კონკრეტული ნაშრომები.

7. **გუჯეჯიანი რ.** აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი, მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის 160 წლისთავისადმი. თბილისი, სოხუმის უნივერსიტეტი. მოხსენება: **საკრალურ სივრცეთა კონსტრუირების ხალხური გამოცდილება. 21-22 დეკემბერი, 2023, თბილისი**

ანოტაცია: მოხსენებაში აისახა ტრადიციულ ქართულ ყოფაში არსებული გამოცდილება საკრალურ სივრცეთა კონსტრუირებისა. განხილულ იქნა საკრალურ ლოკალურ გეოგრაფიულ არეალთა შექმნის მიზეზები და მათთან დაკავშირებული სოციო-კულტურული ასპეტქები. იგულისხმება: ეკლესია-მონასტერთა გარშემო არსებულ კონკრეტულ საზღვარში მოაზრებული სივრცეები, ტრადიციული სასოფლო მოედნები, ნაკრძალად ფორმირებული შეწირული მიწის ნაკვეთები, ტყის მონაკვეთები, ან მთელი სახატო ტყეები, ე. წ. წმ. ტბები, უღელტეხილთა საკრალურად მიჩნეული მონაკვეთები.

8. 2. **უცხოეთში**

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ხუციშვილი ქ. ASA2023: არაჯანსაღი სამყარო? ანთროპოლოგია სპეციფიკურ რეჟიმში, ნაშრომის სათაური: ახალი დისკურსები რეგიონთაშორის ეკონომიკურ პროექტებზე: საქართველო ევროკავშირის „გლობალური კარიბჭის“ სტრატეგიაში. 11-14 აპრილი, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი.

ანოტაცია

The war in Ukraine an especially devastating effect on the countries that Russian Federation considers to be the sphere of its inzuence, and which are trying to escape from its power. The search for new alliances or connections to strengthen the security leads to new political and economic projects. The most demanding topic is the problem of energy security. Recently was signed the agreement on strategic partnership in the yeld of green energy development and transmission between the governments of the Republic of Azerbaijan, Georgia, Romania and Hungary. The document is based on the interests of the four countries related to the consolidation of national and regional energy security and connectivity in the Black Sea Basin, diversiycation of supply sources, capitalisation of the potential of renewable energy production in the Caspian region and increasing the share of renewable energy. This project is a zagship one for Georgia as part of the EU's "Global Gateway" strategy. Georgian society is quite diverse and anthropological research allows analysing the attitudes from below. The Georgian society since the yrst days of the Ukrainian war displayed its solidarity to Ukraine through practical actions (receiving and sheltering migrants, collecting and sending humanitarian aid, etc.). Groups of people has mobilised and created networks of support. At the same time not always all groups are supporting the state politics and activities. Based on ethnographic data I will discuss the contradictions of from below and above strategies, which were revealed by the war crises.

უკრაინის ომი განსაკუთრებით დამანგრეველი ზეგავლენა მოახდინა იმ ქვეყნებზე, რომლებსაც რუსეთის ფედერაცია მიიჩნევს თავისი ზემოქმედების სფეროდ და რომლებიც ცდილობენ თავის დაღწევას მისი ძალაუფლებისგან. უსაფრთხოების გასაძლიერებლად ახალი ალიანსების ან კავშირების ძიება ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროექტებს

უდებს სათავეს. ყველაზე აქტუალური თემა ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემაა. ცოტა ხნის წინ ხელი მოეწერა ხელშეკრულებას სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ მწვანე ენერგიის განვითარებისა და გადაცემის სფეროში აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოს, რუმინეთისა და უნგრეთის მთავრობებს შორის. დოკუმენტი ეფუძნება ოთხი ქვეყნის ინტერესებს, რომლებიც დაკავშირებულია შავი ზღვის აუზში ეროვნული და რეგიონული ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და კავშირის კონსოლიდაციასთან, მიწოდების წყაროების დივერსიფიკაციასთან, კასპიის რეგიონში განახლებადი ენერგიის წარმოების პოტენციალის კაპიტალიზაციასთან და წილის გაზრდასთან. განახლებადი ენერგიის ეს პროექტი საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, როგორც ევროკავშირის „გლობალური კარიბჭის" სტრატეგიის ნაწილი. ქართული საზოგადოება საკმაოდ მრავალფეროვანია და ანთროპოლოგიური კვლევა ქვემოდან დამოკიდებულების გაანალიზების საშუალებას იძლევა. ქართულმა საზოგადოებამ უკრაინის ომის პირველივე დღეებიდან უკრაინისადმი სოლიდარობა გამოხატა პრაქტიკული ქმედებებით (მიგრანტების მიღება-შეფარება, ჰუმანიტარული დახმარების შეგროვება და გაგზავნა და ა.შ.). ადამიანთა ჯგუფებმაც მოახდინეს მობილიზება და შექმნეს მხარდამჭერის ქსელები. ამავდროულად, ყველა ჯგუფი ყოველთვის არ უჭერს მხარს სახელმწიფო პოლიტიკას და საქმიანობას. ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით განვიხილავ ქვემოდან და ზემოდან არსებული სტრატეგიების წინააღმდეგობებს, რაც გამოავლინა ომის კრიზისებმა.

2. ხუციშვილი ქ. დარიევა ც. მოხსენების სათაური: "უკრაინის ომის გავლენა საქართველოზე: გამოწვევები და პერსპექტივები (Impact of Ukrainian war on Current situation in Georgia: Challenges and Perspectives)" 1 მაისი, ოდერის ფრანკფურტი, გერმანია

ანოტაცია

უკრაინის ომი უშუალოდ რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის მიმდინარეობს, მაგრამ მასში თითქმის ყველა სახელმწიფოა ჩართული სხვადასხვა სახით (იარაღის მიწოდება, ჰუმანიტარული დახმარება, ლტოლვილების მიღება, სანქციების დაწესება და ა.შ.), შესაბამისად, ამ ომს აქვს გლობალური ხასიათი და, ბუნებრივია, დიდ უარყოფით გავლენას ახდენს. ის გავლენას ახდენს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროზე, პირველ რიგში უსაფრთხოების სისტემასა და ეკონომიკაზე, როგორც მსოფლიო, ისე ეროვნულ დონეზე. საქართველოც სხვადასხვა კუთხით არის დაზარალებული. უკრაინის ომმა ცხადყო, რომ საქართველოს მოქალაქეები და პოლიტიკური ელიტა უკრაინის მხარდამჭერები არიან. თბილისში რამდენიმე მასობრივი აქცია გაიმართა უკრაინის მხარდასაჭერად. საქართველო შეუერთდა ევროკავშირის დეკლარაციას რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ უკრაინაში შეჭრის შესახებ; მხარი დაუჭირა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებას მინისტრთა კომიტეტსა და საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთის წარმომადგენლობის უფლების შეჩერების შესახებ; ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს გაძლიერებულ სესიაზე მან გამოთქვა შეშფოთება უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის გამო და ხაზი გაუსვა საერთაშორისო საზოგადოების ერთიანი და მტკიცე პასუხის აუცილებლობას; შეუერთდა ყირიმის საერთაშორისო პლატფორმის ერთობლივ განცხადებას და კიდევ ერთხელ გამოხატა მხარდაჭერა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ; გაეროს გენერალური ასამბლეის მეთერთმეტე რიგგარეშე სესიაზე საქართველოს წარმომადგენელმა გააკეთა განცხადება და მოუწოდა რუსეთის ფედერაციას დაუყოვნებლივ შეწყვიტოს სამხედრო ოპერაციები და გაიყვანოს სამხედრო ძალები უკრაინის ტერიტორიიდან. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ქართულ-უკრაინულ ურთიერთობაში დაძაბულობაა. რაც გავლენას ახდენს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესზე. ომი გავლენას ახდენს არა მხოლოდ საქართველოს საგარეო პოლიტიკურ დისკურსზე. მას აქვს შიდა პროცესებსა და კონფლიქტურ რეგიონებზე

ნეგატიური ზეგავლენა, ეს ართულებს მდგომარეობას. თვისრივ და რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით განხილული იქნება ზოგადი ვითარება, ზემოქმედება საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე, დაძაბულობის მოგვარების გამოწვევები და მოვლენების პერსპექტივები.

3. ხუციშვილი ქ. INTERFACEing 2023, “ცვალებადი პარადიგმები: ჰუმანიტარული მეცნიერებები კრიზისის ეპოქაში (Changing Paradigms: Humanities in the Age of Crisis)”, მოხსენების სათაური: “საბჭოთა რეალობის გავლენა რიტუალურ პრაქტიკაზე საქართველოში (Impact of Soviet Reality on the Ritual Practice in Georgia)”, 25-27 სექტმებერი, კობე, იაპონია
ანოტაცია
ქართული ყოფა გაჯერებულია მდიდარი რელიგიური ტრადიციებით, რომლებიც განვითარდა წინაქრისტიანული და ქრისტიანული პრაქტიკისა და მსოფლმხედველობის მრავალსაუკუნოვანი სინთეზის შედეგად. ქართველთა რელიგიურ-რიტუალურ ცხოვრებაში სწრაფი ცვლილებები საბჭოთა პერიოდს უკავშირდება. საბჭოთა კავშირის ათეიზმს უკვალოდ არ ჩაუვლია. მისი ერთ-ერთი შედეგი იყო თუ არა რელიგიური ცოდნისა და ღირებულებების სრული მოსპობა, მათი ფრანგმენტაცია მაინც. ტრადიციული რელიგიური ცოდნის არასაკმარისობამ გამოიწვია საზოგადოების გაუცხოება ტრადიციული რელიგიური პრაქტიკისგან. რამაც თანდათანობით, რიგ შემთხვევებში, გამოიწვია რელიგიის უარყოფა საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან. საბჭოთა სახელმწიფოს იდეოლოგიური მანქანა არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში აყალიბებდა უარყოფით დამოკიდებულებას რელიგიების მიმართ და მთელი თაობა იზრდებოდა ათეიზმის ბრძოლისა და რელიგიური რიტუალების ნეგატიური წარმოდგენის იდეოლოგიით. რელიგიური პრაქტიკა საყოფაცხოვრებო დონეზე გადავიდა.. ზოგიერთი დღესასწაული და ფესტივალი ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა, რამდენიმემ შეიცვალა ფორმა თუ მნიშვნელობა. მოხენებაში განხილულია რიტუალური პრაქტიკის ტრანსფორმაციის პროცესები.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

**ყურადღება!**
*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**
14. **ივანე ლეჟავა,** დისიმილაციური გამჟღერება სვანურ და ოსურ ენებში, *პროფესორ ირინე მელიქიშვილის დაბადების მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია,* თბილისი: თსუ გამომცემლობა, 30 მაისი, 2023, თბილისი

https://www.researchgate.net/publication/371700488_propesor_irine_melikishvilis_dabadebis_80_tslistavisadmi_midzghvnili_sametsniero_konperentsia

15. ნანა გამყრელიძე, **ივანე ლეჟავა**, უდიური ენის ხშული თანხმოვნების აკუსტიკური ანალიზი, *პროფესორ ბაქარ გიგინეიშვილის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია,* თბილისი: თსუ გამომცემლობა, 15 დეკემბერი, 2023, თბილისი

https://www.researchgate.net/publication/376601347_bakar_gigineishvili_-_90

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **რუსუდან ასათიანი, მარინე ივანიშვილი,** ეთერ სოსელია, Georgian Language: Structure and Script, *ფილიპინებში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აქტივობების ფარგლებში გამართული ონლაინ საჯარო ლექცია,* ფილიპინები, მანილა, 2023.

2. **თინათინ ბოლქვაძე,** Language Attitudes and Identities in Georgia, Northeast Modern Language Association (NeMLA), Fifty-fourth Annual Convention, March 23-26, 2023, The University at Buffalo SUNY, Niagara Falls, New York,

https://www.buffalo.edu/content/dam/www/nemla/nemla-2023/2023%20NeMLA%20Convention%20Program%20Digital.pdf

3. **თინათინ ბოლქვაძე,** Scientific and non-scientific in Soviet linguistics, International Conference - What counts as a scientific approach in the history of linguistics? Annual Colloquium 2023 of The Henry Sweet Society for the History of Linguistic Ideas, 4-6 September 2023, Universidade de Trás-os-Montes e Alto Douro (UTAD), Vila Real, Portugal,

http://elverdissen.dyndns.org/~nodus/HSS2023_VilaReal(1).pdf

4. **თინათინ ბოლქვაძე,** The most famous polemic in Soviet linguistics, XXXII International Colloquium of The Studienkreis Geschichte der Sprachwissenschaft, 6-9 September 2023, Universidade de Trás-os-Montes e Alto Douro (UTAD), Vila Real, Portugal, https://sgdsxxxii.cel.utad.pt/event/hss-2023/ https://sgdsxxxii.cel.utad.pt/speaker/tinatin-bolkvadze/

5. **თინათინ ბოლქვაძე,** State Language Strategy, By the People, for the People: Online Dictionaries, Language Portals, and the Role of Language Users, Joint International conference of The European Federation of National Institutions for Language and ZRC SAZU (Fran Ramovš Institute of the Slovenian Language), October 11–13, 2023, Ljubljana, Slovenia https://efnil.zrc-sazu.si/

6. **თინათინ ბოლქვაძე,** How to assess the functioning of the Russian language in Georgia, International Conference - Language in Conflict and War – Ukraine, Caucasus, Russia, Malmo University, Sweden, 6-7 November, 2023 https://rucarr.mau.se/

*ანოტაცია*

1. ლექციაზე განხილული იყო ქართული ენის სტრუქტურული მახასიათებლები: ფონოლოგიური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური თავისებურებები; ქართული დამწერლობის წარმოშობასთან დაკავშირებული განსხვავებული თეორიები და პრობლემური საკითხები. ასევე განხილული იყო ენისა და დიალექტის ლინგვისტური და

სოციოლინგვისტური დეფინიციები, საერთო ქართველურისა და ქართულის დიალექტები, მათ შორის თურქეთსა და ირანში გავრცელებული ქართულის დიალექტები, განსხვავებული ორი პარამეტრით: მთის/ბარის, აღმოსავლეთის/დასავლეთის, შესაბამისად, გამოკვეთილი იყო ამ დიალექტთა სტრუქტურული თავისებურებები.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

**დამატებითი ინფორმაცია**

**1. რუსუდან ასათიანი**

- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პერიოდული სამეცნირო ჟურნალის - "ენათმეცნიერების საკითხების" სარედაქციო კოლეგიის წევრი
- TbiLLC -XIV საერთაშორისო სიმპოზიუმის და LL-XII საზაფხულო სკოლის ორგანიზება.
- ორენოვანი ჟურნალის "ენა, ლოგიკა, კომპიუტერიზაცია - VII" გამოცემა-რედაქტირება.

**2. თინათინ ბოლქვაძე**

- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პერიოდული სამეცნირო ჟურნალის - "ენათმეცნიერების საკითხების" სარედაქციო კოლეგიის წევრი
- სახელმწიფო ენის დეპარტაამენტის ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი ექსპერტთაა კომისიის წევრი
- 2019-დღემდე სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ბიულეტენის რედაქტორი
- **2003–დღემდე** ჰენრი სვიტის ლინგვისტურ იდეათა ისტორიის საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წევრი, ოქსფოდი, ინგლისი
- **2003–დღემდე** პოეტიკისა და ლინგვისტიკის საერთაშორისო საერთაშორისო აკადემიური ასოციაციის წევრი, ინგლისი
- **1992–დღემდე** გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების წევრი (საზოგადოების თავმჯდომარე 2010-2021 წლებში)
- **1999–დღემდე** ენის შემსწავლელ მეცნიერებათა ისტორიის საერთაშორისო საზოგადოების წევრი
- **2009–დღემდე** ცენტრალური ევრაზიის შემსწავლელი სამეცნიერო საზოგადოების წევრი, მასაჩუსეტი, აშშ
- **2011 – დღემდე** სლავური, აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიული კვლევების ასოციაცია, პიტსბურგი, პენსილვანია, აშშ
- **2015 – დღემდე** იუნესკოს ენათმეცნიერთა მუდმივმოქმედი კომიტეტის წევრი

**3. მარინე ივანიშვილი**

- ანტუან მეიე: წერილები ტფილისიდან და სომხეთიდან, ფრანგულიდან თარგმნა ნანა მირაშვილმა, წინათქმა და რედაქტორობა მარინე ივანიშვილისა, აკადემიური წიგნი, თბილისი 2023.

- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პერიოდული სამეცნირო ჟურნალის - "ენათმეცნიერების საკითხების" სარედაქციო კოლეგიის წევრი
- TbiLLC -XIV საერთაშორისო სიმპოზიუმის და LL-XII საზაფხულო სკოლის ორგანიზება.
- აორენოვანი ჟურნალის "ენა, ლოგიკა, კომპიუტერიზაცია - VII" გამოცემა-რედაქტირება.

4. ივანე ლეჟავა
- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პერიოდული სამეცნირო ჟურნალის - "ენათმეცნიერების საკითხების" რედაქტორი

ყურადღება!
* სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.
* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.
* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.
* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.
* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა~.

თეორიული და შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2
(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თეორიული და შედარებითი ლიტერატურათცმოდენობის ს/ს ინსტიტუტი**

- **ირმა რატიანი, პროფესორი, ინსტიტუტის ხელმძღვანელი**
- **გაგა ლომიძე, ასოცირებული პროფესორი**
- **სოლომონ ტაბუცაძე, ასოცირებული პროფესორი**
- **ანა ლეთოდიანი, ასისტენტ-პროფესორი**

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

**1. ლიტერატურული ჟანრები. დამხმარე სახელმძღვანელო ლიტერატურის თეორიაში 2022-2027 წწ.**
**2. ლიტერატურის თეორია. ქრესტომათია. დამხმარე სახელმძღვანელო ლიტერატურის თეორიასა და შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში. 2010-2027 წწ.**
**3.** ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია IV (2018-მიმდინარე)
4. ლიტერატურული ჟანრები — ლიტერატურის თეორია (წიგნი II) (2023-მიმდინარე)

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

**1. ირმა რატიანი (ხელმძღვანელი, ავტორი), გაგა ლომიძე (ავტორი,რედაქტორი), სოლომონ ტაბუცაძე (ავტორი), ანა ლეთოდიანი (ავტორი);**
**2. ირმა რატიანი (შემდგენელი, რედაქტორი), გაგა ლომიძე (შემდგენელი, რედაქტორი), სოლომონ ტაბუცაძე (მთარგმნელი).**
**3. თამარ ლომიძე - შემსრულებელი, ნინო გაგოშაშვილი - შემსრულებელი, რუსუდან თურნავა - შემსრულებელი, გაგა ლომიძე - ხელმძღვანელი, შორენა შამანაძე - შემსრულებელი, თათია ობოლაძე - შემსრულებელი, დევი დუმბაძე - ავტორი, კოკა ბრეგაძე - შემსრულებელი, მაკა ნაჭყებია - შემსრულებელი, ირაკლი ხვედელიძე - შემსრულებელი, თეიმურაზ დოიაშვილი - ავტორი, არჩილ წერედიანი - შემსრულებელი;**

4. რუსუდან ცანავა -ავტორი, ივანე ამირხანაშვილი - შემსრულებელი, ირაკლი კენჭოშვილი - შემსრულებელი, ირმა რატიანი - ხელმძღვანელი, შემსრულებელი, სოლომონ ტაბუცაძე - შემსრულებელი, თათია ოზოლაძე - შემსრულებელი, ლევან გელაშვილი - შემსრულებელი, თამარ ნუცუბიძე - შემსრულებელი, ირინე მოდებაძე - შემსრულებელი, კოკა ბრეგაძე - შემსრულებელი, ნონა კუპრეიშვილი - შემსრულებელი, ირაკლი ხვედელიძე - შემსრულებელი, ნინო ზარძიმიშვილი - ავტორი, გაგა ლომიძე - ხელმძღვანელი, შემსრულებელი, შორენა შამანაძე - შემსრულებელი, თამარ ზარზაქაძე - შემსრულებელი, მაია ნაჭყებია - შემსრულებელი, ლილი მეტრეველი - შემსრულებელი

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე):*

1. 2023 წელს, პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა დამხმარე სახელმძღვანელო ლიტერატურის თეორიაში- „ლიტერატურული ჟანრები“, რომელიც შედგება სამეცნიერო სტატიებისაგან ეპიკური და დრამატული ჟანრების შესახებ.
https://www.litinstituti.ge/lit-janr-pirv-sarch.pdf
2. 2023 წელს, პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა ენებიდან ითარგმნა და დამუშავდა 22 სამეცნიერო სტატია, დაწერილი თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეების მიერ. ქრესტომათის რიგით მე-4 ტომი დაეთმობა პოსტსტრუქტურალისტურ და დეკონსტრუქციულ კრიტიკას.

3. კვლევითი სამუშაო, რომელიც მოიცავს პერიოდს 2018-დან 2024 წლის დასაწყისამდე, ითვალისწინებს ლიტერატურის თეორიის ქრესტომათიის გამოცემას. მზადაა შემდეგი ტექსტები: თემურ დოიაშვილის „პრო ეტ კონტრა“, კლოდ ლევი სტროსის და რომან იაკობსონის „ბოდლერის კატები“, მიშელ ფუკოს „ცინიკოსები და მათი ხერხები“, ფორმანის „მითოლოგიური კრიტიკა“, ვალტერ ბენიამინის „ხელოვნების ნიმუში მასობრივი კვლავწარმოების ხანაში“, თეოდორ ადორნოს „სტილი“, სიუზან ზონტაგის „გეორგ ლუკაჩის ლიტერატურული კრიტიკა“, თეოდორ ადორნოს „მხატვრული ნაწარმოების თეორიისთვის“. ითარგმნება შემდეგი ტექსტები: გეორგ ლუკაჩის „მარქსის და ენგელსის ნაშრომები ესთეტიკის შესახებ“, როლან ბარტის „ედგარ პოს ერთი ნოველის შესახებ“, მიშელ ფუკოს „შეშლილობის ისტორია“, ცვეტან ტოდოროვის „ფანტასტიკა“, ნორთროპ ფრაის „კრიტიკის ანატომიის“ ერთი თავი, მონიკა ფლუდერნიკის „შესავალი ნარატოლოგიაში“ და გასტონ ბაშლარის „ლოტრეამონის კომპლექსი“.

4.. სამუშაო დაიწყო 2023 წელს და მის გამოსაცემად მოზმადება დაგეგმილია 2025 წლის დასაწყისში. პროექტი ითვალისწინებს ლიტერატურული ჟანრების შესახებ მეორე წიგნის მომზადებას, სადაც შესული იქნება მცირე პროზაული ჟანრები და ლირიკული ჟანრები, ასევე, ისეთი იშვიათი ჟანრები, რომელთა შესახებაც, პრაქტიკულად, არ არსებობს რაიმე სისტემური ნაშრომი ქართულ ენაზე. ესენია: ჰიბრიდული ჟანრები, ეპისტოლური ჟანრები, პუბლიცისტური წერილები, როგორც ჟანრი და ა.შ. პირველი წიგნთან დაკავშირებული დიდი

მოთხოვნით თუ ვიხელმძღვანელებთ, შეიძლება ითქვას, რომ მეორე ნაწილიც არანაკლებ წარმატებული იქნება. ამგვარი კრებული უმაღლესი სასწავლებლებისთვის არ არსებობს ერთიანად თავმოყრილი სახით და აღნიშნული კრებული დიდ დახნარებას გაუწევს უმაღლესი სასწავლებლის პროფესორებს. მიმდინარე მეორე ნაწილი მოიცავს შემდეგ საკითხებს: იგავ-არაკი, აგიოგრაფიული პროზა, ნოველა, მოთხრობა, ესეი, მინიატურა, ესკიზი, ლიტერატურული ზღაპარი, ფენტეზი, სამეცნიერო ფანტასტიკა, ექსემპლა, დეტექტივი, Short story, პუბლიცისტური წერილი, ბიოგრაფია, ავტოფიქცია, მოგზაურობა, ეპისტოლარული მწერლობა, მემუარები, ასევე, მცირე ლირიკული ჟანრები, ეპიკური ჟანრები, პოემა, ბალადა, ლექსი პროზად, კონკრეტული პოეზია, ფიგურული ლექსი, გაბაასება, ვერლიბრი, გალექსილი ზღაპრები, ჰიბრიდული ჟანრები. აღნიშნული გამოცემა უკიდურესად დროული იქნება უმაღლესი სასწავლებლების პროფესორებისა და სტუდენტებისთვის და სახელმძღვანელოს ფუნქციას შეასრულებს. პროექტის გამოცემა დაგეგმილია 2025 წელს.

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები.

1. ლიტერატურული ჟანრები. დამხმარე სახელმძღვანელო ლიტერატურის თეორიაში. 2022-2023 წწ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ირმა რატიანი (ხელმძღვანელი, ავტორი, რედაქტორი), გაგა ლომიძე (რედაქტორი),

*დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე):*

1. წიგნი შედგება სამეცნიერო სტატიებისაგან ეპიკური და დრამატული ჟანრების შესახებ, კერძოდ: ანტიკური ეპოსი, ანტიკური რომანი, შუასაუკუნეების რომანი, ტრაგედია, კომედია და სხვ. წიგნის სრულად ხილვა შესაძლებელია ვებ-გვერდზე:
https://www.litinstituti.ge/lit-janr-pirv-sarch.pdf

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები:

1. რუსთაველისა და ნიზამის რეფლექსია თანამედროვე ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ქართული ლიტერატურა და შედარებითი ლიტერატურა. 2023-2023 წწ. # FR-23-8468

2. პოსტბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა (1956-1991 წწ). ქართული ლიტერატურა. 2023-2026 წწ. #FR-23-8132
3. ქართული მწერლობა მსოფლიოს მასშტაბით. მეცნიერების პოპულარიზაციის გრანტი. 2023-2024 წწ. SPG-23-553

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ივანე ამირხანაშვილი (ხელმძღვანელი), მონაწილეები: ირმა რატიანი, მაკა ელბაქიძე, ლია კარიჭაშვილი, ოქტაი ქაზუმოვი, ლია წერეთელი.
2. მაკა ელბაქიძე (ხელმძღვანელი). მონაწილეები: ირმა რატიანი, ადა ნემსაძე, მანანა შამილიშვილი, ნონა კუპრეიშვილი, ზოია ცხადაია, მარიამ გიორგაშვილი.
3. ირმა რატიანი (ხელმძღვანელი). მონაწილეები: ლილი მეტრეველი, მაკა ელბაქიძე, თათია ობოლაძე, გაგა ლომიძე.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. პროექტი დაიწყო 2023 წლის 1 დეკემბერს.
2. პროექტი დაიწყო 2023 წლის 1 დეკემბერს.
3. პროექტის ფარგლებში განხორციელდა საერთაშორისო სამეცნიერო სემინარები პრინსტონის უნივერსიტეტში (აშშ), სორბონას უნივერსიტეტში (საფრანგეთ), ბაქოს ხაზარის უნივერსიტეტსა და აზერბაიჯანის დიპლომატიურ აკადემიაში (აზერბაიჯანი). წაკითხული იქნა ჯამში 7 ლექცია ქართულ ლიტერატურაზე, სხვადასხვა პერიოდებსა და ეტაპებზე.

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. „დედაენიდან“ „სალამურამდე“ . ქართული საბავშვო მწერლობა. მეცნიერების პოპულარიზაციის გრანტი. 2022- 2023 წწ. SPG-22-213
2. .„ინტერკულტურული სივრცე - რუსთაველი და ნიზამი.“ ჰუმანიტარული მეცნიერებები. #FR – 17_109.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ირმა რატიანი (ხელმძღვანელი). მონაწილეები: ლილი მეტრეველი, მაკა ელბაქიძე, მარიამ გიორგაშვილი, ჰაიატე სოტომე, ნანა ფრუიძე, გია არგანაშვილი.
2. ივანე ამირხანაშვილი (ხელმძღვანელი), მონაწილეები: ირმა რატიანი, მაკა ელბაქიძე, ლია კარიჭაშვილი, ოქტაი ქაზუმოვი, ლია წერეთელი.

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**1. პროექტის ფარგლეში გადაღებული იქნა 9 სამეცნიერო-შემეცნებითი პოპულარული ფილმი ქართულ საბაშვო მწერლებსა და მწერლობაზე. ფილმების ნახვა შესაძლებელია Youtub არხზე.**
**2. 2023 წელს შესრულდა პროექტის კვალდაკვალ დასახული ვალდებულება: სამეცნიერო წიგნის გამოცემა საერთაშრიოს საგამომცმელოს სახლში.**

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

**1. ციფრული ლიტერატურის ლაბორატორიის განვითარების ხელშეწყობა. ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტო, საფრანგეთი. 2023-2024 წწ. AUF საგრანტო პროექტი.**
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

**1. ირმა რატიანი (ხელმძღვანელი), ირაკლი ხვედელიძე, სალომე ლომოური, ფრანსუაზა ლავოკატი, იოანა გალერონი, ალექსანდრე სტროევი.**
2.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**1. პროექტის ფარგლებში გამოცხადდა ტენდერი ლაბორატორიისათვის შესაძენ აპარატურაზე და შედგა რამდენიმე ონლაინ სემინარი უცხოელ პარტნიორებთან. მაისში დაიგეგმა უცხოელი პარტნიორების ვიზიტი საქართველოში, შესაბამისი ტრენინგების ჩატარების მიზნით.**
2.

3.2. დასრულებული პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
***დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***
1.

2.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. **ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში**
**5.1. მონოგრაფიები/წიგნები**
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

**5.2. სახელმძღვანელოები**
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ლიტერატურული ჟანრები. ISBN978-9941-508-14-1. მწიგნობარი, 2023. ონლაინ:** https://www.litinstituti.ge/lit-janr-pirv-sarch.pdf

2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. **წიგნი შედგება სამეცნიერო სტატიებისაგან ეპიკური და დრამატული ჟანრების შესეახებ, კერძოდ: ანტიკური ეპოსი, ანტიკური რომანი, შუასუკუნეების რომანი, ტრაგედია, კომედია და სხვ. წიგნის სრულად ხილვა შესაძლებელია ვებ-გვერდზე:** https://www.litinstituti.ge/lit-janr-pirv-sarch.pdf

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

5.4. **სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით**
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ინტერდისციპლინური და ინტერინსტიტუციონალური მიდგომები – ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი და ქართველოლოგიური კვლევების ლიტერატურის თეორიის პრობლემები ეფექტურობის გარანტი. სამეცნიერო სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო (ადგილობრივ) ჟურნალში ჟ. ,,სჯანი", 2023, № 24. გვ. 7-11. EBSCO, ERIH+ ISSN: 1512-2514

2. ლიტერატურული ანტიუტოპია და ანტიუტოპიური რომანი, სამეცნიერო წიგნი (თემატური სტატიების კრებული) - „ლიტერატურული ჟანრები". ტომი 1.
გამომცელობა „მწიგნობარი", 2023. გვ. 215-163. Google Scholar ISBN978-9941-508-14-1.

3. დრამის შესახებ. ტრაგედია - უძველესი დრამატული ჟანრი. სამეცნიერო წიგნი (თემატური სტატიების კრებული) - „ლიტერატურული ჟანრები". ტომი 1.
გამომცემლობა „მწიგნობარი", 2023. გვ.379-431. Google Scholar ISBN978-9941-508-14-1.

4. კომედიის დაბადება. ჟან ბატისტ მოლიერი - კომედიის მეტრი და ქართული კომედიის ფორმირება. სამეცნიერო წიგნი (თემატური სტატიების კრებული) –„ლიტერატურული ჟანრები". ტომი 1.
გამომცემლობა „მწიგნობარი", 2023. გვ. 431-470. Google Scholar ISBN978-9941-508-14-1.

5. საბჭოთა აბსურდის ფორმირება სოციალისტური რეალიზმის ეპოქაშისაერთაშორისო სიმპოზიუმის მასალების კრებული- „სოციალისტური რეალიზმის ეპოქა ლიტერატურასა და ხელოვნებაში". 2023. Google Scholar ISBN 978-9941-36-006-0

6. გაგა ლომიძე. რეალისტური რომანი. ლიტერატურული ჟანრები. ტომი I. თბ. GCLA Press, 2023, ISBN: 978-9941-508-14-1 (გვ. 179-214)
7. გალაკტიონოლოგია X, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2023
ISBN 978-9941
„მშვიდობის წიგნის" ტოპოგრაფია თანამედროვე გეოპოლოტიკური პერსპექტივიდან
8. იზაბელ ალიენდეს მაგიური ლიტერატურული გრაფიტი. Voyager, I, ინდიგო, თბილისი, 2023, ზამთარი
9. ჯაზური იმპროვიზაცია ტექსტად (ჯეკ კერუაკი და მისი რომანი „გზაზე"). Voyager, IV, ინდიგო, თბილისი, 2023, შემოდგომა
10. ანა ლეთოდიანი, ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი" და ლიმინალობის თეორია (ინტერპრეტაცია); https://doi.org/10.52340/PUTK.2023.27.14, ჟურნალი „ქართველური

მემკვიდრეობა“, XVIII; ქუთაისი, გვ. 117-122 https://ejournals.atsu.ge/Kartvelology/issues/XXVII/LetodianiAna.pdf

11. ანა ლეთოდიანი, თამარ მეფის სახე და ლომის სიმბოლო, „ენა და კულტურა“, კონფერენციის მასალები, თბილისი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის (GAU) გამომცემლობა (გადაცემულია დასაბეჭდად);

12. ანა ლეთოდიანი, „თამარიანის“ ერთი პასაჟის გააზრებისათვის; ლიტერატურის ინსტიტუტის „გზამკვლევი“ ძველ ქართულ ლიტერატურაში - „X-XII საუკუნეების ქართული მწერლობა“, თბილისი, თსუ გამომცემლობა (იბეჭდება);

13. ანა ლეთოდიანი, შუა საუკუნეების იდეურ-პოლიტიკური დისკურსის (მეფის გაღმერთება თუ განღმრთობა?) ასპექტი ქართულ საისტორიო მწერლობაში; შედარებითი ლიტერატურის XXIII მსოფლიო კონგრესის მასალები, თბილისი (გადაცემულია დასაბეჭდად);

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. სტატია ეთმობა ქართველოლოგიური, კერძოდ, ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების განვითარების სამომავლო პერსპექტივებს საქართველოში. სტატიაში წარმოდგენილია დარგის ერთ-ერთი ლიდერის ხედვა.

2. სტატიაში ვრცლადაა განხილული ლიტერატურული ანტიუტოპიის წანამძღვრები, ფორმირების ეტაპები და ჟანრული მახასაითბლები. ტექსტი ადაპტირებულის სტუდენტებისათვის.

3. სტატიაში ვრცლადაა განხილული დრამის, როგორც ლიტერატურული გვარის მახასიათებლები, შემდგომ კი წერილი ეთმობა ტრაგედიის ჟანრის ფორმირებასა და არისტოტელეს ტრაგტედიის თეორიის განხილვას. სტატიაში მიმოხილულია ტრაგედიის განვიოთარების სხავადასხვა ეტაპები და მოდელები.

4. სტატიაში ვრცლადაა განხილული კომედიის ჟანრის დაბადება, მისი გზა ანტიკურობიდან კლასიციზმის ეპოქამდე. დეტალურადაა გფანხილული მოლიერის კონმედიოგრაფია და დაძებნილია მისი გავლენები ქართულ კომედიაზე.

5. სტატია ეთმობა ექსისტენციალიზმის ფილოსოფიასა და აბსურდის თეორიას, აგრეთვე, მათ წანამძღვრებს. მთვარი აქცენტი გაკეთებულია ალბერ კამიუს „სიზიფეს მითზე“ და მისი ფილოსოფიის რეცეფციაზე საბჭოთა პერიოდის კრიტიკაში.

6. რეალიზმი, როგორც მიმდინარეობა, რომანტიზმზე რეაქციის შედეგად წარმოიშვა, რომელიც უპირატესობას ანიჭებდა ბუნებას და არა კულტურას, პიროვნებას და არა საზოგადოებას. რეალისტი მწერლები, რომანტიკოსებისგან განსხვავებით, უფრო ადამიანთა ჯგუფებით იყვნენ დაინტერესებული. ისინი სოფლის, ქალაქისა თუ საზოგადოების პანორამულ სურათს გვთავაზობენ. რეალიზმი მასშტაბურ სურათს წარმოგვიდგენს და ამიტომ არის გაიგივებული მოცულობით დიდ და მოქნილ რომანის ჟანრთან. რეალისტი მწერლების უმრავლესობა მართლაც დიდტანიან რომანებს წერდა.რეალიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ ნაწარმოები და პერსონაჟები თითქოს „გაურბიან“ ავტორს და თავისით მოქმედებენ. ამიტომაცაა, რომ ბალზაკის, დიკენსის და სხვათა რომანები თითქოს სამყაროს სახელით გვესაუბრებიან. ავტორის ამგვარი „ჩაურევლობა“ თითქოს აცოცხლებს ნაწარმოებს. ამავე დროს, რეალიზმის ხანის ავტორები განსაკუთრებულ

ყურადღებას უთმობენ გარემომცველ დეტალებს და საგნებს (როგორც დიკენსთან), ან ინტერიერს და ექსტერიერს (როგორც დოსტოევსკისთან). საგულისხმოა ისიც, რომ რეალიზმის ხანის მწერალი თანამედროვეობის თავისებურებებს საზოგადოების ტიპური წარმომადგენლების საშუალებით აღწერს. რეალისტი მწერლის შემოქმედება რომანტიკოსი ავტორის თხზულებებისგან, უპირველესად, შემოქმედებითი პროცესის ობიექტივიზებით გამოირჩევა. ამიტომ ჟანრობრივი თვალსაზრისით რეალიზმს უფრო ახასიატებს რომანი და მოთხრობა ობიექტური ხედვით (ან მასზე პრეტენზიით), ხოლო რომანტიზმს — პოეზია, სამყაროს სუბიექტური ხედვით. ამიტომაც შემთხვევითი არაა, რომ რეალისტურ ნაწარმოებში ანალიზის მოჭარბება იგრძნობა. რომანტიკოსებისგან განსხვავებით, რეალისტები ახერხებენ ცხოვრება ისეთად მიიღონ, როგორიც არის სინამდვილეში — არც ცალმხრივად უარყოფითი და არც დადებითი, არც ჯოჯოხეთი და არც სამოთხე. რეალისტი ავტორები განსაკუთრებულ მნიშვნელობა ანიჭებენ ყოველდღიურობის საჭირბოროტო საკითხებს და სიღრმისეულად იკვლევენ სამყაროსა და ადამიანის ურთიერთმიმართებას. თუ რომანტიკოსი პოეტი ადამიანის შინაგან სამყაროს უღრმავდება, რეალისტისთვის უმთავრესია ადამიანის და საზოგადოების მიმართების პრობლემა. სწორედ აქედან მომდინარეობს რეალისტური ლიტერატურის შემეცნებითი, ანალიტიკური ხასიათი, რომანტიზმისთვის ნიშანდობლივი ინტუიციურობის და მგრძნობიარობის საპირისპიროდ. ამასთანავე, ხასიათის ჩამოყალიბებაში აქ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის სოციალურ წარმომავლობას და აღზრდას. ობიექტურობისადმი პრეტენზია და დეტალების აღწერისადმი მიდრეკილება, ეპიკური თხრობა — ეს ყველაფერი რეალიზმის ნიშნებია. საზოგადოების ნაკლოვანებების ჩვენებით რეალისტი მწერალი იმის წარმოჩენას ისახავს მიზნად, რომ ხსნის გზა (სულიერი) განწმენდაა. ზოგადად, რეალიზმის ხანა ოპტიმიზმითაა გაჯერებული და „ახალი ადამიანების“ ჩამოყალიბების იდეალით სულდგმულობს. რომანის ძირითადი პარადიგმა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში უკვე აღარ იყო რომანტიკული იდეალიზმი. რეალისტი ავტორები ყურადღებას პერსონაჟის და სიუჟეტის სხვა მხარეებზე ამახვილებდნენ. როგორც აღვნიშნეთ, მისთვის მნიშვნელოვანია დეტალები. თუკი აქამდე მკითხველი მიჩვეული იყო უფრო სიუჟეტზე ან ტექსტების ენაზე კონცენტრაციას, რეალიზმის პირობებში მთავარი გახდა პერსონაჟი და მისი ბუნება. რეალისტური თხზულების პერსონაჟი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით რთული, მრავალშრიანი მოვლენაა და ძლიერი შინაგანი ჭიდილით გამოირჩევა. რეალისტურ რომანში სარაინდო რომანის დიდებული ადამიანები და გმირები აღარ არიან. მისთვის უფრო დამახასიათებელია საშუალო ადამიანის ცხოვრებისეული გამოცდილების დრამატიზება, მისი ყოველდღიური წარმატებები და მარცხი. ლიტერატურის მკვლევრები ხშირად რეალიზმს რომანის აღმოცენებას უკავშირებენ და, ზოგადად, თხრობას მისგან განუყოფელ ელემენტად მიიჩნევენ. რეალიზმი დაკავშირებულია, ასევე, ლიტერატურის და სინამდვილის ურთიერთმიმართებასთან — იმასთან, რასაც მწერალი გვიამბობს და რასაც გარემომცველ სინამდვილეში ვხედავთ. ამას ხშირად მოიხსენიებენ „რეპრეზენტაციის“ სახელით, რაც ფსიქოლოგიურ, კოგნიტურ და ანთროპოლოგიურ თავისებურებას გულისხმობს. რეალისტურ რომანზე საუბრისას გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი. ესენია:

- დეტალიზაცია — დეტალებისადმი განსაკუთრებული ყურადღება;
- ფსიქოლოგიზმი — პიროვნების შინაგანი სამყაროთი დაინტერესება (ფსიქოლოგიას როგორც დისციპლინას ამ დროს ეყრება საფუძველი);
- რეალიზმი, გარკვეულწილად, არის რომანტიზმზე რეაქციაც და მისი ტყუპისცალიც, მეორე მხარეც და ამიტომ პოეტიკის დონეზე, რეალიზმის ლიტერატურაში მნიშვნელოვანია სინამდვილის და სიზმრის დაპირისპირება;

• რეალიზმისთვის მნიშვნელოვანია ტიპის, ტიპური გარემოს და, ზოგადად, ტიპურობის საკითხი;
• რეალიზმის დროს ეყრება საფუძველი მარქსიზმს და ამიტომაც, ვინაიდან ის ითვალისწინებს ახალი ადამიანის ფორმირებას, განათლების საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება;
• რეალისტური ლიტერატურისთვის უმნიშვნელოვანესია საშუალო ფენის წარმომადგენლთა შემოყვანა ტექსტში — ისინი მთავარი პერსონაჟები ხდებიან;
• რეალიზმისთვის საინტერესოა პრესა და მის ფარგლებში შექმნილი რომანები ხშირად კრიმინალურ ქრონიკებს ეფუძნება. საგულისხმოა, რომ ბევრ რეალისტ მწერალს წიგნად არც გამოუცია თავისი რომანები — ისინი ჟურნალებში, მასობრივი მკითხველისთვის იბეჭდებოდა სერიებად. სწორედ ასე ვრცელდებოდა მასებში მათი ნაწარმოებები.

რეალისტური ტემპორალობა ორგანულად უკავშირდება მე-19 საუკუნის შუახანების რეპრეზენტაციის და ხედვის ახალ საშუალებას — ფოტოგრაფიას, საბუნებისმეტყველო დისკურსს — პოზიტივიზმს, მედიცინას, ბიოლოგიას, ფსიქოლოგიას, ისტორიზმს — ისტორიულ რომანს და ისტორიოგრაფიას, ისტორიის ფილოსოფიას, ფერწერას და მუსიკას.

რეალისტურ რომანებს დასაწყისში თავისებური სიმეტრია ახასიათებს, სადაც კულმინაცია და კვანძის გახსნა, პრაქტიკულად, სტრუქტურული თვალსაზრისით მეორდება ხოლმე სხვადასხვა ავტორთან და მკითხველის მოლოდინის ჰორიზონტს ემთხვევა. მაგრამ შემდგომში სულ უფრო ხშირია მოულოდნელობა. ამავე დროს, არაიშვიათად, მთელი რომანის თხრობა უკავშირდება არა მოვლენებს, არამედ პერსონაჟის გონებაში არსებულ აზრებს — როგორც ეს ხშირადაა დოსტოევსკისთან. მოგვიანებით შეიცვალა, ასევე, თხრობის სტილი. თუკი მანამდე ყოვლისმცოდნე ავტორი მშვიდად აღწერდა პერსონაჟებსა და მოვლენებს, სულ უფრო ხშირია შეზღუდული ინფორმაციის მქონე ავტორის თხრობა, რომელსაც მკითხველი ვერ დაეყრდნობა. მაგრამ ესეც უკავშირდება რეალიზმის მიზანს — რომ მაქსიმალურად ადეკვატურად აღწეროს სინამდვილე, რომელიც შეუცნობელი, არამყარი და მუდმივად ცვალებადია. რეალისტური რომანისთვის მნიშვნელოვანია მკითხველის თანამონაწილეობა და თან ავტორი დისტანცირებას ახდენს პერსონაჟებისგან ისე, თითქოს გარედან აკვირდება მათ, მაგრამ ამავდროულად, ხშირად მართავს მათ ცნობიერებას და ფიქრებს (ან სულ ცოტა, ყველაფერი იცის მათზე) და ისე წარმოგვიდგენს მათ, თითქოს ისინი დამოუკიდებლად მოქმედებენ და დამოუკიდებელნი არიან.

7. პოემა „მშვიდობის წიგნი“ გალაკტიონის სიცოცხლის ბოლო პერიოდში ფრაგმენტულად გამოქვეყნდა და თავის დროზე კრიტიკამ სათანადოდ ვერგაგების გამო, ის აბდა-უბდად შეაფასა. შესაძლოა, ის ირონიული ტონალობა, რომელიც გალაკტიონის ამ პოემას ახასიათებს, ე.წ. ტროას ცხენი იყოს, რომლის მიღმაც მისი დროისთვის გაბედული და იმდროინდელი სისტემისთვის, მკაფიოდ „მტრული“ პროექტი იმალებოდეს. მივყვეთ თანმიმდევრობით. პოემა თითქოს მითის სტანდარტულ სტრუქტურას იმეორებს: მასში მოთხრობილია წიგნის შესახებ, რომლის დაკარგვას/მოტაცებასაც აპოკალიფსის მაგვარი შედეგები მოჰყვება — წყალი თანდათან ფარავს ხმელეთს. ერთადერთი გზა წიგნის პოვნა და დაბრუნებაა, რასაც პერსონაჟის, თამარის თხოვნით, ტარიელი იტვირთავს. მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, ტარიელი წიგნს იპოვის და თავის ქვეყანაში დააბრუნებს. ამას მოჰყვება საყოველთაო ბედნიერება და ქვეყანაში მშვიდობა ისადგურებს.

მოქმედება ზღვის პირას ხდება და წიგნსაც ტარიელი ზღვით ეძებს. თითქოს პოემაში განსაკუთრებით უჩვეულო არაფერი ხდება. უბრალოდ, წიგნის ძიების გზაზე მთავარი პერსონაჟი, ტარიელი, რამდენიმე პერსონაჟად გარდაიქმნება (მეთევზედ, მენავედ, ზერად,

ლუარსაბად, მამიად), თითქოს სხვადასხვა ავატარის სახით უნდა მოევლინოს სამყაროს, რომ ინიციაციის საფეხურები გაიაროს და „მშვიდობის წიგნი“ დააბრუნოს. ასეთ დროს, როცა მკითხველიც ბოლომდე ახალი პერსონაჟის თავგადასავალზეა კონცენტრირებული, გალაკტიონიც ირონიანარევი ტონით შეგვახსენებს, რომ ამ შემთხვევაში ტარიელი სხვა ნიღბითაა წარმოდგენილი („რომელი ბერი.../ტარიელია!“, „რისი მამია.../ტარიელია!“, ლუარსაბ ჰქვია, / ნამდვილად კია — /ტარიელია, /რის ლუარსაბი!“).

პოემაში არაერთხელ მითითებულია, რომ მოქმედება ხდება კოლხეთში, ფაზისში. სანამ წიგნი კოლხეთში იყო: „ყოველი მხრიდან / იდგა ხალისი, / ძველი კოლხიდა —/ სამშობლო მისი —/ ხვდებოდა მომსვლელთ.“ ფაზისის შესახებ ვიცით, რომ ესაა იგივე ფასისი, რომელიც ანტიკური ხანის საქართველოს ქალაქია, რომელსაც ინტენსიური კავშირი ჰქონდა ანტიკურ ბერძნულ და რომაულ ცივილიზაციებთან. პოემაში ვხვდებით მრავლისმეტყველ ასეთ ფრაზასაც: „მაშ, ვიამაყოთ! / ფაზის ბრწყინვალე / წარსული, აწმყო / და დიდი ხვალე / გვახვევია გარს. / ის გაგვიღებს კარს, / იგი მოგვცემს მყარს / სიმშვიდეს მალე.“ რას უნდა ნიშნავდეს „დიდი ხვალე“? ან რატომ მოგვცემს ფაზისი „მყარ სიმშვიდეს“? და საერთოდ, რატომ აირჩია გალაკტიონმა მოქმედების ასპარეზად ფაზისი? აშკარაა, რომ ფაზისი და, ზოგადად, ზღვა, ზღვისპირეთი სტრატეგიული მნიშვნელობის მატარებელი ტოპოსია. ერთი მხრივ, ეს ვიცით ჯერ კიდევ უძველესი ტექსტებიდან („არგონავტიკაც“ საკმარისია, დავასახელოთ).

როგორც ვიცით, ზოგჯერ მომდევნო ხანის ავტორის მეშვეობით შესაძლებელი ხდება წინამავალი ავტორის ტექსტების წაკითხვა. „მშვიდობის წიგნში“, როგორც აღვნიშნეთ, წიგნის გატაცებას მოჰყვება სტიქიური უბედურება — წყალდიდობა („როგორ ვერ ხედავთ, / მატულობს წყალი.“). ოთარ ჭილაძის რომანის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ პირველი ნაწილი „აიეტი“, რომელიც, ვფიქრობთ, გალაკტიონის „მშვიდობის წიგნით“ უნდა იყოს შთაგონებული, მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ როგორც კი იასონი ფეხს დგამს კოლხეთის მიწაზე, ანომალიური მოვლენა ხდება — ზღვა უკან იხევს („საკმარისი იყო რამე უცნაური ამბავი მომხდარიყო ქალაქში, ზღვაც მაშინვე ისარგებლებდა და უკან დაიხევდა“). თანაც, რომანიდან მედეას და იასონის სახელებს გალაკტიონის პოემაშიც ვხვდებით: „აქ იაზონის / იდგაო ტერფი. / იგი აქ დგმული.“ ზღვის და, ზოგადად, ზღვისპირეთის, კონკრეტულად კი კოლხეთის, როგორც ანტიკურ სამყაროსთან დაკავშირებული უძველესი ცივილიზაციის სტრატეგიული მნიშვნელობა ოთარ ჭილაძის რომანის გათვალისწინებით კიდევ უფრო მკაფიო ხდება. ჭილაძის რომანი, ისევე როგორც გალაკტიონის პოემა, ანტისაბჭოური ნარატივის ერთგვარი მოდელი უნდა იყოს, რომელშიც საგანგებოდაა შერჩეული კოლხეთი, როგორც მოქმედების არეალი. ამის გათვალისწინებით მკაფიოა ზღვის, როგორც დასავლურ ცივილიზაციასთან დამაკავშირებლის სტრატეგიული მნიშვნელობა. პოემაში ასეთ სტრიქონებს ვხვდებით: „ჩვენი შავი ზღვა / ესოდენ ვრცელი, / სავსე, ვიდრე ხვალ, / კორიანტელით, /ღელავს, ამინდი / თუ არის მშვიდი — / მართლაც, რომ დიდი / წიგნია მთელი.“ პოემაში სხვაგან ზღვა მოხსენიებულია, როგორც სიამე („არა, ეს ზღვაა, / ეს სიამეა“). მაშასადამე, „მშვიდობის წიგნში“ გალაკტიონი ზღვას ირჩევს, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის მატარებელ ცნებას, რომელიც განსაცდელის დროს რეაგირებს ხოლმე, ხოლო ზღვისპირა მხარე არის ტერიტორია „შინ“, რომლის დაცვა და რომელზე ზრუნვაც ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების მოვალეობაა. სწორედ ამიტომ მიდის ტარიელი მშვიდობის წიგნის საძებნელად — „ვეფხისტყაოსანში“ ქაჯეთს გატაცებული ნესტან-დარეჯანის გამოხსნის მსგავსად. მშვიდობის წიგნის დაკარგვას წყალდიდობასთან ერთად ბევრი ანომალია ემატება და კოსმოსიდან ქაოსის მდგომარეობაში გადადის, რაც საზღვრების რღვევასაც გულისხმობს: „ეზო ჰგავს ქუჩას, / შემოდის ყველა, /ვისაც გზად უჩანს. / ვისაც

როგორ სურს, / ეპრიანება, / სისწრაფეა თუ / დაგვიანება, / შემოდის ყველა / მხეცი, წურბელა.“ სად იწყება და მთავრდება საზღვარი? ცხადია, იმ ტერიტორის გარშემო, რომელსაც მოვიხსენიებთ ცნებით „შინ“. ავტორის თქმით, არ არსებობს „არრა სამოთხედ / კოლხიდის გარდა“. კიდევ ვიცით ის, რომ საზღვარი ერთი მხრივ ფაზისს გადაღმაა, რადგან „წიგნი ფაზს გაღმა / რომ გაიტაცეს“. ამავე დროს, სივრცის „შინ“ საზღვრები არის ფაზისიდან დარიალამდე: „ფაზით - დარიალს / განთქმამ იალა, / და მთელი ერი, / ამერ-იმერი / მშობლიურ ჟღერით / ააგრიალა!“ — როცა ყველა, ვინც მოქცეულია სივრცეში „შინ“ ზეიმობს მშვიდობის წიგნის დაბრუნებას ქაჯეთიდან, სადაც ნესტან-დარეჯანივით დაატყვევეს „მშვიდობის წიგნი“.

8. სამყაროც მაგიური რეალიზმის რომანებივით მრავალშრიანია და ერთმანეთში გარდამავალი, როგორც ამას ეშერის სივრცობრივი თამაშების ნამუშევრებში ვხვდებით. მე-20 საუკუნიდან სამყაროს ამგვარი აღქმა გაღრმავდა, როცა ჯერ კიდევ აინშტაინმა დაიწყო საუბარი პარალელური სამყაროების არსებობის შესახებ.
მაგიურ რეალიზმამდე სამყაროს მსგავსი აღქმა არსებობს რომანტიზმის კულტურაშიც, რომელიც რეალობაში უჩვეულოს მოხელთებას უკავშირდება. ასეა, მაგალითად, თეოდორ ჰოფმანის მხატვრულ სამყაროში, სადაც რეალური პერსონაჟების გვერდით მოჩვენებები ცხოვრობენ; ან ვილიე დე ლილ ადანის შემოქმედებაში, რომლის პროზაშიც ხილულ რეალობაში სულები ნიშნებს იძლევიან.
დროის და სივრცის აღქმა მაგიურ რეალიზმში უჩვეულოა, თითქოს დრო და სივრცე, თუნდაც ხანდახან, არ არსებობს. ლათინოამერიკული მაგიური რეალიზმის რომანებში, ხშირ შემთხვევაში, ეპოსის თუ საოჯახო რომანის შექმნის სურვილი იგრძნობა.
რატომ აღიქვამენ ლათინოამერიკელები სამყაროს მაგიური პრიზმიდან?
როგორც ამბობენ, ევროპულსა და ლათინოამერიკულ პერსპექტივას შორის განსხვავებაა: ევროპულში მაგიური არის ყოველდღიურობაში რაიმე განსხვავებულის შეჭრა, რუტინის რღვევა; ლათინოამერიკულ კულტურაში მაგიურობა იმთავითვე ჩართულია მასში. გავიხსენოთ ალეხო კარპენტიერი, რომელიც ამ მოვლენას ლიტერატურაში „საოცარ სინამდვილეს“ ეძახდა. აქ კარპენტიერი, უპირველესად, იმას გულისხმობდა, რომ სიტყვა „საოცარი“ არასწორად იყო განმარტებული და გაგებული და მას „საოცართან“ და „აღფრთოვანების გამომწვევ“ ფაქტორთან აკავშირებდნენ. კარპენტიერის თქმით, საოცარი არის ნორმის დარღვევა, უჩვეულო, არაჩვეულებრივი. თვით ლათინური ამერიკის სინამდვილეც საოცარია და აქედან მომდინარეობს მიმართულების სახელი.
და მაინც, საიდან მოდის სინამდვილის ამგვარი აღქმა? ამის გასაღებს შეიძლება ლათინოამერიკული კულტურის დასაწყისის, ანუ კონკისტადორების ხანის კულტურის ანალიზში მივაკვლიოთ. სწორედ მათ ნაწერებში იკვეთება სინამდვილის, როგორც სასწაულის აღქმის საკითხი. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ლათინოამერიკელი მწერლების დიდი ნაწილი კონკისტადორების ჩანაწერებს კითხულობდნენ. კონკისტადორების ტექსტებიდან აშკარაა, რომ ადამიანები, რომლებიც ახალი მიწების/სამყაროს აღმოჩენას ესწრაფოდნენ, სინამდვილეში ფანტაზიის, მოჩვენებების, სასწაულის არსებობაში დარწმუნებული რომანტიკოსი ადამიანები იყვნენ, რომლებიც თავიანთი წარმოსახვის ხმას მიყვებოდნენ. ეს ხმა ეძახდა მათ ახალი სივრცეების აღმოსაჩენად. რეალურად, ისინი იმ სამყაროებს ეძებდნენ, რომლებიც ზღაპრებსა და ლეგენდებშია შემონახული — ზუსტად ასეთი მაგიური მხარეა, თუნდაც, უკვდავების მხარე. რეალურად, კონკისტადორები მართლაც თვლიდნენ, რომ ახალი სამყარო სადღაც კიდეში მდებარეობდა და სრულიად განსხვავებული იყო. ეს სამყარო იმთავითვე სასწაულებრივად

ითვლებოდა. ამიტომაც აღიქვამდნენ ისინი სასწაულის პერსპექტივიდან ყველაფერს, რასაც აქ ხედავდნენ. ლათინოამერიკელი მწერლების აღქმაში სწორედ ევროპელების მიერ ახალი სამყაროს აღქმის პირველადი ხატებია დალექილი. პერსონაჟების დონეზეც, ისინი თითქოს ცდილობენ ისეთი პერსონაჟების შექმნას, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ადამიანური ნორმის დაძლევის დაუოკებელი სურვილი. ამით არიან შეპყრობილი ისინი. იქნებ აქაც ისეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე, რაც ბრაზილიურ კულტურასა და ენაში სიტყვა Saudade გულისხმობს, რასაც, ალბათ, არც მოეძებნება ეკვივალენტი სხვა ენაზე. ესაა ადამიანის, რაიმე ადგილის თუ წამის მიმართ მძაფრი ლტოლვა და რამდენადაც ეს სიტყვა კონცეპტუალურად შეიძლება სიამოვნებასთან იყოს დაკავშირებული, იმდენადვე გულისხმობს ნოსტალგიას და სევდას.

„სულების სახლში“ გვხვდება სინამდვილისა და წარმოსახვის ზღვარზე მყოფი ისეთი პერსონაჟები, როგორიცაა როზა, რომელიც მწვანე თმით დაიბადა; წარმოვიდგენდი, როგორ დადიოდა ის პლასა დე არმასზე, სანტიაგოში და როგორ აყოლებდნენ მას თვალს ადამიანები — ზუსტად ისე, როგორც ეს ნეორეალისტურ კინოშია, იმ განსხვავებით, რომ როზას პერსონაჟი ყურადღებას იქცევს არა როგორც სექსუალური ობიექტი, არამედ როგორც არაამქვეყნიური სილამაზის და აურის მატარებელი, ეთერივით გამჭვირვალე ადამიანი.

9. „გზაზე“ სამოგზაურო ჟანრის ლიტერატურაა, რომელშიც ტექსტი სუბიექტური პერსპექტივითაა ორგანიზებული — მთხრობელი პირველ პირში გვიამბობს თავგადასავალს. თხრობა ხშირ შემთხვევაში წერილს ან დღიურს ემსგავსება. ძირითადად, წიგნი მომხდარი მოვლენების შესახებ მოგვითხრობს, მაგრამ რომანში უფრო შორეული წარსულის გახსენებებიც გვხვდება და მომავალ მოვლენებზეც არის ხოლმე მინიშნება. კერუაკის ეს ტექსტი მე-20 საუკუნის შუა პერიოდის ერთ-ერთი საუკეთესო ამერიკული რომანი-ქრონიკაა, რომელშიც ომისშემდგომი ამერიკის სურათს ვხედავთ. მთხრობელი 27 წლის მწერალი სოლ პერედაიზია — ყოფილი მეზღვაური, რომელიც ცოლს გაშორდა და მოგზაურობა გადაწყვიტა. სოლი მოგზაურობიდან იღებს შთაგონებას თავისი ტექსტებისთვის. დინ მორიარტის პერსონაჟი კი, რომლის პროტოტიპია ბიტ-დაჯგუფების კიდევ ერთი წარმომადგენელი ნილ კესიდი, რომანის ერთგვარი მამოძრავებელი მუხტია, ჩაუქრობელი ლტოლვის განსახიერება, თავისი ავანტიურებით. სწორედ ის აღუძრავს კერუაკს მოგზაურობის სურვილს. დანარჩენი ბიტნიკებისგან განსხვავებით, ნილ კესიდი არ წერდა, მაგრამ ერთ დღეს მან კერუაკს გაუგზავნა ტექსტი „ჯოან ანდერსონის წერილი“, რომელსაც კერუაკმა „ყველაზე ძლიერი ტექსტი“ უწოდა. წერილი ე.წ. ცნობიერების ნაკადის ტიპის ნაწერი იყო, სადაც კესიდი სასვენი ნიშნების, აბზაცების გარეშე გადმოცემდა ნააზრევს, უსისტემოდ და უწყვეტად. როგორც მოგვიანებით იხსენებდა კერუაკი, წერის ამ მეთოდმა შთააგონა მას რომანის ფორმა. თავის მეთოდს კერუაკმა „სპონტანური წერა“ უწოდა, რომელიც ისეთ წერას გულისხმობდა, როცა ავტორმა არ იცის, რას წერს, უბრალოდ, სპონტანურად წერს და ზედაპირზე ამოაქვს საკუთარი არაცნობიერი, ცენზურის გარეშე, რიტმის დინებით, რადგან პირველად გაჩენილი აზრი ყველაზე ზუსტად გამოხატავს სათქმელს. აქ სასვენი ნიშნების გამოყენების წესებიც დარღვეულია, რადგან სასვენი ნიშნები ხშირ შემთხვევაში ხელს უშლის სპონტანურობას. ამ სპონტანურობით ტექსტი ჯაზურ იმპროვიზაციას მოგვაგონებს. ფაქტობრივად, კერუაკის „გზაზე“ არის ნიმუში, თუ როგორ შეიძლება ჯაზური მუსიკა საბეჭდ მანქანაზე სინკოპებად აკრეფილ ჯაზურ იმპროვიზაციად — ტექსტად აქციო. როგორც ჯაზია სპონტანური, ისევე სპონტანური და იმპროვიზაციისთვის დამახასიათებელ „აქ და ახლაზეა“ აგებული ეს ტექსტიც, დიზი გილესპის ბი-ბოპივით, რომელიც არაერთხელ ისმის რომანში. თავის დროზე, როცა რომანის

საჯარო კითხვები ეწყობოდა, კერუაკი რომანის ფრაგმენტებს სწორედ ჯაზური კომპოზიციების ფონზე კითხულობდა.

რომანის სამოქმედო სივრცეა მეოცე საუკუნის შუა პერიოდის ამერიკა — ნიუ იორკი — აღმოსავლეთით, სან ფრანცისკო — დასავლეთით, ლოს ანჯელესი და ნიუ ორლეანი — სამხრეთით. რომანის ამ სამოგზაურო რუკაზე ზღვრული სივრცეა დენვერი, სადაც მეგობრები პერიოდულად ჩერდებიან ხოლმე. სოლის პერსპექტივიდან ვეცნობით აშშ-ს სხვადასხვა მხარეს. მოგზაურობისადმი სოლის ვნება თითქოს ევროპიდან ამერიკისკენ დაძრული წინაპრების სულისკვეთების გამოძახილია; წინაპრების, რომლებიც ახალი მიწების აღმოჩენის წყურვილმა გზას გაუყენა ზღაპრის გმირებივით, რადგან სიახლის აღმოჩენის სურვილი მშობლიურ სივრცეში გაჩერების და სიმშვიდის საშუალებას არ აძლევდა მათ. მოგზაურობა ხომ, ერთი მხრივ, შემეცნება და ახლის აღმოჩენაა და, იმავდროულად, ნაცნობის სხვა თვალით დანახვის წინაპირობა.

რაღაც დროს რომანში შემოდის მამის ძიების თემაც. დინ მორიარტის მიერ მამის ძიების თემას თავისებური სიმბოლური დატვირთვა აქვს და დაობლებული, დაკარგული თაობის თვითძიებასავითაა, რადგან ფონად მუდმივად იგრძნობა ამერიკული ოცნებების მარცხი, როცა ახალი თაობა აჰულებულია, ცხოვრების ალტერნატიული მხარეები ეძებოს. თან მოგზაურობა სინამდვილიდან გაქცევაცაა, თავისი თანმხლები ზღვარგადაცდენებით თუ საზღვრების შემოწმებით და მისი გაფართოებით — როგორც სიახლის შემომტანებს ჩვევიათ, როცა სინამდვილის მიმართ სრულიად ახლებური ხედვით თავდაპირველად შოკში აგდებენ საზოგადოებას (როგორც თავის დროზე ლორდ ბაირონი), მაგრამ შემდეგ აღმოჩნდება, რომ რეალურად გაბატონებული შეხედულებები დროით დაღდასმული სტერეოტიპებია და მეტი არაფერი. საზოგადოებრივი წესების დარღვევის გამო, ბუნებრივია, რომანის მთავარ პერსონაჟებს ხშირად აქვთ პრობლემები პოლიციასთან.

„გზაზე“ უმნიშვნელოვანესი წიგნია ბიტნიკებისთვის — 1950-იანი წლების კონტრკულტურული სახელოვნებო და ლიტერატურული მოძრაობისთვის. ბით მოძრაობის ისტორია კოლუმბიის უნივერსიტეტიდან დაიწყო, როცა 1944 წელს იქ ერთმანეთი გაიცნეს ალენ გინზბერგმა, ჯეკ კერუაკმა და უილიამ ბეროუზმა, რომელიც ასაკით პირველ ორზე უფროსი იყო. ისინი ლიტერატურულ საღამოებს მართავდნენ და ინტელექტუალურ თემებზე საუბრობდნენ. ნარკოტიკები მათთვის ცნობიერების გაფართოების საშუალება, ნამდვილი ლიტერატურის შექმნის გზაა, როგორც ერთ დროს ოპიუმი და ალკოჰოლი იყო „სხვა“ სინამდვილის აღმოჩენის საშუალება ბოდლერისა და სიმბოლისტებისთვის. ტერმინ Beat-ის გაჩენას ბიტნიკების ერთ-ერთ წარმომადგენელს, ჰერბერთ ჰანკეს უკავშირებენ, რომელსაც ერთხელ ბეროუზისთვის უთქვამს: „Man, I'm beat“ („დაბრედილი ვარ, ძმაო“). ასე იქცა ჟარგონი მთელი მიმდინარეობის სახელწოდებად. პოეტმა და კრიტიკოსმა ჯონ კლელონ ჰოლმსმა ამ მიმდინარეობის შესახებ თავის სტატიას ასე დაარქვა: „This is a Beat Generation“, რომელიც 1952 წელს New York Times Magazine-მა დაბეჭდა. მასში უკვე მკვეთრად გაივლო ზღვარი ე.წ. დაკარგულ ჰენრი მილერის თაობასა (რომელმაც ბით მოძრაობის წარმომადგენლებზე, უდავოდ, დიდი გავლენა მოახდინა) და ბით თაობას შორის, რომელთათვისაც მთავარი იყო არა ცხოვრებისეული საზრისის ძიება, არამედ ცხოვრების ნირის საკითხი. ბით თაობის ეთოსი ყველაზე კარგად ჩანს სოლის მონოლოგში რომანიდან: „მხოლოდ გიჟებს ვთვლი ადამიანებად, ვისაც სიგიჟემდე უნდა, იცხოვროს, ვინც შეშლილივით გელაპარაკება, ვისაც გაგიჟებით უნდა, შეამჩნიონ და თან ყველაფერს დახარბებულია, ყველაფერი ერთბაშად უნდა, რომ მიიღოს. ისინი არასოდეს ამთქნარებენ

მოწყენილობისაგან და არც გაცვეთილი ფრაზებით ლაპარაკობენ. მხოლოდ იწვიან, იწვიან, იწვიან რომაული ყვითელი სანთლებივით და მერე ფეთქდებიან, რათა ვარსკვლავებს ობობას ქსელისმაგვარი შუქი მოაფრქვიონ." ბით თაობა თავის თავში ატარებდა ერთგვარ „დაბრედილობას", თუმცა კერუაკი შეეცადა, ამ ცნებაში დადებითი კონოტაცია შეეტანა, როცა ის Beat-ს beatific-თან (ნეტარ მდგომარეობასთან), სამყაროს ნეტარ მიღებასთან აკავშირებდა. ტერმინი Beat, ასევე, დარტყმასაც ჰგავს და ამ თვალსაზრისით ჯაზთან ასოცირდება. ჯაზიც ხომ კონტრკულტურაა თავისი შინაარსით, რომელიც იმ დროს მარგინალიზებული შავკანიანების მუსიკა იყო. ამიტომაც იქცევა ჯაზი ერთგვარ პროტესტად და თავისუფლების გამოხატულებად. ბიტნიკების თაობა დამსხვრეული თაობა, რომელმაც მათ თანამედროვე კონსერვატიულ საზოგადოებრივ სისტემაში ვერ იპოვა ადგილი. მათ ნიადაგი შეამზადეს ჰიპების აღმოსაცენებლად, თავიანთი პაციფისტური მიდგომით. ბიტნიკების კულტურაზე აღზრდილი ახალგაზრდა თაობა მოგვიანებით, ვიეტნამის ომის პროტესტის ნიშნად, საბრძოლო მზადყოფნაში მოსული, რობოტებად ქცეული ჯარისკაცების იარაღების ლულებში ყვავილებს ჩარგავენ.

10. მოხსენებაში ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელს" გავიაზრებთ ლიმინალობის თეორიის კონტექსტში. ლიმინალობის ცნება ორ განსხვავებულ სივრცეს შორის გასასვლელს, მიჯნას აღნიშნავს. ლიმინალობა: სოციალური სტატუსის, ღირებულებების, წესების, პრინციპების, პიროვნული თუ სხვა ტიპის ტრანსფორმაციას, უპირველესად, კი, იდენტობის ძიების პროცესს უკავშირდება. ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორიის თანახმად, ნებისმიერი სახის ცვალებადობა გულისხმობს 3 ფაზას. 1. სეპარაცია ანუ გამოცალკევება; გარკვეული სოციალური ერთობისაგან გამიჯვნა ინდივიდუალური არჩევანის საფუძველზე; ამ დროს ინდივიდი ერთობისათვის ნიშნეულ მახასიათებლებს კარგავს. 2. ლიმინალობა, ეს, სტადია მოიცავს ნორმატიული კონტექსტისაგან გამოცალკევებას და ადრინდელის საპირისპირო სამყაროს შექმნას. 3.ინკორპორაცია/რეაგრეგაცია, გაერთიანება, საზოგადოებაში განახლებული სოციალური სტატუსით დაბრუნება.
ლიმინალობის თეორია კვლევის ინტერდისციპლინურ მეთოდად მიიჩნევა. მისი საშუალებით შესაძლებელია ჰუმანიტარული თუ სოციალური აზროვნების სფეროს სხვადასხვა მოვლენის გააზრება. ამ მხრივ, საყურადღებო სურათს გვთავაზობს მხატვრული ლიტერატურაც.
სწორედ ამ თვალსაზრისით შევარჩიეთ საკვლევ ტექსტად ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი". ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ „სტუმარ-მასპნძელში" გადანაცვლების რიტუალის ყველა ფაზას გადის ჯოყოლა. მართალია, თითქმის ყველა მოქმედი პირი (მუსა, ჯოყოლა, აღაზა) არღვევს იმ წესებს, რომლის მიხედვითაც ცხოვრობს, თუმცა, განსხვავებულია მათი ქმედების მოტივი. ინდივიდის თვითშემეცნების პროცესი ყველაზე მეტად ჯოყოლას სახეში ვლიდება. თუ „ალუდა ქეთელაურის" შემთხვევაში, ლიმინალობის კონდიციაგადალახული ალუდა ოჯახთან ერთად მიდის სოფლიდან, გაურკვევლია საით, მაგრამ მთავარია, რომ ის აღარაა ცნობიერად იმ თემის ნაწილი, რომლის სახელიანი წევრიც იყო. სოფელში რჩება მინდია, რომლის საქციელის საფუძველზე (ბავშვებს არ მისცა მუცალის მკლავის ძვლით თამაშის უფლება), შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასში იგრძნობა ლიმინალობის პოტენციალი. „სტუმარ-მასპინძელში" კი, ჯოყოლას და აღაზას სიკვდილის შემდეგ ამგვარი პერსონაჟი არ ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ ზვიადაურის შეწირვის სცენის ნახვისას, ზევრი ქისტი თითქოზს ნანობს ამ სისატიკეში მონაწილეობას, აქ უფრო ბრბოს ფსიქოლოგია მოქმედებს. როგორც სერჟ მასკოვიჩი ნაშრომში „ბრბოს საუკუნე" აღნიშნავს, პოტენციურ

ბრბოდ, ხანმოკლე დროით, საერთო ინტერესების მიხედვით, შეიძლება იქცეს ადამიანების დიდი გაერთიანება...რომლებიც უკიდურესად ემოციურად და ერთსულოვნად მოქმედებენ (მასკოვიჩი). სწორედ ასე იქცევიან ქისტები ზვიადაურის შეპყრობის და მკვლელობისას. „სტუმარ-მასპინძელში", "ალუდა ქეთელაურის" მსგავსად, ინდივიდის ტრანსფორმაციის პროცესს ვადევნებთ თვალს, თუმცა, განსხვავებული ვარიაციებით.

11. ცხოველთა სამყარო მდიდარი წყაროა სიმბოლოებისა და იკონოგრაფიისათვის. ერთ-ერთი საინტერესო და გავრცელებული სახეა ლომი. საყურადღებოა ლომის სახის თამარ მეფესთან მიმართება. თამარ მეფესთან მიმართებით ლომის სახე არაერთხელაა ნახსენები იოანე შავთელთან, თუ მის ისტორიკოსებთან სხვადასხვა კონტექსტში. ერთ შემთხვევაში, ლომი ჰიპერბოლაა, მეორეგან, ეპითეტი, მესამეგან, შედარება. განსაკუთრებით საგულისხმოა ჟამთააღმწერლის ცნობა, რომლის თანახმადაც, სიკვდილის წინ ლაშა - გიორგიმ იხმო წარჩინებულნი და მათ ასე მიმართა: „ნათქვამი არის მუელთა, ლეკვი ლომისა სწორია, მე იყოს, თუნდა ხვადია. და ეს სიტყვა მეფეთ მეფეს დედას ჩემს თამარზედაც ითქმის. ახლა ჩემი დის, რუსუდანის შესახებ მოგახსენებთ".
ლაშა-გიორგის მიერ წარმოთქმულ ფრაზებში, რომელიც „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი სტრიქონის რემინისცენციაა („ლეკვი ლომისა სწორია, მუ იყოს, თუნდა ხვადია), ლომი სიმბოლოა.
სხვადასხვა შემთხვევაში, შიდა თუ გარეტექსტობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, რუსთველთან, მეხოტბეებთან, მემატიანეებთან, ვფიქრობთ, შესაძლებელია ლომის სახის: ეთიკურ, მხატვრულ-ესთეტიკურ, ასევე ქალთა და მამაკაცთა გენდერულ თანასწორობის ჭრილში გააზრება. თუმცა, დასახელებულ აღქმათაგან გარკვეულწილად განსხვავებულია ტაეპის - „ლეკვი ლომისა სწორია, მუ იყოს, თუნდა ხვადია" და მისი ლაშა-გიორგისეული რემინისცენციის ჩვენეული ინტერპრეტაცია. ის ემყარება ლომის სახის თამარ მეფის გვირგვინის შემამკობელი იაკინთის თვალის სიმბოლიკის კონტექსტში გააზრებას, რომლის მიხედვით ხაზგასმულია ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის, იუდას მოდგმისაგან ჩამომავლობის იდეა, რაც თავის მხრივ, შეიძლება დავუკავშიროთ, მეფე-ქალის მმართველობის უფლების განმტკიცების ცდას. რუსუდანიც ამ ხაზის გამგრძელებელია, ისიც, ქალია, მაგრამ, როგორც ბაგრატიონს, სამეფო გვარის წარმომადგენელს ქვეყნის სრულუფლებიანი მმართველობის უფლება აქვს.
12. ამა თუ იმ ეპოქაში კონკრეტული ლიტერატურული ჟანრების გააქტიურება გარკვეულ კანონზომიერებებს, ისტორიულ-კულტურულ, სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტს, მსოფლმხედველობრივ მახასიათებლებს ემყარება. ოდა, როგორც ჟანრი, ანტიკურ პერიოდში აღმოცენდა, ამ დროის ცენტრალურ ჟანრთა შორისაა და შემდეგ, რენესანსის ეპოქაში აღორძინდა. შუა საუკუნეების თავისებური ანუ რელიგიური სააზროვნო სისტემისათვის ოდა ნაკლებად აქტუალური ჟანრია, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის არერთი ქვეყნის პოლიტიკური პროცესებისათვის მეფის განდიდების იდეა და შესაბამისად, ოდის ჟანრი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ამ მხრივ, საყურადღებოა ქართული ლიტერატურული სივრცეც. მე-11, მე-12 ს-ებში იწერება სახოტბო ტექსტები: არსენ ბერის „მეფესა დავითს...", ასევე ჩახრუხაძის „თამარიანი" და შავთელის „აბდულმესია".
ყურადღებას „თამარიანის" ერთ პასაჟეზე შევაჩერებთ.
„გულო, აბა მო, დაუსაბამო,
თამარ ვთქუა ნათლად დასაბამისად,
მზეებრ სავანე, სულის სავანე,
თან გამწყოდ ძისად, სწორად მამისად „ (74. 1,2).

მოხმობილ ეპიზოდზე არაერთი მეცნიერი მსჯელობდა (კ. კეკელიძე, ზ. გამსახურდია, ივ. ლოლაშვილი, გ. კუჭუხიძე); მათგან განსხვავებული შეხედულება გვაქვს. ვფიქრობთ, ჩახრუხაძის სიტყვები ასე შეიძლება გავიგოთ, თამარი, საღვთო ნათლით გაბრწყინვებული, მზის მსგავსი სავანეა, რადგან მასთან დავანებულია სული (სულიწმიდა). იგი ღირსია „ძედ" წოდებისა, იმიტომ, რომ მსგავსია ღვთისა („მამისა"), ანუ ამ შემთხვევაშიც საუბარი შეეხება ქრისტიანულ სწავლებას, რომლის თანახმად, ადამიანი ღვთის „ძეობის" ღირსი შეიქმნება მაშინ, როცა იგი აღწევს ღვთის მსგავსებას, ანუ თავისი არჩევანისა და ცხოვრების კვალობაზე მადლით განღმრთობილია.

13. უმაღლესი საერო ხელისუფლების ღვთისსწორობის იდეა უძველესი დროიდან არსებობდა. მეფობა გაიაზრებოდა ერთგვარ წმინდა ინსტიტუციად, რომელიც ღვთაებრივის სფეროს განეკუთვნებოდა. მეფის ხელისუფლება ღვთისაგან დადგენილად რომ იყო მიჩნეული ქართულ სინამდვილეშიც. ხელმწიფის ღვთისაგან კურთხეულობის იდეა, აისახა თამარ მეფის ისტორიებშიც.ნაშრომში თამარ მეფის მატიანეთა კონკრეტული პასაჟების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ საქართველოში მიუხედავად საერთო რელიგიურ-კულტურული არეალისა, ბიზანტიისაგან განსხვავებული სიტუაცია იყო. ქრისტიანული ტრადიციის თანახმად, მეფეს აქაც ღვთისაგან ხელდასხმულად მიიჩნევდნენ, მაგრამ ის არ გაუღმერთებიათ. ჩანს, ქართულ რეალობაში კარგად ყოფილა გააზრებული ქრისტიანული სწავლება,-„ბუნებით ღმერთობისა" და „მადლით ღმერთობის" შესახებ.

**6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში**

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

პალეოკავკასიელ ხალხთა ისტორიის ზოგადი სურათი ნეოლით-ენეოლითის, ბრინჯაოსა და რკინის ხანების არქეოლოგიური კულტურების მემკვიდრეობითობაზე უნდა მიუთითებდეს და არა მათ ტრანსფორმაციაში კავკასიის მოსახლეობის გლობალური ცვლილებებით განპირობებულ გავლენებზე (ბუნებრივია, არ გამოირიცხება კულტურათაშორისი კავშირები). საქმე ეხება პალეოკავკასიელთა არამარტო უძველესი არქეოლოგიური კულტურების მემკვიდრეობითობას, არამედ ამ კულტურებთან მიმართებაში ანტიკურ და შუა საუკუნეების წერილობით წყაროებსა და გვიანი ხანის ცოცხალ ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულ (რეალურ) მონაცემებს, ანუ პალეოკავკასიელთა ეთნოკულტურული განვითარების უწყვეტ ჯაჭვს, დაწყებულს ნეოლით-ენეოლითიდან და დამთავრებულს შუა საუკუნეებით. ასეთი თამამი თვალსაზრისის საფუძველს იძლევა ნეოლით-ენეოლითური და მომდევნო პერიოდების კულტურების შემქმნელთა ენობრივი და ეთნიკური კუთვნილების დადგენის შესაძლებლობა, რაც ჩვენს ნაშრომში განხორციელებული კვლევების თანამედროვე თუ მომდევნო ეტაპებზე ასევე კომპლექსური მიდგომების აუცილებელი აპრობირებით საბოლოოდ წყდება. ამიტომაც (სწორედ ამ მიზნით) ადრეული კულტურების მონაცემებთან ერთად, მონოგრაფიაში წარმოდგენილია შუა საუკუნეების პალეოკავკასიელი ხალხების პირველადი წარმოებისა და სიცოცხლის უზრუნველყოფის, სოციალური და ნორმატიული, ჰუმანიტარული და ირაციონალური სტრუქტურების მეტნაკლებად სრული სურათი.

ლინგვისტური თვალსაზრისით, წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა პალეოკავკასიური ანთროპოლოგიური სამყაროს რეკონსტრუქციას, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი ენობრივი ქვესისტემებით: ქართველური, ნახური, აფხაზურ-ადიღური (სინდური) და დაღესტნური; კვლევა ითვალისწინებდა აღნიშნულ ენათა ძირითადი (ბაზისური) არქაული ლექსიკური ფონდის ეტიმოლოგიურ კვლევას და პროტოკავკასიური არქეტიპების გამოვლენას. ამ კუთხით მრავალფეროვანი სამუშაოებია ჩატარებული, სადაც არქეტიპების გარკვეული (არასრული) რაოდენობა აღდგენილია ოთხივე ფუძეენის დონეზე. გამოვლენილი ვრცელი და უნიკალური იზოგლოსური მასალის საფუძველზე რეკონსტრუირდება პროტოკავკასიური ენის სემანტიკური ლექსიკონის კულტურული ნაწილი, რომელიც ფუძეენის ძირითადი ლექსიკური ფონდის არქაულ შრეებს წარმოგვიდგენს, არა მარტო ფორმობრივი, არამედ სემანტიკური თვალსაზრისითაც, რაც წარმოაჩენს პროტოკავკასიური ენის მატარებელი სოციუმის განსხვავებულ მსოფლაღქმას. ფუძე-ენათა დონეზე რეკონსტრუირებული არქეტიპების შედარება რეგიონის უძველესი ცივილიზაციის ენებთან (შუმერული, ხათური, ჰურიტულ-ურარტული, ეტრუსკული...) მომავალში ხელს შეუწყობს ევროპა-აზიის არაინდოევროპულ ეთნოსებთან პალეოკავკასიელთა შესაძლო გენეტიკური კავშირისა და მათი ეთნოგენეზის პრობლემის კვლევას.

პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ინდოევროპეისტიკისა და კავკასიოლოგიის საკვანძო თემის - კავკასიის რეგიონის პირველადი დასახლების - გლობალური პრობლემის ძირითად საკითხებს, რაც ასევე გულისხმობს პროტოკავკასიელთა და სხვა პროტოხალხთა არეალური კონტაქტებისა და განსახლება-მიგრაციის არეალის განსაზღვრას, კავკასიელების ყოფასა და კულტურასთან დაკავშირებული ენობრივი მასალების ლინგვისტურ-ანთროპოლოგიურ ანალიზს; შერჩეული ლექსიკური ერთეულების, ტერმინების რეკონსტრუქცია და არქეტიპთა აღდგენა განხორციელდა ჯერ ოთხ ფუძე-ენაზე: პროტოქართველურზე, პროტოაფხაზურ-ადიღურზე (resp. პროტოსინდურზე), პროტონახურსა და პროტოდაღესტნურზე და შემდეგ მოხდა მათი შეჯერება, შესაძლებლობის ფარგლებში, უძველესი ცივილიზაციის ენების (შუმერული, ხათური, ჰურიტულ-ურარტული, ეტრუსკული...) მონაცემებთან; და საჭიროების მიხედვით, განხორციელდა გარკვეული სემანტიკური ჯგუფის არქეტიპთა რეკონსტრუქცია პალეოკავკასიური ფუძეენის დონეზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ საქართველოს ჰუმანიტარული კვლევების ისტორიაში პირველად შეიქმნა ინტერდისციპლინური ხასიათის ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომი - ახალი პარადიგმა მეცნიერებაში, რომელიც, მიმდინარე კვლევათა შედეგების ფონზე, სრულად (კომპლექსურად) წარმოაჩენს თანამედროვე კავკასიელი ხალხების (resp. პალეოკავკასიელების) ენობრივ, კულტურულ და ყოფით სამყაროს.

წარმოდგენილი ნაშრომი მდიდრდება ასევე ინგლისური ვერსიის პოვნიერებით, რომელიც ძირითად დებულებებს ადეკვატურად ასახავს.

2.

5. პატენტები (არსებობის შემთხვევაში):

5.1. საერთაშორისო პატენტები:

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

5.2. ეროვნული პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN;

გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

**1. მანანა ბუკია, ნუგზარ ანთელავა, მერაბ ჩუხუა, ეთნოლინგვისტურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, ISBN 978-9941-503-94-8, თბილისი, 2023, გამომც. „მწიგნობარი", 214 გვ.**
**2. მანანა ბუკია, ნუგზარ ანთელავა, ირმა კვაშილავა, მერაბ ჩუხუა, ქართული კულტურის ეთნოლინგვისტური ენციკლოპედია, ISBN 978-9941-503-98-6, თბილისი, 2023, გამომც. „მწიგნობარი", 694 გვ.**

**3. ნანა მაჭავარიანი, ფაუნის ლექსიკა აფხაზურში (სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი), თბილისი, 2023, (მონოგრაფია), (160), ISBN 978-9941-36-152-4**
**(ბეჭდური)**
**4. ვახტანგ გურული, ალექსანდრე დაუშვილი, ჯონი კვიციანი, ბუბა კუდავა, ეთერ ბაიდოშვილი; კავკასიის ისტორია: I; ISBN 9789941504440; თბილისი, არტანუჯი; 819 გვ.**

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. „ეთნოლინგვისტურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი", რომელიც მოიცავს 800-მდე ტერმინსა და მის ვარიანტებს, გარკვეულწილად აჯამებს თანამედროვე ლინგვისტური კვლევების შედეგებს და მეტნაკლები სისრულით ასახავს ეთნოლოგიურ და ლინგვისტურ ტერმინოლოგიას, როგორც ზოგადს, ისე კავკასიის რეგიონთან დაკავშირებულს. ამავდროულად, ლექსიკონი, რომელიც პირველ რიგში სამეცნიერო სფეროს განეკუთვნება, საინტერესოა მკითხველთა ფართო სპექტრისათვის, ვინაიდან ქართულ ენაზე საკმაოდ ვრცლად განმარტავს, სისტემურად აღწერს პრაქტიკაში (სამეცნიერო მიმოქცევაში) არსებულ, ეთნოლინგვისტურ ტექსტებში გამოყენებულ ძირითად ტერმინებს.
რამდენადაც ეთნოლინგვისტიკა დისციპლინათშორისი მეცნიერებაა და მოიცავს კულტურულ და ლინგვისტურ ასპექტებს, სავსებით ბუნებრივია, რომ მის ტერმინოლოგიას საფუძვლად დაედო ეთნოლოგიური და ლინგვისტური ტერმინები, რომლებიც, როგორც წესი,

ეთნოლინგვისტურ ტექსტებში ზუსტდება და ივსება დამატებითი შინაარსით. ნათელია, რომ რეალურად არსებული ეთნოლინგვისტური ტერმინოლოგიის მრავალფეროვნება ამით არ ამოიწურება, რადგანაც დისციპლინა დინამიკურად ვითარდება და მრავალი უცხოელი თუ ადგილობრივი ავტორი მიდრეკილია ინდივიდუალური ტერმინშემოქმედებისაკენ; სასურველია ტერმინთა შეგროვება-შევსება და ინტერპრეტაცია მომავალშიც გაგრძელდეს.

**2. ნუგზარ ანთელავა, მანანა ბუკია, ირმა კვაშილავა, მერაბ ჩუხუა, ქართული კულტურის ეთნოლინგვისტური ენციკლოპედია (ძირითადი მახასიათებლები), ISBN 978-9941-503-98-6, თბილისი, 2023, გამომც. „მწიგნობარი“, 694 გვ.**

მართალია, ქართული ეთნიკური კულტურის შესწავლა XIX საუკუნის II ნახევარში დაიწყო და მოგვიანებით გ. ჩიტაიას მიერ შექმნილმა ეთნოლოგიურმა სკოლამ მნიშვნელოვნად განავითარა ცოდნის ამ დარგის მიღწევები, მაგრამ პრობლემის კვლევა ეთნოლოგიური მეცნიერების ჩარჩოებს არ გაცდენია, ისევე როგორც ქართული ენათმეცნიერების უდავოდ დიდი წარმატე-ბები ძირითადად ლინგვისტიკის ფარგლებში ვლინდება და ეთნოკულტურასთან მისი შეხება უკეთეს შემთხვევაში ცალკეული ნომინების ეტიმოლოგიზირებით განისაზღვრება.
წიგნზე მომუშავე ჯგუფის ძირითადი ამოცანა გახდა პირველადი წარმოების (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მონადირეობა, მეფუტკრეობა, ხელოსნობა და შინამრეწველობა), სიცოცხლის უზრუნველყოფის (საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, ავეჯი, კოსტუმი, კვების სისტემა), სოციალური (ოჯახი და საოჯახო წეს-ჩვეულებები) და ჰუმანიტარული (ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, დღესასწაულები, ზეპირსიტყვიერება, მითოლოგია, ხალხური რწმენა-წარმოდგენები) კულტურების მხოლოდ ძირითადი მახასიათებლების აღწერა. ავტორთა ჯგუფის დიდი სურვილია კვლევა გააგრძელოს და ნაშრომს ჭეშმარიტად ეთნოლინგვისტური ხასიათი მისცეს.

**5. მერაბ ჩუხუა, ნუგზარ ანთელავა, მაგომედ მაგომედოვი, კავკასიის ხალხები, კულტურები, ენები. 1. ავტოქთონი მოსახლეობა, ISBN 978-9941-8-5319-7, თბილისი, 2023, გამომც. „ფავორიტი“, 562 გვ.**

კავკასიური რეალობის სირთულე, ეთნიკურად და ენობრივად, ევრაზიულ ენობრივ სივრცეში რაიმე სახის ხელჩასაჭიდი გარენათესაობის დამადასტურებელი გენეტიკური პარალელების გარეშეა წარმოდგენილი. რეგიონის ძირძველი ენები და ეთნოსები ერთდროულად აჩვენებენ არქაული წარმომავლობის საერთო ნათესაობრივ (ზოგჯერ არეალური კონტაქტებით შეძენილ) კოგნატებს, მაგრამ ასევე რადიკალურად განსხვავდებიან მათში გრამატიკული მახასიათებლები და გენეტიკური (დნმ) მონაცემები. არაერთი პალეოკავკასიური წარმომავლობის ენის ლინგვისტური ინვენტარი წარმოადგენს მრავალფეროვან და არაორდინალურ სირთულეს გრამატიკის (ენობრივი იერარქიის) ყველა დონეზე, ფონეტიკა-ფონოლოგიით დაწყებული და სინტაქსით დამთავრებული. ტრადიციულად კავკასიის ავტოქთონი ენები ემსახურება როგორც ლინგვისტური თეორიისა და ტიპოლოგიის მონაცემთა მდიდარ წყაროს, ასევე საძიებო ენები/ეთნოსები ხშირად განსაზღვრავენ მეტად მცირე ეთნიკური ჯგუფების უნიკალურ

მენტალობასაც, განსაკუთრებით ეს ეხება დაღესტანს. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასა და თანამედროვე საქართველოს საზღვრებში დარგის სპეციალისტებსა და ჰუმანისტებს დედამიწის სხვადასხვა კუთხეებიდან ერთდროულად შეუძლიათ იპოვონ ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც როგორც მშობლიურ დედაენაზე ისე საუბრობენ ორ ან მეტ ენაზე, მაგრამ მაინც აქვთ ერთიანობის (საერთოეროვნული) შეგრძნების ურყევი რწმენა. ეს ტრადიციად იყო დამკვიდრებული როგორც ჩერქეზებსა და უბიხებში, ისე საქართველოში/ქართველებში, აქ მეგრელ-ლაზები და სვანები, სხვა ქართველებთან ერთად, ქმნიან ერთიან საქართველოს/ქართველობას.

**6. მერაბ ჩუხუა, ნუგზარ ანთელავა, მარიამ ბეჟიტაშვილი, ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები: ქართულ-აფხაზურ-კავკასიური პრაქტიკა კავკასიის ხალხები, კულტურები, ენები. 1. ავტოქთონი მოსახლეობა, ISBN 978-9941-493-91-1, თბილისი, 2023, გამომც. „საარი“, 80 გვ.**

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

კავკასიის ხალხთა ისტორიის შესწავლაში და, მითუმეტეს ქართულ-ჩრდილოკავკასიური ურთიერთობებში, უწინარესია ქართული, რუსულენოვანი და სომხური ისტორიული წყაროები. საქართველოს სინამდვილეში უნიკალური ჩანს *„ქართლის ცხოვრება“, „აღწერა სამეფოისა საქართველოისა“* და სხვ., რომელთა კრიტიკული შესწავლა საკმაოდ სრული ისტორიული სურათის აღდგენაში უალტერნატივოდ გვეხმარება. ჩვენთვის საინტერესო ქართულ-ჩრდილოკავკასიურ ურთიერთობათა კვლევა-ძიების კუთხით ანგარიშგასაწევია ჩრდილოკავკასიის მონათესავე ხალხთა ისტორიული გადმოცემები თუ ლეგენდებიც; დაღესტნელებისა და ვაინახების ფოლკლორი მეტად მდიდარია ზეპირი გადმოცემებით, რომლებიც ქართველებთან ურთიერთობას ეხება. ქართული კულტურის, დამწერლობისა და ქრისტიანული რელიგიის ამსახველი ძეგლები, რომლებიც საკმაოდაა შემორჩენილი საზოგადოდ ჩრდილოკავკასიაში, განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევა ვაინახებსა და დაღესტნელებში. მატერიალური კულტურის ძეგლებს/სამარხებს თან ახლავს ქართული დამწერლობით (ასომთავრული) შესრულებული წარწერები დაღესტანში, ინგუშეთსა და ჩეჩნეთში, რომლებშიც ხშირ შემთხვევაში ადგილობრივთა ენობრივი მასალის ქართული გრაფემებით რეალიზება ხდებოდა. ამგვარი ფაქტოლოგია, სავარაუდოდ, მიუთითებს ქართული დამწერლობის საფუძველზე შექმნილი ადგილობრივი დამწერლობების ფუნქციონირებაზე, უფრო ზუსტად, დამწერლობის შექმნის მცდელობაზე. და ეს იმ სიტუაციაში, როდესაც ამ პერიოდისათვის (VI-XI სს) უკვე არსებობდა საკუთრივ-დაღესტნური (იგივე ალბანური) თვითმყოფადი დამწერლობა კავკასიი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კავკასიელთა ისტორიის მანძილზე ჩვენი რეგიონის უსისხლო, არადამპყრობლური გზით გაერთიანება მხოლოდ საქართველოს სამეფომ მოახერხა, ისევე, როგორც სრულფასოვანი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება ქვეყნის დამოუკიდებლობასთან ერთად. ქართული გავლენა როგორც ეთნიკური, ისევე კულტურული და რელიგიური თვალსაზრისით დღესაც ცოცხალია ჩრდილოკავკასიის ხალხებში. როგორც ინგუშური ანდაზა გვამცნობს: *გურჟიჩოჰ მოასთაღა ხუგვაც* „ქართველი არასოდეს იქნება მტერი“... ასევე მრავლისმთქმელად გვევლინება დიდოური წყევლა დაღესტანში „თამარ დედოფლის დაგორებულმა ქვამ დაგიტანოს“, სადაც თამარის, როგორც დაღესტნელებისათვის ღირებული ისტორიული მოღვაწისა და მმართველის,

პოზიტიური სახეა წარმოჩენილი.

ნანა მაჭავარიანი

ნაშრომის მიზანია აფხაზური ენის ფაუნის ლექსიკის, რაც შეიძლება, სრული ასახვა.

ფაუნის სახელწოდების მოტივაციის დადგენა, ფაუნის სახელწოდებების სისტემატიზაცია სემანტიკურ-სტრუქტურული თვალსაზრისით; ამის კვალობაზე აფხაზური ენის შიდააზრის გამოვლენა; ლექსიკის ნასესხები ნაწილის გამოყოფა აფხაზური ენის საფუძველზე შექმნილ სახელწოდებათაგან.

ფაუნის სახელწოდებების შექმნის სტრუქტურული მოდელების სათითაოდ გაანალიზება, მათში გამოვლენილ მეტყველების სხვადასხვა ნაწილთა, თუ მორფემათა გამოყოფა; დაჩრდილული სემანტიკის მქონე ფაუნის სახელწოდებების დაფიქსირება; აგრეთვე, ზოგიერთი სახელწოდების ეტიმოლოგიური ანალიზი.

ფაუნის აღმნიშვნელი ლექსიკა აფხაზურში, ზოგადად, იყოფა ორ ჯგუფად: ნასესხები სიტყვები და სახელწოდებები, რომელთაც აფხაზურის საშუალებით უხერხდება ახსნა.

თავად, ფაუნის აფხაზური სახელწოდებები, შეიძლება, ასევე ორ ჯგუფად გაიყოს: სახელწოდებათა ერთი ნაწილის ფუძე მარტივია, ზოგჯერ ერთ მარცვალსაც არ აღემატება: სახელწოდებათა უფრო დიდი ნაწილი კომპოზიტებს წარმოადგენს, ან აფიქსაციითაა მიღებული.

თავის მხრივ, კომპოზიტები, ცხადია, აფხაზური ენის გრამატიკული ნორმების დაცვითაა ძირითადად შედგენილი, თუმცა გვხვდება გამონაკლისებიც.

ნაშრომში გაანალიზებულია კომპოზიტთა სტრუქტურა, განხილულია კომპოზიციის ყველა შესაძლო შემთხვევა, რომელსაც ადგილი აქვს ფაუნის სახელწოდებებში.

**შესავალში** ავტორი განიხილავს ენათმეცნიერების ზოგად საკითხებს, მსჯელობს სიტყვათა მოტივაციის პრობლემებზე, მიმოიხილავს აღნიშნულ საკითხთა გარშემო სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებებს.

აქვეა განხილული ლექსიკოლოგიისა და სემასიოლოგიის ზოგადი საკითხები, სიტყვისა და ცნების ურთიერთმიმართების პრობლემა, მეტაფორიზაციის როლი ფაუნის სახელწოდებების შექმნაში.

შესავალ ნაწილში ასევე განხილულია აფხაზურ-ადიღურ ენებში არსებით სახელთა სიტყვაწარმოების ძირიტადი ტიპები. რთული არსებითი სახელების (კომპოზიტების) ზოგადი სტრუქტურული თავისებურებანი.

დაწვრილებითაა მიმოხილული საზღვრულ-მსაზღვრელიანი, მსაზღვრელ-საზღვრულიანი, მსაზღვრელ-მსაზღვრელ-საზღვრულიანი და მსაზღვრელ-მსაზღვრელ-მსაზღვრელ-საზღვრულიანი ე. წ. „სინტაქსური ბლოკები", რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბებულია ფაუნის ლექსიკის არც თუ მცირე ნაწილი.

აქვეა მოცემული ფაუნის ლექსიკის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.

ნაშრომის ძირითად ნაწილში, სათითაოდ ყველა თავში, გამოყოფილია ნასესხები ლექსიკა, დაჩრდილული სემანტიკის მქონე სახელწოდებები, განხილულია ლექსიკის ნაწილი, რომლის ეტიმოლოგია აფხაზური ან სხვა რომელიმე ენის საშუალებით ხერხდება.

ნაშრომში მრავლადაა წარმოდგენილი ამა თუ იმ სახელწოდების ეტიმოლოგიური ძიების ცდები.

**ვახტანგ გურული, ალექსანდრე დაუშვილი, ჯონი კვიციანი, ბუბა კუდავა, ეთერ ბაიდოშვილი; კავკასიის ისტორია: I; ISBN 9789941504440; თბილისი, არტანუჯი; 819 გვ.**

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით მომზადებული და გამომცემლობა „არტანუჯის" მიერ გამოცემული „კავკასიის ისტორია" მოიცავს ორ ტომს და ამგვარი სრული გამოცემა პირველად ქვეყნდება. ავტორთა კოლექტივი აერთიანებს აკადემიკოს როინ მეტრეველს, პროფესორებს: ვალერი ვაშაკიძეს, გიორგი ჭეიშვილს, ჯონი კვიციანს, ლელა მიქიაშვილს, ვახტანგ გურულს, ოთარ ჯანელიძეს და ალექსანდრე დაუშვილს.
წიგნის სარედაქციო კოლეგიაში შესულები არიან: ვახტანგ გურული, ალექსანდრე დაუშვილი, ჯონი კვიციანი, ბუბა კუდავა და ეთერ ბაიდოშვილი. ნაშრომი იხსნება აკადემიკოს როინ მეტრეველის წინათქმით „კავკასია – ცივილიზაციის უძველესი კერა". მასში განხილულია კავკასიის როლი და ადგილი მსოფლიო ცივილიზაციათა უძველესი დროიდან დღემდე; მისი მნიშვნელობა ცივილიზაციის პროცესებში, გაანალიზებულია უმთავრესი მიზნის – მშვიდობიანი კავკასიის მიღწევის შესაძლებლობები და ა. შ.
ნაშრომში წარმოჩენილია ის დიდი გზა, რომელიც კავკასიის ქვეყნებმა და ხალხებმა გაიარეს – ადრინდელი, პროტოფეოდალური, ფეოდალური შუღლისა და დაქუცმაცების ხანა, უცხოელთა ბატონობა, ცარიზმის კოლონიური ჩაგვრისა და საბჭოთა იმპერიის სირთულეები. კავკასიის ქვეყნების ტრადიციები, პოლიტიკური ვითარება და დიპლომატიური ურთიერთობები; ეროვნული, რელიგიური, სოციალური თუ კულტურული სიჭრელე და სწრაფვა შიდა კავკასიური მშვიდობის მოგვარებისათვის.
კავკასია, როგორც კაცობრიობის ცივილიზაციის უძველესი კერა და ბუნებრივი ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, უდიდეს როლს

ასრულებდა ხალხთა დაახლოებასა და ურთიერთგაგებაში. მუდამ უმნიშვნელოვანესი რეგიონი იყო, უნიკალური გეოპოლიტიკური, გეოკულტურული თუ ეკონომიკური მდგომარეობით. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შეიქმნა ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომი, სადაც კავკასიის ხალხთა ისტორია სრულად არის წარმოდგენილი. მონოგრაფიაში კავკასიის ისტორიის პრაქტიკულად არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი განხილვის გარეშე არ არის დარჩენილი. ეს კი ადასტურებს იმას, რომ ქართული საისტორიო მეცნიერება გამდიდრდა კიდევ ერთი ღირსეული და მეტად საჭირო ნაშრომით.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN;

გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

6.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

**Цира Барамидзе, Корень *ar-* в хурритском и других иберийско-кавказских языках. Сборник – Хуррито-урууртский мир и цивилизации передней Азии – языки и этнокультурные связи. Грозный, ЧАН, 2023. (იბეჭდება).**

**Цира Барамидзе, Корень *ar-* в хурритском и других иберийско-кавказских языках. Сборник – Хуррито-урууртский мир и цивилизации передней Азии – языки и этнокультурные связи. Грозный, ЧАН, 2023. (იბეჭდება).**

А н н о т а ц и я

В хурритском языке корень ***ar-*** встречается в глагольной и в именной форме, в словообразовании. Изучением эмпирического материала хурритского языка подтверждены более 50 форм (AASOR, HSS, JEN, SMN, JAOS, TCL, KUB, NPN: ***ar-ul***, “отдаваться”, ***ar-umm-*** (инфинитив), ***ar-u□□-ul*** “сдаваться”, ***arann-*** (фактитив). ***ar-*** элемент засвидетельствованный в ономастике (NPN 24-37, 202-204). В докладе рассматриваются соответствующие ономастические единицы, а также - другие лексические единицы хурритского языка, которые мы считаем связанными с корнем ***ar-*** с семантико-этимологической точки зрения (***Ar-kanta, Ar-kapi<Ar-ga-bi, Ar-kapinni < Ar-ga-bi-en-ni, Armukka<Ar-mu-uq-qa, Ar-nanta< Ar-naan-ta, Ar-naphi< Ar-na-ap-hi, Ar-nawar,Ar-na-wa-ar / Ar-na-mar, Ar-nupar? < A[r]-nu-ba-ar, Ar-nupatal<Ar-nu-pa-ta-al, Ar-nuzu < Ar-nu-zu, R-papa < Ar-ba-ba, Ar-tura <Ar-tu-ra /Ar-du-ra...***). В докладе рассматриваются все ономастические единицы, относящиеся к ***ar-*** в хурритском.

Корень ***ar-*** в хурритском имеет несколько семантически связанных значений: ***ar-*** наращение корня (von Schuler, RHA 68.22; Speiser, IH 131, 135, 203, 216; Джаукян, Взаим.40; Дьяконов, Языки 133), ***ar-*** выражает многократность действия, Frequentativ-Habitativ-Zeichen (Kammenhuber, Arier 225, 261). Хурритский ***ar-*** семантико-этимологически связан с урартским ***ar-/aru*** «давать». Анализ лексических единиц, образованных от корня ***ar-*** в хурритском подтверждает, что корень ***ar-*** широко использовался в этом языке, а также в других эндогенных языках Кавказа, позже он вошел в лексику неиберийско-кавказских языков Кавказа, как кавказский субстрат. Мы считаем возможным связать общекартвельский корень ****ar-*** с корнем ***ar-*** хурритского языка. Арн. Чикобава выделяет общекартвельский корень ****ar-*** "есть" (Груз. ar-i-s, зан. or-e(n) "есть", сван. ar-i/ ar- "есть". Груз. корень ***ar-*** М.Чухуа связывает с общесиндским: ***ar-*** "да", адыг. ***ar-*** "да". Грузинский корень ***ar-*** “есть” Н. Мачавариани связывает с отрицательной единицей грузинского и занского языков (Груз. ***ar- :*** Груз. ***ara*** "нет", зан. or-e "нет"). Общекавказский ***ar-*** должно быть связано с топонимами: ***Ar-ta-an-i, Ar-ar-at...***

По нашему мнению, лексема ***ar-*** – древний общеиберийско-кавказский корень, который должен был иметь в своем происхождении значение «присутствие», семантически связанное с повторением, многократностью. Мы считаем возможным связать ономастические единицы ***Ar-khot-i, Ar-dot-i, Ar-□un-i*** общим кавказским корнем ***ar-,*** который широко представлен в хурритском языке.

6.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ნანა მაჭავარიანი, დამხმარე მორფოლოგიური ინვენტარი აფხაზური ფაუნის ლექსიკაში,**

„ქართულ-კავკასიურ ურთიერთობათა ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტები“, (მასალები) თბილისი, 2023.

2. ნანა მაჭავარიანი,ხცისი (ეტიმოლოგიური ძიება), არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XXXIV, (მასალები), თბილისი, 2023.

3. ნანა მაჭავარიანი, მდედრობითობის აღმნიშვნელი -ფს აფიქსოიდი აფხაზურ ფლორისა და ფაუნის ლექსიკაში, თსუ კავკასიოლოგთა II საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი, (მასალები), თბილისი, 2023.

4.ნოდარ არდოტელი, ნათესაობის გამომხატველი ზოგი კომპოზიტი ქართველურსა და ნახურ-დაღესტნურ ენებში (ეთნოლინგვისტური ანალიზი) // ენა და კულტურა, ტ. VII. თბილისი, ISBN 978-9941-34-381-0, გვ. 7-17.
5. ნოდარ არტოტელი, ინტენსიურ სიბილანტთა რეკონსტრუქციისათვის ნახურ-დაღესტნურ ენებში // იკე, ტ. LI. თბილისი, თსუ გამომცემლობა, გვ. 9-15 (?), SSBN 1987-6572.

6. ცირა ბარამიძე, ლაბილურობის ნანოსინტაქსი ქართულში და იბერიულ-კავკასიური ენები; Nano-syntax of lability in Georgian and Iberian-Caucasian languages - ჟურნალი „კავკასიოლოგიური ძიებანი“, XIII, თბილისი (იბეჭდება).

7. ჯონი კვიციანი, საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობა, როგორც ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ფაქტორი // სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-კავკასიურ ურთიერთობათა ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტები“, II, თბილისი, 26 მარტი 2023, მასალები, გვ. 14-15.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ნანა მაჭავარიანი, აფხაზური ენის ფაუნის ლექსიკაში გვხვდება ოდენფუძიანი, კომპზიციითა და აფიქსაციით მიღებული სახელწოდებები.

ამჯერად განვიხილავთ ფაუნის ლექსიკაში გამოვლენილ სხვადასხვა წარმოშობის აფიქსებსა და აფიქსოიდებს.

ფაუნის ლექსიკაში თავს იჩენს სხვადასხვა **მორფემები**, **ზმნური** და **სახელური** სიტყვათმაწარმო-ებელი ელემენტები:

გამოიყენება კუთვნილებით ნაცვალსახელთაგან მომდინარე კუთვნილებითი ელემენტები, ე. წ. **„ლ“**-ს რიგისა:

**1. რ**- მე-3 პირის მრავლობითობის პრეფიქსი:

**აყარმაწგს**, **ანც-ა-რ-წგს** „ბულბული“ „ღმერთების (მათი) ჩიტი“,

**არწ-გ-რ-ახ-აც** „ჭია“, „წნილი (მათი) ჭია,

**აბგა-რ-გმძ** „ციცინათელა“, „მგელი (მათი) ბუზი“

აფხაზური ენის გრამატიკული ნორმების გათვალისწინებით უნდა ყოფილიყო: **აბგა-ქ-ა- რ-გმძ** „მგლები (მათი) ბუზი“. კომპოზიციის დროს კი, მსაზღვრელი სიტყვის ნივთის კლასის მრავლობითობის აღმნიშვნელი -**ქ-ა** სუფიქსი გაუჩინარებულია და მსაზღვრელის მრავლობითობა მხოლოდ კუთვნილების გამომხატველი -**რ** პრეფიქსითაა გადმოცემული.

**ა-შაპ-სგ-რ-გუ-წა, ა-შარ-გუ-წა, ა-შარ-გუ-წ** (ბზ.) „ფეხისგული“ ხუთკომპონენტიანია: **ა-შაპ+სგ+რ+გუ+წა,** ზედმიწევნით: „ფეხის აღმნიშვნელი ძირი+(სავარაუდოდ დანიშნულების აფიქსი) **სგ** + მესამე პირის მრავლობითობის **რ-** აფიქსი + გულის, (ამ შემთხვევაში) შუას მნიშვნელობის მქონე სიტყვა + ლოკალური პრევერბი, რომელიც ქვეშ მყოფობას აღნიშნავს.

**2.** მამრობითი სქესის ცხოველ-ფრინველთა აღმნიშვნელი ნახევარსუფიქსი **ღ**:

**ათგღ** „ყოჩი“

**აბაღ** „კურო“

**ათგღ** „ყოჩი“

**აბაღ** „ვაცი“

**აც-აღ** „კურო“

**აჰ-აფაღ** „კერატი“

**3.** მამრობითი სქესის ცხოველ-ფრინველთა აღმნიშვნელი **აბ** „მამა“ ლექსემა, ან უკვე აფიქსოიდად ქცეული მისი ნაშთი,:

**აც-გ-აბ** „ხვადი კატა“: **აც-გ-გ** „კატა“, **აბ** „მამა“.

**აბღაბ** „ხარჯიხვი“: **აბღა** „ჯიხვი“, **ბ < ბა** „მამა“.

**აბ** „ბოტი“

**აც-გ-აბა** (ბზ.) აც-გ-აბ „ხვადი კატა“

**აბღაბ** „ხარ-ჯიხვი“

**აჩ□აბა** „მამალი ცხენი“, ახტა „ვაყა“.

**4. სამიმართებო ზ:**

**აშაპგ-ზ-აწ□** „ვისაც ცალი ფეხი აქვს ის“ **ა-შაპგზაწ□** „სავათი“ სიტყვასიტყვით: „ფეხი რომელსაც ცალი (ერთი) აქვს. **ზ-** სამიმართებო პრეფიქსია: „ვისაც“.

**5. ზოგადობის ნიშანი -რა**

**აბოუ-რა** „ბოსელი“

**ათგჳ-რა** „სორო, ბუნაგი“

**6. დანიშნულების -ტ□□ სუფიქსი**

**ა-ფსაატ□** „ფრინველი“

**წაყატ□გ** „ქვეწარმავალი“

ფრინველის ზოგადი სახელწოდებაა **ა-ფსაა // ა-ფსაატ□**, ამ სიტყვის ეტიმოლოგია ეკუთვნის ქეთევან ლომთათიძეს. მკვლევრის აზრით, ლექსემის ძირი უნდა მომდინარეობდეს ტაპანთურში დადასტურებული **აფჵარა** „ფრენა“ ძირისაგან, რომელიც პირაქეთა დიალექტების (აბჟუურისა და ბზიფურის) **აფსაა**-ს სავსებით თანხვდენილია: **ჵ**-ს დაკარგვის ნიადაგზე ვიღებთ **აა**-ს. რაც შეეხება **-ტ□** სუფიქსს, იგი აფხაზურსა და აბაზურში ძალზე პროდუქტიულია, გამოხატავს კუთვნილებას, გამოიყენება ნაზმნარ არსებით სახელებში სამოქმედო, მოქმედებისათვის განკუთვნილი სახელის საწარმოებელ აფიქსად. მაგ.: **აშტ□გ** „დასაკლავი“, **აყაწატ□** „გასაკეთებელი“ და სხვ. **ა-ფსაატ□** სიტყვის მნიშვნელობა უნდა იყოს „საფრენი“, „ფრენისა“, „ფრინველი“. (ლომთათიძე 1945 : 311)

**7. დანიშნულების ს>ზ სუფიქსი**

**ა-შაპსგრგუწა, ა-შარგუწა, ა-შარგუწ** (ბზ.) „ფეხისგული“ ხუთკომპონენტიანია: **ა-შა+სგ+რ+გუ+წა,** ზედმიწევნით: „ფეხის აღმნიშვნელი ძირი+სავარაუდოდ დანიშნულების აფიქსი **სგ** + მესამე პირის მრავლობითობის **რ-** აფიქსი+გულის, (ამ შემთხვევაში) შუას მნიშვნელობის მქონე სიტყვა+ლოკალური პრევერბი, რომელიც ქვეშ მყოფობას აღნიშნავს.

**ა-ძთას** „ჭარლი, ალკუნი, ზამთარმჩეკი, წყალჩიტა“, რომელშიც **აძ < აძგ** „წყალია“, **-თა-** ლოკალური პრევერბი, რომელიც რაიმეში მყოფობას აღნიშნავს, **-ს** სუფიქსი კი შეიძლება **აწგს** „ჩიტი“ სიტყვის ნაშთი იყოს, შესაძლოა გარდაქცევითობის **-ს** სუფიქსი. სიტყვასიტყვით: „წყლად (შიგ) მყოფი (ჩიტი)“.

**8. შემოზღუდული სივრცის აღმნიშვენლი -რთა / -თრა სუფიქსი**:

**-თრა/-რთა** შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსით ნაწარმოები:

**აკუტგ-რთა** „საქათმე“

**აფხ□არგლა-რთა** „ფრინველის ღამის გასათევი, დასაჯდომი ადგილი, ფრინველთ საბუდარი“, **აფ□არგლა** „ღამის გათევა“,

**აყგზ-თრა** „საბატე“

**აკამბაშ-თრა** „ბოსელი (კამეჩისა)

**ალა-თრა** „ძაღლის ხუხულა“

**აჟ□-თრა** „ბოსელი“

**აწგს-თრა** „ჩიტის ბუდე“

**ათგჳრა** „ბუდე“ ლექსემის დართვით ნაწარმოები:

**აწგს-თგჳრა** „ჩიტის ბუდე“

ფრინველთა სადგომის, შემოზღუდული სივრცის აღსანიშნავად ფრინველის აღმნიშვნელ ფუძეს ერთვის **-რთა / -თრა** სუფიქსი: **აწგს-თრა** // **აწგს-თგჳრა** „ჩიტის ბუდე“, **აკ□გტგ-რთა // აკ□გტ-წა-რთა** „საბუდარი“, **ა-ფხ□არგლა-რთა** „ფრინველის ღამის გასათევი, დასაჯდომი ადგილი, ფრინველთ საბუდარი“, **აფხ□არგლარა** „ფრინველის დაჯდომა ღამის გასათევად, დაბუდება“. **-რთა / -თრა** სუფიქსი უნდა მომდინარეობდეს **ათრა** „სორო“ ფუძისაგან, რომლის მნიშვნელობაც გაფართოებულა და ამჟამად, ზოგადად, შემოზღუდული სივრცის აღსანიშნავად იხმარება. ამ შემთხვევაშიც კონკრეტული სახელის განზოგადებასა და საგნობრივი მიმართების გადანაცვლებასთან გვაქვს საქმე, როგორც ეს **აწგს** „ჩიტი“ ლექსემის შემთხვევაში იყო. (იხ. ზემოთ, გვ.: 5).

**9. შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი -გ□არა სუფიქსი:**

**აჟ□-გ□არა** „ძროხის ბაკი“

**10. შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი -წარა სუფიქსით ნაწარმოები:**

**აკუტ-წარა** „საქათმე“

**11. შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი -წართა სუფიქსით ნაწარმოები:**

ამ შემთხვევაში **-წა და –რთა** სუფიქსების გაერთიანებით მიღებული:

**აკუტ-წართა** „საბუდარი“ (ქათმისა)

**12.** კომპოზიტს ერთვის დიმინუტივის **-ს** სუფიქსი:

**ასგს** „ბატკანი“

**აძგს** „თიკანი“

**აჳ□გს** „ხბო“

**აც□წგს** „მოზვერი“

**აშგშ < აშგს** „გოჭი“.

**13.** კომპოზიტს ერთვის მდედრობითობის -**ან** „დედა“ ლექსემა:

**აჩ□ან** „ფაშატი“.

**14.** კომპოზიტს ერთვის -**ფს** მდედრობითობის აღმნიშვნელი ნახევარსუფიქსი:

**აცგ□აფს** „მუ კატა“

**აჩ□ადაფს** „ჭაკი ვირი, ფაშატი, ვირი, ხრდალი“

**აჟაფს** „დედალი კურდღელი“

**15.** ფაუნის ლექსიკაში გამოვლენილი ლოკალური ელემენტები:

**ა-შაპსგრგუწა**

**ა-შარგუწა, ა-შარგუწ** (ბზ.) „ფეხისგული“ ხუთკომპონენტიანია: **ა-შა+სგ+რ+გუ+წა,** ზედმიწევნით: „ფეხის აღმნიშვნელი ძირი+სავარაუდოდ დანიშნულების აფიქსი **სგ** + მესამე პირის მრავლობითობის **რ-** აფიქსი+გულის, (ამ შემთხვევაში) შუას მნიშვნელობის მქონე სიტყვა+ლოკალური პრევერბი, რომელიც ქვეშ მყოფობას აღნიშნავს.

**აშთანჭ□გ**

ქ. ლომთათიძე ასე შლის ამ სიტყვას: **ა-** (ტაპანთურისათვის არადამახასიათებელი სიტყვათა ნომინაციის დროს) შესაძლოა თავკიდურად მოქცეული **შთა** კომპლექსის ბუნებით იყოს გამოწვეული, თუმცა **შთანჭ□გ** სახეობაც გავრცელებულია.

-**შთა** „კვალი“, „ქვევით“, „ძირს“ ლექსემაა, ამჟამად გაბატონებულია შტა სახეობა, -**ნ** სუფიქსი გამოხატავს ადგილს, ზმნისართული ფუძის მაწარმოებელია....და მისგან -**წ□გ**, **ჭ□გ** (< **ტ□გ**) განკუთვნილება, წარმომავლობის სუფიქსის დართვით უნდა იყოს მიღებული **აშთანწ□გ** // **აშთანჭ□გ,** რომელიც უნდა ნიშნავდეს „ძირისა“, „ქვედაური“, ე. ი. „მიწისა“ („მიწიერი“), ასეთ ახსნას სარწმუნოს ხდის ს. ჯანაშიას მიერ აფხაზურში დადასტურებული გველის ერთ-ერთი ტაბუირებული სახელწოდება **წაყატ□გ,** ე. ი. „ქვედა“ (ჯანაშია 1968: 161).

**ა-ძთას**

„ჭარლი, ალკუნი, ზამთარმჩეკი, წყალჩიტა“, რომელშიც **აძ < აძგ** „წყალია“, **-თა-** ლოკალური პრევერბი, რომელიც რაიმეში მყოფობას აღნიშნავს, **-ს** სუფიქსი კი შეიძლება **აწგს** „ჩიტი“ სიტყვის ნაშთი იყოს, შესაძლოა გარდაქცევითობის **-ს** სუფიქსი. სიტყვასიტყვით: „წყლად (შიგ) მყოფი (ჩიტი)“.

2. ნანა მაჭავარიანი

**ხცისი** — სოფელია საქართველოში, შიდა ქართლის მხარის ხაშურის მუნიციპალიტეტში, მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს.

სოფლიდან დაახლოებით 1,5 კმ-ზე დგას ხცისის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია. სოფლის ცენტრში კი – წმინდა გიორგის ეკლესია.

სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტოპონიმი **ხცისი** უნდა წარმოადგენდეს **ცემა** მასდარის პირიან ფორმას, დაახლოებით იმგვარადვე გასუბსტანტივებულს, როგორადაც ტოპონიმი **ხერთვისია.**

**ხ-ც-ი-ს** მან მას ის > **ხ-ც-ი-ს-ი.**

**ხ -** III ირ. ობ. პ.-ის ნიშანი, - **ც -** ძირი, **ი**-მწკრივის ნიშანი ( II სერია, II ხოლმეობითი ), **- ს** III სუბ. პ. -ის ნიშანი, ბილოკიდური **ი-** სახ. ბრუნვის (სუბსტანტივობის) ნიშანი.

რა მოტივით შეიძლებოდა დარქმეოდა ამ ადგილს **ხცისი**?

სოფელთან ახლოს არის იოანე ნათლისმცემლის XI საუკუნეში აგებული ეკლესია, რომელიც შესაძლოა მოგვიანებით აეშენებინათ რაიმე ნიშის ადგილას, სადაც ნათლობის საიდუმლო ტარდებოდა ადრე.

ტოპონიმი შეიძლება მიღებული იყოს **„ნათელ ხცის“** სინტაგმიდან პირველი კომპონენტის დაკარგვის გზით. ნათელ ხცის (მან მას ის), სადაც **ხანი** მე-3 ირ. ობ. პ.-ის ნიშანი უნდა იყოს.

წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და **ნათელ ხცემდით** მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. (ხანმეტი ტექსტები 1984 : 63).

ამრიგად, **„ხცისის“** სახით ჩვენს წინაშეა კიდევ ერთი ხანმეტობისდროინდელი ტოპონიმი, რომელშიც **ხანი,** აწ უკვე ფუნქციადაკარგული, III ირ. ობ. პ.-ის ნიშანია.

3. ნანა მაჭავარიანი

ენაში აისახება ადამიანის გარემომცველი სამყარო, მისი ყოფიერება. ასევე ენაში უკუფენილია სამყაროს შესახებ ათასწლეულებისა და ასწლეულების წინ არსებული წარმოდგენა. ზოგადად ლექსიკაში, ლექსიკის ცალკეულ უბანსა თუ სიტყვაწარმოებით ინვენტარში შესაძლოა დალექილი აღმოჩნდეს მეცნიერულად ფასეული არაერთი ისტორიული თუ ეთნოლოგიური ფაქტი, რომლის ამოსავალი მნიშვნელობის გათვალისწინება ხშირ შემთხვევაში ნათელს ჰფენს ძნელად ასახსნელ ენობრივ მოვლენებს და პირუკუ - ენის არქაულმა ვითარებამ შეიძლება შემოგვინახოს ისტორია-ეთნოლოგიის თვალსაზრისით არაერთი მნიშვნელოვანი რამ.

იბერიულ-კავკასიურ ენებში სქესი, როგორც გრამატიკული კატეგორია, არ გამოიყოფა. ასევე არასისტემურია სქესის აღნიშვნა აფხაზური ენის ფლორისა და ფაუნის ლექსიკაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, სქესის აღნიშვნის თავისებურებათა კვლევა ამ ენაში ძალზე საინტერესოა.

აფხაზურში მამრობითობას აღნიშნავს სუფიქსი **-აბ/ ბა,** რომელიც მომდინარეობს **აბ** „მამა“ სიტყვიდან: **აბ** „ბოტი“, **აც□გ□აბა** (ბზ.) **აც□გ□აბ** „ხვადი კატა“ , **აბღაბ** „ხარ-ჯიხვი“, **აჩ□აბა** „მამალი ცხენი“, ახტა „ვაყა“.

მამრობითობის აღმნიშვნელია ასევე -□ სუფიქსიც, რომელიც ა□არა „აღმოცენება“

სიტყვას უნდა უკავშირდებოდეს: **ათგღ□** „ყოჩი“,**აბაღ□** „ვაცი“ , **აც□აღ□** „კურო“, **აჰ□აფაღ□** „კერა-

ტი“. **არ-ბა-ღ** „მამალი“ . საგულისხმოა, რომ აღნიშნულ -**ღ** ელემენტს დაირთავს **აკტაღ** „კვერცხი“ ლექსემაც.

მდედრობითობას აღნიშნავს **-ან/-ნ/ -ნა** სუფიქსი, რომელიც **ან** „დედა“ სიტყვიდან მომდინარეობს: **აჩან** „ფაშატი“, **არცნა** „დედალი“, **აშხარან** „დედალი ფუტკარი“.

მდედრობითობის აღმნიშვნელად გვევლინება ასევე -**ფს** სუფიქსი, რომლის მნიშვნელობა არის „წყალი, სისველე“. ეს არის საერთო იბერიულ-კავკასიური ძირი, რაც დიდი ხანია ეჭვგარეშეა.

„წყლის“/„სისველის“ აღმნიშნელი -**ფს** ძირი ასევე დაკავშირებულია **urina**-სთან (მ. ჩუხუა).

ვფიქრობთ, -**ფს** უნდა იყოს უძველესი ლექსიკური ოდენობა, რომელის ამოსავალი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „სული“/ „წყალი“/ „ნაყოფიერება“.

იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხთა რწმენა-წარმოდგენებში წყლის სული, სხვაგვარად - წყალში არსებული სული, ძირითადად მდედრობითი ჰიპოსტასისაა.

„ფსათხა“, „ფსახი“, „ფსიხალე“ ლექსემები ადიღურ ენებში წყალთან დაკავშირებულ რიტუალთა სახელწოდებებია.

აფხაზური აფს „სული“, აფს „წყალი“ შემორჩენილია ჰიდრონიმებში: „ფსოუ“, „სუფსა“, „ააფს“, „ლაშფს“. აფსთა „ხეობა“ ლექსემაში, ასევე აფსლ „წავი“, სიტყვასიტყვით: „წყალი+ძაღლი“, აფსაწლა „სოჭი“, სიტყვასიტყვით: „სულის“ ან „წყლის“ ხე - სიტყვებში.

**აფსლ** „წავი“ სიტყვასიტყვით არის „წყლის ძაღლი“, აქ **ფს** მდედრობითობას არ გამოხატავს, არამედ წყალს. ასევეა **აფსძ** „თევზი“ ლექსემის შემთხვევაშიც. აქაც **ფს** „წყალს“ ნიშნავს, როგორც ამაზე სამართლიანად მიუთითებდა ნ. მარი. ე. ი. ეს კომპლექსი თავდაპირველად აღნიშნავდა „სულს“ და „წყალს“ და შემდეგ, რადგან სულსა და წყალში არის ნაყოფიერება, იგი იქცა უკვე მდედრობითობის აღმნიშვნელად.

ჩვენი აზრით, **აფს** ბგერათკომპლექსი, რომელიც აფხაზურ-ადიღურ ენებში „სულს“ და „წყალს“ აღნიშნავს არის სწორედ **ფს** აფიქსის, როგორც ნაყოფიერების აღმნიშვნელის, ამოსავალი და შესაბამისად, ამიტომაც იგი მდედრობითობას აღნიშნავს შემდეგ სახელწოდებებში: **აცგაფს** „ძუ კატა“, **აჩადაფს** „ჭაკი ვირი, ფაშატი, ხრდალი“, **აჟაფს** „დედალი კურდღელი“, **აფსლა** „ნეზვი, დედალი არჩვი“, **აჟნ / აჟფს** „ყურძნის ჯიში“.

ამრიგად, აფხაზურ ენაში გვაქვს სქესის აღმნიშვნელი ოთხი ფორმანტი. საინტერესოა როგორია მიმართება ამ ფორმანტებისა ერთიმეორესთან, რატომ გვაქვს ფორმანტთა სიმრავლე სქესის გამოსახატავად?

ვფიქრობთ,

მდედრობითობის უძველესი (თავდაპირველი) აღმნიშვნელი **ფს** ნიშანი უნდა ყოფილიყო, ხოლო **ან/ნა/ნ** აფიქსი, რომლის ამოსავალი მნიშვნელობაა „დედა“ შედარებით გვიანდელი გვგონია, ადამიანთა საზოგადოების განვითარების შედარებით მაღალ ეტაპზე წარმოქმნილი.
ასეთივე ვითარებას ვვარაუდობთ მამრობითობის **ღ□** აფიქსისა და **აბ/ბა/ ბ** აფიქსოიდთა შემთხვევაშიც. ჩვენი აზრით, მამრობითობის აღმნიშვნელი, შედარებით ადრინდელი აფიქსი უნდა იყოს **ღ□**, რომლის ამოსავალი მნიშვნელობა „აღმოცენებას“ უკავშირდება, ხოლო ადამიანთა საზოგადოების განვითარების შედარებით მაღალ ეტაპზე **აბ/ბა/ ბ** „მამა“ აფიქსოიდი უნდა გამოყენებულიყო მამრობითი სქესის აღმნიშვნელად.
ასე რომ: აფხაზურ ენაში სინქრონიულ დონეზე ერთი მხრივ **ფს** და **ღ□** და მეორე მხრივ **ან/ნა/ნ** და **აბ/ბა/ ბ** აფიქსოიდები გამოიყენება მდედრობითი და მამრობითი სქესის აღსანიშნავად, ისიც არასისტემურად.

4. ნოდარ არტოტელი

კომპოზიტური სიტყვაწარმოების თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ ნათესაურ ურთიერთობათა გამომხატველი კომპოზიტები. კერძოდ, ნათესაობის სახელთა შემცველი კომპოზიტების ანალიზისას ინტერესს აღძრავენ ისეთი თხზული სახელები, რომლებიც გვარისმიერ ან უახლოეს სისხლისმიერ ნათესაობას გამოხატავენ: **გვარ-ძვალი** (**ძვალ-გვარი**), **გვარტომი**, **გვარჩამომავლობა**, **გვარიშვილობა**, **ძმა-ბიძაშვილობა**, **ძმაშინში**, **ძმისწული**, **ბიძა-ძმისწულნი**, **დისწული**, **დისწულ-დედიძმანი** და ა. შ.
სომატონიმ **ძვალთან**, როგორც ქიმიურად უხრწნელ და ფიზიკურად გამძლე ნაწილთან ადამიანისა, დაკავშირებული კომპოზიტების სიმრავლე მის ფუნქციურ-სემანტიკურ დატვირთვაზე მიგვანიშნებს ქართული ენის მთის დიალექტებში. ხორცთან შედარებით, თანაბარმარცვლიან კომპოზიტებში **ძვლის** ფუნქციურ-სემანტიკური ღირებულება და უპირატესობა პრეპოზიციურობითაც მჟღავნდება, მაგ.: **ძვალ-გვარი**, **ძვალ-რბილი, ძვალ-ტყავი, ძვალ-სისხლი** და მისთ.
სისხლისმიერი ნათესაობის გენეალოგიურ ხეზე ყველაზე ახლო დგანან **და** და **ძმა**. ამ ლექსემების შემცველი კომპოზიტი **და-ძმობა** თავად, ეთნოლოგიური თვალსაზრისით, დიდ ყურადღებას არ იქცევს, თუმცა მათგან ნაწარმოები თხზული სახელი **დობილ-ძმობილობა** მრავალმხრივ არის საინტერესო და **სწორფრობა, ძმობილობა, ქალ-ვაჟობა, წოლა-დგომა** (შდრ. დიდ. **ქეც-იზ□** „განწყობა, დასვენება, დროის გატარება“, ზედმიწ. „წოლა-დგომა“) **კომპოზიტებთან** მიმართებით ვრცლად განიხილება გამოქვეყნებულ სტატიაში. გარდა ამისა, წერილში გაანალიზებულია შინში ტერმინის ეტიმოლოგია: **შინიშინ** < ***შინ-ის შინ** „თავთავიანთ სახლებში“) > ***შინ-ის-ი** > **შინს-ი** > **შინშ-ი.** ამასთანავე, განხილულია საცოლის დანიშვნასთან დაკავშირებული ლექსიკა და წარმოდგენილია **დედამთილ-მამამთილის** ეტიმოლოგიური ანალიზი და ა. შ.
**ინტენსიურ სიბილანტთა რეკონსტრუქციისათვის ნახურ-დაღესტნურ ენებში // იკე, ტ. LI. თბილისი, თსუ გამომცემლობა, გვ. 9-15 (?), SSBN 1987-6572.**

ინტენსიურობის კორელაცია სიბილანტებში დაღესტნურ ენათა მეტი ნაწილისთვის არის ნიშანდობლივი, თუმცა ყველა ენაში ერთგვარი ვითარება არ გვაქვს: ხუნძურ-ანდიურ ენებში მწყობრი სისტემა მეტად არის დაცული, ლაკურ-დარგუულში მეტ-ნაკლებად სახეცვლილია[1], ხოლო ლეზგიურ ენათა სინამდვილეში ინტენსიური სიბილანტთა სისტემა შერყეულია და მოშლის გზას ადგას.

ნახურ ენათა სინამდვილეში მაგარ თანხმოვანთა სისტემა მოშლის პირასაა, ხოლო დიდოურ ენებსა და ლეზგიური ქვეჯგუფის თითო-ოროლა ენაში (რუთულური, უდიური) ამჟამად აღარ დასტურდება, ვინაიდან კორელაცია „ინტენსიური – არაინტენსიური“ ნეიტრალიზებული და ელიმინირებულია.

ინტენსიური (resp. მაგარი) სიბილანტების არსებობა საერთონახურ-დაღესტნური ენის ერთობის მიწურულისთვის დასაშვებია. საკვლევ ენათა ამ ქრონოლოგიურ დონეზე რომ არ ეარსება ინტენსიურობის კორელაციას, მაშინ კანონზომიერ და რეგულარულ შესატყვისობებს განსხვავებული რეფლექსები არ ექნებოდა. რაც შეეხება მათ ჩამოყალიბებას, თავდაპირველად ნახურ-დაღესტნურ ფუძეენაში მაგარ სიბილანტთა წარმოქმნა, რაც შინაგანი ინერციით დღემდე გრძელდება, სხვადასხვა გზით შეიძლება განხორციელებულიყო: ა) თანხმოვანთა გემინაციით, შერწყმით და ფონემიზაციით: ც+ც>□, წ+წ>□… ; ბ) ხმოვნის საკომპენსაციო რედუქციით, რისი კვალი დღესაც ხელშესახებია ანდიურ ენაში. კერძოდ, „ეს ფონეტიკური პროცესი აქ დაკავშირებულია თანხმოვნის მომდევნო ხმოვნის რედუქციასთან“ (ცერცვაძე 1965: 42), მაგ.: ბა□დო (<ბა**ხი**დო) „ყეფს“, ქე□ (<ქე**ჯი**) და ა. შ.; დ) ექსპრესიული გემინაციით, რაც გულისხმობს ბგერათა სიხშირით მიღებულ ბგერის სიმაღლეს. ბგერის სიძლიერე, რაც ინტენსიურ სიბილანტთა ძირითადი ნიშანია, დამოკიდებულია სახმო სიმების ამპლიტუდაზე. ლოგიკურია, რომ ბგერის მაღალი ტონით არტიკულაციას ხელი შეეწყო ამ ტიპის ხმოვანთა ჩამოყალიბებისთვის.

5. ცირა ბარამიძე, ლაბილურობის ნანოსინტაქსი ქართულში და იბერიულ-კავკასიური ენები; Nano-syntax of lability in Georgian and Iberian-Caucasian languages - ჟურნალი „კავკასიოლოგიური ძიებანი“, XIII, თბილისი (იბეჭდება).

ანოტაცია

სტატიაში გაანალიზებულია ლაბილურობა ქართულში და დანარჩენ იბერიულ-კავკასიურ ენებში. ქართველურ ენებში ლაბილობა დღეს უკვე გაუჩინარებული კატეგორია. ლაბილურობა იბერიულ-კავკასიური ენების მორფოსინტაქსური ჩარჩო-მოდელის წამყვანი ოდენობაა. ლაბილურობა გვაქვს იქ, სადაც არის გრამატიკული კლასი და, შესაბამისად, ერგატივი. ლაბილურობის დიაქრონიული ანალიზი ქართველურ ენათა ემპირიული მასალის მიხედვით და ენათა სინქრონიული ჭრილების გათვალისწინებით იძლევა შესაძლებლობას, იბერიულ-კავკასიურ ენობრივ ჯგუფებს შორის ქვესისტემათა შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდით აღვადგინოთ ლაბილურობის კატეგორია, როგორც იბერიულ-კავკასიური ენების საკვანძო

[1] ინტენსიურ სიბილანტთა სისტემის მოშლა ცნაურდება ინტენსიური და არაინტენსიური პოზიციური ვარიანტების არსებობით (გაფრინდაშვილი 1966: 167).

მორფოსინტაქსური ოდენობა გრამატიკულ კლასსა და ერგატიულობასთან ერთად. ლაბილური კონსტრუქციის ზმნა-შემასმენელი ქმნის აქტანტებისა და ტრანზიტიულობა-ინტრაზიტიულობის ვარირების შესაძლებლობას:

აღიყვანა მან იგი (აქტივი) - აღიყვანა იგი = აღყვანილ იქნა (პასივი)

მოიკლა მან იგი (აქტივი) - მოიკლა იგი (პასივი)

ხუნძური: ვა□-ა□ სთაქან **ბ-ექანა** (აქტივი) „ძმამ ჭიქა გატეხა“ - სთაქან **ბ-ექანა** (პასივი) „ჭიქა გატყდა“ (არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე)

ლაბილურობაშია ჩართული აქტივისა და პასივის სემანტიკა გვარის ჩამოყალიბებამდე; ლაბილურობა გვარის გარეშე გამოხატავს აქტივსა და პასივს. ლაბილური კონტრუქციების პრიორიტეტია რეციპიენტის (პირდაპირი ობიექტი) მარკირება ზმნაში ნაცვლად სუბიექტისა და, ასევე, ერგატიული კონსტრუქცია იმ ენებშიც კი, სადაც ბრუნვა ერგატივი არა გვაქვს, რადგან ბრუნება არ ჩამოყალიბებულა (მაგ. აფხაზურში). ერგატიულობა და ლაბილურობა გადაჯაჭვულია ყველაზე ძველ მორფოსინტაქსურ ოდენობასთან - გრამატიკულ კლასთან. იმ ენებში, სადაც გრამატიკული კლასი კარგად არის შემონახული და უღვლილება კლასოვანია, ლაბილურობა-სტაბილურობის კატეგორია სრულად ფუნქციონირებს, შეიცავს ტრანზიტიულობა-ინტრანზიტიულობის სემანტიკას და ფორმობრივადაც ზედმიწევნით გამოხატავს აქტივსა და პასივს.

მოხსენებაში ქართული ენის ლაბილური კონსტრუქციების ნანოსინტაქსი შედარებულია დანარჩენ იბერიულ-კავკასიურ ენებთან და მოცემულია დასკვნები.

Lability in the Kartvelian languages is already disappeared category today. Lability is a leading phenomenon of the morphosyntactic framework model of the Iberian-Caucasian languages. Lability occurs there where there is a grammatical class and therefore an Ergative. Diachronic analysis of lability of the empirical material of the Kartvelian languages and synchronous aspects of the languages enable us to restore the category of lability as a key morphosyntactic phenomenon of the Iberian-Caucasian languages along with grammatical class and Ergativity by means of inner reconstruction of the subsystems among the Iberian-Caucasian language groups. Verb-predicate of labile construction creates the possibility for transitivity-intrasitivity variation:

**Georgian:** ***ayi □vana man igi* *აღიყვანა მან იგი*** - “Sb took sth/sb” (Active) – ***ayi □vana igi აღიყვანა იგი = ay□vanil iqna აღყვანილ იქნა*** “Sb/Sth was taken” (Passive)

**Georgian:** ***moiḳla man igi* *მოიკლა მან იგი*** “Sb killed oneself” (Active) - ***moiḳla igi მოიკლა იგი*** “Sb/Sth was killed” (Passive)

Avar: ***va□-a□ staqan b-eqana*** „A brother broke a glass“ (Active) - ***staqan b-eqana*** „A glass was broken“ (Passive)

The active and passive semantics are involved in the lability before the formation of the voice; Lability expresses both active and passive nature without voice. Priority of labile constructions is to mark the recipient (direct object) in a verb instead of a subject and even an Ergative construction in the languages which have no Ergative case since case wasn’t developed (e.g. in Apkhazian). Ergativity and

lability are intertwined with the oldest morphosyntactic phenomenon - with grammatical class. In the languages in which the grammatical class is well preserved and conjugation has class nature, the lability-stability category fully functions, contains transitivity-intransitivity semantics and formally expresses both active and passive nature exactly. In the report, the nano-syntax of labile constructions of the Georgian language is compared with other Iberian-Caucasian languages and conclusions are given.

**6. ჯონი კვიციანი, საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობა, როგორც ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ფაქტორი // სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-კავკასიურ ურთიერთობათა ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტები“, II, თბილისი, 26 მარტი 2023, მასალები, გვ. 14-15.**

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

. ისტორიული მემკვიდრეობის გავლენა კავკასიაში მიმდინარე მოდერნიზაციულ და სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე სულ უფრო მეტად იჩენს თავს და, შესაბამისად, მისი შესწავლა უფრო აქტუალური ხდება.

აღნიშნული პრობლემის ზოგადთეორიული საკითხები აისახა ჰანს იოასის,იოჰან არნასონის, ჯინ კოენისა და ენდრიუ არატოს, გია ნოდიას, ჰაჟისმელ თხაგაფსოევისა და სხვების სამეცნიერო კვლევებში. ისინი აღნიშნავენ, რომ ცივილიზაციათა (აგრარული, ინდუსტრიული, ინფორმაციული) ცვლილებების პროცესში იცვლება ენა, კულტურა და, ზოგადად, ადამიანი. მაგალითად, ლინგვისტურ ნაწილში ხაზგასმულია, რომ ნაცია „ჩამოიცილებს“ იმ ენობრივ ფორმას, რომელიც შეესატყვისება ხალხურს, ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ ტომობრივს ან დიალექტურ ენას. ნაციის (ერის) ფორმირების დასრულებას ისინი უკავშირებენ ლიტერატურული ენის შექმნას, რომელიც საერთოეროვნულ გავრცელებას პოულობს და ცხოვრების ძირითად სფეროებიდან განდევნის ადგილობრივ დიალექტებს. ამავე დროს, მათ ნაშრომებში ისტორიული მემკვიდრეობისა და თანამედროვე სამოქალაქო ერის ფორმირების დინამიკა არ განხილულა.

XX საუკუნეში, პირველი მსოფლიოს ომის დამთავრების შემდეგ, ფართოდ მხარდაჭერილმა პროექტმა „ერთა თვითგამორკვევის უფლებების შესახებ“ კავკასიაშიც პოვა გავრცელება. მაგალითად, საქართველოში, დემოკრატიული, უნიტარული სახელმწიფოს ფარგლებში (1918-1921 წწ.) შეიქმნა პირობები ერთიანი სამოქალაქო ერის ფორმირებისათვის. ეროვნული უმცირესობებისათვის ქვეყანაში

ტარდებოდა კულტურული ავტონომიის, რეალურ თვითმმართველობაზე დაფუძნებული პოლიტიკა. საბჭოთა კავკასიაში კი „ხალხთა თვითგამორკვევა“, ერთის მხრივ, ხალთა ინტეგრაციისკენ და სამოკავშირეო ზეეროვნული სისტემის „საბჭოთა ხალხის“ შექმნისკენ, მეორეს მხრივ კი  ეთნიკური იდენტობის აქტუალიზაციისკენ და ეთნიკური ერების შექმნისაკენ იყო მიმართული. ამ უკანასკნელის შესაბამისად რეგიონში შეიქმნა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრინციპებზე დაფუძნებული ე. წ. „სახელმწიფოები“ სამოკავშირეო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ფორმით, რომლებიც ზევრად წინააღმდეგობრივ, ფორმალურ ხასიათის ატარებდნენ.

ამჟამად, საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის ინერცია, საქარტველოში წინააღმდეგობაში მოდის დემოკრატიული პროცესების გაღრმავებასა და ერთიანი სამოქალაქო ერის ჩამოყალიბებასთან. აღნიშნული პოლიტიკის შედეგია რუსეთ-საქართველოს (2008 წლის აგვისტოს) ომი, სოხუმში  ქართველებსა და აფხაზებს, ოსებს შორის და ა. შ. ვფიქრობ, ამ ვითარებიდან გამოსავალი საბჭოთა ეროვნულ პოლიტიკაზე უარის თქმა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის

დაცვასა და ერთა თვითგამორკვევის ურთიერთგამომრიცხავ პრინციპებს შორის კომპრომისების მოძიება იქნება.

7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

7.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN;

გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

7.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN;

გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. . **Квициани Д. Д., Колесникова М. Е., Крючков И. В., Кудрявцев А. А., Сулаберидзе Ю. С.; Истории взаимоотношений России и Грузии в X – первой половине XIX вв. Учебное пособие. Ставрополь: Изд-во Северо-Кавказского федерального университета, 155 С.**

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. **Квициани Д. Д., Колесникова М. Е., Крючков И. В., Кудрявцев А. А., Сулаберидзе Ю. С.; Истории взаимоотношений России и Грузии в X – первой половине XIX вв. Учебное пособие. Ставрополь: Изд-во Северо-Кавказского федерального университета, 155 С.**

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
სახელმძღვანელო მოიცავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ჩამოყალიბების მთავარ ეტაპებს, რუსეთისა და საქართველოს შიდაპოლიტიკური განვითარების გავლენას ამ პროცესზე, საგარეო პოლიტიკურ კონტექსტს და გეორგიევსკის ტრაქტატის დადებას. სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა გეორგიევსკის ტრაქტის ისტორიოგრაფიულ-სამართლებრივ შეფასებას. მოცემული ისტორიული დოკუმენტები საშუალებას მოგვცემს, გავაფართოვოთ X ს. — XIX ს.-ის პირველი ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის გაგება. სახელმძღვანელო განკუთვნილია საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულებების უფროსკლასელებისთვის და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის.

2.

7.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI;

ჟურნალის/კრებულის დასახელება და  ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით; გვერდების რაოდენობა

1. **ალექსანდრე გავაშელიშვილი, მერაბ ჩუხუა, კახი სახლთხუციშვილი, დილექ ქოფტექინი, მეჰმედ სომელი - The time and place of origin of South Caucasian Languages: insights into past human societies, ecosystems and human population genetics. - ჟურნალი Scientific Reports - Nature Portfolio, რომელსაც 5-ამდე იმპაქტი აქვს, თანაც, მსოფლიოში მე-5 ყველაზე ციტირებადი ჟურნალია.**

**3. Квициани Д. Д.; Проблема влияния исторического наследия на социально-политические процессы современного Кавказа; I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალური გამოწვევები და თურქული სამყარო“; ბაქო, აზერბაიჯანის უნივერსიტეტის გამომცემლობა; გვ. 26-28.**
[https://www.academia.edu/102537418/AZ%C6%8FRBAYCAN_UN%C4%B0VERS%C4%B0TET%C4%B0_S%C4%B0YAS%C4%B0_ELML%C6%8FR_KAFEDRASI_QLOBAL_%C3%87A%C4%9EIRI%C5%9ELAR_V%C6%8F_T%C3%9CRK_D%C3%9CNYASI](https://www.academia.edu/102537418/AZ%C6%8FRBAYCAN_UN%C4%B0VERS%C4%B0TET%C4%B0_S%C4%B0YAS%C4%B0_ELML%C6%8FR_KAFEDRASI_QLOBAL_%C3%87A%C4%9EIRI%C5%9ELAR_V%C6%8F_T%C3%9CRK_D%C3%9CNYASI)
**4. Квициани Д. Д.; Грузинский фактор в обороне Кавказа в годы Второй мировой войны; Битва за Кавказ в исторических судьбах народов СССР : сборник материалов Международной научно-практической конференции (г. Ставрополь, 18–22 мая 2022 г.); ISBN 978-5-9296-1215-2; Ставрополь : Изд-во СКФУ; с. 126-132.**

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. დასახელებულ ჟურნალში გამოქვეყნებული ახალი კვლევა ადგენს და ათარიღებს სამხრეთ კავკასიური ლინგვისტური ოჯახის (ე.ი. ქართველური ლინგვისტური ოჯახის)

ფილოგენიას ბაიესური მეთოდით და ავლენს მისი წარმოშობას. ქართველური ენების წარმოშობის ადგილს და გაყოფის მიზეზებს ვადგენთ (1) ძველი არეალებით იმ ცხოველებისა და მცენარეებისა, რომელთა სახელები აღდგება საერთო-ქართველურ ძირებამდე, (2) წარსული კულტურების გავრცელების ადგილებით და (3) წარსულ და არსებულ ადამიანთა პოპულაციების გენეტიკური ვარიაციებით. ჩვენი საუკეთესო ბაიესური ფილოგენეტიკური მოდელი ეთანხმება წინა კვლევების მიერ შემოთავაზებულ ფართოდ აღიარებულ ტოპოლოგიას. თუმცა, ამ კვლევებისგან განსხვავებით, ჩვენი მოდელი გვთავაზობს გაყოფის უფრო ადრეულ თარიღებს, რომლის მიხედვითაც სვანური და ქართულ-ზანური დაშორდნენ ერთმანეთს ადრეულ სპილენძის ხანაში (დაახლოებით 7641 წლის წინ), ხოლო ქართული და ზანური - ადრეულ რკინის ხანაში (დაახლოებით 2617 წლის წინ). ზანურის მეგრულად და ლაზურად დაყოფა ფართოდ მიეწერება ქართულის და/ან ქართულად მეტყველთა გავრცელებას VII-VIII საუკუნეებში. ჩვენი ანალიზი აჩვენებს ქართველურ ენათა წარმოშობას იმ ადგილში, რომელიც დიდწილად მოიცავს სამხრეთ კავკასიის კოლხურ მყინვარულ რეფუგიუმს. ქართველური ენების დაყოფა მტკიცედ არის დაკავშირებული როგორც ტექნოლოგიების გავრცელების სიჩქარესთან სხვადასხვა ლანდშაფტში, ისე სახელმწიფოს მიერ მართული თემების გაჩენასთან. ნეოლითურმა საზოგადოებებმა ვერ შეძლეს უღრანი ტყეების კოლონიზაცია, მაშინ როცა სპილენძის ხანის საზოგადოებებმა ამ მხრივ მცირე წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ არა იმდენს, რამდენსაც მიაღწიეს ბრინჯაოსა და რკინის ხანის საზოგადოებებმა. ნაშრომი ასევე განიხილავს მყინვარული რეფუგიუმების მნიშვნელობას ლინგვისტური ოჯახების საფუძვლის ჩაყრაში და საიდან შეიძლება წარმოშობილიყვნენ ინდოევროპული ენები.
აი წარმოგიდგენთ ყოვლისმომცველ სცენარს, რომელიც ეფექტურად აერთიანებს ჩვენი კვლევის შედეგებს, არქეოლოგიურ, არქაულ ლექსიკურ და ტოპონიმურ მონაცემებს, ასევე ისტორიულ ჩანაწერებს. კავკასიაში მინდვრების და მეჩხერი ტყეების ნეოლითიზაციამდე ანუ მიწათმოქმედი ანატოლიელების გენების გამოჩენამდე (ე.ი. 8000 წლის წინ და უფრო ადრე), საერთო-ქართველურად მეტყველებდნენ მონადირე-შემგროვებლები რიონის ირგვლივ — უფრო ზუსტად ადგილში მდინარეებს მტკვარს, ჭოროხსა და ენგურს შორის. 8000 წლის წინიდან 4000 წლის წინამდე (დაახლოებით 4000 წლის განმავლობაში) მიწათმოქმედმა და მეტალურგიულმა საზოგადოებებმა მთლიანად ჩაანაცვლეს მონადირე-შემგროვებლები მტკვრის აუზსა და ჭოროხის აუზის უმეტეს ნაწილში, ხოლო მონადირე-შემგროვებლები დარჩნენ რიონ-ენგურის აუზებში და ჭოროხის აუზის უღრანტყიან ნაწილში. ტყიანობაში ასეთი განსხვავება განპირობებულია რიონ-ენგურის აუზების ბევრად უფრო უხვი ნალექიანობით. ამ პერიოდში მონადირე-შემგროვებლები დომინირებდნენ რიონ-ენგურის აუზებში, ხოლო მიწათმოქმედი და მეტალურგიული საზოგადოებები - მტკვარ-ჭოროხის აუზებში, რადგან ამ ტექნოლოგიურად განვითარებულ საზოგადოებებმა უფრო მეტი დრო მოანდომეს რიონ-ენგურისთვის დამახასიათებელი ხშირი და უღრანი ტყეების ათვისებას. ცხოვრების წესისა და გარემოს 4000-წლიანი განსხვავებების გამო, ენობრივი განსხვავებები დაგროვდა და გამყარდა მტკვარ-ჭოროხის აუზებისა და რიონ-ენგურის აუზების საზოგადოებებს შორის. რიონ-ენგურის ჯგუფის (ე.ი. მონადირე-შემგროვებელთა) ენა სვანურად განვითარდა, ხოლო მტკვარ-ჭოროხის ჯგუფის (ე.ი. მიწათმოქმედთა და მეტალურგთა) ენა - ქართულ-ზანურად.
რაც შეეხება ქართულ-ზანურს, ამ ენაზე მეტყველები, სავარაუდოდ, რკინის ხანამდე ბინადრობდნენ მტკვარ-ჭოროხის აუზებში, რაც ნიშნავს იმას, რომ ქართულ-ზანურად მეტყველებდნენ ის მიწათმოქმედი და მეტალურგი მტკვარ-არაქსელები, რომლთა დასახლებებიც სპილენძისა და ბრინჯაოს ხანაში მდინარე მტკვრის აუზში ყვაოდნენ. დროთა განმავლობაში მტკვრისა და ჭოროხის აუზებს შორის შეზღუდულმა მიმოსვლამ განაპირობა

ქართულ-ზანურის ორი განსხვავებული შტოს განვითარება: ქართულის მტკვრის აუზში და ზანურის ჭოროხის აუზში. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ჭოროხის აუზის უმეტეს ნაწილში ქართულად მეტყველებენ, ამ მხარეში წინაქართული სუბსტრატი ზანურია. ქართულ-ზანურის გაყოფის ერთი მიზეზი შეიძლება იყოს გეოგრაფიული ზღუდეები, როგორიცაა კლიმატურად მკაცრი მთის სტეპი და ხშირი ტყეები, რომლებიც გამოყოფდნენ ერთმანეთისგან მტკვრისა და ჭოროხის აუზებს. ქართულ-ზანურის გაყოფის მე-2 მიზეზი შეიძლება იყო ცივ სტეპში ცხოვრებას ნაჩვევი მეჯოგეების ჩამოსახლება პონტო-კასპიური სტეპიდან, რასაც ემთხვევა მტკვარ-არაქსის კულტურის დაკნინება და ადრეული ყორღანული კულტურის გაჩენა. ეს მეჯოგეები შემოვიდნენ კავკასიაში კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროთი და ძირითადად დასახლდნენ დღევანდელი სომხეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთის მთის სტეპებში და საფუძველი ჩაუყარეს სომხურ ენას შუა და გვიანდელ ბრინჯაოს ხანაში. ქართულ-ზანურის გაყოფის მე-3 მიზეზი შეიძლება იყო ისეთი სახელმწიფოების აღზევება, როგორიცაა რკინის ხანის ურარტუს სამეფო, რომლის ჩრდილოეთ ნაწილი მდებარეობდა მტკვრისა და ჭოროხის აუზებს შორის. გარდა ამისა, ხშირი ტყეები გამოყოფდა ამ აუზებს ჩრდილოეთიდან. მთლიანობაში, ქართულ-ზანურის დაყოფა ქართულად და ზანურად შეიძლება მივაწეროთ სამივე მიზეზს ერთად: გეოგრაფიულ ზღუდეებს, პონტო-კასპიური სტეპებიდან მეჯოგეთა ჩამოსვლას და ისეთი სახელმწიფოების გაჩენას, როგორიცაა ურარტუ, რომელიც ენობრივად არ იყო ქართველური.
ამის შემდეგ ზანური ენა და/ან ზანურად მოსაუბრენი ჭოროხის აუზიდან გავრცელდნენ იქ, სადაც ახლა მდებარეობს თურქეთის შავი ზღვის სანაპირო და დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი (იგივე კოლხეთი ძველად). პირველი საუკუნისათვის ამ გავრცელებამ თანდათან გადაანაცვლა სვანური ჩრდილოეთით, კერძოდ მდინარეების კოდორის, ენგურის, ცხენისწყლისა და რიონის ზემო წელებში. შემდგომში, VII-VIII საუკუნეებში ქართულმა ენამ და/ან ქართულად მოლაპარაკეებმა მტკვრის აუზიდან გადალახეს პონტო-კასპიური წყალგამყოფი, რასაც თანდათან მოჰყვა დიდწილად ზანურის შევიწროვება და გაყოფა ლაზურად და მეგრულად, ასევე სვანურის კიდევ უფრო შევიწროვება.
ამ კვლევის შედეგად აგრეთვე მივიღეთ უძველესი და თანამედროვე კავკასიის გენეტიკური სურათი. ჩვენმა ანალიზმა გამოავლინა ქართველურად მოლაპარაკეებს შორის ორი განსხვავებული ლინგვო-გენეტიკური ჯგუფი, კერძოდ სვანური და ქართულ-ლაზური. ამ ჯგუფთა ნიმუში გაჭიმული იყო კავკასიელ მონადირე-შემგროვებლებსა და ნეოლითურ-სპილენძის ხანის ანატოლიიელებს შორის. სვანური ლინგვო-გენეტიკური ჯგუფი უფრო ახლო გენეტიკურ კავშირს ავლენდა კავკასიელ მონადირე-შემგროვებელებთან, ხოლო ქართულ-ლაზური ლინგვო-გენეტიკური ჯგუფი უფრო ძლიერ გენეტიკურ მსგავსებას ავლენდა უძველეს ანატოლიიელებთან. მეგრულად მეტყველთა ჯგუფი იყო ნაზავი სვანური და ქართულ-ლაზური ჯგუფებისა, უფრო სვანურისკენ გაწეული. ეს გენეტიკური სურათი ემთხვევა ბაიესის ენობრივ ხეს ისე, რომ ქართულ-ლაზური გენეტიკური ჯგუფი არის ქართულ-ზანური ენობრივი შტოს ვექტორი, ხოლო სვანური ჯგუფი არის სვანური ენობრივი შტოს ვექტორი. ამ სურათის მიხედვით დღეს ლაზები უფრო ენათესავებიან ქართლ-კახელებს (ე.ი. აღმოსავლეთ ქართველებს), ვიდრე მეგრელებს. მეგრელები კი უფრო ენათესავებიან სვანებს, ვიდრე ლაზებს. მოკლედ, ამ გენეტიკური კვლევისა და ტოპონიომების ანალიზის მიხედვით, მეგრელების წინაპრები დიდი ალბათობით მეტყველებდნენ სვანურად. CHG-კომპონენტის (ანუ 13000 - 9000 წლების წინ მცხოვრები კავკასიელი მონადირე-შემგროვებლების წილი) არის ყველაზე მაღალი თანამედროვე კავკასიელებში. მაგრამ როგორც ძველად, ისე ახლა რაც უფრო ახლოსაა პოპულაცია დასავლეთ საქართველოსთან, მით უფრო მაღალია CHG-ის წილი და დაბალია ანატოლიელთა და ჲამნელთა (ანუ პონტო-კასპიელ სტეპელთა) წილი. ამიტომ უძველეს

ნაზარლეველებსა და დიდნაურელებში უფრო დაბალია CHG-ის წილი, ვიდრე დოღლაურელებში. ამავე დროს ნაზარლეველებში და დიდნაურელებში არის ცოტაოდენი წილი ჲამნელებისა ანუ იმ ხალხისა, რომლებმაც დასაბამი მისცეს დღევანდელ ინდო-ევროპულ ენებს და მათმა შემოსვლამ ~4000 წლის წინ სამხრეთ კავკასიაში საფუძველი ჩაუყარა სომხური ენის წარმოშობას. ჲამნელთა წილი თითქმის თანაბარია ნაზარლეველებსა და დიდნაურელებში, მაგრამ არ არის დოღლაურელებში. ბრინჯაოს ხანის მაიკოპელები (ანუ ჩრდილო კავკასიელები) გენეტიკურად ჯგუფდებიან არა თანამედროვე ჩრდილო კავკასიელებთან, არამედ თანამედროვე ქართლ-კახელებთან და ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიელებთან. ამის მიზეზია ბრინჯაოს ხანის შემდეგ ევრაზიული სტეპიდან და ციმბირიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გენების არსებითი ნაკადი, რამაც დღევანდელი ჩრდილო კავკასიელები გენეტიკურად დააშორა სამხრეთ კავკასიელებს. ამ გენთა ნაკადმა შეიძლება ახსნას ციმბირული ენების კვალი ჩრდილოეთ კავკასიაში, რამაც ზოგ ენათმეცნიერს აფიქრებინა, რომ ჩრდილოეთ კავკასიური, ენისეიული, ნა-დენე და სინო-ტიბეტური ენები ენათესავებიან ერთმანეთთან.

ინდოევროპული ენების ნამდვილი სამშობლო დღემდე საკამათოა, თუმცა ყველა კვლევა კავკასიასთან ახლოს ვარაუდობს. ჩვენი კვლევის შედეგებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ამ სამშობლოს ძიების არეალის შემცირებაში. ლინგვისტური ოჯახები ასოცირდებიან რეფუგიუმებთან ანუ იმ ადგილებთან, რომლებშიც ადამიანთა პოპულაციებმა თავშესაფარი ჰპოვეს ბოლო გამყინვარების პერიოდში. კავკასიასა და ახლოაღმოსავლეთში ასეთი სულ 5 რეფუგიუმია: ანატოლიური, ლევანტური, ზაგროსული, ჰირკანული და კავკასიური. ამ რეფუგიუმებიდან ანატოლიური ასოცირდება ხათურ ენებთან, ლევანტური - ხურიტულ ენებთან, კავკასიური - კავკასიურ ენებთან, ხოლო ზაგროსი ან ჰირკანი შეიძლება ასოცირდებოდეს იმ აკვანთან, რომელმაც დასაბამი მისცა პონტო-კასპიური სტეპის და ანატოლიის ინდოევროპულ ენებს. შეგახსენებთ, რომ ანატოლიური ინდოევროპული ენები (მაგ. ხეთური) გაქრნენ, ხოლო პონტო-კასპიური სტეპის ინდოევროპული ენები მოედნენ მთელ მსოფლიოს.

**2. Квициани Д. Д.; Проблема влияния исторического наследия на социально-политические процессы современного Кавказа; I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალური გამოწვევები და თურქული სამყარო“; ბაქო, აზერბაიჯანის უნივერსიტეტის გამომცემლობა; გვ. 26-28.**

ნაშრომი გვიჩვენებს, რომ ისტორიული მემკვიდრეობის გავლენა კავკასიის მიმდინარე მოდერნიზაციაზე და სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება, რამდენადაც მისი შესწავლა ისტორიული განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე მეტად აქტუალურია.

ამ პრობლემის ზოგადი თეორიული საკითხები ასახულია ჰანს იოასის, იოჰან არნასონის, ჯინ ლ. კოენისა და ენდრიუ არატოს, გია ნოდიას, ჰაჟისმელ თხაგაფსოევისა და სხვათა სამეცნიერო კვლევებში. ისინი აღნიშნავენ, რომ ცივილიზაციების (აგრარული, ინდუსტრიული, საინფორმაციო) ცვლილების პროცესში იცვლება ენა, კულტურა და, ზოგადად, თავად ადამიანი. მრავალენოვანი და მრავალკონფესიური საზოგადოებების ურთიერთობის ანალიზი სხვა ცივილიზაციებთან მოდერნიზაციამდელ კავკასიაში მიუთითებს, რომ რეგიონის ევოლუციური განვითარება დიდწილად განპირობებული იყო კულტურული მემკვიდრეობით.

ამჟამად, სოციალურ-პოლიტიკური პროცესები ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში მოდერნიზმის მრავალი ფორმით „ერთმანეთზეა გადაჯაჭვული“. ისტორიული მემკვიდრეობა არ განიხილება, როგორც კულტურული პროგრამა, რომელიც ცალსახად განსაზღვრავს ამ საზოგადოებების წარმატებულ განვითარებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიური

ტრადიციული კულტურის ინოვაციური ასპექტების გამოვლენას გადამწყვეტი გავლენა აქვს თანამედროვე საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებაზე.

**3. Квициани Д. Д.; Грузинский фактор в обороне Кавказа в годы Второй мировой войны; Битва за Кавказ в исторических судьбах народов СССР : сборник материалов Международной научно-практической конференции (г. Ставрополь, 18–22 мая 2022 г.); ISBN 978-5-9296-1215-2; Ставрополь : Изд-во СКФУ; с. 126-132.**

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ კავკასიის ხალხების ისტორიაში, ისევე როგორც მთელი საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში, მეორე მსოფლიო ომის თემა განსაკუთრებულ ადგილს იკავებს იმ ეგზისტენციალური გამოწვევის მეცნიერული გაგების თვალსაზრისით, რომელიც მაშინ წარმოიშვა საბჭოთა მოქალაქეებისთვის. ომის წლებში საქართველოში საბჭოთა მოქალაქეები დადგნენ არჩევანის წინაშე: საბჭოთა ძალაუფლების გარეგანი მიღებიდან გადასულიყვნენ მის შინაგან გათავისებაზე, ან გადასულიყვნენ მტრის მხარეზე, რომელიც მიუახლოვდა კავკასიას, საქართველოს და არ მალავდა მსოფლიო ბატონობის გეგმებს და კაცთმოძულეობრივ იდეებს. სამწუხაროდ, დღეს, ზოგიერთი ქართველი მეცნიერისა და პოლიტიკოსის აზრით, 1941-45 წწ. ომი ქართველი ხალხისთვის არ იყო სამამულო ომი. მათ მიაჩნიათ, რომ ქართველები მონაწილეობდნენ არა სამამულო ომში, არამედ — მეორე მსოფლიო ომში. არსებობენ უფრო რადიკალური მკვლევრებიც. ისინი ამართლებენ ზოგიერთ ქართველ ემიგრანტს და ფაშისტებთან მომუშავე „ქართველ ლეგიონერებს", მიიჩნევენ მათ საქართველოს პატრიოტებად, მისი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისთვის მებრძოლებად. რასაკვირველია, ეს უკანასკნელი, მეცნიერული თვალსაზრისით, კრიტიკას ვერ უძლებს და ჩვეულებრივი ადამიანის თვალსაზრისით, გულუბრყვილოა.

კავკასიის დაცვაში ქართული ფაქტორის ანალიზი ადასტურებს მისი მოქალაქეების მაღალ მობილიზაციის დონეს. ქართული ეროვნული მსროლელი დივიზიების გმირული ბრძოლა უზრუნველყოფილი იყო ფრონტზე მებრძოლების, საქართველოს ყველა მოქალაქის თავდაუზოგავი შრომით. საქართველოში ფრონტისა და ზურგის ერთიანობამ დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ძმური დახმარებით უზრუნველყო გამარჯვება კავკასიაში. საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტურმა უმრავლესობამ „შინაგანად" მიიღო საბჭოთა ძალაუფლება და შეუერთდა საბჭოთა ხალხის ერთიან ნაკადს, რასაც ადასტურებს მ. ეგოროვისა და მ. ქანთარიას მიერ საბჭოთა კავშირის დროშის აღმართვა რაიხსტაგზე, ომისშემდგომი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის აღდგენა, მეცნიერებისა და განათლების განვითარება.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

**8.1. საქართველოში**

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

**1. მერაბ ჩუხუა, გრემის ეტიმოლოგიისათვის. - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, 2023 წელი, ახალციხე**

2. მერაბ ჩუხუა, მიმღეობური -ეშ სუფიქსის გენეზისისათვის ქართულში, თსუ ენათმეცნ. ინსტიტუტის მეტყველების კულტურის განოფილების სამეცნიერო სესია, მიძღვნილი პროფ. შუქია აფრიდონიძის ხსოვნისადმი; 2023 წლის 20-22 ივნისი, თბილისი

3. მერაბ ჩუხუა, ქართველური ენები და ნოსტრატული მაკრო-ოჯახის ჰიპოთეზა. - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქუთაისური საუბრები" – XVIII, 2023 წლის 9-10 ივნისი, ქუთაისი

4. მერაბ ჩუხუა, მეგრულ-ლაზური ნათესაობის ლექსიკის ერთი ჯგუფისთვის (საგვარეულო, წინაპარი, შთამომავალი), XLIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესია, 2023 წლის 6-7 ოქტომბერი, ახალქალაქი.

5. მერაბ ჩუხუა, პროტოენისა და პროტოკულტურების ურთიერთმიმართებისათვის - პალეოკავკასიური მონაცემები (პლენარული მოხსენება), კავკასიოლოგთა II საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი, 2023 წლის 17-19 ოქტომბერი, თბილისი

6. მერაბ ჩუხუა, ხუნძური ყებე- „მჭედელი/სამჭედლო" სიტყვა რასულ ჰამზატოვის შემოქმედებაში და მისი წარმომავლობა. - სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი ხუნძი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის რასულ ჰამზათოვის 100 წლის იუბილესადმი, 2023 წლის 19 ოქტომბერი

7. მერაბ ჩუხუა, შავიზღვისპირა ადგილის სახელთა ერთგვაროვანი შედგენილობისათვის, ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრის მე-9 სამეცნიერო სესია. 2023 წლის 23-24 დეკემბერი, თბილისი

8. მერაბ ჩუხუა, ვნებითი გვარის მიმღეობური მე- – -ე წარმოების კვალი „ვეფხისტყაოსანში". - არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 82-ე სამეცნიერო სესია, მ ა ს ა ლ ე ბ ი, თსუ, 2023 წლის 19-21 დეკემბერი

9. მერაბ ჩუხუა, ქართული ენისა და ქრისტიანობის ისტორიული სტატუსი კავკასიის რეგიონში. - XLIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესია, 2023 წლის 6-7 ოქტომბერი, ახალქალაქი.

10. რევაზ აბაშია, იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფონოლოგიური სისტემის დიაქრონიულ ცვლილებათა დინამიკის ზოგიერთი საკითხი // კავკასიოლოგთა II საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესის, თბილისი, 17-19 ოქტომბერი 2023

11. რევაზ აბაშია, ქართველური ეტიმოლოგიები. V // ქართულ-კავკასიურ ურთიერთობათა ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტები, თბილისი, 26 მარტი 2023.

12. რევაზ აბაშია, ეთნოლინგვისტურ კოლოკაციებთან დაკავშირებული ზოგიერთი ლექსემის ისტორიისათვის მეგრულ-ლაზურში // არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 82-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2023 წლის 19-21 დეკემბერი

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

13. ნოდარ არდოტელი, კომპოზიტურ თეონიმთა ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის ქართველურსა და ნახურ-დაღესტნურ ენებში. - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტის კონფერენცია: „ქართულ-კავკასიურ ურთიერთობათა ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტები“II. თბილისი, 2023.

14. ნოდარ არდოტელი, ინტენსიურ სიბილანტთა რეკონსტრუქციისათვის ნახურ-დაღესტნურ ენებში. – კავკასიოლოგთა II საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი. თბილისი, 2023

15. ნოდარ არდოტელი, ზოგი სიტყვის (ეხი, შინში) გენეზისისათვის ქართულში. - არნ. ჩიქობავას საკითხავები. მასალები, XXXIV. თბილისი, 2023, გვ. 7-9.

16. ნოდარ არდოტელი, რასულ ჰამზათოვის ლექსის „წეროები“ ქართული თარგმანის შესახებ. – რასულ ჰამზათოვი 1923-2023 (მიძღვნილი რასულ ჰამზათოვის 100 წლისთავისადმი). თბილისი, 2023, გვ. 40-41.

17. ნოდარ არდოტელი, მცენარეულობის სახელთა შემცველი კომპოზიტების სემანტიკური ანალიზი ქართულსა და დიდოურ ენებში. - არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 82-ე სამეცნიერო სესიის მასალები, LXXXII. თბილისი, 2023, გვ. 7-8.

18. ცირა ბარამიძე, პოლივალენტური ნანოსინტაქსი იბერიულ-კავკასიურ ენებში და ირიბ-ობიექტური უღვლილების მოდელები - $S_2O_3$ ქართულში; Polyvalent Nanosyntax in the Iberian-Caucasian Languages and Indirect-Objective Models of Conjugation - $S_2O_3$ in Georgian; ბარამიძე/ Baramidze, ცირა/ Tsira- თსუ 105 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, 2023 წლის 6 თებერვალი, გვ.3-5.

19. ცირა ბარამიძე, *"ვერსია"* ქართულში და აქტანტების კუთვნილებითი მიმართებისათვის პოლივალენტურ იბერიულ-კავკასიურ ნანოსინტაქსში; *"Version"* in Georgian and for the possessive relations of actants in polyvalent Iberian-Caucasian nano-syntax; ბარამიძე/ Baramidze, ცირა/ Tsira - ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 147-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 27028 აპრილი.

20. ცირა ბარამიძე, ობიექტური უღვლილების ნანოსინტაქსი იბერიულ-კავკასიურ ენებში და ინვერსია ქართულში; Nano-syntax of Objective Conjugation in the Iberian-Caucasian Languages and Inversion in Georgian; ბარამიძე/ Baramidze, ცირა/ Tsira, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 2023 წლის 11 აპრილი,თეზისები, გვ.11-15.~

21. ცირა ბარამიძე, ლაბილურობის ნანოსინტაქსი ქართულში და იბერიულ-კავკასიური ენები; Nano-syntax of lability in Georgian and Iberian-Caucasian languages - პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2023, 20-21 ივლისი, თეზისები, გვ. 21-23.

22. ცირა ბარამიძე, უცნობი წერილობითი ძეგლები სვანეთიდან - *ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური ასპექტები;* Unknown written monuments from S v a n e t i -*Extralinguistic and linguistic aspects* - ბარამიძე/ Baramidze, ცირა/ Tsira - ისტორიკოს აკაკი კვიციანის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი VIII სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სვანეთის

კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერქპექტივები“, თბილისი, 23.09.2023, თეზისები, გვ.21-23.

23. ცირა ბარამიძე, **ქართული ლიტერატურა XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე - ევროპოცენტრიზმი და აზიაცენტრიზმი - თვითიზოლაცია და ახალი ესთეტიკის დასაბამი, ცირა ბარამიძე, XIX საუკუნე - ეპოქათა მიჯნა, VI სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 25.12.2023.**

**24. ჯ. კვიციანი; საქართველო: შუა საუკუნეების ქალაქების როლი საერო კულტურის განვითარებაში; კავკასიოლოგთა II საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი; თბილისი, 17-19 ოქტომბერი 2023.**

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

**ნოდარ არდოტელი, კომპოზიტურ თეონიმთა ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის ქართველურსა და ნახურ-დაღესტნურ ენებში. - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტის კონფერენცია: „ქართულ-კავკასიურ ურთიერთობათა ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტები“II. თბილისი, 2023.**

საკვლევ ენებში მნიშვნელოვანი ადგილი **თავისა** და **ხელის** შემცველ სომატონიმებიან კომპოზიტებს უჭირავთ, რომლებითაც უფრო მეტად მდიდარია ქართული ენა. **თავი** ზევრი კოორდინაციული კომპოზიტის ნაწილია და მეტწილად თავისსავე შემადგენელ სომატონიმებთან შედის კომპოზიციაში, რომელთაგან ყურადღებას იქცევს კონოტაციური მნიშვნელობის შემცველი **თავ-მეთავობა** (ხევს.) - ხევსურეთის ადათობრივი სამართლის მიხედვით მიღებული წესები, თუ როგორ უნდა იქცეოდეს მე□ელე მესისხლის ანუ მეთავის მიმართ... (აკ. შანიძე). **თავმეთავ[ე]ობა** (resp. **თავმესისხლეობა**) მოსისხლეობა (ალ. ჭინჭარაული). ანალოგიური მნიშვნელობით, ნახურ ენებში, გარდა **ჭირ** (<ქართ. ჭირი) ტერმინისა, დასტურდება: ჩეჩნ. **ფ□ა/ფ□□ნაშ** (ახ. **მოსთა□ალა,** ქისტ. **ფ□ა/ფ□ჲენიშ** „id“.), ინგ. **ფ□ა/ფ□ანაშ** „შურისგება“, „მტრობა“. გარდა ამისა, ჩეჩნურში შეიმჩნევა **ჟა□დალლა** „მოშურნეობა“, „მტრობა“.

რაც შეეხება დაღესტნურ ენებს, მეტ-ნაკლებად განსხვავებული ვითარება გვხვდება: ხუნძ. **ბიდულ ყისას**, **რეწელ**, დიდ. **ჰიწიკა** (<**ჰიწა** „ზღვევა“, **იკა** „წასვლა“), **იჲოს რეწელ** (<**იჲოს** „სისხლის“, **რეწელ** ხუნძ. „სამაგიერო“, „მისაგებელი“), ბეჟ. **ჲოწოჲო□ი**, **რეწელ ბოჲო□ი** (ზედმიწ. „სამაგიეროს ქმნა“) „სისხლის ძიება“, „შურისძიება“, „მტრობა“.

სტრუქტურული თანხვდენის მიუხედავად, არაიშვიათად შეიმჩნევა სემანტიკური გადახრები, რომელთა გამოვლენა ზოგ კავკასიურ ენაში გაძნელებულია, მაგ.: ქართ. **გულისყური** „ყურადღება, ინტერესი, გულისხმიერება“ (ქეგლი), ჩეჩნ. **დეგა ლერგ** „გულისყური“ (ზედმიწ. **დეგა** <*__დეგან__ „გულის“, **ლერგ** „ყური“), შდრ.: ბეჟ. **□აკის □ღ□** (საკ. ბეჟ.), **რაკის □ღა** (ჰუნზ.), საკ. დიდ. **როკუს ა□ი□აბი** „აორტა“ (ზედმიწ. ბეჟ. „გულის ყური“, საკ. დიდ. „გულის ყურები“).

1. **ცირა ბარამიძე, პოლივალენტური ნანოსინტაქსი იბერიულ-კავკასიურ ენებში და ირიბ-ობიექტური უღვლილების მოდელები - $S_2O_3$ ქართულში; Polyvalent Nanosyntax in the Iberian-Caucasian Languages and Indirect-Objective Models of Conjugation - $S_2O_3$ in Georgian;** ბარამიძე/

**Baramidze, ცირა/ Tsira- თსუ 105 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, 2023 წლის 6 თებერვალი, გვ.3-5.**

ანოტაცია

მოხსენებაში გაანალიზებულია იბერიულ-კავკასიურ ენებში უღვლილების მორფოსინტაქსური ამოსავალი სისტემის იერარქიული ცვლილების (კლასოვანი>კლასოვან-პიროვანი>პიროვანი>ნულოვანი) შედეგები აქტანტების მარკირების თვალსაზრისით. მოხსენების მიზანია, აიხსნას ქართულში ირიბი ობიექტის ვალენტობისა და მარკირების საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენათა დიაქრონიული ნანოსინტაქსის საფუძველზე.

იბერიულ-კავკასიური ენებისათვის ამოსავალია პირდაპირი ობიექტის ვალენტობის ასახვა კლასით - პრეფიქსაციით (იშვიათად - ინფიქსაციითაც) ტრანზიტიული ზმნა-შემასმენლის მქონე სინტაქსურ კონსტრუქციაში (შდრ. პირდაპირ-ობიექტური უღვლილება ქართულში - **გ**-ა-ქ-ებ მე შენ) და სუბიექტური უღვლილება კლასის მარკირებით ინტრანზიტიული ზმნა-შემასმენლის მქონე სინტაქსურ კონსტრუქციაში:

თაბ.: უზუ ბ-იკურა კაჯ „მე ვწერ წერილს“ ( $S_{ერგ.}$,$O_{სახ.}$ - ბ- არის პ. O-ის კლასის ნიშანი)

უზუ ტი-რ-ხ-ნუ „მე გავფრინდი“ ($S_{ნომ.}$, რ-არის S-ის კლასის ნიშანი)

იბერიულ-კავკასიურ ენებში ამოსავალ ანუ კლასოვანი ნანოსინტაქსის სისტემაში ირიბი ობიექტის ვალენტობა არ იყო მარკირებული. ირიბი ობიექტი განირჩეოდა სხვადასხვა (ძირითადად, ლოკატივებით) გზით ვიდრე უღვლილების მორფოსინტაქსური სისტემა კლასოვანიდან კლასოვან-პიროვანამდე არ გადაიწევდა და რიგ ენებში არ ჩამოყალიბდებოდა ოდენ პიროვან უღვლილებად. ირიბი ობიექტის მარკირება მიეკუთვნება პიროვანი უღვლილების ეტაპს და მეორეულია. ქართულში ირიბი ობიექტი ახალ „კატეგორიად“ მიაჩნია თ. უთურგაიძესაც.

იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის პიროვანი (ასევე კლასოვან-პიროვანი) უღვლილების მქონე ენების სისტემური ანალიზი იძლევა შესაძლებლობას, აიხსნას ირიბი ობიექტის მარკირების სისტემები და აიხსნას პირის ნიშნების განაწილების პრინციპები ირიბი ობიექტური პირებისათვის, კერძოდ, სუბიექტური პირის ნიშნებისა - $\mathbf{S_2}$ (ხ-, ჰ-, ს-, 0-) ირიბი $\mathbf{O_3}$-სათვის და პირდაპირი ობიექტური პირის ნიშნების (მ-, გ-, გვ- ) გამოყენების თავისებურებანი ირიბი ობიექტისათვის აგლუტინაციის პრინციპის დარღვევით ქართულში.

მოხსენებაში გაანალიზებულია იბერიულ-კავკასიურ ენებში ირიბი ობიექტის გამოხატვის ნანოსინტაქსური რეინტერპრეტაციები უღვლილების სისტემათა დიაქრონიული ცვლის შედეგად; მოცემულია მცდელობა, აიხსნას ქართული ენის პირდაპირ-ობიექტური და ირიბ-ობიექტური უღვლილების პარადიგმა დანარჩენ იბერიულ-კავკასიურ ენებთან მიმართებაში.

In the report, the results of the hierarchical change of the morphosyntactic origin system (class>class-personal>personal>zero) in the Iberian-Caucasian languages from the point of view of actant marking are analyzed. The purpose of the report is to explain the issue of valence and marking of the indirect object in Georgian based on the diachronic nanosyntax of the Iberian-Caucasian languages.

For the Iberian-Caucasian languages, the starting point is the reflection of the valence of the direct object with a class - prefix (rarely - also with an infix) in a syntactic construction with a transitive verb (cf. direct-object conjugation in Georgian - **გ**-ა-ქ-ებ მე შენ „I praise you“) and subjective conjugation by marking the class of S in intransitive verb:

Tab.: uzu **b**-i□ura kaj "I am writing a letter" ($S_{erg.}$, $O_{nom.}$ - **b**- is the sign of the class of R - recipient)

uzu ṭi-**r**-x-nu "I flew" ($S_{nom.}$, **r**-is the class sign of S)

The valence of the indirect object was not marked in the origin or class nanosyntax system in the Iberian-Caucasian languages. The indirect object was distinguished in different ways (mainly, by locatives) before the morphosyntactic system of conjugation did not move from class to personal conjugation and in some languages it did not develop into personal conjugation. Marking of an indirect object belongs to the stage of personal indifference and is secondary. T. Uturgaidze considers that the indirect object to be a new "category" in Georgian.

Among the Iberian-Caucasian languages, the systematic analysis of languages with personal (as well as class-personal) indeterminacy provides an opportunity to explain the indirect object marking systems and to explain the principles of distribution of person signs for indirect object persons, in particular, subjective person signs - $S_2$ ((ხ-, ჰ-, ს-, 0-) for indirect $O_3$ and peculiarities of using direct object person signs ((მ-, გ-, გვ-) for indirect object in violation of the principle of agglutination in Georgian.

The report analyzes the nanosyntactic reinterpretations of the expression of the indirect object in the Iberian-Caucasian languages as a result of the diachronic change of the conjugation□ systems; An attempt is made to explain the paradigm of the direct-objective and indirect-objectiveness of the Georgian language in relation to the rest of the Iberian-Caucasian languages.

2. **ცირა ბარამიძე, “ვერსია” ქართულში და აქტანტების კუთვნილებითი მიმართებისათვის პოლივალენტურ იბერიულ-კავკასიურ ნანოსინტაქსში; “Version” in Georgian and for the possessive relations of actants in polyvalent Iberian-Caucasian nano-syntax;** ბარამიძე/ Baramidze, ცირა/ Tsira - ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 147-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 27028 აპრილი.


ანოტაცია

ქართული ზმნის უღვლილების სისტემა კუთვნილების თვალსაზრისით გვიჩვენებს, რა ურთიერთობაა სუბიექტსა და ობიექტს (ან ობიექტებს) შორის, ე. ი. ზმნას შეუძლია აჩვენოს ქცევები ანუ ვერსიები.

ე. წ. ქცევის კატეგორია ქართულში მეორეულია და დაკავშირებული უნდა იყოს ქართული ზმნის უღვლილების ტიპის ცვლასთან. სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე დღის წესრიგში დგას ქართული ზმნის მნიშვნელოვანი კატეგორიების ("ქცევისა" და "გვარის") სემანტიკურ ნაირსახეობათა კვალიფიკაციის საკითხი, ზმნის პირის გამოხატვის სისტემისა და ამასთან დაკავშირებული „ინვერსიის“ პრობლემები და სხვა. გვარი მიგვაჩნია სემანტიკურ კატეგორიად

(ვიზიარებ დ. მელიქიშვილის მოსაზრებას). ინდო-ევროპული ენების კლასიფიკაციის მსგავსად ქართულ ზმნაში გვარის კატეგორიის, ვფიქრობ, მცდარმა კლასიფიკაციამ გამოავლინა შეუსაბამობა "გვარისა" და „ქცევის“ (ვერსიის) „კატეგორიების” სემანტიკურ დეფინიციასა და ფორმალურ კლასიფიკაციას შორის და „დაჩრდილა“, გაუგებარი გახადა ზმნის ხმოვანპრეფიქსთა ნანოსინტაქსური ფუნქციები.

მოხსენებაში მოცემულია მცდელობა, აიხსნას ვერსიის პრეფიქსთა რეინტერპრეტაციები, ქართული და სხვა დანარჩენი იბერიულ-კავკასიური ენების სპეციფიკის გათვალისწინებით, მორფოსინტაქსურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ე.წ. ვერსიის კატეგორია ქართულში, როგორც აქტანტების კუთვნილებითი მიმართების მეორეული ვითარება პოლივალენტურ (კერძოდ, პიროვანი უღვლილების) იბერიულ-კავკასიურ ნანოსინტაქსში; მოცემულია მცდელობა, აიხსნას ამ ენათა ნანოსინტაქსური დიასისტემების იერარქია და ქართული ენის ნანოსინტაქსი „ვერსიის“ კონტექსტში.

The Georgian verb conjugation system shows the relationship between the Subject and the Object (or Objects) from the point of view of belonging, so a verb can show Behaviors or Versions.

The category of Version in Georgian is secondary and should be related to the change of the type of the Georgian verb conjugation. In the scientific literature, an issue of the qualification of the semantic varieties of the important categories of the Georgian verb ("Version" and "Voice"), the problems of the expression system of the person of the verb and related "Inversion", and others are still on the agenda. We consider that the category of Voice is a semantic category (I share D. Melikishvili's opinion). Similar to the classification of Indo-European languages, the category of the Voice in the Georgian verb, I think, the wrong classification revealed a discrepancy between the semantic definition and the formal classification of the "categories" of "Voice" and "Version" and "overshadowed", making the nano-syntactic functions of the vowel prefixes of the verb unclear.

The report contains an attempt to explain reinterpretations of Version prefixes in Georgian and other Iberian-Caucasian languages, based on morphosyntactic criteria. The category of Version in Georgian as the secondary situation of the actant's belonging relation in the polyvalent (in particular, personal conjugation) Iberian-Caucasian nano-syntax; An attempt is made to explain the hierarchy of nano-syntactic diasystems of these languages and the nano-syntax of the Georgian language in the context of "Version".

3. **ცირა ბარამიძე, ობიექტური უღვლილების ნანოსინტაქსი იბერიულ-კავკასიურ ენებში და ინვერსია ქართულში; Nano-syntax of Objective Conjugation in the Iberian-Caucasian Languages and Inversion in Georgian;** ბარამიძე/ Baramidze, ცირა/ Tsira, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 2023 წლის 11 აპრილი,თეზისები, გვ.11-15.

ანოტაცია

ქართული ენაში, ისევე როგორც დანარჩენ იბერიულ-კავკასიურ ენებში, გვაქვს ობიექტური და სუბიექტური უღვლილების მოდელები. ობიექტებისა და სუბიექტის ვალენტობა გამოიხატება პირით, რაც მეორეულია. ასევე, ქართული პოლივალენტური ენაა. ვფიქრობ, პირის ნიშნები არ არის ნაცვალსახელური წარმოშობის ქართულში, კერძოდ, თუ მეორე პირის ნიშანი არაა ნაცვალსახელური წარმოშობისა, არც პირველი უნდა ყოფილიყო ამ რიგისა. ასევე მეორეული იერარქიისა უნდა იყოს ის მოვლენაც, რომ სუბიექტისა და ობიექტის პირის ნიშნები განსხვავებულია როგორც პირველ პირში, ასევე მეორე პირში. ქართულში პიროვან უღვლილებაზე გადასვლის 1-ლ საფეხურზე სუბიექტისა და ობიექტის პირის ნიშნები ერთი და იგივე უნდა ყოფილიყო, როგორც ეს აფხაზურ-ადიღურ ენებშია და როგორც ეს არის გრამატიკული კლასის აღნიშვნისას ნახურსა და დაღესტნურ ენებში, მაგრამ სუბიექტისა და ობიექტის პირის ნიშნები უკვე ძველი ქართულის ტექსტებში გარჩეულია. არადა, ერთი და იგივე რომ უნდა ყოფილიყო სუბიექტისა და ობიექტის ვალენტობის ამსახველი ნიშანი, ამას ადასტურებს ეტიმოლოგიური ძიებაც (დ-გ-ა-ს, დ-ქუ-ა...). ქართულშიც ისეთი ვალენტობის სისტემა უნდა გვქონოდა, როგორც ეს ჩრდილოკავკასიურ ენებშია: სუბიექტისა და ობიექტისათვის ერთი და იგივე ნიშანი უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ამგვარად, დგება საკითხი - რა იყო ეს ნიშნები და რა ცვლილება მოხდა ნაცვალსახელებში. ქართულში ანლაუტში უპირატესობა ენიჭება ობიექტის პირს და მხოლოდ იმის ნიშანი რჩება, სუბიექტის ნიშანი არაა წარმოდგენილი: მე შენ გ-ეჯიბრები - შენ მე მ-ეჯიბრები... ასევე: მე შენ გ-აქებ, შენ მე მ-აქებ... ასეთ შემთხვევაში ა. შანიძე ამბობს, რომ გვაკლია სუბიექტის პირიო. არადა, ფონოტაქტიკით ეს არ აიხსნება. ასეთ შემთხვევაში ახსნა შესაძლებელია მხოლოდ ამოსავალი მორფოსინტაქსური მოდელით, სადაც გარდამავალ ზმნაში აისახება ობიექტი და არა სუბიექტი. ამგვარად, RS გამოიხატება გარდაუვალ ზმნაში, RO-ს კი ენიჭება უპირატესობა გარდამავალ ზმნაში. აქვე განიხილება ე.წ ინვერსიული ზმნების შემთხვევა, მაგალითად, „წიგნი მკითხველს მოეწონა“, სადაც RS არის „მკითხველს“, ხოლო RO არის „წიგნი“.

მოხსენებაში მოცემული მცდელობა, აიხსნას ქართულში უღვლილების ნანოსინტაქსური მოდელები (ობიექტური, სუბიექტური) პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბების ეტაპზე და აიხსნას ე.წ. ინვერსია, როგორც ობიექტური უღვლილების ერთ-ერთი რეინტერპრეტაცია.

In the Georgian language, as well as in other of the Iberian-Caucasian languages, we have models of objective and subjective conjugation. The valence of the objects and the subject is expressed by the person, which is secondary. Also, Georgian is a polyvalent language. I think that person signs are not of pronominal origin in Georgian, in particular, if the second person sign is not of pronominal origin, the first person should not be of this order either. Also, the event that the signs of the subject and the object person are different both in the first person and in the second person should be of secondary hierarchy. At the 1st stage of the transition to personal neutrality in Georgian, the signs of the subject and the object person should have been the same, as it is in the Abkhazian-Adyghean languages and as it is when marking the grammatical class in the Nakh and Dagestanian languages, but the signs of the subject and the object person are already distinguished in the Old Georgian texts. On the other hand, if the sign representing the valence of the subject and the object should be the same, this is confirmed by the etymological research (დ-გ-ა, d-g-a, დ-ქუ-ა d-ku-a...). Georgian should also have such a valence system as it is in the North Caucasian languages: the same sign should be used for subject and object. Thus, the question arises - what were these signs and what change took place in the pronouns. In Georgian, the

person of the object is preferred and only the sign of the subject remains, the sign of the subject is not present: მე შენ გ-ეჯიბრები I compete with you - შენ მე მ-ეჯიბრები you compete with me... also: მე შენ გ-აქებ I praise you, შენ მე მ-აქებ you praise me... in such a case A. Shanidze says that we are missing the face of the subject. However, this cannot be explained by phonotactics. In such a case, it can be explained only by the starting morphosyntactic model, where the object, not the subject, is reflected in the transitive verb. Thus, RS is expressed as an intransitive verb, while RO is preferred as a transitive verb. The case of so-called inverse verbs is discussed here, for example, "The reader liked the book", where RS is "the reader", and RO is "the book".

The attempt given in the report is to explain the nano-syntactic models of conjugation in Georgian (objective, subjective) at the stage of formation of personal conjugation and to explain the so-called Inversion as one of the reinterpretations of objective conjugation.

**4. ლაბილურობის ნანოსინტაქსი ქართულში და იბერიულ-კავკასიური ენები; Nano-syntax of lability in Georgian and Iberian-Caucasian languages - პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2023, 20-21 ივლისი, თეზისები, გვ. 21-23.**

ანოტაცია

მოხსენებაში გაანალიზებულია ლაბილურობა ქართულში და დანარჩენ იბერიულ-კავკასიურ ენებში. ქართველურ ენებში ლაბილობა დღეს უკვე გაუჩინარებული კატეგორია. ლაბილურობა იბერიულ-კავკასიური ენების მორფოსინტაქსური ჩარჩო-მოდელის წამყვანი ოდენობაა. ლაბილურობა გვაქვს იქ, სადაც არის გრამატიკული კლასი და, შესაბამისად, ერგატივი. ლაბილურობის დიაქრონიული ანალიზი ქართველურ ენათა ემპირიული მასალის მიხედვით და ენათა სინქრონიული ჭრილების გათვალისწინებით იძლევა შესაძლებლობას, იბერიულ-კავკასიურ ენობრივ ჯგუფებს შორის ქვესისტემათა შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდით აღვადგინოთ ლაბილურობის კატეგორია, როგორც იბერიულ-კავკასიური ენების საკვანძო მორფოსინტაქსური ოდენობა გრამატიკულ კლასსა და ერგატიულობასთან ერთად. ლაბილური კონსტრუქციის ზმნა-შემასმენელი ქმნის აქტანტებისა და ტრანზიტიულობა-ინტრაზიტიულობის ვარირების შესაძლებლობას:

აღიყვანა მან იგი (აქტივი) - აღიყვანა იგი = აღყვანილ იქნა (პასივი)

მოიკლა მან იგი (აქტივი) - მოიკლა იგი (პასივი)

ხუნძური: ვა□-ა□ სთაქან **ბ-ექანა** (აქტივი) „ძმამ ჭიქა გატეხა" - სთაქან **ბ-ექანა** (პასივი) „ჭიქა გატყდა" (არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე)

ლაბილურობაშია ჩართული აქტივისა და პასივის სემანტიკა გვარის ჩამოყალიბებამდე; ლაბილურობა გვარის გარეშე გამოხატავს აქტივსა და პასივს. ლაბილური კონტრუქციების პრიორიტეტია რეციპიენტის (პირდაპირი ობიექტი) მარკირება ზმნაში ნაცვლად სუბიექტისა და, ასევე, ერგატიული კონსტრუქცია იმ ენებშიც კი, სადაც ბრუნვა ერგატივი არა გვაქვს, რადგან ბრუნება არ ჩამოყალიბებულა (მაგ. აფხაზურში). ერგატიულობა და ლაბილურობა

გადაჯაჭვულია ყველაზე ძველ მორფოსინტაქსურ ოდენობასთან - გრამატიკულ კლასთან. იმ ენებში, სადაც გრამატიკული კლასი კარგად არის შემონახული და უღვლილება კლასოვანია, ლაბილურობა-სტაბილურობის კატეგორია სრულად ფუნქციონირებს, შეიცავს ტრანზიტიულობა-ინტრანზიტიულობის სემანტიკას და ფორმობრივადაც ზედმიწევნით გამოხატავს აქტივსა და პასივს.

მოხსენებაში ქართული ენის ლაბილური კონსტრუქციების ნანოსინტაქსი შედარებულია დანარჩენ იბერიულ-კავკასიურ ენებთან და მოცემულია დასკვნები.

Lability in the Kartvelian languages is already disappeared category today. Lability is a leading phenomenon of the morphosyntactic framework model of the Iberian-Caucasian languages. Lability occurs there where there is a grammatical class and therefore an Ergative. Diachronic analysis of lability of the empirical material of the Kartvelian languages and synchronous aspects of the languages enable us to restore the category of lability as a key morphosyntactic phenomenon of the Iberian-Caucasian languages along with grammatical class and Ergativity by means of inner reconstruction of the subsystems among the Iberian-Caucasian language groups. Verb-predicate of labile construction creates the possibility for transitivity-intrasitivity variation:

**Georgian: aγi □vana man igi აღიყვანა მან იგი** - “Sb took sth/sb” (Active) – **aγi □vana igi აღიყვანა იგი = aγ□vanil iqna აღყვანილ იქნა** “Sb/Sth was taken” (Passive)

**Georgian: moiḳla man igi მოიკლა მან იგი** “Sb killed oneself” (Active) - **moiḳla igi მოიკლა იგი** “Sb/Sth was killed” (Passive)

Avar: **va□-a□ staqan b-eqana** „A brother broke a glass“ (Active) - **staqan b-eqana** „A glass was broken“ (Passive)

The active and passive semantics are involved in the lability before the formation of the voice; Lability expresses both active and passive nature without voice. Priority of labile constructions is to mark the recipient (direct object) in a verb instead of a subject and even an Ergative construction in the languages which have no Ergative case since case wasn’t developed (e.g. in Apkhazian). Ergativity and lability are intertwined with the oldest morphosyntactic phenomenon - with grammatical class. In the languages in which the grammatical class is well preserved and conjugation has class nature, the lability-stability category fully functions, contains transitivity-intransitivity semantics and formally expresses both active and passive nature exactly.

In the report, the nano-syntax of labile constructions of the Georgian language is compared with other Iberian-Caucasian languages and conclusions are given.

**5. ცირა ბარამიძე, უცნობი წერილობითი ძეგლები სვანეთიდან - ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური ასპექტები; Unknown written monuments from S v a n e t i -Extralinguistic and linguistic aspects** - ბარამიძე/ Baramidze, ცირა/ Tsira - ისტორიკოს აკაკი კვიციანის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი VIII სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერქპექტივები“, თბილისი, 23.09.2023, თეზისები, გვ.21-23.

6.

ანოტაცია

მოხსენებაში განხილულია სამეცნიერო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი სხვადასხვა პერიოდის წერილობითი ძეგლები (4 არტეფაქტი: 1. სპილენძის ფირფიტაზე შესრულებული წერილობითი ძეგლი, I საუკუნე; 2. ისტორიული წყარო, XII საუკუნე, დსმწერლობა შესრულებულია ტყავზე, პალიმფსესტი; 3. ისტორიული წყარი, ძვ.წ.აღ. XII-XI საუკუნეები, სპილენძის ფირფიტა; 4. ქვაზე შესრულებული წერილობითი ძეგლი, II ათასწლეული ), რომლებიც წარმოადგინეს კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესზე მესტიაში 2022 წლის აგვისტოში ო. ჩხეტიანმა და მ. ფირცხელანმა. მათი მოსაზრებით, ეს წერილობითი ძეგლები „სვანური“ ანბანითაა შესრულებული.

მოხსენებაში განხილულია საკითხი ზემოხსენებული წერილობითი ძეგლების კერძო კოლექციიდან სახელმწიფო მუზეუმისათვის გადაცემის თაობაზე ამ ძეგლების დაცვის, სამეცნიერო კვლევისა და პოპულარიზაციის მიზნით.

მოხსენებაში დასმულია საკითხი „სვანური გრაფიკის“ არსებობისა და თავისებურებების შესახებ, ამ გრაფიკის საფუძვლად სხეულის ანატომიური აგებულების, კიდურების ძვალ-ჩონჩხოვანი ნაკვთების მიჩნევის მართებულობის თაობაზე, კავკასიაში დადასტურებული პიქტოგრამების მოხაზულობათა „სვანურ გრაფიკასთან“ თანხვედრის თაობაზე, ამ გრაფემათა სახელწოდებებისა და ფონემური მნიშვნელობის შესახებ, მათი ეთნოკულტურაში გამოყენებისა და საერთო კავკასიური საფუძვლების შესახებ, კავკასიაში გავრცელებული პეტროგლიფების წარმოდგენილ მასალასთან ურთიერთმიმართების შესახებ.

კავკასიაში ანბანის წარმოქმნა დაკავშირებულია ქურუმთა საქმიანობასთან. არსებული ემპირიული მასალის საფუძველზე მოხსენებაში დასმულია საკითხი სვანურისათვის ცალკე ანბანურ სისტემაში - 45 (ორმოცდახუთი) გრაფემისა და შესაბამისად - ფონემის ურთიერთმიმართების თაობაზე. ეს მიდგომა არსებითად ცვლის ქართული ანბანისა და, საზოგადოდ, ქართველური და კავკასიური დამწერლობის ისტორიას, მის მომდინარეობას რომელიმე ანბანური სისტემიდან, გრაფიკული სტილის თავისებურებისა და ასო-მოხაზულობათა ცვალებადობის თვალსაზრისით განსახილველი მასალის საფუძველზე მოხსენებაში დასმულია არაერთი ლოგიკური კითხვა, რომლებიც საჭიროებენ მეცნიერულ გადაწყვეტას.

The report discusses unknown written monuments of different periods to the scientific community (4 artifacts: 1. written monument on a copper plate, 1st century; 2. historical source, 12th century, script written on leather, palimpsest; 3. historical source, BC. XII-XI centuries, copper plate; 4. A written monument made on stone, II millennium), which were presented at the VI International Congress of Caucasologists in Mestia in August 2022 by O. Chkhetiani and M.Phirtskhelani. According to them, these written monuments are written in "Svan" alphabet.

The report discusses the issue of the transfer of the above-mentioned written monuments from the private collection to the state museum for the purpose of protection, scientific research and popularization of these monuments.

The report discusses the question of the existence and peculiarities of the "Svan graphic", the validity of considering the anatomical structure of the body, the bone-skeletal features of the limbs as the basis of this graphic, the compatibility of the outlines of the pictograms confirmed in the Caucasus with the "Svan graphic", the names and phonemic meaning of these graphemes, their use in ethnoculture and about the common Caucasian foundations, about the relationship with the presented material of the common petroglyphs in the Caucasus.

The formation of the alphabet in the Caucasus is related to the activities of priests. Based on the available empirical material, the report discusses the question of the relationship between 45 (forty-five) graphemes and phonemes in a separate alphabetic system for Svan language. This approach essentially changes the history of Georgian alphabet and, in general, Kartvelian and Caucasian writing, its derivation from any alphabetic system, in terms of peculiarities of graphic style and variation of letter-outlines. Based on the material under consideration, the report discusses the logical questions that require a scientific solution.

**7. ცირა ბარამიძე, ქართული ლიტერატურა XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე - ევროპოცენტრიზმი და აზიაცენტრიზმი - თვითიზოლაცია და ახალი ესთეტიკის დასაბამი, ცირა ბარამიძე, XIX საუკუნე - ეპოქათა მიჯნა, VI სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 25.12.2023.**

**ანოტაცია**

ლიტერატურამცოდნეობაში აუცილებლობად ჩნდება მოთხოვნა - გავაანალიზოთ XIX საუკუნიდან დღემდე ქართულ-კავკასიურ რეალობაში არსებული თეორიულ-პრაქტიკული ხასიათის ბიპოლარული (ევროპა თუ აზია?) იდენტობის პრობლემის გაჩენის მიზეზები, ბიპოლარული იდენტობის ლინგვოკულტუროლოგიური, ფილოსოფიური, გეოგრაფიული, სოციალური და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, გეოპოლიტიკური ასპექტები. წარმოდგენილი მოხსენება არის მოკლე ფრაგმენტი წიგნისა *(„საქართველო - ინტეგრაციის ინტეგრალები“, დაიბეჭდება მალე),* რომელშიც საკვლევ ემპირიულ მასალად გამოყენებულია XIX-XX საუკუნეების პერიოდიკაში გამოქვეყნებული მასალები, ასევე ლიტერატურის მუზეუმის წიგნად ფონდში დაცული ქართველ მწერალთა პირადი ბიბლიოთეკების მასალები. ამ მასალის ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ დილემად ქცეული პრობლემა (ე ვ რ ო პ ა თუ ა ზ ი ა) ქართველი მოაზროვნეების ინტერესის საგანს წარმოადგენდა. კითხვა ეხება ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ და დ ა ს ა ვ ლ უ რ ორიენტაციებს, ქართული კულტურისა და, მთლიანად, კავკასიური ცივილიზაციის, კუთვნილებისა და ორიენტაციის საკითხს. საკითხის გააქტიურება გამოწვეული იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვით XIX საუკუნის დასაწყისში, ასევე რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში მოქცევით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევროპული და აზიური ორიენტაციების შესახებ საქართველოში გამართული „დისკუსია“ არ ითვალისწინებდა პრობლემის ზოგად და საყოველთაო ხასიათს, იმას, რომ საუკუნეების მანძილზე კ ა ც ო ბ რ ი ო ბ ი ს ერთ-ერთ კარდინალურ საკითხად დასავლური და აღმოსავლური ურთიერთდამოკიდებულებანი და გავლენები იყო და არის დღესაც (სამუელ ჰანგთინტონი). ქართული კულტურა და, კერძოდ, ლიტერატურა არასდროს ყოფილა იზოლაციონური, მაგრამ ეს ვერ ცვლიდა მის ორიგინალობასა და ინდივიდუალიზმს მაშინაც კი, როცა ის ბერძნულის ან სხვა ენის გზით თარგმნიდა საღვთო ლიტერატურას, მაგრამ პარალელურად ქმნიდა ორიგინალურ ჰაგიოგრაფიას, მაშინაც კი, როცა აღმოსავლური

ლიტერატურის, პოეზიის მარგალიტების თარგმანებს გვაზიარებდა და არც მის (აღმოსავლურის) გავლენას გამორიცხავდა; ქართული ლიტერატურა ყოველი ეპოქის კრიტიკულ მომენტებში ახერხებდა დარჩენილიყო და გაგრძელებულიყო როგორც თვითმყოფადი, ორიგინალური ლიტერატურა. ერთ-ერთ ასეთ კრიტიკულ ეპოქად სწორედ XIX-XX საუკუნეთა მიჯნა უნდა მივიჩნიოთ. XX საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურის მდგომარეობა ორგანულად პასუხობდა XIX საუკუნის, როგორც ჭეშმარიტად - ეპოქათა მიჯნის - პრობლემატიკას.

XX საუკუნის დასაწყისში გაჩნდა პოზიციათა მკვეთრი პოლარიზაცია: ან 1. „უკან აზიისაკენ", ან 2. „წინა აზიაში ევროპა შემოაღებს კარებს"; ამათგან მისაღები უნდა ყოფილიყო მხოლოდ ერთ-ერთი (ან აზიური, ან ევროპული); პოზიციათა პოლარიზაცია გულისხმობდა, რომ უნდა განგვესაზღვრა ეროვნული კულტურის რეტროსპექტული ასპექტები და ამ კულტურის კუთვნილება წარსულსა და მომავალში.

უნდა ავხსნათ, რამ გამოიწვია პოზიციათა ასეთი მკვეთრი პოლარიზაცია, ასევე - შეიცავდა თუ არა ღირებულებათა ოპოზიცია (ევროპა თუ აზია? დასავლეთი თუ აღმოსავლეთი?) გეოგრაფიული სივრცის პარამეტრებს და, ზოგადად, რა არის ღირებულებითი კონტექსტი და ოპოზიციური პარადიგმა? მოხსენებაში მოცემულია მცდელობა - ავხსნათ თეორიული საფუძვლები „ევროპოცენტრიზმისა" და ანტიევროპული (რუსული) მიდგომების გასაანალიზებლად. დღევანდელი პარადიგმით (XXI საუკუნის დასაწყისი) ქართული სინამდვილისთვის ოპოზიციაშია **ევროპა და რუსეთი** და არა **ევროპა და აზია,** რადგან ეს მეორე პარადიგმა უკვე მოძველებულია. არადა, აზიაც კარზეა, ვერსად წავა. ახსნას საჭიროებს, თუ რა კავშირშია „ევროპის კრიზისი" (მისი სახეებით) ევროპის დ ე მ ო ნ ი ზ ა ც ი ა ს თ ა ნ და როგორაა იგი გამოყენებული გეოპოლიტიკური რაკურსებით საქართველოს წინააღმდეგ ე ვ რ ა ზ ი უ ლ ი კავშირისა და ე ვ რ ო კ ა ვ შ ი რ ი ს თეორიული და პრაქტიკული კორელაციის შესაქმნელად.

სინათლე აღმოსავლეთიდან (El oriente lux), თუ მარადიული დგომა „დასავლეთის კარებთან"? არსებობდა მესამე პოზიციაც: ტიციან ტაბიძის „ჰაფიზის ვარდი მე პრუდონის ჩავრგე ვაზაში"... XX საუკუნის დასაწყისში ქართულ ლიტერატურაში, პერიოდიკაში არსებული მასალის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ესთეტიური დილემა „ევროპაცენტრიზმი" და „აზიაცენტრიზმი" აქტუალურია.

**ჯონი კვიციანი; საქართველო: შუა საუკუნეების ქალაქების როლი საერო კულტურის განვითარებაში; კავკასიოლოგთა II საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი; თბილისი, 17-19 ოქტომბერი 2023.**

შუა საუკუნები საქართველოს ისტორიაში არაერთგვაროვნად არის შეფასებული.ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ქვეყნის კულტურული განვითარება XIII საუკუნიდან „შეფერხდა". „დაქვეითდა" და ა.შ.( გ. ლორთქიფანიძე, ნ, ჩიქოვანი, მ. გაბაშვილი და სხვ.). ვფიქრობთ, პირიქით, ქართული კულტურა, ზოგადად, როგორც ევროპული, განიცდის ორგანულ ევოლუციას და, ამავე დროს, შიდა და საგარეო ინტენსიური კულტურული კომუნიკაციების პირობებში (რაც დამახასიათებელი იყო XII – XV საუკუნეების საქართველოსთვის) უფრო დინამიკურად ვითარდება.
შუა საუკუნეების ევროპაში ადამიანის მოქალაქეთა თემში გაწევრიანება ნიშნავდა მისი პირადი ფეოდალური დამოკიდებულების (ყმობის) დასრულებას. სოფლიდან ადამიანების ქალაქში

გადასახლება და საერო ღირებულებების გავრცელება მოსახლეობის ყველა ფენაში სხვა პროცესის- ინდუსტრიალიზაციის- დაწყების საფუძველი ხდება (გ. კენიგსბერგერი, ჟაკ ლე გოფი. დ. რეიფილდი და სხვ.).
საქართველოში ქალაქურ კულტურას განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს. შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანში“ ვაწყდებით ისეთ ტერმინოლოგიას, როგორიცაა: „ქალაქის ერი“, „ქალაქის კრებული“და სხვა. ქალაქური ცხოვრების ზრდის მნიშვნელობით იყო განპირობებული  საქართველოს მეფე დავით აღმაშენებლის თაოსნობით ქუთაისში, ქალაქის ახლოს, სასწავლო - საგანმანათლებლო როგორც სასულიერო, ასევე საერო ფილოსოფიური განათლების ცენტრის - გელათის აკადემიის დაარსება. ამავე დროს, ამგვარი მეორე ცენტრი დაარსდა კახეთში, ქალაქ გრემთან ახლოს.
X- XII საუკუნეებში უკვე არსებული ქალაქების- თბილისის, ქუთაისის, მცხეთის, რუსთავის, ცხუმის, დმანისის, თელავის, ჟინვალის, სამშვილდის და სხვების განვითარებასთან ერთად, XIII საუკუნეში წარმოქმნება ახალი ქალაქები - ატენი, გორი, ახალქალაქი, ახალციხე, ლორე, ოლთისი და სხვ. აღნიშნული ქალაქების მოსახლეობას, მაქს ვებერის სიტყვებით თუ ვიტყვით, „ქალაქის ჰაერი ათავისუფლებდა“. მოსახლეობა გუშინდელი გლეხებისგან შედგებოდა. ვაჭრობის, ხელოსნობის, ეკონომიკისა და მხატვრული კულტურის განვითარებამ  ქალაქებში გაზარდა ხალხური, საერო ცხოვრების როლი და ადგილი საზოგადოებაში. საქალაქო მმართველობა თვისობრივი ბატონყმური ტიპიდან ევოლუციას განიცდის ახალ ჩანასახში მყოფ ინდივიდუალური, თვითმმართველური, კაპიტალისტური ფორმებისკენ, რომლებიც ფეოდალურ სტრუქტურებში თავსდებიან.
ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მოხსენებაში ნაჩვენები იქნება: XII-XV საუკუნეებში მსოფლიოში
 ფეოდალური ეპოქის   კრიზისის გამოვლინება საქართველოში, რომელიც მის საერო კულტურაზე უარყოფითად არ ასახულა; საეკლესიო ცხოვრების პარალელურად საკანონმდებლო, სწავლა-განათლების, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროებში ახალი, საერო სტილის განვითარება, სადაც მნიშვნელოვანი როლი უჭირავთ რაციონალურ და ინდივიდუალურ ღირებულებებს.

8. 2. **უცხოეთში**

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

**1. მერაბ ჩუხუა, საერთოქართველური ფუძეენის დიალექტური შედგენილობისათვის. - დუზჯეს უნივერსიტეტის სიმპოზიუმი, მიძღვნილი თურქულ-ქართული ურთიერთობებისადმი, დუზჯე (თურქეთი), 26-29 ოქტომბერი.**

**2. Nodar Ardoteli,  Towards the problem of labialization in the Ibero-Caucasian languages. - CESS 2023 Annual Conference. LANG03 Language and Linguistics in Central Eurasia. Pittsburg (USA), 2023 (in English, See Program).**
**3. Цира Барамидзе . Корень *ar-* в хурритском и других иберийско-кавказских языках. Сборник – Хуррито-уруртский мир и цивилизации передней Азии – языки и этнокультурные связи. Грозный, ЧАН, 9-11. 10. 2023, Тезиси, გვ. 100-101.**

4. Causative nanosyntax in Tabasaranian language – Tsira Baramidze, ASEEES 55th Annual Convention, USA, Philadelphia, November 30 – December 3, 2023, p.67.
5. Квициани Д. Д.; Георгиевский трактат как новая геополитическая система на Кавказе; Международный круглый стол «Россия и Закавказье в историческом измерении и пространстве (к 240-летию подписания Георгиевского трактата)»; Ставрополь, 10-11 ноября 2023 года. https://www.imemo.ru/news/events/text/mezhdunarodniy-krugliy-stol-rossiya-i-zakavkazye-v-istoricheskom-izmerenii-i-prostranstve-k-240-letiyu-podpisaniya-georgievskogo-traktata

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

1. **Цира Барамидзе . Корень *ar-* в хурритском и других иберийско-кавказских языках. Сборник – Хуррито-урартский мир и цивилизации передней Азии – языки и этнокультурные связи. Грозный, ЧАН, 9-11. 10. 2023, Тезиси, გვ. 100-101.**

А н н о т а ц и я

В хурритском языке корень ***ar-*** встречается в глагольной и в именной форме, в словообразовании. Изучением эмпирического материала хурритского языка подтверждены более 50 форм (AASOR, HSS, JEN, SMN, JAOS, TCL, KUB, NPN: ***ar-ul***, “отдаваться”, ***ar-umm-*** (инфинитив), ***ar-u□□-ul*** “сдаваться”, ***arann-*** (фактитив). ***ar-*** элемент засвидетельствованный в ономастике (NPN 24-37, 202-204). В докладе рассматриваются соответствующие ономастические единицы, а также - другие лексические единицы хурритского языка, которые мы считаем связанными с корнем ***ar-*** с семантико-этимологической точки зрения (***Ar-kanta, Ar-kapi<Ar-ga-bi, Ar-kapinni < Ar-ga-bi-en-ni, Armukka<Ar-mu-uq-qa, Ar-nanta< Ar-naan-ta, Ar-naphi< Ar-na-ap-hi, Ar-nawar,Ar-na-wa-ar / Ar-na-mar, Ar-nupar? < A[r]-nu-ba-ar, Ar-nupatal<Ar-nu-pa-ta-al, Ar-nuzu < Ar-nu-zu, R-papa < Ar-ba-ba, Ar-tura <Ar-tu-ra /Ar-du-ra...***). В докладе рассматриваются все ономастические единицы, относящиеся к ***ar-*** в хурритском.

Корень ***ar-*** в хурритском имеет несколько семантически связанных значений: ***ar-*** наращение корня (von Schuler, RHA 68.22; Speiser, IH 131, 135, 203, 216; Джаукян, Взаим.40; Дьяконов, Языки 133), ***ar-*** выражает многократность действия, Frequentativ-Habitativ-Zeichen (Kammenhuber, Arier 225, 261). Хурритский ***ar-*** семантико-этимологически связан с урартским ***ar-/aru*** «давать». Анализ лексических единиц, образованных от корня ***ar-*** в хурритском подтверждает, что корень ***ar-*** широко использовался в этом языке, а также в других эндогенных языках Кавказа, позже он вошел в лексику неиберийско-кавказских языков Кавказа, как кавказский субстрат. Мы считаем возможным связать общекартвельский корень ****ar-*** с корнем ***ar-*** хурритского языка. Арн. Чикобава выделяет общекартвельский корень ****ar-*** "есть" (Груз. ar-i-s, зан. or-e(n) "есть", сван. ar-i/ ar- "есть".

Груз. корень ***ar-*** М.Чухуа связывает с общесиндским: ***ar-*** "да", адыг. ***ar-*** "да". Грузинский корень ***ar-*** "есть" Н. Мачавариани связывает с отрицательной единицей грузинского и занского языков (Груз. ***ar- :*** Груз. ***ara*** "нет", зан. or-e "нет"). Общекавказский ***ar-*** должно быть связано с топонимами: ***Ar-ta-an-i, Ar-ar-at...***

По нашему мнению, лексема ***ar-*** – древний общеиберийско-кавказский корень, который должен был иметь в своем происхождении значение «присутствие», семантически связанное с повторением, многократностью. Мы считаем возможным связать ономастические единицы ***Ar-khot-i, Ar-dot-i, Ar-□un-i*** общим кавказским корнем ***ar-,*** который широко представлен в хурритском языке.

2. **Tsira Baramidze, Causative nanosyntax in Tabasaranian language, ASEEES 55th Annual Convention, USA, Philadelphia, November 30 – December 3, 2023, p.67.**

Abstract
The report analyzes the causative nanosyntactic constructions of the Tabasaran language according to the dialectal materials. The question of the relationship between the causative and transitivity is discussed, as well as the formal-functional analysis of the causator and the executor is given; An attempt is made to explain the semantic bases of the change in the rotations of the causator and the executor. Analytical causative present in the modern Tabasaran language is considered as the result of a change in the language system, during which modal verbs in the analytic type causative construction are always transitive verbs.

An in-depth study of the causative nanosyntax in Tabasaran leads to the conclusion that the close association of the causative with transitivity is proof that the causative category is an ancient and indigenous category. Tabasaran is a new written language, so we do not have the opportunity to trace the empirical material beyond the 19th century, but the nanosyntactic analysis of causation allows us to determine that at a later stage descriptive or analytical production of causation appears, analytical causative is a transitional stage of morphological causative before forming. The Tabasaran language has not formed a morphological causation, but it has not preserved the original situation either. The starting situation - the undifferentiability of causation and transitivity - can be explained only by nanosyntactic analysis.

The causative is an ancient category of verb that involves the action of S directly on O through an indirect object, which raises interesting questions about transitivity and voice category. A transitive verb of causation is produced from an intransitive verb. Causation is considered as a means of activation of the verb. The Tabasaran language must have had an organic production of the causative, as is still the case in the Lezgian language, for which it uses grammatical class markers. The Lezghian language has lost its grammatical class category. The class was lost in the southern dialect of the Tabasaran language, which is in the neighborhood of Lezghian language, but in the northern dialect of Tabasaran, the class is preserved and the category of person is formed, we have a class-person conjucation. Therefore, the causative nanosyntax is presented in an analytical form, where the rotations of the causator and the executor are variable depending on the semantics, and the modal verb remains unchanged.

The North Caucasian languages do not distinguish between transitive and causative in origin, they express it in the same form. It is about the objective conjucation, which is a class, and the verb expresses transitivity by marking the direct object, it does not need to express transitivity separately;
In the causative origin system-structure, this is the possibility of polyvalent marking (both in the language of class and personal conjucation). During the discussion of the causative, the emphasis is placed on two subjects - **verbal** and **real subject** and on the lexical, analytical-descriptive or morphological means of its expression, and no emphasis is placed on the marking of the direct object, however, in my opinion, it is the marking of the direct object and the relation of the semantics and form of the verb to it that is the decisive issue. Thus, the causative category should be considered.

In the organic-originating causative construction, the verb of objective neutrality was both transitive and causative, as it contained a direct object, and the direct object was expressed by a class sign. After the breakdown of the class in the language began, analytical causation is formed from organic causation. Tabasaran stopped here and did not form a morphological causative, like those languages that lost their class and developed a person category.

Каузативный наносинтаксис в табасаранском языке
В докладе анализируются каузативные наносинтаксические конструкции табасарского языка по диалектным материалам. Обсуждается вопрос о соотношении каузативности и транзитивности, а также дается формально-функциональный анализ каузатора и исполнителя; Делается попытка объяснить смысловые основы смены вращений причинителя и исполнителя. Аналитический каузатив, присутствующий в современном табасарском языке, рассматривается как результат изменения языковой системы, во время которого модальные глаголы в каузативной конструкции аналитического типа всегда являются переходными глаголами.
Углубленное изучение каузативного наносинтаксиса в табасаране приводит к выводу, что тесная связь каузатива с транзитивностью является доказательством того, что каузативная категория является древней и коренной категорией. Табасаран — новый письменный язык, поэтому у нас нет возможности проследить эмпирический материал дальше XIX века, но наносинтаксический анализ причинности позволяет определить, что на более позднем этапе появляется описательная или аналитическая продукция причинности, аналитическая продукция переходная стадия морфологического каузатива перед формированием. Табасаранский язык не образовал морфологической каузальности, но и не сохранил исходной ситуации. Исходная ситуация — недифференцируемость причинности и транзитивности — может быть объяснена только наносинтаксическим анализом.
Каузатив — это древняя категория глагола, которая включает в себя действие S непосредственно на O через косвенный объект, что поднимает интересные вопросы о транзитивности и роде. Переходный глагол причины образуется от непереходного глагола. Причинность рассматривается как средство активизации глагола. Табассаранский язык, должно быть, имел органическое производство каузатива, как и до сих пор имеет место в лезгинском языке, для которого он использует маркеры грамматических классов. Лезгинский язык утратил классовую грамматическую категорию. В южном диалекте табасаранского языка, который находится по соседству с лезгюрским, класс утрачен, а в северном диалекте табасаранского класс сохраняется и формируется категория лица, перед нами классовая проблема человека. Поэтому каузативный наносинтаксис представлен в аналитической форме, где повороты каузатора и исполнителя переменны в зависимости от семантики, а модальный глагол остается неизменным.

Северокавказские языки не различают переходного и каузативного по происхождению, выражают его в одинаковой форме. Речь идет об объективном беспорядке, который является классом, и глагол выражает переходность, обозначая прямое дополнение, ему не нужно отдельно выражать переходность;
В системе-структуре каузативного происхождения это возможность поливалентной маркировки (как в языке классовых, так и личных фразеологизмов). При обсуждении каузатива акцент делается на двух субъектах - словесном и реальном предмете и на лексических, аналитико-описательных или морфологических средствах его выражения, а на маркировке прямого объекта акцент не ставится, однако в По моему мнению, решающее значение имеет маркировка прямого дополнения и отношение к нему семантики и формы глагола. Таким образом, следует учитывать причинную категорию.

В органически-порождающей каузативной конструкции глагол объективной нейтральности был и переходным, и каузативным, так как содержал прямое дополнение, а прямое дополнение выражалось классовым признаком. После того, как начался распад класса в языке, из органической каузальности образуется аналитическая каузальность. Табасаранский остановился на этом и не образовал морфологической каузативности, подобно тем языкам, которые потеряли свой класс и развили категорию лица (например, грузинский язык).

**კაუზატიური ნანოსინტაქსი თაბასარანულ ენაში**

მოხსენებაში გაანალიზებულია თაბასარანული ენის კაუზატიური ნანოსინტაქსური კონსტრუქციები დიალექტური მასალების მიხედვით. განხილულია კაუზატივისა და გარდამავლობის ურთიერთმიმართების საკითხი, ასევე კაუზატორისა და ეკზეკუტორის ფორმობრივ-ფუნქციური ანალიზია მოცემული; მოცემულია მცდელობა, აიხსნას კაუზატორისა და ეგზეკუტორის ბრუნვათა ცვლილების სემანტიკური საფუძვლები. თანამედროვე თაბასარანულ ენაში არსებული ანალიზური კაუზატივი განხილულია როგორც ენის სისტემის ცვლის შედეგი, რომლის დროსაც მოდუსური ზმნები ანალიზური ტიპის კაუზატიურ კონსტრუქციაში ყოველთვის გარდამავალი ზმნაა.

კაუზატიური ნანოსინტაქსის სიღრმისეულ კვლევას თაბასარანულ ენაში მივყავართ დასკვნამდე, რომ კაუზატივის მჭიდრო კავშირი გარდამავლობასთან არის დასტური იმისა, რომ კაუზატივის კატეგორია უძველესი და მკვიდრი კატეგორიაა. თაბასარანული ახალი სამწერლობო ენაა, ამიტომ ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, თვალი ვადევნოთ ემპირიულ მასალას მე-19 საუკუნის იქით, მაგრამ კაუზაციის ნანოსინტაქსური ანალიზი საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ, რომ მოგვიანებით ეტაპზე ჩნდება აღწერითი ანუ ანალიზური წარმოება კაუზაციისა, ანალიზური წარმოება ეს არის გარდამავალი საფეხური მორფოლოგიური კაუზატივის ჩამოყალიბებამდე. თაბასარანულ ენას მორფოლოგიური კაუზაცია არ ჩამოუყალიბებია, მაგრამ არც ამოსავალი ვითარება შეუნახავს. ამოსავალი ვითარების - კაუზაციისა და გარდამავლობის გაუდიფერენცირებლობის - ახსნა მხოლოდ ნანოსინტაქსური ანალიზით არის შესაძლებელი.

კაუზატივი უძველესი კატეგორიაა ზმნისა, რომელიც გულისხმობს S -ის მოქმედებას პირდაპირ O-ზე ირიბი ობიექტის მეშვეობით, რომელიც საინტერესო საკითხებს სვამს გარდამავლობასთან და გვართან მიმართებაში. გარდაუვალი ზმნიდან იწარმოება გარდამავალი ზმნა კაუზაციისა. კაუზაცია მიიჩნევა გააქტიურების საშუალებად ზმნისა. თაბასარანულ ენას უნდა ჰქონოდა

კაუზატივის ორგანული წარმოება, როგორც ეს დღემდეა ლეზგიურ ენაში, რისთვისაც იყენებს გრამატიკული კლასის ნიშნებს. ლეზგიურმა ენამ გრამატიკული კლასის კატეგორია დაკარგა. კლასი დაიკარგა თაბასარანული ენის სამხრულ დიალექტშიც, რომელიც ლეზგიურის მეზობლადაა, მაგრამ თაბასარანულის ჩრდილოურ დიალექტში კლასი შენარჩუნებულია და პირის კატეგორიაც ყალიბდება, გვაქვს კლასოვან-პიროვანი უღვლილება. ამიტომ კაუზატიური ნანოსინტაქსი ანალიზური ფორმითაა წარმოდგენილი, სადაც კაუზატორისა და ეკზეკუტორის ბრუნვები ცვალებადია სემანტიკის მიხედვით, მოდუსური ზმნა კი უცვლელი რჩება.

ჩრდილო. კავკასიური ენები ამოსავალში არ განარჩევენ გარდამავლობასა და კაუზატივს, გამოხატავენ ერთი და იმავე ფორმით. საქმე ეხება ობიექტურ უღვლილებას, რომელიც კლასოვანია და ზმნა გარდამავლობას გამოხატავს პირდაპირი ობიექტის მარკირებით, არ სჭირდება მას გარდამავლობის ცალკე გამოხატვა;

კაუზატივი ამოსავალ სისტემა-სტრუქტურაში ეს არის პოლივალენტური მარკირების შესაძლებლობა (როგორც კლასოვანი, ასევე პიროვანი უღვლილების ენაში). კაუზატივის განხილვის დროს აქცენტი კეთდება ორ სუბიექტზე - ვერბალურ და რეალურ სუბიექტზე და მისი გამოხატვის ლექსიკურ, ანალიზურ-აღწერით თუ მორფოლოგიურ საშუალებებზე და არ კეთდება აქცენტი პირდაპირი ობიექტის მარკირებაზე, არადა, ჩემი აზრით, სწორედ პირდაპირი ობიექტის მარკირება და მისდამი ზმნის სემანტიკისა და ფორმის მიმართებაა გადამწყვეტი საკითხი, რითაც უნდა იქნეს განხილული კაუზატივის კატეგორია.

ორგანულ - ამოსავალ კაუზატიურ კონსტრუქციაში ობიექტური უღვლილების ზმნა გარდამავალიც იყო და კაუზატიურიც, რადგან ის პირდაპირ ობიექტს შეიცავდა, პირდაპირი ობიექტი კი კლასის ნიშნით გამოიხატებოდა. მას შემდგომ, რაც კლასის მოშლა დაიწყო ენაში, ორგანული კაუზაციიდან ანალიზური კაუზაციის ჩამოყალიბება ხდება. თაბასარანული აქ გაჩერდა და მორფოლოგიური კაუზატივი არ ჩამოუყალიბებია მსგავსად იმ ენებისა, რომელთაც დაკარგეს კლასი და განავითარეს პირის კატეგორია (მაგ. ქართული ენისა).

3. **Tsira Baramidze, Georgia at the historical crossroads - integrals of integration, ASEEES 55th Annual Convention, USA, Philadelphia, November 30 – December 3, 2023.**

Abstract
The report analyzes that Georgia has a historic chance to get rid of neo-colonial risks and become a member of the free world. This is the historical, civilizational choice of the Georgian nation... According to the Constitution of Georgia, Article 78 states that Georgia has an irreversible position towards the integration policy and joining the structures of NATO and the European Union. The Kreml announced its position in two security documents that Ukraine and Georgia are its "special zone of influence". Russia started the war in Ukraine, and hybrid war continued in Georgia, tactical and sub-tactical operations on the occupied territories, from a strategic point of view - information and psychological warfare... On the occupied territories, in particular, in Abkhazia and Tskhinvali region, units of the Russian occupation forces are stationed (the 7th and 4th military bases) and the process of "creeping occupation" is underway. Currently, Russia is planning to transfer a part of the Russian military fleet to

the occupied territory of Abkhazia - Ochamchire, which is not only a local, but also a great geostrategic challenge of the Black Sea basin.

The report analyzes the geostrategic and geopolitical threats facing Georgia today.Today, Georgia does not have any plan to avoid the current challenges described in the security strategy. The goal of Russia's aggression in Georgia will be the same as it is in Ukraine today - to stop Ukraine's sovereign and constitutional decision to join NATO.

The three-dimensional function of Georgia is analyzed in the report: ***local, regional*** and ***international,*** as well as the value and other parameters of the European Union and the Eurasian Union and threats from the Eurasian Union are discussed in a comparative perspective; The relationship between geopolitical and geoeconomic functions is discussed in relation to the cultural-civilizational function; The possibilities and risks of the final decolonization of Georgia are discussed, as well as the role of Georgia in the context of the “Eastern Partnership” in the South Caucasus and the role of Georgia in the further implementation of the decolonization of the entire region, the obstacles and prospects of the geopolitical, geoeconomic and cultural-civilizational integration of the Caucasus, as well as the issue of the compatibility of Georgia's Euro-Atlantic integration with the prospects of the integration of the entire region in the future, Thus, the Caucasus region will perform regional and international functions in the future.

**Квициани Д. Д.; Георгиевский трактат как новая геополитическая система на Кавказе; Международный круглый стол «Россия и Закавказье в историческом измерении и пространстве (к 240-летию подписания Георгиевского трактата)»; Ставрополь, 10-11 ноября 2023 года.** https://www.imemo.ru/news/events/text/mezhdunarodniy-krugliy-stol-rossiya-i-zakavkazye-v-istoricheskom-izmerenii-i-prostranstve-k-240-letiyu-podpisaniya-georgievskogo-traktata

ნაშრომში აღინიშნება, რომ ტრადიციულად, ბევრი მეცნიერი თანამედროვე ქართულ-რუსული ურთიერთობების პრობლემებს ისტორიული და სხვა მიზეზებით გამოწვეულად მიიჩნევს. ამ ურთიერთობებში არსებული ისტორიული ფაქტები, ქვეყანაში იდეოლოგიური და პოლიტიკური, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ცვლილებით, პოლიტიზდება და იძენს განსხვავებულ ინტერპრეტაციებს, ხშირად — კონკრეტული ისტორიული ფენომენის ობიექტური ანალიზის საზიანოდ. ეს, ნებით თუ უნებლიეთ, „ცეცხლზე ნავთს ასხამს“ და ურთიერთობები უარესდება, რაც ხშირად მხარეებს კონფლიქტებში გადაირდება და ომამდეც კი მიდის.
ზემოაღნიშნულის კონტექსტში, გეორგიევსკის ტრაქტატის და მისი თანამედროვე ისტორიოგრაფიის რეტროსპექტული მიმოხილვა აქტუალურია. ხელშეკრულება, ერთი მხრივ, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე, თითქოსდა არაპროპორციულად დიდ და პატარა ქვეყანას შორის ახალი, რაციონალური, ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების დასაწყისს განასახიერებდა. მეორე მხრივ, შეთანხმების შეუსრულებლობა და მისი შედეგები საქართველოსა და მთლიანად კავკასიისთვის, ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა ინტერპრეტაციას იძლევა, რისი ვრცელი ანალიზიც წარმოდგენილია სტატიაში.

დაწესებულებას თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ნოდარ არდოტელის დამატებითი აქტივობები:

1. ნოდარ არდოტელმა მიიღო მონაწილეობა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამართულ კონკურსში **„ახალი ქართული წიგნი - მწერლობის ხელშეწყობა“**, რომელშიც გაიმარჯვა და ამავე სამინისტროს დაფინანსებით გამოიცა მისი პოეტური კრებული **„ცა და სამშობლო“** (თბილისი, 2023, 250 გვ.).
2. ნოდარ არდოტელი მობილობით იმყოფება იენაში (გერმანია), სადაც ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას და იმაღლებს კვალიფიკაციას ერთი თვის განმავლობაში (21. 12. 2023 – 23. 01. 2024).

ცირა ბარამიძის დამატებითი აქტივობები:

1. 2023 წლის 14 -26 ივლისს ც. ბარამიძის ხელმძღვანელობით მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია ჩრდილოეთ კავკასიაში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის **ქართული მატერიალური და სულიერი კულტურა ჩრდილოეთ კავკასიაში - ფარგლებში.**
2. **საერთაშორისო სამენოვანი სამეცნიერო ჟურნალი „კავკასიოლოგიური ძიებანი“, ტ. 13, 2023, 450 გვ., (იბეჭდება) - ც. ბარამიძე - რედაქტორი.**
3. **რადოსლავ კანარკოვსკის სადოქტორო დისერტაცია “Historical-comparative studies on numerals in Dagestanian languages. Cardinal numerals” - დაცვა, კრაკოვი, 12.01.2023, ცირა ბარამიძე - რეცენზენტი.** https://jezykoznawstwo.nauka.uj.edu.pl/publiczne-obrony-prac-doktorskich/-/journal_content/56_INSTANCE_H0wF13MtXsZj/143384379/152612442
4. **საჯარო ლექცია - ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები და ენები,** კავკასიური სახლის სახალხო უნივერსიტეტი, 28.09.2023 - https://www.youtube.com/watch?v=cSJA0_q3YwM
5. საჯარო ლექცია - **ივ. ჯავახიშვილი კავკასიისა და კავკასიოლოგიის შესახებ** - კავკასიური სახლის სახალხო უნივერსიტეტი, 22. 02.2023 – https://www.youtube.com/watch?v=NUaY94EGnwo
6. დახურული ლექცია - **Кавказ – диахронический анализ теоретическиз аспектов интеграции** - კავკასიური სახლის სახალხო უნივერსიტეტი, 20.05.2023.
7. დახურული ლექცია - **Кавказская цивилизация – векторы интеграции и дезинтеграции в синхронном и дахронном срезе** - კავკასიური სახლის სახალხო უნივერსიტეტი, 2. 11. 2023.

**ყურადღება!**

*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**

* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.

* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.

* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესა- ბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა~.

# კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2
(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება**

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**

**დირექტორი: პროფ. ლევან გიგინეიშვილი**

**დირექტორის მოადგილე: ასოც. პროფ. ირინე დარჩია**

**კლასიკური ფილოლოგიის კათედრა: პროფ. ნანა ტონია, ასოც. პროფ. იამზე გაგუა, ასოც. პროფ. მანანა ფხაკაძე, ასოც. პროფ. რუსუდან ცანავა, ასოც. პროფ. ზაზა ხინთიბიძე, ასოც. პროფ. ქეთევან ნადარეიშვილი, ასოც. პროფ. ირინე დარჩია, ასოც. პროფ. ეკატერინე კობახიძე**

**ბიზანტინისტიკის კათედრა: პროფ. ლევან გიგინეიშვილი, პროფ. თინა დოლიძე, ასისტ. პროფ. თამარ აფციაური**

**ნეოგრეცისტიკის კათედრა: პროფ. სოფიო შამანიდი, ასოც. პროფ. ანა ჩიქოვანი, ასოც. პროფ. მედეა აბულაშვილი**

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **ენციკლოპედია „ანტიკური კავკასია" - ციფრული ვერსია, 2023-2026**

2. კლასიკური ფილოლოგია, სიძველეთმცოდნეობა, ისტორია

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **აკად. რისმაგ გორდეზიანი (ხელმძღვანელი)**

2. მონაწილეები: პროფ. ლევან გორდეზიანი, ასოც. პროფ. **ირინე დარჩია,** მოწვეული მკვლევარები - გიორგი უგულავა, მაია დანელია, თამარ ჭეიშვილი, ეკატერინე კვირკველია და სხვ.

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

პროექტი **ენციკლოპედია „ანტიკური კავკასია“ - ციფრული ვერსია, 2023-2026** დაფინანსებულია საქართველოს საპატრიარქოს ქართველოლოგიური კვლევების ცენტრის მიერ. პროექტის მიზანია, რომ ერთი მხრივ, კრიტიკულად გადაამუშავოს უკვე არსებული სტატიები, ხელი შეუწყოს მათ რეცენზირებას, უახლესი კვლევის შედეგებით გამდიდრებას, ახალი ავტორების, მათი კვლევითი პროფილით ენციკლოპედიაში ჩართვას და ახალი სტატიების შექმნას. ხოლო, მეორე მხრივ, მოხდეს უკვე არსებული, რეცენზირებული მასალის გაციფრულება და დიდ, ევროპულ ციფრულ კვლევით პლატფორმებზე განთავსება მისი აქტუალიზაციის და აუდიტორიის ზრდის მიზნით.
პროექტის საბოლოო პროდუქტია ენციკლოპედიის ციფრული ვერსია - რეცენზირებული და განახლებული სტატიებით, განახლების და რედაქტირების შესაძლებლობებით, იოლი ხელმისაწვდომობით და ფართო აუდიტორიით.

პროექტის მიზნების რეალიზებისთვის რამდენიმე ძირითადი ამოცანაა გადასაჭრელი: **პირველ ეტაპზე** საჭიროა გამოიკვეთოს რეცენზირების ჯგუფი, რომელიც გადახედავს უკვე არსებულ სტატიებს და უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში მათ განახლებას, კვლევების და აღმოჩენების უახლესი შედეგებით გამდიდრებას და ახალი სტატიების დამატებას. **მეორე ეტაპზე,** რომელიც პრაქტიკულად პირველი ეტაპის პარალელურად უნდა დაიგეგმოს, საჭიროა კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის საფუძველზე შეიქმნას ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს გაციფრულების პროცესს. ამავე მიზნით უკვე დაწყებულია მოლაპარაკებები ციფრული ფილოლოგიის რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვან წარმომადგენელთან ევროპის მასშტაბით გამოცდილების გაზიარების მიზნით სამუშაო შეხვედრების ორგანიზებისთვის. ამავე ეტაპზე საჭიროა განისაზღვროს ის ევროპული ციფრული პლატფორმა, რომელზეც ენციკლოპედია განთავსდება. **მესამე ეტაპზე** მთავარი ამოცანაა უკვე არსებული მასალების გაციფრულება და მათი კვლევითი აპარატით (ძებნის სისტემები ა.შ.) აღჭურვა.

2. **„SCISCITATOR“ (2021-2026);** ჰუმანიტარული მეცნიერებები (ისტორია, არქეოლოგია; ენების ზოგადი კვლევები; ცალკეული ენები; ლიტერატურათმცოდნეობა; ლიტერატურის თეორია; ცალკეული ქვეყნების ლიტერატურა; ლინგვისტიკა; ფილოსოფია; ეთიკა; თეოლოგია; რელიგიათმცოდნეობა; ხელოვნების ისტორია). http://152.70.180.12:8080/ka

პროექტის მონაწილეები:

1. თამარ ჭეიშვილი - ხელმძღვანელი
2..ქეთევან გარდაფხაძე - ძირითადი შემსრულებელი.
3. **მანანა ფხაკაძე** - ძირითადი შემსრულებელი.

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

ელექტრონული პროექტი SCISCITATOR ითვალისწინებს მე-18 საუკუნიდან დღემდე საქართველოს სამეცნიერო სივრცეში კლასიკური ფილოლოგიის დარგში ემპირიული

მასალის (საარქივო დოკუმენტაცია, პრესა, სამეცნიერო თუ მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, ლექსიკონები, თარგმანები, მეცნიერული გამოკვლევები,

დისერტაციები და ა. შ.) დამუშავებასა და სისტემატიზაციას, რის საფუძველზეც, საბოლოოდ, შეიქმნება კვლევითი შედეგების ამსახველი სრულყოფილი, ანოტირებული და

სტრუქტურირებული ელექტრონული ბაზა. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია არამხოლოდ მოძიებული მასალის კატალოგიზაცია, არამედ ციფრული ფაილების განთავსებაც.

დიდი მოცულობის ემპირიულმა მასალამ და, ასევე, ჩვენი ქვეყნის კულტურული დასამეცნიერო მიღწევების ევროპულ მოდელთან დაახლოების აუცილებლობამ, რაც, თავის მხრივ,

საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის აუცილებელი პირობაა, საჭირო გახადაორენოვანი (ქართული და ინგლისური) კატალოგის შექმნა, რათა იგი ხელმისაწვდომი იყოს არა მარტო

ქართველი, არამედ უცხოელი მომხმარებლისთვისაც. ამ დროისთვის, კატალოგშიგანთავსებულია 900-ზე მეტი ბიბლიოგრაფიული ერთეული, რომლის რაოდენობა სამომავლოდ

რამდენიმე ათასს მოიცავს.

2. მასალის ელექტრონული სახით წარმოდგენა გულისხმობს კვლევითი საკითხის ირგვლივ არსებული დიდი მოცულობის ემპირიული მასალის მოძიებასა და სისტემატიზაციას.

ელექტრონულ ბაზაში განთავსებული კვლევითი შედეგების ამსახველისტრუქტურირებული ინფორმაცია, ერთი მხრივ, წვლილს შეიტანს საქართველოშიკლასიკური მემკვიდრეობის

ისტორიის შესწავლის საქმეში, სამყაროში მისი ადგილისა და მნიშვნელობის გააზრებაში, მეორე მხრივ, დაგვეხმარება გავიაზროთ კლასიკურიმემკვიდრეობის შესწავლის

მნიშვნელობა თანამედროვე ზოგადასაგანმანათლებლოდაწესებულებებში და, რაც მთავარია, არაერთი მნიშვნელოვანი კვლევის წყარო გახდება მეცნიერთა ახალი თაობისთვის.

კატალოგის აღწერა

კატალოგის სარჩევში მოწოდებულია ინფორმაცია პროექტისა და სამუშაო ჯგუფის შესახებ

(ჭეიშვილი, თამარ; გარდაფხაძე, ქეთევან; ფხაკაძე, მანანა;)

სარჩევშივე მოცემულია რამდენიმე საძიებო ფილტრი:

სიტყვა, სათაური, პირი, გამომცემელი, გამოცემის წელი

3. პროექტის სათაური: **„ქართულ-ბიზანტიურ ურთიერთობათა ძირითადი მიმართულებები“.**

თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ბიზანტინისტიკის კათედრა, პროექტის ვადები: 2021-2023 წწ.,
ინიციატორი და დამფინანსებელი ა(ა)იპ საპატრიარქოსთან ქართველოლოგიური კვლევის ცენტრი

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფ. თინა დოლიძე, შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი - ავტორი ცხრა სტატიისა: „ ქრისტიანობის შემოსვლა საქართველოში: მოციქულთა ხანა“, ”ტაო-კლარჯეთის სამწიგნობრო სკოლა“ (თ. ოთხმეზურის თანაავტორობით), „ქრისტიანული განათლება შუა საუკუნეების საქართველოში“, „ჰომილეტიკა“, „ეგზეგეტიკა“, „დოგმატიკა“, „პოლემიკა“ „საერო სამართალი“, „იდენტობა ბიზანტიურ კონტექსტში“.

2. პროფ. ლევან გიგინეიშვილი - სამი სტატია: „გელათი“, „იოანე პეტრიწი“, „შოთა რუსთაველი“.

3. პროფ. ვ. ასათიანი (ვ. გოილაძის თანაავტორობით) – „ნარკვევები საქართველო-ბიზანტიის ისტორიული ურთიერთობიდან“.

4. ასისტ. პროფ. თ. აფციაური - ” ძველი ქართული სასულიერო-საგანმანათლებლო კერები“, „ასკეტიკა“, „ჰაგიოგრაფია“.

5. თსუ მასწავლებელი ვ. ჯუღელი- „ასტრონომია“ (ვარსკვლავთმრიცხველობა“)

6. მოწეული მასწ. მაგდა მჭედლიძე - „ელინური პაიდეია III- IV სს-ის საქართველოში“.

7. თსუ ასოც. პროფ. ანა ხარანაული - „ბიბლია და ბიბლიური აპოკრიფები“

8. თსუ პროფ. ზაზა სხირტლაძე - „ქართული ხელოვნება“

9. ემ. პროფ. ექვთიმე კოჭლამაზაშვილი (ილიას სახ. უნ.) – „ლიტურგიკა“, „ჰიმნოგრაფია“, „კანონიკა“.

11. თსუ ასოც. პროფ. დალი ჩიტუნაშვილი (თსუ) – „სინა: წმ. ეკატერინეს მონასტერი“ (თ. ოთხმეზურთან თანაავტორობით).

12. დავით ჩიქოვანი (აფხაზეთის უნივერიტეტი) – „ეკლესიის ისტორია“

რეცენზენტები: თსუ მოწვ. მასწ. გვანცა კოპლატაძე, ნ. მელიქიშვილი(ხელნაწ.ერ. ცენტრი), მ. მაჭავარიანი (ხელნაწ.ერ. ცენტრი), ნ. ჩიკვატია (ხელნაწ.ერ. ცენტრი).

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

დასრულებული პროექტი „ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობები“ მიზნად ისახავდა მრავალსაუკუნოვანი ქართულ-ბიზანტიური ისტორიული და კულტურული ურთიერთობების შესახებ გამოკვლევის დაწერას და მის გამოსაცემად მომზადებას. მასში თავმოყრილად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ქართულ-ბიზანტიური კავშირების ამსახველი ძირითადი სფეროები – ისტორია, ეკლესიის ისტორია, ხელოვნება, საგანმანათლებლო კერები, ინდივიდუალური და სასკოლო განათლების საკითხები, სამწერლობო კულტურა, რომელშიც შევიდოდა ლიტერატურის ყველა დარგი. კრებულში წარმოდგენილი წერილები უნდა ყოფილიყო როგორც ენციკლოპედიურ-ინფორმაციული, ისე კვლევითი ხასიათისა. ნაშრომს უნდა დაეკმაყოფილებინა იმ პირთა ინტერესი, ვისაც სურს ცოდნა შეიძინოს შუა საუკუნეების საქართველოს და ბიზანტიის ისტორიის ძირითად საკითხებზე, აგრეთვე იმ ასპექტებზე, რომლებმაც განაპირობეს ბიზანტიური

ქრისტიანობის დიდი წვლილი ქართული მართლმადიდებლური კულტურის ჩამოყალიბებაში.

4. **„ნარკვევები ახალ ბერძნულ ლიტერატურაში“**
სამეცნიერო დარგი და მიმართულება: ფილოლოგია, ნეოგრეცისტიკა

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
**1. სოფიო შამანიდი - პროექტის ხელმძღვანელი**
**2. მედეა აბულაშვილი - ძირითადი პერსონალი**
**3. ანა ჩიქოვანი - ძირითადი პერსონალი**

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

პროექტი მიზნად ისახავს სამეცნიერო ნაშრომების/სტატიების კრებულის შექმნას, რომელიც მოიცავს ახალი ბერძნული ლიტერატურის ისტორიის ყველა პერიოდს, ფაზებს, მიმდინარეობებს და ნეოგრეცისტიკის სფეროში არსებულ სადავო საკითხებს.

თითოეული საკითხი განხილული იქნება ევროპული ლიტერატურის განვითარების ჭრილში და მოცემული იქნება შესაძლო ტიპოლოგიური პარალელები თანადროული ეპოქის ქართულ ლიტერატურულ პროცესებთან.

წიგნი, დასრულების შემდეგ, შევა თსუ-ს ახალი ბერძნული ფილოლოგიის მიმართულების რამდენიმე სალექციო კურსის (როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურზე) სილაბუსების ძირითადი ლიტერატურის ნუსხაში. ასევე, განკუთვნილი იქნება ლიტერატურის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

დონორი ორგანიზაცია: საბერძნეთის კულტურის ფონდი საბერძნეთის რესპუბლიკა, 2023-2024 წწ

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

***დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1.

2.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **„ანტიკურობა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“** (პროექტის N FR-21-1947); ჰუმანიტარული მეცნიერებები, საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები 2022-2024

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ხელმძღვანელი: თსუ პროფ. ნანა ტონია;** კოორდინატორი: თსუ მეცნიერ-მკვლევარი გიორგი უგულავა; მკვლევარები: თსუ ასოც. პროფ. ეკატერინე კობახიძე; თსუ მეცნიერ-მკვლევარი მაია დანელია.

2. **„ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული ეპიგრაფიკა როგორც საქართველოს ისტორიის წყარო“.** (პროექტის N FR -18-2218) ჰუმანიტარული მეცნიერებები, საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები; 2019-2023

2. ხელმძღვანელი: თსუ ასისტენტ-პროფესორი ნათია ფიფია; კოორდინატორი: თსუ ასოც. პროფ. **ეკატერინე კობახიძე;** მკვლევარი: პროფ. თედო დუნდუა.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. **პროექტი „ანტიკურობა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“** ეძღვნება ბერძნულ-რომაული მითოლოგიურ - ლიტერატურული ტრადიციის კვალს ქართული მხატვრული ლიტერატურის ისტორიის ყველა პერიოდში. ქართული ლიტერატურისა და ანტიკურობის ურთიერთმიმართების საკითხებზე უკანასკნელ ხანებამდე ძირითადად ქართულ ენაზე იწერებოდა ცალკეული სტატიები და გამოკვლევები, თუმცა, მათ არ ჰქონდათ სისტემური, მონოგრაფიული ხასიათი. შესაბამისად, ჯერჯერობით არ მოგვეპოვება ნაშრომი, სადაც შეძლებისდაგვარად სრულად იქნებოდა ასახული ანტიკური ტრადიცია ქართული მხატვრული ლიტერატურის განვითარების ყველა ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემა ცალკეულ მწერალთან თუ ცალკეული პერიოდის ფარგლებში ადრეც გამხდარა მეცნიერთა ინტერესის საგანი. დაახლოებით 30 წლის წინ მონოგრაფიულად დამუშავდა მხოლოდ ერთი, ძველი ქართული ლიტერატურის მონაკვეთი (ვალერი ასათიანი,

ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში, თბილისი, თსუ, 1987), რომელშიც, ცხადია, ვერ იქნებოდა გათვალისწინებული როგორც უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა, ისე ანტიკურობასთან დაკავშირებული ახლადმოძიებული რემინისცენციები.

პროექტი „ანტიკურობა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“ მიზნად ისახავს სამი წლის განმავლობაში ფუნდამენტური, მონოგრაფიული, ორენოვანი (ქართული, ინგლისური) ნაშრომის შექმნას, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ანტიკური ტრადიციის კვალი ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში და მისი როლი ქართული მწერლობის განვითარებაში.

ანტიკურობასთან დაკავშირებული რეცეფციების გამოვლენის მიზნით საპროექტო ჯგუფის მიერ წინასწარ მომზადდა მასალა, რომელიც წარმოადგენს ქართველი მწერლების ნაწარმოებებიდან ამონარიდებს აუცილებელი სამეცნიერო კომენტარით (მასალა განთავსებულია ორენოვან ვებგვერდზე „ანტიკურობის რეცეფცია ქართულ ლიტერატურაში“ http://classicaltradition.tsu.ge/).

აღნიშნული მასალა, რომელიც საცნობარო ხასიათისაა, საჭიროებს შევსებას (მწერლების და ნაწარმოებების ნაწარმოებების დამატებას) და განზოგადებულ, სისტემურ, მონოგრაფიულ კვლევას, რომლის საფუძველზეც შეიქმნება ორენოვანი ნაშრომი სახელწოდებით „ანტიკურობა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“.

ქართულ მწერლობაში ძველი ბერძნული და რომაული ტრადიციის სისტემური შესწავლა მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, თუ რამდენად სინქრონული და თემატურად იდენტურია ქართული და ევროპული ლიტერატურები ანტიკური რეცეფციის საკითხებში; რამდენად ორიგინალურია ქართული ლიტერატურა ანტიკური ტრადიციის რეციპირების თვალსაზრისით.

2. **პროექტი„ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული ეპიგრაფიკა როგორც საქართველოს ისტორიის წყარო“**, 2023 წელს პროექტი დასრულდა ორენოვანი (ქართული, ინგლისური) მონოგრაფიის გამოცემით (გამომცემლობა „სამშობლო“, 784 გვ). მონოგრაფიაში განხილულია ქართულ საისტორიო წყაროებში შედარებით მწირად წარმოდგენილი და შესაბამისად, ძირითადად უცხოენოვან წყაროებზე დაყრდნობით შესწავლილი პერიოდი, რომლის ტრადიციული ქრონოლოგიური ჩარჩოებია ძვ. წ VIII ს- ახ. წ IV ს. ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისთვის ამ უცხოენოვან წყაროთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბერძნულ და ლათინურ წარწერებს, რომლებიც როგორც საქართველოში, ისე, საზღვარგარეთაა დაცული.

მართალია, ნაშრომში გამოკვლეული ეპიგრაფიკული მასალის დიდი ნაწილი სხვადასხვა დროს ადრეც იყო შესწავლილი სხვადასხვა გამოცემებში, მაგრამ არსებული ნაშრომი მათგან განსხვავებულია რამდენიმე კონკრეტული მახასიათებლით:

1) ქართულ სამეცნიერო სივრცეში დღემდე არ არსებობდა ერთ ნაშრომში თავმოყრილი ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული როგორც **ბერძნულ,** ისე **ლათინურ** ენაზე არსებული წარწერების მაქსიმალურად სრული ნუსხა;

2) ამ დრომდე ერთ წიგნად არ ყოფილა გამოცემული საქართველოს ისტორიის ანტიკური პერიოდის ამსახველი ბერძნული და ლათინური წარწერები, რომლებიც როგორც **საქართველოში**, ისე **მის ფარგლებს გარეთაა** აღმოჩენილი ან დაცული.

**3)** ამ დრომდე ერთ გამოცემაში ერთმანეთის გვერდით არ ყოფილა წარმოდგენილი საქართველოს ისტორიისთვის საინტერესო ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული სხვადასხვა ეპიგრაფიკული მასალა: **წარწერები, გრაფიტოები და ნუმიზმატიკური მონაცემები.**
4) აქამდე არ ჩატარებულა ამ მასშტაბური მასალის სისტემური, მონოგრაფიული კვლევა, რომელიც შეისწავლიდა მას, როგორც **საქართველოს ისტორიის ანტიკური პერიოდის წყაროს**.
5) წიგნში კრიტიკულად გაანალიზებულია როგორც ტრადიციულად არსებული განმარტებები, ისე თანამედროვე გამოკვლევევები, არაერთ წარწერას დართული აქვს **ავტორთა სრულიად ახალი, ხშირ შეთხვევაში - დამკვიდრებულისგან განსხვავებული კომენტარები**, რომელიც მომზადდა ამ კონკრეტული გამოცემისათვის.
6) ზოგიერთი წარწერა და წყარო ამ ნაშრომის მეშვეობით **პირველად** შემოდის ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში.
საყურადღებოა, წიგნში გამოყენებული მეთოდოლოგია და კვლევის პრინციპებიც.

ეპიგრაფიკული და ნარატიული წყაროების შეჯერებისას მეტწილად გამოყენებულია **ჰევრისტიკული მეთოდი,** რომლის მეშვეობითაც ხდება წყაროებში დაცული მონაცემების კლასიფიკაცია და ვერიფიკაცია. ზოგიერთ შემთხვევაში, სხვადასხვა წყაროების მონაცემების გათვალისწინებით, გამოყენებულია ინფორმაციის **სინთეზის და რეკონსტრუქცის მეთოდები.**

საყურადღებოა მასალების კლასიფიკაციის და შესწავლის პრინციპი, რომელიც გულისხმობს წარწერების კვლევას **ერთდროულად პოლიტიკურ (იბერიისა და კოლხეთის) და ქრონოლოგიურ ჭრილში.**
ნაშრომში თავმოყრილი ინფორმაციის პოლიტიკურ და ამავდროულად ქრონოლოგიურ ჭრილში განხილვა ეფექტური აღმოჩნდა კვლევის მიზნების წარმატებით მიღწევისათვის.

ე.წ. „პოლიტიკური" პრინციპის გათვალისწინებამ, კერძოდ, კოლხეთისა და იბერიის ეპიგრაფიკული მასალის ცალ-ცალკე თავებად შესწავლამ ხელი შეუწყო ანტიკური საქართველოს ორი მთავარი რეგიონის და სახელმწიფო გაერთიანების- კოლხეთისა და იბერიის ერთმანეთისგან განსხვავებული ისტორიული „თავგადასავლის" სწორად და სიღრმისეულად შეფასებას; ამავდროულად, საერთო ქრონოლოგიურმა პერიოდიზაციამ, სხვაგვარად რომ ვთქვათ- ერთი და იმავე ქრონოლოგიური პრინციპების მიხედვით დასავლეთსა და აღმოსავლეთში აღმოჩენილი წარწერების დაყოფამ - ხელი შეუწყო ერთი და იმავე ქრონოლოგიურ პერიოდში იბერიის და კოლხეთის მონაცემების ერთმანეთთან ეფექტურად შედარებას და ამ კონტექსტში მათ განხილვას საქართველოს ისტორიის ერთ ნარატივად.

პერიოდიზაციისას გამოყენებული ტერმინოლოგია მისდევს ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ ტრადიციას და ესადაგება ანტიკური კულტურების ქრონოლოგიურ ჩარჩოებს. ქრონოლოგიური ტერმინოლოგიის შერჩევისას გათვალისწინებელი იყო შემდეგი:

1. საქმე გვაქვს ბერძნულ და ლათინურ წარწერებთან, რომელთა ენობრივი მახასიათებლები და შინაარსი განსაზღვრულია ანტიკურ საბერძნეთსა და რომში მიმდინარე ისტორიული პროცესებით;
2. საქართველო მუდმივად ინარჩუნებდა კავშირს ანტიკურ ბერძნულ-რომაულ კულტურასთან და ანტიკურ ხანაში მისი ისტორიის ძირითადი ვექტორი ზოგადად მაინც მისდევდა ამ პერიოდებისთვის განსაზღვრულ მახასიათებლებს.

3. ნაშრომის კონცეფცია, საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ემყარება ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის მსოფლიო და ამ ჭრილში, დასავლურ ცივილიზაციებთან ერთ კონტექსტში განხილვას.

მასალის ქრონოლოგიურმა კლასიფიკაციამ უფრო ეფექტური გახადა ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიული რეალობის ეტაპობრივი რეკონსტრუქცია და საშუალება მოგვცა თვალი მიგვედევნებინა მოვლენათა განვითარების სრული სურათისათვის.
საქართველოს ისტორიისათვის საყურადღებო ანტიკური ხანის ბერძნული და ლათინური წარწერების, გრაფიტოებისა და ნუმიზმატიკური მონაცემების შეძლებისდაგვარად სრულად თავმოყრასა და ანტიკური წყაროების ბერძნულ და ლათინურ ენებზე შესწავლასთან ერთად, ბუნებრივია, საჭირო გახდა **ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების** გათვალისწინება, **უახლესი სამეცნიერო განმარტებების სისტემატიზაცია** და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია- **ახალი, ორიგინალური კომენტარების დართვა**, რამაც, ჩვენი აზრით, მეტი სიცხადე შეიტანა საქართველოს ისტორიის ანტიკური პერიოდის არაერთი პრობლემური საკითხის კვლევაში.
წიგნის ავტორთა- კლასიკური ფილოლოგიის და საქართველოს ისტორიის სპეციალისტთა- შეთანხმებული, **ინტერდისციპლინური** კვლევის საფუძველზე, რაც გულისხმობდა წარწერების კომპლექსურ (ლინგვისტურ და ისტორიულ) ანალიზს, შესაძლებელი გახდა ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიაში გარკვეული მონაცემების დამატება, კორექტირება, მოძიება და ზოგ შემთხვევაში- რეკონსტრუქციაც კი.
ასე, მაგალითად: ზუბოვკის თასის ვერცხლის ფიალის წარწერის მაგალითზე გამოიკვეთა ბერძნულ-კოლხური კულტურული ურთიერთობების ახალი პერიპეტიები; სხვადასხვა წარწერებიდან უკვე კარგად ცნობილ საბერძნეთსა და რომში მოხვედრილ სხვადასხვა ქართველურ ტომთა წარმომადგენლებს ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში დაემატნენ: ლანგენბრუკის წარწერაში დადასტურებული ჰენიოხი, კეისრის კოლხი ბალნეატორი რომიდან, კოლხი ქალი და სალუსტია კოლხი რომის მონათა სამარხიდან, სოხუმის ციხის წარწერაში დადასტურებული მმართველი ვალერიანუსი, გრაცის მუზეუმის და ჰალიკარნასოსის თეატრის წარწერებში მოხსენიებული მოსხოსი მოსხოსის ძე, მაკრონი ქალი უკვე კუნძულ როდოსიდან (ატენის სტელაზე აღმოჩენილი მაკრონისას კვალდაკვალ); ფესინოს სკითინოსი ათენის აკროპოლისის წარწერიდან (რომელიც ადრე დადასტურებული იყო დელფოს წარწერაში) და სხვ.
რამდენიმე წარწერის მონაცემთა შეჯერების, მათი საერთო კონტექსტის და ზოგჯერ წარწერის ახლებურად წაკითხვის ვარიანტის გათვალისწინებით შესაძლებელი გახდა ანტიკური ხანის საქართველოსთვის არაერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი და ბოლომდე დაუდგენელი ისტორიული ფაქტის გარკვევა: ახლადაღმოჩენილ წარწერაზე სოხუმის ციხიდან, ჩვენი აზრით, დადასტურდა სანიგთა მეფე მეფე სპადაგასის მოხსენიება; ეშერის, ფასისის და სოხუმის წარწერებისა და დამღების მიხედვით დაზუსტდა საქართველოში ბერძნული ახალშენების სტატუსი; ოსტიის წარწერის მიხედვით ზედმიწევნით დაკონკრეტდა ფარსმანის რომში ვიზიტის თარიღი; რომის ერთ-ერთი წარწერისა და სხვადასხვა ანტიკური და ქართული წყაროების საფუძველზე გაირკვა ლუციუს ვერუსის პართული ექსპედიციის დროს რომაელთა სამხედრო შენაერთების იბერიაში ლაშქრობის ფაქტი და მიზეზები; მცხეთაში აღმოჩენილი რამდენიმე წარწერის შეჯერების საფუძველზე დაზუსტდა წარწერაში მოხსენიებულ პირთა: დედოფალ დრაკონტისის, ანაგრანესის და მეფე ამაზასპის ვინაობის საკითხი; მცხეთაში აღმოჩენილ ცნობილ სამარხში დაკრძალული „ულპია დედოფლის“ წარწერისა და ამაზასპოსის ეპიტაფიის ერთ კონტექსტში შესწავლის

ფარგლებში განიმარტა დედოფლის სახელის წარმომავლობის საკითხი და ეპიტაფიაში დასახელებული ამაზასპოსისა და მითრიდატეს ვინაობა; პარიზის მედალიონთა კაბინეტში დაცული ბეჭდის გემისა და ანტიკური წყაროების გამოყენებით დაზუსტდა „კარქედონელ იბერთა“ პიტიახშის, უსას ვინაობა, მისი სამფლობელო და მმართველობის სავარაუდო პერიოდი; ზაკურთან დაკავშირებული რამდენიმე წარწერის შეპირისპირებით შესაძლებელი გახდა ფარსმან ქველის გარდაცვალების შემდეგ მომხდარი მოვლენების რეკონსტრუქცია და სხვა.

საყურადღებოა, რომ უკვე კარგად ცნობილი და კვლევისას ახლადგამოვლენილი მონაცემები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ არმენიის, საბერძნეთის, რომის, პართიისა და ანტიკური პერიოდის სხვა ქვეყნების ისტორიის კვლევის კონტექსტში. საქართველოსა და საზღვარგარეთ არსებული ბერძნულ-რომაული წარწერები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის შესახებ, ამავდროულად გვაწვდიან ცნობებს მეზობელი ქვეყნების ისტორიისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე. მაგალითად: საბერძნეთსა და რომში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების და მათი შთამომავლების უფლებრივი და სოციალური სტატუსის შესახებ, რომაული სამხედრო აქტივობების და საჯარისო შენაერთების ფუნქციონირებაზე პროვინციებსა და მეზობელ ქვეყნებში, ბერძნული და რომაული რელიგიური კულტების არსებობაზე კოლხეთსა და იბერიაში, ირანული, ბერძნული და რომაული გავლენების ზუსტი ქრონოლოგიის შესახებ იბერიასა და არმენიაში, რომის მეგობარი ქვეყნების მმართველებისათვის რომის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების საკითხზე და ა.შ.

შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ნაშრომი „ანტიკური ხანის ბერძნულ ი და ლათინური წარწერები, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო“ სისტემურ და უახლეს სამეცნიერო ინფორმაციას მიაწვდის ანტიკური ხანის საქართველოსა და მსოფლიო ისტორიით, ბერძნულ-რომაული ეპიგრაფიკითა და, ზოგადად, ანტიკური წყაროებით დაინტერესებულ მკითხველებს, სტუდენტებსა და სპეციალისტებს.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)

4.1. საერთაშორისო პატენტები;

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

4.2. ეროვნული პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ევრიპიდე, ტრაგედიები. ტომი I (ალკესტისი, მედეა, ჰერაკლიდები, ჰიპოლიტოსი, ანდრომაქე, ჰეკაბე,მავედრებელი ქალები). ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილები და განმარტებანი დაურთო **ნანა ტონიამ**; ISBN 978 – 9941 – 35 – 481 – 6 (ტომი I); თბილისი, გამომცემლობა პალიტრა L; 528 გვერდი.

2. სტრატეგოსები და კეისრები. ძველი საბერძნეთისა და რომის სახელოვან მოღვაწეთა ცხოვრების აღწერილობანი ანტიკურ წყაროთა გათვალისწინებით შეადგინა **ნანა ტონიამ**. ISBN 978 – 9941 – 9744 – 6 – 5; თბილისი, გამომცემლობა „ლოგოსი“; 364 გვერდი.

3.**ნანა ტონია**, ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი; ISBN – 978 – 9941 – 9856 – 0 – 7; თბილისი, გამომცემლობა „ლოგოსი“; 228 გვერდი.

4. **იამზე გაგუა**, პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი, ფასტები (თარგმანი გამოკვლევებით), ISBN 978-9941-9856-3-8, თბილისი, ლოგოსი, 253 გვერდი.

5. **რუსუდან ცანავა,** გზა, ქალაქი, გმირი ანტიკურ მითოსურ ციკლებში (მონოგრაფია),ISBN 978-9941-9856-1-4, თბილისი, პროგრამა " ლოგოსი", 2023. გვ.279.

6. **ნათია ფიფია, ეკატერინე კობახიძე, თედო დუნდუა,** ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული წარწერები, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო/ Natia Phiphia, Ekaterine Kobakhidze, Tedo Dundua, Greek and Latin Inscriptions of Classical Antiquity For History of Georgia, ISBN 978-9941-9833-9-9, თბილისი, გამომცემლობა „სამშობლო", 784 გვ.

7. ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი: **თინა დოლიძე**, **ქართულ-ბიზანტიურ ურთიერთობათა ძირითადი მიმართულებები** (IV-XV სს.) 256 გვ., სერიაში: პატრისტიკული კვლევა საქართველოში IX, ISBN 978-9941-9857-1-3

8. ავტორთა კოლექტივი, ენციკლოპედია „ანტიკური კავკასია", 5 ტომი, რედაქტორი: **რისმაგ გორდეზიანი,** საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი", ISBN , 978-9941-9856-4-5

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ევრიპიდეს ტრაგედიები გამოიცემა ორ ტომად, თითოეულ ტომში წარმოდგენილია 7 ტრაგედია. მოგვიანებით დაიბეჭდება მესამე ტომი, რომელიც გააერთიანებს სატირულ დრამასა და დრამებს. ამგვარად, ქართულ ენაზე გვექნება ევრიპიდეს შემოქმედება სრულად (17 ტრაგედია და 1 სატირული დრამა). უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებამდე ქართულ ენაზე მოიპოვებოდა ევრიპიდეს ტრაგედიათა მხოლოდ სამი თარგმანი.

2. წიგნში მოთხრობილია ანტიკური ხანის იმ მოღვაწეთა შესახებ, რომლებიც განაგებდნენ სახელმწიფოთა და ადამიანთა ბედს. მათი ბიოგრაფიები მუდამ აინტერესებდა საზოგადოებას. ამიტომ ანტიკურ სამყაროშივე ჩაეყარა საფუძველი ლიტერატურის იმ ჟანრს, რომელსაც „ცხოვრების აღწერილობა" ეწოდა. გარდა ამისა, სახელოვან მოღვაწეთა ცხოვრებისეული ეპიზოდები გვხვდება ისტორიოგრაფოსთა, გეოგრაფოსთა თუ სხვა მეცნიერული ხასიათის თხზულებებში. ქართულ გამოცემაში გათვალისწინებულია ბერძნულ და რომაულ წყაროებში დაცული ცნობები სახელოვან მოღვაწეთა თაობაზე.

3. დღეს, როდესაც თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში მიმდინარეობს ანტიკური მემკვიდრეობის ყოველმხრივი ათვისება, აუცილებელი გახდა ტერმინთა გადმოტანის ისეთი ნორმების დადგენა, რომელიც ერთდროულად გაითვალისწინებს როგოორც ქართულ, ასევე ევროპულ ენებში დომინირებულ ტენდენციებს. აღნიშნულ ლექსიკონში (რომელიც მრავალი წელი მზადდებოდა) წარმოდგენილი მასალა მიჩნეულია ნორმად სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ.

4. მიუხედავად იმისა, რომ ფასტები საკმაოდ სერიოზულ თემას, რომაულ სიწმინდეებს ეძღვნებოდა, ოვიდიუსმა მოახერხა მასში ეროტიკული, მხიარული სცენების ჩართვა, ორაზროვანი გამოთქმებით თხრობის გახალისება. პოემაში პოეტს ბევრი ეპიზოდი მისთვის დამახასიათებელი ოსტატობითა აქვს გადმოცემული. მაგ., ამაღელვებლად არის მოთხრობილი ლუკრეციას ტრაგედია, რასაც მოჰყვა ტარკვინიუსის განდევნა (II წიგნი), საინტერესოდ იკითხება რომულუსისა და რემუსის ისტორია, რომის დაარსება (IV წიგნი), მოხერხებულად არის ჩართული რეალური ამბავი ვესტას ტაძრის ხანძრის შესახებ, რომელიც ძვ. წ. 241 წ.-ით თარიღდება, ქურუმ მეტელუსის თავდადება და გამბედაობა ქალღმერთის გადარჩენაში. ამგვარი რეალურ-ისტორიული ეპიზოდი ფასტებში სხვაგანაც მოიპოვება. პოეტი არ იფარგლება რელიგიური წეს-ჩვეულებების ოდენ აღწერითა და განმარტებებით, მისი მიზანია, მკითხველს მითოლოგიური ხასიათის განმარტებებთან ერთად მიაწოდოს საინტერესო და სახალისო ამბები. ოვიდიუსს გადმოაქვს ტრფობანისა და ტრფობის ხელოვნების ირონიული ტონი ფასტებში. თუ სატრფიალო ელეგიებში პოეტი სერიოზულ თემებზე არასერიოზულად საუბრობს, რაც ამ პოემებს პაროდიულ ხასიათს ანიჭებს, ფასტებში სერიოზულ თემებზე დროდადრო არასერიოზულად მსჯელობს. პოემა ვერც გადასახლებაში დაასრულა პოეტმა, ან სათანადო მასალა არ ჰქონდა ნაწარმოებზე სამუშაოდ, ან აღარ ისურვა მისი დასრულება. ეს კი არა და, დასრულებული პოემა მეტამორფოზები (რომელსაც მხოლოდ გადახედვა სჭირდებოდა), გაიმეტა დასაწვავად. საბედნიეროდ, იგი გადარჩა. როგორც ოვიდიუსი თავად განმარტავს, ასე იმიტომ მოიქცა, რომ დახვეწა ვერ მოასწრო, ან საკუთარ მუზას შემოსწყრა, ან იმედი ჰქონდა, რომ მეგობრებს შემორჩენილი ექნებოდათ პოემის ხელნაწერი (სევდიანი ელეგიები I, 7, 19-23).

5. მითოსური დროით და სივრცით დაშორებული სამი ბერძნული ციკლის ამბები უხილავი და ხილული ძაფებით არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ციკლების პერსონაჟები ამა თუ იმ საფეხურზე "„ხვდებიან" ერთმანეთს; თითოეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად ხალხების დიდი მიგრაციების მითოსურ ისტორიებს მოგვითხრობენ. მითოსური პერსონაჟების მიერ გაკვალული გზები ქმნიან გარკვეულ მატრიცას, მიგრაციების კვაზიისტორიას, რაც კვლევის ახალ იმპულსს აძლევს არქეოლოგიურ და ლინგვისტურ ძიებებს. ციკლების მითოსური სივრცე მოიცავს მთელ მედიტერანულ არეალს – ევროპას, აზიას, აფრიკას, შავიზღვისპირეთს. ციკლები ასახავს არა მხოლოდ მიგრაციის გზებს, არამედ ამ გზების საშუ-ალებით კულტურულ და მატერიალურ ფასეულობათა გაზიარებასაც.

ნაშრომში წარმოდგენილია, როგორ „მუშაობენ" ბერძნული მითოსური ციკლების სტრუქტურებში სიმბოლოები – გზა, ქალაქი, გმირი. „გზისა" და „ქალაქის" სიმბოლოების განსხეულებაში განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრებათ გმირებს, რომლებიც გაივლიან გზებს მშობლიური ქალაქიდან (//ქვეყნიდან) იმ ადგილამდე, სადაც აარსებენ ახალ ქალაქებს.

ღმერთების ნებით დაარსებული მითიური ქალაქები ადამიანებისა და ღმერთების საკონტაქტო სივრცეა. ქალაქი არის ადგილი, სადაც ადამიანები აშენებენ ტაძრებს, ღმერთებს სწირავენ მსხვერპლს, თხზავენ მათ სადიდებლებს და ა.შ. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ადამიანები აშენებენ ქალაქის გალავანს, რითაც იცავენ თავიანთ კულტურულ მონაპოვარს. ქალაქი და მისი მშენებლობა, როგორც საკრალური აქტი, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ეპიკურ ეკფრასისებშიც.

ქალაქის მითოლოგემის კვლევის არეალში შემოდის ქალაქის (/ქვეყნის) მკვიდრთა რელიგიური რწმენის საკითხიც. ტექსტებში, რომლებშიც თებეს და ტროას ციკლების ამბები აისახა, ყველა ოლიმპოს პანთეონის ღმერთებს სცემს თაყვანს. რაც შეეხება არგონავტების მითს, ბერძენი და რომაელი მწერლები აღნიშნავენ, რომ კოლხები მიწას, ცას, მზეს და ჰეკატეს სცემდნენ თაყვანს. რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ ეს წყაროები უტყუარ ცნობებს გვაწვდიან კოლხთა უძველესი სარწმუნოების შესახებ, მაგრამ თუ არქეოლოგიური და ლინგვისტური მასალა მოგვცემს საშუალებას, არ არის გამორიცხული, რომ ბერძნულ-რომაული წყაროების ცნობებიც გამოდგეს ერთ-ერთ არგუმენტად კოლხთა უძველესი სარწმუნოების კვლევისას.

მედეას სახით დაინტერესებულმა მწერლებმა და მკვლევრებმა ანტიკურობიდან დღემდე აიეტის ასული სხვადასხვა ფუნქციით წარმოგვიდგინეს – ქალღმერთიდან ჯადოქრამდე. ცხადია, ამ პერსონაჟში რამდენიმე მითოსური პლასტი იკვეთება, მაგრამ რაკი ამ ნაშრომში კონკრეტულ ასპექტებს ვიკვლევთ, ძირითადად, მედეას მიერ გავლილ გზებზე გავამახვილეთ ყურადღება. წყაროების მიხედვით, მედეა არგონავტების ციკლის გარდა სხვა ბერძნულ მითებშიც მონაწილეობს და, შეიძლება ითქვას, რომ მას თავისი მარშრუტი აქვს. იგი ბერძნული მითოსის ერთადერთი ქალი პერსონაჟია, რომელმაც სრულყოფილად განვლო მონომითის გმირის ციკლური გზა: ის გავიდა თავისი სამშობლოდან, ბევრი იხეტიალა – იექიმა, იჯადოქრა, იდედოფლა; გააჩინა შვილები (სხვადასხვა ქორწინებებიდან), შვილებთან ერთად დააარსა ქალაქები და ბოლოს, დაბრუნდა შინ კოლხეთში.

6. ორენოვან (ქართული, ინგლისური) მონოგრაფიაში განხილულია ქართულ საისტორიო წყაროებში შედარებით მწირად წარმოდგენილი და შესაბამისად, ძირითადად უცხოენოვან წყაროებზე დაყრდნობით შესწავლილი პერიოდი, რომლის ტრადიციული ქრონოლოგიური ჩარჩოებია ძვ. წ VIII ს- ახ. წ IV ს. ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისთვის ამ უცხოენოვან წყაროთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბერძნულ და ლათინურ წარწერებს, რომლებიც როგორც საქართველოში, ისე, საზღვარგარეთაა დაცული.

მართალია, ნაშრომში გამოკვლეული ეპიგრაფიკული მასალის დიდი ნაწილი სხვადასხვა დროს ადრეც იყო შესწავლილი სხვადასხვა გამოცემებში, მაგრამ არსებული ნაშრომი მათგან განსხვავებულია რამდენიმე კონკრეტული მახასიათებლით:

7) ქართულ სამეცნიერო სივრცეში დღემდე არ არსებობდა ერთ ნაშრომში თავმოყრილი ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული როგორც **ბერძნულ,** ისე **ლათინურ** ენაზე არსებული წარწერების მაქსიმალურად სრული ნუსხა;

8) ამ დრომდე ერთ წიგნად არ ყოფილა გამოცემული საქართველოს ისტორიის ანტიკური პერიოდის ამსახველი ბერძნული და ლათინური წარწერები, რომლებიც როგორც **საქართველოში**, ისე **მის ფარგლებს გარეთაა** აღმოჩენილი ან დაცული.

**9)** ამ დრომდე ერთ გამოცემაში ერთმანეთის გვერდით არ ყოფილა წარმოდგენილი საქართველოს ისტორიისთვის საინტერესო ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული სხვადასხვა ეპიგრაფიკული მასალა: **წარწერები, გრაფიტოები და ნუმიზმატიკური მონაცემები.**

10) აქამდე არ ჩატარებულა ამ მასშტაბური მასალის სისტემური, მონოგრაფიული კვლევა, რომელიც შეისწავლიდა მას, როგორც **საქართველოს ისტორიის ანტიკური პერიოდის წყაროს**.

11) წიგნში კრიტიკულად გაანალიზებულია როგორც ტრადიციულად არსებული განმარტებები, ისე თანამედროვე გამოკვლევევები, არაერთ წარწერას დართული აქვს **ავტორთა სრულიად ახალი, ხშირ შეთხვევაში - დამკვიდრებულისგან განსხვავებული კომენტარები**, რომელიც მომზადდა ამ კონკრეტული გამოცემისათვის.
12) ზოგიერთი წარწერა და წყარო ამ ნაშრომის მეშვეობით **პირველად** შემოდის ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში.
საყურადღებოა, წიგნში გამოყენებული მეთოდოლოგია და კვლევის პრინციპებიც.

ეპიგრაფიკული და ნარატიული წყაროების შეჯერებისას მეტწილად გამოყენებულია **ჰევრისტიკული მეთოდი,** რომლის მეშვეობითაც ხდება წყაროებში დაცული მონაცემების კლასიფიკაცია და ვერიფიკაცია. ზოგიერთ შემთხვევაში, სხვადასხვა წყაროების მონაცემების გათვალისწინებით, გამოყენებულია ინფორმაციის **სინთეზის და რეკონსტრუქცის მეთოდები.**

საყურადღებოა მასალების კლასიფიკაციის და შესწავლის პრინციპი, რომელიც გულისხმობს წარწერების კვლევას **ერთდროულად პოლიტიკურ (იბერიისა და კოლხეთის) და ქრონოლოგიურ ჭრილში.**
ნაშრომში თავმოყრილი ინფორმაციის პოლიტიკურ და ამავდროულად ქრონოლოგიურ ჭრილში განხილვა ეფექტური აღმოჩნდა კვლევის მიზნების წარმატებით მიღწევისათვის.

ე.წ. „პოლიტიკური" პრინციპის გათვალისწინებამ, კერძოდ, კოლხეთისა და იბერიის ეპიგრაფიკული მასალის ცალ-ცალკე თავებად შესწავლამ ხელი შეუწყო ანტიკური საქართველოს ორი მთავარი რეგიონის და სახელმწიფო გაერთიანების- კოლხეთისა და იბერიის ერთმანეთისგან განსხვავებული ისტორიული „თავგადასავლის" სწორად და სიღრმისეულად შეფასებას; ამავდროულად, საერთო ქრონოლოგიურმა პერიოდიზაციამ, სხვაგვარად რომ ვთქვათ- ერთი და იმავე ქრონოლოგიური პრინციპების მიხედვით დასავლეთსა და აღმოსავლეთში აღმოჩენილი წარწერების დაყოფამ - ხელი შეუწყო ერთი და იმავე ქრონოლოგიურ პერიოდში იბერიის და კოლხეთის მონაცემების ერთმანეთთან ეფექტურად შედარებას და ამ კონტექსტში მათ განხილვას საქართველოს ისტორიის ერთ ნარატივად.

პერიოდიზაციისას გამოყენებული ტერმინოლოგია მისდევს ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ ტრადიციას და ესადაგება ანტიკური კულტურების ქრონოლოგიურ ჩარჩოებს. ქრონოლოგიური ტერმინოლოგიის შერჩევისას გათვალისწინებელი იყო შემდეგი:

4. საქმე გვაქვს ბერძნულ და ლათინურ წარწერებთან, რომელთა ენობრივი მახასიათებლები და შინაარსი განსაზღვრულია ანტიკურ საბერძნეთსა და რომში მიმდინარე ისტორიული პროცესებით;
5. საქართველო მუდმივად ინარჩუნებდა კავშირს ანტიკურ ბერძნულ-რომაულ კულტურასთან და ანტიკურ ხანაში მისი ისტორიის ძირითადი ვექტორი ზოგადად მაინც მისდევდა ამ პერიოდებისთვის განსაზღვრულ მახასიათებლებს.
6. ნაშრომის კონცეფცია, საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ემყარება ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის მსოფლიო და ამ ჭრილში, დასავლურ ცივილიზაციებთან ერთ კონტექსტში განხილვას.

მასალის ქრონოლოგიურმა კლასიფიკაციამ უფრო ეფექტური გახადა ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიული რეალობის ეტაპობრივი რეკონსტრუქცია და საშუალება მოგვცა თვალი მიგვედევნებინა მოვლენათა განვითარების სრული სურათისათვის.

საქართველოს ისტორიისათვის საყურადღებო ანტიკური ხანის ბერძნული და ლათინური წარწერების, გრაფიტოებისა და ნუმიზმატიკური მონაცემების შეძლებისდაგვარად სრულად თავმოყრასა და ანტიკური წყაროების ბერძნულ და ლათინურ ენებზე შესწავლასთან ერთად, ბუნებრივია, საჭირო გახდა **ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების** გათვალისწინება, **უახლესი სამეცნიერო განმარტებების სისტემატიზაცია** და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია- **ახალი, ორიგინალური კომენტარების დართვა**, რამაც, ჩვენი აზრით, მეტი სიცხადე შეიტანა საქართველოს ისტორიის ანტიკური პერიოდის არაერთი პრობლემური საკითხის კვლევაში.
წიგნის ავტორთა- კლასიკური ფილოლოგიის და საქართველოს ისტორიის სპეციალისტთა- შეთანხმებული, **ინტერდისციპლინური** კვლევის საფუძველზე, რაც გულისხმობდა წარწერების კომპლექსურ (ლინგვისტურ და ისტორიულ) ანალიზს, შესაძლებელი გახდა ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიაში გარკვეული მონაცემების დამატება, კორექტირება, მოძიება და ზოგ შემთხვევაში- რეკონსტრუქციაც კი.
ასე, მაგალითად: ზუბოვკის თასის ვერცხლის ფიალის წარწერის მაგალითზე გამოიკვეთა ბერძნულ-კოლხური კულტურული ურთიერთობების ახალი პერიპეტიები; სხვადასხვა წარწერებიდან უკვე კარგად ცნობილ საბერძნეთსა და რომში მოხვედრილ სხვადასხვა ქართველურ ტომთა წარმომადგენლებს ქართულ სამეცნიერო მიმოქვევაში დაემატნენ: ლანგენბრუკის წარწერაში დადასტურებული ჰენიოხი, კეისრის კოლხი ბალნეატორი რომიდან, კოლხი ქალი და სალუსტია კოლხი რომის მონათა სამარხიდან, სოხუმის ციხის წარწერაში დადასტურებული მმართველი ვალერიანუსი, გრაცის მუზეუმის და ჰალიკარნასოსის თეატრის წარწერებში მოხსენიებული მოსხოსი მოსხოსის ძე, მაკრონი ქალი უკვე კუნძულ როდოსიდან (ატენის სტელაზე აღმოჩენილი მაკრონისას კვალდაკვალ); ფესინოს სკითინოსი ათენის აკროპოლისის წარწერიდან (რომელიც ადრე დადასტურებული იყო დელფოს წარწერაში) და სხვ.
რამდენიმე წარწერის მონაცემთა შეჯერების, მათი საერთო კონტექსტის და ზოგჯერ წარწერის ახლებურად წაკითხვის ვარიანტის გათვალისწინებით შესაძლებელი გახდა ანტიკური ხანის საქართველოსთვის არაერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი და ბოლომდე დაუდგენელი ისტორიული ფაქტის გარკვევა: ახლადაღმოჩენილ წარწერაზე სოხუმის ციხიდან, ჩვენი აზრით, დადასტურდა სანიგთა მეფე მეფე სპადაგასის მოხსენიება; ეშერის, ფასისის და სოხუმის წარწერებისა და დამღების მიხედვით დაზუსტდა საქართველოში ბერძნული ახალშენების სტატუსი; ოსტიის წარწერის მიხედვით ზედმიწევნით დაკონკრეტდა ფარსმანის რომში ვიზიტის თარიღი; რომის ერთ-ერთი წარწერისა და სხვადასხვა ანტიკური და ქართული წყაროების საფუძველზე გაირკვა ლუციუს ვერუსის პართული ექსპედიციის დროს რომაელთა სამხედრო შენაერთების იბერიაში ლაშქრობის ფაქტი და მიზეზები; მცხეთაში აღმოჩენილი რამდენიმე წარწერის შეჯერების საფუძველზე დაზუსტდა წარწერაში მოხსენიებულ პირთა: დედოფალ დრაკონტისის, ანაგრანესის და მეფე ამაზასპის ვინაობის საკითხი; მცხეთაში აღმოჩენილ ცნობილ სამარხში დაკრძალული „ულპია დედოფლის" წარწერისა და ამაზასპოსის ეპიტაფიის ერთ კონტექსტში შესწავლის ფარგლებში განიმარტა დედოფლის სახელის წარმომავლობის საკითხი და ეპიტაფიაში დასახელებული ამაზასპოსისა და მითრიდატეს ვინაობა; პარიზის მედალიონთა კაბინეტში დაცული ბეჭდის გემისა და ანტიკური წყაროების გამოყენებით დაზუსტდა „კარქედონელ იბერთა" პიტიახშის, უსას ვინაობა, მისი სამფლობელო და მმართველობის სავარაუდო პერიოდი; ბაკურთან დაკავშირებული რამდენიმე წარწერის შეპირისპირებით შესაძლებელი გახდა ფარსმან ქველის გარდაცვალების შემდეგ მომხდარი მოვლენების რეკონსტრუქცია და სხვა.

საყურადღებოა, რომ უკვე კარგად ცნობილი და კვლევისას ახლადგამოვლენილი მონაცემები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ არმენიის, საბერძნეთის, რომის, პართიისა და ანტიკური პერიოდის სხვა ქვეყნების ისტორიის კვლევის კონტექსტში. საქართველოსა და საზღვარგარეთ არსებული ბერძნულ-რომაული წარწერები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის შესახებ, ამავდროულად გვაწვდიან ცნობებს მეზობელი ქვეყნების ისტორიისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე. მაგალითად: საბერძნეთსა და რომში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების და მათი შთამომავლების უფლებრივი და სოციალური სტატუსის შესახებ, რომაული სამხედრო აქტივობების და საჯარისო შენაერთების ფუნქციონირებაზე პროვინციებსა და მეზობელ ქვეყნებში, ბერძნული და რომაული რელიგიური კულტების არსებობაზე კოლხეთსა და იბერიაში, ირანული, ბერძნული და რომაული გავლენების ზუსტი ქრონოლოგიის შესახებ იბერიასა და არმენიაში, რომის მეგობარი ქვეყნების მმართველებისათვის რომის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების საკითხზე და ა.შ.
შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ნაშრომი „ანტიკური ხანის ბერძნულ ი და ლათინური წარწერები, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო" სისტემურ და უახლეს სამეცნიერო ინფორმაციას მიაწვდის ანტიკური ხანის საქართველოსა და მსოფლიო ისტორიით, ბერძნულ-რომაული ეპიგრაფიკითა და, ზოგადად, ანტიკური წყაროებით დაინტერესებულ მკითხველებს, სტუდენტებსა და სპეციალისტებს.

8. წიგნი „ქართულ-ბიზანტიურ ურთიერთობათა ძირითადი მიმართულებები (IV-XV სს.)" (სერია: პატრისტიკული კვლევა საქართველოში IX, ლოგოსი: თბილისი 2023, 263 გვ.) გვიყვება მრავალსაუკუნოვანი ქართულ-ბიზანტიური ისტორიული და კულტურული ურთიერთობების შესახებ. მასში თავმოყრილადაა წარმოდგენილი ქართულ-ბიზანტიური კავშირების ამსახველი ყველა ძირითადი სფერო – ისტორია, ეკლესიის ისტორია, ხელოვნება, საგანმანათლებლო კერები, ინდივიდუალური და სასკოლო განათლების საკითხები, სამწერლობო კულტურა, რომელიც ლიტერატურის ყველა ჟანრს მოიცავს. კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიაში" შესული ტრადიციული სამწერლობო ჟანრების გვერდით მკითხველი გაეცნობა წერილებს ისტორიოგრაფიის, ასტრონომიისა და საერო სამართალის შესახებ. კრებულში შეტანილი სტატიები, უპირველეს ყოვლისა, ენციკლოპედიურ-ინფორმაციული ხასიათისაა, მაგრამ ამ მიზანმიმართულებასთან ერთად მასში წარმოდგენილია მასალისადმი კონცეფციური მიდგომა, რამდენადაც საქმე ეხება ბიზანტინისტიკაში დღემდე დაუდგენელ საკითხებს, რომელთა შესახებაც მეცნიერებაში სხვადასხვა აზრი არსებობს. თითოეული სტატიის ბოლოს წარმოდგენილია მასში გაშლილი თემების შემხები უმთავრესი ლიტერატურა. კრებული გამიზნულია იმ პირთათვის, ვისაც სურს ცოდნა შეიძინოს შუა საუკუნეების საქართველოს და ბიზანტიის ისტორიის ძირითად საკითხებზე, აგრეთვე იმ ძირითად ასპექტებზე, რომლებმაც განაპირობეს ბიზანტიური ქრისტიანობის უდიდესი წვლილი ქართული მართლმადიდებლური კულტურის ჩამოყალიბებაში.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **რუსუდან ცანავა** და სხვები (თანაავტორი), „ეპიკური ჟანრის სათავეებთან. ანტიკური ეპოსი“ წიგნში: ლიტერატურული ჟანრები, ტ. 1. ISBN 978-9941-508-14-1. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2023. გვ.9-78.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ნაშრომში წარმოდგენილია ეპიკური ჟანრის კვლევის ისტორია ძველი აღმოსავლეთიდან ანტიკურობის (ძვ. საბერძნეთი და რომი ) ჩათვლით. განხილულია ჟანრის აღმნიშვნელი ტერმინები, თხზვის სპეციფიკა, მთხზველები; ეპიკური სტილის, ენის ჩამოყალიბების საფუძვლები. გაანალიზებულია ეპიკური მოტივები და სიუჟეტები, ეპიკური გმირის კონცეფცია; ეპოსის მიმართება ისტორიასთან. ნაშრომის მეორე ნაწილი ეთმობა ანტიკურ ეპოსს: მითის ფუნქციას, სალექსო საზომს, სიტყვიერი გამოხატვის საშუალებებს, ფაბულის, სიუჟეტის, პოეტური სემანტიკის საკითხებს. ამ კომპონენტების გათვალისწინებით და *რისხვის*, როგორც ერთ-ერთი მაკოორდინირებელი ეპიკური მოტივის, კონტექსტში მოკლედ არის განხილული ჰომეროსის, ჰესიოდეს, კალიმაქოსის, აპოლონიოს როდოსელის, ნონოს პანოპოლისელის, ვერგილიუსის, ოვიდიუსის, ვალერიუს ფლაკუსის პოემები.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ნარგიზ ახვლედიანი, ლელა ჩოთალიშვილი, ნინო ჯორბენაძე, იამზე გაგუა,** აია კოლხეთი - სინონიმური ტოპონიმების ისტორიისათვის https://doi.org/10.52340/ggj საქართველოს გეოგრაფიული ჟურნალი, ნომერი 2, ტომი 3, თბილისი, 4 გვერდი

2. **ნათია ფიფია, ეკატერინე კობახიძე,** ოსტიის წარწერა ფარსმან ქველის რომში ვიზიტის შესახებ, HISTORY, ARCHAEOLOGY, ETHNOLOGY (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია), N 9 (2023). 387-396. http://sciencejournals.ge/index.php/HAE, Indexed, ERICH: https://kanalregister.hkdir.no/publiseringskanaler/erihplus/periodical/info.action;jsessionid=5u7u88K2OsfxYyBkllkUiO52.undefined?id=499215

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. არგონავტთა ლაშქრობის ძირითადი მიზანი - გეოგრაფიული არეალის სახელწოდება **„აია“ (Aἶα)** არგონავტების თქმულების უძველეს ვარიანტებში ფიგურირებს.

ჰომეროსი არ იცნობს სახელწოდებას **კოლხიდა.** იგი ლაპარაკობს მხოლოდ აიეტის სამფლობელოზე, რომელსაც **Aἶα** უნდა რქმეოდა.

ლეგენდარული **აია** გარკვეული პერიოდიდან უკვე **კოლხეთის (Κολχίς)** სინონიმს წარმოადგენს (**აია** კოლხეთთან პირველად ჰეროდოტემ გააიგივა). საყურადღებოა, რომ ბერძნულ წყაროებში კოლხეთის პირველმოხსენიება ზუსტად ემთხვევა კოლხეთის სახელმწიფოს მოხსენიებას სახელწოდებით **კულხა//კოლხა (Qulcha//Qolcha)** ძვ.წ. VIII ს-ის ურარტულ წარწერებში. ორი სინონიმური ტოპონიმი (**აია** და **კოლხეთი**), მკვლევართა ვარაუდით, ორ განსხვავებულ არქეოლოგიურ დონეს უნდა ასახავდეს, რომელთაგანაც **აია** ქრონოლოგიურად უფრო ძველია, **კოლხეთი** - უფრო გვიანდელი.

დიდი ალბათობით, არგონავტების აიაში ლაშქრობის ამბავი ბერძნულ მითო-პოეტურ ტრადიციაში ჩამოყალიბდა მაშინ, როდესაც სახელი **კოლხიდა** ჯერ კიდევ არ არსებობდა და ამ მხარეს **აია** ერქვა. ზოგადად, სახელწოდებებს **კოლხიდა, კოლხეთი** ქართული წყაროები არც იცნობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არგონავტების თქმულებასთან დაკავშირებული სხვა უძველესი ტოპონიმები და სახელწოდებები ქართველურ ენობრივ სამყაროსთან გვიჩვენებს მიმართებას, რაც უნდა ეხმიანებოდეს რეალურად განხორციელებული კონკრეტული მიკენური ექსპედიციის შედეგებს; იმ კონტაქტებს, რომლებიც მიკენურ სამყაროს უნდა ჰქონოდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქართველურ სამყაროსთან; და იმ რეალობებს, რომლებიც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო არგონავტების ლაშქრობის სავარაუდო მიზანთან.

**Aἶα,** სავარაუდოდ, სახელწოდება **Κύταια**-ს შემადგენელ მეორე კომპონენტს უნდა წარმოადგენდეს. ანტიკურ წყაროთა ნაწილი **Κύταια**-ს **აიას** ქალაქად მიიჩნევს, ნაწილი კი ორივეს **კოლხეთის** ქალაქად მოიხსენიებს.

თავად სახელწოდება **Κύταια** წყაროებში რამდენიმე ვარიანტით გვხვდება: **Κύτα, Κύτη, Κυταίς, Κυταΐς, Κύτηΐς** და სხვა; და იგი კავშირში უნდა იყოს **ქუთაის**-თან, რომელიც სამსავე ქართველურ ენაში კანონზომიერი შესატყვისობებით დასტურდება: ქართ. **ქუთაისი**, მეგრ. **ქუთეში**, სვან. **ქუთაში**; რაც საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ეს დასახლება ან რეზიდენცია საერთოქართველურის ცირკულირების ხანაში უკვე არსებობდა.

***ქურთ-/*ქუთ-** ფუძე საერთოქართველურ დონეზე აღადგინა ჰ. ფენრიხმა: ქართ. **ქურდ-/ქუთ,** მაგ. **ქუთ-ნ-ა/გა-მო-ქუთ-ნ-ა**, **ქურდ-ი**; მეგრ. **ქვირთ-ი** *ქურდი;* სვან. **ქვით-, ქვთ-** *ქურდი.* მეცნიერთა ვარაუდით, ფუძე უნდა ასახავდეს წინაბერძნულ **κυτ-** და ქართველურ ***ქუთ-** ფუძეებს. წინაბერძნული **κυτ-** ფუძის მნიშვნელობა უნდა იყოს ***ცარიელი სათავსო.***

**მ. ჩუხუას** აზრით კი, ძირში მომხდარია შემდეგი სახის **ფონეტიკურ/სემანტიკური** გადასვლები:

**ფონეტიკური:**

ს. ქართვ.-***ქართ-(ა)** - ზან. **ქურთა /ქუთა**

**სემანტიკური:**

**ღობე>შემოღობვა>შემოღობილი,შემოსაზღვრული ადგილი>ქალაქი** (საზოგადო სახელი)>**კონკრეტული ქალაქის სახელწოდება**

ჩვენი აზრით, სავსებით შესაძლებელია ზემოდასახელებული ჰიპოთეზებისა და, შესაბამისად, სემანტიკური მნიშვნელობების გაერთიანება და ამოსავლად საერთო შინაარსის გამოყოფა შემდეგი სემანტიკური გადასვლებით: **ღობე > შემოღობვა** > **შემოღობილი** > ნებისმიერი მოცულობის **შემოსაზღვრული ადგილი** (კოვზი / ბუტკო / ჩენჩო / ფიჭა / ბუდე / ყუთი / გემი) > **ქალაქი** (საზოგადო სახელი) > **კონკრეტული ქალაქის სახელწოდება.**

**Aĩα-ს** ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა, იგი საერთოქართველურ დონეზე არ არის აღდგენილი, თუმცა **აია** გვხვდება ქართველურ ენებში შემონახულ რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებულ ზოგიერთ კომპოზიტში: მეგრ. **აია-ჟაშხა** - *სადიდმარხვო კვირადღის სახელი, რიგით მეხუთესი;* სვან. **აია-მიქლადეღ** - *ბზობის წინა კვირადღის დღესასწაული.*

**2.** 1958 წელს ოსტიაში აღმოჩენილი წარწერა, რომელიც ე.წ. „ოსტიური ფასტების“ (Fasti Ostienses) ჩანაწერების რიგს განეკუთვნება, საქართველოს ისტორიისთვის მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს, რადგან მასში იბერიის მეფის, ფარსმან II ქველის რომში ვიზიტის შესახებ ინფორმაციაა დაცული. მართალია, თავად წარწერამ და იმპერატორ ანტონინუს პიუსის მოწვევით ფარსმან მეფის რომში სტუმრობის საკითხმა არაერთი ქართველი და უცხოელი მკვლევრის ყურადღება მიიპყრო, მაგრამ ზოგიერთი საკითხი ჯერჯერობით მაინც ბოლომდე შეუსწავლელი და დაუდგენელია. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება იბერიის მეფის და მისი ამალის რომში ვიზიტის სავარაუდო თარიღი, რაც დღესდღეობით კვლავ დაუზუსტებელია. სიტუაციას ართულებს ის მოცემულობაც,რომ ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში აქამდე არ იყო შემოსული წარწერის რეკონსტრუქციის უკანასკნელი შედეგებიც. სტატიაში წარმოდგენელია წარწერის აღდგენისა და ინტერპრეტაციის თანამედროვე მდგომარეობა, გაანალიზებულია დიონ კასიუსთან დაცული ცნობა ფარსმანის რომში ვიზიტთან დაკავშირებით და ეპიგრაფიკულ და ლიტერატურულ წყაროთა შეჯერებისა და შედარებითი ანალიზის საფუძველზე მოცემულია ჩვენი არგუმენტები წარწერის ზუსტ დათარიღებასთან დაკავშირებით.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **მანანა ფხაკაძე** - აკაკი წერეთლის სამეცნიერო კვლევა;-საამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი "ენა და კულტურა", ქუთაისი, 29. 2023, 124- 130, ISSN 1987-7323 (ბეჭდური), E- ISSN 2720-7900 (დისტანციური), (იმფატფაქტორის ბაზა, Google scholar-ის მონაცემთა ბაზა)

2. **მანანა ფხაკაძე** - მედეას სახე აკაკი წერეთლის დრამაში „მედია“, ლოგოსი , წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში, 9, თბილისი, 2023, 95-106, ISSN2667-9051; ISSN 2960-9917 (online)

3. **მანანა ფხაკაძე** -პლავტუსი ამფიტრიონი, რეცენზია, ლოგოსი, წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში, 9, თბილისი, 2023, 235237-, ISSN2667-9051; ISSN 2960-9917 (online)

4. **ზაზა ხინთიბიძე,** „ორობითი რიცხვით მისალმება ჰომეროსის ეპოსში (არგუმენტი „ილიადისა" და „ოდისეის" ერთავტორობის თვალსაზრისისათვის)", საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე (ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების სერია), N 1, 2023, ISSN 2720-8443, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, 31 გვერდი (ვრცელი რეზიუმეთი ინგლისურ ენაზე).

5. **ქეთევან ნადარეიშვილი,** ქართველური ეთნოსების გეოპოლიტიკური როლი ე.წ. მითრიდატული ომების კონტექსტში ბერძენი მწერლების (მემნონი, აპიანოსი, დიო კასიოსი,პლუტარქოსი, სტრაბონი) მიხედვით, ლოგოსი, წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში, 9, ISSN 2667-9051, თბილისი, ლოგოსი, 2023, 77-93.

6. **ქეთევან ნადარეიშვილი,** მედეა და ტოტალიტარული იდეოლოგია გივი მარგველაშვილის წიგნში „კოლხი მედეა კოლხოზში", XVI საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები „სოციალისტური რეალიზმის ეპოქა ლიტერატურასა და ხელოვნებაში", მასალები, თბილისი, 2023 (იბეჭდება)

7. **ირინე დარჩია,** ძველი და ახალი „მავედრებელნი", წიგნში: ესქილე, შოთა იათაშვილი, „მავედრებელნი", საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი", 2023, გვ. 7-18, ISBN 978-9941-9856-9-0

8. **რუსუდან ცანავა,** ზევსი და ქალაქის დაარსების მითოლოგემა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ISSN 1987-7323, VIII, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ ენა და კულტურა", შრომები, ნაწილი 11, ქუთაისი 2023, გვ. 239-244.

9. **სოფიო შამანიდი,** *Ulysses of I. Kambanellis,* Association of Georgian Neohellenists, Proceedings of the Conference: Modern Greek Studies in Georgia – 4, Tbilisi, 2023

10. **ანა ჩიქოვანი,** თავისუფლების გაგება დიმიტრის ნოლასის რომანში „დაბრუნება საბერძნეთში" (სტატია ინგლისურ ენაზე: The Notion of Freedom in Dimitris Nollas' novel "The Trip to Greece", საერთაშორისო კონფერენციის „ნეოგრეცისტიკა საქართველოში - 4" მასალები, გამომცემლობა „ლოგოსი", 2023; გვ. 17-28, 7 გვერდი, ISBN 978-9941-9856-6-9

11. **მედეა აბულაშვილი,** ეკა ჭყოიძე, "ბერძნული მემუარული ლიტერატურა და საქართველო 1890-1920 წლებში", საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაცია, იდენტობა, ლიტერატურა" მასალები, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2023; 7-18, ISBN 978-9941-36-155-5

12. **მედეა აბულაშვილი,** „ფანტაზია თუ პათოლოგია - რამდენიმე ფოლკლორული ტექსტის გაგებისათვის", საერთაშორისო კონფერენციის „ნეოგრეცისტიკა საქართველოში - 4" მასალები, გამომცემლობა „ლოგოსი", 2023; 1-16 ISBN 978- 9941-9856-6-9

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**1.** აკაკი წერეთელი ისტორიული და მითოლოგიური პოემებისა და თხზულებების შექმნისას ინტენსიურად ეცნობოდა პირველწყაროებს და ხალხურ ზეპირსიტყვიერებას,

საგულდაგულოდ სწავლობდა მათ. ასე მაგ. . პოემის „თორნიკე ერისთავი“ დაწერისას მას უსარგებლია გიორგი მთაწმინდელის ცნობილი ისტორიულ-მხატვრული თხზულებით “ცხორებაჲ იოვანესი და ეფთიმესი”, ქართველი წმინდანებისადმი მიძღვნილი კრებულით მ. საბინინის რუსული თარგმანით (1872), ტიმოთე გაბაშვილის 1852 წელს გამოქვეყნებული “მიმოსვლით”, სომეხი ისტორიკოსის ასოღიკის (XI ს.) “საყოველთაო ისტორიით” და ა.შ.

„ მედიას“ არცთუ დიდი მოცულობის კომენტარების მთავარი პათოსი აკაკის ის რწმენაა, რომ ისტორიამდელი („ისტორიის წინასწარ“) თქმულებების და მითების სამშობლოდ თუმცა საბერძნეთი ითვლება, მაგრამ ისინი ბერძნებმა სხვა ქვეყნებიდან გაიტანეს, შეისისხლხორცეს და თავისებურად გადაკეთებული და „ფერცვლილი“ უკანვე დააბრუნეს. ამის დასტურად პოეტს მიაჩნია ძველისძველი მითები პრომეთეოსის და იასონ-მედეას შესახებ.,

აქ აკაკის რამდენიმე კომენტარზე შაევჩერდებით: „დღესაც არის ისევე ჩვენში, რაჭის მაზრაში ერთი მთა. გული რკინის მადნის აქვს და უხსოვარი დროიდან ირგვლივ მცხოვრებნი მჭედლობის მეტს არას აკეთებენ. ამ მთას ჰქვიან „წედისი“ ანუ ჭედისი (წერეთელი 1957: 494).

წედისელი რკინის ოსტატები რომ მჭედლობის მეტს არას აკეთებდნენ, ეს რაჭის რეგიონში კარგად ცნობილი ფაქტი იყო და ის აკაკიმ თავისი კომენტარით ქვეყნის სხვა კუთხეებსაც გააცნო. ამავე დროს ამ კომენტარში ყურადღებას იქცევს მოსაზრება „ჭედისის“ „წედისისგან წარმომავლობის შესახებ. ამ მოსაზრებას, დღესაც რომ არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა, ეს ჩანს ქართული მეტალურგიის ისტორიის ცნობილი სპეციალისტის ნ. რეხვიაშვილის მონაცემებიდანაც. „ნაჭდი“ და „ნაჭედი“ რკინების ურთიერთმიმართების განხილვისას, ის ტერმინ „წედისის“ წარმომავლობასაც ეხება და ფაქტობრივად იმეორებს აკაკის მოსაზრებას: „ნაჭდი რკინაა... არ ნიშნავს ნაჭედ რკინას, სახელით „ნაჭდი“ მიღებული უნდა იყოს მიმღეობა „ნაწდი“-ს, ნაწიდის ფორმისაგან „ჭ“-ს „წ“-თ შეცვლის გზით, ამგვარი ახსნა თვით ნაჭდი რკინის მიღების წესს სავსებით რეალურად გამოხატავს, ვინაიდან რკინის „მონაჭვდა“ ფაქტობრივად წიდიანი რკინის გაწმენდას, გამოწიდვას წარმოადგენს... აპრიორი, შეიძლება თვით „ჭედვა“- წედვისაგან გამომავალი სახელი იყოს და გეოგრაფიული სახელი წედი, წედისიც მას უკავშირდებოდეს“ (რეხვიაშვილი 1964: 130).

აკაკი თავის კომენტარებში ასევე ყურადღებას აქცევს კოლხური ოქროს მოპოვების წესს. „აპიან. 150 ქ.წ., ადგილობრივი მცხოვრებლები კოლხიდაში ცხვრის ტყავებით იჭერდნენ ოქროს სილას და ეს იყო ოქრომატყლოვანი ვერძი“ (წერეთელი 1957: 494).

არ შეიძლება ოქროს სილის მოპოვების წესთან დაკავშირებით არ აღინიშნოს ერთი ეთნოგრაფიული მონაცემი, რომლიც 40-იან წლებში დადასტურდა. 1946 წელს ეთნოგრაფმა ლ. ბოჭორიშვილმა სვანებისგან ჩაიწერა ცხვრის ტყავით მდინარეში ოქროს მოპოვების კოლხური წესი, რომელიც რეალურად ადასტურებს აპიანეს ცნობას ძველ კოლხეთში ოქროს ამ წესით მოპოვების შესახებ. ამ მონაცემის თანახმადაც, კოლხეთში ოქროს მოპოვების ისტორიული სინამდვილე ეჭვს არ უნდა იწვევდეს. რეალობად მიიჩნეოდა იგი შუა საუკუნეებშიც, როცა ევროპულმა სამთამადნო მრეწველობამ ხელახლა აღადგინა ანტიკურ ხანაში აღწერილი თუ დამუშავებული და შემდგომში მივიწყებული მრავალი ტექნიკური ხერხი და ოქროს სველი მოპოვების ერთ-ერთ საშუალებად ტყავები და ქსოვილები გამოიყენა. აღორძინების ხანის დიდი გერმანელი ტექნოლოგი გიორგი აგრიკოლა (1494-1555) თავის ენციკლოპიდიური ხასიათის ნაშრომში „სამთო საქმისა და მეტალურგიის შესახებ“ აღნიშნული წესით გერმანაში ოქროს მოპოვების ტექნოლოგიის აღწერისას შემდეგ შენიშვნას ურთავს; სწორედ ამავე მიზნებით ძველი კოლხები ცხვრის ტყავებს ათავსებდნენ მაღაროების

წყალსამრეცხაოებში და იღებდნენ მაშინ, როცა მათში ბლომად დაგროვდებოდა ოქროს ბზინები. აქედანაა პოეტების თხზულებებიც კოლხების „ოქროს საწმისზე“. ეს შენიშვნა ილუსტრირებულია გრავიურით, რომელზეც გამოხატულია სცენა, სადაც კოლხეთში ჩამოსული არგონავტები ეცნობიან მაღაროდან გამომდინარე წყლის ნაკადში ჩაფენილი ცხვრის ტყავით ოქროს მოპოვების პროცესს (აგრიკოლა 1962: 318). მართალია, შემდგომ ხანებში ოქროს მოპოვების აღნიშნული წესი ევროპაში მივიწყებული იქნა, მაგრამ ისევ დროებით: ხაოიან ზედაპირებზე ოქროს დაჭერის პრინციპის მემკვიდრეობითმა ჯაჭვმა გაგრძელება ჰპოვა მე-20-ე საუკუნეში (1918 წლიდან) გრავიტაციული მეთოდის სახელწოდებით. ერთ-ერთი ჩვენამდე მოღწეული წერილობითი წყარო, რომელიც უკვე პირდაპირ ადასტურებს მედეას ქვეყანაში ოქროს სარეწების ფუნქციონირებას, სტრაბონის (ძვ. წ. I ს.-ჩვ. წ. Iს) "გეოგრაფიაა" და ა.შ. და ა.შ. შესაბამისად, დრამა „მედიას“ კომენტარები დიდი პოეტს წარმოაჩენს როგორც დაკვირვებულ და ერუდირებულ მკვლევარს. განხილული მასალა გვიჩვენებს, რომ აკაკი წერეთელი არა მარტო დიდი პოეტური, არამედ მეცნიერული კვლევის ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული.

2. სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურაში დიდია ინტერესი არგონავტების თქმულებისა (ფრენზელი 1976: 34 შმდგ.) და მისი ერთ-ერთი მთავარი გმირის მედეას სახისადმი. ამას მრავალი მიზეზი განაპირობებს, მხოლოდ ორზე შევჩერდები, პირველი - არგონავტების თქმულების მრავალი ეპიზოდი, რომელიც რეცეფციებისათვის მწერლებს ამოუწურავ იმპულსებს აძლევს და მეორე, მედეას, როგორც ოიდიპოსის სახის, პარადიგმატულობა. ამ პარადიგმატულობას კი, ალბათ, ადამიანში ემოციისა და რაციოს ჭიდილი განაპირობებს.

ჩემი მოსაზრების განსამტკიცებლად დავიმოწმებ ძველი ბერძენი, „ყველაზე მეტად ტრაგიკული“ ტრაგიკოსის ევრიპიდეს ტრაგედია „მედეას“ შემდეგ სტრიქონებს:

θυμὸς δδὲ κρείσσων ττῶν ἐμῶν βουλευμάτων,

ὅσπερσπμεγίστων αἴτιος κακῶν βροτοῖς. (ევრიპიდე 1958: 1080 სტრ.)

"ვაი, რომ ვნებამ სძლია და დათრგუნა ჩემი გონება, კაცთა მოდგმის ამ ჯალათმა უსასტიკესმა“ (ევრიპიდე 1999: 62).

თუმცა, მგონია, ევრიპიდეს მედეას სახის ინტერპრეტაციისას ნაკლები ყურადღება მიექცა ზემოხსენებულ უმთავრესს და ყურადღება გამახვილდა სხვა ასპექტებზე, ასე მაგალითად, მედეა ბარბაროსი (შმიდი 1940: 360; დილონი 2014: 204; პეიჯი 1962: XIX), ჯადოქარი (ლესკი 1972: 147), მიტოვებული ცოლი და დაუცველი დედა (ნოქსი 1979: 214), შვილების მკვლელი დედა (ჰედეჃ 2014: 330), ტრაგიკული ძალის მქონე ქალი (კონახერი 1967: 184), ტრავმირებული ქალი (მუსურილო 1966: 73), "თეოსი“ (კუნინგჰამი 1954: 152), ირაციონალური ძალა (კიტო 1954: 209), შეძულებული ქალი (ვალკოტი 1975: 110), საკუთარი თავის დამცველი და დამსჯელი (შადევალდტი 1991: 391), ყველასგან განსხვავებული ქალი (ნადარეიშვილი 2008: 217) და ა.შ,. და ა.შ.

ევრიპიდეს სახელს უკავშირდება მედეას ისეთი სახის შექმნა, რომელიც შემდგომ საუკუნეებში სხვასდასხვა დროისა და ქვეყნის მწერლებისათვის ნიმუშად და შთაგონების წყაროდ იქცა (დაწვრილებით იხ. ჰამბურგერი 1962: 135 შმდგ).

აკაკიმ არგონავტების ტრადიციული თქმულება მნიშვნელოვნად შეცვალა (სიუჟეტი, პერსონაჟები,გმირების სახელები. ცნობილი ოპოზიცია- ბერძენი/ბარბაროსი და ყველაზე მეტად მედეას სახე, რომლის რეაბილიტაციასაც აკაკიმ დაუდო სათავე). ევრიპიდესა და ტრადიციული თქმულებისაგან ზემოხსენებული უამრავი განსხვავების მიუხედავად, აკაკიმ ყველა შემდეგდროინდელ მწერალზე უკეთ გაიგო ევრიპიდეს მედეას სახის პარადიგმატულობის არსი, ანუ ემოციისა და რაციოს ჭიდილი და ემოციის დაუძლეველი ძალა.

4. ძველ ბერძნულ ენაში სამი გრამატიკული რიცხვი იყო: მხოლობითი, მრავლობითი და ორობითი, ანუ დუალისი. „ილიადაში" ენობრივი ნორმის ყველაზე აშკარა დარღვევის შემთხვევა, ჰომეროლოგთა თანახმად, დასტურდება პოემის მე-9 წიგნის 182-98 სტრიქონებით გადმოცემულ სცენაში: აგამემნონი ელჩობას უგზავნის აქილევსს და მისია აღწერილია როგორც ორობითი რიცხვის ფორმებით (ზმნები და ნაცვალსახელები), ისე მრავლობითი რიცხვის ფორმებით (მხოლოდ ორი ზმნა და ყველა არსებითი და ზედსართავი სახელი); მაგრამ მისია შედგება ორზე მეტი პირისგან: სამი ელჩისა (ოდისევსი, აიასი და ფოინიქსი) და ორი მაცნისაგან (ოდიოსი და ევრიბატესი). პოემის ამ ბუნდოვან ადგილს ჰომეროლოგები სხვადასხვაგვარად ხსნიან, რაც განხილულია სტატიის დასაწყისში. მისი ავტორი იზიარებს იმ ინტერპრეტაციას, რომლის თანახმადაც, ყველა ორობითი ფორმა ელიფსურია, ანუ წარმოსახვით-ვირტუალური (ა. თორნთონი, რ. გორდეზიანი; შდრ. გ. ნეგი). ასე რომ, ეს ორობითი ფორმები არაა რეალური დუალისები და მეცნიერთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრის საწინააღმდეგოდ, არ უნდა იქნას აღქმული პირდაპირი მნიშვნელობით. კერძოდ, 182-97 სტრიქონებში ელიფსური დუალისები გადმოცემენ ელჩობას, რომელიც დაყოფილია ორ შემადგენელ ჯგუფად, ანუ ფაქტობრივ წყვილად - ელჩებად და მაცნეებად (რ. გორდეზიანი); ხოლო ბოლო ელიფსური დუალისური ფორმა (198-ე სტრქ.), როგორც ირკვევა, ასახავს მაცნეების გარეშე მხოლოდ სამ ელჩს, რომლებიც აქილევსის მიერ აღიქმება როგორც, ერთი მხრივ, მისიის წინამძღოლი და, შესაბამისად, მასპინძელთან უფრო ახლოს მდგარი ოდისევსი (იხ. სტრქ. 192) და, მეორე მხრივ, აიასი და ფოინიქსი, რომლებიც, ბუნებრივია, ოდისევსის უკან დგანან (ზ. ხინთიბიძე). ამდენად, ეს უკანასკნელი დაკვირვება განმარტავს, თუ როგორ არის შესაძლებელი, რომ სცენის დამასრულებელი 198-ე სტრიქონის მრავლობითი რიცხვის სიტყვები ("აქაველთა შორის ყველაზე ძვირფასები") ელიფსურ დუალისურ ზმნასთან ("თქვენ ორნი ხართ") ერთად რეალურად ეხება მხოლოდ აქაველთაგან გამორჩეულ გმირებს, ანუ სამ ელჩს (როგორც ამას პასაჟის კონტექსტიც მოითხოვს) და არა მათთან ერთად 2 უმნიშვნელო მაცნესაც. 198-ე სტრიქონისგან განსხვავებით, დანარჩენ სცენაში (სტრქ. 182-97) ორი მაცნის გაუთვალისწინებლობა დაუშვებელია. საქმე ისაა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ელჩობის სცენის საწყის ნაწილში, კერძოდ, 182-91 სტრიქონებში ე.წ. ელიფსური, ანუ ვირტუალური, დუალისური ფორმების გამოყენება (რომლებიც სცენის დანარჩენ სტრიქონებში, როგორც ირკვევა, ერთი მხრივ, ელჩებს გადმოცემენ, მეორე მხრივ კი, მაცნეებს) ვერანაირად ვეღარ აიხსნება, რადგან აღნიშნულ სტრიქონებში პოეტის მიერ ჯერაც არ არის მითითებული, რომ ელჩობას ჰყავდა მეთაური და ამდენად, აქ ვერ მოქმედებს 5 პირის ვირტუალურ წყვილად გასააზრებელი მეორე პრინციპი - ელჩობის მეთაური და დანარჩენი ელჩობა, როგორც ეს 198-ე სტრიქონში იქნა გამოვლენილი (იხ. ზემოთ). ეს უმნიშვნელოვანესი გარემოება მეცნიერთა აბსოლუტური უმრავლესობის მიერ უყურადღებოდაა დატოვებული. ამიტომ ისინი

კონცენტრირდებიან მხოლოდ სამ ელჩზე, რათა მარტივად ახსნან, თუ როგორ გადაიქცა თავდაპირველად არსებული, სავარაუდოდ, ორი ელჩი ამჟამინდელ სამ ელჩად; გამოსავალს კი პოულობენ ოდისევსსა და აიასთან შედარებით „ილიადაში“ უფრო ნაკლებად მნიშვნელოვან ფოინიქსში - აქილევსის მოხუც ძიძაში, როგორც ელჩობის გვიანჩამატებულ წევრში და ამდენად, უმნიშვნელოდ მიიჩნევენ იმ გარემოებას, რომ მრავლობითი რიცხვის არსებითი და ზედსართავი სახელები, რომლებიც დუალისურ ზმნებთან და ნაცვალსახელებთან ერთად 182-98 სტრიქონებში ასევე გადმოცემენ მთელ მისიას, უთუოდ მიუთითებენ, რომ ელჩობა თავდაპირველადაც ორზე მეტი კაცისგან შედგებოდა (შდრ. რ. გორდეზიანი). სტატიის ავტორის აზრით, მრავლობითი რიცხვის ორი ზმნაც (იხ. ზემოთ) ამავე დაშვების მართებულობას ააშკარავებს. საქმე ისაა, რომ თუ დუალისური ფორმები მართლაც ელჩობის წინა ვერსი(ებ)იდანაა შემორჩენილი, რომელშიც (მეცნიერთა უდიდესი უმრავლესობის, კერძოდ, მ. ნუის, ჯ.ფ. გულდის, ჯ. გრიფინის, მ.ლ. უესთის და სხვა მკვლევართა თანახმად) მხოლოდ ორი ელჩი უნდა ყოფილიყო, მაშინ ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ელჩობის მე-3 პირით, ანუ ფოინიქსით, განვრცობის შემდეგ რატომ გადაიყვანა თავად პოეტმა, ან თუნდაც ინტერპოლატორმა, ორობითიდან მრავლობით რიცხვში მხოლოდ არსებითი და ზედსართავი სახელები და ორად ორი ზმნა, დანარჩენი ზმნები და ყველა პირის ნაცვალსახელი კი უცვლელად, ანუ ისევ ორობით რიცხვში, დატოვა? ამდენად, სტატიის ავტორის ვარაუდით, წინარე „ილიადაში“ არსებული თავდაპირველი ელჩობაც (ისევე როგორც ეს არის პოემის ახლანდელ ვერსიაში) შედგებოდა 2-ზე მეტი წევრისაგან (რომლებიც, ამდენად, ჰომეროსის მიერ იმთავითვე იყო გააზრებული ვირტუალურ წყვილად), მაგრამ არა ამჟამინდელი „ილიადის“ მსგავსად - 5 წევრისაგან (როგორც ეს ტრადიციული უნიტარიზმის მხარდამჭერ ჰომეროლოგებს მიაჩნიათ, კერძოდ, ვ. შადევალდთს, ჯ. გრიფინს და ზოგიერთ სხვა მკვლევარს), არამედ მხოლოდ 3 პირისაგან; თუმცა, ეს 3 პირი ვერ იქნებოდა ოდისევსი, ფოინიქსი და მაცნე ევრიბატესი (როგორც ეს ზეპირი პოეზიის თეორიის ზოგიერთ მიმდევარს, კერძოდ, ბ. ლაუდენს მიაჩნია), არამედ ეს 3 პირი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ოდისევსი და 2 მაცნე - ევრიბატესი და ოდიოსი. აღნიშნული სახის დაშვების შესაძლებლობა არასდროს გამხდარა ჰომეროლოგთა მსჯელობის საგანი; მისი მართებულობის დასაბუთებას ეძღვნება სტატიის ძირითადი ნაწილი. სტატიის ბოლოს ავტორი იკვლევს ელჩობის სცენის დამასრულებელ პასაჟს, თუმცა უკვე განსხვავებული კუთხით. კერძოდ, აანალიზებს 197-ე სტრიქონში არსებულ აქილევსის ორობითი რიცხვით მისალმებას ელჩობისადმი (“khaireton”, „ილიადა“, 9, 197), რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, 5 (ან, ზოგიერთი მკვლევარის თანახმად, 3) წევრისაგან, ანუ, უდავოდ, 2-ზე მეტი პირისაგან, შედგება. საქმე ისაა, რომ მრავალი ათწლეულის განმავლობაში არაერთი ჰომეროლოგი (უკანასკნელ ხანებში კი ქ. სთენლი) უშედეგოდ შეეცადა აეხსნა ის „უცნაური“ ფაქტი, თუ რატომ ესალმება მე-9 წიგნში 2-ზე მეტ პირს აქილევსი ორობითი რიცხვით (იხ. ზემოთ), მაშინ როცა პირველ წიგნში იგივე აქილევსი კვლავაც აგამემნონის მიერ მასთან გაგზავნილ 2 მაცნეს, ანუ რეალურ წყვილს, მრავლობითი რიცხვით ესალმება (“khairete”, „ილიადა“, 1, 334)?! უფრო მეტიც, ჰომეროსის მეორე პოემაში „ოდისეა“ კიდევ ერთხელ დასტურდება ორობითი რიცხვით მისალმების შემთხვევა, მაგრამ ამჯერად მასპინძელი ორობითი რიცხვით ესალმება სტუმართა რეალურ წყვილს, ანუ 2 პირს (“khaireton”, „ოდისეა“, 15, 151) და არა 2-ზე მეტ სტუმარს, როგორც ეს „ილიადის“ მე-9 წიგნშია (იხ. ზემოთ). სტატიის ავტორის აზრით, აღნიშნული შემთხვევები, რომლებიც, ერთი შეხედვით, ჰომეროსის მიერ გამოვლენილი არათანმიმდევრულობით შეიძლება აიხსნას და ამდენად, თითქოს, განამტკიცებენ უკანასკნელი ათწლეულების ჰომეროლოგიაში ესოდენ

პოპულარულ ჰომეროსის ეპოსის მრავალავტორობის თეორიას, სინამდვილეში, საკმაოდ ადვილად შეიძლება განიმარტოს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სამივე ზემოაღნიშნული მისალმება დასტურდება ურთიერთგანსხვავებული კონტექსტის მქონე სცენებში; ამასთანავე, აღნიშნული მიმართულებით დაკვირვება, სტატიის ავტორის აზრით, შესაძლებელს ხდის გამოთქმული იქნას ვარაუდი, რომ „ილიადის" მე-9 წიგნის თავდაპირველ ვერსიაში აქილევსი 3 ან 5 პირს მრავლობითი (და არა ამჟამინდელი ორობითი) რიცხვით ესალმებოდა; ისევე, როგორც ეს დასტურდება ამავე პოემის პირველი წიგნის სიმეტრიულ სცენაში, რომელშიც აქილევსი 2 მაცნეს მრავლობითი რიცხვით ესალმება.

5. ქართველური ეთნოსების გეოპოლიტიკური რომი მითრიდატული ომების კონტექსტში ბერძენი ავტორების - მომნონის, აპიანოსის, დიო კასიუსის, პლუტარქოსის, სტრაბონის - მიხედვით.

ანტიკური ავტორების ნარატივებში წარმოდგენილ ქართველური ხალხების გეოპოლიტიკური ორიენტაციის პრობლემატიკას განსაკუთრებით საყურადღებო ადგილი უჭირავს ამ ეთნოსების იდენტურობის საკითხების შესწავლაში. კავკასიის რეგიონში მცხოვრები ხალხების პოლიტიკური პრეფერენციების თემა უაღრესად საგულისხმო ხდება რომის იმპერიის აღმოსავლეთით ექსპანსიის პერიოდში.

სტატია მიზნად ისახავს გაანალიზოს ქართველური ეთნოსების გეოპოლიტიკური როლი ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი უმთავრესი პოლიტიკური მოვლენის - მითრიდატული ომების კონტექსტში, როგორც ეს წარმოდგენილი აქვთ რომაული ეპოქის ბერძენ ავტორებს, კერძოდ, მემნონს, პლუტარქოსს, დიო კასიუსს, აპიანოსს და სტრაბონს. კვლევამ აჩვენა, რომ ზემოთ ხსენებული ავტორები მითრიდატული ომების გადმოცემისას საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევდნენ ქართველური ეთნოსების პოლიტიკური ორიენტაციისა და პრეფერენციების საკითხებს. მათ აინტერესებდათ გაერკვიათ ქართველური ეთნოსების მოტივაციები იმ შემთხვევაშიც (1) როცა ისინი არმენიის მეფისა და მითრიდატეს მოკავშირეებად წარმოდგებოდნენ და მაშინაც (2) როცა ისინი ომში დამოუკიდებელ აქტორებად გვევლინებოდნენ. დამატებით, მწერლები ცდილობდნენ განესაზღვრათ რომის აღმოსავლური პოლიტიკის მიზნები ევროპისა და აზიის საზღვარზე მოსახლე ხალხების ფუნქციის, როლისა და პრეფერენციების მიმართებით.

6. მედეა და ტოტალიტარული იდეოლოგია გივი მარგველაშვილის წიგნში „კოლხი მედეა კოლხოზში"

ცნობილი ქართველი ფილოსოფოსისა და მწერლის, გივი მარგველაშვილის, ახლახანს (2021) გამოცემული წიგნის „კოლხი მედეა კოლხოზში" ერთ-ერთი მთავარი დისკურსი, ერთი შეხედვით, უცნაურ მიმართებას - მედეასა და საბჭოეთის, მითოსური გმირისა და ტოტალიტარული იდეოლოგიის მიმართებას წარმოგვიდგენს. თუმცა მედეას ამბავი ისეთ უნივერსალურ მატრიცად გვევლინება, რომელსაც მრავალნაირი დიქოტომიის გათამაშება ხელეწიფება. ამჯერად ნაწარმოების პერსონაჟი მედეა ლეგენდარული კოლხეთის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოს - მედეას ქანდაკებაა, რომელიც 1968 წელს ბიჭვინთაში დაიდგა. იმ

წლებში იქ ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა, ე.წ. „ციტრუსოვი სავხოზი“ იყო გაშენებული, რაც მწერალს საბჭოეთის სიმბოლოდ აქვს გააზრებული.

თუმცა მედეას ქანდაკებას საბჭოეთთან მხოლოდ საბჭოთა მეურნეობაში მდებარეობა არ აკავშირებს. მედეას ქანდაკებას, რომელიც ავტორის აზრით, შვილების მკვლელ დედას წარმოგვიდგენს, თავისი სისასტიკით შინაგანი ნათესაობა აქვს საბჭოეთის ბელადებთან - ლენინთან და სტალინთან.

მოხსენებაში მიზნად ვისახავთ, განვიხილოთ ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი დისკურსი - მიმართება ტოტალიტარულ იდეოლოგიასა და ხელოვნების ობიექტებს შორის. ეს უკავშირდება ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემას, როგორებიცაა: 1) რატომ სურს პერსონაჟს, მწერალ ვაკუშს მედეას ქანდაკების გაცოცხლება; რა კავშირშია ეს ქმედება მედეას ბედისწერის შეცვლასა და შესაბამისად, მის რეაბილიტაციასთან; 2) რა როლს თამაშობს ქართველი მწერლის მედეას რეაბილიტაციის პროცესში გერმანელი ავტორის - ქ. ვოლფის წიგნი „მედეა: ხმები“, რომელშიც კოლხი ქალი ტოტალიტარული იდეოლოგიის მსხვერპლად გვევლინება; 3) რ შედეგები შეიძლება მოჰყვეს მედეას ქანდაკების კვალდაკვალ ლენინისა და სტალინის ძეგლების შესაძლო გაცოცხლებას ისტორიის მიერ მათთვის გამოტანილი შეფასების გასააზრებლად როგორც თავად ამ იდეოლოგთათვის, ისე მთლიანად საზოგადოებისთვის.

მოხსენების დასკვნები საყურადრებო იქნება გივი მარგველაშვილის ლიტერატურულ-ფილოსოფიური დისკურსის შესწავლის კუთხით, კერძოდ, იმის გასარკვევად, თუ რა მომართებას მოიაზრებს მწერალი ტოტალიტარულ იდეოლოგიასა და ხელოვნების ობიექტებს შორის, ქანდაკების სამყაროსა და წიგნის სამყაროს შიდა სივრცეს შორის. ამასთან ერთად, კვლევის შედეგები თავის წვლილს შეიტანს მედეას სახის რეციპირების შესწავლაში, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მედეა ამ ნაწარმოებში ხელოვნების სხვა მედიუმით - ქანდაკების სახით არის წარმოდგენილი.

7. ესქილეს “მავედრებელნი” ერთადერთი ნაწარმოებია, რომელმაც დანაიდების ტრილოგიიდან ჩვენამდე მოაღწია. როგორც ერთ-ერთი დიდასკალია გადმოგვცემს, ესქილემ სწორედ ამ ტრილოგიით, რომელიც სამ ტრაგედიას აერთიანებდა – „მავედრებელნი“, „ეგვიპტოსის ვაჟები“, „დანაიდები“ – აგონში სოფოკლე და მესატოსი დაამარცხა. ასეთი წარმატების მიუხედავად, “მავედრებელნი” ჩვენამდე მოღწეული ბერძნული ტრაგედიების ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებპოპულარული ნიმუშია. საუკუნეთა მანძილზე მის მიმართ არსებული ნაკლები ინტერესის მიუხედავად, ესქილეს “მავედრებელნი” შთაგონების წყაროდ იქცა ქართველი მწერლისთვის, შოთა იათაშვილისთვის, რომელმაც გადაწყვიტა “ისტორიული სამართლიანობა აღედგინა”, ესქილეს ტრაგედია გაეგრძელებინა და თანამედროვე მკითხველისთვის დანაიდებისა და ეგვიპტიდების ამბავი ბოლომდე მოეყოლა. სტატიაში გაანალიზებულია შოთა იათაშვილის პიესის მხატვრული და მსოფლმხედველობრივი ასპექტები როგორც ესქილეს ტრაგედიასთან მიმართებაში, ისე თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემატიკის კონტექსტში.

8. ანოტაცია სტატიისა „ზევსი და ქალაქის დაარსების მითოლოგემა“: ყველა წარმართულ თუ მონოთეისტურ რელიგიაში უზენაესი ღმერთი არის ადამიანთა შემქმნელიც. ძველ ბერძენთა პანთეონის მეთაური - ზევსი არ არის კრეატორი ღმერთი. ის აკონტროლებს და მფარველობს

ადამიანთა ურთიერთობების მნიშვნელოვენ მხარეებს. ზევსის განსაკუთრებული კომპეტენცია ვრცელდება იმ გმირებზე, რომლებიც აარსებენ ქვეყნებსა და ქალაქებს. ანტიკურ მითოსურ ციკლებში გმირის მიერ ქალაქის დაარსება გარკვეული მოდელის საფუძველზე ხორციელდება: უპირველეს ყოვლისა, გმირი ეძიებს ე.წ. „ძლიერ“ ადგილებს (ღმერთისგან მითითებულს სხვადასხვა ფორმით). შემდეგ იწყება ქალაქის დაგეგმარება და კარიბჭეებიანი გალავნის შემორტყმა. ასეთი ქალაქები, ერთი მხრივ, საკრალურია; მეორე მხრივ, დაარსებისთანავე ამ ქალაქებში თანდათან გროვდება მიაზმა, რაც შემდგომ ქალაქების დანგრევის მიზეზი ხდება.

10. თავისუფლებისკენ ლტოლვა, პირადი თავისუფლება და ადამიანის თავისუფალი ნება დიმიტრის ნოლასის, თანამედროვე ბერძენი მწერლის ლიტერატურული შემოქმედების ერთ-ერთი წამყვანი იდეაა. საბერძნეთის ბოლო წლების კრიზისი და ადამიანური ურთიერთობის გამოწვევები სხვადასხვა ჭრილში და საინტერესოდ არის ასახული დიმიტ□რის ნოლასის ტრილოგიაში სახელწოდებით „რთული დრო“ რომანებში ყურადღება გამახვილებულია ადა□მიანის პიროვნულ თავისუფლებაზე, პასუხისმგებლობასა და ღირებულე□ბებზე. მიუხედავად იმისა, რომ ნოლასი საყოველთაოდ აღიარებული ბერძენი მწერალია, მისი შემოქმედება ამ კონკრეტული ასპექტით ნაკლებად არის შესწავლილი და კვლევისთვის საინტერესო და აქტუალურ თემატიკას მოიცავს. ნაშრომში განხილულია ტრილოგიის პირველი ტომი - რომანი „დაბრუნება საბერძნეთში“, რომლის სიუჟეტის მამოძრავებელი რგოლი საკუთარი თავისა და თავისუფლების ძიებაა. ალუზიების დახმარებით, მწერალი ოსტა□ტურად ახერხებს მკითხველი დააბრუნოს წარსულში. პერსონაჟთა მოგონებების, შეფასებებისა და აღქმების ფონზე იხატება საბერძნეთის უახლესი ისტორიის სურათი.

11. ომის ერთ-ერთი ყველაზე შემზარავი შედეგი მშვიდობიანი მოსახლეობის იძულებაა დატოვოს საკუთარი საცხოვრებელი და ეძებოს თავშესაფარი. ლტოლვილობა, შეიძლება ითქვას, ყველაზე მძიმე და ტრაგიკული მიგრაციული პროცესია. მე-20 საუკუნის მსოფლიო ისტორია ლტოლვილობის ბევრ შემთხვევას იცნობს. ეს პრობლემა უცხო არაა არც თანამედროვე მსოფლიოსთვის. ლტოლვილისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და სასიცოცხლოდ აუცილებელია სტუმართმოყვარე ქვეყნის პოვნა, რომელიც, თუნდაც დროებით, მას თავშესაფარს მისცემს, გამოკვებავს, სამედიცინო დახმარებას გაუწევს და შემდეგ უზრუნველყოფს ლტოლვილის გადაყვანას მისთვის სასურველ ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში უამრავი პრობლემისა და გამოწვევის წინ იდგა, 1920-23 წლებში მას თურქეთიდან დევნილი პონტოელიბერძნებისთვის ზურგი არ შეუქცევია. საქართველოს მაშინდელი დახმარების შესახებ არაერთმა ბერძენმა დაწერა თავის მოგონებებსა თუ მემუარებში. ზოგი ნაშრომი ცნობილი და თარგმნილია, ზოგიც - ნაკლებ ცნობილი ან სრულიად უცნობი. ერთ-ერთი მათგანია პონტოს აქტივისტის, ექიმი თეოფილაკტოს თეოფილაკტოსის/ (1885- 1962) მემუარები „ჩაუქრობელი ცეცხლის ირგვლივ“. პირველად დაიბეჭდა 1958 წელს). ქართულად ის არასდროს თარგმნილა და არც არასდროს გამხდარა საგანგებო კვლევის ობიექტი. 7 თავისგან შემდგარ, დაახლ. 500 გვერდიან ნაშრომს ბევრი უნიკალური ფოტო ახლავს დანართად. მე-2 თავის სათაურია „ბათუმი - პუნქტი,სადაც გადატანილ იქნა ბერძნულ-პონტოური ეროვნული მოძრაობა“. მასში საუბარია იმ სტუმართმოყვარე გარემოზე, რომელიც პონტოელმა ბერძნებმა საქართველოში ჰპოვეს. სტატიაში მიმოხილულია ზემოაღნიშნულ მემუარებში წარმოდგენილ მასალა. საქართველოსთან დაკავშირებულ მნიშვნელოვანი ინფორმაციაა ბერძნულიდან

ქართულადაა თარგმნილი. გაანალიზებულია ის მოვლენები თუ გარემოებები, რომლებმაც პონტოელი ბერძნები აიძულა თავიანთი საცხოვრებელი დაეტოვებინათ და საბერძნეთში საბოლოოდ დაფუძნებამდე დროებით თავშესაფრად საქართველო აერჩიათ.

12. სტატიაში განხილულია პათოლოგიური გადახრების გამოვლინების მაგალითები ბერძნული (და არა მხოლოდ) ფოლკლორიდან. თუ ბერძნული მითოლოგიის ღმერთებს ვერ განვსჯით 21-ე საუკუნის მორალური კოდექსით, თუ მკითხველისათვის მისაღებია ეროტიკული ლირიკა და პროზა, თუ ჰორორი მსოფლიო ლიტერატურასა და კინემატოგრაფიაში ჩვეულებრივი და ჩვეული ამბავია, მაშინ რატომ უნდა გვეუცხოოს ხალხური ტექსტის სითამამე? ფოლკლორული ტექსტის სპეციფიკა – ანონიმურობა, საავტორო უფლების პრინციპული არარსებობა, ტექსტის სინკრეტულად პრეზენტაციის შესაძლებლობა – დაუფარავად და მოურიდებლად თხრობის გარანტორია და სათქმელისა თუ ტვირთისგან გათავისუფლების საშუალებას იძლევა. საჩოთირო მონათხრობს ყველა ინდივიდი თავისას უმატებს; ხდება ცოდვაში, შეცდომაში თანაზიარობა.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. «Εύλαλα Μάρμαρα» - Επεισόδια από την ιστορία των Ελληνογεωργιανών σχέσεων(„მეტყველი მარმარილოები“ - ეპიზოდები ქართულ-ბერძნული ურთიერთობის ისტორიიდან (XIX-XX საუკუნეები - ესეების კრებული), მონოგრაფია - **მედეა აბულაშვილი, ეკა ჭყოიძე**,ათენი, 2023, გამომცემლობა Μέλλον – Βακχίκον εκδόσεις, 878-618-85989-6-6

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. მონოგრაფიაში ესეების სახითაა წარმოდგენილი მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის არაერთი ამაღელვებელი ისტორია, თავისუფლებისათვის ბრძოლის, თავგანწირვისა და საბრძოლო მხნეობის ამსახველი ეპიზოდები, რომელიც ბერძენ-ქართველთა ურთიერთობის ახალ მარკერად იქცა და საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი იყო: როგორ ეხმიანება ახალფეხადგმული ქართული პრესა ბერძნების ბრძოლას თავისუფლებისთვის, როგორ უნაწილებენ ქართველები ლტოლვილ პონტოელ ბერძნებს უკანასკნელ პურს, როგორი მამობრივი მზრუნველობით იღებს ათენის ყვე- ლაზე პრესტიჟული სამხედრო სასწავლებლის მმართველი ომით, მარცხითა და შიმშილით დაზაფრულ ქართველ იუნკრებს, როგორ თამაშობს ივანე ჯავახიშვილი ბერძნულ ტრაგედიაში, როგორ ირაზმება მთელი საქართველო, რათა მიაგნონ ბერძენი ექიმის მკვლელს, როგორ იხსნის სიკვდილისაგან კლდიაშვილის ბერძენი მეგობარი ათასობით პატიმარს, როგორ გაჩნდა ბერძნული ხელმოწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე, ვინ იყო პოლიტიკოსი, რომელიც საქართველოს და სა- ბერძნეთის

პარლამენტარი გახდა; ვინ წამოაყენა ბათუმის პირველი მერის კანდიდატურა და როგორ გაიყვანეს ის ქართველებმა და ბერძნებმა, ერთობლივად და სხვა.

2.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ირინე დარჩია,** Teaching Classics in Georgia, წიგნში: Hunt, S. and Bulwer, J. (2024 forthcoming). Teaching Classics in Schools Worldwide. Bloomsbury, London.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ნინო ჯორბენაძე, იამზე გაგუა, ნარგიზ ახვლედიანი, ლელა ჩოთალიშვილი,** აია კოლხეთი - სინონიმური ტოპონიმების ისტორიისათვის, კავკასიოლოგთა მეორე საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი, 17-19 ოქტომბერი, თბილისი.

2. **ნარგიზ ახვლედიანი, ლელა ჩოთალიშვილი, ნინო ჯორბენაძე, იამზე გაგუა,** აია კოლხეთი - სინონიმური ტოპონიმების ისტორიისათვის, გეოგრაფიის თანამედროვე პრობლემები, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების 26-ე კონფერენცია, 19 დეკემბერი, თბილისი.

3. **მანანა ფხაკაძე, ქეთევან გარდაფხაძე** - იაკობ რაინეგსი და საქართველო, საერთაშორისო კონფერენცია "კავკასიის აღქმა მითებსა და ლიტერატურაში ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე". 2023 წლის 20-22 სექტემბერი, გვ. 33-34, ISBN 978-9941-9856-5-2

4. **ზაზა ხინთიბიძე,** ლეგენდარული აია-კოლხეთის რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ მიხედვით, საერთაშორისო კონფერენცია „კავკასიის აღქმა მითებსა და ლიტერატურაში ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე“, 20-22 სექტემბერი, 2023, თბილისი, თსუ.

5. **ქეთევან ნადარეიშვილი,** The Identity Issues of the Kartvelian Peoples by the Greek Authors Memnon, Appian, Cassius Dio, Plutarch and Strabo (ქართველური ეთნოსების იდენტობის საკითხები ბერძენი მწერლების რეპრეზენტაციებში (მემნონი, აპიანოსი, კასიუს დიო, პლუტარქოსი, სტრაბონი)), საერთაშორისო კონფერენცია „კავკასიის აღქმა მითებსა და ლიტერატურაში ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი,ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი 20-22სექტემბერი, 2023, თბილისი,

6. **ქეთევან ნადარეიშვილი,** მედეა და ტოტალიტარული იდეოლოგია გივი მარგველაშვილის წიგნში
„კოლხი მედეა კოლხოზში“, XVI საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები „სოციალისტური რეალიზმის ეპოქა ლიტერატურასა და ხელოვნებაში“, სექტემბერი 27-29, 2023, თბილისი

7. **ირინე დარჩია,** Medea Back to the Caucasus, According to the *Medeas* by Andreas Flourakis, საერთაშორისო კონფერენცია „კავკასიის აღქმა მითებსა და ლიტერატურაში ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე“, 20-22 სექტემბერი, თბილისი, 2023

8. **რუსუდან ცანავა,** „აიეტი, კადმოსი, დარდანოსი“, საერთაშორისო კონფერენცია “კავკასიის აღქმა მითებსა და ლიტერატურაში ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე“, თბილისი, 2023, 20-22, IX. (თეზისები ინგლისურ ენაზე), ISBN 978-9941-9856-5-2.

9. **რუსუდან ცანავა,** მოხსენება „ზევსი და ქალაქის დაარსების მითოლოგემა“, ქ. ქუთაისი, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ქუთაისი, 2023. 2-4, VI.

10. **ეკატერინე კობახიძე,** ხეც H-1067 ხელნაწერის ერთი მონაკვეთის განმარტებისათვის, 28-30 ივნისი, 2023, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, საერთაშორისო სამეცნიერო, კონფერენცია„ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა“ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი - 65, ათონის ივერთა მონასტერი - 1040

11. Natia Phiphia, **Ekaterine Kobakhidze**, Ostia Inscription on Visit of Pharsmanes the Valiant in Rome, 20-23 სექტემბერი, 2023, თბილისი, თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი, საერთაშორისო

კონფერენცია კავკასიის აღქმა მითებსა და ლიტერატურაში ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე.

12. **ეკატერინე კობახიძე,** ნათია ფიფია, პიტიახშ უსასის წარწერა, 21-23 სექტემბერი, 2023 წელი, საქართველოს ეროვნული არქივი, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა ტენდენციები და გამოწვევები“

13. **ეკატერინე კობახიძე,** ანტიკურობასთან დაკავშირებული ზოგიერთი პასაჟის ახლებური წაკითხვისა და ინტერპრეტაციისთვის ჟამთააღმწერლის „ასწლოვან ისტორიაში“, 9-11 ოქტომბერი, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის ს/ს ინსტიტუტი, მსოფლიო ისტორიის ს/ს ინსტიტუტის ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრა და ისრაელის ცენტრი, გურამ ლორთქიფანიძის 85 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას „კულტურულ-საისტორიო ძიებანი“.

14. Natia Phiphia, **Ekaterine Kobakhidze**, Colchian Slaves in Ancient Greece and Rome, 22 დეკემბერი, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ს/ს ინსტიტუტი, „საქართველო და ევროპული ინტეგრაცია: წარსული, აწმყო, მომავალი“

15. **Tina Dolidze,** The Apocryphal Narratives of Apostles' Jurneys in Georgia. პლენარული მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე „კავკასიის აღქმა მითებსა და ლიტერატურაში ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე“თსუ 20-23 სექტემბერი 2023; გამოქვეყნებული თეზისები, გვ. 22-3.

16. **ანა ჩიქოვანი,** „კავკასია თანამედროვე ბერძენი მწერლის, დიმიტრის ნოლასის ობიექტივში“ (მოხსენება ინგლისურ ენაზე: "Caucasus through the lens of the Modern Greek Writer – Dimitris Nollas"), 2023 წლის 22-24 სექტემბერი, საერთაშორისო კონფერენცია: კავკასიის აღქმა მითებსა და ლიტერატურაში, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ.

17. **მედეა აბულაშვილი**, ეკა ჭყოიძე, „ბათუმი, როგორც „მეორე ტრაპიზონი“, ბერძენი პოლიტიკოსის მოგონებებში“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კავკასიის აღქმა მითებსა და ლიტერატურაში ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე“, თბილისი, თსუ, 2023, სექტემბერი

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

1. **„აია“ (Αἶα)** არგონავტების თქმულების უძველეს ვარიანტებში ფიგურირებს. გარკვეული პერიოდიდან **აია** უკვე **კოლხეთის (Κολχίς)** სინონიმს წარმოადგენს (**აია** კოლხეთთან პირველად ჰეროდოტემ გააიგივა). საყურადღებოა, რომ ბერძნულ წყაროებში კოლხეთის პირველმოხსენიება ზუსტად ემთხვევა კოლხეთის სახელმწიფოს მოხსენიებას სახელწოდებით **კულხა//კოლხა (Qulcha//Qolcha)** ძვ.წ. VIII ს-ის ურარტულ წარწერებში. ორი სინონიმური ტოპონიმი (**აია** და **კოლხეთი**), მკვლევართა ვარაუდით, ორ განსხვავებულ

არქეოლოგიურ დონეს უნდა ასახავდეს, რომელთაგანაც **აია** ქრონოლოგიურად უფრო ძველია, **კოლხეთი -** უფრო გვიანდელი.

ჩვენი აზრით, ასევე ძალიან საინტერესოა მიმართებები **აია** ძირსა და **იავ-ნანა** ფორმაში დადასტურებულ იდენტური შემადგენლობის კომპონენტს (**იავ**) შორისაც. რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, **იავ-ნანა** ფორმა, თავის მხრივ, საქართველოსა და მედიტარიანულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული **ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველი ქალღმერთის,** ***ღმერთების დედის, დიდი დედის*** - ქართველურ სამყაროში **ნანას** სახელით ცნობილი - კულტის სახელწოდებასთანაა კავშირში.

**„იავნანა“** - ძველი ქართული ხალხური ლექს-სიმღერაა, წარმოშობით - წარმართული საკულტო რიტუალის უძველესი საგალობელი. „ნანინას“ ციკლის სიმღერების მსგავსად „იავნანაც“ მზისა და ნაყოფიერების ქალღმერთ **ნანას** სახელთან არის დაკავშირებული.

**„იავნანამ“** დაკარგა პირვანდელი ხასიათი, დღეს ის ძილისპირულია, თუმცა მანამდე, რაღაც პერიოდში, ბატონების დაავადების დროს უმღეროდნენ ბავშვებს (აქედანაა „ია“ და „ვარდიც“ - როგორც მუწუკებთან ასოციაციური კავშირით - და ბატონების გულის მოსაგებად ყვავილებთან შედარებული).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეს სიმღერა ადრე ასე შეზღუდული გამოყენების არ იყო და უფრო ფართო, **ოდის** და ზოგადი **საგალობლის** სახე ჰქონოდა... „ვარდო“ ფორმა, შესაძლოა, „ია“ ფორმის, როგორც ყვავილის სახელის, ასოციაციით შემდეგ დაემატა;

აქედან გამომდინარე (თუკი სიმღერა დაავადებასთან არ იყო კავშირში), „ია“ ძირი, ბუნებრივია, არ აღნიშნავდა ყვავილს... აი, აქ უკვე იკვეთება მისი „აია“ ფორმასთან კავშირი, რასაც შემდგომი ღრმა ინტერდისციპლინარული კვლევა-ძიება სჭირდება.

## *5.* ქართველური ეთნოსების იდენტურობის საკითხები ბერძენ ავტორთა რეპრეზენტაციებში (დიო კასიუსი, პლუტარქე, სტრაბონი, მემნონი, აპიანოსი)

რომაული იმპერიის ხანაში განსაკუთრებით იზრდება დასავლეთის ინტერესი კავკასიის რეგიონის მიმართ, რამეთუ რომის იმპერიის საგარეო კურსისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი გახდა აღმოსავლეთით თავისი გავლენების გაძლიერება. კავკასიის პოლიტიკით დაინტერესებამ გამოხატულება პოვა ამ რეგიონის ხალხების კულტურული და პოლიტიკური იდენტობის თაობაზე დისკუსიის აქცენტირებაში.

მოხსნების მიზანია გავაანალიზოთ რომაული ეპოქის ქართველური ეთნოსების იდენტურობის საკითხები ბერძენი ავტორების - მემნონის, აპიანოსის, პლუტარქეს, კასიუს დიოსა და სტრაბონის ცნობებში. ქართველური ხალხების გეოპოლიტიკური პრეფერენციები ამ ავტორების მიერ განსაკუთრებით ფართოდაა განხილული მითრიდატული ომების გადმოცემისას. ამას გარდა, კასიუს დიო ქართველი მეფეების პოლიტიკურ ორიენტაციას განიხილავს: (1) რომაულ-პართიული სამხედრო კონფლიქტისას (ახ.წ. 35 წ.) და (2) იბერიისა და რომაული იმპერიის რთული ურთიერთობის პერიოდში (ახ.წ. II ს.). რაც შეეხება სტრაბონს, ის განიხილავს რომსა და სხვადასხვა ქართველურ ტომებს შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობის სხვადასხვა ფორმებს.

ქართველური ხალხების კულტურული იდენტურობის დისკუსიის შესწავლამ გამოავლინა, რომ (1) კავკასიის რეგიონი კვლავ საინტერესო იყო დასავლური აუდიტორიისთვის, როგორც არგონავტებისა და პრომეთევსის მითოსის ლოკაცია; (2) ეს ავტორები ხშირად უსვამდნენ ხაზს კავკასიის ხალხების კულტურულ კავშირ-ურთიერთობას ევროპასთან, ასევე მსჯელობდნენ ქართველური ხალხის წარმომავლობასა და მათ კავშირზე სხვა ტომებსა და რეგიონებთან; (3) ისინი გამოხატავდნენ საყურადღებო ინტერესებს ამ ხალხების მატერიალური კულტურის, ეთნიკური ნიშნებისა და ადათ-წესების მიმართ.

მოხსენების დასკვნები საყურადღებო იქნება ქართველური ხალხების იდენტურობის საკითხების კვლევისთვის. ამას გარდა ის ხელს შეუწყობს „სხვის“ კვლევას ე.წ. „ქსენოსტერეოტიპების“ კვლევის კუთხით - ანუ იმ შტრიხების შესწავლის თვალსაზრისით, რომლებიც, ბერძნების მიხედვით, სხვა, მათგან განსხვავებულ ხალხებს ახასიათებდათ.

## *6.* მედეა და ტოტალიტარული იდეოლოგია გივი მარგველაშვილის წიგნში „კოლხი მედეა კოლხოზში“

ცნობილი ქართველი ფილოსოფოსისა და მწერლის, გივი მარგველაშვილის, ახლახანს (2021) გამოცემული წიგნის „კოლხი მედეა კოლხოზში“ ერთ-ერთი მთავარი დისკურსი, ერთი შეხედვით, უცნაურ მიმართებას - მედეასა და საბჭოეთის, მითოსური გმირისა და ტოტალიტარული იდეოლოგიის მიმართებას წარმოგვიდგენს. თუმცა მედეას ამბავი ისეთ უნივერსალურ მატრიცად გვევლინება, რომელსაც მრავალნაირი დიქოტომიის გათამაშება ხელეწიფება. ამჯერად ნაწარმოების პერსონაჟი მედეა ლეგენდარული კოლხეთის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოს - მედეას ქანდაკებაა, რომელიც 1968 წელს ბიჭვინთაში დაიდგა. იმ წლებში იქ ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა, ე.წ. „ციტრუსოვი სავხოზი“ იყო გაშენებული, რაც მწერალს საბჭოეთის სიმბოლოდ აქვს გააზრებული.

თუმცა მედეას ქანდაკებას საბჭოეთთან მხოლოდ საბჭოთა მეურნეობაში მდებარეობა არ აკავშირებს. მედეას ქანდაკებას, რომელიც ავტორის აზრით, შვილების მკვლელ დედას წარმოგვიდგენს, თავისი სისასტიკით შინაგანი ნათესაობა აქვს საბჭოეთის ბელადებთან - ლენინთან და სტალინთან.

მოხსენებაში მიზნად ვისახავთ, განვიხილოთ ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი დისკურსი - მიმართება ტოტალიტარულ იდეოლოგიასა და ხელოვნების ობიექტებს შორის. ეს უკავშირდება ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემას, როგორებიცაა: 1) რატომ სურს პერსონაჟს, მწერალ ვაკუშს მედეას ქანდაკების გაცოცხლება; რა კავშირშია ეს ქმედება მედეას ბედისწერის შეცვლასა და შესაბამისად, მის რეაბილიტაციასთან; 2) რა როლს თამაშობს ქართველი მწერლის მედეას რეაბილიტაციის პროცესში გერმანელი ავტორის - ქ. ვოლფის წიგნი „მედეა: ხმები“, რომელშიც კოლხი ქალი ტოტალიტარული იდეოლოგიის მსხვერპლად გვევლინება; 3) რ შედეგები შეიძლება მოჰყვეს მედეას ქანდაკების კვალდაკვალ ლენინისა და სტალინის ძეგლების შესაძლო გაცოცხლებას ისტორიის მიერ მათთვის გამოტანილი შეფასების გასააზრებლად როგორც თავად ამ იდეოლოგთათვის, ისე მთლიანად საზოგადოებისთვის.

მოხსენების დასკვნები საყურადრებო იქნება გივი მარგველაშვილის ლიტერატურულ-ფილოსოფიური დისკურსის შესწავლის კუთხით, კერძოდ, იმის გასარკვევად, თუ რა მომართებას მოიაზრებს მწერალი ტოტალიტარულ იდეოლოგიასა და ხელოვნების

ობიექტებს შორის, ქანდაკების სამყაროსა და წიგნის სამყაროს შიდა სივრცეს შორის. ამასთან ერთად, კვლევის შედეგები თავის წვლილს შეიტანს მედეას სახის რეციპირების შესწავლაში, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მედეა ამ ნაწარმოებში ხელოვნების სხვა მედიუმით - ქანდაკების სახით არის წარმოდგენილი.

16. დიმიტრის ნოლასის სამოგზაურო ჟანრის მოთხრობათა კრებული „პატარა მოგზაურობები“ ორ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი ეთმობა მოგზაურობებს საბერძნეთში, ევროპასა და ამერიკაში, ხოლო კრებულის მეორე ნაწილი სათაურით ,,უკანასკნელი მოგზაურობა" ეთმობა მწერლის მოგზაურობას კავკასიაში (საქართველოს სხვადასხვა კუთხესა და აზერბაიჯანში), სამყაროს იმ კუთხეში, რომელიც მწერლის განმარტებით, მას განსაკუთრებით იზიდავს, მოგზაურობას, რომელიც მწერლისავე სიტყვებით ,,მოსალოცი ადგილების" მოლოცვასა და მონახულებას ჰგავს.

ნაშრომში ასევე განხილულია 2006 წელს გამოცემული კრებული ,,თამბაქოს ფურცლები", და ამ კრებულში შემავალი ის წერილები, რომლებიც საქართველოს თემატიკას ეხმაურება: ,,ლიტერატურული ტურიზმი", ,,კავკასიის მწერლები 1", ,,კავკასიის მწერლები 2", ,,ამაზონთა მარადიული ადგილი ". აღსანიშნავია, რომ რომ საქართველოსა და კავკასიის ასახვა დიმისტრის ნოლასის შემოქმედებაში უფრო ხშირად სამოგზაურო და პუბლიცისტურ წერილებში გვხვდება, ვიდრე სუფთა ლიტერატურულ ნაწარმოებებში.

**3.**

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ნინო ჯორბენაძე, ლელა ჩოთალიშვილი, ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი, იამზე გაგუა,** ტოპონიმია, როგორც ისტორიულ-კულტურული ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა (ასტიონიმი „კუტაია/ქუთაისი“ და საბერძნეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ასპექტები), საერთაშორისო აკადემიური ინსტიტუტის კონფერენცია, ვენეცია, 27 მარტი.

2. **ქეთევან ნადარეიშვილი,** Decolonizing through Classical Myth: Georgian Interpretations of Medea (დეკოლონიზაცია კლასიკური მითის მეშვეობით: მედეასა და არგონავტების ქართული ინტერპრეტაციები), Association for Slavic, East European, and Eurasian Studies (ASEEES), 55th Annual Convention 2023, Philadelphia, PA, November 30- December 3, 2023, 33.

3. **ირინე დარჩია,** Perception of Antiquity in Woody Allen's Movies and Prose, ლატვიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის, ელინისტიკის ცენტრისა და ლათინური კულტურული მემკვიდრეობის ცენტრის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენცია „ცოცხალი ანტიკურობა 2023: ენების, ტექსტების და კულტურების შეხვედრები“, რიგა, ლატვია, 26-29 აპრილი, 2023

4. **ირინე დარჩია,** The Sorrows of a Tyrant according to Xenophon, Plato and Aristotle, საერთაშორისო კონფერენცია The Moral Aspects of Tyranny, Xenophon and his Contemporaries on Good and Bad Government, ბამბერგის უნივერსიტეტი, გერმანია 26-28 ივნისი, 2023

5. **ირინე დარჩია,** Georgia – Homeland of Golden Fleece, საერთაშორისო კონფერენცია Commercium Lucis, Accademia Vivarium Novum, ფრასკატი, იტალია, 18-19 ნოემბერი, 2023

6. **Ekaterine Kobakhidze**, Giorgi Ugulava, Alexander the Great in Georgian Literature and Folklore, 23-25 January, 2023, Universitat Autónoma de Barselona, Online International Conference- Forever Alexander

7. **Ekaterine Kobakhidze**, Maia Danelia, Reception of Nonnus' Dionysiaca in Georgian Medieval Literature, 17-20 May, 2023, Complutense University, Madrid (Spain), Nonnus of Panopolis in Context V- Poetic Frontiers

8. **ლევან გიგინეიშვილი,** Constantinople and Mtskheta: Ecclesiastical and Cultural Interactions. (კონსტანტინეპოლი და მცხეთა: საეკლესიო და კულტურული ურთიერთობები), სტამბული, 6-7 ოქტომბერ, 2023. მოხსენება: Political Situation and attitude towards secular philosophy in 11-12th centuries Byzatnium and Georgia" („პოლიტიკური სიტუაცია და დამოკიდებულება საერო ფილოსოფიისადმი 11-12 სს. ბიზანტიაში და საქართველოში").

9. **ლევან გიგინეიშვილი,** Commercium Lucis, Accademia Vivarium Novum. ნოემბერი 18-19, კონფერენცია, მოხსენება: *Athens and Jerusalem: harmonization of philosophy and faith in the 12th century Georgia.* (ათენი და იერუსალიმი: ფილოსოფიისა და რწმენის ჰარმონიზაცია 12 ს. საქართველოში").

10. **სოფიო შამანიდი,** 2023 წლის 20 ოქტომბერი: „ქართული ლიტერატურა ბერძნულად" (მოხსენება ბერძნულ ენაზე: "Γεωργιανή λογοτεχνία στα ελληνικά"), კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნული უნივერსიტეტის ფილოლოგიის საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინსტიტუტის საერთაშორის სამეცნიერო კონფერენცია „თარგმანი და კრიზისი" / Εθνικό Πανεπιστήμιο «Τάρας Σεβτσένκο» του Κιέβου, Εκπαιδευτικό και Επιστημονικό Ινστιτούτο Φιλολογίας της Διεθνούς Επιστημονικής Ημερίδας «Μετάφραση και Κρίση». (მომხსენებელი, კონფერენციის სამეცნიერო საბჭოს წევრი) (ონლაინ მონაწილეობა).

11. **ანა ჩიქოვანი,** „განსხვავებული რელიგიის მქონეთა ხმა თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის შერჩეულ ნაწარმოებებში" (მოხსენება ინგლისურ ენაზე "The voice of the religious "Other" in selected works of Modern Greek Literature"), 2023 წლის 11-15 სექტემბერი, ევროპის ნეოგრეცისტთა ასოციაციის მეშვიდე საერთაშორისო კონგრესი, ავსტრია, ვენის უნივერსიტეტი, https://7th-european-congress-of-modern-greek-studies.univie.ac.at/, მომხსენებელი, კონგრესის სამეცნიერო კომიტეტის წევრი (2022-2023)

12. **ანა ჩიქოვანი,** "კავკასიის ბერძნები თანამედროვე ლიტერატურის რჩეულ ნაწარმოებებში" (მოხსენება ინგლისურ ენაზე: „The Greeks of Caucasus in selected works of Modern Literature"), **2023 წლის 11-15 ივლისი, International Conference: "** Modern Greek Studies in the 21st Century: Agonistic Realisms "(საერთაშორისო კონფერენცია: "ნეოგრეცისტიკა 21-ე საუკუნეში: საკამათო რეალიზმი"), **დიდი ბრიტანეთი, დარემის უნივერსიტეტი,** https://gc.fairead.net/agonistic-realisms-conference?fbclid=IwAR2ojb-EAMaf4JofreWHSuIaGvCYXU9EZ_2ojMa6quImwgKeny1Y4M-47uo

13. **ანა ჩიქოვანი,** „მოგზაურობა საქართველოში" - საქართველო ბერძენი მწერლის, დიმიტრის ნოლასის თვალით" (მოხსენება ინგლისურ ენაზე: "Travel to Georgia - Georgia with the eyes of the Modern Greek Writer -Dimitris Nollas"), **26 მაისი 2023,** II International Scientific Conference "Georgia and the World" Javakhishvili Tbilisi State University - COGNIA (International Educational

Services, USA) მეორე საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო და მსოფლიო“ (ინტერკულტურული ურთიერთობები) COGNIA (საერთშორისო საგანმანათლებლო მომსახურება - აშშ) /თსუ, 2022

14. **ანა ჩიქოვანი** „ქართულ-ბერძნული ლიტერატურული თარგმანის გამოწვევები“ (მოხსენება ბერძნულ ენაზე: “Οι προκλήσεις της ελληνο-γεωργιανής λογοτεχνικής μετάφρασης”), 2023 წლის 20 ოქტომბერი. კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნული უნივერსიტეტის ფილოლოგიის ინსტიტუტის თარგმანმცოდნეობის საერთაშორისო კონფერენცია „თარგმანი და კრიზისი“, უკრაინა, ქ. კიევი, / Εθνικό Πανεπιστήμιο «Τάρας Σεβτσένκο» του Κιέβου, Εκπαιδευτικό και Επιστημονικό Ινστιτούτο Φιλολογίας της Διεθνούς Επιστημονικής Ημερίδας «Μετάφραση και Κρίση». (მომხსენებელი, კონფერენციის სამეცნიერო საბჭოს წევრი).

15. **მედეა აბულაშვილი,** ფილელინური ეპიზოდები რკინის ფარდის მიღმა - საბჭოთა საქართველო, ნეოგრეცისტთა მეშვიდე საერთაშორისო კონგრესი, ავსტრია, ქ. ვენა, 2023

16. **მედეა აბულაშვილი,** „ახალბერძნული პოეზიის ქართული თარგმანები“, თარგმანმცოდნეობის საერთაშორისო კონფერენცია, უკრაინა, ქ. კიევი, 2023

2.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

2. დეკოლონიზაცია კლასიკური მითის მეშვეობით: მედეასა და არგონავტების ქართული ინტერპრეტაციები

ქართველებისთვის, ისევე როგორც სხვა მრავალი ერისთვის, კლასიკური მითები გვევლინება საუკეთესო მატრიცებად უნივერსალური პრობლემების, მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენათა თუ მათი შედეგების ასასახად. ამგვარ საყურადღებო საკითხთა შორის ერთ-ერთი წარმმართველი დეკოლონიზაცია-კოლონიზაციის დისკურსი გახლავთ.
ჩვენი მოხსენების მიზანია განვიხილოთ, თუ როგორ იყენებდა ქართული ლიტერატურა და პოსტ-საბჭოთა ქართული თეატრი კლასიკურ მითებს, რათა ეჩვენებინა ის გავლენა თუ შედეგი, რომელიც კოლონიზაცია-დეკოლონიზაციის ისტორიულ პროცესებს ერის სოციალური და კულტურული სივრცისთვის ჰქონდა. ამ პოლიტიკური მოვლენების სხვადასხვა სეგმენტის ასახვისას კლასიკურ მითთაგან გამორჩეული ადგილი აშკარად არგონავტების მითოსს უჭირავს. მაშინ როდესაც ოქრის საწმისის გატაცება, როგორც წესი, დაპყრობასთანაა ასოცირებული, მედეას საზარელი საქციელი უცხო ქვეყანაში მოიაზრება როგორც მისი ლტოლვილობის შედეგი, სწორედ იმ ლტოლვილობისა, რომელიც დეკოლონიზაციის ერთ-ერთ თანმდევ მოვლენად გვევლინება.
იმისთვის, რათა შეახსენოს თანამემამულეებს საშინელებათა მთელი სპექტრი, რომელიც სამშობლოს ოკუპაციას სდევს თან, გამოჩენილი ქართველი მწერალი ოთარ ჭილაძე საქართველოს ანექსიის ამბავს არგონავტების მითოსის რეკონსტრუქციის მეშვეობით გადმოსცემს (რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, 1973).
მოხსნება შეისწავლის მხატვრულ საშუალებებს, კერძოდ, მითოსურ ალუზიებს, რომელთა მეშვეობითაც მწერალმა უმკაცრესი საბჭოთა ცენზურის პირობებში შეძლო ეჩვენებინა, თუ რა

გავლენა აქვს კოლონიზაციას ეროვნულ ცნობიერებაზე, დაეხატა ინტერვენციის ის გაკვეთილები, რომელთა გაცნობიერება აუცილებელი პირობაა ერისთვის უკეთესი მომავლის შესაქმნელად.

სპეტაკლი „მედეა: გახლეჩილი სამყარო“, რომელიც მ. თუმანიშვილის კინომსახიობთა თეტრში 1997 წელს დაიდგა, წარმოგვიდგენს იმ რთულ პროცესებს, რომლებიც, როგორც წესი, პოსტ-კოლონიური სტატუსის სახელმწიფოებისთვისაა დამახასიათებელი. სპექტაკლი ერთგვარი ნაზავია ოლგა ტაქსიდუს ორი პიესის – „მედეასი“ და „გახლეჩილი სამყაროსი“, რომლებიც, თავის მხრივ, ევრიპიდეს ტრაგედიების - „მედეასა“ და „ტროელი ქალების“ ინტერპრეტაციებად გვევლინებიან. თუმანიშვილის ეს სპექტაკლი პირდაპირ, ყოველგვარი ეზოპსეული ენის გამოყენების გარეშე, გადმოგვცემს 1990-იანი წლების ქართულ პოლიტიკურ რეალობას – საბჭოთა იმპერიისგან დეკოლონიზაციას, ეთნიკურ კონფლიქტებს, რომლებსაც თან ახლდა ომის ტყვეთა და ლტოლვილების ფართო მიგრაციული ტალღები.

სპექტაკლი პოსტმოდერნული თეატრალური ტექნიკის გამოყენებით მთავარ აქცენტს ლტოლვილებად გამხდარი ტროელი ქალებისა და მედეას ხვედრის ჩვენებაზე აკეთებს, ქალებისა, რომლებიც თანამედროვე საბერძნეთში ე.წ. მესამე სამყაროს წარმომადგენლებად გვევლინებიან. მწერლის ხედვით, მედეას მიერ შვილების მკვლელობა არის შედეგი იმ სიტუაციისა, რომელსაც „გახლეჩილი სამყარო“ ქმნის. შესაბამისად, ავტორი მოგვიწოდებს ხელახლა გავიაზროთ დეკოლონიზაცია, ვაღიაროთ ის მოცემულობა, რომ ამ პროცესის წარმატება ერთ კონკრეტულ რეგიონში პირდაპირაა დამოკიდებული  მის გარემომცველ სამყაროზე, რამეთუ კულტურათა და ხალხთა ასიმეტრიული შეფასება ნეოკოლონიზაციის მიღების საშიშ მუხტს შეიცავს.

11. ნაშრომი მიზნად ისახავს განსხვავებული რელიგიის მქონეთა ხმის შესწავლას თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის შერჩეულ ნაწარმოებებში. ყურადღება გამახვილებულია 20-ე საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის თანამედროვე ბერძნულ პროზაულ ნაწარმოებებზე. თანამედროვე საზოგადოებაში რელიგიური პლურალიზმის პრობლემა გლობალურია და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე. ლიტერატურაში მათი  რეპრეზენტაცია საშუალებას გვაძლევს მოვისმინოთ უამრავი განსხვავებული  ხმა და გავაუმჯობესოთ "სხვის" მიმართ დამოკიდებულება თუ განსხვავებულის გაგება.

ნაშრომში შესწავლილია ავტორების მიერ გამოყენებული სტრატეგიები განსხვავებული რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანების  ლიტერატურული რეპრეზენტაციისთვის.

12. როგორ ყალიბდება XX-XXI საუკუნეების ისტორიულ კონტექსტში კავკასიაში მცხოვრები ბერძნების კულტურული იდენტობა? რა გავლენას ახდენს მიმდინარე გეოპოლიტიკური და კულტურული ცვლილებები კავკასიაში მცხოვრებ ბერძენთა თვითაღქმაზე, თქვითშეფასებასა და კულტურულ რეალობაზე? რა კონცეპტუალურ და ლიტერატურულ ტენდენციებს გვთავაზობს ბერძნული და ქართული მხატვრული ლიტერატურა, რომელიც ინტერესს იჩენს კავკასიაში მცხოვრები ბერძნების კულტურული იდენტობის მიმართ? ამ საკითხების შესახებ მსჯელობას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი. კონფერენციის ფორმატიდან გამომდინარე, შერჩეული და შესწავლილია რამდენიმე სახასიათო

ლიტერატურული ნაწარმოები ნიკოს კაზანძაკისის, დიმიტრის ნოლასის და ნოდარ დუმბაძის შემოქმედებიდან.

კვლევის მეთოდად გამოყენებულია ლიტერატურული ნაწარმოებების ინტერპრეტაცია და ტიპოლოგიური შედარება. კვლევის შედეგები გვიჩვენებს თანამედროვე მწერლების დამოკიდებულებას კავკასიელი ბერძნების კულტურული იდენტობის მიმართ, ასევე, სხვადასხვა კულტურული იდენტობის საკითხის პარალელურ წარმოჩენასა და ასახვას მხატვრულ ნაწარმოებებში.

13. დიმიტრის ნოლასის სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოების ,,პატარა მოგზაურობების", დიდი ნაწილი საქართველოში მოგზაურობას, ქართველი და ბერძენი ხალხის ზნე-ჩვეულებებსა თუ საქართველოში არსებული ადამიანური ურთიერთობების აღწერას ეთმობა. ნოლასის პროზის განსაკუთრებულ თავისებურებად მიიჩნევა მწერლის მიერ ინდივიდუალურის, პიროვნულის წამოწევა წინა პლანზე და მოგზაურობის თემატიკის შემოტანა.

მიუხედავად იმისა, რომ ,,პატარა მოგზაურობები" დიმიტრის ნოლასის სხვა ,,სუფთა" პროზაული ხასიათის ნაწარმოებებისგან ნაკლები ლიტერატურულობით გამოირჩევა, მიმზიდველია რეპორტაჟის სტილით მოწოდებული თხრობის ნატიფი სტილი. ნაწარმოებში კარგად ჩანს ავტორის მიერ ადამიანთა ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა, განათლების მაღალი დონე, მწერლის მახვილი მზერა.

14. მოხსენებაში განხილულია ახალბერძნულსა და ქართულ ენას შორის თარგმანის სირთულეები და გამოწვევები. ახალი ბერძნული ლიტერატურის (პოეზიისა და პროზის) არაერთი ნაწარმოები ითარგმნა ახალი ბერძნულიდან ქართულად - მათ შორის გამოვიდა კრებულები - ახალი ბერძნული პოეზიის ანთოლოგია, თანამედროვე ბერძნული მოთხრობის ანთოლოგია, ცალკეულ მწერალთა და პოეტთა ნაწარმოებები. ამასთანავე ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწარმოებები ითარგმნა და გამოიცა ბერძნულ ენაზე. თარგმანის პრობლემები, რაც ამ ორ ენას შორის სხვაობით არის განპირობებული რეგულირდება ახალბერძნულსა და ქართულს შორის არსებული ე.წ. ,,კულტურული მიმართების" დახმარებით. ვინაიდან თარგმანისას ყველაზე დიდ სირთულეს სწორედ რომ ენათა შორის მნიშვნელოვანი სემანტიკური და კულტურული ხასიათის სხვაობისას ვაწყდებით. სტრუქტურული განსხვავებების მიუხედავად, იდიომატური გამოთქმებისა და ფრაზეოლოგიის დონეზე ქართულსა და ბერძნულ ენებს შორის შეიმჩნევა ლექსიკური და სემანტიკური სიახლოვე.

მოხსენებაში განხილულია ლიტერატურული თარგმანების დონეზე ,,კულტურული მიმართების" წვლილი თარგმანის პროცესისათვის ახალბერძნულიდან ქართულად და ქართულიდან ახალბერძნულ ენაზე შესრულებული ლიტერატურული თარგმანების მაგალითზე.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ყურადღება!

* სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.

* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.

* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.

* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა~.

# კულტურის კვლევათა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2
(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება**

**კულტურის კვლევათა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**

- **ნინო ჩიქოვანი, პროფესორი, ინსტიტუტის ხელმძღვანელი**
- **ქეთევან კაკიტელაშვილი, ასოცირებული პროფესორი**
- **ირაკლი ჩხაიძე, ასოცირებული პროფესორი**
- **ივანე წერეთელი, ასოცირებული პროფესორი**
- **მაია ქვრივიშვილი, ასისტენტ-პროფესორი**

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***
1.
2.

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

*დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
**1. „კოლექტიური მეხსიერების კონსტრუირება დამოუკიდებლობის შემდგომ საქართველოში: გმირისა და ანტიგმირის დისკურსი.“ ძირითადი მიმართულება 4. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები. ქვე-მიმართულება 4.3. საქართველოს ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია და ეროვნული იდენტობა FR-23-6604. 2023-2026.**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ნინო ჩიქოვანი (ხელმძღვანელი)
2. ივანე წერეთელი (კოორდინატორი)
3. თინათინ სოზიაშვილი (მკვლევარი)

**2. „ებრაული იდენტობა საქართველოში: საბჭოთა ტრანსფორმაცია (1921-1941).“ ძირითადი მიმართულება: 3. სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები. ქვე-მიმართულება: 3.5. ლიტერატურის, კულტურისა და ხელოვნების კვლევები. FR-23-8490. 2023-2026. ხელმძღვანელი.**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ქეთევან კაკიტელაშვილი (ხელმძღვანელი)
2. მიხეილ მეფარიშვილი (კოორდინატორი)
3. ნინო ჩიქოვანი (მკვლევარი)
4. ნინო ფირცხალავა (მკვლევარი)

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1. პროექტი დაიწყო 2023 წლის 18 დეკემბერს
2. პროექტი დაიწყო 2023 წლის 14 დეკემბერს

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.
2.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **„ნაციონალიზმის აღმავლობა, ცვალებადი გეოპოლიტიკა და ევროპული განათლების/კვლევის ღიაობის მომავალი“. ევროპის კვლევები, განათლებისა და პოლიტიკის მეცნიერებები. COST Action - ევროპული თანამშრომლობა მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში. CA22121. 2023-2027.**

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ნინო ჩიქოვანი (მკვლევარი, პროექტის მართვის კომიტეტის წევრი)
2.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. პროექტი დაიწყო 2023 წლის 30 ოქტომბერს
2.

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.
2.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)

4.1. საერთაშორისო პატენტები;

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

5.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
**1. ნინო ჩიქოვანი. 90-იანი წლები: ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მიღმა. თბილისი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. სექტემბერი, 2023.** https://socialjustice.org.ge/ka/products/90-iani-tslebi-etnopolitikuri-konfliktebis-mighma
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
სტატიის მიზანია, გავაანალიზოთ საქართველოში 1980-1990-იან წლებში მიმდინარე რთული და წინააღმდეგობრივი პროცესები, რომელთაგან ზოგმა, ტკივილთან ერთად, მსხვერპლით მოპოვებული გამარჯვების განცდა დაბადა, ზოგიერთმა კი - სირცხვილისა თუ დანაშაულის გრძნობა და მისი დავიწყების სურვილი. ზოგი მოვლენა მყარად დამკვიდრდა კოლექტიურ მეხსიერებაში, ზოგი კი სხვადასხვა ჯგუფის მეხსიერებათა დაპირისპირების საფუძვლად იქცა. ამ პროცესებმა არა მხოლოდ განსაზღვრა ქვეყნის სამომავლო განვითარება, არამედ დღესაც გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. ამიტომ მათი გააზრების გარეშე შეუძლებელია ბოლო 35 წლის განმავლობაში მომხდარი ფაქტებისა და მოვლენების სრულყოფილად წარმოდგენა და ახსნა. სტატიაში განხილული საკითხები კოლექტიური მეხსიერებისა და

მეხსიერების პოლიტიკის თეორიათა ჭრილშია გააზრებული, რაც საშუალებას იძლევა ავხსნათ, რას და რატომ ვიმახსოვრებთ, ვივიწყებთ ან ვცდილობთ, თავი ავარიდოთ მათზე საუბარს.

2. ნინო ჩიქოვანი. კულტურული ნიმუშის ძიებაში: 1991-1992 წლების სამოქალაქო დაპირისპირების მეხსიერება საქართველოში. თსუ 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენციის თეზისები. თბილისი, 6 თებერვალი, 2023, გვ. 110-113.
3. ირაკლი ჩხაიძე. საქართველო და ევროპა: იდენტობის დისკურსი ნაციონალიზმის ეპოქაში. თსუ 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენციის თეზისები. თბილისი, 6 თებერვალი, 2023, გვ. 114-116.
4. ქეთევან კაკიტელაშვილი. „რელიგიური და ნაციონალური იდენტობის ურთიერთმიმართების საკითხი ნაციონალიზმის ეპოქის საქართველოში: ქართველ ებრაელთა და ქართველ მუსლიმთა მაგალითები". საქართველოს ეროვნული აკადემიის წ.კ. გურამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კულტურულ-საისტორიო ძიებანი" თეზისები. თბილისი, 2023, გვ. 37-38.
5. ქეთევან კაკიტელაშვილი. „კოლექტიური ტრავმის კონსტრუირების კულტურული მექანიზმები საქართველოში 1980-1990-იანი წლების სტიქიური უბედურებების მაგალითზე". თსუ 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია. 6 თბილისი, თებერვალი, 2023. თეზისები. თბილისი, 2023, გვ. 36-38.
6. მაია ქვრივიშვილი, დღესასწაული, მეხსიერება და იდენტობა ქართულ საზოგადოებაში (ზოგადი ასპექტები). ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 147-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, 27-28 აპრილი, თბილისი, 2023, გვ.116-119.
7. მაია ქვრივიშვილი, სატელევიზიო სივრცე და „სამოქალაქო ომი": 1991-1993 წლების მოვლენები კულტურული ტრავმის ჭრილში. აბრეშუმის გზის მე-18 საერთაშორისო კონფერენცია, მასალების კრებული #18. ISBN: 978-9941-8-3942-9 (იბეჭდება)

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.
2.

6.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ნინო ჩიქოვანი. From Great Patriotic War to World War II: How Memory Changed in Georgia after Independence (დიდი სამამულო ომიდან მეორე მსოფლიო ომისაკენ: როგორ შეიცვალა მეხსიერება საქართველოში დამოუკიდებლობის შემდეგ). *War and Remembrance. World War II and the Holocaust in the Memory Politics of Post-socialist Europe.* Ed. By Paul Srodecki and Daria Kozlova. Brill/Schonning, 2023, გვ. 81-100 (მალხაზ მაცაბერიძესთან თანაავტორობით).** https://brill.com/display/title/64627?language=en
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
საქართველო, როგორც საბჭოთა კავშირის ნაწილი, აქტიურად მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. რესპუბლიკიდან, რომლის მოსახლეობა ომის წინ 4 მილიონს არ აღწევდა, ჯარში, სხვადასხვა მონაცემებით, გაიწვიეს 500-600 ათასი ადამიანი, მათგან დაახლოებით ნახევარი შინ არ დაბრუნებულა. მოხსენების მიზანია წარმოადგინოს, როგორ ყალიბდებოდა მეორე მსოფლიო ომის მეხსიერება საბჭოთა პერიოდში და როგორ შეიცვალა იგი დამოუკიდებლობის შემდეგ. კვლევა ემყარება კოლექტიური მეხსიერების როგორც სოციალური კონსტრუქციის გააზრებას, რაც საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ, თუ როგორ აღიქმებოდა, მეხსიერებაში აღიბეჭდებოდა და გადაისინჯებოდა ფაქტები და მოვლენები 70-ზე მეტი წლის განმავლობაში. კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო კომუნიკაციური და კულტურული მეხსიერების ცნებები, შემოთავაზებული იან და ალეიდა ასმანების მიერ, აგრეთვე მეხსიერების არეების პიერ ნორასეული კონცეფცია, რომელმაც საშუალება მოგვცა, თვალი მიგვედევნებინა მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული მეხსიერების არეების შექმნისა და ტრანსფორმაციისათვის საქართველოში.

2. **ივანე წერეთელი, "1990-იანი წლების ქრონოტოპი: ტრავმა და ტრიუმფი ქართულ ლიტერატურულ ტექსტებში". 2023|Plural:History,Culture,Society.ISSN2345-184X doi:10.37710/plural.v11i1_6_**

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1. ადამიანი ბუნებით მთხრობელი არსებაა. თხრობა, აღწერასთან ერთად, ინტერპრეტაციას გულისხმობს. გამიზნულად თუ გაუაზრებლად, მნიშვნელობა ენიჭება საგნებს, ფაქტებს და

წარსულში მომხდარ მოვლენებს. ამას აკეთებს როგორც მთხრობელი, ასევე აუდიტორიაც (Neimeyer, 2006: 179). თუ მოვლენის შესახებ ტრავმული/ტრავმის ამსახველი ტექსტები არ შეიქმნა, როგორი ტრაგიკულიც არ უნდა იყოს იგი, კულტურულ/კოლექტიურ ტრავმად არ ჩამოყალიბდება, რადგან თანამედროვე საზოგადოებაზე ზემოქმედებას ახდენს არა წარსული თავისთავად, არამედ წარსულის მოვლენათა რეპრეზენტაცია, რომელიც იქმნება, ვრცელდება და მიიღება სპეციფიკურ კულტურულ ჩარჩოში და პოლიტიკურ სიტუაციაში (Assmann and Shortt, 2012: 3-4). კულტურულ მეხსიერებაში დამკვიდრებულ კოლექტიურ ტრავმას შეუძლია ხანგრძლივი დროის მანძილზე შეასრულოს ჩვენ ჯგუფის შემკვრელი ფუნქცია. სოციალური ტრავმის შესწავლამ ერთი პარადოქსული ფაქტი გამოავლინა: ის ცვლილებაც კი, რომელსაც ელიან, რომელზეც ოცნებობენ და რომლისთვის იბრძვიან კიდეც, შეიძლება მტკივნეული აღმოჩნდეს. ასეთ მოვლენას პიორტ შტომპკამ „გამარჯვების ტრავმა" უწოდა. სხვადასხვა საზოგადოებაში ტრავმა შეიძლება სხვადასხვა ფაქტორმა გამოიწვიოს. პოსტ-კომუნისტური ტრანსფორმაციის შემთხვევაში ტრავმის გამომწვევი ფაქტორები აღმოჩნდა უმუშევრობა, ინფლაცია, დანაშაულის ზრდა, დარღვეული იერარქია, პოლიტიკური ელიტის უუნარობა თავი გაართვას სიტუაციას და სხვ.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

**1. ნინო ჩიქოვანი. კულტურული ტრავმა და ეროვნული გმირი: მერაბ კოსტავა. პროფესორ გოჩა რ. ცეცხლაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სემინარი. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინტერდისციპლინური კვლევის ცენტრი. თბილისი, 8 მაისი, 2023.**
*მოხსენების ანოტაცია*
იმ მოვლენათა შორის, რომელთა მნიშვნელობა 9 აპრილის რეზონანსმა (ალეიდა ასმანისეული მნიშვნელობით) განაპირობა, ერთ-ერთი მერაბ კოსტავას დაღუპვა იყო. 9 აპრილით ტრავმირებული საზოგადოებისათვის ეს ფაქტი უეცარი, მოულოდნელი, დაუჯერებელი და შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. მან თავისი ადგილი დაიკავა დროის მოკლე მონაკვეთში მიმდინარე რადიკალურ და მოულოდნელ ცვლილებათა ჯაჭვში, გააღრმავა საზოგადოების გამაერთიანებელი კავშირებისა და ერთობის განცდის რღვევა, დიდი გავლენა იქონია თანამედროვე გმირის იმიჯის ჩამოყალიბებაზე და გავლენა იქონია უახლოეს მომავალში განვითარებულ მოვლენათა აღქმაზე. მისი საფლავი თანამედროვე ქართული კოლექტიური იდენტობისათვის უმნიშვნელოვანეს სიმბოლურ ადგილას - მთაწმინდის პანთეონში - ახალი კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო.ნაშრომი ემყარება ფორმითა და შინაარსით მრავალფეროვანი ნარატივების შესწავლას კონტენტ-ანალიზისა და დისკურსის ანალიზის მეთოდების გამოყენებით, რაც საშუალებას გვაძლევს, გავაანალიზოთ მნიშვნელობები, რომელთაც ინდივიდები/ჯგუფები ანიჭებენ სოციალურ რეალობას. ემპირიული მასალა გააზრებულია კოლექტიური მეხსიერებისა და კულტურული ტრავმის თეორიების მეთოდოლოგიურ ჩარჩოში.

**2. ნინო ჩიქოვანი. კოლექტიური მეხსიერების ფორმირება გარდამავალ პერიოდში: გმირი-ანტიგმირის დისკურსი. ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 147-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი, 27-28 აპრილი, 2023**
*მოხსენების ანოტაცია*

ყველა ეპოქა, განმსაზღვრელ მოვლენებთან ერთად, კონკრეტულ ფიგურებთან ასოცირდება. მათი მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება გარდამავალ პერიოდებში: გმირების/ანტიგმირების იმიჯი კონსტრუირდება სწრაფი პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ცვლილებების პირობებში; ისინი ზემოქმედებენ მოვლენათა განვითარებაზე; ეს ფიგურები იქცევიან სხვადასხვა ჯგუფის მეხსიერების საყრდენებად, რომლებიც ხან გამაერთიანებელ, ხან კი გამყოფ ფუნქციას ასრულებენ. მათთვის მინიჭებული მნიშვნელობების გაანალიზება გმირისა და ანტიგმირის დისკურსის ფარგლებში საშუალებას იძლევა, თვალი მივადევნოთ კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბების პროცესს, რომლის გათვალისწინების გარეშე ბევრი სხვა პროცესის სრულყოფილი გააზრება შეუძლებელია. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდის გმირთა ფიგურებიდან არჩევანი შევაჩერეთ მერაბ კოსტავაზე, რომელმაც დიდი გავლენა იქონია თანამედროვე გმირის იმიჯის ჩამოყალიბებაზე, 1980-1990-იანი წლების ამბების აღქმაზე და თავისი ადგილი დაიკავა მომდევნო პერიოდის მოვლენათა რეპრეზენტაციაში.

3. **ნინო ჩიქოვანი. როგორ მუშაობს რეზონანსი: 1989 წლის 9 აპრილის მეხსიერება საქართველოში. პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი, 20-21 ივლისი, 2023**

*მოხსენების ანოტაცია*

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო და დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოში განვითარებულმა პროცესებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ქვეყნის ისტორიაში და განსაზღვრა მისი მომავალი განვითარება. ამ პროცესების ანალიზი კულტურის კვლევათა პერსპექტივიდან წარმოგვიდგენს *წარსულის როლს აწმყოში* და მკაფიოდ აჩვენებს, „როგორ განსაზღვრავს კოლექტიური იდენტობის კონსტრუირებას მეხსიერება, ნოსტალგია, ინდივიდუალური და საერთო წარსულის სურათი." ნაშრომში განხილულია საქართველოს *წარსული აწმყოში*, კერძოდ, 1989 წლის 9 აპრილის განგრძობადი *რეზონანსი*, როგორც მოვლენისა, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა კოლექტიურ მეხსიერებაში; გაანალიზებულია, როგორ იქცა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია ათვლის წერტილად როგორც წარსულის, ისე მომავალი ისტორიისა და მეხსიერებისათვის. კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს კოლექტიური მეხსიერებისა და კულტურული ტრავმის თეორიები. ალეიდა ასმანის შემოთავაზებული *კულტურული ნიმუშისა* და *რეზონანსის* ცნებები გამოყენებულია მეხსიერების (ტრანს)ფორმაციისა და ამ პროცესში წარსულის და აწმყოს ურთიერთქმედების ანალიზისათვის.

4. **ნინო ჩიქოვანი. სიმბოლოები: კოლექტიური მეხსიერების ტრანსფორმაცია თანამედროვე საქართველოში. გურამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურულ-საისტორიო ძიებანი". თბილისი, 9-11 ოქტომბერი, 2023**

*მოხსენების ანოტაცია*

ნაშრომში განხილულია, თუ როგორ ყალიბდებოდა და გარდაიქმნებოდა საქართველოს თანამედროვე ისტორიის მოვლენათა მნიშვნელობები, რომლებიც აისახება სიმბოლოებში და ამით მისაწვდომი ხდება მთელი საზოგადოების თუ ცალკეული ჯგუფებისათვის. სიმბოლოები მეხსიერების ადგილებია; ისინი გამოხატავს საზოგადოების დამოკიდებულებას წარსულისა და დღევანდელობის ფაქტებისა და მოვლენებისადმი, რომლებიც კონკრეტულ პერიოდში დამახსოვრების ღირსადაა მიჩნეული. ემპირიული მასალა (გამოსახულებები, დოკუმენტური, მხატვრული და საისტორიო ტექსტები, ოფიციალური განცხადებები, საკანონმდებლო აქტები, დადგენილებები), რომელსაც ნაშრომი ემყარება, გააზრებულია კოლექტიური მეხსიერებისა და მეხსიერების ადგილების თეორიათა ჩარჩოში. ნაშრომში

განხილულია, თუ როგორ ყალიბდებოდა და გარდაიქმნებოდა საქართველოს თანამედროვე ისტორიის მოვლენათა მნიშვნელობები, რომლებიც აისახება სიმბოლოებში და ამით მისაწვდომი ხდება მთელი საზოგადოების თუ ცალკეული ჯგუფებისათვის. სიმბოლოები მეხსიერების ადგილებია; ისინი გამოხატავს საზოგადოების დამოკიდებულებას წარსულისა და დღევანდელობის ფაქტებისა და მოვლენებისადმი, რომლებიც კონკრეტულ პერიოდში დამახსოვრების ღირსადაა მიჩნეული.

**5. ნინო ჩიქოვანი. კულტურული ნიმუშის ძიებაში: 1991-1992 წლების სამოქალაქო დაპირისპირების მეხსიერება საქართველოში. თსუ 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენციის თეზისები. თბილისი, 6 თებერვალი, 2023, გვ. 110-113.**

**6. ნინო ჩიქოვანი. 'წარსული, რომელიც უარს ამბობს წასვლაზე': ტრავმისა და ტრიუმფის მეხსიერება საქართველოში დამოუკიდებლობის შემდეგ. ახალგაზრდა მეცნიერთა V საერთაშორისო ინტერდისციპლინური სიმპოზიუმის მოწვეული მომხსენებელი. თბილისი, 7-9 ივლისი, 2023.**

**7. ირაკლი ჩხაიძე. საქართველო და ევროპა: იდენტობის დისკურსი ნაციონალიზმის ეპოქაში. თსუ 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენციის თეზისები. თბილისი, 6 თებერვალი, 2023.**

*მოხსენების ანოტაცია*

1910-1920-იან წლებში საქართველოს კულტურულ იდენტობასთან დაკავშირებით გამართული დისკუსია გვიჩვენებს დასავლეთისადმი არაერთგვაროვან დამოკიდებულებას. პროევროპულმა პოლიტიკურმა კონტექსტმა დასავლური დისკურსის დომინანტურობა განაპირობა, რომელიც მწვავედ გააკრიტიკა ინტელექტუალური ელიტის ნაწილმა. შეიქმნა დასავლური სამყაროს წინააღმდეგობრივი აღქმის ერთგვარი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიცწარიმართა პროცესები უკვე 1980-იანი წლებიდან. ამ პერიოდში გამართული დებატები, რომელიც, ძირითადად, აკადემიურ სივრცეში მიმდინარეობდა, ირეკლავს საუკუნის დასაწყისის დისკუსიის პათოსს. შემდგომში, დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე, აღნიშნული წინააღმდეგობრიობა პოლიტიკის ნაწილად იქცა და დღემდე მნიშვნელოვან როლს თამაშობს იდენტობის კონფლიქტური დისკურსების ჩამოყალიბებაში.

**8. ირაკლი ჩხაიძე. ირაკლი ჩხაიძე. ილია ჭავჭავაძე: ეროვნული გმირი წინააღმდეგობრივ საჯარო დისკურსებში. სამეცნიერო კონფერენცია „პოლონეთის და საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობები მე-19 საუკუნეში." ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 18 მაისი, 2023 წელი.**

*მოხსენების ანოტაცია*

ილია ჭავჭავაძე გამორჩეულია იმ ფიგურათაგან, რომელთა დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე საყოველთაოდაა აღიარებული. ილია საკულტო ფიგურაა ქართული საზოგადოების თითქმის ყველა სეგმენტისთვის. როგორც ფართო საზოგადოებრივ დონეზე, ასევე ინტელექტუალურ წრეებში, ბევრს საუბრობენ მის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე, თუმცა, ილია ჭავჭავაძის საყოველთაო აღიარება არ არის საზოგადოებრივი კონსენსუსის საფუძველი. ჯგუფებს, რომელთათვისაც ილია საკულტო მოღვაწეა, სრულიად განსხვავებული ხედვები აქვთ საქართველოს სახელმწიფოსთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა ერის მშენებლობის ფორმები, საზოგადოების განვითარების მოდელები და მიმართულებები, საგარეო-პოლიტიკური კურსი და სხვა. მეხსიერების

კვლევების პერსპექტივიდან ილია ჭავჭავაძის ფენომენის შესწავლა იმ მხრივ არის საინტერესო, რომ მისი სახელი ერთ-ერთი ყველაზე მანიპულირებადია საქართველოს უახლეს ისტორიაში. მისადმი დამოკიდებულება რამდენჯერმე რადიკალურად შეიცვალა პოლიტიკური რეჟიმების/კონტექსტების ცვლილებასთან ერთად. ვფიქრობთ, ილიას მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებების ისტორიულ დინამიკასა და კულტურული მეხსიერების თეორიის ჭრილში კვლევა პასუხს გასცემს მისი მოღვაწეობის წინააღმდეგობრივ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებულ კითხვებს.

9. **ირაკლი ჩხაიძე. „ნამდვილი დემოკრატიის" ძიებაში: პოპულიზმი ლიბერალიზმის წინააღმდეგ ცენტრალურ ევროპაში. პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი, 20-21 ივლისი, 2023.**

*მოხსენების ანოტაცია*

პოპულიზმის ტალღას 1990-2000-იან წლებში წინ უსწრებდა დემოკრატიული ტრანზიციის პერიოდი ცენტრალური ევროპის ახლად ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში. ამ თვალსაზრისით, პოსტკომუნისტური ქვეყნებიდან, განსაკუთრებით წარმატებული იყო უნგრეთი, სადაც დღეს პოპულიზმი ლიბერალური დემოკრატიის მთავარ გამოწვევად იქცა. „კონსოლიდირებული დემოკრატიების" ახალი ნარატივი, რომელიც დასავლური ლიბერალური საზოგადოების წარმატებულ შენებაზე აკეთებდა აქცენტს, მხედველობის მიღმა ტოვებდა რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესებს, რომლებიც დაკავშირებულია როგორც იმპერიულ მემკვიდრეობასთან ბრძოლასთან და ლიბერალური დემოკრატიის შენების სირთულეებთან, ასევე თავად ლიბერალიზმის მზარდ პრობლემებთან. პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში პოლიტიკური საზოგადოებისა და ლიბერალური დემოკრატიის მშენებლობა დღემდე ცხარე დისკუსიის საგნად და დაპირისპირების გამომწვევ პრობლემად რჩება. ეროვნული პოპულიზმის საფრთხის ქვეშ დადგა როგორც ცენტრალური ევროპის სახელმწიფოების ლიბერალურ-დემოკრატიული განვითარება, ასევე ზოგადად მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წესრიგი, რაც გულისხმობს კონსტიტუციურ დემოკრატიას, ადამიანის უფლებების საყოველთაოობას, კანონის უზენაესობას და სხვა. თავისუფალი და სამართლებრივი საზოგადოების შენების საერთაშორისო პროექტი მძაფრი კრიტიკის ქვეშ აღმოჩნდა. ნაშრომში, ძირითადად უნგრეთის და პოლონეთის მაგალითზე, გაანალიზებულია წინააღმდეგობები ლიბერალურ დემოკრატიულ წესრიგსა და ეროვნულ პოპულიზმს შორის.

10. **ქეთევან კაკიტელაშვილი. „ქართველ ებრაელთა იდენტობის რელიგიური და ნაციონალური განზომილება მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოში". II საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო და კავკასია — წარსული, აწმყო, მომავალი". თბილისი, 7-8 ოქტომბერი, 2023.**

*მოხსენების ანოტაცია*

ნაშრომი ქართველ ებრაელთა იდენტობის ფომირების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდს ეხება. მასში, მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული პრესის მდიდარი მასალების საფუძველზე, გაანალიზებულია ამ პერიოდში ჩამოყალიბებული ქართველ ებრაელთა იდენტობის რელიგიური და ეროვნული მოდელები. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ინტელექტუალურ დისკურსზე. როგორც რუსეთის იმპერიულ, ისე ადგილობრივ ქართულ დონეზე, განსხვავებულმა პოლიტიკურმა, იდეოლოგიურმა და კულტურულმა კონტექსტმა გადამწყვეტი გავლენა იქონია ქართველ ებრაელთა იდენტობის ჩამოყალიბებაზე. ნაშრომში სწორედ მათი გათვალისწინებით არის გაანალიზებული ებრაელთა იდენტობის ფორმირების

დინამიკა აღნიშნულ პერიოდში. ეს კონტექსტებია: მეცხრამეტე საუკუნეში, 1917 წლამდე - რუსეთის იმპერიის პოლიტიკური და საკანონმდებლო კონტექსტი; მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში - ქართული კულტურული, ინტელექტუალური და პოლიტიკური დისკურსების ლოკალური კონტექსტი, რომელიც მიმართული იყო რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ; ხოლო 1918–1921 წლებში ეს იყო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ხანმოკლე პერიოდი, როდესაც ებრაული იდენტობის შესახებ დისკუსია გაგრძელდა ქართულ ეროვნულ და საკანონმდებლო კონტექსტში, სადაც სახელმწიფოსა და ებრაული თემის დომინანტურ ნაწილს შორის მიღწეული იყო შეთანხმება ქართველ-ებრაელთა იდენტობის კონვენციური მოდელის შესახებ.

11. **ქეთევან კაკიტელაშვილი. „სოციალისტური უბანი" "ებრაელთა გეტოს" წინააღმდეგ: ქართველ ებრაელთა საბჭოთა იდენტობის კონსტრუირება 1920-1930-იან წლებში". პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია თბილისი, 20-21 ივლისი, 2023.**

*მოხსენების ანოტაცია*

1921 წელს, საქართველოში საბჭოთა მმართველობის დამყარების შემდეგ, ქვეყანაში ახალი, მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიაზე დამყარებული პოლიტიკური და სოციალური სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო. 1920-1930-იანი წლები აღინიშნა წინააღმდეგობრივი ეროვნული და ეკონომიკური პოლიტიკით. საბჭოთა ეროვნული ექსპერიმენტის ერთ-ერთი მიზანი საბჭოთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ხალხების, მათ შორის, ებრაელთა იდენტობის ახალი კონცეფციის შემუშავება და მისი განხორციელება იყო. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის (ღარებკომი, მოქმედებდა 1928-1936 წლებში) მუშაობა. ღარებკომის დაარსდა, როგორც ებრაელთა სათემო ცხოვრებაში სინაგოგის სოციალური ფუნქციის მქონე ალტერნატივა. მის მიერ წარმართული ანტირლიგიური პროპაგანდა, ისევე როგორც სოციალური და კულტურული პოლიტიკა, მიზნად ისახავდა ქართველ ებრაელთა საბჭოთა იდენტობის ფორმირებას. მექანიზმები, რომელსაც ეს კომიტეტი იყენებდა მიზნის მისაღწევად, მიმართული იყო ქართველ ებრაელთა ცხოვრების ტრადიციული წესის რღვევისა და „ებრაელთა მასებში" საბჭოთა პროლეტარული კულტურის დამკვიდრებისაკენ.

12. **ქეთევან კაკიტელაშვილი. „რელიგიური და ნაციონალური იდენტობის ურთიერთმიმართების საკითხი ნაციონალიზმის ეპოქის საქართველოში: ქართველ ებრაელთა და ქართველ მუსლიმთა მაგალითები". საქართველოს ეროვნული აკადემიის წ.კ. გურამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურულ-საისტორიო ძიებანი". თეზისები. თბილისი, 2023, გვ. 37-38.**

13. **ქეთევან კაკიტელაშვილი. „კოლექტიური ტრავმის კონსტრუირების კულტურული მექანიზმები საქართველოში 1980-1990-იანი წლების სტიქიური უბედურებების მაგალითზე". თსუ 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია. თეზისები. თბილისი, 2023. გვ. 36-38.**

14. **ივანე წერეთელი. „ერთი შემოქმედის ავტობიოგრაფია, როგორც კოლექტიური ტრავმის ნარატივი: ლანა ღოღობერიძე". ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 147-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი, 27-28 აპრილი, 2023**

*მოხსენების ანოტაცია*

წარსულის გააზრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნარატივი იქმნება მემუარულ ტექსტებში, რადგან მოვლენის უშუალო შემსწრე, რომელსაც სურს საკუთარი თვაგადასავლის თხრობა, გააზრებულად თუ გაუაზრებლად მომხდარი ამბის გაანალიზებას და ინტერპრეტირებას გვთავაზობს. ასეთ ტექსტებს სამეცნიერო ლიტერატურაში ცხოვრების თხრობას (life writing) უწოდებენ. იგი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მხოლოდ (ავტო)ბიოგრაფია. ცხოვრების მთხრობელ ტექსტს აქვს პრეტენზია, გადმოსცეს არა მხოლოდ ამბავი, არამედ გააანალიზოს ის პროცეს(ებ)ი, რომელმაც განაპირობა პიროვნების იდენტობის კონკრეტული ფორმით ჩამოყალიბება. ეს არის ანალიზი არა მხოლოდ იმისა, თუ როგორ, არამედ იმისაც, თუ რატომ შეიქმნა ის პარადიგმა თუ პლატფორმა, საიდანაც ტექსტის წერის დროს ავტორი აღიქვამს სამყაროს. „სიცოცხლე არ არის ის, რაც იცხოვრე, არამედ ის, რაც გახსენდება და როგორც გახსენდება“ (ღოღობერიძე, 2019: 9) საკუთარ მემუარებში გამოთქმული რეჟისორ ლანა ღოღობერძის ეს სიტყვები, ჟანრის ერთგვარ განსაზღვრებადაც შეიძლება გამოდგეს.

15. **ივანე წერეთელი. „ავტობიოგრაფია, როგორც კოლექტიური ტრავმის ნარატივი“. გურამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურულ-საისტორიო ძიებანი“. თბილისი, 9-11 ოქტომბერი, 2023**

*მოხსენების ანოტაცია*

ნაშრომის მიზანია ვნახოთ, როგორ არის გაანალიზებული, გააზრებული და ინტერპრეტირებული დამოუკიდებლობის შემდგომ შექმნილ მემუარულ ლიტერატურაში 1989 და 1991 წლის 9 აპრილი, თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება. 90-იანების შედეგად წარსულის გაცოცხლება იწყება მემუარებში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ლანა ღოღობერიძის მემუარი „რაც მაგონდება და როგორც მაგონდება“, რომელიც საბოლოო სახით 2019 წელს გამოიცა. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მიმართულების ჟანრს ცხოვრების თხრობას (life writing) უწოდებენ. იგი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მხოლოდ (ავტო)ბიოგრაფია. ცხოვრების მთხრობელ ტექსტს აქვს პრეტენზია, გადმოსცეს არა მხოლოდ ამბავი, არამედ გააანალიზოს ის პროცეს(ებ)ი, რომელმაც განაპირობა პიროვნების იდენტობის კონკრეტული ფორმით ჩამოყალიბება. ეს არის ანალიზი არა მხოლოდ იმისა, თუ როგორ, არამედ იმისაც, თუ რატომ შეიქმნა ის პარადიგმა თუ პლატფორმა, საიდანაც ტექსტის წერის დროს ავტორი აღიქვამს სამყაროს. „სიცოცხლე არ არის ის, რაც იცხოვრე, არამედ ის, რაც გახსენდება და როგორც გახსენდება“ საკუთარ მემუარებში გამოთქმული რეჟისორ ლანა ღოღობერძის ეს სიტყვები, ჟანრის ერთგვარ განსაზღვრებადაც შეიძლება გამოდგეს.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1.

2.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

**სხვა აქტივობები**

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

1. ნინო ჩიქოვანი. საზაფხულო სკოლა „ძეგლები, იდენტობა და მეხსიერების კონფლიქტები“. მოლდოვა, 30 ივლისი-6 აგვისტო. ორგანიზატორები - კონრად ადენაუერის ფონდი, ლაიპციგის უნივერსიტეტის მოლდოვას ინსტიტუტი, მოლდოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ნინო ჩიქოვანი - მიწვეული ლექტორი. ლექციები: 1) პოსტსაბჭოთა მეხსიერების კულტურა საქართველოში; 2) დებატები საბჭოთა სიმბოლოებისა და მათი ბედის შესახებ საქართველოში.
2. ნინო ჩიქოვანი. ახალგაზრდა მეცნიერთა V საერთაშორისო ინტერდისციპლინური სიმპოზიუმის სამეცნიერო კომიტეტის წევრი.
ქეთევან კაკიტელაშვილი, ირაკლი ჩხაიძე, ივანე წერეთელი, მაია ქვრივიშვილი. ახალგაზრდა მეცნიერთა V საერთაშორისო ინტერდისციპლინური სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები.
3. ირაკლი ჩხაიძე. ევროკავშირის მობილობის გრანტი ქართველი მკვლევრებისთვის. პროექტის სახელწოდება: „ორ სამყაროს შორის: ეროვნული პოპულიზმი და დასავლეთი პოსტრევოლუციურ საქართველოში.“ ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, ბუდაპეშტი, 2023.
4. ქეთევან კაკიტელაშვილი. მოკლე ინტენსიური კურსი: „საქართველო 1990-იან წლებში: ტრავმისა და გამარჯვების მეხსიერება“. ბოლონიის უნივერსიტეტი, ისტორიისა და კულტურების დეპარტამენტი, 3-16 ნოემბერი, 2023.
5. ივანე წერეთელი. ზამთრის სკოლა „ომის განხილვა ისტორიის გაკვეთილებზე.“ გერმანია, 9-16 დეკემბერი. ორგანიზატორი - ლაიპციგის უნივერსიტეტის მოლდოვას ინსტიტუტი. მოხსენება: „კოლექტიური მეხსიერების ტრანსფორმაცია 21-ე საუკუნის საქართველოში: რუსეთ-საქართველოს ომი რეპრეზენტაცია სკოლის სახელმძღვანელოებში“.
6. ნინო ჩიქოვანი, ირაკლი ჩხაიძე, ქეთევან კაკიტელაშვილი, ივანე წერეთელი. ახალგაზრდა მეცნიერთა V საერთაშორისო ინტერდისციპლინური სიმპოზიუმის ორგანიზატორები და სამეცნიერო კომიტეტის წევრები.

**ყურადღება!**
*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**
*** ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.**
*** ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.**
*** ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.**
*** ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა~.**

# მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2
(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება**
**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით**

**ინსტიტუტის ხელმძღვანელი – პროფ. თეიმურაზ პაპასქირი**

**ინსტიტუტის შემადგენლობა**

**ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრა**

1. პროფ. ლევან გორდეზიანი (კათედრის ხელმძღვანელი)
2. ასოც. პროფ. მარიკა მშვილდაძე

**შუა საუკუნეების ისტორიის კათედრა**

3. პროფ. მურმან პაპაშვილი (კათედრის ხელმძღვანელი)
4. ასოც. პროფ. თეა წითლანაძე
5. ასოც. პროფ. თეა ქარჩავა

**ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა**

6. პროფ. თეიმურაზ პაპასქირი (კათედრის ხელმძღვანელი)
7. ასოც. პროფ. მერაბ კალანდაძე
8. ასოც. პროფ. ლეილა (ია) ხუბაშვილი
9. ასოც. პროფ. ფატიმა შეყლაშვილი
10. ასისტენტ-პროფ. ზაალ გოგენია
11. ასისტენტ-პროფ. თამარ ანთაძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. ენციკლოპედია ანტიკური კავკასია – საპატრიარქოს ქართველოლოგიური კვლევების ცენტრის დაფინანსებით.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. პროფ. ლევან გორდეზიანი (მკვლევარი)
2.
*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1. ინდივიდუალურ ანგარიშში ანოტაცია მოცემული არ იყო.
2.

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
*დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. ანტიკური წყაროები (I-V სს.) კავკასიის შესახებ. სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ფუნდამენტური კვლევების გრანტი (04.2022-04.2025)
2. „ვატიკანის Propaganda Fide-ს საისტორიო არქივში დაცული ქართული და საქართველოსთან დაკავშირებული წყაროების სამეცნიერი კვლევა", HE-22-2353; 2023-2025 წლები.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. პროფ. ლევან გორდეზიანი (ხელმძღვანელი)
2. პროფ. მურმან პაპაშვილი (ძირითადი შემსრულებელი)

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1. ინდივიდუალურ ანგარიშში ანოტაცია მოცემული არ იყო.

2. 2023 წელს (ივნისში) ვატიკანის არქივებში მოძიებული მასალებიდან (ტ. I, 2, 3, 5) გაშიფრული და კომენტირებული იქნა 147 ხელნაწერი გვერდი. აქედან ქართულ ენაზე ითარგმნა გაშიფრული ტექსტის 118 ხელნაწერი გვერდი. გამოსაცემად მომზადდა წყარო- ვატიკანის Propaganda Fide-ს არივში დაცული ორენოვანი ისტორიული ნარკვევი - „საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში ქრისტიანული რელიგიის შესახებ" (100 გვერდი), რომელმაც შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2023 წლის კონკურსში დაიმარჯვა. წარმოდგენილი წყარო ასახავს უძველესი დროიდან 1818 წლის ჩათვლით საქართველოსა და მის გარემომდებარე მხარეებში ქრისტიანობის მიერ გავლილი გზის ისტორიას, თუმცა ინფორმატიულობით უფრო საქართველოში კათოლიკობის გავრცელებაზე, კათოლიკე მისიონერთა წვლილზე, მათ საეკლესიო და სამონასტრო ცხოვრებაზე და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზეა ორიენტირებული.

წყარო დღემდე უცნობ მრავალ ისტორიულ ფაქტს შეიცავს. კერძოდ, თუ როგორ გადააქციეს რუსმა მოხელეებმა თბილისის კათოლიკური ეკლესია მარცვლეულის საწყობად; რომ გორსა და თბილისში არსებობდა კათოლიკეთა მონასტრები, სადაც მიმდინარეობდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა; როგორ გადაეცა გეგუთი კათოლიკეებს თავისი 20 მოსახლით; სრულიად უცნობი იყო, კაპუცინთა მისიონერის ჯიროლამო ნორჩას მიერ შედგენილ იტალიურ-ქართულ გრამატიკაზე, რომელიც გორის მონასტერში ინახებოდა და წყაროს ავტორს თავად უნახავს. საგულისხმო ახალ ფაქტს შეიცავს ანტონ კათალიკოსის მიერ, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, კათოლიკეებისადმი პატრიარქის დადებითი განწყობა-დამოკიდებულების შენარჩუნების ავტორისეული ახსნა. წყარო მეტად მნიშვნელოვან ფაქტებს შეიცავს ქართულ-ევროპული იდენტობის მახასიათებლების წარმოსადგენად.

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

***დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***
1.
2.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები
3.1. გარდამავალი პროექტი
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.
*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

3.2. დასრულებული პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. მერაბ კალანდაძე. XX-XXI საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული ორიენტირების ევოლუცია. თბილისი, 2023. 370 გვ.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**1. მერაბ კალანდაძე. XX-XXI საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული ორიენტირების ევოლუცია**

წიგნი ეხება ამ ეპოქის ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული ღირებულებების ევოლუციას. ხაზ გასმულია, რომ XX საუკუნის დასაწყისში, ქართულმა ისტორიოგრაფიამ მიაღწია ევროპულ დონეს. ის სავსებით შეესატყვისებოდა პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს. ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება ვფიქრობთ ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ყურადღებას იპყრობს 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. ეს სახელმძღვანელოები სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდისისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში. ვფიქრობ თავდაპირველად ქართული ისტორიოგრაფია აღნიშნული საკითხის შესწავლის დროს სწორი გზით მიდიოდა. ალბათ ეს გზა გაგრძელდებოდა, რომ არა პოლიტიკური კატაკლიზმები. ვითარება იცვლება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. აღნიშნული საკითხის შესწავლამ მეცნიერული ხასიათი შეინარჩუნა, მაგრამ მან ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთი ვიწრო დოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. ამან განაპირობა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გაუფერულება. პოსტ საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფია ცდილობს განთავისუფლდეს ერთი ვიწროდ გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან. ეს ცხადია ძალიან კარგია მაგრამ საკმარისი არ უნდა იყვეს. მარქსისზმისაგან განთავისდუფლებული ისტორია აღმოჩნდა პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის გავლენის ქვეშ. ამიტომ პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ბარიერის დაძლევას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. სასურველია დიდი ყურადღება მიექცეს მეთოდოლოგიის საკითხების დამუშავებას.
2.

5.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. ლევან გორდეზიანი. წინასიტყვაობა. წიგნში: ზურაბ ბარათაშვილი, გარდამავლობა, ვალენტობა და ზმნის აქტანტური სტრუქტურები შუმერულ ენაში. თბილისი: ნეკერი, 2022, გვ. 11-12.
2. ლევან გორდეზიანი. რუკები კომენტარებითურთ (3, 5). ენციკლოპედია ანტიკური კავკასია, ტ. 5. თბილისი: ლოგოსი, 2023, გვ. 11, 13, 35-36.
3. მარიკა მშვილდაძე. ღვთაება ნემესისის კულტი გვიან ანტიკური პერიოდის ქართლში, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკთხები XXXVII, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2023, გვ. 60-67. 8 გვერდი. ISSN 1512-0694
4. მარიკა მშვილდაძე, გლიპტიკური ძეგლები როგორც უმნიშვნელოვანესი ისტორიული წყარო, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“, ბათუმი, 21-22

ოქტომბერი, 2023 წელი, მასალები, ბათუმი, 2023. გვ.130-138,537. 10 გვერდი. გამომცემლობა „უნივერსალი, ISBN 978-9941-9519-4-7.

5. მურმან პაპაშვილი. Georgia and the anticipation of the Crusade (20s of the XVIIth Century). გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო, სამეცნიერო რეფერირებადი ელექტრონული ჟურნალი- „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“. № X (2023), გვ. 194-203; ჟურნალი ინდექსირებულია ERIH PLUS-ის ბაზაში (Impact Factor 0.723, 2019-2020, Online ISSN: 2449-285X); ჟურნალის საიტი: http://sciencejournals.ge/index.php/HAE.

6. მურმან პაპაშვილი. The unknown Latin source on the practice of Indulgence of the deceased in Georgia. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო, სამეცნიერო რეფერირებადი ელექტრონული ჟურნალი-„ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“, № IX (2023), გვ. 1-10; ჟურნალი ინდექსირებულია ERIH PLUS-ის ბაზაში (Impact Factor 0.723, 2019-2020, Online ISSN: 2449-285X); ჟურნალის საიტი: http://sciencejournals.ge/index.php/HAE.

7. მურმან პაპაშვილი. თეატინელი მისიონერის აქამდე უცნობი ერთი ინფორმაციის ანალიზი. „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“, 5. მე-5 საერთაშორისო სიმპოზიუმი (7-8 ივნისი, 2022). მასალები, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ISBN 978-9941-8-5413-2, თბილისი, 2023, გვ. 175-184.

8. მურმან პაპაშვილი. კრისტოფორო კასტელისა და კათალიკოს-პატრიარქ მაქსიმე I-ის ერთი საღვთისმეტყველო დიალოგის ანალიზი. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული №22, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ISSN 1512-4657, გორი, 2023, გვ. 41-48.

9. თეა წითლანაძე, თეა ქარჩავა. ბურგუნდიის ჰერცოგები – XV საუკუნის ჯვაროსნული ლაშქრობის პროტაგონისტები და ქართველ მეფე-მთავართა პოზიცია. ელექტრონული ბილინგვური ჟურნალი „სპეკალი“ (ჟურნალი ინდექსირებულია ERIH PLUS-ის ბაზაში). DOI: 10.55804/jtsuSPEKALI-17-1.

10. მერაბ კალანდაძე. დიმიტრი უზნაძე ხუთ კარგ იმპერატორზე, კულტურის ისტორიის და თეორიის საკითხები XXXVI, თბ.2023.

11. მერაბ კალანდაძე. დიმიტრი უზნაძე კარდინალ რიშელიეზე. მაცნე ისტორიის სერია №1, 2023, გვ. 163-182.

12. მერაბ კალანდაძე. სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, №27, 2023, გვ.250-270.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**1. ლევან გორდეზიანი. წინასიტყვაობა. წიგნში: ზურაბ ბარათაშვილი, გარდამავლობა, ვალენტობა და ზმნის აქტანტური სტრუქტურები შუმერულ ენაში**

ინდივიდუალურ ანგარიშში ანოტაცია მოცემული არ იყო.

**2. ლევან გორდეზიანი. რუკები კომენტარებითურთ (3, 5). ენციკლოპედია ანტიკური კავკასია, ტ. 5.**

ინდივიდუალურ ანგარიშში ანოტაცია მოცემული არ იყო.

**3. მარიკა მშვილდაძე. ღვთაება ნემესისის კულტი გვიან ანტიკური პერიოდის ქართლში**

ნემესისი ერთ-ერთი უძველესი და პატივდებული - ბედის განმასახიერებელი ღვთაება იყო ძველ საბერძნეთში. იგი სამართლიანი შურისძიების ქალღმერთად გვევლინება. მის მოვალეობას დანაშაულისათვის დასჯა (სიკვდილი), მოკვდავთა შორის სიკეთის თანაბრად გადანაწილება... წარმოადგენდა. ძველ რომში ღვთაება წარმოადგენდა ერთგვარ „იმპერიის ფორტუნას“, რომელიც ერთის მხრივ, იმპერიის შურისძიებას, ხოლო მეორეს მხრივ, იმპერიის მიერ სუბსიდირებულ საჩუქრებს არიგებდა.

გვიან ანტიკურ ხანაში ნემესისის კულტი საქართველოს ტერიტორიაზე ქართლის (იბერია) სამეფოში - დიდი მცხეთის, ურბნისისა და ჟინვალის ტერიტორიაზე ფიქსირდება. კერძოდ, აქ აღმოჩენილ გემა-ინტალიოებზე, რომლებიც ძირითადად საშუალო ფენის მოსახლეობისთვის იყო განკუთვნილი. აღმოჩენილი შვიდი ინტალიოდან სამი რკინის, ერთი ბრინჯაოს, ორი ვერცხლის, ხოლო ერთი ოქროს ბეჭედშია ჩასმული. ინტალიოები მასობრივი პროდუქციის ნიმუშებს წარმოადგენს, რომლებიც არ განსხვავდება გვიან ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი მასობრივი პროდუქციის ნიმუშებისგან. ბეჭდები და ინტალიოები ახ.წ. I-III სს-ით თარიღდება. მხოლოდ ერთი ოქროს ბეჭედი ჩასმული ინტალიო თარიღდება III-IV სს-ით.

ნემესისის გამოსახულებიანი ინტალიოების კვლევის შედეგად დგინდება, რომ ქართლის სამეფოში გავრცელებულია ანტიკური წარმართული პანთეონი. აშკარაა, რომ ქართლი ანტიკური ოიკუმენის ნაწილია, რაც ასახულია კიდეც ჭრილა ქვებზე. ღვთაება ნემესისის გამოსახულებიანი ბეჭდები შემოდის სწორედ იმ დროს. რომელ პერიოდშიც რომის იმპერიაშია პოპულარული ეს ღვთაება I-III სს.

## 4. მარიკა მშვილდაძე, გლიპტიკური ძეგლები როგორც უმნიშვნელოვანესი ისტორიული წყარო

საბეჭდავი ბეჭდები მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის მისი მფლობელის ვინაობაზე, სოციალურ სტატუსზე, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე, საქმიანობაზე. პორტრეტული გემები კი მფლობელის გარეგნულ იერსახეზეც... მნიშვნელოვანი დატვირთვა ეძლევა სახელმწიფო ინსიტუტებთან დაკავშირებული ჭრილა ქვების შესწავლას და მათზე არსებული სახელმწიფო მოხელეების ისტორიულ კონტექსტში განხილვას. ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გემები პიტიახშის ინსტიტუტის არსებობის დამადასტურებელი წარწერებით და ისტორიული პიროვნებების გამოსახულებით, რომლებიც საშუალებას გვაძლევს პორტრეტული სიზუსტით დავადგინოთ ქართლის პიტიახშების იკონოგრაფიული სახე.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ გლიპტიკის ნიმუშებს შორის ასეთი ორი გემაა: 1. 1940 წელს არმაზისხევის №1 აკლდამაში _ ასპავრუკ ერისთავის სამარხი, აღმოჩენილი ოვალური ფორმის სარდიონის ინტალიო ოქროს ბეჭედში. ინტალიოს პირზე გამოსახულია ასპავრუკ პიტიახშის პორტრეტი მკერდამდე პროფილში მარჯვნივ (ინვ. №837, ახ.წ. II ს-ის ბოლო) ნეგატიური წარწერით **ACΠAYPOYKIC ΠITIAΞHC - Ἀσπαυρούκις πιτιάξης`** _ „ასპავრუკ პიტიახში და 2. საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის მონეტების, მედლებისა და სიძველეთა დეპარტამენტში დაცული საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ოვალური ფორმის სამფეროვანი სარდონიქსის პორტრეტული გემა (მამაკაცის პორტრეტი პროფილში) ბერძნული წარწერით **OYCAC ΠITIAΞHC IBHPΩN KAPXHΔΩN** – „უშა პიტიახში კარქედ იბერთა“ (ინვ. №58, ახ.წ. III-IV სს.). აღნიშნული თვალსაზრისით, ჩვენთვის საინტერესოა, აგრეთვე, ასპავრუკ ერისთავის №1 აკლდამაში აღმოჩენილი კიდევ ერთი ინტალიო ოვალური ფორმის მუქი ფერის პიროპისა (გრანატი), რომელიც ქვებით მოოჭვილ ოქროს ბალთას ამკობს. პირზე გამოსახულია ქალისა და წვერიანი მამაკაცის ბიუსტები ერთმანეთის პირისპირ პროფილში (ინვ. №834, ახ.წ. II ს.). ქალის პორტრეტის გასწვრივ ამოჭრილია წარწერა **ZEUACHC ZOH MOU KARPAK** _ „ზევახეს ჩემი სიცოცხლე, კარპაკი“.

წარწერაში ნაწილი _ ქალის სახელი _ ნეგატიურადაა ამოკვეთილი, ნაწილი _ შერეულად. ნივთი კარპაკის საზეჭდავი უნდა იყოს (მისი სახელია ნეგატიურად ამოკვეთილი). გაზატონებული თვალსაზრისით, კარპაკი და ზევახი მეუღლეები და ასპავრუკ ერისთავის მშობლები იყვნენ. Nდა თუ მართლაც ასეა, რაზეც თუნდაც ის ფაქტი მიუთითებს, რომ ქამრის ბალთა კარპაკისა და ზევახის გამოსახულებიანი ინტალიოთი ასპავრუკის სამარხშია დაფიქსირებული, რასაც ემატება პიტიახშთა ინსტიტუტის შთამომავლობითი ხასიათი... მიუხედავად იმისა, რომ ინტალიო ზევახის პრადი საზეჭდავი არ არის, აღნიშნული ინტალიოს მეშვეობით ჩვენთვის ცნობილი ხდება ქართლის კიდევ ერთი პიტიახშის იკონოგრაფიული სახე. ნიშანდობლივია, რომ სამივე გემა იბერიის ქვის მჭრელთა სკოლის ნახელაად არის მიჩნეული.

### 5. მურმან პაპაშვილი. Georgia and the anticipation of the Crusade (20s of the XVIIth Century)

ნაშრომში ერთი საარქივო მასალის (ვატიკანის არქივიდან) საფუძველზე შესწავლილია, თუ როგორ შემოინახა ქართულმა ისტორიულმა მახსოვრობამ დასავლეთის ქრისტიანებისაგან აღმოსავლელ ქრისტიანთა ხსნის ჯვაროსნული მოლოდინი. ჩვენს ხელთ არსებული იტალიურენოვანი წყარო, ეკუთვნის იტალიელ დომინიკელ მისიონერს პაოლო მარია ჩიტადინი და ფაენცას, რომელიც 1616 წლის ივნის-ივლისში იმყოფებოდა კახეთის სამეფოში. მისი მიზანი იყო საქართველოში კათოლიკე მისიონერთა საქმიანობის დაწყების პერსპექტივის შესწავლა. ის ძირითადად ქართველ სასულიერო წრეში ტრიალებდა და თავისი დაკვირვებები დააფიქსირა ვრცელ რელაციაში, რომელიც 1621 წელს რომში ბროშურის სახით გამოიცა. ავტორმა ნანახი და გაგონილი ძირითადად ქართულ-ლათინური იდენტობის კონტექსტში წარმოადგინა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მან ქართული სინამდვილე ევროპული ცივილიზაციის ნაწილად აღიქვა, ხოლო ქართული ეკლესია პოსტ-ტრიდენტული ორთოდოქსულობის შესაბამისად მიიჩნია. პაოლო მარია ჩიტადინის მიერ მოტანილი მოკლე ცნობის, რომელიც რელიეფურად ასახავს საქართველოში არსებული ჯვაროსნული ლაშქრობის მოლოდინს, ანალიზი იძლევა საფუძველს დავასკვნათ: ქართული მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენდა იმ ძალას, რომელმაც ჯვაროსნული ლაშქრობის განმათავისუფლებელი იდეა მტკიცედ შეინახა, ხოლო ხალხში იგი ლექსად და სიმღერად იქცა. განთავისუფლების ეს იდეა კი დასავლეთის კათოლიკური ქრისტიანობის სულიერ წინამძღოლობას დაუკავშირდა რომის პაპის მეთაურობით. ეს იმედი ქართულ ისტორიულ მახსოვრობაში საუკუნეების მანძილზე მეორდებოდა და, ირკვევა, იგი XVII საუკუნის 20-იან წლებამდეც ცოცხლობდა. შაჰ აბას I-ის გამანადგურებელი შემოსევების პირისპირ დარჩენილი ქართული სამღვდელოება ირანის იმპერიაში დამკვიდრებულ კათოლიკე მამებს შემწე ძალად მიიჩნევდა ქრისტიანობის გადაჩენის საქმეში. ქართველ სასულიერო პირებს კარგად ესმოდათ, რომ საქართველოში კათოლიკე მისიონერების დაფუძნებით ისინი კავშირს შეძლებდნენ რომის პაპთან და მისი მეშვეობით ევროპელ მესვეურებთან. ამას კი შეეძლო გავლენა მოეხდინა საქართველოსთან ირანისა და ოსმალეთის ურთიერთობაზე.

### 6. მურმან პაპაშვილი. The unknown Latin source on the practice of Indulgence of the deceased in Georgia

სტატიაში დღემდე უცნობი ლათინურენოვანი წყაროს საფუძველზე შესწავლილია მართლმადიდებლური ინდულგენციის კონტექსტში მიცვალებულისათვის დაკრძალვის წინ ცოდვების მიტევების სიგელის ხელში ჩადების პრაქტიკის არსებობა საქართველოში. ეს საკითხი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე შეუსწავლელია. ჩვენს ხელთ არსებული ლათინურენოვანი წყარო ნათლად ადასტურებს საქართველოში, კერძოდ სამეგრელოს სამთავროში, XVII საუკუნის 60-იან წლებში მიცვალებულთა ინდულგენციის,

ანუ ბერძნულად „სინხოროხარტია"-ს („συγχαροχαρτια") არსებობას, რაც ლათინური „ინდულგენციის" ექვივალენტია. დასახელებული წყაროს ავტორს, თეატინელ მისიონერს დონ ჯუზეპე ძამპის, რომელიც სამეგრელოს სამთავროში მოღვაწეობდა 1652-1679 წლებში მოაქვს მიცვალებულთათვის ცოდვის მიტევების ლოცვის მოკლე ტექსტი, რომლის ანალიზი იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ საქართველოში მიცვალებულს კრძალავდნენ აღმოსავლურ-მართლმადიდებლური ინდულგენციით ხელში, რაც სინამდვილეში კათოლიკური ანალოგიით წარმოადგენდა ცოდვების მიტევების ინდულგენციას. ამ უკანასკნელს შეძლებულები სიცოცხლეში ყიდულობდნენ. მას მიცვალებულს, ან მომაკვდავს ხელში ჩაუდებდნენ და ისე კრძალავდნენ. სიგელში, ანუ წყაროს ენით „ბარათში", ეპისკოპოსი ადასტურებდა, რომ მისი მფლობელი მუდამ ცხოვრობდა ქრისტიანული ცხოვრებით, იცავდა დიდმარხვას, ამზობდა აღსარებას და სანიმუშოდ იქცეოდა. ეს სიგელი მიცვალებულს მაგრად ეჭირა ხელში და იგი მისი სამოთხეში მოხვედრის ბარათს წარმოადგენდა. სამეგრელოს სამთავროში ეპისკოპოსებს „ცოდვათა მიტევების" სიგელისათვის, ანუ ინდულგენციისათვის დიდძალ თანხას უხდიდნენ, რაც სასულიერო პირთა გამდიდრების საშუალებას წარმოადგენდა. თუმცა რამდენად იყო იგი ფართოდ გავრცელებული სრულიად საქართველოში ამას თქმა ძნელია. მოტანილი წყაროს თანახმად დაბალი სოციალური წრისათვის იგი ხელმიუწვდომელი უნდა ყოფილიყო, რადგან საუბარია, რომ მას მხოლოდ შეძლებულები იძენდნენ. ბერძნული ეკლესიის მიერ მართლმადიდებლური ინდულგენციის შემოღებისა და პრაქტიკის (XV-XVI სს.) კონტექსტის ანალიზი გვარწმუნებს, რომ დაკრძალვის წინ ცოდვების მიტევების ლოცვის ტექსტის, ანუ ინდულგენციის პრაქტიკა საქართველოში შემოვიდა XVII ს-ის 60-იან წლებში იერუსალიმის საპატრიარქოდან.

**7. მურმან პაპაშვილი. თეატინელი მისიონერის აქამდე უცნობი ერთი ინფორმაციის ანალიზი**

სტატიაში 1662 წლის 19 სექტემბრის ერთი ვრცელი ხელმოუწერელი რელაცის საფუძველზე, რომელიც დღემდე უცნობი იყო მკვლევართათვის და, ჩვენი ვარაუდით, ეკუთვნის სამეგრელოს სამთავროში თეატინელთა მისიონის პრეფექტს დონ ჯუზეპე ძამპის, გაანალიზებულია თეატინელი მისიონერების მოღვაწეობის შედეგად, თუ როგორ შეწყვიტა ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა და, მისი მიბაძვით, ბევრმა ეკლესიაში ზვარაკის დაკვლა ანუ მსხვერპლშეწირვა. რელაციის ავტორს ძალზე საინტერესოდ აქვს ახსნილი, თუ რატომ მისდევდნენ ამ ჩვეულებას ოდიშის სამთავროში. ირკვევა, დონ ჯუზეპე ძამპი ბევრს ეცადა ამ წესზე ხელი აეღებებინა სამთავროს მაცხოვრებლებისათვის. გარკვეულ შედეგსაც მიაღწია, მაგრამ ამის აღმოფრხვა მეტად საძნელო საქმედ მიაჩნდა. ამის მიზეზად ასახელებდა შემდეგს: პირველი, შეწირული ზვარაკების ღარიბებისათვის დარიგება და ამით მათი დაპურება მთავარს ღირსეულ საქმედ მიაჩნდა; მეორე, სამეგრელოს სამთავროში მიცვალებულების ხსოვნის განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ, რაც გამოიხატებოდა წლობით მარხვის დაცვაში. მართალია, ძამპი ამ წესს არ იწონებს, მას ცდომილებად მიიჩნევს, მაგრამ მის მიმართ რბილ პოზიციას იკავებს. უფრო მეტიც; ამ აზრს ანეიტრალებს იმით, რომ დაასკვნის:"ამასთან ერთად მათ აქვთ კარგი წეს-ჩვეულებებიც, თუმც უფრო უკეთესი, ვიდრე დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში". ეს მას მიაჩნდა იმის საფუძვლად, რომ სამთავროში ადვილად მიიღებდნენ კათოლიკური ეკლესიის კულტს, თუ რომიდან გამოაგზავნიდნენ განათლებულ მისიონერებს. მართალია, ეს მოვლენის მარტივი წარმოდგენაა, მაგრამ საგულისხმოა კათოლიკობისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების წარმოსაჩენად.

**8. მურმან პაპაშვილი. კრისტოფორო კასტელისა და კათალიკოს-პატრიარქ მაქსიმე I-ის ერთი საღვთისმეტყველო დიალოგის ანალიზი**

სტატიაში გაანალიზებულია ერთი საღვთისმეტყველო დიალოგი, რომელიც ჩვენი ვარაუდით გაიმართა 1653 წელს სამეგრელოს სამთავროში მოღვაწე კათოლიკე მისიონერ დონ კრისტოფორო კასტელსა და დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მაქსიმე I მაჭუტაძეს შორის. ამ ორ პიროვნებას ერთმანეთთან დიდი სიახლოვე და ურთიერთპატივისცემა აკავშირებდა. მოსაუბრეებს შორის დიალოგის საკითხი განსაზღვრული არ ყოფილა, მაგრამ ირკვევა, რომ კასტელიმ იმ საკითხებზე დააპირა მსჯელობა, რაზეც შეიძლება ადრევე უნდოდა საუბარი, მაგრამ ახლა, იტალიაში გამგზავრების წინ, საბოლოოდ გამოთხოვების ჟამს, საჭიროდ ჩათვალა პატრიარქისათვის გულახდილად გაეზიარებინა. იგი ეხებოდა პატრიარქის სამწყსო მოვალეობისადმი მეტი ყურადღების გამოჩენის, სამღვდელო ღირსებისა და საეკლესიო წესების დაცვის, ადგილობრივი საეკლესიო კრების მოწვევის საჭიროების, სასულიერო პირთა განათლების დონის ამაღლების, ეპისკოპოსების მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის გაწევის აუცილებლობის, სამთავროებს შორის ომის აკრძალვაში სასულიერო პირების უპირველესი მოვალეობის საკითხებს. დიალოგის ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ კათოლიკოს პატრიარქისათვის რიგი კათოლიკური თვალსაზრისი მისაღები აღმოჩნდა, რადგან მასში, ჩვენი ვარაუდით პატრიარქი თავისი ძალაუფლების ზრდის წყაროს ხედავდა. კასტელიმ პატრიარქი დაარწმუნა მართლმადიდებელი საეკლესიო წესების დაკნინებაში და სწორედ ამის მიმღებლობა გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ სწორედ ამიტომ არ მოჰყვა ამ დიალოგს მასპინძელის პროტესტი.

**9. თეა წითლანაძე, თეა ქარჩავა. ბურგუნდიის ჰერცოგები – XV საუკუნის ჯვაროსნული ლაშქრობის პროტაგონისტები და ქართველ მეფე-მთავართა პოზიცია**

XV საუკუნეში ოსმალების ექსპანსიონისტური პოლიტიკის შედეგი იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ევროპელები, ტრადიციულად, ჯვაროსნულ გეგმებში ყველა პოტენციურ მოკავშირეს, მათ შორის, ქართველ მეფეებსაც განიხილავდნენ. ჩვენი მიზანია, სტატიაში, ერთი მხრივ, ევროპული წყაროებისა და ადგილობრივი მასალის შეჯერების საფუძველზე, გამოიკვეთოს, რა პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ფაქტორებით ხასიათდებოდა ქართული სახელმწიფოების მესვეურთა პოზიცია-ჩართულობა ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საერთაშორისო საკითხში; მეორე მხრივ კი, XV საუკუნის წყაროთა (სავაჭრო აგენტების, მოგზაურების, რელიგიური მისიების წარმომადგენელთა და მზვერავთა ცნობები და სხვ.) კომპლექსურმა დამუშავებამ, რომელთა ნაწილი ჯერ კიდევ ნაკლებადაა სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანილი, აჩვენოს ამ პერიოდის შავიზღვისპირეთსა და საქართველოში არსებული ვითარება – როგორი იყო განვითარების პერსპექტივები და როგორი იყო აღქმები – პაპის კურიის გარდა, საერო ხელისუფალთაგან ვინ და რატომ შეიძლებოდა ყოფილიყო მოკავშირე და მხარდამჭერი დასავლეთში; გამოიკვეთოს, რატომ მიგვაჩნია ბურგუნდიის ჰერცოგთა კარი თანმიმდევრული ჯვაროსნული ლაშქრობის იდეისადმი და რაში გამოიხატა ეს. საკვლევი საკითხის რელევანტურობა განპირობებულია ისტორიული წინაპირობების ცოდნის აუცილებლობით, რაც დღევანდელობის დინამიკას დასავლური ინტეგრაციის მიმართულებით უფრო გასაგებს ხდის.

**10. მერაბ კალანდაძე. დიმიტრი უზნაძე ხუთ კარგ იმპერატორზე**

ნაშრომი ატარებს ისტორიოგრაფიულ ხასიათს და ეხება ანტიკურ ისტორიაში დიმიტრი უზნაძის მიერ შეტანილ წვლილს. აქ განხილულია დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება ხუთი კარგი იმპერატორის შესახებ. ეს საკითხი ისტორიოგრაფიაში შესწავლილი არ ყოფილა წინამდებარე ნაშრომი ამის პირველ მცდელობას წარმოადგენს. ჩვენ ვცადეთ

გაგვერკვია დიმიტრი უზნაძის შეხედულებების ძლიერი და სუსტი მხარეები და აგვეხსნა მისი გამომწვევი მიზეზები.

11. მერაბ კალანდაძე. დიმიტრი უზნაძე კარდინალ რიშელიეზე

საკითხი ეხება დიმიტრი უზნაძის წვლილს ისტორიულ მეცნიერებაში. რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ჩრდილში იყო მოქცეული. შევეცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. ამჯერად საქმე ეხება კარდინალ რიშელიესადმი დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულებას. რომელსაც ის ბუნებრივია ეხება თავისი ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში. მას გააჩნია ქართული კონტექსტი ეს სიახლეა და აღნიშნული საკითხის პირველ მცდელობად გვევლინება. ჩვენ ვცდილობთ გამოვავლინოთ დიმიტრი უზნანაძის სეხედულებების ძლიერი და სუსტი მხარეები და შეძლებისდაგვარად ავხსნათ მისი გამომწვევი მიზეზები.

12. მერაბ კალანდაძე. სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში

ჩვენ გვაინტერესებს სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესწავლის ტრადიცია საქართველოში ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. წინამდებარე ნაშრომი ეხება ამ პრობლემის ერთ მონაკვეთს. სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ კუთხით ეს საკითხი ისტორიოგრაფიაში შესწავლილი არ ყოფილა და ეს ამის პირველ მცდელობას წარმოადგენს. ნაშრომში ხაზგასმულია საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიის წვლილი სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის საქმეში. ხაზგასმულია მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და შეძლებისდაგვარად არის გამორკვეული ამის გამომწვევი მიზეზები. სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიისადმი საბჭოთა მიდგომა იყო ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული, რომლის მთავარი სულის ჩამდგმელი, რა თქმა უნდა იყო, პროლეტარიატის დიდი ბელადი სტალინი. ასე გვესახება ჩვენ სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის საქმეში საბჭოთა ისტორიოგრაფიის შუქჩრდილები. სადაც ჩრდილი დომინირებს შუქზე.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ფატიმა შეყლაშვილი. გერმანიის იმპერია 1871-1914. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2023 (320 გვ.).

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ფატიმა შეყლაშვილი. გერმანიის იმპერია 1871-1914

წიგნში განხილულია პერიოდი გერმანიის მეორე იმპერიის შექმნიდან პირველ მსოფლიო ომამდე.

პირველ თავში წარმოდგენილია XIX საუკუნის ის მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებმაც თავის მხრივ ხელი შეუწყვეს და მოამზადეს პირობები უაღრესად პროგრესული და მნიშვნელოვანი მოვლენის_გერმანიის ერთიანი სახელმწიფოს შექმნისთვის. განსაკუთრებული აქცენტი გადატანილია 60-იანი წლების პრუსიის პოლიტიკურ კრიზისზე, განხილულია გერმანული საზოგადოების სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი სერიოზული ცვლილებები, რომლებმაც ოტო ფონ ბისმარკის უშუალო ხელმძღვანელობით წარმოებულ პრუსიის წარმატებულ ომებთან ერთად (დანიის, ავსტრიისა და საფრანგეთის წინააღმდეგ) განაპირობეს გერმანიის ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის რთული და ხანგრძლივი პროცესის დაგვირგვინება 1871 წელს.

მეორე თავში განხილულია ბისმარკის ძალისხმევა საშინაო პოლიტიკაში ღრმა და მიზანმიმართული რეფორმების გასატარებლად, ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, "კულტურკამპფვი", გერმანიის იმპერიის პოლიტიკური პარტიების საქმიანობა, გერმანიის სამხედრო და სამრეწველო განვითარება, სოციალური რეფორმები, სასწავლო სისტემის მოდერნიზაცია, მიზანმიმართული საგარეო პოლიტიკა. განსაკუთრებული ყურადღება გადატანილია იმპერიის კოლონიური დაპყრობების პოლიტიკაზე გადასვლაზე, ასევე, გერმანიის სწრაფვაზე გავლენის სფეროების გაფართოებისკენ, დიდ კოლონიურ ხელისუფალთა შორის სათანადო ადგილის დასამკვიდრებლად. M

მესამე თავში განხილულია იმპერიის მიერ "მსოფლიო პოლიტიკის" (Weltpolitik) კურსის აღება, აქცენტები გერმანიის ჰეგემონობის გეგმებზე, ვილჰელმ II საშინაო პოლიტიკა, საწარმოების და ბანკების კონცენტრაციის დასაწყისი, მონოპოლისტური გაერთიანებების ჩამოყალიბება და შესაბამისად, მონოპოლისტური კაპიტალის შექმნა. კაიზერის საგარეო პოლიტიკის ე.წ. "ზიგზაგისებური კურსი".

მეოთხე თავში წარმოდგენილია კოლონიური პოლიტიკის ევოლუცია, გერმანიის ექსპანსიური პოლიტიკის გაფართოება მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში: აფრიკაში, შორეულ აღმოსავლეთში, ცენტრალურ აზიაში, ახლო აღმოსავლეთსა და ბალკანეთის ქვეყნებში. განხილულია ის მრავალრიცხოვანი მეთოდები, რომელთაც ეფექტურად იყენებდა იმპერიის ხელისუფლება ამ რეგიონების მდიდარი ეკონომიკური პოტენციალის

ათვისების, სამხედრო-პოლიტიკური საყრდენების შექმნის და თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით.
მეხუთე თავში გაანალიზებულია პირველი მსოფლიო ომის წინა წლების რთული საერთაშორისო ვითარება, მოწინააღმდეგე სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებს შორის მწვავე დაპირისპირებები, ლოკალური კონფლიქტები და კრიზისები, რომლებმაც თავის მხრივ, დააჩქარეს უდიდესი სამხედრო კონფლიქტის დაწყება, განსაკუთრებით კი ბოსნიის კრიზისმა და ბალკანეთის ომებმა. საერთაშორისო ვითარების ამ მწვავე ფონზე წარმოდგენილია გერმანიის იმპერიის ძალისხმევა მსოფლიო ჰეგემონობის გეგმების უზრუნველსაყოფად. მისი განსაკუთრებული ინტერესი ომის წინა გართულებული კონფლიქტების და კრიზისების მიმართ, რომელთა პროვოცირებასა და მიმდინარეობაში გერმანულმა დიპლომატიამ, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.
2.

6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. ლევან გორდეზიანი. Introduction from the Editor. In: Giorgi Melikishvili. History of Ancient Georgia, Prehistory and Early History, Nova Science Publishers, New York 2023, pp. xi-xiv.
2. ლევან გორდეზიანი. Könige und Hauptstädte in urartäischen Texten. M. Béranger, F. Nebiolo & N. Ziegler (éd.), Dieux, rois et capitales dans le Proche-Orient ancien. Compte rendu de la LXVe Rencontre Assyriologique Internationale (Paris, 8-12 juillet 2019), Publications de l'Institut du Proche-Orient ancien du Collège de France (PIPOAC) 5, Peeters, Leuven/Paris/Bristol, CT, 2023, pp. 563-573.
3. Marika Mshvildadze. Deity Nike-Victoria of the late Antique period on the territory of Georgia, „Pro Georgia“, Journal of Kartvelological Studies, Centre for East European Studies, Oriental Institute, University of Warsaw, t. 33, Printing: Duo Studio. Warsaw 2023, p. 99-106. 8 გვერდი. ISSN I1250-1604.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**1. ლევან გორდეზიანი. Introduction from the Editor, Giorgi Melikishvili, History of Ancient Georgia, Prehistory and Early History**

ინდივიდუალურ ანგარიშში ანოტაცია მოცემული არ იყო.

**2. ლევან გორდეზიანი. Könige und Hauptstädte in urartäischen Texten**

ინდივიდუალურ ანგარიშში ანოტაცია მოცემული არ იყო.

**3. მარიკა მშვილდაძე. ღვთაება ნიკე-ვიქტორია გვიანანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე**

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოები ანტიკური ოიკუმენის ნაწილს წარმოადგენდა. შესაბამისად, როგორც იბერიას, ისე კოლხეთს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები ჰქონდა რომის იმპერიასთან, საიდანაც საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება იმპერიაში პოპულარული ღვთაებები. რომელთა შორისაც განსაკუთრებული ადგილი ძველ გამარჯვების ღვთაება ნიკეს (ძვ.

ბერძნ. Νίκη) უკავია. სახელი ნიკე, როგორც ვრაუდობენ, ძველ ბერძნებამდე პერიოდს უკავშირდება. ბერძნულ მითოლოგიაში ნიკე ზევსისა (ბერძნ. Ζεύς) და ათენას (ბერძნ. Ἀθηνᾶ, Ἀθηναία) თანამგზავრად გვევლინება. რომაულ სინამდვილეში ნიკეს ვიქტორია (ლათ.Victoria) შეესაბამებოდა. პირველად იგი იტალიკური გამარჯვების მზოძებელი ღმერთის იუპიტერ ვიქტორის (ლათ. Iuppiter Victor) თანამგზავრი იყო. დროთა განმავლობაში, კი დამოუკიდებელ ღვთაებად იქცა. ვიქტორიას სახელზე ჯერ რომში იქნა აგებული ტაძარი, შემდეგ კი რომს დაქვემდებარებულ ქალაქებში. დამოუკიდებლად იგი პირველი პუნიკური ომის დროს გამოჩნდა. ღვთაების ტაძარი იდგა პალატინის მთაზე. ვიქტორიას იკონოგრაფიულ სახეში რომაელებმა ოდნავი ცვლილება შეიტანეს. სენატში მდგომი მისი ქანდაკება წარმოადგენდა ტახტრევანზე მჯდომ ქალს, პალმის რტოთი ხელში (სენატიდან აღნიშნული ქანდაკება 394 წელს აიღეს, რაც ქრისტიანობის გამარჯვებას მოასწავებდა). ღვთაება ხშირად გამოისახებოდა ხელოვნების ნიმუშებზე, მათ შორის გლიპტიკურ ძეგლებზე.

საქართველოს ტერიტორიაზე ნიკე-ვიქტორიასთან დაკავშირებული საკმაო არქეოლოგიური მასალაა აღმოჩენილი, რომლებიც ძირითადად ანტიკური პერიოდის ქართლის დედაქალაქსა და სავაჭრო-ეკონომიკური ქალაქების ტერიტორიაზე ფიქსირდება. ნაშრომში შესწავლილია ღვთაება ნიკესთან (ვიქტორია) დაკავშირებული საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა. ძირითადად გლიპტიკური ძეგლები. კვლევის შედეგად დგინდება, რომ ნიკეს კულტი ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ კულტს წარმოადგენდა ანტიკური იბერიის ტერიტორიაზე, რაც ანტიკურ სამყაროსთან ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული კავშირების შედეგად უნდა ჩაითვალოს. ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე ღვთაების კულტი დაფიქსირებულია დიდი მცხეთის, ურბნისის, ჟინვალის... ტერიტრიაზე. ნიშანდობლივია, რომ ელინისტური ხანიდან გავრცელებული რელიგიური სინკრეტიზმი ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილ გლიპტიკურ ძეგლებზეც აისახა. რის ნათელ დადასტურებასაც წარმოადგენს ათენა-ტიხე ფორტუნა--დემეტრა-ნიკეს, ნკე-ფორტუნა-ათენას გამოსახულებიანი გემების აღმოჩენა ქართლის ტერიტორიაზე.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნიკეს (ვიქტორია) გამოსახულებიანი საბეჭდავი ბეჭდები ქვეყნის მნიშვნელოვან ქალაქებში ფიქსირდება. კერძოდ, ქართლის დედაქალაქ მცხეთაში, იბერიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრში - ურბნისში, ჟინვალში - ქალაქი, რომელიც რომის მიერ ქართლის „მეგობარ“ სახელმწიფოდ აღიარების შემდეგ ქართლის მიერ კავკასიონზე გარდამავალი გზების ერთგვარ ჭიშკარს წარმოადგენდა. ყველა ჩვენ მიერ აღნიშნული ქალაქი: მცხთა, ურბნისი, ჟინვალი სავაჭრო გზაჯვარედინებზე მდებარეობდა. ქალაქებში დაწინაურებული იყო ვაჭრობა, ხელოსნობა...

საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული ღვთაება ნიკეს (ვიქტორია) გამოსახულებიანი ბეჭდები საზოგადოების ყველა ფენის კუთვნილებას წარმოადგენდა. გემები გვხვდება როგორც ცალკე, დამოუკიდებელი სახით, ისე ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ბეჭდებში ჩასმული. კვლევის შედეგად დგინდება, რომ ინტალიოები ძირითად მასობრივი პროდუქციის ნიმუშებს წარმოადგენს, რომლებიც არ განსხვავდება გვიან ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი მასობრივი პროდუქციის ნიმუშებისაგან. ბეჭდები და ინტალიოები ახ.წ. I-IV საუკუნეებით თარიღდება. ნიკეს (ვიქტორია) გამოსახულებიანი ინტალიოების კვლევის შედეგად დგინდება, რომ ქართლის (იბერია) სამეფოში გავრცელებულია ანტიკური წარმართული პანთეონი, რაც პოლიტიკური ორიენტაციის მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს. აშკარაა, რომ ქართლი ანტიკური ოიკუმენის ნაწილია, რაც ასახულია კიდეც ჭრილა ქვებზე - ჩვენში ფართოდ არის გავრცელებული ანტიკური ღვთაებების გამოსახულებებიანი საბეჭდავები.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **L. Gordeziani**, I. Tatišvili. Sur les traces de la Toison d'or. International Conference Perception of Caucasus in Myths and Literature from Antiquity till Contemporaneity (Tbilisi 20-22.09.2023).

2. R. Shengelia, **L. Gordeziani**, N. Tushabramishvili, N. Poporadze, O. Zurabishvili. Bashplemi Lake Inscription. International Conference Perception of Caucasus in Myths and Literature from Antiquity till Contemporaneity (Tbilisi 20-22.09.2023).

3. **მარიკა მშვილდაძე. გლიპტიკური ძეგლები როგორც უმნიშვნელოვანესი ისტორიული წყარო.** ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში", ბათუმი, 21-22 ოქტომბერი, 2023 წელი, მასალები, ბათუმი, გვ.130-138,537.

4. **მარიკა მშვილდაძე. მზის კულტის გავრცელების საკითხისათვის გვიან ანტიკური პერიოდის იბერია-კოლხეთში.** პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 2023 წლის 20-21 ივლისი, კონფერენციის თეზისები, გვ. 132-134.

5. **მარიკა მშვილდაძე. ანტიკური სამყაროდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული ჯანმრთელობის ღვთაებები (ახ.წ. I-IV სს.).** საქართველოს ეროვნული აკადემიის წ.კ. გურამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურულ-საისტორიო ძიებანი", თბილისი, 2023 წლის 9-11 ოქტომბერი, კონფერენციის თეზისები, გვ. 71-72.

6. **მურმან პაპაშვილი.** კათოლიკური ფერწერული ტილო ოდიშის სამთავროს ეკლესიებში- მართლმადიდებლურ-კათოლიკური იდენტობის ფაქტი (ერთი უცნობი წყაროს ანალიზი). 2023 წლის 10 თებერვალი, გორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

7. **მურმან პაპაშვილი.** ნიკიფორე ირბახის დასავლეთში ელჩობის ჩრდილოვანი მხარეების ახლებური გაგება. 2023 წლის 13 მარტი, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

8. **მურმან პაპაშვილი.** ჩერქეზეთის საკითხი სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიაში. 2023 წლის 26 მარტი, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

9. **მურმან პაპაშვილი.** დომინიკელი მისიონერის პაოლო მარია ჩიტადინის ერთი ცნობის ისტორიული კონტექსტი. 2023 წლის 27-28 აპრილი, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

10. **მურმან პაპაშვილი.** მეფე ერეკლე I და კათოლიკობა (პრობლემის ახლებური ანალიზი). 2023 წლის 6-7 ივნისი, თბილისი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი.

11. **მურმან პაპაშვილი.** ვატიკანის ერთი ახალი საარქივო მასალის ანალიზი ქართულ- ევროპული იდენტობის კონტექსტში. 2023 წლის 10 ნოემბერი.

12. **თეიმურაზ პაპასქირი.** სსრკ-გერმანიის ურთიერთობები 1940-1941 წლების ზამთარში: მზადება საბოლოო განხეთქილებისათვის მოკავშირეებს შორის. პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2023 წლის 20-21 ივლისი.

13. **თეიმურაზ პაპასქირი.** სსრკ-გერმანიის ურთიერთობები 1941 წლის გაზაფხულზე. VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა: ტენდენციები და გამოწვევები, თბილისი, 2023 წლის 21-23 სექტემბერი.

14. **თეიმურაზ პაპასქირი.** „თაფლობის თვის" დასასრულის დასაწყისი: სსრკ-გერმანიის ურთიერთობები 1941 წლის ივნისში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო

ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მეთექვსმეტე ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, თსუ, 2023 წლის 27 დეკემბერი.

15. **ლეილა (ია) ხუბაშვილი).** ვატიკანის პოზიცია მეორე მსოფლიო ომის გარდამტეხ პერიოდში ერთი საარქივო დოკუმენტის მიხედვით. თსუ 105 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 06.02.2023.

16. **ლეილა (ია) ხუბაშვილი).** ვატიკანი ფსიქოლოგიურ ომში. სტალინის სავარაუდო წერილი პიუს XII-ძმი და მისი შეხვედრა ორლემანსკისთან. გურამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას „კულტურულ-საისტორიო ძიებანი“, 09.11.2023.

17. **ლეილა (ია) ხუბაშვილი).** კონცილიარიზმისა და საიმპერატორო ხელისუფლების პრიმატის იდეები XIII-XIV საუკუნეების პოლიტიკურ ფილოსოფიაში და ბრძოლა პაპობის აბსოლუტიზმთან. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მეთექვსმეტე ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, თსუ, 2023 წლის 27 დეკემბერი.

18. **ფატიმა შეყლაშვილი.** „გერმანიის საგარეო პოლიტიკის ბალკანური ვექტორი XX ს-ის 90-იან წლებში. პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2023 წლის 20-21 ივლისი.

19. **ფატიმა შეყლაშვილი.** ნაციონალ-სოციალისტური ელიტური სასწავლებლები („ნაციონალ-პოლიტიკური აღმზრდელობითი დაწესებულებები“ „Napola“, „ადოლფ ჰიტლერის სკოლები“ „AHS“, „რაინდული ცხრაკლიტულები“„Ordensburgen“). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მეთექვსმეტე ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, თსუ, 2023 წლის 27 დეკემბერი.

20. **მერაბ კალანდაძე.** საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის ევოლუცია. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ცენტრი, დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 10.02. 2023.

21. **მერაბ კალანდაძე, თამარ ანთაძე.** ჟან პოლ მარატი ქართულ ისტორიოგრაფიაში. პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2023 წლის 20-21 ივლისი.

22. **მერაბ კალანდაძე, თამარ ანთაძე.** თიუდორთა მმართველობა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მეთექვსმეტე ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, თსუ, 2023 წლის 27 დეკემბერი.

23. **თამარ ანთაძე.** ვარლამ ჩერქეზიშვილი დრეიფუსის საქმეზე. პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი, თსუ, 2023 წლის 27 დეკემბერი.

24. **თამარ ანთაძე.** ვარლამ ჩერქეზიშვილი სერ ართურ ბალფურზე და ჯონ კიტჩენერზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მეთექვსმეტე ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, თსუ, 2023 წლის 27 დეკემბერი.

25. **ზაალ გოგენია.** თანამედროვე ესპანეთის პარტიული სისტემა პოლიტიკური ჩიხის პირობებში 2015-2016 წწ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი საქართველოს

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია. თბილისი, თსუ, 2023 წლის 24 მაისი.
26. **ზაალ გოგენია.** ფეხბურთი და ანტიკომუნიზმი ფრანკისტულ ესპანეთში. ახალგაზრდა მეცნიერთა V საერთაშორისო სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. თბილისი, თსუ, 2023 წლის 7-9 ივლისი.
27. **ზაალ გოგენია.** პრეკარიატი როგორც კლასი და მისი პოლიტიკური თვითგამოხატვა ესპანეთის მაგალითზე. VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა: ტენდენციები და გამოწვევები, თბილისი, 2023 წლის 21-23 სექტემბერი.
28. **ზაალ გოგენია.** სამართლის ზოგიერთი თეორიული საკითხი ალფონსო X-ის ,,Siete Partidas" მიხედვით. VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „კულტურათაშორისი დიალოგები", თელავი, 2023 წლის 27 ოქტომბერი.
29. **ზაალ გოგენია.** ეროვნული სულისკვეთების ფორმირება ,,ესპანური პატრიოტული კატეხიზმოს" მიხედვით. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მეთექვსმეტე ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, თსუ, 2023 წლის 27 დეკემბერი.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

**1. L. Gordeziani**, I. Tatišvili. Sur les traces de la Toison d'or

ინდივიდუალურ ანგარიშში ანოტაცია მოცემული არ იყო.

**2.** R. Shengelia, **L. Gordeziani**, N. Tushabramishvili, N. Poporadze, O. Zurabishvili. Bashplemi Lake Inscription

ინდივიდუალურ ანგარიშში ანოტაცია მოცემული არ იყო.

**3. მარიკა მშვილდაძე. გლიპტიკური ძეგლები როგორც უმნიშვნელოვანესი ისტორიული წყარო**

გამოქვეყნებულია.

**4. მზის კულტის გავრცელების საკითხისათვის გვიან ანტიკური პერიოდის იბერია-კოლხეთში**

გამოქვეყნებულია.

**5. მარიკა მშვილდაძე. ანტიკური სამყაროდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული ჯანმრთელობის ღვთაებები (ახ.წ. I-IV სს.)**

გამოქვეყნებულია.

**6. მურმან პაპაშვილი. კათოლიკური ფერწერული ტილო ოდიშის სამთავროს ეკლესიებში-მართლმადიდებლურ-კათოლიკური იდენტობის ფაქტი (ერთი უცნობი წყაროს ანალიზი)**

მოხსენებაში გაშუქებულია, თუ როგორ აღმოჩნდა ოდიშის სამთავროს ეკლესიებში (ჯერჯერობით ვერ ხდება ლოკალიზება, სხვა რომელ ეკლესიებში), კერძოდ, ზუგდიდის ეკლესიაში კათოლიკური ფერწერული ტილო. თუ თავიდან მიუღებელი იყო კათოლიკური ფერწერული ტილო ბერძენი და ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო დასისათვის, მან კრისტოფორო დე კასტელის სწორი ფერწერული კონცეფციითა და ნიჭით სასურველ მიზანს მიაღწია. ამ ორი მოვლენის შეჯერების საუფუძველზე გაკეთებულია განმაზოგადებელი დასკვნა: ზუგდიდის ეკლესიაში შესრულებული ფერწერული ტოლო ორი სამყაროს რელიგიურ-ისტორიულ ურთიერთობას უპირველესად კულტურულ მნიშვნელობას სძენდა და მას იდენტობის ნიშნად წარმოაჩენდა. ამ კავშირს ხელოვნებამ უფრო მეტი დინამიზმი შესძინა, ვიდრე კათოლიკე მამების მიერ კათოლიკური სარწმუნოების ჭეშმარიტების ქადაგება იყო.

### 7. მურმან პაპაშვილი. ნიკიფორე ირბახის დასავლეთში ელჩობის ჩრდილოვანი მხარეების ახლებური გაგება

გამოქვეყნებულია.

### 8. მურმან პაპაშვილი. ჩერქეზეთის საკითხი სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიაში

გამოქვეყნებულია.

### 9. მურმან პაპაშვილი. დომინიკელი მისიონერის პაოლო მარია ჩიტადინის ერთი ცნობის ისტორიული კონტექსტი

გამოქვეყნებულია.

### 10. მურმან პაპაშვილი. მეფე ერეკლე I და კათოლიკობა (პრობლემის ახლებური ანალიზი)

მოხსენებაში ახალი საარქივო მასალის (ვატიკანის არქივიდან) საფუძველზე წარმოდგენილია, თუ როგორ დაუკავშირდა ირანში შაჰის კარზე მყოფი კახეთის ტახტის მაძიებელი ერეკლე I 1675 წლის აპრილის თვეში ასევე ირანში ვიზიტად მყოფ ნახჭევანის არქიეპისკოპოსოს ვიკარიუსს ფრანჩესკო პიკოს რომის ეკლესიის წიაღში მიღების თხოვნით. ამ და სხვა ირიბი ცნობების საფუძველზე გაკეთებულია განმაზოგადებელი დასკვნა: ერეკლე ბატონიშვილის თხოვნა ფრანჩესკო პიკესადმი მიმართული იყო იქითკენ, რომ ესარგებლა ამ მაღალი ელჩობით და რომის პაპის სახით მოკავშირე შეეძინა შაჰის წინაშე. საკუთრივ კათოლიკობისადმი მიდრეკით მას სურდა შაჰისათვის, რომელიც სრულად იწყნარებდა იმპერიის ტერიტორიაზე კათოლიკე მისიონერებს, ეჩვენებინა, რომ ზურგი აქცია მართლმადიდებელ რუსეთს, ემხრობა ირანის კარის დასავლურ კურსს და თავისი გაკათოლიკებით მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია შაჰის კარისათვის, ვიდრე გამუსლიმებით. საკუთრივ კი, კათოლიკობაზე გადასვლით, ისევ ქრისტიანად რჩებოდა. ამდენად, ერეკლე უფლისწულმა რომის კურიასა და შაჰის კარს შორის არსებულ ორმხრივად ხელსაყრელი ურთიერთობის ფარგლებში მოსინჯა ნიადაგი რომის პაპი გაეხადა შუამავლად შაჰის კარზე, რათ ამ უკანასკნელს ის ქრისტიან მეფედ დაესვა ქართლის, ან კახეთის ტახტზე.

### 11. მურმან პაპაშვილი. ვატიკანის ერთი ახალი საარქივო მასალის ანალიზი ქართულ-ევროპული იდენტობის კონტექსტში

მოხსენებაში წარმოდგენილია XIX საუკუნის 10-იანი წლების რელაციონეს ერთ-ერთი ავტორი (ჩვენი აზრით როტიე), თუ რა თვალსაზრისს ავითარებს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის კონტექსტში ქართულ-ევროპული ურთიერთობის მომავლის პერსპექტივებზე. ამ მიზნით ის ძალზე ოსტატურად წარმოაჩენს, თუ რა ფარულ დიპლომატიურ ხრიკებს მიმართავდა ცარიზმი, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რომ სრულიად საქართველოს ოკუპაციამდე გადამჭრელი ნაბიჯები არ გადაედგა საქართველოს დასავლეთთან კავშირის აკრძალვაზე; რომ რუსეთი თავისი მოქმედებებით ცდილობდა ქართველთა თვალში ევროპა განესახიერებინა, რაც ამ წყაროში მოცემული ფაქტების წარმოჩენით სრულიად ახლებური დასკვნის საშუალებას იძლევა ცარიზმის დიპლომატიურ მიზნებზე, კერძოდ, საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერები და თვით რუსეთის ჯარში მოსამსახურე როტიეც კი ვერ ჩაწვდა მეფის რუსეთის ამ დიპლომატიურ ხრიკებს.

## 12. თეიმურაზ პაპასქირი. სსრკ-გერმანიის ურთიერთობები 1940-1941 წლების ზამთარში: მზადება საბოლოო განხეთქილებისათვის მოკავშირეებს შორის

1940 წლის 12-13 ნოემბრის ვიაჩესლავ მოლოტოვის ბერლინში გამართული წარუმატებელი ვიზიტის შემდეგ ურთიერთობა მოკავშირეებს შორის გარკვეულწილად დაიძაბა. განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ეს 25 ნოემბრის საბჭოთა დემარშის შემდეგ (ბერლინში ეს დოკუმენტი 26 ნოემბერს მიიღეს, რის გამოც სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად სწორედ ამ თარიღს უთითებენ), როდესაც მოლოტოვმა განმეორებით მოითხოვა იმ პუნქტების დაკმაყოფილება, რომელზეც მან ვერ მიიღო დადებითი პასუხი ბერლინში და ეს წარმოაჩინა სამთა (სამმხრივი) პაქტზე შეერთების (უფრო სწორად, ახალი – ოთხთა პაქტის გაფორმების წინაპირობად). შეგახსენებთ, რომ მაშინ სულ წამოყენებულ იქნა ოთხი მოთხოვნა:

1. გერმანიას უნდა გამოეყვანა ყველა თავისი შენაერთი ფინეთიდან, რომელიც, 1939 წელს მიღწეული შეთანხმებებით, საბჭოთა ინტერესების სფეროში შედიოდა;
2. საბჭოთა კავშირის უსაფრთხოება სრუტეებში უნდა განმტკიცებულიყო სსრკ-ბულგარეთის პაქტით და უნდა შექმნილიყო ბაზა საბჭოთა ქვეითი და საზღვაო ძალებისათვის ბოსფორისა და დარდანელის მისადგომებთან;
3. ბათუმისა და ბაქოს სამხრეთით მდებარე ტერიტორიები სპარსეთის ყურემდე უნდა გამოცხადებულიყო საბჭოთა ინტერესების სფეროდ;
4. იაპონიას უარი უნდა ეთქვა ნავთობისა და ქვანახშირის კონცესიებზე ჩრდილოეთ სახალინში.

გერმანიის ხელისუფლებას, ბუნებრივია, საბჭოთა მოთხოვნების დაკმაყოფილების არანაირი სურვილი არ ჰქონდა (ერთადერთი, ირანის მიმართულებით სპარსეთის ყურისკენ საბჭოთა ექსპანსია იყო გერმანიისთვის მისაღები. უფრო მეტიც, ბერლინში ეს იდეა სწორედ ჰიტლერმა წამოაყენა). სამაგიეროდ, გერმანიას საბჭოთა კავშირისაგან ფერადი ლითონების მიღების დიდი ინტერესი ჰქონდა. სწორედ ამიტომ, გერმანელებმა გარკვეულწილად იგნორირება მოახდინეს საბჭოთა მოთხოვნების და ინტენსიური მოლაპარაკებები წამოიწყეს ეკონომიკური შეთანხმების გაფორმებისათვის. ამავე დროს, მხარეებს შორის დაძაბულობის კიდევ ერთ საკითხად იქცა ახალი საბჭოთა ელჩის რწმუნებათა სიგელების მიღება. საბჭოთა მხარემ 12 დეკემბერს დაადანაშაულა გერმანელები, რომ ისინი აჭიანურებდნენ 24 ნოემბერს ელჩად დანიშნული ვლადიმერ დეკანოზოვის (დეკანოზიშვილი) რწმუნებათა სიგელების მიღებას. ბოლოს ამ საქმეში რიბენტროპიც ჩაერთო და ეს ყველაფერი ომის გამო ჰიტლერის დროის უქონლობას დააბრალა, თუმცა იქვე განაცხადა, რომ ჩვეულებრივზე მეტი ხანი არც ამჯერად იყო გასული, რაც ცალსახა ტყუილი იყო. მაგალითად, 1939 წლის 1 სექტემბერს ელჩად დანიშნული ალექსანდრ შკვარცევის მიღება ბევრად უფრო სწრაფად – დანიშვნიდან 3

დღეში, 4 სექტემბერს მოხდა და სამხედრო ვითარება იმ პერიოდში ჰიტლერის მხრიდან ყურადღებას ბევრად უფრო მეტად ითხოვდა. ყოველივე ეს მეტყველებდა, რომ მხარეებს შორის მოკავშირული დამოკიდებულება სულ უფრო და უფრო რთულდებოდა.
მიუხედავად სირთულეებისა, დეკემბერი და იანვარი გარკვეულწილად სსრკ-გერმანიის თანამშრომლობის ახალ ეტაპზე აყვანის პერიოდად იქცა. სწორედ ამ პერიოდში მომზადდა შეთანხმებები ეკონომიკურ საკითხებზე და საზღვრებთან დაკავშირებით, რომელთაც ხელი 1941 წლის 10 იანვარს მოეწერა. ეკონომიკური შეთანხმება წარმოადგენდა 1940 წლის 11 თებერვლის შეთანხმების გაგრძელებას. ეკონომიკური შეთანხმების თანახმად, მხარეებს 1942 წლის 1 აგვისტომდე ერთმანეთისათვის უნდა მიეწოდებინათ დაახლოებით 620-640 რაიხსმარკის ღირებულების საქონელი. ოღონდ აქ არის ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი: პირველ კვარტალში (1941 წლის 11 თებერვალი – 11 მაისი) გერმანიის მხრიდან არანაირი მიწოდებები არ იყო გათვალისწინებული, თუმცა მეორე კვარტლიდან მოყოლებული (ბოლო, მეექვსე კვარტლის გამოკლებით) გერმანელებს მეტი ვალდებულება ეკისრებოდათ. თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ დროისათვის გერმანელებს ჯერ არც ჰქონდათ განსაზღვრული საბჭოთა კავშირზე თავდასხმის თარიღი და სავარაუდოდ ამის განხორციელებას 15 მაისისთვის აპირებდნენ, გასაგებია, რატომაც არ სურდა გერმანიას პირველ კვარტალში რაიმე ვალდებულებების აღება. რაც შეეხება საზღვრების საკითხს, აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სუვალკისა და ავგუსტოვის რაიონებმა (ე.წ. ლიტვის ზოლი), რომლის სანაცვლოდ საბჭოთა მხარე მზად იყო კომპენსაცია გადაეხადა. გერმანიამ თავდაპირველად 13 მილიონი დოლარი მოითხოვა, თუმცა საბოლოოდ 7,5 მილიონ დოლარს დაყაბულდა.
როგორც შემდეგ გაირკვა, 1941 წლის 10 იანვრის შეთანხმებები უკანასკნელი წარმატებული მოლაპარაკებები იყო მხარეებს შორის. უფრო მეტიც, ამის შემდეგ ურთიერთობები სპორადული და იშვიათი ხდება. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა მხარე ინტერესს გამოთქვამს მხოლოდ ორ საკითხზე: რუმინეთში გერმანული ჯარების კონცენტრაციასა და ბულგარეთთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ბულგარეთის გარშემო მოხდა მთავარი განხეთქილება მხარეებს შორის. 1941 წლის 28 თებერვალს გერმანელებმა შეატყობინეს საბჭოთა მხარეს, რომ ბულგარეთი უერთდებოდა სამთა პაქტს (ხელმოწერის ცერემონიალი 1 მარტს შედგა). ამან საბჭოთა მხარე უბრალოდ გააცოფა. მოლოტოვმა პირდაპირ განუცხადა გერმანელებს, რომ ეს იყო საბჭოთა ინტერესების შელახვა და რომ ბულგარეთი შედიოდა სსრ კავშირის უსაფრთხოების ზონაში.
მთლიანობაში, შეიძლება თამამად ითქვას, რომ 1940-1941 წლების ზამთრის პერიოდი ფაქტობრივად წარმოადგენდა მოკავშირეებს შორის თანამშრომლობის უკანასკნელ პერიოდს და, მოლაპარაკებების პარალელურად, მხარეები ფაქტობრივად უკვე ემზადებოდნენ ერთმანეთთან ომისთვის.

## 13. თეიმურაზ პაპასქირი. სსრკ-გერმანიის ურთიერთობები 1941 წლის გაზაფხულზე

1940 წლის ნოემბერში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვიაჩესლავ მოლოტოვის ბერლინში ვიზიტის შემდეგ ორ მოკავშირეს შორის ურთიერთობები დაიძაბა. ზამთრის განმავლობაში გერმანიის ხელისუფლებამ შეიმუშავა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმა, რომელიც 1941 წლის 3 თებერვალს განხილულ იქნა ადოლფ ჰიტლერისა და ვერმახტის სარდლების მიერ. ამავე პერიოდში საბჭოთა მხარე ასევე ემზადებოდა ომისთვის და მუშაობდა გერმანიაზე თავდასხმის გეგმაზე, რომელიც 1941 წლის 15 მაისს იქნა დამტკიცებული. თუ გერმანიის სამხედრო სამზადისის შესახებ საბჭოთა მხარეს გარკვეული მონაცემები გააჩნდა, როგორც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტების შესწავლამ ცხადყო, მესამე რაიხს მიახლოებული ინფორმაციაც კი არ ჰქონდა საბჭოთა კავშირის რეალური სამხედრო პოტენციალის

შესახებ. როგორც ჩანს, სსრკ-ს ხელისუფლება აქტიურად იყენებდა დეზინფორმაციასაც და უპრობლემოდ ახერხებდა ყალბი მონაცემების მიწოდებას გერმანელებისათვის. განსაკუთრებით საყურადღებო ამ მხრივ არის საბჭოთა ლიდერის იოსებ სტალინის 5 მაისის სიტყვის ეპიზოდი, როდესაც გერმანიის საელჩომ მხოლოდ ერთი თვის თავზე მოახერხა ინფორმაციის მიღება და ისიც არასწორი ინტერპრეტაციით, თითქოს სტალინმა ხაზი გაუსვა გერმანიის სამხედრო უპირატესობას და აუდიტორია ახალი დათმობებისათვის შეამზადა. სინამდვილეში კი, როგორც ეს უკანასკნელ პერიოდში გაირკვა, სტალინმა სამხედროები ომისთვის შეამზადა და შეფარულად უთხრა, რომ საბჭოთა კავშირი გერმანიას თავს დაესხმოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომზე ათობით ათასი გამოკვლევა არსებობს, მოლოტოვის ვიზიტის შემდგომი პერიოდი და 1941 წლის გაზაფხულზე სსრკ-გერმანიის ურთიერთობები პრაქტიკულად არ გაშუქებულა ისტორიულ ლიტერატურაში მიერ. ჩვეულებრივ, ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ სსრ კავშირი პირნათლად ასრულებდა თავის ვალდებულებებს, რომელიც მას აღებული ჰქონდა ეკონომიკური შეთანხმებით და ამ საკითხზე საუბარი ამით სრულდება. მით უმეტეს, არაფერი არ გვხვდება იმ სადეზინფორმაციო კამპანიაზე, რომელსაც ეწეოდა საბჭოთა მხარე. ჩვენს კვლევაში სწორედ ეს საკითხი იქნება განსაკუთრებით ხაზგასმული და ნაჩვენები, თუ რატომ აირჩია ეს ტაქტიკა სტალინმა. გარდა ამისა, ირკვევა, რომ არც ეკონომიკური ვალდებულებები სრულდებოდა ისე ზედმიწევნით, როგორც ეს აქამდე იყო ცნობილი.

კვლევის დროს გამოყენებულ იქნა სისტემური ანალიზის, კონტენტ-ანალიზის, ივენტ-ანალიზის, სინთეზისა და ისტორიულ-შედარებითი მეთოდები.

დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ 1941 წლის გაზაფხულზე როგორც გერმანიის, ისე საბჭოთა კავშირის მთავარი მიზანი იყო მათი ზრახვების შენიღბვა და მეორე მხარის დარწმუნება, რომ არ გააჩნდათ აგრესიული მიზნები მის მიმართ. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობამ წარმატებით გაართვა ამ ამოცანას თავი, გერმანიისგან მალულად უზარმაზარ ძალებს მოუყარა თავი საზღვარზე, მაგრამ ვერ მოასწრო თავისი სამზადისის ბოლომდე მიყვანა და პირველი დარტყმის მიტანა მოწინააღმდეგეზე. 1941 წლის ზაფხულში განცდილი კატასტროფაც, პირველ რიგში, სწორედ ამ მიზეზით იყო განპირობებული.

### 14. თეიმურაზ პაპასქირი. „თაფლობის თვის“ დასასრულის დასაწყისი: სსრკ-გერმანიის ურთიერთობები 1941 წლის ივნისში

1940 წლის 22 ივნისს კომპიენის ტყეში ხელი მოეწერა საფრანგეთის კაპიტულაციას გერმანიის წინაშე. ამით დასრულდა მეორე მსოფლიო ომის პირველი ეტაპი, რომელზეც საბჭოთა კავშირი და გერმანია ერთმანეთის უპირობო მოკავშირეები იყვნენ. სსრკ-ს ლიდერი იოსებ სტალინი, რომელიც ბევრად უფრო ხანგრძლივ კონფლიქტს ელოდა და რომლისთვისაც 1939 წლის აგვისტოში გერმანიის სწრაფი გამარჯვება უბრალოდ წარმოუდგენელი იყო (ის საერთოდ ნაკლებ შესაძლებლად თვლიდა საფრანგეთის მარცხს), იძულებული გახდა, შეეცვალა თავისი ტაქტიკა. მთელი რიგი გარემოებების გამო, შეცვლილი ვითარება საბჭოთა ლიდერისთვის მთლად მისაღები არ იყო. გერმანიის მიერ საფრანგეთის ომიდან გამოთიშვის ფონზე ფინეთთან სსრ კავშირის მიერ მიღწეული „პიროსის გამარჯვება“ არც ისე ეფექტურად ჩანდა. გარდა ამისა, გერმანიასთან მომავალი კონფლიქტის პირობებში, რაც სტალინის მიზნების მიღწევისთვის (ევროპის გაწითლება) უკვე ერთადერთ ვარიანტად დარჩა, საჭირო იყო უკეთესი პლაცდარმის შექმნა. ამ მიმართულებით მოქმედება მან უკვე 15 ივნისიდან დაიწყო და 20 ივნისისთვის დაასრულა ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთის ოკუპაცია. ამით სსრკ-გერმანიის 23 აგვისტოს პაქტის პირობები ძირითადად შესრულებული იყო და დარჩა მხოლოდ რუმინეთისადმი საბჭოთა ტერიტორიული პრეტენზიების საკითხი. გერმანელები ამ

პერიოდში საკითხის გართულებას მაინცდამაინც არ ელოდნენ. ჯერ კიდევ 1940 წლის გაზაფხულზე საბჭოთა ხელმძღვანელობდა აცხადებდა, რომ ბესარაბიის საკითხი საჩქარო არ იყო და რომ მისი გადაწყვეტა მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა მომხდარიყო. ამიტომ გერმანელებისთვის მოულოდნელი გამოდგა სსრ კავშირში იტალიის ელჩის აუგუსტო როსოს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 21 ივნისის შეხვედრისას სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვიაჩესლავ მოლოტოვმა ბესარაბიის საკითხი ახსენა და თქვა, რომ ის სასწრაფოდ იყო გადასაწყვეტი. 23 ივნისს გერმანიის ელჩი სსრ კავშირში ვერნერ ფონ შულენბურგი შეხვდა მოლოტოვს და აღმოაჩინა, რომ როსოს ინფორმაცია სწორი იყო. სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა პირდაპირ უთხრა გერმანელ დიპლომატს, რომ ბესარაბიის საკითხის გადაწყვეტის გადადება უკვე შეუძლებელი იყო და რომ საბჭოთა კავშირს პრეტენზია ჰქონდა ბუკოვინაზეც, სადაც ბევრი უკრაინელი ცხოვრობდა. შეხვედრისას მოლოტოვმა ხაზი გაუსვა, რომ სსრკ-ს საკითხის მშვიდობიანად მოგვარება სურდა, მაგრამ, რუმინეთის ხელისუფლების მხრიდან უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ძალის გამოსაყენებლადაც მზად იყო. ამას მხარეთა შორის გარკვეული პოლემიკაც მოჰყვა. შულენბურგმა აღნიშნა, რომ ეს განცხადება მოულოდნელი იყო, რადგანაც გერმანიის მთავრობა არ ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა მოთხოვნებს ბესარაბიის გადაცემასთან დაკავშირებით, მაგრამ არ ეგონა, თუ ეს უკანასკნელი თავად დაიწყებდა მათ განხორციელებას. მან დაამატა, რომ რუმინეთი გერმანიისთვის ნედლეულის უმნიშვნელოვანესი მიმწოდებელი იყო და საბჭოთა ხელისუფლების ცალმხრივი ქმედებები მას დააზარალებდა. ამიტომ შულენბურგმა სთხოვა მოლოტოვს, რომ საბჭოთა მხარეს თავი შეეკავებინა აქტიური ქმედებებისაგან, სანამ ის ხელმძღვანელობასთან საკითხს გაარკვევდა. მოლოტოვმაც დააკმაყოფილა მისი თხოვნა, თუმცა ხაზი გაუსვა, რომ საკითხი უკიდურესად სასწრაფო იყო. გარდა ამისა, მან პირობა დადო, რომ საბჭოთა მხარე გერმანიის ინტერესებს მაქსიმალურად დაიცავდა. იმავე დღეს გაირკვა, რომ საბჭოთა კავშირი დაელოდებოდა გერმანელების პასუხს 25 ივნისის ჩათვლით. შულენბურგისათვის ასევე ნათელი იყო, რომ სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტის დასაჩქარებლად იქნა გაკეთებული სპეციალური განცხადება საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტოს მიერ, რომელიც უარყოფდა გერმანიასა და სსრკ-ს შორის რაიმე დაძაბულობის არსებობას და ლიეტუვა-გერმანიის საზღვარზე 150-მდე საბჭოთა დივიზიის განთავსებას. გერმანიის ელჩი იმასაც სწორად მიხვდა, რომ ამ განცხადების რეალური ავტორი თავად სტალინი იყო.

შულენბურგის დეპეშამ ბერლინში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. გერმანიის ხელისუფლებას არანაირად არ აწყობდა რეგიონში სამხედრო მოქმედებების დაწყება. ამიტომ ერნსტ ფონ ვაიცზეკერმა (მესამე რაიხის საგარეო საქმეთა სამინისტრო სახელმწიფო მდივანი) მოამზადა მოხსენებით ბარათი, სადაც ხაზგასმული იყო, რომ ბუკოვინის საკითხი ახალ პრობლემას წარმოადგენდა და ის აქამდე არასდროს ყოფილა განხილული. ბესარაბიასთან მიმართებაში კი დოკუმენტის დასაწყისში ნათქვამი იყო, რომ გერმანიას ხელი უნდა შეეწყო სამშვიდობო მოლაპარაკებებისათვის, თუმცა თავი შეეკავებინა ან ერთი, ან მეორე მხარის პოზიციების გაზიარებისაგან. მიუხედავად ამისა, დოკუმენტის დარჩენილი ნაწილი ნათელს ხდის, რომ გერმანია საბჭოთა მოთხოვნას ამ მიმართულებით მხარს უჭერდა. პირველ რიგში, ამაზე მეტყველებს ოთხი პუნქტი, რომელიც უნდა შეეტყობინებინათ საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის:

„ა) ბესარაბიაში არ უნდა მომხდარიყო პრუტისა და დუნაის ქვემო წელის გადალახვა, რადგანაც ეს საფრთხის ქვეშ დააყენებდა გერმანიის ნავთობთან დაკავშირებულ ინტერესებს;

ბ) რაიხის გერმანელ მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესებისა დაცვის პირობის დადება;

გ) ფოლკსდოიჩე მოსახლეობის ინტერესების დაცვის პირობის დადება იმ პროცედურის თანახმად, რომელიც შესამუშავებელი იყო;

დ) შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, ნავთობმწარმოებელი რეგიონის დაცვა (ავიადარტყმების არგანხორციელება)“.

ზემოხსენებული პუნქტების გარდა, გერმანიის ხელმძღვანელობის რეალურ დამოკიდებულებას ასახავდა რეკომენდაციები რუმინეთის ხელისუფლებისადმი, რომელშიც ხაზგასმული იყო საბჭოთა ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების წარმოების დაწყების აუცილებლობა და რომ ოფიციალურ ბუქარესტს მესამე რაიხის დახმარების იმედი ამ საკითხის მის სასარგებლოდ გადაწყვეტაში არ უნდა ჰქონოდა. ამავე დროს, აღნიშნული იყო ისიც, რომ საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტის შემთხვევაში ბულგარეთი და უნგრეთი ვერ შეძლებდნენ უნგრეთის მიმართ თავისი ტერიტორიული პრეტენზიების სამხედრო გზით დაკმაყოფილებას. ეს უკანასკნელი საკითხი გერმანელებს ძალზე აწუხებდათ, ამიტომ აქვე მითითებული იყო, რომ ბულგარეთსა და უნგრეთს უნდა მიეღოთ გაფრთხილება, რათა შეენარჩუნებინათ მშვიდობა ნებისმიერ შემთხვევაში, განურჩევლად იმისა, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის.

ე. ვაიცზეკერის დოკუმენტს მოჰყვა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის იოახიმ ფონ რიბენტროპის განმარტებითი ბარათიც გერმანიის ფიურერ ადოლფ ჰიტლერისადმი, რომელშიც ის ახსენებდა, რომ 1939 წლის 23 აგვისტოს პაქტის საიდუმლო პროტოკოლში ბესარაბიის შესახებ ჩანაწერის აღმოჩენა შეთანხმებული იყო გერმანიის ლიდერთან, რომლისგანაც მან მიიღო სპეციალური დირექტივა ამ საკითხთან (და არა მარტო ამ საკითხთან, იქ საუბარი იყო ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებისა და კონსტანტინოპოლის დათმობაზეც – თ.პ.) დაკავშირებით.

25 ივნისს რიბენტროპმა შულენბურგს გაუგზავნა საბჭოთა მხარისადმი გადასაცემი პასუხი, რომელიც ძირითადად ეყრდნობოდა ე. ვაიცზეკერის მიერ მომზადებულ მოხსენებით ბარათს. მასში ხაზგასმული იყო, რომ მესამე რაიხის ხელისუფლების მთავარი ინტერესი იყო, თავიდან აეცილებინათ საომარი მოქმედებები რეგიონში, რომელშიც გერმანიას განსაკუთრებული ინტერესები გააჩნდა. ბესარაბიასა და ბუკოვინასთან დაკავშირებით, რიბენტროპისთვის უმთავრესი იყო იქ მცხოვრები ფოლკსდოიჩე მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობა. ბუკოვინასთან მიმართებაში ასევე აღნიშნული იყო, რომ ამ ტერიტორიასთან დაკავშირებით საბჭოთა მოთხოვნა სიახლეს წარმოადგენდა გერმანელებისათვის, თუმცა რაიმე პროტესტი ამასთან დაკავშირებით რიბენტროპს ამჯერად არ გამოუთქვამს.

26 ივნისს შედგა მორიგი კონსულტაციები მოლოტოვსა და შულენბურგს შორის. სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მადლობა გამოთქვა მესამე რაიხის ხელმძღვანელობის პოზიციის გამო, აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობას საქმის მშვიდობიანად მოგვარება სურდა, თუმცა ეს რაც შეიძლება სწრაფად უნდა მომხდარიყო. გერმანიის ელჩმა შენიშნა, რომ ბუკოვინაზე, რომელიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშიც კი არასდროს ყოფილა, უარის თქმა ვითარებას გაადვილებდა, რაზეც მოლოტოვმა უპასუხა, რომ ეს იყო ბოლო ნაწილი, რომლითაც უკრაინის გაერთიანება დასრულდებოდა და ეს ზრდიდა მის მნიშვნელობას საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის. შულენბურგს შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს სსრკ-ს ხელისუფლება ბუკოვინაზე თავისი პრეტენზიებს უკან წაიღებდა. როგორც შემდგომში გაირკვა, ეს ბოლომდე მცდარი შეხედულება არ იყო. მომდევნო დღეს, მორიგი შეხვედრისას, მოლოტოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა მხარე მზად იყო, დაკმაყოფილებულიყო ჩრდილოეთ ბუკოვინითა და ქალაქ ჩერნივცით (იმ დროს ჩერნაუცი – თ.პ.). შულენბურგმა სცადა, კიდევ ერთი დათმობა მიეღო საბჭოთა მხარისაგან და სთხოვა მოლოტოვს, დაებრუნებინათ რუმინეთის ოქროს რეზერვი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს იქნა გადატანილი რუსეთში, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღო ამაზე იმ მოტივით, თითქოს რუმინეთი ბესარაბიას ძალიან დიდხანს ფლობდა. ამით რუმინეთის საკითხის განხილვა დასრულდა და იმავე დღეს

მესამე რაიხის ხელმძღვანელობამ შეატყობინა რუმინეთის ხელისუფლებას, რომ მიეღო საბჭოთა მოთხოვნები და თავიდან აეცილებინა ომი სსრ კავშირთან.
ამგვარად, ერთი შეხედვით, თანამშრომლობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის გაგრძელდა ზედმეტი პრობლემების გარეშე, მაგრამ ეს ასე არ იყო. ჰიტლერმა გადაწყვიტა, დამატებითი შესწავლა მოეხდინა ბუკოვინის საკითხის და თუ რატომ არ ჰქონდა სტალინს ეს მოთხოვნა თავის დროზევე წარმოდგენილი. როგორც შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო გერმანიის ხელმძღვანელობამ ფიქრი, რომ საბჭოთა ლიდერს მესამე რაიხზე თავდასხმა ჰქონდა განზრახული, რისთვისაც ბუკოვინას გარკვეული სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა. ასე რომ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის „თაფლობის თვის" დასასრულის დასაწყისი.

## 15. ლეილა (ია) ხუბაშვილი). ვატიკანის პოზიცია მეორე მსოფლიო ომის გარდამტეხ პერიოდში ერთი საარქივო დოკუმენტის მიხედვით

მოხსენებაში მოკლე, ისტორიული რეტროსპექტივის ფონზე წარმოდგენილია და გაანალიზებულია საარქივო დოკუმენტი, რომელიც რელიეფურ წარმოდგენას გვაძლევს ვატიკანის პოზიციის შესახებ მეორე მსოფლიო ომის გარდამტეხ პერიოდში. ეს გახლავთ ნაცისტური გერმანიის უშიშროების საიმპერატორო სამმართველოს შეფის ერნსტ კალტენბრუნერის სამოტივაციო წერილი, რომელსაც თანდართული აქვს უშიშროების აგენტის მოხსენება რომში ყოფნის შესახებ 1943 წლის 15-დან 29 მაისა-მდე. დოკუმენტი გამოქვეყნებულია მიკროასლიდან, რომელიც ინახება პოტსდამის გდრ-ს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ფილმი 3703, B1. 588-599). ბერლინი SW 11.1943 წლის 31 აგვისტო. პრინც ალბრეხშტრა-სე 8. უშიშროების პოლიციის უფროსს. IV B 1-2187/43გ. ბატონ რაიხსმინისტრს საგარეო საქმეთა საკითხებში ფონ რიბენტროპს.ბერლინი W 8. ვილჰელმშტრასე 74/76. საიდუმლოდ! შინაარსი: აგენტის მოხსენება ვატიკანის გავლენიანი წრეების მიერ არსებული ვითარების შეფასების შესახებ (ციტირება: მოხსენიებული ანგარიში 3. II. 1943. -- IV B I-2187/43გ). დანართი 1. „გიგზავნით მოხსენებას აგენტისგან, რომელიც ეწვია ვატიკანს. გთხოვთ, ყურადღებით შეისწავლოთ იგი. მოხსენებაში მოცემულია ვატიკანის გავლენიან პირებთან საუბრის შედეგები (პაპთან დაახლოებული პირები - იეზუიტი მამა ლაიბერი, ეპისკოპოსი ჰუდალი, ნუნციუსი არატა, პრელატი კაასი და სხვ.). აქ გაკეთებული განცხადებები მნიშვნელოვანია ვატიკანის წრეების შეხედულებების გასამჟღავნებლად და ისინი კეთდება იმ დროს, როდესაც ვატიკანმა გაზარდა თავისი პოლიტიკური აქტივობა და აქვს საჭიროზე მეტი ინფორმაცია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სანდო აღმოჩნდა იგივე აგენტის ჩვენება იტალიის შესახებ, რომელიც ეყრდნობოდა იმავე პირებთან საუბარს, რომში მისი ბოლო ყოფნის დროს, 1942 წლის დეკემბერში. მიუხედავად იმისა, რომ ვატიკანის წრეები, ზოგადი სამხედრო ვითარების შეფასებისას თვლიან, რომ „იტალიის გარდაუვალი მარცხის შემდეგ, ომი მთლიანობაში წაგებულად უნდა ჩაითვალოს როგორც გერმანიისთვის, ასევე იაპონიისთვის", გასათვალისწინებელია მათი შეხედულებები ურთიერთდახმარების მიღწევის შესაძლებლობის შესახებ ნაციონალ-სოციალიზმსა და ეკლესიას შორის, რის შესახებაც სხვა აგენტების ბოლო მოხსენებებშიც იყო მოხსენებული. "კალტენბრუნერი.
აგენტის თანდართულ მოხსენებაში განხილულია იტალიაში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებები, რომელიც გამოწვეული იყო იტალიის სრული სამხედრო მარცხით სიცილიაზე და პირველი მასიური საჰაერო თავდასხმით რომზე 1943 წლის 19 ივლისს, რამაც შესამჩნევი გავლენა იქონია რომისა და მთელი იტალიის უახლოეს მომავალზე და შესაძლებელი გახადა ვატიკანის შეფასების საკმაოდ სრული სურათის წარმოდგენა ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ. ომის რადიკალური შე-მობრუნება, კურსკის ბრძოლა, იტალიაში ანტიფაშისტური მოძრაობის ზრდა, ჰიტლერისა და

მუსოლინის 19 ივლისის შეხვედრა ფელტრაში მოწმობდა, რომ „ბერლინ-რომის ღერძი" თავის ბოლო დღეებს ითვლიდა. გამარჯვების გარდაუვალობამ უახლოეს მომავალში აიძულა ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნები შეემუშავებინათ ახალი სტრატეგია და ტაქტიკა მსოფლიოს ომის შემდგომი წესრიგისთვის. როგორც მოყვანილი დოკუმენტიდან ირკვევა, ვატიკანი საკმაოდ კარგად იცნობდა დასავლეთის გეგმებს. ინგლისის ელჩმა, ლორდმა ოსბორნმა, 1943 წლის ივლისის დასაწყისში ლონდონიდან დაბრუნებისთანავე, აცნობა პიუს XII-ს ბრიტანეთის მთავრობის პოზიცია საომარი მოქმედებების მშვიდობიანი დარეგულირების შესახებ, რამაც რომის პაპის ღრმა პესიმიზმი და შეშფოთება გამოიწვია, რაც ზემოთხსენებულ დოკუმენტშიც აისახა. ყურადღებას იპყობს დოკუმენტის ის ნაწილი, რომელიც მოწმობს, რომ მოკავშირეები არ მალავდნენ ვატიკანისგან თავიანთ განზრახვას გერმანიის რამდენიმე სახელმწიფოდ დაყოფის შესახებ; ავსტრიის, ბავარიისა და უნგრეთის გაერთიანებით უნდა შექმნილიყო დუნაის კონფედერაცია, აღდგენილიყო ყოფილი ჰანოვერის სამეფო და ა.შ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგენტის მოხსენებაში მოცემული ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის შესახებ ვატიკანის მმართველი წრეების მოსაზრებები: 1.არსებული სამხედრო ვითარების შეფასება. 2. სამშვიდობო მედიაცია, მშვიდობის დამყარება და ევროპის მომავალი. 3.რუსეთი და მსოფლიო ბოლშევიზმი. 4. ვატიკანის დამოკიდებულება მტრის ძალების მიმართ. 5. ურთიერთობა ვატიკანსა და გერმანიას შორის; 6. ურთიერთობა ვატიკანსა და იაპონიას შორის; აგენტის პატაკის თანახმად, ვატიკანში წინააღმდეგი არიან გერმანიის დაშლის და საკუთარი ხედვა აქვთ ევროპის ახალ, პოლიტიკურ რუკაზე. წმინდა საყდარი ასევე მოითხოვს ყველა, ე.წ.„ომის დამნაშავეების" ექსტრადირებას, რათა ისინი საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე წარდგნენ. ამისათვის მზადება ებრაელებმა უკვე დაიწყეს. რაც შეეხება იაპონიასთან მეგობრულ ურთიერთობას, ვატიკანი თავს იკავებს მისი გაღრმავებისგან, რაც გამოწვეულია მისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი კავშირების შენარჩუნების სურვილით ჩინეთთან; ზოგადად, არსებობს მოსაზრება, რომ აღმოსავლეთ აზიის მომავალი სავარაუდოდ, ჩინეთს ეკუთვნის, რომ თუ ომი გაგრძელდება, იაპონია წააგებს ბრძოლას ამერიკასთან. ამგვარად, როგორც გერმანელი აგენტის მოხსენებიდან ირკვევა, ვატიკანში საღად და გონივრულად აფასებდნენ მეორე მსოფლიო ომის გარდამტეხ პერიოდში არსებულ სამხედრო ვითარებას და მსოფლიო ახალი წესრიგის დამყარების საკუთარი ხედვაც ჰქონდათ, რაც შემდგომში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა ნათლად გვიჩვენა.

**16. ლეილა (ია) ხუბაშვილი). ვატიკანი ფსიქოლოგიურ ომში. სტალინის სავარაუდო წერილი პიუს XII-დმი და მისი შეხვედრა ორლემანსკისთან.**

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ვატიკანი მძიმე პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ ომში ჩაება როგორც ღერძის ქვეყნებთან, ასევე მოკავშირეებთანაც; მიუხედავად იმისა, რომ პიუს მეთორმეტემ 1941 წლის 1 სექტემბერს მკაცრი ნეიტრალიტეტი გამოაცხადა და ვატიკანის დიპლომატიას ოფიციალურად ომის დაწყებიდან დამთავრებამდე არცერთი განცხადება არ გაუკეთებია რომელიმე მეომარი ბანაკის მხარდასაჭერად, ღერძის ქვეყნები პაპისგან მოითხოვდნენ ჯვაროსნული ლაშქრობის გამოცხადებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ფრანგები, ინგლისელები და ამერიკელები კი დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ პონტიფექსს დაეგმო ნაციზმი და გამოეცხადებინა საბჭოთა კავშირში სინდისის თავისუფლების არსებობა.

მაირონ ტეილორი, ცნობილი ამერიკელი ბანკირი და ბიზნესმენი, რომელიც აშშ პრეზიდენტმა ვატიკანში გაგზავნა თავის წარმომადგენლად(ის ომის დამთავრებამდე ვატიკანში იმყოფებოდა), რუზველტისა და ჩერჩილის სახელით პაპს არწმუნებდა, რომ მორალური მხარდაჭერა აღმოეჩინა ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რასაც

განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა შექმნილ პოლიტიკურ კონტექსტში. იტალიის ახალი ელჩი მოსკოვში ბერნარდო ატოლიკო ვატიკანს მოუწოდებდა, რომ გამოსულიყო ანტიკომუნისტური დეკლარაციით. მას მიაჩნდა, რომ თუ პაპს არ შეეძლო ბოლშევიზმის დაგმობა, არც ნაციზმი უნდა დაეგმო. მაგრამ ვატიკანში ასე არ ფიქრობდნენ. პაპს არ სჯეროდა ღერძის ქვეყნების გამარჯვების და მიაჩნდა, რომ აშშ იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ზემოქმედება შეეძლო სტალინზე. ამაზე მიუთითებს "წმინდა საყდრის აქტებისა და დოკუმენტების კრებული ", რომელიც 1965-1981 წლებში 11 ტომად გამოსცეს პიერ ბლემ, რობერტ ა.გრეჰემმა, ანჯელო მარტინიმ და ბურკჰარდტ შნაიდერმა. ამ მნიშვნელოვან საიდუმლო საარქივო მასალაზე დაყრდნობით ასუმპციონისტთა ორდენის წევრმა, პროფესორმა ანტონი ვენგერმა დაწერა თავისი ცნობილი ფუნდამენტური წიგნი „ რომი და მოსკოვი“, რომელმაც დიდი დახმარება გამიწია წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას.

წმინდა საყდარს არ გაკვირვებია მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი(1939 წლის 23 აგვისტო); პაპის ნუნციუსი ბერლინში ორსენიგო ჯერ კიდევ 1939 წლის 17 მაისს ატყობინებდა ვატიკანს რიბენტროპთან საუბრის შესახებ, რომლის დროსაც მას დარჩა ისეთი შთაბეჭდილება, რომ უახლოეს ხანში მოსალოდნელი იყო ნაცისტური გერმანიისა და საბჭოთა რუსეთის დაახლოება: „ სტალინს- უთხრა რიბენტროპმა ორსენიგოს,-სულაც არ მოსწონს ინგლისის პოზიცია- ცეცხლიდან წაბლი სხვისი ხელებით რომ გამოიღოს“.ლიტვინოვის წასვლით საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან კი მოსალოდნელი იყო ცვლილებები ბოლშევიკების პოლიტიკაში. „ჩვენსა და რუსეთს შორის მხოლოდ ერთი განსხვავებაა-ბოლშევიზმი,-თქვა რიბენტროპმა,- თუ რუსეთი შეწყვიტავს კომინტერნის მეშვეობით პროპაგანდას მთელ მსოფლიოში, ჩვენ სავსებით შევძლებთ მასთან მოლაპარაკებას“. მიუხედავად იმისა, რიმ კათოლიკური პოლონეთი მისი ანტიგერმანული განწყობის გამო არ ჯდებოდა პაპის კონცეფციაში, პოლონეთის კონფლიქტის დროს პიუს XII-მ გადადგა დიპლომატიური ნაბიჯები კრიზისის თავიდან ასაცილებლად. 1939 წლის 3 მაისს პაპმა ყველა დიდი ქვეყნის ლიდერს( საბჭოთა კავშირის გამოკლებით) გაუგზავნა ნოტა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ, მაგრამ ჰიტლერმა და მუსოლინიმ უარი თქვეს მოლაპარაკებზე. ვატიკანი ცდილობდა პოლონეთის მთავრობა დაეყოლიებინა გერმანელებისათვის დანციგის(გდანსკის) გადაცემაზე. აგვისტოს განმავლობაში პაპმა მსოფლიო თავის რადიოგამოსვლებში გააფრთხილა ომის საფრთხის შესახებ: „მშვიდობით ჯერ კიდევ არ არის არაფერი დაკარგული, მაგრამ ომით შეიძლება ყველაფერი დაიკარგოს- აფრთხილებდა პაპი, მაგრამ უშედეგოდ.“

წმინდა საყდარი გაფრთხილებული იყო რუსეთზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებაც. 1941 წლის 5 მაისს „ Osservatore Romanos” დირექტორმა გრაფმა დელა ტორემ სახელმწიფო სამდივნოს შეატყობინა, რომ მოსკოვიდან ჩამოსულმა იტალიელმა დიპკურიერმა მას მიაწოდა ინფორმაცია, რომ იტალიის საელჩოში გარდაუვალად მიაჩნდათ ომის დაწყება საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის და, რომ საბჭოთა არმია არასათანადოდ იყო მომზადებული კადრებითა და ტექნიკური თვალსაზრისით. მესამე რაიხის სამხედრო კონტრდაზვერვის უფროსმა ადმირალმა კანარისმა, რომელსაც მიაჩნდა, რომ ჰიტლერის მიერ დაწყებული ომი დანაშაული იყო, პიუს XII-ს აცნობა ფიურერის გეგმების შესახებ. როგორც 1946 წლის მაისში კარდინალი ტარდინი წერდა, იგივე ინფორმატორმა, რომელმაც ვატიკანი გააფრთხილა საფრანგეთზე 1940 წლის მაისში გერმანიის თავდასხმის შესახებ, ატყობინებდა რუსეთზე თავდასხმის თარიღსაც. ამ ინფორმაციის წყარო გახლდათ ადმირალი კანარისი. ეს ინფორმაცია „აქტებისა და დოკუმენტების“ მეოთხე ტომის წინასიტყვაობაშია.? როგორც ჩანს, ვატიკანში იმაზე მეტი იცოდნენ, ვიდრე ამტკიცებდნენ. „უდავოა, რომ ინიციატივები ზოგიერთი ქვეშევრდომისა მათი უფროსისგან გამოდიოდა“,-ასკვნის ტარდინი. როგორც არ უნდა ყოფილიყო, ერთი რამ უდავოა-ადმირალი კანარისი ჰიტლერზე თავდასხმისათვის 1944 წლის 10 ივლისს,

ჩამოახრჩვეს ფლოსენბურგის ბანაკში 1945 წლის 9 აპრილს. დღემდე უცნობია, თუ რამ განაპირობა მისი საქციელი. წმინდა საყდარის საინფორმაციო წყაროს წარმოადგენდნენ ასევე მოსკოვიდან მიღებული კორესპოდენციები, რომელსაც მთელი ომის განმავლობაში აგზავნიდა აშშ საელჩოდან მოსკოვში ბრაუნი, რომელიც რეგულარულად უგზავნიდა ინფორმაციებს წმინდა საყდრის დელეგატს ვაშინგტონში მონსინიორ ამლეტო ჩიკონიანის ( მომავალში იოანე XXIII-ის სახელმწიფო მდივანი) და ასევე სამოციქულო დელეგატს ლიბანში მონსინიორ ლეპრეტრს, რაც ვატიკანისთვის ძირითადი საინფორმაციო წყაროს წარმოადგენდა, თუ რა ვითარება იყო რელიგიის მხრივ საბჭოთა კავშირში.ასევე ნევიოს მოხსენებები. ვატიკანში უნდობლად უყურებდნენ აშშ ზედმეტ ნდობას, რომ სტალინი და მისი ხელისუფლება პოლიტიკას შეცვლიდა. ამასთან დაკავშირებით ტარდინიმ 1941 წლის 5 სექტემბერს განცხადება გააკეთა: „სხვათა შორის,-აღნიშნა მან,- შეერთებულმა შტატებმა სხვაზე უკეთესად უნდა იცოდნენ ყველაფერი, რაც საბჭოთა კავშირში ხდება: რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა, სინდისის თავისუფლების უგულვებელყოფა. ვინაიდან, ბრაუნი ამერიკელია და მისგან უნდა ღებულობდნენ შესაბამის ინფორმაციას“. 1941 წლის 28 სექტემბრიდან 1-ლ ოქტომბრამდე, იმ დროს, როცა გერმანელები საბჭოთა კავშირის დედაქალაქს უტევდნენ, მოსკოვში შედგა სამმხრივი მოლაპარაკებებისტალინს, ავერელ ჰარიმანსა და ლორდ ბივერბრუკს შორის. ჰარიმანმა საკითხი დასვა სინდისის თავისუფლების შესახებ. სტალინმა პასუხად წაიკითხა კონსტიტუციიდან მუხლი, რომელიც სინდისის თავისუფლებას ეხებოდა და სახელმწიფოდან ეკლესიის გამოყოფაზე იყო დამყარებული. ჰარიმანმა, რომელიც კარგად იყო გარკვეული რაც ხდებოდა რეალობაში, რუზველტს მიწერა: „ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ საბჭოეთში უნდათ შემოიფარგლონ მხოლოდ სიტყვიერი დაპირებებით და მაგალითებით, რაც ილუზიას შეგვიქმნიდა მათი პოზიციის შესამსუბუქებლად, სინამდვილეში კი არაფრის შეცვლას არ აპირებენ თავიანთ პოლიტიკაში“. ჰარიმანის მოსაზრება სავსებით ეთანხმებოდა ბრაუნის მოსაზრებას საბჭოეთში რელიგიის მდგომარეობის შესახებ. ეს მოსაზრება ბრაუნმა თავის წერილში ჩამოაყალიბა და ჰარიმანს გადასცა ტეილორისთვის გასაგზავნად. სტალინს განზრახული ჰქონდა რელიგიის გამოყენება პოლიტიკური მიზნებით: იმ ტერიტორიებზე, რომლებიც გერმანელების მიერ არ იყო ოკუპირებული, უნდა მომხდარიყო მოსახლეობის გალვანიზაცია, ოკუპირებულ ტერიტორიებზე კი ეკლესიების გახსნა, რათა მოსახლეობას სიმპათიები არ გასჩენოდათ დამპყრობლებისადმი.

1941 წლის 20 სექტემბერს ტარდინიმ ტეილორს გადასცა ბრაუნის საიდუმლო ნოტა რუსეთში რელიგიის მდგომარეობის შესახებ. დევნა კვლავ გრძელდებოდა, ეკლესიების უმეტესობა დაკეტილი იყო, მიმდინარეობდა ქვეყნის დექრისტიანიზაცია. ბრაუნი იმასაც ატყობინებდა, რომ 1939 წლის 1-ლი სექტემბრისათვის საბჭოთა კავშირში არც ერთი კათოლიკე ეპისკოპოსი აღარ ყოფილა. ქვეყანაში აღარ გამოდის საღვთისმეტყველო ლიტერატურა, აღარც ბიბლია, აღარც ყურანი. პირიქით, ანტირელიგიური და ათეისტური ლიტერატურა და პრესა დიდი ტირაჟით გამოდის და სახელმწიფოსგან მხარდაჭერა აქვს. 1926 წლიდან რუსეთში არცერთი კათოლიკე მღვდლის ხელდასმა აღარ მომხდარა. ვითარება უკიდურესად მძიმეა და სადმე თუ თითოოროლა ეკლესიაა შემორჩენილი, ეს ვითარებას არ ცვლის.ბრაუნს მიაჩნდა, რომ გერმანული ექსპანსიის პირობებში რელიგიას შეეძლო დიდი როლი ეთამაშა პარტიზანული მოძრაობის გააქტიურებაში და შესაფერის მომენტად მიიჩნევდა შექმნილ ვითარებას საბჭოთა ხელისუფლებაზე ზემოქმედებისათვის. წერილის ადრესატი ჩიკონიანი იყო, რომელიც სკეპტიკურად უყურებდა სინდისის თავისუფლების აღდგენის პერსპექტივას საბჭოეთში. ჩიკონიანის აზრით, 1933 წელს რუზველტ-ლიტვინოვის მიერ ხელმოწერილმა ხელშეკრულებამ აშშ-სსრკ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ ვერ გამოიღო შედეგი, მაგრამ ახლა, როცა ლიტვინოვი ელჩად დანიშნეს შეერთებულ შტატებში, ამ დანიშვნას შეეძლო რუსეთის ინტერესებისთვის დიდი მოგების მოტანა. 1941 წლის ოქტომბერში მოსკოვის რადიო აკრიტიკებდა რელიგიის დევნას გერმანიაში. ამავე

პერიოდში საბჭოთა ხელისუფლებამ მართლმადიდებლური ეკლესიის ევაკუაცია მოახდინა დედაქალაქიდან. 1942 წელს მოსკოვში გააუქმეს კომენდატის საათი, რათა მორწმუნეებს შეძლებოდათ აღენიშნათ რელიგიური დღესასწაულები. ლ.ბერიას ინიციატივით პროპაგანდისტული მიზნით სხვადასხვა ენაზე დაიბეჭდა მდიდრულად ილუსტრირებული წიგნი „ სიმართლე რელიგიებზე რუსეთში". წიგნის გამომცემელი რუსეთის პატრიარქი იყო. ამ წიგნით უნდოდათ დაემტკიცებინათ, რომ რუსული მართლმადიდებლური ეკლესია ყოველთვის სარგებლობდა და სარგებლობს სრული თავისუფლებით რუსეთში საბჭოთა რეჟიმის დროს. ეს იყო პირველი პუბლიკაცია 1936 წლის შემდეგ, როცა გამოიცა მოკრძალებული ლიტურგიული კალენდარი. მაგრამ წიგნში აღწერილი და რეალური ვითარება იმდენად წინააღმდეგობრივი იყო, რო ჩიკაგოსა და ბოსტონში პრესაში დაიბეჭდა სტატიები, სადაც მთელ წიგნს ტყუილი უწოდეს, მიტროპოლიტ სერგის კი მატყუარა. „პრავდაში" და „იზვესტიაში" ასევე იბეჭდებოდა პროპაგანდისტული მიზნით სხვადასხვა სახის ინფორმაციები ეკლესიის ცხოვრებიდან. ასეთივე პროპაგანდისტულ პოლიტიკას ატარებდა საბჭოთა ხელისუფლება პოლონეთში და ბალტიისპირეთის ქვეყნებში. 1943 წლის 10 ივნისს დაიშალა III კომუნისტური ინტერნაციონალი, 8 სექტემბერს კი ადგილობრივმა კრებამ აირჩია პატრიარქი და აღადგინა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მმართველობის კანონიკური სტრუქტურა. ეს მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის იმიჯის გასაუმჯობესებლად და მეორე ფრონტის გასახსნელად. კრების დამთავრებიდან რამდენიმე დღეში რუსეთის პატრიარქის მოწვევით მოსკოვში ჩავიდა ანგლიკანური ეკლესიის დელეგაცია იორკის არქიეპისკოპოსის სირილ ჰარბეტის ხელმძღვანელობით.

მეორე მსოფლიო ომში მიუხედავად ვატიკანის ნეიტრალიტეტისა, ის მაინც აღმოჩნდა რთულ დიპლომატიურ თამაშში. წმინდა საყდრის წინაშე მთელი სიმწვავით იდგა ორი მნიშვნელოვანი საკითხი: 1. კათოლიკური ეკლესია და საბჭოთა კავშირი; და 2. ვატიკანი მოკავშირე ქვეყნებსა და ღერძს შორის. ჯერ კიდევ 1941 წლის 23 ივნისს ვატიკანმა სცადა ესარგებლა სიტუაციით, რომელიც შეიქმნა გერმანიის ფართო ექსპანსიით საბჭოთა ტერიტორიაზე და სცადა გაეგზავნა იქ სასულიერო პირები მანამდე, ვიდრე ნაცისტური გერმანია იქ თავის „საკუთარ რელიგიურ რეჟიმს" დაამყარებდა. შეიძლება ითქვას, რომ კათოლიკურ ეკლესიას უნიკალური შანსი გაუჩნდა რუსეთში შესაღწევად. ვატიკანის სახელმწიფო მდივნის კარდინალ მალიონეს თანაშემწე საგანგებო საკითხებში მონსინიორ ტარდინი რუსული ენის მცოდნეს ეძებდა ვატიკანში. იეზუიტების ორდენის გენერალმა და აღმოსავლეთის კონგრეგაციამ მას რამდენიმე კანდიდატურა შესთავაზეს (ასუმპციონისტებზე მაშინ არ უფიქრიათ). საჭირო იყო სწრაფი მოქმედება ამ უნიკალური შესაძლებლობის გამოსაყენებლად. მაგრამ ნაცისტები სულაც არ აპირებდნენ ნება დაერთოთ კათოლიკე მღვდლებისათვის, რათა ისინი მათ ზურგში-ბელორუსიასა და უკრაინაში დამკვიდრებულიყვნენ, სადაც ლათინური და უნიატური წესის კათოლიკური მოსახლეობა ცხოვრობდა. ბევრს მეტყველებს ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთის მიწების საქმეებზე რაიხსმინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა ქრისტიანობის დაუძინებელი მტერი ალფრედ როზენბერგი. არმიის კაპელანების საქმიანობა მკაცრად იყო შეზღუდული. ჰიტლერი ფიქრობდა, რომ ვატიკანისთვის ხელი უნდა შეეშალათ, რათა არ გამოეყენებინათ ნაცისტების გამარჯვება: განა წმინდა საყდარმა უარი არ თქვა, რომ გამოეცხადებინა ჯვაროსნული ლაშქრობა ბოლშევიკების წინააღმდეგ და დაელოცა და ეკურთხებინა ახალი „ჯვაროსნები"? ომის დაწყებიდან მოყოლებული ამერიკელებს მიაჩნდათ, რომ მართალია არა ღიად, მაგრამ მაინც იყვნენ მასში ჩართული: აშშ სამხედრო დახმარებას უწევდა სსრკ-ს. რუზველტს დიდი ძალისხმევის ფასად მოუხდა ამერიკელი კათოლიკეებისა და საზოგადოებრივი აზრის დაძლევა, რომლებიც მტრულად იყვნენ განწყობილი საბჭოთა კავშირისადმი მოსახლეობის რწმენის დევნის გამო. 1941 წლის 3 სექტემბერს რუზველტი პაპს წერდა, რომ მისი პირადი წარმომადგენელი მაირონ ტეილორი მზად იყო განეხილა ყველა პრობლემა, რომელიც აღელვებდა პირადად

პრეზიდენტს და ამერიკის საზოგადოებას. პირველ ადგილზე იყო საბჭოთა მთავრობისა და ხალხის დამოკიდებულება რელიგიისადმი: „რამდენადაც ჩემთვის ცნობილია,-წერდა რუზველტი,-ეკლესიები რუსეთში ღიაა“. ის სთავაზობდა პაპს, რომ მოვლენების განვითარება საბჭოთა ხელისუფლებას აიძულებდა სინდისის თავისუფლება გამოეცხადებინა, ამასთანავე ეკლესია არ უნდა ცარეულიყო განათლებისა და პოლიტიკის საქმეებში. როგორც არ უნდა ყოფილიყო, თუ საბჭოთა დიქტატურა და იდეოლოგია გადარჩებოდა, ეს ნაკლებად საშიში იქნებოდა, ვიდრე ჰიტლერის დიქტატურა იყო(ნაცისტების იდეოლოგიაზე არაფერი იყო ნათქვამი, თუმცა იგულისხმებოდა). ტეილორი წუხდა, რომ აშშ-ში ზოგიერთი კათოლიკე ეპისკოპოსი პირველ რიგში აყენებდა კომუნიზმის ანტირელიგიურ პოლიტიკას და საჭიროდ მიაჩნდათ, რომ უარი ეთქვათ ბოლშევიკებისთვის ნებისმიერ დახმარებაზე. სახელმწიფო მდივანმა მალიონემ ტეილორი დაამშვიდა და უთხრა, რომ პაპმა შეაჩვენა კომუნიზმი და არა რუსი ხალხი და რომ ეპისკოპოსებმა დამღვდლებმა თავი უნდა დაანებონ პოლიტიკას და კეთილგონიერი მოქალაქეების აღზრდით დაკავდნენ. 1941 წლის 29 აგვისტოს მესამე რაიხის გენშტაბის გენერლებთან შეხვედრისას, რომელსაც მუსოლინიც ესწრებოდა, ჰიტლერმა განაცხადა, რომ ომი, რომელსაც ის აწარმოებს, პირველ რიგში, ანტიბოლშევიკური ომია.

ღერძისა და მოკავშირეების ფსიქოლოგიურ ომში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ხმებმა სტალინის სავარაუდო წერილის შესახებ პიუს XII-დმი და ასევე პოლონური წარმოშობის ამერიკელ აბატთან სტანისლავ ორლემანსკისთან სტალინის შეხვედრამ. 1942 წლის 3 მარტს იტალიურმა რადიოსადგურმა“რადიო-ურბემ“, რომელიც დაქვემდებარებული იყო ფაშისტური მთავრობის ოფიციალურ სააგენტო „სტეფანიზე“ გადმოსცა ინფორმაცია სტალინის წერილის შესახებ, რომელიც მან თითქოსდა გაუგზავნა პაპს და სთხოვდა დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას საბჭოთა კავშირსა და ვატიკანს შორის. *** ვატიკანმა ჩათვალა, რომ ფაშისტურმა მთავრობამ გადაწყვიტა წმინდა საყდარის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება და დაანაშაულა ის ასეთი სახის მზადყოფნით, კომპრომისზე წასულიყო ბოლშევიზმთან. იმავე წლის 9 მარტს სახელმწიფო მდივანმა, კარდინალმა მალიონემ ნუნციუსის მონსინიორ ბორგონჯინი დუკას მეშვეობით საპროტესტო ნოტა გაუგზავნა იტალიის მთავრობას. წმინდა საყდარი ზედმეტად მიიჩნევდა უარეყო უსაფუძვლო ინფორმაცია, მაგრამ უკმაყოფილებას გამოხატავდა იმის თაობაზე, რომ სწორედ იტალიური სააგენტო ავრცელებდა ინფორმაციას, რომელსაც შეეძლო უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა ვატიკანი. „აქტებისა და დოკუმენტების“ გამომცემლების აზრით, ეს წერილი გამოყენებულ იქნა პროპაგანდისთვის, რომ საბჭოთა კავშირში რელიგიისადმი დამოკიდებულება სერიოზულ სახეცვლილებას განიცდიდა. თუ ფაშისტებს სურდათ ვატიკანის დისკრედიტაცია, მაშინ წერილი მათ წინააღმდეგ იქნებოდა გამოყენებული. ამიტომ საკითხავია, მათგან მოდიოდა ეს პროვოკაცია? ცოტა ხნით ადრე იაპონიამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ვატიკანთან, რაც დიდ ფსიქოლოგიურ უპირატესობას აძლევდა ღერძს; მიუხედავად იმისა, რომ ვატიკანმა კატეგორიულად განაცხადა, რომ " Notizie prive di fondamento" (ინფორმაცია საფუძველს მოკლებულია), მან მაინც გარკვეული გავლენა მოახდინა პოლიტიკურ პროცესებზე. ეს ინფორმაცია გაავრცელა იტალიურმა ოფიციალურმა სააგენტომ "სტეფანიმ", რითაც ვატიკანი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. ფაქტობრივად, ფაშისტებმა პიუს მეთორმეტე დაადანაშაულეს კომუნიზმთან კომპრომისში, რაც თავის მხრივ, მოკავშირეებმა თავიანთი პროპაგანდისტული მიზნებისათვის გამოიყენეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მანამდე ცოტა ხნით ადრე იაპონიამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ვატიკანთან, რაც დიდ ფსიქოლოგიურ უპირატესობას აძლევდა ღერძს, იტალიური სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაცია დამაჯერებლობას არ უნდა ყოფილიყო მოკლებული. მოკავშირეები დაინტერესებული იყვნენ, რათა მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს დაეჯერებინა, რომ სტალინმა ასევე მიმართა პაპს დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად. წერილის არსებობა ლონდონში და ბერლინშიც

დაიჯერეს. ვერმახტის კომენდანტმა გადაწყვიტა, რომ მოკავშირეებს არ ჩამორჩენოდა და ხელახლა გახსნა კიევის უნიატური ეკლესია, რომელიც მანამდე მისი ბრძანებით დახურეს. რაც შეეხება ორლემანსკისთან შეხვედრას, 1944 წლის 28 აპრილს გაზეთმა "პრავდამ" გამოაქვეყნა სტალინისა და მოლოტოვის ფოტოები, რომლებიც საუბრობდნენ "კათოლიკე მღვდელთან სპრინგფილდიდან, სტანისლავ ორლემანსკისთან". აშშ-ში დაბრუნების შემდეგ ორლემანსკიმ ჩიკაგოში პრესკონფერენცია გამართა და აღნიშნა, რომ: "სტალინი ნამდვილი დემოკრატია. ჩემს კითხვაზე: ფიქრობს თუ არა მის უწმინდესობა პიუს მეთორმეტესთან თანამშრომლობაზე კათოლიკების დევნისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მან მიპასუხა: ვფიქრობ, რომ დიახ". ორლემანსკისა და სტალინის შეხვედრამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, ამიტომ ორლემანსკიმ სამოციქულო დელეგატს ჩიკონიანის წერილი მისწერა და აღიარა, რომ შეცდა. ამასთან ერთად ვატიკანში შეხვედრას ითხოვდა. ამერიკული პრესა სხვადასხვა ინფორმაციას ავრცელებდა. გაზეთების დიდი ნაწილი მას ამართლებდა. ჩიკონიანი პაპისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ თუ ორლემანსკის რომში მიიღებდნენ, რუზველტი ამას მიესალმებოდა და ჩათვლიდა წმინდა საყდრის შემხვედრ ნაბიჯად სტალინთან. ეპისკოპოსების აზრით, სტალინთან შეხვედრა პროპაგანდისტული ტრიუკი იყო. პოლონელების უმრავლესობა კი მას მოღალატედ მიიჩნევდა. თვითონ ორლემანსკი, მიუხედავად აღიარებისა, დარწმუნებული იყო, რომ ეს გააკეთა კათოლიკების დასახმარებლად პოლონეთში. ორლემანსკის შეხვედრას შეშფოთებით შეხვდნენ გერმანიაშიც. ელჩმა ფონ ვაიცზეკერმა ეს მონსინიორ ტარდინისთან საუბარშიც აღნიშნა, რაზეც კარდინალმა უპასუხა, რომ ვატიკანს ორლემანსკის ვიზიტთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, ამიტომ პაპი თავს ვალდებულად არ თვლიდა რაიმე ნაბიჯი გადაედგა ამ მიზნით. თეირანისა და იტალიის კონფერენციების ისტორიამ ნათლად აჩვენა, რომ პიუს მეთორმეტის შეშფოთება უსაფუძვლო არ ყოფილა. სტალინმა პოლონეთის ბედი საკუთარი მოსაზრებებიდან გამომდინარე გადაწყვიტა ისე, რომ არ გაითვალისწინა რუზველტისა და ჩერჩილის არც მოსაზრებები და არც თხოვნა.

ამგვარად, როგორც არ უნდა ყოფილიყო, სტალინის სავარაუდო წერილისა და ორლემანსკისთან შეხვედრის ისტორია, მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფსიქოლოგიურ ომში როგორც ღერძის ქვეყნებისთვის, ისე მოკავშირეებისთვის და კიდევ ერთხელ გვიჩვენა ვატიკანის ადგილი და როლი საერთაშორისო ურთიერთობებსა და მსოფლიო პოლიტიკაში.

## 17. ლეილა (ია) ხუბაშვილი). კონცილიარიზმისა და საიმპერატორო ხელისუფლების პრიმატის იდეები XIII-XIV საუკუნეების პოლიტიკურ ფილოსოფიაში და ბრძოლა პაპობის აბსოლუტიზმთან.

პაპობის ბრძოლა აბსოლუტიზმისათვის და საერო ხელისუფლებაზე პრიმატის მოსაპოვებლად სათავეს საუკუნეების სიღრმიდან იღებს და პრაქტიკულად რეალიზდება გრეგორიუს VII დროს (1073-1085), როდესაც „პაპების დიქტატი“ დაიწერა. ინოკენტუს III (1198-1210) პონტიფიკატში პაპობის სწრაფვა თეოკრატიული მონარქიის შესაქმნელად ფაქტობრივად განხორციელდა და პაპმა ნაცვლად „წმინდა პეტრეს ვიკარიუსისა“, „ქრისტეს ნაცვალის ტიტული“ დააკანონა. ბრძოლამ საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის აპოგეას მიაღწია ბონიფაციუს VIII დროს, რაც „ორი მახვილის იდეაში“ აისახა. პაპის ბულა „Unam Sanctam” პაპობის აბსოლუტიზმის კვინტესენცია იყო. უმნიშვნელოვანესი როლი ამ ბრძოლაში VIII საუკუნეში პაპების მიერ შედგენილმა „კონსტანტინეს ნაბოძვარმა“ შეასრულა.

რომის საღვთო იმპერატორებსა და პაპებს შორის ატეხილმა ბრძოლამ პირველობისთვის იტალიაში ორი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული პარტია წარმოშვა გველფებისა და გიბელინების სახით. მთელი იტალია ამ პარტიულ ბრძოლაში გაეხვია. იტალიის მძიმე

პოლიტიკურმა ვითარებამ და პოლიცენტრისტულობამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რენესანსული აზროვნების განვითარებაზე. იქმნებოდა პოლიტიკური ტრაქტატები, რომლებიც ეძებდნენ გზებს მისი ხსნისათვის. დანტე, პეტრარკა, ბოკაჩო, მაკიაველი და სხვები აქტიურად მონაწილეობდნენ პოლიტიკურ პერიპეტიებში. მათი ოცნება ერთიანი იტალია იყო, რომლის სახელმწიფოებრივი მოწყობა ყველა მათგანს სხვადასხვაგვარად წარმოედგინა. იტალიური აზროვნების კორიფეს დანტე ალეგიერის პოლიტიკურ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზეა აგებული ტრაქტატი „De Monarchia," რომელშიც ღრმა ანალიზია მისი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების. ნაშრომი დაწერილი უნდა იყოს 1312-1313 წლებში დანტეს ვერონაში ყოფნის დროს კან გრანდე დელა სკალას სასახლის კარზე. ზოგიერთი მკვლევარის აზრით (რიჩი, ცინგარელი, ერკოლი..) გიბელინების დასაცავად. ცნობილი დანტელოგი მიქელე ბარბი ბოკაჩოზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ დანტემ ეს ტრაქტატი დაწერა ჰაინრიხ VII-ის ლაშქრობის დროს, რომელიც რომის საღმრთო იმპერიის აღდგენას აპირებდა ძველ საზღვრებში. დანტე მასში უნივერსალური მონარქიისა და Una Italia-ს იდეის რეალიზატორს ხედავდა, ამიტომაც მას მისასალმებელი წერილი გაუგზავნა. „De Monarchiaში" სამი უმთავრესი საკითხია დასმული: 1. მსოფლიო მონარქიის აუცილებლობა; 2. რომაელი ხალხის განსაკუთრებულობა: 3.ორი მახვილის საკითხი. ტრაქტატზე მუშაობისას დანტე ეყრდნობოდა არისტოტელეს, ციცერონს, ევკლიდეს, ენგელბერტისა და ავეროსის შეხედულებებს საერო მსოფლიო მონარქიაზე, მაგრამ დაუპირისპირდა ნეტარი ავგუსტინესა და თომა აქვინელის თეორიას სასულიერო ხელისუფლების პრიმატის შესახებ. ფლორენციის რესპუბლიკამ, რომლის მართვაში დანტეც ღებულობდა მონაწილეობას, მას დემოკრატიის ნეგატიური მხარეები უჩვენა. მის თვალწინ გაიარა ტირანიამ, ოლიგარქიამ, დემოკრატიამ. ამიტომაც იყო, რომ დანტესთვის ძალაუფლების მისაღებ ფორმას მსოფლიო იმპერიის შექმნა წარმოადგენდა. „მონარქიაში"დანტემ ნამდვილი პოლიტიკური რევოლუცია იქადაგა პაპობის საერო ძალაუფლების წინააღმდეგ; უარყო „კონსტანტინეს ნაბოძვარი" და მოითხოვა საერო ხელისუფლების დამოუკიდებლობა ეკლესიისაგან. ტრაქტატმა განრისხება გამოიწვია თეოკრატიის მომხრეებში, მაგრამ მისაღები და ახლობელი აღმოჩნდა აღორძინების მოაზროვნეებისთვის. მარსილიო ფიჩინომ „მონარქია" იტალიურად თარგმნა, რათა მისი თეორიები გაეცნო ჰუმანისტების ფართო წრისათვის. 1559 წელს წიგნი გამოიცა არა იტალიაში, არამედ ბაზელში. 1564 წელს პაპმა ის „აკრძალულ წიგნთა ინდექსში" შეიტანა. დანტეს პოლიტიკურმა ტრაქტატმა დროს გაუსწრო. მისი „De Monarchia," პირველი ტრაქტატია მშვიდობასა და სახელმწიფოზე, რომელმაც ევროპის პოლიტიკური არსი შეიცნო და საერთოდ, კაცობრიობაზე ალაპარაკდა. მსოფლიო მონარქია დანტეს წარმოდგენილი ჰქონდა როგორც ერთიანი იტალია, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა სხვა ხალხებსაც, მისი მონარქი კი ანტიკური ცეზარების მემკვიდრე იქნებოდა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დანტესთვის მონარქია ნაციონალური არ ყოფილა. მისეული მსოფლიო იმპერიის სათავეში გერმანელი იმპერატორი, ჰაინრიხ VII დგას, ვინაიდან მას სხვა ძალა არ ეგულებოდა, რომელიც იტალიას გააერთიანებდა. მსოფლიო იმპერიის დედაბოძად დანტეს იტალია მიაჩნდა და არა გერმანია. დანტე ფუძემდებელია ერთიანი იტალიის- Una Italia-ს იდეისა, რომელიც 1870 წელს გარიბალდიმ განახორციელა. მაძინი წერდა: "L Italia se incarnate in Dante" ( „დანტეში იტალიამ ხორცი შეისხა"). ეპოქაში, რომელშიც დანტე ცხოვრობდა (1265-1321), უკვე აღარც პაპი და აღარც იმპერატორი აღარ ასრულებდნენ მითიურ პოლიტიკურ როლს. ამიტომაც დანტეს პოლიტიკურმა ტრაქტატმა „ De Monarchia" ფართო მნიშვნელობა შეიძინა და თავისი უნიკალურობა გამოავლინა. ის მკვეთრად განსხვავდებოდა ნეტარი ავგუსტინეს, თომა აქვინელისა და მათი მიმდევრების-პავლე ოროზიას, ანგელბერტისა და გვიდო ვერნანის მოძღვრებებისაგან. წინააღმდეგობაში იყო ფრანგი იურისტების თეორიებთანაც, რომლებიც თვითმყოფადი ნაციონალური სახელმწიფოს შესაქმნელად იბრძოდნენ და არ აღიარებდნენ მსოფლიო

საერო იმპერიას. და ბოლოს, ის განსხვავდება ასევე ოკამის, ჟან ჟარდენისა და მარჩილიო პადუელის წმინდა პოლიტიკური კონცეფციისგან საერო და სასულიერო ძალაუფლების დაყოფის შესახებ, რომელიც ავეროსის იდეების გავლენითაა დაწერილი 1324 წელს წიგნში „Defensor Pacis"(მშვიდობის გუშაგი). დანტეს ტრაქტატი შეიცავს რელიგიურ და ზნეობრივ იდეალებს, მსოფლიო მონარქის იდეალურ სახეს, რომელიც სრულიად არ ჰგავს შუა საუკუნეების ეპოქის სიუზერენებს, უფრო ნაკლებად კი მაკიაველის ტრაქტატის ტირანებს. „ავინიონის ტყვეობის" პერიოდში (1305-1377), რომელიც 70 წელს გაგრძელდა, საფრანგეთის მეფეთა დახმარებით პაპობამ შეძლო თავისი უნივერსალური მისწრაფებების განხორციელება. ამ პრინციპული წარმოსახვებიდან გამომდინარე, პაპი ყველანაირად უჭერდა მხარს საფრანგეთის მბრძანებლურ პოლიტიკას კონტინენტზე, იტალიაში გერმანულ-რომაული იმპერიის წინააღმდეგ და ასევე ინგლისთან მიმართებაში. პაპების ასეთმა პოლიტიკურმა პოზიციამ მწვავე ასახვა ჰპოვა იმპერატორ ლუდვიგ ბავარიელთან ურთიერთობაში. საინტერესოა, რომ პაპობასა და იმპერიას შორის შეხლა-შემოხლაში მთავარი როლი შეასრულა არა იარაღმა და პოლიტიკურმა ძალებმა, არამედ იდეოლოგიურმა არგუმენტაციამ. პოლიტიკურმა ბრძოლამ საეკლესიო პოლიტიკის არენაზე გადაინაცვლა. იმპერატორის მხარეზე დადგა არა მარტო საერო ფენა, რომელიც უარყოფდა პაპის აბსოლუტიზმს, და კურფიურსტები, არამედ სამღვდელოებაც, მათ შორის ეკლესიის იერარქებიც. პაპისთვის მოულოდნელად ლუდვიგ ვიტელსბახს მხარი დაუჭირეს პარიზის უნივერსიტეტის თეოლოგებმა და მინორიტების ორდენმა. პარიზის უნივერსიტეტის პროფესორებმა, ფრანცისკელებმა მარჩილიო პადუელმა (1280-1343) და ჟან ჟანდენმა (1285-1328) პაპის აბსოლუტიზმის საწინააღმდეგოდ წინ წამოწიეს კრების პრინციპი-კონცილიარიზმი და საერო ხელისუფლების (საიმპერატორო) პრიმატი პაპობაზე. მარჩილიო 1312 წელს პარიზის უნივერსიტეტის რექტორი იყო. ფილოსოფოსმა ჟან ჟანდენმა 1324 წელს ავეროსის იდეების გავლენით მარჩილიოსთან ერთად დაწერა ტრაქტატი „Defensor Pacis"( „მშვიდობის გუშაგი"), რომელიც ლუდვიგს გადასცეს რაჰენსბურგში. მასში იმპერატორი მშვიდობის გუშაგადაა გამოყვანილი. წიგნში ხაზგასმულია, რომ პაპებმა თავიანთი მბრძანებლური მისწრაფებებით ბუნებრივი სამყარო დაშალეს, ამიტომ იმპერატორმა უნდა აღადგინოს ბუნებითი სამართალი და დაიცვას წესრიგი. სრულყოფილი სამყარო სახელმწიფოა და არა ეკლესია,-ამტკიცებდნენ ისინი. მათ წინ წამოწიეს ხალხის უზენაესობის პრინციპის რეალიზება ეკლესიაზე. ამ თეორიის მიხედვით, პაპების პრიმატი და საეკლესიო იერარქიის ღვთაებრივი წარმომავლობა უარყოფილი იყო, მსოფლიო კრება კი განიხილებოდა პაპზე ზემდგომ ორგანოდ, რომელიც დაკავებული იქნებოდა მხოლოდ ქადაგებითა და სარწმუნოებრივი მოძღვრებით. ამგვარად, წოდებრიობის კონცეფციამ განხორციელება ჰპოვა ეკლესიის შიგნით პრინციპით:" Concilium supra papam"-კრება მაღლა დგას პაპზე. 1326 წელს ინკვიზიციისგან დევნილმა ჟანდენმა და ოკამმა თავის თანამოაზრეებთან ერთად თავი შეაფარა იმპერატორის სასახლეს. მარჩილიო პადუელმა კი ლუდვიგ ბავარიელის პირად ექიმად დაიწყო მუშაობა.კონცილიარიზმის იდეამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ფრანცისკელთა ნომინალისტურ თეოლოგიაში, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელები იყვნენ დუნს სკოტი (1266-1308), უილიამ ოკამი (1285-1349) და გერმანელი დომინიკელი მაისტერ ეკჰარტი (1260- 1337). მათი აზრით, საერო საქმეებში პაპი იმპერატორს უნდა ემორჩილებოდეს, სასულიეროში კი პირიქით და რაც მთავარია, ადამიანს ეკლესიის გარეშეც შეუძლია შეუერთდეს ღვთიურ მარადისობას. ეს უკვე აშკარა ერესი იყო! თეოლოგიური დისპუტი პოლიტიკაში გადაიზარდა და ანტიპაპური ხასიათი მიიღო, რასაც მინორიტების ორდენიც შეუერთდა. პაპმა იოანე ოცდამეორემ მას ერეტიკული მოძრაობა უწოდა და დაიწყო მათი დევნა. მართალია, კონცილიარიზმის პირველი თეორეტიკოსი ოკამი იყო, მაგრამ მისი იდეების გამგრძელებელი საეკლესიო პოლიტიკაში გახდა ჯერ ჟან ჟერსონი, შემდეგ კი ნიკოლო კუზელი (1401-1464), რომელმაც

დასრულებული სახე მისცა ამ იდეებს, შეიმუშავა წოდებრიობის სისტემა, პაპის ეკლესიის რეფორმირება და საბოლოოდ გზა გაუხსნა რეფორმაციას.
პოლიტიკური პროცესები კი ასე განვითარდა: 1327 წელს ლუდვიგ ვიტელსბახი გიბელინების მიწვევით მილანში ჩავიდა და ლომბარდიის მეფედ ეკურთხა. 1328 წლის 17 იანვარს კი პაპების მიერ მიტოვებულ რომში ჩავიდა და წმ.პეტრეს ტაძარში იმპერატორის გვირგვინი არა პაპისგან, არამედ რომაელი ხალხის ნდობით აღჭურვილი პირისგან ქალაქის პრეფექტისგან-შარა კოლონასგან მიიღო. საეკლესიო მირონცხება კი შეასრულა ორმა განკვეთილმა ეპისკოპოსმა. ასე განხორციელდა მარჩილიო პადუელის ძირითადი იდეა-ხალხის უზენაესობის პრინციპი. მადლობის ნიშნად იმპერატორმა ის თავის მოადგილედ დანიშნა რომში. მაგრამ ლუდვიგ ბავარიელის სიკვდილის შემდეგ პაპის კურიამ ძალისხმევა გააძლიერა და ტახტზე აიყვანა კარლ მეოთხე, რომელსაც „მღვდლების იმპერატორს" ეძახდნენ. მისი მეფობის წლებში ინკვიზიციამ გერმანიაში ერესი საბოლოოდ ამოძირკვა. პაპობის ძალაუფლება კიდევ უფრო გაძლიერდა, რასაც უამრავი პოლიტიკური ქარტეხილი მოჰყვა. 1869-1870 წლებში მიმდინარე ვატიკანის პირველ მსოფლიო კრებაზე ლიბერალი პაპის სახელით ტახტზე ასულმა პაპმა პიუს მეცხრემ კრებას მიაღებინა დადგენილება პაპის უცოდველობისა და პრიმატის შესახებ, მაგრამ რევოლუციონერი პაპის იოანე ოცდამესამეს ძალისხმევით ვატიკანის მეორე კრებაზე (1962-1965) კონცილიარიზმმა გაიმარჯვა.

## 18. ფატიმა შეყლაშვილი. გერმანიის საგარეო პოლიტიკის ბალკანური ვექტორი XX ს-ის 90-იან წლებში

XX ს. 80-90- იანი წლების მიჯნაზე მსოფლიო პოლიტიკაში მომხდარმა მთელმა რიგმა რევოლუციურმა ცვლილებებმა გერმანიის გაერთიანებამ, იუგოსლავიის დაშლის პროცესებმა, კრიზისული ზონების წარმოქმნამ ბალკანეთზე და სხვ. შეცვალა ძალთა თანაფარდობა ევროპაში, გავლენა მოახდინა დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური კურსის ტრანსფორმაციაზე და გარკვეულწილად, მათი პოლიტიკის მოდერნიზაციის აქტიურ ფაქტორადაც იქცა.
ახლად გაერთიანებული გერმანიის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გახდა ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის და ამ ქვეყნებში ანტიგერმანული ტენდენციის ნეიტრალიზაციის საკითხი.
ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე დაწყებული კრიზისი გერმანიის საგარეო პოლიტიკისთვის ერთგვარ გამოწვევად იქცა, შესაბამისად, 90-იანი წლების დასაწყისისთვის გერმანიის პოლიტიკური კურსი ბალკანეთზე გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიფრთხილით. ბევრი მკვლევარის აზრით, გერმანია ითვალისწინებდა ნატო-ს და ევროკავშირის ინტერესებს, რათა შეენარჩუნებინა ევროპული და ტრანსატლანტიკური ინსტიტუტების ნდობა, მაგრამ, უწინარესად ეყრდნობოდა საკუთარ ინტერესებს და ყოველთვის არ სარგებლობდა ადეკვატური მეთოდებით.
გასათვალიწინებელია, რომ 1990წ. მოსკოვის შეთანხმების პირობებით, გამარჯვებული ქვეყნები ინარჩუნებდნენ გერმანიის სუვერენიტეტის ნაწილობრივი შეზღუდვის რეჟიმს, რაც აბრკოლებდა გერმანიის შესაძლებლობას, სრულფასოვნად დაბრუნებოდა "დიდ სახელმწიფოებს".
გერმანიის ორმაგი როლი გამოიკვეთა 1990-იანი წლების ბალკანეთის კონფლიქტებში, გერმანია გამოვიდა იუგოსლავიის დაშლის მომხრედ და არ ჰქონდა რა ამ პროცესებში დამოუკიდებლად ჩარევის შესაძლებლობა, მკვლევართა ნაწილის შეფასებით, შეეცადა კრიზისისთვის შეეძინა საერთაშორისო ხასიათი, რომელიც მისცემდა საშუალებას გადაელახა კონსტიტუციური აკრძალვები და ამასთან, დაეშოშმინებინა ორად გაყოფილი

მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი_ბუნდესვერის მონაწილეობაზე გაერო-ს და ნატო-ს სამშვიდობო მისიებში.

1995წ. დეიტონის ხელშეკრულებამ გაამყარა გერმანიის პოზიციები ბალკანეთზე, თუმცა სერბეთ-ხორვატიისა და ბოსნიის კრიზისებისას ვერ მოხერხდა მოსკოვის შეთანხმების სრული რევიზია.

ჰ.კოლის ხელისუფლების საგარეო კურსის ახალი სქემის აპრობაციად იქცა კოსოვოს კრიზისი. ამ ეტაპზე გერმანია ორიენტირებულია დიპლომატიის გზით დაარეგულიროს ვითარება.

1998წ. გერმანიაში ხელისუფლებასთან ერთად იცვლება საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები. კოსოვოს კონფლიქტის განვითარების პარალელურად გერმანია გამოდის შეიარაღებული ძალების საზღვარგარეთ მოქმედებების ომის შემდგომი შეზღუდვებიდან და უშვებს ბუნდესვერის მონაწილეობას ბალკანეთის ოპერაციებში.

1999წ. ი.ფიშერის ინიციატივა (”ი.ფიშერის გეგმა”) უშიშროების საბჭოს რეზოლუციის გადამუშავებაში მონაწილეობაზე, რომლითაც შეიქმნა საჰაერო თავდასხმების შეწყვეტის შესაძლებლობა, მიუთითებს გერმანიის პოზიციის ცვლილებაზე ბალკანეთზე შექმნილი ვითარების დარეგულირების საკითხში. გერმანიის ფედერალური ხელისუფლების დიპლომატიის ("სამხ-აღმ. ევროპის სტაბილურობის პაქტი") ძალისხმევა ბალკანეთზე სტაბილურობისთვის გამართულ პოლიტიკურ პროცესებში ღიად გამოიკვეთა.

## 19. ფატიმა შეყლაშვილი. ნაციონალ-სოციალისტური ელიტური სასწავლებლები („ნაციონალ-პოლიტიკური აღმზრდელობითი დაწესებულებები“ „Napola“, „ადოლფ ჰიტლერის სკოლები“ „AHS“, „რაინდული ცხრაკლიტულები“„Ordensburgen“)

ნაციონალ-სოციალისტები ახალგაზრდების აღზრდას ნაციონალ-სოციალისტური სულისკვეთებით განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ. სწავლებაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა რასობრივი თეორიის პრინციპებით აღზრდაზე, სამხედრო წვრთნებზე, ხასიათის სიმტკიცეზე. მიიღეს მთელი რიგი კანონები განათლების სისტემის რეფორმისათვის, დაწყებითი სკოლებიდან უნივერსიტეტების ჩათვლით.

სასწავლო პოლიტიკაში უმთავრესი ადგილი დაიჭირა სპეციალური ელიტური სასწავლებლების ქსელმა, რომლის დახმარებითაც სახელმწიფო ესწრაფვოდა ჩამოეყალიბებინა მმართველი ელიტის თაობა, მათ მიეკუთვნებოდა ნაციონალ-პოლიტიკური აღმზრდელობითი დაწესებულება "NAPOLA", „ადოლფ ჰიტლერის სკოლები“ (AHS), რომლებიც დასაწყისშივე დაგეგმილი იყო პარტიულ სკოლებად, ასევე არსებობდა „რაინდული ცხრაკლიტულები“(„Ordensburgen“). ისინი ფორმალურად ექვემდებარებოდნენ მეცნიერების, აღზრდის და განათლების საიმპერიო სამინისტრო, თუმცა ამ დაწესებულებებში ძლიერი იყო SS -ის გავლენა .რიგ მათგანში შემოიღეს უნიფორმები, რომლებიც Waffen-SS-ის ფორმას ჰგავდა, ხოლო მას შემდეგ, რაც 1936 წ. ნაპოლას ხელმძღვანელი გახდა SS-ის ობერგრუპენფიურერი ავგუსტ ჰაისმაიერი, ფაქტობრივად, გადავიდა SS-ის ხელში და შევიდა ჰაისმაიერის სამსახურის SS-ის მთავარი სამმართველოს სტრუქტურაში. 1942 წლისთვის უკვე აერთიანებდა 23 სასწავლო დაწესებულებას, მათ შორის 4 ავსტრიაში იყო და ერთი სუდეტებში. შემდეგში მათი რიცხვი 45-მდე გაიზარდა. სასწავლებლები მდებარეობდა ბადენშტედტში, ბენსბერგში, ბერლინში, ვალშტადტში, ვოლშტაინში, პოტსდამში, პლიონში, როტვაილში, ფალკენბურგში, რაიზენში, ჰუბერტენდორფში, ვენაში და სხვ. ეს იყო ელიტური სკოლები, აქ სწავლა განაპირობებდა უნივერსიტეტში შესასვლელ კვალიფიკაციას.

1933-36 წლებში მათ ხელმძღვანელობდა იოაჰიმ ჰაუპტი, 1936-1944 წლებში - ავგუსტ ჰაისმაიერი და 1944-1945 წლებში - ჰაინრიხ ჰიმლერი. მათი სასწავლო პროცესი აწყობილი იყო პრუსიული კადეტთა კორპუსების პროგრამაზე. ნაპოლას სასწავლებლებში იღებდნენ მოზარდებს 11-დან 18 წლამდე, წმინდა რასობრივი კუთვნილების მიხედვით.

სტუდენტების ოფიციალური სახელი იყო Jungmann (მრავლობითი Jungmannen). არდადაგების დროს იყო სავალდებულო სამსახური ჰიტლერულ ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან. გამოდიოდა ჟურნალი „იუნგმანი“ (“Der Jungmann”) ,რომელიც წერდა ნაპოლას საქმიანობაზე, სასწავლო პროგრამებზე, სწავლების ფორმებზე და აღზრდის მეთოდებზე. „ადოლფ ჰიტლერის სკოლებისთვის“ კანდიდატებს „ჰიტლერიუგენდის“ უმცროსი ჯგუფებიდან არჩევდნენ, უნდა ყოფილიყვნენ უმწიკვლო რასობრივი მაჩვენებლებით, სწავლება ხდებოდა სამხედრო ნიმუშით, აკვირდებოდნენ მოსწავლეების ჰიგიენას. დამთავრებისას იღებდნენ მოწმობას უნივერსიტეტში შესასვლელად, როგორც წინაპირობას. „ორდენსბურგის“ სკოლებში მოსახვედრად უპირატესობა ჰიტლერის სკოლის და ნაპოლას მოსწავლეებს ჰქონდათ. „ორდენსბურგის“ სკოლებში სწავლა ყველა გერმანელი მოზარდის ოცნება იყო. აქ მოხვედრა არ იყო ადვილი. არსებობდა 4 „რაინდთა სკოლა“- გროსინზე, ზონტჰოფენი, ფოგელზანგე და მარენბურგი. თვითეულში ათასამდე მოსწავლე ითვლებოდა, მათ იუნკრებს ეძახდნენ. სწავლა 4 წელი გრძელდებოდა (პირველი წელი ისწავლებოდა რასობრივი დოქტრინა, მეორე წელს - ათლეტიკა, პარაშუტით ხტომა, კლდეზე ცოცვა, მესამე წელს - პოლიტიკური აღზრდა და სამხედრო საქმე, მეოთხე დამამთავრებელ წელს - პოლიტიკური და სამხედრო სწავლება). აღსანიშნავია, რომ ათლეტური მონაცემები და გამბედაობის ძალა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე აკადემიური ცოდნა. დასრულების შემდეგ მათ შეეძლოთ დაეჭირათ ხელმძღვანელი პოსტები ნაცისტურ აპარატში.

"NAPOLAS"-ის დევიზი იყო სიტყვები "Glauben, Gehorchen, Kampfen" (ირწმუნე, დაემორჩილე, იბრძოლე). სწავლების მთავარი საგნები იყო მათემატიკა, ფიზიკა, ისტორია, ბიოლოგია და გერმანული ენა. NAPOLAS-ის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულებს უნდა გაეტარებინათ ექვსთვიანი შრომითი სამსახური და სამი თვის სამსახური ვერმახტში, რის შემდეგაც მათ ჰქონდათ საკმაო შესაძლებლობები კარიერული წინსვლისთვის.

კურსდამთავრებულებს საშუალება ჰქონდათ თვითონ აერჩიათ პროფესია და აეწყოთ კარიერა. შეეძლოთ გამხდარიყვნენ ინჟინრები, ექიმები. თუმცა, ახალგაზრდების უმრავლესობამ გერმანიის შეიარაღებულ ძალებსა და SS-ში მსახურება აირჩია. შესაბამისად, მათი უმრავლესობა იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში.

## 20. მერაბ კალანდაძე. საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის ევოლუცია

გამოქვეყნებულია.

## 21. მერაბ კალანდაძე, თამარ ანთაძე. ჟან პოლ მარატი ქართულ ისტორიოგრაფიაში

ჟან პოლ მარატი საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა იყო, რომლის შეფასებაც ისტორიკოსთა შორის სერიოზულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. ევროპელ ისტორიკოსთა დიდი ნაწილი მარატის მოღვაწეობას სიმპატიით არ ეკიდებოდა. მარატისადმი გაცილებით უფრო კეთილგანწყობილი ჩანდა საბჭოთა ისტორიოგრაფია. დღეს ეს მიდგომა უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, და ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია. ნაშრომი მიზნად ისახავს თვალი გაადევნოს მარატისადმი ქართული ისტორიოგრაფიის დამოკიდებულებას. მან საინტერესო ფერისცვალება განიცადა. თუ გასაბჭოებამდე ქართული ისტორიოგრაფია მარატის მოღვაწეობას რეალისტურად აფასებდა და გულგრილად ეკიდებოდა, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ვითარება მკვეთრად შეიცვალა და მარატისადმი რეალისტური დამოკიდებულება მისადმი აშკარა სიმპათიებმა

ჩაანაცვლა.დღეს ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს მარატისადმი უფრო დაბალანსებული მიდგომა შეიმუშავოს. რაც სწორი უნდა იყოს.

**22. მერაბ კალანდაძე, თამარ ანთაძე. თიუდორთა მმართველობა ქართულ ისტორიოგრაფიაში**

ინგლისელ ისტორიკოსებს ძალიან უყვართ საუბარი თიუდორთა ოქროს ხანაზე. განსაკუთრებით კი ელისაბედის მმართველობაზე (1558-1603), ამიტომ ვფიქრობთ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს თვალი გადავავლოთ საქართველოში თიუდორთა დინასტიის შესწავლის ისტორიოგრაფიას. მას თავისი ტრადიცია გააჩნია და ის იწყება ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, კონკრეტულად კი 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსული ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში, რომელიც საბჭოთა წლებში ამ საკითხის ისტორიიდან სრულიად ამოღებული იყო სადღაც გაქრ,ა გაუჩინარდა თითქოსდა არც არსებობდა. ჩვენ გავასწორეთ ეს შეუსაბამობა. საქართველოში თიუდორთა დინასტიისადმი დამოკიდებულებამ საინტერესო ევოლუცია განიცადა. გასაბჭოებამდე ქართულ ისტორიოგრაფია თიუდორთა დინასტიის მოღვაწეობისადმი სიმპატიებს ამჟღავნებდა და მას დადებითად აფასებდა. ამ წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები ვფიქრობთ ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. მკვეთრად იცვლება სიტუაცია საბჭოთა პერიოდში როდესაც თიუდორთა დინასტიისადმი სიმპატიები ჩაანაცვლა მათი მოღვაწეობისადმი ხისტმა დამოკიდებულებამ. ერთ-ერთი მიზეზი პიროვნების როლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო. თანამედროვე ქრთული ისტორიოგრაფია ცდილობს, რომ შეიმუშავოს თიუდორთა დინასტიისადმი უფრო დაბალანსებული და სწორი მიდგომა.

**23. თამარ ანთაძე. ვარლამ ჩერქეზიშვილი დრეიფუსის საქმეზე**

დრეიფუსის საქმე XIX- XX საუკუნეების ისტორიაში ერთ-ერთი აქტუალური თემა იყო. ამიტომ ვფიქრობთ ამ საკითხისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება სავსებით მართლზომიერია. ის როგორც ამ მოვლენების თანამედროვე საკმაოდ კარგად არის ინფორმირებული კონკრეტული საკითხისადმი და სწორი პოზიცია უკავია დრეიფუსის საქმის შეფასების დროს. მისი სიმპათია პროგრესული საწყისისაკენ იხრება და სავსებით ამართლებს დრეიფუსს.

**24. თამარ ანთაძე. ვარლამ ჩერქეზიშვილი სერ ართურ ბალფურზე და ჯონ კიტჩენერზე**

ჩვენ ვაგრძელებთ ვარლამ ჩერქეზიშვილის პუბლიცისტური მემკვიდრეობის შესწავლას. ამჯერად ყურადღებას მივაპყრობთ ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე მის შეხედულებებს. საუბარი გვექნება ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულებაზე ორი ცნობილი ინგლისელი პოლიტიკოსის სერ არტურ ბალფურისა და ჯონ კიტჩენერის შესახებ. ვარლამ ჩერქეზიშვილის თავშეკავებული დამოკიდებულება ბალფურისა და კიტჩენერის მიმართ ვფიქრობთ შემთხვევითი არ უნდა იყოს და მნიშვნელოვანწილად გლადსტონისადმი სიმპატიებით არის გამოწვეული. მისთვის ბალფური როგორც გლადსტონის პოლიტიკური ოპონენტი მიუღებელი იყო. ასეთი მოსაზრება შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და მისი მსჯელობის პოზიტიური მხარეა.

**25. ზაალ გოგენია. თანამედროვე ესპანეთის პარტიული სისტემა პოლიტიკური ჩიხის პირობებში 2015-2016 წწ.**

ესპანეთის პარტიულმა სისტემამ რადიკალური ცვლილება განიცადა, ისტორიას ჩაბარდა ბიპატრიზმი - რა დროსაც ორი პარტია: მემარჯვენე ცენტრისტული - სახალხო პარტია და მემარცხენე ცენტრისტული - ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტია - მორიგეობით ცვლიდნენ ერთმანეთს ხელისუფლების სათავეში. ტრადიციული პარტიებისადმი ნდობის კრიზისი გამოიწვია არამხოლოდ ამომრჩევლის მიერ მათი პოლიტიკური კურსის შეფასებამ. საქმე იმაშია, რომ ესპანეთში პოლიტიკურმა პარტიებმა ისტორიულ მემკვიდრეობად მიიღეს მართვის ავტორიტარულ-ბიუროკრატიული მეთოდები. ის იგება იერარქიული პრინციპით და ატარებს კაუდილისტურ ხასიათს. სახალხო პარტიის და სოციალისტური პარტიის დასუსტებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ორმა ფაქტორმა: სოციალურმა უთანასწორობამ და ფართომასშტაბიანმა კორუფციამ. პოლიტიკურ ავანსცენაზე პოზიცია გაიმყარა ორმა ახალმა პარტიამ რომლებმაც გამოწვევა ესროლეს ტრადიციულ პარტიებს ესენია ,,პოდემოსი" (Podemos- შეგვიძლია) და ,,სიუდადანოსი" (Siudadanos-მოქალაქეები)

2015 წლის დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებში ხმები ისე განაწილდა, რომ მთავრობის ფორმირება შეუძლებელი გახდა პარტიებს შორის მოლაპარაკებების გარეშე. არჩევნების შემდეგ სახალხო პარტიის ლიდერმა მარიანო რახოიმ უარი თქვა მთავრობის ჩამოყალიბებაზე, პარლამენტში არასაკმარისი მხარდაჭერის პირობებში, ვერ გაართვა თავი ამ ამოცანას სოციალისტების ლიდერმა პედრო სანჩესმაც. მართალია მან მიაღწია შეთანხმებას ,,სიუდადანოსთან" მაგრამ ერთად მათ ჰქონდათ 130 მანდატი. დანარჩენი პარტიები პირველყოვლისა პოდემოსი რომლის მხარდაჭერის იმედიც სოციალისტებს ჰქონდათ, ამ შეთანხმებას არ შეუერთდა.

ბრალი იმაში, რომ ახალი მთავრობა ვერ ჩამოყალიბდა მიუძღვოდა ყველა ძალას თუმცა სხვადასხვა დოზით. პარტიებმა დაადგინეს წითელი ხაზები, თავიანთ კოალიციურ პოლიტიკაში ხაზს უსვამდნენ დამოუკიდებლობას, იმის ნაცვლად ეძებათ შეხების წერტილი და ინტერესთა თანხვედრა. პარტიული ლიდერები პირველ ადგილზე აყენებდნენ არა საერთო ეროვნულ არამედ ვიწრო პარტიულ ინტერესებს და ამბიციებს. პარტიების შეუთანხმებლობამ უარყოფითად იმოქმედა ელექტორატის განწობაზე, შესაბამისად 2016 წლის 25 ივნისს დანიშნულ არჩევნებზე აქტიურობა იყო დაბალი. 2016 წლის 25 ივნისის არჩევნებმა გამოკვეთა პარადოქსული სიტუაცია, სახალხო პარტიას ჰყავს ელექტორატი რომელიც მიუხედავად ხმამაღალი კორუფციული სკანდალებისა მაინც რჩება პარტიის ერთგული.

მემარცხენეთა ბანაკში მოსალოდნელი იყო დიდი ცვლილება. პროგნოზებით მეორე ადგილს დაიკავებდა ,,გაერთიანებული პოდემოსი" (Unidas Podemos) - საარჩევნო ბლოკი ფორმირებული პოდემოსის და ,,გაერთიანებული მემარცხენეების" მიერ, რომლის ხერხემალს წარმოადგენდნენ კომუნისტები. ამ ჯგუფთან კოალიციაში შესვლა ნიშნავდა პოდემოსის დგომას მტკიცე მემარცხენე პოზიციაზე, მაგრამ ამასთან პარტია ცდილობდა არ დაეკარგა ზომიერი მომხრეებიც. ,,გაერთიანებული პოდემოსი" არ მალავდა თავის სურვილს გამხდარიყო სახალხო პარტიის ალტერნატივა და სოციალისტები მესამე ადგილზე გადაეყვანა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. სოციალისტურმა პარტიამ დაიკავა მეორე ადგილი და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ წარმოადგენდა წამყვან ძალას მემარცხენეთა ბანაკში.

არჩევნების შემდეგ მთავრობის ფორმირების პირველი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა, რახოის კანდიდატურას მხარი დაუჭირა ,,სიუდადანოსმა" და ,,კანარის კუნძულების კოალიციის" დეპუტატებმა რაც არ იყო საკმარის უბრალო უმრავლესობისთვისაც კი. ამ ვითარებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა სოციალისტების პოზიციამ. ესპანეთის სოციალისტურ პარტიაში გაჩაღდა უმწვავესი კრიზისი, რახოისთვის ნდობის გამოცხადების საქმეში სოციალისტებმა ამჯერად თავი შეიკავეს (პირველად წინააღმდეგ წავიდნენ) შედეგად სახალხო პარტიამ შექმნა ,,უმცირესობის მთავრობა" რომელიც მოექცა ოპოზიციის მკაცრი კონტროლის ქვეშ.

## 26. ზაალ გოგენია. ფეხბურთი და ანტიკომუნიზმი ფრანკისტულ ესპანეთში

ფრანკისტულ იდეოლოგიურ სისტემაში ანტიკომუნიზმი ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია, ამ მიმართულებით ფეხბურთი ხშირად გამხდარა პოლიტიკური ბრძოლის და პროპაგანდის მძლავრი იარაღი. 1960 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის დროს სატურნირო ბადის მიხედვით მეოთხედფინალში ერთმანეთს უნდა შეხვედროდა სსრკ-ს და ესპანეთის ნაკრებები (პირველი მატჩი უნდა ჩატარებულიყო 29 მაისს მოსკოვში, ათი დღის შემდეგ ესპანეთში). ანტიკომუნიზმმა გადაწყვიტა მატჩის ბედი, ფრანკომ აკრძალა ნაკრების მოსკოვში გამგზავრება. სსრკ ფეხბურთის ფედერაციამ თავის განცხადებაში კატეგორიულად დაგმო ,,ფაშისტი ფრანკოს" უხეში ჩარევა სპორტულ საქმეში. ნ. ხრუშჩოვმა კი ესპანელი დიქტატორის საქციელი შეადარა ,,ამერიკის ინტერესების დამცველის მიერ საკუთარ კარებში გატანილ გოლს".

ოთხი წლის შემდეგ 1964 წლის ივნისში ევროთასის ფინალში ერთმანეთს მაინც დაუპირისპირდნენ ესპანეთის და სსრკ ნაკრებები. დაპირისპირება სათამაშო მოედანზე ატარებდა უაღრესად მწვავე და პრინციპულ ხასიათს. სპორტულის გარდა მატჩი საინტერესოა პოლიტიკური კონტექსტის თვალსაზრისით. ფრანკოს რეჟიმის საგარეო პოლიტიკა ახალ ფაზაში გადავიდა, საბოლოოდ დასრულდა იზოლაციის პერიოდი, ქვეყანას სჭირდებოდა იმიჯის გაუმჯობესება საზღვარგარეთ, ავტარკიამ გზა დაუთმო ეკონომიკური ლიბერალიზაციის, ფრანკოს სურდა ევროპულ სტრუქტურებთან დაახლოება. საგარეო საქმეთა მინისტრი კასტიელია არწმუნებდა კაბინეტს თუ რა დიპლომატიური უპირატესობა ექნეობდა ფინალის ესპანეთში ჩატარებას. ესპანეთს უნდა ეჩვენებინა მსოფლიოსთვის, რომ გახდა უფრო ტოლერანტული და სტუმართმოყვარე. ანტიკომუნისტური რიტორიკაც ოდნავ შესუსტდა. კიდევ ერთი ფაქტორი რომელიც განაპირობებდა ფინალის მნიშვნელობას ეს იყო ფრანკოს რეჟიმის 25 წლისთავი.

როცა გაირკვა რომ ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებოდა ესპანეთი და სსრკ თამაშმა უდიდესი პროპაგანდისტული მნიშვნელობა შეიძინა. ესპანური მედია, კონკრეტულად გაზეთი ABC ერიდებოდა იდეოლოგიური და პოლიტიკური მოდელების შედარებას და ამ დაპირისპირებას წარმოაჩენდა როგორც იდენტობათა კონფრონტაციას, რაც მხარეთა თამაშის სტილში აისახებოდა. სსრკ-ს ბუნებიდან გამომდინარე საბჭოთა ნაკრების თამაშში გამოკვეთილი იყო კოლექტივი რასაც უპირისპირდებოდა ესპანური ინდივიდუალიზმი, ასე დამახასიათებელი ესპანელებისთვის და ლათინოამერიკელებისთვის. ამრიგად სათამაშო მოედანზე უპირისპირდებიან ერთმანეთს არა მხოლოდ ნაკრებები არამედ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სოციუმის ტიპები. გაზეთი ამტკიცებდა, რომ ,,ესპანელებმა ასწავლეს თამაში საბჭოთა ფეხბურთელებს" და მოყვანილი იყო 1937 წელს ესპანელთა ნაკრების სსრკ-ში თამაშის ისტორია, რეალურად აქ საუბარი იყო რესპუბლიკური ესპანეთიდან ბასკი ფეხბურთელების საფეხბურთო ტურნეზე, მაგრამ საინტერესოა, რომ გაზეთი არ აკონკრეტებდა რომელ გუნდზე იყო საუბარი, და დამალული იყო ნამდვილი კონტექსტი, რაც რეჟიმისთვის უფრო საზიანო იყო ვიდრე სასარგებლო.

ფრანკო პირადად ესწრებოდა თამაშს, თუმცა დაგვიანების გამო მატჩი ნახევარი საათით გვიან დაიწყო. კაუდილიომ სპეციალურად დააგვიანა რათა დამატებით ზეწოლა მოეხდინა მოწინააღმდეგეზე. ამ მეთოდს ის ხშირად მიმართავდა და საკმარისია გავიხსენოთ ჰიტლერთან შეხვედრა ენდაიში როდესაც ფიურერი ერთი საათი ალოდინა და ამით ერთგვარად მოამზადა უარყოფითი პასუხისთვის. პრესაში და ტელევიზიაშიც ძირითადი აქცენტები კეთდებოდა რა ,,მხურვალე ტაშით" შეეგება 120 ათასი ესპანელი ფრანკოს და მის მეუღლეს რითაც ხაზი ესმებოდა ესპანელი ხალხის ერთიანობას და რეჟიმისადმი ერთგულებას. მსოფლიოში მილიონობით ადამიანმა ნახა ეს და ამ

მიმართულებით ფრანკო ვერ მალავდა თავის კმაყოფლებას სალგადო არაუხოსთან საუბარში.
საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის ისევე როგორც ფრანკოსთვის ეს არ იყო მხოლოდ ფეხბურთი. ეს იყო დაპირისპირება, არა ნაკრებებს არამედ სისტემებს, არა ფეხბურთელებს არამედ ჯარისკაცებს შორის. ეს არ იყო მატჩი, ეს იყო ბრძოლა და ამ ბრძოლაში გაიმარჯვა ფრანკომ. ხრუშოვისთვის ფრანკისტებთან წაგება იყო პოლიტიკური დამარცხება, საბჭოთა სახელმწიფოს ღირსების შებღალვა. შესაბამისად აშუქებდა ამ მოვლენას საბჭოთა პრესაც.
ფრანკოს რეჟიმის ხანგრძლივობიდან გამომდინარე ფეხბურთის გამოყენება როგორც პროპაგანდის იარაღად მხოლოდ ევროთასზე მოპოვებული გამარჯვებით არ შემოიფარგლება. ბევრ თამაშს ჰქონდა საინტერესო პოლიტიკური კონტექსტი. ესპანეთის საფეხბურთო ნაკრები და მადრიდის რეალი მკვლევართა უმრავლესობის აზრით ეს იყო გუნდი რომელიც ყველაზე უკეთ ემსახურა რეჟიმს.

## 27. ზაალ გოგენია. პრეკარიატი როგორც კლასი და მისი პოლიტიკური თვითგამოხატვა ესპანეთის მაგალითზე

პოსტინდუსტრიულმა ეპოქამ რადიკალურად შეცვალა შრომის ბაზრის სტრუქტურა. დასაქმებასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა შემქნა ახალი სოციალური ფენა რომელსაც არ აქვს მუდმივი სამუშაო ადგილი და არ აქვს სტაბილური სოციალური გარანტიები, ამ კლასს ეწოდება პრეკარიატი. მის გაჩენას სხვასთან ერთად ახლავს პოლიტიკური რისკები რაზედაც უთითებს ინგლისელი მკვლევარი სტენდინგი, უწოდებს რა მას „ახალ საშიშ კლასს".
ესპანეთში დასაქმების ატიპიური ფორმების ფართოდ გავრცელების მიზეზებს განაპირობებს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების მოდელის სპეციფიკა. მისთვის ყოველთვის იყო დამახასიათებელი უმუშევრობის მაღალი დონე და უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში რჩება ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ევროკავშირში. უმუშევრობა ხშირად გადასცდენია 20%-ს და არასდროს ჩამოსულა 8%-ზე დაბლა. ამასაც თავისი მიზეზები აქვს: ქალების საწარმოო აქტიურობა, ესპანელთა შრომითი მიგრაციის შემცირება, დისპროპორცია სამუშაო ძალასა და მასზე მოთხოვნას შორის და ა.შ. უმუშევრობის შესამცირებლად სოციალისტურმა პარტიამ ჯერ კიდევ 80-იან წლებში მიმართა ატიპიური დასაქმების ისეთ ფორმას როგორიცაა დროებითი კონტრაქტები. თავდაპირველად ის გათვლილი იყო ახალგაზრდობაზე. ითვლებოდა, რომ ასეთი კონტრაქტები ფართო გავრცელებას ვერ ჰპოვებდა, მაგრამ პირიქით მოხდა. ბოლო პერიოდში ატიპიურმა დასაქმებამ ინსტიტუციონალური გაფორმებაც კი მიიღო
ზოგიერთი ესპანელი ექსპერტის აზრით ქვეყანა გახდა პიონერი დასაქმების ატიპიური ფორმების დამკვიდრების კუთხით, „ჩვენ გავხდით პირველები ვინც გამოსცადა ეს ფენომენი თავის თავზე და დაარქვა მას სახელი" - აღნიშნავენ ისინი.
პრეკარიზაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ შრომითი სფეროთი, ის ახდენს კვალს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე - თაობებს შორის ურთიერთობებზე, პარტიულ-პოლიტიკურ სისტემაზე და ა.შ. ესპანეთის სიტუაციაში (და არა მხოლოდ ესპანეთის) განასხვავებენ პრეკარიზაციის ორ „ფორმას" - როგორც ინდივიდის მდგომარეობა შრომის ბაზარზე და როგორც საზოგადოების ეგზისტენციალური მდგომარეობა. პრეკარიზებულად შეიძლება ჩაითვალოს მილიონობით ესპანელი თავისი ფსიქოლოგიური განწყობით, უიმედობის და გაურკვევლობის გრძნობით, რაც დამახასიათებელია არ მხოლოდ პრეკარიებისთვის არამედ საზოგადოების სხვა წევრებისთვის, მათ შორის ვისაც სტაბილური სამსახური აქვს. საზოგადოებაში სუსტდება სოციალური კავშირები, იზრდება ინდივიდუალიზმი. ხშირად პრეკარიები იმედგაცრუებული არიან დემოკრატიით, უნდობლობას უცხადებენ არსებულ

პოლიტიკურ ინსტიტუტებს. მათთვის დამახასიათებელი გაუცხოების გრძნობა პოლიტიკური სისტემის მიმართ. გამოკვლევები აჩვენებს, რომ პრეკარიებს შორის აბსენტეიზმის დონე არის ძალიან მაღალი, თუმცა რასაკვირველია მათი ნაწილი მონაწილეობას ღებულობს არჩევნებში. რა დროსაც ხმები ნაწილდება მთელ პარტიულ სპექტრზე, ისინი ძირითადად მხარს უჭერენ მემარცხენე პარტიებს, თუმცა მათ იზიდავთ მემარჯვენე პარტიების და კონკრეტულად ,,ვოქსის" დაპირებები, სტაბილურობის აღდგენის, ქვეყანაში წესრიგის დამყარების და ა.შ. შესახებ. პრეკარიატის არჩევანზე გავლენას ახდენს პარტიების დაპირება არალეგალი იმიგრანტების დეპორტირების შესახებ, ვინაიდან ისინი თავიანთ ,,უბედურებას" კონკურენტების სიმრავლეს უკავშირებენ. უნდა აღინიშნოს, რომ პრეკარიების პოლიტიკური შეხედულებები არამდგრადია. ისინი ადვილად ექცევიან პოპულისტური განცხადებების გავლენის ქვეშ, მათი განწყობა შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს რაც პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაციას აღრმავებს.

პრეკარიების ინტერესებს არ იცავს არცერთი ინსტიტუცია. ატიპიური დასაქმება ანგრევს პროტესტის ძველ ინსტიტუციონალურ საფუძვლებს. პროფკავშირი - მუშათა სოლიდარობის ძირითადი ინსტრუმენტი, ვერ რთავს თავის ორბიტაში პრეკარიატის ფართო ფენებს. პრეკარიიდან ბევრი და განსაკუთრებით ახალგაზრდობა ზურგს აქცევს პროფკავშირებს თვლის რა მათ არქაულ, რეტროგრადულ ორგანიზაციად, რომლებიც მხოლოდ მუდმივად დასაქმებულების ინტერესებს იცავენ. პრეკარიზებული ფენების ტრადიციული პოლიტიკის და მისი აქტორების მიმართ იმედგაცრუება გახდა მასობრივი პროტესტის ახალი ფორმების გაჩენის ერთ-ერთი ფაქტორი. ის გაჩნდა ინტერნეტის და სოციალური ქსელების მეშვეობით რომელიც მილიონობით მოქალაქისთვის არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებაა, არამედ თავიანთი მოთხოვნების და აქამდე არნახული საპროტესტო გამოსვლების ორგანიზების ინსტრუმენტი. საუბარია ე.წ. ,,აღშფოთებულთა" მოძრაობაზე. ეს პროტესტი დასავლეთის სხვა სახელმწიფოებსაც გადაედო, ამრიგად სწორედ ესპანეთი გახდა კონსოლიდირებული დემოკრატიის ქვეყნებში საპროტესტო აქციების წამომწყები. ესპანელი ექსპერტების აზრით სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებზე თავისი ზემოქმედებით ,,აღშფოთებულთა" მოძრაობა შეესაბამება საფრანგეთის 1968 წლის მაისის მოვლენებს.

## 28. ზაალ გოგენია. სამართლის ზოგიერთი თეორიული საკითხი ალფონსო X-ის „Siete Partidas" მიხედვით

კანონთა კრებული ,,Siete Partidas" (შვიდი ნაწილი) წარმოადგენს შუა საუკუნეების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ სამართლებრივ ძეგლს. ის შეიქმნა კასტილიის მეფე ალფონსო X-ის ბრძანებით და უშუალო მონაწილეობით. პარტიდები აერთიანებდა იმ დროისთვის არსებულ სამართლის ყველა დარგს. არსებითად კრებული წარმოადგენდა გიგანტურ სამართლებრივ ენციკლოპედიას და აქ მოცემული ინფორმაცია იმდროინდელი ლეგისტის აბსოლუტურად ყველა ინტერესს აკმაყოფილებდა.

XIII საუკუნე ცნობილია როგორც ,,სწრაფი რეკონკისტის" პერიოდი. სამხედრო წარმატებები და კასტილიის სამეფოს პოლიტიკური აღმავლობა მოითხოვდა შესაბამის ნაბიჯებს კანონმდებლობის სფეროში. ალფონსო X-ის საკანონმდებლო საქმიანობა იყო უაღრესად აქტიური სწორედ იმიტომ, რომ ის განხორციელდა როგორც სამეფოს მთელი პოლიტიკური და სოციალურ ურთიერთობათა სისტემის კარდინალური გადაწყობა უმაღლესი კეთილდღეობის პრინციპების შესაბამისად. ის თანმიმდევრულად მიიწევდა წინ კანონმდებლობის უნიფიკაციისკენ, თუმცა სამართლებრივმა აზრმა ბევრად გადაასწრო სამართლებრივ პრაქტიკას.

პარტიდების ტექსტის სტრუქტურა როგორც დასახელებიდან ჩანს შვიდი ნაწილისგან შედგება და დალაგებულია თემატური პრინციპით. ნაწილი (პარტიდა) დაყოფილია თავებად (ტიტული) რომელიც თავის მხრივ შედგება კანონებისგან.
ზოგად თეორიული საკითხებიდან ჩვენთვის საინტერესოა სამართლის წყაროს საკითხი. პირველი ნაწილის მეორე თავში მოცემულია სოციალური ნორმების სამწევროვანი კლასიფიკაცია. ამ სქემაში ყველაზე დაბალ საფეხურზე დგას ჩვეულება (Uso), შემდეგ მოდის ადათი (Costumbre) და მას ასრულებს ფუერო (Fuero). ჩვეულების და ადათის ინსტიტუტებს (Uso y Costumbre) გააჩნდა საკვანძო მნიშვნელობა ალფონსო X-ის იურისტებისთვის სამართლის წყაროების მათ მიერ აგებული იერარქიისთვის.
პარტიდებში პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ყურადღებას იპყრობს ჩვეულების, ადათის და ფუეროს გენეტიკური კავშირი, რაც ხაზგასმულია კიდეც კანონმდებლის მიერ. აღნიშნულ ტრიადაში სამართლის სრულფასოვანი და დამოუკიდებელი წყარო არის მხოლოდ ფუერო. ჩვეულების ,,შექმნაში“ ჩართულია სუბიექტურ ნებელობით ელემენტი. ის დადგენილია სენიორის მიერ ან მოიწონებს არსებულს. ამას ემატება ის დეტალიც, რომ ჩვეულება უნდა დადგინდეს საყოველთაო სარგებლისთვის, რაც ზოგადად წითელ ხაზად გასდევს ალფონსო ბრძენის საკანონმდებლო საქმიანობას.
ჩვეულება პარტიდებში არასდროს სახელდება როგორც სამართალი, თუმცა მისგან შეიძლება გამომდინარეობდეს სამართლებრივი ქცევის ნორმები, მაშინ როცა ადათი უკვე წარმოადგენს სამართალს, მას სხვა სამართლებრივი ნორმებისგან განსხვავებს მხოლოდ ზეპირი ფორმა.

## 29. ზაალ გოგენია. ეროვნული სულისკვეთების ფორმირება ,,ესპანური პატრიოტული კატეხიზმოს“ მიხედვით

„ესპანური პატრიოტული კატეხიზმო“ არის 1939 წელს ჯერ კიდევ ომის დასრულებამდე გამოცემული წიგნი, რომელიც ადიდებს ძირითადად რელიგიურ და პატრიოტულ იდეალებს. მოცემულია მოკლე კითხვა პასუხის სახით. ისტორიულად მის პრეცედენტს წარმოადგენს 1808 წლის პატრიოტული კატეხიზმო. პირველ ორ გამოცემაში არ ჩანს ავტორის გვარი, მესამეში (1939) კი მითითებულია მენენდეს რეიგადა. წიგნი განკუთვნილი იყო სკოლებისთვის განათლების სამინისტროს 1939 წლის 1 მარტის ბრძანებით. ფრანკოს ეროვნული განათლების სამინისტრომ ეს სახელმძღვანელო გადამეტებული ანტისემიტური და ანტიდემოკრატიული რიტორიკის გამო 1945 წლიდან ამოიღო სკოლებიდან, მისი ტექსტი უკვე შეუფერებლად ითვლებოდა იმ დროისთვის. კატეხიზმოში ესპანეთის ისტორია საკვანძო თემაა.
კატეხიზმო გამოყოფს ესპანეთის რვა უმთავრეს და უდიადეს საქმეს, ესენია: 1. რომის იმპერიის ჰუმანიზაცია და სულიერება; 2. ბარბაროსების მოქცევა და ცივილიზირება; 3. ევროპიდან აგარიანთა მხედრობის განდევნა; 4. თურქების დამარცხება ლეპანტოსთან 5. ქრისტიანული ცივილიზაციის და ბერძნულ-ლათინური სულიერების დაცვა პროტესტანტიზმისგან; 6. ნაპოლეონ I-ის ყალბი იმპერიის დამხობა. 8. რუსულ-აზიური ბოლშევიზმის ჩახშობა (გვ. 14) საინტერესოა მე-16 თავი, ამერიკის აღმოჩენაზე საუბრისას კოლუმბის ვინაობის შესახებ ავტორი ამბობს, რომ ყველაზე სავარაუდოდ კოლუმბი იყო ესპანელი, მაგრამ ყოველშემთხვევაში ესპანეთი იყო რომელმაც გულში ჩაიკრა და დაეხმარა მისი წამოწყება სისრულეში მოეყვანა (გვ.21) ექსპედიციის განხორციელებაზე საუბრის შემდეგ ისმის მორიგი კითხვა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამერიკის აღმოჩენას, რაზედაც ძალიან ამბიციური პასუხია გაცემული: ,,ამერიკის აღმოჩენას ჰქონდა იმხელა მნიშვნელობა, რომ ქრისტეს დედამიწაზე მოვლინების შემდეგ ისტორიაში სხვა მსგავსი მოვლენა არ მომხდარა“ (გვ.22) ასევე ამბიციურად აფასებს იმ ფაქტს, რომ ესპანეთმა არა მხოლოდ აღმოაჩინა ამერიკა არამედ დაიპყრო, გააქრიტიანა და შეიტანა ცივილზაცია, და ეს იყო გრანდიოზული ეპოპეა გათანაბრებული სასწაულთან.

ყველაზე დიდი ყურადღება ექცევა ბოლშევიზმთან ბრძოლის საკითხებს. ესპანეთში ბოლშევიზმის გავრცელების ორი ძირითადი მიზეზია გამოკვეთილი: 1. მსოფლიოს გასაბჭოების გზაზე რუსეთს სჯეროდა რომ ესპანეთი იქნებოდა ყველაზე ადვილი ქვეყანა გასაბატონებლად და აქეთ მიმართა მთელი თავისი ძალისხმევა მრავალი წლის განმავლობაში, ხოლო 2. ამ საქმეში რუსეთს ეფექტურ დახმარებას უწევდა როგორც შიგნით ისე გარეთ ანტიესპანური ძალები, სახელდობრ: სეპარატისტული ელემენტები და პარტიები, (სოციალისტური, მემარცხენე რადიკალი და ლიბერალები), მარქსისტული და მასონური ინტერნაციონალები, რუსეთის მეგობართა საზოგადოება, საერთაშორისო წითელი ჯვრარი და აშ. (გვ.26)
ისტორიული საკითხების შემდეგ დიდ ინტერესს იწვევს ესპანური სახელმწიფო მმართველობის, და მტრის ხატის საკითხები. 22-ე თავი ეხება ესპანეთის მტრებს, გამოყოფილია შვიდი მტერი: ლიბერალიზმი, დემოკრატია, იუდაიზმი, მასონობა, კაპიტალიზმი, მარქსიზმი და სეპარატიზმი (გვ.55) როგორც შვიდი მომაკვიდნებელი ცოდვა. ალბათ ყველაზე საინტერესოდაა დახასიათებული სეპარატიზმი. ,,სეპარატიზმი ძალიან საშიში მტერია ის ჰგავს პარაზიტს, რომელიც იბადება და იზრდება როდესაც ერის ორგანიზმი დასუსტებულია. სეპარატიზმის დროს ერის საერთო კეთილდღეობა ეწირება რეგიონის კერძო სიკეთეებს. სეპარატიზმი უარყოფს სამშობლოს და სურს გააუქმოს მისი ისტორია, დააბრუნოს იგი ემბრიონის მდგომარეობაში, ასევე თავისი მიზნების მისაღწევად უყოყმანოდ შედის კავშირში ესპანეთის ყველა მტერთან, თუმცა ერთი შეხედვით თითქოს ებრძვის მათ“. (გვ.58)

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. I. Tatišvili, **L. Gordeziani**. King's Court in Hittite Law. XIIth International Congress of Hittitology, 4-8 September 2023.
2.
*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*
**1.** I. Tatišvili, **L. Gordeziani**. King's Court in Hittite Law

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** - ***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი***

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება** - ***ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი***

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. ტოპონიმთა საერთო ელექტრონული ბაზა (მეცნიერების დარგი: ლინგვისტიკა; სამეცნიერო მიმართულება: ონომასტიკური კვლევები), დასაწყისი: 2022 წ., მიმდინარეობს 2023 წლის განმავლობაშიც.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. გიორგი ქიტოშვილი (ცენტრის ხელმძღვანელი) - იმერეთის ტოპონიმიის საერთო ელექტრონულ ბაზაზე მოშაობა;
2. დოდო შონია (უფროსი ლაბორანტი) - თელავის, დუშეთის (ბარის) მუნიციპალიტეტის ტოპონიმური მასალის ელ. ბაზის მომზადება;
3. დოდო ქიტუაშვილი (ლაბორანტი) - საჩხერის, გორის, კასპის, ხაშურის მუნიციპალიტეტების ტოპონიმური მასალის ელ. ბაზის მომზადება.
***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***
1. ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლების მიზანია, შეიქმნას საქართველოს ყველა რეგიონის ტოპონიმიის საერთო ელექტრონული ბაზა. ამისათვის, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მზადდება თითოეული სოფლის ტოპონიმური მასალის ელექტრონული ბაზები. 2023 წელს მომზადდა თელავის, დუშეთის ბარის, საჩხერის, თერჯოლის, ზესტაფონის, ხარაგაულის, გორის, კასპის, ხაშურის მუნიციპალიტეტების ტოპონიმიის ელ. ვერსიები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტოპონიმის ადგილ-მდებარეობისა და სახელდების მოტივაციის განსაზღვრას. კვლევამ გამოავლინა, რომ ხშირ შემთხვევებში ცენტრში არსებული მასალა ნაკლულია და დაზუსტებას საჭიროებს, რაც შემდგომი კვლევის საგანია.

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. პროექტის სახელწოდება: „სახელების ბაზა“, ქვეპროექტი: „გეოგრაფიულ სახელწოდებათა მოწესრიგება“ (მეცნიერების დარგი: ლინგვისტიკა; სამეცნიერო მიმართულება: ონომასტიკური კვლევები); დაწყება - 2023, დასრულება - 2023;

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. გიორგი ქიტოშვილი - კახეთის ონომასტიკური ბაზის ორთოგრაფიული თვალსაზრისით მოწესრიგება; გადასარქმევი სახელების სარეკომენდაციო სიის შედგენა; მეცნიერული დასაბუთება თითოეული სახელის შეცვლის შესახებ.

*დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ორთოგრაფიული თვალსაზრისით ტოპონიმთა სახელდების მოწესრიგებისათვის გაწეული სამუშაო: ა) რთული სახელწოდების სწორი დაწერილობა (ერთად, ცალკე, დეფისით) განისაზღვრა; ბ) მსაზღვრელის სწორი დაწერილობის მიმართ შემუშავდა მეცნიერული მიდგომა (ბრუნვის ნიშნით, ბრ. ნიშნის გარეშე); გ) განისაზღვრა ტოპონიმთა ნათესაობითი ბრუნვის დაწერილობა (კვეცა, კუმშვა); დ) შეირჩა ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტებიდან სასურველი ვერსიები; ზოგ შემთხვევაში გასწორდა ტოპონიმთა ისტორიული სახელის დამახინჯებული ფორმა; სპეციალურ კომისიასთან ერთად შევიმუშავეთ რემომენდაციები: ა) საბჭოთა იდეოლოგიის ამსახველი სახელების შეცვლის შესახებ; ბ) თარგმნილი სახელწოდებებისთვის თავდაპირველი სახის დაბრუნების შესახებ; გ) არასწორად დარქმეული სახელწოდებების გასწორების შესახებ).

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. ტოპონიმები ძველი აღთქმის ქართულ ვერსიებში (6. ჰუმანიტარული მეცნიერებები, 6.2 ენები და ლიტერატურა, კატეგორია 6.2.7), PHDF-22-6557, ვადები: 2022-2023 წწ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. გიორგი ქიტოშვილი – სადოქტორო კვლევის ავტორი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ქართული ბიბლიის ტექსტუალური კრიტიკისათვის ცალსახად მნიშვნელოვანია ბიბლიური ონომასტიკის შესწავლა. ბიბლიის ონომასტიკურ, უფრო მეტად კი ტოპონიმიკურ, მასალას იკვლევენ თანამედროვე მკვლევრები. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ ემანუელ ტოვი, რომელიც განიხილავს ესაიას წიგნის საკუთარ სახელებს (Tov E. 2015, Textual Criticism Collected Esseys, Vol 3: Personal Names in the Septuagint of Isaiah, p. 413-428); მაიკლ ნ. ვან დერ მეერი, რომელმაც გამოიკვლია სეპტუაგინტას სირიული ტოპონიმების განვლილი გზა, რეგიონალური განლაგება და ტექსტუალური ასპექტები: მიუხვედრელობით გამოწვეული და უნებლიე შეცდომები, ტექსტის წარმომავლობა, გამართვა და აქტუალობა (Van Der Meer M. 2012, Die Septuaginta. Text, Wirkung, Rezeption: Syria in the Septuagint, p 171-211). ქართულ ტექსტოლოგიურ ლიტერატურაში სისტემური კვლევა ბიბლიის ქართული ვერსიების ტოპონიმური მასალის შესახებ ჯერ არ მოგვეპოვება, თუმცა საფუძვლიანი ნარკვევები გვხვდება გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა შესახებ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში, მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ მზექალა შანიძის სტატია „გეოგრაფიული და წარმომავლობის სახელთა გადმოცემა ძველი აღთქმის ტექსტებში“ (შანიძე მ. 1976, გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა გადმოცემა ძველი აღთქმის ტექსტებში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის შრომები: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, ტ. I, გვ. 162-170).

ამრიგად, ჩვენ მიერ წარმართული საქმიანობა, ქართული ბიბლიის ვერსიების ტოპონიმებისა და მათთან დაკავშირებული ეთნონიმების შესწავლა, მეტად მნიშვნელოვანია: 1. თარგმანის ტექნიკის შესწავლისათვის (რა ხერხებით, რა ეკვივალენტებით გადმოაქვთ ესა თუ ის იკითხვისი ქართულ თარგმანში); 2. ტექსტუალური კრიტიკისათვის ქართული ბიბლიის თითოეული წიგნის წარმომავლობის კვლევის თვალსაზრისით.

ქართული ბიბლიის ტოპონიმიკური მასალის გაცნობა არა მხოლოდ ენობრივი კუთხითაა საინტერესო, არამედ – ისტორიული თვალსაზრისითაც. საყურადღებოა, რა წარმოდგენა აქვთ მთარგმნელ-გადამწერებს ბიბლიაში ხსენებულ ხალხებზე, იცნობენ თუ არა მათ ისტორიას, გეოგრაფიულ მდებარეობას, ფლობენ თუ არა მათ შესახებ საკმარის ინფორმაციას იმისათვის, რომ ტოპონიმთა და ეთნონიმთა დედნის ადეკვატური ეკვივალენტები შექმნან. ასე რომ, ძველი აღთქმის ტექსტმა შეიძლება მოგვცეს ინფორმაცია მთარგმნელთა წარმოდგენების, ან მათ ცოდნაზე ბერძნული და სომხური გავლენების შესახებ.

ჩვენს კვლევაში ქართული ბიბლიის ტოპონიმებისა და მათთან დაკავშირებული ერთნონიმების შესწავლის საფუძველზე გავაანალიზებთ ქართული ბიბლიური ტექსტების მიმართებას ბიბლიის ბერძნულ და სომხურ თარგმანებთან. შესაბამისად, წარმოჩინდება ქართული ბიბლიის ტექსტოლოგიური შესწავლის მნიშვნელობაც ბერძნული და სომხური ბიბლიის ტექსტოლოგიური კრიტიკის საქმეში.

ძველი აღთქმის ქართული თარგმანი შესრულებულია ბერძნული ორიგინალის მიხედვით, თუმცა თავად ბერძნულსა და ლათინურ ტექსტში სხვადასხვა ტექსტუალური ტრადიცია არსებობს, კერძოდ, ე.წ. სეპრუაგინტა, ორიგენეს ჰეგზაპლა, ლუკიანური რეცენზია (ცინდელიანი უ. 1980, „III-IV მეფეთას წიგნების შედგენილობა (ჩანართების საკითხი)". მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ტ. 7, ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, გვ. 79). ვარიანტული კითხვასხვაობების შედარების მიხედვით, შესაძლებელია ამა თუ იმ იკითხვისის წარმომავლობის დადგენა და ტექსტუალურ ჯგუფს მიკუთვნება, რის შედეგადაც განისაზღვრება მთილიანი ტექსტის ან კონკრეტული ჩანართის მომდინარეობის საკითხი. სწორედ მსგავსი მიდგომის წყალობით შეგვიძლია ვისაუბროთ ქართული ბიბლიის კონკრეტულ წიგნებში დაცული ტექსტების რაობაზე (თარგმანის თვალსაზრისით), გამოვკვეთოთ ტექსტის თავდაპირველი ვარიანტები და შემდგომი რევიზიის შედეგად განხორციელებული ცვლილებები. შესაბამისად, ტექსტს შეგვიძლია მივანიჭოთ კვალიფიკაცია ან თარგმანისა, ან რეცენზიისა, ან ნეიტრალური ტერმინი გამოვძებნოთ და ვერსიად მოვიხსენიოთ. გარდა ამისა, ბიბლიის ტექსტის კვლევისას მნიშვნელოვანია სტილისტური ხასიათის მსჯელობის წარმართვა და ამ მიზნით თარგმანის ტექნიკაზე საუბარი, რაც საშუალებას გვაძლევს, გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ როგორც მთარგმნელის ერუდიციის, ასევე სათარგმნი ენის მდგომარეობისა და კულტურულ-ენობრივი გარემოს შესახებ.

ამრიგად, ბიბლიის ქართული ვერსიების ტოპონიმების ენობრივი მიმართებებისა და თარგმანის ტექნიკის შესწავლა საშური საქმეა, რომელსაც აუცილებლად სჭირდება მხარდაჭერა.

კვლევის მიზანია ბიბლიის ქართულ ვერსიებში დაცული ტოპონიმების მოძიება და სისტემატიზაცია, რაც შესაძლებელია შემდეგი ამოცანების შესრულებით:
1. ქართული ბიბლიის წყაროების მობილიზება და ტოპონიმების მოძიება. მათი კლასიფიკაცია და ჯგუფების გამოკვეთა;

2. თითოეული ტოპონიმის დაძებნა ძველი აღთქმის ქართულ ვერსიებში. საამისოდ გამოვიყენებთ ქართული ენის კორპუსებს, ქართული ბიბლიის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოცემას, Bibleworks-ის ბაზას, ბერძნული, ლათინური და სომხური ბიბლიის გამოცემებსა და სხვა მეორეულ სამეცნიერო ლიტერატურას („ონომასტიკა საკრა"...). ტოპონიმებს დავახარისხებთ და განვიხილავთ რეგიონების მიხედვით და ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით გამოვიკვლევთ;
3. ორიგინალთან სიტყვასიტყვითი შედარება. ტოპონიმის ძიების პროცესი ბერძნული ორიგინალის მიხედვით მიმდინარეობს, იძებნება ბერძნული ვერსია ყველა წიგნში და შემდეგ – მისი შესატყვისები ქართულ ვერსიებში. ამ საქმიანობის შედეგად საშუალება გვეძლევა, ბერძნულის მიხედვით, საანალიზო ცხრილების გაკეთებისა;
4. ბერძნული, სომხური და ლათინური კითხვასხვაობების მოძიება და მიმართებების დადგენა. სეპტუაგინტას კრიტიკული გამოცემებისა და სომხური ელექტრონული ბიბლიის გაცნობის, ქართული, ბერძნული, სომხური და ლათინური ტექსტის ისტორიის გათვალისწინებით ავხსნით ტოპონიმთა კითხვასხვაობებს და მათ გამომწვევ მიზეზებს ორიგინალის დონეზე;
5. ტოპონიმთა წარმომავლობის დადგენა. ხშირი თანხვედრა ბერძნულის რომელიმე წყაროსთან და ამავდროულად მასთან ნაკლები კითხვასხვაობა გვაფიქრებინებს ამა თუ იმ ტოპონიმის წარმომავლობაზე;
6. ტოპონიმის თარგმანის ისტორიის შესწავლა. ქართული და უცხოენოვანი ტექსტის ისტორიის გაცნობის საფუძველზე შესაძლებლობა მოგვეცემა დიაქრონიულ ჭრილში გავაანალიზოთ ტოპონიმის თარგმანის ისტორია, რაც ერთგვარად ინფორმაციას მოგვცემს ქართული რეცენზიული ჯგუფების წარმომავლობის შესახებ.
ემპირიული მეთოდით ტექსტზე უშუალო მუშაობის შედეგად გამოვლინდება კვლევისთვის საინტერესო ტექსტუალური წყაროები. მიმდინარე კვლევამ ცხადყო, რომ ტოპონიმების ტექსტუალური მონაცემები განსხვავდება როგორც წიგნებს, ასევე ეპიზოდებს შორის (ხშირად ერთი ტოპონიმის შესატყვისად ერთსა და იმავე ეპიზოდში არაერთგვაროვანი იკითხვისები გვხვდება), რაც გვაფიქრებინებს, რომ მთარგმნელ-რეცენზენტები ხშირად არ ფლობენ ტოპონიმის შესახებ ზუსტ ინფორმაციას. ამიტომ სარგებლობენ დედნისგან განსხვავებული უცხოენოვანი წყაროებით, რომელთა დადგენაც შედარებითი მეთოდით, რა თქმა უნდა, აუცილებელია შემდგომი ძიებისათვის.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით საჭიროა ქართული ბიბლიის ტოპონიმური მასალის შესასწავლად დადგინდეს ბერძნული სათარგმნი სეგმენტის მყარი ეკვივალენტები ქართულში. ამისათვის თითოეულ ლექსიკურ ერთეულს ბერძნული ტექსტის მიხედვით მოვიკვლევთ ბიბლიის ყველა წიგნში დიაქრონიულად. მეორე ეტაპზე გამოვკვეთთ ვერსიულ განსხვავებებს ამა თუ იმ ხელნაწერის მიხედვით. შემდეგ საჭიროა ფიქრი განსხვავებების გამომწვევ მიზეზებზე, რომლებიც შეიძლება იყოს გარეენობრივი ფაქტორები (ბერძნულის ვარიანტული კითხვასხვაობების ან სომხური ტექსტის გავლება) ან განსხვავებული თარგმანის ტექნიკის კვალობაზე მიღებული შიდაენობრივი სახეცვლილებები. მათი გამოკვლევის შემდეგ შესაძლებელი ხდება კოდექსში შემავალი თითოეული წიგნის როგორც წარმომავლობის ან შიდა შრეების არსებობის შესახებ, ისე კონკრეტულ ხელნაწერში დაცულ თარგმანის ტექნიკაზე, საუბარი. გამოიკვეთება ასევე ერთი ტექსტუალური ჯგუფის (საერთო არქეტიპის მქონე) ხელნაწერები და მათი ვარიანტული კითხვასხვაობები.
2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები
3.1. გარდამავალი  პროექტი
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

3.2.  დასრულებული  პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.
2.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.
2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

**1. გიორგი ქიტოშვილი. ტოპონიმი „ელამი“ ბიბლიის ქართულ ვერსიებში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ენის ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული ქართველური ენათმეცნიერება IX (ISSN 2346-8106). თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023. გვ. 139-160.**

**2. გიორგი ქიტოშვილი. მიდია ძველი აღთქმის ქართულ ვერსიებში. საქართველოს უნივერსიტეტი თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი, II საერთაშორისო კონფერენცია, საქართველო და კავკასია – წარსული, აწმყო, მომავალი, თეზისები. თბილისი. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023. გვ. 232-235.**

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ჩვენი მიზანი იყო გაგვერკვია, თუ რომელ ბიბლიურ ტექსტუალურ ტრადიციას იზიარებდნენ ქართველი მთარგმნელები ტოპონიმი ელამის გადმოტანისას. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქართველ თარგმანში ტოპონიმი ელამი ბერძნულის გავლენითა და მიბაძვით გადმოვიდა.

ქართულ ბიბლიაში ზემოხსენებული ტოპონიმის თარგმანის ტექნიკის შესახებ შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

ელამ-**ი** მყარი ლექსიკური ეკვივალენტია ყველა ქართულ ვერსიაში. ხოლო განსხვავებული წაკითხვები (როგორიც არის მაგ.: სელონელისა), გადამწერის შეცდომით არის გაპირობებული; 2. ძველი აღთქმის ქართულ ვერსიებში დამკვიდრებულია **ელამ/ელამიტელ** წაკითხვა, რომელიც ბერძნულის ტრანსლიტერაციის შედეგადაა მიღებული; 3. ქართული მიდრეკილია ბერძნულთან სიახლოვისაკენ; 4. ქართულ ენაში თარგმანის დროისათვის არ არსებობდა ელამელის ადეკვატური შესატყვისი, ამიტომ მივიღეთ ტრანსლიტერირებული ფორმა; 5. ქართულ ვერსიებში არ გვხვდება ტოპონიმის ნათარგმანი, ან ქართველებისთვის ისტორიულად ცნობილი შესატყვისი; 6. ტოპონიმის ტრანსლიტერაცია განხორციელდა წარმოთქმის მიხედვით (Aι-e → ე-(ლამ), ხოლო ეთნონიმისა – როგორც წარმოთქმის, ისე წერილობითი ფორმის მიბაძვით (-**ῖτ → იტ**); 7. თარგმანის დროისათვის ქართულ ენაში არ არსებობდა ელამის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული, ან ელამელები სხვა ხალხში ერეოდათ და მათზე და ძველი ახლო აღმოსავლეთის სხვა რომელიმე ეთნოსზე//ეთნოსებზე (მაგ.: მიდიელებზე) საერთო წარმოდგენა ჰქონდათ.

ბიბლიის მიხედვით, ცხადი ხდება, რომ ტოპონიმ ელამის მნიშვნელობა დრო და დრო ვიწროვდებოდა თავდაპირველად (დაახლ. ძვ. წ. XIV-XIII სს), ელამი ერქვა სუსიანასა და ანშანის რეგიონს, მოგვიანებით (დაახლ. ძვ. წ. VII-VI) – მხოლოდ სუსიანას, და ბოლოს (დაახლ. ძვ.წ. III-I სს) – მხოლოდ სუსას.

ამრიგად, ქართველი მთარგმნელ-რეცენზენტებისთვის ბიბლია იყო სანდო წყარო ქვეყანა ელამისა და ელამური ერთნოსის ისტორიის შესასწავლად. თარგმანზე არ ასახულა მთარგმნელთა წინარე ცოდნა, პირიქით, ქართველებმა თარგმანის მეშვეობით შეითვისეს ახალი ცოდნა ძველი ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი მძლავრი სახელმწიფოს, ელამის, შესახებ.

2. ქართულ ენაში თარგმანის დროისათვის არსებობდა მიდიელის ადეკვატური შესატყვისი, ამიტომ მეტწილად ითარგმნება Μηδία/Μῆδοι, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში მთარგმნელ-რეცენზენტები ტრანსლიტერაციას მიმართავენ.

(ხ)უჟიკეთი მყარი ლექსიკური ეკვივალენტია ყველა ქართულ ვერსიაში, გვიანდელი თარგმანის (ბაქარის ბიბლიის) გარდა. ხოლო განსხვავებული წაკითხვები თავს იჩენს კონკრეტული წიგნების და არა ვერსიების მიხედვით;

მიდონელთა/მედონელთა წაკითხვა ბერძნულიდან ასო-ასო ტრანსლიტერაციით შესრულდა, რაც 4 მეფეთას წიგნის თავისებურებას წარმოადგენს. ცხადია, მთარგმნელ-რეცენზენტს არ ესმის ტერმინის მნიშვნელობა და ამიტომ მიმართავს ტრანსლიტერაციას; მეფეთას წიგნებში იკვეთება სხვადასხვა ტექსტუალური პლასტი და სომხურთან შედარების კვალი;

ეზრას წიგნებში არსებული წაკითხვები („ბატანაიელთასა", „ბტანს ბარიტენისსა", სავარაუდოდ „მართასაც") სომხურიდან ტრანლიტერაციით მივიღეთ, ამასთანავე ქართული იმეორებს სომხურის შეცდომებს;

ესთერის წიგნის მიხედვით, მიდიელები და პართიელები ერთ ხალხად არიან მიჩნეული, რაც ქართველი მთარგმნელ-რეცენზენტების ინფორმირებულობაზე მეტყველებს; მათ საერთო წარმოდგენა აქვთ ასევე ელამელებსა და მიდიელებზე, რამდენადაც ელამელთა სახელს უსაბამებენ მიდიელებს, თუმცა მიდიელებს დანამდვილებით განარჩევენ სპარსელებისაგან.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. გიორგი ქიტოშვილი, ტოპონიმი „ელამი“ ძველი აღთქმის ქართულ ვერსიებში. 2023 წლის 27 თებერვალი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, პროფესორ ფარნაოზ ერთელიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.
2. გიორგი ქიტოშვილი, მიდია ძველი აღთქმის ქართულ ვერსიებში. 7-8 ოქტომბერი, 2023 წელი. თბილისი, თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი, II საერთაშორისო კონფერენცია, საქართველო და კავკასია – წარსული, აწმყო, მომავალი.
*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.
2.
*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

**ყურადღება!**
*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**
*** ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის**

შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.
* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.
* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.
* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა~.

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება**

**ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო–კვლევითი ცენტრი**

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. „წმიდა წერილი - ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ძველი ქართული ტექსტი მინიატიურებით", სულიერების, კულტურის და მეცნიერების აღორძინებისა და განვითარების სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის პროექტი. მიმდინარეობის ვადები: 2021-2024

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **მარინე ოდიკაძე** (ძირითადი შემსრულებელი)
2. მანანა კვერნაძე (დამკაბადონებელი)
3. დეკანოზი პეტრე ზარამიძე (გამოცემის პასუხისმგებელი და კოორდინატორი)

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1. პროქტით გათვალისწინებულია ძველი ქართული ბიბლიის სრული ტექსტის გამოცემა. ძველი აღთქმის წიგნები ეფუძნება ოშკის, იგივე ათონის ბიბლიას (Ivir.Geo.1), რომელიც გადაწერილია 978 წ. ოშკის ლავრაში და ამჟამად ინახება ათონის მთაზე, ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკაში. რადგანაც ათონური ხელნაწერი ნაკული და დაზიანებულია და ძველი აღთქმის ტექსტი მასში სრულად არ შემონახულა (ზოგიერთი წიგნი ნაკლული სახითაა ჩვენამდე მოღწეული, ზოგიერთი კი სრულად აკლია ხელნაწერს), ლაკუნები შეივსო ოშკურ ბიბლიასთან რედაქციულად ახლოს მდგომი ხელნაწერებიდან, მაგალითად, საზას, იგივე მცხეთის ბიბლია (ხეც, A-51), იერუსალიმური ბიბლია (Jer.Geo.7/11), ხეც. A-646, ბაქარის ბიბლია და ა.შ.
ახალი აღთქმის წიგნებისთვის გამოყენებულია გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ტექსტები, იოვანეს გამოცხადება კი იბეჭდება ექვთიმე ათონელის თარგმანის მიხედვით.
მინიატიურები ერთვის სახარება-ოთხთავისა და ფსალმუნის ტექსტს. ოთხთავისთვის მინიატიურები შეირჩა ჯრუჭის მეორე ოთხთავად წოდებული მე-12 ს. ხელნაწერიდან (ხეც, H-1667). ფსალმუნებს კი მინიატურები ერთვის კ. კეკელიძს სახ. საქ. ხელ. ეროვნული ცენტრის H-75 (XVI ს.) ხელნაწერის მიხედვით.
2022 წელს ამ პროექტის ფარგლებში გამოქვეყნდა „ახალი აღთქუმაჲ. საქართველოს საპატრიარქოსა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთობლივი გამოცემა". ამჯერად კი მუშაობა გრძელდება ძველი აღთქმის ტექსტების გამოსაცემად მომზადებაზე.

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
*დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. **„საქმე მოციქულთას“ ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის გამოსაცემად მომზადება“** (ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი)
- პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი - FR-21-7518
- სამეცნიერო მიმართულება: 3. სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები

ქვე-მიმართულება: 3.5. ლიტერატურის, კულტურისა და ხელოვნების კვლევები
კატეგორია: 3.5.3. ფილოლოგია, ტექსტისა და გამოსახულების კვლევა;
- პროექტის დაწყების თარიღი - 15.03.2022
- პროექტის დამთავრების თარიღი - 15.03.2025

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **დარეჯან თვალთვაძე** (პროექტის ხელმძღვანელი და ძირითადი შემსრულებელი)
2. სოფიო სარჯველაძე (პროექტის კოორდინატორი და ძირითადი შემსრულებელი)
3. ელგუჯა გიუნაშვილი (ძირითადი შემსრულებელი)
4. **თინათინ ჯიქურაშვილი** (ძირითადი შემსრულებელი)
5. **მარინე ოდიკაძე** (დამხმარე პერსონალი)

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

საგრანტო პროექტი მიზნად ისახავს ახალი აღთქმის ერთ-ერთი წიგნის - „საქმე მოციქულთას“ ძველი ქართული თარგმანის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის გამოსაცემად მომზადებას ყველა არსებული ხელნაწერისა და ასევე, უძველეს ქართულ ლექციონარებში დაცული „საქმე მოციქულთას“ საკითხავების მიხედვით. დღეისათვის არსებობს „საქმე მოციქულთას“ ძველი ქართული თარგმანის ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი გამოცემა (ი. აბულაძე 1950, G.Garitte, 1955) და ორივე გამოცემისთვის სულ გამოყენებულია 11 ხელნაწერი. ი. აბულაძემ ტექსტი გამოსცა 9 ხელნაწერის მიხედვით (S-407, S-1398; Ath.42, Kut-176; A-584, A-34; A-137, A-677 და K-4) და გამოყო 4 რედაქცია (A და B - წინაათონური, C - გიორგი ათონელისეული და D - ეფრემ მცირისა), ხოლო ჟ. გარიტის პუბლიკაცია X საუკუნის ორ სინურ ხელნაწერს (O/Sin.Geo.58/31/60 და O/Sin.Geo.39) დაეყრდნო. გამომცემლებისთვის ამ დროს ხელმიუწვდომელი იყო ხელნაწერები, რომლებიც ათონის მთაზე, ივირონის მონასტერში და იერუსალიმში, ბერძნული საპატრიარქოს წიგნთსაცავის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში ინახებოდა. გარდა ამისა, აღნიშნულ გამოცემებში ვერ აისახა „საქმე მოციქულთას“ უძველეს ლიტურგიკულ კრებულებში საკითხავების სახით დაცული ტექსტობრივი მასალა. ამიტომ „საქმე მოციქულთას“ ძველი

ქართული თარგმანის ტექსტის შემცველი ხელნაწერების შესწავლა და ძველი ქართული თარგმანის ტექსტის კრიტიკული გამოცემა, რომელიც ყველა მნიშვნელოვანი ხელნაწერის მონაცემებს ასახავს და ტექსტის თარგმნა-რედაქტირების ეტაპებისა და თარგმანის წარმომავლობის დადგენისთვის აუცილებელ ტექსტურ მასალას მოგვცემს, დღემდე აქტულურ საკითხად რჩება. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით მიმდინარე პროექტი (FR-21-7518), სწორედ ამგვარი გამოცემის მომზადებას ისახავს მიზნად.

კვლევის პირველ ეტაპზე, რომლის ამოცანას „საქმე მოციქულთას" ხელნაწერების მოძიება და მათ კლასიფიცირება წარმოადგენდა, გამოვლინდა 90-მდე მანუსკრიპტი. ქართულ ხელნაწერთა კოლექციების დამუშავებისას გამოიკვეთა, რომ შესწავლილ ხელნაწერთაგან არცერთი კოდექსი არ შეიცავს მხოლოდ „საქმე მოციქულთას" ტექსტს (თუ არ ჩავთვლით ფრაგმენტულ ხელნაწერებს, სადაც ამის მიზეზი ხელნაწერის მთლიანობის დარღვევა-დაზიანებაა). „საქმე მოციქულთას" ტექსტი შეტანილია კრებულებში, რომლებიც თავისი შინაარსით, სტრუქტურითა და დანიშნულებით სხვადასხვანაირია. ესენია: ა) ბიბლიური კრებულები, ბ) ლიტურგიკული კრებულები და გ) ეგზეგეტიკური კრებულები. ხელნაწერთა შესწავლის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე კოდექსი, რომელიც აქამდე არ ყოფილა საგანგებოდ შესწავლილი და დღემდე არსებულ გამოცემებში ტექსტის დასადგენად გამოყენებული.

პროექტის მეორე ეტაპზე (15.03.2023 - 15.03.2024) მიმდინარეობს ტექსტოლოგიური კვლევა. მომზადდა A და B რედაქციის ტექსტის შემცველი X საუკუნის ნუსხების ტრანკრიპტები, რომელთაც შეუდარდა ამავე რედაქციების სხვა ხელნაწერებში მოძიებული ტექსტი. წინაათონური რედაქციებისთვის ტექსტური წყაროების კოლაცია და ვარიანტების აღნუსხვა მოხდა შემდეგი ხელნაწერების მიხედვით: S-407 (X ს); S-1398 (+A-369 ფრაგმენტი); Ivir.georg.42 (963-969 წწ.); Jer.Geo.94/82 (Xს); O/Sin.Geo.39 (974წ.); O/Sin.Geo.58-31-60 (977წ); Kut.–176 (XI ს-ის I ნახ.); Ivir.georg.19 (XIII-XIV სს). მათგან განსაკუთრებით გამოვყოფთ "საქმე მოციქულთას" ტექსტის წინაათონური B რედაქციის Jer.Geo.94/82 ხელნაწერს, რომელსაც იერუსალიმური კოლექციის ხელნაწერების აღმწერელი რ. ბლეიკი XI-XII საუკუნის ლიტურგიკულ კრებეულად მიიჩნევდა, სინამდვილეში კი „სამოციქულოს" შემცველი კოდექსი აღმოჩნდა, რომელიც X საუკუნეში გადაუწერია იმავე პირს (მიქაელ მღვდელს), რომელმაც 963-969 წლებში Ivir.georg.42 ხელნაწერი გადანუსხა ულუმბოს მონასტერში.

C რედაქციის (გიორგი მთაწმიდელისეული) საყრდენ ნუსხებად შეირჩა უძველესი თარიღიანი კოდექსი A-584 (1083 წ.) და ასევე მე-11 საუკუნის ხელნაწერი Ivir.georg.78, რომელიც შესაძლოა გიორგი ათონელის ავტოგრაფიდან იყოს გადაწერილი და აქამდე ტექსტის დასადგენად არ ყოფილა გამოყენებული. ამ ხელნაწერებიდან გადმოწერილი „საქმე მოციქულთას" ტექსტი შეუდარდა შედარებით უფრო გვიანდელ კოდექსებში Jer.Geo.19 (XII-XIII სს), A-34 (XIII ს.), Jer.Geo.129 (XIV-XV სს) დაცული ტექსტს და აღინუსხა ყველა განსხვავებული წაკითხვა, რომლებიც, ძირითადად, ორთოგრაფიული ხასიათისაა.

D (ეფრემ მცირისეული) რედაქციის ტექსტის დასადგენად შესწავლილ იქნა ორი ტიპის ხელნაწერები: ხელნაწერები, რომლებიც ბიბლიურ ტექსტს („საქმე მოციქულთას") შეიცავენ, ასეთია „სამოციქულოს" კოდექსები: A-677 ( XI-XII სს), A-137 (XIII-XIV სს. ), K-4 //K-12//G 117 (XIII ს.) და „სახარება-სამოციქულოს" ხელნაწერი A-482 (XVIს.) და ეგზეგეტიკური თხზულების („სამოციქულოს თარგმანება") ის ხელნაწერები, რომლებიც ეფრემის მიერ ამ ეგზეგეტიკური თხზულების თარგმნისას კიმენად გამოყენეულ და ალაგ-ალაგ მის მიერ კორექტირებულ „საქმე მოციქულთას" ტექსტს შეიცავს, ესენია: Jer. Geo.16 (XII ს); (Q-1158 (XI ს); S-3656 (1809 წ.); S-1172 (XIX ს). ეფრემისეულად მიჩნეული რედაქციის ტექსტის გიორგისეულთან შედარებამ აჩვენა, რომ ეფრემის რედაქციაში „საქმე მოციქულთას" ტექსტი, ძირითადად, გიორგი მთაწმიდელის რედაქციითაა წარმოდგენილი, ეფრემის მიერ

„უსაკუთრესად“ მიჩნეული და ამის გამო შესწორებული მუხლების რაოდენობა სამოციქულოს სხვა წიგნებთან შედარებით მცირეა (სულ აღნუსხულია 40-მდე მუხლის განსხვავებული წაკითხვა).
ამჟამად ჯგუფი მუშაობს ლიტურგიკულ კრებულებში დაცული “საქმე მოციქულთას“ საკითხავების ტექსტების შესასწავლად. ასეთი კრებულებია: „ლექციონარები“, „საწელიწდო სამოციქულო“,/„რიგის სამოციქულო“,/„გამოკრებილი სამოციქულო“, რომლებშიც სამოციქულოს საკითხავები დალაგებულია ტიპიკონით განსაზღვრული საეკლესიო კალენდრის მიხედვით. ამ სამუშაოს დასრულება და ძველ ლიტურგიკულ კრებულებში შეტანილი „საქმე მოციქულთას“ საკითხავების ვარიანტების აღნუსხვა დაგეგმილია პროექტის მეორე ეტაპის დასრულებამდე (2024 წლის მარტი). ტექსტოლოგიური კვლევისთვის სხვა ლიტურგიკულ კრებულებთან ერთად (კალის/ლაგურკის ლექციონარი/Lk- Q-1653; სინის /იერუსალიმური ლექციონარი/Ls - O/Sin.Geo.37; Ll - ლატალის ლექციონარი; Lp - პარიზის ლექციონარი; „საწელიწდო სამოციქულო“ Sin.Geo.O.10; Ivir.georg. 80 და სხვა) უნდა იქნეს გამოყენებული IX-X საუკუნეების რამდენიმე ლიტურგიკული კრებული სინის მთიდან, კერძოდ: O/Sin.Geo.53 (IX-X სს), N/Sin.Geo.26; N/Sin.Geo.31, N/Sin.Geo.54, N/Sin.Geo.26; N/Sin.Geo.31, N/Sin.Geo.58, რომლებიც სხვა თხზულებებთან ერთად შეიცავს „საქმეთა“ საკითხავებს და, მიუხედავად ფრაგმენტულობისა, საყურადღებო ტექსტური მასალის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს. ამ მიზნით 2024 წელს დაგეგმილია მივლინება ეგვიპტეში სინის მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერში, დაცული ხელნაწერების შესასწავლად.
პროექტი დასრულდება 2025 წლის მარტში „საქმე მოციქულთას“ ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის ელექტრონული გამოცემით.

2. **„მცირე წინასწარმეტყველთა ქართული თარგმანისგელათური ვერსიების ენა“** (დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსი)

- პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი - PHDF-22-1325
- სამეცნიერო მიმართულება: 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები;

ქვე-მიმართულება: 6.2 ენები და ლიტერატურა;
კატეგორია: 6.2.6. ლინგვისტიკა

- პროექტის დაწყების თარიღი - 26.10.2022
- პროექტის დამთავრების თარიღი - 26.10.2024

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **თინათინ ჯიქურაშვილი** (სადოქტორო კვლევის ავტორი)

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ჩვენამდე მოღწეული მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტების შემცველი ქართული ხელნაწერები ორ რედაქციულ ჯგუფს ქმნიან: ოშკურსა და გელათურს. ოშკური რედაქცია წარმოდგენილია ოშკურ და იერუსალიმურ ბიბლიაში, გელათურ რედაქციად კი მიჩნეულია XII-XIII საუკუნეების გელათის კატენებიან ბიბლიაში (A-1108) შესული ტექსტი (კიმენი), რომელიც საბას შესწორებებით, ნაბეჭდი სახით შესულია მცხეთურ და ბაქარის ბიბლიებში. ეს ორი თარგმანი ერთმანეთისაგან ბევრი მახასითებლით განსხვავდება, რაც, უპირველეს ყოვლისა, სათარგმნი ტექსტისადმი მთარგმნელთა განსხვავებული მიდგომითაა განპირობებული: ცნობილია, რომ გელათის სკოლაში უმაღლეს საფეხურზე ავიდა ტექსტის სიზუსტისადმი სწრაფვა, რამაც, ცხადია, გავლენა იქონია ტექსტის ენობრივ მახასიათებლებზეც. ჩვენი კვლევის ინტერესის სფეროში სწორედ მეორე – გელათური

თარგმანი მოექცა. როგორც აღმოჩნდა, გელათის სამწიგნობრო-ლიტერატურულ სკოლაში მცირე წინასწარმეტყველების ტექსტებზე მუშაობა კატენებიანი ბიბლიის გადაწერით არ დასრულებულა. როგორც ჩანს, მან პოპულარობა მოიპოვა და შევიდა ასევე ახლად შედგენილ მეტაფრასულ კრებულებში (S-417, K-1, K-3) (იხ. დ. ინწკირველი, მიქეას წინასწარმეტყველების გელათური კატენები, თბილისი, 2007; ვ, ჯუღელი, ნეტარი თეოდორიტე კვირელი, ტ. 2, თბილისი 2008).

ქართულ სამეცნიერო სივრცეში ერთი მხრივ შესწავლილია გელათის სამწიგნობრო-ლიტერატურული სკოლა და მასთან დაკავშირებული საკითხები, მეორე მხრივ კი გელათის საწიგნობრო სკოლაში თარგმნილი მრავალფეროვანი ტექსტები და მათი ენა (დ. მელიქიშვილი, თ. ცქიტიშვილი, ბ. გიგინეიშვილი, ი. ლოლაშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ნ. მახარაძე, უ. ცინდელიანი, ე. დოჩანაშვილი, თ. დოლიძე, თ. ჟორდანია, კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, კ. დანელია, ნ. კეჭაყმაძე, გ. თევზაძე, მ. გოგიბერიძე, ს. გორგაძე, ლ. ალექსიძე, ნ. გოგუაძე, მ. რაფავა, მ. მაჭავარიანი, თ. ოთხმეზური, ქ. ბეზარაშვილი, მ. გოგიბერიძე, ც. კიკვიძე, ე. ჭელიძე, ა. ხარანაული, ლ. ხოფერია, მ. მჭედლიძე, ვ. ჯუღელი, თ. ჭყონია...). თუმცა, მიუხედავად ამ მრავალმხრივი შესწავლისა, მაინც არის საკითხები, რომლებიც ან საერთოდ არ მოექცა მკვლევართა ინტერესის სფეროში, ან დამატებით სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს. ერთ-ერთ ასეთ საკითხს წარმოადგენს სწორედ მცირე წინასწარმეტყველთა ქართული თარგმანების გელათური ვერსიები და მათი შედარებითი კვლევა. ჩვენი პროექტის მიზანი სწორედ ამ მიმართულებით კვლევის ჩატრებაა. კვლევა ორიენტირებულია შეისწავლოს:

• მცირე წინასწარმეტყველთა გელათური ვერსიების ადგილი ბიბლიური ტექსტის ისტორიაში. კერძოდ – იმის განსაზღვრა, თუ რას წარმოადგენს გელათური ტექსტი, საქმე გვაქვს ახალ თარგმანთან თუ ძველის რევიზიასთან;
• მცირე წინასწარმეტყველთა გელათური ვერსიების თარგმანის ტექნიკა. კერძოდ, იმ მთარგმნელობითი პრინციპების განსაზღვრა, რომელიც ქმნის ე.წ. გელათური, ელინოფილური თარგმანის სტილს.
• თარგმანის ენა. კერძოდ, ცალკეული ენობრივი (მორფოლოგიური, სინტაქსური და სტილისტური) მოვლენების აღწერა და გამოკვლევა თარგმანის ორიგინალის, ბერძნული ენის გათვალისწინებით და იმის განსაზღვრა, თუ რა გავლენას ახდენს სათარგმნი ენა და მისი ფორმალური გადმოტანის პრინციპები თარგმანის ენისა და სტილის ჩამოყალიბებაზე.

ენობრივად მხოლოდ რამდენიმე ე.წ. გელათელი ავტორია დაწვრილებით შესწავლილი. მცირე წინასწარმეტყველები ამ კუთხით პირველად შეისწავლება.

გელათური თარგმანების პრინციპების და მწიგნობრული ენისადმი დამოკიდებულების მსგავსება ართულებს მე-12-მე-13 საუკუნეების ტექსტების ავტორთა ერთმანეთისგან გარჩევას (ი. ლოლაშვილი, თ. ცქიტიშვილი, დ. მელიქიშვილი და სხვ.). ერთი ტექსტის ორი გელათური თარგმანის არსებობა უნიკალური შემთხვევაა ამ პრობლემის გადასაწყვეტად, კერძოდ, იმის გასარკვევად, თუ რა აქცევს თარგმანებს ერთი სკოლის პროდუქტად და, მეორე მხრივ, სკოლის პრინციპებისა და საერთო მიდგომების ფონზე, სად ჩანს მთარგმნელის ინდივიდუალური ხელწერა. სწორედ ეს საკითხები ხდის ჩვენს კვლევას აქტუალურს.

ამ თარგმანების შედარება საშუალებას მოგვცემს დავახასიათოთ მთარგმნელები, გამოვყოთ მათი ინდივიდუალური მახასიათებლები და შეძლებისდაგვარად ვცადოთ მათი იდენტიფიცირება. საბოლოოდ კი ნათლად წარმოგვადგენინებს XII-XIII საუკუნეების ენობრივი პოლიტიკის სურათს.

კვლევის საერთო მიზანს წარმოადგენს მცირე წინასწარმეტყველთა გელათური ვერსიების ენისა და თარგმანის ტექნიკის შესწავლა ამ ტექსტის შემცველი სხვადასხვა ხასიათის ყველა კრებულის მიხედვით. ასევე, გამოცემის მომზადება, სადაც ორივე ვერსიის ტექსტის გარდა, აღნიშნული იქნება ხელნაწერისეული მახვილები და სხვა ექსტრატექსტური მონაცემები

(მისათითებელი ნიშნები, კომპოზიტების აღმნიშვნელი ე.წ. შედგმის ნიშნები, სქოლიოები და სხვ.).

კვლევის მიზანი განხორციელდება შემდეგი ამოცანების შესრულებით:

1) წყაროების მოძიება, ხელნაწერთა დეტალური კოდიკოლოგიურ-პალეოგრაფიული აღწერილობების მომზადება; ტექსტების გადმოწერა ხელნაწერებიდან.

2) გელათური ვერსიების შედარება ბერძნულ დედანთან. ერთი მხრივ, ერთმანეთს უნდა შეუდარდეს გელათის კატენებიანი ბიბლია და მისი ბერძნული პროტოტიპი, მეორე მხრივ კი - გელათურ მეტაფრასულ კრებულებში (S-417, K-1, K-3) შესული მცირე წინასწარმეტყველების ტექსტი და თეოდორიტე კვირელის ბერძნული ეგზეგეტიკური თხზულებები. ეს საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო ზუსტად განისაზღვროს დედნის ენის გვალენა ქართულ ვერსიების ენაზე, მოგვეხმარება ცალკეული ლექსიკური თუ გრამატიკული მოვლენის დახასიათებაში.

3) თარგმანის ტექნიკის შესწავლა ერთი მხრივ, ბერძნულ ორიგინალთან და, მეორე მხრივ, ძველ ქართულ თარგმანებთან მიმართებით. გელათურ თარგმანებზე დაკვირვება და მათი ენის შესწავლა მკაფიოდ გამოკვეთს ენის გამომსახველობით საშუალებებში მომხდარ ცვლილებებს – რისი უნარი შეიძინა საუკუნეების განმავლობაში ენამ და რა არის ის სიახლე, რაც მე-12-მე-13 საუკუნეების ქართველ მთარგმნელებს შემოაქვთ ენაში. ამ მხრივ მცირე წინასწარმეტყველთა გელათურ ვერსიებში შესწავლილი იქნება:

- ლექსიკა (ტერმინოლოგია, ლექსიკური სინონიმები)
- მორფოლოგია, განსაკუთრებით სიტყვაწარმოება, მომავალი დროის ფორმები.
- სინტაქსი (განსაკუთრებით ინფინიტიური და მიმღეობური კონსტრუქციები, ჰიპოტაქსური და პარატაქსური წინადადებები)
- მხატვრული ხერხები (განსაკუთრებით ებრაისტული იდიომები)

4) ინდივიდუალური მახასიათებლების გამოყოფა ავტორის იდენტიფიკაციის კრიტერიუმების განსაზღვრა იმის განსაზღვრა, რამდენად განაპირობებს კრებულის ტიპი (კატენური, მეტაფრასული) მასში შესული ტექსტების ხასიათს.

5) კვლევის ცალკე მიმართულებას წარმოადგენს მცირე წინასწარმეტყველების თარგმანების კვლევა სხვა ტექსტების გელათურ თარგმანებთან მიმართებაში. გარდა ენობრივი მონაცემების შედარებისა, ამ საკითხის კვლევაში განსაკუთრებული როლი აქვს ბიბლიური ციტატების შესწავლას.

პროექტი დასრულდება 2024 წლის ოქტომბერში.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

***დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1.

2.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები
3.1. გარდამავალი  პროექტი
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***
1.
2.

3.2.  დასრულებული  პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

***დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***
1.
2.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

5.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. **თინათინ ჯიქურაშვილი,** ფსალმუნის გელათური წაკითხვები
საერთაშორისო კონფერენცია ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა II, თბილისი, 2023
2. **თინათინ ჯიქურაშვილი,** მიქეას ტექსტის გელათური ვარიაციები
ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია. "გელათის აკადემია - მისი ეპოქა და მემვიდრეობა", თბილისი, 2023
3. **თინათინ ჯიქურაშვილი,** ამოსის ტექსტის გელათური ვარიაციები
საქართველოს უნივერსიტეტი, თ, ზერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი, II საერთაშორისო კონფერენცია: საქართველო და კავკასია - წარსული აწმყო, მომავალი, თბილისი, 2023
4. **თინათინ ჯიქურაშვილი,** "დედათა ბუნებაჲ იწრო არს" - "შუშანიკის წამების" ერთი ფრაზის განმარტებისათვის
საქართველოს უნივერსიტეტი, თ, ზერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი, II საერთაშორისო კონფერენცია: საქართველო და კავკასია - წარსული აწმყო, მომავალი, თბილისი, 2023

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **Tinatin Jikurashvili,** Twelve Minor Prophets in Georgian Sources, conference: Global Conference on Social Sciences (GSSCONF), 2023.12.07 - 2023.12.08, UAE, Dubai. https://proudpen.com/proceedings/index.php/gssconf

2. **Tinatin Jikurashvili,** Georgian Versions of the Twelve Minor Prophets (Commentary of Micah and Amos by Theodoret of Cyrus), conference: 8th International Conference on Research in Humanities and Social Sciences (ICRHS), 2023.12.15 - 2023.12.17, United Kingdom, Cambridge. https://www.dpublication.com/proceeding/8th-icrhs

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ყურადღება!
* სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.
* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.
* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.
* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.
* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა~.

# პოლონისტიკის ცენტრი

ანგარიშის ფორმა №1
(სსიპ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უნივერსიტეტთან არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისთვის)

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**სსიპ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (ინსტიტუტის/ცენტრის) ან უნივერსიტეტთან არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (ინსტიტუტის/ცენტრის) დასახელება:**

**პოლონისტიკის ცენტრი**
**მარიამ ფილინა, პროფესორი, ცენტრის ხელმძღვანელი**

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.
2.

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექ-ტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1.
2.

2.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.

*დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

## 3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

3.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

## 4. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

4.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

4.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა, პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. 01.01.2022- 31.12.2023 წ. **ადამ მიცკევიჩის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი კონკურსის ორგანიზება და ჩატარება** (თსუ სლავისტიკის ინსტიტუტის სტუდენტებსა და კავშირ „პოლონია"-ს ახალგაზრდებს შორის) პოლონელი გენიოსის 225 წლის იუბილესთან დაკავშირებით. (მსოფლიო თანამეგობრობა `პოლონია˜-ს და საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს მხარდაჭერით, (ხელშეკრულება № **73/2023,** ვარშავა, 19.07.2023 წ.)

2. 01.01.2023 - 18.05.2023 წ. - საერთაშორისო კონფერენცია **„პოლონეთისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოძრაობა XIX საუკუნეში".** ეძღვნება პოლონეთში იანვრის აჯანყების 160 წლისთავს და ქართველ თავადაზნაურობის ანტიცარისტულ შეთქმულების 190 წლისთავს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. რიჩარდ პაიპესის სახ. ბიბლიოთეკა და ლაბორატორია. პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში. თბილისი, ილიას უნივერსიტეტი, 2023 წლის 18 მაისი.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **პროფ. მარიამ ფილინა** - ხელმძღვანელი.

2. პროფ. **მაია თუხარელი** - საორგანიზაციო კომიტეტის წევრი

3. პროფ. **დანუტა ოსსოვსკა** (ვარმია-მაზურის უნივერსიტეტი, პოლონეთი) - საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

4. მაგისტრი **ბეატა კარასი** - პოლონეთის განათლების სამინისტროს თანამშრომელი

2. **პროფ. მარიამ ფილინა -** საორგანიზაციო და სამეცნიერო კომიტეტის წევრი.

***დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1. თსუ-ს სლავისტიკის ინსტიტუტსა და კავშირს „პოლონია"-ს (თავმჯდომარე პროფესორი მარია ფილინა) დიდი ტრადიციები აქვთ ადამ მიცკევიჩის მოღვაწეობის ქართველი მკითხველისთვის პოპულარიზაციისა და პოლონელი გენიოსისადმი მიძღვნილი კონფერენციების ორგანიზებაში. 1998 წელს მისი 200 წლის იუბილე იყო, საქართველოში ისეთი კრიზისი სუფევდა, რომ პოეტის იუბილე თითქმის არავის აინტერესებდა. და ჩვენ ავიღეთ ორგანიზატორის ფუნქცია. თბილისის უნივერსიტეტში ჩავატარეთ კონფერენცია, რომელსაც თითქმის 300 ადამიანი ესწრებოდა. იშვიათია, რომ კონფერენცია აერთიანებს ამდენ ადამიანს. ეს ფაქტი არა მარტო მიცკევიჩის სიყვარულზე, არამედ იმ ინტელექტუალურ შიმშილზეც მეტყველებს, რომელიც 1990-იან წლებში გვქონდა.

კონფერენციისთვის გამოიცა მოხსენებების კრებული და მიცკევიჩის შესახებ ათი სტატია გამოჩნდა ქართულ პრესაში. ძირითადად პროფ. მარიამ ფილინას ავტორობით. შემდეგ გამოვაქვეყნეთ ჩვენი პირველი ორენოვანი კრებული, რომელშიც შედიოდა მიცკევიჩის ლექსები ორიგინალში და სხვადასხვა თაობის ქართველი პოეტების თარგმანებში. ახლა

მხოლოდ ერთი ეგზემპლარი დაგვრჩა და ვფიქრობ, დროა ახალგაზრდა თაობისთვის ქართულად ხელახლა გამოვუშვათ მიცკევიჩი.

ამის შემდეგ რამდენჯერმე გავმართეთ მიტკენვიჩთან დაკავშირებული კონფერენციები და საღამოები.

2023 წელს სრულდება პოლონელი გენიოსის დაბადებიდან 225 წელი. შევადგინეთ ა.მიცკევიჩის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ტესტები და კონკურსის მონაწილეებისთვის ჩავატარეთ ვიდეო პრეზენტაციები. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 35-მა ადამიანმა - თსუ-ის სტუდენტები და კავშირ „პოლონია"-ს წევრები, რომლებიც სწავლობენ პოლონურ ენას. პოლონეთის განათლების სამინისტროს მიერ საქართველოში გამოგზავნილი პოლონია"-ს კავშირის მასწავლებელი, მაგისტრი ბეატა კარასბი, 10 წელია თსუ-ში პოლონურ ენას ასწავლის.

კონკურსი 10 დეკემბერს ჩატარდა, 14 დეკემბერს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში (სახლში) შედეგები შეაჯამეს და ლაურეატებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. გაიმართა პოლონური და ქართული მუსიკის კონცერტი, ძირითადად შესრულდა ადამ მიცკევიჩის მეგობრის ფრედერიკ შოპენის ნაწარმოებები. შემსრულებლებს შორის იყვნენ წამყვანი ქართველი მუსიკოსები, მათ შორის პროფესორი გიორგი შავერზაშვილი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი და კავშირ „პოლოლნიას" წევრი. მონაწილეობას იღებდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ინსტრუმენტული ტრიო და ტრიო "ზრავო".

ამრიგად, მიცკევიჩი ქართველ მკითხველსა და მსმენელს მრავალმხრივ წარუდგინა. კონკურსს და კონცერტს ფართო გამოხმაურება მოჰყვა, მათი მნიშვნელობა სცდება სლავისტიკის ინსტიტუტს, ეს იყო დიდი პოლონელი პოეტის ფართო პროპაგანდა ქართული საზოგადოებისთვის.

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს საქართველოში და ვარშავის უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კვლევის ცენტრის მიერ დაგეგმილი საერთაშორისო კონფერენცია ინტერდისციპლინური იყო - მასში მონაწილეობა მიიღეს პოლიტოლოგებმა, ისტორიკოსებმა, კულტუროლოგებმა და ლიტერატურათმცოდნეებმა.
ვინაიდან პოლიტოლოგი პროფესორი პსემისლავ ადამჩევსკი, რომელიც სამეცნიერო სტაჟირებას გადიოდა საქართველოში და იყო პროექტის კოორდინატორი, არ გააჩნდა საქართველოში კონფერენციების ორგანიზების გამოცდილება, პროფესორი მარიამ ფილინა გახდა კონფერენციის თანაორგანიზატორი. პროფ. მ.ფილინას აქვს დიდი გამოცდილება და დიდი მიღწევები პოლონურ-ქართული კულტურული კონტაქტების სფეროში. კერძოდ, 25 წლის განმავლობაში მან გამართა 15 კონფერენცია, მათ შორის საერთაშორისო.
პროფ. პ.ადამჩევსკიმ მ.ფილინამ შეადგინა საკითხების სპექტრი, რომელიც კონფერენციას უნდა მოეცვა, უზრუნველყო ქართველი მეცნიერების მონაწილეობა კონფერენციაში და შეადგინა პროგრამა.
მ.ფილინამ კონფერენციის პლენარულ გახსნაზე ისაუბრა პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში პროფ. მარიუშ მაშკევიჩი, საქართველოს ყოფილი ელჩი პოლონეთში ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი და ილიას უნივერსიტეტის კოლეგები. მ.ფილინა ასევე იყო კონფერენციის პირველი სექციის ხელმძღვანელი და მომხსენებელი. კონფერენციას ჰქონდა ფართო საზოგადოებრივი და სამეცნიერო რეზონანსი, დიდი მოწონება დაიმსახურა პოლონეთსა და საქართველოში და გახდა კიდევ ერთი წვლილი რუზინო-პოლონური კონტაქტების განვითარებაში.
5. პატენტები (არსებობის შემთხვევაში):

5.1. საერთაშორისო პატენტები:
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

## 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. მარიამ ფილინა. **„კვარცხლბეკზე ამაღლებიდან“ იდეოლოგიურ დევნამდე“.** XVI საერთაშორისო სიმპოზიუმის „სოციალისტური რეალიზმის ეპოქა ლიტერატურასა და ხელოვნებაში“ სამეცნიერო ნაშრომების კრებული. ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი (მიღებულია გამოსაცემად).

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. სოციალისტური რეალიზმის, როგორც უზარმაზარი მრავალეროვნებიანი ქვეყნის ერთადერთი ლიტერატურული მეთოდის დანერგვისას, ხელისუფლება სხვადასხვაგვარად მოქმედებდა. ერთი მხრივ, უკვე გაიზარდა „კომკავშირელ პოეტთა" და პროზაიკოსთა, ასევე „ლიტერატორი გენერლებისა" და შემსრულებლების თაობა. მეორე მხრივ კი, ხელისუფლება ცდილობდა ცნობილი მწერლების „ჩართვას" თავის იდეოლოგიურ პროგრამაში. ბორის პასტერნაკი გახდა ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა და მიუხედავად იმისა, რომ მას აქტიურად არასდროს მიუღია მონაწილეობა პოლიტიკაში, მუდმივად ხვდებოდა იდეოლოგიური ბრძოლის ცენტრში. პასტერნაკი უკვე მაშინ იყო ნიშნეული ფიგურა არა მხოლოდ რუსული, არამედ მსოფლიო პოეზიისა და კულტურისთვის. მისი ურთიერთობა ხელისუფლებასთან ღრმად დრამატულია. 1920-იან წლებში, როდესაც ეპიკურ პოემებს ქმნიდა, თავისებურად ცდილობდა რევოლუციური ეპოქის გააზრებას, მაგრამ ეს იყო ოსტატის მცდელობა, რომელშიც რევოლუცია სრულიად სუბიექტურად იყო წარმოდგენილი.

პასტერნაკმა ადრევე გააცნობიერა შემოქმედებაზე ხელისუფლების ტოტალური კონტროლი და მისი დამოკიდებულება აშკარად გამოვლინდა მისი ახლო მეგობრების - ქართველი პოეტების მაგალითზე. ის არა მხოლოდ ბევრ სხვაზე მეტად გრძნობდა ცხოვრებისეულ რეალიებს, არამედ, როგორც ირკვევა, იწინასწარმეტყველა კიდეც მოვლენების განვითარება. იგი ჯერ კიდევ 1933 წელს მეუღლისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს: ,,სულ უფრო იზრდება ჩემში პაოლოსა და ტიციანის საერთო უპირატესობის რწმენა, რის პარალელურადაც ვაწყდები მათი იმ ავტორთა სიიდან იძულებით ამოღების ფაქტს, რომლებიც რეკომენდებულია გასავრცელებლად და ოფიციალური მხარდაჭერა აქვთ. წარმატებას მომიტანდა ამ ადამიანების უარყოფა. მით უფრო ცხოველი იქნება ჩემი მათდამი ერთგულება..."

1935 წელს იგი გაგზავნეს პარიზში ანტიფაშისტურ სამშვიდობო კონგრესზე. ვერც მისმა გამოსვლამ და ვერც მწერლებთან, მათ შორის დელეგაციისთვის მიმაგრებულ სპეც. სამსახურის თანამშრომელთან, საუბარმა ვერ დააკმაყოფილა სტალინი. იგი ფიქრობდა, ვინ გამოეცხადებინა ეპოქის წამყვან პოეტად. მას მოახსენეს, რომ პასტერნაკი უცნაურად იქცეოდა. სტალინმა რევოლუციური ეპოქის მთავარ პოეტად ვლადიმერ მაიაკოვსკი გამოაცხადა.

მეგობრების, უპირველეს ყოვლისა, ტ. ტაბიძისა და პ. იაშვილის დაღუპვის შემდეგ, პასტერნაკი სამუდამოდ განუდგა ოფიციალურ ლიტერატურულ ცხოვრებას. ეს დაპირისპირება ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სკანდალით, მისთვის ნობელის პრემიის მინიჭებით დასრულდა.

ამგვარია პასტერნაკის ხელისუფლებასთან ურთიერთობის შედეგი - სსრკ მწერალთა კავშირიდან გარიცხვა. დიდი პოეტის სოციალისტურ რეალიზმში ჩართვის მცდელობა საბჭოთა ხელისუფლების არნახული მასშტაბის იეზუიტური თამაშის წარუმატებლობის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია.

## 7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 7.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.
2.

7.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.
7.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით; გვერდების რაოდენობა
1. მარიამ ფილინა, დანუტა ოსოვსკა. **ტიფლისის (თბილისის) მუსიკალური ცხოვრება ლეონ იანიშევსკის და ვილნიუსის გამომცემლობა „ზავაცკების“ მიმოწერის შუქზე.** შრომათა კრებული „საქართველო და პოლონეთი: კულტურული ფასეულობების ტრანსფერი. ინტერდისციპლინარული კვლევები”. ბელოსტოკი-ქუთაისი, „Colloquia Orientalia. Bialostocensia. ტ. LIII. 2022-2023. გამომც. „ფემიდა“. გვ. 91-117. ISBN 978-83-67169-08-0 (პოლონურ ენაზე).

Maria Filina, Danuta Ossowska. **Życie muzyczne Tyflisu (Tbilisi) w świetle korespondencji Leona Janiszewskiego z wydawnictwem Zawadzkich w Wilnie.** Tom prac naukowych „Gruzja i Polska: Transfer wartości kultury”. Studia interdyscyplinarne. Białystok-Kutaisi. Colloquia Orientalia. Bialostocensia. Wyd. „Femida”. T.. LIII. 2022. S. 91-117.

2. მარიამ ფილინა. **პოლონური წიგნის ფონდები საქართველოში.** საერთაშორისო კონფერენციის"პოლონური ციფრული ბიბლიოთეკის 10 წელი" შრომების კრებული. ვარშავის უნივერსიტეტი. ვარშავა (პოლონურ ენაზე, მიღებულია გამოსაცემად).

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1. სტატია ეძღვნება "კავკასიის დევნილი პოეტთა ჯგუფის" შემქმნელის (1830-1850 წლებში) ერთ-ერთი ლეონ იანიშევსკის მოღვაწეობას ტფილისში (თბილისი). იყენებდა ადამ ზავაძკის წერილებს, რომელიც ამ დროს ხელმძღვანელობდა ვილნიუსში ზავაძკის გამომცემლობას. სტატიაში მოცემულია დამატებები და შესწორებები იანიევსკის როლის შესახებ საქართველოს დედაქალაქის თეატრალურ და მუსიკალურ ცხოვრებაში, აგრეთვე მისი მონაწილეობა კავკასიის პოლონური საზოგადოების ცხოვრებაში.
აღსანიშნავია, რომ ამ სამეცნიერო კრებულში არის 20 ცნობა პროფ. მ.ფილინა და პროფ. დ.ოსოვსკაია პოლონურ-ქართული ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების სფეროში.

2. პოლონური ბიბლიოთეკები საქართველოში საკმაოდ მდიდარია, მაგრამ ისინი სისტემატურად არ შედგენილია და თითოეულს თავისი ისტორია აქვს. დასაწყისია 1830-1840 წლების პოლიტიკური გადასახლებულთა მოკრძალებული წიგნების ფონდები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ე.წ. „პოლონელი კავკასიელი პოეტების“ ჯგუფი. გადასახლებულებმა ლიტერატურის (წიგნების და პრესის) ნაკლებობა განიცადეს და ყველანაირად ცდილობდნენ შეექმნათ საკუთარი ბიბლიოთეკები. ისინი მიმოწერას უწერდნენ პოლონეთის აღმოსავლეთ ტერიტორიების თითქმის ყველა მაუწყებელს.

საჯარო ბიბლიოთეკა (ამჟამად საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა) თბილისში დაარსდა 1846 წელს კავკასიის "ნამესტნიკის", თავადი მ. ვორონცოვის მიერ. მისი ახლო თანამშრომელი მაშინ იყო გრაფი ვოიცეხ პოტოცკი. ის არის საქართველოს მთავარი ბიბლიოთეკის ერთ-ერთი დამაარსებელი. წიგნი ნომერი 1 მასში არის საჩუქარი პოტოცკისგან. რარიტეტების განყოფილებაში ინახება ეკატერინე ჭავჭავაძის ალბომი. ალბომი შეიცავს პოტოცკის ორ ლექსს და მის პორტრეტს.

ბიბლიოთეკის პოლონური კოლექცია ძალიან მნიშვნელოვანია. ის შედგენილი იყო დევნილობაში მყოფი პოლონელთა და საქართველოში პოლონური ორგანიზაციების მიერ შემოწირული წიგნებიდან და ჟურნალებიდან, კერძოდ, მე-20 საუკუნის დასაწყისში მოქმედი პოლონური სახლიდან ბიბლიოთეკაში ასობით წიგნი შევიდა.

პოლონური წიგნების კოლექციები განთავსებულია ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „პოლონია"-ს ბიბლიოთეკაში. ეს არის მე-18 საუკუნით დათარიღებული რარიტეტები, ა. მიცკევიჩის ნამუშევრების 1856 წლის გამოცემა, პოლონეთის მრავალტომიანი ისტორია, ასევე თანამედროვე გამოცემები.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. მარიამ ფილინა. **პოლონელი გადასახლებულთა პირველი ტალღის როლი კავკასიაში 1830-31 წლების აჯანების შემდეგ პოლონურ-ქართული კონტაქტების დამყარებაში.** საერთაშორისო „კონფერენცია პოლონეთისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოძრაობა XIX საუკუნეში". ეძღვნება პოლონეთში იანვრის აჯანყების 160 წლისთავს და ქართველ თავადაზნაურობის ანტიცარისტულ შეთქმულების 190 წლისთავს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. რიჩარდ პაიპესის სახ. ბიბლიოთეკა და ლაბორატორია. პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში. თბილისი, ილიას უნივერსიტეტი, 2023 წლის 18 მაისი.

2. მარიამ ფილინა. **ვლადისლავ სტშელნიცი - დევნილი პოლონელი პოეტი და მთარგმნელი.** პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. თსუ, თბილისი, 2023 წლის 29-30 ივნისი.

3. მარიამ ფილინა. **იულიან ტუვიმი - რუსთაველის მთარგმნელი.** პროფესორ დალი ფანჯიკიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ივ ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ს/ს ინსტიტუტი. დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ს/ს ინსტიტუტი. გერმანული ფილოლოგიის კათედრა. თარგმანმცოდნეობის კათედრა. საქართველ;ოს გოეთეს ინსტიტუტი. თსუ, თბილისი, 2023 წლის 20-21 ივლისი.

4. მარიამ ფილინა. **ლევ ტოლსტოის „ჰაჯი-მურატი" და პოლონელი დევნილი ვლადისლავ იურკოვსკის წერილები კავკასიის ომის შესახებ.** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ინტერდისციპლინარული კვლევების ახალი ჰორიზონტები". ეძღვნება პროფესორ დავით გოცირიძის 70 წლის იუბილეს. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი ევროკავშირის გრანტის პროექტის KEAC-BSR მხარდაჭერით (MSCA, HORIZON2020). ბათუმი, 23.06-24-06.2023.

5. მარიამ ფილინა. **„კვარცხლბეკზე ამაღლებიდან“ იდეოლოგიურ დევნამდე“.** XVI საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები„. „სოციალისტური რეალიზმის ეპოქა ლიტერატურასა და ხელოვნებაში“. ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი, 2023 წლის 27-29 სექტემბერი.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

1. **მრავალმხრივ** მნიშვნელოვანი ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობანი დაიწყო XIX საუკუნის I ნახევარში. ქართველი და პოლონელი ხალხის შემოქმედებითი ინტერესების შედუღაბება დრამატიზმით არის აღსავსე. სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატორთა ურთიერთდაინტერესების ყველაზე ნათელი პერიოდი დაკავშირებულია 1830-იან წლებში ახალგაზრდა, განათლებული პოლონელების მასობრივად გადასახლების ტალღასთან. მეფის მთავრობის მიზანი იყო დაესაჯა `პოლიტიკური დამნაშავენი˜, შედეგი კი სრულიად საპირისპირო გამოდგა _ სულიერი კავშირი გაიბა გადასახლებულთა და ქართულ ინტე¬ლიგენციას შორის. უაღრესად რთულ სიტუაციაში იქმნებოდა ურთი¬ერთობათა მთელი სისტემა _ ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა, პოლონელი ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფების მიერ კავკასიის, კერძოდ კი, საქა¬რთველოს შესწავლა იმ გაჩაღებული კავკასიური ომის დროს. თბილისში ორი ათეული წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა პოლონელ რომანტიკოსთა ერთგვარი `ფილიალი˜ _ პოლონელ `კავკასიელთა˜ ჯგუფის პოეტები. გადა¬¬სახლებულმა პოლონელებმა თავიანთ თანამემამულეებს ნათლად დაანახვეს კავკასია. 1830-1840-იან წლებში კავკასია უკვე აღარ იყო მხოლოდ ეგზოტიკური, რომანტიკული აღმაფრენის მომნიჭებელი მხარე. იგი უკვე სერიოზულად აინტერესებდათ მკითხველ პოლონელებს.

ქართული და პოლონური კულტურის მოღვაწეებს შორის კონტაქტები მყარდებოდა როგორც უშუალოდ, ისე, მნიშვნელოვანწილად, რუსეთის საშუალებით. თუმცა თავად რუსეთთან დამოკიდებულება ორივე ერის მოაზროვნეებსა თუ ლიტერატორებს საკმაოდ არაერთმნიშვნელოვანი ჰქონდათ. საყოველთაოდ მიღებული და მუდმივად განმეორებადი აზრი ორი რუსეთის შესახებ - იმპერიული, მეზობელი ხალხების დამპყრობელი რუსეთისა და რუსეთისა, რომელიც ეპოქის ჰუმანიტარულ და თამამ იდეათა სამშობლოა - პრინციპში საფუძველსმოკლებული არ არის, მაგრამ არც ისე მარტივია, როგორც ეს ჩანს მისი ჩვეულებრიობისა და ხანგრძლივი გამოყენების გამო. იმას, თუ რა იყო პროგრესული იდეა, ისტორია წყვეტდა, იდეის ჩასახვისა და განვითარების მომენტში მის ირგვლივ კამათის კი გარდაუვალი იყო, მით უფრო მაშინ, როცა იდეას ან საზოგადოებრივ მოძრაობას სხვადასხვა ერის წარმომადგენლები აფასებდნენ. ეპოქალური მოძრაობების ირგვლივ კამათის დამახასიათებელია ყველა დროისათვის. დეკაბრიზმის ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებითაც არ იყო, და ვერც იქნებოდა, ერთსულოვნება პოლონელ და ქართველ საზოგადო მოღვაწეებს შორის. თუმცა დეკაბრიზმმა ერთიანობაში პოლონეთსა და საქართველოში მიმდინარე ყველა სოციალურ პროცესზე იქონია გავლენა, იგი იყო მძლავრი სტიმული საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებისათვის. იდეათა შემოდინებას მრავალრიცხოვანი კავშირები მოჰყვა, რამაც დეკაბრიზმის პერიოდი მოიცვა. ამისდაკვალად, ფართო საზოგადოებრივი წრეები წარმოიშვა. ისინი მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს.

‚კავკასიელთა“ შემოქმედებას იმდენად თვითშეფასებითი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენადაც - კულტურულ-ისტორიული. თუმცა შესაძლოა ვისაუბროთ მათი ერთობლივი მემკვიდრეობისადმი ცოცხალი ინტერესის შესახებაც. ასე მაგალითად, ჩესლავ ზგოჟელსკი, რომელიც თავის დროს პოლონური კლასიკის გამოცემის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო,

პირველი რიგის საგამომცემლო პრობლემების შესახებ სტატიაში წერს მიცკევიჩის, სლოვაცკის და ნორვიდის, ასევე, მალჩევსკის თხზულებათა ახალი კრებულების და ,,ლვოვის ჯგუფის“ ნაწარმოებთა ნაწილის ფოტოტიპური სახით გამოცემის აუცილებლობაზე. ხოლო შემდეგ ვკითხულობთ: ,,მეორე ამოცანა, შესაძლოა, უფრო გადაუდებელიც, კავკასიელი გადასახლებულების პოეტური მემკვიდრეობაა. ეს არ შეეხება მხოლოდ ყველაზე ცნობილ ტადეუშ ლადა-ზაბლოცკის ან ვლადისლავ სტშელნიცკის, თუმცა მათი პოეზიაც, რომელიც XIX საუკუნის შუა ხანებში გამოიცა, დღეისათვის უკვე რთული მოსაპოვებელია და თანაც არ მოიცავს მთელ მათ ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ჩვენს მეხსიერებაში უნდა აღდგნენ, პირველ ყოვლისა ისინი, ვინც დღემდე არ გამოცემულა, მაგალითად სტანისლავ ვინიცკი, ლეონ იანიშევსკი, ჰენრიხ იაბლონსკი ან ვინცენტი დავიდი. სხვადასხვა ჟურნალში (ნაწილობრივ კი ხელნაწერებში, რომლებიც, ვინ იცის, სად ინახება ან შემორჩა თუ არა) გაფანტული მათი სტატიები ეროვნულ ტრადიციაში უკვდავყოფას მოითხოვს არა მხოლოდ როგორც ისტორიულ-ლიტერატურულ ინტერესთა საგანი, არამედ როგორც მოწმობა ,,გადასახლების“ პოეზიის ბედის შესახებ.

2. **თბილისში**, როგორც ამიერკავკასიის კულტურული ცხოვრების ცენტრში, 1830-იანი და 1850-იანი წლების ბოლოს ფუნქციონირებდა პოლონური ლიტერატურის ერთგვარი მცირე ფილიალი - კავკასიური განდევნილობის ლიტერატურისა. კავკასიელი ლიტერატორების ჯგუფში თავისი როლითაც და, შესაძლოა, პოეტური ნიჭითაც, მნიშვნელოვანი ადგილი ვლადისლავ სტშელნიცკის ეკუთვნის. იგი ,,კავკასიელებს“ შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო. დაიბადა 1820 წელს პოდოლში, თავადაზნაურთა ოჯახში. 1836 წელს კიევის უნივერსიტეტის სიტყვიერების განყოფილებაზე ჩააბარა საკუთარი ხარჯებით. იგი ორიგინალური პოეტური აზროვნებითა გამოირჩეოდა. სტშელნიცკიმ ბრწყინვალედ იცოდა ლიტერატურის ისტორია და თანამედროვე მწერლობა. კიევის უნივერსიტეტის თვრამეტი წლის სტუდენტი შიმონ კონარსკის ორგანიზაციის კიევის განყოფილებაში შევიდა. შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ, 1838 წელს დააპატიმრეს და რიგითად გადაასახლეს კავკასიაში მოხალისის უფლებით, თუმცა 10 წლის განმავლობაში მსახურობის ვალდებულებით, მას შემდეგ, რაც ოფიცრის ჩინს მიიღებდა. 1839 წლის მარტში ოცდახუთ უნივერსიტეტელ ამხანაგთან ერთად გააგზავნეს იმ ადგილას, სადაც უნდა ემსახურა. მსახურობდა არტილერიაში და ოფიცრის ჩინამდეც მიაღწია.

სტშელნიცკი ძალიან დაკვირვებული იყო და სხვებისთვის დამალულ ბევრ დეტალს ამჩნევდა. აღნიშნავდა, რომ ,,ნანგრევები განძია მოგზაურთათვის“. საკმაოდ ბევრს ,,მოგზაურობდა“ თავის პოლკთან ერთად და დაინტერესებული იყო არქიტექტურით, ხალხთა ცხოვრებითა და ტრადიციებით. ამან ასახვა ჰპოვა მის ,,მგზავრის ჩანაწერებში“. 1839-41 წლებში დაწერილი ნაწარმოებების ქვეშ არის მინაწერები: შუშა, ასკერანი, შემახი, ბაქო, კურდამირი, ყარაბაღი, ყაბარდო, ჩეჩნეთი. დაბოლოს, როგორც იქნა, თბილისშიც აღმოჩნდა - ყველა პოლონელისათვის აღთქმულ ადგილას. მალევე დაუახლოვდა ზაბლოცკის, იანიშევსკის, პოტოცკის და საყოველთაო სიყვარული მოიპოვა. მისი ,,მოგზაურის“ მცდელობანი კალმის მოსინჯვად შეიძლება ჩაითვალოს. გაჩაღებული ლიტერატურული სამუშაოებიდან რამდენი წელში სტშელნიცკიმ გამოაქვეყნა ორი მოთხრობა - ,,ორი აღვირი“ («Два узденя») («Кавказ», 1846, №№ 18-21) და ,,მაჰმუდეკი“ («Махмудек») (გამოჩნდა «Кавказ»-ში უკვე მწერლის სიკვდილის შემდეგ, 1848, №№ 28-37), ასევე, ლექსები პოლონურ ალმანახებში. სტშელნიცკი, ისევე, როგორც ზაბლოცკი და იანიშევსკი, ფლობდა რუსულ ენას, მოთხრობებს, სავარაუდოდ, თავად თარგმნიდა. თბილისში ყოფნის წლებში დაიწყო ქართული და სხვა კავკასიური ენების შესწავლა.

სტშელნიცკი 26 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა დიზენტერიისგან. ახალგაზრდა პოეტის სიკვდილი მძიმედ გადაიტანეს მეგობრებმა. 1846 წლის 19 ოქტომბერს გაზეთ

,,კავკაზში“ დაიბეჭდა (გაზეთი სწორედ ამ დროს ამზადებდა გამოსაქვეყნებლად მის ,,მაჰმუდეკსა“ და ,,ნარკვევებს“) ნეკროლოგი.

ვ. სტშელნიცკის ნაწარმოებებმა მთლიან გამოცემად დღის სინათლე 1860 წელს იხილა. ისინი ოთხ პატარა ტომად ჟიტომირში გამოაქვეყნა მწერლის ძმამ, იუზეფმა, რომელსაც ზაბლოცკის სიკვდილის შემდეგ (რასაც წინასიტყაობიდან ვიგებთ) ხელნაწერები კსავერი პეტრაშკევიჩმა გადასცა. იქვე ვკითხულობთ: ,,განსვენებულის ნება იყო გამოცემიდან მიღებული თანხა თბილისის გადასცემოდა კოსტიოლს სასულიერო ლიტერატურის შესაძენად, რამდენადაც თავად ავტორი და მისი მეგობრები მათ ნაკლებობას განიცდიდნენ“.

ვლადისლავ სტშელნიცკის ღირსებების შესახებ მოცემული ფაქტი კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, თუ რაოდენ სიღრმისეულად იყვნენ დაკავშირებულები პოლონელები თბილისის კულტურულ ცხოვრებასთან.

3. **პოლონური** ინტერესების სფეროში შოთა რუსთაველის ჩართვის თითქმის ორსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე დაგროვდა სხვადასხვა ხასიათის ძალზედ მნიშვნელოვანი მასალა, რომელიც გარდა თარგმანების გამოცემებისა, სხვა ასამდე დასახელებას შეიცავს.

პოლონელი ორიენტალისტის კონსტანტი რდულტოვსკის სტატია რუსთველის შესახებ ერთ-ერთი პირველია მარი ბროსეს შრომებისა და გერმანულ ლიტერატურაში მისი ხსენების შემდგომ.

პოლონური ტექსტი დაიბეჭდა ვილნიუსში 1830 წელს „ლიტვის კალენდარში“. თხზულება სათაურია „შოთა რუსთაველი, ქართველი პოეტი“. რუსულ ენაზე სტატია გამოქვეყნდა 1833 წელს ჟურნალ „ტელესკოპში“.

რუსთაველთან მკითხველის შემდგომი შეხვედრა უკავშირდება არა ლიტერატორს, არმედ ინჟინერს - გადასხლებულ კაზიმეჟ ლაპჩინსკის. გიორგი ერისთავის დახმარებით შესრულა „ვეფხისტყაოსნი“-ს პროზაული თარგმანი. თარგმანი და წინასიტყვაობა გამოქვეყნდა 1863 წელს ალმანაქში „ვარშავის ბიბლიოთეკა“. მას შემდეგ, რაც ამის შესახებ ცნობილი გახდა საქართველოში, მასზე ბევრი დაიწერა.

1970-იან წლებში შესრულებული იყო რუსთაველის ორი სრული თარგმანი. ეს არის იეჟი ზაგურსკის და იგორ სიკირიცკის თარგმანები. მაგრამ 1930-იან წლებში იყო პოემის თარგმნის კიდევ ერთი მცდელობა, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი ისტორიული და ლიტერატურული მნიშვნელობა.

მე-20 საუკუნის გამოჩენილმა პოლონელმა პოეტმა იულიან ტუვიმმა, რომელსაც დიდი მთარგმნელობითი მიღწევები გააჩნია, რუსთაველის პოემას მისი სრული თარგმანის შესრულების მიზნით მიმართა. 1937 წელს გამოცემულ კრებულში მოყვანილი იყო პროლოგის 10 სტროფის თარგმანის პირველი ვარიანტი. ომის დამთავრების შემდეგ ტუვიმმა განაგრძო მუშაობა და შექმნა პროლოგის 31 სტროფის თარგმანის მეორე ვარიანტი.

საოცარია ის, რომ იზოლაზიის მიუხედავად, რომელიც წარმოიქმნა ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში, პოლონურმა საზოგადოებამ აღნიშნა „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილე. 1937 წელს ვარშავაში გამოიცა კრებული „შოთა რუსთაველი“. ეს არის მცირე ზომის ტომი, რომელიც შეიცავს სამ სტატიას და ორ ნაწყვეტს პოემიდან (სულ 15 გვერდი). კრებულში მოთავსებულია პოეტისა და თამარ მეფის პორტრეტები.

სწორედ ამ კრებულში დაიბეჭდა ჯულიან ტუვიმის თარგმანი. ყველა მთარგმნელი, ვინც კი მიმართა რუსთაველს, თვლის, რომ ტუვიმისეული თარგმანი მიუწვდომელ ნიმუშს წარმოადგენს. სავარაუდოდ პოეტი მასზე დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა, შექმნა რამოდენიმე ვარიანტი, რომელთაგან დასრულებული სახით შემორჩენილია მხოლოდ ორი. მეორე ჯერ პერიოდულ გამოცემაში გამოქვეყნდა, ხოლო შემდეგ ქართული პოეზიის სამივე ანთოლოგიაში შევიდა.

მაგრამ იულიან ტუვიმმა უარი თქვა ამ გარნდიოზული გეგმის განხორციელებაზე. ჯერ ერთი, ეს იყო პოეტის ცხოვრების უკანასკნელი წლები, ხოლო მეორე მოტივად პოეტმა ენის უცოდინრობა დაასახელა. ეს გარემოება პოეტს თავიდანვე აწუხებდა. სავარაუდოდ „მშობლიური მეტყველების ინსტინქტმა“, რომლზედაც პოეტი თავის ნაშრომებში საუბრობს, ვერ უკარნახა მას შემდგომი გზა, რომლითაც განვითარდებოდა მისი შრომა რუსთაველზე. ტუვიმმა დატოვა სიანტერესო ჩანაწერები მისეულ თარგმანებზე, ასევე რუსთაველისადმი და ამ პოემის შემსწავლელი მეცნიერებისადმი მიმართული საკუთარი პოეტური სტრიქონები. ამ სტრიქონების თარგმანები და მათზე გამოხმაურებები მაშინათვე გაჩნდა.

მართალია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ გააგრძელა თარგმანზე მუშაობა, მაგრამ ასეთი გამოჩენილი პოეტის ინტერესი რუსთაველის პოემით დიდი მნიშვნელობა აქვს.

4. **დღეისათვის** ომისა და ექსტრემალურ ვითარებაში მყოფი ადამიანის ფსიქოლოგიისადმი მიძღვნილი ყოველი კლასიკური ნაწარმოები განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, მით უფრო თუ ეს ისეთ შედევრს ეხება, როგორიც „ჰაჯი-მურატია“.

ლევ ტოლსტოის „ჰაჯი-მურატი“ 1896-1904 წლებში შეიქმნა. იგი ხან გადადებდა, მერე ისევ უბრუნდებოდა ტექსტს, რომელმაც მწერლის მთელი ცხოვრებისეული და ფილოსოფიური გამოცდილება მოიცვა. ტოლსტოიმ მთელი სიმძაფრით წარმოაჩინა რამდენიმე ერთმანეთთან შეურიგებელი, სასტიკი სამყაროს შეჯახება, დაპირისპირება და თანაარსებობა. ის მკაცრად განსჯის რუსეთის იმპერიის ომს, რომელშიც კავკასიის ხალხები იბრძოდნენ დამოუკიდებლობისთვის. ტოლსტოიმ ღრმად შეაღწია თავისი პერსონაჟების ფსიქოლოგიაში და მისი სიმპათიები ცალსახად ჰაჯი-მურატის მხარეზეა.

ტოლსტოის არასოდეს შეუწყვეტია შინაგანი კავშირი საქართველოსთან, რომელიც მისი, როგორც მწერლის, დაბადების ადგილად იქცა. საქართველოდან წასულმა, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ჩაიფიქრა კავკასიურ მასალაზე დაფუძნებული სიუჟეტი, რომელშიც საქართველოს წამყვანი ადგილი უკავია. ნაწარმოები მსოფლიო პროზის ერთ-ერთ შედევრად გახდომა ეწერა.

დიდი გამბედაობა უნდა ჰქონოდა იმისთვის, რომ იმდროინდელი კავკასიური ომი სწორედ დაპყრობით ომად წარმოეჩინა, ოფიციალური იდეოლოგიის საპირისპირო კონცეფციის შექმნა. გარკვეული დათქმით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტოლსტოიმ ასევე გამოხატა კავკასიელი ხალხების ტკივილის ძახილი.

გასაკვირია, რომ ტონალობა ემთხვევა სრულიად განსხვავებული კულტურის წარმომადგენლების - დევნილი პოლიტიკური პოლონელების მიერ შექმნილ დოკუმენტებს, რომლებიც აიძულეს მონაწილეობა მიეღოთ იმ სისხლიან ომში. ფაქტობრივად, იყო ოფიციალური დოკუმენტები სამთავრობო ვერსიით, კავკასიის ხალხები არ დაუტოვებიათ წერილობითი მტკიცებულებები. და ტოლსტოის, ალბათ მარლინსკის გარდა, იყო ამ პოლონელების მთელი კავკასიური ლიტერატურა.

პოლონელი გადასახლებული ვლადისლავ იურკოვსკის წერილები პეგალია პოდგორსკაიას - კავკასიის ომის იძულებითი მონაწილის დოკუმენტი - აულების აღების, კავკასიის მკვიდრთა განადგურების, რუსეთის ჯარში ვითარების, პოლონელი ჯარისკაცებისადმი დამოკიდებულების შესახებ. პირველად გამოქვეყნდა მ.ფილინასა და დ.ოსოვსკაიას მონოგრაფიაში „პოლონელთა ბედი კავკასიაში. ნაწილი 1. პოლონელი დევნილი პოეტების „თბილისის ჯგუფი“. წერილები, რომლებმაც არ გაუვლია კავკასიურ და სამხედრო ცენზურას, მონოგრაფიის ავტორებმა აღმოაჩინეს.

დაპყრობითი ომის აღქმის პარალელები რუსი გენიოსისა და პოლონელი დევნილობის შემოქმედებაში უდაოა. ტექსტების შედარება შესაძლებელს ხდის გამოავლინოს ხასიათის მრავალი ფილოსოფიური და მენტალური მახასიათებელი.

გადასახლებული მწერლები მიხვდნენ, რომ ისინი გამოხატავდნენ თაობის ნაწილის აზრებს და წარმოადგენდნენ პოლონელი ინტელიგენციის დიდ ჯგუფს, რომელთა ბედი, მათი ძალისხმევის წყალობით, შეიძლებოდა აღბეჭდილიყო თანამემამულეების მეხსიერებაში არა მხოლოდ როგორც კულტურული ლეგენდა, არამედ როგორც. ისტორიის ნათელი ჩვენება.
4. **ხელისუფლება** ცდილობდა ცნობილი მწერლების „ჩართვას" თავის იდეოლოგიურ პროგრამაში. ბორის პასტერნაკი გახდა ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა და მიუხედავად იმისა, რომ მას აქტიურად არასდროს მიუღია მონაწილეობა პოლიტიკაში, მუდმივად ხვდებოდა იდეოლოგიური ბრძოლის ცენტრში. პასტერნაკი უკვე მაშინ იყო ნიშნეული ფიგურა არა მხოლოდ რუსული, არამედ მსოფლიო პოეზიისა და კულტურისთვის. მისი ურთიერთობა ხელისუფლებასთან ღრმად დრამატულია. 1920-იან წლებში, როდესაც ეპიკურ პოემებს ქმნიდა, თავისებურად ცდილობდა რევოლუციური ეპოქის გააზრებას, მაგრამ ეს იყო ოსტატის მცდელობა, რომელშიც რევოლუცია სრულიად სუბიექტურად იყო წარმოდგენილი. პასტერნაკმა ადრევე გააცნობიერა შემოქმედებაზე ხელისუფლების ტოტალური კონტროლი და მისი დამოკიდებულება აშკარად გამოვლინდა მისი ახლო მეგობრების - ქართველი პოეტების მაგალითზე. ის არა მხოლოდ ბევრ სხვაზე მეტად გრძნობდა ცხოვრებისეულ რეალიებს, არამედ, როგორც ირკვევა, იწინასწარმეტყველა კიდეც მოვლენების განვითარება. იგი ჯერ კიდევ 1933 წელს მეუღლისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს: ,,სულ უფრო იზრდება ჩემში პაოლოსა და ტიციანის საერთო უპირატესობის რწმენა, რის პარალელურადაც ვაწყდები მათი იმ ავტორთა სიიდან იძულებით ამოღების ფაქტს, რომლებიც რეკომენდებულია გასავრცელებლად და ოფიციალური მხარდაჭერა აქვთ. წარმატებას მომიტანდა ამ ადამიანების უარყოფა. მით უფრო ცხოველი იქნება ჩემი მათდამი ერთგულება..."
1935 წელს იგი გაგზავნეს პარიზში ანტიფაშისტურ სამშვიდობო კონგრესზე. ვერც მისმა გამოსვლამ და ვერც მწერლებთან, მათ შორის დელეგაციისთვის მიმაგრებულ სპეც. სამსახურის თანამშრომელთან, საუბარმა ვერ დააკმაყოფილა სტალინი. იგი ფიქრობდა, ვინ გამოეცხადებინა ეპოქის წამყვან პოეტად. მას მოახსენეს, რომ პასტერნაკი უცნაურად იქცეოდა. სტალინმა რევოლუციური ეპოქის მთავარ პოეტად ვლადიმერ მაიაკოვსკი გამოაცხადა.
მეგობრების, უპირველეს ყოვლისა, ტ. ტაბიძისა და პ. იაშვილის დაღუპვის შემდეგ, პასტერნაკი სამუდამოდ განუდგა ოფიციალურ ლიტერატურულ ცხოვრებას. ეს დაპირისპირება ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სკანდალით, მისთვის ნობელის პრემიის მინიჭებით დასრულდა.
ამგვარია პასტერნაკის ხელისუფლებასთან ურთიერთობის შედეგი - სსრკ მწერალთა კავშირიდან გარიცხვა. დიდი პოეტის სოციალისტურ რეალიზმში ჩართვის მცდელობა საბჭოთა ხელისუფლების არნახული მასშტაბის იეზუიტური თამაშის წარუმატებლობის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია.

8. 2. უცხოეთში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. მარიამ ფილინა. პოლონური წიგნების ფონდების საქართველოში ისტორია და მნიშვნელობა. საერთაშორისო კონფერენცია „ბიბლიოთეკები და ინტერკულტურული განათლების თანამედროვე გამოწვევები". ბიდგოშჩის ეკონომიკის უნივერსიტეტი. ბიდგოშჩი, პოლონეთი. 2023 წლის 27-29 ნოემბერი.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

1. **პოლონური წიგნის ფონდები** საქართველოში საკმაოდ მდიდარია, მაგრამ ისინი სისტემატურად არ შედგენილია და თითოეულს თავისი ისტორია აქვს. დასაწყისია 1830-1840 წლების პოლიტიკური გადასახლებულთა მოკრძალებული წიგნების ფონდები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ე.წ. „პოლონელი კავკასიელი პოეტების“ ჯგუფი. გადასახლებულებმა ლიტერატურის (წიგნების და პრესის) ნაკლებობა განიცადეს და ყველანაირად ცდილობდნენ შეექმნათ საკუთარი ბიბლიოთეკები. ისინი მიმოწერას უწერდნენ პოლონეთის აღმოსავლეთ ტერიტორიების თითქმის ყველა მაუწყებელს.
საჯარო ბიბლიოთეკა (ამჟამად საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა) თბილისში დაარსდა 1846 წელს კავკასიის "ნამესტნიკის", თავადი მ. ვორონცოვის მიერ. მისი ახლო თანამშრომელი მაშინ იყო გრაფი ვოიცეხ პოტოცკი. ის არის საქართველოს მთავარი ბიბლიოთეკის ერთ-ერთი დამაარსებელი. წიგნი ნომერი 1 მასში არის საჩუქარი პოტოცკისგან. რარიტეტების განყოფილებაში ინახება ეკატერინე ჭავჭავაძის ალბომი. ალბომი შეიცავს პოტოცკის ორ ლექსს და მის პორტრეტს.
ბიბლიოთეკის პოლონური კოლექცია ძალიან მნიშვნელოვანია. ის შედგენილი იყო დევნილობაში მყოფი პოლონელთა და საქართველოში პოლონური ორგანიზაციების მიერ შემოწირული წიგნებიდან და ჟურნალებიდან, კერძოდ, მე-20 საუკუნის დასაწყისში მოქმედი პოლონური სახლიდან ბიბლიოთეკაში ასობით წიგნი შევიდა.
პოლონური წიგნების კოლექციები განთავსებულია ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „პოლონია“-ს ბიბლიოთეკაში. ეს არის მე-18 საუკუნით დათარიღებული რარიტეტები, ა. მიცკევიჩის ნამუშევრების 1856 წლის გამოცემა, პოლონეთის მრავალტომიანი ისტორია, ასევე თანამედროვე გამოცემები.

დაწესებულებას თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

## ჯილდოები

1. პროფესორ მარია ფილინას ბიდგოშჩის ეკონომიკური უნივერსიტეტის (პოლონეთი) მედალი გადაეცა. განათლებისა და მეცნიერების მფარველის, წმიდა დედოფალ იადვიგას მედალი კონფერენციის გახსნაზე უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მარეკ ჰამოტმა გადასცა (27.11.2023, ბიდგოშჩი, პოლონეთი).
2. პროფესორ მარია ფილინას თბილისის საკრებულოსა და ენის სახელმწიფო დეპარტამენტის „ქართულ-პოლონური კულტურული ურთიერთობების განვითარებასი შეტანილი დიპლომი გადაეცა (21.02.2023 წ.).

**საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტების ხელმძღვანელობა და მონაწილეობა:**

1. საერთაშორისო კონფერენცია **„პოლონეთისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოძრაობა XIX საუკუნეში“.** ეძღვნება პოლონეთში იანვრის აჯანყების 160 წლისთავს და ქართველ თავადაზნაურობის ანტიცარისტულ შეთქმულების 190 წლისთავს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. რიჩარდ პაიპესის სახ. ბიბლიოთეკა და ლაბორატორია. პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში. თბილისი, ილიას უნივერსიტეტი, 2023 წლის 18 მაისი. პროფ. მარია ფილინა - სამეცნიერო და სორგანიზაციო კომიტეტის წევრი.
2. XVI საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები„. „სოციალისტური რეალიზმის ეპოქა ლიტერატურასა და ხელოვნებაში“. ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილოისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი, 2023 წლის 27-29 სექტემბერი. პროფ. მარია ფილინა - სამეცნიერო და სორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

**საჯარო ლექციების ჩატარება:**

**"ადამ მიცკევიჩი და საქართველო".** საჯარო ლექცია კავკასიურ სახლში. თბილისი, 27.12.2023 წ.

**უცხოელ კოლეგებთან შეხვედრებისა და ლექციების ორგანიზება და გამართვა**

1. ბიდგოშჩის ეკონომიკისა და ადმინისტრაციის უმაღლესი სკოლის (პოლონეთი) პროფესორებთან - ინსტიტუტის კანცლერ კშიშტოფ სიკორასთან და პროფ. ირინა კუდლინსკაიასთან და სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომლების და სტუდენტების შეხვედრის ორგანიზება. 2023 წლის 25 ივნისი.
2. ჟეშოვის უნივერსიტეტის (პოლონეთი) პროფესორ ბარბარა სკოჩინსკა-პროკოპოვიჩთან თსუ-ს სლავისტიკის ინსტიტუტის და პოლონისტკის ცენტრის თანამშრომლებისა და სტუდენტების შეხვედრის ორგანიზება და გამართვა. 2023 წლის 10 ოქტომბერი.
3. შეხვედრები კოლეგებთან-სლავისტებთან „ერაზმუს“ პროგრამით ფარგლებში (სლოვაკიის უნივერსიტეტის /ბრატისლავა/ თანამშრომელთან შეხვედრა -2023 წლის მაისი, ტარუს უნივერსიტეტის /ნარვის ფილიალი, ესთონეთი/ შეხვედრა (19 სექტემბერი), რეიკიავიკის უნივერსიტეტის /ისლანდია/ კოლეგებთან შეხვედრა (ოქტომბერი). შეხვედრებზე განიხილეს სპეციალისტებისა და სტუდენტების შესაძლო თანამშრომლობისა და გაცვლის ფორმები. სლავისტიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა პირველ ეტაპზე ონლაინ კონფერენციის გამართვა შესთავაზეს.

**სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობა:**

1. 9 სექტემბერს საქართველოს ეროვნულ საპარლამენტო სზბილიოთეკაში პოლონეთის ეროვნული საკითხავი გაიმართა. 2023 წელს წაიკითხეს ნაწყვეტები პოლონური ლიტერატურის კლასიკოსის ელიზა ორჟეშკოს რომანიდან „ნემანის პირას“. პოლონეთში ნაწყვეტები რომანიდან წაიკითხეს პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ და მისმა მეუღლემ აგატა დუდამ, ასევე პოლონეთის მთავრობის წევრებმა, სკოლებისა და ლიცეუმების სტუდენტებმა და მოსწავლეებმა. საქართველოში ღონისძიებას მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში, თსუ სლავისტიკის ინსტიტუტის თანამშრომლები და სტუდენტები, პოლონიის კავშირის წევრები თსუ-ს თავმჯდომარის პროფესორი მარია ფილინას ხელმძღვანელობით, თბილისის პოლონეთის სტუდენტები, წმიდა დედოფალი იადვიგას სახელობის პოლონური საკვირაო სკოლა თბილისიში. პოლონეთის რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში მარიუშ მაშკევიჩმა, პოლონეთის რესპუბლიკის კონსულმა პიოტრ პომიანოვსკიმ, საელჩოს თანამშრომლებმა, პოლონისტიკის ცენტრის ხელმძღვანელმა პროფესორმა მარია ფილინამ, თსუ-ს პედაგოგმა ბეატა კარასმა, პოლონური სკოლის მოსწავლეებმა და სხვებმა ისაუბრეს ელიზა ორზეშკოს შემოქმედებაზე და წაიკითხეს ნაწყვეტები მისი რომანიდან.

3. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში (სახლში) ადამ მიცკევიჩის 225 წლისთავისადმი მიძღვნილი პოლონური და ქართული მუსიკის კონცერტის ორგანიზება და ჩატარება. შეხვედრას ესწრებოდნენ ელჩი საქართველოში მარიუშ მაშკევიჩი, პოლონეთის რესპუბლიკის კონსული საქართველოში პიოტრ პომიანოვსკი, საელჩოს თანამშრომლები,

პროფესორები, ჟურნალისტები, მუსიკოსები. კონცერტში მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი მუსიკოსები, მათ შორის საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, პროფ. გიორგი შავერზაშვილი, საართველოს კომპოზიტორთა კავშირის ტრიო, ალექსანდრე ვასაძე, პროფ. ვილი გრიგორიანი, ელენე შავერზაშვილი, ტრიო „ბრავო“ და სხვ.

4. 7 დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში, საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილსა და საქართველოს მეცნიერებისა და დიასპორების წარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ სლავისტიკის ინსტიტუტის თანამშრომლები პროფ. მარია ფილინა, პროფ. მაია თუხარელი და მასწავლებელი ბეატა კარასი.

5. პროფ. მარია ფილინამ მონაწილეობა მიიღო თბილისის მერიის (ევროკავშირის პროექტი) მიერ ორგანიზებულ სემინარში - თელავი, „ზუზუმბა“, 2023 წლის 2-4 ივლისი. სემინარი დაეთმო მერიის პროგრამებს (მეცნიერების, კულტურის, სპორტის, მედიცინის და შემოქმედებითი ახალგაზრდობის პროგრამები, ასევე მერის სერვისების სამსახურების პროგრამებს). სემინარის შემდეგ პროფ. მ.ფილინამ მისი შინაარსი გააცნო თსუ სლავისტიკის ინსტიტუტის თანამშრომლებსა და სტუდენტებს.

6. 2023 წლის 16-17 ნოემბერს გაიმართა შეხვედრები სლავისტიკის ინსტიტუტის თანამშრომლებსა და პოლონური ენის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის (ვარშავა) ვიცე-დირექტორს იაცეკ იანოვიაკს შორის. შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს სლავისტიკის ინსტიტუტის თანამშრომლები პროფ. მარია ფილინა, პროფ. მაია თუხარელი და მასწავლებელი ბეატა კარასი.

შეხვედრების დროს განისაზღვრა თანამშრომლობის ფორმები როგორც პროფესორებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის.

7. 16 ნოემბერს თბილისის საკრებულოში ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, თბილისის მერიის ხელმძღვანელობა, საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, დიპლომატები ესწრებოდნენ. მარია ფილინას მიენიჭა დიპლომი პოლონურ-ქართული კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობების განვითარებისთვის. შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს სლავისტიკის ინსტიტუტის თანამშრომლები პროფ. მარია ფილინა, პროფ. მაია თუხარელი და მასწავლებელი ბეატა კარასი.

8. 2023 წლის 7 სექტემბერს საქართველოს პარლამენტში გაიმართა შეხვედრა სახალხო დამცველთან რსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. დღის წესრიგში იყო სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის მიმოხილვა (მომხსენებელები - თეა ახვლედიანი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, ლია გიგაური - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე და სხვები). შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო სლავისტიკის ინსტიტუტის თანამშრომელი პროფ. მარია ფილინა.

ყურადღება!
* სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.
* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.
* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.
* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.
* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა~.

საქართველოს ისტორიის სასწავლო-
სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2
(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

**ინსტიტუტის ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი თედო დუნდუა;**
**აკადემიკოსი ისტორიის დოქტორი პროფესორი ჯაბა სამუშია,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ასოცირებული პროფესორი მიხეილ ბახტაძე,**
**ისტორიის დოქტორი ასოცირებული პროფესორი აპოლონ თაბუაშვილი,**
**ისტორიის დოქტორი ასოცირებული პროფესორი ბონდო კუპატაძე,**
**ისტორიის დოქტორი ასოცირებული პროფესორი ქეთევან ნადირაძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ასოცირებული პროფესორი დიმიტრი შველიძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ასოცირებული პროფესორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი,**
**ისტორიის დოქტორი ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე ბოშიშვილი,**
**ისტორიის დოქტორი ასისტენტ-პროფესორი ნათია ფიფია,**
**ისტორიის დოქტორი ასისტენტ-პროფესორი ქეთევან ქუთათელაძე,**
**ისტორიის დოქტორი ასისტენტ-პროფესორი ლერი თავაძე (სწავლული მდივანი).**

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში (ეთნიკური და დემოგრაფიული სურათის ცვლილებების პროცესი). FR-21-22519 – სამწლიანი ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტი. 2022-2025;
2. გარდამავალი ორწლიანი პროექტის დასახელებაა: „„საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ სამტომეული. საქართველოს ახალი ისტორია. (1918-1921). (შიფრი № FR – 21 - 13590) ფარგლებში. 2022-2024;
3. საქართველო მუსლიმურ სამყაროსა და ევრაზიის სტეპს შორის (პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები VII-X საუკუნეებში). FR-23-17033 – სამწლიანი ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტი. 2023-2026.

პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ალექსანდრე ბოშიშვილი – სამეცნიერო ხელმძღვანელი. პროექტის მონაწილე-შემსრულებლები: ლერი თავაძე (კოორდინატორი და შემსრულებელი), აკაკი ჩიქობავა და ემილ ავდალიანი;
2. დიმიტრი შველიძე – სამეცნიერო ხელმძღვანელი. მონაწილე-შემსრულებლები: ი. ირემაძე, ბ. კუპატაძე, მ. ბახტაძე და ს. ჭანტურიძე;
3. ლერი თავაძე – სამეცნიერო ხელმძღვანელი; პროექტის მონაწილე-შემსრულებლები: ალექსანდრე ბოშიშვილი (კოორდინატორი და შემსრულებელი), აკაკი ჩიქობავა, ევგენი ჭანიშვილი.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1. კვლევის სფერო ეთნიკური და დემოგრაფიული სურათის ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხებია. ამ ეტაპზე, როდესაც თითქმის ყველა საისტორიო დოკუმენტებზე, საარქივო მასალაზე და სხვა საკანცელარიო დოკუმენტაციაზე სრული წვდომის საშუალება არსებობს. გამოქვეყნებულია უცხოენოვანი მასალაც (მაგ., კარლ შტუმპის ნაშრომი, სადაც გამოქვეყნებულია გერმანული დოკუმენტები, გადმოსახლებულების დღიურები და სხვა სახის ჩანაწერები, სრული და დაზუსტებული გენეალოგიური მონაცემების დართვით და სხვ.). უნდა აღიწეროს სრული სურათი, კოლონების დაარსების, იქ მცხოვრები ადამიანების ცხოვრების პირობებისა და სირთულეების შესახებ, დასაზუსტებელია მათი რიცხოვნობა, ინტეგრაციისსაკითხი ადგილობრივ მოსახლეობასთან და სხვა ეროვნებების მიერ დაარსებულ კოლონიებთან, მათი დამოკიდებულება სახელმწიფოსთან და აშ. აქვე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ გადმოსახლებული კოლონისტების შესახებ კვლევა საკითხის სრულყოფილად წარმოჩენისთვის საკმარისი არ იქნება, ამიტომ დაგეგმილია მათი განხილვა მთელი მოსახლეობის კონტექსტში. გასარკვევია, მათი რაოდენობა, ცვლილებები, ეკონომიკური აქტიურობა და სხვა საკითხები. ეს ყველაფერი, თავის მხრივ, დამატებით უნიკალობას შესძენს პროექტს. აღსანიშნავია, რომ საგრანტო ჯგუფის წევრთა მიერ გარკვეული სამუშაოები უკვე ჩატარებულია. კერძოდ, შესწავლილია ქვემო ქართლში ეთნიკური და დემოგრაფიული სურათის ცვლილებები უძველესი დროიდან დღემდე (იხ. ა. ბოშიშვილი. ქართლის სამეფოს სამხრეთის საზღვარი და სამხრეთის პროვინციები (XV-XVIII სს.), თბ. 2015; ა. ბოშიშვილი. ქვემო ქართლის ეთნიკური და დემოგრაფიული სურათი (ისტორია და თანამდროვე მდგომარეობა)“. თბ. 2020). მოპოვებული მასალა, მიღებული დაკვირვებები და დასკვნები საგრანტო ჯგუფს შემდგომი კვლევის გაღრმავებაში დიდ დახმარებას გაუწევს. საპროექტო წინადადება წარმოადგენს გაგრძელებას და შეჯამებას, რომელიც მთელი საქართველოს ტერიტორიაზე XIX საუკუნეში განვითარებულ ეთნიკურ და დემოგრაფიულ ცვლილებებს მოიცავს. რუსეთის იმპერიისთვის დამახასიათებელი ეთნიკური და დემოგრაფიული პოლიტიკისთვის დამახასიათებელი იყო, ასევე, ქართველების ცალ-ცალკე ჯგუფებად დაყოფის პოლიტიკაც, ეთნოგრაფიულ რუკებსა და აღწერებში ცალ-ცალკე აღნიშნავდნენ, „თუშებს“, „ხევსურებს“, „ქართველებს“, „კახელებს“, „იმერლებს“, „სვანებს“ და აშ. და აქცენტი კეთდებოდა მათ არა მათ საერთო ეროვნულობასა და კულტურაზე, არამედ, მცირე განმასხვავებელ ნიშნებზე და, ეს ყველაფერი მაქსიმალურად დანაწევრებას იწვევდა და დაპყრობილი ხალხი სამართავად ბევრად მარტივი იქნებოდა. ამას ხელს უწყობდა

რუსული ენის ფართოდ გავრცელებაც. ზოგადად, როგორც ცნობილია, განათლებისა და ენის შესწავლის საკითხი XIX საუკუნეში მოსახლეობის სხვადასხვა ფენას, ეროვნებასა თუ კონფესიებს შორის განსხვავებული იყო. არარუსი წარმოშობის კოლონისტებისთვის ეტაპობრივად რუსული ენა გახდა უფრო „მშობლიური“ და ძირითადი საკომუნიკაციო ენა. მაშინ, როდესაც განათლების კერებისა და სკოლების არარსებობის გამო ადგილობრივი ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსულ ენას არ ფლობდა. კოლონისტები რუსულის ცოდნით ახერხდებოდნენ ერთმანეთთან ინტეგრაციას, რაც იყო გასაღები, ასევე, იმპერიის სამოხელეო აპარატთან და ბიუროკრატიასთან ურთიერთობაშიც. ხშირად ისინი (მაგ., გერმანელების კოლონიები), განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ სახელმწიფოსთან, და ადგილობრივ სამაზრო და საუბნო მმართველობებთან არ ჰქონდათ კავშირი. პირდაპირ საგუბერნიო და სპეციალურად მათთვის შექმნილი მმართველობითი ორგანოები განიხილავდნენ მათ საკითხებს. რაც ადგილობრივებსა და კოლონისტებს ერთმანეთთან აშორებდა. თავისთავად იმპერიის პოლიტიკის მიზეზით იყო გამოწვეული და არა ადგილობრივების მიუღებლობით, ან ჩამოსულების შიშით. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ეროვნების ხალხის ცხოვრება საქართველოსთვის, მანამდეც არ იყო უცხო და ეკონომიკური თუ სამხედრო მიზნებით ხშირად მეფეები და სახელმწიფო მესვეურები პირადად უწყობდნენ ხელს ხალხის ჩამოსახლებას. ამასთან არასოდეს არ ყოფილა მათი რაიმე ნიშნით შეზღუდვა, ამას მოწმობს, თუნდაც საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენელთა სამლოცველოები და აშ. მათ მხოლოდ ქართული ენის სწავლა ევალებოდათ, არაერთი მათგანი ჩართული იყო ფეოდალური სახელმწიფოს სამოხელეო ინსტიტუტების საქმიანობაში, ეს ყველაფერი კი მაქსიმალურ ინტეგრაციას უწყობდა ხელს და მშვიდობიან თანაცხოვრებას უზრუნველყოფდა, რუსეთის იმპერიის პოლიტიკის შედეგად კი, უკვე ინტეგრირებული, ჯგუფებიც კი (მაგ. სომხები, თურქმანული ტომები, ბერძნები და აშ.) დისტანცირდნენ ერთმანეთისგან. პროექტში აღნიშნული საკითხები იქნება განხილული.

2. პროექტში შესასრულებელი მაქვს 7 თემა, რომლებიც გარკვეულ პერიოდებში უნდა გაკეთდეს. პროექტზე მუშაობა დაიწყო 2022 წლის აპრილის თვიდან. დღეის მდგომარეობით შესრულებულია პირველი და მეორე თემები. 1. ქართული პოლიტიკური ელიტა. მემარცხენე პოლიტიკური პარტიები (სოციალ-დემოკრატები, ესერები, ანარქისტები) და 2. ნაციონალისტური პარტიები: სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები. შესრულებული სამუშაოს ანოტაცია შემდეგი შინაარსისაა. პროექტის ამ ნაწილში შესწავლილია პირველი რესპუბლიკის წამყვანი პოლიტიკური პარტიების საქმიანობა-მოღვაწეობა: მათი პროგრამული დოკუმენტები; ყრილობებისა და კონფერენციების მასალები; მონაწილეობა საქართველოს პარლამენტსა და დამფუძნებელ კრებაში; მათი პარტიული პრესის მასალები, რომელშიც იგულისხმება პარტიული პრესის ორგანოები: „საქართველოს რესპუბლიკა“, „ერთობა“, „სახალხო საქმე“, „საქართველო“ და სხვა გაზეთები. შესწავლილია პარტიების ლიდერთა მოგონებები, მათი პუბლიცისტური ნააზრევი, სტატიები, გამოსვლები, მოხსენებეი და სხვა სახის ინტელექტუალური მემკვიდრეობა. მასალების უმრავლესობა ახალია, თუმცა, ამასთან ერთად აქტიურად ვიყენებთ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო სპეციალურ ლიტერატურასაც.

3. პროექტის მიზანია შევისწავლოთ VII-X საუკუნეების

საქართველოს

პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები მუსლიმური სამყაროსა და ევრაზიის სტეპის ქვეყნებთან. პროექტის ფარგლებში შესწავლილი იქნება საქართველოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება და მუსლიმურ სამყაროსა და ევრაზიული სტეპის ქვეყნების გავლენა საქართველოზე. VII საუკუნე არის პერიოდი, როდესაც მსოფლიოში ისლამი გაჩნდა. ისლამის გაძლიერებამ ხალიფატი მალე სამ კონტინენტზე განვრცობილ ზესახელმწიფოდ გადააქცია. ამავე პერიოდში თურქთა ხაკანატის დაშლის შედეგად ევრაზიის სტეპში ჩამოყალიბდა ხაზართა ხაკანატი. ხალიფატის, ხაზარეთისა და, ზოგადად, მუსლიმურ სამყაროსა და ევრაზიის სტეპში მდებარე ქვეყნების ინტერესი საქართველოს მიმართ ძლიერი იყო. ხალიფატისა და ხაზარეთის დასუსტება, ხოლო კავკასიაში მათი გავლენის დასასრული X საუკუნეში ხდება. აღნიშნული ჩვენი პროექტის ქრონოლოგიურ ჩარჩოს VII-X საუკუნეებით განსაზღვრავს. საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობებს მუსლიმური სამყაროსა და ევრაზიის სტეპის ქვეყნებთან ისტორიოგრაფიაში არაერთი ნაშრომი მიეძღვნა (ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, თბილისი, 1936; ზ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა საქართველოში: არაბული ცნობების მიხედვით, თბილისი, 1991; ვ. გოილაძე, აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა და საქართველო, თბილისი, 1997; ვ. გოილაძე, ჰუნ-თურქები კავკასიაში, თბილისი, 2008; გ. ალასანია, ქართველები და ისლამამდელი თურქები, თბილისი, 2008; А.Н. Тер-Гевондян, Армения и Арабский халифат, Ереван 1977; А. Шагинян, Армения и страны Южного Кавказа в условиях византийско-иранской и арабской власти, Санкт-Петербург, 2011; A. Vacca, Non-Muslim Provinces under Early Islam: Islamic Rule and Iranian Legitimacy in Armenia and Caucasian Albania, Cambridge University Press, 2017), თუმცა არცერთ მათგანში ეკონომიკური ფაქტორი არ ყოფილა განხილული. ასევე, არ მომხდარა ამ ორი სივრცის წამყვანი იმპერიების (ხაზარეთი და ხალიფატი) ქართული პოლიტიკის შედარებითი ანალიზი. ევრაზიის სტეპის იმპერიების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესი საქართველოს მიმართ ნაკლებად არის შესწავლილი. აქამდე ყურადღება ექცეოდა მხოლოდ თურქული მოდგმის ხალხთა სამხედრო აქტივობას საქართველოში, ასევე, მათი ეთნიკური წარმომავლობის შესწავლის საკითხებს, ყველაფერი ეს მხოლოდ ნარატიული წყაროების მიხედვით (P.B. Golden, Khazar Studies: An Historico-Philological Inquiry into the Origins of the Khazars, I, Budapest, 1980; А.П. Новосельцев, Хазарское государство и его роль в истории Восточной Европы и Кавказа, Москва, 1990). ხალიფატი და ხაზარეთი ის ორი დიდი პოლიტიკური აქტორია, რომლებსაც ძლიერი პოლიტიკური ინტერესი ჰქონდათ საქართველოს მიმართ, აღნიშნული პოლიტიკური ინტერესის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ეკონომიკური ფაქტორი იყო. აღნიშნული ჩანს არამხოლოდ ისტორიულ წყაროებში (ქართული წყაროები: „ქართლის ცხოვრების“ ტექსტები და ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები; არაბული წყაროები: ალ-ბალაძური, ალ-იაკუბი, ალ-ტაბარი, ალ-მასუდი, იბნ ჰაუქალი; სომხური წყაროები: სებეოსი, აშხარაცოიცი ანუ „სომხური გეოგრაფია“, ღევონდი, თომა არწრუნი, იოანე დრასხანატერტეცი, მოვსეს კალანკატუაცი, სტეფანოზ ტარონეცი), არამედ არქეოლოგიურ მასალაში, ნუმიზმატიკურ ძეგლებში, სფრაგისტიკის ნიმუშებში, სხვადასხვა სახის ქსოვილების ფრაგმენტებში. მთელი ეს მასალა დაცულია ქართულ მუზეუმებში, რაც კარგად აჩვენებს ეკონომიკური ურთიერთობების ხასიათს, ქვეყანაში არსებულ რესურსებს და ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციას. მუზეუმებში დაცული მასალა არ ყოფილა გამოყენებული მუსლიმური სამყაროსა და ევრაზიის სტეპის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონიმიკური ინტერესების შესწავლის მიზნით საქართველოსთან მიმართებაში. პროექტის მიზანი სწორედ მრავალფეროვანი მასალის გამოყენებით კომპლექსური სურათის შექმნაა.

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი ფუნდამენტური კვლევებისთვის – „ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული ეპიგრაფიკა, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო“ (2019-2023)

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ნათია ფიფია – პროექტის ხელმძღვანელი, თედო დუნდუა — პროექტის მონაწილე, ეკატერინე კობახიძე – პროექტის კოორდინატორი.

2. *დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1. პროექტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში და საზღვარგარეთ აღმოჩენილი ანტიკური ხანის ბერძნული და ლათინური წარწერების, როგორც საქართველოს ისტორიის წყაროს, შესწავლა. საქართველოში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები ადრეც იყო შესწავლილი თ. ყაუხჩიშვილიც მიერ, თუმცა უახლესი გამოკვლევები ფონზე ყველაზე მნიშვნელოვან წარწერებთან დაკავშირებით შეხედულებები რამდენადმე შეცვლილი იყო, შესაბამისად, საქართველოს ისტორიის კუთხით ამ ახალი მოსაზრებების შესწავლა და წარწერების თავიდან გაშუქება, ისტორიული კომენტარების დართვა აუცილებლობას წარმაოდგენდა. უცხოეთის წარწერები ნაწილობრივ იყო შესწავლილი, ისინი მოძიებულ იქნა ბერძნული წარწერების მონაცემთა ბაზების მიხედვით (ხელმისაწვდომია: https://inscriptions.packhum.org/ ) და ჩვენი კვლევის შედეგად მეტნაკლებად სრული სურათი მივიღეთ. ანტიკური ხანის ლათინური წარწერებიდან ქართულ სამეცნიერო სივრცეში მხოლოდ მნიშვნელოვანი წარწერები იყო შესწავლილი, დარჩენილი წარწერები მოვიძიეთ ლათინური წარწერების მონაცემთა ბაზების მიხედვით (ხელმისაწვდომია: https://edh.ub.uni-heidelberg.de/ და https://www.eagle-network.eu/resources/search-inscriptions/ ), შევისწავლეთ, დავურთეთ როგორც ფილოლოგიური, ასევე ვრცელი ისტორიული კომენტარები.
პროექტზე მუშაობის პროცესში, პირველ რიგში, თავი მოვუყარეთ ქართულ სამეცნიერო სივრცეში მეტ-ნაკლებად უკვე ცნობილ წარწერებს, შემდეგ შევისწავლეთ ამ წარწერების გარშემო არსებული თანამედროვე გამოკვლევები, გავითვალისწინეთ უახლესი მოსაზრებები და ამგვარად შევავსეთ მათი ისტორიული კონტექსტის შესახებ. მსჯელობა. რაც შეეხება წარწერებს, რომლებიც ჩვენ მოვიძიეთ, პირველ რიგში, ვთარგმნეთ, განვმარტეთ შინაარსი, დავურთეთ ფილოლოგიური და შემდგომ უკვე ისტორიული კომენტარები.
პროექტის მიზანს წარმოადგენდა რამდენიმე კონფერენციაზე პროექტის შედეგების წარდგენა, მათგან ერთი საქართველოში, ხოლო მეორე - საზღვარგარეთ ორგანიზებული უნდა ყოფილიყო. პროექტის ფარგლებში მომზადდა 9 მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა თუ კონგრესითვის, მათგან 6 საქართველოში ჩატარდა, ხოლო 3 - საზღვარგარეთ. ასევე პროექტის მიზანს წარმოადგენდა 2 სტატიის მომზადება რეიტინგული ჟურნალისთვის. პროექტის ფარგლებში მომზადდა 9 სტატია, მათ შორის, 2 ადგილობრივი ჟურნალისთვის, 4 - საქართველოში გამოცემული საერთაშორისო ჟურნალისთვის, მათ შორის ორი სტატია ინდექსირებულია Erih Plus-ის ბაზაში, 2 - საზღვარგარეთ გამოცემული ჟურნალისთვის, რომელიც ინდექსირებულია Erih Plus-ის და Scopus-ის ბაზაში, ასევე 1 პუბლიკაცია - საზღვარგარეთ ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის მასალების კრებულისთვის. ჯამში, გამოცემული სტატიებიდან 3 უკვე არის ბაზებში ინდექსირებული.
გარდა ამისა, გამოიცა სხვადასხვა კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების თეზისები.

პროექტის საბოლოოს შედეგები წარმოდგენილია მონოგრაფიაში, რომელიც ორ ენაზე - ქართულად და ინგლისურად არის შესრულებული.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. ანტიკური ხანის ბერძნულ-ლათინური წარწერები, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო (ინგლ. პარალელური ტექსტი). თბ. 2023 (თანაავტორები: ნ. ფიფია, ე. კობახიძე) (784 გვ. B5);
2. საქართველოს მმართველთა ენციკლოპედია. გამომცემლობა „ნოტა ბენე“. თბილისი. 2023 (თანაავტორები: ნ. ფიფია, ქ. ნადირაძე, ლ. თავაძე, გ. ოთხმეზური, ჯ. სამუშია, მ. ბახტაძე, აპ. თაბუაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ს. კუპრაშვილი, ალ. ბოშიშვილი). 424 გვ.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1. ***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***
1. ანტიკური ხანის ბერძნული და ლათინური ეპიგრაფიკული ძეგლები საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. მათ გარეშე ანტიკური ხანის იბერიის/ქართლის ისტორია მხოლოდ გვიანდელ ქართულ და თანადროულ ბერძნულ-რომაულ ნარატიულ წყაროებზე იქნებოდა დაფუძნებული, რაც მნიშვნელოვანი ასპექტების დაზუსტების საშუალებას საკმარისად არ იძლევა. დასავლეთ საქართველოს (კოლხეთი) ისტორია, დასავლურქართული ისტორიული მეხსიერების დენონსაციის გამო, ფაქტობრივად სრულად ბერძნულ-რომაულ ნარატიულ, ეპიგრაფიკულ და ნუმიზმატიკურ წყაროებზეა დამოკიდებული. წინამდებარე მონოგრაფია მიზნად ისახავს, უკანასკნელი აღმოჩენების კვალდაკვალ, ბერძნული და ლათინური ეპიგრაფიკული წყაროების როგორც ახლებურ ინტერპრეტაციას, ისე რამდენიმე ახალი წარწერის შემოტანას სამეცნიერო მიმოქცევაში. წიგნი განკუთვნილია როგორც სპეციალისტებისთვის, ისე საქართველოს ისტორიით და ბერძნულ-რომაული ეპიგრაფიკით დაინტერესებული მკითხველთაფართო წრისათვის.
2. წიგნში წარმოდგენია ენციკლოპედიური სახის ინფორმაცია საქართველოს მეფე-მთავართა შესახებ უძველესი დროიდან 1810 წლის ჩათვლით, ასევე, შუა საუკუნეების საქართველოში მეფის კურთხევისა და სამეფო ინსიგნიების შესახებ.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. ოსტიის წარწერა ფარსმან ქველის რომში ვიზიტის შესახებ. // გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალი ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია ისტორია, არქეოლოგია. ეთნოლოგია. IX. 2023. თანაავტორი - ეკატერინე კობახიძე, გვ. 387-396. იხ. http://www.sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/314/330

***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***
1. სტატიაში შესწავლილია ოსტიის წარწერა ქართლის მეფე ფარსმან ქველის რომის იმპერიის დედაქალაქში ვიზიტის შესახებ.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. N. Javakhishvili, From the history of the Georgian-Latvian scientific collaboration: George Akhvlediani and Jānis Endzelīns (Dedicated to the memory of Academicians George Akhvlediani and Jānis Endzelīns), DOI 10.53231, "Latvijas Zinātņu Akadēmijas Vēstis" ("LZA Vēstis"), A Daļa Sociālās un humanitārās zinātnes, Rīga, Latvijas Zinātņu akadēmija, 2023. gada 5. numurs 77. sējums, ISSN 1407-0081, pp. 26-37, რეზიუმე ლატვიურ ენაზე;

2. N. Javakhishvili, Less-known pages of the history of Georgian-Baltic scientific relations: George Akhvlediani and Jānis Endzelīns, „Pro Georgia", Journal of Kartvelological Studies, Centre for East European Studies, Faculty of Oriental studies University of Warsaw, Warsaw, 2023, № 33, ISSN 1230-1604, pp. 283-292;

3. Н. Джавахишвили, Просветитель армян – Ованес Туманян и Грузия, DOI 10.54503, Сборник Национальной Академии наук Армении «Вестник Арменоведения», № 2 (32), ISSN 2757-5845, стр. 162-174, რეზიუმე ინგლისურ ენაზე;

4. ნ. ჯავახიშვილი. თავად სუმბათაშვილთა საგვარეულოს ისტორიიდან. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. XIX. თბ. 2023, გვ. 81-112. რეზიუმე ინგლისურ ენაზე;

5. აპოლონ თაბუაშვილი. ზოგიერთი დეტალი გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებით. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. XIX. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1987–9970, გვ. 130-186;

6. მეფედ კურთხევის შესახებ XI საუკუნის საქართველოში. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1, 2023;

7. გიორგი V ბრწყინვალის ქართული ტიტულატურისთვის. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები XIX. 2023 წ. თბილისი, გვ. 59-66;

8. მარიამ ჩხარტიშვილი. რიფსიმეანთა ისტორია წმინდა ნინოს „ცხოვრების" უძველეს რედაქციებში. სამეცნიერო შრომების კრებული „არმენოლოგია – 100". ISBN 978-9941-36-102-9. 2023. თბილისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 135-164;

9. მარიამ ჩხარტიშვილი. მთავარი აშუშანი: შტრიხები პორტრეტისათვის. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი, #4. ISSN 2667-9477. 977-2667-9-4700-4. 2023. თბილისი. გამომცემლობა: „უნივერსალი", გვ. 64-91;

10. მარიამ ჩხარტიშვილი. საქართველოს ისტორიის ლიტერატურული წყაროები:"ზედი ქართლისა". თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია 2023, პროგრამა და მოხსენებათა შინაარსები, რედ. ს. ქადაგიშვილი ISBN 978-9941-33-685-0; DOI:10.6084/m9.figshare.24796746. 2023. თბილისი. გამომცემლობა: „უნივერსალი". გვ. 45-49;

11. მარიამ ჩხარტიშვილი (თანაავტორი ზ. თარგამაძე). ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის" XXIV ნომრის წარდგინება. „ქართული წყაროთმცოდნეობა", #25. ISSN 1987 – 9563. 2023. თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი", გვ. 237-242.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. გამოკვლევაში შესწავლილია გამოჩენილ ქართველ და ლატვიელ ენათმეცნიერებს გიორგი ახვლედიანსა (1887-1973) და იანის ენძელინს (1873-1961) ნახევარსაუკუნოვანი მეგობრობა და სამეცნიერო თანამშრომლობა აკავშირებდათ. დადგენილია, რომ ამ ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტში, სადაც გიორგი ახვლედიანი 1910-1914 წლებში სწავლობდა. მას სხვა ცნობილ მეცნიერებთან ერთად ასწავლიდა იანის ენძელინსი, რომლის წინადადებითაც გ. ახვლედიანი 1915 წელს დაბრუნდა ხარკოვში და განაგრძო სწავლა „საპროფესოროდ მოსამზადებლად“. 1949 წელს, როდესაც უკვე სახელმოხვეჭილმა მეცნიერმა გ. ახვლედიანმა წიგნად გამოსცა თავისი კაპიტალური ნაშრომი „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“, მან ეს გამოკვლევა მიუძღვნა თავის ლატვიელ მოძღვარს, თავფურცელზე მიეწერილი შემდეგი წარწერით: „ძვირფას მასწავლებელს, ვინც მასწავლა მეცნიერებისათვის თავდადება, ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს იანის ენძელინს ვუძღვნი ამ წიგნს“;
2. სტატიაში გამოკვლეულია ქართულ-ბალტიური სამეცნიერო თანამშრომლობის საყურადღებო ფურცლები, კერძოდ, სახელოვანი ლატვიელი ენათმეცნიერის, აკადემიკოს იანის ენძელინის (1873-1961) მიერ ასევე გამოჩენილ ენათმეცნიერთან და აღმოსავლეთმცოდნესთან, აკადემიკოს გიორგი ახვლედიანთან (1887-1973) საქართველოში გამოგზავნილი წერილები, რომელთა ორიგინალებიც დაცულია ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის ისტორიის ფონდში. ამ წერილების ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 10 წელიწადს. მათგან უადრესი დათარიღებულია 1948 წლის 30 აპრილით, ხოლო ყველაზე გვიანდელი - 1958 წლის 22 დეკემბრით. რუსელ ენაზე დაწერილი ეს წერილები ჩვენს მიერ პირველად იქნა შესწავლილი და შემოტანილი სამეცნიერო მიმოქცევაში;
3. გამოკვლევაში შესწავლილია XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის გამოჩენილი სომეხი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ჰოვანეს თუმანიანის (1869-1923) უაღრესად თბილი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ და მისი მჭიდრო ურთიერთობა ქართველ კოლეგებთან, კერძოდ, „ცისფერყანწელებთან“ და სხვებთან. აღნიშნულია, რომ ჰოვანეს თუმანიანმა სოლიდური თანხა შესწირა თბილისში 1918 წლის დასაწყისში გახსნილ ქართულ უნივერსიტეტს, რისთვისაც პროფესორთა საბჭოსაგან დიდი მადლობა დაიმსახურა. ჰოვანეს თუმანიანმა სავსებით სწორი პოზიცია დაიკავა 1918 წლის დეკემბერში მიმდინარე სომხეთ-საქართველოს ომის პერიოდში, როდესაც იმხანად ერევანში მყოფი თავისი ვაჟები კატეგორიულად გააფრთხილა, რომ ამ ძმათამკვლელ ომში არ ჩარეულიყვნენ. სტატიაში აღნიშნულია, რომ ყოველივე ამის გამო, არა მხოლოდ ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, არამედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლებიც ხაზგასმული პატივისცემით ეპყრობოდნენ ჰოვანეს თუმანიანს, რომელსაც დაბადების 50 წლის იუბილე - 1919 წელს, თბილისში, დიდი ზეიმით აღუნიშნეს;
4. სტატიაში განხილულია თავად სუმბათაშვილთა საგვარეულოს ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი დეტალი.
5. გეორგიევსკის ტრაქტატის შესახებ მრავალი ნაშრომია დაწერილი და ამ თემასთან დაკავშირებული ბევრი ასპექტი სათანადოდაა გაანალიზებული. მიუხედავად ამის, ჩვენი მოსაზრებით, ჯერ კიდევ რჩება ტრაქტატთან დაკავშირებული ზოგიერთი ისეთი საკითხი, რომლებიც შემდგომ კვლევას მოითხოვს. როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერატორმა ქართლ-კახეთის სამეფოსთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის საბოლოო ვარიანტი 1783 წლის თებერვალში დაამტკიცდა, ხოლო იმავე წლის მაისის შუა რიცხვებში ერეკლე II-ს წარუდგინეს. ქართლ-კახეთის მეფემ კი დამატებითი მოთხოვნები წამოაყენა, რომელთა შორის უმთავრესი იყო ქართველი მონარქის მეფედ კურთხევის საკითხი. საქმე ის იყო, რომ სწორედ იმ პერიოდში გავრცელდა ცნობა ყირიმის სახანოს ლიკვიდაციისა და

რუსეთის იმპერიასთან მიერთების შესახებ. როგორც ჩანს, ამ ფაქტმა მეფე ძალიან დააფიქრა და ახალი პირობა წამოაყენა – მან მოითხოვა ხელშეკრულებაში ქართველი მონარქების მეფედ კურთხევის უფლების ასახვა. საარქივო დოკუმენტებით დასტურდება, რომ 1783 წლის ივნისის ბოლოს გაგაზავნილი წერილით ერეკლე II სამეფოს მოუშლელობის დამატებით გარანტიას ითხოვდა. კავკასიის ხაზის მთავარსარდალ პავლე პოტიომკინს იმპერატორის ნებართვის გარეშე ხელშეკრულებაში მისი შეტანის უფლება არ ჰქონდა. შესაბამისად, ეს საკითხი ხელშეკრულებაში არ აისახა. ამ ფაქტის გამო ერეკლე II აშკარად უკმაყოფილო დარჩა და ქართული დელეგაციის სამშობლოში დაბრუნებისთანავე პეტერბურგში თავისი წარმომადგენელი სულხან თუმანიშვილი გაგზავნა. ამჯერად ერეკლე მეფედ კურთხევის საკითხის ტრაქტატში ასახვას კატეგორიულად ითხოვდა. საბოლოოდ, რუსეთის იმპერატორმა 1783 წლის სექტემბერში ერეკლე II-ის დაჟინებული მოთხოვნა დააკმაყოფილა. დაიწერა დამატებითი მუხლი, რომლის მიხედვით ქართველ მონარქებს მეფედ კურთხევის ნება მიეცათ. აღნიშნული მუხლით ერეკლე II-მ რუსეთის მთავრობისაგან ხელშეკრულების დონეზე თავისი სამეფოს მოუშლელობის კიდევ უფრო მყარი გარანტია მიიღო. ერეკლე II-ის წამოყენებული მოთხოვნებიდან ერთ-ერთი იყო კათალიკოსის საკითხი. როგორც ცნობილია, გეორგიევსკის ტრაქტატით ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა იზღუდებოდა. ამის საპასუხოდ მეფე ყურადღებას ამახვილებდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობაზე და რუსულ მხარეს ამ მოცემულობის გათვალისწინებას სთხოვდა. ამ მხრივ ქართველი მეფის აქტიურობამ გარკვეული შედეგი გამოიღო. შემდეგი მოთხოვნა ეხებოდა ქართველი მეფის ტიტულატურას, კერძოდ ერეკლე II-ის ტერიტორიულ პრეტენზიებსა და მიმართვის ფორმას (ეპითეტს). ქართველი მონარქი პრეტენზიას აცხადებდა, როგორც ოსმალეთის მიერ დაპყრობილ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე, ისე მეზობელ სახანოებზე. თავის მხრივ, რუსეთის იმპერია რეგიონის სახანოების მფარველობაში მიღებას გეგმავდა და ამ საქმეში ქართველი მეფის დახმარებას იმედოვნებდა. ქართულმა მხარემ ჯერ კიდევ ტრაქტატის გაფორმებამდე წამოაყენა წინადადება, რომ ერეკლე II-ის ტერიტორიული პრეტენზიები მის ტიტულატურაში ასახულიყო, თუმცა რუსეთის წარმომადგენლებმა იმჟამად ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს. ასეთ პირობებში, რეგიონის მასშტაბით რუსეთის სასარგებლო მოქმედებებისაგან ქართველი მეფეც თავს იკავებდა, რაზეც პავლე პოტიომკინი დაუფარავ საყვედურს გამოთქვამდა. აღნიშნულ საკითხზე მხარეებს შორის გარკვეული შეთანხმებაც შედგა – ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელში შეიტანეს ერეკლეს ტიტულის ის ვარიანტი, რომელსაც მანამდე ქართული მხარე ითხოვდა. აღნიშნული ტიტულის მიხედვით, რუსეთი ერეკლეს უფლებებს ქართლ-კახეთთან ახლომდებარე ერევნის, განჯის, შაქის და შირვანის სახანოზე, ასევე კაკზე (ელისუს სასულთნო და ჭარ-ბელაქანი) აღიარებდა. ამასთანავე მეფე სამცხე-საათაბაგოს მემკვიდრედ ცხადდებოდა. თავის მხრივ, ქართველი მეფე ყარაბაღისა და ხოის სახანოებში თავის წარმომადგენლებს გზავნიდა და იმპერიის სასარგებლოდ მოქმედების პირობას დებდა. რაც შეეხება მიმართვის ფორმას, ტრაქტატის მიხედვით ქართველი მეფე „უგანათლებულესობის“ ეპითეტით მოიხსენებოდა. ქართული მხარის მტკიცებით, ერეკლე II ტრადიციულად „უმაღლესობის“ პატივით იხსენებოდა და რუსეთის იმპერიის მხრიდან ამავე ეპოთეტის დამკვიდრებას ითხოვდნენ. საბოლოოდ, რუსეთის საიმპერატორო კარმა ქართველების აღნიშნული მოთხოვნაც დააკმაყოფილა;

6. სტატიაში მიმოხილულია მეფის კურთხევის ცერემონიალი მეთერთმეტე საუკუნის საქართველოში და მასთან დაკავშირებული დეტალები;

7. სტატიაში შესწავლილია გიორგი ბრწყინვალის ტიტულატურა;

8. გამოკვლევაში მიზნად დავისახე ერთმანეთისათვის შემედარებინა რიფსიმეანთა ისტორია, როგორც ის წარმოდგენილია აგათანგელოსის ნაციონალურ რედაქციაში და „მოქცევაი ქართლისაის“ შატბერდულ რედაქციაში დაცულ წმინდა ნინოს „ცხოვრებებში“ შედარებამ აჩვენა: ა) აგათანგელოსის მონაცემები მნიშვნე-ლოვნად განსხვავდება „მოქცევაი

ქართლისაიში“ დაცული მონაცემე ბისაგან; 2) ქართული წყაროს მონაცემები რეალისტური და ისტო- რიულ კონტექსტთან სრულად თავსებადია. აღნიშნული დასკვნები იძლევა შემდეგი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს: რიფსიმეანთა ისტორიის წმინდა ნინოს „ცხოვრების“ უძველეს რედაქციებში დაცული ვერსია დამოკიდებული უნდა იყოს აგათანგელოსის ციკლის ჩვენამდე მოუღწეველ ავთენტიკურ ძეგლზე, როგორც წყაროზე. ავთენტიკური წყარო კი ის თხზულებაა, რომელიც სომეხთა მოქცევის შესახებ თრდატის ბრძანებით შექმნა აგათანგელოსმა. რადგან წმინდა ნინოს „ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის შემდ- გენელი დედოფალი, სალომე უჟარმელი, თრდატ მეფის ასული იყო, ამიტომ მოულოდნელი სულაც არაა, რომ მას ჰქონოდა წვდომა სომეხთა მოქცევის ისტორიის სწორედ თავდაპირველ (სავარაუდოდ ბერძნულ ენაზე ჩაწერილ) ტექსტზე. ამგვარად, ის თავისებურებანი, რომელიც რიფსიმეანთა ისტორიას ახასიათებს წმინდა ნინოს „ცხოვრების“ დღემდე მოღწეულთა შორის უძველეს რედაქციებში, შესაძლოა, იხსნებოდეს ამ რედაქციების კავშირით აგათანგელოსის ციკლის პროტორედაქციასთან.ამ ვარაუდის დამატებითი მონაცემებით განმტკიცების შემთხვევაში „მოქცევაი ქართლისაიში“ წარმოდგენილი წმინდა ნინოს „ცხოვრების“ მონაცემები რიფსიმეანთა შესახებ, განსაკუთრებულ ღირებულებას შეიძენს როგორც წმინდა გრიგოლ განმანათლებლის ციკლის, ისე სამხრეთ კავკასიაში ოფიციალური ქრისტიანობისდამკვიდრების ისტორიის რეპრეზენტირებისათვის. სხვა ფაქტებს შორის სპეციალური აღნიშვნის ღირსია ქართული წყაროების მონაცემებზე დაფუძნებული რიფსიმეანთა გუნდის სომხეთში მისვლის თარიღი: 322 წელი და ამ მონაცემიდანგამომდინარე სომეხთა მოქცევის თარიღი – 323 წელი. როგორც აღინიშნა, სამეცნიერო ლიტერატურაში სომეხთა მოქცევის დათარიღების თაობაზე ერთიანი აზრი არ არსებობს. თავიდან მიღებული იყო 301 წელი, ახლა უფრო გაზიარებულადითვლება 314 წელი. არსებობს სხვა თვალსაზრისიც. ამგვარ ვითარებაში ქართული წყაროს ინფორმაციას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია პრობლემის საბოლოოდ გადასაჭრელად. ზედმეტი არ იქნება, აქვე ითქვას, რომ ამავე მონაცემებით ქართლის მოქცევა 330 წლით თარიღდება. ეს თარიღიც უაღრესად საინტერესოა სამხრეთ კავკასიაში ოფიციალური ქრისტიანობის ისტორიის ერთიანი კონტექსტის აღსადგენად;

**2. 01.01.2023 - 18.05.2023 წ. - საერთაშორისო კონფერენცია „პოლონეთისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოძრაობა XIX საუკუნეში". ეძღვნება პოლონეთში იანვრის აჯანყების 160 წლისთავს და ქართველ თავადაზნაურობის ანტიცარისტულ შეთქმულების 190 წლისთავს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. რიჩარდ პაიპესის სახ. ბიბლიოთეკა და ლაბორატორია. პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში. თბილისი, ილიას უნივერსიტეტი, 2023 წლის 18 მაისი. სამეცნიერო კომიტეტის წევრი.**

2.

3.2. დასრულებული პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

**1. 01.01.2022- 31.12.2023 წ. ადამ მიცკევიჩის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი კონკურსის ორგანიზება და ჩატარება (თსუ სლავისტიკის ინსტიტუტის სტუდენტებსა და კავშირ „პოლონია"-ს ახალგაზრდებს შორის) პოლონელი გენიოსის 225 წლის იუბილესთან დაკავშირებით. (მსოფლიო თანამეგობრობა `პოლონია˜-ს და საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს მხარდაჭერით, (ხელშეკრულება № 73/2023, ვარშავა, 19.07.2023 წ.)**

**2. 01.01.2023 - 18.05.2023 წ. - საერთაშორისო კონფერენცია „პოლონეთისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოძრაობა XIX საუკუნეში". ეძღვნება პოლონეთში იანვრის აჯანყების 160 წლისთავს და ქართველ თავადაზნაურობის ანტიცარისტულ შეთქმულების 190 წლისთავს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. რიჩარდ პაიპესის სახ. ბიბლიოთეკა და ლაბორატორია. პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში. თბილისი, ილიას უნივერსიტეტი, 2023 წლის 18 მაისი. სამეცნიერო კომიტეტის წევრი.**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **პროფ. მარიამ ფილინა** - ხელმძღვანელი.
2. პროფ. **მაია თუხარელი** - საორგანიზაციო კომიტეტის წევრი

3. პროფ. **დანუტა ოსსოვსკა** (ვარმია-მაზურის უნივერსიტეტი, პოლონეთი) - საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.
4. მაგისტრი **ბეატა კარასი** - პოლონეთის განათლების სამინისტროს თანამშრომელი
2. **პროფ. მარიამ ფილინა** - საორგანიზაციო და სამეცნიერო კომიტეტის წევრი.

***დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1. თსუ-ს სლავისტიკის ინსტიტუტსა და კავშირს „პოლონია"-ს (თავმჯდომარე პროფესორი მარია ფილინა) დიდი ტრადიციები აქვთ ადამ მიცკევიჩის მოღვაწეობის ქართველი მკითხველისთვის პოპულარიზაციისა და პოლონელი გენიოსისადმი მიძღვნილი კონფერენციების ორგანიზებაში. 1998 წელს მისი 200 წლის იუბილე იყო, საქართველოში ისეთი კრიზისი სუფევდა, რომ პოეტის იუბილე თითქმის არავის აინტერესებდა. და ჩვენ ავიღეთ ორგანიზატორის ფუნქცია. თბილისის უნივერსიტეტში ჩავატარეთ კონფერენცია, რომელსაც თითქმის 300 ადამიანი ესწრებოდა. იშვიათია, რომ კონფერენცია აერთიანებს ამდენ ადამიანს. ეს ფაქტი არა მარტო მიცკევიჩის სიყვარულზე, არამედ იმ ინტელექტუალურ შიმშილზეც მეტყველებს, რომელიც 1990-იან წლებში გვქონდა.

კონფერენციისთვის გამოიცა მოხსენებების კრებული და მიცკევიჩის შესახებ ათი სტატია გამოჩნდა ქართულ პრესაში. ძირითადად პროფ. მარიამ ფილინას ავტორობით. შემდეგ გამოვაქვეყნეთ ჩვენი პირველი ორენოვანი კრებული, რომელშიც შედიოდა მიცკევიჩის ლექსები ორიგინალში და სხვადასხვა თაობის ქართველი პოეტების თარგმანებში. ახლა მხოლოდ ერთი ეგზემპლარი დაგვრჩა და ვფიქრობ, დროა ახალგაზრდა თაობისთვის ქართულად ხელახლა გამოვუშვათ მიცკევიჩი.

ამის შემდეგ რამდენჯერმე გავმართეთ მიტკენვიჩთან დაკავშირებული კონფერენციები და საღამოები.

2. 2023 წელს სრულდება პოლონელი გენიოსის დაბადებიდან 225 წელი. შევადგინეთ ა.მიცკევიჩის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ტესტები და კონკურსის მონაწილეებისთვის ჩავატარეთ ვიდეო პრეზენტაციები. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 35-მა ადამიანმა - თსუ-ის სტუდენტები და კავშირ „პოლონია"-ს წევრები, რომლებიც სწავლობენ პოლონურ ენას. პოლონეთის განათლების სამინისტროს მიერ საქართველოში გამოგზავნილი პოლონია"-ს კავშირის მასწავლებელი, მაგისტრი ბეატა კარასბი, 10 წელია თსუ-ში პოლონურ ენას ასწავლის.

კონკურსი 10 დეკემბერს ჩატარდა, 14 დეკემბერს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში (სახლში) შედეგები შეაჯამეს და ლაურეატებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. გაიმართა პოლონური და ქართული მუსიკის კონცერტი, ძირითადად შესრულდა ადამ მიცკევიჩის მეგობრის ფრედერიკ შოპენის ნაწარმოებები. შემსრულებლებს შორის იყვნენ წამყვანი ქართველი მუსიკოსები, მათ შორის პროფესორი გიორგი შავერზაშვილი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი და კავშირ „პოლოლნიას" წევრი. მონაწილეობას იღებდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ინსტრუმენტული ტრიო და ტრიო "ბრავო".

ამრიგად, მიცკევიჩი ქართველ მკითხველსა და მსმენელს მრავალმხრივ წარუდგინა. კონკურსს და კონცერტს ფართო გამოხმაურება მოჰყვა, მათი მნიშვნელობა სცდება სლავისტიკის ინსტიტუტს, ეს იყო დიდი პოლონელი პოეტის ფართო პროპაგანდა ქართული საზოგადოებისთვის.

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს საქართველოში და ვარშავის უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კვლევის ცენტრის მიერ დაგეგმილი საერთაშორისო კონფერენცია ინტერდისციპლინური იყო - მასში მონაწილეობა მიიღეს პოლიტოლოგებმა, ისტორიკოსებმა, კულტუროლოგებმა და ლიტერატურათმცოდნეებმა.
ვინაიდან პოლიტოლოგი პროფესორი პსემისლავ ადამჩევსკი, რომელიც სამეცნიერო სტაჟირებას გადიოდა საქართველოში და იყო პროექტის კოორდინატორი, არ გააჩნდა საქართველოში კონფერენციების ორგანიზების გამოცდილება, პროფესორი მარიამ ფილინა გახდა კონფერენციის თანაორგანიზატორი. პროფ. მ. ფილინას აქვს დიდი გამოცდილება და დიდი მიღწევები პოლონურ-ქართული კულტურული კონტაქტების სფეროში. კერძოდ, 25 წლის განმავლობაში მან გამართა 15 კონფერენცია, მათ შორის საერთაშორისო.
პროფ. პ.ადამჩევსკიმ და მ.ფილინამ შეადგინეს საკითხების სპექტრი, რომელიც კონფერენციას უნდა მოეცვა, უზრუნველყო ქართველი მეცნიერების მონაწილეობა კონფერენციაში და შეადგინა პროგრამა.
მ.ფილინამ კონფერენციის პლენარულ გახსნაზე ისაუბრა პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში პროფ. მარიუშ მაშკევიჩი, საქართველოს ყოფილი ელჩი პოლონეთში ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი და ილიას უნივერსიტეტის კოლეგები. მ.ფილინა ასევე იყო კონფერენციის პირველი სექციის ხელმძღვანელი და მომხსენებელი. კონფერენციას ჰქონდა ფართო საზოგადოებრივი და სამეცნიერო რეზონანსი, დიდი მოწონება დაიმსახურა პოლონეთსა და საქართველოში და გახდა კიდევ ერთი წვლილი რუზინო-პოლონური კონტაქტების განვითარებაში.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

**5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში**
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. **დალი კანდელაკი, მარინა გარიშვილი, ნათია ამირეჯიბი. რუსული წყაროთმცოდნეობა. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2023. 282 გვ. ISBN 978-9941-36-131-9**

2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1. **დალი კანდელაკი, მარინა გარიშვილი, ნათია ამირეჯიბი. რუსული წყაროთმცოდნეობა. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2023. 282 გვ. ISBN 978-9941-36-131-9**

რუსული წყაროთმცოდნეობა არის ფუნდამენტური დისციპლინა ისტორიკოსი და რუსეთისმცოდნე სტუდენტების პროფესიული მომზადების კუთხით. წყარო, როგორც ისტორიულ კვალთა ერთობლიობის გაგება, წარსულის შესახებ უტყუარი ცოდნის მიღების ერთადერთი საშუალებაა. მთლიანობაში ჩვენი ცოდნა რუსეთის ისტორიის შესახებ ამ შემეცნების მართებული მეთოდიკის შერჩევასა და რუსული წყაროების შესახებ ცოდნის სიღრმესა და მრავალფეროვნებაზეა დამოკიდებული. წყაროთმცოდნეობა შესაძლებელს ხდის
დადასტურებული ფაქტების გამიჯვნას საეჭვოსგან, ისტორიული სინამდვილის შეძლებისდაგვარად ადეკვატურ რეკონსტრუქციას და ეწინააღმდეგება ისტორიის ტენდენციურ, სუბიექტურ ინტერპრეტაციებსა და გაყალბებებს. სახელმძღვანელოს – „რუსული წყაროთმცოდნეობა“ – მიზანია სტუდენტებისათვის ისტორიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონის შესაბამისი წყაროთმცოდნეობის თეორიისა და მეთოდოლოგიის სფეროებში ცოდნის მიცემა, რუსეთის ისტორიის წყაროების თაობაზე ინფორმაციების მიწოდება, X საუკუნიდან XXI საუკუნის დასაწყისის ჩათვლით რუსეთის ისტორიის შესახებ არსებული წერილობითი წყაროების უმნიშვნელოვანესი კომპლექსის სისტემური მიმოხილვა და მათთან მუშაობის სხვადასხვა მეთოდის აღწერა. წყაროების შერჩევა განხორციელდა სახეობითი და ქრონოლოგიური პრინციპების გათვალისწინებით. თითოეული თავის ფარგლებში, წყაროთა კონკრეტული ნაირსახეობის შესწავლისას, განსაზღვრულია მათი ქრონოლოგიური საზღვრები, რომლებიც ითვალისწინებენ რუსეთის ისტორიის ეტაპებს, წერილობითი ძეგლების ევოლუციის საფეხურებს, აგრეთვე, მოცემულია წყაროთმცოდნეობის ისტორიის ექსკურსი; საკმაოდ ვრცელი ადგილი ეთმობა თანამედროვე წყაროთმცოდნეობის მეთოდებს. სახელმძღვანელოში მოცემულია რუსეთის ისტორიის ძირითადი წყაროების მიმოხილვა. ისინი იყოფა ორ ბლოკად: შუა საუკუნეების და ახალი და უახლესი დროის წყაროები. უპირატესად, განიხილება წერილობითი წყაროები. ეს განპირობებულია როგორც ამ უკანასკნელთა ინფორმაციულობით, ისე იმ გარემოებით, რომ ნივთიერი, გამომსახველობითი და სხვა წყაროების განსახილველად გაცილებით მეტი ადგილია საჭირო. წინამდებარე სახელმძღვანელოში მიმოხილულია ის გამომსახველობითი და კონვენციონალური (პირობითი აღნიშვნების, სიმბოლოების ყველა სისტემა გრაფიკული ნიშნებით და მანქანურ მატარებლებზე ჩაწერილი ინფორმაცია, ე.ი. თანამედროვე ელექტრონული წყაროები) წყაროები, რომლებიც უშუალოდ წერილობით წყაროებს უკავშირდება. სქოლიოებში მოცემულია სხვადასხვა ისტორიული პირისა და მეცნიერის მოღვაწეობის შესახებ მოკლე ცნობები, ისტორიული ადგილებისა და ტერმინების განმარტებები.
2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით**

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **მარინე ალექსიძე, ნატალია ბასილაია. რამდენიმე დაკვირვება ა.ს. პუშკინის „ქართულ" ლექსებზე. „ენათმეცნიერების საკითხები" (ISSN 1512-0473). თბილისი, 2023. 206 გვ.**

**2. მარინე ალექსიძე, ლაურა გურული. მხატვრული ტექსტი, როგორც სასწავლო მიზნების მიღწევის საშუალება. „ენათმეცნიერების საკითხები" (ISSN 1512-0473). თბილისი, 2023. 206 გვ.**

**3. მარინა ალექსიძე, ლაურა გურული. ეპიკური ჟანრის მცირე ფორმების გამოყენება რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში. კულტურათშორისი კომუნიკაციები. თბილისი, 2023. №36 209 გვ. ISSN1512-4363**

**4.** მარიამ ფილინა. **„კვარცხლბეკზე ამაღლებიდან" იდეოლოგიურ დევნამდე".** XVI საერთაშორისო სიმპოზიუმის „სოციალისტური რეალიზმის ეპოქა ლიტერატურასა და ხელოვნებაში" სამეცნიერო ნაშრომების კრებული. ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილოისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი (მიღებულია გამოსაცემად).

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. **რამდენიმე დაკვირვება ა.ს. პუშკინის "ქართულ" ლექსებზე**

**ანოტაცია**

სამყაროს სხვადასხვა სურათის აღწერილობებში შეინიშნება ბინარული ოპოზიციები – რიგირ ერთმანე¬თის საპირისპირო ორობითი თვისებების, მათგან თითოეულს შესაბამისად აქვს დადებითი ან უარყოფითი მნიშვ¬ნელობა. ეს ოპოზიციები შეიძლება იყოს სივრცეთი ოპოზიცია (ზედა –ქვედა верх – низ, ცა – დედამიწა не¬бо – земля), ფერების ოპოზიცია (თეთრი – შავი белый – черный), დროების ოპოზიცია (დღე-ღამე день – ночь, ზაფხული – ზამთარი лето - зима), სოციალური კატეგორიების ოპოზიცია (კაცის – ქალის муж¬ской – жен¬ский უფროსი – უმცროსი старший – младший) და ა.შ. მეოცე საუკაუნეში აღმოჩენილი ბი¬ნარული ოპოზიციების როლს არ აქვს საზღვრები: მათი გამოყენების დიაპაზონი ფართეა – დაწყებული პოე¬ტური რით¬მიდან, რომელიც აგებულია ენის უმცირესი ერთეულების ბინარულ მონაცვლეობაზე (მახვილი¬ანი მარცვა¬ლი – უმახვილო მარცვალი), დღისა და ღამის, ზამთრისა და ზაფხუკის ბიოლოგიურ, ასევე კულტუ¬რულ (იდეალისტური კულტურა – მატერიალისტური კულტურა) რითმებამდე. სამყაროს პოეტური აღქმის ბინარუ¬ლობა, საპირისპირო ცნებების, რომელთაგან ერთი ადასტურებს

გარკვეულ ნიშან-თვისებებს, ხოლო მეორე უარყოფს მას, ერთდროული ბინარული წარმოდგენა შეინიშნება ალექსანდრე პუშკინის ორ ლექსში, სადაც სა-ქართველოა მოხსენიენებული: "Не пой, красавица, при мне Ты песен Грузии печальной" („ნუ იმღე¬რებ, მშვენიერო, ჩემი თანდასწრებით სევდიანი საქართველოს სიმღერებს") და На холмах Грузии лежит ночная мгла» („საქართველოს ბორცვებზე დევს ღამის სიბნელე...). ეს ორი ლექსი დაწერილია სხვადსხვა დროს, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა ვითარებაში, მიძრვნილია სხვადასხვა ადრესატისადმი, მაგრამ მათ აერ¬თიანებს სიტყვა „საქართველო". ძირითადი მნიშვნელობის ("ქვეყანა") დამთხვევასთან ერთად, ნომინაცია "სა¬ქა¬¬რ¬თველო" ა.შ. პუშკინის ტექსტებში სხვადასხვა ნიშვნელობას გამოხატავს. პირველ შემთხვე¬ვა¬ში სინექდოხე "სევ¬დიანო საქართველოს სიმღერები" «песни Грузии печальной» სულაც არ არის ადიექტი¬ვურ-სუბსტანტივური შესიტყვების "სევდიანი ქართული სიმღერები" ("печальные грузинские песни") სინონიმი. სიტყვა „საქართველო" აქ ასრულებს, ერთი მხრივ, განმსაზღვრელ ფუნქციას, ხოლო მეორე მხრივ – იძენს კონოტაციურ ექსპრესიულ შეფერილობას. მეორე შემთხვევაში გენეტივიან შესიტყვებაში წინდებულით ზე (на) „საქართველოს ბორცვებზე" („На холмах Грузии") ეს ნომინაცია გამოხატავს სივრცობრივ მიმართებას, მოქმედების ადგილს. პირველ შემთხვევაში ნომინაცია „საქართველო" კონოტაციურად არის დატვირთული, ის სევდიანია (печальная), მეორეში – ასეთი კონოტაცია არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ „სევდიანო საქართველო" "печальная Грузия" ლექსიდან „ნუ იმღერებ, მშვენიერო, ჩემი თანდასწრებით სევდიანი საქართველოს სიმღერებს" ბინარულ ოპოზიციაში შედის „ბედნიერ საქართველოსთან" 1829-1821 წლების პოემაში „კავკასიის ტყვე", რომელშიც რუს ტყვეზე შეყვარებული ჩერქეზი ქალი „უმღერის მას მთისა და ბედნიერი საქართველოს სიმღერებს" "... Поет ему и песни гор, и песни Грузии счастливой». ა.ს. პუშკინს ისე მოეწონა კავკასიიდან რუსეთში ა. გრიბოედოვის მიერ ჩამოტანილი ქართული სიმღერის მელოდია, რომელიც საფუძვლად დაედო მიხეილ გლინკის მუსიკალურ ნაწარმოებს, რომ მან დაწერა მისთვის ელეგია-მიმართვის ტექსტი ანა ოლეინინასადმი, რომელიც შესანიშნავად მღეროდა.

## 2. მხატვრული ტექსტი, როგორც სასწავლო მიზნების მიღწევის საშუალება

### ანოტაცია

უცხო ენის სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია თითოეული ტიპის სასწავლო აქტი¬ვობისათვის სწორი გზებისა და სწავლების ეფექტური მეთოდების მოძიება. რა თავისებურებე¬ბი აქვს კითხვას, როგორც კომუნიკაციურ აქტივობას, თუ ის მიმდინარეობს უცხო ენაზე? უცხო ენების სწავლების ფსიქოლოგიიდან ცნობიილია, რომ აქტივობის სტრუქტურა და ფსი¬ქო¬ლოგიური შინაარსი არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ ენაზე ეს აქტივობა ხორ¬ციელდება – მშოვლიურ თუ უცხო ენაზე. კომუნიკაციური აქტივობა როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენაზე მიეკუთვნება სამეტყველო-სააზროვნო პროცესების ერთი და იგივე კლასს. უცხო ენაზე კითხვის სწავლა, უპირველეს ყოვლისა, უცხოენოვანი მეტყველების სწავლებაა სამეტყველო აქტივობის პროცესში. უცხო ენაზე კითხვის სწავლებისადმი ამგვარი მიდგომა თანამედროვე მეთოდოლოგიური კონცეფციის პრივციპულად მნიშვნელოვანი მომენტია. ზრდას¬რუ¬ლი მოწაფეების – სტუდენტების, რომლებსაც უკვე ჩამოყალიბებული აქვთ კომუნიკაციუ¬რი აქტივობები მშობლიურ ენაზე, სწავლების მეთოდოლოგიას ის თავისებურება ახასიათებს, რომ სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია მშობლიურ ენაზე კითხვისას და მათ აქვთ უკვე ჩამოყალიბებული სამეტყველო უნარ-ჩვევების მარაგი. ეს გარემოება მნიშვნელოვანი და¬დე¬ბითი ფაქტორია კითხვის სწავლების სისტემის მოდელირებაში. კითხვის მექანიზმები ყალი¬ბ¬დება დიფერენციულად, გარკვეული სწავლების მეთოდების გავლენით. მათი ფორმირების ყო¬ვე¬ლი ეტაპითვის აუცილებელია განისაზღვროს რაციონალური მეთოდოლოგიური ქმედებები, მათი თანმიმდევრობა და სისტემურობა, აგრეთვე საგანმანათლებლო ტექსტური მასალა. ტექს¬ტი განსაზღვრავს გარკვეული სამეტყველო და

გონებრივი ქმედებების ბუნებას და მიზანშეწო¬ნი¬ლობას მისგან ინფორმაციის ამოღებისა და მისი სემანტიკური დამუშავებისათვის. სწორად შერჩეული ტექსტები ხელს უწყობს სტუდენტების ლექსიკონის მუდმივ შევსებას, რუსული ენის გრამატიკის საჭორი მოცულობის ათვისებას, უზრუნველყოფს სტაბილური კომუნი¬კაცი¬ის უნარები ჩამოყალიბებას ყოველდღიურ, სოციალ-კულტურულ, საზოგადოებრივ პოლი¬ტი¬კურ სფეროებში. კითხვის სწავლების აუცილებელი კომპონენტია ლექსიკური და ლექსიკურ-გრამატიკული სავარჯიშოების შისტემა. ყველა სავარჯისო მიმართული უნდა იყოს არა მხო¬ლოდ კითხვის, არამედ მოსმენის, ლაპარაკის და წერის უნარების გომომუშავებაზე, რაც, თუ გავითვალისწინებთ უცხო ენის შესწავლისათვის გამოყოფილ შეზღუდულ რაოდენობას, სტუ¬დენტურ აუდიტორიაში მუშაობის მნიშვნელვანი პირობაა. უცხოენოვანი კითხვის სწავ ლების სისტემის აგებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ განცსხავებული რიგის პრინციპები – ლინგვისტური, კომუნიკაციური, ფსიქოლოგიური, რომლებიც უნდა წარმოადგენდნენ სისტემას. ეს საშუალებას მოგვცემს მოვიძიოთ ოპტიმალური გზები და საშუალებები განხილული სამეტყველო აქტივობის ფორმირებისათვის.

3. **ეპიკური ჟანრის მცირე ფორმების გამოყენება რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში**

**ანოტაცია**

სტატიაში განხილულია ეპიკური ჟანრის მცირე ფორმების როლი და მნიშვნელობა მოსწავლეთა თვითშეგნების განვითარებისთვის რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში. ზეპირი სიტყვიერების ყველა ამ მაგალითში არის ფარული მორალი, რომელიც თითოეულმა მოსწავლემ უნდა ამოიცნოს და გაიაზროს, აჩვენოს ინდივიდუალურობა და აქტივობა. იგავებს განსაკუთ-რებული ადგილი უჭირავს. ისინი გამოირჩევიან განზოგადების სიგანით და მათში შემავალი იდეის მნიშვნელობით. ქართველი აუდიტორიისთვის ამ ლიტერატურული ჟანრების სპეციფიკის ახსნისას მასწავლებელი აწყდება გარკვეულ სირთულეებს, რომელიც დაკავშირებულია ქართულ ლიტერატურულ ტრადიციაში იგავებისა და იგავ-არაკების განსხვავების არარსებობასთან. ეს გან-საზღვრავს ქართველი მოსწავლეების მიერ ამ ორ ცნებას შორის მნიშვნელობისა და შინაარსის განსხვავებების გაგების აუცილებლობას და, ამასთან დაკავშირებით, მასწავლებლის დახმარებას ამ ცნებების არსებითად გარ-ჩევაში მოსწავლეების ჩართულობით როგორც საკლასო, ასევე სახლში დამოუკიდებელ სამუშაოებში. სტატიაში წარმოდგენილია ასევე პრაქტიკული სამუშაოს რამდენიმე სახეობა ტექსტის მასალად იგავების გამოყენებით.

4. **„კვარცხლბეკზე ამაღლებიდან“ იდეოლოგიურ დევნამდე“.**

**ანოტაცია**

სოციალისტური რეალიზმის, როგორც უზარმაზარი მრავალეროვნებიანი ქვეყნის ერთადერთი ლიტერატურული მეთოდის დანერგვისას, ხელისუფლება სხვადასხვაგვარად მოქმედებდა. ერთი მხრივ, უკვე გაიზარდა „კომკავშირელ პოეტთა“ და პროზაიკოსთა, ასევე „ლიტერატორი გენერლებისა“ და შემსრულებლების თაობა. მეორე მხრივ კი, ხელისუფლება ცდილობდა ცნობილი მწერლების „ჩართვას“ თავის იდეოლოგიურ პროგრამაში. ბორის პასტერნაკი გახდა ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა და მიუხედავად იმისა, რომ მას აქტიურად არასდროს მიუღია მონაწილეობა პოლიტიკაში, მუდმივად ხვდებოდა იდეოლოგიური ბრძოლის ცენტრში. პასტერნაკი უკვე მაშინ იყო ნიშნეული ფიგურა არა მხოლოდ რუსული, არამედ მსოფლიო პოეზიისა და კულტურისთვის. მისი ურთიერთობა ხელისუფლებასთან ღრმად დრამატულია. 1920-იან წლებში, როდესაც ეპიკურ პოემებს ქმნიდა, თავისებურად ცდილობდა რევოლუციური ეპოქის გააზრებას, მაგრამ ეს იყო ოსტატის მცდელობა, რომელშიც რევოლუცია სრულიად სუბიექტურად იყო წარმოდგენილი.

პასტერნაკმა ადრევე გააცნობიერა შემოქმედებაზე ხელისუფლების ტოტალური კონტროლი და მისი დამოკიდებულება აშკარად გამოვლინდა მისი ახლო მეგობრების - ქართველი პოეტების მაგალითზე. ის არა მხოლოდ ბევრ სხვაზე მეტად გრძნობდა ცხოვრებისეულ რეალიებს, არამედ, როგორც ირკვევა, იწინასწარმეტყველა კიდეც მოვლენების განვითარება. იგი ჯერ კიდევ 1933 წელს მეუღლისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს: ,,სულ უფრო იზრდება ჩემში პაოლოსა და ტიციანის საერთო უპირატესობის რწმენა, რის პარალელურადაც ვაწყდები მათი იმ ავტორთა სიიდან იძულებით ამოღების ფაქტს, რომლებიც რეკომენდებულია გასავრცელებლად და ოფიციალური მხარდაჭერა აქვთ. წარმატებას მომიტანდა ამ ადამიანების უარყოფა. მით უფრო ცხოველი იქნება ჩემი მათდამი ერთგულება...“

1935 წელს იგი გაგზავნეს პარიზში ანტიფაშისტურ სამშვიდობო კონგრესზე. ვერც მისმა გამოსვლამ და ვერც მწერლებთან, მათ შორის დელეგაციისთვის მიმაგრებულ სპეც. სამსახურის თანამშრომელთან, საუბარმა ვერ დააკმაყოფილა სტალინი. იგი ფიქრობდა, ვინ გამოეცხადებინა ეპოქის წამყვან პოეტად. მას მოახსენეს, რომ პასტერნაკი უცნაურად იქცეოდა. სტალინმა რევოლუციური ეპოქის მთავარ პოეტად ვლადიმერ მაიაკოვსკი გამოაცხადა.

მეგობრების, უპირველეს ყოვლისა, ტ. ტაბიძისა და პ. იაშვილის დაღუპვის შემდეგ, პასტერნაკი სამუდამოდ განუდგა ოფიციალურ ლიტერატურულ ცხოვრებას. ეს დაპირისპირება ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სკანდალით, მისთვის ნობელის პრემიის მინიჭებით დასრულდა.

ამგვარია პასტერნაკის ხელისუფლებასთან ურთიერთობის შედეგი - სსრკ მწერალთა კავშირიდან გარიცხვა. დიდი პოეტის სოციალისტურ რეალიზმში ჩართვის მცდელობა საბჭოთა ხელისუფლების არნახული მასშტაბის იეზუიტური თამაშის წარუმატებლობის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია.

## 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

### 6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის 2023 г.) მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. М. Алексидзе Л. Гурули. Притча как учебный материал на занятиях по РКИ. Восток-Запад: теоретические и прикладные аспекты преподавания европейских и восточных языков. Материалы VI Международной научно-практической конференции (Новосибирск, 16 марта 2023 г.) Новосибирск: Изд—во СГУПСб , 2023. – 226 с. С. 174 - 181. УДК 800(077) ББК 81.2 В748

2. Наталия Басилая / Марина Андразашвили. *Психологический портрет поэтов-синестетов и отражение их цветового восприятия мира в языке* (სინესთეტი პოეტების ფსიქოლოგიური პორტრეტები და სამყაროს ფერადოვნების აღქმა მათ ენაში). ჟურნალში „ცივილიზაციური ძიებანი" N 19, 2021. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტი, ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრა. თბილისი: თსუ გამომცემლობა: 2023. ISBN 978-9941-36-078-7, ISSN 1512-1941. გვ. 78–94.

3. მარიამ ფილინა, დანუტა ოსოვსკა. ტიფლისის (თბილისის) მუსიკალური ცხოვრება ლეონ იანიშევსკის და ვილნიუსის გამომცემლობა „ზავაცკების" მიმოწერის შუქზე // შრომათა კრებული „საქართველო და პოლონეთი: კულტურული ფასეულობების ტრანსფერი. ინტერდისციპლინარული კვლევები". ბელოსტოკი-ქუთაისი, „Colloquia Orientalia. Bialostocensia. ტ. LIII. 2022-2023. გამომც. „ფემიდა". გვ. 91-117. ISBN 978-83-67169-08-0 (პოლონურ ენაზე).

4. მარიამ ფილინა. პოლონური წიგნის ფონდები საქართველოში // საერთაშორისო კონფერენციის "პოლონური ციფრული ბიბლიოთეკის 10 წელი" შრომების კრებული. ვარშავის უნივერსიტეტი. ვარშავა (პოლონურ ენაზე, მიღებულია გამოსაცემად).

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. იგავი როგორც სასწავლო მასალა რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში

ანოტაცია

ცნობილია, რომ რუსულის, როგორც უცხო ენის სწავლების მიზნები უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოების სოციალურ დაკვეთას და ამავე დროს იყოს რეალისტური, კონკრეტულ სასწავლო პირობებში მიღწევადი, ხოლო სწავლების შინა არსი, მეთოდები და საშუალებები -ადეკვატური მეცადინეობის მიზნებთან და პირობებთან. რუსულის, როგორც უცხო ენის სწავლების პრაქტიკა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მოწმობს, რომ ამ სფეროში არაერთი პრობლემა არსებობს, მათ შორის ყველაზე უფრო სერიოზულ პრობლემად მიგვაჩნია სახელმძღვანელოების ნაკლებობა რუსულის როგორც უცხო ენის ზოგადი შესწავლისათვის და სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის წარმართვისათვის. სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა მეთოდურ ლიტერატურაში განიხილება, როგორც საგანმანათლებლო საქმიანობის სახეობა, რომელიც ხორციელდება მასწავლებლის უშუალო მონაწილეობის გარეშე, მაგრამ მისი ხელმძღვანელობით და რომელსაც

დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებისთვის. მასწავლებლის ამოცანაა შეარჩიოს ისეთი დიდაქტიკური მასალა, რომელიც შეესაბამება მოსწავლეთა ინტელექტუალურ და ზოგადსაგანმანათლებლო დონეს რუსულის, როგორც არამშობლიური ენის ცოდნის დონის გათვალისწინებით. უნივერსიტეტის სტუდენტებთან პრაქტიკულ მუშაობაში ჩვენ ხშირად ვიყენებთ ზღაპრებისა და იგავ-არაკების ტექსტურ მასალას დისკუსიისა და დამოუკიდებელი საშინაო დავალების შესასრულებლად B1 დონის მოსწავლეებთან, რომელთათვისაც ენის სირთულეები უკანა პლანზე გადადის და წინა პლანზე იგავის ფილოსოფიური მნიშვნელობა წამოიწევა. მოხსენებაში აღწერილია რამდენიმე სახის სამუშაოები იგავსა და ზღაპრებზე, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ აუდიტორიაში რუსული ენის სწავლების პროცესში.

## 2. სინესთეტი პოეტების ფსიქოლოგიური პორტრეტები და სამყაროს ფერადოვნების აღქმა მათ ენაში

ანოტაცია

წინამდებარე სტატია აგრძელებს სინესთეზიის ფენომენისა და სინესთეტ შემოქმედთა მიერ სამყაროს აღქმისა და მის სიტყვიერ ფორმაში გამოცემისადმი მიძღვნილ ციკლს, ერთობლივად დაწყებულს ორივე თანაავტორის მიერ ამ ორი წლის წინ. შესწავლის ობიექტი ამჯერად სახავს ოთხ ავტორს, რომლებიც გამოკვლევაში წარმოდგენილნი არიან ორი წყვილის სახით: *გეორგ თრაკლი* (*1887–†1914) // *მარინა ცვეტაევა* (*1892– †1941) და *ვლადიმირ ნაბოკოვი* (*1899 -†1977) // *ფერდინანდ ფონ შირახი* (*1964). შემთხვევითი არ არის არც ავტორთა შერჩევა და არც მათი დაჯგუფება ორ წყვილად, რამდენადაც ის ეყრდნობა, ერთი მხრივ, მწერალთა საკუთარ პიროვნულ-ბიოგრაფიულ ინდივიდუალობებს, მეორე მხრივ კი, მათი წერის მანერას, ჟანრობრივ თავისებურებებს. ოთხივე შემოქმედს გამოარჩევს მეტ-ნაკლებად მსგავსი ცხოვრებისეული გზა, ასევე საკუთარ ნეირობიოლოგიურ მოცემულობები, მათზე დაყრდნობით კი გარკვეული საერთო ან მსგავსი ფსიქიკური გადახრები, გამოვლენილი დეპრესიების, მელანქოლიური აშლილობების, ინცესტის, ბიპოლარიზმის სახით, ხშირად ასევე სუიციდისკენ სწრაფვა და მისი განხორციელებაც კი. სამყაროსთან მიმართებაში ეს აისახება ფერთა არაადეკვატურ არეკვლაში, მათი ისეთ პრიზმაში გარდატეხვაში, რომელიც იძლევა სრულიად ინდივიდუალურ გამას, განსხვავებულს თვით ერთი მწერლის განწყობის მიხედვითაც კი ცხოვრების სხვადასხვა ფაზაში პირადული დრამისა თუ მსოფლიო კატაკლიზმების ფონზე. ამდენად მცდარი იქნებოდა, ფერთა ესოდენ მყისიერი, მერყევი აღქმა გაგვეთანაზრებინა სიმბოლიზმთან. შედეგი სინესთეტური გადახრებისა არის ოთხივე ავტორის მიერ დატოვებული მსოფლიო მასშტაბის შედევრები, რომლებიც ამონარიდების სახით უხვად არის მოტანილი ნაშრომში და სათანადოდ გაანალიზებული როგორც მხატვრულ-ლიტერატურულ ჭრილში, ისე ლექსიკური და ლინგვისტური პარამეტრების მიხედვით. ზემოხსენებული ოთხი ავტორის ერთგვარ გამოძახილად აღიქმება თანამედროვე გერმანელი ესეისტი ქალის *მარლენ შტიოსელის* შემოქმედება, რომელიც დაბადებიდან სინესთეტია; ის თავის ერთ-ერთ რადიოსიუჟეტს უწოდებს: «Das „E“ ist weiß, die „4“ veilchenblau» („ე“ – თეთრია, „4“ – იისფერია), თხრობას კი ისე ავითარებს, რომ მსმენელს დაანახოს, რა სიფრიფანაა ზღვარი „კომიკურობასა“ და „ტრაგიკულობას“ შორის. სინესთეტია ასევე შირახის რომანის „ტაბუს“ პროტაგონისტიც, რომლის მთლიანი ცხოვრებაც ტრაგიზმია, გადმოცემული შესაბამისი ლექსიკური საშუალებებით. ნაშრომში ვითარდება ასევე მეორე ხაზი: პარალელი „ჭეშმარიტსა“ და ე.წ. „მოგონილ“/ „შეთხზულ“ სინესთეზიას შორის; კერძოდ ხომ არ იქცა ერთგვარ „მოდად“, დროის ტენდენციად წერა სინესთეზიაზე. ვფიქრობთ, ეს მარადიულად არსებული ფენომენია, დანახული სხვადასხვა თაობის მიერ სხვადასხვა რაკურსში, და ის კვლავაც მრავალჯერ იქცევა შემოქმედთათვის თხრობის ობიექტად, ფილოლოგებისა თუ ფსიქოლოგებისთვის – კვლევის საგნად, მკითხველისთვის კი – მასში მძაფრი ემოციების აღძვრის საშუალებად.

**3. ტიფლისის (თბილისის) მუსიკალური ცხოვრება ლეონ იანიშევსკის და ვილნიუსის გამომცემლობა „ზავაცკების" მიმოწერის შუქზე.**
**ანოტაცია**

სტატია ეძღვნება "კავკასიის დევნილი პოეტთა ჯგუფის" შემქმნელის (1830-1850 წლებში) ერთ-ერთი ლეონ იანიშევსკის მოღვაწეობას ტფილისში (თბილისი). იყენებდა ადამ ზავაძკის წერილებს, რომელიც ამ დროს ხელმძღვანელობდა ვილნიუსში ზავაძკის გამომცემლობას. სტატიაში მოცემულია დამატებები და შესწორებები იანიევსკის როლის შესახებ საქართველოს დედაქალაქის თეატრალურ და მუსიკალურ ცხოვრებაში, აგრეთვე მისი მონაწილეობა კავკასიის პოლონური საზოგადოების ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ ამ სამეცნიერო კრებულში არის 20 ცნობა პროფ. მ.ფილინა და პროფ. დ. ოსოვსკაია პოლონურ-ქართული ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების სფეროში.

**4. პოლონური წიგნის ფონდები საქართველოში**
**ანოტაცია**
პოლონური ბიბლიოთეკები საქართველოში საკმაოდ მდიდარია, მაგრამ ისინი სისტემატურად არ შედგენილია და თითოეულს თავისი ისტორია აქვს. დასაწყისია 1830-1840 წლების პოლიტიკური გადასახლებულთა მოკრძალებული წიგნების ფონდები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ე.წ. „პოლონელი კავკასიელი პოეტების" ჯგუფი. გადასახლებულებმა ლიტერატურის (წიგნების და პრესის) ნაკლებობა განიცადეს და ყველანაირად ცდილობდნენ შეექმნათ საკუთარი ბიბლიოთეკები. ისინი მიმოწერას უწერდნენ პოლონეთის აღმოსავლეთ ტერიტორიების თითქმის ყველა მაუწყებელს. საჯარო ბიბლიოთეკა (ამჟამად საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა) თბილისში დაარსდა 1846 წელს კავკასიის "ნამესტნიკის", თავადი მ. ვორონცოვის მიერ. მისი ახლო თანამშრომელი მაშინ იყო გრაფი ვოიცეხ პოტოცკი. ის არის საქართველოს მთავარი ბიბლიოთეკის ერთ-ერთი დამაარსებელი. წიგნი ნომერი 1 მასში არის საჩუქარი პოტოცკისგან. რარიტეტების განყოფილებაში ინახება ეკატერინე ჭავჭავაძის ალბომი. ალბომი შეიცავს პოტოცკის ორ ლექსს და მის პორტრეტს. ბიბლიოთეკის პოლონური კოლექცია ძალიან მნიშვნელოვანია. ის შედგენილი იყო დევნილობაში მყოფი პოლონელთა და საქართველოში პოლონური ორგანიზაციების მიერ შემოწირული წიგნებიდან და ჟურნალებიდან, კერძოდ, მე-20 საუკუნის დასაწყისში მოქმედი პოლონური სახლიდან ბიბლიოთეკაში ასობით წიგნი შევიდა.პოლონური წიგნების კოლექციები განთავსებულია ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „პოლონია"-ს ბიბლიოთეკაში. ეს არის მე-18 საუკუნით დათარიღებული რარიტეტები, ა. მიცკევიჩის ნამუშევრების 1856 წლის გამოცემა, პოლონეთის მრავალტომიანი ისტორია, ასევე თანამედროვე გამოცემები.

**7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**

7.1. **საქართველოში**
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. მ. ალექსიძე, ლ. გურული. *რუსულ და ქართულ ენებში ექსპრესიული სინტაქსური კონსტრუქცი-ების ფუნქციონირების საკითხისათვის* // საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ინტერდისციპლინარული კვლევების ახალი ჰორიზონტები", მიძღვნილი პროფესორ დავით

გოცირიძის 70 წლის იუბილეს. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი ევროკავშირის გრანტის პროექტის KEAC-BSR მხარდაჭერით (MSCA, HORIZON2020). ბათუმი, 23.06-24-06.2023.

2. მ. ალექსიძე, ლაურა გურული. *ელექტრონული ლინგვოდიდაქტიკის ზოგიერთი ასპექტი* // პროფე-სორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. 20-21 ივლისი 2023 წ. თბილისი.

3. მ. ალექსიძე, ლაურა გურული. *დებიტიური წინადადებები რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში* // მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვალური განათლების კონტექსტში. 11-13 სექტემბერი, 2023 წ. თბილისი. თსუ.

4. მ. ალექსიძე, ლაურა გურული. *რუსული ნაწილაკების კითხვითი სემანტიკა და მისი ასახვა ქართულად თარგმანში* // პროფესორ გიორგი (ჟორჟ) ეკიზაშვილის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენცია. 13 მარტი 2023 წ. თბილისი. თსუ.

5. მ. ალექსიძე. *პოლიპრედიკატული კონსტრუქციები ტემპორალური მიმართებებით რუსულ და ქართულ ენებში //* კავკასიოლოგთა II საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი. 17-18 ოქტომბერი 2023 წ. თბილისი, თსუ

6. ნ. ბასილაია / მ. ანდრაზაშვილი. *მხატვრული თარგმანი – ხელობა თუ ხელოვნება* // საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ინტერდისციპლინარული კვლევების ახალი ჰორიზონტები“, მიძღვნილი პროფესორ დავით გოცირიძის 70 წლის იუბილეს. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი ევროკავშირის გრანტის პროექტის KEAC-BSR მხარდაჭერით (MSCA, HORIZON2020). ბათუმი, 23.06-24-06.2023.

7. მ. თუხარელი. შეხედულებების პარალელები ქალთა ემანსიპაციის საკითხზე. ჟორჟ სანდი და ივან ს. ტურგენევი“ // პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი, თსუ. 20-21 ივლისი 2023 წ.

8. მ. თუხარელი. XX საუკუნის რუსული საავტორო ზღაპრის საკითხთან დაკავშირებით // საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ინტერდისციპლინარული კვლევების ახალი ჰორიზონტები“, მიძღვნილი პროფესორ დავით გოცირიძის 70 წლის იუბილეს. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი ევროკავშირის გრანტის პროექტის KEAC-BSR მხარდაჭერით (MSCA, HORIZON2020). ბათუმი, 23.06-24-06.2023.

9. მ. ფილინა. პოლონელი გადასახლებულთა პირველი ტალღის როლი კავკასიაში 1830-31 წლების აჯანების შემდეგ პოლონურ-ქართული კონტაქტების დამყარებაში // საერთაშორისო კონფერენცია “პოლონეთისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოძრაობა XIX საუკუნეში“. ეძღვნება პოლონეთში იანვრის აჯანყების 160 წლისთავს და ქართველ თავადაზნაურობის ანტიცარისტულ შეთქმულების 190 წლისთავს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. რიჩარდ პაიპესის სახ.

ბიბლიოთეკა და ლაბორატორია. პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში. თბილისი, ილიას უნივერსიტეტი, 2023 წლის 18 მაისი.

10. მ. ფილინა. ვლადისლავ სტშელნიცი - დევნილი პოლონელი პოეტი და მთარგმნელი. პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. თსუ, თბილისი, 2023 წლის 29-30 ივნისი.

11. მ. ფილინა. იულიან ტუვიმი - რუსთაველის მთარგმნელი. პროფესორ დალი ფანჯიკიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ივ ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ს/ს ინსტიტუტი. დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ს/ს ინსტიტუტი. გერმანული ფილოლოგიის კათედრა. თარგმანმცოდნეობის კათედრა. საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი. თსუ, თბილისი, 2023 წლის 20-21 ივლისი.

12. მ. ფილინა. ლევ ტოლსტოის „ჰაჯი-მურატი" და პოლონელი დევნილი ვლადისლავ იურკოვსკის წერილები კავკასიის ომის შესახებ. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ინტერდისციპლინა-რული კვლევების ახალი ჰორიზონტები". ეძღვნება პროფესორ დავით გოცირიძის 70 წლის იუბილეს. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი ევროკავშირის გრანტის პროექტის KEAC-BSR მხარდაჭერით (MSCA, HORIZON2020). ბათუმი, 23.06-24-06.2023.

13. მ. ფილინა. „კვარცხლბეკზე ამაღლებიდან" იდეოლოგიურ დევნამდე". XVI საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები„. „სოციალისტური რეალიზმის ეპოქა ლიტერატურასა და ხელოვნებაში". ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილოისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი, 2023 წლის 27-29 სექტემბერი.

14. დალი კანდელაკი. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციები კავკასიაში: გერმანელი მეცნიერების კვლევები. პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის თეზისები. გვ. 80-84. თბილისი, 20.07-21.07. 2023.

https://www.researchgate.net/publication/375598176_17th_Faculty_Scholarly_Conference_In_Honour_of_the_100th_Anniversary_of_the_Birth_of_Prof_Nodar_Kakabadze?fbclid=IwAR3vFGUkRL9LTSDbr-uIBeDG-tC0zYSb29nd6KO3MYGIKs9ZR49Ss_xQobU

15. დალი კანდელაკი. პიოტრ მუხანოვის კავკასიური ისტორიები: „მოგზაურობა საქართველოსა და ყარაბაღში". კავკასიოლოგთა II საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი. 17.10-19.10.2023.

2. *მოხსენების ანოტაცია* *(საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

1. *რუსულ და ქართულ ენებში ექსპრესიული სინტაქსური კონსტრუქციების ფუნქციონირების საკითხისათვის.*

*ანოტაცია*

თანამედროვე ლინგვისტიკის ანთროპოლოგიური პარადიგმა წინა პლანზე აყენებს ადამიანს და მის ენას, შესაბამისად, ნებისმიერი ლინგვო-კულტუროლოგიური კვლევის ცენტრში არის ადამიანი, როგორც ენის შემქმნელი და მოლაპარაკე და როგორც ეროვნული ენისა და ეთნიკური კულტურის მქონე ადამიანი. ამ მხრივ საინტერესოა ტიპოლოგიურად განსხვავებული ენების (რუსულისა და ქართულის) შესწავლა, რომელთაც ბევრი მსგავსება და ბევრი განსხვავება აქვთ. თითოეული კონკრეტული ენა არის ორიგინალური სისტემა, რომელიც ტოვებს თავის ეროვნულ კვალს მისი მატარებლების ცნობიერებაში და აყალიბებს მათ სამყაროს ენობრივ სურათს. კონკრეტულ ენაში ასახული სამყაროს აღწერის შესწავლისას, კვლევის ერთ-ერთი სფეროა მოცემული ენის მიერ სასურველი რეალობის ორგანიზების შაბლონების გათვალისწინება, როგორც მისი სტრუქტურით, ასევე მისი მატარებლების ეროვნულ-კულტურული ცნობიერებით. ნებისმიერი ენის სინტაქსურ სტრუქტურას აქვს უზარმაზარი გამომსახველობითი შესაძლებლობები, რაც შესაძლებელს ხდის გამოთქმის პრაგმატული ამოცანების რეალიზებას. ექსპრესიული სინტაქსის [ეს] კატეგორიის შესწავლის აქტუალობა განისაზღვრება მისი განსაკუთრებული მნიშვნელობით დისკურსის როგორც წერილობითი ორგანიზაციის, ასევე ზეპირი აგების პროცესში. ექსპრესიული სინტაქსის კონსტრუქციების დახმ-არებით ხორციელდება ერთ-ერთი მთავარი საკომუნიკაციო ამოცანა - ზემოქმედება ადრესატის აზრებზე მომხსენებლის გამონათქვამების ინტერპრეტაციისას. სწორედ ექსპრესიული სინტაქსი "ხელს უწყობს სამეტყველო შეტყობინების მიზანს, უზრუნველყოფს რა ტექსტის ზემოქმედებას რეციპიენტზე"; სწორედ ექსპრესიული კონსტრუქციები განაპირობებენ ნებისმიერი დისკურსის პოტენციურ უნარს გარკვეული გავლენა მოახდინოს ინფორმაციის ამა თუ იმ მიმღების ცნობიერებასა და ქცევაზე. გამომსახველობითი სინტაქსის სტრუქტურებს შორის, რომლებიც ფუნქციონირებენ რუსულ და ქართულ ენებში და უზრუნველყოფენ გამონათქვამების მიზნების განხორციელებას დისკურსში, გამოვყოფთ, პირველ რიგში, პარანტეზას, გამეორებას, პარცელაციას, ელიფსისს, დამაკავშირებელ კონსტრუქციებს, რიტორიკულ კითხვებსა და შეძახილებს. მოხსენებაში განხილულია ექსპრესიული სინტაქსის ზოგიერთი ჩამოთვლილი სტრუქტურა თანამედროვე რუსული და ქართული მხატვრული პროზი ენაში.

2. *პოლიპრედიკატული კონსტრუქციები ტემპორალური მიმართებებით რუსულ და ქართულ ენებში.*

*ანოტაცია.*

ტემპორალობა (ანუ ლინგვისტური დრო) არის ჩვენი ცნობიერების მიერ პროეცირებული და ენის საშუალებებით გადმოცემული რეალური დროის ასახვა. როგორც სამყაროს შემეცნების განსაკუთრებული ფორმა, ტემპორალობა ეყრდნობა დროის ენობრივი გამოხატვის სხვადასხვა მორფოლოგიურ, სინტაქსურ, ლექსიკურ და სხვა საშუალებებს და წარმოადგენს არა დროის დინებას, არამედ მოვლენათა იმ თანმიმდევრობას, რომელიც განიხილება მოსაუბრის თვალთახედვით. რთულ ქვეწყობილ წინადადებას დროის გარემოებითი დაქვემდებარებული წინადადებით ჩვენ განვიხილავთ როგორც კონსტრუქციას, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას სიტუაციებს შორის სხვადასხვა ტიპის ტემპორალური მიმართებების შესახებ, რაზეც არის საუბარი წინადადების მთავარ და დაქვემდებარებულ ნაწილებში. ამ ტიპის რთულ წინადადებებში დაქვემდებარებული ნაწილი შეიცავს ძირითადი ნაწილის მოქმედების ტემპორალურ მახასიათებელს, ანუ ასრულებს ტემპორა-ლური ორიენტირის ფუნქციას. რუსული და ქართული რთული ქვეწყობილი წინადადებების დროის გარემოებითი დაქვემდებარებული წინადადებით შეპირისპირებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ რუსულ და ქართულ ენებში ტემპორალური მი-

მართებების ენობრივ წარმოდგენაში არის როგორც მსგავსება, ასევე განსხვავებები. მიუხედავად ტიპოლოგიური განსხვავებისა, ორივე ენა იყენებს დროითი სივრცის სეგმენტაციის ანალოგიურ ხერხს ტემპორალური კავშირების სისტემის მეშვეობით. ბ. აკუნინისა და ა. მორჩილაძის გაანალიზებულ ნაწარმოებებში გამოყოფილი კავშირების მრავალფეროვანი პოლიფონია ქმნის დროითი სურათების გრძელ რიგს, რომელიც აფართოებს და აღრმავებს მკითხველის გაგებას ნაწარმოებების დროითი ასპექტის შესახებ. მთავარი განსხვავება რუსულ ტემპორალურ კავშირებსა და ქართულს შორის არის ის, რომ რუსულში ჭარბობს რთული ან ანალიზური ფორმები, ხოლო ქართულში სინთეზური ფორმები. რუსული ენის შედგენილი კავშირები წარმოადგენენ "ორი ან მეტი ელემენტის ნაერთებს, რომელთაგან თითოეული იმავე დროს არსებობს ენაში როგორც ცალკე სიტყვაც". ორივე შედარებული ენის ტემპორალურ კავშირებს შორის გამოიყოფა მონოსემანტიკური და პოლისემანტიკური კავშირები. პირველი ჯგუფის კავშირები ფუნქციონირებენ მხოლოდ რთულ ქვეწყობილ ტემპორალურ წინადადებებში. პოლისემანტიკურ კავშირებს ვხდებით სხვა ტიპის რთულ ქვეწყობილ წინადადებებშიც, სადაც მათ შემოაქვთ დამატებითი ტემპორალური ელფერი. როგორც რუსულ, ასევე ქართულ ენაში რთულ ქვეწყობილ წინადადებებს ერთდროულად შეიძლება ჰქონდეთ ტემპორალური და სხვა სახის მნიშვნელობა: პირობითი, მიზეზობრივი, დათმობითი. ეს ხდება ზმნა-შემასმენლის მორფოლოგიური ფორმების თანაფარდობის და აგრეთვე კონსტრუქციების ლექსიკური და ფრაზეოლოგიური შემადგენლობის ვარირების გამო. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, რომელიც დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებს შეიცავს, მოქმედებათა ტემპორალური კორელაცია შეიძლება წარმოდგენილ იქნას ორი ძირითადი ჯგუფით: მთავარი და დაქვემდებარებული ნაწილების სიტუაციათა ერთდროულობა და თანამიმდევრობა. ტემპორალური თანამიმდევრობის ცნება მოიცავს ერთი და იმავე კონცეფტის ორ მხარეს - წინსწრების და მიყოლების მიმართებას. ორივე შედარებულ ენაში ეს მიმართებები გამოიხატება კავშირებით, ზმნა-შემასმენლის მორფოლოგიური ფორმებით, მთავარისა და დამოკიდებული წინადადებების წყობით, ლექსიკური საშუალებებით.

**3. მხატვრული თარგმანი – ხელობა თუ ხელოვნება?**

**ანოტაცია**

მიუხედავად მხატვრული ტექსტის თარგმანის ირგვლივ არსებული ლიტერატურული, ლინგვისტური და ინტერკულტურული თეორიების რადიკალური სხვადასხვაობისა, მაინც შეინიშნება მსგავსება მათ შორის იმ თვალსაზრისით, რომ სამივე მათგანი თარგმანს მიიჩნევს *შემოქმედებად/ხელოვნებად*, რომელიც ეფუძნება პრინციპს: *„თარგმნო, ნიშნავს თვითონ იყო მწერალი“.* ბუნებრივია, ნათქვამი ეხება უპირატესად ინტელექტუალურ ტექსტებს, რომლებიც ხშირად გასაგებადაც კი ძნელია სათანადო წინარეცოდნის არმქონე რიგითი მკითხველისთვის; ნაკლებად ეხება იგი ლაპიდარულ ტექსტებს, აგებულთ მარტივი ლექსიკითა და გამჭვირვალე სინტაქსით, მხატვრული ხერხებისა და ორაზროვანი ფრაზების გარეშე, რომლებიც იოლად ექვემდებარებიან დიდაქტიზებასა და საუნივერსიტეტო მთარგმნელობით პროგრამაში ინტეგრირებას. ანალოგიურ ფენომენს ემღვნება წინამდებარე გამოკვლევა, რომელშიც ამოსავალ ტექსტად აღებულია ვლადიმიერ კამინერის ორი გერმანულენოვანი ნოველა და შეპირისპირებით პლანში არის გაანალიზებული პირველწყაროს ქართულ- და რუსულენოვანი ვერსიების სტუდენტური, საავტორო და მანქანური თარგმანები.

ნაშრომში თანამიმდევრულად ხდება რამდენიმე პლასტის გახსნა, როგორიცაა: ა) ავტორის პიროვნება – გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში საბჭოთა რუსეთიდან აღმოსავლეთ ბერლინში ემიგრირებული ებრაული წარმომავლობის რუსი დიჯეი, რომლისთვისაც *მწერლობა* ერთგვარ *ხელობად* ქცეულა ახალ გარემოში ფიზიკური არსებობის შენარჩუნების, საზოგადოებაში თვითდამკვიდრების, უპირველესად კი გერმანულის შესწავლის მიზნით; ბ) ეპოქალური ინტერკულტურული კონტექსტი – პერესტროიკის პერიოდის მოსკოვური რეალობისა და გდრ-ული

ყოფის ცოცხალი პანოების შედარება; გ) ავტორის მწირი გერმანულის კვალობაზე პირველწყაროში ორმაგი შუალედური რგოლის – პწკარედული და ლიტერატურული თარგმანის შესრულების აუცილებლობა ამ პროცესში ენის მატარებლის ჩართვის გზით.
თარგმანის შეფასების კუთხით გაკეთებული დასკვნები ეფუძნება ამოსავალი ტექსტის გაგების ხარისხს, შეპირობებულს განსხვავებული ენობრივი, უპირატესად კი ეპოქალური, ყოფითი და კულტურული წინარეცოდნით.

**4. პოლონელი გადასახლებულთა პირველი ტალღის როლი კავკასიაში 1830-31 წლების აჯანყების შემდეგ პოლონურ-ქართული კონტაქტების დამყარებაში.**
**ანოტაცია**

მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობანი დაიწყო XIX საუკუნის I ნახევარში. ქართველი და პოლონელი ხალხის შემოქმედებითი ინტერესების შედუღაბება დრამატიზმით არის აღსავსე. სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატორთა ურთიერთდაინტერესების ყველაზე ნათელი პერიოდი დაკავშირებულია 1830-იან წლებში ახალგაზრდა, განათლებული პოლონელების მასობრივად გადასახლების ტალღასთან. მეფის მთავრობის მიზანი იყო დაესაჯა `პოლიტიკური დამნაშავენი~, შედეგი კი სრულიად საპირისპირო გამოდგა _ სულიერი კავშირი გაიბა გადასახლებულთა და ქართულ ინტელიგენციას შორის. უაღრესად რთულ სიტუაციაში იქმნებოდა ურთი¬ერთობათა მთელი სისტემა ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა, პოლონელი ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფების მიერ კავკასიის, კერძოდ კი, საქართველოს შესწავლა იმ გაჩაღებული კავკასიური ომის დროს.
თბილისში ორი ათეული წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა პოლონელ რომანტიკოსთა ერთგ-ვარი `ფილიალი~ _ პოლონელ `კავკასიელთა~ ჯგუფის პოეტები. გადა¬¬სახლებულმა პოლონელებმა თავიანთ თანამემამულეებს ნათლად დაანახვეს კავკასია. 1830-1840-იან წლებში კავკასია უკვე აღარ იყო მხოლოდ ეგზოტიკური, რომანტიკული აღმაფრენის მომნიჭებელი მხარე. იგი უკვე სერიოზულად აინტერესებდათ მკითხველ პოლონელებს. ქართული და პოლონური კულტურის მოღვაწეებს შორის კონტაქტები მყარდებოდა როგორც უშუალოდ, ისე, მნიშვნელოვანწილად, რუსეთის საშუალებით. თუმცა თავად რუსეთთან დამოკიდებულება ორივე ერის მოაზროვნეებსა თუ ლიტერატორებს საკმაოდ არაერთმნიშვნელოვანი ჰქონდათ.
საყოველთაოდ მიღებული და მუდმივად განმეორებადი აზრი ორი რუსეთის შესახებ - იმპერიული, მეზობელი ხალხების დამპყრობელი რუსეთისა და რუსეთისა, რომელიც ეპოქის ჰუმანიტარულ და თამამ იდეათა სამშობლოა - პრინციპში საფუძველს მოკლებული არ არის, მაგრამ არც ისე მარტივია, როგორც ეს ჩანს მისი ჩვეულებრიობისა და ხანგრძლივი გამოყენების გამო. იმას, თუ რა იყო პროგრესული იდეა, ისტორია წყვეტდა, იდეის ჩასახვისა და განვითარების მომენტში მის ირგვლივ კამათის კი გარდაუვალი იყო, მით უფრო მაშინ, როცა იდეას ან საზოგადოებრივ მოძრაობას სხვადასხვა ერის წარმომადგენლები აფასებდნენ.
ეპოქალური მოძრაობების ირგვლივ კამათის დამახასიათებელია ყველა დროისათვის. დეკაბრიზმის ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებითაც არ იყო, და ვერც იქნებოდა, ერთსულოვნება პოლონელ და ქართველ საზოგადო მოღვაწეებს შორის. თუმცა დეკაბრიზმმა ერთიანობაში პოლონეთსა და საქართველოში მიმდინარე ყველა სოციალურ პროცესზე იქონია გავლენა, იგი იყო მძლავრი სტიმული საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებისათვის. იდეათა შემოდინებას მრავალრიცხოვანი კავშირები მოჰყვა, რამაც დეკაბრიზმის პერიოდი მოიცვა. ამისდაკვალად, ფართო საზოგადოებრივი წრეები წარმოიშვა. ისინი მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს. ,კავკასიელთა“ შემოქმედებას იმდენად თვითშეფასებითი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენადაც -

კულტურულ-ისტორიული. თუმცა შესაძლოა ვისაუბროთ მათი ერთობლივი მემკვიდრეობისადმი ცოცხალი ინტერესის შესახებაც.
ასე მაგალითად, ჩესლავ ზგოჟელსკი, რომელიც თავის დროს პოლონური კლასიკის გამოცემის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, პირველი რიგის საგამომცემლო პრობლემების შესახებ სტატიაში წერს მიცკევიჩის, სლოვაცკის და ნორვიდის, ასევე, მალჩევსკის თხზულებათა ახალი კრებულების და ,,ლვოვის ჯგუფის" ნაწარმოებთა ნაწილის ფოტოტიპური სახით გამოცემის აუცილებლობაზე. ხოლო შემდეგ ვკითხულობთ: ,,მეორე ამოცანა, შესაძლოა, უფრო გადაუდებელიც, კავკასიელი გადასახლებულების პოეტური მემკვიდრეობაა. ეს არ შეეხება მხოლოდ ყველაზე ცნობილ ტადეუშ ლადა-ზაბლოცკის ან ვლადისლავ სტშელნიცკის, თუმცა მათი პოეზიაც, რომელიც XIX საუკუნის შუა ხანებში გამოიცა, დღეისათვის უკვე რთული მოსაპოვებელია და თანაც არ მოიცავს მთელ მათ ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ჩვენს მეხსიერებაში უნდა აღდგნენ, პირველ ყოვლისა ისინი, ვინც დღემდე არ გამოცემულა, მაგალითად სტანისლავ ვინიცკი, ლეონ იანიშევსკი, ჰენრიხ იაბლონსკი ან ვინცენტი დავიდი. სხვადასხვა ჟურნალში (ნაწილობრივ კი ხელნაწერებში, რომლებიც, ვინ იცის, სად ინახება ან შემორჩა თუ არა) გაფანტული მათი სტატიები ეროვნულ ტრადიციაში უკვდავყოფას მოითხოვს არა მხოლოდ როგორც ისტორიულ-ლიტერატურულ ინტერესთა საგანი, არამედ როგორც მოწმობა ,,გადასახლების" პოეზიის ბედის შესახებ.

**5. ვლადისლავ სტშელნიცი - დევნილი პოლონელი პოეტი და მთარგმნელი.**
**ანოტაცია**
თბილისში, როგორც ამიერკავკასიის კულტურული ცხოვრების ცენტრში, 1830-იანი და 1850-იანი წლების ბოლოს ფუნქციონირებდა პოლონური ლიტერატურის ერთგვარი მცირე ფილიალი - კავკასიური განდევნილობის ლიტერატურისა. კავკასიელი ლიტერატორების ჯგუფში თავისი როლითაც და, შესაძლოა, პოეტური ნიჭითაც, მნიშვნელოვანი ადგილი ვლადისლავ სტშელნიცკის ეკუთვნის. იგი ,,კავკასიელებს" შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო. დაიბადა 1820 წელს პოდოლში, თავადაზნაურთა ოჯახში. 1836 წელს კიევის უნივერსიტეტის სიტყვიერების განყოფილებაზე ჩააბარა საკუთარი ხარჯებით. იგი ორიგინალური პოეტური აზროვნებითა გამოირჩეოდა. სტშელნიცკიმ ბრწყინვალედ იცოდა ლიტერატურის ისტორია და თანამედროვე მწერლობა. კიევის უნივერსიტეტის თვრამეტი წლის სტუდენტი შიმონ კონარსკის ორგანიზაციის კიევის განყოფილებაში შევიდა. შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ, 1838 წელს დააპატიმრეს და რიგითად გადაასახლეს კავკასიაში მოხალისის უფლებით, თუმცა 10 წლის განმავლობაში მსახურობის ვალდებულებით, მას შემდეგ, რაც ოფიცრის ჩინს მიიღებდა. 1839 წლის მარტში ოცდახუთ უნივერსიტეტელ ამხანაგთან ერთად გააგზავნეს იმ ადგილას, სადაც უნდა ემსახურა. მსახურობდა არტილერიაში და ოფიცრის ჩინამდეც მიაღწია.

სტშელნიცკი ძალიან დაკვირვებული იყო და სხვებისთვის დამალულ ბევრ დეტალს ამჩნევდა. აღნიშნავდა, რომ ,,ნანგრევები განძია მოგზაურთათვის". საკმაოდ ბევრს ,,მოგზაურობდა" თავის პოლკთან ერთად და დაინტერესებული იყო არქიტექტურით, ხალხთა ცხოვრებითა და ტრადიციებით. ამან ასახვა ჰპოვა მის ,,მგზავრის ჩანაწერებში". 1839-41 წლებში დაწერილი ნაწარმოებების ქვეშ არის მინაწერები: შუშა, ასკერანი, შემახი, ბაქო, კურდამირი, ყარაბაღი, ყაბარდო, ჩეჩნეთი. დაბოლოს, როგორც იქნა, თბილისშიც აღმოჩნდა - ყველა პოლონელისათვის აღთქმულ ადგილას. მალევე დაუახლოვდა ზაბლოცკის, იანიშევსკის, პოტოცკის და საყოველთაო სიყვარული მოიპოვა. მისი ,,მოგზაურის" მცდელობანი კალმის მოსინჯვად შეიძლება ჩაითვალოს. გაჩაღებული ლიტერატურული სამუშაოებიდან რამდენი წელში სტშელნიცკიმ გამოაქვეყნა ორი მოთხრობა - ,,ორი აღვირი" («Два узденя») («Кавказ», 1846, №№ 18-21) და ,,მაჰმუდეკი" («Махмудек») (გამოჩნდა «Кавказ»-ში უკვე მწერლის სიკვდილის შემდეგ, 1848, №№ 28-37), ასევე, ლექსები პოლონურ ალმანახებში. სტშელნიცკი, ისევე, როგორც ზაბლოცკი და იანიშევსკი, ფლობდა რუსულ ენას,

მოთხრობებს, სავარაუდოდ, თავად თარგმნიდა. თბილისში ყოფნის წლებში დაიწყო ქართული და სხვა კავკასიური ენების შესწავლა.
სტშელნიცკი 26 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა დიზენტერიისგან. ახალგაზრდა პოეტის სიკვდილი მძიმედ გადაიტანეს მეგობრებმა. 1846 წლის 19 ოქტომბერს გაზეთ ,,კავკაზში" დაიბეჭდა (გაზეთი სწორედ ამ დროს ამზადებდა გამოსაქვეყნებლად მის ,,მაჰმუდეკსა" და ,,ნარკვევებს") ნეკროლოგი.
ვ. სტშელნიცკის ნაწარმოებებმა მთლიან გამოცემად დღის სინათლე 1860 წელს იხილა. ისინი ოთხ პატარა ტომად ჟიტომირში გამოაქვეყნა მწერლის ძმამ, იუზეფმა, რომელსაც ზაბლოცკის სიკვდილის შემდეგ (რასაც წინასიტყაობიდან ვიგებთ) ხელნაწერები კსავერი პეტრაშკევიჩმა გადასცა. იქვე ვკითხულობთ: ,,განსვენებულის ნება იყო გამოცემიდან მიღებული თანხა თბილისის გადასცემოდა კოსტიოლს სასულიერო ლიტერატურის შესაძენად, რამდენადაც თავად ავტორი და მისი მეგობრები მათ ნაკლებობას განიცდიდნენ".
ვლადისლავ სტშელნიცკის ღირსებების შესახებ მოცემული ფაქტი კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, თუ რაოდენ სიღრმისეულად იყვნენ დაკავშირებულები პოლონელები თბილისის კულტურულ ცხოვრებასთან.

**6. იულიან ტუვიმი - რუსთაველის მთარგმნელი.**
**ანოტაცია**

2.1. "ხედვა" და მასთან დაკავშირებული ცნებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფილოსოფიურ და თეოლოგიურ ტრადიციაში, როგორც მეტაფიზიკურ, ასევე ფიზიკურ/კოსმოლოგიურ და ინდივიდუალურ/პიროვნულ კონტექსტებში. პროექტის მიზანია ხედვის გაგების სხვადასხვა ასპექტების კვლევა გვიანანტიკურ (ნეოპლატონიზმი: პლოტინი, პროკლე), შუა საუკუნეების პლატონური ტრადიციის (იოანე პეტრიწი) და რენესანსის ფილოსოფიის ტექსტებში (ნიკოლოზ კუზელი, მარსილიო ფიჩინო, აგრეთვე ლეონარდო და ვინჩი). შესავალი ნაწილი მოიცავს ხედვის თემის მიმოხილვას სოკრატემდელ ფილოსოფიაში, აგრეთვე ამ თემასთან დაკავშირებულ საბაზისო საკითხებს პლატონთან და არისტოტელესთან. კვლევა გულისხმობს ხედვის მნიშვნელობის ანალიზს როგორც მეტაფიზიკურ ასპექტში (ღმერთის/ერთის, უნივერსალური გონების, უნივერსალური სულის მიერ 'ხედვა'), აგრეთვე ფიზიკურ სფეროში (ადამიანის ხედვა როგორც შემეცნება გარემოსი და მისწრაფება საკუთარი საწყისებისკენ, თვითკონცენტრაციის გზით).

2.2. პროექტის მიზანია, კონკრეტული ფილოსოფიური წყაროებისა და ფილოსოფიური თეორიების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, პეტრიწის ფილოსოფიის წარმოჩენა პლატონური ტრადიციის კონტექსტში. ეს გულისხმობს შემდეგ საკითხებს: პეტრიწის მიერ პლატონური ტრადიციის შინაარსის განსაზღვრა და პროკლეს მიკუთვნება ამ ტრადიციისადმი, აგრეთვე ამ ტრადიციის წარმომადგენლების როგორც პეტრიწის წყაროების განხილვა (სოკრატემდელებიდან პროკლემდე); პეტრიწის ფილოსოფიის პლატონური ასპექტების ანალიზი ბიზანტიური ფილოსოფიის კონტექსტში, მათ შორის ანტი-პლატონური მიმდინარეობის გათვალისწინებით (მიქაელ ფსელოსი, ნიკოლოზ მეთონელი, გეორგიოს გემისტოს პლეთონი); შუა საუკუნეების ლათინურენოვან პროკლეს კომენტარებთან

(ზერთოლდ მოოსბურგელი) მიმოხილვითი შედარება; პარალელების გამოვლენა რენესანსის ეპოქის პლატონურ ტრადიციასთან (ნიკოლოზ კუზელი, მარსილიო ფიჩინო).

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2. 1. "არისტოტელე მე-12 საუკუნეების ბიზანტიურ და ქართულ ფილოსოფიურ ტექსტებში". ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია. 2021-2023.
2.2 "განათლების პარადიგმები ფილოსოფიური კამათების ფონზე მე-15 საუკუნის იტალიურ რენესანსში". ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია. 2022-2023.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
2. 1. ლელა ალექსიძე (ავტორი)
2. 2ლელა ალექსიძე (ავტორი)

*დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
2.1. პროექტის მიზანი იყო არისტოტელეს ფილოსოფიის როლის კვლევა, კონკრეტული ტექსტების ანალიზის საფუძველზე, დაახლოებით ერთი ეპოქის ფილოსოფოსებთან, რომლებმაც დაწერეს კომენტარები პროკლეს "თეოლოგიის საფუძვლებზე". ესენია იოანე პეტრიწის ქართული ნაშრომი და ნიკოლოზ მეთონელის ბერძნული კომენტარი. აქედან პირველი პლატონის მომხრე იყო, რომელიც არისტოტელეს ფილოსოფიასაც მიმართავდა და მის მნიშვნელობას აღიარებდა, თუმცა პლატონის უპირატესობას დაბეჯითებით აღნიშნავდა. რაც შეეხება მეთონელს, რომელიც პროკლეს დიდი მოწინააღმდეგე იყო, ის უმოწყალოდ აკრიტიკებდა პლატონსაც და მასთან ერთად მთელ ანტიკურ ფილოსოფიას, თუმცა პლატონთან შედარებით, მაინც არისტოტელეს ამჯობინებდა. მისი ინტერპრეტაციები ხშირ შემთხვევაში შინაარსობრივად არაადეკვატურია. საერთო ჯამში, ამგვარი კვლევები წარმოგვიჩენს აღმოსავლეთ ქრისტიანულ (ბიზანტიურ და ქართულ) გარემოში ანტიკური ფილოსოფიისადმი მიდგომების მრავალგვარობას.
2.2 პროექტის მიზანი იყო, რამდენიმე არსებითი ფილოსოფიური კამათის საგნად ქცეული საკითხების წარმოჩენა იტალიურ რენესანსში (ძირითადად, მე-15 საუკუნეში, თუმცა თემა, ნაწილობრივ, მე-14 და მე-16 საუკუნეებსაც ეხება), რომელთა მეტ-ნაკლებად შესაბამისად, ვითარდებოდა იმდროინდელი მიმართულებები განათლებაში. კვლევაში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ თემებზე: პლატონისა თუ არისტოტელეს ფილოსოფიების უპირატესობა; სამოქალაქო თუ მჭვრეტელობითი ცხოვრების უპირატესობა; რიტორიკის დომინანტური როლის შენარჩუნება განათლებასა და მოღვაწეობაში თუ შინაარსზე კონცენტრაცია; სქოლასტიკური განათლების შენარჩუნება თუ ანტიკურის რადიკალური აღორძინება; სწავლა-განათლება სერიოზული და მკაცრი თუ სიამოვნებითა და სიხარულით გამსჭვალული. საერთო ჯამში, ასეთი კვლევა წარმოაჩენს ფილოსოფიური თეორიული კვლევებისა და პოლემიკის პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას განათლების თავისებურებებზე და აქცენტებზე. მე-15 საუკუნის იტალიაში როგორც ფილოსოფიური პოლემიკის თემატიკა, ასევე შესაბამისი აქცენტები განათლებაში დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება.

2.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.
2.

3.2. დასრულებული პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

10.1. ნანა გულიაშვილი, აკაკი ყულიჯანიშვილი - რომანტიზმის ესთეტიკა. კოდი ISBN 978-9941-33-667-6. 180 გვ.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

10.1ნაშრომი წარმოადგენს მონოგრაფიას, ის არის კვლევა, რომელიც განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფილოსოფიის მიმართულების ესთეტიკისა და კულტურის ფილოსოფიის კათედრაზე.

ნაშრომში განხილულია (გერმანული), იენის რომანტიკული სკოლის ფილოსოფიური საფუძვლები. ნაჩვენებია, თუ რა კავშირშია გერმანული რომანტიკული სკოლა კანტისა და ფიხტეს ფილოსოფიურ ნააზრევთან. აგრეთვე ნაჩვენებია ფრ. შელინგის დამსახურება რომანტიკული მსოფლმხედველობის საბოლოოდ ჩამოყალიბებაში. წარმოდგენილია ასევე რომანტიკულ ფილოსოფიასა და საგნობრივ ესთეტიკას შორის კავშირები ძმები შლეგელების, ნოვალისის, ტიკის შემოქმედების მაგალითზე.
განხილულია ესთეტიკის ფუნდამენტური საკითხები: კატეგორიების პრობლემა ფრ. შელინგის ფილოსოფიაში, ხელოვნების ფორმათა კლასიფიკაცია. ფუნდამენტური საკითხია ასევე ირონია, როგორც რომანტიზმის ესთეტიკის ძირითადი კატეგორია.
განხილულია ძმები შლეგელები, როგორც რომანტიზმის ფილოსოფიის და პრაქტიკული ესთეტიკის შუამავალი რგოლი.

5.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

10.1 ნანა გულიაშვილი - ხელოვნების ფილოსოფია. სახელმძღვანელო (სალექციო კურსი) კოდი ISBN 978-9941-33-487-0. 335გვ.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
10.1 რატომ ხელოვნების ფილოსოფია? მაშინ როცა ხელოვნების შემსწავლელი კერძო მეცნიერებები არსებობს, ხელოვნების ისტორია და სხვ. საქმე ისაა, რომ ხელოვნების ფილოსოფიას არ აინტერესებს კონკრეტული ხელოვნების ნაწარმოებები. მისი მიზანია გაარკვიოს ხელოვნების, როგორც ასეთის, არსი და ბუნება, აჩვენოს თუ რატომ არის ადამიანური შემოქმედების ისეთი განსხვავებული სფეროები, როგორიცაა: მუსიკა, ქორეოგრაფია, ლიტერატურა, არქიტექტურა,მხატვრობა, სამსახიობო ხელოვნება და გამოყენებითი ხელოვნება, ხელოვნების ცნების ქვეშ გაერთიანებული. ხელოვნება პირობითად შეიძლება დავყოთ კლასიკურ, მოდერნულ და პოსტმოდერნულ ხელოვნებად.
ხელოვნება თავისი რთული და მრავალმხრივი ბუნებიდან გამომდინარე ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარად ავლენს თავს. ხელოვნების ფილოსოფიამ ეს ფაქტი უნდა გაითვალისწინოს, ასევე უნდა შეძლოს განსხვავებების შიგნით მოძებნოს ინვარიანტული ნიშნები, რომელიც იქნება დამახასიათებელი ხელოვნების თვითოეული დარგისა და მისი ისტორიულად გამოვლენილი ფორმებისთვის საფუძველი. ჩვენი მიზანია, თემატურად ჩავწვდეთ ძირითად არსს ხელოვნებაში. ფილოსოფიურ კატეგორიებზე დაყრდნობით, თუ როგორ ხდება მხატვრული ხორცშესხმა.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. 1.დემურ ჯალაღონია, პლატონის პოლიტიკური დიალოგების ფენომენოლოგიური ანალიზი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცის მასალები, ელექტრო ვერსია
1.2. დემურ ჯალაღონია, დემოკრატია პოსტმოდერნულ დისკურსში, ამერიკისმცოდნეობის 24-ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, თსუ. მასალები. ელექტრო ვერსია

2.1.ლელა ალექსიძე, "ლეონარდო და ვინჩის 'თვალის ქება' და ხედვის თეორია რენესანსის პლატონიზმში". *ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV,* 2023, ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 13 გვ. (სტატია გამოქვეყნების პროცესშია და DOI ცნობილი იქნება ავტორებისთვის 2023 წლის ბოლოსთვის).

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

2.1.ანტიკური, შუა საუკუნეების და რენესანსის პლატონიზმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემა ხედვა/ჭვრეტა და მასთან დაკავშირებული ფიზიკური, ფსიქოლოგიური და გონისმიერი საკითხებია. ხედვის თემა რენესანსის არა მხოლოდ ფილოსოფოსებისა და თეოლოგებისთვის, არამედ მხატვრული წრეებისთვისაც აქტუალური იყო, თუმცა მათთვის, პლატონიკოსი ფილოსოფოსებისგან განსხვავებით, უფრო არსებითი იყო, ალბათ, არა იმდენად უხილავისა და დაფარულის 'დანახვა' (თუნდაც ხილულის გზით), არამედ სწორედ ხილულისა და მისი ხედვის მნიშვნელობის წარმოჩენა და, ზოგადად, ხედვითი აღქმის სიდიადის ჩვენება. ნაშრომში ლეონარდო და ვინჩის მხატვრობის შესახებ რამდენიმე ჩანაწერის საფუძველზე განხილულია ლეონარდოს, როგორც მხატვრის მიდგომა ხედვის თეორიისადმი და წარმოჩენილია მისეული შეხედულებების ძირითადი თავისებურებები მისი თანამედროვე პლატონიკოსის - მარსილიო ფიჩინოს ხედვის ფილოსოფიურ თეორიასთან მიმართებაში. პლატონიკოსებისთვისაც და ლეონარდოსთვისაც სხეული სულის საპყრობილეა, ადამიანი სხეულის ციხეში თუ გამოქვაბულში ცხოვრობს. როგორც პლატონიკოსების, ასევე ლეონარდოს აზრით, ადამიანის მიზანი ამ ციხიდან გასვლაა. ოღონდ გასვლა როგორ, რა გზით? აქ თავს იჩენს განსხვავება: ლეონარდოსთვის ციხიდან გასვლა არა სხეულის მიტოვებას ნიშნავს, არამედ სხეულში ბედნიერად ცხოვრებას თვალით ნანახის საფუძველზე: ფიზიკური მზერა (და, ამის შედეგად, მხატვრობა როგორც შემოქმედება და ნახატის ყურებაც) ადამიანს ამ თავისუფლებას ანიჭებს. ნახატი ბუნებას გამოხატავს, ბუნება - ღმერთის ქმნილებაა. ლეონარდოსთან მეტაფიზიკურიც ფიზიკურად დანახვადში იყრის თავს და ეს არის მისთვის სრულყოფილება და ბედნიერება. პლატონიკოსებთან ცოტა სხვაგვარადაა საქმე: როგორ მაღალ შეფასებასაც არ უნდა აძლევდნენ ისინი ხილულ მშვენიერებას (რასაც ფიჩინო ყოველთვის აკეთებს), ის მათთვის მაინც ღვთაებრივი სიკეთის მშვენიერი, სრულიად ლეგიტიმური, აუცილებელი, მაგრამ მაინც არასარულყოფილი ხატია, რომლის ჭვრეტით უხილავი ორიგინალისკენ უნდა მივისწრაფოდეთ. პლატონიკოსებისგან განსხვავებით, ლეონარდო, როგორც ჩანს, არც ბუნებას და არც ნახატს ღვთაებრივი სიბრძნის არასრულყოფილ ასლად და მინაბაძად არ აღიქვამდა, პირიქით: ის ნახატს (ის, რაც პლატონურად 'მინაბაძის მინაბაძია') თავის მოდელზე/პარადიგმაზე დაბალ დონეზე მყოფად არ მიიჩნევდა, მეტიც, ნახატს მოდელის და, წარმოსახვით, იმაზე მეტის გამოხატვაც შეეძლო.
3.1იმედი არის საკუთარი ცხოვრების (მომავალში) ცვლილების შესაძლებლობის იმედი. ეს ეფუძნება სამ ონტოლოგიურ დებულებას: სამყაროს არსებობის წესია შესაძლებლობა, ჩემს

გარეთ არსებობს რაღაც, რომელსაც შეუძლია, ჩემთვის სასიკეთოდ შეცვალოს რეალობა. ადამიანისთვის იმედის ქონის საფუძველია ადამიანის ყოფიერების ბუნება, იგი, როგორც დროითი, ექსტატური ყოფიერება, წარსეული-აწმყო-მომავალის სახით დაყოფილ დროში ცხოვრობს, იგი თავის თავის, „აქ და ახლა" მყოფობის გარეთ გადის, რადგან მისთვის მთავარია მომავალი, რომელიც მისთვის ყოველთვის უცნობი, განუსაზღვრელი და სახიფათოა.იმედი არის მეტაფიზიკის უკანასკნელი ნაშთი. მეამბოხე და აბსურდის ადამიანები იმედს მოკლებულ არიან არა იმიტომ, რომ მათ არ სურთ იმედი, არამედ ფხიზელი გონებით იმედის ნახტომის განხორციელება შეუძლებლად მიაჩნიათ. მიუხედავად ამისა, ადამიანს ახასიათებს ბუნებრივი მიდრეკილება იმედის აღიარებისა. სიზიფეს რისი იმედი შეიძლება ჰქონდეს. საკუთარი თავის იმედი, იგი იბრძვის იმედის მოპოვებისთვის. იგი უარს ამბობს, წინასწარ მიიღოს ხსნის იმედი, იმედი ხილული და დასაბუთებული უნდა იყოს. ყოველგვარ სიცხადეს მოკლებული ნახტომი ადამიანში აღვიძებს უსაფუძვლო იმედს, რაც სახიფათოა.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. 1. დემურ ჯალაღონია, ადამიანის ფენომენი ფილოსოფიურ-თეოლოგიურ დისკურსში, თბილისი, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი,,,ლოგოსი", ISSN 1987-6661

1.2.დემურ ჯალაღონია, პლატონის „მმართველი" ახალ პოლიტიკურ დისკურსში, ,,ფილოსოფიურ-თეილოგიური მიმომხილველი" N 13 2023.ISSN 2233-3568, თბილისი თსუ გამომცემლობა

2.1. ლელა ალექსიძე, "ხედვის (ნეო)პლატონური თეორია მარსილიო ფიჩინოსთან". *ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი,* 2023, 13, ISSN 2233-3568, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 51-63.

3. 1. ვალერიან რამიშვილი, პლატონი vs ჰაიდეგერი "khora და Ereignis" ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი N13 გვ.92-97, თბილისი,თსუ გამომცემლობა, 2023 ISSN2233-3568, თსუ გამომცემლობა 2023

4. 1. ანასტასია ზაქარიაძე, ჯონ დიუი. მორალურ ცნებათა რეკონსტრუქცია. ინგლისურიდან თარგმანი დაკომენტარები. *ჟ. ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმოხილველი N13/2023*, თსუ გამ-ზა. ISSN 2233-3568, გვ. 250-264

4.2. ანასტასია ზაქარიაძე, დიუი-ფილოსოფიის ტრადიციული სქემის რეკონსტრუქტორი- *ჟ. ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმოხილველი N13/2023.* თსუ, ISSN 2233-3568, გვ. 265-272.

4.3. ანასტასია ზაქარიაძე, ექსისტენციალიზმის რეცეფცია ამერიკულ *ფილოსოფიაში. XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.* თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ელექტრონული გამოცემა.

4.4. ანასტასია ზაქარიაძე, მორალური ღირებულებები ზნეობრივი აღზრდის პარადიგმაში - გამოწვევები და სიძნელეები, სამეცნიერო ჟურნალი ლოგოსი # 10/2023, ISSN -1987-6661 გვ. 250-256.

4.5. ანასტასია ზაქარიაძე, განათლების ფილოსოფიის ფუტუროლოგიური *პარადიგმა.ჟ. ამერიკის შესწავლის საკითხები #*8/2021 ISSN 1512-1585, გვ 446-482. (გამოიცა 2023)

5.1.ირაკლი ბრაჭული, პარადიგმათა ცვლილებანი ფილოსოფიასა და განათლების გლობალურ რეფორმებში, *სამეცნიერო ჟურნალი ლოგოსი* # 10/2023, ISSN -1987-6661 გვ. 54-59.
6.1.ნაპო კვარაცხელია, აზროვნების პოლიფონიურობა და პლურალიზმი (პლატონი და პოპერი), 2023 წლის 20-21 ივლისი მეჩვიდმეტე საფაკულტეტო კონფერენცია, მიეძღვნა პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლისთავს. ელექტრო ვერსია

6.2 ნაპო კვარაცხელია, ერი და ინდივიდი, ამერიკისმცოდნეობის 24-ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია 18-20 მაისი 2023, ელექტრო ვერსია
6.3. ნაპო კვარაცხელის, შემეცნების სუბიექტისა და ცოდნის იგივეობის პრობლემა, ფილოსოფიურ-თეილოგიური მიმომხილველი N 13, 2023.ISSN 2233-3568
7.1. მამუკა დოლიძე: „თეატრალური გარდასახვის ფენომენოლოგია“. ჟურნალში „ ფილოსოფიურ თეოლოგიური მიმომხილველი“ თსუ. N 13; 2023 წ UDC F 562 F52 გვ 226-235.
7.2.მამუკა დოლიძე: “ ჰაბერმასის კომუნიკაციური გონება და ჰუსერლის ფენომენოლოგია « მიღებულია დასაბეჭდათ. კრებული „ ფილოსოფიურ თეოლოგიური მიმომხილველი“ N 14 თსუ. ფილოსოფიის სასწავლო- სამეცნიერო ინსტიტუტი.
8.1. მამია სურმავა, თავისუფლებისა და სამართლიანობის მიმართების პრობლემა ჟან-პოლ სარტრისა და თეოდორ ადორნოს პოლიტიკის ფილოსოფიაში (პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 8 გვერდი), ელექტრო ვერსია
8.2.მამია სურმავა, ცნობიერების ნატურალისტური ელიმინაცია როგორც თანამედროვე ცნობიერების ფილოსოფიის გამოწვევა და ბერნარდო კასტრუპის „ანალიტიკური იდეალიზმი“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, იუნესკოს ფარგლებში ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „თსუ ფილოსოფია 105“ მასალები, 10 გვერდი.
8.3. სურმავა, საკუთარ თავად ყოფნის პრობლემა სორენ კირკეგორის ფილოსოფიაში (ჟურნალი „აფინაჟი“, https://apinazhi.ge/journal/183--.html, 17 გვერდი)
9.1. ელიზბარ ელიზბარაშვილი, ფილოსოფიის დაწყება, როგორც ლოგოსის ადამიანის „დაბადება“ ისტორიაში. ჟურნ. ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი. ივ.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი. N 13 ISSN 2233-3568 თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა.( 282 )115-127 გვ.
10.1 ნანა გულიაშვილი; ხელოვნების ენა, როგორც სოციოკულტურული ცხოვრების სარკე; კრებული - ფილოსოფიური ძიებანი ტ. XXVII; გვ. 7.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.1. ადამიანის ფენომენი, ფილოსოფიურ-თეოლოგიურ დისკურსში
კაცობრიობა XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში უდიდესი სამეცნიერო-ტექნიკური გადატრიალების მოწმე გახდა. ,,თავბრუდამხვევი ისტორიული განვითარების პირობებში მრავალი ფაქტორი იკვეთება, საიდანაც შეიძლება გამოვყოთ ორი: ... ჯერ ერთი, ჩამოყალიბდა მსოფლიო საზოგადოება, რომელიც ცალკეული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურალური ძალა მტკიცედ არის ერთმანეთთან დაკავშირებული; სხვადასხვა სასიცოცხლო სივრცე კი ერთმანეთს გამსჭვალავს. მეორე, არნახული განვითარება განიცადა

ადამიანურმა შესაძლებლობებმა, კეთებისა და განადგურების ძალაუფლებამ“. (რატცინგერი იოზეფ, 2010:61)

განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსა და ცხოვრების მაღალ დონესთან გვაქვს საქმე, ადამიანთა დიდი ნაწილი ცხოვრების საზრისის დაკარგვამდე, ზნეობრივ გადაგვარებამდე მივიდა, რასაც ფონად ქრისტიანული სულიერი დაქვეითება უდევს. გავიხსენოთ ბიბლიიდან, ,,მოველოდე კეთილსა და აჰა ესერა, შემემთხვნეს მე დღენი ბოროტნი'' (ბიბლია, 1989).

მას შემდეგ, რაც ადამიანმა გონივრული თვალით შეხედა ბუნებას, გარეგან სამყაროს, მრავალი საუკუნის განმავლობაში ცვლიდა და ცვლის მას, როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ზემოქმედებით, როგორც დადებითად, ისე უარყოფითად. ტექნიკურმა პროგრესმა დაჩქარა წონასწორობის დარღვევა ბუნებასა და ადამიანის ურთიერთობებში. ჰაერი, წყალი, ნიადაგი... იმდენად გაიფლანდა, გამოიფიტა და გაჭუჭყიანდა, რომ ადამიანის ოიკოსი, როგორადაც წარმოგვიდგებოდა ბუნება ოდითგან აღარ შეესაბამება მის დანიშნულებას, ვერ ასრულებს თავის ფუნქციას. ყოველივე მან ადამიანზე უდიდესი უარყოფითი გავლენა მოახდინა.

თანამედროვეობის ტენდენციები, რომელიც სწრაფ ცვალებად სამყაროს ახასიათებს, გამოიხატა ლიბერალურ და სეკულარულ თეორიებში, რომელიც დაუპირისპირდა დასავლური კულტურის ორ საყრდენს - ანტიკურ აზროვნებასა და ბიბლიურ რელიგიას.

ფილოსოფოსები ამ ეპოქას ,,თანამედროვეობის კრიზისს'' უწოდებენ. აზროვნების ეს ორი კონცეპტი ცნობილია იერუსალიმის და ათენის სახელით. ეს ორი სააზროვნო დისკურსი დასავლური კულტურის განვითარებას და არსებობას განაპირობებდა. ამ ორი დაპირისპირებული პოლუსის შერიგება ისტორიულად ვერა და ვერ ხერხდებოდა. (დომინიკ კოლა, 2000).

თანამედროვეობის კრიზის გასაცნობიერებლად და მისი დაძლევისათვის უნდა მოხდეს მათი რეაქტუალიზაცია და რეინტერპრეტაცია.

ურთიერთდაპირისპირებული აზროვნების კონცეპტის ,,გადაულახავი წინააღმდეგობის'' გააზრება ხსნის ფილოსოფიურ, თეოლოგიურ და პოლიტიკური აზრის ახალ პერსპექტივას, რაც თანამედროვე მოაზროვნეებთან გამოიხატება, რაციონალური აზროვნების ახალ დისკურსში. მთავარი მდგომარეობს არა იმაში, რომელი გზაა სწორი, არამედ რომელი გზა წარმართავს ადამიანს, მის ცხოვრებას უკეთესად, როგორც სულიერად ისე მორალურად.

საკაცობრიო კულტურის მომავალი, მათ დამოუკიდებელ განვითარებაში უნდა ვეძებოთ და ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია თუ არა მათი უნივერსალური სინთეზი. რადგან ადამიანი უცილობლად თავისი საზღვრითი ექსისტენციალური მდგომარეობის გამო რელიგიასა და მეცნიერებას, გამოცხადებასა და გონებას, ეკლესიასა და აკადემიას შორის დიალოგს ანუ ახალი კომუნიკაციის გზის მონახვას უნდა შეეცადოს, რომელიც გახსნის თანამედროვეობისათვის ახალ სულიერების ჰორიზონტს.

ჩვენი საუკუნე ესაა მღელვარე ეპოქა, სადაც ადამიანის საყრდენი მორღვეულია. ადამიანები საზრისის ძიებაში არიან და ელოდებიან ხსნას. მუდმივად ახალ გზას ეძებდნენ...

პირველი: გზა, რომელიც ადამიანმა აირჩია, იყო პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებისთვის ბრძოლა, საუბედუროდ ამით სამყარო არ გაუმჯობესებულა.

მეორე: გზა, როდესაც ადამიანები დიდ იმედებს ამყარებდნენ იყო განათლება. ახალი დროის დევიზი გახლდათ: ,,ცოდნა ძალაა''. იგი დიდი ხნის განმავლობაში ნათელ გონივრულ გზად ეჩვენებოდა კაცობრიობას. მართლაცდა გადადგმულია დიდი ნაბიჯები წინ მეცნიერებაში, ტექნიკაში, მაგრამ ,,ამავე დროს უზარმაზარი ნაბიჯები გადადგმულია უკან სულიერებაში, რწმენაში, ზნეობაში და ასევე მოხდა დიდი დაპირისპირება ბუნებასთან''. (ილია II, კათალიკოს-პატრიარქი: 2008).

მესამე: ყველაზე მაცდუნებელი გზა, ესაა ცხოვრების მაღალი სტანდარტების მიღწევა-სწრაფვა ფუფუნებისაკენ, რომელსაც უწოდებდნენ ,,ცხოვრების მაღალ სტანდარტებს”. ესაა

გლობალიზაციის და ეკოლოგიური და სულიერი კატაკლიზმების ეპოქა. შედეგად ვღებულობ გაუცხოვებას. კომფორტი, რაკი ერთხელ შემოტანილი იქნა ადამიანურ ღირებულებათა ,,სიაში'', დღეს იგი იქცა უმაღლეს ღირებულებად. მან დაჩრდილა ყველ სხვა ტრადიციული ღირებულებანი.

ადამიანი განიცდის, თავის პიროვნებაში ატარებს პროცესს, რომელსაც არა აქვს არც დასაბამი, არც დასასრული. ადამიანის მე, როგორც ისტორიის სუბიექტი, მოქცეულია ამ უსასრულობის ერთ ხანიერ მონაკვეთში. მათ არ შორდებათ ,,გაურკვევლობის განცდა''...ის ისევ ძიებაშია. დაკარგულის ძიებაში...

1.2. პლატონის „მმართველი" ახალ პოლიტიკურ დისკურსში

პოლიტიკური ფილოსოფიის დაფუძნების ეპოქას, ხშირად, ეჭვით უყურებენ. მაგრამ კლასიკური აზროვნების სტანდარტები მეტრია დღევანდელი პოლიტიკური ფილოსოფიური სააზროვნო სივრცისათვის.

კლასიკური პოლიტიკური ფილოსოფიის უმთავრესი წარმომადგენელი პლატონია.

ამ შემთხვევაში მისი თხზულებების გავლენებზე მივუთითებ.

პლატონთან პოლიტიკური ფილოსოფიის ევოლუცია სამ ეტაპობრივ დისკურსში შეიძლება გავაანალიზოთ.

პლატონთან პოლიტიკური ფილოსოფიის ეტაპები მოიცავს მისი დიალოგების ,,სახელმწიფოს'', ,,პოლიტიკოსის'' და ,,კანონების'' კონცეპრუალურ გააზრება- განხილვას და მათში ერთიანი საერთო პრინციპების გამონახვას.

მასთან პირველ ეტაპს ქმნის დიალოგი ,,სახელმწიფო".

მეორე ეტაპზე ხდება ანალიზი დიალოგი ,,პოლიტიკოსის'', სადაც ხდება გარკვევა თუ ვინ არის პოლიტიკოსი.

მესამე ეტაპი მოიცავს დიალოგ ,,კანონებს".

სახელმწიფოს შესახებ განაზრებები პლატონის მრავალ თხზულებაში გვხვდება, ამ დიალოგთაგან უმნიშვნელოვანესია „სახელმწიფო" (პოლიტეია), რომელიც, პოლიტიკური ფილოსოფიის ერთგვარი გასაღებია, რამდენადაც ის იმ უმნიშვნელოვანესი საკითხების განიხილავს, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების და ადამიანის სახელმწიფოსთან ურთიერთობის უკლებლივ ყველა ასპექტს მოიცავს და უშუალო ზეგავლენას ახდენს პოლიტიკური ცხოვრების წესზე.

პლატონის „სახელმწიფო" სწორედ საუკეთესო პოლისის, საუკეთესო რეჟიმის გამორკვევას ისახავს მიზნად.

პლატონის პოლიტიკური ფილოსოფიის გააზრება წარმოუდგენლად მიგვაჩნია მისი თეორიული ფილოსოფიის გავლენის გააზრების გარეშე. მისი სამივე დიალოგის სინთეზურად გააზრება სრულ წარმოდგენას შეგვიქმნის თუ რა პოლიტიკურ დისკურსს გვთავაზობდა პლატონი.

არსებობს უზარმაზარი ტრადიცია პლატონის წაკითხვის და გაგების, ისე როგორც მისი ფილოსოფიის ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრის მცდელობები. ასევე ხანგრძლივი ტრადიცია არსებობს მისი ნაწარმოებების ინტერპრეტაციების. არსებობს ახალი და განსხვავებული წაკითხვები არისტოტელედან მოყოლებული თანამედროვე პოსტმოდერნისტების ჩათვლით.

პლატონთან ხელისუფლების შესახებ ცოდნა მართველს უფლებას ანიჭებს, როგორ უნდა მართონ განსწავლულმა ადამიანებმა. მნიშვნელოვანია ვინ მართავს ადამიანი, ,,მცოდნენი" თუ კანონი. სწორედ ამ დიალოგების ევოლუციური განვითარების მომენტის ჩვენებით უნდა მოინახოს პლატონისეული პოლიტიკური ფილოსოფიის ტრიხოტომიული განაზრების ერთიანი ხაზი, სხვანაირად მუდმივად ცვლადი სიდიდესავის ვერ ჩავწვდებით მისი პოლიტიკური ფილოსოფიის არსს და სიდიადეს.

ვეცდებით ნათლად ვაჩვენოთ სამართლიანობის ველიდან კანონის უზენაესობამდე მისასვლელი გზა.

ამიტომ ჩვენი მიზანია ერთიან კონტექსტში წავიკითხოთ და წარმოვაჩინოთ პლატონის დიალოგებში პოლიტიკური ფილოსოფიის სისტემური პოლიტიკური ველი.

2. 1. ხედვის, ჭვრეტის და, შესაბამისად, სინათლის წყაროს, მისი გამოვლინებისა და შუქ-ჩრდილების გრადაციას მარსილიო ფიჩინო, როგორც ქრისტიანი პლატონიკოსი, ფილოსოფოსი და თეოლოგი, თითქმის ყველა ნაწერში ეხება. როგორც რენესანსის ეპოქის ადამიანისთვის, ხილული მშვენიერება მისთვის უდიდესი ღირებულებაა. მეორე მხრივ, როგორც ქრისტიანი პლატონიკოსისთვის (რომელმაც ანტიკური ნეოპლატონიზმის დიდი გავლენა განიცადა), ხილული მშვენიერება, თავისთავად ღირებულებასთან ერთად, ის არის, რაც ფილოსოფიურმა 'თვალმა' უნდა გამოიაროს და მას გასცდეს, უხილავი, ღვთაებრივი ნათლისკენ აღმასვლით. ამავე დროს, მარსილიო ფიჩინოსთან ხილული მშვენიერება ინარჩუნებს თავისთავად ღირებულებას, იმიტომაც, რომ ის ღვთაებრივი სიკეთის ხილული გამოხატულებაა. მაგრამ, როგორც პლატონიკოსი ფილოსოფოსისა და თეოლოგისთვის, მარსილიო ფიჩინოსთვის, ბუნებრივია, უფრო მნიშვნელოვანია ამაღლებული ღვათაებრივი უხილავობის 'ხილვისკენ' სწრაფვა. ნაშრომში განხილულია ხედვის ფიჩინოსეული თეორია მისი ორი ტექსტის საფუძველზე: "რა არის ნათელი" და "სიყვარულის შესახებ - კომენტარები პლატონის 'ნადიმზე'", კერძოდ, მეოთხე თავი, სადაც ღვთაებრივი და შინაგანი სინათლეების დიალექტიკაა წარმოჩენილი. 'ქვემოდან ზემოთკენ' ხედვა (ანუ ადამიანის მიერ ღვთაებრივი სამყაროსკენ ჭვრეტა), ფიჩინოს მიხედვით, ვერ იარსებებდა ზემოდან მომდინარე ნათლის გარეშე, რაც, თავის მხრივ, ღმერთის მიერ მისი 'ხედვის' გამოვლინებაა. ამასთანავე, 'ზემოდან ხედვა' თავად ჩვენში ისეა შემოსული, რომ ის ჩვენს საკუთრებად/კუთვნილებად იქცევა და, ფაქტობრივად, ჩვენს შიგნითვე ამ 'გარედან შემოსული' სინათლის ორმაგ ხედვას: ერთი მხრივ, ზემოთკენ, მეორე მხრივ კი ქვემოთკენ განაპირობებს. ჩვენი თავი სადღაც მათ გადაკვეთაზეა და ამ 'ჩვენი თავობის' 'გამოჭერა' და განსაზღვრება არაა ადვილი: ერთი მხრივ, ჩვენი ნამდვილი თავი მაშინ ვართ, როცა ზემოთკენ ვიყურებით, მეორე მხრივ კი, სწორედ საკუთარ თავზე ფიქსირებამ 'შინაგანი ხედვით' განაპირობა ჩვენი მზერის 'დაშვება'. ეს დიალექტიკა შინაგანი და გარეგანი (ზემოდან მომდინარე) ნათლისა, როგორც ვხედავთ, არა მხოლოდ ურთიერთმიმართ გარეგანი სინათლეების/ხედვების დიალექტიკური დაპირისპირება და ერთობაა, არამედ ჩვენს შიგნით არსებული გაორება და ერთიანობაც.

3.1 ადამიანის აზროვნებისთვის ყოფიერების მიღმა გასვლა(ტრანსცენდირება) და ყოფიერების ამქვეყნიურობაში შემოსვლის(შესაქმე) ფენომენი ორი საპირისპირო მეტაფიზიკური პრობლემა და პროცესია. ადამიანის მცდელობა გავიდეს ყოფიერების მიღმა არის მცდელობა გაიგოს რა არის და რა ხდება არსებულთა და თვითონ ყოფიერების მიღმა, ხოლო შესაქმეს პრობლემაა იმის გაგება თუ როგორ ხდება ყოფიერების ამქვეყნად შემოსვლა და გრძნობადი, ხილული არსებულების შექმნის ხდომილება. ქრისტიანული რელიგიის და მეტაფიზიკის უმთავრესი მეტაფიზიკურ-ონტოლოგიური კითხვაა, თუ ვინ და რატომ შექმნა ამქვეყნიურობა? ქრისტიანული შესაქმე ადამიანს ეუბნება, რომ ღმერთმა შექმნა, სამყარო, რომელიც ადამიანისადმი გამოსადეგი, მისაღები და შესაფერისია, მასში ჩადებულია ღვთაებრივი განზრახვა. შესაქმეში გაცემულია პასუხი მეორე კითხვაზეც: ღმერთმა იმიტომ შექმნა ამქვეყნიურობა, რომ ღმერთი კეთილია.ჩვენი მიზანია გავაანალიზოთ პლატონის, კანტის და ჰაიდეგერის მცდელობანი წარმოადგინონ ხილული სამყაროს შესაქმეს ფილოსოფიური ვარიანტები. ისინი ცდილობენ გაიაზრონ თუ რეალურად რას შეუძლია შეასრულოს khora-ს ფუნქცია, თუ რა შეიძლება ყოფილიყო ის, რაც ქმნიდა ხილულ, გრძნობად სამყაროს შესაძლებელს. პლატონი, ჰაიდეგერი ცდილობს გაიაზროს შესაქმეს

საკითხი. ორივე მოაზროვნე ცდილობს წარმოიდგინოს როგორ მოხდა ამქვეყნიურობის შექმნა, რომელიც ადამიანისადმი მისაწვდომი და გასაგებია. რა ხდის შესაძლებელს სრული ტრანსცენდენტის, ყოფიერების ადამიანის აზროვნების და ენობრივი გამოთქმის სივრცეში შემოსვლას, რაც გრძნობად და ხილულ არსებულთა სამყაროს შექმნას გულისხმობს. პლატონი და ჰაიდეგერი ცდილობს ამ პრობლემის გადაჭრას და შემოქავთ კონცეპტები: „ხორას"(Khora) და „ხდომილება"(Ereignis) და მათი მეშვეობით ცდილობენ ახსნან სრულიად სხვას ამქვეყნიურობაში მყოფობის შესაძლებლობა.

4.1. თარგმანი დიუის ამ ნაშრომის ქართულად გადმოტანის პირველი მცდელობაა. მასში ასახულია ამერიკელი ფილოსოფოსის ჯონ დიუის ფილოსოფიის რეკონსტრუქციის ის სეგმენტი, რომელიც მორალს ეკუთვნის. ფილოსოფოსმა სცადა ეჩვენებინა ფილოსოფიის მომავალი. დიუის მიერ წარმოდგენილი ფილოსოფიის რეკონსტრუქციის პროექტი ფოკუსირდება თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას შორის ტრადიციული ბარიერების მოშლის საკითხზე. დიუი ცალსახად უარყოფს აბსოლუტური ჭეშმარიტების ძიებებს ტრადიციული ფილოსოფიის ისტორიულ პანორამაში. მისი მიზანმიმართული ძალისხმევა მიმართულია ფილოსოფიასა და კონკრეტულ ქმედებას შორის ურთიერთშეღწევადობის დემონსტრირებაზე. თავად დიუი ამგვარად განმატრავს „რეკონსტრუქცია- არის ნებისმიერი ჰუმანიტარული და მორალური საკითხის კვლევისათვის იმგვარი მეთოდის გამოყენება (დაკვირვება, ჰიპოთეზების შექმნა და ექსპერიმენტული გადამოწმება), რომლის წყალობითაც ჩვენ უკვე მივედით ფიზიკური ბუნების გაგების თანამედროვე დონემდე"(Dewey: 1971, 3).

4.2. დიუის ეთიკა ცვლის მიზნის ან უზენაესი ეთიკური პრინციპის იდენტიფიცირების მიზანს ღირებულებითი განსჯის გაუმჯობესების მეთოდით. დიუი ამტკიცებდა, რომ ეთიკური კვლევა არის რეფლექსური ინტელექტის გამოყენება ჩვენი გადაწყვეტილების გადასახედად მათზე მოქმედების შედეგების გათვალისწინებით. დიუი ამტკიცებდა, რომ ეთიკური კვლევის დროს ხდება რეფლექსური ინტელექტის გამოყენება ჩვენი მსჯელობების გადასახედად მათი მოქმედების შედეგების გათვალისწინებით. ღირებულებითი მსჯელობები იქცევა ქცევის კორექციის ინსტრუმენტებად, იმ შემთხვევაში თუ ჩვევები წარუმატებელია. როგორც ინსტრუმენტები, ისინი შეიძლება შეფასდეს ინსტრუმენტულად. ჩვენ ვამოწმებთ ჩვენს ღირებულებით მსჯელობებს პრაქტიკაში და ვაკვირდებით არის თუ არა შედეგები დამაკმაყოფილებელი - რამდენად წყვეტენ ისინი ჩვენს პრობლემებს, მისაღებია სავარაუდო გვერდითი ეფექტები, დამაკმაყოფილებელია პასუხები ახალი პრობლემების გადასაჭრელად, არის ალტერნატიული ღირებულებითი მსჯელობის შესაბამისად ცხოვრება მეტად დამაკმაყოფილებელი და შედეგიანი? მორალურ პროგრესს მივაღწევთ თუ მივიღებთ ღირებულებითი მსჯელობების რეფლექსურად გადახედვის ჩვევებს, ყველასთვის ვინც მათ მისდევს ყველაზე ფართო შედეგების პასუხად. ღირებულებითი მსჯელობის გარანტიის პირობები მდგომარეობს ადამიანის ქცევაში, და არა ნებისმიერ აპრიორულად ფიქსირებულ ქცევის მიღმა არსებულ ნიშნულში, როგორიცაა პლატონური ეიდოსები, წმინდა გონება, ან ბუნება. დიუი გვთავაზობს ღირებულებითი მსჯელობის ნატურალისტურ მეტაეთიკას. მისი მეტაეთიკადაფუძნებულია განვითარებისა და სოციალურ ფსიქოლოგიაზე.

4.3. ამერიკულ ფილოსოფიაში ექსისტენციალისტურ ჭრილში პრობლემების კვლევა არ წარმოადგენს პრიორიტეტულს. მიუხედავად ამისა, ამერიკული ფილოსოფია ცდილობს განთავისუფლდეს აკადემიურ სივრცეში დამკვიდრებული შეხედულებიდან, რომ ექსისტენციონალიზმი პოსტ -მსოფლიო ომისდროინდელი ევროპული სიტუაციის მახასიათებელი ხედვაა და ცდილობს მის განხილვას ამერიკული რეალიისადმი უმნიშვნელოვანესი გამოწვევის კუთხით.

თანამედროვე ამერიკელი ექსისტენციალისტები, ფილოსოფოსები: ჰეიზელ ბარნესი, უილიამ ბარეტი და სხვ. საინტერესო და ორიგინალური მიდგომას გვთავაზობენ. ისინი

ცდილობენ "კლასიკოსი"ევროპელ ექსისტენციონალისტთა მიერ შემუშავებულ პლატფორმისგან განსხვავებული, ახლებური ხედვის შემოთავაზებას. ესაა პრაგმატიზმის ფილოსოფიის განწყობების ექსისტენციონალიზმის ტერმინებით გადმოცემის მცდელობა.

ევროპული ექსისტენციონალიზმის რეცეფცია ამერიკულ ფილოსოფიურ ველზე თავს იჩენს "სარგებლიანი არჩევანის" მოდელის დიზაინის სახით. ეს უკანასკნელი თავის მხრივ ემყარება ადამიანის მიერ თავისუფალი ნებით მიღებულ არჩევანს, რომელიც მისი ინდივიდუალური ბუნებიდან, ინდივიდუალური "მე-დან" არის მომდინარე და არ არის დამოკიდებული არანაირ ვალდებულებებსა, თუ პასუხისმგებლობაზე. იზიარებენ რა ძირითად ექსისტენციალურ პოზიციას, რომ პერმანენტული კრიზისის მდგომარეობაში მყოფი ინდივიდი განიცდის შიშს, შფოთსა და სასოწარკვეთილებას, და რომ ეს გრძნობები ადამიანის არსებობის ნიშანია, ამერიკელი ექსისტენციალისტები მთავარ აქცენტს სვავენ ადამიანის მიერ არჩევანის თავისუფლებაზე, რომელიც კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციებზეა დამოკიდებული. ხოლო მორალური არჩევანის ანალიზისას, ისინი იზიარებენ გონივრული ეგოიზმის ეთიკის პლატფორმას.

ხოლო ამერიკული მხატვრულ-ესთეტიკური გონი სრულად იღებს ექსისტენციონალური კრიზისისა და გაუცხობის ევროპულ გაგებას.

4.4. ზნეობრივი აღზრდის თეორიული ჩარჩოს შემუშავებისთვის აუცილებელი პირობაა ფილოსოფიისა და განათლების მეცნიერებათა სფეროში კვლევისთვის გამიზნული საკითხების სინთეზი და შტუდირება.

თანამედროვე განათლების პარადიგმაში ინტელექტუალური და მორალური ასპექტების მოწყვეტა დაუშვებელია. კვლევის უნარების გამომუშავება საჭიროა ორივე მიმართულებით. მაგალითად, ზნეობრივად სწორი ქცევის განსაზღვრისათვის „აბსოლუტური სიკეთისაკენ“ და „საყოველთაო ღირებულებებისაკენ“ აპელირება შედეგს ვერ გამოიღებს, რადგანაც ყოველი სიტუაცია კონკრეტული და უნიკალურია და მოელის შესაბამის პასუხს და არა - მზა რეცეპტს. აქცენტი გადატანილ უნდა იქნეს მსჯელობის უნარის მქონე ინტელექტის განვითარებაზე, რომელიც კვლევას მიმართავს სიტუაციის მაკონსტრუირებელი ფაქტორების კონტექსტუალურ ანალიზზე.

4.5. თანამედროვე გარემო გამორჩეულია ყველა სფეროში მიმდინარე აღმოჩენებით, ცოდნისა და კვლევების საზღვრების გაფართოებით, ახალი ტე ქნოლოგიებით, ელექტრონული კომუნიკაციური ქსელებით. ახალი ტექნოლ ოგიები – ახალი დროის დადგომის ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანია და მათ მიიჩნევენ ე. წ. „ინფორმაციული საზოგადოების“ დაბადების ნიშნადაც. იგი გულისხმობს კაბელურ და სატელიტურ ტელევიზიას, კომპიუტერულ ქსელს, პერსონალურ კომპიუტერებს, ახალ საოფისე ტექნოლოგიებს, განსაკუთრე ბით, ონლაინ ინფორმაციულ მომსახურებას, ტექსტურ რედაქტორებს და ასევე კომპაქტდისკის კითხვით მეხსიერებას. ტექნოლოგიური განვითარე ბის, ინოვაციის ასეთმა ნაკადმა უნდა მიგვიყვანოს სოციალურ ცვლილე ბებთან, მისი ზემოქმედება საზოგადოებაზე ძალიან მნიშვნელოვანია,

6.1. ჩვენი სტატიის თემაა მე-20 ს. ცნობილი ფილოსოფოსის კარლ პოპერის წიგნის სათაური „ღია საზოგადოება და მისი მტრები“, რომელშიც გადმოცემულია მისი მოძღვრება ღია საზოგადოებისა და პლურალიზმის შესახებ. წიგნის სათაური შეიცავს აშკარა წინააღმდეგობას მასში გატარებულ კონცეფციასთან. ავტორი ერთის მხრივ აღიარებს პლურალისტური საზოგადოების ძირითად პრინციპს, რომლის მიხედვითაც ყველა თვალსაზრისს გააჩნია ტანაბარი უფლება არსებობისა, ხოლო მეორეს მხრივ პლატონს ტოტალიტარიზმის მამამთავრად აცხადებს და მას ღია საზოგადოების მტრად მიიჩნევს. აქ სიტყვა „მტერი“ აშკარად სტალინური რიტორიკის ჟურნალიდან აღებული ტერმინია. ცნობილია, რომ სტალინი კლასთა ბრძოლის მარქსისეული თეორიაზე დაყრდნობით სწორედ ჰერაკლიტესავით მტრობას მიიჩნევდა სამყაროსა და საზოგადოების მამოძრავებელ ძალად და სუბსტანციად. იგი აცხადებდა, მტერი კიდევაც რომ არ არსებობდეს, ჩვენ უნდა

გამოვიგონოთო და თვითონ იყო მტრების გამოგონების უბადლო ოსტატი. 2) შეიძლება ითქვას, რომ ფაქტიურად სტალინური ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ დაწერილ ნაშრომში, როგორც ჩანს, პოპერი თვითონ აღმოჩნდა, ნებსით თუ უნებლიედ, მისი გავლენის ქვეშ. არადა, პლატონი არათუ ტოტალიტარიზმის მამა და პლურისტული აზროვნების მტერია, არამედ თანამედროვე დასავლური პლურალიზმის სათავესთან დგას და მისი თეორიული საფუძვლების შემქმნელია. იგი ფილოსოფიაში დიალოგური (დიალექტიკური) აზროვნების პირველი გამომგონებელი და შემქმნელია. ამის დასტურია მისი დიალოგები. 3) რუსმა მეცნიერმა მ. ბახტინმა ამ ვითრების აღსანიშნავად გამოიყენა ტერმინი „აზროვნების პოლიფონიურობა“ თეოდორ დოსტოევსკის შემოქმედების მიმართ, მაგრამ მის საფუძველსა და სათავეს პლატონის დიალოგებში, როგორც აზროვნების დიალოგური ფორმის განროციელებაში, ხედავდა. პლატონის დიალოგები ხომ არსებითად ფილოსფოიური დრამებია (ახალგაზრდობაში თურმე მხატვრულ დრამებსაც წერდა), რომლის პერსონაჟები გარკვეული აზრები და თვალსაზრისებია. უცილობლად შეიძლება ითქვას, რომ პლატონი ფილოსოფიური დრამატურგიისა და მთელი დასავლური აზროვნების პლურალისტური მიმდინარეობის შემქმნელია. უფრო მეტიც, გარკვეული აზრით შეიძლება ვილაპარაკოთ „პლატონის თეატრზე“ (სრულად შესამლებელი ჩანს დიალოგ „ნადიმის“ ინსცენირება).

6.2. ერი ადამიანთა მოდგმის უნიკალური წარმონაქმნია და, ამასთანავე, კაცობრივი არსის ინდივიდუალური გამოვლინება. სწორედ ეს განსაზღვრავს მის „მეტაფიზიკურ ადგილს“ სამყაროს ბუნებითსა და ადამიანურ წყობაში. არ არსებობს ამქვეყნად უფრო დიდი ღირებულება, ვიდრე ერად ყოფნის ღირებულებაა. ინდივიდის მიერ საკუთარი ერი და ეროვნული ყოფიერება ყოველთვის განიცდება და მოიაზრება აბსოლუტურ, უპირობო და თავისთავად რეალობად, მისი პიროვნული ცხოვრების უზენაეს საზრისად.

ყოველი ნორმალური ინდივიდი, თუ ის გადაგვარებული არ არის, თავის თავს მიაკუთვნებს არა უშუალოდ კაცობრიობას, არამედ გარკვეულ ერს: ჩვენ ვიბადებით ჩინელად, ინდოელად, ესპანელად, ქართველად და ა.შ. ჩვენი მიმართება სამყაროსა და კაცობრიობასთან, საერთოდ „კაცობრივ არსთან“ ჩვენივე ეროვნული ყოფიერებით არის განსაზღვრული და გაშუალებული, და ინდივიდი სამართლიანად ამაყობს ამით. დიდ ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე მადლობას სწირავდა ღმერთებს და ბედისწერას, ელინად რომ გაჩნდა და არა ბარბაროსად - არაელინად; იგი დიახაც ამაყობდა თავისი ელინური წარმომავლობით. ყოველი ინდივიდი გარკვეული ერის წარმომადგენელია.

ერი ადამიანთა ისეთი განსაკუთრებული ერთობაა, რომელიც გარდა გენეტიკური წარმომავლობითი და სულიერ-კულტურული ერთიანობისა, საერთო ისტორიული თავგადასავლის ქონას, ისტორიული ბედის ერთიანობას გულისხმობს.

ერის ნიჰილისტური თეორიები (მაგ, ადრეული ქრისტიანობა და მარქსიზმი) ერს ისტორიულ კატეგორიად განიხილავს და, შესაბამისად, მისი წარმომავლობისა და გაქრობის შესამლებლობას ქადაგებს.

ჩვენი აზრით, ერის ყველაზე არსებით, სუბსტანციურად განმსაზღვრელ ნიშნად მისი სულიერ-გონითი ერთიანობა შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან იგი თავის თავში მოიცავს და აერთიანებს ერის ყველა ნიშან-თვისებას. ერის სულიერ-გონითი და კულტურული ცხოვრება უაღრესად რთული სტრუქტურისაა: იგი მოიცავს ყველაფერს საერთოდ - გეოგრაფიული გარემოდან და სამეურნეო-ეკონომიკური ყოფიდან დაწყებული ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩათვლით.

7.1. „თეატრალური გარდასახვის ფენომენოლოგია“. როლის თამაში და მსახიობური გარდასახვა არ წარმოადგენს თეატრალური ხელოვნების და საერთოდ ხელოვნების პრიორიტეტს. Gგარდასახვის მოვლენა ყოფიერების უღრმესი, ფუნდამენტური ფენომენია, რომელიც სიცოცხლის ინდივიდუალობისა და განუმეორებლობის, მეორე მხრივ კი მისი ზოგადარსობრივი მოცემულობის აუცილებელ სინთეზს გულისხმობს.

ყოფიერებაში ერთდროულად მიმდინარეობს ინდივიდუალიზაციისა და გლობალიზაციის პროცესი. Yყოველი ინდივიდუალური არსებობა განუმეორებელია, მაგრამ მეორეს მხრივ, სამყაროში არსებობს წესრიგი და კანონზომიერება, რაც გარკვეულ რეგულარობას, ანუ ინდივიდუალურ მოვლენათა განმეორებადობას გულისხმობს. არსებობის განუმეორებლობის და განმეორებადობის ფენომენოლოგიური ერთიანობის ასახსნელად ჩვენ მივმართავთ ე.წ. " როლების თეორიას". Mჩვენი ღრმა რწმენით, სამყაროს მოვლენებს ახასიათებს ურთიერთჩანაცვლების და ერთმანეთში გარდასახვის უნარი. Gგარკვეულ სიტუაციაში ერთმა მოვლენამ შეიძლება ითამაშოს მეორე მოვლენის როლი და ამავე დროს შეინარჩუნოს საკუთარი, ინდივიდუალური სახე. Aასეთი Uურთიერთჩანაცვლება მოვლენათა მსგავსების, რეგულარობისა და აქედან, სამყაროს წესრიგისა და კანონზომიერების გარანტიაა, რომელიც სწორედ მსახიობური გარდასახვის გზით უკავშირდება სიცოცხლის და ზოგადად, ყოფიერების ინდივიდუაციის პრინციპს. რაც მეტად განუმეორებელი და უნიკალურია მოვლენა, მით მეტად მიისწრაფვის ის გარდაისახოს სხვა მოვლენაში და ამ გზით ეზიაროს ზოგადარსობრივ წესრიგს. Eეს ხდება რეალობაში და ეს ხდება ხელოვნებაშიც.

სიცოცხლის ფენომენოლოგიასთან შედარებითი ანალიზის გზით შეიძლება ვაჩვენოთ, რომ პიროვნული გარდასახვის ეს ფენომენი სცილდება როგორც თეატრის სცენას, ასევე ადამიანური სამყაროს არეალს და ყოფიერების ინდივიდუალობისა და ზოგადარსობრივი მთლიანობის ჰარმონიულობის პრინციპიდან იღებს სათავეს.

7.2. ჰაბერმასის კომუნიკაციური გონება და ჰუსერლის ფენომენოლოგია ჰაბერმასის ნაშრომი – «შემეცნება და ინტერესი » პირად-ემოციური ინტენციის შეჭრა ფილოსოფიურ აზროვნებაში, არსობრივი მომენტი, რაც განასხვავებს ჰაბერმასსა და ჰუსერლს. ესთეტიკური სამყარო, თერაპიული მიმართება და იმპლიციტური, ანუ გაგება - განმარტებითი დისკურსი კომუნიკაციის თეორიის ფენომენოლოგიური გაგება

Eენის ფენომენოლოგია და კომუნიკაციის თეორია მორალური ცნობიერება, როგორც კომუნიკაციური ქმედების მამოძრავებელ ძალა, ადამიანთა ინტერესების თანხვედრის სფეროში.

ახალ დროებაში, განსაკუთრებით ბრენტანოსა და ჰუსერლის შემდეგ, ადამიანური შემეცნების ორიენტირი შეიცვალა. ჭეშმარიტებამ დაკარგა კლასიკური ცოდნის გულგრილი და მიუკერძოებელი ხასიათი და მთლიანად დაექვემდებარა ინდივიდის პირად მისწრაფებებს, მიზნებს, მოგონებებს და ოცნებებს. პირად-ემოციური ინტენციის შეჭრა ფილოსოფიურ აზროვნებაში, ჰაბერმასის აზრით, ნიშნავს პიროვნების ინტერესის ფაქტორის გათვალისწინებას სამყაროს შემეცნებაში. ამ აზრით ავტორმა შექმნა პრაგმატული რაციონალიზმის ახალი მოძღვრება, სადაც ინფორმაციული საზოგადოება და კულტურის ინდუსტრია პოზიტიური თვალსაზრისით იქნა შეფასებული. ამით ჰაბერმასი გაემიჯნა მაქს ჰოკენმეიერს და თეოდორ ადორნოს, რომლებიც პრინციპში არაკეთილგანწყობით შეხვდნენ კულტურის ინდუსტრიას და ინფორმაციულ საზოგადოებას. ჰაბერმასი თვლის, რომ ახალი რაციონალიზმის დაქვემდებარება ადამიანის ინტერესისადმი, ობიექტური ცოდნის სუბიექტივაციას ნიშნავს, რაც Hჰუსერლის ინტენციონალურ ანუ მიზანმიმართულ ცნობიერებას ეხმაურება. ის აგრეთვე მაქს ვებერის სოციოლოგიასაც იზიარებს, სადაც ასევე წამოწეულია სუბიექტის როლი საზოგადოების ცხოვრებაში.

8.1პუბლიკაციაში გაანალიზებულია თანამედროვე პოლიტიკის ფილოსოფიაში დომინირებადი ორი მიდგომის - რესპუბლიკანიზმისა და ლიბერალიზმის ტიპოლოგიური მსგავსება მათ მიერ ინდივიდუალური სიკეთის და სამართლიანობის მორიგების შესაძლებლობის აღიარების თვალსაზრისით. ამ ფონზე ყურადღება მახვილდება ალტერნატიული მიდგომების არსებობის ფაქტზე და მათი გააზრების აქტუალობაზე როგორც პრაქტიკული პოლიტიკის, ისე თანამედროვე პოლიტიკის ფილოსოფიის წინაშე

არსებული გამოწვევებისა და პრობლემების მხრივ. ალტერნატიული მიდგომების რანგში პუბლიკაციაში ანალიზის სამიზნე ხდება ჟან-პოლ სარტრისა და თეოდორ ადორნოს თვალსაზრისები. ინდივიდუალური სიკეთისა და საზოგადოებრივი სიკეთის კონფლიქტის შესახებ ფრანგი ექსისტენციალისტის თვალსაზრისი მისი ონტოლოგიური, ანთროპოლოგიური და სხვა ხასიათის შეხედულებების კონტექსტშია პრეზენტირებული. კერძოდ, ნაჩვენებია იმ დისტინქციის კონკრეტული ასპექტები, რომელსაც სარტრი ყოფიერებასა და ცნობიერებას შორის ატარებს. შესაბამისად, ხაზგასმულია ფრანგი ფილოსოფოსის აზრი იმის თაობაზე, რომ ადამიანის ყოფიერების საზრისი თავისუფლებაა, რის გამოც ჩვენ „გული გვერევა ყოფიერებისაგან", რომელიც უპირისპირდება ჩვენს თავისუფლებას. აქვე ანალიზი მიიმართება სარტრის ფილოსოფიაში ინდივიდისა და სხვების, ინდივიდისა და სოციუმის ერთმანეთთან უწყვეტ და გარდაუვალ კონფლიქტზე; იმაზე, რომ სარტრის თანახმად, სხვები ჯოჯოხეთია, რის გამოც ინდივიდისა და სოციუმის სიკეთეები (გარკვეულწილად მაინც) ერთმანეთთან შეუთავსებელია. პუბლიკაციაში ნაჩვენებია, რომ სწორედ აღნიშნულ გარემოებას უკავშირდება სარტრთან გამოსავლის ძიება და ამ რანგში პროექტის (პროექტირების) პრინციპის დაფუძნება, ვინაიდან, მისი აზრით, პროექტირება (განურჩევლად იმისა, რა ხასიათს ატარებს ის - კულტურულს, სოციალურს, პოლიტიკურს თუ სხვას) ამბოხს წარმოადგენს (უფრო ზუსტად, უნდა წარმოადგენდეს). ფრანგი ექსისტენციალისტის აზრით კი, ინდივიდის ყოფიერების წინააღმდეგ ამბოხი თავისუფლების (ერთადერთი) ჭეშმარიტი განზომილებაა. მისი მეშვეობით ინდივიდი თავისუფლდება ყოფიერებისაგან, სხვებისაგან. პუბლიკაციაში წინ არის წამოწეული ის ფაქტი, რომ სარტრისათვის სხვების, სოციუმის არსებობის პირობებში ამგვარი ნეგატიური თავისუფლება ინდივიდისათვის თავისუფლების ერთადერთი შესაძლებელ ფორმაად გვევლინება ანუ განთავისუფლება გულისხმობს არა რევოლუციას და ახალი სოციალური სისტემის დაფუძნებას, არამედ ინდივიდის ანარქიულ თავისუფლებას, რადგან ყოველი ახალი სისტემა კი ყოველთვის კონფლიქტში მოვა ინდივიდის სიკეთესთან, მის თავისუფლებასთან. სარტრის პოლიტიკის ფილოსოფიური თვალსაზრისის ანალიზის შემდეგ მსჯელობის საგანი თეოდორ ადორნოს სოციალური ფილოსოფია ხდება. ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, რომ გერმანელი ფილოსოფოსისთვისაც ადამიანი დაპირისპირების მიმართებაშია ყოფიერებასთან (ბუნებასთან), რომელიც დისჰარმონია, მრავალი ურთიერთდაპირისპირებული ძალის მოქმედების ასპარეზია და ადამიანს სურს, ბუნებისაგან (მისი ძალადობისაგან) დამოუკიდებელი სუბიექტი გახდეს. პუბლიკაციაში წინა პლანზე არის გამოტანილი ფრანკფურტის სკოლის ამ თვალსაჩინო წარმომადგენლის მოსაზრება, რომ ბუნების მიღმა გასვლა განმანათლებლობით ხორციელდება, რომელიც მრავალის ერთზე დაყვანის გზით ბუნების განჯადოებას გულისხმობს. აქვე გაანალიზებულია ადორნოს მიერ მრავალის ერთზე რედუქციის პრინციპის კრიტიკა იმის საფუძველზე, რომ ის, ფუნდამენტურია რა ადამიანის აზროვნებისათვის და მსჭვალავს რა მის მთელ ყოფიერებას, არაიგივეობრივების იგივეობრივზე დაყვანის ფაქტობრივად ძალადობრივ პრინციპს წარმოადგენს მაშინ, როდესაც რეალობის შემეცნებისათვის და საერთოდ ადამიანის ყოფიერების ორგანიზებისათვის ადექვატური ნეგატიური (ანტისისტემური) აზროვნებაა. ე. ი. ისეთი აზროვნება, რომელიც უარს ამბობს ექვივალენციის მეთოდზე. როგორც ანალიზი უჩვენებს, არაექვივალენციის პრინციპი ადორნოსთან მისი ნებისმიერი გამოყენებისას ისეთი მთელის შექმნას გულისხმობს, რომელიც ერთი ნაწილის, როგორც ცენტრის, გარშემო სხვა ნაწილების ორგანიზებას გამორიცხავს. ამასთან, გერმანელი ფილოსოფოსი ინტელექტუალური აქტივობის (თეორიის) სფეროდან არაექვივალენციის პრინციპის პრაქტიკის სფეროში ექსტრაპოლაციას შესაძლებლად არ თვლის, რადგან მიიჩნევს, რომ სისტემა არაექვივალენციურ სტრუქტურებს ყოველთვის სოციალურ ფუნქციას უჩენს, თავის ინტეგრარულ ელემენტებად აქცევს. ამის გათვალისწინებით პუბლიკაციაში მითითებულია,

რომ ადორნოსათვის, შესაბამისად, ძალადობა სოციალური, პოლიტიკური და კულტურული სინამდვილის კონსტიტუციური ელემენტია. აქვე წინ არის წამოწეული პარალელი, რომელიც, ერთი მხრივ, თეოდორ ადორნოსა და, მეორე მხრივ, ერნესტო ლაკლოს, შანტალ მუფის, სლავოი ჟიჟეკისა და ნიკლას ლუმანის შეხედულებებს შორის არსებობს. პუბლიკაციის დასკვნით ნაწილში ხაზი გაესმის იმ ფაქტს, რომ (1) თანამედროვე რესპუბლიკანიზმი და ლიბერალიზმი (მათ მიერ ექვივალენციური პოლიტიკური სისტემის ნორმატიული სისტემის რანგში აყვანის პირობებში), ფაქტრობრივად, იზიარებენ თავისუფლებისა და სამართლიანობის დაპირისპირების პრაქტიკულად გადალახვის შეუძლებლობის შესახებ სარტრისა და ადორნოს თვალსაზრისს და (2) ასეთ ვითარებაში გამოსავალს პრობლემის არისტოტელეს პრაქტიკული ფილოსოფიის პრინციპების საფუძველზე გააზრება ანუ ნეოარისტოტელური პოლიტიკის ფილოსოფიური მიდგომის განვითარება წარმოადგენს.

8.2. პუბლიკაციაში თანამედროვე ცნობიერების ფილოსოფიის წინაშე მდგარი მთავარი გამოწვევის სახით განხილულია ნატურალისტური ფილოსოფიური სტრატეგია და მისი დომინირებაა, რაც, საბოლოო ჯამში, ცნობიერების ელიმინაციას გულისხმობს. აქვე აღნიშნულია, რომ მატერიალისტური მონიზმი, ნატურალისტური დისკურსი, როგორც ძირითადი თეორიული კონტექსტი, თანამედროვე ფილოსოფიის სპეციფიკას წარმოადგენს. ეს კი ისეთ ფაქტებს განაპირობებს, როგორიცაა დუალიზმის სხვადასხვა ფორმის ბიჰევიორისტული და მატერიალისტური კრიტიკა, ცნობიერების ტვინში მიმდინარე პროცესებთან გაიგივება, სამყაროში მხოლოდ ფიზიკური ელემენტების სხვადასხვა სირთულის ერთობლიობების დაშვება, ცნობიერების კაუზალისტური და ინსრუმენტალისტური თეორიების სიჭარბე, „ინექტივიზმის“ წარმოშობა, „ელიმინაციონისტური მატერიალიზმის“ ფართოდ გავრცელება და სხვ. აქედან გამომდინარე კი, მართალია, ასევე არსებობს დუალისტური მიდგომები (უფრო სწორად ანტინატურალისტური დუალიზმის თანამედროვე ვერსიები), მაგრამ რედუქციონისტული პარადიგმის მიჯნების თვისებრივი გადალახვა თანამედროვე ფილოსოფიის მეინსტრიმისათვის დამახასიათებელ ვითარებას მაინც არ წარმოადგენს. პუბლიკაციაში ყურადღება მახვილდება იმ მნიშვნელოვან გარემოებაზეც, რომ ანტინატურალისტური დუალიზმის თანამედროვე ვერსები არა სუბსტანციების, არამედ თვისებების დუალიზმია. ხოლო თვისებების დუალიზმისათვის არ არის ფუნდამენტური რედუქციონისტული აზროვნების გადალახვა, ნატურალისტური დისკურსის მიღმა გასვლა. მეტიც, თვისებების დუალიზმი მისთვის ამოსავალი (ფუნდამენტური) მიდგომის რანგში გულისხმობს ფიზიკალისტურ ონტოლოგიას, რის პირობებშიც ე.წ. „ქვალია“ ემერჯენტულ (ხშირად ეპიფენომენალურ) თვისებებად წარმოდგება. აღნიშნულის ფონზე ანალიზის საგანი ხდება თანამედროვე ნიდერლანდელი ფილოსოფოსის, ბერნარდო კასტრუფის „ანალიტიკური იდეალიზმი“ და მის ბაზაზე ცნობიერებისა და ტვინის (სულისა და სხეულის) პრობლემის გადაწყვეტა, რადგან აღნიშნული „კონცეფტუალურ-იდეალისტური“ მიდგომა, ფაქტობრივად, ცნობიერების მეტაფიზიკური თეორიის დაფუძნებად გვევლინება. პუბლიკაცია ხაზს უსვამს იმას, რომ კასტრუფი, თავის კონცეფტუალურ ანალიზებში ინტენსიურად იყენებს თანამედროვე კომპიუტერული და სხვა მეცნიერებების მონაცემებს, თეორიულ კონსტრუქტებს და ამგვარი ინტეგრალური მიდგომის ბაზაზე ცდილობს მატერილიზმის ლოგიკური აბსურდულობის და მონისტური იდეალიზმის უალტერნატივობის დემონსტრირებას. აქვე ხაზი ესმება იმ ფაქტსაც, რომ ნიდერლანდელი ფილოსოფოსი მხედველობაში იღებს კლასიკურ ფილოსოფიაში სუბსტანციური, ღირებულებითი და ფსიქოლოგიურ დუალიზმების ფუნქციონირებას, რის ფონზეც (დეკარტის კვალდაკვალ), ერთი მხრივ, მიუთითებს ენასა და ყოველდღიურ ცნობიერებაში ნათლად ფუნქციონირებად გონებისა და მატერიის დიხოტომიაზე, ხოლო, მეორე მხრივ,

„პარსიმონის“ კრიტერიუმზე დაყრდნობით გადალახავს მატერიალისტური პარადიგმის ირაციონალისტურ შედეგებს და სუბსტანციის რანგში აფუძნებს გონების (მონისტურ) პრინციპს, როგორც თეორიულად ერთადერთ დასაბუთებადს და, მაშასადამე, ერთადერთ ლეგიტიმურს.ამასთან, ამ კონცეფტუალურ ჩარჩოებში წყდება მასთან ცნობიერების თვისებების და ფუნქციების, სხეულთან გონების მიმართების საკითხებიც. განხორციელებული ანალიზის საფუძველზე პუბლიკაციის ბოლოს ყურადღება არის გამახვილებული იმ გარემოებაზე, რომ ცნობიერების ანტინატურალისტური თეორიის თვისებების დუალიზმის ბაზაზე ფორმირების თანამედროვე სტრატეგიების კონცეფტუალურ პრობლემათა ფონზე, რაც ფიზიკალისტურ ონტოლოგიაზე მათი დამყარებულობიდან მომდინარეობს, ნიდერლანდელი ფილოსოფოსის პროდეკარტული (თუმცა დეკარტეზე უფრო შორს მიმავალი) კონცეფცია სიმპტომატურად გამოიყურება. სახელდობრ, ბერნარდო კასტრუფის (მონისტური) მეტაფიზიკური იდეალიზმი, რომელიც თვისებრივად გადალახავს ცნობიერების ნატურალისტური ელიმინაციის დომინირებად პარადიგმას და ცნობიერების თვითმყოფად (სუბიექტურ) ბუნებას მყარად აფუძნებს. ხოლო ეს თანამედროვე ფილოსოფიაში მომწიფებულ გარკვეულ - მეტაფიზიკის აღორძინების - ტენდენციაზე მიუთითებს.

8.3. სტატიაში საუბარია კლასიკური და არაკლასიკური (თანამედროვე) ფილოსოფიური ანთროპოლოგიის თავისებურებებზე. შემოტანილია „ანთროპოლოგიური სქემების“ ცნება და შედარებულია კანტისეული სქემების ცნებასთან; მითითებულია მათ მიერ ერთმანეთის მსგავსი კოგნიტური ფუნქციის შესრულება. ამის მეშვეობით გამოკვეთილია ფილოსოფიური ანთროპოლოგიის კონცეფტუალური ინსტრუმენტალიის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. აქვე, მატერიალური ანთროპოლოგიის განმარტების შემდეგ, მოკლედ არის დახასიათებული დანიელი ფილოსოფოსის ცხოვრება და შემოქმედება, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მჭიდრო კავშირი ერთმანეთთ; მოცემულია სორენ კირკეგორის ფილოსოფიის ზოგადი დახასიათებაც, რასაც მთელი პუბლიკაციისათვის თეორიული კარკასის ფუნქცია ეკისრება. ცალცალკე არის დახასიათებული კირკეგორის მიერ გამოყოფილი ადამიანის განვითარების ფაზები: (1) გრძნობადი, (2) მორალური და (3) რელიგიური. გაანალიზებულია თითოეულის თავისებურებები და (პირველი ორის შემთხვევაში) შემდეგ ფაზაზე გადასვლის (ექსისტენციალური) საფუძვლები. წარმოჩენილია აბსურდის კირკეგორისეული გაგება და მისი მიმართება ადამიანის განვითარების რელიგიურ სტადიასთან. ამასთან დაკავშირებით ფართოდ არის დახასიათებული„ ადამიანად ყოფნის სიხარულის“ ცნება.

9.1. ფილოსოფიის დაწყება, როგორც ლოგოსის ადამიანის „დაბადება“ ისტორიაში

ბერძნული ფილოსოფია დაიწყო ქრისტეს შობამდე VII-VI – საუკუნეებში. იგი დაიწყო სასწაულის უარყოფით, რომ სამყაროულ პროცესებს არ განაგებს და არ მართავს ღვთაებრივი, მაგიური ძალები. ადამიანს დაენგრა ფილოსოფიამდელი უმანკო ხედვის კუთხე, რომ ყველაფერი ნამდვილია, ყველაფერი სასწაულია. გაქრა სამყაროს კანონზომიერებისადმი რწმენა, რომ ამ კანონზიმიერებისადმი მორჩილება ადამიანური ბედნიერების საწინდარია.

ეს არის ის ეპოქა მთელი მსოფლიოს ხალხების ისტორიაში, როდესაც არსებობას ასრულებს მითოსის ადამიანი და იბადება ახალი ადამიანი. ამ ახალ ადამიანს ლოგოსის ადამიანს ვუწოდებთ. და ამ გრანდიოზული ისტორიული მოვლენის წინათგრძნობა იყო გმირი ოდისევსის გამოჩენა. მან აცნობა სამყაროს ლოგოსის ადამიანზე, ახალ სამყაროზე, ახალ შესაძლებლობებზე, რომელიც გადაჭრიდა გილგამეშის მიერ დაყენებულ ამოცანას – უკვდავების საკითხს. ეს არის ის ეპოქა, როდესაც ადამიანი იწყებს საკუთარ “ფეხებზე დგომას”, მხოლოდ საკუთარ თავზე დაყრდნობით სამყაროს ინტერპრეტაციას, მიზნების დასახვას და მისკენ სვლას. უკანასკნელი ათასწლეულების მანძილზე მითოსის ადამიანი აცნობიერებს რომ ამად დარჩენით ის ვერ შეძლებდა ღვთაებრივი სიბრძნის ათვისებას და სრულად გათავისებას. იმისათვის რომ მითოლოგემური მატრიცის, როგორც ღვთაებრივი

სიბრძნის ათვისება-გამოყენება ადამიანს სრულად შეძლებოდა, უნდა დაბადებულიყო ლოგოსის ადამიანი, რომელიც ამ ლოგოსის სრულყოფაში ამაღლდებოდა "ღმერთებამდე" და "წაიკითხავდა" მათ სიბრძნეს და ტექნოლოგიებს. ეს არის სამყაროს ხედვის სრული გადაორიენტირება და ფილოსოფიის დაწყება, რომელიც შობს მეცნიერულ და ტექნიკურ აზროვნებას. საბოლოოდ პლატონთან ფილოსოფია გაფორმდა როგორც ადამიანის ღმერთებამდე ამაღლების გზა. შეგვიძლია ვთქვათ რომ ფილოსოფია არის ახალი ადამიანის არსი.

VII-VI-V – საუკუნეებში ახალი ტიპის სულიერი სტრუქტურა წარმოიქმნა; ინდივიდმა პირველად დაიწყო კონცეფციების შექმნა, ადამიანური "სიბრძნის" აშენება. ეს იყო ახალი სულიერი პრაქტიკები, რომელსაც საფუძვლად ედო ინდივიდუალური ცნობიერების სრული გამოღვიძება. ამას თან ახლავდა სამყაროს წესრიგში ეჭვის შეტანა, ნიჰილიზმი და წარსულის "დავიწყება", წარსული სიბრძნის განდევნა საიდუმლო მისტერიებში, საიდუმლო საზოგადოებებში. ამაზე საუბრობდა რუდოლფ შტაინერიც. სიბრძნე გახდა ეზოთერული, ხოლო ეგზოთერიკაში გვქონდა ადამიანის აზროვნების მცდელობები ფილოსოფიასა და მეცნიერებაში.

ქრისტემდე VII-VI – საუკუნეების მიჯნიდან ძველ საბერძნეთში, ქალაქ მილეტში და შემდგომ სხვა ქალაქებშიც, გამოჩნდნენ ადამიანები რომლებიც ქმნიდნენ ინდივიდუალურ კონცეფციებს სამყაროს შესახებ. მაშინდელ სამყაროში ეს იყო გაუმართლებელი უცნაურობა, რომელიც თანამედროვე ადამიანის "მოსვლას" მოასწავებდა. ადრე, ინდივიდუალური კონცეფცია სამყაროს შესახებ აბსურდი იყო იმის ფონზე, როდესაც არსებობდა ღვთაებრივი, უცვლელი სიბრძნე. ამ სიბრძნეში გადმოცემული იყო სამყაროს მთლიანი კანონზომიერება, მისი წარსული, აწმყო და მომავალი. ყველაფერი მემკვიდრეობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. მაგრამ გაჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც აღარ სწამდათ ამ კანონზომიერების, აღარ სწამდათ ღვთაებრივი სასწაულის, რომელიც მართავდა სამყაროს. აღარ სწამდათ ამ სასწაულის პირობებში ადამიანური ბედნიერების მიღწევის. ძველბერძნული პოეზია და ფილოსოფია რომ ხელიხელჩაკიდებული მიდიოდნენ ახალი ადამიანის ასპარეზზე გამოსვლის გზაზე, ეს დიოგენე ლაერტის წიგნშიც შეიმჩნევა, როდესაც ის საბერძნეთში ფილოსოფიის დამწყებებად მითიურ პოეტებს - მუსეოსს და ლინოს მიიჩნევდა.

ბერძნული ტრადიცია ქაოსის მოწესრიგებით და კოსმოსის ჩამოყალიბებით დაიწყო. ჰომეროსთან და ჰესიოდესთან სამყარო კოსმოსია და ამ კოსმოსს "კრავს" ღმერთების მაგიური ძალები – სასწაული. მილეტელთა ქვემდებარე ინტუიცია კი იყო – "სასწაული არ არსებობს!" მათი მისწრაფება იყო – აეხსნათ ყველაფერი არა ღმერთების ურთიერთქმედებით, არამედ საგანთა ურთიერთქმედებით. რელიგიურ აზროვნებასთან დაპირისპირებული მილეტელები თუ სამყაროში უბრალოდ "მოხსნიდნენ" სასწაულს და ამ დროს აზროვნების სხვა წესზე არ გადავიდოდნენ, სამყარო, როგორც კოსმოსი "შემოეფშხვნებოდათ ხელში". მაშინ სამყარო, როგორც მოწესრიგებული მთლიანობა შეუძლებელი იქნებოდა და იგი უნდა შეერაცხათ ქაოსად და შეგრძნებები კი "მატყუარად". მაგრამ აზროვნება თავიდანვე ასეთ ნაბიჯს ვერ გადადგამდა, რადგან ეს იქნებოდა აზროვნებისათვის უსასრულო ნეგაცია, უპერსპექტივო სვლა: რელიგიურ აზრთან და "საღ აზრთან" მყისიერი და სრული დაპირისპირება, რომელიც, პირიქით, მათ უპირატესობას ცალსახად დაადგენდა. ამიტომ პირველმა ფილოსოფოსებმა კოსმოსი "შეკრეს" საგნების დონეზე: რახანც სასწაული უნდა "მოეხსნათ", ისე რომ კოსმოსი არ "შემოფშხვნეოდათ ხელში", ამიტომ ერთადერთი ალტერნატივა იყო, საგნები, სამყარო "შეეკრათ" მათ შორის საერთოს, მუდმივის, ქვემდებარის საშუალებით და ეს არის ἀρχή ("არხე"). საგნების მრავალფეროვნება ან "გარედან" "იკვრება" სასწაულის საშუალებით, ან "შიგნიდან" – არხეთი. თუ დავუშვებთ საგანთა უშუალო ურთიერთქმედებას, რომელიც არ არის გაშუალებული ღვთაებრივი ძალებით, მაშინ უნდა დავუშვათ ის ქვემდებარე, რაც

საერთო სუბსტანციაა და რაც ყველაფერშია, რომელიც პირობაა ამ შეკავშირების. არხე არის “ხიდი” საგნებს შორის.

საერთოს საფუძველზე, როგორც ქვემდებარის მიერ ყველაფრის “შეკვრის” შედეგად სამყაროში გამოიყო ორი პლასტი – შინაგანი და გარეგანი. დაიწყო ყოფიერების “გახლეჩის” პროცესი, რომელიც სრულებით უცხო იყო მითოსის ადამიანისათვის. ეს პროცესი არის სინამდვილის არარეალურად გამოცხადების და შეგრძნებების შემეცნებითი ღირებულების დამდაბლების და ქრობის პროცესთან პარალელური. წყალი თალესთან არის სამყაროს არხე, სუბსტანცია, ყველაფრის ქვემდებარე, რომელიც არის სამყაროს შინაგანი არსი, ხოლო მისი გარეგამოვლინების ფორმებია სამყაროს მრავალფეროვანი საგნები. ყველაფერი წყალია არსობრივად, შინაგანად, ხოლო გარეგნულად გამოიყურება სხვადასხვაგვარად. ამიტომ სამყარო ისეთი არ არის ზუსტად, როგორიც მოჩანს. სამყაროში გვაქვს შინაგანი და გარეგანი, როგორც ცალკეულ საგნებში. შინაგანი – წყალი – აერთიანებს ყველაფერს, ის არის საერთო. შინაგანად სამყარო მხოლოდ წყალია და მეტი არაფერი. მითოსის ადამიანისათვის ყოფიერების სტრუქტურა იყო ერთიანი, მთლიანი, მასში პლასტები არ გამოიყოფოდა; იყო მხოლოდ საკრალური და პროფანული ადგილები სამყაროში, მაგრამ შინაგანს და გარეგანს ეს ადამიანი არ იცნობდა. ლოგოსის ადამიანი ყოფიერების სტრუქტურაში შინაგანი და გარეგანი პლასტების გამოყოფით იწყება. ამიტომაც თალესისათვის ადამიანის შეგრძნებები არ გადმოსცემს სამყაროს ზუსტად ისეთს, როგორიც ის არის. ის კი არის წყალი. ადამიანის შეგრძნებები ვერ ხედავს სამყაროს შინაგან არსს, არხეს და ამიტომაც შეგრძნებები ნეგატიურად ცუდია. გომპერცის აზრით “მას შემდეგ, რაც იონიელებმა ყოველივეს საფუძვლად აღიარეს ერთი ნივთიერება, ეჭვი შეიტანეს შეგრძნებების ჭეშმარიტებაში” (Т. Гомперц. греческие мыслители. СПБ 1911 გვ. 44). სამყაროს შემეცნებაში მთავარი ხდება გონების, რაციოს პრიმატი, რადგანაც გონება ანალიზის გზით ადგენს რა არის სამყაროს ქვემდებარე სუბსტანცია, რაც შეგრძნებებით არ მოჩანს. თუმცა შეგრძნებები არ გვატყუებენ, რადგანაც რასაც ისინი გადმოსცემენ სწორია, მაგრამ მათი უნარი იმდენად შეზღუდულია რომ ვერ სწვდება რეალურ სამყაროს სიღრმეში. შეგრძნებები ნაკლოვანია შემეცნებისას და ამას ჰქვია რომ ისინი ნეგატიურად ცუდია. რაც წარმოუდგენელი იყო მითოსის ადამიანისათვის. მისთვის შეგრძნებები გადმოსცემდნენ სამყაროს რეალობას ისეთს, როგორიც ის ზუსტად იყო. უილიამ გათრი წერს – “ფილოსოფია დაიწყო რწმენით, რომ ამ გარეგნული ქაოსის იქით არსებობს ფარული მუდმივობა და ერთიანობა, რომელსაც თუ შეგრძნებებით არა, გონებით მაინც ვწვდებით” (ულიამ გათრი. ბერძენი ფილოსოფოსები. თბილისი 1983 გვ 40) და აგრძელებს – “მთავარია იმისი რწმენა, რომ ჩვენი გარემომცველი უნივერსიუმის გარეგნული მრავალფეროვნებისა და უწესრიგობის მიღმა არსებობს გონებისათვის მისაწვდომი ძირეული სიმარტივე და მდგრადობა” (ულიამ გათრი. ბერძენი ფილოსოფოსები. თბილისი 1983 გვ 42). – აი ამ რწმენით იყო შეპყრობილი თალესი.

ამ ყოველივედან გამომდინარე ლოგოსის ადამინისათვის დაიწყო თვალხილული სამყაროს ღირებულებითი დისკრიმინაციის პროცესი, იგი თალესის მოსწავლეებში უფრო გამოკვეთილი გახდა. რაც მითოსის ადამიანისათვის სრულებით გაუგებარი იყო – ძველი ადამიანისათვის თვალხილულ სამყაროს ერთადერთი და უმაღლესი ღირებულება ჰქონდა.

ლოგოსის ადამიანის დაბადებით, სამყაროში გაჩნდა ადამიანი, როგორც სამყაროში განსხვავებული, უნიკალური არსება, რომელიც არის არაორგანული და ორგანული ბუნების ნაწილი, სოციუმის წევრი და ფსიქიკის მქონე. შესაბამისად ფილოსოფიამ გახსნა ბუნების და ადამიანისშემსწავლელი მეცნიერებების შესაძლებლობა. ამიტომ ყველა მეცნიერებას საფუძველი უკვე ანტიკურ საბერძნეთში ჩაეყარა. დელფოს ორაკულის წარწერა – “შეიცან თავი შენი” – უკვე სულ სხვაგვარად წაიკითხებოდა, ვიდრე ამას კითხულობდა მითოსის ადამიანი: თვითშემეცნება საკუთარ თავში, როგორც სამყაროს ობიექტურ ნაწილში ღვთაებრივი ძალების მოქმედებების აღწერა და წინასწარმეტყველება კი არ იყო, არამედ

ინდივიდუალური ფსიქიკის და ავტონომიური მორალის მქონე არსების საკუთარ თავში “ჩახედვა”, ფსიქიკაში, როგორც შინაგანში, სუბიექტურ “სამყაროში” მიმდინარე პროცესების და მისი გარეგამოვლინებების აღწერა და პროგნოზირება. ასეთ სუბიექტურ განზომილებას მითოსის ადამიანი არც იცნობდა.

ამ ყოველივეს საფუძველზე სამყაროში “გაჩნდა” სფეროები, რომლის შესახებაც ძველ ადამიანს წარმოდგენაც არ ჰქონდა: გამოიყო სინამდვილის არაორგანული, ორგანული, სოციალური და ფსიქოლოგიური სფეროები, სადაც ყველგან შესაბამისი მეცნიერებების ჩამოყალიბება-განვითარება დაიწყო; ფიზიკა, ბიოლოგია, ფსიქოლოგია მხოლოდ ამ დროს გახდა შესაძლებელი; სამყაროს ინდივიდუალური კონცეფციების შემქმნელებმა აქტიურად დაიწყეს ამ სფეროების კანონების და მექანიზმების დადგენა, რომელიც განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. გაიხსნა ახალ-ახალი მეცნიერების დარგის წარმოქმნის შესაძლებლობა, რომელიც საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა და იგი დღესაც არსებობს. ფსიქოლოგია, როგორც ადამიანის შინაგანი, სულიერი პროცესების შესწავლა, რომელიც საფუძველი ხდება მისი ქცევითი გარეგამოვლინებების _ შესაძლებელი გახდა.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.1. დემურ ჯალაღონია, ადამიანის ფენომენი ფილოსოფიურ-თეოლოგიურ დისკურსში. 2023. გამ-ბა ნოვა მეცნიერება ნიუ-იორკი 2023. გადაცემულია დასაბეჭდად

1.2. დემურ ჯალაღონია, ანთიმოზ ივერიელის ,,ქრისტიანული პოლიტიკა’’ როგორც ახალი თეოლოგიური პარადიგმა, საერთაშორისო სიმპოზიუმი„ანთიმოზ ივერიელის მწყემსობის თეოლოგიური მნიშვნელობა და 17-18 საუკუნეებში დაბეჭდილი მისი ლიტურგიული ტექსტების მუსიკალობა“. 20-24.IX. *სტატია ინგლისურ ენაზე გადაცემულია დასაბეჭდად კრებულში“ საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები-2023“.* რიმნიკუ ვალჩეა, რუმინეთი.

2.1. Lela Alexidze, "Providence and Fate in Ioane Petritsi's Commentary on Proclus' 'Elements of Theology'". *Later Platonists and Their Heirs among Christians, Jews, and Muslims.* Edited by Eva Anagnostou and Ken Parry. DOI: 10.1163/9789004527850_017; ISSN 2213-0039; ISBN 978-90-04-45026-4 (hardback); ISBN 978-90-04-52785-0 (e-book). Leiden/Boston, Brill, 2023, p. 369-380.
2.2. Lela Alexidze, "Aristotle in the 12th century commentaries on Proclus' 'Elements of Theology'". *Platonism and its Heritage. Selected papers from the Nineteenth Annual Conference of the International Society for Neoplatonic Studies.* Edited by John Finamore, Ioanna Patsioli and Giannis Stamatellos. ISBN 9781898910916. Gloucestershire, UK, Prometheus Trust, p. 165-192.
4.1. Moral Values in the Paradigm of Moral Education - Challenges and Difficulties. კრებ-ში "Eternal values and the constantly changing world" გადაცემულია დასაბეჭდად Humanities, Humanities, Newly Published Books, Nova, Religion, Religion and Society. 2023. გამ-ბა. მორალური ღირებულებები ზნეობრივი განათლების პარადიგმაში-გამოწვევები და სიძნელეები. გამ-ბა ნოვა მეცნიერება ნიუ-იორკი 2023. *8 გვერდი (ინგლისურ ენაზე)*
5.1ირაკლი ბრაჭული, პარადიგმათა ცვლილებანი ფილოსოფიასა და განათლების გლობალურ რეფორმებში. კრებ-ში "Eternal values and the constantly changing world" გადაცემულია დასაბეჭდად Humanities, Humanities, Newly Published Books, Nova, Religion, Religion and Society. 2023. გამ-ბა. გამ-ბა ნოვა მეცნიერება ნიუ-იორკი 2023.
7.1 მამუკა დოლიძე : ეკო-წარმოსახვა და კვანტური ფიზიკის ფენომენოლოგია. მიღებულია დასაბეჭდათ. კრებული „ ანალექტა ჰუსერლიანა" ტ. 125 2023წ. შვეიცარია, გამომცემლობა „სპრინგერი" .
7.2 მამუკა დოლიძე; " ხელოვნური ინტელექტის პრობლემა მე 20 საუკუნის ამერიკულ ფილოსოფიაში" მიღებულია დასაბეჭდად ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის 24-ე საერთაშორისო კონფერენციის მასალებში. თსუ. მაისი 18-20, 2023წ.
7.3 მამუკა დოლიძე. სტატია საერთაშორისო ფენომენოლოგიურ კონგრესზე –
"ესთეტიკური გამოცდილების ფენომენოლოგია კომუნიკაციური გონების შუქზე." (ინგლისურ ენაზე) მიღებულია დასაბეჭდათ Gგრანადას უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის ჟურნალში. 14 დეკემბერი. Gგრანადა, ესპანეთი.
9.1 Элизбар Элизбарашвили. Россия и Грузия: Прошлое и будущее стратегических отношений. Сборник материалов Международного научного круглого стола. ISBN 978-5-9296-1216-9 Северо-Кавказский федеральный университет. Ставрополь 2023 ( 334) 167-170.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.2.ანთიმოზ ივერიელის ,,ქრისტიანული პოლიტიკა" როგორც ახალი თეოლოგიური პარადიგმა

ანთიმოზ ივერიელს, რუმინეთის გამორჩეულ უმაღლეს სასულიერო იერარქს და დიდ საზოგადო მოღვაწეს, ერთ-ერთ ურთულეს ეპოქაში მოუწია მოღვაწეობა.

ახალი დროის უმნიშვნელოვანესი ამბები უკვე მომხდარია. ევროპაში მიმდინარეობს გადაწყობა ახალი პოლიტიკური რეალობისათვის. უნგრო-ვლახეთი ოსმალთა პროტექტორატია, მაგრამ ოსმალთა იმპერია ცდილობს განახორციელოს დაუფარავი ექსპანსიური პოლიტიკა, მეჩეთების აშენებიდან კოლაბორაციონისტული მართველობის მოდელის განხორციელებით. დასავლეთიდან ტრანსილვანიის მხარეს კათოლიციზმის დესპანები სხვადასხვა მეთოდებით აქტიურობენ და მართლმადიდებლობის შევიწროვების ხარჯზე მოსახლეობას კათოლიკურ მწამს სთავაზობენ. აღმოსავლეთიდან, ,,ერთმორწმუნე"

რუსეთიდან აგრესიული პოლიტიკა ხორციელდება. ბერძნული მხარეც უარყოფით კონტექსტში აქტიურობს, ამ პროცესებში ჩართულია კონსტანტინეპოლის საპატრიარქოც. ანთიმოზ ივერიელს ამ დიდი ეპოქალური გამოწვევის პერიოდში უხდება მოღვაწეობა.

ანთიმოზ ივერიელმა უნგრო-ვლახეთში შესძლო ჭეშმარიტი ქრისტიანული ღვთისმეტყველების დაფუძნება, მაგრამ ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ იგი ამას ახერხებს სოციალურ-პოლიტიკურ და თეოლოგიურ დისკურსში. მისი ქადაგებები და საქმიანობა ეს გახლავთ საღვთისმეტყველო აზროვნების ლოგოსური მატრიცა. მის მიერ შექმნილი მონასტრის ტიპიკონი და ყოველთა წმინდანთა მონასტრის განაწესი არის ქრისტიანობის სოციალური კონცეფცია, რომლებიც ერთიანობაში ქმნიან ქრისტიანული პოლიტიკურ დისკურს ანუ პოლიტიკურ თეოლოგიას. ამ საკითხებს ანთიმოზი უძღვნის ტრაქტატს; ,,ქრისტიანული პოლიტიკა'', რომელიც გამოვიდა 1715 წელს. ტრაქტატის სრული სახელწოდებაა; ,,შეგონებანი ქრისტიანული პოლიტიკა-ქრისტიანული'', რომელიც კიდურწერილად, იგივე აკროსტიქად არის გალექსილი.

ივერიელი თავის ,,ქრისტიანულ პოლიტიკაში'' ცდილობს ქრისტიანობის და პოლიტიკის არსობრივი მახასიათებელი მოძებნოს. როგორ ესმის ივერიელს პოლიტიკა და საერთოდ რა არის პოლიტიკა?.

პოლიტიკა არის მეცნიერება იმის შესახებ, თუ როგორ მართავენ და იმართებიან ადამიანები. არსებობს დარგი პოლიტიკური ფილოსოფია, რომელსაც პლატონიდან მოყოლებული მნიშვნელოვანი კითხვებით და მასზე პასუხების გაცემითაა დაინტერესებული.

ეს კითხვებია: როგორია კარგი ცხოვრება? როგორია კარგი მმართველობა? რამდენად მოიტანს კარგი მმართველობა კარგ ცხოვრებას? შეიძლება კი კარგი მმართველობის მიღწევა? როგორია ადამიანის ბუნება? ადამიანები უპირატესად კეთილია თუ ბოროტი? ადვილად იცვლება თუ არა ადამიანის ბუნება? სახელმწიფოს რომელი ფორმა უწევს ყველაზე მეტად ანგარიშს ადამიანის ბუნებას საერთო ინტერესის (საჯარო სიკეთის) ხელყოფის გარეშე? (მაქშტადტი, თომას. მ. 2010:37)

ანთიმოზ ივერიელის ტრაქტატი ,,ქრისტიანული პოლიტიკა'', ერთ-ერთი ურთულესი ტექსტია. გარდა ამისა ამ ტექსტისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომი არ არსებობს. წარმოდგენილი კვლევა პირველი მცდელობაა ივერიელის ტრაქტატის პოლიტიკურ-თეოლოგიური გააზრებისა. ტექსტი რთულია იმ თვალსაზრისით, რადგან იგი აკროსტრიხულ, იგავურ ფენებს მოიცავს.

მოგეხსენებათ ივერიელი ტრაქტატში ცდილობს ,,ათენურ-იერუსალიმური'' პარადიგმის დაძლევას. თამამადაც შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მას უნდა სოკრატულ-პლატონური იდეალური სახელმწიფოს მოდელი, ოღონდ ქრისტიანულ-თეოლოგიურ პოლიტიკურ დისკურსში წარმოადგინოს. და ცდილობს დიდი ქრისტიანი მამების საღვთისმეტყველო განაზრებებზე დაყრდნობით მის დაფუძნებას.

ამ დროს ევროპაში იქმნება სახელმწიფოს მმართველობის ახალი ფორმები, სადაც სახელმწიფო სეკულარული უნდა გახდეს. ივერიელი კი ქმნის ახალ ქრისტიანული პოლიტიკურს მოდელს, რაც ,,საშიში და სახიფათოა''. ისე ჩანს თითქოს იგი გრძნობს მოწამეობრივ აღსასრულს. ივერიელი ქრისტესათვის მებრძოლი რაინდია, მისი სწრაფვა ჭეშმარიტებისაკენ ურყევია. ხოლო პოლიტიკურ პლანში თავის ტრაქტატში წარმოგვიდგენს შუა საუკუნის თეოლოგიური დისკურსის და ახალი დროის პოლიტიკური ფილოსოფიის ნააზრევთა კონცეპტუალურ გადააზრებას ღვთისმეტყველურ და პოლიტიკურ თეოლოგიურ დოგმატურ პლანში, რომელსაც ოქროს კვეთად გასდევს თეოლოგიურ- პოლიტიკური აზრთა სიმფონია.

2.1. სტატიაში (''განგება და ბედისწერა იოანე პეტრიწის კომენტარში პროკლეს 'თეოლოგიის საფუძვლებზე''') განხილულია განგებისა და ბედისწერის თემები და მათ შორის

ურთიერთმიმართება პეტრიწის ნაშრომში. პეტრიწი, პლოტინისა და პროკლეს მსგავსად, განასხვავებს ამ ორ ცნებას ერთმანეთისგან და წარმოაჩენს განგების ყოვლისმომცველობას ბედისწერასთან შედარებით. ამ უკანასკნელის სფერო ფიზიკურ სამყაროში არსებული მიზეზ-შედეგობრიობით შემოიფარგლება. საკითხის განხილვა მოიცავს აგრეთვე ნების, თავისუფლების, ბუნებრივი აუცილებლობების, შემთხვევითობის, თავისუფალი არჩევანისა და ადამიანური შესაძლებლობების განხილვას. განგებისა და ნების თემა გამოკვლეულია ერთისა და უნივერსალური გონების, აგრეთვე ადამიანის დონეზე.

2.2. სტატიაში ("არისტოტელე მე-12 საუკუნის კომენტარებში პროკლეს 'თეოლოგიის საფუძვლებზე'") განხილულია არისტოტელეს ფილოსოფიისადმი მიდგომა ნეოპლატონიკოსი პროკლეს "თეოლოგიის საფუძვლებზე" ორ კომენტარში: ნიკოლოზ მეთონელის (ბერძნული) და იოანე პეტრიწის (ქართული). რამდენადაც პეტრიწი გამოირჩევა სიმპათიით პროკლესა და საზოგადოდ ანტიკური ფილოსოფიის მიმართ, იმდენად მტრულად არის განწყობილი მეთონელი პროკლეს და მასთან ერთად, მთელი ანტიკური ფილოსოფიის მიმართ. და მაინც, პროკლესა და პლატონს ის არისტოტელეს ამჯობინებს. სტატიაში ტექსტების დეტალური ფილოსოფიური ანალიზის საფუძველზე განხილულია ყველა შემთხვევა არისტოტელეს ხსენებისა ნიკოლოზ მეთონელის და პეტრიწის ნაშრომებში. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, გარჩეულია რამდენიმე ვარიანტი: პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიების დაპირისპირება პლატონის უპირატესობის ჩვენებით; არისტოტელეს ნეიტრალური ხსენება; მისი ნააზრევის მოწონება და გაზიარება.

4.1. სტატიის მიზანია გამოავლინოს ეთიკური ღირებულებების სწავლების მნიშვნელობა მორალური განათლების პარადიგმაში; ამ სეგმენტის ორგანული ადგილის განსაზღვრა მთლიანად სასწავლო პროცესში, ცოდნის გადაცემისა და მეცნიერებათა სწავლების დინამიკაში. დასაბუთებული არგუმენტები ადასტურებს ტრადიციულ მორალურ ღირებულებებზე ორიენტირებული სწავლებაზე დაფუძნებული შედეგების უპირატესობას, ასევე ამ ტიპის საგანმანათლებლო პროგრამების პრიორიტეტს, სადაც კონკრეტული დისციპლინის ცოდნა და მისი არსებითი მახასიათებლების გააზრება შერწყმულია პიროვნულ განვითარებასთან, რაც წარმოუდგენელია. მისი მორალური და ეთიკური ფენები. იმ უნარებს შორის, რომლებიც აუცილებელია კომპეტენციების მისაღწევად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სიმართლეს, სამართლიანობას, პასუხისმგებლობას, მიტევებას, ღირსებას, ავტონომიურობას, პატრიოტიზმს და ა.შ.

სტატიაში განხილულია, ერთის მხრივ, ის სირთულეები და საფრთხეები, რომლებიც თან ახლავს სამეცნიერო და ტექნოლოგიურ პროგრესს, ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებას, პოსტგლობალიზაციის პროცესებს, სოციალური ცხოვრების სირთულეებს და, მეორე მხრივ, იმ დაბრკოლებებს, რომლებიც დგას წინ. ზნეობრივი მომზადების დანერგვა სასწავლო პროცესში. ეს ურთიერთდაკავშირებული პროცესები განსაკუთრებით ზრდის მორალური ღირებულებების მნიშვნელობას განათლებაში.

7.1 ეკო-წარმოსახვა და კვანტური ფიზიკის ფენომენოლოგია.

სტატიაში განხილულია სიცოცხლის ფენომენოლოგიის კავშირი ეკო- წარმოსახვის ფენომენთან, როგორც ადამიანური არსებობის უცილობელ პირობასთან. მეცნიერული აზროვნების თვალსაზრისით გაშუქებულია კვანტური ფიზიკის თანამედროვე ფენომენოლოგიური ინტერპრეტაცია.

9.1. როგორც არისტოტელემ თქვა, მეგობრობა არის ფენომენი მტრობასა და მლიქვნელობას შორის. ანუ უმოწყალოდ და გამუდმებით არ უნდა გააკრიტიკო მეგობარი, რადგან მტრებად გადაიქცევით, მაგრამ ყველაფერზე არ უნდა შეთანხმდე, რომ ასიამოვნო, როცა იცი, რომ ის ცდება, ეს ქმნის მლიქვნელობას. მეგობრობა სადღაც შუაშია, სადაც უნდა თქვა სიმართლე და მხარი დაუჭირო მეგობარს. ასეა ხალხთა მეგობრობაშიც.

ქართველებისა და რუსების მეგობრობა ტყუილზე არ უნდა იყოს დამყარებული. მხოლოდ სიმართლე, ისტორიული სიმართლე უნდა იყოს ურთიერთობების საფუძველი, რათა ისინი იყოს ძლიერი და რეალური, და არა მყიფე და ყალბი, დაფუძნებული ურთიერთ მოტყუებასა და ექსპლუატაციაზე. მხოლოდ ერთმანეთისთვის სიმართლის თქმა იქნება საფუძველი მეგობრული, მომავლის სტრატეგიული ურთიერთობების დასაწყებად და წარსულის ნეგატივის დაძლევისთვის.

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წელს გეორგიევსკში დადებული ხელშეკრულება იყო საქართველოს მეფის ერეკლე II-ის კარგი და ძალიან მნიშვნელოვანი იდეა, მაგრამ ის არ განხორციელებულა. ხელშეკრულების თანახმად, რუსეთი ვალდებული იყო დაეცვა საქართველო თავისი მტრების თავდასხმისგან, მაგრამ როდესაც 1795 წელს აღა მაჰმად ხანმა, ამ ხელშეკრულების ფაქტით განრისხებულმა საქართველოსკენ გადაისროლა სპარსეთის დიდი ჯარი. ერეკლე II-ის არაერთი თხოვნის მიუხედავად, რუსეთმა ქართველებს არ უშველეს და სპარსეთის მეფემ თბილისი აიღო, გადაწვა და საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი გაანადგურა.

იმ დროს საქართველო რუსეთში ერთი რწმენის ბუნებრივ მოკავშირეს ეძებდა, მაგრამ ეკატერინე მეორე და რუსული პოლიტიკური ელიტა სულ სხვა გეოპოლიტიკურ თამაშს თამაშობდნენ - არა საქართველოს გასაძლიერებლად, არამედ დასასუსტებლად, რათა გაეღიზიანებინა ორივე აღმოსავლეთის იმპერია. საქართველოზე თავდასხმას. საქართველოსთან ომებში მათი დასუსტების მიზნით, რის შემდეგაც რუსეთი ადვილად განახორციელებდა თავის განზრახვებს სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიებთან დაკავშირებით - მთლიანად განდევნა ისინი კავკასიიდან, მაგრამ ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა და მისი რუსეთის მიერ ანექსიის შემდეგად. ქართლ-კახეთის დასუსტებას ხელი შეუწყო ქართველი თავადაზნაურობის ნაწილმაც, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ერეკლე II-ის პოლიტიკას და ანტირუსულ პოლიტიკას ლობირებდა სამეფო ოჯახის წევრების მხრიდან. პირველ რიგში დედოფალი დარეჯანი. გეორგიევსკის ხელშეკრულება არ განხორციელებულა როგორც ორ სახელმწიფოს შორის პარტნიორობა. მაშინ ქართველებს სურდათ რუსეთისთვის ისეთივე პარტნიორები ყოფილიყვნენ, როგორებიც იყვნენ ძველ დროში რომის იმპერიის მოკავშირეები. გაუქმდა ქართული სახელმწიფოებრიობა, მაგრამ ამ ფაქტს აქვს მეორე, დადებითი მხარეც - სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ბატონობის შედეგად ქართველი ერი გადაურჩა ფიზიკურ განადგურებას და ისლამიზაციას, რაც ქართველებისთვის ყოველთვის ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვას უდრიდა. რუსეთმა დაიპყრო სამხრეთ კავკასიის ტერიტორიები, რომლებიც ქართველთა ისტორიული ტერიტორიები იყო და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი საქართველოს შემოუერთა. შედეგად მივიღეთ საქართველოს ფიზიკური ხსნა და მისი ტერიტორიების დაბრუნება, რომლებიც ისტორიულად ქართველებისთვის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა ეს რუსეთის დახმარებით მოხდა.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის ფარგლებში ურთიერთობები არ შედგა, საქართველო-რუსეთის ურთიერთობამ უზრუნველყო საქართველოს ანექსიის შედეგად საქართველოს მოსახლეობისა და ტერიტორიების ხსნა აღმოსავლეთის იმპერიებისაგან. რაც უნდა აღინიშნოს ისტორიულ სიმართლეზე დაყრდნობით.

21-ე საუკუნეში მსოფლიოს ცივილიზაციური და გეოპოლიტიკური სტრუქტურა აღარ არის ისეთი, როგორიც მე-18 საუკუნეში იყო. დღეს რუსეთისთვის საქართველოს დასუსტება და სახელმწიფოებრიობის გაუქმება მიუღებელია მისი გეოპოლიტიკური ინტერესებისთვის... პირიქით, ძლიერი ქართული სახელმწიფო, როგორც რუსეთის მოკავშირე, უზრუნველყოფს რუსეთის ბატონობას კავკასიაში. მაგრამ აქ შეგვიძლია საუბარი რუსეთის უფრო გლობალურ გეოპოლიტიკურ ინტერესებზე განვაგრძო, ვიდრე ეს სამხრეთ კავკასიაა.

თანამედროვე სამყაროს ცივილიზაციურ სტრუქტურაში არის ორი გლობალური, ურთიერთგამომრიცხავი მხარე, რომელიც ეხება კაცობრიობის მომავალს. ერთ-ერთი მათგანია ადამიანების პოსტადამიანებად და საზოგადოებების გადაქცევა „ციფრულ საკონცენტრაციო ბანაკებად“, რაც აქტიურად ხდება ჩინეთსა და დასავლურ სამყაროში. ხოლო მეორე, რომელიც რჩება ადამიანის მხარეზე და მიიწევს ტრადიციული, ჰუმანისტური საზოგადოებებისკენ, რომლის სფეროშიც შეიძლება მოვიაზროთ ჩვენი ხალხები. ჩინეთი ქმნის ამ "ციფრული საკონცენტრაციო ბანაკების" სისტემას სახელმწიფო კონტროლისა და მართვის ოპტიმიზაციის სახელით, დასავლეთი კი იგივეს აკეთებს მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის დროს "ინკლუზიურ" კაპიტალიზმზე გადასვლის სახელით. რომელსაც პროპაგანდას უწევდა კლაუს შვაბი და ლინ დე როტშილდი. როგორც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ხელმძღვანელი, კლაუს შვაბი ამბობს, „საოცარი ახალი სამყარო“ უნდა იყოს თავისუფალი „ბნელი რელიგიური შეხედულებებისგან“ და „ეთნიკური პრეფერენციებისგან“, სადაც ჩამოყალიბდება მწვანე ეკოლოგიაზე გადასვლის იძულებითი მექანიზმები, რომლებიც შეზღუდავს წყლის, ელექტროენერგიის და ორგანული ხორცის გამოყენებას მანქანების გამოყენებას. საოცარი ახალი სამყარო იქნება ადამიანის სხეულის სამედიცინო ავტონომიისგან თავისუფალი, სადაც იქნება იძულებითი მექანიზმები საყოველთაო სავალდებულო ტესტირებისა და ვაქცინაციისკენ გადასვლისთვის, რომელიც მოითხოვს ვაქცინაციას საბაზისო შემოსავლის მიღებისათვის ან ჯანმრთელობის პასპორტს სანაცვლოდ სხვადასხვა სერვისებისთვის. ეს იქნება სამყარო, სადაც ადამიანის „გაუმჯობესება“ მოხდება ტრანსჰუმანიზმის სახელით, რაც სინამდვილეში არის ადამიანის სრული დამორჩილება და დამონება გლობალისტური ელიტის მიერ. ვფიქრობ, კავკასიის ქვეყნები, მთლიანად ისლამური სამყარო, ინდოეთი და აფრიკის ქვეყნები არასოდეს მიიღებენ ასეთ პროგრამას ისტორიის მანძილზე.

ამიტომ, თანამედროვე სამყაროში უნდა ჩამოყალიბდეს ცივილიზაციური „ღერძი“ – „ჩრდილოეთ-სამხრეთი“, რომელიც იქნება ადამიანური ცივილიზაციისა და ადამიანის დაცვისა და განვითარების „ღერძი“. ამ „ღერძის“ გარშემო „იბრუნებენ“ ქრისტიანულ-მართლმადიდებლური, ისლამური, ინდუისტური და ბუდისტური საზოგადოებები და სახელმწიფოები, რომლებიც უარს იტყვიან ადამიანის პოსტადამიანად გადაქცევის მცდელობებზე და საზოგადოებებს დააფუძნებენ ტრადიციული რელიგიების უნივერსალურ ღირებულებებზე. . ცივილიზაციის ეს „ღერძი“ იქნება რუსეთსა და ინდოეთს შორის გამავალი „ღერძი“, რომელზედაც მომავალში განლაგდებიან კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, ასევე არაბული სამყარო. დასავლური და ჩინური ცივილიზაციების ტრანსჰუმანიზაციის კონტექსტში ეს იქნება კაცობრიობის ცივილიზაციის გადარჩენის არეალი, რომელშიც საქართველო მნიშვნელოვან დამაკავშირებელ როლს შეასრულებს. რუსეთ-საქართველო-სომხეთი-ირანი-ინდოეთი და აფრიკის მსოფლიო გზატკეცილი დააკმაყოფილებს არა მხოლოდ მის შემქმნელ მთავარ ლიდერების - ინდოეთისა და რუსეთის - ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებს, არამედ ყველა იმ ხალხის ცივილიზაციურ ინტერესებს, რომლებიც იქნებიან აქ ჩართულნი. ეს ნიშნავს ეკონომიკურ კეთილდღეობას და მშვიდობას. რუსეთი შეიძლება გახდეს ამ ცივილიზაციური და გეოპოლიტიკური პროექტის ლიდერი და ინიციატორი.

სწორედ აქ დგას ჩვენს წინაშე რუსეთისა და საქართველოს ცივილიზაციური და გეოპოლიტიკური მომავლის მთავარი, ჭეშმარიტი საფუძველი. საქართველოს, სომხეთთან ერთად, შეუძლია შეასრულოს ამ „ღერძის გაშვების“ ფუნქცია, ყველა ჩართული მხარის ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოსთვის ეს არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ეკონომიკური ზრდა.

ამისთვის რუსეთი უნდა გახდეს კულტურული ავტორიტეტი მსოფლიოში კლასიკური ჰუმანისტური ღირებულებების დასაცავად. რუსეთის ფედერაციამ საშინაო დავალება უნდა

შეასრულოს ადამიანის „გაძლიერების“ მიმართულებით, რათა თავიდან აიცილოს დასავლურ ცივილიზაციაში მიმდინარე „პოსტადამიანის“ ჩამოყალიბების მოსამზადებელი სამუშაოები: ტრანსსექსუალიზმის, ტრანსსეკოლოგიის, ტრანსკულინარიის კულტივირება. ის არ უნდა შეეგუოს „ციფრული საკონცენტრაციო ბანაკის“ მშენებლობას და ადამიანებში ბიოლოგიური, ციფრული და ტექნოლოგიური ასპექტების სინთეზს. მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის დროს არ უნდა იყოს მიღებული დასავლეთის ფინანსური და პოლიტიკური ელიტის მიერ გავლილი გზა, რომ ამ რევოლუციური ცვლილებების დროს უნდა მოხდეს მოძრაობა „ახალი კოლექტიური და მორალური ცნობიერებისკენ“ და ამ „მენტალიტეტისაკენ“, რომ „სოციალური წესრიგი“ უნდა შეიცვალოს მსოფლიოს მართვის ერთი ცენტრის ჩამოყალიბებით, რომ უნდა მოხდეს სახელმწიფოების პრივატიზება გლობალური კომპანიების მიერ, გაუქმდეს კერძო საკუთრება, ფული, ხალხის უფლება კერძო სივრცეზე და სხეულის ავტონომია მედიცინაში.

რუსეთის სახელმწიფომ ამიერკავკასიის ხალხებს უნდა წარუდგინოს თავი, როგორც გლობალურმა ძალამ, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს „ადამიანის დასასრულის“ პროცესს, რომელიც უკვე გლობალური პროცესია.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1.1.დემურ ჯალაღონია, ადამიანის ფენომენი ფილოსოფიურ-თეოლოგიურ დისკურსში, 16-17 თებერვალი 2023, თბილისი, საერთაშორისო სიმპოზიუმი, მარადიული ღირებულებები და მარად ცვალებადი სამყარო,ეძღვნება უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის აღსაყდრებიდან 45 და დაბადებიდან 90 წლისთავს,

1.2.დემურ ჯალაღონია, პლატონის პოლიტიკური დიალოგების ფენომენოლოგიური ანალიზი, 2023 წლის 20-21 ივლისი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია,

1.3. დემურ ჯალაღონია, დემოკრატია პოსტმოდერნულ დისკურსში, 18-20 მაისი 2023, ამერიკისმცოდნეობის 24-ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, თსუ.

1.4.დემურ ჯალაღონია, სოკრატული ცოდნა და უნივერსიტეტის იდეა, 16-17 ნოემბერი, 2023, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, იუნესკოს პროგრამის ფარგლებში ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თსუ ფილოსოფია – 105,

2.1.ლელა ალექსიძე, "განათლების პარადიგმები ფილოსოფიური კამათების ფონზე კვატროჩენტოში". *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თსუ ფილოსოფია - 105.* 2023 წლის 16-17 ნოემბერი, თბილისი, თსუ.

3.1.ვალერიან რამიშვილი, პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, „იმედის მეტაფიზიკა“ თსუ, თბილისი 2023

3.2. ვალერიან რამიშვილი, საერთაშორისო კონფერენცია თსუ ფილოსოფის 105, მოხსენება „იმედი როგორც ექსისტენციალი“, თსუ, თბილისი, 16. 11.2023

4.1. ანასტასია ზაქარიაძე, ეთიკური ღირებულებები ზნეობრივი აღზრდის პარადიგმაში – გამოწვევები და სიძნელეები. ეთიკური ღირებულებები ზნეობრივი აღზრდის პარადიგმაში – გამოწვევები და სიძნელეები. საერთაშორისო სიმპოზიუმი“ მარადიული ღირებულებები და მარად ცვალებადი სამყარო“. 16-17. II.

4.2. ანასტასია ზაქარიაძე, არაძალადობის ეთიკა - XXI საუკუნის გამოწვევების წინაშე ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიური მე-24 საერთაშორისო კონფერენცია, 18-20. V.

4.3. ანასტასია ზაქარიაძე, მორალური რეგულაციის ახალი ტიპი – პოსტმოდერნიზმი. იუნესკოს ეგიდით ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია „ თსუ ფილოსოფია 105, 16-17. XI

4.4. ანასტასია ზაქარიაძე, ექსისტენციალიზმის რეცეფცია ამერიკულ ფილოსოფიაში. პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. 20-21. VII20-21. VII.

4.5. ანასტასია ზაქარიაძე, პოლიტიკური ეთიკა და XXI საუკუნის გამოწვევები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ინტერდისციპლინარული კვლევების ახალი ჰორიზონტები”. ბათუმი. 23-24. VI

5.1.ირაკლი ბრაჭული, განათლების რეფორმები და ფილოსოფია XXI საუკუნეში, საერთაშორისო სიმპოზიუმი“ მარადიული ღირებულებები და მარად ცვალებადი სამყარო“ 16-17. II

5.2.ირაკლი ბრაჭული, ცვლილებები პრაგმატიზმსა და განათლების ფილოსოფიაში, ამერიკისმცოდნეობის 24-ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, 18/05/2023

5.3 ირაკლი ბრაჭული, განათლების ფილოსოფიის პარადიგმული ცვლილებები,იუნესკოს ეგიდით ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია „ თსუ ფილოსოფია 105, 16-17. XI

6.1 ნაპო კვარაცხელის, აზროვნების პოლიფონიურობა და პლურალიზმი (პლატონი და პოპერი), 2023 წლის 20-21 ივლისი მეჩვიდმეტე საფაკულტეტო კონფერენცია, მიეძღვნა პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლისთავს.

6.2.ნაპო კვარაცხელია, ერი და ინდივიდი, ამერიკისმცოდნეობის 24-ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია 18-20 მაისი 2023,

6.3.ნაპო კვარაცხელია, დელფოს სამისნო და სოკრატეს დემონი, იუნესკოს პროგრამის ფარგლებში ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, ,,თსუ ფილოსოფია 105’’. 16-17 ნოემბერი. 2023 თსუ.

7.1. მამუკა დოლიძე – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი. “პოსტმოდერნული ჰიპერრეალობა.” თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კონფერენცია ( 13-14 ივლისი 2023 )

7.2. მამუკა დოლიძე; “ ხელოვნური ინტელექტის პრობლემა მე 20 საუკუნის ამერიკულ ფილოსოფიაში” ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის 24-ე საერთაშორისო კონფერენციია. თსუ. მაისი 18-20, 2023წ.

7.3. მამუკა დოლიძე - კვანტური ფიზიკის ინდეტერმინიზმი და ხელოვნური ინტელექტის “თავისუფალი ნება” მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე. საქართველოს უნივერსიტეტი, 5-6 ივნისი 2023 წ.

7.4.მამუკა დოლიძე: მოხსენება -“ ჰაბერმასის კომუნიკაციური გონება და ჰუსერლის ფენომენოლოგია « ფილოსოფიის სასწავლო- სამეცნიერო ინსტიტუტი. ფილოსოფოსის დღე „იუნესკოს“ პროგრამის მიხედვით. საერთაშორისო ფილოსოფიური კონფერენცია. 16-17 ნოემბერი 2023 წ .

8.1. მამია სურმავა, თავისუფლებისა და სამართლიანობის მიმართების პრობლემა ჟან-პოლ სარტრისა და თეოდორ ადორნოს პოლიტიკის ფილოსოფიაში (პროფესორ ნოდარ კაკაბაძის

დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, 20-21 ივლისი, 2023);
8.2. მამია სურმავა, ცნობიერების ნატურალისტური ელიმინაცია როგორც თანამედროვე ცნობიერების ფილოსოფიის გამოწვევა და ბერნარდო კასტრუპის „ანალიტიკური იდეალიზმი“ (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, იუნესკოს ფარგლებში ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თსუ ფილოსოფია 105“, 16-17 ნოემბერი, 2023);
8.3. მამია სურმავა, რევოლუციის ტრანსცენდენტალური ბუნება ადამიანის თანამედროვე მასიზაციის პირობებში (საერთაშორისო კონფერენცია „თანამედროვეობა, როგორც კრიზისი, თბილისი, 28.05.2023, ორგანიზატორი: „საერთაშორისო პლატფორმა ცვლილებებისათვის“).
9.1. ელიზბარ ელიზბარაშვილი. ხელოვნური ინტელექტის საფრთხეების გაანალიზება ნიკ ბოსტრომის ფილოსოფიაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ინტერდისციპლინარული კვლევების ახალი ჰორიზონტები. ეძღვნება პროფესორ დავით გოცირიძის 70 წლის იუბილეს. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი ევროკავშირის საგრანტო პროექტის KEAC-BSR მხარდაჭერით (MSCA, HORIZON2020). ბათუმი 23-24/06/2023
10.1.ნანა გულიაშვილი ესთეტიკური კატეგორიების პრობლემა ფრ. შელინგის ფილოსოფიაში. იუნესკოს პროგრამის ფარგლებში ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თსუ ფილოსოფია - 105. (მომხსენებელი).

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

1.4.სოკრატული ცოდნა და უნივერსიტეტის იდეა,

უნივერსიტეტის პროექტი კონკრეტულ იდეას ეფუძნება. მისი მისიის გამოკვეთა-განსაზღვრა უპირველესად ინსტიტუტის არსებობისთვის აუცილებელი წინაპირობების გარკვევას გულისხმობს, კერძოდ კი, იმ იდეაზე ორიენტაციას, რომელსაც უნდა მიუახლოვდეს რეალობა. კაცობრიობის ისტორია ხომ არსებითად იდეების ისტორიაა! ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს იმ ამოცანების განსაზღვრას, რაც უნივერსიტეტის სულიერი ცხოვრების რეალიზების შედეგად დღის წესრიგში დგება.

ნამდვილი სოკრატელის გზა არის უწყვეტი ძიება, განწმენდა, თვითანალიზი თავისი თავისა, რათა დაიმორჩილოს ვნებები, გაითავისუფლოს სული (გონება), ამაღლდეს გრძნობად სამყაროზე, დაიბრუნოს წმინდა ფორმათა ცნობიერება და ამგვარად მოემზადოს მარადისობაში დასაბრუნებლად. სიკვდილის ტრეინინგით („წვრთნა სიკვდილისა“), ხანგრძლივი არსთაჭვრეტით, მედიტაციით (ფიქრით) აზროვნება ემზადება თავისივე სტიქიაში, წმინდა აზრთა ანუ იდეათა სამეფოში დასაბრუნებლად. *„ჭეშმარიტი ფილოსოფოსნი სიკვდილისათვის ზრუნავენ მხოლოდ და კაცთა შორის ყველაზე ნაკლებად უფრთხიან მას.“ (პლატონი, ფედონი)* ფილოსოფიისა და რელიგიის ურთიერთგარდამავალ ხასიათს შეესაბამება. უნივერსიტეტი არის პროფესორთა და სტუდენტთა ავტონომიური (თვითმმართველი) კოლეგიუმი, უნივერსუმის ცოდნის ტაძარი, მედიუმი სამყაროსა და საზოგადოებას შორის. უნივერსიტეტის ავტონომია (თვითმმართველობა) ანუ დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან და ეკლესიისაგან ემყარება გონების ავტონომიურობას.

2.1.მოხსენებაში წარმოდგენილი იყო სამი საკითხი, ფილოსოფიური კამათის საგნად ქცეული მე-15 საუკუნის იტალიაში, რაც, მეტ-ნაკლებად, იმდროინდელი განათლების თავისებურებებშიც აისახა. ესენია: კამათი პლატონისა თუ არისტოტელეს ფილოსოფიების უპირატესობის შესახებ; სამოქალაქო თუ მჭვრეტელობითი ცხოვრების უპირატესობის შესახებ; სწავლა-განათლებაში სერიოზული მიდგომის თუ უფრო სიამოვნებითა და სიხარულით გამსჭვალული მიდგომის შესახებ. მოხსენებაში წარმოაჩენილ იქნა ფილოსოფიური თეორიული კვლევებისა და პოლემიკის პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენა განათლების თავისებურებებზე და აქცენტებზე.

4.3. პოსტმოდერნიზმის დამახასიათელი ღირებულებები ე.წ. «ეპისტემოლოგიურ ტრავმასთან" არის დაკავშირებული. კერძოდ იგულისხმება დრო-სივრცული წარმოდგენების გადახედვის მცდელობა; რენესანსის ეპოქიდან მოყოლებული, განმანათლებლობის პოზიტივისტურ იმპლიკაციებში მოცემული რეალისტური სურათი აღარ აკმაყოფილებს მოდერნის მიღწევებს. ეპისტემოლოგიური ტრავმის მასშტაბუროზა მართლაც რომ განსაკუთრებული მოვლენაა იმ გაგებით, რომ მან ადამიანური საქმიანობის თითქმის ყველა სფერო მოიცვა. წინა საუკუნის ხელოვნებაში ეს უპირველესად მოდერნისტული ესთეტიკაში აისახა პიკასოსა და ბრაკის, სტრავინსკისა და შონბერგის, კაფკასა და ფოლკნერის, იეიტსისა და ელიოტის ნაწარმოებებში. სოფომ ისაუბრა მუსიკალურ სფეროში ამ მოვლენაზე. უფრო მეტიც, მოდერნისტული არტისტული კულტურის სირთულეები ძალიან ჰგავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებასა და მათემატიკაში განვითარებულ ტენდენციებს. ორივე ამ სფეროში სირთულეები წარმოიშვა არა ტრადიციული ტექნიკის გადახედვის, არამედ მისი მიტოვების პრაქტიკიდან. ვიტყოდი ახალი დისკურსის კრეაციის მტკივნეული პროცესის საფუძველი ზნეობრივი ღირებულებების შიფტში აისახა. ისისნი არსად არ გაქრა, ისევე არსებობს როგორც არსებობდა და აღწერილ იქნა ნიკომაქეს თუ მაგნა ეთიკებში იცვლება შინაარსი ნომეკლატურისა, მათი სტრუქტურა და სტატუსი. 21 საუკუნის საზოგადოება იქცა „liquid society"-ად,"თხევად სოციუმად, ლინგვისტურად ეს ფრაზეში „რა ვი" „გააჩნია" ასახული. ჩნდება გამოყენებითი და პროფესიული ეთიკები, ყველა ტავისი კოდით, კოდექსებით ხელმძღვანელობს.

4.5. შესაძლებელია არსებობდეს მორალურ პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკა? შეუძლია თუ არა მეტაეთიკურ დისკურსს უზრუნველყოს ადეკვატური ზნეობრივი პერსპექტივა პოლიტიკური ცხოვრებისათვის? კითხვები, რომელნიც პერიოდულად აქტუალიზირდებოდა სხვადასხვა ეპოქებში, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს XXI საუკუნეში.თითქმის ყველა საკითხი, რომელიც დაისმის გამოყენებითი ეთიკის ველზე, თავს იჩენს პოლიტიკურ ეთიკაშიც; ოღონდაც ამ ველზე ტელეოლოგიურად ფოკუსირებული აქცენტი არ არის მიმართული ზნეობრივად გამართლებულ შედეგებზე. მთავარი შეკითხვა ფორმულირდება შემდეგნაირად: რა შედეგი უნდა იქნეს მიღებული პოლიტიკურ სტრატეგიად და პოლიტიკური ქმდების იძულებით კანონად ნებისმიერი ეროვნული/ტრადიციული ღირებულებების მატარებელ საზოგადოებებში? ამაზე დღეს მსჯელობენ გუტმანი, უოლცი, ტომპსონი, ზაკანანი, ნაგელი, კარენსი, ნასბაუმი და სხვები.

საკვანძო პრობლემას წარმოადგენს არა იმდენად მიზნებსა და საშუალებებს შორის კონფლიქტის დადგენა-ანალიზი-მოხნა, არამედ უპირატესად თავად მიზნთა ღირებულებებს შორის არსებული კონფლიქტზე ფოკუსირება.

პოლიტიკურ ეთიკის ზევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა განპირობებულია იმ ზოგადი წინააღმდეგობებით რომელიც ახასიათებს კერძო და მიუკერძოებელ განცხადებებს. ეს აშკარად ჩანს პოლიტიკური ეთიკისათვის ისეთ დილემურ და მწვავე საკითხების კვლევისას როგორიცაა- გადანაწილების საყოველთაო სამართლიანობა, იმიგრაცია, კულტურული და ენობრივი უმცირესობების უფლებები, და სხვ.

განხილულია როგორც პოლიტიკური ეთიკის მომხრეთა, ისე მოწინააღმდეგეთა არგუმენტები.

პოლიტიკური ეთიკისათვის მიუღებელია მიდგომა, რომელიც ერთთავად უარყოფს ეთიკის ადგილს პოლიტიკაში, ასევე მომხრეთა როგორც ინდივიდუალისტური, ისე სტრუქტურული მიდგომის ცალმხრივი პრიორიტეტულობა. საკითხი უნდა გადაიჭრას ორივე მიდგომის სინთეზით.

6.3.დელფოს სამისნო და სოკრატეს დემონი,

სოკრატესთან საკითხი მეტად თავისებურად ისმის, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა ჩვენთვის. ჯერ ერთი, ყოველგვარ ადამიანურ შემეცნებას, ნებისმიერ კონკრეტულ ცოდნას სინამდვილის ამა თუ იმ სფეროზე ლოგიკურად წინ უსწრებს თვითონ შემეცნების რაობის, ცოდნის ბუნების გამოკვლევა. რაიმეს შესახებ ცოდნა ლოგიკური აუცილებლობით გულისხმობს თვითონ ცოდნის არსების ცოდნას წინასწარ მოცემულად. შესაბამისად, ზოგადის ცოდნა, ცნებითი შემეცნება უფრო ნამდვილია და ლოგიკურად წინ უსწრებს ერთეული მოვლენების შესახებ ჩვენს წარმოდგენებსა თუ შეხედულებებს როგორც მოჩვენებით, არაჭეშმარიტ ცოდნას. ამიტომ სოკრატეს ღრმა რწმენით, შემეცნების, ცოდნის არსების შესახებ დასმული კითხვა, თავისი საზრისისა და მნიშვნელობის მიხედვით, ყველა სხვა კითხვაზე ძირეულია და უწინარესი. პლატონის დიალოგში „თეეტეტი“ სოკრატე თანამოსაუბრეებთან სწორედ ამ მიმართულებით ავითარებს თავის მსჯელობას

მეორე, ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო მომენტი სოკრატეს ნააზრევისა ის არის, რომ აქ პირველად მთელი პრინციპულობით ცოდნის რაობის ძიების პრობლემა ორგანულად დაუკავშირდა ადამიანის რაობის, მისი ზნეობრივი თვითშემეცნების პრობლემას. ამ ვითარებას კარგად გამოხატავს სოკრატეს ცნობილი დებულება: ცოდნა არის სიკეთე, რომლის სიღრმე და ღირებულება უწინარეს ყოვლისა სწორედ ამაში უნდა დავინახოთ. სოკრატესთან ცოდნის რაობის საკითხი ისმის არა როგორც თვითმიზანი, წმინდა შემეცნებისთეორიული კითხვა, არამედ, როგორც ეთიკური პრობლემატიკისადმი დაქვემდებარებული და, საბოლოო ანგარიშით, ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი პრობლემა. იმის გარკვევა, თუ რა არის სიკეთე, ჭეშმარიტება, მშვენიერება, სამართლიანობა, სიმამაცე და ა. შ. ადამიანის ბუნების, მისი სახელმწიფოებრივ - პოლიტიკური დანიშნულების, მისი ცხოვრების საზრისისა და ზნეობრივი არსების შემეცნებას ნიშნავს. ამიტომ სოკრატეს მიერ შემუშავებული ირონიისა და მაიევტიკის მეთოდები ადამიანის მიერ საკუთარი ყოფიერების თვითგაგებისა და ზნეობრივი თვითსრულყოფის ამ უმაღლესი მიზნის მიღწევის საქმეს ემსახურება. ცოდნაზე მოძღვრება, ცოდნის თეორია სოკრატეს ზოგადი ფილოსფიურ - ანთროპოლოგიური და ეთიკური მოძღვრების ორგანული ნაწილია. სოკრატეს ღრმა ჩანაფიქრთა და თავდაპირველი განზრახვით, შემეცნებაზე მოძღვრება, ცოდნის თეორია ისევე არის ადამიანის არსების შესახებ მოძღვრება, როგორც ეთიკა. ცოდნის რაობის გაგებამ ჩვენ ადამიანის არსების გაგებამდე უნდა მიგვიყვანოს, მისი ყოფიერების უღრმესი შრეები უნდა გვაწვდომინოს, ვინაიდან ადამიანია ის, ვინ ცოდნას ქმნის, შემეცნებას ახორციელებს. მაშასადამე, სოკრატეს აზრით, ცოდნის თეორიას არანაკლებ ევალება ეთიკასთან ერთად გაგვაგებინოს ადამიანის ადგილი და ზნეობრივი დანიშნულება სინამდვილის საზოგადოებრივსა და ბუნებრივ წყობაში.

ამრიგად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ შემეცნების თეორიის ძირითად ამოცანაზე და საბოლოო მიზანზე არსებითად სწორად იქნა მინიშნებული წარმოშობის საწყისშივე - იქ, სოკრატეს ფილოსოფიაში, სადაც მისი უმთავრესი პრობლემა, გამოკვეთილი სახით, პირველად დაისვა. გარკვეული აზრით შეიძლება ისიც ითქვას, რომ ამ მხრივ გნოსეოლოგიური აზროვნების შემდგომი განვითარება მეტ - ნაკლებად სოკარტეს

მიერ მინიშნებულ გზას მიჰყვებოდა, პოზიტივისტურად ორიენტირებული სკოლების წარმოშობამდე, შემეცნების თეორიაში. შემეცნებისთეორიული აზროვნების დაკავშირება ადამიანის თვითშემეცნების, მისი არსების პრობლემასთან, სოკრატეს ნააზრევს უეჭველად ხდის დიდი შემობრუნების პუნქტად ანტიკური ფილოსოფიის ისტორიაში.

7.1. პოსტმოდერნული ჰიპერრეალობა, სარეკლამო სიმბოლოთა და ნიშანთა განუსაზღვრელმა გამრავლებამ უსაზრისობა და აბსურდი დაამკვიდრა თანამედროვე სამყაროში

ინფორმაციის გადაჭარბებულმა გამრავლებამ ადამიანის აზრი კი არ განავითარა, უაზრობის და უსაზრისობის სიტუაცია შექმნა

დაიმსხვრა კლასიკური წესრიგი და სილამაზის ესთეტიკა.

არსებული რეალობა კი არ გაუფერულდა, პირიქით, უფრო მკვეთრი, უფრო საშინელი, უფრო გაზვიადებული და უფრო რეალური გახდა.

პოსტმოდერნული რეალობა იქცა ჰიპერრეალობად, თავისი თვალისმომჭრელი და შემაძრწუნებელი ეფექტებით.

გაჩნდა სიმულაკრი - უსაგნო, უმისამართო იმიტაციის თავისთავადი ფენომენი.

ამ სიტუაციას ეხმაურება ჰაიდეგერის შეხედულება ხელოვნების ნაწარმოების შესახებ.

დედამიწა და სამყარო ხელოვნების ფენომენის ორი განმსაზღვრელი ძალაა.

მაგრამ ჰაიდეგერის ახალი ონტოლოგიის პერსპექტივაში, პოსტმოდერნული რეალობის საბაზრო ეკონომიკა გვისახავს ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ახალ ჰორიზონტს.

8.1.მოხსენებაში მიმოხილული იყო რევოლუციის იდეის ისტორიული პერიპეტიები უკანასკნელი 250-300 წლის მანძილზე. დახასიათებული იყო მისი ერთ-ერთი ლიბერალურ-ფილოსოფიური კონცეფტი, რომლის თანახმადაც, თანამედროვე ეპოქაში რევოლუციამ დაკარგა თავისი ისტორიული როლი (ფრანსუა ფიურე) და განვითარების კონსტრუქციული მოდელი თანმიმდევრული (ევოლუციური) განვითარებაა. ამ ფონზე ხაზი ჰქონდა გასმული, რომ რეალურად რევოლუცია ფერადი რევოლუციების და რევოლუციური მოძრაობების სახით დღესაც პოლიტიკური ცხოვრების სტაბილური ინტეგრალური ელემენტია. დასავლური (განვითარებული) და არადასავლური (განვითარებადი) დემოკრატიების შედარების პარალელურად დაფუძნებულ იქნა იქნა რევოლუციის ტრანსცენდენტალურობის პრინციპი. მის ბაზაზე მითითებულ იქნა, რომ თანამედროვე დასავლური (ლიბერალური) დემოკრატიები, საბოლოო ჯამში, „რევოლუციური დემოკრატიებია", რადგან (1) მათში ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს და არა ტირანს და (2) ეს სტაბილური ვითარება და ფუნდამენტური წესებით ძალაუფლების გენერირება-რეგენერირების ფუნდამენტური რეჟიმია. „რევოლუციური დემოკრატიის" ცნების და (პრინციპის) გასამართლებლად მოხმობილი იყო როგორც არაერთი ფაქტი დასავლური დემოკრატიების ახლო და უახლესი ისტორიიდან, არამედ დემოკრატიის თეორიის ისეთი ფუნდამენტური კონცეფტი, როგორიცა ხალხის ამბოხის უფლებაა. აქვე წარმოჩენილ იქნა მასიზაციის თავისებურებები თანამედროვე ეპოქაში. ამ მიმართულებით წარმოებული ანალიზი ეყრდნობოდა „ბრბოს" (ლებონი), „მასის" (ხოსე ორტეგა-იგასეტი), „სპექტაკლის საზოგადოების" (დებორი), „მომხმარებლური საზოგადოების" (ბოდრიარი) და ა.შ. თეორიებს. ხაზგასმული იყო, რომ კომუნიკაციურ საზოგადოებებში მასმედიის საშუალებებით განხორციელებული მასიზაციის პროდუქტი ადასტურებს მასასთან მიმართებაში შემუშავებული თეორიების სიცოცხლისუნარიანობას, რაც მათი სინთეზის აუცილებლობის ნათელი საბუთია. ელიტისა და მასის მიმართების ოპტიმალური გააზრებისათვის განსაკუთრებით გამოიყო გასეტის თეორიის პროდუქტიულობა. აღნიშნულის საფუძველზე ნაცადი იყოკაპიტალისტური დემოკრატიის კრიზისის ფუნდამენტური მიზეზების განმარტება და სირთულეები, რომლებიც კრიზისული ვითარების გადალახვის თვალსაზრისით არსებობს.

9.1. ხელოვნური ინტელექტის საფრთხეების გაანალიზება, ნიკ ბოსტრომის ფილოსოფიაში

მოხსენებაში განვიხილავთ თანამედროვე ფილოსოფოსის შეხედულებებს ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით. საფრთხეებს და რისკებს კაცობრიობისათვის, რასაც ფილოსოფოსი ასახელებს. აღწერილი იქნება ბოსტრომის გაგებით ადამიანის დონის ხელოვნური ინტელექტის შექმნასა და ზეცნობიერების დაბადებას შორის განსხვავება და მათ შორის დროული მანძილი. ბოსტრომის აზრით ადამიანის დონის ხელოვნური ინტელექტი თავად შეძლებს საკუთარი თავის განვითარებას, რომელიც გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მიაღწევს ზეცნობიერებას - ზეინტელექტს.

წარმოდგენილი თემა განხილული იქნება ფრიდრიხ ნიცშეს ზეკაცის თემასთან შეპირისპირებაში. ნიცშეს ზეკაცის თემის ანალიზით და მისი ჰაიდეგერისეული ინტერპრეტაციით ვცდილობთ ტექნიკის საკითხი დავაყენოთ რადიკალურად დეჰუმანიზაციასთან და ტრანჰუმანიზმთან მიმართებაში. მოხსენებაში გატარებული იქნება აზრი, რომ საფრთხეები და პრობლემები რაც ხელოვნურ ინტელექტს უკავშირდება თანამედროვე ადამიანის მდგომარეობის უკუფენაა.

თემა უნდა განხილული იყოს ფრიდრიხ ნიცშეს ზეკაცის თემასთან შეპირისპირებაში. ნიცშეს ზეკაცის თემის ანალიზით და მისი ჰაიდეგერისეული ინტერპრეტაციით შევეცადოთ ტექნიკის საკითხი დავსვათ რადიკალურად. საფრთხეები და პრობლემები რაც ხელოვნურ ინტელექტს უკავშირდება თანამედროვე ადამიანის მდგომარეობის უკუფენაა.

ჩვენს შეხედულებებს ვაყალიბებთ ათ თეზისად.

პირველი თეზისი - „წიგნში ხელოვნური ინტელექტი, ეტაპები, საფრთხეები, სტრატეგიები“ [3], რომელიც 2014 წელს გამოსცა ნიკ ბოსტრომმა, საუბარია ხელოვნური ინტელექტიდან მომდინარე საფრთხეებზე. ბოსტრომი არ ამბობს, რომ რაზეც ის საუბრობს აუცილებელი სცენარია, მაგრამ საფრთხე რომ ძალზე დიდია ამას ვერ ვუარყოფთ.

მეორე თეზისი - ბოსტრომის მიხედვით ხელოვნური ინტელექტის მახასიათებლებია: მას აქვს სწავლების უნარი, ანუ ეს არის მანქანა, რომელსაც შეუძლია ისწავლოს და ასწავლოს, ეფექტურად იმუშავოს ალბათურ და განუსაზღვრელ ინფორმაციებთან, და შეუძლია სხვადასხვა სადგურებიდან მიღებული ინფორმაციების დამუშავება და შემდეგ მისი გამოყენება სააზროვნო პროცესებისათვის.

მესამე თეზისი - ნიკ ბოსტრომი განასხვავებს ხელოვნური ინტელექტის ადამიანურ დონეს და ხელოვნურ ზეცნობიერს. ანუ არის ხელოვნური ინტელექტის ადამიანის დონე და როდესაც იგი გაჩნდება, იგი იწყებს საკუთარი თავის თვითსრულყოფას, იგი იწყებს „ფეთქებად“ განვითარებას და თავად მიაღწევს ხელოვნურ ზეცნობიერს. რომელი დონიდანაც ადამიანის ინტელექტი გამოჩნდება როგორც ჭიანჭველას ინტელექტი. ასეთი სხვაობა იქნება კოგნიტური უნარების მიხედვით. ბოსტრომის აზრით ამისათვის 30 წელზე ნაკლები დრო იქნება საჭირო.

მეოთხე თეზისი - ჩვენთვის არის ურთულესი საკითხი - როგორ გავაკონტროლოთ ხელოვნური ინტელექტი? ანუ როგორც კი გაჩნდება ხელოვნური ინტელექტის მხრიდან ჩვენს მიმართ არამეგობრული დამოკიდებულება, ის არ მოინდომებს იყოს ჩვენს კონტროლს ქვეშ, მაშინვე ჩვენ შევეწინააღმდეგებით მას და შევეცდებით ის მოვაშოროთ ან ჩავსვათ გარკვეულ ჩარჩოებში, მაგრამ ის ამას ყოველთვის შეეწინააღმდგება და თავის თავს ყოველთვის გაიტანს. ანუ თუ დაიბადა ხელოვნური არამეგობრული ინტელექტი და დაიწყო მან თვითსრულყოფა, უკვე ყველაფერი დაგვიანებულია. ჩვენ მივხვდებით მისგან საფრთხეს, როდესაც ის დაიბადება, მაგრამ როდესაც ეს მოხდება უკვე ყველაფერი გვიანი იქნება. კაცობრიობას ხელოვნური ინტელექტი გაგვიკეთებს ერთდროულად ქიშს და შამათს.

ეს ნიშნავს, რომ ხელოვნური ზეცნობიერის ხელში იქნება მთლიანად ადამიანის ბედი, მისი მომავალი, მისი ისტორია მისი პოპულაცია და ჩვენ ამას თავს ვერ დავაღწევთ. და ეს მოხდება XXI საუკუნის ბოლოს. ისევე როგორ დღეს ჩვენს ხელშია გორილების ბედი. ანუ ჩვენ

შეგვიძლია გორილები გადავასახლოთ, გავამრავლოთ, ვაკონტოლოთ მისი პოპულაცია, გადავწყვიტოთ რა ექსპერიმენტები ჩავატაროთ მათზე, რა არა და რა უფლებები მივცეთ ან არა. გორილები არაფერს წყვეტენ. ანალოგიურად ამისა ადამიანის ბედი მთლიანად იქნება დამოკიდებული ხელოვნურ ზეცნობიერზე.

მეხუთე თეზისი - არსებობს ამ „ისტორიის" უფრო რბილი, ოპტიმისტური სცენარი წიგნში - „ხელოვნური ინტელექტი და კაცობრიობის ახალი ერა" (2021 წ) [4], რომლის ავტორები არიან ჰენრი კისინჯერი, ერიკ შმიდტი და დანიელ ჰატერლოკერი. მათი აზრით ხელოვნური ინტელექტი შეიჭრება ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროში, და ის შეცვლის ადამიანის ისტორიას. შეცვლება ადამიანის გაგება და როლი და ადგილი ადამიანისა სამყაროში. მოხდება იმ დონის ცვლილებები კაცობრიობის, როგორიც მოხდა რენესანსის დროს. ასეთი ცვლილებები ჯერ არ ახსოვს თანამედროვეობას რასაც ის მოიტანს. ისინი ფიქრობენ, რომ მანქანა, როგორც ინსტრუმენტი გადაიქცევა ჩვენს პარტნიორად. ეს წიგნი არის გამსჭვალული იმ იდეით, რომ ხელოვნურ ინტელექტთან ჩვენ თანამშრომლობა გვექნება. ჩვენ ნიკ ბოსტრომის პროგნოზს უფრო რეალისტურად ვთვლით.

მეექვსე თეზისი - ნიცშესთან ღმერთის სიკვდილის შედეგად ადამიანი დგას გზაგასაყარზე, რომ ის უნდა ამაღლდეს ზეკაცამდე ან დამდაბლდეს ფარის ცხოველამდე, ანუ უკანასკნელ ადამიანამდე. ამაზე საუბრობენ კარლ ლევიტი, ლეო შტრაუსი, მარტინ ჰაიდეგერი. რომ ღმერთისაგან მიტოვებულ სამყაროში ადამიანი ასეთი ვეღარ დარჩება. 1969 წლის ინტერვიუში - „ფილოსოფია მუდამ არათანადროულია" [1] - მარტინ ჰაიდეგერი წერს რომ ნიცშე მიხვდა, რომ ადამიანი ემზადება დედამიწაზე გასდაბატონებლად, მაგრამ ამ სახის ადამიანი ვერ შეძლებს ამას. მეორე სტატიაში - „ვინ არის ნიცშეს ზარატუტრა" [2]- ჰაიდეგერე აზუსტებს რას ნიშნავს გაბატონება. გაბატონება არ ნიშნავს მხოლოდ დაპყრობას და დამორჩილებას, გაბატონება ნიშნავს დამორჩილებას, საკუთარ მფარველობაში შეყვანას, მის მოვლას, პატრონობას და ხსნას. და ამას ვერ გააკეთებს არსებული ადამიანი, რადგან იგი დაცემულია. ამიტომ ნიცშე მოგვიწოდებს შევქმნათ ზეკაცი, რომ ადამიანი გახდეს დედამიწის ბატონი-მომვლელი. ამქვეყნიური სამყაროს დამცველი.

მეშვიდე თეზისი - რა განსხვავება არის უკანასკნელ ადამიანსა და ზეკაცს შორის ნიცშესთან. უკანასკნელი ადამიანი არის დღევანდელი ადამიანის სულიერ-მორალური დაცემა და დამდაბლება. ეს არის ადამიანი, რომელსაც არა აქვს იდეალი, არა აქვს ძლიერი ემოციები, არ მიჰყავს დიდი ბრძოლა, მაგრამ არის კარგად მოვლილი, გამოკვებილი, იგი იმყოფება კომფორტში, მას აქვს თავისი „პაწია ბედნიერება", თანასწორობა და მეტი არაფრის ამბიცია არა აქვს სამყაროში. ეს არის, როგორც თანამედროვე ამერიკული პოლიტიკური ფილოსოფიის ფუძემდებელი - ლეო შტრაუსი ამბობს - მარქსისტი ადამიანი განხილული არამარქსისტული თვალსაზრისით. და ეს ადამიანი არის უკანასკნელი ნიცშეს გაგებით, რომელიც ვერ მოიტანს კაცობრიობის სასურველ მომავალს. ხოლო ზეკაცი კი არის ადამიანზე უფრო მაღალი სულიერ-მორალური არსება. განსხვავება ადამიანსა და ზეკაცს შორის გარეგნობით და ბიოლოგიურად არ არსებობს. ზეკაცი არის კაცობრიობის ახალი დონე, როდესაც ადამიანი გაიზარდა სულიერ-მორალურად. და არა ინტელექტუალურად. ეს არის ღმერთისაგან მიტოვებულ სამყაროში სრულყოფილი არსება. რომელმაც დაიკავა ღმერთის ადგილი. ჰაიდეგერის აზრით ზეკაცი ისაა, ვინც გადალახა „შურისგების სული" ამას წერს „ესე იტყოდა ზარატუსტრაში" ჰაიდეგერი წერს. „შურისგების სული" არის სუსტი ადამიანის თვისება, რომელიც თავისი სისუსტის გამო ვერ ახერხებს გაუსწოროთ თვალი რეალობას, იგი რეალობას გაურბის, რადგან ის მისთვის მძიმეა და სამაგიეროდ ამ რეალობაზე შურს იძიებს იმით რომ ქმნის სხვა სამყაროს - მიღმურს, ტრანსცენდენტურს, მეტაფიზიკურს, ქმნის სამოთხეს, იმქვეყნიურობას. ჰაიდეგერი ამბობს რომ ადამიანი უნდა განთავისუფლდეს ამ „შურისგების სულისაგან" და თვალი გაუსწოროს რეალობას როგორიც ის არის. ეს არის ზეკაცი. ანრი ლიხტენბერჟეს აზრით ეს არის „თვითმმართველი" ადამიანი, კარლ ლოვიტის

აზრით არის „თვითგანმსაზღვრელი“ ადამიანი, ექსისტენციალისტების აზრით ეს იქნება ადამიანი, რომელიც თავად ქმნის მომავლის თავის არსს. ზეკაცი ეს არის ისტორიის შემოქმედი, როდესაც ის გვევლინება კაცობრიობის ისტორიის ბედის მმართველად, ეს არის კაცობრიობის განვითარების ის ეტაპი როდესაც კაცობრიობა თავად განსაზღვრავს კაცობრიობის ისტორია რა მიმართულებით წავა. ნიცშე „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“-ში ამბობს, რომ თანამედროვე ევროპა სამწუხაროდ მიდის ფარის ცხოველისაკენ, უკანასკნელი ადამიანისაკენ.

მერვე თეზისი - ჰენრი კისინჯერისაგან განსხვავებით ჩვენ ვეთანხმებით ნიკ ბოსტრომს, რომ ზეკაცი და ხელოვნური ზეცნობიერი ერთმანეთის კონკურენტები არიან და არა მეგობარი-პარტნიორები. ზეკაცსა და ხელოვნურ ინტელექტს შორის მიმართება არის მტრობა, რადგანაც ორივე მიისწრაფვის დედამიწაზე გასაბატონებლად. ამასთანავე ორივენი თვითგანვითარება-სრულყოფის შედეგი იქნება: ზეკაცი ამჟამინდელი ადამიანის სულიერ-მორალური სრულყოფით საკუთარი თავიდან და ხელოვნური ზეცნობიერი კი, ადამიანის დონის ხელოვნური ინტელექტის მიერ საკუთარი თავის სრულყოფით. და ისინი ერთმანეთის არსებობას გამორიცხავენ. ზეკაცი თუ მოვიდა ის ხელოვნური ზეცნობიერის მოსვლას შეაჩერებს, ხოლო ხელოვნური ზეცნობიერი თუ მოვიდა, იგი ადამიანს დაიმონებს და ზეკაცის მოსვლას შეაჩერებს.

მეცხრე თეზისი - განსხვავება ზეკაცსა და ხელოვნურ ინტელექტს შორის. ზეკაცი არის სულიერ-მორალური ამაღლება ადამიანზე, მას აქვს სიყვარული, სიძულვილი, სიამაყე, ღირებულებები, საზრისი. და რა აქვს ხელოვნურ ინტელექტს? მას აქვს უმაღლესი კოგნიტური უნარები, გამოთვლითი უნარები, მას შეუძლია სუპერანგარიში, მაგრამ მას ემოციები, ღირებულებები და ცხოვრების საზრისი აქვს ნული. მისთვის ცხოვრების საზრისი და ღირებულება გაუგებარია. რომ დავაზუსტოთ ზეკაცი არის სრულყოფილი არსება, ხოლო ხელოვნური ზეცნობიერი არის სრულყოფილი მანქანა. არსებას ვეძახით მხოლოდ იმას, რაც ცოცხალია. აქედან გამომდინარე სიბრძნე შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ზეკაცს. ხელოვნურ ზეცნობიერს შეიძლება ჰქონდეს გათვლა, გაანგარიშება, ანუ ეშმაკობა, მაგრამ ეს სიბრძნე არაა. სიბრძნე მხოლოდ ცოცხალ არსებას შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ მათ შორის არის რადიკალური განსხვავება მიზანმიმართულებაში. ანუ მიზნების დასახვა არსებისთვის და მანქანისთვის სხვადასხვაგვარია. ემოციების მქონე, სიყვარულის და სიძულვილის მქონე არსება სხვაგვარ მიზნებს დაისახავს, ვიდრე მხოლოდ ცივი გონებით გამომთვლელი მანქანა. და აქ დგას ჰაიდეგერის კითხვა - ვის შეუძლია დედამიწის მოვლა უფრო უკეთესად? მანქანას თუ არსებას? ორივეს შეუძლია გაბატონდეს დედამიწაზე, მაგრამ რომელი იქნება დედამიწის მფარველი, უკეთესი დამცველი?

მეათე თეზისი - ადამიანი დგას გზაგასაყარზე. თუ ის შეძლებს სულიერ-მორალურ ამაღლებას ზეკაცამდე, მაშინ ის ხელოვნურ ინტელექტს ის შეაჩერებს და სხვანაერი მიმართულებით წაიყვანს ისტორიას და ცივილიზაციას, ხოლო თუ ვერ ამაღლდა ადამიანი და დამდაბლდა ფარის ცხოველამდე, მაშინ იგი გააბატონებს ხელოვნურ ინტელექტს და იგი დაიმონებს ადამიანს. ანუ ხელოვნური ინტელექტიდან მომდინარე საფრთხეები პირდაპირ უკავშირდება ადამიანის სულიერ მდგომარეობას და ადამიანის მდგომარეობის უკუფენაა. საკითხი დგას ხელოვნური ინტელექტი გაბატონდება თუ არა ჩვენზე. ცდუნდება თუ არა დღევანდელი ადამიანი? რომ ხელოვნური ინტელექტი ფაქტიურად გააკეთებს ჩვენს მაგივრად ყველაფერს, და ჩვენ გაგვხდის მარადიულს: მედიცინა, მეცნიერება, ტრანსპორტი, მმართველობა, განათლება, წარმოება... ადამიანს არაფერი გასაკეთებელი არ ექნება. მაგრამ ამ გადაბარების შემდგომ ის დაიმორჩილებს ბოლომდე ადამიანს. ხოლო ზეკაცი, იმით განსხვავდება თანამედროვე ადამიანისაგან რომ იგი არ ცდუნდება ამ ყველაფრით, ამიტომ ის ხელოვნურ ინტელექტს „გამორთავს“.

კითხვა რომლითაც ვამთავრებთ - შესძლებს ადამიანი საკუთარი თავიდან შექმნას უფრო მაღალი სულიერ-მორალური არსება და გაბატონდეს და დაეუფლოს სამყაროს, თუ ვერ შესძლებს და გააბატონებს ხელოვნურ ზეცნობიერს, რომელიც დაიმორჩილებს მას?

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1.1 დემურ ჯალაღონია, ანთიმოზ ივერიელის ,,ქრისტიანული პოლიტიკა" როგორც ახალი თეოლოგიური პარადიგმა, 21 სექტემბერი, 2023, საერთაშორისო სიმპოზიუმზე – „ანთიმოზ ივერიელის მწყემსობის თეოლოგიური მნიშვნელობა და მე-17/მე-18 საუკუნეებში დაბეჭდილი მისი ლიტურგიული ტექსტების მუსიკალობა" –რიმნიკუს საეპისკოპოსოს ზრანკოვიანუს შესწავლის ცენტრი,რუმინეთი,
2.1. Lela Alexidze, "The (Neo)Platonic Paradigm of Love as Seeing in Ioane Petritsi and Marsilio Ficino". *Seventh Conference of the Forum of Advanced Studies. Renaissance, Ancient, Medieval and Modern Patterns.* 01.06-05.06, 2023, Rome, Italy.
2.2. Lela Alexidze, "The (Neo)Platonic motives in Leonardo da Vinci's theory of vision". *Twentieth Annual Conference of the International Society for Neoplatonic Studies.* 14.06-17.06, Catania, Italy.
2.3. Lela Alexidze, "Ioane Petritsi in the context of Platonic philosophy". *International Summer School 'Analytical Trends in the Orthodox Theology'.* 27.09-02.10. 2023, Sofia and Bachkovo monastery, Bulgaria.
3.1. ვალერიან რამიშვილი, International conference "the theological significance of the pastorate of Saint Anthim the Iberian მოხსენება-"Transfiguration of the Crist" Romania 20-22.10.2023
4.1. შუასაუკუნეების ქართული განათლების ფილოსოფიის კვალი ანთიმოზ ივერიელის მემკვიდრეობაში/ Traces of medieval Georgian Philosophy of education in Saint Anthim's heritage საერთაშორისო სიმპოზიუმი„ანთიმოზ ივერიელის მწყემსობის თეოლოგიური მნიშვნელობა და 17-18 საუკუნეებში დაბეჭდილი მისი ლიტურგიული ტექსტების მუსიკალობა". 20-24.IX. რიმნიკუ ვალჩეა, რუმინეთი.
5.1.ირაკლი ბრაჭული, განათლების რეფორმები და ფილოსოფია XXI საუკუნეში, საერთაშორისო სიმპოზიუმი" მარადიული ღირებულებები და მარად ცვალებადი სამყარო" 16-17. II
5.2.ირაკლი ბრაჭული, ანთიმოზ ივერიელი- ადრეული მოდერნის განმანათლებელიმომხსაერთაშორისო სიმპოზიუმი„ანთიმოზ ივერიელის მწყემსობის თეოლოგიური მნიშვნელობა და 17-18 საუკუნეებში დაბეჭდილი მისი ლიტურგიული ტექსტების მუსიკალობა".სენებელი20-24.IXრიმნიკუ ვალჩეა, რუმინეთი
7.1. მამუკა დოლიძე. მოხსენება საერთაშორისო ფენომენოლოგიურ კონგრესზე –
" ფემინისტური ეთიკის ონტოლოგიური მნიშვნელობა. ზრუნვის ფენომენი. ( (ინგლისურ ენაზე) მადრიდის დისტანციური სწავლების ნაციონალური უნივერსიტეტი , 27 – 28 – 29 სექტემბერი 2023 წ. მადრიდი, ესპანეთი.
7.2. მამუკა დოლიძე. მოხსენება საერთაშორისო ფენომენოლოგიურ კონგრესზე –
" ესთეტიკური გამოცდილების ფენომენოლოგია კომუნიკაციური გონების შუქზე." (ინგლისურ ენაზე) Gგრანადას უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრა. 14 დეკემბერი. Gგრანადა, ესპანეთი.
7.3. მამუკა დოლიძე. მონაწილეობა "მრგვალი მაგიდის" სხდომაზე საერთაშორისო ფენომენოლოგიურ კონგრესზე – მამუკა დოლიძის წიგნის _ ჰუსერლის იდეათა განვითარება სიცოცხლის ფენიმენოლოგიის და თანამედროვე ქართული ფილოსოფიის კონტექსტში" პრეზენტაცია. (ესპანურ ენაზე)

7.4. მამუკა დოლიძე - თსუ-ს, ფილოსოფიის ინსტიტუტის ჟურნალების - ფილოსოფიურ თეოლოგიური მიმომხილველი და ჟურნალის – კულტურა და ფილოსოფია პრეზენტაცია. (ესპანურ ენაზე)
9.1. Элизбар Элизбарашвили. Ценностный фактор успеха мирной стратегии России в отношении Закавказья. региональная площадка VII Международной научно-практической конференции НИИРК «Россия и мир: диалоги – 2023. Цели и ценности». Ереванский государственный университет. 26 мая 2023 https://nicrus.ru/events/regionalnaya_ploshadka_erevan/

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

2.1. მოხსენებაში ("სიყვარულის (ნეო)პლატონური პარადიგმა იოანე პეტრიწთან და მარსილიო ფიჩინოსთან") წარმოდგენილი იყო ანალიზი ხედვის/ჭვრეტის თეორიისა იოანე პეტრიწის (მე-12 ს.) და მარსილიო ფიჩინოს (მე-15 ს.) ფილოსოფიებში. მიუხედავად მათ შორის კავშირის არარსებობისა (ფიჩინოს პეტრიწის ტექსტი ვერ ეცოდინებოდა), ტიპოლოგიური მსგავსებები, საერთო პლატონურ ტრადიციაზე და ნეოპლატონურ წყაროებზე დაყრდნობის გამო, კვლევის შედეგად საინტერესო მსგავსებებს და განსხვავებებსაც წარმოაჩენს. მოხსენებაში ყურადღება დაეთმო ხედვის ორ ასპექტს: 'ხედვას ზემოდან', ანუ ღმერთის ან მომდევნო ჰიპოსტასის - გონების მიერ გონისმიერ განგებით ჭვრეტას და 'ხედვას ქვემოდან' - ადამიანის მიერ როგორც გარემოს, ასევე საკუთარ თავზე კონცენტრაციას და, ამ გზით, უმაღლესი საწყისებისკენ სულიერ სწრაფვას.
2.2. მოხსენებაში ("(ნეო)პლატონური მოტივები ლეონარდო და ვინჩის ხედვის თეორიაში") განხილული იყო ლეონარდო და ვინჩის ჩანაწერები მხატვრობასა და ხედვაზე (ნეო)პლატონურ ფილოსოფიასთან მათი მიმართების (მსგავსებებისა და განსხვავებების) წარმოჩენის მიზნით (კერძოდ, მიმართებები პლატონის და მარსილიო ფიჩინოს თეორიებთან). მხატვრობის როლის წარმოჩენისთვის სხვა დისციპლინებთან და ხელოვნების დარგებთან შედარებით ლეონარდოს სჭირდებოდა, მხატვრობასთან ერთად, საერთოდ ხედვის უნარისა და ვიზუალური აღქმის მნიშვნელობის წარმოჩენა. ხილული ხედვის მნიშვნელობის წინ წამოწევის, აგრეთვე სარკეებისა და ჩრდილისთვისაც კი ერთგვარი დადებითი მნიშვნელობის მინიჭების გამო, ლეონარდოს თვალსაზრისი, მისი მიზანდასახულობიდან და პროფესიიდან გამომდინარე, ნაწილობრივ განსხვავდება პლატონიკოსების შეხედულებებისგან, თუმცა როგორც პლატონიკოსებისთვის, ასევე ლეონარდოსთვის სხეულში ყოფნა ერთგვარად საპყრობილეში ყოფნად აღიქმებოდა, რომელიც, ლეონარდოს თანახმად, აუტანელიც იქნებოდა ადამიანისთვის, მას რომ ხედვის უნარი არ ჰქონოდა. პლატონიკოსებთან შედარებით, ლეონარდოსთან ფიზიკური ხედვის უნარი, დახატული ხატის მნიშვნელობა და, საერთოდ, ხილული სინამდვილე უფრო მეტი ღირებულების მქონეა, ვიდრე პლატონური ტრადიციის მიმდევარი ფილოსოფოსებისთვის.
2.3.მოხსენებაში ("იოანე პეტრიწი პლატონური ფილოსოფიის კონტექსტში") მოცემული იყო ანალიზი პლატონურ ტრადიციასთან პეტრიწის ფილოსოფიის მიმართებისა. ეს მოიცავდა შემდეგს: პლატონამდელი ფილოსოფოსების იმ შეხედულებების როგორც პეტიწის წყაროების განხილვა, რომლებიც თავად პეტრიწს მიაჩნდა პლატონიკოსებად; პლატონურ და არისტოტელურ ტრადიციათა შორის ძირითადი განსხვავების წარმოჩენა პეტრიწის მიხედვით; სოკრატეს შეხედულებების ანალიზი, როგორც ეს პეტრიწთან არის მოცემული; პლატონის ხსენების შემთხვევები პეტრიწის მიერ, შესაბამისი ფილოსოფიური კონტექსტის

ანალიზით (პოსტ-პლატონური ტრადიცია როგორც პეტრიწის წყარო მოცემული მოხსენების თემას არ შეადგენდა).

3.1.ნაშრომი ეძღვნება ფერისცვალების ფენომენის თეოლოგიურ და ონტოლოგიურ-მეტფიზიკურ გააზრებას. რამდენად შეუძლია ადამიანის გონებას თეორიულად გაიაზროს ფერისცვალების ფენომენის ღმერთის ამქვეყნიურობაში თავისი სისრულით შემოსვლის შესაძლებლობა. ქრისტეს ფერისცვალების ფენომენი

მოხსენებაში განხილულია ქრისტეს ფერისცვალების თეოლოგიური და მეტაფიზიკურ-ონტოლოგიური ასპექტით. როგორ შეიძლება გააზრებული იქნეს ფერისცვალების სასწაული,როგორ შეიძლება ღმერთი აბსოლუტური უსასრულობა დაიტიოს სასრულო ამქვეყნიურმა. ამ ასპექტით განხილულია მ.ჰაიდეგერის ფენომენი რომელსაც ეწოდება ხდომილება, რის საფუძველზეც ფერისცვალება განხილულია როგორც მარადიულის დროში შემოსვლის ხდომილება რაც შესაძლებელს ხდის მარადიული დაინახო დროის როგორც წარსული-აწმყო-მომავლის დანაწილებულ მთლიანობაში. ეს ადამიანის გონებას აძლევს უნარს სწვდეს მარადიულს,უსასრულოს ადამიანის გონებისთვის მისაწვდომი სახით.

4.1. სტატია ინგლისურ ენაზე გადაცემულია დასაბეჭდად კრებულში“ საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები-2023“. მასში აღწერილია შუასაუკუნეების ეპოქის ქართული განათლების ფილოსოფიის პარადიგმის გავლენა ანთიმის სოციალურ საგანმანათლებლო პროექტზე, ნაჩვენებია რომ ანთიმმა შეძლო განმანათლებლობის ხანაში აღედგინა ევროპულ თეოლოგიურ იდეებთან ქართული ღვთისმეტყველების კავშირი . მოახერხა თეოლოგიური აზროვნების ზოგად განვითარებაში ხუთსაუკუნოვანი ხარვეზის შევსება და ხელახლა გახსნა საღვთისმეტყველო-კულტურული დიალოგი ევროპულ თეოლოგიურ, კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროებში.

9.1. რუსეთის სამშვიდობო სტრატეგია კავკასიის მიმართულებით გასაანალიზებელია არა მხოლოდ სამხედრო სიბრტყეში, ან გეოლოლიტიკურ ან საინფორმაციო პოლიტიკის სიბრტყეში, არამედ ღირებულებით სიბრტყეშიც. ხშირად ტრანსკავკასიის ქვეყნებს შორის სამშვიდობო საკითხების გადაჭრაში რუსეთის ფედერაციისათვის შემაფერხებელ დაბრკოლებად გვევლინება არა ობიექტური, არამედ წმინდა სუბიექტური მიზეზები, რის გამოც სრულად ვერ რეალიზდება რუსეთის სამშვიდობო პოტენციალის რესურსები.

სამხრეთ კავკასიას რუსეთმა უნდა უყუროს, როგორც სამყაროს მინიმოდელს. მასთან ისეთი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს, რაც სწორი იქნება მთელი მსოფლიოს მიმართაც. საჭიროა ერთ ტრანსკავკასიურ ფუნდამენტზე მყოფი მრავალფეროვნების დანახვა და აღიარება: მთლიანობა და მრავალფეროვნება ერთდროულად, როგორც რელიგიურ, ისე ადათ წესების და ტრადიციების, კულტურული ორიენტირების და ეთნოფსიქოლოგიის დონეზე. ტრანსკავკასიის მიმართ სრულებით სხვა ხედვის მოდელი უნდა ჰქონდეს რუსეთის ფედერაციას, ვიდრე ეს ოფიციალურ ევროპას აქვს დანარჩენი სამყაროსადმი - ჯოზეფ ბორელის პოზიცია, რომ „ევროპა ბაღია“ ხოლო დანარჩენი სამყარო „ჯუნგლებია“ რომლის გაკეთილშობილებაა საჭირო და ამისათვის საჭიროა ევროპა შეიჭრას „ჯუნგლებში“, რომ „ჯუნგლები“ არ შემოიჭრას ევროპაში, საბოლოოდ არის დასავლური ნეოლიბერალური ფაშიზმის თანამედროვე მანიფესტაცია. ევროპული პოლიტიკური მიდგომა არის აგრეთვე მთელი სამყაროს გაერთფეროვნება და უნიფიცირება, საკუთარ თავს დამსგავსება, ყველასთვის თვითმყოფადობის წართმევა და ტრადიციების მხოლოდ „კომერციულ ორნამენტებად“ გადაქცევა. რუსეთის ფედერაციამ დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიცია უნდა დაიჭიროს სამყაროში, რომლის შესაძლებლობასაც იძლევა ბრიქსის ზრდადი ავტორიტეტი მთელს მსოფლიოში.

იმისათვის რომ ტრანსკავკასიის ქვეყნების მიმართ წარმატებული სამშვიდობო პოლიტიკის წარმოება შეძლოს რუსეთმა, საჭიროა სამყაროში საკუთარი თავის თვითდადგენა შემდეგი მოდელის მიხედვით:

რუსეთი უნდა გახდეს კულტურული ავტორიტეტი მსოფლიოში კლასიკური ჰუმანისტური ღირებულებების დაცვაში. რუსეთის ფედერაციამ უნდა ჩაატაროს საშინაო სამუშაო ადამიანის „გამყარების" მიმართულებით, რომ არ დაუშვას „პოსტ-ადამიანის" მოსვლის მოსამზადებელი სამუშაოები, რაც მიმდინარეობს დასავლურ ცივილიზაციაში: ტრანსსექსუალიზმის, ტრანსსეკოლოგიის, ტრანსსკულინარიის კულტივირება. მან არ უნდა მიიღოს „ციფრული კონცლაგერის" მშენებლობა და ადამიანში ბიოლოგიური, ციფრული და ტექნოლოგიური მხარეების სინთეზი - კლაუს შვაბის „ინკლუზიური კაპიტალიზმის" იდეოლოგიის მიხედვით. მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის მიმდინარეობისას არ უნდა დაიჭიროს დასავლეთის ფინანსურ-პოლიტიკური ელიტის მიერ აღებული გეზი, რომ ამ რევოლუციური გარდაქმნების დროს უნდა მოხდეს სვლა „ახალი კოლექტიური და მორალური ცნობიერებისკენ" და რომ შეიცვალოს „მენტალიტეტი" და „საზოგადოებრივი წყობა" იმ მიმართულებით რომ ჩამოყალიბდეს მსოფლიოს მართვის ერთი ცენტრი, სახელმწიფოები პრივატიზირდეს გიგანტური, მონოპოლიური კომპანიების მიერ, გაუქმდეს კერძო საკუთრება, რეალური ფული, გაუქმდეს ადამიანთა უფლება პრივატულ, ხელშეუხებელ სივრცეზე და სხეულის ავტონომიურობაზე. როგორც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ხელმძღვანელი - კლაუს შვაბი - საუბრობს, „საოცარი ახალი სამყარო" უნდა იყოს თავისუფალი „ბნელი რელიგიური მრწამსის" და „ეთნიკური პრეფერენციებისგან", სადაც დამკვიდრებული იქნება მწვანე ეკოლოგიაზე გადასვლის ისეთი მაიძულებელი მექანიზმები, რომლებიც შეზღუდავს წყლის, ელექტროენერგიის, ეკოლოგიურად „საშიშ" პროდუქტად შერაცხული ხორცის და ტექნიკის ნაწარმის - ავტომობილების - მოხმარებას. „ საოცარი ახალი სამყარო" თავისუფალი უნდა იყოს ადამიანის სხეულის სამედიცინო ავტონომიურობისაგან, სადაც იქნება საყოველთაო, სავალდებულო ტესტირებებზე და აცრებზე გადასვლის მაიძულებელი მექანიზმები რომელიც მოითხოვს აცრას უპირობო საბაზისო შემოსავლის მიღების სანაცვლოდ ან სანიტარული პასპორტების ქონას სხვადასხვა სისტემებში მომსახურების მიღების უფლებისთვის. ეს იქნება სამყარო, სადაც ტრანსჰუმანიზმის სახელით მოხდება ადამიანის „სრულყოფა", რომელიც რეალურად გლობალისტური ელიტის მხრიდან ადამიანის სრულ დამორჩილება-დამონებას წარმოადგენს. რუსეთის სახელმწიფო ტრანსკავკასიის ხალხებს უნდა მოევლინოს მსოფლიოში იმ ძალად, რომელიც წინ აღუდგება „პოსტ-ადამიანის" ჩამოყალიბების ამ პროცესს, რომელიც გლობალური პროცესია უკვე. ტრანსკავკასიის ხალხები, თავიანთი ეთნოფსიქოლოგიური მონაცემებით ძალზე შორს არიან ადამიანის ყოველგვარი „დასრულების" მოდელებისაგან და ასეთ კულტურულ ტალღებზე ძალიან მწვავედ რეაგირებენ. რუსეთის ფედერაცია, თავისი ღირებულებითი სტატუსით უნდა გახდეს გარკვეული „ქოლგა" ტრანსკავკასიის ხალხებისთვის ადამიანის „განმტკიცების" საქმეში. ეს იქნება „ბუნებრივი" ლიდერის ფუნქციის შესრულება კავკასიის მიმართულებით. ეს იქნება კლაუს შვაბის მიერ დეკლარირებული „ინკლუზიური კაპიტალიზმის"-აგან განსხვავებული ალტერნატიული სამყაროს შექმნა მსოფლიოში.

ასეთი ავტორიტეტის როლის შესრულებისას რუსეთის ფედერაციისათვის ტრანსკავკასიის ქვეყნები ხდებიან „ბუნებრივი" მოკავშირეები, იმისი გათვალისწინებით რომ მსოფლიოს სხვა ლიდერები ამ კუთხით მათთვის საფრთხეს უფრო წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე რუსეთის ფედერაციისათვის გადაიჭრება სტრატეგიული საკითხი რომ ტრანსკავკასიის ქვეყნებს - საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს - სურდეთ მასთან მოკავშირეობა პოზიტიურ რანგში - ბუნებრივი კულტურული მოკავშირე, რომელთანაც ნებაყოფლობით და ურთიერთგაძლიერების გზით აიგება ურთიერთობა და არა „გაყინული" და დაკონსერვებული კონფიქტების გადაჭრის „გასაღების" მქონე ცენტრის მიმართ იძულებითი დაქვემდებარების გზით. ეს ნიშნავს, რომ რუსეთის ფედერაციამ შეცვალოს თავისი აპრობირებული კლასიკური სტრატეგია ტრანსკავკასიის რეგიონის თავისკენ მომხრობის კუთხით რეაქტიულიდან (დაყავი და იბატონე და ჩაუდე „ნაღმები" ერთმანეთის წინააღმდეგ)

პროაქტიული პოლიტიკისაკენ. ამიტომ რუსეთის ფედერაციას ეხსნება გზა არ დატოვოს ტრანსკავკასიის ქვეყნებს შორის რეალურად გადაჭრადი კონფლიქტური თემები გადაუჭრელად, როგორც კავკასიის მართვის ბერკეტი. რუსეთს ეხსნება შესაძლებლობა სრულად მოახდინოს კავკასიის მიმართ თავისი სამშვიდობო პოტენციალის რეალიზება, იმ შიშისაგან თავისუფალმა, თითქოს გაძლიერებული ტრანსკავკასიური ქვეყნები ანტირუსულ მსოფლიო კოალიციებისაკენ დააპირებენ თავიანთი გეოპოლიტიკური ვექტორების აღებას.
ტრანსკავკასიის ხალხები გამოირჩევიან გამოკვეთილი ინდუვიდუალიზმით და ისტორიულად ყოველთვის მწვავედ რეაგირებდნენ მათ თვითმყოფადობაზე ზეწოლაზე. აქ რაც უფრო ძლიერია ქმედება, მით უფრო ძლიერდება უკუქმედება. ამიტომ რუსეთისთვის ტრანსკავკასიის ქვეყნებთან სინერგიული ურთიერთობის ამოსავალი წერტილი იქნება ღირებულებით დონეზე ყველა მხარის მიერ ერთმანეთის თანასწორ ადამიანურ „რანგში“ აღიარება.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

**ყურადღება!**
*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**
*** ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.**
*** ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.**
*** ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.**
*** ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.**

# ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი

ანგარიშის ფორმა №1
(სსიპ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უნივერსიტეტთან არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისთვის)

**2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**სსიპ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (ინსტიტუტის/ცენტრის) ან უნივერსიტეტთან არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (ინსტიტუტის/ ცენტრის) დასახელება:**

**ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი**

**ცენტრის ხელმძღვანელი: პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე**

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:
1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1.
2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები
2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.

2.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
*დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.

**3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**
**3.1.**

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

„ვარლაამ და იოასაფის ისტორიის“ ქართულ და ბერძნულ რედაქციათა ურთიერთმიმართება; სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები; ლიტერატურის, კულტურისა და ხელოვნების კვლევები; ფილოლოგია, ტექსტისა და გამოსახულების კვლევა. FR-21-2001; 2022-2024.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროექტის ხელმძღვანელი, პროფ. ე. ხინთიბიძე პროექტის ფარგლებში მისი უმთავრესი მოვალეობაა, თხზულების ბერძნულ და ქართულ ხელნაწერთა ტექსტების შედარებაზე მუშაობა და კვლევის საბოლოო დასკვნების ჩამოყალიბება, ასევე მონოგრაფიის საბოლოო რედაქციის შექმნა, პროექტის განხორციელებისას სამეცნიერო მოხსენებების მომზადება და სტატიების გამოქვეყნება, ორგანიზება დასკვნითი საერთაშორისო კონფერენციისა.

2. მკვლევარი – გაგა შურღაია – ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლ'ორიენტალეს“ ასოცირებული პროფესორი
პროექტის ფარგლებში იმუშავებს ვენეციის ბერძნულ და ნეაპოლის ლათინურ ხელნაწერებზე, როგორც დამოუკიდებლად, ასევე პროექტის მონაწილეებთან ერთად. იგი ჩართული იქნება პროექტით დაგეგმილი მეცნიერული კვლევის ყველა ეტაპზე; პროექტის განხორციელებისას სამეცნიერო მოხსენებების მომზადებასა და სტატიების გამოქვეყნებაში.

3. მკვლევარი – ქეთევან აბესაძე – თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბერძნული და ლათინური ენების მასწავლებელი.
პროექტის ფარგლებში მისი ძირითადი მოვალეობა ბერძნული ხელნაწერების შესწავლა და ბერძნული ხელნაწერის ტექსტის გამოსაცემად მომზადებაა.

4. ი. მაკარაძე – კოორდინატორი – თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მკვლევარი.
პასუხისმგებელია პროექტის მართვაზე, ადმინისტრირებასა და საორგანიზაციო საქმეებზე; მონაწილეობას მიიღებს საკითხის მეცნიერული კვლევის ყველა ეტაპზე, პროექტის განხორციელებისას სამეცნიერო მოხსენებების მომზადებასა და სტატიების გამოქვეყნებაში, დასკვნითი საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზებაში.

5. ახალგაზრდა მეცნიერი — კოტე ლომიძე, თსუ, ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის უფროსი სპეციალისტი
პროექტში ჩართულია მკვლევარის სტატუსით. რადგანაც მას აქვს ხელნაწერებსა და საარქივო მასალაზე მუშაობის გამოცდილება სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში, პროექტში მისი ძირითადი მოვალეობაა „ბალავარიანის“ საკუთრივ ქართულ ხელნაწერებზე

მუშაობა. პროექტის განხორციელებისას სამეცნიერო მოხსენებების მომზადებასა და სტატიების გამოქვეყნებაში, დასკვნითი საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზებაში.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

პროექტის ძირითადი პრაქტიკული და თეორიული შედეგები 2022 წელს: დამუშავდა „ბალავარიანის“ პრობლემასთან დაკავშირებული ფუნდამენტური ლიტერატურა; მათ შორის, ევროპელ ბიზანტინისტთა უახლესი სამეცნიერო შრომები; მუშავდება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ქართული „ბალავარიანის“ ორივე რედაქციის და ექვთიმე ათონელის ბერძნულიდან ქართულად თარგმნილი თხზულებების ხელნაწერები; დაწყებულია „ვარლაამ და იოასაფის“ ბერძნულ ხელნაწერებზე მუშაობა საზღვარგარეთის ბიბლიოთეკებსა და არქივებში. დაწყებულია ბერძნული და ქართული ხელნაწერების შესწავლით მოპოვებული მონაცემების ურთიერთშეჯერება და კვლევის შედეგად გამოვლენილი ქართული დაბერძნული ხელნაწერების პარალელური ციფრული გამოცემის მომზადებაზე მუშაობა. მომზადებულია და დაბეჭდილია სტატიები პროექტის მონაწილეების ავტორობით.

3.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1.

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.

4. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები
4.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.

4.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა, პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**5. პატენტები (არსებობის შემთხვევაში):**
5.1. საერთაშორისო პატენტები:
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.

5.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.

**6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში**

**6.1. მონოგრაფიები/წიგნები**

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

**1. იაკობ ხუცესის „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“ (კრიტიკული გამოცემა, ლექსიკონით, გამოკვლევითა და ინგლისური თარგმანით). თბილისი. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა. 750 გვ. (იბეჭდება)**

ავტორები: ნანა მრევლიშვილი, თინათინ ბერუაშვილი, სოფიო გულიაშვილი, რატი სტურუა, თინათინ ჯიქურაშვილი.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
გამოცემა მოიცავს იაკობ ხუცესის თხზულების, ანტონ კათალიკოსის „მარტირიკაში“ შეტანილი „მარტვილობისა“ და იონე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ჩართული „წამების“ ყველა არსებული ხელნაწერისა და საეტაპო გამოცემების მონაცემთა გათვალისწინებით კრიტიკულად დადგენიოლ ტექსტებს; ასევე, თხზულებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელო-ვანესი საკითხებისადმი მიძღვნილ კვლევით ნაწილს, ლექსიკონსა და თხზულების ინგლისური თარგმანის ახალ ვერსიას. ქართველოლოგიურრი სკოლის ცენტრის თანამშრომლის, სოფიო გულიაშვილის მიერ მომზადდა შემდეგი თავები: იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ ასახული სამოხელეო ტერმინები, სოციალური ფენები და სახელმწიფო წყობა, ეთნოგრაფიული მასალები იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებიდან“, „შუშანიკის წამების“ არამთავარი პერსონაჟები.

**6.2. სახელმძღვანელოები**
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.

**6.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით**
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.

**6.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით**
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1 . **ელგუჯა ხინთიბიძე, „დიდი სიახლე ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ“, ISSN1512-1186, *ქართველოლოგი* #29 (XIV), თბილისი, „ქართველოლოგი“.**

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
ნაშრომში მიმოხილულია დანიელი ბიზანტინისტის ქ. ჰეგელის სტატია „ეფთვიმე ათონელი ბერძნულიდან ქართულად და ქართულიდან ბერძნულად მთარგმნელი და მეტაფრასტი?“, რომელიც ქართველოლოგიური მეცნიერებისათვის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს. მასში შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის დიდი წარმომადგენლის ეფთვიმე ათონელის შემოქმედება ბიზანტიური მწერლობის პოზიციიდანაა შეფასებული და ახლებურ ნიუანსებს გამოავლენს ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის. ნაშრომში ჩამოყალიბებულია და დასაბუთებულია ეფთვიმე ათონელის მიერ ბერძნულ ენაზე შექმნილი თხზულების „ვარლაამ და იოასაფის ისტორიის“ პრობლემატიკასთან დაკავშირებული რამდენიმე პრობლემური საკითხი. კერძოდ, „ვარლაამ და იოასაფის“ ლემაში დასახელებული საბაწმინდელი ბერის - იოანეს ვინაობის დადგენას; ამ თხზულების შექმნის დათარიღებას და ეფთვიმეს თხზულებათა შესახებ ჩვენამდე მოღწეული მისი მამის – იოანე ათონელის ანდერძის ახლებურ ინტერპრეტირებას.

**2. კოტე ლომიძე, „ვეფხისტყაოსნის“ სიმბოლისტური რეცეფციის ერთი შემთხვევა, ISSN1512-1186, *ქართველოლოგი* #29 (XIV), თბილისი, „ქართველოლოგი“.**

ვალერიან გაფრინდაშვილის თეორიული თვალსაზრისების რეკონსტრუქციისა და პოეტური ნაწარმოებების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ვ. გაფრინდაშვილს განზრახული აქვს რუსთაველის მითის შექმნა. იგი რუსთველის შემოქმედებას რთავს საერთო მოდერნისტულ ნარატივში. ,,ვეფხისტყაოსანს“ გაიაზრებს ნიცშეს მიერ შემოთავაზებული შემოქმედების ორი საწყისის მიხედვით და პოემას აპოლონურ ნაწარმოებთა რიგს მიაკუთვნებს.

პოეტი სარაინდო რომანებზე ალუზიით ავთანდილს კურტუაზული რომანების გმირს უკავშირებს. ორიგინალურია ავთანდილის სახის რეცეფციაც — მკითხველის ცნობიერებაში მეგობრისათვის თავდადებულ რაინდად დამკვიდრებული ავთანდილი „წვიმის სპექტაკლში" მიჯნურის სახედაა გააზრებული.

**3. სოფიო გულიაშვილი, ტექსტის ლინგვოკულტურული სპეციფიკის განმსაზღვრელი ელემენტები „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" რუსულ თარგმანებში (ინგლისურ ენაზე). LITINFO #16. ISSN 1987-6092**

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მხატვრული ტექსტის ენობრივ და კულტურულ სპეციფიკას დიდწილად უნიკალური ლექსიკა განსაზღვრავს - სხვადასხვა ტიპის ვერბალური რეალობა, კულტურული კონტექსტი, სიტუაციური რეალობა, ინტერტექსტური ელემენტები და სხვა. მათი საშუალებით ნაწარმოებში ასახულია ის, რასაც ლექსიკონი ვერ ფარავს. შესაბამისად, მთარგმნელის კულტურული ცოდნა არის ტექსტის არაენობრივი რეალობის ამოცნობის გარანტი. ენობრივი და კულტურული თავისებურებების იდენტიფიცირება კი თარგმანში მათი ასახვისა და სასურველი შედეგის მიღწევის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომში განხილულია ნიკოლოზ მარისა და იოსებ ზეთეიშვილის „გრიგოლ ხანძეთელის ცხოვრების" რუსული თარგმანები და გაანალიზებულია თითოეულ თარგმანში ნაწარმოებების ენობრივი და კულტურული სპეციფიკის ასახვის გზები.

**4. ს. გულიაშვილი, უძველესი მხატრული ტექსტების უცხო ენაზე თარგმნის სტრატეგიები „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" რუსული თარგმანების მიხედვით (იბეჭდება). ჟ. ქართველოლოგი #30 (XV). ISSN1512-1186.**

უძველესი ტექსტების როგორც ინტერლინგვური, ისე ინტრალინგვური თარგმნის პროცესი ორი ძირითადი ოპოზიციის – მოშინაურება-გაუცხოურებისა და მოდერნიზაცია-არქაიზაციის – შეპირისპირების ფარგლებში ექცევა.

გერმანელი ფილოსოფოსი ფრიდრიხ შლეიერმახერი თარგმანის სხვადასხვა მეთოდის განხილვისას დასძენდა, რომ მთარგმნელს არ აქვს სხვა არჩევანი, „ან ანებებს თავს მწერალს და მკითხველს მის შესახვედრად წასვლას აიძულებს, ან კიდევ მკითხველს ანებებს თავს, და მაშინ მის შესახვედრად თავად მწერალი მიდის". ამ სიტყვებს გამოძახილია თარგმანის ამერიკელი თეორეტიკოსის ლოურენს ვენუტის ტერმინები მომშინაურებელი (domesticating translation) და გამაუცხოებელი (foreignizing translation), რომელთგან პირველი სხვა ენაზე დაწერილი თუ სხვა კულტურის წიაღში შექმნილი ტექსტის ასიმილაციისა და აპროპრიაციის გზით მიდის და ამგვარად ტექსტica da მწერალიc მიჰყავს მკითხველამდე, ხოლო მისი საპირისპირო, გამაუცხოებელი თარგმანი (foreignizing translation) თარგმნილი ტექსტის ენობრივ და კულტურულ განსხვავებულობას ასახავს მაქსიმალურად და ამ გზით უკვე მკითხველი მიჰყავს ტექსტამდე/მწერლამდე.

ისეთ შემთხვევებში კი, როდესაც დედანსა და თარგმანს შორის ეპოქებია და მკითხ-ველისთვის ტექსტი ძველი/მოძველებულია არა მარტო ენობრივი თვალსაზრისით, არამედ შინაარსითაც (ან ენითაც და შინაარსითაც), მთარგმნელმა უნდა გადაწყვიტოს, როგორ

გაუმკლავდეს ამ სირთულეს, წავიდეს ტექსტის არქაიზაციის გზით და ხაზი გაუსვას ტექსტის სიძველეს არა მარტო ძველი ენობრივი ნორმების დაცვით, არამედ ავთენტური ტექსტური სამყაროს შენარჩუნებით – თუ მოდერნიზაციის სტრატეგიით იხელმძღვანელოს, რომელიც თარგმანში ტექსტის დღევანდელი აქტუალურობის ხაზგასმას ისახავს მიზნად, ამისთვის თანამედროვე ენას იყენებს, ზოგჯერ კი თანამედროვე ტექსტურ სამყაროს და შინაარსს გადანერგავს თარგმანში. (ჯოუნსი&ტერნერი: 2004)

ზემოთ აღწერილი მთარგმნელობითი სტრატეგიების შუქზე სტატიაში განხილულია ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტების იოსებ ზეთეიშვილისეული თარგმანები. ლატვიის ქალაქ ვისაგინასში მოღვაწე დეკანოზ იოსებ ზეთეიშვილის მიერ რუსულად თარგმნილი „შუშანიკის წამება“, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“, „აბო თბილელის წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „წმინდა გიორგის სასწაულები“, „იოანე და ეფთვიმე ათონელების ცხოვრება“, „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ ბოლო ათწლეულების განმავლობაში პარიზში გამოქვეყნდა, მოგვიანებით კი თხზულებათა ნაწილი წიგნადაც გამოიცა. სწორედ ამ გამოცემებს ვიყენებთ საანალიზო მონაკვეთების წყაროდ.

**5. ს. გულიაშვილი, მოციქულთასწორი დედების „ცხოვრებათა“ წიგნები ადრეშუასაუკუნეების ბიზანტიურ ლიტერატურაში და „წმინდა ნინოს ცხოვრების“ უძველესი რედაქციები. ჟ. Caucasus Journal of Social Sciences. ISSN1512-3677. Vol. 17. (იბეჭდება)**

მოციქულთასწორი დედების ცხოვრებათა წიგნების ვრცელ რედაქციებში ბიოგრაფები დაწვრილებით აღწერენ თითოეულის ისტორიას, საქმიანობას და წვლილს ქრისტიანობის გავრცელებაში. იმ (მსგავსი) მისიიდან გამომდინარე, რომელიც მათ საკუთარ თავზე აიღეს, ბუნებრივია, განმანათლებელთა ბიოგრაფიების შინაარსი მათ სინქრონულობას ავლენს. მაგალითად, თითოეული ავტორი თავის გმირს „მოციქულს“ გაბედულად უწოდებს; აღწერს, როგორ მონათლა მან სხვა ადამიანები; ზოგჯერ საუბარი ისეთ მოქმედებებზეც არის, რომლებიც დღეს მხოლოდ მამაკაც მოციქულებს მიეწერებათ – ქადაგება, განკურნება, დემონების განდევნა, მკვდრის აღდგინებაც კი.

რამდენიმე გამოკვლევაზე დაყრდობით ბრიტანელი ისტორიკოსი ელი კატეუში წიგნში „წმინდა მარიამი და ადრეშუასაუნეების ქალები“ ერთ თავს მოციქულთასწორ დედებს უძღვნის და სამ გამოკვლევაზე დაყრდნობითა და ოთხი განმანათლებელი ქალის ისტორიის გათვალისწინებით ასკვნის, რომ განმანათლებელი ქალების (წმინდა მარიამნას, წმინდა თეკლასა და წმინდა ირინეს) ღვაწლი ერთგვარად მიჩქმალულია და ერთადერთი, ვინც სათანადო პატივითაა მომდევნო საუკუნეებში შემკული წმინდა ნინოა. შესაბამისად, ის ეძიებს ასეთი „მიჩქმალვის“ მიზეზებსა და მოტივებს.

მკვლევარი იყენებს ნაშრომებს, რომლებშიც წარმოდგენილია: ა) II-V საუკუნეებით დათარიღებული ფილიპეს საქმეთა ხელნაწერი ფრაგმენტებიდან ამოკრებილი თხრობა ევანგელისტ მარიამნაზე; ბ) I ს-ის მქადაგებელ ირინე მაკედონელზე ვრცელი ისტორიის ანალიზი (სწორედ ამ გამოკვლევაშია გაკეთებული პარალელი „წმინდა ნინოსთან ცხოვრე-ბასთან“); გ) მიმოხილულია წმინდა თეკლას ისტორია ორ თხზულებაში: ერთია მოკლე ბერძნული – „თეკლას საქმეები“ (II ს.) და უფრო ვრცელი, ასევე ბერძნული, თხზულება

„თეკლას ცხოვრება“ (Vს.). „წმინდა ნინოს ცხოვრებას“ თუნდაც მისი რომელიმე თარგმანის საშუალებით ის არ იცნობს, თუმცა საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებისას მის მონაცემებს იშველიებს და აცხადებს, რომ: 1. ადრეულ შუასაუკუნეებში განმანათლებელ დედათა თუ ქალწულთა შესახებ უძველეს ტექსტებში მართლაც ჩანს, რომ ისინი აღასრულებენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც მხოლოდ მამაკაცი მოციქულების ხელით აღესრულება, ქალისთვის კი დაუშვებელია; 2. გვიანდელი რედაქტირების შედეგად კამ ტიპის ყველა ინფორმაცია შესწორებულია ან გამქრალი; 3. იშვიათ შემთხვევაში, რედაქტორს გამორჩენილი აქვს მსგავსი მომენტები და ტექსტების ზოგიერთ ვერსიაში დარჩენილია ის ინფორმაცია, რომელიც რედაქტირებას უნდა დაქვემდებარებოდა. სწორედ ასეთ იშვიათ შემთხვევად მიაჩნია ავტორს „წმინდა ნინოს ცხოვრება“.

ზემოხსენებული მოსაზრების გათვალისწინებით სტატიაში ახალი რაკურსითაა გაანალიზებული „წმინდა ნინოს ცხოვრების“ უძველესი რედაქციები, რაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბრიტანელი მეცნიერის მოსაზრების დაზუსტებისა თუ გადამოწმებისთვის, არამედ ქართული ლიტერატურის ისტორიისთვის ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხის – ქართული მწერლობის დასაწყისის პრობლემის – კონტექსტშიც.

**7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში**

7.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

**7.2. სახელმძღვანელოები**

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1.

7.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით; გვერდების რაოდენობა

**8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**

8.1. საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

**1. ს. გულიაშვილი, ტექსტის ლინგვოკულტურული სპეციფიკის განმსაზღვრელი ელემენტების ასახვა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების რუსულ თარგმანებში. სამეცნიერო კონფერენცია ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში – IV. 26 იანვარი. 2023.**

2. ს. გულიაშვილი, მოციქულთასწორი დედების „ცხოვრებათა“ წიგნები ადრეშუასაუკუნეების ბიზანტიურ ლიტერატურაში და „წმინდა ნინოს ცხოვრების“ უძველესი რედაქციები. მეორე საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო და კავკასია – წარსული, აწმყო, მომავალი“, 7-8 ნოემბერი, 2023. თბილისი, საქართველო.

3. ს. გულიაშვილი, უძველესი ქართული ტექსტების სწავლების თანამედროვე მდგომარეობა. სამეცნიერო კონფერენცია „სწავლებისა და კვლევის თანამედროვე გამოწვევები ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში“. 13 დეკემბერი, 2023, თბილისი. საქართველო.

4. ს. გულიაშვილი, ქართულ-ბიზანტიური კულტურათაშორისი ურთიერთობები ადრეშუასაუკუნეების ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის შუქზე. II საერთაშორისო ინტერდისციპლინური ონლაინ კონფერენცია „საქართველო და მსოფლიო“ (კულტურათაშორისი ურთიერთობები). თბილისი, საქართველო. 27 ნოემბერი, 2023.

5. ს. გულიაშვილი, მოციქულთასწორი დედები – მქადაგებლები და განმანათლებლები. ინტერდისციპლინური კვლევების საერთაშორისო ცენტრის I სამეცნიერო კონფერენცია – წმინდა ნინო. 3 დეკემბერი, 2023. თბილისი, საქართველო.

6. ს. გულიაშვილი, საკუთარ სახელთა თარგმნის ხერხები ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებების რუსულ და ინგლისურ თარგმანებში. საერთაშორისო კონფერენცია „ინტერდისციპლინური კვლევების ახალი ჰორიზონტები“. ბათუმი, საქართველო. 2023.

7. ს. გულიაშვილი, ინტერტექსტური ელემენტები ჰაგიოგრაფიაში და მათი ასახვის გზები გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების რუსულ თარგმანებშიპროფესორ გიორგი (ჟორჟ) ეკიზაშვილის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. 13 მარტი. თბილისი, საქართველო.

6. კ. ლომიძე, რუსთველისა და დანტეს ერთი ეთიკური თვალსაზრისის შესახებ. თბილისი, საქართველო. სამეცნიერო კონფერენცია ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში – IV. 26 იანვარი, 2023.

8. 2. უცხოეთში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Elguja Khintibidze, “Unknown Georgian Source for the Introduction to the Barlaam-Romans”, Colloque International, Barlaam and Josaphat in the History of Religions, 23-24 May 2023, Strasbourg.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

დაწესებულებას თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ყურადღება!
* სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.

* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.
* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.
* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.
* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2
(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ინსტიტუტი შედგება ორი კათედრისაგან:

a) ახალი ქართული ენის კათედრა, ხელმძღვანელი: პროფესორი **რამაზ ქურდაძე**.

b) ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრა, ხელმძღვანელი: პროფესორი **დარეჯან თვალთვაძე.**

ინსტიტუტთან არსებობს ორი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი:

ა) ძველ ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ორიონი“, ხელმძღვანელი: აკადემიკოსი მზექალა შანიძე.

ბ) ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ცენტრის ხელმძღვანელი: დოქტორანტი გიორგი ქიტოშვილი

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით**
**ახალი ქართული ენის კათედრა**

პროფესორი **რამაზ ქურდაძე, ახალი ქართული ენის კათედრის ხელმძღვანელი;**
ასოცირებული პროფესორი **კახა გაბუნია,**
ასოცირებული პროფესორი **ინგა სანიკიძე,**
ასოცირებული პროფესორი **სალომე ომიაძე,**
ასოცირებული პროფესორი **რუსუდან ზექალაშვილი,**
ასოცირებული პროფესორი **მაია ლომია,**
ასოცირებული პროფესორი **ქეთევან მარგიანი-სუბარი,**
ასოცირებული პროფესორი **ნინო შარაშენიძე,**
ასოცირებული პროფესორი **გიული შაბაშვილი,**
ლაბორანტი **სოფია შამუგია,**
ლაბორანტი **ლაშა კაპანაძე.**

**ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრა**

პროფესორი **დარეჯან თვალთვაძე, ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრის ხელმძღვანელი;**

ასოცირებული პროფესორი **ანა ხარანაული,**
ასოცირებული პროფესორი **ლელა ციხელაშვილი.**

**ძველ ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევით ცენტრი „ორიონი“**

აკადემიკოსი **მზექალა შანიძე, ძველ ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევით ცენტრ „ორიონის“ ხელმძღვანელი;**
მკვლევარი **მარინე ოდიკაძე,**
ლაბორანტი **თინათინ ჯიქურაშვილი.**

**ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო–კვლევითი ცენტრი**

დოქტორანტი **გიორგი ქიტოშვილი, ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი**

უფროსი ლაბორანტი **დოდო შონია,**
ლაბორანტი **დოდო ქიტუაშვილი.**

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება**
**ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**
1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. ქართული ენის ფლობის დონეების ეროვნული სტანდარტისა და საგამოცდო ტესტების სტრუქტურულ-შინაარსობრივი კონცეფციის შექმნა.
დამკვეთი: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
მიმართულება: ქართული, როგორც მეორე ენა

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები:
1. 2022-2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით):
1. ასოც. პროფ. **კახა გაბუნია** - ჯგუფის ხელმძღვანელი.

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**
სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის (IX თავის 34-ე მუხლი) თანახმად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ვალდებულება აიღო უზრუნველყოს ქართული ენის ფლობის დონეთა განმსაზღვრელი გამოცდის მომზადება და ჩატარება.
ამ ვალდებულებების შესასრულებლად, განათლების სამინისტროს დავალებით, 2022 წლის 1 ნოემბრიდან შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში შედგა ექსპერტთა ჯგუფი, რომლის მიზანია **ქართული ენის ფლობის დონეების ეროვნული სტანდარტისა და საგამოცდო ტესტების სტრუქტურულ-შინაარსობრივი კონცეფციის** ჩამოყალიბება. კონცეფციის მიხედვით, უნდა შეიქმნას „ქართული ენის ფლობის დონეთა დეტალური სასწავლო აღწერილობა“, რომლის საფუძველზეც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

მოამზადებს ქართული ენის ფლობის დონეთა განმსაზღვრელ საგამოცდო ტესტსა და გამოცდას.
ქართული ენის ფლობის დონეთა განსაზღვრა ეფუძნება „ენათა ფლობის საერთოევროპულ კომპეტენციებს“ (CEFR) – ევროპის საბჭოს უნივერსალურ დოკუმენტს, რომელიც წარმოადგენს ევროპისა და სხვა ქვეყნების უცხოურ ენათა მასწავლებლების ჯერ კიდევ 1971 წელს დაწყებული ინტენსიური მუშაობის შედეგს. იგი მოიცავს ყველა თანამედროვე ენას და გვთავაზობს ენათა სწავლებისა და სწავლის აღწერით სქემებს, რომლებიც დეტალურად ასახავს, თუ როგორ უნდა გამოიყენოს მომხმარებელმა ენა ეფექტური კომუნიკაციისათვის; ასევე გვაწვდის ენობრივ ქმედებათა აღწერასა და კომპეტენციებს კვალიფიკაციის ექვს დონეზე.
ქართული ენის ფლობის დონეები ტესტირების შედეგად უნდა განისაზღვროს, რომელიც შესაძლებელია ჩატარდეს ელექტრონულ ფორმატში ან გამოყენებულ იქნეს ქაღალდი. ამ ამოცანის შესასრულებლად შედგენილი ტესტი „ენათა ფლობის საერთოევროპული კომპეტენციების“ მიერ განსაზღვრულ დონეთა სკალებს ეყრდნობა, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს შეფასების სკალის შედგენის წყაროს. შეფასების სკალაზე აისახება განსაზღვრული
სასწავლო მიზნის მიღწევის დონე, ხოლო დესკრიპტორების საშუალებით ხორციელდება კრიტერიუმების ფორმულირება. მიზანი არის განისაზღვროს ენის დაუფლების ხარისხი „ენათა ფლობის საერთოევროპული კომპეტენციებში“ წარმოდგენილ რომელიმე დონეზე (მაგალითად, A1, A2, B1...).
ტესტირების შედეგების მიხედვით გაირკვევა, რომელ დონეზე ფლობს გამოსაცდელი პირი ენას, რაც, თავის მხრივ, შესაბამისობაში იქნება უცხოური ენების ფლობის საერთოევროპული ჩარჩოს მიერ დადგენილ დონეებთან: C2, C1, B2, B1, A2, A1.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, „დიალექტური კუნძული ტრანსეთნიკურ არეალში - ქართული ენის ინგილოური დიალექტი აზერბაიჯანში“ (HE-21-873) 2021-2024,
ძირითადი პერსონალი - **ასოც. პროფ. ნინო შარაშენიძე**

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

პროექტის მიზანია საქართველოს საზღვრებს გარეთ - აზერბაიჯანში -კახის, ბელაქანისა და ზაქათალას რაიონებში, ქართული ენის ინგილოური დიალექტის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი შემადგენლის, თანამედროვე ტექნოლოგიებითა და მოწინავე მეცნიერული მეთოდოლოგიით დოკუმენტირება და კვლევა და ამ კვლევის შედეგების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ფართო ინტერდისციპლინური გამოყენებისათვის. საკვლევი საკითხი მნიშვნელოვანია როგორც კუნძულური ენობრივი ერთობების ტიპოლოგიური კვლევის თვალსაზრისით, ასევე კონკრეტულ რეგიონში ქართული ენობრივი და კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტირებისა და კვლევის, ქართული დიალექტოლოგიის ზოგადი საკითხების შესწავლისათვის. ამ პროექტის მნიშვნელოვანი სიახლე იქნება ის, რომ წმინდა ლინგვისტიკური კვლევების გარდა, შეიქმნება ისეთი ნაშრომი, რომელიც კორპუსის ტექსტური მასივიდან გამოარჩევს ინგილოთა ყოველდღიური ცხოვრების, მეურნეობის, კულინარიის, ფოლკლორის, იუმორის, ხელსაქმის, რეწვის, მათ მიერ გადატანილი გაჭირვების თუ სიხარულის ამსახველ ტექსტებს და მათ, როგორც ზეპირი ისტორიის ნიმუშებს, პოპულარულ ენაზე მონათხრობის სახით გააცნობს ქართველ მკითხველს. პროექტის ფარგლებში ასევე დასრულდება და გამოქვეყნდება

მონოგრაფიები ქართულ და ინგლისურ ენებზე; ინგილოური ლექსიკონი; ასევე შეიქმნება მხატვრულ-დოკუმენტური ნაშრომი ინგილოთაგან ჩაწერილი ტექსტებისა და მოსმენილი ამბების საფუძველზე, რაც ხელს შეუწყობს ქართულ საზოგადოებაში საინგილოს შესახებ კულტურული მეხსიერების გაძლიერებას.
3. ტოპონიმთა საერთო ელექტრონული ბაზა (მეცნიერების დარგი: ლინგვისტიკა; სამეცნიერო მიმართულება: ონომასტიკური კვლევები), დასაწყისი: 2022 წ., მიმდინარეობს 2023 წლის განმავლობაშიც.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **გიორგი ქიტოშვილი** (ცენტრის ხელმძღვანელი) - იმერეთის ტოპონიმიის საერთო ელექტრონულ ბაზაზე მოშაობა;
2. **დოდო შონია** (უფროსი ლაბორანტი) - თელავის, დუშეთის (ბარის) მუნიციპალიტეტის ტოპონიმური მასალის ელ. ბაზის მომზადება;
3. **დოდო ქიტუაშვილი** (ლაბორანტი) - საჩხერის, გორის, კასპის, ხაშურის მუნიციპალიტეტების ტოპონიმური მასალის ელ. ბაზის მომზადება.

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1. ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლების მიზანია, შეიქმნას საქართველოს ყველა რეგიონის ტოპონიმიის საერთო ელექტრონული ბაზა. ამისათვის, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მზადდება თითოეული სოფლის ტოპონიმური მასალის ელექტრონული ბაზები. 2023 წელს მომზადდა თელავის, დუშეთის ბარის, საჩხერის, თერჯოლის, ზესტაფონის, ხარაგაულის, გორის, კასპის, ხაშურის მუნიციპალიტეტების ტოპონიმიის ელ. ვერსიები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტოპონიმის ადგილ-მდებარეობისა და სახელდების მოტივაციის განსაზღვრას. კვლევამ გამოავლინა, რომ ხშირ შემთხვევებში ცენტრში არსებული მასალა ნაკლულია და დაზუსტებას საჭიროებს, რაც შემდგომი კვლევის საგანია.

4. „წმიდა წერილი - ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ძველი ქართული ტექსტი მინიატიურებით“, სულიერების, კულტურის და მეცნიერების აღორძინებისა და განვითარების სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის პროექტი. მიმდინარეობის ვადები: 2021-2024

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **მარინე ოდიკაძე** (ძირითადი შემსრულებელი)
2. მანანა კვერნაძე (დამკაბადონებელი)
3. დეკანოზი პეტრე ბარამიძე (გამოცემის პასუხისმგებელი და კოორდინატორი)

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. პროქტით გათვალისწინებულია ძველი ქართული ბიბლიის სრული ტექსტის გამოცემა. ძველი აღთქმის წიგნები ეფუძნება ოშკის, იგივე ათონის ბიბლიას (Ivir.Geo.1), რომელიც გადაწერილია 978 წ. ოშკის ლავრაში და ამჟამად ინახება ათონის მთაზე, ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკაში. რადგანაც ათონური ხელნაწერი ნაკული და დაზიანებულია და ძველი აღთქმის ტექსტი მასში სრულად არ შემონახულა (ზოგიერთი წიგნი ნაკლული სახითაა ჩვენამდე მოღწეული, ზოგიერთი კი სრულად აკლია ხელნაწერს), ლაკუნები შეივსო ოშკურ ბიბლიასთან რედაქციულად ახლოს მდგომი ხელნაწერებიდან, მაგალითად, საბას, იგივე

მცხეთის ბიბლია (ხეც, A-51), იერუსალიმური ბიბლია (Jer.Geo.7/11), ხეც. A-646, ბაქარის ბიბლია და ა.შ.
ახალი აღთქმის წიგნებისთვის გამოყენებულია გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ტექსტები, იოვანეს გამოცხადება კი იბეჭდება ექვთიმე ათონელის თარგმანის მიხედვით.
მინიატიურები ერთვის სახარება-ოთხთავისა და ფსალმუნის ტექსტს. ოთხთავისთვის მინიატიურები შეირჩა ჯრუჭის მეორე ოთხთავად წოდებული მე-12 ს. ხელნაწერიდან (ხეც, H-1667). ფსალმუნებს კი მინიატურები ერთვის კ. კეკელიძს სახ. საქ. ხელ. ეროვნული ცენტრის H-75 (XVI ს.) ხელნაწერის მიხედვით.
2022 წელს ამ პროექტის ფარგლებში გამოქვეყნდა „ახალი აღთქუმაჲ. საქართველოს საპატრიარქოსა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთობლივი გამოცემა“. ამჯერად კი მუშაობა გრძელდება ძველი აღთქმის ტექსტების გამოსაცემად მომზადებაზე.

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. ,,სახელების ბაზა“, ქვეპროექტი: „გეოგრაფიულ სახელწოდებათა მოწესრიგება“ (მეცნიერების დარგი: ლინგვისტიკა; სამეცნიერო მიმართულება: ონომასტიკური კვლევები); დაწყება - 2023, დასრულება - 2023;

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **გიორგი ქიტოშვილი** - კახეთის ონომასტიკური ბაზის ორთოგრაფიული თვალსაზრისით მოწესრიგება; გადასარქმევი სახელების სარეკომენდაციო სიის შედგენა; მეცნიერული დასაბუთება თითოეული სახელის შეცვლის შესახებ.

**დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. ორთოგრაფიული თვალსაზრისით ტოპონიმთა სახელდების მოწესრიგებისათვის გაწეული სამუშაო: ა) რთული სახელწოდების სწორი დაწერილობა (ერთად, ცალკე, დეფისით) განისაზღვრა; ბ) მსაზღვრელის სწორი დაწერილობის მიმართ შემუშავდა მეცნიერული მიდგომა (ბრუნვის ნიშნით, ბრ. ნიშნის გარეშე); გ) განისაზღვრა ტოპონიმთა ნათესაობითი ბრუნვის დაწერილობა (კვეცა, კუმშვა); დ) შეირჩა ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტებიდან სასურველი ვერსიები; ზოგ შემთხვევაში გასწორდა ტოპონიმთა ისტორიული სახელის დამახინჯებული ფორმა; სპეციალურ კომისიასთან ერთად შევიმუშავეთ რემომენდაციები: ა) საბჭოთა იდეოლოგიის ამსახველი სახელების შეცვლის შესახებ; ბ) თარგმნილი სახელწოდებებისთვის თავდაპირველი სახის დაბრუნების შესახებ; გ) არასწორად დარქმეული სახელწოდებების გასწორების შესახებ).

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. **„ საქმე მოციქულთას“ ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის გამოსაცემად მომზადება“** (ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი)

- პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი - FR-21-7518

- სამეცნიერო მიმართულება: 3. სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები
ქვე-მიმართულება: 3.5. ლიტერატურის, კულტურისა და ხელოვნების კვლევები
კატეგორია: 3.5.3. ფილოლოგია, ტექსტისა და გამოსახულების კვლევა;
- პროექტის დაწყების თარიღი - 15.03.2022
- პროექტის დამთავრების თარიღი - 15.03.2025

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **დარეჯან თვალთვაძე** (პროექტის ხელმძღვანელი და ძირითადი შემსრულებელი)
2. სოფიო სარჯველაძე (პროექტის კოორდინატორი და ძირითადი შემსრულებელი)
3. ელგუჯა გიუნაშვილი (ძირითადი შემსრულებელი)
4. **თინათინ ჯიქურაშვილი** (ძირითადი შემსრულებელი)

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

საგრანტო პროექტი მიზნად ისახავს ახალი აღთქმის ერთ-ერთი წიგნის - „საქმე მოციქულთას“ ძველი ქართული თარგმანის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის გამოსაცემად მომზადებას ყველა არსებული ხელნაწერისა და ასევე, უძველეს ქართულ ლექციონარებში დაცული „საქმე მოციქულთას“ საკითხავების მიხედვით. დღეისათვის არსებობს „საქმე მოციქულთას“ ძველი ქართული თარგმანის ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი გამოცემა (ი. აბულაძე 1950, G.Garitte, 1955) და ორივე გამოცემისთვის სულ გამოყენებულია 11 ხელნაწერი. ი. აბულაძემ ტექსტი გამოსცა 9 ხელნაწერის მიხედვით (S-407, S-1398; Ath.42, Kut-176; A-584, A-34; A-137, A-677 და K-4) და გამოყო 4 რედაქცია (A და B - წინაათონური, C - გიორგი ათონელისეული და D - ეფრემ მცირისა), ხოლო ჟ. გარიტის პუბლიკაცია X საუკუნის ორ სინურ ხელნაწერს (O/Sin.Geo.58/31/60 და O/Sin.Geo.39) დაეყრდნო. გამომცემლებისთვის ამ დროს ხელმიუწვდომელი იყო ხელნაწერები, რომლებიც ათონის მთაზე, ივირონის მონასტერში და იერუსალიმში, ბერძნული საპატრიარქოს წიგნთსაცავის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში ინახებოდა. გარდა ამისა, აღნიშნულ გამოცემებში ვერ აისახა „საქმე მოციქულთას“ უძველეს ლიტურგიკულ კრებულებში საკითხავების სახით დაცული ტექსტობრივი მასალა. ამიტომ „საქმე მოციქულთას“ ძველი ქართული თარგმანის ტექსტის შემცველი ხელნაწერების შესწავლა და ძველი ქართული თარგმანის ტექსტის კრიტიკული გამოცემა, რომელიც ყველა მნიშვნელოვანი ხელნაწერის მონაცემებს ასახავს და ტექსტის თარგმნა-რედაქტირების ეტაპებისა და თარგმანის წარმომავლობის დადგენისთვის აუცილებელ ტექსტურ მასალას მოგვცემს, დღემდე აქტუალურ საკითხად რჩება. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით მიმდინარე პროექტი (FR-21-7518), სწორედ ამგვარი გამოცემის მომზადებას ისახავს მიზნად.

კვლევის პირველ ეტაპზე, რომლის ამოცანას „საქმე მოციქულთას“ ხელნაწერების მოძიება და მათ კლასიფიცირება წარმოადგენდა, გამოვლინდა 90-მდე მანუსკრიპტი. ქართულ ხელნაწერთა კოლექციების დამუშავებისას გამოიკვეთა, რომ შესწავლილ ხელნაწერთაგან არცერთი კოდექსი არ შეიცავს მხოლოდ „საქმე მოციქულთას“ ტექსტს (თუ არ ჩავთვლით ფრაგმენტულ ხელნაწერებს, სადაც ამის მიზეზი ხელნაწერის მთლიანობის დარღვევა-დაზიანებაა). „საქმე მოციქულთას“ ტექსტი შეტანილია კრებულებში, რომლებიც თავისი შინაარსით, სტრუქტურითა და დანიშნულებით სხვადასხვანაირია. ესენია: ა) ბიბლიური კრებულები, ბ) ლიტურგიკული კრებულები და გ) ეგზეგეტიკური კრებულები. ხელნაწერთა შესწავლის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე კოდექსი, რომელიც აქამდე არ ყოფილა საგანგებოდ შესწავლილი და დღემდე არსებულ გამოცემებში ტექსტის დასადგენად გამოყენებული.

პროექტის მეორე ეტაპზე (15.03.2023 - 15.03.2024) მიმდინარეობს ტექსტოლოგიური კვლევა. მომზადდა A და B რედაქციის ტექსტის შემცველი X საუკუნის ნუსხების ტრანკრიპტები, რომელთაც შეუდარდა ამავე რედაქციების სხვა ხელნაწერებში მოძიებული ტექსტი. წინაათონური რედაქციებისთვის ტექსტური წყაროების კოლაცია და ვარიანტების აღნუსხვა მოხდა შემდეგი ხელნაწერების მიხედვით: S-407 (X ს); S-1398 (+A-369 ფრაგმენტი); Ivir.georg.42 (963-969 წწ.); Jer.Geo.94/82 (Xს); O/Sin.Geo.39 (974წ.); O/Sin.Geo.58-31-60 (977წ); Kut.–176 (XI ს-ის I ნახ.); Ivir.georg.19 (XIII-XIV სს). მათგან განსაკუთრებით გამოვყოფთ "საქმე მოციქულთას" ტექსტის წინაათონური B რედაქციის Jer.Geo.94/82 ხელნაწერს, რომელსაც იერუსალიმური კოლექციის ხელნაწერების აღმწერელი რ. ბლეიკი XI-XII საუკუნის ლიტურგიკულ კრებეულად მიიჩნევდა, სინამდვილეში კი „სამოციქულოს" შემცველი კოდექსი აღმოჩნდა, რომელიც X საუკუნეში გადაუწერია იმავე პირს (მიქაელ მღვდელს), რომელმაც 963-969 წლებში Ivir.georg.42 ხელნაწერი გადანუსხა ულუმბოს მონასტერში.
C რედაქციის (გიორგი მთაწმიდელისეული) საყრდენ ნუსხებად შეირჩა უძველესი თარიღიანი კოდექსი A-584 (1083 წ.) და ასევე მე-11 საუკუნის ხელნაწერი Ivir.georg.78, რომელიც შესაძლოა გიორგი ათონელის ავტოგრაფიდან იყოს გადაწერილი და აქამდე ტექსტის დასადგენად არ ყოფილა გამოყენებული. ამ ხელნაწერებიდან გადმოწერილი „საქმე მოციქულთას" ტექსტი შეუდარდა შედარებით უფრო გვიანდელ კოდექსებში Jer.Geo.19 (XII-XIII სს), A-34 (XIII ს.), Jer.Geo.129 (XIV-XV სს) დაცული ტექსტს და აღინუსხა ყველა განსხვავებული წაკითხვა, რომლებიც, ძირითადად, ორთოგრაფიული ხასიათისაა.
D (ეფრემ მცირისეული) რედაქციის ტექსტის დასადგენად შესწავლილ იქნა ორი ტიპის ხელნაწერები: ხელნაწერები, რომლებიც ბიბლიურ ტექსტს („საქმე მოციქულთას") შეიცავენ, ასეთია „სამოციქულოს" კოდექსები: A-677 ( XI-XII სს), A-137 (XIII-XIV სს. ), K-4 //K-12//G 117 (XIII ს.) და „სახარება-სამოციქულოს" ხელნაწერი A-482 (XVIს.) და ეგზეგეტიკური თხზულების („სამოციქულოს თარგმანება") ის ხელნაწერები, რომლებიც ეფრემის მიერ ამ ეგზეგეტიკური თხზულების თარგმნისას კიმენად გამოყენეულ და ალაგ-ალაგ მის მიერ კორექტირებულ „საქმე მოციქულთას" ტექსტს შეიცავს, ესენია: Jer. Geo.16 (XII ს); (Q-1158 (XI ს); S-3656 (1809 წ.); S-1172 (XIX ს). ეფრემისეულად მიჩნეული რედაქციის ტექსტის გიორგისეულთან შედარებამ აჩვენა, რომ ეფრემის რედაქციაში „საქმე მოციქულთას" ტექსტი, ძირითადად, გიორგი მთაწმიდელის რედაქციითაა წარმოდგენილი, ეფრემის მიერ „უსაკუთრესად" მიჩნეული და ამის გამო შესწორებული მუხლების რაოდენობა სამოციქულოს სხვა წიგნებთან შედარებით მცირეა (სულ აღნუსხულია 40-მდე მუხლის განსხვავებული წაკითხვა).
ამჟამად ჯგუფი მუშაობს ლიტურგიკულ კრებულებში დაცული "საქმე მოციქულთას" საკითხავების ტექსტების შესასწავლად. ასეთი კრებულებია: „ლექციონარები", „საწელიწდო სამოციქულო",/„რიგის სამოციქულო",/„გამოკრებილი სამოციქულო", რომლებშიც სამოციქულოს საკითხავები დალაგებულია ტიპიკონით განსაზღვრული საეკლესიო კალენდრის მიხედვით. ამ სამუშაოს დასრულება და ძველ ლიტურგიკულ კრებულებში შეტანილი „საქმე მოციქულთას" საკითხავების ვარიანტების აღნუსხვა დაგეგმილია პროექტის მეორე ეტაპის დასრულებამდე (2024 წლის მარტი). ტექსტოლოგიური კვლევისთვის სხვა ლიტურგიკულ კრებულებთან ერთად (კალის/ლაგურკის ლექციონარი/Lk- Q-1653; სინის /იერუსალიმური ლექციონარი/Ls - O/Sin.Geo.37; Ll - ლატალის ლექციონარი; Lp - პარიზის ლექციონარი; „საწელიწდო სამოციქულო" Sin.Geo.O.10; Ivir.georg. 80 და სხვა) უნდა იქნეს გამოყენებული IX-X საუკუნეების რამდენიმე ლიტურგიკული კრებული სინის მთიდან, კერძოდ: O/Sin.Geo.53 (IX-X სს), N/Sin.Geo.26; N/Sin.Geo.31, N/Sin.Geo.54, N/Sin.Geo.26; N/Sin.Geo.31, N/Sin.Geo.58, რომლებიც სხვა თხზულებებთან ერთად შეიცავს „საქმეთა" საკითხავებს და, მიუხედავად ფრაგმენტულობისა, საყურადღებო ტექსტური მასალის

შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს. ამ მიზნით 2024 წელს დაგეგმილია მივლინება ეგვიპტეში სინის მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერში, დაცული ხელნაწერების შესასწავლად.
პროექტი დასრულდება 2025 წლის მარტში „საქმე მოციქულთას" ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის ელექტრონული გამოცემით.

2. **ინფორმაციული სტრუქტურა და ქართველურ ენათა ჰიპოტაქსური მოდელები** (FR-21-352)
მეცნიერების დარგი: ენათმეცნიერება (ქართველური ენათმეცნიერება)
სამეცნიერო მიმართულება: 4. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები
ქვე-მიმართულება: 4.1. ქართული ენა, აფხაზური ენა და საქართველოს ენობრივი მრავალფეროვნება
კატეგორია: 4.1.1. ქართული ენა, ქართველური ენები
პროექტის დაწყების და დამთავრების წლები: 15.03.2022 – 15.03.2025

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **ასოც. პროფ. მაია ლომია** (სამეცნიერო ხელმძღვანელი)
2. **პროფ. რამაზ ქურდაძე** (კოორდინატორი, მკვლევარი )
3. ფილოლოგიის დოქტ., მეცნიერ-თანამშრომელი ნინო ჭუმბურიძე (მკვლევარი)
4. **ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანი** (მკვლევარი)
5. დოქტორანტი გიორგი ჯღარკავა (ახალგაზრდა მკვლევარი)

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**
1. ზემოაღნიშნული გრანტისთვის 2023 წელი არის მუშაობის მეორე წელი. მიმდინარე წელს განხორციელდა გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული შემდეგი აქტივობები: **გაგრძელდა:** ქართულ და უცხო ენებზე სპეციალური ლიტერატურის დამუშავება, ბეჭდურად არსებული ემპირიული მასალის დამუშავება, მონოგრაფიის თეორიული ნაწილის სისტემატიზაცია; **დამუშავდა** და **კვლევაში ჩაერთო** გასულ წელს სამეგრელოში გრანტის ფარგლებში ველზე მოპოვებული მასალა; **განხორციელდა მივლინება ქვეყნის შიგნით** ქუთაისსა და მიმდებარე სოფლებში; მოძიებულ იქნა იმერულ დიალექტში მეგრულის გავლენით დიალოგურ მეტყველებაში გამოყენებული სპეციფიკური ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ნიმუშები, რომლებიც ბეჭდურ გამოცემებში თითქმის არ დასტურდება; გრანტის წევრებმა **მონაწილეობა მიიღეს** სამ ადგილობრივ და ოთხ საერთაშორისო კონფერენციაში; აქედან სამი საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა უცხოეთში. **დაბეჭდილია**: ყველა კონფერენციის პროგრამა და თეზისები, საქართველოსა და უცხოეთში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებები; უცხოეთში წაკითხული მოხსენებები ასევე **მზადდება დასა-ბეჭდად.** სამეცნიერო სტატიები **დაიბეჭდა** ქართული ენის ინსტიტუტის შრომების კრებულსა და მაღალრეიტინგულ ჟურნალში.

3. **დედაენა - დვრიტა ქართული ეროვნული სულისა** (**SP-22-303**)
მეცნიერების დარგი: ენათმეცნიერება (ქართველური ენათმეცნიერება)
სამეცნიერო მიმართულება: 7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები
ქვე-მიმართულება: 7.6. ჰუმანიტარული მეცნიერებები
პროექტის დაწყების და დამთავრების წლები: **30.11. 2022 - 30. 05. 2024**.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ასოც. პროფ. სალომე ომიაძე** (სამეცნიერო ხელმძღვანელი)
2. **ასოც. პროფ. მაია ლომია** (კოორდინატორი)

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. პროექტი მიზნად ისახავს აკად. გუჩა კვარაცხელიას მონოგრაფიის ბეჭდურ გამოცემას. გამოსაცემ მონოგრაფიაში ქართული ენა განხილულია სისტემურ-სტრუქტურულ და კომუ-ნიკაციურ პარადიგმათა ფარგლებში. აღწერილია მისი, როგორც დედაენის, როლი სამყაროს შემეცნებასა და თვითგამოხატვაში, სულიერ ღირებულებათა შექმნასა და დაუნჯებაში. გაანა-ლიზებულია სამყაროს მეცნიერული და მხატვრულენოვანი სურათების აგებისა და დედა-ენაში შენახული ცოდნის უნიკალურობის საკითხები. მონოგრაფია შედგება სამი თავისა და ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმესაგან; დაერთვება გამოყენებული ლიტერატურის, წყაროებისა და სამიებლების სია. პროექტის დაწყებიდან (2022 წლის მიწურულიდან) დღემდე შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: ა. დაზუსტებულია მონოგრაფიის სარჩევი; ბ. ვორდის ფაილში აკრეფილია მონოგრაფიის სამივე თავის ხელნაწერი ტექსტი; ბ. აკრეფილი ტექსტის ნახევარზე მეტი რედაქტირებულ-კორექტირებულია (გადამოწმებული და დაზუსტებულია ავტოგრაფში ციტირებულ წყაროთა მონაცემები); გ. შედგენილია მონოგრაფიის ვრცელი რეზიუმეს ქართულენოვანი ტექსტი.

**2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**
**1. FR-21-352**
**ასოც. პროფ. მაია ლომია** (სამეცნიერო ხელმძღვანელი)
**პროფ. რამაზ ქურდაძე** (კოორდინატორი, მკვლევარი )
ფილოლოგიის დოქტ., მეცნიერ-თანამშრომელი ნინო ჭუმბურიძე (მკვლევარი)
**ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანი** (მკვლევარი)
დოქტორანტი გიორგი ჯღარკავა (ახალგაზრდა მკვლევარი)

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**
**1. FR-21-352**
ზემოაღნიშნული გრანტისთვის 2023 წელი არის მუშაობის მეორე წელი. მიმდინარე წელს გან-ხორციელდა გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული შემდეგი აქტივობები: **გაგრძელდა:** ქართულ და უცხო ენებზე სპეციალური ლიტერატურის დამუშავება, ბეჭდურად არსებული ემპირიული მასალის დამუშავება, მონოგრაფიის თეორიული ნაწილის სისტემატიზაცია; **დამუშავდა** და **კვლევაში ჩაერთო** გასულ წელს სამეგრელოში გრანტის ფარგლებში ველზე მოპოვებული მასალა; **განხორციელდა მივლინება ქვეყნის შიგნით** ქუთაისსა და მიმდებარე სოფლებში; მოძიებულ იქნა იმერულ დიალექტში მეგრულის გავლენით დიალოგურ მეტყველებაში გამოყენებული სპეციფიკური ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ნიმუშები, რომ-ლებიც ბეჭდურ გამოცემებში თითქმის არ დასტურდება; გრანტის წევრებმა **მონაწილეობა მიიღეს** სამ ადგილობრივ და ოთხ საერთაშორისო კონფერენციაში; აქედან სამი საერთაშო-რისო კონფერენცია ჩატარდა უცხოეთში. **დაბეჭდილია**: ყველა კონფერენციის პროგრამა და თეზისები, საქართველოსა და უცხოეთში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის მოხსე-

ნებები; უცხოეთში წაკითხული მოხსენებები ასევე **მზადდება დასაბეჭდად.** სამეცნიერო სტატიები **დაიბეჭდა** ქართული ენის ინსტიტუტის შრომების კრებულსა და მაღალრეიტინ-გულ ჟურნალში.

**2. SP-22-303**
ზემოაღნიშნული გრანტი ითვალისწინებს აკად. გუჩა კვარაცხელიას მონოგრაფიის ბეჭდურ გამოცემას; მიმდინარე 2023 წელს, გრანტზე მუშაობის მეორე წელს, განხორციელდა გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული შემდეგი აქტივობები: **დაზუსტდა** მონოგრაფიის სარჩევი, **გაგრძელდა** წიგნის სამეცნიერო რედაქტირება; კერძოდ, ძირითადი ტექსტი შეივსო და დაზუსტდა ხელნაწერში დამოწმებული ციტატებისა თუ ბიბლიოგრაფიული მონაცემების მიხედვით; **მომზადდა** მონოგრაფიის ვრცელი რეზიუმეს ქართული ვერსია ინგლისური თარგმანისთვის.

4. „ტოპონიმები ძველი აღთქმის ქართულ ვერსიებში" (6. ჰუმანიტარული მეცნიერებები, 6.2 ენები და ლიტერატურა, კატეგორია 6.2.7), PHDF-22-6557, ვადები: 2022-2023 წწ.

პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **გიორგი ქიტოშვილი** – სადოქტორო კვლევის ავტორი

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. ქართული ბიბლიის ტექსტუალური კრიტიკისათვის ცალსახად მნიშვნელოვანია ბიბლიური ონომასტიკის შესწავლა. ბიბლიის ონომასტიკურ, უფრო მეტად კი ტოპონიმიკურ, მასალას იკვლევენ თანამედროვე მკვლევრები. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ ემანუელ ტოვი, რომელიც განიხილავს ესაიას წიგნის საკუთარ სახელებს (Tov E. 2015, Textual Criticism Collected Esseys, Vol 3: Personal Names in the Septuagint of Isaiah, p. 413-428); მაიკლ ნ. ვან დერ მეერი, რომელმაც გამოიკვლია სეპტუაგინტას სირიული ტოპონიმების განვლილი გზა, რეგიონალური განლაგება და ტექსტუალური ასპექტები: მიუხვედრელობით გამოწვეული და უნებლიე შეცდომები, ტექსტის წარმომავლობა, გამართვა და აქტუალობა (Van Der Meer M. 2012, Die Septuaginta. Text, Wirkung, Rezeption: Syria in the Septuagint, p 171-211). ქართულ ტექსტოლოგიურ ლიტერატურაში სისტემური კვლევა ბიბლიის ქართული ვერსიების ტოპონიმური მასალის შესახებ ჯერ არ მოგვეპოვება, თუმცა საფუძვლიანი ნარკვევები გვხვდება გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა შესახებ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში, მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ მზექალა შანიძის სტატია „გეოგრაფიული და წარმომავლობის სახელთა გადმოცემა ძველი აღთქმის ტექსტებში" (შანიძე მ. 1976, გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა გადმოცემა ძველი აღთქმის ტექსტებში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის შრომები: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, ტ. I, გვ. 162-170).

ამრიგად, ჩვენ მიერ წარმართული საქმიანობა, ქართული ბიბლიის ვერსიების ტოპონიმებისა და მათთან დაკავშირებული ეთნონიმების შესწავლა, მეტად მნიშვნელოვანია: 1. თარგმანის ტექნიკის შესწავლისათვის (რა ხერხებით, რა ეკვივალენტებით გადმოაქვთ ესა თუ ის იკითხვისი ქართულ თარგმანში); 2. ტექსტუალური კრიტიკისათვის ქართული ბიბლიის თითოეული წიგნის წარმომავლობის კვლევის თვალსაზრისით.

ქართული ბიბლიის ტოპონიმიკური მასალის გაცნობა არა მხოლოდ ენობრივი კუთხითაა საინტერესო, არამედ – ისტორიული თვალსაზრისითაც. საყურადღებოა, რა წარმოდგენა აქვთ მთარგმნელ-გადამწერებს ბიბლიაში ხსენებულ ხალხებზე, იცნობენ თუ არა

მათ ისტორიას, გეოგრაფიულ მდებარეობას, ფლობენ თუ არა მათ შესახებ საკმარის ინფორმაციას იმისათვის, რომ ტოპონიმთა და ეთნონიმთა დედნის ადეკვატური ეკვივალენტები შექმნან. ასე რომ, ძველი აღთქმის ტექსტმა შეიძლება მოგვცეს ინფორმაცია მთარგმნელთა წარმოდგენების, ან მათ ცოდნაზე ბერძნული და სომხური გავლენების შესახებ.

ჩვენს კვლევაში ქართული ბიბლიის ტოპონიმებისა და მათთან დაკავშირებული ერთნონიმების შესწავლის საფუძველზე გავაანალიზებთ ქართული ბიბლიური ტექსტების მიმართებას ბიბლიის ბერძნულ და სომხურ თარგმანებთან. შესაბამისად, წარმოჩინდება ქართული ბიბლიის ტექსტოლოგიური შესწავლის მნიშვნელობაც ბერძნული და სომხური ბიბლიის ტექსტოლოგიური კრიტიკის საქმეში.

ძველი აღთქმის ქართული თარგმანი შესრულებულია ბერძნული ორიგინალის მიხედვით, თუმცა თავად ბერძნულსა და ლათინურ ტექსტში სხვადასხვა ტექსტუალური ტრადიცია არსებობს, კერძოდ, ე.წ. სეპრუაგინტა, ორიგენეს ჰეგზაპლა, ლუკიანური რეცენზია (ცინდელიანი უ. 1980, „III-IV მეფეთას წიგნების შედგენილობა (ჩანართების საკითხი)". მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ტ. 7, ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, გვ. 79). ვარიანტული კითხვასხვაობების შედარების მიხედვით, შესაძლებელია ამა თუ იმ იკითხვისის წარმომავლობის დადგენა და ტექსტუალურ ჯგუფს მიკუთვნება, რის შედეგადაც განისაზღვრება მთილიანი ტექსტის ან კონკრეტული ჩანართის მომდინარეობის საკითხი. სწორედ მსგავსი მიდგომის წყალობით შეგვიძლია ვისაუბროთ ქართული ბიბლიის კონკრეტულ წიგნებში დაცული ტექსტების რაობაზე (თარგმანის თვალსაზრისით), გამოვკვეთოთ ტექსტის თავდაპირველი ვარიანტები და შემდგომი რევიზიის შედეგად განხორციელებული ცვლილებები. შესაბამისად, ტექსტს შეგვიძლია მივანიჭოთ კვალიფიკაცია ან თარგმანისა, ან რეცენზიისა, ან ნეიტრალური ტერმინი გამოვძებნოთ და ვერსიად მოვიხსენიოთ. გარდა ამისა, ბიბლიის ტექსტის კვლევისას მნიშვნელოვანია სტილისტური ხასიათის მსჯელობის წარმართვა და ამ მიზნით თარგმანის ტექნიკაზე საუბარი, რაც საშუალებას გვაძლევს, გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ როგორც მთარგმნელის ერუდიციის, ასევე სათარგმნი ენის მდგომარეობისა და კულტურულ-ენობრივი გარემოს შესახებ.

ამრიგად, ბიბლიის ქართული ვერსიების ტოპონიმების ენობრივი მიმართებებისა და თარგმანის ტექნიკის შესწავლა საშური საქმეა, რომელსაც აუცილებლად სჭირდება მხარდაჭერა.

კვლევის მიზანია ბიბლიის ქართულ ვერსიებში დაცული ტოპონიმების მოძიება და სისტემატიზაცია, რაც შესაძლებელია შემდეგი ამოცანების შესრულებით:

1. ქართული ბიბლიის წყაროების მობილიზება და ტოპონიმების მოძიება. მათი კლასიფიკაცია და ჯგუფების გამოკვეთა;
2. თითოეული ტოპონიმის დაძებნა ძველი აღთქმის ქართულ ვერსიებში. საამისოდ გამოვიყენებთ ქართული ენის კორპუსებს, ქართული ბიბლიის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოცემას, Bibleworks-ის ბაზას, ბერძნული, ლათინური და სომხური ბიბლიის გამოცემებსა და სხვა მეორეულ სამეცნიერო ლიტერატურას („ონომასტიკა საკრა"...). ტოპონიმებს დავახარისხებთ და განვიხილავთ რეგიონების მიხედვით და ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით გამოვიკვლევთ;
3. ორიგინალთან სიტყვასიტყვითი შედარება. ტოპონიმის ძიების პროცესი ბერძნული ორიგინალის მიხედვით მიმდინარეობს, იძებნება ბერძნული ვერსია ყველა წიგნში და შემდეგ – მისი შესატყვისები ქართულ ვერსიებში. ამ საქმიანობის შედეგად საშუალება გვეძლევა, ბერძნულის მიხედვით, საანალიზო ცხრილების გაკეთებისა;
4. ბერძნული, სომხური და ლათინური კითხვასხვაობების მოძიება და მიმართებების დადგენა. სეპტუაგინტას კრიტიკული გამოცემებისა და სომხური ელექტრონული ბიბლიის

გაცნობის, ქართული, ბერძნული, სომხური და ლათინური ტექსტის ისტორიის გათვალისწინებით ავხსნით ტოპონიმთა კითხვასხვაობებს და მათ გამომწვევ მიზეზებს ორიგინალის დონეზე;
5. ტოპონიმთა წარმომავლობის დადგენა. ხშირი თანხვედრა ბერძნულის რომელიმე წყაროსთან და ამვდროულად მასთან ნაკლები კითხვასხვაობა გვაფიქრებინებს ამა თუ იმ ტოპონიმის წარმომავლობაზე;
6. ტოპონიმის თარგმანის ისტორიის შესწავლა. ქართული და უცხოენოვანი ტექსტის ისტორიის გაცნობის საფუძველზე შესაძლებლობა მოგვეცემა დიაქრონიულ ჭრილში გავაანალიზოთ ტოპონიმის თარგმანის ისტორია, რაც ერთგვარად ინფორმაციას მოგვცემს ქართული რეცენზიული ჯგუფების წარმომავლობის შესახებ.
ემპირიული მეთოდით ტექსტზე უშუალო მუშაობის შედეგად გამოვლინდება კვლევისთვის საინტერესო ტექსტუალური წყაროები. მიმდინარე კვლევამ ცხადყო, რომ ტოპონიმების ტექსტუალური მონაცემები განსხვავდება როგორც წიგნებს, ასევე ეპიზოდებს შორის (ხშირად ერთი ტოპონიმის შესატყვისად ერთსა და იმავე ეპიზოდში არაერთგვაროვანი იკითხვისები გვხვდება), რაც გვაფიქრებინებს, რომ მთარგმნელ-რეცენზენტები ხშირად არ ფლობენ ტოპონიმის შესახებ ზუსტ ინფორმაციას. ამიტომ სარგებლობენ დედნისგან განსხვავებული უცხოენოვანი წყაროებით, რომელთა დადგენაც შედარებითი მეთოდით, რა თქმა უნდა, აუცილებელია შემდგომი ძიებისათვის.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით საჭიროა ქართული ბიბლიის ტოპონიმური მასალის შესასწავლად დადგინდეს ბერძნული სათარგმნი სეგმენტის მყარი ეკვივალენტები ქართულში. ამისათვის თითოეულ ლექსიკურ ერთეულს ბერძნული ტექსტის მიხედვით მოვიკვლევთ ბიბლიის ყველა წიგნში დიაქრონიულად. მეორე ეტაპზე გამოვკვეთთ ვერსიულ განსხვავებებს ამა თუ იმ ხელნაწერის მიხედვით. შემდეგ საჭიროა ფიქრი განსხვავებების გამომწვევ მიზეზებზე, რომლებიც შეიძლება იყოს გარეენობრივი ფაქტორები (ბერძნულის ვარიანტული კითხვასხვაობების ან სომხური ტექსტის გავლება) ან განსხვავებული თარგმანის ტექნიკის კვალობაზე მიღებული შიდაენობრივი სახეცვლილებები. მათი გამოკვლევის შემდეგ შესაძლებელი ხდება კოდექსში შემავალი თითოეული წიგნის როგორც წარმომავლობის ან შიდა შრეების არსებობის შესახებ, ისე კონკრეტულ ხელნაწერში დაცულ თარგმანის ტექნიკაზე, საუბარი. გამოიკვეთება ასევე ერთი ტექსტუალური ჯგუფის (საერთო არქეტიპის მქონე) ხელნაწერები და მათი ვარიანტული კითხვასხვაობები.

5. **„მცირე წინასწარმეტყველთა ქართული თარგმანისგელათური ვერსიების ენა“** (დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსი)

- პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი - PHDF-22-1325
- სამეცნიერო მიმართულება: 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები;

ქვე-მიმართულება: 6.2 ენები და ლიტერატურა;
კატეგორია: 6.2.6. ლინგვისტიკა

- პროექტის დაწყების თარიღი - 26.10.2022
- პროექტის დამთავრების თარიღი - 26.10.2024

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **თინათინ ჯიქურაშვილი** (სადოქტორო კვლევის ავტორი)

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ჩვენამდე მოღწეული მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტების შემცველი ქართული ხელნაწერები ორ რედაქციულ ჯგუფს ქმნიან: ოშკურსა და გელათურს. ოშკური რედაქცია

წარმოდგენილია ოშკურ და იერუსალიმურ ბიბლიაში, გელათურ რედაქციად კი მიჩნეულია XII-XIII საუკუნეების გელათის კატენებიან ბიბლიაში (A-1108) შესული ტექსტი (კიმენი), რომელიც საბას შესწორებებით, ნაბეჭდი სახით შესულია მცხეთურ და ბაქარის ბიბლიებში. ეს ორი თარგმანი ერთმანეთისაგან ბევრი მახასითებლით განსხვავდება, რაც, უპირველეს ყოვლისა, სათარგმნი ტექსტისადმი მთარგმნელთა განსხვავებული მიდგომითაა განპირობებული: ცნობილია, რომ გელათის სკოლაში უმაღლეს საფეხურზე ავიდა ტექსტის სიზუსტისადმი სწრაფვა, რამაც, ცხადია, გავლენა იქონია ტექსტის ენობრივ მახასიათებლებზეც. ჩვენი კვლევის ინტერესის სფეროში სწორედ მეორე – გელათური თარგმანი მოექცა. როგორც აღმოჩნდა, გელათის სამწიგნობრო-ლიტერატურულ სკოლაში მცირე წინასწარმეტყველების ტექსტებზე მუშაობა კატენებიანი ბიბლიის გადაწერით არ დასრულებულა. როგორც ჩანს, მან პოპულარობა მოიპოვა და შევიდა ასევე ახლად შედგენილ მეტაფრასულ კრებულებში (S-417, K-1, K-3) (იხ. დ. ინწკირველი, მიქეას წინასწარმეტყველების გელათური კატენები, თბილისი, 2007; ვ, ჯუღელი, ნეტარი თეოდორიტე კვირელი, ტ. 2, თბილისი 2008).

ქართულ სამეცნიერო სივრცეში ერთი მხრივ შესწავლილია გელათის სამწიგნობრო-ლიტერატურული სკოლა და მასთან დაკავშირებული საკითხები, მეორე მხრივ კი გელათის საწიგნობრო სკოლაში თარგმნილი მრავალფეროვანი ტექსტები და მათი ენა (დ. მელიქიშვილი, თ. ცქიტიშვილი, ბ. გიგინეიშვილი, ი. ლოლაშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ნ. მახარაძე, უ. ცინდელიანი, ე. დოჩანაშვილი, თ. დოლიძე, თ. ჟორდანია, კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, კ. დანელია, ნ. კეჭაყმაძე, გ. თევზაძე, მ. გოგიბერიძე, ს. გორგაძე, ლ. ალექსიძე, ნ. გოგუაძე, მ. რაფავა, მ. მაჭავარიანი, თ. ოთხმეზური, ქ. ბეზარაშვილი, მ. გოგიბერიძე, ც. კიკვიძე, ე. ჭელიძე, ა. ხარანაული, ლ. ხოფერია, მ. მჭედლიძე, ვ. ჯუღელი, თ. ჭყონია...). თუმცა, მიუხედავად ამ მრავალმხრივი შესწავლისა, მაინც არის საკითხები, რომლებიც ან საერთოდ არ მოექცა მკვლევართა ინტერესის სფეროში, ან დამატებით სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს. ერთ-ერთ ასეთ საკითხს წარმოადგენს სწორედ მცირე წინასწარმეტყველთა ქართული თარგმანების გელათური ვერსიები და მათი შედარებითი კვლევა. ჩვენი პროექტის მიზანი სწორედ ამ მიმართულებით კვლევის ჩატრებაა. კვლევა ორიენტირებულია შეისწავლოს:

- მცირე წინასწარმეტყველთა გელათური ვერსიების ადგილი ბიბლიური ტექსტის ისტორიაში. კერძოდ – იმის განსაზღვრა, თუ რას წარმოადგენს გელათური ტექსტი, საქმე გვაქვს ახალ თარგმანთან თუ ძველის რევიზიასთან;
- მცირე წინასწარმეტყველთა გელათური ვერსიების თარგმანის ტექნიკა. კერძოდ, იმ მთარგმნელობითი პრინციპების განსაზღვრა, რომელიც ქმნის ე.წ. გელათური, ელინოფილური თარგმანის სტილს.
- თარგმანის ენა. კერძოდ, ცალკეული ენობრივი (მორფოლოგიური, სინტაქსური და სტილისტური) მოვლენების აღწერა და გამოკვლევა თარგმანის ორიგინალის, ბერძნული ენის გათვალისწინებით და იმის განსაზღვრა, თუ რა გავლენას ახდენს სათარგმნი ენა და მისი ფორმალური გადმოტანის პრინციპები თარგმანის ენისა და სტილის ჩამოყალიბებაზე.

ენობრივად მხოლოდ რამდენიმე ე.წ. გელათელი ავტორია დაწვრილებით შესწავლილი. მცირე წინასწარმეტყველები ამ კუთხით პირველად შეისწავლება.

გელათური თარგმანების პრინციპების და მწიგნობრული ენისადმი დამოკიდებულების მსგავსება ართულებს მე-12-მე-13 საუკუნეების ტექსტების ავტორთა ერთმანეთისგან გარჩევას (ი. ლოლაშვილი, თ. ცქიტიშვილი, დ. მელიქიშვილი და სხვ.). ერთი ტექსტის ორი გელათური თარგმანის არსებობა უნიკალური შემთხვევაა ამ პრობლემის გადასაწყვეტად, კერძოდ, იმის გასარკვევად, თუ რა აქცევს თარგმანებს ერთი სკოლის პროდუქტად და, მეორე მხრივ, სკოლის პრინციპებისა და საერთო მიდგომების ფონზე, სად ჩანს მთარგმნელის ინდივიდუალური ხელწერა. სწორედ ეს საკითხები ხდის ჩვენს კვლევას აქტუალურს.

ამ თარგმანების შედარება საშუალებას მოგვცემს დავახასიათოთ მთარგმნელები, გამოვყოთ მათი ინდივიდუალური მახასიათებლები და შეძლებისდაგვარად ვცადოთ მათი იდენტიფიცირება. საბოლოოდ კი ნათლად წარმოგვადგენინებს XII-XIII საუკუნეების ენობრივი პოლიტიკის სურათს.
კვლევის საერთო მიზანს წარმოადგენს მცირე წინასწარმეტყველთა გელათური ვერსიების ენისა და თარგმანის ტექნიკის შესწავლა ამ ტექსტის შემცველი სხვადასხვა ხასიათის ყველა კრებულის მიხედვით. ასევე, გამოცემის მომზადება, სადაც ორივე ვერსიის ტექსტის გარდა, აღნიშნული იქნება ხელნაწერისეული მახვილები და სხვა ექსტრატექსტური მონაცემები (მისათითებელი ნიშნები, კომპოზიტების აღმნიშვნელი ე.წ. შედგმის ნიშნები, სქოლიოები და სხვ.).
კვლევის მიზანი განხორციელდება შემდეგი ამოცანების შესრულებით:

1) წყაროების მოძიება, ხელნაწერთა დეტალური კოდიკოლოგიურ-პალეოგრაფიული აღწერილობების მომზადება; ტექსტების გადმოწერა ხელნაწერებიდან.

2) გელათური ვერსიების შედარება ბერძნულ დედანთან. ერთი მხრივ, ერთმანეთს უნდა შეუდარდეს გელათის კატენებიანი ბიბლია და მისი ბერძნული პროტოტიპი, მეორე მხრივ კი - გელათურ მეტაფრასულ კრებულებში (S-417, K-1, K-3) შესული მცირე წინასწარმეტყველების ტექსტი და თეოდორიტე კვირელის ბერძნული ეგზეგეტიკური თხზულებები. ეს საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო ზუსტად განისაზღვროს დედნის ენის გავლენა ქართულ ვერსიების ენაზე, მოგვეხმარება ცალკეული ლექსიკური თუ გრამატიკული მოვლენის დახასიათებაში.

3) თარგმანის ტექნიკის შესწავლა ერთი მხრივ, ბერძნულ ორიგინალთან და, მეორე მხრივ, ძველ ქართულ თარგმანებთან მიმართებით. გელათურ თარგმანებზე დაკვირვება და მათი ენის შესწავლა მკაფიოდ გამოკვეთს ენის გამომსახველობით საშუალებებში მომხდარ ცვლილებებს – რისი უნარი შეიძინა საუკუნეების განმავლობაში ენამ და რა არის ის სიახლე, რაც მე-12-მე-13 საუკუნეების ქართველ მთარგმნელებს შემოაქვთ ენაში. ამ მხრივ მცირე წინასწარმეტყველთა გელათურ ვერსიებში შესწავლილი იქნება:

- ლექსიკა (ტერმინოლოგია, ლექსიკური სინონიმები)
- მორფოლოგია, განსაკუთრებით სიტყვაწარმოება, მომავალი დროის ფორმები.
- სინტაქსი (განსაკუთრებით ინფინიტიური და მიმღეობური კონსტრუქციები, ჰიპოტაქსური და პარატაქსური წინადადებები)
- მხატვრული ხერხები (განსაკუთრებით ებრაისტული იდიომები)

4) ინდივიდუალური მახასიათებლების გამოყოფა ავტორის იდენტიფიკაციის კრიტერიუმების განსაზღვრა იმის განსაზღვრა, რამდენად განაპირობებს კრებულის ტიპი (კატენური, მეტაფრასული) მასში შესული ტექსტების ხასიათს.

5) კვლევის ცალკე მიმართულებას წარმოადგენს მცირე წინასწარმეტყველების თარგმანების კვლევა სხვა ტექსტების გელათურ თარგმანებთან მიმართებაში. გარდა ენობრივი მონაცემების შედარებისა, ამ საკითხის კვლევაში განსაკუთრებული როლი აქვს ბიბლიური ციტატების შესწავლას.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

**1. „ოთარ ჩიჯავაძის საექსპედიციო ჩანაწერები - აფხაზეთი, 1970“**

მეცნიერების დარგი: ეთნომუსიკოლოგია

პროექტის დაწყების და დამთავრების წლები: **20.12. 2020 - 20. 12. 2023**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ქეთევან მათიაშვილი (სამეცნიერო ხელმძღვანელი)
2, ნატო ზუმბაძე (მეცნიერ-მკვლევარი)
3. **ასოც. პროფ. მაია ლომია** (მეცნიერ-მკვლევარი)

**დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**
1. ეთნომუსიკოლოგიური ექსპედიციის ფარგლებში XX ს-ის 70-იანი წლების სამეგრელოში, კერძოდ, გალის რაიონში, ჩაწერილი სიმღერის ტექსტების დამუშავება; მეგრული ტექსტის შესაბამისი ქართული ვერსიების რედაქტირება.
მასალა თემატურად მრავალფეროვანი იყო: მოიცავდა როგორც საყოველთაოდ ცნობილ მეგრულ ფოლკლორულ ნიმუშებს, ასევე, საბჭოთა იდეოლოგიის თემაზე სპეციალურად შექმნილ სიმღერებს. მეგრული ფოლკლორული ნიმუშების სასიმღერო ტექსტები ფონეტიკურად დაზუსტდა ზოგადად მეგრულისთვის და კონკრეტულად ამ არეალისთვის დამახასიათებელი ფონემებით.
მეგრული სიმღერის ტექსტების ცალკეული ადგილებისა და ქართული თარგმანების დასაზუსტებლად მნიშვნელოვანი დამხმარე საშუალება იყო აკადემიურად გამოცემული ქართული ხალხური სიტყვიერების I ტომი (1975), რომელშიც შესულია მეგრული ტექსტები, კერძოდ, მეგრული ხალხური პოეტური ნიმუშები ქართული თარგმანით; ტომი შედგენილია და მეგრული პოეზია გადმოქართულებულია ცნობილი ლინგვისტის ტოგო გუდავას მიერ. ლექსის ქართულ ვერსიას შენიშვნის სახით ახლავს ცალკეული სპეციფიკური მეგრული ლექსიკური ერთეულების განმარტება; განმარტებები ეყრდნობა როგორც მეგრული ენის პრაქტიკულ ცოდნას, ასევე ბეჭდურად გამოცემულ ლექსიკონებს.
პროექტის ფარგლებში დამუშავებული მასალა ინტერდისციპლინურია; მნიშვნელოვანია როგორც სპეციალისტებისთვის (ეთნოლოგმუსიკოლოგებისთვის, ფოლკლორისტებისთვის, ლინგვისტებისთვის), ასევე, მეგრული სასიმღერო ტექსტებით დაინტერესებული მკითხველისთვისაც.
3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები
3.1. გარდამავალი პროექტი
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საბაზისო განათლების პროგრამა - USAID. – მიმართულება - მულტილინგვური განათლება, ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება.:

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2020-2026

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
**ასოც. პროფ. კახა გაბუნია** - მთავარი სამეცნიერო კონსულტანტი.
**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**
პროექტის ფარგლებში კახა გაბუნია ჩართულია ახალი სკოლის მოდელის დანერგვაში ეროვნული უმცირესობების სკოლებში. 2020 წლის განმავლობაში შემუშავდა 4 თემატური

ერთეულის მატრიცა; ამავე პროექტის ფარგლებში, კახა გაბუნიას ორგანიზებით, ჩატარდა ტრენინგი 1600 მასწავლებლისთვის (დაწყებითი და მშობლიური ენების მასწავლებლები 300 არაქართულენოვანი სკოლიდან) მაისი-ივნისის პერიოდში.

**2.** „ერთიანობა მრავალფეროვნებაში“
დამფინანსებელი ორგანიზაცია: UNAG; USAID
მიმართულება - ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება, უმცირესობათა წარმომადგენელი სტუდენტების ინტეგრაცია.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2022-2027

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
**ასოც. პროფ. კახა გაბუნია** - პროექტის კომპონენტის ხელმძღვანელი

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**
USAID-ის პროგრამა „ერთიანობა მრავალფეროვნებაში“ 5-წლიანი პროგრამაა, რომელიც ემსახურება ახალგაზრდების სამოქალაქო ინტეგრაციასა და ეკონომიკურ გაძლიერებას. მიზნად ისახავს უმცირესობების ჩართულობის გაზრდას საჯარო პოლიტიკის ყველა საკითხში, სექტორთა თანამშრომლობის გზით მათი ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობას და სოციალური, სამოქალაქო და ეკონომიკური კავშირების გაძლიერებას უმცირესობასა და უმრავლესობას შორის.
**პროგრამის მიზანი:** პროგრამა მიზნად ისახავს საზოგადოებაზე მორგებულ ცვლილებას, რომელიც მოითხოვს ღიაობას არასტაბილური სოციალური გარემოს მუდმივი შეფასებისთვის, ასევე სწავლისა და ადაპტაციის მექანიზმების ამოქმედებას. პროექტის მიზანია, იკვლიოს, შეაფასოს და მხარი დაუჭიროს 1+4 პროგრამის ეფექტურად განხორციელების პროცესს სახელმწიფო სტაჟირების პროგრამების ოპერატიული გაუმჯობესებისა და განათლების პოლიტიკის დაგეგმვისაკენ მიმართული რეკომენდაციებით.
პროექტის აქტივობები:

- კვლევის ჩატარება 1+4 პროგრამის( საშეღავათო პოლიტიკა უმაღლესი სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობებისათვის) ეფექტურობის შესაფასებლად: CCIIR შეისწავლის 1+4 პროგრამის ეფექტურობასა და კონსულტაციას გაუწევს სახელმწიფო მინისტრს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ( SMRCE), ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (MOES) პროგრამის ოპტიმალური განხორციელების შესახებ.
- ეთნიკური უმცირესობებისთვის სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის გაფართოება: CCIIR შეისწავლის სახელმწიფო სტაჟირების პროგრამის ეფექტურობას და რეკომენდაციას გაუწევს სახელმწიფო მინისტრს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში (SMRCE) ქმედითი რეკომენდაციებით სტაჟირების პროგრამის ეფექტურად განხორციელებისათვის.

» კვლევა ენობრივი პოლიტიკის შესახებ საქართველოში: CCIIR იმუშავებს განათლების სამინისტროსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან ერთად (TPDC), უმცირესობათა რეგიონებში ენობრივი განათლების წახალისებისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიული და პრაქტიკული ხარვეზების იდენტიფიცირების მიზნით.

კვლევის საბოლოო მიზანი იქნება განათლების ენობრივი პოლიტიკის შესახებ ქმედითი რეკომენდაციების მომზადება.

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. საზოგადოების ინტეგრაცია მრავალენოვანი განათლების მეშვეობით

ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისი.
მიმართულება - მულტილინგვური განათლება, ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება.:

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2022-2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
**ასოც. პროფ. კახა გაბუნია** - პროექტის კოორდინატორი
**დასრულებული (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**
პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო განათლების და მეცნიერების სამინისტროს მულტილინგვური სწავლების საპილოტე პროექტის ფარგლებში შერჩეული 35 სკოლისა და 16 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მასწავლებელთა მომზადება ბილინგვური განათლების სტატეგიებსა და მეთოდოლოგიაში; ხსენებული სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მომარაგება სათანადო რესურსებით.
მასწავლებლები გადამზადდნენ ტრენინგების ციკლის ფარგლებში (2023 წელს ჩატარდა 3 პირისპირ და 3 ონლაინ ტრენინგი). განხორციელდა პროექტში ჩართული სკოლებისა და ბაღების მონიტორინგი.

2. საქართველოში რუსულენოვანი განათლების განვითარების საკითხები რუსულ-უკრაინული ომის კონტექსტში (განმხორციელებელი - CCIIR)

დონორი „ღია საზოგადოების ფონდი“
მიმართულება - მულტილინგვური განათლება, ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება.:

პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2022-2023

პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
**ასოც. პროფ. კახა გაბუნია** - მკვლევარი, წიგნის რედაქტორი.
**დასრულებული (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**
CIIR-ის მიერ ჩატარებული კვლევაში “საქართველოში რუსულენოვანი განათლების განვითარების საკითხები რუსულ-უკრაინული ომის კონტექსტში” განხილული იყო შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები:

როგორ შეიცვალა რუსული და უკრაინულენოვანი საგანმანათლებლო ინსტიტუციების რუკა და სპეციფიკა საქართველოში და როგორია საჯარო და კერძო ავტორიზებულ სკოლებში მოსწავლეთა დემოგრაფიული ცვლილებების დინამიკა 2020 წლიდან დღემდე;
რა საგანმანათლებლო შესაძლებლობებს სთავაზობს საქართველო რუსულენოვან იმიგრანტებს და რა ალტერნატივები არსებობს ქვეყანაში განათლების სისტემის შეთავაზებების მიღმა;
რა ტიპის გამოწვევები არსებობს რუსულენოვან საჯარო და კერძო ავტორიზებულ სკოლებში საქართველოს განათლების სისტემაში წარმოქმნილ სიახლეებთან; ადაპტირებისა და ხარისხიანი სწავლების განხორციელების თვალსაზრისით და როგორია სისტემის რეაგირებისა და მზაობის მექანიზმები არსებული საჭიროებების საპასუხოდ?
რა მოლოდინები, აღქმები და დამოკიდებულებები გააჩნიათ იმიგრანტ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს საქართველოში ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობებთან და სპეციფიკასთან დაკავშირებით.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. **ასოც. პროფ. კახა გაბუნია** ნათია გორგაძე, შალვა ტაბატაძე, ენობრივი პოლიტიკა საქართველოში: სიტუაციის ანალიზი და კვლევის შედეგები; ISBN 978-9941-34-268-4; თბილისი, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის გამომცემლობა;, 155 გვერდი.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**
ენობრივი პოლიტიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით. ენობრივი პოლიტიკა და დაგეგმვა ამავე დროს მნიშვნელოვანი სფეროა სოციალური თუ საგანმანათლებლო კვლევებისთვის (ბლოკი და კორონა, 2018). ენობრივ პოლიტიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური საკითხები, რომელთა გადაჭრაც სწორედ მისი კარგად დაგეგმვისა და განხორციელების შედეგადაა შესაძლებელი; მაგალითად, ენობრივი პოლიტიკა დაკავშირებულია თანასწორობის, უმცირესობათა უფლებების დაცვის, სამოქალაქო ინტეგრაციის, ევროატლანტიკური პოლიტიკური,

ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაციის, განათლების ინტერნაციონალიზაციის, კულტურული და ლინგვისტური მრავალფეროვნების, კონფლიქტების პრევენციისა და გადაჭრის, ტექნოლოგიური განვითარებისა და დიგიტალიზაციის მნიშვნელოვან საკითხებთან. ენობრივი პოლიტიკის საკითხები კიდევ უფრო აქტუალური გახდა სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მიღების შემდგომ, რომლის საფუძველზეც რეგულირდება ენობრივი პოლიტიკა, ისევე, როგორც გაჩნდა ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების სამთავრობო სტრუქტურული ერთეული - სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სახით. აღსანიშნავია, რომ კანონის მიღების შემდგომ, 2021 წელს დამტკიცდა 2021-2030 წლების სახელმწიფო ენის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. შესაბამისად, ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი ხდება არსებული ენობრივი პოლიტიკის შეფასება, კვლევა და ანალიზი და მის დასაგეგმად შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება - განსაკუთრებით ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივი ინტეგრაციისა და ქვეყნის ევროინტეგრაციის კონტექსტში. წარმოდგენილი კვლევის მიზანიც სწორედ ამ თვალსაზრისით პოლიტიკის შესწავლა, მისი გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავება და ამ რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირებაა. აღნიშნული კვლევა აქცენტს გააკეთებს არსებულ ენობრივ პოლიტიკაზე და უდიდესი ფოკუსით ენობრივ პოლიტიკაზე განათლებაში.

**2. ასოც. პროფ. კახა გაბუნია,** ნათია გორგაძე, შალვა ტაბატაძე, საშეღავათო პოლიტიკის (1+4 პროგრამის) კვლევა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ISBN: 978-9941-8-2238-4; თბილისი, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის გამომცემლობა;, 172 გვერდი.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

წარმოდგენილი კვლევა მისაღებ გამოცდებზე 2009 წელს ინიცირებული ეროვნული უმცირესობებისთვის კვოტირების სისტემის 10-წლიანი გამოცდილების შეჯამების მცდელობაა. კვოტირების სისტემის განხორციელებისას მისი ეფექტურობის კვლევა სხვადასხვა ორგანიზაციის თუ მეცნიერის შესწავლის საგანს წარმოადგენდა, თუმცა, ამჯერად განზრახულია ამ ათი წლის განმავლობაში არსებული მდგომარეობის ერთიანი შეფასება, წარმატებების ხაზგასმა, გამოწვევებისა და პრობლემების წარმოჩენა და მათზე დაფუძნებით - სამომავლო პოლიტიკისთვის რეკომენდაციების შემუშავება. შესაბამისად, იგი მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ეროვნული უმცირესობების მიმართ განხორციელებული პოლიტიკის გაანალიზებისა და გადახედვის, შეცვლისა და გაუმჯობესებისაკენ სწრაფვისათვის. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ავტორების გარდა, კვლევის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე პროცესში უამრავი ადამიანი იყო აქტიურად ჩართული. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მათი თავდაუზოგავი შრომის, შემართებისა და მაღალი მოტივაციის გარეშე ამ ფართომასშტაბიანი კვლევის ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა და ამიტომ სავალდებულოდ მივიჩნიეთ მათთვის მადლობის გადახდა. პირველ რიგში, დიდ მადლობას ვუხდით კვლევის დაფინანსებისათვის საქართველოს გაეროს ასოციაციას, რომელმაც საშუალება მოგვცა, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა“ ფარგლებში კვლევა განგვეხორციელებინა. ასევე, დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ ორგანიზაციის თანამშრომლებს, ელენე ჯაჯანიძესა და თამარ ანთაძეს დაუღალავი შრომისათვის პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე. დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ საველე სამუშაოების, მონაცემთა შეგროვებისა და მონაცემების დამუშავებისათვის პროექტში ჩართულ სტუდენტებს. დიდი მადლობა კვლევაში მონაწილე სკოლებს, რომლებმაც მაქსიმალური მხარდაჭერა გაგვიწიეს კვლევის შეუფერხებლად

განსახორციელებლად. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, რომელთა მხარდაჭერაც უმნიშვნელოვანესი იყო კვლევის მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის. და ბოლოს, იმედს ვიტოვებთ, რომ კვლევაში წარმოჩენილი საკითხები არ დარჩება განათლების პოლიტიკის მესვეურთა, უნივერსიტეტებისა და ფაკულტეტების ადმინისტრაციებისა და პროგრამის ხელმძღვანელთა ყურადღების მიღმა. გვჯერა, რომ რეკომენდაციების გათვალისწინება საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობას აამაღლებს და საბოლოო მიზანთან - ეროვნულ ინტეგრაციასთან მიგვაახლოებს. საშეღავათო პოლიტიკისეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში 6 შესავალი აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს კვლევის ანგარიშს, რომელიც ჩატარდა საქართველოში „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის" მიერ საქართველოს გაეროს ასოციაციის პროექტის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა" ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ და მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობებისთვის მისაღებ გამოცდებზე შემოღებული კვოტირების სისტემის ეფექტურობის შეფასებას საქართველოში. დოკუმენტის პირველი ნაწილი მოკლედ მიმოიხილავს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (უსდ) მიღებისას არსებულ საშეღავათო პოლიტიკას, მათ შორის 2009-2023 წლებში. მეორე ნაწილში წარმოდგენილია კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის მესამე ნაწილი აღწერს ქართული ენაში მომზადების პროგრამაში უნივერსიტეტების მიერ განხორციელებულ ცვლილებებსა და გაანალიზებს მათ საჭიროებებს. კვლევის მეოთხე თავში წარმოგიდგენთ კვოტირების სისტემის შემოღების შედეგად არსებულ ვითარებას, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2010-2023 წლებში ჩარიცხვის მსურველთა და ჩარიცხულთა (უმაღლესებში დარეგისტრირებულთა) დინამიკას, მათ გადანაწილებას პროგრამების მიხედვით, გრანტის გაცემის და მიღების სპეციფიკას, ზოგადი უნარების გამოცდებთან დაკავშირებულ ვითარებას, საბაკალავრო პროგრამის დამთავრებასთან დაკავშირებულ მდგომარეობას. კვლევის მეხუთე ნაწილში წარმოდგენილი იქნება არაქართულენოვანი სკოლების მეთორმეტეკლასელთა მზაობა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად; აგრეთვე - მათი არჩევანი სკოლის შემდგომი საქმიანობის შესახებ და ამ არჩევანის განმაპირობებელი ფაქტორები; ასევე განხილული იქნება, თუ რამდენად ეფექტურად ხორციელდება აბიტურიენტთა რეკრუტირება და რამდენად არიან ინფორმირებულნი მეთორმეტეკლასელები საშეღავათო პოლიტიკის შესახებ. მეექვსე თავში განვიხილავთ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ეფექტურობას სტუდენტთა შეფასების თვალსაზრისით სწავლების, ინფრასტრუქტურის, რესურსების, სამოქალაქო და სტუდენტურ ინტეგრაციაზე მიმართული აქტივობების, აგრეთვე სტუდენტების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისა და სტუდენტური ცხოვრებისთვის მზაობის თვალსაზრისით. აქვე გავაანალიზებთ არსებულ მდგომარეობას უნივერსიტეტების მიხედვით და არსებულ ვითარებას დინამიკაში შევადარებთ 2013, 2016 და 2020 წლებში ჩატარებული კვლევების შედეგებთან. მეშვიდე თავი წარმოადგენს საბაკალავრო დონეზე კვოტირების სისტემით ჩარიცხული სტუდენტების წინაშე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების კვლევას.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანი**, **არქაული ქართველური ენა** (სვანური ენის გრამატიკის საკითხები), **დამხმარე სახელმძღვანელო**, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 210 გვ. ფორმატი A4, ISBN 978-9941-9668-8-0 (იბეჭდება)

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

წიგნში "**არქაული ქართველური ენა**" განხილულია სვანური ენის გრამატიკის საკვანძო საკითხები. გაანალიზებულია მსგავსი და განსხვავებული მოსაზრებები პრობლემურ თემებზე და წარმოდგენილია ჩვენი კვლევის შედეგები. ნაშრომში ნაწილობრივ რედაქტირებული და შევსებული სახით შევიდა რამდენიმე თავი ჩვენ მიერ ადრე გამოქვეყნებული შრომებიდან, ძირითადი ნაწილი კი დაიწერა სპეციალურად დამხმარე სახელმძღვანელოსთვის. ემპირიული მასალა, ძირითადად, მოხმობილია ზემოსვანური დიალექტებიდან, საჭიროების მიხედვით, მოყვანილია ქვემოსვანური მონაცემებიც.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ჰუმანიტარული ფაკულტეტის სხვადასხვა მიმართულების (ქართველური ენათმეცნიერება, კავკასიოლოგია...) სამივე საფეხურის სტუდენტებისთვის, რომელთაც სურვილი აქვთ, გარდა საბაზისო ცოდნისა, მიიღონ უფრო ვრცელი ინფორმაცია ამ არქაული ქართველური ენის სტრუქტურის შესახებ. შესავალში მოკლედ განხილულია ის ფონეტიკური მოვლენებიც, რომელთა გარეშე სვანური ენის გრამატიკის შესწავლა შეუძლებელია.

ნაშრომის მეორე ნაწილი - პრაქტიკული კურსი - მოიცავს თემატურად დალაგებულ სავარჯიშოებს; ყოველი ახალი თემა იწყება საკითხის შესახებ მცირე ანოტაციით (თეზისით), რომლის მიზანია შეახსენოს სტუდენტს სავარჯიშოსთან დაკავშირებული თეორიული მასალა. პრაქტიკული დავალებები დაეხმარება სტუდენტს განამტკიცოს თეორიული ცოდნა სვანური ენის ფონეტიკა-ფონოლოგიაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში.

წიგნი ასევე გამოადგება სვანური ენის გრამატიკის საკითხებით დაინტერესებულ საზოგადოებას.

2. . **ასოც. პროფ. კახა გაბუნია,** საგნობრივი შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლება (საქართველოს კონტექსტი); მონოგრაფია; ISBN 978-9941-34-329-2; თბილისი; გამომცემლობა `მერიდიანი`; 224 gverdi.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

წინამდებარე სახელმძღვანელო ბილინგვური განათლების მასწავლებლებისთვისაა განკუთვნილი. მისი მიზანია, მეთოდიკური დახმარება გაუწიოს დაწყებითი საგეხურის პედაგოგებს ბილინგვურ კლასებში სასწავლო მასალის თემატურ (ინტეგრირებულ) დაგეგმვაში, საგაკვეთილო პროცესის ორგანიზებასა და შეფასებაში.

სახელმძღვანელოში განხილულია ის საკითხები, რომლებიც მასწავლებელმა სასწავლო მასალის დაგეგმვისა და სწავლების პროცესში უნდა გაითვალისწინოს; კერძოდ, მასწავლებლები გაეცნობიან თემატური დაგეგმვის სპეციფიკასა და გაკვეთილის დაგეგმვის პრინციპებს ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების კონტექსტში; წიგნში განხილულია ბილინგვური განათლების არსი, ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების (CLIL) მიზნები, უპირატესობა და მოსალოდნელი შედეგები (უცხოეთისა და საქართველოში განხორციელებული საპილოტე პროექტების მაგალითზე).

სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში მასწავლებლებს შევთავაზებთ ბილინგვური გაკვეთილების სანიმუშო სცენარებს.

3. **ასოც. პროფ. ნინო შარაშენიძე** - პრაქტიკული სავარჯიშოების კრებული ქართული ენის შემსწავლელთათვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ავტორი და მეთოდური ხელმძღვანელი, 2023
4. თუშური ქართული ენა და ლიტერატურა, სახელმძღვანელო მე-11 კლასისთვის, გამომცემლობა დიოგენე, თბილისი 2023

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სახელმძღვანელო „ქართული ენა და ლიტერატურა" განკუთვნილია საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის მეთერთმეტე კლასისათვის. სახელმძღვანელო შედგება მოსწავლის (I და II ნაწილი) და მასწავლებლის წიგნებისაგან. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ახალი ქართული ლიტერატურის ნიმუშები შესაბამისი აქტივობებით. სახელმძღვანელო ინტეგრირებულია, მოიცავს ლიტერატურისა და ენის მასალების დამუშავებას ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი პრინციპების მიხედვით.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ლელა ციხელაშვილი, ეკატერინე ნავროზაშვილი.**

**ბიბლიური აბრაამისა და სარას საკუთარ სახელთა ქართულად გადმოცემა-ტრანსლიტერაციის საკითხები.** I ნაწილი. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი „**სპეკალი**", #17. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2023, 22 გვ. ISSN 1987-8583

სტატიის DOI: DOI: 10.55804/jtsuSPEKALI-17-21

სტატიის URL: https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/17/315

ჟურნალის URL: https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/magazinHeadlines

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

შესაქმის წიგნში უფალი აღთქმას აძლევს აბრამს, რომ გახდება მრავალრიცხოვანი შთამომავლობის მამამთავარი და უდიდესი მისიით აღჭურვის ნიშნად სახელს უცვლის მასაც და მის მეუღლესაც – სარასაც [შეს. 17:5, 15]. სტატიის მიზანს წარმოადგენს, ვაჩვენოთ, რა ფორმით (ბერძნული თუ არაბერძნული, აღმოსავლური ლიტერატურულ-ტექსტობრივი ტრადიციის გათვალისწინებით) გადმოჰქონდათ ძველ მთარგმნელ-რედაქტორებს ქართულად აბრაამისა და სარას ორიგინალური და მოდიფიცირებული სახელები. საკითხი უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილია, ძირითადად, საკუთარ სახელთა ებრაულიდან სეპტუაგინტაში გადმოცემის ჭრილში. კონკრეტულად ამ ორი ანთროპონიმის ქართულად გადმოტანის საკითხის გამოწვლილვით შესწავლა ყველა სავარაუდებელ უცხოენოვან წყაროსთან მიმართების გათვალისწინებით საენათმეცნიერო სივრცეში პირველ ცდას წარმოადგენს. მოცულობიდან გამომდინარე, სტატია იბეჭდება ორ ნაწილად: პირველ ნაწილში განხილულია აღნიშნულ საკუთარ სახელთა ტრანსლიტერაციის საკითხი ძველი აღთქმის წიგნებში, ხოლო მეორეში – ახალ აღთქმაში, ლექციონარებში, ასევე, ძველი და საშუალო ქართულის სხვა წერილობით ძეგლებსა და ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანებში.

2. **ჰიპოტაქსური მოდელები ზეპირმეტყველებაში – კომუნიკაციის ძირითადი წყარო** (პორფ. **რამაზ ქურდაძე,** თანაავტორები: **მ. ლომია, ქ. მარგიანი,** ნ. ჭუმბურიძე). „კულტურაშაშორისი დიალოგები“ VII, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2023, გვ. 226-233.
DOI:https//doi.org/10.52340/idw.2023.32
ISSN:2233-3401
E-ISSN 2667-999X
https://journals.4science.ge/index.php/IDW

**3. ქეთევან მარგიანი** (თანაავტორები: რამაზ ქურდაძე, მაია ლომია, ნინო ჭუმბურიძე), **ლექსიკური გამეორება ქართველურ ენათა ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში** (INTERNATIONAL JOURNAL OF MULTILINGUAL EDUCATION),
**DOI :**10.22333/ijme.2022.21001
**DOI:**10.22333/ijme.2022.2100
**DOI :**10.22333/ijme.2022.2100DIDDDIO:10.22333
**DOI :**10.22333/ijme.2022.21001 22 22 2 //
Ijme.2022 21001, INTERNATIONAL JOURNAL OF MULTILINGUAL EDUCATION, #21, (ელექტრონული საერთაშორისო ჟურნალი), 9 გვ.
HTTPS://WWW.OPENJOURNALS.GE/INDEX.PHP/IJML

---

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. **გამეორებას** ხალხურ ეპოსში ღრმა ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს. ჩვენი განსახილველი თემაა ლექსიკური გამეორება ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში. სტილური ფუნქციით გამოყენებული ლექსიკური გამეორება ქმნის თავისებურ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას, რომელიც სრულყოფილი და გასაგებია წინამავალი კონტექსტის გათვალისწინებით. ზეპირმეტყველებისა და მხატვრული ტექსტის ფუნქციური სტილის კვლევა აქტუალურია სტატისტიკური, ისტორიულ-შედარებითი და დისტრიბუციული (სინტაგმატური და პარადიგმატული) განაწილების მეთოდებით; ამგვარი მიდგომა წარმოაჩენს ინფორმაციის სტრუქტურირების (ჩამოყალიბებისა და გადაცემის) მრავალფეროვან ენობრივ შესაძლებლობებს. ნაშრომში განხილულია ლექსიკური გამეორება კავშირიან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ზეპირმეტყველებისა და ქართული მხატვრული ტექსტების მიხედვით. ზეპირმეტყველება, იგივე სპონტანური (წინასწარმოუმზადებელი) მეტყველება, ასახულია:ქართულ ცოცხალ მეტყველებაში, ქართულ დიალექტურ ტექსტებში, არასალიტერატურო ქართველურ ენებში; შესაბამისად, საანალიზო მასალაც დამოწმებულია დასახელებული მონაცემების მიხედვით; ასევე, ემპირიულ მასალად გამოყენებულია ქართველ კლასიკოსთა – ილია ჭავჭავაძის, მიხეილ ჯავახიშვილის, გიორგი ლეონიძის, რევაზ ინანიშვილის, ოთარ ჩხეიძისა და სხვათა შემოქმედების ნიმუშებიც.
ლექსიკური გამეორების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში საინტერესოა აქტუალიზების ენობრივი საშუალებების განსაზღვრა.
ნაშრომში ვრცელი ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია დასკვნა: ლექსიკური გამეორების შემცველ ქართველურ ენათა ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში წინადადების აქტუალიზებული წევრი ფორმალურად შეიძლება მარკირებული იყოს ფონეტიკურ-ფონოლოგიური და მორფოლოგიურ-სინტაქსური ენობრივი საშუალებებით; ესენია: ინტონაცია, კავშირ-კლიტიკა, სიტყვათა რიგი.

4. **ასოც. პროფ. სალომე ომიაძე,** ბაგრატ ბატონიშვილის სამზარეულოს წიგნი ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტით, DOI: https://doi.org/10.52340/idw.2023.38; „კულტურათაშორისი დიალოგები", იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. VII, თბილისი, „მერიდიანი", 6 გვ. (გვ. 260-266). ISSN: 2233-3401; E-ISSN 2667-999X.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **სალომე ომიაძე,** ბაგრატ ბატონიშვილის სამზარეულოს წიგნი ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტით (ანოტაცია): ნებისმიერ კულინარიულ წიგნს, როგორც კულტურის კვებითი კოდის დისკურსულ რეპრეზენტაციას, კულტუროლოგიური ინტერესი ახლავს. ჩვენ მიერ საანალიზოდ შერჩეული წიგნისადმი ამგვარ ინტერესს კიდევ უფრო ზრდის რამდენიმე ფაქტორი – იგი პირველი ქართულენოვანი კულინარიული წიგნია; 1818 წელს პეტერბურგშია გამოცემული; ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის ძეს ეკუთვნის; მასში რუსულის გზით შემოტანილი, ქართულს მორგებული, ევროპული სამზარეულოა წარმოდგენილი. აღნიშნული, თავის მხრივ, ლინგვისტურ ინტერესსაც ბადებს ტექსტისადმი, რომლის ყველაზე თვალსაჩინო თავისებურება ორი ენის – დედნისეული ფრანგულისა და გამაშუალებელი რუსულის – გავლენებია ლექსიკურსა და ფონეტიკურ დონეებზე.
ნაშრომში განხილულია გასტრონიმთა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები, სხვადასხვა სახის ბარბარიზმები, მათი აგებულება (უცხო ფუძე + ქართული აფიქსი; უცხო ფუძე + უცხო აფიქსი + ქართული აფიქსი), ორთოგრაფია (სტაბილური და ლაბილური ფონემატური სტრუქტურები) და ფუნქციონირება მთელი ტექსტის ფარგლებში (ქართულ შესატყვისებთან მიმართება და დისტრიბუცია, საკუთარი აღსანიშნისათვის ერთადერთ აღმნიშვნელად გამოყენება).
მიუხედავად იმისა, რომ უცხო ენათა გავლენები აშკარაა, ბაგრატ ბატონიშვილს უცხოური საინსტრუქციო ტექსტები ზედმიწევნით არ გადმოუტანია. მან ისინი ქართულ სინამდვილეს მიუსადაგა, რასაც მის მიერ არაერთი უეკვივალენტო ლექსემის ხმარება მოწმობს.
ბატონიშვილის კულინარიული დისკურსის სრულმა აღწერამ მდიდარი და მნიშვნელოვანი მასალა მოგვცა როგორც მომავალი კვლევებისათვის, ასევე გასტროკულტურის ლექსიკონის შესადგენად.

5. ასოც. პროფ. **რუსუდან ზექალაშვილი.** ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკა მიმართვებში და ქართული სამეტყველო ეტიკეტი. DOI: https://doi.org/10.52340/idw.2023.27; „კულტურათაშორისი დიალოგები" VII, შრომები, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, გამომცემლობა ,,მერიდიანი", 2023, გვ. 195-200.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.სტატიაში ხაზგასმულია მიმართვის დიდი მნიშვნელობა ქართულ სამეტყველო ეტიკეტში, რადგან მასში აისახება მოუბარი პირის დამოკიდებულება ადრესატისადმი, მისი დადებითი ან უარყოფითი ემოცია. გაანალიზებულია ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკის შემცველი მიმართვები არაოფიციალურ კომუნიკაციაში მხატვრული ტექსტების დიალოგური ნაწყვეტების მიხედვით; ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ აისახება მოუბარი პირის დამოკიდებულება ადრესატისადმი და მისი ემოცია ექსპრესიული მიმართვის საშუალებით; მიმართვებში გამოყოფილია მარტივი და გავრცობილი მიმართვები, მათი გრამატიკულ-ლექსიკური საშუალებები და სტილისტიკური შეფერილობა.

აგებულების თვალსაზრისით გამოყოფილია ერთკომპონენტიანი, ორ- და მეტკომპონენტიანი მიმართვები. ერთსიტყვიანი მიმართვების უმეტესაობას წარმოადგენს ანთროპონიმთა კნინობით-ალერსობითი ფორმები, ექსპრესიულ-ემოციური გაარსებითებული ზედსართავი სახელები და მეტაფორულად გამოყენებული ზოონიმები; გავრცობილ მიმართვებში ლექსიკური ერთეულები მარკირებულია ემოციური ელფერის მიხედვით, მაგრამ მათი სწორი ინტერპრეტაცია დამოკიდებულია საკომუნიკაციო სიტუაციაზე, რადგან ორაზროვნების გამო დასაშვებია აღქმის სუბიექტურობა. აღნიშნულია, რომ გამონათქვამის დადებითი და უარყოფითი ელფერი შეიძლება არ დაემთხვეს ლექსიკური ერთეულების სტილისტიკურ შეფერილობას. ყურადღება მიქცეულია მიმართვების მეშვეობით გამოხატულ დადებითსა და უარყოფითს ემოციებზე (ალერსი, შექება, დალოცვა, პატივისცემა... აგდება, დამცირება, მუქარა, ვულგარულობა...). ექსპრესიული ლექსიკის შემცველი მიმართვის შეფასებით ხასიათზე ფამილიარულ-შინაურულ კომუნიკაციურ სიტუაციაში.
ძირითადი დასკვნების გამოსატანად გამოყენებულია კვლევის აღწერითი, შედარებითი და სემანტიკურ-სტილისტიკური ანალიზის მეთოდები.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **დარეჯან თვალთვაძე,** „საქმე მოციქულთას“ ტექსტი ქართულ ხელნაწერებში“: თსუ ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ქართველური ენათმეცნიერება, IX, 2023, ISSN 2346-8106 გვ.: 61-79; თსუ-ს გამომცემლობა (18 გვერდი )
https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/471611

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

„ძველი ქართული ენის მეტად საჩინო ძეგლებს შორის ერთ-ერთი უპირველეს ადგილთაგანი, უეჭველია, „მოციქულთა საქმეს“ უჭირავს“ (აკაკი შანიძე). იგი ქართულ ენაზე ადრევე, სახარების თარგმნის ახლო ხანებში (IV-V საუკუნეებში) უნდა ეთარგმნათ, მაგრამ ადრეულმა ნუსხებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. მოღწეულთა შორის უძველესი ხელნაწერები X საუკუნით თარიღდება.
დღეისათვის არსებობს „საქმე მოციქულთას“ ძველი ქართული თარგმანის ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი გამოცემა (ი. აბულაძე 1950, G.Garitte, 1955) და ორივე გამოცემისთვის სულ გამოყენებულია 11 ხელნაწერი. ი. აბულაძემ ტექსტი გამოსცა 9 ხელნაწერის მიხედვით (S-407, S-1398, Ath.42, Kut-176, A-584, A-34, A-137, A-677 და K-4) და გამოყო 4 რედაქცია (A და B - წინაათონური, C - გიორგი ათონელისეული და D - ეფრემ მცირისა), ხოლო ჟ. გარიტის პუბლიკაცია X საუკუნის ორ სინურ ხელნაწერს (O/Sin.Geo.58/31/60 და O/Sin.Geo.39) დაეყრდნო. გამომცემლებისთვის ამ დროს ხელმიუწვდომელი იყო ხელნაწერები, რომლებიც ათონის მთაზე და იერუსალიმში ინახებოდა. გარდა ამისა, აღნიშნულ გამოცემებში ვერ აისახა „საქმე მოციქულთას“ უძველეს ლიტურგიკულ კრებულებში საკითხავების სახით დაცული ტექსტობრივი მასალა. ამიტომ „საქმე მოციქულთას“ ძველი ქართული თარგმანის ტექსტის შემცველი ხელნაწერების შესწავლა და ძველი ქართული თარგმანის ტექსტის კრიტიკული გამოცემა, რომელიც ყველა მნიშვნელოვანი ხელნაწერის მონაცემებს ასახავს და ტექსტის თარგმნა-რედაქტირების ეტაპებისა და თარგმანის წარმომავლობის დადგენისთვის აუცილებელ ტექსტურ მასალას მოგვცემს, დღემდე აქტუალურ საკითხად რჩება. ამჟამად შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს მუშაობა პროექტზე (FR-21-7518), რომელიც სწორედ ამგვარი გამოცემის მომზადებას ისახავს მიზნად (პროექტის

ხელმძღვანელი დ. თვალთვაძე, ძირითადი შემსრულებლები: დ. თვალთვაძე, ს. სარჯველაძე, ე. გიუნაშვილი, თ. ჯიქურაშვილი).

კვლევის პირველ ეტაპზე, რომელიც „საქმე მოციქულთას" ხელნაწერების მოძიებას და მათ კლასიფიკაციას ისახვდა მიზნად, გამოვლინდა 90-ზე მეტი მანუსკრიპტი. ქართულ ხელნაწერთა კოლექციების დამუშავებისას გამოიკვეთა, რომ შესწავლილ ხელნაწერთაგან არცერთი კოდექსი არ შეიცავს მხოლოდ „საქმე მოციქულთას" ტექსტს. „საქმე მოციქულთას" ტექსტი შეტანილია კრებულებში, რომლებიც თავისი შინაარსით, სტრუქტურითა და დანიშნულებით სხვადასხვანაირია. ესენია: ა) ბიბლიური კრებულები, ბ) ლიტურგიკული კრებულები და გ) ეგზეგეტიკური კრებულები.

„საქმე მოციქულთა" და ეპისტოლეები, როგორც მოციქულთა სამისიონერო საქმიანობასთან დაკავშირებული წიგნების ერთობლიობა, უპირატესად, ერთ კრებულად „სამოციქულოს" სახელით არის წარმოდგენილი. ჩვენამდე მოღწეულია ამ სახელწოდების ოცამდე კოდექსი, რომელიც შეიცავს საქმე მოციქულთას, პავლეს ეპისტოლეებს და კათოლიკე ეპისტოლეებს, თუმცა კრებულის სტრუქტურა ყოველთვის ერთგვაროვანი არ არის. განსხვავებას ძირითადად ქმნის ახალი აღთქმის წიგნების თანმიმდევრობა კრებულში.

იმის გამო, რომ მოციქულთა საქმეები და ეპისტოლეები მჭიდრო კავშირშია სახარებებთან, გასაკვირი არ არის ისეთი კრებულის გაჩენა, რომელშიც სახარება-ოთხთავი და სამოციქულო ერთად არის წარმოდგენილი. ასეთ კრებულს ქართულ ხელნაწერ ტრადიციაში „სახარება-სამოციქულო" ეწოდება. ასეთია, მაგალითად, XI საუკუნის ხელნაწერი Kut.176, რომელიც სახარება-ოთხთავს, პავლეს ეპისტოლეებს, საქმე მოციქულთას და, სავარაუდოდ, კათოლიკე ეპისტოლეებსაც აერთიანებდა (ხელნაწერი ბოლონაკლულია). ერთ-ერთ ასეთ კრებულში (A-482) დასტურდება შებრუნებული რიგიც (საქმენი, კათოლიკენი, პავლენი და სახარებები). აღსანიშნავია, რომ ქართულ ხელნაწერ ტრადიციაში ახალი აღთქმის სრული კრებული, რომელიც ოთხთავს, სამოციქულოს და იოანეს გამოცხადებას აერთიანებს, შედარებით გვიან ჩნდება და არ არის გამორიცხული, მომდინარეობდეს ბეჭდური გამოცემებიდან (მაგ. A-909, H – 664, XVIII ს).

„საქმე მოციქულთას" ტექსტი საკითხავების სახით შეტანილია სხვადასხვა ლიტურგიკულ კრებულში. მათგან უძველესია ლექციონარები, რომელებშიც წარმოდგენილია საეკლესიო კალენდრის მიხედვით გაწყობილი საკითხავები ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან (მაგ. კალის, ლატალის, პარიზის ლექციონარებში). „საქმე მოციქულთას" საკითხავები გვაქვს ლიტურგიკულ კრებულებში, რომლებშიც შესულია მთელი წლის საკითხავები „სამოციქულოდან", როგორიცაა „საწელიწდო სამოციქულო"/„გამოკრებული სამოციქულო"/ „რიგის სამოციქილო". „საქმე მოციქულთას" საკითხავები გვხვდება ისეთ შერეულ ლიტურგიკულ კრებულებშიც, როგორიცაა „სახარება-სამოციქულო" და „გულანი", რომელიც სხვა თხზულებებთან ერთ შეიცავს „საქმე მოციქულთას" საკითხავებსაც.

რაც შეეხება ეგზეგეტიკურ კრებულებში წარმოდგენილ „საქმე მოციქულთას" ტექსტს, ამ შემთხვევაში საუბარია ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ „სამოციქულოს თარგმანებაზე", რომელიც მას იოანე ოქროპირის ეგზეგეტიკურ თხზულებაზე დაყრდნობით კირილე ალექსანდრიელის მიერ შედგენილი კომპილაციური კატენური კრებულიდან გადმოუღია. თარგმნის პროცესში ეფრემის მიერ კორექტირებული „სამოციქულოს" გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ტექსტი მოგვიანებით, მთარგმნელის ნების საწინააღმდეგოდ, გადამწერებმა ეგზეგეტიკური თხზულებიდან ცალკე ამოწერეს, რომელიც ახალ დამოუკიდებელ რეცენზიად (D რედაქცია) იქცა. შესაბამისად, სამოციქულოს ეფრემ მცირისეული რედაქციის ტექსტის შემცველი ხელნაწერები ორი ტიპისაა: ა) ხელნაწერები, რომლებშიც წარმოდგენილია ეფრემის მიერ თარგმნილი ეგზეგეტიკური თხზულება, რომლის კიმენური ნაწილი სამოციქულოს გიორგისეული ტექსტს წარმოადგენს. მასში მარგინალური ნიშნებით მონიშნულია ამ ბიბლიურ წიგნში ეფრემის მიერ შეცვლილი

ადგილები, ეფრემის აზრით „უსაკუთრესი თარგმანი“ კი კომენტარების ნაწილშია მოცემული და ბ) ხელნაწერები, რომლებშიც სამოციქულოს ეფრემის მიერ რედაქტირებული ტექსტი კომენტარების გარეშეა წარმოდგენილი (ე. ი. გვაქვს არა ეგზეგეტიკური, არამედ ბიბლიური წიგნი). პირველი ტიპის ხელნაწერებში, რომელსაც „სამოციქულოს თარგმანების“ სახელით ვიცნობთ, „საქმე მოციქულთას თარგმანება“, ჩვეულებრივ, პავლეს ეპისტოლეთა და კათოლიკე ეპისტოლეთა თარგმანებებთან ერთადაა წარმოდგენილი. საინტერესოა, რომ ქართულ ხელნაწერთა შორის აღმოჩნდა სხვა ტიპის ეგზეგეტიკური კრებულებიც, რომელშიც „სამოციქულოს თარგმანებასთან“ ერთად შეტანილია ახალი აღთქმის რომელიმე სხვა წიგნის განმარტება (მაგ. „მარკოზის სახარების თარგმანება“ და „სამოციქულოს თარგმანება“/“სამოციქულოს თარგმანება“ და “იოანეს გამოცხადების“ თარგმანება).
ხელნაწერთა შესწავლის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე მანუსკრიპტი, რომელიც აქამდე არ ყოფილა საგანგებოდ შესწავლილი და დღემდე არსებულ გამოცემებში გამოყენებული (მაგ. Ivir. georg.19 და Jer.Geo.94-82, რომელშიც სამოციქულოს წიგნების ძველი წინაათონური ვერსიებისთვის დამახასითებელი რიგი გვაქვს და წინასწარი დაკვირვების შედეგად ტექსტი წინაათონური B რედაქციისა უნდა იყოს; Ivir.georg.78 - XI საუკუნის ნუსხა, რომელიც გადაწერილია გიორგი ათონელის ავტოგრაფიდან და „საქმე მოციქულთას“ გიორგისეული რედაქციის ტექსტის დასადგენად ერთ-ერთი სანდო „ტექსტური მოწმე“ იქნება; Jer.Geo.19 - XII-XIII საუკუნეებში გადაწერილი ხელნაწერი, რომელიც, რ. ბლეიკის აზრით, გიორგი ათონელის რედაქციისაა, თუმცა ამ მოსაზრების ვერიფიცირება ტექსტოლოგიური კვლევებით უნდა მოხდეს. ასევე, სრული ხელნაწერია სამოციქულოსი Jer.Geo.129 და A- 482 „სახარება-სამოციქულოს“ კრებული, რომლებიც, მიუხედავად გვიანდელობისა (XIII-XIV სს), იმსახურებს ყურადღებას და ტექსტოლოგიური ანალიზით უნდა დადგინდეს, რომელი რედაქციის ტექსტია მათში წარმოდგენილი; ტექსტოლოგიური კვლევისთვის აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული IX-X საუკუნეების რამდენიმე ლიტურგიკული კრებული სინის მთიდან, კერძოდ: O/Sin.Geo.53 (IX-X სს), N/Sin.Geo. 26; N/Sin.Geo.31, N/Sin.Geo.54, N/Sin.Geo.26; N/Sin.Geo.31, N/Sin.Geo.58, რომლებიც სხვა თხზულებებთან ერთად შეიცავს „საქმეთა“ საკითხავებს და, მიუხედავად ფრაგმენტულობისა, საყურადღებო ტექსტური მასალის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს.

2. **პროფ. რამაზ ქურდაძე** - „მიმართვის ადგილისათვის რთულ წინადადებაში (ქართული ანდაზების მაგალითზე)“, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართულ ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“, ტ. IX, თსუ გამომცემლობა, თბ., 2023, ISSN 2346-8106, 9 გვ.
https://dspace.tsu.ge/server/api/core/bitstreams/ac8d230b-35c9-4bf0-9019-4e3f364bc6b2/content

**3. მაია ლომია** (თანაავტორები: რ. ქურდაძე, ქ. მარგიანი, ნ. ჭუმბურიძე), „ჰიპოტაქსური მოდელები ზეპირმეტყველებაში – კომუნიკაციის ძირითადი წყარო“, გვ. გვ. 226-233 (8 გვ.) მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის კრებული „კულტურათაშორისი დიალოგები -VII“. (ISSN: 2233- 3401 და ელექტრონული: E-ISSN: 2667-999X. DOI: https://doi.org/10.52340/idw). --- სრ. კრებული: https://journals.4science.ge/index.php/IDW

4. **მაია ლომია** (თანაავტორი ქეთევან მარგიანი), The Theoretical Grounds and Practical Value of Distinguishing the Marker of Evidentiality in the Verb Paradigms of Kartvelian Languages (10 გვერდი); ჟურნალი „დიგიტალური ქართველოლოგია“, დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემიის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი, II ტომი; ISSN 2720-8427: https://adh.ge/digital-kartvelology-ge/

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**
1. სტატია სრულად იხ მითითებულ ბმულზე
2. სტატია სრულად იხ. მითითებულ ბმულზე

5. ასოც. პროფ. **ქეთევან მარგიანი**, **ზმნისწინთა ორი ტიპი და მათი ურთიერთმიმართება სვანურ ენაში**
(სემანტიკურ-ფუნქციური ანალიზი), სამეცნიერო შრომების კრებული "ქართველური ენათმეცნიერება", IX, ISSN 2346-8106, თსუ გამომცემლობა, 8 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**
1. სვანურ ენაში არსებობს **ზმნისწინთა ორი რიგი**: ე. წ. "წინდებულ-თანდებულები" (ვ. თოფურიას ტერმინოლოგიით): **ჟი, ჩუ, სგა, ქა** და ძირითადი პრევერბები: **ან**- , **ად**-/ა-, **ეს**-/**ას**-, **ლა**-, ასევე ამ ორი ტიპის კომბინაციით შექმნილი რთული ზმნისწინები. ქართული ზმნისწინის ყველა ფუნქცია (გეზი, ორიენტაცია, მომავალი დროის წარმოება, ასპექტი, ახალი მნიშვნელობის მინიჭება ზმნისთვის), სვანური პრევერბების ორივე რიგს ჩვეულებრივ ახასიათებს, თუმცა, ქართულთან შედარებით, მათი ფუნქციები უფრო მრავალფეროვანია. ასევე, სრული სემანტიკურ-ფუნქციური თანხვედრა არ არის თავად საანალიზო ორ ტიპს შორისაც; განსხვავებულია მათი დაწერილობაც.

როგორც კვლევამ აჩვენა, სვანურ ზმნისწინთა ორივე ტიპთან დასტურდება ქართული ზმნისწინებისგან განსხვავებული ფუნქციები:
1. ე. წ. "წინდებულ-თანდებულები" ა) დამოუკდებლად გვევლინებიან ადგილის
გარემოებად. ბ). ქმნიან პარონომაზიულ კონსტრუქციას. გ). **ი** (ქართ. „ც") ნაწილაკის ტმესის სახით ჩართვის შემთხვევაში ქმნიან დაქვემდებარების იმგვარ საფუძველს, რომ აღარ არის საჭირო მაქვემდებარებელი კავშირი (ხშირად კორელატიც) და შედეგად ვიღებთ არქაული ტიპის რთულ ქვეწყობას (ასიდენტურად დაკავშირებულ წინადადებებს).
2. ა) ძირითადი პრევერბიანი პირველი სერიის ზმნური ფორმები
ერთმნიშვნელოვნად გამოხატავენ საეჭვოობა-სავარაუდოობის სემანტიკასრაც, თავის მხრივ, ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში განაპირობებს უკავშირო შეერთების შესაძლებლობას, ვინაიდან ინფორმაციის საეჭვოობას ან გარკვეულ პირობას ქართულში სწორედაც თუ, რომ, რადგან... და მსგავსი ლექსემები (კავშირები) ემსახურებიან. სვანურში კი ამ ფუნქციას, სემანტიკიდან გამომდინარე, ძირითადპრევერბიანი ზმნები ასრულებდნენ.

ბ) პირველი ტიპის პრევერბიანთაგან განსხვავებით, ძირითადპრევერბიანი ზმნები მოდალიზებულ ევიდენციალურ (ეპისტემიკური მნიშვნელობის) მწკრივებს განეკუთვნებიან.

საანალიზო ზმნისწინთაგან, ჩვენი აზრით, ენის უფრო ადრინდელი ეტაპის კუთვნილებაა ცალკე მდგომი პრევერბები, როგორც დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილები, ხოლო ძირითადი პრევერბების ჩამოყალიბება სვანურში, ისევე, როგორც ქართულში, უნდა უკავშირდებოდეს ზმნის გადინამიკურების პროცესს, რასაც თან მოჰყვა ასევე შედარებით გვიან ჩამოყალიბებული გრამატიკული კატეგორიის, ევიდენციალობის გამოხატვის ფუნქციაც; ევიდენციალობა ამ დროისთვის უპრევერბო ზმნებში მორფემის დონეზე იყო განვითარებული, მაგრამ, რადგან პრევერბს უკვე ჰქონდა ამ სემანტიკის გამოხატვის შესაძლებლობა, მორფემა პრევერბიან ფორმებში აღარ გადმოსულა.

**6. ასოც პროფ. სალომე ომიაძე,** კვეთი, ყველი – მსგავსი მოტივაციის მქონე ორი ლექსემა-ტერმინი, ტერმინოლოგიის საკითხები, V, ISSN 1987-7633, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 9 გვ. (გვ. 319-328).
7. **ასოც. პოფ. სალომე ომიაძე,** ბრძანებითის ზმნურ ფორმათა შესახებ ბაგრატ ბატონიშვილის სამზარეულოს წიგნში, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის

ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“, IX, ISSN 2346-8106, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 6 გვ. (გვ. 99-105).

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. **ს. ომიაძე,** კვეთი, ყველი – მსგავსი მოტივაციის მქონე ორი ლექსემა-ტერმინი (ანოტაცია): სალიტერატურო ენის ლექსიკური ფონდის ერთეულთა მონაწილეობა ტერმინოლოგიურ სისტემათა შექმნაში უნივერსალური მოვლენაა. ბუნებრივია, რომ კვების სფეროსთან დაკავშირებული ქართული ყოფითი ლექსიკის დიდი ნაწილიც გასტრონომიის, როგორც სპეციალური დარგის, ტერმინთსისტემის კუთვნილება ხდება. საერთო ენიდან ტერმინოლოგიურ სისტემაში სიტყვათა მიგრაციას ხშირად ახლავს მნიშვნელობის ცვლა, გაფართოება-დავიწროება თუ მნიშვნელობის განვითარების სხვა გამოვლინებები.
ჩვენ მიერ განსახილველი ორი ერთეული – კვეთი და ყველი – ერთი სისტემიდან მეორეში ისე გადადის, რომ არც განსხვავებულ ფუნქციას იძენს და არც სემანტიკურ ცვლილებას განიცდის. პირველი უფრო გამჭვირვალე შინაფორმის ლექსემაა, „კვეთის“ დაკავშირება ზმნა „კვეთასთან“ რიგით ენის მატარებელსაც არ გაუჭირდება, თუ მას ყველის ამოყვანა უნახავს ან ამ პროცესზე რაიმე სმენია: კვეთის საშუალებით რძე გაიკვეთება ანუ აიჭრება (შდრ. კვეთა – ჭრა – 'მთლიანობის დარღვევა'). ამდენად, „კვეთი“ გასუბსტანტივებული მიმღეობაა: კვეთი ← მ-კვეთ-ი – 'რაც კვეთს რასმე', რომელიც რძისაგან ყველის წარმოების ტექნოლოგიური პროცესით არის მოტივირებული. ასევე ტექნოლოგიური პროცესი უდევს საფუძვლად ამ პროცესის შედეგად მიღებული რძის პროდუქტის – ყველის – სახელდებას. იგი დაკავშირებულია „შეყოფა“ ზმნასთან, რომლის მნიშვნელობა ძველ ქართულში არის 'შეერთება, შედედება, შემკვრივება'.
კვეთისა და ყველისათვის ამოსავალ ფუძეებს – „კუეთ“ და „ყოფ“ – ძველ ქართულში ლაბილური სემანტიკა აქვთ: ერთიცა და მეორეც საპირისპირო მნიშვნელობებს 'გაყოფასა' და 'შეერთებას' გამოხატავს. კვეთის საგნობრივი დენოტატის ფუნქციის გათვალისწინებით, მასში შესაძლებელია „გაყოფის“ სემანტიკაც იყოს რეალიზებული და „შეერთებისაც“, ყველში კი „შეერთება-შემტკიცებაა“ გამოხატული.
ამგვარად, **კვეთი** და **ყველი** მსგავსი მოტივაციის მქონე ლექსემა-ტერმინებია: პირველი სასუბიექტო მიმღეობის ფუნქციისა, მეორე კი – საობიექტოსი. მათი ამოსავალი ფუძეების ლაბილური სემანტიკის გათვალისწინებით, შეიძლება ორივეს მნიშვნელობად **შედედება** ვიგულისხმოთ და მათ შორის ისეთივე მიმართება დავინახოთ, როგორიცაა **შემდედებელსა** და **შედედებულს** შორის.

2. **ს. ომიაძე,** ბრძანებითის ზმნურ ფორმათა შესახებ ბაგრატ ბატონიშვილის სამზარეულოს წიგნში (ანოტაცია): ბაგრატ ბატონიშვილის სამზარეულოს წიგნი 1818 წელს პეტერბურგში ქართულ ენაზე გამოიცა. აღნიშნული წიგნი, როგორც კულინარიულ რეცეპტთა კრებული, საინსტრუქციო ხასიათის ტექსტებს აერთიანებს. რადგან კერძის მოსამზადებელი მითითება უმეტეს შემთხვევაში ზმნით გადმოცემულ მოქმედებას შესასრულებლად სახავს, ჩვენს საანალიზო ტექსტშიც აქტიურ ზმნათა წართქმითი ბრძანებითის ფორმები ჭარბობს, რომლებიც მხოლობით რიცხვში მდგომ მეორე პირს მიემართება.
კრებულის შექმნის დროის გათვალისწინებით, ნორმირების ერთგვარი სურათი მოსალოდნელი არც იყო. სიჭრელე შეინიშნება მეორე ბრძანებითის მეორე პირის ფორმათა წარმოების მხრივაც. საანალიზო ტექსტში პარალელურად დასტურდება ძველი და ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმები: წყვეტილის უნიშნო და ნართაული, ე. წ. უფუნქციო ი-ს მქონე ფორმები (დააჭერ – დააჭერ**ი**), რომელთაგან უპირატესი უნიშნო ფორმებია; -ევ და ე- დაბოლოებიანი ფორმები (ჩააგდ**ევ** / ჩააგდ**ე**); წყვეტილში -ივ სუფიქსიანი

(აწმყოს -ევ სუფიქსიდან მომდინარე – ევ > ივ) ვ-შენახული და ვ-დაკარგული ფორმები (არჩ**ევ** – დაარჩ**ივ**ე / დაარჩ**ი**ე). -ობ თემისნიშნიანი ზმნები, რომელთაც ახალ ქართულში ფუძისეული ვ თანხმოვანი შენახული აქვთ, ჩვენს საანალიზო ტექსტებში ვ-ს გარეშე გვხვდება (აცხ**ობ** – გამოაცხე, აწყ**ობ** – ჩააწყე, შდრ. ახალი ქართული: აცხ**ობ** – გამოაცხ**ვ**ე, აწყ**ობ** – ჩააწყ**ვ**ე). უსისტემოდ არის გამოყენებული სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ნიშნები. ძირითადად მათი ჭარბი ხმარება შეინიშნება.
ბაგრატ ბატონიშვილის კრებულში თითქმის ყველა რეცეპტი საერთო სტრუქტურისაა და იწყება ზმნით **„მოიღე“**, რომელიც ყოველთვის მხოლობითი რიცხვის ფორმით გამოიყენება ისევე, როგორც სხვა საინსტრუქციო ზმნები. ბარბარე ჯორჯაძის სამზარეულოს წიგნში რეცეპტთა ტექსტები სულ სხვადასხვაგვარად იწყება, „მოღება“ ზმნა იქაც ხშირად გვხვდება, მაგრამ მრავლობითი რიცხვის ფორმა „მოიღეთ“ ჭარბობს, რომელსაც ზოგ შემთხვევაში „აიღეთ“ ენაცვლება. ბრძანებითის სხვა ზმნებიც ბარბარესთან უმეტესად მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი. „მოღება“ ზმნა, რომელიც ძველ ქართულში მრავალი მნიშვნელობით დასტურდება (მოტანა; მიღება, აღება; წართმევა; მოხდა), თანამედროვე ქართულში მხოლოდ მყარ გამოთქმებში იხმარება, ესენია: „ბოლოს მოღება“ და „მოწყალების მოღება“. მეცხრამეტე საუკუნის კულინარიულ დისკურსში „მოღების“ მნიშვნელობა ‘აღებაა’. ჩვენს საანალიზო კრებულსა და ბარბარე ჯორჯაძის სამზარეულოს წიგნს შორის 56 წელია სხვაობა. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მათი შედარება არა მხოლოდ ბრძანებითის ფორმათა წარმოების თვალსაზრისით, არამედ ბევრი სხვა ასპექტითაც – როგორც XIX საუკუნის ლინგვოკულტურულ ცნობათა ორი წყაროსი.

8. **ასოც. პროფ. რუსუდან ზექალაშვილი.** კვალიფიკაციათა ძირითადი სახეები ქართული ენის განმარტებითსა და ქართულ-გერმანულ ლექსიკონებში. ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“, №9, ეძღვნება პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილის მე-100 წლისთავს. ISSN 2346-8106. თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023, 6 გვერდი (გვ. 45-60).
https://dspace.tsu.ge/items/a409dd85-927f-4bd2-aa3a-144e647aabb4

9. **ასოც. პროფ. რუსუდან ზექალაშვილი.** განტერმინება (დეტერმინოლოგიზაცია), როგორც ლექსიკის გამდიდრების საშუალება (სამედიცინო ტერმინთა მაგალითზე): ტერმინოლოგიის საკითხები V. ISSN 1987-7633. თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022-2023, 17 გვერდი (გვ. 152-168).
chrome-
extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://dspace.tsu.ge/server/api/core/bitstreams/91ce8204-76ef-403e-addb-077b9eef5665/content
https://dspace.tsu.ge/items/bdb1668b-5870-49f1-81df-ec86ca50b8cc

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**
1. სტატიაში განხილულია ქართულ ლექსიკოგრაფიულ ტრადიციაში დამკვიდრებული კვალიფიკაციების ძირითადი სახეები: ლექსიკური ერთეულის გამოყენების პერიოდი, ადგილი და გავრცელების დარგი, ემოციური შეფერილობა და შესაბამისი სტილისტიკური დახასიათება; შესწავლილია ამ ტიპის ლექსიკის კვალიფიკაციისა და მათი ასახვის ლექსიკოგრაფიული საშუალებები ქართული ენის განმარტებითი და ქართულ-გერმანულ ლექსიკონების საფუძველზე.
ხაზგასმულია, რომ ლექსიკონებში გამოყენებული კვალიფიკაციები სუბიექტურობისგან არაა დაზღვეული, რაც დასტურდება ქართული თუ უცხოური ლექსიკონების მონაცემთა შედარებით.

შესწავლილია, თუ როგორაა ასახული სიტყვათა სტილისტიკური შეფერილობა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის პირველივე ტომიდან (1950წ.), რომელშიც ლექსიკურ ერთეულთან მითითებულია გავრცელების **სფერო**, გამოყენების **პერიოდი** (ახალია, ძველი, საბჭოური თუ ნეოლოგიზმი) და გეოგრაფიული **არეალი** (რომელი კუთხის დიალექტიზმია). **ემოციურ-სტილისტიკური** შეფერილობის აღმნიშვნელი მითითებები მრავალფეროვანია (ალერსობითი, დამცირებითი, დაცინვითი, ევფემიზმი, ვულგარიზმი და სხვ.). ეს პრინციპი გატარებულია ქეგლ-ის პირველი გამოცემის ყველა ტომში (1950-1964) და ახალ რედაქციაშიც.
თარგმნითი ლექსიკონებიდან გაანალიზებულია ციურიხში გამოცემული კიტა ჩხენკელის მიერ შედგენილი ქართულ-გერმანული ლექსიკონი (1960-1976), რომელშიც შესაბამისი კვალიფიკაციები გერმანულადაა მოცემული. გამოყენებულია ოთხივე ტიპის კვალიფიკაციები (ადგილისმიერი, დროისმიერი, დარგობრივი და სტილისტიკური). ემოციურ-ექსპრესიული ელფერი დადასტურებულია შემდეგ მითითებებში: პოეტური, ამაღლებული, ევფემისტური, სასაუბრო სამეტყველო სტილის, ფამილიარული, ფიგურული, დამამცირებელი, ვულგარული, ირონიული, კნინობითი (ნაწარმოები **-ა, -უნა, -უნია, -ურა, -აკ, -უკა, -უკელა, -იკო, -ანა** სუფიქსებით).
აღნიშნულ ლექსიკონზე დაკვირვებისას აშკარაა, რომ ავტორისთვის ძირითადი წყარო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი იყო.
ამ თვალსაზრისით გაანალიზებულია 2009 (მე-2 გამოცემა 2015 წ.), გამოცემულ ქართულ-გერმანული ლექსიკონიც, რომელიც ძირითადად გათვალისწინებულია ქართულენოვანი მომხმარებლებისთვის და ამიტომ მეთაური სიტყვის **სტილისტიკური** დონე ან **ემოციური** ელფერი მითითებულია ქართულად.
საბოლოოდ ნათქვამია, რომ ემოციურ-სტილისტიკური მახასიათებლების მითითება ლექსიკონებში ემსახურება ლექსიკური ერთეულების სემანტიზაციას და ეხმარება მომხმარებელს სიტყვის მნიშვნელობის სწორად გაგებასა და გამოყენებაში.

2. სტატიაში შესწავლილია ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური ცვლის საინტერესო და მუდმივმოქმედი პროცესი, როცა სალიტერატურო ენის ერთეული იქცევა ამა თუ იმ დარგის ტერმინად ან ტერმინი გადადის საერთო-სახალხო ენაში, რითაც ვლინდება ლექსიკის ცვალებადი და დინამიკური ხასიათი.
ყურადღება მიქცეულია დეტერმინოლოგიზაციის დროს შექმნილ ახალ სემანტიკურ მიმართებებზე როგორც სალიტერატურო ენის ლექსიკასთან, ისე თვით ამა თუ იმ დარგის ტერმინოლოგიასთან. ამას გარდა, ავტორის მიერ შემოთავაზებულია გაქართულებული ტერმინები (განტერმინება, გატერმინება, კვლავგატერმინება), რომელთა დამკვიდრების ხელშეწყობა ლინგვისტიკაში დადებითი მოვლენაა.
განსაკუთრებით გამოყოფილია პუბლიცისტიკის ენაში, კერძოდ, ეკონომიკური და პოლიტიკური შინაარსის ტექსტებში, ტერმინოლოგიიდან შესული ლექსიკის შემფასებლური ელფერი, რომლის დადებით ან უარყოფით ხასიათს კონტექსტი განაპირობებს.
სამედიცინო ლექსიკის დეტერმინოლოგიზაციის საფუძვლად მიჩნეულია ასოციაციური კავშირები და საზოგადო სახელის სპეციფიკური ნიუანსების მიმსგავსება ტერმინის სემანტიკასთან. ამ მიზნით გამოყენებული სიტყვები თემატურად ხშირად მოიცავს დაავადებების, სინდრომებისა და სიმპტომების, ორგანიზმის რეაქციის, დაავადებათა გამომწვევების, სამკურნალწამლო საშუალებებისა და სამედიცინო ხელსაწყო-იარაღების აღმნიშვნელ ლექსიკას (აბი, აგონია, ალერგია, ბაქტერია, ბაცილა, დამბლა, ვირუსი, მიკრობი, ნევროზი, სიმსივნე, ფსიქოზი, ციებ-ცხელება...). ყურადღება მიქცეულია იმაზეც, რომ სხვა ენებშიც დასტურდება მსგავსი ლექსიკის განტერმინების შემთხვევები.
ავტორის აზრით, სამედიცინო ტერმინთა დეტერმინოლოგიზაცია სპეციალური ლექსიკის მეტაფორიზაციის ერთ-ერთი გამოვლინებაა, რაც ამდიდრებს სალიტერატურო ენას და

ზრდის მის ექსპრესიულობას. ამ სიტყვების ემოციური შეფერილობა უმეტესწილად უარყოფითია, რადგან სამედიცინო ტერმინებში წინ წამოწეულია სწორედ პათოლოგიური ცვლილება, ტკივილი, კერა, რაც ამძაფრებს მათს ემოციურ დატვირთვას ახალ კონტექსტში. შემჩნეულია ასევე, რომ მსგავსი სიტყვების გამოყენების სფერო არაა შეზღუდული, მაგრამ უმეტესად გამოიყენება საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის ტექსტებში, ეკონომიკისა და ფინანსების სფეროში. დადასტურებულია რეტერმინოლოგიზაციის ანუ ხელახალი გატერმინების პროცესიც (მაგ., კოლაფსი და შოკი – ეკონომიკაში, შოკი – კულტუროლოგიაში, ციებ-ცხელება – პოლიტო-ლოგიაში და სხვ.)
მოკლედ მიმოხილულია ტერმინთა ექსპრესიული დატვირთვა პოეტურ ენაშიც, რომელშიც სულ უფრო ვრცელდება ნაკლებად პოეტური, ნეიტრალური და არაემოციური სიტყვები. აღნიშნულია, რომ მსგავსი სიტყვების შემოტანა თავად პოეტის სტილის თავისებურებით ან მოულოდნელობის ეფექტის შექმნის სურვილით არის განპირობებული (მაგ., ტ. ჭანტურიას პოეტურ ენაში).
**10. ასოც. პროფ. ინგა სანიკიძე.** „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტმესირებული სტრიქონის გააზრებისათვის. ქართველოლოგიური კვლევების ორენოვანი ჟურნალი „ქართველოლოგი“ N 29, ISSN 1512-1186. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2023, გვ. 237-264 // Towards Understanding Tmesis in the Line of The Knight in the Panther's Skin. Journal of Georgian Studies "The Kartvelologist", N29 [ISSN 1512-1186], Tbilisi, TSU Publishing House, 2023, p.p. 237-264 [სტატია ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსებულია სამეცნიერო სოციალურ ქსელში - academia.edu]
11. **ასოც. პროფ. ინგა სანიკიძე.** ნაცვალსახელთა ერთი ჯგუფისათვის ახალ ქართულ ენაში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომების კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“, ტ. VI-VII, ISSN 2346-8106. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2023, გვ. 103-110 [გადაცემულია სამეცნიერო აკადემიურ ქსელში [- academia.edu] ასატვირთად).

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**
1. საკვანძო სიტყვები: „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონი, ტმესი, მსოფლმხედველობა

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტმესირებული სტრიქონის გააზრებისათვის
[ვრცელი ანოტაცია]
ჩვენი ყურადღება მიქცეულია „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ცნობილი მონაკვეთის – დავარის ეპიზოდის – საფინალო სტროფისაკენ, რომელიც ფარსადან მეფის დის თვითმკვლელობის სცენას ეხება [„დანა დაიცა, მო-ცა-კვდა, დაეცა სახისხლმდინარდა“]. ტმესირების ეს შემთხვევა, ჩვენი აზრით, პოეტის მსოფლმხედველობის ერთ-ერთი მდგენელია და მისსავე მოქალაქეობრივ შეხედულებას აცხადებს, ამიტომ ამ შემთხვევაში ტმესი, როგორც ენობრივი სამკაული, მხოლოდ ემპირიულ მოცემულობად უნდა იქნეს აღქმული. ნაკლებად სადავოა ის, რომ ზმნის განკვეთა თავისი არსით ენის გამხატვრულების საშუალებაა. აქედან გამომდინარე, ზმნურ ფორმათა ტმესი მხატვრული პროდუქტი მოჩანს და მისი დაბადების ადგილი სასაუბრო მეტყველების პლასტი არ უნდა იყოს.
რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ ამ კონკრეტულ სტრიქონს, ის, თავის მხრივ, პოეტური რითმითა და გამეორების მხატვრული საშუალებით გადაჯაჭვულია წინარე სტრიქონებთან [„ესე წყრომა მეფისაგან ვის**ცა** ესმა, ვინ**ცა** <u>**იცის**</u>, / მან უამბო დავარ ქაჯსა, ვინ გრძნებითა **ცაცა** <u>**იცის**</u>“ ], რაც საშუალებას გვაძლევს -[მ]ცა ნაწილაკი ომონიმურ მოცემულობად გავიაზროთ. **ც** ფონემა განსახილველ შემთხვევაში საგულდაგულოდ სელექცირებული მოჩანს, მის იდეოგრამულ ხასიათზე კი ანბანური სახელწოდება **„ცან“** მიგვანიშნებს. ფაქტია, რომ ც'ს ალიტერაციისას რუსთველის მხატვრულ-ენობრივი ხედვა ცისაკენაა მიიქცეული [„ცაცა

იცის“]. მიმართულების ეს ვექტორი ვერტიკალურია და დავარის ზენა არსისაკენ სწრაფვასა თუ მასთან ზიარებაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

უფრო კონკრეტულად — რასთან გვაქვს საქმე, როცა რუსთველი დავარის თვითმკვლელობის სცენის დასკვნით ტაეპში [„მო-ცა-კვდა“] ცა'ს გამოიყენებს და ტმესირებულ ზმნაში მას ტრადიციული ბუნებრიობით განათავსებს? ვფიქრობთ, რომ პოეტის მიზანი ნაკლებად წარმოიდგინება მხოლოდ დავარის მოკვდინების გაძლიერებით [„მო-ცა-კვდა“ — “მოკვდა კიდეც“]. რუსთველის სათქმელი გაცილებით ღრმაა და პოეტურად დაფარული. ჩვენი აზრით, ზეცის შემმეცნებელი ქალის სამშვინველი ხორციელი კვდომის შემდეგ ცად მიიწევს, ანუ ჩვენეული წაკითხვით ის ცასვე უბრუნდება [*მო-ცად-კვდება]. ციდან მოსული სიბრძნე ცამვე უნდა მიიბაროს, ეს ურთიერთმიმართება კი ისეთივე რკალურია, როგორც თავად **ც** გრაფემა ასომთავრულ და მხედრულ ანბანებში. ვფიქრობთ, დავარის მონაკვეთის ამგვარი წაკითხვა ჩვენ წინაშე რუსთველის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მსოფლხატს ძერწავს.

2. საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, მორფოლოგია, ნაცვალსახელთა ჯგუფები

ნაცვალსახელთა ერთი ჯგუფისათვის ახალ ქართულ ენაში

[ვრცელი ანოტაცია]

საზოგადოდ ცნობილია, რომ ქართულში ნაცვალსახელი არაერთი თავისებურებით გამორჩეული ის მეტყველების ნაწილია, რომლის სპეციფიკურობა თუ სირთულე ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მიმდინარე მორფოლოგიური ცვლილებებით იხსნება. ფუძეთა და მორფოლოგიურ მარკერთა არქეტიპულობა ნაცვალსახელთა ძირითადი მახასიათებელია. ენობრივი ფაქტია, რომ ნაცვალსახელთა საერთო სისტემამ დიაქრონიულ პლასტებში მართლაც გაიარა მნიშვნელოვანი მორფოლოგიური ფორმირებისა და ლექსიკური გადააზრიანების ეტაპები და ამგვარად ჩამოიყალიბა თანამედროვე მდგომარეობა.

ნაცვალსახელები, სხვა ენათა გრამატიკული აღწერილობების მსგავსად, ქართულშიც სემანტიკური ნიშნით, ანუ შინაარსის მიხედვით, არიან კლასიფიცირებულნი და, საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრებით, გვაქვს: პირის, ჩვენებითი, კითხვითი, კუთვნილებითი, კითხვით-კუთვნილებითი, მიმართებითი, ურთიერთობითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი და უარყოფითი ჯგუფები [შანიძე 1980; მარტიროსოვი 1964]. ამ შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას ის ჯგუფები იქცევს, რომელთა შემადგენლობაში ნაწილაკდართული ფორმები ერთიანდება. ესენია ლინგვისტურ ლიტერატურაში მიმართებით ნაცვალსახელებად წოდებული ერთეულები (ვინ-ც, რა-ც და მისთ.) ან ერთი წყება განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებისა, რომლებიც კითხვით ნაცვალსახელებზე „მე“ ან „ღა-ც[ა]“ ნაწილაკების დართვითაა წარმოებული ( ვინ-მე, რა-მე.. ვი-ღა-ც[ა], რა-ღა-ც[ა] და სხვ.).

საქმე ის არის, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საკლასიფიკაციო ჯგუფის გარეშეა დარჩენილი ასევე ნაწილაკდართული ნაცვალსახელები **იგივე** და **ერთი და იგივე**, რაც, ვფიქრობთ, რომ როგორც სემანტიკური, ისე ფორმობრივი მდგომარეობით არასრულფასოვნად აღწერს ნაცვალსახელთა თანამედროვე სიტემას. მეტი კონკრეტულობისათვის ვიტყვით, რომ არც ა. შანიძე და არ. მარტიროსოვი დასახელებულ ნაცვალსახელებს თავიანთ სამეცნიერო ნაშრომებში საკლასიფიკაციო ჯგუფებში არ ათავსებენ და საერთოდ ღიად ტოვებენ მათი რომელსამე სემანტიკურ ჯგუფში მიკუთვნებულობის საკითხს. ეჭვგარეშეა, რომ ფორმები **იგივე** და **ერთი და იგივე** ნაცვალსახელებია. სწორედ ამიტომ განიხილავს ა. შანიძე ნაცვალსახელს **იგივე** -ვე' ნაწილაკიან სახელებთან, მას ნაცვალსახელს უწოდებს, თუმცა არაფერს ამბობს იმაზე, თუ რომელი ჯგუფის ოდენობაა იგი. „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ვკითხულობთ: „ვე ნაწილაკი ყოველგვარ სახელს ერთვის, მაგრამ თავისებურებას მხოლოდ ნაცვალსახელებთან და რიცხვითებთან იჩენს“

[შანიძე 1980: 104]. მეცნიერს მათ მთავარ თავისებურებებად კი, ერთი მხრივ, –ვე ნაწილაკის ფუძესთან შეზრდილობა და, მეორე მხრივ, რიცხვით სახელებთან „მეტად ნარევი ფორმების" არსებობა (ორთავენი; სამთავენი) მიაჩნია. ავ. არაბული ზემოთ დასახელებულ ნაცვალსახელთა დაწერილობის შესახებ წერს: „განსაკუთრებული შეცდომების წყაროა იგივე და ერთი და იგივე ნაცვალსახელთა ბრუნება (დამოუკიდებლად და არსებითთან ერთად), ვინაიდან ნაწილაკების დართვას ამ შემთხვევაში ფუძის ცვალებადობაც ემატება" [არაბული 2008: 120]. დაისმის კითხვა: რატომ არ არიან ისინი ასახულნი ნაცვალსახელთა ჯგუფებში და რომელ მათგანს (ვგულისხმობთ შინაარსობრივ ჯგუფებს) შეიძლება მივაკუთვნოთ ისინი, თუკი მათ სამეცნიერო ლიტერატურა ნაცვალსახელებს უწოდებს?

თითოეული ჩვენ მიერ განსახილველად გამოტანილი ნაცვალსახელის აგებულება საკმაოდ მარტივია და მათი მორფოლოგიური დანაწევრება სირთულეს არ წარმოადგენს. ნაცვალსახელი **იგივე** III პირის იგი ნაცვალსახელზე –ვე ნაწილაკდართული ფორმაა, ხოლო რაც შეეხება **ერთი და იგივე** ნაცვალსახელის პირველ ნაწილს – ერთ-ი – განუსაზღვრელობის ფუნქციის მქონე ლექსიკური ერთეულია, წარმოშობით _ რიცხვითი სახელი. ვფიქრობთ, რომ ორივე ეს ნაცალსახელი იმის გამო ვერ მოხვდა უკვე ტრადიციულად კლასიფიცირებულ ჯგუფებში, რომ ისინი ფუნქციურად შორს დგანან მათგან. **იგივე** და **ერთი და იგივე** იდენტობის, ანუ იგივეობის, აღმნიშვნელნი არიან. შეიძლება ერთგვარად აუხსნელ მოვლენად რჩება ის, თუ რატომ მოხდა მათი ერთგვარი იგნორირება ნაცვალსახელთა ჯფუფებად გადანაწილებისას. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ რამდენადმე მიუღებლად ჩაითვალა ორი დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ნაცვალსახელისათვის დამოუკიდებელი ჯგუფის გამოყოფა, თუმცა ამ აზრობრივ ვექტორშიც შეიმჩნევა წინააღმდეგობა. საქმე ის არის, რომ კითხვით-კუთვნილებითი ჯგუფი ასევე ორი წევრისაგანაა შემდგარი (ვისი? რისა?//რისი?) და ამგვარი შეზღუდვა მათ არ შეჰხებიათ.

უდავოა, რომ ნაცვალსახელები **იგივე** და **ერთი და იგივე** ფორმებითა და ფუნქციით მნიშვნელოვნად განსხვავდება პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელებისაგან, თუმცა ამ ჯგუფების მიმართ ერთგვარ მსგავსებასაც ავლენენ. ეს ლოგიკურიცაა, რადგან ისინი გენეზისის თვალსაზრისით ჯერ ჩვენებითი, შემდეგ პირის ნაცვალსახელებად ქცეული ფორმებია, თანამედროვე ენაში კი დამოუკიდებელ ერთეულებს ქმნიან. დავძენთ, რომ **იგივე** და **ერთი და იგივე** ნაცვალსახელები არ შეიძლება გავუტოლოთ იგივეობის სემანტიკის მქონე იმ პირის ნაცვალსახელებს, რომლებიც, -ვე ნაწილაკის დართვის მიუხედავად, ფუნქციურად პირის ნაცვალსახელებად რჩებიან. ასეთებია: მევე, შენვე, მანვე და სხვანი. ამ უკანასკნელთ ქართულ ენაში მსაზღვრელ სახელად დგომის უნარი არ შესწევთ და ამიტომაც რჩებიან პირის ნაცვალსახელთა ჯგუფში.

ამრიგად, ვფიქრობთ, რომ ქართული ენის აღწერილობაში **იგივე** და **ერთი და იგივე** ნაცვალსახელების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ხარვეზი შეინიშნება, პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთ გზად კი ნაცვალსახელებში ახალი შინაარსობრივი ჯგუფის, ე.წ. იგივეობითის, გამოყოფა მიგვაჩნია მიზანშეწონილად. ჩვენი აზრით, ამგვარი მიდგომა გაცილებით სრულყოფილს გახდის სისტემას, ხოლო დამოუკიდებელი ჯგუფი, სახელწოდებით – იგივეობითი, ქართული ენისათვის უაღრესად მნიშვნელოვან ორ ნაცვალსახელს გააერთიანებს.

12. **ასოც. პროფ.** კახა გაბუნია - ზმნური კონსტრუქციების აგებისას დაშვებული შეცდომების ანალიზი არაქართულენოვანი (სომხურ- და აზერბაიჯანულენოვანი) მოსწავლეების მეტყველებაში: კრებული - ენათმეცნიერების საკითხები, 2022, თბილისი, თსუ გამომცემლობა, გვ. 21--38

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პროცესში ურთულესი საკითხია ზმნური

კონსტრუქციების მრავალგვარობა, რაც, თავის მხრივ, ქართულის, როგორც ერგატიული ტიპის ენის, დრო-კილოთა სერიების პრობლემასთანაა დაკავშირებული.

წინამდებარე სტატიის მიზანია, აღნუსხოს და გააანალიზოს ის გრამატიკული (სინტაქსური) შეცდომები, რომლებსაც უშვებენ არაქართულენოვანი მოსწავლეები ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლის პროცესში. შეცდომების ანალიზი ყურადღებას ამახვილებს შემსწავლელის შემოქმედებით უნარზე, „ააგოს“ ენა. ის ემყარება რეალურ შემსწავლელთა მიერ მეორე ენაში დაშვებული შეცდომების აღწერასა და ანალიზს და არა წარმოსახვით ლინგვისტურ სტრუქტურებს.

მეტყველებაში დაშვებული შეცდომები გაანალიზდა სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების (წარუკიანი 2022, მემარნიშვილი 2022 - ხელმძღვანელი - კ. გაბუნია) ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით (კვლევა განხორციელდა ქვემო ქართლისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონებში, მე-7 - მე-12 კლასის 64 მოსწავლესთან ინტერვიურების გზით: 36 აზერბაიჯანულენოვანი და 28 სომხურენოვანი რესპონდენტი).

საზოგადოდ, ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებისას, აქცენტი მუდამ კეთდებოდა ერგატიულ კონსტრუქციაზე, რომელიც ინდოევროპული, ალათაურ-თურქული, სემიტური და ა.შ. ენებისთვის მართლაც სრულიად უცხოა... თუმცა, არანაკლებ სერიოზული პრობლემები დაფიქსირდა ნომინატიური და დატიური კონსტრუქციების კონსტრუირებასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, ერგატიული კონსტრუქცია მხოლოდ ერთი კომპონენტია იმ ზოგადი სირთულისა, რომელიც ქართული ენის ზმნა-შემასმენლის **სტაბილური** და **ლაბილური** კონსტრუქციების საკითხს უკავშირდება.

13. **ასოც. პროფ. ანა ხარანაული** - ებრაიზებული იკითხვისები სოფონიას ქართულ ვერსიებში – სეპტუაგინტას ტექსტის ისტორიის ეპიზოდი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, 9, თბილისი, საქართველოს საპატრიარქო, 2023, 121-162.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

14. **გიორგი ქიტოშვილი** – ტოპონიმი „ელამი“ ბიბლიის ქართულ ვერსიებში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ენის ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული ქართველური ენათმეცნიერება IX (ISSN 2346-8106). თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023. გვ. 139-160.

15. **გიორგი ქიტოშვილი** – მიდია ძველი აღთქმის ქართულ ვერსიებში. საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი, II საერთაშორისო კონფერენცია, საქართველო და კავკასია – წარსული, აწმყო, მომავალი, თეზისები. თბილისი. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023. გვ. 232-235.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. ჩვენი მიზანი იყო გაგვერკვია, თუ რომელ ბიბლიურ ტექსტუალურ ტრადიციას იზიარებდნენ ქართველი მთარგმნელები ტოპონიმი ელამის გადმოტანისას. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქართველ თარგმანში ტოპონიმი ელამი ბერძნულის გავლენითა და მიბაძვით გადმოვიდა.

ქართულ ბიბლიაში ზემოხსენებული ტოპონიმის თარგმანის ტექნიკის შესახებ შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

ელამ-**ი** მყარი ლექსიკური ეკვივალენტია ყველა ქართულ ვერსიაში. ხოლო განსხვავებული წაკითხვები (როგორიც არის მაგ.: სელონელისა), გადამწერის შეცდომით არის გაპირობებული; 2. ძველი აღთქმის ქართულ ვერსიებში დამკვიდრებულია **ელამ/ელამიტელ** წაკითხვა, რომელიც ბერძნულის ტრანსლიტერაციის შედეგადაა მიღებული; 3. ქართული

მიდრეკილია ბერძნულთან სიახლოვისაკენ; 4. ქართულ ენაში თარგმანის დროისათვის არ არსებობდა ელამელის ადეკვატური შესატყვისი, ამიტომ მივიღეთ ტრანსლიტერირებული ფორმა; 5. ქართულ ვერსიებში არ გვხვდება ტოპონიმის ნათარგმანი, ან ქართველებისთვის ისტორიულად ცნობილი შესატყვისი; 6. ტოპონიმის ტრანსლიტერაცია განხორციელდა წარმოთქმის მიხედვით (Aι-e → ე-(ლამ), ხოლო ეთნონიმისა – როგორც წარმოთქმის, ისე წერილობითი ფორმის მიბაძვით (-ῖτ → იტ); 7. თარგმანის დროისათვის ქართულ ენაში არ არსებობდა ელამის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული, ან ელამელები სხვა ხალხში ერეოდათ და მათზე და ძველი ახლო აღმოსავლეთის სხვა რომელიმე ეთნოსზე//ეთნოსებზე (მაგ.: მიდიელებზე) საერთო წარმოდგენა ჰქონდათ.

ბიბლიის მიხედვით, ცხადი ხდება, რომ ტოპონიმ ელამის მნიშვნელობა დრო და დრო ვიწროვდებოდა თავდაპირველად (დაახლ. ძვ. წ. XIV-XIII სს), ელამი ერქვა სუსიანასა და ანშანის რეგიონს, მოგვიანებით (დაახლ. ძვ. წ. VII-VI) – მხოლოდ სუსიანას, და ბოლოს (დაახლ. ძვ.წ. III-I სს) – მხოლოდ სუსას.

ამრიგად, ქართველი მთარგმნელ-რეცენზენტებისთვის ბიბლია იყო სანდო წყარო ქვეყანა ელამისა და ელამური ერთნოსის ისტორიის შესასწავლად. თარგმანზე არ ასახულა მთარგმნელთა წინარე ცოდნა, პირიქით, ქართველებმა თარგმანის მეშვეობით შეითვისეს ახალი ცოდნა ძველი ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი მძლავრი სახელმწიფოს, ელამის, შესახებ.

2. ქართულ ენაში თარგმანის დროისათვის არსებობდა მიდიელის ადეკვატური შესატყვისი, ამიტომ მეტწილად ითარგმნება Μηδία/Μῆδοι, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში მთარგმნელ-რეცენზენტები ტრანსლიტერაციას მიმართავენ.

(ხ)უჟიკეთი მყარი ლექსიკური ეკვივალენტია ყველა ქართულ ვერსიაში, გვიანდელი თარგმანის (ბაქარის ბიბლიის) გარდა. ხოლო განსხვავებული წაკითხვები თავს იჩენს კონკრეტული წიგნების და არა ვერსიების მიხედვით;

მიდონელთა/მედონელთა წაკითხვა ბერძნულიდან ასო-ასო ტრანსლიტერაციით შესრულდა, რაც 4 მეფეთას წიგნის თავისებურებას წარმოადგენს. ცხადია, მთარგმნელ-რეცენზენტს არ ესმის ტერმინის მნიშვნელობა და ამიტომ მიმართავს ტრანსლიტერაციას; მეფეთას წიგნებში იკვეთება სხვადასხვა ტექსტუალური პლასტი და სომხურთან შედარების კვალი;

ეზრას წიგნებში არსებული წაკითხვები („ბატანაიელთასა“, „ბტანს ბარიტენისსა“, სავარაუდოდ „მართასაც“) სომხურიდან ტრანლიტერაციით მივიღეთ, ამასთანავე ქართული იმეორებს სომხურის შეცდომებს;

ესთერის წიგნის მიხედვით, მიდიელები და პართიელები ერთ ხალხად არიან მიჩნეული, რაც ქართველი მთარგმნელ-რეცენზენტების ინფორმირებულობაზე მეტყველებს; მათ საერთო წარმოდგენა აქვთ ასევე ელამელებსა და მიდიელებზე, რამდენადაც ელამელთა სახელს უსაბამებენ მიდიელებს, თუმცა მიდიელებს დანამდვილებით განარჩევენ სპარსელებისაგან.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1.

2.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1.

2.

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **Darejan Tvaltvadze, Irina Gvelesiani,** The Corpora-oriented Projects and Courses – Innovation of the University Life: SOCIETY. INTEGRATION. EDUCATION, Proceedings of the International Scientific Conference, Volume I, Rēzeknes Tehnoloģiju akadēmija, Rēzekne, 2023, pp. 180-189 (10 გვერდი);
DOI: 10.17770/sie2023vol1.7106

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ უამრავი ახალი შესაძლებლობა გააჩინა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ახალი ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება საგანამათლებლო სივრცეში, მათ შორის, უმაღლეს განათლებაში, სწავლებისა და კვლევის ფორმების მოდერნიზებას და მნიშვნელოვან ცვლილებებს ითხოვს. ძირითადი საკითხები, რომლებსაც ნაშრომი ეხება შემდეგია: სტუდენტთა ციფრული უნარების გაუმჯობესება, კორპუსლინგვისტური და კორპუსზე დაფუძნებული კვლევის მეთოდების დანერგვის მიზნით საგანმანათლებლო კურიკულუმში (სასწავლო კურსები, საკვალიფილაციო ნაშრომები და სხვ.) ამ კომპონენტის შეტანის საჭიროება და მიზნობრივი სტუდენტური პროექტების (სეზონური სკოლები, ციფრული ბიბლიოთეკები, თემატური კორპუსების და სხვ.) განხორციელების ხელშეწყობა. ნაჩვენებია, რომ, ერთი მხრივ, ჰუმანიტარულ კვლევებში ემპირიული მასალის მოსაძიებლად არსებული ტექსტური ბაზებისა და ენის კორპუსების გამოყენება, მეორე მხრივ, თავად კორპუსის აგების უნარების (დიგიტალიზაცია, ანოტირება, მეტამონაცემების შეგროვება და ა.შ), ხელს უწყობს კორპუსლინგვისტური და კორპუსებზე დაფუძნებული კვლევის პრაქტიკაში დანერგვას, საკვლევი პრობლემის სწორად განსაზღვრის, ეკვივალენტების პოვნის, კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარებასა და სამეცნიერო მეტაენის გამდიდრებას. ნაშრომში თსუ-ს რამდენიმე სასწავლო კურსისა და პროექტის მაგალითზე წარმოდგენილია საუნივერსიტეტო სწავლებასა და კვლევაში ენის

კორპუსების ინტეგრირების შედეგად მიღწეული შედეგები, გაანალიზებულია ხარვეზებიც და განსაზღვრულია მათი "შევსების" შესაძლებლობებიც. კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებას, მათს ანალიზსა და შეფასებას.

2. პროფ. რამაზ ქურდაძე **Lexical Repetition in the Hypotactic Constructions of Kartvelian Languages** (co-authors: Maia Lomia, Nino Tchumburidze, Ketevan Margani) International Journal of MULTILINGUAL EDUCATION, # 21 2022
DOI 10.22333/ijme.2022.21001
ISSN: E ISSN 1512-3146
https://www.multilingualeducation.org/en/article/61
(ჟურნალი ინტერნეტში დაიდო 2023 წ.)

**მაია ლომია,** Megrelian Conjunction -ni “that” in Hypotactic Constructions: Main and Secondary Meanings; pp.265-270 (6 გვ.)
Proceedings of the 6th International Scientific and Practical Conference «International Scientific Discussion: Problems, Tasks and Prospects» (March19-20, 2023). Brighton, United Kingdom No147
DOI 10.5158 2/interconf. 19-20.03.2023. 028
blob:https://archive.interconf.center/2602a19a-01b8-4a76-bf5d-3b88f67caea7
**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**
სტატია სრულად იხ მითითებულ ბმულზე

**3. ქეთევან მარგიანი (მაია ლომიასთან** თანაავტორობით), ქართველურ ენათა ზმნურ პარადიგმებში ევიდენციალობის მარკერის გამოყოფის თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული ღირებულება,
**საერთაშორისო** კონფერენციის "ციფრული კავკასიოლოგია - პარადიგმის ცვლილება?" მასალები, 10 გვერდი (დაიბეჭდება დეკემბრის ბოლომდე).
https://www.uni-frankfurt.de/144785806

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. ევიდენციალობა უნივერსალური კატეგორიაა, რომელიც ზოგ ენაში გრამატიკულია, ზოგში კი მხოლოდ ლექსიკურ-სემანტიკური. მსგავსად იმ ენებისა, რომლებშიც ევიდენციალობა გრამატიკული კატეგორიაა, ქართველურ ენებშიც ევიდენციალობის გამოხატვის ცენტრალური (/მთავარი) საშუალება არის ზმნა, თუმცა ზმნური ევიდენციალობის სტატუსი (მორფოლოგიური, სინტაქსური, მორფოსინტაქსური...) ქართულ სალიტერატურო ენასა და არასალიტერატურო ენებში (სვანურში, მეგრულსა და ლაზურში) არაერთგვაროვანია.
ქართულში ზმნური ევიდენციალობა მხოლოდ პერფექტული ფორმებით გამოიხატება; ამ მწკრივებისთვისაც ის მეორეული ფუნქციაა და მხოლოდ ვრცელი კონტექსტით დგინდება, კონკრეტულ შემთხვევაში ზმნა ევიდენციალობას გამოხატავს, თუ მხოლოდ რეზულტატიურობას.
სვანურსა და მეგრულში ევიდენციალობა ჩამოყალიბებულია როგორც მორფოლოგიური კატეგორია და გვაქვს მისი როგორც არამოდალიზებული, ასევე მოდალიზებული (ეპისტემიკური) ტიპი.
სვანურ ენაში არის რამდენიმე ევიდენციალური მწკრივი, რომლებშიც დასტურდება ევიდენციალობის მორფემა (-უნ-). ეს მორფემა საერთოა ორივე ტიპის (არამოდალიზებული: ინფორმაციის წყარო - ვერბალობა, ინფერენცია; მოდალიზებული (ეპისტემიკური) -

ინფორმაციის წყარო - ინფერენცია) ევიდენციალობისთვის, რაც უეჭველს ხდის მის ფუნქციას (ჩვენს კვლევებამდე ტრადიციულ ლიტერატურაში აღნიშნული მორფემის ფუნქცია ღიად იყო დარჩენილი): -□□□რ-და “წერდა”: □□-რ-უნ-□ლ “ალბათ წერდა” - ლ□მ□ირ-უნ-ე-ლი “თურმე წერდა” - ხ-□□-რ-უნ-ა “თურმე აწერდა (ზედ)”;
შესაბამისად ვთვლით, რომ ევიდენციალობის კატეგორიის ჩამოყალიბება ქართველურ ენებში ამ ენების შინაგანი ტენდენციებით აიხსნება და არა უცხო ენის გავლენით ან სხვა გარეგანი ფაქტორებით.

4. **ასოც. პროფ. რუსუდან ზექალაშვილი.** ერთი ნაწილაკის სტილისტური როლისათვის ქართულ თარგმანებში. მე-15 საერთაშორისო კონფერენცია „ზოგადი და სპეციალური თარგმანი / ინტერპრეტაცია: თეორია, მეთოდები, პრაქტიკა“, საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ISBN 978-617-646-477-8. კიევი, უკრაინა, ნაციონალური საავიაციო უნივერსიტეტი, 2023, 8 გვერდი (გვ. 77-84) (ინგლისურ ენაზე).
https://www.scribd.com/document/656754416/Conference-Proceedings-2023-Full
2.
**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**
1. სტატიაში განხილულია სხვათა სიტყვის გადმოცემის გრამატიკულ-ლექსიკური საშუალებები თანამედროვე ქართულში; მოცემულია ქართველ ლინგვისტთა შეხედულებები სხვათა სიტყვის კლასიფიკაციასთან დაკავშირებით (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ლ. გეგუჩაძე, ა. არაბული...) და გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნაწილაკიანი სხვათა სიტყვა უნდა ჩაითვალოს ირიბი ნათქვამის სპეციფიკურ სახეობად და არა პირდაპირ ნათქვამად, როგორც ეს მანამდე იყო მიღებული.
გარდა სალიტერატურო ენაში ცნობილი ნაწილაკებისა (-მეთქი, -თქო, -ო), გამოთქმულია მოსაზრება კიდევ ერთი ნაწილაკის (მეუთხარი) გამოყოფის შესახებ, რომელიც გამოიყენება ქართულ ორიგინალურ და თარგმნილ ტექსტებში, დიალექტებში, განსაკუთრებით კი – ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაში.
მონაცემები მოძიებულია ქართული ენის ეროვნული (GNC) და დიალექტური კორპუსებიდან (GDC), სოციალური ქსელებიდან და ფორუმებიდან.
ნაწილაკ **მეუთხარი-ს** ფუნქციაა მოუბარი პირის ნათქვამის გადმოსაცემად, -მეთქი-ს მსგავსად, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა მოცემულია ე. წ. „დიალოგი დიალოგში“. მსგავსია ორივე ნაწილაკის წარმომავლობაც და ცვლილების გზაც: ორივე მიღებულია პირველი პირის ნაცვალსახელისა (მე) და უღლებადი ზმნის ფორმისაგან წყვეტილში, ამას გარდა, ორივეში დაკარგულია პირის ნიშანი ვ- თავსართი. განსხვავება ვლინდება მხოლოდ ამ ზმნებთან შესაწყობი პირების რაოდენობაში: ვთქვი ორპირიანი ზმნაა, ვუთხარი კი – სამპირიანი. ახალი ნაწილაკის გაჩენა მოწმობს, რომ უღლებადი ფორმის დეგრამატიკალიზაციის პროცესი ენაში დღესაც ცოცხალია. **-მეთქი** ფორმასთან **მეუთხარი**-ს პარალელური გამოყენება განაპირობა განსხვავებული ნიუანსის ასახვის აუცილებლობამ: რომელიმე პირთან ადრე წარმართული დიალოგის, ადრესატისა და მოუბარი პირის რეპლიკების ხაზგასმის სურვილმა.
აღნიშნულია ისიც, რომ ჯერჯერობით ეს ნაწილაკი სალიტერატურო ენის კუთვნილებად არ აღიქმება. სწორედ ამიტომ ქართველმა მთარგმნელებმა სასაუბრო სტილის გადმოსაცემად მიმართეს სწორედ ამ ნაწილაკს, რათა პერსონაჟის მეტყველებისა და მისი განათლების დაბალი დონე ამით უფრო თვალსაჩინო გაეხადათ. ამის ნათელსაყოფად მოხმობილია დანიელ კიზის „ყვავილები ელჯერნონისთვის“ (Daniel Keyes “Flowers for Algernon”) ქართული თარგმანი (მთარგმნელი თინათინ ხომერიკი).

5. **Kakha Gabunia,** Ketevan Gochitashvili, Giuli Shabashvili, Determinants of Civic Identity of National Minorities: Journal of Global Sociolinguistics, ISSN 1360-6441 #1, 2024 (იბეჭდება).

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა, რომელშიც კომპაქტურად განსახლებული რამდენიმე ეთნიკური ჯგუფი გამოიყოფა.

საბჭოთა კავშირის დანგრევის შედეგად და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველო იმ გამოწვევის წინაშე დადგა, რომელიც ახალი სამოქალაქო, ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებას უკავშირდებოდა. პოსტსაბჭოური რამდენიმე ქვეყნისგან განსხვავებით (მაგ. ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, რომლებმაც მოქალაქეობის მიღების წინაპირობად სახელმწიფო ენის ცოდნა დაასახელეს), საქართველოში ყველა მცხოვრებმა ავტომატურად მოიპოვა საქართველოს მოქალაქეობა. მიუხედავად ამისა, რჩება პრობლემები უმცირესობათა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ ცხოვრებაში სრულფასოვან ინტეგრაციასთან დაკავშირებით.

კვლევის მიზანია უმცირესობების სამოქალაქო იდენტობასთან დაკავშირებული ვითარების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება.

ქვეყანაში საბჭოთა კავშირის ეთნოლინგვისტური პოლიტიკის მემკვიდრეობა არის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ეთნიკურ უმცირესობებს უჭირთ საკუთარი თავი ერთიანი სამოქალაქო ერი-სახელმწიფოს წევრებად აღიქვან, თუმცა, ბოლო კვლევების თანახმად, შეინიშნება პოზიტიური ძვრები.

1990-იან წლებში ჩატარებულმა კვლევებმა ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო იდენტობასთან დაკავშირებით აჩვენა, რომ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში აზერბაიჯანელები (ქვემო ქართლი) და სომხები (სამცხე-ჯავახეთი) ეროვნულ თვითიდენტიფიკაციას ახდენდნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოსთან (Komakhia, 2008; Dundua&Abashidze, 2009; Tabatadze&Svanidze, 2011). საქართველოს სახელმწიფომ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა მათი სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით, განსაკუთრებით - სახელმწიფო ენის სწავლების მხარდაჭერის კუთხით. შედეგად, სახელმწიფო ენის ფლობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ უმცირესობათა წარმომადგენლები. მათი 92 % მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა აუცილებელია (CRRC, The Future of Georgia: Attitudes towards Europe).

2020-2021 წლებში ჩატარდა კვლევა, რომელიც უმცირესობათა იდენტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებს ეძღვნებოდა (ibid), რომლის მიხედვითაც საქართველოს მოქალაქეობისადმი დამოკიდებულება ლოიალურია უმცირესობებში: რესპონდენტთა 16%-მა განაცხადა, რომ მათთვის საქართველოს მოქალაქეობაზე უფრო მნიშვნელოვანი საკუთარი ეთნიკურობაა; ხოლო მოქალაქეობა უფრო მნიშვნელოვანია მათი იდენტობისთვის (69 %).

სტატიში წარმოდგენილია რეკომენდაციები ქვეყანაში ინტეგრაციული პროცესების ჰარმონიული განვითარების, თანასწორობისა და ტოლერანტობის კულტურის დასამკვიდრებლად:

ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობების გაფართოება ეთნიკური უმცირესობებისთვის და, ამავდროულად, მათი მშობლიური ენების დაცვის გაძლიერება;

მდგრადი დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება: საქართველოში უნდა შეიქმნას გარემო, რომელშიც სახელმწიფო გაითვალისწინებს თითოეული ინდივიდის ინტერესებს;

ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერება და ხელშეწყობა, რაც წაახალისებს მოქალაქეების მონაწილეობას ადგილობრივ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში და დაეხმარება მათ, დაიცვან საკუთარი კულტურული იდენტობა.

სახელმწიფომ, საერთაშორისო დონორებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობით, უნდა წაახალისოს ინტერკულტურული საგანმანათლებლო პროექტები, რათა წარმოაჩინოს საქართველოს ისტორიულ განვითარებაში უმცირესობების პოზიტიური და გავლენიანი როლი;

შესამუშავებელია უმცირესობების მიმართ გრძელვადიანი სტრატეგია მათი სრულფასოვანი და თანაბარი მონაწილეობის მიზნით ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

6. **ასოც. პროფ. კახა გაბუნია,** ზმნური კონსტრუქციების აგებისას დაშვებული შეცდომების ანალიზი არაქართულენოვანი (სომხურ- და აზერბაიჯანულენოვანი) მოსწავლეების მეტყველებაში: კრებული - ენათმეცნიერების საკითხები, 2022, თბილისი, თსუ გამომცემლობა, გვ. 21-38

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**
ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პროცესში ურთულესი საკითხია ზმნური კონსტრუქციების მრავალგვარობა, რაც, თავის მხრივ, ქართულის, როგორც ერგატიული ტიპის ენის, დრო-კილოთა სერიების პრობლემასთანაა დაკავშირებული.
წინამდებარე სტატიის მიზანია, აღნუსხოს და გააანალიზოს ის გრამატიკული (სინტაქსური) შეცდომები, რომლებსაც უშვებენ არაქართულენოვანი მოსწავლეები ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლის პროცესში. შეცდომების ანალიზი ყურადღებას ამახვილებს შემსწავლელის შემოქმედებით უნარზე, „ააგოს“ ენა. ის ემყარება რეალურ შემსწავლელთა მიერ მეორე ენაში დაშვებული შეცდომების აღწერასა და ანალიზს და არა წარმოსახვით ლინგვისტურ სტრუქტურებს.
მეტყველებაში დაშვებული შეცდომები გაანალიზდა სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების (წარუკიანი 2022, მემარნიშვილი 2022 - ხელმძღვანელი - კ. გაბუნია) ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით (კვლევა განხორციელდა ქვემო ქართლისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონებში, მე-7 - მე-12 კლასის 64 მოსწავლესთან ინტერვიურების გზით: 36 აზერბაიჯანულენოვანი და 28 სომხურენოვანი რესპონდენტი).
საზოგადოდ, ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებისას, აქცენტი მუდამ კეთდებოდა ერგატიულ კონსტრუქციაზე, რომელიც ინდოევროპული, ალთაურ-თურქული, სემიტური და ა.შ. ენებისთვის მართლაც სრულიად უცხოა... თუმცა, არანაკლებ სერიოზული პრობლემები დაფიქსირდა ნომინატიური და დატიური კონსტრუქციების კონსტრუირებასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, ერგატიული კონსტრუქცია მხოლოდ ერთი კომპონენტია იმ ზოგადი სირთულისა, რომელიც ქართული ენის ზმნა-შემასმენლის **სტაბილური** და **ლაბილური** კონსტრუქციების საკითხს უკავშირდება.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **დარეჯან თვალთვაძე,** პარატექსტები გიორგი მთაწმინდლის რედაქციის ოთხთავის ხელნაწერებში, პროფესორ დალი ფანჯიკისადამი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი 29-30 ივნისი, 2023 წ.
1. მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)
დაიბეჭდა მოხსენების თეზისები ქართულ და ინგლისურ ენებზე: პროფესორ დალი ფანჯიკისადამი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თეზისები/Abstracts, გვ.56-59, თსუ-ს

გამომცემლობა.https://www.researchgate.net/publication/371958002_Scientific_Conference_dedicated_to_Prof_Dali_Panjikidze_propesor_dali_panjikidzisadmi_midzghvnili_sametsniero_konperentsia

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

კოდიკოლოგიაში პარატექსტის ცნება გულისხმობს ძირითადი ტექსტის თანმხლები ყველანაირი ტექსტისა და ტექსტის სეგმენტაციისა და ინფორმაციის ვიზუალიზაციისთვის გამოყენებული ყველანაირი გრაფიკული გამოსახულების ერთობლიობას, რომელიც მკითხველს ტექსტის აღქმასა და მასში სასურველი ადგილის მოძებნაში ეხმარება. ოთხთავის უძველეს ხელნაწერებში, რომლებშიც სახარების ტექსტი მუხლებად და თავებად დაყოფილი არ იყო, ასეთი პარატექსტებიდან პირველად ტექსტის მცირე მონაკვეთებად (სტრიქონებად/მუხლებად) დაყოფის აღმნიშვნელი ნიშნები ჩნდება, რასაც მალე მოჰყვება სხვა პარატექსტური ელემენტებიც: სახარებათა ავტორების სახელები და სათაურები, მოკლე უწყება თითოეული სახარების დაწერის დეტალების და მასში მუხლებისა და თავების რაოდენობის შესახებ (ὑπογαφαί). მოგვიანებით სახარების ტექსტი თემატური ნიშნით დაიყო უფრო ვრცელ მონაკვეთებად - თავებად, რომელთათვის შერჩეული სათაურები (τίτλοι) და სათაურების ჩამონათვალი (κεφάλαια) თითოეულ სახარებას დაერთო. ღვთისმსახურების დროს სახარებიდან ლიტურგიკული კალენდრით განსაზღვრული მონაკვეთების წაკითხვის საჭიროებამ ტექსტში ამ საკითხავების მონიშვნა და მათი ინდექსის დანართი ტექსტის სახით დართვა განაპირობა. ოთხთავის ბერძნულ ხელნაწერებსა და მის სხვაენოვან, მათ შორის, ქართულ თარგმანებშიც სხვა ეპიტექსტები და პერიტექსტებიც გვხვდება (მახარებელთა ბიოგრაფიები და „შესხმანი", ქრონიკები, პასქალიები, ავგაროზის ეპისტოლე და სხვ.), რომელთა ნაწილი ოთხთავის კოდექსების პარატექსტური სისტემის აუცილებელ კომპონენტად ვერ იქცა.

სახარება-ოთხთავის ძველი ქართულ თარგმანი, რომელსაც პირველთარგმანიდან გიორგი მთაწმინდლისეული რედაქციის (ათონური ვულგატის) ჩამოყალიბებამდე თარგმნა-რედაქტირების რამდენიმე ეტაპი აქვს გავლილი, ცვლილებას განიცდის პარატექსტების თვალსაზრისითაც. მოხსენებაში განხილულია, რა სახის სხვაობები შეინიშნება წინაათონური და ათონური პერიოდის კოდექსების სტრუქტურაში, რომელი პარატექსტები იქცა გიორგი მთაწმინდლის მიერ რედაქტირებული ოთხთავის ტექსტის აუცილებელ და უცვლელ თანმხლებ ელემენტებად; რომელ მათგანზე თქვა გიორგიმ უარი; როგორი ცვლილება განიცადა ზოგიერთმა დანართმა; რომელი პარატექსტები ჩნდება პირველად გიორგისეული ტექსტის შემცველ ხელნაწერ ოთხთავებში და როგორი ოთხთავი ითვლება „ახლადთარგმნილისა წესსა ზედა გამართულ და ყოვლითურთ უნაკლულო ოთხთავად".

**2. დარეჯან თვალთვაძე,** ტექსტის ჟანრობრივი ტრანსფორმირების ერთი შემთხვევის შესახებ ძველ ქართულ საეკლესიო მწერლობაში: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ინტერდისციპლინალური კვლევების ახალი ჰორიზონტები" (მიძღვნილი პროფესორ დავით გოცირიძის 70 წლის იუბილისადმი), ბათუმი, ბსუ, 23-24 ივნისი, 2023

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამორჩეულ ძველ ქართულ საეკლესიო მწერლობაში ბიბლიოლოგია (ბიბლიურ წიგნთა თარგმანები) და ეგზეგეტიკა (ბიბლიური წიგნების განმარტება) ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, მაგრამ ამავე დროს ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული ჟანრებია, რაც კარგად ჩანს მათ აღსანიშნავად გამოყენებულ ძველ ქართულ ტერმინებშიც: ბიბლიური წიგნების ქართულ ვერსიებს ტერმინი „თარგმანი"

აღნიშნავს, ხოლო მათ განსამარტავად წმინდა მამათა მიერ დაწერილ კომენტარებს - „თარგმანება“. ეგზეგეტიკური თხზულების ჟანრობრივ თავისებურებას წარმოადგენს მასში ორი ტიპის ტექსტის თანაარსებობა, ერთია ბიბლიური ტექსტი (კიმენი, ანუ ტექსტი, რომელიც განიმარტება) და მეორე - ამ ტექსტის განმარტება (თარგმანება).
ტექსტის ფორმის ცვლილების შემთხვევები უცხო არ არის საეკლესიო მწერლობისთვის, მაგრამ ტექსტის ჟანრობრივი ტრანსფორმაცია, რომელიც უფრო საერო ლიტერატურაში გვხვდება, საეკლესიო მწერლობაში იშვიათია. მოხსენებაში  განვიხილავთ ერთ ასეთ შემთხვევას, კერძოდ, ეგზეგეტიკური თხზულების ტექსტის იმგვარ ცვლილებას, რომელმაც ბიბლიური ტექსტის თარგმანის ახალი რედაქცია მოგვცა.  საუბარია XI საუკუნეში ეფრემ მცირის მიერ ბერძნულიდან გადმოღებულ ეგზეგეტიკურ თხზულებაზე „სამოციქულოს თარგმანებაზე“, რომლის თარგმნის პროცესში მთარგმნელმა უცვლელად დატოვა სათარგმანებელი მუხლის გიორგი მთაწმიდლისეული ტექსტი, მაგრამ, იქვე, მისი აზრით, უფრო ზუსტი, „უსაკუთრესი“ თარგმანიც მოგვცა, ოღონდ ისე, რომ არცერთი ცვლილება კიმენურ ტექსტში არ შეუტანია: სიტყვებს თუ წინადადებებს, რომლებიც შეცვალა, ეფრემმა საგანგებო ნიშანი იოტა (ორკბილა ტეხილი ხაზი) დაუსვა, რომლითაც მონიშნა „სამოციქულოს“ გიორგისეულ თარგმანში ჩასწორებული ადგილები და საკუთარი ვარიანტი, ანუ მის მიერ კორექტირებული ბიბლიური ტექსტი, სიტყვებით „უსაკუთრეს ესრეთ არს“ დაიწყო. მოგვიანებით, ეფრემის მიერ ამგვარად რედაქტირებული „სამოციქულოს“ ტექსტი გადამწერებმა ეგზეგეტიკური თხზულებიდან ცალკე ამოწერეს და მას ბიბლიური წიგნის სახე მისცეს. ეგზეგეტიკური ჟანრის თხზულების ამგვარი ტრანსფორმაციის შედეგად ჩამოყალიბებული ახალი აღთქმის სამი წიგნის (საქმე მოციქულთა, კათოლიკე ეპისტოლეები და პავლეს ეპისტოლეები) ახალი რეცენზია ეფრემ მცირის რედაქციის სახელითაა ცნობილი (D რედაქცია) და ის რამდენიმე ხელნაწერითაა ჩვენამდე მოღწეული.

**3. დარეჯან თვალთვაძე,** „საქმე მოციქულთას“ ტექსტი ქართულ ხელნაწერებში: აკად. აკაკი შანიძის დაბადებიდან 136-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, თბილისი, თსუ, 24 თებერვალი, 2023 წ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

„საქმე მოციქულთა“ ქართულ ენაზე  სახარების თარგმნის ახლო ხანებში (IV-V საუკუნეებში) უნდა ეთარგმნათ, მაგრამ ადრეულმა ნუსხებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. მოღწეულთა შორის უძველესი ხელნაწერები X საუკუნით თარიღდება. დღეისათვის არსებობს „საქმე მოციქულთას“ ძველი ქართული თარგმანის ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი გამოცემა (ი. აბულაძე 1950, G.Garitte, 1955) და ორივე გამოცემისთვის სულ გამოყენებულია 11 ხელნაწერი. ეს ბიბლიური ტექსტი ბევრ სხვა კოდექსშიცაა დაცული, რომელთა ნაწილი გამოცემლებისთვის თავის დროზე (ობიექტური მიზეზების გამო) მიუწვდომელი იყო, ნაწილი კი უფრო მასშტაბური კვლევების შედეგად მხოლოდ მოგვიანებით გამოვლინდა. მოხსენებაში, რომელიც შოთა რუსთაველის ფონდის მიერ დაფინასებული საგრანტო პროექტის (SRNSFG. FR-21-7518) ფარგლებში მიმდინარე კვლევის პირველი ეტაპის შედეგებს ასახავს, განხილულია და კლასიფიცირებულია ყველა ხელნაწერი წყარო, რომელიც „საქმე მოციქულთას“ ტექსტს შეიცავს. ესენია: 1. ბიბლიური კრებულები: კერძო: ა) „სამოციქულო“ - მოციქულთა მისიონერული საქმიანობის ამსახველი კრებული, რომელიც მოციქულთა საქმეებს, პავლეს და კათოლიკე ეპისტოლეებს აერთიენებს (მოღწეულია ამ სახელწოდების ოცამდე კოდექსი, თუმცა კრებულის სტრუქტურა ყოველთვის ერთგვაროვანი არ არის. განსხვავებას ძირითადად ქმნის ახალი აღთქმის წიგნების თანმიმდევრობა კრებულში; ბ). „სახარება-სამოციქულო“ - კრებული, რომელიც სახარება-ოთხთავს, პავლეს ეპისტოლეებს, საქმე მოციქულთას და კათოლიკე ეპისტოლეებს შეიცავს, ანუ ახალი აღქმის მთელ კანონს

„იონეს გამოცახდების“ გამოკლებით (ასეთი კოდექსები შედარებით ცოტაა); 2. ლიტურგიკული კრებულები - „საქმე მოციქულთას“ საკითხავები გვაქვს ლიტურგიკულ კრებულებში, რომლებშიც შესულია მთელი წლის საკითხავები „სამოციქულოდან“, როგორიცაა „საწელიწდო სამოციქულო“/„გამოკრებული სამოციქულო“/ „რიგის სამოციქილო“. გარდა ამისა, „საქმე მოციქულთას“; საკითხავები გვხვდება ისეთ შერეულ ლიტურგიკულ კრებულებშიც, როგორებიცაა „სახარება-სამოციქულო“ და „გულანი“; 3. ეგზეგეტიკური კრებულები - იგულისხმება ეფრემ მცირის თარგმნილი „სამოციქულოს თარგმანება“, რომლის შემცველ ხელნაწერებში „საქმე მოციქულთას“ თარგმანების (//განმარტეების) ტექსტიცაა წარმოდგენილი. გარდა ამისა, მოღწეულია რამდენიმე მანუსკრიპტი, რომელშიც ეფრემის თარგმნილი ეგზეგეტიკური თხზულებიდან გამოკრებილია ეფრემის მიერ გასწორებული და „უსაკუთრესით“ მონიშნული ბიბლიური ტექსტი და, ფაქტობრივად, მიღებულია „საქმე მოციქულთას“ ახალი რედაქცია (D); საინტერესოა, რომ ქართულ ხელნაწერთა შორის აღმოჩნდა სხვა ტიპის ეგზეგეტიკური კრებულებიც, რომელშიც „სამოციქულოს თარგმანებასთან“ ერთად შეტანილია ახალი აღთქმის რომელიმე სხვა წიგნის განმარტება (მაგ., „მარკოზის სახარების თარგმანება“ და „სამოციქულოს თარგმანება“ / “სამოციქულოს თარგმანება“ და “იოანეს გამოცხადების“ თარგმანება).

ხელნაწერთა შესწავლის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე მანუსკრიპტი, რომელიც აქამდე არ ყოფილა საგანგებოდ შესწავლილი და დღემდე არსებულ გამოცემებში გამოყენებული (მაგ. Ivir. georg.19 და Jer.Geo.94-82; Ivir.georg.78; Jer.Geo.19; Jer.Geo.129; A- 482). ტექსტოლოგიური კვლევისთვის აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული IX-X საუკუნეების რამდენიმე ლიტურგიკული კრებული სინის მთიდან, კერძოდ: O/Sin.Geo.53 (IX-X სს), N/Sin.Geo. 26; N/Sin.Geo.31, N/Sin.Geo.54, N/Sin.Geo.26; N/Sin.Geo.31, N/Sin.Geo.58, რომლებიც სხვა თხზულებებთან ერთად შეიცავს „საქმეთა“ საკითხავებს და, მიუხედავად ფრაგმენტულობისა, საყურადღებო ტექსტური მასალის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს

.

**4. დარეჯან თვალთვაძე,** ჩვაბიანის ოთხთავი (H-1791 და მესტიის მუზეუმში დაცული მისი ფრაგმენტი სიემ N 491): „სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები“-VIII, სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკაკი კვიციანის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი, თბილისი, 23.09.2023.

დაიბეჭდა მოხსენების თეზისები ქართულ და ინგლისურ ენებზე: „სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები“-VIII; სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია მიძღვნილი აკაკი კვიციანის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი, კონფერენციის პროგრამა და თეზისები, თბ., 2023, თსუ-ს გამომცემლობა, გვ. 15-22.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ჩვაბიანის ოთხთავად სახელდებული 4-ფურცლიანი ფრაგმენტი მესტიაში, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში ინახება (სიემ N491, კ-8). აღნიშნულმა ფრაგმენტმა, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნებით XII საუკუნით თარიღდება, ჩვენი ყურადღება რამდენიმე წლის წინ მიიქცია, როცა ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში კოლეგებთან ერთად სვანეთში დაცული სახარება-ოთხთავის ხელნაწერების გასაცნობად მუზეუმს ვეწვიეთ. იქ დაცული ფრაგმენტების შესწავალისას დავადგინეთ, რომ ჩვაბიანურ ფრაგმენტში დაცულია იოანეს სახარების მე-16, მე-17 და მე-18 თავების რამდენიმე მუხლი და მასში წარმოდგენილი ტექსტი გიორგი მთაწმინდელის რედაქციისა (თვალთვაძე-კვირკველია, 2018:41-55). ფრაგმენტის პირველადი კოდექსის იდენტიფიცირება მაშინ ვერ მოხერხდა. სვანეთში დაცული სახარების ხელნაწერების კვლევა შემდეგაც არ შეგვიწყვეტია. ამ პროცესში ჩვენი ყურადღება მიიქცია ალექსანდრე ხახანაშვილის მიერ 1904 წელს გამოქვეყნებულმა ნაშრომმა

„სვანური ხელნაწერი სახარებები“ („Сванскія рукописныя Евангелія“), რომელშიც ავტორი მეტ-ნაკლები სისრულით აღწერს და მიმოიხილავს სვანეთის სხვადასხვა სოფელში დაცულ 10 ხელნაწერ სახარებას. ადიშის, მესტიის, ლაფსყალდის, ლახამულის, ლატალის, ლაშხვერის, უვალის სახარებებთან ერთად ალ. ხახანაშვილი ასახელებს სოფელ მუჟალში ნაპოვნ 3 ხელნაწერს, რომელთაც „მუჟალის სახარებებს“ („Мужалскія Евангелія”) უწოდებს (ხახანაშვილი, 1904:18-19). ალ. ხახანაშვილი მიერ აღწერილი ეს ხელნაწერები დღეს სვანეთში დაცულ სახარების კოდექსებს შორის არ ჩანს. როგორც გაირკვა, მათგან ორი (ალ. ხახანაშვილის მიერ მუჟალის მეორე და მესამე ოთხთავებად მოხსენიებული ხელნაწერები), დღეს თბილისში, კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H ფონდში (ყოფილი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელნაწერთა კოლექცია) ინახება (H-1870 და H-1871). ისინი 1921 წელს სვანეთიდან აკაკი შანიძეს ჩამოუტანია (H ფონდის აღწერილობა, ტ. IV, 1950:256), ალ. ხახანაშვილის მიერ მუჟალის პირველ ოთხთავად წოდებული ეტრატზე დაწერილი ხელნაწერი სახარების ბედი კი გაურკვეველია.

ალ. ხახანაშვილამდე ეს მანუსკრიპტი ნანახი აქვს დიმიტრი ბაქრაძეს (ბაქრაძე, 1864: 108) და, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი მიუთითებს, ბერ ალექსი ბაქრაძესაც (თაყაიშვილი, 1937: 249). როგორც ჩანს, ის არ უნახავს 1895 წელს სვანეთში ექსპედიციის დროს პრ. უვაროვას, რომელიც 8 ხელნაწერ სახარებას ასახელებს (უვაროვა, 1904: 148), რომელთა შორის, მუჟალის ზემოთ დასახელებული ოთხთავი არ არის. 1910 წელს ლეჩხუმ-სვანეთში მოწყობილი არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშში ე. თაყაიშვილი წერს, რომ მუჟალის თემში „ეხლა აღარ არის, მაგრამ დ. ბაქრაძის დროს აქ ყოფილა ეტრატის სახარება“ (თაყაიშვილი, 1937:249). სინამდვილეში, როგორც ირკვევა, მან ეს ხელნაწერი ნახა მესტიაში ბესარიონ ნიჟარაძესთან (იქვე, გვ.307), თუმცა დ. ბაქრაძის და ალ. ხახანაშვილის მიერ აღწერილ მუჟალის პირველ ოთხთავთან მისი იდენტიფიცირება ვერ მოახერხა.

კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ ალ. ხახანაშვილის მიერ მუჟალის პირველ ოთხთავად წოდებულ ხელნაწერი არის ოთხთავის ის კოდექსი, რომელიც დღეს თბილისში, ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდში (H ფონდი) ინახება 1791 ნომრით. მიუხედავად იმისა, რომ დღეს H-1791 ხელნაწერში არა 151, არამედ 153 ფურცელია (H ფონდის აღწერილობა, ტ. IV, 1950:218 ) და მისი ზომაც (21X15 სმ) მცირედ, მაგრამ განსხვავდება ალ. ხახანაშვილის მიერ მითითებული ზომებისაგან (20X15 სმ.), სხვა მრავალი მახასიათებელი აშკარად მიგვანიშნებს, რომ H-1791 ხელნაწერი ის ოთხთავია, რომელსაც ალ. ხახანაშვილი მუჟალის პირველ ოთხთავად აღწერს: 1. H-1791 ხელნაწერიც ნაწერია ორ სვეტად და სვეტში 22 სტრიქონია; 2. მისი გადამწერიც გიორგი ბერია („გიორგი ბერსა, გლახ მწარედ ცოდვილსა, ულოცე მკითხველო, ღმრთისათჳს“(153r); 3. გადაწერის ადგილი და დროჲ იგივეა, რაც დასტურდება ანდერძით, რომელიც დ. ბაქრაძეს, ა. ბაქრაძეს და ალ. ხახანაშვილსაც (დ. ბაქარაძეზე დაყრდნობით) მოჰყავთ: „დაიწერა მას ჟამსა ოდეს ანტიოქია სომეხთა აიღეს“ (151v); ამ ანდერძის მიხედვით ხელნაწერის თარიღად 1213-1216 წლები განისაზღვრება (კილიკიის სომხებმა ანტიოქია ორჯერ აიღეს: ერთხელ 1213 წელს, ხოლოჲ მეორედ 1216 წელს. სავარაუდოდ, ხელნაწერიც ამ წლებშია გადაწერილი); 4. იდენტურია ხელნაწერი წიგნის შედგენილობა და მდგომარეობა: შეიცავს მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარებებს ნაკლულად; ხელნაწერი უყდოა და დაფურცვლილი; 5. იდენტურია ალ. ხახანაშვილის მიერ გამოქვეყნებული სახარებათა კოლოფონები (გიორგი მთაწმიდელის რედაქციისა); 6. იდენტურია H-1791-ში დაცული სახარების ერთი პარატექსტი, ე.წ. „შესხმაჲ ოთხთავისაჲ“, რომლის ავტორად მე-11 საუკუნის შავმთელი მწიგნობარი ბასილი თორელყოფილი მიიჩნევა და მუჟალის პირველ ოთხთავის აღწერისას ალ. ხახანაშვილის მიერ ანდერძის გაგრძელებად მოყვანილი ტექსტი. ისინი ერთსა და იმავე ადგილზე წყდება (H-1791,153r). ყველაფერი ეს გვაძლევს საფუძველს, რომ ალექსანდრე ხახანაშვილის მიერ აღწერილი მუჟალის პირველ ოთხთავად წოდებული ხელნაწერი დღეს H ფონდში 1791-ე

ნომრად დაცულ ხელნაწერად მივიჩნიოთ. უცნობია, როდის და ვინ ჩამოიტანა ეს ხელნაწერი თბილისში (ხელნაწერის აღწერილობაში მისი წარმომავლობის შესახებ არაფერია მითითებული), მაგრამ ფაქტია, რომ 1904 წელს ის ჯერ კიდევ მუჟალის მაცხოვრის ეკლესიის საკუთრება ყოფილა.

H-1791 ხელნაწერი ნაკლულია. უყდო და დაშლილ კოდექსში ამოვარდნილია ფურცლები. რადგან მანუსკრიპტის სვანეთთან, კერძოდ კი მუჟალის თემთან კავშირი დადგინდა, მისი დაკარგული ფურცლების ძებნა სვანეთის ამ სოფელთან დაკავშირებული ფრაგმენტებით უნდა დავიწყოთ. აქ კი, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს მესტიის მუზეუმში დაცული ჩვაბიანის ოთხთავად სახელდებული 4-ფურცლიანი ფრაგმენტი, რომელიც H-1791-ის მსგავსად დაწერილია ორ სვეტად და სვეტში 22 სტრიქონია. ისიც, როგორც H-1791, გადაწერილია კალიგრაფიული ნუსხურით, შავი ფერის მელნით და საზედაო ასოები სინგურით არის შესრულებული. ორივეს აქვს „განთესულები“ ქვედა აშიებზე. ჩვაბიანურ ფრაგმენტში დაცულია სახარების ის მუხლები, რომლებიც აკლია H-1791-ს ( იოანეს სახარების მე-16, მე-17 და მე-18 თავების რამდენიმე მუხლი) და ორივე გიორგი მთაწმიდელის რედაქციისაა. ფრაგმენტისა და H-1791 ხელნაწერის პალეოგრაფიულმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ მესტიაში დაცული და ჩვაბიანის ოთხთავად წოდებული ფრაგმენტი H-1791 ხელნაწერის ნაწილია, რომელიც 1904 წელს ალ. ხახანაშვილმა მუჟალის პირველი ოთხთავად აღწერა, შემდეგ კი თბილისში H ფონდში მოხვდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მუჟალის თემის სოფლებიდან მაცხოვრის ეკლესია, სადაც ინახებოდა ეს ხელნაწერი 1904 წლამდე, სწორედ სოფელ ჩვაბიანშია.

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ალ. ხახანაშვილის მიერ მუჟალის პირველ ოთხთავად წოდებული ეტრატის სახარება მეოცე საუკუნის დასაწყისამდე ჩვაბიანის მაცხოვრის ეკლესიის კუთვნილება იყო; 1910 წლისთვის მისი დიდი ნაწილი (მინიმუმ 153 ფ.) მესტიაში ბესრიონ ნიჟარაძესთან ინახებოდა (ე. თაყაიშვილი, 1937: 307), შემდეგ კი იგი თბილისში H  ფონდში მოხვდა და დღემდე იქ H-1791 ნომრად არის დაცული. როგორც ჩანს, დაშლილი ხელნაწერის ნაწილი ჩვაბიანშივე დარჩა. 1895 წელს სწორედ ამ სოფელში მღვდლის სახლში უნახავს პრ. უვაროვას ხურჯინი, რომელიც სავსე იყო ეტრატზე დაწერილი, დაშლილი და დაზიანებული ძველი ხელნაწერებით (უვაროვა,1904: 154), მათ შორის იყო, ალბათ, H-1791-ის ფრაგმენტებიც, საიდანაც შემორჩენილმა 4 ფურცელმა ბოლოს მესტიის მუზეუმში დაიდო ბინა. დღეს ჩვაბიანის ოთხთავად სწორედ ეს ოთხფურცლიანი ფრაგმენტი (სიემ N491, კ-8) იწოდება. სამართლიანობა მოითხოვს იგივე სახელი (ჩვაბიანის ოთხთავი) ეწოდოს H-1791 ხელნაწერსაც, რომელიც მესტიაში დაცულ ფრაგმენტთან ერთად უკვე არა 153, არამედ 157 ფურცელს შეიცავს.

5. **ლელა ციხელაშვილი, ეკატერინე ნავროზაშვილი, რატომ უწოდა უფალმა აბრამს აბრაამ // აბრაჰამ?** (საკითხის ლინგვისტური ასპექტი). აკაკი შანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა (ემღვნება მისი დაბადების 136-ე წლისთავს). ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, თბილისი, 2023, 24 თებერვალი.

6. **ლელა ციხელაშვილი, ეკატერინე ნავროზაშვილი, სარას სახელის ორი ფორმის შესახებ ბიბლიის ქართულ ვერსიებში**. პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისი, 2023, 20-21 ივლისი. თეზისების კრებული, გვ. 236-241.

https://www.researchgate.net/publication/375598176_17th_Faculty_Scholarly_Conference_In_Honour_of_the_100th_Anniversary_of_the_Birth_of_Prof_Nodar_Kakabadze?fbclid=IwAR3vFGUkRL9LTSDbr-uIBeDG-tC0zYSb29nd6KO3MYGIKs9ZR49Ss_xQobU

**მოხსენების ანოტაცია**

**1.** შესაქმის წიგნში უფალი ეცხადება 99 წლის აბრამს და აძლევს აღთქმას, რომ მას კანონიერი მეუღლისგან, 90 წელს მიღწეული სარასგან, შეეძინება ვაჟი, ეყოლება მრავალრიცხოვანი შთამომავლობა და იწოდება „მამად მრავალთა ნათესავთა“ [შესაქმე 17:5 O]. აბრამის გამორჩევისა და უდიდესი მისიით აღჭურვის შემდეგ უფალი მას და მის მეუღლესაც უცვლის სახელებს და, ბიბლიის ქართული ვერსიების მიხედვით, უწოდებს აბრამს **აბრაჰამს** [შესაქმე 17:5 OCBAS], ხოლო სარას – **სარრას** [შესაქმე 17:15 OCBAS]. ამის შემდეგ ბიბლიაში ისინი სახელის ახალი ფორმით მოიხსენიებიან: აბრამი – როგორც **აბრაჰამ** // **აბრაამ** (უიშვიათესად – **აბრამ**), ხოლო მისი მეუღლე – როგორც **სარრა** (იშვიათად – **სარა**).

მოხსენებაში განხილულია აბრაამის მოდიფიცირებული სახელების რაობა და წარმოების პრინციპი როგორც მასორეტულ ტექსტში, ისე სეპტუაგინტაში, სირიულ პეშიტასა და სომხურ ბიბლიაში. საგანგებო ყურადღება ექცევა მის ქართულად ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფცირებას, ძირითადად, ძველი აღთქმის წიგნებში.

კვლევამ აჩვენა, რომ **აბრაამის მოდიფიცირებული სახელის გადმოცემის თვალსაზრისით, ძველი აღთქმის წიგნების შემცველი ნუსხები, ზოგადად, უფრო აღმოსავლურ ტექსტობრივ ტრადიციასა და აბრაჰამ ფორმას ანიჭებენ უპირატესობას** (გარდა სეპტუაგინტას ვითარების ამსახველი გელათური ბიბლიისა (XII-XIII სს.) და რამდენიმე გვიანდელი ნუსხისა). აბრაამის ორიგინალურ და უფლის მიერ ბოძებულ სახელებს შორის ოპოზიცია, გადაცდომების მიუხედავად, შესაქმის შემცველ ყველა ნუსხაში იკვეთება. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ძველი აღთქმის წიგნების შემცველი უძველესი კრებული – ოშკის ბიბლია (978 წ.), რომელიც აბრაამის სახელის მხოლოდ ერთ ფორმას ცნობს – აბრაჰამ. ხელნაწერში საერთოდ არ ჩანს დაპირისპირება აბრაამის ორიგინალურ და მოდიფიცირებულ სახელებს შორის.

**7. პროფ. რამაზ ქურდაძე - დიდი მნიშვნელობის მცირე ნაშრომი ქართული მართლწერის თანამედროვე პრობლემატიკის შესახებ, სამეცნიერო სესია, მიძღვნილი აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ხსოვნისადმი, მასალები, თბილისი, 08.01.2022**

**https://dspace.tsu.ge/server/api/core/bitstreams/a866d55f-7022-40d4-a4a6-c0e3df361006/content**

**8. პროფ. რამაზ ქურდაძე - ქვეწყობილი წინადადების რომელ ნაწილს უნდა მივაკუთვნოთ მიმართვა? თსუ 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია, თეზისები, 6 თებერვალი, თბილისი, 2023, გვ. 98-100**

https://tsu.ge/assets/media/files/84/Ianvari%202023/%E1%83%97%E1%83%A1%E1%83%A3%20105%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9B%E1%83%98%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%20(1).pdf

**9. პროფ. რამაზ ქურდაძე - ქართულ საენათმეცნიერო ტერმინთა ინგლისურად გადმოცემისათვის: მწკრივი – Screeve, ნაკვთი – Chunk, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება, პროგრამა და თეზისები, თბილისი, 10 აპრილი, 2023.**

https://tsu.ge/assets/media/files/57/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%97%E1%83%94%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf

**10. პროფ. რამაზ ქურდაძე - მიმართვის ადგილისათვის ქართულ რთულ თანწყობილ წინადადებაში, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 147-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, პროგრამა, 27-28 აპრილი, თბილისი, 2023, გვ.7.**

**https://dspace.tsu.ge/server/api/core/bitstreams/32d74029-3e86-4deb-9c01-25229deeead3/content**

**11. პროფ. რამაზ ქურდაძე - სურვილის გამომხატველ ზმნათა შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა ანალიზი ინგლისურენოვან სტუდენტთათვის ქართულის, როგორც მეორე ან უცხო ენის, სწავლების დროს, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სა-მეცნიერო კონფერენცია, პროგრამა, გვ.11.**

https://www.researchgate.net/publication/375598176_17th_Faculty_Scholarly_Conference_In_Honour_of_the_100th_Anniversary_of_the_Birth_of_Prof_Nodar_Kakabadze?fbclid=IwAR3vFGUkRL9LTSDbr-uIBeDG-tC0zYSb29nd6KO3MYGIKs9ZR49Ss_xQobU

**12. ასოც. პროფ. მაია ლომია,** „პროსოდიულ ელემენტთა ფუნქციური დანიშნულების საკითხი მეგრულში“. 30 მაისი. 2023 წელი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

https://www.researchgate.net/publication/371700488_propesor_irine_melikishvilis_dabadebis_80_tslistavisadmi_midzghvnil_sametsniero_konperentsia

**13. ასოც. პროფ. მაია ლომია** (თანაავტორები: რ. ქურდაძე, ქ. მარგიანი, ნ. ჭუმბურიძე), „ჰიპოტაქსური მოდელები ზეპირმეტყველებაში – კომუნიკაციის ძირითადი წყარო“. 27-29.10. 2023

მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათაშორისი დიალოგები“. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

კონფერენციის ვებგვერდზე: https://journals.4science.ge/index.php/IDW

**14. ქეთევან მარგიანი, მაია ლომია, "ქართველურ ენათა ზმნურ პარადიგმებში ევიდენციალობის მარკერის გამოყოფის თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული ღირებულება",** **საერთაშორისო** კონფერენცია "ციფრული კავკასიოლოგია - პარადიგმის ცვლილება?", 2023 წლის 4-8 ოქტომბერი, თბილისი

https://www.uni-frankfurt.de/144785806

**15. ქეთევან მარგიანი, ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგი კრებითი ლექსემა სვანურში** (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი), არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XXXIV 2023 წლის 20-23 ივნისი, თბილისი

https://ice.ge/of/wp-content/uploads/2023/06/XXXIV-Arn.-Chikobavas-Sakitxavebi-2023-1.pdf.

**16. ქეთევან მარგიანი, ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგი სომატური სახელისათვის სვანურში,** თბილისი,

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 82-ე სამეცნიერო სესია, 2023 წლის 19-21 დეკემბერი, თბილისი

https://ice.ge/of/wpcontent/uploads/2023/12/%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_2023.pdf.

17. **ასოც. პროფ. სალომე ომიაძე,** „მონურად თარგმნის“ ტენდენციის შესახებ თანამედროვე ქართულში, აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, 9.01.2023, თბილისი, თსუ.
18. **ასოც. პროფ. სალომე ომიაძე,** ბარბარე ჯორჯაძის კულინარიული მეტროლოგია, თსუ 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია, 6.02.2023, თბილისი, თსუ.
19. **ასოც. პროფ. სალომე ომიაძე,** განსხვავებული მოსაზრებები ლექსემა „კვეთის“ წარმომავლობის, შედგენილობისა და მნიშვნელობის შესახებ, აკადემიკოს აკაკი შანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა, 24.02.2023, თბილისი, თსუ.
20. **ასოც. პროფ. სალომე ომიაძე,** კალკირების გამო დაკარგული ერთი კრებითი ლექსემის შესახებ ქართულ გასტროკულტურაში, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 10.04.2023, თბილისი, თსუ.
21. **ასოც. პროფ. სალომე ომიაძე,** კომუნიკაციის ლინგვოკულტურული ასპექტები შუქია აფრიდონიძის სამეცნიერო შრომებში, სამეცნიერო კონფერენცია „სალიტერატურო ენის საკითხები, IV“, მიძღვნილი პროფესორ შუქია აფრიდონიძის ხსოვნისადმი, 21.04.2023, თბილისი, თსუ.
22. **ასოც. პროფ. სალომე ომიაძე,** ბ. ჯორბენაძე ენობრივი მნიშვნელობების გამომხატველ ფაკულტატიურ საშუალებათა შესახებ, ბესარიონ ჯორბენაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 10.05.2023, თბილისი, თსუ.
23. **ასოც. პროფ. სალომე ომიაძე,** შედარების კოგნიტიური მექანიზმი და ენობრივი საშუალებები ბაგრატ ბატონიშვილის კულინარიულ დისკურსში, პროფესორ ირინე (ლულუ) მელიქიშვილის დაბადების მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 30.05.2023, თბილისი, თსუ.
24. **ასოც. პროფ. სალომე ომიაძე,** „ყურსსავით“ – სიმკვრივის განმსაზღვრელი ერთი მსგავსებითი შედარების შესახებ ბაგრატ ბატონიშვილის კულინარიულ დისკურსში, სამეცნიერო სესია „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXXIV“, 21.06.2023, თბილისი, თსუ.
25. **ასოც. პროფ. სალომე ომიაძე,** ბაგრატ ბატონიშვილის სამზარეულოს წიგნი ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტით, მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათაშორისი დიალოგები“, 27.10.2023, თელავი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
26. **ასოც. პროფ. სალომე ომიაძე,** „სამთილო / სამთილი“ – ქორწინების გზით შეძენილ ნათესავთა აღმნიშვნელი, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 82-ე სამეცნიერო სესია, 19-21.12.2023, თბილისი, თსუ.
**27. რუსუდან ზექალაშვილი.** „არის“ ზმნის გამოყენება და ფუნქციები თანამედროვე ქართულში. სამეცნიერო სესია, მიძღვნილი აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ხსოვნისადმი, მასალები.
**2023 წლის 9 იანვარი;** თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 12-24.
28. **რუსუდან ზექალაშვილი.** მოდალური ნაწილაკების შესახებ ქართულ სამეტყველო ეტიკეტში. თსუ 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეზისები.
**2023 წლის 6 თებერვალი;** თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 26-29.
29. **რუსუდან ზექალაშვილი.** ერთი დარღვევის შესახებ ჟურნალისტების მეტყველებაში (არცერთი/ვერცერთი). სალიტერატურო ენის საკითხები IV, ეძღვნება პროფესორ შუქია აფრიდონიძის ხსოვნას, მასალები.

**2023 წლის 21-22 აპრილი;** თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, გვ. 23-24.
https://ice.ge/of/wp-content/uploads/2023/04/IV%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf

31. **რუსუდან ზექალაშვილი.** უკუქცევითობის კატეგორია ქართულში და მისი თარგმნის სპეციფიკა (გერმანულ და რუსულ ენებთან შეპირისპირებით): საერთაშორისო კონფერენცია „ქუთაისური საუბრები“ – XVIII, თემაზე: "ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები", ეძღვნება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 90 წლისა და ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დაფუძნების 30 წლის საიუბილეო თარიღებს.
**2023 წლის 9-10 ივნისი;** აწსუ (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ქუთაისი.
https://conferences.atsu.ge/Kartvelology/index.php?page=content&lng=Ge
https://conferences.atsu.ge/Kartvelology/index.php?page=Programme&lng=Ge#cont

32. **რუსუდან ზექალაშვილი.** ლექსიკის თემატური დაყოფა ქართულის სასწავლო ონლაინლექსიკონში: მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია „მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვური განათლების კონტექსტში“ (SeLTAME 2023).
**2023 წლის 11-13 სექტემბერი;** თეზისების კრებული, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 18-19; 62-63.
ISSN 2720-7803
chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/http://seltame.tsu.ge/public/uploads/images/09.09._abstracts_geo-.pdf
chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/http://seltame.tsu.ge/public/uploads/images/09.09_abstracts_eng.pdf

33. **რუსუდან ზექალაშვილი.** სინონიმების საკითხისათვის სამედიცინო ტერმინოლოგიაში: VIII ადგილობრივი კონფერენცია „სამეცნიერო ტერმინოლოგია“, ეძღვნება გიორგი ნიკოლაძის დაბადების 135-ე წლისთავს.
**2023 წლის 25-26 სექტემბერი;** თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
programa
chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://ice.ge/of/wp-content/uploads/2023/09/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90-2023-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9D-1.pdf

34. **რუსუდან ზექალაშვილი.** ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკა მიმართვებში და ქართული სამეტყველო ეტიკეტი: თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათაშორისი დიალოგები“, VII.

**2023 წლის 27-29 ოქტომბერი;** თელავი, თესაუ (იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი), გვ. 195-200.
DOI: https://doi.org/10.52340/idw.2023.27
https://journals.4science.ge/index.php/IDW/article/view/2046
E-ISSN 2667-999X
ISSN 2233-3401
https://journals.4science.ge/index.php/IDW
ჟურნალის DOI: https://doi.org/10.52340/idw
მთლიანად კრებული (ივერიელი)
https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/466191
chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/466191/1/Kulturatashorisi_Dialogebi_2023_N7.pdf

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

**31. მოხსენებაში** დასმულია საკითხი უკუქცევითობის გრამატიკულ-სემანტიკური კატეგორიის შესახებ, რომელიც გულისხმობს მოქმედების გადასვლას საკუთარ თავზე, როცა სუბიექტი და ობიექტი ერთი და იგივე პირია. მიმოხილულია უკუქცევითობის კატეგორიის სხვადასხვა ასპექტის შესწავლის მდგომარეობა ქართულში (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, გ. ნებიერიძე, მ. მაჭავარიანი, ფ. ერთელიშვილი, ზ. ჯორბენაძე, ვ. ბოედერი, ნ. სალაძე, შ. აფრიდონიძე, ნ. ამირიძე, მ. ჰასპელმათი და სხვ.).
განხილულია ქართულ ენაში არსებული შესაძლებლობა, რომ ერთი და იმავე პირის სუბიექტისა და ობიექტის შემთხვევაში გამოყენებული იყოს სპეციალური რეფლექსური ნაცვალსახელი „თავი“, რომელსაც ზოგჯერ ემატება კუთვნილებითი ნაცვალსახელიც: ჩემი/ჩვენი თავი, შენი/თქვენი თავი, თავისი თავი. ამას გარდა, საუბარია უკუქცევითი ნაცვალსახელისა და ზმნის სათავისო ქცევის მიმართებაზე. ერთმანეთისაგან გარჩეულია უკუქცევითობის გამომხატველი „თავი“ და ის, როგორც ზმნის აუცილებელი კომპონენტი (შდრ. შენ იბან//შენ იბან თავს; ამ ნაცვალსახელთან ერთად გამოყენებული ზმნები: თავი შეაკლა, თავი შეირცხვინა, თავი მოიჭრა, თავი გაიმასხარავა, თავი მოიგიჟიანა, თავი მოიმძინარა).
ყურადღება მიქცეულია „თავ“ ნაცვალსახელიანი კონსტრუქციების გერმანულად და რუსულად გადმოტანის პრობლემაზე და გამოყოფილია რამდენიმე შესაძლებლობა. მაგ., გერმანულში: ნამდვილად უკუქცევითი ან მოჩვენებითი უკუქცევითი, გარდამავალი და გარდაუვალი აქტიური ზმნები. რუსულში: უკუქცევითი ნაცვალსახელი „себя“ და -ся დაბოლოებიანი ზმნები. აქ განირჩევა რამდენიმე ჯგუფი: პიროვანუკუქცევითი, საურთიერთო უკუქცევითი, ზოგადუკუქცევითი და სხვ.
ქართულ უკუქცევითნაცვალსახელიან კონსტრუქციებს ამ ენებში შეესაბამება როგორც უკუქცევითი, ისე გარდამავალი და გარდაუვალი ზმნური ფორმების შემცველი წინადადებები. მიუხედავად გერმანული და რუსული ენების მსგავსებისა, სრული შესაბამისობა მათ შორისაც არ დასტურდება.
გამოტანილია დასკვნა, რომ რომ არამონათესავე ენები ერთი და იმავე შინაარსის გამოსახატავად არ მიმართავენ ერთ სტრატეგიას, რადგან ის, რაც ქართულში უკუქცევითი ფორმაა, რუსულ ან გერმანულ ენაში შეიძლება იყოს არარეფლექსურად გააზრებული და

პირიქით: ინდოევროპული ენების რეფლექსურ ზმნებს ქართულში ყოველთვის არ შეესაბამება სათავისო ქცევის ზმნური ფორმა და „თავ“ ნაცვალსახელი.
6. მოხსენებაში დასმულია საკითხი სინონიმიის შესახებ ტერმინოლოგიაში, განსაკუთრებით კი – მედიცინის დარგში. ხაზგასმულია ამ სფეროს ტერმინოლოგიის სპეციფიკურობა – სინონიმთა დიდი რაოდენობა.
გამოყოფილია სინონიმთა ორი ჯგუფი: **ლექსიკური და გრამატიკული** (სიტყვაწარმოებითი ან კომპოზიტური); არსებობს **დუბლეტური** და **ახსნითი** (ანუ ინტერპრეტაციული) სინონიმებიც.
სამედიცინო ტერმინთა სპეციფიკად მიჩნეულია ლათინური და ბერძნული საერთაშორისო სიტყვების ქართული ეკვივალენტების არსებობა და **ახსნითი** სინონიმების სიმრავლე, რომელიც უმეტესად შესიტყვებაა.
მსჯელობაა სინონიმთა თემატურ ჯგუფებზეც: 1. სხეულის ნაწილების, ორგანოების, პათოლოგიური გადაგვარების სახელები; 2. დაავადების სიმპტომები და სინდრომები; 3. დაავადების ან პათოლოგიის დასახელება.
დასახელებულია ზოგიერთი დაავადების აღმნიშვნელი ორზე მეტი სინონიმი, რაც გარკვეულ სირთულეს უქმნის სპეციალისტებსაც კი (მაგ., „კოცნის სიმპტომი“ – ბრდღიკის სიმპტომი; ვირუსული დიარეა – სპენსერის დაავადება, ჰანოვერის დაავადება, ზამთრის პირღებინებითი დაავადება, ნაწლავური გრიპი; ნანიზმი – როზინოვის სინდრომი; წმინდანთა დაავადება – ღვთაებრივი დაავადება, ვარსკვლავთა დაავადება, მთვარის დაავადება, ჰერკულესის დაავადება; ქართ. ბნედა, ავი ზნე, გვემულება, გულყრა.
ბოლოს გამოტანილია დასკვნა, რომ სამედიცინო ტერმინთა დუბლეტური სინონიმია დასაშვებია და არ შეიძლება მისი შეფასება უარყოფითად.

35. ასოც. პროფ. **ინგა სანიკიძე.** XII საუკუნის საქართველო და ლექსიკური ერთეულის – „ვაზირის“ – მხატვრული კონტექსტი „ვეფხისტყაოსანში“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - ჩვენი სულიერების ბალავარი XII. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ბათუმის მერიის კულტურის ცენტრი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრი. ბათუმი, 11-12 მაისი, 2023 [მასალები მზადდება გამოსაცემად, ამჟამად გადის რედაქტირების პროცესს].
**36.** ასოც. პროფ. **ინგა სანიკიძე.** XII საუკუნის პოლიტიკური რეალობა და სიბერის არგუმენტი „ვეფხისტყაოსანში“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე II [International Scientific Conference Black Sea Region at theCrossroads of Civilizations [BSRCC]], ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრი, ბათუმი, 20-21 სექტემბერი, 2023 [2024 წელს დაგეგმილის კონფერენციის მასალების ბეჭდური გამოცემა].
**37.** ასოც. პროფ. **ინგა სანიკიძე.** ქაჯები და მათი მხატვრული ინტერპრეტაციის საკითხი „ვეფხისტყაოსანში“ // Kajis and their Interpretation in “The Man in the Panther’s Skin”. თსუ 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისი, 6 თებერვალი, 2023. თეზისები ქართულ და ინგლისურ ენებზე, გვ. 61-65.
**38.** ასოც. პროფ. **ინგა სანიკიძე.** იგივეობის აღმნიშვნელ ნაცვალსახელთა ჯგუფის განსაზღვრა ქართული ენის მორფოლოგიურ სისტემაში // Defining group of pronouns denoting uniformity in the morphological system of the Georgian language. ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი

სამეცნიერო კონფერენცია, ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, თბილისი, 10 აპრილი, 2023. თეზისები ქართულ და ინგლისურ ენებზე, გვ. 31-38.

**39.** ასოც. პროფ. **ინგა სანიკიძე.** ორმეფობის მოთხოვნა და „ვეფხისტყაოსანი“ [„მე და შენ დავსხდეთ ხელმწიფედ...“] // Requestingabout governing Two Kingstogether and "The Lord of the Panther-Skin" ["Let You and Me sit together as the Kings..."], სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია VIII, სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები, ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის, სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი, თბილისი, 23 სექტემბერი, 2023. დაბეჭდილია მოხსენებათა თეზისებში ქართულ და ინგლისურ ენებზე, გვ. 90-97.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

**იმ მოხსენების ანოტაციები, რომლებიც ჯერ არ გამოქვეყნებულა:**

1. საკვანძო სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“, „ვაზირი“, სემანტიკა და მხატვრულ-ისტორიული კონტექსტი

XII საუკუნის საქართველო და ლექსიკური ერთეულის – „ვაზირის“ – მხატვრული კონტექსტი „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსანი“ რეალისტური ნაწარმოები რომ არ არის, ეს არა მხოლოდ ყველა იმ მკვლევარმა კარგად იცის, რომელიც მეტ-ნაკლებად შეჰხებია კაცობრიობის გენიის პოეტურ სიტყვას, არამედ – რიგითმა მკითხველმაც, მაგრამ ზევრი მეცნიერი თავისდაუნებურად მაინც აწყდება XII საუკუნის ისტორიულ მოვლენათა რუსთველურ გააზრებას. უდავოა, რომ ფარსადანისა თუ მისი დედოფლად წოდებული ცოლის სახე მხატვრული პირობითობაა, თუმცა ვფიქრობთ, ამ პირობითობას რეალისტური გრაფიკა განაპირობებს. კერძოდ, ფარსადანის ხატ-სახის ბირთვში გიორგი III-ისა და დემეტრე-დემნა უფლისწულის (/ტარიელის) წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ ნაბიჯებს ვხედავთ. ამ თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსნის“ სხვა მნიშვნელოვან პასაჟებთან ერთად ყურადღებას ნესტანის გათხოვების თათბირი იწვევს. სწორედ აქ, ტექსტის ამ მონაკვეთში, ვხვდებით ლექსიკურ ერთეულ „ხას’ს“ ნაცვლად „ვაზირისა“.

ისტორიის მეცნიერებას თუ გადავხედავთ, ირკვევა, რომ „ი. ჯავახიშვილი და სხვა მკვლევარებიც, ვინც კი ვაზირებსა და სავაზიროს შეჰხებია, უეჭველად მიიჩნევენ რამდენიმე ვაზირისა და თვით სავაზიროს არსებობას გიორგი III-ისა და თამარის დროს“ [მესხია 1979: 27]. იკვეთება ისიც, რომ გიორგი III-ის მეფობის დასასრულს ვაზირის ტიტული მხოლოდ მწიგნობართუხუცეს ჰქონდა. ის ერთადერთი ვაზირი იყო და ლექსიკური ერთეული „ვაზირი“ „მრჩევლის“ მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა. ფაქტია, რომ არაბეთის ამბავში ვაზირის მრავლობითი რიცხვის ფორმაა („ვაზირთა ჰკადრეს“: 15, 37) დაფიქსირებული, რასთან დაკავშირებითაც მეცნიერი ასკვნის: „ასე რომ, „ვეფხისტყაოსნის“ „სავაზიროდ დაჯდომა“ და ვაზირთა მრავლობითობა სრულებით არ ნიშნავს სავაზიროს, როგორც დაწესებულების არსებობაზე მითითებას და არც იმას, რომ მეფეს რამდენიმე მოხელე ვაზირი ჰყავდა“ [მესხია 1979: 36]. ეს მსჯელობა XII საუკუნის ინსტიტუციურ მოწყობას, სახელმწიფოში მოქმედ მოხელეთა ფუნქციებსა და უშუალოდ „ვაზირის“ ტიტულს შეეხება.

ვფიქრობთ, რომ ამგვარი სამეცნიერო დასკვნები მეტი დაფიქრებისაკენ მოგვიწოდებს, როცა ტარიელის სასახლეში ხმობის ეპიზოდს განვიხილავთ. ვინ ხვდება სრაში გამთენიისას ნახმობ ტარიელს, თუ არა მეფე-დედოფალი და „ოდენ“ სამი ხასი? არც ის ერთადერთი მწიგნობართუხუცესი ვაზირი მოჩანს და არც – ქვეყნის დანარჩენი უმთავრესი მოხელენი, რომელნიც შედარებით გვიანდელი, კერძოდ, გიორგი ბრწყინვალის ეპოქაში დაწერილი

„ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, „ვეზირობის“ წევრებად იწოდებიან. ესენი არიან: მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი.

პოემის განსახილველ მონაკვეთში სიტყვა „ვაზირის“ არხსენება და მისი „ხასით“ ჩანაცვლება პირდაპირ უნდა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ ფარსადანს არც დარბაზობა მოუწვევია და არც ვინმეს რჩევა-დარიგების მოსმენის სურვილი ჰქონია. ეს კულუარული შეხვედრა უნდა იყოს. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, ამირსპასალარი ნოხზე კი არა, სკამზე ჯდება. დარბაზობისას „ნოხთა ზედა“, თანაც ჭყონდიდელს ქვემოთ ჯდომის წესი, როგორც ჩანს, ადრინდელ სამართალს დაქვემდებარებული ტრადიციული მუხლია. ტექსტის სხვა ადგილას მიჯნური ქალი ქვეყნის ამირბარ-ამირსპასალარს სწორედ ისე სვამს, როგორც ამას წესი მოითხოვს. (და საკუთარ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ქვეყნის უმნიშვნელოვანესი მოხელისა და ინდოეთის ერთ-ერთი მემკვიდრის მიმართ, სიყვარულის დინებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ცალსახაა, რომ სასიძოს შესარჩევ თათბირზე სამეფო კარზე მოწვეულ პირთა შორის არცერთი ვაზირი არ იმყოფება, მხოლოდ ვიღაც „ხასები“, ამიტომ უსამართლო სამართალს გზა ოთხივ კუთხით აქვს გახსნილი – საქმე ტარიელ-დემნას წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებასთან უნდა გვქონდეს. რაინდის კეთილსინდისიერება-პატიოსნება ინდოეთის სიუჟეტში, კერძოდ, ამირბარისეულ თხრობაში ძლიერ იმპულსებს იძლევა და, ჩვენი აზრით, XII საუკუნის II ნახევრის საქართველოში დატრიალებულ ტრაგედიასა და იმ მრუდე სამართალზე მიგვანიშნებს, რომელსაც ჯერ დემეტრე-დემნას გამეფების მომხრეთა 1177-1178 წლების აჯანყება მოჰყვა [„სპანი იყვნეს რიცხვით უფროს ოცდაათი ათასისა“ – სტეფანოზ ორბელიანი], შემდეგ კი დავით აღმაშენებლის პირდაპირი სამემკვიდრეო მამრობითი ხაზის თვალთა დათხრა და დასაჭურისება [„და დემეტრე კლდე-კართა დასუეს, უკანის თუალნი დასწუნეს და მოკუდა და მცხეთას დამარხეს“ – ლაშა გიორგის მატიანე].

2. საკვანძო სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“, სიბერის არგუმენტი, რუსთველის მსოფლმხედველობა

XII საუკუნის პოლიტიკური რეალობა და სიბერის არგუმენტი „ვეფხისტყაოსანში“
[ვრცელი ანოტაცია]

პოემაში რუსთველის მსოფლმხედველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტად ანთროპონიმ ფარსადანის ენიგმად ქცეული ფორმა მიგვაჩნია. ჩვენ მიერ გამოთქმული თვალსაზრისი რამდენადმე ეწინააღმდეგება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე დამკვიდრებულ შეხედულებას, რომელიც სათავეს ი. აბულაძის შრომებიდან იღებს. მეცნიერი პოემაში გამოყენებულ ადამიანთა სახელებს (და არა მხოლოდ მათ) სპარსული ენიდან მომდინარედ თვლის და წერს: „ყველაზე უწინ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ პირთა საკუთარი სახელები როდი არიან ჩვეულებრივი პოპულარული საკუთარი სახელები, არამედ ისინი, უმეტეს ნაწილად, წარმოადგენენ ეპითეტებს ანდა მთელ წინადადებებს, ან ხმარებული არიან მრავლობითი რიცხვის ფორმით... ფარსადან — სპარ. ნიშნავს ფილოსოფოსთაგან ან ბრძენთაგანს, და არის მრავლობითი რიცხვი სიტყვისაგან – ბრძენი“ [აბულაძე 1967:180]. იუს. აბულაძის შეხედულება „ვეფხისტყაოსნის“ ანთროპონიმების სპარსული გენეტიკისა და ფორმის შესახებ უთუმცაოდ გაიზიარა ზ. გამსახურდიამ და დასახელებული ფაქტი ამგვარი ინტერპრეტაციით შემოგვთავაზა: „ი. აბულაძის თქმით, სიტყვა „ფარსადან“ სპარსულად ნიშნავს „ბრძენთაგანს“, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ნესტანი არის ასული სიბრძნისა, მაგრამ რომელი სიბრძნისა? სიტყვა „ფარს“-ის ეტიმოლოგია უკავშირდება ძველბერძნული მითოსის „პერსეუსს“, „პერსესს“, რაც ძველაღმოსავლურ ვარსკვლავთმეტყველებას განასახიერებს“; ნაშრომის სხვა ადგილას კი ზ.

გამსახურდია იტყვის: „ვეფხისტყაოსანში ფარსადანი, ანუ აღმოსავლური ვარსკვლავთმეტყველებითი სიბრძნე მფლობელია თითქმის მთელი ინდოეთისა (მისტერიათა საუფლოსი)“ [გამსახურდია 1991: 268; 271].

ჩვენეული წაკითხვით ანთროპონიმში ფარსადანი რუსთველი ძველებრაულ ლექსიკურ ერთეულ ფარისეველს გულისხმობს და პერსონაჟის წინარესახედ გიორგი III-ს მოიზრებს. ვფიქრობთ, რომ მხატვრული პირობითობა თუ ამბავთა გადათამაშება ხელს არც იმას უშლის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ცენტრალურ გმირში, ტარიელში, დემნა უფლისწულის თავს დატრიალებული ტრაგედია ამოვიკითხოთ.

ჩანს, რომ, საზოგადოების პატრიარქალურობიდან გამომდინარე, ქალის თემა საერთოდ არ განიხილებოდა, ამას ბაგრატიონ მეფეთა დინასტიური ხაზის ის ტაბულებიც დაადასტურებს, რომელიც ისტორიული წყაროების მონაცემთა მიხედვითაა აწყობილი და გამოცემული მ. სურგულაძისა და მ. ქავთარიას მიერ [სურგულაძე 1995]. ვფიქრობთ, რომ დემეტრე I-ისა თუ გიორგი III-ის მიერ აწეწილი ფეოდალური სამართალი, დემეტრე უფლისწულის სამეფო ტახდიდან ჩამოშორება თუ მისი თვალთა დათხრა და დასაჭურისება [„თუალნი დასწუნეს და მოკუდა და მცხეთას დამარხეს“ — ლაშა გიორგის მატიანე 1955: 367]. რუსთველის კოცეპტთა შორის დომინანტურია და პოემის სიუჟეტურ ქარგაში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს. სწორედ ამავე კონტექსტში გავიაზრებთ „ვეფხისტყაოსანის“ ორ ამბავში გაბნეულ სიბერის არგუმენტსაც. ჩვენი აზრით, ეს ერთ-ერთი ის კვანძია, რომელიც არაბეთისა და ინდოეთის ძაფთა შორის იხლართება. ვფიქრობთ, რომ ამის პოემის გააზრებისას ამის უგულებელყოფა არ ღირს, რადგან საინტერესო პარალელი ჩნდება – სიბერის თემის წინ წამოწევა.

უთუმცაოა, რომ არაბთა და ინდოთა მეფეების სიბერის არგუმენტი მათი ღირსების სასარგებლოდ არ გამოდგება, როცა ვხედავთ, რა დამოკიდებულება აქვს სიკვდილის მიმართ ავთანდილს თავის ანდერძში. „ყოველთა დამამხობელი“ თუ „სუსტისა და ძალ-გულოვანის“ გამთანაბრებელი არსის წინაშე ვაჟკაცი არ უნდა შედრკეს, რადგან „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“ [156, 791]. ასე უყურებს არაბი სპასპეტი კვდომის გარდაუვლობას და სიკვდილში დაეჭვებული კაცის სიჯაბანეს რაინდის სიმაღლიდან გადმოსცქერის. არაბი მოყმის ანდერძში სიკვდილის არსობის ფორმულირებისა თუ ღირსეული ქცევის ახსნა-განმარტების სტრიქონები პირდაპირ უნდა უკავშირდებოდეს როსტევანის თათბირზე მეფის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს. ისტორიული და ლიტერატურული ფაქტებია ის, რომ გიორგი-ფარსადანი თვითმპყრობელი მეფეა, ხოლო ამირსპასალარის ოჯახში აღზრდილი დემნა-ტარიელი მეფისაგან [/ბიძისაგან] მოტყუებული ყმაწვილკაცი, რომელიც სრულწლოვანების ასაკმიუწევნელი ვერც კი აცნობიერებს მეფის ჩანაფიქრის სიმუხთლეს.

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური ფარდაგი საკმაოდ ჭრელია, თუმცა ვირტუალურად შესრულებული. მრავლად რჩება სათქმელი, თუმცა, ვფიქრობთ, რომ პოემის მთლიან ქსოვილში ნაწილ-ნაწილ მაინც იკვეთება მთელს დაქვემდებარებული რუსთველური კონცეპტები, ამ კოტექსტში კი სიბერის თემა თუ ინდოეთისა და არაბეთის მეფეთა მიერ გამოყენებული „ბერობის“ არგუმენტი ერთ-ერთია და მაღალი ალბათობით გიორგი III-ის მიერ საკუთარ სიცოცხლეშივე ქალის გამეფების რეალობასთან რაღაც მნიშვნელოვანი კავშირი მაინც აქვს.

40. **ასოც. პროფ. კახა გაბუნია,** ბილინგვური განათლების რეფორმა და მასწავლებელთა მომზადების საკითხი უსდ-ებში არაქართულენოვანი სკოლებისთვის: მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვური განათლების კონტექსტში; 2023 წლის 9-11 სექტემბერი; თბილისი;
https://seltame.tsu.ge/public/uploads/images/program-seltame-geo-2023_64fc3fcb518fa.pdf

41. **ასოც. პროფ. გიული შაბაშვილი** - კულტურული კომპონენტის მნიშვნელობა ენობრივი პოლიტიკის განხორციელების პროცესში (საქართველოს მონაცემებით)
მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია: მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვური განათლების კონტექსტში
11-13 სექტემბერი, თსუ
42. ბერიძე მ., **ასოც. პროფ. ნინო შარაშენიძე** - ენობრივი ცვლილება და კუნძულური დიალექტის არჩევანი (მომავალი დროის გამოხატვა ინგილოურში), XLIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, მასალები გვ. 34-41, სამცხე-ჯავახეთი, ახალქალაქი, 2023 6-7 ოქტომბერი
**43. ასოც. პროფ. ნინო შარაშენიძე** - „კითხვის რესურსი" ქართულის როგორც მეორე ენის სწავლებისთვის და მისი აგების პრინციპები, SeLTAME, მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვური განათლების კონტექსტში, 11-13 სექტემბერი 2023, მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია, თეზისები, გვ. 45-46
**44. ასოც. პროფ. ნინო შარაშენიძე** - კითხვის უნარების განვითარების სტრატეგიები ენის სწავლების პროცესში, ვორკშოპი, SeLTAME, მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვური განათლების კონტექსტში, მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია, 11-13 სექტემბერი 2023.
**45. ასოც. პროფ. ნინო შარაშენიძე** - მოდალური ინდიკატორები ქართულში, აკაკი შანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა, 2023 წლის, 24 თებერვალი.
46. **გიორგი ქიტოშვილი,** ტოპონიმი „ელამი" ძველი აღთქმის ქართულ ვერსიებში. 2023 წლის 27 თებერვალი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, პროფესორ ფარნაოზ ერთელიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.
47. **გიორგი ქიტოშვილი,** მიდია ძველი აღთქმის ქართულ ვერსიებში. 7-8 ოქტომბერი, 2023 წელი. თბილისი, თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი, II საერთაშორისო კონფერენცია, საქართველო და კავკასია – წარსული, აწმყო, მომავალი.
48. **თინათინ ჯიქურაშვილი,** ფსალმუნის გელათური წაკითხვები
საერთაშორისო კონფერენცია ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა II, თბილისი, 2023
49. **თინათინ ჯიქურაშვილი,** მიქეას ტექსტის გელათური ვარიაციები
ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია. "გელათის აკადემია - მისი ეპოქა და მემვიდრეობა", თბილისი, 2023
50. **თინათინ ჯიქურაშვილი,** ამოსის ტექსტის გელათური ვარიაციები
საქართველოს უნივერსიტეტი, თ, ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი, II საერთაშორისო კონფერენცია: საქართველო და კავკასია - წარსული აწმყო, მომავალი, თბილისი, 2023
51. **თინათინ ჯიქურაშვილი,** "დედათა ბუნებაჲ იწრო არს" - "შუშანიკის წამების" ერთი ფრაზის განმარტებისათვის
საქართველოს უნივერსიტეტი, თ, ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი, II საერთაშორისო კონფერენცია: საქართველო და კავკასია - წარსული აწმყო, მომავალი, თბილისი, 2023

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **Darejan Tvaltvadze, Irina Gvelesiani**, The Corpora-oriented Projects and Courses – Innovation of the University Life: The 17th International Scientific Conference "Society. Integration. Education - SIE2023", May 26, 2023 – May 27, 2023, Rēzeknes Tehnoloģiju akadēmija, Rēzekne, (Latvia) (Online)

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

მოხსენება გამოქვეყნდა ფორუმის მასალებში https://conferences.rta.lv/index.php/SIE/SIE2023

2. პროფ. რამაზ ქურდაძე - **On the Teaching of Supplements (Objects) to English-Speaking Students of Georgian**, (co-author Ketevan margiani),1st International Cappadocia ELT Conference (CapELT 2023), 1-2 September, Nevshehir, Turky, https://capelt.com/ **დამატებათა შესახებ ინგლისურენოვან სტუდენტთათვის ქართულის, როგორც მეორე ან უცხო ენის, სწავლებისას** (თანაავტორი: ქ. მარგიანი) კაბადოკიის პირველი საერთაშორისო ELT (ინგლისური ენის სწავლების) კონფერენცია (CapELT 2023), 1-2 სექტემბერი, ნევშეჰირი, თურქეთი. https://capelt.com/wp-content/uploads/2023/10/Capelt-Abstract-Book-2023.pdf

3. რამაზ ქურდაძე - **The Simple and Hypotactic Sentence Structures: the Basis for the Distinction of Information** (A Comparative Georgian-Megrelian Analysis), co-author Maia Lomia, წინადადების მარტივი და ჰიპოტაქსური სტრუქტურები: ინფორმაციათა განსხვავების საფუძველი (ქართულ-მეგრული შედარებითი ანალიზი), თანაავტორი **მაია ლომია, ნარატივისა და ენის შემსწავლელ მე-9 საერთაშორისო კონფერენცია,** 2023: ჰიბრიდ & ჰიბრიდი, 2023 წლის 3-5 ოქტომბერი, ტრაპიზონი, თურქეთი.

მეორე მოხსენების ანოტაცია:

ზეპირმეტყველების ენა სალიტერატუროსაგან განსხვავებულ, უფრო აქტიურ და ცოცხალ სტრატეგიას ირჩევს ინფორმაციის ჩამოყალიბება-გადაცემისა და აქტუალიზების თვალსაზრისით; როგორც წესი, ზეპირმეტყველებაში აქტუალიზებული წევრის ფორმალიზებისთვის ხშირად გამოიყენება ესა თუ ის ენობრივი ერთეული ფაკულტატიური დანიშნულებით.

ყოველივე ეს კარგად ჩანს არასალიტერატურო და სალიტერატურო ენათა მონაცემების შედარებისას, რასაც ერთი სახის მარტივი და ჰიპოტაქსური სტრუქტურების მიხედვით განვიხილავთ ქართულსა და მეგრულში. ქართული და მეგრული სვანურთან და ლაზურთან ერთად სამხრეთკავკასიური მონათესავე ენებია. მათ შორის სალიტერატურო ენა ქართულია, რომელსაც მოეპოვება დიალექტები; სხვა ქართველური ენები – მეგრული, ლაზური და სვანური არასალიტერატურო ენებია; არასალიტერატურო ენები და დიალექტები ზეპირმეტყველების სახითაა წარმოდგენილი.

მოხსენებაში გაანალიზებულია მარტივი და ჰიპოტაქსური სტრუქტურის კითხვითი წინადადებები ქართულსა და მეგრულში. ცნობილია, რომ კითხვითი წინადადება ორგვარია: კითხვითსიტყვიანი და კითხვითი სიტყვის გარეშე. კითხვითსიტყვიანი წინადადება - განსაკუთრებით ღირებულია ინფორმაციის სტრუქტურირებისთვის, რადგან „კითხვითი სიტყვის ქვეშ ნებისმიერი ინფორმაციის მოქცევა უკვე მის ფოკუსირებას, საინფორმაციო ნაკადში მის ლოგიკურ გამოკვეთას გულისხმობს".

2. ემპირიული მასალა

გამოყენებული ემპირიული მასალა:

TITUSI - http://titus.Uni-frankfurt.de

ARMAZI - http://www.Uni-frankfurt.de./armazi/

GNC - http://gnc.gov.ge/gnc/page
(ბოლო ნახვა 30.09.2023).
მეგრული, ლაზური, სვანური ბეჭდური ტექსტები.
2022-2023 წლების საექსპედიციო ჩანაწერები.
3. საკითხის ანალიზი ქართულსა და მეგრულში
ა. მარტივი სტრუქტურის კითხვითი წინადადებები:
(1) ქართ. სად მიდიხარ? შდრ.: მეგრ. სო მეურქ?
ორივე ენაში ეს კონტექსტი გამოიყენება მაშინ, როცა მოსაუბრე პირველი პირი კითხვას უსვამს თანამოსაუბრე მეორე პირს და აინტერესებს, კონკრეტულად სად მიდის იგი; შესაბამისად, წინადადება მარკირებულია კითხვითი ინტონაციით და ნეიტრალურია ემოციურად; მაშასადმე, ამ თვალსაზრისით არასალიტერატურო და სალიტერატურო ენები ერთგვარ ვითარებას გვიჩვენებენ და მათ შორის სხვაობა არ არის.
ბ. კონტექსტის ცვლილება და ქართულ-მეგრული მასალების შედარებითი ანალიზი
როცა კონტექსტი იცვლება ფონური ცოდნის საფუძველზე, მოლაპარაკე პირს აინტერესებს არა ის, სად მიდის მეორე პირი, არამედ ის, რატომ მიდის იქ, სადაც მიდის. ყოველივე ამის საფუძველზე ჩნდება დამატებითი ემოციურ-ინფორმაციული ნიუანსები: გაბრაზება, აღშფოთება. ამ შემთხვევაში სალიტერატურო ქართული ცვლის მხოლოდ ინტონაციას, ხოლო მარტივი წინადადების სტრუქტურას უცვლელად ტოვებს:
(2) ქართ. სად მიდიხარ?! , რომლის სემანტიკაა: რატომ მიდიხარ?!
მეგრული შინაარსობრივი ცვლილების პარალელურად ცვლის კონსტრუქციასაც, კერძოდ, იყენებს ჰიპოტაქსური სტრუქტურის წინადადებას; შდრ.:
(3) მეგრ. სო რე, მეურქუნი?! სიტყვასიტყვით: „სად არის, რომ მიდიხარ?!“, რაც სემანტიკურად ნიშნავს: რატომ მიდიხარ?!

**შენიშვნა 1**: მეგრულის მაგალითში (იხ. (3)) სასვენი ნიშანი (მძიმე) ჩვენ დავსვით ტრადიციული სინტაქსის მიხედვით, რათა თვალსაჩინოებისთვის მოგვენიშნა სინტაქსური საზღვარი (ფორმალურად გამოგვეყო მთავარი და დამოკიდებული წინადადებები). ბუნებრივ ზეპირმეტყველებაში ეს კონსტრუქცია არის ერთიანი, რაც ასახულია ბეჭდურად გამოცემულ მეგრულ ტექსტებშიც.
**მაშასადამე,** ქართულსა და მეგრულში დასტურდება ორი ტიპის კონტექსტი; მათგან **ერთი** ორივე ენაში გადმოიცემა კითხვითსიტყვიანი მარტივი წინადადებით და გამოხატავს შეკითხვას; მეორე კონტექსტი შეიცავს ე.წ. ფარულ კითხვას: ქართულში იგი ისევ მარტივი წინადადებით გადმოიცემა; კონტექსტის ცვლილებაზე მიუთითებს მხოლოდ ინტონაცია და სასვენი ნიშანი (ნაწერში).
მეგრულში წინადადების სტრუქტურული ცვლილება ხდება განსხვავებული ინფორმაციის საფუძველი; კერძოდ, მარტივი წინადადება იცვლება ჰიპოტაქსური სტრუქტურის წინადადებით, რომელიც ასევე განსხვავებული ინტონაციით წარმოითქმის.
4. ჰიპოტაქსური სტრუქტურის წინადადება მეგრულში: ანალიზი
მეგრულში მარტივი წინადადების კომპონენტები მონაწილეობენ ჰიპოტაქსური სტრუქტურის აგებაშიც. კითხვით სიტყვას მთავარში ემატება რე „არის“ ზმნა, ხოლო ზმნა-შემასმენელს დამოკიდებულში – -ნი „რომ“ კავშირ-ენკლიტიკა. მეგრულში ჰიპოტაქსური სტრუქტურის შემადგენელი კომპონენტები (მთავარში რე „არის“ ზმნა, დამოკიდებულში -ნი „რომ“ კავშირი) ასრულებენ ინფორმაციის აქტუალიზების ფუნქციას.
არ არის შემთხვევითი, რომ „ყოფნა“ ზმნის პირიანი ფორმა („რე“ მეგრულში, resp. „არის“ ქართულში) და მაქვემდებარებელი კავშირი (-ნი მეგრულში, resp. „რომ“ ქართულში) საანალიზო კონსტრუქციაში არ არის წარმოდგენილი ძირითადი – სინტაქსური ფუნქციით.

ეს აიხსნება დასახელებული ლექსიკური ერთეულების ნეიტრალური მნიშვნელობით, მათი არამარკირებულობით.
რე „არის“ ზმნისა და -ნი „რომ“ კავშირის დესემანტიზაცია ინფორმაციის სტრუქტურირების კომპლექსურ შემთხვევას წარმოგვიდგენს; კერძოდ, აღნიშნული ფორმალური საშუალებებით ერთდროულად მარკირებულია მთავარში მოცემული ახალი ინფორმაცია (რემა/ფოკუსი) და დამოკიდებულში მოცემული ძველი ინფორმაცია (თემა/ტოპიკი). საანალიზო ჰიპოტაქსური სტრუქტურა მორფოსინტაქსური თავისებურებითაც გამოირჩევა; ეს კარგად ჩანს მაშინ, როცა მთავარ წინადადებაში კითხვითი სიტყვა ბრუნებადი სახელია. იგი მართულია დამოკიდებული წინადადების ზმნით:
(4) მეგრ. მუ-ს/DAT რე, ორთუქუ-ნი „რას არის, რომ აკეთებ?!“, შდრ.: მუ-ს/DAT ორთუქუ?! რას აკეთებ?!“
5. ტიპოლოგია
ინფორმაციის ცვლილების შესაბამისად, მარტივ და ჰიპოტაქსურ სტრუქტურათა მონაცვლეობა მეგრულის გავლენით დასტურდება დასავლურ ქართულ დიალექტებშიც (იმერულში, გურულში), რომლებიც მეგრულის მარგინალურ სამეტყველო ზოლს წარმოადგენენ; ასევე, გვხვდება ქართველ მწერალთა შემოქმედებაში.
მაგალითები:
(5) გურული: რასაა, ცა, რო ანზოფ? სიტყვასიტყვით: რასაა, გოგო, რომ ამბობ?! სემანტიკა: რატომ ამბობ?!
(6) იმერული: რასაა, რომ ახვერწნიებთ? სიტყვასიტყვით: რასაა, რომ ახვეწნინებთ?! სემანტიკა: რატომ ახვეწნინებთ?!
(7) „რასაა, რომ მიზედავს?!“ სემანტიკა: რატომ მიზედავს?! (ნოდარ დუმბაძე, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“).
(8) „რას არის, რომ ლაპარაკობ, დათა ბატონო?!“ სემანტიკა: რატომ ლაპარაკობ [ასე], დათა ბატონო?! (ჭაბუა ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია“).
6. შეჯამება
ზემოაღწერილი ვითარება იძლევა შესაძლებლობას მთლიანად ჰიპოტაქსური სტრუქტურა განვიხილოთ გათიშული კონსტრუქციების დეფინიციის შესაბამისად (ჰარისი 1993).
მსოფლიოს ენებში გავრცელებულია ინფორმაციის ფოკუსირება გათიშული (resp. cleft) კონსტრუქციით. ამგვარი შემთხვევის კლასიკური ნიმუშია ინგლისური ენის მონაცემები (See Harris 1993). უნივერსალური დეფინიციის მიხედვით მეგრულში დადასტურებული ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ვერ გამოხატავს cleft მოდელს, რადგან მთავარ წინადადებაში სახელით გადმოცემულ წევრს მართავს დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი (იხ. მაგალითები: (5), (6), (7), (8)); ამ განსხვავების მიუხედავად, ალისა ჰარისმა დასვა საკითხი cleft კონსტრუქციის ცნების გაფართოების შესახებ; მას მხედველობაში სწორედ მეგრულის მასალა ჰქონდა(Harris 1993). ამგვარი დაშვების შემდეგ შესაძლებელი იქნება cleft მოდელს მივაკუთვნოთ მეგრულში, ქართული ენის დიალექტებში და ქართველ მწერალთა შემოქმედებაში დადასტურებული მაგალითები.
ამრიგად, აქტუალიზაცია ენაში სხვადასხვა საშუალებით ხორციელდება; ესენია: ინტონაცია, სპეციალური ლექსიკური ერთეულები, cleft კონსტრუქცია და სხვ. ამათგან ქართული სალიტერატურო ენა იყენებს მხოლოდ ინტონაციას, არასალიტერატურო მეგრული ენა იყენებს სამივე საშუალებას ერთად.

4. **ასოც. პროფ. მაია ლომია** (თანაავტორი: ნ. ჭუმბურიძე), The English Semantic Correlates of the Georgian Conditional-Resultative Constructions. 1-2 სექტემბერი. 2023 წელი. ნევშეჰირის უნივერსიტეტი, თურქეთის რესპუბლიკა. დაიბეჭდა პროგრამა და თეზისების კრებული: https://capelt.com/

5. **ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანი,** ნინო ჭუმბურიძე - „სინტაქსური ასიმილაცია“ დიაქრონიული და სინქრონიული თვალსაზრისით ქართველურ ენებში, საერთაშორისო კონფერენცია (9th
9th International Conference on Narrative and Language Studie), 3-5 ოქტომბერი 2023, ტრაპიზონი, თურქეთი https://www.ktu.edu.tr/nalans2023

**ანოტაცია**

1. სალიტერატურო და არასალიტერატურო ენები სხვადასხვა ენობრივ სტრატეგიას ირჩევენ ინფორმაციის ჩამოყალიბებისა და გადაცემის თვალსაზრისით; შესაბამისად, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. არასალიტერატურო ენა ნორმისგან თავისუფალია და უფრო მეტად იყენებს გრამატიკულად ჭარბ საშუალებებს; ცნობილია, რომ გრამატიკულად ჭარბი მონაცემები ინფორმაციულად მნიშვნელოვანია; აღსანიშნავია ისიც, რომ დიაქრონიიდან სინქრონიამდე სალიტერატურო ენა ვითარდება და იხვეწება, ამიტომ ზოგჯერ სალიტერატურო ენის ისტორიული მონაცემები და არასალიტერატურო ენის სინქრონიული ნიმუშები ერთმანეთის მსგავსია.

ზემოაღნიშნული დებულება შეიძლება განვიხილოთ ქართველური ენების ემპირიული მასალის მიხედვით. ქართველურ ენათა ოჯახი აერთიანებს ქართულ, მეგრულ, ლაზურ, სვანურ ენებს; მათგან სალიტერატურო ენა ქართულია. მეცნიერები გამოყოფენ მისი განვითარების რამდენიმე ეტაპს: ძველს, საშუალსა და ახალს. მეგრული, ლაზური, სვანური ზეპირად ვრცელდებოდა საუკუნეების განმავლობაში, ტექსტების ჩაწერა მოხდა გვიან. ქართულ სალიტერატურო ენას მოეპოვება დიალექტები. მეგრული ენის გავლენას განიცდის განსაკუთრებით დასავლური დიალექტები – გურული და იმერული.

„სინტაქსური ასიმილაცია“ დასტურდება ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში. იგი გულისხმობს მისამართი სიტყვის (კორელატის) და მიმართებითი მაცვალსახელის ერთ ბრუნვაში დასმას. ამგვარი ფორმობრივი დამსგავსება ძირითადად დამახასიათებელია დამოკიდებული წინადა-დების ინტერპოზიციისთვის. „სინტაქსური ასიმილაცია“ და კორელატის პლეონასტური გავრცობა (გამეორება) ზეპირმეტყველებისთვის დამახასიათებელ მოვლენად მიიჩნევა.

მეგრული ენის მაგალითი:

(1) **ოსური**.Coor.Nom, **ნამუთი**.Sub.Nom ჩხუბენდუნ, **თიქ**.Coor.Erg. ხორცი **მიდეელუ**.V.Aor.S3.Sg „**ქალი**, **რომელიც** ჩხუბობდა, **იმან** ხორცი წაიღო“.

უნდა იყოს: **ოსურ-ქ**„ქალმა“.Coor.Erg. **მიდეელუ** „წაიღო“.V.Aor.S3.Sg; **თიქ** „იმან“ გრამატიკულად ჭარბია.

მსგავსი მოვლენა დამახასიათებელია ქართული სალიტერატურო ენისთვის განვითარების სამივე საფეხურზე, დასტურდება სვანურშიც, ქართული ენის დიალექტებშიც. „სინტაქსური ასიმილაცია“ ჰიპოტაქსის განვითარების უძველესი ეტაპის მაჩვენებელია.

6. **ასოც. პროფ. რუსუდან ზექალაშვილი.** ერთი ნაწილაკის სტილისტური როლისათვის ქართულ თარგმანებში: მე-15 საერთაშორისო კონფერენცია „ზოგადი და სპეციალური თარგმანი/ ინტერპრეტაცია: თეორია, მეთოდები, პრაქტიკა“.
**2023 წლის 20-21 აპრილი;** კიევი, უკრაინა, ნაციონალური საავიაციო უნივერსიტეტი, გვ. 77-84 ონლაინკონფერენცია (ინგლ. ენაზე).
https://nau.edu.ua/ua/menu/science/naukovi-zahody/konferenczii-ta-seminary/plan-provedennya-konferentsiy-v-nau-na-2023-rik.html

7. **ასოც. პროფ. რუსუდან ზექალაშვილი.** სასწავლო ონლაინლექსიკონი ქართულის როგორც უცხო ენის სწავლებაში: კაპადოკიის პირველი საერთაშორისო კონფერენცია (CapELT), აბსტრაქტების წიგნი. ISBN: 978-625-00-8355-0

**2023 წლის 1-2 სექტემბერი;** ნევშეჰირის ჰაკი ბექტაშის უნივერსიტეტი, კაპადოკია (თურქეთი), გვ. 12, ონლაინკონფერენცია (ინგლ. ენაზე).
https://capelt.com/conference-program/

8. **Kakha Gabunia,** Tekla Gabunia, Linguistic situation in Georgia in 2005-2023:International conference `DECOLONIZING SPACE IN THE GLOBAL EAST`; October 25–27, 2023; University of Helsinki, Finland.
https://www.helsinki.fi/en/conferences/decolonizing-space-global-east/program

9. **ასოც. პროფ. გიული შაბაშვილი,** დესისლავა დიმიტროვა, კრასიმირ კაბაკიევი
ქართულ, ბერძნულ და ბულგარულ ენებში რამდენიმე გრამამის იდენტურობის შესახებ
კონფერენცია: მე-3 საერთაშორისო კონფერენცია ენობრივი კონტაქტის შესახებ ბალკანეთსა და მცირე აზიაში. თანამედროვე ბერძნული კვლევების ინსტიტუტი (M. Triandaphyllidis Foundation), არისტოტელეს უნივერსიტეტი თესალონიკი, at: Thessaloniki, საბერძნეთი, არისტოტელეს უნივერსიტეტი
3-4 ნოემბერი, 2023
https://ins.web.auth.gr/images/banners/ABSTRACTS_2023.pdf

10. **ასოც. პროფ. გიული შაბაშვილი,** ქეთევან გოჩიტაშვილი კულტურულად სენსიტიური ტექსტების დამუშავება, მათი ინტეგრაცია SL სწავლებაში და სტუდენტების ემოციური რეაქციები
მე-6 საერთაშორისო პედაგოგიური და ლინგვისტური კონფერენცია ERL
ულმის უნივერსიტეტი, გერმანია
13-15 ივნისი, 2023
http://educationalroleoflanguage.ug.edu.pl/sites/default/files/ERL-VI-Ulm-Conference-programme.pdf

11. **Nino Sharashenidze,** Marina Beridze, CHOICE AMONG ALTERNATIVES - LANGUAGE CHANGE AND DIALECT SHIFT UNDER THE CONDITION OF THE SUSTAINABILITY OF THE IDENTITY, Goethe University, Frankfurt, 8-11 JUNE, 2023. **https://sprache-identitaet.uni-frankfurt.de/wp-content/uploads/2023/03/Warm-Up_Session-Program-neu.pdf?fbclid=IwAR2g_xQjXlFh5SCLiusNdLx7QNLRSNnRKstlv-QqjreuG_FZyBM9aMiXNCo**

12. **Tinatin Jikurashvili,** Twelve Minor Prophets in Georgian Sources, conference: Global Conference on Social Sciences (GSSCONF), 2023.12.07 - 2023.12.08, UAE, Dubai. https://proudpen.com/proceedings/index.php/gssconf

13. **Tinatin Jikurashvili,** Georgian Versions of the Twelve Minor Prophets (Commentary of Micah and Amos by Theodoret of Cyrus), conference: 8th International Conference on Research in Humanities and Social Sciences (ICRHS), 2023.12.15 - 2023.12.17, United Kingdom, Cambridge. https://www.dpublication.com/proceeding/8th-icrhs

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ყურადღება!
* სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.
* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.
* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.
* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.
* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა~.

ქართული ლიტერატურის ისტორიის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2
(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება**

**ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**

- **ელგუჯა ხინთიბიძე - პროფესორი, ინსტიტუტის ხელმძღვანელი**
- **მაკა ელბაქიძე, ასოცირებული პროფესორი**
- **ნესტან სულავა, ასოცირებული პროფესორი**
- **ნანა გონჯილაშვილი, ასოცირებული პროფესორი**
- **ლელა ხაჩიძე, ასოცირებული პროფესორი**
- **თამარ შარაბიძე, ასოცირებული პროფესორი**
- **ლადო მინაშვილი, ასოცირებული პროფესორი**
- **კახაბერ ლორია, პროფესორი**
- **რუსუდან ნიშნიანიძე, ასოცირებული პროფესორი**
- **თამარ პაიჭაძე, ასოცირებული პროფესორი**
- **ლევან ბებურიშვილი, ასისტენტ-პროფესორი**
- **ქეთევან სიხარულიძე, ასოცირებული პროფესორი**
- **ხვთისო მამისიმედიშვილი, ასოცირებული პროფესორი**
- **ელენე გოგიაშვილი, ასოცირებული პროფესორი**

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. ქართული დრამატურგის ქრესტომათია. ფილოლოგია. ქართული ლიტერატურა. (2018-2026 წწ.)
2.
2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. თამარ შარაბიძე (ხელმძღვანელი); თამარ ციცივილი (ძირითადი პერსონალი)
2.
***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***
1. მომზადდა „ქართული დრამატურგიის ქრესტომათიის (ნაცნობი და უცნობი ტექსტები) I და II ტომი. მათში შესულია შემდეგი მწერლების პიესები: ალ. ორბელიანი, გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი, ბ. ჯორჯაძე, გ. ჯაფარიძე, ალ. მეიფარიანი, გ. დვანაძე, რ. ერისთავი, ივ. კერესელიძე, ლ. არდაზიანი. წიგნს ერთვის შესავალი წერილი ქართველ დრამატურგთა თემატიკისა და ენის შესახებ. წარმოდგენილია თითოეული ავტორის

ბიოგრაფია, ხაზგამულია მათი თეატრალური მოღვაწეობა, განხილულია დრამატურგიული შემოქმედება.

2.

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
***დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***
1.
2.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. „ქართული საბავშვო მწერლობა. „დედაენიდან“ სალამურამდე“; N SPG-22-213
მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი.
დაწყება- 1.09.2022-დასრულება 1.07.2023

2. **„ვარლაამ და იოასაფის ისტორიის“ ქართულ და ბერძნულ რედაქციათა ურთიერთ-მიმართება; სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები; ლიტერატურის, კულტურისა და ხელოვნების კვლევები; ფილოლოგ**ია, ტექსტისა და გამოსახულების კვლევა. FR-21-2001; 2022-2024.
3. ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი (FR-21-8335) _ „კავკასიის საცენზურო კომიტეტი“ XIX საუკუნის საქართველოში და რუსეთის იმპერიული მმართველობის მექანიზმები, სამეცნიერო მიმართულება _ ჰუმანიტარული მეცნიერებები (21.03. 2022 _ 21.03. 2024 წწ.)
**4. ლორია, კახაბერ- კოორდინატორი რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო პროექტისა:
„გურამ გეგეშიძის მხატვრული პროზა“. 11.12.2023-11.04.2024 (საგრანტო პროექტის N: SP-23-430)**
5.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ხელმძღვანელი - ირმა რატიანი; კოორდინატორი - ლილი მეტრეველი

ძირითადი პერსონალი - პროდიუსერი ნინო ჭალაგანიძე

ძირითადი პერსონალი. სპიკერები: ნანა ფრუიძე, ჰაიატე სოტომე, სალომე ლომოური, მაკა ელბაქიძე, ეკა ჩხეიძე, ირმა რატიანი, მარიამ გიორგაშვილი

**2. პროექტის ხელმძღვანელი, პროფ. ე. ხინთიბიძე პროექტის ფარგლებში მისი უმთავრესი მოვალეობაა, თხზულების ბერძნულ და ქართულ ხელნაწერთა ტექსტების შედარებაზე მუშაობა და კვლევის საბოლოო დასკვნების ჩამოყალიბება, ასევე მონოგრაფიის საბოლოო რედაქციის შექმნა, პროექტის განხორციელებისას სამეცნიერო მოხსენებების მომზადება და სტატიების გამოქვეყნება, ორგანიზება დასკვნითი საერთაშორისო კონფერენციისა.**

მკვლევარი – გაგა შურღაია – ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლ'ორიენტალეს" ასოცირებული პროფესორი

პროექტის ფარგლებში იმუშავებს ვენეციის ბერძნულ და ნეაპოლის ლათინურ ხელნაწერებზე, როგორც დამოუკიდებლად, ასევე პროექტის მონაწილეებთან ერთად. იგი ჩართული იქნება პროექტით დაგეგმილი მეცნიერული კვლევის ყველა ეტაპზე; პროექტის განხორციელებისას სამეცნიერო მოხსენებების მომზადებასა და სტატიების გამოქვეყნებაში.

მკვლევარი – ქეთევან აბესაძე – თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბერძნული და ლათინური ენების მასწავლებელი.

პროექტის ფარგლებში მისი ძირითადი მოვალეობა ბერძნული ხელნაწერების შესწავლა და ბერძნული ხელნაწერის ტექსტის გამოსაცემად მომზადებაა.

ირმა მაკარაძე – კოორდინატორი – თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მკვლევარი.

პასუხისმგებელია პროექტის მართვაზე, ადმინისტრირებასა და საორგანიზაციო საქმეებზე; მონაწილეობას მიიღებს საკითხის მეცნიერული კვლევის ყველა ეტაპზე, პროექტის განხორციელებისას სამეცნიერო მოხსენებების მომზადებასა და სტატიების გამოქვეყნებაში, დასკვნითი საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზებაში.

ახალგაზრდა მეცნიერი — კოტე ლომიძე, თსუ, უფროსი სპეციალისტი

პროექტში ჩართულია მკვლევარის სტატუსით. რადგანაც მას აქვს ხელნაწერებსა და საარქივო მასალაზე მუშაობის გამოცდილება სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში, პროექტში მისი ძირითადი მოვალეობაა „ბალავარიანის" საკუთრივ ქართულ ხელნაწერებზე მუშაობა. პროექტის განხორციელებისას სამეცნიერო მოხსენებების მომზადებასა და სტატიების გამოქვეყნებაში, დასკვნითი საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზებაში.

3. თამარ შარაბიძე (ხელმძღვანელი), თამარ ციციშვილი (კორდინატორი), გოჩა კუჭუხიძე (ძირითადი პერსონალი), დოდო ჭუმბურიძე (ძირითადი პერსონალი), ანა დოლიძე (ახალგაზრდა მეცნიერი)

4. ანა გოგილაშვილი - პროექტის ხელმძღვანელი, სამეცნიერო ნაშრომის ავტორი (სულხან-საბას უნივერსიტეტი); კახაბერ ლორია - პროექტის კოორდინატორი, ნაშრომის სამეცნიერო რედაქტორი

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

**1. მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაგეგმილი იყო 10-10 წუთიანი სამეცნიერო-შემეცნებითი ფილმების შექმნა, სახელწოდებით - „ქართული საბავშვო მწერლობა. „დედაენიდან“ სალამურამდე“.**
**პროექტი მოიცავდა ცხრა საუბარს იმ ქართველი ავტორების ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის განვითარებაში.**
*ეს ავტორებია:*

- იაკობ გოგებაშვილი;
- აკაკი წერეთელი;
- ვაჟა-ფშაველა;
- შიო მღვიმელი;
- ეკატერინე გაბაშვილი;
- რევაზ ინანიშვილი;
- ოტია იოსელიანი;
- ნოდარ დუმბაძე;
- არჩილ სულაკაური.

პროექტის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ქართველი საბავშვო მწერლებისა და მათი ღვაწლის წარმოჩენა, ერთი მხრივ, ქართული, მეორე მხრივ, კი საერთაშორისო საზოგადოებისთვის. ფილმებს დართული აქვს ინგლისურენოვანი ტიტრები, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საერთაშორისო აუდიტორიის ინტერესს და ადვილებს ფილმის გავრცელებას.

2. პროექტის ძირითადი პრაქტიკული და თეორიული შედეგები 2023 წელს: დამუშავდა „ბალავარიანის“ პრობლემასთან დაკავშირებული ფუნდამენტური ლიტერატურა; მათ შორის, ევროპელ ბიზანტინისტთა უახლესი სამეცნიერო შრომები; მუშავდება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ქართული „ბალავარიანის“ ორივე რედაქციის და ექვთიმე ათონელის ბერძნულიდან ქართულად თარგმნილი თხზულებების ხელნაწერები; ნაწილობრივ დამუშავდა „ვარლაამ და იოასაფის“ ბერძნული ხელნაწერები საზღვარგარეთის ბიბლიოთეკებსა და არქივებში. დაწყებულია ბერძნული და ქართული ხელნაწერების შესწავლით მოპოვებული მონაცემების ურთიერთშეჯერება და კვლევის შედეგად გამოვლენილი ქართული და ბერძნული ხელნაწერების პარალელური ციფრული გამოცემის მომზადებაზე მუშაობა. მომზადებულია და დაბეჭდილია სტატიები პროექტის მონაწილეების ავტორობით.
3. შესწავლილია ფონდის # 480 (კავკასიის საცენზურო კომიტეტი) I ანაწერის მასალები, დადგენილია კსკ-ის მუშაობის მექანიზმები, ხელმძღვანელი დაწესებულებები და მიზნები, შესწავლილია I ანაწერში შესული ცენზორთა მიერ აკრძალული და ნებადართული მასალები, დასაბეჭდად მომზადებულია ქართველ დრამატურგთა გამოუქვეყნებელი პიესები, აღმოჩენილია ალ. ყაზბეგის დრომდე უცნობი პიესა „ყველაფერი ბედზედ არის“, მიმდინარეობს კვლევა ბარათაშვილის ან მისი სკოლის ორი უცნობი ლექსის ავტორის დასადგენად.; შესწავლილია მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრის დრამატურგთა ენობრივი თავისებურებები.
4. სამეცნიერო ნაშრომის ღირებულებასა და გურამ გეგეშიძის შემოქმედების კვლევის აქტუალურობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ზოგადად თანამედროვე ქართული ლიტერატურის სამეცნიერო შესწავლის პროცესში (მიუხედავად იმისა, რომ არაერთი სახელმძღვანელო და კვლევა გამოიცემა) სისტემური თეორიული და პრაქტიკული

სახელმძღვანელოების სიმწირე კვლავაც თვალშისაცემია; ეს ეხება გურამ გეგეშიძის შემოქმედებასაც. მიუხედავად იმისა, რომ იგი მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული და მნიშვნელოვანი ავტორია, მწერლის თხზულებები დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი. მონოგრაფია წარმოადგენს ანა გოგილაშვილის სადისერტაციო კვლევის გადამუშვებულ, შევსებულ გამოცემას (აღნიშნული დისერტაცია „გურამ გეგეშიძის მხატვრული პროზა“ დაცულია 2019 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბაზაზე, პროფ. კახაბერ ლორიას ხელმძღვანელობით). იმის გათვალისწინებით, რომ საკვლევმა თემატიკამ პროფესიულ წრეებში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში არსებული ნაკლული ცოდნის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანია ნაშრომის ცალკე მონოგრაფიის სახით გამოცემაც. იმის გათვალისწინებით, რომ გურამ გეგეშიძის პროზის სამეცნიერო კრიტიკა მცირერიცხოვანია, ამავდროულად კრიტიკული წერილების უმრავლესობა 20 წელზე მეტი ხნისაა, ამ დრომდე ვერ მოხერხდა, მწერლის შემოქმედებას საკადრისი ადგილი დაემკვიდრებინა უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიასა და, ზოგადად, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. მონოგრაფიაში განხილული ზოგიერთი ნაწარმოები კი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში საერთოდ არ იძებნება. აშკარაა, რომ მწერლის შემოქმედება ახლებურ მიდგომასა და ანალიზს საჭიროებს, წარმოდგენილი ნაშრომი სწორედ ამ დანაკლისის შევსების ამოცანას ემსახურება.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი. N SPG-23-553. დაწყება - 1.09.2023 - დასრულება 1.07.2024

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ხელმძღვანელი - ირმა რატიანი; კოორდინატორი - ლილი მეტრეველი

ძირითადი პერსონალი - პროდიუსერი ნინო ჭალაგანიძე

ძირითადი პერსონალი: სპიკერები: ირმა რატიანი, მაკა ელბაქიძე, გაგა ლომიძე, თათია ობოლაძე, ლილი მეტრეველი.

2.

***დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1. პროექტი *მიზნად* ისახავს ქართული ლიტერატურის ინტერნაციონალიზაციასა და პოპულარიზაციას, ამავე დროს სამომავლოდ ერთობლივი ტრანსნაციონალური პროექტებისა და კვლევების წარმოებას, საერთაშორისო საგრანტო პროექტებში სამომავლო პარტნიორობას, კოლაბორაციის გაღრმავებას, პარტნიორთა ქსელის გაფართოებასა და ლიტერატურის, როგორც უმნიშვნელოვანესი შემოქმედებითი ინდუსტრიის, კომერციონალიზაციას.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები - კვლევითი ვიზიტები დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში - მნიშვნელოვნად წაახალისებს ქართული ლიტერატურის ინტერნაციონალიზაციისა და პოპულარიზაციის პროცესს, გაზრდის ინტერესს პატარა ერების ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმართ.
პროექტის ფარგლებში ამ ეტაპზე შეირჩა შემდეგი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პარტნიორი ქვეყნები და ინსტიტუციები:
1) საფრანგეთი/პარიზი - ახალი სორბონას უნივერსიტეტი - (Sorbonne Nouvelle University)
2) აზერბაიჯანი/ბაქო - ხაზარის უნივერსიტეტი - Khazar University.
3) აზერბაიჯანი/ბაქო - აზერბაიჯანის დიპლომატიური აკადემია
4) ) გერმანია/ოდერის ფრანკფურტი - ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტი - Viadrina European University https://www.europa-uni.de/en/index.html);
5) ბულგარეთი/სოფია - ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემია, ლიტერატურის ინსტიტუტი - Bulgarian Academy of Sciences (BAS), Institute for Literature
14 ნოემბერს სორბონის უნივერსიტეტში (პარიზი) მაკა ელბაქიძემ წაიკითხა საჯარო ლექცია ***The Knight in the Panther's Skin* and European Chivalry Romance („ვეფხისტყაოსანი" და ევროპული რაინდული რომანი").**
15 ნოემბერს კიდევ ერთი ლექცია იქნა წაკითხული სორბონის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის განყოფილებაში: მაკა ელბაქიძე - ***Shota Rustaveli and Medieval Oriental Literature*** (შოთა რუსთაველი და შუასაუკუნეების აღმოსავლური ლიტერატურა).
2023 წლის 6 დეკემბერს ხაზარის უნივერსიტეტში შეკრებილი პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების მრავალრიცხოვანმა აუდიტორიამ მოისმინა ორი საჯარო ლექცია: „ქართული ლიტერატურა წითელი ტერორისა და იზოლაციის წინააღმდეგ" (ირმა რატიანი) და „შოთა რუსთაველი და შუასაუკუნეების აღმოსავლური პოეზია" (მაკა ელბაქიძე). მომხსენებლებმა უპასუხეს დამსწრე საზოგადოების კითხვებს და მონაწილეობა მიიღეს დისკუსიაში. შეხვედრა შეაჯამა უნივერსიტეტის დამაარსებელმა და პროფესორმა ჰამლეტ ისახანლიმ.
7 დეკემბერს ირმა რატიანსა და მაკა ელბაქიძეს უმასპინძლა აზერბაიჯანის დიპლომატიურმა აკადემიამ. ირმა რატიანმა შეკრებილ სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს გააცნო ბაქოში სამეცნიერო ვიზიტის მიზნები და ისაუბრა ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის შემდგომ პერსპექტივებზე. მაკა ელბაქიძემ წაიკითხა საჯარო ლექცია „შოთა რუსთაველი და ნიზამი განჯელი. კულტურული გადაკვეთები". ლექციის შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც სტუდენტებმა, ისე აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებმა.

2.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები
3.1. გარდამავალი პროექტი
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.
*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

3.2. დასრულებული პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. თამარ შარაბიძე, თამარ ციციშვილი, ქართული დრამატურგიის ქრესტომათია ( ნაცნობი და უცნობი ტექსტები), II ტომი, თსუ გამომცემლობა, 2023 წ., გვერდი481.

2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1. „ქართული დრამატურგიის ქრესტომათიაში" (ნაცნობი და უცნობი ტექსტები), II ტომი, შესულია შემდეგი ავტორები: ივ. კერესელიძე, ბ. ჯორჯაძე, რ. ერისთავი და გ. დვანაძე, ლ. არდაზიანი. მეორე ტომი შედგენილია პირველის პრინციპით. მასში პირველად იბეჭდება დვანაძის ახლად მიკვლეული პიესა, პირველად ავტორის სახელითა და გვარით იბეჭდება ჯაფარიძის პიესა „მაიკო", რომელიც გამომცემელთა შეცდომით გ. ერისთავის თხზულებათა 1867 წლის გამოცემაში იყო შეტანილი.

2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ნესტან სულავა, ნიკოლოზ გულაბერისძის ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო მოძღვრება და ივანე ჯავახიშვილი. THE PHILOSOPHICAL AND THEOLOGICAL VIEWS OF NIKOLOZ GULABERISDZE AND IVANE JAVAKHISHVILI. Filological Researches/„ფილოლოგიური კვლევები" (impact factor: 0,591). გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო, სამეცნიერო რეცენზირებადი ელექტრონული ჟურნალი. #7. 2023. გვ. 95-104. ISSN 2667-9612 გამოქვეყნებული: 2023-12-17 ვებ-მისამართი: http://www.sciencejournals.ge/index.php/NJ

2. ნესტან სულავა, ნანა გონჯილაშვილი, ივანე ჯავახიშვილი ძველი ქართული მწერლობის კლასიფიკაციისა და თხრობის სტილის შესახებ. Ivane Javakhishvili on the classification and style of narration of old Georgian writing II საერთაშორისო კონფერენცია ტერმინოლოგია — მემკვიდრეობა და თანამედროვეობა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტი ტექინფორმი, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის ასოციაცია. 2022. (განთავსებულია რეპოზიტორზე). (დაიბეჭდა 2023 წელს).

3. ნესტან სულავა, გიორგი მცირის ეპისტოლე წმ. გიორგი შეყენებულისადმი. ivane javaxiSvilis saxelobis Tbilisis saxelmwifo universiteti, humanitarul mecnierebaTa fakulteti, saqarTvelos istoriis instituti, Sromebi. XIX, 2023. გვ. 48-58.

4. ნესტან სულავა, წმ. გრიგოლ ხანცთელი და გიორგი მერჩულე – მარადიულ სულიერ ღირებულებებზე ორიენტირებული მოღვაწენი. სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი". 2023, # 10. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კულტური კვლევის ცენტრი. გვ. 59-65.

5. ლელა ხაჩიძე. მიქაელ მოდრეკილის მოღვაწეობის უცნობი სფერო. ფილოლოგიური ძიებანი, # 6. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023, გვ. 155-161
(impact-factor: 0.857; indexed in ISI database, Online ISSN: 2667-9612)

6. მაკა ელბაქიძე. „ჰაკი აძბას" ორგვარი დასასრული და ორი სიმართლე. მე-16 საერთაშორისო სიმპოზიუმის *ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. სოციალისტური რეალიზმის ეპოქა ლიტერატურასა და ხელოვნებაში. მასალები.* თბილისი (იბეჭდება)

7. ეკა ვარდოშვილი. ლირიკული თანხვედრანი მსოფლიო პოეზიაში, Lyrical coincidences in the world poetry, სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი ენა და კულტურა, Language and Culture Scientific Peer Reviewed Journal, №30, ISSN1987-7323, E-ISSN2720-7900, https://doi.org/10.52340/lac, https://journals.4science.ge/index.php/enakultura, Impact Factor 2023:8.029; ჰუმანიტარულ და პედაგოგიურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი, Foundation For Development of Art and Pedagogocal Sciences, Crossref, ქუთაისი 2023 Kutaisi, გვ.62-70. ინდექსირებულია - Google Scholar.

8. თამარ შარაბიძე, გოჩა კუჭუხიძე, დოდო ჭუმბურიძე, ცენზორის ინსტიტუტი XIX საუკუნის 50-70-იანი წლების ქართული გამოცდილების კონტექსტში, ჟურნალი „სჯანი", # 24, 2023 წ., ISSN _ 1512-2514, 18 გვერდი.
9. თამარ შარაბიძე, „რუსობისგან მოტანილი საქმე" _ ლადო კოტეტიშვილის მოთხრობა „გველტუჩა", მე-16 საერთაშორისო სიმპოზიუმის _ „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები" _ მასალები,http://literaturatmcodneoba.tsu.ge/sxvagamoc.htm 15 გვერდი.
10. თამარ შარაბიძე, ოთარ ჩხეიძის რომანი „ბურუსი" და ჩვენი თანამედროვეობა, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის _ „კულტურათაშორისი დიალოგები" _ მასალები, 2023 წ. 8 გვერდი. ISSN _2233-3401,E- ISSN_ 2667-999X, ჟურნალის DOI: https://doi. Org/10.52340/idw
11. თამარ შარაბიძე, „იასე იანუსი" _ შეწყნარებული თუ გამეტებული? (როსტომ ჩხეიძის ამავე სათაურის ბიოგრაფიული რომანის მიხედვით), ჟურნ. „XIX საუკუნე _ ეპოქათა მიჯნა" #4, 2023 წ. თსუ. ISBN 978-9941-13-675-7. 8 გვერდი.

12. ლორია, კ. – „მათმა თვალებმა სისხლი არ უნდა ნახონ, მარიამ!.." (ლეო ქიაჩელის რომანის - „გვადი ბიგვა" გააზრებისათვის) სტატია მასალებში, 12გვ., XVI საერთაშორისო სიმპოზიუმი – ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები: „სოციალისტური რეალიზმის ეპოქა ლიტერატურასა და ხელოვნებაში", 27-29 სექტემბერი, 2023წ. თბილისი, თსუ, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

13. ქეთევან სიხარულიძე, კავკასიელთა სამონადირეო ტრადიციების სემანტიკისთვის // ,,კულტურათაშორისი დიალოგები ", VII, შრომები, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2023, გვ.382-387. ISSN: 2233-3401
E-ISSN 26677-999X DOI: https://doi.org/10.52340/idw

14. თამარ პაიჭაძე, აღმოსავლური და ევროპული კულტურული ორიენტაცია -გამოწვევები ქართული ლიტერატურული პროცესისათვის.
DOI: [https://doi.org/10.52340/idw.2023.55](https://doi.org/10.52340/idw.2023.55)„კულტურათაშორისი დიალოგები", E-ISSN 2667-999X ; ISSN: 22333401; https://journals.4science.ge/index.php/IDW ; თბილისი 2023

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულება - „საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ", რომელიც ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო მოძღვრებას ასახავს, უმნიშვნელოვანეს ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებად მიიჩნია ივანე ჯავახიშვილმა და მნიშვნელოვანი შეხედულებანი გამოთქვა თხზულების მიზანდასახულობის, ისტორიის ფილოსოფიისა და ესთეტიკური შეხედულებების შესახებ, რაც ბიზანტიურ მწერლობასთან შედარების საფუძველზე განიხილა და წარმოაჩინა მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებანი. ნიკოლოზ კათალიკოსმა თავის თხზულებაში აღნიშნა, რომ ქართველებს არ ჰქონიათ ჩვევად ფილოსოფიური აზროვნებისა და ენამჭევრობისა, სამეცნიერო გამოძიებისა. სწორედ ეს საკითხი გახდა ივანე ჯავახიშვილის დაკვირვების საგანი. მისი აზრით, ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულება სიახლეა, რადგან თვით ნიკოლოზმა თავისი ზემოხსენებული ნაშრომი სწორედ *„ჴელოვნების ნასიბრძნად"* მიიჩნია და წარუდგინა მკითხველს. მეცნიერმა აღნიშნა კიდეც, რომ კათალიკოსი ფილოსოფიურ მსჯელობას, ნასიბრძნს ამჯობინებს, ვიდრე ისტორიულ სხვადასხვა საკითხზე საუბარს, ისიც სრულიად მართებულად აღნიშნა, რომ ნიკოლოზის თხზულება დალაგებული, *„შემდგომითი შემდგომადი მოთხრობა"* არაა. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია „საკითხავში" დასმულ ქართველთათვის მნიშვნელოვან პრობლემებზე. მან ფილოსოფიური საფუძვლები დაუძებნა ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებაში დამოწმებულ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა *„მგონებლობითი აღწერაჲ"*, *„ძიება"*, *„გამოძიება"*, *„საძიებელი"*, რომლებიც წმინდა ნინოს საქართველოში მოღვაწეობის რაობისა და მნიშვნელობის განსაზღვრისათვის სჭირდება. ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებაში დასმული ისტორიული, ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო საკითხები ერთმანეთთან კავშირშია განხილული და შეფასებულია ივანე ჯავახიშვილის მიერ როგორც ერთიანი სისტემა, რომელთა გამოყენებით ნიკოლოზს განუზრახავს იმ ნაკლის შევსება, რომელიც ქართველებს სხვა ერებთან, კერძოდ, ბერძნებთან შედარებით ჰქონდათ. ივანე ჯავახიშვილის სტატიის უმთავრესი მიზანი იყო ნიკოლოზ გულაბერისძის როგორც ისტორიკოსის, ფილოსოფოსის, საეკლესიო ისტორიის ღრმა მცოდნის სახის ჩვენება და ამ შეხედულებათა მნიშვნელობის განსაზღვრა, რის განხილვამაც იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ნიკოლოზს ჰქონია დაკვირვებისა და ღრმა აზროვნების უნარი და ნიჭი. თუმცა, მისი ნიჭის სრულ გამოხატულებად მისი თხზულება

არ მიაჩნია და გულდაწყვეტით აღნიშნა, რომ მას მეტის გაკეთება შეეძლო, რის საფუძველსაც იძლევა ფილოსოფიის, ესთეტიკის, საეკლესიო ისტორიის, ისტორიის ფილოსოფიის შესახებ თხზულების დასაწყისში მსჯელობა.

2. ივანე ჯავახიშვილის კვლევამ ძველი ქართული მწერლობის ძეგლების თხრობის სტილის შესახებ, რომელიც მისი ფუნდამენტური ნაშრომის - „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა" - შესავალს წარმოადგენს, უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა საზოგადოდ ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის, საისტორიო მწერლობის კონცეპტუალური საკითხების შესასწავლად. მან არსებითად პირველმა მიაქცია ყურადღება და ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები საისტორიო და სასულიერო სამწერლო ტრადიციებში გამოყენებული მთხრობელისა და თხრობის შინაარსის შემცველი ტერმინოლოგიის შესახებ, რაც ძველი ქართული მწერლობის თხზულებათა კლასიფიკაციის საკითხების პარალელურად განიხილა. ესენია: მწერლობის ორ მიმართულებად - საეკლესიოდ და სამოქალაქოდ - განყოფის საკითხი, სასულიერო და საისტორიო მწერლობაში გამოყენებული „ჭეშმარიტისმეტყველების" მეთოდი, რაც თვალითხილულის აღწერას გულისხმობს, თხზულებათა წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით შექმნა, თხრობის სტილის საკითხი, რომელთა საფუძველზე დასმულია ამბის აღმწერლის პრობლემაც. ტერმინოლოგიის სიმრავლე განაპირობა ძველი ქართული მწერლობის ძეგლების შინაარსობრივმა და ჟანრობრივმა მრავალფეროვნებამ. ივანე ჯავახიშვილმა თავისი ტერმინოლოგიური დაკვირვებები საისტორიო თხზულებათა შესახებ წარმართა, თუმცა, მათი უმეტესობა ფილოლოგიურ-ლიტერატურათმცოდნეობითი თვალთახედვითაცაა განსახილველი.
სწორედ ამიტომ მოხსენებაში განიხილება სხვადასხვა რიგის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ტერმინები, კერძოდ, ჟანრობრივი თვალსაზრისით: მოთხრობა, წარმოჩენა, უწყებაჲ, ჴსენებაჲ, აღწერა, ისტორია, ხრონოგრაფი, წარმოთქმა; ავტორი: თვითმხილველი, გამომთქმელი, ჟამთააღმწერელი, სიტყჳსმოქმედი, მემატიანე; თხრობის სტილის მიხედვით: წესი თხრობისაჲ, „ნეშტი თხრობისაჲ", „საზღვარი სიტყჳსაჲ", „გზა სიტყჳსაჲ", სიტყვათა სარბიელი, პირველდაწყებული სიტყვა და ზემოდატევებული ამბავი; თხრობის თანმიმდევრობა: „შემდგომითი შემდგომად", „შეუწყობლად და განბნეულად", ლიტონი სიტყვა, რიტორული ხელოვნებითა და ჯეროვანი რიტორობით აღწერილი ამბავი; სტრუქტურული თვალსაზრისით: ხელნაწერი წიგნის ზანდუკი და ანდერძი. ამ საკითხთა შესახებ გამოტანილ დასკვნათა უმრავლესობა სამეცნიერო სივრცეში საყოველთაოდაა აღიარებული და დამკვიდრებული, ნაწილი - შევსებული, გაღრმავებული და ახალი ინტერპრეტაციებით წარმოდგენილი. მოხსენებაში საუბარია ყოველ წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით არსებულ განსხვავებულ მოსაზრებათა შესახებ ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევების საფუძველზე თანამედროვე ეტაპზე.
ჩვენს ნაშრომში წარმოჩენილია ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი შუა საუკუნეების ეპოქის სააზროვნო სივრცის კონტექსტში ძველი ქართული მწერლობის რაობის, კლასიფიკაციის, ჟანრის, თხრობის სტილის, ავტორისა და სახელწოდებათა არსის გააზრების შესახებ თანამედროვე ფილოლოგიურ-ლიტერატურათმცოდნეობითი მეცნიერების მონაცემების საფუძველზე.

3. . გიორგი მცირის ეპისტოლეს, რომელიც წინ უძღვის მის ჰაგიოგრაფიულ თხზულებას `წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება~, ისტორიული და სახისმეტყველებითი ღირებულება აკისრია, რადგან იგი გვეხმარება მწერალი-ჰაგიოგრაფის

მიზანდასახულობის, ეპისტოლის დანიშნულების, წმ. გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობისა და მოქალაქობის შესახებ თხზულების შექმნის მნიშვნელობის განსაზღვრაში, გიორგი შეყენებულისა და გიორგი მცირის ურთიერთობის, განათლების, საზოგადოებაში მათი ადგილის, ავტორიტეტის, რაც მთავარია, სულიერი ხატ-სახის გააზრებაში, თხზულების მიზანდასახულობასა და დაწერის თარიღის, ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებათა მახასიათებელთა განსაზღვრაში, მწერლის საღვთისმეტყველო ცოდნის, მსოფლმხედველობისა და მხატვრული სააზროვნო სივრცის აღქმაში. ქართული ჰაგიოგრაფია ეპისტოლარულ სტილს იყენებს თავისი მიზანდასახულობის კვალობაზე, მასში აქსოვდნენ თავიანთ მსოფლმხედველობრივ, ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებს, რაც ეპოქის სულისკვეთებას, საზოგადოებრივ მდგომარეობასა და მოთხოვნებს ასახავდა.
დაკვირვება მოწმობს, რომ გიორგი მცირის, ისევე როგორც სამოელ ქართლის კათოლიკოსისა და იოვანე საბანის ძის ეპისტოლის არქეტიპია ახალი აღთქმის ეპისტოლარული ნაწილი, შვიდი კათოლიკე ეპისტოლე და პავლეს თოთხმეტი ეპისტოლე, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება. ახალი აღქმის ეპისტოლარულ მემკვიდრეობასა და, საზოგადოდ, ჰაგიოგრაფიის ეპისტოლეებს შორის, კერძოდ, გიორგი მცირის ეპისტოლეს შორის, განსხვავება თვალსაჩინოა. მოციქულთა ეპისტოლეების ძირითადი დანიშნულება ქრისტიანული მოძღვრების ქადაგება იყო, ხოლო ჰაგიოგრაფიული თხზულებისათვის წამძღვარებულ ეპისტოლეს სხვა დანიშნულება აქვს, იგი მკითხველს აკვალიანებს თხზულების შექმნის აუცილებლობაში, ამცნობს იმ ვითარებას, რის გამოც შეიქმნა იგი. დაკვირვების შედეგად გამოვლინდა გიორგი მცირის ინდივიდუალური სახის მქონე ეპისტოლეს უდიდესი საღვთისმეტყველო-ლიტერატურული მნიშვნელობა აქვს. ჰაგიოგრაფმა თავის ეპისტოლეში მკითხველამდე მიიტანა თავისი ძირითადი სათქმელი, წარმოეჩინა თხზულების შექმნის საფუძველი და განემარტა თავისი თხზულების მიზანდასახულობა.
4. სტატიის თემაა წმ. გრიგოლ ხანცთელი და გიორგი მერჩულე როგორც მარადიულ სულიერ ღირებულებებზე ორიენტირებულ მოღვაწეთა შესახებ მსჯელობა. წმ. გრიგოლ ხანცთელი და გიორგი მერჩულე როგორც „მარადიულობას ჩამოწყვეტილი ამქვეყნიური დროის" (მიქაელ ფსელოსი) მოღვაწეები ორიენტირებულნი იყვნენ რწმენის, იმედის, სიყვარულის, ადამიანის შინაგანი ჰარმონიულობისა და სისრულის, ქველმოქმედების, საზოგადოდ, სულიერისა და ინტელექტუალურის, დანერგვა-გავრცობაზე. სწორედ ამ საქმიანობითა და სულიერი მემკვიდრეობით წარმოგვიდგებიან ისინი მარადცვალებად სამყაროში მარადიულ ღირებულებებზე ორიენტირებულ მოღვაწეებად. თავის მხრივ, ჰარმონიულობა, რწმენა, იმედი, სიყვარული, ქველმოქმედება ის მარადიული სულიერი და ინტელექტუალური ღირებულებებია, რომლებიც ჩვენს მარადცვალებად სამყაროში გადაფასებას არ ექვემდებარება, კაცობრიობა მათ ინარჩუნებდა, ინარჩუნებს და კვლავაც შეინარჩუნებს როგორც მარადიულ, წარუვალ ღირებულებებს სულიერი და ინტელექტუალური თვალსაზრისით.

5. მიქაელ მოდრეკილი ჩვენი წარსულის ერთ-ერთი უდიდესი პიროვნებაა. შატბერდის მონასტერში, 978-988 წლებში, მან შეადგინა ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთი უნიკალური ნიმუში - „ნევმირებული იადგარი". მან, როგორც რედაქტორმა, უდიდესი მუშაობა გასწია. ის ამ კრებულში დაცული საგალობლების ჯგუფის ავტორიცაა.

წინამდებარე სტატიაში შესწავლილია მიქაელ მოდრეკილის „ყოველთა წმიდათადმი“ მიძღვნილი საგალობლები, რამაც გამოავლინა მისი მოღვაწეობის აქამდე უცნობი სფერო.

კვლევა ემყარება კალენდარული მაჩვენებლების შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას და თვით ამ საგალობლის პუბლიკაციას.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

მიქაელ მოდრეკილის ეს საგალობელი, ფაქტობრივად, წარმოადგენს „კალენდარს“, რომელიც შეიცავს 425 ხსენებას. ეს ხსენებები მოძიებული და დაჯგუფებულია თავად მიქაელ მოდრეკილის მიერ.

ეს საგალობელი - „კალენდარი“ ეძღვნება „ყოველთა წმიდათა“ ხსენებას, რომელიც გავრცელებული ყოფილა ქართულ საეკლესიო ტრადიციაში.

მიქაელ მოდრეკილის „კალენდარი“ ბევრად ვრცელია, ვიდრე წინადროინდელი ან მისი თანამედროვე ამავე ტიპის კრებულები.

მიქაელ მოდრეკილი, სხვა ანალოგიური კრებულებისაგან განსხვავებით, ჩამოთვლასთან ერთად, ზოგჯერ საგალობლებსაც უძღვნის დასახელებულ წმინდანებს.

„კალენდარში“ შესულია ქართველ მოწამეთა ხსენებებიც. მიქაელ მოდრეკილი მოკლედ და არსებითად განსაზღვრავს მათ ღვაწლს.

მიქაელ მოდრეკილის „კალენდრის“ ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს წარმოახდგენს „კიმენის“ სახელით ცნობილი უძველესი ჰაგიოგრაფიული ტექსტები.

მიქაელ მოდრეკილს დიდი შრომა გაუწევია ამ მნიშვნელოვანი ძეგლის შესაქმნელად, როგორც ჰიმნოგრაფს და როგორც ლიტურგისტს.

6. ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა“ 1933 წელს დაიბეჭდა „სალიტერატურო გაზეთში“. რომანში ნაჩვენებია დაპირისპირება ორ ანტაგონისტურ კლასს შორის, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ დაპირისპირებაში არ არის მტყუანი და მართალი, გამარჯვებული და დამარცხებული: ორივე მხარეს აქვს „თავისი სიმართლე“ და მწერლის ოსტატობა ყველაზე კარგად მის ნეიტრალურ პოზიციაში ჩანს. ამ მთავარ პრობლემასთან ერთად ნაშრომში ხაზგასმულია ტექსტის ორი განსხვავებული დაბოლოების პრობლემა და მისი ანალიზი როგორც საბჭოთა, ისე პოსტსაბჭოთა ლიტერატურათმცოდნეების მიერ.

7. **ლირიკული თანხვერდრანი მსოფლიო პოეზიაში** ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, გათვალისწინება პარალელური მოტივებისა. ამით ჩვენ გავარკვევთ ნაციონალური მწერლობის ზოგიერთ წყაროსაც. 1828 წელს დაწერა მიცკევიჩმა „ფარისი“. მიჩნეულია, რომ „ფარისი“ იყო ბარათაშვილისათვის შთაგონების ერთ-ერთი წყარო, როდესაც იგი თავის „მერანს“ წერდა. გარდა საერთო კულტურული ისტორიული ფონისა, კონკრეტული ფაქტებისა და მწერალთა განწყობისა, ამ ორ ლექსს შორის არაერთ პოეტურ თანხვედრას ვხვდებით. „ფარისის“ გავლენითაა ასევე დაწერილი ცნობილი უნგრელი პოეტის შანდორ პეტეფის პოეტური ქმნილება „მერანი“ „ფარისის“ თემაზე შექმნილ ლირიკულ ნიმუშებად შეგვძლია ასევე მივიჩნიოთ რენე ფრანსუა არმან სიული პრიუდომის „ჭენება“, ვაჟა-ფშაველას „ლურჯა“ და ჰაინრიხ ჰაინეს უსათაურო ლექსი ***„კვლავ დამიბრუნდა ჯეელის ჯანი“.

ყველა ლექსი გამოხატავს ადამიანის სწრაფვას სიკეთისა, თავისუფლებისა და უსაზღვროებისაკენ. ყველა ავტორისათვის პოეტური ხატი მერანის სახეა, ისინი მსგავსი მხატვრული გრძნობით ქმნიან თავიანთ შედევრებს.

აღსანიშნავია, რომ ადამ მიცკევიჩის „ფარისის" ლიტერატურული პარადიგმა ვლინდება მსოფლიო პოეზიის ნიმუშებში. ამ იდეის მატარებელი პოეტური ქმნილებები შეიძლება ჩავთვალოთ ერთი ციკლის ლექსებად და მათ ვუწოდოთ „ფარისის" ციკლის ლექსები.

ნაშრომში ვსაუბრობთ იმის შესახებაც, თუ რომელი პოეტური ნიმუში შეგვიძლია, მივიჩნიოთ „ფარისის" ციკლის ლექსების ლიტერატურულ საფუძვლად. „ფარისის" ციკლის ლექსების ლიტერატურულ საფუძვლად შეგვიძლია, მივიჩნიოთ გოეთეს ლექსი „მეეტლე კრონოსს", რომელიც მან 1774 წელს დაწერა. ლექსი გოეთეს ფილოსოფიური ლირიკის საუკეთესო ნიმუშია.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა ვფიქრობთ, სიახლეს წარმოადგენს ლიტერატურათმცოდნეობისათვის.

8. სტატიაში აღწერილია კავკასიის საცენზურო კომიტეტის მიზნები, საქმიანობა, დებულებები, აკრძალვები, მუშაობის წესი, დამოკიდებულება სხვადასხვა მასალისადმი (1848- 1905 წწ)

9. საუბარია ლადო კოტეტიშვილის რეალისტურ მოთხრობაზე „გველტუჩა", რომელშიც აღწერილია რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია და ქართველი ხალხის ორგვარი დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი. გაანალიზებულია მწერლის სტილი.

10.დანახულია კავშირი ოთარ ჩხეიძის რომანის _ „ბურუსის" _ პრობლემატიკასა (XX საუკუნის შუა წლები) და დღევანდელობას შორის.

11. წარმოჩენილია 1932 წლის შეთქმულების გამცემის _ იასე ფალავანდიშვილის _ ფსიქოლოგიური პორტრეტი, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადო მოღვაწეები და მათი დამოკიდებულება ისტორიული მოვლენებისადმი

12. ლეო ქიაჩელის (1884-1963) მრავალმხრივი ლიტერატურული მემკვიდრეობა არაერთ შესანიშნავ მოთხრობასა და რომანს აერთიანებს. საგანგებოდაა აღსანიშნავი მისი პროზის ესთეტიკური და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნება: მწერალი, ადრეული მცირეტანიანი მოთხრობებით, გვევლინება მოდერნისტული პროზის ერთერთ უაღრესად წარმატებულ პიონერად, იმავდროულად ავტორია არაერთი ისეთი თხზულებისაც, ქართული ფსიქოლოგიური (ე.წ. განახლებული) რეალიზმის კლასიკურ ნაწარმოებთა რიგს რომ განეკუთვნება.

არაა გასაკვირი, რომ „მწერლობის მოთვინიერებად" სახელდებული უაღრესად დრამატული პროცესები ლეო ქიაჩელსა და მის შემოქმედებასაც შეეხო. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი ახალგაზრდობაში ეწეოდა გარკვეულ რევოლუციურ საქმიანობას, სოციალისტური რეალიზმის პრინციპებით მისი „დაინტერესება" მაინც ერთგვარი პოლიტიკური იძულების შთაბეჭდილებას ტოვებს. მწერალს, არსებითად, ორი ძირითადი გზა დარჩენოდა: ლიტერატურული ხარკი გადაეხადა გაბატონებული პირსისხლიანი რეჟიმისთვის, მიეგდო რა მისთვის იაფფასიანი ლიტერატურული სუროგატი, აღბეჭდილი ტრადიციული საბჭოური პროპაგანდისტული კლიშეებით ან, მართალია გარკვეული იდეოლოგიური ტენდენციურობის დაცვით, მაგრამ დარჩენილიყო მკითხველთან (ძირითადად მაინც) პირნათელი და შეექმნა მისი თანადროული

სინამდვილის მეტნაკლებად რეალური ხატი, იმდროინდელი ცხოვრების ასე თუ ისე ადეკვატური სურათი.

თავის დროზე უაღრესად გახმაურებულ რომანში „გვადი ბიგვა“ ლეო ქიაჩელმა ეს მეორე გზა აირჩია. რომანი, რომელიც 1941 წელს სტალინური პრემიით (სსრკ-ს სახელმწიფო პრემია) აღინიშნა და რომელიც თითქმის მაშინვე ითარგმნა საბჭოეთის ხალხების ყველა უდიდეს და ევროპის არაერთ ენაზე, გარეგნულად მაინც, აშკარად ემყარება სოციალისტური რეალიზმის ცნობილ პრინციპებს. იმავდროულად, ლეო ქიაჩელმა მისთვის დამახასიათებელი მხატვრული ოსტატობით მოახერხა 1930-იანი წლების ერთი ქართული სოფლის მაგალითზე მეტნაკლები ობიექტურობით ეჩვენებინა სხვადასხვა საზოგადოებრივ ძალთა ჭიდილი,  მთავარი გმირის - გვადი ბიგვას ფსიქოლოგიური მეტამორფოზა კი იშვიათი დამაჯერებლობითაა წარმოდგენილი და ცოტა რამ თუ აქვს საერთო მთავარ პერსონაჟთა ფერისცვალების საბჭოურ კლიშეებთან. ამ რომანის გააზრებისათვის უმნიშვნელოვანესია ნაწარმოებში გვადის ბოლო ფრაზა („მათმა [ბავშვების] თვალებმა სისხლი არ უნდა ნახონ, მარიამ!..“), სადაც, სავსებით შესაძლებელია, ყოველგვარი (და მათ შორის ბოლშევიკური) ძალადობის მიმართ შეფარული კრიტიკაც კი ამოვიკითხოთ.

13. სტატიაში განხილულია სამონადირეო ტრადიციები და მათი სემანტიკა განმარტებულია მითოლოგიური სიუჟეტების საფუძველზე. კავკასიელთა მითოლოგიაში სამონადირეო თემა საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი. აქ უძველესი ხანიდან ჩამოყალიბდა მონადირეობის ინსტიტუტი თავისი ტრადიციებითა და მითოსით. მითოსურ-რელიგიური წარმოდგენები გახდა სამონადირეო ტრადიციებისა და რიტუალების სააზროვნო საფუძველი, მათი სტრუქტურისა და სემანტიკის განმსაზღვრელი. მონადირეობას სარგებელი მოჰქონდა არა მარტო სამეურნეო თვალსაზრისით. იგი ასევე ხელს უწყობდა ადამიანების თვალსაწიერის გაფართოებასაც. ამიტომ მონადირე საზოგადოების გამორჩეული წევრი იყო.

სანადიროდ წასვლის წინ და ნადირობის პროცესში მონადირე ვალდებული იყო, ტაბუირების რთული სისტემა დაეცვა. პირველი და უმთავრესი მოთხოვნა ნადირობასთან დაკავშირებულ  წეს-ჩვეულებებში სიწმინდის დაცვა იყო, რადგან ნადირობა და ნადირთღვთაებასთან ურთიერთობა აღიქმებოდა როგორც საკრალური აქტი. ნადირის ძვალთან დაკავშირებული გადმოცემები და წესები მიუთითებს, რომ ღვთაებასთან ერთად მონადირეც მონაწილეობდა დახოცილი ნადირის აღდგომაში ანუ ბუნების აღორძინებაში ისიც იყო ჩართული. ნადირობის, როგორც საკრალური ქმედების თავისებურებებმა განაპირობა მონადირეთა საიდუმლო ენის გაჩენა და ამას თავისი დატვირთვა ჰქონდა როგორც ღვთაებასთან, ისე ნადირთან მიმართებაში.

სამონადირეო ტრადიციების დაცვაში პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მონადირის ცოლსაც. ქალის მონაწილეობა სამონადირო წესებში ასევე  მითოსური შინაარსითაა ნაკარნახევი. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ცოლის საქციელზე დამოკიდებული იყო არა მხოლოდ ნადირობის შედეგი, არამედ წარმატებული ოჯახური ცხოვრებაც.

ხალხის ხსოვნას  შემორჩა მონადირეთა ლოცვა-ვედრების სიმღერების ფრაგმენტები, რომლებსაც ყველაზე უფროსი ასაკის მონადირეები ასრულებდნენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს არის უძველესი რიტუალური პრაქტიკის ნაწილი, რომელშიც ცეკვაც შედიოდა. ამ ვარაუდს საფუძველს უმაგრებს ბრინჯაოს სარტყლებზე გამოსახული ნადირობის სცენები, რომლებშიც ცხოველებთან ერთად მოცეკვავე ადამიანებიც არიან გამოსახულნი.

სამონადირეო ტრადიციებში ყურადღება ექცევა მონადირის იარაღთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს, რომლებიც ინახავს იარაღის კულტის რუდიმენტებს. ეს დეტალები და

სალაშქროდ გამოყენებული მონადირეთა საიდუმლო ენა უნდა მიუთითებდეს ნადირობისა და საომარი მოქმედების ერთგვაროვნებაზე.

14. ლიტერატურის ისტორია ჟანრის, მეთოდოლოგიის, პრობლემატიკის და მხატვრული ფორმების მრავალფეროვნებასთან ერთად, კულტურულ- ისტორიული ორიენტაციის ისტორიასაც წარმოადგენს. ეს თეზა განსაკუთრებით მუშაობს კავკასიური კულტურის ისტორიის მაგალითზე. თავად ცნებაში - კავკასიური კულტურა მოიაზრება სხვადასხვა მცირე ერების განსხვავებული და ინდივიდუალური კულტურული ტრადიციები. მათ შორისაა ქართული კულტურა და მისი ყველაზე წარმომადგენლობითი ნაწილი- ლიტერატურა.
ახალი ისტორიული რეგულაციისა და ახალი კვლევების გზაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა კულტურის ინტეგრირება ევროატლანტიკურ კულტურულ სივრცეში. ეს საკითხი ტოტალიტარული რეჟიმის პოსტპერიოდის სახელმწიფოში განსაკუთრებით აქტუალურია.
დღესდღეობით არსებულ ლიტმცოდნეობით თუ კულტუროლოგიურ კვლევეთა კვალობაზე მოდერნისტული ხელოვნების საქართველოში დამკვიდრების ქრონო საწყისად XX საუკუნის ათიანი წლები უნდა მივიჩნიოთ; განიხილება, რომ „მოდერნისტულმა ნირვანამ“ ქართულ შემოქმედებით სივრცეში ყველაზე გვიან ოცდაათიანი წლები დამდეგამდე გასტანა და გარკვეულწილად კომპონენტური პროფილით წარმოჩნდა, იმდენად რამდენადაც, ქართულ ხელოვნებაში ის გამოვლინდა სხვადასხვა ავანგარდისტულ მიმართულებებში ამგვარი მაგისტრალური ცვლით: სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი, იმპრესიონიზმი, დადაიზმი, ფუტურიზმი, (თანამიმდევრობა დაცულია) და მაშინ როცა ეს მიმდინარეობანი ევროპაში თითქმის საუკუნენახევარი გაიწელა საქართველოში ის ოც წელიწადში „დაამთავრეს“. ...„დაამთავრეს“, რადგან ლიტერატურის (ხელოვნების) ისტორიაში მოდერნიზმის ამ უპრეცენდენტო „თავგადასავალს“ ფინალი კიდევ უფრო არაორდინალური ჰქონდა - მას დასასრულისკენ მიზანმიმართულად უბიძგეს და დახურვა აიძულეს; ამ პროცესის მთავარი მოქმედი პირი იყო კოლონიური სახელმწიფო და მისი ტოტალიტარული იოდეოლოგია, რომლის ერთი მთავარი მეთოდი „ტექსტზე ძალადობის“ პოლიტიკა იყო. მხატვრულ დისკურსთა კონტენტ ანალიზს ლოგიკურად მივყავართ დასავლური მხატვრულ-მსოფლმხედველობრივი ორიენტაციის ქართულ შემოქმედებით კონტექსტში ინსტალირების და სისტემატიზაციის საკითხთან. კავკასიურ სივრცეში მისი გავრცელების ქრონომეტრაჟი და ხარისხი განპირობებული იყო ისტორიული რეალობით. ის მერყეობდა და ცვალებადობდა ასევე კულტუროლოგიური ბაზისის გადანაცვლებათა შესაბამისად. ამ ფაქტორთა მიუხედავად, განვითარების ყველა ეტაპზე საცნაურია მიდრეკილება და სწრაფვა იმ ნოვაციური და ჰეგემონური ტენდენციებისაკენ, რომლებიც კონკრეტულ ეტაპებზე არსებობდა მსოფლიო კულტურის განვითარების გზაზე.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ნესტან სულავა, ნანა გონჯილაშვილი, ივანე ჯავახიშვილი ცნება-ტერმინთა შესახებ ძველ ქართულ ლიტერატურაში. რედაქტორი თამარ შარაბიძე. 2023. https://www.researchgate.net/publication/373842737_XIX_CENTURY_-_AT_THE_CROSSROADS_OF_EPOCHS_COLLECTION_OF_SCIENTIFIC_WORKS

2. ნესტან სულავა, `წმ. აბიბოს ნეკრესელის წამების~ კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური შესწავლისათვის.
აჭარის საარქივო სამმართველოს 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია". გამომც.: „უნივერსალი". თბილისი. 2023. გვ. 423-438

3. ნესტან სულავა, წმ. გიორგი შეყენებულის სულიერი მისია. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. საერთაშორისო კონფერენცია. 2023. 28-30 ივნისი.

4. ნესტან სულავა, ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულების ჟანრობრივი რაობისათვის. ენა და კულტურა, ქუთაისის VIII საერთაშორისო ონლაინ სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა". ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ISSN 1987-7323. ქუთაისი, საქართველო. 2-3-4 ივნისი, 2023 წელი. For the reference of one of the fables of Sulkhan-Saba Orbeliani to the poem of Nizami Ganjavi. Foundation For Development of Art and Pedagogical Sciences. Akaki Tsereteli State University. VIII International Online Scientific Conference "Language and Culture". Scientific Papers. Kutaisi.

5. ნესტან სულავა, `წმ. აბიბოს ნეკრესელის წამების~ კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური შესწავლისათვის.აჭარის საარქივო სამმართველოს 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთა შორისო სამეცნიერო კონფერენცია „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია". 27-29 აპრილი, 2023.

6. ნესტან სულავა, წმ. გრიგოლ ხანცთელი და გიორგი მერჩულე – მარადიულ სულიერ ღირებულებებზე ორიენტირებული მოღვაწენი. საქართველოს საპატრიარქო, ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, საერთაშორისო სიმპოზიუმი. 16-17 თებერვალი, 2023.

7. ნესტან სულავა, დავით აღმაშენებლის საგალობლის ერთი მეტაფორა-სიმბოლოს გააზრებისათვის („აღმართ მსრბოლი მდინარე"). დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი IX საერთაშორისო კონფერენცია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი. 10.02.2023.

8. ნესტან სულავა, ნანა გონჯილაშვილი, VIII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ-რელიგიური და კულტურულ-ლიტერატურული ვითარება კავკასიური სივრცის კონტექსტში. კავკასიოლოგთა II საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი - *კავკასიის ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური პორტრეტი.* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიოლოგიის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტი, არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ილია

ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი, ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრი. 17-19. 10. 2023.

9. მაკა ელბაქიძე. გლობალიზაცია როგორც ლიტერატურული ტენდენცია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. გლობალიზაცია - იდენტობა - ლიტერატურა. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2023. ISBN 978-9941-36-155-5, გვ.76-89.

10. ელგუჯა ხინთიბიძე, „დიდი სიახლე ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ“, ISSN1512-1186, *ქართველოლოგი* #29 (XIV), თბილისი, „ქართველოლოგი“, 19 გვ.

11. ლევან ბებურიშვილი; ალექსანდრე ცაგარელი და ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები, ჟურნ. „ლიტერატურული ძიებანი“, 2023, XLIII (ISSN 0235-3776), გვ. 86-109.

12. გოგიაშვილი, ელენე. ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრების პირველი ქართველი მთარგმნელის უცნობი ხელნაწერი. *ფილოლოგიური კვლევები* [ონლაინ],.VI (2023): 252-258. http://www.sciencejournals.ge/index.php/NJ/article/view/343 ISSN 2667-9612

13. თამარ პაიჭაძე, ბიბლიური ტექსტის დრამატურგიული და სცენიური რეპრეზენტაცია მსოფლმხედველობრივი აქცენტებით „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები რეცენზირებული) ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი 2023 გვ. 256-273

14. თამარ პაიჭაძე, რომანტიზმის რეცეფციისთვის ქართულ სიმბოლისტურ დისკურსში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის –შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე – მასალათა კრებული ბსუ, ბათუმი 2023

15. თამარ პაიჭაძე, სოცრეალიზმი და მოდერნიზმი - მსხვერპლისა და იარაღის გასაცნობიერებლად XVI საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები„სოციალისტური რეალიზმის ეპოქა ლიტერატურასა და ხელოვნებაში“ (მასალები) თსუ, თბილისი (იბეჭდება) 2023

16. რუსუდან ნიშნიანიძე ,,ლექსების გარდა...“ სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი ,,ენა და კულტურა“ # 30 ქუთაისი გამომც. ,,მერიდიანი“ გვ. 78-83 ISSN 1987-7323 2023 http://www.enadakultura.blogspot.com

17. რუსუდან ნიშნიანიძე, ,,წერილები ვაშინგტონიდან“ (გ. გამყრელიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობა) ამერიკისმცოდნეობის 24-ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერესციის მასალები იბეჭდება 2023

18. ნანა გონჯილაშვილი, ელენე დედოფალი, ნანა დედოფალი და სალომე უჟარმელი - წმ. ნინოს თანამდგომნი და ქართლის მოქცევის მთავარი შემოქმედნი, XIX საუკუნე - ეპოქათა მიჯნა, სამეცნიერო შრომათა ჟურნალი, თბილისი: თსუ გამომც., 2023-2024, #4; ISSN 2720-7862 (ნ. სულავას თანაავტორობით) (იბეჭდება)

**ანოტაცია (ქართულ ენაზე)**
**ნესტან სულავა:**

**1.** ივ. ჯავახიშვილი ძველ ქართულ მწერლობაში ჟანრობრივი თვალსაზრისით გამოყოფს შემდეგ ტერმინებს: „მარტვილობა“/„წამებაÁ“, „ცხორებაÁ“, „ცხოვრება“ (ისტორია), „ისტორიათა-აღმწერლობა“, „მატიანÀ“, „ხრონოგრაფი“, „ჟამთააღმწერლობა“/„ჟამთააღმწერელი“, „ჰამბავი“, „თხრობა“/„მოთხრობა“, „შესხმა-მითხრობა“, „ხსოვნა-მოთხრობანი“, „ქორონიკონები“. დასახელებულთაგან ბევრი ტერმინი განახლდა და ახალი დატვირთით იხმარება, ზოგიერთის სემანტიკური ველი გაფართოვდა ან მცირედით შეიცვალა, ნაწილი კი დავიწყებას მიეცა. ივ. ჯავახიშვილის მიერ მოძიებულ და შესწავლილ ჟანრის გამომხატველ ტერმინთა მრავალრიცხოვნება და მრავალფეროვნება კიდევ ერთხელ მოწმობს ქართული მწერლობის თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების დონესა და მიღწევებს, რაც თანამედროვე ცნებათმეტყველებისათვის, უდავოდ, გასათვალისწინებელია. ივ. ჯავახიშვილის მიერ ძველი ქართული მწერლობის მონოგრაფიულად შესწავლამ თხზულებათა ჟანრობრივ კლასიფიკაციაში შემავალ ტერმინთა გარდა სხვა მრავალი პრობლემატიკა და მასთან დაკავშირებული ცნება-ტერმინები წარმოაჩინა. ძველი ქართული თხზულებების საფუძვლიანი ანალიზის ფონზე ივ. ჯავახიშვილმა გამოკვეთა ჩვენს მწერლობაში შემუშავებული ლიტერატურულ-თეორიული აზროვნების მნიშვნელოვანი საკითხები; ივ. ჯავახიშვილის მიერ სიღრმისეულად შესწავლილი პრობლემატიკიდან ჩვენთვის საყურადღებოა თხზულებათა ავტორების „წერის წესი და მეთოდები“. სასულიერო და საისტორიო მწერლობაში გამოიყენებოდა ჭეშმარიტებისმეტყველების მეთოდი, რაც თვალითხილულის, კონკრეტულად -„თუალთახილულის“, „თვალთხილულის“ და თავად ამბის „თვალით მხილველის“, „თÂთ-მხილველის“, „თანადახუდომილის“, „თანადამხუდარის“ მიერ აღწერას გულისხმობს. აღნიშნულს ზედმიწევნით გადმოცემს ჟამთააღმწერლის სიტყვები: „ჟამთააღმწერელობა ჭეშმარიტების მეტყუელება არს, არა თვალახმა ვისიმე“ (ქართლის ცხოვრება 1959: 199). ამბის დამაჯერებლობისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო მთხრობლის/მთხრობელთა სიბრძნისა და გონიერების, მათი ღირსებების უეჭველობა, სანდოობა, რისთვისაც შემუშავებული იყო შემდეგი გამოთქმები: „პირი უტყუელი“, „სარწმუნონი კაცნი“, რომლებიც „უცხო იყვნეს ყოვლითურთ ტყუვილისაგან“. ამდენად, ჭეშმარიტების აღწერის პრინციპი და მიუკერძოებლობა თხზულებისათვის უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენდა, ავტორის პიროვნულ თვისებებს განსაზღვრავდა და მსმენელ-მკითხველის ნდობის მოპოვებას ემსახურებოდა.

ივ. ჯავახიშვილი შესავალ წერილში ყურადღებას ამახვილებს კიდევ ერთ საკითხზე, კერძოდ, „სამწერლობო ტექნიკაზე“ და ვარაუდობს, რომ ამისათვის თეორიული მოძღვრებაც უნდა ყოფილიყო შემუშავებული, რასაც მოწმობს წყაროებში დაცული საისტორიო-სამწერლობო ტერმინოლოგია. აღნიშნულია, რომ ძველი ქართული „მეტად თუ ნაკლებად თვალსაჩინო“ თხზულებები წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით იქმნებოდა, რასაც მოწმობს იოანე საბანის ძის „აბოს წამება“ (კომპოზიცია, გეგმა, თავებად დაყოფა, დასათაურება). ამ თხზულების კვალობაზე ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ იკვეთება თხრობის წესის („წესი თხრობისა“- ბასილი ზარზმელი) ჩანასახი.

ძველ ქართულ თხზულებათა კომპოზიციას, მასში შემავალ სეგმენტებს თავისი ტერმინოლოგია ჰქონდა, კერძოდ, „ზედწარწერილი“ (სათაური), „შესავალი თხრობისა“, „დასაბამი“/„დასაბამი თხრობისა“, „თხრობაÁ“ და „დასასრული“/„დასასრული თხრობისა“. თხრობის შინაარსის შემადგენელი ნაწილებია - თხრობანი, მოთხრობა, სიტყვები ან სხვადასხვა „ამბავი“. მოთხრობის აღწერილ ნაწილს ეწოდებოდა „პირველდაწყებული სიტყუაÁ“/„პირველი სიტყუაÁ“, მოსათხრობ ნაწილს კი - „წინამდებარე სიტყუაÁ“ ან „ქუემორე სიტყუა“; ამ უკანასკნელის საპირისპიროდ - „ზემორე სიტყვა“ ან „ზემოÃსენებული“.

ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, რომ შემოქმედებითი პროცესის აღსანიშნად გამოიყენებოდა ტერმინი „აღწერაÁ"/„აღწერა",„აღმწერელობა", „მოთხრობა" („მოთხრობად", „მოსათხრობელად"), „მითხრობა" (როცა სხვა მსჯელობს ნაწარმოებზე), „წარმოთქმა", „წარმოჩენა", „უწყებაÁ" და „Ãსენებაჲ". საინტერესო ისაა, რომ თითოეულ მათგანს ზოგად მნიშვნელობასთან ერთად სპეციფიკური, მისთვის სახასიათო ელფერი აქვს და, როგორც მეცნიერი შენიშნავს, განსაკუთრებულ აზრს გამოხატავს; კერძოდ, „წარმოთქმა" ამბის გადმოცემას ნიშნავს, „წარმოჩენა" - რთული ამბის ბრძნულად თქმას, ხოლო „უწყებაÁ", რომელიც შედარებით იშვიათად იხმარება, მკითხველისათვის ცნობებას, გაგებინებას, შეტყობინებას გამოხატავს; „ჴსენება" ამა თუ იმ ისტორიული ცნობის აღნიშვნას, აღნუსხვას ეწოდება. რაც შეეხება ავტორს, იგი მოიხსენება როგორც - „აღმწერელი", „აღმწერელი ჰამბავისა", „გამომთქმელი", „მომთხრობელი", XIV საუკუნეში ასევე გვხვდება „ჟამთააღმწერელი", „მრავალმომთხრობელი", „ყოველთააღმწერელი", „სიტყÂს მოქმედი", „მემატიანე" (ისტორიკოსთა და ჟამთააღმწერელთა საზოგადო სახელი, XVIII ს.). ივანე ჯავახიშვილმა საისტორიო ნაწარმოებში ამბავთა ასახვის ფორმის მახასიათებლების შესახებ გამოთქვა მოსაზრება, თუ როგორ უნდა ყოფილიყო ერთი რომელიმე მოღვაწის ან მოქალაქეთა ერთი ჯგუფის, ან მთელი ქვეყნისა და სამეფოს „სიტყჳს-მიერი გამოხატვაჲ ვრცელისა ... ცხორებისაჲ" (ბასილი ზარზმელი), რის გამოც ისტორიის დაწერა სხვადასხვაგვარად შეიძლებოდა: 1. ვრცლად, გიორგი ხუცესმონაზონის სიტყვით, „ყოველივე სახე ცხორებისა" სრულად აღწერილიყო, ან 2. მოკლედ, როდესაც ცხოვრების უმთავრესი მოვლენა უნდა ყოფილიყო წარმოჩენილი. მეცნიერმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი ზედმიწევნითი სიზუსტითა და გამოწვლილვით შესწავლილი და განხილული აქვს ეფრემ მცირეს, რომელმაც საგანგებო ცნება-ტერმინებითაც მოიხსენია ისინი. ეფრემ მცირის მიერ შემოღებულ ცნება-ტერმინებზე ქვემოთ ვისაუბრებთ.
ივანე ჯავახიშვილის ნარკვევში განხილულია საისტორიო ნაწარმოების უმთავრესი მიზანდასახულობა, კერძოდ, „ცხორების" ამბავი და მოღვაწის „საქმენი" სინამდვილით უნდა აღწერილიყო.

**2.** სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, წმ. აბიბოს ნეკრესელი საქართველოში ასურელ მამათაგან ყველაზე გვიან მოვიდა და შეუერთდა წმ. იოვანე ზედაზნელსა და მის მოწაფეებს. ასურელ მამათა შორის წმ. აბიბოსი, შუამდგომელი ღმერთისა და კაცისა, ერთადერთია, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოების დაცვის გამო წამებით აღესრულა. მის შესახებ დაიწერა სხვადასხვა რედაქციის ჰაგიოგრაფიული თხზულებები, რომლებიც რამდენიმე ხელნაწერითაა შემონახული.
სტატიის თემა `წმ. აბიბოს ნეკრესელის წამების~ კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური საკითხების შესახებ კვლევათა შედეგების წარმოჩენა და ზოგიერთ მათგანის დაზუსტებაა. ამ თვალსაზრისით შევეხებით თხზულების ჩვენამდე შემონახულ რედაქციათა ურთიერთდამოკიდებულების, ხელნაწერთა და გამოცემათა პრობლემურ საკითხებს. სამეცნიერო ლიტერატურაში კვლევის ბოლო ეტაპამდე მიჩნეული იყო, რომ თხზულების ორი ძველი რედაქციიდან უძველესია შედარებით მოკლე რედაქცია, რომელიც ერთადერთი ნაკლული, XIII საუკუნის ხელნაწერით მოგვეპოვება. ესაა A-832. ეს ვარაუდი ემყარებოდა იმ შეხედულებას, რომლის მიხედვით წმ. აბიბოსი ერთადერთი მოწამეა ასურელ წმინდა მამათა შორის, ხოლო „წამებები" წმინდანის აღსრულებისთანავე იწერებოდა, რის გამოც, საფიქრებელია, „წმ. აბიბოს ნეკრესელის წამების" მოკლე ტექსტი VI საუკუნეშივე დაწერილიყო. შედარებით ვრცელი თხზულება კი მოკლე თხზულების გავრცობილ ვარიანტად მიიჩნეოდა დასასრული ნაწილის, ანუ ეპილოგის, დართვის შედეგად.
„წმ. აბიბოს ნეკრესელის წამების" შედარებით ვრცელი ტექსტი XX საუკუნის დამლევამდე მხოლოდ გვიანდელი, XVIII საუკუნეების ხელნაწერებით იყო ცნობილი. XX საუკუნის

ბოლოს სინას მთის წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტრის წიგნთსაცავეში ქართულ ხელნაწერთა ახალ კოლექციაში სხვა ქართულ ხელნაწერებთან ერთად აღმოჩნდა X საუკუნის ხელნაწერი - N/Sin.50, რომელიც გავრცობილი „წამების“ ტექსტს მისდევს მცირეოდენი ვარიანტული სხვაობებით, ხოლო დასასრული ნაწილი, ეპილოგი, როგორც ეს გაარკვია ზაზა ალექსიძემ, აკლია ხელნაწერის ბოლონაკლულობის გამო. ესაა `წმ. აბიბოს ნეკრესელის წამების~ კიდევ ერთი ვერსია, გადაწერილი X საუკუნის I ნახევარში, რომელიც უფრო ახლოს დგას თხზულების ვრცელ ტექსტთან (ალექსიძე, 2011: 169-174). ზ. ალექსიძემ შეისწავლა სინური ხელნაწერის კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური რაობა, მათი ტექსტოლოგიური მსგავსება-სხვაობები და მნიშვნელობა „წმ. აბიბოს ნეკრესელის წამების“ რედაქციათა და ხელნაწერთა შესწავლის საქმეში.
კვლევის შედეგად დაზუტდა, რომ `წმ. აბიბოს ნეკრესელის წამების~ შემცველი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ხელნაწერები რედაქციული თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და კვლევის თანამედროვე დონეზე მათი დაჯგუფება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: სინური ხელნაწერების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ შემონახული ტექსტებიდან პირველადია ვრცელი ტექსტი, რომელიც ახლოს დგას ადრე ცნობილ, გვიანდელ ხელნაწერებში დაცულ ვრცელ ტექსტთან; ამ ორი ტექსტისაგან განსხვავებულია მოკლე რედაქცია, რომელიც ერთადერთი ხელნაწერითაა შემონახული; სვინაქსარული რედაქცია შექმნილია XVIII საუკუნეში და ამავე საუკუნის ხელნაწერებშია დაცული; `წმ. აბიბოს ნეკრესელის წამების~ მეტაფრასული რედაქცია ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს, რომელმაც 1768-1769 წლებში შექმნა მეტაფრასულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა კრებული სახელწოდებით „მარტირიკა“; მისი რედაქციის ტექსტი ვრცელ რედაქციას ეფუძნება.

**3.** გიორგი მცირის ეპისტოლეს, რომელიც წინ უძღვის მის ჰაგიოგრაფიულ თხზულებას `წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება~, ისტორიული და სახისმეტყველებითი ღირებულება აკისრია, რადგან იგი გვეხმარება მწერალი-ჰაგიოგრაფის მიზანდასახულობის, ეპისტოლის დანიშნულების, წმ. გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობისა და მოქალაქობის შესახებ თხზულების შექმნის მნიშვნელობის განსაზღვრაში, გიორგი შეყენებულისა და გიორგი მცირის ურთიერთობის, განათლების, საზოგადოებაში მათი ადგილის, ავტორიტეტის, რაც მთავარია, სულიერი ხატ-სახის გააზრებაში, თხზულების მიზანდასახულობასა და დაწერის თარიღის, ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებათა მახასიათებელთა განსაზღვრაში, მწერლის საღვთისმეტყველო ცოდნის, მსოფლმხედველობისა და მხატვრული სააზროვნო სივრცის აღქმაში. ქართული ჰაგიოგრაფია ეპისტოლარულ სტილს იყენებს თავისი მიზანდასახულობის კვალობაზე, მასში აქსოვდნენ თავიანთ მსოფლმხედველობრივ, ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებს, რაც ეპოქის სულისკვეთებას, საზოგადოებრივ მდგომარეობასა და მოთხოვნებს ასახავდა.
დაკვირვება მოწმობს, რომ გიორგი მცირის, ისევე როგორც სამოელ ქართლის კათოლიკოსისა და იოვანე საბანის ძის ეპისტოლის არქეტიპია ახალი აღთქმის ეპისტოლარული ნაწილი, შვიდი კათოლიკე ეპისტოლე და პავლეს თოთხმეტი ეპისტოლე, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება. ახალი აღქმის ეპისტოლარულ მემკვიდრეობასა და, საზოგადოდ, ჰაგიოგრაფიის ეპისტოლეებს შორის, კერძოდ, გიორგი მცირის ეპისტოლეს შორის, განსხვავება თვალსაჩინოა. მოციქულთა ეპისტოლეების ძირითადი დანიშნულება ქრისტიანული მოძღვრების ქადაგება იყო, ხოლო ჰაგიოგრაფიული თხზულებისათვის წამძღვარებულ ეპისტოლეს სხვა დანიშნულება აქვს,

იგი მკითხველს აკვალიანებს თხზულების შექმნის აუცილებლობაში, ამცნობს იმ ვითარებას, რის გამოც შეიქმნა იგი. დაკვირვების შედეგად გამოვლინდა გიორგი მცირის ინდივიდუალური სახის მქონე ეპისტოლეს უდიდესი საღვთისმეტყველო-ლიტერატურული მნიშვნელობა აქვს. ჰაგიოგრაფმა თავის ეპისტოლეში მკითხველამდე მიიტანა თავისი ძირითადი სათქმელი, წარმოეჩინა თხზულების შექმნის საფუძველი და განემარტა თავისი თხზულების მიზანდასახულობა.

**10.** ნაშრომში მიმოხილულია დანიელი ბიზანტინისტის ქ. ჰეგელის სტატია „ეფთვიმე ათონელი ბერძნულიდან ქართულად და ქართულიდან ბერძნულად მთარგმნელი და მეტაფრასტი?“, რომელიც ქართველოლოგიური მეცნიერებისათვის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს. მასში შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის დიდი წარმომადგენლის ეფთვიმე ათონელის შემოქმედება ბიზანტიური მწერლობის პოზიციიდანაა შეფასებული და ახლებურ ნიუანსებს გამოავლენს ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის. ნაშრომში ჩამოყალიბებულია და დასაბუთებულია ეფთვიმე ათონელის მიერ ბერძნულ ენაზე შექმნილი თხზულების „ვარლაამ და იოასაფის ისტორიის“ პრობლემატიკასთან დაკავშირებული რამდენიმე პრობლემური საკითხი. კერძოდ, „ვარლაამ და იოასაფის“ ლემაში დასახელებული საბაწმინდელი ბერის - იოანეს ვინაობის დადგენას; ამ თხზულების შექმნის დათარიღებას და ეფთვიმეს თხზულებათა შესახებ ჩვენამდე მოღწეული მისი მამის – იოანე ათონელის ანდერძის ახლებურ ინტერპრეტირებას.

13. საზოგადოებრივ შემეცნებაში არსებობს ცნებები, რომელთაც გარკვეული საბაზო მნიშვნელობა გააჩნიათ და დროთა განმავლობაში სხვადასხვა ისტორიული რაკურსით, ინტერპრეტაციითა და ანალიტიკით ყალიბდებიან თუ წარმოჩნდებიან. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის გარკვეული სახეობრივი ბინარები, რომელიც მსოფლიო კულტუროლოგიური განვითარებისა და ცივილიზაციის შესაბამისად ე.წ. „საწყისის შემეცნებასთან“ არიან დაკავშირებული. ასეთ სხვადასხვა ანალოგებს შორის არის ბიბლიური ტექსტი და ბიბლიური პერსონაჟი, რომელიც სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე არაერთგზის იქცა შემოქმედებითი პროცესის ინსპირაციად. ამ მიმართულებით სხვა არაერთ ანალოგს შორის უნდა მოვიხსენიოთ სალომეა -„ძველი აღქმის“ ემპირიული პერსონაჟი, რომელიც არ არის მთავარი გმირი მაგრამ არის ფრიად სახეობრივი, დინამიური და წინააღმდეგობრივი პერსონაჟი. სალომეას სახე არაერთგზის იქცა გამოწვევად მსოფლიო კულტურული პროცესისათვის, განსაკუთრებით სახვით ხელოვნებასა და ლიტერატურაში, თუმცა სალომეა, როგორც საბედისწერო ქალი და პაროლი ერთგვარი დუბლიკაციური აღქმისა, განსაკუთრებით გამოიკვეთა მოდერნისტულ მხატვრულ ტექსტებში. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ მოდერნისტულ მხატვრულ ნარატივში სალომეას ისტორიამ დრამატურგიული ფორმა მიიღო და მოგვიანებით მისი დადგმა არაერთი თეატრის სცენაზე განხორციელდა, როგორც დრამა ან მისტერია. ეს გამოწვევა ქართულ ლიტერტურაში მეოცე საუკუნის ოციან წლებში აირეკლა. ამ ინსპირაციის მიზეზი უნდა ვეძიოთ ოსკარ უაილდის პიესაში „სალომე“, რომელიც ერთიდაიმავე პერიოდში ორმა ცნობილმა ქართველმა მწერალმა - პაოლო იაშვილმა და გრიგოლ რობაქიძემ თარგმნეს. თავად ფაქტიც ცხადყოფს, რომ ავტორთა სახელიდან და იმიჯიდან გამომდინარე, საქმე გვაქვს ფრიად არაორდინალურ

შემთხვევასთან. ორივე თარგმანისათვის ბაზად მოიაზრება ორი „ბინარი"- ბიბლიური და უაილდისეული, რადგან როგორც ტექსტიდან იკვეთება ორივე მათგანი გათვალისწინებულია. მიუხედავად ამ მწერალთა (ოსკარ უაილდი, პაოლო იაშვილი, გრიგოლ რობაქიძე) მსოფლმხედველობრივი და მხატვრული არჩევანის იდენტურობისა, ეს ტექსტები განსხვავებულია გამოხატული ინდივიდუალური ნიშნებით და ერთმანეთისაგან გამიჯნული შემოქმედებითი ფორმებით.

14. როგორც ცნობილია, ქართული სიმბოლისტური სკოლა, მოტივირებული იყო, როგორც ევროპულის ვარიაცია და არსითაც აბსოლუტურად იდენტური. აქედან უნდა ვეძებოთ ტოტალიტარული იდეოლოგიის მიერ მოდერნისტთა მიმართ არსებული ყბადაღებული ბრალდებების სათავეც: რომ ისინი იყვნენ აბსოლუტურად მსგავსნი და ერთმანეთის მიმბაძველნი. თუნდაც ზოგადი გადახედვით საცნაურია, რომ მიუხედავად მათი იდენტური მსოფლმხედველობრივ - მეთოდოლოგიური არჩევანისა, ქართული სიმბოლისტური ჯგუფის წევრები შემოქმედებითი სტატუსით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ფაქტია, ამ არაორდინალურობის სათავე ქართულ კლასიკურ მწერლობაში რომ უნდა ვეძიოთ, კითხვას – ჰყავდათ თუ არა ქართველ მოდერნისტებს ნაციონალურ შემოქმედებით გარემოში წინაპარი, ბუნებრივია პირველყოვლისა რომანტიზმამდე მივყავართ... და აქ პასუხი არაერთგვაროვანი იყო მაშინაც - ქართველი სიმბოლისტებისაგან, და ასეთივეა დღესაც, სალიტერატურო კრიტიკისაგან. როგორც ცნობილია, კულტუროლოგიურ კვლევებში სიმბოლიზმ „ნეორომანტიზმადაც" მოიხსენება. Aამ შემთხვევაში მუშაობს მისი ისტორიული და მეთოდოლოგიური მიმართება ევროპული რომანტიკული სკოლების ტრადიციებთან, თუმცა საქართველოში ეს დამოკიდებულება განსხვავებულია: იმდენად, რამდენადაც სიმბოლიზმი არსით ქართული მოვლენა არ იყო და ქართული რომანტიკული სკოლისგანაც საუკუნოვანი დისტანცია აშორებდა, მათი კავშირი უფრო ისტორიული მეხსიერების დონეზე არსებობდა. ქართველი სიმბოლისტები ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებით მსოფლმხედველობაში დასაყრდენს ნაკლებად აცნობიერებდნენ, ამით აიხსნება მათი არაერთგვეროვანი დამოკიდებულება ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიისადმი, - მისი მხოლოდ ზოგიერთი ლექსი მიიღეს, ხოლო ზოგადად ქართული რომანტიზმის წარმომადგენელთაგან მხოლოდ ბარათაშვილს აღიარებდნენ, თუმცა ინტერკულტურული გავლენანი აშკარაა, ქართველი სიმბოლისტებისათვის მსოფლიო რომანტიკული სკოლების შემოქმედნი და მათი მხატვრული სახე-სიმბოლოები უფრო ახლობელი გახდა. თუკი საქართველოში მოდერნისტული მსოფლაღქმის ლიტერატურულ პრეამბულაზე უნდა მივუთითოთ, უფრო მოკლე ქრონოლოგია ჩანს გასავლელი - სულ ორიოდე ათწლეული, ვაჟა-ფშაველას და ვასილ ბარნოვის შემოქმედებით. ბიოგრაფიებთან მისაახლებლად, რადგან მოდერნისტული აზროვნების სილუეტები მათ შემოქმედებით დისკურსებში ცალსახად იკვეთება.

15. საბჭოური ტოტალიტარიზმის ეპოქაში მოდერნისტული ხელოვნების მიზანმიმართული ჩახშობისა და დაბლოკვის შესახებ საუბარი და დავა 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო. ამ დროიდან გამოიკვეთა თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც მოდერნიზმი იყო ყველაზე ცალსახა „ინტელექტუალური მსხვერპლი;;, ოღონდ არა ზოგადად ტოტალიტარული ცნობიერებისა თუ ეპოქისა, არამედ კონკრეტულად

„სტალინიზმისა“ - როგორც „რეპრესიული მოდელის" დამფუძნებლისა და ამ პოლიტიკის უმკაცრესი გამტარებლისა. ეს პოზიცია კი წარმოადგენდა ერთგვარ ცალმხრივ ან ტენდენციურ აღიარებას, თუმცა სრული სიმართლისაგან ფაქტია, შორს იყო და ბუნებრივია "დათბობის/ოტტეპელის" ცნობილი პოლიტიკის პრაქტიკული გამოვლინება თუ გაგრძელება იყო, რომელიც XX საუკუნის II ნახევრის საზოგადოებრივ შემოქმედებითი ყოფის განმსაზღვრელ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, როგორც “იდეოლოგიური მაკიაჟის“ თუ „ლიბერალური თეატრალიზაციის“ უპრეცენდენტო ნიმუში; ისევე როგორც საბჭოთა იდეოლოგიისთვის ნაცადი პოლიტიკის ახალი ვარიაცია: ზემოდან ნაკარნახევი ფსევდოჰუმანური გადაწყვეტილება, შერბილებული დიქტატის ინსტიტუტი - რეპრესიული წლების, რადიკალური ზომების, ინფორმაციული ვაკუუმისა და ეგზისტენციალური კრიზისის სანაცვლოდ. მოდერნიზმისა და სოციალრეალიზმის ურთიერთობის განხილვა შეუძლებელია უპირველესად მხატვრულ ფორმათა შეუთავსებლობის გათვალისწინების გარეშე, ხოლო ოციანი წლებიდან ფაქტობრივად ყალიბდება ტოტალიტარიზმის საზოგადოებრივ ცნობიერებაში საყოველთაო დამკვიდრების ლაბორატორია, რაც თავისთავად შემეცნებისა და ცნობიერების ხელოვნების ხერხით პროპაგანდისტულ გზებს გულისხმობდა. ფუნქციონალური, განვითარებადი სოციალისტური რეალისტური კანონის თვალსაზრისსს უნდა უარეყო და გადაეფარა მოდერნიზმის ე.წ. არაფუნქციონალური მხატვრული ელემენტები. ეს სამუშაო გეგმიური იყო მას რამდენიმე საბაზო პოსპულატი გააჩნდა, რაც ძირითადად მოდერნისტული მსოფლმხედველობისადმი ბრალდებებზე იყო დაფუძნებული. ეს იყო: კლასიკური მოდელების, თემატურ- ესტეტიკური პრინციპების დეკანონიზაცია, მონტაჟი, გაუცხოება, რთული სტილი, კონვენციები და ა.შ. ამ დამოკიდებულებათა გაგრძელება კი ის იყო, რომ სოცრეალისტური (ანუ ახალი) შემოქმედებითი პოლიტიკა და დიკურსი მოდერნისტებისაგან განსხვავებით ინარჩუნებდა იმ დიდ შემოქმედებით „ბენეფიტებს", რაც კლასიციზმმა დანერგა - ეს პოზიცია რასაკვირველია იყო ფარსი და მახე რეციპიენტებისთვის. ამ მიდგომათა კვალობაზე სოცრეალიზმს უნდა ემხილა მოდერნისტული რადიკალურ - პრაგმატულ ჟესტები, შემოქმედებითი მემარცხენეობა, „ბურჟუაზიული პესიმიზმი" და მეთოდურად გაეწმენდა გზა მოდერნისტული ხელოვნებისაგან. ეს იყო სინთეზური და მიზანმიმართული გეგმა, რომელის არც სტალინურ ეპოქაში დაწყებულა და არც მისი შემდგომ დასრულებულა. ეს იყო ზოგადად კოლონიური „ფილოსოფიის" სახე, რომელმაც მაქსიმალისტური ფორმა ფიზიკურ გამოვლინებაში მიიღო, რაც არა მხოლოდ ტექსტზე ძალადობას გულისხმობდა, არამედ ოპონენტთა ფიზიკურ იზოლაციას.

**6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში**
**6.1. მონოგრაფიები/წიგნები**

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Ж И Т И Я Г Р У З И Н С К И Х СВЯТЫХ. Обращение Картли. Житие святой Нино Перевод Эквтиме Такаишвили Иаков Цуртавели Мученичество Шушаник Перевод Корнелия Кекелидзе Иоанн Сабанисдзе Мученичество Або Тбилели Перевод Корнелия

Кекелидзе Георгий Мерчуле Житие Григория Хандзтели Перевод Николая Марра. **Статьи и комментарии Нестан Сулава**. Иллюстрации Лоретты Абашидзе-Шенгелия. ВИТА НОВА. Санкт-Петербург. 2023.

2. **Identifying Cultural Intersections in the Works of Shota Rustaveli and Nizami Ganjavi** (რედაქტორი და თანაავტორი მაკა ელბაქიძე). ISBN (10): 1-5275-5349-3; ISBN (13): 978-1-5275-5349-1 Cambridge Scholar Publishing.

3. **ქართული მითოლოგია (თურქულ ენაზე), Ketevan Sikharulidze,**
**Gurcu Mitolojisi,** ISBN: 978-625-8143-50-8,
Sultanahmet-Fatih/ ISTANBUL, 2023, გვერდების რაოდენობა -267.

4.

**ანოტაცია ( ქართულ ენაზე)**

1. წიგნი მიზნად ისახავს ძველი ქართული ლიტერატურის ოთხი ჰაგიოგრაფიული თხზულების რუსული თარგმანის გამოცემას გამოკვლევითა და კომენტარებით. ესენია: 1. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ექვთიმე თაყაიშვილის თარგმანი; 2. იაკობ ხუცესის „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი“, კორნელი კეკელიძის თარგმანი; 3. იოვანე საბანის ძის „წმ.აბო თბილელის წამება“, კორნელი კეკელიძის თარგმანი; 4. გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, ნიკო მარის თარგმანი. წიგნს ახლავს ნესტან სულავას წინასიტყვა (გვ. 247-249) და სტატიები ცალკეული თხზულების შესახებ კომენტარებითურთ (250-291).

2. წიგნის რუბრიკებია: რუსთაველი და ნიზამი - საკითხის შესწავლა ისტორიულ ჭრილში; რუსთაველი - გზა რენესანსისაკენ; ნიზამი- პოეტი და მოაზროვნე; რუსთაველისა და ნიზამის ესთეტიკური შეხედულებები; რუსთაველისა და ნიზამის ფილოსოფიური სეხედულებები; რუსთაველისა და ნიზამის ეთიკური კონცეფცია.

3. წიგნში განხილულია ქართული მითოლოგიის საკითხები. პირველ თავში განსაზღვრულია მითისა და მითოლოგიის ცნებები, საუბარია მითოლოგიის ადგილზე ტრადიციულ საზოგადოებაში და მის როლზე ამ საზოგადოების განვითარებაში. მომდევნო თავებში წარმოდგენილია ქართული მითოლოგიის ის თემები, რომელთა შესახებ საუბრის საშუალებას გვაძლევს ჩვენამდე მოღწეული ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალა. ასეთებია: კოსმოგონია და სამყაროს აგებულება, საიქიო და მისი ბინადარნი, მიწის ღვთაებები, ავადმყოფობის ღვთაებები და რიტუალები, ნაყოფიერების რიტუალები ძველ საქართველოში, სამონადირეო მითოსი, გველეშაპი და მისი გამოზრდილი გმირები, მიჯაჭვული პერსონაჟები და სხვა. გამოთქმულია მოსაზრებები მითოლოგიურ სახეთა წარმოშობასა და სტადიალურ განვითარებაზე, რიტუალების რაციონალურ მხარესა და რეალისტურ საფუძვლებზე. წიგნს ერთვის ლიტერატურის ვრცელი სია და მითოსური პერსონაჟების სახელთა საძიებელი.

4.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა


1. Maka Elbakidze. *The Knight in the Panther's Skin*: The Path of Georgian Literature to Renaissance. Identifying Cultural Intersections in the Works of Shota Rustaveli and Nizami Ganjavi. ISBN (10): 1-5275-5349-3; ISBN (13): 978-1-5275-5349-1 Cambridge Scholar Publishing. p. 28-42.
2. Maka Elbakidze. *Rustaveli's Conception of Love and Medieval Literature*. Identifying Cultural Intersections in the Works of Shota Rustaveli and Nizami Ganjavi. ISBN (10): 1-5275-5349-3; ISBN (13): 978-1-5275-5349-1 Cambridge Scholar Publishing. p.212-232.

3. ეკა ვარდოშვილი. The Issue of Georgian Identity in European Literature, National Identity in Language and Culture, Collection of scientific works (Национальна Ідентичність В Мові І Культурі, Збірник науковых праць) Ministry of Education and Science of Ukraine, National Aviation University, Faculty of Linguistic and Social Communication, AIX – Marseille University (France ), University Jean Moulin Lyon 3 ( France ), REED COLLEGE ( USA ), УДК 821.09(100)(082)/Н35, ISSN 978-617-8016-75-3, Kyiv, «ТАЛКОМ» 2023, pp. 3-5, © Колектив авторів, 2023 © Національний авіаційний університет, 2023, pp.1-389. ინდექსირებულია - Google Scholar.
4. Gogiashvili, Elene and Co-author Teodosio De Bonis. In the Labyrinth of Fables: Traces of Panchatantra in Georgian Literary and Oral Narrative Tradition. In: Revista de Ethnografie eş Folclor/Journal of Ethnography and Folklore. 1-2, 2023, pp. 5-20. https://academiaromana.ro/ief/ief_pubREF.htm ISSN 00348198
5. Gogiashvili, Elene. The Relationship between Translated Fairy Tales and Oral Narrative Tradition: Charles Perrault's Contes in Georgian Folklore. Translation Studies: Theory and Practice. Yerevan State University. Vol. 3 No. 1 (5) (2023), pp. 27-37. https://doi.org/10.46991/TSTP/2023.3.1.027 ISSN: 2738-2826
6. Mamisimedishvili, Kh. (2023). Mythological Parallels in Georgian and Chechen Legends. In Proceedings of the 1st International Conference on Actual Issues of Linguistics, Linguodidactics and Intercultural Communication - TLLIC; ISBN 978-989-758-655-2, SciTePress, pages 119-127. DOI: 10.5220/0011608200003577
7. ხვთისო მამისიმედიშვილი. მიხა ხელაშვილის „ლექსო ამოგთქომ“ და მისი ფოლკლორული ძირები. „ფილოლოგიური კვლევები“, ნომერი VI, 2023. გვ. 259-266. ISSN 2667-9612. http://www.sciencejournals.ge/index.php/NJ/article/view/344
8. ხვთისო მამისიმედიშვილი. კავკასიური ომებისა და მუჰაჯირობის ასახვა აბუზარ აიდამიროვის რომანში „გრძელი ღამეები“. „ფილოლოგიური კვლევები“, ნომერი VII, 2023. გვ. 153-166. ISSN 2667-9612
http://www.sciencejournals.ge/index.php/NJ/article/view/398/353

9. ხვთისო მამისიმედიშვილი. ისტორიულ პირებსა და მოვლენებთან დაკავშირებული ხალხური ტექსტების თავისებურება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XIX, თბ., 2023. გვ. 113-129.ISSN 1987–9970

https://drive.google.com/file/d/1u6w3T_VYfrspc1bjlRt9gtezTp8HUiRo/view?fbclid=IwAR3tQeY-1-FjeZ_iEiVrjAbz7enKIRkUxj0Ezbni5NlrmNqnJCJp9dgCjYI

10. ხვთისო მამისიმედიშვილი. შავი ჭირის გამავრცელებელი არსებები ქართულ და ოსურ ფოლკლორში (ქართული „ჟამნი“ და ოსური „ჟემინა“). VIII საერთაშორისო კონფერენციის - „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები “ - მასალები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2023, გვ. 221-229.ISBN 978-9941-33-422-1

11. თამარ პაიჭაძე, ქართველი დედოფლის ისტორია და ევროპული ლიტერატურული რეფლექსიები-The History of the Georgian Queen and European Literary Reflections- New Directions in the Humanities, Research Network The International Journal of Literary Humanities, Twenty-first International Conference on New Directions in the Humanities Sorbonne Université, Paris, France 2023 https://cgscholar.com/cg_event/events/H23en/abou(იბეჭდება)

12. Gonjilashvili, Nana, “Mgzavroba”, in: Christian-Muslim Relations 1500 - 1900, Brill, 2023 https://referenceworks.brillonline.com/entries/christian-muslim-relations-ii/mgzavroba-COM_30918

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. სტატიაში საუბარია მე-12 საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ, ისტორიულ, სოციალურ და კულტურულ აღმავლობაზე, რომელმაც განაპირობა „ვეფხისტყაოსნის“ შექმნა. მიმოხილულია რომანის ახლებური სტრუქტურა, მსოფლმხედველობრივი პრობლემატიკა, სიყვარულის კონცეფცია, პერსონაჟთა ინდივიდუალიზაციის პრობლემა.

2. სტატიაში საუბარია რუსთაველის სიყვარულის კონცეფციის სპეციფიკურ ხასიათსა და მის ტიპოლოგიურ პარალელებზე არაბულ პოეზიას, ტრუბადურულ ლირიკასა და ევროპულ რაინდულ რომანს შორის.

3. The Issue of Georgian Identity in European Literature (ქართველთა იდენტობის საკითხი ევროპულ ლიტერატურაში)-ევროპელი ავტორები, როგორებიც არიან ალ. დიუმა (მამა), სერ ოლივერ უორდროპი, არტურ ლაისტი და სხვანი თავიანთ თხზულებებში ქართველთა იდენტობის ძირითად მაზასიათებლებზე გვესაუბრებიან. ისინი გამოყოფენ იმ ძირითად პრიორიტეტებს რამაც განსაზღვრა ქართველთა ნაციონალური ბუნება, ესენია: საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ისტორიული წარსული, ქრისტიანობის ადგილი და როლი, ზნე-ჩვეულებანი და ადათ-წესები, ქართველთა გარეგნობა, ქართული ენა და ლიტერატურა.

საქართველო ისტორიულად ყოველთვის იყო ევროპული ორიენტაციის მატარებელი ქვეყანა. ქართული სახელმწიფო მიმართული იყო ევროპულ ფასეულობებზე. ეს გამოიხატებოდა, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანული სარწმუნოების მიღებაში. ქრისტიანულ სამყაროსთან სიახლოვე განსაზღვრავა მისი კულტურის ევროპულ ხასიათს.

ამდენად, უცხოელი ავტორები ცდილობენ ქართული იდენტობის საკითხი ევროპულ კულტურასთან მიმართებაში განიხილონ.

4. სტატია ინდური იგავ-არაკების კრებულის ქართული გადამუშავებების შესახებ დაიბეჭდა რუმინულ ჟურნალში Revista de Ethnografie eş Folclor/Journal of Ethnography and Folklore. სტატიის თანაავტორია იტალიელი ფოლკლორისტი, მაგისტრი თეოდოსიო დე ბონისი. ნაშრომში მიმოხილული და გაანალიზებულია რამდენიმე იგავ-არაკი

„პანჩატანტრას“ კრებულიდან, რომელიც არაბულ, სპარსულ და ქართულ ლიტერატურულ წყაროებში გვხვდება. ხალხური ზღაპრების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ცვლილების ფენომენია. ზღაპრის მოტივსა თუ კომპოზიციას შესაძლოა რამდენიმე ვარიაცია ჰქონდეს და ყოველთვის არ არის ადვილი გადაწყვეტა, თუ რომელი მათგანი დგას უფრო ახლოს თავდაპირველ ფორმასთან. საწყისი მოტივი ხშირად სრულიად გადასხვაფერებულია ცვლილების გამო, მაგრამ ცვლილება შეიძლება თვითონვე გადაიხაროს ძველი ფორმისკენ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ ვერ დაიმკვიდრებს თავს. თუ მოტივი განსაკუთრებულად პოპულარულია, ეს სხვადასხვა მთხრობელის ახალ ინტერპრეტაციას განაპირობებს. კულტურულ-ისტორიულ პროცესებზე დაკვირვებისთვის მეტად მნიშვნელოვანია ლიტერატურული სიუჟეტების გახალხურებული ვერსიებზე დაკვირვება. ლიტერატურული და ფოლკლორული სიუჟეტების ურთიერთმიმართების კვლევისას იკვეთება სიუჟეტის გავრცელების კონკრეტული გზები და ზუსტდება ინფორმაცია იმ სოციალურ და კულტურული გარემოს შესახებ, სადაც ნაციონალური თუ უცხოური წარმოშობის სიუჟეტები იყო მიმოქცევაში.

5. ანოტაცია: სტატია სათაურით „ნათარგმნი ზღაპრებისა და ხალხური ზღაპრების ურთიერთმიმართება: შარლ პეროს ზღაპრები ქართულ ფოლკლორში“ დაიბეჭდა საერთაშორისო ჟურნალში Translation Studies: Theory and Practice (ერევნის უნივერსიტეტი). ნაშრომში მიმოხილულია ზეპირი და ლიტერატურული ტრადიციების ურთიერთგავლება. XIX საუკუნის მიწურულს ევროპულმა ზღაპრებმა დიდი პოპულარობა მოიპოვა საქართველოში და ქართულ ხალხურ ზღაპრებთან ერთად საბავშვო ლიტერატურის განუყოფელ ნაწილად იქცა. მას შემდეგ ბევრი ევროპული ზღაპარი ითარგმნა და გამოქვეყნდა. დაიბეჭდა საბავშვო ლიტერატურის ანთოლოგიებიც.ქართული ფოლკლორული არქივის მასალებში შარლ პეროს ზღაპრების რამდენიმე გახალხურებული ვარიანტი ინახება. „ზეპირი“ და „ლიტერატურული“ კატეგორიების ანალიზით შესაძლებელი ხდება, პასუხი გავცეთ სხვადასხვა კითხვას, რაც ნათარგმნი ლიტერატურის ზეპირსიტყვიერებაზე გავლენის შესახებ იბადება.XIX საუკუნე ფოლკლორის შეკრების საუკუნეა. ამასთან, შეუძლებელია XIX საუკუნის ევროპაში ისეთი ხალხური კულტურა ვიპოვოთ, რომელიც არ იქნებოდა ლიტერატურასთან შეხებაში. XX საუკუნის დასაწყისში კი მხედველობაში უნდა გვყავდეს მთხრობელი, რომელიც ხალხურ მოტივებს იყენებს თავის პერფორმანსში, მაგრამ ამავე დროს წიგნში წაკითხულსაც ამუშავებს და წარმოადგენს მსმენელთა გემოვნების შესაბამისად.

6. დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში არ განხილულა ქართულ-ჩეჩნური კულტურული ურთიერთობის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის ჩეჩნური თქმულებების ნათესაობა ქართულ ფოლკლორთან; ჩეჩნურ ხალხურ ტექსტებში დადასტურებული მითოლოგემების, სიუჟეტებისა და მოტივების მსგავსება და პარალელიზმი ქართულ ზეპირსიტყვიერებასთან; შუა საუკუნეების ქართული კულტურის ელემენტების ასახვა ჩეჩნურ თქმულებებში.
ჩვენი კვლევის მიზანია ჩეჩნურ მითო-ეპიკურ შემოქმედებასა და ქართულ ზეპირსიტყვიერებას შორის ტიპოლოგიური და გენეტიკური კავშირების დადგენა, მითო-პოეტური და სიუჟეტური პარალელიზმების გამოვლენა. როგორც ირკვევა, ჩეჩნურ და ქართულ თქმულებებში მითოლოგიური მოტივების მსგავსება არ არის ზედაპირული და ის უფრო სიღრმისეულ ხასიათს ატარებს. მათში გვხვდება როგორც ადგილობრივ ნიადაგზე გადამუშავებული საყოველთაოდ ცნობილი სიუჟეტები, ისე სრულიად ორიგინალური თემები და მოტივები.

იმ დროს, როცა მიმდინარეობდა ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების შეკრება და ჩაწერა, XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში, ვაინახების ყოველდღიური ცხოვრების სტილი დიდად არ განსხვავდებოდა მათი მეზობელი ქართველი მთიელების, კერძოდ, ხევსურების, მოხევეების, თუშებისა და ფშავლების ტრადიციული ყოფისგან. უნდა ვიფიქროთ, რომ ასე უნდა ყოფილიყო XVII-XVIII საუკუნეებშიც. და სწორედ ასეთ მსგავს სოციალურ-კულტურულ გარემოში ყალიბდებოდა ქართველი მთიელებისა და ჩეჩნების ზნეობრივ-მორალური ფასეულობები, ფოლკლორული შემოქმედების ძირითადი მოტივები და მითოლოგიური სიუჟეტები.

როგორც წესი, ნაციონალური ეპოსის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ ერთი საზოგადოების, ერთი ხალხის შიგნით არსებული ტრადიციული გარემო, არამედ მის ირგვლივ მიმდინარე კულტურული, პოლიტიკური და რელიგიური პროცესებიც. ჩეჩნურ თქმულებებში ძირითადი მოქმედებები ხდება ქართველი მთიელების მეზობლად, მდინარე არღუნისა და მისი შენაკადების ხეობებში. ქართველმა მთიელებმა, ჩეჩნებმა და ინგუშებმა ერთმანეთის მეზობლად ჩამოაყალიბეს ზეპირი კანონებისა და წეს-ადათების მეტად რთული, მაგრამ უაღრესად მწყობრი სისტემა, რომელსაც ეფუძნებოდა ხევსურული ტრადიციული საზოგადოებებისა და ნახური თეიფების ყოველდღიური ცხოვრება. ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებით ყალიბდებოდა მეზობელი ხალხების რჯული, ზეპირი პრეცედენტული სამართალი, ქცევის ნორმები, საზოგადოებრივი მორალი. ასეთ ტრადიციულ გარემოში იქმნებოდა მსგავს მოტივებსა და სიუჟეტებზე დაფუძნებული ქართველი მითოლოგიური გადმოცემები და ნახური საგმირო თქმულებები ნართ-ერსთხოელებზე.

ნაშრომში ჩეჩნური და ქართული ტრადიციული კულტურის ელემენტები განვიხილე კომპარატივისტულ ჭრილში, რადგან კვლევის ისტორიულ-ტიპოლოგიური და ისტორიულ-გენეტიკური შედარების მეთოდი სოციოკულტურული ასპექტების უფრო ღრმად გააზრების საშუალებას იძლევა. მითოლოგიური პარალელების კვლევისას გამოვიყენე ფოლკლორისტიკის მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინების - ეთნოგრაფიისა და ენათმეცნიერების - მონაცემები.

სტატიაში ჩეჩნურ-ქართული მითოლოგიური პარალელების მხოლოდ რამდენიმე დეტალი განვიხილე, რომლებიც ორი ხალხის ფოლკლორულ შემოქმედებაში ხანგრძლივი დროის მანძილზე კულტურულ ფასეულობათა გაზიარების შედეგად ჩამოყალიბდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზეპირსიტყვიერ ტექსტებსა და ჩეჩნური ფოლკლორის ნიმუშებს შორის უფრო სიღრმისეული და გენეტიკური სიახლოვე იკვეთება, როგორც მითოლოგიური სიუჟეტებითა და მოტივებით, ისე ხალხურ ტექსტებში გაბნეული ცალკეული მითოლოგემებითა და ტრადიციული ელემენტების სახით. ჩეჩნურ და ქართულ ტრადიციულ კულტურებს შორის სიახლოვე მრავალი ასპექტით ვლინდება, რომელიც სამომომავლოდ კომლექსურ მიდგომასა და ინტერდისციპლინურ კვლევას საჭიროებს.

7. გადმოცემები მიხა ხელაშვილის ბოზოქარი ცხოვრების შესახებ, ისევე როგორც მისი ლექსების ნაწილი, საბჭოთა პერიოდში ზეპირად ვრცელდებოდა. მთის ხალხებში მიხა ხელაშვილის პოეზიის განსაკუთრებულ პოპულარობას რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა. ფშავლებმა და ხევსურებმა მიხა ხელაშვილის ლექსები სიმღერებად აქციეს და მათ ფანდურის თანხლებით რელიგიურ დღესასწაულებსა თუ უბრალო საოჯახო ტრაპეზებზე დიდი მოწიწებით ასრულებდნენ. მთის ხალხებში მიხა ხელაშვილის პოეზიის განსაკუთრებულ პოპულარობას რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა. ჯერ ერთი, რომ მისი ლექსები, რომლებსაც პოეტი ძირითადად ფშაურ დიალექტზე ქმნიდა, ახლოს იყო ფოლკლორთან და ხალხურ მოტივებთან. ის თემები და

მოტივები, რაზეც მიხა ხელაშვილი წერდა, ხალხსაც აწუხებდა და იზიდავდა. მისი პოპულარობის მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ მიხა ხელაშვილი ხალხის მეხსიერებაში დარჩა როგორც სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირი. მიხა ხელაშვილს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის გამორჩეულ მებრძოლს, ისეთი ცხოვრება და სიკვდილი ერგო წილად, როგორიც გენიოსი მწერლების შემოქმედებაში დიდი ტრაგედიების სიუჟეტებად იქცევიან ხოლმე. ბოლშევიკების მიერ დაქირავებულმა მკვლელებმა 25 წლის მიხა ხელაშვილს სიცოცხლე ღალატით მოუსწრაფეს. ღალატი განსაკუთრებით შემზარავი იყო, რადგან მასში ახალგაზრდა პოეტის უახლოესი მეგობრებიც მონაწილეობდნენ.
პოეტის სახელის აკრძალვის მიუხედავად, საბჭოთა პერიოდში მიხა ხელაშვილის პოეზია ზეპირად თუ წერილობით მკითხველამდე და მსმენელამდე მაინც აღწევდა. ის იყო ჭეშმარიტად სახალხო პოეტი. მისი ლექსები პირველად 1934 წელს ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ შედგენილ ხალხური პოეზიის კრებულში ავტორის ვინაობის მითითების გარეშე დაიბეჭდა. საბჭოთა პერიოდში უაღრესად პოპულარული გახდა მიხა ხელაშვილის „ლექსო ამოგთქომ“, რომელსაც ანსამბლ „ივერიის“ ცნობილი სოლისტი თემურ წიკლაური, როგორც ხალხურ ლექსს, ასრულებდა. ავტორის ვინაობის მითითებით მიხა ხელაშვილის ლექსები პირველად 1970 წელს დაიბეჭდა ალექსი ოჩიაურის მიერ შეკრებილ „ფშავ-ხევსურულ პოეზიაში“. კრებულში შესული იყო მიხა ხელაშვილის რამდენიმე ლექსი, მათ შორის „ლექსო ამოგთქმ“.
მიხა ხელაშვილის პოეტურ შედევრს - „ლექსო ამოგთქვამ“ - სიღრმისეული პარალელები დაეძებნება ერთ-ერთ ჩეჩნურ ხალხურ სიმღერასთან „როცა ჩემს საფლავზე მიწა გაშრება“, რომელიც ლ. ტოლსტოიმ „შურისძიებისა და სილაღის გამომხატველ საოცარ სიმღერათა“ რიცხვს მიაკუთვნა. ეს ძველი ჩეჩნური სიმღერა პირველად შეიტანა ი. პ. იპოლიტოვმა თავის პუბლიკაციაში „არღუნის ოლქის ეთნოგრაფიული ნარკვევი“, რომელიც დაიბეჭდა 1868 წელს თბილისში, რუსულ ენაზე გამომავალ კრებულში „კავკასიის მთიელთა შესახებ“ (Сборник сведениий о кавказских горцах).
სტატიაში ისტორიულ-შედარებითი და სტრუქტურული მეთოდის გამოყენებით განხილულია პარალელიზმები მიხა ხელაშვილის ლექსსა და ჩეჩნურ ხალხურ სიმღერას შორის.

8. ჩეჩნური ლიტერატურის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის აბუზარ აიდამიროვს (1933 – 2005), გამოჩენილ ჩეჩენ რომანისტს, პოეტს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს. აბუზარ აიდამიროვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები არის რომანი „გრძელი ღამეები“ (*ჩეჩნ. Еха буьйсанаш*), რომელმაც მწერალს საყოველთაო აღიარება და პოპულარობა მოუპოვა.
აბუზარ აიდამიროვმა რომანზე მუშაობა ჯერ კიდევ დეპორტაციის წლებში, ყაზახეთში ცხოვრების დროს დაიწყო. მწერალს ეკრძალებოდა ჩეჩენი ხალხის თავზე საბჭოთა პერიოდში დატეხილი უბედურების შესახებ რაიმე პუბლიკაციის დაწერა და გამოქვეყნება. ამიტომ მან შექმნა რომანი „გრძელი ღამეები“, რომლის სიუჟეტიც ასახავს ისტორიულ წარსულს, ცარიზმის სასტიკ კოლონიალურ პოლიტიკას ჩეჩენი ხალხის წინააღმდეგ, თუმცა ნაწარმოების გამოქვეყნება ჩეჩნურ ენაზე მხოლოდ 1972 წელს გახდა შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ რომანში მოქმედება ხდება XIX საუკუნის შუა წლებსა და II ნახევარში და მას თითქოს არანაირი კავშირი არ ჰქონდა საბჭოთა სინამდვილესთან, მთავრობამ „გრძელი ღამეები“ მალევე აკრძალა. საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმისთვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა აბუზარ აიდამიროვის რომანი, რომელიც რუსეთ-კავკასიის ომებისა და ჩეჩენთა მუჰაჯირობის ობიექტური მიზეზების შესახებ მოგვითხრობდა. რუსულ ენაზე ის პირველად მხოლოდ 1996 წელს დაიბეჭდა.

ოფიციალური საბჭოთა ისტორიოგრაფია კავკასიის მთიელთა ბრძოლას თავისუფლებისთვის განიხილავდა როგორც რელიგიური ფანატიკოსების მიერ ქრისტიანული რუსეთის წინააღმდეგ მოწყობილ ჯიჰადს, რომელიც ინსპირირებული იყო ოსმალეთის იმპერიისა და დიდი ბრიტანეთის მიერ. ა. აიდამიროვმა რომანში ასახა რუსეთ-კავკასიის ომების დამპყრობლური ხასიათი, ომში ჩაბმული ჩეჩენი ხალხის სოციალური ყოფა, ომის შედეგად გამოწვეული ჰუმანიტარული კატასტროფა.
აბუზარ აიდამიროვის „გრძელი ღამეების" სიუჟეტი მოიცავს ვრცელ გეოგრაფიულ არეალს. ნაწარმოებში მოქმედება ხდება ჩეჩნეთის მაღალმთიან აულებში, კაზაკთა სტანიცებში, ვლადიკავკაზში, თბილისში, კონსტანტინოპოლში, ლონდონსა და მსოფლიოს სხვა ქალაქებში. ჩეჩენი კრიტიკოსის ო. ჯამბეკოვის შენიშვნით, რომანში, მართალია, არ არის მთავარი გმირი და თანმიმდევრული სიუჟეტი, მაგრამ ეს გარემოება არაფერს აკლებს ნაწარმოებს. რომანის პერსონაჟები ძირითადად ისტორიული პირები არიან: იმამი შამილი, ბაისანგურ ბენოელი, რუსი გენერლები, კავკასიის მეფისნაცვალი და სხვ. მწერალი მოგვითხრობს, თუ როგორ წყდებოდა ჩეჩენი ხალხის ბედი რუსეთის იმპერატორის, კავკასიის მეფისნაცვლისა და ოსმალეთის სულთნის სასახლეებში. ჩეჩენი ხალხის ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებასთან დაკავშირებით რომანი წარმოგვიდგენს უაღრესად დაძაბულ დიალოგებს თერგის ოლქის უფროს მიხეილ ლორის-მელიქოვსა და ოს გენერალ მუსა კუნდუხოვს შორის, ასევე რუსეთის ელჩ იგნატიევსა და ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ალი ფაშას შორის. მწერალმა რომანში გამოკვეთა მუსა კუნდუხოვის განსაკუთრებული როლი მუჰაჯირობის მთელ პროცესში. აბუზარ აიდამიროვმა შექმნა უაღრესად დახვეწილი მხატვრული სახე ამ ცბიერი გენერლისა, რომელმაც შეძლო ჩეჩენი ხალხის ერთი ნაწილის მოტყუება და მათი ოსმალეთის იმპერიაში გადასახლება, რათა ცარისტულ ხელისუფლებას გაადვილებოდა დაპყრობილი ტერიტორიის მართვა.
აბუზარ აიდამიროვის რომანში დიდი ინტერესით იკითხება ისეთი დეტალები, რომლებიც ეხება ჩეჩენი ხალხის ტრადიციულ ყოფას, სტუმარმასპინძლობის წესებს, მოზარდების მეომრებად აღზრდის პრაქტიკას, ქუნთ-ჰაჯის მოძრაობას, შალის აჯანყებას - ე. წ. „ხანჯლებით ბრძოლას", ჰაზავათის კრიტიკას, ჩეჩნებისა და კაზაკების ურთიერთობას, XIX საუკუნის ტფილისის აღწერას და სხვ.
სამწუხაროდ, რომანი „გრძელი ღამეები" ქართულ ენაზე თარგმნილი არ არის. მნიშვნელოვანია აბუზარ აიდამიროვის ნაწარმოების ქართულ ენაზე თარგმნა და მისი ქართველი მკითხველისთვის გაცნობა.

9. ქართველმა ხალხმა ისტორიულ პირებსა და მოვლენებთან დაკავშირებით თემატურად მდიდარი და ჟანრობრივად მრავალფეროვანი ფოლკლორი შექმნა. ოფიციალური ისტორიოგრაფიისგან განსხვავებით, ხალხურ ტექსტები არ გადმოსცემენ ერთიან ისტორიულ პროცესს, რადგან წარსულში მომხდარი მოვლენები სულ რამდენიმე ისტორიულ პირს ან მეფეს მიეწერება, რამაც განაპირობა ამ სახის ნაწარმოებთა ციკლურობა.
ზოგიერთი ციკლი ისტორიულ პირს უკავშირდება, ზოგიერთი ციკლი კი - ისტორიულ მოვლენას. ფოლკლორულ ნაწარმოებთა აღნიშნულ ციკლებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხური კოლექტიური მსოფლმხედველობის შესასწავლად, რადგან მათი საშუალებით ნათელი ხდება, თუ რომელმა ისტორიულმა პირმა ან ისტორიულმა მოვლენამ მოახდინა საზოგადოებაზე ყველაზე დიდი ზემოქმედება, რომელ ეპოქას მიიჩნევს ხალხი ყველაზე ძლიერ დროდ და რომელ მოღვაწეს - გამორჩეულ პიროვნებად.
ფოლკლორი მხატვრული შემოქმედებაა და პერსონაჟები ხანდახან საგრძნობლად სცილდებიან თავიანთ პროტოტიპებს. დავით აღმაშენებლის თქმულება, მართალია,

ქრისტიანული ტაძრის მშენებლობას ეხება, მაგრამ ტექსტი ბოროტი ძალის დათრგუნვის შესახებ სიუჟეტად იყენებს უძველეს ზოროასტრულ არქეტიპს. როგორც ვხედავთ, ფოლკლორულმა ტრადიციამ ანგარიში არ გაუწია დავით აღმაშენებლის ნამდვილ საგმირო საქმეებს და მას მითოლოგიური ბიოგრაფია შეუქმნა.
ხალხურმა ლექსმა თამარ მეფე დემიურგის ატრიბუტებით აღჭურვა და ამით უძველესი კოსმოგონიური მითის რეაქტუალიზება მოახდინა. თამარის დაპირისპირება ზღვასთან ძველი ხალხების ღმერთისა და ზღვაური ურჩხულის ორთაბრძოლის მითს მოგვაგონებს. ხალხურ ტექსტებში ისტორიული გმირები ერთგვარ მეტამორფოზას განიცდიან და ისინი მითოლოგიური გმირები ხდებიან, რომლებსაც კავშირი აქვთ ზებუნებრივ ძალებთან.
მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე მეორის ყმაწვილობის ხანა კარგად არის ცნობილი საისტორიო წყაროებიდან, მის ბავშვობას ხალხური ლექსი მაინც მითოლოგიური არქეტიპებით წარმოგვიდგენს. მითოლოგიური გმირების მსგავსად ერეკლე მეფეც ობოლი, გადაგდებული ბავშვია. მას სადღაც, საკრალურ სივრცეში, ირემი საკუთარი რძით კვებავს და ბოლოს საჩალეში გადაგდებულ უფლისწულს მონადირე პოულობს. ლექსში „ობლობა“, „უფლისწულის გადაგდება“, „ირემი“, „რძე“ და „მონადირე“ მითოლოგიური არქეტიპებია, რომლებსაც ხალხური ტექსტი ისტორიული პირის რჩეულობის გადმოსაცემად იყენებს.

ისტორიულ პირებსა და მოვლენებთან დაკავშირებული ხალხური ტექსტები სავსეა ანაქრონიზმებით. გადმოცემებში მურვან ყრუ და დავით აღმაშენებელი ერთმანეთს ებრძვიან; სხვა თქმულებებში ხან ოსმალო ფაშა და ხანაც შაჰ-აბასი ცდილობს თამარ მეფის შეპყრობას, მაგრამ ამაოდ. ერეკლე მეფის ციკლის თქმულებებში მონაწილეობენ ხირჩლა ბაბურაული და ბერდია მამუკაური, რომლებიც ზურაბ ერისთავის ციკლის ხალხურ ნაწარმოებებშიც ხსენდებიან, ხოლო ხოშურაული, რომელსაც ბესარიონ გაბური ერეკლე მეფესთან დაკავშირებულ გადმოცემაში მოიხსენიებს, მანამდე ერთი საუკუნით ადრე ცხოვრობდა და გმირული ბრძოლით მან ბახტრიონის აჯანყებაში გამოიჩინა თავი.
ჩვეულებრივი საგმირო ეპოსებისგან განსხვავებით, სადაც მოქმედება ხდება განუსაზღვრელ დროსა და სივრცეში, საისტორიო სიმღერებსა და თქმულებებში გადმოცემულ ისტორიებს შეხება აქვთ სინამდვილესთან. ხალხური იმაგინაციის მიხედვით, საისტორიო ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ნამდვილია, რადგან სრულიად რეალური პირები კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოში მოქმედებენ და ეს ტექსტები ხშირად საკრალურია, რადგან მთავარ გმირებს ზებუნებრივი თვისებები მიეწერებათ.
მოგვიანო პერიოდში შექმნილი ციკლების პერსონაჟებმა ვერ მოასწრეს მითოლოგიურ გმირებად გადაქცევა და ისტორიული მოვლენებიც მითიურ ქმედებათა კატეგორიაში ბოლომდე ვერ ინტეგრირდა.

საისტორიო ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული კულტურის შესასწავლად. ფოლკლორული შემოქმედება მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ როგორ აღიქვამს კოლექტიური ცნობიერება ისტორიულ პირებსა და მოვლენებს, თუ როგორ უყურებს ხალხი საკუთარი ქვეყნის ისტორიას. საისტორიო სიმღერები და თქმულებები იძლევა ძვირფას მასალას არქეტიპებისა და უძველესი პოეტური ფორმების შესასწავლად, რადგან, როგორც კვლევამ აჩვენა, ხალხურ სიტყვიერებაში ისტორიული პირები და მოვლენები მითოლოგიური სქემებით, ტრადიციული მოდელებითა და უძველესი არქეტიპების მიხედვით იქმნებიან.

10. ოსურ ფოლკლორში რამდენიმე ვარიანტად გვხვდება მითოლოგიური გადმოცემა შავი ჭირის გამავრცელებელი არსების - ჟემინას - შესახებ. ვარიანტების უმრავლესობა XIX საუკუნის II ნახევარში არის ჩაწერილი. გადმოცემებში მოქმედება ხდება ჩრდილოეთ ოსეთის მთიანეთში, კერძოდ აულ სთურ დიგორში. ოსური თქმულება შავი ჭირის

გამავრცელებელ არსებას ხან ანთროპომორფული სახით, ხანაც მგლის, ძაღლის, ცეცხლის ან ცეცხლოვანი ბურთის სახით წარმოგვიდგენს. ის ეცხადება კონკრეტული გვარის წარმომადგენლებს, ზოგჯერ მთელ ხალხს და ჰქვია ჟემინა. ქართული ფოლკლორიც იცნობს შავი ჭირის გამავრცელებელ მითოსურ არსებებს. ოსური ტექსტების მსგავსად, ხევსურულ მითოლოგიურ გადმოცემებში ეს არსებები პერსონიფიცირებულია და მათ ჰქვიათ ჟამნი. შავი ჭირის ეპიდემია ქართულ წყაროებში ჟამიანობის სახელით ხსენდება.

ჟამიანობასთან დაკავშირებულ ქართულ თქმულებებში შემოდის აკრძალვის, საიდუმლოს გაგებისა და დასჯის მოტივები. ქართული და ოსური გადმოცემები მოგვითხრობენ შავი ჭირის გამავრცელებელი არსებებისა და ადამიანების ურთიერთობის, ჟამიანობისგან მოსახლეობის განადგურებისა და პრევენციის ზომების შესახებ. ჟამიანობასთან დაკავშირებული ქართული და ოსური მითოლოგიური გადმოცემები ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული ხალხური ტექსტებია, რომლებსაც გამითიურებული, მაგრამ რეალურად მომხდარი ამბები უდევს საფუძვლად. მათში აისახა ადგილობრივი გეოგრაფიული გარემო, ტოპონიმები და მიკროტოპონიმები, მითიური წინაპრებისა და ეთნარქების გვარ-სახელები.

ოსური გადმოცემებისგან განსხვავებით, ხევსურულ ხალხურ ტექსტებში შავი ჭირის გამავრცელებელი არსებები არიან ბევრნი და მათი საერთო სახელი არის „ჟამნი“. ისინი ჯგუფურად გადაადგილდებიან ჯორით, რომელსაც ხურჯინში შავი ჭირის გამავრცელებელი თეთრი, წითელი და შავი ისრები უწყვია. ოსურ გადმოცემებში ჟემინა, ჯორისა და ისრების გარეშე, მარტოდ გადაადგილდება, მარტოდმარტო მოქმედებს და ავრცელებს ეპიდემიას.

ოსურ გადმოცემებში შავი ჭირის გამავრცელებელი არსების საკუთარი სახელი „ჟემინა“ ოსური ენის მონაცემებით არ იხსნება. ის ქართული, კერძოდ, ხევსურული ტრადიციიდან უნდა იყოს გადასული, სადაც იგი შავი ჭირის გამავრცელებელი არსებების ზოგად სახელს წარმოადგენდა. შავი ჭირის გამავრცელებელი დემონური არსებების სახელი ხევსურულ ტექსტებში გადმოცემულია სიმრავლის გამომხატველი ნარიანი ფორმით - „ჟამნი“ (ჟამ ***-ნ-*** ი), რომელიც ოსურმა ენამ, როგორც ჩანს, ქართულიდან მრავლობითის მაწარმოებელ „-ნ“ სუფიქსიანად ისესხა - „ჟემი ***-ნ-*** ა“, თუმცა ამ სიტყვაში „-ნ“ სუფიქსს დაკარგული აქვს მრავლობითის გაგება და ოსურ გადმოცემაში ეს სახელი შავი ჭირის გამავრცელებელ ერთ კონკრეტულ არსებას ჰქვია.

შავი ჭირის თავიდან ასაცილებლად მოსახლეობა ყველაზე მეტად მფარველ წმინდანებსა და ზებუნებრივ არსებებს სთხოვდა მფარველობას, რადგან, ეპიდემიასთან საბრძოლველად წამალი ეფექტურ საშუალებად არ ითვლებოდა. ხევსურული ანდრეზებისა და ოსური გადმოცემების მიხედვით, ჟამიანობა სწორედ ჯვარ-სალოცავებმა, ძუარებმა და იდაუაგებმა შეაჩერეს.

ოსურ ტრადიციაში მისტერიის სახით არსებობდა შავი ჭირის დამარცხებასთან დაკავშირებული ხალხური დღესასწაული და რიტუალი, რომელსაც, როგორც სცენარი, საფუძვლად ედო თქმულებაში გადმოცემული ამბავი.

შავი ჭირის გამავრცელებელ არსებებთან დაკავშირებული ქართული და ოსური მითოლოგიური გადმოცემების შედარებითი ანალიზით ვლინდება არაერთი მსგავსი ფოლკლორული მოტივი და ტრადიციული ელემენტი, რომლებიც ორი ხალხის ფოლკლორულ შემოქმედებაში კულტურული ფასეულობების გაზიარების ხანგრძლივ პროცესსა და გენეტიკურ კავშირებზე მიუთითებს.

11. ლიტერატურა და ზოგადადაც კულტურა ხშირად არის დაფუძნებული გარკვეულ პარადიგმულ შემეცნებაზე. საწყისი-ბინარი ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს პიროვნების მოვლენის ან საგნის პერსონიფიკაცია და სიმბოლიზაცია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ძლიერია პიროვნების ერთგვარი სიმბოლიზაცია, როცა ეს ფაქტი თავად პიროვნების საქმიანობიდან და ღვაწლიდან მოდის. კიდევ უფრო ძლიერი და მოტივირებულია ლიტარატურული ტექსტი, თუ აღნიშნული სიმბოლიზაცია ისტორიული მენტალური, მორალური ან შემეცნებითი ნიშნებით გამორჩეულ პიროვნებას ეხება. ყოველი აღნიშნული ნიშანი კი გარკვეულწილად კონკრეტულ მორალურ თუ იმპერატიულ იდეაში ცნობიერდება.
ამ პარამეტრებით უნდა განვიხილოთ XVI საუკუნეში მოღვაწე ქართველი დედოფლის ქეთევანის პიროვნული და ისტორიული ფაქტორი. ქათევან დედოფლის ცხოვრება, მარტვილობა და სარწმუნოებრივი ღვაწლი იმთავითვე იქცა ერთგვარ უპრეცენდენტო და სამაგალითო ფაქტად ძალმომრეობის, კოლონიური თუ ტოტალიტარული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლისა და დაუმორჩილებლობის, ასევე რწმენის, შეხედულების, სინდისის და ბოლოს ქალის (გენდერული ნიშნით) უფლებების დაცვისათვის.
ქეთევან დედოფლის მოწამეობროივი აღსასრული ისტორიული მისიის მატარებელად იქცა მაშინდელი ქრისტიანული ინსტიტუტისათვის, არა მხოლოდ დედოფლის სამშობლოში, არამედ არამედ მთელს მაშინდელ ქრისტიანულ/კათოლიკურ სივრცეში - გვიანი შუასაუკუნეების ევროპაში, როგორც ზნეობრივი და მენტალური ფასეულობების დაცვის ეტალონი. ეს ფაქტი ბაროკოს ეპოქიდან მოყოლებული აისახა გერმანულ (ანდრეას გრიფიუსი), ფრანგულ (პადრე ამბროზიო), იტალიურ (პიეტრო დე ლა ველლა), რუსულ (მიხეილ საბინინი) და პორტუგალიურ (რობერტო გულბეკიანი) თეოლოგიურ, ფილოსოფიურ და მხატვრულ ნარატივებში.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1.

1. ნესტან სულავა, ორი ეპიზოდი საქართველოს ეკლესიის სტატუსის შესახებ გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ მიხედვით და მათი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. აკად. გ. ლორთქიფანიძის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურულ-საისტორიო ძიებანი“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის ს/ს ინსტიტუტი, მსოფლიო ისტორიის ს/ს ინსტიტუტის ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრა და ისრაელის ცენტრი. 9-11.10.2023.

2. ნესტან სულავა, „უცხოს“ გააზრებისათვის „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, II საერთაშორისო კონფერენცია: საქართველო და კავკასია - წარსული, აწმყო, მომავალი. საქართველოს უნივერსიტეტი, თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი. 7-8. 10. 2023.

3. ნესტან სულავა, იოვანე მტბევრის მოღვაწეობა და ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა.VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - არქივთმცოდნეობა,

წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები. დავით აღმაშენებელი - 950. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. საქართველოს ეროვნული არქივი. 21-23 seqtemberi, 2023.

4. ნესტან სულავა, ქართველ სასულიერო პირთა ზედწოდებათა შესახებ. დიალექტოლოგიური სესია. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ახალქალაქი. 6-7 იქტომბერი. 2023.

5. ნესტან სულავა, ნანა გონჯილაშვილი, დედოფლების სულიერი მისია ქართლის გაქრისტიანებაში „მოქცევაÁ ქართლისაÁს“ მიხედვით. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საფაკულტეტო კონფერენცია. 2023. 20-21. 07.

6. ნესტან სულავა, გიორგი მცირის ეპისტოლე წმ. გიორგი შეყენებულისადმი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. 31.05.2023.

7. ნესტან სულავა, ივანე ჯავახიშვილი წმ. გიორგი მთაწმინდელის თხრობის სტილის შესახებ. ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 147-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. Scientific Conference Dedicated to the 147th Anniversary of Ivane Javakhishvili. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. 27-28 აპრილი. 2023.

8. ნესტან სულავა, დელა ვალე წმ. ქეთევან წამებულის მისიის შესახებ და თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 105 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. 6 თებერვალი, 2023.

9. ლელა ხაჩიძე, პარიზული ხელნაწერის (Georg. 5) სტრუქტურა და ქრონოლოგია, 6. 02. 2023, თსუ 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

10. ლელა ხაჩიძე, გიორგი მთაწმიდელის ერთი თარგმანის შესახებ, 28.06. 2023, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა", საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

11. ლელა ხაჩიძე, ელია იერუსალიმელის საგალობლების ქართული თარგმანები, 20.07. 2023, პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

12. ლელა ხაჩიძე, IX საუკუნის ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან, 15.12.2023, პროფესორ ბაქარ გიგინეიშვილის 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენცია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

13. მაკა ელბაქიძე. „ჰაკი აძბას“. ორგვარი დასასრული და ორი სიმართლე. მე-16 საერთაშორისო სიმპოზიუმი *ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. სოციალისტური რეალიზმის ეპოქა ლიტერატურასა და ხელოვნებაში.* თბილისი. 2023 წლის 27-29 სექტემბერი.

14. ლადო მინაშვილი, კიტა აბაშიძის, როგორც კრიტიკოსის პორტრეტისათვის, პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, საქართველო, 20.07.23

15. ლადო მინაშვილი, ისტორიული თემა იაკობ გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობებში, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია, კონფერენცია, თბილისი, საქართველო 27.10.23.
16. ლადო მინაშვილი, იუზა ევგენიძის მონოგრაფია „ქართული სიტყვის მეუფეზე“, პროფესორ იუზა ევგენიძის დაბადების მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია “ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები”, კონფერენცია, თბილისი, საქართველო23.05.2023
17. ლევან ბებურიშვილი, იაკობ გოგებაშვილი რაფიელ ერისთავის შესახებ, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, საქართველო, 27.10.2023
18. ლევან ბებურიშვილი, ფრანგული ბალადის ერთი ნიმუში გალაკტიონის 30-იანი წლების ლირიკაში, XVI საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები" „სოციალისტური რეალიზმის ეპოქა ლიტერატურასა და ხელოვნებაში თბილისი, საქართველო, 28.09.2023.
19. ლევან ბებურიშვილი, ერთი პოეტური პოლემიკის ისტორიიდან (ალიო მირცხულავა გალაკტიონის წინააღმდეგ) მერვე საერთაშორისო კონფერენცია: „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა: ტენდენციები და გამოწვევები“, თბილისი, საქართველო, 21.09.2023.
20. ლევან ბებურიშვილი, იუზა ევგენიძე – ქართული რომანტიზმის მკვლევარი, პროფესორ იუზა ევგენიძის დაბადების მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები“ თბილისი, საქართველო, 23.05.2023
21. ლევან ბებურიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი და ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები, ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 147-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, საქართველო, 27.04.2023. (ნაშრომი გამოქვეყნებულია, ანოტაცია იხ. ზემოთ).
22. ეკა ვარდოშვილი. შანდორ პეტეფის „მერანი“, Sandor Petofi’s „Merani“, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია, Kartvelological Scientific Confernce Dedicated to Iakob gogebashvili, თსუ, TSU, პროგრამა/თეზისები, Program /Abstract, თბილისი/Tbilisi, 27.10.2023, ინდექსირებულია - ResearchGate
23. ეკა ვარდოშვილი. ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-კრიტიკული ნააზრევი და თანამედროვეობა, ილიაობა 2023, წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) დაბადებიდან 186-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კვირეული (3-11 ნოემბერი), ინტერდისციპლინარული კვლევების საერთაშორისო ცენტრი, 3 ნოემბერი 2023, კონფერენციის პროგრამა.
24. ეკა ვარდოშვილი. პეტეფის შემოქმედების მიმართება ქართულ ლიტერატურასთან, პეტეფი - 200, შანდორ პეტეფის დაბადებიდან 200 წლის იუბილეს აღსანიშნავად, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, თბილისი, 8 დეკემბერი, 2023, პროგრამა.
25. ეკა ვარდოშვილი. ოლივერ უორდროპი ახალი ქართული ლიტერატურის შესახებ, პროფესორ იუზა ევგენიძის დაბადებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები. თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროგრამა, თბილისი, 23 მაისი, 2023, ინდექსირებულია - ResearchGate
26. ეკა ვარდოშვილი. საქართველო ალექსანდრე დიუმას „კავკასიაში“, Georgia in Alexander Dumas „Adventures in the Caucasus“, აბრეშუმის გზის საერთაშორისო სიმპოზიუმი, International Silk Road Symposium, საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი, ჩინეთის

საერთაშორისო განათლების ჯგუფი, სარტყლისა და გზის კვლევითი ინსტიტუტი, Georgian International University, China international Education Group, Belt and Road Research institute, Symposium Programme, December 4, Tbilisi Georgia 2023, სიმპოზიუმის პროგრამა, 4 დეკემბერი, თბილისი, საქართველო 2023 წელი.

27. ეკა ვარდოშვილი. პაბლო ნერუდას პოეზია, Poetry of Pablo Neruda, ამერიკისმცოდნეობის 24-ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, თსუ, პროგრამა, თბილისი, 19-20 ივნისი. The 24th Annual International Conference on American Studies, TSU, Programme, Tbilisi, 19-20 May, 2023.

28. . თამარ შარაბიძე, ვახტანგ ორბელიანის რელიგიური ლირიკა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია _ ჩვენი სულიერების ბალავარი XII, 11-12 მაისი, 2023 წ.

29. თამარ შარაბიძე, იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენის“ მნიშვნელობა მაშინდელ და დღევანდელ ანბანის სწავლების პროცესში, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია, თსუ, 27 ოქტომბერი, 2023 წ.

30. თამარ შარაბიძე, გიორგი წერეთლის საზოგადოებრივი აზროვნების შესახებ, თსუ, პროფესორ იუზა ევგენიძის დაბადების მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 23 მაისი, 2023 წ.

31. თამარ შარაბიძე, „რუსობისგან მოტანილი საქმე“ _ ლადო კოტეტიშვილის მოთხრობა „გველტუჩა“, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, მე-16 საერთაშორისო სიმპოზიუმი _ „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“, 27-29 სექტემბერი, 2023 წ.

32. თამარ შარაბიძე, ეპოქის _XIX საუკუნის _ სულისკვეთება ელგუჯა თავბერიძის მხატვრულ-დოკუმენტურ ქრონიკაში _ „ბულვარი“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, , 2023 წ.

33. თამარ შარაბიძე, ბასილ მელიქიშვილის სიმბოლური სახისმეტყველება, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „ინტერდისციპლინარული კვლევების ახალი ჰორიზონტები“, ეძღვნება პროფესორის დავით გოცირიძის 70-წლისთავს, 23-24 ივნისი, 2023 წ.

34. თამარ შარაბიძე, ოთარ ჩხეიძის რომანი „ბურუსი“ და ჩვენი თანამედროვეობა, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათაშორისი დიალოგები“, 27-29 ოქტომბერი, 2023 წ.

35. თამარ შარაბიძე, ვაჟა-ფშაველას საზოგადოებრივი აზროვნება, წარმოჩენილი პოეტის მხატვრულ შემოქმედებაში, დამეცნიერო კონფერენცია _ „სულხან-საბა და საქართველო“, ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ქვიშხეთის დ. ყიფიანის სახლ-მუზეუმი, 25 ნოემბერი, 2023 წ.

36. თამარ შარაბიძე, „იასე იანუსი“ _ შეწყნარებული თუ გამეტებული? (როსტომ ჩხეიძის ამავე სათაურის ბიოგრაფიული რომანის მიხედვით), VI სამეცნიერო კონფერენცია _ „XIX საუკუნე _ ეპოქათა მიჯნა“, თსუ, 25 დეკემბერი, 2023 წ.

37. ლორია, კ. – „მათმა თვალებმა სისხლი არ უნდა ნახონ, მარიამ!..“ (ლეო ქიაჩელის რომანის - „გვადი ბიგვა“ გააზრებისათვის), XVI საერთაშორისო სიმპოზიუმი – ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები: „სოციალისტური რეალიზმის ეპოქა ლიტერატურასა და ხელოვნებაში“, 27-29 სექტემბერი, 2023წ. თბილისი, თსუ, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

38. ქეთევან სიხარულიძე, ღვთაებათა და ადამიანთა ურთიერთობები კავკასიელთა წარმოდგენების მიხედვით // კავკასიოლოგთა II საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი, თბილისი,17-19 ოქტომბერი, 2023, გვ.11.

39. ქეთევან სიხარულიძე, საბჭოთა ფოლკლორის ისტორიისათვის: ფოლკლორისა და ფსევდო ფოლკლორის ურთიერთმიმართების საკითხი // XVI საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „სოციალისტური რეალიზმის ეპოქა ლიტერატურასა და ხელოვნებაში“, თბილისი, სექტემბერი, 2023.

40. ქეთევან სიხარულიძე, ლიტერატურული ბალადების ხალხური საწყისები // ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

41. გოგიაშვილი, ე. *ვაჟადგადაცმული ქალები – ქართული ზღაპრის პერსონაჟები და კინოგმირები.* თსუ 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია. თბილისი, 6 თებერვალი, 2023.

https://tsu.ge/assets/media/files/84/Ianvari%202023/%E1%83%97%E1%83%A1%E1%83%A3%20105%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9B%E1%83%98%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%20(1).pdf

42. გოგიაშვილი, ე. *მითოლოგიური და ლიტერატურული ალუზიები ჰანს ქრისტიან ანდერსენის „პატარა სირინოზში“.* გიორგი (ჟორჟ) ეკიზაშვილის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თსუ, თბილისი, 13 მარტი, 2023.

43. გოგიაშვილი, ე. *ჭირვეულის მორჯულება: შექსპირის კომედიის ფოლკლორისტული წაკითხვა პოლიტკორექტულობის კონტექსტში.* კავკასიის უნივერსიტეტის მერვე წლიური სამეცნიერო კონფერენცია, 15-16 მარტი, 2023.

44. გოგიაშვილი, ე. *მხატვრული გამონაგონის სოციოკულტურული ასპექტები: ორსულობა და მშობიარობა ზღაპრებში.* ქართველ ქალთა ტრადიციული მუსიკის ფესტივალი „ნანინა“. პირველი ფესტივალი „აკვნის ნანა“. ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი. თბილისი 1-2 მაისი, 2023.

45. გოგიაშვილი, ე. *„აგნეტე და ზღვის კაცი“ XIX საუკუნის დანიურ ფოლკლორსა და ლიტერატურაში.* დალი ფანჯიკიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. თბილისი 29-30 ივნისი, 2023.

46. გოგიაშვილი, ე. *ზღაპრის ლიტერატურული და კინემატოგრაფიული ადაპტაციების როლი ფოლკლორის სწავლების პროცესში.* ნოდარ კაკაბაძისადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, 20-21 ივლისი, 2023.

47. Gogiashvili, E. ‘Booklore’ and Culture Transfer: Charles Perrault’s Contes in Georgia Colloque international pluridisciplinair. მულტიდისციპლინური საერთაშორისო კონფერენცია

ცენტრი და პერიფერია: პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ენობრივი სივრცის ადაპტაცია თანამედროვეობაში. თბილისი 18-20 აპრილი, 2023.

48. ხვთისო მამისიმედიშვილი, იდრის ბაზორკინის რომანის „საუკუნეთა ბურუსიდან" კულტურულ-ისტორიული კონტექსტი, თსუ-ის 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენციის თეზისები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისი, 6 თებერვალი, 2023

49. ხვთისო მამისიმედიშვილი, აფხაზური ხალხური მისტერიის რეპრეზენტაცია გ. ტაბიძის ლექსში „პირველ თაველებს", ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 147-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისი, 27-28 აპრილი, 2023.

50. ხვთისო მამისიმედიშვილი, კავკასიური ომებისა და მუჰაჯირობის ასახვა აბუზარ აიდამიროვის რომანში „გრძელი ღამეები", პროფესორ ნოდარ კაკაბაძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისი, 20-21 ივლისი, 2023.

51. ხვთისო მამისიმედიშვილი, ინგუშურ-ქართული ურთიერთობების ასახვა იდრის ბაზორკინის რომანში „საუკუნეთა ბურუსიდან", სამეცნიერო კონფერენციის -ქართულ-კავკასიურ ურთიერთობათა ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტები - თეზისები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, თბილისი, 26 მარტი, 2023.

52. ხვთისო მამისიმედიშვილი, ნართების ეპოსი ქართულ-ოსური ურთიერთობების კონტექსტში, IX საერთაშორისო კონფერენციის - ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები - თეზისები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, თბილისი, 13-14 ოქტომბერი, 2023.

53. ხვთისო მამისიმედიშვილი, ისტორიულ პირებსა და მოვლენებთან დაკავშირებული ხალხური ტექსტების თავისებურება, კავკასიოლოგთა II საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესის მასალები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, თბილისი, 17-19 ოქტომბერი, 2023.

54. ხვთისო მამისიმედიშვილი, ჩეჩნებისა და ინგუშების ამსახველი ქართული ეთნონიმები და მათი ისტორიული დინამიკა, ჩერქეზული კულტურის ცენტრის IX საერთაშორისო სამეცნიერო სესია „შავი ზღვის აუზის ხალხები: ენა, კულტურა, ხელოვნება, ისტორია" , თბილისი, 23-24 დეკემბერი, 2023.

55. თამარ პაიჭაძე, ბიბლიური ტექსტის დრამატურგიული და სცენიური რეპრეზენტაცია მსოფლმხედველობრივი აქცენტებით „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში" საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები რეცენზირებული) ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი 20-21/10. 2023

56. თამარ პაიჭაძე, რომანტიზმის რეცეფციისთვის ქართულ სიმბოლისტურ დისკურსში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის –შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე – მასალათა კრებული ბსუ, ბათუმი 19-20.07. 2023

57. თამარ პაიჭაძე, სოცრეალიზმი და მოდერნიზმი - მსხვერპლისა და იარაღის გასაცნობიერებლად XVI საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდეობის

**თანამედროვე პრობლემები„სოციალისტური რეალიზმის ეპოქა ლიტერატურასა და ხელოვნებაში“ თსუ, თბილისი 21-23.09. 2023**

**58.ეკატერინე ნავროზაშვილი, ნანა გონჯილაშვილი,ლეონიდ არონზონის პოეზიის ახალი ქ ართული თარგმანები, ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 147-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 27-28 აპრილი, 2023, თსუ**

**59.ეკატერინე ნავროზაშვილი, ნანა გონჯილაშვილი,მე-19 საუკუნის ერთი ლექსის ორი პოეტური ქართული თარგმანის თავისებურებანი,პროფესორ იუზა ევგენიძის დაბადების მ ე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 23 მაისი, 2023. თსუ**

**60.რუსუდან ნიშნიანიძე, ,,პირველი რექტორი - პეტრე მელიქიშვილი“ თსუ 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია თეზისები, თბილისი, 2023**

**61. რუსუდან ნიშნიანიძე, ვიკტორ ნოზაძის ერთი უჩვეულო რეცენზიის თაობაზე - არგონავტებიდან სტალინამდე ვიკტორ ნოზაძისადმი მიძღვნილი სამმეცნიერო კონფერენცია თეზისები, თბილისი, 2023**

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

1. გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ საქართველოს ეკლესიის სტატუსის შესახებ ორ ეპიზოდს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ესენია: 1. აფხაზეთში, დასავლეთ საქართველოში, წმ. გრიგოლის მიერ ეკლესიის აგება და 2. წმ. ეფრემ მაწყვერელის მიერ მირონის დამზადებისა და კურთხევის უფლების მოპოვება.

აფხაზეთად წოდებული დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სტატუსის შესახებ წმ. გრიგოლის მიერ აფხაზეთში ეკლესიის აგება და მეფე დემეტრესთან საუბრის ამსახველი მისი წინამავალი ეპიზოდი არაპირდაპირ, მაგრამ ცხადად მიუთითებს დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მიმართებას დასავლეთის ეკლესიებთან; წმ. გრიგოლ ხანცთელმა აფხაზთა მეფე დემეტრეს თხოვნაზე, აეშენებინა ეკლესია აფხაზეთში, რათა წმინდა მამათა ღვაწლის მოზიარე გამხდარიყო მისი სამეფო, თავდაპირველად უარი განუცხადა, რადგან მონაზონთა მოღვაწეობისათვის დასავლეთ საქართველოს ბუნება შესაფერისი არაა, რაცაფხაზთა მეფემ არ შეიწყნარა. იმ დროისათვის, IX საუკუნის I ნახევარში აფხაზეთი, მიუხედავად იმისა, რომ მთელი საქართველოს ნაწილია და ქრისტიანული ლიტურგია ქართულ ენაზე აღესრულებოდა, ბიზანტიაზე ორიენტირებული ქვეყანა იყო. ამიტომ წმ. გრიგოლის შეხედულებით, ამ მხარეში მონასტრის აგება შეიძლება აფხაზეთისათვის პოლიტიკურად წამგებიანი ყოფილიყო. ამ ეპიზოდში სარწმუნოებრივი მსოფლხედვის მიღმა ქვეყნის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და საეკლესიო ვითარება იკითხება. აფხაზეთის ბიზანტიაზე ორიენტირებულობას მოწმობს VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე დასავლეთ საქართველოში ქართულენოვანი წარწერის არარსებობა. ჰაგიოგრაფმა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნებად წარმოგვიდგინა გრიგოლი, რადგან მან განჭვრიტა აფხაზეთში ეკლესიის აგებას ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობისა და ეკლესიური ვითარების გართულება შეიძლება მოჰყოლოდა..

დასავლეთ საქართველოს მიერ ბიზანტიის იმპერიისაგან პოლიტიკური სუვერენიტეტის მოპოვებას უშუალოდ უკავშირდება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან ეკლესიურად გამოყოფა. IX საუკუნის შუა ხანებში გაერთიანდა აღმოსავლეთ და

დასავლეთ საქართველოს ეკლესია, შესაბამისად, აფხაზთა კათოლიკოსი სრულიად საქართველოს კათოლიკოსს დაექვემდებარა. საქართველოს საეკლესიო გაერთიანებამ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას დაასწრო და პოლიტიკური გაერთიანებისათვის. მოამზადა საფუძველი(ლორთქიფანიძე, 1973: 427).
ამ საკითხს უკავშირდება მეორეც - მირონის დამზადებისა და კურთხევის უფლება წმ. ეფრემ მაწყვერელმა მოუპოვა ჩვენი ქვეყნის ეკლესიას, მანამდე აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსებს მირონი იერუსალიმიდან მოჰქონდათ. საისტორიო წყაროები მიუთითებენ, რომ მირონის კურთხევის პირველი ცერემონიალი 681 წლის დასასრულს ან 682 წლის დამდეგს შესრულდა მცხეთაში მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების (680-681) დადგენილების საფუძველზე მიღებული უფლებით. როგორ შევახამოთ ეს ცნობები ერთმანეთთან? დამოწმებული ეპიზოდი მიუთითებს, რომ „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ცნობა მირონის კურთხევისა და მისი გავრცელების შესახებ ეხება მთელ საქართველოს, რადგან ცნობას მირონის კურთხევის უფლების მოპოვების თაობაზე უშუალოდ მოსდევს ცნობა მამულის, ენისა და სარწმუნოების ერთიანობის შესახებ, რაც აფხაზეთში მირონის ქართლიდან, კერძოდ, მცხეთიდან შეტანას უნდა ნიშნავდეს. გიორგი მერჩულის მიხედვით, წმ. ეფრემ მაწყვერელმა ეს უფლება მოუპოვა „ქვეყანასა ჩუენსა“, რომელსაც ქართლად არ აკონკრეტებს, რაც იმას მიუთითებს, რომ „ჩვენი ქვეყანა“ მთელი ქართულენოვანი სივრცეა, სადაც ქართულ ენაზე სრულდება საღმრთო ლიტურგია. გიორგი მერჩულის ნათქვამი „აღმოსავლეთის კათალიკოსებზე“ ნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოშიც არიან კათალიკოსები. მწერლის ცნობა მხოლოდ საკუთრივ ქართლს არ შეეხებოდა. იმ დროისათვის „ქართველთა სამეფო“ და აფხაზეთი, ანუ დასავლეთ საქართველო,ც ალკე პოლიტიკური ერთეულებია. მთავარი ისაა, რომ ორივე საუკუნეების განმავლობაში ერთიანი კულტურული „ქართლია“, ქართლი ეთნიკურ ქართლს არ ნიშნავს, მთელ საქართველოს გულისხმობს, მისი ტოლფარდი ტერმინი „საქართველო“ ჯერ არაა ჩამოყალიბებული, მცხეთაში ნაკურთხი მირონი ორივესთვის საერთოა. ეს იმას მოწმობს, რომ ეფრემ მაწყვერელის მიერ მირონის კურთხევის უფლების მოპოვება იერუსალიმის საპატრიარქოს თანხმობით იქნა მიღწეული მთლიანად საქართველოსათვის. ეს ფაქტი განმტკიცებულია სხვა ქართული და უცხოური წყაროებით.

2. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სინურ, შატბერდულ და ჭელიშურ რედაქციებში, ლეონტი მროველის, არსენ ბერის, ნიკოლოზ გულაბერის ძის თხზულებებში წმ. ნინო შემოდის რამდენიმე სიმბოლოთი, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „დედოფალი“, „ტყვე“ და „უცხო“, რომლებიც ერთმანეთზეა დამოკიდებული. „დედოფლისა“ და „ტყვისაგან“ განსხვავებული სიმბოლური ღირებულება ეკისრება „უცხოს“, როგორც წმ. ნინოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს არსობრივ ხატ-სახეს, რომლის გააზრებას კონცეპტუალური მნიშვნელობა ეკისრება და რომელიც სპეციალური განხილვის საგანი არ ყოფილა.
სულხან-საბა ორბელიანმა „უცხო“ განმარტა, როგორც „სხვა“. „ტყვე“ იგივე უცხოობაში მყოფია, წარტაცებულია, სხვა ქვეყანაში მყოფია. გარდა იმისა, რომ წმ. ნინო ქართველთათვის უცხო ქვეყნიდან მოსულია, - ეს არსებითი არ არის მისი ტყვეობისა და უცხოობის განსასაზღვრად, - მისი უცხოობა უფრო ღრმა და მისტიური ფაქტორითაა ასახსნელი. ცნობილია, რომ წმინდანის სათნოებათა წარმოჩენისას ჰაგიოგრაფები ყურადღებას ამახვილებენ სოფლიდან განდგომაზე, უცხოობის სურვილზე, ანუ სხვადყოფნაზე, მშობლიური გარემოდან გარესამყაროში გასვლის სურვილზე, რაც ევანგელურ სწავლებას ეფუძნება და რაც წმ. გრიგოლ ნოსელმა წმინდანის საღმრთო მოქალაქობის ერთ-ერთ საყრდენად მიიჩნია. ამიტომ გასათვალისწინებელია უცხოობის არსობრივი მნიშვნელობა, რაც ძველ და ახალ აღთქმაში გვხვდება, ხოლო მომდევნო ხანის

ქრისტიანულ ლიტერატურაში სიღრმისეულად აისახა. მათეს სახარებაში მაცხოვრის სიტყვა უცხოსადმი დამოკიდებულება ჰიპოდიგმურ ხატ-სახედ გვევლინება (მათე, 25, 35; 25, 38; 25, 43; 25, 44); ევანგელურ-აპოსტოლური სწავლების კვალობაზე წმ. ნინო მრავალმხრივაა „უცხო“: იგი სხვა, უცხო ქვეყანაში მყოფია და უცხოა მანამ, სანამ საქართველოს ქრისტეს სჯულზე არ მოაქცევს; ე. ი. „უცხოში“ სულიერებაა განსახოვნებული. წმ. ნინოს უცხოობა ქრისტიანული აღმსარებლობა და ცნობიერებაა, რაც ქართველი ერისა და საქართველოსთვის იმდროისათვის იყო უცხო, ანუ სხვა. უცხოობა უშუალოდ უკავშირდება წმ. ნინოს, რომელიც უცხოა იმიტომ, რომ იგი, თვისთაგან გამოსული, პირველსახემიღებული, უცხოდქმნილი უნდა წარსდგეს უზენაესის წინაშე. უცხო სხვად ყოფნაა, ეს „სხვა“ წინარესაგან განსხვავებულობას მიანიშნებს და წმ. ნინოში ქართლის სულიერ განმაახლებელს მოგვააზრებინებს. შესაბამისად, „უცხო“ დროსივრცული პოეტიკის კვალობაზეცაა განსახილველი.
3. კვლევის მიზანია იოვანე მტბევრის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური და საღვთისმეტყველო-ლიტერატურული თვალსაზრისით შესწავლა.
საკვლევი თემის აქტუალურობას განაპირობებს ის გარემოება, რომ X საუკუნის II ნახევრისა და XI საუკუნის დასაწყისში მოღვაწე, ტბეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი იოვანე მტბევრის ცხოვრება, მოღვაწეობა, ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე არ ყოფილა მონოგრაფიული კვლევის საგანი. მისი საგალობლები მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილ 978-988 წლებში შატბერდის მონასტერში შედგენილ იადგარშია შესული (S-425).
საკითხის შესწავლისას ვიყენებთ კვლევის ტრადიციულ და ახალ მეთოდებს: ისტორიულ-შედარებითს, ანალიტიკურს, ჰერმენევტიკულს, მულტიდისციპლინურს, რომელთა საფუძველზე იკვეთება იოვანე მტბევრის მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებები და ქართული ჰიმნოგრაფიის ჟანრობრივი მახასიათებლები.
კ. კეკელიძის მიერ ტბეთის სახარების (Q-929) ანდერძ-მინაწერებიდან მოპოვებული ცნობების მიხედვით, იოვანე ჯერ ტბეთის მთავარეპისკოპოსი ყოფილა, ხოლო 995 წელს აწყურის მთავარეპისკოპოსი გამხდარა, ცოცხალი ჩანს შაორის მონასტრის წმინდანთა ცხოვრების შედგენის დროს, ე. ი. 1002 წელს. იოვანე მტბევარი დაინტერესებული იყო ხელნაწერთა მოგება-გამრავლებით. მის სახელს უკავშირდება ტბეთის სახარებისა და სვანური მრავალთავის, აგრეთვე, სხვა ხელნაწერთა გადაწერა.
იოვანე მტბევარს ტბეთის ეპისკოპოსობის პერიოდში დაწერილი აქვს ორიგინალური საგალობლები, რადგან საგალობლებში მტბევრად მოიხსენიება. ესაა დაქარაგმებული მინაწერი ავტორობაზე: „იოვანე მტბევარი“. იოვანე აწყურის წინამძღვარი მიქაელის იადგარის შედგენის შემდეგ გახდა. ჩვენთვის უცნობია, დაწერა თუ არა საგალობლები მაწყვერლობისას, რადგან ჩვენამდე მხოლოდ ადრინდელი, მტბევრობის დროინდელი საგალობლებია მოღწეული. იოვანეს საგალობლებიდან ერთი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ეძღვნება, 14 საგალობელი კი _ დღესასწაულებს 21 დეკემბრიდან 28 იანვრამდე (ძვ. სტ.). კ. კეკელიძის აზრით, იოვანე მტბევარს ძველებური ტიპის სტიქირარის დაწერა განუზრახავს.
იოვანე მტბევრის საგალობლები ეძღვნება მაცხოვრის შობის წინადღის, შობის, ნათლისღების დღესასწაულებს, აგრეთვე იმ სასულიერო მოღვაწეებს, რომელთა ხსენების დღეც აღნიშნული დროის მონაკვეთს ემთხვეოდა. ასეთებია: წმინდა მამათა წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის, წმ. ბასილი ნეოკესარიელის, წმ. ევთიმის, წმ. იოანე ოქროპირის, წმ. კლიმის, წმ. იოსებ მართლის, წმიდათა ყოველთა მამათა მეუდაბნოეთა ხსენებები. იოვანე მტბევრის საგალობლები ღრმა საღვთისმეტყველო აზროვნებით, მომხიბლავი პოეტური სტილითა და სადა სამეტყველო ენით გამოირჩევიან, რაც ბიზანტიურ საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ სტილს არ ემთხვევა, პირიქით, ქართული სალიტერატურო ენის

ტრადიციებს აგრძელებს. მისმა საგალობლების სახისმეტყველებამ ასახვა ჰპოვა საერო მწერლობაშიც, რაც მისი მემკვიდრეობის ენობრივ-სახეობრივი აზროვნების სიძლიერეზე მეტყველებს. ქართულ ჰიმნოგრაფიაში იოვანე მტბევარი ერთ-ერთია იმ ავტორთაგან, რომლებიც საგალობელთა სიუხვით გამოირჩევიან.
იოვანე მტბევრის საგალობლებში ზოგადქრისტიანული მოტივები, ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სახეები ემყარება ბიბლიურ და საღვთისმეტყველო ლიტერატურას, რომელსაც იყენებს „ახალის", „ძველის", „ხის" და სხვა სიმბოლოთა გასააზრებლად. ჰიმნოგრაფის სამეტყველო ენა გამოირჩევა ამაღლებული განწყობით, რიტმულობით, ანაფორული კომპოზიციით. იოვანე მტბევრის შემოქმედების მხატვრულ-გამომსახველობითი სისტემა და საშუალებები იმემკვიდრა ქართულმა სალიტერატურო ენამ. საგალობლებში წამყვანია ზოგადქრისტიანული მოტივები და თემები, რომელთა გადმოსაცემად ავტორი საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური მწერლობის ნიმუშების ზედმიწევნით ცოდნას ამჟღავნებს, ამ ლიტერატურის სახისმეტყველებითი სააზროვნო სისტემით ესაუბრება მსმენელსა თუ მკითხველს. ჰიმნოგრაფი დროსა და სივრცეზე ამაღლებულ ქრისტეს შობის მისტერიას სახისმეტყველებითად ასახავს და მას განიცდის, როგორც საგალობლის შემქმნელისა და აღმქმელის თანამედროვე მოვლენას, მსგავს განცდას უნერგავს და უღვიძებს მსმენელსაც.
კვლევის შედეგად დგინდება, რომ იოვანე მტბევრის საგალობლები სავსეა მჭევრმეტყველურად გამოთქმული კანონიკური აზრებით, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით, სიმბოლური სახისმეტყველებითა და ხატ-სახეთა სისტემით. მაცხოვრის, ღვთისმშობლის სიმბოლურ სახელთა მთელი რიგი საღვთისმეტყველო ლიტერატურიდან იღებს სათავეს და სიუხვით გამოირჩევა. იოვანე მტბევრის საგალობლებში ნათლად შეიგრძნობა საღვთისმეტყველო სიღრმე და მისტერიის სიდიადე, რითაც ყოველი მისი საგალობელი დიდი პოეტური კულტურის ნიმუში და სიტყვის სიღრმისეული გამოხატულებაა. იოვანე მტბევარი ქრისტიანულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ პოეტურ ხატ-სახეებსა და მხატვრულ გამოთქმებს ეყრდნობა, რაც მარცვლედოვან საზომთან ერთად ქმნის ჰიმნოგრაფის პოეტურ-სახისმეტყველებით სამყაროს.

4. ძველ ქართულ მწერლობაში ყურადღებას იქცევს ქართველ სასულიერო პირთა ზედწოდებები, რომლებიც მიუთითებენ სასულიერო პირთა ბუნებას, სულიერ სამყაროს, წარმომავლობას, სადაურობას, მამის სახელს, ნაწილი დაკავშირებულია კონკრეტულ არსებით ან ზედსართავ სახელთან და სხვ. ზოგიერთი ზედწოდება ქართულის ენობრივი მონაცემების გათვალისწინებით ქართველური ენების ან დიალექტის ფორმასაც იყენებს, რაც მეტად მნიშვნელოვანია ამ ენების ლექსიკურ ერთეულთა შესასწავლად. ძველ ქართულ ლიტერატურაში ზედწოდებების შემდეგი სახეობები დასტურდება:
სულიერ სამყაროსა და სასულიერო წოდებაში სტატუსს გამოხატავს წმ. გიორგი შავმთელის ზედწოდებები: შეყენებული და დაყუდებული, რომელიც სპეციალურ განხილვას იმსახურებს; იოვანე ბერაჲ, ათონზე მოღვაწე სულით შემოსილი იოვანე ბერი მარტოდ-მყოფი, თეოფილე ხუცესმონაზონი, არსენ ბერი;
წარმომავლობას, სადაურობასა და მოღვაწეობის ადგილს მიუთითებენ: პეტრე იბერი, ზოგჯერ - ქართველი; წმ. კონსტანტი კახი; მაკარი ლეთეთელი, ძჱ გიორგი გრძელისაჲ; წმ. ილარიონ ქართველი; გაბრიელ ლასკაველი და გაბრიელ ხორგაი, რომლებმაც გაბრიელ პატარაის გაუწიეს დიდი დახმარება პარხლის მრავალთავის შედგენისას; პიმენ კახი; იოვანე მინჩხი; ვენევენტოს დუკის ძმა ლეონ ჰრომი; იოვანე ანჩელი, იოვანე შავთელი და სხვ.;
მამის სახელის მიხედვით იხსენებიან: იოვანე საბანის ძე, ამონა ვახთანგ მოძარღულისა ძე, ჭყონდიდელი ეპისკოპოსი და მწერალი, მთარგმნელი სტეფანე სანანოჲს ძე,

ჰიმნოგრაფები იოვანე ქონქოზის ძე, ბასილი ბაგრატის ძე მთაწმინდელი, ათონელი მოღვაწეები წმ. იოვანე გრძელის ძე და იოვანე თაფლაის ძე, არსენ ვაჩეს ძე, საქართველოს კათალიკოსები ნიკოლოზ გულაბერის ძე და არსენ ბულმაისიმის ძე; ტბელ აბუსერის ძე;
რელიგიური და საგანმანათლებლო თვალსაზრისით მნიშვნელოვანია X საუკუნის მწერალ-ჰაგიოგრაფის გიორგი მერჩულის ზედწოდება, რომელიც პ. ინგოროყვამ განმარტა (პ. ინგოროყვა 1954, 17-28);
თანამდებობის მქონეთა ან პატივის აღმნიშვნელი ზედწოდებები: საბა სვინგელოზი, სოლომონ მამასახლისი;
საქმიანობის აღმნიშნელი: წმ. გიორგი მაშენებლის ზედწოდება „მაშენებელი“;
ბერული თავმდაბლობის გამოხატულებაა რამდენიმე სასულიერო პირის ზედწოდება: მიქაელ მოდრეკილი; გაბრიელ პატარაჲ, გიორგი მცირე, რაც სამეცნიერო ლიტერტურაში ეწოდა საღვთისმეტყველო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით; წმ. ეფრემ მცირე.
მოხსენება ეხება XI საუკუნის მოღვაწის, წმ. გიორგი შავმთელის, ზედწოდებებს: „შეყენებული“ და „დაყუდებული“, რომლებითაც მოიხსენიება წყაროებში შავი მთის მოღვაწე წმინდა მამა. თითოეული მათგანი განდეგილობის, მარტოდმყოფობის ინსტიტუტის შესახებ გვაწვდის გარკვეულ ცნობას. ამასთან, „დაყუდებული“ დაკავშირებულია სიტყვასთან „დასაყუდებულონი“, რომელიც გავრცელებული ტერმინი ჩანს ძველ ქართულ მწერლობაში.
**„შეყენებულისა“ და „დაყუდებულის“ შესახებ.** საყურადღებოა, რომ „დაყუდებულად“ მოიხსენიება წმ. გრიგოლ ხანცთელი გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“, ხოლო გიორგი მცირე ეპისტოლეში წმ. გიორგი შეყენებულისადმი და თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში წმ. გიორგი მთაწმინდელის შესახებ რამდენიმეჯერ ახსენებს წმ. გიორგი შავმთელს როგორც გიორგი შეყენებულს ან დაყუდებულს. ორივე ზედწოდება განდეგილობის, მარტოდმყოფობის ინსტიტუციური ტერმინია და ბერისათვის საგანგებოდ განკუთვნილ მღვიმის ან გამოქვაბულის სენაკში ცხოვრებასა და მოღვაწეობას გულისხმობს. წმ. გიორგი შეყენებულის სივრცული არეალია „ნაპრალი კლდესა შინა“, მისი სამყოფელი, მღვიმე, საიდანაც უდიდეს სამწერლო-მთარგმნელობით და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას უძღვება. წმ. გიორგი შეყენებული შავ მთაზე კლდის ნაპრალს, ე. ი. მღვიმეს არ გასცილებია. ცხადია, მემღვიმეობას, სხვა ასკეტურ ყოფასთან ერთად, უდიდესი სულიერი მისია ეკისრებოდა, მღვიმე სულიერი განღმრთობის ადგილია, საიდანაც მოღვაწეს, სულიერად მცხოვრებ წმინდანს ზეცათა მოქალაქობის მოპოვების შესაძლებლობა ეძლევა.
საღვთისმეტყველო ლიტერატურაში „დაყუდებულის“ ზედწოდებით ცნობილია წმ. ნეოფიტე დაყუდებული, თეოფანე დაყუდებული.
ჭყონდიდის ტაძრის XI საუკუნის წარწერაში დამოწმებულია მეგრული სიტყვა „დოჯონელი“, რომელიც „დაყუდებულის“ მნიშვნელობითაა გამოყენებული (ვ. სილოგავა 2008: 29-47). მეგრულის „ჯუდ//ყუდ“ ძირი ქართულში სახლს, საცხოვრებელ ნაგებობას უკავშირდება, მაგ., „ჯუდე“.
წმ. გიორგი შავმთელის ზედწოდება შეყენებული//დაყუდებული წარმოაჩენს წმინდა მამის, საცხოვრებელ გეოგრაფიულ სივრცეს, მოღვაწეობის სახეობას, მის სულიერ სამყაროსა და ხატ-სახეს, რომელსაც პარალელი ეძებნება მეგრულში „დოჯონელის“ ფორმით მონაზვნური ცხოვრების სახეობის აღსანიშნავად.
5. ---
6გიორგი მცირის ეპისტოლეს, რომელიც წინ უძღვის მის ჰაგიოგრაფიულ თხზულებას `წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება~, ისტორიული და სახისმეტყველებითი ღირებულება აკისრია, რადგან იგი გვეხმარება მწერალი-ჰაგიოგრაფის

მიზანდასახულობის, ეპისტოლის დანიშნულების, წმ. გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობისა და მოქალაქობის შესახებ თხზულების შექმნის მნიშვნელობის განსაზღვრაში, გიორგი შეყენებულისა და გიორგი მცირის ურთიერთობის, განათლების, საზოგადოებაში მათი ადგილის, ავტორიტეტის, რაც მთავარია, სულიერი ხატ-სახის გააზრებაში, თხზულების მიზანდასახულობასა და დაწერის თარიღის, ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებათა მახასიათებელთა განსაზღვრაში, მწერლის საღვთისმეტყველო ცოდნის, მსოფლმხედველობისა და მხატვრული სააზროვნო სივრცის აღქმაში. ქართული ჰაგიოგრაფია ეპისტოლარულ სტილს იყენებს თავისი მიზანდასახულობის კვალობაზე, მასში აქსოვდნენ თავიანთ მსოფლმხედველობრივ, ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებს, რაც ეპოქის სულისკვეთებას, საზოგადოებრივ მდგომარეობასა და მოთხოვნებს ასახავდა.

დაკვირვება მოწმობს, რომ გიორგი მცირის, ისევე როგორც სამოელ ქართლის კათოლიკოსისა და იოვანე საბანის ძის ეპისტოლის არქეტიპია ახალი აღთქმის ეპისტოლარული ნაწილი, შვიდი კათოლიკე ეპისტოლე და პავლეს თოთხმეტი ეპისტოლე, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება. ახალი აღქმის ეპისტოლარულ მემკვიდრეობასა და, საზოგადოდ, ჰაგიოგრაფიის ეპისტოლეებს შორის, კერძოდ, გიორგი მცირის ეპისტოლეს შორის, განსხვავება თვალსაჩინოა. მოციქულთა ეპისტოლეების ძირითადი დანიშნულება ქრისტიანული მოძღვრების ქადაგება იყო, ხოლო ჰაგიოგრაფიული თხზულებისათვის წამძღვარებულ ეპისტოლეს სხვა დანიშნულება აქვს, იგი მკითხველს აკვალიანებს თხზულების შექმნის აუცილებლობაში, ამცნობს იმ ვითარებას, რის გამოც შეიქმნა იგი. დაკვირვების შედეგად გამოვლინდა გიორგი მცირის ინდივიდუალური სახის მქონე ეპისტოლეს უდიდესი საღვთისმეტყველო-ლიტერატურული მნიშვნელობა აქვს. ჰაგიოგრაფმა თავის ეპისტოლეში მკითხველამდე მიიტანა თავისი ძირითადი სათქმელი, წარმოეჩინა თხზულების შექმნის საფუძველი და განემარტა თავისი თხზულების მიზანდასახულობა.

7. ივანე ჯავახიშვილის კვლევამ ძველი ქართული მწერლობის ძეგლების თხრობის, კერძოდ წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიული თხზულების სტილის შესახებ, რომელიც მის ფუნდამენტურ ნაშრომსა და მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებულ მონოგრაფიაშია გამოთქმული, - ესენია „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ და წმ. გიორგი მთაწმინდელის თხზულების გამოცემა და მისთვის დართული გამოკვლევა, - უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა საზოგადოდ ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის, საისტორიო მწერლობის, ათონის ქართული ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო სკოლის კონცეპტუალური საკითხების შესასწავლად.

მან ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება და ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიული თხზულების კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური საკითხების, წყაროებისა და თხრობის სტილის შესახებ, რითაც მწერალი-ჰაგიოგრაფის მეთოდოლოგიურ შეხედულებებზეც გაამახვილა ყურადღება. ამ მხრივ ივანე ჯავახიშვილმა თავისი დაკვირვებები წარმართა „წმ. იოვანე და ეფთვიმე მთაწმინდლების ცხოვრების“ ტექსტზე როგორც საისტორიო თხზულებაზე, მაგრამ ეს დაკვირვებები ფილოლოგიურ-ლიტერატურათმცოდნეობითი თვალთახედვითაცაა მნიშვნელოვანი. მეცნიერის აზრით, ზეპირი და წერილობითი წყაროები ჰქონდა, რასაც თავადაც უთითებს. თანამედროვე კვლევისას სხვა წყაროებთან აღნიშნული საკითხების გადამოწმების საშუალება გვაქვს, რაც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ ალღოიანობას.

ივანე ჯავახიშვილმა ამ ნაშრომებში გამოიყენა სასულიერო და საისტორიო მწერლობაში გამოყენებული ტერმინოლოგია, კერძოდ „ცხორება“, „ღირსად მოქალაქობა“, „წერილი მოსაჴსენებელი“, „სიგრძე ჟამთაჲ“, „მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ“, „უტყუველი“ და სხვ. განიხილა წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიული თხრობის სტილის საკითხი, რაც ავტორს ჭეშმარიტებისმეტყველ მწერლად წარმოაჩენინებს. მოხსენებაში საუბარია ყოველ წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით არსებულ განსხვავებულ მოსაზრებათა შესახებ ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევების საფუძველზე თანამედროვე ეტაპზე.
ნაშრომში წარმოჩენილია ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიული თხზულების „წმ. იოვანე და ეფთვიმე მთაწმინდლების ცხოვრების“ წყაროების, ტექსტოლოგიური დამუშავების, თხრობის სტილის, ეპოქალური ღირებულების განსაზღვრის საქმეში შუა საუკუნეების სააზროვნო სივრცის კონტექსტში თანამედროვე ფილოლოგიურ-ლიტერატურათმცოდნეობითი მეცნიერების მიღწევების საფუძველზე.

8. წმ. ქეთევან დედოფლის წამებას დიდი რეზონანსი ჰქონდა XVII საუკუნის პირველი ნახევრის მსოფლიოში, რადგან ეს იმ ეპოქისათვის უჩვეულო მოვლენა იყო. მისმა გმირობამ, შეუდრეკელმა სულმა, მტრისადმი დაუმორჩილებლობამ შეძრა იმდროინდელი მსოფლიო, მისი სახელი გავრცელდა მართლმადიდებლურ და კათოლიკურ სამყაროში, რასაც ქართულ ლიტერატურასთან და ქართულ საისტორიო წყაროებთან ერთად დედოფლის შესახებ კათოლიკე მისიონერთა ცნობები და დასავლეთ ევროპაში შექმნილი მხატვრული ნაწარმოებებიც მოწმობს. წმ. ქეთევან დედოფლის თემა აქტუალური იყო ქართულ ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში, საერო მწერლობაში, კერძოდ შეიქმნა ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის (ორბელიანი), გრიგოლ დოდორქელის, მღვდელმონაზონ კოზმანის, ანონიმი ავტორის, ნიკოლოზ თბილელის თხზულებები; თეიმურაზ პირველის მიბაძვით დიმიტრი ბაგრატიონის შექმნილი პოემა, ანტონ კათალიკოსის შესხმა, თეიმურაზ ბაგრატიონის თხზულება; დედოფლის მოწამეობრივმა სიკვდილმა უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა უცხოურ საისტორიო წყაროებში. ესენია: პიეტრო დელა ვალე, ამბროზიო დუშ ანჟუში, ანდრეას გრიფიუსი. აგრეთვე, მ. ნაჭყებიამ მიაკვლია მე-17 საუკუნეში ქეთევან დედოფლის წამების შესახებ სლოვაკეთში შექმნილ სასწავლო პიესას. საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ წმ. ქეთევან წამებულისა და მისი ცხოვრების ამსახველი წყაროების შესახებ საკმაოდ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა შეიქმნა.
განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პიეტრო დელა ვალეს მიერ სპარსეთიდან იტალიაში გაგზავნილი წერილები, რომის პაპისათვის დაწერილი „მოხსენება“, მის მიერ ან მასზე შექმნილი სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ უძვირფასეს ცნობებს XVII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, წმ. ქეთევან დედოფლის ზნეობრივ-მორალური სახის, მისი წმინდა მისიის გააზრებისათვის მთელ ქრისტიანულ სამყაროში. ეს ცნობები მოხსენებაში განხილულია თეიმურაზ პირველის ისტორიული პოემის პარალელურად და შეჯამებულია ქეთევან დედოფლის წამების ისტორიული მნიშვნელობა.
დედოფლის წამებამ საქართველოსთვის დადებითი შედეგი მოიტანა, კერძოდ, ქეთევან დედოფლის წამებას იმ ეტაპზე შედეგად მოჰყვა საქართველოს გამოფხიზლება და თავისუფლების სულის აღზევება. წმ. ქეთევან დედოფლის ფენომენი ქართველი ერისათვის ის ნიშანსვეტი აღმოჩნდა, რომელმაც აჩვენა რწმენისათვის თავდადებისა და

სამშობლოსათვის თავგანწირვის აუცილებლობა, რაშიც პიროვნული თვისებები, ზნეობრივი მრწამსი ეროვნულ-სარწმუნოებრივ იდეალებთან ერთად უდიდეს როლს ასრულებდა ადამიანის მორალური სახის ჩამოყალიბებაში, ქართველი ერის იდენტობის გააზრებაში.

**ლადო მინაშვილი:**
14. ნიჭიერი, ერუდირებული, ფაქიზი გემოვნების კრიტიკოსისა და ლიტერატურის ისტორიკოსის კიტა აბაშიძის მთავარი ნაშრომი, როგორც ცნობილია, არის “ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ”. ეს ნაშრომი იწერებოდა წლების მანძილზე და მისი ნაწილები იბეჭდებოდა ქართულ პერიოდიკაში, ხოლო საბოლოოდ გამოქვეყნდა ორ წიგნად 1911-1912 წლებში ქუთაისში. ეს იყო ფაქტობრივად პირველი ნაშრომი, რომელიც ითვალისწინებდა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში ლიტერატურულ მიმართულებათა ჩასახვა-განვითარების ისტორიას და ამ მიმართულებათა მთავარი წარმომადგენლების დახასიათებას. მიუხედავად იმისა, რომ ნაკლოვანებათა გარკვეული სიმწვავით მითითება-ჩვენება უცხო არ იყო გარკვეული მწერლების ცხოვრებისა და შემოქმედების განხილვისას (მაგალითად, გრიგოლ ორბელიანის სამოქალაქო ცხოვრებისა და პოეზიის ურთიერთ შეუსაბამობა, პოემა “სადღეგრძელოს” მხატვრული მხარე, ალექსანდრე ყაზბეგის პროზის, ენისა და საზოგადოდ სტილის გაუმართაობა და ა.შ.) მკვლევარებმა ამ მხრივ მაინც გამოარჩიეს ეტიუდი გიორგი წერეთლის შესახებ. ლიტერატურის ისტორიკოსების ყველაზე მეტი კრიტიკა სწორედ გიორგი წერეთლის კიტა აბაშიძისეულმა შეფასებამ დაიმსახურა. ჩაითვალა, რომ კიტა აბაშიძე პირდაპირ ბრალმდებლის როლს კისრულობდა გიორგი წერეთლის, როგორც მწერლის შეფასებისას, ერთი სიტყვით, ეტიუდის წერისას კრიტიკოსი ობიექტურობას ვერ იცავდა, იყო თურმე ცალმხრივი, სუბიექტური, რაც ძირითადადო ორი მიზეზით იყო განპირობებული: გ. წერეთლის “შედარებით სუსტი ბელეტრისტული ნიჭით” და რაც მთავარია, “ცუდი დამოკიდებულებით კრიტიკოსსა და მწერალს შორის” (დავით გამეზარდაშვილი). კიტა აბაშიძის ეტიუდის კრიტიკული პათოსის ამგვარი ახსნა ჯერ ერთი მარტივი ახსნაა და მეორე, და რაც მთავარია, ასეთი ახსნა-კრიტიკოსსა და მწერალს ცუდი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთანო - ნებსით თუ უნებლიედ სერიოზულ ჩრდილს აყენებს კიტა აბაშიძის, როგორც კრიტიკოსის, მკვლევრის სახელს. კიტა აბაშიძის ეტიუდის კრიტიკული პათოსის ახსნა კრიტიკოსის “ცუდი დამოკიდებულებით” მწერლისადმი გულუბრყვილო ახსნა იქნება. აბაშიძის “ეტიუდების” შესაფასებლად აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ის ლიტერატურულ-კულტურული და პოლიტიკური ატმოსფერო, რომელშიც იქმნებოდა კიტა აბაშიძის ნარკვევი გიორგი წერეთელზე. 90-იანი წლებიდან, როგორც ცნობილია, თანდათანობით ილია ჭავჭავაძისა და მისი “ივერიასთან” დაპირისპირების ჟინი გამოამჟღავნეს ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატებმა. ილია ჭავჭავაძე დაუნდობელი იყო ასეთთა მიმართ, ხოლო მისი ასეთი უკომპრომისობა კიდევ უფრო აღიზიანებდა სოციალ-დემოკრატებს და შურისძიების სურვილს უღვიძებდა. მარქსისტი პუბლიცისტები და კრიტიკოსები ხელოვნურად უპირისპირებდნენ ილიას, დიდი მწერლის სახელს გიორგი წერეთელს და ამ უკანასკნელის უპირატესობას აღიარებდნენ, მას განადიდებდნენ ილიას სახელის დაკნინების ხარჯზე. გიორგი წერეთელი თვავადაც აცხადებდა პრეტენზიას, რომ სინამდვილეში ილია კი არა, არამედ იგი იყო პირველი რეალისტი ქართულ ლიტერატურაში. სწორედ ასეთ ლიტერატურულ-კულტურულ და პოლიტიკურ ატმოსფეროში იწერებოდა და საბოლოოდ გამოსაცემად გამზადდა კიტა აბაშიძის ”ეტიუდები”. წიგნში ავტორმა მაღალ დონეზე გაიაზრა ილია ჭავჭავაძის, ყველაზე დიდი რეალისტის შემოქმედება, საგანგებოდ წარმოაჩინა მისი მაღალი ოსტატობა. ეტიუდში გიორგი წერეთელზე, ბუნებრივია, კიტა აბაშიძე

დაუპირისპირდა მომეტებულად მარქსისტი კრიტიკოსების შეხედულებებს, რომლებშიც დაუსაბუთებლად განცხადებების სახით განდიდებული იყო მისი პროზა,
ჩათვლილი იყო იგი ყველაზე დიდ რეალისტად ქართულ სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ილიას დაჩრდილვის მიზნით. ამ შემთხვევაში კ. აბაშიძეს პირადი წყენა, სუბიექტური დამოკიდებულება კი არ ამოძრავებდა, კარგა ხნის წინ გარდაცვლილი მწერლის მიმართ, არამედ ის, რომ თავის ეტიუდებში გიორგი წერეთლისათვის მიეჩინა მისი ნამდვილი კუთვნილი ადგილი ჩვენი ლიტერატურის მსვლელობაში. კიტა აბაშიძემ თვალნათლივ უჩვენა, რომ გ. წერეთელი, როგორც პროზაიკოსი კი არ აღემატება თავის დიდ თანამედროვეებსა და თანამებრძოლებს ილიასა და აკაკის, არამედ თავისი მწერლური ტალანტით დიდად ჩამოუვარდება მათ; გიორგი წერეთელი სინამდვილეში ილია ჭავჭავაძის რეალისტური სკოლის ერთი პირველი წარმომადგენელი იყო, რომელსაც, უნდოდა თუ არა ამის აღიარება, მწერლური პოზიციით, ხედვით პერსონაჟების განსახიერების, დეტალიზაციის მხატვრულ საშუალებათა მომარჯვების თვალსაზრისით ილიას დიდ ზემოქმედებას განიცდიდა.

15. მოხსენებაში განხილულია დიდი ქართველი სამოციანელის, ქართული საბავშვო მწერლობის ფუძემდებლის, იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების ერთი ნაწილი - მწერლის ისტორიული მოთხრობები. გაანალიზებულია ისტორიულ წარსულთან მწერლის შემოქმედებითი მიდგომის თავისებურება, წარმოჩენილია იაკობ გოგებაშვილის ისტორიული პროზის პრობლემატიკა და მხატვრული სტილი.
16. მოხსენებაში განხილულია ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების ცნობილი მკვლევარის პროფესორ იუზა ევგენიძის მონოგრაფია გრიგოლ ორბელიანის შესახებ. სათანადო მასალის ანალიზის გზით წარმოჩენილია, რომ ეს წიგნი იყო საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომი გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების კვლევის საკითხში და აქ წარმოდგენილი მეცნიერული დებულებები დღემდე ინარჩუნებს სახელმძღვანელო მნიშვნელობას მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის შემსწავლელთათვის.

ლევან ბებურიშვილი:

17. მოხსენება ეძღვნებოდა გამოჩენილი ქართველი სამოციანელის იაკობ გოგებაშვილის კრიტიკული ნააზრევის ერთ ასპექტს, მის დაკვირვებებს გამოჩენილი მწერლის რაფიელ ერისთავის პოეტურ შემოქმედებაზე, რასაც სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვს ლიტერატურის ისტორიკოსთათვის.
18. მოხსენება ეხებოდა მყარი სალექსო ფორმის - ფრანგული ბალადის ერთ ნიმუშს გალაკტიონის 30-იანი წლების ლირიკაში, კერძოდ, უსათაურო ლექსს „ჰქუხდა ხმოვანი“, რომელიც ყველა ნიშანს ატარებს კლასიკური ფრანგული ბალადისა. ნაწარმოები ყურადღებას იპყრობს არამარტო თავისი პოეტური ფორმით, არამედ ორაზროვანი შინაარსითაც, რაც სათანადოდაა გაანალიზებული მოხსენებაში.
19. მოხსენება ეძღვნებოდა მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთ საინტერესო ფაქტს, პოლემიკას ალიო მირცხულავასა და გალაკტიონს შორის. 1932 წელს ალიო მირცხულავამ ვრცელი პოეტური დეკლარაციით გაილაშქრა გალაკტიონის წინააღმდეგ. გალაკტიონმა ლექსითვე უპასუხა მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს, თუმცა იგი აღარ გამოუქვეყნებია. მოხსენებაში გაანალიზებული იყო ამ პოეტური პოლემიკის პერიპეტიები.
20. მოხსენებაში წარმოჩენილი იყო ახალი ქართული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარის პროფესორ იუზა ევგენიძის წვლილი ქართული რომანტიზმის ცალკეული საკითხების დამუშავებასა და მეცნიერულ შესწავლაში.

ეკა ვარდოშვილი:

26. **საქართველო ალექსანდრე დიუმას „კავკასიაში".** ცნობილი ფრნგი მწერალი ალექსანდრე დიუმა (მამა) თავის წიგნში „კავკასია" წარმოგვიდგენს მოგზაურის შთაბეჭდილებებს რეგიონის შესახებ. წიგნში დიუმა დეტალურად აღწერს კავკასიაში შექმნილ სოციალურ პოლიტიკურ ვითარებას, კაცკასიელი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, მათ ადათ-წესებსა და ისტორიულ წარსულს. წიგნის უდიდესი ნაწილი საქართველოს თემას ეთმობა.

დიუმა საქართველოში ჩამოვიდა 1858 წლის 23 ნოემბერს და აქ ცხოვრობდა 1859 წლის 11 იანვრამდე. თავის ნაწარმოებში „ კავკასია" იგი საუბრობს ქართველი ხალხის მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ იგი კარგად იცნობს უცხოურ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებს საქართველოს შესახებ, მოგზაურის შთაბეჭდილებების გადმოცემისას იგი უპირატესობას საკუთარი თვალით ნანახსა და განცდილს ანიჭებს. დიუმა აღტაცებით საუბრობს ქართველებზე და მიაჩნია, რომ საჭიროა ამ ქვეყნის საგანგებო შესწავლა. დიუმა ცდილობს, რომ საქართველოში მომხდარი ყველა ფაქტი და მოვლენა დაუკავშიროს ევროპულ სინამდვილეს. თხზულებაში ჩანს, რომ დიუმა კარგად იცნობს საქართველოს გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, მის ისტორიას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დიუმაზუსტად განსაზღვრავს თამარ მეფის ღვაწლსა და დამსახურებას, მის ადგილს საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიაში.

ნაწარმოებში ჩანს, რომ დიუმა იცნობდა და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ ინტელიგენციასთან. დიუმა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კავკასიელი ქალების გარეგნობასა და პიროვნულ თვისებებს. მას მოჰყავს ციტატა XVII საუკუნის ცნობილი ჰოლანდიელი მოგზაურის ჟან სტრეისის წიგნიდან „სამი მოგზაურობა სპარსეთში" და მიუთითებს, რომ სავსებით ემხრობა და იზიარებს მის ნააზრევს. დიუმამ სიზუსტით გადმოგვცა კავკასიაში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური მდგომარეობა. მოგვითხრო ქართველი ხალხის სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა შესახებ.

**27. პაბლო ნერუდას პოეზია.** ნობელის პრემიის ლაურეატი ლათინო-ამერიკელი მწერალი პაბლო ნერუდა დაიბადა 1904 წლის 12 ივლისს ჩილეში. მან ცხოვრების საკმაოდ საინტერესო გზა განვლო და საზოგადოება იცნობს მას არა მხოლოდ როგორც პოეტს, არამედ დიპლომატს, სენატორს, მეცნიერს, საზოგადო მოღვაწესა და პოლიტიკოსს.ნერუდამ ლექსების წერა ადრეულ ასაკში დაიწყო, მისი პოეზია თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში იგი ძირითადად სატრფიალო ხასიათის ლექსებს ქმნის, რომლებშიაც მოდერნიზმის გავლენა შეინიშნება. ეს დაახლოებით ის პერიოდია, როდესაც ხოსე ორტეგა გასეტი აქვეყნებს მოდერნიზმის მანიფესტს „ხელოვნების დეჰუმანიზაცია", სადაც ავტორმა გაანალიზა თანამედროვე მოდერნისტული ხელოვნების არსი" (ვარდოშვილი, 2018 : 135).მისი პოეზიის ძირითადი ნაწილი 1937 წლიდან იქმნება და იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც მისი შემოქმედების პოლიტიკური ეტაპი, რომელიც რეალისტური ტენდენციებით ხასიათდება. აქ ვხვდებით სოციალური, პოლიტიკური, პოლემიკური ხასიათის ლექსებს.

მის ლექსებში ლირიკული სუბიექტი ძირითადად თავად პოეტია, რომელსაც არასოდეს არ ავიწყდება პოეტისა და პოეზიის დანიშნულება. მის პოეტურ ქმნილებათა დასასრული

კი თითქმის ყოველთვის ოპტიმისტურია. ლექსში „დაე, გაიღვიძოს ტყის მჭრელმა“ ჩანს, თუ როგორ აღიქვამს ნერუდა სამყაროს. ლექსს პოეტი ასე ასრულებს: „მე ქვეყანაზე იმისთვის გავჩნდი, რომ ჩემთან ერთად იმღეროს ყველამ“. (ნერუდა, 1976 : 39). საინტერესოა ასევე ლექსები: „სიმღერა მიტოვებულ სახლზე“, „საყვარელო, ნუ მოკვდები“, „მაინც რამდენ ხანს?!“, „ევროპის ვენახები“, „სიხარული“, „ცენტრალური ამერიკა“, „სალვადორი, სიკვდილი“, „ბრძოლა მდინარე ხარამასთან“, „ვრცელია სამყარო ახალი“, „შორეულ უდაბნოში“, „ჩემს ქვეყანაში გაზაფხულია“ და სხვა არაერთი.პაბლო ნერუდა გარდაიცვალა 1973 წლის 11 სექტემბერს. მის სიკვდილს ჩილეში პოლიტიკურ ცვლილებებს უკავშირებენ.

ქეთევან სიხარულიძე:

38. ადამიანის ღვთაებებთან ურთიერთობის საინტერესო მაგალითები გვხვდება კავკასიელთა მითოლოგიურ წარმოდგენებში. ამ მათზე დაკვირვება გვიჩვენებს მითოსსა და რიტუალებში ადამიანის აქტივობის გაზრდას და გარკვეულწილად ამ პროცესის სტადიურობაზე საუბრის საშუალებასაც იძლევა. ადამიანისა და ღვთაების ურთიერთობის ერთ-ერთი არქაული ფორმაა მათი სატრფიალო კავშირი, რომელიც ფრაგმენტული ნარატივის სახითაა შემორჩენილი მითებში.

კავკასიელთა ზოგიერთ გადმოცემის მიხედვით, დაპირისპირებულ ღვთაებათა ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობენ წმინდა ადამიანები და ეხმარებიან თავიანთ ღვთაებებს გამარჯვების მოპოვებაში. გაიზარდა ადამიანის აქტივობა ბუნების მოვლენათა მართვაში და ღვთაებებზე, მნათობებზე ზემოქმედებით იგი ცდილობდა სასურველი შედეგის მიღებას. ასევე გვხვდება ღვთაებათა მიერ ჩვილი ბავშვების მოტაცების ამბები თავიანთი რიგების შესავსებად.

საფიქრებელია, რომ ამგვარი გადმოცემები რუდიმენტებია უფრო არქაული მითოლოგიისა, რომელიც ემყარებოდა სამყაროსა და მისი სფეროების ერთიანობის იდეას.

39.. ხალხური შემოქმედების ისტორიაში თავისებური საფეხური აღმოჩნდა საბჭოთა პერიოდის ფოლკლორი. თავისი ხალხური წარმომავლობისა და ლეგიტიმურობის დასადასტურებლად საბჭოთა ხელისუფლება შეიარაღდა ფოლკლორული ტრადიციით და ამ მიმართულებით აქტიურად გაშალა მუშაობა.

1930-იანი წლების დასაწყისში პარტიული მითითებებით, ფოლკლორისტები ეხმარებოდნენ მთქმელებს ახალი ტიპის ნაწარმოებთა შექმნაში, რომლშიც აისახებოდა ახალი ეპოქის დიდებულება. ასე დამყარდა შემკრებსა და მთხრობელს შორის ლიტერატურული თანამშრომლობა. ეს კი ტრადიციული ფოლკლორული შემოქმედების ფალსიფიკაციას წარმოადგენდა, რომლის შედეგად გაჩნდა შემკრებთა მიერ პროვოცირებული იდეოლოგიური შინაარსის მქონე ფსევდო ფოლკლორული ნაწარმოებები

საბჭოური ზეპირსიტყვიერებისა და ხალხში ჩანერგილი საბჭოთა მითის თანაარსებობა განსაზღვრავს საბჭოთა ეპოქის ფოლკლორს, რომელიც დაიბადა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ და დასრულდა სტალინის გარდაცვალებით.

40. პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბილისი, ივლისის, 2023, გვ.177-181.

ელენე გოგიაშვილი

42. ანოტაცია: გერმანელი რომანტიკოსების ხანგრძლივმა ექსპერიმენტებმა დასაბამი დაუდო ახალ ლიტერატურულ ჟანრს - ფილოსოფიურ ზღაპარს, რომლის მკითხველები უფროსები იყვნენ და არა ბავშვები. ლიტერატურულ ზღაპრებში მხოლოდ ცალკეულ მოტივებს ვხვდებით ხალხური ზღაპრებიდან და ისინიც საფუძვლიანად არის გადამუშავებული ავტორის მსოფლმხედველობით, ალეგორიითა თუ სიტყვათა თამაშით. წინამდებარე ნაშრომში მიმოხილულია ლიტერატურული წყაროები, რომლებშიც გადამუშავებულია მითოლოგიური გადმოცემები ზღვის არსებათა შესახებ, მათი გავლენა რომანტიკოსთა ნაწარმოებებში და ანდერსენის „პატარა სირინოზი". „პატარა სირინოზი", ორიგინალური სათაურით „Den lille Havfrue", დაიწერა 1836-37 წლებში. მიუხედავად იმისა, რომ ანდერსენი არცერთ სხვა მოთხრობას არ აღიარებდა თავისი „პატარა სირინოზის" საფუძვლად, ეს სიუჟეტი ფეოდალური ხანის ევროპის ტრადიციული ზეპირსიტყვიერი კულტურიდან მომდინარეობს.

43. ანოტაცია: პოლიტკორექტურის საკითხი დიდი ხანია, რაც სხვადასხვა დისციპლინის ყურადღების ცენტრში მოექცა: სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის, ლიტერატურათმცოდნეობისა და, მათ შორის, ფოლკლორისტიკის. მოხსენება პოლიტკორექტულობის კონტექსტში განიხილავს სქესთა შორის კონფლიქტის თემას შექსპირის კომედიაში „ჭირვეულის მორჯულება" და მის ურთიერთმიმართებას ევროპულ, ახლო აღმოსავლურ და ქართულ ზღაპრებთან, რომლებიც ამავე მოტივს შეიცავენ. მოხსენებაში მოცემულია შექსპირის პიესისა და ხალხური ზღაპრების კომპარატივისტული ანალიზი საერთო სიუჟეტური ქარგის მიხედვით. როგორ ვაფასებთ ამ ტექსტებს ოცდამეერთე საუკუნის პერსპექტივიდან? როგორ გვესმის: როგორც ექსტრემალური არაკორექტულობა თუ უბრალოდ თავშესაქცევი ამბები? მოხსენებაში მოცემული განმარტებები კულტურულ-ისტორიულ ფაქტორებს და მხატვრული ასახვის სპეციფიკას ეფუძნება.
ტრადიციული ხალხური ზღაპრები არ არის მხოლოდ არქაულ მოტივთა ერთობლიობა ან მხოლოდ თავგადასავლების აღწერა. ზღაპრების რეპერტუარი მეტად მრავალფეროვანია და ყოველი ეპოქის გადასახედიდან სხვადასხვა, იმ დროისთვის აქტუალურ კითხვებზე პასუხის გაცემა შეუძლია. უფრო მეტიც, ზღაპრების თანამედროვე წაკითხვა შესაძლებელია სხვადასხვა სოციალურ და პოლიტიკურ განზომილებაში. ზღაპრების მეშვეობით შეიძლება პერსონალური და კოლექტიური პრობლემის ამოცნობა, დისკუსია და კულტურულ პრაქტიკაში გადაჭრის გზების მოძებნა.

44. ანოტაცია: ზღაპრის საერთაშორისო მოტივები, რომლებიც ორსულობასა და მშობიარობას ასახავენ, უძველეს რწმენა-წარმოდგენებს, მითოლოგიურ გადმოცემებსა და ყოველდღიურ ყოფას თანაბრად უკავშირდება. ზოგიერთი მოტივი შეიძლება რელიგიური მსოფლმხედველობის კვალსაც ატარებდეს. მხატვრული ასახვის თავისებურებებით ზეპირსიტყვიერების ჟანრები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. მითოლოგიური გადმოცემები უშუალო ფუნქციონალურ კავშირში არიან მთავარ სოციალურ სტრუქტურასთან. მითებიც და ზღაპრებიც თავისი სოციალური ფუნქციის მიხედვით განეკუთვნებიან ადამიანის ყოფის სხვადასხვა აქტივობებს - შრომას, გართობას, კულტურულ საქმიანობას, ბავშვის აღზრდას, სოციალურ კონტროლსა და სხვა. თითოეული ფუნქცია ჟანრის მიხედვით იცვლება. ამგვარად, მითები პირველ რიგში

კულტურას ადასტურებენ, ზღაპრებს კი ნებისმიერი სხვა ფუნქცია ჰქონდეთ ან ყველა ერთად.
მოხსენება ეხება მსოფლიოს ხალხთა საზღაპრო რეპერტუარში ცნობილ სიუჟეტებს, რომლებშიც მხატვრული წარმოსახვა და ყოფითი რეალიები ჰარმონიულად ავსებს ერთმანეთს ბავშვის დაბადების ამბების თხრობისას. ზღაპრის გმირის დაბადება სხვადასხვა ზღაპარში სხვადასხვაგვარად არის აღწერილი, თუმცა ყველა ზღაპარი ერთმანეთს ეთანხმება ერთ საკითხში: იბადება განსაკუთრებული გმირი, ქალი იქნება ის თუ ვაჟი.
ორსულობასთან და ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული მოტივები მითებსა და ზღაპრებში რამდენიმე მსხვილ თემატურ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: (1) სასწაულებრივი ჩასახვა, (2) ორსულობის გამომწვევი ზებუნებრივი მიზეზები, (3) ახალშობილი და დედა, (4) ახალშობილი და ბედისმწერლები, (5) ახალშობილი და ნათლია. შედარებითი ანალიზისთვის წარმოდგენილია რამდენიმე ზღაპარი ქართული და ევროპის ხალხთა ფოლკლორიდან.

45. ანოტაცია: სკანდინავიური ხალხური ბალადა „აგნეტე და ზღვის კაცი“ დანიურ „ოქროს ხანაში“ – XIX საუკუნეში განსაკუთრებულად პოპულარული იყო. ამ ბალადის სამოცდაათზე მეტი ვარიანტია გავრცელებული და ჩაწერილი სკანდინავიის ქვეყნებში, უმეტესობა დანიაში, ნორვეგიასა და შვედეთში: აგნეტე, მშვენიერი ყმაწვილი ქალი სანაპიროზე შეხვდება ზღვის კაცს, შეუყვარდება, გაჰყვება ზღვის ფსკერზე და შვილებსაც გააჩენს. ერთ დღეს აგნეტე გაიგონებს ზარების რეკვას და სთხოვს ქმარს, გაუშვას ეკლესიაში. ხმელეთზე ამოსულ აგნეტეს აღარ სურს უკან დაბრუნება.
ბალადის სიუჟეტი ერთდროულად მარტივიც არის და რთულიც. დანიურ ლიტერატურულ გადამუშავებებში, როგორიცაა იენს ბაგესენის პოემა „აგნეტე ჰოლმეგორიდან“ (1808) და ადამ ოლენშლეგერის ლექსი „აგნეტე“ (*1812*), დამატებული და შეცვლილია მოტივები. ჰანს ქრისტიან ანდერსენმა 1834 წელს დაწერა ლირიკული დრამა „აგნეტე და ზღვის კაცი“, შემოიყვანა ახალი პერსონაჟები, მოქმედება გადაიტანა ისტორიულ დროში, 1160 წელს, დანიაში. მოხსენებაში განხილულია ჰანს ქრისტიან ანდერსენის პიესის ხალხურ ბალადასთან ურთიერთმიმართება და მისი მნიშვნელობა ანდერსენის შემოქმედებაში.

46. ანოტაცია: ზღაპრის ინტერმედიალური კვლევა სხვადასხვა ასპექტს მოიცავს: კულტურულ-ისტორიული საკითხებს ზღაპრის ადაპტაციებში; ხალხური და ლიტერატურული ზღაპრის ადაპტაციებს სხვადასხვა კინო და სასცენო ჟანრში (ოპერა, ბალეტი, საბავშვო თეატრი, კინო-მუსიკა, კინო-მიუზიკლი და მისთ.); ზღაპრის მუსიკალურ რეპრეზენტაციას ინტერმედიალურ სივრცეში; უცხოური წარმოშობის სიუჟეტთა თავისებურებებს ამა თუ იმ ქვეყნის კულტურაში და სხვ.
ზღაპრული სიუჟეტების მოდიფიკაციების შესწავლისთვის დასავლურ მეცნიერებაში სხვადასხვა მიდგომა შემუშავდა: თხრობის სოციოკულტურული კონტექსტი, ზღაპრის სოციოისტორიული და კულტურული ანალიზი, ხალხური ზღაპრისა და ლიტერატურული ზღაპრის ურთიერთმიმართება, ზღაპრის ეკრანიზაციები და მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ადაპტაციები. ზღაპრის ინტერპრეტაციების შესწავლის თეორიული საფუძველია ზღაპრისა და მისი მუსიკალურ-სცენური რეცეფციებისა და ინტერპრეტაციების კრიტიკული შესწავლა, თუ რა როლს ასრულებენ ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ფოლკლორის თხრობითი ჟანრების ინტერდისციპლინური შესწავლა დიდწილად განპირობებულია ამ დისციპლინათა მომიჯნავე საზღვრებით. ფოლკლორისტიკაში ინტერდისციპლინურ და ინტერმედიალურ კვლევებს ახალი ცოდნა და გამოცდილება მოაქვს როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში.

ტრადიციული ფოლკლორული ჟანრების - მითოლოგიის, ეპოსისა და ზღაპრების მათ ეკრანიზებულ თუ სასცენო ადაპტაციებთან ერთად შესწავლის მეთოდის გამოყენება შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამებში როგორც სწავლების მაღალ საფეხურებზე, ისე სკოლებში.

47. ანოტაცია: მოხსენება - „წიგნიერი ფოლკლორი და კულტურის ტრანსფერი: შარლ პეროს ზღაპრები საქართველოში“ - ეხება ზღაპრის თხრობის ხელოვნებას ზეპირსიტყვიერებასა და ლიტერატურაში. ეს არის ერთი იმ ინტერდისციპლინურ საკითხთაგანი, რომელიც გარდა ფილოლოგიურისა, სოციოისტორიულ შესწავლასაც ითხოვს. ხალხური ზღაპრის შესწავლისას გასათვალისწინებელია ბეჭდური წიგნის გავრცელება და გავლენა ტრადიციულ სიტყვიერებაზე. ფოლკლორის ინტერნაციონალური და კულტურათაშორისი საზღვრების კვლევისთვის მეცნიერებს სხვადასხვა მეთოდოლოგიური საფუძველი აქვთ, როგორიცაა კომპარატივისტიკა და ტრანსფერულ პროცესებზე დაკვირვება სოციოკულტურულ ასპექტებზე ორიენტირებით. ნათარგმნი ზღაპრის გავრცელებას ამა თუ იმ კულტურაში სიახლე მოსდევს. ზეპირსიტყვიერება წიგნში წაკითხულ ტექსტს თავისებურად, ლიტერატურისგან განსხვავებული ფორმით ამუშავებს. შესაძლოა ფოლკლორული გადამუშავება უბრალოდ ზეპირი ასლი იყოს ლიტერატურული ტექსტისა, შესაძლოა - საკმაოდ დაშორდეს და ნაციონალური რეპერტუარისგან ძნელი გასარჩევიც კი გახდეს, მითუმეტეს თუ მსგავსი ტიპის სიუჟეტები მანამდეც იყო მიმოქცევაში.
ხალხური ზღაპრის კვლევა ინტერდისციპლინურია ყველა თვალსაზრისით. ფოლკლორისტიც და ლიტერატურათმცოდნეც ლიტერატურის ისტორიას და ზეპირსიტყვიერების ტრადიციას თანაბრად უნდა ითვალისწინებდეს, როცა კვლევის ობიექტია ამა თუ იმ კულტურულ-ისტორიულ პირობებში სიუჟეტთა გადამუშავება, ადაპტაცია თუ ინტერპრეტაცია.

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. მაკა ელბაქიძე *The Knight in the Panther's Skin* and European Chivalry Romance („ვეფხისტყაოსანი“ და ევროპული რაინდული რომანი“). 14.11.2023. სორბონის უნივერსიტეტი (პარიზი).
2. მაკა ელბაქიძე *Shota Rustaveli and Medieval Oriental Literature* (შოთა რუსთაველი და შუასაუკუნეების აღმოსავლური ლიტერატურა). 15.11.2023. სორბონის უნივერსიტეტი (პარიზი).
3. მაკა ელბაქიძე. *Rustaveli and Nizami. Cultural Intersections.* (რუსთაველი და ნიზამი. კულტურული გადაკვეთები). 06.12.2023. ხაზარის უნივერსიტეტი (ბაქო).
4. მაკა ელბაქიძე. *Shota Rustaveli and Nizami Ganjavi* (რუსთაველი და ნიზამი განჯელი). 07.12.2023. აზერბაიჯანის დიპლომატიური აკადემია (ბაქო).
5. Elguja Khintibidze, "Unknown Georgian Source for the Introduction to the Barlaam-Romans", Colloque International, Barlaam and Josaphat in the History of Religions, 23-24 May 2023, Strasbourg.
6. ეკა ვარდოშვილი. А. С. Пушкин о ценностях народов Кавказа, A. S. Pushkin on the values of Caucasian peoples, Международная конференция «Ценности в литературе и в искусстве VI».

Программа, Институт славистики философского факультета Университета им. Масарика. 14-15 сентября 2023 года, г. Брно, Чешская Республика.

7 .ეკა ვარდოშვილი. The Issue of Georgian Identity in European Literature, XV International Conference National Identity in Language and Culture, Ministry of Education and Science of Ukraine, National Aviation University, Faculty of Linguistic and Social Communication, AIX – Marseille University ( France ), University Jean Moulin Lyon 3 ( France ), REED COLLEGE ( USA ), APRIL 27-28, 2023. Program.
8. ლორია. კ. – „Skikkelser hos Henrik Ibsen og Vazha-Pshavela: Helter eller Folkefiender?" („ჰენრიკ იბსენისა და ვაჟა-ფშაველას პერსონაჟები: გმირები თუ ხალხის მტრები?" (ნორვეგიულ ენაზე) აგდერის (ნორვეგია) უნივერსიტეტის საზღვარგარეთ ნორვეგიულ სწავლებათა ცენტრი (ქ. ქრისტიანსანდი, ნორვეგია, 27-30 აგვისტო, 2023).
9. ქეთევან სიხარულიძე, ალბასტი კავკასიის ხალხთა მითოლოგიაში // თურქეთის ხალხური კულტურის მე-10 საერთაშორისო კონგრესი, ანკარა, 10-13 დეკემბერი, 2023.

10. Gogiashvili, E. Georgian Folktales on Selfless Women in the Eastern and European Context. 10 th International Turkish Folklore Congress, Ankara, 11-14 December 2023 https://aregem.ktb.gov.tr/TR-359236/10-milletlerarasi-turk-halk-kulturu-kongresi-basliyor.html (კონგრესის ვებ.გვერდი) https://aregem.ktb.gov.tr/Eklenti/119460,hal-kulturu-kongre-program-kitapcigipdf.pdf?0 (პროგრამა)
11.Gogiashvili, E. Fairy-Tale Elements in a Traditional Georgian Children's Game. International Youth Conference "Dialogue Across Cultures". Gyumri, August 25-26, 2023 (სომხეთი).
12. თამარ პაიჭაძე, ნინო მინდიაშვილი, ქართველი დედოფლის ისტორია და ევროპული ლიტერატურული რეფლექსიები-The History of the Georgian Queen and European Literary Reflections- New Directions in the Humanities, Research Network The International Journal of Literary Humanities, Twenty-first International Conference on New Directions in the Humanities June 28 - 30, 2023 "Sorbonne Université, Paris, France
https://cgscholar.com/cg_event/events/H23en/about

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*
**ეკა ვარდოშვილი:**
13. **А. С. Пушкин о ценностях народов Кавказа, ა. ს. პუშკინი კავკასიელ ხალხთა ფასეულობების შესახებ.** კავკასიისა და საქართველოსადმი ინტერესს პუშკინი XIX საუკუნის 20-იან წლებში ავლენს. მისი წერილებიდან ჩანს, რომ პუშკინი კარგად ერკვევა კავკასიის გეოპოლიტიკურ ადგილმდებარეობაში და ზუსტად განსაზღვრავს კავკასიის როლს ევროპასა და აზიას შორის სავაჭრო ურთიერთობებისას. საზოგადოდ, გვინდა შევნიშნოთ, რომ თავის შემოქმედებაში პოეტი არაერთხელ გვესაუბრება ქართველი და ჩერქეზი ქალების სილამაზეზე, როგორც ჩანს, ეს ტრადიცია დამახასიათებელია როგორც ევროპული, ასევე რუსული ლიტერატურისათვის. პუშკინის შემოქმედებაში კავკასიელ ხალხთა ფასეულობებზე საუბრისას მნიშვნელოვანია ასევე მისი თხზულება „არზრუმში გამგზავრება". თხზულება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მწერლის ბიოგრაფიის შესწავლის მხრივ, არამედ აქ ვხვდებით კავკასიაში მცხოვრები ხალხების საყოფაცხოვრებო და საწესჩვეულებო სცენების აღწერას, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ

განმარტებებს. პოეტი განსაკუთრებით დიდ დროს უთმობს საქართველოს თემას. კავკასიელ ხალხთა ფასეულობების შესახებ პუშკინი გვესაუბრება თავის ლირიკულ ლექსებში, პოემებსა და პროზაში. მოგვითხრობს კავკასიელი ხალხების კულტურულ, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ფასეულობებზე. კავკასიის თემას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მწერლის შემოქმედებაში.

კახა ლორია

8. ჰენრიკ იბსენი უზარმაზარი ფიგურაა ლიტერატურის ისტორიაში, მისი პიესები დღესაც იზიდავს მკითხველს და არ ჩამოდის მსოფლიოს თეატრალური სცენებიდან. ამ ინტერესის ერთ-ერთი მთავარი გამაპირობებელი ფაქტორია ძლიერი პიროვნების როლი დიდი ნორვეგიელი მწერლის შემოქმედებაში. როგორც ცნობილია, ხსენებულ პრობლემას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც. იმავდროულად ვაჟას მემკვიდრეობაც განსხვავებულ კულტურულ და ლიტერატურულ ტენდენციათა გადაკვეთის ფონზეა აღმოცენებული და როგორც ქრონოლოგიურად, ისე ესთეტიკურად უკავშირდება მისი თანამედროვე დასავლეთის მწერლობას. ამ კავშირისა და მიმართების გასაანალიზებლად იბსენის შემოქმედებასთან ვაჟას თხზულებათა შედარებით პერსპექტივაში წარმოჩენას სათანადო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

ქეთევან სიხარულიძე:

9. ალბასტი აღმოსავლური წარმოშობის დემონოლოგიური სახეა. სავარაუდოდ, იგი შუა აზიიდან წამოიღეს ოღუზმა ტომებმა და შემდეგ ბევრი ხალხის მითოლოგიაში დამკვიდრდა. ამის გამო ალბასტის მითოლოგიურმა სახემ განსხვავებული თვისებებიც შეიძინა. ალბასტს სხვადასხვა სახელით კარგად იცნობს კავკასიის როგორც თურქულენოვანი, ისე სხვა ხალხების მითოლოგია. სახელის ეტიმოლოგია გვიჩვენებს მის წარმომავლობას თურქული ენიდან და როგორც ჩანს, ხალხთა მიგრაციების შედეგად იგი ძველი დროიდან დამკვიდრდა კავკასიის რეგიონში. აქ ალბასტიმ შეიძინა ბევრი ის თვისება, რომლებიც ახასიათებთ კავკასიური ფოლკლორის პერსონაჟებს.

სავარაუდოდ, ალბასტლი და მისი მსგავსი არსებები ტრანსფორმირებული ძველი ღვთაებები არიან, იმ დამანგრეველი პროცესების მსხვერპლნი, რაც ახლავს რელიგიების ცვლას. ღმერთების ახალმა თაობამ ამ ღვთაებებს წაართვა ძალაუფლება და რელიგიურ სისტემას მოწყვეტილებმა მათ დემონოლოგიის სფეროში გადაინაცვლეს,

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

მაკა ელბაქიძე

1. სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების" ერთობლივი კვლევითი პროგრამის 2023 წლის საგრანტო კონკურსის კომისიის წევრი.
2. სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2023 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსის ექსპერტი.

3. სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ მიერ გამოცხადებული კონკურსის „სალიტერატურო პერიოდული ჟურნალების გამოცემის ხელშეწყობა საქართველოს რეგიონებში“ კომისიის თავმჯდომარე. 2023 წლის მაისი.
4. სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ მიერ გამოცხადებული კონკურსის „ქართული საბავშვო ლიტერატურის მხარდაჭერა“ კომისიის წევრი. 2023 წლის მაისი.

**ლორია კახა**
5. **ლორია, კ. – „**Christian Krohgs Albertine og hennes georgiske medsøster“ („ქრისტიან კროგის ალბერტინე და მისი ქართველი დობილი“ /ცნობილი ნორვეგიელი მწერლის Christian Krogh-ის გახმაურებული წიგნის- „ალბერტინე“ და ეგნატე ნინოშვილის ცნობილი მოთხრობის- „ქრისტინე“ განხილვა შედარებით პერსპექტივაში/), საჯარო მოხსენება ნორვეგიულ ენაზე ბერგენის (ნორვეგია) უნივერსიტეტის ლინგვისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობისა და ესთეტიკურ სწავლებათა დეპარტამენტის (მუდმივმოქმედ) სემინარზე, 24 აგვისტო, 2023
6. **ლორია, კ. –** „Språksituasjonen i Georgia, kartvelske (georgiske) språk og det georgiske skriftspråkets historie fra den eldste tiden til i dag“ („ენობრივი სიტუაცია საქართველოში, ქართველური ენები და ქართული სამწერლობო ენის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე“), საჯარო მოხსენება ნორვეგიულ ენაზე ოსლოს უნივერსიტეტის სკანდინავისტიკისა და ლინგვისტიკის დეპარტამენტის (მუდმივმოქმედ) სემინარზე, 31 აგვისტო, 2023

**ელენე გოგიაშვილი:**
ოლრიკი, აქსელ. ხალხური სიტყვიერების ეპიკური კანონები. გერმანულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ელენე გოგიაშვილმა. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023. 48 გვერდი. ISBN 978-9941-36-126-5

**ხვთისო მამისიმედიშვილი, 2023 წლის 14 ივლისი - 26 ივლისი** - სამეცნიერო მივლინება ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში: ჩეჩნეთში, დაღესტანსა და ინგუშეთში. დაფინანსებული შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ: CS-I-21-158 ქართული მატერიალური და სულიერი კულტურა ჩრდილოეთ კავკასიაში, **ძირითადი შემსრულებელი.**

შესწავლილი იქნა ქართული კულტურის ძეგლების მდგომარეობა ჩრდილოეთ კავკასიაში. მოძიებული იქნა ქართული კულტურის ამსახველი მასალები. მოძიებული იქნა ქართულ-ინგუშური, ქართულ-ჩეჩნური და ქართულ-დაღესტნური ფოლკლორული და, ზოგადად კულტურული, ურთიერთობის ამსახველი მასალა.

**ხვთისო მამისიმედიშვილი, 2023 წლის 29 ივლისი - 6 აგვისტო** - სტუდენტთა სამეცნიერო ფოლკლორული ექსპედიცია ზემო აჭარაში, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლებში. **ექსპედიციის ხელმძღვანელი**

**ყურადღება!**

* სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.
* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.
* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.
* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.
* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა~.

# შექსპირის შემსწავლელი
# სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

ანგარიშის ფორმა №1
(სსიპ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უნივერსიტეტთან არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისთვის)

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**სსიპ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (ინსტიტუტის/ცენტრის) ან უნივერსიტეტთან არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (ინსტიტუტის/ ცენტრის) დასახელება:**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
შექსპირის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

დავით მაზიაშვილი, ასოცირებული პროფესორი, ცენტრის ხელმძღვანელი

1. **სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:**
1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

**ცენტრს არ აქვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება და შესაბამისად არ ჰყავს საშტატო ერთეულით არცერთი თანამშრომელი. ამიტომ ხელმძღვანელიცა და შექსპირის შემოქმედებით დაინტერესებული პროფესორ-მასწავლებლები ვმუშაობთ საზოგადოებრივ საწყისებზე და სხვადასხვა გრანტით.**

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექ-ტების შესრულების შედეგები
2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.

2.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1.
2.
2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
*დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.

## 3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

**3.1.**
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.

3.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1.
2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.

## 4. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

**4.1.**
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.

4.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა, პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. .

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

5. პატენტები (არსებობის შემთხვევაში):

5.1. საერთაშორისო პატენტები:

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

5.2. ეროვნული პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

## 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

6.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

**6.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით**

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **დავით მაზიაშვილი, „სათადარიგო ჰამლეტი“** ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტის რეცენზირებადი ელექტრონული, ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი **1923, 1 ISSN 2960-9461**

https://interpretation.tsu.ge/ **index.php/main/article/view/25/25**

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

2023 წელს, ბრიტანეთის, ამერიკის თუ მთელი მსოფლიოს წიგნის მაღაზიების დახლები პრინცი ჰარის მემუარებით გაივსო. „სათარიგოს“ (Spare) გამოცემას ბრიტანეთის ისტორიით, კულტურით, პოლიტიკითა თუ თანამედროვებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო სპექტრი ელოდა. ბაკინგემში განვითარებული არაერთი სკანდალური მოვლენის შემდეგ, ყველას აინტერესებდა რას დაწერდა უფლისწული დედოფალ ელისაბედზე, დედაზე, მამაზე, ძმაზე, ბაბუაზე და ზოგადად სამეფო ოჯახზე. წიგნის პოპულარობა იმანაც განაპირობა, რომ ის, ასე ვთქვათ „ინსაიდერის“ თვალით გვიჩვენებს, ერთ-ერთ ყველაზე დახურულ და პოპულარულ სამეფო ოჯახს, რომლის მიმართ მსოფლიოს ინტერესი, ნეთფლიქსის სერიალის, „გვირგვინის“ (The Crown) გარდა, 2022 წელს დედოფალ ელისაბედ II-ს დაკრძალვის ცერემონიალმაც ცხადყო.

ინგლისის და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, სასახლიდან გამოსული ყველაზე ცნობილი და ტრაგიკული ამბავი ალბათ შექსპირის „ჰამლეტია“, რომელიც დღემდე ლიტერატურისა და თეატრის სამყაროს განსჯისა და განხილვის თემაა. შექსპირის დროს, სწორედ თეატრი იყო წიგნის მაღაზია, პრესა, ტელევიზია, კინო თუ სერიალი, სადაც იმდროინდელი საზოგადოება სასიყვარულო, პოლიტიკურ თუ რელიგიურ ამბებს იგებდა. სათაგურის სცენაში, თავად ჰამლეტიც ხომ მსახიობების დახმარებითა და სპექტაკლის წარმოდგენით ადგენს სიმართლეს.

ბაკინგემის, უინძორის, სენტ ჯეიმზის, ბალმორალისა თუ კენსინგტონის სასახლეში მიმდინარე ისტორიები, ახალი დრამების, ტრაგედიებისა თუ კომედიების გენეზისია და ფაქტია, რომ შექსპირის შემოქმედება ბრიტანეთის სამეფო კარის „გენეტიკურ კოდად“ იქცა. უინძორების სამეფო ოჯახის ისტორიები, შექსპირის ბევრ პიესას მოგვაგონებს, მაგრამ დღეს ალბათ ყველაზე მეტად „ჰამლეტს“, რადგან პრინცი ჰარის მემუარები, ბაკინგემის ელსინორიზაციას გვთავაზობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტატიაში პრინცი ჰარის წიგნი „სათადარიგო“, შექსპირის „ჰამლეტსაა“ შედარებული და ტექსტების ლიტერატურულ-ტექსტუალური და სოციო-კულტურული თავისებურებები გააზრებულია კომპარატივისტული კვლევის მეთოდით.

## 7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

7.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1..

7.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

7.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

## 8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

### 8.1. საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **დავით მაზიაშვილი - „სათადარიგო ჰამლეტი“,** პროფ. თემურ კობახიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თსუ, თბილისი, 1923, 25 მაისი. https://tsu.ge/assets/media/files/57/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A0%20%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94%20-%20%20akademiuri%20(1).pdf

**https://interpretation.tsu.ge/index.php/main/article/view/25/25**

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

### 8. 2. უცხოეთში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **დავით მაზიაშვილი - „შექსპირის იულიუს კეისარი პოსტ-საბჭოთა ქართულ სცენაზე“ (Shakespeare's Julius Caesar on the Post-Soviet Georgian Stage)**
შექსპირის კვლევის ევროპის ასოციაციის კონფერენცია; პეტრე პაზმანის კათოლიკური უნივერსიტეტი, 6-9 ივლისი, ბუდაპეშტი, უნგრეთი 2023 წელი. (EUROPEAN SHAKESPEARE RESEARCH ASSOCIATION CONFERENCE

6-9 July, Pázmány Péter Catholic University, Budapest, Hungry 2023)

https://esra2023.btk.ppke.hu/wp-content/uploads/2023/07/ESRA2023_Book_of_abstracts.pdf

2. დავით მაზიაშვილი - „შექსპირის სიტყვა როგორც მუსიკა და მოძრაობა“
**(Shakespeare's Word as Music and Movement)**
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **შექსპირი და ცეკვა** (Shakespeare et la danse),
9,10 ნოემბერი, სორბონას უნივერსიტეტი, პარიზი, საფრანგეთი.
https://lettres.sorbonne-universite.fr/evenements/shakespeare-et-la-danse
https://www.fabula.org/actualites/116738/colloque-international-danser-shakespeare.html

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

დაწესებულებას თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ყურადღება!
* სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.
* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.
* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.
* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.
* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

# ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2
(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** - - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება** -

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი**

**ზაზა სხირტლაძე, პროფესორი, ინსტიტუტის ხელმძღვანელი**
**ნათელა ჯაბუა, ასოცირებული პროფესორი**
**ირინე კოშორიძე, ასოცირებული პროფესორი**
**ნინო სილაგაძე, ასოცირებული პროფესორი**
**ნინო სიმონიშვილი, ასოცირებული პროფესორი**

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***
1.
2.

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
***დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***
1.
2.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
**1. სამცხის რეგიონის ისტორიის და კულტურის ძეგლები. 2022-2024**
**შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. H-21-1739,**
**ხელმძღვანელი: ნინო სილაგაძე**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ნინო სილაგაძე - პროექტის ხელმძღვანელი. თსუ საქართველოს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი. ზონდო კუპატაძე - პროექტის კოორდინატორი. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი. გიორგი ბაგრატიონი - ძირითადი პერსონალი, არქიტექტორ-ხელოვნებათმცოდნე. თამაზ გოგოლაძე - ძირითადი პერსონალი. ელისაბედ უგულავა - ძირითადი პერსონალი. ახალგაზრდა მეცნიერი, თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის მაგისტრი, ამავე ინსტიტუტთან არსებული ქართული ხელოვნების კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი; გია ჩილინგარაშვილი - ძირითადი პერსონალი. ახალგაზრდა მეცნიერი, თსუ არქეოლოგიის ინსტიტუტის მაგისტრი, დოქტორანტი.
2.
*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1. პროექტი „სამცხის რეგიონის ისტორიის და კულტურის ძეგლები“ გულისხმობს ისტორიული სამცხის ტერიტორიაზე (თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით- ადიგენის, ასპინძის, ახალციხის რაიონები) არსებული ისტორიის და კულტურის ძეგლთა (ეკლესია-მონასტერი, მეჩეთი, სხვა საკულტო ნაგებობები, ციხე-სიმაგრე, კოშკი, ნანგრევი, დარბაზი, დარანი, ისტორიული შენობა-ნაგებობა - აგებული 1921 წლამდე) სრულ აღნუსხვას, ფოტო-ვიდეო-ფიქსაციას, არქიტექტურული გეგმების, ანაზომების და ჭრილების მომზადებას, წარწერების (ეპიგრაფიკული. ლაპიდარული, ნაკაწრი) წაკითხვას და აკადემიურ დონეზე პუბლიკაციას, ისტორიის და ხელოვნებათმცოდნეობითი ნარკვევის მომზადებას თითოეულ ძეგლზე. ძეგლთა დაცვის სააგენტოს ნუსხაში ამ რაიონის ისტორიის და კულტურის 350 ძეგლია ფიქსირებული, თუმცა მათი რაოდენობა ბევრად მეტია. მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც მნიშვნელოვნად იზრდება ციფრული ჰუმანიტარიის როლი, ცალკეული საინფორმაციო ბაზების შექმნა (დარგობრივი, რეგიონული პრინციპით) სასიცოცხლოდ აუცილებელია ლოკალური კვლევების შემდგომ მაღალ დონეზე განვითარებისთვის. ამ მიმართულებით უკანასკნელი 40 წლის მანძილზე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები: გამოიცა მრავალტომეული „საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა 2 | დანართი №3. საპროექტო წინადადება აღწერილობის“ 3 რეგიონი (შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი). თუმცა სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს რეგიონების კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კომპლექსური საინფორმაციო ბაზა, არც ნაბეჭდი და არც ელექტრონული სახით დღემდე არ არსებობს. პროექტის ძირითად შემსრულებელთა შორის (ნინო სილაგაძე, ბონდო კუპატაძე, გიორგი ბაგრატიონი) არიან ისტორიული სამხრეთ საქართველოს (ტაო-კლარჯეთის) კულტურული მემკვიდრეობის

მკვლევარნი, რომელთა მონაწილეობით 2014-2020 წლებში შეიქმნა ტაო-კლარჯეთის ფორტიფიკაციების საინფორმაციო, ბიბლიოგრაფიული და სამეცნიერო-ანალიტიკური ბაზა. ანალოგიური ტიპის საინფორმაციო ბაზა (ნაბეჭდი და ელექტრონული სახით) საქართველოს თითოეული რეგიონის შესახებ აუცილებელია. სამცხის რეგიონი პრიორიტეტულია ბევრი მიზეზით. 1. წლების მანძილზე, ცივი ომის პერიოდში ეს რეგიონი საზღვრისპირა ზონად ითვლებოდა და სისტემური და მასშტაბური საექსპედიციო სამუშაოების წარმოება და კვლევა ყოველთვის ვერ ხერხდებოდა. 2. სამცხის რეგიონში განსაკუთრებით მრავლადაა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომელთა საკმაო ნაწილი დაზიანების და განადგურების საფრთხის წინაშეა, ამდენად მათი ლოკალიზება, ფიქსაცია და შესწავლა ფრიად საშური საქმეა. პროექტის უმთავრესი სიახლე და ანალოგიურ კვლევებთან შედარებით უპირატესობად მიგვაჩნია შემდეგი გარემოებები: 1. სამცხის კულტურული მემკვიდრეობა დღემდე არ ყოფილა კომპლექსური და ერთიანი შესწავლის საგანი, შედეგი - ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა სამცხის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ მნიშვნელოვანი იქნება ქართველოლოგიის და ზოგადად ჰუმანიტარული მეცნიერებისთვის; 2. კვლევის მრავალსპექტრულობა. მკვლევართა შერეული გუნდი უზრუნველყოფს კულტურის ძეგლების კომპლექსურად შესწავლას, ხელოვნებათმცოდნეობითი, ისტორიული, ისტორიულ-გეოგრაფიული, არქიტექტურული, ეპიგრაფიკული თვალსაზრისით. 3. სამცხის კულტურული მემკვიდრეობა, როგორც ნაბეჭდი პუბლიკაციის სახით, აგრეთვე ერთიანი საინფორმაციო ბაზის სახით ხელმისაწვდომი იქნება ციფრულადაც სამეცნიერო წრეებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის

**2.**

1. პროექტის დასახელება-**ლეჩხუმი: შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობა,**
2. ჰუმანიტარული მიმართულება
3. პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი: #FR-21-14253
4. პროექტის დაწყების და დამთავრების წლები: 15.03.2022-15.03.2025
5. პროექტში ჩართული პერსონალი

ნათელა ჯაბუა-პროექტის ხელმძღვანელი

თამარ ლეთოდიანი-კოორდინატორი ?ახალგაზრდა მეცნიერი?

ზაზა სხირტლაძე - მკვლევარი

ნინო შიოლაშვილი - მკვლევარი

ჯულია ზენიძე - ახალგაზრდა მეცნიერი

ერიკ თუნო-უცხოელი მკვლევარი

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

პროექტის მიზანია ლეჩხუმის შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესწავლა და მაქსიმალური სისრულით წარმოჩენა, რაც ითვალისწინებს, როგორც არქივებსა და სიძველეთსაცავებში დაცული მასალების მოძიება-კვლევას, აგრეთვე მათი დღევანდელი

მდგომარეობის ფიქსაციას (ძეგლის აზომვა/ფოტოგადაღება/სქემების გადმოღება) და აღწერა-ანალიზს. პირველ საანგარიშო პერიოდში, საწყისს ეტაპზე, მოხდა ბიბლიოგრაფიულ მასალებზე მუშაობა, ხოლო შემდეგ წინასწარ შერჩეულ რამდენიმე დაწესებულებაში საარქივო მასალების მოძიება, შესწავლა, სისტემატიზირება, რის საფუძველზეც განხორციელდა პირველი მივლინება ცაგერის მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესწავლის, აზომვის, სქემების გადმოღების, ფოტო-ფიქსაციის და GPS-ის საშუალებით რუკაზე მათი სწორი კოორდინატების მონიშვნის მიზნით. ერთ წლიანი მუშაობის შემდეგ, პირველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოხდა საარქივო ფონდებში დაცული და საველე პირობებში მოპოვებული მასალების შესწავლა-შეჯერება. მეორე საანგარიშო პერიოდში, კონკრეტულად 2023 წელს, გაგრძელდა მუშაობა მითითებულ დაწესებულებებში საარქივო დოკუმენტების მოძიება-კვლევის თვალსაზრისით, ხოლო სიძველეთსაცავებში დაცული რელიქვიების აღნუსხვის მიზნით მოეწყო მივლინებები ქუთაისის და ცაგერის მუზეუმებში. განხორციელდა მეორე მივლინება ცაგერის მუნიციპალიტეტში და გაგრძელდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესწავლა, აზომვა, სქემების გადმოღება, ფოტო-ფიქსაცია და GPS-ის საშუალებით რუკაზე მათი სწორი კოორდინატების მონიშვნა. მოძიებული მასალების დამუშავების შედეგად დაიწყო საბოლოო შედეგების ამსახველ პროდუქტებზე მუშაობა. შედეგად შეიქმნება ნუსხა ლეჩხუმის შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის დღეს არსებული და დაღუპული ძეგლების შესახებ. პროექტი ითვალისწინებს სტატიის მომზადებას და წარდგენას საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად ჟურნალში გამოქვეყნებისთვის. პროექტის მთავარი სამეცნიერო პროდუქტი იქნება ნაბეჭდი წიგნი (მისი ანალოგი ელექტრონული წიგნი) მასში თავმოყრილი იქნება საბოლოო კვლევის შედეგები ლეჩხუმის შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. მოცემულ იქნება ინფორმაცია როგორც არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ცალკეული ძეგლების შესახებ, ასევე ლეჩხუმში შუა საუკუნეების განმავლიობაში მიმდინარე ისტორიულ-კულტურული პროცესების შესახებ. გათვალისწინებულია ასევე გამოფენის მომზადება პროექტის დასკვნით ეტაპზე ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ ცაგერში.

**3.** პროექტის დასახელება:

1. პროექტის დასახელება-საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური (ყაჯარული) დაზგური ფერწერის ნიმუშების ინტეგრირებული კვლევები /FR-21-12653/.
2. ჰუმანიტარული მიმართულება
3. პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი: #FR-21-12653
4. პროექტის დაწყების და დამთავრების წლები: 30.03.2022-30.03.2025
5. პროექტში ჩართული პერსონალი:

ირინე კოშორიძე-პორექტის ხელმძღავანელი
სესილი სორდია- კოორდინატორი ახალგაზრდა მეცნიერი
მარინე დგებუაძე-მკლვევარი
გრიგოლ ბერაძე-მკვლევარი
თათია ბაკურაძე-მკვლევარი

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცული გვიანირანული ხელოვნების კოლექცია ე.წ. ყაჯართა ეპოქის (1789-1925) ფერწერა ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და მნიშვნელოვანია როგორც საქართველოსა და კავკასიის, ასევე მსოფლიოს მასშტაბითაც. ის აერთიანებს სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების 3000-მდე ნიმუშს და მოიცავს თითქმის ყველა მედიას, რომელშიც აღმოსავლური ხელოვნების ოსტატები მუშაობდნენ-დაზგური და მონუმენტური, მინიატიურული, ლაქისა და მინაზე ფერწერა, კერამიკა, ლითონი, ქსოვილები და ხალიჩები. ამ კოლექციის ერთ-ერთი ყველაზე ფასეული ნაწილი ყაჯართა ეპოქის დაზგური ფერწერის ნიმუშებია, რომელთა ხარისხი და რაოდენობა ქართულ კოლექციას მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანსა და მდიდარ კოლექციად აქცევს, რომლის ფასეულობას აღიარებს ამ დარგში მომუშავე ყველა მკვლევარი, თუმცა, წვდომა ამ კოლექციაზე შეზღუდულია თანამედროვე სრულყოფილი ინტერდისციპლინური კვლევის არარსებობის გამო.

4. გარემოს დაცვის პრობლემური საკითხების გადაწყვეტა დაკავშირებულია ამა თუ იმ ქვეყნის სამეცნიერო, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებთან. ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე სულ უფრო ძლიერდება და უტოლდება ბუნებრივი ფაქტორების მოქმედებას, რის შედეგადაც ირღვევა საზოგადოებასა და ბუნებას შორის არსებულ ძალთა თანაფარდობა. დღითი-დღე გროვდება გარემოს ამა თუ იმ ობიექტში გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები, რომელთა ნაწილი არ იღებს მონაწილეობას ბუნებრივ წრებრუნვაში და გროვდება ბიოსფეროში, რაც არასახარბიელო ეკოლოგიურ შედეგებს იწვევს. ტექნოგენური რელიეფის ფორმირებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სამთომოპოვებითი მრეწველობა. ტექნოგენური ზემოქმედება, სხვა სახის ანთროპოგენური ფაქტორისაგან განსხვავებით იწვევს ტერიტორიის რელიეფის დიდი ფართობებისა და წყლის რესურსების დაბინძურებასა და მათ სრულ ტრანსფორმაციას. ამის ტიპიური მაგალითია ჭიათურის მანგანუმის საბადოს მოპოვების არეალი, სადაც რელიეფი განიცდის ძირეულ ცვლილებას ნიადაგურ-მცენარეული საფარის სრული განადგურებით. მანგანუმის მადნის მოპოვება ძირითადად მიმდინარეობს ღია კარიერული წესით, ხოლო მადნის გამდიდრებით მუდმივად ბინძურდება მდ. ყვირილა. მდინარეში მანგანუმის მადნის შემცველობა 10-12%-ია. მადნის მოპოვების შედეგად, ფუჭი ქანების დაგროვებით განვითარებულია ბორცვები, მოკლე სერები და ზვინულები, რომელთა შეფარდებითი სიმაღლე 10-30 მ-ზე მეტს შეადგენს, თუმცა, არის შემთხვევები, როცა სანაყაროებზე ფუჭი ქანების დაგროვებით წარმოქმნილი ბორცვების და სერების შეფარდებითი სიმაღლე 100 მ აღემატება. მათი ეროზიული პროცესების შედეგად იქმნება დამატებითი საფრთხეები გარემოს დაბინძურებისთვის. წარმოების პროცესში ქიმიური ელემენტების გაბნევა ხშირად არაკონტროლირებადია. შედეგად შესაძლებელია მოხდეს ტექნოგენური აეროზოლების გატყორცნა ატმოსფეროში, ნიადაგების, ღია წყალსატევებისა და მდინარეების დაბინძურება წარმოების ნარჩენებით. საველე და ლაბორატორიული კვლევებით დადგენილია, რომ მანგანუმთან ერთად გარემო ბინძურდება სხვა მძიმე მეტალებით, როგორიცაა სპილენძი, ნიკელი, თუთია და სხვ.

## 7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Tsitsagi A., Matchavariani L., Tsitsagi M. “Wind Erosion Mapping with RS Data and GIS (a case study of Dedoplis-tskaro Municipality, Georgia)”. International Conference VBIG-90 dedicated to the 90th Anniversary of the Vakhushti Bagrationi Institute of Geography, TSU, November 1, 2023, National Academy of Sciences, Tbilisi, Georgia.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

1. ქარისმიერი ეროზია მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასოფლო-სამეურნეო მიწების დეგრადაციაში. ამ ტიპის ეროზიის შერბილების სტრატეგიების შედგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ზუსტი რაოდენობრივი მონაცემების არსებობას ნიადაგის შესაძლო დანაკარგთან დაკავშირებით. შემუშავებულია სხვადასხვა ტიპის განტოლება და მოდელი. ქარისმიერი ეროზიიგან ნიადაგის საშუალო წლიური დანაკარგის დასადგენად, კვლევისას გამოყენებული იყო ქარისმიერი ეროზიის განტოლება (WEQ) დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო ნიადაჰებზე. აღმოს. საქართველოს ტერიტორია, სპეციფიკური მეტეოროლოგიური მახასიათებლების გამო, ქარისმიერი ეროზიის უფრო მაღალ ხარისხს განიცდის. საკვლევ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო ნიადაგები იდენტიფიცირებულია 2021 წელს ევროპის კოსმოსური სააგენტოს (ESA) მიერ მოწოდებული მიწათსარგებლობის კლასიფიკაციის საფუძველზე. კლიმატური მონაცემები მიღებულია ქარების ატლასიდან და MODIS ღია წვდომის სატელიტური სურათე-ბიდან. ეროზიულობის ინდექსის გამოსათვლელად, გამოიყენებოდა ნიადაგის მსოფლიო საცნობარო ბაზა, როგორც მონაცემთა პირველადი წყარო. მცენარეული საფარის ზემოქმედების შესაფასებლად არჩეული იყო ფოთლების ფართობის ინდექსი (LAI), რომელიც მიღებულია საშუალო წლიური ნორმალიზებული სხვაობის მცენარეულობის ინდექსის (NDVI) მონაცემებიდან Sentinel 2-ის გამოყენებით. ღია ნაკვეთების სიგანე განისაზღვრა ღია წვდომის თანამგზავრული მონაცემების გამოყენებით მიწათსარგებლობისა და მიწის საფარის (LULC) შესახებ, ასევე სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროსგან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით. ინფორმაცია კონკრეტულად ეხება ქარსაფარებსა და ნაკვეთებს, რომლებიც მრავალწლიანი კულტურებით იყო დაკავებული. მათემატიკური გამოთვლები განხორციელდა ვებ პლატფორმების GEE და ArcMap 10.8 მეშვეობით. მოპოვებული იქნა რასტრული ფაილი, რომელიც დედოფ-ლისწყაროს მუნიციპალიტეტში ქარისმიერი ეროზიის შედეგად ნიადაგის სავარაუდო დანაკარგს ასახავს.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Matchavariani L.“Accumulation and Migration of Toxic Elements in Irrigated Soils”. 11th Global Summit and Expo on Pollution Control, August 28-29, 2023, Paris, France;

2. Matchavariani L., Metreveli G. “Methods of Water Reservoir Life Extension and Specify Water Balance”. The 5th Eurasian Risk Conference “Innovations in Minimization of Natural and Technological Risk”, October 17-19, 2023, Baku, Azerbaijan;

3. Kalandadze B., Trapaidze V., Kalandadze I., Kikava A., Mgeladze M. “Pollution of Soils and Water and the Negative Impact on the Natural Environment as a Result of the Mining and Processing of Manganese Ores”, 2th International Scientific Geo-Conference SGEM 2023, Albena, Bulgaria;

4. Lud D., Shwemm A., Babaev E., Kalandadze B., Simon M. P., Weller P., Deuring R. A. “Pesticide Information Sources and Waste Management – Survey Results from Azerbaijan Compared to Georgia”, 14th International HCH and Pesticides Forum, Spain, 2023.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

1. ბუნებრივი რესურსების ღია კარიერული წესით მოპოვება, ეკოლოგიური საკითხების უგულებელყოფის ფონზე, ყველაზე საშიშია გარემოსათვის. ნიადაგში აქტიურად გროვდება მრავალი ტოქსიკური ელემენტი. შესწავლილია ტოქსიკური ელემენტების დაგროვება და მიგრაცია სარწყავ ნიადაგებში, აგრეთვე მათი დაბინძურებისა და ეკოსისტემაზე ზემოქმედების შესაძლო წყაროები. საკვლევი ტერიტორიის ნიადაგები, წყალი და მცენარეები (ბოლნისი, საქართველო) დაბინძურებულია მიმდებარე მადნის გადამამუშავებელი საწარმოებით. მძიმე ლითონებით დაბინძურების ხარისხი და შემდგომი შედეგები შესწავლილია კამბისოლ

დისტრიკში, ლეპტოსოლ რენდზიკში, ჩერნიზიომში, კამბისოლს ქრომიკში, კაშტანოზემსა და ფლუვისოლები. ზოგიერთი ტერიტორიის კატასტროფული ტექნოგენეზი გამოწვეულია დაბინძურებული არხებიდან ირიგაციის გავლენით. სამთო საწარმოებიდან ჩამდინარე წყლები სარწყავი სისტემით ნიადაგში ხვდება. ძირითადი დამაბინძურებლები Cu, Zn და Mn უარყოფითად მოქმედებს ნიადაგის თვისებებზე, შემადგენილობასა და აგროფიზიკურ მახასიათებლებზე. კერძოდ: ირღვევა მყარი, თხევადი და აიროვანი ფაზების დაბალანსებული კორელაცია; იცვლება ნიადაგის pH; უარესდება ნიადაგების ფორიანობა, ჰიდროლოგიური და ფიზიკური პოტენციალი; მიმდინარეობს ცემენტირების პროცესები; კრიტიკულად მცირდება წყლის გამტარიანობა და, შესაბამისად, ნიადაგის ფილტრაციის უნარი. ყველაფერი ეს არახელსაყრელ პირობებს უქმნის მცენარეებს. კერძოდ, ირღვევა კულტურების სასიცოცხლო ფუნქციები და ეცემა მათი ბიოპროდუქტიულობა. მძიმე ლითონები შეიწოვება ნიადაგში თიხოვანი მინერალებით. კარბონატული სისტემა, როგორც მათი ბარიერი, იწვევს ტოქსიკური ელემენტების ზედაპირულ დაგროვებას. ნიადაგში ტოქსიკური ელემენტების მაღალი კონცენტრაცია, სხვადასხვა ქიმიური პესტიციდების გამოყენების გამო, დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან. მათ მოძრაობას პროფილში ნიადაგის pH, ატმოსფერული ნალექები, რელიეფი და სხვა გეოგრაფიული ფაქტორები განაპირობებენ. მიწის მელიორაციის მექანიკური, ფიზიკურ-მექანიკური და ქიმიური მეთოდების ეფექტურობა დამოკიდებულია გეოეკოლოგიურ, კლიმატურ და ედაფიურ ფაქტორებზე, როგორიცაა ნიადაგის ტექსტურა და სტრუქტურა, ორგანული ნივთიერებების შემადგენლობა, შთანთქმა, ჟანგვის აღდგენის პოტენციალი, pH და სხვ.

2. კლიმატის თანამედროვე დათბობით გამოწვეული ფენომენი წარმოადგენს მტკნარი წყლის ბალანსის ცვლილება ხმელეთსა და ოკეანეს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. მთის მყინვარების, ყინულის ფარებისა და მიწისქვეშა წყლების მრავალსაუკუნოვანი რეზერვები მსოფლიო ოკეანეში გადაადგილდებიან. ამ მოვლენის შედეგები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წყლის შეზღუდული რესურსების მქონე რეგიონებისათვის, სადაც პრობლემების გადაჭრის ყველაზე ოპტიმალური გზებია: წყლის ბალანსისა და წყლის მოხმარების გაანგარიშების ახალი მეთოდების შემუშავება, არსებული მეთოდების მოდერნიზაცია და რაციონალიზაცია, ასევე წყალსაცავების ექსპლუატაციის ვადის მნიშვნელოვანი გახანგრძლივება. ამ მიზნით შეთავაზებულია ახალი მეთოდი წყალსაცავის მომსახურების ვადის გასაგრძელებლად, წყლის ბალანსის ოპერაციების სიზუსტის მკვეთრად გასაუმჯობესებლად და დაგროვილი ნაფენების ეფექტურად გამოსაყენებლად როგორც ბუნებრივი რესურსისა. მეთოდის შემუშვება შესაძლებელი გახდა მთის მცირე წყალსაცავებზე საველე ნატურული ექსპერიმენტების შედეგების გამოყენებით, მოქმედი წყალსაცავების მოსილვის პრიზმების დინამიკის კვლევის მონაცემების განზოგადებითა და მდინარეული ნაფენების მონიტორინგის მასალების გამოყენების წყალობით. ინფორმაციის განზოგადებისა და კვლევის მონაცემების ანალიზისათვის გამოყენებული იყო მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები (უმცირეს კვადრატთა, მათემატიკური ლოდინის, ანალოგის), აგრეთვე ძირითადი ჰიდროლოგიური მახასიათებლების გაანგარიშებისა და წყალსაცავის წყლის ბალანსის საანგარიშო მეთოდები.

3. გარემოს დაცვის პრობლემური საკითხების გადაწყვეტა დაკავშირებულია ამა თუ იმ ქვეყნის სამეცნიერო, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებთან. ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე სულ უფრო ძლიერდება და უტოლდება ბუნებრივი ფაქტორების მოქმედებას, რის შედეგადაც ირღვევა საზოგადოებასა და ბუნებას შორის არსებულ ძალთა თანაფარდობა. დღითი-დღე გროვდება გარემოს ამა თუ იმ ობიექტში გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები, რომელთა ნაწილი არ იღებს მონაწილეობას ბუნებრივ წრებრუნვაში და გროვდება ბიოსფეროში, რაც არასახარბიელო ეკოლოგიურ შედეგებს იწვევს. ტექნოგენური რელიეფის ფორმირებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სამთომოპოვებითი მრეწველობა. ტექნოგენური ზემოქმედება, სხვა სახის ანთროპოგენური ფაქტორისაგან განსხვავებით იწვევს ტერიტორიის რელიეფის დიდი ფართობებისა და წყლის რესურსების დაბინძურებასა და მათ სრულ ტრანსფორმაციას.

4. მსოფლიოში პესტიციდების კვლევა ძალიან აქტუალური გახდა, რადგან მათ მოხმარებამ სოფლის მეურნეობაში და ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში მასიური ხასიათი მიიღო. ხდება სასოფლო სამეურნეო სავარგულების დაბინძურება და დეგრადაცია, ნადგურდება ბიომრავალფეროვნება და ადამიანის ჯანმრთელობას სერიოზული ზიანი ადგება. აღნიშნული კვლევა წარმოადგენს მოსახლეობაში პესტიციდების გამოყენების, შენახვისა და შემდგომი განკარგვის შესახებ. კვლევის დასკვნის საფუძველზე, არ არის გამორიცხული რომ მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები, დიქლორო-დიფენილ-ტრიქლოროეთანი და ჰექსაქლოროციკლოჰექსანები კვლავ გამოიყოფა გარემოში. ფერმერებს აკლიათ ცოდნა პესტიციდების აქტიური ინგრედიენტების შესახებ: ორ მესამედზე მეტი აცხადებს, რომ მათ იციან აქტიური ინგრედიენტები, ხოლო 10%-ზე ნაკლები აღნიშნავს აქტიურ ინგრედიენტს, რომელიც შეესაბამება პესტიციდის ბრენდის სახელს.

ანგარიშის ფორმა №2
(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება** ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის დეპარტამენტი, გეომორფოლოგია-კარტოგრაფიის კათედრა

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.
*1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები*
***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
***დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***
1.
2.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
**<u>პროექტი # 1:</u>** „საქართველოს კარტოგრაფიული ონლაინკატალოგი და 5-ვერსიანი რუკის გეოგრაფიულ-კარტომეტრიული კვლევა", დონორი: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, 2023-2026 წლები, ძირითადი მიმართულება: საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები; დარგი: ისტორიული კარტოგრაფია

*პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)*

- დალი ნიკოლაიშვილი (პროექტის ხელმძღვანელი) – გეოგრაფიის დოქტორი, გის-სპეციალისტი, თსუ გეომორფოლოგია-კარტოგრაფიის კათედრის გამგე, პროფესორი
- დავით სართანია – ისტორიის დოქტორი, თსუ მუზეუმის დირექტორის მოადგილე, ივანე ჯავახიშვილის ცენტრის ხელმძღვანელი
- მაია ცხვარაძე – პროექტის კოორდინატორი, თსუ დოქტორანტი, გეოგრაფი
- დავით სვანაძე – გეოგრაფიის დოქტორი, თსუ სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის გის-ის ლაბორატორიის ხელმძღვანელი

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

თანამედროვე პერიოდის განუხრელად მზრადი ინფორმაციულობის ფონზე სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ინფორმაციები ახლად გამოცემული კარტოგრაფიული ნაწარმოებების შესახებ. ყოველწლიურად გამოიცემა ასიათასობით ახალი ნაწარმი, რაც მეტად ართულებს კარტოგრაფიული ინფორმაციის მისაწვდომობას. მათ შორის უკანასაკნელ წლებში საქართველოშიც გამოიცა მრავალი ახალი რუკა, ატლასი და სხვა კარტოგრაფიული ნაწარმოებები, რომელთა თვალის მიდევნება შეუძლებელია ელექტრონული კატალოგის გარეშე. საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, დანია, პოლონეთი, რუსეთი, უკრაინა და სხვ.) გამოდის საცნობარო–რეფერატული კარტოგრაფიული სერიები და შექმნილია ელექტრონული კატალოგები [Bibliographia Cartographia, Bibliotheca Cartographica, Cartographic Catalog, The Catalogue and Bibliography of the Cartographic Materailas და სხვ.]. საქართველოში მსგავსი სახის არც ბეჭდური და არც ელექტრონული კატალოგი არ არსებობს და შესაბამისად არც ამ რუკების კვლევაა ფაქტობრივად განხორციელებული.

ძველი რუკების ნაწილი დაცულია საზღვარგარეთ (აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკის, ბრიტანეთის მუზეუმში ლონდონში, პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, მოსკოვის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სანკტ-პეტერბურგის სალტიკოვ-შედრინის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, აგრეთვე ლაიფციგის, ამსტერდამის, ბრიუსელის, გენტის და სხვა მუზეუმების, არქივების, ბიბლიოეთეკების, უნივერსიტეტების რუკათსაცავეში). ასევე მრავლადაა იგი სხვადასხვა კარტოგრაფიულ კოლექციაში.

პროექტის მიზანია საქართველოს ტერიტორიის ამსახველი კარტოგრაფიული ნაწარმოებების ონლაინკატალოგის შექმნა და 5–ვერსიანი (თანამედროვე მასშტაბი 1:210,000) რუკის გეოგრაფიულ- კარტომეტრიული კვლევა.

კვლევის მეცნიერული სიახლე უპირველესად დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ არცერთი სამეცნიერო მიმარ.თულებით დღემდე არ განხორციელებულა ძველი „ვერსიანი" რუკების, მათ შორის 5-ვერსიანი რუკების კვლევა. ეს მნიშვნელოვან დეფიციტს ქმნის მეცნიერების სხვადასხვა დარგისათვის, კერძოდ, გეოგრაფიული, ისტორიიული, ეთნოლოგიური, კარტოგრაფიული, ტოპონიმიკური კვლევების მიმართულებით. დიდძალი ინფორმაცია, რომელიც დატანილია ამ რუკებზე, კომპლექსურ შესწავლასა და საჯარო სივრცეში განთავსებას საჭიროებს.

5-ვერსიანი რუკები შედგენილია რუსეთის იმპერიის გენერალური შტაბის მთავარ სამმართველოსადმი დაქვემდებარებული სამხედრო ტოპოგრაფიული განყოფილების მიერ. ამ რუკებზე დატანილია რუსეთის იმპერიის და იმ დროს არსებული ადმინისტრაციული ერთეულების (გუბერნიების/ოლქების, მაზრების) საზღვრები, სხვადასხვა ობიექტი (ოროჰიდროგრაფიული ობიექტები, დასახლებები, გზები, ხიდები და სხვ.). ამ რუკების სერია პირველად გამოიცა 1869 წელს, ხელმეორედ გამოიცა რამდენიმეჯერ 1930 წლამდე. არსებობს ამ რუკების შავ-თეთრი და ფერადი ვარიანტები.

კვლევა ეფუძნება 2 უმთავრეს მიდგომას:

• სივრცე-დროითი მიდგომა – გეოგრაფიული ობიექტები გაანალიზებული იქნება სივრცით და დროით ჭრილში და მის საფუძველზე გამოვლინდება ნიშან-თვისებები;
• კომპლექსური მიდგომა – კვლევა დაფუძნებული იქნება არა ერთი, არამედ რამდენიმე სამეცნიერო დისციპლინის (გეოგრაფია, კარტოგრაფია, გეოინფორმატიკა, ისტორია, ტოპონიმიკა) ინტეგრაციაზე

**პროექტი # 2:** „ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნერო მოღვაწეობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) პერიოდში"
დონორი: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, # - FR-21-9053, 2022-2025 წწ. (ფუნდამენტური კვლევებისათვის).

ძირითადი მიმართულება: საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები; დარგი: ისტორიული კარტოგრაფია

*პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)*

- დავით სართანია – ისტორიის დოქტორი, თსუ მუზეუმის დირექტორის მოადგილე, ივანე ჯავახიშვილის ცენტრის ხელმძღვანელი;
- მალხაზ მაცაბერიძე (მკვლევარი, თსუ პროფესორი);
- თამარ ორჯონიკიძე (კოორდინატორი, თსუ დოქტორანტი);
- სტივენ ჯონსი (კონსულტანტი, მაუნტ-ჰოლიოკის კოლეჯის (აშშ) პროფესორი;.
- დალი ნიკოლაიშვილი (პროექტის ხელმძღვანელი) – გეოგრაფიის დოქტორი, გის-სპეციალისტი, თსუ გეომორფოლოგია-კარტოგრაფიის კათედრის გამგე, პროფესორი.

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე):***

პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლის, ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის (1876-1940) სამეცნიერო მოღვაწეობაში განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) არსებობის შედარებით ხანმოკლე პერიოდი.
საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რასაკვირველია, ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის შესახებ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში დაიწერა რიგი ნაშრომები (გურამ ყორანაშვილი. ივანე ჯავახიშვილი. თბ., 1999; ოთარ ჯანელიძე. ივანე ჯავახიშვილის კვალდაკვალ. თბ., 2018), მაგრამ არ არსებობს ერთიანი, მონოგრაფიული გამოკვლევა ამ პერიოდში ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო საქმიანობის და საზოგადოებრივ- პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ, რაც მკაფიოდ და ყოველმხრივ წარმოაჩენდა დიდი მეცნიერის მოღვაწეობას ამ პერიოდში, არამედ მის პოლიტიკურ შეხედულებებსაც, რომლის დაფარვაც მას აღარ უხდებოდა.
კვლევა ითვალისწინებს პირველ რიგში ივ. ჯავახიშვილის მიერ 1918-1921 წლების პერიოდში დაწერილი ნაშრომების (და წაკითხული ლექციების, საგაზეთო ანგარიშების მიხედვით), საარქივო მასალების თავმოყრას და ელექტრონული სახით ამ პერიოდის მისი თხზულებების კრებულის მომზადებას, შესაბამისი სამეცნიერო კომენტარებით. ასეთი კრებული დღეისათვის არ არსებობს.
კვლევის მეთოდოლოგია გამომდინარეობს კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან. ძირითადად გამოყენებულია კვლევის რამდენიმე მეთოდი:
- ბიოგრაფიული ანალიზი. 1918-1921 წლებში ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის შესასწავლად გაანალიზებულია მისი სამეცნიერო ნაშრომები, იმდროინდელი პრესა და საარქივო მასალები, მოგონებები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ პერიოდის ოფიციალურ და პირად წერილებს, რომლებიც ზუსტად და შეუფარაფად ასახავენ მიმდინარე მომენტებს. ეს მიმოწერა ასახავს ივანე ჯავახიშვილის როგორც მოქალაქის, ისე

ოფიციალური პირის - უნივერსიტეტის რექტორისა და სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციას.
- ბიბლიოგრაფიული ანალიზი. გამოვლენილია 1918-1921 წლებში გამოქვეყნებული ივანე ჯავახიშვილის ნაშრომების ბიბლიოგრაფია. მასში შევა როგორც დასრულებული და გამოქვეყნებული ნაშრომები, ასევე იმდროინდელ პრესაში არსებული ანგარიშები და საარქივო დოკუმენტები, რომელთა ნაწილიც უკვე არის გამოქვეყნებული და სამეცნიერო ბრუნვაშია შემოსული.

**პროექტი №3.** „დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი და საქართველო-აზერბაიჯანის სასზღვრო ზონა. ისტორიულ-გეოგრაფიული რეალიები"
დონორი: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, № - BRG-I-22-095, 2022-2023 წწ. (საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების კვლევა).

ძირითადი მიმართულება: საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები; დარგი: კარტოგრაფია

*პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)*

- თენგიზ გორდეზიანი (პროექტის ხელმძღვანელი) – თსუ ასოცირებული პროფესორი, საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტი;
- ზაზა სხირტლაძე (მკვლევარი) - თსუ პროფესორი, დავითგარეჯის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი);
- ნოდარ ხორბალაძე (მკვლევარი) - სოციოლოგიის მეცდნიერებათა დოქტორი, საქართველოს სახელმწიფო საზღვრების დელიმიტაცია-დემარკაციის სამთავრობო კომისიის წევრი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კარტოგრაფია-გეოდეზიის დეპარტამენტის უფროსი;
- ნოდარ ელიზბარაშვილი (მკვლევარი) - თსუ პროფესორი;
- ზურაბ ლაოშვილი (მკვლევარი) - სტუ პროფესორი;
- თედო გორგოძე (პროექტის კოორდინატორი) - გეოგრაფიის დოქტორი, საქართველოს სახელმწიფო სასზღვრების დელიმიტაცია-დემარკაციის სამთავრობო კომისიის წევრი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კარტოგრაფია-გეოდეზიის დეპარტამენტის კარტოგრაფიული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;
- რევაზ თოლორდავა (მკვლევარი) - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
- ნათელა მირიანაშვილი (მკვლევარი) - ისტორიის დოქტორი;
- ცისანა ქადაგიშვილი (მკვლევარი) - იურისტი;
- გოჩა გუძუაძე (მკვლევარი) - თსუ დოქტორანტი;
- მარიამ გაგოშაშვილი (მკვლევარი) - თსუ დოქტორანტი;
- ჯულია ბენიძე (მკვლევარი) - თსუ დოქტორანტი.

***გარდამავალი კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე):***
პროექტი შეეხება საქართველოსათვის საკრალური ძეგლის, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის კვლევას: გეოგრაფიული კარტოგრაფიულ, ისტორიულკ და სამართლებრივ ჭრილში. პროექტის შედეგები (ორენოვანი მონოგრაფია და რუკათა ატლასი) მოემსახურება დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის სადაო მონაკვეთის კარტოგრაფიული და იურიდიული მიკუთვნებულობის საკითხს. პროექტის იდენტური სათაურის მქონე მონოგრაფიული კვლევა 3 თავისაგან შედგება. პირველი თავი შეეხება საკვლევი ტერიტორიის კომპლექსურ გეოგრაფიულ ანალიზს. მეორე თავში განხილულია კარტოგრაფიული, ისტორიული და სამართლებრივი (იურიდიული) წყაროებიოს დეტალური ანალიზი. მესამე თავი შეეხება ბერსამონაზვნო ცხოვრებას დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში მისი დაარსებიდან დღემდე. აქ განხილულია კვლევის ობიექტის არქეოლოგია, ეპიგრაფიკა და ტოპონიმიკა. მონოგრაფის თან ერთვის დანართები, სადაც

წარმოდგენილია ყველა ისტორიული და სამართლებრივი დოკუმენტი, რომლებიც ასაბუთებს დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის მთელი ტერიტორიის და შესაბამისი რელიგიურ-საკულტო ძეგლების ტერიტორიულ მიკუთვნებულობას.

მონოგრაფიაში ძირითადი აქცენტი კეთდება 1937-1938 წლის კარტოგრაფიულ წყაროებზე და 1996 წლის ოქმზე, სადაც კარკვევით წერია, რომ „საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის ხაზი გატარებული იქნას 1938 წლის დოკუმენტების საფუძველზე. ამ პერიოდის კარტოგრაფიული წყაროები კი არის: 1) 1937 წელს დაბეჭდილი, 1:200 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის პლანშეტი, რომელსაც ჩარჩოს გარეთ აწერია, რომ ამ რუკის პასუხისმგებელი რედაქტორი არის დოცენტი სერგი ცხაკაია, რომელიც იმ პერიოდში ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის ტოპო-გეოდეზიურ სამსახურს. იგი ასევე გახლდატ ქართული სამეცნიერო-კარტოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი; 2) საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფის რუკა (კედლის რუკა) 1:500 000 მასშტაბში (ქართულ ენაზე); 3) საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფის რუკა (კედლის რუკა) 1:500 000 მასშტაბში (რუსულ ენაზე); 4) ტოპოგრაფიული რუკა 1:500 000 მასშტაბში (რუსულ ენაზე). მეორე, მესამე და მეოთხე რუკები შედფგენილ იქნა, 1937 წლის ტოპორუკის საფუძველზე, რომელზედაც საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი ამ მონაკვეთზე გადის გარეჯის თხემიდაზ 1 კმ-ის მოშორებით.

პროექტში წარმოდგენილია სამეცნიერ-პრაქტიკული დასაბუთება, რომლის მიხედვითაც საქართვერლო-აზერბაიჯანის საზღვარი გატარებულ იქნას, სწორედ 1:200 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული პლანშეტის მიხედვით.

პროექტის ფარგკლებში შედგენილ იქნა დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ელექტრონული ატლასი, სადაც წარმოდგენილია, როგორც უკვე არსებული რუკები, ისე ახლადშედგენილი რუკები, რომლებზე4დაც ასახულია ამ ტერიტორიაზე რელიგიურ საკულტო ძეგლების გაჩენის დინამიკა დღემდე.

პროექტის ფარგლებში საკვლევ ტერიტორიაზე მოეწყო ორი სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიცია, რომელთა დროსაც მოხდა ყველა ობიექტის კოორდინატების აღება. მოხდა უპილოტო საფრენოსნო აპარატით საკვლევი ტერიტორიის აეროგადაღება, რომლის შედეგადაც მიღებული მასალები გამოიყენება საკვლევი ტერიტორიის თანამედროვე მდგომარეობის კარტოგრაფირებისათვის.

პროექტის შედეგების პრეზენტაცია დაგეგმილია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელომწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს საპატრიარქოში.

**პროექტი №4.**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კომპლექსურ-გეოგრაფიული ატლასი და გეოინფორმაციული სისტემა.

დონორი: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, № - OTG–I-23–236, 2023-2024 წწ. (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების კვლევა).

ძირითადი მიმართულება: საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები; დარგი: კარტოგრაფია

*პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)*

- რევაზ თოლორდავა (პროექტის ხელმძღვანელი)) - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
- თედო გორგოძე (პროექტის კოორდინატორი) - გეოგრაფიის დოქტორი, საქართველოს სახელმწიფო სასზღვრების დელიმიტაცია-დემარკაციის სამთავრობო კომისიის წევრი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კარტოგრაფია-გეოდეზიის დეპარტამენტის კარტოგრაფიული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;
- თენგიზ გორდეზიანი (მკვლევარი) - თსუ ასოცირებული პროფესორი, საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტი;

- ნოდარ ხორბალაძე (მკვლევარი) - სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სახელმწიფო საზღვრების დელიმიტაცია-დემარკაციის სამთავრობო კომისიის წევრი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კარტოგრაფია-გეოდეზიის დეპარტამენტის უფროსი;
- მელორ ალფენიძე (მკვლევარი) - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
- კახა კვაშილავა (მკვლევარი) - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
- კობა კორსანტია (მკვლევარი) - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი;
- მალხაზ ღვინჯილია (მკვლევარი) - პროფესორი.

***გარდამავალი კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე):***

პროექტის საბოლოო შედეგი იქნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კომპლექსურ-გეოგრაფიული ატლასი და განახლებადი გეოგრაფიული ინფორმაციული სიოსტემა.

ეს არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი კომპლექსურ-გეოგრაფიული ატლასი. პირველ რიგში შედგფენილ იქნა ატლასის მაკეტი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს სამუშაოების შესრულება. ატლასი ოთხი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი მოიცავს რეგიონის ზოგადგეოგრაფიულ მიმოხილვას და ზოგადგეოგრაფიულ რუკებს. მეორე ნაწილში წარმოდგენილია ბუნების მოვლენების რუკები. აქ წარმოდგენილია რუკის შინაარსის შესაბამისი ტექსტის მონაცვლეობა თვით რუკასთან. მესამე ნაწილი მოიცავს უკვე საზოგადოების მოვლენათა რუკებს. აქაც წარმოდგენილია ტექსტების მონაცვლეობა შესაბამისი შინაარსის რუკებთან. ატლასის მეოთხე თავში წარმოდგენილია ისტორიული ციკლის რუკები შესაბამისი ტექსტებით. ატლასს თან ერთვის დანართები, რომელიც წარმოდგენილია: ფოტომასალით, აერო და კოსმოსური სურათებით, გამოყენებული კარტოგრაფიული წყაროების ჩამონათვალით და გამოყენებული ლიტერატურული წყაროების ჩამონათვალით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კომპლექსურ-გეოგრაფიული ატლასი დაიმეჭდება განსაზღვრული ტირაჟით, A4 ფორმატით.

**პროექტი №5.**

ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურული ობიექტებისა და დასახლებული პუნქტების ცვლილებების შეფასება და გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა თანამგზავრული და აერო ფოტოების დამუშავებით მიღებული ორთოფოტოების საფუძველზე.

დონორი: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების კვლევა).

ძირითადი მიმართულება: საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები;

*პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)*

- გიორგი გაფრინდაშვილი (პროექტის ხელმძღვანელი) - გეოგრაფიის დოქტორი, თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი.
- მარიამ ელიზბარაშვილი (პროექტის კოორდინატორი) - გეოგრაფიის დოქტორი, თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
- გიორგი დვალაშვილი - გეოგრაფიის დოქტორი, თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი.
- ნინო ჩიხრაძე (მკვლევარი) - თსუ-ს გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, დოქტორანტი
- თამარ ხუნწელია (მკვლევარი) - თსუ-ს დოქტორანტი, GIS სპეციალისტი.

- ზურაბ რიკაძე (მკვლევარი) - თსუ-ს დოქტორანტი, GIS სპეციალისტი.

***გარდამავალი კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე):***

კვლევის მიზანს წარმოადგენს ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურული ობიექტებისა და დასახლებული პუნქტების ცვლილებების შესწავლა (ოკუპირებამდელ მდგომარეობასთან შედარებით) და ამ ცვლილების გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა თანამგზავრული და აერო ფოტოების დამუშავებით მიღებული ორთოფოტოების საფუძველზე.

ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის და დასახლებული პუნქტების ცვლილების (ოკუპირებამდელ მდგომარეობასთან შედარებით) ამსახველი გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა შეიქმნება პირველად საქართველოში. შექმნილი გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა საშუალებას მოგვცემს გავააანალიზოთ და შევაფასოთ, თუ როგორ შეიცვალა საომარი მოქმედებების გავლენით და ოკუპაციის შემდგომ ამ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურა და დასახლებები, ამსთანავე ნებისმიერ დროს შესაძლებელი იქნება ამ ინფორმაციის განახლება და ახალი ცვლილებების დატანა უკვე არსებულ შექმნილ გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემაში, ასეთი ინფორმაცია და ასეთი ინსტრუმენტი დღემდე არ არსებობს. სწორედ ამით განისაზღვრება კვლევის სიახლე და ინოვაციურობა.

პროექტის ფარგლებში აქცენტი გაკეთდება მსხვილ ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე, კერძოდ ისეთზე, რომლის აღქმა და ანალიზი შესაძლებელია თანამგზავრულ და აერო ფოტოების დამუშავებით მიღებულ ორთოფოტოებზე: გზები, რკინიგზა, ხიდები, გვირაბები, სამხედრო ობიექტები, აეროდრომები, წყალსაცავები და სხვა. ასევე შეფასდება, თუ სად მოხდა სოფლების განადგურება თუ ახალი დასახლებების (ასეთის არსებონბის შემთხვევაში) შექმნა და სხვა. ამისათვის გამოვიყენებთ და ერთმანეთს შევადარებთ 2000-2008 წლების და ამჟამინდელ (2021 წლის) ორთოფოტოებს.

გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა, რომელიც გამოსახავს ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის და დასახლებული პუნქტების ცვლილებას 2008 წლამდე მონაცემებთან შედარებით და ასევე ამ ცვლილების ანალიზის ტექსტი, მაგ. რამდენი სოფელი და რომელი აღარ არსებობს. ინფორმაცია ამ სოფლების შესახებ. სად განადგურდა გზები და სად არის ახალი გზები გაყვანილი, რას აკავშირებს ეს ახალი გზები, შეიქმნა თუ არა სამხედრო ბაზები და სხვა.

კვლევა ჩატარდება კარტოგრაფიული მეთოდების გამოყენებით, რუკა შედგება გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების გამოყენებით. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის საშუალებით შესაძლებელია სივრცულ-დროითი ინფორმაციის შექმნა, ინტეგრირება, შენახვა, შეცვლა, გაანალიზება და მოდელირება. 2008 წლამდე და თანამედროვე კოსმოსური და აერო ფოტოების დიგიტალიზაციით მივიღებთ გეორეფერენსირებულ ვექტორულ ფენებს: გზები, ხიდები, დასახლებული პუნქტები. ინფრასტრუქტურის და დასახლებული პუნქტების ცვლილების გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა შეიქმნება სწორედ ამ ორი 2008 წლამდე და 2021 წლის ინფრასტრუქტურის და დასახლებული პუნქტების ამსახველი გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების შედარების საფუძველზე. კონკრეტული საჭიროებების შემთხვევაში ასევე გამოყენებული იქნება არსებული ტოპოგრაფიული რუკები. გეოინფორმაციული სისტემები საშუალებას გვაძლევს დავამატოთ როგორც ახალი ობიექტები, ინფრსატრუქტურა, სოფლები თუ სხვა, ასევე მოვახდინოთ უკვე განადგურებული ინფრასტრუქტურის იდენტიფიცირება. ამიტომ, ამ გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემაში თავმოყრილი იქნება ინფორმაცია ყველა ინფრასტრუქტურული თუ დასახლებული პუნქტების ცვლილების შესახებ. კვლევის მეთოდოლოგია სრულ შესაბამისობაშია პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან. პროექტის ფარგლებში შეიქმნება ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის და

დასახლებული პუნქტების ცვლილების (ოკუპირებამდელ მდგომარეობასთან შედარებით) ამსახველი გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გაანალიზდეს და შეფასდეს, თუ როგორ შეიცვალა საომარი მოქმედებების გავლენით და ოკუპაციის შემდგომ ამ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურა და დასახლებები.

*გარდამავალი კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული*

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. გიორგი დვალაშვილი, ნინო ციკოლია, მარიამ ბუცხრიკიძე, ანა გულბანი ,,ყვარლის მუნიციპალიტეტი“ თსუს-ს გამომცემლობა, თბ. 2023. ISBN 978-9941-36-142-5

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. წიგნში განხილულია ყვარლის მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტები, დახასიათებულია ერთი ქალაქი და მუნიციპალიტეტში არსებული ტერიტორიული მართვის ორგანოში გაერთიანებული, საინტერესო გეოგრაფიული პირობებით და კულტურული მემკვიდრეობით გამორჩეული 21 სოფელი. ყველა ამ დასახლებულ პუნქტში საინტერესო და მნიშვნელოვანი ბუნებრივი და ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები მდებარეობს. ყოველივე ეს კი, მთლიანობაში, წარმოადგენს მდიდარ ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსს.

წიგნში განხილულია: სოფლების სახელწოდების წარმოშობის სხვადასხვა ვერსია, ტრადიცია, თქმულება, ლეგენდა, გავრცელებული გვარები, გეოგრაფიული ადგილების (მდინარეები, ტბები, მინდვრები, მთები, ხეობები) დახასიათება, ეკლესია-მონასტრების, ციხე-სიმაგრეებისა და სახლ-მუზეუმების, როგორც ისტორიული წარსული, აგრეთვე, თანამედროვე მდგომარეობა.

მუნიციპალიტეტს უდიდესი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. აქ წარმოდგენილია მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობა და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები, ყვარლის მუნიციპალიტეტის მკვიდრთა დამახასიათებელი სტუმარ-მასპინძლობის განსაკუთრებული ტრადიციები საუკეთესო პირობაა ამ ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარებისათვის. ყვარლის მუნიციპალიტეტის კვლევა განხორციელდა თსუ-ს სტუდენტური სამეცნიერო პროექტის ფარგლებში, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის სტუდენტების: ნინო ციკოლია (ხელმძღვანელი), მარიამ ბუცხრიკიძე, ანა გულბანის მიერ. სტუდენტური სამეცნიერო პროექტის „ყვარლის მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობების გეოგრაფიული კვლევის“ კოორდინატორი იყო გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი გიორგი დვალაშვილი.

პროექტის ფარგლებში შესწავლილი იქნა ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და გეოგრაფიული ობიექტები. განხორციელდა დასახლებული პუნქტების გეოგრაფიული კვლევა, მოხდა შეხვედრა ყვარლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, ყვარლის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის, მუზეუმების თანამშრომლებთან, საჯარო სკოლის პედაგოგებთან, აგრეთვე, სოფლის და ქალაქის მოსახლეობასთან. მოხდა ინფორმაციების მოპოვება დასახლებული პუნქტების ისტორიული და გეოგრაფიული საინტერესო ადგილების შესახებ. საველე მუშაობების დროს მოხდა ღირსშესანიშნავი ადგილებისა და ობიექტების ფოტოფიქსაცია. საველე ექსპედიციის დროს შეფასებული იქნა ყვარლის მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების და მიმდებარე ტერიტორიების ტურისტული პოტენციალი. პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა სამაგისტრო პროგრამა „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარების" მეოთხე სემესტრის მაგისტრანტმა მარიამ ზუცხრიკიძემ დაამუშავა მასალები და წარმოადგინა სამაგისტრო ნაშრომი ,,ყვარლის მუნიციპალიტეტის რელიეფის გეოეკოლოგიური შეფასება".

2.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

**სტატია # 1.** Tskhavardze M., Nikolaishvili D., Matchavariani L., Lagidze L., Trapaidze V. **Landscapes Dynamics of Samtskhe-Javakheti, Georgia.** International Journal of GEOMATE, ISSN: 2186-2982(P), 2186-2990 (O). (იმპაქტ-ფაქტორის)
https://doi.org/10.21660/2023.104.g12297, Japan, April 2023, Vol. 24, Issue 104, 62-68.
https://geomatejournal.com/geomate/article/view/3842

ლანდშაფტთა დინამიკის საკითხების შესწავლას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. გარდა იმისა, რომ მისი მეშვეობით შესაძლებელია დადგინდეს ლანდშაფტებში და საერთოდ, გეოგრაფიულ გარსში მიმდინარე ფიზიკურ-გეოგრაფიული თუ ანთროპოგენური პროცესები. მათი გამოვლენა გარკვეულ როლს ასრულებს გარემოში მიმდინარე ტენდენციების დასადგენად და საბოლოო ჯამში, ტერიტორიული დაგეგმარების ძირითადი მიმართულებების წარმოსაჩენად.

აღნიშნულ ნაშრომებში ლანდშაფტთა დინამიკის საკითხები გაანალიზებულია ლანდშაფტების ტიპების, ქვეტიპებისა და საბაზო მეტეოსადგურის მონაცემების მიხედვით. ამის საფუძველზე შეიქმნა ლანდშაფტთა წლიური დინამიკის საკმაოდ ნათელი და სრულყოფილი სურათი.

ჩვენი კვლევის მიზნიდან გამომდინარე კი, კერძოდ, კლიმატის ცვლილების გამოსავლენად მონაცემთა გაცილებით მეტი სიზუსტეა საჭირო - როგორც დროით ჭრილში, ისე მეტეოსადგურების / საგუშაგოების სიმრავლის თვალსაზრისით. ამასთან მნიშვნელოვანია ლანდშაფტთა სივრცითი გადაჭიმულობის ფაქტორიც (ზოგიერთი ლანდშაფტი მიუჰყვება რა ოროჰიდროგრაფიულ ობიექტებს, წაგრძელებული კონფიგურაციისაა) და 1 მეტეოსადგური ხშირად რეალურად ვერ წარმოაჩენს სრულ სურათს. აქედან გამომდინარე, სამცხე-ჯავახეთის ლანდშაფტების ანალიზისათვის გამოყენებულია 12 მეტეოსადგურის / საგუშაგოს მონაცემები. ამრიგად, ლანდშატების კლიმატურ მახასიათებელთა ანალიზი განხორციელდა არა ერთი სადგურის, არამედ რამდენიმე სადგურის მონაცემებზე დაყრდნობით.

სამცხე-ჯავახეთში კლიმატის ცვლილების შესწავლის მიზნით გამოყენებულია მეტეოროლოგიურ სადგურთა ის მონაცემები, რომლებიც მათი ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში არსებობს. ზოგიერთი სადგურისათის მონაცემები უწყვეტია, თუმცა ზოგიერთი სადგურისათვის - დისკრეტული, ან ზოგიერთ შემთხვევაში თანამედროვე პერიოდამდე.

სამცხე-ჯავახეთში კლიმატის ცვლილების პროცესი და მისი გავლენა გარემო პირობებზე შეფასდა შემდეგი პარამეტრების გაანალიზებით: ჰაერის დღეღამური საშუალო ტემპერატურა, ატმოსფერული ნალექების სიხშირე, ქარის სიჩქარე, მდგრადი თოვლის საფარის სიმაღლე. გარემოს

ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული მრავალწლიური ყოველდღიური მონაცემების საფუძველზე, გაანალიზდა და შეფასებულ იქნა აღნიშნული პარამეტრების წლიური, სეზონური და თვიური ცვლილების ტენდენციები. ამ მიზნით გამოყენებულია 12 მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემები: აბასთუმანი, ახალქალაქი, ახალციხე, ბაკურიანი, ბორჯომი, გოდერძი, ფარავანი და წალკა, ასპინძა, ჯვარი, მინაძე და არალი.

კვლევის შედეგად დადგინდა ლანდშაფტთა ზოგიერთი დინამიკური თავისებურება არა მარტო საშუალო მრავალწლიური, არამედ ცალკეული წლების მიხედვით. ამან შესაძლებლობას მოგვცა დაგვედგინა ზოგიერთი ტენდენცია, რომელსაც ადგილი აქვს ამა თუ იმ ლანდშაფტში, ამასთან წარმოგვეჩინა ჰუმიდიზაციის თუ არიდიზაციის, ტემპერატურის მატების თუ კლების ტენდენციააა სახეზე და რომელ ლანდშაფტებშია ეს პროცესები უფრო მკაფიოდ გამოკვეთილი და რომელ მათგანს ემუქრება ძირეული სტრუქტურული ცვლილებები. გარდა ამისა, შესაძლებელი გახდა დადგინილიყო თუ რა ცვლილებებია მოსალოდნელი ლანდშაფტურ-გეოფიზიკური მახასიათებლების (გეომასების რაოდენობის, ვერტიკალური სტრუქტურის სიმძლავრისა და სირთულის) მიხედვით. ამით კი საბოლოო ჯამში, ლანდშაფტების რესურსული პოტენციალის ცვლილების ტენდენციების დადგენის შესაძლებობაც მოგვეცა.

სამცხე-ჯავახეთში გამოიკვეთა ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების ცვლილების მრავალფეროვანი სურათი, კერძოდ, ადგილი აქვს ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების ჯამების მკვეთრ ცვალებადობას, დათბობააცივების ერთგვარი მონაცვლეობით: დასაკვირვებელ პერიოდში საშუალო წლიური ტემპერატურების ზრდა დაიკვირვებოდა მაღალი მთის პლატოს ლანდშაფტების ცენტრალურ და ჩრდილოეთ, ხოლო შემცირება - მის სამხრეთ ნაწილში. თითქმის უცვლელად დარჩა ჰაერის ტემპერატურა ქვედა მთის ადა საშუალო მთის ტყის ლანდშაფტებში 1962-2004 წლების პერიოდში. რაც შეეხება ატმოსფერულ ნალექებს, მათი ზრა უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით სახეზეა კვლავს მაღალი მთის პლატოს, ხოლო შმეცირება მთის ქვაბულების ლანდშაფტებში.

<u>სტატია # 2.</u> Tsitsagi M., Kharebava N., Nikolaishvili D., Kupatadze I.; Gadrani L. **Tbilisi Through Time.** // Georgian Geographical Journal, 2022-03-07, Vol.2 (1) 62-72, Part of ISSN: 2667-9701. https://journals.4science.ge/index.php/GGJ/article/view/758/793

Ancient cities have witnessed many changes throughout their long history. These changes have different underlying causes in different regions of the world. This paper discusses the urban sprawl of Tbilisi, the capital of Georgia, mainly from the beginning of the 19th century to 2020. Through analysis of historical materials, city plans, and old maps, layers of Tbilisi urban sprawl were created using ArcMap 10.8. Images of Landsat 5 TM and Landsat 8 OLI have been used to assess changes over the last 30 years. We compared the obtained data with the census data conducted during the study period, reconstructed the current social, political, and economic situation using historical sources, and finally determined in which period the urban expansion took place, the reasons for it, and how this expansion affected the natural and social environments of the city.

In conclusion, the situation in the villages and cities of Georgia creates a favourable environment for the urbanization "boom" (explosion) and overcrowding of cities, which means "mass" population approach to the city, primarily concerning Tbilisi. This creates problems such as unsystematic development and chaotic constructions, which negatively impact the natural environment and social conditions of the place. As for the social problems that have arisen, the problem of employment is created in a congested city. Unemployed people engage in illegal, sometimes criminal, activities. There is a significant social load, traffic jams, the problem of parking. In terms of the recommendation, we all need to talk about, proper urban planning is needed so as not to cause repeating problems for the citizens, and to make their living environment comfortable. It is also necessary to maintain more or less healthy natural environmental conditions. At the same time, attention should be paid to the retention of the rural population. This should be done not only by

developing agriculture but also by developing the surrounding municipal centres, so that the population can at least partially receive the cultural or educational nourishment that draws them to the city.

<u>სტატია # 3.</u> სართანია დ., ნიკოლაიშვილი დ., უჯმაჯურიძე ა. **მევენახეობა ისტორიულ მესხეთში ოსმალური დავთრების მიხედვით.** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე. 20-21 სექტემბერი, ბათუმი, 2023 (იბეჭდება).

XVI საუკუნის ოსმალური დავთრები შეიცავს მდიდარ ინფორმაციას ოსმალების მიერ საქართველოს დაპყრობილი ნაწილის – მესხეთის გარკვეული ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ. ეს შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს ქართული ტრადიციული ბუნებათსარგებლობის ფორმები და ქართული სუბსტრატის დონე ოსმალთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის ფონზე. ამჟამად ჩვენი კვლევის საგანია 1574 და 1595 წლების ოსმალური დავთრები (გურჯისტანის ვილაიეთის დავთრები). კვლევის ერთ-ერთი მიმართულებაა ქართული ცხოვრების წესის ცვლილების დინამიკის დადგენა, რომელსაც ამჟამად მევენახეობის დარგით წარმოვადგენთ.

ოსმალური ექსპანსიის გამარჯვების მთავარი ნიშნული იყო 1545 წ. სოხოისტას ომი, რომლის შემდეგაც ქართველები თანდათანობით თმობენ პოზიციას. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი აღნიშნული დავთრები, რადგანაც ისინი 1574 და 1595 წლებშია დაახლოებით ერთმანეთისაგან 20-წლიანი დაშორებით შედგენილი. ამიტომ ისინი სხვადასხვა საკითხის დინამიკაში შესწავლის საშუალებას იძლევა, თუმცა სრული სურათის წარმოჩენა მაინც შეუძლებელია, ვინაიდან ერთი და იგივე სახელწოდების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს (გურჯისტანის ვილაიეთს) 1574 და 1595 წლებში ერთნაირი ტერიტორიული მომცველობა არ ჰქონდა. ერთადერთი ტერიტორიული თანხვედრაა 1574 წლის დავთრისეული დიდი არტაანის ლივა, რომელიც შეესაბამება 1595 წლის დავთრის დიდი არტაანისა და ფანაკის ლივებს ერთად.

კვლევამ აჩვენა, რომ მევენახეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი ყოფილა გურჯისტანის ვილაეთში. ამაზე მიუთითებს ვენახზე გადასახადი, რომელიც გაწერილია თითქმის ყველა დასახლებაზე. ასევეა გადადახადი შირაზე (ტკბილი წვენი, რომელიც უმთავრესად მზადდებოდა ყურძნისაგან). 1595 წელს, 1574 წელთან შედარებით, დიდი არტაანის ლივაში გადასახადი ვენახსა და შირაზე შემცირდა (დიდი არტაანისა და ფანაკის ლივებში), თუმცა მათი წილი სამეურნეო გადასახადების ფონზე არ შეცვლილა და შეადგენს 1,7 %-ს. იმ უამრავ სამეურნეო გადასახადის ფონზე ეს მაჩვენებელი მცირე სულაც არაა. ეს კი თვალნათლივ აჩვენებს იმას, რომ ქართული მოსახლეობის ტრადიციული სამეურნეო სტრუქტურა, ამ თვალსაზრისით, არ შეცვლილა.

<u>სტატია # 4.</u> Kharebava N., Nikolaishvili D. Tsitsagi M. Satellite-based Analysis of Landscape Transformation in Tbilisi, Georgia
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“ (იბეჭდება)

თბილისი ოდითგანვე ბუნებრივად იყო ტყით დაფარული. დღეს კი ვითარება კარდინალურად შეცვლილია, ფრაგმენტულად შემორჩენილია უძველესი ნარგავების ნაწილი და ხელოვნურად გაშენებული ტყის მცირე მასივები. შეინიშნება მწვანე საფარის დაზიანება-განადგურება, რაც თავის მხრივ, პრობლემათა მთელ კასკადს წარმოქმნის. ამასთან, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ქალაქს აქვს ქვაბულის ფორმა და მწვანე საფარის დეფიციტი და ინფრასტრუქტურული ობიექტებით ჩანაცვლება კიდევ უფრო ართულებს ეკოლოგიურ მდგომარეობას. შესაბამისად კვლევის ობიექტად ავირჩიეთ საქართველოს დედაქალაქი თბილისისა და მისი მიდამოების მწვანე საფარის დინამიკა. ამასთან მისი მაღალი დეგრადაციის, შენარჩუნებული და ხელშეუხებელი არეალები.

კვლევა დაეფუძნა რეტროსპექტული კარტოგრაფირების მეთოდსა და გის-ტექნოლოგიებს, ამასთან ნარატიული წყაროების შესწავლას. მათი ურთიერთშედარებისა და იდენტიფიკაციის საფუძველზე კი განხორციელდა ანალიზი და მივიღეთ შედეგი თბილისის მწვანე საფარის სივრცე-დროითი ცვლილების შესახებ.

კვლევისათვის დამუშავდა შემდეგი მასალები: თბილისისა და მისი შემოგარენის ძველი მონაცემებისთვის გამოვიყენეთ ნარატიული მასალები, რომელშიც შედის ისტორიული წყაროები, მათ შორის არის საგაზეთო პუბლიკაციები და სახელმძღვანელოები, თბილისის ჩანახატები, თბილისის ძველი გენერალური გეგმები და ტოპოგრაფიული რუკები. თბილისის თანამედროვე ოფიციალური გეომონაცემები გამოვითხოვეთ თბილისის მერიიდან და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, ასევე გეომონაცემების აღწერა და დამუშავება მოხდა CORONA-ს, Landsat-ის, Sentinel-ის, Aster-ის და Google erath-ის სურათების საფუძველზე. გის-ტექნოლოგიების დახმარებით განვახორციელეთ თბილისის გრაფიკული მონაცემების დამუშავება. შევქმენით ციფრული ბაზა, რომელიც მოიცავს 1735 წლიდან დღემდე არსებულ გეომონაცემებს და შექმნილია WGS 84-UTM-38N პროექციაში. მწვანე საფარის ფართობის დინამიკის განსაზღვრა განხორციელდა შემდეგი: 1) თბილისის გეგმების რეგისტრაცია და მათი დეშიფრირება; თანამედროვე/ახალი გეომონაცემების მიღება და დამუშავება სატელიტური სურათების საფუძველზე; 2) წლების მიხედვით არსებული გეომონაცემების Over layer; 3) თბილისის ძველ გეგმებზე არსებული ურბანული ობიექტების, ქუჩების, მწვანე სივრცეების და სხვა ობიექტების განსაზღვრა, დაკავშირება, თანამედროვე გეგმებზე, ორთოფოტოებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტი მონაცემების მისაღებად წარმოიშვა სირთულე, რადგანაც გეგმები, ტოპოგრაფიული რუკები, სატელიტური სურათები სხვადასხვა მასშტაბის იყო; 4) დამუშავებული ისტორიული ნარატიული მასალის დაკავშირება გრაფიკულ მონაცემებთან, რომელმაც წლების მიხედვით სივრცითი ცვლილებები დაადასტურა და მიზეზები გამოავლინა.

საერთო ჯამში, საბჭოთა 1921-1990 წლებში მასიურად გამწვანდა ქალაქის ფერდები. თბილისელმა მეტყევე სპეციალისტებმა მიზნად დაისახეს აეღორძინებიათ ტყეები, ემრავლებიათ და დაეცვათ ჩვენი ბუნების სიცოცხლე და სილამაზე. მათი დამსახურებით შესამჩნევად იზრდებოდა გატყიანებული ტერიტორიების ფართობი, ნარგავებს შორის იყო ნაყოფის მომცემი მცენარეებიც. დიდი ყურადღება ექცეოდა სანერგე მეურნეობას. ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ნიადაგური და კლიმატური პირობები ყოველთვის გათვალისწინებული იყო ტყის კულტურების გაშენებისას. ასევე მათი მოვლისა და დაცვის სამუშაოები მაღალხარისხოვნად მიმდინარეობდა. ისინი ითვალისწინებდნენ სარგავი სახეობების გავრცელების ზონებს. შედეგად კი მივიღეთ ხელოვნურად გაშენებული ტყეებით შექმნილი დიდი სარეკრეაციო ზონები, ესენია: თრიალეთის ქედის ფერდები, კუს ტბის მიდამოები, მთაწმინდის ფერდები, ბოტანიკური ბაღი და მიმდებარე ფერდები, ასევე მარცხენა სანაპიროს, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია, კრწანისი, წყნეთი, კოჯორი, ლისის ტბის მიდამოები, წოდორეთი. როგორც წარსულში თანამედროვე პერიოდშიც გრძელდება ურბანული ექსპანსია და მის ხარჯზე მწვანე საფარის შთანთქმა. 2019 წლის მონაცემებით ქალაქის ტერიტორიის 29% მწვანე სივრცეებს უკავია, 31% ურბანულ ტერიტორიას.

სტატია № 5. Gordeziani T., Gorgodze T., Modebadze S., Jamaspashvili N., Beruchashvili Nika, Jincharadze G., Gagoshashvili M., Gordeziani T. Complex atlas mapping of selected municipalities and administrative regions of Georgia. Olomouc, 2023. www.spring2023.upol.cz

Atlas mapping, in Georgia, originates in the 18th century. The well-known Georgian geographer, cartographer, and historian Vakhushti Bagrationi stands at the origins of Atlas mapping. In the 20th century, other well-known scientists A. Javakhishvili, A. Aslanikashvili, S. Tskhakaya, D. Kekelia, G. Liparteliani, and K. Kharadze contributed to the development of atlas mapping. Since the 80s of the last century, in Georgia, as a result of the introduction of the geoinformation concept in cartography, a new direction of geoinformation atlas mapping has been intensively developing, which was initiated by the outstanding Georgian geographer and cartographer, Professor Niko Beruchashvili.

Atlas mapping. Atlas mapping in Georgia has been intensively developed since the 60s of the last century when the first national complex geographical atlas of Georgia appeared (1964). Complex atlas mapping of municipalities and regions of Georgia began in 1990. Complex atlases of the municipalities of Samtredia (2012), Lagodekhi (2012), Gurjaani (2012), Lentekhi (2017), Bolnisi (2018), Khashuri (2019), Kareli (2022) were

compiled, as well as the Complex Atlas of Adjara (1996 and 2007), atlas of the Racha-Lechkhumi region and lower Svaneti (1997) and others.

Complex atlas mapping consists of several closely related processes 1) compiling the program of the atlas, 2) collection of statistical and spatial (geographical) data of the mapped area, 3) field mapping and inventory of objects of the study area, 4) cameral processing of cartographic data, 5) selection of a number of scales for maps of the atlas, 6) choice of atlas format, 7) preparation of general geographic bases for maps of the atlas, 8) compiling the structure and sequence of maps of the atlas.

5. კლიმატის ცვლილება და მისგან გამოწვეული უარყოფითი შედეგები თანამედროვე სამყაროს უმთავრეს გამოწვევად იქცა. ცვლილებები გარემოში, რომელიც უმეტესწილად ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედებით არის გამოწვეული, უკვე საგრძნობი დოზით აისახება ჩვენს ყოველდღიურობაზე.
კლიმატური პარამეტრების მონაცემები მნიშვნელოვნად არის შეცვლილი როგორც საქართველოში, ასევე მის დედაქალაქში. სტიქიურმა განაშენიანებამ, გაზრდილმა სატრანსპორტო ნაკადმა, მწვანე ზონების შემცირებამ გააუარესა ჰაერის ხარისხი. დაბინძურებული ჰაერის ვენტილაციისთვის დიდი როლი ენიჭება ქარებს.
კვლევა ეხება ქალაქ თბილისის ქარის საშუალო სიჩქარის ცვლილების შეფასებას კლიმატის ცვლილების ფონზე. კვლევისთვის გამოვიყენეთ 1972-2021 წწ. გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის მასალები.

10-წლიანი პერიოდების მიხედვით შევაფასეთ ქალაქ თბილისში ქარის საშუალო სიჩქარის ცვლილება: თვეების, სეზონების, და წრფივი აპროქსიმაციის ტრენდით, დაკვირვების მთლიან პერიოდში. წარმოდგენილია შესაბამისი ცხრილები და გრაფიკები. კვლევის შედეგად გამოიკვეთა რომ: 1972-2021 წწ. (I-V პერიოდი) ქარის საშუალო სიჩქარემ ზამთრის პერიოდში გაიზარდა 0.43 მ/წმ-ით, გაზაფხულზე 0.50 მ/წმ-ით, ზაფხულის პერიოდში 0.53 მ/წმ-ით, ხოლო შემოდგომაზე მოიმატა 0.30 მ/წმ-ით, მთლიან პერიოდში მოიმატა 0.44 მ/წმ-ით. წრფივი აპროქსიმაციის ტრენდით 1972-2021 წწ ქარის საშუალო სიჩქარემ გაიზარდა 1.08 მ/წმ-დან 1.97 მ/წმ-მდე, ე.ი. ქარის სიჩქარე გაიზარდა 0.89 მ/წმ-ით.
კლიმატის ცვლილების შეფასებისთვის ქარის საშუალო სიჩქარის ცვლილების შეფასება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. კვლევის შედეგები სასურველია გათვალისწინებული იყოს ურბანული დაგეგმარებისას, ასევე დედაქალაქის შესაბამისი სამსახურების მიერ.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1.საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. ელიზბარაშვილი ე; ვარაზანაშვილი ო; ლაღიძე ლ; ფიფია მ; ჩიხლაძე ვ; გელოვანი გ; ძლიერი ქარების შესახებ კახეთის რეგიონში; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „დედამიწისა მის გარსებში მიმდინარე გეოფიზიკური პროცესები“; ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის 90 წლისთავს; 16-17 ნოემბერი; თბილისი, 2023.
2. Giorgi Khomasuridze, Lamzira Lagidze; Changes in Atmospheric Precipitations Due to Climate Change (Tbilisi as an example). International Conferense Geography-Past, Prezent, Future Challenges, VBIG90, 1-3 november, Tbilisi, Geogia, 2023.
3. ხომასურიძე გ; ლაღიძე ლ; ქარის საშუალო სიჩქარის ცვლილება კლიმატის ცვლილების ფონზე (თბილისის მაგალითზე); საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „დედამიწისა მის გარსებში მიმდინარე გეოფიზიკური პროცესები“; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისი, 2023, 147-152.

7.2.უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Tsivtsivadze N; Bregvadze G; Trapaidze V; Lagidze L; Tsintsadze N; The Problem of safety Drinkind Water Supply in Tbilisi. Conference proceedings of 23th International Multidisplinary Scientific Geoconference SGEM 2023, vol. 23, Hydrology, Water Resources, Marine and Ocean Ecosystems, https://doi.org/ 10.5593/sgem2023 /3.1; ISSN 1314-2704; ISBN 978-619-7603-58-3, 1-10 July, Albena, Bulgaria, 2023

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

ანგარიშის ფორმა №2

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** -
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება**
საქართველოს გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრა

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით**
პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილი (კათედრის გამგე),
ასოც. პროფ. გიორგი მელაძე.
ასოც. პროფ. რობერტ მაღლაკელიძე,
ასოც. პროფ. მარიამ ელიზბარაშვილი,

**ნოდარ ელიზბარაშვილი**

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2022 – 2023 წ. - დავით გარეჯი და საქართველო = აზერბაიჯანის სასაზღვრო ზონა: ისტორიულ-გეოგრაფიული რეალიები (რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი) - პროექტის ექსპერტი (გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების მიმართულება)

***დავით გარეჯის ლანდშაფტები***

გეოგრაფიული გარემო იქმნება, ვითარდება და ფორმირდება ბუნებრივი კომპონენტების (გეოლოგიური აგებულება, რელიეფი, კლიმატი, წყლები, ცოცხალი სამყარო, ნიადაგები) ურთიერთდამოკიდებულების და საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის შედეგად. ამის გამო, გეოგრაფიულ გარემოში განიხილება როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანის მიერ შექმნილი ლანდშაფტები.

ადამიანის მიერ შექმნილი ლანდშაფტი ფორმირდება იმ ბუნებრივ საფუძველზე, რომელიც გამოყენებულ იქნა ან გამოიყენება კონკრეტული, საზოგადოებისთვის საჭირო და აუცილებელი მიზნის ან შედეგის მისაღწევად.

ბუნებრივი ლანდშაფტებს წარმოადგენენ ისეთი ტერიტორიებს, სადაც უმნიშვნელოდაა შეცვლილი გარემოს იერ-სახე და ბუნებრივი კომპონენტები ჰარმონიულ ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან. ამგვარი ლანდშაფტები საქართველოში გვხდება მაღალ მთებში (სუბნივალურ და ნივალურ სარტყელში), დაცულ ტერიტორიებზე (ნაკრძალებსა და ეროვნულ პარკებში), გაუვალ ხეობებსა და ჭარბტენიან ადგილებში.

ადამიანისა და ბუნების ჰარმონიული თანაარსებობის შედეგია კულტურული ლნდშაფტები, რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენენ ადგილობრივი მოსახლეობის ეკოლოგიურ კულტურას, სამეურნეო საქმიანობის ტრადიციებს, ტერიტორიის ათვისების მიზნებსა და მიმართულებებს.

**დავით გარეჯის ბუნებრივი ლანდშაფტები**

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის და მისი მიმდებარე ტერიტორიების ბუნებრივი გარემო შექმნილი და წარმოდგენილია 2 - ბარის და მთის ლანდშაფტების სახით.

1. ბარის ბუნებრივი ლანდშაფტები ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ და მშრალი ხეობების სახით ფართოდ ვრცელდებიან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. მათ ახასიათებთ გორაკ-ბორცვიანი რელიეფი, სუბტროპიკული სემიარიდული ჰავა და მშრალი სტეპის მცენარეულობა.
   აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გავრცელებისას, ვაკეები ქვაბულის პირობებშია წარმოდგენილი. აქ ჰავა უფრო არიდული ხდება, რის გამოც ლანდშაფტში დომინირებს ჰალოფიტები (დამლაშებული ნიადაგების ამტანი) და ნახევრადუდაბნოს მცენარეულობა.

   თერმული რეჟიმის მიხედვით კლიმატი ზომიერად კონტინენტურია. იანვრის საშუალო ტემპერატურა - $1^0$-ის ფარგლებშია, ხოლო ივლისის $+22^0$. ნალექები ძირითადად თანაბრადაა განაწილებული, თუმცა მაქსიმალური რაოდენობა აღინიშნება მაის-ივნისში.

   ზამთრის თვეებში ნალექების უმნიშვნელო რაოდენობა და ბალახეული საფარის ფიტომასის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები (20 – 40 ტ/ჰა-ზე) განაპირობებს ლანდშაფტის ინტენსიურ გამოყენებას ზამთრის

საძოვრებისთვის. მუდმივი დასახლება ლანდშაფტის ფარგლებში არ ფიქსირდება. აქ ასევე არ გვხვდება დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის არც ერთი ობიექტი.

2. დაბალი მთის ლანდშაფტები ვრცელდება დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მთელ ტერიტორიაზე. მის ფარგლებში წარმოდგენილია კომპლექსის ყველა ისტორიულ-კულტურული თუ რელიგიური ობიექტი. ისინი ძირითადად განლაგებულია 600 – 700 მეტრის დიაპაზონში, რაც მკაფიოდ მეტყველებს მათი გეოგრაფიის და ლანდშაფტურ ერთგვაროვნებაზე.
ლანდშაფტი ექსპოზიციურად მკვეთრად განსხვავდება. ჩრდილოეთის ფერდობები, რომლებიც მდებარეობს საქართველოს ტერიტორიაზე და შედარებით მაღალი დანესტიანებით ხასიათდებიან, ძირითადად წარმოდგენილია არიდული მეჩხერი ტყის, ფრიგანის და შიბლიაკის მცენარეულობით. სამხრეთ ფერდობებზე, რომელიც მთლიანად მდებარეობს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, სტეპის და ნახევრადუდაბნოს მცენარეულობაა გავრცელებული. ამრიგად, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი მთლიანად უკავშირდება ეთგვაროვან, ქსეროფიტული ტყის ლანდშაფტს, რომელიც ისტორიულ წარსულში მოიცავდა ივრის ზეგანის უდიდეს ტერიტორიას. უფრო მეტიც, სწორედ ლანდშაფტის გავრცელების მიხედვით შეგვიძლია დაბეჯითებით ვიმსჯელოთ საქართველო - აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლის ისტორიულ - გეოგრაფიულ თავისებურებებზე და ბარიერებზე.

ივრის ზეგნის იმ არეალამდე, სადაც მდებარეობს დავით გარეჯის სამონასტრო კომლექსის და ბუნებრივი ლანდშაფტი, ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობების და ნაყოფიერი ნიადაგების გამო, ტერიტორია თითქმის მთლიანადაა ათვისებული. მის ფარგლებში, ინტენსიური ძოვების შედეგად, დეგრადირებულია საშუალო დახრილობის ფერდობები, სადაც არიდული ტყეების თვითაღდგენის პოტენციალი უკიდურესადაა შეზღუდული.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

2022 – 2023 წ. - საერთაშორისო პროექტი: Sustainable Mountain Development in Caucasus region (ბერნის უნივერსიტეტი, შვეიცარია) - თანახელმძღვანელი

**საკვლევი რეგიონის გეოგრაფიული და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური თავისებურებანი**

**1. გეოგრაფიული თავისებურებანი** უკავშირდება შემდეგ მახასიათებლებს:

*რელიეფი*
გამოიყოფა 2 ძირითადი ზონა:

1. მუჟავა: ვაკე დაბლობის, გორაკ - ბორცვიანი და დაბალი მთის - ზღ.დ. 360 მ.
2. ხაიში: დაბალი მთის, ზღ.დ. 700 მ,

გორაკ-ბორცვიან ნაწილში ძირითადად წარმოდგენილია ადვილად შლადი თიხნარები და კონგლომერატები, დაბალ მთებში - კონგლომერატები და კირქვები (რაც ქმნის კარსტულ რელიეფს). **მიწისძვრების** ინტენსივობა უკავშირდება 2 რღვევის ხაზს: 1) ვაკე - დაბლობსა და დაბალ მთებს შორის (5 - 6 ბალი), საშუალო და მაღალ მთებს შორის (8 - 9 ბალი); სეისმური აქტივობა რეგიონის მნიშვნელოვანი ბუნებრივი კონფლიქტია.

*ჰავა*
დაბლობ რაიონებში და ენგურის ხეობაში **პერიოდულად აღინიშნება** ძალიან მაღალი ( $+41^0$) და ძალიან დაბალი ტემპერატურები ($-19^0$), რაც გარკვეულ დისკომფორტს ქმნის მოსახლეობისა და მეურნეობისთვის. მთებში ექსტრემალური ტემპერატურები ფიქსირდება ზამთარში, რაც იზრდება სიმაღლის მატებასთან ერთად. **სუბტროპიკული ჰავა** ძირითადად ვრცელდება გორაკ-ბორცვიან ნაწილამდე. ზღვის დონიდან 400-500 მეტრიდან იცვლება როგორც მეურნეობის ფორმები, ისე მოთხოვნა სხვადასხვა ბუნებრივ რესურსზე (განსაკუთრებით ხე-ტყეზე). **ქარი** რეგიონის უმეტეს ნაწილში პრაქტიკულად ვერ იქნება გამოყენებული ენერგიის მისაღებად. აქ ძირითადად ქრის მთა - ხეობის ქარი, რომლის საშუალო წლიური სიჩქარე ვაკე-დაბლობის არეალში (ენგურის ქვემო დინება) აღწევს 4 - 6 მ/წმ წელიწადში, რაც ხელსაყრელია ენერგიის მისაღებად. ატმოსფერული ნალექების რაოდენობა ჯერ იზრდება საშუალო მთებამდე 1400 მმ - დან 2000 მმ-მდე. საშუალო მთებში მაღალია ზედაპირული ჩამონადენი, რადგან ნალექები თითქმის 3-ჯერ აღემატება აორთქლებადობას. ამის გამო, მაღალია როგორც რელიეფის დანაწევრება, ისე წყლისმიერი ეროზიის

ინტენსივობა. მდინარე ენგურის აუზში აორთქლებადობას ზრდის მთა-ხეობის ქარები, რის გამოც, ტერიტორიის უდიდეს ნაწილში დანესტიანების მხრივ **კომფორტული ჰავა** ყალიბდება. **მზის ნათების** ხანგრძლიობით გამორჩევა შავი ზღვის სანაპირო ზოლი (2300 საათი) და დაბლობი რაიონები. მთებში მისი მაჩვენებლები მკვეთრად კლებულობს (2000 სთ), რაც გამოწვეულია მაღალი ღრუბლიანობით და ღრმა ხეობებით. მზის რესურსების ენერგეტიკული გამოყენება ვერ ჩაითვლება ეფექტურად, გარდა სანაპირო და ვაკე-დაბლობის ზონისა.

*ჰიდრორესურსები*

ხაიში **მდიდარია ჰიდრორესურსებით,** საშუალო და მცირე სიმძლავრის ჰდროენერგეტიკის განვითარება დიდი სტიმული იქნება ადგილობრივი მოსახლეობის და ბიზნესის სტიმულირებისთვის. **მიწისქვეშა ჩამონადენი** მოცულობა მატულობს სიმაღლესსთან ერთად. ტყეების გავრცელება მთებში უზრუნველყოფს მიწისქვეშა ჩამონადენის მაღალ მაჩვენებლებს, რაც არსებითი რესურსია სასმელი წყლის სამრეწველო გადამუშავებისთვის.

რეგიონი მდიდარია **მინერალური წყლებით** (რაც უკავშირდება გეოლოგიურ აგებულებას და ნალექებს), რომელთა პრაქტიკულ გამოყენებას დიდი პერსპექტივები გააჩნია.

*მიწის რესურსები*

**ნიადაგები გამოირჩევა მრავალფეროვნებით,** თუმცა მათი გამოყენების შესაძლებლობა მკაფიო ზონალობით ხასიათდება. ვაკე-დაბლობის ზოლში ძირითადად გავრცელებული ყვითელმიწები და წითელმიწები, ხოლო დაბალ მთებში ტყის ყომრალი ნიადაგები. ბარის ზონაში სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა სახეობის განვითარებაა შესაძლებელი, მთებში კი მიწათმოქმედება მხოლოდ მდინარეთა ხეობებშია შესაძლებელი.

*ფლორა და ფაუნა*

**მდიდარია ტყის მცენარეულობით,** რაც უკავშირდება ხელსაყრელ გარემო პირობებს. ტყეების უდიდეს ნაწილს ეკოლოგიური ფუნქცია გააჩნია. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია გამოიყოს არეალები (წიფლნარები, სოჭნარები), სადაც შესაძლებელი იქნება ხე-ტყის სამრეწველო მოპოვება და გადამუშავება. ტყის და მთის მდელოს გავრცელების არეალები მდიდარია **სხვადასხვა სახეობის ცხოველთა** სამყაროთი, რაც დაცული ტერიტორიების შექმნისა და გაფართოების წინაპირობაა.

**2. ლანდშაფტურ - ეკოლოგიური თავისებურებანი** უკავშირდება შემდეგ მახასიათებლებს:
ფერდობების დახრილობა იზრდება სიმაღლის მატებასთან ერთად და მერყეობს $10^0$-დან $50^0$-მდე. ეს მაჩვენებელი განაპირობებს ეროზიული და დენუდაციური პროცესების ინტენსივობას. ვაკე-დაბლობების ზონა განიცდის **დაძირვას, 2 - 4 მმ წელიწადში,** რაც განაპირობებს მეორად დაჭაობებას და აკუმულაციური პროცესების ინტენსივობას; დაბალი მთებიდან იწყება **აზევების პროცესი,** რაც მაქსიმალურია ცენტრალური კავკასიონის ფარგლებში და აღწევს 6 - 10 მმ წელიწადში (სხვა მონაცემებით - 15 მმ წელიწადში). აზევება უკავშირდება როგორც მიწისძვრებს, ისე **დენუდაციური** პროცესების ინტენსივობას. **მეწყრული პროცესები,** რაც უკავშირდება რელიეფის დახრილობას, ტექტონიკურ მოძრაობას, გეოლოგიურ აგებულებას და ატმოსფერულ ნალექებს, ინტენსიურია გორაკ - ბორცვიან ნაწილში. სიმაღლის მატებასთან ერთად, მეყრული პროცესების ინტენსივობა კლებულობს. **ღვარცოფული პროცესების** ინტენსივობა იზრდება სიმაღლის მატებასთან ერთად. ამ მხრივ გამოირჩევა საშუალო მთები. აქ ღვარცოფების განვითარებას ხელს უწყობს ინტენსიური ნალექები (წვიმები და თოვლის დნობა). ღვარცოფული პროცესები რეგიონის ეკოლოგიური გამოწვევაა. სიმაღლის მატებასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფერდობის დახრილობას და ექსპოზიციას. **სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობებზე** ძირითადად ვითარდება ეროზიულ-დენუდაციური პროცესები, ხოლო **ჩრდილოეთ ექსპოზიციაზე** - დენუდაციურ-ეროზიული პროცესები.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში


1. ნ.ელიზბარაშვილი, რ. სიმონიძე, ჰ. მეესენი, ი. ჯავახიშვილი, ლ. გრიგოლია. თანამონაწილეობითი კვლევისა და საპილოტე პროექტების განხორციელების მაგალითი სოფლებში მუჟავასა და ხაიში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი, საქართველო). შვეიცარიის კვლევითი პროგრამა „გარემო და უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში“. სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომი (ბუკლეტი). - თბ., 2023, 12 გვ. https://we.tl/t-CQlXHEm180

2. ნ.ელიზბარაშვილი, გ. სანდოძე (2023). გარემოზე ზემოქმედების შეფასება. **სახელმძღვანელო** უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის. -თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა (თსუ), - 264 გვ.

3. ნ.ელიზბარაშვილი (2023). რატომ გეოგრაფია? თსუ ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალი „საქართველოს გეოგრაფია“, #13, გამომ. თსუ, გვ.4-14.

მიმდინარე წლის 3 აგვისტოს ზემო რაჭაში განვითარებულმა კატასტროფულმა სტიქიამ საქართველოს მთიანი რეგიონების მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული არაერთი პრობლემა წარმოაჩინა. ისინი, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება ეკოლოგიურ და გარემოსდაცვით ვითარებას.

მედია საშუალებების მეშვეობით გაკეთებული კომენტარებიდან იკვეთება, რომ მეცნიერთა უმრავლესობა და პრაქტიკოსი ექსპერტები ამგვარ მოვლენებს და პროცესებს, უკეთეს შემთხვევაში, „თავისი გადმოსახედიდან, უარეს შემთხვევაში - არაკვალიფიციურად და ტენდენციურად განიხილავენ.

როგორც წესი, ზემო რაჭის (შოვის) კატასტროფას უკავშირებენ მხოლოდ გეოლოგიური ან ჰიდროლოგიური ხასიათის პროცესს. არადა, სასკოლო გეოგრაფიიდანაც კი ცნობილია, რომ ნებისმიერი კატასტროფული სახის გეოდინამიკური პროცესი (ღვარცოფი, მეწყერი, ზვავი, ეროზია და სხვ.) უკავშირდება გეოგრაფიული გარემოს ყველა ელემენტს, კერძოდ: რელიეფს და გეოლოგიურ აგებულებას, კლიმატს და წყლებს, ნიადაგს და ცოცხალ სამყაროს, ლანდშაფტს და ადამიანის სამეურნეო საქმიანობას, დემოგრაფიულ ვითარებას, განსახლებას და ინფრასტრუქტურას. სწორედ ამგვარი გეოგრაფიული მახასიათებლების კომპლექსური ანალიზის მეშვეობით იქნება შესაძლებელი სრულყოფილად იქნეს განხილული როგორც რაჭის, ისე თბილისის (ვერეს ხეობა), ფშავის (ფშავის არაგვის ხეობა), წაბლანას (მდ. აჭარისწყლის ხეობა), ყვარელის (მდ. დურუჯის ხეობა), თელავის (მდ. კისისხევის ხეობა), დევდორაკის (მდ. დარიალის ხეობა) და სხვა ჰუმანიტარული თუ ეკოლოგიური კატასტროფა. მათი სრულყოფილი შეფასება და პროგნოზირება გეოგრაფიული ფაქტორების კომპლექსურ (სისტემურ) სივრცე-დროით ანალიზს მოითხოვს.

კლიმატის ცვლილების ფონზე, რომლის შედეგებიც განსაკუთრებით თვალსაჩინოა საქართველოს მთიან რეგიონებში, ინტენსიურად მიმდინარეობს ბუნებრივი ზონების ცვლა (გადაადგილება), მყინვარების დნობა და დანაწევრება, გეოდინამიკური პროცესების გააქტიურება, მდინარეთა რეჟიმის ტრანსფორმაცია, წყლის აკუმულაციის და ზედაპირული ჩამონადენის ცვლილება, რელიეფის გამოფიტვა და დაშლა, ატმოსფერული ნალექების განაწილების და მახასიათებლების, ტყის მცენარეულობის და მაღალი მთის მდელოების სახეობრივი გარდაქმნა, ნიადაგის ეროზიის ინტენსივობის ზრდა და სხვ. გარდა ამისა, მდინარეთა წყალშემკრებ აუზებში დიდი რაოდენობითაა დაგროვილი დაზიანებული და დაავადებული ხე-ტყე, რაც ზედაპირული წყლის ნაკადის ჯერ შეკავების, შემდეგ კი ღვარცოფების განვითარების წინაპირობაა.

ცნობილია ისიც, რომ მთიანი რეგიონების სივრცითი და ურბანული დაგეგმარება, რეგიონული განვითარების და განაშენიანების გეგმები, ინფრასტრუქტურული და ჰიდროენერგეტიკული პროექტები ნაკლებად ითვალისწინებს მთიანი რეგიონების გეოგრაფიულ სპეციფიკას. ხშირად განაშენიანება გვევლინება ადამიანთა დაღუპვის და დიდი მატერიალური ზიანის ძირითად მიზეზად.

კატასტროფული პროცესების პრევენციის მიზნით ნაკლები ყურადღება ექცევა ადგილობრივი მოსახლეობის ეკოლოგიურ კულტურას (ტრადიციებს), ისტორიულ გამოცდილებას და მოთხოვნებს. საქართველოში, პრაქტიკულად, მოშლილია ჰიდრო-კლიმატურ დაკვირვებათა ქსელი, შესუსტებულია სამეცნიერო-აკადემიური და სახელმწიფო ორგანიზაციების თანამშრომლობის და კოორდინაციის მექანიზმები. ამჟამად უმთავრეს გამოწვევად კვლავ რჩება დარგობრივ სამეცნიერო თუ სამეურნეო ორგანიზაციათა კოორდინაციის დაბალი დონე, რაც, უმეტესწილად, აზარალებს სახელმწიფოს და ადგილობრივი მოსახლეობის მდგრადი განვითარების ინტერესებს.

ვერანაირი ადრეული შეტყობინების სისტემა ვერ უზრუნველყოფს მყისიერად განვითარებული გეოდინამიკური პროცესის (მეწყერის, ღვარცოფის და სხვ.) პრევენციას ან შერბილებას. საქართველოში განვითარებულმა ეკოლოგიურმა კატაკლიზმებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მთის მდინარეებზე ჰიდროენერგეტიკული კაშხლების მშენებლობის აუცილებლობა. ჩვენს ქვეყანაში ჰიდროენერგეტიკული ობიექტების მშენებლობას აფერხებს ის პროცესები, რომლებიც პროვოცირებულია არაერთი არასამთავრობო ან პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ. მასვე უკავშირდება ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის დაბალი დონე, რაც არაერთი სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტის შეჩერების საფუძველი გახდა.

ჰიდროენერგეტიკული ობიექტების მშენებლობის აუცილებლობა უკავშირდება რამდენიმე ეფექტის მიმღებ ფაქტორს, ესენია: ენერგიის წყაროებზე მუდმივად მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება, გეოდინამიკური პროცესების სრული პრევენცია, მდინარეული ლამის დაგროვება (სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა), რეკრეაციული მეურნეობის განვითარება, სასმელი და საირიგაციო წყლების აკუმულაცია, თევზის მრეწველობის განვითარება და სხვ.

ნაშრომი თეორიული ხასიათისაა. სტატიაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ჩვენ მიერ რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ჩატარებული საველე და კამერალური კვლევის შედეგები, რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მასალა, სამეცნიერო წყაროები და პუბლიკაციები, სამთავრობო და საკანონმდებლო დოკუმენტები. კვლევა განხორციელდა გეოგრაფიული ინფორმაციის სისტემატიზაციის, ანალიზის და სინთეზის მეთოდების გამოყენებით.

ამგვარმა მიდგომამ შესაძლებლობა მოგვცა წარმოგვეჩინა: 1. თანამედროვე გეოგრაფიის არსი და მისი მნიშვნელობა; 2. ის გამოწვევები, რაც უკავშირდება მდგრადი განვითარების და სივრცითი დაგეგმარების გეოგრაფიულ პრობლემატიკას; 3. გეოგრაფიის როლი გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში; 4. გეოგრაფიის საგანმანათლებლო მნიშვნელობა და არსებული გამოწვევები.

გეოგრაფია უძველესი და მარად ახალგაზრდა მეცნიერებაა. იგი ათასწლეულების მანძილზე ვითარდებოდა - აღწერილობითიდან პროგნოზულ მეცნიერებამდე. მისი მეშვეობით შესაძლებელია წარმოდგენა ვიქონიოთ არა მარტო გეოგრაფიული ობიექტების ურთიერთგანლაგებზე, არამედ გეოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების სივრცესა და დროში განვითარების კანონზომიერებებსა და თავისებურებებზე.

ამგვარი მრავალფეროვნების გამო, გეოგრაფიის არსის საკმაოდ დიდი განმარტებაა მოცეული სამეცნიერო ლიტერატურაში, რაც უკავშირდება როგორც კვლევის ობიექტის, ისე სამეცნიერო-გეოგრაფიული სკოლების და მათი განვითარების ტრადიციებს. ფაქტია, რომ გეოგრაფიის გამოწვევად კვლავ რჩება მისი სისტემური ანალიზი და სინთეზი, რაც დააახლოებს სხვადასხვა სამეცნიერო სკოლებს და ერთიან სამეცნიერო და გამოყენებით დარგად წარმოაჩენს ამ ძალზედ საინტერესო და საჭირო მეცნიერებას.

გეოგრაფია, უპირველეს ყოვლისა, გეოგრაფიული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებაა. გეოგრაფიული გარემო ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი ელემენტების ერთობლიობაა, რომელიც მოიცავს ბუნებრივ, ბუნებრივ-ანთროპოგენულ და ანთროპოგენურ ლანდშაფტებს. მიუხედავად ბუნებრივი გარემოს მასშტაბური ცვლილებისა, მისი სტრუქტურა და ფუნქციონირება მეტ-ნაკლები ინტენსივობით უკავშირდება ბუნებრივ პროცესებს, საზოგადოების განვითარების დონეს და მის ინტერესებს (მოთხოვნებს).

4. ნოდარ ელიზბარაშვილი, ნინო ჭანტურია, რუსუდან ელიზბარაშვილი, ლადო გრიგოლია, ლია ბუბაშვილი (2023). ლანდშაფტის ეკოლოგია: თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური საკითხები. საერთაშორისო კონფერენციის: ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები - მასალები. - ქუთაისი, გვ. 80 – 86. https://mpe.openjournals.ge/index.php/mpe/article/view/7289/7293

სტატიაში განხილულია ინტეგრაციული გეოგრაფიის არსი და მისი მნიშვნელობა გეოგრაფიული მეცნიერების თეორიისა და პრაქტიკისთვის. დახასიათებულია ინტეგრაციული გეოგრაფიის ისეთი მიმართულებები, რომელთა განვითარება კიდევ უფრო გაზრდის გეოგრაფიული მეცნიერების გამოყენებით მნიშვნელობას. მათ მიეკუთვნება სწავლება კულტურული ლანდშაფტის და ისტორიული ლანდშაფტის შესახებ (ლანდშაფტმცოდნეობის ნაწილი), გეოეკოლოგიური ექსპერტიზა და გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გეოგრაფიული ეკოლოგიის ნაწილი), გეოგრაფიული არქეოლოგია და ეკოლოგიური კულტურა (ისტორიული გეოგრაფიის ნაწილი), ლანდშაფტის მართვა და ლანდშაფტის მომსახურება (ლანდშაფტური

დაგეგმარების ნაწილი), ტურისტულ - რეკრეაციული რესურსების შეფასება და დაგეგმარება (რეკრეაციული გეოგრაფიის ნაწილი).

ინტეგრაციული გეოგრაფია (Christopher F. Labosier, 2019, Claes-Fredrik Claeson, 1982, https://www.geo.uni-hamburg.de/en/geographie, https://www.igi-global.com/article/the-integrative, https://www.taylorfrancis.com/chapters). გეოგრაფიის მესამე ძირითადი განშტოებაა, რომლის განვითარების ისტორია ერთ საუკუნეს ითვლის. იგი მსოფლიოს სხვადასხვა გეოგრაფიულ სკოლებში ასევე ცნობილია როგორც საზოგადოებრივ - საბუნებისმეტყველო გეოგრაფია, სინთეზური გეოგრაფია (Richard Hartshorne,2009, Kanhaiya Sapkota,2019), ერთიანი გეოგრაფია, რეგიონული გეოგრაფია (Steel,1982, Robert S. Platt,1957, https://www.sciencedirect.com, https://www.thoughtco.com/regional,https://socialsci.libretexts.org/Bookshelves, ttps://books.google.ge/books?hl=en&lr), ფიზიკური ანთროპოგეოგრაფია, გარემოს გეოგრაფია ან ადამიანის გეოგრაფია (https://bethelsuperstore.com/new-integrated, http://www.eugeo.eu/activities/21-austrian, https://guide.wisc.edu/undergraduate). თუმცა მის შინაარსს არსებითად სწორედ ტერმინი - ინტეგრაციული გეოგრაფია - წარმოაჩენს. ამრიგად, ინტეგრაციული გეოგრაფია სწავლობს საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების სივრცე - დროით თავისებურებებს და კანონზომიერებებს. ინტეგრაციულ გეოგრაფიაში თანაბარმნიშვნელოვნად განიხილება გეოგრაფიული გარემოში მიმდინარე საზოგადოებრივი და მასთან დაკავშირებული ბუნებრივი პროცესები (ან პირიქით). ინტეგრაციული გეოგრაფია თანამედროვე გეოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ასპარეზია, რაც მის აქტუალობას, უდიდეს გამოყენებით დანიშნულებას და განვითარების პერსპექტივებს უკავშირდება.

ინტეგრაციული გეოგრაფიის ძირითად მიმართულებებს მიეკუთვნება: ქვეყანათმცოდნეობა (რეგიონული გეოგრაფია), ლანდშაფტური გეოგრაფია (ლანდშაფტცოდნეობა), გეოგრაფიული კარტოგრაფია, სამხედრო გეოგრაფია, გეოგრაფიული ეკოლოგია, სამედიცინო გეოგრაფია, ბუნებრივი რესურსების გეოგრაფია, ნსოფლიო ოკეანის გეოგრაფია, ლანდშაფტური დაგეგმარება (David E. Christensen, 2010, https://www.leeds.gov.uk/planning, https://www.cheshireeast.gov, https://bellevuewa.gov/city-government), გარემოზე ზემოქმედების შეფასება, გეოეკოლოგიური ექსპერტიზა, გეოგრაფიული პროგნოზირება და სხვ. (Elizbarashvili, 2016, Piloting, 2009).

ინტეგრაციული გეოგრაფიის მკაფიო მაგალითია ლანდშაფტმცოდნეობა და გეოგრაფიული კარტოგრაფია. ორივე მათგანი მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას და სინთეზურ ხედვას. თუმცა, საქართველოში ლანდშაფტმცოდნეობა კვლავ რჩება რუსული გეოგრაფიული სკოლის გავლენის ქვეშ და ფიზიკური გეოგრაფიის ნაწილად მოიაზრება. ამგვარი მიდგომა აზარალებას ლანდშაფტური გეოგრაფიის მნიშვნელობას და ხელს უშლის ისეთი „დასავლური" მიმართულებების განვითარებას, როგორიცაა ლანდშაფტური დეგეგმარება, ლანდშაფტის მომსახურება და ლანდშაფტის მართვა, ლანდშაფტის პერცეფცია, კულტურული და ისტორიული ლანდშაფტების კვლევა (Elizbarashvili, act.,2022,2023), ლანდშაფტური რეკრეაცია და სხვ.

საქართველოში მიმდინარე გეოპოლიტიკური, ეკოლოგიური თუ სოციალურ-ეკონომიკური პროცესები ქართული გეოგრაფიული სკოლის განვითარების პერსპექტივების ახლებურ გააზრებას საჭიროებს. თეორიულ გამოკვლევებთან ერთად, რაც მეცნიერების განვითარების აუცილებელი წინაპირობაა, სასურველია გამოყენებითი გეოგრაფიული მიმართულებების სწრაფი განვითარება და პოპულარიზაცია, გეოგრაფიული კვლევის ევროპული გამოცდილების გათავისება, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაფართოება, ინტეგრაციული გეოგრაფიის მნიშვნელობის წარმოჩენა (გეოგრაფიის სხვადასხვა მიმართულებების ფოკუსირება ურთიერთდაკავშირებული თემების კომპლექსურ შესწავლასა და გადაწყვეტაზე). დღის წესრიგში დგება ისეთი საკითხების კვლევა, რაც წარმოაჩენს გეოგრაფიული განათლების და მეცნიერების უდიდეს მნიშვნელობას მდგრადი განვითარების პრობლემების გადაწყვეტაში.

ქართულ გეოგრაფიულ სკოლას, ისე როგორც არასდროს, ესაჭიროება ყურადღების გამახვილება მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარების პრობლემატიკაზე (Elizbarashvili, atc.2018) და მასში სხვადასხვა, ანალოგიური თემატიკით დაინტერესებული სამეცნიერო თუ პრაქტიკული ორგანიზაციების ჩაბმის აუცილებლობაზე.

თანამედროვე გეოგრაფია დაკავებულია გეოგრაფიული გარემოს როგორც შეფასებით, ისე გარემოს განვითარების მოდელირებით და პროგნოზირებით. მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო წრეებში მეტად პოპულარულმა გლობალურმა მოდელირებამ, რამაც ფართო გავრცელება ჰპოვა XX საუკუნის 80-იან წლებიდან, თანდათანობითი `გეოგრაფიზაცია" და რეგიონალიზაცია განიცადა. ამგვარი ვითარება

განაპირობა იმან, რომ ნებისმიერი გლობალური თუ რეგიონული პრობლემა (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული და სხვ). შესაძლებელია გაანილიზდეს გეოგრაფიული ანუ რეგიონული თუ ლოკალური მოვლენების ანალიზის და შეჯერების გზით. ამის გამო, არაერთი სახის გლობალური პრობლემის მოდელირება და პროგნოზირება შეუძლებელია ინტეგრაციული მიდგომის, კომპლექსური გეოგრაფიული ანალიზისა და სინთეზის გარეშე. გარდა ამისა, ერთიანი გეოგრაფიისაკენ, გეოგრაფიულ დისციპლინათა ინტეგრაციისაკენ სწრაფვა დარგობრივ გეოგრაფიულ მიმართულებათა განვითარების "არაგეოგრაფიული" ტენდენციებით, ბუნებრივი გარემოს ანთროპოგენული ტრანსფორმაციის მასშტაბების და გარემოზე ზემოქმედების შედეგთა შეფასების აუცილებლობითაა განპირობებული. როგორც აღნიშნავდა გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი, პროფესორი ნიკო ბერუჩაშვილი (1947 – 2006), კომპლექსური ფიზიკურ- და ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევანი გეოგრაფიის ძირითად ამოცანად, სოციალურ შეკვეთად გვევლინება (Beruchashvili, Zhuchkova, 1997). ფაქტია, რომ გეოგრაფიის ეფექტურობა და გამოყენებითი მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რაც უფრო ინტეგრაციული და კომპლექსურია სივრცე-დროითი კვლევა, რაც უფრო მეტი გეოგრაფიული მოვლენა და პროცესი განიხილება მიზეზ-შედეგობრივ კავშირში და რაც უფრო სრულყოფილია მათი პროგნოზირება.

ნებისმიერი ბუნებათსარგებლობითი ხასიათის პროექტი ბუნებრივი ფაქტორებისა და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ანალიზს და ერთიან გეოგრაფიულ შეფასებას და ექსპერტიზას საჭიროებს. რაციონალური ბუნებათსარგებლობის კონცეპტუალური საფუძვლების შექმნაზე ძირითადი პრეტენზია კი ორ სამეცნიერო მიმართულებას შეიძლება ჰქონდეს: ეკოლოგიას და ინტეგრაციულ გეოგრაფიას. ინტეგრაციული გეოგრაფიის მომხრეთა უმრავლესობა კვლევის ამოცანად განიხილავს როგორც გეოგრაფიულ გარსში (გლობალური, რეგიონული, ლოკალური თვალსაზრისი), ისე სხვადასხვა რანგის (მდინარეთა აუზები, ადმინისტრაციული ერთეულები, დასახლებული პუნქტები, ლანდშაფტები) ტერიტორიაზე ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების სივრცე-დროით თავისებურებათა შესწავლას. დასავლეთის არაერთ ქვეყანაში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ნიდერლანდები, ბელგია და სხვ.) გეოგრაფია ერთიან მეცნიერებად განიხილება, თუმცა აქ არსებითი აქცენტი სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ანალიზსა და პროგნოზირებაზეა გადატანილი.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება როგორც სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზს, ისე საქართველოსა და კავკასიაში ჩატარებული ფიზიკურ-გეოგრაფიული და საზოგადოებრივ - გეოგრაფიული საველე კვლევის შედეგებს. ისინი ძირითადად უკავშირდება გეოგრაფიული გარემოს შეფასებას და ტერიტორიულ (სივრცით) დაგეგმარებას. საველე კვლევის შედეგები აისახა რამდენიმე დაცული ტერიტორიის (ეროვნული პარკის), საქალაქო აგლომერაციის (თბილისი - რუსთავი) და ისტორიული ქალაქის (მცხეთა) ლანდშატური დაგეგმარების მეთოდოლოგიაში. ყველა მათგანი ეფუძნება ლანდშაფტური დაგეგმარების ცნობილ მეთოდოლოგიას (Piloting, 2009, Elizbarashvili,2014, Methodology,2016), რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს ევროპის არაერთი ქვეყნის გეოგრაფიულ სკოლაში.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

1. Nodar Elizbarashvili, Gela Sandodze, Lado Grigolia (2023). KEY ISSUES OF METHODOLOGY OF LANDSCAPE PLANNING OF CITY AGGLOMERATIONS (ON THE EXAMPLE OF TBILISI - RUSTAVI AGGLOMERATION, GEORGIA). Proceedings of the XI International Scientific and Practical Conference «Problems of the development of science and the view of society», Graz, Austria, p.91-92. https://isg-konf.com/problems-of-the-development-of-science-and-the-view-of-society
2. N. Elizbarashvili, L. Bubashvili, R. Elizbarashvili, L. Davitashvili. GEOGRAPHICAL-ECOLOGICAL FEATURES OF MOUNTANOUS REGIONS AND LANDSCAPE INDICATORS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT. Proceeding of Conference: Комплексное изучение экосистем горных территорий / Сборник материалов VI Кавказского Международного экологического форума (Грозный, 20 – 21 октября 2023 г.). – Грозный, 2023, с.412 – 416. https://chesu.ru/doc?p=d464e274e49d4740

3. Nodar Elizbarashvili, Miranda Gurgenidze, Rusudan Elizbarashvili, Luiza Bubashvili (2023). Traditions of folk medicine in Georgia and perspectives of using natural medicinal plants. Global journal of botanical sciences.

Savvy Science Publisher, Vol.11, p.43-51.
https://savvysciencepublisher.com/jms/index.php/gjbs/article/view/962/904

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1. XI International Scientific and Practical Conference «Problems of the development of science and the view of society», March 21-24, 2023, Graz, Austria. მოხსენება: Nodar Elizbarashvili, Gela Sandodze, Lado Grigolia. KEY ISSUES OF METHODOLOGY OF LANDSCAPE PLANNING OF CITY AGGLOMERATIONS (ON THE EXAMPLE OF TBILISI - RUSTAVI AGGLOMERATION, GEORGIA)

2. 2023 წლის 16-17 ივნისი - საერთაშორისო კონფერენცია: Urban Cultural Landscapes & Holy- Heritage Cities in Asia and SDGs'. Nanjing University of Aeronautics and Astronautics (NUAA). მოხსენება: Historical landscapes – essence and principles of planning.

ისტორიული ლანდშაფტი უმეტესწილად ერთგვაროვან გეოგრაფიულ გარემოში შექმნილი ისტორიული დასახლებული პუნქტებია. იგი შეიძლება იყოს ქალაქი ან ქალაქის ნაწილი, სოფელი ან მისი ნაწილი, ცალკეული არქიტექტურული ძეგლი, თავდაცვითი ნაგებობა და სხვ. ისტორიულ ლანდშაფტს შეიძლება ქმნიდეს როგორც ცალკეული შენობები, ისე სამეურნეო და რეკრეაციული ინფრასტრუქტურა. ისტორიული ლანდშაფტი შეიძლება იყოს დასახლებული ან დაუსახლებელი, თუმცა მისი არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლები მკაფიოდ უნდა ასახავდეს წარსულის ფასეულობებს. ისტორიულ ლანდშაფტებს უნდა გააჩნდეთ ეროვნული ან მსოფლიო ღირებულება. ისინი წარმოადგენენ როგორც ისტორიული განვითარების ან პროცესის მკაფიო მაგალითს, ასევე ადამიანის და ბუნების ჰარმონიული თანაარსებობის შედეგს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ისტორიული ლანდშაფტი კულტურული ლანდშაფტის ნაწილად განიხილება. მსოფლიოში ცნობილია კულტურილი ლანდშაფტის 12 ტიპი, რომელთაგან ერთ-ერთია ისტორიული მნიშვნელობის ადგილი. ისტორიული ლანდშაფტი, თუ იგი წარმოადგენს ადამიანის და ბუნების ჰარმონიული თანაარსებობის შედეგს და მაღალი ეროვნული მნიშვნელობის ადგილს, კულტურული ლანდშაფტის ერთ-ერთ სახეობადაც შეგვიძლია განვიხილოთ.

ისტორიული ლანდშაფტის კლასიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ნიშნის (მახასიათებლის) მიხედვით. მის მახასიათებლებს განიხილავენ: კატეგორის (დასახლებული პუნქტის ან მისი ნაწილის ლანდშაფტი), ასაკის (ისტორიული პერიოდის), მნიშვნელობის და იდენტობის (ეროვნული, გლობალური), უნიკალობის (გამორჩეულობა, სტილი), არქიტექტურის, განაშენიანების ფორმის, გეოგრაფიული კომპაქტურობის, ჰარმონიულობის (გარემოსთან კავშირში), ფუნქციის, დაცულობის ხარისხის, ბუნებრივი ლანდშაფტის ტრანსფორმაციის მასშტაბის, ტურისტული მიმზიდველობის მიხედვით.

რაც უფრო დიდი ხნისაა დასახლებული პუნქტი, მით უფრო მეტი ტიპის (ისტორიული პერიოდის) ისტორიული ლანდშაფტის გამოყოფაა შესაძლებელი. აქ დგება საკითხი - რამდენ და რომელ პერიოდებად შეიძლება დავყოთ ურბანული ისტორიული ლანდშაფტი. ისტორიული ლანდშაფტის იდენტიფიცირება, განსაკუთრებით მისი ბუნებრივი გარემოს ფარგლებში, არაერთი სამეცნიერო დისციპლინის ინტეგრირებას მოითხოვს. მათ შორისაა არქიტექტურის, ურბანისტიკის, ისტორიის, არქეოლოგიის, კულტურის, გეოგრაფიის და ეკოლოგიის სამეცნიერო მიმართულებები.

საქართველოში, რამდენიმე ათეული ისტორიული ლანდშაფტია წარმოდგენილი. მათი იდენტიფიკაცია და დაგეგმარება მკაფიოდ განსაზღვრული პრინციპების და მეთოდოლოგიის საფუძველზე უნდა განხორციელდეს. ამჟამად საქართველოში, იუნესკოს ნომინაცია, მხოლოდ ისტორიულ დედაქალაქს - მცხეთას გააჩნია. მცხეთის ისტორიული ლანდშაფტის ფარგლებში, ლანდშაფტური დაგეგმარების პრინციპების გათვალისწინებით და სამართლებრივი რეგულაციების მიხედვით, გამოიყოფა 10 ისტორიული ლანდშაფტის (ძირითადი) და 7 მიმდებარე ტერიტორიის (დამატებითი, პერსპექტიული) გეგმარებითი არეალი.

ისტორიული ლანდშაფტის კვლევა საინტერესო სამეცნიერო ამოცანაა. იგი უკავშირდება რამდენიმე მომენტს: 1. ისტორიული ლანდშაფტის ობიექტური არეალის დადგენას, 2. პერიოდიზაციის განსაზღვრის სირთულეს, 3. გეოგრაფიული ანუ ბუნებრივი გარემოს იდენტიფიკაციას, 4. ინტერდისციპლინურობას, 5. კვლევის მეთოდოლოგიის ნაკლებად განვითარებულ დონეს.

ისტორიული ლანდშაფტის საბოლოო განმარტება არ არსებობს. იგი ხშირად დისკუსიის საგანს წამოადგენს. მის განმარტებაში უნდა ფიგურირებდეს რამდენიმე ადრესატი: დასახლებული პუნქტის გეოგრაფიული გარემო (სივრცე), ისტორია (დრო), პროცესი, მნიშვნელობა, იდენტობა (Historical Landscape, 2013, World Heritage, 2007, Long-Term Development, 2021). ამიტომ, ისტორიული ლანდშაფტი შეიძლება ეწოდოს დასახლებულ პუნქტს ან მის ნაწილს, რომელიც წარმოადგენს როგორც ისტორიული განვითარების ან პროცესის მკაფიო მაგალითს, ადამიანის და ბუნების ჰარმონიული თანაარსებობის შედეგს და ეროვნული იდენტობის ნაწილს. სამეცნიერო ლიტერატურაში ისტორიული ლანდშაფტი კულტურული ლანდშაფტის (Cultural landscapes, 2021, Elizbarashvili, **atc.** 2022, Elizbarashvili, atc. 2023, https://historicengland.org.uk) ნაწილადაც განიხილება. მსოფლიოში ცნობილია კულტურილი ლანდშაფტის 12 ტიპი, რომელთაგან ერთ-ერთი ისტორიული მნიშვნელობის ადგილია. იგი შეიძლება იყოს დასახლება, ისტორული ნაგებობა, ისტორიული გზაჯვარედინი და სხვ. ამგვარად, ისტორიული ლანდშაფტი, თუ იგი წარმოადგენს ადამიანის და ბუნების ჰარმონიული თანაარსებობის შედეგს და მაღალი ეროვნული მნიშვნელობის ადგილს, კულტურული ლანდშაფტის შემადგენელ ნაწილადაც შეგვიძლია განვიხილოთ.

ჩვენს მიერ გამოყენებულია კვლევის გეოგრაფიული მეთოდები, რაც ეფუძნება ლანდშაფტურ მიდგომას და ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგიას (Piloting Landscape, 2009, Landscape Planning: 2009, Elizbarashvili, Sandodze, Elizbarashvili, 2020, Erikstad, Uttakleiv, Halvorsen, 2015, Deng, Xi Li, atc. 2020). ამგვარი მიდგომა გულისხმობს ლანდშაფტურ ანალიზს და სინთეზს, ლანდშაფტური არეალების გამოვლენას და შეფასებას. იგი პოპულარულია თანამედროვე გეოგრაფიულ გამოკვლევებში და ლანდშაფტური გეოგრაფიის ფუნდამენტად განიხილება. იგი ლანდშაფტი წარმოადგენს ერთგვაროვან ტერიტორიას, რომელსაც ახასიათებს მსგავსი ბუნებრივი და საზოგადოებრივი პროცესები.

კვლევის ობიექტად განხილულია საქართველოს ისტორიული დედაქალაქი - მცხეთა. მიუხედავად მცირე ტერიტორიისა და მოსახლეობის (7 ათასი მცხოვრები), ქალაქი გამოირჩევა ბუნებრივი და ლანდშაფტური მრავალფეროვნებით. აქ წარმოდგენილია რელიეფის 4 ტიპი ( ვაკეები, გორაკ-ბორცვები, დაბალი და საშუალო მთები), ჰავის 3 ტიპი ( ჰუმიდური - აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილში, სემიჰუმიდური - დასავლეთ ნაწილში, სემიარიდული - სამხრეთ ნაწილში), მცენარეულობის 8 ტიპი (ჭალის მუხნარები, მუხნარი დერივატები, რცხილნარ-მუხნარი, მეჩხერი ტყეები, სტეპები, ფრიგანა, შიბლიაკი, მდელოები) და ლანდშაფტის 11 ტიპოლოგიური ერთეული (მათ შორის 6 უშუალოდ მცხეთის ისტორიული ლანდშაფტის ფარგლებში).

3. 2023 წლის 20-21 ოქტომბერი. International Conference: Complex study of ecosystems of mountain territories. მოხსენება: GEOGRAPHICAL-ECOLOGICAL FEATURES OF MOUNTANOUS REGIONS AND LANDSCAPE INDICATORS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT (University of Groznii, Russia).

მოხსენებაში განხილულია მთიანი რეგიონების გეოგრაფიული და ეკოლოგიური სპეციფიკა, მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების მნიშვნელობა და სპეციფიკა, ევროპის ლანდშაფტური კონვენციის ძირითადი დებულებები, მდგრადი განვითარების ლანდშაფტური ინდიკატორები, კულტურული ლანდშაფტის შენარჩუნების და ლანდშაფტური დაგეგმარების მნიშვნელობა მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარებისთვის.

მთები **დიდ როლს** თამაშობდნენ და თამაშობენ კაცობრიობის ისტორიასა და განვითარებაში. ისინი წარმოადგენენ წყლის, ტყის და არაერთი მინერალური რესურსის არსებით წყაროს, ბიოლოგიური და ეთნიკური მრავალფეროვნებით გამორჩეულ არეალს, რეკრეაციული მეურნეობის მაღალი პოტენციალის მქონე ტერიტორიას. ამჟამად მსოფლიო მოსახლეობის 10% ცხოვრობს მთებში, ხოლო სამჯერ მეტი იყენებს მთებში ფორმირებულ ბუნებრივ რესურსებს (განსაკუთრებით წყალს).

მთები უძველესი დროიდან ითვლებოდა ცივილიზაციის გავრცელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბარიერად. მიუხედავად ამისა, მთებში ჩამოყალიბდა არაერთი თვითმყოფადი ხალხი, კულტურა და ტრადიცია. აღსანიშნავია მთიანი სისტემების **ბარიერული თვისებებიც,** რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს არა მარტო ბუნებრივი გარემოს ფორმირების ან ბუნებრივი მოვლენების ხასიათს, არამედ გეოპოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების თავისებურებებს. ისტორიულ წარსულში მთები ძირითად ბარიერად წარმოჩინდებოდა, რაც განსაზღვრავდა ჰავის, მდინარეთა აუზების და შესაბამისად - სახელმწიფოთა კონფიგურაციის ფორმირებას.

მთიანი ტერიტორიების ათვისება სწორად და მიზანმიმართულად, მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალიწინებით უნდა განხორციელდეს. სხვა შემთხვევაში, კიდევ უფრო გაიზრდება მთიანი რეგიონების მოსახლეობის მიგრაცია, ბუნებრივი რესურსების არარაციონალური და მტაცებლური გამოყენება, კულტურული და ეთნიკური ფასეულობების დეგრადაცია და სხვ. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მუდმივ ყურადღებას აქცევს მთების განვითარებას. აქ მიღებულია არაერთი დოკუმენტი, სადაც ყურადღება მახვილდება მთების მდგრადი განვითარების აუცილებლობაზე, მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებზე {1}.

მთები წარმოდგენილია ყველა კონტინენტზე. ისინი ერთმანეთისგან **განსხვავდებიან** მდებარეობის, ფართობის, სიმაღლის, ოროგრაფიის, ბუნებრივი პირობების, სიმაღლებრივი სარტყლურობის, ბარიერული თვისებების, წარმოშობის, განვითარების, ბიომრავალფეროვნების, ჰავის, რესურსების, მოსახლეობის, გეოპოლიტიკური ვითარების, განვითარების დონის და სხვა არაერთი მაჩვენებლის მიხედვით. მთებში სპაციფიკური ფორმითაა გადაჯაჭვული ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, რაც ყველაზე მკაფიოდ აისახება ადგილობრივი მოსახლეობის მდგრადი განვითარების თავისებურებებსა და პრობლემებზე.

უკანასკნელ ათწლეულებში, მსოფლიოს მთიან რეგიონებში, გაიზარდა ინტერესი ბუნებრივი და ეთნოკულტურული **ფასეულობების დაცვისადმი.** აღინიშნება არსებული დაცული ტერიტორიების გაფართოება და ახლის შექმნა, რასაც გარკვეულწილად მოსახლეობის მიგრაცია და „თავისუფალი" არეალების არსებობა უწყობს ხელს. დაცული ტერიტორიებიდან განსაკუთრებული პოპულარობით ეროვნული პარკები და ბიოსფერული რეზერვატები სარგებლობს, სადაც შენარჩუნებულია საზოგადოების და ბუნების თანაცხოვრების გამორჩეული მაგალითები, ბუნებრივი და კულტურული მრავალფეროვნება.

მთების განვითარებისადმი საზოგადოებრივი და სამეცნიერო **ინტერესი** მუდმივად იზრდება. მისი გლობალური, რეგიონული თუ ლოკალური თავისებურებების კვლევა მათი განვითარების ოპტიმალური მოდელების შექმნის წინაპირობად მიიჩნევა. ყურადღების ფოკუსშია მთების ბუნებრივი, სამეურნეო, ეთნოკულტურურლი თუ გეოპოლიტიკური განვითარების ტენდენციები, მოსახლეობის სოციალური ინტერესები, ეკოლოგიური პრობლემატიკა და სხვა მიმართულებები. ამასთან დაკავშირებით, სულ უფრო პოპულარული ხდება მთების ინტეგრირებული (ინტერდისციპლინური) შესწავლის მნიშვნელობა {1}, რომლის მეშვეობით მკაფიოდ წარმოჩინდება მათი მდგრადი განვითარების პრობლემატიკა და მიზნები.

ამჟამად, მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარება არაერთი სახელმწიფოს ერთ-ერთი **ძირითადი მიზანი** გახდა. ამისთვის მიღებულია სპეციალური კანონები, რაც არეგულირებს მთებთან დაკავშირებულ პრობლემებს, მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ სტიმულირებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას და ა.შ. მიჩნეულია, რომ სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე მთიან ტერიტორიებზე მოსახლეობის შენარჩუნება ვერ მოხერხდება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთიანი ტერიტორიების **სამეცნიერო შესწავლას,** მისი ბუნების შენარჩუნებასთან დაკავშირებული პრობლემატიკის წარმოჩენას, მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების და ტრადიციების კვლევას, რეკრეაციული და რესურსული პოტენციალის განსაზღვრას, ეკოლოგიურად ორიენტირებულ ტერიტორიულ (ლანდშაფტურ) დაგეგმარებას და სივრცით მოწყობას. ლანდშაფტური დაგეგმარების ეფექტურობა ეკოლოგიური პრობლემების პრევენციის საშუალებას უკავშირდება, რაც მხოლოდ ლანდშაფტური მიდგომის და მეთოდოლოგიიდ გსმოყენებითაა შესაძლებელი.

მთების სამეცნიერო კვლევის აქტუალობა **კლიმატის გლობალური ცვლილებასაც** უკავშირდება. ჰაერის ტემპერატურის თითქმის საყოველთაო მატება, ნალექების რაოდენობის ზრდა უკვე აისახა არაერთი მთიანი სისტემის ლანდშაფტურ, გლაციალურ, ბიოგეოგრაფიულ და ჰიდროლოგიურ მახასიათებლებზე.

ტროპიკული, სუბტროპიკული და ზომიერი სარტყლის მთებში უკვე მკაფიოდ აღინიშნება მყინვარით დაფარული ტერიტორიების ფართობის, თოვლის ხანგრძლიობის და სიმძლავრის მაჩვენებლების შემცირება, ტყის ზედა საზღვრის ცვლილება (აღმასვლა), ზაფხულის ტემპერატურების და ნალექების რაოდენობის ზრდა. ამგვარი პროცესები მთების მიმდებარე გორაკ-ბორცვიანი ზონის არიდიზაციის ფონზე მიმდინარეობს, რაც სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის, არაერთი სახის ბუნებრივი რესურსის გამოყენების და მოპოვების პოლიტიკის გადახედვას მოითხოვს.

კლიმატის ცვლილების ფონზე, რომლის შედეგებიც განსაკუთრებით თვალსაჩინოა საქართველოს მთიან რეგიონებში, ინტენსიურად მიმდინარეობს ბუნებრივი ზონების ცვლა (გადაადგილება), მყინვარების დნობა და დანაწევრება, გეოდინამიური პროცესების გააქტიურება, მდინარეთა რეჟიმის ტრანსფორმაცია, რელიეფის გამოფიტვა და დაშლა, ნალექების განაწილების და მახასიათებლების ცვლილება, ტყის მცენარეულობის და მაღალმთის მდელოების სახეობრივი გარდაქმნა, ნიადაგის ეროზია და სხვ. დაგროვებული ნაშალი მასალა და ხე-ტყე წყლის ნაკადის ჯერ შეკავების, შემდეგ კი ღვარცოფების განვითარების წინაპირობაა.

ცნობილია ისიც, რომ მთიანი რეგიონების სივრცითი და ურბანული დაგეგმარება, რეგიონული განვითარების და განაშენიანების გეგმები, ინფრასტრუქტურული და ჰიდროენერგეტიკული პროექტები ნაკლებად ითვალისწინებენ მთიანი რეგიონების ეკოლოგიურ სპეციფიკას. კიდევ უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა ადგილობრივი მოსახლეობის ეკოლოგიურ კულტურას (ტრადიციებს), ისტორიულ გამოცდილებას და მოთხოვნებს.

4. 2023 წლის 24-25 ნოემბერი - საერთაშორისო კონფერენცია (ქუთაისი, საქართველო): ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები. მოხსენება: ლანდშაფტის ეკოლოგია: თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური საკითხები

სწავლება კულტურული ლანდშაფტის შესახებ. კულტურული ლანდშაფტი წარმოადგენს ადამიანისა და ბუნების ხანგრძლივი (ისტორიული) და ჰარმონიული ურთიერთდამოკიდებულების შედეგს. იგი სამართლიანად მიიჩნევა ნაციონალური მემკვიდრეობის არსებით ნაწილად, რადგან მასში კარგად აისახება ადგილობრივი კულტურა და იდენტობა. იგი შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას, ისე ტრადიციულ სამეურნეო ან სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ საქმიანობას.

კულტურული ლანდშაფტიs მეშვეობით შესაძლებელია წარმოდგენა ვიქონიოთ ტერიტორიის განვითარების და გარემოს ათვისების ტენდენციებზე, ლანდშაფტის პოტენციალზე და ეკოლოგიურ თავისებურებებზე, ეკონომიკურ და სოციალურ ღირებულებებზე.

სწავლება კულტურული ლანდშაფტის შესახებ (ე.წ. პეიზაჟური მეცნიერება) ფორმირებას მე-20 საუკუნის დასაწყისში იწყებს, რასაც გერმანელ გეოგრაფს ოტო შლუტერს მიაკუთვნებენ. იგი გეოგრაფიულ გარემოს ორი სახით: ბუნებრივი ანუ ორიგინალური (ადამიანის ჩარევის გარეშე) და კულტურული ლანდშაფტების კრებადობის სახით განიხილავდა. მისივე აზრით, გეოგრაფიის ძირითად ამოცანას ბუნებრივი ლანდშაფტის კულტურულ ლანდშაფტად გარდაქმნის პროცესის შესწავლა წარმოადგენდა.

ამ მიმართულების მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება იმაში, რომ:

1. კულტურული ლანდშაფტი განვითარებულია მის ბუნებრივ ფუნდამენტზე,
2. ინარჩუნებს ძირითად გეოგრაფიულ ელემენტებს (რელიეფი, გეოლოგიური აგებულება, კლიმატი, წყლები, ნიადაგი, განსახლება, კომუნიკაციები და სხვ.),
3. ძირითადად (არსებითად) „ემორჩილება“ ბუნებრივ გარემოში მიმდინარე პროცესებს (Elizbarashvili, atc., 2023).

ამრიგად, კულტურული ლანდშაფტი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია. იგი მკაფიოდ გვიჩვენებს ამა თუ იმ ქვეყნის (ტერიტორიის) წარმოშობის და განვითარების თავისებურებებს, ადამიანის (ადგილობრივი თემის) და ბუნების ურთიერთდამოკიდებულებას (https://tclf.org/places/about-cultural-landscapes).

კულტურული ლანდშაფტის ფასეულობებს შორის, მნიშვნელობით და რაოდენობით გამოირჩევა რელიგიური, ტრადიციული სოფლის მეურნეობის, ისტორიული ადგილების, ლანდშაფტური არქიტექტურის, ბუნებრივი რესურსების ტრადიციული გამოყენების ფორმებთან დაკავშირებული ტერიტორიები.

სწავლება კულტურული ლანდშაფტის შესახებ ინგეგრაციული გეოგრაფიის არსებითი ნაწილია. გეოგრაფიაში მისი განვითარება უკავშირდება საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი გეოგრაფიის კვლევის მეთოდების სინთეზს, გეოგრაფიასთან ისტორიისა და კულტურის, სოფლის მეურნეობისა და არქიტექტურის, ეკოლოგიისა და ეთნოკულტურის ინტეგრაციას.

საქართველოში კულტურული ლანდშაფტის სტატუსი, მიუხედავად სახელმწიფოებრიობის და მეურნეობის რამდენიმე ათასწლოვანი ისტორიისა, არც ერთ ტერიტორიას არ გააჩნია. არადა, ამგვარი სტატუსი მკაფიოდ წარმოაჩენდა ქვეყნის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას. საქართველოში ათეულობით ისეთი ადგილია, რომელსაც შესაძლებელია მიენიჭოს სხვადასხვა ტიპის კულტურული ლანდშაფტის სტატუსი, რომლის შეფასებაც ქართული გეოგრაფიული სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ამოცანაა.

ასოც.პროფ. გიორგი მელაძე

4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Meladze G. Low Fertility – the Challenge of Demographic Security of Georgia // Georgian Geographical Journal. 2023, Vol. 3 (2). Special Issue. Tbilisi. 9 pages. DOI: https://doi.org/10.52340/ggj.2023.03.02.08. https://journals.4science.ge/index.php/GGJ/article/download/2473/2419 **E-ISSN:** 2667-9701

2. მელაძე გ. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის თანამედროვე პროცესები საქართველოს რეგიონებში // „საქართველოს გეოგრაფია“ , #13. თსუ, 2023. ISSN 1512 – 1267. 14 გვ.

3. მელაძე გ. კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დანაკარგები საქართველოში // საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დედამიწასა და მის გარსებში მიმდინარე გეოფიზიკური პროცესები“. თბილისი, საქართველო, 16-17 ნოემბერი, 2023. 3 გვ.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ქვეყნის დემოგრაფიული უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტია. უკანასკნელ წლებში საქართველოს დემოგრაფიულ გამოწვევათა შორის, შობადობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინეს.

შესაბამისი მაჩვენებლების დემოგრაფიულ-სტატისტიკური მასალების საფუძველზე, განხილულია შობადობის არსებული ვითარება და მისი პერსპექტივები. აღნიშნულია, რომ შობადობის კლება გლობალური მოვლენაა. დღესდღეობით მსოფლიოს 101 ქვეყანაში შობადობის ჯამური კოეფიციენტის მნიშვნელობა მოსახლეობის მარტივი აღწარმოების დონეზე (2.1) დაბალია. აღნიშნული პროცესი მომავალშიც გაგრძელდება და იგი უფრო მეტ ქვეყანას მოიცავს.

საქართველო იმყოფება დემოგრაფიული გადასვლის მეოთხე ფაზაში. აღნიშნული ფაზა ხასიათდება შობადობის კლებითა და ოჯახების მიერ ბავშვების ნორმის შემცირებით.

1990-იანი წლებიდან განვითარებული ნეგატიური მოვლენების შედეგად, საქართველოს დემოგრაფიული სისტემა ამოვარდა ბუნებრივი განვითარების კალაპოტიდან. უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო შემცირდა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი შობადობა. 2022 წელს შობადობის ზოგადმა კოეფიციენტმა 11.4‰ შეადგინა რაც 2002 წლის შემდგომ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია და მნიშვნელოვნად ნაკლებია მოსახლეობის მარტივი აღწარმოების (15‰) დონეზე. საქართველოში პრობლემას ართულებს ის ფაქტი, რომ აქტიური ბავშვთა შობის ასაკში შევიდნენ 1990-იან წლებში დაბადებული მცირერიცხოვანი თაობები.

გაეროს 2022 წლის მე-10 გადასინჯვის საშუალო პროგნოზის თანახმად, შობადობის კლების გამო 2035 წლიდან 15 წლამდე ბავშვების რაოდენობა ნაკლები იქნება 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობაზე. აღნიშნული პროცესი მეტად სახიფათოა საქართველოსათვის, ვინაიდან იგი კიდევ უფრო გააუარესებს დემოგრაფიული სისტემის ფუნქცირებას, რაც სახელმწიფოს მხრიდან დემოგრაფიულ უსაფრთხოებაზე დაფუძნებული გონივრული სოციალური და დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების გარეშე, მომავალში უმძიმეს სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს გამოიწვევს.

2. დემოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით, საქართველოს რეგიონები მეტნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც მნიშვნელოვანწილად შობადობის, მოკვდაობის, მიგრაციული პროცესების, ეროვნული და ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობითაა განპირობებული. მიუხედავად არსებული განსხვავებებისა, რეგიონებში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები ძირითადად გლობალური დემოგრაფიული პროცესების მსგავსად ვითარდებიან. აღნიშნული გულისხმობს შობადობის კლებისა და მოკვდაობის მატების შედეგად, მოსახლეობის ბუნებრივი მატების ნულოვან ნიშნულთან ახლოს ყოფნას (რიგ შემთხვევებში მოკვდაობის დონე გადააჭარბებს შობადობის დონეს).

საანალიზო დროის მონაკვეთში (2014-2023 წწ.), საქართველოს მოსახლეობის მცირე (19,4 ათასი) მატება დაფიქსირდა. აღნიშნული ფაქტი ქვეყნის რეგიონებისათვის არ იყო ერთმნიშვნელოვანი. მათ უმეტესობაში შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა. 2014-2022 წწ. ყველა რეგიონში შემცირდა შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, ხოლო მათ უმრავლესობაში გაიზარდა მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი. ყველა რეგიონში მოსახლეობის ბუნებრივი მატების უარყოფითი მნიშვნელობა დაფიქსირდა.

პროგნოზული გაანგარიშებით, მოსახლეობის 2022 წლის ბუნებრივი მატების დონის მნიშვნელობიდან გამომდინარე, 2027 წლისათვის მოსახლეობის რაოდენობის მატება მოსალოდნელია თბილისში, აჭარაში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში და ქვემო ქართლში.

3. ევროპის მასშტაბით სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლები საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალია. კოვიდ-19 პანდემიის შედეგად, საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. განსაკუთრებით მასშტაბური იყო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დანაკარგები 2019-2021 წლებში. აღნიშნული დანაკარგების აღმოფხვრა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემისათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

კოვიდ-19-ით გარდაცვალებათა ყველაზე დიდი რაოდენობა 2021 წელს დაფიქსირდა, 11.3 ათასი (მ.შ. 5.2 ათასი მამაკაცი და 6.1 ათასი ქალი), რაც მნიშვნელოვან დემოგრაფიულ დანაკარგებს წარმოადგენს. 2021 წელს, კორონავირუსის არ არსებობის შემთხვევაში ჩვენი გაანგარიშებით, ორივე სქესის მიხედვით სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 73.6 წლის ტოლი უნდა ყოფილიყო, მამაკაცებში და ქალებში შესაბამისად 69.4 და 77.9 წელი. ოფიციალური მონაცემებით - ქვეყნის მასშტაბით განსხვავებამ 2.2 წელი შეადგინა, ხოლო მამაკაცებისა და ქალების შემთხვევაში შესაბამისად 1.9 და 2.5 წელი.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Meladze G. Low Fertility – the Challenge of Demographic Security of Georgia // International conference ,,Geography: Past, Precent, Future challenges" VBIG 90. TSU. 1-3 November, 2023.

2. მელაძე გ. კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დანაკარგები საქართველოში // საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,დედამიწასა და მის გარსებში მიმდინარე გეოფიზიკური პროცესები''. თბილისი, საქართველო, 16-17 ნოემბერი, 2023.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.
2.
*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

**პროექტი** - 13.10.2023-10.08.2024. წამყვანი ორგანიზაცია - ,,სიტი ინსტიტუტი საქართველო". - მცხეთის მუნიციპალიტეტის საგურამოს, გალავნის, ნავდარაანთკარისა და ჯიღაურის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების და დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭოპორტი და სოფელი ახატანი და მათი მიმდებარე ტერიტორიების სივრცითი დაგეგმარების გეგმის შემუშავება.

ასოც.პროფ. მარიამ ელიზბარაშვილი

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. კლიმატის ცვლილების პროგნოზირებული ზემოქმედების შეფასება საქართველოში ძალიან მაღალი გარჩევადობის კლიმატური მოდელის გამოყენებით. სამეცნიერო მიმართულება: მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია. საგრანტო ხელშეკრულება № FR-19-8110; პროექტის დაწყებისა და დასრულების წლები: 09.03.2020-09.03.2024

2. ქვემო ქართლის მხარეში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის შეფასების გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა. სამეცნიერო მიმართულება: ფიზიკური გეოგრაფია. საგრანტო ხელშეკრულება: № FR-19-14993; პროექტის დაწყებისა და დასრულების წლები: 09.03.2020-09.03.2024

3. ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურული ობიექტებისა და დასახლებული პუნქტების ცვლილებების შეფასება და გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა თანამგზავრული და აერო ფოტოების დამუშავებით მიღებული ორთოფოტოების საფუძველზე. სამეცნიერო მიმართულება: გეოგრაფია. საგრანტო ხელშეკრულება №OTG-I-23-584; პროექტის დაწყებისა და დასრულების წლები: 03.07.2023-02.07.2024.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მარიამ ელიზბარაშვილი - სამეცნიერო ხელმძღვანელი, მაგდა ცინცაძე - კოორდინატორი შეიცვალა 2022 წლის მარტიდან ელიზბარ ელიზბარაშვილი - კოორდინატორი, ცეზარი მშვენიერაძე - ახალგაზრდა მეცნიერი შეიცვალა 2022 წლის მარტიდან - თამარ ხუნწელია - ახალგაზრდა მეცნიერი.

2. ბელა კვირკველია - სამეცნიერო ხელმძღვანელი, მარიამ ელიზბარაშვილი - კოორდინატორი, შალვა ელიზბარაშვილი - მკვლევარი - გის სპეციალისტი, თამარ ხუნწელია - ახალგაზრდა მეცნიერი, გის სპეციალისტი; მარინა ტატანაშვილი - გის სპეციალისტი.

3. გიორგი გაფრინდაშვილი - სამეცნიერო ხელმძღვანელი, მარიამ ელიზბარაშვილი - კოორდინატორი, გიორგი დვალაშვილი - მკვლევარი, ნინო ჩიხრაძე - მკვლევარი, თამარ ხუნწელია - ახალგაზრდა მეცნიერი, გის სპეციალისტი; ზურაბ რიკაძე -- ახალგაზრდა მეცნიერი, გის სპეციალისტი; თამარ ჭიჭინაძე -- ახალგაზრდა მეცნიერი, გის სპეციალისტი.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. 2023 წლის განმავლობაში მომზადდა სამი საკონფერენციო მოხსენება და წარდგენილია შემდეგ კონფერენციებზე: 1) EGU General Assembly 2023 Vienna, Austria & Online | 23–28 April 2023; EGU გენერალური ასამბლეა 2023 ვენა, ავსტრია & ონლაინ | 2023 წლის 23–28 აპრილი.
https://meetingorganizer.copernicus.org/EGU23/EGU23-3828.html

2) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დედამიწასა და მის გარსებში მიმდინარე გეოფიზიკური პროცესები“, თბილისი, საქართველო, 16-17 ნოემბერი, 2023 წ.

3) საერთაშორისო კონფერენცია „გეოგრაფია - წარსული, აწმყო, მომავლის გამოწვევები“, თბილისი, საქართველო 1-3 ნოემბერი, 2023 წ.

30 წლიან მოდელის მონაცემებში შეფასდა ცვლილებები სეზონურ და ყოველწლიურ კლიმატოლოგიაში, კლიმატურ ექსტრემუმებში (მომავალი, ისტორიული) RegCM4-ის 12 კმ

რეზოლუციის სიმულაციებისათვის. მოდელის მონაცემები შედარდა როგორც საქართველოში არსებული 21 მეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვებათა მონაცემებთან ასევე E-OBS European gridded data set-ის მონაცემებთან დასავლეთ საქართველოსათვის.

მიღებულ შედეგებზე მიმდინარეობს სამეცნიერო სტატიების მომზადება საერთაშორისო ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად.

2. 2023 წლის განმავლობაში მომზადდა საკონფერენციო მოხსენება და წარდგენილია შემდეგ კონფერენციებზე: გენერალური ასამბლეა 2023 ვენა, ავსტრია & ონლაინ | 2023 წლის 23–28 აპრილი. EGU General Assembly 2023 Vienna, Austria & Online | 23–28 April 2023; https://meetingorganizer.copernicus.org/EGU23/EGU23-4255.html

ასევე ქვემო ქართლის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის საფუძველზე შეფასდა ამ რეგიონში მოსახლეობის რა პროცენტისათვის არის სამედიცინო მომსახურების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა შეზღუდული, და რომელი ასაკობრივი კატეგორიისათვის. ქვემო ქართლის რეგიონში იდენტიფიცირებულია კრიტიკული არეები სადაც არის ეს ხელმისაწვდომობა შეზღუდული. შეფასებულია თუ სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა სხვადასხვა კატეგორიის გამოძახებისას რეგიონის მოსახლეობის რა პროცენტამდე მიაღწევს და რა პროცენტამდე ვერ მიაღწევს შესაბამის რეკომედირებულ დროით ინტერვალში. და იდენტიფიცირებულია ასეთი კრიტიკული არეები. მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები თუ როგორაა შესაძლებელი რეგიონში სამედიცინო მომსახურების გეოგრაფიული ხელმწისაწვდომობის გაუმჯობესება.

მიღებულ შედეგებზე მიმდინარეობს სამეცნიერო სტატიების მომზადება საერთაშორისო ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად.

3. მიმდინარეობს ცხინვალის რეგიონის დღესდღეობით ოკუპირებული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის და დასახლებული პუნქტების გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა 2008 წლამდე თანამგზავრული და აერო ფოტოების დამუშავებით მიღებული ორთოფოტოების გამოყენებით.
ასევე დაწყებულია მუშაობა ცხინვალის რეგიონის დღესდღეობით ოკუპირებული ტერიტორიების ინფრსატრუქტურის და დასახლებული პუნქტების გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა 2021 წლის თანამგზავრული და აერო ფოტოების დამუშავებით მიღებული ორთოფოტოების გამოყენებით.

## 3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

### 3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1.
2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Mariam Elizbarashvili, George Mikuchadze, Nino Chikhradze, Regional Climate Model Simulation of Georgia Precipitation and Surface Air Temperature during 2009–2014, International Scientific Conference "Geophysical Processes in the Earth and its Envelopes", Proceedings, ISBN 978-9941-36-147-0, Tbilisi, Georgia, November 16-17, 2023; pp.4
მარიამ ელიზბარაშვილი, გიორგი მიკუჩაძე, ნინო ჩიხრაძე, რეგიონალური კლიმატური მოდელით 2009-2014 წლების საქართველოს ნალექებისა და მიწისპირა ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურის სიმულაცია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დედამიწასა და მის გარსებში მიმდინარე გეოფიზიკური პროცესები“, შრომები, ISBN 978-9941-36-147-0,თბილისი, საქართველო, 16-17 ნოემბერი, 2023 წ. გვ.4.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

საქართველოს ტერიტორიისათვის რეგიონალური კლიმატური მოდელის კალიბრაციისათვის ჩატარებული ერთ-ერთი ექსპერიმენტია განხილული. გამოყენებულია აბდუს სალამის თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრის (ICTP) რეგიონალური კლიმატური მოდელის უახლეს ვერსიის - RegCM4.7.1, 2009-1014 წლების სიმულაციები. სიმულაცია შესრულებულია 12 კმ გარჩევადობით ERA5 მაღალი გარჩევადობის კლიმატის მონაცემების გამოყენებით და მიღებული შედეგები შედარებულია მეტეოროლოგიურ სადგურებზე არსებულ დაკვირვების მონაცემებთან,

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. *Mariam Elizbarashvili, Zurab Seperteladze, George Mikuchadze, The Performance of RegCM4.7.1 over Georgia's Territory Using Two Different Configurations; International Conference "Geography – Past, Present, Future Challenges". Georgian Geographical Journal #4, 2023. p.10*
*მარიამ ელიზბარაშვილი, ზურაბ სეფერთელაძე, გიორგი მიკუჩაძე, RegCM4.7.1 მოდელის გამოყენება საქართველოს ტერიტორიისათის ორი სხვადასხვა კონფიგურაციით.* საერთაშორისო კონფერენცია „გეოგრაფია - წარსული, აწმყო, მომავლის გამოწვევები“, თბილისი, *Georgian Geographical Journal #4, 2023.გვ.10*

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

კვლევაში გამოყენებული იქნა აბდუს სალამის თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრის (ICTP) რეგიონალური კლიმატის მოდელი *RegCM4.7.1* ორი განსხვავებული კონფიგურაციით და შესწავლილი იყო თითოეული კონფიგურაცია თუ როგორ აღწერს საშუალო და ექსტრემალურ ტემპერატურას და ნალექებს საქართველოს სხვადასხვა ფიზიკურ გეოგრაფიულ პირობებში. მოდელის სიმულაციები 2009-2014 წლების პერიოდისთვის 12 კმ ჰორიზონტალური გარჩევადობით განხორციელდა ERA5 მონაცემების სასაზღვრო პირობების გამოყენებით. ორივე სიმულაციის დომენები მთლიანად მოიცავს საქართველოს ტერიტორიას და შავ და კასპიის ზღვებს. საშუალო და ექსტრემალური ნალექების და ჰაერის მიწისპირა ტემპერატურის ამ მაღალი გარჩევადობის

სიმულაციების შედეგები შედარებულია საქართველოს ტერიტორიის 2010-2014 წლების დაკვირვების მონაცემებთან. არსებული მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემების მოდელის მონაცემებთან შედარებამ აჩვენა, რომ მოდელი ორივე კონფიგურაციით უკეთესად მუშაობს ტემპერატურის საშუალო თვიური და ექსტრემალური მნიშვნელობების სიმულაციაში, ვიდრე ნალექებისას. განსხვავება დაკვირვებულ და სიმულირებულ ნალექებს შორის მაღალია ორივე კონფიგურაციისთვისაც. სიმულაციის ორ შედეგს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის. ამასთან, ასევე მნიშვნელოვანია შემდგომი ანალიზის ჩატარება და ამ სიმულაციების შედეგების შედარება არა მხოლოდ მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებთან, არამედ სხვადასხვა რეანალიზის მონაცემებთან, რაც საშუალებას მოგვცემს გავაკეთოთ არა წერტილოვანი ანალიზი, არამედ სივრცითი ანალიზი მთელ დომენზე.

## 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

### 6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN;
გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

### 6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

## 7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

### 7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Mariam Elizbarashvili, George Mikuchadze, Nino Chikhradze, Regional Climate Model Simulation of Georgia Precipitation and Surface Air Temperature during 2009–2014, International Scientific Conference "Geophysical Processes in the Earth and its Envelopes", Tbilisi, Georgia, November 16-17, 2023.
მარიამ ელიზბარაშვილი, გიორგი მიკუჩაძე, ნინო ჩიხრაძე, რეგიონალური კლიმატური მოდელით 2009-2014 წლების საქართველოს ნალექებისა და მიწისპირა ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურის სიმულაცია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დედამიწასა და მის გარსებში მიმდინარე გეოფიზიკური პროცესები", თბილისი, საქართველო, 16-17 ნოემბერი, 2023 წ.

*2. Mariam Elizbarashvili, Zurab Seperteladze, George Mikuchadze, The Performance of RegCM4.7.1 over Georgia's Territory Using Two Different Configurations; International Conference "Geography – Past, Present, Future Challenges". Tbilisi, Georgia, November 1-3, 2023.*

*მარიამ ელიზბარაშვილი, ზურაბ სეფერთელაძე, გიორგი მიკუჩაძე, RegCM4.7.1 მოდელის გამოყენება საქართველოს ტერიტორიისათვის ორი სხვადასხვა კონფიგურაციით.* საერთაშორისო კონფერენცია „გეოგრაფია - წარსული, აწმყო, მომავლის გამოწვევები“, თბილისი, საქართველო 1-3 ნოემბერი, 2023 წ.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

## 7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **Mariam Elizbarashvili,** George Mikuchadze, Tímea Kalmár, and Jeremy Pal, Comparison of Regional Climate Model Simulations to Observational Data for Georgia,
EGU General Assembly 2023 Vienna, Austria & Online | 23–28 April 2023;
**https://meetingorganizer.copernicus.org/EGU23/EGU23-3828.html**
მარიამ ელიზბარაშვილი, გიორგი მიკუჩაძე, ტიმეა კალმარი, ჯერემი პალი. რეგიონალური კლიმატური მოდელის სიმულაციის შედარება დაკვირვების მონაცემებთან.
EGU გენერალური ასამბლეა 2023, ვენა, ავსტრია & ონლაინ | 2023 წლის 23–28 აპრილი.

2. Elizbar Elizbarashvili, **Mariam Elizbarashvili,** Bela Kvirkvelia.
Hail in the Kvemo Kartli Region (Georgia), EGU General Assembly 2023 Vienna, Austria & Online | 23–28 April 2023
https://meetingorganizer.copernicus.org/EGU23/EGU23-4255.html
ელიზბარ ელიზბარაშვილი, მარიამ ელიზბარაშვილი, ზელა კვირკველია, გენერალური ასამბლეა 2023 ვენა, ავსტრია & ონლაინ | 2023 წლის 23–28 აპრილი.
https://meetingorganizer.copernicus.org/EGU23/EGU23-4255.html

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

1. ბუნებრივი და მზარდი ანთროპოგენური ფაქტორებით გამოწვეული გლობალური კლიმატური ცვლილებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ტერიტორიისათვის, ვინაიდან აქ უკვე დაიკვირვება ექსტრემალური ამინდის მოვლენების სიხშირისა და ინტენსივობის ზრდა (ექსტრემალური მაღალი ტემპერატურები, უხვი ნალექები, გვალვები). საქართველოს რთული ოროგრაფია და შავ და კასპიის ზღვებთან სიახლოვე მოითხოვს მაღალი გარჩევადობის მოდელების გამოყენებას, როგორიცაა რეგიონალური კლიმატის მოდელები, მომავალი კლიმატის ცვლილების საფრთხეების შესაფასებლად. ამ კვლევაში ჩვენ ვაანალიზებთ საშუალო და ექსტრემალური ნალექების და ტემპერატურის მაღალი გარჩევადობის მოდელის სიმულაციის შედეგებს. ნაშრომში განხილულია საქართელოს ტერიტორიისათვის რეგიონალური კლიმატური მოდელის კალიბრაციისათვის ჩატარებული ერთ-ერთი სიმულაციის ანალიზი. სიმულაციისათვის გამოყენებულია აბდუს სალამის თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრის რეგიონალური კლიმატის მოდელის ვერსია - RegCm4.7.1. 2010-1014 წლების პერიოდისთვის. სიმულაცია შესრულებულია 12 კმ ჰორიზონტალური გარჩევადობით, სასაზღვრო პირობებისათვის გამოყენებულია ERA5 მონაცემები. მოდელის სიმულაციის მონაცემების საქართველოს მეტეოროლოგიურ სადგურებზე არსებული დაკვირვებათა მონაცემებთან შედარება გვიჩვენებს, რომ მოდელი უკეთესად აღწერს ატმოსფერული ჰაერის მიწისპირა ტემპერატურის საშუალო წლიურ, თვიურ, სეზონურ და ექსტრემალურ მნიშვნელობებს ვიდრე ნალექების საშუალო და მაქსიმალურ მნიშვნელობებს. ზოგიერთ მაღალმთიან მეტეოროლოგიურ სადგურზე ნალექების დაკვირვების მონაცემებსა და მოდელის მონაცემებს შორის სხვაობა ძალზე დიდია, რაც განპირობებულია მოდელის გარჩევადობით (12კმ), რომელსაც მივყავართ მოდელის წერტილსა და მეტეოროლოგიურ სადგურის მდებარეობას შორის შეუსაბამობამდე.

2. კვლევა მიზნად ისახავდა სეტყვის თავისებურებების შესწავლას ქვემო ქართლის რეგიონში (საქართველო). სეტყვა (30%) ყველაზე ხშირი ბუნებრივი ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენაა საქართველოს ტერიტორიაზე წყალდიდობის შემდეგ (37%). სეტყვა დამახასიათებელია ქვემო ქართლის რეგიონისთვის, სადაც სოფლის მეურნეობის წარმოება წამყვანი ინდუსტრიაა. აზიანებს სასოფლო-სამეურნეო მიწებს. სეტყვის შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონში სეტყვის პრევენციის მეთოდების შემუშავებისა და დანერგვისთვის.

გამოვიყენეთ რეგიონის 7 მეტეოროლოგიური სადგურის 1961-2022 წლების დაკვირვების მასალები, შედგენილია კატალოგი და გამოითვალა სეტყვის შემდეგი მახასიათებლები: ალბათობა, დღეების რაოდენობა, ინტენსივობა, სიხშირე, ხანგრძლივობა და გავრცელების არეები.

სეტყვა შეინიშნება წლის თბილ პერიოდში; განსაკუთრებით აქტიური პროცესები ვითარდება გაზაფხულზე და ზაფხულის პირველ ნახევარში, რომლებიც დაკავშირებულია კონვექციურ ღრუბლებთან.

რეგიონში ყველაზე მეტი სეტყვის დღეები წელიწადში 12-14 დღეა. ქვემო ქართლის რეგიონში სეტყვა შემთხვევათა 38%-ში აზიანებს 1-დან 5 კვადრატულ კილომეტრამდე ტერიტორიას; 33% შემთხვევაში აზიანებს 1 კმ$^2$-ზე ნაკლებ ტერიტორიას. სეტყვის შემთხვევების დაახლოებით 30%-ში ზიანდება 5 კმ$^2$-ზე მეტი ფართობი. იშვიათად სეტყვა აზიანებს გაცილებით დიდ ფართობებს, მაგალითად, 3%-ში ზიანდება 50 კმ$^2$-ზე მეტი. სეტყვის საშუალო ხანგრძლივობა 9-10 წუთია. შემთხვევათა 60%-ში სეტყვა 5 წუთზე ნაკლებს გრძელდება, 80%-ში სეტყვის ხანგრძლივობა 10 წუთზე ნაკლებია. შემთხვევათა 3%-ში სეტყვა შეიძლება საათნახევარს გაგრძელდეს.

ამრიგად, გამოვლინდა ქვემო ქართლის რეგიონში სეტყვის ძირითადი კლიმატური მახასიათებლები.

კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას სეტყვის ნეგატიური ზემოქმედების შესამცირებლად და სეტყვის თავიდან აცილების ღონისძიებების განსახორციელებლად.

ასოც.პროფ. რობერტ მაღლაკელიძე

## 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემისა დგილი, გამომცემლობა; გვერდებისრაოდენობა

1. რობერტ მაღლაკელიძე, გიორგი მაღლაკელიძე, ნელი გოგინაშვილი, გიორგი კაპანაძე

კულტურული ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების გამოყოფისა და ატლასური კარტოგრაფირების ზოგიერთი საკითხი; ISBN 978-80-11-029999-9; საერთაშორისო კარტოგრაფიული ასოციაციის სიმპოზიუმი გაზაფხული ოლომოუცი 2023; ატლასები: მათი დიზაინი და გამოყენება; აბსტრაქტები. ოლომოუცი, **ჩეხეთი;** გამოქვეყნებულია ჩეხეთის კარტოგრაფიულ საზოგადოებაში, როგორც მისი 103-ე გამოცემა; 92-94 გვ.

2. დალი ნიკოლაიშვილი; მაია ცხვარაძე; დავით სართანია; რევაზ თოლოვარდავა; რობერტ მაღლაკელიძე. "გურჯისტანის ვილაეთის რუკა" კარტოგრაფიულ-გეოგრაფიული ანალიზი DOI 10.5593/sgem2023/2.1/s11.43; 23-ე საერთაშორისო მულტიდისციპლინარული სამეცნიერო გეოკონფერენცია SGEM 2023-ის რჩეული ნაშრომები. ინფორმატიკა გეოინფორმატიკა და დისტანციური ზონდირება. ტომი 23. გამოშვება 2.1. DOI Issue10.5593/sgem2023/2.1; ISSN1314-2704; ISBN 978-619-7603-57-6. **ავსტრია.** სამეცნიერო საზოგადოება-SGEM WORLD SCIENCE (SWS). 23 გვ.

***ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)***

1. UNESCO - ს 1992 წლის მსოფლიო მემკვიდრეობის და ევროსაბჭოს 2000 წლის ლანდშაფტურ კონვენცია ,,ლანდშაფტისა'' და ,,კულტურული ლანდშაფტის'' ცნებას განიხილავს, ადამიანების მიერ აღქმულ არეალად", ,,ბუნებისა და ადამიანის ერთობლივ ქმნილებად''. ახლებურ მიდგომას მკვეთრად განსხვავებულს ტრადიციული მიდგომისაგნ, უკანასკნელ ხანს ზევრი მეცნიერი იზიერებს.

დღევანდელი ,,ლანდშაფტისა'' და ,,კულტურული ლანდშაფტისადმი'' ახლებური მიდგომა მკვეთრად განსხვავებულია ამ ცნებების ტრადიციული მიდგომებისაგნ. აქედან, ლანდშაფტურ მეცნიერებასა და კვლევაში ბევრი რამე გადასაფასებელია, ლანდშაფტური კარტოგრაფირებისას და რა თქმა უნდა ატლასური ლანდშაფტური კარტოგრაფირებისას შესამუშავებელია ახლებური მიდგომა.

კულტურული ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების კარტოგრაფირებისას საზღვრების გამოყოფა დამოკიდებულია ტერიტორიის ბუნებრივი არაერთგვაროვნების ხარისხზე იმდენად, რამდენადაც მან გავლენა იქონია და აქვს ბუნებათსარგებლობის ხასიათზე. თუ სხვადასხვა ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების ათვისება ხდება ერთნაირი სახით, მაშინ ისინი შეიძლება გავაერთიანოთ ერთ კულტურულ ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსში. შესაბამისად, ერთგვაროვანი ბუნებრიობით გამორჩეული ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსი ბუნებათსარგებლობის სხვადასხვა მოდელის რეალიზაციის შემთხვევაში დიფერენცირდება, როგორც სხვადასხვა, კულტურული კომპლექსი.

ვფიქრობთ, კულტურული ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების კარტოგრაფირებისას ბუნებრივი თავისებურებების და გაკულტურების მატერიალურ ნიშან თვისებების გათვალისწინება უნდა მოხდეს კომპლქსურად გარდამავალი უპირატესობის - „მცურავი მაჩვენებლის" მეთოდით.

აღნიშნულ საფუძველზე, იალონის ქედის მთისწინების ლანდშაფტების კულტურული ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების კარტოგრაფირებისას მიდგომას ვიყენებთ, შედარებით მცირე ტერიტორიების ფაციესების დონეზე. საჭიროა, ლანდშაფტური კარტოგრაფირების ეს მიდგომა განვავრცოთ სხვადასხვა რანგის კულტურულ ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსებზე. აღნიშნული, რეგიონის ლანდშაფტური ატლასის ოპტიმალური კონცეფციის შემუშავების და ატლასში სხვადსხვა რანგის კოპლექსების თანამედროვე და რეალური სურათის წარმოდგენის საშუალებას მოგვცემს.

სტატიაში განხილულია კულტურული ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების კარტოგრაფირების ზოგიერთი საკითხი საგურამო-იალონის ქედის (მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიული პოლიგონის) მთისწინების ლანდშაფტების მაგალითზე. ასევე, გაკეთებულია ჩვენს მიერ შედგენილი ახალი რუკის შედარებითი ანალიზი მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიული სტაციონარის მიდამოების ძველ, ტრადიციულ საფუძველზე შედგენილ ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების რუკასთან. განხილულია, კულტურული ლანდშაფტების ატლასური კარტოგრაფირების თავისებურებები.

2. სათაური: "გურჯისტანის ვილაეთის რუკა" კარტოგრაფიულ-გეოგრაფიული ანალიზიძველი კარტოგრაფიული წყაროების ანალიზი იძლევა წარსულის რეტროსპექტული სურათის შექმნის შესაძლებლობას. ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესასწავლი წყაროა ალ. ასლანიკაშვილი 1953 წლის, რუკა (რომელიც) შედგენილია XVI საუკუნის ოსმალური დოკუმენტების მიხედვით. დოკუმენტი ასახავს იმ პერიოდს, როდესაც სამხრეთ საქართველოს სამხრეთი ნაწილი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა გურჯისტანის ვილაეთის (სამცხე-საათაბაგოს) პროვინციის სახელწოდებით. დღეს ამ ტერიტორიის უდიდესი ნაწილი საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შედის, დანარჩენი კი საქართველოს ფარგლებს გარეთაა. სხვადასხვა წყაროებში ეს ტერიტორია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სახელით არის ცნობილი. კვლევა ჩატარდა ინტერდისციპლინურ რეჟიმში. კვლევის შედეგად გაანალიზდა XVI-XIX სს-ის ოსმალეთისჩანაწერები, რომელთა საფუძველზეც გამოიკვეთა მთელი რიგი ობიექტები და განისაზღვრა მათი ლოკალიზაცია (პოლიტიკურ-ადმინისტრაციული/ფიზიკურ-გეოგრაფიული). ასევე გაანალიზდა საქართველოს ვილაეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (ლივა, ნაჰიე) რიგი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები: მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე, სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურისა და სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების ტერიტორიული განაწილების თავისებურებები, ქართული სუბსტრატის არსებობის კვალი.

## 7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

### 7.1.საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლებიმოხსენებისსათაური; ფორუმისჩატარებისდროდაადგილი

1. ასოცირებული პროფესორი რობერტ მაღლაკელიძე, პროფესოერი ნელი გოგინაშვილი
ახალი-თანამედროვე მიდგომა ნიადაგმცოდნეობასა და ლანდშაფტმცოდნეობაში: ნიადაგი როგორც ლანდშაფტის კომპონენტი. 19.12.2023. **თბილისი,** XXVI სამეცნიერო კონფერენცია-გეოგრაფიის თანამედროვე პრობლემები

1. *მოხსენების ანოტაცია :*

მოხსენებაში წარმოდგენილი საკითხები აქტუალურია, რადგან გვაძლევს ინფორმაციას, რომ ტრადიციულ ვ. დოკუჩაევისეულ მოძღვრობასთან ერთად, დამუშავებულია, თეორია ნიადაგზე - როგორც ლანდშაფტის კომპონენტზე.
თავის დროზე თვალსჩინო რუსმა მეცნიერმა პროფესორმა მ. ვ. დოკუჩაევმა ნიადაგის შესახებ თეორიის დამუშავებისას, როგორც წერს პროფესორი ა.ფ. ასლანიკაშვილი საკმაოდ ,,ახლოს ჩაუარა" თავისი დროის გეოგრაფიის პრობლემებს. შექმნა ახალი მეცნიერება ნიადაგის, როგორც ბუნების ,,ცალკე სამეფოს შესახებ". პროფესორ ვ. ვ. დოკუჩაევის თვალსაჩინო ნაშრომებში ნიადაგი წარმოდგენილია, როგორც ერთიანი სისტემა, შემდგარი მრავალი, ურთიერთ დამოკიდებული და ურთიერთ განმსაზღვრელი კომპონენტებისაგან.
თუმცა ნიადაგის, როგორც სისტემის გარდა, არსებობს ბევრი მასზე მაღლა მდგომი სისტემების მთელი იერარქია; მათ შორის ლანდშაფტი, რომელშიც ნიადაგი განიხილება, როგორც მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი.
გეოგრაფიაში გაბატონებული სისტემური პარადიგმის მიხედვით, ლანდშაფტის კომპონენტები, ობიექტები და მოვლენები, განიხილება, როგორც რთული სისტემები, სადაც სხვადასხვა პროცესები მიმდინარეობენ სხვადასხვა დროით მასშტაბში.
კერძოდ, გეოგრაფიასა და ნიადაგმცოდნეობაში განმტკიცდა აზრი პროცესების ,,სხვადასხვა სიხშირითობის" შესახებ, როგორც მათ უწოდებს პროფესორი ნ.ლ, ბერუჩაშვილი. ან ,,მახასიათებელი" დრო, როგორც წარმოგვიდგენს მათ პროფესორები ა. ა. არმანდი და ვ. ო. ტარგულიანი.
სხვადასხვა მახასიათებელ დროს მივყავართ ეგრეთწოდებულ ,,ნიადაგი მახსოვრობა"-სა და ,,ნიადაგი მომენტის" ფორმირებასთან.
ნიადაგი მახსოვრობა - ესაა ნიადაგის პროფილის მდგრადი და კონსერვატიული თვისებების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ნიადაგწარმომქმნელი ფაქტორების მოქმედების ინტეგრალურ შედეგს, ნიადაწარმოქმნის მთელი პერიოდის განმავლობაში.
ნიადაგი მომენტი -ესაა დინამიური ლაბილური თვისებების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ფაქტორებისა და პროცესების ერთობლიობის შედეგს დაკვირვების მომენტში ან მის მახლობლად.
პროფესორმა მ.ვ. დოკუჩაევმა თავისი თეორიის შექმნისას, ნიადაგის როგორც ბუნების დამოუკიდებელი სხეულის შესახებ, გამოიყენა ,,ნიადაგი მახსოვრობა". მან ნიადაგის პროფილის მდგრადი და კონსერვატიული თვისებების საფუძველზე, რომლებიც ნიადაგწარმომქმნელი ფაქტორების მოქმედების ინტეგრალურ შედეგს წარმოადგენს ნიადაგწარმოქმნის მთელი პერიოდის განმავლობაში, გამოყო ნიადაგის პროფილი, ნიადაგის გენეტიკური ჰორიზონტები, შექმნა ნიადაგწარმოქმნის თეორია.
ამასთან ერთად, ლანდშაფტმცოდნეობის რიგი პრობლემების გადაწყვეტისათვის საჭიროა შევისწავლოთ ,,ნიადაგი მომენტი"-ნიადაგის ბლოკის მიმდინარე ფუნქციონირება. სამეცნიერო მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ნიადაგის ბლოკის მიმდინარე ფუნქციონირებაში გარკვევა, ძალზე რთული პრობლემაა. მოხსენებაში მოკლედ გვინდა ავხსნათ ეს ამოცანა, დაინტერესებულ პირებს კი, რომლებსაც სურთ ღრმად ჩაწვდნენ ამ საკითხებს მიუთითებთ რ.ვ. მაღლაკელიძის 2017 წელს გამოცემულ მონოგრაფიას ,,ნიადაგისა და ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსის მდგომარეობები: კავშირების ანალიზი.
ნიადაგის ,,მიმდინარე" ცხოვრებაში გარკვევა, აღნიშნლი პრობლემის გადაჭრა შეუძლებელი იყო კონკრეტული ემპირიული მასალის გარეშე. ამიტომ, საკითხის დამუშავებისათვის გამოვიყენეთ ევრაზიული, ჩრდილოეთის და მთიანი რეგიონების ექსპედიციური, საქართველოს რიგი რეგიონების ნახევარად სტაციონარული და მარტყოფის სტაციონარისა და მიმდებარე ტერიტორიების სტაციონარული კვლევის 11 წლიანი მასალა.

აღმოჩნდა, რომ ლანდშაფტმცოდნეობისათვის ლანდშაფტის, როგორც მიწისზედა ისე მიწისქვეშა ნაწილში უმნიშვნელოვანესი კვლევის ობიექტებია გეომასები - ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების ელემენტარული სტრუქტურულ-ფუნქციონალური ნაწილები, რომლებიც ხასიათდებიან გარკვეული მასით, სპეციფიური ფუნქციონალური დანიშნულებით, ასევე ცვალებადობის სიჩქარით დროში და/ან გადაადგილებით დროში. ნიადაგში გეომასების კრებადობის და შეთანწყობის საფუძველზე გამოიყო სპეციფიური ფენები - გეოჰორიზონტები. გეოჰორიზონტები გამოიყოფა არა ნიადაგის პროფილში, არამედ სტექსურ ფენაში - ნიადაგის პროფილის მიმდინარე ფუნქციონირების ზონაში. სპეციფიური ფენები - გეოჰორიზონტები, არ ემთხვევა, განსხვავდება ნიადაგის გენეტიკური ჰორიზონტებისაგან.
გეოჰორიზონტების გარკვეული შეთანწყობის საფუძველზე გამოიყო სივრცე-დროითი სინთეზის ახალი ერთეულები, ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების ვერტიკალური პროფილის მიწისქვეშა ნაწილის დღე-ღამური მდგომარეობები.
დღე-ღამური მდგომარეობთან არის დაკავშირებული ეგრეთწოდებული ,,უკუ ამოცანა“. მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ნიადაგის მდგომარეობის საფუძველზე მისი მახასიათებლები ანუ სტექსების საშუალებით განვსაზღვროთ ბტკ-ის მიწისქვეშა ნაწილის მდგომარეობები, შემდეგ კი მათი მახასიათებლები - ნიადაგის ტემპერატურა სინოტივე და სხვ.
ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტრადიციულ პროფესორ დოკუჩაევისეულ მოძღვრობასთან ერთად - ნიადაგის, როგორც ბუნების ,,ცალკე სამეფოს შესახებ“, დამუშავებულია თეორია ნიადაგის, როგორც ლანდშაფტის ნიადაგური ბლოკის ,,მიმდინარე ცხოვრების“, მიმდინარე ფუნქციონირების შესახებ, დინამიური ლაბილური თვისებების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ფაქტორების და პროცესების ერთობლიობის შედეგს, დაკვირვების მომენტში ან მასთან ახლოს.

7.2.უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები;მოხსენებისსათაური:ფორუმისჩატარებისდროდაადგილი

1. რობერტ მაღლაკელიძე, გიორგი მაღლაკელიძე, ნელი გოგინაშვილი, გიორგი კაპანაძე. კულტურული ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების გამოყოფისა და ატლასური კარტოგრაფირების ზოგიერთი საკითხი.2023 წლის 3-5 აპრილი, ოლომოუცი, **ჩეხეთი**

1. *მოხსენების ანოტაცია იხ. ტექსტში, ფორუმის მასალებში.*

ანგარიშის ფორმა №2
(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება** - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის დეპარტამენტი, ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიისა და მეტეოროლოგიის კათედრა

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1.

2.

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

***დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

## 3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. BRIDGE-BS - Advancing Black Sea Research and Innovation to Co Develop Blue Growth within Resilient Ecosystems, „შავი ზღვის კვლევებისა და ინოვაციების ხელშეწყობა ლურჯი ზრდის თანაგანვითარებისათვის მდგრადი ეკოსისტემების შენარჩუნების პირობებში გრანტი #101000240 - ევროგაერთიანება "HORIZON 2020" 2021-2025 წწ.

2. EEMODNEet 4_Chemistry, ემოდნეტ 5 ქიმია, ევროგაერთიანება, 2022-2025 წწ

3. ემოდნეტ ინჯეშჩენ-3, EMODnet Ingestion and safe-keeping of marine data-ევროგაერთიანება, 2022-2024 წწ

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ხელმძღვანელი-კახაბერ ბილაშვილი, შემსრულებლები: ვალერიან მელიქიძე, სალომე კობაიძე, ირინე ბარამიძე, მამუკა გვილავა, ვაჟა ტრაპაიძე, მადონა ვარშანიძე,

2. ხელმძღვანელი-კახაბერ ბილაშვილი,შემსრულებლები: ნინო მაჩიტაძე, ვაჟა ტრაპაიძე,

3. ხელმძღვანელი-კახაბერ ბილაშვილი, შემსრულებლები: ზურაბ სავანელი, გრიგოლ რუხაძე ვაჟა ტრაპაიძე.

2.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. პროექტი BRIDGE-BS ძირითადი მიზნებია - შავი ზღვის ცოდნის ბაზის შექმნა, შავი ზღვის ჯანსაღი ეკოსისტემის მდგრადობის შეფასება, ადაპტირებული მენეჯმენტის შემუშავება, მულტისტრესორებთან გამკლავებისათვის ინოვაციების სტიმულირება და მონიტორინგის მხარდაჭერა, სოციალურ-ეკონომიკური და სოციალური ინოვაციების ხელშეწყობა, ლურჯი ზრდის შესაბამისად ბიზნეს მოდელების და სტარტაპების ხელშეწყობა, მონაწილეობა მეცნიერებაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებში, განათლებისა და შესაძლებლობების განვითარებაში.

2023 წელს მაისში და დეკემბერში შავი ზღვის საპილოტე არეალში (ზღვაზე და მდინარეთა შესართავებში) ჩატარდა ორი ექსპედიცია წყლის და ფსკერული ნალექების შესწავლისათვის. მოეწყო შეხვედრა სტეიქჰოლდერებთან და სხვა.

2. საზღვაო დაკვირვებათა და მონაცემთა ევროპული ქსელი (EMODnet) პროექტის ფარგლებში განხორცილდა შემდეგი სახის აქტივობები: საქართველოში არსებული საზღვაო ქიმიური მონაცების მოძიება, მიღებული სტანდარტების შესაბამისად ფორმატიზება და ევროპულ ბაზებში განთავსება.

3. პროექტის ფარგლებში მოხდა ახალი საზღვაო მონაცემების მიღებისა და ასიმილაციისათვის სამუშაოების ჩატარება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, მოძიებელი ახალი და

არსებული მონაცემების დამუშავება და შეტანა პროექტის ფარგლებში საზღვაო მონაცემთა ევროპულ ბაზებში, ახალი სისტემის ტესტირება და გავრცელება მონაცემების პოტენციურ მფლობელთა შორის. საზღვაო მონაცემთა ფორმატიზება, ინვენტარიზაცია და გის-ში დამუშავება.
2.

3.2. დასრულებული პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. Black Sea CONNECT „საზღვაო კვლევების და ინოვაციების კოორდინირება შავ ზღვაზე“, გრანტი 860055 - ევროგაერთიანება "HORIZON 2020" 2019-2023 წწ

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ხელმძღვანელი-კახაბერ ბილაშვილი, შემსრულებლები: ვალერიან მელიქიძე, სალომე კობაიძე, მამუკა გვილავა, ვაჟა ტრაპაიძე.

2. *დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

2019 წელს, ევროკომისიის სამეცნიერო პროგრამა „ჰორაიზონ -2020“-ის ფარგლებში დაფინანსდა პროექტი „საზღვაო კვლევებისა და ინოვაციების კოორდინირება შავ ზღვაზე - Black Sea Connect", რომელიც დასრულდა 2023 წელს. პროექტის შედეგები განხილულ იქნა ევროპარლამენტის მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოში განხორციელებულ სამეცნიერო პროექტს მსვლელობა მიეცა ევროპარლამენტის სპეციალურ სხდომაზე. რაც არის უნიკალური მოვლენა სამეცნიერო პროექტების ისტორიაში, რაც ხაზს უსვამს პროექტის შედეგების მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისათვის და შემდგომი ინტეგრირებისათვის ევროპულ სივრცეში.

პროექტის დაფინანსების გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ევროკავშირის ეგიდით მოქმედი შავი ზღვის ქვეყნების ექსპერტების ჯგუფის (მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლების) 2-წლიანი მუშაობა. ჯგუფი თანამშრომლობდა ევროპის წამყვანი საზღვაო ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების საზღვაო ექსპერტებთან. პროექტ „Black Sea CONNECT„-ის მთავარი მიზანია შავი ზღვის სტრატეგიული კვლევისა და ინოვაციების დღის წესრიგის (SRIA) იმპლემენტაციის ეფექტიანი და საიმედო გეგმის შედგენა ძირითადი ჩარჩო მოთხოვნების საფუძველზე. ამავე ქვეყნების ექსპერტებისგან შავ ზღვაში კვლევისა და ინოვაციების მიზნით ჩამოყალიბდა ლურჯი ზრდის ინიციატივის ექსპერტთა საერთაშორისო ჯგუფი აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით, რომელმაც, ამ დროისთვის, შეიმუშავა და წარმოადგინა პროექტის მთავარი დოკუმენტი - „სტრატეგიული კვლევისა და ინოვაციების დღის წესრიგი“.

პროექტის ფარგგლებში ტარდებოდა Black Sea Connect -ის მენეჯმენტის მიერ ორგანიზებულ SRIA-იმპლემენტაციისადმი მიძღვნილ პერმანენტული სამუშაო შეხვედრები და სხვადასხვა სახის სამეცნიერო-საგანმნათლებლო ღონისძიებები.

ჩატარებული კვლევების შედეგად შავი ზღვისათვის გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრიორიტეტები, რომელიც მოიცავს ზოგადად, ლურჯი ზრდის ეკონომიკის ტრადიციულ სექტორებს: სანაპირო ტურიზმი; ცოცხალი სარეწი ორგანიზმები; არაცოცხალი რესურსები; საზღვაო ტრანსპორტი; გემთმშენებლობა; ნავსადგურების ფუნქციონირება. ასევე, სულ უფრო მეტ დატვირთვას იძენს შავი ზღვის სატრანზიტო ფუნქცია-კერძოდ ენერგეტიკის და წყალქვეშა საკომუნიკაციო კაბელირების მიმართულება.

აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში შემუშავებულ, ახალგაზრდებზე ორიენტირებულ, ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროგრამაში „შავი ზღვის ახალგაზრდა ელჩები - Black Sea Young Ambassadors“ აქტიურად არიან ჩართულნი საქართველოს წარმომადგენლები, მათ შორის თსუ-დან.

შავი ზღვის რეგიონის მზარდი გეოსტრატეგიული მნიშვნელობის და ლურჯი ზრდის ეკონომიკური სტრატეგიის შემდგომი იმპლემენტაციის მნიშვნელობიდან

გამომდინარე ევროპარლამენტის ინტერრეგიონულმა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტში „საზღვაო კვლევებისა და ინოვაციების კოორდინირება შავ ზღვაზე - Black Sea Connect" ფარგლებში შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტისთვის - „შავი ზღვის სტრატეგიული კვლევისა და ინოვაციების დღის წესრიგის (SRIA)" განხილვისა და მისთვის მსვლელობის მიცემის შესახებ. რაც განხორციელდა 2023 წლის 4 მაისს, ბრიუსელში, ევროპარლამენტის ოფიციალურ ინტერჯგუფის (SEArica Intergroup) ფარგლებში,

საბოლოო დოკუმენტი მიზნად ისახავს, შავი ზღვის უნიკალური ჰაბიტატების დასაცავად საფუძვლის შექმნას და ხელს უწყობს საზღვაო სექტორების განვითარებას, რაც სამომავლოდ გააძლიერებს ლურჯ ეკონომიკას და ხელს შეუწყობს მეტი სამუშაო ადგილის შექმნას. SRIA და მისი იმპლემენტაციის გეგმა აკადემიური წრეების, დამფინანსებელი ორგანიზაციების, სამრეწველო დარგების, პოლიტიკისა და საზოგადოების წარმომადგენლებს მიმართავს ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანების განხორციელებისკენ, როგორიცაა შავი ზღვის ძირეული პრობლემების გადაჭრა, ლურჯი ეკონომიკის ხელშეწყობა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სისტემებისა და კვლევის ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნა, განათლების ხელშეწყობა და პოტენციალის ზრდა. იმპლემენტაციის გეგმა გახდება ის გრძელვადიანი სახელმძღვანელო, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი იდეებისა და ინოვაციების გამოვლენას.

## 4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)

### 4.1. საერთაშორისო პატენტები;

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.
2.

### 4.2. ეროვნული პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.
2.

## 5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

### 5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.
2.

### 5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.
2.

### 5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. D.Kereselidze, V.Trapaidze. G. Bregvadze//River bed evolution processes modeling in water courses//Buleten oh the national academy of Sciences, vol.17 #4, 2023
2. ვ. ტრაპაიძე, გ. ბრეგვაძე, ნ. ცინცაძე, მ. ალავერდაშვილი, გ. გრიგოლია, გ. გაჩეჩილაძე// კალაპოტურ პროცესებზე წყლის მაქსიმალური ხარჯის ზემოქმედების შეფასება, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ.133, 2023. 31 doi.org/10.36073/1512-0902-2023-133-31-33

2. *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. მდინარის მყარი ნატანის, მისი ცალკეული ნაწილაკებისა და ზოგადად ნატანისა და კალაპოტის ურთიერთქმედება ხასიათდება დიდი მრავალფეროვნებითა და სირთულით. მიუხედავად ამისა ფართო ლაბორატორიული და ნატურალური დაკვირვებების შედეგად შესაძლებელი გახდა საერთო მოდელის შემუშავება, რომელიც დაფუძნებულია წყლის ნაკადის საშუალო და არაგამრეცხი სიჩქარის თანაფარდობაზე. მოდელის საშუალებით შესაძლებელია მასალის სიმსხოსა და სიმკვრივის მიხედვით შეირჩეს მისი ხაზოვანი მასშტაბი, ასევე სპეციალური დაშვებების საშუალებით მოდელის წვრილი მასალა შეიძლება შეიცვალოს უფრო მსხვილი დიამეტრის ქვიშით. ამგვარად მიიღება კოეფიციენტები და ხარისხის მაჩვენებლები, რომლებიც განსხვავებულნი არიან ნაწილაკის დიამეტრის სხვადასხვა ზომისათვის.
2. საქართველოს მთიანი რელიეფი და კლიმატის ცვლილების მიმდინარე ტენდენციები ზრდის კატასტროფული მოვლენების სიხშირეს, რაც იმის მაჩვენებლია რომ ინსტენსიური თავსხმა წვიმების დროს ადგილი აქვს წყლის ნაკადების დიდი რაოდენობით გავლას და კალაპოტის მნიშვნელოვან დეფორმაციებს. დეფორმაციების შესაბამისი ჰიდროტექნიკური ნაგებობის გაანგარიშების მთავარი ელემენტია წყლის მაქსიმალური ხარჯის სიდიდე, რომელიც რთულ ამოცანას წარმოადგენს რადგან ისმის კითხვა თუ რა ალბათობის (პროცენტული უზრუნველყოფის) იყოს მოცემული სიდიდე, რომლის დიაპაზონი საკმაოდ დიდია 5% დან 0.01%-მდე. ზოგადად, რაც უფრო მცირეა უზრუნველყოფის ალბათობის სიდიდე, საიმედოობასთან ერთად იზრდება მშენებლობის პროცესში მატერიალური დანახარჯები. სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს სხვადასხვანაირი მიდგომა მდინარეთა გადაკვეთებზე მაქსიმალური ხარჯების გაანგარიშებების დროს, მართალია ყველა შემთხვევა ინდივიდუალურად უნდა იქნეს განხილული, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია ერთიანი მეთოდიკის შემუშავება, რომელიც რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებულ შედეგს მოგვცემს.

## 5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. მაკალათია ი.. ბილაშვილი კ. კერესელიძე დ.

მდინარე ჭოროხის ნატანის მიერ გამოწვეული ცვლილებები და თანამედროვე მიდგომები აჭარის სანაპიროს ზოლში// საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დედამიწასა და მის გარსებში მიმდინარე გეოფიზიკური პროცესები", კონფერენციის მასალები, თბილისი, 2023

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. საქართველო საზღვაო ქვეყანაა და მნიშვნელოვანია კარგად გავანაალიზოთ დინამიური პროცესები, აღმოსავლეთ სანაპირო ზოლში. კერძოდ აჭარის სანაპიროს აკუმულაციური ზოლი თითქმის მთლიანდ მდ. ჭოროხის ალუვიერი ნატანით არის წარმოქმნილი. ის გარემოება რომ მდ. ჭოროხის ნატანის სრულად გადაკეტვა აუცილებლად გამოიწვევს უარყოფით შედეგებს, აუციებელია მომავალში ავიცილოთ და შევძლოთ სანაპირო ზოლის ინტეგრირებულ მართვა და ზოგადად მდგრადი განვითარ ების კონცეფციის შექმნა

2.

# 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

## 6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. N. Tsivtsivadze, G. Bregvadze, V.Trapaidze, L.Lagidze, N.Tsintsadze// The Problem of Safety Drinking Water Supply in Tbilisi, SGEM 2023, DOI 10.5593/sgem2023/3.1/s12.22

2. Tskhavardze M., Nikolaishvili D., Matchavariani L., Lagidze L., Trapaidze V. Landscapes Dynamics of Samtskhe-Javakheti, Georgia. International Journal of GEOMATE, ISSN: 2186-2982(P), 2186-2990 (O), https://doi.org/10.21660/ 2023.104.g12297, Japan, 2023, Vol. 24, Issue 104, 62-68 https://geomatejournal.com/geomate/article/view/3842

3. Kalandadze B., Trapaidze V., Kalandadze I., Kikava A. Mgeladze M. Pollution of Soils and Water and the Negative on the Natural Environment as a Result of the Mining and Processing of Manganese Ores. SGEM 2023. DOI 10.5593/sgem2023/5.1/s20.24. ISSN 1314-2704,

2. *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1. მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასა და სიკვდილიანობაზე მოქმედ მრავალ ფაქტორს შორის, ჯანდაცვის სისტემის ეფექტურ სერვისებთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას, კერძოდ, მისი რესურსების უსაფრთხოების ხარისხს. ადამიანის ჯანმრთელობისთვის. მოსახლეობის უსაფრთხო, სუფთა, სასმელი წყლით უზრუნველყოფა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში. დღეს მსოფლიოში 1 მილიარდ 200 მილიონი ადამიანი იტანჯება უსაფრთხო სასმელი წყლის ნაკლებობით.

თანამედროვე საზოგადოების მიერ მოხმარებული წყალი შეიცავს ასობით ათასი სხვადასხვა სახის დამაბინძურებლებს. დაბინძურებული სასმელი წყალი ორგანიზმის დაბერების პროცესს 30%-ით აჩქარებს. სასმელ წყალში ვგულისხმობთ ისეთ წყალს, რომლის მოხმარებაც არ იწვევს ნეგატიურ ცვლილებებს მოსახლეობის ჯანმრთელობაში. საქართველოში პრობლემა აქტუალური გახდა უცნობი წარმოშობის ინფექციური და კანცეროგენული დაავადებების სიხშირის, რაოდენობის მატების გამო. სავარაუდოდ, ქვეყანაში მოსახლეობის დაბალი სიცოცხლის ხანგრძლივობის, ჩვილებისა და დედათა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლის, ქალთა ძუძუს კიბოს შემთხვევების ზრდის, ორსულობის შეწყვეტის და ა.შ. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის სასმელი წყლის დაბალი ხარისხი და მისი დეზინფექცია ქლორით. წარმოდგენილ სტატიაში განხილულია თბილისის სასმელი წყლის kvlevis შედეგები.

2 ნაშრომი ეყრდნობა ბუნებრივ ტერიტორიული კომპლექსების (ბტკ) სივრცით-დროითი ანალიზისა და სინთეზის კონცეფციას, რაც საშუალებას იძლევა ერთიანი მეთოდოლოგიის გამოყენებით შესწავლილიყო ბუნების კომპონენტები. ლანდშაფტების სტრუქტურაში ცვლილებების დასადგენად გამოყენებული იქნა ლანდშაფტების ყოველდღიური პირობები მეტეოროლოგიური პარამეტრების მიხედვით (ჰაერის ტემპერატურა, ნალექი, თოვლის საფარი და ა.შ.), რაც ძალზე მნიშვნელოვანია ფიზიკურ-გეოგრაფიული პროცესების ტენდენციების პროგნოზირებისათვის ლანდშაფტებში. ეს პროცესი საშუალებას მოგვცემს დავაზუსტოთ შემდეგი საკითხვები: რომელი ბუნებრივი თუ ბუნებრივ-ანთროპოგენური პროცესია უფრო აშკარა? რომელ ლანდშაფტებშია ეს პროცესები უფრო ინტენსიური და რომელი შეიცვლება მნიშვნელოვნად? რამდენადაა აცილებული ბუნებრივ ტერიტორიუული კომპკექსის გასული წლის წლიური დინამიკა გრძელვადიანი დინამიკას? ყველა ეს საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია ლანდშაფტების რესურსული პოტენციალისა და მათი ცვლილებების დასადგენად. ეს საკითხი შესწავლილია ორი ეტაპის მიხედვით: I ეტაპი – ლანდშაფტების სეზონური დინამიკის დადგენა; II ეტაპი – ორი პერიოდის მონაცემების შედარება (წარსული და დღევანდელი). კვლევის მთავარი მიზნის მისაღწევად გაანალიზდა და დამუშავდა დიდი რაოდენობით მეტეოროლოგიური მონაცემები GIS ტექნოლოგიების გამოყენებით. ამრიგად, ამ მონაცემების მიხედვით გამოიკვეთა ლანდშაფტის ცვლილების ხარისხი და მისი სივრცითი განაწილება.

3. გარემოს დაცვის პრობლემური საკითხების გადაწყვეტა დაკავშირებულია ამა თუ იმ ქვეყნის სამეცნიერო, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებთან. ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე სულ უფრო ძლიერდება და უტოლდება ბუნებრივი ფაქტორების მოქმედებას, რის შედეგადაც ირღვევა საზოგადოებასა და ბუნებას შორის არსებულ ძალთა თანაფარდობა. დღითი-დღე გროვდება გარემოს ამა თუ იმ ობიექტში გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები, რომელთა ნაწილი არ იღებს მონაწილეობას ბუნებრივ წრებრუნვაში და გროვდება ბიოსფეროში, რაც არასახარბიელო ეკოლოგიურ შედეგებს იწვევს. ტექნოგენური რელიეფის ფორმირებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სამთომოპოვებითი მრეწველობა. ტექნოგენური ზემოქმედება, სხვა სახის ანთროპოგენური ფაქტორისაგან განსხვავებით იწვევს ტერიტორიის რელიეფის დიდი ფართობებისა და წყლის რესურსების დაბინძურებასა და მათ სრულ ტრანსფორმაციას. ამის ტიპიური მაგალითია ჭიათურის მანგანუმის საბადოს მოპოვების არეალი, სადაც რელიეფი განიცდის ძირეულ ცვლილებას ნიადაგურ-მცენარეული საფარის სრული განადგურებით. მანგანუმის მადნის მოპოვება ძირითადად მიმდინარეობს ღია კარიერული წესით, ხოლო მადნის გამდიდრებით მუდმივად ბინძურდება მდ. ყვირილა. მდინარეში მანგანუმის მადნის შემცველობა 10-12%-ია. მადნის მოპოვების შედეგად, ფუჭი ქანების დაგროვებით განვითარებულია ბორცვები, მოკლე სერები და ზვინულები, რომელთა შეფარდებითი სიმაღლე 10-30 მ-ზე მეტს შეადგენს, თუმცა, არის შემთხვევები, როცა სანაყაროებზე ფუჭი ქანების დაგროვებით წარმოქმნილი ბორცვების და სერების შეფარდებითი სიმაღლე 100 მ აღემატება. მათი ეროზიული პროცესების შედეგად იქმნება დამატებითი საფრთხეები გარემოს დაბინძურებისთვის. წარმოების პროცესში ქიმიური ელემენტების გაბნევა ხშირად არაკონტროლირებადია. შედეგად შესაძლებელია მოხდეს ტექნოგენური აეროზოლების გატყორცნა ატმოსფეროში, ნიადაგების, ღია წყალსატევებისა და მდინარეების დაბინძურება წარმოების ნარჩენებით. საველე და ლაბორატორიული კვლევებით დადგენილია, რომ მანგანუმთან ერთად გარემო ბინძურდება სხვა მძიმე მეტალებით, როგორიცაა სპილენძი, ნიკელი, თუთია და სხვ.

## 7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

### 7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1.

2.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

### 7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Kalandadze B., Trapaidze V., Kalandadze I., Kikava A., Mgeladze M. “Pollution of Soils and Water and the Negative Impact on the Natural Environment as a Result of the Mining and Processing of Manganese Ores”, 23th International Scientific Geo-Conference SGEM 2023, Albena, Bulgaria;

2. N. Tsivtsivadze, G. Bregvadze, V.Trapaidze, L.Lagidze, N.Tsintsadze// The Problem of Safety Drinking Water Supply in Tbilisi, 23th International Scientific Geo-Conference SGEM 2023, Albena, Bulgaria;

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

1. ასოც. პროფ. ვაჟა ტრაპაიძე, ასისტ. პროფ. გიორგი ბრეგვაძე – SLU- Swedish University of Agricultural Sciences ში მიწვეული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი. Erasmus+ საგრანტო პროგრამა.

2023 წლის ივნისში, Erasmus+ პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა საგრანტო პროექტი "ICM grant under the framework of the Erasmus+ International Credit Mobility Programme", რომელიც ქ. უფსალაში, აგრარული მეცნიერებების შვედურ უნივერსიტეტში (Swedish University of Agricultural Sciences – SLU) მიმდინარეობდა. მობილობის პროგრამის ძირითადი მიზანი იყო შვედეთისა და საქართველოს უნივერსიტეტებს შორის კონტაქტების დამყარება, SLU-ს აკადემიური და კვლევითი საქმიანობის დეტალური გაცნობა, ტრენინგებზე დასწრება, ლექცია-სემინარების მოსმენა და ჩატარება, გამოცდილების ურთიერთგაზიარება და სხვ., რაც სწავლების ახლებური მიდგომების გაცნობისა და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების საუკეთესო შესაძლებლობა იყო როგორც პედაგოგიური, ისე კვლევითი კუთხით.

2. ასოც. პროფ. ვაჟა ტრაპაიძე, ასისტ. პროფ. გიორგი ბრეგვაძე – INSA RENE (საფრანგეთი) მიწვეული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი. Erasmus+ საგრანტო პროგრამა.

ჩაუნაცვლებელი 2-ფენილინდოლისა და ბენზალდეჰიდის შემთხვევაში რეაქცია მიმდინარეობს ცალსახად, მიზნობრივი პროდუქტის წარმოქმნით. თუმცა სხვადასხვა კატალიზატორის შემთხვევაში, განსხვავებულია რეაქციის ხანგრძლივობა (24-48 საათი). რეაქციის ხანგრძლივობის შემცირების მიზნით, რეაქცია ჩავატარეთ ულტრაბგერით ჰომოგენიზატორში, ვცადეთ სარეაქციო ნარევის გაცხელებაც ($50^0C$), თუმცა სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ.

2-(4-ნიტროფენილ)-1H-ინდოლის შემთხვევაში, კონდენსაციის პროდუქტის საერთოდ არ წარმოიქმნა. რასაც, სავარაუდოდ, ფენილის ბირთვში პარა-მდგომარეობაში არსებული ნიტრო ჯგუფის აქცეპტორული ბუნება განპირობებს. ეს უკანასკნელი ამცირებს ინდოლის C-3 ატომზე ნაწილობრივ უარყოფით მუხტს და ამით ხელს უშლის ელექტროფილის შეტევას.

ხილის წვენები - იაფი და ადვილად ხელმისაწვდომი გამხსნელები და ბიოკატალიზატორები - წარმატებით გამოიყენება ორგანულ სინთეზში. ჩვენ 2-ფენილინდოლისა და ბენზადლდეჰიდის კონდენსაციის რეაქცია ჩავატარეთ ლიმონის ექსტრაქტში. რეაქციისათვის საჭირო ბიოექსტრაქტი გამოწურული იქნა უშუალოდ რეაქციის დაწყების წინ. რეაქცია ჩავატარეთ ოთახის ტემპერატურაზე, რეაქციის მსვლელობას ვაკვირდებოდით თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის საშუალებით. მიზნობრივი პროდუქტის წარმოქმნა დავაფიქსირეთ კომპონენტების შერევიდან 10 წუთის შემდეგ. თუმცა, 24 საათი შემდეგ საწყისი ინდოლი კვლავ შეინიშნება.

2. ჩვენ მივიღეთ ქინოქსალინის ბირთვის შემცველი ახალი დიარილეთერი (4). სინთეზი მოიცავს რამდენიმე საფეხურს (სქემა 2). პირველ საფეხურზე ჩატარებულია 4-მეთილ-ო-ფენილენდიამინისა და პიროყურძნისმჟავას ეთილის ეთერის ციკლოკონდენსაციის რეაქცია, შუალედური პროდუქტის სახით მიღებულია და დახასიათებულია ქინოქსალინის შესაბამისი ოქსო-(2) და ჰალოგენშემცველი (3) სისტემები, რომლებიც, თავის მხრივ, გამოირჩევიან ცნობილ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებთან სტრუქტურული მსგავსებით.

სინთეზის პირველ საფეხურზე მივიღეთ ქინოქსალინ-2(1H)-ონი (**2**) 4-მეთილ-ო-ფენილენდიამინისა და პიროყურძნიმჟავას ეთილისესტერის დუღებით ნ-ბუტანოლში. შემდეგ ეტაპზე განვახორციელეთ მიღებული ოქსონაერთის დეზოქსიქლორირება. ხოლო ბოლოს ამ უკანასკნელის ურთიერთქმედებით პ-ამინოფენოლთან მივიღეთ შესაბამისი ეთერი (4). მე-2 და 3 ნაერთების სტრუქტურები დავადგინეთ ინფრაწითელი, ულტრაიისფერი და ბირთვულ–მაგნიტური რეზონანსის სპექტრების საშუალებით.

სქემა 2




მე-2 ნაერთის ინფრაწითელი სპექტრის 3037.82 სმ$^{-1}$ უბანზე ფიქსირდება ანილინური N-H ჯგუფის მახასიათებელი შთანთქმის ზოლი, 2920.39 სმ$^{-1}$-ზე შესამჩნევია მეთილის ჯგუფში შემავალი C-H ბმების შესაბამისი შთანთქმა. 1653.97 სმ$^{-1}$ უბანზე აღინიშნება ამიდური C=O ჯგუფისთვის დამახასიათებელი ინტენსიური შთანთქმა. ზემოაღნიშნულს სპექტრზე ასევე შეიმჩნევა არომატული C=C ჯგუფების შთანთქმის ზოლი 1619.14 სმ$^{-1}$ უბანზე. მოცემული ნაერთის სპექტრული მონაცემები ცხადყოფს მაღალი ენერგიების უბანში (3000-3500 სმ$^{-1}$) OH ჯგუფის შესაბამისი პიკის არ არსებობას, რაც ამტკიცებს არასოლვატირებულ ფორმაში ამ ნაერთის კეტონური ტაუტომერის უპირატესობას შესაბამის ენოლურ ანალოგთან შედარებით, ამას მიუთითებს ამიდური C=O ჯგუფის არსებობაც.

მე-3 ნაერთის აღნაგობის დასაბუთებისათვის გამოვიყენეთ ინფრაწითელი, ბირთვულ–მაგნიტური რეზონანსის სპექტრების მონაცემები. ი.წ. სპექტრიში აღარ ფიქსირდება C=O ჯგუფისათვის დამახასიათებელი შთანთქმა. 1047.26 სმ$^{-1}$ უბანში არსებული ზოლი კი მივაკუთვნეთ C-Cl ბმას. $^{1}$H ბმრ სპექტრში ველის ძლიერ უბანში ვლინდება მეთილის ჯგუფებისათვის დამახასიათებელი სინგლეტური სიგნალი 2.44 ვ.მ.ნ., რომელიც მივაკუთვნეთ ქინოქსალინის ბირთვის $CH_3$, ხოლო დუბლეტური სიგნალი 2.04 ვ.მ.ნ -

ბენზილის ბირთვის $CH_3$. სპექტრის არომატულ უბანში არსებული სიგნალები: 7.67 ვ.მ.ნ. მივაკუთვნეთ 5H პროტონს, 7.86 ვ.მ.ნ. მულტიპლეტი 6H პროტონს, ხოლო 7.03 ვ.მ.ნ არსებული დუბლეტი კი - 8H პროტონს.




**2.4. 2019 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გამარჯვებული პროექტი PHDF-19-2454 - „იზომერული, ხუთბირთვიანი, ჰეტეროციკლური პიროლოინდოლოქინოქსალინების სინთე-ზი და კვლევა".**

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.

პროექტის დაწყების და დამთავრების წლები - 26.09.2019 – 25.03.2021 ვადა გაგრძელდა 23.07.2023-მდე მეორე კორუსის დაუსრულებელი სარემონტო სამუშაოების გამო

გრანტის მიმღები, დოქტორანტი - **ლია ბობოხიძე.**

დისერტაციის ხელმძღვანელი პროფესორი იოსებ ჩიკვაიძე,

კონსულტანტი - პროფესორი ული კაცმაიერი

1. **გრანტის წინა ეტაპებზე ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე ვამზადებთ სტატიას, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს მაღალრეიტინგულ ჟურნალში** „Advances in Chemical Engineering and Science”.
2. შესრულებულია პროექტის ბოლო პუნქტი, რომელიც გულისხმობს სტატიის გამოქვეყნებას რეიტინგულ ჟურნალში. დაწერილია სტატია სახელწოდებით „ **Novel Synthetic Investigation in The Field of Indolo-2,3-b]quinoxaline Ring Containing Tetracyclic and Pentacyclic Heterocycles.”** ***lia Bobokhidze, Ann Gogolashvili, Ioseb Chikvaidze.*** გაგზავნილია ჟურნალში “ **New Materials, Compounds and Application”** განსახილველად.

ინდოლოქინოქსალინების ქიმია უდიდეს ინტერესს იწვევს მათი მრავალფეროვანი ბილოგიური აქტიურობის გამო. ინდოლო[2,3-b]ქინოქსალინის ნაწარმებს ახასიათებს სიმსივნის საწინააღმდეგო, ანტიკონვულსიური, ანტიბაქტერიული თვისებები. ინდოლოქინოქსალინი სტრუქტურულად ჰგავს ნეიროლეპტიკურ საშუალებას არილპიპრაზოლს. ამ რიგის ნაერთებს შორის აღსანიშნავია 2,2-დიმეთილ(2-დიმეთილამინოეთილ)-6H-ინდოლო[2,3-b]ქინოქსალინი - ანტიმუტაგენური, ჰერპესის საწინააღმდეგო მოქმედების პრეპარატი-B-220. ინდოლოქინოქსალინური სისტემის თვისებების შესწავლა საინტერესო აღმოჩნდა როგორც სამედიცინო ქიმიის, ისე ელექტრულ-ოპტიკური მოწყობილობების განვითარების თვალსაზრისით.

ამ დარგში კვლევების გაფართოვების მიზნით შესწავლილ იქნა 9-იოდ-ინდოლო[2,3-b]ქინოქსალინის რეაქციისუნარიანობა ულმანის სპილენძ-კატალიზურ რეაქციაში. (სქემა 1) 5-იოდინდოლინ-2,3-დიონის კონდენსაციით ო-ფენილენდიამინთან სინთეზირებულია საკვანძო ნაერთი - 9-იოდ-6H-ინდოლო[2,3-b]ქი-ნოქსალინი. ამ სისტემის ურთიერთქმედებით ბენზილქლორიდთან სუპერ ფუძე არეში მიღებულია 6-ბენზილ-9-იოდ-6H-ინდოლო[2,3-b]ქინოქსალინი. ამ უკანასკნელის რეაქციით ბენზილამინთან კატალიზატორ CuI-ის თანაობისას დიმეთილფორმამიდში მიღებულია მიზნობრივი ჰეტეროციკლური სისტემა - N,6-დიბენზილ-6H-ინდოლო[2,3-b]ქინოქსალინ-9-ამინი. ამ რეაქციის წარმართვას ხელი შეუწყო ლიგანდის არსებობამ, გამოყენებულ იქნა ამინომჟავა L-პროლინი, რომლიც ამავდროულად რეაქციის პრომოტორის რუოლს ასრულებს.

სქემა 1

$$KIO_3 + 2KI + 6HCl \longrightarrow 3KICl_2 + 3H_2O$$




**2.6. ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტების 2021 წლის კონკურსში გამარჯვებული სამეცნიერო გრანტი. ქიმია/ორგანული ქიმია; YS-21-1340. 12.12.2021-12.06. 2024**
**პროექტის სათაური: ამანტადინის საფუძველზე ბიოლოგიურად აქტიური ახალი ნაერთების სინთეზი, კვლევა და ბიოსკრინინგი**

გრანტის მიმღები პირი- **თინათინ ბუკია**
აღნიშნული კვლევის ფარგლებში განხორციელებულია თითოეული საანგარიშო პერიოდისთვის გათვალისწინებული ყველა ამოცანა, კერძოდ, სინთეზირებულია მულტიკომპონენტური რეაქციისთვის საჭირო საწყისი იზონიტრილები, როგორიცაა ეთილიზონიტრილი, 1-იზოციანოადამანტანი და 4-ეთიქსიკარბონილფენილ იზოციანატი.
უგის 4-კომპონენტიანი რეაქცია განხორციელებულია სინთეზირებული იზონიტრილების ბაზაზე, სადაც მორეაგირე კომპონენტებად ამანტადინთან (1-ამინო ადამანტანი) ერთად გამოყენებულია სხვადასხვა ალიფატური/არომატული ალდეჰიდები და ალიფატური/არომატული კარბონმჟავები. სინთეზირებული ნაერთების სტრუქტურები დადგენილია იწ, ბმრ და მასსპექტრული ანალიზებით.
სინთეზირებულ ნაერთებზე ჩატარებულია ბიოსკრინინგი 10 სხვადასხვა გრამ-დადებით და გრამ-უარყოფით ბაქტერიებზე. გამოვლენილია ნაერთები საინტერესო ანტიმიკრობული თვისებებით. ბიოლოგიურ აქტიურობაზე შემდგომი კვლევები გრძელდება გერმანიაში.
აღნიშნული კვლევა ზეპირი/სტენდური მოხსენების სახით წარდგენილი იქნა რამდენიმე საერთაშორისო კონფერენციაზე, როგორც ადგილობრივად, ისე საზღვარგარეთ.
ასევე აღნიშნული კვლევის ფარგლებში მომზადდა 1 სტატია, რომელიც გადაეგზავნა ჟურნალს გამოსაქვეყნებლად (რეცენზენტების რევიზიას გადის), ხოლო კიდევ ერთი სტატია მზადდება და წლის ბოლომდე გადაეგზავნება უცხოურ ჟურნალს გამოსაქვეყნებლად.

**2.7. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსი 2022, ქიმია/ორგანული ქიმია, PHDF-22-5891, 25/10/2022-25/042024.**

**პროექტის სათაური** - მულტიკომპონენტური რეაქციით ბიოლოგიურად აქტიური ადამანტანის შემცველი დიპეპტიდების სინთეზი და ბიოსკრინინგი.
**გრანტის მიმღები პირი - თამარი ტაბატაძე** (ძირითადი პერსონალი), პროექტში მისი როლი არის - ახალი ნივთიერებათა სინთეზის გზების დაგეგმვა, სინთეზი, გასუფთავება, მიღებული ნივთიერებების სპექტრული ანალიზი, შედეგების წარდგენა საერთაშორისო კონფერენციაზე და სტატიის გამოქვეყნება შესაბამის კვლევაზე.
3. **შედეგების ანოტაცია**

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული მულტიკომპონენტური რეაქციის (Ugi-4CR) შესასრულებლად თავდაპირველად მივიღეთ ეთილიზოციანოაცეტატი და დავაგროვეთ. ეთილიზოციანოაცეტატის სინთეზი განვახორციელეთ ორ საფეხურად. I საფეხურზე მივიღეთ N-ფორმილირებული ნაერთი, გლიცინის ეთილის ეთერის ჰიდროქლორიდის ურთიერთქმედებით ეთილფორმიატთან და ტრიეთილამინთან, პ–ტოლუოლსულფომჟავას მონოჰიდრატის თანაობისას 20 სთ მუდმივი მორევისა და გაცხელების პირობებში. შემდეგ სარეაქციო ნარევს ვაცილებდით ჭარბ გამხსნელს და მიღებული N-ფორმილგლიცინის ეთილის ეთერს ვხდით შემცირებული წნევის პირობებში. გამოსავლიანობა შეადგენს 90-92%-ს. II საფეხურზე – N-ფორმილგლიცინის ეთილის ეთერის ხსნარს დიქლორმეთანში ვუმატებდით ფოსფორ(V)-ის ტრიქლოროქსიდს ($POCl_3$ ) და ტრიეთილამინს და ვურევდით $0^0$ C –ზე 1 საათის განმავლობაში. სარეაქციო ნარევს ვუმატებდით ნატრიუმის კარბონატის წყალხსნარს, ვურევდით 30 წუთი ოთახის ტემპერატურაზე, ვანზავებდით წყლით და ვწვლილავდით დიქლორმეთანით. ორგანულ ფაზას ვრეცხავდით NaCl-ის ნაჯერი ხსნარით, ვაშრობდით $K_2CO_3$-ზე. გამხსნელის აორთქლების შემდეგ ვღებულობდით ეთილიზოციანოაცეტატის უფერო ზეთისმაგვარ სითხეს. გამოსავლიანობა 51%.

შემდგომ განვახორციელეთ დიპეპტიდების ეთილ-N-(ადამანტილ-1-კარბონილ)-N-ბენზილვალილ-გლიცინატის (**6**) და ეთილ N-(ადამანტან-1-ილ)-N-(2,2,2-ტრიფლუოროაცეტილ)ფენილალანილგლიცინატის (**13**) სინთეზი ამინების (ბენზილამინი, ამინო-1-ადამანტანი), ალდეჰიდების (იზობუთილის ალდეჰიდი, ბენზალდეჰიდი), მჟავების (1-ადამანტანკარბონმჟავა, ტრიფტორძმარმჟავა) და ეთილიზოციანოაცეტატის ურთიერთქმედებით. სინთეზი ჩავატარეთ 0°–60°C ტემპერატურაზე ეთანოლის არეში. რეაქციას დასრულების შემდეგ დავუმატეთ დიქლორმეთანი, გავრეცხეთ ჯერ $NaHCO_3$ -ის ნაჯერი ხსნარით, შემდეგ 1 მოლური $KHSO_3$– ის წყალხსნარით და ბოლოს NaCl-ის ნაჯერი ხნარით. ორგანული ფაზა დავაყოვნეთ $Na_2SO_4$ -ზე წყლის მოშორების მიზნით, დავაკონცენტრირეთ როტაციულ ამაორთქლებელზე და მიღებული მასა გავასუფთავეთ ქრომატოგრაფიულ სვეტზე. გამოსავლიანობა შეადგენს 40%-ს. თანამდევი პროდუქტის სახით გამოვყავით პასერინის რეაქციის პროდუქტი.

**სქემა 1.**




შემდეგი ეტაპი იყო N-ბენზილ-N-(1-((2-ჰიდრაზინილ-2-ოქსოეთილ)ამინო)-3-მეთილ-1-ოქსობუტან-2-ილ)ადამანტანე-1-კარბოქსამიდის(**7**) ურთიერთქმედების რეაქცია 1-ადამანტანკარბონმჟავას ქლორანჰიდრიდთან, ამისათვის მას დავუმატეთ ტეტრაჰიდროფურანი და ტრიეთილამინი, შემდეგ წვეთ–წვეთობით წინასწარ მომზადებული 1-ადამანტანკარბონმჟავას ქლორანჰიდრიდის ხსნარი. 3 საათიანი მორევის შემდეგ გავაცხელეთ 1 საათის განმავლობაში $40^0$C–ზე. სარეაქციო ნარევი დავშალეთ წყლით. გადავფილტრეთ, გავრეცხეთ წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე, გავაშრეთ, გავრეცხეთ ჰექსანით. მივიღეთ ნაერთი(**8**) 65% გამოსავლიანობით.

სქემა 2.



განვახორციელეთ მიღებული ნაერთების, ეთილ-N-(ადამანტილ-1-კარბონილ)-N-ბენზილვალილ-გლიცინატის და ეთილ N-(ადამანტან-1-ილ)-N-(2,2,2-ტრიფლუორო-აცეტილ)ფენილალანილგლიცინატის ურთიერთქმედება ჰიდრაზინჰიდრატთან, დიეთილენგლიკოლის არეში, $90^0$–$95^0$C-ზე გაცხელებით, 6–7 საათის განმავლობაში. რეაქციის დასრულების შემდეგ სარეაქციო ნარევი გადავიტანეთ ყინულიან წყალში. წარმოქმნილ ნალექი გავფილტრეთ და გავრეცხეთ წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე, გავაშრეთ ვაკუუმზე. ფილტრატი გამოვწლილეთ ეთილაცეტატით, გავაშრეთ გლაუბერის მარილზე და მოვაცილეთ გამხსნელი. მივიღეთ ნაერთები (**7**, **14**) 61% გამოსავლიანობით.

**1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი**

1.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

***დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
**3.2. დასრულებული პროექტი**
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა
1.
2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
*დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
**4. პატენტები**
**4.1. საერთაშორისო პატენტები:**
1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.
2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.
3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
**4.2. ეროვნული პატენტები**
1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.
2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.
3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
**5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში**
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1.
2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
4) გვერდების რაოდენობა
1.
2*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**5.2. სახელმძღვანელოები**
1) ავტორი/ავტორები

1.
2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
4) გვერდების რაოდენობა
1.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**5.3. კრებულები**
1)

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
1) ავტორი/ავტორები
2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI
3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომ
4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
5) გვერდების რაოდენობა
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით**

**6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში**
**6.1. მონოგრაფიები/წიგნები**
1) ავტორი/ავტორები
2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
4) გვერდების რაოდენობა
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
**6.2. სახელმძღვანელოები**
1) ავტორი/ავტორები
2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
4) გვერდების რაოდენობა
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
**6.3. კრებულები**
1) ავტორები
2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
4) გვერდების რაოდენობა
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

## 6.4. სტატიები

1) გამზადებულია სტატია საერთაშორისო ჟურნალ ХГС- ში დასაბეჭდად:

**СИНТЕЗ НОВОГО БИСАНАЛОГА ОСНОВАНИЯ ФИШЕРА И БИССПИРОПИРАНОВЫХ СИСТЕМ НА БАЗЕ БЕНЗО[*e*]ПИРРОЛО[3,2-*g*]ИНДОЛА**. Ш. А. Самсония*, М. В. Трапаидзе, Н. Н. Николеишвили, С. Квиникадзе, Дж. П. Майсурадзе[а], У. Кацмайер[б]

*ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)*




ჩვენს მიერ ადრე სინთეზირებული იყო დიჰიდროინდოლიზინის ტიპის [1] და ბისსპიროპირანის ტიპის [2,3] სპიროციკლური სისტემები 2,3,3,8,9,9-ჰექსამეთილ-3,8-დიჰიდრობენზო[*e*]პიროლო[3,2-*g*]ინდოლის (1) ბაზაზე. წარმოდგენილ ნაშრომში მოცემულია საკვანძო ნაერთის - ფიშერის ფუძის ახალი ბისანალოგის 1,5,6,9-ტეტრაჰიდრო-1,1,9,9-ტეტრამეთილ-2,8-დიმეთილიდენ-4H-დიპიროლო-[1,2,3-e,f:3,2,1-n,o]ნაფთო[2,3–b][1,4]დიაზეპინის(2) სინთეზი და მის საფუძველზე ახალი სპირონაერთების მიღება.

ჩატარებულია ფიშერის ახალი ბიფუნქციონალური ფუძის **2** კონდენსაცია 5-ბრომ-, 5-ნიტრო-, 3-ნიტრო-5-ქლორ- და 3,5-დიბრომსალიცილის ალდეჰიდებთან ეთილის სპირტის არეში ალდეჰიდების სამჯერადი სიჭარბისას (30–45 წთ, 50–70°C). ხსნარების გაცივების შემდეგ სარეაქციო ნარევიდან გამოყოფილია სხვადასხვა ფერის კრისტალური ნაერთები, მიღებულია დიაზეპინის ციკლის შემცველი ახალი ინდოლინური ბისსპიროპირანული სისტემები შესაბამისი ჩამნაცვლებლებით პირანულ ბირთვში. მათი სტრუქტურები დამტკიცებულია სპექტრალური მონაცემების საფუძველზე.

## 7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

### 7.1. საქართველოში

1. G. Pitiurishvili, G. Ugrekhelidze, M.Popiashvili; N.Nikoleishvili, E.Katsadze. SYNTHESIS OF SOME NEW QUINOXALINE DERIVATIVES. International Scientific Conference *"Chemical and technological aspects of biopolymers". 6-8 July*, Batumi Georgia, 2023. https://www.chtab2023.com.ge/

2. M. Popiashvili, E. Katsadze, N. Nikoleishvili, I. Chikvaidze. ECO-FRIENDLY SYNTHESIS OF SOME 3,3 '-(PHENYLMETHYLENE)BIS(2-PHENYL-1H-INDOLES). 6-th International Conference of Young Scientists. Chemistry, Agrochemistry and Biology: Modern Trends and Achievements". Tbilisi, Georgia, 18-21 June. 2023. p.p. 52-53. file:///C:/Users/Elene/Desktop/ICYS-2023_Absract_Book.pdf
3. Giorgi Pitiurishvili, Giorgi Ugrekhelidze, Elene Katsadze. SYNTHESIS OF N-(4-((3,8-DIMETHYLQUINOXALIN-2-Yl)OXY)PHEINYL)-1-PHENYLMETHANIMINES. 4th International Symposium. Tbilisi, Georgia, June 2nd. 2023. p.34. file:///C:/Users/Elene/Desktop/Abstract-Brochure.pdf.
4. M.V.Trapaidze, N.N. Nikoleishvili. Synthesis and photochromic properties of new bispiropyrans of the benzopyrroloindolin series. International scientific conference "Chemistry – achievements And perspectives" dedicatedtothe 90th anniversary of the birthofac ademician Givi Tsintsadze. April 20, 2023. Tbilisi, http://gtu.ge/ismc/g.tsintsadze@gtu.ge. DOI:https://doi.org/10.36073/1512-0996.
5. M.V. Trapaidze, N.N. Nikoleishvili, S. Kvinikadze Synthesis of a new bis-analog a ''Fischer's bases'' and bis-spiropyran system derived from benzo[e]pyrrolo[3,2-g]indole. International Scientific Conference *"Chemical and technological aspects of biopolymers". 6-8 July*, Batumi Georgia, 2023. https://www.chtab2023.com.ge/
6. L.Bobokhidze, A.Chabrava, N.Narimanidze, I.Chikvaidze. "SYNTHESIS OF SOME NOVEL 9-SUBSTITUTED INDOLO[2,3-b]QUNOXALINES BY Pd-CATALYZED SONOGASHIRA CROSS-COUPLING REACTION". "2th International Scientific Conference on Chemical & Technological Aspects of Polimers. Batumi, Georgia, 6-8 Juli, 2023, p. 90
7. D.Miminoshvili, A.Chankvetadze, V.badalashvili, **I.Chikvaidze.** "SYNTHESIS OF SOME NEW DERIVATIVES BASED ON 2-BROMO-4-METHYL ANILINE". "2th International Scientific Conference on Chemical & Technological Aspects of Polimers. Batumi, Georgia, 6-8 Juli, 2023, p. 32

**7.2.უცხოეთში**

1) **XIV International Scientific and Practical Conference**

მომხსენებელი/მომხსენებლები; **Katsadze E.A., Turiashvili M.N, Nikoleishvili N.N.**

მოხსენების სათაური: ECO-FRIENDLY SYNTHESIS OF 3,3'-(PHENYLMETHYLENE)-BIS-(2-PHENYL-1H-INDOLE).

ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: **Stockholm, Sweden 16-18 October, 2022. p.p. 77-80**

**https://sci-conf.com.ua/wp-content/uploads/2022/10/MODERN-SCIENCE-INNOVATIONS-AND-PROSPECTS-16-18.10.22.pdf**

**ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც:**

**დაცულია სამაგისტრო ნაშრომი**

**ანა ჩაბრავა "9-იოდო-6H-ინდოლო[2,3-b]ქინოქსალინის სინთეზი და მისი გარდაქმნები"**

ხელმძღვანელი: ქ.მ.დ./, პროფესორი, **ი. ჩიკვაიძე**

**დაცულია საბაკალავრო ნაშრომები:**

1. **თორნიკე კოტუა** „9-იოდ-6H-ინდოლო[2,3-b]ქინოქსალინის არილამინო ნაწარმების სინთეზი ულმანის რეაქციით"

"ხელმძღავნელები: **იოსებ ჩიკვაიძე, ლია ბობოხიძე.**

**2. მარიამ აღნიაშვილი** „ადამანტანის ბირთვის შემცველი ზოგიერთი ახალი ნაწარმის სინთეზი მულტიკომპონენტური პასერინის რეაქციით"

ხელმძღავნელები: **იოსებ ჩიკვაიძე, ქიმიის დოქტორი თ. ბუკია**

ანგარიშის ფორმა №2

(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

## 2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** -ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება** -მაკრომოლეკულების ქიმიის კათედრა

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

## 2.1. ეკოლოგიურად უსაფრთხო კომპოზიციური მასალები ტრიმეთოქსისილილირებული პოლისტიროლის ბაზაზე

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **15.02.2022-15.02.2025**
2. FR-21-4630

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **თამარ თატრიშვილი-** პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი;
2. ელიზა მარქარაშვილი- პროექტის კოორდინატორი;
3. ნიკოლოს კვინიკაძე ახალგაზრდა შემსრულებელი;
4. ნანა ფირცხელიანი-ძირითადი შემსრულებელი;
5. იზაბელა ესართია-ძირითადი შემსრულებელი;
6. ანა ზედგინიძე-დამხმარე პერსონალი;
7. ლევან ლონდარიძე-დამხმარე პერსონალი.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. -პროექტის მიზანია მელამინო-, შარდოვანა- და ფენოლ-ფორმალდეჰიდური ფისებისაგან თავისუფალი ახალი ხის პოლიმერულ კომპოზიციური მასალების მიღება განახლებადი მცენარეული ნედლეულის ბაზაზე, გაზრდილი ფიზიკურ და მექანიკური თვისებებით, მაღალი ეკოლოგიურობით, მიღების მარტივი ტექნოლოგიით, მიკროორგანიზმებისადმი მდგრადობით, რომელიც შესაბამისობაში იქნება ყველა იმ თანამედროვე მოთხოვნებს რომელიც წაეყენება ანალოგიურ მასალებს.

-პროექტის სიახლეა ის, რომ შემოთავაზებულია ხის კომპოზიტებში მელამინო-, შარდოვანა- და ფენოლ-ფორმალდეჰიდური ფისების შეცვლის ახალი მიდგომა ეკოლოგიური უსაფრთხო ორგანული შემაკავშირებლის გამოყენებით, როგორცაა ტრიმეთოქსისილილირებული პოლისტიროლი და ხის თერმოპლასტიკური პოლიმერ კომპოზიტების და ხის ბურბუშელოვანი ფილების მიღება და წარმოება.

- შესწავლილ იქნება ვინილტრიმეთოქსისილანის დილს-ალდერის რეაქციები სტიროლთან და პოლისტიროლთან და მიღებულ იქნება შესაბამისი სილილირების პროდუქტები. რომელთა აღნაგობა დადგენილი იქნება ფურიე გარდაქნის ინფრაწითელი და ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსული სპექტრებით. სილილირების რეაქციების მიმართულების დადგენის ექსპერიმენტულ მეთოდებთან ერთად ჩატარებულ იქნება ქვანტურ-ქიმიური გათვლები არაემპირიული სიმკვრივის ფუნქციონალის თეორიის (DFT) გამოყენებით. მიღებული სილილირების სხვადასხვა ხარისხის პოლისტიროლისათვის ჩატარებულ იქნება თერმოგრავიმეტრიული, დიფერენციალურ სკანირებადი კალორიმეტრული გამოკვლევები.

-პროექტით გათვალისწინებულია მცენარეული ნედლეულის (ხის ნახერხი, ხის ფქვილი და ბამბუკის ნახერხი) სადაც პირველად იქნება გამოყენებული როგორც შემკვრელი და მაარმირებელი აგენტი ტრიმეთოქსისილილირებული პოლისტიროლი(სილილირების სხვადასხვა ხარისხით: 5 - 35%), ასევე ორგანო/არაორგანული დანამატების, ანტიპირენები, ანტიოქსიდანტები და სხვათა საფუძველზე ახალი კომპოზიციური მასალების მიღება. კომპოზიციური მასალები მიღებული იქნება, როგორც ცხლად დაპრესვის მეთოდით ასევე ექსტრუდერზე. გამოყენებული შემაკავშირებელის და მაარმირებელი აგენტის გამოყენების მიხედვით.

-პროექტი განხორციელდება შემდეგი სამეცნიერო მიმართულებებით: ფუნდამენტური გამოკვლევები,გამოყენებითი კვლევები, მიღების ტექნოლოგიის შემუშავება, მისი დემონსტრირება და წარმოებაში დანერგვა. მიღებული შედეგები საშუალებას მოგვცემს წარმოებული ხის ბურბუშელოვანი

ფილები, ხის პოლიმერული კომპოზიტები შევიტანოთ სახლში, როგორც სამშენებლო მასალა ჭერის, კედლების და იატაკის დასამზადებლად, ასევე გამოვიყენოთ ავეჯის წარმოებაში.
- კომპოზიტებისათვის განისაზღვრება: წყალშთანთქმა, ფიზიკურ-მექანიკური თვისებები (სიმტკიცე გაღუნვაზე, სიმტკიცე გაჭიმვაზე, კუმშვაზე, დარტყმითი სიბლანტეზე); თერმული თვისებები (ვიკა-ტი, თერმოგრავიმეტრული ანალიზი, დიფერენციალურ სკანირებადი კალორიმეტრია); ჩატარდებაინფრაწითელი სპექტროსკოპიული (FTIR), ოპტიკურ მიკროსკოპიული, ელექტრონულ მიკროსკოპიული (SEM), ენერგო დისპერსული X-სხივურირენტგენოგრაფიული მიკროანალიზური გამოკვლევადა დადგენილ იქნება კომპოზიტების მიღების ოპტიმალური პირობები.
- მცენარეული ნედლეულის ბაზაზე პირველად იქნება გამოყენებული ტრიმეთოქსისილილირებული პოლისტიროლი, სილილირების სხვადასხვა ხარისხით, როგორც შემაკავშირებელი ასევე მაარმირებელი აგენტის როლში. რაც საშუალებას მოგვცემს ვარეგულიროთ გაკერილი ბადის სიხშირე, ანუ ქიმიური ბმების წარმოქმნის რაოდენობა მატრიცაში. ალკოქსილის ჯგუფები განაპირობებს მცენარეულ ნედლეულში შემავალი ცელულოზის, ჰემიცელულოზის და ლიგნინის ჰიდროქსილის ჯგუფებთან არა მარტო წყალბადური ბმების წარმოქმნას, არამედ ეთერიფიკაციის რეაქციებში მონაწილ ეობას და მდგრადი ქიმიური ბმების წარმოქმნას. რომელთა არსებობა დამტკიცებული იქნება სპექტრული გამოკვლევებით. გარდა ამისა მოსალოდნელია კომპოზიტის სიმტკიცის, ჰიდროფობურობის და თერმომედეგობის გაზრდას.
- თერმოდინამიკური პარამეტრების შერჩევით შესაძლებელია მიღებული კომპოზიტების თვისებების ოპტიმიზაცია. წინასწარ ჩატარებული ექსპერიმენტების მონაცემებით ჩვენს მიერ მიღებული კომპოზიტების ფიზიკო-მექანიკური თვისებები არ ჩამოუვარდება არსებულ ანალოგებს, ხოლო ცალკეული მასალები ზევრად აჭარბებენ დღესდღეობით წარმოებულ ანალოგებს.
-პროექტის შესრულების შემდეგ, პროექტის ფარგლებში სათანადო რეცეპტურისა და ტექნოლოგიების შემუ-შავებით მიღებული მასალები გამოყენებული იქნება შედარებით იაფფასიანი სამშენებლო მასალის სახით, რომლის ბაზაზე შესაძლებელი იქნება სამრეწველო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაკეთობების დამზადება.
ექსპერიმენტის შედეგები გამოქვეყნდება როგორც ქართულ, ისე უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში და წარმოდგენილი იქნება საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე. მიღებული შედეგები საშუალებას მოგვცემს გამოვიყენოთ პროდუქციის წარმოების შედეგები (სხვა ორგანიზაციებთან ერთად). პოტენციური მომხმარებლების მიება ვებსაიტებზე, გამოფენებისა და თემატური კონფერენციების ექსპერტებთან შეხვედრების დროს შემოთავაზებული პროექტი წარმოადგენს სამუშაო ჯგუფის ინტერდისციპლინარულ კვლევას, რომელთა გადაწყვეტაც მოითხოვს რამოდენიმე დისციპლინის ცოდნას: ორგანული ქიმიის, მაკრომოლეკულების ქიმიის, ფიზიკური და ანალიზური ქიმიის, პოლიმერული მასალების ფუნდამენტურ და სპეციალიზირებულ ცოდნას.

### 2.2. PHDF-2023 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსი 2023

**„ნანოკომპოზიტები ბუნებრივი შემავსებლის და ეკოლოგიურად სუფთა შემაკავშირებლების საფუძველზე“.**

პროექტის დაწყების და დამთავრების წლები: 2023-2025

1. თამარ თთრიშვილი -დისერტაციის ხელმძღვანელი
2. ნიკოლოზ კვინიკაძე-დოქტორანტი

პროექტის მიზანია განახლებადი ბუნებრივი ნედლეულის საფუძველზე (ხის ფქვილი, ბამბუკის ნახერხი, წიწვებისა და გირჩების) რომელიც ადვილად მოსაპოვებელი და იაფასიანია, გაუმჯობესებული თვისებების მქონე ეკოლოგიურად სუფთა ნანოკომპოზიციური მასალების მიღება. კომპოზიციებში შემკვრელად და მაარმირებელ აგენტად პირელად იქნება გამოყენებული სხვადასხვა შედგენილობის

ეთილსილიკატი (32, 40), სილილირების სხვადასხვა ხარისხით (3-20%), აგრეთვე სხვადასხვა ორგანო/არაორგანული დანამატები. ანტიპირენები, ანტიდამჟანგველები, სხვადასხვა წნევასა და ტემპერატურაზე. კომპოზიციების შედგენლობაში ასევე გამოყენებული იქნება მცირე რაოდენობის სხვადასხვა ნანონაერთები (გრაფენი, ნანოსილიკატი), რომლებიც მოახდენენ მცირე ზომის ფორების შევსებას.

შედეგად მიღებულ იქნება ახალი ნანოკომპოზიციური მასალები გაუმჯობესებული ფიზიკურ-მექანიკური და თერმული მახასიათებლებით. ნანონაწილაკების დამატებამ ასევე უნდა გაზარდოს კომპოზიციების წყალშთანთქმა, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. შერჩეულია მასალების მიღების მარტივი ტექნოლოგია (ცხლად დაწნეხვის ან ექსტრუზიის მეთოდი). მისაღები კომპოზიციური მასალები დააკმაყოფილებს ყველა იმ თანამედროვე მოთხოვნას, რომელიც საჭიროა ანალოგიურ მასალებისათვის.

პროექტი განხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: ფუნდამენტური კვლევა, გამოყენე-ბითი კვლევები, ტექნოლოგიების შემუშავება, დემონსტრირება და გამოყენება. მიღებული შედეგები საშუალებას მოგვცემს მივიღოთ შიგა და გარე გამოყენების სამშენებლო მასალები.

ეთილსილიკატი შერჩეულ იქნა სპეციალურად, ვინაიდან მისი კომპოზიციურ მასალებში გამოყენება გაზრდის მასალის სიმტკიცეს, მასალის ერთდროული არმირებით. გარდა ამისა ეთოქსილის ჯგუფები ასრულებენ რა შემაკავშირებელი აგენტის როლს, ის უკავშირდება შემავსებელის ფუნქციურ ჯგუფებს, ანტიპირენს და სხვადასხვა ორგანო/არაორგანულ დანამატებს, რომელიც წარმოქმნის უწყვეტ ფაზას კომპოზიციურ მატრიცაში, რომელიც წარმოიქმნება ფუნქციური ჯგუფების ქიმიური რეაქციებით შემავსებელთან, ანტიპირენთან და სხვა დანამატებთან.

ეთილსილიკატში ეთოქსიჯგუფების რაოდენობრივი ცვლილება საშუალებას მოგვცემს ვარეგულიროთ გაკერვის სიხშირე ფართო ზღვარში და შესაბამისად ვცვალოთ კომპოზიციური მასალის თვისებები.

კომპოზიციური მასალებისათვის ჩატარებული იქნება შემდეგი გამოკვლევები: ტესტი წყლისშთანთქმაზე, სიმტკიცე გაღუნვაზე, დარტყმითი სიბლანტე, თერმული თვისებები ვიკატის მეთოდით, თერმოგრავიმეტრიული, დიფერენციალურ სკანირებადი კალორიმეტრული გამოკვლევები, ასევე ფურიე გარდაქნის ინფრაწითელი გამოკვლევები. კომპოზიციური მასალის ზედაპირული მორფოლოგიის და შედგენილობის შესასწავლად ჩატარდება ელექტრონ მიკროსკოპიული, ენერგოდისპერსიული რენტგენული X-სხივური ანალიზი და ოპტიკურ მიკროსკოპიული გამოკვლევები.

ბუნებრივი მცენარეული ნედლეულის ხელმისაწვდომობა, არატოქსიკურობა, ეკოლოგიურად უსაფრთხო შემკვრელი და მაარმირებელი აგენტი, წარმოების სამრეწველო მეთოდის სიმარტივე, საწინდარია ამ მასალების მრეწველობაში ფართო გამოყენებისა, რომელიც იმუშავებს ექსტრემალურ პირობებში.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

**2.2.**

**1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

**2.2. დასრულებული პროექტი**

**1)შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული გრანტი FR-19-795**

საიდანაც შეგვიძლია ხაზი გავუსვათ მაღალი ტემპერატურის დადებით გავლენას, კომპო

„ახალი ეკოლოგიურად სუფთა კომპოზიტები მცენარეული ნედლეულისა და ტრიეთოქსისილილირებული პოლისტიროლის ბაზაზე".

პროექტის დაწყების და დამთავრების წლები 28.02.2020 -28-02-2023

პროექტში ჩართული პერსონალი

1. ელიზა მარქარაშვილი- პროექტის ხელმძღვანელი
2. თამარ თათრიშვილი - პროექტის კოორდინატორი
3. ელიზა მარქარაშვილი- ძირითადი შემრულებელი
4. ლევან ლონდარიძე - ახალგაზრდა მეცნიერი
5. ლიზა კაკალაშვილი - დამხმარე პერსონალი
6. **ნუგზარ მოგელაძე - დამხმარე პერსონალი**

**ანოტაცია:** მიღებულია კომპოზიციური მასალები ტრიეთოქსი(ვინილფენეთილ)სილანის, სტიროლისა და მცენარეული ნედლეულის, კერძოდ ხის ნახერხის, თივის, ფოთლის ან ფიჭვის წიწვების ბაზაზე .მიღებულ სილილირებულ სტიროლსა და სტიროლს ვუმატებდით დიკუმილის პეროქსიდს, რომელიც ცხლად დაწნეხვისას გამოიწვევდა სტიროლის ვინილური ჯგუფის პოლიმერიზაციის ინიცირებას in-situ მდგომარეობაში. ნიმუშების მიღებას ვახდენდით, როგორც ცხლად დაწნეხვის მეთოდით, ასევე ექსტრუზიით, სადაც ტრიეთოქსი(ვინილფენეთილ)სილანი და სტიროლი აიღებოდა კომპოზიტის საერთო მასის 3-3, 3-6, 3-9, 5-5, 5-10% 5-15%. ნიმუშებს ვამზადებდით 150-190$^0$C-ზე, 10-გრადუსიანი ინტერვალებით. ექსტრუდირებით კომპოზიტების მშრალად შერევისას ტრიეთოქსი(ვინილფენეთილ)სილანს და სტიროლს ვურევდით დიკუმილის პეროქსიდს და შემდგომ ვუმატებდით მცენარეულ მასალას და შემდგომ ვურევდით ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. კომპოზიციურ ნარევს ვათავსებდით სპეციალურ პრესფორმებში და ვწნეხავდით 5, 10 და 15 მპა წნევის ქვეშ, 150$^0$ - 190$^0$ C ტემპერატურამდე. ტემპერატურის თანმიმდევრული 10$^0$ C-იანი მატებით.დისპერსიული X-სხივური მიკროანალიზური, კომპოზიციური მასალებისათვის ჩატარებულია იწ, ოპტიკურ მიკროსკოპიული, სკანირებადი ელექტრონულ მიკროსკოპიული, ენერგო დისპერსიული X-სხივური თერმოგრავიმეტრული გამოკვლევები. ოპტიკურ მიკროსკოპიული კვლევები ჩატარებულია 60x გადიდების პირობებში. სხვადასხვა უბანში მიკროგრაფებზე შეიმჩნევა ამორფული კლასტერები სხვადასხვა ზომებით, ასევე შემკვრელი ნივთიერების კონცენტრაციული არაერთგვაროვნება. ასევე მარტივად დაკვირვებადია ბზარები და გამყოფი ხაზები, რომელთაგან უმცირესი 54.3 მკმ ზომისაა, ხოლო უდიდესი 231,4 მკმ-ის, ასევე ჩანს წიწვების ასიმეტრიული განლაგებები. მიკროგრაფიულ სურათებზე შეიმჩნევა სხვადასხვა ზომის ჩანართები საშუალოდ 300-400 მკმ ზომის. სკანირებადი ელექტრონული მიკროსკოპიული გამოკვლევებიდან ჩანს ზედაპირის არაერთგვაროვანი მორფოლოგია. სადაც მკვეთრი მუქი შეფერილობები აღნიშნავს უბანზე არსებულ ფორებს. კომპოზიტის გამოსახულება ფერადი ლაქების სახითაა წარმოდგენილი, მწვანე ლაქები აღნიშნავს ალუმინის არსებობას კომპოზიტში, ლურჯი შეფერილობის ლაქები სილიციუმის შემცველობას, ყვითელი ლაქები ჟანგბადის, ხოლო წითელი შეფერილობის ლაქები ნახშირბად ელემენტის მდებარეობას.

ენერგოდისპერსიულ X-სხივური მიკროანალიზის სპექტრები აღწერს კომპოზიტების ზედაპირების ელემენტურ ენერგოდისპერსიულ შედგენილობებს. ენერგოდისპერსიულ X-სხივური მიკროანალიზის სპექტრებიდან და ასევე ცხრილიდან ჩანს, რომ კომპოზიტში შემავალ ძირითადი ელემენტებს წარმოადგენს C, O, Si, Ca, და Al, სადაც ყველაზე მეტი პროცენტული რაოდენობითაა წარმოდგენილი ნახშირბადი და ჟანგბადი.თერმოგრავიმეტრული გამოკვლევები ჩატარებულია ატმოსფერული ჰაერის არეში და დადგენილია, რომ დესტრუქციის ძირითადი პროცესი ფიჭვის წიწვის ძირითადი დესტრუქცია იწყება დაახლოებით 239$^0$C-დან, და უკვე 500$^0$C-ზე თავდაპირველი მასის მხოლოდ 11,25% არის დარჩენილი.ნიმუშებს ჩაუტარდათ ტესტირება: სიმტკიცე გაღუნვაზე, გამოცდა დარტყმითი ძალაზე და წყალშთანთქმა. გაზომვები ჩატარდა სათანადო სტანდარტების მიხედვით საიდანაც შეგვიძლია ხაზი გავუსვათ მაღალი ტემპერატურის დადებით გავლენას, კომპოზიტის წყალშთანთქმის თვისებების გაუმჯობესებაზე. როგორც

ჩანს სწორედ ამ ტემპერატურაზე მიმდინარეობს ეთერიფიკაციის რეაქციები, სხვადასხვა ტიპის ბმების წარმოქმნა, რაც თავისთავად რამდენიმე რიგით ამცირებს კომპოზიტის წყალშთანთქმის კოეფიციენტს. მინიმალური წყალშთანთქმა შეიმჩნევა 16,38-17,46%. ფიჭვის წიწვის ბაზაზე მიღებულ კომპოზიტებს შემკვრელ ნივთიერებებთან სილილირებულ სტიროლთან და სტიროლთან ერთად ვამატებით ანტიპირენს, კერძოდ ალუმინის ჰიდროქსიდს $Al(OH)_3$, რომელიც აიღებოდა კომპოზიტის მთლიანი მასის 10% ოდენობით. ამ შემთხვევაში შეიმჩნევა წყალშთანთქმის შემცირება დაპრესვის ტემპერატურის გაზრდასთან ერთად, რაც ალბათ აიხსნება მოლეკულათშორისი ეთერიფიკაციის რეაქციების გაზრდით შემკვრელს, ანტიპირენსა და შემავსებლის ჰიდროქსილის ჯგუფებს შორის.

სიმტკიცე გაღუნვაზე ჩატარებულია ფიჭვის წიწვის ბაზაზე მიღებული კომპოზიციური მასალებისათვის, ცნობილი სტანდარტით. დადგენილია: მაღალ ტემპერატურებზე ტრიეთოქსისილილირებულ სტიროლის და სტიროლის მოლეკულების და ხის ნახერხის, თივის , ფოთლია ან ფიჭვის წიწვებში შემავალი ცელულოზის, ჰემიცელულოზის, ლიგნინის და ა.შ აქტიურ ჯგუფებს შორის ადგილი აქვს ეთერიფიკაციის რეაქციებს, დონორ-აქცეპტორულ ურთიერთქმედებებს, რომელსაც მივყევართ ქიმიური ბმების წარმოქმნასთან და შესაბამისად მექანიკური მახასიათებლების გაუმჯობესებასთან. რაც შეეხება დარტყმით ძალის მნიშვნელობებს, აქ შეიძლება დავასკვნათ, რომ სტიროლის და ტრიეთოქსისილილირებული სტიროლის კონცენტრაციის გაზრდითა და ტემპერატურის გაზრდით 150-190$^{o}$C გრადუსამდე დარტყმითი ძალის რიცხვითი მნიშვნელობა (მისი რიცხვითი მნიშვნელობა, რაც თავისთავად უარყოფითია სიმტკიცის შეფასებისას) იზრდება. სხვა კომპოზიციების შემთხვევაშიც ეფექტი ანალოგიური იყო. პოლიმერული კომპოზიტების თერმული თვისებები შესწავლილია ვიკატის მეთოდით, სადაც ნაჩვენებია გარბილება, ოთახის ტემპერატურიდან 20-160$^{0}$C -მდე. ამ მეთოდით გარბილების ტემპერატურა დამოკიდებულია ინდენტორის პოზიციაზე, რომ კომპოზიტზე ისეთ ადგილას შეეხოს, სადაც შემკვრელი ნივთიერების კონცენტრაციის ზონაა. კვლევებიდან ჩანს, რომ ტემპერატურის მატებისას მრუდების მონოტონურ ზრდას აქვს ადგილი.

შესწავლილია ტრიეთოქსისილილირებული სტიროლის, სტიროლისა და მცენარეული ნედლეულის, კერძოდ ხის ნახერხის, თივის, ფოთლის და ფიჭვის წიწვების ბაზაზე მიღებული კომპოზიციური მასალების ზეგავლენა თეთრი თაგვების ღვიძლისა და ტვინის ქსოვილის მზარდ ჰისტოარქიტექტონიკაზე. დადგენილია კომპოზიციური მასალების მიღების ოპტიმალური პირობები. ყველაზე უკეთესი წყალშთანთქმის მაჩვენებელი, მექანიკური, თერმული თვისებები გააჩნია კომპოზიტებს, რომლებიც მიღებულია ტემპერატურის ზედა ზღვარში და 15 მპა წნევაზე, ტრიეთოქსისილილირებული სტიროლის და სტიროლის 3-3, 3-6%, და 1% დიკუმოლის ზეჟანგთან თანაობისას in-situ პოლიმერიზაციით.

**2) რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი MG-ISE-2023 მობილობა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები (II ლოტი) 2023.**

„კავკასიის მერვე საერთაშორისო სიმპოზიუმი პოლიმერებსა და მოწინავე მასალებში“

1. თამარ თათრიშვილი - პროექტის ხელმძღვანელი;
2. თამარ მახარაძე-პროექტის კოორდინატორი;
3. ნანა ფირცხელიანი-საორგანიზაციო კომიტეტის წევრი
4. ნიკოლოზ კვინიკაძე-საორგანიზაციო კომიტეტის წევრი
5. ბექხან უმარაშვილი-საორგანიზაციო კომიტეტის წევრი

2023 წლის 1-3 აგვისტოს ქ. თბილისში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა „კავკასიის მერვე საერთაშორისო სიმპოზიუმი პოლიმერებსა და მოწინავე მასალებში“, რომელიც მიეძღვნა მისი დამაარსებლისა და კომიტეტის თავმჯდომარის პროფესორ ომარ მუკბანიანის ხსოვნას და მისი დაბადებიდან 75 წლისთავს.

- სიმპოზიუმი იყო რიგით მერვე. სიმპოზიუმი სარგებლობს მეცნიერთა ფართო წრის ძალიან დიდი ინტერესით და ამჟამადაც მონაწილეთა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო.

-სიმპოზიუმი დაფინანსდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით (MG-ISE-23-172); მიღებულმა დაფინანსებამ დიდი როლი შეასრულა სიმპოზიუმის მაღალ დონეზე ჩატარებაში, რაც აღნიშნულ იქნა ქართველი და უცხოელი სტუმრების მიერ.

-სიმპოზიუმის მიმდინარეობის მასალები ხელმისაწვდომია ყველასათვის; პროგრამა და თეზისების კრებული, ოფიციალური და გასართობი პროგრამის ამსახველი გალერეა განთავსებულია სიმპოზიუმის ვებ გვერდზე https://icsp8.tsu.ge/ge/home.

- თეზისების გაფართოვებული მასალები ყოველი სიმპოზიუმის შემდეგ რეგულარულად იბეჭდება და ახლაც დაგეგმილია გამოცემა წიგნის სახით გამომცემლობის ***„Apple Academic Press, Tailor and Francis Group*** “-ის მიერ.

-სიმოპოზიუმის მიზანი იყო თავი მოეყარა, წარმოედგინა და ხელმისაწვდომი გაეხადა ყველა ის სამეცნიერო მიღწევები, რომელსაც ახორციელებს მსოფლიო სამეცნიერო სკოლები. აღნიშნულ სიმპოზიუმში გარდა ამიერკავკასიის ქვეყნებისა, მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა ყაზახეთის, ბელორუსიის, უკრაინის, ირანის, გერმანიის, საფრანგეთის, პოლონეთის, პორტუგალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბრაზილიის, ესპანეთის ქვეყნებიდან.

-მრავალფეროვანი იყო სიმპოზიუმის თემატიკა.

-სიმპოზიუმის დასრულების შემდეგ გამოიკვეთა საინტერესო პერსპექტივები და დაიგეგმა ახალი თანამშრომლობა.

-კერძოდ, იგეგმება მაგისტრანტურის და დოქტორანტურის სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა კაუნასის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან და მეცნიერთა ვიზიტები გდანსკის ტექნოლოგიურ უნივერსიტეში (Erasmus+) პროექტის ფარგლებში.

-დაგეგმილია ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო გრანტის წარდგენა (MNTC) ბექტუროვის სახელობის ქიმიური მეცნიერებების ინსტიტუტთან (პროფ. ტალკიბეკ ჯუმადილოვი).

-ასევე დაგეგმილია ერთობლივი მონოგრაფიის გამოქვეყნება პროფ. ტალკიბეკ ჯუმადილოვთან ერთად, გამომცემლობაში ***„Apple Academic Press, Tailor and Francis Group*** “.

-დაგეგმილია თანამშრომლობა აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის კატალიზის და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტთან, კერძოდ ჩვენი სიმპოზიუმის მუდმივ მონაწილესთან, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტთან პროფ. ელდარ ზეინალოვთან.

-ასევე მიღებულია გადაწყვეტილება ჩატარდეს მორიგი, ***-„კავკასიის მეცხრე საერთაშორისო სიმპოზიუმი პოლიმერებსა და მოწინავე მასალებში“.*** სავარაუდო ადგილია აზერბაიჯანი.

-სიმპოზიუმის დასრულების შემდეგ ერთობლივი თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა პროფესორმა საბუ ტომასმა (მაჰატმა განდის უნივერსიტეტი, კოტაიამი, კერალა, ინდოეთი). მას სურვილი აქვს მისი ჯგუფიდან თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტში, კერძოდ ჩემს სამეცნიერო ჯგუფში იმუშაონ მაგისტრანტებმა და დოქტორანტებმა და შესრულდეს ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები, ანუ დაგეგმილია ერთობლივი სამეცნიერო ჯგუფის შექმნა.

***დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები
3.1. გარდამავალი  პროექტი
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

3.2.  დასრულებული  პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.

5.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2. *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.
2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Editors: **A**nn Rose Abraham, PhD**,** Leonardo Sepúlveda Torre, PhD Tamara Tatrishvili, PhD A. K. Haghi, PhD**.** Application of Engineering Principles and Practices In Biotechnology. Copyright © 2022 Apple Academic Press Inc. All Rights Reserved. **Hard ISBN:** 9781774915608
https://www.appleacademicpress.com/application-of-engineering-principles-and-practices-in-biotechnology-/9781774915608
2. Editors: Hossein Hariri Asli,Tamara Tatrishvili, PhD**,** Ann Rose Abraham, PhD,A. K. Haghi, PhD**.**
Sustainable Water Treatment and Ecosystem Protection Strategies
https://www.appleacademicpress.com/sustainable-water-treatment-and-ecosystem-protection-strategies-/9781774915189.
3. Editors: Omar Mukbaniani, Tamara Tatrishvili, Marc Jean M. Abadie. Advanced Polymer Structures: Chemistry for Engineering Applications. https://www.appleacademicpress.com/advanced-polymer-structures-chemistry-for-engineering-applications-/9781774913017 **Hard ISBN:** 9781774913017. Copyright © 2023
4. Editors: Omar Mukbaniani, DSc, Tamara Tatrishvili, PhD**,** Neha Kanwar Rawat, PhD,A. K. Haghi, PhD**.** Biocomposites Environmental and Biomedical Applications. https://www.appleacademicpress.com/biocomposites-environmental-and-biomedical-applications/9781774913697. **Hard ISBN:** 9781774913697 Copyright © 2023

5. **Editors: Tamara Tatrishvili,** Neha Kanwar Rawat, Ann Rose Abraham, A. K. Haghi, PhD. **Tailored Functional Materials for Clean and Sustainable Development. Hard ISBN:** 9781774913659
https://www.appleacademicpress.com/tailored-functional-materials-for-clean-and-sustainable-development-/9781774913659. Copyright © 2023

**6. Editors: Omar Mukbaniani, DSc,Tamara Tatrishvili, PhD Neha Kanwar Rawat, PhD,A. K. Haghi, PhD. Biocomposites**

Environmental and Biomedical Applications. https://www.appleacademicpress.com/biocomposites-environmental-and-biomedical-applications/9781774913697 . **Hard ISBN:** 9781774913697 Copyright © 2023.

**7. Advanced Topics in Polymer Chemistry and Materials Science**

Current Strategies and Future Prospects of Nanomedicine

**Editors: Tamara Tatrishvili, PhD**

**Marc Jean Médard Abadie, PhD**

Apple Academic Press; https://www.appleacademicpress.com/advanced-topics-in-polymer-chemistry-and-materials-science-current-strategies-and-future-prospects-of-nanomedicine/9781774919385

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

**6.3. სტატიები**

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. T. Khatiashvili, M. Karchkhadze, I. Matarashvili, T. Farkas, B. Chankvetadze, Comparative study of cellulose tris(3-chloro-5-methylphenylcarbamate) coated or covalently immobilized on silica for separation of enantiomers in high-performance liquid chromatography, Chromatographia (2023) https://doi.org/10.1007/s10337-023-04295-8.

ნაშრომში შედარებულია ორი ქირალური სტაციონარული ფაზა: სილიკაგელზე დაფენილი და კოვალენტურად იმობილიზებული ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი). შედარებას ვახდენდით ენანტიომერების დაყოფის უნარის მიხედვით მოძრავ ფაზებად მეთანოლის, აცეტონიტრილის და ჰექსან/იზოპროპანოლის (სხვადასხვა მოცულობითი თანაფარდობით) ნარევების გამოყენებით; საანალიზო ნივთიერებებად კი გამოყენებულია 200-ზე მეტი ფუძე, მჟავა და ნეიტრალური ბუნების ქირალური პრეპარატები.

2. D. I. GVENTSADZE , M. SH. MTCHEDLISHVILIb , T. M. SHONIAb , E. G. MARKARASHVILIc *. HYDROSILYLATION REACTIONS OF ALTROPYRANOSE ALLYL GLYCOSIDES DERIVATIVES WITH CYCLODISILAZANES Oxidation Communications Vol 46, No 3, 600–607 (2023), IF 0,54, ISSN 0209-4541
3. Bamboo-Containing Composites with Environmentally Friendly Binders
   Omar Mukbaniani, Tamara Tatrishvili, NikolozKvnikadze, TinatiniBukia, Nana Pirtskheliani, Tamar Makharadze, Gia Petriashvili. *Chemistry & Chemical Technology* Vol. 17, No. 4, 2023
4. Wood Polymer Composite Based On A Styrene And Triethoxy(Vinylphenethyl)Silane Omar Mukbaniani , Jimsher Aneli , Tamara Tatrishvili, Eliza Markarashvili , Levan Londaridze , Nikoloz Kvinikadze , Lizi Kakalashvili. Chem. Chem. Technol., 2023, Vol. 17, No. 1, pp. 35–44
   https://doi.org/10.23939/chcht17.01.035

5. Synthesis of Some Azo Dyes Based on 2,3,3-Trimethyl-3H-indolenine; Tinatin Bukia, Mariam Utiashvili, Manana Tsiskarishvili, Sopo Jalalishvili, Ana Gogolashvili, Tamara Tatrishvili, Gia Petriashvili. Chemistry & Chemical Technology Vol. 17, No. 3, 2023
https://doi.org/10.23939/chcht17.03.549
6. Friedel-Crafts Reaction of Vinyltrimethoxysilane with Styrene and Composite Materials on Their Base; Omar Mukbaniani, Tamara Tatrishvili, Nikoloz Kvinikadze, Tinatin Bukia3, Zurab Pachulia, Nana Pirtskheliani, Gia Petriashvili. *Chemistry & Chemical Technology* Vol. 16, No. 3, 2023. https://doi.org/10.23939/chcht17.02.325
7. Light-Stimulated Lowering Of Glucose Concentration In A Dextrose Solution Mediated By Merocyanine Molecules; Gia Petriashvili, Ketevan Chubinidze, Tamara Tatrishvili, Elene Kalandia, Ana Petriashvili, Mariam Chubinidze. Materiali in tehnologije / Materials and technology 57 (2023) 2, 119–125 119.
8. Omar Mukbaniani, Jimsher Aneli, Tamara Tatrishvili, Levan Londaridze. Composite Materials on the Basis of Various Binders.
Editors: Omar Mukbaniani, DSc, Tamara Tatrishvili, DSc, Marc J. M. Abadie, DSc. **Hard**
Advanced Polymer Structures Chemistry for Engineering Applications; https://www.appleacademicpress.com/advanced-polymer-structures-chemistry-for-engineering-applications-/9781774913017. **ISBN:** 9781774913017
*9.* Composite Materials on the Basis of Sawdust: An Experimental Approach
*Omar Mukbaniani, Jimsher Aneli, Tamara Tatrishvili.*
Biocomposites: Environmental and Biomedical Applications.
Editors: Omar Mukbaniani, DSc Tamara Tatrishvili,; Neha Kanwar Rawat, A. K. Haghi, https://www.appleacademicpress.com/biocomposites-environmental-and-biomedical-applications/9781774913697
Composite Materials on the Basis of Straw: New Challenges
*Omar Mukbaniani, Jimsher Aneli, Tamara Tatrishvili*
*10.* Editors: Omar Mukbaniani, DSc Tamara Tatrishvili, Neha Kanwar Rawat, A. K. Haghi, https://www.appleacademicpress.com/biocomposites-environmental-and-biomedical-applications/9781774913697
Composite Materials on the Basis of Leaves: Innovations and Applications
*Omar Mukbaniani, Jimsher Aneli, Tamara Tatrishvili,*
11. Editors: Omar Mukbaniani, DSc Tamara Tatrishvili, **;**Neha Kanwar Rawat, A. K. Haghi, https://www.appleacademicpress.com/biocomposites-environmental-and-biomedical Applications/9781774913697
Composite Materials on the Basis of Bamboo
*Omar Mukbaniani, Jimsher Aneli, Tamara Tatrishvili*
*12.* Editors: DSc Tamara Tatrishvili, **;** A. K. Haghi, https://www.appleacademicpress.com/biocomposites-environmental-and-biomedical Applications/9781774913697

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

**7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**
**7.1. საქართველოში**
1. Eliza Markarashvili[a] , Anahit Tonoyan „Polymerization of cyclosiloxanes containing thienyl group“ 2 thInternational Scientific Conference on Chemical & Technological Aspects of Biopolymers Batumi, Georgia 6-8 July, 2023; p.11

2. Sopo Tskitishvili [1,2], Levan Londaridze[1] , Eliza Markarashvili[1], Anastasia Chikhladze[2], Izabela Esartia[1], [Omar Mukbaniani][1] „Environmentally friendly composites" 2 thInternational Scientific Conference on Chemical & Technological Aspects of Biopolymers Batumi, Georgia 6-8 July, 2023, p.45

3. [2]George Gibradze, [2]Zurab Vadachkoria ,[1]Eliza Markarashvili, [1]Irina Modebadze, [1]Ekaterine Bakuradze[1], [2]Lia Dzidziguri, [3]Manana Berulava, [1]Diana Dzidziguri **„ The effect of the protein complex derived from chicken liver immobilized in the functional polymer of polyvinyl alcohol on the mitotic activity of liver cells of adolescent rat"s** 2 thInternational Scientific Conference on Chemical & Technological Aspects of Biopolymers Batumi, Georgia 6-8 July, 2023, p.86

4. Levan Londaridze, Eliza Markarashvili, Marina Karchkhxadze, [Omar Mukbaniani] „Investigation of Polymer Composites Based on Pine Needles' 2 thInternational Scientific Conference on Chemical & Technological Aspects of Biopolymers Batumi, Georgia 6-8 July, 2023, p.42

5. Eliza Markarashvili, Meri Todria, Lali kemkhadze, Leila Kalatozishvili, Nargiz Megrelidze, [Omar Mukbaniani] „Acceptance and research of polymer electrolyte membranes containing polyethylene glycol fragments" 2 thInternational Scientific Conference on Chemical & Technological Aspects of Biopolymers Batumi, Georgia 6-8 July, 2023, p.41

6. Neli Sidamonidzea , Eliza Markarashvilia , Maia Nutsubidzea, Eter Chachuab , Nino Kiknadzec , Mate Tinikashvilia „SYNTHESIS OF CARBOHYDRATE MODIFIED POLYSILOXANES" 2 thInternational Scientific Conference on Chemical & Technological Aspects of Biopolymers Batumi, Georgia 6-8 July, 2023, p.24

7. Eliza Markarashvili , Nunu Labartkava, Levan Londaridze, Donari Otiashvili, [Omar Mukbaniani] „NEW ENVIRONMENTALLY SAFE COMPOSITIONS", p.38

8. D. Gventsadze1 , E. Markarashvili2 , L. Gventsadze3 , T. Lezhava1 , Jem. Aneli4 , V. Chagelishvili1 „OBTAINING BIOPOLYMER COMPOSITES ON THE BASIS OF POLYPROPYLENE AND YUCCA GLORIOSA FIBERS" 2 thInternational Scientific Conference on Chemical & Technological Aspects of Biopolymers Batumi, Georgia 6-8 July, 2023, p. 78

9. A.Mskhiladze, M.Karchkhadze, Enantioseparation of some chiral antimikotic drugs using various polysaccharide-based chiral stationary phases in high-performance liquid chromatography, ISC CHTAB 2023, 2thInternational Scientific Conference on Chemical & Technological Aspects of Biopolymers, 2023, 6-8 July, Batumi
10. T. Matsiashvili, A. Tavartkiladze, M. Karchkhadze, A. Mskhiladze, B. Chankvetadze, Enantioseparation study of omeprazole with polysaccharide-based chiral selectors in high performance liquid chromatography, ICSP & AM 8, Eighth International Caucasian Symposium on Polymers and Advanced Materials, 2023, 1-3 August, Tbilisi
11. ლ. ახალბედაშვილი[1], ა.მსხილაძე[2], გ. მაისურაძე[3], მ.ქარჩხაძე "ზოგიერთი ფენოლური ნაერთის განსაზღვრა ღვინოში მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის გამოყენებით". აკადემიკოს გივი ცინცაძის დაბადებიდან 90 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქიმია მიღწევები და პერსპექტივები", თეზისების კრებული, თბილისი, საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, 20 აპრილი, 2023 წ.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1.

2.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

**სხვა აქტივობები:**
**ა) სტუდენტთა აქტივობა**

მეთერთმეტე საფაკულტეტო კონფერენციაზე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში 2023 წ. 1-4 თებერვალს წარმოდგენილი იყო დოქტორანტის **ლევან ლონდარიძის** სამეცნიერო-კვლევითი პროექტი-1 – „ფოთლის, ტრიეტოქსი(ვინილფენეთილ)სილანის და სტიროლის თანაპოლიმერის ბაზაზე კომპოზიციური მასალების მიღება და კვლევა“

2023 წელს დაცულია 1 სამაგისტრო და 1 საბაკალავრო ნაშრომი.

**სამაგისტრო ნაშრომი: კაკალაშვილი ლიზი** - „ბიოკომპოზიტები ეკოლოგიურად სუფთა ორგანო / არაორგანული შემკვრელების ბაზაზე“

ხელმძღვანელი: ასისტ.პროფ. თამარ თათრიშვილი

**საბაკალავრო ნაშრომი: ია მგალობლიშვილი** - „ბუნებრივი პოლიმერის საფუძველზე მომზადებული ქირალური სვეტის - ცელულოზა ტრის (4-მეთილბენზოატის) გამოყენება ზოგიერთი ქირალური ნივთიერების ენანტიომერების დასაყოფად სითხური ქრომატოგრაფია-მას სპექრომეტრიის მეთოდით“

ხელმძღვანელი: ასისტ. პროფ.მარინა ქარჩხაძე

**ანოტაცია:**
ენანტიომერული ნარევების დაყოფის მეთოდებს შორის ყველაზე ეფექტურ მეთოდად მიჩნეულია მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფია. სითხურ ქრომატოგრაფიაში ქირალური ნივთიერებების ენანტიომერების დასაყოფად ყველაზე ფართოდ გამოყენებულ მასალებს მიეკუთვნება პოლისაქარიდების, კერძოდ ცელულოზას და ამილოზას ეთერები და ფენილკარბამატები, რომლებიც ხასიათდებიან ქირალური გარჩევითობის უნიკალური უნარით. მათი ენენტიომერული გარჩევითობის შესაძლებლობა დამოკიდებულია როგორც ქირალური პოლიმერის სტრუქტურაზე, ასევე ბენზოლის ბირთვში არსებული ჩამნაცვლებლების ბუნებაზე.
შესწავლილია ზოგიერთი ქირალური ნივთიერების ენანატიომერების დაყოფა ცელულოზა ტრის(4-მეთილფენილბენზოატის) საფუძველზე მომზადებულ ქირალურ სელექტორზე მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფიაში. კვლევას ვაწარმოებდით თანმიმდევრულად ჩართული US-VIS და MS/MS დეტექტორებით. შესწავლილია ენანტიომერების დაყოფაზე ნიმუშის კონცენტრაციის და მოძრავი ფაზის შედგენილობის გავლენა.

**2)** მოპოვებული იქნა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის გრანტი **SPG-23-527 “ ქიმია ჩვენს ირგვლივ“ 2023 წლის 1 ოქტომბრიდან 2024 წლის 30 მაისის ჩათვლით**

გრანტის ხელმძღვანელი -ელიზა მარქარაშვილი

გრანტის კორდინატორი - მარინა ქარჩხაძე

დამხმარე პერსონალი : იზაბელა ესართია, დონარი ოტიაშვილი

**ანოტაცია:** პროექტის მიზანია ჯერ კიდევ სკოლის დაწყებით საფეხურზე (მე-4, მე-6 კლასები) დააინტერესოს მოსწავლე ქიმიით, ამ მნიშვნელოვანი STEM მეცნიერებით, არა მარტო როგორც აკადემიური დისციპლინით, არამედ როგორც ყოველდღიური მრავალფეროვნების შემსწავლელი და შემქმნელი მეცნიერებით. სკოლის დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები, ცხადია, ვერ შესძლებენ სხვადასხვა ჩვეულებრივი მოვლენის ქიმიური

არსის აღქმას, მაგრამ სათანადო ქიმიური ცდის დემონსტრაციით შესაძლებელია დავაინტერესოთ ისინი მათთვის ნაცნობი პროცესის გაცნობიერების კვლევითი ასპექტით და მოვამზადოთ მყარი საფუძველი სასკოლო საბუნებისმეტყველო საგნების შესასწავლად. მარტივი და სახალისო ლაბორატორული ექსპერიმენტების დაკვირვება, ასაკის და ცოდნის შესაფერი ახსნა-განმარტებები დაეხმარება მოსწავლეს ქიმიის, როგორც კვლევითი მეცნიერებისა და სამეწარმეო-ტექნოლოგიური დარგის თაობაზე შეძლებისდაგვარად ფართო წარმოდგენა შეექმნას. მოსწავლე მიიღებს საჭირო ინფორმაციას ქიმიის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ. საგულისხმოა აგრეთვე, რომ ქიმიური პროცესების სამრეწველო გამოყენება გულისხმობს როგორც გიგანტურ წარმოებებს, ასევე მინი და მიკრო მასშტაბის ტექნოლოგიური წარმოების შესაძლებლობას. ასევე, მნიშვნელოვანია ქიმიური ტექნოლოგიების და მეთოდების სხვა მეცნიერების თუ პრაქტიკული საქმიანობის ფარგლებში გამოყენება - მაგალითად, ეკოლოგიური პრობლემების კვლევის, ან მათთან გამკლავების მიზნით. ახალგაზრდები არა მარტო სასკოლო საგნის თეორიული ცოდნით უნდა იყვნენ შეიარაღებული, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობებს იცნობდნენ და სათანადო უნარ-ჩვევებს ფლობდნენ. ამ პროექტის მიზანია სასკოლო განათლების დაბალი საფეხურიდანვე გააცნოს მოსწავლეებს ექსპერიმენტული კვლევის ჩატარების პრაქტიკული უნარ-ჩვევები. მოსწავლეები დარწმუნდებიან, რომ ქიმია არა მარტო რთული სასწავლო საგანია, არამედ საინტერესო თავგადასავალია. ერთ-ერთი ასეთი პრაქტიკული სფერო გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაა, რაც აქტუალურია ჩვენი ქვეყნის მრავალი რეგიონისათვის.
**ღონისძიებების ჩატარება**: დაგეგმილია სახალისო ექსპერიმენტების და ლექციების ჩატარება ოკუპირებული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოსაზღვრე რეგიონებში- სამეგრელოს, გორისა და ქარელის სკოლებში, აგრეთვე მარნეულის, ახალქალაქისა და ახალციხის სკოლების მოსწავლეებისათვის.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიშის ფორმა №2

(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება დასახელება** ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, ქიმიის დეპარტამენტის ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის მიმართულება.

1. ასოცირებული პროფესორი მაია რუსია
2. ასისტენტ პროფესორი ქრისტინა გიორგაძე
3. მეტალორგანული და გამოყენებითი ქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგე თეა ლობჟანიძე
4. ზოგადი და არაორგანული ქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგე ნინო რობაქიძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

*დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

## 2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***
1.

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.

***დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***
1.

## 3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

### 3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***
1.

### 3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.
*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.

5.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.

2.

## 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.
2.

### 6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.
2.

### 6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Tea Lobzhanidze, Ioseb Metskhvarishvili, Guram Dgebuadze, Bezhan Bendeliani, Magda Metskhvarishvili, Giorgi Giorganashvili, Kristine Giorgadze, Vakhtang Gabunia, "Influence of synthesis ways and condition on phase formation and superconductivity properties of Tl-based HTS" Chapter 13, 149-160, In **Book**: **Advanced Polymer Structures (Chemistry for Engineering Applications)**, *AAP and CRC* Press, 2023, p.517, Edited by: O. Mukbaniani, T. Tatrishvili, M.J.M. Abadie.
ISBN: 978-1-77491-301-7 (hbk), ISBN: 978-1-00335-218-1 (ebk)
2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ნაშრომში წარმოდგენილია ორი მეთოდით მომზადებული Tl-ფუძიანი მაღალტემპერატურული ზეგამტარი ნიმუშების მომზადება ორი მეთოდით, ზოლ-გელ მეთოდით (ზგმ) და მყარფაზური რეაქციის მეთოდით (მრმ). გაკეთებულია შედარებითი ანალიზი, როგორც გქიმიური ასევე ფიზიკური თვისებების. მიღებულმა კვლევების შედეგებმა გვიჩვენა, რომ სველი ქიმიით მომზადებულ ნიმუშებს აქვთ 90% მაღალტემპერატურული ფაზა, ხოლო მყარფაზური რეაქციით მიღებულს 78%-იანი მტზ-ფაზა, ასევე კრიტიკული დენის სიმკვრივე ზგმ მომზადებულ ნიმუშემში 1,8%-ით მეტია ვიდრე მრმ მომზადებულ ნიმუშებში. შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზგმ მეთოდის საშუალებით, შეგვიძლია მივიღოთ გაცილებით მაღალი ქიმიური და ფიზიკური თვისებების მქონე ნიმუშები, ვიდრე მყარფაზური რეაქციის მეთოდით.

2.

## 7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

### 7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **T. E. Lobzhanidze**, G.N. Dgebuadze, **T.V. Tchagiashvili**, **D.L. Surmanidze**, G.N. Dgebuadze, I.R. Metskhvarishvili, B.G. Bendeliani, M.R. Metskhvarishvili, M.Sh. Rusia, V.M. Gabunia, "The Sol-Gel Method to Advanced Tl-based HTS Materials", **From the birth of Academician Givi Tsintsadze International scientific conference dedicated to the 90th anniversary Chemistry-achievements and perspectives**, April 20, 2023 Tbilisi, Georgia. Abstracts Book p. 37-38.
2. **Tea Lobzhanidze**, Guram Dgebuadze, Nargiza Megrelidz, Bezhan Bendeliani, Vakhtang Gabunia, Ioseb Metskhvarishvili, „Influence of sol-gel route and antimony trioxide on the synthesis of Bi-based HTS", **2th International Scientific Conference on Chemical&Technological Aspects of Biopolymers, ISC CHTAB** 2023, 3-8 July, 2023, Batumi, Georgia. Abstracts Book p.28-29.
3. Ioseb R. Metskhvarishvili, **T. E. Lobzhanidze**, **D. L. Surmanidze**, G.N. Dgebuadze, B.G. Bendeliani, M.R. Metskhvarishvili, V.M. Gabunia, "Synthesis of the Tl-based Superconducting Materials by the Sol-Gel Method Iodine Vapor Pressure", **8th International Caucasian Symposium on Polymers and Advanced materials**, August 1-3, 2023 Tbilisi, Georgia. Abstracts Book p. 45.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

### 7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **T. E. Lobzhanidze**, **D.L. Surmanidze**, I.R. Metskhvarishvili, G.N. Dgebuadze, B.G. Bendeliani, M.R. Metskhvarishvili, V.M. Gabunia, „The effect of $O_2$ pressure on phase formation and superconductivity properties of Tl-2223 HTS", III International Advanced Study conference, **Condensed Matter & Low Temperature Physics**, **CM&LTP2023**, 5-11 June, 2023, Kharkiv, Ukraine. Abstracts Book p. 179.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიშის ფორმა №2

(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება** ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრა, ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

1. **სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

**1.1. გარდამავალი**

ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი ლელა მეტრეველი ა. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელ სოფიო გვიდანთან თანამშრომლობით ასრულებდა პროექტს გარდამავალი მეტალებისა და ადგილობრივი ანესთეზიური ნივთიერებების კომპლექსნაერთების სინთეზის, ფიზიკურ-ქიმიური კვლევის და ბიოლოგიური აქტიურობის შესწავლის მიმართულებით.

**1.2. დასრულებული**

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დაკვეთით და პროფესორ გერჰარდ სკრიბასთან თანამშრომლობით შესრულდა 2 პროექტი:

1. ეფავირენცის და მისი მინარევების ანალიზის ფარმაკოპეური მეთოდების დამუშავება (მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აქვს სარეგისტრაციო ნომერი 2023/1339055-0);
2. იზონიაზიდის და მისი მინარევების ანალიზის ფარმაკოპეური მეთოდების დამუშავება (მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აქვს სარეგისტრაციო ნომერი 2023/1384754).

აღნიშნული პროექტების ფარგლებში დამუშავებული მეთოდები გათვალისწინებულია საერთაშორისო ფარმაკოპეაში გამოსაქვეყნებლად.

## 2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

**2.1.**

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები.

1. „ინოვაციური მასალების სინთეზი პოლისაქარიდების საფუძველზე და მათი გამოყენება ენანტიომერული ნარევების დასაყოფად თხევად ფაზაში". FR-22-971, ვადები 2023 –2026.
   პროექტის ხელმძღვანელი - ბეჟან ჭანკვეტაძე
   კოორდინატორი - ლალი ჭანკვეტაძე
   ძირითადი შემსრულებლები - გიორგი ჯიბუტი, გიორგი ბეზარაშვილი, მარინა ქარჩხაძე, ანტონინა მსხილაძე, იზაბელა გიუაშვილი, იზა მათარაშვილი, ლაშა გიუნაშვილი, ნინო თაყაიშვილი, ნუნუ ლაზარტყავა.

**ანოტაცია**

დღეისათვის კარგად არის აღიარებული, რომ ქიმიურ ნივთიერებათა ქირალობა მნიშვნელოვანია ისეთ დარგებში როგორის არის ტოქსიკოლოგია, ბიოლოგია, მედიცინა, ფარმაკოლოგია, გარემოს დაცვა, კვების პროდუქტები და რა თქმა უნდა, ქიმიის ბევრი დარგი. ისეთი ბიოლოგიურად აქტიური ქირალური ნივთიერებების ენანტიომერები, როგორიცაა სამკურნალწამლო საშუალებები, აგროქიმიკატებეი, საკვების დანამატები და ა.შ., შეიძლება ხასიათდებოდეს არა მარტო განსხვავებული მიზნობრივი მოქმედებით, არამედ განსხვავებული ტოქსიურობით, მეტაბოლიზმით, ფარმაკოკინეტიკით და ა.შ. აქედან გამომდინარე ენანტიომერული ნარევების დაყოფა თანამედროვე ქიმიის აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს. მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფია წარმოადგენს ენანტიომერული ნარევების ანალიზური და პრეპარატული დაყოფის ძირითად მეთოდს. ენანტიომერული ნარევების ქრომატოგრაფიული დაყოფა ხორციელდება ე.წ. ქირალური სტაციონარული ფაზების გამოყენებით. დღეისათვის ლიტერატურაში აღწერილი რამდენიმე ასეული ქირალური სტაციონარული ფაზიდან ენანტიომერების დაყოფის ყველაზე უნივერსალური უნარით გამოირჩევა პოლისაქარიდების საფუძველზე მომზადებული მასალები. ამ მასალების პირვანდელი ვერსია მომზადებული იყო პოლისაქარიდების ნაწარმების ფიზიკური დაფენით სილიკაგელის ზედაპირზე. ამ მასალებს ენანტიომერების დაყოფის მაღალი უნარი გააჩნია, მაგრამ ხასიათდება დაბალი სტაბილურობით ზოგიერთ გამხსნელში. აქედან გამომდინარე, უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ლიტერატურაში აღწერილია პოლისაქარიდების ნაწარმების კოვალენტური იმობილიზაციის რამდენიმე ხერხი სილიკაგელის ზედაპირზე. ამ ხერხებიდან განსაკუთრებით ეფექტურია ფოტოქიმიური გზით განხორციელებული იმობილიზაცია, რომელიც ხორციელდება პოლისაქარიდის ნაწარმის და სილიკაგელის ზედაპირის წინასწარი ქიმიური აქტივაციის გარეშე. ამ პროცესის ფიზიკურ-ქიმიური მექანიზმები დღესდღეობით ძალიან ბუნდოვანია. წინამდებარე პროექტის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სილიკაგელის ზედაპირზე პოლისაქარიდების ტრის-ნაწარმების ფოტოქიმიური იმობილიზაციის ფიზიკურ-ქიმიური მექანიზმის გარკვევა და ამ ცოდნის საფუძველზე პოლისაქარიდების ნაწარმების საფუძველზე ახალი ქირალური ადსორბენტების მომზადება ენანტიომერული ნარევების ანალიზრი და პრეპარატული დაყოფისთვის. პროექტში დასახული მიზნები მიღწეული იქნება სინთეზური ორგანული ქიმიის, ფოტოქიმიის, პოლიმერების ქიმიის, ანალიზური და ფიზიკური ქიმიის მეთოდების ერთობლივი გამოყენებით.

პროექტის ზოგიერთ ეტაპზე გამოყენებული იქნება აგრეთვე თეორიული ქიმიის თანამედროვე მეთოდები. ამ პროექტის ფარგლებში მომზადებული ახალი ქირალური ადსორბენტები გამოყენებული იქნება სხვადასხვა სტრუქტურული ჯგუფის წარმომადგენელი ქირალური ნივთიერებების, მათ შორის წინამდებარე პროექტის ფარგლებში დასინთეზებული ქირალური სულფოქსიდების, ჰიდანტოინების და ფენოთიაზინის ნაწარმების და კრიმინალისტური ანალიზის თვალსაზრისით საინტერესო ქირალური ნივთიერებებეის ენანტიომერების დასაყოფად და ენანტიოსელექტიური ანალიზისთვის.

2. „მანგანუმით დაბინძურებული ნიადაგების შესწავლა მდინარე ყვირილას აუზში და შესაძლო ფიტორემედიაცია Phytolacca americana-სა და Polygonum hydropiper-ის საშუალებით“. PHDF-22-405. 2022-2024.

   პროექტის ხელმძღვანელი - ბეჟან ჭანკვეტაძე
   ძირითადი შემსრულებელი - რუსუდან ცინცაძე

   **ანოტაცია**

მანგანუმი (Mn) დედამიწის ქერქის დაახლოებით 0.1%-ს შეადგენს. იგი ბუნებაში გვხვდება მინერალების სახით და ასზე მეტი მინერალის შემადგენელი კომპონენტია. მანგანუმის ყველაზე გავრცელებული და კომერციული თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი მინერალია პიროლუზიტი (MnO2). გარემოს ობიექტებში ( ნიადაგი, წყალი, ჰაერი, მცენარეები და სხვა ) მანგანუმის შემცველობა განსხვავებულია. ანთროპოგენურმა დაბინძურებამ (მანგანუმის შემცველი მადნების მოპოვება, მანგანუმის შენადნობების წარმოება, მანგანუმით მდიდარი ჩამდინარე წყლების წყალსაცავებში ჩაშვება და სხვა) მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება მოახდინოს მანგანუმის ბუნებრივ შემცველობებზე.

მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი მანგანუმის საბადო და უმსხვილესი Mn-ის მაღაროები მდებარეობს საქართველოს რესპუბლიკაში, ქალაქ ჭიათურაში. ადრეულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ჭიათურაში ჩამდინარე მდინარე ყვირილას წყლები, განსაკუთრებით მისი ქვედა ნაწილი, დაბინძურებულია არა მხოლოდ მანგანუმით, არამედ სხვა მძიმე ლითონებით. ეს გამოწვეულია იმით, რომ მდინარეში ჩაედინება სამრეწველო ნარჩენები. ადგილობრივი მოსახლეობისთვის რისკი განსაკუთრებით დიდია, რადგან ეს ტერიტორიები ამჟამად აქტიურად გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების გასაშენებლად და საძოვრებად. ეს სერიოზულად ზრდის დაბინძურებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კვების ჯაჭვში შეღწევის რისკს.

პროექტის უპირველესი მიზანია, ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში მდებარე მდინარე ყვირილას მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებში, მძიმე ლითონების შემცველობის სისტემატური გაზომვა (აქცენტი Mn-ზე) ორი ხელსაწყოს ატომურ-აბსორბციული სპექტროფოტომეტრის და მიკროტალღური პლაზმის ატომურ-ემისიური სპექტრომეტრის საშუალებით. მიღებული მონაცემების საფუძველზე კი ნიადაგის დაბინძურების წინასწარი რუკის შედგენა, რომელიც უნდა გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი, განსაკუთრებით ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რათა გაიზარდოს დაბინძურებული ნიადაგების გამოყენებით გამოწვეული ჯანმრთელობის რისკის შესახებ ინფორმაცია.

პროექტის ალტერნატიული მიზანია, მძიმე მეტალების შემცველობის შეფასება ადგილობრივი წარმოშობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებშიც (კულტურები, ბოსტნეული, რძე და შინაური ცხოველების ხორცი). საბოლოო ჯამში, შეიძლება ჩატარდეს წინასწარი კვლევები

ბიოლოგიურ ნიმუშებზე (სასურველია შარდის, ნერწყვისა და თმის) ადგილობრივი წარმოშობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზემოქმედების შედეგად.

პროექტის საბოლოო მიზანია, წინასწარი ექსპერიმენტების ჩატარება დაბინძურებული ნიადაგების ფიტორემედიაციის მიზნით. სამეცნიერო ლიტერატურაში ორი მცენარე, კონკრეტულად Phytolacca americana და Polygonum hydropiper აღწერილია, როგორც Mn-ის ჰიპერაკუმულატორები. აღნიშნული მცენარეები შეიძლება სასარგებლო იყოს დაბინძურებული ნიადაგებისთვის, რომლებიც შეიცავს Mn-ის ოდნავ გაზრდილ კონცენტრაციებს, მაგრამ ჯერ არ არის შესწავლილი იმ ექსტრემალურ პირობებში, რაც ჩვენ აღმოვაჩინეთ ზემოთ აღნიშნულ ნიადაგებში. ამიტომ, თავდაპირველად ინტენსიური კვლევები ჩატარდება ლაბორატორიულ პირობებში, რათა შეფასდეს ამ კონცეფციის გამოყენება ჩვენს რეალობაში. იგეგმება ასევე საველე ექსპერიმენტის ჩატარდება ადგილზე (კონტამინირებულ ნიადაგებზე).

3. „ადამიანებში ტყვიისა და სხვა ტოქსიკური ელემენტების შემცველობის ბიომინიტორინგი“. PHDF-23-179. 2023-2025.

   პროექტის ხელმძღვანელი - ბეჟან ჭანკვეტაძე
   ძირითადი შემსრულებელი - თამარ ჯანხოთელი
   **ანოტაცია**

ადამიანის კეთილდღეობა გამომდინარეობს ეკონომიკური და ტექნოლოგიური პროგრესიდან, მაგრამ ასევე გარემოს ხარისხიდან და ფუნდამენტური ცხოვრების ინტერესებიდან, როგორიცაა ჯანმრთელობა, ცოდნის გაფართოება და თავისუფლება. ეკონომიკური განვითარება იწვევს სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს, დასაქმების ზრდას და ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. თუმცა, ეს განვითარება, რომელიც დაკავშირებულია ინდუსტრიალიზაციასთან, იწვევს დამაბინძურებლების გავრცელებას, მათ შორის მუტაგენებს და კანცეროგენებს, რომელთა გავლენა შეიძლება იყოს გრძელვადიანი. სხვადასხვა სიმსივნეების მზარდი სიხშირე გამოწვეულია გარემოს დაბინძურებით. ადამიანი განიცდის დამაბინძურებლების ზემოქმედებას საკვები კულტურების, ნიადაგის, წყლისა და ჰაერის მეშვეობით.

ტოქსიკური ელემენტები წარმოადგენს დამაბინძურებლების ძირითად ჯგუფს, რომელიც განსაკუთრებულად მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. უძველესი ეპოქიდან მოყოლებული მძიმე მეტალები მოიპოვებოდა ლითოსფეროდან სხვადასხვა ეკონომიკური და სამრეწველო მიზნებისთვის. ამ ელემენტებს შეუძლიათ პირდაპირი ან ირიბი გავლენა მოახდინონ ადამიანის ჯანმრთელობაზე. ზოგიერთ მათგანს მაგ. Cd, Hg, Pb, As აქვთ მავნე ზემოქმედება ჯანმრთელობაზე, მათი ადამიანის ორგანიზმში მოხვედრა, თუნდაც მცირე რაოდენობით, იწვევს მწვავე და ქრონიკულ დაავადებებს.

ტოქსიკური ელემენტები განსაკუთრებით საშიშია ბავშვის ორგანიზმისათვის, როგორც მუცლად ყოფნის პერიოდში, ასევე ადრეული და სკოლამდელი ასაკის პერიოდში; მაგ. ტყვიის ზემოქმედება მცირეწლოვან ბავშვებში, იწვევს ყურადღების დაქვეითებას, ანტისოციალური ქცევის ჩამოყალიბებასა და დაბალ აკადემიურ მოსწრებას.

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ახალი ლაბორატორიული მეთოდების დანერგვას, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ადამიანის ბიოლოგიურ მასალებში ტოქსიკური ელემენტების კვლევა უახლესი აპარატურის გამოყენებით.

კვლევის შედეგების შესახებ მოხდება ინფორმაციის გავრცელება, რაც მნიშვნელოვანია ადამიანების ცნობიერების ამაღლებისათვის, თითოეულ ადამიანს ექნება მეტი ინფორმაცია

ტოქსიკური ელემენტების ორგანიზმზე მავნე ზემოქმედების შესახებ. ელემენტების ტოქსიკურობა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის დოზაზე, ხანგრძლივობაზე, მიღების გზაზე, ასაკზე, სქესზე, გენეტიკაზე და ასე შემდეგ. მაღალი ტოქსიკურობის და სისტემური ტოქსიკურობის გამო, ტყვია რამდენიმე სხვა ელემენტთან ერთად, სახელმწიფო ჯანდაცვის პრიორიტეტად ითვლება, რადგან მცირე დოზასთან შეხებასაც კი ადამიანის ბევრი ორგანოს დაზიანება შეუძლია.

პროექტის აქტუალურია, რადგანაც საქართველოში არის წარმოებები, რომლებსაც შეუძლია მავნე ზემოქმედების მოხდენა ადამიანის ჯანმრთელობაზე. ერთ-ერთი ასეთი წარმოება მდებარეობს კაზრეთში.

დღეისათვის გარემოს დაბინძურების ინდიკატორად გამოიყენება სხვადასხვა ბიოსუბსტრატები: სისხლი, თმა, ფრჩხილი, კბილის მაგარი ქსოვილები.

კვლევა აქტუალურია რადგანაც დღემდე საქართველოში ადამიანის ორგანიზმზე ტოქსიკური ელემენტების ზემოქმედების წყაროები და სრული ჯაჭვი - წარმოება+გარემო+ადამიანი - შესწავლილი არ ყოფილა.

საქართველოში ამ დრომდე არ ჩატარებულა ამ კატეგორიის კვლევა, რადგანაც არ იყო ლაბორატორიული შესაძლებლობები. აღნიშნული პროექტი არის ინოვაციური თავისი მოსალოდნელი შედეგებით.

4. YS-2023 ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტი.
„ენანტიომერების მიგრაციის რიგის მართვა კაპილარულ ელექტროფორეზში და მისი გავლენა მეთოდის ანალიზურ მახასიათებლებზე“. **ანა გოგოლაშვილი.**YS-23-187. 2023-2025.

**ანოტაცია**

წინამდებარე კვლევით პროექტს გააჩნია 2 მნიშვნელოვანი ასპექტი: ფუნდამეტური და გამოყენებითი. პირველ რიგში ეს კვლევები იგეგმება (ენანტიოსელექტიური) არაკოვალენტური მოლეკულათშორისი ურთიერთქმედებების უკეთ შეცნობის მიზნით. არაკოვალენტური ურთიერთმოქმედებების ბუნება, მიუხედავად ამ ძალების განსაკუთრებული მნიშვნელობისა არა მარტო ქიმიაში, არამედ ისეთ დარგებშიც, როგორიც არის ბიოლოგიური და სამედიცინო მეცნიერებები, დღეისათვის ნაკლებად შესწავლილია კოვალენტურ ურთიერთმოქმედებებთან შედარებით. კვლევების ეს, ძალიან ინოვაციური და ფუნდამენტური ნაწილი, განხორციელდება მულტიდისციპლინარული მიდგომით (კაპილარულ ელექტროფორეზთან ერთად გამოყენებული იქნება მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფია, ბირთვულ მაგნიტური რეზონანსის სპექტროსკოპია, მას სპექტრომეტრია და მოლეკულური მოდელირება.

5. YS-2023 ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტი.
„პროქირალური სულფიდების დაჟანგვა ქირალური სულფოქსიდების მისაღებად, მათ შორის ასიმეტრული სინთეზის გზით, და დასინთეზებული ნივთიერებების ენანტიომერული დაყოფა ქირალური ქრომატოგრაფიით“. **რუსუდან კაკავა.** YS-23-1927. 2023-2025.

**ანოტაცია**

პროექტის მიზანია პროქირალური სულფიდების აქირალური და ქირალური დაჟანგვა ქირალური, მათ შორის ენანტიომერულად სუფთა სულფოქსიდების მისაღებად და ახლად

დასინთეზებული ქირალური სულფოქსიდების ენანტიომერული დაყოფის მექანიზმების შესწავლა მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიით (HPLC) პოლისაქარიდული ქირალური სელქტორების გამოყენებით. პროექტის სამეცნიერო მიზნის მისაღწევად კვლევა განხორციელდება რამდენიმე ძირითად ეტაპად: 1) პროქირული სულფიდების აქირალური დაჟანგვა რაცემული ქირალური სულფოქსიდების მისაღებად; 2) პროქირული სულფიდების ასიმეტრიული დაჟანგვა ენანტიომერულად სუფთა სულფოქსიდების მისაღებად და ახალი ჰეტეროგენული კატალიზატორების შემუშავება; 3) ახლად დასინთეზებული ქირალური სულფოქსიდების ენანტიომერული დაყოფის მექანიზმების შესწავლა ქირალურ ქრომატოგრაფიაში.

6. „ქვეყნის ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების გაძლიერება წყალგამწმენდ ნაგებობაზე წარმოქმნილი ნარჩენების აგროსექტორში გამოყენების მეთოდოლოგიის შემუშავების გზით“. STEM 22-759. 2022-2024.

   პროექტის ხელმძღვანელი - ნინო თაყაიშვილი
   ძირითადი შემსრულებლები - ნათელა ძებისაშვილი, თამარ დავითაია, გიორგი ბერეჩიკიძე

**ანოტაცია**

დღეისათვის, საქართველოს მთავრობის მიერ ნარჩენების მართვის პროცესის ჰარმონიზება ევროპის ნარჩენების მართვის პოლიტიკასთან ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს ნარჩენების წარმოქმნის შემცირებაზე და მათ მეორად გამოყენებაზე. ეს თავის მხრივ პირდაპირ კავშირშია წრფივი ეკონომიკიდან ცირკულარულ ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლასთან და მართვის ახალი ეკონომიკური მოდელების გამოყენებასთან. საქართველოში ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების დანერგვა წარმოუდგენელია ისეთი მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსის არარაციონალური მართვის პირობებში, როგორიცაა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სიმდიდრე - წყალი. აღსანიშნავია და ამავე დროს ნაკლებად ხსენებული, რომ ჩამდინარე (ნახმარი) წყლების გამწმენდ ნაგებობაზე წარმოქმნილი ლამი უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ როგორც ნარჩენების ერთ-ერთი სახეობა და შესაბამისად მრავალკომპონენტიანი ნარევი, არამედ როგორც სასარგებლო რესურსი სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის. დღეისათვის საქართველოში ფუნქციონირებს და შენდება/დაპროექტებულია ჩამდინარე (ნახმარი) წყლების გამწმენდი ათობით ნაგებობა, ამასთან სამწუხაროდ ქვეყანაში არ არსებობს ლამის მართვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მარეგულირებელი ეროვნული დოკუმენტი, შესაბამისად არ არსებობს გამწმენდი ნაგებობებიდან მიღებული ლამის მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა და სტრატეგია, რომლებიც უდაოდ დაფუძნებული უნდა იყოს მეცნიერულ შეფასებაზე და ისინი ამ ეტაპზე არ განხორციელებულა. აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად, ჩვენი კვლევის სიახლეა ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად, საქართველოს სპეციფიკიდან (ეკონომიკური და სოციალური ასპექტები) გამომდინარე, სამეურნეო/კომერციული, საყოფაცხოვრებო და ქუჩის ნარეცხი ჩამდინარე (არინების სისტემაში მოხვედრილი) წყლების გარდაბნის წყალგამწმენდ ნაგებობაზე დამუშავების შედეგად გენერირებული ნარჩენის (ლამის) რაციონალური და უსაფრთხო გამოყენების მეთოდოლოგიის შემუშავება აგროსექტორისთვის.

კვლევის შედეგად მიღებული გამოცდილება, შემუშავებული ხელმისაწვდომი და ეფექტიანი მეთოდოლოგია - საშიშროების IV კლასის ნარჩენების გაუვნებელყოფით (მცენარეების უსაფრთხო

განვითარებისათვის ტოქსიკური ნივთიერებების მოცილება) მიღებული მეორადი სასარგებლო აგროსაკვები, სასარგებლო იქნება არა მარტო საქართველოსთვის, არამედ, გარემოსდაცვით/აგრარულ პროექტებზე მომუშავე ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის. აღნიშნული მეთოდოლოგია ხელს შეუწყობს ნარჩენების სწორ და უსაფრთხო მართვას ჩამდინარე (ნახმარი) წყლების გასუფთავების პრობლემის კუთხით. ამასთან, ნარჩენებისგან მიღებული ახალი პროდუქტის აგროსექტორში უსაფრთხო გამოყენების გზების შემუშავება იქნება ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, ჩვენს ქვეყანაში ცირკულარული ეკონომიკის საერთაშორისო პრინციპების დანერგვისათვის.

7. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო გრანტი.

   პროექტის კოდი: **CNR-22-259**
   ვადები 2023-2024 წლები

„ენანტიომერების თხევად-ფაზური დაყოფის მექანიზმების და არაკოვალენტური ურთიერთქმედებების ექსპერიმენტული და თეორიული კვლევა"

გიორგი ჯიბუტი - პროექტის კოორდინატორი საქართველოს მხრიდან
გიორგი კობიძე - მკვლევარი
თამარ ხატიაშვილი - მკვლევარი

**ანოტაცია**

ბოლო დროს, გაიზარდა ინტერესი ფეროცენების პლანარული ქირალური ნაწარმების მიმართ მეცნიერების სხვა დარგებშიც, როგორებიცაა სამედიცინო ქიმია, ქიროპტიკური სპექტროსკოპია და ელექტროქიმია. ფეროცენის ქირალური ნაწარმების სინთეზისთვის, დროთა განმავლობაში დამუშავდა ასიმეტრიული სინთეზის ეფექტური მეთოდები, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, ასიმეტრიული სინთეზის წარმადობა ძალიან დაბალია. ამდენად თხევადფაზურმა ენანტიომერულმა დაყოფებმა შესაძლოა კვლავ მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ამ დარგში. თუმცა, ენანტიომერების დაყოფის მეცნიერებებში ეს მეტალოცენები არ ყოფილა კარგად გამოკვლეული და სისტემატური ანალიზური კვლევების ძალიან მცირე რიცხვია გამოქვეყნებული ამ მიმართულებით.

ამ პროექტის ფარგლებში ქართული და იტალიური ჯგუფები გააერთიანებენ თავიანთ გამოცდილებას თეორიულ (იტალიური ჯგუფი) და ექსპერიმენტულ (ქართული ჯგუფი) ანალიზებში, არილ- და ჰალოგენ-ჩანაცვლებული ფეროცენის ქირალური ნაწარმების ენანტიომერების დაყოფების ახალი მეთოდების შემუშავების მიზინით და შეისწავლიან ამ დაყოფებთან დაკავშირებულ მოლეკულური გამოცნობის მექანიზმებს.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა გაფართოებული π-ღუბლის შემცველი ფეროცენის პლანარული ქირალური ნაწარმების ენანტიომერების დაყოფაზე მოძრავი ფაზის გავლენას.

ამ პროექტის მთავარი მიზანია ნათლად წარმოაჩინოს თუ როგორია π-ღუბლის, როგორც გამომცნობის როლი არაკოვალენტური ურთიერთქმედებების დროს ქირალურ დაყოფებში.

უნდა აღინიშნოს, რომ წყალბადური ბმის გავლენა ენანტიომერების დაყოფაზე მესქ მეთოდით კარგად ცნობილია, თუმცა π-ღუბლების, როგორც გამომცნობის წვლილი ჯერ კიდევ საჭიროებს სრულყოფილად შესწავლას.

**8.** სელექტორ-სელექტანტის არაკოვალენტური ენანტიოსელექტიური ურთიერთქმედებების კვლევა კაპილარული ელექტროფორეზის, ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის სპექტროსკოპიისა და მოლეკულური მოდელირების მეთოდების გამოყენებით. FR-23-24319. 2023-2026.

პროექტის ხელმძღვანელი - ლალი ჭანკვეტაძე
კოორდინატორი - ანა გოგოლაშვილი
ძირითადი შემსრულებლები - ბეჟან ჭანკვეტაძე, ქეთევან ლომსაძე, გიორგი ჯიბუტი, იზაბელა გიუაშვილი, ნინო თაყაიშვილი, ქეთევან მუსერიძე.

## 2.2. დასრულებული პროექტი

1. სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო გრანტით დაფინანსებული პროექტი.

   „ახალი ჰალოგენირებული პოლისაქარიდზე დაფუძნებული ქირალური სტაციონარული ფაზების დიზაინი, მომზადება და გამოყენება თხევად ფაზურ ენანტიომერულ დაყოფებში“. CNR-19-075. 2021-2023.

გიორგი ჯიბუტი - პროექტის ხელმძღვანელი
გიორგი კობიძე - მკვლევარი
თამარ ხატიაშვილი - მკვლევარი

**ანოტაცია**

პროექტისთვის მომზადდა ოპტიმიზირებული იმობილიზებული ამილოზას სვეტი, კერძოდ ამილოზა ტრის 3,5-დიმეთილფენილკარბამატი, სვეტების თვისებების კვლევისთვის საანალიზო ნივთიერებებად ავიღეთ ფეროცენის ორი ქირალური ნაწარმი, მოძრავ ფაზად გამოყენებული იქნა შემდეგი შემადგენლობის გამხსნელები; აცეტონიტრილი 100%, აცეტონიტრილი 90% : წყალი 10% (მოცულობითი), აცეტონიტრილი 80% : წყალი 20% (მოცულობითი); აცეტონიტრილი 70% : წყალი 30% (მოცულობითი); აცეტონიტრილი 60% : წყალი 40% (მოცულობითი). წყლის შემცველობის ზრდა იწვევს ენანტიომერების დაყოფის დროის მკვეთრ ზრდას 40 დან 300 წუთამდე.

ენანტიომერული დაყოფების თერმოდინამიკური პარამეტრების შესასწავლად ანალიზები ჩატარდა სხვადასხვა ტემპერატურაზე 10-დან 60 °C-მდე 10°C ბიჯით გამხსნელად სუფთა აცეტონიტრილის გამოყენებით. ქრომატოგრამებზე დაყრდნობით გამოითვალა დაყოფის ფაქტორები ორივე ენანტიომერისთვის და დაყოფის სელექტრიურობა შემდეგ კი ვანტ-ჰოფის განტოლების მიხედვით აიგო მრუდები ენთალპიის და ენტროპიის გამოსათვლელად.

ანალოგიური ანალიზები ჩატარდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოძრავი ფაზების შემთხვევაში.

კვლევებმა აჩვენა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევებში ენანტიომერული დაყოფები მიმდინარეობს უმეტესად ენთალპიური კონტროლით. მოსალოდნელია, რომ მაღალ ტემპერატურაზე პროცესზე კონტროლი ექნება ენტროპიას, თუმცა ეს ტემპერატურა იმდენად მაღალია, რომ მისი გამოყენება მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფიაში ვერ მოხერხდება.

2. **უცხოური გრანტი:**
   აკადემიკოსი ბეჟან ჭანკვეტაძე გახლავთ შემდეგი საერთაშორისო პროექტის მეცნიერ-კონსულტანტი:

TUBITAK-THE SCIENTIFIC AND TECHNOLOGICAL RESEARCH COUNCIL OF TURKEY

Title : Chiralomics studies in cancer cell lines: Analysis of chiral metabolites and lipids by liquid chromatography-mass spectrometry with dual stationary phase columns

კიბოს უჯრედების ქირალომიკი: ქირალური მეტაბოლიტების და ლიპიდების ანალიზი სითხური ქრომატოგრაფია-მას სპექტრომეტრიის და ორმაგი ბუნების სტაციონარული ფაზების გამოყენებით.

ID:120Z600

პროექტის მონაწილე ორგანიზაციები: Hacettepe University, Ankara University

პროექტის ხანგრძლივობა: 01.02.2021-01.11.2023

## 5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ლელა მეტრეველი, **ქიმიური ტერმინოლოგიის ნორმალიზაციის საკითხისათვის.** ტერმინოლოგიის საკითხები, V. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. 2022-2023 წწ. 500 გვ.

**ანოტაცია**

სტატიაში განხილულია ქართულ სასკოლო და დამხმარე ქიმიის სახელმძღვანელოებში გამოყენებული ტერმინოლოგია. ეს ტერმინოლოგია შედარებულია ოთხენოვან ქიმიურ ლექსიკონთან. გამოკვეთილია სახელმძღვანელოებში შემჩნეული ტერმინოლოგიური უზუსტობების მიზეზები:

_ ტერმინების თვითნებური თარგმნა, ძირითადად, ინგლისური ენიდან.

_ შემთხვევები, როცა არსებობს ტერმინი, ის ასახულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, მაგრამ ქიმიაში იხმარება სხვა მნიშვნელობით და ქიმიის ქართულენოვანი განმარტებითი ლექსიკონი არ არსებობს. მაგალითად, სიტყვა ტრივიალური ნიშნავს: 1. სიახლეს, ორიგინალურობას მოკლებულს, 2. უხამსს, გაცვეთილს (ქეგლ). ქიმიკოსები კი სულ სხვა მნიშვნელობით იყენებენ ნივთიერებათა ტრივიალურ სახელწოდებებს, ტრივიალურ ნომენკლატურასა და სხვ.

_ ზოგჯერ ქიმიის ოთხენოვანი ლექსიკონი გვთავაზობს ქიმიური ტერმინის ერთადერთ ვარიანტს, ხოლო ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი – ორ ვარიანტს. მაგალითად, ქიმიური

ელემენტი As ამ ორ წყაროში მოხსენიებულია, შესაბამისად, როგორც დარიშხანი (ოთხენოვანი ლექსიკონი 2004) და დარიშხანი/დარიშხანა (ქეოლ).

_ მოტანილი მაგალითების ანალიზის საფუძველზე იკვეთება ქიმიკოსთა წრეებში ტერმინოლოგიური საკითხებისადმი ყურადღების გამახვილების საჭიროება.

## 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 6.1. წიგნები/მონოგრაფიები/თავი წიგნში (ავტორები, სათაური, მოცულობა. გამოცემის ადგილი და გამომცემლობა, ანოტაციები):

1. S. Fanali, B. Chankvetadze, P.R. Haddad, C.F. Poole, M.-L. Riekkola (Editors), Liquid Chromatography, Volume 1: Fundamentals and Instrumentation (3rd edn.), 757 pp., Elsevier, Amsterdam, Netherlands, 2023.
   ეს კრებული მოიცავს ძირითად ინფორმაციას ნივთიერებათა ნარევების დაყოფის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტული მეთოდის, მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის შესახებ. წიგნის პირველი ტომი ეძღვნება ამ მეთოდის თეორიულ საფუძვლებს და აპარატურას და მოიცავს ამ დარგის წამყვანი სპეციალისტების მიერ მომზადებულ 31 თავს.
2. S. Fanali, B. Chankvetadze, P.R. Haddad, C.F. Poole, M.-L. Riekkola (Editors), Liquid Chromatography, Volume 2: Applications (3rd edn.), 1055 pp., Elsevier, 2023.
   ეს კრებული მოიცავს ძირითად ინფორმაციას მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის გამოყენების შესახებ და მოიცავს ამ დარგის წამყვანი სპეციალისტების მიერ მომზადებულ 29 თავს.
3. P. Peluso, B. Chankvetadze, Fundamentals of enantioselective liquid chromatography, in: S. Fanali, B. Chankvetadze, P.R. Haddad, C.F. Poole, M.-L. Riekkola (Editors), Liquid Chromatography, volume 1: Fundamentals and Instrumentation (3rd edn.), Chapter 16, pp. 383-440, Elsevier, Amsterdam, Netherlands, 2023.
   ეს არის ერთ-ერთი თავი ზემოთხსენებულ კრებულში (ლიტერატურა 1) და აჯამებს ქირალური მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის საფუძვლებს, ისტორიას, თანამედროვე მიღწევებს და სამომავლო გამოწვევებს.

4. T. Farkas, B. Chankvetadze, Ultrafast high-performance liquid chromatography, in: S. Fanali, B. Chankvetadze, P.R. Haddad, C.F. Poole, M.-L. Riekkola (Editors), Liquid Chromatography, volume 1: Fundamentals and Instrumentation (3rd edn.), Chapter 8, pp. 145-176, Elsevier, Amsterdam, Netherlands, 2023.
   ეს არის ერთ-ერთი თავი ზემოთხსენებულ კრებულში (ლიტერატურა 1) და აჯამებს ზესწრაფი ქრომატოგრაფიული დაყოფების თეორიულ საფუძვლებს, ისტორიას, თანამედროვე მიღწევებს და სამომავლო გამოწვევებს.

5. P. Peluso, B. Chankvetadze, Application of Enantioselective Liquid Chromatography, in: S. Fanali, B. Chankvetadze, P.R. Haddad, C.F. Poole, M.-L. Riekkola (Editors), Liquid Chromatography, volume 2: Applications (3rd edn.), Chapter 24, pp. 817-866, Elsevier, Amsterdam, Netherlands, 2023.
   ეს არის ერთ-ერთი თავი ზემოთხსენებულ კრებულში (ლიტერატურა 2) და აღწერს ქირალური მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის გამოყენებას სხვადასხვა

დარგებში, როგორის არის ფარმაცევტული, ბიოსამედიცინო, გარემოს, საკვების და ა.შ. ანალიზები.

## 6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. P. Peluso, D. Landy, L. Nakhle, R. Dallocchio, A. Dessì, S. Krait, A. Salgado, B. Chankvetadze, G. K. E. Scriba, Isothermal Titration Calorimetry and Molecular Modeling Study of the Complex Formation of Daclatasvir by γ-Cyclodextrin and Trimethyl-β-Cyclodextrin, Carbohydrate Polymers, Carbohydrate Polymers 313 (2023) 120870. (12 pp).

დაკლატასვირის კომპლექსწარმოქმნა ციკლოდექსტრინებთან რამდენიმე თავისებურებით გამოირჩევა. ერთ-ერთი მათგანი არის კომპლექსწარმოქმნის და კომპლექსის დისოციაციის ძალიან შენელებული კინეტიკა. წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ამ ეფექტის თერმოდინამიკურ გამოკვლევას იზოთერმული ტიტრირების კალორიმეტრიის გამოყენებით. როგორც ეს მეთოდი აჩვენებს, დაკლტასვირი ხსნარში განიცდის დიმერიზაციას და არსებობს უპირატესად დიმერის სახით. გამა- ციკლოდექსტრინის მაკროციკლის შედარებით დიდი ზომის გამო დიმერის ჩართვა მისი დისოციაციის გარეშე ხდება ციკლოდექსტრინის შიგა ღრუში, მაშინ როდესაც შედარებით მცირე ზომის მაკროციკლის, ტრიმეტილციკლოდექსტრინის შემთხვევაში ციკლოდექსტრინის შიგა ღრუში ხდება მხოლოდ მონომერის ჩართვა. იზოთერმული ტიტრირების კალორიმეტრიით მიღებული შედეგები კარგ თანხმობაშია მოლეკულური მოდელირების გზით დადგენილი კომპლექსების დინამიკასა და სტრუქტურებთან.

2. B. Chankvetadze, G.K.E. Scriba, Cyclodextrins as Chiral Selectors in Capillary Electrophoresis: Recent Trends in Mechanistic Studies, TrAC, Trends Anal. Chem., 160 (2023) 116987 (14 pp). DOI: 10.1016/j.trac.2023.116987

ამ ნაშრომში მიმოხილულია ციკლოდექტრინების გამოყენება ქირალურ სელექტორებად კაპილარულ ელექტროფორეზში. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი სელექტორ-სელექტანდის კომპლექსწარმოქმნის მექანიზმებს. მოკლედ არის მიმოხილული ის ექსპერიმენტული და თეორიული მიდგომები, რომელიც გამოიყენება კომპლექსწარმოქმნის მექანიზმების კვლევისთვის. განხილულია თვითოეული მეთოდის უპირატესობა და ნაკლოვანი მხარეები.

3. A.F. Lo Faro, D. Berardinelli, G. Sprega, A. Tini, J. Carlier, T. Farkas, F.P. Busardò, B. Chankvetadze, Development of an enantioselective high-performance liquid chromatography-tandem mass spectrometry method for the quantitative determination of methorphan and its O-demethylated metabolite in human blood and its application to post-mortem samples, J. Pharm. Biomed. Anal. 230 (2023) 115384. DOI:10.1016/j.jpba.2023.115384 (9 pp).

ამ ნაშრომში შემოთავაზებულია დექსტრომეთორფანის, ლევომეთორფანის და მათი O-დემეთილირებული მეტაბოლიტების დექსტროფანის და ლევორფანოლის ენანტიოსელექტიური ანალიზის მეთოდი მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფია-მას სპექტრომეტრიის გამოყენებით. ჩვენს გამოკვლევებამდე მეთორფანის იდენტიფიკაცია ძირითადად

არაენანტიოსელექტიური მეთოდების გამოყენებით ხდებოდა და ვერ ხერხდებოდა საკვლევ ნიმუშებში ლევომეთორფანის დეტექტირება. ეს აუცილებელია კრიმინალისტური და ტოქსიკოლოგიური ანალიზის თვალსაზრისით, რადგანაც დექსტრომეთორფანი დაბალი დოზებით არ ხასიათდება ნარკოტიკული ზემოქმედებით და გამოიყენება ხველების და გაციების საწინააღმდეგო საშუალებებში, მაშინ როდესაც ლევომეთორფანი ძლიერი ნარკოტიკია და აკრძალულ ნივთიერებათა კატეგორიას განეკუთვნება. ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდის გამოყენებამ ნარკოტიკების მოხმარებით გარდაცვლილთა სისხლის 21 ნიმუშზე აჩვენა, რომ რამდენიმე შემთხვევაში მოხმარებული იყო ლევომეთორფანი და არა ნაკლებად ტოქსიური დექსტრომეთორფანი.

4. A.F. Lo Faro, D. Berardinelli, G. Sprega, A. Tini, L. Poyatos, S. Pichini, M. Farrè, T. Farkas, F.P. Busardò, L. Giunashvili, B. Chankvetadze, Development of enantioselective high-performance liquid chromatography-tandem mass spectrometry method for quantitative determination of methylone and some of its metabolites in oral fluid, J. Chromatogr. B. 1228 (2023) 123824. DOI: 10.1016/j.jchromb.2023.123824.

მეთილონი წარმოადგენს კათინონის რიგის ერთ-ერთ პოპულარულ ნარკოტიკულ საშუალებას. ეს არის ქირალური ნივთიერება და მის 2 ენანტიომერი ცოცხალ ორგანიზმში განსხვავებული მეტაბოლიზმით და ფარმაკოკინეტიკით ხასიათდება. ჩვენს გამოკვლევამდე მეთილონის ენანტიოსელექტიური ანალიზი რამდენიმე მეთოდის ერთდროული გამოყენებით ხორციელდებოდა. ჩვენს ნაშრომში შემოთავაზებულია მეთილონის და მისი მეტაბოლიტების ერთდროული ენანტიოსელექტიური ანალიზის პირველი მეთოდი მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფია-მას სპექტრომეტრიის გამოყენებით. ეს მეთოდი გამოყენებული იქნა კლინიკური კვლევების შედეგად მოგროვებული ნერწყვის ნიმუშების ანალიზის მიზნით.

5. L. Antonelli, E. Lucci, S. Fanali, C. Fanali, A. Gentili, B. Chankvetadze, An enantioselective high-performance liquid chromatography-mass spectrometry method to study the fate of quizalofop-P-ethyl in soil and selected agricultural products, J. Chromatogr. A. 1707 (2023) 464289. https://doi.org/10.1016/j.chroma.2023.464289.

ამ ნაშრომში შემოთავაზებული ქირალური პესტიციდის ქუაზილოფოპ-ეთილის ენანტიოსელექტიური ანალიზის მეთოდი მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფია-მას სპექტრომეტრიის გამოყენებით. განხორციელდა ამ მეთოდის ვალიდაცია და შემდგომ მისი გამოყენება როგორც ქირალური აგროქიმიური საშუალების, ქუაზილოფოპ-P-ეთილის ენანტიომერული სისუფთავის დასადგენად, ასევე ზოგიერთ აგროპროდუქტში ამ პესტიციდის ნარჩენის შემცველობის ენანტიოსელექტიური შესწავლის მიზნით.

6. B. Sechi, A. Dessì, R. Dallocchio, N. Tsetskhladze, B. Chankvetadze, M. Pérez-Baeza, S. Cossu, G. Jibuti, V. Mamane, P. Peluso, Unravelling dispersion forces in liquid-phase enantioseparation. Part I: Impact of ferrocenyl versus phenyl groups, Anal. Chim. Acta, 1278 (2023) 341725. https://doi.org/10.1016/j.aca.2023.341725.

წინამდებარე ნაშრომში ექსპერიმენტული (ქრომატოგრაფიული და თერმოდინამიკური) და მოლეკულური მოდელირების მეთოდების ერთდროული გამოყენების გზით დადგენილია შედარებით სუსტი დისპერსიული ძალების როლი ენანტიოსელექტიურ გამოცნობაში.

7. C. Fanali, S. Della Posta, A. Gentili, B. Chankvetadze, S. Fanali, Recent developments in electromigration techniques related to pharmaceutical analysis. A review, J. Pharm. Biomed. Anal. 235 (2023) 115647.

წინამდებარე მიმოხილვაში შეჯამებულია ისეთი ელექტრომიგრაციული მეთოდების, როგორიც არის კაპილარული ელექტროფორეზი და კაპილარული ელექტროქრომატოგრაფია, გამოყენება ფარმაცევტულ და ბიოსამედიცინო ანალიზში. მიმოხილულია ძირითადად ბოლო წლებში გამოქვეყნებული ლიტერატურა, ყურადღება არის გამახვილებული ამ დარგის თანამედროვე მიღწევებსა და სამომავლო გამოწვევებზე.

8. T. Khatiashvili, M. Karchkhadze, I. Matarashvili, T. Farkas, B. Chankvetadze, Comparative study of cellulose tris(3-chloro-5-methylphenylcarbamate) coated or covalently immobilized on silica for separation of enantiomers in high-performance liquid chromatography, Chromatographia (2023) https://doi.org/10.1007/s10337-023-04295-8.

ერთმანეთთან არის შედარებული ერთი და იგივე ქირალური სელექტორის (ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი) სილიკაგელზე ფიზიკური დაფენით ან კოვალენტური იმობილიზაციის გზით მომზადებული სტაციონარული ფაზების ქცევა ენანტიომერების დასაყოფად მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფიაში. ცალკეულ შემთხვევებში ნაჩვენებია ამ ქირალური სვეტების კომპლემენტარული თვისებები.

9. P. Peluso, B. Chankvetadze, Recent developments in molecular modeling tools and applications related to pharmaceutical and biomedical research, J. Pharm. Biomed. Anal. 238 (2024) 115836. https://doi.org/10.1016/j.jpba.2023.115836.

ამ მიმოხილვით შრომაში აღწერილი არის მოლეკულური მოდელირების და კომპიუტერული ქიმიის თანამედროვე მეთოდების გამოყენება ფარმაცევტულ და ბიოსამედიცინო ანალიზში, განსჯილი არის ამ მიმართულების თანამდროვე გამოწვევები და მომავალი კვლევების ტენდეციები.

10. A.F. Lo Faro, G. Sprega, D. Beradinelli, A. Tini, L. Poyatos, E. Papaseit, P. Berretta, A. Di Giorgi, M. Farre, N. Takaishvili, T. Farkas, F.P. Busardo, B. Chankvetadze, Development of enantioselective high-performance liquid chromatography-tandem mass spectrometry method for quantitative determination of 3,4-methylenedioxymethamphetamine (MDMA) and some of its metabolites in human biological samples, J. Pharm. Biomed. Anal. 238 (2024) 115768. https://doi.org/10.1016/j.jpba.2023.115768.

3,4-მეთილენდიოქსიმეთამფეტამინი (MDMA) ერთ-ერთ ფართოდ გამოყენებულ რეკრეაციულ (ნარკოტიკულ) საშუალებას წარმოადგენს. ეს არის ამფეტამინის ქირალური ნაწარმი და მისი ენანტიომერები განსხვავდება ფარმაკოლოგიური, ფარმაკოკინეტიკური და ტოქსიკოკინეტიკური თვისებებით. კლინიკური ტოქსიკოლოგიის და სასამართლო მედიცინის (კრიმინალისტიკის) ლაბორატორიები საჭიროებენ ამ პრეპარატის ანალიზის ენანტიოსელექტიურ მეთოდს სხვადასხვა ფიზიოლოგიურ სითხეებში. ამ ანალიზისთვის ლიტერატურაში აღწერილი იყო გაზური ქრომატოგრაფიის მეთოდები, რომლებიც მოითხოვს საანალიზო ნივთიერების წინასწარ გადაყვანას ნაწარმებში. წინამდებარე ნაშრომში შემოთავაზებული არის 3,4-მეთილენდიოქსიმეთამფეტამინის და მისი ძირითადი ფაზა-1 მეტაბოლიტების ენანტიომერების

ერთდროული დაყოფის და ანალიზის მეთოდი მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის გამოყენებით.

11. S. Jorbenadze, T, Khatiashvili, A. Chelidze, A.F. Lo Faro, T. Farkas, A. Tini, G. Sprega, D. Berardinelli, F.P. Busardo, B. Chankvetadze, Development of a novel enantioselective high-performance liquid chromatography-mass spectrometry method for the differentiation of dextro- and levo-methorphan and their O-demethylated metabolites in human blood and its application to post-mortem samples, J. Pharm. Biomed. Anal. 237 (2024) 115769. https://doi.org/10.1016/j.jpba.2023.115769.

თანამედროვე სწავლების პროცესი, ყოველწლიური გამოცდილებიდან გამომდინარე, საშუალებას იძლევა სემინარულ მეცადინეობებზე ახალი აქტივობები და მიდგომები იქნას დანერგილი. ეკონომიკის საწყისი კურსისთვის მეთოდურ-პრაქტიკული მასალების გამოცემის აუცილებლობა სტუდენტებთან სწორედ ამ მრავალწლიანი მუშაობის ანალიზის შედეგია. ავტორებმა გადაწყვიტეს ეკონომიკის საწყისი კურსის შემსწავლელ სტუდენტებს საშუალება მისცენ სიტუაციების, ადაპტირებული ტესტების, საქართველოს რეალურ ბაზარზე და ზოგადად ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ანალიზისა და ფაქტების საფუძველზე გაიღრმაონ თეორიული ცოდნა, იაზროვნონ რაციონალურად და გააკეთონ ეფექტიანი დასკვნები, რაც ინტრავერდ და ექსტრავერდ სტუდენტებს ბოლომდე თვითრეალიზაციის საშუალებას მისცემს.

ნაშრომში გამოყენებულია ქართულ და უცხოურ ენებზე გამოცემული ლიტერატურა აღნიშნულ საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებით და მოიცავს იმ თავებს, რომლებიც გათვალისწინებულია სემესტრული (15 კვირეული) დატვირთვით, სილაბუსის შესაბამისად.

სემინარებზე სამუშაო წიგნის დავალებების განახლება ყოველწლიურად ხდება, თუმცა „მიკროეკონომიკის პრინციპების" 2022 წლის გამოშვება სრულიად განახლებულია როგორც თემატურად, ასევე შინაარსობრივად, ვინაიდან სასწავლო კურსი განახლდა და სახელმძღვანელოდ ახალი ლექციების კურსი (რიდერი) გამოიყენება (დამატებულია ახალი თემები). სიახლეა ისიც, რომ სტუდენტებთან შესაძლებელი გახდება ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებების მიცემა ონლაინ სწავლების გამოყენებით, რაც სტუდენტების შეფასების მრავალფეროვანი სისტემის დანერგვას და აქედან ამომდინარე, სალექციო კურსის განვითარებას შეუწყობს ხელს, ეს კი სასწავლო პროცესს უფრო შემოქმედებითს გახდის.

წიგნში გამოყენებულია მოწინავე ამერიკული კომპანიის, Cengage Group-ის ექსკლუზიური მასალები. Cengage Group არის საგანმანათლებლო კონტენტის, ტექნოლოგიებისა და სერვისების კომპანია უმაღლესი განათლების, K-12, პროფესიული და ბიბლიოთეკის ბაზრებისთვის, რომელიც მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში მუშაობს. დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში Cengage Learning-ის სასწავლო კონსულტანტის, ჯეინ ნიკოლიჩის მიმართ (Jayne Nikolic, Learning Consultant Central and Eastern Europe), რომელმაც ერთთვიანი უფასო წვდომა მომცა გრეგორი მენქიუს და მარკ ტეილორის წიგნის - „Economics" ინსტრუქტორების მასალებზე, სტუდენტების რესურსებზე და პროგრამაზე - Cengage MindTap - eLearning resources.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

M. Natsvaladze, “Behavioral Economics, Experimental Institutional Economics and New Institutional Economics: Understanding the Intersection of Three Disciplines” სტატია, თსუ სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ 2023.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

სტატიაში წარმოდგენილია ხედვა ქცევითი ეკონომიკის პრიორიტეტული როლის შესახებ ინსტიტუციური ეკონომიკის განვითარებაში, ეკონომიკური მეცნიერების განვითარების პირობებში. ინსტიტუტები შეიძლება მოიცავდეს ყველაფერს, დაწყებული სამთავრობო და სამართლებრივი სისტემებიდან, კულტურული შეხედულებებითა და საერთო ღირებულებებით დამთავრებული. ის ეხება იმას, თუ როგორ წარმოიქმნება ინსტიტუტები, როგორ ვითარდებიან ისინი და როგორ შეიძლება შეიქმნას სასურველი ეკონომიკური შედეგების გასაუმჯობესებლად. ახალი ინსტიტუციური ეკონომიკის სამეცნიერო კვლევები იკვლევს ინსტიტუტების როლს ეკონომიკურ განვითარებაში, ბაზრის ფუნქციონირებაში, მმართველობასა და პოლიტიკის შემუშავებაში. იგი განიხილავს სხვადასხვა თეორიულ პერსპექტივებს და ემპირიულ კვლევებს იმის გასაგებად, თუ როგორ ახდენენ ინსტიტუტები ეკონომიკურ ქცევაზე გავლენას და აყალიბებენ ეკონომიკურ სისტემებს. სამეცნიერო კვლევების მიზანი ფოკუსირებულია იმის გაგებაზე, თუ რა გავლენას ახდენენ ინსტიტუტები ეკონომიკურ ქცევაზე, ქცევითი ეკონომიკის შეხედულებების გათვალისწინებით და ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენებით ჰიპოთეზების შესამოწმებლად და ფაქტობრივი ქცევის დასაკვირვებლად. ეკონომიკური მეცნიერება მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მისი განვითარება მხოლოდ მათი გადაჭრის შემდეგ ხდება შესაძლებელი. ეკონომიკის სფეროში არსებული ამ გამოწვევებიდან აღსანიშნავია: მოდელირების სირთულე, ქცევითი ეკონომიკა, მონაცემთა ხელმისაწვდომობა და ხარისხი, ინტერდისციპლინური კვლევა, გლობალიზაცია და ვაჭრობა, შემოსავლების უთანასწორობა, ტექნოლოგიური რღვევა, ფინანსური კრიზისები, ქცევითი მიკერძოება პოლიტიკის შემუშავებაში და სხვ. არსებული კვლევები და ინტერდისციპლინური თანამშრომლობა აუცილებელია ამ რთული ეკონომიკური საკითხების გადასაჭრელად და პოლიტიკის გადაწყვეტილებების ეფექტიანად წარმართვისთვის. ქცევითი ეკონომიკა და ინსტიტუციონალური ეკონომიკა - ორი საინტერესო დისციპლინაა, რომელიც შეისწავლის, თუ როგორ იღებენ ადამიანები გადაწყვეტილებებს და როგორ მოქმედებს ინსტიტუტები ჩვენს ქცევაზე. სტატიაში ჩვენ შევისწავლეთ ამ ორ სფეროს შორის მსგავსება და განსხვავებები, თუ როგორ გამოიყენება ექსპერიმენტული მეთოდები ეკონომიკური ქცევის ჩვენეული გაგების გასაღრმავებლად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინსტიტუციური ეკონომიკის სფერო მრავალფეროვანია და ამჟამად მსოფლიო სამეცნიერო წრეებში ჩატარებული კვლევები თემების საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს. ექსპერიმენტული ინსტიტუციური ეკონომიკა - კვლევის ეს მიმართულება აერთიანებს ლაბორატორიულ ექსპერიმენტებს და თეორიულ მოდელებს, რათა მისი საშუალებით მეცნიერებმა გააანალიზონ ინსტიტუციური მოწყობის გავლენა ეკონომიკურ ქცევასა და შედეგებზე. ვერნონ სმიტმა, ელინორ ოსტრომმა და ჟან ტიროლმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ სფეროში. ქცევითი და ექსპერიმენტული ინსტიტუციური ეკონომიკა არის ეკონომიკის ქვედარგი, რომელიც აერთიანებს როგორც ქცევითი ეკონომიკის, ისე ექსპერიმენტული ეკონომიკის შეხედულებებს, რათა შეისწავლოს, თუ როგორ ახდენენ ინსტიტუტები გავლენას ეკონომიკურ ქცევასა და შედეგებზე. ქცევითი ეკონომიკა არის ეკონომიკის დარგი, რომელიც აერთიანებს ფსიქოლოგიისა და სხვა სოციალური მეცნიერებების შეხედულებებს იმის გასაგებად, თუ როგორ ხდება ინდივიდების მიერ ტრადიციული ეკონომიკური მოდელების მიერ მიღებული რაციონალური, პირადი ინტერესების მქონე ქცევისგან გადახვევა. ის იკვლევს, თუ როგორ მოქმედებს კოგნიტური მიკერძოება, ევრისტიკა, ემოციები და სოციალური გავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე. ქცევითი ეკონომიკა

აერთიანებს ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის ელემენტებს იმის გასაგებად, თუ როგორ და რატომ იქცევიან ადამიანები ისე, როგორც იქცევიან რეალურ სამყაროში. ის განსხვავდება ნეოკლასიკური ეკონომიკისგან, რომელიც ვარაუდობს, რომ ადამიანების უმეტესობას აქვს კარგად განსაზღვრული პრეფერენციები და იღებენ კარგად ინფორმირებულ, საკუთარი ინტერესების მქონე გადაწყვეტილებებს ამ პრეფერენციების საფუძველზე . ექსპერიმენტული ეკონომიკა გულისხმობს კონტროლირებადი ექსპერიმენტების ჩატარებას ეკონომიკური თეორიებისა და ჰიპოთეზების შესამოწმებლად. ამ ექსპერიმენტებში მკვლევარები ქმნიან კონტროლირებად გარემოს, სადაც სუბიექტები (როგორც წესი, ინდივიდები ან ჯგუფები) იღებენ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს, რაც იძლევა კონკრეტულ პირობებში დაკვირვებების და ანალიზის საშუალებას. ექსპერიმენტული ეკონომიკა ხელს უწყობს ეკონომიკური თეორიების შემოწმებას კონტროლირებადი და განმეორებადი გზით. ინსტიტუციური ეკონომიკა შეისწავლის ინსტიტუტების როლს (ფორმალური და არაფორმალური წესები, ნორმები და ორგანიზაციები) ეკონომიკური ქცევისა და შედეგების ფორმირებაში. იგი იკვლევს, თუ როგორ ზემოქმედებენ ინსტიტუტები ეკონომიკურ ტრანზაქციებზე, საკუთრების უფლებებზე, კონტრაქტებზე და მთლიანად ბაზრის ფუნქციონირებაზე. ახალი ინსტიტუციური ეკონომიკა (New Institutional Economics - NIE) არის პერსპექტიული ეკონომიკური მიმართულება, რომელიც ცდილობს გააფართოვოს ეკონომიკა იმ ინსტიტუტებზე (ანუ სოციალურ და სამართლებრივ ნორმებსა და წესებზე) ფოკუსირებით, რომლებიც საფუძვლად უდევს ეკონომიკურ საქმიანობას, ასევე მოახდინოს იმ საკითხების ანალიზი, რომლებიც დარჩა ადრინდელი ინსტიტუციონალური ეკონომიკისა და ნეოკლასიკური ეკონომიკის მიღმა. ახალი ინსტიტუციური ეკონომიკა არის ძლიერი ინსტრუმენტი რეალური სამყაროს ფენომენის გასაგებად. ეს იკვლევს პასუხებს ფუნდამენტურ კითხვებზე ეკონომიკის ორგანიზაციის, ზრდისა და განვითარების შესახებ, მაგალითად, რატომ არის ზოგიერთი ქვეყანა მდიდარი და ზოგი ღარიბი? რატომ არის ორგანიზებული აქტივობები ფირმების, ბაზრების ან სხვა ალტერნატიული ორგანიზაციული გადაწყვეტილებების სახით? როდის ხდება საერთო რესურსების ზედმეტად ექსპლუატაცია? (Ménard C., Shirley, M., 2022). კულტურული ნორმები ფუნდამენტური ფაქტორია როგორც ინსტიტუციურ, ისე ქცევითი ეკონომიკაში. ისინი გავლენას ახდენენ იმ წესებსა და რეგულაციებზე, რომლებიც მართავენ ეკონომიკურ საქმიანობას, აყალიბებენ ინდივიდუალურ ქცევას და გადაწყვეტილების მიღებას. ამ კულტურული ნორმების გაგება გადამწყვეტია ეკონომისტებისთვის და პოლიტიკის შემქმნელებისთვის ეფექტიანი პოლიტიკისა და ინტერვენციების შემუშავებისთვის სხვადასხვა ეკონომიკურ კონტექსტში.

ქცევითი და ინსტიტუციური ეკონომიკა არის სწრაფად განვითარებადი სფეროები, რომლებიც გვთავაზობენ ღრმა ხედვას იმის შესახებ, თუ როგორ იღებენ ადამიანები გადაწყვეტილებებს და როგორ აყალიბებენ ინსტიტუტები ჩვენს ეკონომიკურ ქცევას. ექსპერიმენტულმა მეთოდმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ორივე დისციპლინაში, რაც მკვლევარებს საშუალებას აძლევს შეაგროვონ მონაცემები და გააუმჯობესონ ეკონომიკური ქცევის გაგება. ამ სფეროების შესწავლით მოსალოდნელია, რომ კიდევ უფრო მეტ ინფორმაციას მივიღებთ ადამიანის ქცევასა და ეკონომიკურ ინსტიტუტებს შორის კომპლექსურ ურთიერთკავშირში.

**I.** 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება - **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა**

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – ***პროფესორი რევაზ გველესიანი***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

***ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი***

*ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი*
*ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი*
*ასისტენტ პროფესორი გიორგი გაფრინდაშვილი*
*ასისტენტ პროფესორი ლალი ხურცია*

***პროფესორი რევაზ გველესიანი***

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1. **საფაკულტეტო საგრანტო პროექტი *,, საქართველოს ევროკავშირის მოთხოვნებთან კოორდინირებული ენერგეტიკული ჰაბის პოლიტიკის ფორმირება და მისი განხორციელების პერსპექტივები“***

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **1.02.2023 -15.12.2023**

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

- ***პროფესორი რევაზ გველესიანი,*** *პროექტის ხელმძღვანელი - პროექტის ორგანიზება, საკვლევი პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგებისა და დასკვნების საფუძველზე მონოგრაფიის გამოქვეყნების ხელმძღვანელობა;*
- ***ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი,*** *პროექტის კოორდინატორი - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ორგანიზაციულ საკითხებში დახმარება; კვლევითი ამოცანის - ევროკავშირში ენერგეტიკული ჰაბების განვითარების პოლიტიკის ევოლუციის ზოგადი მიმართულებებისა და თანამედროვე გამოწვევების შესწავლა;*
- ***ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი*** *- კვლევითი ამოცანის - საქართველოში ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი ენერგეტიკული ჰაბის პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პერსპექტივების შესწავლა;*
- ***ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი,*** *- კვლევითი ამოცანის - ევროკავშირის ენერგეტიკულ ჰაბებში მონაწილე ქვეყნების ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავების, კოორდინირებისა და იმპლემენტაციის წარმატებული და წარუმატებელი გამოცდილების გაანალიზება;*
- ***ასოცირებული პროფესორი გიორგი გაფრინდაშვილი*** *- კვლევითი ამოცანის - რეკომენდაციების შემუშავება საქართველოში ენერგეტიკული ჰაბის დაფუძნების ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირებისა და გატარებისათვის;*
- ***ასისტენტ პროფესორი ლალი ხურცია*** *- კვლევითი ამოცანის - ენერგეტიკული ჰაბის შექმნისა და განვითარების პოლიტიკის პრობლემატიკაზე სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი;*
- ***დოქტორანტები: ქრისტინა ჯულაყიძე და ბექა ფერაძე-*** *კვლევითი ამოცანის - ევროკავშირის ენერგეტიკულ ჰაბებში მონაწილე ქვეყნების ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავების, კოორდინირებისა და იმპლემენტაციის წარმატებული და წარუმატებელი გამოცდილების გაანალიზებ - მასალების მომზადება.*

**დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

საქართველოს აქვს ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებით ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ამაღლების და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის პოტენციალი, რაც, რა თქმა უნდა, რაციონალური ეკონომიკური დიპლომატიის განხორციელებითაა შესაძლებელი.

საქართველოს, როგორც არასდროს, დღეს აქვს შანსი, გახდეს ელექტროენერგეტიკული ჰაბი. საამისოდ, ქვეყანამ ტრანზიტული ქვეყნის უპირატესობები უნდა გამოიყენოს. ის უნდა გახდეს ელექტროენერგიის გარდამქნელი და ტრანზიტის ქვეყანა. აზერბაიჯანში არსებული ჭარბი ელექტროენერგია, კერძოდ, თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ანუ საბაზო ელექტროენერგია უნდა შემოვიდეს საქართველოში, ქვეყანაში არსებული მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების მეშვეობით გარდაიქმნას იმ ტიპის ელექტროენერგიად, რომელიც ევროპის ბაზარზე შეიძლება გაცილებით ძვირად გაიყიდოს, ანუ პიკის საათების ელექტროენერგიად. ეს შესაძლებლობები და უპირატესობები მომავალშიც მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული.

საქართველოს ტრანსკავკასიური ელექტროენერგეტიკული ჰაბის ფუნქცია მნიშვნელოვნად გაძლიერდება შავი ზღვის ფსკერზე მოსაწყობი მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის პროექტის განხორციელებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანი გახდა გლობალურ პროექტში მსოფლიო ბანკის ჩართულობა (მის ნებისმიერ ეტაპზე). ეს ითვალისწინებს ასევე რუსეთის ფედერაციაზე ენერგოდამოკიდებულების ხარისხის შემცირებას, რამდენადაც შავი ზღვის კაბელი საქართველოს საშუალებას მისცემს რეგიონის ენერგოსისტემა ევროგაერთიანების სისტემას დააკავშიროს და პირიქით. პროექტი უმნიშვნელოვანესი იქნება საკუთრივ საქართველოში გენერირებული ელექტროენერგიის ევროკავშირის ბაზარზე გატანის თვალსაზრისით. იგი საქართველოსთვის სატრანზიტო შემოსავლის წყაროც იქნება. ამ კაბელს ექნება სხვა დანიშნულებაც. ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა, რომ მასში ასევე დამონტაჟდეს ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენიც, რომელიც ტელეკომუნიკაციის /ინტერნეტ არხის/ ჩამოსაყალიბებლად დამატებით პირდაპირ საშუალებას მოგვცემს. ძნელია გადავაფასოთ ეს შანსი, რომელიც, ტელესაკომუნიკაციო ტრაფიკის დამატებითი პირდაპირი არხის ფორმირების შესაძლებლობას იძლევა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიას/ცენტრალურ აზიას შორის.

ექსპერტების მოსაზრებით, ამ მასშტაბის გლობალურ პროექტში მსოფლიო ბანკის ჩართულობა, მის ნებისმიერ ეტაპზე, მიუთითებს მის სერიოზულობაზე და პროექტის კარგ პერსპექტივაზე. შავი ზღვის ფსკერზე ელექტროენერგიის მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის იდეაზე წლების წინაც იყო საუბარი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, მათ შორის, პროექტის სიძვირიდან გამომდინარეც, მაშინ საქმე არ დაძრულა. ამჯერად კი, საქართველოსთვის, ეს უმნიშვნელოვანესი პროექტია. იგი ითვალისწინებს შავი ზღვის ფსკერზე 1200 კილომეტრამდე სიგრძის მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის მოწყობას, რომელმაც ერთმანეთთან დააკავშირებს საქართველოსა და ევროპის ელექტროენერგეტიკულ სისტემებს. პროექტის დაფინანსებაში მსოფლიო ბანკთან ერთად ჩაერთვებიან, როგორც მთავრობები, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და მსხვილი ენერგეტიკული კორპორაციები. რაც საინტერესოა როგორც წმინდა ეკონომიკური, ისე გეოეკონომიკური და ზოგადად გეოპოლიტიკური თვალსაზრისითაც. მაგალითად გეოლოგიურ კვლევებს, რომელიც შავ ზღვაში უნდა ჩატარდეს, საქართველო 20 მლნ აშშ დოლარს გამოყოფს.

„შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის" პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობებისა და საუკეთესო გზების დადგენის მიზნით, აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, რომელსაც „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" დაკვეთით, იტალიური საკონსულტაციო კომპანია CESI ახორციელებს. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა 2023 წლის ბოლოს დასრულდება.

საქართველოს, რუმინეთის, აზერბაიჯანისა და უნგრეთის რესპუბლიკების მთავრობებს შორის მწვანე ენერგიის განვითარებისა და გადაცემის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმების საფუძველზე, თბილისში ოთხი ქვეყნის სამთავრობო უწყებების მაღალი

რანგის შეხვედრა გაიმართა.

განსახილველ საკითხს შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი წარმოადგენდა, რომელიც საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით და საქართველოს და რუმინეთის გადამცემი სისტემის ოპერატორების „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" და „ტრანსელექტრიკა"-ს მეშვეობით განხორციელდება. შედეგად, 1 195 კილომეტრის სიგრძის კაბელი რუმინეთს დაუკავშირდება, რაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და რუმინეთს საშუალებას მისცემს, ისარგებლონ გაფართოებული საექსპორტო შესაძლებლობებით და ელექტროენერგიის ბაზრის საათობრივი ფასების გათვალისწინებით განახორციელონ ელექტროენერგიით ვაჭრობა. ამ ეტაპზე, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" საკონსულტაციო კომპანია CESI-ს დახმარებით ახორციელებს პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას. სამომავლოდ, პროექტის ფარგლებში ასევე ჩატარდება გარემოსა და სოციალური ზემოქმედების შეფასების და გეოფიზიკურ/ გეოტექნიკური შავი ზღვის ფსკერის კვლევები. მათი მეშვეობით დადგინდება პროექტის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობები.

ოთხი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობით, მნიშვნელოვნად განვითარდება ენერგეტიკის სექტორი, გაიზრდება მწვანე ენერგიების სატრანზიტო და ვაჭრობის შესაძლებლობები, ევროპული ენერგოსისტემები კი პოტენციურად დაუკავშირდებიან სამხრეთ კავკასიის რეგიონს.

რას მოუტანს ქართულ ეკონომიკას, კერძოდ, საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორს ეს პროექტი?

მაღალი ძაბვის ინფრასტრუქტურას დაემატება 1000 მეგავატამდე გამტარუნარიანი 500 კილოვატიანი გადამცემი ქსელი, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია როგორც ენერგოდამოუკიდებლობის, ისე ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით. შემცირდება რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება, რამდენადაც შავი ზღვის კაბელი საქართველოს საშუალებას მისცემს რეგიონის ენერგოსისტემა ევროგაერთიანების სისტემას დააკავშიროს და პირიქით.

ახალი გადამცემი ხაზი, ორივე მხარისთვის, ევროგაერთიანების ენერგოსისტემისთვის და ჩვენი რეგიონისთვის ერთნაირად საინტერესო იქნება, როგორც ენერგიის მიღების, ისე გაცემის თვალსაზრისით. დღეს ყველა ეძებს იაფ და მწვანე ენერგიას. ეს ტენდენცია უკვე შეუქცევადია. აქედან გამომდინარე როგორც ჩვენი პერსპექტივაში განსავითარებელი ჰიდროენერგეტიკისთვის, ისე აზერბაიჯანის, პერსპექტივაში განსავითარებელი ენერგეტიკისთვის, პრაქტიკულად გარანტირებული ბაზარი იხსნება. საკითხის მეორე მხარეა, როცა ვსაუბრობთ იმპორტის ახალ შესაძლებლობაზე. ცხადია, იმპორტის დივერსიფიკაციაც ჩვენი ენერგოპოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

ევროპაც და აზიის ქვეყნებიც დაინტერესებული იქნებიან ახალი მყარი და მოცულობითი ენერგოკავშირების დამყარებით და, ცხადია, ამ საქმეში თავის როლს შეასრულებს და საქმეს გაამარტივებს, თუკი შავ ზღვაში უკვე იქნება მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელი. პოტენციაში იგივე ინფრასტრუქტურა უნდა დავინახოთ კასპიის ფსკერზეც. უდაოდ მიმზიდველად გამოიყურება აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ენერგოსისტემების კავშირის შესაძლებლობა. საკითხის ამ რაკურსით გაანალიზების შემთხვევაში, ისედაც ძალიან საინტერესო პროექტი კიდევ უფრო მეტ ინტერესს იძენს მთელი რიგი ენერგომოთამაშეებისთვის. მაგრამ, მანამდე, შავი ზღვის ფსკერზე მოსაწყობი მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის პროექტმა უნდა ნახოს დღის სინათლე, მისი დაწყება უნდა გახდეს საქართველოს ენერგოგანვითარების მასტიმულირებელი და მისი მეშვეობით ჩვენმა ქვეყანამ უნდა შეიძინოს ტრანსკავკასიური ელექტროენერგეტიკული ჰაბის ფუნქცია. ამასთან, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ჩვენი ქვეყანა საუკუნის პროექტის „აბრეშუმის გზის" მონაწილეა. შესაბამისად, პროექტის - „ერთი გზა, ერთი სარტყელი-ის" ფარგლებში საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის

თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი როლი აქვს. რა თქმა უნდა, როდესაც სატრანზიტო ფუნქციაზე ვსაუბრობთ, აქ არ იგულისხმება მხოლოდ საგზაო ან სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოწყობა, ელექტროენერგიის სატრანზიტო როლის გაზრდაც ამ გლობალურ მასშტაბში უნდა განვიხილოთ. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარდა ლოჯისტიკური მნიშვნელობისა, საქართველო ასევე ენერგეტიკული თვალსაზრისით ჩამოყალიბდება ერთგვარ კარიბჭედ აზიასა და ევროპას შორის.

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. კრებულები

1)ავტორი/ავტორები

1. **გველესიანი რ.,** გოგორიშვილი ი., ევროკავშირის ახალი მიდგომა ინდუსტრიული პოლიტიკის მიმართ.
2. **გველესიანი რ.,** გოგორიშვილი ი, მოსალოდნელი გლობალური ცვლილებების ამსახველი გადაწყვეტილების მიღება ეკონომიკურ პოლიტიკაში.
3. **Gvelesiani R.,** Lekashvili E., Gaprindashvili G., Contemporary Challenges of Industrial Policy of Georgia

2)კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია, „მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები", შრომების კრებული, ISBN 978-9941-36-111-1

2. V ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში", მოხსენების მასალები, ISBN – DOI.

3. II-ND INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE "STRATEGIC PLANNING AND MARKETING IN DIGITAL WORLD".

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2023

2. თბილისი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, 2023

3. Bulgaria 2023

4) გვერდების რაოდენობა

1. გვ. 79-88.

2. გვ. 69-76

3. pp. 23-35

*ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)*

1. ევროკავშირში ყოველთვის ესმოდათ, რომ მათი დღევანდელი კეთილდღეობა ეფუძნება რეგიონის უნარს შექმნას და დაეუფლოს სამრეწველო ინოვაციებს, როგორც ძირითად ფაქტორს ეკონომიკური ზრდისა და სოციალური პროგრესის უზრუნველსაყოფად. დღეს ინდუსტრიული ინოვაციები ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის მთავარი მამოძრავებელია. ისინი აჩქარებენ ეკონომიკურ ზრდას, ქმნიან ახალ და უფრო მიმზიდველ სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფენ სოციალურ მობილურობას, ხელს უშლიან ნეგატიურ კლიმატურ ცვლილებებს და აუმჯობესებენ ცხოვრების ხარისხს. ამასთან, იცვლება თავად ინდუსტრიული ინოვაციების ხასიათი. მათი სასიცოცხლო ციკლი მკვეთრად მცირდება. სირთულე იზრდება სხვადასხვა ტიპის ტექნოლოგიების დაახლოების შედეგად. სამრეწველო ინოვაციებიდან მი- ღებული მოგების კონცენტრაციახდება მსოფლიო ბაზარზე დომინანტური ცალკეული კომპანიების ხელში, რომლებმაც მოახერხეს ინოვაციების შექმნისა და განაწილების მონოპოლიზება მათი უნიკალური თვისებების გამოყენების გამო.

ინოვაციები სულ უფრო მეტად ფოკუსირდება მომხმარებელზე, რომელიც ეძებს არა პროდუქტს ან მომსახურებას, არამედ კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტას. ის დღეს მოქმედებს როგორც პროგრესის ინიციატორი და შემქმნელი და არა როგორც მიღწეულის მომხმა- რებელი. მეცნიერთა კვლევები ცხადყოფს, რომ თანამედროვე სამრეწველო ინოვაციები ხასიათდება შედარებით დაბალი საოპერაციო ხარჯებით ტრადიციულთან შედარებით.

2. ეკონომიკურ პოლიტიკაში დასაბუთებული გადაწყვეტილებების მომზადება დამოკიდებულია იმაზე თუ:

• რამდენად კარგად არის ემპირიულად უზრუნველყოფილი მოქმედების შესაძლებლობები და მისი შედეგები, ე.ი. რამდენად რაციონალურია მართვის შესახებ არსებული და მისაღები ცოდნა;

• რამდენად ექვემდებარება ანალიტიკურ ახსნას გადაწყვეტილების მიღების პრობლემა (გადაწყვეტილების ლოგიკიდან გამომდინარე).

მართვის პრაქტიკული ცოდნა, როგორც წესი, მით უფრო შეზღუდულია, რაც უფრო ნაკლებად ითვალისწინებს რეკომენდირებული მოქმედებები ადრინდელ მოღვაწეობას ან მისგან თავის შეკავებას (ე.ი. რაც უფრო დაშორებულია ისინი თეორიულ-ეკონომიკურ გამოცდილებას). გადაწყვეტილების პრობლემის ანალიტიკური წვდომა გაძნელებულია კარგად გააზრებული მოქმედებების კომპლექსურობით. ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილების პრობლემის სტატუსისა და დიაპაზონის შეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის გაცნობიერებული ნაგულისხმევი

მოქმედებები, საზოგადოებრივი მდგომარეობის მიზნად დასახული ცვლილებები და განვითარება. იმისათვის, რომ რეფორმები გამოცდილების შესაბამისად განხორციელდეს, აუცილებელია საკმარისად გრძელვადიანი პოლიტიკური მხარდაჭერა. რეალობაში ასეთი მხარდაჭერის უზრუნველყოფა შეუძლებელია. ამომრჩეველთა მოუთმენლობა, შედეგებზე პასუხისმგებლობის აღებასთან დაკავშირებული სიძნელეები, ოპორტუნისტულად განწყობილი საპარლამენტო ოპოზიცია (ან ხელისუფლება) სწორედ ის ფაქტორებია, რომლებიც რეფორმების დროზე ადრე შეწყვეტას ან მოდიფიცირებას განაპირობებს.

თანმიმდევრული რეფორმები არ ჰგავს ექსპერიმენტებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ის მიზეზები, რომლებიც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს საზოგადოების მართვის საზღვრებსაც ცხადყოფს. ამ საზღვრებში იერარქიულად ყველაზე მაღალ საფეხურზე პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლებები და უფლებები დგას. ამიტომ შედეგი რაციონალურობის პოსტულატის ამოცანა არ არის. პირიქით, საქმე ეხება თანმიმდევრული რეფორმების პოლიტიკის კონტროლისა და დაცვის დამატებითი დემოკრატიული მეთოდებით უზრუნველყოფას. ეს ხორციელდება იმისათვის, რომ არ დაირღვეს მართვის შესაძლებლობათა საზღვრები. წინააღმდეგ შემთხვევაში ეფემერული კანონმდებლობის შედეგად განხორცილდებოდა სახელმწიფოს მხრიდან ინტერვენციათა სერია და დაიკარგებოდა თავისუფლება. ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებების თვალსაზრისითაც ფაქტობრივი პროგრესის მიღწევა სხვაგვარად შეუძლებელია.

3. წინამდებარე ნაშრომში ზოგადი ეკონომიკური მაჩვენებლების და EquIP-ის პირველი ინსტრუმენტის საფუძველზე გაანალიზებულია მაკრო დონის მაჩვენებლები, კერძოდ, განხილულია მრეწველობის და, კონკრეტულად, დამამუშავებელი მრეწველობის არსებული მდგომარეობა, პოზიციონირება და კონკურენტუნარიანობა.

კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოს ეკონომიკა დაბალგანვითარებულია, შესაძლებლობები კი შეზღუდული, ამიტომ დღის წესრიგში სამრეწველო პოტენციალის ზრდის საჭიროებაა.

მსპ-ს ზრდის ტემპის და დამამუშავებელ მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულების მაჩვენებლები ნათლად გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზციის დონე დაბალია, შესაბამისად, შესაძლებლობების განვითარების პოტენციალი არსებობს და ასათვისებელია. მოსახლეობის ერთ სულზე დამამუშავებელი მრეწველობის დამატებული ღირებულების ზრდის ტენდენცია ადასტურებს, რომ ქვეყნის სამრეწველო შესაძლებლობები მზარდია და შესაბამისად, მოსახლეობის საჭიროებები უკეთ დაკმაყოფილებული. აღსანიშნავია, რომ მრეწველობა ლიდერობს გამოშვების მაჩვენებლით სხვა ეკონომიკურ საქმიანობებთან მიმართებით, თუმცა დამამუშავებელ მრეწველობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2014 წლის შემდეგ მცირდება. აღსანიშნავია, რომ დამამუშავებელი მრეწველობის მოცემული სტრუქტურა დასაქმების თვალსაზრისით მიმზიდველია, რაც ნიშნავს, რომ დარგი სამუშაო ადგილების შექმნას უზრუნველყოფს და შრომის მწარმოებლურობა დამამუშავებელი მრეწველობის ტოპ-ხუთეულში ერთნაირია.

მსოფლიო ბაზართან ინტეგრირების ხარისხის და გავლენის თვალსაზრისით, საქართველოს უმნიშვნელო პოზიცია უკავია. სუსტია საქართველოს პოზიციონირება ევროკავშირის ბაზართან მიმართებითაც. შემცირებულია საშუალო და მაღალტექნოლოგიური აქტივობების წილი დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ექსპორტში. საქართველოს სამრეწველო კონკურენტუნარიანობის და ექსპორტის სტრუქტურის ტექნოლოგიური სირთულის მონაცემები გვიჩვენებს, რომ იგი ემყარება დაბალტექნოლოგიური სამრეწველო პროდუქციის წარმოებას.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1)ავტორი/ავტორები

1. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი.,
2. Gvelesiani R., Bedianashvili G.,
3. Lekashvili E., Gvelesiani R.,

2)სტატიის სათაური

1. ევროკავშირის წარმატებული ინდუსტრიული პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები
2. Methods of Assessing Economic Situation and Development
3. Analysis and Assessment of Current Industrial Policy in Georgia

3)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი XV, № 1
2. International Scientific Journal Innovative Economics and Management, , Vol 10 № 2
3. Bulletin of the Georgian National Academy of Science, Vol. 17, no. 2,

4)გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2023
2. ბათუმი 2023
3. თბილისი 2023

5) გვერდების რაოდენობა

1. გვ. 24-45.
2. გვ. 6-17
3. გვ. 167-172

*ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)*

1. ევროპაში ინოვაციური ციფრული ბიზნესიდეების დეფიციტი არ არის, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე კომპანია ფართოვდება ან აყალიბებს გლობალურ ბაზრებს, სხვა მსხვილი კომერციული მოთამაშეები (რომლებიც ხშირად სარგებლობენ მთავრობის მხარდაჭერით, დაბალი მარეგულირებელი სტანდარტებით ან დაბალი საგადასახადო განაკვეთებით),

საფრთხეს უქმნის ევროპის გავლენას ტექნოლოგიურ განვითარებაზე და გამოწვევის წინაშე აყენებს ევროპულ ღირებულებებსა და ინტერესებს. გარდა ამისა, გეოპოლიტიკურად ფრაგმენტულ სამყაროში მზარდი მტკიცე მოთამაშეებით, ევროკავშირს მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში ძალუძს დაიცვას თავისი პოზიცია. ევროკავშირს სურს სტრატეგიული ავტონომია, რომელიც არ მოითხოვს G-2 ეკონომიკურ დაპირისპირებაში (აშშ და ჩინეთი) რომელიმე მხარეზე ყოფნას.ევროპული ინდუსტრიული პოლიტიკის მახასიათებლებია:

• ორიენტაცია მომავალზე
• ფოკუსირება ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე
• კონკურენცია ძალაა
• ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედება, როგორც ზემოდან ქვემოთ, ასევე ქვემოდან ზემოთ
• ინდუსტრიული პოლიტიკის ანგარიშვალდებულება, მიუკერძოებლობა და ადაპტირებადობა
• ჰოლისტიკური (გამაერთიანებელი) მიდგომა

წარმატებულმა ინდუსტრიულმა პოლიტიკამ არამხოლოდ ხელი უნდა შეუწყოს ინოვაციებს კრიტიკულ ტექნოლოგიურ სფეროებში,არამედ, გამოიყენოს ინსტრუმენტები ამ სექტორებში მოთხოვნის ზრდის გაფართოებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ევროპის ინდუსტრიული პოლიტიკა, ევროპული ინოვაციური საბჭო, ეკონომიკური წესრიგი, ინდუსტრიული ინოვაციები, ციფრული ტექნოლოგიები.

პრაქტიკულად ყველა ქვეყანა ჩართულია ინდუსტრიული პოლიტიკის სხვადასხვა ფორმაში, მათ შორის ევროკავშირის ძირითადი პარტნიორები და კონკურენტები, როგორიცაა აშშ და ჩინეთი. გარდა საკუთარი ეროვნული სამრეწველო პოლიტიკისა, ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რომლებიც მოქმედებენ კონსორციუმის შემადგენლობაში, ბოლო ათწლეულების განმავლობაში ახორციელებენ ერთობლივ ინდუსტრიულ პოლიტიკას. ეს იძლევა ბევრ მაგალითს, საიდანაც შეიძლება ბევრი რამ ვისწავლოთ, რათა მაქსიმალურად გავზარდოთ მისი გავლენა და შევამციროთ უფრო აქტიური ინდუსტრიული პოლიტიკის რისკები. ეს უკანასკნელი გამართლებულია მწვანე და ციფრული გადასვლის დაჩქარების აუცილებლობით, ევროპული ღია სტრატეგიული ავტონომიის უფრო მაღალი ხარისხის მიღწევასთან ერთად, სულ უფრო დაძაბულ გეოპოლიტიკურ გარემოში. მიუხედავად იმისა, რომ ინდუსტრიული პოლიტიკის ეს გაზრდილი გამოყენება შეიძლება ზოგს კოპერნიკული პარადიგმის ცვლილებად მოეჩვენოს, ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითები აჩვენებს, რომ რეალურად, გარკვეულწილად მაინც, ინდუსტრიული პოლიტიკა ყოველთვის გამოიყენებოდა, როგორც მთავრობის სტანდარტული ინსტრუმენტებისნაწილი. ევროკავშირის გაძლიერებული ინდუსტრიული პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია მწვანე და ციფრულ გადასვლაზე და წარსულის პოლიტიკურ წარმატებებსა და წარუმატებლობაზეა დაფუძნებული, თითქმის გამართლებულია. თუმცა, ეს უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც ფართო ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს ევროპის კეთილდღეობას XXIსაუკუნეში. ამგვარად, წარმატებული ინდუსტრიული პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბების დასრულებას და კონკურენციის პოლიტიკის მკაცრი აღსრულების მიმდინარე მცდელობებს (და არა ჩანაცვლებას). იმავდროულად, თავიდან უნდა იქნეს აცილებული ზედმეტად მაღალი რეგიონული უთანასწორობა, რომელიც იყო და უნდა იყოს ევროპის ეკონომიკური წარმატების საფუძველი. ამ მრავალმხრივი მიზნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომავალში იმ კვლევას, რომელიც მიმართულია ოპტიმალური დონის პოვნაზე, რომელზედაც უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ინდუსტრიული პოლიტიკა (ევროკავშირის, ეროვნული და რეგიონული).

2. ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზის ამოსავალი წერტილია განსხვავება არსებულსა და მას შორის, რაც უნდა არსებობდეს. ამიტომ, მოსაზრებები (შეხედულებები) იმის შესახებ, რაც

უნდა იყოს, შესაძლოა გამოვიყენოთ დაკვირვებადი ეკონომიკური მდგომარეობისა და განვითარების შესაფასებლად. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია გაჩნდეს რეკომენდაციები თუ როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან განსხვავებები არსებულსა და მას შორის, რაც უნდა არსებობდეს. რეალობაში გვხვდება ფაქტობრივი მოვლენები, რომელთა შემოწმება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. ასევე არსებობს სასურველი მოვლენები, რომლებიც შორდებიან ასეთ შემოწმებას. სწორედ მათი შედარების საფუძველზე ყალიბდება, როგორც შეფასებების, ისე რეკომენდაციების შინაარსი. ნორმატიული შეხედულებები სუბიექტურ სურვილებს გამოხატავენ, ამიტომ შეფასების შედეგი არ შეიძლება „სწორად" ან „მცდარად" მივიჩნიოთ. შესაძლებელია, რომ სუბიექტმა (ან ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფმა) ისინი თავისთვის მისაღებად ჩათვალოს ან უარყოს კიდეც. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია შეფასებათა მეცნიერული დადგენა და გაანალიზება, ისევე როგორც მათი ურთიერთდამოკიდებულებების შემოწმება. მაგრამ დაუშვებელია ისინი მივიჩნიოთ „სწორ" ან „მცდარ" შეფასებებად. ეს რა თქმა უნდა არ გამორიცხავს იმას, რომ მეცნიერი შეიძლება პიროვნულად მხარს უჭერდეს გარკვეულ ნორმატიულ პოზიციას. ასევე არ არის გამორიცხული მეცნიერული შეფასებითი მსჯელობა ან კამათი ღია და საჯარო ფაქტების შესახებ. თუ ნორმად მივიღებთ იმას, რომ აუცილებელია ინტერსუბიექტურად შემოწმებადი შეფასებითი მსჯელობის (იდეოლოგიების) თავიდან აცილება, მაშინ მკაფიოდ უნდა გვქონდეს გაცნობიერებული შეხედულების შეფასებითი ნაწილი (შეფასების ტრანსპარენტობის პოსტულატი). მაგრამ ამ მოთხოვნის შესრულება ძალზე ძნელია იმის გამო, რომ მეტყველების ელემენტებს ხშირად შეფასების მიზნით ვიყენებთ. ყოველ შემთხვევაში დასკვნებს მეცნიერული ხასიათი სულაც არ ენიჭება იმის გამო, რომ მათ შეიძლება ისეთი ვინმე იყენებდეს, ვინც მეცნიერულ საქმიანობას ეწევა. მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ მეცნიერი, თავისი კვლევებიდან გამომდინარე, გარკვეულ შეფასებით მტკიცებულებებს სხვა ასეთივე შეხედულებებთან შედარებით უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდეს. შეფასების მეცნიერულ დასაბუთებას ყოველთვის ცდილობდნენ. მაგრამ ინტერსუბიექტურად შემოწმებადი მეცნიერული კრიტერიუმის არარსებობის გამო ამგვარი მცდელობა საბოლოოდ მარცხით მთავრდებოდა. დასაბუთების ერთ-ერთი მცდელობა იმაში მდგომარეობს, რომ ღირებულებათა უშუალო წვდომა (ინტუიციონიზმი) შემეცნების წყაროდაა მიჩნეული. იგივე შედეგი გვაქვს, როდესაც ცდილობენ საზოგადოებრივ სინამდვილეზე (მოვლენებსა და პროცესებზე) დაკვირვების გზით მისი მარად უცვლელი „არსი" შეიმეცნონ და ამის საფუძველზე ჩამოაყალიბონ შეფასებები (ნატურალიზმი).

3. ინდუსტრიული პოლიტიკა მეცნიერებისა და პოლიტიკოსების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია, რადგან მასზედ დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის წარმატება თუ წარუმატებლობა. შემთხვევითი როდია, რომ განსაკუთრებით 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ, მრავალი ქვეყნის მთავრობამ აქტიურად დაიწყო ინდუსტრიული პოლიტიკის განხორციელება უმუშევრობის შესამცირებლად, დარგებისა და ინსტიტუციების გადასარჩენად. ამასთან, ბაზრების გლობალიზაციამ განაპირობა სამამულო დარგების დაცვისა და რეგიონული განვითარების სტიმულირების აუცილებლობა. თავის მხრივ, კოვიდ-19 პანდემიით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქვეყნის მდიდარი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება მის კონკურენტულ უპირატესობას უზრუნველყოფს. პანდემიის პირობებში ბევრმა ქვეყანამ აამოქმედა პროტექციონისტული ღონისძიებები და ის ქვეყნები აღმოჩნდნენ უკეთეს მდგომარეობაში, რომლებმაც უკეთესად შეძლეს ეროვნული ინდუსტრიის განვითარება. ნაშრომში EquIP (Enhancing the Quality of Industrial Policies)-ის პირველი ინსტრუმენტის საფუძველზე გაანალიზებულია მრეწველობის და, კონკრეტულად, გადამამუშავებელი მრეწველობის მდგომარეობა, პოზიციონირება და კონკურენტუნარიანობა. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის მიხედვით: საქართველოს ეკონომიკა დაბალგანვითარებულია, შესაძლებლობები კი - შეზღუდული, ამიტომ მრეწველობის

პოტენციალი არასაკმარისადაა გამოყენებული; მთლიანი სამამულო პროდუქტის (მსპ-GDP) ზრდის ტემპის და გადამამუშავებელ მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულების მაჩვენებლები გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მაჩვენებელი დაბალია; მრეწველობა ლიდერობს გამოშვების მაჩვენებლით სხვა ეკონომიკურ საქმიანობებთან შედარებით, თუმცა გადამამუშავებელ მრეწველობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მოცულობა ბოლო წლებში შემცირდა, განსაკუთრებით - პანდემიის დროს; გადამამუშავებელი მრეწველობის მოცემული სტრუქტურა დასაქმების თვალსაზრისით მიმზიდველია, რაც ნიშნავს იმას, რომ დარგი სამუშაო ადგილების შექმნას უზრუნველყოფს. შრომის პროდუქტიულობა გადამამუშავებელი მრეწველობის ტოპ-ხუთეულში ერთნაირია; მსოფლიო ბაზართან ინტეგრირების ხარისხის და გავლენის თვალსაზრისით, საქართველოს უმნიშვნელო პოზიცია უკავია. ანალოგიურია საქართველოს პოზიციონირება ევროკავშირის ბაზართან მიმართებითაც; საქართველოში კვლავ დეინდუსტრიალიზაციის პროცესი მიმდინარეობს, შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართული სამრეწველო სტრატეგიის შემუშავება და გატარება.

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

R. Gvelesiani, I. Gogorishvili

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN 2344-2174

1. Green energy development policy in Georgia

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. Estonian Discussions on Economic Policy

4) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. . Estonia 2023

5) გვერდების რაოდენობა

*ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)*

სტატიის მიზანია საქართველოში მწვანე ენერგეტიკის განვითარების პოლიტიკის ანალიზი და მოქალაქეების ცნობიერების შესწავლა კლიმატის ცვლილების შესაჩერებლად განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების აუცილებლობის შესახებ. სტატიაში განხილულია საქართველოს ინტეგრირებული ეროვნული ენერგეტიკისა და კლიმატის გეგმა, რომელიც მოიცავს 2021-2030 პერიოდს და ასახავს ქვეყნის ვალდებულებას 2030 წლის მიზნების მისაღწევად. ნაშრომი ასევე აანალიზებს პოლიტიკას 2050 წლის გეგმის გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად, რაც უზრუნველყოფს ევროკავშირის გრძელვადიან პოლიტიკურ მიზნების, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისა და ენერგეტიკულ გაერთიანების მოთხოვნებთან თანხვედრას. სტატიაში დახასიათებულია ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის დაახლოებას ევროკავშირისა და მწვანე ენერგიის განვითარების საერთაშორისო პოლიტიკის მოთხოვნებთან. კვლევა ითვალისწინებს განახლებადი ენერგიის წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, განაწილების, მიწოდებისა და ვაჭრობის ზოგადი სამართლებრივი ჩარჩო პირობების ანალიზს. სოციალურ ქსელებში რესპონდენტთა გამოკითხვისა და IBM SPSS Statistics კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით შედეგების დამუშავების საფუძველზე გამოვლინდა ინფორმაცია რესპონდენტებში არასაკმარისი ინფორმირებულობისა და გაგების შესახებ მწვანე ენერგიის განვითარების აუცილებლობისა და განათლების სფეროში სასწავლო პროგრამების ნაკლებობის შესახებ. დასასრულს, სამეცნიერო სტატიის ავტორებმა, მწვანე ენერგიის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის შეჯამებით, შემოგვთავაზეს საქართველოს

რეგიონებსა და ქალაქებში გარემოსდაცვითი მართვის დაბალი სიმბოლური მუნიციპალური გადასახადის შემოღება და სასწავლო დაწესებულებებში მწვანე ენერგიისა და კლიმატის ცვლილების შესწავლის სასწავლო გეგმების განახლება.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

**ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა** და მასთან არსებული **ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტი** პროფ. **რევაზ გველესიანის** ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას (ამ ეტაპზე დისტანციურ რეჟიმში):

ა) ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ვოლფგანგ ვენგი);

ბ) ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი გკუნტერ ფალთინი);

გ) პოტსდამის უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ანგელა მიკლეი);

ე) იტალიის საპიენცას უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ფაბიო საბატინი);

ვ) უნგრეთის მისკოლცის ეკონომიკურ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი დანიელ კუტორი);

ზ) საფრანგეთის ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი (წარმომადგენელი ასოცირებული პროფესორი ფელიქს ვონ ნოსტიტზი);

თ) პოლონეთის რჟეშოვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (წარმომადგენელი პროფესორი იაცეკ სტროინი);

ი) ბულგარეთისეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის უნივერსიტეტი (წარმომადგენელი ემდ საბრინა კალინკოვა);

კ) სლოვენიის მარიბორის უნივერსიტეტი ( წარმომადგენელი ნუსა ბასლე);

ლ) ავსტრიის პარიზი-ლონდონი- ზალცბურგის უნივერსიტეტი (წარმომადგენელი კარატინა ჯიმი).

აღნიშნული თანამშრომლობის პროგრამა მოიცავს: **ა)** ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებას; **ბ)** საერთაშორისო ეკონომიკურ-პოლიტიკური ფორუმების ორგანიზებას; **გ)** ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების მომზადებას; **დ)** ეკონომიკური პოლიტიკის მოდულის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორების მოწვევას და მათ მიერ ლექციების ინტენსიური კურსის წაკითხვას; **ე)** ეკონომიკური პოლიტიკის მოდულის მაგისტრანტების გერმანიაში პროფესიულ პრაქტიკაზე მივლინებას; **ვ)** დოქტორანტების ერთობლივ სამეცნიერო ხელმძღვანელობას და მათი სადისერტაციო ნაშრომების ერთობლივ რეცენზირებას.

ამჟამად პროფ. რ. გველესიანი სამეცნიერო ხელმძღვანელობას უწევს 10 დოქტორანტს.

აკადემიკოს ვ.პაპავასთან ერთად პროფ. რ.გველესიანი ხელმძღვანელობს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამას.

*ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი*

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

**1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი გრანტი

1. *საქართველოს ევროკავშირის მოთხოვნებთან კოორდინირებული ენერგეტიკული ჰაბის პოლიტიკის ფორმირება და მისი განხორციელების პერსპექტივები*

*პროექტის დაწყება -2023 წლის 1 თებერვალი*
*პროექტის დასრულება - 2023 წლის 15 დეკემბერი*
2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

- ***პროფესორი რევაზ გველესიანი,*** *პროექტის ხელმძღვანელი - პროექტის ორგანიზება, საკვლევი პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგებისა და დასკვნების საფუძველზე მონოგრაფიის გამოქვეყნების ხელმძღვანელობა;*
- ***ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი,*** *პროექტის კოორდინატორი - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ორგანიზაციულ საკითხებში დახმარება; კვლევითი ამოცანის - ევროკავშირში ენერგეტიკული ჰაბების განვითარების პოლიტიკის ევოლუციის ზოგადი მიმართულებებისა და თანამედროვე გამოწვევების შესწავლა;*
- ***ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი*** *- კვლევითი ამოცანის - საქართველოში ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი ენერგეტიკული ჰაბის პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პერსპექტივების შესწავლა;*
- ***ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი,*** *- კვლევითი ამოცანის - ევროკავშირის ენერგეტიკულ ჰაბებში მონაწილე ქვეყნების ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავების, კოორდინირებისა და იმპლემენტაციის წარმატებული და წარუმატებელი გამოცდილების გაანალიზება;*
- ***ასოცირებული პროფესორი გიორგი გაფრინდაშვილი*** *- კვლევითი ამოცანის - რეკომენდაციების შემუშავება საქართველოში ენერგეტიკული ჰაბის დაფუძნების ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირებისა და გატარებისათვის;*
- ***ასისტენტ პროფესორი ლალი ხურცია*** *- კვლევითი ამოცანის - ენერგეტიკული ჰაბის შექმნისა და განვითარების პოლიტიკის პრობლემატიკაზე სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი;*
- ***დოქტორანტები: ქრისტინა ჯულაყიძე და ბექა ფერაძე-*** *კვლევითი ამოცანის - ევროკავშირის ენერგეტიკულ ჰაბებში მონაწილე ქვეყნების ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავების, კოორდინირებისა და იმპლემენტაციის წარმატებული და წარუმატებელი გამოცდილების გაანალიზებ - მასალების მომზადება.*

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

*საქართველოს აქვს ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებით ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ამაღლების და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის პოტენციალი, რაც, რა თქმა უნდა, რაციონალური ეკონომიკური დიპლომატიის განხორციელებითაა შესაძლებელი.*

*საქართველოს, როგორც არასდროს, დღეს აქვს შანსი, გახდეს ელექტროენერგეტიკული ჰაბი. საამისოდ, ქვეყანამ ტრანზიტული ქვეყნის უპირატესობები უნდა გამოიყენოს. ის უნდა გახდეს ელექტროენერგიის გარდამქნელი და ტრანზიტის ქვეყანა. აზერბაიჯანში არსებული ჭარბი ელექტროენერგია, კერძოდ, თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ანუ საბაზო ელექტროენერგია უნდა შემოვიდეს საქართველოში, ქვეყანაში არსებული მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების მეშვეობით გარდაიქმნას იმ ტიპის ელექტროენერგიად, რომელიც ევროპის ბაზარზე შეიძლება გაცილებით ძვირად გაიყიდოს, ანუ პიკის საათების ელექტროენერგიად. ეს შესაძლებლობები და უპირატესობები მომავალშიც მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული.*

*საქართველოს ტრანსკავკასიური ელექტროენერგეტიკული ჰაბის ფუნქცია მნიშვნელოვნად გაძლიერდება შავი ზღვის ფსკერზე მოსაწყობი მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის პროექტის*

განხორციელებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანი გახდა გლობალურ პროექტში მსოფლიო ბანკის ჩართულობა (მის ნებისმიერ ეტაპზე). ეს ითვალისწინებს ასევე რუსეთის ფედერაციაზე ენერგოდამოკიდებულების ხარისხის შემცირებას, რამდენადაც შავი ზღვის კაბელი საქართველოს საშუალებას მისცემს რეგიონის ენერგოსისტემა ევროგაერთიანების სისტემას დააკავშიროს და პირიქით. პროექტი უმნიშვნელოვანესი იქნება საკუთრივ საქართველოში გენერირებული ელექტროენერგიის ევროკავშირის ბაზარზე გატანის თვალსაზრისით. იგი საქართველოსთვის სატრანზიტო შემოსავლის წყაროც იქნება. ამ კაბელს ექნება სხვა დანიშნულებაც. ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა, რომ მასში ასევე დამონტაჟდეს ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენიც, რომელიც ტელეკომუნიკაციის /ინტერნეტ არხის/ ჩამოსაყალიბებლად დამატებით პირდაპირ საშუალებას მოგვცემს. ძნელია გადავაფასოთ ეს შანსი, რომელიც, ტელესაკომუნიკაციო ტრაფიკის დამატებითი პირდაპირი არხის ფორმირების შესაძლებლობას იძლევა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიას/ცენტრალურ აზიას შორის.

ექსპერტების მოსაზრებით, ამ მასშტაბის გლობალურ პროექტში მსოფლიო ბანკის ჩართულობა, მის ნებისმიერ ეტაპზე, მიუთითებს მის სერიოზულობაზე და პროექტის კარგ პერსპექტივაზე. შავი ზღვის ფსკერზე ელექტროენერგიის მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის იდეაზე წლების წინაც იყო საუბარი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, მათ შორის, პროექტის სიძვირიდან გამომდინარეც, მაშინ საქმე არ დაძრულა. ამჯერად კი, საქართველოსთვის, ეს უმნიშვნელოვანესი პროექტია. იგი ითვალისწინებს შავი ზღვის ფსკერზე 1200 კილომეტრამდე სიგრძის მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის მოწყობას, რომელმაც ერთმანეთთან დააკავშირებს საქართველოსა და ევროპის ელექტროენერგეტიკულ სისტემებს. პროექტის დაფინანსებაში მსოფლიო ბანკთან ერთად ჩაერთვებიან, როგორც მთავრობები, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და მსხვილი ენერგეტიკული კორპორაციები. რაც საინტერესოა როგორც წმინდა ეკონომიკური, ისე გეოეკონომიკური და ზოგადად გეოპოლიტიკური თვალსაზრისითაც. მაგალითად გეოლოგიურ კვლევებს, რომელიც შავ ზღვაში უნდა ჩატარდეს, საქართველო 20 მლნ აშშ დოლარს გამოყოფს.

„შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის" პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობებისა და საუკეთესო გზების დადგენის მიზნით, აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, რომელსაც „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" დაკვეთით, იტალიური საკონსულტაციო კომპანია CESI ახორციელებს. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა 2023 წლის ბოლოს დასრულდება.

საქართველოს, რუმინეთის, აზერბაიჯანისა და უნგრეთის რესპუბლიკების მთავრობებს შორის მწვანე ენერგიის განვითარებისა და გადაცემის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმების საფუძველზე, თბილისში ოთხი ქვეყნის სამთავრობო უწყებების მაღალი რანგის შეხვედრა გაიმართა.

განსახილველ საკითხს შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი წარმოადგენდა, რომელიც საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით და საქართველოს და რუმინეთის გადამცემი სისტემის ოპერატორების „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" და „ტრანსელექტრიკა"-ს მეშვეობით განხორციელდება. შედეგად, 1 195 კილომეტრის სიგრძის კაბელი რუმინეთს დაუკავშირდება, რაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და რუმინეთს საშუალებას მისცემს, ისარგებლონ გაფართოებული საექსპორტო შესაძლებლობებით და ელექტროენერგიის ბაზრის საათობრივი ფასების გათვალისწინებით განახორციელონ ელექტროენერგიით ვაჭრობა. ამ ეტაპზე, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" საკონსულტაციო კომპანია CESI-ს დახმარებით ახორციელებს პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას. სამომავლოდ, პროექტის ფარგლებში ასევე ჩატარდება გარემოსა და სოციალური ზემოქმედების შეფასების და გეოფიზიკურ/ გეოტექნიკური შავი ზღვის ფსკერის კვლევები. მათი მეშვეობით დადგინდება

*პროექტის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობები.*
*ოთხი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობით, მნიშვნელოვნად განვითარდება ენერგეტიკის სექტორი, გაიზრდება მწვანე ენერგიების სატრანზიტო და ვაჭრობის შესაძლებლობები, ევროპული ენერგოსისტემები კი პოტენციურად დაუკავშირდებიან სამხრეთ კავკასიის რეგიონს.*

*რას მოუტანს ქართულ ეკონომიკას, კერძოდ, საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორს ეს პროექტი?*

*მაღალი ძაბვის ინფრასტრუქტურას დაემატება 1000 მეგავატამდე გამტარუნარიანი 500 კილოვატიანი გადამცემი ქსელი, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია როგორც ენერგოდამოუკიდებლობის, ისე ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით. შემცირდება რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება, რამდენადაც შავი ზღვის კაბელი საქართველოს საშუალებას მისცემს რეგიონის ენერგოსისტემა ევროგაერთიანების სისტემას დააკავშიროს და პირიქით.*

*ახალი გადამცემი ხაზი, ორივე მხარისთვის, ევროგაერთიანების ენერგოსისტემისთვის და ჩვენი რეგიონისთვის ერთნაირად საინტერესო იქნება, როგორც ენერგიის მიღების, ისე გაცემის თვალსაზრისით. დღეს ყველა ეძებს იაფ და მწვანე ენერგიას. ეს ტენდენცია უკვე შეუქცევადია. აქედან გამომდინარე როგორც ჩვენი პერსპექტივაში განსავითარებელი ჰიდროენერგეტიკისთვის, ისე აზერბაიჯანის, პერსპექტივაში განსავითარებელი ენერგეტიკისთვის, პრაქტიკულად გარანტირებული ბაზარი იხსნება. საკითხის მეორე მხარეა, როცა ვსაუბრობთ იმპორტის ახალ შესაძლებლობაზე. ცხადია, იმპორტის დივერსიფიკაციაც ჩვენი ენერგოპოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.*

*ევროპაც და აზიის ქვეყნებიც დაინტერესებული იქნებიან ახალი მყარი და მოცულობითი ენერგოკავშირების დამყარებით და, ცხადია, ამ საქმეში თავის როლს შეასრულებს და საქმეს გაამარტივებს, თუკი შავ ზღვაში უკვე იქნება მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელი. პოტენციაში იგივე ინფრასტრუქტურა უნდა დავინახოთ კასპიის ფსკერზეც. უდაოდ მიმზიდველად გამოიყურება აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ენერგოსისტემების კავშირის შესაძლებლობა. საკითხის ამ რაკურსით გაანალიზების შემთხვევაში, ისედაც ძალიან საინტერესო პროექტი კიდევ უფრო მეტ ინტერესს იძენს მთელი რიგი ენერგომოთამაშეებისთვის. მაგრამ, მანამდე, შავი ზღვის ფსკერზე მოსაწყობი მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის პროექტმა უნდა ნახოს დღის სინათლე, მისი დაწყება უნდა გახდეს საქართველოს ენერგოგანვითარების მასტიმულირებელი და მისი მეშვეობით ჩვენმა ქვეყანამ უნდა შეიძინოს ტრანსკავკასიური ელექტროენერგეტიკული ჰაბის ფუნქცია. ამასთან, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ჩვენი ქვეყანა საუკუნის პროექტის „აბრეშუმის გზის" მონაწილეა. შესაბამისად, პროექტის - „ერთი გზა, ერთი სარტყელი-ის" ფარგლებში საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი როლი აქვს. რა თქმა უნდა, როდესაც სატრანზიტო ფუნქციაზე ვსაუბრობთ, აქ არ იგულისხმება მხოლოდ საგზაო ან სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოწყობა, ელექტროენერგიის სატრანზიტო როლის გაზრდაც ამ გლობალურ მასშტაბში უნდა განვიხილოთ. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარდა ლოჯისტიკური მნიშვნელობისა, საქართველო ასევე ენერგეტიკული თვალსაზრისით ჩამოყალიბდება ერთგვარ კარიბჭედ აზიასა და ევროპას შორის.*

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

**5.2. სახელმძღვანელოები**

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. *მოქალაქეობა. მე-11 კლასის სახელმძღვანელო. გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2023 წელს. (თანაავტორები: ნ. ტალახაძე, მ. შავაძე).*

*ISBN 978-9941-8- 5245-9, თბილისი, გამომცემლობა „სიდი". 220 გვ.*

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

*სახელმძღვანელოში წარმოდგენილია „მეწარმეობა და ბიზნესი" და „პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა". წიგნში მოცემული ინფორმაცია, სიტუაციები, ისტორიები, ნამდვილი ამბები, მოდელირება, სხვადასხვა აქტივობა, მითითებული ელექტრონული რესურსები პირდაპირ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირები თ. სახელმძღვანელოში მოცემულია 2 თემა, თითოეული ოთხი ქვეთავისგან შედგება. მასში 29 პარაგრაფია წარმოდგენილი.*

*I თემა. მეწარმეობა და ბიზნესი*

*I თავი: მეწარმეობის პიროვნული და საზოგადოებრივი ასპექტები; ვინ არის მეწარმე; ანტრეპრენერობა; ბიზნეს იდეა .*

*II თავი: სახელმწიფო და ბიზნესი*

*ბიზნესის სამართლებრივი გარემო; საწარმოს რეგისტრაცია; სახელმწიფო ყოველთვის ფხიზლადაა; რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ? მოდელირება.*

*III თავი. მეწარმეთა პასუხისმგებლობა; სოციალური მეწარმეობა; სოციალური მეწარმეობა თუ ქველმოქმედება? კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მეწარმის გაფართოებული ვალდებულება (მგვ); რეკლამა.*

*IV თავი. ბიზნესის მდგრადობა ; რა ხდება რეალურ ბაზარზე? ბიზნესის მდგრადობაზე მოქმედი ფაქტორები; მოდელირება;კონკურენცია და ბაზარი ბიზნესის დაგეგმვა; შევისწავლოთ ბაზარი ;ბიზნესის დაფინანსება.*

*II თემა. პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა*

*I თავი: პოლიტიკური პროცესი; პოლიტიკა და ინდივიდები; პოლიტიკური პროცესის სუბიექტები ;*

*II თავი: პოლიტიკური იდეოლოგიები და რეჟიმები; პოლიტიკური იდეოლოგიები; პოლიტიკური რეჟიმები; არადემოკრატიული რეჟიმები ;*

*III თავი. მდგრადი პოლიტიკა ; თანამშრომლობა საერთო მიზნებისათვის; უსაფრთხო ქცევის წესები საგანგებო სიტუაციების დროს;*

*IV თავი. სამოქალაქო მონაწილეობა; სამოქალაქო მონაწილეობა პოლიტიკაში; თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობა.*

http://www.ceed.ge

**5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით**

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

*1.ერქომაიშვილი გ., ხურცია ლ.,*

*საქართველოში ენერგეტიკული ჰაბის ფორმირების წანამძღვრები და განვითარების პერსპექტივები. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი, N2, 2023, 18 გვერდი. თბილისი, თსუ გამომცემლობა. ISSN 1987-5789 ESSN 2587-5426 doi 10.56079*

2. *გულნაზ ერქომაიშვილი*

*Economic policy to stimulate industrial development in Georgia.*

*ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა", 10 გვ.*

*ISSN: 2449 -2418; E-ISSN:2449-2604*

3. *გულნაზ ერქომაიშვილი*

*შრომის უსაფრთხოების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში. ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია -მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2023*

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

*1. სტატიაში განხილულია ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკა, როგორც ევროპის და მათ შორის - საქართველოს ახალი ფუნქციონალური მიმართულება. რუსეთ-უკრაინის ომმა და რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა სანქციებმა, დღის წესრიგში მწვავედ დააყენა ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხი, ახალი ალტერნატიული გზების ძიება, რამდენადაც ევროკავშირის ენერგეტიკული დიპლომატიის პრაქტიკაში სულ უფრო ხშირად მწვავდება ენერგორესურსების ტრანზიტის პრობლემები. დღეისათვის ევროკავშირმა აქცენტი გააკეთა ენერგეტიკული უსაფრთოხებისა და ნაციონალური ჰაბების შექმნაზე მრავალი მიმართულებით, მათ შორის საქართველოზე, როგორც სამხრეთ კავკასიისა და კასპიის რეგიონის შემკრებ ჰაბზე. კვლევის მიზანია საქართველოში ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი ენერგეტიკული ჰაბის პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პერსპექტივების გაანალიზება და მისი ეფექტიანი განხორციელების გზების ძიება. სტატიაში გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება, ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე დაყრდნობით, უკავშირდება ქვეყნის სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის გააქტიურებას, ენერგეტიკული დიპლომატიის წარმოებას გადაწყვეტილების მიმღებ ქვეყნებთან და შესაძლებლობების მაქსიმალურად ათვისებას. საქართველოს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, დღეს აქვს შანსი, გახდეს ელექტროენერგეტიკული ჰაბი. ამისათვის, ქვეყანამ ტრანზიტული ქვეყნის უპირატესობები უნდა გამოიყენოს. ის უნდა გახდეს ელექტროენერგიის გარდამქმნელი და ტრანზიტის ქვეყანა. საქართველოს ტრანსკავკასიური ელექტროენერგეტიკული ჰაბის ფუნქცია მნიშვნელოვნად გაძლიერდება შავი ზღვის ფსკერზე მოსაწყობი მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის პროექტის განხორციელებით. ნაშრომში ნაჩვენებია თუ რას მოუტანს ქართულ ეკონომიკას, კერძოდ, საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორს ეს პროექტი. კვლევის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში.*

2. სტატიაში გაანალიზებულია სამრეწველო წარმოების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში, ნაჩვენებია სამრეწველო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი და შეფასებულია სამრეწველო პოლიტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების საქმიანობის შედეგები. კვლევამ გვიჩვენა, რომ ქვეყანაში მრეწველობის განვითარების დონე და მისი საექსპორტო პოტენციალი საკმაოდ დაბალია. სტატიაში ნათქვამია, რომ ინდუსტრიული განვითარების თანამედროვე ფაზაში ქვეყანამ უნდა აირჩიოს ტექნოლოგიურ განვითარებაზე და საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურ ზრდაზე ორიენტირებული მოდელი. აღნიშნულია, რომ ინდუსტრიული პოლიტიკა არის სტრატეგია, რომელიც მხარს უჭერს ქვეყნის მრეწველობის სტრუქტურულ ცვლილებას და განვითარებას. შესაბამისად, კვლევის მიზანია მრეწველობის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და მისი ეფექტიანი განხორციელების გზების ძიება. მრეწველობის სფეროში გამოვლენილი გამოწვევების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები აქტიური სამრეწველო პოლიტიკის მოკლე და გრძელვადიან პერიოდში განხორციელების შესახებ.

3.. *ნაშრომში განხილულია საქართველოში შრომის უსაფრთხოების სფეროში არსებული მდგომარეობა. აღნიშნულია, რომ ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას სწორედ დასაქმების ადგილებზე შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ხშირ შემთხვევაში შრომის უსაფრთხოების საკითხი ადამიანების სიცოცხლეს ეხება. სწორედ ამიტომ, ამ მიმართულებას დიდ ყურადღებას უნდა უთმობდნენ როგორც დასაქმებულები, ისე*

*დამსაქმებლები. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოებსა და ოფისებში მომხდარ შემთხვევებზე პასუხისმგებლობა დაქირავებულებსაც ეკისრებათ, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნაში გადამწყვეტ როლს მაინც კომპანია თამაშობს. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი კი, მისი საყოველთაოდ აღიარებული ფუნქციების მნიშვნელობიდან და მასზე დაკისრებული ამოცანების ხასიათიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს შრომითი უფლებების დაცვისა თუ შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების კანონმდებლობასთან შესაბამისობის გარანტირების პროცესში.*

*კვლევის მიზანია, საქართველოში არსებული შრომის უსაფრთხოების სახელმწიფო პოლიტიკის შეფასება და მისი ეფექტიანი განხორციელების გზების ძიება.*

*შრომის უსაფრთხოების სფეროში გამოვლენილი გამოწვევებისა და საზღვარგარეთული გამოცდილების საფუძველზე შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების რეკომენდაციები.*

**6.3. სტატიები**

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. *Gulnaz Erkomaishvili, Lali Khurtsia*
*Policy of energy security and creation of energy Hubs*
*Ecoforum, Vol 12, №3 (2023), 10p. ISSN 2344-2174*
http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/1924

2. *Gulnaz Erkomaishvili, Economic policy to stimulate industrial development in Georgia.*
*World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Economics and Management Engineering Vol:17, No:05, 2023*
https://publications.waset.org/abstracts/161667/pdf

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. სტატიაში წარმოდგენილია ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკა, როგორც ევროპის, მათ შორის საქართველოს ახალი ფუნქციონალური მიმართულება. გაანალიზებულია საქართველოში ენერგოჰაბის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პერსპექტივები ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად. რუსეთ-უკრაინის ომი და რუსეთზე დაწესებული სანქციები აჩენს ევროპის ენერგოუსაფრთხოების საკითხს და ახალი ალტერნატიული მარშრუტების ძიებას, რადგან ენერგორესურსების ტრანზიტის პრობლემები ევროკავშირის ენერგეტიკული დიპლომატიის პრაქტიკაში სულ უფრო მწვავდება. ევროკავშირი აქამდე ორიენტირებული იყო ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და ეროვნული ჰაბების შექმნაზე მრავალი მიმართულებით, მათ შორისაა საქართველო, როგორც სამხრეთ კავკასიისა და კასპიის რეგიონების კერა. საქართველოს თავისი გეოგრაფიული პოზიციიდან გამომდინარე დღეს აქვს შანსი გახდეს ელექტროენერგეტიკული ცენტრი. ამ მიზნით ქვეყანამ უნდა გამოიყენოს სატრანზიტო ქვეყნის უპირატესობები. ის უნდა გახდეს ელექტროტრანსფორმატორი და სატრანზიტო ქვეყანა. საქართველოს ამიერკავკასიის ენერგეტიკული კვანძის ფუნქციონირება მნიშვნელოვნად გაძლიერდება შავი ზღვის ფსკერზე მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის პროექტის განხორციელებით. კვლევის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები მოკლე და გრძელვადიანი პერიოდებისთვის..

*2.* კვლევამ გვიჩვენა, რომ ქვეყანაში მრეწველობის განვითარების დონე და მისი საექსპორტო პოტენციალი საკმაოდ დაბალია. ინდუსტრიული განვითარების თანამედროვე ფაზაში ქვეყანამ უნდა აირჩიოს ტექნოლოგიურ განვითარებაზე და საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურ ზრდაზე ორიენტირებული მოდელი. კვლევის მიზანია ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება,

რომელიც ხელს უწყობს მრეწველობის განვითარებას და მისი ეფექტიანი განხორციელების გზების ძიებას. ნაშრომში გამოყენებულია ზოგადი და სპეციფიკური მეთოდები, კერძოდ, ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის, დედუქციის, სამეცნიერო აბსტრაქციის, შედარებითი და სტატისტიკური მეთოდები, ასევე ექსპერტთა შეფასებები. რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების დასადგენად ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები ექსპერტებთან; ანალიტიკურ და სტატისტიკურ შეფასებებს შორის კანონზომიერების დასადგენად გამოიყენება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პუბლიკაციები. ასევე, გამოიყენება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მეცნიერ-ეკონომისტების თეორიული და გამოყენებითი კვლევები. მრეწველობის სფეროში გამოვლენილი გამოწვევების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები აქტიური ინდუსტრიული პოლიტიკის მოკლე და გრძელვადიან პერიოდებში განხორციელებისთვის. კერძოდ: მთავრობის პრიორიტეტული ორიენტაცია სამრეწველო განვითარებაზე; განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორებზე, რომელთა წარმოების პოტენციალი აქვს საქართველოს; სამეცნიერო დარგების განვითარების ხელშეწყობა; გარკვეული შეღავათების განსაზღვრა იმ ინვესტორებისთვის, რომლებიც ფულს ინვესტირებენ სამრეწველო წარმოებაში; ქვეყანაში უნდა განხორციელდეს კოორდინაცია განათლება - მეცნიერება - წარმოებას შორის. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საბაზისო სამეცნიერო კვლევას, რომელიც არ საჭიროებს წმინდა კომერციულ შემოსავალს მოკლევადიან პერსპექტივაში, მეცნიერება უნდა გახდეს რეალური პროდუქტიული ძალა; განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების გაფართოებას; საექსპორტო ბაზრებზე შესვლის ბარიერების დაძლევას.

**7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**

**7.1. საქართველოში**

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. *გულნაზ ერქომაიშვილი, შრომის უსაფრთხოების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში. ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია -მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები. 8 თებერვალი, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2023*
2. *გულნაზ ერქომაიშვილი, შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და მისი გაუმჯობესების გზები საქართველოში. მეზღვართა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მდგრადი სატრანსპორტო სისტემა და საზღვაო ლოგისტიკა." ბათუმი, 24 ივნისი, 2023*

*file:///C:/Users/admin/Desktop/Program_21.06.2023%20(2).pdf*

3. *გულნაზ ერქომაიშვილი მწვანე ეკონომიკა და ეკოლოგიურად მდგრადი განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში.*
   *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება". ბათუმი, 20-21 ოქტომბერი, 2023.*

**7.2. უცხოეთში**

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

Gulnaz Erkomaishvili, Economic policy to stimulate industrial development in Georgia.

ICABE 2023: 17. International Conference on Accounting, Business and Economics.May 22-23, 2023 in Barcelona, Spain

https://publications.waset.org/abstracts/161667/pdf

*ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი*

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

პროფესორი რევაზ გველესიანი; ასოცირებული პროფესორები: ირინა გოგორიშვილი, გულნაზ ერქომაიშვილი, ეკა ლეკაშვილი, გიორგი გაფრინდაშვილი; ასისტენტ პროფესორი: ლალი ხურცია.

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1. საფაკულტეტო საგრანტო პროექტი ,, საქართველოს ევროკავშირის მოთხოვნებთან კოორდინირებული ენერგეტიკული ჰაბის პოლიტიკის ფორმირება და მისი განხორციელების პერსპექტივები“

1) გარდამავალი(მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 1.02.2023 -15.12.2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

პროექტში ჩართული პერსონალი: 2

 პროფესორი რევაზ გველესიანი, პროექტის ხელმძღვანელი - პროექტის ორგანიზება, საკვლევი პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგებისა და დასკვნების საფუძველზე მონოგრაფიის გამოქვეყნების ხელმძღვანელობა;

 ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი, პროექტის კოორდინატორი - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ორგანიზაციულ საკითხებში დახმარება; კვლევითი ამოცანის - ევროკავშირში ენერგეტიკული ჰაბების განვითარების პოლიტიკის ევოლუციის ზოგადი მიმართულებებისა და თანამედროვე გამოწვევების შესწავლა;

 ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი - კვლევითი ამოცანის - საქართველოში ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი ენერგეტიკული ჰაბის პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პერსპექტივების შესწავლა;

 ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი, - კვლევითი ამოცანის - ევროკავშირის ენერგეტიკულ ჰაბებში მონაწილე ქვეყნების ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავების, კოორდინირებისა და იმპლემენტაციის წარმატებული და წარუმატებელი გამოცდილების გაანალიზება;

 ასოცირებული პროფესორი გიორგი გაფრინდაშვილი - კვლევითი ამოცანის - რეკომენდაციების შემუშავება საქართველოში ენერგეტიკული ჰაბის დაფუძნების ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირებისა და გატარებისათვის;

 ასისტენტ პროფესორი ლალი ხურცია - კვლევითი ამოცანის - ენერგეტიკული ჰაბის შექმნისა და განვითარების პოლიტიკის პრობლემატიკაზე სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი;

 დოქტორანტები: ქრისტინა ჯულაყიძე და ბექა ფერაძე- კვლევითი ამოცანის - ევროკავშირის ენერგეტიკულ ჰაბებში მონაწილე ქვეყნების ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავების, კოორდინირებისა და იმპლემენტაციის წარმატებული და წარუმატებელი გამოცდილების

გაანალიზებ - მასალების მომზადება.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
საქართველოს აქვს ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებით ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ამაღლების და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის პოტენციალი, რაც, რა თქმა უნდა, რაციონალური ეკონომიკური დიპლომატიის განხორციელებითაა შესაძლებელი. საქართველოს, როგორც არასდროს, დღეს აქვს შანსი, გახდეს ელექტროენერგეტიკული ჰაბი. საამისოდ, ქვეყანამ ტრანზიტული ქვეყნის უპირატესობები უნდა გამოიყენოს. ის უნდა გახდეს ელექტროენერგიის გარდამქნელი და ტრანზიტის ქვეყანა. აზერბაიჯანში არსებული ჭარბი ელექტროენერგია, კერძოდ, თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ანუ საბაზო ელექტროენერგია უნდა შემოვიდეს საქართველოში, ქვეყანაში არსებული მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების მეშვეობით გარდაიქმნას იმ ტიპის ელექტროენერგიად, რომელიც ევროპის ბაზარზე შეიძლება გაცილებით ძვირად გაიყიდოს, ანუ პიკის საათების ელექტროენერგიად. ეს შესაძლებლობები და უპირატესობები მომავალშიც მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული.
საქართველოს ტრანსკავკასიური ელექტროენერგეტიკული ჰაბის ფუნქცია მნიშვნელოვნად გაძლიერდება შავი ზღვის ფსკერზე მოსაწყობი მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის პროექტის განხორციელებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანი გახდა გლობალურ პროექტში მსოფლიო ბანკის ჩართულობა (მის ნებისმიერ ეტაპზე). ეს ითვალისწინებს ასევე რუსეთის ფედერაციაზე ენერგოდამოკიდებულების ხარისხის შემცირებას, რამდენადაც შავი ზღვის კაბელი საქართველოს საშუალებას მისცემს რეგიონის ენერგოსისტემა ევროგაერთიანების სისტემას დააკავშიროს და პირიქით. პროექტი უმნიშვნელოვანესი იქნება საკუთრივ საქართველოში გენერირებული ელექტროენერგიის ევროკავშირის ბაზარზე გატანის თვალსაზრისით. იგი საქართველოსთვის სატრანზიტო შემოსავლის წყაროც იქნება. ამ კაბელს ექნება სხვა დანიშნულებაც. ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა, რომ მასში ასევე დამონტაჟდეს ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენიც, რომელიც ტელეკომუნიკაციის /ინტერნეტ არხის/ ჩამოსაყალიბებლად დამატებით პირდაპირ საშუალებას მოგვცემს. ძნელია გადავაფასოთ ეს შანსი, რომელიც, ტელესაკომუნიკაციო ტრაფიკის დამატებითი პირდაპირი არხის ფორმირების შესაძლებლობას იძლევა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიას/ცენტრალურ აზიას შორის.
ექსპერტების მოსაზრებით, ამ მასშტაბის გლობალურ პროექტში მსოფლიო ბანკის ჩართულობა, მის ნებისმიერ ეტაპზე, მიუთითებს მის სერიოზულობაზე და პროექტის კარგ პერსპექტივაზე. შავი ზღვის ფსკერზე ელექტროენერგიის მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის იდეაზე წლების წინაც იყო საუბარი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, მათ შორის, პროექტის სიძვირიდან გამომდინარეც, მაშინ საქმე არ დაძრულა. ამჯერად კი, საქართველოსთვის, ეს უმნიშვნელოვანესი პროექტია. იგი ითვალისწინებს შავი ზღვის ფსკერზე 1200 კილომეტრამდე სიგრძის მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის მოწყობას, რომელმაც ერთმანეთთან დააკავშირებს საქართველოსა და ევროპის ელექტროენერგეტიკულ სისტემებს.
პროექტის დაფინანსებაში მსოფლიო ბანკთან ერთად ჩაერთვებიან, როგორც

მთავრობები, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და მსხვილი ენერგეტიკული კორპორაციები. რაც საინტერესოა როგორც წმინდა ეკონომიკური, ისე გეოეკონომიკური და ზოგადად გეოპოლიტიკური თვალსაზრისითაც. მაგალითად, გეოლოგიურ კვლევებს, რომელიც შავ ზღვაში უნდა ჩატარდეს, საქართველო 20 მლნ აშშ დოლარს გამოყოფს.
„შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის" პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობებისა და საუკეთესო გზების დადგენის მიზნით, აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, რომელსაც „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" დაკვეთით, იტალიური საკონსულტაციო კომპანია CESI ახორციელებს. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა 2023 წლის ბოლოს დასრულდება.
საქართველოს, რუმინეთის, აზერბაიჯანისა და უნგრეთის რესპუბლიკების მთავრობებს შორის მწვანე ენერგიის განვითარებისა და გადაცემის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმების საფუძველზე, თბილისში ოთხი ქვეყნის სამთავრობო უწყებების მაღალი რანგის შეხვედრა გაიმართა. განსახილველ საკითხს შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი წარმოადგენდა, რომელიც საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით და საქართველოს და რუმინეთის გადამცემი სისტემის ოპერატორების „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" და „ტრანსელექტრიკა"-ს მეშვეობით განხორციელდება. შედეგად, 1 195 კილომეტრის სიგრძის კაბელი რუმინეთს დაუკავშირდება, რაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და რუმინეთს საშუალებას მისცემს, ისარგებლონ გაფართოებული საექსპორტო შესაძლებლობებით და ელექტროენერგიის ბაზრის საათობრივი ფასების გათვალისწინებით განახორციელონ ელექტროენერგიით ვაჭრობა.
ამ ეტაპზე, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" საკონსულტაციო კომპანია CESI-ს დახმარებით ახორციელებს პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას. სამომავლოდ, პროექტის ფარგლებში ასევე ჩატარდება გარემოსა და სოციალური ზემოქმედების შეფასების და გეოფიზიკურ/ გეოტექნიკური შავი ზღვის ფსკერის კვლევები. მათი მეშვეობით დადგინდება პროექტის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობები.
ოთხი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობით, მნიშვნელოვნად განვითარდება ენერგეტიკის სექტორი, გაიზრდება მწვანე ენერგიების სატრანზიტო და ვაჭრობის შესაძლებლობები, ევროპული ენერგოსისტემები კი პოტენციურად დაუკავშირდებიან სამხრეთ კავკასიის რეგიონს.
რას მოუტანს ქართულ ეკონომიკას, კერძოდ, საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორს ეს პროექტი?
მაღალი ძაბვის ინფრასტრუქტურას დაემატება 1000 მეგავატამდე გამტარუნარიანი 500 კილოვატიანი გადამცემი ქსელი, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია როგორც ენერგოდამოუკიდებლობის, ისე ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით. შემცირდება რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება, რამდენადაც შავი ზღვის კაბელი საქართველოს საშუალებას მისცემს რეგიონის ენერგოსისტემა ევროგაერთიანების სისტემას დააკავშიროს  და პირიქით.
ახალი გადამცემი ხაზი, ორივე მხარისთვის, ევროგაერთიანების ენერგოსისტემისთვის და ჩვენი რეგიონისთვის ერთნაირად საინტერესო იქნება, როგორც ენერგიის მიღების, ისე გაცემის თვალსაზრისით. დღეს ყველა ეძებს იაფ და მწვანე ენერგიას. ეს ტენდენცია უკვე შეუქცევადია. აქედან გამომდინარე

როგორც ჩვენი პერსპექტივაში განსავითარებელი ჰიდროენერგეტიკისთვის, ისე აზერბაიჯანის, პერსპექტივაში განსავითარებელი ენერგეტიკისთვის, პრაქტიკულად გარანტირებული ბაზარი იხსნება. საკითხის მეორე მხარეა, როცა ვსაუბრობთ იმპორტის ახალ შესაძლებლობაზე. ცხადია, იმპორტის დივერსიფიკაციაც ჩვენი ენერგოპოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ევროპაც და აზიის ქვეყნებიც დაინტერესებული იქნებიან ახალი მყარი და მოცულობითი ენერგოკავშირების დამყარებით და, ცხადია, ამ საქმეში თავის როლს შეასრულებს და საქმეს გაამარტივებს, თუკი შავ ზღვაში უკვე იქნება მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელი. პოტენციაში იგივე ინფრასტრუქტურა უნდა დავინახოთ კასპიის ფსკერზეც. უდაოდ მიმზიდველად გამოიყურება აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ენერგოსისტემების კავშირის შესაძლებლობა. საკითხის ამ რაკურსით გაანალიზების შემთხვევაში, ისედაც ძალიან საინტერესო პროექტი კიდევ უფრო მეტ ინტერესს იძენს მთელი რიგი ენერგომოთამაშეებისთვის. მაგრამ, მანამდე, შავი ზღვის ფსკერზე მოსაწყობი მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის პროექტმა უნდა ნახოს დღის სინათლე, მისი დაწყება უნდა გახდეს საქართველოს ენერგოგანვითარების მასტიმულირებელი და მისი მეშვეობით ჩვენმა ქვეყანამ უნდა შეიძინოს ტრანსკავკასიური ელექტროენერგეტიკული ჰაბის ფუნქცია. ამასთან, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ჩვენი ქვეყანა საუკუნის პროექტის „აბრეშუმის გზის“ მონაწილეა. შესაბამისად, პროექტის - „ერთი გზა, ერთი სარტყელი-ის“ ფარგლებში საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი როლი აქვს. რა თქმა უნდა, როდესაც სატრანზიტო ფუნქციაზე ვსაუბრობთ, აქ არ იგულისხმება მხოლოდ საგზაო ან სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოწყობა, ელექტროენერგიის სატრანზიტო როლის გაზრდაც ამ გლობალურ მასშტაბში უნდა განვიხილოთ. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარდა ლოჯისტიკური მნიშვნელობისა, საქართველო

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **რევაზ გველესიანი ირინა გოგორიშვილი (2023**). ევროკავშირის წარმატებული ინდუსტრიული პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი XV, № 1, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2023, გვ. 24-45.

2. **გველესიანი რ.,** გოგორიშვილი ი. (2023). ევროკავშირის ახალი მიდგომა ინდუსტრიული პოლიტიკის მიმართ.

3. **გველესიანი რ.,** გოგორიშვილი ი. (2023). მოსალოდნელი გლობალური ცვლილებების ამსახველი გადაწყვეტილების მიღება ეკონომიკურ პოლიტიკაში.

4. ირინა გოგორიშვილი (2023). რელიგიისა და ეკონომიკური პოლიტიკის ურთიერთზეგავლენის საკითხისთვის.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ევროპაში ინოვაციური ციფრული ბიზნესიდეების დეფიციტი არ არის, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე კომპანია ფართოვდება ან აყალიბებს გლობალურ ბაზრებს, სხვა მსხვილი კომერციული მოთამაშეები (რომლებიც ხშირად სარგებლობენ მთავრობის მხარდაჭერით,

დაბალი მარეგულირებელი სტანდარტებით ან დაბალი საგადასახადო განაკვეთებით), საფრთხ.ეს უქმნის ევროპის გავლენას ტექნოლოგიურ განვითარებაზე და გამოწვევის წინაშე აყენებს ევროპულ ღირებულებებსა და ინტერესებს. გარდა ამისა, გეოპოლიტიკურად ფრაგმენტულ სამყაროში მზარდი მტკიცე მოთამაშეებით, ევროკავშირს მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში ძალუძს დაიცვას თავისი პოზიცია. ევროკავშირს სურს სტრატეგიული ავტონომია, რომელიც არ მოითხოვს G-2 ეკონომიკურ დაპირისპირებაში (აშშ და ჩინეთი) რომელიმე მხარეზე ყოფნას.ევროპული ინდუსტრიული პოლიტიკის მახასიათებლებია:

• ორიენტაცია მომავალზე
• ფოკუსირება ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე
• კონკურენცია ძალაა
• ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედება, როგორც ზემოდან ქვემოთ, ასევე ქვემოდან ზემოთ
• ინდუსტრიული პოლიტიკის ანგარიშვალდებულება, მიუკერძოებლობა და ადაპტირებადობა
• ჰოლისტიკური (გამაერთიანებელი) მიდგომა

წარმატებულმა ინდუსტრიულმა პოლიტიკამ არამხოლოდ ხელი უნდა შეუწყოს ინოვაციებს კრიტიკულ ტექნოლოგიურ სფეროებში,არამედ, გამოიყენოს ინსტრუმენტები ამ სექტორებში მოთხოვნის ზრდის გაფართოებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ევროპის ინდუსტრიული პოლიტიკა, ევროპული ინოვაციური საბჭო, ეკონომიკური წესრიგი, ინდუსტრიული ინოვაციები, ციფრული ტექნოლოგიები.

პრაქტიკულად ყველა ქვეყანა ჩართულია ინდუსტრიული პოლიტიკის სხვადასხვა ფორმაში, მათ შორის ევროკავშირის ძირითადი პარტნიორები და კონკურენტები, როგორიცაა აშშ და ჩინეთი. გარდა საკუთარი ეროვნული სამრეწველო პოლიტიკისა, ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რომლებიც მოქმედებენ კონსორციუმის შემადგენლობაში, ბოლო ათწლეულების განმავლობაში ახორციელებენ ერთობლივ ინდუსტრიულ პოლიტიკას. ეს იძლევა ბევრ მაგალითს, საიდანაც შეიძლება ბევრი რამ ვისწავლოთ, რათა მაქსიმალურად გავზარდოთ მისი გავლენა და შევამციროთ უფრო აქტიური ინდუსტრიული პოლიტიკის რისკები. ეს უკანასკნელი გამართლებულია მწვანე და ციფრული გადასვლის დაჩქარების აუცილებლობით, ევროპული ღია სტრატეგიული ავტონომიის უფრო მაღალი ხარისხის მიღწევასთან ერთად, სულ უფრო დაძაბულ გეოპოლიტიკურ გარემოში. მიუხედავად იმისა, რომ ინდუსტრიული პოლიტიკის ეს გაზრდილი გამოყენება შეიძლება ზოგს კოპერნიკული პარადიგმის ცვლილებად მოეჩვენოს, ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითები აჩვენებს, რომ რეალურად, გარკვეულწილად მაინც, ინდუსტრიული პოლიტიკა ყოველთვის გამოიყენებოდა, როგორც მთავრობის სტანდარტული ინსტრუმენტებისნაწილი.

ევროკავშირის გაძლიერებული ინდუსტრიული პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია მწვანე და ციფრულ გადასვლაზე და წარსულის პოლიტიკურ წარმატებებსა და წარუმატებლობაზეა დაფუძნებული, თითქმის გამართლებულია. თუმცა, ეს უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც ფართო ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს ევროპის კეთილდღეობას XXIსაუკუნეში. ამგვარად, წარმატებული ინდუსტრიული პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბების დასრულებას და კონკურენციის პოლიტიკის მკაცრი აღსრულების მიმდინარე მცდელობებს (და არა ჩანაცვლებას). იმავდროულად, თავიდან უნდა იქნეს აცილებული ზედმეტად მაღალი რეგიონული უთანასწორობა, რომელიც იყო და უნდა იყოს ევროპის ეკონომიკური წარმატების საფუძველი. ამ მრავალმხრივი მიზნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომავალში იმ კვლევას, რომელიც მიმართულია ოპტიმალური დონის პოვნაზე, რომელზედაც უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ინდუსტრიული პოლიტიკა (ევროკავშირის, ეროვნული და რეგიონული).

2.ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზის ამოსავალი წერტილია განსხვავება არსებულსა და მას შორის, რაც უნდა არსებობდეს. ამიტომ, მოსაზრებები (შეხედულებები) იმის შესახებ, რაც უნდა იყოს, შესაძლოა გამოვიყენოთ დაკვირვებადი ეკონომიკური მდგომარეობისა და განვითარების შესაფასებლად. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია გაჩნდეს რეკომენდაციები თუ როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან განსხვავებები არსებულსა და მას შორის, რაც უნდა არსებობდეს. რეალობაში გვხვდება ფაქტობრივი მოვლენები, რომელთა შემოწმება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. ასევე არსებობს სასურველი მოვლენები, რომლებიც შორდებიან ასეთ შემოწმებას. სწორედ მათი შედარების საფუძველზე ყალიბდება, როგორც შეფასებების, ისე რეკომენდაციების შინაარსი. ნორმატიული შეხედულებები სუბიექტურ სურვილებს გამოხატავენ, ამიტომ შეფასების შედეგი არ შეიძლება „სწორად“ ან „მცდარად“ მივიჩნიოთ. შესაძლებელია, რომ სუბიექტმა (ან ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფმა) ისინი თავისთვის მისაღებად ჩათვალოს ან უარყოს კიდეც. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია შეფასებათა მეცნიერული დადგენა და გაანალიზება, ისევე როგორც მათი ურთიერთდამოკიდებულებების შემოწმება. მაგრამ დაუშვებელია ისინი მივიჩნიოთ „სწორ“ ან „მცდარ“ შეფასებებად. ეს რა თქმა უნდა არ გამორიცხავს იმას, რომ მეცნიერი შეიძლება პიროვნულად მხარს უჭერდეს გარკვეულ ნორმატიულ პოზიციას. ასევე არ არის გამორიცხული მეცნიერული შეფასებითი მსჯელობა ან კამათი ღია და საჯარო ფაქტების შესახებ. თუ ნორმად მივიღებთ იმას, რომ აუცილებელია ინტერსუბიექტურად შემოწმებადი შეფასებითი მსჯელობის (იდეოლოგიების) თავიდან აცილება, მაშინ მკაფიოდ უნდა გვქონდეს გაცნობიერებული შეხედულების შეფასებითი ნაწილი (შეფასების ტრანსპარენტობის პოსტულატი). მაგრამ ამ მოთხოვნის შესრულება ძალზე ძნელია იმის გამო, რომ მეტყველების ელემენტებს ხშირად შეფასების მიზნით ვიყენებთ. ყოველ შემთხვევაში დასკვნებს მეცნიერული ხასიათი სულაც არ ენიჭება იმის გამო, რომ მათ შეიძლება ისეთი ვინმე იყენებდეს, ვინც მეცნიერულ საქმიანობას ეწევა. მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ მეცნიერი, თავისი კვლევებიდან გამომდინარე, გარკვეულ შეფასებით მტკიცებულებებს სხვა ასეთივე შეხედულებებთან შედარებით უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდეს. შეფასების მეცნიერულ დასაბუთებას ყოველთვის ცდილობდნენ. მაგრამ ინტერსუბიექტურად შემოწმებადი მეცნიერული კრიტერიუმის არარსებობის გამო ამგვარი მცდელობა საბოლოოდ მარცხით მთავრდებოდა. დასაბუთების ერთ-ერთი მცდელობა იმაში მდგომარეობს, რომ ღირებულებათა უშუალო წვდომა (ინტუიციონიზმი) შემეცნების წყაროდაა მიჩნეული. იგივე შედეგი გვაქვს, როდესაც ცდილობენ საზოგადოებრივ სინამდვილეზე (მოვლენებსა და პროცესებზე) დაკვირვების გზით მისი მარად უცვლელი „არსი“ შეიმეცნონ და ამის საფუძველზე ჩამოაყალიბონ შეფასებები (ნატურალიზმი).

3. ინდუსტრიული პოლიტიკა მეცნიერებისა და პოლიტიკოსების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია, რადგან მასზედ დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის წარმატება თუ წარუმატებლობა. შემთხვევითი როდია, რომ განსაკუთრებით 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ, მრავალი ქვეყნის მთავრობამ აქტიურად დაიწყო ინდუსტრიული პოლიტიკის განხორციელება უმუშევრობის შესამცირებლად, დარგებისა და ინსტიტუციების გადასარჩენად. ამასთან, ბაზრების გლობალიზაციამ განაპირობა სამამულო დარგების დაცვისა და რეგიონული განვითარების სტიმულირების აუცილებლობა. თავის მხრივ, კოვიდ-19 პანდემიით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქვეყნის მდიდარი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება მის კონკურენტულ უპირატესობას უზრუნველყოფს. პანდემიის პირობებში ბევრმა ქვეყანამ აამოქმედა პროტექციონისტული ღონისძიებები და ის ქვეყნები აღმოჩნდნენ უკეთეს მდგომარეობაში, რომლებმაც უკეთესად შეძლეს ეროვნული ინდუსტრიის განვითარება. ნაშრომში EquIP (Enhancing the Quality of Industrial Policies)-ის პირველი ინსტრუმენტის საფუძველზე გაანალიზებულია მრეწველობის და, კონკრეტულად, გადამამუშავებელი მრეწველობის მდგომარეობა, პოზიციონირება და კონკურენტუნარიანობა.

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის მიხედვით: საქართველოს ეკონომიკა დაბალგანვითარებულია, შესაძლებლობები კი - შეზღუდული, ამიტომ მრეწველობის პოტენციალი არასაკმარისადაა გამოყენებული; მთლიანი სამამულო პროდუქტის (მსპ-GDP) ზრდის ტემპის და გადამამუშავებელ მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულების მაჩვენებლები გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მაჩვენებელი დაბალია; მრეწველობა ლიდერობს გამოშვების მაჩვენებლით სხვა ეკონომიკურ საქმიანობებთან შედარებით, თუმცა გადამამუშავებელ მრეწველობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მოცულობა ბოლო წლებში შემცირდა, განსაკუთრებით - პანდემიის დროს; გადამამუშავებელი მრეწველობის მოცემული სტრუქტურა დასაქმების თვალსაზრისით მიმზიდველია, რაც ნიშნავს იმას, რომ დარგი სამუშაო ადგილების შექმნას უზრუნველყოფს. შრომის პროდუქტიულობა გადამამუშავებელი მრეწველობის ტოპ-ხუთეულში ერთნაირია; მსოფლიო ბაზართან ინტეგრირების ხარისხის და გავლენის თვალსაზრისით, საქართველოს უმნიშვნელო პოზიცია უკავია. ანალოგიურია საქართველოს პოზიციონირება ევროკავშირის ბაზართან მიმართებითაც; საქართველოში კვლავ დეინდუსტრიალიზაციის პროცესი მიმდინარეობს, შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართული სამრეწველო სტრატეგიის შემუშავება და გატარება.

4. ნაშრომის მიზანია რელიგიასა და ეკონომიკურ პოლიტიკას შორის კავშირურთიერთობათა გამოვლენა და მათი გაანალიზება განვითარების ტენდენციათა დახასიათებით. რელიგია მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე პოლიტიკაში და მათ შორის ურთიერთობა მუდმივად იცვლება. სახელმწიფოს მმართველობა არ შეიძლება იყოს გამიჯნული მისი ხალხის რელიგიური შეხედულებებისგან, რომლებიც გავლენას ახდენს ქვეყნის ლიდერებსა და კანონმდებლებზე. რელიგიური და ეკონომიკური პოლიტიკის კანონები ასახავს ქვეყნის საზოგადოების განვითარების ტენდენციებს. სტატიაში გამოკვეთილია გზები, რომლითაც რელიგიური რწმენა, პრაქტიკა და თემები ყალიბდება ერის პოლიტიკური მოლოდინებისა და საჭიროებების მიხედვით. ნაშრომში განხილულია რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთობა და მიდგომა ქრისტიანული რელიგიის აღქმის მიმართ. იმის გამო, რომ რელიგია და პოლიტიკა მუდმივად იცვლება და ადაპტირდება, ამ ორ ერთეულს შორის ურთიერთობის ფუძემდებლური იდეოლოგიები მუდმივად კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, ისინი პერიოდულად ხელახლა ინტერპრეტირებული და მოდიფიცირებულია რაც გლობალურ მსოფლიოში მიმდინარე დესეკულარიზაციის პროცესის საფუძველზე ხორციელდება.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Revaz Gvelesiani Irina Gogorishvili (2023). **GREEN ENERGY DEVELOPMENT POLICY IN GEORGIA.** Estonian Discussions on Economic Policy. 2023, P.150-171; ISSN 2228-1878. (იბეჭდება).

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. სტატიის მიზანია საქართველოში მწვანე ენერგეტიკის განვითარების პოლიტიკის ანალიზი და მოქალაქეების ცნობიერების შესწავლა კლიმატის ცვლილების შესაჩერებლად განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების აუცილებლობის შესახებ. სტატიაში განხილულია საქართველოს ინტეგრირებული ეროვნული ენერგეტიკისა და კლიმატის გეგმა, რომელიც

მოიცავს 2021-2030 პერიოდს და ასახავს ქვეყნის ვალდებულებას 2030 წლის მიზნების მისაღწევად. ნაშრომი ასევე აანალიზებს პოლიტიკას 2050 წლის გეგმის გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად, რაც უზრუნველყოფს ევროკავშირის გრძელვადიან პოლიტიკურ მიზნების, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისა და ენერგეტიკულ გაერთიანების მოთხოვნებთან თანხვედრას. სტატიაში დახასიათებულია ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის დაახლოებას ევროკავშირისა და მწვანე ენერგიის განვითარების საერთაშორისო პოლიტიკის მოთხოვნებთან. კვლევა ითვალისწინებს განახლებადი ენერგიის წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, განაწილების, მიწოდებისა და ვაჭრობის ზოგადი სამართლებრივი ჩარჩო პირობების ანალიზს. სოციალურ ქსელებში რესპონდენტთა გამოკითხვისა და IBM SPSS Statistics კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით შედეგების დამუშავების საფუძველზე გამოვლინდა ინფორმაცია რესპონდენტებში არასაკმარისი ინფორმირებულობისა და გაგების შესახებ მწვანე ენერგიის განვითარების აუცილებლობისა და განათლების სფეროში სასწავლო პროგრამების ნაკლებობის შესახებ. დასასრულს, სამეცნიერო სტატიის ავტორებმა, მწვანე ენერგიის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის შეჯამებით, შემოგვთავაზეს საქართველოს რეგიონებსა და ქალაქებში გარემოსდაცვითი მართვის დაბალი სიმბოლური მუნიციპალური გადასახადის შემოღება და სასწავლო დაწესებულებებში მწვანე ენერგიისა და კლიმატის ცვლილების შესწავლის სასწავლო გეგმების განახლება.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **გველესიანი რ., გოგორიშვილი ი.** (2023). ევროკავშირის ახალი მიდგომა ინდუსტრიული პოლიტიკის მიმართ.
2. **გველესიანი რ., გოგორიშვილი ი.** (2023). მოსალოდნელი გლობალური ცვლილებების ამსახველი გადაწყვეტილების მიღება ეკონომიკურ პოლიტიკაში.
3. **ირინა გოგორიშვილი** (2023). რელიგიისა და ეკონომიკური პოლიტიკის ურთიერთზეგავლენის საკითხისთვის.

*ასოცირებული პროფესორი გიორგი გაფრინდაშვილი*

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 2. Gvelesiani Revaz, Lekashvili Eka & Gaprindashvili Giorgi. CONTEMPORARY CHALLENGES OF
INDUSTRIAL POLICY OF GEORGIA. II- ND INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE “STRATEGIC PLANNING AND MARKETING IN DIGITAL WORLD”. 23-25 November, 2023

*ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი*

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ლეკაშვილი ეკა, ობოლაძე დავით, გაფრინდაშვილი გიორგი.საქართველოს ევროკავშირთან ენერგეტიკული ჰაბის დაფუძნების ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირების საკითხისთვის.VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. 3 ნოემბერი 2023 -

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. Lekashvili Eka & Bitsadze Mariam, SCIENCE AND TECHNOLOGY PARK: EFFECTIVE MECHANISM TO TRANSFER KNOWLEDGE AND TECHNOLOGY BETWEEN SCIENCE AND BUSINESS SECTORS. International Scientific and Practical Internet Conference "BUSINESS STRATEGY: UKRAINIAN REALITIES AND CONVERGENCE WITH THE EU OPPORTUNITIES". 8 November, 2023.

**დამატებით აქტივობა:**

სამრეწველო პოლიტიკის კვლევის ცენტრი წარმატებით ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას:

ა) დალასში ტეხასის უნივერსიტეტთან, აშშ (წარმომადგენელი პროფესორი ჯენიფერ ჰოლმსი);

ბ) გრაცის უნივერსიტეტთან, ავსტრია (წარმომდგენელი პროფესორი საბინე ბერგნერი);

გ) ერევანის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სომხეტი (წარმომადგენელი პროფესორი აშოტ ალექსანიანი;

დ) იტალიის საპიენზას უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ფაბიო საბატინი);

ე) უნგრეთის მისკოლცის ეკონომიკურ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი დანიელ კუტორი);

ვ) საფრანგეთის ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი (წარმომადგენელი ასოცირებული პროფესორი ფელიქს ვონ ნოსტიტზი);

ზ) პოლონეთის რჟეშოვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (წარმომადგენელი პროფესორი იაცეკ სტროინი);

თ) ბულგარეთის ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის უნივერსიტეტი ( წარმომადგენელი ემდ საბრინა კალინკოვა);

ი) სლოვენიის მარიბორის უნივერსიტეტი ( წარმომადგენელი ნუსა ბასლე);

კ) უკრაინის ვადიმ ჰაპმანის სახელობის უნივერსიტეტი (წარმომადგენელი ტატიანა სობოლევა);

ლ) ავსტრიის პარიზი-ლონდონი- ზალცბურგის უნივერსიტეტი (წარმომადგენელი კარატინა ჯიმი).

მ) უნივერსიტეტი პარიზი რვა (წარმომადგენელი ვაელ ბენ აბდალაჰ);

ნ) ბრატისლავას ეკონომიკურ უნივერსიტეტთან, სლოვაკეთი (პროფესორი მარინ ლაზეჰი).

*ასისტენტ პროფესორი ლალი ხურცია*

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი გრანტი

4. *საქართველოს ევროკავშირის მოთხოვნებთან კოორდინირებული ენერგეტიკული ჰაბის პოლიტიკის ფორმირება და მისი განხორციელების პერსპექტივები*

*პროექტის დაწყება -2023 წლის 1 თებერვალი*
*პროექტის დასრულება - 2023 წლის 15 დეკემბერი*
2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

- ***პროფესორი რევაზ გველესიანი,*** *პროექტის ხელმძღვანელი - პროექტის ორგანიზება, საკვლევი პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგებისა და დასკვნების საფუძველზე მონოგრაფიის გამოქვეყნების ხელმძღვანელობა;*
- ***ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი,*** *პროექტის კოორდინატორი - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ორგანიზაციულ საკითხებში დახმარება; კვლევითი ამოცანის - ევროკავშირში ენერგეტიკული ჰაბების განვითარების პოლიტიკის ევოლუციის ზოგადი მიმართულებებისა და თანამედროვე გამოწვევების შესწავლა;*
- ***ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი*** *- კვლევითი ამოცანის - საქართველოში ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი ენერგეტიკული ჰაბის პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პერსპექტივების შესწავლა;*
- ***ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი,*** *- კვლევითი ამოცანის - ევროკავშირის ენერგეტიკულ ჰაბებში მონაწილე ქვეყნების ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავების, კოორდინირებისა და იმპლემენტაციის წარმატებული და წარუმატებელი გამოცდილების გაანალიზება;*
- ***ასოცირებული პროფესორი გიორგი გაფრინდაშვილი*** *- კვლევითი ამოცანის - რეკომენდაციების შემუშავება საქართველოში ენერგეტიკული ჰაბის დაფუძნების ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირებისა და გატარებისათვის;*
- ***ასისტენტ პროფესორი ლალი ხურცია*** *- კვლევითი ამოცანის - ენერგეტიკული ჰაბის შექმნისა და განვითარების პოლიტიკის პრობლემატიკაზე სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი;*
- ***დოქტორანტები: ქრისტინა ჯულაყიძე და ბექა ფერაძე-*** *კვლევითი ამოცანის - ევროკავშირის ენერგეტიკულ ჰაბებში მონაწილე ქვეყნების ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავების, კოორდინირებისა და იმპლემენტაციის წარმატებული და წარუმატებელი გამოცდილების გაანალიზებ - მასალების მომზადება.*

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

*საქართველოს აქვს ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებით ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ამაღლების და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის პოტენციალი, რაც, რა თქმა უნდა, რაციონალური ეკონომიკური დიპლომატიის განხორციელებითაა შესაძლებელი.*

*საქართველოს, როგორც არასდროს, დღეს აქვს შანსი, გახდეს ელექტროენერგეტიკული ჰაბი. საამისოდ, ქვეყანამ ტრანზიტული ქვეყნის უპირატესობები უნდა გამოიყენოს. ის უნდა გახდეს ელექტროენერგიის გარდამქნელი და ტრანზიტის ქვეყანა. აზერბაიჯანში არსებული ჭარბი ელექტროენერგია, კერძოდ, თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ანუ საბაზო ელექტროენერგია უნდა შემოვიდეს საქართველოში, ქვეყანაში არსებული მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების მეშვეობით გარდაიქმნას იმ ტიპის ელექტროენერგიად, რომელიც ევროპის ბაზარზე შეიძლება გაცილებით ძვირად გაიყიდოს, ანუ პიკის საათების ელექტროენერგიად. ეს შესაძლებლობები და უპირატესობები მომავალშიც მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული.*

*საქართველოს ტრანსკავკასიური ელექტროენერგეტიკული ჰაბის ფუნქცია მნიშვნელოვნად გაძლიერდება შავი ზღვის ფსკერზე მოსაწყობი მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის პროექტის განხორციელებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანი გახდა გლობალურ პროექტში მსოფლიო ბანკის ჩართულობა (მის ნებისმიერ ეტაპზე). ეს ითვალისწინებს ასევე რუსეთის ფედერაციაზე ენერგოდამოკიდებულების ხარისხის შემცირებას, რამდენადაც შავი ზღვის კაბელი*

*საქართველოს საშუალებას მისცემს რეგიონის ენერგოსისტემა ევროგაერთიანების სისტემას დააკავშიროს და პირიქით. პროექტი უმნიშვნელოვანესი იქნება საკუთრივ საქართველოში გენერირებული ელექტროენერგიის ევროკავშირის ბაზარზე გატანის თვალსაზრისით. იგი საქართველოსთვის სატრანზიტო შემოსავლის წყაროც იქნება. ამ კაბელს ექნება სხვა დანიშნულებაც. ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა, რომ მასში ასევე დამონტაჟდეს ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენიც, რომელიც ტელეკომუნიკაციის /ინტერნეტ არხის/ ჩამოსაყალიბებლად დამატებით პირდაპირ საშუალებას მოგვცემს. ძნელია გადავაფასოთ ეს შანსი, რომელიც, ტელესაკომუნიკაციო ტრაფიკის დამატებითი პირდაპირი არხის ფორმირების შესაძლებლობას იძლევა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიას/ცენტრალურ აზიას შორის.*

*ექსპერტების მოსაზრებით, ამ მასშტაბის გლობალურ პროექტში მსოფლიო ბანკის ჩართულობა, მის ნებისმიერ ეტაპზე, მიუთითებს მის სერიოზულობაზე და პროექტის კარგ პერსპექტივაზე. შავი ზღვის ფსკერზე ელექტროენერგიის მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის იდეაზე წლების წინაც იყო საუბარი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, მათ შორის, პროექტის სიძვირიდან გამომდინარეც, მაშინ საქმე არ დაძრულა. ამჯერად კი, საქართველოსთვის, ეს უმნიშვნელოვანესი პროექტია. იგი ითვალისწინებს შავი ზღვის ფსკერზე 1200 კილომეტრამდე სიგრძის მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის მოწყობას, რომელმაც ერთმანეთთან დააკავშირებს საქართველოსა და ევროპის ელექტროენერგეტიკულ სისტემებს. პროექტის დაფინანსებაში მსოფლიო ბანკთან ერთად ჩაერთვებიან, როგორც მთავრობები, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და მსხვილი ენერგეტიკული კორპორაციები. რაც საინტერესოა როგორც წმინდა ეკონომიკური, ისე გეოეკონომიკური და ზოგადად გეოპოლიტიკური თვალსაზრისითაც. მაგალითად გეოლოგიურ კვლევებს, რომელიც შავ ზღვაში უნდა ჩატარდეს, საქართველო 20 მლნ აშშ დოლარს გამოყოფს.*

*„შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის" პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობებისა და საუკეთესო გზების დადგენის მიზნით, აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, რომელსაც „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" დაკვეთით, იტალიური საკონსულტაციო კომპანია CESI ახორციელებს. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა 2023 წლის ბოლოს დასრულდება.*

*საქართველოს, რუმინეთის, აზერბაიჯანისა და უნგრეთის რესპუბლიკების მთავრობებს შორის მწვანე ენერგიის განვითარებისა და გადაცემის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმების საფუძველზე, თბილისში ოთხი ქვეყნის სამთავრობო უწყებების მაღალი რანგის შეხვედრა გაიმართა.*

*განსახილველ საკითხს შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი წარმოადგენდა, რომელიც საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით და საქართველოს და რუმინეთის გადამცემი სისტემის ოპერატორების „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" და „ტრანსელექტრიკა"-ს მეშვეობით განხორციელდება. შედეგად, 1 195 კილომეტრის სიგრძის კაბელი რუმინეთს დაუკავშირდება, რაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და რუმინეთს საშუალებას მისცემს, ისარგებლონ გაფართოებული საექსპორტო შესაძლებლობებით და ელექტროენერგიის ბაზრის საათობრივი ფასების გათვალისწინებით განახორციელონ ელექტროენერგიით ვაჭრობა. ამ ეტაპზე, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" საკონსულტაციო კომპანია CESI-ს დახმარებით ახორციელებს პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას. სამომავლოდ, პროექტის ფარგლებში ასევე ჩატარდება გარემოსა და სოციალური ზემოქმედების შეფასების და გეოფიზიკურ/ გეოტექნიკური შავი ზღვის ფსკერის კვლევები. მათი მეშვეობით დადგინდება პროექტის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობები.*

*ოთხი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობით, მნიშვნელოვნად განვითარდება ენერგეტიკის სექტორი, გაიზრდება მწვანე ენერგიების სატრანზიტო და ვაჭრობის შესაძლებლობები,*

*ევროპული ენერგოსისტემები კი პოტენციურად დაუკავშირდებიან სამხრეთ კავკასიის რეგიონს.*

*რას მოუტანს ქართულ ეკონომიკას, კერძოდ, საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორს ეს პროექტი?*

*მაღალი ძაბვის ინფრასტრუქტურას დაემატება 1000 მეგავატამდე გამტარუნარიანი 500 კილოვატიანი გადამცემი ქსელი, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია როგორც ენერგოდამოუკიდებლობის, ისე ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით. შემცირდება რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება, რამდენადაც შავი ზღვის კაბელი საქართველოს საშუალებას მისცემს რეგიონის ენერგოსისტემა ევროგაერთიანების სისტემას დააკავშიროს და პირიქით.*

*ახალი გადამცემი ხაზი, ორივე მხარისთვის, ევროგაერთიანების ენერგოსისტემისთვის და ჩვენი რეგიონისთვის ერთნაირად საინტერესო იქნება, როგორც ენერგიის მიღების, ისე გაცემის თვალსაზრისით. დღეს ყველა ეძებს იაფ და მწვანე ენერგიას. ეს ტენდენცია უკვე შეუქცევადია. აქედან გამომდინარე როგორც ჩვენი პერსპექტივაში განსავითარებელი ჰიდროენერგეტიკისთვის, ისე აზერბაიჯანის, პერსპექტივაში განსავითარებელი ენერგეტიკისთვის, პრაქტიკულად გარანტირებული ბაზარი იხსნება. საკითხის მეორე მხარეა, როცა ვსაუბრობთ იმპორტის ახალ შესაძლებლობაზე. ცხადია, იმპორტის დივერსიფიკაციაც ჩვენი ენერგოპოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.*

*ევროპაც და აზიის ქვეყნებიც დაინტერესებული იქნებიან ახალი მყარი და მოცულობითი ენერგოკავშირების დამყარებით და, ცხადია, ამ საქმეში თავის როლს შეასრულებს და საქმეს გაამარტივებს, თუკი შავ ზღვაში უკვე იქნება მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელი. პოტენციაში იგივე ინფრასტრუქტურა უნდა დავინახოთ კასპიის ფსკერზეც. უდაოდ მიმზიდველად გამოიყურება აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ენერგოსისტემების კავშირის შესაძლებლობა. საკითხის ამ რაკურსით გაანალიზების შემთხვევაში, ისედაც ძალიან საინტერესო პროექტი კიდევ უფრო მეტ ინტერესს იძენს მთელი რიგი ენერგომოთამაშეებისთვის. მაგრამ, მანამდე, შავი ზღვის ფსკერზე მოსაწყობი მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის პროექტმა უნდა ნახოს დღის სინათლე, მისი დაწყება უნდა გახდეს საქართველოს ენერგოგანვითარების მასტიმულირებელი და მისი მეშვეობით ჩვენმა ქვეყანამ უნდა შეიძინოს ტრანსკავკასიური ელექტროენერგეტიკული ჰაბის ფუნქცია. ამასთან, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ჩვენი ქვეყანა საუკუნის პროექტის „აბრეშუმის გზის“ მონაწილეა. შესაბამისად, პროექტის - „ერთი გზა, ერთი სარტყელი-ის“ ფარგლებში საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი როლი აქვს. რა თქმა უნდა, როდესაც სატრანზიტო ფუნქციაზე ვსაუბრობთ, აქ არ იგულისხმება მხოლოდ საგზაო ან სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოწყობა, ელექტროენერგიის სატრანზიტო როლის გაზრდაც ამ გლობალურ მასშტაბში უნდა განვიხილოთ. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარდა ლოჯისტიკური მნიშვნელობისა, საქართველო ასევე ენერგეტიკული თვალსაზრისით ჩამოყალიბდება ერთგვარ კარიბჭედ აზიასა და ევროპას შორის.*

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

**5.2. სახელმძღვანელოები**

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

***ISBN 978-9941-8- 5245-9, თბილისი, გამომცემლობა „სიდი“. 220 გვ.***

**5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით**

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

1.ერქომაიშვილი გ., ხურცია ლ.,
საქართველოში ენერგეტიკული ჰაბის ფორმირების წანამძღვრები და განვითარების პერსპექტივები. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი, N2, 2023, 18 გვერდი. თბილისი, თსუ გამომცემლობა. ISSN 1987-5789 ESSN 2587-5426 doi 10.56079

5. Vano Tsertsvadze, **Lali Khurtsia**, Nikoloz Bakradze, Giorgi Turkia. Report on Survey of companies needs for Dual Higher Education in Georgia. JPD. Vol. 5 No. 6 (2023)
6. Vano Tsertsvadze, **Lali Khurtsia**, Nikoloz Bakradze, Giorgi Turkia. European Best Practices in Dual Higher Education (DHE). JPD. Vol. 5 No. 5 (2023)

**6.3. სტატიები**

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

1. *Gulnaz Erkomaishvili, Lali Khurtsia*
*Policy of energy security and creation of energy Hubs*
*Ecoforum, Vol 12, №3 (2023), 10p. ISSN 2344-2174*
http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/1924

**7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**

**7.2. უცხოეთში**

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
Gulnaz Erkomaishvili, Economic policy to stimulate industrial development in Georgia.
ICABE 2023: 17. International Conference on Accounting, Business and Economics.May 22-23, 2023 in Barcelona, Spain
https://publications.waset.org/abstracts/161667/pdf

**I.** 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება
***ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, მიკროეკონომიკის კათედრა***

**I.** 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი ეთერ ხარაიშვილი***

**I.** 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

***ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე***
***ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია***
***ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი***
***ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი***
***ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი***
***ასისტენტ-პროფესორი ნინო ლობჟანიძე***

***პროფესორი ეთერ ხარაიშვილი***

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1. **„ციფრული ტრანსფორმაცია მცირე და საშუალო ფირმებში: გამოწვევები და პერსპექტივები მდგრადი განვითარებისათვის"**

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. ეკონომიკა
2. პროექტის დაწყების თარიღი:2023 წლის 01 თებერვალი
პროექტის დასრულების თარიღი: 2023 წლის 30 ნოემბერი

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
**1. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, მკვლევარი**
2. ასისტენტ პროფესორი ნინო ლობჟანიძე - უფროსი მკვლევარი
3. ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი - უფროსი მკვლევარი
4. ასოცირებული პროფესორი თამარ ათანელიშვილი - მკვლევარი
5. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი - კვლევის ექსპერტი
6. ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე - კვლევის ექსპერტი
7. ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია - კვლევის ექსპერტი
8. დოქტორანტი ბექა ზაუტაშვილი - მკვლევრის ასისტენტი
9. დოქტორანტი შოთა ჯიმშერაშვილი - პროექტის ასისტენტი

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**კვლევითი პროექტის აქტუალურობა და დამუშავების დონე**
ციფრული სივრცე ეკონომიკურ განვითარებაში ახალ მასშტაბებს იძენს. „Go Digital or go home" - არის ლოზუნგი, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს, თუ როგორ შეუძლიათ კომპანიებს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება თანამედროვე სამყაროში. სამწუხაროდ, რეალობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჯერჯერობით სათანადოდ არ არის შეფასებული ბიზნესის სფეროს ციფრული ტრანსფორმაციის მნიშვნელობა. ციფრული ტრანსფორმაცია წარმოადგენს ფირმების მოდერნიზაციისა და პროგრესის ძირითად ელემენტს, რომელსაც შეუძლია უფრო მეტი ეკონომიკური ღირებულების შექმნა საზოგადოებისათვის (RupeikaApoga R., Petrovska K., 2022).
ციფრული ტრანსფორმაცია, ასევე, უნდა განვიხილოთ, როგორც ფირმების მდგრადი განვითარების შესაძლებლობა. ციფრიზაცია ახალ არჩევანს თავაზობს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის ფირმებს წარმოების ხარისხის გაუმჯობესების, დანახარჯების მინიმიზაციისა და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის თვალსაზრისით. მცირე და საშუალო ფირმების ციფრული ტრანსფორმაციის პრობლემებზე ჩატარებული კვლევებით, ამ მასშტაბის ფირმების 79% ციფრული ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზეა (Xiaoyan T., Zhong W., Feng Y., 2022).
ციფრული ტრანსფორმაციის გავლენის გასაანალიზებლად შესაძლებელია დავეყრდნოთ კვლევებს, რომლის მიხედვით მცირე და საშუალო ფირმების ციფრულ ტრანსფორმაციას დადებითი კოლერაცია აქვს სამუშაოთა ოპერაციულ შესრულებასთან და ინვერსიული U ფორმის კავშირი ინოვაციებთან (Xiaoyan T., Zhong W., Feng Y., 2022).
ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება: ამ პროცესს თან ახლავს ინტეგრაციაზე გაწეული დანახარჯების მკვეთრი ზრდა, რაც, თავის მხრივ, იწვევს ადმინისტრაციული ან არასაოპერაციო ხარჯების მნიშვნელოვან მატებასაც; ასევე, აღნიშნული პროცესი არის გრძელვადიანი და რთული სისტემური ხასიათის, შესაბამისად, სარგებელიც გრძელვადიან პერიოდში ფიქსირდება. მაშასადამე, თუ ფირმის ციფრული ტრანსფორმაციის ინტენსივობა დაბალ ნიშნულზეა, მაშინ ზღვრული ღირებულება აჭარბებს ზღვრულ სარგებელს და ასეთ შემთხვევაში ციფრული ტრანსფორმაცია ფირმის ფინანსურ მაჩვენებელზე უარყოფითად აისახება. ფირმების უმეტესობა, მოკლევადიან პერიოდში, თავს არიდებს შემოსავლების შეზღუდვას და ორიენტაციას არ იღებს გრძელვადიან პერიოდზე, როდესაც ციფრული ტრანსფორმაცია დადებით კორელაციაშია ფირმის მოგებასთან (Xiaoyan T., Zhong W., Feng Y., 2022).
ციფრიზაციის პროცესი მრავალმხრივია და განსხვავებულ მიზნებს ემსახურება, ამავდროულად, აღნიშნული პროცესი მოითხოვს სხვადასხვა სტრატეგიული აქტივის

რეკომბინაციას. მცირე და საშუალო ფირმებს ციფრული ტრანსფორმაციის განხორციელების ნაკლები შესაძლებლობა აქვს - რაც უფრო მცირეა ფირმა, მით უფრო ნაკლებია ალბათობა იმისა, რომ აითვისოს ახალი ციფრული ტექნოლოგიები. უპირველეს ყოვლისა, მცირე და საშუალო ფირმები ზოგადი ადმინისტრირების ან მარკეტინგული ფუნქციების ციფრიზაციისაკენ მიისწრაფვიან. ამასთან, ციფრულ ტრანსფორმაციას თან ახლავს რისკები, ამიტომ მცირე და საშუალო ფირმები თავიანთი ბიზნეს ფუნქციების ციფრიზაციისას უპირატესობას ანიჭებენ აუთსორსინგს. ამ გზით, ისინი ამცირებენ ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებულ რისკებს გარე კონსულტანტების მეშვეობით (OECD, 2021).

არაერთი კვლევის შედეგმა ცხადყო, რომ ციფრიზაციას საჯარო შესყიდვებზე დადებითი გავლენა აქვს. შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინება აუცილებელია ფირმებისთვის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების დროს. გარდა ამისა, საჯარო შესყიდვების ციფრიზაცია დღეს ფირმებისთვის მთავარი გამოწვევაა (თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევითი პროექტის ანგარიში, 2022). მნიშვნელოვანია იმ ტრანზაქციების გათვალისწინება, რომლითაც შესაძლებელია ტექნოლოგიებისა და ინოვაციების უახლეს ზღვარზე დარჩენა, ციფრიზაციაზე დაფუძნებული ორგანიზაციული სტრუქტურის მოწყობა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, დაფუძნებულია მდგრად განვითარებაზე (Bienhaus F., Haddud A, 2018).

მდგრად ეკონომიკურ განვითარებას არაერთი ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორისაა ინოვაციები, ტექნოლოგიები და ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი, რომელშიც საჯარო და კერძო სექტორის ჩართულობა თანაბარი მნიშვნელობისაა და მოითხოვს ორივე მხრიდან თანამშრომლობისთვის მზაობას. ბოლო პერიოდის მონაცემებით კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის ჭარბობს მცირე და საშუალო ფირმები. მაგალითად, 2019 წლის მონაცემებით ევროკავშირის ტერიტორიაზე კერძო სექტორის 98,9%-ს მცირე და საშუალო 3 ფირმები შეადგენდა, ხოლო დასაქმებულთა მაჩვენებელი - 28,8%-ით, აღემატებოდა მსხვილ ფირმებში დასაქმებულთა წილს (35,6%, EuroStat, 2022). მცირე და საშუალო ფირმების სიმრავლისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში შეტანილი წვლილის მიუხედავად, ისინი მოწყვლადები არიან სხვადასხვა ფორსმაჟორული სიტუაციების მიმართ, მაგალითად, COVID-19, რომელმაც მხოლოდ ევროკავშირის ტერიტორიაზე მსგავსი ტიპის საწარმოთა 90%-ზე მოახდინა უარყოფითი ზეგავლენა. პანდემიამ აღნიშნული ფირმები „აიძულა" უფრო აქტიურად გამოეყენებინათ ციფრული პლატფორმები და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები (PayPal, 2021). თუმცა, სწორედ ციფრიზაციამ შეუწყო ხელი ამ ტიპის საწარმოთა გადარჩენასა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას.

პანდემიამ მსგავსი სიტუაცია ყველა კონტინენტზე წარმოქმნა, მაგრამ პრობლემის მოგვარება ყველგან თანაბარი წარმატებით ვერ მოხერხდა. აღნიშნული ფაქტი უკავშირდება, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ციფრული პლატფორმების არსებობას. მსოფლიოში ციფრული ეკონომიკის ზრდადი ტენდენციის მიუხედავად, ონლაინ პლატფორმების გეოგრაფიული განაწილება ქვეყნებისა და კონტინენტების მიხედვით განსხვავებულია, ონლაინ პლატფორმების უმეტესობას (71,6%) ფლობს აშშ-ისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რაც თავისთავად მათთან ამარტივებს ციფრულ ტრანსფორმაციას სხვა სახელმწიფოებთან შედარებით (UNTCAD, 2019). თუმცა, აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს დანარჩენ ნაწილსაც შეუძლია მიიღოს გარკვეული სარგებელი ციფრული პლატფორმებისა და მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტებისგან.

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში, მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვანია დასაქმების (მცირე - 42,1%, საშუალო 19,7%), გამოშვებული პროდუქციის (მცირე - 28,7%, საშუალო 24,4%) და სხვა ფაქტორების მიხედვით (საქსტატი, 2022). თუმცა, საწარმოებში ციფრიზაციის პროცესი გარკვეული თვალსაზრისით სწრაფი ტემპით არ მიმდინარეობს.

მაგალითად, ფირმებში ERP სისტემების გამოყენება 2020-2022 წლებში კლების ტენდენციით ხასიათდება (2020 – 8,7%, 2022 – 6,9%), ინტერნეტის თანამედროვე ტექნლოგიებს ფირმების მხოლოდ 9,3% იყენებს (2021), ხელოვნურ ინტელექტს კი მხოლოდ 3,7% (2021); რაც შეეხება ელექტრონული ვებ გვერდის გამოყენებას 2022 წელს მას საწარმოთა მხოლოდ 13,45% იყენებს (საქსტატი, 2022). სტატისტიკური ინფორმაციის პარალელურად მნიშვნელოვანია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2022 წლის ქსელური მზადყოფნის ინდექსის განხილვაც (NRI), რომლის მიხედვით საქართველო 47,14 ქულით 131 ქვეყნიდან 75- ე ადგილზე იმყოფება და მეზობლებს შორის ბოლო ადგილზეა (თურქეთი - 48-ე ადგილი, სომხეთი 64-ე ადგილი, აზერბაიჯანი - 74-ე ადგილი, რუსეთის ფედერაცია - 40-ე ადგილი). ინდექსის შემადგენელი ფაქტორებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ტექნოლოგიები (84- ე ადგილი) და მისი ქვეკატეგორია - მომავლის ტექნოლოგიების გამოყენება, სადაც საქართველო 114-ე ადგილზეა. ასევე, მნიშვნელოვანია საზოგადოების კატეგორია, სადაც ქვეკატეგორია - ბიზნესის ციფრიზაცია საქართველო 69-ე ადგილზე, ხოლო საჯარო სექტორის ციფრიზააციით 78-ე ადგილზეა (Portulans Institute, 2022).

მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით აშკარაა, რომ საქართველოში მთელი რიგი გამოწვევებია ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით. სამუშაო პროცესში კი სახელმწიფო და კერძო სექტორი თანაბრად უნდა ჩაერთოს და განვითარებაზე კონცენტრირდეს. 4 საქართველოში კომპლექსური კვლევები მცირე და საშუალო ფირმების ციფრული ტრანსფორმაციის პრობლემებზე არ განხორციელებულა, თუმცა, მოცემული მიმართულებით განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა (BTU, 2022).

მცირე და საშუალო ფირმების ციფრული ტრანსფორმაციის პრობლემების კვლევისას საჭიროა პასუხი გაეცეს გარკვეულ კითხვებს, კერძოდ:

• ციფრული ტრანსფორმაციის რომელ ეტაპზეა საქართველოში მცირე და საშუალო ფირმები?

•რამდენად ეფექტიანად ხდება ციფრული პლატფორმებისა და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტების ათვისება მცირე და საშუალო ფირმებში?

•როგორია ციფრული ტრანსფორმაციის უცხოური გამოცდილება და რომელი მათგანის გამოყენება იქნება საქართველოსთვის ეფექტიანი?

•რამდენად ეფექტიანად იყენებს სახელმწიფო ციფრული ტრანსფორმაციის ინსტრუმენტებს და რამდენად User friendly არის მათ მიერ გამოყენებული ციფრული პლატფორმები/ტექნოლოგიები?

• რა გავლენას ახდენს ციფრული ტრანსფორმაცია ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე?

•ციფრიზაციის პოტენციალის სრულყოფილად ასათვისებლად რა ტექნოლოგიები ან ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებაა საჭირო?

•ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში რა ბარიერები ხვდებათ მცირე და საშუალო ფირმებს?

•როგორ შეუძლია სახელმწიფოს შეუწყოს ხელი მცირე და საშუალო ფირმების ციფრულ ტრანსფორმაციასა და მდგრად განვითარებას?

•და სხვა.

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მიზანშეწონილია კომპლექსური კვლევის ჩატარება.

**კვლევითი პროექტის მიზანი და ამოცანები**

**კვლევის მიზანი**

კვლევის მიზანია მცირე და საშუალო ფირმებში ციფრული ტრანსფორმაციის პრობლემების გამოვლენის საფუძველზე ციფრიზაციისა და მდგრადი განვითარების მიმართულებებზე რეკომენდაციების შემუშავება.

პროექტით გათვალისწინებული ძირითადი **ამოცანები:**

1. მცირე და საშუალო ფირმების ციფრიზაციის პრობლემების შესახებ ჩატარდება ბიბლიოგრაფიული კვლევა;

2. საკვლევი პრობლემის შესახებ განხორციელდება სტატისტიკური მონაცემების მოპოვება;
3. მოპოვებული მონაცემები დაჯგუფდება ერთგვაროვნების მიხედვით, დამუშავდება და გაანალიზდება;
4. შესწავლილი იქნება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნეს რეგისტრი და განისაზღვრება საკვლევი ბაზა;
5. რაოდენობრივი კვლევისათვის მომზადდება კითხვარები და შესაბამისი სახელმძღვანელოები/გზამკვლევები;
6. ჩატარდება რაოდენობრივი კვლევა;
7. მოხდება ფოკუს ჯგუფების ფორმირება და მათთან ჩატარდება ინტერვიუები;
8. განხორციელდება სამუშაო შეხვედრების ორგანიზება ბენეფიციარებთან;
9. კვლევის შედეგად მიღებული მასალები დამუშავდება შესაბამისი პროგრამული პაკეტებით და შედეგები განზოგადდება;
10. მომზადდება კვლევითი პროექტის ანგარიში;
11. შესრულდება სამეცნიერო სტატიები რეფერირებად ჟურნალებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების შრომათა კრებულებში, ასევე, გამოსაცემად მომზადდება მონოგრაფია;
12. მომზადდება კვლევითი პროექტის ანგარიშის პრეზენტაცია და მოხდება მისი წარდგენა.

**კვლევის მეთოდოლოგია**

კვლევით პროექტში გამოყენებული იქნება სხვადასხვა მიდგომა და მეთოდი. ბიბლიოგრაფიული კვლევით შეფასდება ციფრული ტრანსფორმაციის, საჯარო შესყიდვების, მცირე და საშუალო ფირმების მდგრადი განვითარების შესახებ არსებული კვლევითი ნაშრომები, პროექტები და ანგარიშები. გაანალიზდება პრობლემის შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების ვებ-გვერდები, საქართველოს ეკონომიკური პროფილის სამინისტროების, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის ბაზების გამოყენებით შეირჩევა საკვლევი ფირმები და Google Doc-ზე განთავსებული სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით ჩატარდება რაოდენობრივი კვლევა.

ციფრული ტრანსფორმაციისა და საჯარო შესყიდვების მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების შესაფასებლად განხორციელდება თვისებრივი კვლევა. კომპონენტის განსახორციელებლად გამოყენებული იქნება მიზნობრივი შერჩევის მეთოდი, ჩატარდება ინტერვიუები საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან.

ციფრული ტრანფორმაციის პროცესის შესაფასებლად დამატებითი კითხვარები ელექტრონული ფოსტით გადაეგზავნება კერძო სექტორის წარმომადენლებს. ანალიზის მიზნების შესაბამისად რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევით მიღებული მონაცემები დამუშავდება MS EXCEL-ისა და SPSS-ის პროგრამული პაკეტებით.

გამოყენებული იქნება შედარების, ანალიზის, ექსპერტული, მატრიცული და სხვა მეთოდები.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ხარაიშვილი, ე.** (2023). *ატიპიური კრიზისის გავლენა ხილის ბაზარზე: სტრუქტურული ცვლილებები და გამოწვევები,* თსუ, ჟურნალი ,,ეკონომიკა და ბიზნესი“, XV, N 1, 2023 ISSN 1987-5789, ESSN 2587-5426, **DOI:** 10.56079

2. **ხარაიშვილი, ე.** (2023). *ციფრული ტრანსფორმაციის ტენდენციები და პერსპექტივები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში*, თსუ ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, XV, N 3, 2023, ISSN 1987-5789, ESSN 2587-5426, **DOI:** 10.56079
3. **Kharaishvili, E.** & Gechbaia, B. (2023), *The Impact of Sustainable Transportation on the Development of Food Markets,* Vol 10 No 2 (2023): Journal Innovative Economics and Management, Volume 10, Issue 2, August 2023, **DOI:** https://doi.org/10.46361/2449-2604.10.2.2023.129-139
4. **ხარაიშვილი, ე.** (2023). კონფრონტაციის გავლენა აგროსასურსათო წარმოებაზე: გაურკვევლობა და მოლოდინები. საქართველოს ეკონომისტთა V ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია ,,საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში“, 8 სექტემბერი, თბილისი, 2023. **DOI:** https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-36-55
5. **ხარაიშვილი, ე.**, ლობჟანიძე, ნ. (2023). „ტანსაცმლის ბაზარი: ინდუსტრიული რევოლუციების გავლენა, ტენდენციები და პერსპექტივები“, International Scientific Journal ‘Innovative Economics and Management’, E-ISSN:2449-2604. Vol 10. No3. 2023 **DOI:** https://doi.org/10.46361/2449-2604.10.3.2023.24-36

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. *სტატიაში გაანალიზებულია ხილის ბაზრის განვითარების ტენდენციები გლობალურ და ქვეყნის დონეზე, შეფასებულია ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში ატიპური კრიზისით გამოწვეული პრობლემები, შესწავლილია ხილის ბაზარზე ამ კრიზისის გავლენის შედეგები, განხილულია ბაზრის დივერსიფიკაციის შესაძლებლობები.*
*საქართველოს აგროსასურსათო სექტორში არსებული პრობლემებიდან მნიშვნელოვანად არის მიჩნეული ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების, საექსპორტო პოტენციალის ამაღლების გზების, ექსპორტ-იმპორტის ოპტიმალური ბალანსის უზრუნველყოფის, საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის პოტენციალის კვლევა. შესაბამისად, გაანალიზებულია აგროსასურსათო სექტორში ხილის წარმოების ტენდენციები და მწარმოებლურობის მაჩვენებლები.*
*ნაშრომში შესწავლილია ქართული ხილის ექსპორტ-იმპორტის ძირითადი მაჩვენებლები. ანალიზის გზით გამოვლენილია ექსპორტ-იმპორტის დადებითი და უარყოფითი ტენდენციები, გაანალიზებულია ხილის ძირითადი საექსპორტო ბაზრები, შეფასებულია ამ ბაზრებზე ექსპორტ-იმპორტის ცვლილებები, გამოვლენილია ხილის ინდუსტრიის თანამედროვე გამოწვევები. ექსპორტის ზრდა განხილულია, ერთი მხრივ, როგორც ადგილობრივი წარმოების ზრდის, ხოლო მეორე მხრივ, მწარმოებლურობის ამაღლებისა და ბაზრის დივერსიფიკაციის შესაძლებლობა.*
*საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ხილის შესვლის პირობები და ბაზრის დივერსიფიკაციის შესაძლებლობები შეფასებულია ბიზნესანალიზის მოდელით, კერძოდ, მ. პორტერის კონკურენციის ხუთი ფაქტორით გაანალიზებულია: ბაზარზე არსებული კონკურენციის დონე, ბაზარზე ახალი შემსვლელების პოტენციალი, მომხმარებლის ძალაუფლება, მიმწოდებლის ძალაუფლება, ბაზარზე შესვლის ბარიერები. გაკეთებულია დასკვნები ხილის ბაზარზე არსებულ პრობლემებზე და შემუშავებულია რეკომენდაციები ბაზრის დივერსიფიკაციის შესაძლებლობებზე.*
2. *სტატიაში დასაბუთებულია ციფრული ტრანსფორმაციის განხორციელების აუცილებლობა საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. სექტორის თავისებურებების გათვალისწინებით შეფასებულია გაციფრულების მნიშვნელობა კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.*

ბიბლიოგრაფიული კვლევით შესწავლილია ციფრული ტრანსფორმაციის დონე სხვადასხვა ქვეყნის აგროსასურსათო სექტორში, შეფასებულია მეცნიერთა განსხვავებული მოსაზრებები გაციფრულების კონცეფციის შესახებ.

დასაბუთებულია, რომ გაციფრულება განვითარების ახალ პერსპექტივებს ქმნის მრავალი ინდუსტრიისთვის, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია აგროსასურსათო სექტორის მდგრადობის უზრუნველყოფა და პროდუქტიულობის ამაღლება.

ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია ციფრული ტრანსფორმაციის გავლენის

პირველადი სფეროები, გაკეთებულია დასკვნა, რომ გაციფრულების პროცესი საწარმოს დონეზე უნდა დაიწყოს.

ჩატარებულია რაოდენობრივი კვლევა მაიდენტიფიცირებელი, კომპეტენციების, პრაქტიკული და შეფასებით სექციების მიხედვით. მაიდენტიფიცირებელი სექციის მიხედვით შესწავლილია რესპონდენტთა განაწილება სქესის, ასაკის, პროფესიული, ორგანიზაციულ-სამართლებრივი და რეგიონებში განაწილების მიხედვით, კომპეტენციის სექციის მიხედვით რესპონდენტები გამოკითხულია სტაჟის, საკუთრებაში არსებული მიწის ფართობის, ციფრული უნარების ფლობის დონის მიხედვით; პრაქტიკულ სექციაში მოცემული კითხვები საჭიროებდა გამოცდილებაზე დაფუძნებულ პასუხებს, კერძოდ, განსაზღვრულია ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების პერიოდი და მიზნები, გამოყენებული აპლიკაციები და სერვისები; შეფასებითი სექციით დადგენილია ციფრული განხეთქილების დონე, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისას არსებული ბარიერები, შეფასებულია სახელმწიფოს როლი აგროსასურსათო სექტორის ციფრულ ტრანსფორმაციაში, გამოვლენილია სექტორის ციფრული ტრანსფორმაციის საჭიროებები, დადგენილია ციფრული ტრანსფორმაციიდან მიღებული სარგებელი.

ნაშრომი ეყრდნობა კვლევის სხვადასხვა თეორიულ-მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტს: ჩატარებულია ბიბლიოგრაფიული კვლევა, გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, შედარების, ექსპერტული, მატრიცული, ფაქტორული და სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდი. ჩატარებულია რაოდენობრივი კვლევა.

სტატიაში წარმოდგენილია დასკვნები ციფრული ტრანსფორმაციის ტენდენციების თავისებურებებსა და არსებულ გამოწვევებზე, შემოთავაზებულია რეკომენდაციები გაციფრულების განვითარების პერსპექტიულ მიმართულებებზე.

3. სტატიაში გაანალიზებულია მდგრადი სატრანსპორტო გადაზიდვების სასიცოცხლოდ აუცილებელი მნიშვნელობა 2030 წლის დღის წესრიგით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში. შესწავლილია ბოლო ათწლეულების განმავლობაში გლობალური და ლოკალური ფაქტორების შერწყმის შედეგად გამოწვეული ცვლილებები აგროსასურსათო ბაზრების ფუნქციონირებასა და სტრუქტურაში. ჩამოყალიბებულია ჰიპოთეზა, რომ მდგრადი სატრანსპორტო გადაზიდვები გადამწყვეტია სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და გლობალური აგროსასურსათო ბაზრების ეფექტიან ფუნქციონირებაში.

მდგრადი სატრანსპორტო გადაზიდვები განხილულია როგორც ადგილობრივი წარმოების ზრდისა და ეროვნული სასურსათო ბაზრის ფორმირების აუცილებელი პირობა. დასაბუთებულია, რომ ერთი მხრივ, აგროსასურსათო წარმოება დამოკიდებულია სატრანსპორტო ფაქტორზე, მეორე მხრივ, თვით ბაზარი უზრუნველყოფს პროდუქტისა და მომსახურების გაცვლას, რაც ტრანსპორტის გარეშე შეუძლებელია. გამოვლენილია, რომ სურსათის სატრანსპორტო გადაზიდვების ხელშემშლელი ფაქტორების იდენტიფიკაცია და მდგრადი სატრანსპორტო

*გადაზიდვების მექანიზმების შემუშავება დადებით გავლენას მოახდენს წარმოებისა და სასურსათო ბაზრების განვითარებაზე.*

*მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოსახლეობის დიდი ნაწილი სურსათის წმინდა იმპორტიორ ქვეყნაში ცხოვრობს. საქართველოში სურსათის იმპორტი მნიშვნელოვნად აჭარბებს ექსპორტს, შესაბამისად სურსათზე იმპორტდამოკიდებული ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, მდგრადი სატრანსპორტო გადაზიდვები სასურსათო უსაფრთხოების დაცვისა და ეფექტიანი სასურსათო ბაზრების ფუნქციონირების აუცილებელ პირობად არის მიჩნეული.*

*ნაშრომში შეფასებულია მდგრადი სატრანსპორტო გადაზიდვების უპირატესობა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ეფექტიანი სასურსათო ბაზრების ფორმირებაში, დასაბუთებულია მისი როლი ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაში.*

*საკვლევი პრობლემის შესახებ არსებული ლიტერატურის კრიტიკულ მიმოხილვაზე დაყრდნობით, ნაშრომში წარმოდგენილია აგროსასურსათო ბაზრებისა და სურსათის სატრანსპორტო გადაზიდვების მდგრადობის საკითხების ევოლუციური გზები. აგროსასურსათო ბაზრების განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების შეფასებისა და ტენდენციების ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებულია მდგრადი სატრანსპორტო გადაზიდვების უმნიშვნელოვანესი ჩარჩო-პირობები.*

*სტატიაში შეფასებულია სატრანსპორტო გადაზიდვების გამოწვევები. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია განვითარებად ქვეყნებში ასიმეტრიული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არსებობაზე, შესაბამისად, გამოკვლეულია სასურსათო ბაზრების ეფექტიან ფუნქციონირებაზე მდგრადი სატრანსპორტო გადაზიდვების გავლენის შესაძლებლობები, დასაბუთებულია მდგრადი სატრანსპორტო გადაზიდვების გავლენის მულტიპლიკაციური ეფექტები სასურსათო ბაზრების ეფექტიანობაზე, დასაქმებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდაზე. ასევე, განხილულია სატრანსპორტო ინტერვენციების განხორციელების სპეციფიკური გამოწვევები და მდგრადი სატრანსპორტო გადაზიდვების მიმართულებები.*

*კვლევის პროცესში განხორციელებულია სამეცნიერო ნაშრომებისა და ორგანიზაციების ანგარიშების ბიბლიოგრაფიული კვლევა; შედარების მეთოდით დადგენილია შესაბამის მაჩვენებლებთან მიმართებაში არსებული განსხვავებები; მატრიცული სქემით დადგენილია მდგრადი სატრანსპორტო გადაზიდვების პირობები და მექანიზმები; ფაქტორული ანალიზით გამოვლენილია მდგრადი სატრანსპორტო გადაზიდვების გამოწვევები და საურსათო ბაზრების ფუნქციონირების ინსტრუმენტები. ასევე, გამოყენებულია ანალიზის, მასალების ერთგვაროვნების მიხედვით დაჯგუფებისა და სხვა მეთოდები.*

*ნაშრომში მოცემულია დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები სასურსათო ბაზრების ეფექტიან ფუნქციონირებაზე მდგრადი სატრანსპორტო გადაზიდვების გავლენის შედეგებისა და მიმართულებების შესახებ.*

4. *ნაშრომში კონფრონტაცია შეფასებულია როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რომელიც გავლენას ახდენს სოციალურ ურთიერთობებზე, ეკონომიკურ განვითარებაზე, სასურსათო უსაფრთხოებაზე, პოლიტიკურ საქმიანობებსა და სხვ. კონფრონტაციის ნეგატიური გავლენის შემცირების გზების განსაზღვრა აგროსასურსათო წარმოების მდგრადი განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების მიზნების მიღწევის მნიშვნელოვან პირობად არის მიჩნეული. სტატიაში განხილულია კონფრონტაციის სახეობები, გაანალიზებულია მეცნიერთა შეხედულებები, დასაბუთებულია, რომ კონფრონტაციით გამოწვეული შოკები პირდაპირ და არაპირდაპირ გავლენას ახდენს წარმოებაზე. გლობალურ დონეზე სასურსათო*

*უსაფრთხოება შეფასებულია ფაზების (IPC/CH) დონეების მიხედვით, გაანალიზებულია სასურსათო კრიზისში მყოფი მოსახლეობის რაოდენობა კრიზისის გამომწვევი მიზეზების მიხედვით. გამოვლენილია, რომ კონფლიქტით გამოწვეული კრიზისი მოსახლეობის უმეტეს ნაწილს მოიცავს. აგროსასურსათო წარმოებაზე რუსეთ-უკრაინას შორის ომის გავლენის შეფასების მიზნით შესწავლილია რუსეთსა და უკრაინაში რამდენიმე ძირითადი სასურსათო პროდუქტის წარმოების მაჩვენებლები და გაკეთებულია დასკვნები კონფლიქტის პერიოდში ფორმირებულ ტენდენციებზე. სტატიაში გაანალიზებულია უკრაინასა და რუსეთში ძირითადი სასურსათო პროდუქტების წარმოების მაჩვენებლები, შეფასებულია მათი წილი გლობალურ სასურსათო წარმოებაში. ასევე, მოცემულია ამ ქვეყნებიდან ექსპორტის მოცულობა ძირითად სასურსათო პროდუქტებზე და განსაზღვრულია მათი წილი გლობალურ სასურსათო ექსპორტის მოცულობაში. ნაშრომში წარმოდგენილია აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი საქართველოდან უკრაინასა და რუსეთში, ასევე, შესწავლილია აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი საქართველოში უკრაინიდან და რუსეთიდან. გაკეთებულია დასკვნა, რომ უკრაინასთან შემცირებულია ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები, რუსეთთან კი ეს მაჩვენებლები გაზრდილია. ნაშრომში მოცემულია დასკვნები აგროსასუსათო წარმოებაზე კონფრონტაციის უარყოფითი გავლენის შედეგებზე, შემუშავებულია რეკომენდაციები კონფლიქტებით გამოწვეული გაურკვევლობის დაძლევისა და მოლოდინების განსაზღვრის გზებზე.*

5. *სტატიაში შეფასებულია ტანსაცმლის ინდუსტრიის როლი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდაში. ბიბლიოგრაფიულ კვლევაზე დაყრდნობით გაანალიზებულია ტანსაცმლის ძირითადი ხაზები და ტანსაცმლის მოდის ინდუსტრიის განვითარებაზე მოქმედი ისტორიული, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა ფაქტორები.*

   *დასაბუთებულია, რომ ტანსაცმლის მოდის ინდუსტრიის მთავარი მიმართულებები და ბაზრის განვითარების მახასიათებლები ყველაზე თვალნათლივ ისტორიულად ინდუსტრიული რევოლუციების დონეების მიხედვით იკვეთება. შესაბამისად, ტანსაცმლის მოდის ინდუსტრიის განვითარების ძირითადი ეტაპები და ბაზრის განვითარების მახასიათებლები ოთხი ინდუსტრიული რევოლუციის ფონზეა შეფასებული.*

   *გლობალური ტანსაცმლის ინდუსტრიის მონაცემების გამოყენებით გამოვლენილია მიმდინარე პერიოდისა და პერსპექტივისთვის ამ სექტორის განვითარების ტენდენცია, შეფასებულია ტანსაცმლის ინდუსტრიის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგები. საქართველოში ტექსტილისა და ტანსაცმლის წარმოების შედარებითი ანალიზისა და განვითარების ტენდენციების საფუძველზე გაანალიზებულია სექტორის ძირითადი მაჩვენებლები.*

   *ნაშრომში გამოყენებულია ბიბლიოგრაფიული კვლევა, ანალიზის, სინთეზის, შედარების, ექსპერტული, მატრიცული, ფაქტორული და სხვა მეთოდები, შეფასებულია სექტორის შესახებ არსებული თეორიულ-ემპირიული მასალები და ანგარიშები.*

   *წარმოდგენილია დასკვნები ტანსაცმლის ბაზრის გამოწვევების შესახებ და შემოთავაზებულია რეკომენდაციები ინდუსტრიის განვითარების პერსპექტიულ მიმართულებებზე.*

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის

მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა


1. **Kharaishvili, E.,** Lobzhanidze, N. (2023). *Challenges and Opportunities for Promoting Sustainable Development in Small and Medium-Sized Enterprises (Case of Georgia),* Medicon Agriculture & Environmental Sciences, Volume 4, Issue 5 May 2023. **DOI:** 10.55162/MCAES.04.110
2. **Kharaishvili, E.,** Natsvlishvili, I., Lobzhanidze, M., Lazariashvili, T. (2023). *CHALLENGES OF HIGHER ECONOMIC EDUCATION AND FACTORS AFFECTING THE EMPLOYMENT OF GRADUATES IN GEORGIA*, ICERI2023 (16th annual International Conference of Education, Research and Innovation), 13th-15th of November, 2023, Seville (Spain). ICERI2023 Proceedings pages 3678-3687, ISBN: 978-84-09-55942-8, ISSN: 2340-1095, **DOI:** 10.21125/iceri.2023.0943, Publisher: IATED
3. Natsvlishvili, I., **Kharaishvili, E.,** Lobzhanidze, M., Lazariashvili, T. (2023). *CHALLENGES OF ENTREPRENEURIAL EDUCATION IN THE CONTEXT OF THE GLOBAL EDUCATION CRISIS*, ICERI2023 (16th annual International Conference of Education, Research and Innovation), 13th-15th of November, 2023, Seville (Spain). Pages: 3846-3854. ICERI2023 Proceedings ISBN: 978-84-09-55942-8, ISSN: 2340-1095 **DOI:** 10.21125/iceri.2023.0970


*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

*1. სტატიაში შეფასებულია მცირე და საშუალო საწარმოების განსაკუთრებული როლი ეკონომიკის განვითარებაში როგორც ევროპაში, ასევე საქართველოში. მეორე მხრივ, ხაზგასმულია მდგრადი განვითარების ჩარჩო პირობების დანერგვისა და განვითარების აუცილებლობა გრძელვადიანი ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად. საქართველოს სრულფასოვანი ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში მოითხოვს ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას, ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით წარმოების განვითარების დამატებითი სტიმულის შესაქმნელად. მცირე და საშუალო ბიზნესს შეუძლია უდიდესი წვლილი შეიტანოს ეკონომიკის სწრაფ აღდგენასა და განვითარებაში, განსაკუთრებით სიღარიბის დაძლევაში. მათი როლი ასევე მნიშვნელოვანია ექსპორტის დივერსიფიკაციის ზრდაში, ინოვაციების დანერგვაში, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნაში და სხვა.*

2. *სტატიაში გაანალიზებულია უმაღლესი ეკონომიკური განათლების ტენდენციები მსოფლიოსა და საქართველოში. შესწავლილია ახალგაზრდების დასაქმების დონე, ვაკანსიების ანალიზის საფუძველზე დაზუსტებულია მოთხოვნა ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამის კურსდამთავრებულებზე საქართველოში.*

*საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებბლო დაწესებულებებში ეკონომიკური განათლების გამოწვევებისა და კურსდანთავრებულთა დასაქმებაზე მოქმედი ფაქტორების გამოსავლენად ჩატარებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა.*

*კვლევის ძირითადი მიზანი იყო კურსდამთავრებულთა უნარების შესაბამისობის დადგენა დამსაქმებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და პროგრამების სწავლის შედეგებთან, ასევე, განისაზღვრა რომელი საფეხურის კურსდამთავრებულებზეა მოთხოვნა, როგორია ხელფასების დონე და შეფასდა კურსდამთავრებულთა კმაყოფილების დონე. ამ მიზნით ჩატარებულია კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტთა გამოკითხვა. შედეგები დამუშავდა SPSS-ით.*

*ნაშრომში წარმოდგენილია რაოდენობრივი კვლევის ძირითადი მიგნებები გამოკითხულთა ჯგუფების მიხედვით, შეჯამებულია ფოკუს ჯგუფებთან დისკუსიის შედეგები, გამოვლენილია პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენციები საგანმანათლებლო*

*პროგრამისთვის, მოცემულია საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში განსახორციელებელი ცვლილებები, დადგენილია დასაქმების ხელშემწყობი ფაქტორები.*
*კვლევის მეთოდოლოგია და გამოყენებული მონაცემები. კვლევის მიზნის მისაღწევად და ჰიპოთეზების შესამოწმებლად ჩატარებულია რაოდენობრივი და თისებრივი კვლევა. შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის მონაცემები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მასალები, უმაღლესი ეკონომიკური საგანმანათლებლო პროგრამები; ჰიპოთეზები დასაბუთებულია კორელაციისა და რეგრესიის ანალიზის გამოყენებით.*
*ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნები უმაღლესი ეკონომიკური განათლების ძირითად გამოწვევებზე, შემუშავებულია რეკომენდაციები კურსდანთავრებულთა დასაქმების გაუმჯობესების გ ზებზე.*
3. *ნაშრომში დასაბუთებულია სამეწარმეო განათლების როლი ეკონომიკურ განვითარებაში, იგი შეფასებულია როგორც დასაქმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია საუნივერსიტეტო სამეწარმეო განათლებაზე. დასაბუთებულია სამეწარმეო განათლების გავლენა დასაქმების მაჩვენებელზე, გამოვლენილია სამეწარმეო განათლების ხელშემშლელი ფაქტორები. ამასთან, განხილულია სირთულეები, რომლებიც ხელს უშლიან ქალებს სამეწარმეო განათლებასა და ბიზნეს საქმიანობის არჩევაში-ბიზნესის წამოწყებაზე მოქმედი ინდივიდუალური, სიტუაციური და ბიზნეს იდეაზე გავლენის მქონე ფაქტორები. განსაკუთრებით აქტუალურად არის მიჩნეული სოფლად მცხოვრები ქალების სამეწარმეო განათლების საკითხი. მიჩნეულია, რომ რეალურად დასაქმებისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარების, ასევე, საქმიანობის დივერსიფიკაციის „გასაღები" უპირატესად სამეწარმეო განათლებაშია.*
*თანამედროვე მსოფლიოში სამეწარმეო განათლებამ ბიზნესის შემსწავლელი საგანმანათლებლო პროგრამებიდან და სასწავლო აუდიტორიებიდან გადაინაცვლა ქვეყნების განათლების პოლიტიკის დონეზე. სამეწარმეო კომპეტენციების გამომუშავებაზე ორიენტირებულია ეკონომიკის და ბიზნესის შემსწავლელი სასწასვლო კურსების გარდა სხვა სასწავლო კურსები (მაგ. ხელოვნების, ლიტერატურას ან ინჟინერიის შემსწავლელი საგნები თავის მხრივ სამეწარმეო კომპეტენციებს შეიძლება ავითარებდეს). სამეწარმეო კომპეტენციების გამომუშავება განათლების ყველა საფეხურზე მნიშვნელოვანი გახდა, რაც არ ისახავს მიზნად, მოსწავლეები თუ სტუდენტები მეწარმეებად აღზარდოს. სამეწარმეო კომპეტენცია არ გულისხმობს ბიზნესის წამოწყების ან სოციალური საწარმოს შექმნისა და მართვის სწავლებას. სამეწარმეო კომპეტენციების გამომუშავება გულისხმობს შესაძლებლობების დანახვის, იდეების განვითარების, რესურსების მართვის და სამეწარმეო იდეების განხორციელების უნარების გამომუშავებას. ეს ზოგადი ტრანსფერული (გამჭოლი) უნარები ნებისმიერი პროფესიის ადამიანის მოღვაწეობას უფრო წარმატებულს ხდის. სწორედ ამით აიხსნება სამეწარმეო კომპეტენციების განვითარების სახელმწიფო დონეზე მხარდაჭერა. საქართველოში სამეწარმეო კომპეტენციების განვითარება ქვეყნის განვითარების სტრატეგიაში ასახულია და იგი წარმოადგენს განათლების პოლიტიკის ნაწილს.*
*კვლევის მეთოდოლოგიას წარმოადგენს მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომებისა და სხვადასხვა ორგანიზაციის ანგარიშების ბიბლიოგრაფიული ანალიზი, შედარების მეთოდით დადგენილია შესაბამის მაჩვენებლებთან მიმართებაში არსებული განსხვავებები წლებისა და ქვეყნების მიხედვით განათლების, მათ შორის სამეწარმეო განათლების მაჩვენებლებზე, ჩატარებულია რაოდენობრივი კვლევა საზოგადოებრივი დამოკიდებულებების გამოსავლენად სამეწარმეო*

*განათლების შესახებ. შედეგები დამუშავებულია MS EXCEL-ისა და SPSS-ის პროგრამული პაკეტებით. მატრიცული სქემით დადგენილია სამეწარმეო განათლების პირობები და მექანიზმები, ფაქტორული ანალიზით გამოვლენილია სამეწარმეო განათლების გამოწვევები. მოცემულია დასკვნები გლობალური განათლების კრიზისის ფონზე სამეწარმეო განათლებაში არსებულ გამოწვევებზე და შემუშავებულია რეკომენდაციები სამეწარმეო განათლების სრულყოფის მიმართულებებზე.*

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ხარაიშვილი, ე.** (2023*).* კონფრონტაციის გავლენა აგროსასურსათო წარმოებაზე: გაურკვევლობა და მოლოდინები. საქართველოს ეკონომისტთა V ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია ,,საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში", 8 სექტემბერი, თბილისი.

2. **ხარაიშვილი, ე.,** ლობჟანიძე, ნ. (2023). „ტანსაცმლის ბაზარი: ინდუსტრიული რევოლუციების გავლენა, ტენდენციები და პერსპექტივები", საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება", ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, 20-21 ოქტომბერი, 2023 წელი, ბათუმი.

3. **ხარაიშვილი, ე.**, გეჩბაია, ბ. (2023). მდგრადი სატრანსპორტო გადაზიდვების გავლენა სასურსათო ბაზრების განვითარებაზე, მეზღვაურთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მდგრადი სატრანსპორტო სისტემა და საზღვაო ლოგისტიკა" ISTSML – 2023. ბათუმი.

4. **ხარაიშვილი, ე.** (2023). ,,ჭკვიანი" სოფლის მეურნეობა: ციფრული ტრანსფორმაციის გამოწვევები და განვითარების შესაძლებლობები საქართველოში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში", 3 ნოემბერი, თბილისი.

5. **ხარაიშვილი, ე.,** ლობჟანიძე, ნ. (2023). „ტანსაცმლის მოდის ეკონომიკური ასპექტები". ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში", 3 ნოემბერი, თბილისი.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **Kharaishvili, E.** (2023). *Challenges of Sustainable Development of Small and Medium-Sized Enterprises in Georgia*. ICABE 2023: 17. International Conference on Accounting, Business and Economics. May 22-23, 2023 in Barcelona. World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Economics and Management Engineering Vol:17, No:05, 2023 https://publications.waset.org/abstracts/161645/challenges-of-sustainable-development-of-small-and-medium-sized-enterprises-in-georgia

2. **Kharaishvili, E.,** Lobzhanidze, N., Chavleishvili, M. (2023). Consumer Behavior Insights: Factors and Preferences in the Mineral Water Market (Case of Georgia), 8th International Conference on Business, Finance and Administrative Sciences (ICOBAS-2023). Barcelona, Spain March 29-30, 2023 https://www.globalcenter.info/icobas/wp-content/uploads/2023/09/ICOBAS-2023ab.pdf

3. **Kharaishvili, E.,** Aduashvili, L. (2023). '*Digital Agricultural Development Trends in Georgia'*. Ministry of Education and Science of Ukraine, Kyiv National Economic University named after Vadym Hetman, Economics and Management Faculty, Management Department, 4th International Scientific Student Conference «Management: Challenges and Prospects», November 17

4. **Kharaishvili, E.,** Natsvlishvili, I., Lobzhanidze, M., Lazariashvili, T. (2023). CHALLENGES OF HIGHER ECONOMIC EDUCATION AND FACTORS AFFECTING THE EMPLOYMENT OF GRADUATES IN GEORGIA, ICERI2023 (16th annual International Conference of Education, Research and Innovation), 13th-15th of November, 2023, Seville (Spain). ICERI2023 Proceedings pages 3678-3687, ISBN: 978-84-09-55942-8, ISSN: 2340-1095, DOI: 10.21125/iceri.2023.0943, Publisher: IATED

5. Natsvlishvili, I., **Kharaishvili, E.,** Lobzhanidze, M., Lazariashvili, T. (2023). CHALLENGES OF ENTREPRENEURIAL EDUCATION IN THE CONTEXT OF THE GLOBAL EDUCATION CRISIS, ICERI2023 (16th annual International Conference of Education, Research and Innovation), 13th-15th of November, 2023, Seville (Spain). Pages: 3846-3854. ICERI2023 Proceedings ISBN: 978-84-09-55942-8, ISSN: 2340-1095 DOI: 10.21125/iceri.2023.0970

***ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე***

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

**1.1. „ციფრული ტრანსფორმაცია მცირე და საშუალო ფირმებში: გამოწვევები და პერსპექტივები მდგრადი განვითარებისათვის"**

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. ეკონომიკა
2. პროექტის დაწყების თარიღი:2023 წლის 01 თებერვალი
   პროექტის დასრულების თარიღი: 2023 წლის 30 ნოემბერი

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

**1. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, მკვლევარი**
2. ასისტენტ პროფესორი ნინო ლობჟანიძე - უფროსი მკვლევარი
3. ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი - უფროსი მკვლევარი
4. ასოცირებული პროფესორი თამარ ათანელიშვილი - მკვლევარი
5. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი - კვლევის ექსპერტი
6. ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე - კვლევის ექსპერტი
7. ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია - კვლევის ექსპერტი
8. დოქტორანტი ბექა ზაუტაშვილი - მკვლევრის ასისტენტი
9. დოქტორანტი შოთა ჯიმშერაშვილი - პროექტის ასისტენტი

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

**კვლევითი პროექტის აქტუალურობა და დამუშავების დონე**

ციფრული სივრცე ეკონომიკურ განვითარებაში ახალ მასშტაბებს იძენს. „Go Digital or go home" - არის ლოზუნგი, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს, თუ როგორ შეუძლიათ კომპანიებს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება თანამედროვე სამყაროში. სამწუხაროდ, რეალობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჯერჯერობით სათანადოდ არ არის შეფასებული ბიზნესის სფეროს ციფრული ტრანსფორმაციის მნიშვნელობა. ციფრული ტრანსფორმაცია წარმოადგენს ფირმების მოდერნიზაციისა და პროგრესის ძირითად ელემენტს, რომელსაც შეუძლია უფრო მეტი ეკონომიკური ღირებულების შექმნა საზოგადოებისათვის (RupeikaApoga R., Petrovska K., 2022).

ციფრული ტრანსფორმაცია, ასევე, უნდა განვიხილოთ, როგორც ფირმების მდგრადი განვითარების შესაძლებლობა. ციფრიზაცია ახალ არჩევანს თავაზობს მიკრო, მცირე და

საშუალო ზომის ფირმებს წარმოების ხარისხის გაუმჯობესების, დანახარჯების მინიმიზაციისა და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის თვალსაზრისით. მცირე და საშუალო ფირმების ციფრული ტრანსფორმაციის პრობლემებზე ჩატარებული კვლევებით, ამ მასშტაბის ფირმების 79% ციფრული ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზეა (Xiaoyan T., Zhong W., Feng Y., 2022).

ციფრული ტრანსფორმაციის გავლენის გასაანალიზებლად შესაძლებელია დავეყრდნოთ კვლევებს, რომლის მიხედვით მცირე და საშუალო ფირმების ციფრულ ტრანსფორმაციას დადებითი კოლერაცია აქვს სამუშაოთა ოპერაციულ შესრულებასთან და ინვერსიული U ფორმის კავშირი ინოვაციებთან (Xiaoyan T., Zhong W., Feng Y., 2022).

ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება: ამ პროცესს თან ახლავს ინტეგრაციაზე გაწეული დანახარჯების მკვეთრი ზრდა, რაც, თავის მხრივ, იწვევს ადმინისტრაციული ან არასაოპერაციო ხარჯების მნიშვნელოვან მატებასაც; ასევე, აღნიშნული პროცესი არის გრძელვადიანი და რთული სისტემური ხასიათის, შესაბამისად, სარგებელიც გრძელვადიან პერიოდში ფიქსირდება. მაშასადამე, თუ ფირმის ციფრული ტრანსფორმაციის ინტენსივობა დაბალ ნიშნულზეა, მაშინ ზღვრული ღირებულება აჭარბებს ზღვრულ სარგებელს და ასეთ შემთხვევაში ციფრული ტრანსფორმაცია ფირმის ფინანსურ მაჩვენებელზე უარყოფითად აისახება. ფირმების უმეტესობა, მოკლევადიან პერიოდში, თავს არიდებს შემოსავლების შეზღუდვას და ორიენტაციას არ იღებს გრძელვადიან პერიოდზე, როდესაც ცირფული ტრანსფორმაცია დადებით კორელაციაშია ფირმის მოგებასთან (Xiaoyan T., Zhong W., Feng Y., 2022).

ციფრიზაციის პროცესი მრავალმხრივია და განსხვავებულ მიზნებს ემსახურება, ამავდროულად, აღნიშნული პროცესი მოითხოვს სხვადასხვა სტრატეგიული აქტივის რეკომბინაციას. მცირე და საშუალო ფირმებს ციფრული ტრანსფორმაციის განხორციელების ნაკლები შესაძლებლობა აქვს - რაც უფრო მცირეა ფირმა, მით უფრო ნაკლებია ალბათობა იმისა, რომ აითვისოს ახალი ციფრული ტექნოლოგიები. უპირველეს ყოვლისა, მცირე და საშუალო ფირმები ზოგადი ადმინისტრირების ან მარკეტინგული ფუნქციების ციფრიზაციისაკენ მიისწრაფვიან. ამასთან, ციფრულ ტრანსფორმაციას თან ახლავს რისკები, ამიტომ მცირე და საშუალო ფირმები თავიანთი ბიზნეს ფუნქციების ციფრიზაციისას უპირატესობას ანიჭებენ აუთსორსინგს. ამ გზით, ისინი ამცირებენ ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებულ რისკებს გარე კონსულტანტების მეშვეობით (OECD, 2021).

არაერთი კვლევის შედეგმა ცხადყო, რომ ციფრიზაციას საჯარო შესყიდვებზე დადებითი გავლენა აქვს. შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინება აუცილებელია ფირმებისთვის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების დროს. გარდა ამისა, საჯარო შესყიდვების ციფრიზაცია დღეს ფირმებისთვის მთავარი გამოწვევაა (თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევითი პროექტის ანგარიში, 2022). მნიშვნელოვანია იმ ტრანზაქციების გათვალისწინება, რომლითაც შესაძლებელია ტექნოლოგიებისა და ინოვაციების უახლეს ზღვარზე დარჩენა, ციფრიზაციაზე დაფუძნებული ორგანიზაციული სტრუქტურის მოწყობა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, დაფუძნებულია მდგრად განვითარებაზე (Bienhaus F., Haddud A, 2018).

მდგრად ეკონომიკურ განვითარებას არაერთი ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორისაა ინოვაციები, ტექნოლოგიები და ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი, რომელშიც საჯარო და კერძო სექტორის ჩართულობა თანაბარი მნიშვნელობისაა და მოითხოვს ორივე მხრიდან თანამშრომლობისთვის მზაობას. ბოლო პერიოდის მონაცემებით კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის ჭარბობს მცირე და საშუალო ფირმები. მაგალითად, 2019 წლის მონაცემებით ევროკავშირის ტერიტორიაზე კერძო სექტორის 98,9%-ს მცირე და საშუალო 3 ფირმები შეადგენდა, ხოლო დასაქმებულთა მაჩვენებელი - 28,8%-ით, აღემატებოდა მსხვილ ფირმებში დასაქმებულთა წილს (35,6%, EuroStat, 2022). მცირე და საშუალო ფირმების

სიმრავლისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში შეტანილი წვლილის მიუხედავად, ისინი მოწყვლადები არიან სხვადასხვა ფორსმაჟორული სიტუაციების მიმართ, მაგალითად, COVID-19, რომელმაც მხოლოდ ევროკავშირის ტერიტორიაზე მსგავსი ტიპის საწარმოთა 90%-ზე მოახდინა უარყოფითი ზეგავლენა. პანდემიამ აღნიშნული ფირმები „აიძულა“ უფრო აქტიურად გამოეყენებინათ ციფრული პლატფორმები და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები (PayPal, 2021). თუმცა, სწორედ ციფრიზაციამ შეუწყო ხელი ამ ტიპის საწარმოთა გადარჩენასა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას.
პანდემიამ მსგავსი სიტუაცია ყველა კონტინენტზე წარმოქმნა, მაგრამ პრობლემის მოგვარება ყველგან თანაბარი წარმატებით ვერ მოხერხდა. აღნიშნული ფაქტი უკავშირდება, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ციფრული პლატფორმების არსებობას. მსოფლიოში ციფრული ეკონომიკის ზრდადი ტენდენციის მიუხედავად, ონლაინ პლატფორმების გეოგრაფიული განაწილება ქვეყნებისა და კონტინენტების მიხედვით განსხვავებულია, ონლაინ პლატფორმების უმეტესობას (71,6%) ფლობს აშშ-ისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რაც თავისთავად მათთან ამარტივებს ციფრულ ტრანსფორმაციას სხვა სახელმწიფოებთან შედარებით (UNTCAD, 2019). თუმცა, აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს დანარჩენ ნაწილსაც შეუძლია მიიღოს გარკვეული სარგებელი ციფრული პლატფორმებისა და მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტებისგან.
საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში, მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვანია დასაქმების (მცირე - 42,1%, საშუალო 19,7%), გამოშვებული პროდუქციის (მცირე - 28,7%, საშუალო 24,4%) და სხვა ფაქტორების მიხედვით (საქსტატი, 2022). თუმცა, საწარმოებში ციფრიზაციის პროცესი გარკვეული თვალსაზრისით სწრაფი ტემპით არ მიმდინარეობს. მაგალითად, ფირმებში ERP სისტემების გამოყენება 2020-2022 წლებში კლების ტენდენციით ხასიათდება (2020 – 8,7%, 2022 – 6,9%), ინტერნეტის თანამედროვე ტექნლოგიებს ფირმების მხოლოდ 9,3% იყენებს (2021), ხელოვნურ ინტელექტს კი მხოლოდ 3,7% (2021); რაც შეეხება ელექტრონული ვებ გვერდის გამოყენებას 2022 წელს მას საწარმოთა მხოლოდ 13,45% იყენებს (საქსტატი, 2022). სტატისტიკური ინფორმაციის პარალელურად მნიშვნელოვანია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2022 წლის ქსელური მზადყოფნის ინდექსის განხილვაც (NRI), რომლის მიხედვით საქართველო 47,14 ქულით 131 ქვეყნიდან 75- ე ადგილზე იმყოფება და მეზობლებს შორის ბოლო ადგილზეა (თურქეთი - 48-ე ადგილი, სომხეთი 64-ე ადგილი, აზერბაიჯანი - 74-ე ადგილი, რუსეთის ფედერაცია - 40-ე ადგილი). ინდექსის შემადგენელი ფაქტორებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ტექნოლოგიები (84- ე ადგილი) და მისი ქვეკატეგორია - მომავლის ტექნოლოგიების გამოყენება, სადაც საქართველო 114-ე ადგილზეა. ასევე, მნიშვნელოვანია საზოგადოების კატეგორია, სადაც ქვეკატეგორია - ბიზნესის ციფრიზაცია საქართველო 69-ე ადგილზე, ხოლო საჯარო სექტორის ციფრიზააციით 78-ე ადგილზეა (Portulans Institute, 2022).
მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით აშკარაა, რომ საქართველოში მთელი რიგი გამოწვევებია ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით. სამუშაო პროცესში კი სახელმწიფო და კერძო სექტორი თანაბრად უნდა ჩაერთოს და განვითარებაზე კონცენტრირდეს. 4 საქართველოში კომპლექსური კვლევები მცირე და საშუალო ფირმების ციფრული ტრანსფორმაციის პრობლემებზე არ განხორციელებულა, თუმცა, მოცემული მიმართულებით განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა (BTU, 2022).
მცირე და საშუალო ფირმების ციფრული ტრანსფორმაციის პრობლემების კვლევისას საჭიროა პასუხი გაეცეს გარკვეულ კითხვებს, კერძოდ:
• ციფრული ტრანსფორმაციის რომელ ეტაპზეა საქართველოში მცირე და საშუალო ფირმები?
•რამდენად ეფექტიანად ხდება ციფრული პლატფორმებისა და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტების ათვისება მცირე და საშუალო ფირმებში?

•როგორია ციფრული ტრანსფორმაციის უცხოური გამოცდილება და რომელი მათგანის გამოყენება იქნება საქართველოსთვის ეფექტიანი?
•რამდენად ეფექტიანად იყენებს სახელმწიფო ციფრული ტრანსფორმაციის ინსტრუმენტებს და რამდენად User friendly არის მათ მიერ გამოყენებული ციფრული პლატფორმები/ტექნოლოგიები?
• რა გავლენას ახდენს ციფრული ტრანსფორმაცია ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე?
•ციფრიზაციის პოტენციალის სრულყოფილად ასათვისებლად რა ტექნოლოგიები ან ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებაა საჭირო?
•ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში რა ბარიერები ხვდებათ მცირე და საშუალო ფირმებს?
•როგორ შეუძლია სახელმწიფოს შეუწყოს ხელი მცირე და საშუალო ფირმების ციფრულ ტრანსფორმაციასა და მდგრად განვითარებას?
•და სხვა.

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მიზანშეწონილია კომპლექსური კვლევის ჩატარება.

**კვლევითი პროექტის მიზანი და ამოცანები**

**კვლევის მიზანი**

კვლევის მიზანია მცირე და საშუალო ფირმებში ციფრული ტრანსფორმაციის პრობლემების გამოვლენის საფუძველზე ციფრიზაციისა და მდგრადი განვითარების მიმართულებებზე რეკომენდაციების შემუშავება.

პროექტით გათვალისწინებული ძირითადი **ამოცანები:**

1. მცირე და საშუალო ფირმების ციფრიზაციის პრობლემების შესახებ ჩატარდება ბიბლიოგრაფიული კვლევა;
2. საკვლევი პრობლემის შესახებ განხორციელდება სტატისტიკური მონაცემების მოპოვება;
3. მოპოვებული მონაცემები დაჯგუფდება ერთგვაროვნების მიხედვით, დამუშავდება და გაანალიზდება;
4. შესწავლილი იქნება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნეს რეგისტრი და განისაზღვრება საკვლევი ბაზა;
5. რაოდენობრივი კვლევისათვის მომზადდება კითხვარები და შესაბამისი სახელმძღვანელოები/გზამკვლევები;
6. ჩატარდება რაოდენობრივი კვლევა;
7. მოხდება ფოკუს ჯგუფების ფორმირება და მათთან ჩატარდება ინტერვიუები;
8. განხორციელდება სამუშაო შეხვედრების ორგანიზება ბენეფიციარებთან;
9. კვლევის შედეგად მიღებული მასალები დამუშავდება შესაბამისი პროგრამული პაკეტებით და შედეგები განზოგადდება;
10. მომზადდება კვლევითი პროექტის ანგარიში;
11. შესრულდება სამეცნიერო სტატიები რეფერირებად ჟურნალებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების შრომათა კრებულებში, ასევე, გამოსაცემად მომზადდება მონოგრაფია;
12. მომზადდება კვლევითი პროექტის ანგარიშის პრეზენტაცია და მოხდება მისი წარდგენა.

**კვლევის მეთოდოლოგია**

კვლევით პროექტში გამოყენებული იქნება სხვადასხვა მიდგომა და მეთოდი. ბიბლიოგრაფიული კვლევით შეფასდება ციფრული ტრანსფორმაციის, საჯარო შესყიდვების, მცირე და საშუალო ფირმების მდგრადი განვითარების შესახებ არსებული კვლევითი ნაშრომები, პროექტები და ანგარიშები. გაანალიზდება პრობლემის შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების ვებ-გვერდები, საქართველოს ეკონომიკური პროფილის სამინისტროების, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის ბაზების გამოყენებით შეირჩევა საკვლევი ფირმები და Google Doc-ზე განთავსებული სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით ჩატარდება რაოდენობრივი კვლევა.
ციფრული ტრანსფორმაციისა და საჯარო შესყიდვების მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების შესაფასებლად განხორციელდება თვისებრივი კვლევა. კომპონენტის განსახორციელებლად გამოყენებული იქნება მიზნობრივი შერჩევის მეთოდი, ჩატარდება ინტერვიუები საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან.
ციფრული ტრანფორმაციის პროცესის შესაფასებლად დამატებითი კითხვარები ელექტრონული ფოსტით გადაეგზავნება კერძო სექტორის წარმომადენლებს. ანალიზის მიზნების შესაბამისად რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევით მიღებული მონაცემები დამუშავდება MS EXCEL-ისა და SPSS-ის პროგრამული პაკეტებით.
გამოყენებული იქნება შედარების, ანალიზის, ექსპერტული, მატრიცული და სხვა მეთოდები.

**7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. გაგნიძე, ი. სახარებისეული იგავი ტალანტებზე - დელეგირებული საკუთრების პრობლემა", VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში" შრომების კრებული, თსუ, თბ. (იბეჭდება)

**7.2. უცხოეთში**

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Gagnidze, I. (2023) University 5.0 for Resilience – A systemic approach. 7th FEB International Scientific Conference "Strengthening Resilience by Sustainable Economy and Business – Towards the SDGs". Eds.Z. Nedelko; R.Korez Vide, Proceedings. pp.471-478. 16 May, 2023, Maribor, Slovenia.
   **ISBN** 978-961-286-736-2 (pdf) **DOI** https://doi.org/10.18690/um.epf.3.2023
   **https://press.um.si/index.php/ump/catalog/book/778**
2. Vesperi, W., Gagnidze, I. and Sobolieva, T. (2023) "Improving Human Capital for the New Normal: Challenges for the University System", Conference proceedings of the 2nd Conference in Business Research and Management, 25-26 May, Tirana, Albania
   ISBN 979-12-218-0878-0 pp. 43-49 (August 2023) ISBN 979-12-18-0878-0; ISBN PDF: 979-12-218-0879-7
   https://unyt.edu.al/index.php/2nd-conference-in-business-research-management-brm-business-research-in-the-new-normal/
3. Gagnidze, I. (2023) Cluster approach for Circular Economy, International Scientific and Practical Internet Conference "Business Strategy: Ukrainian Realities and Convergence with the EU Opportunities", 8 November, 2023 KNEU, Kyiv, Ukraine (Online).

***ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია***

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1. „ციფრული ტრანსფორმაცია მცირე და საშუალო ფირმებში: გამოწვევები და პერსპექტივები მდგრადი განვითარებისათვის"

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 01.02.2023 – 30.11.23

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, მკვლევარი
2. ასისტენტ პროფესორი ნინო ლობჟანიძე - უფროსი მკვლევარი
3. ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი - უფროსი მკვლევარი
4. ასოცირებული პროფესორი თამარ ათანელიშვილი - მკვლევარი
5. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი - კვლევის ექსპერტი
6. ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე - კვლევის ექსპერტი
7. ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია - კვლევის ექსპერტი
8. დოქტორანტი ბექა ზაუტაშვილი - მკვლევრის ასისტენტი
9. დოქტორანტი შოთა ჯიმშერაშვილი - პროექტის ასისტენტი
5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. ნინო დამენია, ნიკო კვარაცხელია „საზღვაო ტრანსპორტი - ლურჯი ეკონომიკის მნიშვნელოვანი საყრდენი" საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ბუნებრივი რესურსები და კურორტები, როგორც მდგრადი განვითარების ფაქტორები" 27-28 ოქტომბერი 2023 წ. https://nrr.gtu.ge/upload/docs/24-%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90.pdf
6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1. Nino Damenia
2. Nanuli OKRUASHVILI, Nino PARESASHVILI, Nino DAMENIA
3. ნინო დამენია
2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1. Prospects for the Development of e-Commerce in Georgia
***2. ORGANIC FARMING AS A PRIORITY DIRECTION OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF THE AGRICULTURAL SPHERE OF GEORGIA***
3. ელექტრონული ვაჭრობის თავისებურებები პანდემიის პირობებში
3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. ICABE 2023: 17. International Conference on Accounting, Business and Economics
May 22-23, 2023 in Barcelona, Spain.
2. ISSN 2029-4441 / eISSN 2029-929X ISBN 978-609-476-333-5 / eISBN 978-609-476-334-2 Article Number: bm.2023.1006 https://doi.org/10.3846/bm.2023.1006
3. ყოველკვარტალური საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი - ეკონომიკა და ფინანსები
https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/442682/1/Ekomomika_Da_Finansebi_2023_N1.pdf
4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
***1. https://publications.waset.org/abstracts/161688/prospects-for-the-development-of-e-commerce-in-georgia***
2. DOI: https://doi.org/10.3846/bm.2023.1006
3. https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/442682/1/Ekomomika_Da_Finansebi_2023_N1.pdf
5) გვერდების რაოდენობა
1. 5
2. 9

3. 6
7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. ნინო დამენია, ნიკო კვარაცხელია
2) მოხსენების სათაური
1. „საზღვაო ტრანსპორტი - ლურჯი ეკონომიკის მნიშვნელოვანი საყრდენი“
3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ბუნებრივი რესურსები და კურორტები, როგორც მდგრადი განვითარების ფაქტორები” 27-28 ოქტომბერი 2023 წ. https://nrr.gtu.ge/upload/docs/24-%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90.pdf
2.
*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*
1. ანოტაცია. საზღვაო ტრანსპორტი გლობალური ვაჭრობის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ელემენტია. ევროკავშირში ის შეადგენს საგარეო ვაჭრობის 77% და ევროკავშირის შიდა ვაჭრობის 35%.
სტატიაში განხილულია ეკონომიკაში საზღვაო ტრანსპორტის მნიშვნელობა როგორც საკრუიზო, ისე აკვაკულტურის მიმართულებით, ასევე საზღვაო ტრანსპორტის გაზრდის აუცილებლობა გარემოს დაცვის მიზნით. გაანალიზებულია „ლურჯი ეკონომიკის“ მნიშვნელობის გავლენა ადამიანის კეთილდღეობაზე, საზღვაო გადაზიდვები, როგორც გლობალური ვაჭრობის მთავარი ხელშემწყობი და წვლილის შემტანი ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებაში, როგორც ზღვაზე, ისე სანაპიროზე.
მონაცემთა ბაზად გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (Geostat), ევროსტატის (Eurostat), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), გაეროს გარემოს (UNEP), სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO), საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO), გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO), ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN), მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები.
პრობლემის კვლევის პროცესში გამოყენებულია სამეცნიერო აბსტრაგირების, სისტემური, სინთეზის და ანალიზის, ინსტიტუციური მიდგომების, სტრუქტურულფუნქციური ანალიზის, ლოგიკურისა და ისტორიულის ერთიანობის, ევრისტიკული მეთოდები. რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბებულია დასკვნები. სადაც ნაჩვენებია, რომ მხოლოდ კარგად მართულ და ორგანიზებულ საზღვაო ტრანსპორტირებას შეუძლია გრძელვადიანი წვლილი შეიტანოს ლურჯ ეკონომიკაში.
7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. Nino Damenia
2. Nanuli OKRUASHVILI, Nino PARESASHVILI, Nino DAMENIA
3. ნინო დამენია
2) მოხსენების სათაური
1. Prospects for the Development of e-Commerce in Georgia

2. ORGANIC FARMING AS A PRIORITY DIRECTION OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF THE AGRICULTURAL SPHERE OF GEORGIA

***THE AGRICULTURAL SPHERE OF GEORGIA***

3. ელექტრონული ვაჭრობის თავისებურებები პანდემიის პირობებში

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ICABE 2023: 17. International Conference on Accounting, Business and Economics

May 22-23, 2023 in Barcelona, Spain. /ONLINE/

2. May 11–12, 2023, Vilnius, Lithuania

3. 2 აპრილი 2023, ლარნაკა (კვიპროსი).

***ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი***

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

**1.1. „ციფრული ტრანსფორმაცია მცირე და საშუალო ფირმებში: გამოწვევები და პერსპექტივები მდგრადი განვითარებისათვის“**

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. ეკონომიკა

2. პროექტის დაწყების თარიღი:2023 წლის 01 თებერვალი
   პროექტის დასრულების თარიღი: 2023 წლის 30 ნოემბერი

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

**1. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, მკვლევარი**

2. ასისტენტ პროფესორი ნინო ლობჟანიძე - უფროსი მკვლევარი

3. ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი - უფროსი მკვლევარი

4. ასოცირებული პროფესორი თამარ ათანელიშვილი - მკვლევარი

5. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი - კვლევის ექსპერტი

6. ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე - კვლევის ექსპერტი

7. ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია - კვლევის ექსპერტი

8. დოქტორანტი ბექა ზაუტაშვილი - მკვლევრის ასისტენტი

9. დოქტორანტი შოთა ჯიმშერაშვილი - პროექტის ასისტენტი

ციფრული სივრცე ეკონომიკურ განვითარებაში ახალ მასშტაბებს იძენს. „Go Digital or go home” - არის ლოზუნგი, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს, თუ როგორ შეუძლიათ კომპანიებს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება თანამედროვე სამყაროში. სამწუხაროდ, რეალობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჯერჯერობით სათანადოდ არ არის შეფასებული ბიზნესის სფეროს ციფრული ტრანსფორმაციის მნიშვნელობა. ციფრული ტრანსფორმაცია წარმოადგენს ფირმების მოდერნიზაციისა და პროგრესის ძირითად ელემენტს, რომელსაც შეუძლია უფრო მეტი ეკონომიკური ღირებულების შექმნა საზოგადოებისათვის (RupeikaApoga R., Petrovska K., 2022).

ციფრული ტრანსფორმაცია, ასევე, უნდა განვიხილოთ, როგორც ფირმების მდგრადი განვითარების შესაძლებლობა. ციფრიზაცია ახალ არჩევანს თავაზობს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის ფირმებს წარმოების ხარისხის გაუმჯობესების, დანახარჯების მინიმიზაციისა და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის თვალსაზრისით. მცირე და საშუალო ფირმების ციფრული ტრანსფორმაციის პრობლემებზე ჩატარებული კვლევებით, ამ მასშტაბის ფირმების 79% ციფრული ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზეა (Xiaoyan T., Zhong W., Feng Y., 2022).

ციფრული ტრანსფორმაციის გავლენის გასაანალიზებლად შესაძლებელია დავეყრდნოთ კვლევებს, რომლის მიხედვით მცირე და საშუალო ფირმების ციფრულ ტრანსფორმაციას დადებითი კოლერაცია აქვს სამუშაოთა ოპერაციულ შესრულებასთან და ინვერსიული U ფორმის კავშირი ინოვაციებთან (Xiaoyan T., Zhong W., Feng Y., 2022).

ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება: ამ პროცესს თან ახლავს ინტეგრაციაზე გაწეული დანახარჯების მკვეთრი ზრდა, რაც, თავის მხრივ, იწვევს ადმინისტრაციული ან არასაოპერაციო ხარჯების მნიშვნელოვან მატებასაც; ასევე, აღნიშნული პროცესი არის გრძელვადიანი და რთული სისტემური ხასიათის, შესაბამისად, სარგებელიც გრძელვადიან პერიოდში ფიქსირდება. მაშასადამე, თუ ფირმის ციფრული ტრანსფორმაციის ინტენსივობა დაბალ ნიშნულზეა, მაშინ ზღვრული ღირებულება აჭარბებს ზღვრულ სარგებელს და ასეთ შემთხვევაში ციფრული ტრანსფორმაცია ფირმის ფინანსურ მაჩვენებელზე უარყოფითად აისახება. ფირმების უმეტესობა, მოკლევადიან პერიოდში, თავს არიდებს შემოსავლების შეზღუდვას და ორიენტაციას არ იღებს გრძელვადიან პერიოდზე, როდესაც ცირფული ტრანსფორმაცია დადებით კორელაციაშია ფირმის მოგებასთან (Xiaoyan T., Zhong W., Feng Y., 2022).

ციფრიზაციის პროცესი მრავალმხრივია და განსხვავებულ მიზნებს ემსახურება, ამავდროულად, აღნიშნული პროცესი მოითხოვს სხვადასხვა სტრატეგიული აქტივის რეკომბინაციას. მცირე და საშუალო ფირმებს ციფრული ტრანსფორმაციის განხორციელების ნაკლები შესაძლებლობა აქვს - რაც უფრო მცირეა ფირმა, მით უფრო ნაკლებია ალბათობა იმისა, რომ აითვისოს ახალი ციფრული ტექნოლოგიები. უპირველეს ყოვლისა, მცირე და საშუალო ფირმები ზოგადი ადმინისტრირების ან მარკეტინგული ფუნქციების ციფრიზაციისაკენ მიისწრაფვიან. ამასთან, ციფრულ ტრანსფორმაციას თან ახლავს რისკები, ამიტომ მცირე და საშუალო ფირმები თავიანთი ბიზნეს ფუნქციების ციფრიზაციისას უპირატესობას ანიჭებენ აუთსორსინგს. ამ გზით, ისინი ამცირებენ ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებულ რისკებს გარე კონსულტანტების მეშვეობით (OECD, 2021).

არაერთი კვლევის შედეგმა ცხადყო, რომ ციფრიზაციას საჯარო შესყიდვებზე დადებითი გავლენა აქვს. შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინება აუცილებელია ფირმებისთვის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების დროს. გარდა ამისა, საჯარო შესყიდვების ციფრიზაცია დღეს ფირმებისთვის მთავარი გამოწვევაა (თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევითი პროექტის ანგარიში, 2022). მნიშვნელოვანია იმ ტრანზაქციების გათვალისწინება, რომლითაც შესაძლებელია ტექნოლოგიებისა და ინოვაციების უახლეს ზღვარზე დარჩენა, ციფრიზაციაზე დაფუძნებული ორგანიზაციული სტრუქტურის მოწყობა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, დაფუძნებულია მდგრად განვითარებაზე (Bienhaus F., Haddud A, 2018).

მდგრად ეკონომიკურ განვითარებას არაერთი ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორისაა ინოვაციები, ტექნოლოგიები და ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი, რომელშიც საჯარო და კერძო სექტორის ჩართულობა თანაბარი მნიშვნელობისაა და მოითხოვს ორივე მხრიდან თანამშრომლობისთვის მზაობას. ბოლო პერიოდის მონაცემებით კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის ჭარბობს მცირე და საშუალო ფირმები. მაგალითად, 2019 წლის მონაცემებით ევროკავშირის ტერიტორიაზე კერძო სექტორის 98,9%-ს მცირე და საშუალო 3 ფირმები შეადგენდა, ხოლო დასაქმებულთა მაჩვენებელი - 28,8%-ით, აღემატებოდა მსხვილ ფირმებში დასაქმებულთა წილს (35,6%, EuroStat, 2022). მცირე და საშუალო ფირმების სიმრავლისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში შეტანილი წვლილის მიუხედავად, ისინი მოწყვლადები არიან სხვადასხვა ფორსმაჟორული სიტუაციების მიმართ, მაგალითად, COVID-19, რომელმაც მხოლოდ ევროკავშირის ტერიტორიაზე მსგავსი ტიპის საწარმოთა 90%-ზე მოახდინა უარყოფითი ზეგავლენა. პანდემიამ აღნიშნული ფირმები „აიძულა" უფრო აქტიურად გამოეყენებინათ ციფრული პლატფორმები და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები (PayPal, 2021). თუმცა, სწორედ ციფრიზაციამ შეუწყო ხელი ამ ტიპის საწარმოთა გადარჩენასა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას.

პანდემიამ მსგავსი სიტუაცია ყველა კონტინენტზე წარმოქმნა, მაგრამ პრობლემის მოგვარება ყველგან თანაბარი წარმატებით ვერ მოხერხდა. აღნიშნული ფაქტი უკავშირდება, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ციფრული პლატფორმების არსებობას. მსოფლიოში ციფრული ეკონომიკის ზრდადი ტენდენციის მიუხედავად, ონლაინ პლატფორმების გეოგრაფიული განაწილება ქვეყნებისა და კონტინენტების მიხედვით განსხვავებულია, ონლაინ პლატფორმების უმეტესობას (71,6%) ფლობს აშშ-ისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რაც თავისთავად მათთან ამარტივებს ციფრულ ტრანსფორმაციას სხვა სახელმწიფოებთან შედარებით (UNTCAD, 2019). თუმცა, აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს დანარჩენ ნაწილსაც შეუძლია მიიღოს გარკვეული სარგებელი ციფრული პლატფორმებისა და მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტებისგან.
საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში, მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვანია დასაქმების (მცირე - 42,1%, საშუალო 19,7%), გამოშვებული პროდუქციის (მცირე - 28,7%, საშუალო 24,4%) და სხვა ფაქტორების მიხედვით (საქსტატი, 2022). თუმცა, საწარმოებში ციფრიზაციის პროცესი გარკვეული თვალსაზრისით სწრაფი ტემპით არ მიმდინარეობს. მაგალითად, ფირმებში ERP სისტემების გამოყენება 2020-2022 წლებში კლების ტენდენციით ხასიათდება (2020 – 8,7%, 2022 – 6,9%), ინტერნეტის თანამედროვე ტექნოლოგიებს ფირმების მხოლოდ 9,3% იყენებს (2021), ხელოვნურ ინტელექტს კი მხოლოდ 3,7% (2021); რაც შეეხება ელექტრონული ვებ გვერდის გამოყენებას 2022 წელს მას საწარმოთა მხოლოდ 13,45% იყენებს (საქსტატი, 2022). სტატისტიკური ინფორმაციის პარალელურად მნიშვნელოვანია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2022 წლის ქსელური მზადყოფნის ინდექსის განხილვაც (NRI), რომლის მიხედვით საქართველო 47,14 ქულით 131 ქვეყნიდან 75- ე ადგილზე იმყოფება და მეზობლებს შორის ბოლო ადგილზეა (თურქეთი - 48-ე ადგილი, სომხეთი 64-ე ადგილი, აზერბაიჯანი - 74-ე ადგილი, რუსეთის ფედერაცია - 40-ე ადგილი). ინდექსის შემადგენელი ფაქტორებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ტექნოლოგიები (84- ე ადგილი) და მისი ქვეკატეგორია - მომავლის ტექნოლოგიების გამოყენება, სადაც საქართველო 114-ე ადგილზეა. ასევე, მნიშვნელოვანია საზოგადოების კატეგორია, სადაც ქვეკატეგორია - ბიზნესის ციფრიზაცია საქართველო 69-ე ადგილზე, ხოლო საჯარო სექტორის ციფრიზააციით 78-ე ადგილზეა (Portulans Institute, 2022).
მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით აშკარაა, რომ საქართველოში მთელი რიგი გამოწვევებია ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით. სამუშაო პროცესში კი სახელმწიფო და კერძო სექტორი თანაბრად უნდა ჩაერთოს და განვითარებაზე კონცენტრირდეს. 4 საქართველოში კომპლექსური კვლევები მცირე და საშუალო ფირმების ციფრული ტრანსფორმაციის პრობლემებზე არ განხორციელებულა, თუმცა, მოცემული მიმართულებით განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა (BTU, 2022).
მცირე და საშუალო ფირმების ციფრული ტრანსფორმაციის პრობლემების კვლევისას საჭიროა პასუხი გაეცეს გარკვეულ კითხვებს, კერძოდ:
• ციფრული ტრანსფორმაციის რომელ ეტაპზეა საქართველოში მცირე და საშუალო ფირმები?
•რამდენად ეფექტიანად ხდება ციფრული პლატფორმებისა და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტების ათვისება მცირე და საშუალო ფირმებში?
•როგორია ციფრული ტრანსფორმაციის უცხოური გამოცდილება და რომელი მათგანის გამოყენება იქნება საქართველოსთვის ეფექტიანი?
•რამდენად ეფექტიანად იყენებს სახელმწიფო ციფრული ტრანსფორმაციის ინსტრუმენტებს და რამდენად User friendly არის მათ მიერ გამოყენებული ციფრული პლატფორმები/ტექნოლოგიები?
• რა გავლენას ახდენს ციფრული ტრანსფორმაცია ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე?

•ციფრიზაციის პოტენციალის სრულყოფილად ასათვისებლად რა ტექნოლოგიები ან ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებაა საჭირო?
•ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში რა ბარიერები ხვდებათ მცირე და საშუალო ფირმებს?
•როგორ შეუძლია სახელმწიფოს შეუწყოს ხელი მცირე და საშუალო ფირმების ციფრულ ტრანსფორმაციასა და მდგრად განვითარებას?
•და სხვა.

**კვლევითი პროექტის მიზანი და ამოცანები**

**კვლევის მიზანი**

კვლევის მიზანია მცირე და საშუალო ფირმებში ციფრული ტრანსფორმაციის პრობლემების გამოვლენის საფუძველზე ციფრიზაციისა და მდგრადი განვითარების მიმართულებებზე რეკომენდაციების შემუშავება.

პროექტით გათვალისწინებული ძირითადი **ამოცანები:**

1. მცირე და საშუალო ფირმების ციფრიზაციის პრობლემების შესახებ ჩატარდა ბიბლიოგრაფიული კვლევა;
2. საკვლევი პრობლემის შესახებ განხორციელდა სტატისტიკური მონაცემების მოპოვება;
3. მოპოვებული მონაცემები დაჯგუფდა ერთგვაროვნების მიხედვით, დამუშავდება და გაანალიზდება;
4. შესწავლილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნეს რეგისტრი და განისაზღვრება საკვლევი ბაზა;
5. რაოდენობრივი კვლევისათვის მომზადდა კითხვარები და შესაბამისი სახელმძღვანელოები/გზამკვლევები;
6. ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა;
7. მოხდა ფოკუს ჯგუფების ფორმირება და მათთან ჩატარდა ინტერვიუები;
8. განხორციელდა სამუშაო შეხვედრების ორგანიზება ბენეფიციარებთან;
9. კვლევის შედეგად მიღებული მასალები დამუშავდა შესაბამისი პროგრამული პაკეტებით და შედეგები განზოგადდა;
10. მომზადდა კვლევითი პროექტის ანგარიში;
11. შესრულდა სამეცნიერო სტატიები რეფერირებად ჟურნალებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების შრომათა კრებულებში, ასევე, გამოსაცემად მომზადდა მონოგრაფია;
12. მომზადდა კვლევითი პროექტის ანგარიშის პრეზენტაცია და მოხდა მისი წარდგენა.

**კვლევის მეთოდოლოგია**

კვლევით პროექტში გამოყენებულია სხვადასხვა მიდგომა და მეთოდი. ბიბლიოგრაფიული კვლევით შეფასდა ციფრული ტრანსფორმაციის, საჯარო შესყიდვების, მცირე და საშუალო ფირმების მდგრადი განვითარების შესახებ არსებული კვლევითი ნაშრომები, პროექტები და ანგარიშები. გაანალიზდა პრობლემის შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების ვებ-გვერდები, საქართველოს ეკონომიკური პროფილის სამინისტროების, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის ბაზების გამოყენებით შეირჩა საკვლევი ფირმები და Google Doc-ზე განთავსებული სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა.

ციფრული ტრანსფორმაციისა და საჯარო შესყიდვების მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების შესაფასებლად განხორციელდა თვისებრივი კვლევა. კომპონენტის განსახორციელებლად გამოყენებულია მიზნობრივი შერჩევის მეთოდი, ჩატარდა ინტერვიუები საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან.

ციფრული ტრანფორმაციის პროცესის შესაფასებლად დამატებითი კითხვარები ელექტრონული ფოსტით გადაეგზავნა კერძო სექტორის წარმომადენლებს. ანალიზის მიზნების შესაბამისად რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევით მიღებული მონაცემები დამუშავდა MS EXCEL-ისა და SPSS-ის პროგრამული პაკეტებით.
გამოყენებულია შედარების, ანალიზის, ექსპერტული, მატრიცული და სხვა მეთოდები.
5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
**5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით**
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ია ნაცვლიშვილი,** ცირკულარული ბიზნეს მოდელის ინოვაცია-ხელშემწყობი ფაქტორები და ბარიერები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები" 6 თებერვალი, **2023;** შრომების კრებული; თბილისი, საქართველო გვ 190-197; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023; ISBN 978-9941-36-111-1 (pdf)
chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://tsu.ge/assets/media/files/7/ekon.%20konf.%20kreb..pdf
2. ლეკაშვილი ე., **ნაცვლიშვილი ი.,** ქალთა გამოწვევები სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისას საქართველოში., ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, ტომი 15; N3; 2023 გვ. 74-90; ISSN 1987-5789 ESSN 2587-5426
doi 10.56079; chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://eb.tsu.ge/doc/econ_biz_3_2023.pdf
3. 3. ლეკაშვილი ე., **ნაცვლიშვილი ი.,** ქალთა სამეწარმეო შესაძლებლობების კვლევა ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, ტომი 15; ნომერი 2; 2023 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023; ISBN 978-9941-36-111-1 (pdf)

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ***ანოტაცია.*** *მსოფლიოში არსებულმა Covid-19 პანდემიამ და უმწვავესმა პოლიტიკურმა გარემოებებმა, რაც გამოწვეულია რუსეთის უკრაინაში შეჭრით და მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომით, საფრთხე შეუქმნა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას 2030 წლისთვის. მსოფლიოში შექმნილია რთული გეოეკონომიკური ვითარება და პროგნოზებიც დიდი ოპტიმიზმით არ გამოირჩევა. მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა კვლავ რჩება აქტუალურ ამოცანად. შესაბამისად, აქტუალურია მდგრადი მეწარმეობის სპეციფიკისა და ცირკულარული ბიზნეს მოდელის ინოვაციის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების ანალიზი. კვლევის მიზანს წარმოადგენდა მდგრადი მეწარმეობის სპეციფიკური მახასიათებლების, ასევე, ცირკულარული ბიზნეს მოდელის ინოვაციის მამოძრავებელი ძალებისა და ბარიერების ანალიზი. ამ მიზნის მისაღწევად კვლევისას გამოყენებულია სამაგიდო კვლევის, ლიტერატურის სტრუქტურირებული შედარებითი მიმოხილვისა და ანალიზის, ასევე, მეორადი ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის მეთოდები. ცირკულარული ეკონომიკის კონცეფცია სამეცნიერო წრეებში, ინდუსტრიის წარმომადგენლებსა და პოლიტიკოსებს შორის განიხილება როგორც რესურსების უყაირათოდ ხარჯვის, დაბინძურებისა და მავნე აირების გაფრქვევის შემცირების სტრატეგია. ცირკულარული ბიზნეს მოდელის ინოვაცია მრავალ მკვლევართა მიერ მიჩნეულია ამ კონცეფციის პრაქტიკულ*

*განხორციელებად ორგანიზაციულ დონეზე. ცირკულარული ბიზნეს მოდელის ინოვაციის მამოძრავებელ ძალებად და ბარიერებად განიხილება ფაქტორები, რომლიც ან ხელს უწყობს ან თრგუნავს ორგანიზაციულ ერთეულებს ცირკულარული ბიზნეს მოდელის ინოვაციის კონცეფტუალიზაციისა და განხორციელები პროცესში.*

2. **ანოტაცია**

ნაშრომი ეძღვნება საქართველოში ქალთა წინაშე არებული გამოწვევების შესწავლას სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისას. კვლევა ჩატარდა STAR მეთოდით ფოკუს ჯგუფებთან ინტერვიუს გზით. კვლევის პროცესისთვის კითხვარი შემუშვდა მეწარმეობის წამოწყების პოტენციალის დადგენის/შეფასების ტესტის საფუძველზე. კვლევის შედეგად გამოვლინდა სირთულეები, რომლებიც ხელს უშლიან ქალებს სამეწარმეო საქმიანობის არჩევასა და სამეწარმეო კარიერულ წინსვლაში. კერძოდ, გამოიკვეთა ბიზნესის წამოწყებაზე მოქმედი შემდეგი **ინდივიდუალური** ფაქტორები: დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილი; მამაკაცებთან შედარებით ქალ-მეწარმეთა მეტი რისკიანობა და ემოციურობა, მოლაპარაკებების დროს მეტად ეფექტურობა; ტექნიკური და ლოგისტიკური პრობლემები.

**სიტუაციურ ფაქტორებს** შორის გამოიკვეთა გენდერული სტერეოტიპი, რომლის თანახმადაც, თანამედროვე საზოგადოებაში ქალი არ განიხილება როგორც ლიდერი და მეწარმე. გამოვლინდა, რომ ქალებს მამაკაცებთან შედარებით აქვთ ნაკლები წვდომა ბიზნესის წამოსაწყებად საჭირო ფინანსებზე, ნაკლები ფინანსური უსაფრთხოება და უფრო ნაკლები მხარდაჭერა ოჯახისა და მეგობრებისგან ბიზნესის წამოწყებისას.

გამოკითხვის შედეგებით დადგინდა **ბიზნეს იდეაზე გავლენის მქონე შემდეგი ფაქტორები**: ქალთა ნაკლები ეფექტურობა ბიზნესის წამოსაწყებად შესაძლებლობების იდენტიფიცირების კუთხით; დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე, რაც აიძულებთ წამოიწყონ მეწარმეობა; ბიზნესის დაწყების სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით ნაკლებად ინფორმირებულობა; ნაკლები ცოდნა პროდუქტის შეფუთვისა და ექსპორტირების პროცედურებზე; მეტი რისკი და ნაკლები უსაფრთხოება ქალთა ბიზნესებისთვის.

ფოკუს ჯგუფში მონაწილეთა შეზღუდული რაოდენობიდან (გამოიკითხა 18 ქალი-მეწარმე) და თვისებრივი კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევის შედეგები არ არის რეპრეზენტატული, რადგან ვერ მოიცვა საქართველოს ყველა რეგიონი და ბიზნესის ყველა სექტორს. შესაბამისად, დაიგეგმა კვლევის ჩატარება ქალ-მეწარმეთა უფრო მეტი რაოდენობის ჩართულობით.

3. პროექტმა ,,ქალთა მეწარმეობა - ქალ სტუდენტთა გაძლირება სამეწარმეო კარიერისთვის" (Female entrepreneurship – Empowering female students to pursue an entrepreneurial career (FEEN) გაიმარჯვა უმაღლესი განათლების და კვლევის მიმართულებით ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის პროგრამის (APPEAR) ფარგლებში.

პროექტის კოორდინატორია გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტის პროფესორი საბინე ბერგნერი, ფსიქოლოგიის დოქტორი. მისი აკადემიური პოზიცია ერთმანეთთან აკავშირებს ლიდერობისა და მეწარმეობის და ფსიქოლოგიის დეპარტამენტებს. პროექტის ფარგლებში გრაცის უნივერსიტეტის პარტნიორია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მასში მონაწილეობენ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორები - ეკა ლეკაშვილი (პროექტის კოორდინატორი) და ია ნაცვლიშვილი (პარტნიორი). პროგრამის ხანგრძლივობა 8 თვეა და მისი მიზანია ახალი საერთაშორისო კვლევითი და სასწავლო საპროექტო განაცხადის შემუშავება, რომელიც წარდგენილ უნდა იქნეს კონკურსში APPEAR-ის აკადემიური პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში.

პროექტი ემსახურება აკადემიური პარტნიორობის შექმნას ავსტრიასა და საქართველოს შორის, რაც დაეხმარება ახალგაზრდა ქალების გაძლიერებას სამეწარმეო საქმიანობის

დაწყებაში. შესაბამისად, პროექტის მთავარი თემა ქალთა მეწარმეობაა. პროექტის საერთო მიზნის მიღწევა ორმხრივად ხორციელდება, რომელიც კონკრეტული ამოცანების შესრულებით მიიღწევა:

1. გენდერული გამოწვევები მეწარმეობაში - კვლევა იმის გასარკვევად, თუ რა უშლის ხელს ქალებს სამეწარმეო კარიერის არჩევაში.
2. სამეწარმეო ტრენინგი, რომელიც სპეციალურად შექმნილია ქალი სტუდენტებისთვის, და, თავის მხრივ, მოწოდებულია გაზარდოს აკადემიური განათლების მატარებელი ქალი მეწარმეების რაოდენობის გაზრდას საქართველოში.

პროექტი ასევე მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ინიციატივას, რაც აძლევს ქალ სტუდენტებს სამეწარმეო პოზიციების დაკავების შესაძლებლობას.

ამასთან, მთავარი მიზანი ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გრაცის უნივერსიტეტს (ავსტრია) შორის თანამშრომლობის განვითარებაა, რაც მიიღწევა აღნიშნული პროექტის ფარგლებში კვლევების ჩატარებით, სწავლების მეთოდების გაზიარებით, კვლევის შედეგების აღიარებულ რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებით და უფრო მასშტაბური პროექტის შემუშავებაში მხარეების მონაწილეობით.

საქართველოს რეალობის უკეთ აღსაქმელად ჩატარდა ქალ მეწარმეთა გამოკითხვა სამეწარმეო შესაძლებლობების თვითშეფასების კონტექსტით. გამოკითხვის შედეგები გამოყენებული იქნა ახალი პროექტის მიზნებისა და აქტივობების დასაგეგმად.

რაც შეეხება გრაცის უნივერსიტეტს, ის 1585 წელს დაფუძნდა. ამჟამად უნივერსიტეტის 6 ფაკულტეტზე 40 000 სტუდენტი სწავლობს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის წიაღში აღიზარდნენ შედგომში ნობელის პრემიის ლაურეატები, მათ შორის თვალსაჩინო ავსტრო-ამერიკელი ეკონომისტი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი - ჯოზეფ შუმპეტერი. მეწარმეობაზე აქცენტირებაც შესაძლებელია სწორედ ამ ფაქტს დაუკავშირდეს, რადგან იგი დინამიკური კონკურენციის თეორიის ფუძემდებელია, რომლის თანახმადაც მეწარმეთა პერმანენტული ბრძოლა ბაზრის წილისთვის მუდმივად საჭიროებს ახალი პროუქტებისა და წარმოების მეთოდების დანერგვის აუცილებლობას, ხოლო პიონერი მეწარმეები, რომლებიც ხარისხობრივ და ტექნოლოგიურ ინოვაციებს ნერგავენ, დიდ მოგებას იღებენ.

თსუ-ში სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის პროცესი ვითარდება და თუ ადრე დასავლეთ ევროპული მოწინავე უნივერსიტეტები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი თსუ-ის შესაძლებლობებით, დღეს განსხვავებული მდგომარეობაა: უნივერსიტეტები აყალიბებენ კონსორციუმებს, ალიანსებს და ერთიანი მიზნით გამოდიან საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე. ინტერესების თანხვედრა გრაცის უნივერსიტეტთან ადასტურებს, რომ თსუ საინტერესოა უცხოური მოწინავე უნივერსიტეტებისათვის. ჩვენ გვაქვს თანამედროვე გამოწვევებზე ორიენტირებული მიზნები და განვითარების პერსპექტივა და მიზანზე ორიენტიებულ შრომას ყოველთვის მოაქვს შედეგი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატება ევროპის საგანმანათლებლო და კვლევით სივრცესთან ეფექტიან ინტეგრირებაზე გადის.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

4. **Kharaishvili, E.,** Natsvlishvili, I., Lobzhanidze, M., Lazariashvili, T. (2023). *CHALLENGES OF HIGHER ECONOMIC EDUCATION AND FACTORS AFFECTING THE EMPLOYMENT OF GRADUATES IN GEORGIA*, ICERI2023 (16th annual International Conference of Education,

Research and Innovation), 13th-15th of November, 2023, Seville (Spain). ICERI2023 Proceedings pages 3678-3687, ISBN: 978-84-09-55942-8, ISSN: 2340-1095, **DOI:** 10.21125/iceri.2023.0943, Publisher: IATED

5. Natsvlishvili, I., **Kharaishvili, E.,** Lobzhanidze, M., Lazariashvili, T. (2023). *CHALLENGES OF ENTREPRENEURIAL EDUCATION IN THE CONTEXT OF THE GLOBAL EDUCATION CRISIS*, ICERI2023 (16th annual International Conference of Education, Research and Innovation), 13th-15th of November, 2023, Seville (Spain). Pages: 3846-3854. ICERI2023 Proceedings ISBN: 978-84-09-55942-8, ISSN: 2340-1095 **DOI:** 10.21125/iceri.2023.0970
6. Lekashvili Eka, **Natsvlishvili Ia,** CHALLENGES OF FEMALE START-UPS AND ENTREPRENEURSHIP (EVIDENCE FROM GEORGIA); SWS **Vienna ART 2023;** - 10th International Multidisciplinary Scientific Conference on Social Sciences (ISCSS2023) **Nov 28-Dec 1, 2023, Vienna, Austria** https://sgemvienna.org/ გამოქვეყნდება წლის ბოლომდე. https://sgemvienna.org/index.php/sgemvienna-peer-reviewe/conference-proceedings

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. **ანოტაცია:** *სტატიაში გაანალიზებულია უმაღლესი ეკონომიკური განათლების ტენდენციები მსოფლიოსა და საქართველოში. შესწავლილია ახალგაზრდების დასაქმების დონე, ვაკანსიების ანალიზის საფუძველზე დაზუსტებულია მოთხოვნა ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამის კურსდამთავრებულებზე საქართველოში.*

*საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეკონომიკური განათლების გამოწვევებისა და კურსდანთავრებულთა დასაქმებაზე მოქმედი ფაქტორების გამოსავლენად ჩატარებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა.*

*კვლევის ძირითადი მიზანი იყო კურსდამთავრებულთა უნარების შესაბამისობის დადგენა დამსაქმებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და პროგრამების სწავლის შედეგებთან, ასევე, განისაზღვრა რომელი საფეხურის კურსდამთავრებულებზეა მოთხოვნა, როგორია ხელფასების დონე და შეფასდა კურსდამთავრებულთა კმაყოფილების დონე. ამ მიზნით ჩატარებულია კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტთა გამოკითხვა. შედეგები დამუშავდა SPSS-ით.*

*ნაშრომში წარმოდგენილია რაოდენობრივი კვლევის ძირითადი მიგნებები გამოკითხულთა ჯგუფების მიხედვით, შეჯამებულია ფოკუს ჯგუფებთან დისკუსიის შედეგები, გამოვლენილია პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენციები საგანმანათლებლო პროგრამისთვის, მოცემულია საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში განსახორციელებელი ცვლილებები, დადგენილია დასაქმების ხელშემწყობი ფაქტორები.*

*კვლევის მეთოდოლოგია და გამოყენებული მონაცემები. კვლევის მიზნის მისაღწევად და ჰიპოთეზების შესამოწმებლად ჩატარებულია რაოდენობრივი და თისებრივი კვლევა. შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის მონაცემები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მასალები, უმაღლესი ეკონომიკური საგანმანათლებლო პროგრამები; ჰიპოთეზები დასაბუთებულია კორელაციისა და რეგრესიის ანალიზის გამოყენებით.*

*ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნები უმაღლესი ეკონომიკური განათლების ძირითად გამოწვევებზე, შემუშავებულია რეკომენდაციები კურსდანთავრებულთა დასაქმების გაუმჯობესების გზებზე.*

2. **ანოტაცია:** *ნაშრომში დასაბუთებულია სამეწარმეო განათლების როლი ეკონომიკურ განვითარებაში, იგი შეფასებულია როგორც დასაქმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია საუნივერსიტეტო სამეწარმეო განათლებაზე. დასაბუთებულია სამეწარმეო განათლების გავლენა დასაქმების*

*მაჩვენებელზე, გამოვლენილია სამეწარმეო განათლების ხელშემშლელი ფაქტორები. ამასთან, განხილულია სირთულეები, რომლებიც ხელს უშლიან ქალებს სამეწარმეო განათლებასა და ბიზნეს საქმიანობის არჩევაში-ბიზნესის წამოწყებაზე მოქმედი ინდივიდუალური, სიტუაციური და ბიზნეს იდეაზე გავლენის მქონე ფაქტორები. განსაკუთრებით აქტუალურად არის მიჩნეული სოფლად მცხოვრები ქალების სამეწარმეო განათლების საკითხი. მიჩნეულია, რომ რეალურად დასაქმებისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარების, ასევე, საქმიანობის დივერსიფიკაციის „გასაღები" უპირატესად სამეწარმეო განათლებაშია.*

*თანამედროვე მსოფლიოში სამეწარმეო განათლებამ ბიზნესის შემსწავლელი საგანმანათლებლო პროგრამებიდან და სასწავლო აუდიტორიებიდან გადაინაცვლა ქვეყნების განათლების პოლიტიკის დონეზე. სამეწარმეო კომპეტენციების გამომუშავებაზე ორიენტირებულია ეკონომიკის და ბიზნესის შემსწავლელი სასწასვლო კურსების გარდა სხვა სასწავლო კურსები (მაგ. ხელოვნების, ლიტერატურას ან ინჟინერიის შემსწავლელი საგნები თავის მხრივ სამეწარმეო კომპეტენციებს შეიძლება ავითარებდეს). სამეწარმეო კომპეტენციების გამომუშავება განათლების ყველა საფეხურზე მნიშვნელოვანი გახდა, რაც არ ისახავს მიზნად, მოსწავლეები თუ სტუდენტები მეწარმეებად აღზარდოს. სამეწარმეო კომპეტენცია არ გულისხმობს ბიზნესის წამოწყების ან სოციალური საწარმოს შექმნისა და მართვის სწავლებას. სამეწარმეო კომპეტენციების გამომუშავება გულისხმობს შესაძლებლობების დანახვის, იდეების განვითარების, რესურსების მართვის და სამეწარმეო იდეების განხორციელების უნარების გამომუშავებას. ეს ზოგადი ტრანსფერული (გამჭოლი) უნარები ნებისმიერი პროფესიის ადამიანის მოღვაწეობას უფრო წარმატებულს ხდის. სწორედ ამით აიხსნება სამეწარმეო კომპეტენციების განვითარების სახელმწიფო დონეზე მხარდაჭერა. საქართველოში სამეწარმეო კომპეტენციების განვითარება ქვეყნის განვითარების სტრატეგიაში ასახულია და იგი წარმოადგენს განათლების პოლიტიკის ნაწილს.*

*კვლევის მეთოდოლოგიას წარმოადგენს მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომებისა და სხვადასხვა ორგანიზაციის ანგარიშების ბიბლიოგრაფიული ანალიზი, შედარების მეთოდით დადგენილია შესაბამის მაჩვენებლებთან მიმართებაში არსებული განსხვავებები წლებისა და ქვეყნების მიხედვით განათლების, მათ შორის სამეწარმეო განათლების მაჩვენებლებზე, ჩატარებულია რაოდენობრივი კვლევა საზოგადოებრივი დამოკიდებულებების გამოსავლენად სამეწარმეო განათლების შესახებ. შედეგები დამუშავებულია MS EXCEL-ისა და SPSS-ის პროგრამული პაკეტებით. მატრიცული სქემით დადგენილია სამეწარმეო განათლების პირობები და მექანიზმები, ფაქტორული ანალიზით გამოვლენილია სამეწარმეო განათლების გამოწვევები. მოცემულია დასკვნები გლობალური განათლების კრიზისის ფონზე სამეწარმეო განათლებაში არსებულ გამოწვევებზე და შემუშავებულია რეკომენდაციები სამეწარმეო განათლების სრულყოფის მიმართულებებზე.*

3. **ანოტაცია:** სტატიაში განხილულია საქართველოში ქალთა წინაშე არებული გამოწვევები სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისას. კვლევა ჩატარდა STAR მეთოდით ფოკუს ჯგუფებთან ინტერვიუს გზით. კვლევის პროცესისთვის კითხვარი შემუშვდა მეწარმეობის წამოწყების პოტენციალის დადგენის/შეფასების ტესტის საფუძველზე. კვლევის შედეგად გამოვლინდა სირთულეები, რომლებიც ხელს უშლიან ქალებს სამეწარმეო საქმიანობის არჩევასა და სამეწარმეო კარიერულ წინსვლაში. ფოკუს ჯგუფში მონაწილეთა შეზღუდული რაოდენობიდან და თვისებრივი კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევის შედეგები არ არის რეპრეზენტატული, რადგან ვერ მოიცვა საქართველოს ყველა რეგიონი და ბიზნესის ყველა სექტორს. შესაბამისად, დაიგეგმა კვლევის ჩატარება ქალ-მეწარმეთა უფრო მეტი რაოდენობის ჩართულობით.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ია ნაცვლიშვილი, ცირკულარული ბიზნეს მოდელის ინოვაცია-ხელშემწყობი ფაქტორები და ბარიერები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები“ 6 თებერვალი, **2023;** შრომების კრებული; თბილისი, საქართველო გვ 190-197; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023; ISBN 978-9941-36-111-1 (pdf)

chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://tsu.ge/assets/media/files/7/ekon.%20konf.%20kreb..pdf

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Lekashvili Eka, **Natsvlishvili Ia,** CHALLENGES OF FEMALE START-UPS AND ENTREPRENEURSHIP (EVIDENCE FROM GEORGIA); SWS **Vienna ART 2023;** - 10th International Multidisciplinary Scientific Conference on Social Sciences (ISCSS2023) **Nov 28-Dec 1, 2023, Vienna, Austria** https://sgemvienna.org/ გამოქვეყნდება წლის ბოლომდე.https://sgemvienna.org/index.php/sgemvienna-peer-reviewe/conference-proceedings
2. Kharaishvili, E., **Natsvlishvili, I.,** Lobzhanidze, M., Lazariashvili, T. (2023). CHALLENGES OF HIGHER ECONOMIC EDUCATION AND FACTORS AFFECTING THE EMPLOYMENT OF GRADUATES IN GEORGIA, ICERI2023 (16th annual International Conference of Education, Research and Innovation), 13th-15th of November, 2023, Seville (Spain). ICERI2023 Proceedings pages 3678-3687, ISBN: 978-84-09-55942-8, ISSN: 2340-1095, DOI: 10.21125/iceri.2023.0943, Publisher: IATED
3. **Natsvlishvili, I.,** Kharaishvili, E., Lobzhanidze, M., Lazariashvili, T. (2023). CHALLENGES OF ENTREPRENEURIAL EDUCATION IN THE CONTEXT OF THE GLOBAL EDUCATION CRISIS, ICERI2023 (16th annual International Conference of Education, Research and Innovation), 13th-15th of November, 2023, Seville (Spain). Pages: 3846-3854. ICERI2023 Proceedings ISBN: 978-84-09-55942-8, ISSN: 2340-1095 DOI: 10.21125/iceri.2023.0970

***ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი***

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. Kharaishvili, E., Lobzhanidze, N., **Chavleishvili, M.** (2023). Consumer Behavior Insights: Factors and Preferences in the Mineral Water Market (Case of Georgia), 8th International Conference on Business, Finance and Administrative Sciences (ICOBAS-2023). Barcelona, Spain March 29-30, 2023 https://www.globalcenter.info/icobas/wp-content/uploads/2023/09/ICOBAS-2023ab.pdf

***ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი***

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1. **„ციფრული ტრანსფორმაცია მცირე და საშუალო ფირმებში: გამოწვევები და პერსპექტივები მდგრადი განვითარებისათვის“**

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. ეკონომიკა

2. პროექტის დაწყების თარიღი:2023 წლის 01 თებერვალი
პროექტის დასრულების თარიღი: 2023 წლის 30 ნოემბერი

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

**1. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, მკვლევარი**
2. ასისტენტ პროფესორი ნინო ლობჟანიძე - უფროსი მკვლევარი
3. ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი - უფროსი მკვლევარი
4. ასოცირებული პროფესორი თამარ ათანელიშვილი - მკვლევარი
5. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი - კვლევის ექსპერტი
6. ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე - კვლევის ექსპერტი
7. ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია - კვლევის ექსპერტი
8. დოქტორანტი ბექა ზაუტაშვილი - მკვლევრის ასისტენტი
9. დოქტორანტი შოთა ჯიმშერაშვილი - პროექტის ასისტენტი

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

**კვლევითი პროექტის აქტუალურობა და დამუშავების დონე**

ციფრული სივრცე ეკონომიკურ განვითარებაში ახალ მასშტაბებს იძენს. „Go Digital or go home" - არის ლოზუნგი, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს, თუ როგორ შეუძლიათ კომპანიებს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება თანამედროვე სამყაროში. სამწუხაროდ, რეალობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჯერჯერობით სათანადოდ არ არის შეფასებული ბიზნესის სფეროს ციფრული ტრანსფორმაციის მნიშვნელობა. ციფრული ტრანსფორმაცია წარმოადგენს ფირმების მოდერნიზაციისა და პროგრესის ძირითად ელემენტს, რომელსაც შეუძლია უფრო მეტი ეკონომიკური ღირებულების შექმნა საზოგადოებისათვის (RupeikaApoga R., Petrovska K., 2022).
ციფრული ტრანსფორმაცია, ასევე, უნდა განვიხილოთ, როგორც ფირმების მდგრადი განვითარების შესაძლებლობა. ციფრიზაცია ახალ არჩევანს თავაზობს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის ფირმებს წარმოების ხარისხის გაუმჯობესების, დანახარჯების მინიმიზაციისა და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის თვალსაზრისით. მცირე და საშუალო ფირმების ციფრული ტრანსფორმაციის პრობლემებზე ჩატარებული კვლევებით, ამ მასშტაბის ფირმების 79% ციფრული ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზეა (Xiaoyan T., Zhong W., Feng Y., 2022).
ციფრული ტრანსფორმაციის გავლენის გასაანალიზებლად შესაძლებელია დავეყრდნოთ კვლევებს, რომლის მიხედვით მცირე და საშუალო ფირმების ციფრულ ტრანსფორმაციას დადებითი კოლერაცია აქვს სამუშაოთა ოპერაციულ შესრულებასთან და ინვერსიული U ფორმის კავშირი ინოვაციებთან (Xiaoyan T., Zhong W., Feng Y., 2022).
ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება: ამ პროცესს თან ახლავს ინტეგრაციაზე გაწეული დანახარჯების მკვეთრი ზრდა, რაც, თავის მხრივ, იწვევს ადმინისტრაციული ან არასაოპერაციო ხარჯების მნიშვნელოვან მატებასაც; ასევე, აღნიშნული პროცესი არის გრძელვადიანი და რთული სისტემური ხასიათის, შესაბამისად, სარგებელიც გრძელვადიან პერიოდში ფიქსირდება. მაშასადამე, თუ ფირმის ციფრული ტრანსფორმაციის ინტენსივობა დაბალ ნიშნულზეა, მაშინ ზღვრული ღირებულება აჭარბებს ზღვრულ სარგებელს და ასეთ შემთხვევაში ციფრული ტრანსფორმაცია ფირმის ფინანსურ მაჩვენებელზე უარყოფითად აისახება. ფირმების უმეტესობა, მოკლევადიან პერიოდში, თავს არიდებს შემოსავლების შეზღუდვას და ორიენტაციას არ იღებს გრძელვადიან პერიოდზე, როდესაც ცირფული ტრანსფორმაცია დადებით კორელაციაშია ფირმის მოგებასთან (Xiaoyan T., Zhong W., Feng Y., 2022).

ციფრიზაციის პროცესი მრავალმხრივია და განსხვავებულ მიზნებს ემსახურება, ამავდროულად, აღნიშნული პროცესი მოითხოვს სხვადასხვა სტრატეგიული აქტივის რეკომბინაციას. მცირე და საშუალო ფირმებს ციფრული ტრანსფორმაციის განხორციელების ნაკლები შესაძლებლობა აქვს - რაც უფრო მცირეა ფირმა, მით უფრო ნაკლებია ალბათობა იმისა, რომ აითვისოს ახალი ციფრული ტექნოლოგიები. უპირველეს ყოვლისა, მცირე და საშუალო ფირმები ზოგადი ადმინისტრირების ან მარკეტინგული ფუნქციების ციფრიზაციისაკენ მიისწრაფვიან. ამასთან, ციფრულ ტრანსფორმაციას თან ახლავს რისკები, ამიტომ მცირე და საშუალო ფირმები თავიანთი ბიზნეს ფუნქციების ციფრიზაციისას უპირატესობას ანიჭებენ აუთსორსინგს. ამ გზით, ისინი ამცირებენ ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებულ რისკებს გარე კონსულტანტების მეშვეობით (OECD, 2021).
არაერთი კვლევის შედეგმა ცხადყო, რომ ციფრიზაციას საჯარო შესყიდვებზე დადებითი გავლენა აქვს. შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინება აუცილებელია ფირმებისთვის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების დროს. გარდა ამისა, საჯარო შესყიდვების ციფრიზაცია დღეს ფირმებისთვის მთავარი გამოწვევაა (თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევითი პროექტის ანგარიში, 2022). მნიშვნელოვანია იმ ტრანზაქციების გათვალისწინება, რომლითაც შესაძლებელია ტექნოლოგიებისა და ინოვაციების უახლეს ზღვარზე დარჩენა, ციფრიზაციაზე დაფუძნებული ორგანიზაციული სტრუქტურის მოწყობა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, დაფუძნებულია მდგრად განვითარებაზე (Bienhaus F., Haddud A, 2018).
მდგრად ეკონომიკურ განვითარებას არაერთი ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორისაა ინოვაციები, ტექნოლოგიები და ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი, რომელშიც საჯარო და კერძო სექტორის ჩართულობა თანაბარი მნიშვნელობისაა და მოითხოვს ორივე მხრიდან თანამშრომლობისთვის მზაობას. ბოლო პერიოდის მონაცემებით კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის ჭარბობს მცირე და საშუალო ფირმები. მაგალითად, 2019 წლის მონაცემებით ევროკავშირის ტერიტორიაზე კერძო სექტორის 98,9%-ს მცირე და საშუალო 3 ფირმები შეადგენდა, ხოლო დასაქმებულთა მაჩვენებელი - 28,8%-ით, აღემატებოდა მსხვილ ფირმებში დასაქმებულთა წილს (35,6%, EuroStat, 2022). მცირე და საშუალო ფირმების სიმრავლისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში შეტანილი წვლილის მიუხედავად, ისინი მოწყვლადები არიან სხვადასხვა ფორსმაჟორული სიტუაციების მიმართ, მაგალითად, COVID-19, რომელმაც მხოლოდ ევროკავშირის ტერიტორიაზე მსგავსი ტიპის საწარმოთა 90%-ზე მოახდინა უარყოფითი ზეგავლენა. პანდემიამ აღნიშნული ფირმები „აიძულა“ უფრო აქტიურად გამოეყენებინათ ციფრული პლატფორმები და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები (PayPal, 2021). თუმცა, სწორედ ციფრიზაციამ შეუწყო ხელი ამ ტიპის საწარმოთა გადარჩენასა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას.
პანდემიამ მსგავსი სიტუაცია ყველა კონტინენტზე წარმოქმნა, მაგრამ პრობლემის მოგვარება ყველგან თანაბარი წარმატებით ვერ მოხერხდა. აღნიშნული ფაქტი უკავშირდება, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ციფრული პლატფორმების არსებობას. მსოფლიოში ციფრული ეკონომიკის ზრდადი ტენდენციის მიუხედავად, ონლაინ პლატფორმების გეოგრაფიული განაწილება ქვეყნებისა და კონტინენტების მიხედვით განსხვავებულია, ონლაინ პლატფორმების უმეტესობას (71,6%) ფლობს აშშ-ისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რაც თავისთავად მათთან ამარტივებს ციფრულ ტრანსფორმაციას სხვა სახელმწიფოებთან შედარებით (UNTCAD, 2019). თუმცა, აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს დანარჩენ ნაწილსაც შეუძლია მიიღოს გარკვეული სარგებელი ციფრული პლატფორმებისა და მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტებისგან.
საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში, მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვანია დასაქმების (მცირე - 42,1%, საშუალო 19,7%), გამოშვებული პროდუქციის (მცირე - 28,7%,

საშუალო 24,4%) და სხვა ფაქტორების მიხედვით (საქსტატი, 2022). თუმცა, საწარმოებში ციფრიზაციის პროცესი გარკვეული თვალსაზრისით სწრაფი ტემპით არ მიმდინარეობს. მაგალითად, ფირმებში ERP სისტემების გამოყენება 2020-2022 წლებში კლების ტენდენციით ხასიათდება (2020 – 8,7%, 2022 – 6,9%), ინტერნეტის თანამედროვე ტექნლოგიებს ფირმების მხოლოდ 9,3% იყენებს (2021), ხელოვნურ ინტელექტს კი მხოლოდ 3,7% (2021); რაც შეეხება ელექტრონული ვებ გვერდის გამოყენებას 2022 წელს მას საწარმოთა მხოლოდ 13,45% იყენებს (საქსტატი, 2022). სტატისტიკური ინფორმაციის პარალელურად მნიშვნელოვანია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2022 წლის ქსელური მზადყოფნის ინდექსის განხილვაც (NRI), რომლის მიხედვით საქართველო 47,14 ქულით 131 ქვეყნიდან 75- ე ადგილზე იმყოფება და მეზობლებს შორის ბოლო ადგილზეა (თურქეთი - 48-ე ადგილი, სომხეთი 64-ე ადგილი, აზერბაიჯანი - 74-ე ადგილი, რუსეთის ფედერაცია - 40-ე ადგილი). ინდექსის შემადგენელი ფაქტორებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ტექნოლოგიები (84- ე ადგილი) და მისი ქვეკატეგორია - მომავლის ტექნოლოგიების გამოყენება, სადაც საქართველო 114-ე ადგილზეა. ასევე, მნიშვნელოვანია საზოგადოების კატეგორია, სადაც ქვეკატეგორია - ბიზნესის ციფრიზაცია საქართველო 69-ე ადგილზე, ხოლო საჯარო სექტორის ციფრიზააციით 78-ე ადგილზეა (Portulans Institute, 2022).

მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით აშკარაა, რომ საქართველოში მთელი რიგი გამოწვევებია ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით. სამუშაო პროცესში კი სახელმწიფო და კერძო სექტორი თანაბრად უნდა ჩაერთოს და განვითარებაზე კონცენტრირდეს. 4 საქართველოში კომპლექსური კვლევები მცირე და საშუალო ფირმების ციფრული ტრანსფორმაციის პრობლემებზე არ განხორციელებულა, თუმცა, მოცემული მიმართულებით განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა (BTU, 2022).

მცირე და საშუალო ფირმების ციფრული ტრანსფორმაციის პრობლემების კვლევისას საჭიროა პასუხი გაეცეს გარკვეულ კითხვებს, კერძოდ:

• ციფრული ტრანსფორმაციის რომელ ეტაპზეა საქართველოში მცირე და საშუალო ფირმები?

•რამდენად ეფექტიანად ხდება ციფრული პლატფორმებისა და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტების ათვისება მცირე და საშუალო ფირმებში?

•როგორია ციფრული ტრანსფორმაციის უცხოური გამოცდილება და რომელი მათგანის გამოყენება იქნება საქართველოსთვის ეფექტიანი?

•რამდენად ეფექტიანად იყენებს სახელმწიფო ციფრული ტრანსფორმაციის ინსტრუმენტებს და რამდენად User friendly არის მათ მიერ გამოყენებული ციფრული პლატფორმები/ტექნოლოგიები?

• რა გავლენას ახდენს ციფრული ტრანსფორმაცია ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე?

•ციფრიზაციის პოტენციალის სრულყოფილად ასათვისებლად რა ტექნოლოგიები ან ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებაა საჭირო?

•ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში რა ბარიერები ხვდებათ მცირე და საშუალო ფირმებს?

•როგორ შეუძლია სახელმწიფოს შეუწყოს ხელი მცირე და საშუალო ფირმების ციფრულ ტრანსფორმაციასა და მდგრად განვითარებას?

•და სხვა.

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მიზანშეწონილია კომპლექსური კვლევის ჩატარება.

**კვლევითი პროექტის მიზანი და ამოცანები**

**კვლევის მიზანი**

კვლევის მიზანია მცირე და საშუალო ფირმებში ციფრული ტრანსფორმაციის პრობლემების გამოვლენის საფუძველზე ციფრიზაციისა და მდგრადი განვითარების მიმართულებებზე რეკომენდაციების შემუშავება.

პროექტით გათვალისწინებული ძირითადი **ამოცანები:**

1. მცირე და საშუალო ფირმების ციფრიზაციის პრობლემების შესახებ ჩატარდება ბიბლიოგრაფიული კვლევა;
2. საკვლევი პრობლემის შესახებ განხორციელდება სტატისტიკური მონაცემების მოპოვება;
3. მოპოვებული მონაცემები დაჯგუფდება ერთგვაროვნების მიხედვით, დამუშავდება და გაანალიზდება;
4. შესწავლილი იქნება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნეს რეგისტრი და განისაზღვრება საკვლევი ბაზა;
5. რაოდენობრივი კვლევისათვის მომზადდება კითხვარები და შესაბამისი სახელმძღვანელოები/გზამკვლევები;
6. ჩატარდება რაოდენობრივი კვლევა;
7. მოხდება ფოკუს ჯგუფების ფორმირება და მათთან ჩატარდება ინტერვიუები;
8. განხორციელდება სამუშაო შეხვედრების ორგანიზება ბენეფიციარებთან;
9. კვლევის შედეგად მიღებული მასალები დამუშავდება შესაბამისი პროგრამული პაკეტებით და შედეგები განზოგადდება;
10. მომზადდება კვლევითი პროექტის ანგარიში;
11. შესრულდება სამეცნიერო სტატიები რეფერირებად ჟურნალებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების შრომათა კრებულებში, ასევე, გამოსაცემად მომზადდება მონოგრაფია;
12. მომზადდება კვლევითი პროექტის ანგარიშის პრეზენტაცია და მოხდება მისი წარდგენა.

**კვლევის მეთოდოლოგია**

კვლევით პროექტში გამოყენებული იქნება სხვადასხვა მიდგომა და მეთოდი. ბიბლიოგრაფიული კვლევით შეფასდება ციფრული ტრანსფორმაციის, საჯარო შესყიდვების, მცირე და საშუალო ფირმების მდგრადი განვითარების შესახებ არსებული კვლევითი ნაშრომები, პროექტები და ანგარიშები. გაანალიზდება პრობლემის შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების ვებ-გვერდები, საქართველოს ეკონომიკური პროფილის სამინისტროების, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის ბაზების გამოყენებით შეირჩევა საკვლევი ფირმები და Google Doc-ზე განთავსებული სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით ჩატარდება რაოდენობრივი კვლევა.

ციფრული ტრანსფორმაციისა და საჯარო შესყიდვების მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების შესაფასებლად განხორციელდება თვისებრივი კვლევა. კომპონენტის განსახორციელებლად გამოყენებული იქნება მიზნობრივი შერჩევის მეთოდი, ჩატარდება ინტერვიუები საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან.

ციფრული ტრანფორმაციის პროცესის შესაფასებლად დამატებითი კითხვარები ელექტრონული ფოსტით გადაეგზავნება კერძო სექტორის წარმომადენლებს. ანალიზის მიზნების შესაბამისად რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევით მიღებული მონაცემები დამუშავდება MS EXCEL-ისა და SPSS-ის პროგრამული პაკეტებით.

გამოყენებული იქნება შედარების, ანალიზის, ექსპერტული, მატრიცული და სხვა მეთოდები.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ლაზარიაშვილი, თ.** (2023). სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მიმართულებები საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, VIII

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში”, 3 ნოემბერი, თბილისი, 2023.

2. **ლაზარიაშვილი, თ.** (2023). რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტ-მპორტზე. საქართველოს ეკონომისტთა V ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია ,,საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში“, 8 სექტემბერი, თბილისი, 2023. **DOI**: https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-36-55

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ლაზარიაშვილი, თ.** (2023). სადაზღვევო ბაზრის განვითარების გამოწვევები საქართველოში Challenges of Insurance Market Development in Georgia. ეკონომიკა და ფინანსები ყოველკვარტალური საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი Economics and Finance Quarterly International Referred and Reviewed Scientific Journal UDC(უაკ)050:[33+336] ე-491, **ISSN** – 2587 – 5000, ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი Larnaca (Cyprus) April 2, 2023

2. **ლაზარიაშვილი, თ.** (2023). საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარების ტენდენციები და სადაზღვევო რისკები. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით“, 7-8 ოქტომბერი, 2023 წელი **E ISSN** 2587 - 4691

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

*1. სტატიაში შესწავლილია საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარების გამოწვევები, შეფასებულია სადაზღვევო ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი ასპექტები, დასაბუთებულია სახელმწიფოსა და სადაზღვევო კომპანიების კოორდინაციით საკანონმდებლო აქტების შემუშავების, კადრების მომზადება-გადამზადების, ბაზრის მონოპოლიისაგან დაცვის, კომპანიების მოზიდული საშუალებების ინვესტირებისათვის საფონდო ბაზრის განვითარების აუცილებლობა.*

*ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები სადაზღვევო ბაზრის განვითარების აუცილებლობის*

*შესახებ და შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.*

*2. სტატიაში შესწავლილია საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარების ტენდენციები და სადაზღვევო რისკები, შეფასებულია სადაზღვევო ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი ასპექტები, დასაბუთებულია სახელმწიფოსა და სადაზღვევო კომპანიების კოორდინაციით საკანონმდებლო აქტების შემუშავების, კადრების მომზადება-გადამზადების, ბაზრის მონოპოლიისაგან დაცვის, კომპანიების მოზიდული საშუალებების ინვესტირებისათვის საფონდო ბაზრის განვითარების აუცილებლობა.*

*ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები სადაზღვევო ბაზრის განვითარების აუცილებლობისა და რისკების შემცირების შესახებ, შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.*

***ასისტენტ პროფესორი ნინო ლობჟანიძე***

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Kharaishvili E., Lobzhanidze N., (2023). CLOTHING MARKET: IMPACT OF INDUSTRIAL REVOLUTIONS, TRENDS AND PERSPECTIVES. Innovative Economics and Management, 10(3), 24-36. DOI: https://doi.org/10.46361/2449-2604.10.3.2023.24-36

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ტანსაცმლის ბაზარი: ინდუსტრიული რევოლუციების გავლენა, ტენდენციები და პერსპექტივები

სტატიაში შეფასებულია ტანსაცმლის ინდუსტრიის როლი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდაში. ბიბლიოგრაფიულ კვლევაზე დაყრდნობით გაანალიზებულია ტანსაცმლის ძირითადი ხაზები და ტანსაცმლის მოდის ინდუსტრიის განვითარებაზე მოქმედი ისტორიული, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა ფაქტორები. დასაბუთებულია, რომ ტანსაცმლის მოდის ინდუსტრიის მთავარი მიმართულებები და ბაზრის განვითარების მახასიათებლები ყველაზე თვალნათლივ ისტორიულად ინდუსტრიული რევოლუციების დონეების მიხედვით იკვეთება. შესაბამისად, ტანსაცმლის მოდის ინდუსტრიის განვითარების ძირითადი ეტაპები და ბაზრის განვითარების მახასიათებლები ოთხი ინდუსტრიული რევოლუციის ფონზეა შეფასებული.

ანოტაცია. მიმდინარე გლობალური კრიზისის პირობებში მოსახლეობის ცხოვრების დონისა და შრომითი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია მათი შემოსავლების ეფექტიანი სახელმწიფო რეგულირება, სადაც მნიშვნელოვან როლს შრომის ანაზღაურება და მინიმალური ხელფასი ასრულებს. ეს უკანასკნელი განეკუთვნება იმ მინიმალურ სოციალურ სტანდარტს, რომელიც წარმოადგენს დაქირავებულ მომუშავეთა სოციალური დაცვის გარანტს. მასში პირდაპირ აისახება ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, სოციალური დაცვის დონე და ხარისხი. ამჟამად მსოფლიოს ქვეყნების 90%-ზე მეტს დადგენილი აქვს მინიმა- ლური ხელფასი საკანონმდებლო წესით. შესაბამისად, მინიმალური ხელფასის პრობლემა, მისი განსაზღვრა და რეგულირება განვითარებული ქვეყნების სამთავ- რობო და პროფკავშირული ორგანიზაციების მუდმივი ყურადღების ცენტრშია. ნაშრომში წარმოდგენილია მინიმალური ხელფასის განსაზღვრის, სახელმწიფო რეგულირების თავისებურებების შეფასება განვითარებულ ქვეყნებში. განხილულია მისი დონისა და დინამიკის ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მის საკანონმდებლო რეგულირებას, შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის დაწე- სებისას მისი დადებითი და უარყოფითი მომენტების შეფასებას. კვლევის ძირი- თადი შედეგები განზოგადოებულია ნაშრომის დასკვნით ნაწილში.

2.თანამედროვე გლობალიზაცია, ადამიანისეული კაპიტალი და ეკონომიკური ზრდა საქართველოში: მაკროასპექტი
DOI: 10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Givi.Bedianashvili/Murman.Tsartsidze/
Nino.Mikeladze/Zviad.Gabroshvili

**ანოტაცია.** თანამედროვე გლობალურ გარემოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადამიანისეულ კაპიტალთან და ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებული პრობლემატიკა. პირველ რიგში, საჭიროა გამოვლინდეს თვით გლობალიზაციის პროცესის სპეციფიკა, რაც განაპირობებს როგორც მსოფლიოს, ისე ცალკეული ქვეყ- ნების სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირების და განვითარების თავისებურებებს, ეკონომიკური ზრდის კონტექსტით ადამიანისეული კაპიტალის მიმართ ახალ მოთხოვნებს და გამოწვევებს. გლობალიზაციის უკვე არსებული თა- ვისებურებების გარდა, საჭიროა მცირე ქვეყნების სპეციფიკის გათვალისწინებაც. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მცირე ქვეყნები გამოირჩევიან სოციალურ- ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირების და განვითარების განსხვავებული მე- ქანიზმებით. წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს მცირე ქვეყნებში ადამია- ნისეული კაპიტალის და ეკონომიკური ზრდის ურთიერთმიმართების სისტემური ანალიზი, ჯანმრთელობის, განათლების და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, სა- ქართველოსთვის ცალკეული რეკომენდაციების შემუშავება.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ადამიანისეული კაპიტალი, ეკონომიკური ზრდა, განათლება, ჯანმრთელობა, მოთხოვნადი უნარ-ჩვევები

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

**1.ცარციძე მ. ლაცაბიძე ნ.** შრომის ბაზარი და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ცვლილების ტენდეციები საქართველოში თანამედროვე გლობალური კრიზისის პირობებში. თსუ-ის 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენცია: ,,მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები". თბილისი, 02.02.2023წელი. გვ. 303-313. https://tsu.ge/assets/media/ files/7/ekon.%20konf.%20kreb..pdf;

2.**ბედიანაშვილი გ. ცარციძე მ. მიქელაძე ნ. გაბროშვილი ზ.** გლობალიზაცია, ადამიანისეული კაპიტალი და ეკონომიკური ზრდა: თანამედროვე გამოწვევები და შესაძლებლობები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში". 03.11.2023 წელი.

**3.ცარციძე მ. გაბადაძე შ.** გიგ-ეკონომიკა (Gig Economy) და მისი განვითარების ტენდენციები საქართველოში თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში. საქართველოს ეკონომისტის დღისადმი მიძღვნილი V ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია "საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში". გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, თბილისი 08 სექტემბერი, 2023 წელი. გვ. 213-224.
V_ეროვნული_სამეცნიერო_კონფერენციის_კრებული_ISBN_DOI.pdf (gruni.edu.ge)

*ასოცირებული პროფესორი მზია შელია*

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი საქართველოში დემოგრაფიული მეცნიერების ფორმირებასა და განვითარებაში ( Contribution of Ivane Javakhishvili to the formation and development of demographic science in Georgia) ISSN 0132-1447; მოამბე,ტ.17.#3.2023 საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი.

2. კოვიდ -19-ის გავლენა საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ ყოფაზე ISBN 987-9941-8-5507-8 **დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. შრომების კრებული.** გამომცემლობა "Art Colors.**2023**. გვ. 117-136

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1. ივანე ჯავახიშვილის როლი ისტორიული დემოგრაფიის და ზოგადად, დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების ფორმირებაში განუზომელია. დიდია მისი წვლილი დემოგრაფიული წერილობითი ძეგლების მოძიებაში, აღწერა - ანალიზსა და მეცნიერულ შეფასებაში. ივანე ჯავახიშვილმა ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით დაასაბუთა საქართველოში მოსახლეობის პერიოდული (7 წელში ერთხელ) აღწერის ტრადიციულობა, შეისწავლა მოსახლეობის აღწერის კონკრეტული მიზნები, აღწერის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროები, დაასაბუთა აღწერის პროგრამის არსებობა და გამოავლინა მოსახლეობის არასწორი აღრიცხვის შემთხვევაში დამნაშავეთა სამართლებრივი სასჯელის მაშინდელი ნორმები; შეაფასა ომების გავლენა რეგიონის მოსახლეობის ტერიტორიულ მოძრაობაზე და, შესაბამისად, დემოგრაფიულ კლებაზე; ასაკი განიხილა, როგორც დემოგრაფიული კატეგორია და არსებულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით დააზუსტა ადამიანის სასიცოცხლო ციკლის პერიოდიზაციის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია, გვიჩვენა როგორი იყო წარსულში ქართული საზოგადოების დამოკიდებულება შვილიანობისადმი. მიუხედავად დემოგრაფიული წერილობითი ძეგლების სიმწირისა და ფრაგმენტულობისა, მას ეკუთვნის პირველი მცდელობა საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის დადგენისა მე-13 საუკუნეში. ივანე ჯავახიშვილი უშუალოდ მონაწილეობდა თანამედროვე მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის აღიცხვის მოწესრიგებაში. მის საარქივო მასალაში აღმოჩნდა მკვლევართათვის მანამდე უცნობი დოკუმენტი, რომელშიც 1926 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალის კრიტიკული ეთნოდემოგრაფიული ანალიზია. მასში დასაბუთებულია რომ მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურის დამახინჯებულმა აღრიცხვამ შეიძლება ქვეყანა პოლიტიკურად გამოუსწორებელ შედეგებამდე მიიყვანოს. ერთის მხრივ, ეს ვლინდება ტერიტორიული საზღვრების დამახინჯებაში, მეორეს მხრივ, ახალი ეკონომიკური სისტების მაღალ სოციალურ ფასში. მისი მოსაზრებები დღესაც მეტად აქტუალურია და გასათვალისწინებელია მოსახლეობის აღრიცხვის პროგრამების შედგენისას.

ივანე ჯავახიშვილის არქივში დიდძალი მასალაა, რომლის გადამუშავება და გამოცემა დიდმა ისტორიკოსმა ვერ მოასწრო. მისი შესწავლა, ეკონომისტთა და დემოგრაფთა მხრიდან დიდ ყურადღებას მოითხოვს. მითუმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ეკონომიკური ისტორიის პირველ წიგნში იგი შემდგომი კვლევის მეთოდოლოგიის გაუმჯობესებისათვის ფასდაუდებელ რჩევებსაც იძლევა

2. კოვიდ -19-მა მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ყოფა. მსოფლიო სანიტარულმა კრიზისმა საქართველოს ღრმა ეკონომიკური და სოციალური კრიზისიც გამოიწვია. მოსახლეობა ახალ რეალობასთან ადაპტაციისას მრავალ სირთულეს წააწყდა.

ჩვენი მიზანი იყო, დაგვედგინა კონკრეტულად რა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები გამოიწვია პანდემიამ საქართველოს მოსახლეობის ყოფით ცხოვრებაში. როგორ შეიცვალა მისი ეკონომიკური აქტივობა, დემოგრაფიული ქცევა, სოციალური განწყობა და ტერიტორიული მობილობა. ასევე გვეჩვენებინა, როგორ უმკვლავდება საზოგადოება პანდემიის დროს წარმოშობილ ეკონომიკურ თუ სოციალურ საფრთხეებს.

კვლევა, ძირითადად, ეყრდნობა ავტორის მიერ 2021 წელს თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრში ჩატარებულ სოციოლოგიური კვლევის მასალებს. აგრეთვე, გამოყენებულია დემოგრაფიისა და

სოციოლოგიის ინსტიტუტისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის ინფორმაცია.

კვლევით დადგინდა, რომ უამრავი პრობლემა, რომლიც წლების მანძილზე გადაუჭრელი იყო ქვეყნის მასშტაბით, პანდემიისას კიდევ უფრო გამძაფრდა. კერძოდ, გაიზარდა უმუშევრობა, შემცირდა მოსახლეობის შემოსავლები, გაუარესდა მოსახლეობის ჯანმრთელობა. შემცირდა მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო მოსალოდნერლი ხანგრძლივობა. სტრესულმა გარემომ გაზარდა ფსიქოლოგიური დაძაბულობა, მღელვარება. ემიგრანტების ნაწილი მოაბრუნა საკუთარი ქვეყნისაკენ, შიგა მიგრანტები კი მიმართა ქალაქგარე დასახლებებისაკენ. საერთო გაჭირვებამ გააძლიერა სოლიდარული ურთიერთობები საზოგადოებაში და უფრო მჭიდრო გახადა ურთიერთობები ოჯახში, მათ შორის, თაობათაშორისი ურთიერთობები.გამოვლინდა თვითმოვლითი ქცევის დაბალი კულტურა.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

1. მზია შელია (თანაავტორი მ. ტუხაშვილი)

Formation and Employment of the Retirement Age Workforce in Post-Soviet Georgia. (**2023**). In: Maximova, S.G. (eds) Complex Social Systems in Dynamic Environments. Lecture Notes in Networks and Systems, vol 365. **Springer**, Cham. https://doi.org/10.1007/978-3-031-23856-7_31. p:333-345(co-Authorship M, Shelia). ISBN :978-3-031-23855-0;

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

პოსტსაბჭოთა პერიოდში მოსახლეობის დაბერების აჩქარების გამო ყოველი მეხუთე მოქალაქე საპენსიო ასაკისაა. გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში ამ კონტინგენტის მოსახლეობის შემოსავლები მცირეა. ამიტომ მათი ეკონომიკური აქტიურობის ზრდა ამ პრობლემისაგან დაღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა.

ამ მიზნით შესწავლილი იქნა საპენსიო ასაკის მოსახლეობის შრომითი პოტენციალის ფორმირებისა და გამოყენების შესაძლებლობები. კერძოდ, შეფასდა მათი განათლებისა და ჯანმრთელობის პოტენციალი, შრომითი მოტივაცია, დასაქმებისა და უმუშევრობის მიზეზები, პროფესიული უნარების განვითარებისა და გამოყენების შესაძლებლობები, მათ მიერ პენსიის გარდა სხვა მიღებული შემოსავლები.

ნაშრომი ეყრდნობა როგორც მოსახლეობის საყოველთაო აღწერის, ასევე მიმდინარე აღრიცხვის ინფორმაციას, ავტორთა მიერ 2004, 2008, 2018წწ საპენსიო ასაკის პირთა შესახებ ჩატარებულ სოციოლოგიური კვლევის მასალებს, რომელიც პირველად ქვეყნდება.

კვლევით გამოვლინდა, რომ ცხოვრების დონის დაქვეითებამ შეცვალა მათი დამოკიდებულება ოჯახში შვილთა რიცხოვნობის მიმართ და გაზარდა თაობათაშორისი ტრანსფერტის მნიშვნელობა. დადგინდა, რომ მაღალია პენსიონერთა შრომითი პოტენციალი, რაც შრომაში მათი მასობრივი ჩართვის პირობებს ქმნის.

ამ კონტინგენტში მიმდინარეობს შრომის, როგორც ფასეულობის დევალვაცია, რაც ქმნის უწყვეტი განათლების სისტემის ფუნდამენტური გარდაქმნის აუცილებლობას, მოითხოვს ჯანდაცვის მენეჯმენტის, მომსახურების სისტემის გაუმჯობესებას, რაც რაციონალური დასაქმების პირობებში გამოიწვევს მათ შრომითი პოტენციალის უფრო სრულად გამოყენებას.

*ასისტენტ პროფესორი მარინა ტაბატაძე*

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება**

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,მაკროეკონომიკის კათედრა, **მარინა ტაბატაძე**

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. *თსუ, ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი საგრანტო პროექტი* ***„პოსტკრიზისული რეაბილიტაციის ეკონომიკური სტრატეგია და ძირითადი მიმართულებები საქართველოში“.*** *25.02.2023 – 25.11.2023*

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

*1.* ***მარინა ტაბატაძე*** *- გრანტის ხელმძღვანელი, ძირითადი შემსრულებელი*

*2.* ***მალხაზ ჩიქობავა*** *- ძირითადი შემსრულებელი*

***3.მარიამ აბულაძე*** *- დამხმარე პერსონალი*

***4.ალექსანდრე ბერუაშვილი*** *- დამხმარე პერსონალი*

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

*კვლევით პეორქტში შეფასდა სახელმწიფოს როლი ეკონომიკის სტაბილიზაციაში და განისაზღვრა ანტიკრიზისული სტრატეგიის გავლენა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაზე, გაანალიზდა კრიზისით გამოწვეული ეკონომიკის ვარდნის, მისი სტრუქტურული ტრანსფორმაციის და სოციალური გარემოს ცვლილების ძირითადი ტენდენციები, მოხდა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაზე მოქმედი ანტიკრიზისული მექანიზმების დივერსიფიცირება და კრიზისიდან ეკონომიკის გამოსვლის მაკროეკონომიკური ფაქტორების რანჟირება. შესწავლილი იქნა ეკონომიკური პროფილის ძირითადი სახელისუფლებო უწყებების მასალები, აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეფასდა ხელისუფლების როლი პოსტკრიზისულ პერიოდში ეკონომიკის სტაბილიზაციის საკითხებში;*

*მსოფლიო პანდემიური კრიზისის ანალიზთან ერთად, გამოკვლეული იქნა საქართველოში მისი მიმდინარეობის თავისებურებები, ეკონომიკური სისტემის მართვის სპეციფიკური ნიშნები და მათი გავლენა კრიზისის შედეგებზე. შესწავლილი იქნა ეკონომიკური ვარდნის, სტრუქტურული ტრანსფორმაციის და განვითარების პროცესის ცვლილების ძირითადი მიმართულებები საქართველოში, გაანალიზდა გლობალური პოსტკრიზისული აქტივობები და ეროვნული ეკონომიკის მართვის თანამედროვე მიმართულებები საქართველოში, გამოკვლეული იქნა ამ პროცესის შესაბამისობა ევროკავშირის სტანდარტებთან. სსფ-ის და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების საფუძველზე შეფასდა კრიზისის მართვის სამთავრობო რეგულაციები და სხვადასხვა ანტიკრიზისული სცენარის სავარაუდო შედეგები;*

*ჩატარებულმა სამუშაომ შესაძლებელი გახადა კრიზისიდან გამოსვლის მეცნიერული თეორიის ცალკეული ასპექტის შემუშავება და მათი კონსოლიდირების გზით, პოსტკრიზისული სტრატეგიის კონცეპტუალური სტრატეგიის ჩამოყალიბება. კვლევითი პროექტის მთავარი შედეგიაის, რომ შემუშავდა კრიზისების მართვის უნიფიცირებული, ერთიანი ჩარჩო-სტანდარტი, რაც სხვადასხვა შოკის პირობებში ანტიკრიზისული მექანიზმების კომბინირებული გამოყენების განსხვავებულ ვარიაციებს იძლევა, ამ მიზნით, გამოიყო სხვადასხვა სტანდარტული სიტუაცია და განისაზღვრა მათი მართვის ძირითადი ინსტრუმენტები. ჩარჩო-სტანდარტი პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს ეკონომიკის მართვის სახელმწიფო სტრუქტურებს.*

საგრანტო პროექტის შედეგები აისახა სამეცნიერო სტატიაში **„ეკონომიკის რეაბილიტაციის სახელმწიფო სტრატეგია პოსტკრიზისულ პერიოდში“** (ინგლ.ენაზე),

რომელიც გამოქვეყნდა თსუ, პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის ჟურნალში **„ეკონომიკა“**, N4, 2023
https://www.pgie.tsu.ge/index .php?menuid=17&lang=1&id=152
ჟურნალი აღიარებულია **ERIH-ის (European Reference Index of the Humanities)** მიერ
5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. ტაბატაძე მ. **„სახელმწიფოს პოსტკრიზისული სტრატეგია“**, ISBN 978-9941-36-165-4. თბილისი, თსუ გამომცემლობა. 390გვ.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1. *მონოგრაფიაში განხილულია თანამედროვე ეკონომიკური კრიზისები და პოსტკრიზისულ პერიოდში ეკონომიკის რეაბილიტაციის სახელმწიფო სტრატეგიები, შეფასებულია ეკონომიკის თანამედროვე მმართველობითი სტანდარტები და მისი სტაბილური განვითარების სტრატეგიები. წიგნში მოცემულია კრიზისების სახელმწიფოებრივი რეგულირების სამართლებრივი და ინსტიტუციური საფუძვლები, შესწავლილია კრიზისების პრევენციის და მართვის მსოფლიო გამოცდილება, გაანალიზებულია ხელისუფლების ანტიკრიზისული პოლიტიკის გავლენა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებასა და პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველყოფაზე.*
*გლობალური მსოფლიოსათვის დღეს ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორად გეოპოლიტიკური საფრთხეების პრევენცია და ინკლუზიური სტაბილურობის უზრუნველყოფა ხდება. ეს სახელმწიფოს ეკონომიკური არსის, მისი მმართველობითი კონცეფციის აქტუალიზებას ახდენს. ხელისუფლების მიზანი ეკონომიკური სტაბილიზაციის და პროგნოზირებადობის უზრუნველყოფა ხდება, რაც სისტემური რისკების იდენტიფიცირებას, რის-ფაქტორების მიმართ სახელმწიფოს სწორი სტრატეგიის განსაზღვრას და გლობალურ მოთხოვნებთან ეროვნული ინტერესების ჰარმონიზებას მოითხოვს. დღეს ქვეყნების მომავალს განვითარების თანამედროვე ტენდენციებთან მათი ადაპტირების უნარი,*
*მსოფლიო ბაზრებზე სწორი პოზიციონირების და ეკონომიკურ დისპროპორციებზე ეფექტური რეაგირების შესაძლებლობები განსაზღვრავს. ნაშრომის მეცნიერული კვლევის მიზანს კრიზისის მიმდინარეობის და მის შემდგომ პერიოდში ეკონომიკის რეაბილიტაციის სახელმწიფო პოლიტიკის შესწავლა შეადგენს. ყურადღებას იქცევს ავტორის მიერ პოსტკრიზისულ პერიოდში ბაზრების დაბალანსების, ერთიან გლობალურ ანტიკრიზისულ სტრატეგიაში ქვეყნების ინტეგრირების, განვითარების, ინფლაციის და სახელმწიფო ვალის პრობლემების კვლევა. წიგნში განხილულია კრიზისის მართვის სამთავრობო სცენარები, მათი საპროგნოზო შედეგები მსოფლიოსა და ცალკეულ ქვეყანაში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კრიზისის დროს და პოსტკრიზისულ პერიოდში ეკონომიკის მართვის საქართველოს სახელისუფლებო პლატფორმის მეცნიერულ ანალიზს და შედეგების განზოგადებას, რამდენადაც ჩვენი სტრატეგია უაღრესად წარმატებული და პრეცედენტული გამოდგა მთელი მსოფლიოსათვის.*
*კვლევის მეცნიერულ სიახლეს პოსტკრიზისულ პერიოდში ეკონომიკის სტაბილიზაციის სტრატეგიის განსაზღვრა, მისი მექანიზმების შესწავლა და მარეგულირებელი სტანდარტების შემუშავება წარმოადგენს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტორის მიერ შედგენილი კრიზისის მართვის ერთიანი უნიფიცირებული ჩარჩო-სტნდარტი, რომელიც სხვადასხვა შოკის პირობებში ანტიკრიზისული მექანიზმების კომბინირების განსხვავებულ ვარიანტებს იძლევა. მონოგრაფიას მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ანტიკრიზისულ საკითხებზე*

*მომუშავე სახელისუფლებო სტრუქტურებისათვის, მკვლევარებისთვის, სტუდენტებისა და კრიზისების მართვის საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.*

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ტაბატაძე მ. (2023) **„ეკონომიკის სახელმწიფო მხარდაჭერის სტრატეგია პოსტკრიზისულ პერიოდში“**, .ჟურ.“ეკონომიკა და ბიზნესი“, თსუ, N4, doi: 10.56079, ISSN 1987-5789, https://eb.tsu.ge/?cat=kof&leng=ge

2. ტაბატაძე მ. , ჩიქობავა მ. (2023) **“State Strategy of Economic Rehabilitation During a Post-crisis Period”. „ეკონომიკის განვითარების სტრატეგია პოსტკრიზისულ პერიოდში“** (ინგლ.ენაზე). ჟურ. „ეკონომისტი“, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, N4, DOI: 10.36172, ISSN 1987-6890, https://www.pgie.tsu.ge/index.php?menuid=17&lang=1&id=152

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

*1. ხელისუფლების მნიშვნელოვანი ფუნქცია განვითარების რისკების პრევენცია, სწორი ანტიკრიზისული პოლიტიკის შემუშავება და გლობალურ მოთხოვნებთან მისი ჰარმონიზებაა. პანდემიურმა პროცესებმა სახელმწიფოს ეკონომიკური არსის, მისი მმართველობითი ფუნქციის განსაკუთრებული აქტუალიზება მოახდინა. ნაშრომში განხილულია ინტეგრაციული პროცესების ეფექტიანი მართვის სტრატეგიები და სახელმწიფო მართვის სისტემის მექანიზმები, გაანალიზებულია ხელისუფლების ეკონომიკური ფუნქციები არასტაბილური განვითარების პირობებში, ანტიკრიზისული პოლიტიკის გავლენა სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაზე და განვითარების სტაბილიზაციაზე.*

*სტატიაში მოცემულია კრიზისულ გარემოში სისტემების სწორი კოორდინირების და ფუნქციების ოპტიმალური განაწილების საკითხები. განხილულია კრიზისის შემდგომ პერიოდში ეკონომიკის მართვის თანამედროვე კონცეპტუალური მიდგომები, გაანალიზებულია ეროვნული ანტიკრიზისული რეფორმების გლობალურ სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხები.*

*სტატიაში განხილულია პანდემიური კრიზისის ეფექტიანი მართვის მიზნით საქართველოში განხორციელებული რეფორმები, ხელისუფლების ანტიკრიზისული გეგმა და 2021-2022 წლების პოსტკრიზისული სტრატეგიები, მისი ძირითადი ინსტრუმენტები და რეალური ეფექტები. ნაშრომში შეფასებულია ეკონომიკის სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი ფორმები და მათი მაკროეკონომიკური შედეგები.*

*2. სტატიაში განხილულია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის მმართველობის სტანდარტები და მისი სტაბილური განვითარების სტრატეგიები, შეფასებულია კრიზისულ გარემოში გლობალური ეკონომიკის სწორი კოორდინაციისა და სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ცალკეულ დონეებს შორის ფუნქციების ოპტიმალური განაწილების საკითხები.*

*მიმდინარე ეტაპისათვის ეკონომიკური რყევების ტრანსნაციონალური ხასიათი და ეკონომიკური კრიზისების ფორმირებაში არაეკონომიკური ფაქტორების როლის ზრდაა დამახასიათებელი, რის გამოც განსაკუთრებით გართულებულია განვითარების პროცესის პროგნოზირება და სწორი სტრატეგიის განსაზღვრა. ასეთ ვითარებაში კრიზისის მართვის მნიშვნელოვანი მახასიათებელი გლობალური ინფორმაციის გადაცემის უწყვეტი ჯაჭვის უზრუნველყოფა და მმართველობითი სტრუქტურების სახელმწიფოთაშორისი კოორდინაცია გახდა, ამასთან, აქტუალურია ეკონომიკის რაციონალური მართვისა და სტრუქტურული გარდაქმნების საკითხები.*

*სახელმწიფოს მარეგულირებელ ფუნქციებში გამოიკვეთა დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის გატარების, კაპიტალის მობილობის უზრუნველყოფის და გაცვლითი კურსის*

*სტაბილურობის პრობლემები. მიმდინარე პროცესებმა ხაზი გაუსვა გლობალური ეკონომიკის სწორი კოორდინაციისა და სოციალურ-ეკონომიკური სისტემების დონეებს შორის ფუნქციების ოპტიმალური განაწილების მნიშვნელობას, მან ნათლად აჩვენა მთავრობების როლი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაში.*

*სტატიაში მოცემილი ემპირიული კვლევა აფასებს კრიზისების მართვის გლობალურ ტენდენციებს, იგი სწავლობს საქართველოს გამოცდილებას კრიზისის მართვის და პოსტკრიზისული რეაბილიტაციის და განვითარების სტრატეგიის განსაზღვრის პროცესებში. ნაშრომში გაანალიზებულია გლობალური ანტიკრიზისული მექანიზმები და ეროვნული რეფორმები, გამოკვლეულია მათი შესაბამისობა გლობალურ და ევროპულ სტანდარტებთან. სტატიაში მოცემულია პოსტკრიზისული პერიოდის პროგნოზები და განსაზღვრულია ოპტიმალური განვითარების სტრატეგიები არასტანდარტულ გარემოში, შემუშავებულია რეკომენდაციები მეცნიერ-მკვლევარებისა და საჯარო მოხელეთათვის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების და პოსტკრიზისული რეაბილიტაციის საკითხებზე.*

*კვლევებმა აჩვენა, რომ გატარებული რეფორმების შედეგად, საქართველომ გამოიყენა შესაძლებლობა, გამხდარიყო უსაფრთხო და მიმზიდველი ქვეყანა უცხოური ინვესტიციებისთვის, წარმატებით ეთამაშა რეგიონული ლიდერის როლი და განეხორციელებინა ეკონომიკის ლიბერალური ადმინისტრირება, რაც ევროინტეგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. სატრანსპორტო დერეფნიდან რეგიონის ლოგისტიკურ ჰაბად გარდაქმნა ძირეულ ცვლილებებს მოითხოვს, რაც დეტალურად არის გამოკვლეული წარმოდგენილ სტატიაში.*

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ტაბატაძე მ., თანდილაშვილი ნ., ბალეშ ს. (2023) "The role of affective ties in the asymmetrical relationship between student satisfaction and loyalty. Comparative study of European business schools**". „ემოციური კავშირები როლი სტუდენტთა კმაყოფილებასა და ლოიალობას შორის არსებულ ასიმეტრიულ ურთიერთობებში. ევროპული ბიზნეს სკოლების შედარებითი ანალიზი". Journal of Higher Education Marketing, 2023, vol 33, N 1, https://doi.org/10.1080/08841241.2023.2204468 ***სკოპუსის ციტირების იდექსი - 5,7.***

2. **ტაბატაძე მ.** (2023) **„Fiscal policy as a mechanism of post-crisis rehabilitation. The case of Georgia during the post Covid-19 economic crisis",** „ფისკალური პოლიტიკა, როგორც პოსტკრიზისული რეაბილიტაციის მექანიზმი. საქართველოს მაგალითი კოვიდ-19-ის შემდგომი ეკონომიკური კრიზისის დროს". Journal of International Economic Research, vol.8, N 1, ISSN 2500-9656, https://irissymposium.wixsite.com/jier

***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

*1.სტატია განიხილავს უმაღლესი განათლებაში მზარდი კონკურენტული გარემოს კონტექსტში სტუდენტების კმაყოფილების განმსაზღვრელ ფაქტორებს ევროპულ ბიზნეს სკოლებში. კვლევა ჩატარდა ფრანგულ და ქართულ ბიზნეს-სკოლების 551 სტუდენტის გამოკითხვის საფუძველზე. კვლევის ჰიპოთეზების შესამოწმებლად გამოყენებული იქნა სტრუქტურული განტოლების მოდელირება. თვისებრივი მონაცემების ანალიზის გზით გამოვლენილი იქნა ბიზნეს სკოლის სტუდენტების კმაყოფილების განმსაზღვრელი ფაქტორები და შეფასდა სტუდენტთა კმაყოფილების პოზიტიური გავლენა მათ ლოიალობაზე. დასკვნებმა აჩვენა არათანაბარი კავშირის არსებობა ამ ორ იდეას შორის, სავარაიდოდ, სტუდენტთა*

*ლოიალობის შესაქმნელად, კმაყოფილების მაღალი დონის გარდა, უნდა იყოს უზრუნველყოფილი ემოციური კავშირები უმაღლეს სასწავლებლებსა და მათ სტუდენტებს შორის. აღნიშნული კვლევა თავისი შინაარსით ხაზს უსვამს მომხმარებელთა კმაყოფილების მნიშვნელობას მომსახურების ინდუსტრიაში, ემოციური კავშირების დამყარების კუთხით. კვლევა ასევე აჩვენებს არა მარტო კმაყოფილების, არამედ უკმაყოფილების ფაქტორების მნიშვნელობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება მომხმარებელთა ლოიალობის ხარისხის განსაზღვრას. კვლევის შედეგები უაღრესად მნიშვნელოვანია ბიზნეს სკოლის მენეჯმენტისთვის, ისეთი სტრატეგიების შესამუშავებლად, რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტების მოზიდვასა და შენარჩუნებას, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს სასწავლო დაწესებულების ფინანსურ საქმიანობას და წარმატებულ პოზიციონირებას*

*სტატია არის უცხოელ მეცნიერებთან ერთობლივი მრავალწლიანი კვლევის შედეგი, იგი მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება ბიზნესის ადმინისტრირების და მენეჯმენტის მიმართულების უმაღლესი სასწავლებლებისათვის სტუდენტთა სათანადო მოტივირების და სტაბილურობის ზრდის სტრატეგიების შემუშავების საკითხში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სასწავლო დაწესებულებების წარმატებულ პოზიციონირებას უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში.*

2.*მსოფლიოს დაბალანსებული განვითარების აუცილებლობამ და ეკონომიკური კრიზისების გამწვავებამ გლობალურ გარემოში ხელისუფლების ოპტიმალური ფუნქციონირება, ეკონომიკის მართვის უნიფიცირებული სტანდარტების შემუშავება, ქვეყნების დამოუკიდებელი ანტიკრიზისული პოლიტიკის ურთიერთკოორდინირება და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივების სწორი პროგნოზირება მოითხოვა. შესაბამისად, შეიცვალა სახელმწიფოს როლის ეკონომიკური კრიზისის თავიდან ასაცილებლად თუ სამართავად. ხელისუფლების მიზანია განვითარების რისკების პრევენცია, სწორი ანტიკრიზისული პოლიტიკის შემუშავება და გლობალურ მოთხოვნებთან მისი ჰარმონიზება, ეროვნული ეკონომიკის სტაბილიზაციის და ინკლუზიური ზრდის პოლიტიკის განსაზღვრა.*

*ნაშრომში განხილულია თანამედროვე პირობებში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების და პოსტკრიზისული რეაბილიტაციის ეროვნული სტრატეგიები, მისი სტრუქტურული და ინსტიტუციური უზრუნველყოფის პრიორიტეტები. ფისკალური პოილიტიკის სწორი შემუშავება და მართვა წარმოდგენილია, როგორც პოსტკრიზისული პერიოდის ეკონომიკის რეაბილიტაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი. ეკონომიკის სახელმწიფო მხარდაჭერის სტრატეგიაში განსაკუთრებული ადგილი სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვას და სახელმწიფო ვალის რეგულირების საკითხს ენიჭება, კრიზისის მართვის დასაწყისიდანვე ფისკალური პოლიტიკა საქართველოში წარმატებულად შეფასდა, რამდენადაც, მაკროეკონომიკური წონასწორობისთვის საჭირო ძირითადი შიდა რესურსები სახელმწიფომ შეინარჩუნა, რამაც უკვე 2021 წელს ქვეყანაში ეკონომიკის აღდგენის უპრეცედენტო ტემპები განაპირობა. საქართველოს ხელისუფლების ფისკალური სტრატეგიის და მისი ძირითადი მაკროეკონომიკური შედეგების გამოკვლევა არის წარმოდგენილი სტატიის ძირითადი მეცნიერული შედეგი.*

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ტაბატაძე მ.,** (2023) **„ხელისუფლების ანტიკრიზისული სტრატეგია და ქვეყნის განვითარების პერსპექტივები“**. სტუ მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“. 25 მაისი, 2023, თბილისი.

2. **ტაბატაძე მ.**, თანდილაშვილი ა. (2023) **„ბიუჯეტის ადმინისტრირების მექანიზმები გლობალური ეკონომიკის პირობებში“**. გრიგოლ რობაქიძის სახ. უნივერსიტეტი,

ეკონომისტთამე-5 ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფრონტაციული ეკონომიკის პირობებში“, 8 სექტემბერი, 2023, თბილისი.

3. **ტაბატაძე მ.** (2023) **“საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული პრიორიტეტები პოსტკრიზისულ პერიოდში“.** თსუ, მე-8 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, 3-4 ნოემბერი, 2023, თბილისი.

*მოხსენების ანოტაცია*

*1. გლობალიზაციის ერთ-ერთი გამოწვევა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში დესტაბილიზაციისა და კრიზისების ზრდაა. ფინანსური სისტემების გლობალიზაცია აქტიურ ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკასა და ცალკეული ქვეყნის ფინანსურ ურთიერთობებზე, იწვევს რა რყევებს მასში და, შედეგად, არასტაბილურობას სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. შესაბამისად, აქტუალურია საკითხი აღნიშნული კრიზისების პრევენციის, მისი მეთოდების და ეკონომიკური რყევების უარყოფითი შედეგების შემცირების თაობაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ეკონომიკურ განვითარებაში სახელმწიფოს სულ უფრო მზარდი როლის მეცნიერული შესწავლა, მ.შ. არასტაბილური განვითარების პირობებში მისი ეკონომიკური აქტივობის ზრდის და კრიზისების პრევენციის საკითხების კვლევა. სტატიაში განხილულია სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები არასტაბილური განვითარების დროს, კრიზისების პრევენციის სამთავრობო მექანიზმები, სახელმწიფო მართვის სიტემის ფუნქციონირების ეკონომიკური ბერკეტები, საზოგადოების როლი განვითარების პროცესში და მისი მენტალური ტრანსფორმაციები ეკონომიკის ლიბერალიზაციის პირობებში. გაანალიზებულია ხელისუფლების ანტიკრიზისული პოლიტიკის გავლენა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაზე, სახელმწიფოს როლი ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის მიღწევაში.*

*2. თანამედროვე გლობალური სისტემები ახალ სტანდარტებს აყალიბებს ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკასთან მიმართებაში და არსებითად ცვლის მის პრიორიტეტებს, იცვლება ამ სისტემაში ქვეყნების მონაწილეობის ეკონომიკური სტატუსიც, მსოფლიო ეკონომიკისთვის დღეს რეგიონალიზმის ზრდა და ეკონომიკის სივრცითი სისტემების შექმნაა დამახასიათებელი, იცვლება კლასიკური ეკონომიკური კონცეფციები, იქმნება მისი ახალი მოდელი, - ეკონომიკური ნაციონალიზმის სახით, იზრდება რისკები, მათი სიმწვავე და მასშტაბები, ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი განვითარების სტაბილურობის უზრუნველყოფა და პროგნოზირებადობა ხდება, იკვეთება ეკონომიკის გამოთანაბრების, მისი სოციალური და ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხები. გლობალურ ეკონომიკას მართვის ერთიანი სისტემის დეცენტრალიზაციასთან ერთად, თვით ქვეყნებში ცენტრალიზებული მართვის ელემენტების გააქტიურება ახასიათებს, ეს მსოფლიო თანამშრომლობის ახლებური სტანდარტების შემუშავებას და განვითარების ინტეგრაციული და ეროვნული ფაქტორების დაბალანსებას მოითხოვს. კვლავ აქტუალური ხდება ეკონომიკაზე ხელისუფლების ზეგავლენის და მისი უფლებამოსილებათა დელეგირების საკითხი.*

*საჯარო მმართველობის სწორი კოორდინირება ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პრინციპს ემყარება, რაც საზოგადოების დემოკრატიული მოდელის მთავარი ფორმა და მართვის ინსტრუმენტების საზოგადოებისათვის გადაცემის საფუძველია. სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციების ოპტიმალური განაწილება, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის იერარქიული პრინციპები და უფლებამოსილებათა განაწილების ფისკალური მექანიზმები, სივრცითი ეკონომიკის სტრუქტურირების თავისებურებები და მისი საბიუჯეტო უზრუნველყოფის მექანიზმები წარმოდგენილი კვლევის ძირითადი მიზანია. ნაშრომში მოცემულია ეკონომიკის თანამედროვე მმართველობითი სტანდარტები, მისი კონცეპტუალური*

*ინსტიტუციური და სამართლებრივი საფუძვლები, გლობალურ გარემოში ეკონომიკური სისტემების სწორი კოორდინირების და ბიუჯეტის დონეებს შორის ფუნქციების ოპტიმალური განაწილების საკითხები, განხილულია ეკონომიკის მართვაში საბიუჯეტო სისტემის დეცენტრალიზაციის როლი და თავისებურებები საქართველოში.*

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ტაბატაძე მ., თანდილაშვილი ნ., თანდილაშვილი ა.** (2023) „გამოგონებიდან გლობალურ ბაზრამდე. სამეწარმეო სტარტეგია". ჩრდილოეთ ამერიკის ქეისების კვლევის ასოციაცია NACRA-ს 65ე საერთაშორისო სამეცმნიერო კონფერენცია. 5-7 ოქტომბერი, 2023, სან ანტონიო, აშშ.

2. **ტაბატაძე მ.** (2023) "Fiscal policy as a mechanism of post-crisis rehabilitation", „ფისკალური პოლიტიკა, როგორც პოსტკრიზისული რეაბილიტაციის მექანიზმი", IRIS ALKOMA, მე-9-საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „ეკონომიკა, ბიზნესი & ფინანსები", 25-29 ივლისი, იურმალა, ლატვია. https://irissymposium.wixsite.com/economics/events

***მოხსენების ანოტაცია***

*1. მოხსენება ეხება სამეწარმეო ტიპის სტარტაპის მსოფლიო ბაზარზე დამკვირდრების პროცესს და ქართული ინოვაციური სამეწარმეო სტარტაპის მაგალითზე პასუხობს მცირე ზომის მეწარმეობის განვითარების ძირეულ კითხვებს: რა საფეხურებია გასავლელი გამოგონებიდან ბაზრამდე, როგორ შეიძლება რესურსების მოპოვება ინოვაციური სტარტების შემთხვევაში, რა პრობლემებია გადასალახი, როგორი ორგანიზაციული სტრუქტურა და ლიდერობის სტილია საჭირო განვითარების შემდეგ ეტაპზე გადასვლისათვის.*

*რამდენადაც სამეწარმეო ტიპის სტარტაპებისთვის ზრდა მთავარი პრობლემაა, მეწარმეობის სამეცნიერო კვლევევბის დიდი ნაწილი სწორედ ამ საკითხს ეხება. ზრდამ, როგორც „მრავალგანზომილებიანმა და რთულმა ფენომენმა" შეიძლება მიიღოს ძალიან განსხვავებული ფორმები და დროის ჩარჩოები, სწორედ ამიტომ, კვლევებმა დააფიქსირა ზრდის სტანდარტების მნიშვნელოვანი ჰეტეროგენულობა. მეცნიერები თანხმდებიან, რომ მეწარმეობაზე არსებული დიდი ლიტერატურისა მიუხედავად, საჭიროა შემდგომი ძირეული კვლევები, რათა უკეთ იქნას შესწავლილი თუ როგორ და რა ფორმით შეიძლება მოხდეს სამეწარმეო სტარტაპის ზრდა. ავტორთა კვლევის საგანი კონკრეტულად ისეთი კონფიგურაციული ცვლილების პროცესები იყო, რომელიც სამეწარმეო ტიპის სტარტაპს საშუალებას აძლევს გამოგონებიდან კომერციულ პროდუქტამდე გაიზარდოს. ეს საკითხებიიყო ასახული წარმოდგენილ მოხსენებაში.*

***მოხსენების ანოტაცია***

*კვლევა ეხება პოსტკრიზისული რეაბილიტაციის გლობალური სტრატეგიის კონცეპტუალურ საფუძვლებს. ასეთი საფუძველია ეკონომიკის პროგნოზირებადობის აღდგენა და კლასიკური პრინციპებით მისი მართვის შესაძლებლობის უზრუნველყოფა. ევროკავშირის „ეკონომიკური თავისუფლების" შესახებ ორგანულ კანონის მიხედვით, (2011 წ.) ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც გაზრდის გამოშვების წონასწორულ სიდიდეს, ეკონომიკის რეაბილიტაციის გეგმაში პოულობს ასახვას. ასეთი ეგზოგენური ფაქტორები პირველ რიგში ფისკალური მექანიზმებია, მ.შ. - გადასახადების შემცირება და სახელმწიფო დანახარჯების ზრდა. ერთ-ერთი ნორმა შეეხება ქვეყანაში საგადასახადო ცვლილებების განხორციელებას. კრიზისის დროს ეკონომიკის სტიმულირების ინსტრუმენტად სახელმწიფო ექსპანსიურ ფისკალურ პოლიტიკას იყენებს, რა დროსაც დანახარჯების გაზრდით ან გადასახდების შემცირებით ზრდის ბიუჯეტის დეფიციტს. თუმცა, კვლევამ აჩვენა, რომ ეს, მართალია, ასტიმულირებს გამოშვებას, მაგრამ საპროცენტო განაკვეთის ზრდასაც იწვევს, რაც საინვესტიციო ანარიცხების შემცირების გამო, ბაზრებზე გამოშვების შემცირების მოლოდინს აყალიბებს. ამასთან, სარგებლის განაკვეთს ზრდა, ამცირებს*

*ერთობლივ მოთხოვნას და წმინდა ექსპორტს. იგივე ეფექტს იძლევა „ძვირი ფულის“ პოლიტიკაც, რაც საბოლოოდ, სავაჭრო დეფიციტის გადიდებას და, შედეგად, სახელმწიფო ვალის ზრდას იწვევს. მოხსენება ეხება აღნიშნული საკითხების კვლევის შედეგებს, კერძოდ, კრიზისის მართვის და მის შემდგომ პერიოდში სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტების კომნ ბილირებული გამოყენების პრობლემებს და მის მოსალოდნელ შედეგებს.*

**სხვა სამეცნიერო აქტიობები**

1. ***IRIS ALKOMA, - „კვლევების და საერთაშორისო სიმპოზიუმების ინსტიტუტი“,*** *მე-9 საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის „ეკონომიკა, ბიზნესი & ფინანსები“* ***სამეცნიერო კომიტეტის წევრი,*** *ლატვია, იურმალა, 25-29 ივლისი.*
2. ***„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ დელეგატი,*** *თბილისი, 26-27 ოქტომბერი, 2023.*
3. ***მადლობის სიგელი“*** *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილე სტუდენტების ხელმძღვანელობისათვის.*
8. *თსუ-ის* ***ჯილდო*** *მაღალრეიტინგ. ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებისთვის.*

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: ***ეკონომეტრიკის კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: პროფესორი ***იური ანანიაშვილი***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

***ასოცირებული პროფესორი აკაკი არსენაშვილი***
***ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯულაყიძე***
***ასოცირებული პროფესორი ნინო მიქიაშვილი***
***ასოცირებული პროფესორი ლია თოთლაძე***

***პროფესორი იური ანანიაშვილი***

**5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით**

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1) ავტორი/ავტორები

1. **იური ანანიაშვილი, ბექა გურგენიძე**

2) სტატიის სათაური: **Alternative Approach to Modelling Default Probabilities for Macroprudential Stress Testing.**

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი, ISSN

1. **Bulleten of the Georgian National Academy of Scieces, Vol. 17, no. 4, 2023,** ISSN 0132-1447

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

**1. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

5) გვერდების რაოდენობა **10**

***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

**დეფოლტის ალბათობის მოდელირების ალტერნატიული მიდგომა მაკროპრუდენციული სტრესტესტისათვის**

ნაშრომში განხილულია მიდგომა, რომელიც დეფოლტის ალბათობების შეფასების საშუალებას იძლევა იმ სიტუაციაში, როდესაც სესხების გადასვლები სხვადასხვა კატეგორიებში დაკვირვებადი არ არის, თუმცა არსებობს აგრეგირებული ფარდობითი მონაცემები. ჩვენი ნაშრომი განიხილავს ალტერნატიულ მიდგომას, რომელიც დეფოლტის ალბათობებს

აკავშირებს მაკროეკონომიკურ ცვლადებთან. მონტე კარლოს სიმულაციაზე დაყრდნობით ვაჩვენეთ, რომ ალტერნატიული მეთოდი მცირედით განსხვავდება პრაქტიკაში არსებული საორიენტაციო მიდგომისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ალტერნატიული მეთოდი განსაკუთრებით გამოსადეგი იქნება განვითარებადი ქვეყნებისათვის, განსკუთრებით მათთვის, რომელთა საბანკო სისტემაც ჯერ კიდევ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე (IFRS 9) გადასვლის პროცესშია. ალტერნატიული მიდგომა ცენტრალურ ბანკებს საშუალებას მისცემს სხვადასხვა მაკროეკონომიკური სცენარის დროს შეაფასონ დეფოლტის პირობითი ალბათობები, რომლებსაც საკუთარი სტრეს- ტესტის ჩარჩოსთვის გამოიყენებენ. აღნიშნულის განხორციელებით, ცენტრალურ ბანკებს შესაძლებლობა ექნებათ უკეთ შეაფასონ საბანკო სისტემის მდგრადობა, რაც მათ მაკროპრუდენციული პოლიტიკის გატარებაში დაეხმარება.

**7.1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა საქართველოში**

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

**იური ანანიაშვილი**

2) მოხსენების სათაური:

**ბაზრის ეკონომეტრიკული მოდელის შეფასება შეზღუდული ინფორმაციის პირობებში**

**3)** ფორუმის დასახელება

**„წლის საუკეთესო მიღწევა" , საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული მე-6 ღონისძიება საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისთვის.**

4) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი:

**18 დეკემბერი, თბილისი, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა.**

*ასოცირებული პროფესორი აკაკი არსენაშვილი*

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

„ცვლადსტრუქტურიანი ოპტიმალური მართვის ამოცანა ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემებისთვის", ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, ნომერი 1, 2023, ISSN 1987-5789 ; ESSN 2587-5426; doi 10.56079. 12გვ.

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)* ცვლადი სტრუქტურის ოპტიმალური მართვის ამოცანების გამოკვლევა ოპტიმალური მართვის თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. სისტემის სტრუქტურის ცვლილება ნიშნავს იმას, რომ სისტემა წინასწარ უცნობ მომენტში შეიძლება გადავიდეს მოძრაობის ერთი კანონიდან მეორეზე. უფრო მეტიც, სტრუქტურის შეცვლის შემდეგ სისტემის საწყისი მდგომარეობა დამოკიდებულია მის წინა მდგომარეობაზე. ეს აერთიანებს მათ ერთ სისტემაში ცვლადი სტრუქტურით. ასეთი პრობლემები მნიშვნელოვანია სხვადასხვა პრაქტიკული გამოყენებისთვის.

ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემა არის კომპლექსურ მოქმედებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა ძირითად მოთხოვნილების დაკმაყოფილებას დროის ყოველ მომენტში მოცემული ინტერვალიდან. საზოგადოების მიერ შექმნილი პროდუქცია ძირითადად დაკავშირებულია არსებულ მატერიალურ და შრომით რესურსებთან. გარდა ამისა, ეკონომიკური სისტემა დამოკიდებულია არსებული პოლიტიკური სისტემის არსზე, რომელიც მუდმივია მოცემულ დროის ინტერვალზე. ყველა მათგანი მიღებულია ზოგადი ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემიდან. ცხადია, ეკონომიკურ-პოლიტიკურ სისტემას აქვს

ციკლური ხასიათი და შეუღლებულია დროის ინტერვალთან (ციკლთან). ამიტომ ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის სუსტი მხარეების შესახებ ინფორმაციას მხოლოდ ციკლის ბოლოს ვგებულობთ. გარკვეული ხასიათის ეკონომიკურ-პოლიტიკურ სისტემას დროის ინტერვალში შესაძლოა ჰქონდეს თავისი ბუნების შეცვლის ტენდენცია. მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური სისტემა შეიძლება იყოს სამი ტიპის: პირველი - არადამაკმაყოფილებელი, მეორე - გარდამავალი ან ნეიტრალური და მესამე - ზედმეტად დამაკმაყოფილებელი.
ამ სტატიაში ჩვენს მიერ შემოთავაზებულია ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა ინდიკატორები, რომლებიც გვაწვდიან ინფორმაციას ეკონომიკური სისტემის მდგომარეობის შესახებ შესაბამისად დროის მოცემულ ინტერვალში და მოცემულ მომენტში. შესრულებული ანალიზის საფუძველზე დასმულია ეკონომიკური სისტემის ოპტიმალური მართვის ამოცანა. პოლიტიკური სისტემის ცვლილების გათვალისწინებით, ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის ოპტიმალური მართვის ამოცანა ღებულობს ცვლადი-სტრუქტურის მქონე ოპტიმალური მართვის ამოცანის ფორმას, რომლის არსი დამოკიდებულია საზოგადოებაში არსებულ პოლიტიკურ სისტემაზე, რომელიც მუდმივია დროის გარკვეულ ინტერვალებში, მაგრამ შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ წინასწარ უცნობ დროს. საილუსტაციოდ წარმოდგენილია ერთი მარტივი წრფივი ცვლადი სტრუქტურის ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის ოპტიმალური მართვის ამოცანა.
საკვანძო სიტყვები: ცვლადი სტრუქტურა, მართვის ამოცანა, ეკონომიკური სისტემა, პოლიტიკური სისტემა, ეკონომიკური სისტემის ეფექტურობა, სისტემის ეფექტიანობა.
7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი.
აკაკი არსენაშვილი, „ცვლადსტრუქტურიანი ოპტიმალური მართვის ამოცანა უწყვეტი შუალედური პირობით ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემებისთვის“
akaki.arsenashvili@tsu.ge
https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-225-234.
თბილისი, 2023 წლის 5 სექტემბერი

***ასოცირებული პროფესორი ნინო მიქიაშვილი***

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
**1. მიქიაშვილი ნ.** სიღარიბის პრობლემა და ინკლუზიური ზრდა. https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-122-131. V ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის კრებული. 122-131 გვ. 2023. თბილისი. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. 300გვ.
https://www.gruni.edu.ge/menu_content/index/628
*ანოტაცია*
ეკონომიკური ზრდა აუცილებელია სიღარიბის შესამცირებლად, მაგრამ მდგრადი ზრდისთვის საჭიროა სამუშაო ძალის მაქსიმალური ჩართვა ქვეყნის განვითარების პროცესში. ინკლუზიური ზრდა სოციალური პოლიტიკის განსხვავებულ მექანიზმს სთავაზობს საზოგადოებას, რომლის პირობებშიც შეჭირვებულთა მდგომარეობის გაუმჯობესება გადანაწილების პოლიტიკის ნაცვლად მათი ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვით ხდება. ნაშრომში მოცემულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ განხილული ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ძირითადი თავისებურებები, მისი მიღწევის გზები. ისინი დაკავშირებულია უთანასწორობის

და სიღარიბის პრობლემის დაძლევასთან. როგორც მსოფლიო, ასევე, ლოკალურად, ქვეყნის მასშტაბით, აუცილებელი ხდება სისტემური, მიზანმიმართული და გეგმაზომიერი საქმიანობა სიღარიბის გლობალური პრობლემის შესარბილებლად, რაც მოვლენათა დადებითი განვითარების ფონზე საფუძველს შეუქმნის სიღარიბის აღმოფხვრას.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **მიქიაშვილი ნ.** სიღარიბის გლობალური მიზეზები და მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნების გამოწვევები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. გვ. 184-189. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 2023. 374 გვ. ISBN 978-9941-36-111-1 (pdf)

სოციალური პრობლემატიკა მრავალფეროვანია, მაგრამ, მათ შორის, სიღარიბე განსაკუთრებით მწვავედ აღიქმება როგორც ლოკალური, ასევე გლობალური მასშტაბით. კონკრეტულ დროსა და სივრცეში სიღარიბის გამომწვევი მიზეზები და გამოვლინებები რამდენადმე განსხვავებულია ერთმანეთისგან. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სიღარიბის გლობალურ მიზეზებზე, რომლებიც, უპირატესად, განაპირობებენ თანამედროვე მსოფლიოში არსებულ ეკონომიკურ უთანასწორობას. რადგან უკიდურესი სიღარიბე, სამწუხაროდ, მსოფლიოს მასშტაბით გადაუჭრელია. 2022 წლის მონაცემებით, ყოველი მეათე ადამიანი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, იმის გამო, რომ: შემოსავლები უთანასწოროდაა განაწილებული და არსებობს მნიშვნელოვანი სოციალური ბარიერები; კონფლიქტი და ძალადობა ყველაზე მეტად ეკონომიკურად შეჭირვებულ ადამიანებს აზარალებს; შიმშილი, არასრულფასოვანი კვება და განვითარებაში ჩამორჩება ხელშემშლელია ზრდასრულ პერიოდში ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად; გაუმართავია ჯანდაცვის სისტემა, განსაკუთრებით დედებისა და ბავშვებისთვის; ხელმისაწვდომი არ არის სუფთა წყალი, სანიტარიისა და ჰიგიენის საშუალებები; კლიმატური ცვლილებები დამატებით წნეხია; განათლების მიღების შესაძლებლობა შეზღუდულია; არსებობს ცუდი ინფრასტრუქტურა და საბაზო მომსახურების ვერ (ან არ) მიიღება; სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები მხარდაჭერაა; სამუშაო ადგილების და საარსებო წყაროს მოძიება გართულებულია და ბოლოს, არ არსებობს აღნიშნულ ფენაში დანაზოგები (რეზერვები). მოცემული გლობალური მიზეზების გამოვლინება განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც შიგა რესურსებით ვერ უზრუნველყოფენ სიღარიბის მიზეზების სიმწვავის დაძლევას, რასაც მიზანმიმართული, გეგმური, სისტემური ქმედება სჭირდება.

2. **მიქიაშვილი ნ.** სიღარიბის მოდელირების ძირითადი მიმართულებები. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან მე-100 წლისთავისთვის მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი. 2023. ISBN 978-9941-33-633-1.

*ანოტაცია*

სიღარიბე, როგორც პრობლემა, რთული და მრავალწახნაგაა. იგი რამდენიმე კრიტერიუმით ფასდება და მნიშვნელოვანია, რომ შეფასების სისტემა შესაბამისად ასახავდეს შესასწავლი კონკრეტული ქვეყნისა თუ რეგიონის რეალურ მდგომარეობას და თავისებურებებს. ამიტომაც სიღარიბის ანალიზისა და პროგნოზირების დროს მნიშვნელოვანია მოდელირების მეთოდის გამოყენება. ნაშრომში დახასიათებულია სიღარიბის რამდენიმე ძირითადი მოდელი, მეთოდი

და ინდექსი. სიღარიბის შეფასების მოდელების და მეთოდების მრავალფეროვნება გამოწვეულია იმ გარემოებებით, რომლებიც თავს იჩენს კონკრეტულ დროსა და სივრცეში

*ასოცირებული პროფესორი ლია თოთლაძე*

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. *ურბანიზაციის შემოსავლების განაწილებაზე ზეგავლენის მოდელირება*

საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, 2023, #. გვ. 104-112. p ISSN 1987-6890 e ISSN 2346-8432; DOI: 10.36172/EKONOMISTI https://ekonomisti.tsu.ge/uploads/images/ekon2-2023.pdf

*ანოტაცია*

*თანამედროვე სამყარო უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას. პოსტპანდემიურ გამოწვევებს დაემატა რუსეთ-უკრაინის ომის გამო წარმოქმნილი გლობალური ხასიათის ჰუმანიტარული, ეკონომიკური, ლოჯისტიკური და სხვა სახის პრობლემები. ამ რეალობაში, ცხადია ყველა ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია შეინარჩუნოს მდგრადი განვითარების შესაბამისი ტემპები. ურბანიზაცია, როგორც ფენომენი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მდგრადი განვითარების მიზნებში. იგი მრავალმხრივი მოვლენაა და ცალსახად მისი შეფასება შეუძლებელია.*

*ნაშრომში განხილულია ურბანიზაციის, როგორც სოციალური ტრანსფორმაციის არსი და მისი კავშირი ქვეყნის განვითარების ინდიკატორებთან. გაანალიზებულია ურბანიზაციის დადებითი და უარყოფითი ეფექტები. ემპირიულ ასპექტში კი ყურადღება გამახვილებულია ქალაქად მოსახლეობის კონცენტრაციის რაოდენობრივ ასპექტებზე და აგებულია ზიფის მრუდი საქართველოს ქალაქებისათვის. საქართველოში რეგიონულ ჭრილში ურბანიზაციის შემოსავლების განაწილებაზე ზეგავლენის შესწავლისათვის აგებული და შეფასებულია შემოსავლების განაწილებაზე ურბანიზაციის გავლენის ეკონომეტრიკული მოდელი. მოდელში ურბანიზაციის გარდა ჩართულია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ადამიანისეული კაპიტალი. მოდელირების შედეგების მიხედვით ურბანიზაცია ხელს უწყობს შემოსავლების უთანასწორობის შემცირებას საქართველოში.*

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ***ურბანიზაცია მდგრადი განვითარების მიზნებში. ქალაქების ზომის მოდელირების საკითხისათვის***

თსუ 105 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია: „მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები“, შრომების კრებულში გვ. 126-132, ISBN 978-9941-36-111-1, თბილისი 2023, (თანაავტორი მ. ხუსკივაძე) https://tsu.ge/assets/media/files/7/ekon.%20konf.%20kreb..pdf

*ანოტაცია*

*თანამედროვე სამყარო უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას. პოსტპანდემიურ გამოწვევებს დაემატა რუსეთ-უკრაინის ომის გამო წარმოქმნილი გლობალური ხასიათის ჰუმანიტარული, ეკონომიკური, ლოჯისტიკური და სხვა სახის პრობლემები. ამ რეალობაში, ცხადია ყველა ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია შეინარჩუნოს მდგრადი განვითარების შესაბამისი*

*ტემპები, იზრუნოს მაკროეკონომიკურ გარემოზე. ურბანიზაცია, როგორც ფენომენი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მდგრადი განვითარების მიზნებში. იგი მრავალმხრივი მოვლენაა და ცალსახად მისი შეფასება შეუძლებელია.*

*ნაშრომში განხილულია ურბანიზაციის, როგორც სოციალური ტრანსფორმაციის არსი და მისი კავშირი ქვეყნის განვითარების ინდიკატორებთან. ანალიზირებულია ურბანიზაციის დადებითი და უარყოფითი ეფექტები. ემპირიულ ასპექტში კი განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ქალაქად მოსახლეობის კონცენტრაციის რაოდენობრივ ასპექტებს და განხილულია ზიფის კანონი ქალაქების სიდიდესთან მიმართებაში.*

## 2. *მდგრადი ურბანიზაცია და ზიფის კანონი საქართველოს ქალაქებისთვის*

V ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა კრებულში გვ. 205-212; (თანაავტორი მ. ხუსკივაძე) https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-205-212

*ანოტაცია*

*თანამედროვე პოსტპანდემიურ სამყაროში, სადაც პანდემიით გამოწვეულს დაემატა რუსეთ-უკრაინის ომის გამო წარმოქმნილი გლობალური ხასიათის ჰუმანიტარული, ეკონომიკური, ლოჯისტიკური და სხვა სახის პრობლემები, ყველა ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია შეინარჩუნოს მდგრადი განვითარების შესაბამისი ტემპები, იზრუნოს მაკროეკონომიკურ გარემოზე. ურბანიზაცია, როგორც ფენომენი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მდგრადი განვითარების მიზნებში. იგი მრავალმხრივი მოვლენაა და ცალსახად მისი შეფასება შეუძლებელია.*

*ნაშრომში განხილულია ურბანიზაციის, როგორც სოციალური ტრანსფორმაციის არსი და მისი კავშირი ქვეყნის განვითარების ინდიკატორებთან. ანალიზირებულია ურბანიზაციის დადებითი და უარყოფითი ეფექტები. ემპირიულ ასპექტში კი განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალაქად მოსახლეობის კონცენტრაციის რაოდენობრივ ასპექტებს და განხილულია ზიფის კანონი საქართველოს ქალაქების სიდიდესთან მიმართებაში.*

## 3. *ურბანიზაციისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების დამოკიდებულების ანალიზისათვის*

**პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია** „მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით" ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი, 2023. გვ. 58-63 (თანაავტორი მ. ხუსკივაძე)

https://conferenceconomics.tsu.ge/uploads/images/konfkrb2023_651e61b19b80e.pdf

*ანოტაცია*

*ურბანიზაცია, როგორც ფენომენი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მდგრადი განვითარების მიზნებში. იგი მრავალმხრივი მოვლენაა და ცალსახად მისი შეფასება შეუძლებელია. ურბანული პროცესების დინამიკას დიდი გავლენა აქვს ქვეყანაში სოციალურ, ეკონომიკურ და განსაკუთრებით ეკოლოგიურ გარემოზე.*

*ნაშრომში განხილულია ურბანიზაციის, როგორც სოციალური ტრანსფორმაციის არსი და მისი კავშირი ქვეყნის განვითარების ინდიკატორებთან. გაანალიზებულია ურბანიზაციის დადებითი და უარყოფითი ეფექტები. ყურადღება გამახვილებულია ურბანიზაციის ეკოლოგიურ უსაფრთხოებასთან დამოკიდებულების როგორც თეორიულ და ემპირიულ ასპექტებზე. ამისათვის გაანალიზებულია საქართველოში ურბანიზაციის დონის და ეკოლოგიური უსაფრთხოების ინდიკატორთა დინამიკა.*

საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოება, მოიცავს მის უზრუნველყოფას საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითად ფორმებში, როგორიცაა: შრომის საერთაშორისო დანაწილების ფარგლებში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები; გლობალურ ეკონომიკაში პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების შედეგების შეფასება ქვეყნის საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის; საერთაშორისო ვაჭრობის საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა; თანამედროვე სავალუტო და საფინანსო სისტემა და საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოება.

მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს თანამედროვე ტექნოლოგიებს, ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და საქართველოში მდგრადი ეკონომიკური განვითარების პოტენციალის ზრდას შორის. მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის გავლენა საქართველოს ეკონომიკურ და ინოვაციურ პოტენციალზე არის განმსაზღვრელი. ტექნოლოგიური წინსვლა ხელს უწყობს ეკონომიკური შესაძლებლობების და კეთილდღეობის ზრდას. დიდია ინოვაციურ პოლიტიკის როლი სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფაში. მეცნიერების სფეროში ინვესტიციების მოზიდვის პრობლემების წარმატებით გადაჭრა, საქართველოს ბუნებრივი, სამრეწველო, სამეცნიერო, ტექნიკური და შრომითი პოტენციალის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ინტერნეტის გაჩენამ, ხელოვნური ინტელექტის, ბლოკჩეინის, ნივთების ინტერნეტის და 5G ტექნოლოგიების განვითარებამ მსოფლიო ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაცია დააჩქარა. ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ, უაღრესად კოორდინირებული ციფრული ეკონომიკა შექმნა, რომელიც სცილდება გეოგრაფიულ საზღვრებს და ინდუსტრიის სექტორებს. ციფრულ ტრანსფორმაციას გლობალურ ეკონომიკაში მოაქვს როგორც დადებითი შედეგები, ასევე საფრთხეს უქმნის მის განვითარებას.

ეკონომიკის გაციფრულების შედეგად მიღებული მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელია პროდუქტიულობის ზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა, გაძლიერებული საერთაშორისო ვაჭრობა და ინოვაციები. ამასთანავე, ჩნდება პოტენციური რისკები და უარყოფითი ეფექტები. ხდება სამუშაო ადგილის ჩანაცვლება ტექნოლოგიების მიერ, საფრთხე ექმნება მონაცემთა კონფიდენციალურობას, ბაზრებთან დაკავშირებულ საკითხებს და ა. შ.

ქართული სახელმწიფოს მიერ მიღებულ ოფიციალურ დოკუმენტებში, ასახულია ქვეყნის უსაფრთხოების მართვის პროცესების რეგულირებისა და მისი შენარჩუნების გზები და საშუალებები. ამასთანავე, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამედროვე მექანიზმი მუდმივად უნდა გარდაიქმნას ქვეყნის ეკონომიკურ სექტორში გაჩენილ ახალ

რისკებთან და საფრთხეებთან ერთად. სწორი პოზიციონირება ეროვნული ეკონომიკის გარე და შიდა საფრთხეების დასაძლევად, ქვეყნის ეკონომიკურ სუვერენიტეტს, მისი ეკონომიკური სივრცის ერთიანობას და სტრატეგიული ეროვნული პრიორიტეტების განხორციელების პირობებს უზრუნველყოფს.

პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის არსებული საფრთხეების იდენტიფიცირებას და მისი უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესების მიმართულებების შემუშავებას, რომელიც ეროვნული ეკონომიკის ხელსაყრელ საერთაშორისო პოზიციას უზრუნველყოფს. ეს ნიშნავს არა ერთი ტიპის საფრთხის მნიშვნელობის აღნიშვნას სხვებთან მიმართებაში, არამედ მათი ურთიერთკავშირის, ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგავლენის შესწავლას. თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება, ქვეყნის გარეთ განვითარებულ მოვლენებზე სულ უფრო მეტად დამოკიდებული ხდება. ამიტომ მნიშვნელოვანია, ერთიანი დოკუმენტის სახით საქართველოს საგარეო ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავება, ვთქვათ, 2030 წლამდე პერიოდისათვის.

საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების ეფექტური სისტემის ასაშენებლად აუცილებელია ყველაზე საშიში გარე საფრთხეების იდენტიფიცირება, მათი რანჟირება, რათა განისაზღვროს მიმართულებები, რომლებიც საჭიროებენ ოპერატიული რეგულირებას ან თანმიმდევრულ სტრატეგიულ ნეიტრალიზაციას. საფრთხეების შეფასებისას აუცილებელია გამოვიყენოთ როგორც უსაფრხოების ინდიკატორების მთლიანი რთული სისტემა, ასევე მათი ზღვრული მნიშვნელობები, რომლებიც ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების საზღვრებს ასახავს. ეს შესაძლებელს გახდის, გამოვლინდეს საქართველოს საგარეო ეკონომიკური საფრთხეები, გამოწვევები და რისკები, განისაზძვროს მისი გადაჭრის ინსტრუმენტები და რეკომენდაციები.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ჩამყალიბება შეიძლება 5 საფეხურიანი სისტემური სქემის მიხედვით განისაზღვროს, რომელიც მოიცავს: სტრატეგიის თეორიული კონცეფციების, მეთოდოლოგიური წყაროების და ძირითადი ცნებების განსაზღვრა; არსებული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე დღევანდელ მსოფლიოში საქართველოს ჩართულობის შეფასება: ტენდენციები და შესაძლებლობები; საქართველოს ეროვნული ინტერესები და სტრატეგიული ეროვნული პრიორიტეტები; ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სტრატეგიის რეალიზაციის ორგანიზაცია და მექანიზმები.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული უსაფრთხოება; ეროვნული ინტერესები; საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოება; ეროვნული ინტერესები და სტრატეგიული ეროვნული პრიორიტეტები; ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემა.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022). The Modern Economy and Values. Cambridge Scholars Publishing. ISBN (10): 1-5275-8915-3 ISBN (13): 978-1-5275-89155. p. 125. https://scholar.google.com/citations?view_op=view_citation&hl=en&user=bBLG4nMAAAAJ&pagesize=80&citation_for_view=bBLG4nMAAAAJ:KlAtU1dfN6UC

1. ვეშაპიძე შ. (2023). საქართველოს საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამედროვე პრიორიტეტები.Veshapidze, S. (2023). MODERN PRIORITIES OF ENSURING FOREIGN ECONOMIC SECURITY OF GEORGIA. EKONOMISTI 19 (3), 85-99 DOI:10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Shota.Veshapidze p ISSN 1987-6890 e ISSN 2346-8432

2. ვეშაპიძე შ. (2023). გლობალური მსოფლიოს ახალი მოვლენები: გამოწვევები და შესაძლებლობები საქართველოსთვის. Veshapidze, S. (2023). New developments in the global world: challenges and opportunities for Georgia. The New Economist 18 (3), 1-2 DOI suffix: 10.36962/NEC18032023-49. ISSN 1512-4649(Print) ISSN 2667-9752(Online)

**3. ვეშაპიძე შ. (2023).** შრომის საერთაშორისო მიგრაციაში საქართველოს მონაწილეობის საფრთხეები და შესაძლებლობები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში," შრომების კრებული. თბილისი. **Veshapidze, S. (2023).** Threats and possibilities of Georgia participation in international labor migration. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press

**4. ვეშაპიძე შ. (2023). აკადემიური კონკურსის საფრთხეების შესახებ.** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია - "მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები." შრომების კრებული.ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023 ISBN 978-9941-36-111-1 (pdf) **Veshapidze, S. (2023).** About the dangers of academic competition. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press

**5. ვეშაპიძე შ., მგელაძე ლ. (2023). უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შრომის თავისუფლების დაცვის ზოგიერთი ასპექტი. Veshapidze, S., & Mgeladze, L. (2023).** Some aspects of protection of labor freedom in higher education institution. The New Economist 18 (1) DOI suffix: 10.36962/NEC18012023-40 **ISSN 1512-4649(Print) ISSN 2667-9752(Online)**

**6. ვეშაპიძე შ., ფუტკარაძე რ. (2023). საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე. Veshapidze, S., & Putkaradze, R. (2023).** International economic relations of Georgia at the modern stage of globalization. *"Ekonomisti"* #1, 58–69. **DOI:10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.01.SHOTA.VESHAPIDZE.RAMAZ.PUTKARADZE p ISSN 1987-6890 e ISSN** 2346-8432

**7. Otinashvili, R., Veshapidze, S., & Zoidze G. (2023)** IMPACT OF ECONOMIC CRIME ON THE SUSTAINABLE DEVELOPMENT OF THE STATE**.** Three Seas Economic Journal 4 (1), 10-17 DOI: https://doi.org/10.30525/2661-5150/2023-1-2

**8. ქარჩავა ლ., ვეშაპიძე შ., ჭიაბრიშვილი ქ. (2023).** ჩინეთის და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების ეკონომიკური პერსპექტივა. Karchava, L, Veshapidze, S., & Chiabrishvili, K. (2023). Economic perspective of establishing strategic partnership between China and Georgia. The New Economist 18 (3), 1-2 DOI suffix: 10.36962/NEC18032023-7 ISSN 1512-4649(Print) ISSN 2667-9752(Online)

***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1. საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოება არის ქვეყანაში ეკონომიკური პროცესების ისეთი განვითარების უზრუნველყოფა, რომელიც შექმნის აუცილებელ (მისაღებ) პირობებსა და რესურსებს ეკონომიკური სტაბილურობისა და საზოგადო-ების განვითარებისთვის. ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება, პირველ რიგში, ეკო-ნომიკის მდგომარეობით და მსოფლიო ბაზრებზე მისი კონკურენტუნარიანობით ხასიათდება. რაც უფრო სტაბილური და კონკურენტუნარიანია ეკონომიკა, მით უფრო მაღალია მისი ეკონომიკური უსაფრთხოების დონე.

საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოება, მოიცავს მის უზრუნველყოფას საერ-თაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითად ფორმებში, როგორიცაა: შრო-მის საერთაშორისო დანაწილების ფარგლებში ეკონომიკური უსაფრთხოების უზ-რუნველყოფის პრობლემები; გლობალურ ეკონომიკაში პირდაპირი და პორტფელუ-რი ინვესტიციების შედეგების შეფასება ქვეყნის საგარეო ეკონომიკური უსაფრთხო-ებისთვის; საერთაშორისო ვაჭრობის საგარეო

ეკონომიკური უსაფრთხოების უზ-რუნველყოფა; თანამედროვე სავალუტო და საფინანსო სისტემა და საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოება.
საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების ეფექტური სისტემის ასაშენებლად აუცილებელია ყველაზე საშიში გარე საფრთხეების იდენტიფიცირება, მათი რანჟი-რება, რათა განისაზღვროს მიმართულებები, რომლებიც საჭიროებენ ოპერატიული რეგულირებას ან თანმიმდევრულ სტრატეგიულ ნეიტრალიზაციას. საფრთხეების შეფასებისას აუცილებელია გამოვიყენოთ როგორც ინდიკატორების მთლიანი რთული სისტემა, ასევე მათი ზღვრული მნიშვნელობები, რომლებიც ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების საზღვრებს ასახავს. ეს შესაძლებელს გახდის, გამოვლინდეს საქართველოს საგარეო ეკონომიკური საფრთხეები, გამოწვევები და რისკები, განისაზძვროს მისი გადაჭრის ინსტრუმენტები და რეკომენდაციები.
საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ჩამყალიბება შეიძ-ლება 5 საფეხურიანი სისტემური სქემის მიხედვით განისაზღვროს, რომელიც მოი-ცავს: სტრატეგიის თეორიული კონცეფციების, მეთოდოლოგიური წყაროების და ძირითადი ცნებების განსაზღვრა; არსებული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე დღევანდელ მსოფლიოში საქართველოს ჩართულობის შეფასება: ტენდენციები და შესაძლებლობები; საქართველოს ეროვნული ინტერესები და სტრატეგიული ეროვ-ნული პრიორიტეტები; ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სტრატეგიის რეალიზაციის ორგანიზაცია და მექანიზმები.
საკვანძო სიტყვები: ეროვნული უსაფრთხოება; ეროვნული ინტერესები; საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოება; ეროვნული ინტერესები და სტრატეგიული ეროვ-ნული პრიორიტეტები; ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემა.
2. ამ სტატიის ძირითადი მიზანია გლობალიზაციის ამჟამინდელი რეალობის თავისებურებების გაანალიზება, შექმნილი შესაძლებლობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირება და მისი დაძლევის გზების გამოვლენა. კვლევის ობიექტს შეადგენს როგორც მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები, ასევე, განსაკუთრებით გეოპოლიტიკური საკითხები და უკრაინის კრიზისი. ნაშრომი ეფუძნება სხვადასხვა ფუნდამენტური ლიტერატურის ანალიზს, სინთეზს, კონკრეტულ სტატისტიკურ მონაცემებს, გლობალიზაციის ინდექსის შემადგენლებს. ნაშრომი აკეთებს დასკვნებს ფაქტების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოყენებით. მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის განმტკიცების ტენდენციიდან გამომდინარე, წარმოდგენილია მნიშვნელოვანი დასკვნები და რეკომენდაციები გლობალიზაციის თანამედროვე ახალი რეალობით განპირობებული შესაძლებლობებისა და საფრთხეების, მისთვის ალღოს აღების შესახებ.
მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის განმტკიცების ახალ, თანამედროვე ტენდენციას, არა მარტო თვალსაჩინო დადებითი შედეგები მოაქვს, არამედ საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ეროვნული პრიორიტეტების დაცვის მწვავე პრობლემებს ქმნის. ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტების ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, გლობალური მსოფლიოს ახალი მოვლენები, მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების ეკონომიკის გაზრდილი ღიაობა, ერთობლივი პროგრამების შემუშავება ჩვენი დროის მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაჭრელად.
საკვანძო სიტყვები: გლობალიზაციის წყაროები, მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის განმტკიცების თანამედროვე ტენდენცია, გლობალისტები, ანტიგლობალისტები.
3. ამ სტატიის კვლევის მიზანია შრომის საერთაშორისო მიგრაციაში საქართველოს მონაწილეობის საფრთხეების გაანალიზება და მისი დაძლევა. კვლევის საგანია მიგრაციის გამომწვევი სოციალურ-პოლიტიკური, დემოგრაფიული, ეკონომიკური ფაქტორები. კვლევის ამოცანებს შეადგენს საქართველოში იმიგრანტთა და ემიგრანტთა რიცხოვნობის დინამიკა, პერსონალური ტრანსფერების ანალიზი, რუსეთიდან გაზრდილი მიგრაცია.

კვლევის შედეგად დადგენილია, რომ საერთაშორისო მიგრაციაში საქართველოს მონაწილეობის უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფაქტორებია დაბალი შემოსავალი, ცუდი სამუშაო პირობები, ცუდი საცხოვრებელი პირობები, დაბალი განვითარების შესაძლებლობები, რაც უბიძგებს ადამიანების დიდ ნაწილს, რომ სამუშაო ადგილები საზღვარგარეთ ეძიონ. შრომის საერთაშორისო მიგრაციაში საქართველოს მონაწილეობის საფრთხეების დაძლევის თანამედროვე პრიორიტეტებია: არალეგალური მიგრაციის ლეგალურ ჩარჩოებში მოქცევა, დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია, დიასპორის ჩართულობა ქვეყნის განვითარებაში, უცხოელთა ინტეგრაცია.
საკვანძო სიტყვები: იმიგრანტი, ემიგრანტი, პერსონალური ტრანსფერები, ლეგალური მიგრაცია.
4. ამ სტატიის კვლევის მიზანს შეადგენს აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ღია წესით ჩატარების დაცვა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. კვლევის საგანია აკადემიური თანამდებობებების დასაკავებელ კონკურსებში მონაწილეთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა. კვლევის ობიექტია გარკვეული საკანონმდებლო ნორმების რეალური განხორციელების პროცესში წარმოშობილი საფრთხეები და მისი გამომწვევი მიზეზები. კვლევის პროცესში გამოყენებულია შედარებითი ანალიზის, სინთეზის, ანალოგიის მეთოდები, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ აკადემიური კონკურსების გამოწვევები, რეალური საფრთხეები და მისი დაძლევის სამართლიანი გზები. იმისთვის რომ აკადემიურმა პერსონალმა თავისი საქმიანობა დაცულად და ეფექტიანად განახორციელოს, აუცილებელია შრომის თავისუფლების დაცვა. მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური კონკურსების ჩატარებისას თავი დავაღწიოთ დისკრიმინაციის, მანიპულირების, ფავორიტიზმის, ნეპოტიზმის, კორუფციის და სხვა საფრთხეებს, ან მოვახდინოთ მათი პრევენცია.
საკვანძო სიტყვები: შრომის თავისუფლება, საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან შეუსაბამობა, დისკრიმინაცია, მანიპულირების, ფავორიტიზმის, ნეპოტიზმის, კორუფციის საფრთხეები.
5. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის წარმატებული განხორციელება, მისი პრესტიჟი და ხარისხიანობა, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციასა და ცოდნის გადაცემის უნარებზე. შრომის თავისუფლება, მისი უმთავრესი ფუნდამენტია. ამიტომ, ამ სტატიაში ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს აკადემიური პერსონალის შრომის თავისუფლების უზრუნველყოფა.
კვლევის მიზანია პროფესორის, ასოცირებული და ასისტენტ–პროფესორის, მთლიანად აკადემიური პერსონალის შრომის თავისუფლების უზრუნველყოფის გამოწვევების და მათი გადაჭრის გზების გამოვლენა. კვლევის ობიექტია შრომითი ურთიერთობების რეგულირების შესახებ საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობა, მისი დაცვა. ამ მიზნით გამოვიყენეთ აკადემიური პერსონალის შრომის თავისუფლების მარეგულირებელი კანონების პრაქტიკაში განხორციელების ანალიზის, სინთეზის და კრიტიკული შეფასების მეთოდები. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, კონკურსში გამარჯვებული პერსონალისთვის დამკვიდრებულია განსაზღვრული ვადით შრომითი ხელშეკრულების გაფორმების და ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ კონკურსის ხელახლა გამოცხადების პრაქტიკა. ასეთი მიდგომა ერთი მხრივ შინაარსობრივად არაეფექტიანია და მეორე მხრივ ეწინააღმდეგება საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლის მოთხოვნებს, რადგან ზრდის და ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალზე ზეწოლის, მისი თავისუფლების შეზღუდვის, მანიპულირების, ფავორიტიზმის, ნეპოტიზმის, კორუფციის საფრთხეების წარმოშობას. საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსის მუხლი 12–ს თანახმად, კონკურსში გამარჯვებულ პერსონალს უნდა გაუფორმდეს უვადო ხელშეკრულება. არ არსებობს სხვა, რაიმე

ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების განსაზღვრული ვადით დადებას. შესაბამისად, უმაღლეს განათლების შესახებ კანონის მოთხოვნები, რომელიც შეეხება პერიოდულად ხელახალი კონკურსების ჩატარებას შინაარსობრივად ეწინააღმდეგება ორგანულ კანონ შრომის კოდექსს, რომელზეც თვითონვე აკეთებს მითითებას, რომ მის მოთხოვნებს უნდა იცავდეს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განათლების სიტემის ეფექტიანობის გაზრდის, საკადრო სისტემის სრულყოფის, სტუდენტისათვის კვალიფიციური პედაგოგების მიერ სწავლების მაქსიმალურად ხელშეწყობის, მისი ეფექტიანობის ამაღლების, ქართული საგანმანათლებლო კანონმდებლობის ევროპული განათლების სისტემის საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით, მიზანშეწონილია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა თავი დააღწიონ აკადემიური პერსონალის შრომის თავისუფლების შეზღუდვას და დაიცვან საერთაშორისო და საქართველოს შრომის კანონმდებლობის მოთხოვნები.

საკვანძო სიტყვები: განათლების სისტემა, აკადემიური პერსონალი, შრომის თავისუფლება, შრომითი ხელშეკრულება, სწავლების ეფექტიანობა

6. წარმოდგენილ სტატიაში სამეცნიერო კვლევის ინტერესის სფეროა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში საქართველოს მონაწილეობის შედეგებისა და პერსპექტივების გამოვლენა და განსაზღვრა. კვლევის თემისადმი ინტერესი განპირობებულია იმით, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დანარჩენ მსოფლიოსთან და საერთაშორისო ეკონომიკურ გაერთიანებებთან ურთიერთობის ხარისხზე. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები არის ქვეყნის მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებას, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციას, საერთაშორისო წარმოების გამოცდილების გაზიარებას, საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის დაჩქარებული განვითარებას, კაპიტალისა და ხალხის თავისუფალი გადაადგილებას. კვლევის მიზანია საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში საქართველოს მონაწილეობის შედეგებისა და პერსპექტივების სიღრმისეული გამოკვლევა.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკის გლობალიზაცია, რესურსების რაციონალური გამოყენება, საერთაშორისო ვაჭრობა, კაპიტალისა და ხალხის თავისუფალი მოძრაობა, ლოგისტიკური ჰაბი, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია

**7. მიზანი.** სტატიის მიზანია კრიმინალური მეწარმეობის გავლენის შესწავლა ქვეყნის საზოგადოებრივ წესრიგსა და სტაბილურობაზე. მეთოდოლოგია. კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს კრიმინალური ბიზნესის გაჩენის თეორიული და ფილოსოფიური საფუძვლები, მისი ეკონომიკური მიზეზები, ეკონომიკური დანაშაული, კონკურენცია და ინსტიტუტები. პრაქტიკული ღირებულება. დისტრიბუციისა და გაყიდვების მოცულობიდან გამომდინარე, ნარკოტიკებით ვაჭრობა განიხილება კრიმინალური საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროდ. დანაშაული არის სამართლებრივი, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორების კომპლექსური სინთეზი. ამ ფენომენისა და მისი მიზეზების მეცნიერება, რომელსაც კრიმინოლოგიას უწოდებენ, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში განვითარდა. თუმცა, მის შესახებ ბევრად ადრე ფიქრობდნენ და აზრს გამოთქვამდნენ. პრობლემები სამეცნიერო საზოგადოებაში. ამის საფუძველზე ხდება საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების შეჯამება, ანალიზი და ახლებურად შესწავლა. მნიშვნელოვანია ამ ტენდენციების იდენტიფიცირება და რეკომენდაციების შემუშავება ეკონომიკური უსაფრთხოების ახალი გამოწვევების დასაძლევად და გასაუმჯობესებლად. პრაქტიკული შედეგები. მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურა კრიმინალური ბიზნესის შესწავლის კონკრეტულ პრობლემებზე ლიტერატურის ნაკლებობას არ

განიცდის. ამავდროულად, გლობალიზაციის დღევანდელ ეტაპზე, დღევანდელ შეცვლილ პირობებში, მნიშვნელოვანია ქვეყნის შიდა და გარე ეკონომიკური უსაფრთხოების პრიორიტეტების ყოვლისმომცველი გათვალისწინება. კვლევის მოსალოდნელი შედეგები. ქვეყნის შიდა და გარე ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიმდინარე ტენდენციებისა და პრიორიტეტების გამოვლენა, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი დაძლევის ოპტიმალური გზების განსაზღვრა.

8. ამ სტატიის ინტერესის სფეროს წარმოადგენს სტრატეგიული ეროვნული ინტერესების დაცვის თანამედროვე გამოწვევების და პერსპექტივების გამოვლენა და განსაზღვრა. თემით დაინტერესება გამოწვეულია იმით, რომ არც ერთი ქვეყანას, არ შეუძლია გაუმკლავდეს ჩვენი დროის ყველაზე მწვავე პრობლემებს სხვა ქვეყნებისგან იზოლირებულად. მათი დაძლევა მხოლოდ მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში შეიძლება. საქართველოს წინსვლა მნიშვნელოვნწილად არის დამოკიდებული სხვა ქვეყნებთან სტრატეგიული პარტნიორობის დამყარებაზე, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ერთობლივ განვითარებას. სტატიის ფარგლებში განხორციელებული კვლევის მიზანია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების ეკონომიკური პერსპექტივების ძირითადი ასპექტების გამოვლენა და განსაზღვრა. კვლევის საგანია ჩინეთსა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების ანალიზი, მისი თანამედროვე გამოვლინებების შეფასება და სისტემატიზაცია. გამოვლენილია, რა შედეგები მოუტანა ქვეყნებს ერთმანეთთან კავშირებმა, რა გამოწვევები და შესაძლებლობები იკვეთება სამომავლოდ. კვლევის ობიექტია ჩინეთსა და საქართველოს შორის დღევანდელ ეტაპზე ჩამოყალიბებული ეკონომიკური თანამშრომლობის მდგომარეობა და მათი სტაბილური გრძელვადიანი განვითარების ხელსაყრელი პირობების შექმნა. გამოყენებული კვლევის ძირითადი მეთოდებიდან აღსანიშნავია ინდუქციისა და დედუქციის ზოგადი სამეცნიერო მეთოდები, თეორიული სისტემური ანალიზის მეთოდი და მონოგრაფიული (აღწერითი) მეთოდი. კვლევას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჩინეთსა და საქართველოს შორის ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური თანამშრომლობის გრძელვადიანი განვითარების ხელსაყრელი პირობების შექმნის თვალსაზრისით.

**სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში მონაწილეობა:**

**1. ვეშაპიძე შ. (2023).** შრომის საერთაშორისო მიგრაციაში საქართველოს მონაწილეობის საფრთხეები და შესაძლებლობები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში," შრომების კრებული. თბილისი. **Veshapidze, S. (2023).** Threats and possibilities of Georgia participation in international labor migration. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press

**2. ვეშაპიძე შ. (2023).** აკადემიური კონკურსის საფრთხეების შესახებ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია - "მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები." შრომების კრებული.ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023 ISBN 978-9941-36-111-1 (pdf) **Veshapidze, S. (2023).** About the dangers of academic competition. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press.

*ასოცირებული პროფესორი ჯემალ ხარიტონაშვილი*

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. გრანტი 2022 წელი დაწყება-1. 03. 22 წ. დასრულება- 30. 12. 2022 წ.

საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობები გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე

შემსრულებელი: თსუ საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის ასოცირებული პროფესორი ჯემალ ხარიტონაშვილი

თემა 7. საქართველოს მონაწილეობა ინტეგრაციულ პროცესებში

შინაარსი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

- იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია Web of Science-ის; 3 წელში -1

1. 2023 წლის N 4-ში, ტ.17.გვ.: 171-177, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბიულეტენ „მოამბეში" გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის ასოცირებული პროფესორის, ეკონომიკის აკადემიური დოქტორის ჯემალ ხარიტონაშვილის სტატია- Jemal Kharitonashvili, „Adam Smith, the Creator of the Systems of Economic Science"(„ადამ სმითი ეკონომიკური მეცნიერების სისტემის შემქმნელი").

**რეზიუმე**. წარმოშობით შოტლანდიელი, ინგლისელ ეკონომისტად ცნობილ ადამ სმითს საპატიო ადგილი უკავია ეკონომიკური აზრის ისტორიაში. იგი იყო ეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებელი.

ა. სმითის შემოქმედებაში მნიშვნელოვანია „უხილავი ხელის პრინციპი". ამ პრინციპის მიხედვით, თითოეული ადამიანის მამოძრავებელი მხოლოდ პირადი ინტერესებია, რაც, საბოლოო ანგარიშით, საზოგადოებრივ ინტერესებსაც ეხმიანება.

ზოგიერთი ეკონომისტი, "უხილავი ხელის" პოლიტიკას უნივერსალურ მექანიზმად მიიჩნევდა. მათი აზრით, იგი მსოფლიო მიზიდულობის კანონის მსგავს როლს ასრულებს საზოგადოებაში. მაგრამ ეკონომიკაში თავისუფლების კონცეფციამ კაცობრიობის განვითარებაში მსოფლიო მიზიდულობის კანონის როლი მაინც ვერ შეასრულა.

კვლევის მიმართულებით უნდა ავღნიშნო, რომ: ადამ სმითის დროიდან მოყოლებული, საბაზრო ეკონომიკამ მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა. ადამიანს მართავს არა მარტო პირდი სარგებელი, არამედ კეთილგონიერებაც.

2008 წ. დაწყებულმა გლობალურმა კრიზისმა კვლავ თავდაყირა დააყენა სიტუაცია.

„უხილავი ხელის" პრინციპს გარკვეულად შეიძლება დაუპირისპიროთ ამერიკელი ეკონომისტ-მათემატიკოსის ჯონ ნეშის წონსწორობა. ნობელის პრემიის (1994 წ.) და აბელის(2014 წ.) ლაურეატის ჯ. ნეშის მიხედვით საბაზრო სუბიექტებმა ისე უნდა ააგონ თავიანთი სტრატეგია, რომ შედეგი ყველასთვის მისაღები იყოს[15]. ასეთი მიდგომა მარტო ჰუმანიზმის გამოხატულება კი არ არის, სამუშაოების და შესაბამისად შემოსავლების ზრდა

ბაზარს აფართოებს და „უხილავი ხელის"(კერძო ინტერესები) გამოდევნებით წარმოებული საქონლების რეალიზაციასაც ხელს შეუწყობს. ეს უკანასკნელი კი კრიზისის აცილების საწინდარია, რომელსაც მოჰყვება სიღარიბის დაძლევა, კრიმინალის შემცირება და ცივილიზებულობის ხარისხის ამაღლება

http: Science. org. ge/moambe/moambe-ges.html.

ISSN - 0132 - 1447.

2. ჯემალ ხარიტონაშვილის სტატია "საერთო ნიადაგის" თეორიის შესახებ"

saqarTvelos teqnikuri universiteti
saqarTvelos sainJinro akademia
Georgian Technical University
Georgian Academy of Engineering
b i z n e s - i n J i n e r i n g i
Business-Engineering
yovelkvartaluri referirebadi da recenzirebadi
saerTaSoriso samecniero Jurnali
QUARTERLY REFEREED AND REVIEWED
INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL
mexuTe saerTaSoriso ekonomikuri konferencia - IEC-2017
erovnuli ekonomikis ganviTarebis modelebi: guSin, dRes, xval
THE 5TH INTERNATIONAL ECONOMIC CONFERENCE - IEC 2017
MODELS OF NATIONAL ECONOMY DEVELOPMENT: YESTERDAY, TODAY, TOMORROW
3
2017
N1-2,
2022,
yovelkvartaluri referirebadi da recenzirebadi
saerTaSoriso samecniero Jurnali
QUARTERLY REFEREED AND REVIEWED
INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL
ჟურნალი დარეგისტრირებულია სამიებო სისტემაში GOOGLE SCHOLAR:
http://scholar.bpengi.com
DOI: https://doi.org/10.36073/1512-05381512-0538
JOURNAL IS REGISTERED IN THE GOOGLE SCHOLAR:
http://scholar.bpengi.com

3. ჯემალ ხარიტონაშვილი სტატია- „წარმოების ფაქტორთა თეორიის ვარიაციები"

რეზიუმე. ნაშრომში განხილულია საწარმოო ფაქტორების პროპორციების გავლენა საზოგადოებრივი წონასწორობის დამყარებაზე. ეკნომიკური აზრის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წარმოების ფაქტორთა თეორიას. ფაქტორთა თეორიის შემქმნელად ითვლება ცნობილი ფრანგი ეკონომისტი ჟან ბატისტ სეი(1767-1832). ჟ. ბ. სეი ილაშქრებდა მერკანტილიზმისა და პროტექციონიზმის წინააღმდეგ და იცავდა თავისუფალი ვაჭრობის(ფრიტრედერობის) პოლიტიკას. ფაქტორთა თეორია მნიშვნელოვან გამოყენებას პოულობს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში.

მეორე ფრანგმა ეკონომისტმა ფრედერიკ ბასტიამ შექმნა ეკონომიკური ჰარმონიების თეორია. ამ თეორიაში ფ. ბასტია ცდილობდა ეკონომიკური თანხმობის მიღწევას საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის, მათ თანამშრომლობას. კანადელმა ინჟინერ-

ტექნოლოგმა პ. მონსაროვმა შექმნა ოთხი ფაქტორის თეორია. დღესდღეობით შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ფართოდ გამოიყენება ჰეკშერ-ოლინის თეორია.
GLOBALIZATION AND BUSINESS #13, 2022 გვ.:35-38.
VARIATIONS OF PRODUCTION FACTORS THEORY
JEMAL KHARITONASHVILI
Doctor of Economics, Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
Jemal.Kharitonashvili@mail.ruჟურნალი „ გლობალიზაცია და ბიზნესი“. N 13 , 2022 წ. გვ.35-38
ჟურნალი „ გლობალიზაცია და ბიზნესი“ ფიგურირებს მსოფლიოს ისეთ ცნობილ ბაზებში როგორიცაა :
EBSCO, ERIH PLUS, Googli Scholar; INDEX COPERNICUS ; WORLD CAT; DRJI Direkori of RISEARCH Journals indekcing; ISSN 2449-239 https://eugb.ge.
6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. ჯემალ ხარიტონაშვილი
მსოფლიო მოაზროვნეები ვაჭრობის შესახებ
Jemal Kharitonashvili - World Thinkers about Trade
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში”, 3 ნოემბერი, 2023 / 3 November, 2023 თბილისი / Tbilisi
3. **Харитонашвили Джемал Васильевич**
доктор экономики, ассоциированный профессор кафедры международной
экономики и историй экономических учений Тбилисского государственного
университета имени Иване Джавахишвили. Грузия
Поиск альтернативной модели экономического развития
Минская духовная академия
Белорусский государственный университет, экономический факультет кафедра международной политической экономии
Институт теологи Белорусского государственного университета
БИП – Университет права и социально-информационных
технологий, кафедра экономики и менеджмента»
Социум и христианство
Сборник статей участников VII Международной научно-практической конференции
28–30 января 2023 г., г. Минск
МИНСК. Издательство Минской духовной академии. 2023
conf.oikos@gmail.com
 სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) მიერ 3 წელში - 1
1. ჯემალ ხარიტონაშვილი
სტატია- „წარმოების ფაქტორთა თეორიის ვარიაციები“.
GLOBALIZATION AND BUSINESS #13, 2022 გვ.:35-38.

VARIATIONS OF PRODUCTION FACTORS THEORY

JEMAL KHARITONASHVILI
Doctor of Economics, Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
ISSN 2449-239
https://eugb.ge.

***ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე***

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ფუტკარაძე რ.** (2023). საქართველოს საგარეო ვაჭრობა და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების გამოწვევები. Georgia's Foreign Trade and the Challenges Facing the Country's Economic Security. მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცის: ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული. თბილისი, გვ. (იბეჭდება).

**2. Putkaradze,** R. (2023). External Economic Security of the State and the Need for Expanding International Economic Relations. ქვეყნის საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოება და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოების აუცილებლობა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები: „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება”. ბათუმი, 20-21 ოქტომბერი (იბეჭდება).

**3. ფუტკარაძე რ**. (2023). საქართველოსა და აზერბაიჯანის სავაჭრო ურთიერთობები გლობალიზაციის პირობებში. Trade Relations between Georgia and Azerbaijan in Terms of Globalization. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული: „მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით“, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 542-550.

***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1. 1.საქართველოს საგარეო ვაჭრობა და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების გამოწვევები. ანოტაცია. გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი ელემენტია, შესაბამისად ქვეყანამ მას მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს. პატარა სახელმწიფოებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოება ყოველთვის დღის წესრიგშია. ხშირად ისტორიულ კავშირებთან და დიდ სახელმწიფოებთან გეოგრაფიული სიახლოვესთან ერთად, მცირე სახელმწიფოები აღმოჩნდებიან დაპირისპირებისას უთანასწორობაში. ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, რომ მათი საგარეო ეკონომიკური უსაფრთოება ძირითადი დაკავშირებულია ნატოსა და ევროკავშირის წევრობასთან.

ნაშრომში განხილულია საქართველოს საგარეო ვაჭრობა ეკონომიკური უსაფრთხოების კუთხით. აღნიშნულია, რომ აუცილებელია საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაცია. ბოლო პერიოდში საქართველოსა და რუსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობა იზრდება რაც გარკვეულ რისკებთან და საფრთხეებთან არის დაკავშირებული. აუცილებელია ეტაპობრივად ქვეყნის უარყოფითი სალდოს შემცირება და ადგილობრივი ექსპორტის გაზრდით. საქართველოს,

ევროკავშირის პოტენციური კანდიდატი ქვეყანის საგარეო ვაჭრობაში დაბალია ევროკავშირის წილი.
საკვანძო სიტყვები: საგარეო ვაჭრობა, საგარეო, ეკონომიკური უსაფრთხოება, ექსპორტი, ეკონომიკური ინტეგრაცია.

*2.* ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ნებისმიერი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია საგარეო ეკონომიკური კავშირები და მისი გაფართოება. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს ეკონომიკის გლობალიზაციის და საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის შეუქცევადი პროცესები, რაც ქვეყანათა შორის კავშირების გაღრმავებას ემსახურება.

საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის განხილვისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ საერთაშორისო სისტემაში არ არსებობს ერთიანი სახელისუფლებო ოფიციალური ორგანო. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო სისტემას, განსხვავებით ნაციონალურიდან, რომელიც ხასიათდება მმართველობის იერარქიული სტრუქტურით, გააჩნია ანარქისტული სტრუქტურა. რამდენადაც სახელმწიფოები მოკლებული არიან შესაძლებლობას საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემები გადაწყვიტონ მსოფლიო ხელისუფლების მეშვეობით, ცდილობენ იქონიონ ძალისმიერი უპირატესობა რეალურ, პოტენციურ მოწინააღმდეგესთან შედარებით. ამასთან, მუდმივად ირღვევა ძალთა თანაფარდობა (ძალთა ბალანსი) სახელმწიფოებს შორის.

სახელმწიფოები თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობენ საკუთარი უსაფრთხოების განმტკიცებას, რაც იწვევს ძალთა თანაფარდობის რღვევას. სწორედ ძალთა ბალანსის რღვევა და აღდგენა ქვეყნებს შორის თავიანთი ინტერესებისათვის ბრძოლაში უზრუნველყოფს როგორც მთლიანად საერთაშორისო სისტემის, ასევე მისი ელემენტების უსაფრთხოება-სტაბილურობას. მეორე მხრივ, საერთაშორისო სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებად შეიძლება დასახელდეს ერთი რომელიმე სახელმწიფოს ჰეგემონია და ლიდერობა, რომელიც დე-ფაქტო თავის თავზე იღებს `მსოფლიო ხელისუფლების~ ზოგიერთ ფუნქციას. თუმცა ერთი სახელმწიფოს ჰეგემონია არაა მუდმივი, რადგან მის ადგილზე სხვა სახელმწიფოს მხრიდან ჩანაცვლება იწვევს ძალთა ბალანსის რღვევას, რასაც ხშირად თან ახლავს სხვადასხვა სახის კონფლიქტები, თვით სამხედრო დაპირისპირების და ომების სახით.

ცნობილია, რომ საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ისეთ მდგომარეობას, რომ-ლის დროსაც მიიღწევა სახელმწიფოების სტაბილური ეკონომიკური განვითარება და იქმნება პირობები მათ შორის ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობისათვის ისე, რომ გამოირიცხება ეკონომიკური ძალების არასამართლიანი გამოყენება. საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემა მოწოდებულია დაიცვას თითოეული სახელმწიფო შემდეგი სამი ძირითადი საფრთხისაგან:
1. მსოფლიო ეკონომიკური განვითარების პირობების სტიქიური გაუარესებისა-გან;
2. სახელმწიფოებს შორის შეუთანხმებელი ეკონომიკური გადაწყვეტილებების არასასურველი შედეგებისაგან.
3. გაცნობიერებული ეკონომიკური აგრესიისაგან სხვა სახელმწოფოთა მხრიდან.

ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ უსაფრთხოებას პრობლემებს უქმნის, ეკონომიკური – მსოფლიო ეკონომიკის მდგრადობის პრობლემა, ეკონომიკური და ფინანსური კრიზისები, გაუნახლებადი რესურსების ამოწურვა, ენერგეტიკული პრობლემები, სიღარიბე, დასაქმება, სურსათის უკმარისობა და სხვ

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ კაცობრიობას მოუწევს დიდი ძალისხმევის, ენერგიის, დროის და ფიონანსური რესურსების გაწევა, რათა

მოამზადოს პრევენციული ღონისძიებების სისტემა ბუნებრივი ანომალიების მიერ გამოწვეული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. ცალკე საკითხია კოვიდ 19 პანდემია რომელმაც ქვეყანათა თუ ადამიანთა შორის კავშირები დროებით შეასუსტა და დააფიქრა საერთაშორისო თანამეგობრობა ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების წინააღმდეგ საბრძოლველად მომზადების აუცილებლობაში.

საქართველოს ეროვნული ინტერესები მოითხოვს სხვა ღონისძიებებთან ერთად, ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გაღრმავებას. საქართველო ესწრაფვის, გახდეს ევროკავშირის კანდიატი ქვეყანა, რაც მას საშუალებას მისცემს, ასევე განიმტკიცოს კეთილდღეობა და ეროვნული უსაფრთხოება.

**3. საქართველოსა და აზერბაიჯანის სავაჭრო ურთიერთობები გლობალიზაციის პირობებში.**

ანოტაცია. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მჭიდრო სავაჭრო (და არა მარტო სავაჭრო) ურთიერთობაა. აზერბაიჯანი საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო და საიმპორტო ქვეყანაა, რაც ძირითადად გეოგრაფიული ფაქტორის შედეგია. ასევე საქართველო აზერბაიჯანისთვისაც მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია, მაგრამ ამ უკანასკნელის საგარეო ვაჭრობაში საქართველოს როლი შედარებით დაბალია. საქართველოში აზერბაიჯანის ძირითადი საექსპორტო საქონელი ნავთობპროდუქტები და ბუნებრივი აირი.

ნაშრომში განხილულია მხარეებს შორის სავაჭრო საკითხები და გაკეთუბულია დასკვნა, რომ მხარეთა შორის სავაჭრო კავშირების გაღრმავება კიდევ უფრო არის შესაძლებელი.

საქსტატის მონაცემების მიხედვით საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო ქვეყნებში აზერბაიჯანი ყოველთვის იყო წარმოდგენილი. 2022 წლის მონაცემებით მეორე ადგილზეა ჩინეთისა შემდეგ. აზერბაიჯანი სავაჭრო ბრუნვის მიხედვით წარმოადგენს მეოთხე ქვეყანას თურქეთის, რუსეთის და ჩინეთის და იმპორტის მიხედვით მეექვსე ქვეყანას თურქეთის, რუსეთის, ჩინეთის, აშშ-ის და გერმანიის შემდეგ.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, აზერბაიჯანი, ექსპორტი, იმპორტი, საგარეო ვაჭრობა.

აზერბაიჯანი საქართველოს მეზობელი, მსხვილი სავაჭრო და სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანაა. აზერბაიჯანი ყოველთვის ინარჩუნებდა საქართველოს საექსპორტო და საიმპორტო ქვეყნებს შორის ლიდერობას. საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია აზერბაიჯანთან მჭიდრო და სტაბილური თანამშრომლობის შენარჩუნება: ვაჭრობის, ეკონომიკის, ენერგეტიკისა, ტრანსპორტის და სხვა სფეროებში.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია სხვა ღონისძიებებთან ერთად ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს მისი საექსპორტო პოტენციალის ზრდას. საქართველოს აზერბაიჯანთან ურთიერთობაში ექსპორტი ნაკლებია იმპორტთან შედარებით. ცხრილში N1 წარმოდგენილია მხარეთა შორის ძირითადი სავაჭრო მაჩვენებლები.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ფუტკარაძე რ.** (2023). საქართველოს საგარეო ვაჭრობა და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების გამოწვევები. Georgia's Foreign Trade and the Challenges Facing the Country's Economic Security. მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. თბილისი, 3 ნოემბერი.

**2.Putkaradze, R**. (2023). External Economic Security of the State and the Need for Expanding International Economic Relations. ქვეყნის საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოება და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოების აუცილებლობა. საერთაშორისო

სამეცნიერო კონფერენცია: „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება”. ბათუმი, 20-21 ოქტომბერი.

**3. ფუტკარაძე რ.** (2023). საქართველოსა და აზერბაიჯანის სავაჭრო ურთიერთობები გლობალიზაციის პირობებში. Trade Relations between Georgia and Azerbaijan in Terms of Globalization. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით“, თბილისი, 7-8 ოქტომბერი.

*ასოცირებული პროფესორი ლელა ჯამაგიძე*

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Lela Jamagidze (2023). Structural Transformation, Trade and Development: Georgia in Comparative Perspective, CES working papers, Issue 4

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების ანალიზი, ამ ცვლილებების თანმდევი თვისებრივი ტრანსფორმაციების შესწავლა და ქვეყნის ვაჭრობის განვითარებაზე მათი შესაძლო გავლენების გამოკვეთა. ნაშრომში საქართველოს მონაცემები შედარებულია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მონაცემებთან, რითაც სტრუქტურული ცვლილებების საკითხი გაშლილია რეგიონულ ჭრილში. კვლევისას გამოყენებულია ორი მთავარი მაჩვენებელი: ეკონომიკის სექტორების დასაქმების წილი მთლიან დასაქმებაში და სექტორების დამატებული ღირებულების წილი მსპ-ში. ვაჭრობაზე გავლენების დასადგენად სტრუქტურული ტრანსფორმაციის მაჩვენებლების ანალიზი ცალკეული საექსპორტო სექტორის მიხედვით არის წარმოდგენილი. კვლევით ვლინდება, აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებთან შედარებით, მნიშვნელოვანი განსხვავებები და ჩამორჩენა საქართველოს სტრუქტურულ ტრანსფორმაციაში უფრო მაღალი დამატებული ღირებულების ეკონომიკური საქმიანობების მიმართულებით, შესაბამისად გამოკვეთილია ის სტრუქტურული რისკები, რომელთა შემცირება აუცილებელია საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი ლელა ჯამაგიძე. Structural Transformation, Trade and Development: Georgia in Comparative Perspective. ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია EURINT, 19 მაისი, 2023, იაში (რუმინეთი)

*ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება* აერთიანებს რვა კათედრას:

1. *ფინანსებისა და საბანკო საქმე;*
2. *ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი;*
3. *საერთაშორისო ბიზნესი;*
4. *მენეჯმენტი და ადმინისტრირება;*
5. *გლობალურ გარემოში მენეჯმენტის;*
6. *მარკეტინგი;*
7. *ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი;*
8. *ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკასა და ბიზნესში.*

**I.** 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება*: ფინანსები და საბანკო საქმის კათედრა*
2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: *პროფესორი ირაკლი კოვზანაძე*
3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
*ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე*
*ასოცირებული პროფესორი მაია გოგოხია*
*ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე*
*ასოცირებული პროფესორი ავთანდილ ჩუთლაშვილი*
*ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური*
*ასისტენტ პროფესორი ნატო კაკაშვილი*
*ასისტენტ პროფესორი თამარ კბილაძე*

*პროფესორი ირაკლი კოვზანაძე*
6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
**1. ირაკლი კოვზანაძე**
2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1. **„მსოფლიო და პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკების განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები უკრაინის გეოპოლიტიკური შოკის ფონზე“**
3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. **ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ #2.**
4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
**1. თბილისი**
5) გვერდების რაოდენობა
1. 18 გვერდი
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
სტატიაში გაანალიზებულია მსოფლიო ეკონომიკის, ცალკეული რეგიონების და პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკების განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები სხვადასხვა პოლიტიკური და მაკროეკონომიკური ფაქტორების, მათ შორის უკრაინასთან დაკავშირებული გეოპოლიტიკური კრიზისის პირობებში. არსებული რიგი ნეგატიური ფაქტორების გათვალისწინებით, ყურადღება გამახვილებულია ფინანსური და მაკროეკონომიკური სტაბილურობის განმტკიცების მნიშვნელობაზე.

მსოფლიო ეკონომიკა, რეგიონული და ცალკეული ქვეყნების ეკონომიკები განიცდიან მთელი რიგი ფაქტორების ნეგატიურ გავლენას: რეცესიის საფრთხე, მაღალი ინფლაცია (რაც, პირველ რიგში, ენერგომატარებლებზე ფასების ზრდით არის განპირობებული), COVID-19 პანდემიის შემდეგ ჯერ კიდევ სრულად არ აღმდგარი სამეურნეო კავშირები, სავაჭრო ომები, ეკონომიკური სანქციები და ა.შ. ამასთანავე, 2022 წელს გამოიკვეთა ცენტრალური ბანკების მიერ, ინფლაციის მოთოკვის მიზნით, საპროცენტო განაკვეთების ზრდა - აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ 2022 წელს აღნიშნული განაკვეთი 0.3%-დან 4.5%-მდე, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა კი - 0%-დან 2.5%-მდე გაზარდა. წამყვანი ქვეყნების ცენტრალური ბანკების მიერ განაკვეთების ასეთი ზრდა გარკვეულწილად შოკი იყო მსოფლიო ეკონომიკისთვის, ვინაიდან 2007-2008 წლების ფინანსური კრიზისის შემდგომ იგი ადაპტირებული იყო იაფი ფულის პოლიტიკაზე.

2022 წელი კი მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და შეიძლება ითქვას განმსაზღვრელი ნეგატიური ფაქტორი იყო და რჩება უკრაინის ომთან დაკავშირებული გეოპოლიტიკური შოკი.

გეოპოლიტიკური რეალიები რთულ და კომპლექსურ გავლენას ახდენს როგორც მსოფლიო, ასევე ცალკეული რეგიონების და ქვეყნების ეკონომიკაზე; მიმდინარეობს ცალკეული ქვეყნების და ქვეყანათა ჯგუფების ეკონომიკების ფრაგმენტაცია, გლობალური სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების რღვევა, ლოჯისტიკური ჯაჭვების წყვეტა და გაძვირება, ენერგომატარებლებზე ფასების ზრდა, სანქციები და სავაჭრო ომები, დისბალანსის ზრდა სახელმწიფო ფინანსებში, საწარმოო ინფრასტრუქტურების ნგრევა, ლტოლვილთა რაოდენობისადა სოციალური პრობლემების ზრდა და ა.შ.სწორედ ასეთ ვითარებაში უწევს გლობალურ ეკონომიკას და ცალკეული ქვეყნების ეკონომიკას ფუნქციონირება.

მიუხედავად არსებული რეალობების და გამოწვევებისა მსოფლიო ეკონომიკამ თავიდან აიცილა რეცესია, თუმცა რისკები კვლავ რჩება.

2022 წელს გლობალური ეკონომიკის ზრდის ტემპმა 3.4% შეადგინა (2021 წელს 6% იყო), ამ ეტაპისათვის 2023 წლის მშპ-ის ზრდის პროგნოზი უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში, სავარაუდოდ, ყველაზე დაბალი იქნება და 2.9%-ს შეადგენს.

მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკების მაჩვენებლები 2022 წელს საკმაოდ განსხვავებული იყო, მთლიანობაში მათ ზრდა აჩვენეს, თუმცა, მიმდინარე წელს მოსალოდნელია ზრდის ტემპების კლება: აშშ - ზრდა 1.4%, ევროზონის ქვეყნები - ზრდა 0.7%, დიდი ბრიტანეთი - კლება 0.6%.

განვითარებადმა ქვეყნებმა გასულ წელს მთლიანობაში უფრო მაღალ ეკონომიკურ ზრდას მიაღწიეს - 3.9%, მათ შორის აზიის ქვეყნებში - 4,3%, თუმცა ჩინეთის მშპ-ს ზრდის მაჩვებებელი უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ერთ - ერთი ყველაზე დაბალი იყო და მხოლოდ 3% შეადგინა (შედარებისთვის - ინდოეთში მშპ-ს ზრდამ 6.8%-ს მიაღწია).

ასეთ ვითარებაში, უკანასკნელი ორი წელია საქართველოს ეკონომიკა მაღალ, ორნიშნა ზრდას აჩვენებს (2021 წ. - 10.5%, 2022 წ. - 10.1%), ასევე გაუმჯობესებულია პრაქტიკულად ყველა მაჩვენებელი: ინფლაცია 12-13 %-დან შემცირებულია 9.4%-მდე, გაზრდილია სავაჭრო ბრუნვა და მათ შორის ექსპორტი, შემცირებულია უმუშევრობის დონე (20.6%-დან 17.3%-მდე), შემცირებულია მთავრობის ვალის მშპ-სთან თანაფარდობის მაჩვენებელი (2020 წ. – 60.2%, 2021 წ. – 49.7%, 2022 წ. – 39.6%) და ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი (2020 წ. 9.3%, 2021 წ. – 6.1% , 2022 წ. – 3.1%), მიმდინარე ანგარიშის სალდო და ა.შ. პარალელურად, საქართველოს საბანკო სისტემამ შეინარჩუნა მაღალი ლიკვიდობა და მდგრადობა. 2022 წელს საბანკო სისტემის აქტივები გაიზარდა 16%-ით და 70 მლრდ. ლარს მიაღწია, ფიზიკური და იურიდიული პირის დეპოზიტები გაიზარდა 19%-ით და 44.3 მლრდ ლარს გაუტოლდა, კაპიტალიზაცია გაიზარდა 19.5%-ით და 9.2 მლრდ ლარი შეადგინა.

ამგვარად, გლობალური ეკონომიკის, ცალკეული ქვეყნების და სახელმწიფოთა ეკონომიკის 2022 წლის შედეგები არაერთგვაროვან სურათს იძლევა.
ერთის მხრივ, 2022 წელს ძირითადად თავიდან იქნა აცილებული გლობალური რეცესია, მეორე მხრივ კი, 2023 წელს იკვეთება ეკონომიკური ზრდის ტემპის კლების, დანაზოგების და ინვესტიციების შემცირების, შემოსავლების და მოხმარების კლების, სახელმწიფო ხარჯების და ვალის ზრდის, ეროვნული ვალუტების რყევის, ფინანსური სისტემების და ინსტიტუტების ლიკვიდობის დეფიციტის და გადახდისუნარიანობის რისკის ზრდის და ა.შ.ტენდენცია. მთლიანობაში, მდგომარეობა საკმაოდ მყიფეა და ეკონომიკურ პერსპექტივებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს გეოპოლიტიკური რისკები და რეალობები. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაკროეკონომიკური, მონეტარული და ფინასური მდგრადობის უზრუნველყოფას.
საკვანძო სიტყვები: მსოფლიო ეკონომიკა, პოსტსაბჭოთა ეკონომიკა, ეკონომიკური ზრდის ტემპები, ინფლაცია, დანაზოგები და ინვესტიციები, ბიუჯეტის დეფიციტი, სახელმწიფო ვალი, საგადასახდელო ბალანსი.

*ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე*
6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები

**1. ხათუნა ბარბაქაძე**
**ნატო კაკაშვილი**
**2. ნატო კაკაშვილი**
**ხათუნა ბარბაქაძე**
**3. ხათუნა ბარბაქაძე**
**ნატო კაკაშვილი**

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
**1. „კორპორატიული მართვის ეფექტიანობა: არსებული პრობლემები და პერსპექტივები“**
**2. „აგროდაზღვევა საქართველოში: გამოწვევები და პერსპექტივები“**
**3. „საპენსიო სისტემების განვითარების ძირითადი მიმართულებები და პერპექტივები“**
3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. ჟურნალი „ქართველი მეცნიერები“ ტომ. 5 No.2 . გვ., 253-260
2. ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, #1. გვ., 103-108
3. ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“ #2. გვ. 37-51
4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი
2. თბილისი
3. თბილისი
5) გვერდების რაოდენობა
1. 9 გვერდი
2. 7 გვერდი
3. 15 გვერდი
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. *ანოტაცია*

კორპორატიული მართვა გულისხმობს სხვადასხვა დაინტერესებული პირების ინტერესების გაერთიანებას. ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში მთავარ მიზანს კერძო სექტორის ჩამოყალიბება და მეწარმეობის განვითარება წარმოადგენდა. აღნიშნული მიზნის

მისაღწევად მნიშვნელოვანი ადგილი პრივატიზაციას ეჭირა. სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესი მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის შედეგია. პრივატიზაციის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას საკუთრების კორპორატიული სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, აღნიშნული პროცესის შედეგი გაუმჯობესებული და მაღალტექნოლოგიურად განვითარებული სერვისები, გაზრდილი წარმოება და ფინანსური ეფექტიანობა უნდა იყოს. შესაბამისად, საკუთრების გადანაწილების პროცესი იქნება კორპორატიული კონტროლის ნორმალური და ეფექტიანი მექანიზმი, როდესაც გაიზრდება კორპორაციების საქმიანობის ეფექტიანობა და შესაბამისად, ადგილი ექნება ეკონომიკურ ზრდას. სამწუხაროდ, საქართველოში ასეთი პროცესები იყო უფრო გამონაკლისი, ვიდრე წესი.

ამრიგად, შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ავღნიშნოთ, რომ პრივატიზაციამ ვერ გადაწყვიტა მთავარი ამოცანა - ახლადშექმნილი სააქციო საზოგადოებების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება. მოსალოდნელი იყო, რომ გაჩნდებოდნენ უფრო ეფექტური მართვით დაინტერესებული მესაკუთრეები. მაგრამ ერთი მესაკუთრის - სახელმწიფოს ნაცვლად მრავალრიცხოვანი მესაკუთრებიის გაჩენა სუსტად აისახა მართვის შიდა მექანიზმების მოქმედების ეფექტურობის ზრდაზე და მის შედეგზე. ამავე დროს, არსებითად გართულდა საკუთრების განკარგვის და საერთო სტრატეგიული ხელმძღვანელობის საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის შესაძლებლობები. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მესაკუთრის გამსხვილების პარალელურად შეთავაზებული არ იყო კორპორატიული მართვის ქმედითი მექანიზმები.

2. *ანოტაცია*

ფერმერულ-მეურნეობებსა და კოოპერატივებში მეურნეობისა და წარმოების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ფინანსური სახსრების მოძიება, რადგან აგრარული სექტორის განვითარება ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს, ამდენად, სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება საქართველოს მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.აგრარული სექტორის განვითარებამ წამყვან პოზიციაზე გადმოინაცვლა პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში, ამასთან მსოფლიოც ღიად საუბრობს სასურსათო დეფიციტსა და მოსალოდნელ შიმშილზე.ბოლო წლებია სახელმწიფო აქტიურად ახორციელებს სოფლის მეურნეობის განვითარებისკენ მიმართულ სხვადასხვა სახის პროექტებს, მათ შორის მნიშვნელოვანია აგროდაზღვევა.სახელმწიფოს ჩართულობის მიუხედავად, აგროდაზღვევაში სადაზღვევო პაკეტების არსებული შეთავაზებები საკმაოდ შეზღუდულია, საქართველოს მსგავსი სასოფლო სამეურნეო კულტურების ფართო სპექტრისა და განსხვავებული კლიმატური ზონების მქონე ქვეყნისთვის. ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რეგიონები,ზონები სპეციფიკური რისკებით ხასიათდება. აგრარული სექტორის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ფერმერისთვის სპეციფიკური რისკების დაზღვევის შესაძლებლობა, რაც საქართველოში მნიშვნელოვნად შეზღუდულია. არსებული სისტემა ეფუძნება მხოლოდ ცალკეული რისკების დაზღვევას.

*3. ანოტაცია*

სტატიაში საერთაშორისო დონეზე დაგროვილი გამოცდილებისა და შესწავლილი მონაცემების საფუძველზე დაყრდნობით განხილულია საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სქემის ამოქმედებისა და განვითარების პერსპექტივები. ანალიზის შედეგად გამოვლენილია დაგროვებითი საპენსიო სისტემის სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა, როგორც სახელმწიფო, ასევე, თითოეული მოქალაქის დონეზე. დაგროვებითი საპენსიო სქემა მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებული საპენსიო სისტემის ფორმაა, რომლის მიზანია, დასაქმებული მოქალაქეების მაღალი ჩანაცვლებითი კოეფიციენტის მქონე პენსიით უზრუნველყოფა. დაგროვებითი საპენსიო სქემის ფუნქცია არამხოლოდ დასაქმებული

მოქალაქეების პენსიით უზრუნველყოფას, არამედ დაგროვილი საპენსიო აქტივების საინვესტიციო საშუალებად გამოყენებას გულისხმობს. აღნიშნული კი, ერთი მხრივ, ქვეყნის ეკონომიკის ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, კაპიტალის ბაზრის განვითარებას შეუწყობს ხელს.ყოველივე ეს კი კორელაციაშია საზოგადოების სოციალური დონის ამაღლებასთან.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

**1. ნატო კაკაშვილი**

**ხათუნა ბარბაქაძე**

2) მოხსენების სათაური

**1. „COVID-19–ის გავლენა ქონების დაზღვევის ფინანსურ მაჩვენებლებზე"**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

**1. 7-8 ოქტომბერი 2023 წელი. თბილისი.** პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული: „მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით"

***ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე***

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტითდაფინანსებულისამეცნიერო-კვლევითიპროექტები

2.1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ბიზნესის ფინანსური შედეგების პროგნოზირების მანქანური სწავლების პროგრამული სისტემის შემუშავება

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიებიციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები მ. ჩიკვილაძე, ნ. თოდუა, მ.ლეჟავა, ლ.შენგელია

2) სტატიისსათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. WAYS OF PERFECTING COMMON STATE TAXEES IN GEORGIA,

3)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. JOIRNAL OF EASTERN EUROPEAN AND CENTRAL ASIAN RESEARCH VOL.8. NO.2

5.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

1)ავტორი/ავტორები

2)სტატიისსათაური, ISSN

3)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

4)გამოცემისადგილი, გამომცემლობა

5) გვერდებისრაოდენობა

**7. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა**

7.1.საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

**1. მიხეილ ჩიკვილაძე**

2) მოხსენებისსათაური

1.კოვიდ-19 პოსტპანდემიური ეკონომიკის აღდგენის პერსპექტივები, თსუ

2. სახელმწიფო ბიუჯეტი, ეკონომიკური ზრდა, სახელმწიფო ვალი, გადასახადები და გამოწვევები,

3) ფორუმისჩატარებისდროდაადგილი

**1. 4-5 ნოემბერი 2023 წელი. თბილისი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი**

**2.მაისი 2023** პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

*ასოცირებული პროფესორი ავთანდილ ჩუთლაშვილი*

**6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში**

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

ჩუთლაშვილი ა., სტატიის სათაური - "The Main Challenges of Economic Police and the Features Composition of Official Reserves

ციფრული საიდენტიფიკაციო კოდი DOI – https://doi.org/10.31435/rsglobal_ijite/30092023/8046

ჟურნალის დასახელება - International Journal of Innovative Technologies in Economy.

**p-ISSN: 2412-8368**

**e-ISSN: 2414-1305**

გამოცემის ადგილი - პოლონეთი

გამოცემლობა - **Publisher:** RS Global Sp. z O.O., Poland

გვერდების რაოდენობა - 11

*ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური*

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ***ლეილა ღუდუშაური. პრობლემური კრედიტების მართვის გამოწვევები და შესაძლებლობები საქართველოს კომერციულ ბანკებში.***

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები – ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. თბ., 3–4 ნოემბერი, 2023. ISBN 978-9941-36-061-9. –10 გვ.

2. ***ლეილა ღუდუშაური. თვითმომსახურების ბანკები საქართველოში: რეალობა და პერსპექტივები.***

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. პროფ. გიორგი პაპავას 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული – „მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით“. თბ., 7–8 ოქტომბერი, 2023. ISBN 978-9941-36–049-7. –10 გვ.

**1. პრობლემური კრედიტების მართვის გამოწვევები და შესაძლებლობები საქართველოს კომერციულ ბანკებში**

ანოტაცია

*პრობლემური კრედიტები, ანუ ვადაგადაცილებული სესხები ერთ-ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს ქვეყანაში არსებული არამდგრადი, ეკონომიკური განვითარების ფონზე. ეს საკითხი კომერციული ბანკებისა და მათი მომხმარებლის პრობლემას სცდება, იძენს მასშტაბურ ხასიათს და წარმოადგენს საზოგადოებრივ–სახელმწიფოებრივ გამოწვევას.*

*ნაშრომში განხილულია პრობლემური კრედიტების წარმოშობის მიზეზები და მართვის გამოწვევები საქართველოს საბანკო სფეროში, შესწავლილია მომხმარებლის გადახდისუნარიანობაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორები, გასაკუთრებული ყუადღებაა გამახვილებული არსებულ ვითარებაში ვადაგადცილებული სესხების ამოღების*

*პერსპექტივებსა და შესაძლებლობებზე, რათა მაქსიმალურად შემცირდეს მსგავსი სესხების რაოდენობა ბანკის საერთო საკრედიტო პორტფელში.*

სესხის ვადაგადაცილებას მრავალი მიზეზი იწვევს, მათგან ყველაზე ხშირია დიდი ვალდებულებები. ასეთ დროს, მომხმარებელი ვეღარ ახერხებს ვალის დაფარვას და არსებულის დასაფარად ახალს იღებს. ასევე, ინფორმაციის ნაკლებობა. ხშირია შემთხვევა, როდესაც საკრედიტო პროდუქტებზე მსესხებლებს არ აქვთ სათანადო ინფორმაცია, თუმცა იღებენ კრედიტს, რომლის დაფარვაც არ შეუძლიათ. გარდა ამისა, სამსახურის დაკარგვა, თავის მხრივ, იწვევს ვალის გადაუხდელობას, ხოლო მომატებული ჯარიმა და პროცენტი, მომხმარებლის გადახდისუნარიანობას უფრო მეტად აუარესებს.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ქმედითი ღონისძიებები განახორციელა აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. ერთის მხრივ, ეს იყო ლარის ათპუნქტიანი გეგმის შემუშავება, რომლის მიზანიც იყო სასესხო ბაზრის დარეგულირება, მეორე მხრივ, კი გაიზარდა ბანკებისათვის უხოური ვალუტის რეზერვაცია, რასაც უნდა შეემცირებინა ამ ვალუტაში გაცემული სესხების რაოდენობა. გარდა ამისა, ეროვნულმა ბანკმა ფიზიკური პირების ჭარბვალიანობის გამოწვევების საპასუხოდ უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა: 2019 წლიდან პასუხიმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩო აამოქმედა, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში მოქმედი ყველა ლიცენზირებული სესხის გამცემი ობიექტის დაქვემდებარებას დაკრედიტების ერთიან წესებზე, როგორც მომხმარებელთა უფლებების, ასევე საკრედიტო სტანდარტების დაცვის კუთხით. საბანკო და საკრედიტო ინსტიტუტები ვალდებული არიან შეაფასონ ფიზიკური პირის შემოსავლები სესხის გაცემამდე და უზრუნველყონ დებულებით გათვალისწინებული კოეფიციენტური ზღვრების–სესხის მომსახურების კოეფიციენტისა(PTI) და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის(LTV) დაცვა. ამასთან, კოეფიციენტების მოცულობა დამოკიდებულია ვალუტის სახეობაზე, რაც უზრუნველყოფს გაცვლითი კურსის მერყეობისგან გამოწვეული ზიანისგან დაცვას.

აღნიშნულ პროცესში საქართველოს ეროვნული ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობდა კომერციულ ბანკებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამასთან, გადადგმულ იქნა ისეთი თანმიმდევრული ნაბიჯები, როგორებიცაა: მომხმარებელთა უფლებების დაცვის ღონისძიებების გატარება, მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთების შეზღუდვა და სხვა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური შოკის შესარბილებლად და შინამეურნეობების გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად, სახელდობრ: პანდემიის პირობებში კრედიტორები პროაქტიულად სთავაზობდნენ მსესხებლებს სესხების(გასაკუთრებით, იპოთეკური სესხების) რესტრუქტურიზაციას, პროლონგაციას, დროებით გადავადებას და სხვა საშეღავათო შესაძლებლობებს, ამიტომ რისკის სტანდარტული საზომი, როგორიცაა დეფოლტი და ვადაგადაცილება შენატანზე, ამ პერიოდში ნაკლებად ფიქსირდებოდა.

საკრედიტო ორგანიზაციების გამოცდილებამ ცხადყო, რომ იმისათვის რომ ბანკებმა შეძლონ პრობლემური სესხების ამოღება და შესაბამისად, სასესხო პორთფელის გაზრდა, უნდა გაითვალისწინონ შემდეგი:

- ბანკის თანამშრომელს უნდა ჰქონდეს მჭიდრო ურთიერთობა კლიენტთან, მაქსიმალურად მიიღოს მონაწილეობა მართვის პროცესში, ანუ მუდმივი ზედამხედველობა ჰქონდეს ყოველდღიურ გადაწყვეტილებებზე, რაც შესაბამისი მონიტორინგის საშუალებას იძლევა. ამ გადაწყვეტილების მიღება ითხოვს ცვლილებების განხორციელებას როგორც ქვედანაყოფის სტრუქტურაში, აგრეთვე თანამშრომლების მოტივაციის საქმეში.

- განსაკუთრებული კონტროლი მომხმარებელთა ოპერაციებზე, რომლის მეშვეობითაც შეძლებენ აკონტოროლონ მათი სანდოობა.
- საქართველოს ეროვნული ბანკისა და სახელმწიფოს ჩართულობის მაღალი დონე.
- მომხმარებელთა ფინანსური განათლების ამაღლება.

**2.თვითმომსახურების ბანკები საქართველოში: რეალობა და პერსპექტივები**

ანოტაცია

*თანამედროვე საბანკო საქმიანობა, წარმოუდგენელია ინფორმაციული და ტექნოლოგიური ინოვაციების გარეშე, მათი კონკურენტუნარიანობა და მომგებიანობა სრულად არის დაკავშირებული თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასთან. დისტანციური საბანკო პროდუქტების განვითარება და დანერგვა განსაკუთრებით დაჩქარდა Covid–19 პანდემიის პირობებში, როდესაც მსოფლიო ონლაინ სივრცეში გადავიდა და ბანკების ძირითად პრიორიტეტად იქცა მრავალფეროვანი დინსტანციური მომსახურების შეთავაზება მომხარებლებისთვის და ტრადიციული საბანკო ფილიალების თვითმომსახურების მოდელზე გადასვლა.*

*საქართველოს ბაზარზე ერთ-ერთი პირველი ბანკი, რომელმაც ფეხი აუწყო დიჯიტალიზაციის პროცესს და ამავე დროს გამოირჩევა ევროპული გამოცდილების გაზიარებით სს პროკრედიტ ბანკია.*

*ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია: ტრადიციული საბანკო ფილიალების თვითმომსახურების მოდელზე ტრანსფორმაციის პროცესი პროკრედიტ ბანკის მაგალითზე, სახელდობრ: Direct Bank-ის კონცეფციის დანერგვა; თვითმომსახურების ზონის – 24/7 ფორმირება; ვიდეო იდენტიფიკაციის სერვისის ამოქმედება. გარდა ამისა, ყურადღება გამახვილებულია საკრედიტო პროდუქტების ხელშემწყობი ინოვაციური პროექტების განხორციელების თავისებურებებზე, შედეგებზე და გამოთქმულია მოსაზრება მათი შემდგომი დახვეწის მიმართულებით.*

კომერციული ბანკებისთვის ინოვაციური ტექნოლოგიებისა და პროეტების დანერგვა სამუშაო პროცესის განუყოფელი ნაწილია. როგორც სს პროკრედიტ ბანკზე განხილულმა მაგალითმა აჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ ბანკში აქტიურად იყენებენ ინოვაციებს საბანკო მომსახურების პროცესში, ამ ეტაპზე თვითმომსახურების მოდელზე გადასვლა კონკურენტუნარიანობის ინსტრუმენტი არ არის, რადგან საზოგადოება ჯერჯერობით ჩამორჩება ტექნოლოგიური განვითარების ტემპებს, რაც დროთა განმავლობაში დაძლევადია. 2018 წელს პროკრედიტ ბანკის მომხმარებლების უდიდესი ნაწილი არ იყო მზად იმ ცვლილებებისთვის, რომელიც ბანკმა გაატარა. ფაქტია, რომ დღესაც ბანკის ბევრი მომხმარებელი მაინც ფილიალში ვიზიტს ანიჭებს უპირატესობას.

გარდა ამისა, Direct Bank-ის კონცეფციამ სს პროკრედიტ ბანკში დროთა განმავლობაში გამოიწვია კადრების შემცირება. ასევე, კლიენტების ნაწილისთვის მიუღებელია ფიზიკური კავშირის სიმცირე და განსხვავებული მიდგომები. თუმცა ინოვაციური ტენდენციები, ტექნოლოგიების განვითარება საქართველოს საბანკო სფეროში საკმაოდ სწრაფი და მზარდი ტემპით მიმდინარეობს და შესაძლოა თაობების ცვლის შედეგად, დროთა განმავლობაში, ფილიალებზე და ტრადიციულ საბანკო მომსახურებებზე მოთხოვნა აქტუალური აღარც იყოს.

**სხვა აქტივობა**

1. *ინფაქტ ფაქტორის მქონე ევროპის სამეცნიერო ჟურნალის/* ***ESJ-European Scientific Journal/*** *სარედაქციო საბჭოს წევრი 2017 წლიდან დღემდე;*

2. *2017 წლიდან დღემდე ინფაქტ ფაქტორის მქონე ევროპის სამეცნიერო ჟურნალის/* ***ESJ-European Scientific Journal/*** *16 სამეცნიერო სტატიის რეცენზენტი, მათ შორის ერთი ნაშრომის – 2023 წელს.*

*ასისტენტ პროფესორი ნატო კაკაშვილი*

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

**5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით**

1)ავტორი/ავტორები **ნატო კაკაშვილი**

ა)სტატიის სათაური, ISSN **სიცოცხლის სადაზღვევო პაკეტები დაზღვევაში.**

ბ)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი. ტომი XI. №2

გ)გამოცემის ადგილი, გამომცემლობა თსუ

დ) გვერდების რაოდენობა გვ.144-156

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

სიცოცხლის დაზღვევის ფინანსური მხარდაჭერა სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი ამოცანაა, რადგან ადამიანის სიცოცხლე ქვეყნის ეკონომიკის ყველაზე მშნიშვნელოვანი ფასეული და ღირებული რესურსია. საქართველოში სიცოცხლის დაზღვევა არაპოპულარული სფეროა, რადგან მცირეა მოსახლეობის დაინტერესება და დაზღვეულთა რაოდენობა. ამდენად, მნიშვნელოვანია სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის მდგომარეობისა და განვითარების გზების განსაზღვრა, რადგან, საქართველოს მოსახლეობა განიცდის ინფორმაციის ნაკლებობას სიცოცხლის დაზღვევის თვალსაზრისით, ამდენად საჭიროა მომხმარებელზე ორიენტირებული სიცოცხლის დაზღვევის მომსახურების ფასების რეგულირება. მოსახლეობა ყოველთვის საჭიროებდა და საჭიროებს დაცვას ფინანსური ზარალისგან, რამაც ხელი შეუწყო სიცოცხლის დაზღვევის განვითარებას და ჩამოყალიბებას. სიცოცხლის დაზღვევის დროს სადაზღვევო პრემის გადახდის სანაცვლოდ, ბენეფიციარის გარდაცვალების ან გარკვეულ ასაკამდე მიღწევის შემთხვევაში დაზღვეული ან მოსარგებლე მიიღებს მზღვეველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხას. სიცოცხლის დაზღვევა ნებისმიერი ადამიანისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი. სიცოცხლის დაზღვევისას დაზღვეულის გარდაცვალების შემდეგ თანხა გადაეცემა დასახელებულ სანდო პირებს, ასევე ანაზღაურება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც დაზღვეული დაავადდება მძიმე სენით ან უბედური შემთხვევის შედეგად იგი გახდება შრომისუუნარო დროებით ან სამუდამოდ. სადაზღვევო თანხის ანაზღაურება სადაზღვევო კომპანიების მიერ ხდება შემდეგ შემთხვევაში: გარდაცვალება ბუნებრივი სიკვდილით; გარდაცვალება უბედური შემთხვევის შედეგად;.კრიტიკული დაავადების შემთხვევის შედეგად, როდესაც დაზღვეული ხდება შრომისუუნარო სამუდამოდ ან დროებით. სადაზღვევო კომპანიების მიერ სადაზღვევო რისკების დაფარვა დამოკიდებულია სადაზღვევო ხელშეკრულებაზე და სადაზღვევო პოლისზე.

მსოფლიოში სიცოცხლის დაზღვევის სახეობები არის გრძელვადიანი. საქართველოში კი სადაზღვევო კომპანიები ხშირად ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისში აერთიანებენ სიცოცხლის მოკლევადიან დაზღვევას. რისკის განსაზღვრის კრიტერიუმების მიხედვით გამოიყოფა სიცოცხლის დაზღვევის სახეობები, როგორიცაა: სიცოცხლის რისკობრივი დაზღვევა; სიცოცხლის დაგროვებითი და შერეული სიცოცხლის დაზღვევა. თითოეული მათგანი ხასიათდება შესაბამისი თავისებურებებით.მოსახლეობაში საკმაოდ პოპულარობით სარგებლობს უვადო და მოკლევადიანი სიცოცხლის დაზღვევა. ხოლო იშვიათად გამოიყენება გრძელვადიანი ანუ საშუალოვადიანი დაზღვევა, იგი ძირითადად იყიდება გრძელვადიანი დაგროვებადი სიცოცხლის დაზღვევის სახით. უდროოდ გარდაცვალება არ არის ერთადერთი ფინანსური პრობლემა, ასევე მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვს დაოჯახება, სწავლის გადასახადები, დღესასწაულები და სხვა.სიცოცხლის მოკლევადიანი დაზღვევა ეფექტურია და იაფი, თუმცა დროის გასვლის და დაზღვეულის ასაკის მატებასთან ერთად არაეფექტური და შესაბამისად უფრო ძვირი ხდება, რადგან 28-30 წლის ასაკიდან ადამიანის წლოვანების

მატებასთან ერთად იზრდება მისი გარდაცვალების ალბათობაც (ერთი წლის განმავლობაში). სადაზღვევო კომპანია კი იძულებელია გაზარდოს სადაზღვევო პრემია რადგან, იგი ფასის დადგენას ახდენს სტასტისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით.

დასაქმებულთა სიცოცხლის მოკლევადიანი დაზღევევა საქართველოში ნაკლებად გავრცელებულია, მაგრამ აქვს დიდი პოტენციალი, რომ მყარად მოიკიდოს ფეხი საქართველოს სადაზღევეო ბაზარზე.ოჯახს ფინანსური ვალდებულებებისგან იცავს აგრეთვე, სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევის პოლისი, მითუმეტეს საქართველოს მოსახლეობის უმეტესობას აქვს ბანკიდან აღებული კრედიტი. დაზღვევის ვადის გასვლამდე თუ გარდაიცვლება იგი მიიღებს გარკვეულ ანაზღაურებას.განვითარებულ ქვეყნებში განსხვავებულია სადაზღვევო პაკეტის მინიმალური და მაქსიმალური ვადა, რაც განსაზღვრულია 5-50 წლით. საქართველოში კი სადაზღვევო პაკეტის ვადა დამოკიდებულია დამზღევევსა და მზღვეველს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე. საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე აღინიშნება მოზიდული სადაზღვევო პრემიის ზრდა - ავტოდაზღვევაში, ქონების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევაში. ბოლო პერიოდში, სიცოცხლის დაზღვევა მკვეთრად გაუმჯობესდა და ამავე წლის მონაცემებით, მოზიდული პრემიის ჯამურმა რაოდენობამ 55 100 000 ლარი შეადგინა. საქართველოში გაყიდული პოლისების 0.9%-ს იკავებს სიცოცხლის დაზღვევა, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ საქართველოში ეს ბაზარი არ არის ათვისებული. ამის მიზეზი შეიძლება იყოს მაგალითად: არასატაბილური ეკონომიკა, არცთუ ისე დიდი სადაზღვევო კულტურა, საინვესტიციო ბაზრის განვითარების დაბალი დონე, ინფორმაციის ნაკლებობა, უნდობლობა სადაზღვევო კომპანიების მიმართ. მზარდი მოზიდული სადაზღვევო პრემიის მიუხედავად, სიცოცხლის დაზღვევაში აუთვისებელი ნაწილი ძალიან დიდია. ამასთან, სიცოცხლის დაზღვევის დარგის განვითარებაში შეინიშნება პრობლემები, როგორიცაა: სადაზღვევო კომპანიების მიმართ მოსახლეობის უნდობლობა; მოსახლეობის ნაკლებად ინფორმირება სიცოცხლის დაზღვევის სფეროში; სადაზღვევო პაკეტების სიმწირე; მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა; სიღარიბისა და უმუშევობის მაღალი დონე და სხვა. აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად მიზანშეწონილია მოსახლეობის ინფორმირება სიცოცხლის დაზღვევის სფეროში მიმდინარე სადაზღვევო პაკეტების შესახებ, შემოთავაზებული პროგრამები უნდა იყოს მარტივად აღქმადი; აუცილებელია, ასევე მოსახლეობამ გაითავისოს სიცოცხლის დაზღვევის მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში.

2) ავტორი/ავტორები **ნატო კაკაშვილი, ხათუნა ბარბაქაძე**

**ა)სტატიის სათაური, ISSN აგროდაზღვევა საქართველოში: გამოწვევები და პერსპექტივები**

**ბ)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი** საერთაშორისო სამეცნიერო - ანალიტიკური ჟურნალი ბიზნესი და კანონმდებლობა №1

**გ)გამოცემის ადგილი, გამომცემლობა** შპს საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „ივერიონი“

დ) გვერდების რაოდენობა გვ.103-108

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ფერმერულ-მეურნეობებსა და კოოპერატივებში მეურნეობისა და წარმოების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ფინანსური სახსრების მოძიება, რადგან აგრარული სექტორის განვითარება ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს, ამდენად, სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება საქართველოს მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.აგრარული სექტორის განვითარებამ წამყვან პოზიციაზე გადმოინაცვლა პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში, ამასთან მსოფლიოც ღიად საუბრობს სასურსათო დეფიციტსა და მოსალოდნელ შიმშილზე.ბოლო წლებია სახელმწიფო აქტიურად ახორციელებს სოფლის მეურნეობის განვითარებისკენ მიმართულ სხვადასხვა სახის პროექტებს, მათ შორის მნიშვნელოვანია აგროდაზღვევა.სახელმწიფოს ჩართულობის მიუხედავად, აგროდაზღვევაში სადაზღვევო პაკეტების არსებული შეთავაზებები საკმაოდ შეზღუდულია, საქართველოს მსგავსი სასოფლო

სამეურნეო კულტურების ფართო სპექტრისა და განსხვავებული კლიმატური ზონების მქონე ქვეყნისთვის. ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რეგიონები,ზონები სპეციფიკური რისკებით ხასიათდება. აგრარული სექტორის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ფერმერისთვის სპეციფიკური რისკების დაზღვევის შესაძლებლობა, რაც საქართველოში მნიშვნელოვნად შეზღუდულია. არსებული სისტემა ეფუძნება მხოლოდ ცალკეული რისკების დაზღვევას.

3) ავტორი/ავტორები **ნატო კაკაშვილი,**

ა)სტატიის სათაური, ISSN **სამოგზაურო დაზღვევის სრულყოფის მიმართულებები საქართველოში**

**ბ)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი** ჟურნალი ახალი ეკონომისტი. საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი № 2(69)

**გ)გამოცემის ადგილი, გამომცემლობა "ლოი"**

დ) გვერდების რაოდენობა გვ. **26-29**

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

მსოფლიოში გავრცელებულმა COVID პანდემიამ, თავის მხრივ,გამოიწვია სამოგზაურო დაზღვევის მნიშვნელობის ზრდა,რამაც ასახვა ჰპოვა სადაზღვევო კომპანიების მიერ შემოთავაზებულ სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტებში, მოგზაურობამ მნიშვნელოვანი ფინანსური რისკის წინაშე დააყენა როგორც ბიზნესი, ასევე ადამიანები. სამოგზაურო მგზავრობისას წარმოქმნილი მოულოდნელი ზარალისაგან დაცვას უზრუნველყოფს სამოგზაურო დაზღვევა, რომელიც ფარავს ქვეყნის შიგნით ან საზღვარგარეთ მოგზაურობის რისკებთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა: მოგზაურობის გაუქმებასთან; სამედიცინო მომსახურებასთან; დაკარგულ ბარგთან თუ სხვა გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან დაკავშირებული ხარჯები. უსაფრთხოება მნიშვნელოვან ფაქტორია, როგორც, ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ მოგზაურობისას.მოგზაურობისას ფინანსურ დანაკარგების შემცირების საუკეთესო გზად მიგვაჩნია სამოგზაურო დაზღვევა.პანდემიიდან გამომდინარე მოგზაურობების გაუქმება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ხოლო სამედიცინო დახმარების საჭიროება რეალურ შესაძლებლობად. ამდენად, სამოგზაურო დაზღვევა მსგავსი ტიპის ფინანსური დანაკარგებისაგან თავის დაზღვევის კარგი საშუალებაა.

2) ავტორი/ავტორები **ნატო კაკაშვილი, ხათუნა ბარბაქაძე**

**ა)სტატიის სათაური, ISSN „საპენსიო სისტემების განვითარების ძირითადი მიმართულებები და და პერსპექტივები"**

**ბ)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ჟურნალი „ქართველი მეცნიერები" ტომ. 5 No.2 .**

**გ)გამოცემის ადგილი,** თბილისი

დ) გვერდების რაოდენობა გვ.253-260

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

სტატიაში საერთაშორისო დონეზე დაგროვილი გამოცდილებისა და შესწავლილი მონაცემების საფუძველზე დაყრდნობით განხილულია საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სქემის ამოქმედებისა და განვითარების პერსპექტივები. ანალიზის შედეგად გამოვლენილია დაგროვებითი საპენსიო სისტემის სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა, როგორც

სახელმწიფო, ასევე, თითოეული მოქალაქის დონეზე. დაგროვებითი საპენსიო სქემა მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებული საპენსიო სისტემის ფორმაა, რომლის მიზანია, დასაქმებული მოქალაქეების მაღალი ჩანაცვლებითი კოეფიციენტის მქონე პენსიით უზრუნველყოფა. დაგროვებითი საპენსიო სქემის ფუნქცია არამხოლოდ დასაქმებული მოქალაქეების პენსიით უზრუნველყოფას, არამედ დაგროვილი საპენსიო აქტივების საინვესტიციო საშუალებად გამოყენებას გულისხმობს. აღნიშნული კი, ერთი მხრივ, ქვეყნის ეკონომიკის ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, კაპიტალის ბაზრის განვითარებას შეუწყობს ხელს.ყოველივე ეს კი კორელაციაშია საზოგადოების სოციალური დონის ამაღლებასთან.

**7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**

7.1.საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

**1. ნატო კაკაშვილი**
**ხათუნა ბარბაქაძე**
**ნათია კახნიაშვილი**

**2. ნათია კახნიაშვილ**
**ნატო კაკაშვილი**
**ხათუნა ბარბაქაძე**

2) მოხსენების სათაური

**1. COVID-19-ის გავლენა ქონების დაზღვევის ფინანსურ მაჩვენებლებზე**

**2. დაგროვებით საპენსიო სისტემასთან დაკავშირებული რისკები, პრობლემები და მათი დაძლევის გზები**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

**1.7-8 ოქტომბერი 2023,თსუ.** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული:მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით.გამომც. „უნივერსალი“ გვ.286-290

**2. 3 ნოემბერი, 2023, თსუ.** VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: **,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“.**

*ასისტენტ პროფესორი თამარ კბილაძე*

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

აკადემიური მობილობის გრანტი დაფინანსებული DAAD –ის მიერ. კობლენცის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია. ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. 2023 წელი

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **თამარ კბილაძე** - მიწვეული ლექტორი კობლენცის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

***დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების***

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ჟურნალი სპექტრი, N7 (1), 2023, პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაცია დამოუკიდებლობის აღდგენის 30 წლისთავზე **https://journals.4science.ge/index.php/spectri/issue/view/87**

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ეკონომიკის ტრანსფორმაციის 30 წლიანი პერიოდი საქართველოში გარკვეული სირთულეებით მიმდინარეობდა, განსაკუთრებით მტკივნეული იყო პირველი 10 წელი, როდესაც საშუალოდ ყოველწლიურად მთლიანი შიდა პროდუქტის აბოსლუტური კლების მაჩვენებელმა შეადგინა 1,5 მლრდ ლარი. მშპ-ს ყოველწლიურმა საშუალო კლებამ 8.91% შეადგინა. მეორე და მესამე ათწლეულებში მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა, თუმცა, პირველ ათწლეულში გამოწვეული სირთულეების გამო მთლიანად 30 წლის საშუალო აბსოლუტური მატების ყოველწლიური მაჩვენებელი 114 მლნ ლარი იყო, ხოლო მშპ-ს საშუალო წლიური ზრდის ტემპი 0,4 %. უკანასკნელ წლებში საქართველოს ეკონომიკაში მიღწეული წარმატებები ყურადღების გარეშე არ დარჩენია საერთაშორისო სავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს, რომლებმაც საქართველო ეკონომიკური რეფორმების გატარების მხრივ მიიჩნიეს ყველაზე წარმატებულ ქვეყნად პოსტსაბჭოთა სივრცეში. უკანასკნელი დროითი პერიოდების მიხედვით საქართველოს მშპ-ს ზრდა ხასიათდება ორნიშნიანი მაჩვენებლით.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

ინტერდისციპლინარული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - ,,მდგრადი განვითარების თანამედროვე გამოწვევები''

მოხსენება: მდგრადი მაკროეკონომიკური განვითარების და მისი რაოდენობრივი შეფასებისკონცეპტუალური და ემპირიული კვლევის ასპექტები საქართველოში, 25/11/2023 , სდასუ, საქართველო

თამარ კბილაძე, დავით კბილაძე, შორენა მეტრეველი

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება ***ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი ***პროფესორი ლევან საბაური***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

***ნადეჟდა კვატაშიძე ასოცირებული პროფესორი***
***ნანა სრესელი ასოცირებული პროფესორი***
***იზოლდა ჭილაძე ასოცირებული პროფესორი***
***მარინა მაისურაძე ასოცირებული პროფესორი***
***მერაბ ჯიქია ასოცირებული პროფესორი***
***მარიამ ვარდიაშვილი ასოცირებული პროფესორი***
***ლია კოზმანაშვილი ასისტენტ-პროფესორი***

*ასოცირებული პროფესორი მარინა მაისურაძე*
5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. მ. მაისურაძე; მ. ვარდიაშვილი, **საგარანტიო მომსახურების აღრიცხვის საკითხები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია, 6 თებერვალი, 2023;
ttps://tsu.ge/assets/media/files/7/ekon.%20konf.%20kreb..pdf გვ 157-163. 7 გვერდი

***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე).*** *.კომპლექსური პროდუქციის (ტრანსპორტი, აღჭურვილობა, საყოფაცხოვრებო ტექნიკა) მწარმოებლები* მყიდველებს, თავიანთ პროდუქციას, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხარისხის გარანტიით აწვდიან.
*გარდა ამისა, მწარმოებლებს შეუძლიათ უზრუნველყონ თავიანთი პროდუქციის დამატებითი ტექნიკური მომსახურება. ორივე შემთხვევაში გამყიდველი იღებს ვალდებულებას შეაკეთოს ან შეცვალოს დეფექტური პროდუქტი. ეს არის გამყიდველის საგარანტიო ვალდებულებები გაყიდულ საქონელთან მიმართებაში. სტატიაში წარმოდგენილია საგარანტიო ვალდებულებების აღრიცხვის საკითხები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.*

2. მ. მაისურაძე; მ. ვარდიაშვილი, **არაფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების შეფასების მეთოდების გამოყენება;** მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. 3-4 ნოემბერი 2023 გვ. 7

***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე).*** *საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას და მისი საქმიანობის შედეგებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შესაფასებლად გამოყენებული მეთოდები.*
*ფინანსური ანგარიშგების ელემენტების ღირებულების შეფასებაში მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის განმსაზღვრელი როლი განაპირობა ფინანსური ინსტრუმენტების და საფინანსო ინსტიტუტების ახალი ფორმების გამოჩენამ.*
*ფასს 13–ის ,,სამართლიანი ღირებულების შეფასება“, შემოღებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასებაში და შეფასების მეთოდიკაში.*
*სტატიაში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით განხილულია არაფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებით შეფასების მეთოდები და ავტორთა მოსაზრებები ამ საკითხებთან დაკავშირებით.*

3.ლ.საბაური, მ .ვარდიაშვილი, მ. მაისურაძე **სახელშეკრულებო აქტივის და სახელშეკრულებო ვალდებულების ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების საკითხები;** *სამეცნიერო-ანალიტიკურ ჟურნალ „ეკონომისტის“ 2023 წლის მეოთხე ნომერში; 10 გვ*

***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე).*** *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS) 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ გამოქვეყნებით, ფუნდამენტურად შეიცვალა შემოსავლების აღიარების მიდგომები და შეფასების მეთოდები. სტანდარტი სახელშეკრულებო ვალდებულებას განიხილავს, როგორც სააღრიცხვო კოორდინატების ათვლის წერტილს, აქტივზე (საქონელზე ან მომსახურებაზე) კონტროლის გადაცემის და გამყიდველისთვის შემოსავლის აღიარების მომენტის განსაზღვრისათვის. მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრული შესასრულებელი ვალდებულებების შესრულებისას, შესაძლოა წარმოიქმნას აქტივები ან ვალდებულებები,*

*რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას.*
*იმისდა მიხედვით, თუ რა მდგომარეობაა საწარმოს მიერ ვალდებულების შესრულებისა და მომხმარებლის მიერ გადახდის კუთხით, საწარმომ ეს ხელშეკრულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში უნდა ასახოს სახელშეკრულებო აქტივის ან სახელშეკრულებო ვალდებულების სახით.*
*სტატიაში განხილულია სახელშეკრულებო აქტივისა და სახელშეკრულებო ვალდებულების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის პირობები, განსხვავება ბუღალტრული აღრიცხვის ისეთი ტრადიციული ობიექტებისგან, როგორებიცაა სავაჭრო მოთხოვნები და სავაჭრო ვალდებულებები.*
*სახელშეკრულებო აქტივის ან სახელშეკრულებო ვალდებულების შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან იგი აუმჯობესებს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებას, რაც უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს მიაწოდოს ისეთი ფინანსური ინფორმაცია, რომელიც გამოადგებათ მოცემული საწარმოსთვის რესურსების მიწოდების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად.*
*სტატიაში განხილულია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა მკვლევარის მოსაზრებები და შეხედულებები.*
***ასოცირებული პროფესორი ნანა სრესელი***

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

**1.ნ.სრესელი, ნ. ჩავლეშვილი - შეფასებითი მაჩვენებლები და მათი გავლენა ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის სანდოობაზე.** ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 105 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები" **6 თებერვალი, 2023;**
**ttps://tsu.ge/assets/media/files/7/ekon.%20konf.%20kreb. 7გვერედი**

***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე).*** *სტატია ეძღვნება ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საიმედობაზე შეფასებითი მაჩვენებლების გავლენის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს. შეფასებითი მაჩვენებლების არის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების განსაზღვრა ეკონომიკური საქმიანობის არსებულ პირობებში. შეფასებითი მაჩვენებლების გამოყენება მიზანშეწონილია ინფორმაციის სანდოობის ამაღლების მიზნით და წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებათა კორექტირებას. აქტივებისა და ვალდებულებების ზუსტი შეფასების არარსებობის შემთხვევაში, შეფასებითი მაჩვენებლები გამოითვლება პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც ცვალებად ეკონომიკურ სიტუაციაში უზრუნველყოფს აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესებას. ფინანსური ანგარიშგება მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა არა მოვლენების ზუსტ ასახვას, არამედ მიახლოებით შეფასებებს, განსჯასა და მოდელებს, რომლებსაც საფუძვლად უდევს ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლებით დადგენილი კონცეფციები. მიუხედავად იმისა, რომ რიგი ობიექტური გარემოებების გამო, შეუძლებელი იქნება კონცეპტუალური საფუძვლების შესაბამისი იდეალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება, გადამწვეტი მნიშვნელობა მაინც ენიჭება ფინანსური ანგარიშგების იმგვარად მომზადებას, რომ გაუმჯობესდეს მისი სარგებლიანობის ხარისხი. სტატიაში განხილულია*

*შეფასებითი მაჩვენებლების წარმოქმნის პირობები და მათი გავლენა საერთო დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე. შრომაში წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა (ბასს/IAS) და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (ფასს/IFRS) რეგულირებული ის საკითხები, რომლებიც ეხება საკუთარ კაპიტალში რეზერვების შეფასებისა და გადაფასების საკითხებს.*

**1.ნ. სრესელი, რ სრესელი - აუდიტის ხარისხის ძირითადი მახასიათებლები და მათი შეფასების საკითხები.**

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის VIII საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში" **3-4 ნოემბერი,2023.**

***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე).*** *ფინანსური ანგარიშგების საიმედობისა და კაპიტალის ბაზრებზე ინვესტორების ნდობის შესანარჩუნებლად აუდიტის ხარისხის გაუმჯობესება და სრულყოფა ფუნდამენტური ელემენტია. ეს ნაშრომი იკვლევს აუდიტის ხარისხის მრავალფეროვან სფეროს, მის სხვადასხვა მახასიათებლებს და შესაფასებლად გამოყენებულ მეთოდოლოგიას. ბოლო წლებში გახმაურებული კორპორატიული სკანდალების და მარეგულირებელი რეფორმების გამო, აუდიტის ხარისხმა დიდი ყურადღება მიიპყრო. ნაშრომში განხილულია აუდიტის ხარისხის კონცეპტუალური ჩარჩო, ისეთი ასპექტების გათვალისწინებით, როგორიცაა აუდიტორის დამოუკიდებლობა, პროფესიული სკეპტიციზმი, აუდიტორული ფირმის რეპუტაცია და მარეგულირებელი ზედამხედველობა. თითოეული მნიშვნელოვან როლს ასრულებს აუდიტორების მიერ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მიუკერძოებელი და ზუსტი შეფასების უზრუნველსაყოფად. ნაშრომი ასევე იკვლევს მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება აუდიტის ხარისხის შესაფასებლად, როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მიდგომების ჩათვლით. ემპირიული კვლევები, აუდიტის ინსპექტირების ანგარიშები და თვითშეფასების კითხვარები არის აუდიტის ხარისხის სხვადასხვა განზომილების შესაფასებლად გამოყენებული ინსტრუმენტები. ნაშრომი განიხილავს თითოეული მეთოდის უპირატესობებსა და შეზღუდვებს, ნათელს მოჰფენს გამოწვევებს. ნაშრომი იკვლევს აუდიტის ხარისხის როლს კორპორატიული მმართველობის კონტექსტში და მის გავლენას ფინანსურ ბაზრებზე. აუდიტის ხარისხისა და კომპანიის საქმიანობის კავშირს, აქციების ფასებისა და ფინანსური ინფორმაციის სანდოობას.*

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **N. Sreseli, R.Sreseli – International Financial Reporting Standards Updates and Challeng**
   Ecoforum Journal, Vol 12, No 1 **(2023)** **ISSN**: 1584-9066 **ISSN: 2344 – 2174**

***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე):*** ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ფონდი წარმოადგენს საზოგადოებრივ ინტერესებზე ორიენტირებულ ფონდს, რომლის ძირითადი მიზანია ურთიერთთავსებადი, ყოვლისმომცველი და მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღიარებადი სტანდარტების შემუშავება და დანერგვა. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) ფონდი მუდმივად ახდენდა თავისი პოლიტიკის ტრანსფორმაციას როგორც კოვის-19-ის პირობებში, ისე პოსტ-პანდემიურ პერიოდში. ჩვენ გავაანალიზეთ ფასს-ის განახლებები 2021 წლის ძირითად მაჩვენებლების მიხედვით. 2021 წელს ფასს ფონდმა დიდ პროგრესს მიაღწია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის, ეფექტური მმართველობისა და სტრატეგიის გაძლიერების გზით, მეტი ყურადღება გაამახვილა ადამიანური რესურსების მომზადებასა და განვითარებაზე, ასევე ციფრულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ამჟამად იგი

ასრულებს თავისი 2022-2026 წლების გეგმის შემუშავებას. ფასს-ის იმპლემენტაციას ბევრი სარგებელი მოაქვს, მაგრამ რამდენიმე ახალ გამოწვევასაც წარმოქმნის. სტანდარტების დადგენის ორი ინსტიტუტიდან - ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (ბასსს) პასუხისმგებელია ფასს სტანდარტების განსაზღვრაზე, და საერთაშორისო მდგრადობის სტანდარტების საბჭო (სმსს) კი - მდგრადობის გამჟღავნების პრინციპების ხელშეწყობაზე და განსაზღვრაზე. კერძოდ, როგორ ავლენს ორგანიზაცია ინფორმაციას მდგრადობასთან დაკავშირებულ ცვლადებზე, რომელსაც შეუძლია გააძლიეროს ან შეაფერხოს ღირებულებების შექმნა კომპანიის მიერ. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ფონდი ორიენტირებულია ისეთი სტანდარტების შექმნაზე, რომლებიც საერთაშორისო დონეზე უზრუნველყოფს ეფექტიანობას, ანგარიშვალდებულებას და ადაპტირებას ფინანსურ ბაზრებზე, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ორგანიზაცია, ყურადღებას ამახვილებს საზოგადოების სოციალურ კეთილდღეობაზე გლობალური ეკონომიკური ნდობის გაღრმავებით და ყოველმხრივი ფინანსური სტაბილურობის ამაღლებით მთელ მსოფლიოში.

**2.N.Sreseli, N. Kadagishvili - Use of Artificial Intelligence for Accounting and Financial Reporting Purposes: A Review of the Key Issues** ხელოვნური ინტელექტის გამოყენება აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის: ძირითადი საკითხების მიმოხილვა American International Journal of Business Management (AIJBM) ISSN- 2379-106X, www.aijbm.com Volume 6, Issue 8 (August 2023), PP 72-83 https://www.aijbm.com/wpcontent/uploads/2023/08/I687283.pdf

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) ხელოვნურმა ინტელექტმა (AI) რევოლუცია მოახდინა სხვადასხვა ინდუსტრიაში და გამონაკლისი არც ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროა. ვინაიდან ტექნოლოგია წინსვლას უპრეცედენტო ტემპით აგრძელებს, დარგის პროფესიონალებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ინფორმირებულნი იყვნენ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების შესახებ. AI-ს აქვს პოტენციალი გააუმჯობესოს სიზუსტე და გააძლიეროს გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობები ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ფარგლებში. რუტინული აქტივობების ავტომატიზაციით, როგორიცაა მონაცემთა შეყვანა, შეჯერება და აუდიტის პროცესები, AI-ს შეუძლია გამოყოს დრო ბუღალტერებისა და ფინანსური პროფესიონალებისთვის, რათა ფოკუსირდნენ უფრო სტრატეგიულ აქტივობებზე, რომლებიც საჭიროებენ კრიტიკულ აზროვნებას და ანალიზს. ხელოვნური ინტელექტი (AI), როგორც ტექნოლოგია, გარდაქმნის სხვადასხვა ინდუსტრიებს, მათ შორის ბუღალტრულ და ფინანსურ ანგარიშგებას. სტატიაში მოცემულია ძირითადი საკითხების მიმოხილვა ბუღალტერიასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ. დასკვნები ხელს უწყობს ბუღალტერიაში ხელოვნური ინტელექტის დანერგვის მიმდინარე დისკუსიას და აწვდის ინფორმაციას პრაქტიკოსებს და მკვლევრებს. ხელოვნური ინტელექტით მომუშავე ალგორითმებს შეუძლიათ რეალურ დროში გააანალიზონ ფინანსური მონაცემების დიდი ოდენობა, რაც ორგანიზაციებს დაეხმარება მიიღონ ღირებული ინფორმაცია მათი ფინანსური აქტივობის შესახებ, ასევე დაეხმარება ანომალიების ან თაღლითური ქმედებების დაუყოვნებლად გამოვლენაში და უფრო ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში, როგორც ოპერატიულ, ისე სტრატეგიულ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უდაო სარგებელი, რომელიც დაკავშირებულია ხელოვნური ინტელექტის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების პროცესებში გამოყენებასთან, ასევე არის მნიშვნელოვანი გამოწვევები მონაცემთა კონფიდენციალურობის შესახებ, როდესაც ფინანსური ინფორმაცია მუშავდება ხელოვნური ინტელექტის სისტემების მიერ. გარდა ამისა, AI-ის გამოყენებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, შესაძლოა არსებობდეს ეთიკური მოსაზრებები, თუ ალგორითმებში მიკერძოებული პრაქტიკა არის ჩართული. ვინაიდან

ორგანიზაციები აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესებში სულ უფრო მეტად ეყრდნობიან AI სისტემებს, იზრდება პროფესიონალების საჭიროება, რომლებიც ფლობენ როგორც ტექნიკურ გამოცდილებას AI ტექნოლოგიებში, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების სიღრმისეულ გაგებას. ამ ხარვეზის დაძლევა გადამწყვეტი იქნება AI ინსტრუმენტების წარმატებული დანერგვისა და გამოყენების უზრუნველსაყოფად. ამრიგად, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების პროცესებში უდიდესი პოტენციალია ეფექტურობისა და სიზუსტის გასაუმჯობესებლად. ამრიგად, საკითხების პროაქტიული განხილვით, ორგანიზაციებს შეუძლიათ რომ AI ფინანსური ანგარიშგების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად გამოიყენონ.

*ასოცირებული პროფესორიიზოლდა ჭილაძე*

**5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში**

**5.2. სახელმძღვანელოები**

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **მმართველობითი აღრიცხვა 2 - სახელმძღვანელო, 2023 წ. ელექტრონული ვერსია. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საიტი.**

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. სახელმძღვანელო: მმართველობითი აღრიცხვა 2 - მოიცავს თემებს, რომელთა შესწავლა სტუდენტებს აძლევს ცოდნას იმის შესახებ თუ როგორი მიმართულების და შინაასრის ხარჯები გაიწევა კომაპნიებში, რომელი ხარჯები შეიტანება მზა პროდუქციის თვითღირებულებაში. წარმოდგენილია დანხარჯების აღრიცხვის თავისებურებები წარმოების სხვადასხა ტეექნოლოგიური სახეების (ტიპის) დროს, როგორიცაა: წარმოების პროცესული წარმოება, როცა მზა პროდუქტი მიიღება გადამუშავების რამდენიმე პროცესის შედეგად; ნორმატიული დანახარჯების კალკულაცია, რომელიც მენეჯმენტს ეხმარება მართოს და აკონტროლოს ფაქტიურად გამოშვებული პროდუქციის ნორმატიულ და ფაქტიური თვითღირებულებას შორის წარმოქმნილი სხვაობების გამომწვევი მოზეზები; დანახარჯების თანამედროვე ალტერნატიული კალკულაციის პრინციპები; წარმოების შემზღუდველი ფაქტორების გათვალისწინების აუცილებლობა დანხარჯების დაგეგმვის დროს; სტატისტიკური მეთოდების გამოყენება დანახარჯების მოკლე და გრძელვადიანი პერიოდების დაგეგმვისათვის; შიდა ინვესტიციების დანახარჯების აღრიცხვისა და კონტროლის საკითხები; საწარმოთა საქმიანობის შედეგიანობის (დაბალანსებულ მაჩვენებლთა სისტემა) შეფასების ძირითადი მაჩვენებლების შესწავლა, რათა მიღებულ და განხორციეებულ იქნეს ადეკვატური ღონისძიებები საწარმოთა შემდგომი ზრდა-განვითარებისათვს.

**5.4. სტატიები** ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **საწარმოთა კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულებისა და მომგებიანობი მაჩვენებლების ურთიერთკავშირის ასპექტები.**

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია. 2023

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. კვლევის მიზანია საწარმოთა კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების მაჩვენებლის არსისა და როლის ანალიზის საფუძველზე დამტკიცება იმისა, რომ ამ მაჩვენებელს არ შეუძლია და გაუმართლებელია შეცვალოს საწარმოს მომგებიანობის მაჩვენებელი.

**კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება** (WACC – Weighted average cost capital) წარმოადგენს კომპანიის მიერ გამოყენებული დაფინანსების წყაროების საშუალო შეწონილს. რომელიც შემდეგი ფორმულით გამოითვლება (ფინანსური მართვა. 2017. გვ. 496):

$$WACC = r_e * (E/V) + r_d * (D/V) * (1-t),$$ **სადაც,**

$r_e$ - არის სააქციო კაპიტალის მოთხოვნილი განაკვეთი

E - ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალის მოცულობა

V - საკუთარი კაპიტალის მოცულობა

D - ნასესხები კაპიტალის მოცულობა

$r_d$ – ნასესხები კაპიტალის მოზიდვის საპროცენტო განაკვეთი

t – საანალიზო საწარმოს მოგების გადასახადის განაკვეთი

ამრიგად, კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება აჩვენებს მენეჯმენტის მიერ წინა წელს მიღებული ფინანსური გადაწყვეტილებების შედეგს. ეს მაჩვენებელი გამოიყენება მისაღები პროექტების შედარებითი დახასიათებისა და ადეკვატური გადაწყვეტილებების მისაღებად. კერძოდ, მენეჯმენტმა დამატებით გამოუშვას აქციები თუ პირიქით, ბრუნვიდან ამოიღოს გამოშვებული აქციების გარკვეული რაოდენობა.

კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება რაც უფრო მაღალი იქნება ნულზე და სტაბილური, პოტენციური ინვესტორი, კომპანიის აქციების შესყიდვით მით მეტად დაინტერესდება. ამიტომ იგი პოტენციური ინვესტორებისათვის არის მეტად მნიშვნელოვანი.

ამასთან, საწარმოს ხემძღვანელები პასუხისმგებლები არიან მათზე მინდობილი რესურსების ეფექტიან მართვაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიზნესი უნდა ფარავდეს ხარჯებს და დამატებით იღებდეს ფინანსურ ნამეტს ანუ მოგებას.

სააქციო კაპიტალზე დივიდენდის გაცემა და აღებულ სესხებზე საპროცენტო გადასახადების გადახდა უპირობოდ მოითხოვს, რომ კომპანია უნდა იყოს მომგებიანი. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულიდანაც ნათლად სჩანს, რომ მოგება გავლენას ახდენს კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებაზე და თვით კომპანიის ფინანსურ სტაბილურობაზე.

ამასთან, კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება უნდა იყოს მოთხოვნილი დივიდენდის საპროცენტო განაკვეთზე მაღალი. ხოლო, მომგებიანობა უნდა იყოს კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებაზე მაღალი, რათა კომპანიებმა შეძლონ ყველა დანარჩენი ხარჯის (წარმოების ზრდა, პერსონალის სტიმულირება, ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა) დაფარვა. ამ მიზნის მისაღწევად, WACC – ის გაანგარიშებაში ჩართული უნდა იქნეს პრივილეგირებული აქციები და მოკლევადიანი სესხებიც, რაც კოფიციენტს უფრო სრულყოფს და ყველა სესხისა და დივიდენდის დაფარვის კონტროლის ხარისხს გააძლიერებს. ხოლო, თვით მომგებიანობის მაჩვენებლის შეცვლა კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების მაჩვენებლით, გაუმართლებელია. მსოფლიოში სულ უფრო აქტუალური ხდება რაც შეიძლება მაღალი ეფექტიანობით იქნეს გამოიყენებული მატერიალური რესურსები, რომელიც დედამიწაზე ამოწურვადია.

***ასოცირებული პროფესორი მარიამ ვარდიაშვილი***

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. მ. მაისურაძე; მ. ვარდიაშვილი, **საგარანტიო მომსახურების აღრიცხვის საკითხები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი

ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია, 6 თებერვალი, 2023; ttps://tsu.ge/assets/media/files/7/ekon.%20konf.%20kreb..pdf გვ 157-163. 7 გვერდი

***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე).*** *.კომპლექსური პროდუქციის (ტრანსპორტი, აღჭურვილობა, საყოფაცხოვრებო ტექნიკა) მწარმოებლები* მყიდველებს, თავიაანთ პროდუქციას, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხარისხის გარანტიით აწვდიან.

*გარდა ამისა, მწარმოებლებს შეუძლიათ უზრუნველყონ თავიანთი პროდუქციის დამატებითი ტექნიკური მომსახურება. ორივე შემთხვევაში გამყიდველი იღებს ვალდებულებას შეაკეთოს ან შეცვალოს დეფექტური პროდუქტი. ეს არის გამყიდველის საგარანტიო ვალდებულებები გაყიდულ საქონელთან მიმართებაში. სტატიაში წარმოდგენილია საგარანტიო ვალდებულებების აღრიცხვის საკითხები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.*

2. მ. მაისურაძე; მ. ვარდიაშვილი, **არაფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების შეფასების მეთოდების გამოყენება;** მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. 3-4 ნოემბერი 2023 გვ. 7

***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე).*** *საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას და მისი საქმიანობის შედეგებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შესაფასებლად გამოყენებული მეთოდები.*

*ფინანსური ანგარიშგების ელემენტების ღირებულების შეფასებაში მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის განმსაზღვრელი როლი განაპირობა ფინანსური ინსტრუმენტების და საფინანსო ინსტიტუტების ახალი ფორმების გამოჩენამ.*

*ფასს 13–ის ,,სამართლიანი ღირებულების შეფასება", შემოღებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასებაში და შეფასების მეთოდიკაში.*

*სტატიაში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით განხილულია არაფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებით შეფასების მეთოდები და ავტორთა მოსაზრებები ამ საკითხებთან დაკავშირებით.*

3.ლ.საბაური, მ .ვარდიაშვილი, მ. მაისურაძე **სახელშეკრულებო აქტივის და სახელშეკრულებო ვალდებულების ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების საკითხები;** *სამეცნიერო-ანალიტიკურ ჟურნალ „ეკონომისტის" 2023 წლის მეოთხე ნომერში; 10 გვ*

***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე).*** *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS) 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან" გამოქვეყნებით, ფუნდამენტურად შეიცვალა შემოსავლების აღიარების მიდგომები და შეფასების მეთოდები.*
*სტანდარტი სახელშეკრულებო ვალდებულებას განიხილავს, როგორც სააღრიცხვო კოორდინატების ათვლის წერტილს, აქტივზე (საქონელზე ან მომსახურებაზე) კონტროლის გადაცემის და გამყიდველისთვის შემოსავლის აღიარების მომენტის განსაზღვრისათვის.*
*მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრული შესასრულებელი ვალდებულებების შესრულებისას, შესაძლოა წარმოიქმნას აქტივები ან ვალდებულებები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას.*
*იმისდა მიხედვით, თუ რა მდგომარეობაა საწარმოს მიერ ვალდებულების შესრულებისა და მომხმარებლის მიერ გადახდის კუთხით, საწარმომ ეს ხელშეკრულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში უნდა ასახოს სახელშეკრულებო აქტივის ან სახელშეკრულებო ვალდებულების სახით.*
*სტატიაში განხილულია სახელშეკრულებო აქტივისა და სახელშეკრულებო ვალდებულების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის პირობები, განსხვავება ბუღალტრული აღრიცხვის ისეთი*

*ტრადიციული ობიექტებისგან, როგორებიცაა სავაჭრო მოთხოვნები და სავაჭრო ვალდებულებები.*
*სახელშეკრულებო აქტივის ან სახელშეკრულებო ვალდებულების შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან იგი აუმჯობესებს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებას, რაც უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს მიაწოდოს ისეთი ფინანსური ინფორმაცია, რომელიც გამოადგებათ მოცემული საწარმოსთვის რესურსების მიწოდების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად.*
*სტატიაში განხილულია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა მკვლევარის მოსაზრებები და შეხედულებები.*

*ასისტენტ-პროფესორი ლია კოზმანაშვილი*
**5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში**
**5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით**
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. **ლია კოზმანაშვილი** - საქართველოს საგადასახადო სისტემის ზოგიერთი პრობლემა პოსტპანდემიურ პერიოდში.
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, "მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით", თბილისი, 7-8 ოქტომბერი, 2023.
გვ. 294-298.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
*1.* საგადასახადო სისტემის პრობლემების კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და ყველა დროის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირების საქმეში.

საგადასახადო სისტემაში არსებული პრობლემების შესწავლა-გამოკვლევა და შემდგომ ამ პრობლემების გადაჭრის გზების ძიება მნიშვნელოვანი იყო პოსტსაბჭოურ პერიოდში, შემდეგ, უფრო აქტუალური გახდა კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის პირობებში და მისი გადაჭრის აუცილებლობა კიდევ უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანი გახდა პოსტპანდემიურ პერიოდში. რამდენადაც პანდემიამ, რომელიც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, დიდი ზარალი მიაყენა არა მარტო საქართველოს, არამედ მთლიანად მსოფლიო ეკონომიკას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პოსტპანდემიურ პერიოდში განსაკუთრებით აქტუალურია საგადასახადო სისტემის პერსპექტიული ხედვისა და ამ სისტემის სრულყოფის გზების შემუშავება, რისთვისაც უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ერთი მხრივ, საგადასახადო სისტემის სრულყოფის გზების შემუშავებას ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემის გადაჭრის მიმართულებით და მეორე მხრივ, საგადასახადო სისტემის სრულყოფის გზების შემუშავებას საბაზრო ეკონომიკის სოციალური ეფექტიანობის პრობლემის გადაჭრის მიმართულებით. რადგან, დღეისათვის არსებული საგადასახადო სისტემა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს მეწარმეობის განვითარებისთვის სათანადო პირობების შექმნას, არ შეესაბამება ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების მოთხოვნებს და იგი შემდგომ სრულყოფას მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ კორონავირუსის (COVID-19) პანდემიას ბევრ უარყოფით მხარესთან ერთად დადებითი მხრეებიც ჰქონდა, რომელთაგან ერთ-ერთი არის ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის ტემპის დაჩქარება ყველა სფეროში. ხოლო, რაც შეეხება საქართველოს საგადასახადო სისტემას, კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის პერიოდში მაქსიმალურად გაციფრულდა და მანამდე არაციფრული ფორმით არსებული სერვისები და თითქმის მთლიანად ელექტრონულ ფორმატზე გადავიდა, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა გადამხდელების ურთიერთობა შემოსავლების სამსახურთან.

ციფრული ტექნოლოგიების დანერგვამ და მისი ტემპის დაჩქარებამ ყველა სფეროში, გამოიწვია ეკონომიკის ახალი დარგებისა და შესაბამისად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რამაც თავის მხრივ, ხელი შეუწყო ახალი პროფესიების შექმნას და მათზე მოთხოვნის ზრდას პროგრამისტების, IT სპეციალისტებისა და სხვადასხვა სახის ექსპერტების სახით.

თუმცა, ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემა ისევ რჩება და მოსახლეობის დიდი ნაწილი დასაქმების მიზნით გაედინება უცხოეთში.

აუცილებელი იქნება სახელმწიფოს მიერ დამატებითი კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, რომელშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება საგადასახადო სისტემის სრულყოფის გზების შემუშავებას, რომელიც თავის მხრივ, უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ქვეყანაში ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემის და მეორე მხრივ, ეკონომიკის სოციალური ეფექტიანობის პრობლემის გადაჭრას, რაც სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: ***საერთაშორისო ბიზნესის კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი თეიმურაზ შენგელია***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

***ასოცირებული პროფესორი უშანგი სამადაშვილი***
***ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე***
***ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი***
***ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბერიშვილი***
***ასოცირებული პროფესორი ლალი ხიხაძე***
***ასისტენტ პროფესორი ლეილა ქადაგიშვილი***
***პროფესორი თეიმურაზ შენგელია***
***ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბერიშვილი***
***ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე***

***ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე***

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ლენგი ო., შაბურიშვილი შ., **სიხარულიძე დ.,** საქართველოს სავაჭრო პოტენციალი ამერიკის შეერთებულ შტატებთან: გრავიტაციული მოდელის მიდგომა, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის კვლევის ჟურნალი, Vol. 10 No. 7 (2023), გვ.1088-1099

ISSN: 2328-8272 (print) | ISSN: 2328-8280 (online); DOI: https://doi.org/10.15549/jeecar.v10i7.1400
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1. დამოუკიდებლობის აღდგენიდან მალევე აშშ გახდა საქართველოს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორი. 2007 წლის 20 ივნისს აშშ-სა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა სავაჭრო და საინვესტიციო ჩარჩო ხელშეკრულებას. ეს შეთანხმება მიზნად ისახავს ქვეყნებს შორის საქონლითა და სერვისებით ვაჭრობის გაფართოებას, ასევე საქართველოში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჯერ არ აქვს შეერთებულ შტატებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, ეს კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოსა და აშშ-ს შორის სავაჭრო პოტენციალის შეფასებას გრავიტაციული მოდელის გამოყენებით პანელის მონაცემების გამოყენებით 2000-2021 წლების პერიოდისთვის. ორმხრივი ვაჭრობის გრავიტაციული მოდელი შეფასდა EGLS, ორეტაპიანი EGLS და GMM ტექნიკით, რომელიც მოიცავდა შემდეგ ცვლადებს: მშპ, მოსახლეობა, მანძილი და სავაჭრო ღიაობა საქართველოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის. გარდა ამისა, ცვლადები, როგორიცაა რელიგია, საერთო საზღვარი და სავაჭრო შეთანხმება ასევე თამაშობენ როლს. კვლევის შედეგებმა ასევე ცხადყო, რომ საქართველოს საგარეო სავაჭრო პოტენციალი შეერთებულ შტატებთან სუსტია.
**ციფრული მარკეტინგის გავლენა მომხმარებლის ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე საქართველოში Chances and Challenges of Digital Management Proceedings of the International Scientific-Practical Conference (ISPC 2022) https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-031-45601-5_12**
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
2. კვლევის მიზანია დავადგინოთ რა გავლენას ახდენს ციფრული მარკეტინგის სხვადასხვა მექანიზმი მომხმარებლის ყიდვის გადაწყვეტილებაზე. კვლევის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა პლატფორმების ანალიზი და იმის გარკვევა, თუ როგორ მუშაობენ ისინი ქართულ ბაზარზე, კერძოდ მობილური მარკეტინგის, სოციალური მედიის მარკეტინგის და ელექტრონული ფოსტის მარკეტინგის ჩათვლით. კვლევაში განხილულია თუ როგორ მოქმედებს სხვადასხვა არხი მომხმარებლებზე საქართველოს ბაზარზე შესყიდვების გადაწყვეტილებებზე. კითხვარები შედგენილია მარტივი შერჩევის ტექნიკის საფუძველზე. დარიგდა 200 კითხვარი და შეგროვდა 104 შევსებული ეგზემპლარი, იმ კითხვარების გამორიცხვით, რომლებიც სრულად არ იყო შევსებული. ამ კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ციფრული მარკეტინგი, მათ შორის Gmail-ის, სოციალური მედიისა და მობილური პლატფორმების მეშვეობით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომხმარებელთა შესყიდვის გადაწყვეტილებებზე. როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, თანამედროვე ბიზნეს გარემოში კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ სტრატეგიები ციფრული სამყაროსა და ტექნოლოგიების გამოსაყენებლად, რათა გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა შესყიდვაზე.

*ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი*
6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ლენგი ო., შაბურიშვილი შ., სიხარულიძე დ., საქართველოს სავაჭრო პოტენციალი ამერიკის შეერთებულ შტატებთან: გრავიტაციული მოდელის მიდგომა, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის კვლევის ჟურნალი, Vol. 10 No. 7 (2023), გვ.1088-1099
ISSN: 2328-8272 (print) | ISSN: 2328-8280 (online); DOI: https://doi.org/10.15549/jeecar.v10i7.1400

2. ტერტერაშვილი ნ., შაბურისვილი შ., უძრავი ქონების ბაზარზე მოქმედი ფაქტორების კვლევა მაკროეკონომიკური კონტექსტით, ჟურნალი სეიბოლდ რეპორტი, Vol 18, No 18 (2023), გვ. 705-717 ISSN: 1533-9211; DOI: 10.5281/zenodo.8288943
https://seyboldreport.org/article_overview?id=MDgyMDIzMDUyMzM5MzA4NDQ2

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. დამოუკიდებლობის აღდგენიდან მალევე აშშ გახდა საქართველოს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორი. 2007 წლის 20 ივნისს აშშ-სა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა სავაჭრო და საინვესტიციო ჩარჩო ხელშეკრულებას. ეს შეთანხმება მიზნად ისახავს ქვეყნებს შორის საქონლითა და სერვისებით ვაჭრობის გაფართოებას, ასევე საქართველოში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჯერ არ აქვს შეერთებულ შტატებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, ეს კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოსა და აშშ-ს შორის სავაჭრო პოტენციალის შეფასებას გრავიტაციული მოდელის გამოყენებით პანელის მონაცემების გამოყენებით 2000-2021 წლების პერიოდისთვის. ორმხრივი ვაჭრობის გრავიტაციული მოდელი შეფასდა EGLS, ორეტაპიანი EGLS და GMM ტექნიკით, რომელიც მოიცავდა შემდეგ ცვლადებს: მშპ, მოსახლეობა, მანძილი და სავაჭრო ღიაობა საქართველოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის. გარდა ამისა, ცვლადები, როგორიცაა რელიგია, საერთო საზღვარი და სავაჭრო შეთანხმება ასევე თამაშობენ როლს. კვლევის შედეგებმა ასევე ცხადყო, რომ საქართველოს საგარეო სავაჭრო პოტენციალი შეერთებულ შტატებთან სუსტია.

2. უძრავი ქონების ბაზრი, მისი როლი ეკონომიკურ ლანდშაფტში და უძრავი ქონების ფასებზე მოქმედი ფაქტორების გამოკვლევა იპყრობს თანამედროვე მეცნიერების ყურადღებას. აღსანიშნავია, უძრავი ქონების ბაზარი საქართველოში რჩება ფორმირების ეტაპებზე. უძრავი ქონების ბაზარს აქვს ძლიერი მულტიპლიკატორული ეფექტი ქვეყნის მთლიან ეკონომიკაზე. სტატია გვთავაზობს ფაქტორების ყოვლისმომცველ ანალიზს, რომლებიც გავლენას ახდენენ უძრავი ქონების ბაზარზე. კვლევა მოიცავს ვადებს 2013 წლიდან 2021 წლამდე და ეყრდნობა 12 სხვადასხვა ინდიკატორს. წრფივი რეგრესიული ანალიზის მეთოდის გამოყენებით, კვლევამ წარმატებით გამოავლინა ძირითადი ცვლადები რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს უძრავი ქონების ფასებსა და ხელმისაწვდომობაზე. ეს ცვლადები მოიცავს მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ინფლაციას, ინვესტიციებს, ცხოვრების ხარისხის ინდექსს და უსაფრთხოების ინდექსს. ემპირიულმა კვლევამ გამოკვეთა სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირები. კერძოდ, მშპ ერთ სულ მოსახლეზე, უსაფრთხოების ინდექსი და ინვესტიციები დადებით კორელაციაშია უძრავი ქონების ფასებთან და მისი ხელმისაწვდომობის კოეფიციენტთან. პირიქით, ანალიზი ავლენს უარყოფითს კორელაცია ცხოვრების ხარისხის ინდექსს, მოსახლეობას, ინფლაციის მაჩვენებელს და დამოკიდებულ ცვლადს შორის.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. შაბურისვილი შ., ტერტერაშვილი ნ., აგრობიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის შესაძლებლობები და გამოწვევები საქართველოში, "მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით", ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან მე-100

წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი, 7-8 ოქტომბერი, გვ. 491-497.

2.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

გლობალიზაციის პირობებში ტექნოლოგიური განვითარება ყოვლისმომცველი გახდა და შეცვალა ისეთი ტრადიციული სფერო როგორიც აგრობიზნესია. ციფრული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობები აჩქარებს საქმიან კომუნიკაციებს, აძლიერებს მომხმარებლების გამოცდილებას, ხელს უწყობს სამეცნიერო პოტენციალის რეალიზებას და ახალი ბიზნესმოდელების შექმნას, რაც საბოლოო ანგარიშით ამაღლებს აგრობიზნესის ოპერაციულ ეფექტიანობას. ნაშრომში განხილულია ახალი ტექნოლოგიების ზემოქმედება აგრობიზნესზე, გამოკვეთილია აგრარული სექტორის ციფრულიფრული ტრანსფორმაციის ძირითადი შესაძლებლობები და გამოწვევები.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. შაბურიშვილი შ., ტერტერაშვილი ნ., რიბეირო-რამოს ო., ციფრული ტექნოლოგიების როლი აგრობიზნესში, III საერთაშორისო სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენცია "ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების პროცესების ოპტიმიზაციისა და საწარმოების მართვისთვის", კიევი, 2023 წლის 23-24 მარტი, გვ.159-165. zb-rnik-tez-agro-t-2023.pdf (snu.edu.ua)

2.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებით, 2050 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობა 9,1 მილიარდს მიაღწევს და ამ რაოდენობის ხალხის გამოსაკვებად, გლობალური საკვების წარმოება 70%-ით უნდა გაიზარდოს. მაგალითად აფრიკისთვის, სადაც სავარაუდოდ იმ დროისთვის დაახლოებით 2 მილიარდი ადამიანის იცხოვრებს, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა უნდა დაჩქარდეს გლობალურ საშუალოზე უფრო სწრაფი ტემპით, რათა თავიდან აიცილოს მასობრივი შიმშილი. მსოფლიოში პირველი მთლიანად მანქანით მომუშავე კულტურა - მოსავალი დათესილი და მოვლილი მინდორში ადამიანის შესვლის გარეშე - 2017 წელს მოიკრიფა, რაც მნიშვნელოვანი ეტაპია ციფრულ სოფლის მეურნეობაში, რომელიც ზოგჯერ ცნობილია, როგორც "ჭკვიანი მეურნეობა" ან "ელექტრონული სოფლის მეურნეობა".

***ასოცირებული პროფესორი ლალი ხიხაძე***

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. მიზნობრივი კვლევითი პროექტი- მცირე ბიზნესის ანტიკრიზისული რეგულირების მეთოდები Covid-19 პანდემიისა და პოსპადემიურ პერიოდში. დამფინანსებელი თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.

1 მარტი-10 დეკემბერი 2022

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროექტის მონაწილეები: პროფესორი- თ.შენგელი(პროექტის ხელმძვანელია; ასოც.პროფესორი ლ. ხიხაძე-(პროექტის მონაწილე);
ასოც.პროფესორი უ.სამადაშვილი-(პროექტის მონაწილე);
ასოც. პროფესორი ხ. ბერიშვილი-პროექტის მონაწილე);
თსუ დოქტორანტი ნ.ადამია-(პროექტის მონაწილე);
თსუ მაგისტრი გ. ორაგველიძე-(პროექტის მონაწილე);

***დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1. ქართველი და უცხოელი მეცნიერების თეორიული და პრაქტიკული კვლევების ფართო სპექტრის მიუხედავად COVID-19 პანდემიის მცირე ბიზნესზე ზეგავლენის დაძლევის ეფექტიანი ტექნოლოგიებისა და მოდელების შექმნა არის უაღრესად მნიშვნელოვანი იმ ანტიკრიზისული რეგულირების ინსტრუმენტებში, რომლებიც არსებით ზეგავლენას ახდენენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ამით განისაზღვრა თემის აქტუალობა, მისი მიზანი და ამოცანები.

წინამდებარე კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მცირე ბიზნესის გარე გარემოს არასტაბილურ ეკონომიკურ პირობებში, სისტემურ-დინამიური მეთოდოლოგიის გამოყენებით, ანტიკრიზისული რეგულირების თანამედროვე მეთოდოლოგიური მექანიზმების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ მის შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

ამ მიზნობრივი ორიენტირიდან გამომდინარე პროექტში მონაწილე მეცნიერების წინაშე დაისვა შემდეგი ამოცანები:

Covid-19 პანდემია: მსოფლიოს ეკონომიკისა და გლობალური ბიზნესის განვითარების ტენდენციებისა და საქართველოს შესაძლებლობების დადგენა;

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების ანალიზი კოვიდ-19 პანდემიამდელ პერიოდში;

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების დინამიკა კოვიდ-19 პანდემით გამოწვეული კრიზისის პირობებში;

მცირე ბიზნესის მხარდაჭერის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ანალიზი კოვიდ-19 პანდემით გამოწვეული კრიზისის პირობებში;

ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის პროცესში, მცირე ბიზნესში ეკონომიკური გაურკვევლობის ძირითადი ფაქტორების სისტემატიზაცია და ანტიკრიზისული რეგულირების როლის დადგენა;

მცირე ბიზნესის ეკონომიკური შედეგების მიღწევაში ანტიკრიზისული ღონისძიებების საzღვარგარეთის გამოცდილების შესწავლა და ანალიზი;

არასტაბილურ ეკონომიკურ გარემოში მცირე ბიზნესის ანტიკრიზისული რეგულირების კონცეფციის შემუშავება;

არასტაბილურ ეკონომიკურ გარემოში მცირე ბიზნესის დიაგნოსტიკის მეთოდების დადგენა;

პოსტპანდემიურ პერიოდში მცირე ბიზნესის ანტიკრიზისული ღონისძიებებების რეალიზაციის ტექნოლოგიების შემუშავება;

ანტიკრიზისული ღონისძიებების რეალიზაციის ტექნოლოგიების შემუშავების მიზნით მატრიცული მეთოდის გამოყენება;

მცირე ბიზნესის განვითარების უზრუნველსაყოფად სისტემურ-დინამიური სცენარების შემუშავება;

მცირე ბიზნესის განვითარების უზრუნველსაყოფად ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის მნიშვნელობა.

კვლევის საგანს წარმოადგენდა ის ორგანიზაციულ-მმართველობითი და ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა მცირე ბიზნესის ანტიკრიზისული რეგულირების პროცესში და ორგანიზაციის ადაპტაცია გარე გარემოს ფლუქტუაციების (ლათ. fluctuatio - მერყეობა) მიმართ.

კვლევის ობიექტად შეირჩა პანდემიური კრიზისის პერიოდში ეკონომიკური საქმიანობითა და საკუთრების ფორმებით განსხვავებული საქართველოში ფუნქციონირებადი მცირე ბიზნესორგანიზაციები.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა მრავალმხრივი კვლევის მეთოდები და ორიგინალური მეთოდილოგიური საფუძვლები. ცხადია, რომ ეკონომიკური კვლევის მეთოდები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: რაოდენობრივად და თვისობრივად. მათი მიზანია ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ახსნა. ამ მიზნით ხდება კონცეფციის შემუშავება და მისი შემოწმება კონცეპტუალურ-აბსტრაქტული დონიდან ემპირიული მიდგომის მიმართულებით. ჩვენს მიერ კვლევის მიზანში და ამოცანებში წარმოჩენილი კონცეფციის შემოწმება-დადასტურება შესაძლებელი გახდება სისტემური, ეკონომიკურ-ინსტიტუციური მიდგომების, ისტორიული-დიალექტიკური, მეცნიერული აბსტრაქციის, პოზიტიურ- ნორმატიული და სტატისტიკური ანალიზის მეთოდების გამოყენების საფუძველზე. კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებული იქნა ეკონომიკური თეორიის კლასიკოსების ნაშრომები და ანტიკრიზისული რეგულირების პრობლემებზე თანამედროვე მეცნიერთა პუბლიკაციები. სისტემურ-დინამიკური, ანტიკრიზისული მართვის ტექნოლოგიები, კვლევა განხორციელდება მიზეზ-შედეგობრივი, ეკონომიკური პროცესის სცენარული ტექნოლოგიების აგების პრიორიტეტის დადგენის საფუძველზე. გამოყენებულ იქნება: მატრიცული, ფორმალიზაციის, ეკონომიკური ანალიზის, მოდელირების, პროგნოსტიკული, ექსპერტული შეფასების, დიაგნოსტიკის მეთოდები.

ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები მიმართული იქნება საქართველოში ხელისუფლების მიერ მცირე ბიზნესის განვითარების პოლიტიკისა და ღონისძიებების დაგეგმვის, პოსტპანდემიური კრიზისის დაძლევის ორიენტირების დასადგენად.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მნიშვნელობა და პრაგმატულობა აისახა კვლევის შედეგებში, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია:

- შესწავლილია საზღვარგარეთის ქვეყნებში Covid-19 -ის პანდემიის პირობებში მცირე ბიზნესის ანტიკრიზისული რეგულირების გამოცდილება
- კვლევის საფუძველზე გამოვლენილ და გაანალიზებულ იქნა პანდემიის და პოსტპანდემიურ პერიოდში მცირე ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორები;
- დადგინდა გარე ეკონომიკური გარემოს დინამიკის სინერგიული შედეგები (მათ შორის: კოვიდ-19 პანდემიის, სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის, მცირე ბიზნესის არასტაბილურობის, ციფრული ტრანსფორმაციის, მოხმარების ქცევის ცვლილების გამომწვევი და სხვა ფაქტორები);
- ნაშრომში დასაბუთებულია მცირე ბიზნესის ანტიკრიზისულ რეგულირებაში სისტემური მიდგომის გამოყენების აუცილებლობა;
- დადგენილ იქნა ანტიკრიზისული სცენარები, რომლებიც ძირეულად განასხვავებიან კლასიკური ანტიკრიზისული მიდგომისაგან;
- კვლევაში გამოყენებულ იქნა მატრიცული მიდგომა, რომელიც ეფუძნება მცირე საწარმოების ბიზნესმოდელების კრიზისული თავისებურებების იდენტიფიკაციას და მცირე საწარმოების ანტიკრიზისული სტრატეგიების დადგენას;
- დაასაბუთებულა მცირე ბიზნესის ანტიკრიზისული მართვის მიზნით ციფრული და კოგნიტური ტექნოლოგიების გამოყენების აქტუალობა.

სამეცნიერო ნაშრომის საერთო მოცულობა შეადგენს 209 გვერდს. კვლევითი პროექტი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან, თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

**1.ლ.ხიხაძე.. მცირე ბიზნესში ციფრული და კოგნიტური ტექნოლოგიების გამოყენების აქტუალურობა გლობალური პანდემიის პირობებში.**

ჟურნ., ეკონომიკა და ბიზნესი, ტომიXIV, N3, გვ.,52-77, 2022
|ISSN1987-5789
ESSN 2587-5426
DOI 10-56079

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

*ანოტაცია.* მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის მართვისა და წარმატებული ფუნქციონირების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი ინფორმაციული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფაა, რადგანაც ინტერნეტი წარმოადგენს კომპიუტერული ქსელის ჯაჭვს და თანამედროვე ბიზნესი, პრაქტიკულად მთლიანად დამოკიდებული ხდება ინფორმაციულ სივრცეზე. განსაკუთრებით COVID-19 პანდემიის ზემოქმედების შედეგად უპირატესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია ინტერნეტსა და ციფრულ კომუნიკაციას.

თანამედროვე ეტაპზე გლობალური კონიუნქტურის გათვალისწინებით, მცირე და საშუალო ბიზნესის ეფექტიანად განვითარების პროცესში ინოვაციებსა და კოგნიტურ აზროვნებას მთავარი როლი ენიჭება. ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ და მრავალფეროვანი ციფრული პლატფორმების წარმოქმნამ, ბიძგი მისცა სამეწარმეო ქცევის ტრანსფორმაციასა და სამეწარმეო საქმიანობის რეალურიდან - ვირტუალურ სფეროში წარმართვას.

კერძო ბიზნესის განსაკუთრებული სექტორი - მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. მცირე და საშუალო საწარმოები, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე, ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედად შეიძლება მივიჩნიოთ. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტის გაფართოებას, ინოვაციების დანერგვას, თანამედროვე ბიზნეს კულტურის შექმნასა და ამასთან ერთად, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ეკონომიკური ზრდისა და ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში.

2019 წლის დეკემბრიდან დღემდე მცირე ბიზნესზე COVID-19-ის პანდემიის ზემოქმედებამ და შესაბამისად ახალ პირობებთან ადაპტაციის აუცილებლობამ შექმნა ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის გადაუდებელი ობიექტური საჭიროება და ეფექტიანი გამოყენების აქტუალობა.

ნებისმიერი ფორს-მაჟორული გარემოებები: ბუნებრივი სტიქიური კატაკლიზმები, ომები, სოციალური კონფლიქტები, ეპიდემიები და განსაკუთრებით გლობალური პანდემიები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების გრძელვადიან განვითარებასა და ადამიანების ცხოვრების სტილზე. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე COVID-19 პანდემია არ არის პირველი

უახლეს ისტორიაში, ის არის პირველი პანდემია ციფრული ეკონომიკის ეპოქაში, სადაც ჩვენი ბიზნეს-მოდელებისა და ღირებულების შემქმნელი საწარმოების უმრავლესობა ამა თუ იმ გზით ციფრულ კომუნიკაციასა და ინტერნეტზეა დამყარებული.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

**1.ლ.ხიხაძე. COVID-19 პანდემიით გამოწვეული ტენდენციები და საქართველოს შესაძლებლობები გლობალურ მიწოდებათა ჯაჭვში ინტეგრირებისათვის.** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ,,COVID-19 პანდემია და ეკონომიკა'' შრომების კრებული, თბ., 8 თებერვალი 2022

2. **ლ.ხიხაძე. გლობალური ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და საქართველოს შესაძლებლობები Covid-19 პანდემიის კრიზისის შესამცირებლად.**
**VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია** გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში **სამეცნიერო შრომების კრებული,** ISBN 978-9941-36-061-9. **გვ.,464-472,Tb., 4-5 ნოემბერი 2022**

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. **ანოტაცია** COVID-19-ის პანდემია გლობალური კრიზისის განვითარების თვალსაზრისით მსოფლიოსათვის ისტორიული და უპრეცენდენტო მოვლენაა. COVID-19 პანდემიამ მწვავე ზიანი მიაყენა მსოფლიო ეკონომიკასა და გლობალურ ბიზნესს, მათ შორის საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს, როგორიცაა ევროკავშირი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ჩინეთი, რუსეთი, უკრაინა, და სხვ. COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა და ზიანმა(დღეისათვის შეუფასებელი, დაუთვლელია ზარალის ოდენობა და დანახარჯები), როგორც გლობალურ ეკონომიკაში, ასევე საქართველოში ეკონომიკური აქტივობის მკვეთრი შენელება და ბოლო წლების პოზიტიური შედეგების მინიმუმადე შემცირება გამოიწვია. ამასთან საქართველოს შესუსტებულმა საგარეო მოთხოვნამ და პანდემიის თანმდევმა შოკმა ადგილობრივ დონეზე მომსახურების სექტორის, უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისა და წმინდა ექსპორტისა და იმპორტის მასშტაბის შეზღუდვა გამოიწვია.

ამასთან ერთად COVID-19-ის გლობალურმა პანდემიამ ნათლად დაგვანახა, რომ თანამედროვე მსოფლიო მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული და ინტეგრირებულია, რაც მიგვანიშნებს, რომ მსოფლიოში არსებული პრობლემები გლობალურ გადაწყვეტასა და ეფექტიან მართვას საჭიროებს.

მსოფლიოში რამდენიმე ქვეყანა(აშშ, გერმანია, საფრანგეთი, იაპონია და სხვა) აწარმოებს საკუთარი მოსახლეობისათვის საჭირო პროდუქტს და სერვისს, მაგრამ ქვეყნების უმრავლესობას ნაკლები წვდომა გააჩნია მედიკამენტებზე, სამედიცინო აპარატურაზე, სამომხმარებლო საქონელზე, ჯანდაცვისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქონელზე. ამდენად COVID-19-ის პანდემიის ზეწოლას განიცდიან გლობალური ეკონომიკები, ფინანსური ინსტიტუტები და მჭიდროდ დაკავშიერებული ლოგისტიკური მიწოდებათა ჯაჭვები. სწორედ ზემოთაღნიშნული საკითხების კვლევასა და ანალიზს ეძღვნება წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც პანდემიით გამოწვეული ტენდენციების საფუძველზე საქართველოს შესაძლებლობების წარმოჩენას ემსახურება გლობალურ მიწოდებათა ჯაჭვში ინტეგრირებისათვის.

2. **ანოტაცია.** მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენცია და მართლწესრიგი. კორონავირუსით გამოწვეულმა ნეგატიურმა შოკმა გავლენა იქონია მაღალგანვითარებული ქვეყნების -აშშ-ის, ევროკავშირის, იაპონიის, ჩინეთის, სამხრეთ კორეის, ინდოეთის და სხვა ქვეყნების ეკონომიკებზე. ფაქტობრივი მონაცემებით COVID-19 პანდემიამ მსოფლიო ეკონომიკაზე და გლობალურ ბიზნესზე დამანგრეველი ზეგავლენა მოახდინა, თუმცა პანდემიის ზეგავლენის ხარისხი და მასშტაბები დღემდე დაუდგენელია ამომწურავი ინფორმაციის არ არსებობის გამო. დღესაც კაცობრიობა ებრძვის პანდემიის მიმდინარე პროცესებს.

COVID-19-ის პანდემია გლობალური კრიზისის განვითარების თვალსაზრისით მსოფლიოსათვის ისტორიული და უპრეცენდენტო მოვლენაა. COVID-19 პანდემიამ მწვავე ზიანი მიაყენა მსოფლიო ეკონომიკასა და გლობალურ ბიზნესს, მათ შორის საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს, როგორიცაა ევროკავშირი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ჩინეთი, რუსეთი, უკრაინა, და სხვ. COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა და ზიანმა(დღეისათვის შეუფასებელი, დაუთვლელია ზარალის ოდენობა და დანახარჯები), როგორც გლობალურ ეკონომიკაში, ასევე საქართველოში ეკონომიკური აქტივობის მკვეთრი შენელება და ბოლო წლების პოზიტიური შედეგების მინიმუმადე შემცირება გამოიწვია.

COVID-19-ის გლობალურმა პანდემიამ ნათლად დაგვანახა, რომ თანამედროვე მსოფლიო მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული და ინტეგრირებულია, რაც მიგვანიშნებს, რომ მსოფლიოში არსებული პრობლემები გლობალურ გადაწყვეტასა და ეფექტიან მართვას საჭიროებს.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ლ.ხიხაძე-(მომხსენებელი). COVID-19 პანდემიით გამოწვეული ტენდენციები და საქართველოს შესაძლებლობები გლობალურ მიწოდებათა ჯაჭვში ინტეგრირებისათვის.** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ,,COVID-19 პანდემია და ეკონომიკა'' შრომების კრებული, თბ., 8 თებერვალი 2022

2. **ლ.ხიხაძე-(მომხსენებელი). გლობალური ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და საქართველოს შესაძლებლობები Covid-19 პანდემიის კრიზისის შესამცირებლად.**
**VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია** გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში სამეცნიერო შრომების კრებული, ISBN 978-9941-36-061-9. გვ.,464-472, თბ., 4-5 ნოემბერი 2022

*ასისტენტ-პროფესორი ლეილა ქადაგიშვილი*

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება - ***მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი ***პროფესორი დავით ნარმანია***

I.3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა –

***ასოცირებული პროფესორი ვასილ კიკუტაძე***
***ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი***
***ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი***
***ასოცირებული პროფესორი მანანა ხარხელი***
***ასისტენტ პროფესორი ეკა გულუა***

*პროფესორი დავით ნარმანია*

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. დისპეტჩერული მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის (SCADA) სრულყოფის გზები ელექტროენერგეტიკაში, მენეჯმენტი და ადმინისტრირება, ენერგეტიკის მენეჯმენტი / ტექნოლოგიების მენეჯმენტი. 2023 წლის 1 თებერვალი - 2023 წლის 1 დეკემბერი.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ასოცირებული პროფესორი რუსუდან სეთურიძე** -პროექტის ხელმძღვანელი - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის ასოცირებული პროფესორი რუსუდან სეთურიძე - იგი მრავალი სამეცნიერო სტატიის ავტორია, მისი ფუნქციაა პროექტის საერთო ხელმძღვანელობა, პასუხისმგებელია პროექტის მიმდინარეობაზე და ანგარიშის წარდგენაზე; ქართველი და უცხოელი მეცნიერების ლიტერატურის ანალიზი; ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე კვლევის ჰიპოთეზების შემუშავება; მონაცემთა შეგროვება და მონაცემთა ბაზის შექმნა; მიღებული შედეგების ანალიზი; შედეგების ინტერპრეტაცია; ქართული და უცხოური სამეცნიერო მასალების დამუშავება, კვლევის შედეგების პროგრამული დამუშავება.

**პროფესორი დავით ნარმანია** - პროექტის თანახელმძღვანელი - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, მენეჯმენტის და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი დავით ნარმანია - იგი არის მრავალი სამეცნიერო სტატიის ავტორი და თანაავტორი (მ.შ. ენერგეტიკის მენეჯმენტის საკითხებზე), აქვს საერთაშორისო კვლევითი-პროექტის ხელმძღვანელობის გამოცდილება. მისი ფუნქციაა პროექტის თანახელმძღვანელობა, პასუხისმგებელია პროექტის მიმდინარეობაზე და ანგარიშის წარდგენაზე; ქართველი და უცხოელი მეცნიერების ლიტერატურის ანალიზი; ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე კვლევის ჰიპოთეზების შემუშავება; მონაცემთა შეგროვება და მონაცემთა ბაზის შექმნა; მიღებული შედეგების ანალიზი; შედეგების ინტერპრეტაცია.

**ემერიტუსი მურთაზ მაღრაძე** - პროექტის ძირითადი შემსრულებელი - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის პროფესორი, ემერიტუსი მურთაზ მაღრაძე - იგი მრავალი სამეცნიერო სტატიის ავტორია, პროექტში მისი ფუნქციაა ქართველი და უცხოელი მეცნიერების ლიტერატურის ანალიზი; ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე კვლევის ჰიპოთეზების შემუშავება; მონაცემთა შეგროვება და მონაცემთა ბაზის შექმნა; მიღებული შედეგების ანალიზი; შედეგების ინტერპრეტაცია.

**დოქტორანტი შორენა დავითაია** - პროექტის ძირითადი შემსრულებელი - ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის პროფესორის ასისტენტი, III კურსის დოქტორანტი შორენა დავითაია - იგი რამდენიმე სამეცნიერო სტატიის ავტორია, პროექტში მისი ფუნქციაა ლიტერატურის ანალიზი, წყაროების და კვლევის შედეგების თარგმნა; SCADA-ს სისტემაში მომუშავე მომხმარებლების გამოკითხვა; მონაცემთა შეგროვება და მონაცემთა ბაზის შექმნა; მიღებული შედეგების ანალიზი; სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა და მოძიება; კვლევის შედეგების დამუშავება.

**დოქტორანტი მიხეილ მაჩიტიძე** - პროექტის ძირითადი შემსრულებელი, ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის III კურსის დოქტორანტი მიხეილ მაჩიტიძე- იგი რამდენიმე სამეცნიერო სტატიის ავტორია, პროექტში მისი ფუნქციაა ლიტერატურის ანალიზი, წყაროების და კვლევის შედეგების თარგმნა; SCADA-ს სისტემაში მომუშავე მომხმარებლების გამოკითხვა; მონაცემთა შეგროვება და მონაცემთა ბაზის შექმნა; მიღებული შედეგების ანალიზი; სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა და მოძიება; კვლევის შედეგების დამუშავება.

*დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. მსოფლიოში ტექნოლოგიების განვითარებამ დიდი როლი ითამაშა ენერგეტიკის მართვის სრულყოფაში. ელექტროენერგეტიკის განვითარების დონე დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების დინამიკასა და განლაგებაზე, ქმნის აუცილებელ წინაპირობას მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა და შრომის პირობების გასაუმჯობესებლად.

სამეცნიერო კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ელექტროენერგეტიკაში SCADA სისტემის დანეგვის მნიშვნელობა და საქართველოში მისი განვითარების ეტაპების ანალიზი. SCADA სისტემის დანერგვამ ხელი შეუწყო დისპეტჩერული მართვის და კონტროლის განვითარებას, რამაც შეამცირა ტექნოლოგიური ავარიების რიცხვი და სტაბილური გახადა საქართველოში ელექტროენერგეტიკული სექტორი.

ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ მომხმარებელთა უმეტესობა მარტივად გადავიდა ახალ სისტემაზე, გაუმჯობესდა მართვის ხარისხი და მუშაობის სისწრაფე, ხოლო ვირტუალურ გარემოში განთავსებული SCADA სისტემის სერვერების სისწრაფე გაიზარდა. ასევე ჩატერებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ ავტომატიზებულმა რეპორტინგის სისტემამ გაამარტივა მომხმარებელთა სამუშაო პროცესი, ხოლო SCADA სისტემის მონაცემთა ანალიტიკისა და პროგნოზირების ქვესისტემამ ხელი შეუწყო ენერგოსისტემის მართვის სრულყოფას რეალურ დროში.

კვლევით პროექტზე „დისპეტჩერული მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის (SCADA) სრულყოფის გზები ელექტროენერგეტიკაში“ მუშაობის შედეგად და ზემოაღნიშნული სამეცნიერო კვლევის საფუძველზე შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

- დისპეტჩერული მართვისა და კონტროლის სისტემის სტაბილურად ფუნქციონირებისათვის რეკომენდებულია მაღალი ძაბვის ხაზების სრული ინფორმაციის (ტენიანობა, ტემპერატურა, ცვეთა და სხვა) ინტეგრირება SCADA სისტემაში, რაც გაზრდის მონაცემთა ანალიტიკის მუშაობის ხარისხს, ხელს შეუწყობს ენერგეტიკული ამოცანების მოდულში უფრო ზუსტი გამოთვლების წარმოებას და მეტ მდგრადობას შესძენს ელექტროენერგეტიკას;
- SCADA სისტემის ავტომატური გენერაციის კონტროლის მოდულში რეკომენდებულია რამოდენიმე მარეგულირებელი ელექტროსადგურის ინტეგრირება, რაც უზრუნველყოფს ენერგოსისტემის მდგრადობას, გაზრდის გადადინების კონტროლს და შეამცირებს ელექტროენერგიის გადადინებისას შესაძლო დანაკარგებს;
- რეკომენდებულია ყველა არსებული ქვესადგურის გაციფრულება, რაც გაზრდის SCADA სისტემის მართვის და მონიტორინგის ეფექტურობას, შეამცირებს ადამიანისეული ფაქტორით გამოწვეულ ტექნოლოგიურ შეცდომებს და ავარიულ სიტუაციებს.

კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციების დანერგვის შემთხვევაში ენერგოსისტემა გახდება უფრო სტაბილური და ეფექტიანი. აღნიშნული კვლევა სასარგებლო იქნება სხვადასხვა ქვეყნის იმ ელექტროენერგეტიკული კომპანიებისთვის, სადაც ინერგება ან დანერგილია SCADA სისტემა.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. საქართველოს ენერგეტიკული სექტორის უსაფრთხოების კვლევა. ზუსტი მეცნიერებები და ინჟინერია, სისტემური და კომუნიკაციური ინჟინერია; FR-23-8182. 2024-2027 წლები.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. . **პროექტის ხელმძღვანელი: დავით ნარმანია** - უხელმძღვანელებს პროექტს, მიიღებს მონაწილეობას სტრატეგიული დოკუმენტის ჩარჩოს შემუშავებაში და მის საბოლოო რედაქტირებაში. გაუძღვება მაღალი რანგის შეხვედრებს და დისკუსიებს. წარადგენს პროექტის პროდუქტებს სხვადასახვა განხილვებზე და პროექტის ანგარიშს რუსთაველის სამეცნიერო ფონდში. დავით ნარმანიას აქვს დიდი გამოცდილება სტრატეგიულ კვლევებში, რისკების მართვასა და ანალიზში, ასევე სახელმწიფო ადმინისტრირების პრობლემების კვლევებში. მისი ხელმძღვანელობით განხორციელებულია 10-ზე მეტი სამეცნიერო და კვლევითი პროექტი, გამოცემულია სხვადასხვა სახელმძღვანელოები (მათი დიდი ნაწილი ელექტრონულად ხელმისაწვდომია Google-ის საძიებო სისტემაში) და მომზადებულია პოლიტიკის დოკუმენტები (Policy paper). არის დეცენტრალიზაციის სახელმწიფო სტრატეგიის და საქართველოს მთავრობის პროგრამის „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის" თანაავტორი. შესაბამისად, დავით ნარმანიას გააჩნია როგორც პროექტების ხელმძღვანელობის, ასევე პოლიტიკის დოკუმენტების მომზადების გამოცდილება.

**პროექტის კოორდინატორი: გიორგი მორჩილაძე** - პასუხისმგებელი იქნება პროექტის განხორციელების პროცესში ადმინისტრაციულ, საორგანიზაციო და პროექტის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მასზე დავალებული იქნება, ისეთი აქტივობები, როგორებიცაა: მთლიანად პროექტის წარმართვა ისე, რომ ნებისმიერ ეტაპზე სრულად ხდებოდეს რუსთაველის ფონდის მიერ წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილება. მათ შორის, მისი მოვალეობა იქნება ვადების კონტროლი, კვლევის პროცესში გაწეული ხარჯების დოკუმენტაციის შეკრება და გაერთიანება, ანგარიშების მომზადების სიზუსტეზე პასუხისმგელობა და ბევრი სხვა აქტივობა, რაც პროექტის ეფექტიანი წარმართვისთვის იქნება საჭირო. გიორგი მორჩილაძე შეძლებს მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობების ჯეროვნად შესრულებას, რადგან მას აქვს ბევრად უფრო მსხვილი და რთული პროექტების მართვის გამოცდილება თავისი პროფესიული ცხოვრების მანძილზე და მიმდინარე ეტაპზეც ჩართულია პროექტების მართვაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ის არის ახალგაზრდა მეცნიერი.

**უფროსი მკვლევარი - ნუგზარ ბერიძე** მოამზადებს კვლევის დიზაინის ენერგეტიკის ნაწილს, დაამუშავებს სტატისტიკურ და ანალიტიკურ მასალას, მონაწილეობას მიიღებს სტრატეგიული დოკუმენტის ჩარჩოს შემუშავებაში და მოამზადებს სტრატეგიული დოკუმენტის ენერგეტიკის ნაწილს (მნიშვნელოვანი ნაწილი). ნუგზარ ბერიძეს აქვს დიდი სამეცნიერო-პრაქტიკული გამოცდილება ენერგეტიკის საკითხებში, ვინაიდან 2007 წლიდან მუშაობს სემეკში სხვადასხვა პოზიციებზე და პარალელურად ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამასთან, გახლავთ ოთხი სხვადასხვა პატენტის მფლობელი ელექტრიფიკაციის და ელექტროტრანსპორტის დარგში, აქვს გამოცემული/გამოქვეყნებული არაერთი ანალიტიკური მასალა და სტატია. შესაბამისად, ნუგზარ ბერიძეს გააჩნია ენერგეტიკაში როგორც 22 | დანართი №3 კვლევითი, ასევე პოლიტიკის დოკუმენტებთან მუშაობის მდიდარი გამოცდილება და შესაბამისი კომპეტენცია

**მკვლევარი: მანანა ხარხელი** - გააანალიზებს ეროვნულ და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებს და მარეგულირებელ ნორმებს. შეისწავლის ენერგეტიკის სფეროში არსებულ კვლევევებსა და კონცეფციებს. მონაწილეობას მიიღებს ჩასატარებელი გამოკითხვებისა და სხვა საველე სამუშაოების დიზაინის შექმნაში. მოამზადებს მასალებს პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ელექტრონული წიგნისთვის. ჩართული იქნება გამოკითხვებსა და სხვა პრაქტიკული მასალების მოძიებაში. შეასრულებს პროექტის მენეჯერის მიერ მასზე დელეგირებულ სხვა დავალებებს. ის მონაწილეობას მიიღებს საბოლოო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში. მანანა ხარხელი იმუშავებს

ბეჭდური ფორმით გამოსაცემი სტრატეგიული დოკუმენტისა და პოპულარულ პრესაში დასაბეჭდი მასალების მომზადებაზე.

**მკვლევარი: თემურ თორდინავა** - - განახორციელებს კვლევებს პროექტში გაწერილი მეთოდოლოგიების შესაბამისად. ამავდროულად ის პასუხისმგებელი იქნება მკვლევართა ჯგუფთან ერთად უზრუნველყოს იმ პროდუქტების შემუშავება, რომელიც დაგეგმილია პროექტის ფარგლებში. თემური იმუშავებს სტრატეგიის შექმნის მიმართულებით და ჩართული იქნება კვლევის ანგარიშების მომზადების კუთხით. თემურ თორდინავას გააჩნია 10 წელზე მეტი გამოცდილება და კომპეტენცია კვლევით პროექტებში მონაწილეობის მიმართულებით. მას მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა დროს საქართველოს რეგიონების განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში. ის არის რამდენიმე სახელმძღვანელოს, გზამკვლევის, კვლევითი პროექტების, სტრატეგიების, ავტორი/თანაავტორი. მისი კომპეტენცია და გამოცდილება სასარგებლო იქნება, როგორც პროექტის გუნდისთვის, ასევე საბოლოო ჯამში პროფესიონალური შედეგების მიღების თვალსაზრისით. მას გააჩნია არასამთავრობო და საჯარო უწყებებში მუშაობის მდიდარი გამოცდილება, რაც დამატებითი ღირებულება იქნება პროექტისთვის.

**მკვლევარი: ეკა ჩოხელი** - შეისწავლის ენერგეტიკის სფეროში არსებულ კვლევევებსა და კონცეფციებს. მონაწილეობას მიიღებს ჩასატარებელი გამოკითხვებისა და სხვა საველე სამუშაოებისთვის მასალების მომზადებაში. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმებში. დაგეგმილია რამდენიმე სტატიის გამოქვეყნება ადგილობრივ და უცხოურ ჟურნალებში. ეკა ჩოხელი მოამზადებს შესაბამის მასალებს. ის ჩართული იქნება კვლევის პროცესშიც, გამოკითხვის ჩატარებასა და მასალების შეგროვებაში. შეასრულებს პროექტის მენეჯერის მიერ მასზე დელეგირებულ სხვა დავალებებს. ის ჩართული იქნება საბოლოო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში. ეკა ჩოხელი მონაწილეობას მიიღებს ბეჭდური ფორმით გამოსაცემი სტრატეგიული დოკუმენტისა და პოპულარულ პრესაში დასაბეჭდი მასალების მომზადებაში.

**მკვლევარი: მიხეილ მაკასარაშვილი** - ჩაერთვება ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტების და მარეგულირებელი ნორმების ანალიზის პროცესში. აქტიურ მონაწილეობას მიიღებს რესპოდენტებთან მუშაობაში, შეგროვილი მასალების კლასიფიკაციასა და ანალიზში. პროექტის ფარგლებში შეიქმნება ლინკი სასწავლო ცენტრის საიტზე, სადაც განთავსებული იქნება სრული ინფორმაცია კვლევის პროცესისა და შედეგების შესახებ. მიხეილი ჩართული იქნება შესაბამისი ელექტრონული მასალების მომზადებასა და საიტზე განთავსებაში. მისი პასუხისმგებლობა იქნება საიტზე ინგლისურენოვანი მასალების განთავსებაც. შეასრულებს პროექტის მენეჯერის მიერ მასზე დელეგირებულ სხვა დავალებებს. ის ჩართული იქნება საბოლოო დასკვნებისა შემუშავებაშიც.

**მკვლევარი: შორენა დავითაია** - ჩაერთვება ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტების და მარეგულირებელი ნორმების ანალიზში. აქტიურ მონაწილეობას მიიღებს კითხვარის შედგენაში, რესპოდენტებთან მუშაობაში, კვლევის შედეგების დამუშავებაში. სემეკთან არსებული ე. ერისთავის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის და საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის ბაზაზე მიღებული ცოდნით იგი შეძლებს ენერგეტიკაში მიმდინარე ვითარების, სამომავლოდ დაგეგმილი პროექტებისა და რეფორმების სიღრმისეულ ანალიზს. ასევე პროექტში მისი ფუნქციაა მონაცემთა შეგროვება და მონაცემთა ბაზის შექმნა; კითხვარების დამუშავების საფუძველზე მიღებული შედეგების ანალიზი; კვლევის მიმდინარეობის პროცესში დაშვებული ჰიპოთეზების შემუშავება; მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია; კვლევის შედეგების პროგრამული დამუშავება. იგი ასევე ჩართული იქნება პროექტის საბოლოო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში.

**მკვლევარი: ნინო ვარდიაშვილი** - მონაწილეობას მიიღებს ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებისა და მარეგულირებელი ნორმების ანალიზის პროცესში, გაეცნობა ენერგეტიკისა და ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებს. ის ჩართული იქნება კვლევის პროცესშიც, ჩასატარებელი

გამოკითხვებისთვის მასალების მომზადებასა და მიღებული შედეგების დამუშავების პროცესში. ნინო ვარდიაშვილი დაკავებული იქნება ბეჭდური ფორმით გამოსაცემი დოკუმენტისა და დასაბეჭდი მასალების მომზადების პროცესშიც. შეასრულებს პროექტის მენეჯერის მიერ მასზე დელეგირებულ სხვა დავალებებს.
**უცხოეული კონსულტანტი: დიტმარ პრეინსტოფერს.** კონსულტანტის როლი იქნება დაეხმაროს პროექტის მკვლევარებს უცხოური გამოცდილების გაზიარებაში და მონაწილეობა მიიღოს სტრატეგიული დოკუმენტის სარეკომენდაციო ნაწილის ფორმირებაში. დიტმარ პრეინსტოფერს გააჩნია მაღალი კომპეტენცია და სათანადო გამოცდილება ევროპული ენერგოუსაფრთხოებისა და გრძელვადიანი სტრატეგიების შესახებ, აგრეთვე ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის ცოდნა, რომელიც ამ პროექტის შესაბამისი ნაწილია. ამასთან, მას აქვს საქართველოს ენერგეტიკის საკითხებზე მუშაობის გამოცილება, ვინაიდან სხვადასხვა დროს ეხმარებოდა სემეკს ევროპული წესების დანერგვაში ევროკავშირის დაძმობილების პროექტების (Twinning) ფარგლებში. შესაბამისად, აღნიშნული კონსულტანტის გამოცდილება შესაბამისობაშია მის როლთან/ფუნქციებთან და იქნება წარმატებული თანამშრომლობის კიდევ ერთი მაგალითი
**უცხოეული კონსულტანტი: გერგანა სტოიჩევა** - აღნიშნული კონსულტანტის როლი იქნება დაეხმაროს პროექტის მკვლევარებს უცხოური გამოცდილების გაზიარებაში და მონაწილეობა მიიღოს სტრატეგიული დოკუმენტის ჩარჩოს ფორმირებაში. გერგანა სტოიჩევა გახლავთ ენერგეტიკის სფეროს ეკონომისტი, სტრატეგიული და ტექნიკური საკონსულტაციო მომსახურების 20 წლიანი გამოცდილებით ინვესტიციების ხელშეწყობის, ტრანზაქციის მართვისა და ენერგეტიკის ტრანსსასაზღვრო განვითარების პროექტებში. მას მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთი დონორის მიერ დაფინანსებულ პროექტში მკვლევარის თუ სპეციალისტის სახით. შესაბამისად, აღნიშნული კონსულტანტის მდიდარი გამოცდილება შესაბამისობაშია პროექტში მისთვის განსაზღვრულ როლთან/ფუნქციებთან.
**უცხოელი კონსულტანტი: დიანა კორსაკაიტე** - კონსულტანტის როლი იქნება დაეხმაროს მკვლევარებს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებაში და მიიღოს მონაწილეობა სტრატეგიული დოკუმენტის მიზნების, ამოცანების და რეკომენდაციების შემუშავებაში. კონსულტანტს აქვს მსგავს დოკუმენტებზე მუშაობის ძალიან დიდი გამოცდილება, როგორც ლიეტუვის რესპუბლიკის პარლამენტის ენერგეტიკის კომისიის თავმჯდომარის ყოფილ მრჩეველს და როგორც უაღრესად მრავალფეროვანი საკონსულტაციო პრაქტიკის მქონე ექსპერტს. დიანა კორსაკაიტეს გააჩნია პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება ენერგოუსაფრთხოების საკითხებში და მიმდინარე პერიოდში ის გახლავთ USAID-ის პროგრამის - ენერგეტიკული უსაფრთხოება კონკურენტული ენერგეტიკული ბაზრების გზით უკრაინაში - სექტორის ხელმძღვანელი. აქვს საქართველოში წლების მუშაობის პრაქტიკა, განსაკუთრებით ენერგოუსაფრთხოების საკითხებში. მისი გამოცდილება ფასდაუდებელია და შესაბამისობაშია წინამდებარე პროექტთან.
5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. რუსუდან სეთურიძე, დავით ნარმანია, მურთაზ მაღრაძე, შორენა დავითაია, მიხეილ მაჩიტიძე; The Improvement Ways of SCADA System Management in Power Energy; ISSN 1987-5789; ეკონომიკა და ბიზნესი, 2023 წ, ჟურნალი N3.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1. მსოფლიოში ტექნოლოგიების განვითარებამ დიდი როლი ითამაშა ენერგეტიკის მართვის სრულყოფაში. ელექტროენერგეტიკის განვითარების დონე დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების დინამიკასა და განლაგებაზე, ქმნის აუცილებელ წინაპირობას

მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა და შრომის პირობების გასაუმჯობესებლად. ეროვნული ეკონომიკის დონე და მოსახლეობის ენერგომომარაგება დიდწილად დამოკიდებულია ენერგეტიკულ ინდუსტრიაზე. მისი განვითარების ტემპები და მასშტაბები განმსაზღვრელ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საბოლოო შედეგებზე.

დისპეტჩერული მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემა (SCADA) ელექტროენერგეტიკული ინდუსტრიის მნიშვნელოვანი და აქტუალური კომპონენტია, რომელიც უზრუნველყოფს ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, განაწილების მონიტორინგს და მართვას რეალური დროის რეჟიმში. SCADA სისტემის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს ტექნოლოგიური ავტომატიზებული პროცესების მართვა და ექსპლუატაცია.

კვლევის ძირითადი მიზანია გაანალიზოს საქართველოს მაგალითზე ელექტროენერგეტიკაში დანერგილი სისტემების განვითარების ეტაპები. შეისწავლოს SCADA სისტემაში ენერგოობიექტებიდან მონაცემების შეგროვება, დამუშავება, მიღებული შედეგების ანალიზი და შეიმუშაოს თანამედროვე SCADA სისტემის განვითარების აქტუალური საკითხები.

ჩატარებული კვლევის ფარგლებში შემუშავდა დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში საქართველოს ენერგოსისტემა გახდება სტაბილური და ეფექტიანი. აღნიშნული სამეცნიერო კვლევა სასარგებლო იქნება იმ ენერგოკომპანიებისთვის, სადაც ინერგება ან დანერგილია SCADA სისტემა.ენერგეტიკა ეკონომიკის საბაზისო დარგია, რომელიც დაკავშირებულია ბუნებრივი ენერგეტიკული რესურსების გამოყენების შედეგად მიღებული სხვადასხვა სახის ენერგიის გარდაქმნასთან, განაწილებასა და გამოყენებასთან. ენერგეტიკა რთული საწარმოო - ეკონომიკური სისტემაა. სამეურნეო კომპლექსში ის მრეწველობის ორი დარგის – ელექტროენერგეტიკისა და სათბობის მრეწველობის ერთობლიობაა. ბოლო წლებში, ელექტროენერგეტიკის მნიშვნელოვანი როლი განისაზღვრება იმ ფაქტით, რომ მრეწველობის სხვადასხვა დარგში ადგილი აქვს ელექტროენერგიის სულ უფრო და უფრო მზარდ გამოყენებას. ელექტროენერგეტიკის განვითარების დონე დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების დინამიკასა და განლაგებაზე, ქმნის აუცილებელ წინაპირობას მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა და შრომის პირობების გასაუმჯობესებლად. მისი განვითარების ტემპები და მასშტაბები განმსაზღვრელ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საბოლოო შედეგებზე. ელექტროენერგეტიკის დარგის განითარებამ, ახალი სადგურების, ქვესადგურების და გადამცემი ხაზების მშენებლობამრეაბილიტაციამ წარმოქმნა ელექტროენერგეტიკულ საწარმოებში ენერგეტიკული პროცესების სხვადასხვა მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვის აუცილებლობა.

ოუსამა ლაიათის და სხვა ავტორების გადმოცემით „ელექტროენერგია არის და ყოველთვის იქნება მნიშვნელოვანი ყველა ინდუსტრიული დარგისთვის. ტექნოლოგიების განვითარებამ და ციფრულმა რევოლუციამ მოახდინა ენერგიის მოხმარების ზრდა. ენერგოსისტემის მდგრადობის და სტაბილურობის შესაფასებლად გახდა აუცილებელი სხვადასხვა აპლიკაციების დანერგვა ენერგოობიექტების რეალურ დროში მონიტორინგისთვის“ (Laayati O. and all, 2020), ხოლო ოჰირულ ქაიასმა და სხვა ავტორებმა აღნიშნეს, რომ საყურადღებოა, განახლებადი ენერგიის წყაროების, როგორც ქარისა და მზის ენერგიის სადგურები და ასევე, ენერგიის შემნახველი მოწყობილობების ტექნოლოგიის განვითარება და მათი აუცილებელი ინტეგრირება ენერგეტიკულ ქსელში (Qays M. and all 2022, 1874-1885).

სააქციო საზოგადოება ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე) ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ერთადერთი ოპერატორია. კომპანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფლობს და ექსპლუატაციას უწევს 4357 კმ სიგრძის ელექტროგადამცემ ხაზებსა და 93 ქვესადგურს (www.gse.com.ge), გადამცემ ქსელს მართავს ეროვნული სადისპეტჩერო ცენტრი, ხოლო მის ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ექსპლუატაციის დეპარტამენტის ოთხი რეგიონული ფილიალი (აღმოსავლეთის, დასავლეთის, სამხრეთის და კახეთის რეგიონული

ქსელები). სსე მართავს ასევე მეზობელ სახელმწიფოებთან დამაკავშირებელ ყველა ელექტროგადამცემ ხაზს. ორგანიზაციის საოპერაციო შემოსავალს შეადგენს კვალიფიციური საწარმოებისთვის ელექტროენერგიის გადაცემის და დისპეტჩერიზაციის მომსახურების სანაცვლოდ მიღებული ფულადი სახსრები (www.gse.com.ge).

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ერთ-ერთი მოწინავეა თანამედროვე ინფორმაციული სისტემების დანერგვაში. სსე-ს ფუნქციაა, როგორც ხანმოკლე, ასევე გრძელვადიან პერიოდებში სისტემის მდგრადობის და საიმედოობის შენარჩუნება.

ციფრული აპლიკაციები წარმოადგენენ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც გამოიყენება ელექტროენერგეტიკული ქსელის მონიტორინგის, შეფასებისა და მართვისთვის. აღნიშნული სისტემები ხელს უწყობენ გენერაციის, მოხმარების, ელექტროენერგიის ხარისხის, გადამცემი ხაზების და ენერგეტიკული მოწყობილობების მუშაობის კონტროლს. ასევე მნიშვნელოვანია მათი როლი ფინანსური ანგარიშსწორებისას საბოლოო მომხმარებელს, ენერგიის მწარმოებელსა და სადისტრიბუციო კომპანიას შორის (მოჰამედ ალი, 2021,19).

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში განხორციელდა ცენტრალური დისპეტჩერული კონტროლისა და მონაცემთა შეგროვების სისტემის (SCADA- Supervisory Control And Data Acquisition) პროგრამული და აპარატურული უზრუნველყოფის განახლების პროექტი SINAUT SPECTRUM 7-ის (SIEMENS) ბაზაზე, რაც განპირობებული იყო ელეტროენერგეტიკული ქსელის სწრაფი განვითარებით, რასაც თან სდევდა სისტემაში ახალი ენერგოობიექტების დამატება და შესაბამისად შემოსული მონაცემების გაზრდილი რაოდენობა. სსე-ში ძველი აპარატურული უზრუნველყოფა არ იყო გათვლილი ასეთი სიდიდის დატვირთვაზე და შესაბამისად, იწვევდა სერვერების/აპარატურის გადატვირთვას, რაც თავის მხრივ, ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა ეფექტიანი დისპეტჩერული მართვისა და კონტროლისთვის.

კვლევის ძირითადი მიზანია გაანალიზოს საქართველოს მაგალითზე ელექტროენერგეტიკაში დანერგილი სისტემების განვითარების ეტაპები. შეისწავლოს SCADA სისტემაში ენერგოობიექტებიდან მონაცემების შეგროვება, დამუშავება, მიღებული შედეგების ანალიზი და შეიმუშაოს თანამედროვე SCADA სისტემის განვითარების აქტუალური საკითხები.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა


1. Rusudan Seturidze, Davit Narmania, Murtaz Maghradze, Shorena Davitaia, Mikheil Machitidze; Ways Of Improving The Management Of The Supervisory Control And Data Acquisition (Scada) Automated System In Electric Power. DOI: https://doi.org/10.37118/ijdr.27265.10.2023 ; International Journal of Development Research Vol. 13, Issue, 10, pp. 63921-63928.
2. Davit Narmania, Nino Vardiashvili, Mikheil Makasarashvili; The Survey of Employers' Job Satisfaction in Georgian Companies, DOI: https://doi.org/10.47191/jefms/v6-i10-58 ; Journal of Economics, Finance And Management Studies Vol. 06, Issue 10, pp. 5244-5261.
3. Davit Narmania, Nino Vardiashvili, Giorgi Morchiladze; The Role Of Self-Management In Personal Development; ISSN: 2344-2174; Ecoforum Vol 12, No 3(32) (2023).
4. Davit Narmania, Manana kharkheli, Nino Vardiashvili, Mikheil Makasarashvili; The Role of education in the growth of the Georgian economy, https://doi.org/10.24052/BMR/V14NU01/ART-10; The Business and Management Review, Volume 14, Number 1 (2023)

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ენერგეტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკაში, ის დიდწილად განსაზღვრავს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ყველა საწარმოო პროცესი სხვადასხვა დარგებში, როგორც სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, ქვეყნის მოსახლეობისთვის ყველა სახის მომსახურება და სხვადასხვა სახის სამეწარმეო საქმიანობა დაკავშირებულია ენერგიის მოხმარების მუდმივად მზარდ მასშტაბებთან. ბოლო წლებში, ელექტროენერგეტიკის მნიშვნელოვანი როლი განისაზღვრება იმ ფაქტით, რომ ეკონომიკური საქმიანობის ზრდა იწვევს ელექტროენერგიის მოხმარების ზრდას. ვინაიდან საზოგადოება მუდმივად ცდილობს გაიუმჯობესოს ცხოვრების დონე, შესაბამისად ელექტროენერგიაზე მოთხოვნა მომავალში გაიზრდება. ენერგეტიკის განვითარების ტემპები და მასშტაბები განმსაზღვრელ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საბოლოო შედეგებზე. ელექტროენერგეტიკის დარგის განვითარებამ, ახალი სადგურების, ქვესადგურების და გადამცემი ხაზების მშენებლობამ\რეაბილიტაციამ წარმოქმნა ელექტროენერგეტიკულ საწარმოებში ენერგეტიკული პროცესების სხვადასხვა მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვის აუცილებლობა.

სამეცნიერო სტატიის ავტორების, ოუსამა ლაიათის და სხვათა გადმოცემით „ელექტროენერგია არის და ყოველთვის იქნება მნიშვნელოვანი ყველა ინდუსტრიული დარგისთვის. ტექნოლოგიების განვითარებამ და ციფრულმა რევოლუციამ მოახდინა ენერგიის მოხმარების ზრდა. ენერგოსისტემის მდგრადობის და სტაბილურობის შესაფასებლად გახდა აუცილებელი სხვადასხვა აპლიკაციების დანერგვა ენერგოობიექტების რეალურ დროში მონიტორინგისთვის“, ხოლო მეცნიერებმა, ოჰირულ ქაიასმა და სხვათა აღნიშნეს, რომ საყურადღებოა, განახლებადი ენერგიის წყაროების, როგორც ქარისა და მზის ენერგიის სადგურები და ასევე, ენერგიის შემნახველი მოწყობილობების ტექნოლოგიის განვითარება და მათი აუცილებელი ინტეგრირება ენერგეტიკულ ქსელში.

სამეცნიერო ნაშრომის მიზანია გაანალიზოს ელექტროენერგეტიკაში დისპეტჩერული მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის (SCADA) მართვის სრულყოფის საკითხები, რომელიც მოიცავს SCADA სისტემის განვითარების ეტაპების შედარებით ანალიზს, ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენებას, თანამედროვე ციფრული აპლიკაციების დანერგვას, რომელიც ემსახურება ენერგოობიექტების რეალურ დროში აღრიცხვას, კონტროლს, მონიტორინგს და სხვა, რაც უზრუნველყოფს ელექტროენერგეტიკის დარგის მნიშვნელოვან განვითარებას.

„დისპეტჩერული მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის (SCADA) სრულყოფის გზები ელექტროენერგეტიკაში“ კვლევითი პროექტის ფარგლებში მოხდა დისპეტჩერული მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის (SCADA) მართვის სრულყოფის საკითხების გაანალიზება და საკვლევი კითხვების შემუშავება. გამოიკითხა 101 რესპოდენტი. მონაცემები შეგროვდა ელექტრონულად, ონლაინ გამოკითხვის საშუალებით საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში სხადასხვა სტრუქტურული ერთეულებში მომუშავე თანამშრომლები, რომლებიც იყვნენ SCADA სისტემის მომხმარებლები.

კვლევა შეისწავლის ელექტროენერგეტიკაში დისპეტჩერული მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის (SCADA) მართვის სრულყოფის საკითხებს, რაც ელექტროენერგეტიკაში უზრუნველყოფს ტექნოლოგიური ავარიების რიცხვის შემცირებას, სექტორის მდგრადობას, მართვის ხარისხის გაუმჯობესებასა და მუშაობის სისწრაფეს. კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციების დანერგვის შემთხვევაში ენერგოსისტემა გახდება უფრო სტაბილური და ეფექტიანი. აღნიშნული კვლევა სასარგებლო იქნება სხვადასხვა ქვეყნის იმ ელექტროენერგეტიკული კომპანიებისთვის, სადაც ინერგება ან დანერგილია SCADA სისტემა.

სამეცნიერო ნაშრომში განხილულია SCADA სისტემის განვითარების ეტაპების შედარებით ანალიზი სისტემის თითოეული კომპონენტის ჭრილში. კვლევის შედეგების დანერგვა იმოქმედებს, როგორც დისპეტჩერული მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის (SCADA) მომხმარებლების პროფესიონალიზმის განვითარებაზე, ასევე უზრუნველყოფს პერსონალის მმართველი რგოლის სამუშაოების გამარტივებას, სისწრაფეს და მაღალ ხარისხს. შესაბამისად, ეს ხელს შეუწყობს ელექტროენერგეტიკის დარგის სრულყოფას.

2. სტატიაში - „დამსაქმებელთა სამუშაოთი კმაყოფილების გამოკვლევა საქართველოს კომპანიებში" - განხილულია იმ კვლევის შედეგები, რომელიც სტატიის ავტორებმა განახორციელეს საქართველოს კომპანიებში. გამოიკითხა 1509 დასაქმებული ბიზნესის როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორიდან პროპორციით 43,7/55,3.

დასაქმებულებს საპასუხოდ გადაეცათ 54 კითხვა, რომელთაგან 12-კითხვა ეხებოდა სამუშაოთი მათ კმაყოფილებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ამდენად, მოცემულ სტატიაში მხოლოდ ამ კითხვებზე და მათ პასუხებზე არის მსჯელობა.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს კომპანიებში დასაქმებულთა 49,8% მთლიანად, ხოლო 42,8% ნაწილობრივ, ანუ ჯამში 92,6%, კმაყოფილია სამუშაოთი. ასეთ დროს, იაპონიაში იგი შეადგენს 57%-ს, ხოლო აშშ-ში - 83%-ს. ამ პარადოქსის გასარკვევად, ავტორებს საქართველოს კომპანიებში დასაქმებულთა სამუშაოთი კმაყოფილების გამომწვევი ფაქტორები ორ ჯგუფად აქვთ დაყოფილი და მათზე მსჯელობაც ამ ჯგუფების მიხედვით წარმართული:

1. დასაქმებულთა კმაყოფილებას იწვევს შრომის ანაზღაურების სიდიდე (ხელფასი) და სხვა მატერიალური სტიმულები, ანუ გარეგანი ფაქტორები.

2. დასაქმებულთა სამუშაოთი კმაყოფილებას იწვევს საინტერესო, საყვარელი საქმის კეთება, ხელმძღვანელებიდან და კოლეგებიდან დაფასება, მნიშვნელოვან საფირმო გადაწყვეტილებებში ჩართულობა, კარიერული წინსვლის პერსპექტივა და ა. შ., ანუ შინაგანი ფაქტორები.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს კომპანიების დასაქმებულებს არ მოსწონთ კომპანიების სახელფასო პოლიტიკა. მისი მთლიანად კმაყოფილი მხოლოდ 21,7%-ია. ზემოთნათქვამიდან გამომდინარე, სტატიის ავტორები გამორიცხავენ სამუშაოთი დასაქმებულების კმაყოფილების მაჩვენებელზე მატერიალური სტიმულების, ანუ მოტივაციის გარეგანი სტიმულების დადებით გავლენას და იხილავენ 10 შინაგან მოტივატორს, კერძოდ: დასაქმებულთა მიერ სასიამოვნო საქმის კეთებას, დასაქმებულთა წინადადებების გათვალისწინებას მნიშვნელოვანი მენეჯერეული გადაწყვეტილებების მიღებისას, დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვას, დასაქმებულებზე მინდობილი საქმის დიდ მნიშვნელობას კომპანიისთვის, კარიერული წინსვლის პერსპექტივას, ფუნქციების დელეგირების სამართლიანობას, მოსალოდნელ საფირმო ცვლილებებზე დროულ და სრულ ინფორმირებას. ამ ჩამონათვალიდან სტატიაში 8 ფაქტორის გავლენა დადებითად არის შეფასებული, 2 კი, უარყოფითად. რადგან მთლიანობაში 12 ფაქტორიდან 8 ფაქტორი დადებითი გავლენის აღმოჩნდა, 4 კი - უარყოფითი გავლენის, დადგინდა მათი ძლიერი გავლენა სამუშაოთი დასაქმებულთა კმაყოფილებაზე.

სტატიაში მინიშნებულია კვლევის შედეგებში აღმოჩენილი მრავალი ურთიერთ-შეუსაბამობა, რომლებიც ეჭვს იწვევენ დასაქმებულთა პასუხების გულწრფელობაში. სტატიის ავტორების ვარაუდით, შეიძლება სწორედ ამან გამოიწვია კვლევაში ჩართულ დასაქმებულთა სამუშაოთი კმაყოფილების ასეთი მაღალი დონე - 92,6%, რომლის ტოლი მაღალგანვითარებელ ქვეყნებსაც კი არ გააჩნიათ და აღნიშნული პრობლემის უფრო სიღრმისეულად კვლევის წინადადებას იძლევიან.

როდესაც მეცნიერები საუბრობენ დასაქმებულთა ქცევაზე, ისინი ჩამოთვლიან მის ექვს ძირითად ტიპს: დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობა, აბსენტეიზმი, დენადობა, მოქალაქეობრივი ქცევა, სამუშაოთი კმაყოფილებით ქცევა და სამსახურისთის შეუფერებელი

ქცევა (Robbins & Coulter, 2019). ქცევის თითოეული ამ ტიპის დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, წინამდებარე სტატიაში ვიხილავთ დასაქმებულთა ქცევას, რომელიც უკავშირდება სამუშაოთი კმაოფილების ხარისხს. იგი ყველაზე ნაკლებ არის შესწავლილი, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. დიდი ხანი არ არის რაც გაჩნდა სიტყვები „პერსონალი კომპანიის აქტივია", „თანამშრომლები უპირველეს ყოვლისა" და ა. შ. მართლაც, ორგანიზაციაში განურჩევლად იმისა, რომელ ქვეყანაში ფუნქციონირებს იგი, ცენტრალური ფიგურა ადამიანია. იქ ყველაფერს ან უშუალოდ ადამიანი ქმნის, ან მანქანა ადამიანის ზედამხედველობით. თუ ორგანიზაცია კონკურენტუნარიანია, ეს იქ მომუშავე მაღალპროფესიონალ ადამიანების დამსახურებაა. და რადგან კომპანიის ხანგრძლივი წარმატება მხოლოდ მაღალკვალიფიციურ პერსონალს შეუძლია, ეს ნიშნავს, რომ მისი მენეჯმენტი სახსრებს არ უნდა ზოგავდეს ასეთი ადამიანების მოზიდვისთვის და მათთვის მუშაობის ისეთი პირობების შექმნისთვის, რომ ისინი სამუშაოთი კმაყოფილი იყვნენ. სტატიაში საუბარია საქართველოში ამ მიმართულებით არსებულ მდგომარეობასა და პირობებზე.

3. სამსახურს, სახლსა და პირად ცხოვრებას შორის ჰარმონიული ბალანსის მიღწევა თავდაჯერებულობისა და კონტროლის სასიცოცხლო ასპექტია. თუმცა, ამ წონასწორობის დამყარება სამივე სფეროში იშვიათობაა დღევანდელ სწრაფ სამყაროში. ცხოვრებისეული გამოწვევების წარმატებით გადასაჭრელად აუცილებელია ფოკუსირება თვითგანვითარებაზე, განსაკუთრებით თვითმართვისა და თვითკონტროლის სფეროში. ამ უნარების დახვეწით ჩვენ ვიღებთ უნარს, ეფექტურად ვმართოთ ჩვენი დრო, სამუშაო შესაძლებლობები, აქტივობები და ხელმისაწვდომი რესურსები. მკაფიო მიზნების დასახვით, კარგად სტრუქტურირებული ყოველდღიური გეგმების შემუშავებით, ძირითად ამოცანებზე ფოკუსირებით, წესრიგის დამყარებით ჩვენ შეგვიძლია, ეფექტურად ვმართოთ დრო და გავაძლიეროთ წარმატების შანსები. ამრიგად, ეფექტური თვითმართვის უნარების გამომუშავება, განსაკუთრებით დროის მენეჯმენტის სფეროში, გადამწყვეტია სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ჯანსაღი ბალანსის მისაღწევად.

სტატიაში თვითმენეჯმენტი განმარტებულია, როგორც პიროვნებაში არსებული დროის, აქტივობის, შრომისუნარიანობის, გადახდისუნარიანობის და განათლებულობის რესურსების მართვა თვით ამ პიროვნების მიერ. თუ პიროვნება ამას სწორად და სისტემატურად ახორციელებს, ეს ნიშნავს, რომ იგი თვითგანვითარების და თვითსრულყოფის პროცესშია, რის შედეგადაც წარმატება დგება.

სტატიაში ჩამოთვლილია თვითმენეჯმენტის შემზღუდავი ფაქტორები და მათი გადალახვის გზები, განხილულია ადამიანში არსებული ცალკეული რესურსები, ნაჩვენებია პიროვნების მიერ მათი მართვის შესაძლებლობები და შედეგები, რომელთა მიღწევაც ამ ქმედებების საფუძველზე იქნება შესაძლებელი.

სტატია მოიცავს კვლევით ნაწილს, რომელშიც გააანალიზებულია საქართველოში კერძო და სახელმწიფო სექტორებში დასაქმებულთა გამოცდილება დროის დაგეგმვის, მართვისა და სამუშაო დავალებებისთვის პრიორიტეტების მინიჭების საკითხში, იდენტიფიცირებულია ის ფაქტორები, რომლებიც მათი შეხედულებით ხელს უშლით დასახული მიზნების მიღწევაში. ნაშრომი ითვალისწინებს მათი ფიზიკური ენერგიის, ემოციების მართვის შესაძლებლობების შეფასებას და მათ საფუძველზე შესაბამისი დასკვნების გაკეთებას.

დღევანდელ სწრაფადცვალებად სამყაროში ინდივიდები მუდმივად ეძებენ გზებს პიროვნული ზრდის და კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. ერთ-ერთი ძლიერი ინსტრუმენტი, რომელმაც ამ მიმართულებით მოიპოვა აღიარება, არის თვითმართვა. თვითმენეჯმენტი გულისხმობს საკუთარი აზრების, მოქმედებების და ემოციების შეგნებულად წარმართვისა და კონტროლის უნარს, რათა ეფექტურად წარიმართოს ცხოვრება და მიღწეული იყოს დასახული მიზნები.

თვითმართვა მოიცავს უნარებსა და სტრატეგიებს, რომლებიც აუცილებელია დროის, ემოციების და ქცევების ეფექტურად მართვისთვის.
თვითმართვა მოიცავს სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის დროის მენეჯმენტს, ემოციების მართვას, სტრესის მართვას, თვითდისციპლინას, მიზნების დასახვას და თვითრეფლექსიას.

- დროის მენეჯმენტი: დროის ეფექტურად განაწილება და პრიორიტეტიზაცია სხვადასხვა ამოცანებისა და აქტივობებისთვის, გრაფიკის შექმნა და სტრატეგიების გამოყენება, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს სამუშაო დავალებებისა და ამოცანების შესრულების პროდუქტიულობა და შესაძლებელი გახდეს დასახული მიზნების მიღწევა.
- ემოციების მართვა: საკუთარი ემოციების, მათ შორის სიბრაზის, სტრესისა და იმედგაცრუების, ჯანსაღი და კონსტრუქციული გზით აღიარება და მართვა. ემოციების მართვის საკითხში მნიშვნელოვანია ემოციების მიღება და აღიარება, მიუხედავად იმისა, ისინი სასიამოვნოა თუ უსიამოვნო. ემოციების განსჯამ ან დათრგუნვამ შესაძლოა გამოიწვიოს ემოციური დისტრესი, ამიტომ აუცილებელია აღიარება, რომ ისინი ადამიანის გამოცდილების ჩვეულებრივი ნაწილია. ემოციების აღიარებასთან ერთად მნიშვნელოვანია მათი გამოხატვის ჯანსაღი საშუალებების პოვნა. ეს შეიძლება მოიცავდეს მეგობართან ან ოჯახის წევრთან საუბარს, შემოქმედებით საქმიანობაში ჩართვას, როგორიცაა წერა ან ხელოვნება, ან ფიზიკური აქტივობების განხორციელება, როგორიცაა ვარჯიში ან ცეკვა. ემოციების უსაფრთხო და სათანადო ფორმით გამოხატვა ხელს უწყობს ემოციურ კეთილდღეობას.
- სტრესის მართვა: სტრატეგიების შემუშავება სტრესის ეფექტურად დასაძლევად, როგორიცაა რელაქსაციის ტექნიკა, გონებამახვილობა და საჭიროების შემთხვევაში დახმარების ძებნა. სტრესის სამართავად მნიშვნელოვანია სტრესის წყაროების იდენტიფიცირება. ის შეიძლება იყოს განპირობებული როგორც გარე ფაქტორებით, როგორიცაა მაგალითად, სამუშაო მოთხოვნები, ფინანსური ზეწოლა ან ურთიერთობების სირთულეები, ასევე შინაგანი ფაქტორებით, როგორიცაა ნეგატიური საუბარი ან პერფექციონიზმი.
- თვითდისციპლინა: თვითკონტროლისა და ნებისყოფის დახმარებით ყურადღების ფოკუსირება დავალებებზე, ყურადღების გაფანტვის თავიდან არიდება, ვალდებულებების თანმიმდევრულად შესრულება.
- მიზნების დასახვა: მკაფიო და მისაღწევი მიზნების ჩამოყალიბება, როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი და სამოქმედო გეგმების შემუშავება მათზე მუშაობისთვის.
- თვითრეფლექსია: ინტროსპექტივაში ჩართვა და საკუთარი აზრების, ქმედებებისა და პროგრესის რეგულარულად შეფასება, გაუმჯობესების სფეროების იდენტიფიცირება და საჭირო კორექტირების შეტანა.

თვითმენეჯმენტის პრაქტიკით, ინდივიდებს შეუძლიათ გააძლიერონ თავიანთი პროდუქტიულობა, მიაღწიონ ბალანსს სამუშაოსა და ცხოვრებას შორის, შეამცირონ სტრესის დონე და გააუმჯობესონ საერთო კეთილდღეობა. ის მოითხოვს თვითშეგნებას, თვითმოტივაციას და პიროვნული ზრდისა და განვითარების პროაქტიულ მიდგომას.
4. სტატია - „განათლების როლი საქართველოს ეკონომიკის ზრდაში“ - ეძღვნება საქართველოს ისეთ ეკონომიკურ პრობლემას, როგორიც არის განათლების ხარისხის კავშირი უმუშევრობასა და ეკონომიკურ ზრდასთან. კიდევ უფრო დიდი პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ უმუშევართა რიცხვში, რომელთა ხვედრითი წონა შრომისუნარიან მოსახლეობაში 18,5%-ია, კატასტროფულად დიდი ხვედ¬რითი წონა უკავიათ უმაღლეს სასწავლებლების (32,3%) და პროფესიული სასწავლებლების (40%-ზე მეტი) კურსდამთავრებულებს. ამ ვითარების მიზეზად ავტორები ასახელებენ როგორც ერთ, ისე მეორე ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ სწავლების დაბალ ხარისხს და სტუდენტების მიერ დაუფლებული პროფესიების და კომპეტენციების შეუსაბა¬მობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

სტატიაში აღნიშნულია, რომ საქართველოზე ადრე ეს პრობლემა ედგა ევროპასაც. ამ პრობლემის მოსახსნელად ევროკომისიამ რამდენიმე პროგრამა აამუშავა, 2006 წელს კი მიიღო ოფიციალური დოკუმენტი „ცოდნიდან პრაქტიკისკენ“. ამ დოკუმენტით აღიარება მიეცა უმაღლესი განათლების ახალ მოდელს, ე. წ. „სამმაგ სპირალს“ და ევროპის ქვეყნებმა თანდათან დაიწყეს ამ მოდელზე გადასვლა.
სტატიის ავტორები რეკომენდაციას აძლევენ საქართველოს განათლებისადა მეცნიერების სამინისტროს და, აგრეთვე, მის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა უნივერსიტეტს, რომ გაეცნონ ამ მოდელს და საქართველოს ადგილობრივ პირობებზე მისი მორგებით დაიწყონ მოსამზა¬დებელი სამუშაოები პრაქტიკაში მის დასანერგად. საქართველოს თითოეული უნივერსიტეტი შეიძლება წახალისდეს, გამოავლინოს „აღმატებულობისცენტრი“, რომლითაც ისინი ამაყობენ და შეუძლიათ გააფართოვონ ადგილობრივ ბიზნეს ფირმებთან ძლიერი კავშირის შესაქმნელად. ურთიერთობა კარგად უნდა ემსახურებოდეს სტუდენტებს.
უმაღლესი განათლების „სამმაგი სპირალის“ მოდელის ძლიერ მხარედ სტატიაში წარმოდგენილია უნივერსიტეტების მჭიდრო თანამშრომლობა ბიზნესსექტორთან და ქვეყნის მთავრობასთან. ისინი ყველა ერთად ერთ მთელს წარმოადგენენ. ქვეყნის მთავრობა ქმნის განათლების „თამაშის წესებს“, ბიზნესსექტორი უნივერსიტეტებს აძლევს დაკვეთას კონკ¬რეტული პროფესიების და უნარების მქონე სპეციალისტების მომზადებაზე, უნივერ¬სი-ტე¬ტები კი ასრულებენ ამ დაკვეთებს. ასე მომზადებულ სპეციალისტებს დამკვეთი, ცხადია, ასაქმებს. სტატიის ავტორი ირწმუნება, რომ ამ მოდელმა გაამართლა დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, გერმანიაში, სერბეთში და სხვაგან და გაამართლებს საქართველოშიც.
Triple Helix მოდელის გარდა, სტატია ასევე ეხება ადამიანური კაპიტალის მნიშვნელობას, როგორც წარმოების არსებითი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. ეს შეიმუშავა ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორმა გარი ბეკერმა (Becker, 1975). გარდა ამისა, სტატია ხაზს უსვამს კოოპერატიული განათლების წარმატებულ განხორციელებას აშშ-ში, სადაც სტუდენტები მოთავსებულნი არიან სამუშაო ადგილზე, აკადემიური სწავლების მონაცვლეობით. ეს პროგრამა მოქმედებს 1906 წლიდან ცინცინატის უნივერსიტეტში და შედეგად, Co-Op-ის სტუდენტების ნახევარს შესთავაზეს სრულ განაკვეთზე დასაქმება სკოლის დამთავრებისთანავე (სინცინატის უნივერსიტეტი, 2021).
სტატიაში აღნიშნულია, რომ ბიზნესთან განათლების თანამშრომლობის აუცილებლობამ ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად წამოიწია წინ. ეს დაუკავშირდა ტექნიკური პროგრესის აჩქარებას, რომელმაც გამოიწვია (და დღესაც იწვევს) პროფესიების „დაძველება“-ს. ამას დაემატა განათლების შესახებ უკვე დაძველებული ტრადიციული აზროვნება, რომ განათ¬ლება ეს არის ცოდნის გადაცემა და კვლევების განხორციელება. ახალმა XXI საუკუნემ განათლებას მოსთხოვა „საზოგადოების მსახურის“ როლის შესრულებაც. ეს უნდა გამოი-ხატოს მის მიერ მომზადებული კადრების უპრობლემოდ დასაქმებაში. ამის მიღწევა კი შეიძლება მხოლოდ ბიზნესსექტორთან ღრმა და მყარი კავშირებით. ამ გზით საქართველოს უნივერსიტეტები გარდაიქმნებიან ბაზრის სრულფასოვან სუბიექტებად. ისინი გააცნობიე-რებენ, რომბაზარზე მათ მიერ შექმნილი „პროდუქტის“ (კურსდამთავრებული სპეცია¬ლისტი, კვლევაში მიგნებული სიახლეები) ბედი მომხმარებლებზე ანუ დამსაქმებლებზეა დამოკიდებულიდა განათლების პროცესსააწყობენ მათი მოთხოვნების შესაბამისად.
სტატიის ავტორთა აზრით,ეს იქნება დიდი გარდატეხა საქართველოს უმაღლეს განათლებაში, რაც დიდ დადებით როლს შეასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში.
სტატია დასრულებულია შემაჯამებელი დასკვნით და რეკომენდაციებით.

*ასოცირებული პროფესორი ვასილ კიკუტაძე*
2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
**1. მეცნიერული კვლევების ინტერნაციონალიზაცია საქართველოში (1991-2021) და მისი ზეგავლენა პროფესორ-მასწავლებლებისაკადემიურ საქმიანობაზე - 2023-2026**
2. მიმართულება:სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები
3. № FR-22-1686
4. 2023-2026 წ.
2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. გიორგი თავაძე - პროექტის ხელმძღვანელი
2. დავით სიხარულიძე - კოორდინატორი
**3. ვასილ კიკუტაძე - მკვლევარი**
4. კახაბერ ლაზარაშვილი - მკვლევარი
5. თამთა ლეკიშვილი - მკვლევარი
6. ელენე ზურაბიშვილი - მკვლევარი
7. პოლ გიბსი - კონსულტანტი - მიდლსექსის უნივერსიტეტი / აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
8. ანატოლი ოლექსიენკო - კონსულტანტი - ჰონგ-კონგის უნივერსიტეტი
***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***
1. კვლევის საწყის ეტაპზე განხორციელდა კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზის ფორმირება, შესწავლილი იქნა ადგილობრივი და უცხოური გამოცდილება, კერძოდ მოხდა ფუნდამენტური და ემპირიული ლიტერატურის მოძიება და ანალიზი, ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე საკვლევი კითხვებისა და ჰიპოთეზების ფორმირება და კვლევის პროცესის ოპერაციონალიზაცია.
6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
**1.ავტორები: ვასილ კიკუტაძე, დავით სიხარულიძე, თამთა ლეკიშვილი**
**2. Peculiarities of Digital Transformation of Higher Educational iinstitution in Georgia**
**2. Proceedings of International Scientific-Practical Conference (ISPC 2023)**
**3. DOI -** https://doi.org/10.1007/978-3-031-45601-5
**4.ISSN-**2198-7246, ISSN 2198-7254 (electronic) Springer Proceedings in Business and Economics ISBN 978-3-031-45600-8 ISBN 978-3-031-45601-5 (eBook) © The Editor(s) (if applicable) and The Author(s), under exclusive license to Springer Nature Switzerland AG 2023
**5. გამოცემი ადგილი:** This Springer imprint is published by the registered company Springer Nature Switzerland AG The registered company address is: Gewerbestrasse 11, 6330 Cham, Switzerland
**6. გამომცემლობა:** Springer Proceedings in Business and Economics
**7. გვერდების რაოდენობა: 14**

**8. This book series is indexed in SCOPUS.**

*ვრცელი ანოტაცია*

Georgia joined the Bologna process in 2005 at the Bergen summit. In addition, the country signed the association agreement with Europe in 2014, where the country's commitment to developing digital infrastructure in the country was outlined. In this regard, according to the 2021–2027 agenda of the association agreement between the European Union and Georgia, the importance of stimulating the digital economy and innovation in the country, promoting the development of egovernance and digital services, along with the development of digital skills and e-literacy of the broad strata of the population, was specified. Consequently, the reforms in the Georgian educational sector were actively launched, and the need for the digital transformation of educational institutions, including higher education institutions, was on the agenda. Taking into account the recent Covid pandemic, on June 12, 2020, amendments were made to the Law of Georgia on "Higher Education," where 477 articles specified the essence of distance learning and the features of its implementation. In particular, paragraphs 3 and 4 of this article define the obligation to select and properly use a distance learning application/platform for higher educational institutions, develop instructions/video guide for the use of the selected distance learning application/platform, and introduce it to students and staff of higher education institutions. Based on the abovementioned changes, the higher educational institutions operating in Georgia (in the 2021–2022 academic year, 19 state and 45 private higher educational institutions are operating in Georgia.) have actively started to take care of meeting the existing requirements. In particular, first of all, to conduct educational processes interactively, higher education institutions purchased electronic online training programs. The choice was mainly made on such software as zoom, jitsi, google meet, and Microsoft Teams. In addition, the e-learning programs for internal use owned by the universities were activated and functionally improved; the book fund was updated/supplemented with digital resources, the digitization of student services and management processes of higher education institutions became the top priorities, etc. It is worth noting that, along with the implementation of the mentioned processes, the problems accompanying the digitization process appeared consequently, in particular, the lack of digital skills, both among students and among the staff of higher educational institutions, less willingness to observe the norms of academic integrity in the process of online education; problems of infrastructural provision of universities and students, access to an unlimited Internet, etc. With these mentioned problems in view, higher education institutions actively started working on developing and implementing digital development strategies and action plans, which are clearly not a one-time process and require constant development. In this paper, we will discuss distinctive characteristics of the digital transformation implementation process that has taken place in HEIs in Georgia.

*ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი*

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

**6.3. სტატიები**

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. David Narmania & Giuli Keshelashvili & Eka Chokheli & Vasil Kikutadze, 2022. "**Challenges of Development of Demand-oriented Labor Market in Georgia**," International Journal of Social Sciences, European Research Center, vol. 11(2), pages 86-98, September. https://eurrec.org/ijoss-article-116976

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

სტატიაში განხილულია შრომის ბაზრის ფორმირების თანამედროვე ეტაპზე საქართველოში არსებული გამოწვევები. კერძოდ, ეკონომიკის განვითარების დაბალი დონით გამოწვეული დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული

მკვეთრი დისბალანსი, სამუშაო ძალის დაბალი მობილურობა, სამუშაო ძალის დაბალი ფასი, უმუშევრებში უმაღლესი განათლების მქონე პირებისა და ახალგაზრდების მაღალი წილი, არაფორმალური დასაქმების დიდი წილი. გაანალიზებულია, რომ შრომის ბაზარზე სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი არის, როგორც უმუშევრობის განმაპირობებელი, ისე, ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორი, სამუშაო ძალის უნარები და შესაძლებლობები დაშორებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებისაგან. გამოკვეთილია ქვეყანაში განათლებისა და დასაქმების სისტემებს შორის შესაბამისობის პრობლემა. განსაზღვრულია, რომ **ამ ორ სისტემას შორის სუსტი კავშირი და შეთანხმებული პოლიტიკის არ არსებობა ხელს უწყობს განათლების გაუფასურებას, შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის შემთხვევით განაწილებას, რომელიც არ შეესაბამება პიროვნების პროფესიულ კვალიფიკაციას და ხელს უშლის ინოვაციური სამუშაო მიმართულებების შექმნას. ნაჩვენებია, რომ** საქართველოში შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობამ შეაფერხა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა წარმოშვა უმუშევრობის, სიღარიბისა და არალეგალური მიგრაციის სახით.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ბაბულია მღებრიშვილი, გიული ქეშელაშვილი, კონფლიქტები მარკეტინგულ არხებში და მისგან მომდინარე საფრთხეები, 8 თებერვალი, 2022, თბილისი საქართველო,
https://dspace.tsu.ge/bitstream/handle/123456789/1410/Conflicts%20in%20Marketing%20Channels%20and%20Consequential%20Threats.pdf?sequence=1&isAllowed=y

(მოხსენება გამოქვეყნდა ფორუმის მასალებში (თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის,- კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა, -შრომების კრებული).

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Keshelashvili G., Jibuti M, Technological Opportunities for Sustainable Development of Regions, VI International Conference, Strategic Imperatives of Modern Management, 21 October, 2022, Kyiv, p.256-259,
https://docs.google.com/document/d/1BgRWXKBvGUH_l2yiOld2-2StE1gzoT_Bk5mEyGV6BC8/edit

***ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი***

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტითდაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითიპროექტები

2.1.

1) გარდამავალი(მრავალწლიანი)პროექტისდასახელებამეცნიერებისდარგისადასამეცნიერომიმართულებისმითითებით,პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი;პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. საქართველოს ენერგეტიკული სექტორის უსაფრთხოების კვლევა. ზუსტი მეცნიერებები და ინჟინერია, სისტემური და კომუნიკაციური ინჟინერია; FR-23-8182. 2024-2027 წლები.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **პროექტის ხელმძღვანელი: დავით ნარმანია** - უხელმძღვანელებს პროექტს, მიიღებს მონაწილეობას სტრატეგიული დოკუმენტის ჩარჩოს შემუშავებაში და მის საბოლოო რედაქტირებაში. გაუძღვება მაღალი რანგის შეხვედრებს და დისკუსიებს. წარადგენს პროექტის პროდუქტებს სხვადასახვა განხილვებზე და პროექტის ანგარიშს რუსთაველის სამეცნიერო ფონდში. დავით ნარმანიას აქვს დიდი გამოცდილება სტრატეგიულ კვლევებში, რისკების მართვასა და ანალიზში, ასევე სახელმწიფო ადმინისტრირების პრობლემების კვლევებში. მისი ხელმძღვანელობით განხორციელებულია 10-ზე მეტი სამეცნიერო და კვლევითი პროექტი, გამოცემულია სხვადასხვა სახელმძღვანელოები (მათი დიდი ნაწილი ელექტრონულად ხელმისაწვდომია Google-ის საძიებო სისტემაში) და მომზადებულია პოლიტიკის დოკუმენტები (Policy paper). არის დეცენტრალიზაციის სახელმწიფო სტრატეგიის და საქართველოს მთავრობის პროგრამის „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის" თანაავტორი. შესაბამისად, დავით ნარმანიას გააჩნია როგორც პროექტების ხელმძღვანელობის, ასევე პოლიტიკის დოკუმენტების მომზადების გამოცდილება.

**პროექტის კოორდინატორი: გიორგი მორჩილაძე** - პასუხისმგებელი იქნება პროექტის განხორციელების პროცესში ადმინისტრაციულ, საორგანიზაციო და პროექტის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მასზე დავალებული იქნება, ისეთი აქტივობები, როგორებიცაა: მთლიანად პროექტის წარმართვა ისე, რომ ნებისმიერ ეტაპზე სრულად ხდებოდეს რუსთაველის ფონდის მიერ წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილება. მათ შორის, მისი მოვალეობა იქნება ვადების კონტროლი, კვლევის პროცესში გაწეული ხარჯების დოკუმენტაციის შეკრება და გაერთიანება, ანგარიშების მომზადების სიზუსტეზე პასუხისმგელობა და ბევრი სხვა აქტივობა, რაც პროექტის ეფექტიანი წარმართვისთვის იქნება საჭირო. გიორგი მორჩილაძე შეძლებს მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობების ჯეროვნად შესრულებას, რადგან მას აქვს ბევრად უფრო მსხვილი და რთული პროექტების მართვის გამოცდილება თავისი პროფესიული ცხოვრების მანძილზე და მიმდინარე ეტაპზეც ჩართულია პროექტების მართვაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ის არის ახალგაზრდა მეცნიერი.

**უფროსი მკვლევარი - ნუგზარ ბერიძე** მოამზადებს კვლევის დიზაინის ენერგეტიკის ნაწილს, დაამუშავებს სტატისტიკურ და ანალიტიკურ მასალას, მონაწილეობას მიიღებს სტრატეგიული დოკუმენტის ჩარჩოს შემუშავებაში და მოამზადებს სტრატეგიული დოკუმენტის ენერგეტიკის ნაწილს (მნიშვნელოვანი ნაწილი). ნუგზარ ბერიძეს აქვს დიდი სამეცნიერო-პრაქტიკული გამოცდილება ენერგეტიკის საკითხებში, ვინაიდან 2007 წლიდან მუშაობს სემეკში სხვადასხვა პოზიციებზე და პარალელურად ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამასთან, გახლავთ ოთხი სხვადასხვა პატენტის მფლობელი ელექტრიფიკაციის და ელექტროტრანსპორტის დარგში, აქვს გამოცემული/გამოქვეყნებული არაერთი ანალიტიკური მასალა და სტატია. შესაბამისად, ნუგზარ ბერიძეს გააჩნია ენერგეტიკაში როგორც 22 | დანართი №3 კვლევითი, ასევე პოლიტიკის დოკუმენტებთან მუშაობის მდიდარი გამოცდილება და შესაბამისი კომპეტენცია

**მკვლევარი: მანანა ხარხელი** - გააანალიზებს ეროვნულ და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებს და მარეგულირებელ ნორმებს. შეისწავლის ენერგეტიკის სფეროში არსებულ კვლევევებსა და კონცეფციებს. მონაწილეობას მიიღებს ჩასატარებელი გამოკითხვებისა და სხვა საველე სამუშაოების დიზაინის შექმნაში. მოამზადებს მასალებს პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ელექტრონული წიგნისთვის. ჩართული იქნება გამოკითხვებსა და სხვა პრაქტიკული მასალების მოძიებაში. შეასრულებს პროექტის მენეჯერის მიერ მასზე დელეგირებულ სხვა დავალებებს. ის მონაწილეობას მიიღებს საბოლოო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში. მანანა ხარხელი იმუშავებს ბეჭდური ფორმით გამოსაცემი სტრატეგიული დოკუმენტისა და პოპულარულ პრესაში დასაბეჭდი მასალების მომზადებაზე.

**მკვლევარი: თემურ თორდინავა** - - განახორციელებს კვლევებს პროექტში გაწერილი მეთოდოლოგიების შესაბამისად. ამავდროულად ის პასუხისმგებელი იქნება მკვლევართა ჯგუფთან ერთად უზრუნველყოს იმ პროდუქტების შემუშავება, რომელიც დაგეგმილია პროექტის ფარგლებში.

თემური იმუშავებს სტრატეგიის შექმნის მიმართულებით და ჩართული იქნება კვლევის ანგარიშების მომზადების კუთხით. თემურ თორდინავას გააჩნია 10 წელზე მეტი გამოცდილება და კომპეტენცია კვლევით პროექტებში მონაწილეობის მიმართულებით. მას მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა დროს საქართველოს რეგიონების განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში. ის არის რამდენიმე სახელმძღვანელოს, გზამკვლევის, კვლევითი პროექტების, სტრატეგიების, ავტორი/თანაავტორი. მისი კომპეტენცია და გამოცდილება სასარგებლო იქნება, როგორც პროექტის გუნდისთვის, ასევე საბოლოო ჯამში პროფესიონალური შედეგების მიღების თვალსაზრისით. მას გააჩნია არასამთავრობო და საჯარო უწყებებში მუშაობის მდიდარი გამოცდილება, რაც დამატებითი ღირებულება იქნება პროექტისთვის.

**მკვლევარი: ეკა ჩოხელი** - შეისწავლის ენერგეტიკის სფეროში არსებულ კვლევევებსა და კონცეფციებს. მონაწილეობას მიიღებს ჩასატარებელი გამოკითხვებისა და სხვა საველე სამუშაოებისთვის მასალების მომზადებაში. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმებში. დაგეგმილია რამდენიმე სტატიის გამოქვეყნება ადგილობრივ და უცხოურ ჟურნალებში. ეკა ჩოხელი მოამზადებს შესაბამის მასალებს. ის ჩართული იქნება კვლევის პროცესშიც, გამოკითხვის ჩატარებასა და მასალების შეგროვებაში. შეასრულებს პროექტის მენეჯერის მიერ მასზე დელეგირებულ სხვა დავალებებს. ის ჩართული იქნება საბოლოო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში. ეკა ჩოხელი მონაწილეობას მიიღებს ბეჭდური ფორმით გამოსაცემი სტრატეგიული დოკუმენტისა და პოპულარულ პრესაში დასაბეჭდი მასალების მომზადებაში.

**მკვლევარი: მიხეილ მაკასარაშვილი** - ჩაერთვება ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტების და მარეგულირებელი ნორმების ანალიზის პროცესში. აქტიურ მონაწილეობას მიიღებს რესპოდენტებთან მუშაობაში, შეგროვილი მასალების კლასიფიკაციასა და ანალიზში. პროექტის ფარგლებში შეიქმნება ლინკი სასწავლო ცენტრის საიტზე, სადაც განთავსებული იქნება სრული ინფორმაცია კვლევის პროცესისა და შედეგების შესახებ. მიხეილი ჩართული იქნება შესაბამისი ელექტრონული მასალების მომზადებასა და საიტზე განთავსებაში. მისი პასუხისმგებლობა იქნება საიტზე ინგლისურენოვანი მასალების განთავსებაც. შეასრულებს პროექტის მენეჯერის მიერ მასზე დელეგირებულ სხვა დავალებებს. ის ჩართული იქნება საბოლოო დასკვნებისა შემუშავებაშიც.

**მკვლევარი: შორენა დავითაია** - ჩაერთვება ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტების და მარეგულირებელი ნორმების ანალიზში. აქტიურ მონაწილეობას მიიღებს კითხვარის შედგენაში, რესპოდენტებთან მუშაობაში, კვლევის შედეგების დამუშავებაში. სემეკთან არსებული ე. ერისთავის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის და საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის ბაზაზე მიღებული ცოდნით იგი შეძლებს ენერგეტიკაში მიმდინარე ვითარების, სამომავლოდ დაგეგმილი პროექტებისა და რეფორმების სიღრმისეულ ანალიზს. ასევე პროექტში მისი ფუნქციაა მონაცემთა შეგროვება და მონაცემთა ბაზის შექმნა; კითხვარების დამუშავების საფუძველზე მიღებული შედეგების ანალიზი; კვლევის მიმდინარეობის პროცესში დაშვებული ჰიპოთეზების შემუშავება; მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია; კვლევის შედეგების პროგრამული დამუშავება. იგი ასევე ჩართული იქნება პროექტის საბოლოო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში.

**მკვლევარი: ნინო ვარდიაშვილი** - მონაწილეობას მიიღებს ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებისა და მარეგულირებელი ნორმების ანალიზის პროცესში, გაეცნობა ენერგეტიკისა და ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებს. ის ჩართული იქნება კვლევის პროცესშიც, ჩასატარებელი გამოკითხვებისთვის მასალების მომზადებასა და მიღებული შედეგების დამუშავების პროცესში. ნინო ვარდიაშვილი დაკავებული იქნება ბეჭდური ფორმით გამოსაცემი დოკუმენტისა და დასაბეჭდი მასალების მომზადების პროცესშიც. შეასრულებს პროექტის მენეჯერის მიერ მასზე დელეგირებულ სხვა დავალებებს.

**უცხოეული კონსულტანტი: დიტმარ პრეინსტოფერს.** კონსულტანტის როლი იქნება დაეხმაროს პროექტის მკვლევარებს უცხოური გამოცდილების გაზიარებაში და მონაწილეობა მიიღოს სტრატეგიული დოკუმენტის სარეკომენდაციო ნაწილის ფორმირებაში. დიტმარ პრეინსტოფერს გააჩნია მაღალი კომპეტენცია და სათანადო გამოცდილება ევროპული ენერგოუსაფრთხოებისა და გრძელვადიანი სტრატეგიების შესახებ, აგრეთვე ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის ცოდნა, რომელიც ამ პროექტის შესაბამისი ნაწილია. ამასთან, მას აქვს საქართველოს ენერგეტიკის საკითხებზე მუშაობის გამოცილება, ვინაიდან სხვადასხვა დროს ეხმარებოდა სემეკს ევროპული წესების დანერგვაში ევროკავშირის დაძმობილების პროექტების (Twinning) ფარგლებში. შესაბამისად, აღნიშნული კონსულტანტის გამოცდილება შესაბამისობაშია მის როლთან/ფუნქციებთან და იქნება წარმატებული თანამშრომლობის კიდევ ერთი მაგალითი

**უცხოეული კონსულტანტი: გერგანა სტოიჩევა** - აღნიშნული კონსულტანტის როლი იქნება დაეხმაროს პროექტის მკვლევარებს უცხოური გამოცდილების გაზიარებაში და მონაწილეობა მიიღოს სტრატეგიული დოკუმენტის ჩარჩოს ფორმირებაში. გერგანა სტოიჩევა გახლავთ ენერგეტიკის სფეროს ეკონომისტი, სტრატეგიული და ტექნიკური საკონსულტაციო მომსახურების 20 წლიანი გამოცდილებით ინვესტიციების ხელშეწყობის, ტრანზაქციის მართვისა და ენერგეტიკის ტრანსსასაზღვრო განვითარების პროექტებში. მას მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთი დონორის მიერ დაფინანსებულ პროექტში მკვლევარის თუ სპეციალისტის სახით. შესაბამისად, აღნიშნული კონსულტანტის მდიდარი გამოცდილება შესაბამისობაშია პროექტში მისთვის განსაზღვრულ როლთან/ფუნქციებთან.

**უცხოელი კონსულტანტი: დიანა კორსაკაიტე** - კონსულტანტის როლი იქნება დაეხმაროს მკვლევარებს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებაში და მიიღოს მონაწილეობა სტრატეგიული დოკუმენტის მიზნების, ამოცანების და რეკომენდაციების შემუშავებაში. კონსულტანტს აქვს მსგავს დოკუმენტებზე მუშაობის ძალიან დიდი გამოცდილება, როგორც ლიეტუვის რესპუბლიკის პარლამენტის ენერგეტიკის კომისიის თავმჯდომარის ყოფილ მრჩეველს და როგორც უაღრესად მრავალფეროვანი საკონსულტაციო პრაქტიკის მქონე ექსპერტს. დიანა კორსაკაიტეს გააჩნია პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება ენერგოუსაფრთხოების საკითხებში და მიმდინარე პერიოდში ის გახლავთ USAID-ის პროგრამის - ენერგეტიკული უსაფრთხოება კონკურენტული ენერგეტიკული ბაზრების გზით უკრაინაში - სექტორის ხელმძღვანელი. აქვს საქართველოში წლების მუშაობის პრაქტიკა, განსაკუთრებით ენერგოუსაფრთხოების საკითხებში. მისი გამოცდილება ფასდაუდებელია და შესაბამისობაშია წინამდებარე პროექტთან.

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები;სტატიისსათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში);ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომიISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში);გამოცემისადგილი, გამომცემლობა;გვერდებისრაოდენობა

1. Eka Chokheli, Manana kharkheli, Mikheil Makasarashvili; Understanding the Theoretical and Practical Aspects of Self-Management, http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/1909/873 , ECOFORUM, VOL 12, ISSUE 3(32), 2023
2. Eka Chokheli, Manana Kharkheli, Giorgi Morchiladze, Managerial Management Style and Level in Georgian Companies, https://doi.org/10.47191/jefms/v6-i10-57, Journal of Economics, Finance and Management Studies, VOL 6, ISSUE 10, 2023

*ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)*

1. სტატიაში - „თვითმენეჯმენტის თეორიული ასპექტების გააზრება“ - ეს ფენომენი განხილულია პიროვნების თვითსრულყოფაში მისი როლის კუთხით. სტატიაში ნათქვამია, რომ საქართველოს

საჯარო სტრუქტურებში დაიწყო სპეციალისტების სამუშაო ადგილებზე „თანამდებობრივი ინსტრუქციების“ შემუშავება, რომელთაც, ცხადია, თან ახლავს სპეციალისტებისთვის ამ ინსტრუქციებით მოთხოვნილი კომპეტენციები და თვისებებიც. მათი რაოდენობა იმდენად მრავალფეროვანია და ხშირად არაორდინალური, რომ პიროვნება მათ განათლების ვერცერთი საფეხურიდან ვერ მიიღებს. მათი დაუფლება მხოლოდ თვითმენეჯმენტით უნდა მოხდეს. ასეთებია მაგალითად: საქმეზე პასუხისმგებლობის უნარი, თვითდისციპლინის უნარი, პრინციპულობის უნარი, კომუნიკაბელურობის უნარი და ა. შ.

სტატიაში თვითმენეჯმენტი განმარტებულია, როგორც პიროვნებაში არსებული დროის, აქტივობის, შრომისუნარიანობის, გადახდისუნარიანობის და განათლებულობის რესურსების მართვა თვით ამ პიროვნების მიერ. თუ პიროვნება ამას სწორად და სისტემატურად ახორციელებს, ეს ნიშნავს, რომ იგი თვითგანვითარების და თვითსრულყოფის პროცესშია, რის შედეგადაც წარმატება დგება.

სტატიაში ჩამოთვლილია თვითმენეჯმენტის შემზღუდავი ფაქტორები და მათი გადალახვის გზები, თანამიმდევრულად დასახელებულია თვითმენეჯმენტის ფუნქციები (ქმედებები) და დახასიათებულია თითოეული მათგანი, საუბარია ადამიანის მიზნებზე და მათ მისაღწევად გადასადგმელ ნაბიჯებზე, ახსნილია თვითორგანიზების და თვითკონტროლის საკითხები და სხვა.

სტატიაში დიდი ადგილი უკავია ადამიანში არსებული ცალკეული რესურსების განხილვას, პიროვნების მიერ მათი მართვის შესაძლებლობების ჩვენებას და იმ შედეგს, რასაც ის ამ ქმედებით მიაღწევს.

2. 21-ე საუკუნეში ცვლილებები და ინოვაციები აღარავის უკვირს. ეს ნებისმიერი საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. პრაქტიკულად ცვლილებები და ინოვაციები არიან ის კომპონენტები, რომლითაც თითოეული ორგანიზაცია ცდილობს მდგომარეობის გაუმჯობესებას, მოქნილობისა და ეფექტიანობის გაზრდას. ყოველი ინოვაციური მიდგომა მიმართული უნდა იყოს ,ერთი მხრივ, სისტემის ოპტიმიზაციისაკენ და ,მეორე მხრივ, ეს დადებითად უნდა ისახებოდეს თანამშრომელთა პროდუქტიულობაზე.

გლობალიზაციის პირობებში, მაშინ როდესაც ყალიბდება მართვის ახალი მიდგომები და ინერგება სიახლეები, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციის მიერ გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს. ყოველი გადაწყვეტილება, რომელსაც მიიღებს კომპანია უნდა გამომდინარეობდეს იმ ასპექტიდან, რომ ეს სასიკეთოდ წაადგება.

ცვლილებები და ინოვაციები პრაქტიკულად განუყოფელია ერთმანეთისაგან. დღევანდელობაში ინოვაციების და სხვადასხვა ტიპის ცვლილებების განხორციელება ,შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია. შესაბამისად, აუცილებელია რომ კომპანიის თითოეული ქმედება დეტალურად იყოს გაანალიზებული. წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული ის თუ რა შედეგის მომტანი იქნება იგი როგორც ორგანიზაციისთვის, ასევე თანამშრომლებისა და მომხმარებლებისათვის.

ნაშრომი ეხება ორგანიზაციულ ცვლილებებსა და ინოვაციებს. განხილულია როგორც ორგანიზაციული ცვლილებების, ასევე ინოვაციების არსი და ის თუ რა კავშირია მათ შორის. ასევე ნაშრომში გაანალიზებულია ერთ-ერთი ქართული კომპანიის შპს „ქართული რძის პროდუქტების“ მიერ განხორციელებული ინოვაციური პროექტები და ორგანიზაციული ცვლილებები.

4. სტატია - „მენეჯერული მართვის სტილი და დონე საქართველოს კომპანიებში“ წარმოადგენს იმ კვლევის შედეგების შეფასებას, რომელიც მიმდინარე წელს ჩაატარა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის მეცნიერ-მკვლევართა ჯგუფმა იქ არსებული მართვის დონის და სტილის გამოსარკვევად.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო რესპოდენტ-დამსაქმებლებმა (მენეჯერები), რომელთაგან 259 იყო სახელმწიფო კომპანიებიდან, ხოლო 261 - კერძო სექტორიდან. რესპოდენტთა როგორც გამოკითხვის მეთოდი, ისე მათგან მიღებული ინფორმაციის დამუშავების და შეფასების

საშუალებები და ინსტრუმენტები იყო ერთნაირი. ასე რომ კვლევის პროცესში რესპოდენტთა არცერთი ჯგუფი პრიორიტეტულ მდგომარეობაში არ იმყოფებოდა. თითქმის ერთნაირი იყო რესპოდენტთა ჯგუფების სიხშირეც (259 ≈ 261).

დამსაქმებლები (მენეჯერები) გამოიკითხნენ 33-კითხვით, თუმცა, წინამდებარე სტატიაში მოხვდა მხოლოდ 13 კითხვა და მათი პასუხები, რადგან დანარჩენი კითხვები ეხებოდა არა მენეჯერული მართვის სტილს და დონეს, არამედ, მის სხვა ასპექტებს.

კვლევაში ჩართულ რესპოდენტ-დამსაქმებლების პასუხების სანდოობა მაღალია, რადგან კვლევაში უპირატესად მოხვდნენ კონკრეტულ ორგანიზაციაში მუშაობის შედარებით მაღალი გამოცდილების (სამი და მეტი წელი) მენეჯერები, კუმულატური პროცენტით მათმა ხვედრითმა წონამ ორივე სექტორში ერთად შეადგინა 51,1%, ანუ ნახევარზე მეტი. ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ მუშაობის მაღალი სტაჟი არის ადამიანებში დიდი გამოცდილების დაგროვება, ორგანიზაციის ავ-კარგის სიღრმისეული ცოდნა და რაც ყველაზე მთავარია, მეცნიერ-მკვლევარებისთვის რელევანტური ინფორმაციის მიღების მეტად სანდო წყარო.

ჩატარებული კვლევის შედეგად დამსაქმებელ-რესპოდენტებიდან მიღებული პასუხებით სტატიის ავტორები ასკვნიან, რომ საქართველოში არსებულ პრაქტიკულ მენეჯმენტსა და თანამედროვე მეცნიერულ მენეჯმენტს შორის დიდი გარღვევა, ფაქტიურად, უფსკრულია. ამას ისინი ასაბუთებენ შემდეგით:

- მართვის სტილის არჩევისას რესპოდენტ-დამსაქმებლები უპირატესობას აძლევენ კონტროლზე დაფუძნებულ სტილს (საშუალოდ 37%) და არა ნდობაზე დაფუძნებულ სტილს (28,1%);
- კომპანიათა საშუალოდ 59%-ს არა აქვს სტრატეგეული განვითარების გეგმა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ პრაქტიკაში არ არის დანერგილი მრავალდონიანი სტრატეგიული მართვა;
- ცვლილებებზე გადაწყვეტილებას კომპანიათა გენერალურ მენეჯერთა 24,6% დამოუკიდებალდ, თანამშრომელთა ჩართვის გარეშე იღებს;
- კომპანიათა 45,6% მხარს უჭერს მენეჯერის ძალაუფლების დემონსტრირებას მისი ავტორიეტის განსამტკიცებლად და ა. შ.

კვლევაში ჩართულ რესპოდენტ-დამსაქმებელთა მიერ კომპანიების მართვაში განხორ-ციელებული პრაქტიკული ქმედებები სტატიის ავტორების მიერ შეფასებულია უარყოფითად, დიდ გადახრად, როგორც მართვის უახლესი მეცნიერული მენეჯმენტიდან, ისე უცხოეთის წარმატებული კომპანიების მართვის პრაქტიკიდან, და, შეთავაზებულია გამოსწორების რეკომენდაციები.

***ასოცირებული პროფესორი მანანა ხარხელი***

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გრანტითდაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითიპროექტები

2.1.

1)
გარდამავალი(მრავალწლიანი)პროექტისდასახელებამეცნიერებისდარგისადასამეცნიერომიმართულებისმითითებით,პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი;პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. საქართველოს ენერგეტიკული სექტორის უსაფრთხოების კვლევა. ზუსტი მეცნიერებები და ინჟინერია, სისტემური და კომუნიკაციური ინჟინერია; FR-23-8182. 2024-2027 წლები.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **პროექტის ხელმძღვანელი: დავით ნარმანია** - უხელმძღვანელებს პროექტს, მიიღებს მონაწილეობას სტრატეგიული დოკუმენტის ჩარჩოს შემუშავებაში და მის საბოლოო რედაქტირებაში. გაუძღვება მაღალი რანგის შეხვედრებს და დისკუსიებს. წარადგენს პროექტის პროდუქტებს სხვადასახვა

განხილვებზე და პროექტის ანგარიშს რუსთაველის სამეცნიერო ფონდში. დავით ნარმანიას აქვს დიდი გამოცდილება სტრატეგიულ კვლევებში, რისკების მართვასა და ანალიზში, ასევე სახელმწიფო ადმინისტრირების პრობლემების კვლევებში. მისი ხელმძღვანელობით განხორციელებულია 10-ზე მეტი სამეცნიერო და კვლევითი პროექტი, გამოცემულია სხვადასხვა სახელმძღვანელოები (მათი დიდი ნაწილი ელექტრონულად ხელმისაწვდომია Google-ის საძიებო სისტემაში) და მომზადებულია პოლიტიკის დოკუმენტები (Policy paper). არის დეცენტრალიზაციის სახელმწიფო სტრატეგიის და საქართველოს მთავრობის პროგრამის „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის" თანაავტორი. შესაბამისად, დავით ნარმანიას გააჩნია როგორც პროექტების ხელმძღვანელობის, ასევე პოლიტიკის დოკუმენტების მომზადების გამოცდილება.

**პროექტის კოორდინატორი: გიორგი მორჩილაძე** - პასუხისმგებელი იქნება პროექტის განხორციელების პროცესში ადმინისტრაციულ, საორგანიზაციო და პროექტის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მასზე დავალებული იქნება, ისეთი აქტივობები, როგორებიცაა: მთლიანად პროექტის წარმართვა ისე, რომ ნებისმიერ ეტაპზე სრულად ხდებოდეს რუსთაველის ფონდის მიერ წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილება. მათ შორის, მისი მოვალეობა იქნება ვადების კონტროლი, კვლევის პროცესში გაწეული ხარჯების დოკუმენტაციის შეკრება და გაერთიანება, ანგარიშების მომზადების სიზუსტეზე პასუხისმგელობა და ბევრი სხვა აქტივობა, რაც პროექტის ეფექტიანი წარმართვისთვის იქნება საჭირო. გიორგი მორჩილაძე შეძლებს მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობების ჯეროვნად შესრულებას, რადგან მას აქვს ბევრად უფრო მსხვილი და რთული პროექტების მართვის გამოცდილება თავისი პროფესიული ცხოვრების მანძილზე და მიმდინარე ეტაპზეც ჩართულია პროექტების მართვაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ის არის ახალგაზრდა მეცნიერი.

**უფროსი მკვლევარი - ნუგზარ ბერიძე** მოამზადებს კვლევის დიზაინის ენერგეტიკის ნაწილს, დაამუშავებს სტატისტიკურ და ანალიტიკურ მასალას, მონაწილეობას მიიღებს სტრატეგიული დოკუმენტის ჩარჩოს შემუშავებაში და მოამზადებს სტრატეგიული დოკუმენტის ენერგეტიკის ნაწილს (მნიშვნელოვანი ნაწილი). ნუგზარ ბერიძეს აქვს დიდი სამეცნიერო-პრაქტიკული გამოცდილება ენერგეტიკის საკითხებში, ვინაიდან 2007 წლიდან მუშაობს სემეკში სხვადასხვა პოზიციებზე და პარალელურად ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამასთან, გახლავთ ოთხი სხვადასხვა პატენტის მფლობელი ელექტრიფიკაციის და ელექტროტრანსპორტის დარგში, აქვს გამოცემული/გამოქვეყნებული არაერთი ანალიტიკური მასალა და სტატია. შესაბამისად, ნუგზარ ბერიძეს გააჩნია ენერგეტიკაში როგორც 22 | დანართი №3 კვლევითი, ასევე პოლიტიკის დოკუმენტებთან მუშაობის მდიდარი გამოცდილება და შესაბამისი კომპეტენცია

**მკვლევარი: მანანა ხარხელი** - გააანალიზებს ეროვნულ და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებს და მარეგულირებელ ნორმებს. შეისწავლის ენერგეტიკის სფეროში არსებულ კვლევევებსა და კონცეფციებს. მონაწილეობას მიიღებს ჩასატარებელი გამოკითხვებისა და სხვა საველე სამუშაოების დიზაინის შექმნაში. მოამზადებს მასალებს პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ელექტრონული წიგნისთვის. ჩართული იქნება გამოკითხვებსა და სხვა პრაქტიკული მასალების მოძიებაში. შეასრულებს პროექტის მენეჯერის მიერ მასზე დელეგირებულ სხვა დავალებებს. ის მონაწილეობას მიიღებს საბოლოო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში. მანანა ხარხელი იმუშავებს ბეჭდური ფორმით გამოსაცემი სტრატეგიული დოკუმენტისა და პოპულარულ პრესაში დასაბეჭდი მასალების მომზადებაზე.

**მკვლევარი: თემურ თორდინავა** - - განახორციელებს კვლევებს პროექტში გაწერილი მეთოდოლოგიების შესაბამისად. ამავდროულად ის პასუხისმგებელი იქნება მკვლევართა ჯგუფთან ერთად უზრუნველყოს იმ პროდუქტების შემუშავება, რომელიც დაგეგმილია პროექტის ფარგლებში. თემური იმუშავებს სტრატეგიის შექმნის მიმართულებით და ჩართული იქნება კვლევის ანგარიშების მომზადების კუთხით. თემურ თორდინავას გააჩნია 10 წელზე მეტი გამოცდილება და კომპეტენცია კვლევით პროექტებში მონაწილეობის მიმართულებით. მას მონაწილეობა აქვს მიღებული

სხვადასხვა დროს საქართველოს რეგიონების განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში. ის არის რამდენიმე სახელმძღვანელოს, გზამკვლევის, კვლევითი პროექტების, სტრატეგიების, ავტორი/თანაავტორი. მისი კომპეტენცია და გამოცდილება სასარგებლო იქნება, როგორც პროექტის გუნდისთვის, ასევე საბოლოო ჯამში პროფესიონალური შედეგების მიღების თვალსაზრისით. მას გააჩნია არასამთავრობო და საჯარო უწყებებში მუშაობის მდიდარი გამოცდილება, რაც დამატებითი ღირებულება იქნება პროექტისთვის.

**მკვლევარი: ეკა ჩოხელი** - შეისწავლის ენერგეტიკის სფეროში არსებულ კვლევევებსა და კონცეფციებს. მონაწილეობას მიიღებს ჩასატარებელი გამოკითხვებისა და სხვა საველე სამუშაოებისთვის მასალების მომზადებაში. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმებში. დაგეგმილია რამდენიმე სტატიის გამოქვეყნება ადგილობრივ და უცხოურ ჟურნალებში. ეკა ჩოხელი მოამზადებს შესაბამის მასალებს. ის ჩართული იქნება კვლევის პროცესშიც, გამოკითხვის ჩატარებასა და მასალების შეგროვებაში. შეასრულებს პროექტის მენეჯერის მიერ მასზე დელეგირებულ სხვა დავალებებს. ის ჩართული იქნება საბოლოო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში. ეკა ჩოხელი მონაწილეობას მიიღებს ბეჭდური ფორმით გამოსაცემი სტრატეგიული დოკუმენტისა და პოპულარულ პრესაში დასაბეჭდი მასალების მომზადებაში.

**მკვლევარი: მიხეილ მაკასარაშვილი** - ჩაერთვება ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტების და მარეგულირებელი ნორმების ანალიზის პროცესში. აქტიურ მონაწილეობას მიიღებს რესპოდენტებთან მუშაობაში, შეგროვილი მასალების კლასიფიკაციასა და ანალიზში. პროექტის ფარგლებში შეიქმნება ლინკი სასწავლო ცენტრის საიტზე, სადაც განთავსებული იქნება სრული ინფორმაცია კვლევის პროცესისა და შედეგების შესახებ. მიხეილი ჩართული იქნება შესაბამისი ელექტრონული მასალების მომზადებასა და საიტზე განთავსებაში. მისი პასუხისმგებლობა იქნება საიტზე ინგლისურენოვანი მასალების განთავსებაც. შეასრულებს პროექტის მენეჯერის მიერ მასზე დელეგირებულ სხვა დავალებებს. ის ჩართული იქნება საბოლოო დასკვნებისა შემუშავებაშიც.

**მკვლევარი: შორენა დავითაია** - ჩაერთვება ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტების და მარეგულირებელი ნორმების ანალიზში. აქტიურ მონაწილეობას მიიღებს კითხვარის შედგენაში, რესპოდენტებთან მუშაობაში, კვლევის შედეგების დამუშავებაში. სემეკთან არსებული ე. ერისთავის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის და საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის ბაზაზე მიღებული ცოდნით იგი შეძლებს ენერგეტიკაში მიმდინარე ვითარების, სამომავლოდ დაგეგმილი პროექტებისა და რეფორმების სიღრმისეულ ანალიზს. ასევე პროექტში მისი ფუნქციაა მონაცემთა შეგროვება და მონაცემთა ბაზის შექმნა; კითხვარების დამუშავების საფუძველზე მიღებული შედეგების ანალიზი; კვლევის მიმდინარეობის პროცესში დაშვებული ჰიპოთეზების შემუშავება; მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია; კვლევის შედეგების პროგრამული დამუშავება. იგი ასევე ჩართული იქნება პროექტის საბოლოო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში.

**მკვლევარი: ნინო ვარდიაშვილი** - მონაწილეობას მიიღებს ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებისა და მარეგულირებელი ნორმების ანალიზის პროცესში, გაეცნობა ენერგეტიკისა და ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებს. ის ჩართული იქნება კვლევის პროცესშიც, ჩასატარებელი გამოკითხვებისთვის მასალების მომზადებასა და მიღებული შედეგების დამუშავების პროცესში. ნინო ვარდიაშვილი დაკავებული იქნება ბეჭდური ფორმით გამოსაცემი დოკუმენტისა და დასაბეჭდი მასალების მომზადების პროცესშიც. შეასრულებს პროექტის მენეჯერის მიერ მასზე დელეგირებულ სხვა დავალებებს.

**უცხოეული კონსულტანტი: დიტმარ პრეინსტოფერს.** კონსულტანტის როლი იქნება დაეხმაროს პროექტის მკვლევარებს უცხოური გამოცდილების გაზიარებაში და მონაწილეობა მიიღოს სტრატეგიული დოკუმენტის სარეკომენდაციო ნაწილის ფორმირებაში. დიტმარ პრეინსტოფერს გააჩნია მაღალი კომპეტენცია და სათანადო გამოცდილება ევროპული ენერგოუსაფრთხოებისა და

გრძელვადიანი სტრატეგიების შესახებ, აგრეთვე ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის ცოდნა, რომელიც ამ პროექტის შესაბამისი ნაწილია. ამასთან, მას აქვს საქართველოს ენერგეტიკის საკითხებზე მუშაობის გამოცილება, ვინაიდან სხვადასხვა დროს ეხმარებოდა სემეკს ევროპული წესების დანერგვაში ევროკავშირის დაძმობილების პროექტების (Twinning) ფარგლებში. შესაბამისად, აღნიშნული კონსულტანტის გამოცდილება შესაბამისობაშია მის როლთან/ფუნქციებთან და იქნება წარმატებული თანამშრომლობის კიდევ ერთი მაგალითი

**უცხოეული კონსულტანტი: გერგანა სტოიჩევა** - აღნიშნული კონსულტანტის როლი იქნება დაეხმაროს პროექტის მკვლევარებს უცხოური გამოცდილების გაზიარებაში და მონაწილეობა მიიღოს სტრატეგიული დოკუმენტის ჩარჩოს ფორმირებაში. გერგანა სტოიჩევა გახლავთ ენერგეტიკის სფეროს ეკონომისტი, სტრატეგიული და ტექნიკური საკონსულტაციო მომსახურების 20 წლიანი გამოცდილებით ინვესტიციების ხელშეწყობის, ტრანზაქციის მართვისა და ენერგეტიკის ტრანსსასაზღვრო განვითარების პროექტებში. მას მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთი დონორის მიერ დაფინანსებულ პროექტში მკვლევარის თუ სპეციალისტის სახით. შესაბამისად, აღნიშნული კონსულტანტის მდიდარი გამოცდილება შესაბამისობაშია პროექტში მისთვის განსაზღვრულ როლთან/ფუნქციებთან.

**უცხოელი კონსულტანტი: დიანა კორსაკაიტე** - კონსულტანტის როლი იქნება დაეხმაროს მკვლევარებს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებაში და მიიღოს მონაწილეობა სტრატეგიული დოკუმენტის მიზნების, ამოცანების და რეკომენდაციების შემუშავებაში. კონსულტანტს აქვს მსგავს დოკუმენტებზე მუშაობის ძალიან დიდი გამოცდილება, როგორც ლიეტუვის რესპუბლიკის პარლამენტის ენერგეტიკის კომისიის თავმჯდომარის ყოფილ მრჩეველს და როგორც უაღრესად მრავალფეროვანი საკონსულტაციო პრაქტიკის მქონე ექსპერტს. დიანა კორსაკაიტეს გააჩნია პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება ენერგოუსაფრთხოების საკითხებში და მიმდინარე პერიოდში ის გახლავთ USAID-ის პროგრამის - ენერგეტიკული უსაფრთხოება კონკურენტული ენერგეტიკული ბაზრების გზით უკრაინაში - სექტორის ხელმძღვანელი. აქვს საქართველოში წლების მუშაობის პრაქტიკა, განსაკუთრებით ენერგოუსაფრთხოების საკითხებში. მისი გამოცდილება ფასდაუდებელია და შესაბამისობაშია წინამდებარე პროექტთან.

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები;სტატიისსათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში);ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომიISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში);გამოცემისადგილი, გამომცემლობა;გვერდებისრაოდენობა

1. Manana Kharkheli, Davit Gavardashvili; The Role of Ethical Leadership in organizations, http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/1746/858# , ECOFORUM VOL 12, ISSUE 2(31), 2023

2. Eka Chokheli, Manana kharkheli, Mikheil Makasarashvili; Understanding the Theoretical and Practical Aspects of Self-Management, http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/1909/873 , ECOFORUM, VOL 12, ISSUE 3(32), 2023

3. Manana Kharkheli, Davit Gavardashvili; The Role of Change and Innovation in Organizations, https://doi.org/10.47191/jefms/v6-i10-56, Journal of Economics, Finance and Management Studies, VOL 6, ISSUE 10, 2023

4. Eka Chokheli, Manana Kharkheli, Giorgi Morchiladze, Managerial Management Style and Level in Georgian Companies, https://doi.org/10.47191/jefms/v6-i10-57, Journal of Economics, Finance and Management Studies, VOL 6, ISSUE 10, 2023

5. Davit Narmania, Manana Kharkheli, Nino Vardiashvili, Mikheil Makasarashvili; The Role of education in the growth of the Georgian economy, https://doi.org/10.24052/BMR/V14NU01/ART-10 The Business and Management Review, Volume 14, Number 1 (2023)

*ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)*

1. ნებისმიერი კომპანიის კეთილდღეობა და წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მენეჯმენტის ლიდერულ თვისებებსა და უნარებზე. ლიდერობა აუცილებელია წარმატებული მართვისათვის. ეს არის პროცესი რომლითაც ერთი ადამიანი გარკვეულ გავლენას ახდენს სხვა წევრებზე და წარმართავს მათ დასახული მიზნის მიღწევისაკენ. ლიდერი არის ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტი ბერკეტი აქვს ზეგავლენის მოსახდენად. ორგანიზაციის ხელმძღვანელი უნდა იყოს ეფექტიანი მმართველი და ლიდერიც. ლიდერობაზე საუბრისას აღსანიშნავია ეთიკის საკითხიც. ხელმძღვანელი პირი რომელსაც ურთიერთობა უწევს სხვადასხვა თვისებების მქონე ადამიანებთან და ზემოქმედებს მათზე, უნდა იქცეოდეს ეთიკურად. ყოველი მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეთიკის სტანდარტებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ლიდერს უნდა შეეძლოს საკუთარი თავისა და სხვების გაკონტროლება, ემოციების მართვა, პასუხისმგებლობის აღება და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღება.

ეთიკურ ლიდერობასთან დაკავშირებული საკითხები შესწავლის მნიშვნელოვან საგანს წარმოადგენს. შესაბამისად, სტატიაც ეხება ეთიკის იმ ასპექტებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ლიდერობასთან.

2. სტატიაში - „თვითმენეჯმენტის თეორიული ასპექტების გააზრება“ - ეს ფენომენი განხილულია პიროვნების თვითსრულყოფაში მისი როლის კუთხით. სტატიაში ნათქვამია, რომ საქართველოს საჯარო სტრუქტურებში დაიწყო სპეციალისტების სამუშაო ადგილებზე „თანამდებობრივი ინსტრუქციების“ შემუშავება, რომელთაც, ცხადია, თან ახლავს სპეციალისტებისთვის ამ ინსტრუქციებით მოთხოვნილი კომპეტენციები და თვისებებიც. მათი რაოდენობა იმდენად მრავალფეროვანია და ხშირად არაორდინალური, რომ პიროვნება მათ განათლების ვერცერთი საფეხურიდან ვერ მიიღებს. მათი დაუფლება მხოლოდ თვითმენეჯმენტით უნდა მოხდეს. ასეთებია მაგალითად: საქმეზე პასუხისმგებლობის უნარი, თვითდისციპლინის უნარი, პრინციპულობის უნარი, კომუნიკაბელურობის უნარი და ა. შ.

სტატიაში თვითმენეჯმენტი განმარტებულია, როგორც პიროვნებაში არსებული დროის, აქტივობის, შრომისუნარიანობის, გადახდისუნარიანობის და განათლებულობის რესურსების მართვა თვით ამ პიროვნების მიერ. თუ პიროვნება ამას სწორად და სისტემატურად ახორციელებს, ეს ნიშნავს, რომ იგი თვითგანვითარების და თვითსრულყოფის პროცესშია, რის შედეგადაც წარმატება დგება.

სტატიაში ჩამოთვლილია თვითმენეჯმენტის შემზღუდავი ფაქტორები და მათი გადალახვის გზები, თანამიმდევრულად დასახელებულია თვითმენეჯმენტის ფუნქციები (ქმედებები) და დახასიათებულია თითოეული მათგანი, საუბარია ადამიანის მიზნებზე და მათ მისაღწევად გადასადგმელ ნაბიჯებზე, ახსნილია თვითორგანიზების და თვითკონტროლის საკითხები და სხვა.

სტატიაში დიდი ადგილი უკავია ადამიანში არსებული ცალკეული რესურსების განხილვას, პიროვნების მიერ მათი მართვის შესაძლებლობების ჩვენებას და იმ შედეგს, რასაც ის ამ ქმედებით მიაღწევს.

3. 21-ე საუკუნეში ცვლილებები და ინოვაციები აღარავის უკვირს. ეს ნებისმიერი საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. პრაქტიკულად ცვლილებები და ინოვაციები არიან ის კომპონენტები, რომლითაც თითოეული ორგანიზაცია ცდილობს მდგომარეობის გაუმჯობესებას, მოქნილობისა და ეფექტიანობის გაზრდას. ყოველი ინოვაციური მიდგომა მიმართული უნდა იყოს ,ერთი მხრივ, სისტემის ოპტიმიზაციისაკენ და ,მეორე მხრივ, ეს დადებითად უნდა ისახებოდეს თანამშრომელთა პროდუქტიულობაზე.

გლობალიზაციის პირობებში, მაშინ როდესაც ყალიბდება მართვის ახალი მიდგომები და ინერგება სიახლეები, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციის მიერ გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს. ყოველი გადაწყვეტილება, რომელსაც მიიღებს კომპანია უნდა გამომდინარეობდეს იმ ასპექტიდან, რომ ეს სასიკეთოდ წაადგება.

ცვლილებები და ინოვაციები პრაქტიკულად განუყოფელია ერთმანეთისაგან. დღევანდელობაში ინოვაციების და სხვადასხვა ტიპის ცვლილებების განხორციელება ,შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია. შესაბამისად, აუცილებელია რომ კომპანიის თითოეული ქმედება დეტალურად იყოს გაანალიზებული. წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული ის თუ რა შედეგის მომტანი იქნება იგი როგორც ორგანიზაციისთვის, ასევე თანამშრომლებისა და მომხმარებლებისათვის.

ნაშრომი ეხება ორგანიზაციულ ცვლილებებსა და ინოვაციებს. განხილულია როგორც ორგანიზაციული ცვლილებების, ასევე ინოვაციების არსი და ის თუ რა კავშირია მათ შორის. ასევე ნაშრომში გაანალიზებულია ერთ-ერთი ქართული კომპანიის შპს „ქართული რძის პროდუქტების" მიერ განხორციელებული ინოვაციური პროექტები და ორგანიზაციული ცვლილებები.

4. სტატია - „მენეჯერული მართვის სტილი და დონე საქართველოს კომპანიებში" წარმოადგენს იმ კვლევის შედეგების შეფასებას, რომელიც მიმდინარე წელს ჩაატარა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის მეცნიერ-მკვლევართა ჯგუფმა იქ არსებული მართვის დონის და სტილის გამოსარკვევად.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო რესპოდენტ-დამსაქმებლებმა (მენეჯერები), რომელთაგან 259 იყო სახელმწიფო კომპანიებიდან, ხოლო 261 - კერძო სექტორიდან. რესპოდენტთა როგორც გამოკითხვის მეთოდი, ისე მათგან მიღებული ინფორმაციის დამუშავების და შეფასების საშუალებები და ინსტრუმენტები იყო ერთნაირი. ასე რომ კვლევის პროცესში რესპოდენტთა არცერთი ჯგუფი პრიორიტეტულ მდგომარეობაში არ იმყოფებოდა. თითქმის ერთნაირი იყო რესპოდენტთა ჯგუფების სიხშირეც (259 ≈ 261).

დამსაქმებლები (მენეჯერები) გამოიკითხნენ 33-კითხვით, თუმცა, წინამდებარე სტატიაში მოხვდა მხოლოდ 13 კითხვა და მათი პასუხები, რადგან დანარჩენი კითხვები ეხებოდა არა მენეჯერული მართვის სტილს და დონეს, არამედ, მის სხვა ასპექტებს.

კვლევაში ჩართულ რესპოდენტ-დამსაქმებლების პასუხების სანდოობა მაღალია, რადგან კვლევაში უპირატესად მოხვდნენ კონკრეტულ ორგანიზაციაში მუშაობის შედარებით მაღალი გამოცდილების (სამი და მეტი წელი) მენეჯერები, კუმულატური პროცენტით მათმა ხვედრითმა წონამ ორივე სექტორში ერთად შეადგინა 51,1%, ანუ ნახევარზე მეტი. ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ მუშაობის მაღალი სტაჟი არის ადამიანებში დიდი გამოცდილების დაგროვება, ორგანიზაციის ავ-კარგის სიღრმისეული ცოდნა და რაც ყველაზე მთავარია, მეცნიერ-მკვლევარებისთვის რელევანტური ინფორმაციის მიღების მეტად სანდო წყარო.

ჩატარებული კვლევის შედეგად დამსაქმებელ-რესპოდენტებიდან მიღებული პასუხებით სტატიის ავტორები ასკვნიან, რომ საქართველოში არსებულ პრაქტიკულ მენეჯმენტსა და თანამედროვე მეცნიერულ მენეჯმენტს შორის დიდი გარღვევა, ფაქტიურად, უფსკრულია. ამას ისინი ასაბუთებენ შემდეგით:

- მართვის სტილის არჩევისას რესპოდენტ-დამსაქმებლები უპირატესობას აძლევენ კონტროლზე დაფუძნებულ სტილს (საშუალოდ 37%) და არა ნდობაზე დაფუძნებულ სტილს (28,1%);
- კომპანიათა საშუალოდ 59%-ს არა აქვს სტრატეგეული განვითარების გეგმა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ პრაქტიკაში არ არის დანერგილი მრავალდონიანი სტრატეგიული მართვა;
- ცვლილებებზე გადაწყვეტილებას კომპანიათა გენერალურ მენეჯერთა 24,6% დამოუკიდებალდ, თანამშრომელთა ჩართვის გარეშე იღებს;

➢ კომპანიათა 45,6% მხარს უჭერს მენეჯერის ძალაუფლების დემონსტრირებას მისი ავტორირეტის განსამტკიცებლად და ა. შ.

კვლევაში ჩართულ რესპოდენტ-დამსაქმებელთა მიერ კომპანიების მართვაში განხორციელებული პრაქტიკული ქმედებები სტატიის ავტორების მიერ შეფასებულია უარყოფითად, დიდ გადახრად, როგორც მართვის უახლესი მეცნიერული მენეჯმენტიდან, ისე უცხოეთის წარმატებული კომპანიების მართვის პრაქტიკიდან, და, შეთავაზებულია გამოსწორების რეკომენდაციები.

5. სტატია - „განათლების როლი საქართველოს ეკონომიკის ზრდაში“- ეძღვნება საქართველოს ისეთ ეკონომიკურ პრობლემას, როგორიც არის განათლების ხარისხის კავშირი უმუშევრობასა და ეკონომიკურ ზრდასთან. კიდევ უფრო დიდი პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ უმუშევართა რიცხვში, რომელთა ხვედრითი წონა შრომისუნარიან მოსახლეობაში 18,5%-ია, კატასტროფულად დიდი ხვედრითი წონა უკავიათ უმაღლეს სასწავლებლების (32,3%) და პროფესიული სასწავლებლების (40%-ზე მეტი) კურსდამთავრებულებს. ამ ვითარების მიზეზად ავტორები ასახელებენ როგორც ერთ, ისე მეორე ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ სწავლების დაბალ ხარისხს და სტუდენტების მიერ დაუფლებული პროფესიების და კომპეტენციების შეუსაბამობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

სტატიაში აღნიშნულია, რომ საქართველოზე ადრე ეს პრობლემა ედგა ევროპასაც. ამ პრობლემის მოსახსნელად ევროკომისიამ რამდენიმე პროგრამა აამუშავა, 2006 წელს კი მიიღო ოფიციალური დოკუმენტი „ცოდნიდან პრაქტიკისკენ“. ამ დოკუმენტით აღიარება მიეცა უმაღლესი განათლების ახალ მოდელს, ე. წ. „სამმაგ სპირალს“ და ევროპის ქვეყნებმა თანდათან დაიწყეს ამ მოდელზე გადასვლა.

სტატიის ავტორებირეკომენდაციას აძლევენ საქართველოს განათლებისადა მეცნიერების სამინისტროს და, აგრეთვე, მის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა უნივერსიტეტს, რომ გაეცნონ ამ მოდელს და საქართველოს ადგილობრივ პირობებზე მისი მორგებით დაიწყონ მოსამზადებელი სამუშაოები პრაქტიკაში მის დასანერგად. საქართველოს თითოეული უნივერსიტეტი შეიძლება წახალისდეს, გამოავლინოს „აღმატებულობისცენტრი“, რომლითაც ისინი ამაყობენ და შეუძლიათ გააფართოვონ ადგილობრივ ბიზნეს ფირმებთან ძლიერი კავშირის შესაქმნელად. ურთიერთობა კარგად უნდა ემსახურებოდეს სტუდენტებს.

უმაღლესი განათლების „სამმაგი სპირალის“ მოდელის ძლიერ მხარედ სტატიაში წარმოდგენილია უნივერსიტეტების მჭიდრო თანამშრომლობა ბიზნესსექტორთან და ქვეყნის მთავრობასთან. ისინი ყველა ერთად ერთ მთელს წარმოადგენენ. ქვეყნის მთავრობა ქმნის განათლების „თამაშის წესებს“, ბიზნესსექტორი უნივერსიტეტებს აძლევს დაკვეთას კონკრეტული პროფესიების და უნარების მქონე სპეციალისტების მომზადებაზე, უნივერსიტეტები კი ასრულებენ ამ დაკვეთებს. ასე მომზადებულ სპეციალისტებს დამკვეთი, ცხადია, ასაქმებს. სტატიის ავტორი ირწმუნება, რომ ამ მოდელმა გაამართლა დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, გერმანიაში, სერბეთში და სხვაგან და გაამართლებს საქართველოშიც.

Triple Helix მოდელის გარდა, სტატია ასევე ეხება ადამიანური კაპიტალის მნიშვნელობას, როგორც წარმოების არსებითი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. ეს შეიმუშავა ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორმა გარი ბეკერმა (Becker, 1975). გარდა ამისა, სტატია ხაზს უსვამს კოოპერატიული განათლების წარმატებულ განხორციელებას აშშ-ში, სადაც სტუდენტები მოთავსებულნი არიან სამუშაო ადგილზე, აკადემიური სწავლების მონაცვლეობით. ეს პროგრამა მოქმედებს 1906 წლიდან ცინცინატის უნივერსიტეტში და შედეგად, Co-Op-ის სტუდენტების ნახევარს შესთავაზეს სრულ განაკვეთზე დასაქმება სკოლის დამთავრებისთანავე (სინცინატის უნივერსიტეტი, 2021).

სტატიაში აღნიშნულია, რომ ბიზნესთან განათლების თანამშრომლობის აუცილებლობამ ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად წამოიწია წინ. ეს დაუკავშირდა ტექნიკური პროგრესის აჩქარებას, რომელმაც გამოიწვია (და დღესაც იწვევს) პროფესიების „დაძველება“-ს. ამას დაემატა

განათლების შესახებ უკვე დაძველებული ტრადიციული აზროვნება, რომ განათლება ეს არის ცოდნის გადაცემა და კვლევების განხორციელება. ახალმა XXI საუკუნემ განათლებას მოსთხოვა „საზოგადოების მსახურის“ როლის შესრულებაც. ეს უნდა გამოიხატოს მის მიერ მომზადებული კადრების უპრობლემოდ დასაქმებაში. ამის მიღწევა კი შეიძლება მხოლოდ ბიზნესსექტორთან ღრმა და მყარი კავშირებით. ამ გზით საქართველოს უნივერსიტეტები გარდაიქმნებიან ბაზრის სრულფასოვან სუბიექტებად. ისინი გააცნობიერებენ, რომბაზარზე მათ მიერ შექმნილი „პროდუქტის“ (კურსდამთავრებული სპეციალისტი, კვლევაში მიგნებული სიახლეები) ბედი მომხმარებლებზე ანუ დამსაქმებლებზეა დამოკიდებულიდა განათლების პროცესს აწყობენ მათი მოთხოვნების შესაბამისად.
სტატიის ავტორთა აზრით,ეს იქნება დიდი გარდატეხა საქართველოს უმაღლეს განათლებაში, რაცდიდ დადებით როლს შეასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში. სტატია დასრულებულია შემაჯამებელი დასკვნით და რეკომენდაციებით.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება - ***გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა***
I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:***პროფესორი გიორგი ღაღანიძე***
I.3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა –

***ასოცირებული პროფესორი მირონ ტუღუში***
***ასოცირებული პროფესორი ბადრი რამიშვილი***
***ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი***
***ასოცირებული პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე***
***ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე***

***პროფესორი გიორგი ღაღანიძე***

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1) ავტორი/ავტორები
1. **გიორგი ღაღანიძე**
2. ბადრი რამიშვილი
1. ISSN - 0132 - 1447
3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. „მოამბე“ ტ. 17 N4 საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1 თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
5) გვერდების რაოდენობა
1. 8 ნ.თ.

***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

**საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებში სტრატეგიული მისიის შემუშავება**

**გ. ღაღანიძე,** ბ. რამიშვილი

ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური მმართველობითი მიდგომა, რაც განვითარებული ქვეყნების კომერციული სექტორის მიერ უკვე რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში გამოიყენება, სტრატეგიული მენეჯმენტის სისტემაა. მიუხედავად იმისა, რომ დღესაც არ წყდება დისკუსია იმის შესახებ, თუ რამდენად გამართლებული იქნება მისი გამოყენება სახელმწიფო სექტორში, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, აღნიშნულის გარშემო წამოწყებული სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობა სულ უფრო ფართოვდება.

გარდა მოგებაზე ორიენტირებისა, რაც უმთავრესი განმასხვავებელია კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებს შორის, სტრატეგიული დაგეგმვა თავისი არსით კომპანიების კონკურენტულ პაექრობაში წარმატების მოსაპოვებლად შექმნილი მმართველობითი სისტემაა. სახელმწიფო სტრუქტურები კი, როგორც წესი, მონოპოლისტები არიან საკუთარ სფეროებში, რაც გამორიცხავს საზოგადოებისთვის შეთავაზებული მომსახურების წინწაწევისთვის კონკურენტული ბრძოლის მეთოდების გამოყენებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავდაპირველად უნდა მოხდეს სტრატეგიული მენეჯმენტის ისეთი საკითხების იდენტიფიცირება, რაც აქტუალური იქნება სახელმწიფო სექტორისთვისაც. ასეთ პრობლემათა რიგს განეკუთვნება რელევანტური მისიის შემუშავება. სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტას ეძღვნება წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომი.

სტატიაში განხილულია საქართველოს სამთავრობო უწყებების მიერ მისიის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული პრობლემები და ხაზგასმულია, რომ ამ მხრივ საქართველოს მთავრობაში არ არის უნიფიცირებული მიდგომა. ავტორების აზრით, სახელმწიფო სექტორის ორგანიზაციები აქტიურად უნდა იყენებდნენ მისიას, ხოლო მისი შემუშავებისთვის კი, უნდა არსებობდეს ერთიანი მიდგომა. სწორედ აღნიშნული პრობლემაა გადაწყვეტილი წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომში.

**7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. **გიორგი ღაღანიძე**
2. ზადრი რამიშვილი

2) მოხსენების სათაური

1. **სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების გაუმჯობესების გზები საქართველოს სამთავრობო სექტორში**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. თბილისი, თსუ 2023, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია

***ასოცირებული პროფესორი ბადრი რამიშვილი***

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1) ავტორი/ავტორები

1. გიორგი ღაღანიძე
2. ზადრი რამიშვილი

1. ISSN - 0132 - 1447
3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. „მოამბე“ ტ. 17 N4 საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1 თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
5) გვერდების რაოდენობა
1. 8 ნ.თ.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებში სტრატეგიული მისიის შემუშავება**

გ. ღაღანიძე, **ბ. რამიშვილი**

ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური მმართველობითი მიდგომა, რაც განვითარებული ქვეყნების კომერციული სექტორის მიერ უკვე რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში გამოიყენება, სტრატეგიული მენეჯმენტის სისტემაა. მიუხედავად იმისა, რომ დღესაც არ წყდება დისკუსია იმის შესახებ, თუ რამდენად გამართლებული იქნება მისი გამოყენება სახელმწიფო სექტორში, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, აღნიშნულის გარშემო წამოწყებული სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობა სულ უფრო ფართოვდება.

გარდა მოგებაზე ორიენტირებისა, რაც უმთავრესი განმასხვავებელია კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებს შორის, სტრატეგიული დაგეგმვა თავისი არსით კომპანიების კონკურენტულ პაექრობაში წარმატების მოსაპოვებლად შექმნილი მმართველობითი სისტემაა. სახელმწიფო სტრუქტურები კი, როგორც წესი, მონოპოლისტები არიან საკუთარ სფეროებში, რაც გამორიცხავს საზოგადოებისთვის შეთავაზებული მომსახურების წინწაწევისთვის კონკურენტული ბრძოლის მეთოდების გამოყენებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავდაპირველად უნდა მოხდეს სტრატეგიული მენეჯმენტის ისეთი საკითხების იდენტიფიცირება, რაც აქტუალური იქნება სახელმწიფო სექტორისთვისაც. ასეთ პრობლემათა რიგს განეკუთვნება რელევანტური მისიის შემუშავება. სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტას ეძღვნება წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომი.

სტატიაში განხილულია საქართველოს სამთავრობო უწყებების მიერ მისიის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული პრობლემები და ხაზგასმულია, რომ ამ მხრივ საქართველოს მთავრობაში არ არის უნიფიცირებული მიდგომა. ავტორების აზრით, სახელმწიფო სექტორის ორგანიზაციები აქტიურად უნდა იყენებდნენ მისიას, ხოლო მისი შემუშავებისთვის კი, უნდა არსებობდეს ერთიანი მიდგომა. სწორედ აღნიშნული პრობლემაა გადაწყვეტილი წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომში.

**7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**

7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. **გიორგი ღაღანიძე**
2. **ბადრი რამიშვილი**

2) მოხსენების სათაური
1. **სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების გაუმჯობესების გზები საქართველოს სამთავრობო სექტორში**
3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. თბილისი, თსუ 2023, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია

*ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი*

**ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი**

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1. ეკონომიკის ადა ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევითი პროექტი:
„დისკრიმინაციის ფორმები კარიერის მართვის პროცესში და ქართული სტერეოტიპები"

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. სამეცნიერო კვლევითი პროექტის: „დისკრიმინაციის ფორმები კარიერის მართვის პროცესში და ქართული სტერეოტიპები" ხელმძღვანელი

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. ეკონომიკის ადა ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევითი პროექტი: „დისკრიმინაციის ფორმები კარიერის მართვის პროცესში და ქართული სტერეოტიპები", 2023 წელი (დაწყება - იანვარი, დასრულება - დეკემბერი)

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ნ. ფარესაშვილი - ხელმძღვანელი, ძირითადი მონაწილეები: ნ. ოქრუაშვილი, მ. ტიკიშვილი, დ. ფირცხალაიშვილი

2.

***დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1. **2023 წლის თსუ-ის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „დისკრიმინაციის ფორმები კარიერის მართვის პროცესში და ქართული სტერეოტიპები"**

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული შრომითი დისკრიმინაციის მასშტაბების, ფორმების, გამომწვევი მიზეზებისა და დისკრიმინაციის პრობლემატიკისამი უმაღლესი განათლების სფეროში დასაქმებულ პირთა დამოკიდებულების საკითხები ნაკლებადაა შესწავლილი, რაც სათანადო მეცნიერულ კვლევას საჭიროებს. აღნიშნული პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ საგრანტო პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული შრომითი დისკრიმინაციის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც შეამცირებს აღნიშნული პრობლემის სიმწვავეს, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს უმაღლესი განათლების სისტემაში მომუშავე პერსონალის შრომის ნაყოფიერებასა და მოტივაციას აღზარდონ კონკურენტუნარიანი სპეციალისტები.

დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმების არსებობა ახდენს ორგანიზაციაში სტრესული გარემოს ჩამოყალიბებას .

კვლევის შედეგად გამოვლინდა მეტად არასახარბიელო ტენდეცია - სახელმწიფო სექტორში უფრო მეტად იგრძნობა დისკრიმინაცია, ვიდრე კერძო სექტორში. აღნიძნული ხაზს უსვავს საქართველოში გავრცელებულ გარემოებას, რომ სახელწიფო სტრუქტურები, რომლებიც მოწოდებულნი უნდა იყვნენ ქვეყანაში მოქმედ ნორმატიული საკანონმდებლო აქტების დაცვაზე, უფრო მეტად არღვევენ მას. სახელმწიფო სექტორში დისკრიმინაციის ყველაზე გავრცელებული ფორმაა გენედერული ნიშნით დისკრიმინაცია, კერძოდ კი უმაღლესი განათლების სახელმწიფო სექტორში დისკრიმინაციის ობიექტად ყველაზე მეტად წარმოადგენენ ქალები, შემდეგ არაკვალიფიციური პერსონალი, მოხუცებულები და ახალგაზრდები. დისკრიმინაციის ობიექტად

კერძო სექტორში უპირველესად მიიჩნევა არაკვალიფიციური პერსონალი, შემდეგ ქალები და სექსუალური უმცირესობები.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Abuseridze, G., **Paresashvili, N**., Maisuradze, T., ...Gvarishvili, L., Grasis, "**Covid-19 And Related Government Regulations' Impact On Employment In Georgia,** Journal: Business Management, 2023(1), pp. 81–100, ***Scopus***
https://dspace.rsu.lv/jspui/handle/123456789/11875
2. Gechbaia, B., Maisuradze, T., **Paresashvili, N**., Goletiani, K., Gvarishvili, L. **"Challenges and barriers in transition to circular economy business models",** ***E3S Web of Conferences***, Conference Paper • *Open access*, 2023, 408, 01016, ***Scopus***
https://doi.org/10.1051/e3sconf/202340801016
https://www.e3s-conferences.org/articles/e3sconf/abs/2023/45/e3sconf_iscmee2023_01016/e3sconf_iscmee2023_01016.html
3. **Nino Paresashvili,** Nanuli Okruashvili, Ketevan Chitaladze, Maia Nikvashvili **"Managing Organizational Conflict In The Process Of Increasing Effective Performance**", 13th International Scientific Conference „Business And Management ", 2023/6/2
**DOI:** https://doi.org/10.3846/bm.2023.967
4. Nanuli Okruashvili, **Nino Paresashvili,** Nino Damenia **„Organic Farming As A Priority Direction Of Sustainable Development Of The Agricultural Sphere Of Georgia",** May 2023, Conference: 13th International Scientific Conference „Business And Management 2023"
DOI: 10.3846/Bm.2023.1006
5. Nino Abesadze, Otar Abesadze, Rusudan Kinkladze**, Nino Paresashvili, "Emigration Statistics – The Herald Of The Survival Of The Population Of Georgia Or The Demographic Crisis",** May 2023, Conference: 13th International Scientific Conference „Business And Management 2023"
**DOI:** https://doi.org/10.3846/bm.2023.945
6. **Nino Paresashvili**, Eka Avsajanishvili, „**Stress as a Method of Increasing Performance and Stimulating Innovation: A Synthesis of Literature",** Economics and Business ISSN 2256-0394 (online) ISSN 2256-0386 (print) 2023, 37, 236–246
https://doi.org/10.2478/eb-2023-0015
https://content.sciendo.com
https://intapi.sciendo.com/pdf/10.2478/eb-2023-0015

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **„დისკრიმინაცია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში და მისი შემცირების გზები", 2023 წლის VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია:„გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში"**

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

7.2. უცხოეთში:

1. Abuseridze, G., **Paresashvili, N**., Maisuradze, T., ...Gvarishvili, L., Grasis, "**Covid-19 And Related Government Regulations' Impact On Employment In Georgia,** Journal: Business Management, 2023(1), pp. 81–100, ***Scopus***
   https://dspace.rsu.lv/jspui/handle/123456789/11875
2. Gechbaia, B., Maisuradze, T., **Paresashvili, N**., Goletiani, K., Gvarishvili, L. **"Challenges and barriers in transition to circular economy business models", *E3S Web of Conferences***, Conference Paper • *Open access*, 2023, 408, 01016, ***Scopus***
   https://doi.org/10.1051/e3sconf/202340801016
   https://www.e3s-conferences.org/articles/e3sconf/abs/2023/45/e3sconf_iscmee2023_01016/e3sconf_iscmee2023_01016.html
3. **Nino Paresashvili,** Nanuli Okruashvili, Ketevan Chitaladze, Maia Nikvashvili **"Managing Organizational Conflict In The Process Of Increasing Effective Performance**", 13th International Scientific Conference „Business And Management ", 2023/6/2
   **DOI:** https://doi.org/10.3846/bm.2023.967
4. Nanuli Okruashvili, **Nino Paresashvili,** Nino Damenia **„Organic Farming As A Priority Direction Of Sustainable Development Of The Agricultural Sphere Of Georgia",** May 2023, Conference: 13th International Scientific Conference „Business And Management 2023"
   DOI: 10.3846/Bm.2023.1006
5. Nino Abesadze, Otar Abesadze**,** Rusudan Kinkladze**, Nino Paresashvili, "Emigration Statistics – The Herald Of The Survival Of The Population Of Georgia Or The Demographic Crisis",** May 2023, Conference: 13th International Scientific Conference „Business And Management 2023"
   **DOI:** https://doi.org/10.3846/bm.2023.945
6. **Nino Paresashvili**, Eka Avsajanishvili, „**Stress as a Method of Increasing Performance and Stimulating Innovation: A Synthesis of Literature",** Economics and Business ISSN 2256-0394 (online) ISSN 2256-0386 (print) 2023, 37, 236–246
   https://doi.org/10.2478/eb-2023-0015
   https://content.sciendo.com
   https://intapi.sciendo.com/pdf/10.2478/eb-2023-0015

*ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე*

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1. საგრანტო პროექტი - „**საპენსიო აკადემიური პერსონალის პოტენციალის გამოყენება და პოსტსაპენსიო პერიოდის პრობლემები**

პროექტის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია თანამედროვე ქართველი და უცხოელი ავტორების მეცნიერული შრომები და სახელმძღვანელო ლიტერატურა. ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო კონკრეტულ სოციოლოგიურ გამოკვლევასა და აგრეთვე კორელაციურ ანალიზს.

მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძველზე მოხდა შედარების, ლოგიკური განზოგადების, მეცნიერული კლასიფიკაციის, შერჩევითი სოციოლოგიური გამოკვლევის, კორელაციური ანალიზის და სხვა მეთოდების გამოყენება.

კვლევის შედეგად დავადგინეთ

.1. რა რესურსი გააჩნია ორგანიზაციას არსებული პრობლემების გადასაჭრელად
2. რა რესურსი გააჩნია სახელმწიფოს არსებული პრობლემის გადასაჭრელად
3. რა ტიპის საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება არის შესაძლებელი გამოწვევებთან გასამკლავებლად

4. რა როლის შესრულება შეუძლია გამოცდილ კადრს ორგანიზაციის ეფექტიანობის ზრდაში

**5. რა კრიტერიუმებით უნდა მოხდეს საპენსიო ასაკის პედაგოგთა რეზერვის შექმნა**
**მასალები გამოქვეყნებულია საერთაშორისო და ადგილობრივ ჟურნალებში**

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. **Badri Ramishvili; Natalia Kharadze; Dea Pirtskhalaishvili. Vol 9 No 2 (2022): INNOVATIVE ECONOMICS AND MANAGEMENT. ANALYSIS OF SOCIO-ECONOMIC BASES OF DETERMINING FAIR SALARY IN GEORGIA**
**https://doi.org/10.46361/2449-2604.9.2.2022.57-67**
**2. Natalia Kharadze; Dea Pirtskhalaishvili. INNOVATIVE ECONOMICS AND MANAGEMENT \ „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება“ (თეზისები). Challenges of academic personnel of retirement age in terms of gender**
**3. PROBLEMS AND CHALLENGES OF THE ACADEMIC STAFF OF RETIREMENT AGE Journal of Eastern European and Central Asian Research (JEECAR)“ . რომელიც ინდექსირებულია SCOPUSE Web o of Science. წარმოდგენილია ცნობა**
**Natalia Kharadze Badri Ramishvili Maia Giorgobiani Nino Paresashvili**
**Dea Pirtskhalaishvili**

იმ პირთა მხარდაჭერა, რომლებმაც მიაღწიეს საპენსიო ასაკს, აუცილებელია ნებისმიერი ქვეყნისთვის, ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ თაობათა ცვლა და ახალგაზრდების კარიერის გაგრძელების შესაძლებლობა ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, მაგრამ ღირსეული კოლეგის მიტოვება მიუღებელია. საპენსიო ასაკის მიღწევისას პროფესორები მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდებიან. ამ საკითხებზე იყო კონცენტრირებული ჩვენი კვლევა, რომელიც მოიცავდა საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებს. კვლევის პროცესში გამოიკითხა 630 პროფესორი. შეგროვებული მონაცემები გაანალიზებულია SPSS პროგრამული პაკეტის გამოყენებით. კვლევის დროს აქცენტი გაკეთდა საპენსიო ასაკში სამსახურის დაკარგვის შიშზე. შედეგად დადგინდა, რომ პენსიაზე გასვლის შიში დაკავშირებულია ფინანსებთან და სოციალიზაციის საკითხებთან. რთული სტატისტიკური ანალიზის გამოყენებით, ჩვენ მივიღეთ გადამწყვეტი რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება საგანმანათლებლო დაწესებულებებს რესურსების მოძიებაში პენსიაზე გასული პროფესორების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.
სტატიის ერთ-ერთი მთავარი საკითხია სხვადასხვა ფაქტორების გავლენა საპენსიო ასაკში სამსახურის დაკარგვის შიშზე. კვლევის მიხედვით, პირებს, რომლებსაც ეშინიათ სამუშაოს დაკარგვის, როდესაც მიაღწევენ საპენსიო ასაკს:
• არ გაქვთ დანაზოგი;
• არ აქვთ შვილების ან ახლობლების დახმარების მიღების იმედი;
• არ გქონდეს ორგანიზაციის მხარდაჭერის იმედი;
• ორგანიზაცია არ ეხმარება ინდივიდებს აქტივობების შერჩევაში მათი მიდრეკილებებისა და ჰობის მიხედვით.
შევისწავლეთ შემდეგი დამოკიდებული ცვლადების გავლენა დამოკიდებულ ცვლადზე Q8 - გეშინიათ პენსიაზე სამსახურის დაკარგვის?

• Q15 - გაქვთ თუ არა რაიმე დამატებითი შემოსავალი, რომელსაც იღებთ საგანმანათლებლო დაწესებულებების გარდა სხვა წყაროებიდან?
• Q16 - გიფიქრიათ თუ არა საპენსიო ასაკში გამოთავისუფლებული დროის შევსების წყაროებზე?
• Q17 სთავაზობს თუ არა ორგანიზაცია პენსიაზე გასულ თანამშრომლებს ფსიქოლოგიურ ტრენინგს, რათა დაეხმაროს მათ ახალ გარემოსთან ადაპტაციაში?
მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას პენსიაზე გასული პროფესორების უზრუნველყოფის საქმეში.
სახელმწიფოსა და უნივერსიტეტების ერთობლივი ძალისხმევის გარეშე, ღვაწლმოსილი პროფესორები უმოწყალოდ მიტოვებულნი იქნებიან ქვეყანაში. სამწუხაროდ, ამის უამრავი მაგალითი უკვე არსებობს.

I. განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება - *მარკეტინგის კათედრა*
I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: *პროფესორი ნუგზარ თოდუა*
I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
*ასოცირებული პროფესორი ბაბულია მღებრიშვილი*
*ასოცირებული პროფესორი ჩარიტა ჯაში*
*ასოცირებული პროფესორი ნანა ოქრუაშვილი*
*ასოცირებული პროფესორი მაკა კობალავა*
*ასოცირებული პროფესორი ეკატერინე უროტაძე*
*ასისტენტ-პროფესორი მაია ვეშაგური*
*ასისტენტ-პროფესორი მაია სეთური*

*პროფესორი ნუგზარ თოდუა*

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. პროდუქტის განთავსების მარკეტინგული ასპექტები და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები. doi 10.56079, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", N15(2), თბილისი, თსუ გამომცემლობა, გვ. 78-104.
2. ქართველი მომხმარებლების მიერ სოციალურ მედიაში ბრენდების განთავსების აღქმა. DOI suffix: 10.36962/NEC18032023-16. ჟურნალი „ახალი ეკონომისტი", 18(3), გვ. 16-28.
3. სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობების გავლენა ჯანდაცვის მომხმარებელთა მყიდველობით განზრახვაზე. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", თბილისი, თსუ გამომცემლობა, 15(4), 27 გვ.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. სტატიაში ნაჩვენებია, რომ თანამედროვე ბიზნესში ტრადიციული სარეკლამო ინსტრუმენტების ეფექტიანობა ნელ-ნელა კლებულობს, რასაც განაპირობებს მომხმარებელთა გათვითცნობიერების დონის ზრდა, მყიდველობითი ჩვევების ცვლილება, ბიზნესში ახალი კომუნიკაციური მიდგომებისა და ვიდეო სტრიმინგის სერვისების ფართოდ გავრცელება. მარკეტინგში ახალი ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად, პროდუქტის განთავსებიდან მიღებული შემოსავლები საგრძნობლად მატულობს. შესაბამისად, პროდუქტის განთავსების როლი მარკეტინგული კომუნიკაციების სისტემაში მნიშვნელოვნად იზრდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომში წარმოდგენილია პროდუქტის განთავსების თანამედროვე გაგება და მასთან დაკავშირებული თეორიული შეხედულებები. აქვე ილუსტრირებულია პროდუქტის განთავსების დადებითი და უარყოფითი მხარეები, აგრეთვე პროდუქტის განთავსების ეთიკური საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია პროდუქტის განთავსების თანამედროვე ტენდენციებზე. სტატიაში ხაზგასმულია, რომ ტექნოლოგიური განვითარების, განსაკუთრებით, ხელოვნური ინტელექტის ფართოდ გავრცელების პარალელურად, პროდუქტის განთავსების პრაქტიკაც სწრაფი ტემპებით ვითარდება. ამ მიმართულებით უახლეს ტრენდს პროდუქტის ვირტუალური განთავსება წარმოადგენს, რომელიც მარკეტოლოგებისთვის აქამდე არარსებულ შესაძლებლობებს წარმოქმნის და სარეკლამო ინდუტრიის რევოლუციურ ინსტრუმენტად ყალიბდება.
2. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ თანამედროვე კომპანიები თავიანთი პროდუქტების ბაზარზე წინსვლისათვის აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია სოციალურ მედიაში პროდუქტის (ბრენდის) განთავსების მარკეტინგული სტრატეგიების გამოყენება. სტატიაში, ლიტერატურული მასალების გაანალიზების საფუძველზე, ჩამოყალიბებულია სოციალურ მედიაში ბრენდების განთავსების ძირითადი დეტერმინანტები (ცვლადები), რომელთაგან აღსანიშნავია ბრენდების გათავსების მიმღებლობა, განთავსებული ბრენდების შესახებ მომხმარებელთა გათვითცნობიერება, ბრენდების გახსენება და ელექტრონული სიტყვიერი მარკეტინგი (eWOM). აღნიშნული ცვლადებისათვის ფორმულირებულია შესაბამისი დებულებები, რომელთა საფუძველზეც ჩამოყალიბებულია კვლევის ჰიპოთეზები და შემუშავებულია კვლევის კონცეპტუალური მოდელი. დასახელებული ცვლადების ქართველ მომხმარებლებზე ზემოქმედების დადგენის მიზნით ჩატარებულია მარკეტინგული კვლევა, რომელიც მოიცავს 18 წლის ზევით საქართველოს მოსახლეობას. სულ გამოკითხა 654 რესპონდენტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. კვლევის შედეგები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამა SPSS 27-ის მეშვეობით. ანალიზმა აჩვენა, რომ კვლევაში გამოყენებული საზომები სანდოობის მაღალი დონისაა. ასევე წარმოჩინდა ის ფაქტი, რომ ქართველი მომხმარებლების შეხედულებები ტრადიციულ რეკლამასთან მიმართებით იცვლება და ისინი მეტ ყურადღებას აქცევენ სტიმულირების არატრადიციულ მეთოდებს. ასეთად კი, კვლევიდან გამომდინარე, სოციალურ მედიაში პროდუქტის განთავსება წარმოადგენს. ჰიპოთეზების ტესტირებისა და ზემოთ დასახელებულ ცვლადებს შორის დამოკიდებულების დასადგენად გამოყენებულია რეგრესიული ანალიზი. ასეთი ანალიზის შედეგად მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც ქართველი მომხმარებლების მიერ სოციალურ მედიაში ბრენდების განთავსებასთან დაკავშირებულ ცვლადებს შორის კავშირებს ამტკიცებს. კვლევის შედეგად მიღებული თეორიული და პრაქტიკული ხასიათის მოსაზრებები სასარგებლოა საქართველოს ბაზარზე მომუშავე კომპანიებისათვის, რომლებიც ცდილობენ,

არაპირდაპირი რეკლამის მეშვეობით ადგილობრივ მომხმარებლებზე თავიანთი ბრენდების პრომოცია მოახდინონ.

3. ნაშრომში განხილულია სოციალური მედიის გამოყენების თავისებურებები ჯანდაცვის ინდუსტრიაში. ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ციფრული ტექნოლოგიების ერაში სოციალური მედიის როლი განსაკუთრებით იზრდება სამედიცინო მომსახურების ბაზარზე, რაც ჯანდაცვის სფეროში მომხმარებელთა მეტ ჩართულობას განაპირობებს. საქართველოში ჯანდაცვის სფეროში ციფრული ტექნოლოგიები თანდათანობით ინერგება და პაციენტებთან ურთიერთობებისათვის სამედიცინო ორგანიზაციების სულ უფრო მეტი რაოდენობა იყენებს სოციალურ მედია მარკეტინგს. მიუხედავად ამისა, ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ სოციალური მედიის გამოყენება არასაკმარის დონეზეა. ამის ერთ-ერთი მიზეზია ამ სფეროში კვლევების სიმცირე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩატარებულია მარკეტინგული კვლევა. კვლევის ძირითად ცვლადებად შერჩეულია სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობა, მომხმარებელთა ჩართულობა, მომხმარებელთა ნდობა და მყიდველობითი განზრახვა. შემუშავებულია კვლევის კონცეპტუალური მოდელი და ჩამოყალიბებულია შესაბამისი ჰიპოთეზები. ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგენილია ზემოთ დასახელებულ ცვლადებს შორის დამოკიდებულებები, რისთვისაც გამოყენებულია რეგრესიული ანალიზის მეთოდი. ანალიზის შედეგად მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რაც კვლევაში გამოყენებული დებულებების სანდოობას ადასტურებს და ჩამოყალიბებულ ჰიპოთეზებს ამტკიცებს. კვლევის შედეგები სასარგებლოა ჯანდაცვის ორგანიზაციებისათვის, რომლებიც სოციალური მედიის გამოყენებით კლიენტების მოზიდვას და თავიანთ აქტივობებში მათ მეტ ჩართულობას გეგმავენ.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. The Impact of Product Placement on Consumer Behaviour (Case of Georgia). DOI - http://doi.org/10.37502/IJSMR.2023.6803, International Journal of Scientific and Management Research, 6(8), გვ. 21-29.ინდოეთი, გამომცემლობა „Valley International Journals“.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ნაშრომში განხილულია პროდუქტის (ბრენდის) განთავსების როლი, როგორც მომხმარებლებთან მიღწევის განსაკუთრებული გზა თანამედროვე მარკეტინგულ საქმიანობაში. სტატიაში ნაჩვენებია, რომ პროდუქტის განთავსების მიმღებლობა, განთავსებული ბრენდის შესახებ ინფორმირებულობა, ბრენდისადმი დამოკიდებულება და შესყიდვის შესახებ განზრახვა წარმოადგენს ოთხ ძირითად ფაქტორს (ცვლადს), რომელიც გავლენას ახდენს პროდუქტის განთავსებაზე. დასახელებულ ცვლადებს შორის კავშირის დასადგენად ჩატარებულია მარკეტინგული კვლევა, რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა რესპონდენტთა მოსაზრებები ტრადიციულ რეკლამასთან და პროდუქტის განთავსებასთან დაკავშირებით. დადასტურდა, რომ ტრადიციული რეკლამა დროთა განმავლობაში კარგავს თავის ძალას და ამიტომ ქართულ ბაზარზე უპირატესობა ენიჭება პროდუქციის განთავსებას. რეგრესიული ანალიზის გამოყენებით მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც ასახავს კავშირს პროდუქტის განთავსების მიმღებლობასა და განთავსებული ბრენდის

ცნობადობას შორის, ასევე აღნიშნული ცვლადების გავლენას ბრენდებისადმი დამოკიდებულებაზე. სტატიაში ასევე მოცემულია, თუ როგორ მოქმედებს პროდუქტის განთავსება ქართველი მომხმარებლის დამოკიდებულებაზე ბრენდების მიმართ და როგორ გავლენას ახდენს მათ მიერ შესყიდვის მიზნებზე.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. თოდუა, ნ., & ივანიაძე, მ. სწრაფი კვების ბაზარზე ონლაინმომხმარებელთა ქცევის ცვლილება პოსტპანდემიურ პირობებში. 2023 წლის 6 თებერვალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. თოდუა, ნ. & რობაქიძე, გ. პროდუქტის განთავსებისადმი ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება. 2023 წლის 8 სექტემბერი. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი.
3. თოდუა, ნ. & რობაქიძე, გ. პროდუქტის განთავსების გავლენა ქართველი მომხმარებლების მიერ ბრენდებისადმი დამოკიდებულებაზე. 2023 წლის 8 ოქტომბერი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი.
4. თოდუა, ნ., & ჯაში, ჩ. Impact of Post Covid-19 Pandemic on Certain Aspect of Gender and Marketing. 2023 წლის 3 ნოემბერი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

1. სტატიაში განხილულია სწრაფი კვების პროდუქტებისა და მომსახურების ონლაინმომხმარებელთაქცევის თავისებურებები პოსტპანდემიურ პირობებში. გამოკვეთილია ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც COVID-19-ის პანდემიის შემდგომ შეინიშნება. ნაშრომში აღწერილია პანდემიის პირობებში სწრაფი კვების ბაზარზე მომხდარი ცვლილებები და გაანალიზებულია ელექტრონული კომერციის ვებგვერდების გაზრდილი როლი ამ სფეროში დასაქმებული ორგანიზაციების მართვაში. ნაჩვენებია ონლაინმომხმარებელთა ქცევაზე მოქმედი ფაქტორები, რომლებიც პოსტპანდემიურ პერიოდში გავლენას ახდენენ მყიდველობითი გადაწყვეტილებების მიღებაზე. სტატიაში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ პანდემიის შემდგომ ეტაპზე ადამიანები უფრო აქტიურად იძენენ სწრაფი კვების პროდუქტებსა და მომსახურებას ელექტრონული საშუალებებით. შესაბამისად, ნაშრომში განხილულია ამ მიმართულებით მოწინავე კომპანიების მიერ შერჩეული ციფრული მარკეტინგის სტრატეგიები.
2. სტატიაში ნაჩვენებია, რომ COVID-19-ის პანდემიამ კიდევ უფრო გაამწვავა გენდერული დისბალანსი საზოგადოების ყველა სფეროში, რაც საფრთხეს უქმნის გაეროს მიზნების წარმატებით განხორციელებას SDG-ის მიზნებთან დაკავშირებით. მსოფლიო ბანკის ინფორმაციით, შეიმჩნევა გარკვეული პროგრესი, რომელიც მიღწეული იყო გენდერული თანასწორობის მიმართულებით, რამაც დაჩრდილა ის საკითხები, რომლებიც აქტუალური გახდა პოსტკოვიდ-19-ის პერიოდში. პოსტკოვიდ პირობებს ახასიათებს ახალი ტენდენციები, როგორიცაა ტრადიციული გლობალური ბრენდებისადმი ლოიალობის შემცირება და ეროვნული ბრენდების უპირატესობა. მომხმარებლები უფრო მეტად აცნობიერებენ თავიანთ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. სტატიაში მიმოხილულია კვლევები, რომლებიც დაკავშირებულია მარკეტინგთან და გენდერთან COVID-19-ისა და შემდგომ პერიოდში. სხვადასხვა წყაროზე დაფუძნებული სამეცნიერო ნაშრომები პირდაპირ კავშირშია COVID-19-ის პანდემიით გამოწვეულ შედეგებთან გენდერსა და მარკეტინგთან მიმართებაში.

ბოლო პერიოდში გამოქვეყნდა არაერთი პუბლიკაცია, რომლებიც ასახავენ მსოფლიო ტენდენციებს, თუმცა, ამ მიმართულებით საქართველოში კვლევების სიმცირეა. ამიტომ მნიშვნელოვანია მეცნიერული კვლევის ჩატარება, რომელიც მკაფიოდ გამოავლენს გენდერულ და მარკეტინგში არსებულ პრობლემებს.

3. ნაშრომში შესწავლილია პროდუქტის (ბრენდის) განთავსების როლი თანამედროვე ბიზნესში. პროდუქტის განთავსების ძირითად ცვლადებად მიჩნეულია პროდუქტის განთავსების მიმღებლობა, განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება, ბრენდებისადმი დამოკიდებულება და მყიდველობითი განზრახვა. ჩატარებული მარკეტინგული კვლევის საფუძველზე გამოვლენილია ტრადიციულ რეკლამირებასა და პროდუქტის განთავსებასთან მიმართებით რესპონდენტების მოსაზრებები. რეგრესიული ანალიზის გამოყენებით მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც ასახავენ პროდუქტის განთავსების მიმღებლობასა და განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერებას შორის დამოკიდებულებას, აგრეთვე, აღნიშნული ცვლადების გავლენას ბრენდებისადმი დამოკიდებულებაზე. სტატიაში, ასევე, დადგენილია ქართველი მომხმარებლების ბრენდებისადმი დამოკიდებულების გავლენა მათ მყიდველობით განზრახვაზე.
4. ნაშრომში შესწავლილია პროდუქტის განთავსების როლი მარკეტინგში. პროდუქტის განთავსებასთან დაკავშირებულ ძირითად ცვლადებად მიჩნეულია პროდუქტის განთავსების მიმღებლობა, განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება, განთავსებული ბრენდის გახსენება და განთავსებული ბრენდისადმი დამოკიდებულება. მარკეტინგული კვლევის საფუძველზე გამოვლენილია პროდუქტის განთავსების ძირითადი ცვლადებისადმი ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება. რეგრესიული ანალიზის გამოყენებით მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც პროდუქტის განთავსების ცვლადებს შორის კავშირს ასახავს.

*ასოცირებული პროფესორი ბაბულია მღებრიშვილი*

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომიISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. მღებრიშვილი ბაბულია, უროტაძე ეკატერინე, ვეშაგური მაია. საცალო ვაჭრობის სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი ასპექტები ქვეყნის მდგრადი განვითარების მიღწევაში. ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, #1, 2023. ISSN 1987-5789, doi 10.56079. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 15 გვერდი.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)*

1. **ანოტაცია.** მდგრადი განვითარება ჩვენი პლანეტის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარების უმნიშვნელოვანესი გზაა. მისი მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიო პროგრესული საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით და ასეც მიმდინარეობს ბრძოლა მდგრადი განვითარების მიზნების რეალიზაციისთვის. მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში გარკვეული მისია აკისრია საცალო ვაჭრობას. ავტორების აზრით, საცალო ვაჭრობას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია მდგრადი განვითარების ისეთი მიზნების შესრულებაში, როგორიცაა ადამიანების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, ასევე, მდგრადი

მოხმარება და წარმოება. გარკვეული როლი აკისრია ეკონომიკის ამ სფეროს გარემოს დაცვასა და დედამიწის ეკოსისტემის გაუმჯობესებაშიც. მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში საცალო ვაჭრობის მსხვილი საწარმოები თავიანთ დანიშნულებას მეტ-ნაკლებად ასრულებენ, გაცნობიერებული აქვთ რა სოციალური პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საცალო ვაჭრობაში დიდი რაოდენობით წარმოდგენილია არა მსხვილი, არამედ მცირე საწარმოები, რომლებსაც, რატომღაც, სოციალური პასუხისმგებლობით მუშაობა მსხვილი საწარმოების საქმედ მიაჩნიათ. ჩვენი აზრით, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, აგრეთვე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა უნდა გააქტიურონ მუშაობა საზოგადოებაში სოციალური პასუხისმგებლობით მუშაობის აუცილებლობასა და ხელსაყრელობაზე არა მარტო ქვეყნისთვის, არამედ თვითონ საწარმოებისთვისაც. ავტორების აზრით, კორონავირუსულმა პანდემიამ, რასაც დაემატა ომი უკრაინაში, მდგრადი განვითარების კუთხით, სახელმწიფოების მუშაობის პროცესი მკვეთრად შეაფერხა და ამით კიდევ უფრო შეანელა. ცხადია, ეს, პირველ რიგში, ჯანდაცვას შეეხო. კორონავირუსულმა პანდემიამ ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემები სააშკარაოზე გამოიტანა და საზოგადოება მათი გადაწყვეტის გზების დროულად ძიების საჭიროებაზე დააფიქრა. ავტორები იმედოვნებენ, რომ პანდემიით მიღებული შედეგები მკაცრი გაკვეთილია საზოგადოებისთვის და მომავალში ხელს შეუწყობს ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრას და ამ საქმეში საცალო ვაჭრობის გააქტიურებას

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1.საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **მღებრიშვილი ბაბულია,** ჯანსაღი კვება მდგრადი მარკეტინგის კონტექსტში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მე-8 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. თბილისი, ნოემბერი 2023.

**ანოტაცია.** სტატიის ავტორი ჯანსაღ კვებას, განიხილავს რა ადამიანის ჯანმრთელად ყოფნის აუცილებელ პირობად, ახასიათებს მას მდგრადი განვითარებისა და მდგრადი მარკეტინგის კონტექსტში. მისი აზრით, ჯანსაღ კვებასა და მდგრად განვითარებას შორის ორმხრივი კავშირი არსებობს. ერთი მხრივ, ჯანსაღი კვება ხელს უწყობს ადამიანების ჯანმრთელად ყოფნას და ამ გზით მათ აქტიურობას მდგრადი განვითარების მიღწევაში. მეორე მხრივ, სწორედ მდგრადი განვითარებით და მდგრადი მარკეტინგის განხორციელებით არის შესაძლებელი ჯანსაღი საკვების საწარმოებლად პირობების შექმნა და ადამიანის ჯანმრთელად ყოფნისთვის ხელის შეწყობა. სტატიის ავტორი იზიარებს მოსაზრებას, რომ ჯანსაღი კვებით საზოგადოების დასაინტერესებლად აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული სოციალური მარკეტინგი, რომლის შესაძლებლობები საქართველოში, ჯერჯერობით, არ/ვერ გამოიყენება. სტატიის ავტორს მიაჩნია, რომ ქართული ტრადიციული სამზარეულოს გონივრულად გამოყენება ჯანსაღ კვებას უზრუნველყოფს იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მიწა და წყალი, ჰაერი და ტყე, მთელი გარემო სათანადოდ იქნება დაცული არახელსაყრელი ზემოქმედებისგან.

2. **მღებრიშვილი ბაბულია, ქეშელაშვილი გიული. ჯანსაღი კვება მართლმადიდებლური მარხვის ფონზე.** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მე-8 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. თბილისი, ნოემბერი 2023.

**ანოტაცია.** სტატიის ავტორები ჯანსაღ კვებას მართლმადიდებლური მარხვის კონტექსტში განიხილავენ. მათ მიაჩნიათ, რომ უფლის მიერ მარხვის დაწესების ერთ-ერთი მიზანი ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა იყო, რაც, პირველ რიგში, ჯანსაღი კვებით მიიღწევა, მარხვა კი ჯანსაღ კვებას წარმოადგენს. სტატიაში გამოკვეთილად არის ჩამოყალიბებული, მათი

აზრით, კვებითი მარხვის ძირითადი შედეგები: ნაყროვანების თავიდან აცილება; ძლიერი ნებისყოფის ჩამოყალიბება; ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარება; თავშეკავების უნარის გამომუშავება; მოთმინების უნარის განვითარება; ზედმეტი წონის პრობლემის გადაწყვეტა. სტატიის ავტორები სთვლიან, რომ საუკუნეების განმავლობაში მარხვა და ჯანსაღი კვება მთლიანად ემთხვეოდა ერთმანეთს. მაგრამ, დღეს, როცა სავაჭრო ქსელი არაჯანსაღი პროდუქტებით არის სავსე, მარხვა შეიძლება არ დაემთხვეს ჯანსაღ კვებას, მიუხედავად საკვების ზომიერად მიღებისა. ამიტომ, მათი აზრით, საჭიროა მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება პროდუქტის სიჯანსაღესთან დაკავშირებით, ჯანმრთელობისთვის მარხვისა და ჯანსაღი კვების მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად.

***ასოცირებული პროფესორი ნანა ოქრუაშვილი***

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1.საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

**1**.ფარესაშვილი ნინო, **ოქრუაშვილი ნანული,** ტიკიშვილი მზია, ფირცხალაიშვილი დეა, შრომითი დისკრიმინაცია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში და მისი შემცირების გზები, თსუ-ის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენიცია: ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, თბილისი, ნოემბერი, 2023.

**ანოტაცია.** დისკრიმინაცია წარმოადგენს თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემას, რომელსაც მკვეთრად გამოხატული დესტრუქციული ხასიათი გააჩნია საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, მათ შორის უმაღლესი განათლების სისტემაში. შრომითი დისკრიმინაცია უარყოფითად მოქმედებს პერსონალის ჯანმრთელობაზე, ფსიქო-ემოციურ მდგომარეობასა და პირად ცხოვრებაზე. აღნიშნული ნეგატიური ზემოქმედება განსაკუთრებული სიმწვავითა და მასშტაბურობით იჩენს თავს უმაღლესი განათლების სფეროში, სადაც დასაქმებული პერსონალის განწყობა, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა და ჯანმრთელობა უშუალოდ აისახება მათ მიერ გაწეული საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხზე და შესაბამისად, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მომსახურების კონკურენტუნარიანობაზე ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე.

სტატიაში გადმოცემულია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული შრომითი დისკრიმინაციის მასშტაბების, ფორმების, გამომწვევი მიზეზებისა და დისკრიმინაციის პრობლემატიკისამი უმაღლესი განათლების სფეროში დასაქმებულ პირთა დამოკიდებულების საკითხები. შრომითი დისკრიმინაციის შესწავლის მიზნით ჩატარებულმა კვლევებმა ნათელი მოჰფინა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში არსებულ დისკრიმინაციის მავნე შედეგებს პირად და ორგანიზაციულ დონეზე, კერძოდ იმ გარემოებას, რომ ის მნიშვნელოვნად ამცირებს ნებისმიერი სასწავლო დაწესებულების მუშაობის ეფექტიანობას. კვლევის საფუძველზე, ავტორების მიერ შემუშავებულია ის კონკრეტული რეკომენდაციები, რომლის გატარებაც უზრუნველყოფს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებლებში არსებული შრომითი დისკრიმინაციის დონისა და მისი ნეგატიური შედეგების შეცირებას.

7.2.უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური, ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. *Paresashvili Nino, Okruashvili Nanuli , Chitaladze Ketevan, Nikvashvili Maia,*
Managing Organizational Conflict In The Process Of Increasing Effective Performance, 13th International Scientific Conference ,,Business and Management,, ,May 11–12, 2023, Vilnius, Lithuania

ISSN 2029-4441 / Eissn 2029-929X I
https://doi.org/10.3846/bm.2023.967
2 .*Okruashvili Nanuli* , *Paresashvili Nino*, Damenia *Nino*, Organic Farming as a Priority Direction of Sustainable Development of the Agricultural Sphere of Georgia, 13th International Scientific Conference ,,Business and Management,, May 11-12, 2023, Vilnius, Lithuania
ISSN 2029-4441 / Eissn 2029-929X I
https://doi.org/10.3846/bm.2023.1006

*ასოცირებული პროფესორი მაკა კობალავა*
5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. კობალავა, მ. ანტიკრიზისული პიარის რელევანტურობა კონფროტაციულ გარემოში. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი" საქართველოს ეკონომისტთა IV ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ცვლილება და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები"

2. კობალავა, მ. საზოგადოებასთან ურთიერთობის ანატომია, თბილისის თავისუფალი აკადემიის საერთაშორისო - სამეცნიერო ჟურნალი „აკადემლაბი"

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ნაშრომში დასაბუთებულია ანტიკრიზისული პიარის გადამწყვეტი როლი კომპანიების იმიჯისა და რეპუტაციის მართვაში. აღნიშნული გარემოება გარკვეული პრობლემების გამომწვევია სხვადასხვა კომპანიების პროდუქციაზე მომხმარებლების მოთხოვნის თვალსაზრისით. შესაბამისად, PR-ის უმთავრესი მიზანი გახდა ეფექტიანი მართვით ოპტიმალური ურთიერთობის მიღწევა კომპანიებსა და საზოგადოებას შორის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ PR-ის მოქმედების სპექტრი კრიზისულ სიტუაციებში ბევრად ფართოა, ვიდრე რეკლამისა. ნაშრომში საზოგადოებასთან ურთიერთობები შეფასებულია როგორც კომპანიების პრესტიჟის, მისი საიმედოობის განსაზღვრელი ფაქტორი, რომელიც გადამჭრელად მოქმედებს კომპანიისადმი საზოგადოების კეთილგანწყობაზე, ნდობასა და საერთო რეპუტაციაზე.

2. საზოგადოებისთან ურთიერთიერთობა თავისი შინაარსით წარმოადგენს კომუნიკაციის საუკეთესო მეთოდს, რომელიც მისთვის განსაკუთრებული და ინდივიდუალური ინსტრუმენტების გამოყენებით შესაძლებელს ხდის საზოგადოებისთან ვალიდურ ურთიერთიერთობებს. საზოგადოებისთან ურთიერთიერთობა ეფექტურად განსახორციელებლად უმნიშვნელოვანესია ისეთ კომპონენტზე ორიენტირება, როგორიცაა საზოგადოებრივი აზრი. საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება და შემდგომ მისი კოლაბორაცია მისთვის რელევანტურ მოცემულობაში წარმოადგენს საზოგადოებისთან ურთიერთიერთობის კონცეპტუალიზაციას. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სამყაროში რეალური უპირატესობა მიენიჭა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, დარწმუნებასა და მის აღსრულებას. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივ აზრს, დარწმუნებას, აღქმებს (რომელებიც არ არის ფაქტები) და სხვა ცნობიერების ინდიკატორებს არასოდეს ასეთი ძალა და მნიშვნელობა არ ჰქონია, როგორც ამჟამად და აქ. და დიახ, XXI - ე საუკუნეში საზოგადოებრივი აზრი ძლიერ ინდიკატორად ყალიბდება ჩვენს რეალობაში. მნიშვნელოვანია განვაზოგადოთ საზოგადოებრივი აზრის ძირეული არსი და განვიხილოთ, ის როგორც მოვლენა და ვთქვათ, რომ საზოგადოებრივი აზრი ნამდვილად არის მძლავრი დინამიკური ძალა. საზოგადოებრივი

აზრი, ნამდვილად წარმოადგენს კონკრეტულ მოვლენას და ამავდროულად, შესაძლებელია წარმოდგეს, როგორც მიდგომის ჩამოყალიბების მძლავრი „იარაღი“.
6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. Kobalava, M. Anti-crisis Public Relations and Aspects of Effective Management in Georgian Companies, ICABE 2023 : International Conference on Accounting, Business and Economics, Barcelona, Spain (23ES050069 (waset.org))
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.ნაშრომი ასაბუთებს ანტიკრიზისული პიარის გადამწყვეტ როლს კომპანიების იმიჯისა და რეპუტაციის მართვაში. Covid-19 ვირუსით გამოწვეულმა კრიტიკულმა ვითარებამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და განხორციელებულმა ქმედებებმა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა კომპანიებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების იმიჯზე. აღნიშნულმა გარემოებამ გარკვეული პრობლემები შეუქმნა კომპანიების პროდუქტებს მომხმარებლის მოთხოვნის კუთხით. შესაბამისად, პიარის მთავარი მიზანი გახდა კომპანიებსა და საზოგადოებას შორის ოპტიმალური ურთიერთობის მიღწევა ეფექტური მენეჯმენტით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კრიზისულ სიტუაციებში პიარის მოქმედების დიაპაზონი გაცილებით ფართოა, ვიდრე რეკლამის. ნაშრომში საზოგადოებასთან ურთიერთობა შეფასებულია, როგორც კომპანიების პრესტიჟის, მისი სანდოობის განმსაზღვრელი ფაქტორი, რაც გადამწყვეტ გავლენას ახდენს კომპანიის მიმართ საზოგადოების კეთილგანწყობაზე, ნდობაზე და ზოგადად რეპუტაციაზე. კვლევის მიზანია ქართულ კომპანიებში ანტიკრიზისული პიარის გამოწვევების გამოვლენა და ეფექტური მართვის მექანიზმების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.
ნაშრომში გამოყენებულია ანალიზი, ინდუქცია, სინთეზი და სხვა მეთოდები; აგებულია მატრიცული და SWOT ანალიზი. შემოთავაზებულია კომპანიებში ანტიკრიზისული პიარის სისტემის ჩამოყალიბებისა და დანერგვის გზები. ანტიკრიზისული მენეჯმენტის ძირითადი ასპექტები გამოვლენილია კომპანიების საქმიანობის დივერსიფიკაციის სტრატეგიის არჩევის მატრიცის გამოყენებით, შესწავლილია ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა PR-ის გამოყენებით კომპანიების საქმიანობის მახასიათებლებისა და პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით. დასკვნა. ნაშრომში გამოტანილია დასკვნები ანტიკრიზისული პიარის თანამედროვე პრობლემებზე.

*ასოცირებული პროფესორი ჩარიტა ჯაში*

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1. ნუგზარ თოდუა
2. ჩარიტა ჯაში
2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1. **სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობების გავლენა ჯანდაცვის მომხმარებელთა მყიდველობით განზრახვაზე**

2.  ჟურნალის/კრებულის დასახელება და  ნომერი/ტომი
1.  ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი , 2023 მეოთხე
4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
5) გვერდების რაოდენობა
1.  27 გვერდი
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
*ნაშრომში განხილულია სოციალური მედიის გამოყენების თავისებურებები ჯანდაცვის ინდუსტრიაში. ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ციფრული ტექნოლოგიების ერაში სოციალური მედიის როლი განსაკუთრებით იზრდება სამედიცინო მომსახურების ბაზარზე, რაც ჯანდაცვის სფეროში მომხმარებელთა მეტ ჩართულობას განაპირობებს. საქართველოში ჯანდაცვის სფეროში ციფრული ტექნოლოგიები თანდათანობით ინერგება და პაციენტებთან ურთიერთობებისათვის სამედიცინო ორგანიზაციების სულ უფრო მეტი რაოდენობა იყენებს სოციალურ მედია მარკეტინგს. მიუხედავად ამისა, ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ სოციალური მედიის გამოყენება არასაკმარის დონეზეა. ამის ერთ-ერთი მიზეზია ამ სფეროში კვლევების სიმცირე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩატარებულია მარკეტინგული კვლევა. კვლევის ძირითად ცვლადებად შერჩეულია სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობა, მომხმარებელთა ჩართულობა, მომხმარებელთა ნდობა და მყიდველობითი განზრახვა. შემუშავებულია კვლევის კონცეპტუალური მოდელი და ჩამოყალიბებულია შესაბამისი ჰიპოთეზები. ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგენილია ზემოთ დასახელებულ ცვლადებს შორის დამოკიდებულებები, რისთვისაც გამოყენებულია რეგრესიული ანალიზის მეთოდი. ანალიზის შედეგად მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რაც კვლევაში გამოყენებული დებულებების სანდოობას ადასტურებს და ჩამოყალიბებულ ჰიპოთეზებს ამტკიცებს. კვლევის შედეგები სასარგებლოა ჯანდაცვის ორგანიზაციებისათვის, რომლებიც სოციალური მედიის გამოყენებით კლიენტების მოზიდვას და  თავიანთ აქტივობებში მათ მეტ  ჩართულობას გეგმავენ.*
6.2.
1) ავტორი/ავტორები
1. ნუგზარ თოდუა
2.  ჩარიტა ჯაში
2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1. **უმაღლესი განათლების მარკეტინგის ახალი მიდგომები (კონცეპტუალური მიმოხილვა) 2021 , მესამე**
2.  ჟურნალის/კრებულის დასახელება და  ნომერი/ტომი **ჟურნალი  ეკონომიკა და ბიზნესი,**
1.  ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი , 2021 მესამე
4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.  თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
5) გვერდების რაოდენობა
1.  16 გვერდი
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
*სტატიაში განხილულია უმაღლესი განათლების მარკეტინგის ახალიტენდენციები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკა-ციებისა და კვლევების მიხედვით. მასში მოცემულია განათლების მარკე-ტინგის დეტერმინანტების: უნივერსიტეტის იმიჯის, მომსახურების ხა-რისხის, სტუდენტთა კმაყოფილებისა და ლოიალურობის ურთიერთკავში-რის ანალიზი. ასევე ხაზგასმულია ციფრული ტექნოლოგიების, სოციალურიმედიისა და გავლენისმომხდენი მარკეტინგის როლი სტუდენტთა კმაყო-ფილებასა და ლოიალურობაში.*

*ჩატარებული ანალიზი სასარგებლოა საგან-მანათლებლო მომსახურების ბაზარზე უნივერსიტეტების მიერ ეფექტია-ნი მარკეტინგული სტრატეგიების განსახორციელებლად.* ამ თვალსაზრისით კი მეტად საგულისხმოა იმისგარკვევა, თუ როგორ ხდება უმაღლესი განათლების ახალი სტანდარტების დანერგვა და ევროპული ფასეულობების ადაპტაცია ქართულ რეალობაში.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ნუგზარ თოდუა, ჩარიტა ჯაში

7.2) მოხსენების სათაური

**1. BIG DATA-ს შესაძლებლობები და გამოწვევები თანამედროვე მარკეტინგულ გარემოში (კონცეპტუალური მიმოხილვა)**

**ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

**2022 წლის 6 ნოემბერი, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

7. 2.

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ჩარიტა ჯაში , ეკატერინე უროტაძე

მოხსენების სათაური **სოციალური მარკეტინგის გავლენა ქცევის ცვლილებაზე COVID-19-ის პანდემიის პირობებში**

**3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

**1. 2022 წლის 6 ნოემბერი, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

კოვიდ 19 პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი ასპექტია ვაქცინაციის სტრატეგია (იმუნიზაციაა), რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობს. აღნიშნული სტატიის მიზანს წარმოადგენს მსოფლიოში მიმდინარე იმუნიზაციის პროცესის ანალიზი, რომელიც ეფუძნება უახლესი პუბლიკაციებისა და კვლევების მიმოხილვას. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სამ საკითხზე: სოციალური ქცევის ცვლილებები, სოციალური მარკეტინგის ინსტრუმენტები იმუნიზაციის გააქტიურებისათვის, სოციალური ქსელები - ვაქცინის მომხრეებისა და მოწინააღმდეგების დისკურსის არენა. ნაშრომში განხილულია ბრიტანელი მეცნიერების მიერ შემუშავებული ე.წ. 5C-ის მოდელი, რომელიც მოიცავს შემდეგ ფაქტორებს: ნდობა, შეზღუდვა, თავდაჯერებულობა , გათვლა და კოლექტიური პასუხისმგებლობა . აღნიშნული მოდელი დრაივერის (მამოძრავებელი) როლს არულებს და ზემოქმედებას ახდენს ნეიტრალურად ან ნეგატიურიად განწყობილ ინდივიდებზე .სოციალური ქსელები ონტენსიურად გამოიყენება ჯანდაცვისა და სოციალური კამპანიების ეფექტიანი და ფართომასშტაბიანი წარმართვისათვის. ამასთან ერთად ,სოციალურ ქსელებში ჩართულები არიან ვაქცინაციისადმი სკეპტიკურად განწყობილი ინდივიდები და მწვავედ რეაგირებენ მოწოდებულ ინფორმაციებზე. ყოველი ინფორმაცია ვაქცინის შესახებ მათი თვალთახედვით აღიქმება არა როგორც სამეცნიერო პროცესის შესაბამისი სტანდარტული პროდუქტი, არამედ ინდივიდუალური ირაციონალური ინტერპრეტაციით განიხილება, რომელიც აფერხებს იმუნიზაციის პროცესის მიმდინარეობას. სოციალური მედია განუსაზღვრელი ზემოქმედებით სარგებლობს მომხმარებელთა ქცევაზე, ამიტომ საჭიროა სისტემატიური კვლევა ამ მიმართულებითაც, რომ ყველამ გააცნობიეროს ვაქცინაციის მნიშვნელობა პანდემიის დამარცხებისათვის.

7.3.

1) ავტორები

1. ნუგზარ თოდუა
2. ჩარიტა ჯაში
პოსტ COVID-19-ის პანდემიის გავლენა გენდერისა და მარკეტინგის ზოგიერთ ასპექტზე
ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2023 წლის 6 ნოემბერი, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4) გვერდების რაოდენობა
1. 12 გვერდი

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

*ნაშრომში ნაჩვენებია, რომ COVID-19-ის პანდემიამ საზოგადოების ყველა სფეროში გენდერული დისბალანსი გაამწვავა, რამაც გაეროს განვითარების მიზნების წარმატებით განხორციელებას საფრთხე შუქმნა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, გენდერული თანასწორობის მიმართულებით მიღწეული გარკვეული პროგრესი მთლიანად დაჩრდილა იმ გამოწვევებმა, რომლებიც მეტად თვალსაჩინო გახდა პოსტ COVID -19-ის პანდემიის პერიოდში. ნაშრომი დამყარებულია მრავალფეროვან სამეცნიერო წყაროებზე, რომლებიც COVID-19-ის პანდემიით გამოწვეულ მძიმე შედეგებს ასახავს და გენდერისა და მარკეტინგის თვალსაზრისით არსებულ რეალურ პრობლემებს წარმოაჩენს. სტატიაში აღნიშნულია, რომ პანდემიით გამოწვეული პირველი დარტყმა ეკონომიკის სექტორებმა მიიღო, სადაც ქალთა სამუშაო ძალა დომინირებდა, რამაც გენდერული უთანასწორობის ზრდა გამოიწვია.*

*სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მომხმარებელთა ქცევის ცვლილებებზე, რომლებმაც ტრადიციული მარკეტინგული მიდგომა გარდაქმნა. ბოლო ხანებში მომხმარებელთა ქცევის სტანდარტული მოდელი რადიკალურად შეიცვალა და რეალური სავაჭრო სივრცე ვირტუალურით ჩანაცვლდა, რამაც სოციალური მედია მარკეტინგის უდიდესი როლი წარმოაჩინა. ნაშრომში ასახულია პოსტკოვიდური ვითარება ტურიზმის სფეროში, რომელიც თავისი სპეციფიკური გენდერული მახასიათებლით პანდემიამდე წარმატებული იყო. ტურიზმის სფეროში მომსახურების შემცირებამ და ტურისტულ პროდუქტებზე მოთხოვნის მკვეთრმა ვარდნამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ადგილობრივ დასაქმებულებს, რომელთა შორის უმრავლესობა ქალები არიან. დღეისათვის ტურისტულ ბაზარზე დაკარგული პოზიციების აღდგენისათვის ინტენსიური ბრძოლა მიმდინარეობს. ტურისტულმა ბიზნესმა მნიშვნელოვანი ტრანფორმირება განიცადა ახალი ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით. სოციალური მედიის მარკეტინგული მიდგომები, ტურისტული ონლაინაპლიკაციები, ონალინგაყიდვისა და გაყიდვისშემდგომი მომსახურების ფორმები ციფრული ტექნოლოგიების ერაში კარგად მუშაობს, რაც ტურიზმის ინდუტრიაში ქალთა ჩართულობას აძლიერებს. ამიტომ მარკეტინგისა და გენდერის კუთხით პოსტკრიზისულ ზემოქმედების ანალიზს უცხოელი მკვლევრები დიდ ყურადღებას აქცევენ. სამწუხაროდ, საქართველოში მსგავსი პუბლიკაციების ნაკლებობაა. წინამდებარე ნაშრომი ამ ხარვეზის აღმოფხვრის მცდელობაა, რაც შესაბამისი კვლევების სტიმულირებას ხელს შეუწყობს.*

4) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. ნუგზარ თოდუა
2. ჩარიტა ჯაში
2) მოხსენების სათაური
1. სოციალური მარკეტინგის პარადოქსები პარადოქსები ჯანდაცვაში კონფერენციის მასალები

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

*მნიშვნელოვანია სოციალური მარკეტინგის როლი ჯანდაცვის სფეროში, როგორც გლობალურ, ასევე ეროვნულ დონეზე. ახალ სოციალურ პროდუქტთან, ვაქცინაციასთან მიმართებით*

*მომხმარებელთა ქცევის დაგეგმვა,ფორმირება და მისი სტიმულირება უალტერნატივოდ დადგა დღის წესრიგში. სტატიაში ხაზგა-სმულია გლობალური პანდემიის პირობებში ვაქცინაციისადმი საზოგადოებრივი მოთხოვნისზრდისა და მომხმარებელთა ქცევის ტრანსფორმირების აუცილებლობა. ნაშრომში გაანალიზე-ბულია სოციალური მარკეტინგის სფეროში მომუშავე მეცნიერთა უახლესი შრომები, საერთა-შორისო ორგანიზაციების რეზოლუციები და დასკვნები. ვაქცინის მოთხოვნა-მიწოდების თა-ნაფარდობა, ვაქცინაციის მიღებისას მომსახურების სერვისების გამართულობა და უწყვე-ტობა, სამედიცინო პერსონალის პროფესიონალიზი და საზოგადოების მზაობა გლობალურიპანდემიის დასრულების საფუძველია. მომხმარებელთა ქცევის შეცვლის წახალისებისათვისგანსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციების ინსტრუმენტების დანერგვას დაგამოყენებას. COVID-19-ის პანდემიამ გააღრმავა სოციალური უთანასწორობა მრავალი ქვე -ყნის მოსახლეობას შორის და გავლენა მოახდინა დასაქმებულთა სოციალურ-ეკონომიკურსტატუსზე. სტატიაში ნაჩვენებია, რომ აუცილებელია სოციალური მარკეტინგის საუკეთესოპრაქტიკის დემონსტრირება ვაქცინაციის კამპანიებთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობსCOVID- 19-ის დამარცხებას*

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

**2022 თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

***ასოცირებული პროფესორი ეკატერინე უროტაძე***

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომიISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. მღებრიშვილი ბაბულია, უროტაძე ეკატერინე, ვეშაგური მაია. საცალო ვაჭრობის სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი ასპექტები ქვეყნის მდგრადი განვითარების მიღწევაში. ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, #1, 2023. ISSN 1987-5789, doi 10.56079. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 15 გვერდი.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)*

1. **ანოტაცია.** მდგრადი განვითარება ჩვენი პლანეტის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარების უმნიშვნელოვანესი გზაა. მისი მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიო პროგრესული საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით და ასეც მიმდინარეობს ბრძოლა მდგრადი განვითარების მიზნების რეალიზაციისთვის. მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში გარკვეული მისია აკისრია საცალო ვაჭრობას. ავტორების აზრით, საცალო ვაჭრობას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია მდგრადი განვითარების ისეთი მიზნების შესრულებაში, როგორიცაა ადამიანების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, ასევე, მდგრადი მოხმარება და წარმოება. გარკვეული როლი აკისრია ეკონომიკის ამ სფეროს გარემოს დაცვასა და დედამიწის ეკოსისტემის გაუმჯობესებაშიც. მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში საცალო ვაჭრობის მსხვილი საწარმოები თავიანთ დანიშნულებას მეტ-ნაკლებად ასრულებენ, გაცნობიერებული აქვთ რა სოციალური პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საცალო ვაჭრობაში დიდი რაოდენობით წარმოდგენილია არა მსხვილი, არამედ მცირე საწარმოები, რომლებსაც, რატომღაც, სოციალური პასუხისმგებლობით მუშაობა მსხვილი საწარმოების საქმედ მიაჩნიათ. ჩვენი აზრით, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, აგრეთვე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა უნდა გააქტიურონ მუშაობა საზოგადოებაში სოციალური პასუხისმგებლობით მუშაობის

აუცილებლობასა და ხელსაყრელობაზე არა მარტო ქვეყნისთვის, არამედ თვითონ საწარმოებისთვისაც. ავტორების აზრით, კორონავირუსულმა პანდემიამ, რასაც დაემატა ომი უკრაინაში, მდგრადი განვითარების კუთხით, სახელმწიფოების მუშაობის პროცესი მკვეთრად შეაფერხა და ამით კიდევ უფრო შეანელა. ცხადია, ეს, პირველ რიგში, ჯანდაცვას შეეხო. კორონავირუსულმა პანდემიამ ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემები სააშკარაოზე გამოიტანა და საზოგადოება მათი გადაწყვეტის გზების დროულად ძიების საჭიროებაზე დააფიქრა. ავტორები იმედოვნებენ, რომ პანდემიით მიღებული შედეგები მკაცრი გაკვეთილია საზოგადოებისთვის და მომავალში ხელს შეუწყობს ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრას და ამ საქმეში საცალო ვაჭრობის გააქტიურებას

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1.საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. უროტაძე, ე., & წაქაძე, ნ. ციფრული მარკეტინგის როლი საცალო ვაჭრობაში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მე-8 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში". თბილისი, ნოემბერი 2023.

**ანოტაცია.** სტატიაში ნაჩვენებია, რომ 21-ე საუკუნეში, ტექნოლოგიური პროგრესით გამოწვეული კონკურენციის პირობებში, გაიზარდა ციფრული მარკეტინგის მნიშვნელობა ბიზნესის ყველა სექტორში, მათ შორის საცალო ვაჭრობაში. სტატიაში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ტექნოლოგიურმა პროგრესმა, კონკურენციასთან ერთად, გაზარდა მომხმარებელთა მოთხოვნებიც. ამიტომ საცალოდ მოვაჭრეები ტრადიციულ მარკეტინგს უთავსებენ ციფრულ მარკეტინგს და ასეთნაირად ცდილობენ მომხმარებლების მოზიდვასა და შენარჩუნებას. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ საცალო ვაჭრობაში ციფრული მარკეტინგი სულ უფრო ვითარდება, იხვეწება და აფართოებს მოქმედების სფეროს. შესაბამისად, საცალო ვაჭრობას პერიოდულად ემატება ახალი ციფრული ტექნოლოგიები და შესაძლებლობები. სტატიაში წარმოდგენილია ციფრული მარკეტინგის სახეები და მათი გამოყენების თავისებურებები საცალო ვაჭრობაში.

*ასისტენტ-პროფესორი მაია ვეშაგური*

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. მღებრიშვილი ბაბულია, უროტაძე ეკატერინე, ვეშაგური მაია. საცალო ვაჭრობის სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი ასპექტები ქვეყნის მდგრადი განვითარების მიღწევაში. ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, #1, 2023. ISSN 1987-5789, doi 10.56079. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 15 გვერდი.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. **ანოტაცია.** მდგრადი განვითარება ჩვენი პლანეტის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარების უმნიშვნელოვანესი გზაა. მისი მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიო პროგრესული საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით და ასეც მიმდინარეობს ბრძოლა მდგრადი განვითარების მიზნების რეალიზაციისთვის. მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში გარკვეული მისია აკისრია საცალო ვაჭრობას. ავტორების აზრით, საცალო ვაჭრობას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია მდგრადი განვითარების ისეთი მიზნების

შესრულებაში, როგორიცაა ადამიანების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, ასევე, მდგრადი მოხმარება და წარმოება. გარკვეული როლი აკისრია ეკონომიკის ამ სფეროს გარემოს დაცვასა და დედამიწის ეკოსისტემის გაუმჯობესებაშიც. მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში საცალო ვაჭრობის მსხვილი საწარმოები თავიანთ დანიშნულებას მეტ-ნაკლებად ასრულებენ, გაცნობიერებული აქვთ რა სოციალური პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საცალო ვაჭრობაში დიდი რაოდენობით წარმოდგენილია არა მსხვილი, არამედ მცირე საწარმოები, რომლებსაც, რატომღაც, სოციალური პასუხისმგებლობით მუშაობა მსხვილი საწარმოების საქმედ მიაჩნიათ. ჩვენი აზრით, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, აგრეთვე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა უნდა გააქტიურონ მუშაობა საზოგადოებაში სოციალური პასუხისმგებლობით მუშაობის აუცილებლობასა და ხელსაყრელობაზე არა მარტო ქვეყნისთვის, არამედ თვითონ საწარმოებისთვისაც. ავტორების აზრით, კორონავირუსულმა პანდემიამ, რასაც დაემატა ომი უკრაინაში, მდგრადი განვითარების კუთხით, სახელმწიფოების მუშაობის პროცესი მკვეთრად შეაფერხა და ამით კიდევ უფრო შეანელა. ცხადია, ეს, პირველ რიგში, ჯანდაცვას შეეხო. კორონავირუსულმა პანდემიამ ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემები სააშკარაოზე გამოიტანა და საზოგადოება მათი გადაწყვეტის გზების დროულად მიების საჭიროებაზე დააფიქრა. ავტორები იმედოვნებენ, რომ პანდემიით მიღებული შედეგები მკაცრი გაკვეთილია საზოგადოებისთვის და მომავალში ხელს შეუწყობს ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრას და ამ საქმეში საცალო ვაჭრობის გააქტიურებას.

*ასისტენტ-პროფესორი მაია სეთური*

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. **მაია სეთური (Maia Seturi),**

მაკა სურმავა (Maka Surmava)

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. **“Attitude of Consumers Towards Events Organized by Companies”**

**DOI: https://doi.org/10.14738/abr.1111.15948**

**ISSN 2054-7404**

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. **Journal: Archives of Business Research. Vol. 11 No. 11 (2023)**

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. **გაერთიანებული სამეფო, Publisher: Services for Science and Education United Kingdom**

5) გვერდების რაოდენობა

1. **8 გვ.**

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის შემდეგ საქართველოში გაძლიერდა ინტერესი მარკეტინგის სხვადასხვა მიმართულებების მიმართ. ერთ-ერთი მათგანია საზოგადოებასთან ურთიერთობები, რომლელიც ეხმარება კომპანიებს დადებითი იმიჯის ფორმირებასა და შენარჩუნებაში. მას, თავის მხრივ, აქვს სხვადასხვა ინსტრუმენტები და საშუალებები. მათ შორის აღსანიშნავია ივენთები. ისინი კომპანიის და მისი ბრენდების მიმართ შთაბეჭდილებების ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებენ. ის ორგანიზაციები, რომლებიც ჭკვიანურად მართავენ და ახორციელებენ ივენთებს, ხელს უწყობენ მათი დადებითი იმიჯის ფორმირებას და ბრენდების პოპულარიზაციის ზრდას.

ივენთებს მრავალი სუბიექტი მიმართავს შთაბეჭდილების მოსახდენად სხვა ადამიანებზე. ხოლო კომპანიებს საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილებების მოხდენით შეუძლიათ მოიპოვონ კეთილგანწყობა მიზნობრივი ბაზრის მხრიდან. მარკეტოლოგებმა უნდა გადაწყვიტონ, თუ როდის და როგორ გამოიყენონ განსაკუთრებული ღონისძიებები. თუ ივენთი იქნება კარგად დაგეგმილი და განხორციელებული, იგი კომპანიას მოუტანს ეკონომიკურ სარგებელს. ნაშრომის მთავარი მიზანია გამოიკვლიოს მომხმარებელთა დამოკიდებულება საქართველოში გავრცელებული ივენთების მიმართ და მათი გავლენის დადგენა კომპანიის საქმიანობის შედეგებზე. სტატიაში ავტორები განიხილავენ იმ რისკებსა და პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია ღონისძიებების ჩატარებასთან, წარმოდგენილია ჩატარებული კვლევის ძირითადი შედეგები და რეკომენდაციები ივენთების გამოყენების ეფექტიანობის ზრდის მიმართულებით.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. **მაია სეთური**

2) მოხსენების სათაური

**„ Some Considerations About Tourist Satisfaction in The Context of Sustainable Development“**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

23-24 ნოემბერი, 2023, სოფია, ბულგარეთი

INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE : STRATEGIC PLANNING AND MARKETING IN DIGITAL WORLD, UNIVERSITY OF NATIONAL AND WORLD ECONOMY

I 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება,

I. ლაბორატორია) დასახელება: ***ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი დემურ სიჭინავა***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

***ასოცირებული პროფესორი თეა მუნჯიშვილი***

***ასოცირებული პროფესორი რუსუდან სეთურიძე***

***ასოცირებული პროფესორი თინა მელქოშვილი***

***ასისტენტ-პროფესორი მზია ტიკიშვილი***

***პროფესორი დემურ სიჭინავა***

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. **სტატიები** ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

**1. დ. სიჭინავა, მ. მაღრაძე.** „ბლოკჩეინტექნოლოგია, კრიპტოვალუტა და ციფრული ვალუტა: არსებული მდგომარეობა და ძირითადი გამოწვევები“. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ N4, 2023, გვ. რაოდ. - 24. ISSN 1987-5789 ESSN 2587-5426, doi 10. 56079.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. თანამედროვე ტექნოლოგიური ევოლუციის ეპოქაში დღეისათვის არსებული ფუნდამენტური ეკონომიკური სისტემები განიცდიან მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას. ერთ-

ერთი ასეთი ყველაზე დამაჯერებელი ცვლილებაა მომხდარი ფინანსების სფეროში. ამის მკაფიო მაგალითია ციფრული ვალუტების რიცხოვნობის სწრაფი ზრდა, რამაც მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.

აღნიშნულიდან გამომდინარე სტატიაში განხილულია ბლოკჩეინტექნოლოგიის დადებითი მხარეები და ნაკლოვანებები. კურსის სტაბილურობის მიხედვით დახასიათებულია სამი ძირითადი სახის ციფრული ვალუტა: არასტაბილური კრიპტოვალუტა (ბიტკოინი, ეთერიუმი და სხვ.), სტაბილური კრიპტოვალუტა ანუ სტეიბლკოინი და ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა. მოცემულია სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი და კონტროლირებადი ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის მუშაობის სპეციფიკა. ნაჩვენებია ციფრული ვალუტის დადებითი მხარეები და ნაკლოვანებები. მოყვანილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტების მაგალითები. დასმულია საკითხი, თუ როგორი იქნება ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის თანაარსებობა არსებულ საბანკო სისტემასთან. განხილულია ციფრული ვალუტის შექმნასა და დანერგვასთან დაკავშირებული ღონისძიებები. შედარებულია ციფრული ვალუტისა და ფიატნური ფულის შექმნასა და დანერგვასთან დაკავშირებული ხარჯები. გაკეთებულია ციფრული ვალუტის მომავალის პროგნოზი და დასკვნები და წარმოდგენილია რეკომენდაციები.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

**6.3. სტატიები**

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **დ.სიჭინავა, რ.სეთურიძე, ნ.თოფურია, „ბიზნეს პროცესების გაუმჯობესება საუნივერსიტეტო-ბიზნეს პორტალზე ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით" DOI 10 36074/logos-29.09.2023, ISBN:978-88-31277-20-4 (PDF),ISBN:978-617-8126-66-7 (PRINT), ბოლონია, იტალია**

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ბიზნესსა და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა არის თანამშრომლობითი პარტნიორობა და კვლევითი ინიციატივები. ეს ორმხრივად მომგებიანი ურთიერთობა იძლევა ცოდნის, რესურსების და გამოცდილების გაცვლას აკადემიურ და კორპორატიულ სამყაროს შორის. ერთობლივი თანამშრომლობით, ბიზნესს და უნივერსიტეტებს შეუძლიათ ინოვაციების წარმართვა, რთული პრობლემების გადაჭრა და სტუდენტების მომზადება სამუშაო ბაზრის მოთხოვნებისთვის.

*ასოცირებული პროფესორი რუსუდან სეთურიძე*

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **დისპეტჩერული მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის (SCADA) სრულყოფის გზები ელექტროენერგეტიკაში, დარგი: მენეჯმენტი (მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემები), 01.02.2023 - 01.12.2023 - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. რუსუდან სეთურიძე - პროექტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი
დავით ნარმანია - პროექტის თანახელმძღვანელი, პროფესორი
მურთაზ მაღრაძე - პროფესორი, ემერიტუსი

შორენა დავითაია - დოქტორანტი - პროექტის შემსრულებელი;
მიხეილ მაჩიტიძე - დოქტორანტი - პროექტის შემსრულებელი;;
საბა გავაშელიშვილი - დოქტორანტი, პროექტის შემსრულებელი;
ლუკა გაზდელიანი - მაგისტრანტი, პროექტის შემსრულებელი;.

***დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

სამეცნიერო კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ელექტროენერგეტიკაში SCADA სისტემის დანეგვის მნიშვნელობა და საქართველოში მისი განვითარების ეტაპების ანალიზი. SCADA სისტემის დანერგვამ ხელი შეუწყო დისპეტჩერული მართვის და კონტროლის განვითარებას, რამაც შეამცირა ტექნოლოგიური ავარიების რიცხვი და სტაბილური გახადა საქართველოში ელექტროენერგეტიკული სექტორი. ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ მომხმარებელთა უმეტესობა მარტივად გადავიდა ახალ სისტემაზე, გაუმჯობესდა მართვის ხარისხი და მუშაობის სისწრაფე, ხოლო ვირტუალურ გარემოში განთავსებული SCADA სისტემის სერვერების სისწრაფე გაიზარდა. ასევე, ჩატერებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ ავტომატიზებულმა რეპორტინგის სისტემამ გაამარტივა მომხმარებელთა სამუშაო პროცესი, ხოლო SCADA სისტემის მონაცემთა ანალიტიკისა და პროგნოზირების ქვესისტემამ ხელი შეუწყო ენერგოსისტემის მართვის სრულყოფას რეალურ დროში. აღნიშნული კვლევა სასარგებლო იქნება სხვადასხვა ქვეყნის იმ ელექტროენერგეტიკული დარგისთვის, სადაც ინერგება ან დანერგილია SCADA სისტემა. კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციების დანერგვის შემთხვევაში ენერგოსისტემა გახდება უფრო სტაბილური და ეფექტიანი.

**5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში**

5.4. **სტატიები** ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **დავით ნარმანია, რუსუდან სეთურიძე, მურთაზ მაღრაძე, შორენა დავითაია, მიხეილ მაჩიტიძე – „ელექტროენერგეტიკაში დისპეტჩერული მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის (SCADA) განვითარების აქტუალური საკითხები“, ISSN 1987 – 5789, ESSN 2587 – 5426, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი, 152-171გვ.**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მსოფლიოში ტექნოლოგიების განვითარებამ დიდი როლი ითამაშა ენერგეტიკის მართვის სრულყოფაში. ელექტროენერგეტიკის განვითარების დონე დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების დინამიკასა და განლაგებაზე, ქმნის აუცილებელ წინაპირობას მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა და შრომის პირობების გასაუმჯობესებლად. ეროვნული ეკონომიკის დონე და მოსახლეობის ენერგომომარაგება დიდწილად დამოკიდებულია ენერგეტიკულ ინდუსტრიაზე. მისი განვითარების ტემპები და მასშტაბები განმსაზღვრელ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საბოლოო შედეგებზე. დისპეტჩერული მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემა (SCADA) ელექტროენერგეტიკული ინდუსტრიის მნიშვნელოვანი და აქტუალური კომპონენტია, რომელიც უზრუნველყოფს ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, განაწილების მონიტორინგს და მართვას რეალური დროის რეჟიმში. SCADA სისტემის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს ტექნოლოგიური ავტომატიზებული პროცესების მართვა და ექსპლუატაცია.

კვლევის ძირითადი მიზანია გაანალიზოს საქართველოს მაგალითზე ელექტროენერგეტიკაში დანერგილი სისტემების განვითარების ეტაპები. შეისწავლოს SCADA სისტემაში ენერგოობიექტებიდან მონაცემების შეგროვება, დამუშავება, მიღებული შედეგების ანალიზი და შეიმუშაოს თანამედროვე SCADA სისტემის განვითარების აქტუალური საკითხები. ჩატარებული კვლევის ფარგლებში შემუშავდა დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში საქართველოს ენერგოსისტემა გახდება სტაბილური და ეფექტიანი. აღნიშნული სამეცნიერო კვლევა სასარგებლო იქნება იმ ენერგოკომპანიებისთვის, სადაც ინერგება ან დანერგილია SCADA სისტემა.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

**6.3. სტატიები**

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

**1. დ.სიჭინავა, რ.სეთურიძე, ნ.თოფურია, „ბიზნეს პროცესების გაუმჯობესება საუნივერსიტეტო-ბიზნეს პორტალზე ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით" DOI 10 36074/logos-29.09.2023, ISBN:978-88-31277-20-4 (PDF),ISBN:978-617-8126-66-7 (PRINT), ბოლონია, იტალია**

**2.რუსუდან სეთურიძე, დავით ნარმანია, მურთაზ მაღრაძე, შორენა დავითაია, მიხეილ მაჩიტიძე, „ელექტროენერგიაში დისპეტჩერული მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის (SCADA) მართვის სრულყოფის გზები ელექტროენერგეტიკაში" ISSN: 2230-9926, International Journal of Development Research, Vol. 13, Issue, 10, pp. 63921-63928, October, 2023, https://doi.org/10.37118/ijdr.27265.10.2023**

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ბიზნესსა და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა არის თანამშრომლობითი პარტნიორობა და კვლევითი ინიციატივები. ეს ორმხრივად მომგებიანი ურთიერთობა იძლევა ცოდნის, რესურსების და გამოცდილების გაცვლას აკადემიურ და კორპორატიულ სამყაროს შორის. ერთობლივი თანამშრომლობით, ბიზნესს და უნივერსიტეტებს შეუძლიათ ინოვაციების წარმართვა, რთული პრობლემების გადაჭრა და სტუდენტების მომზადება სამუშაო ბაზრის მოთხოვნებისთვის.

2. სამეცნიერო ნაშრომის მიზანია გაანალიზოს ელექტროენერგეტიკაში დისპეტჩერული მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის (SCADA) მართვის სრულყოფის საკითხები, რომელიც მოიცავს მაგალითად, სხვადასხვა თანამედროვე ციფრული აპლიკაციების დანერგვას ენერგოობიექტების რეალურ დროში აღრიცხვის, კონტროლისა და მონიტორინგისთვის, ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენებას, SCADA სისტემის განვითარების ეტაპების შედარებით ანალიზს და სხვა, რაც უზრუნველყოფს ელექტროენერგეტიკის დარგის მნიშვნელოვან განვითარებას.

მეთოდოლოგია: „დისპეტჩერული მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის (SCADA) სრულყოფის გზები ელექტროენერგეტიკაში" კვლევითი პროექტის ფარგლებში მოხდა დისპეტჩერული მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის (SCADA) მართვის სრულყოფის საკითხების გაანალიზება და საკვლევი კითხვების შემუშავება. გამოიკითხა 101 რესპოდენტი. მონაცემები შეგროვდა ელექტრონულად, ონლაინ გამოკითხვის საშუალებით საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში სხადასხვა სტრუქტურული ერთეულებში მომუშავე თანამშრომლები, რომლებიც იყვნენ SCADA სისტემის მომხმარებლები.

კვლევა შეისწავლის ელექტროენერგეტიკაში დისპეტჩერული მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის (SCADA) მართვის სრულყოფის საკითხებს, რაც ელექტროენერგეტიკაში უზრუნველყოფს ტექნოლოგიური ავარიების რიცხვის შემცირებას,

სექტორის მდგრადობას, მართვის ხარისხის გაუმჯობესებასა და მუშაობის სისწრაფეს. კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციების დანერგვის შემთხვევაში ენერგოსისტემა გახდება უფრო სტაბილური და ეფექტიანი. აღნიშნული კვლევა სასარგებლო იქნება სხვადასხვა ქვეყნის იმ ელექტროენერგეტიკული კომპანიებისთვის, სადაც ინერგება ან დანერგილია SCADA სისტემა.

სამეცნიერო ნაშრომში განხილულია SCADA სისტემის განვითარების ეტაპების შედარებით ანალიზი სისტემის თითოეული კომპონენტის ჭრილში. კვლევის შედეგების დანერგვა იმოქმედებს, როგორც დისპეტჩერული მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის (SCADA) მომხმარებლების პროფესიონალიზმის განვითარებაზე, ასევე უზრუნველყოფს პერსონალის მმართველი რგოლის სამუშაოების გამარტივებას, სისწრაფეს და მაღალ ხარისხს. შესაბამისად, ეს ხელს შეუწყობს ელექტროენერგეტიკის დარგის სრულყოფას.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. რუსუდან სეთურიძე, **ეკონომიკური ზრდის გაძლიერება ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით: ფოკუსირება საბაჟო რისკზე, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო - 2023**

*. მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

შეიძლება დავასკვნათ, რომ საბაჟო სისტემაში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვამ და ინტეგრაციამ დადებითი გავლენა იქონია ეკონომიკურ ზრდაზე. ეს დადებითი ეფექტი ვლინდება რამდენიმე ძირითადი ინდიკატორის მეშვეობით, მათ შორის საბაჟო განბაჟებისთვის საჭირო დროის არსებითი შემცირება, საბაჟო პროცედურებისთვის აუცილებელი ფიზიკური დოკუმენტების რაოდენობის შემცირება და იმპორტისა და ექსპორტის მოცულობის ზრდა. უფრო მეტიც, ამ დადებით შედეგებსა და ძირითად ეკონომიკურ ფაქტორებს შორის, როგორიცაა საინფორმაციო და საკომუნიკაციო სექტორის მშპ, ინტერნეტისა და მობილური ტელეფონის გამოყენებას შორის შესამჩნევი კორელაცია დამყარდა. საქართველოს საბაჟო სისტემაში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის შემდეგ, ამ ტექნოლოგიურ მიღწევებთან შედარებით, ეკონომიკური ზრდის ტენდენციების შესამჩნევი გაუმჯობესება შეინიშნება. წინა ეპოქა გამოირჩეოდა ისეთი გამოწვევებით, როგორიცაა კორუფცია და ხელოვნური შეფერხებები. ეკონომიკურ მაჩვენებლებში დადებითი ტრაექტორია ხაზს უსვამს ციფრული ტექნოლოგიების ტრანსფორმაციულ გავლენას საბაჟო სისტემის ეფექტურობასა და ეფექტურობაზე, რაც ხელს უწყობს ქვეყნის მთლიან ეკონომიკურ განვითარებას. რეკომენდაციების გამოყენება შესაძლებელია განვითარებად ქვეყნებში საბაჟო სისტემების ელექტრონული სერვისების გასაუმჯობესებლად. მათი განხორციელების შემდეგ, ელექტრონული საბაჟო სერვისები უფრო მოსახერხებელი, ეფექტური, უსაფრთხო და საიმედო გახდება. ეს ტრანსფორმაცია შეიძლება გახდეს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი.

***ასოცირებული პროფესორი თეა მუნჯიშვილი***

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 1. დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით "ბიზნესის ფინანსური შედეგების პროგნოზირების მანქანური სწავლების პროგრამული სისტემის შემუშავება" ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი თეა მუნჯიშვილი

2. 01.02.2023 - 15.12.2023

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)[1]

1. ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი თეა მუნჯიშვილი

***დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

სიმულაციის მეთოდით საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შემუშავება (არსებული მოდელებიდან კონკრეტული საწარმოს ადეკვატური მოდელისა და ამ მოდელში შემავალი კოეფიციენტების შერჩევა) განხილულია ნაშრომში[39]. მისი რეალიზაცია ხორციელდება ჩვენ მიერ შემუშავებული პროგრამული პაკეტით FinSim[40-43]. პროგრამა მრავალენოვანია. მასთან მუშაობა შეიძლება ქართულ, ინგლისურ და სხვა ენებზე. იგი შექმნილ იქნა ჩვენს მიერ შემუშავებული და სწავლების პროცესში დანერგილი სისტემების: Cyber1, Cyber2[44-45] გამოცდილების საფუძველზე. FinSim განთავსებულია მისამართზე FinSim.tsu.ge. მისი დანიშნულებაა ზოგადი მოდელის საფუძველზე, რომელიც შეიძლება ეტალონურ მოდელად ჩავთვალოთ, პირველი - შემუშავდეს მოცემული საწარმოს რეალურ საქმიანობაში გამოყენებადი, საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასებისა და გაკოტრების პროგნოზირების კონკრეტული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი, მეორე - სწავლებისას ათვისებულ იქნეს $S_i$-ური საწარმოსთვის, ფინანსური მდგრადობის შეფასებისა და გაკოტრების პროგნოზის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შემუშავების ტექნოლოგია და მის საფუძველზე ვირტუალური საწარმოს მაგალითზე მოდელში შემავალი არგუმენტების მოდელირების შედეგად შემუშავებულ იქნას საწარმოს ფინანსურად მდგრადად ფუნქციონირებას უზრუნველყოფის ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები.

**პრობლემის ანალიზი.** გავიგოთ, რა თავისებურებებით ხასიათდება საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება საწარმოთა ზომითი კატეგორიების მიხედვით და რა ფინანსური პროგნოზების გაკეთება შეიძლება საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის ამსახველი მაჩვენებლების მიხედვით.

კანონმა განსაზღვრა საწარმოების ოთხი ზომითი კატეგორია: პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე, რომელზე მიკუთვნებისთვისაც განისაზღვრა შესაბამისად სამი კრიტერიუმი

1. აქტივების ჯამური ღირებულება,
2. შემოსავალი,
3. საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა,

საიდანაც კონკრეტულ ზომით კატეგორიაზე მიკუთვნებისათვის საწარმო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სულ მცირე ორ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს. ამასთანავე, კანონმა განსაზღვრა იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებსაც ეკუთვნით აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (სდპ, პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები).

[1] თეა მუნჯიშვილი, ლია კოზმანაშვილი, ლეილა ქადაგიშვილი, დავით სიხარულიძე, შოთა შაბურიშვილი, მიხეილ ჩიკვილაძე, მაკა ხავთასი, ნინო დოხტურიშვილი

კანონი შემუშავდა ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2013/34/EU – „ზოგიერთი კატეგორიის საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგებების, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების და დაკავშირებული ანგარიშების შესახებ“ (26 ივნისი, 2013.), მოთხოვნების შესაბამისად, რის შესახებაც კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტში პირდაპირ არის მითითებული:

„ამ კანონის მიზანია ფინანსური გამჭვირვალობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა სუბიექტთა ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი შესაბამისი ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებთან მიახლოებით“.

კანონის მიზანი ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებთან მიახლოების ნაწილში ნამდვილად მიღწეული და შესრულებულია, თუმცა, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის ნაწილზე იგივეს ვერ ვიტყვით.

2021 წლიდან ყველა კატეგორიის საწარმო ვალდებულია საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან მომდევნო წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში წარადგინოს ფინანსური ანგარიშგება.

**კვლევის მიზანი.** გავიგოთ, რა თავისებურებებით ხასიათდება საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება საწარმოთა ზომითი კატეგორიების მიხედვით და რა ფინანსური პროგნოზების გაკეთება შეიძლება საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის ამსახველი მაჩვენებლების მიხედვით.

კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა მცირე ზომის - მეოთხე კატეგორიის საწარმოები, რადგან საქართველოში მოქმედ საწარმოთა დიდი ნაწილი თავისი მაჩვენებლებით ზუსტად მეოთხე კატეგორიას მიეკუთვნება. ცნობისათვის, 13.12.23წ. მონაცემებით შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში ფიქსირდება 1,675,893 ფიზიკური და 347,544 იურიდიული პირი. (პირველი კატეგორიის საწარმო 2021 წ. მონაცემების მიხედვით არის სულ 123, ხოლო მეორე კატეგორიის - 606). კვლევისთვის სულ შერჩეული იქნა 13 საწარმო: აქედან მე-4 კატეგორიის 6, მეორე და მესამე კატეგორიის 7 საწარმო.

FinSim-ით $S_i$-ური საწარმოსთვის, ფინანსური მდგრადობის შეფასებისა და გაკოტრების პროგნოზის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელს ადგენს სპეციალური უფლებებით აღჭურვილი პირი ე.წ. ანალიტიკოსი. მას უფლება აქვს შეიტანოს ცვლილებები მონაცემებში, კონკრეტული საწარმოსათვის შეიმუშაოს კონკრეტული მოდელი და მოდელში შემავალი მოძებნილი კოეფიციენტების მნიშვნელობები დააფიქსიროს მონაცემების ბაზაში. $S_i$-ური საწარმოსთვის ფინანსური მდგრადობის შეფასებისა და გაკოტრების პროგნოზის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შედგენა სწავლების რეჟიმშიც ხორციელდება სტუდენტის მიერ. განსხვავება შემდეგია-სწავლების რეჟიმში შეუძლებელია ცვლილებების შეტანა მონაცემებში და კოეფიციენტების გამოთვლილი მნიშვნელობების ფიქსირება მონაცემების ბაზაში.

ჩვენს მიერ შემუშავებული კომპიუტერული სისტემა „კიბერ3" 10 ვებსაიტის ერთობლიობაა, რომლებითაც ხორციელდება დისტანციურად უმრავლესი საგნების ელექტრონული სახელმძღვანელოს შექმნა, თვითსწავლება, თვითკონტროლი, ცოდნის გამოვლენა და შეფასება; (სისტემაზე მუშაობა რამდენიმე წელი გრძელდება ) www. kiber3.tsu.ge

ჩვენს მიერ შემუშავებული სიმულატორით FinSim-ით(მისამართი: FinSim.tsu.ge) შესაძლებელია: - ალტმანის, სპრინგეიტის, ტაფლერის მოდელებით საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასების მოდელირება. ამ მოდელებით საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება ხორციელდება ერთი და მრავალი (მოდელში შემავალი ყველა) ცვლადით;

1. FinSim-ით მოწმდება ჰიპოთეზები საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ინტეგრირებული მაჩვენებლის სტრუქტურისა და შინაარსის შესახებ ანუ დასაბუთებულია შერჩეული ეკონომიკური მაჩვენებლებით საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების შესაძლებლობა;

2. შერჩეულ ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის არსებული მხოლოდ ლოგიკური კავშირების საფუძველზე და საწარმოს შესაძლო ფინანსური მდგომარეობების გათვალისწინებით გაიანგარიშება თითოეული მაჩვენებლის და მაჩვენებლთა ერთობლიობის საიმედოობა/არა-საიმედოობის ალბათობა;
3. გაიანგარიშებული იქნეს თითოეული მაჩვენებლის და მაჩვენებლთა ერთობლიობის ხვედ-რითი წილი საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაში;
4. ხორციელდება თითოეული მაჩვენებლის და მაჩვენებლთა ერთობლიობის ხვედრითი წი-ლის ზემოქმედების მოდელირება საწარმოს მოსალოდნელ ფინანსურ მდგომარეობაზე;
5. მოდელირების საფუძველზე ნაჩვენებია საწარმოს ფინანსური განვითარების სტრატეგიები;
6. იანგარიშება საწარმოს ფინანსური არამდგარობის რისკი;
7. მოდელირების საფუძველზე შეირჩევა საწარმოს განვითარების ოპტიმალური ვარიანტი და ეს ვარიანტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საწარმოს ფინანსური მდგრადობის მონიტორინ-გის ჩასატარებლად;
8. ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე ფასდება საწარმოს ფინანსური მდგრადობა და ხორ-ციელდება საწარმოს გაკოტრების შეფასების პროგნოზი.
9. საწარმოს განვითარების არსებული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში ხორციელ-დება პროგნოზი მოსალოდნელი შედეგების შესახებ;
10. მოდელირება და შესაბამისად მოდელირების შედეგად გაკეთებული დასკვნებო გაკეთებულია 13 საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე.
11. საწარმოს ფინანსური მდგრადობისა და გაკოტრების პროგნოზის თეორიული საკითხების სწავლა და სწავლების შედეგად მიღებული ცოდნის გამოყენებით გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევების გამომუშავება ხორციელდება პროგრამირებული სწავლების მეთოდით შექმნილი ელექტრონული სახელმძღვანელოს საშუალებით. სახელმძღვანელო რეალიზებულია ვებსაიტში Kiber3S-ში. Kiber3S-ით ნასწავლი საკითხების სიღრმისეული ათვისება - თვითშემოწმება სწავლების პროცესში ათვისებული ან მათი ანალოგიური ამოცანების ამოხსნით ხორციელდება. აქ დახმარებით და რჩევით სარგებლობა შეუძლებელია. თვითშემოწმება Kiber3SE-თი ხორციელდება;
12. კვლევის, რეალურ საქმიანობაში FinSim გამოყენების აუცილებელი პირობაა მართვის სფე-როში დასაქმებული სპეციალისტის მიერ:
    - FinSim -ის მუშაობის პრინციპების გააზრება;
    - FinSim -ით მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია;
    - FinSim -ით მიღებული შედეგების დასაბუთება/უარყოფა.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. IMPACT OF BUSINESS SIZE ON INNOVATION PROCESS AND PRODUCTIVITY IN GEORGIA.

DAVIT SIKHARULIDZE, SHOTA SHABURISHVILI, LEILA KADAGISHVILI, TEA MUNJISHVILI, RUSUDAN MAISURADZE, KHATIA UDESIANI

Seybold Report, 18 vol. 2023

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. Digital Transformation in Education_Self-study System “Cyber3s”
Tea Munjishvili, Zviad Sigua, Teona Shugliashvili
Digital Management in Covid-19 Pandemic and Post-Pandemic Times: Proceedings of the International Scientific-Practical Conference (ISPC 2021)
Springer International Publishing 2023 ,
pp193-204
ანოტაცია. At the end of the twentieth century, revolutionary shifts in Information Technology changed the way in which old, practically approved knowledge could be assimilated, identified, and effectively solved. Digital transformations are one of its demonstrations. An integral part of digital learning is the intelligent computer systems of knowledge acquisition, control and assessment. The computer system for knowledge acquisition, control and assessment developed by us is a combination of Cyber 3 web applications: Cyber 3S (Kiber3S.tsu.ge), Cyber 3SE, Cyber 3 T, Cyber 3E, Cyber 3A. An effective way of using Cyber3 is achieved by the combined method - creative processes are mastered in the traditional way, and knowledge of the technique, problem-solving techniques and technology is mastered, identified and evaluated by a computer system. The purpose of "Cyber 3S" is to master the subjects provided in the curriculum independently, remotely in self-learning mode. Here the subject is taught by selecting the topics and certain tasks and tests by students. In Cyber3S it is possible to present a task/test with text, image and video. An integral part of the knowledge base of Cyber 3S is so-called “Reminder” as an assistance dealing with the task/test in the form of text or graphics or video or any combination of them, also, present the thematic assistance in the form of Pdf file as well as recommend advice when giving a wrong answer to a test. Cyber 3SE provides self-monitoring of issues mastered by Cyber 3S. It is a trial rehearsal for the exam. In Cyber 3SE as opposed to Cyber 3S: First - The self-examination trajectory changes according to the results of solving the assessment criteria selected by the student, in particular, if the assessment criterion is satisfied as a result of solving the given difficulty, the system automatically shifts the student to the next level of difficulty. Second - it is impossible for a student to stop self-examination at any time and solve problems according to the principle of difficulties as desired. Third - the teacher envisages obtaining a self-control protocol for conducting the debriefing.

*ასისტენტ-პროფესორი მზია ტიკიშვილი*
5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. **Nino Paresashvili, Nanuli Okruashvili, Dea Pirtskhalaishvili, Mzia Tikishvili**
**GENDER LABOR DISCRIMINATION IN THE HIGHER EDUCATION SYSTEM: A CASE OF GEORGIA**
**DOI https://doi.org/10.61954/2616-7107/2023.7.4-2**
**Economics. Ecology. Socium Vol. 7 No.4 2023, 15-26**
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
ნაშრომში განხილულია უმაღლესი განათლების სისტემაში გენდერული შრომის დისკრიმინაცია საქართველოს მაგალითზე.
სხვადასხვა სახის დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა თანამედროვე საზოგადოებაში, რის გამოც იგი მეცნიერებისა და კვლევის ინტერესის სფეროა. ქალთა ჩართულობის ზრდამ სამუშაო ძალაში გამოიწვია გენდერული დისკრიმინაციის უფრო მეტი შემთხვევა და ეს საკითხი წინა პლანზე წამოსწია. გენდერული

დისკრიმინაცია შეიძლება გამოვლინდეს დაქირავების, დაწინაურების, სამსახურში როლებისა და შესასრულებელი ფუნქციების განსაზღვრის დროს.
გენდერული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო და პოლიტიკური რეფორმების მიუხედავად, საქართველოს შრომის ბაზარზე გენდერული თანასწორობა მიუღწეველ მიზნად რჩება, ქალების მნიშვნელოვანი პროცენტი კვლავ განიცდის გენდერულ დისკრიმინაციას დასაქმების დროს. უმაღლეს განათლების სისტემაში შრომითი დისკრიმინაციის გენდერული ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა მამაკაცებსა და ქალებს შორის ძალაუფლების დისბალანსისა და უთანასწორობის წყაროების ახსნა. ნაშრომში გაანალიზებულია თუ როგორ აღიქვამენ ქალები და მამაკაცები შრომის ბაზარზე დისკრიმინაციით გამოწვეულ კონფლიქტებს და ასევე გამოავლინა ქალებსა და მამაკაცებს შორის ამ კონფლიქტების მოგვარების გზების აღქმა და ხედვა.
კვლევის შედეგებმა გამოავლინა როგორც ქალი, ასევე მამაკაცი რესპონდენტების შეხედულებები ორგანიზაციაში დისკრიმინაციის შედეგად გამოწვეული კონფლიქტების მართვაში მენეჯერების არასაკმარისი ჩართულობის შესახებ. მენეჯერებისთვის გადამწყვეტია, დროულად გამოავლინონ და გამოიკვლიონ ნებისმიერი კონფლიქტის ძირეული მიზეზები, რათა საპასუხოდ მოხდეს შესაბამისი ანტიდისკრიმინაციული ქმედებები. დისკრიმინაციით გამოწვეული კონფლიქტების მართვის პრევენციულ ზომებთან ერთად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მენეჯერის როლისა და ჩართულობის გაზრდა უკვე არსებული და ზოგჯერ გამძაფრებული კონფლიქტების მართვაში. თანამშრომლებს აქვთ დაბალი ინფორმირებულობა და გაგება საკუთარი უფლებების დაცვისა და ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების შესახებ, რის გამოც აუცილებელია თანამშრომლებისთვის ფართომასშტაბიანი ტრენინგის ორგანიზება არსებული საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ. უსამართლო კონტროლის სისტემა დისკრიმინაციისა და მისგან გამოწვეული კონფლიქტების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. სახელმწიფო დონეზე უნდა დაინერგოს დისკრიმინაციის მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.
7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. **1.**ფარესაშვილი ნინო, ოქრუაშვილი ნანული, ტიკიშვილი მზია, ფირცხალაიშვილი დეა, შრომითი დისკრიმინაცია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში და მისი შემცირების გზები, თსუ-ის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენიცია: ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, თბილისი, ნოემბერი, 2023.
**ანოტაცია.** დისკრიმინაცია წარმოადგენს თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემას, რომელსაც მკვეთრად გამოხატული დესტრუქციული ხასიათი გააჩნია საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, მათ შორის უმაღლესი განათლების სისტემაში. შრომითი დისკრიმინაცია უარყოფითად მოქმედებს პერსონალის ჯანმრთელობაზე, ფსიქო-ემოციურ მდგომარეობასა და პირად ცხოვრებაზე. აღნიშნული ნეგატიური ზემოქმედება განსაკუთრებული სიმწვავითა და მასშტაბურობით იჩენს თავს უმაღლესი განათლების სფეროში, სადაც დასაქმებული პერსონალის განწყობა, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა და ჯანმრთელობა უშუალოდ აისახება მათ მიერ გაწეული საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხზე და შესაბამისად, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მომსახურების კონკურენტუნარიანობაზე ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე.
სტატიაში გადმოცემულია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული შრომითი დისკრიმინაციის მასშტაბების, ფორმების, გამომწვევი მიზეზებისა და დისკრიმინაციის პრობლემატიკისამი უმაღლესი განათლების სფეროში დასაქმებულ პირთა დამოკიდებულების საკითხები. შრომითი დისკრიმინაციის შესწავლის მიზნით ჩატარებულმა

კვლევებმა ნათელი მოჰფინა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში არსებულ დისკრიმინაციის მავნე შედეგებს პირად და ორგანიზაციულ დონეზე, კერძოდ იმ გარემოებას, რომ ის მნიშვნელოვნად ამცირებს ნებისმიერი სასწავლო დაწესებულების მუშაობის ეფექტიანობას. კვლევის საფუძველზე, ავტორების მიერ შემუშავებულია ის კონკრეტული რეკომენდაციები, რომლის გატარებაც უზრუნველყოფს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებლებში არსებული შრომითი დისკრიმინაციის დონისა და მისი ნეგატიური შედეგების შეცირებას.

I 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება,

I. ლაბორატორია) დასახელება: ***ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტისკათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი იოსებ ხელაშვილი***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

***ასოცირებული პროფესორი ნანა კაციტაძე***

***ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია***

***ასოცირებული პროფესორი ვალერი არღუთაშვილი***

***ასოცირებული პროფესორი მამუკა ხუსკივაძე***

*პროფესორი იოსებ ხელაშვილი*

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. I.Khelashvili. Segment-Centric Geo-Competitive Environment of a Tourism Destination(A Case of Georgia). Journal of Tourism and Hospitality Management. (Pp. 19-30) Volume 11, Number 1, Jan.-Feb.2023. DavidPublishing Company located at 3 Germay Dr., Unit 4 #4651, Wilmington DE 19804, USA. (Serial Number 60). ISSN2328-2169; DOI:10.17265/2328-2169/2023.01.002. 2023. https://www.academia.edu/107771475/JTHM_2023_1_

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. სტატიის სათაურის ქართული ვერსიაა - „სეგმენტზე ორიენტირებული გეო-კონკურენტული გარემო“. იგი ეძღვნება კონკურენტული გარემოს განსაზღვრის ინოვაციურ კონცეფციას, რომლის აპრობირება განხორციელდა საქართველოს მაგალითზე. კონცეფციის არსი მდგომარებს განსხვავებული სეგმენტების პოზიციებიდან („სეგმენტზე ორიენტირებული“) საქართველოს, როგორც ტურისტული დესტინაციის, კონკურენტული პოზიციის შეფასებაში აღნიშული სეგმენტების პრიორიტეტულ დესტინაციბს შორის („გეო-კონკურენტული გარემო“). მეთოდოლოგია ითვალისწინებს: ა) უცხოელი ტურისტების სეგმენტაციას და სეგმენტებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობების განსაზღვრას, რაც ემსახურება სეგმენტაციის ვალიდობის დადასტურებას; ბ) თითოეული სეგმენტის პოზიციიდან ტურისტული მოგზაურობის პრიორიტეტული დესტინაციის (ქვეყნის) აღრიცხვას მათი პრიორიტეტულობის გათვალისწინებით (გეო-კონკურენტული გარემო) და გ) საქართველოს, როგორც ტურისტული დესტინაციის პრიორიტეტულობის შეფასებას გამოყოფილი სეგმენტების პრიორიტეტულ დესტინაციებს შორის. საქართველოს მაგალითზე განისაზღვრა 10

სეგმენტი, ხოლო კონკურენტულ დესტინაციად გამოვლინდა 41 ქვეყანა. გამოყოფილი სეგმენტების ინდივიდუალურად პრიორიტეტული დესტინაციების და მათი პრიორიტეტულობის ერთობლივი გათვალისწინებით, შეფასდა საქართველოს გეო-კონკურენტული პოზიცია. კერძოდ, საქართველოს პრიორიტეტულ კონკურენტებად მისი წამყვანი სეგმენტების პოზიციიდან, გამოვლინდნენ რუსეთი და თურქეთი. აღინიშნება, რომ წარმოდგენილი კონცეფცია და მისი გამოყენების მეთოდოლოგიური მოდელი შესაძლებელია გამოყემებულ იქნას სხვა დესტინაციების მიმართ და განსხვავებული სეგმენტაციით.

*ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია*

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის (გერმანია) კვლევითი სტიპენდია, DAAD (German Academic Exchange Service) 2023-2024, გერმანია**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მერაბ ხოხობაია

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1.საგრანტო პროექტის ფარგლებში ხორციელდება კვლევა უნივერსიტეტის და ინდუსტრიის თანამშრომლობის საკითხებზე (The Outcomes of University-industry Partnerships Through Transdisciplinary Approaches). რომელიც ფოკუსირდება ტრანსდისციპლინურ მიდგომებზე. კვლევის ფარგლებში ხორციელდება გერმანული და ქართული უნივერსიტეტების გამოცდილების შესწავლა.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Outcomes of University-industry Partnership Through Transdisciplinary Approaches, Giorgi Gaganidze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia Merab Khokhobaia, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia, 1ST INTERNATIONAL DISSEMINATION CONFERENCE ON 11-12 DECEMBER, 2023 AT ILIA STATE UNIVERSITY IN TBILISI, GEORGIA, 2023.

*სამეცნიერო კვლევითი ერთეულების*
*2023 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში*

1. *სამრეწველო პოლიტიკის კვლევის ცენტრი;*
2. *ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტი*

2. *მარკეტინგული კვლევის ცენტრი;*
3. *მიგრაციის კვლევის ცენტრი;*
4. *სტატისტიკის საკონსულტაციო და კვლევითი ლაბორატორია;*
5. *ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორია;*
6. *მდგრადი განვითარების კვლევითი ცენტრი.*

*სამრეწველო პოლიტიკის კვლევის ცენტრი*
*ცენტრი ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი*

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი -*,,ქალთა მეწარმეობა - ქალ სტუდენტთა გაძლირება სამეწარმეო კარიერისათვის“* ***(Female entrepreneurship – Empowering female students to pursue an entrepreneurial career)***

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. სამეწარმეო განათლება, გენდერული კვლევები. ს/კ Prep253 Georgia. უმაღლესი განათლების და კვლევის მიმართულებით ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის პროგრამის (APPEAR) დაფინანსებით. ავსტრია. 23.01.2023 – 31.08.2023

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფ. საბინე ბერგნერი, პროექტის კოორდინატორი, მკვლევარი, გრაცის უნივერსიტეტი, ავსტრია; ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი, კოორიდინატორი საქართველოს მხრიდან, მკვლევარი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი, მკვლევარი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2.

***დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1. **ანოტაცია:** პროექტი ეძღვნება საქართველოში ქალთა წინაშე არებული გამოწვევების შესწავლას სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისას. კვლევა ჩატარდა STAR მეთოდით ფოკუს ჯგუფებთან ინტერვიუს გზით. კვლევის პროცესისთვის კითხვარი შემუშვდა მეწარმეობის წამოწყების პოტენციალის დადგენის/შეფასების ტესტის საფუძველზე. კვლევის შედეგად გამოვლინდა სირთულეები, რომლებიც ხელს უშლიან ქალებს სამეწარმეო საქმიანობის არჩევასა

და სამეწარმეო კარიერულ წინსვლაში. კერძოდ, გამოიკვეთა ბიზნესის წამოწყებაზე მოქმედი შემდეგი **ინდივიდუალური** ფაქტორები: დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილი; მამაკაცებთან შედარებით ქალ-მეწარმეთა მეტი რისკიანობა და ემოციურობა, მოლაპარაკებების დროს მეტად ეფექტურობა; ტექნიკური და ლოგისტიკური პრობლემები.**სიტუაციურ ფაქტორებს** შორის გამოიკვეთა გენდერული სტერეოტიპი, რომლის თანახმადაც, თანამედროვე საზოგადოებაში ქალი არ განიხილება როგორც ლიდერი და მეწარმე. გამოვლინდა, რომ ქალებს მამაკაცებთან შედარებით აქვთ ნაკლები წვდომა ბიზნესის წამოსაწყებად საჭირო ფინანსებზე, ნაკლები ფინანსური უსაფრთხოება და უფრო ნაკლები მხარდაჭერა ოჯახისა და მეგობრებისგან ბიზნესის წამოწყებისას. გამოკითხვის შედეგებით დადგინდა **ბიზნეს იდეაზე გავლენის მქონე შემდეგი ფაქტორები**: ქალთა ნაკლები ეფექტურობა ბიზნესის წამოსაწყებად შესაძლებლობების იდენტიფიცირების კუთხით; დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე, რაც აიძულებთ წამოიწყონ მეწარმეობა; ბიზნესის დაწყების სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით ნაკლებად ინფორმირებულობა; ნაკლები ცოდნა პროდუქტის შეფუთვისა და ექსპორტირების პროცედურებზე; მეტი რისკი და ნაკლები უსაფრთხოება ქალთა ბიზნესებისთვის. ფოკუს ჯგუფში მონაწილეთა შეზღუდული რაოდენობიდან (გამოიკითხა 18 ქალი-მეწარმე) და თვისებრივი კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევის შედეგები არ არის რეპრეზენტატული, რადგან ვერ მოიცვა საქართველოს ყველა რეგიონი და ბიზნესის ყველა სექტორს. შესაბამისად, დაიგეგმა კვლევის ჩატარება ქალ-მეწარმეთა უფრო მეტი რაოდენობის ჩართულობით.

პროექტის ფარგლებში, კვლევის შედეგების საფუძველზე, ე. ლეკაშვილის და ი. ნაცვლიშვილის თანაავტორობით გამოქვეყნდა სამეცნიერო სტატია ,,ქალთა გამოწვევები სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისას საქართველოში“. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალში ,,ეკონომიკა და ბიზნესი“ (N3. 2023) https://eb.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge, ხოლო საერთაშორისო კონფერენციაზე SWS VIENNA ART International Scientific Conference on Social Sciences (ISCSS) დისტანციურად წარდგენილი იქნა მოხსენება CHALLENGES OF FEMALE START-UPS AND ENTREPRENEURSHIP (EVIDENCE FROM GEORGIA). ამასთან, მოსამზადებელი პროექტის ფარგლებში საკონკურსოდ მომზადდა და ამავე ფონდში წარდგენილი იქნა საპროექტო განაცხადი აკადემიური პარტნიორობის განვითარების ფარგლებში.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Eka Lekashvili & Revaz Gvelesiani. Analysis and Assessment of Industrial Policy in Georgia. MOAMBE. Georgian National Academy of Science.V.17, n. 2 (2023). Tbilisi. pp. 167-172

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Lekashvili Eka & Bitsadze Mariam, SCIENCE AND TECHNOLOGY PARK: EFFECTIVE MECHANISM TO TRANSFER KNOWLEDGE AND TECHNOLOGY BETWEEN SCIENCE AND BUSINESS SECTORS. International Scientific and Practical Internet Conference "BUSINESS STRATEGY: UKRAINIAN REALITIES AND CONVERGENCE WITH THE EU OPPORTUNITIES". 8 November, 2023.

2. Gvelesiani Revaz, Lekashvili Eka & Gaprindashvili Giorgi. CONTEMPORARY CHALLENGES OF INDUSTRIAL POLICY OF GEORGIA. II-ND INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE “STRATEGIC PLANNING AND MARKETING IN DIGITAL WORLD”. 23-25 November, 2023

3. Lekashvili, E., & Oboladze, D. Comparative analysis of the indicators of the Sustainable Development Goal 9 for Georgia, Estonia and Slovenia, (2023).16th Annual EMAB Conference. Business Transformation in Uncertain Global Environment. EuroMed Research Business Institute. 27-29.09.2023. Vilnius, Lithuania.pp.383 – 393. https://emrbi.org/euromed-press/clarivate-analytic

4. Lekashvili Eka & Natsvlishvili Ia. CHALLENGES OF FEMALE START-UPS AND ENTREPRENEURSHIP (EVIDENCE FROM GEORGIA). SWS VIENNA ART International Scientific Conference on Social Sciences (ISCSS). 28-30 NOV. 2023.

**დამატებით აქტივობა:**

სამრეწველო პოლიტიკის კვლევის ცენტრი წარმატებით ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას:

ა) დალასში ტეხასის უნივერსიტეტთან, აშშ (წარმომადგენელი პროფესორი ჯენიფერ ჰოლმსი);

ბ) გრაცის უნივერსიტეტთან, ავსტრია (წარმომდგენელი პროფესორი საბინე ბერგნერი);

გ) ერევანის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სომხეტი (წარმომადგენელი პროფესორი აშოტ ალექსანიანი;

დ) იტალიის საპიენზას უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ფაბიო საბატინი);

ე) უნგრეთის მისკოლცის ეკონომიკურ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი დანიელ კუტორი);

ვ) საფრანგეთის ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი (წარმომადგენელი ასოცირებული პროფესორი ფელიქს ვონ ნოსტიტზი);

ზ) პოლონეთის რჟეშოვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (წარმომადგენელი პროფესორი იაცეკ სტროინი);

თ) ბულგარეთის ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის უნივერსიტეტი ( წარმომადგენელი ემდ საბრინა კალინკოვა);

ი) სლოვენიის მარიბორის უნივერსიტეტი ( წარმომადგენელი ნუსა ბასლე);

კ) უკრაინის ვადიმ ჰაპმანის სახელობის უნივერსიტეტი (წარმომადგენელი ტატიანა სობოლევა);

ლ) ავსტრიის პარიზი-ლონდონი- ზალცბურგის უნივერსიტეტი (წარმომადგენელი კარატინა ჯიმი).

მ) უნივერსიტეტი პარიზი რვა (წარმომადგენელი ვაელ ბენ აბდალაჰ);

ნ) ბრატისლავას ეკონომიკურ უნივერსიტეტთან, სლოვაკეთი (პროფესორი მარინ ლაბეჰი).

*ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტი*

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით**

1. პროფესორი რევაზ გველესიანი - დირექტორი;
2. პროფესორი ვოლფგანგ ვენგი - თანადირექტორი;
3. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - დირექტორის მოადგილე;
4. ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი - დირექტორის მოადგილე;
5. ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი - წევრი;
6. ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი - წევრი;
7. ასოცირებული პროფესორი – გიორგი გაფრინდაშვილი.
8. ასოცირებული პროფესორი მარინე ნაცვალაძე - წევრი;
9. ასისტენტ პროფესორი – ლალი ხურცია;

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

**დამატებით აქტივობა:**

ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტი წარმატებით ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას:

ა) ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ვოლფგანგ ვენგი);

ბ) ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი გკუნტერ ფალთინი);

გ) პოტსდამის უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ანგელა მიკლეი);

დ) იტალიის საპიენზას უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ფაბიო საბატინი);

ე) უნგრეთის მისკოლცის ეკონომიკურ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი დანიელ კუტორი);

ვ) საფრანგეთის ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი (წარმომადგენელი ასოცირებული პროფესორი ფელიქს ვონ ნოსტიტზი);

ზ) პოლონეთის რჟეშოვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (წარმომადგენელი პროფესორი იაცეკ სტროინი);

თ) ბულგარეთის ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის უნივერსიტეტი ( წარმომადგენელი ემდ საბრინა კალინკოვა);

ი) სლოვენიის მარიბორის უნივერსიტეტი ( წარმომადგენელი ნუსა ბასლე);

ლ) ავსტრიის პარიზი-ლონდონი-ზალცბურგის უნივერსიტეტი (წარმომადგენელი კარატინა ჯიმი).

მ) უნივერსიტეტი პარიზი რვა (წარმომადგენელი ვაელ ბენ აბდალაჰ).

ინსიტუტის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მომზადდა და ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები დისტანციურ ფორმატში:

1. ინსტიტუტის წევრები საანაგარიშო წელს აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებსა და კონფერენციებში და მათი ნაშრომები გამოქვეყნდა

პრესტიჟულ საერთაშორისო ჟურნალებში, რაც დაფიქსირებულია მათ სამეცნიერო–კვლევით ანგარიშებში;

2. ინსტიტუტის ფარგლებში ეკონომიკური პოლიტიკის მოდულის მაგისტრანტებს პროფესორმა ვოლფგანგ ვენგმა გაუწია კონსულტაცია სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებით ზუმის პლატფორმის გამოყენებით (მარტი, 2023);
3. ინსტიტუტის ფარგლებში ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორმა გიუნტერ ფალტინმა კონსულტაცია გაუწია ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური დიპლომატიის მოდულის დოქტორანტებს სადისერტაციო ნაშრომებთან დაკავშირებით (თებერვალი, 2023);

*მარკეტინგული კვლევის ცენტრის ანგარიში*
*ცენტრი ხელმძღვანელი: პროფესორი ნუგზარ თოდუა*

მარკეტინგული კვლევის ცენტრში გაერთიანებული სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს ხელმძღვანელობენ მარკეტინგის კათედრის პროფესორები. მარკეტინგული კვლევის ცენტრის სახელით 2023 წელს ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების განხილვა. ცენტრის სახელით შესრულდა 19 სამეცნიერო თემა, რომლებიც ეხებოდა საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა კორონავირუსული პანდემიის პირობებში ქართველი მომხმარებლების ქცევის ცვლილების საკითხებზე.

*მიგრაციის კვლევის ცენტრი*
*ცენტრი ხელმძღვანელი: პროფესორი მირიან ტუხაშვილი*

- ცენტრის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობის დახმარებით ასოცირებულმა პროფესორმა მზია შელიამ მდიდარი საარქივო მასალის მოძიებით მიაკვლია ივანე ჯავახიშვილის მიერ ცხრაასიან წლებში შეგროვებული სასაწავლო ემიგრაციაში წასულ სტუდენტთა ანკეტური გამოკვლევის პირველად მასალას, რომლის დამუშავება ივ. ჯავახიშვილს ვერ მოუსწრია. აღმოჩნდა, რომ მასალა მოიცავს მეტად საყურადღებო მონაცემებს სასწავლო ემიგრაციის ისტორიული ასპექტით შესწავლის თაობაზე. მ. შელიამ დაამუშავა ეს ინფორმაცია და ნაწილობრივ გამოაქვეყნა; ამავე დროს მოამზადა მონოგრაფიული გამოკვლევა საქართველოს ისტორიის მთელ მანძილზე სასწავლო ემიგრაციის შესახებ.
- ცენტრის მუშაკებმა: მ. ლობჟანიძემ, მ. ციბაძემ მონაწილეობა მიიღეს იაპონიის ქალაქ ოსაკაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში, სადაც გამოაქვეყნეს მოხსენება ცხინვალის რეგიონის დემოგრაფიული და სოციალური განვითარების პრობლემებზე. ასევე საყურადღებოა დოქტორანტ მ. ციბაძისა და პროფესორ მირიან ტუხაშვილის ჩიკაგოში გამართულ სააერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა და მასალის გამოქვეყნება აფხაზეთისა დემოგრაფიული განვითარების საკითხზე. ცენტრში გრძელდება საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მიგრაციული და დემოგრაფიული პრობლემათა შესწავლა თვითმარქვია ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მასალის კრიტიკული შეფასება.
- ასოცირებულმა პროფესორმა ნათია ჭელიძემ, როგორც მომხსენებელმა და ფასილიტატორმა მონაწილეობა მიიღო XIII საერთაორისო ფორუმში „LED, მდგრადი

განვითარება: მწვანე, ჭკვიანი, ბიზნეს-მეგობრული“. მე-8 სესია „მიგრაციის გავლენა ადგილობრივ განვითარებისთვის“. ორგანიზატორები- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, EU, UNDP, M4EG და IOM. მან წაიკითხა მოხსენება თემაზე „ადგილობრივი ხელისუფლების როლი დაბრუნებულ მიგრანტთა მდგრად რეინტეგრაციაში", რაც ცენტრში მომზადდა.

- ცენტრის თანამშრომლებმა გ. ბუნტურმა და ც. ანთაძემ გამოსაქვეყნებლად მოამზადეს სამეცნიერო ნაშრომი "რეადმისია და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის დაჩქარების გზები საქართველოში".
- ცენტრის თანამშრომელმა მ. ცარციძემ ცნობილ ვებინარზე განსახილველად მოამზადა მნიშვნელოვანი გამოკვლევა „გლობალური გიგ ეკონომიკა", რომელიც ჩატარდა 2023 წლის 22 დეკემბერს. ვებინარამდე მოხსენება კრიტიკულად მდგრადი განვითარება: მწვანე, ჭკვიანი, ბიზნეს-მეგობრული“. მე-8 სესია იყო განხილული მიგრაციის კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ სათანადო შენიშვნებითა და რჩევებით.
- ასოცირებულმა პროფესორმა თამაზ ზუბიაშვილმა ცენტრში მოამზადა და საერთაშორისო კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება: „მიგრაციის სწავლების მეთოდიკის სრულყოფის საკითხები“
- ცენტრში მომზადდა და 2024 წლის პირველ კვარტალში გამოიცემა ჟურნალ „მიგრაციის“ მე-11 ნომერი. იგი გამოვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შესაბამისი სრულყოფილი ვებგვერდით.
- აღსანიშნავია, რომ ცენტრის თანამშრომელთა მიერ საანგარიშო წელს გამოქვეყნებულ ნაშრომთაგან 4 სტატია დაბეჭდილია მაღალრეიტინგულ, „სკოპუსში“ ინდექსირებულ ჟურნალებში
- ცენტრის თანამშრომელთა მიერ(თ. ზუბიაშვილი, მ. შელია, მ. ლობჟანიძე, მ. ტუხაშვილი, ც. ანთაძე)კონსულტაციები ჩაუტარდათ როგორც უცხოელ სპეციალისტებს, ისე მიგრაციის საკითხზე მომუშავე ათეულობით სტუდენტს (დოქტორანტებს, მაგისტრანტებს, ბაკალავრებს), დაიწერა რეცენზიები.

*სტატისტიკის საკონსულტაციო და კვლევითი ლაბორატორია*
*ცენტრი ხელმძღვანელი: პროფესორი სიმონ გელაშვილი*

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიისსათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **Lia Dzebisauri, Marine(Maia) Mindorashvili**. THE LATEST TRENDS IN GEORGIA'S BUSINESS REGISTER. Innovative Economics and Management, Vol. 10 No 2 (2023), https://doi.org/10.46361/2449-2604.10.2.2023.116-128, p. 116-128

*ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)*

**ლია ძებისაური, მარინე(მაია) მინდორაშვილი. საქართველოს ბიზნეს რეგისტრის უახლესი ტენდენციები**

სტატიაში განვიხილავთ საქართველოში არსებულ სტატისტიკურ ბიზნეს რეგისტრს (SBR), რომელიც ეკონომიკური სტატისტიკის საფუძველია. თანამედროვე ციფრული ეკონომიკის მოთხოვნების შესასრულებლად, SBR მუდმივ ძალისხმევას მოითხოვს პოტენციალის განვითარებისთვის. ეს არის კრიტიკული კომპონენტი ოფიციალური სტატისტიკის

გენერირებისთვის, რომელიც გვაწვდის მონაცემებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მისაღებად. მიმდინარე გლობალიზაციის პროცესის, განსაკუთრებით კი COVID-19 პანდემიის ფონზე, გაიზრდა მოთხოვნა მაღალი ხარისხის, საერთაშორისო დონეზე შესადარის SBR-სა და ეკონომიკურ სტატისტიკაზე. საქსტატის BR უნიკალურია იმით, რომ ის იძლევა ერთეულის საქმიანობის სტატუსის განსაზღვრის საშუალებას. თუმცა, მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი გამოწვევას წარმოადგენს სრულყოფილი SBR-ის შესაქმნელად, რაც ზრდის საერთაშორისოდ შესადარისი SBR-ის საჭიროებას პოსტპანდემიურ სამყაროში. ჩვენ ნაშრომში ხაზგასმულია SBR-ის მნიშვნელობა და გამოკვლეულია საქართველოში რეგისტრირებული და აქტიური ბიზნეს სუბიექტები სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით, როგორიცაა ეკონომიკური საქმიანობა, სამართლებრივი სტატუსი, ტერიტორიული განაწილება რეგიონების მიხედვით, ბიზნეს დემოგრაფიის მაჩვენებლები და აქტიური კომპანიების სტატისტიკური ტენდენციები პანდემიის წინა და პანდემიის პერიოდებში. ჩვენ ასევე განვსაზღვრეთ ის სფეროები, რომლებზეც პანდემიამ დამღუპველი გავლენა მოახდინა და რომელთა შემდგომი აღდგენა აუცილებელია საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის. SBR-ს, როგორც ეკონომიკური სტატისტიკის მთავარ საყრდენს, მუდმივად ესაჭიროება თანამედროვე ციფრული ეკონომიკის შესაძლებლობების განვითარებისკენ მიმართული საქმიანობა. რეგისტრი ინფორმაციის მიმწოდებელია, ის ცენტრალურ როლს თამაშობს ოფიციალური სტატისტიკის საქმიანობაში, როგორც სტატისტიკის წარმოების, ისე ხარისხის მიმართულებით. ჩვენი სტატია ეძღვნება სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის ინდიკატორების ხარისხის გაუმჯობესებას და მოდერნიზებას, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს მაღალი დონის ბიზნეს და მაკროეკონომიკური სტატისტიკის წარმოებას.

5.4. სტატიებიჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიისსათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომიISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემისადგილი, გამომცემლობა; გვერდებისრაოდენობა


1. Simon Gelashvili, Nino Abesadze, Marine Mindorashvili, Lia Dzebisauri. Contemporary Statistical trends of employment and wages in the business.
Abstracts Book. INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE OF ECONOMICS AND MANAGEMENT RESEARCHERS. Baku, (ISCEMR-2023) https://conferences.az/uploads/file/cf7d7-konfrans-xuelas-l-r-kitabi-2023.pdf p.154

2. Lia Dzebisauri, Simon Gelashvili, Marine Mindorashvili, Nino Abesadze. Business Register in Georgia and Modern Statistical Trends.
Abstracts Book. INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE OF ECONOMICS AND MANAGEMENT RESEARCHERS. Baku, (ISCEMR-2023) https://conferences.az/uploads/file/cf7d7-konfrans-xuelas-l-r-kitabi-2023.pdf p.332


*ვრცელია ანოტაცია (ქართულენაზე)*

1. **სიმონ გელაშვილი, ნინო აბესაძე, მარინე მინდორაშვილი, ლია ძებისაური. დასაქმებისა და ხელფასების თანამედროვე სტატისტიკური ტენდენციები ბიზნესში.**

ბიზნეს სექტორში დასაქმებისა და ხელფასების რაოდენობრივ ანალიზს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ყველა ქვეყანაში და გამონაკლისი არც საქართველოა. ამ სტატიაში წარმოდგენილია დასაქმებისა და ხელფასების სტატისტიკური ტენდენციები 2010-2022 წლებში. შესაბამისად, საანალიზო პერიოდისთვის გამოითვლება შესაბამისი ინდიკატორები და მოცემულია მათი ურთიერთშედარება სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ინდიკატორები ჰეტეროგენულია დროის, საკუთრების ფორმების, ბიზნეს სექტორებისა და საწარმოთა ზომების მიხედვით. 2021 წელს ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 1%-ით შემცირდა პანდემიამდელ 2019 წელთან შედარებით; როგორც გაირკვა, 2021 წელს ყველაზე მეტი ადამიანი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში და თევზის მეურნეობაში, ვაჭრობასა და ავტომობილების შეკეთებაში, ასევე მრეწველობაში; დასაქმებულთა ყველაზე მეტი რაოდენობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოებშია დასაქმებული, თუმცა დინამიურად იზრდება დასაქმებულთა რაოდენობა სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივებშიც.

სტატიაში მოცემულია ბიზნეს სექტორში დასაქმებისა და ხელფასების შედარებითი სტატისტიკური ანალიზი საწარმოების საკუთრების ფორმის, ზომისა და სამართლებრივი ფორმების მიხედვით. ინდიკატორები გამოითვლება დასაქმებულთა კატეგორიების მიხედვით. კვლევის პროცესში გამოიყენება სტატისტიკური მეცნიერების მრავალი მეთოდი, როგორიცაა: დაჯგუფება, მონაცემთა პრეზენტაცია, ფარდობითი და საშუალო მნიშვნელობები, დროის სერიები, ვარიაციული ანალიზი და ა.შ.

შეფასებულია თავისებურებები და არასტაბილური ტენდენციები დასაქმებისა და შრომის საშუალო ანაზღაურების მიმართულებით ცალკეულ ბიზნეს სექტორებში Covid-19-ის პანდემიამდე და მის დროს; განსაზღვრულია მაღალი და დაბალი დასაქმებისა და სახელფასო განაკვეთების მქონე სექტორები, მათ შორის განსხვავება.

2. **ლია ქებისაური, სიმონ გელაშვილი, მარინე მინდორაშვილი, ნინო აბესაძე. ბიზნეს რეგისტრი საქართველოში და თანამედროვე სტატისტიკური ტენდენციები.**

ნაშრომი აანალიზებს სტატისტიკურ ბიზნეს რეესტრს (SBR) საქართველოში. იმის გამო, რომ SBR არის ეკონომიკური სტატისტიკის ხერხემალი, მას სჭირდება მუდმივი შესაძლებლობების განვითარება თანამედროვე ციფრულ ეკონომიკაში. ის ცენტრალურ როლს თამაშობს ოფიციალური სტატისტიკის წარმოებაში, როგორც მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვანი წყარო. მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი, განსაკუთრებით COVID-19 პანდემიის დროს და შემდგომ პერიოდში, ზრდის მოთხოვნას მაღალი ხარისხის და შესადარებელი SBR და ეკონომიკური სტატისტიკის წარმოებაზე საერთაშორისო დონეზე. ამ მიზეზით, ნაშრომი აღწერს SBR-ის მნიშვნელობას და იკვლევს საქართველოში რეგისტრირებულ და აქტიურ ბიზნეს სუბიექტებს სხვადასხვა პარამეტრით: ეკონომიკური საქმიანობა, სამართლებრივი სტატუსი, ტერიტორიული განაწილება რეგიონების მიხედვით, ასევე, აქტიური კომპანიების სტატისტიკური ტენდენციები წინა და პანდემიის პერიოდში. ის გვიჩვენებს სფეროებს, სადაც Covid-19-ს ჰქონდა ყველაზე დიდი ნეგატიური გავლენა, რომელიც საჭიროებს შემდგომ აღდგენას საქართველოს ეკონომიკის მომავალი მდგრადი განვითარებისთვის.

7. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

7.1.საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლებიმოხსენებისსათაური;ფორუმისჩატარებისდროდაადგილი

1. **მარინე მინდორაშვილი, ლია ქებისაური. ბიზნეს სტატისტიკა პრეპანდემიურ და პოსტპანდემიურ პერიოდებში: საქართველო და ევროკავშირი.** ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია - მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია, 2023 წლის 6 თებერვალი (მოხსენება)

https://tsu.ge/assets/media/files/7/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%202023/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%20-%202023.pdf

*ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორიის ანგარიში*
*ცენტრი ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე*
*ასოცირებული პროფესორი ეკატერინე გულუა*

**7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში**
**7.3. სტატიები**
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით; გვერდების რაოდენობა

EKATERINE GULUA (2023). Research Results of Time Management Teaching Methods at the Undergraduate Level at TSU. International Journal of Teaching and Education, Vol. XI(1), pp. 31-46., DOI: 10.52950/TE.2023.11.1.003
ISSN 2336-2023 (online) Copyright © 2013-2020

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ნაშრომი ეძღვნება ბაკალავრიატის სტუდენტებში დროის მართვის ჩვევებისა და რეალობების კვლევას. ნაშრომში ასახულია სტუდენტებში დროის მართვის ჩვევების განვითარების მეთოდების დანერგვის შედეგები.

კვლევა ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა დ ბიზნესის ფაკულტეტის ადამიანური პოტენციალის მართვის ლაბორატორიის ეგიდით, ამავე უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურის თავისუფალი არჩევითი კურსის: ,,ლიდერობა-მართვის ხელოვნება“-ს ფარგლებში. ნაშრომი ეყრდნობა სტატიის ავტორის აღნიშნული საგანში შექმნილი საავტორო სალექციო კურსით განსაზღვრულ მეთოდოლოგიას.

ნაშრომში წარმოდგენილია დროის მართვის სწავლების 2 პრაქტიკული მეთოდი და მისი შედეგები:

1.სტუდენტთა დროის მართვის ჩვევების შეფასება ჰედონის ტესტის საშუალებით და შედეგები;

2.დროის ბიუჯეტის მართვის ჩვევების გამომუშავების მეთოდი რეალური დღის და კვირის შეფასებისა და კვირის სასურველი დროის ბიუჯეტის განსაზღვრის გზით.

**სხვა აქტივობები:**

**ლაბორატორიის ეგიდით განხორციელდა შემდეგი გარდამავალი კვლევები:**

1. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის დასაქმებული მაგისტრანტების სამუშაოში ჩართულების კვლევა საქართველოს მასშტაბით.
2. ადამიანური პოტენციალის მართვის ლაბორატორიის და ,,ეიჩარ-ჰაბის“ (HR Hub) თანამშრომლობით განხორციელდა კვლევა: საქართველოს ორგანიზაციებში ორგანიზაციული კულტურის მართვის პრაქტიკა.
3. ლაბორატორიის ეგიდით ხორციელდება აქტივობები სტუდენტთა კვლევითი უნარების გასაუმჯობესებლად და სტუდენტური პროექტები: ,,შემიძლია გავხადო სამყარო უკეთესი“.

*მდგრადი განვითარების კვლევითი ცენტრის ანგარიში*

*ცენტრი ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია*

კვლევითი ცენტრის შექმნის შემდეგ პერიოდში, რომელიც მოიცავს 6 თვეს, მდგრადი განვითარების კვლევით ცენტრში ჩატარდა ღონისძიებები:

- ასოცირებულმა პროფესორებმა ნაზირა კაკულიამ და მანანა ლობჟანიძემ მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის მირ დაფინანსებულ XIII ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ფორუმში (LED – Local Economic Development Forum)–მდგრადი განვითარება: მწვანე,ჭკვიანი, ბიზნეს-მეგობრული რეინტეგრაცია.(ორგანიზატორები ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, OECD, IOM, 30-31 მაისი, 2023);
- მგრადი განვითარების ცენტრში დამუშავებული კვლევა ახალგაზრდა მკვლევარმა თემურ თუთარაშვილმა წარადგინა ეკონომიკის,ბიზნესისა და მენეჯმენტის ახალი ტენდენციების მეხუთე საერთაშორისო კონფერენციაზე. სახელწოდებაა ***"ცირკულარული ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები განვითარებულ მსოფლიოსა და კავკასიაში***".პარიზი,საფრანგეთი;
- შედგა მოლაპარაკება ედინბურგის უნივერსიტეტიდან ონლაინ შეხვედრების სერიის განხორციელების თაობაზე, რომელიც მოიცავს 2024 წლის შემოდგომის პერიოდს, ცნობილ ბუნებათსარგებლობის მკვლევართან, გლაზგოს უნივერსიტეტის პროფესორ ნიკ ჰანლეისთან (Nick Hanley) თანამშრომლობის ფარგლებში. შეხვედრების მოდერატორი იქნებიან ასოცირებული პროფესორი მანან ლობჟანიძე და ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია;
- მაიკლ ლიუკენმა (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ცირკულარული ეკონომიკის მკვლევარი) ინგლისურ ენაზე ჩაატარა ტრენინგი ***ცირკულარული ეკონომიკის გამოწვევების და მისი გადაჭრის გზების შესახებ.*** შეხვედრის მეორე ნაწილი დაეთმო ვორქშოპსა და სიმულაციას,რომელიც სამაგიდო თამაშის დახმარებით ფიზიკურად აჩვენებს ცირკულარულლი ეკონომიკის მუშაობის მექანიზმსა და მის სირთულეებს. ( 29 მაისი, 2023. მონაწილეებს გადაეცა სერტიფიკატები);
- მდგრადი განვითარების კვლევითი ცენტრის კოორდინირებით „ალუმნი საუბრების სერიის“ ფარგლებში შეხვედრა გაიმართა მაკროეკონომიკის მოდულის წარმატებულ კურსდამთავრებულთან, ედინბურგის უნივერსიტეტის მეცნიერების მაგისტრთან (MSc) ილია ჯიმშელეიშვილთან. საჯარო ლექციის თემა გახლდათ- „მწვანე ეკონომიკის სწავლების გამოცდილება ედინბურგის უნივერსიტეტში“. (26 დეკემბერი, 2023);
- მდგრადი განვითარების კვლევით ცენტრში მომზადდა გიორგი ხუციშვილისა და ქრისტინე ბუზალაძის კვლევა - ***Concept of Blue Economy and Its Sctuality in Georgian Economical Reality –*** (ლურჯი ეკონომიკის კონცეფცია და მისი აქტუალურობა).კვლევა წარმატებით იქნა წარდგენილი საერთაშორისო კონფერენებციაზე ქ. ვენაში, ავსტრია (Vienna International Multidisciplinary Conference on Economics, Business, Technology and Social Sciences, 25-26 November, 2023).
- საერთაშორისო კონფერენციაზე( ფაკულტეტის დაფინანსებით) მონაწილეობა მივიღე საერთაშორისო კონფერენციაზე: - "***Circular Economy Development in Georgia - Challenges and Opportunities",*** Vienna International Multidisciplinary Conference on Economics, Business, Technology and Social Sciences, 25-26 November, 2023.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი

2023 წლის სამეცნიერო ანგარიში

ანგარიშის ფორმა №2
(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება** იურიდიული ფაკულტეტი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. „სამართლიანობის თანამედროვე თეორიები“, დასრულდება 2024 წელს.
2. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საგრანტო პროექტი: სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალიზაციის სამართლებრივი რეგულირება, 2022-2023 წწ.
3. „მომავალ თაობაში იურიდიული განათლების ხელშეწყობა სამართლებრივი სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და მისი ინსტიტუციური განვითარებისათვის“, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროექტი, დაწყების თარიღია 2022 წლის 03.03, დასრულების თარიღი 2023 წლის 31.03.
4. რომის სამართლის ძეგლები - იუსტინიანეს დიგესტები.
5. ძველი ქართული იურიდიული ტერმინოლოგია.
6. ქართული სამართლის ძეგლების თარგმანი უცხოურ ენებზე.
7. 2023 წლის საუნივერსიტეტო პროექტი – „არასრულწლოვანთა მიმართ პროცესის თავისებურებები“.
8. 2021 და 2022 წლის პროექტების (ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ეფექტური ფუნქციონირების სამართლებრივი გარანტიები; ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი).
9. „ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების კვლევა“, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამა №001-2023 – „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ინოვაციური სერვისების დანერგვის ხელშეწყობა, ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება და სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცება“, 2023-2024 წწ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ლაშა ბრეგვაძე (პროექტის ხელმძღვანელი)
2. ირაკლი ბურდული (ავტორი), გიორგი მახარობლიშვილი (ავტორი)
3. მაია ივანიძე (ხელმძღვანელი)
4. (ლათინური ენიდან თარგმანი, შესავალი წერილი, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი). შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო ნ. სურგულაძემ. ლექსიკონი

შეადგინეს ნ. სურგულაძემ და მ. შუხოშვილმა, საძიებლები შეადგინეს ნ. სურგულაძე, მ. ხოფერიამ და ა. წიგნაძემ. გამოცემის რედაქტორები: ნ. სურგულაძე (მთავარი რედაქტორი), დ. ბოსტოღანაშვილი და მ. გარიშვილი.

5. წიგნზე მუშაობდნენ: ნ. სურგულაძე, გ. დავითაშვილი, ე. ჩაჩანიძე, ს. ონიანი, მ. ხოფერია, ხოლო მცირე სჯულისკანონზე – ნ. სურგულაძე, გ. დავითაშვილი, მ. გარიშვილი და ა. წიგნაძე.

6. 1) ვახტანგის სამართლის წიგნის მეოთხე ნაწილი (თარგმანი ინგლისურ ენაზე). ვახტანგის სამართლის წიგნის ინგლისურ თარგმანზე მუშაობდნენ: ნ. სურგულაძე, მ. რუსეიშვილი, ქ. სურგულაძე, ა. წიგნაძე. 2) „ოპიზის სიგელი“ და 1170 წლის სიგელი მპარავთმძებნელის შესახებ (თარგმანი რუსულ ენაზე). თარგმანზე მუშაობდნენ მ. გარიშვილი, გ. დავითაშვილი, მ. ხოფერია.

7. ირინა აქუბარდია (ავტორი)

8. ირინა აქუბარდია (ავტორი)

9. ირმა ხარშილაძე (პროექტის ხელმძღვანელი), პაატა ტურავა (ექსპერტი), კობა ყალიჩავა (ექსპერტი)

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. პროექტის ფარგლებში მომზადდება სამართლიანობის 12 კონკრეტული თეორიის შესახებ წერილობითი და სალექციო მასალა. ამ მასალის ბაზაზე მაგისტრატურის კურსის სტუდენტებისთვის შემუშავებული იქნება სალექციო კურსი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები, თითოეული ლექციის ფარგლებში, განიხილავენ სამართლიანობის შესახებ უახლეს თეორიულ პერსპექტივებს.

2. რეფორმირებული სამეწარმეო კანონმდებლობის ანალიზი.

4. აღნიშნულ წიგნში განხილულია რომის სამართლის შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები: ნასყიდობის ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული სარჩელები (მთარგ. ნ. სურგულაძე, მ. შუხოშვილი); ქირავნობის ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული სარჩელები (მთარგ. გ. რუსიაშვილი); ნივთების გაცვლის შესახებ (მთარგ. მ. ხოფერია).

5. პროექტის მიზანია შესწავლილი იქნეს შუა საუკუნეებში შედგენილი ქართული სამართლის წიგნები და კანონთა კრებულები. თითოეული წყაროს შესწავლისას მოძიებულ იქნას ძეგლში მოცემული ყველა სამართლებრივი შინაარსის ტერმინი, დაფიქსირებულ და ამოწერილ იქნას მოცემულ წყაროში თითოეული იურიდიული ტერმინის ხმარების ყველა შემთხვევა და ამის შედეგად დადგინდეს და დაზუსტდეს ამ ტერმინთა მნიშვნელობა/მნიშვნელობები.

6. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ქართული სამართლის ძეგლების ინგლისურ ენაზე თარგმანს, რაც დაეხმარება უცხოელ მეცნიერებს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ძველი ქართული სამართლისა და კულტურის გაცნობასა და შესწავლაში.

7. 2023 წლის პროექტის ფარგლებში განხორციელებულ კვლევაში განხილულია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის, არასრულწლოვანი დაზარალებულის და არასრულწლოვანი მოწმის სამართლებრივი სტატუსი, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმეთა გამოძიების სპეციფიკა. ყურადღება გამახვილებულია სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმის,

განრიდება-მედიაციის არასრულწლოვნის მიმართ გამოყენების თავისებურებებზე და ამ კუთხით ხაზგასმულია კანონმდებლობაში არსებული შეუსაბამობები. გამოკვეთილია არასრულწლოვნის მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებთან(გამოკითხვა/დაკითხვა, ჩხრეკა და ა.შ.) დაკავშირებით ცალკეული პრობლემური საკითხები. აქცენტირებულია სასამართლო განხილვის ეტაპის თავისებურებები, იდენტიფიცირებულია სამართალწარმოების პროცესში არსებული გამოწვევები, განზოგადებულია საერთაშორისო სტანდარტები. კვლევა არ არის დასრულებული. აუცილებელია კვლევის გაგრძელება შედარებით-სამართლებრივ ჭრილში, შესაბამისად, არასრულწლოვანთა საქმეთა გამოძიების და სასამართლო განხილვის კუთხით უნდა გაანალიზდეს საზღვარგარეთის ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება. პრობლემას წარმოადგენს საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის შესწავლა, ვინაიდან არასრულწლოვნის საქმის განხილვა დახურულ სხდომაზე მიმდინარეობს და რაიონული (საქალაქო) სასამართლოები უარს ამბობენ განაჩენის ასლის გაცემაზე. პრაქტიკის შესწავლის გარეშე კი კვლევა არ იქნება სრულყოფილი. ამიტომ გრძელდება მუშაობა სხვა ალტერნატიული წყაროებიდან განაჩენის ასლების მოპოვების მიმართულებით. ასევე გრძელდება უცხოური ლიტერატურის დამუშავება. მთლიანობაში გრძელდება მუშაობა არასრულწლოვანთა მიმართ სამართალწარმოების თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებზე, კვლევის შევსებაზე, დახვეწასა და სრულყოფაზე.

8. პროექტების ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგები გაერთიანებულ იქნა და დაგეგმილია ერთ წიგნად (ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ქართული მოდელის თავისებურებები) გამოცემა. წიგნზე მუშაობა თითქმის დასრულებულია. ამჟამად, მიმდინარეობს ტექნიკური კუთხით დამუშავება, კორექტირება, რედაქტირება, გამოსაცემად მომზადება და 2024 წლის იანვარში იგეგმება გადაცემა გამომცემლობისთვის დასაბეჭდად. წიგნში განხილულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობის ისტორია საზღვარგარეთ და საქართველოში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსი, როლი და დანიშნულება, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა. ნაფიცი მსაჯულებისადმი წაყენებული მოთხოვნები, შეუთავსებლობის, ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის საპროცესო წესი, ნაფიც მსაჯულთა შერჩევა, გაანალიზებულია ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიის შედგენის, შერჩევის, დასაბუთებული და დაუსაბუთებელი აცილებების გამოყენების, ნაფიც მსაჯულთა ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობის ფორმირების პრობლემური საკითხები. აქცენტირებულია სხდომის თავმჯდომარის განმარტებები ნაფიც მსაჯულთა სასამართოსადმი, ნაფიც მსაჯულთა უფლება-მოვალეობები, მათი სოციალური დაცვის გარანტიები და უსაფრთხოების დაცვის თავისებურებები. განხილულია ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის არსი და სახეები, ვერდიქტის გამოტანის საპროცესო წესი, სასჯელის დანიშვნის სხდომის თავისებურებები. განსაკუთრებით გამოკვეთილია ვერდიქტის დაუსაბუთებლობის საკითხი, საერთაშორისო სტანდარტები, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების განსაკუთრებული წესი, ნაფიც მსაჯულთა „ნულიფიკაციის“ პრობლემა, ნაფიც მსაჯულთა ე. წ. „უუნარობა“, საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე და დამოკიდებულება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ, მედიის ზეგავლენა ნაფიც მსაჯულებზე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს

პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები. გაანალიზებულია საქართველოს სასამართლო პრაქტიკა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. გამოთქმულია წინადადებები და რეკომენდაციები კანონმდებლობის სრულყოფის და პრაქტიკის დახვეწის მიზნით.

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **პროექტის დასახელება:** „საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარი)“. **მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულება:** იურიდიული, სისხლის სამართალი. **პროექტის დაწყების და დამთავრების წლები:** 2021-2023. **შენიშვნა:** კომენტარი დაკაბადონდა თსუ გამომცემლობაში და მისი მოცულობა 300 გვერდამდეა. ამ ეტაპზე ნაშრომი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“.

2. **პროექტის დასახელება:** „პროსტიტუცია, როგორც სოციალურად ნეგატიური მოვლენა და პროსტიტუციის ცნების განსაზღვრების პრობლემა“. **მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულება:** იურიდიული, სისხლის სამართალი. **პროექტის დაწყების და დამთავრების წლები:** 2022-2023. **შენიშვნა:** ნაშრომზე მიმდინარეობს სამეცნიერო რედაქტირება და მზადდება დასაბეჭდად.

3. 2023 წელი - ადმინისტრაციული კანონმდებლობის რეფორმა/სასკ-ში და სზაკ-ში ცვლილებების პროექტის მომზადება (იუსტიციის სამინისტროს გრანტი).

4. „ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო“.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. კომენტარის ავტორებმა შეუასრულეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ქვემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა კომენტირება:

**ირაკლი დვალიძე,** სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი - სსკ-ის 177-ე მუხლის ძირითადი შემადგენლობა (ლ. ხარანაულთან ერთად), სსკ-ის 177-ე მუხლის დამამძიმებელი გარემოებანი, სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, სსკ-ის 179-ე მუხლის დამამძიმებელი გარემოებანი, სსკ-ის 179-ე მუხლის VI თავი (ლ. ხარანაულთან ერთად), სსკ-ის 180-ე მუხლი (გ. თუმანიშვილთან ერთად), სსკ-ის 182-ე, 185-ე, 186-ე, 187-ე (გ. თუმანიშვილთან ერთად მხოლოდ სსკ-ის 187-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ძირითადი შემადგენლობა), 188-ე, 189-ე და $189^1$ მუხლები. ამავდროულად **ირაკლი დვალიძე** არის კომენტარის **რედაქტორი**).

**ლევან ხარანაული**, სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - სსკ-ის 177-ე მუხლი (ძირითადი შემადგენლობა ი. დვალიძესთან ერთად. სსკ-ის 177-ე მუხლის დამამძიმებელი გარემოებების გარდა), სსკ-ის 178-ე მუხლი (ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ი. დვალიძესთან ერთად) და სსკ-ის 179-ე მუხლი (ამავე მუხლის VI ნაწილი ი. დვალიძესთან ერთად).

**გიორგი თუმანიშვილი,** LL.M. (Berlin) სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის

ასოცირებული პროფესორი - სსკ-ის 180-ე (ი. დვალიძესთან ერთად), 181-ე, $182^2$ და 183-ე, 187-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ძირითადი შემადგენლობა (ი. დვალიძესთან ერთად) მუხლები.

2. პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

**ირაკლი დვალიძე,** სამართლის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი (ძირითადი პერსონალი, რედაქტორი);

**ლევან ხარანაული,** სამართლის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (ძირითადი პერსონალი);

**გიორგი თუმანიშვილი,** სამართლის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (ძირითადი პერსონალი).

3. პაატა ტურავა (ხელმძღვანელი), კობა ყალიჩავა (ექსპერტი)

4. თამარ ღვამიჩავა (თანაავტორი)

*დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXV თავით გათვალისწინებული *საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების* კომენტარი დაწერილია დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემის მიხედვით. დღემდე არ არსებობდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შესახებ ალტერნატიული და სრულყოფილი სამეცნიერო კომენტარი. შესაბამისად, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს, მოსამართლეებს, ადვოკატებსა და სხვა პრაქტიკოს იურისტებს არ გააჩნიათ ალტერნატიულ სახელმძღვანელოზე მუშაობის შესაძლებლობა.

წინამდებარე კომენტარი, უპირველეს ყოვლისა, დიდ დახმარებას გაუწევს მოსამართლეებს, პროკურორებსა და სხვა პრაქტიკოს მუშაკებს ნორმაშეფარდებით საქმიანობაში. აღნიშნული კომენტარი ასევე განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, პროფესორებისა და იურისპრუდენციით დაინტერესებული სხვა მკვლევარებისთვის.

ზემოაღნიშნული მუხლების კომენტირებისას დამუშავდა სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა, კრიტიკულად იქნა განხილული მეცნიერთა მოსაზრებები და შესწავლილი იქნა სასამართლოს გადაწყვეტილებანი. დიდი შრომა იქნა გაწეული კომენტარის სამეცნიერო-შინაარსობრივ გამართულობასა და ავტორთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებში კოლიზიური შეხედულებების აღმოხვრაზე. ამასთან საკმაოდ დრო და ენერგია დაეთმო ტექსტის ენობრივ მხარეს, მის სტილისტურ და ტექნიკურ გამართულობას.

დასახელებული ნორმების დამუშავების პროცესში გამოყენებულია ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა, ასევე საკანონმდებლო, მათ შორის, სასამართლო პრაქტიკა. აღნიშნული ნორმების დახასიათება განხორციელდა დანაშაულის ზოგადი სისტემის მიხედვით, რა დროსაც დაწვრილებით გაანალიზდა მოცემული დანაშაულებში ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი. ნაშრომში ცალკე გამოიყო ზემოთ დასახელებული დანაშაულების გამოვლენის ფორმები და

გაანალიზებულია ნორმათა კონკურენციის საკითხები. მაგალითად, ქურდობა და ძარცვა გამიჯნულია სხვა მომიჯნავე დანაშაულებისგან, რა მიმართება არსებობს თაღლითობასა და მოტყუებით ქონებრივ დაზიანებას შორის და სხვ. კვლევის პროცესში მითვისებასა და გაფლანგვასთან დაკავშირებით (სსკ-ის 182-ე მუხლი) წარმოჩინდა მრავალი ხარვეზი, რომელიც გამოწვეულია დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობების არასწორი გააზრებით. რაც ყველაზე არსებითია, დეტალურად გაანალიზდა აღნიშნული დანაშაულების არამხოლოდ ძირითადი შემადგენლობანი, არამედ დამამძიმებელი გარემოებანი და დანაშაულთა კონკურენციის საკითხები. სსკ-ის 186-ე მუხლთან მიმართებით გამოითქვა მრავალი ახალი შეხედულება, რომელიც არ ფიქსირდება სამეცნიერო ლიტერატურაში. გაანალიზებულია პრედიკატული დანაშაულისა და დანაშაულში თანამონაწილეობის მიმართება აღნიშნულ დანაშაულთან.

აღნიშნული დანაშაულების კომენტირებისას მოძიებული შესაბამისი ქართული და უცხოური ლიტერატურა, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებები. 189-ე და 189[1] მუხლებში მოცემულ დანასაულთა კომენტირებისას გადმოცემულია ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების სფეროში არსებულ ტერმინთა განმარტება. გაანალიზებულია ეროვნული კანონმდებლობა. მაგალითად, საქართველოს 1999 წლის 22 ივნისის კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“; საქართველოს 1999 წლის 23 ივნისის კანონი „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“; საქართველოს 1999 წლის 5 თებერვლის „საქართველოს საპატენტო კანონი “; საქართველოს 1999 წლის 22 ივნისის კანონი „ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ“. საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი „დიზაინის შესახებ.“ ასევე გაანალიზდა საერთაშორისოსამართლებრივი აქტები: 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენცია (საქართველო შეუერთდა 1995 წლის 16 მაისს); შემსრულებლების, ფონოგრამის დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვის შესახებ რომის კონვენცია (საქართველო შეუერთდა 2004 წლის 14 აგვისტოს) და სხვ.

გარდა ამისა, განხილულ მუხლებში არის მეცნიერული დაკვირვების შედეგად ისეთი შეფასებები, რაც მეცნიერთა მიერ ამ მუხლების გარეშემო მანამდე ჩამოყალიბებულ მოსაზრებებთან არ მოდის შესაბამისობაში.

ნაშრომში ცალკე გამოიყო ზემოთ დასახელებული დანაშაულების გამოვლენის ფორმები და გაანალიზდა ნორმათა კონკურენციის საკითხები, სადაც აღნიშნული ნორმები გამიჯნულია სხვა მომიჯნავე დანაშაულებისგან. კომენტარებში მოტანილია პრაქტიკული მაგალითები და ხაზგასმულია მათთან დაკავშირებულ ცალკეულ პრობლემურ საკითხებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

მუხლების კომენტარებზე მუშაობის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული გერმანულ სისხლის სამართალის კანონმდებლობაში არსებული ანალოგიური ხასიათის დანაშაულის შემადგენლობებსა და გერმანულ (სხვადასხვა ინსტანციის) სასამართლო პრაქტიკაზე. აღნიშნული წყაროების შესწავლით გამოვლინდა მთელი რიგი აქტუალური პრობლემებისა და დაისახა მათი გადაჭრის გზები, რომლებიც არც ქართულენოვან ლიტერატურაში და არც სასამართლო

პრაქტიკაში ამ ეტაპზე არ მოიძიება. კვლევის პროცესში კრიტიკულადაა განხილული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებები აღნიშნული დანაშაულების კვალიფიკაციის ცალკეულ პრობლემურ საკითხებზე. წარმოჩინდა ის ხარვეზები, რაც ახასიათებს ქართულ იურიდიულ ლიტერატურას და დაისახა პრობლემის გადაჭრის ახლებური გზები.

2. კვლევის პროცესში ცალსახად არის წარმოდგენილი, რომ პროსტიტუცია სოციალურად ნეგატიური მოვლენაა. თავმოყრილად არის ჩამოყალიბდეს ის დებულებანი, რომელიც ხაზგასმით მიუთითებს პროსტიტუციის ნეგატიური ნიშნებით დაღდასმულობაზე:

1) პროსტიტუციას კავშირი აქვს სხვა დანაშაულებრივ ქმედებებთან. მაგალითად, ადამიანით ვაჭრობა, ძალადობითი დანაშაულები, ნარკოტიკული დანაშაულები, უკანონო მიგრაცია, სექსუალური ხასიათის დანაშაულები, შიდსის შეყრა და ა.შ.;

2) პროსტიტუციას კავშირი აქვს სხვა ნორმიდან გადახრილ ქცევებთან. მაგალითად, ლოთობა, ნარკომანია და ა.შ.

3) პროსტიტუციის გამოვლინების ნებისმიერი ფორმის განმახორციელებელი (მეძავი (სექს-მუშაკი), მაჭანკალი, პროსტიტუციის ხელშემწყობი) დროთა განმავლობაში ზნეობრივად უფრო და უფრო დეგრადირდება. პროსტიტუციის გამოვლინების ნებისმიერი ფორმის განმახორციელებელი ცდილობს სხვაც ჩაითრიოს ამ საქმიანობაში. პროსტიტუციით დაკავებული და პროსტიტუცისთან დაკავშირებული პირები თავს არიდებენ კანონიერ საქმიანობას. „სისტემატური, ყოველდღიური სექსუალური ურთიერთობა სხვადასხვა მამაკაცთან, ხშირად რამდენიმესთან დღეში, ისეთ გარყვნილების ატმოსფეროში, რომელიც დამამცირებელია ქალური ღირსებისა და თავმოყვარეობისთვის, აჩლუნგებს ჯანსაღ სოციალურ, ინტელექტუალურ და სულიერ მოთხოვნილებებს და ძალაუნებურად გარე სოციალური სამყაროს მიმართ იზოლაციაში აქცევს მათ.“;

4) სექსუალური მომსახურების გამწევი სისტემატური და პირთა განუსაზღვრელ წრესთან სქესობრივი კავშირის შედეგად იზიანებს ჯანმრთელობას. ჯანმრთაელობას ასევე ხელყოფს თვით პროსტიტუციასთან დაკავშირებული ცხოვრების წესიც. მაგალითად, ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობით მიღება, ნარკოტიკის და თამბაქოს მოხმარება, არანორმირებული ძილი და ა.შ.;

5) პროსტიტუცია საფრთხეს უქმნის, ხელყოფს ოჯახის სიმტკიცეს და ოჯახის წევრთა შორის პატივისცემას და სიმშვიდეს.

ამრიგად, პროსტიტუცია იმიტომ არის ნეგატიური მოვლენა, რომ იგი ხელყოფს პიროვნების ზნეობას, ჯანმრთელობას, ოჯახის სიმტკიცეს, დაკავშირებულია დევიანტურ და დანაშაულებრივ ქმედებებთან.

პროსტიტუციის, როგორც ნეგატიურ სოციალურ მოვლენაზე, დასკვნის შემდეგ, საინტერესოა, ნარკომანიის, პროსტიტუცის და სხვა ნორმიდან გადახრილი ქცევების ცნობილი მკვლევარის ანზორ გაბიანის ნაშრომიდან ციტატა იქნეს წარმოდგენილი, რომელიც ნათლად უსვამს ხაზს, რომ პროსტიტუცია და, მით უფრო, მეძავეობა (სექსმუშაკობა) არ არის სახარბიელო საქმიანობა: „იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომ საბოლოოდ არცერთი მეძავი, თავისი ერთფეროვანი და უაზრო ცხოვრებით არ არის და არც შეიძლება იყოს კმაყოფილი და, მით უმეტეს, ბედნიერი, ადასტურებს პასუხი შეკითხვაზე, გინდათ თუ არა, რომ თქვენმა ქალიშვილმა გაიაროს თქვენივე გზა. ამ

შეკითხვაზე დადებითი პასუხი გაგვცა 6,2%, უარყოფითი - 80,1%-მა და 13,7%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან.“

გამოიკვეთა, რომ პროსტიტუციის დეფინიცია ცივილიზებული ქვეყნების საკანონმდებლო სივრცეში მოცემული არ არის. ნაშრომში გარდა იმისა, რომ გაანალიზებულია პროსტიტუციის არსი, ასევე მოცემული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $172^3$ მუხლის (პროსტიტუცია), საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 253-ე (პროსტიტუციაში ჩაბმა) და 254-ე (პროსტიტუციის ხელშეწყობა) მუხლების კომენტარები.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $172^3$ მუხლით (პროსტიტუცია) გადაცდომად არის მიჩნეული პროსტიტუცია, თუმცა აღნიშნულ მუხლში მოცემული დისპოზიცია არ იძლევა პროსტიტუცის განსაზღვრებას, რაც სამართალშემფარდელს კონკრეტული ქმედების გადაცდომად კვალიფიკაციისას დიდ სირთულეს უქმნის.

კანონიერების პრინციპის განუხრელი დაცვისთვის, ზოჯერ აუცილებელი ხდება ამა თუ იმ ტერმინის საკანონმდებლო განსაზღვრება. თვით ტერმინი პროსტიტუცია მომდინარეობს ლათინური ზმნისგან „prostatuere“, გასაყიდად წარდგენას ნიშნავს. თეორიულ დონეზე პროსტიტუციის უცილობელ ნიშნებად მიიჩნევა სექსუალური მომსახურების განხორციელება საზღაურის სანაცვლოდ, სისტემატურად, პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ და ა.შ. მიუხედავად იმას, რომ პროსტიტუციის განსაზღვრების პრობლემა საკამოდ ხანდაზმულია და მრავალი აზრი არის გამოთქმული, პროსტიტუცის გარკვეული ნიშნების შესახებ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. მაგალითად, რომელი სქესის წარმომადგენილია სექსუალური მომსახურების გამწევი, ვინ არის ამგვარი მომსახურების კლიენტი, რას გულისხმობს სქესობრივი მომსახურება, ანაზღაურება ყოველთვის ქმნის თუ არა პროსტიტუციას (მაგალითად, ცოლ-ქმარს შორის) და ა.შ.

ნაშრომში მოცემულია პროსტიტუციის ნიშნების დახასიათება და პროსტიტუციის განმარტებისთვის აუცილებელი ნიშნების დახასიათება, ხოლო კვალობაზე პროსტიტუციის დასჯადობის ფარგლების დადგენა.

პროსტიტუციის არსის გასარკვევად იურიდიულ ლირატურაში დასმულია რიგი შეკითხვებისა, რაზეც პასუხის გაცემა ერთობ რთულია. მაგალითად, *მ. რუსაკოვა* სვამს შემდეგ შეკითხვებს: „ითვლება ადამიანი მეძავად, რომელსაც საკუთარი სხეულის ვინმესთვის სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით გაყიდვის გამოცდილება გააჩნია, ან მეძავად იქცევა ათი თუ ასი ამგვარი შემთხვევის შემდეგ? სად არის ზღვარი პროსტიტუციასა და სექსუალური ურთიერთობების სხვა ფორმებს შორის? ითვლება პროსტიტუციად სექსუალური ურთიერთობების ნებისმიერი ფორმა, თუ არსებობს სხვა რაიმე სპეციფიურობა?“

პროსტიტუციაზე საუბრისას, თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინების „მეძავის“, „სექსმუშაკის“, „პროსტიტუციით დაკავებულის“ ზუსტი არსის და მისი გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს. მაგალითად, ერთ-ერთი ავტორი ამ ტერმინების შესახებ მიუთითებს: „სექს-სამუშაოს“ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ტერმინ „მეძავთან“ შედარებით, რადგან ეს უკანასკნელი როგორც „აღწერს, ისე განსჯის“ ადამიანს. („მეძავის“ პირველად მნიშვნელობას სქესობრივი კონოტაცია გააჩნია, რადგან ისტორიულად მასში მოიზრება ის ქალი, ვინც ფულის სანაცვლოდ ან

მის გარეშე სქესობრივ მომსახურებას ყოველგვარი არჩევანის გარეშე ხორციელებს... დღესდღეობით ტერმინი „მეძავი“ აერთიანებს როგორც სამუშაოს, ისე პიროვნებას. ქალი, რომელიც ყიდის სექსს ფულზე, ტიპურად სხვა პირადაც გვევლინებას. კერძოდ, ის არის, ვინმეს შვილი, დედა, სპორტსმენი, მოსიკოსი და ა.შ.).“ ამ მოსაზრებიდან ავტორი კვლევისას იყენებს ტერმინს „სექსმუშაკი“, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც „მეძავის“ გამოყენება აუცილებელია იურიდიული ან ისტორიული სიზუსტისთვის. სწორედ ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე ავტორი ნაშრომში მიუთითებს, რომ „ტერმინი „პროსტიტუცია“ და „სქესმუშაკი“ გამოყენებული იქნება სქესობრივი მომსახრების ფულის სანაცვლო გაწევისას, ხოლო „სექსინდუსტრიის მუშაკი“ აღნიშნავს სქესობრივ მომსახურების ფართო სპეტრს, რომელიც ასევე მოიცავს პორნოგრაფიას, სატელეფონო და ინტერნეტით სქესობრივ მომსახურებას.“

ტერმინების მიმართ ამგვარი მიდგომა მისაღებია მხოლოდ მაშინ, თუკი გათვალისწინებული იქნება კონკრეტული ქვეყნის ისტორიული, კულტურილი და სამართლებრივი მდგომარეობა. მაგალითად, თუ ქვეყანაში სექსმომსახურება ლეგალიზებული არ არის, არ უნდა იყოს მიზანშეწონილი ტერმინ „სექსმუშაკის“ გამოყენება იმის მიმართ, ვინც სქესობრივ მომსახურებას ახორციელებს, რადგან ამგვარი საქმიანობა არ არის კანონიერი და ვერც ის პირი იქნება „მუშაკი“, ვინც ამგვარ არალეგალურ საქმიანოაბს ახორციელებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მსგავსი ტერმინის გამოყენება ისეთ ელფერს შეიძენს, თითქოს სქესობრივი მომსახურება შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში ხორციელდება.

პროსტიტუცია, ყველაზე ზოგადი განმარტების მიხედვით, გულისხმობს სქესობრივი მომსახურების გაწევას ფულის ან სხვა ფინანსური საზღაურის სანაცვლოდ, რომელიც ამერიკის ყველა შტატში დასჯადია, გარდა ნევადა შტატის ზოგიერთი ოლქისა, სადაც მისი პრაქტიკული განხორციელება მკაცრად რეგულირდება. სხვაგვარი ქმედებები, როგორიცაა, სქესობრივი მომსახურება სატელეფონო კავშირით, სრეპტიზი, ეროტიკული ცეკვები და არასრულწლოვანთა პორნოგრაფია, მთლიანობაში აკრძალული არ არის, თუმცა ამერიკის შეერთებული შტატების უმეტესობაში მკაცრად რეგულირდება.

„დეფინიციაში შეცდომას იწვევს განსაზღვრებისადმი მეტისმეტად ფართო ან ვიწრო მიდგომა, განსაზღვრების დადგენა იმის საფუძველზე, რაც თვითონ ექვემდებარება განსაზღვარას, ანდა ცნების შინაარსის გარკვევის ნაცვლად, მის მოცულობაზე ყურადღების გამახვილება.“ ეს დებულება დაზუსტებას მოითხოვს, რადგან თავისთავად ცნების შინაარსობრივ ნიშნებზე დაკვირვება იძლევა იმის საშუალებას, რომ დავადგინოთ დეფინიციის მოცულობა ფართოა თუ ვიწრო.

ერთმანეთისგან მკვეთარად უნდა გაიმიჯნოს პროსტიტუციის განმახორციელებელი სექსმუშაკისგან (მეძავისგან). პროსტიტუციის განმახორციელებლი შეიძლება იყოს:

1) ის, ვინც სექსუალურ მომსახურებას ახორციელებს;

2) ის, ვინც სექსუალურ მომსახურებას იღებს;

3) ორივე ზემოაღნიშნული პირი;

4) ის, ვინც განზრახ ხელს უწყობს სექსუალურ მომსახურებას.

კანონმდებელმა, მის წინაშე მდგარე ამოცანებიდან გამომდინარე, უნდა გადაწყვიტოს, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩამოთვლილ პირთა მიერ განხორციელებული ქცევებიდან, რომელი მიიჩნიოს დასჯადად. პროსტიტუციის სამართლებრივი

რეგულირების პრობლემატიკაში, სწორედ ეს არის ერთ-ერთი რთული გადასაწყვეტი, თუ სად უნდა ჩაერიოს სახელმწიფო. ეს საკითხი არ არის სტატიკური, რამეთუ საზოგადოებრივი კულტურის ცვლილებასთან ერთად, ბუნებრივია, უნდა შეიცვალოს სახელმწიფოს მიდგომაც.

სექსუალური მომსახურების მრავალი ფორმა არსებობს, რომელთაგან ზოგიერთი მათგანი კამათს არ იწვევს, ხოლო ნაწილი - აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. საკითხის მოსაზგვარებლად უმჯობესია კანონმდებელმა გააკეთოს განმარტება თუ რა უნდა ჩითვალოს სექსუალურ მომსახურებად. წინააღმდეგ შემთხვევაში სექსუალური მომსახურების ინტერპრეტირება გამოიწვევს ნორმის არაერთგვაროვან გამოყენებას. მაგალითად, ადამიანით ვაჭრობის, გენოციდის, წამების შესახებ მეცნიერებაში მრავალი შეხედულება გამოთქმული და ამ საკითხის შესახებ სამეცნიერო დისკუსიები არასდროს შეჩერდება. ამის გამო არ არის გამართლებული, რომ კანონმდებელი დაელოდოს მეცნიერებაში კონსესუსის მიღწევას და შემდეგ მიიღოს კონკრეტული ნორმა. სწორედ ამიტომ, კანონმდებელმა ორიენტირად უნდა აიღოს ის ყველაზე ოპტიმალური მოსარება პროსტიტუციის შესახებ, რომელიც პრაქტიკაში შედეგს გამოიღებს, როგორც პრევენციის, ისე რეპრესიის კუთხით.

სექსუალური მომსახურება, ყოველთვის დაკავშირებული უნდა იყოს ორ ადამიანს შორის სხეულებრივ შეხებასთან. სექსუალურ მომსახურებად უნდა ჩაითვალოს არამხოლოდ სექსუალური ხასიათის პენეტრაცია, არამედ სხვა ნებისმიერი ხასიათის ხასითის სექსუალური მოქმედება, რაც პირთა შორის ფიზიკურ შეხებას იწვევს. ასევე არ უნდა ჩაითვალოს ორ ადამიანს შორის შორის სექსუალური მოქმედება, რომელიც მიმართულია მესამე პირის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, ა-მ გადაიხადა ფული, რათა დაქირავებულ ბ-ს და გ-ს მის თვალწინ სქესობრივი კავშირი დაემყარებინა. შესაბამისად, სექსუალური მომსახურებად არ უნდა ჩაითვალოს სიტყვიერი ხასიათის სქესობრივი ჟინის დამაკმაყოფილებელი ქცევები. არ შეიძლება სექსუალურ მომსახურებად ჩაითვალოს, მაგალითად, სატელეფონო კავშირით სექსუალურ თემებზე საუბარი, ცხოველის გაქირავება, მასთან სქესობრივი კავშირის დასამყარებლად, სექსუალური მოთხოვნილების აღმძვრელი ცეკვა („სტეპტიზი“).

მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურაში პროსტიტუციის ნიშნები მკვეთრად არის აღწერილი, პროსტიტუციისა და ე.წ. მსუბუქი ყოფაქცევის გამიჯვნა პრაქტიკაში პრობლემურია. „არც თუ იშვიათად მეძავი სქესობრივ კავშირს ამყარებს მატერიალური ფასეულობის ნატურალური ფორმით (ტანსაცმელი, სამკაული, ძვირფასი კოსმეტიკა, პარფიუმერია და ა.შ.) მიღების მიზნით.“ მომსახურებისთვის ამგვარი საზღაური რთულია გაიმიჯნოს იმ საჩუქრებისგან, რომელსაც არამეძავი ქალი იღებს სქესობრივი კავშირისთვის პარტნიორისგან.

ლიტერატურაში გაზიარებულია სხვა ავტორთა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, პროსტიტუციისა და ე.წ. ქარაფშუტული ცხოვრების წესის მიხედვით სქესობრივი კავშირის ს უმთავრესი განმასხვავებელი ნიშნები არის სისტემატურობა და ანაზღაურებაზე წინასწარი შეთანხმება.

ის ქალები, რომლებიც მამაკაცთან სქესობრივ კავშირს ანგარებით არ ამყარებენ, ან საყვარელ მამაკაცთან სქესობრივ კავშირს ამყარებენ თუნდაც მატერიალური გამორჩენის გამო, არ შეიძლება ჩაითვალონ მეძავეებად.

სექსმუშაკი (მეძავი, სექსუალური მომსახურების განმახორციელებელი) შეიძლება იყოს ორივე სქესის წარმომადგენელი. რაც შეეხება საკითხს, როგორ უნდა გაიმიჯნოს პროსტიტუციით დაკავებული პირი იმ პირისგან, ვინც სქესობრივ მომსახურებას ანგარებით ახორციელებს, მაგრამ მოკლებულია მისი ქცევა პროსტიტუციისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. ამის შესახებ დასკვნა მას შემდეგ უნდა გაკეთდეს, რაც გაანალიზებული იქნება პროსტიტუციის ნიშნები.

სექსუალური მომსახურების მიმღები შეიძლება იყოს როგორც მამაკაცი, ისე ქალი. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს იმას სექსუალური მომსახურება მომდინარეობს მამაკაცის მხრიდან, თუ ქალის მხრიდან. მართებულად უნდა ჩაითვალოს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, „კლიენტი შეიძლება იყოს არამხოლოდ მეძავის საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, არამედ იმავე სქესის პირიც, რომელიც თვით მეძავია, ე.ი. ორივე სქესის პირი."

განსჯის საგანი უნდა გახდეს შემდეგი: სექსუალური მომსახურების მიმღები (კლიენტი) უნდა დაექვემდებაროს თუ არა სამართლებრივ სანციებს (სასჯელი, სახდელი). ასევე უნდა გადაწყდეს: – სექსუალური მომსახურების ყიდვა ყველა შემთხვევაში უნდა იწვევდეს სახელმწიფოს მხრიდან რეაგირებას თუ დანაშაულის (გადაცდომის) ობიექტურ შემადგენლობაში რომელიმე ნიშნით უნდა შეიზღუდოს დასჯადობა. მაგალითად, ხერხი, დრო, ვითარება.

პროსტიტუციის განარტებისას ყველაზე რთული საკითხია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს პროსტიტუცია და იმ ადამიანის საქმიანობა, რომელიც სექსუალურ მომსახურებას ერთ ადამიანთან დროის ხანგრძლივ პერიოდში ახორციელებს. ძალიან სპეკულაციურია იმაზე მსჯელობა თუ რა დროის ხანგრძლივობა უნდა იყოს სახეზე იმისთვის, რომ ქმედება პროსტიტუციად არ ჩაითვალოს. მაგალითად, ადამიანი ერთი წლის განმავლობაში ერთ ადამიანთან ახორციელებს სქესობრივ კავშირს, ხოლო ერთი წლის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში – სხვა პარტნიორთან.

სისტემატურობა მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებელით არ უნდა განისაზღვროს. აუცილებელია, რომ სექსუალური ხასიათის მომსახურება შეთავაზებული იყოს წინასწარ განუსაზღვრელ კლიენტთა მიმართ. თუკი ქმედება პიროვნების სქესობრივი თავისუფლების ფარგლებში კონკრეტულ ინდივიდთან ხდება, რომელსაც **პირდაპირ** საფუძვლად მატერიალური გასამრჯელო არ უდევს საფუძვლად, ქმედება პროსტიტუციად არ უნდა შეფასდეს. სხვა სიტყვებით, რომ ითქვას, თუკი სექსუალურ მომსახურებას მოტივაციის ფაქტორად მატერიალური მოთხოვნილება უდევს, რომელიც არ არის უმთავრესი მოთხოვნილება, მაშინ ქმედების პროსტიტუციად კვალიფიკაცია უნდა გამოირიცხოს. მაგალითად, ა. ბ-სთან იმიტომ ამყარებს სქესობრივ კავშირს, რომ მისგან ფუფუნებში ცხოვრებას მოელის.

პროსტიტუციის მიზნებისთვის **სისტემატურობა** უნდა განისაზღვროს არა შედეგის, არამედ მიზნის მიხედვით. კერძოდ, შესაძლებელია, სექსუალური მომსახურება პირმა ერთხელ განახორციელოს, მაგრამ თუკი დადგინდება, რომ მისი განზრახვა მიმართული პროსტიტუციის მინიმუმ სამგზის განხორციელებისკენ, ქმედება პროსტიტუციად აუნდა შეფასდეს.

*სისტემატურობის, როგორც პროსტიტუციის იმანენტური ნიშნის, განსაზღვრის რაიმე ჯადოსნური ფორმულა არ არსებობს. შესაბამისად, კანონმდებელის ფორმალურ ნებაზე უნდა იყოს დამოკიდებული დაადგინოს თუ რა არის სისტემატურობა.*

პროსტიტუცია ყოველთვის ხორციელდება პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ. განუსაზღვრელი არ უნდა გავიგოთ ყოველგვარი შერჩევითობისაგან დაცლილ ტერმინად. შესაძლებელია, სელექცია რაიმე კრიტერიუმს ემყარებოდეს. მაგალითად, ქონებრივი, ასაკობრივი ან თანადებობრივი, სქესი, მომსახურების ადგილი და ა.შ.
„ლორდი ტეილორი სი ჯეი მაკფარლეინის საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნავდა, რომ პროსტიტუციის „საკვანძო თავისებურებაა" ის, რომ სქესობრივი მომსახურება ფულის სანაცვლოდ ხორციელდება."
პროფესიონალი სექსმუშაკის (მეძავის) საქმიანობა, რომელიც კლიენტისთვის სექსუალური მომსახურების გაწევაში გამოიხატება, ყოველთვის **სასყიდლიანია.** მოთხოვნილების, როგორც მოტივის ერთ-ერთი ფაქტორის, განყენებულად შეფასება მოტივის ანგარებითად შეფასების საფუძველი ვერ იქნება. მოტივი სოციალურ-სამართლებრივ ჭრილში მხოლოდ მაშინ იქნება ანგარებითი, თუკი მატერიალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება უკანონო ან უზნეო საშუალებით ხორციელდება. სწორედ ამიტომ არის, რომ პროსტიტუციის მოტივიც ანგარებითია. წინააღმდეგ შემთხვევაში სექსმუშაკის საქმიანობა იქნებოდა მატერიალურ მოთხოვნილებაზე დამყარებული, მაგრამ არა ანგარებითი. პრაქტიკულად შეუძლებელია იმის დასაბუთება, რომ პროსტიტუცია მატერიალური მოთხოვნილების გარეშე ხორციელდება. თუკი სექსუალური მომსახურება ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ხორციელდება, ეს არ უნდა ჩაითვალოს პროსტუტიციად.
პროსტიტუციის სასყიდლიანობა, უმთავრესად, გულისხმობს სექსუალურ მომსახურებას ფულადი საზღაურის საფუძველზე. ფულის გარდა, ანაზღაურება შეიძლება იყოს ნებისმიერი სხვა სახის ქონება. მნიშვნელობა არა აქვს ქონება სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებულია თუ არა. ასე რომ, პროსტიტუციისას „ანაზღაურება შეიძლება როგორც ფულით, ისე სხვა მატერიალური ფორმით (რაიმე საგანი, კვების პროდუქტი, სპირტინი სასმელი). ანაზღაურების გადაცემის მომენტს (მომსახურებამდე ან ამის შემდეგ) მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ შეთანხმება ანაზღარებაზე მომსახურების დაწყებამდე მოხდეს. ანაზღაურების გადაცემის გზაც არა გადამწყვეტიასევე შიძლება იყოს სხვადასხვაგვარი: უშუალოდ სექსუალური მომსახურების გამწევ პირს გადაეცემა, გადაცემა მოხდება შუამავლის მეშვეობით და ა.შ."
ანალოგიურ მოსაზრებას ავითარებს გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოც, რომლის მიხედვითაც, დანაშაულის შემადგენლობისთვის მნიშვნელოვანია, რომ სექსუალური მოქმედებები ხორციელდებოდეს ანაზღაურების სანაცვლოდ, ანუ სექსმუშაკის მიერ გაწეული მომსახურება უნდა იყოს სასყიდლიანი, რომლის თაობაზეც დანაშაულის ამსრულებელი ინფორმირებული უნდა იყოს. მომსახურების ანაზღაურება შეიძლება მოხდეს, როგორც ფულით და სხვა მატერიალური ფასეულობის მქონე საგნებით, ისე მაგალითად ნარკოტიკული ნივთიერების, სამოგზაურო საგზურის, კონცერტის ბილეთების და ა.შ. გადაცემის ფორმითაც.
სექსუალური ხასიათის მოქმედებები მაშინაც არის სასყიდლიანი, თუკი გაწეული მომსახურებისთვის გადახდილი თანხა არა თავად სექსმუშაკს, არამედ მესამე პირს (მაგალითად, შუამავალს) გადაეცა. ასევე კვალიფიკაციისთვის უმნიშვნელოა, პირმა სექსმუშაკის მომსახურებისთვის თანხა რეალურად გადაიხადა თუ არა. სექსუალური

მომსახურების სასყიდლიანობა სექსმუშაკის მზაობისთვის განმსაზღვრელ მოტივს უნდა წარმოადგენდეს, რათა მან განახორციელოს სექსუალური მოქმედებები ან ითმინოს ასეთი. ამიტომაც საჭიროა, რომ ანაზღაურების შესახებ შეთანხმებას ყველაზე გვიან სექსუალური კონტაქტის დროს მაინც ჰქონდეს ადგილი და სექსუალური ხასიათის მოქმედებების განხორციელების შემდეგ მომსახურების ანაზღაურების მოთხოვნის წაყენება მხედველობაში არ მიიღება.

მაშასადამე, პროსტიტუციის ფარგლებში სექსმუშაკის (მეძავის) მიერ განხორციელებული სექსუალური მომსახურება ყოველთვის შეთავაზებულია საჯაროდ, იგი არის სისტემატური და სასყიდლიანი, ხოლო ამ საქმიანობის შესახებ შეთანხმება ყოველთვის უნდა განხორციელდეს სექსუალური მომსახურების დაწყებამდე.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ პროსტიტუციის დეფინიცია საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში მოცემული არ არის. კანონიერების პრინციპის განუხრელი დაცვისთვის, ზოჯერ აუცილებელი ხდება ამა თუ იმ ტერმინის საკანონმდებლო განსაზღვრება. თვით ტერმინი პროსტიტუცია მომდინარეობს ლათინური ზმნისგან „prostatuere“, რაც გასაყიდად წარდგენას ნიშნავს. ტერმინი „პროსტიტუცია“ საკმაოდ სადავოა როგორც უცხოურ იურიდიულ, ისე ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში, ხოლო პრაქტიკაში ქმნის კვალიფიკაციის პრობლემას ნორმის განუსაზღვრელობის გამო.

პროსტიტუციის უცილობელ ნიშნებად *მიიჩნევა ვაჭრობა, საჯაროობა, სისტემატურობა, სქესობრივი მომსახურება*. ამის მიუხედავად, იურიდიულ ლიტერატურაში პროსტიტუციის გარკვეული ნიშნების შესახებ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. მაგალითად, რომელი სქესის წარმომადგენილია პროსტიტუციის ამსრულებელი, ვინ არის პროსტიტუციის კლიენტი, სქესობრივი მომსახურება რას გულისხმობს, ანაზღაურება ყოველთვის ქმნის თუ არა პროსტიტუციას (მაგალითად, ცოლ-ქმარს შორის) და ა.შ. „პროსტიტუცია მიეკუთვნება ნეგატიურ, მართლსაწინააღმდეგო სოციალურ მოვლენათა რიცხვს, რომელიც უძველესი დროიდან არსებობს. ის სოციუმის საზოგადოებრივი, ეკონომიკური, მორალური საფუძვლების დეფორმირების პროდუქტია, რომელსაც ზნეობის დაცემამდე მივყავართ და დამღუპველად აისახება ოჯახურ ურთიერთობებსა თუ მოზარდი თაობის აღზრდაზე. არც თუ იშვითად პროსტიტუციას თან ახლავს სხვა სოციალურად ნეგატიური (ფონური) მოვლენები და თავად წარმოშობს სხვა საშიში შედეგებს: ვენერიულ დაავადებებს, შიდს, ალკოჰოლიზმს, ნაკომანას, სუიციდს და ა.შ.“

კვლევის პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ პროსტიტუცია სოციალურად ნეგატიური მოვლენაა. „ნეგატიური სოციალური შედეგები გამოიხატება იმაში, რომ პროსტიტუცია უარყოფს უმანკოებას, უანგარო სიყვარულს, ხელს უწყობს ეროვნული კულტურის დეგრადაციას, განათლების, შრომისა და შრომითი შემოსავლის პრესტიჟის დაცემას. პროსტიტუცია ძირს უთხრის საზოგადოების ზნეობრივ სიმყარეს, ანგრევს ოჯახის ინსტიტუტს.“

„ნეგატიური სამედიცინო შედეგების თვალსაზრისით, არსებობს სქესობრივი გზით გადამდები ვენერიული და სხვა დაავადებანი. პირი, რომელიც თავს ფულზე ყიდის, გარკვეულწილად, არად აგდებს პირად ჰიგიენას და ავადდება აღნიშნული დაავადებებით.“

„პროსტიტუციის და მისი დანაშაულთან კავშირის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი იყო იტალიელი კრიმინოლოგი ჩეზარე ლომბროზო. პროსტიტუციას ის განიხილავს როგორც ზნეობრივი ჭკუასუსტობის („ზნეობრივი იდიოტიის“) ერთ-ერთ ფორმად, რომელიც ქალთა პროსტიტუციის საფუძვლებშია მოცემული.“

კაცობრიობის ისტორიისთვის ცნობილია მთელი რიგი კულტურული ფენომენებისა, რომლებიც ბევრი რამით პროსტიტუციასთან ახლოს მყოფ ტაძრების რიტუალებთან ან სტუმარ-მასპინძლობის ჩვეულებებთნ იყო დაკავშირებული. ზოგიერთი კულტურისთვის დამახასითებელი რელიგიური რიტუალები, მაგალითად, ფინიკიური, შუმერული და ბაბილონური, სირიული, ინდური, უკავშირდებოდა პროსტიტუციის შესაბამის გაგებას სექსუალური მოქმედებებით. ამგვარი რიტუალების საფუძვლებში ჩადებული იდეა საწყისი ძალის შესახებ, რაც პერსონიფიცირებული იყო დედა ღმერთში და დედამიწაზე ისინი ქალის ხორცშესახმით იყო მოვლენილი და როგორც ჩანს, წარმოიშვა ნეოლითურ ერაში. ამ როლში მათ გარკვეული პერიოდულობით უნდა შეესრულებინათ წმინდა სექსუალური მოვალეობები ტაძარში (მამაკაცის აღორძინება). სტუმარ-მასპინძლობის ჩვეულების მიხედვით, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ევროპის, აზიისა და აფრიკის მრავალ ხალხში, სტუმარს სახლში ყველაზე უკეთესის უფლება ჰქონდა - საუკეთესო საჭმელი, საკეთესო ადგილი ძილისთვის, საუკეთესო. ამასთან, სექსუალური ურთიერთობების დასახელებული შემთხვევები შეიძლება დასაჩუქრებულიყო, რასაც ზოგიერთი მკვლევარი განიხილავს პროსტიტუციის ადრინდელ სახეობებად - „ტაძრის“ და „სტუმარ-მასპინძლობის.

ისტორიულად პროსტიტუციის სოციალური კონტროლის სამი ძირითადი მოდელი ჩამოყალიბდა:

1) „პროჰიბიციონიზმის პოლიტიკას საკუთარი საფუძვლები როგორც სექსუალური მომსახურების გაყიდვის, ისე სექსუალური მომსახურების კრიმინალიზაციაში (ან დელივერიზაციაში - ადმინისტრაციული რეგულირების შემთხვევაში) გააჩნია. შესაბამისად, აქ კონტროლის ძირითად მექანიზმებად გვევლინება პროსტიტუციით დაკავებული ან/და სექსუალური მომსახურების მომხმარებელი პირის სამართლებრივი (სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციულსამართლებრივი) დევნა. ნებისმიერ შემთხვევაში, პროჰიბიციონიოსტული პოლიტიკის კონტროლისთვის მძლავრი სამართალდამცავი აპარატი არის საჭირო.“

2) „რეგლამენტაციის პოლიტიკის ძირითადი კომპონენტი პროსტიტუციის სამართლებრივი რეგულირებაა. ძირითადი იდეა, რომელიც რეგლამენტაციის პოლიტიკიდან გამომდინარეობს, არის ის, რომ პროსტიტუცია საოციალური ცხოვრების თავიდანვე მოცემული და აღმოუფხვრელი მოვლენაა, თუმცა იგი სოციუმისთვის მისაღებ ჩარჩოებში უნდა არსებობდეს. სარეგლამენტაციო პოლიტიკის მთავარი მიზანი არის არა პროსტიტუციის ლიკვიდაცია, არამედ მისი თანმხლები „რისკების“ კონტროლი, რომელთაც მიუკუთვნება სქესობრივი გზებით გადამდები ინფექციები, ალკოჰოლის და ნარკოტიკის მოხმარება, სუტენიორთა და ორგანიზატორთა დანაშაულებრივი ქცევა, ძალადობა ან აღვირახსნილობა და ა.შ. ამრიგად, სახელმწიფო აღიარებს პროსტიტუციის არსებობას და ზნეობრივად სანქციას ადებს საზოგადოების წევრთა სხვადასხვა ფორმით (მეძავი, კლიენტი, ორგანიზატორი) მონაწილეობას. რეგლამენტაციის პოლიტიკის პრატიკული

„გამოსავალი“ არის სპეციალიზებული სოციალური ინსტიტუტების მეშვეობით პროსტიტუციის „ლეგალური“ ფორმების ორგანიზაცია და სახელმწიფო მხარდაჭერა, რასაც შედეგად მისი ნორმალიზება მოსდევს. რეგლამენტაციის პოლიტიკის კლასიკური მაგალითია სამედიცინო-საპოლიციო ზედამხედველობის სისტემა, რომელიც არსებობდა ევროპაში, მათ შორის რუსეთში, XIX–XX საუკუნეებში. “

3) „აბოლიციონიზმის პოლიტიკა ამოდის იმ დებულებიდან, რომ პროსტიტუციით საქმიანობა არის ადამიანის ინდივიდუალური, პირადი არჩევანი და სახელმიწფოს არა აქვს უფლება წინ აღუდგეს ან აკონტროლის ის საკუთარი ისნტიტუტებით. ისევე როგორც კლიენტთა კრიმინალიზაციის პოლიტიკა, აბოლიზიონიზმი დღესდღეობით ფემინისტური მოქმრაობის ფაქტიური მიღწევაა. პროსტიტუციის სფეროში აბოლიციონიზმის პოლიტიკა რეალიზებულია დიდ ბრიტანეთში, ნიდერლანდებში, ახალ ზელანდიაში.“

ყველას კარგად ესმით პროსტიტუციის მნიშვნელობა, ყველამ იცის ვინ არიან სექსმუშაკები. ამის მიუხედავად, „პროსტიტუციის“ ცნება საკანონმდებლო დონეზე არ არის მოცემული (იგულისხმება რუსეთი. ხაგასმა ჩემია - ი.დ.). მეცნიერები გამოთქვამენ სხვადასხვა მოსაზრებებს, სადაც განვითარებულია სხვადასხვა მსჯელობანი და დამოკიდებულება პროსტიტუციასთან. ავტროთა მიერ სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილ განსაზღვრებათა სიმრავლის მიუხედავად, პროსტიტუციის ზუსტი ცნების ჩამოყალიბება, რთული და შრომატევადია საქმეა.

პროსტიტუცია არის პირის (როგორც ქალის, ისე კაცის) სისტემატური, ხელობის სახით განხორციელებული საქმიანობა, რომელიც მიმართლია მატერიალური გამორჩენის მისაღებად და ხორციელდება საკუთარი სექსუალური მომსახურების გაწევით, რაც იწვევს ნეგატიურ სამედიცინო და სოციალურ შედეგებს.

*ე. კურილოვა პროსტიტუციის განსაზღვრების წარმოდგენის შემდეგ განმარტავს თითოელ ნიშანს. მისი აზრით,* „სისტემატურობა არის იმ პირის მიერ პროსტიტუციით საქმიანობა რეგულარულად (ორზე მეტჯერ), მუდვივად, ქორწინების გარეშე საქმიანობა, რომელიც საკუთარ სექსუალურ მომსახურებას წარადგენს.“ „საქმიანობა ხელობის სახით მაშინ გვაქვს სახეზე, თუკი საკუთარი სექსუალური მომსახურების გაწევა საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს, ხოლო აქედან მიღებული შემოსავალი არის არსებობის ძირითადი ან არსებითი დამატებითი წყარო.“ „მატერიალური გამორჩენის მიღება არის ანაზღაურებაზე წინასწარი შეთანხმება. მეძავის მიერ მიღებული ანაზღაურება, ჩვეულებისამებრ (და არა ყოველთვის), ფულადი ფორმით არის წარმოდგენილი.“

იურიდიულ ლიტერატურაში პროსტიტუციით დაკავებული არასრულწლოვნების სექსუალური ექსპლუატაციის შემდეგ ფაქტორებია ჩამოთვლილი:

1) კულტუროლოგიური;

2) ეკონომიკური (ოჯახის დაბალი შემოსავალი, უმუშევრობა, სახელმწიფოსგან სოციალური დახმარების უქონლობა);

3) მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის გართობის შესაბამისი სფერო;

4) ზნეობრივი (სქესობრივ-ზნეობრივი აღზრდის ნაკლულობა არასრულწლოვნებს უბიძგებს ნაადრევი სქესობრივი ცხოვრებისკენ);

5) ოჯახური (ოჯახის წევრების ბოროტად იყენებენ სპირტიან სასმელებს და ნარკოტიკებს, მშობლებს შორის სისტემატური კონფიქტი. მშობლები აიძულებენ

არასრულწლოვან შვილებს პროსტიტუციით დამატებითი შემოსავალი შემოიტანონ ოჯახში);
6) სამედიცინო (ეს ფაქტორი მჭიდროდ არის დაკავშირებული ოჯახურ ფაქტორთან და დაკავირებულია მშობლების ალკოჰოლიზმით და ნარკომანიით გამოწვეულ ფსიქიკურ და ფიზიკურ დარღვევებთან. არასრულწლოვნები ხშირად ბაძავენ მშობლებს);
7) ლატენტურობა (მსხვერპლთა უმრავლესობას სხვადასხვა ფაქტორების გამო არ შეუძლია ობიექტურად შეაფასოს სექსუალური ძალადობისას საკუთარი მსხვერპლად ყოფნა და ეშინია ამგვარი ძალადობის გახმაურება. ამას ემატება სამართალდამცავი ორგანოების მიმართ სხვადასხვა გარემოებების გამო უნდობლობა და სხვ.);
8) ვიქტიმურობა (სექსუალური მომსახურებით დაკავებულ არასრულწლოვანთა შიში იმათ მიმართ ვიზეც მუშაობენ, პრაქტიკულად არასრულწლოვნის მიერ პროსტიტუციით საქმიანობაზე უარის თქმა შეუძლებელია, რადგან ამგვარი საქმიანობა ორგანიზებული დანაშაულობის ფორმას ატარებს და სხვ.).
„*ვ.მ. ბრუნერი* და *ა.ი. ელისტრატოვი* პროსტიტუციად მიიჩნევდნენ საკუთარი სხეულით, როგორც სქესობრივი ინსტინქტის დაკმაყოფილების ობიექტით, ვაჭრობად. ამასთან, მიანიშნებდენენ, რომ პროსტიტუციის ცნებაში აუცილებელია გამოიკვთოს მისი ისეთი ნიშნები, როგორიცაა ქალის სხეულის აშკარა ნასყიდობა, ქალის სქესობრივი კავშირის არჩევანის არარსებობდა და მასთან ამგვარი კავშირის ხელმისაწვდომობა ნებისმიერი მსურველისთვის მატერიალური საზღაურის საფუძველზე.“
*ა.პ. დიაჩენკოს* და *ნ.ა. ავერინის* მოსაზრებით, პროსტიტუცია არის „მატერიალური სარგებლის მისაღებად მიმართული ქმედება, რომელიც ხორციელდება ხელობის სახით სქესობრივი კავშირის დამყარების გზით“, რა დროსაც „საზღაურის გამო სისტემატური (ხელობის სახით) სქესობრივი კავშირი ემსახურება არჩეული (დაქვემდებარებული) ცხოვრების წესს, როგორც ძირითადი ან არსებითი დამატებითი საშუალების წყარო; პროსტიტუცია „ანაზღაურების სანაცვლოდ კლიენტთა სექსუალური მოთხოვნილებების პროფესიონალური დაკმაყოფილებაა.“
ყველა მკვლევარი პროსტიტუციის ცნების აუცილებელ ნიშნად მიიჩნევს ანაზღაურებას. ამასთან, ავტორების მიერ პროსტიტუციის ცნებაში ხაზგასმულია შემდეგი ნიშნები: საზღაურის სანაცვლოდ შემთხვევითი ქორწინების გარეშე სქესობრივი კავშირი (ს. აკოლინსკი); პირადი სიმპათიის გარეშე არაერთგზის განხორციელებული საზღაურიანი სქესობრივი კავშირის სხვადასხვა პარტნიორთან (ს. ულიცკი); საკუთარი სხეულის შედარებით რეგულარული გაყიდვა ან სექსუალური მომსახურება (პროფესიონალურ დონეზე სხვადასხვა პირსთვის მათი სქესის მიუხედავად, რა დროსაც მსგავსი საქმიანობა ძირითადი ან დამატებითი შემოსავლის წყაროა (ა.ა. სტანსკაია); სქესობრივი კავშირი ყველასთან ანაზღაურების სანაცვლოდ და ინდივიდუალური ფულადი საზღაურის (ან საჩუქრის ან რაიმე უპირატესობის) გამო (ი. ბლოხი).
მართებულია მოსაზრება, რომ მეცნიერთა „ნაწილი იყენებს ისეთ მიუღებელ ტერმინოლოგიას როგორიცაა „სხეულით ვაჭრობა“, რადგან სხეულით ვაჭრობაში იგულისხმება (და ასეც უნდა იყოს), უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სხეულის ორგანოების, მისი ნაწილების ან ქსოვილის გაყიდვა ტრანსპლანტაციისთვის. ასევე

უნდა აღინიშნოს, რომ გამოთქმა „საკუთარი სხეულის გაყიდვა“ - მხოლოდ ლიტერატურული ხერხია და მეცნიერებისთვის მიუღებულია.“

მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურაში პროსტიტუციის ნიშნები მკვეთრად არის აღწერილი, პროსტიტუციისა და ე.წ. მსუბუქი ყოფაქცევის გამიჯვნა პრაქტიკაში პრობლემურია. „არც თუ იშვიათად მეძავი სქესობრივ კავშირს ამყარებს მაერიალური ფასეულობის ნატურალური ფორმით (ტანსაცმელი, სამკაული, ძვირფასი კოსმეტიკა, პარფიუმერია და ა.შ.) მიღების მიზნით.“ მომსახურებისთვის ამგვარი საზღაური რთულია გაიმიჯნოს იმ საჩუქრებისგან, რომელსაც არამეძავი ქალი იღებს სქესობრივი კავშირისთვის პარტნიორისგან.

ლიტრატურაში გაზიარებულია სხვა ავტორთა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, პროსტიტუცისა და ე.წ. ქარაფშუტული ცხოვრების წესის მიხედვით სქესობრივი კავშირის უმთავრეის განმასხვავებელი ნიშნები არის სისტემატურობა და ანაზღაურებაზე წინსწარი შეთანხმება.

მართებულად უნდა ჩაითვალოს იმ მეცნიერთა მოსაზრება, რომლებიც მიიჩნევენ, რომ პროსტიტუციის ცნებაში პარტნიორთა შორის ემოციური დამოკიდებულების ინდიფერენტულობა გამოყენებული არ უნდა იყოს, ვინაიდან მსგავსი მოსაზრების საფუძველზე ნებისმიერი ქორწინება, რომელიც მატერიალურ გათვლებზე დამყარებული პროსტიტუციად უნდა ჩაითვალოს.

პროსტიტუციის „ანაზღაურება შეიძლება როგორც ფულით, ისე სხვა მატერიალური ფორმით (რაიმე საგანი, კვების პროდუქტი, სპირტინი სასმელი). ანაზღაურების გადაცემის მომენტს (მომსახურებამდე ან ამის შემდეგ) მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა მნიშვნელოვანია მომსახურების დაწყებამდე უნდა მოხდეს შეთანხმება ანაზღარებაზე. ანაზღაურების გადაცემის გზა არ არის გადამწყვეტი: უშუალოდ სექსუალური მომსახურების გამწევ პირს გადაეცემა, გადაცემა მოხდება შუამავლის მეშვეობით და ა.შ.“

დაბოლოს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს კვლევა შემდეგი კუთხით: - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $143^1$ (ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), 253-ე (პროსტიტუციაში ჩაბმა), 254-ე (პროსტიტუციის ხელშეწყობა) და 408-ე (დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ) მუხლები შეიცავს ტერმინ პროსტიტუციას; პროსტიტუციის დასჯადობა მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $172^3$ მუხლში, თუმცა პრაქტიკაში აღნიშნული მუხლის მოქმედება არაეფექტურია. შესაბამისად, აუცილებელია, დადგენდეს პროსტიტუციის გამოვლინების ცალკეული ფორმების თავისებურებანი და ისე ხარვეზები, რაც არსებობს პროსტიტუციის, როგორც ნეგატიური სოციალური მოვლენის, დასჯადობისა და პრევენციის კუთხით.

3. მომზადდა სზაკ-ში და სასკ-ში ცვლილების კონცეფცია, მომზადდა ცვლილებათა პაკეტი და გამოქვეყნდა ერთი სამეცნიერო სტატია ჟურნალ იუსტიციაში.

4. 2023 წლის სამეცნიერო საგრანტო პროექტის ფარგლებში, რომელიც ერთწლიან პერიოდს მოიცავდა შემუშავდა ახალი „ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო“. სახელმძღვანელოს შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს: პროფ. მაია კოპალეიშვილმა; პროფ. ირმა ხარშილაძემ; პროფ. პაატა ტურავამ; ასოცირებულმა პროფ. კობა ყალიჩავამ; ასოცირებულმა პროფ. ხათუნა ლორიამ; ასოცირებულმა

პროფესორმა თამარ გვარამაძემ; ასისტენტ-პროფესორმა თამარ ღვამიჩავამ. სახელმძღვანელო გამოქვეყნდება 2024 წელს.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალის“ (http://lawjournal.ge/) რედაქტორობა, 2019-დან.

2. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ლექსიკონი, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ), პროქტის დაწყება- ნოემბერი 2021.
3. „ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი“ (DGStZ), საერთაშორისო სამართლებრივი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ). პროქტის დაწყება- ოქტომბერი 2015.
4. „საერთაშორისო სისხლის სამართლის როლი საქართველოში - თანამედროვე სამართლებრივი გამოწვევები და სამართლებრივი ასპექტები“ (გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის პროექტის მე-3 ნაწილი) http://cac-project.org/ სისხლის სამართლის მიმართულება პროექტის ორგანიზატორი და დამფინანსებელი: ფოლკსვაგენის სამეცნიერო ფონდი, გერმანია პროექტის განხორციელების ადგილი: თბილისი, საქართველო / ჰააგა, ნიდერლანდები / ბილეფელდი, იენა, ბერლინი, კიოლნი, გერმანია 2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები 2020-2024 წწ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. მთავარი რედაქტორები: გიორგი რუსიაშვილი, ოლაფ მუთჰორსტი, ლადო სირდაძე, სამუშაო ჯგუფი: სოფო ზარანდია, ტილმან სუტორი
2. მაკა ხოდელი - ერთ-ერთი ავტორი
3. თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი ანრი ოხანაშვილი, ჟურნალის მთავარი რედაქტორი -Schriftleiter. პროექტს გერმანული მხრიდან კოორდინაციას უწევენ ასევე: ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის პროფ. მარტინ ჰეგერი და ებერჰარდ კარლის თიუბინგენის უნივერსიტეტის პროფ. ბერნდ ჰაინრიხი. მაკა ხოდელი - სარედაქციო კოლეგიის წევრი, სამუშაო ჯგუფის წევრი (მონაწილე)
4. პროექტის ხელმძღვანელი: გიორგი დგებუაძე პროექტის სამეცნიერო კოორდინატორები: მერაბ ტურავა, ედუარდ შრამი (იენის უნივერსიტეტის პროფესორი) და ბორის ბურგჰარდტი (მარბურგის და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორი) პროექტის პარტნიორები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი / სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC) / ბილეფელდის უნივერსიტეტი / იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი / ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი / მარბურგის ფილიპეს სახელობის უნივერსიტეტი

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1.
2. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ლექსიკონი:

ქართული სისხლის სამართლის მეცნიერება გაჯერებულია გერმანული სამართლებრივი ტერმინოლოგიით, ასევე, ცნობილია ნეოლოგიზმები, რომელიც ქართველმა მეცნიერებმა დაამკვიდრეს სისხლის სამართალში. გერმანული გავლენა დღესაც ნათლად ჩანს ქართულ სისხლის სამართალზე.
თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის კოდექსი ძირითადად ეფუძნება გერმანულ მოდელს. გერმანულ და ქართულ სისხლის სამართალს შორის ბევრი მსგავსების მიუხედავად, განსხვავებებიც არსებობს, განსაკუთრებით

ტერმინოლოგიაში. ეს განსხვავებები კი ართულებს გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ღრმა საგნობრივი დისკუსიის წარმართვას. ხშირად არაა ადვილი სამართლებრივი ტერმინის თარგმნა. საჭიროა მათი შინაარსობრივი განმარტება, ახსნა. რადგან ერთი და იგივე ტერმინების უკან ხშირად იმალება სხვადასხვა იურიდიული კონსტრუქცია.

ეს დაბრკოლება გადაილახება პროექტის საფუძველზე შექმნილი გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ლექსიკონით. პროექტის მიზანია, გამოიკვეთოს მსგავსება და განსხვავებები გერმანულ და ქართულ სისხლის სამართალს შორის კონცეპტუალური ანალიზის საფუძველზე. შედეგად, სისტემატიზირებული სახით იქნება წარმოდგენილი მეცნიერებისა და პრაქტიკისთვის ნებისმიერ დროს უფასოდ ხელმისაწვდომი ერთიანი ნაშრომი. ელექტრონული ლექსიკონი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ორ ქვეყანას შორის სამეცნიერო დიალოგის შენარჩუნებასა და გაღრმავებაში.

3. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი (DGStZ):

დასახელებულმა მრავალწლიანმა პროექტმა ფუნქციონირება დაიწყო 2015 წლის 8 ოქტომბრიდან, როდესაც საქართველოს უზენაეს სასამართლოში ოფიციალურად დაარსდა გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი. 2016 წელს, პროექტის ფარგლებში შეიქმნა გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალის ორენოვანი (გერმანულ-ქართული) ელექტრონული გვერდი. ჟურნალი ინტერნეტში განთავსებულია შემდეგ მისამართზე - www.dgstz.de და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის უფასოდ. ჟურნალის საიტიდან გამოქვეყნებული პუბლიკაციების ჩამოტვირთვაც უფასოა.

ასეთი სახის ელექტრონული ჟურნალი საქართველოს ისტორიაში პირველია სისხლის სამართლის სფეროში, რომელმაც ძირითადად ხელი უნდა შეუწყოს ქართული სისხლის სამართლის ევროპეიზაციას. ჟურნალის მიზანია ქართული და გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკის დაახლოება და შედარებით ანალიზის წარმოება, რომელიც ხორციელდება გერმანელი და ქართველი სისხლის სამართლის პროფესორების სამეცნიერო ნაშრომების ამ ჟურნალში გერმანულ და ქართულ ენებზე გამოქვეყნებით. ჟურნალის მიზანია ასევე, სამეცნიერო წერის კულტურის ამაღლება სისხლის სამართლის მიმართულებით. ჟურნალი ორიენტირებულია არა მხოლოდ პროფესორებზე, არამედ, ასევე დოქტორანტებსა და სტუდენტებზე და სისხლის სამართლის სპეციალისტებზე.

2023 წელს, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალის ფარგლებში, გამოიცა ჟურნალის სამი ელექტრონული გამოცემა, მეოთხე გამოცემის გამოქვეყნება დაგეგმილია 2023 წლის დეკემბრის ბოლოს. აღნიშნულ გამოცემებში, ქართველი და გერმანელი პროფესორებისა და სისხლის სამართლის სპეციალისტების ავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები ეძღვნებოდა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის დოგმატურ და აქტუალურ საკითხებს.

გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალის (DGStZ) გამომცემლები ესწრაფვიან მხარი დაუჭირონ სისხლის სამართლის მეცნიერების სფეროში მიმდინარე გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება საქართველოს ევროპულ და გერმანულ, შესაბამისად ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესს და სურთ, წვლილი შეიტანონ ქართული- და აგრეთვე გერმანული – სისხლის სამართლის

დოგმატიკის ჰარმონიზაციასა და მის შემდგომ განვითარებაში. ამასთანავე, ჟურნალის ძირითად მიზანს წარმოადგენს "ქართული სისხლის სამართლის ევროპეიზაცია". ასეთ გრძელვადიან პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება განსაკუთრებით აზრთა გაცვლა-გამოცვლას გერმანელ და ქართველ სისხლის სამართალიც მეცნიერებს, პრაქტიკოსებს, დოქტორანტებს და აგრეთვე სტუდენტებს შორის. წერილობითი სახით შემუშავებული ერთობლივი შედარებით-სამართლებრივი ანალიზი სისხლის სამართლის სფეროში წარმოადგენს გარდაუვალ წინაპირობას დასახელებული მიზნის- "ქართული სისხლის სამართლის ევროპეიზაცია" – მიღწევისთვის, რომლის გარეშეც ამ მიზანის მიღწევა მნიშვნელოვნად გართულდება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ეს ჟურნალი, რათა შეიქმნას ერთობლივი შედარებით-სამართლებრივი ფორუმი საქართველოსა და გერმანიას შორის. ჟურნალი ორიენტირებულია ასევე აკადემიური წერის სტანდარტების ამაღლებისკენ, განსაკუთრებით ლიტერატურის სწორედ ციტირებისკენ. და ბოლოს, ამ ჟურნალის მეშვეობით, როგორც გერმანელ, ასევე ქართველ სისხლის სამართლის მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს, შეექმნებათ შესაძლებლობა, სრულყოფილად გაეცნონ ორივე ქვეყანაში მიმდინარე სისხლის სამართლის განვითარების პროცესს.

2023 წელს გამოიცემა ჟურნალის ოთხი ნომერი.

4. საქართველოში საერთაშორისო სისხლის სამართლის როლი განსაკუთრებით გაიზარდა, მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ დაიწყო გამოძიება, ერთი მხრივ, საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში ჩადენილ დანაშაულებზე და, მეორე მხრივ, უკრაინის ტერიტორიაზე 2013 წლიდან ჩადენილ დანაშაულებზე. ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქართველოსა და უკრაინის „სიტუაციები" გამოსაყოფია, ვინაიდან, ეს არის სასამართლოს პირველი პრეცედენტი საქართველოს მაგალითზე აფრიკის კონტინენტის გარეთ, დანაშაულები საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში გაეროს უშიშროების საბჭოს წევრის ქვეყნის ,,სავარაუდო მონაწილეობით". მხოლოდ კანონიერი, სისხლის სამართლის პრინციპებზე დამყარებული მართლმსაჯულება უზრუნველყოფს როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში მშვიდობას, უშიშროებასა და კეთილდღეობას.

საქართველომ რომის სტატუტის რატიფიცირება 2003 წელს მოახდინა, რითიც სასამართლოს 2003 წლის 1 დეკემბრიდან ქვეყნის ტერიტორიაზე ან მისი მოქალაქეების მიერ ჩადენილ გენოციდის, ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე იურისდიქცია მიანიჭა. შესაბამისად, იგი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მონაწილე სახელმწიფოა. საერთაშორისო სისხლის სამართლის სახით სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების პრევენციული საერთაშორისო ,,მექანიზმი" ამართლებს მისი შექმნის უმთავრეს იდეას - აღსრულების პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმებით პოლიტიკური და სამხედრო ლიდერების სისხლისსამართლებრივ დევნას. სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების სწორ პოლიტიკაზე საერთაშორისო სისხლის სამართალია პასუხისმგებელი. ასეთი სისტემის გამოყენება საქართველოს სიტუაციისათვის ფუნდამენტალურად მნიშვნელოვანია, ვინაინდან ინდივიდუალური პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულების ჩადენისათვის

გულისხმობს კონკრეტულ პირთა სისხლისსამართლებრივ დევნას „კოლექტიური მალისხმევით“ ჩადენილი დანაშაულებისათვის. ამ დროს, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნება უნდა განიმარტოს ფართოდ, როდესაც ბრალდებულს, თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, თავისუფლად შეეძლო გავლენა მოეხდინა დანაშაულებრივ შედეგზე. ორგანიზებული ძალაუფლების სტრუქტურის მიერ ჩადენილი დანაშაულები ერთიანად, ფართო მნიშვნელობით უნდა იყოს განხილული, როგორც ინდივიდუალური აქტი - სისხლის სამართლის უმთავრესი პრინციპების „ფრთხილი“ გამოყენებით.

სამეცნიერო პროექტის მიზანია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დოქტრინისა და პრაქტიკის ანალიზი, საქართველოსა და უკრაინის გამოძიების ისეთ მნიშვნელოვან ენდემურ საკითხებზე, როგორებიცაა: ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (მატერიალური და მენტალური ელემენტები); ომის დანაშაული (მატერიალური და მენტალური ელემენტები, განსაკუთრებით, ის სტანდარტები, რომლებიც ჩამოყალიბდა ამ დანაშაულებზე ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების მიერ); კომპლემენტარულობის პრინციპი; კონკრეტული დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვა; იმუნიტეტი, ოფიციალური თანამდებობრივი მდგომარეობის საკითხი.

საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის ფარგლებში განხორციელდა ექვსთვიანი სამუშაო-კვლევითი ვიზიტი ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში, რომლის ფარგლებშიც ჰააგის საერთაშორისო სამართლის აკადემიის მონაწილეებთან, სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკოს იურისტებთან და ვიზიტორ სტუდენტებთან ვკითხულობდი საჯარო ლექციებს სასამართლოს საქმიანობისა და მიმდინარე გამოწვევების შესახებ. გახლდით იმ სამუშაო ჯგუფის წევრი, რომელიც მუშაობდა ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სააპელაციო პალატის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე, რომელიც ეხებოდა სასამართლო პალატის მიერ მიღებულ განაჩენს დომინიკ ონგვენის წინააღმდეგ. ამ გადაწყვეტილებაში სასამართლომ დომინიკ ონგვენი დამნაშავედ ცნო ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში, რომლებიც განხორციელდა ჩრდილოეთ უგანდაში. დომინიკ ონგვენის აპელაციის კონტექსტში, სააპელაციო პალატამ ადამიანის სხვადასხვა მნიშვნელოვან უფლებებთან ერთად განიხილა მსჯავრდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლება, ისევე როგორც სასამართლო პალატის მნიშვნელოვანი დასკვნები ონგვენის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ არაპირდაპირი ამსრულებლობისა და არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის, ზოგადად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეების ნაწილში. ასევე, სააპელაციო პალატამ განიხილა სასამართლო პალატის სხვადასხვა ინტერპრეტაცია და დასკვნა სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით, მათ შორის, იძულებითი ქორწინების, როგორც სხვა არაადამიანური ქმედებისა და იძულებითი ორსულობის ნაწილში. ეს გადაწყვეტილება აუცილებლად გახდება მრავალი სამეცნიერო კვლევის, დისკუსიისა და კონფერენციის საგანი, განსაკუთრებით, საქართველოში, რადგან ეხება ქართული სისხლის სამართლის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს – იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის ბრალის

გამომრიცხველ გარემოებას, რომელიც საერთაშორისო სისხლის სამართალში პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებაა.

ამ პროექტის ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023 წლის 26-27 სექტემბერს გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო - მიმდინარე გამოწვევები და სამართლებრივი ასპექტები". სამეცნიერო კონფერენცია ორგანიზებული იყო თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის შედარებითი და ტრანსნაციონალური სისხლის სამართლის ინსტიტუტის მიერ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის, ბერლინის ჰუმბოლდტის, მარბურგის ფილიპეს სახელობის უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულეტეტებსა და ბილეფელდის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტთან ერთად. კონფერენცია კავკასიისა და ევროპის რეგიონში არის უნიკალური - მასში მონაწილეობა მიიღო ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ხუთმა მოსამართლემ ქართველ და უცხოელ პროფესორებთან ერთად. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობდნენ: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეები - ქართველი მოსამართლე გოჩა ლორთქიფანიძე, ფრანგი მოსამართლე მარკ პერინდე ბრიშამბო, კანადელი მოსამართლე კიმბერლი პროსტი, ბრიტანელი მოსამართლე ჯოანა კორნერი, იტალიელი მოსამართლე როსარიო სალვატორე აიტალა; აღიარებული უცხოელი და ქართველი პროფესორები - პროფ. დოქ. იულია გენოისი ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტიდან, პროფ. დოქ. ანეტე ვაინკე ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტიდან, პროფ. დოქ. სტეფანი ბოკი მარბურგის ფილიპეს სახელობის უნივერსიტეტიდან, დოქ. მაიელ ჰიერამენტე ჰამბურგიდან, ლონდონელი ბარისტერი ადეტოკუნბო ჰუსეინი დიდი ბრიტანეთიდან, ასოც. პროფ. დოქ. გიორგი თუმანიშვილი თსუ-დან, პროფ. დოქ. ედვარდ შრამი ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტიდან, პროფ. დოქ. ბორის ბურგჰარდტი ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტიდან, პროფ. დოქ. მერაბ ტურავა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე თსუ-დან; ასოც. პროფ. დოქ. გიორგი დგებუაძე თსუ-დან. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მიზანი იყო საზოგადოებაში, განსაკუთრებით, სტუდენტებსა და ახალგაზრდა მკვლევრებში, გაეღრმავებინა ცოდნა და დაინტერესება საერთაშორისო სისხლის სამართლის დოქტრინისა და მართლმსაჯულების, კერძოდ, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკის მიმართ. ზოგადად, საერთაშორისო სისხლის სამართლის როლი საქართველოსა და რეგიონში მნიშვნელოვანია რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომისა და უკრაინის მოვლენების კონტექსტში. სტუდენტებს, მეცნიერებს, იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს სპეციალისტებს მიეცათ შესაძლებლობა უშუალოდ რომის სტატუტის მოლაპარაკებების მონაწილეებთან, უცხოელ და ქართველ მეცნიერებთან ერთად ემსჯელათ სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების განვითარების საკითხებსა და ამ მიმართებით საქართველოს გამოცდილებაზე. კონფერენციაზე განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორებიცაა: საერთაშორისო სამართლისა და სისხლის სამართლის ურთიერთქმედება რომის სტატუტის ფარგლებში; ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულების მატერიალური და მენტალური ელემენტები, ამ დანაშაულებზე სისხლის სამართლის საერთაშორისო

სასამართლოების მიერ ჩამოყალიბებული სტანდარტები; კომპლემენტარულობის პრინციპი; კონკრეტული დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვა; სისხლისსამართლებრივი დევნის, დაკავების საფუძვლები და მექანიზმები.

ამ პროექტი ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის შედარებითი და ტრანსნაციონალური სისხლის სამართლის ინსტიტუტისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზებით, 2023 წლის 27-30 სექტემბერს ბათუმში ჩატარდა საზაფხულო სკოლა თემაზე - „საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულება - თეორიული და შედარებითი ასპექტები“. საზაფხულო სკოლა ფოლკსვაგენის სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის შედარებითი და ტრანსნაციონალური სისხლის სამართლის ინსტიტუტის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის, ბერლინის ჰუმბოლდტის, მარბურგის ფილიპეს სახელობის უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულეტეტებსა და ბილეფელდის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტთან ერთად განხორციელდა. საზაფხულო სკოლაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის 16 სტუდენტმა, რომლებმაც გაიღრმავეს ცოდნა საერთაშორისო სისხლის სამართლის მიმართულებით. საზაფხულო სკოლის ფარგლებში მოხსენებებით წარდგნენ ქართველი და უცხოელი პროფესორები და პრაქტიკოსი იურისტები: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე პროფ. დოქტ. მერაბ ტურავა; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლე პროფ. დოქტ. გოჩა ლორთქიფანიძე; თსუ-ის ასოც. პროფ. დოქტ. გიორგი თუმანიშვილი; თსუ-ის ასოც. პროფ. გიორგი დგებუაძე; მარბურგის ფილიპეს სახელობის უნივერსიტეტის პროფ. დოქტ. სტეფანი ბოკი; ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის პროფ. დოქტ. ანეტე ვაინკე; ჰამბურგიდან დოქტ. მაიელ ჰიერამენტე; ბრიტანელი ბარისტერი ადეტოკუნბო ჰუსეინი; ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის პროფ. დოქტ. ედვარდ შრამი; ბერლინის ჰუმბოლდტისა და მარბურგის ფილიპეს სახელობის უნივერსიტეტის პროფ. დოქტ. ბორის ბურგჰარდტი. პროექტის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის მოლაპარაკებებში უშუალოდ ჩართული პირებისგან მიეღოთ ინფორმაცია სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების განვითარების საკითხებზე; რომის სტატუტის შემუშავებისა და რატიფიკაციის სამართლებრივ თავისებურებებზე; აგრეთვე, ქართული სისხლის სამართლისა და რომის სტატუტის ურთიერთკავშირზე.

ამ პროექტის ფარგლებში ქართველი და გერმანელი პროფესორებისა და პრაქტიკოსი იურისტების მონაწილეობით დაგეგმილია ერთი საზაფხულო სკოლის ჩატარება საქართველოში, ორი კონფერენციის ჩატარება გერმანიაში - იენასა და მარბურგში და ერთი კონფერენციის ჩატარება საქართველოში, მათ შორის, ორთვიანი სამეცნიერო-კვლევითი მივლინება გერმანიაში.

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. "Hauptversammlung gegenüber der modernen Welt: Konzept der virtuellen und digitalen HV". კერძო სამართლის მიმართულება; საკორპორაციო სამართალი; სააქციო სამართალი; აღმოსავლეთ-პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში; DAAD; 2023 წ.

2. დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი: JAMS USA, მეცნიერების დარგი/სამეცნიერო მიმართულება: მედიაცია, პროექტის დასახელება: Promoting Mediation Through Private and Court-Connected Mediation Centers, ქვეყანა: ამერიკის შეერთებული შტატები, პროქტის დაწყების წელი: 2023 წელი, პროექტის დასრულების წელი: 2023 წელი.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ირაკლი ბურდული (ავტორი/შემსრულებელი)

2. გიორგი ცერცვაძე - მკვლევარი, მონაწილე

***დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1. დიგიტალური და ვირტუალური საერთო კრების რეგულირების შესაძლებლობა საქართველოში (შედარებით-სამართლებრივ კონტექსტში)

2. 2023 წლის ზაფხულში გიორგი ცერცვაძე კვლევითი მივლინებით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მიეცა საშუალება, როგორც მედიაციაში, როგორც დავს გადაწყვეტის ერთ-ერთ მთავარ ალტერნატიულ საშუალებაში ცოდნა გაეღრმავებინა. ასევე, მსოფლიოში მედიაციის უდიდესი ორგანიზაციის JAMS-ის მხარდაჭერით, სან ფრანცისკოს სამართლის სკოლის მოლაპარაკებისა და დავის გადაწყვეტის ცენტრისა კალიფორნიის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული პროექტის ფარგლებში, ეკვლია/შეესწავლა, თუ როგორ უნდა მოხდეს როგორც კერძო, ასევე სასამართლო მედიაციის ცენტრების განვითარება და ჩამოყალიბება.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)

4.1. საერთაშორისო პატენტები;

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

4.2. ეროვნული პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ლაშა ბრეგვაძე (მთარგმნელი), გუნთერ ტოიბნერი, „სამართალი როგორც აუტოპოიეტური სისტემა“, მონოგრაფია.
2. ლაშა ბრეგვაძე, „ჰეგელისა და სავინის დაპირისპირება მოდერნული საზოგადოებისა და სამართლის ფორმირების პროცესში“, მამუკა ბერიაშვილის 65-ე იუბილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კრებული.
3. ლაშა ბრეგვაძე, „სამართლის ისტორიული სკოლის საფუძვლები და აქტუალობა თანამედროვე გამოწვევების პირობებში“. თავი წიგნში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები. ტომი 6.
4. ირაკლი ბურდული, ფაქტობრივი ხელმძღვანელის კონცეფცია და იურიდიული ბუნება, ლადო ჭანტურიას საიუბილეო კრებული 60, 2023,978-9941-36-136-4.
5. გიორგი დავითაშვილი, შერიგება, როგორც მხარეთა შორის თანასწორობის აღდგენის მექანიზმი, ქართულ ჩვეულებით სამართალში, პროფესორ ლადო ჭანტურიას 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023, 331-344, ISBN 978-9941-36-136-4.
6. გიორგი დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მოქმედი სასამართლო დაწესებულებები საქართველოში და ინსტანციურობის საკითხი ამ სასამართლოთა სისტემაში XIX-XX საუკუნეების ეთნოლოგიური მასალების მიხედვით, პროფესორ ბესარიონ ზოიძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023, 244-253, ISBN 978-9941-36-160-9.
7. ბესარიონ ზოიძე (თანაავტორი თამარ ზარანდია), რედაქტორების შესავალი წერილი – პროფესორ ლადო ჭანტურიას ღვაწლი თანამედროვე ქართული სამართლის ჩამოყალიბება-განვითარებაში, საიუბელიო კრებული: ლადო ჭანტურია 60. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023, 13-25.
8. ბესარიონ ზოიძე, გარდაცვლილი პირის პატივისა და ღირსების დაცვა ზოგადი და სპეციალური კანონების ურთიერთმიმართების დონეზე (უპირატესად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი იური ვაზაგაშვილის საქმესთან დაკავშირებით), საიუბილეო კრებული, ლადო ჭანტურია 60. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 2023, 65-84.
9. ნონა თოდუა, თანამონაწილეობის საკითხი სპეციალურ დელიქტში და დანაშაულის მომზადების სტადიაზე, ლადო ჭანტურია - 60, საიუბილეო კრებული, ISSN 978-9941-36-136-4, თბილისი, 2023, უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 259-272.
10. ლადო ჭანტურია, იურისდიქცია და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, წიგნში „ბესარიონ ზოიძე. 70. საიუბილეო კრებული“, (რედაქტორები ლადო ჭანტურია, თამარ ზარანდია), უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023 წ. გვ. 63-74.

11. ლადო ჭანტურია, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ლეგენდარული პროფესორი ბესარიონ ზოიძე 70 წლისაა, რედაქტორების – ლადო ჭანტურიასა და თამარ ზარანდიას – წინათქმა „ბესარიონ ზოიძე. 70. საიუბილეო კრებული“, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023 წ. გვ. 13-19.
12. მარინა გარიშვილი, ძველი ქართული სამართლის ძეგლების უცხოურ ენებზე თარგმნის მნიშვნელობისა და შედეგების შესახებ, სტატია ჩაშვებულია გამოსაცემად სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი VI, კრებული ეძღვნება პროფესორ მიხეილ კეკელიას ნათელ სხოვნას, 2023.
13. თამარ ზოიძე, „მომხმარებელთა დაცვის სამართლის ცნება და მისი ადგილი კერძო სამართლის სისტემაში“, ლადო ჭანტურიას 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, გამომცემლობა თსუ, თბილისი, 2023, 445-459, ISBN 978-9941-36-136-4.
14. თამარ ზოიძე, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლის სუბიექტები“, ბესარიონ ზოიძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, გამომცემლობა თსუ, 2023, 272-288.
15. კახიძე ირაკლი (რედ.), ნანა ჭიღლაძე, ვასილ გონაშვილი, მუნიციპალური სამართალი, ძირითადი კონცეფციები, ევროპული ქარტია და საქართველო, ISBN 978-9941-34-435-0, თბილისი, მერიდიანი, 2023, 775 გვერდი.
16. გოჩა ფერაძე, „კიდევ ერთხელ სასამართლოს ორგანიზაციის შესახებ XVIII საუკუნის საქართველოში“ („მარკოზაშვილის დარბაზელებისა“ და ლევან ბატონიშვილის საქმეების მაგალითზე), პროფესორ ლადო ჭანტურიას 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თსუ გამომცემლობა, 2023, ISBN 978-9941-36-136-4, გვ.400-413.
17. გოჩა ფერაძე, „ქართულ-რუსული მართლმსაჯულების შუქ-ჩრდილები საქართველოს რუსეთთან შეერთების წინ (დიკასტერიისა და სულიერი მთავრის ინსტიტუტების მაგალითზე)“, ბესარიონ ზოიძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, გამომცემლობა თსუ, 2023, გვ. 254-271.
18. თამარ ზარანდია, საკუთრების უფლების დაცვა საქართველოს კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, საიუბილეო კრებული: ლადო ჭანტურია 60, თბილისი, 2023, ISBN 978-9941-36-136-4.
19. თამარ ზარანდია/დავით ბოსტოღანაშვილი, უზუფრუქტი რომაულ და თანამედროვე ქართულ სამართალში, საიუბილეო კრებული: ბესარიონ ზოიძე 70, თბილისი, 2023, ISBN 978-9941-36-160-9.
20. თამარ ზამბახიძე, „საბანკო გარანტიის პრობლემური საკითხები“, ლადო ჭანტურიას 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, გამომცემლობა თსუ, თბილისი, 2023, 366-400, ISBN 978-9941-36-136-4.
21. თემურ ცქიტიშვილი, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, თბილისი 2023, გამომცემლობა „მერიდიანი“, 343 გვერდი.
22. ირმა ხარშილაძე / თათია ნანეიშვილი, საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის არსი და მისი მართვის მექანიზმები, წიგნში: ჭანტურია ლ., ზარანდია თ. (რედ.), პროფესორ ბესარიონ ზოიძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2023, გვ. 157-176, ISBN 978-9941-36-160-9.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. დასრულდა წიგნის თარგმანზე მუშაობა. წიგნი დაიბეჭდება 2024 წელს.
2. დაიბეჭდება 2024 წელს.
3. დაიბეჭდება 2024 წელს.
4. ფაქტობრივი ე.წ. ჩრდილში მდგომი ხელმძღვანელი პირის დეფინიცია და მისთვის საკორპორაციოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა.
5. ჩვეულებითი, იგივე ხალხური სამართალი საზოგადოებრივი განვითარების წინასახელმწიფოებრივ ეტაზე ყალიბდება, უპირველეს ყოვლისა, როგორც გვარებს, ოჯახებს, თემებს (საზოგადოებებს) შორის ურთიერთობის მოწესრიგებისა და მშვიდობიან ჩარჩოებში მოქცევის მექანიზმი. ჩვეულებითი სამართლის წარმოშობის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი კი ეს იყო სისხლის აღების, შურისძიების ინსტიტუტის ყოველისმომცველი ბატონობის შეზღუდვა და თანდათანობით მისი ალტერნატიული წესების ჩამოყალიბება. ყველა ხალხმა გაიარა შეუზღუდავი შურისძიების, თვითგასწორების ეპოქა და განვითარების გარკვეულ ეტაპზე თანდათანობით დაიწყო მისი შემზღუდავი წესების ჩამოყალიბება და შემდეგ გადადგა ნაბიჯები, რომლებიც მიმართული იყო თვითგასწორების ჩანაცვლებისაკენ შერიგების ინსტრუმენტებით. აღნიშნული გზა საქართველომაც გაიარა. საინტერესოა, რომ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ მთის რეგიონში (განსაკუთრებით სვანეთსა და ხევსურეთში) XIX-XX საუკუნის ეთნოლოგიური მონაცემების საფუძველზე სრულიად შესაძლებელია წარმოჩინდეს სისხლის აღების ინსტიტუტის მოქმედებაც მისი შემზღუდავი დაუწერელი წესებით და მის პარალელურად მოქმედი შერიგების საკმაოდ რთული და მრავალსაფეხუროვბრივი მექანიზმიც, რომლის განხორციელების უზრუნველმყოფ ფაქტორს წარმოადგენდა სხვადასხვა დანაშაულისათვის ჩამოყალიბებული კომპოზიციების (გადასახადების) სისტემა.

საქართველოს ზოგიერთ რეგიონში (სვანეთი, ხევსურეთი, ზემო აჭარა) შურისძიების ინსტიტუტი (მსგავსად ჩრდილო კავკასიელი მთიელებისა) განსაკუთრებით მკვლელობისას, მძიმე დაჭრისას საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში შემორჩა, როგორც სისხლის აღების წესი, ადათი და არა როგორც ცალკეული პირის ემოციური აქტი. შურისძიების აქტი შესაძლოა დღესაც შედგეს ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში და პიროვნება კონკრეტულ სიტუაციაში თვითონ გაუსწორდეს თავისი ახლობლის მკვლელს, შეურაცხმყოფელს და სხვა, თუმცა შესაძლოა, თავი შეიკავოს ამისგან და საერთოდ არც იფიქროს მასზე. სისხლის აღება, კი, რომელიც კავკასიის მთიანეთში საკმაოდ დიდხანს შემორჩა, თავისი არსით ეს არის წესად ქცეული, საზოგადოების წევრთა მიერ ვალდებულებად აღქმული შურისძიება და არა შურისძიება, როგორც მხოლოდ ემოციური აქტი. ნებისმიერი შურისძიება ემოციის გარეშე არ არსებობს, თუმცა სისხლის აღება არა მარტო წმინდა ემოციური აქტია, იგი სამართლებრივი ინსტიტუტია. გვარმა, რომელსაც წარმომადგენელი მოუკლეს აუცილებლად სისხლი უნდა აიღოს. შესაბამისად სისხლის აღება ეს ადათია, სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცეული შურისძიებაა და არა უბრალოდ ემოციური აქტი.

სისხლის აღების ვალდებულებად აღქმას განაპირობებდა კავკასიელ მთიელთა რელიგიური წარმოდგენები. მათ მიხედვით მიცვალებული საიქიოში განაგრძობს ხორციელ ცხოვრებას, ისეთივე ვნებებით, მისწრაფებებით, როგორც სააქაოში. იქ მას ესაჭიროება სასმელი, საჭმელი, ცეცხლი, ტანსაცმელი, თამბაქო და სხვა. მიცვალებულთა კეთილდღეობა საიქიოში კი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ აკმაყოფილებენ მათ სააქაოს დარჩენილი მოგვარეები. კერძოდ, ისინი ვალდებულნი არიან მშვიდად ამყოფონ თავიანთი მიცავლებულთა სულები, ამისათვის კი სხვადასხვა წესი უნდა შეასრულონ მათ მიმართ (მაგალითად, არაერთი სუფრა გაშალონ მიცვალებულთა სულების მოსახსენებლად), რაც არსებით მატერიალურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. საკუთარი მიცვალებულის სულის მომსახურებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კავკასიელი, მათ შორის ქართველი მთიელების ყოფაში. რაც ყველაზე მთავარია, ხალხის წარმოდგენით, მიცვალებულთა სულებს შეუძლიათ დიდი გავლენა მოახდინონ ამქვეყნად დარჩენილთა ცხოვრებაზე, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კუთხით. ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ასრულებენ მიცვალებულთა ნათესავები აღნიშნულ წესებს. თუ შეასრულებენ ამ წესებს, მაშინ სული თავისი ნათესაობის მფარველი ხდება, მათი დამცველი ყოველგვარი უბედურებისა და საშიშროებისაგან, თუ ამ წესებს არ შეასრულებენ, ან არასრულყოფილად შეასრულებენ, ეს ხალხის შეხედულებით, სულს გაანაწყენებს, გააბოროტებს და იგი სხვადასხვა სახის პრობლემას შეუქმნის სააქაოდ დარჩენილ მის ნათესაობას, მოუვლენს მათ ავადმყოფობას, მრავალგვარ უბედურებას, უიღბლობას საქმეებში და სხვა. განსაკუთრებით ბოროტდებიან სულები, თუ ცოცხლად დარჩენილი ნათესავები მათ გამო შურს არ იძიებენ. ისინი მათი მკვლელის მოკვლას ითხოვენ თავიანთი ნათესავებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში კი საშინელი უბედურების მოვლენით ემუქრებიან მათ. აქედან გამომდინარე, სისხლის აღება ვალდებულებაა, რომლის საფუძველი მიცვალებულთა სამყაროს შესახებ შეხედულებებიდან მომდინარეობს. ამდენად, მკვლელის მოკვლა, სისხლის აღება, მოკლულის სულის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა და ვალდებულებაა სწორედ მიცვალებულის წინაშე, რომელიც თავისი ნათესავებისაგან მკვლელის ან მისი ნათესავის სისხლს მოითხოვს. თუ იგი არ დაკმაყოფილდება, მაშინ სიკვდილიანობას, ავადმყოფობას და სხვა უბედურებას მოუვლენს მის ნათესაობას. სისხლიხ აუღებლობის შემთხვევაში ასეთი საშინელი საფრთხის, როგორც სრულიად რეალურის წარმოსახვის გამო, სისხლის აღება მთიელთა წარმოდგენაში ვალდებულებად აღიქმება. სისხლის აღების, როგორც ვალდებულების არსებობა ეფუძნება ხალხის წარმოდგენას იმის თაობაზე, რომ მიცვალებულის სულს აქვს უნარი გავლენა მოახდინოს თავისი სააქაოს დარჩენილი ნათესავების ბედ-იღბალზე, შეცვალოს მათი ბედისწერა.

კავკასიელ მთიელებში სისხლის აღება დაკავშირებული იყო მიცვალებულისადმი შეწირვასთან. "შეწირვა" აუცილებელი იყო მიცვალებულის სულის დასაშოშმინებლად, დასაკმაყოფილებლად. მთიელთა რწმენით, თუ სისხლის ამღები ნათესავის მკვლელს მოკლავდა და ამ ნათესავის სულს "შესწირავდა", ამით მას საიქიოში მის მონა-მოსამსახურედ აქცევდა, რომელსაც უნდა გაეწია მისთვის

სხვადასხვა სამსახური (წყალი მოეტანა, სუფრა გაეშალა, ფეხსაცმელი დაეკერა და სხვა). ამით მოკლული მიცვალებულის სული საბოლოოდ დაკმაყოფილდებოდა. "შეწირვისათვის" კი აუცილებელი იყო განსაზღვრული რიტუალური მოქმედებების ჩატარება, სათანადო ფრაზების წარმოთქმით, მაგალითად, ქისტებში მკვლელი მის მიერ მოკლულისადმი "შესაწირად" ამ უკანასკნელის საფლავზე უნდა დაეკლათ, რის შემდეგაც იგი საიქიოში მის მონა-მორჩილად გადაიქცეოდა.

საზოგადოებრივი განვითარების ადრეულ ეტაპზე, როდესაც ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო სისხლის აღების ადათი, ნებისმიერი დანაშაული: მკვლელობა, დაჭრა-დასახიჩრება, ქურდობა, სხვისი ცოლის (საცოლის) მოტაცება, გაუპატიურება და სხვა აღიქმებოდა დაზარალებული მხარის (დაზარალებულის მთელი ნათესაური ჯგუფის) შეურაცხყოფად, ანუ ღირსების დამცირებად, რაც დაზარალებულში შურისძიების სურვილს აღძრავდა.

ეს გარემოებაც შურისძიების ვალდებულებად ჩამოყალიბებას განაპირობებდა ზემოთაღნიშნულ რელიგიურ ფაქტორთან ერთად. შედეგად იწყებოდა დაპირისპირება ორ ნათესაურ ჯგუფს, თუ ოჯახს შორის, რომელიც შესაძლოა საკმაოდ დიდხანს გაგრძელებულიყო ერთმანეთისთვის მრავალგზისი ზიანის მიყენებით და ორივე მხრიდან მრავალრიცხოვანი მსხვერპლით.

საქართველოს მთის ზოგიერთ რეგიონში სისხლის აუღებლობა საკმაოდ დიდხანს ითვლებოდა სირცხვილად, დამცირებად. ერთი მხარის მიერ მეორესადმი ზიანის მიყენება აღიქმებოდა მათ შორის არსებული თანასწორობის დარღვევად. კონფლიქტის ლიკვიდაცია კი შესაძლებელი იყო მხოლოდ ამ თანასწორობის აღდგენით. დაზარალებული მხარე თვლიდა, რომ დამნაშავემ იგი დაამცირა, დააკნინა, დაამდაბლა მასთან შედარებით, საკუთარი თავი კი აამაღლა დაზარალებულის მიმართ და ამიტომ მათ შორის დაირღვა თანასწორობა.

შერიგების პროცესი ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, წარმატებული აღმოჩნდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შერიგების ცალკეული კომპონენტები დაზარალებული მხარის მიერ აღქმული იქნებოდა მხარეთა შორის დარღვეული თანასწორობის აღმდგენ ფაქტორებად. თანასწორობის იდეა შერიგების პროცესისთვის განმსაზღვრელი იყო. დაზარალებულისთვის თანასწორობის აღდგენის უპირობო ფაქტორს წარმოადგენდა შურისძიება, რაც სრულად ჩამორეცხავდა მისთვის დანაშაულის შედეგად გამოწვეულ სირცხვილს. შურისძიების გარეშე შერიგებისას კი მთავარი ასეთი ფაქტორი იყო კომპოზიციის გადახდა დანაშაულის სიმძიმისა და ხასიათის გათვალისწინებით, ასევე, დამნაშავის ტოლობის ფიცი, მიცვალებულისადმი სიმბოლური "შეწირვა", დამნაშავის და მისი ახლობლების უაღრესად პატივსაცემი დამოკიდებულება დაზარალებულისა და მისი ახლობლების მიმართ და დამნაშავის მონაწილეობა მისთვის დამამცირებელ რიტუალში.

6. XIX-XX საუკუნის ეთნოლოგიური მასალა საშუალებას იძლევა საკმაოდ სრულყოფილად წარმოვაჩინოთ სასამართლოები თუ სასამართლოს ფუნქციით აღჭურვილი ინსტიტუციები, რომელთა ფორმირება, ფუნქციონირების წესი და კომპეტენცია ქართული ჩვეულებითი (ხალხური) სამართლით განისაზღვრებოდა. მასალების მიხედვით ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მოქმედი შემდეგი

სასამართლოები თუ სასამართლოს ფუნქციით აღჭურვილი ინსტიტუციები ფიქსირდება:

**1. სამედიატორო სასამართლო.** ეს სპეციალიზებული სასამართლო დაწესებულებაა, რომელსაც მხოლოდ სასამართლო ფუნქცია გააჩნდა, განსხვავებით საზოგადოების ყრილობისაგან, თუ მის მიერ არჩეულ პირთაგან შემდგარი კოლეგიისაგან, რომლებიც სხვა ფუნქციების მატარებელნიც იყვნენ. სამედიატორო სასამართლო არ ყოფილა მუდმივმოქმედი დაწესებულება და მის შემადგენლობას მხარეები თვითონ, საკუთარი ნება-სურვილის შესაბამისად განსაზღვრავდნენ ყოველი კონკრეტული საქმისათვის, ხოლო სასამართლოს მოცემული შემადგენლობა ამ საქმის განხილვის შემდეგ წყვეტდა საქმიანობას. შესაბამისად, არც მედიატორები იყვნენ მუდმივმოქმედი მოსამართლეები. სამედიატორო სასამართლოები მხოლოდ კერძო-სამართლებრივ დავებს განიხილავდნენ, კერძოდ, მისი განსახილველი საქმეები საქართველოს მთის რეგიონებში (სვანეთში, ხევსურეთში, თუშეთში, ფშავში) იყო: მკვლელობა, დაჭრა-დასახიჩრება, ქურდობა, შეურაცხყოფა, ქონების დაზიანება, ვალის დაუბრუნებლობა, საოჯახო სფეროში წარმოშობილი დავები, განქორწინება, ქონებრივი დავები, ოჯახის გაყოფასთან დაკავშირებული დავები და სხვა. ბარის რეგიონებში კი სამედიატორო სასამართლო არჩევდა ძირითადად სამოქალაქო ხასიათის საქმეებს, სამეზობლო თუ საოჯახო დავებს (მიჯნაზე, წანახედზე დავა, ოჯახის გაყრა და სხვა.

**2. სახალხო ყრილობა.** XIX-XX საუკუნის ეთნოგრაფიული მასალით ფიქსირდება სახალხო კრების მიერ, სხვა ფუნქციებთან ერთად, სასამართლო ფუნქციის შესრულებაც. ცნობილია, რომ სახალხო კრება უძველესი სოციალური ინსტიტუტია და ჯერ კიდევ წინასახელმწიფოებრივ ხანაში ყალიბდება. შეიძლება ითქვას, რომ სახალხო ყრილობა (სამედიატორო სასამართლოსთან ერთად) სასამართლო ფუნქციების მატარებელი უძველესი დაწესებულებაა. საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ძირითადად ჩვეულებითი სამართალი არეგულირებდა სამართლებრივ ურთიერთობებს და სახელმწიფო ხელისუფლების გავლენა ნაკლები იყო (მხედველობაშია მთის რეგიონები _ სვანეთი, ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი და სხვა) სახალხო თვითმმართველობის ორგანოები მოქმედებდა ყველა ტერიტორიულ ერთეულში (სოფელი, თემი, ხეობა, მთელი კუთხე _ მაგალითად, სრულიად ხევსურეთის, ფშავის, ხევის, თუშეთის, ბალს ზემო სვანეთის სახალხო ყრილობები), ხოლო ბარის რეგიონებში ძირითადად გვხვდება სოფლის, ან რამდენიმე სოფლის გაერთიანების (თემის) სახალხო თვითმმართველობის ორგანოები. ყველა ამ ორგანოს _ სოფლის, თემის, მთელი კუთხის სახალხო ყრილობებს გააჩნდა სასამართლო ფუნქციებიც. ისინი განიხილავდნენ მთელი საზოგადოების (შესაბამისად ეს იქნებოდა მთელი კუთხის, ხეობის, თემის თუ სოფლის საზოგადოება) ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებებს. საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩამდენი პირის (ვთქვათ, საზოგადოების მოღალატის) დასჯას ყოველთვის პრევენტული მნიშვნელობაც ჰქონდა..

**3. სახალხო ყრილობის მიერ არჩეული თანამდებობის პირები.** ეთნოგრაფიული მასალებით XIX-XX საუკუნეებში ფიქსირდება საზოგადოების სახალხო კრებაზე არჩეული პირების მიერ სამეურნეო და ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებასთან ერთად, სასამართლო ფუნქციების შესრულებაც, ასევე,

საზოგადოების ყრილობის მიერ ბჭე-მოსამართლეების არჩევაც. საზოგადოების ყრილობის მიერ არჩეულ პირთა კოლეგიები სასამართლო ფუნქციებით გვხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მაგალითად, სათემო საბჭო ფშავში, "საკითხ კაცთა" სასამართლო და დართლოს საბჭეო ("საფრინდაო") თუშეთში, სამების საბჭეო ხევში, "ამორჩეული კაცების" ინსტიტუტი ქართლში, ფიქსირდება საზოგადოების ყრილობის მიერ არჩეული პირების სასამართლო ფუნქციები რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში.

**4. სოფლის თავკაცები.** საქართველოს თითოეულ სოფელში იყვნენ სიბრძნით, პატიოსნებით, გონიერებით, წეს-ჩვეულებათა ცოდნით გამორჩეული უხუცესები, რომლებიც არ იყვნენ არჩეულნი სოფლის, საზოგადოების, გვარის მიერ და თავისი ავტორიტეტის გამო ხალხი მათ სოფლის, საზოგადოების თავკაცებად, გვარის უფროსებად თვლიდა. XIX-XX საუკუნეების ეთნოგრაფიული მასალებით სოფლის, საზოგადოების ასეთი თავკაცები, უხუცესები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ არავის მიერ არჩეულნი არ ყოფილან, უდიდესი ავტორიტეტის წყალობით, სასამართლო ფუნქციების განმახორციელებლებად გვევლინებიან.

**5. გვარის უფროსები.** საერთოდ ცნობილია, რომ ჯერ კიდევ წინასახელმწიფოებრივ ეტაპზე, როდესაც გვაროვნული წყობილება მყარი იყო და გვაროვნული ურთიერთობები განმსაზღვრელი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გვარის შიგნით არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებს თვით გვარი წყვეტდა გვარის უფროსის (უფროსების) სახით. საქართველოში XIX-XX საუკუნის მასალებშიც ფიქსირდება გვარის უფროსის თუ უფროსების მიერ გვარის შიგნით მომხდარი დანაშაულებისა თუ მოგვარეებს შორის წარმოქმნილი სხვადასხვა დავების მოგვარება და შესაბამისად მათ მიერ სასამართლო ხასიათის ფუნქციების განხორციელება. ამ თვალსაზრისით საინტერესო მონაცემები ფიქსირდება სვანეთში. სვანეთში გვარის (სამხუბის) წევრთა შორის ჩადენილი დანაშაულისას, საქმის განხილვა თვითონ გვარის (სამხუბის) შიგნით ხდებოდა.

**6. კულტის მსახურები.** აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სასამართლო ფუნქციების განმახორციელებლად გვევლინებიან კულტის მსახურნიც – ხუცეს-ხევისბერები, დეკანოზები. ჯვარიონის წევრები წინასწარ იხილავდნენ სხვადასხვა დარღვევებს და სასჯელს განუსაზღვრავდნენ დამრღვევთ. კულტის მსახურნი (ჯვარიონნი ხევსურეთში) განსაზღვრულ საქმეებს არჩევდნენ სასამართლო წესით. კერძოდ, სასჯელს აკისრებდნენ სოფლის პირის მომშლელებს, ვინც სოფლის საიდუმლო სხვაგან გაიტანა, აჯარიმებდნენ ჯვარში მოშუღლარ მამაკაცებს, სოფლის შემწუხებლებს.

**7. შუამავლები.** საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ფიქსირდება მოსამართლის ფუნქციების განხორციელება შუამავლების მიერ. შუამავლებად შეიძლება ყოფილიყვნენ სოფლის თუ თემის თავკაცები, ასევე სხვა პირებიც. ისინი მონაწილეობას იღებდნენ დაპირისპირებულ მხარეთა შერიგებაში, კერძოდ, არიგებდნენ მოსისხლეებს მკვლელობისა თუ დაჭრა-დასახიჩრების შემთხვევაში, მონაწილეობდნენ თანასოფლელებს, მეზობლებს შორის კონფლიქტების მოგვარებაში.

როგორც წესი, შუაკაცებს მოსამართლის ფუნქციები არ ეკისრებოდათ. კონკრეტულ შემთხვევებში მათი ფუნქცია შეიძლება ყოფილიყო დაპირისპირებულ მხარეთა, განსაკუთრებით კი დაზარალებული მხარის დაყოლიება შერიგებაზე სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით. მედიატორი მოსამართლის ფუნქციებს კი უკვე მხარეთა მიერ არჩეული პირები შეასრულებდნენ და ეს ფუნქცია შუამავლებს ავტომატურად არ დაეკისრებოდათ. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, შესაძლებელი იყო შუამავლებს თავისი შემრიგებლური საქმიანობის პროცესში სამოსამართლეო ფუნქციებიც განეხორციელებინათ. ასეთი რამ საქართველოს იმ კუთხეებში ფიქსირდება, სადაც დაპირისპირებულ მხარეთა, მათ შორის მოსისხლეთა შერიგება ხდებოდა ჩვეულებითი სამართლის ნორმების საფუძველზე, ხალხური წესით და მკვლელობისათვის ქონებრივი საზღაურის (სისხლის ფასის) ოდენობა და მისი გადახდა წინასწარ არ იყო დადგენილი (განსხვავებით სვანეთისა და თუშეთ-ფშავ-ხევსურეთისაგან), თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში ქონებრივი საზღაურის დადგენა და დამნაშავისათვის მისი დაკისრება, შერიგებისათვის აუცილებელი ხდებოდა. ამისათვის კი საჭირო იყო საქმის შინაარსის, მისი ხასიათის და ცალკეული დეტალების გათვალისწინება, თან ამ დეტალების დადგენა, რაც გარკვეულ სამოსამართლეო ხასიათის მოქმედებების განხორციელებას გულისხმობდა. შუამავლების სასამართლო ფუნქციები ფიქსირდება აჭარაში, რაჭაში, ხევში.

ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მოქმედ სასამართლოებში სასამართლო პროცესის პირველი სტადია იყო საქმის არსებითი განხილვა, შემდეგ სტადიებს წარმოადგენდა განაჩენის გამოტანა და განაჩენის გამოცხადება. სასამართლო პროცესის ბოლო სტადია იყო განაჩენის აღსრულება.

XIX-XX საუკუნის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მოქმედ სასამართლო სისტემისათვის ინსტანციურობა სრულიად უცნობი იყო და განაჩენის გასაჩივრების წესი არ არსებობდა.

9. სტატიაში განხილულია დოგმატურად საინტერესო ორი საკითხი: 1. რა სპეციფიკით ხასიათდება თანამონაწილეობა სპეციალურ დელიქტში? და 2. შესაძლებელია თუ არა დაისვას თანამონაწილეობის საკითხი (როგორც მისი ფართო, ისე ვიწრო გაგებით) დანაშაულის მომზადების სტადიაზე? **პირველ კითხვაზე** პასუხის გაცემამდე სტატიაში დანაშაულები დაყოფილია ორ ჯგუფად: ა) პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი დელიქტები, რომლის ჩადენა შეუძლია მხოლოდ სპეც. სუბიექტს (მაგ., სხელმწიფო მოხელეს) და საერთო სუბიექტს მისი ჩადენა არ შეუძლია; ბ) ისეთი დანაშაულები, რომლის ჩადენა შეუძლია როგორც სპეც. სუბიექტს, ისე საერთო სუბიექტსაც. სტატიაში დასაბუთებულია, რომ პირველი ჯგუფის დელიქტებში როგორც ამსრულებლობის, ისე თანაამსრულებლისათვის აუცილებლად საჭიროა სახეზე იყოს სპეც. სუბიექტი (მაგ., მოხელე). ხოლო თანამონაწილეობა (მაგ., დახმარება) ასეთ დელიქტებშიც შეუძლია ნებისმიერ საერთო სუბიექტს. რაც შეეხება **მეორე ჯგუფის** დანაშაულს, მასში ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა შეუძლია როგორც სპეც. სუბიექტს (მაგ., მოხელეს), ისე საერთოს სუბიექტსაც. მით უმეტეს, არაა

პრობლემა ამგვარ დანაშაულში თანამონაწილეობა, რაც შეუძლია განახორციელოს ნებისმიერ საერთო სუბიექტს.

12. ძველი ქართული სამართლის ძეგლების უცხოურ ენებზე თარგმანის მნიშვნელობისა და შედეგების შესახებ.

15. ნაშრომი შემუშავებულ იქნა თსუ-ს საკონსტიტუციო სამართლის მიმართულებით მოღვაწე აკადემიური გუნდის მონაწილეობით. მისი მიზანია საკუთარი წვლილი შეიტანოს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართლის განვითარების სფეროში, შეავსოს არსებული აკადემიური ნაშრომების მცირე რაოდენობა და წაახალისოს სამეცნიერო დისკუსია.

ნაშრომი განიხილავს მუნიციპალური (ადგილობრივი თვითმმართველობის) სამართალის სფეროში არსებულ ძირითად კონცეფციებს, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის „სტანდარტებსა“ და საქართველოს კანონმდებლობას. ამასთან, ნაშრომი აგრეთვე ყურადღებას უთმობს ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტის განვითარების თანამედროვე ტენდენციების მიმოხილვას, ქარტიის ხელმომწერი _ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების პრაქტიკის აღწერას და ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში ევროპის საბჭოს ორგანოების მიდგომებისა და რეკომენდაციების გადმოცემასა და განმარტებას.

სხვადასხვა საკითხის ანალიზისას წიგნში გამოყენებულია პრაქტიკულ მაგალითები და შედარებები, რომლებიც მკითხველს შინაარსის სწორად გაგებაში დაეხმარება. საქართველოში არსებული სამართლებრივი და პრაქტიკული გარემოს შეფასებისას ნაშრომში ასევე განხილულია საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მწირი, თუმცა მნიშვნელოვანი პრაქტიკა, რაც ამ სფეროში პირველად განხორციელდა.

წიგნი სულ შედგება თხუთმეტი თავისგან. თავები აგებულია შემდეგი სტრუქტურით: პირველი თავის ნაწილი ეძღვნება ძირითადი კონცეფციების, პრინციპებისა და ტერმინებისა განმარტებას, მეორე ნაწილი მიმოიხილავს ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიით დადგენილ სახელმძღვანელო სტანდარტებს, ხოლო მესამე ნაწილი აღწერს და აანალიზებს საქართველოს კანონმდებლობას.

ნაშრომი განკუთვნილია როგორც ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სასწავლო საფეხურის სტუდენტებისთვის, აგრეთვე შესაბამისი სფეროთი დაინტერესებული სამეცნიერო წრეებისა და პრაქტიკოსი საჯარო მოხელეებისთვის, რომლებსაც ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებთან უწევთ შეხება.

ავტორები შეეცადნენ მრავალწლიანი პედაგოგიური, სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილება გამოეყენებინათ მარტივი სტრუქტურის, შინაარსობრივად ტევადი და პრაქტიკული მაგალითებით დატვირთული ნაშრომის შესაქმნელად, რომელიც, ვფიქრობთ, განსაკუთრებულ დახმარებას გაუწევს მკითხველს ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში არსებული ზოგიერთი რთული კონცეფციისა და პრაქტიკული საკითხის უკეთესად გასაგებად და შემდგომი სამეცნიერო დისკუსიის წასახალისებლად.

16. წერილში ერეკლე მეფის ეპოქაში რუსეთის იმპერიიდან მომდინარე საფრთხეების ფონზე განხილულია სასამართლოს ორგანიზაციის თვალსაზრისით უაღრესად

საინტერესო, დიდი სახელმწიფო და საზოგადოებრივი რეზონანსის მქონე პაატა ბატონიშვილის (იგივე მარკოზაშვილის დარბაზელების) შეთქმულებისა და ლევან ბატონიშვილის მკვლელობის სისხლის სამართლის საქმეები. მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეებმა დიდი გავლენა იქონიეს, ქართლ-კახეთის სამეფოს იმდროინდელ ყოფასა და მის მომავალზე, არაერთი კითხვა ამ უმძიმეს დანაშაულთა ინიციატორებთან, ორგანიზატორებთან თუ, აღმსრულებლებთან დაკვშირებით კვლავაც პასუხგაუცემელი რჩება. დღემდე არ არის სათანადოდ შესწავლილი ამ საქმეებზე წინასასამართლო (დანისტრით) გამოძიების, სასამართლო განხილვისა თუ, სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებული, ძველი ქართული სამართლის კვლევის თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხები. წინამდებარე ნაშრომი სამეცნიერო ლიტარატურასა და საარქივი მასალებზე დაყრდნობით სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემის ავტორისეულ ხედვას წარმოადგენს.

17. წერილში ყურადღება არის გამახვილებული, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ანტონ I მიერ ქართული ეკლესიის ცხოვრებაში ახალი სასამართლო ინსტიტუტის - დიკასტერიის შემოტანის საკითხზე და ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის მის იოანე ბატონიშვილის შეთავაზებაზე სამეფო კარისადმი, რუსეთში უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის მსგავსად, დიკასტერიის შემადგენლობაში - შეეყვანათ მეფის წარმომადგენელი სულიერი მთავრის სახით. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე სიახლე წერილში შეფასებულია არა როგორც რუსეთის იმპერიიდან ხელაღებით გადმოტანილი ინსტიტუტები, არამედ როგორც, მეფისა და ქართული ეკლესიის ინტერესების დასაცავ-გასაძლიერებლად გამიზნული კონკრეტული ღონისძიებები, რომელთაც „რუსული ანალოგი" უბრალოდ არ გააჩნიათ.

20. საბანკო გარანტია მოთხოვნის უზრუნველყოფის გავრცელებული საშუალებაა, რომელიც ფართოდ გამოიყენება როგორც საერთაშორისო, ისე შიდა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. მისი უპირატესობა უზრუნველყოფის სხვა საშუალებებთან შედარებით მდგომარეობს გარანტისაგან დაკმაყოფილების დაუყოვნებლივ მიღების შესაძლებლობაში.

საბანკო გარანტია წარმოიშვა და ფორმირდა საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის განვითარების შედეგად. დამოუკიდებელი საბანკო გარანტიის, ანუ რეზერვული აკრედიტივის ინსტიტუტი მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა. ის პირველად აშშ-ს შიდა ბაზარზე გამოჩნდა და შესამჩნევი ადგილი საერთაშორისო საბანკო ოპერაციებში 70-იანი წლების დასაწყისში დაიკავა. სხვადასხვა ქვეყნის მიერ მიღებული სამართლებრივი ნორმების გარდა, მისი რეგულირება ხორციელდება დამოუკიდებელი გარანტიებისა და აკრედიტივების შესახებ გაეროს კონვენციის საფუძველზე. ამასთან, ძირითადი როლი საბანკო გარანტიის რეგულირების ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებაში ეკუთვნის საერთაშორისო სავაჭრო პალატას (International Chamber of Commerce — ICC).

საბანკო გარანტიის მარეგულირებელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები არ შეიცავს რიგი საკითხების რეგლამენტაციას. სწორედ ამიტომ, საბანკო გარანტიის

ეფექტიანობის საწინდარი საერთაშორისო სავაჭრო პალატის უნიფიცირებული წესების მართებული გამოყენება და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ფორმირებაა.
ნაშრომი წარმოადგენს საბანკო გარანტიის პრობლემურ საკითხებზე ზოგიერთ მოსაზრებას, რაც ხელს შეუწყობს მათ პრევენციას თავად საბანკო გარანტიებში ნების ავტონომიის ფარგლებში შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინებით, ასევე, დავის შემთხვევაში – მართებული ნორმების გამოყენებას, მათ განმარტებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ფორმირებას.
21. წიგნში განხილულია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაულები, როგორიცაა ყაჩაღობა, თაღლითობა და ქონებრივი დაზიანება მოტყუებით. ნაშრომში დამოწმებულია როგორც ქართულენოვანი, ისე გერმანულენოვანი წყაროები. ყაჩაღობის შემადგენლობის განხილვისას ყურადღებაა გამახვილებული ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ყაჩაღობის გამიჯვნა ძარცვისგან, ყაჩაღობის დროს დარაჯად მდგომი პირის ქმედების კვალიფიკაცია, ყაჩაღობის შემადგენლობის ობიექტური და სუბიექტური ნიშნები, მაკვალიფიცირებელი გარემოებები. თაღლითობა შედარებულია და გამიჯნულია მოტყუებით ქონებრივი დაზიანებისგან, მიმოხილულია თაღლითობის შემადგენლობით დაცულ ქონებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული თეორიები, თაღლითობა გამიჯნულია იმ შემთხვევისგან, რომელიც მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს. ნაშრომში საუბარია ზოგიერთი ქმედების დაუსჯელობასთან დაკავშირებით არსებული ხარვეზის დაძლევაზეც.

5.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ლაშა ბრეგვაძე, „სამართლის თეორიის საფუძვლები“
2. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ნაწილი პირველი (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ), მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი, ნონა თოდუა, რედ. ნონა თოდუა, თბ. 2023, გამომც. „მერიდიანი“, ISSN 978-9941-34-212-7, გვერდების რაოდენობა – 558.
3. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ნაწილი მეორე (ეკონომიკური დანაშაული, დანაშაული საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების წინააღმდეგ), მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი, ნონა თოდუა, რედ. ნონა თოდუა, თბ. 2023, გამომც. „მერიდიანი“, ISSN 978-9941-34-213-4, გვერდების რაოდენობა - 556.
4. დავით პატარაია, საერთაშორისო საჯარო სამართალი, წიგნი პირველი, 978-9941-36-083-1 (ყველა წიგნის) ISBN: 978-9941-36-084-8 (პირველი წიგნის), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023, 486 გვ.
5. მარინა გარიშვილი, დალი კანდელაკი, ნათია ამირეჯიბი, რუსული წყაროთმცოდნეობა - სახელმძღვანელო (9-13 თავები), გვ. 137-214) 2023, თსუ გამომცემლობა, ISBN 978-9941-36 – 131-9.

6. ჭანტურია/რუსიაშვილი/ზარანდია (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 4, სახელშეკრულებო სამართალი (ნაწილი 1), ISBN 978-9941-8-1812-7, თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, გადაცემულია გამოსაცემად.
7. კობა ყალიჩავა/პაატა ტურავა, გარემოს დაცვის სამართალი, 2023.
8. თამარ ზარანდია, „სანივთო სამართალი“, მესამე შევსებული გამოცემა, თბილისი, 449 გვ., 2023.
9. ირაკლი ბურდული, გიორგი მახარობლიშვილი, ანა თოხაძე, ნონა ზუბიტაშვილი, გიორგი ალადაშვილი, გვანცა მაღრაძე, დემეტრე ეგნატაშვილი, საკორპორაციო სამართლის სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, ISBN 978-9941-34-378-0, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 752.
10. გიორგი მახარობლიშვილი (თანაავტორი), სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალიზაციის სამართლებრივი რეგულირება, ISBN 978-9941-34-376-6, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2023, 212.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. სრულდება სახელმძღვანელოზე მუშაობა.
2. **წიგნი პირველის ანოტაცია** – დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ მოიცავს ისეთი საკითხების სისხლისსამართლებრივ ანალიზს, როგორიცაა: სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ცნება და საგანი; სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ზოგადი დახასიათება და მათი ცალკეული სახეების განხილვა (მკვლელობები და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულები); ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების განხილვა; ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტების განხილვა; სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმედგ მიმართული დანაშაულების განხილვა; დანაშაულო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ; დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ. სახელმძღვანელოში განხილულია სასამართლო პრაქტიკა თემატიკის მიხედვით.
3. **წიგნი მეორეს ანოტაცია** – წიგნი მეორე მოიცავს: ა) ეკონომიკური დანაშაულებისა და ბ) საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სს-ივ ანალიზს. კერძოდ, მასში განხილულია: ა) ეკონომიკური დანაშაულის სახეები - საკუთრების წონააღმდეგ მიმართული დაუფლებითი და სხვა სახის დანაშაულები; დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ; დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში; დანაშაული ფინანსური საქმიანობის სფეროში; დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ; ბ) დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ; დანაშაული, რაც დაკავშირებულია სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევასთან; მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ. სახელმძღვანელოში განხილულია სასამართლო პრაქტიკა თემატიკის მიხედვით.
5. რუსული წყაროთმცოდნეობის სახელმძღვანელო. განკუთვნილია უსდ-ში სამართლის, ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, ფილოლოგიის სტუდენტებისა და

იურიდიული და ჰუმანიტარული მეცნიერებებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

9. საკორპორაციო სამართალი საქართველოში, იურიდიული პროფესიის რეგულირებადი ხასიათიდან გამომდინარე, ბაკალავრიატის პროგრამის სავალდებულო საგანთა კატეგორიას განეკუთვნება. მისი შესწავლა აუცილებელია ადვოკატის, ნოტარიუსის, პროკურორის, მოსამართლის, როგორც რეგლამენტირებად პროფესიის წარმომადგენელთა თანამდებობის დასაკავებლად და დაინტერესებულ პირს აძლევს შესაძლებლობას შეიმეცნოს სამართალურთიერთობაში ჩართული მეწარმე სუბიექტის რაობის, მისი დაფუძნების, შიდაორგანიზაციული მმართველობის/კორპორაციული მართვის, ორგანოთა სტრუქტურისა და პარტნიორთა უფლება-მოვალეობის განხორციელება-შესრულების, მათი უფლების დაცვის, ხელმძღვანელ პირთა და პარტნიორთა პასუხისმგებლობის, საზოგადოებაში ქონების მოზიდვისა და შენარჩუნების, მოგების განაწილების, საზოგადოების გარდასახვისა და დაშლის, სამეწარმეო საზოგადოების სიცოცხლის საბოლოო დასრულების და სხვა შინა კორპორაციულსამართლებრივი საკითხები. ეს კი აუცილებელია არა მხოლოდ ზემოთ აღნიშნული პროფესიის პირისთვის მისი საქმიანობის განხორციელებისას, არამედ ნებისმიერი ამ სფეროთი დაინტერესებული ადამიანისთვის, რომელიც მის ცხოვრებას ამა თუ იმ ორგანიზაციულ სოციალურ წარმონაქმნს უკავშირებს. განსაკუთრებით საინტერესოა ამ დარგის შესწავლა კორპორაციული იურისტკონსულტისთვის, რომელიც ამ სფეროში კაუტელარული იურისპრუდენციის ძირითადი ინსპირატორი უნდა იყოს. ამ კუთხით, სახელმძღვანელოში გადმოცემულია სამეწარმეო სამართლებრივი ფორმები, მათი შიდაორგანიზაციული მოწყობის ნორმატიული საფუძვლები, სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნების, ფუნქციონირების და დაშლა-რეორგანიზაციის მატერიალური და პროცესუალური ასპექტები.

10. ნაშრომი იძლევა შედარებით სამართლებრივ ინფორმაციას გერმანულ (ნაწილობრივ ევროპულ) და ქართულ სამართალში კაპიტალის, უფრო სწორედ, საწესდებო კაპიტალის არსის, მინიმალური სავალდებულო, კანონისმიერი კაპიტალის კონცეფციის, მისი რელაური შევსების პრინციპის, შენატანის რაობისა და შეტანაუნარიანი საგნის განსაზღვრის, კორპორაციული ქონების შენარჩუნების, კაპიტალის გაზრდისა და შემცირების სისტემის თაობაზე და იგი (ნაშრომი) წარმოადგენს პირველ ქართულ მონოგრაფიულ კვლევას 2022 წელს ამოქმედებული საკორპორაციო კანონმდებლობის ფარგლებში.

წიგნი 4 ნაწილისაგან შედგება. შესავლის შემდეგ (I) ყურადღება მახვილდება ისტორიულ კონტექსტზე და საწესდებო კაპიტალის, როგორც ერთიანი საკანონმდებლო ინტეგრირებული სისტემის, ევოლუციურად ჩვენება ხდება (II); წიგნის შემდეგ (III) ნაწილი გერმანული საკორპორაციო და საბალანსო სამართლის დახასიათებს შეეხება, რამეთუ გერმანული საწესდებო კაპიტალის სისტემა, რომელიც, პრინციპში, მიზნობრივად იგივეობრივად არსებობდა 2008 წლის კანონმდებლობამდე, ევროპაში საწესდებო კაპიტალის დოქტრინის „მეხოტბედ და ტრადიციის გამგრძელებლად“ ითვლება. გერმანულ სამართალს ინსპირირების როლი აქვს ასევე ქართული სამართლისათვისაც ბევრ ასპექტში. ამიტომ მისი დახასიათება ქართველი იურისტებისათვის, ავტორთა აზრით, უინტერესო არ უნდა იყოს. წიგნის ბოლო (IV)

ნაწილი კი ქართულ სამართლებრივ სარკეში დანახულ განთავსებულ კაპიტალს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. ლაშა ბრეგვაძე, „სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამართლის უზენაესობის პრინციპთა შედარებით-კრიტიკული ანალიზი: ევოლუციური გზა ფუნქციონალური დიფერენცირების უზენაესობისკენ?“. სტატია ჟურნალში „საზოგადოება და სამართალი“.
2. ლაშა ბრეგვაძე, „საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმის საფუძვლები: ნორმატიულ წესრიგთა თვითდაფუძნების ინტერდისციპლინური დისკურსი“. სტატია ჟურნალში „საზოგადოება და სამართალი“.
3. ირაკლი დვალიძე, „გენოციდის ცნების მანკიერი მხარეები“ გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი, ელ. მისამართი: https://www.dgstz.de/ , ISSN 2566-5758, გვერდების რაოდენობა 12 (ჟურნალის საგამომცემლო კოლეგიის მიხედვით შეზღუდულია, რის გამოც სტატია წარმოდგენილია 12 გვერდად). **შენიშვნა:** ჟურნალში სტატიები იბეჭდება ყოველ კვარტალში, რის გამოც დასახელებული ნაშრომი გადაცემულია დასაბეჭდად და მკითხველისთვის ხელმისაწვდომი იქნება ა.წ. დეკემბერში.
4. ბესარიონ ზოიძე, ფორმალიზმი ქართულ სამართალში – უპირატესად საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, „საჯარო სამართლის ჟურნალი“, 1/2023, 73-125.
5. ბესარიონ ზოიძე, კერძო და საჯარო სამართლის ურთიერთმიმართება (უპირატესად ინტერესის თეორიის კონტექსტში), ჟურნალი „კერძო სამართლის მიმოხილვა“, N5, 2023, 10-42; ISBN 978-9941-34-383-4.
6. ბესარიონ ზოიძე, დასავლური სამართლის გავლენა ქართულ სამართალზე (უპირატესად საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით): ისტორიული და თანამედროვე მდგომარეობა, ჟურნალი „კერძო სამართლის მიმოხილვა“, N5, 2023, 188-203.
7. ნონა თოდუა, სისხლის სამართლის კანონის დროსა და სივრცეში მოქმედების საკითხისათვის, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 3/2023,

(პროფესორ, დოქტორ, საპატიო დოქტორ ო. გამყრელიძისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოშვება – 2), გვ. 76-82.
8. მაია ივანიძე, დამნაშავის პიროვნება – როგორც სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელი მნიშვნელოვანი გარემოება, ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალი, DGSTZ, 2023 წელი, მესამე გამოცემა.
9. ლადო ჭანტურია, სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, სამართლის ჟურნალი, №1, 2023, გვ. 9-25.
10. ირინა აქუბარდია, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პრობლემური საკითხები, „სამართლის ჟურნალი“, N 1, 2023, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, P-ISSN 1987-7668 E-ISSN 2720-782X , გვ. 222-241.
11. თამარ ზოიძე, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით“, ჟურნალი „კერძო სამართლის მიმოხილვა“, №5, 2023, 162-188; ISBN 978-9941-34-383-4.
12. გიორგი რუსიაშვილი (თანაავტორობით ოლაფ მუთჰორსტთან), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე–146-ე მუხლების გერმანული თარგმანის რევიდირებული ვერსია, ჟურნალში: ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 7/2023 (ISSN 2587-5191) – გადაცემულია გამოსაქვეყნებლად.
13. გიორგი რუსიაშვილი, „სხვისი საქმეების გაძღოლის ხელშეკრულება“ (Geschäftsbesorgungsvertrag) და საკუთრების მინდობა, ჟურნალში: ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 7/2023 (ISSN 2587-5191), 43-57.
14. გიორგი რუსიაშვილი (თანაავტორობით ულრიხ ჰაგენლოხთან), ნორმის ანდა ხელშეკრულების მიზანს აცდენილი უფლების განხორციელების მცდელობა: უფლების ბოროტად გამოყენება და ზიანის ანაზღაურება, კრებულში: პროფ. ლადო ჭანტურიას 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოცემა, თბილისი 2023; ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 6/2023 (ISSN 2587-5191), 1-29 (მეორეული პუბლიკაცია).
15. გიორგი რუსიაშვილი, Unzulässige Rechtsausübung und Schadenersatz bei einer über den Norm- bzw. Vertragszweck hinausgehenden Verfolgung von Rechten, in: Deutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung, 3/2023 (ISSN 2587-5191), 36-57.
16. გიორგი რუსიაშვილი (თანაავტორობით ოლაფ მუთჰორსტთან), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1-ლი-22-ე მუხლების გერმანული თარგმანის რევიდირებული ვერსია, ჟურნალში: ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 5/2023 (ISSN 2587-5191), 1-19.
17. გიორგი რუსიაშვილი, Das Georgische Zivilgesetzbuch – Eine revidierte Übersetzung von Art. 1-22, in: Deutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung, 1/2022 (ISSN 2587-5191), 1-19.
18. გიორგი რუსიაშვილი, მეზობლის ნაკვეთზე გადასული შენობის თმენისათვის კომპენსაციის მოთხოვნა სკ-ის 179 II მუხლის მიხედვით, ჟურნალში: ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 3/2023 (ISSN 2587-5191), 32-41.

19. გიორგი რუსიაშვილი, საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები და მათი გავლენა ნაციონალური ბანკების მიერ დადებულ ხელშეკრულებებზე, ჟურნალში: ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2023 (ISSN 2587-5191), 26-57.
20. გიორგი რუსიაშვილი, მოვალისთვის ვალის პატიების შედეგები თანამსესხებლისათვის, თანამკისრებლისათვის და უზრუნველყოფის გამცემისათვის, ჟურნალში: ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 1/2023 (ISSN 2587-5191), 121-127.
21. გიორგი რუსიაშვილი, Stundung der Bankkreditverpflichtungen während der Pandemiezeit – Leistungsunmöglichkeit und Verzug, in: Deutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung, 8/2022 (ISSN 2587-5191), 30-44.
22. გოჩა ფერაძე, „მოძღვართ-მოძღვარი ქართული სამართლის ისტორიიდან" (წერილი ეძღვნება პროფესორ ივანე სურგულაძის დაბადებიდან 120 წლისთავს), გამოქვეყნდა ქართულ და ინგლისურ ენებზე, იუსტიციის სამინისტრო „ჟურნალი იუსტიცია", N2 (5), გვ. 247-260, ISSN 2667-9876, DOI: https://doi.org/10.59172/2667-9876.
23. კობა ყალიჩავა/მერი აღაპიშვილი, მოსარჩელის კანონიერი ინტერესის ორმაგი ბუნება და ქართულ ადმინისტრაციულ მართლმსაჯულებაში მისი გამოყენების პრაქტიკის კრიტიკა, საჯარო სამართლის ჟურნალი, 2/2023.
24. პაატა ტურავა/კობა ყალიჩავა, ადმინისტრაციული სამართლის რეფორმის ძირითადი ასპექტები (პირველი ნაწილი), ჟურნალი „იუსტიცია", 5/2023.
25. კობა ყალიჩავა, საჯარო და კერძო სამართლის გამიჯვნა: სამართლებრივი წესრიგის ერთიანობის იდეის ევროპული გაგება და საჯარო და კერძო სამართლის მშვიდობიანი თანაარსებობა, ჟურნალი „კერძო სამართლის მიმოხილვა" 2/2023.
26. ლია შატბერაშვილი/კობა ყალიჩავა, სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი ასპექტები ევროინტეგრაციის კონტექსტში: შედარებითი ანალიზი (ნაწილი I), საჯარო სამართლის ჟურნალი, 1/2023.
27. ნათია ჩიტაშვილი, მედიაციის კონფიდენციალურობის საკანონმდებლო გარანტიების სახელშეკრულებო მექანიზმებით გაძლიერების საკითხისათვის (მიღებულია დასაბეჭდად ქართულ და ინგლისურ ენაზე თსუ იურიდიული ფაკულტეტის ორენოვან საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში).
28. გიორგი მახარობლიშვილი, აქციონერის აქტივიზმი: კონტროლის მოპოვება, გამოყენება და მათი სახეები, #1, 2023, ISSN 1987-7668, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 19.
29. გიორგი მახარობლიშვილი, ინტერესთა კონფლიქტი: ფინანსური რისკის სამართლებრივი მოწესრიგება, გამომცემლობა: წელიწდეული, მესამე გამოცემა, 2022, 18.
30. გიორგი თუმანიშვილი, საზოგადოების ინფორმირებამიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების თაობაზე და ბრალდებულის პროცესუალური გარანტიები; საკონსტიტუციო სასამართლოს ჟურნალი, 2022 წლის მე-2 გამოცემა; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი; ბათუმი; 21 გვერდი. სტატია გადაცემულია გამოსაქვეყნებლად და იგი გამოქვეყნდება 2022 წლის მე-2 გამოცემაში.
31. ლავრენტი მაღლაკელიძე, განზრახვის ცნება და მისი ადგილი დანაშაულის სისტემაში (ქართული სისხლის სამართლის მიხედვით), ISSN 25566-5758, გერმანულ-

ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, მე-2 გამოცემა, 2023, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) იურიდიული ფაკულტეტი, მე-2 კორპუსი, 008 ოთახი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 3, 0179, ელექტრონული ჟურნალი, ექვსი გვერდი.
32. ლავრენტი მაღლაკელიძე, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, ISSN 25566-5758 გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 1-ლი გამოცემა, 2023 თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) იურიდიული ფაკულტეტი, მე-2 კორპუსი, 008 ოთახი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 3, 0179, ელექტრონული ჟურნალი, შვიდი გვერდი.
33. ლავრენტი მაღლაკელიძე, სამართლებრივი შეცდომის პრაქტიკული მნიშვნელობა სასამართლოს გადაწყვეტილებებში (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლის ანალიზი), ISSN-1512-259X, მართლმსაჯულება და კანონი, N1(77) 2023, ძმები ზუბალაშვილების N6, საფოსტო ინდექსი: 0108 ქ. თბილისი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, ოცი გვერდი.
34. მაკა ხოდელი, მტკიცებულებათა შეფასების ცალკეული ასპექტები სისხლის სამართლის პროცესში, DGStZ (გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი), 4/2023, (გადაცემულია დასაბეჭდად), ISSN 2566-5758.
35. ელზა ჩაჩანიძე, ქურდობა, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული „მრავალფერი" დანაშაული. (ქართულად/ინგლისურად). სამართლის ჟურნალი. №2. 2023. P-ISSN 1987-7668. E-ISSN 2720-782X. თბილისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
36. თემურ ცქიტიშვილი, განზრახვა და მისი სახეები, შედარებითი სამართლის გერმანულ-ქართული ჟურნალი, 2023, #1.
37. თემურ ცქიტიშვილი, გაუფრთხილებლობა და მისი სახეები, შედარებითი სამართლის გერმანულ-ქართული ჟურნალი, 2023, #2.
38. თემურ ცქიტიშვილი, პასუხისმგებლობა თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულისათვის, შედარებითი სამართლის გერმანულ-ქართული ჟურნალი, 2023, #3.
39. თემურ ცქიტიშვილი, მცირე შენიშვნა, შედარებითი სამართლის გერმანულ-ქართული ჟურნალი, 2023, #3.
40. თემურ ცქიტიშვილი, თანაამსრულებლობა და თანამონაწილეობა ყაჩაღობის მაგალითზე, შედარებითი სამართლის გერმანულ-ქართული ჟურნალი, 2023, #4.
41. თემურ ცქიტიშვილი, სამართლებრივი სიკეთე ნარკოტიკული დანაშაულისას, შედარებითი სამართლის გერმანულ-ქართული ჟურნალი, 2023, #4.
42. თემურ ცქიტიშვილი, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხისათვის, შედარებითი სამართლის გერმანულ-ქართული ჟურნალი, 2023, #5.
43. თემურ ცქიტიშვილი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, შედარებითი სამართლის გერმანულ-ქართული ჟურნალი, 2023, #7.
44. თემურ ცქიტიშვილი, ლავრენტი მაღლაკელიძე, განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), თბილისი 2013, შედარებითი სამართლის გერმანულ-ქართული ჟურნალი, 2023, #8.

45. თემურ ცქიტიშვილი, ლევან ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბილისი 2014, შედარებითი სამართლის გერმანულ-ქართული ჟურნალი, 2023, #9.
46. ნინო გოგნიაშვილი, „პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მნიშვნელობა და მისი სპეციფიკა არასრულწლოვანთან მიმართებაში", გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, №3, 2023, გვ. 59-64, ISSN 2566-5758.
47. ნინო გოგნიაშვილი, „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას", სამეცნიერო ჟურნალი - სპექტრი - № 7, 2023, 80-92, ISSN 2587-4810, E-ISSN 2720-8389.
48. ზესიკ მეურმიშვილი, ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო მონიტორინგი: ქართულ სისხლის საპროცესოსამართლებრივ სივრცეში არსებული რეალობა და გამოწვევები; შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 8/2023, ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი); ISSN 2667-9817 (ელექტრონული);
49. ზესიკ მეურმიშვილი, საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის სისტემური გააზრება; სამართლის ჟურნალი, #2, 2023, P-ISSN 1987-7668; E-ISSN 2720-782X.
50. ზესიკ მეურმიშვილი, მოსაზრება სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის - სრულწლოვანთა განრიდების სრულყოფისათვის; სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი, #2, 2023, P-ISSN 2587-4810; E-ISSN 2720-8389.
51. მარიამ ხოფერია, პოლონეთისა და საქართველოს კონსტიტუციების შედარებითი ანალიზი (გადაცემულია დასაბეჭდად).
52. ანა თოხაძე, კორპორაციული მართვის სისტემაში მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუციური როლის ინტერდისციპლინური ანალიზი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალი, N1, 2023, P-ISSN 2720-8753 E-ISSN 2720-8761, თბილისი, გვ. 128-142.
53. ანრი ოხანაშვილი, „დანაშაულის დაფარვის საკითხის სწორად გაგებისთვის", ISSN 2566-5758, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი (DGStZ – www.dgstz.de), მეოთხე გამოცემა - დეკემბერი, 2023 წელი, ელექტრონული ჟურნალი, 10 გვერდი.
54. ხუჯაძე ქირონ, კაფკა, ბენიამინი, დერიდა : ძალადობაზე, კანონსა და სამართლიანობაზე ( I ნაწილი), სამართლის ჟურნალი N1,2023 (P-ISSN 1987-7668, E-ISSN 2720-782X), თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 15 გვერდი.
55. ხუჯაძე ქირონ, კაფკა, ბენიამინი, დერიდა : ძალადობაზე, კანონსა და სამართლიანობაზე ( II ნაწილი), სამართლის ჟურნალი N2,2023 (P-ISSN 1987-7668, E-ISSN 2720-782X), თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 17 გვერდი.
56. გიორგი დგებუაძე, სამართლიანი მარკირების პრინციპი საერთაშორისო სისხლის სამართალში - დანაშაულში ,,მეტად პასუხისმგებელი" პირის გამოსავლენად, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, მეოთხე გამოცემა, გადაცემული გამოსაქვეყნებლად, 10 გვერდი.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1. დაიბეჭდება 2024 წელს.
2. დაიბეჭდება 2024 წელს.

3. კვლევის მიზანია დაადგინოს თუ რამდენად შეესაბამება გენოციდის მატერიალურ-სამართლებრივი განსაზღვრება ტერმინ გენოციდს ეტიმოლოგიურად. მართებული მოსაზრების მიხედვით, „გენოციდის წინააღმდეგ ბრძოლის სირთულე, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, დაკავშირებულია გენოციდის, როგორც დანაშაულებრივი ქმედების, არაერთგვაროვან გაგებასთან.“ ამ სირთულის დასაძლევად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს გენოციდისგან „დაცული ჯგუფები“ რამდენად თავსდება გენოციდის განსაზღვრებაში.

ამ პრობლემას ემატება ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე მუხლი გენოციდის ალტერნატიულ მიზნებში, *ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი და რელიგიური ნიშნით* გაერთიანებული ჯგუფების მთლიანი ან ნაწილობრივი მოსპობის გვერდით, ასახელებს „რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის“ მთლიან ან ნაწილობრივ მოსპობას. შესაბამისად, უნდა დადგინდეს, რამდენად მართებულია გენოციდისგან „დაცული ჯგუფების“ არა ამომწურავი, არამედ სახელდებით ჩამოთვლა და ნორმის შემფარდებლისთვის აღნიშნულ „ჯგუფებთან“ მიმართებით განვრცობითი განმარტების მიცემის შესაძლებლობა.

ასევე კვლევის მიზანია განიმარტოს, რა იგულისხმება გენოციდის სუბიექტური შემადგენლობის ნიშან „მოსპობაში“.

აღნიშნული სტატია შედგება: შესავალი, II. გენოციდისგან „დაცული ჯგუფები“ საერთაშორისოსამართლებრივ აქტებში; III. გენოციდი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით; IV. „დაცული ჯგუფები“, რომლებიც არ თავსდება გენოციდის განსაზღვრებაში; V. გენოციდის შემადგენლობის ნიშანი „მოსპობა“; VI. დასკვნა.

საქართველო ხშირად განიცდიდა ძლევამოსილი იმპერიებისგან თავდასხმას, რასაც თან ახლდა ეთნიკური წმენდა, გენოციდი და მასობრივი მკვლელობები. ამ ისტორიული რეალობის კვალობაზე, საკმაოდ მნიშვნელოვანია ზუსტად გაირკვეს საერთაშორისო დანაშაულის, კერძოდ, გენოციდის არსი და მისი პრევენციის გზები.

საქართველოს გასული საუკუნეების ისტორიაში მრავლად მოიპოვება გენოციდის ნიშნების შემცველი მოქმედებები ქართველი ერის წინააღმდეგ. მაგალითად, 1226 წელს ხორეზმელმა (ხვარაზმელმა) ჯალალ ედ-დინ სულთანმა მოისურვა, რომ ქართველებს არამარტო უარი ეთქვათ ქრისტიანობაზე, არამედ შეურაცხყოფა მიეყენებინათ და ფეხით გაეთელათ ქრისტიანული სიწმინდეები (მაცხოვრის და ღვთისმშობლის ხატები), ხოლო ვინც არ დაემორჩილებოდა მის ბრძანებას, თავი მოეკვეთათ. უამრავმა ქართველმა არ უარყო სარწმუნოება და არ შეურაცხყო ქრისტიანული სიწმინდეები, რის გამოც, ჟამთააღმწერლის გადმოცემით 100000 ქრისტიანს თავი მოჰკვეთეს. „საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ამ დღეს წამებული 100000 უდიდესი გმირი წმინდანად შერაცხა.“ ეროვნული და რელიგიური ნიშნის მიხედვით გენოციდად უნდა შეფასდეს, შაჰ-აბას I მიერ ქართლ-კახეთში განხორციელებული გეგმა, რომლის მიზანი ქართველი ერის უდიდესი ნაწილის განადგურება იყო. სწორედ ამ გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო ქართველი მოსახლეობის სპარსეთში გადასახლება, რაც ასევე გულისხმობდა გადასახლებისას გზაში გადარჩენილი ქართველების გამუსულმანებას და გასპარსებას. შაჰ-აბას I მიერ 1614-1617 წლებში განხორციელებული ოთხი შემოსევის შედეგ კახეთის 100000 მკვიდრი მტერს შეაკვდა, ხოლო 200000 – ტყვედ წაიყვანეს და ირანის შიდა

პროვინციებში დაასახლეს, რომელთაგან გადარჩენილი მოსახლების შთამომავლები ჩაასახლეს ფერეიდანში, ისპაანის პროვინციაში, ხორასანში, მაზანდარანსა და სხვ. სამწუხაროდ, უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში საქართველოში განვითარებული შეიარაღებული კონფლიქტებისას თუ საომარი მოქმედებებისას ქართველი ერის მიმართ კვლავ ჰქონდა ადგილი ეთნიკურ წმენდასა და გენოციდის ნიშნების შემცველ ქმედებებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე მუხლი (გენოციდი) მთლიანობაში ასახავს 1948 წლის 9 დეკემბერს მიღებული „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ“ კონვენციის სულისკვეთებას, თუმცა თვით ორივე დასახელებულ სამართლებრივ აქტში მოცემული გენოციდის განმარტება არ არის სრულყოფილი და გარკვეულ ცვლილებებს მოითხოვს.

ტერმინ „გენოციდის“ შემქმნელი *რაფაელ ლემკინი* „ოკუპირებულ ევროპაში გერმანიის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე დაყრდნობით, ფართოდ წარმოადგენდა გენოციდის განხორციელების მეთოდებს, რომელიც შეიძლება პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, ბიოლოგიური, ფიზიკური, რელიგიური და მორალური ნიშნით იყოს განსაზღვრული.“

საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლში გენოციდის დეფინიცია, საერთაშორისოსამართლებრივ აქტებში (მაგალითად,1948 წლის 9 დეკემბრის „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ“ კონვენცია, 1998 წლის 17 ივლისის „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება) მოცემული გენოციდის ცნებისგან განსხვავებით, რიგ შემთხვევებში უფრო ფართოდ, ხოლო რიგ შემთხვევებში უფრო ვიწროდ არის წარმოდგენილი

საყოველთაოდ ცნობილია, *რაფაელ ლემკინის მიერ* შექმნილი ტერმინი გენოციდი შედგება ბერძნული სიტყვისგან „genos“ (რაც ნიშნავს რასას ან ერს) და ლათინური ზმნისგან „caedere“ (რაც გამოხატავს „კვლას). მართებულია მოსაზრება, რომ „გენოციდის ტერმინთან დაკავშირებით, მისი (ავტორი გულისხმობს რაფაელ ლემკინს. ხაზგასმა ჩემია. - ი.დ.) კონცეფცია აშკარად სცილდება გენოციდის ეტიმოლოგიურ გაგებას. ანალიზით ირკვევა, რომ ტერმინ გენოციდის პირველ ნაწილს, génos, რომელიც აღნიშნავს „რასას, გვარს, ტომს, ჯიშს, გააჩნია ორგანიზმის მემკვიდრეობითი საფუძველი, ანუ ბიოლოგიური ელემენტი.“

ძალიან საინტერესო და ლოგიკურად დასაბუთებული მსჯელობა არის განვითარებული გერმანიის უზენაესი სასამართლოს მიერ. კერძოდ, „გერმანიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჯგუფის მოსპობის დასადგენად არ არის აუცილებელი, რომ ის ფიზიკურად ან ბიოლოგიურად განადგურდეს. სასამართლო დაასკვნის, რომ საკმარისია ამსრულებელმა განიზრახოს ჯგუფის სოციალური არსებობის შეწყვეტა, ე.ი. მას უნდა სურდეს გამორიცხოს, ერთი მხრივ, ჯგუფი, როგორც სოციალურად დამოუკიდებელი ერთეული, მისი სპეციფიკური მახასიათებლებით, ხოლო, მეორე მხრივ, მის წევრთა შორის საზოგადოებრივი კავშირის არსებობა. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული დანაშაულისგან დაცული ინტერესი არის ჯგუფების ფიზიკური და სოციალური არსებობის საერთო ინტერესი, ამგვარი გაგება სრულ მხარდაჭერას იმსახურებს.“ მართლაც, გენოციდის შემადგენლობის ნიშანი „მოსპობა“ არ უნდა განიმარტოს მხოლოდ გენოციდისგან დაცული ჯგუფის ფიზიკურ ან ბიოლოგიურ „მოსპობად“, რადგან ადამიანი არა

მხოლოდ ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური, არამედ სოციალური არსებაც არის. ადამიანებისგან შემდგარი ჯგუფის არსებობის ფორმაც წარმოუდგენელია სოციალური ასპექტის გათვალისწინების გარეშეც. შესაბამისად, ჯგუფის, როგორც ასეთის, „მოსპობა" მაშინაც სახეზეა, თუკი მისი არსებობა სოციუმისთვის უკვე აღქმადი აღარ არის. სხვა სიტყვებით, რომ ითქვას, ყველა საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ ხალხის იძულებითი ასიმილაციაც, გენოციდისთვის დამახასიათებელი განზრახვის არსებობისას, შეფასდეს როგორც გენოციდი.

ზემოაღნიშნული კვლევის შედეგად შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება: *პირველი,* როგორც საერთშორისოსამართლებრივ აქტებში, ისე საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლში, გენოციდს საუთარშივე უნდა დაემატოს სიტყვები „ან სხვაგვარი დემოციდი", რაც ტერმინოლოგიურად შესაბამისობაში მოვა გენოციდის შემადგენლობაში გადმოცემულ ქმედებებთან. მართებულია მოსაზრება, რომ „გენოციდის ცნება ძალიან არ უნდა გაფართოვდეს და გენოციდის ცნებაში დაცული ჯგუფები უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მისი განმსაზღვრელი ბიოლოგიური კრიტერიუმით – გენით." „აღნიშნულ კრიტერიუმს აკმაყოფილებს ერის, ეთნოსისა და რასობრივი ნიშნით გაერთიანებული ჯგუფები."

*მეორე,* საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლში მოცემული გენოციდის ალტერნატიული ქმედება, - *ბავშვის იძულებით გადაცემა ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში,* - ვიწროა, რადგან მხოლოდ ეთნიკურ ჯგუფებს შორის გადაცემას გულისხმობს. ამ ქმედებას უნდა დაემატოს სხვა ჯგუფიც და მხოლოდ მაშინ უნდა შეფასდეს გენოციდად, თუკი დაცული ჯგუფის ფიზიკური ან სოციალური (კულტურული) „მოსპობა" არის შესაძლებელი. კერძოდ, გენოციდად უნდა შეფასდეს მხოლოდ სხვადასხვა ეროვნული, ეთნიკური ან რასობრივი ნიშნით გაერთიანებულ ჯგუფებს შორის ბავშვების იძულებით გადაცემა.

*მესამე,* საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლით გათვალისწინებულ გენოციდის შემადგენლობაში მოცემულ სიტყვებს „ან რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებულს" არ უნდა მიეცეს სიტყვა-სიტყვითი განმარტება, რადგან ამგვარი მიდგომა არ შეესაბამება გენოციდის დასჯადობის კონვენციურ გაგებას არც ისტორიული და არც ნორმის დაცვის მიზნის თვალსაზრისით. ნორმის თელეოლოგიური განმარტება კონვენციის სულისკვეთებას შეესაბამება, რადგან 1948 წლის 9 დეკემბრის „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ" კონვენციის პროექტის ავტორთა იდეა იყო, უპირველეს ყოვლისა, კონვენციით დაცული ყოფილიყო ბიოლოგიური ნიშნით განსაზღვრული, ხოლო ამის შემდგომ „სტაბილურობით" გამორჩეული ჯგუფები.

*მეოთხე,* გენოციდის შემადგენლობის ნიშანი „მოსპობა" უნდა განიმარტოს არამხოლოდ გენოციდისგან დაცული ჯგუფის ფიზიკურ ან ბიოლოგიურ, არამედ სოციალურ განადგურებადაც.

7. სტატია ეხება სისხლის სამართლის კანონის დროსა და სივრცეში მოქმედების სადავო საკითხებს. კერძოდ, მასში განხილულია საკითხი: ა) რას ნიშნავს „როდესაც მოქმედებდა ამსრულებელი ან უნდა ემოქმედა მას"? ბ) რა იგულისხმება „ქმედების ჩადენის დრო"-ში? შედის თუ არა მასში დანაშაულის მომზადების დროც? გ) რა დროდ ჩაითვლება დანაშაულის ჩადენის დროდ, როცა მომზადებასთან ერთად ჩადენილია მცდელობაც? დ) რა დრო ჩაითვლება დანაშაულის ჩადენის დროდ მაშინ, როცა პირი

საქართველოში მოამზადებს დანაშაულს, მაგრამ საზღვარგარეთ ჩაიდენს მიც მცდელობას (ან საზღვარგარეთ დაამთავრებს დანაშაულს)? ე) როგორ გადაწყდება საკითხი, როცა ხსენებულ ვითარებაში დანაშაულის სუბიექტია უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი? ვ) როგორ გადაწყდება დანაშაულის ჩადინის დროის საკითხი, როცა ხსენებულ ვითარებაში ქმედება ჩადენილი იყო ჯგუფურად და აქედან მხოლოდ ერთი იყო საქართველოს მოქალაქე ან სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი?

10. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუციურად არ მიეკუთვნება სასამართლო სისტემის ცალკე რგოლს. ის ფუნქციონირებს პირველი ინსტანციის სასამართლოსთან და წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელების განსაკუთრებულ ფორმას. ორდინალური სამართალწარმოებისაგან განსხვავებით, სადაც მოსამართლე კანონის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ეყრდნობა ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქეების ე.წ. „შინაგან ხმას“ – სინდისს, „საღ აზრს“, ხალხურ სიბრძნეს და გონიერებას, საზოგადოებრივ მორალს, სამართლიანობის განცდას. ამიტომაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დემოკრატიის უმაღლეს გამოხატულებად ითვლება. იგი მრავალმხრივ საინტერესო ინსტიტუტია. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პრობლემურ საკითხებზე. განხილულია არაპროფესიონალი მოსამართლეების შერჩევის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, მიმოხილულია შერჩევის წინაპირობები, მოთხოვნები ნაფიცი მსაჯულისადმი, შეუთავსებლობა, უარი ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებისადმი, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიის შედგენა, დასაბუთებული და დაუსაბუთებელი აცილებები, ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის ჩამოყალიბების პროცესი. აქცენტირებულია მხარეთა მომზადების მნიშვნელობა და მოსამართლის როლი ობიექტური და მიუკერძოებელი ნაფიცი მსაჯულების შერჩევაში. სტატიაში პოზიტიურად არის შეფასებული საკანონმდებლო ცვლილებები, თუმცა ამ კუთხით კვლავ არსებობს გამოწვევები. შესაბამისად, იდენტიფიცირებულია ის პრობლემები, რომლებიც ახლავს ნაფიც მსაჯულთა კორპუსის ფორმირებას და გამოთქმულია კონკრეტული რეკომენდაციები ნაფიც მსაჯულთა შერჩევის გაჭიანურების პრევენციის და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ნაფიცი მსაჯულების შერჩევის მიზნით.

22. წერილში გადმოცემულია დიდი ქართველი მეცნიერის, ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი მებალავრის, 1947 წლიდან გარდაცვალებამდე – 1983 წლის 10 ოქტომბრამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის, ხელმძღვანელის, პროფესორ ივანე სურგულაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი უმნიშვნელოვანესი მოვლენები. წერილში იმავდროულად, ყურადღება არის გამახვილებული ათწლეულების მანძილზე ბატონი ივანეს მიერ შეტანილ განსაკუთრებულ წვლილზე ახალგაზრდა ქართველ იურისტთა თაობების აღზრდის საქმეში.

27. კონფიდენციალურობა მედიაციის ცენტრალური არსობრივი მახასიათებელი, ფუნდამენტური პრინციპი და მედიატორის ერთ-ერთი უმთავრესი ეთიკური ვალდებულებაა, რომელიც წაახალისებს მხარეთა გახსნილ, გულწრფელ კომუნიკაციას და საკუთარი ინტერესების, საჭიროებებისა და საზრუნავის თვითგამოხატვას უსაფრთხო გარემოში. კონფიდენციალურობა ხშირად მედიაციის პროცესის

ინიცირების მთავარ მამოტივირებელ ფაქტორად განიხილება, რამეთუ კონფიდენციალურობის ინტერესი შესაძლებელია განხორციელდეს დავის გადაწყვეტის სისტემათა კონტინუუმიდან სწორედ მედიაციის პროცესის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის ინტერესს. მხარის განსაკუთრებული ინტერესი კონფიდენციალურობის მიმართ შესაძლებელია განპირობებული იყოს მისი სურვილით, თავიდან აიცილოს სასამართლო გადაწყვეტილებით პრეცედენტის დამკვიდრება. სტატიაში კონფიდენციალურობის მნიშვნელობა განხილულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ჭრილში, გაანალიზებულია მხარეთა წინაშე მედიატორის ინფორმირების ვალდებულება და კონფიდენციალური ინფორმაციის უსაფრთხო გაზიარების სტანდარტები. სტატია მიზნად ისახავს კონფიდენციალურობის მნიშვნელობისა და საკანონმდებლო გარანტიების კვლევას, მათი სრულყოფილი განხორციელების შესაძლო გამოწვევების იდენტიფიცირებას და დაცვის სახელშეკრულებო მექანიზმებით გაძლიერების აუცილებლობის განსაზღვრას.

28. სტატიაში გაანალიზებულია საკორპორაციო სამართლის ბირთვის, კორპორაციული მართვის მთავარი დილემის ძირითადი ვექტორი, რომელიც ინტერესთა და ვალდებულებათა კონფლიქტს მიემართება. საკორპორაციო სამართლის კონკრეტული მიზანი ორგანიზაციულად მოწყობილ სამეწარმეო საზოგადოებაში მონაწილე ან მასთან დაკავშირებულ პირთა შორის არსებულ ინტერესთა კონფლიქტის კონტროლირებადი სამართლებრივი არეალის შექმნაა. შეუთავსებელ ინტერესთა მქონე სუბიექტთა შორის დისბალანსის პრევენცია კორპორაციული მართვის სისტემური ნაწილია და მას „მფლობელ-მესაკუთრის“ პრობლემა ეწოდება.

საკუთრების და კონტროლის გამიჯვნა უფლებებს, მოვალეობებსა და ინტერესს შორის კოლიზიას წარმოშობს. ინტერესთა შორის კონფლიქტი არის რეალიზებადი პოტენციური საფრთხე, რომელიც გარიგებაში მონაწილე ერთი მხარისთვის, გარიგების მეორე მხარის ხარჯზე, არამართლზომიერი, პირადი მოტივით განპირობებული უპირატესობის მინიჭების შესაძლებლობას გულისხმობს. კორპორაციულსამართლებრივად, პოტენციური საფრთხე საინვესტიციო თუ ინვესტირებული კაპიტალის რისკად „ითარგმნება“, რისკში კი „რაღაცის დაკარგვის ალბათობა, გამოხატული პროცენტულ მაჩვენებელში“ მოიაზრება. არამართლზომიერი უპირატესობის ეკონომიკური შედეგია მატერიალური, ფინანსური ან სხვა სარგებლის მიღება.

ინტერესთა კონფლიქტის კონსტრუქცია ნორმატიულად მოწესრიგებადი ხასიათის პირობებში კორპორაციულსამართლებრივი დაცვის სტრატეგიად გარდაიქმნება. მისი შინაარსის კორპორაციულ სტრატეგიად გამოყენება სს-ის მიზნობრივად გამართული ფუნქციონირების გარანტია, ხოლო დავის წარმოშობის შემთხვევაში, სასამართლოსთვის მართლმსაჯულებითი ანალიზის ორიენტირის სწორად განსაზღვრის შესაძლებლობას წარმოსახავს. შედეგად, ინტერესთა კონფლიქტის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებადი კონსტრუქცია სს-ის ინტერესთა კონფლიქტის კონტროლირებად ბუფერს ქმნის.

29. საკუთრების და კონტროლის გამიჯვნა უფლებებს, მოვალეობებსა და ინტერესს შორის კოლიზიას წარმოშობს. ინტერესთა შორის კონფლიქტი არის რეალიზებადი

პოტენციური საფრთხე, რომელიც გარიგებაში მონაწილე ერთი მხარისთვის, გარიგების მეორე მხარის ხარჯზე, არამართლზომიერი, პირადი მოტივით განპირობებული უპირატესობის მინიჭების შესაძლებლობას გულისხმობს. კორპორაციულსამართლებრივად, პოტენციური საფრთხე საინვესტიციო თუ ინვესტირებული კაპიტალის რისკად „ითარგმნება", რისკში კი „რაღაცის დაკარგვის ალბათობა, გამოხატული პროცენტულ მაჩვენებელში" მოიაზრება. არამართლზომიერი უპირატესობის ეკონომიკური შედეგია მატერიალური, ფინანსური ან სხვა სარგებლის მიღება.

30. მასობრივი საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების ეპოქაში ფაქტობრივად შეუზღუდავია მოქალაქეთა წვდომა ინფორმაციებზე. ამის პარალელურად მუდმივად იზრდება მედიის ზეგავლენა საზოგადოებრივ აზრზე. გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოება განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს კრიმინალური შემთხვევების მიმართ, არაერთი მედია საშუალება დიდ ყურადღებას უთმობს კრიმინალურ ქრონიკებს და ცდილობს, ამით მოიპოვოს საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი. თუმცა ამას შეუძლია, სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენოს როგორც ცალკეული პირების ღირსება, ისე მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და ამასთან, აქციოს მსხვერპლად პროცედურული სამართლიანობის წესები. როგორც წესი, მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე საზოგადოების ინფორმირებისას ხდება პროცესის მონაწილეთა იდენტიფიცირება და სტიგმატიზება ანდა პრეიუდიციული ხასიათის ინფორმაციის გავრცელების შედეგად ხდება ბრალდებულის მედიის მიერ, ჯერ კიდევ, სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე გასამართლება. საფრთხეები, რაც შეიძლება დაემუქროს დაუბალანსებელი საინფორმაციო პოლიტიკის გამო სისხლის სამართლის პროცესსა და ბრალდებულის პროცესუალურ გარანტიებს, განსაკუთრებით საყურადღებო უნდა იყოს პროკურატურისთვის და საგამოძიებო ორგანოებისთვის, რომლებიც რეგულარულად აწვდიან ინფორმაციას საზოგადოებას ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეებზე. სტატიაში მიმოხილულია სისხლის სამართლის საქმეებზე საინფორმაციო პოლიტიკის წარმოების მნიშვნელობა და თავისებურებები, ასევე ხაზი გასმულია ზემოხსენებულ საფრთხეებზე და სარეკომენდაციო სახით ასახულია დაბალანსებული საინფორმაციო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. დასკვნის სახით ხაზგასმულია იმაზე, რომ სისხლის სამართალმწარმოებელმა ორგანოებმა და მედია საშუალებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ სწორი საინფორმაციო პოლიტიკის განხორციელებას სისხლის სამართლის საქმისა და ბრალდებული პირების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისას. მიუხედავად საზოგადოების მაღალი ინტერესისა ცალკეული სისხლის სამართლის საქმეთა მიმართ, საჭიროა, მათი ინფორმირება მოხდეს დაბალანსებულად, რაც ასევე ბრალდებულისთვის მინიჭებული გარანტიებისა და მართლმსაჯულების ინტერესების გათვალისწინებას გულისხმობს. ამასთან, განცხადებების გაკეთებისას, განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ საგამოძიებო ორგანებისა და პროკურატურის წარმომადგენლებს, რადგან მედია საშუალებები ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით ახდენენ საზოგადოების ინფორმირებას და, ამ შემთხვევაში, ინფორმაციაზე პასუხისმგებელია თავად სისხლის სამართალმწარმოებელი ორგანო და არა მედია საშუალება.

34. მე-19 საუკუნის პირველ ნახევრამდე ევროპის ბევრ ქვეყანაში მოქმედებდა საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც კონკრეტულად ადგენდა წესებს პირის გასამართლებისთვის საჭირო კანონით დადგენილი მტკიცებულებების შესახებ. საკმარის მტკიცებულებად, როგორც წესი, ითვლებოდა ორი პირდაპირი მოწმის ჩვენება, ასევე, ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება. მოგვიანებით ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ მსგავსი მიდგომა შესაძლოა დიდი რისკის მატარებელი ყოფილიყო, რადგან ამით შეიძლებოდა უდანაშაულო ადამიანის მსჯავრდება, თუკი ორივე მოწმე იცრუებდა ანდა აღიარებითი ჩვენება იქნებოდა ყალბი (იქნებ წამებით მოპოვებულიც კი). ამიტომ მოსამართლეს მიენიჭა მტკიცებულებათა შეფასებისას ნაწილობრივი თავისუფლება. ორი პირდაპირი მოწმისა და აღიარებითი ჩვენების არსებობა მოსამართლეს კი აღარ აიძულებდა, არამედ უფლებამოსილებას აძლევდა გაესამართლებინა პირი.
რა პრინციპებით ხელმძღვანელობს დღეს მოსამართლე სისხლის სამართლის საქმეში მტკიცებულებათა შეფასებისას? რა ძირითად კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს მტკიცებულება, რომ ის დასაშვებად იქნეს ცნობილი სისხლის სამართლის პროცესში? აღნიშნული საკითხების შესახებ დროთა განმავლობაში განსხვავებული მოსაზრებები ყალიბდებოდა და დღესაც არ არსებობს ამ საკითხის შესახებ ერთიანი პოზიცია, როგორც ქართულ, ისე გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში.
ამ საკითხების ირგვლივ არსებული აქტუალური პრობლემური ასპექტების გარკვევის მიზნით აღნიშნულ სტატიაში განხილული იქნება გერმანულ და ქართულ სამართალში განვითარებული მტკიცებულებათა შეფასებისა და მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხები.
35. ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნში აღნიშნულია, რომ ქურდობა „ბევრი რიგის“ და „მრავალფერი“ არის. ძველ ქართულ სამართალში საკუთრების წინააღმდეგ მიმართული რამდენიმე მსგავსი სახის დანაშულია, ძარცვა, მეკობრეობა, ქურდობა. სამივე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სხვისი საკუთრების მითვისებას. ძარცვის და მეკობრეობისაგან განსხვავებით ქურდობა არ წარმოადგენდა ძალადობით ჩადენილ აშკარა ქმედებას. ძველ ქართულ სამართალში არსებულ სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით ქურდობის სხვადასხვა სახე პირობითად შეიძლება დავყოთ დანაშაულის ძირითად, კვალიფიციურ და პრივილეგირებულ შემადგენლობად. კვალიფიციური ქურდობის შემთხვევაში უმეტესად საქმე მეფის კარზე განიხილებოდა და ქურდს სიკვდილით სჯიდნენ, ან დამასახიჩრებელი სასჯელს იყენებდნენ. ქურდობის ძირითადი შემადგენლობის სასჯელი ქონებრივი საზღაურის სახის იყო, რომელიც განისაზღვრებოდა მოპარაული ნივთის ღირებულების მიხედვით. სამართლის წყაროებში გვხვდება ნივთის ღირებულების ორმაგი, სამმაგი, ხუთმაგი, შვიდმაგი ოდენობის ანაზღაურება. უმეტესად შვიდმაგი ოდენობის გადახდა იყო დაწესებული, საიდანაც ქონებრივი საზღაურის ორმაგი წილი დაზარალებულს გადაეცემოდა, დანარჩენი კონკრეტულ მოხელეს, ან ზოგადად სახელმწიფოს. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ძველ ქართულ სამართალში ქურდობის შესახებ არსებული ნორმების უმეტესობა კერძო და საჯარო ინტერესის დაცვისკენ არის მიმართული. კერძო ინტერესის დაკმაყოფილება ნივთის მესაკუთრესთვის საზღაური შვიდეულის ორი წილის გადაცემით ხდებოდა, ხოლო სახელმწიფოს დანარჩენი ნაწილი ეკუთვნოდა.

46. ყველა ადამიანი თავისუფალი და თანასწორია თავისი ღირსებითა და უფლებებით, რაც აღიარებული და უზრუნველყოფილია საერთაშორისო კონვენციებითა და დეკლარაციებით. მათ შორის, აღსანიშნავია გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია'', ევროპის საბჭოს 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ'', 1981 წლის 28 იანვრის ევროპის საბჭოს 108-ე კონვენცია, და 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებული გაეროს ორი პაქტი -,,სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" და ,,ეკონომიკური,სოციალური და კულტურული უფლებების" შესახებ. საქართველოს კონსტიტუცია, ისევე როგორც სხვა დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციები, აღიარებს და უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებს. აღნიშნულ უფლებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პირადი ცხოვრების უფლებას. პირადი ცხოვრება არ არის მხოლოდ ადამიანის შინაგანი სამყარო, არამედ იგი ასევე მოიცავს პირის შესაძლებლობას, ჰქონდეს გარე სამყაროსთან ურთიერთობა. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არის ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის, საზოგადოების ჯანსაღი განვითარებისა და არსებობისთვის. შესაბამისად, მისი გამოყენება ანგარებით ან პოლიტიკური

მიზნებისთვის ყოვლად დაუშვებელია. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება ის ფასეულობაა, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში აისახება და იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა დემოკრატიულ საზოგადოებაში. ტექნოლოგიური განვითარების პირობებში, როდესაც პროგრესს სისტემატურად განიცდის ჩვენი გარე სამყარო, აღნიშნული უფლება ახალ შინაარსს იძენს.საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი 1 იცავს ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებას, რომელიც თავისი არსით, ბუნებრივია ცდება კონსტიტუციის ერთი კონკრეტული მუხლის ფარგლებს. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე მიიჩნევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომ პირადი ცხოვრების უფლების ფუნდამენტური მნიშვნელობა მის მრავლისმომცველობასთანაა დაკავშირებული იგი მოიცავს, ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის, პირადი მონაცემების, ოჯახური და სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოების, სახელის, მიმოწერის და სატელეფონო საუბრების საიდუმლოს ხელშეუხებლობის უფლებას, და ასევე რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, ნასამართლობასა და განრიდებასთან, ბიომეტრიულ თუ გენეტიკურ ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებს,თუმცა, მისი ყველა ასპექტის წინსწრებად ჩამოთვლა შეუძლებელია. პირადი ცხოვრების უფლების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვნებთან მიმართებაში. მათთან ურთიერთობა განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს ნებისმიერ სივრცეში, მითუმეტეს მართლმსაჯულების კუთხით და მისი საკანონმდებლო მოწესრიგებაც სწორედ აღნიშნული ფაქტორების სრულფასოვანი გააზრებით უნდა განხორციელდეს. არასრულწლოვნის უფლების დაცვის სფერომ ბოლო წლებში დიდი ტრანსფორმაცია განიცადა. ადრე თუ არასრულწლოვანი არ განიხილებოდა დამოუკიდებელი უფლებების მატარებლად, გასული საუკუნის 20-იან წლებში მიღებულმა "ჟენევის დეკლარაციამ" ვითარება არსებითად შეცვალა. შემდგომ წლებში კი აღნიშნული სფერო კიდევ უფრო მეტად დაიხვეწა და გამყარდა სხვადასხვა აქტებში. შესაბამისად, საინტერესოა, რა გზა განვლო და როგორ

უზრუნველყოფს კანონმდებლობა არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვას ამ ეტაპზე.

47. სისხლის სამართლის საქმის სრულფასოვნად გამოძიება, საგამოძიებო მოქმედებების სწორად დაგეგმასა და ჩატარებაზე არის დამოკიდებული. მათ შორის რიგ შემთხვევებში მნიშვნელოვანია ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაც, რომლის გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელია, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენა, თუმცა ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, გარკვეულწილად დაკავშირებულია ადამიანის უფლების შეზღუდვასთან , მით უმეტეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვასთან , რომლის ჩატარებაც მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც დემოკრატიულ საზოგადოებაში კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევა არის საჭირო. აღნიშნული საკითხების აქტუალობამ განაპირობა იმ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადება ჯერ კიდევ 2014 წელს, რომელიც კანონმდებლობის დახვეწას ისახავდა მიზნად., სადაც ძირითადი აქცენტი სწორედ ადამიანის პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩარევის აკრძალვისკენ იყო მიმართული და აღნიშნული დღემდე ეტაპობრივად გრძელდება. ასევე, აქცენტი კეთდება კონტროლის იმ მნიშვნელოვანი მექანიზმების შერჩევაზე, რომელიც განაპირობებს ადამიანის პირადი ცხოვრების დაცულობისათვის საჭირო და ეფექტური კონტროლის მექანიზმის შერჩევას. ნაშრომში განხილულია ფარული საგამოძიებო მოქმედების მნიშვნელობა, მისი ისტორიული წინაპირობები და განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და კონტროლის მექანიზმების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

48. დანაშაულის გამოძიების პროცესში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს განსაკუთრებული და რიგ შემთხვევებში გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნიათ. თუმცა, აქვე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ეს ისეთი მოქმედებებია, რომლებიც მნიშვნელოვნად იჭრება პირადი ცხოვრების დაცულ სფეროში და ამ დროს ადვილად შეიძლება დაირღვეს ადამიანის უფლებები. შესაბამისად, საჭიროა, კანონმდებლობით განისაზღვროს ფარული საგამოძიებო მოქმედებების მონიტორინგის ეფექტური მექანიზმები, რაც შექმნის ადამიანის პირად ცხოვრებაში უკანონოდ ჩარევის დაუშვებლობის შესაბამის გარანტიებს. დღეს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის პროცესის თეორიასა და პრაქტიკაში მიმდინარეობს ფართო დისკუსიები, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია არაერთი მოსაზრება, თუმცა ამ კუთხით გამოსავალი ჯერ კიდევ ნაპოვნი არ არის, ვინაიდან აღნიშნული თემა ერთობ რთული, პრობლემური და მრავალასპექტიანია. საკითხს ართულებს ისიც, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება დაკავშირებულია საინფორმაციო ტექნოლოგიებთან, რომლის ბოლომდე კონტროლი თანამედროვე ცხოვრებაში თითქმის შეუძლებელია. ამ თვალსაზრისით, მხოლოდ სამართლებრივი მიგნებები არ არის საკმარისი. საჭიროა საკითხის კომპლექსურად - იურიდიული და ტექნიკური თვალსაზრისით შესწავლა და სპეციფიკის გათვალისწინება რათა განისაზღვროს მონიტორინგის ის ეფექტური მექანიზმები, რაც ესოდენ აუცილებელია ამ საგამოძიებო მოქმედებათა გასაკონტროლებლად. ამასთან, ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა რიცხვი ნელ-ნელა, მაგრამ მაინც იზრდება (მაგალითად, გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა). არსებობს მოსაზრება, რომ ამ საგამოძიებო მოქმედებებს უნდა დაემატოს კონტროლირებადი მიწოდება და საკონტროლო შესყიდვა, რომლებიც ამ

ეტაპზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებად არის მიჩნეული. აღნიშნულით კიდევ ერთხელ დასტურდება ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა კონტროლის ეფექტური მექანიზმების არსებობის საჭიროება.

ამჯერად, წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში განიხილება სასამართლოს როლი ფარული საგამოძიებო მოქმედებების როგორც საწყის, ასევე ამ მოქმედებების ჩატარების და მიღებული შედეგების მონიტორინგთან მიმართებით.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თემის მრავალასპექტიანობის გამო, მოცემულ ნაშრომში შეუძლებელია ფარული საგამოძიებო მოქმედებების კონტროლთან დაკავშირებული ყველა მიმართულების სიღრმისეული განხილვა. შესაბამისად, ამ ეტაპზე, განხილულია მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც ამ საგამოძიებო მოქმედებათა სასამართლო მონიტორინგის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

49. საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა ეფექტური მართლმსაჯულების განსახორციელებლად ერთ-ერთი აუცილებელი და მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. სწორედ ამ იურიდიული ინსტრუმენტის მეშვეობით ხდება დანაშაულის შემცირება, საზოგადოებაში დანაშაულის მიმართ შიშის აღმოფხვრა და კანონის უზენაესობის რწმენის განმტკიცება. შესაბამისად, საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის არსის სწორად გაგება, სახელმწიფოსთვის სისხლის სამართლის პოლიტიკის სწორად განსაზღვრის ერთგვარი გარანტიაა. დღეს, საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია საკმაოდ ფართო მასშტაბით არის წარმოდგენილი ქართულ სისხლის საპროცესოსამართლებრივ სივრცეში. საჭიროა ამ ფუნქციის კიდევ დახვეწა და ახლებურად ჩამოყალიბება, რათა იგი უფრო მოქნილი და ქმედითი გახდეს. ამისათვის, აუცილებელია საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების მკაფიო საკანონმდებლო განმარტება, დევნის განხორციელების მასშტაბების, ვადების ზუსტად განსაზღვრა და სისტემატიზაცია.

50. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები - განრიდება და მედიაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტებია სახელმწიფოს ხელში, რათა ქვეყანაში უზრუნველყოფილ იქნეს კანონიერება და მართლწესრიგი. დღეს, ქართულ სისხლის საპროცესოსამართლებრივ სივრცეში ამ მექანიზმებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ განრიდება/მედიაცია მუდმივ განვითარებაში, დინამიკაშია. არასრულწლოვნების გარდა განრიდების გამოყენება დაიწყო სრულწლოვანთა მიმართაც, რაც უდავოდ დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა თეორიასა და პრაქტიკაში წარმოიშვა არაერთი კითხვა და მოსაზრება ამ ინსტიტუტის ეფექტურად, სწორად გამოყენებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ქართული სამართლებრივი სივრცეც დადგა ახალი გამოწვევების წინაშე. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა სრულწლოვანთა განრიდების მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც თითქმის სრულყოფილია, მაგრამ განრიდების სუბიექტის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, საჭიროებს შემდგომ დახვეწასა და სრულყოფას. სტატიაში დაფიქსირებული და გაანალიზებულია მოსაზრებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სრულწლოვანთა განრიდების პროცესის სწორად წარმართვას და რაც მთავარია განრიდების სუბიექტის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

51. სტატია შესრულებულია პოლონეთში ვიზიტის დროს. მასში განხილულია ორივე ქვეყნის კონსტიტუციები, გავლებულია პარალელები ცალკეულ ინსტიტუტებსა და ხელისუფლებებს შორის. სტატია გადაცემულია კორექტირებისთვის. სავარაუდოდ,

გამოიცემა 2024 წლის პირველ კვარტალში 2023 წლის თარიღით. სტატია შესრულებულია ინგლისურ ენაზე.

52. აბსტრაქტი: მსხვილი კორპორაციების მიერ პერსონალურ მონაცემთა სისტემური და ფართომასშტაბიანი დამუშავების მზარდმა ტენდენციამ განაპირობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო მოწესრიგების გაძლიერება, განსაკუთრებით კი მონაცემთა სუბიექტების უფლებებისა და ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტი მონაცემთა დამუშავების კანონიერების, კორპორაციისა და მონაცემთა სუბიექტის ინტერესების თანაფარდობის უზრუნველყოფის ერთგვარი მექანიზმია. მოხსენება აღნიშნული ინსტიტუტის ინტერდისციპლინურ გააზრებას დაეთმო, ერთი მხრივ, საკორპორაციო სამართლის პერსპექტივით, ხოლო მეორე მხრივ — პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის თვალსაზრისით, რათა განისაზღვროს მისი ინსტიტუციური ფუნცია კერძო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციულ სტრუქტურაში. საკვანძო სიტყვები: კორპორაციული მართვა, მონაცემთა დაცვა, მონაცემთა დაცვის ოფიცერი, მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია.

53. სტატიაში განხილულია დანაშაულის დაფარვის (სსკ 375-ე მუხლი) არსი, მნიშვნელობა და მისი მიმართება დანაშაულში თანამონაწილეობასთან. დეტალურად არის გაანალიზებული დანაშაულის დაფარვის შემადგენლობის ელემენტები როგორც ისტორიულ ჭრილში, ისე საერთო სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით. შედეგად, წარმოდგენილია არგუმენტაცია პირის მიერ დამნაშავის დაფარვის საკითხის დანაშაულის დაფარვად კვალიფიკაციის დასაბუთებულობასთან დაკავშირებით.

54. სტატია ეძღვნება ფრანც კაფკას იგავის „კანონის წინაშე“ გაანალიზებას ვალტერ ბენიამინის ფილოსოფიური ნააზრევიდან. სტატიაში წარმოდგენილია ბენიამინის დამოკიდებულება სამართლის ძალადობრივი ბუნებისა და კანონსა და რელიგიურ სწავლებას შორის არსებული კავშირის შესახებ.

55. სტატია ეძღვნება ფრანც კაფკას იგავის „კანონის წინაშე“ გაანალიზებას ჟაკ დერიდას ფილოსოფიური ნააზრევიდან. სტატიაში წარმოდგენილია დერიდას დამოკიდებულება სამართალსა და სამართლიანობას შორის არსებული კავშირისა და სოციალური სისტემის დამფუძნებელი აქტის პერფორმატიული ბუნების შესახებ.

56. სტატია ეხება სამართლიანი პასუხისმგებლობის პრინციპს, რომელიც, პრაქტიკულად, კანონიერების პრინციპის ანალოგია. კანონიერების პრინციპის მეშვეობით, საზოგადოება სისხლის სამართალისგან „არსებითად ითხოვს“ სუბსტანციურ სამართლიანობას. ინდივიდმა უნდა იცოდეს თავიდანვე, რამდენად არის მისი ქმედება დასჯადი - ე.წ. „განსაზღვრულობის პრინციპი“. აღნიშნულის გაგრძელებაა, სწორედ, სამართლიანი პასუხისმგებლობის პრინციპი, რომლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სამართლიანად უნდა აღწერდეს კანონის დარღვევის „ბუნებასა“ და განსაზღვრავდეს „ზომას“. იგი სისხლის სამართალში აღიარებულია როგორც პასუხისმგებლობის ერთ-ერთი „ნორმატიული პრინციპი“, რომელიც ანგლოამერიკულ სისხლის სამართალში თავის დროზე გამოიყენებოდა ისეთი დანაშაულების ურთიერთგასამიჯნავად, როგორც პირველი და მეორე ხარისხის მკვლელობა, გაუპატიურება და სხვა. შესაბამისად, კანონიერების პრინციპის (აბსტრაქტული) და სამართლიანი პასუხისმგებლობის პრინციპის (კონკრეტული, სიტყვასიტყვითი) გაგებით, სამართალი რაც შეიძლება ზუსტად უნდა

აღწერდეს პირის დანაშაულში მონაწილეობის ხარისხს სასჯელის შეფარდების პროპორციულობისათვის. მთავარი პრობლემა არა სასჯელის შეფარდებაში, არამედ სამართლიანი პასუხისმგებლობის პრინციპშია. ეს უკანასკნელი იწვევს სასჯელის შეფარდებისას დანაშაულში ძირითადი და დამატებითი მონაწილეობის გათვალისწინებით „მკაცრ" დიფერენციაციას. ამ მხრივ, ყურადსაღებია საერთაშორისო სისხლის სამართლის მიდგომები საიდუმლო ლიდერების ბრალეულობის ნათლად წარმოსაჩენად, რომ ისინი იყვნენ დანაშაულის ძირითადი მონაწილეები - ამსრულებლები და არა დამატებითი - (თანა)მონაწილეები. საიდუმლო ლიდერის პასუხისმგებლობის საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა მნიშვნელოვანია დაზარალებულებთან და საერთაშორისო თანამეგობრობასთან ურთიერთობისათვის იმის გასარკვევად, თუ ვინ იყო „მთავარი დამნაშავე".

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. Irakli Burduli, The modern Georgian Corporate Law in the mirror of European Law (General review of the reform), Journal of Human Security and Global Law, 2023, num. 2. Pp. 6.
2. მარინა გარიშვილი, Правовая регламентация институтов брачно-семейного права по «Обозрению Грузии по части прав и законоведения» – სტატია ჩაშვებულია გამოსაცემად ჟურნალში Journal of Polish-Georgian Law, №3, 2023.

3. Irakli Burduli, Natia Chitashvili “Corporate Legal Dogmatics of Revocation of Share Donation on the Basis of Breach of Duty of Loyalty” მიღებულია დასაბეჭდად სკოპუსში ინდექსირებულ ჟურნალში Taltech Journal of European Studies“.
4. Giorgi Makharoblishvili, Shareholder Suit as Corporate Control Strategy of Investment, PRAWO i WIĘŹ, LAW & SOCIAL BONDS, https://doi.org/10.36128/priw.vi42.482, #4, 2022, 31 December, 20.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ქართული საკორპორაციო სამართალი ევროპული სამართლის გავლენის ქვეშ: ასპექტები, გამოწვევები, განხორციელებული რეფორმები ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე.
2. დავით ბაგრატიონის (ბატონიშვილის) „საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვისა“ და სხვა ძველი ქართული სამართლის წყაროს მიხედვით, ძველი ქართული საოჯახო სამართლის ძირითადი ინსტიტუტების კვლევის შესახებ.
3. სტატია ეძღვნება წილის ჩუქების გამოხმობის ინსტიტუტის კვლევას და უპირატესად გერმანული სამოქალაქო და საკორპორაციო სამართლის ურთიერთკავშირის საფუძველზე აყალიბებს დოგმატიკას, რომელიც მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს აღნიშნულ საკითხზე ერთგვაროვანი ქართული სამოსამართლო სამართლის ჩამოყალიბებისას.
წილის ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებისას კორპორაციულსამართლებრივი სპეციფიკის და იურიდიული დოგმატიკის გამოუყენებლობამ, რა მიმართულებაც აიღო უახლესმა ქართულმა სასამართლო პრაქტიკამ, შეიძლება მნიშვნელოვნად არასასრუველი შედეგი გამოიწვიოს კორპორაციულ ცხოვრებაში და ბიზნესის განვითრების საქმეში. რამეთუ ნებისმიერი სამეწარმეო საზოგადოების და, განსაკუთრებით კი, კაპიტალური ტიპის კორპორაციის მართვა არსებითად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ისარგებლებს პარტნიორი მისი წილიდან გამომდინარე უფლებებით და რა ზეგავლენის მოხდენა შეეძლება მას კორპორაციული გადაწყვეტილებების მიღებაზე. რა თქმა უნდა, კომპანიის პარტნიორის ზოგადი კერძოსამართლებრივი და კორპორაციულსამართლებრივი მოვალეობაა, წევრობიდან გამომდინარე უფლებები კეთილსინდისიერად, საერთო საზოგადოებრივი ინტერესის სასარგებლოდ განახორციელოს, უკუაგდოს რა ინდივიდუალური მერკანტილური ზრახვები და ერთგულების მოვალეობის მაღალი სტანდარტით უზრუნველყოს კომპანიის მართვის პროცესი. ამ სტანდარტის დარღვევისას პარტნიორს, საზოგადოებისათვის ზიანის შემთხვევაში შეიძლება დაეკისროს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, რაც მიიჩნევა კიდეც კორპორაციული ერთგულების მოვალეობის დარღვევის აღკვეთის ერთგვარ გამანეიტრალებელ მექანიზმად.
წილის ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებისას იმგვარი ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრება, როდესაც არ გაითვალისწინება კორპორაციულსამართლებრივი სპეციფიკა, თავად წილიდან გამომდინარე უფლებამოსილების რეალიზებისა და განხორციელების უკიდურეს შეზღუდვამდე მიგვიყვანს, რაც საკორპორაციო სამართალში დაუშვებელია.
4. სტატიაში გაანალიზებულია საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთი მთავარი დილემა, რომელიც ინვესტიციის კონტროლისა და დაცვის კორპორაციულ

მექანიზმებს მიემართება. საკორპორაციო სამართალი ქმნის სისტემურ მატრიცას, რაც ხელს უწყობს მეწარმე სუბიექტის ორგანიზაციულ მართვას და ინვესტორის აქტივიზმს.
საკუთრებისა და კონტროლის გამიჯვნა სს-ის მენეჯმენტის მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედების პრეზიუმირებულ რისკს წარმოშობს. ხელმძღვანელი პირი პირადი სარგებლის გაზრდაზე უფროა ორიენტირებული, ვიდრე ფირმის ღირებულების მაქსიმიზირებისკენ. შესაბამისად, რისკის შიდაკორპორაციული მართვის ზოგადი მექანიზმების გვერდით, საერთო კრების კომპეტენციის მიღმა, აუცილებელია აქციონერის კონკრეტული მიზნის მქონე კორპორაციული კონტროლის მექანიზმით აღჭურვა.
ინვესტიციის კონტროლისა და დაცვის ერთ-ერთ მექანიზმს აქციონერის სარჩელი ეწოდება, რომელიც შემდეგი სახის შეიძლება იყოს: პირდაპირი (ინდივიდუალური) სარჩელი, არაპირდაპირი (დერივაციული) სარჩელი და კლასობრივი სარჩელი. სარჩელი მეთოდოლოგიური ბერკეტია და გამოიყენება პასუხისმგებლობის ინიცირებისა და აქციონერის დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით.
სარჩელის კლასები ინვესტიციის დაცვის კორპორაციული სტრატეგიაა, რაც აქციონერის მაკონტროლებელი ფუნქციით არის განპირობებული.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. ლაშა ბრეგვაძე, „სამართლისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართება თანამედროვე სოციალურ თეორიებში: იურიდიფიკაციისა და პოლიტიზაციის რისკები და დილემები“, 2023 წლის 22-23 დეკემბერი, ზამთრის სკოლა „ევროკავშირი: სამართლიანი სახელმწიფოების გაერთიანება“, შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.
2. Irakli Burduli, Transformation durch Rezeption (privatrechtlicher Kontexst); 19.10. 2023, Tbilisi.
3. მაია ივანიძე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის პირადი ცხოვრების დაცულობა და პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა, 2023 წლის 1 მარტი, სამეცნიერო კონფერენცია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა და მისი სამეცნიერო ასპექტები საქართველოში“.
4. გიორგი კვერენჩხილაძე, საჯარო სამართლის საერთაშორისო საზოგადოების – ICON•S საქართველოს პირველი ყოველწლიური კონფერენცია: „თანამედროვე საჯარო სამართლის გამოწვევები"; მოხსენებები თემებზე: „ქართული საკონსტიტუციო პროცესი: ტექნოლოგია, გაკვეთილები, სისტემური პრობლემები“; „მოსამართლის განსხვავებული აზრი და სამოსამართლო აქტივიზმი“. 23-25 ივნისი, 2023, ბათუმი, საქართველო.
5. გიორგი კვერენჩხილაძე, საჯარო სამართლის საერთაშორისო საზოგადოების ეროვნული წარმომადგენლობის – ICON•S საქართველოს საინაუგურაციო კონფერენცია; მოხსენება თემაზე: „ქართული საკონსტიტუციო სამართლის აქტუალური პრობლემები“. 28 თებერვალი, 2023, თბილისი, საქართველო.

6. 10/06/2023 - თბილისი, „კერძო და საჯარო სამართლის ურთიერთმიმართების თანამედროვე გამოწვევები". მოხსენება თემზე: „საჯარო და კერძო სამართლის გამიჯვნა: სამართლებრივი წესრიგის ერთიანობის იდეის ევროპული გაგება და საჯარო და კერძო სამართლის მშვიდობიანი თანაარსებობა". ორგანიზატორი: თსუ იურიდიული ფაკულტეტის თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტი.
7. ნათია ჩიტაშვილი, მედიაცია იურისტებისთვის - საერთაშორისო ფორუმი, 13 დეკემბერი, 2023 (შერატონი მეტეხი პალასი, თბილისი). მოხსენების სათაური: ,,მედიაციის მნიშვნელობა სამართალწარმოებაში".
8. ნინო რუხაძე, მოხსენება - „საქართველო და მსოფლიო", II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2023.
9. სამეცნიერო კონფერენცია: პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა და მისი სამართლებრივი ასპექტები საქართველოში; მოხსენება: კორპორაციული მართვის სისტემაში მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუციური როლის ინტერდისციპლინური ანალიზი; მომხსენებელი: ანა თოხაძე. ჩატარების თარიღი: 01.03.2023; ადგილი: თბილისი; ორგანიზატორი: პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური.
10. სამეცნიერო ფორუმი: კორპორაციული მართვა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა. მოხსენება: ინსტიტუციონალიზაცია კორპორაციული მართვის სისტემაში: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები. მომხსენებელი: ანა თოხაძე; ჩატარების თარიღი: 27.12.2023; ადგილი: თბილისი; ორგანიზატორი: სამართლისა და ეკონომიკის ცენტრი (CoLE)/პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური/ალტე უნივერსიტეტი.
11. გიორგი დგებუაძე, ჰიბრიდული იურისდიქცია, კაჭრეთი, საქართველო, 13–15.10.2023 (სამართლის სკოლა თემაზე „ინოვაციური მართლმსაჯულების სკოლა").
12. გიორგი დგებუაძე, საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების თეორიული და შედარებითი ასპექტები, თბილისი, საქართველო, 26.9.2023 (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო - მიმდინარე გამოწვევები და სამართლებრივი პერსპექტივები").
13. გიორგი დგებუაძე, ქართული სისხლის სამართლისა და რომის სტატუტის ზოგადი პრინციპების ურთიერთკავშირი, ბათუმი, საქართველო, 27.9–30.10.2023 (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „საერთაშორისო სისხლის სამართალი და საქართველო - მიმდინარე გამოწვევები და პერსპექტივები").
14. გიორგი დგებუაძე, განვითარებადი ინტერნაციონალიზაცია – იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, საქართველო, 9–13.10.2023 (ერაზმუსის პერსონალის მეექვსე საერთაშორისო კვირეული თემაზე „თსუ ინტერნაციონალიზაციის ტენდენციები").
15. გიორგი დგებუაძე, თბილისი, საქართველო, 11–12.12.2023 (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ჰოლოკოსტის, გენოციდის დანაშაულის დასჯისა და ადამიანის უფლებათა დაცვის გამოწვევები").
16. გიორგი დგებუაძე, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული - სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმა „სახელმწიფოს პოლიტიკის" გატარების მიზნით, თბილისი, საქართველო, 13–14.9.2023 (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „გენოციდი და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშული (აფხაზეთის ოკუპაციიდან 30 წელი)").

17. ირმა ხარშილაძე, მოქალაქის ადგილი და როლი ,,კარგი მმართველობის" განხორციელების პროცესში, საჯარო სამართლის საერთაშორისო საზოგადოება ICON•S საქართველო, პირველი ყოველწლიური კონფერენცია „თანამედროვე საჯარო სამართლის გამოწვევები“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 23-25 ივნისი, 2023 - ბათუმი, საქართველო.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

2. მოხსენება ეხებოდა ქართული კერძო სამართლის ტრანსფორმაციის ძირითად საკითხებს.

9. ანოტაცია: მოხსენება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის როლის ინტერდისციპლინურ გააზრებას კორპორაციების ორგანიზაციულ სტრუქტურაში. განხილულ იქნა მისი ფუნქციები, ვალდებულებები, დანიშვნის წინაპირობები, დამოუკიდებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის საკითხები, პასუხისმგებლობა და გაწვევა. წარმოდგენილ იქნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კოლეგა საზედამხედველო ორგანოების გადაწყვეტილებები და საერთო სასამართლოების პრაქტიკა.

10. ანოტაცია: მოხსენება შეეხებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და კორპორაციული მართვის ურთიერთმიმართებას, კერძოდ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონით გათვალისწინებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების, ვალდებულების, პასუხისმგებლობის შედარებითსამართლებრივი გააზრების საფუძველზე, რომლის მეშვეობით ხორციელდება მონაცემთა მსხვილი დამმუშავებლების კორპორაციული მართვის სისტემაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ინსტიტუციონალიზაცია. კერძო სექტორში ფუნქციონირებადი მსხვილი კორპორაციებისადმი ახალი საკანონმდებლო მოწესრიგებით გათვალისწინებული ვალდებულებების სპექტრი აყალიბებს კორპორაციული მართვის ახალ მოდელს, რომლის ორიენტირს პერსონალურ მონაცემთა დაცვა, მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვა წარმოადგენს. შესაბამისად, მოხსენება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის როლის ინტერდისციპლინურ გააზრებას დაეთმო, ერთი მხრივ, საკორპორაციო სამართლის პერსპექტივით, ხოლო მეორე მხრივ — პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის თვალსაზრისით, რათა განისაზღვროს მისი ინსტიტუციური ფუნქცია მონაცემთა კორპორაციების ორგანიზაციულ სტრუქტურაში. ასევე, განხილულ იქნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კოლეგა საზედამხედველო ორგანოების გადაწყვეტილებები მონაცემთა დაცვის ოფიცერთა დამოუკიდებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის საკითხებზე, აგრეთვე, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მონაცემთა დაცვის ოფიცრის პასუხისმგებლობისა და გაწვევის თემატიკაზე. მოხსენების დასასრულს, ღონისძიების მონაწილეთა შორის გაიმართა პანელური დისკუსია.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Irakli Burduli, From the history of creation of commercial capitalist undertakings (Georgian approach and his historical-legal overview); 11.10.2023, Slupsk (Polen).
2. Irakli Burduli, Geschäftsführerhaftung in der Kapitalgesellschaft (nach der Novelierung des Unternehmensrechts Georgiens); 25-26.10.2023, Saarbrücken (Deutschland).
3. გიორგი კვერენჩხილაძე, საერთაშორისო კონფერენცია: "Development of legislation through the application of constitutional norms"; მონაწილე. 4-5 ივლისი, ბაქო, აზერბაიჯანი.
4. მარინა გარიშვილი, პოლონეთის რესპუბლიკის ქ. სლუპსკის უნივერსიტეტში ჩატარებული, ქართულ-პოლონური XI საერთაშორისო კოლოკიუმის - „პოლონეთისა და საქართველოს კონსტიტუციონალიზმი"-ს ფარგლებში, წაკითხული მოხსენება: „Система органов государственного управления в Грузии в первые годы российской оккупации (1801-1804 гг.)" 09-14. 10. 2023.
5. თამარ ზარანდია, მოლდოვას სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „რეალური უფლებები (Jus in Rem): ევროპული ტრადიციები და მოდერნიზაციის გამოწვევები", მომხსენებელი თემაზე „სანივთო სამართლის პრინციპები ქართულ სამართალში", 2023 წლის 12-13 ოქტომბერი, მოლდოვა, კიშინოვი.
6. თამარ ზარანდია, კასპიის უნივერსიტეტის კერძო სამართლის კვლევითი ინსტიტუტის (ყაზახეთი) და GIZ-ის (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) ორგანიზებით ჩატარდა ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია: მემკვიდრეობა სამოქალაქო სამართალში, მომხსენებელი თემაზე: „სამეზობლო სამართლის ადგილი ქართულ სამართალში", 2023 წლის 5-6 ოქტომბერი, ყაზახეთი, ალმატი.
7. თამარ ზარანდია, ევროპის საბჭოს იურისტი პროფესიონალებისთვის ადამიანის უფლებათა განათლების პროგრამის (HELP) 2023 წლის ქსელის კონფერენცია ჩატარდა 2023 წლის 6-7 ივლისს საფრანგეთში, სტრასბურგი.
8. მომხსენებელი: ანა თოხაძე. მოხსენების სათაური: Regulatory Framework and the Practice of the Personal Data Protection Service of Georgia on Children's Personal Data Protection. სამეცნიერო ფორუმის სახელწოდება: „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გზა" ("Ruta de la Privacidad"). ჩატარების ადგილი: მექსიკა (ღონისძიებაში მონაწილეობა უზრუნველყოფილი იქნა დისტანციურად); თარიღი: 29.09.2023.
9. გიორგი დგებუაძე, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობის პრინციპები და მიმდინარე გამოწვევები, ჰააგა, ნიდერლანდები, 17.1.2023 (საჯარო ლექცია პრაქტიკოსი იურისტებისა და მოწვეული მკვლევარებისთვის ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში (ICC)).
10. გიორგი დგებუაძე, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო - უფრო სამართლიანი სამყაროს აშენება, ჰააგა, ნიდერლანდები, 24.1.2023 (საჯარო ლექცია ჰააგის საერთაშორისო სამართლის აკადემიის მონაწილეებისთვის ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში (ICC)).
11. გიორგი დგებუაძე, მაღალი თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლოებში:

კონცეპტუალური მიდგომის დამკვიდრება, ჰააგა, ნიდერლანდები, 8.2.2023 (საჯარო ლექცია ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში (ICC)).

12. გიორგი დგებუაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, ტარაგონა, ესპანეთი, 10.7.2023-14.7.2023 (საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „ინკლუზიური ყოვლისმომცველი ინტერნაციონალიზაცია“.

13. გიორგი დგებუაძე, საერთაშორისო სისხლის სამართლის როლი გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის დროს, ბაქო, აზერბაიჯანი, 14–15.9.2023 (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ინსტიტუციური ცვლილებებისა და სოციალური პრაქტიკის ურთიერთდაკავშირება ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში“).

14. Irma Kharshiladze, Consideration of the Best Interests of a Child in Administrative Proceedings, The International Study Conference entitled “Being a Minor on the Threshold of the Third Millennium: Prospects for the Protection of the Development of the Child’s Personality”, Rome, Italy, 20-21 November 2023.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

1. მოხსენება ეხებოდა საქართველოში კომერციული კაპიტალიზმის გენეზისს და მის თავისებურებას ევროპის ქვეყნებთან შედარებით.

2. მოხსენება ეხებოდა ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი სამართლებრივი რეჟიმის იდენტიფიცირებას და ნორმათა მისადაგებას პასუხისმგებლობის დაკისრებისა და ზიანის ანაზღაურების კონტექსტში.

8. ანოტაცია: მოხსენება წარდგენილ იქნა საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მანდატისა და არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გამოცდილებაზე. მოხსენების ფარგლებში განხილულ იქნა ახალი საკანონმდებლო ცვლილებები არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული აქტივობები. მოხსენების შემდგომ კონფერენციის მონაწილეთა შორის გაიმართა პანელური დისკუსია.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

2023 წლის განმავლობაში, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ბაზაზე, პროფ. ლაშა ბრეგვაძე რეგულარულად აწყობდა „ხუთშაბათის სიმპოზიუმებს“, რომლის ფარგლებში მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი სამეცნიერო თემების წარდგენა და დისკუსია.

პროფ. ლაშა ბრეგვაძე 2023 წლის 6 ნოემბრიდან 15 ნოემბრამდე სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა სამართლის სოციოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტში, ქალაქ ონიატიში (ესპანეთი). მივლინებისას მუშაობდა ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში თავის სამეცნიერო პროექტზე – „სამართლისა და განვითარების კვლევები, როგორც

სამართლებრივი ცვლილებების ინტერდისციპლინური შემეცნება“, ასევე მონაწილეობა მიიღო მიწვეულ მკვლევართა კოლოკვიუმში და წარადგინა თავისი კვლევითი პროექტის ძირითადი თეზისები. ინსტიტუტის დირექციისა და უცხოელ მკვლევართა, ასევე მაგისტრატურის სტუდენტთა წინაშე წარდგა მოხსენებით, რომლის ფარგლებშიც ისაუბრა ნორმატიული პლურალიზმის (ერთ კონკრეტულ სოციალურ სივრცეში ალტერნატიულ ნორმატიულ წესრიგთა თანაარსებობის) პრობლემების შესახებ.

მომზადებულია ახალი ჟურნალი დასაბეჭდად, სახელწოდებით: „საზოგადოება და სამართალი: სამართლის ინტერდისციპლინური კვლევის ფორუმი“. ჟურნალი 2023 წელს უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ გამოიცემა 2024 წლიდან თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მიერ. ჟურნალის პირველ ნომერში დაიბეჭდება პროფ. ლაშა ბრეგვაძის 2 სტატია და 4 თარგმანი (ლუმანის, ტოიბნერის, გალანტერის და სანტუშის ნაშრომების).

2024 წელს დაიბეჭდება საიუბილეო სამეცნიერო კრებული, რომელიც მიეძღვნება პროფ. მამუკა ბერიაშვილის 65-ე იუბილეს. პროფ. ლაშა ბრეგვაძე კრებულის შემდგენელი, წინასიტყვაობისა და სტატიის ავტორი.

2023 წლის 15 ივნისს, პროფ, ნონა თოდუამ ასოც. პროფ. ი. აქუბარდიასთან ერთად ჩაატარა სტუდენტური სამეცნიერო სემინარი.

გიორგი კვერენჩხილაძე, საჯარო ლექცია (ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი) – „სამოსამართლო აქტივიზმი და ადამიანის უფლებების დაცვა“; თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი; 21 ნოემბერი, 2023.

გიორგი კვერენჩხილაძე, საჯარო ლექცია (ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეულის ფარგლებში) – „საკონსტიტუციო სასამართლოს როლი დემოკრატიული ღირებულებების და ფუნდამენტური უფლებების დაცვის პროცესში“; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; 6 დეკემბერი, 2023.

გოჩა ფერაძე, საქართველოს მთავარი პროკურატურის ინიციატივითა და მხარდაჭერით, როგორც ავტორი ინტენსიურად მუშაობს მონოგრაფიის: „პროკურატურის ისტორიისათვის საქართველოში“ II ნარკვევზე (XVIII-XX ს.ს.).

გოჩა ფერაძე, როგორც რედაქტორი აგრძელებს მუშაობას კრებულის „სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევების“ მეხუთე წიგნზე; კრებული ეძღვნება გასულ საუკუნეში ქართული სამართლის ისტორიის აღიარებული

მკვლევარის, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორის მიხეილ კეკელიას ნათელ ხსოვნას.

მორის შალიკაშვილი იყო DAAD-ის ერთთვიანი სამეცნიერო პროგრამის სტიპენდიანტი კიოლნის (გერმანია) უნივერსიტეტში (11.2023).

მორის შალიკაშვილი არის მონაწილე ქართულ-გერმნული სისხლის სამართლის ციფრული ლექსიკონის განვითარების პროექტში - დაფინანსებული IRZ-ის მიერ (პროექტი მიმდინარეობს).

მორის შალიკაშვილი გამოსცემს სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალს „საპროკურორო საქმიანობა და დანაშაულის პრევენცია“, საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან თანამშრომლობით.

ყურადღება!

* სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.

* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.

* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.

* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა~.

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი**

ინსტიტუტების დასახელებები:

1. კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი
2. პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი
3. სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
4. შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
5. განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი; პედაგოგიკის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტი

## კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი

**1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.

**გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები:**

პროექტი ,,მასწავლებლები ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად“, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები; ხორციელდება სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, საგრანტო პროექტი №FR-21-3869. 2022-2024 წწ.

**პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით):**

თამარ აბაშიძე (მკვლევარი), ირინე ჟვანია(მკვლევარი); პროექტში სულ ჩართულია 21 პირი, აქედან: 7 მკვლევარი, 4 კონსულტანტი: 2 ქართველი, 2 უცხოელი, 5 დამხმარე პერსონალი და კოორდინატოორი.

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

კვლევის მიზანი იყო საქართველოში ინკლუზიური განათლების ხარისხის შესწავლა და მისი გაუმჯობესების გზების დასახვა. კერძოდ, პროექტში ჩართულ პარტნიორ უნივერსიტეტებში (თსუ, ბსუ, აწსუ, თესაუ) შესწავლილ იქნა სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებები და დამოკიდებულებები ინკლუზიური განათლების მიმართ; სპეციალური ფოკუსი გაკეთდა განათლების მეცნიერებათა სპეციალობის სტუდენტებზე - გაანალიზდა მათი მზადყოფნა იმუშაონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან. კვლევითი პროექტის ფარგლებში, ასევე გაანალიზებულ იქნა ინკლუზიური განათლების პროცესში ჩართული მოქმედი მასწავლებლების გამოწვევები. საგანგებოდ შექმნილი რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტებით ჩატარდა კვლევა: სამიზნე უნივერსიტეტების სტუდენტების მასობრივი გამოკითხვა, სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები უნივერსიტეტების აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, აგრეთვე შშმპ სტუდენტებთან, ფოკუს ჯგუფები მოქმედ მასწავლებლებთან. მონაცემების დიდი ნაწილი დამუშავებულია და წარმოდგენილია სამეცნიერო კონფერენციაზე ინკლუზიური განათლება საქართველოში - მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები - 2023; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 29-30 ივნისი, 2023 წელი.

**2.**

**გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები:**

სახელწოდება: "ქართველობის ეთნიკური იდენტობის მოდერნული ფორმისა და მისი სოციალური რეპრეზენტაციების გენეზისის კვლევა"
YS21-1375; 2021-2023.

**პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

ვლადიმერ გამსახურდია - პროექტის ხელმძღვანელი
ლალი სურმანიძე - სუპერვიზორი

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ეთნიკური კუთვნილების გრძნობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მრავალი ადამიანის ცხოვრებაში - განსაკუთრებით ინტენსიური გლობალიზაციის ზეწოლის ქვეშ. ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ ეთნიკური ნიშნით ნაციონალიზმის პერიოდულ აღმავლობას მსოფლიოს მრავალ კუთხეში. ეთნიკური იდენტიფიკაცია იძენს სპეციფიკურ აქტუალობას, როდესაც ადამიანები ხვდებიან უცხოელებს და ეწევიან კულტურათშორის ურთიერთობებს, რომლებიც, ზოგიერთ შემთხვევაში, იწვევს კონფლიქტებს. კულტურის დინამიკის გათვალისწინებით ეთნიკური იდენტიფიკაციის უკეთესმა გაგებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ეთნიკურ განსხვავებებზე დაფუძნებული კონფლიქტების თავიდან აცილებას. ეს პროექტი კი იკვლევს ქართული ეთნიკური იდენტობის საფუძვლებს.

**5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში**

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

ვ. ნადარეიშვილი. „დ. უზნაძის „ობიექტივაციის“ ცნების ზოგიერთი ასპექტი“. ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი, № 1. ISSN 2667–9027. თბილისი. თსუ გამომცემლობა. 14 გვ.

ავტორი: ვ. ნადარეიშვილი

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

დ. უზნაძის განწყობის თეორიაში, როდესაც ის ფორმირების ეტაპების ასპექტით განიხილება, პირობითად ასხვავებენ საკუთრივ განწყობის თეორიას და ობიექტივაციის თეორიას. ზოგადი თვალსაზრისით, ობიექტივაციის თეორია წარმოადგენს სახელდობრ ადამიანის არაცნობიერი განწყობის ფორმირებაში და ფუნქციონირებაში ცნობიერი პროცესების მონაწილეობის შემთხვევების ახსნისა და ცნობიერი პროცესების ფორმირებასა და ფუნქციონირებაში არაცნობიერი განწყობის ფუნქციის ამხსნელ თეორიას. ასეთი მიდგომისას გასაგებია, რომ საკუთრივ არაცნობიერი განწყობის თეორია და ობიექტივაციის თეორია წარმოადგენს განწყობის ერთიანი, ზოგადფსიქოლოგიური თეორიის ორ განუყოფელ მდგენელს. აღნიშნული მიდგომის მართებულობის კიდევ ერთი დადასტურებისა და ობიექტივაციის, როგორც განწყობის თეორიის ძირითად კატეგორიათაგანის, შემდგომი დამუშავების მცდელობას წარმოადგენს სტატიაში მოცემული მოსაზრებები.

**2**

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

ვ.ნადარეიშვილი. „„ჟ. პიაჟეს და დ. უზნაძის რამდენიმე ცნების ურთიერთმიმართება“. ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი, № 1. ISSN 2667–9027. თბილისი. თსუ გამომცემლობა. 13 გვ.

ავტორი: ვ. ნადარეიშვილი

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სტატიაში, დ. უზნაძის განწყობის თეორიის პოზიციიდან, განხილულია ფსიქოლოგიის სხვადასხვა თეორიებიდან ცნობილი, „ცენტრაციის“, „დეცენტრაციის“, „სუბიექტივაციის“ და „ობიექტივაციის“ მოვლენების სპეციფიკა, ფუნქცია, ადგილი და ურთიერთკავშირი ადაპტაციის ერთიანი პროცესის შემადგენლობაში. ძირითადი ყურადღება ეთმობა ჟ. პიაჟესთან არსებული თეორიული მიდგომების გამოყენების შესაძლებლობას დ. უზნაძის თეორიის რელევანტური საკითხების დამუშავებისთვის და პირიქით, ჟ. პიაჟეს ცნებებისა და ფსიქოლოგიური მექანიზმების განწყობის თეორიის პოზიციიდან ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ნაცადია ხსენებული თეორიების რესურსის ურთიერთშემავსებლობისა და მისი სინთეზური გამოყენების პროდუქტულობის დადასტურება ადაპტაციური

აქტივობის უზრუნველყოფაში მონაწილე პროცესებისა და მექანიზმების მოქმედების კანონზომიერებების ანალიზისთვის.

**3**

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

იმედაძე ირაკლი. განწყობის თეორიის ანალიზი ფორმალური ნიშნების მიხედვით // ფსიქოლოგიური განწყობის კვლევის და კორექციის ცენტრი. შრომები, ტ. 4. თბილისი, 2023.

ავტორი: ი. იმედაძე

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სტატიაში განწყობის ზოგადფსიქოლოგიური კონცეფცია გაანალიზებული და შეფასებული თეორიის ფორმალური ნიშნების თვალსაზრისით. ამისთვის გამოყენებულია ჰიელისა და ზიგლერის მიერ შექმნილი და 9 პიროვნების თეორიაზე აპრობირებული შეფასების სისტემა, რომელშიც 6 კრიტერიუმია წარმოდგენილი: ვერიფიცირებადობა, შინაგანი შეთანხმებულობა, ევრისტიული ღირებულება, ეკონომიურობა, მომცველობის არეალი და ფუნქციონალური მნიშვნელობა. თითოეული ამ კრიტერიუმის მიხედვით თეორიები ფასდება სამ ნიშნიან სკალაზე: დაბალი, საშუალო, მაღალი. განწყობის თეორიას მაღალი შეფასება მივაკუთნეთ ვერიფიცირებადობის, ეკონომიურობსა და მომცველობის არეალის კრიტერიუმების მიხედვით; საშუალო - შინაგანი შეთანხმებულობისა და ევრისტიული ღირებულების მიხედვით და დაბალი - ფუნქციონალური მნიშვნელობის კრიტერიუმის მიხედვით. მოყვანილია სათანადო არგუმენტაცია.

**4**

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

იმედაძე ირაკლი. დ. უზნაძის: „ინდივიდუალობა და მისი გენეზისი“ - ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური ანალიზი // ფსიქოლოგიური განწყობის კვლევის და კორექციის ცენტრი. შრომები, ტ. 4. თბილისი, 2023. (თანაავტორობით)

ავტორი: ი. იმედაძე

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

დ. უზნაძის ერთ-ერთი პირველი გამოკვლევა: „ნდივიდუალობა და მისი გენეზისი“ (1912) როგორღაც გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგისა და ფილოსოფოსის შემოქმედების მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა, თუმცა ბევრი თვალსაზრისით არის საინტერესო. პირველ რიგში იმით, რომ მასში ჩანს ახალგაზრდა უზნაძის ინტერესები, შესაბამისად იმ იდეების ნერგები თუ წარმომავლობა, რომლებმაც შემდგომში უზნაძის ფსიქოლოგიური

სისტემის მნიშვნელოვანი დებულებებისა და კონცეპტების სახე მიიღო. აქედან ირკვევა, რომ ეს გამოკვლევა, თავისი შინაარსითა და მიზანდასახულებით, ფილოსოფიურიცაა და ფსიქოლოგიურიც. ყოველ შემთხვევაში, ავტორის გულისყური ადამიანის შინაგან სამყაროზე, ცნობიერ და არაცნობიერ („შეუგნებელ“) ფსიქიკაზეა მიმართული.

**5**

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

ლალი სურმანიძე „პიროვნული თვისებები, როგორც კულტურული მოდელები (ქართული ქეისი - აგრესია, ალტრუიზმი, მლიქვნელობა)“ - *ბეჭდვის პროცესშია* “ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი”. N1 დეკემბერი, 2023, თსუ გამომცემლობა ISSN2667-9027 E-ISSN2960-9844

ავტორი: ლ. სურმანიძე

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

კოგნიტურ ფსიქოათროპოლოგიურ თეორიულ-კონცეპტუალურ ბაზაზე დაყრდნობით წარმოდგენილია პიროვნებული თვისებების კულტურული მოდელების კვლევა. პიროვნული თვისებები განხილულია კულტურულ პრაქტიკასთან ურთიერთქმედებით ფორმირებულ საზიარო კულტურულ გამოცდილებად, რომელიც ფსიქიკაში რეპრეზენტირებულია კულტურული მოდელების (სქემების) სახით. კვლევა ჩატარდა 25-45 წ.წ. ასაკის ქართულენოვან 50 ადამიანზე ექსპერიმენტული ფსიქოსემანტიკის და ინტერვიუს მეთოდებით. კვლევის მასალად გამოყენებული იქნა 200 ქართული ხალხური იდიომა. კვლევის შედეგად ფორმირებული სემანტიკური სივრცე ასახავს იდიომათა სემანტიკური კავშირების სტრუქტურას, ხოლო ინტერვიუს მეთოდით გამოვლინდა კვლევის მონაწილეების არგუმენტაციები სემანტიკური დაჯგუფებების თაობაზე, რაშიც წამყვანი როლი ენიჭებოდა აფექტურ იმპლიკაციებს (გრძნობებს), პერცეფტულ იმპლიკაციებს (მოსაზრებებს კატეგორიებში გაერთიანებული ელემენტების მსგავსების შესახებ) და კოგნიტურ იმპლიკაციებს (კატეგორიების სახელდებას). ექსპერიმენტული და ინტერვიუს მონაცემები ინტერპრეტირდა სინთეზურად. სტატიაში წარმოდგენილია 3 პიროვნული თვისების - აგრესია, ალტრუიზმი, მლიქვნელობა - ანალიზი; თვისებები და მათი კომპონენტები ინტერპრეტირებულია კულტურულ-სპეციფიკურ კონტექსტში.

**6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში**

**1**

**ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

Imedadze I.V. Problem of Mediating: L.S. Vygotsky, A.N. Leontiev, D.N. Uznadze // Cultural-Historical Psychology, 2023. Vol. 19, no. 1, pp. 5-12. DOI: https://doi.org/10.17759/chp.2023190
ISSN: 1816-5435 / 2224-8935

ავტორი: ი. იმედაძე

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე):**

სტატიაში განხილვის საგანია „უშუალოდობის პოსტულატი“ და მისი დაძლევის ამოცანა, კონკრეტირებული ორწევრიანი ანალიზის სქემის მეთოდოლოგიურ პრინციპში. განხილულია და გაანალიზებულია მედიაციის პრობლემის გადაჭრის ვარიანტები, რომლებსაც შეიცავს ლ.ს. ვიგოტსკი, ა.ნ. ლეონტიევი და დ.ნ. უზნაძის თეორიული სისტემები. უზნაძეს, რომელმაც პირველმა გამოიკვეთა ეს მეთოდოლოგიური დისკურსი და ლეონტიევს, დაახლოებით ერთნაირად ესმოდათ მის არსი, როგორც საკითხი შინაგანის (ფსიქიკურის) და გარეგანის (ტრანსფსიქიკურის) ურთიერთობის შესახებ. გამაშუალებელი ცვლადის როლს ისინი ანიჭებდნენ, შესაბამისად, განწყობას და ქმედებას. სხვაგვარად დაისმის საკითხი კულტურულ-ისტორიულ თეორიაში, სადაც მედიაცია არის ე.წ. „ბუნებრივი ფუნქციების“ უმაღლეს ფსიქიკურ პროცესებად გარდაქმნის პროცესი, რომელშიც „ნიშანი“ მოქმედებს როგორც შუამავალი აგენტი. ასეა თუ ისე, ნებისმიერ შემთხვევაში, მედიაციის პრობლემა ფუნდამენტურად გვევლინება. ფსიქიკურ და არაფსიქიკურ სამყაროს შორის შუამავლის საკითხი განუყოფელია ფსიქოფიზიკური პრობლემისგან, რაც ართულებს ანალიზის რეალურ ემპირიულ დონემდე მისვლას. უზნაძის ზოგიერთი შეხედულების და გარკვეული ემპირიული მონაცემების გათვალისწინებით, გამოთქმულია მოსაზრება მედიაციის პრინციპის მოქმედების არეალის შეზღუდვის შესაძლებლობის შესახებ.

## 7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1 საქართველოში

1.

**მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

ირინე ჟვანია, თამარ აბაშიძე (თსუ) და ნანა მაკარაძე, მარინე გურგენიძე (ბსუ) ინკლუზიური განათლება რეგიონული უნივერსიტეტების პერსპექტივიდან; სამეცნიერო კონფერენცია ინკლუზიური განათლება საქართველოში - მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები - 2023; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 29-30 ივნისი, 2023 წელი , იხ. შესაბამისი ბმული: https://dspace.tsu.ge/handle/123456789/2229

ავტორები: ი. ჟვანია; თ. აბაშიძე

2.

**მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

ლალი სურმანიძე. მოხსენების სათაური: „რამდენიმე კულტურული მოდელის შესახებ (ქართული ქეისი)“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში“, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 13-14 ოქტომბერი, 2023

ავტორი: ლ. სურმანიძე

**მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)**

მოხსენებაში წარმოდგენილია 2 გამოუქვეყნებელი კვლევის შედეგები, რომელთაგან ერთში მასალად გამოყენებული იყო 200 ქართული ხალხური იდიომატური გამოთქმა, ხოლო მეორეში - ე.წ. ნატურალური ცნებები (145 ცნება), როგორც კულტურის ელემენტები. ორივე კვლევის თეორიულ ბაზას წარმოადგენს თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის კოგნიტივისტური მიმართულება, კერძოდ, ბრედ შორის გონების ეთნოგრაფიული თეორია და კულტურული მოდელების კონცეპცია, კვლევა, აგრეთვე, ეყრდნობა ე.წ. ემიკურ მიდგომას. პირველი კვლევით გამოვლინდა პიროვნული თვისებების კულტურული მოდელების აღქმული კულტურული შინაარსები, მეორე კვლევით კი - ქართული კულტურის ღირებულებითი აქცენტები, გამოვლენილი კონკრეტული ცნების ბაზაზე წარმოქმნილი სემანტიკური ველებით და მათი კომპონენტებით. ორივე კვლევა ჩატარდა 25-45 წ.წ. ასაკის ქართულენოვან 50 ადამიანზე სინთეზური მეთოდოლოგიის გამოყენებით (ექსპერიმენტული ფსიქოსემანტიკის და ინტერვიუს მეთოდებით). კვლევის შედეგად ფორმირებული სემანტიკური სივრცეები ასახავს კვლევაში გამოყენებული მასალის ფარგლებში სემანტიკური კავშირების სტრუქტურას, ხოლო ინტერვიუს მეთოდით გამოვლინდა კვლევის მონაწილეების არგუმენტაციები სემანტიკური დაჯგუფებების თაობაზე, რომლებმაც გამოავლინა მონაწილეთა აფექტური, პერცეფტული და კოგნიტური იმპლიკაციები. ორივე კვლევაში ექსპერიმენტული და ინტერვიუს მონაცემები ინტერპრეტირებულია სინთეზურად, კულტურული მოდელები და მათი კომპონენტები ინტერპრეტირებულია კულტურულ-სპეციფიკურ კონტექსტში.
მოხსენებაში წარმოდგენილია 4 კულტურული მოდელის ანალიზი. განხილულია ე.წ. თათქარიძის, ზედაპირულობა/ფუჭსიტყვაობის კულტურული მოდელები და მათი კომპონენტები, აგრეთვე, წარმოდგენილია სახელმწიფოს და ოჯახის კულტურული მოდელების აღქმული კულტურული შინაარსები.

**3.**

**მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

ვ.ნადარეიშვილი. „ფსიქოლოგიური მოლოდინის ზოგიერთი ასპექტი“. 13-14,10,2023. ქუთაისი.

ავტორი: ვ. ნადარეიშვილი

7.2 უცხოეთში

**4.**

**მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

Imedadze Irakli. Notes On Set Psychotherapy // Proceedings 9th International Conference “The Current Issues In Theoretical And Applied Psychology”, Erevan, 2023. Pp. 165-167.

ავტორი: ი.იმედაძე

## პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი

### 1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2

1.

**დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები:**

საერთაშორისო კვლევითი პროექტი: Sustainable Human Resource Management – Cross-Cultural Empirical Study; Institute of Human Capital SGH Warsaw School of Economics POLAND, Research Collaboration.
(2022-2023 წლ.).

**პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

ხათუნა მარწყვიშვილი, მკვლევარი (საერთაშორისო თანამშრომლობა გულისხმობს კვლევის ინსტრუმენტების ადაპტაციას ქართულ პოპულაციაზე, კვლევის ჩატარებას, მონაცემთა ბაზების მომზადებას, ჩართულობას მონაცემთა დამუშავებასა და სამეცნიერო სტატიების თანაავტორობას); მაია რობაქიძე, მკვლევარი (საერთაშორისო თანამშრომლობა გულისხმობს კვლევის ინსტრუმენტების ადაპტაციას ქართულ პოპულაციაზე, კვლევის ჩატარებას, მონაცემთა ბაზების მომზადებას, ჩართულობას მონაცემთა დამუშავებასა და სამეცნიერო სტატიების თანაავტორობას)

**დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

კვლევის მიზანია შეისწავლოს ადამიანური რესურსების მდგრადი განვითარების კავშირი თანამშრომელთა პროეკოლოგიურ ფუნქციონირებასთან, კერძოდ, მწვანე HRM-თან. ამ კვლევის აქტუალობა განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო წლებში, რაც გამოწვეულია COVID-19 პანდემიით კრიზისით. მან გამოავლინა უფრო მეტი ზრუნვის საჭიროება არა მხოლოდ თანამშრომლების ფიზიკური ჯანმრთელობის, არამედ მათი ფსიქოლოგიური

კეთილდღეობის, ასევე სამუშაო და ცხოვრების ბალანსის მიმართ. კვლევის შედეგები მოგვცემს თანამშრომელთა დამოკიდებულებებისა, სამუშაო ადგილზე ქცევების კავშირის შესწავლას ადამიანური რესურსების მართვის ზოგადი პრაქტიკებისა და განსაკუთრებით მწვანე HRM პოლიტიკასთან. კვლევა საერთაშორისოა, მასში ჩართულია 50-ზე მეტი ქვეყანა, რაც კულტურული განსხვავებულობის, ორგანიზაციულ კულტურული თავისებურებების იდენტიფიცირების საშუალებას მისცემს კვლევის ავტორებს შესასწავლ საკითხებთან მიმართებაში. პროექტი გულისხმობს რაოდენობრივი კვლევის ჩატარებას 7 კითხვარის საშუალებით; თითოეული მონაწილე ქვეყანა ამ ინსტრუმენტების ადაპტაციას ატარებს თავის პოპულაციაზე. კვლევითი პროექტის შემდეგ გუნდის მიერ მომზადდა სამი სამეცნიერო სტატია.

**2.**

**დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

საერთაშორისო კვლევითი პროექტი: Individual differences and support for group violence

**პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

ხათუნა მარწყვიშვილი, მკვლევარი (საერთაშორისო თანამშრომლობა გულისხმობს კვლევის ინსტრუმენტების ადაპტაციას ქართულ პოპულაციაზე, კვლევის ჩატარებას, მონაცემთა ბაზების მომზადებას, ჩართულობას მონაცემთა დამუშავებასა და სამეცნიერო სტატიების თანაავტორობას)

**დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

პროექტის მიზანია ნორმატიული და ძალადობრივი ქცევების კვლევის კროსკულტურული ინტეგრაცია სოციალური და პიროვნების ფსიქოლოგიის სხვადასხვა ჩარჩო. თეორიული თვალსაზრისით, ანტისოციალურ და აგრესიულ ქცევებთან დაკავშირებული დისპოზიციური ფაქტორები ხშირად არ შედის ძალადობრივი კოლექტიური ქმედებების კვლევაში. თუმცა, ანტისოციალური ტენდენციების თვითანგარიშის ტიპის სკალები დაკავშირებულია სოციალური ქცევების გასაგებად მნიშვნელოვან ცვლადებთან, როგორიცაა დომინირება, ცრურწმენა, აღქმული ჯგუფთაშორისი საფრთხეები, დეჰუმანიზაცია, პოლიტიკური საკითხების მხარდაჭერა და სექსისტური და ძალადობრივი დამოკიდებულებები. ეს პროექტი მიზნად ისახავს სხვადასხვა ფსიქოლოგიური პერსპექტივების ინტეგრირებას, რათა უფრო სრულად გავიგოთ ნორმატიული და არანორმატიული ჯგუფური ქმედებების მიმღებლობის, მხარდაჭერისა და ჩართულობის მოტივაცია.

**3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები**

3.1. გარდამავალი პროექტი

**1.**

**გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

დამფინანსებელი ორგანიზაცია: წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC), თბილისის დელეგაცია. კვლევითი პროექტი „ორაზროვანი დანაკარგი: გზა ახალი იდენტობისკენ“. 2020-დღემდე, მიმდინარე.

**პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

ლილი ხეჩუაშვილი - წამყვანი მკვლევარი, მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელი; მაია ალხაზიშვილი - მკვლევარი; თამარ მახარაძე - მკვლევარი; ია შეყრილაძე, მანანა გაბაშვილი - კვლევის ჯგუფის წევრები; მარიამ გოგიჩაიშვილი, თამარი ჯანანაშვილი, თინათინ ქარელი, თეკლე მაყაშვილი, თინათინ სოლომონია, მარიამ აფციაური, ანი იმნაძე - ინტერვიუერები/კვლევის ასისტენტები.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ამჟამად დასრულებულია ყველა საველე სამუშაო, მონაცემთა ბაზის შექმნა და დამუშავება. მიმდინარეობს საბოლოო ანგარიშის ტექსტზე მუშაობა. შესაბამისად, თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ მსჯელობა მხოლოდ აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

## 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

1.

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

**ავტორები: ლ. ხეჩუაშვილი; ხ. მარწყვიშვილი**

Scharbert, J., … Khechuashvili, L., …Martskvishvili, Kh., et. al. (2023). A global experience-sampling method study of well-being during times of crisis: The CoCo project, *Social and Personality Psychology Compass*. Volume 17, Issue 10 e12813. DOI: 10.1111/spc3.12813. https://compass.onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/spc3.12813

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

გლობალური გამოცდილების შერჩევის მეთოდის (ESM) კვლევა მიზნად ისახავს კარგად ყოფნის ინდივიდუალური განსხვავებების აღწერას, პროგნოზირებას და გაგებას ისეთი კრიზისის დროს, როგორიცაა COVID-19 პანდემია. წინამდებარე საერთაშორისო ESM კვლევა 60-ზე მეტი ინტერდისციპლინური მკვლევრის ერთობლივი ძალისხმევის შედეგია მთელი მსოფლიოდან „Coping with Corona“ (CoCo) პროექტის ფარგლებში. კვლევა მოიცავს 2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის აგვისტომდე პერიოდში შეგროვებულ 7490 მონაწილის მონაცემს, მათი პიროვნული მდგომარეობის, მახასიათებლებისა და

ყოველდღიური ცხოვრების შესახებ 20-ზე მეტი ქვეყნიდან (სულ ESM გაზომვათა რაოდენობა= 207,263; მთლიანი ყოველდღიური გაზომვების რაოდენობა = 73,295). გთავაზობთ თეორიიული ჩარჩოსა და საფუძვლების, კვლევის მიზნების მოკლე მიმოხილვას, წარმოგიდგენთ გამოყენებული მეთოდიკებს (მათ შორის, კვლევის დიზაინის აღწერა, მონაცემთა შეგროვების პროცედურები, მონაცემთა გაწმენდა და საბოლოო შერჩევა) და განვიხილავთ კვლევის კითხვებს, რომელთა მიმართებითაც შეიძლება ეს მონაცემები გამოყენებული იქნას. და ბოლოს, ჩვენ CoCo მონაცემთა ბაზაზე თანამშრომლობის მოწვევით დავასრულებთ.

**2.**

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

**ავტორები: ხ. მარწყვიშვილი, მ. მესტვირიშვილი, ლ. ხეჩუაშვილი,**
ხ. მარწყვიშვილი, მ. მესტვირიშვილი, ლ. ხეჩუაშვილი, თ. ნემანიშვილი (2023). ფეისბუქზე თვითპრეზენტაციის ტაქტიკები: პიროვნული ნიშნების როლი. ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

სოციალურ სამყაროში საკუთარი თავის სტრატეგიულად წარმოჩენა -თვითპრეზენტაციის ტაქტიკები, სოციალური მეცნიერებების შესწავლის საგანს წარმოადგენს. პიროვნება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინდივიდის ონლაინ ქცევის ფორმირებაში. თანამედროვე სოციალურ ქსელებში უხვად მოიპოვება ქცევის მანიშნებლები, მათ შორი თვითპრეზენტაციის ტაქტიკები, რომლებიც მომხმარებელთა პიროვნებაზე მსჯელობის საშუალებას გვაძლევენ. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს პიროვნული ნიშნებისა და „ფეისბუქის" გამოყენების მოტივების ურთიერთმიმართების და თვითპრეზენტაციების იმ ტაქტიკების შესწავლას, რომლებსაც ფეისბუქის მომხმარებლები საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებენ. მიზანი იყო პიროვნული ნიშნებისა და თვითპრეზენტაციის ტაქტიკების ურთიერთმიმართებაში ფეისბუქის გამოყენების მოტივების როლის კვლევა. კერძოდ, კვლევის კითხვაა: გაშუალებული არის თუ არა პიროვნების ნიშნებსა და თვითპრეზენტაციის ტაქტიკების კავშირი მოტივებით. შედეგებმა გამოავლინა, რომ პიროვნული ნიშნები წინასწარმეტყველებენ ფეისბუქზე თვითპრეზენტაციის ტაქტიკებს. ისინი ინდივიდებს ფეისბუქის გამოყენების კონკრეტული მოტივებისკენ და, აქედან გამომდინარე, თვითპრეზენტაციის სპეციფიკური ტაქტიკებისკენ წარმართავენ. ამასთან, პიროვნული ნიშნებისა და თვითპრეზენტაციის ტაქტიკების ურთიერთმიმართება გაშუალებულია ფეისბუქის გამოყენების მოტივებით. წარმოდგენილი კვლევა ნათელს ჰფენს იმ მექანიზმებს, რომლითაც გარკვეულ პიროვნულ ნიშნებს, შესაძლოა, მივყავდეთ ფეისბუქზე თვითპრეზენტაციის გარკვეულ ტაქტიკამდე.

**3.**

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

**ავტორი: ხ. მარწყვიშვილი** Scharbert, J., Reiter, T., Sakel, S., Horst, J. t., Geukes, K., Gosling, S. D., Harari, G., Kroencke, L., Matz, S., Schoedel, R., Shani, M., Stachl, C., Talaifar, S., Aguilar, N. M. A., Amante, D., Aquino, S. D., Bastias, F., Biesanz, J. C., Bornamanesh, A., … Martskvishvili, Kh.,…Back, M. D. (2023). A global experience-sampling method study of well-being during times of crisis: The CoCo project. *Social and Personality Psychology Compass*, e12813. https://doi.org/10.1111/spc3.12813

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

წარმოდგენილი კვლევა ეხება მორალური ტრავმის დინამიკურ მოდელს: საკუთარი ან სხვის მიერ ჩადენილი ქცევისგან გამოწვეულ ისეთ ტრავმულ გამოცდილებას, რომელიც ეწინააღმდეგება პიროვნების მორალურ პრინციპებს და ყალიბდება როგორც მორალურ ტრავმა. კვლევა მორალურ ტრავმას განიხილავს არა როგორც სპეციფიური ჯგუფის გამოცდილების ნაწილს, არამედ ზოგად ცხოვრებისეულ გამოცდილებას და აღწერს ამ გამოცდილების შედეგად, ინდივიდის მიერ არსებულ ღირებულებათა გადაფასების პროცესს. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 12 სიღრმისეული ინტერვიუ განსხვავებული პროფესიების მქონე ადამიანებთან. თემატურმა და კონტექსტუალურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მორალური ტრავმის დინამიკა შეესაბამება ზოგადი ტრავმის სტრუქტურას, თუმცა გამოცდილებასთან დაკავშირებული ემოციური რეაქციები და პროცესთან დაკავშირებული შინაარსი უნიკალურია. შედეგები ემპირიულად ადასტურებს წარმოდგენილ თეორიულ მოდელს, რომელიც ტრავმულ გამოცდილებასთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ განსხვავებებს აღწერს.

**4.**

**ავტორები: მ. მესტვირიშვილი; ხ. მარწყვიშვილი**

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

Kvitsiani, M., Mestvirishvili, M., Martskvishvili, K., & Odilavadze, M. (2023). Dynamic model of moral injury. *European Journal of Trauma & Dissociation*, 7(1), 100313. https://doi.org/10.1016/j.ejtd.2023.100313

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

გლობალური გამოცდილების შერჩევის მეთოდის (ESM) კვლევა მიზნად ისახავს კარგად ყოფნის ინდივიდუალური განსხვავებების აღწერას, პროგნოზირებას და გაგებას ისეთი კრიზისის დროს, როგორიცაა COVID-19 პანდემია. წინამდებარე საერთაშორისო ESM

კვლევა 60-ზე მეტი ინტერდისციპლინური მკვლევრის ერთობლივი ძალისხმევის შედეგია მთელი მსოფლიოდან „Coping with Corona“ (CoCo) პროექტის ფარგლებში. კვლევა მოიცავს 2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის აგვისტომდე პერიოდში შეგროვებულ 7490 მონაწილის მონაცემს, მათი პიროვნული მდგომარეობის, მახასიათებლებისა და ყოველდღიური ცხოვრების შესახებ 20-ზე მეტი ქვეყნიდან (სულ ESM გაზომვათა რაოდენობა= 207,263; მთლიანი ყოველდღიური გაზომვების რაოდენობა = 73,295). გთავაზობთ თეორიიული ჩარჩოსა და საფუძვლების, კვლევის მიზნების მოკლე მიმოხილვას, წარმოგიდგენთ გამოყენებული მეთოდიკებს (მათ შორის, კვლევის დიზაინის აღწერა, მონაცემთა შეგროვების პროცედურები, მონაცემთა გაწმენდა და საბოლოო შერჩევა) და განვიხილავთ კვლევის კითხვებს, რომელთა მიმართებითაც შეიძლება ეს მონაცემები გამოყენებული იქნას. და ბოლოს, ჩვენ CoCo მონაცემთა ბაზაზე თანამშრომლობის მოწვევით დავასრულებთ.

**5.**

**ავტორები: მ. მესტვირიშვილი;**

**Mestvirishvili, Maia**. “The Role of Moral Foundations in the Quest for Morality.” *Current Psychology*, April 12, 2023. https://doi.org/10.1007/s12144-023-04631-z.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

მიმდინარე კვლევა შემუშავებული იყო მორალური საფუძვლების როლის შესაფასებლად მორალური/კონვენციური მსჯელობების პროგნოზირებაში. ემპირიული მტკიცებულებების მნიშვნელოვანი რაოდენობა აჩვენებს, რომ მორალური და კონვენციური წესები გამოიყენება რთულ სოციალურ გარემოში; თუმცა, არის ცოდნის ნაკლებობა იმის შესახებ, თუ როგორ უწყობს ხელს მორალური საფუძვლები ადამიანების ტენდენციებს, შეაფასონ დარღვევები, როგორც მორალური ან კონვენციური.

კვლევის შედეგებმა აჩვენა რომ მორალური საფუძვლები წინასწარმეტყველებენ განსხვავებას მორალურ/კონვენციურ მსჯელობაში. კონკრეტულად, ინდივიდუალისტური მორალური საფუძვლები (individualistic moral faundation) წინასწარმეტყველებს სიტუაციის კატეგორიზაცია როგორც ამორალურის, ხოლო შემაკავშირებელი მორალური საფუძვლები ( binding moral faundation) კონვენციურ მორალურობასთან ასოცირება. გარდა ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ სამართლიანობა არის უმაღლესი საფუძველი, რომელიც არა მხოლოდ უარყოფითად პროგნოზირებს მორალური შემთხვევების შეფასებას, არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მორალური და კონვენციური მსჯელობის წარმართვაში.. წინამდებარე დასკვნები ხელს უკეთ გავიგოთ თუ რომელი მორალური საფუძვლებია ცენტრალური მორალურ ან კონვენციური შეფასებისთვის. წინამდებარე დასკვნები ასევე აძლიერებს არსებულ ცოდნას მორალურ/კონვენციურ განსხვავებაში ჩართული დეტერმინანტების შესახებ და ადასტურებს ინდივიდუალიზაციისა და შემაკავშირებელი მორალური საფუძვლების უნიკალურ ეფექტს.

**6**

**ავტორები: მ. მესტვირიშვილი;**

**Mestvirishvili, Maia**, Mariam Kvitsiani, Mariam Odilavadze, and Natia Mestvirishvili. "Moral Competence and Self-Control: The Moderating Role of Personality Traits." *Studia Psychologica* 65, no. 1 (March 20, 2023): 3–17. https://doi.org/10.31577/sp.2023.01.863.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

მორალური კომპეტენციის მიდგომისა და თვითკონტროლის სიძლიერის მოდელის გამოყენებით, კვლევა მიზნად ისახავს აღმოაჩინოს, თუ რამდენად უკავშირდება ეფექტური თვითკონტროლი მორალურ კომპეტენციას. გარდა ამისა, ჩვენ გაანალიზებულია HEXACO-ს პიროვნულ თვისებებს, როგორც მოცემული ურთიერთობის პოტენციურ მოდერატორს. მონაწილეებმა (n = 319; 76.5% ქალი), საშუალო ასაკით 22.75 წელი (SD = 3.64) შეავსეს კითხვარები, რომლებიც მიზნად ისახავდა HEXACO პიროვნების თვისებების - თვითკონტროლის და მორალური კომპეტენციის შეფასებას. შედეგები აჩვენებს, რომ თვითკონტროლი და მორალური კომპეტენცია ძლიერ და დადებითად არის დაკავშირებული; ამასთან თვითკონტროლი მნიშვნელოვნად პროგნოზირებს მორალურ კომპეტენციას. უფრო მეტიც, თვითკონტროლის გავლენა მორალურ კომპეტენციაზე ყველაზე ძლიერია, პიროვნების თვისებების კონტექსტში. კერძოდ, კეთილსინდისიერება და თავმდაბლობა ამცირებენ ურთიერთობას თვითკონტროლსა და მორალურ კომპეტენციას შორის. კვლევა აფართოებს წინა ემპირიულ კვლევას და თეორიულ კონცეპტუალიზაციას ფსიქოლოგიის ორ ძირითად მიმართულებას შორის - მორალი და თვითკონტროლი - განსაკუთრებული აქცენტით პიროვნების მახასიათებლებზე.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

**1.**

**მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

მარიამ გოგიჩაიშვილი და ლილი ხეჩუაშვილი: „ქალების ალტერნატიული ცხოვრების ისტორიები და მათი მიმართება ბიოგრაფიულ მასტერ ნარატივთან“. „კვლევისა და პრაქტიკის დაკავშირება სოციალურ მეცნიერებებში“ დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი, საქართველო

ავტორი: ლ. ხეჩუაშვილი

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

ადამიანები ბუნებით მთხრობელები ვართ და თავად ვქმნით ნარატიულ იდენტობას, რომელიც საკუთარ თავზე მოთხრობილი სუბიექტური და მუდამ განვითარებადი ამბავია. ჩვენი ნარატიული იდენტობა იმ კულტურულ კონტექსტში იქმნება, რომელშიც ვცხოვრობთ და ვვითარდებით, შესაბამისად, ვცდილობთ, რომ ჩვენი გამოცდილებები ამ კონკრეტულ კულტურულ მატრიცას ანუ ბიოგრაფიულ მასტერ ნარატივს ეთანადებოდეს, მაგრამ რა ხდება მაშინ, როდესაც ჩვენი ცხოვრებისეული გამოცდილება რადიკალურად განსხვავდება იმ ამბებისა და ისტორიებისგან, რომელსაც „კარგი ცხოვრება" მოიაზრებს და ბიოგრაფიულ მასტერ ნარატივს წარმოადგენს? კვლევის მიზანია ბიოგრაფიული მასტერ ნარატივთან მოლაპარაკებისა და მისი ინტერნალიზაციის პროცესის გამოვლენა არანორმატიული ცხოვრების ისტორიების შემთხვევაში. 15 ქართველი სექსმუშაკის ინტერვიუზე დაყრდნობით, კვლევაში მიზნად დავისახეთ პასუხი გაგვეცა შემდეგ კითხვებზე: როგორ ქმნიან კვლევის მონაწილეები ალტერნატიულ მასტერ ნარატივს და რა მიმართებაშია ეს ალტერნატიული ისტორიები ქართულ მასტერ ნარატივთან? ცხოვრების ისტორიების პირველადი თემატური ანალიზი აჩვენებს, თუ როგორ ავითარებენ ქართველი სექს მუშაკები საკუთარ ალტერნატიულ ცხოვრებისეულ ისტორიას პოზიტიური ბავშვობიდან, ვიქტიმიზაციის პროცესის გავლით, გენერაციულობისაკენ და ამ გზით, როგორ ცდილობენ საკუთარი ნარატიული იდენტობის მორგებას დომინანტურ კულტურულ სკრიპტთან (გამოქვეყნებული და ინდექსირებულია google scholar-ში).

**2.**

**მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

თამარ მაჭარაძე, ადამ ბენტველზინი, თამთა დარსალია, ანა ცქიტიშვილი, ლილი ხეჩუაშვილი, ხათუნა ჭყოიძე და ლის ევერედი: „Validation of the Georgian Translation of the telephone interview for cognitive status, modified (TICSM)". ანესთეზიოლოგიისა და ინტენსიური თერაპიის მეექვსე საერთაშორისო კონფერენცია „ჯეოანესთეზია 2023". ბათუმი, საქართველო.

ავტორი: ლ. ხეჩუაშვილი

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიხედვით, 2010 წელს მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 524 მილიონი იყო 65 წლის ან მეტი ასაკის. საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს მოსახლეობის 15% არის 65 წლის ან უფროსი ასაკის და ყოველწლიურად იზრდება მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა. ამ ვითარებიდან გამომდინარე, ანესთეზიასა და ქირურგიულ ჩარევასთან ასოცირებული არსასურველი შედეგები ასაკოვან ინდივიდებში ისეთი მდგომარეობების პირობებში, როგორებიცაა პერიოპერატული ნეიროკოგნიტური აშლილობები, განსაკუთრებით გავრცელებულია. საქართველოს მოსახლეობაში ამ მდგომარეობის კვლევისთვის აუცილებელია საჭირო

ნეიროფსიქოლოგიური ტესტებისა და კითხვარების ქართულ ენაზე თარგმნა და ადაპტირება. წინამდებარე კვლევაში, რომელიც მიზნად ისახავს კოგნიტური სტატუსის სატელეფონო ინტერვიუს მოდიფიცირებული ვერსიის ქართულ პოპულაციაზე ვალიდაციას, გამოყენებულია ჯანმრთელი, 65 წლისა და უფროსი ასაკის ქართველი მოზრდილების პროსპექტური კოჰორტა (აბსტრაქტების წიგნის ინგლისურენოვანი ბეჭდური გამოცემა).

3.

**მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

კვლევისა და პრაქტიკის დაკავშირება სოციალურ მეცნიერებებში" დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.
მოხსენება: „შენიღბული ქცევებიდან ქცევით პრობლემებამდე: ემოციური ინტელექტის როლი აუტიზმის სპექტრის მქონე მოზარდებთან".

ავტორები: მ. იანტბელიძე, ხ.მარწყვიშვილი

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენდა ემოციური ინტელექტის მიმართების კვლევა ქცევით შენიღბვასა და ინტერნალიზირებულ და ექსტერნალიზირებულ პრობლემებთან აუტიზმის სპექტრის მქონე მოზარდებში. კვლევაში მონაწილეობდა 13-დან 18 წლამდე ასაკის 35 აუტიზმის სპექტრის მქონე მამრობითი სქესის მოზარდი. ასაკობრივი განაწილება შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი - 13 წლის 15.8%, 14 წლის 17.5%, 15 წლის 28.8%, 16 წლის 23.9%, ხოლო 17 წლის - 14%. გამოყენებული იყო თვითანგარიშის ტიპის საკვლევი ინსტრუმენტები: ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის (Petrides, 2009), მოზარდთა თვითანგარიშისა (Achenbach, 1991) და ქცევითი შენიღბვის (Hull, 2018) საკვლევი კითხვარები. მონაცემთა ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ აუტიზმის სპექტრის მქონე მოზარდებში ემოციური ინტელექტი და მისი ცალკეული ფაქტორები დადებითადკორელირებს ქცევით შენიღბვასთან. ქცევითი კამუფლაჟის სამი ფაქტორიდან ორი - კომპენსაცია და შენიღბვა - ძლიერ დადებით კორელაციაში იყო თვითკონტროლთან. მოცემული შედეგები გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მაღალი ემოციური ინტელექტის შემთხვევაში აუტიზმის სპექტრის მქონე მოზარდები თვითკონტროლის გამოყენებით, უფრო წარმატებით ახორციელებენ საკუთარი მახასიათებლების დამალვას და ენერგიას მიმართავენ იმ ალტერნატიული გზების მოსაფიქრებლად, რომლებიც მათ დაეხმარება თანდაყოლილი აუტისტური სირთულეების დაძლევაში. ემოციური ინტელექტის საერთო ქულას და ინტერნალიზირებულ ქცევით პრობლემებს შორის სუსტი უარყოფითი კორელაცია გამოვლინდა, თუმცა, საყურადღებოა მისი ცალკეული ფაქტორების შედეგების ურთიერთმიმართება. კერძოდ, შფოთვა/დეპრესიის ფაქტორი ძლიერ უარყოფით კორელაციაშია ემოციური ინტელექტის სოციალურობის ფაქტორთან. კვლევის შედეგები გვაძლევს ინფორმაციას აუტიზმის სპექტრის მქონე მოზარდების ინტერნალიზირებული ემოციური პრობლემებისადმი მოწყვლადობის თაობაზე.

მიღებული შედეგი ადასტურებს კამუფლაჟის ადაპტაციურ ფუნქციას, რომელიც შეიძლება ემოციური ინტელექტით იყოს განმტკიცებული.

**4.**

მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია.

მოხსენება: ,,პიროვნული ნიშნები და „ფეისბუკზე" თვითპრეზენტაციის ტაქტიკები".

ავტორები: თ. ნემანიშვილი, მ. მესტვირიშვილი, ხ. მარწყვიშვილი

**მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)**

მოცემული კვლევის მიზანი იყო პიროვნების ავერსიული მახასიათებლებისა და პიროვნების ექვსფაქტორიანი მოდელის მიმართების კვლევა სოციალურ ქსელში თვითპრეზენტაციის ტაქტიკებთან. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 230-მა ინდივიდმა (144 ქალი; M (age) = 20.0, SD=1.63). გამოყენებულ იქნა შემდეგი საკვლევი ინსტრუმენტები: (1) ბნელი ტრიადის ნიშნების შესაფასებელი მოკლე კითხვარი (SD3) (Jones& Paulhus, 2011); 2) პიროვნული ნიშნების ექვსფაქტორიანი მოდელის საკვლევი ინსტრუმენტი (HEXACO-PI-R) (Lee & Ashton, 2004); (3) ფეისბუკით სარგებლობის მოტივების საკვლევი სკალა (Sheldon, 2008); (4) თვითპრეზენტაციის სტრატეგიების საკვლევი კითხვარი (Lee et al,1998), რომელიც კვლევის ფარგლებში მოდიფიცირდა ფეისბუკისთვის. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ნარცისიზმი პოზიტიურ კავშირშია ფეისბუკზე მეგობრების რაოდენობასა და ექსტრავერსიასთან. მაკიაველიანიზმი პოზიტიურად კორელირებს თვითპრეზენტაციის როგორც ასერტულ, ისე თავდაცვით ტაქტიკებთან. ხოლო ნარცისისზმი და ფსიქოპათია ძირითადად ასერტულ თვითპრეზენტაციის ტაქტიკებთან. პიროვნების ექვსფაქტორიანი მოდელის პატიოსნება-თავმდაბლობის ფაქტორი უარყოფითად კორელირებს ბნელი ტრიადის სამივე ცვლადთან. ასევე, ნარცისიზმის მაღალი მაჩვენებლების მქონე ინდივიდებისთვის ფეისბუკის გამოყენების მთავარი მოტივი „მაგარი ტიპობა" აღმოჩნდა. პიროვნების ექვსფაქტორიანი მოდელის ნიშნები მოდერაციულ როლს ასრულებენ ბნელი ტრიადის ცვლადებსა და თვითპრეზენტაციის ტაქტიკებს შორის.

## 7.2. უცხოეთში

**1.**

**მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

ლილი ხეჩუაშვილი, მარიამ ოდილავაძე და მარიამ გოგიჩაიშვილი: ,,იმიგრაციის ორი სახე: დაკარგული თუ არა -- შრომითი მიგრანტების ორაზროვანი დანაკარგი, იდენტობა და მედეგობა". პიროვნებისა და სოციალური ფსიქოლოგიის საზოგადოების ყოველწლიური კონფერენცია, თებერვალი, ატლანტა, ჯორჯია, აშშ.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

მოცემული კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს ორაზროვანი დანაკარგის, საზღვრების ორაზროვნებისა და მედეგობის ფენომენოლოგია განცდილი ქართველი იმიგრანტი ქალებით იტალიაში. 15 ცხოვრების ნარატივის დედუქციური კონტენტ ანალიზის (Boss ambiguous loss framework-ის ფარგლებში) საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ქალების მიერ განცდილი დანაკარგი პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია იმიგრაციასთან. ორაზროვნება, ძირითადად, დაკავშირებულია ოჯახის სტრუქტურასა და როლებთან, ინდივიდის იდენტობასთან/სტატუსთან მასპინძელ ქვეყანაში. რესპოდენტები საუბრობენ გაურკვევლობაზე, რომელიც სამშობლოში დაბრუნებას უკავშირდება. ფიზიკური დისტანციის მიუხედავად, ფსიქოლოგიური ოჯახი მკაფიოდ ფიგურირებს მათ აზრებში. შედეგების ანალიზის საფუძველზე, იკვეთება ისიც, რომ რესპონდენტთათვის მთავარ გამოწვევას იდენტობის პროცესთან ასოცირებული მედეგობის შენარჩუნება წარმოადგენს. არალეგალური იმიგრანტის როლი, იდენტობის აღდენის/რეკონსტრუქციის პროცესს საგრძნობლად აფერხებს.

**2.**

**მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

ლილი ხეჩუაშვილი, მარიამ ოდილავაძე და მარიამ გოგიჩაიშვილი: „შევიძინე რაღაც, მაგრამ დავკარგე კიდეც: ორაზროვანი დანაკარგის მიღმა“. ფსიქოლოგიური აპლიკაციების კონფერენცია და ტენდენციები. აპრილი, ლისაბონი, პორტუგალია.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

მოცემული კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს ორაზროვანი დანაკარგის, საზღვრების ორაზროვნებისა და მედეგობის ფენომენოლოგია განცდილი ქართველი იმიგრანტი ქალებით იტალიაში. რესპონდენტები შეირჩნენ ხელმისაწვდომობისა და თოვლის გუნდის შერჩევის პრინციპით. 15 ცხოვრების ნარატივის დედუქციური კონტენტ ანალიზის (Boss ambiguous loss framework-ის ფარგლებში) საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გამოვლინდა ისეთი ძირითადი თემები, როგორებიცაა ორაზროვანი დანაკარგი, ფსიქოლოგიური ოჯახი, მედეგობა, საზღვრების ორაზროვნება და როლები ოჯახში, და სამართლებრივი სტატუსი. მონაწილეების მიერ განცდილი დანაკარგი, პირდაპირ ან ირიბად იყო დაკავშირებული მათ სტატუსთან მასპინძელ ქვეყანაში. მონაწილეებმა განაცხადეს, რომ იმყოფებოდნენ ორაზროვანი დანაკარგისთვის დამახასიათებელ მდგომარეობაში, მათ აწუხებდათ სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრების ბედი და გამოწვევები. ამასთნ, ოჯახის ფსიქოლოგიური საზღვრების გაფართოება არაერთხელ იყო მოხსენებული თანამემამულე იმიგრანტი მუშაკების ან დამსაქმებლის ოჯახის წევრების მიმართ. რესპონდენტთათვის მთავარ გამოწვევას იდენტობის პროცესთან ასოცირებული მედეგობის შენარჩუნება წარმოადგენს. იდენტობის რეკონსტრუქცია მოხსენებული იყო, როგორც ემიგრანტების ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან განმკლავების მთავარი სტრატეგია.

**3.**

**მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

მარიამ გოგიჩაიშვილი და ლილი ხეჩუაშვილი: „ალტერნატიული ნარატივის განვითარება და მასტერ ნარატივთან მისი მიმართების გზები“. ფსიქოლოგიური აპლიკაციების კონფერენცია და ტენდენციები. აპრილი, ლისაბონი, პორტუგალია.

**მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)**

კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს მთავარ ნარატივთან შეთანხმებისა და ინტერნალიზების ძირითადი პროცესი, რომელიც ხელს უწყობს ნარატივის იდენტობის კულტურული ჩარჩოს განვითარებას; ამასთან, მოცემული კვლევა ემსახურება, ქართული ნიმუშებიდან მიღებული მონაცემების განთავსებას ნარატიული კვლევის უფრო ფართო კონტექსტში ნარატიული იდენტობის თეორიული ჩარჩოსა და მასტერ ნარატივის უფრო ფართო მოდელის ფარგლებში. კვლევაში გაანალიზებულია ქართველი სექსმუშაკებისგან მიღებულ მონაცემებს და ასახავს ალტერნატიული მასტერ ნარატივის შექმნის პროცესს (რომელიც, თავის მხრივ, სტიგმის დაძლევის, რესოციალიზაციისა და გენერაციულობის მიღწევის გზას წარმოადგენს) და მის შეთანხმებას ავტობიოგრაფიულ მთავარ ნარატივთან. კვლევა ეხება შემდეგ კითხვებს: როგორ ქმნიან კვლევის მონაწილეები ალტერნატიულ მთავარ ნარატივებს? რა არის ქართველი სექს-მუშაკების ალტერნატიული ნარატივის წამყვანი თემები? და როგორ ურთიერთქმედებს მონაწილეთა ალტერნატიული ნარატივები ქართულ ბიოგრაფიულ მთავარ ნარატივთან? მონაცემთა წინასწარი ანალიზის საფუძველზე, ჩანს, რომ მონაწილეები ქმნიან თავიანთ ცხოვრებისეულ ისტორიებს ან ნარატიულ იდენტობებს იმპლიციტური მთავარი თხრობის ზედაპირზე გამოტანით და საკუთარი ალტერნატიულის შექმნის გზით, ან მოვლენების გადანაცვლებითა და ჩანაცვლებით; ნორმატიულ ცხოვრებისეულ ისტორიაში შეტანილი მოვლენების თანმიმდევრობის შეცვლით.

**4.**

**მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

ევროპის ჯანმრთელობის ფსიქოლოგიის ასოციაციის კონფერენცია, ბრემენი, გერმანია,2023. მოხსენება:“ემოციურ ინტელექტს, შფოთვასა და სარისკო ქცევას შორისმიმართება: სხეულის შინაგანი სიგნალების შეგრძნება’’

ავტორები: ხ. მარწყვიშვილი, ს; ჯინორია, მ. ჯანჯღავა

**მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)**

მოზარდები ხშირად ერთვებიან სარისკო ქცევაში. განსახვავებენ სარისკო ქცევის ორ ტიპს: პოზიტიური (სოციალურად მისაღები) და ნეგატიური (სოციალურად მიუღებელი) სარისკო ქცევა. თუმცა ცოტა რამ არის ცნობილი ამ ორი ტიპის ქცევის შესახებ, განსაკუთრებით, კლინიკურ შერჩევებში. მიმდინარე კვლევა მიზნად ისახავს გამოიკვლიოს კავშირი შფოთვასა და სარისკო ქცევას შორის და დაადგინოს ემოციური ინტელექტისა და ინტეროცეფციის როლი ამ კავშირში. კვლევაში მონაწილეობდა 14-დან 17 წლამდე ასაკის 290 მოზარდი (40 კლინიკური მონაწილე), რომელთაც ემოციური ინტელექტის, შფოთვისა

და სარისკო ქცევის საკვლევი თვითანგარიშის ტიპის კითხვარები. გარდა ამისა, კლინიკურ ჯგუფში ინტეროცეპტული სიზუსტის საკვლევად, გამოყენებული იქნა გულისცემის სიხშირის საზომი შენდრის ინსტრუმენტი. საკვლევ ცვლადებს შორის დამოკიდებულების შესასწავლად გამოყენებული იყო კორელაციის, რეგრესიის და მოდერაციული ანალიზი. შედეგებმა აჩვენა, რომ სარისკო ქცევასა და შფოთვას შორის არაკლინიკურ ჯგუფში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციაა. თუმცა, კლინიკურ შერჩევაში სარისკო ქცევასა და შფოთვას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ გამოვლინდა. გარდა ამისა, ემოციურ ინტელექტი ასრულებდა მოდერატორის როლს შფოთვასა და ნეგატიურ სარისკო ქცევაში შორის კავშირში (არაკლინიკური ჯგუფი). ინტეროცეპტული სიზუსტე, ასევე, უარყოფითად იყო დაკავშირებული სარისკო ქცევასთან კლინიკურ ჯგუფში. შედეგები ნათელი ჰფენს ემპირიული დასკვნების არაკონსისტენტურობას შფოთვასა და სარისკო ქცევებს შორის ურთიერთობის შესახებ.

5.

**მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

ევროპის ჯანმრთელობის ფსიქოლოგიის ასოციაციის კონფერენცია, ბრემენი, გერმანია, 2023
მოხსენება: ,, ემოციების რეგულაცია (მიმღებლობა) ამცირებს ნეგატიურ აფექტს - ინტეროცეფციის როლი''

ავტორები: ს. შულცი, მ. ჯანჯღავა, ხ. მარწყვიშვილი ჯ. ჰევიგი,

**მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)**

ჩვენი ტვინი გამუდმებით იღებს სიგნალებს სხეულიდან, როგორებიცაა, მაგალითად, გულის ცემა ან სუნთქვა. ეს პროცესი უზრუნველყოფს ჩვენი ორგანიზმის სათანადო ფუნქციონირებას. მართალია, ჩვენ ყოველთვის ვერ ვაცნობიერებთ სხეულში მიმდინარე შინაგანი პროცესების, თუმცა, საინტერესოა, გავარკვიოთ, შეგვიძლია თუ არა ჩვენი ემოციების ეფექტური რეგულაცია, როდესაც გვაქვს ჩვენი შინაგანი სიგნალების კარგი აღქმის უნარი. კვლევა იზიარებს მოსაზრებას, რომ სხეულის აღქმა შესაძლოა გარკვეულ სიტუაციებში საკმაოდ სასარგებლო იყოს. ამიტომ, ვეცდებით, გამოვარკვიოთ, გვეხმარება თუ არა სხეულის შინაგანი აღქმის უნარი ემოციების რეგულაციაში, კერძოდ კი, ემოციების მიღების პროცესში. ვვარაუდობთ, რომ 1. ექსპერიმენტული ჯგუფი (ემოციების მიღება) გამოავლენს უფრო დაბალ ნეგატიურ აფეტქს ვიდრე საკონტროლო ჯგუფი; 2. მიმართება ემოციების მიღებასა და ნეგატიურ აფექტს შორის მოდერირებული იქნება ინტეროცეფციით; 3. მოდერაცია არ გამოვლინდება იმ მონაწილეებთან, სადაც შფოთვა იქნება მაღალი.

6.

**მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა ასოციაციის საერთაშორისო ყრილობა (ICPS), ბრიუსელი ბელგია, 2023
მოხსენება: შფოთვასა და ინტეროცეპიას შორის მიმართება პანიკური აშლილობის მქონე პაციენტებში - ემოციური ინტელექტის როლი.

ავტორები: ს. შულცი, ჯანჯღავა, მარწყვიშვილი, ჰევიგი

**მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)**

კვლევის მიზანია, გამოავლინოს, ასრულებს თუ არა ემოციური ინტელექტი შფოთვასა და ინტეროცეფციას (სხეულის შინაგანი სიგნალების აღქმა) შორის კავშირში მოდერატორის როლს პანიკური აშლილობის მქონე პაციენტებში. თანამედროვე მეცნიერული განმარტებით ინტეროცეფცია ცდება ფიზოლოგიური და ჰომეოსტატური კონტროლის ფუნქციებს და გავლენას ახდენს კოგნიტურ და ემოციურ პროცესებზე, ასევე, ადამიანის ქცევაზე. ინტეროცეფციამ, ასევე, შეიძლება მენტალური პრობლემების, მათ შორის, შფოთვითი აშლილობების, განვითარებას და შენარჩუნებაში ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი. საინტერესოა, რომ ინტეროცეფციის ცალკეულ ასპექტებსა და პანიკურ აშლილობას შორის არსებულ კავშირზე ემოციური ინტელექტის როლი ჯერჯერობით არ არის ნაკვლევი. ამიტომ ჩვენი კვლევის მიზანია პანიკური აშლილობის მქონე პაციენტების მაგალითზე გამომავლინოთ კავშირები შფოთვას, ემოციურ ინტელექტსა და ინტეროცეფციას შორის. კერძოდ, კვლევა მიზნად ისახავს, გაარკვიოს: (1) ასრულებს თუ არა ემოციური ინტელექტი შფოთვასა და ინტეროცეფციას შორის კავშირში მოდერატორის როლს; (2) რა კავშირი აქვს ამ მიმართებებთან სტრესთან გამკლავების მექანიზმებს; კვლევის შედეგები დაგვეხმარება, უფრო კარგად შევისწავლოთ პანიკური აშლილობის თავისებურებები და ხელი შევუწყოთ მომავალში თერაპიული ინტერვენციების დახვეწას. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით პაციენტებს მომავალში ექნებათ შესაძლებლობა, გააუმჯობესონ საკუთარი სხეულის აღქმის უნარები და ემოციური ინტელექტი, რაც დაეხმარებათ ინტეროცეფციული სიგნალების უკეთ ინტეგრირებაში. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ეს პროცესები შფოთვის სიმპტომების შემცირებას შეუწყობს ხელს.

**7.**

**მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

Schulz, S.M., Janjgava, M., Martkshvishvili, K., Hewig, J. (2023). Understanding relationships between anxiety and interoception in panic patients - the role of emotional intelligence. Third Mission (im)possible?! Handlungsoptionen für den wissenschaftlichen Nachwuchs. Book of Abstracts der 4. Interdisziplinären Graduiertenkonferenz. Universität Trier.

https://doi.org/10.5281/zenodo.7865458

ავტორები: შულცი; ჯანჯღავა, მარწყვიშვილი, ჰევიგი.

## სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

**2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

2.1.

2.1.

1.

**გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

2022 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტი „ყოფილი ემიგრანტების რეადაპტაციური გამოცდილებებისა და მასთან დაკავშირებული კანონზომიერებების კვლევა მშობლიურ საზოგადოებაში დაბრუნების შემდგომ პერიოდში" (FR-22- 15319).

**პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

პროექტის კოორდინატორი -ფარსადანიშვილი ნაზი

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1.

**გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

ნდობა და ორგანიზაციული და საზოგადოებრივი კულტურის კვლევა საქართველოში. კანადის მთავრობის Social Science & Humanities Research Council (SSHRC) მიერ დაფინანსებული პროექტის ნაწილი.2020-2025.

**პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

გიორგი ყიფიანი, მკვლევარი

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ქართულ ენაზე თარგმნილი კითხვარით ჩატარდა 420 საშუალო რგოლის მენეჯერის გამოკითხვა კულტურის 9 განზომილების მიხედვით. წინასწარმა შედეგებმა აჩვენა საქართველოს კიდევ უფრო დაახლოვება ევროპული ქვეყნების ღირებულებითი მიმართულებით პროექტის წინა ეტაპთან შედარებით რომელიც 20 წლის წინ ჩატარდა.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1.

1.

**ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

ქიქოძე ,ა.; ჯალაბაძე, ნ.; ჯანიაშვილი, ლ.; ფირცხალავა, ე.(2023) *„სტუმრად მუსლიმ მესხებთან“.* თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი. IBSN 987-9941-508-50-9. 260 გვერდი

ავტორები: ქიქოძე, ჯალაბაძე, ჯანიაშვილი, ფირცხალავა

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

2004 წლის ნოემბერ-დეკემბრში ოთხი საველე მკვლევარი მონაწილე დამკვირვებლის სტატუსით იმყოფებოდა ოზურგეთის რაიონის სოფ. ნასაკირალში, “მესხების უბანში” და სამტრედიის რაიონის სოფ. იანეთში, ე.წ. `კოპიტნარის მესხების დასახლებაში. საველე სამუშაოები წარმოადგენდა მასშტაბური კველვითი პროექტის ნაწილს, რომელსაც ფოლკსვაგენის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებდა `უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი (EßMI). კვლევა შესრულდა ფოლკსვაგენის ფონდის პროგრამის, `ევროპასა და აღმოსავლეთს შორის _ ფოკუსი ცენტრალური აზიისა და კავკასიის კვლევასა და განათლებაზე~, ფარგლებში. სამხრეთ საქართველოდან 1944 წ. დეპორტირებული მოსახლეობის შესწავლაში ჩართული იყვნენ მეცნიერები
მსოფლიოს 12 ქვეყნიდან. საველე სამუშაოები ჩატარდა დეპორტირებულთა მაშინდელი განსახლების ადგილებში (9 ქვეყანაში). ამ მოცულობის სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზება ბუნებრივად უკავშირდებოდა უამრავ სირთულეს, მრავალრიცხოვანი დასაკითხის შესახებ განსხვავებული კონცეფციის მქონე ავტორებისათვის სრულყოფილი კვლევითი მეთოდოლოგიის შემუშავებიდან დაწყებული, საკვლევი ჯგუფის სახელწოდებაზე შეთანხმებით დასრულებული. ზემოთქმული სათანადოდ აისახა პროექტის განხორციელების შედეგად ინგლისურ და რუსულ ენებზე გამოცემულ მონოგრაფიაშიც. ხსენებული წიგნის რედაქტორებმა შეგნებულად დაუშვეს, რომ ნაშრომში წარმოჩენილიყო სამეცნიერო წრეებში გავრცელებული სხვადასხვა შეხედულება. შედეგად,ცალკეული თავები ზოგჯერ წინააღმდეგობრივია, რადგან კონკრეტული ავტორის პოზიცია მნიშვნელოვან საკითხებზე რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან.
შედარებით სისტემურად ჩატარდა საველე სამუშაო, რომელიც ემპირიული მასალის შეკრების ერთიან მეთოდოლოგიურ სქემას ემყარებოდა და უფრო თავისუფალი იყო მკვლევართა სუბიექტური განწყოებებისაგან. საქართველოში პროექტს სამეცნიერო

კოორდინირებას უწევდნენ ნანა სუმბაძე და გიორგი თარხან-მოურავი. ემპირიული მასალის შეკრება დაევალა ოთხ მკვლევარს: ფსიქოლოგ ეკატერინე ფირცხალავას, მწერალ არჩილ ქიქოძეს, ეთნოლოგებს ნათია ჯალაბაძეს და ლავრენტი ჯანიაშვილს. ბუნებრივია, ველზე მუშაობის და მასალის დამუშავების დროს ისინი სხვადასხვა მეთოდს იყენებდნენ. მკითხველი შეამჩნევს, რომ წინამდებარე წიგნში შესული ნარკვევები თხრობის მანერით განსხვავდება. თუმცა, ავტორთა შეხედულებები, რაც მესხებთან ცხოვრებისას ჩამოუყალიბდათ, და დასკვნები თითქმის იდენტურია. წინამდებარე მასალა თითქმის ოცი წლის წინანდელია, მაგრამ აქამდე არ გამოქვეყნებულა.
მკვლევართა ჩანაწერები, რომელიც ასახავს მათ იმდროინდელ განწყობებს, გაკეთებულია 2004-2005 წლებში და თითქმის უცვლელად ვბეჭდავთ (თუ არ ჩავთვლით მცირეოდენ რედაქტირებას). მიგვაჩნია, რომ საკითხით დაინტერესებულ მკვლევართათვის და ქართული საზოგადოებისათვის ინტერესს მოკლებუ-ლი არ უნდა იყოს გაეცნოს როგორი იყო ჩვენი საუკუნის დასაწყისში რეპატრირებული მესხების ყოველდღიური ყოფა, მათი ჩასახლების ადგილებში არსებული ვითარება და ძირითადი ეთნო-კულტურული ტენდენციები. გარკვეული მოაზრებებიდან გამომდინარე (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) დაცულია რესპონდენტთა კონფიდენციალობა. ფრაგმენტების სახით ვაქვეყნებთ ასევე ცალკეულ ინტერვიუს საველე დღიურებიდან.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1.

1.

**ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

Pirtskhalava.E; Kvanchilashvili,E. (2023). Identity and Geopolitical Vector of Georgia. *„Social Values And Identities In The Black Sea Region"* Edited By Malina Voicu; Kseniya Kizilova And Marian Zulean . Lexington Books. 978-1-66691-825-0 • Hardback • July 2023. Book Chapter

ავტორები: ე. ფირცხალავა; ე. კვანჭილაშვილი

6.3. სტატიები

1.

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

Pharsadanishvili, N., Kitiashvili, A. The influence of Negative Social Identity Management Strategies and Self-esteem on Perceived Stigma of Poverty. *Trends in Psychol.* (2023). https://doi.org/10.1007/s43076-023-00340-5 (number of pages 22).

ავტორები: ნ. ფარსადანიშვილი; ა. ქიტიაშვილი.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევის მიზანია შეისწავლოს სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის აღქმულ სტიგმასა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებს შორის კავშირი. ნაშრომში მიმოხილულია ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების კონსტრუქტების მიმართება სიღარიბის აღქმულ სტიგმასთან. რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 263-მა სოციალური დაუცველის სტატუსის მქონე რესპონდენტმა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სოციალური კრეატულობის სტრატეგია მნიშვნელოვნად ეხმარება სიღარიბის აღქმული სტიგმის მართვას ადამიანების შეხედულებების შეცვლის გზით. თუმცა, შიდაჯგუფური შეჭიდულობის ზრდას ადაპტური ფუნქცია არ აქვს სიღარიბის აღქმული სტიგმის დაძლევაში. ამასთანავე, იერარქიული მრავლობითი რეგრესიული ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ სტიგმის ინტერნალიზების ვარიაციაში პრედიქტორულ ღირებულებას ინარჩუნებს მხოლოდ ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების ცვლადები, ნეგატიური მოპყრობის აღქმაში კი - კოლექტიური თვითშეფასება და შიდა ჯგუფური შეჭიდულობა. მოცემული კვლევა პირველი მცდელობაა იმისა, რომ გაანალიზდეს ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების მიმართება აღქმულ სტიგმასთან. სტატიაში ასევე გაანალიზებულია იმ დამატებითი ფაქტორების როლი, რომელთა შესწავლა მნიშვნელოვანია სიღარიბის აღქმული სტიგმაზე მოქმედი ცვლადების თეორიული მოდელის შესაქმნელად.

**2.**

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

Pirtskkhalava E. Shanava I. (2023) „The Identities of Repatriated Muslim Meskhetians In Georgia“Polish Journal of Social Sciences № 66(2023):35-46.

ავტორები: ე. ფირცხალავა; ი. შანავა.

**3.**

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

Gvenetadze,G; Pirtskhalava,E.; (2023) The impact of social identity on the career planning process (Georgia and Spain) GESJ: Education Sciences and Psychology // 2023 | No.1(66), pp. 29-45

ავტორები: გ. გვენეცაძე; ე. ფირცხალავა.

**4.**

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

Kitoshvili N., Phirtskhalava E. (2023) Marital Conflict And Psychosocial Well-Being Of Adolescents, Protective and Risk Factors „ Low and the Warld“ (№26) Volume 9; Issue 2;

ავტორები: ნ. ქიტოშვილი; ე. ფირცხალავა

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1 საქართველოში

1.

**მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

გ.ყიფიანი „კომუნიკაციური უნარების კურსის ადგილი დამხმარე პროფესიების კურიკულუმში“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სტუდენტური ფსიქოლოგიური
კეთილდღეობა და მენტალური ჯანმრთელობის საკითხები“, 6 ოქტომბერი, 2023, თელავი; საქართველო

ავტორი: გ. ყიფიანი.

7.2 უცხოეთში

1.

**მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

A. Kitiashvili, Attitudes, Stereotypes and ageist behavior of Youth towards Older People: The case of Georgia 4th International Conference on Social Sciences in Oxford, St Ann’s College, United Kingdom (გამოქვეყნების პროცესში)

ავტორი: ა. ქიტიაშვილი

2.

**მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

Nazi Pharsadanishvili, Anastasia Kitiashvili; In-group cohesiveness as new type of negative social identity management strategy Conference "New trends in psychology and pedagogy". 19.05.2023. Radom / Poland.

ავტორები: ნ. ფარსადანიშვილი; ა. ქიტიაშვილი.

**3.**

**მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

19 – 21 ივლისი 2023 - ფირცხალავა, ე.; ბადაშვილი, ინტერდისციპლინარული სოციალური მეცნიერებების მეთვრამეტე საერთაშორისო კონფერენცია. მოხსენება- ადამიანური აგენტობა (უნარი შექმნას საკუთარი სუბიექტურობა) მიგრაციაში: მიგრაციის გავლენა სოციალურ და კულტურულ იდენტობაზე" . Eighteenth International Conference on Interdisciplinary Social Sciences. Oxford Brookes University. Oxford, United Kingdom of Great Britain and Northern Ireland

ავტორი: ე. ფირცხალავა; მ. ბადაშვილი.

**4.**

**მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

31 ივლისი - 5 აგვისტო, 2023 - ფირცხალავა, ე.; ბადაშვილი, მ.; შანავა, ი. / ლიმერიკი, ირლანდია - კროსკულტურული ფსიქოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის 27-ე რეგიონულ ევროპულ კონფერენცია , მოხსენება „ ქართველი მიგრანტები დასავლეთ ევროპასად ა ამერიკაში, ადაპტაციის შემთხვევა".
"Georgian Migration in Western Europe and in the USA: the Cases of Adaptation" the 27th Regional European Conference of the International Association for Cross-Cultural Psychology- organized by the Department of Psychology of the University of Limerick, Ireland

ავტორები: ე. ფირცხალავა; მ. ბადაშვილი; ი. შანავა.

**5.**

**მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

Grdzelidze, E. Pirtskhalava, M. Badashvili, M. Gognelashvili, Z. Kitiashvili, R. Sanadze, S. Idadze "*Study On the Needs and Support of The Victims of Domestic Violence and Violence Against Women" – Third Mission Pilot Activity Conducted in the Framework of Erasmus+ Co-Funded Capacity Building in Higher Education Project* – Square – Appears in: ICERI2023 Proceedings

ავტორები: გრძელიძე; ე. ფირცხალავა; მ. ბადაშვილი; მ. გოგნელაშვილი; ზ. ქიტიაშვილი; რ.სანაძე; ს. იდაძე.

## შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

**1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

1.1.

1.

**გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის პერსონალის შერჩევის პროცესის მეთოდოლოგიური მხარდაჭერა; შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია; 2019-2023

**პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

იამზე კუტალაძე (პროექტის ხელმძღვანელი), სოფიო დოლიძე (მკვლევარი), ნინო წულაია (მკვლევარი), თამარ ლიპარტელიანი (მკვლევარი), სოფიო ბახუტაშვილი (მკვლევარი), ნინო ჯორჯაძე (მკვლევარი)

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრი - PMC ნატოს პროფესიული განვითარების პროგრამის და ნატოს სათავო ოფისის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანიც არის პოლიციის აკადემიაში პერსონალის შერჩევის პროცესის მეთოდოლოგიური მხარდაჭერა. პროექტი ორი ნაწილისაგან შედგება:
I. კომპეტენციების ჩარჩოს მომზადება სამი პროფესიისთვის - პატრულ-ინსპექტორი, მესაზღვრე პოლიციელი და გამომძიებელი. ანგარიშის პირველ ნაწილში გაწეული კომპლექსური სამუშაო ანალიტიკური დოკუმენტის სახითაა წარმოდგენილი.

II. კომპეტენციების ჩარჩოს შესაბამისი სასელექციო ტესტის მომზადება. ანგარიშის მეორე ნაწილში ტესტის სახელმძღვანელოა წარმოდგენილი, რომელშიც აღწერილია ტესტის შემუშავების ეტაპები და მოცემულია მისი სანდოობისა და ვარგისიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგები და მენეჯერები, ინდივიდებს შორის განმასხვავებელი ნიშნების აღწერისას, როგორც წესი, ცნება „კომპეტენციებს" იყენებენ. კომპეტენციებში, ჩვეულებრივ, იგულისხმება სხვადასხვა სფეროში პიროვნების ცოდნის, უნარების, შესაძლებლობებისა და სხვა მახასიათებლების ერთობლიობა, რომლის განვითარებაც აუცილებელია სამუშაოს ფარგლებში დაკისრებული მოვალეობების წარმატებით შესასრულებლად

სამეცნიერო ლიტერატურაში კომპეტენციის მრავალ განსხვავებულ დეფინიციას შევხვდებით. ერთ-ერთის მიხედვით, კომპეტენცია ასახავს ინდივიდის ექსპერტულ რეპერტუარსა (უნარ-ჩვევებსა) და იმ ქცევით გამოვლინებებს შორის ურთიერთმიმართებას, რომლებიც სამუშაოს ეფექტიანად შესრულებისთვისაა საჭირო. ექსპერტული რეპერტუარი განსაზღვრულია, როგორც საჭირო, ან შესაბამისი ცოდნის, გამოცდილებისა და ინტუიციის/ ალღოს გამოყენება სპეციფიკური პრობლემების გადასაჭრელად. ექსპერტული რეპერტუარი შემდგომში აქტუალიზდება და რეალიზდება პიროვნების ქცევით გამოვლინებებში. ითვლება, რომ კომპეტენციები მარტივად ათვისებადია და ემორჩილება მიზანმიმართულ განვითარებასა და დახვეწას. ადამიანური

რესურსის სფეროში კომპეტენციის ცნების პოპულარობის მიუხედავად, კომპეტენციის კონსტრუქტის სამეცნიერო სტატუსი არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, არ არსებობს სრული თანხმობა კომპეტენციების სხვადასხვა მოდელისა და მათი განზომილებების ვალიდობის შესახებ. მანსფილდის განმარტების მიხედვით, კომპეტენციების ჩარჩო იმ ცოდნის, უნარების, შესაძლებლობებისა და პიროვნული მახასიათებლების სპეციფიკურ ქცევით ტერმინებში აღწერაა, რაც კონკრეტული სამუშაოს ეფექტიანად შესრულებისთვისაა საჭირო. ჰოგანისა და ვორენფელცის მიხედვით, კომპეტენციების სხვადასხვა ტაქსონომია, როგორც წესი, ოთხ ძირითად ჯგუფს აერთიანებს, ესენია: ინტრაპერსონალური, ინტერპერსონალური, პროფესიონალური/საქმიანი (ბიზნეს) და ლიდერული კომპეტენციები.

2023 წელს დასრულდა კომპეტენციების შესაფასებელი ინსტრუმენტების ნაკრების შემუშავების პროცესი და შეფასდა ინსტრუმენტების ფსიქომეტრული მახასიათებლები. ინსტრუმენტებს აკადემია პერსონალის შერჩევის მიზნით გამოიყენებს.

1.2.

1.

**დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

სსსმ სტუდენტების საჭიროების ანალიზი პოლიტიკის, ინსტიტუციური მენეჯმენტის და სწავლებისა და სწავლის დონეზე; განათლების კვლევები, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია; 2022 – 2023

**პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

იამზე კუტალაძე (პროექტის ხელმძღვანელი), სოფიო დოლიძე (თვისებრივი კვლევის კოორდინატორი), თამარ ლიპარტელიანი (რაოდენობრივი კვლევის კოორდინატორი), ნინო წულაია (მკვლევარი), სოფიო ზახუტაშვილი (მკვლევარი), მაია გაბუნია (მკვლევარი), თეონა მიმინოშვილი (მკვლევარი)

**დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

კვლევით პროექტში ნაცადია სსსმ სტუდენტების წინაშე არსებული გამოწვევების კომპლექსური შეფასება, იმ ბარიერების იდენტიფიცირება, რომლებიც სსსმ პირების სწავლას, დასაქმებას და, ზოგადად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ თანაბარ ჩართულობას აბრკოლებს; 10 უნივერსიტეტში შეფასდა სსსმ/შშმ სტუდენტთა საჭიროებებზე მორგებული სერვისების *(ფიზიკური გარემო და ინფრასტრუქტურა, აკადემიური და ექსტრაკურიკულარული პროგრამები და სერვისები, IC ტექნოლოგიები და სხვა)* ხელმისაწვდომობა. კვლევა საჭიროებათა ანალიზის ე. წ. სხვაობათა მოდელს (Discrepancy Model) ეყრდნობა. კვლევის ფარგლებში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფიდან მოპოვებული თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების სრულფასოვანი ანალიზისა და მიგნებების ვალიდაციისათვის გამოყენებულია ე. წ. ტრიანგულაციის ტექნიკა. კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია ბარიერები და საჭიროებები, რომლებიც უკავშირდება უმაღლეს განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი პოლიტიკას/ინკლუზიური განათლების პოლიტიკას; ინსტიტუციურ მართვასა და

სწავლა-სწავლების პროცესს. კვლევაში ასევე გაანალიზებულია ინკლუზიური განათლებისადმი დამოკიდებულებები და მასთან ასოცირებული ბარიერები (სტიგმა, თვითსტიგმა).

კვლევის შედეგები ასეთია:

*ინკლუზიური განათლების პოლიტიკა საქართველოში:* საქართველოში მოქმედი კანონები არადისკრიმინაციულია, თუმცა ის ინკლუზიური განათლების უფლებას განათლების უმაღლეს საფეხურზე სრულად ვერ უზრუნველყოფს; სსსმ სტუდენტების საჭიროებებზე ინფრასტრუქტურის მორგება ინიცირებულია/ რეგულირებულია საავტორიზაციო მოთხოვნებით. თუმცა, მოთხოვნები ზოგადი ხასიათისაა და გარკვეული ლავირების საშუალებას იძლევა.

*ინკლუზიური განათლების საუნივერსიტეტო პოლიტიკა:* უნივერსიტეტებში უმეტესად არ არსებობს ინსტიტუციური მარეგულირებელი ჩარჩოები, მკაფიო პრიორიტეტები და ინკლუზიური ორგანიზაციული კულტურა იმისათვის, რომ ეფექტურად მოხდეს სსსმ/შშმ სტუდენტების ჩართვა უმაღლეს განათლებაში და სწავლა-სწავლების პროცესის გონივრული მისადაგება. ეს იწვევს არასისტემურობას როგორც სსსმ სტუდენტთა პოლიტიკის დაგეგმვის, ასევე განხორციელებისას.

*ინსტიტუციური მართვა*

*ინფრასტრუქტურა:* უსდ-ებში ინფრასტრუქტურის ადაპტირების დროს ყურადღება უმეტესად გამახვილებულია ფიზიკური შეზღუდვის მქონე სტუდენტების საჭიროებებზე და ხშირად ფორმალური ხასიათისაა. ჩვეულებრივ, ბარიერების აღმოფხვრა არ ხდება პროაქტიულად, არამედ, მხოლოდ პრობლემის გამოვლენის შემდეგ. ინფრასტრუქტურული პრობლემები განსაკუთრებით მწვავეა იმ უნივერსიტეტებში, რომლებიც ძველ შენობებშია განთავსებული.

*ციფრული სივრცე:* ციფრული არხებისა და ელექტრონული რესურსების, პლატფორმების ადაპტირებულობის მხრივ უსდ-თა უმეტესობა ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს. შესაბამის კომპეტენციისა და ცოდნის დეფიციტი ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა და ბარიერია ციფრული სივრცეებისა და სასწავლო რესურსების ადაპტირების მიმართულებით.

*კურიკულუმის, სწავლებისა და შეფასების მეთოდების მორგება:* სსსმ სტუდენტების სწავლების პროცესში არსებული გამოწვევებისა და ბარიერების (უსდ-ს პერსონალის კომპეტენცია, სასწავლო რესურსები) ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი უსდ-ებში ინკლუზიური სწავლების მიმართ სისტემური მიდგომის არარსებობაა. სსსმ სტუდენტები სასწავლო პროცესში არსებულ ბარიერებთან გამკლავებას ცალკეული ინდივიდების კეთილ ნებასა და რესურსებზე დაყრდნობით ახერხებენ.

*დამოკიდებულებები:* მიუხედავად იმისა, რომ საკვლევი სეგმენტის მიმართ სტიგმატიზაციის პრობლემა საუნივერსიტეტო საზოგადოებაში არ გამოვლენილა, ამ პროცესის ირიბ ხელშეწყობად შეიძლება ჩაითვალის პოზიტიური დისკრიმინაციის მიდგომები, რომელთა მიხედვითაც იცვლება მოთხოვნები სსსმ/შშმ სტუდენტების მიმართ, რაც, საერთო ჯამში, აძლიერებს სტიგმას და თვითსტიგმას.

**დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

საერთაშორისო, კროსკულტურული კვლევა: მდგრადი ადამიანური რესურსების მართვა - კროს-კულტურული კვლევა (SUSTAINABLE HUMAN RESOURCE MANAGEMENT - CROSS-CULTURAL EMPIRICAL STUDY); ადამიანური კაპიტალის ინსტიტუტი, ვარშავის ეკონომიკის სკოლა (Warsaw School of Economics), პოლონეთი; 2022-2023

**პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

მაია რობაქიძე, მკვლევარი (საერთაშორისო თანამშრომლობა გულისხმობს კვლევის ინსტრუმენტების ადაპტაციას ქართულ პოპულაციაზე, კვლევის ჩატარებას, მონაცემთა ბაზების მომზადებას, ჩართულობას მონაცემთა დამუშავებასა და სამეცნიერო სტატიების თანაავტორობას); ხათუნა მარწყვიშვილი (მკვლევარი პიროვნების, შეფასებია და კონსულტირების ინსტიტუტიდან).

**დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

კვლევის მიზანია, შეისწავლოს ადამიანური რესურსების მდგრადი განვითარების კავშირი თანამშრომელთა პროეკოლოგიურ ფუნქციონირებასთან, კერძოდ მწვანე HRM-თან. ამ კვლევის აქტუალობა განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო წლებში, რაც გამოწვეულია COVID-19 პანდემიის კრიზისით. მან გამოავლინა უფრო მეტი ზრუნვის საჭიროება არა მხოლოდ თანამშრომლების ფიზიკური ჯანმრთელობაზე, არამედ მათ ფსიქოლოგიური კეთილდღეობაზე, ასევე სამუშაო და ცხოვრების ბალანსზე. კვლევის შედეგები მოგვცემს თანამშრომელთა დამოკიდებულბების, სამუშაო ადგილზე ქცევების კავშირის შესწავლას ადამიანური რესურსების მართვის ზოგადი პრაქტიკებსა და განსაკუთრებით მწვანე HRM პოლიტიკასთან. კვლევა საერთაშორისოა, მასში ჩართულია 50-ზე მეტი ქვეყანა, რაც კულტურული განსხვავებულობის, ორგანიზაციულ- კულტურული თავისებურებების იდენტიფიცირების საშუალებას მისცემს კვლევის ავტორებს შესასწავლ საკითხებთან მიმართებაში. პროექტი გულისხმობს რაოდენობრივი კვლევის ჩატარებას 7 კითხვარის საშუალებით; თითოეული მონაწილე ქვეყანა ამ ინსტრუმენტების ადაპტაციას ატარებს თავის პოპულაციაზე. კვლევითი პროექტის შემდეგ გუნდის მიერ მომზადდა სამი სამეცნიერო სტატია.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

1.

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

მ. რობაქიძე; უზნაძის ფიქსირებული განწყობის მეთოდის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები: ემპირიული გადამოწმება; ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი, 5, ISSN 2667–9027, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 17 გვ (გადაცემულია დასაბეჭდად).

ავტორი: მ. რობაქიძე.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

კვლევის მიზანია ავტომატიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაფუძნებული განწყობის ექსპერიმენტების ჩატარება სტატისტიკური ანალიზის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, რათა გადაგვემოწმებინა ქართველ მეცნიერთა კვლევებში აღმოჩენილი კანონზომიერებები ფიქსირებული განწყობის ცალკეულ ტიპებსა და პიროვნულ თავისებურებებს შორის. ფიქსირებული განწყობის ექსპერიმენტები ჩატარდა 171 კვლევის მონაწილეზე დ.უზნაძის კლასიკური მეთოდით, ვიზუალურ სფეროში სპეციალურად შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფისა და პასუხების ავტომატური დაფიქსირების მეთოდით. კვლევის მონაწილეები ავსებდნენ ასევე დიდი ხუთეულისა (NEO-FFI) და სპილბერგერის პიროვნული შფოთვის საზომი კითხვარების (STAI) ქართულ ვალიდირებულ ვერსიებს. დისპერსიული ანალიზის გამოყენებით დადასტურდა, რომ ფიქსირებული განწყობის სტატიკური განწყობის ტიპებს ნევროტიზმისა და პიროვნული შფოთვის უფრო მაღალი მახასიათებლები აქვთ, ვიდრე დინამიკურ ტიპებს; ხოლო პლასტიკური განწყობის ტიპებს ექსტრავერსიის უფრო მაღალი მახასიათებლები აქვთ, ვიდრე ფიქსირებული განწყობის ტლანქ ტიპებს. ლოჯისტიკური რეგრესიული ანალიზით დადასტურდა, რომ ნევროტიზმი წარმოადგენს ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის პროცესის დინამიკის, კერძოდ სტატიკურობა-დინამიკურობის პრედიქტორს.

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

ი. კუტალაძე, ნ. წულაია. ორგანიზაციული სამართლიანობისა და მნიშვნელობის მქონე სამუშაოს როლი ფსიქოლოგიური მესაკუთრეობის ფორმირებაში. ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი, 5, ISSN 2667–9027, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (გადაცემულია დასაბეჭდად)

ავტორები: ი. კუტალაძე; ნ. წულაია.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

კვლევაში ორგანიზაციული სამართლიანობის (organizational justice) ჭრილში გააანალიზებულია ორი მნიშვნელოვანი ორგანიზაციულ-ფსიქოლოგიური კონსტრუქტის - ფსიქოლოგიური მესაკუთრეობის (psychological ownership) და მნიშვნელობის მქონე სამუშაოს (meaningful work) - ურთიერთმიმართება. ორგანიზაციული სამართლიანობის აღქმები კვლევაში კონცეპტუალიზებულია, როგორც კონტექსტუალური ცვლადი, რომლის დახმარებითაც ვცდილობთ შევაფასოთ გარემოს (სამართლიანი, უსამართლო) გავლენა

სამიზნე ცვლადებს შორის არსებულ მიმართებებზე. ამ ცვლადებს შორის არსებული კავშირების კომპლექსური ბუნების უკეთ გასაანალიზებლად კვლევაში შემოტანილია გადაწვა (burnout), როგორც შედეგობრივი ცვლადი. კვლევაში 536 საჯარო მოხელე მონაწილეობდა და ის თვითადმინისტრირებადი კითხვარის გამოყენებით ჩატარდა. კვლევის შედეგები ინტერპრეტირებულია სოციალური გაცვლის თეორიის ჭრილში.
კვლევამ გამოკვეთა მნიშვნელობის მქონე სამუშაოს როლი ორგანიზაციისადმი ფსიქოლოგიური მესაკუთრეობის განცდის ფორმირებაში - რაც უფრო ღირებულად მიიჩნევენ დასაქმებულები თავიანთ საქმეს, მით უფრო მაღალია ორგანიზაციის მიმართ მესაკუთრეობის განცდა. მნიშვნელობის მქონე სამუშაო შესაძლებლობას აძლევს მათ, დაძლიონ რთული სიტუაციები სამუშაო ადგილზე და გაუმკლავდნენ გამოწვევებს. ორგანიზაციული სამართლიანობა მოდერატორია მნიშვნელობის მქონე სამუშაოსა და ორგანიზაციისადმი ფსიქოლოგიური მესაკუთრეობის კავშირში. განცდა, რომ ღირებულ, მნიშვნელოვან საქმეს აკეთებ, „აკომპენსირებს" ორგანიზაციული უსამართლობის აღქმების ნეგატიურ გავლენას ფსიქოლოგიური მესაკუთრეობის განცდის ფორმირებაზე. სამუშაოს მნიშვნელობის სუბიექტურ აღქმასა და გადაწვას შორის კავშირი ნაწილობრივ გაშუალებულია ფსიქოლოგიური მესაკუთრეობის ცვლადით. დასაქმებულის აღქმა, რომ ღირებულ, მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებს ფსიქოლოგიური მესაკუთრეობის ფორმირებას უწყობს ხელს, რაც თავის მხრივ, ამცირებს გადაწვის რისკს.

## განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი, პედაგოგიკის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
1.1.

1.

**გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

უნივერსიტეტების ავტონომია საქართველოში: გამოწვევები და პერსპექტივები, 2021-2024,

**პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

პოლ გიბსი - კოორდინატორი; ირმა გრძელიძე - მონაწილე; თამარ სანიკიძე - მონაწილე; გიორგი შარვაშიძე - მონაწილე; გიორგი ლაზარიაშვილი - მონაწილე; დავით ჩერქეზიშვილი - მონაწილე; ქეთევან აფთარაშვილი - მონაწილე.

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

კვლევა ეხება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიას საქართველოში. კვლევის შედეგები გაზიარებული იქნება პოლიტიკის დოკუმენტით,

რომელიც მოიცავს ლიტერატურის მიმოხილვას, უნივერსიტეტის, როგორც სტრატეგიული აქტორის, შიდა და გარე მმართველობის, ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნების მაგალითზე. კვლევა აქცენტირებულია ქართული უნივერსიტეტის როლზე საკანონმდებლო ნორმებით განსაზღვრული ავტონომიისა და აკადემიური თავისუფლების გამოყენებაზე. კვლევის ფარგლებში ჩატარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოკითხვა წინასწარ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე, რომლის წინასწარი შედეგებიც წარდგენილ იქნა ორი უნივერსიტეტის (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი) მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე. კვლევის მეორე ეტაპზე ჩატარდა ჩაღრმავეული ინტერვიუები ორი კლასტერის (სახელმწიფო უნივერსიტეტების) 4 სამიზნე ჯგუფთან: რექტორი, დეკანები; აკადემიური პერსონალი; სტუდენტები. 2024 წელს იგეგმება კვლევის დასრულება, მონაცემების ტრიანგულაცია EUA Academic Score card საქართველოს მონაცემებთან და შესაბამისი პუბლიკაცია, ირმა გრძელიძის, პოლ გიბსის და თამარ სანიკიძის თანაავტორობით.

## 2.

**გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

აკადემიური პერსონალის მიერ კოვიდ-19-ის გავლენის შეფასება მათსავე აკადემიურ დატვირთვაზე ბრიტანულ და ქართულ უნივერსიტეტებში , 2021-2024

**პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

ლიანა ბეატი - კოორდინატორი; პოლ ლისი - მონაწილე; მინგ ჩენგი - მონაწილე;
ჯული სილი - მონაწილე; ირმა გრძელიძე - მონაწილე; რუსუდან სანაძე - მონაწილე; იზაბელა პეტრიაშვილი - მონაწილე; თეა გერგედავა - მონაწილე.

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

კვლევის მიზანია გამოიკვლიოს COVID19-ის გავლენა განათლების მიმართულებით აკადემიური პერსონალის დატვირთვაზე ბრიტანულ და ქართულ უნივერსიტეტებში. კვლევის მიზნებისთვის აკადემიური პერსონალის დატვირთვა გულისხმობს სამ მიმართულებას: სწავლა-სწავლება, კვლევა და საზოგადოების განვითარების მიზნით შესრულებული სამუშაოები. კვლევითი პროექტი აქცენტირებულია როგორც საუკეთესო პრაქტიკის, ისე გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენაზე, განსაკუთრებით სამუშაო დატვირთვის კოვიდ-19-ით ზემოქმედებით გამოწვეულ ცვლილებებთან დაკავშირებით. კვლევის საბოლოო შედეგები გულისხმობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას, რომელიც დაეხმარება მათ პანდემიის პირობებში აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის ეფექტურად დაგეგმვასა და წარმართვაში. კვლევის ფარგლებში სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა კითხვარი, ჩამოაყალიბა საპროექტო განაცხადი და დაამტკიცა იგი ბრიტანული უნივერსიტეტების (Edge Hill University; Liverpool John Moores University) კვლევით საბჭოებზე. აღნიშნული კვლევის ფარგლებში ჩატარდა 32 ინტერვიუ ბრიტანელ და ქართველ კოლეგებთან,

დასრულდა ლიტერატურის მიმოხილვა. კვლევის შედეგები პუბლიკაციის სახით გამოქვეყნდება

*1.2.*

*1.*

*დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები*

„ინსტიტუციური ეფექტიანობის ინდიკატორების შემუშავება და დანერგვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, უმაღლესი განათლება, 2019-2023,

**პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

ირმა გრძელიძე - კოორდინატორი; ივანე მინდაძე - მონაწილე; თინათინ გაბრიჩიძე - მონაწილე; რუსუდან სანაძე - მონაწილე; დავით სიხარულიძე - მონაწილე; თინათინ დავითაშვილი - მონაწილე; დავით ყიფიანი - მონაწილე

**დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

უნივერსიტეტის ორგანიზაციული განვითარება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რომლის ეფექტიანობა დამოკიდებულია როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებზე. მხოლოდ მათი ბალანსი იძლევა საშუალებას უზრუნველყოფილი იქნეს სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის მაღალი სტანდარტები, რასაც ითხოვს ერთის მხრივ ყველა დაინტერესებული მხარე და მეორეს მხრივ კი - უმაღლესი განათლების საქართველოსა და საერთაშორისო სტანდარტები, საბოლოო ჯამში კი ეს პროცესი უზრუნველყოფს მოსახლეობისა და აკადემიური საზოგადოების უნივერისტეტისადმი ნდობას, უნივერსიტეტის, როგორც ინსტიტუციის რეპუტაციის ზრდასა და აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესებში. პროექტის მიზანი იყო, თსუ-ში ინსტიტუციური განვითარების, სამუშაო პროცესების განხორციელების ეფექტურობის უზრუნველყოფის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშეწყობის, ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესისათვის და საერთაშორისო საუნივერსიტეტო რანჟირების სისტემებში მონაცემებისათვის შეგროვება/წარდგენის მიზნით, აგრეთვე სტრატეგიული სამოქმედო გეგმების შერსულების მონიტორინგისათვის სწავლა/სწავლების, სამეცნიერო საქმიანობისა, სერვისებისა და უნივერსიტეტის არსებული რესურსების შესახებ მონაცემების შეგროვების, ანალიზის და ანგარიშგების სისტემის განვითარება და დანერგვა. აღნიშნულის შედეგად შემუშავდა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მიეწოდა ინდიკატორების გარკვეული სისტემა. აღნიშნული პროექტის გარკვეული ნაწილები წარდგენილ და გავრცელებულ იქნა რამდენიმე საერთაშორისო კონფერენციაზე: 1. ირმა გრძელიძემ და თინათინ გაბრიჩიძემ 2021 წლის 29-30 ოქტომბერს მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ერთობლივ კონფერენციაში "უნივერსიტეტის დანიშნულება და ინსტიტუციური ავტონომია: გამოწვევები და მათი გავლენა საქართველოზე", სადაც ირმა გრძელიძემ წარადგინა მოხსენებები შემდეგ თემებზე: "საქართველოში ინსტიტუციური ეფექტიანობის წინასწარი კვლევა" თამარ სანიკიძის თანაავტორობით და

"ანგარიშვალდებულების გამოწვევები: როგორ აისახება გარე ანგარიშვალდებულება უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასების სისტემაზე? თსუ-ს მაგალითი" თინათინ გაბრიჩიძის თანაავტორობით. 2. ირმა გრძელიძისა და თინათინ გაბრიჩიძის მიერ საერთაშორისო კონფერენციაზე INTED 2021 წარდგენილ იქნა ნაშრომი: Measuring and Improving Institutional Effectiveness and Establishing Quality Culture at Universities through rigorous data collection and weighted indicators (Case of Georgia, TSU); 3. ირმა გრძელიძემ და თინათინ გაბრიჩიძემ მონაწილეობა მიიღეს ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის ფორუმის 2021 წლის კონფერენციაზე, სადაც თინათინ გაბრიჩიძემ წარმოადგინა მოხსენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობის, გამოცდილებისა და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და შესრულების ინდიკატორების საფუძველზე შედეგების შეფასების შესახებ.

2023-ში ი.გრძელიძე, გ.შარვაშიძე, თ. გაბრიჩიძე, დ. სიხარულიძე სტატია Article: Data-driven analysis for evidence-based decision making at universities: benchmarking, software tools and weighted indicators in quality assurance—analytical framework of Tbilisi State University დასაბეჭდად მიიღო Journal: *Quality in Higher Education* (CQHE), Article ID: CQHE 2122107 სტატია დაიბეჭდა სპეციალურ გამოშვებაში.

**2.**

***დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები***

ევროსაბჭოს პროექტში - VC 2767 დემოკრატია იწყება საქართველოს სკოლებში - 2022-2023 წწ. - სკოლებისთვის პრაქტიკული გზამკვლევის - სკოლის დემოკრატიული მმართველობა - მოსწავლეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სასკოლო და საზოგადოების/თემის დონეებზე (პირველადი ვერსიის შექმნა - ძირითადი პერსონალი);

**პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

რუსუდან სანაძე - მენეჯერი; ნინო ჩახუნაშვილი - მონაწილე; ზაქარია ქიტიაშვილი -მონაწილე თინათინ დოლიძე - მონაწილე; მარინე გოგნელაშვილი - მონაწილე; მეგი ესებუა - მონაწილე

**3.**

**დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის პროექტი „სახელმძღვანელოების შეფასება მასწავლებლების პერსპექტივით“, 07-21.09.2023. ბუნებისმეტყველების I და II კლასების გრიფირებული, ალტერნატიული სახელმძღვანელოების შეფასება ცენტრის მიერ მიწოდებული ინსტრუქციის შესაბამისად.

**პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

ეფემია ხარაძე -ექსპერტი/შემფასებელი

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1.

**გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი "მასწავლებლები ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად" (ძირითადი პერსონალი)

2.

**გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

ადრეული ბავშვობის მნიშვნელობა (Early Childhood matters ) გრანტის გამცემი ორგანიზაცია International Step by Step Assossiation საერთაშორისო ასოციაცია "ნაბიჯ ნაბიჯ" )პროექტის დირექტორი (1.10 2023-31.03. 2023)

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1.

**გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების** წლები

ERASMUS + პროექტი: Developing and Implementing Technology-Enhanced Teaching and Learning at Georgian HEIs (DITECH) 4) (618766-EPP-1-2020-1-EE- EPPKA2-CBHE-JP

**პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

იზაბელა პეტრიაშვილი, -თანა-კოორდინატორი და თსუ ინსტიტუციური მენეჯერი;
რუსუდან სანაძე - მკვლევარი, ტრენერი

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

შეიქმნა საბაკალავრო და სამაგისტრო კურსები, რომელთა პილოტირებაც დაიწყო 2022წ. შემოდგომის სემესტრში; შეიქმნა ქართულენოვანი რიდერები, შეიქმნა პროექტის ვებგვერდი - https://www.ditech-erasmus.eu/, ასევე ფეისბუქზე ოფიციალური გვერდი, სადაც ასახულია ყველა აქტივობა, შეხვერის ანგარიშები და ამ დროისთვის მიღწეული შედეგები; ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი ტალინის უნივერსიტეტში და კაუნასის ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, რის შემდეგაც დატრენინგებულმა ტრენერებმა ჩაატარეს ტრენინგები თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებისთვის სწავლა-სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ; ასევე, ჩატარდა ტრენინგები მოქმედი სკოლის მასწავლებლებისთვის. ბათუმში ჩატარდა კონსორციუმის მე-4 შეხვედრა და საერთაშორისო კონფერენცია(სექტემბერი, 2023). ტალინში ჩატარდა კონსორციუმის მე-5 დასკვნითი შეხვედრა (ნოემბერი, 2023)

**2.**

**გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების** წლები

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობა - HERD დაფინანსებულია Erasmus +-ის მიერ. Grant Agreement: 598207–EPP–1–2018–1-GE–EPPKA2–CBHE–SP. 2022 - დღემდე, საკუთარი ექსპერტიზის ფარგლებში მონაწილეობას იღებს პროექტის დასკვნით ფაზაში და ზედამხედველობას უწევს შესაბამისი სამრთლებრივი და შიდა რეგულაციების მომზადებისა და მიღების პროცესს P პერსპექტივიდან.

**პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

ირმა გრძელიძე - მონაწილე;
გიორგი შარვაშიძე - მონაწილე

**ანოტაცია:**
პროექტი HERD - “საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობა” – ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით არსებული კვლევითი შესაძლებლობების გაუმჯობესებას საქართველოს უნივერსიტეტებში კვლევითი სამსახურების განვითარების მეშვეობით. HERD პროექტის ძირითადი მიზანია პროექტის წევრი უნივერსიტეტების კვლევითი სამსახურების მოდერნიზაცია, კვლევითი პოტენციალისა და ხარისხის გაზრდა, სწავლებისა და კვლევის კომპონენტების ინტეგრირება ინსტიტუციურ დონეზე. სპეციფიკური მიზნები:
• პროექტის კონსორციუმის წევრი საქართველოს 12 უნივერსიტეტისთვის ერთობლივი კვლევითი პლატფორმის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მიზნობრივ უნივერსიტეტებში კვლევითი აქტივობების დაგეგმვას, დანერგვასა და შეფასებას;
• საქართველოს კვლევითი ინტერნეტპორტალის შექმნა, რომელშიც ასახული იქნება ინფორმაცია საქართველოში არსებული აკადემიურ ინსტიტუტეციებში მიმდინარე აქტივობების, ადამიანური რესურსების და ინფრასტრუქტურის შესახებ;
• კვლევების მენეჯმენტისა და მონაცემთა ანალიზის დამუშავებისთვის საჭირო

უნარების გაუმჯობესება ადმინისტრაციული პერსონალისთვის;
• წევრ უნივერსიტეტებში კვლევის პოტენციალის გაზრდის ხელშეწყობა, კვლევითი ტრანსფერისა და უნივერსიტეტი-ინდუსტრიას შორის თანამშრომლობის განვითარების მეშვეობით.

3.

**გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

მე -3 მისიის ხარისხისა და შესაბამისობის გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში - SQUARE 618612-EPP-1-2020-1-GE-EPPKA2-CBHE-SP დაფინანსებულია Erasmus + - ის "შესაძლებლობების გაძლიერება უმაღლეს განათლებაში" ფარგლებში. 2020 - დღემდე. საკუთარი ექსპერტიზის ფარგლებში მონაწილეობას იღებს პროექტის მიმდინარეობაში.

**პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით):**

ირმა გრძელიძე - კოორდინატორი; რუსუდან სანაძე - მონაწილე; გიორგი შარვაშიძე - მონაწილე; ზაქარია ქიტიაშვილი - მონაწილე; მარინე გოგნელაშვილი - მონაწილე
**ანოტაცია:**

პროექტის „მესამე მისიის ხარისხის და შესაბამისობის გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში" მიზანია უნივერსიტეტების მესამე მისიის ხარისხისა და რელევანტურობის გაუმჯობესება. პროექტის ფარგლებში ქართული უნივერსიტეტები საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით შექმნიან მეთოდოლოგიას და გზამკვლევებს მესამე მისიის დაგეგმვის, დანერგვის, განხორციელებისა და შეფასების შესახებ და შეიმუშავებენ მესამე მისიის სტრატეგიას. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი კი განაახლებენ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას და მეტად მოახდენენ მესამე მისიის აქტივობების შეფასების ინტეგრირებას ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებში.

უნივერსიტეტების მესამე მისიის გაძლიერების შესახებ პროექტი ხელს შეუწყობს ცნობიერების ამაღლებას უნივერსიტეტების მესამე მისიის შესახებ, გაზრდის საუნივერსიტეტო საზოგადოების შესაძლებლობას სწორად დაგეგმოს მესამე მისიის აქტივობები და მოახდინოს მათი შედეგების შეფასება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროექტის კონსორციუმის თითოეულ წევრ უნივერსიტეტში მოხდება მესამე მისიის სტრატეგიული გეგმის შემუშავება და მესამე მისიის თითო პროექტის პილოტირება. აღნიშნული უზრუნველყოფს მესამე მისიის ინსიტუტუციურ დონეზე დანერგვას და განვითარებას.

4.

**გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი,**

**დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

ERASMUS + პროექტი: ETHICS ,,კვლევის პასუხისმგებლობით წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში””/Responsible conduct of research - research integrity and ethics in Georgian universities, Project 101082546 2023 -2025

**პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

ირმა გრძელიძე -ექსპერტი; ხათუნა მარწყვიშვილი - მონაწილე; რუსუდან სანაძე - მონაწილე; ნინო ოკრიბელაშვილი - მონაწილე; მარინე გოგნელაშვილი - მონაწილე;თინათინ დავითაძე - მონაწილე; ქრისტინე ჩიხლაძე - მონაწილე

**ანოტაცია:**

პროექტის ,,კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში" (ETHICS) მიზანია, მაღალკვალიფიციურ კვლევებსა და მოწინავე აკადემიურ მიდგომებზე ორიენტირებული პრაქტიკის დანერგვით სისტემურად გააუმჯობესოს უნივერსიტეტებისა და კვლევითი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კვლევითი საქმიანობა.
პროექტის კონკრეტულ ამოცანებში შედის კვლევის ეთიკის, კვლევის სანდოობისა და კვლევის კეთილსინდისიერების მექანიზმების დანერგვა, ასევე მკვლევრების საქმიანობაში, მაღალი დონის სასწავლო პროგრამებსა და სადოქტორო პროგრამების სააკრედიტაციო სტანდარტებში კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვის კონცეფციის გაძლიერება, რაც მიზნად ისახავს არაორიგინალური აკადემიური ნაშრომების პრევენციას და ავთენტური კვლევითი პრაქტიკის ხელშეწყობას ქართულ უნივერსიტეტებში.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ძირითადი აქტივობები მოიცავს:
- სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტის გადახედვას და ექსპერტების ცოდნის და უნარ-ჩვევების გაძლიერებას;
- კვლევის კეთილსინდისიერების მოდულის (ვრცელი ციფრული სასწავლო კურსის MOOC) შექმნას;
- მკვლევრების და კვლევის დამხმარე [კეთილსინდისიერებაზე პასუხისმგებელი] პერსონალის მომზადებას;
- საუნივერსიტეტო კვლევის კეთილსინდისიერების და ეთიკის მათ შორის საჭირო რესურსების პოლიტიკისა, დოკუმენტების გადახედვა-შემუშავებას;
- კვლევის კეთილსინდისიერებისა და ეთიკის საბჭოს ჩამოყალიბებას,
- კვლევითი საქმიანობისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნის მიზნით აკადემიური მხარდაჭერის და კეთილსინდისიერი კვლევის სერვისების განვითარებას;
- ქართულ უნივერსიტეტებში პასუხისმგებლობიანი სამეცნიერო კომუნიკაციის ხელშეწყობას.

**გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

სოციალურ-ემოციური სწავლების ინტეგრირება საუნივერსიტეტო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში/Integrating Social-Emotional Learning into Undergraduate Teaching Programs at Universities, 2023-2025 წ.; საქართველო

**პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

რუსუდან სანაძე - მონაწილე; ნატა ასათიანი - მონაწილე; მარინე გოგნელაშვილი - მონაწილე; ათუნა მარწყვიშვილი - მონაწილე

**ანოტაცია:**

პროექტის მიზანია, დაწყებითი განათლების ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის, სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება.
პროექტის ფარგლებში სტუდენტებს მიეწოდება ახალი სასწავლო კურსი, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიც არის: ემოციების მართვა, ურთიერთობები, თვითშემეცნება, ემპათია და ალტრუიზმი, კომუნიკაციის უნარები და კრიტიკული აზროვნება, სტრესთან გამკვლავება, მოზარდობის და ახალგაზრდა ასაკის ფსიქიკური პრობლემები და სხვ. სწავლების კურსი შედგება 15 გაკვეთილისგან, რომელიც მოიცავს ემპირიულ ინტერაქციულ აქტივობებს, როლურ თამაშებს და დისკუსიებს. აღნიშნული ცოდნის და უნარების ათვისება დაეხმარება მომავალ მასწავლებლებს ხელი შეუწყონ პოზიტიური ფსიქოლოგიური გარემოს შექმნას სკოლებში, სადაც ისინი იმუშავებენ. პროექტის პირველ ეტაპზე, კურსი ხელმისაწვდომი იქნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის, დაწყებითი განათლების პროგრამის სტუდენტებისათვის. პროექტის მეორე ეტაპზე (2024-25 წწ) დაგეგმილია სოციალურ-ემოციური კომპეტენციების სწავლება კიდევ 5 უნივერსიტეტში: ილიას უნივერსიტეტი, თელავის, ქუთაისის, ბათუმის და კავკასიის უნივერსიტეტებში.

**6.**

**გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

Georgia Innovation, Inclusion and Quality Project (12Q) (P168481) consulting Services for Promoting Internationallization of Higher Education Contract No: GE-MESCS-212280-CS-QCBS. 2023-25

**პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

ირმა გრძელიძე-ექსპერტი; რუსუდან სანაძე-ექსპერტი; მარინე გოგნელაშვილი - მონაწილე

**ანოტაცია:**

პროექტი დაფინანსებულია მსოფლიო ბანკის მიერ და მიზნად ისახავს ერთობლივი ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის შემუშავებას, ასევე სეზონური სადოქტორო სკოლების მოწყობას. პროექტი ორიენტირებული იქნება სადოქტორო საფეხურის სტუდენტების ცოდნისა და კვლევის ხელშეწყობასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიაზე.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

1.

**ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

ივანე მინდაძე, „ტყუილის ანატომია“, არეტე, თბილისი, 2023; ISBN 978-99940-54-92-3, გვერდების რაოდენობა 233

ავტორი: ი. მინდაძე

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

მონოგრაფიაში განხილულია ტყუილის ფენომენის შეფასება სხვადასხვა ჭრილში: ანტიკურ ფილოსოფიაში, თეოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, ლინგვისტიკაში, ლიტერატურათმცოდნეობაში, ფილოსოფიაში, მედიასა და პოლიტიკაში

5.2. სახელმძღვანელოები

1.

**ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

ქართულენოვანი მონოგრაფია (Peer-reviewed) დამხმარე სახელმძღვანელო- იმერი ბასილაძე, ეთერ ღვინერია-:იან ამოს კომენიუსის “მათეტიკა” (სწავლის თეორია) (192გვ.) ქუთაისი, 2020 ,ISBN 978-9941-484-26-1

ავტორი: ი. ბასილაძე; ე. ღვინიაერია

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ნაშრომში განხილულია პედაგოგიკის კლასიკოსის იან ამოს კომენიუსის ”მათეტიკა”- სწავლის თეორია, რომელიც ჯერჯერობით სათანადოდ არ არის შესწავლილი და დღემდე არ იყო ცნობილი ქართული პედაგოგიური აზროვნებისათვის. იგი პირველად ქვეყნდება ქართულ პედაგოგიურ სივრცეში. აქვე შესწავლილია და გადმოცემულია დიდი მოაზროვნის მიერ დამუშავებული სწავლის პრობლემური საკითხები.
იან ამოს კომენსკის მათეტიკა ეს არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის ხელოვნება, რომელიც გულისხმობს: სკოლის მთლიანად მოსწავლეთა საჭიროებებზე კონცენტრირებას; მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობითი ურთიერთობას; სწავლის პროცესში მოსწავლის თვითგანვითარებასა და თავისუფალ თვითრეალიზაციას; სასწავლო პროცესის, ისე მოწყობას, რომელიც კონკრეტული მოსწავლის ინტერესებსა და ინიციატივას გაითვალისწინებს;

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1.

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

Tabatadze, S., Dundua, S., & Chkuaseli, K. (2023). Liberal-democratic Values and Secondary School: The Case of Georgia. *Journal of Eurasian Studies*, https://doi.org/10.1177/187936652211343 *14*(1), 67-81

ავტორი: ს. ტაბატაძე; ს. დუნდუა; კ. ჭკუასელი.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

1.

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

ეთერ ღვინერია; პარადიგმის ცვლილება, სწავლების პარადიგმიდან სწავლის პარადიგმისაკენ” ვროპისმცოდნეობის ჟურნალი/ Georgian Journal for European Studies (ISSN 2346-7827 ) #10/11,2023 (საერთაშორისო რედკოლეგია)

ავტორი: ე. ღვინიერია

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

XXI საუკუნის განათლების ერთ-ერთ მახასიათებელს სასწავლო პროცესის ახლებური გააზრება წარმოადგენს, რომელიც ე.წ. ”სწავლების მოდელიდან” “სწავლის მოდელზე” გადანაცვლებაში (აქცენტის გადატანაში) ჰპოვებს ასახვას.
სწავლების მოდელი ძირითადად ინფორმაციის /ცოდნის გადაცემას ეფუძნება, მაგრამ იმავდროულად ზღუდავს ინტერაქციის შესაძლებლობას.

სწავლის მოდელის ამოსავალ წერტილს ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა წარმოადგენს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების მიერ საკუთარი ცოდნის შენებასა და შესაბამისი დასკვნების გაკეთებას. ასეთი მიდგომა აყალიბებს შემსწავლელთა ერთობას, როდესაც სწავლის პროცესში, მსჯელობენ, წყვეტენ პრობლემებს და აკეთებენ "აღმოჩენებს".

სწავლა/სწავლების პარადიგმის ცვლილება იწვევს შეხედულებების ცვლილებას სასწავლო პროცესზე: ლექცია სწავლების ერთ-ერთ და არა ერთად-ერთ მეთოდად მოიაზრება; სტუდენტებს ეკისრებათ ვალდებულება, საკუთარი წვლილი შეიტანონ სწავლება/სწავლის პროცესში; სასწავლო პროცესი თანამშრომლობით ხასიათს იღებს და ამას სასურველი სასწავლო შედეგები მოყვება; ხდება ცოდნის კონცეპტუალიზაცია; იცვლება სტუდენტებისა და პროფესურის როლი და მათი ურთიერთობები; იცვლება სწავლის პროცესი და სასწავლო გარემო, შესაბამისად, ახლებურად ყალიბდება უმაღლესი განათლების მიზანიც. სასწავლო პროცესის მატერიალური განათლების პრინციპებზე დაფუძნებისაგან განსხვავებით, აქცენტი კეთდება ფორმალურ განათლებაზე.

**2.**

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

ქეთევან ჭკუასელი, გვანცა ბაზალი, სწავლის შედეგების შეფასების საკითხები უმაღლეს სკოლაში /თსუ-ს მაგალითზე/ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, X საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენცია - „სწავლა-სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები",საკონფერენციო კრებული; 17.06.2023წ, ISSN 2298-0539, გვ.19-24

ავტორები: ქ. ჭკუასელი; გ. ბაზალი.

**ანოტაცია:**

შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი და არსებითი ნაწილია. სასწავლო პროცესში შეფასება გულისხმობს სტუდენტის ცოდნის, უნარებისა და ჩვევების შეფასებას და მისი ძირითადი მიზანია როგორც სტუდენტის მიღწევების გამოვლენა, ასევე, დიაგნოსტირება, ხარვეზების, შეცდომების და სირთულეების გამოვლენა, რომლებიც სტუდენტებს ექმნებათ სწავლების პროცესში. სტატიაში განხილულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების საკითხები - სახელმწიფო რეგულაციები და უნივერსიტეტში არსებული პრაქტიკა. კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდით, თეორიული მასალის მიმოხილვა, ინტერვიუ და ფოკუს-ჯგუფი. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ შეფასებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ლიტერატურაში აღრეულია, არ არსებობს მკაფიო განმარტებული ცნებები. სასწავლო პროცესში სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების საკითხი საჭიროებს გამართვას, როგორც სახელმწიფო რეგულაციის თვალსაზრისით, ისე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მხრიდან შეფასების, როგორც სწავლის შედეგზე გასვლის უმნიშვნელოვანესი კომპონენტის უფრო ღრმად გაცნობიერების თვალსაზრისით.

**3.**

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

ე. ხარაძე, მშობელთა ჩართულობა სკოლამდელი დაწესებულებების სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესებში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ISBN 978-9941-8-5029-5, მეორე საერთაშორისო კონფერენციის „ადრეული განათლება და ზრუნვა“, კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენებების კრებული, ბათუმი, 2023

ავტორი: ე. ხარაძე

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

თანამედროვე ცხოვრების დაჩქარებული ტემპი, ისევე როგორც ბოლო წლებში შექმნილი რთული ეკონომიკური ვითარება, შესაბამისად კი, მშობელთა დასაქმება-დაკავებულობა ზევრ მათგანს იძულებულს ხდის ბავშვის აღზრდა-განვითარება მხოლოდ საბავშვო ბაღს მიანდოს. უფრო მეტიც, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების „ცხოვრებაში“ ჩართულობა შემოიფარგლება მხოლოდ ბავშვების მიყვანა-წამოყვანით. ისინი, ხშირ შემთხვევაში, არც კი გამოხატავენ სურვილსა და ინტერესს გაარკვიონ, თუ რას სწავლობს მისი შვილი ბაღში, როგორ მიმდინარეობს მისი განვითარება, თუ რა სიახლეებს სთავაზობს სასწავლო-აღმზრდელობითი, განმავითარებელი თვალსაზრისით სკოლამდელი აღზრდის კონკრეტული დაწესებულება. მშობლის მზრუნველობითი ინტერესები როგორც შვილთან, ასე აღმზრდელ-პედაგოგთან ურთიერთობისას, უმეტესწილად შემოიფარგლება იმის გარკვევით, თუ რა მიირთვა ბავშვმა, იძინა თუ არა შუადღით, ან ჯანმრთელობის მხრივ ხომ არ შექმნია რაიმე პრობლემა, ანუ შვილის სომატურ-ფიზიკური მახასიათებლები უპირატესია მისთვის. ამასთან, მშობლის მხრიდან დაიტერესების შემთხვევაშიც კი, ბავშვის ასაკობრივი განვითარებაც, განსაკუთრებით უმცროს ასაკობრივ ჯგუფებში, არ აძლევს საშუალებას, მისგან მიიღოს ინფორმაცია ბაღში განხორციელებული სააღმზრდელო-განმავითარებელი აქტივობების შესახებ. ამ თვალსაზრისით და იმიტომაც, რომ მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა განხორციელდეს, სკოლამდელი დაწესებულების პერსონალი არამც თუ სურვილს უნდა გამოთქვამდეს მშობლებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის, არამედ ვალდებულიცაა. ამას უზრუნველყოფს და არეგულირებს სახელმწიფო კანონმდებლობა.

მშობლებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა, მათი მოხალისეობა ბაღის „ცხოვრებაში“ ჩართულობის თვალსაზრისით, ძირითადად სამ მიმართულებას მოიაზრებს:

- ბაღის საგანმანათლებლო პროცესში და პროგრამულ გადაწყვეტილებებში ოჯახების მონაწილეობა;
- ბავშვების სწავლისა და განვითარების პროცესში ოჯახის უწყვეტი ჩართულობა;
- მშობელთა განათლება და ცნობიერების ამაღლება ადრეული განათლების და ადრეულ ასაკში განვითარების მნიშვნელობასა და თავისებურებებზე

(ხ. დოლიძე, თ. ბაქრაძე, ნ. ჯიჯავაძე, ადრეული განათლების კურიკულუმი, მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის, ნაწილი 1, გამ. „ლოგო“, 2020, გვ. 142).
ამ მიზნით, საკითხის თეორიული მიმოხილვის შემდგომ, საკონფერენციო თემაში წარმოდგენილი იქნება ჩვენ მიერ განხორციელებული მცირემასშტაბიანი თვისებრივ-რაოდენობრივი კვლევა, რომლის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ დედაქალაქის საჯარო და კერძო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (შედარებით ჭრილში) ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პედაგოგები და მშობლები. კვლევის ჰიპოთეზა მიემართება იმას, რომ მხოლოდ მშობლების სამსახურებრივი დატვირთვით გამოწვეული დროის უკმარისობა არ არის მიზეზი მათი პასიური დამოკიდებულებისა ბავშვის აღზრდის, განვითარების თვალსაზრისით ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი, არამედ, უმეტესწილად, მშობლებთან თანამშრომლობის ხელშეწყობისადმი სკოლამდელი დაწესებულებების მესვეურთა ფორმალური დამოკიდებულებაც იჩენს თავს.
საკვანძო სიტყვები:
მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა, მოხალისეობა, თანამშრომლობა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგები, სასწავლო-აღმზრდელობითი, განმავითარებელი აქტივობები

**4.**

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

Grdzelidze, R. Sanadze, Z. Kitiashvili, M. Gognelashvili, E. Pirtskhalava, M.Badashvili, S. Idadze. STUDY ON THE NEEDS AND SUPPORT OF THE VICTIMS OF DOMESTIC VIOLENCE AND VIOLENCE AGAINST WOMEN – THIRD MISSION PILOT ACTIVITY CONDUCTED IN THE FRAMEWORK OF ERASMU+ CO-FUNDED CAPACITY BUILDING IN HIGHER EDUCATION PROJECT – SQUARE. Pages: 9569-9576, Publication year: 2023, ISBN: 978-84-09-55942-8, ISSN: 2340-1095 doi: 10.21125/iceri.2023.2471 ICERI2023 Proceedings. https://library.iated.org/view/GRDZELIDZE2023STU?re=downloadnotallowed

ავტორები: ი. გრძელიძე, რ. სანაძე, ზ. ქიტიაშვილი, მ. გოგნელაშვილი, ე. ფირცხალავა, მ. ბადაშვილი, ს. იდაძე

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სტატია ეხება კვლევის შედეგებს, რომელიც არჩეულია მესამე მისიის საპილოტე აქტივობად Erasmus+-ის თანადაფინანსებული CBHE (Capacity Building in Higher Education) პროექტის „მე-3 მისიის ხარისხისა და შესაბამისობის გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში – ფარგლებში. SQUARE”, რომელიც კოორდინაციას უწევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. კვლევითმა ჯგუფმა, რომელიც აერთიანებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორი ფაკულტეტის კვლევით და აკადემიურ პერსონალს თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, გადაწყვიტა ჩაეტარებინა კვლევა ძალადობის მსხვერპლი ქალების საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე, მოთხოვნებზე და მოლოდინებზე. შესაბამისად, კვლევითი ჯგუფი შეიმუშავებს და გამოიყენებს სასწავლო მოდულებს თავშესაფრის ბენეფიციარებზე ორიენტირებულად. სტატიაში ხაზგასმულია ორი ძირითადი პუნქტი: 1. ოჯახში

ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა არსებული პრობლემების ჰოლისტიკური მიდგომა; და 2. მუნიციპალიტეტისა და აკადემიის თანამშრომლობის მდგრადობა.

მუნიციპალიტეტი-აკადემიის თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა კვლევის თემა და დაკვირვება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა შესაძლებლობებზე, მოთხოვნებზე და მოლოდინებზე (ქალაქ თბილისის ძალადობის მსხვერპლ ქალთა სახელმწიფო თავშესაფრების მაგალითზე). კვლევის ჯგუფმა კვლევა ჩაატარა სამ თანმიმდევრულ ფაზაში: სამაგიდო კვლევა; სიღრმისეული ინტერვიუები ექსპერტებთან; ფოკუს ჯგუფები სამიზნე ჯგუფებთან. კვლევის შედეგად შემუშავებულია სერვისებისა და მექანიზმების, სახელმწიფო, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პრევენციის მექანიზმები, რომლებიც წარმოადგენენ არსებული სისტემური მიდგომების ჰოლისტიკური ხედვას. როგორც კვლევის კიდევ ერთი მთავარი შედეგი, კვლევითმა ჯგუფმა შეიმუშავა ორი კურსი, რომელიც შესთავაზებს წინასწარ განსაზღვრულ სამიზნე ჯგუფებს შემდგომი დასაქმების შესაძლებლობისთვის. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლები მხარს უჭერენ კოლეგას შესაბამისი საკომუნიკაციო ქსელის არხებით და მონაწილეობენ მოლაპარაკების პროცესებში შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. დასკვნით ეტაპზე ჩატარდება შემოთავაზებული სასწავლო კურსების შეფასება და კვლევითი ჯგუფი შეაფასებს მათ ეფექტურობას, რათა მათ მიაწოდონ ეს კურსები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მთელი სიცოცხლის მანძილზე“ სწავლის ცენტრს, რომ ის გახდეს უფრო ხელმისაწვდომი ფართო აუდიტორიისთვის და დაეხმაროს ძალადობის მსხვერპლთა უფრო ფართო წრეს იპოვონ ცხოვრების გზა.

**5.**

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

R. Sanadze, L. Penitenti, C. Chammah, R. De Bacco. EMPOWERING HIGHER EDUCATION: APPLYING PERSONAL MASTERY METHODOLOGY TO CULTIVATE A COLLECTIVE INTELLIGENCE MINDSET FROM EXECUTIVE MANAGEMENT EXPERIENCE Pages: 4071-4079 Publication year: 2023 ISBN: 978-84-09-55942-8 ISSN: 2340-1095 doi: 10.21125/iceri.2023.1021 ICERI2023 Proceedings https://library.iated.org/view/SANADZE2023EMP?re=downloadnotallowed

ავტორები: რ. სანაძე;

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3 სტატიები

**1.**

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი**

**ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

Paul Gibbs, Irma Grdzelidze & Giorgi Tavadze. Quality assurance of higher education in the South Caucasus
https://doi.org/10.1080/13538322.2022.2100598 Quality in Higher Education, Volume 29, 2023 – Issue 1
Editorial | Published Online: 30 Jan 2023 https://doi.org/10.1080/13538322.2022.2100598 . p.5

ავტორი: ი. გრძელიძე

**2.**

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

George Sharvashidze, Irma Grdzelidze, David Sikharulidze & Tinatin Gabrichidze. Data-driven analysis for evidence-based decision making at universities: benchmarking, software tools and weighted indicators in quality assurance – analytical framework of Tbilisi State University
https://doi.org/10.1080/13538322.2022.2100598 Quality in Higher Education, Volume 29, 2023 – Issue 1
Editorial | Published Online: 30 Jan 2023 https://doi.org/10.1080/13538322.2022.2100598. p. 17

ავტორები: გ. შარვაშიძე, ი. გრძელიძე.

**3.**

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**
Irma Grdzelidze, Sopio Idadze. DEVELOPMENT OF THIRD MISSION COMPONENT OF THE UNIVERSITIES – MAJOR DELIVERABLES OF THE ERASMUS+ CO-FUNDED CAPACITY BUILDING IN HIGHER EDUCATION PROJECT “STRENGTHENING THE QUALITY AND RELEVANCE OF THE 3RD MISSION IN GEORGIAN UNIVERSITIES – SQUARE”
Publication year: 2023 Pages: 9577-9583 ISBN: 978-84-09-55942-8 ISSN: 2340-1095 doi:10.21125/iceri.2023.2472. ICERI2023 Proceedings. https://library.iated.org/publications/ICERI2023. p.6

ავტორი: ი. გრძელიძე.

**4.**

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

I. Grdzelidze, E. Pirtskhalava, M. Badashvili, M. Gognelashvili, Z. Kitiashvili, R. Sanadze, S. Idadze. STUDY ON THE NEEDS AND SUPPORT OF THE VICTIMS OF DOMESTIC VIOLENCE AND VIOLENCE AGAINST WOMEN – THIRD MISSION PILOT ACTIVITY CONDUCTED IN THE FRAMEWORK OF ERASMUS+ CO-FUNDED CAPACITY BUILDING IN HIGHER EDUCATION PROJECT – SQUARE Publication year: 2023 Pages: 9569-9576 ISBN: 978-84-09-55942-8 ISSN: 2340-1095 doi: 10.21125/iceri.2023.2471. p.7

ავტორები: ი. გრძელიძე; ე ფირცხალავა; მ. ბადაშვილი; მ. გოგნელიშვილი; ზ. ქიტიაშვილი; რ. სანაძე; ს. იდაძე

**5.**

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

George Sharvashidze, Irma Grdzelidze, David Sikharulidze & Tinatin Gabrichidze. Data-driven analysis for evidence-based decision making at universities: benchmarking, software tools and weighted indicators in quality assurance – analytical framework of Tbilisi State University https://doi.org/10.1080/13538322.2022.2100598 Quality in Higher Education, Volume 29, 2023 – Issue 1
Editorial | Published Online: 30 Jan 2023 https://doi.org/10.1080/13538322.2022.2100598, p.17

**6.**

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

ზ. ქიტიაშვილი. ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლის მისია - არსებული კონტექსტი. აწსუ XI საერთაშორისო სამეცნიერო- მეთოდური კონფერენცია „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები" შრომათა კრებული. გვერდები 25 – 29 ISSN:2298-0539 https://apiv1.atsu.edu.ge/uploads/collection/krebuli_2023-compressed.pdf გვ. 5

ავტორი: ზ. ქიტიაშვილი

**7.**

**ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი**

**ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა**

ზაქარია ქიტიაშვილი, მარინე გოგნელაშვილი, ნინი ჩახუნაშვილი, სწავლება ციფრულ ეპოქაში - თსუ-ის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა პედაგოგიური საქმიანობის რეფლექსია. მეთექვსმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლება და მეცნიერება ციფრულ ეპოქაში: გამოწვევები და პერსპექტივები" გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. შრომათა კრებული. (იბეჭდება - მოგვიანებით იქნება ზმული). გვ. 12

ავტორი: ზ. ქიტიაშვილი; მ. გოგნელაშვილი; ნინი ჩახუნაშვილი.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1.

**მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

იზაბელა _პეტრიაშვილი: DITECH შედეგები _საქართველოს _უნივერსიტეტებისთვის _და _მდგრადობის _პერსპექტივები

ავტორი: ი. პეტრიაშვილი.

**მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)**

მოხსენებაში შეჯამებულია ერაზმუს+ პროექტის DITECH მიღწეული შედეგები საქართველოს 7 სახელმწიფო უნივერსიტეტში და პროექტის მდგრადობის პერსპექტივები.

2.

**მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

ე. ხარაძე, მშობელთა ჩართულობა სკოლამდელი დაწესებულებების სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესებში. მეორე საერთაშორისო კონფერენცია „ადრეული განათლება და ზრუნვა" , საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 08-09.06.2023

ავტორი: ე. ხარაძე.

7.2. უცხოეთში

1.

**მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

ივანე მინდაძე, „შესაძლებელაი ენის სწავება კულტურის სწავლები სგარეშე?“, იენის უნივერსიტეტი, გერმანია,

ავტორი: ი. მინდაძე

**მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)**

ენისა და კულტურის სწავლების სპეციფიკური ასპექტების განხილვა.

2.

**მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

ირმა გრძელიძე და ავტორები, DEVELOPMENT OF THIRD MISSION COMPONENT OF THE UNIVERSITIES – MAJOR DELIVERABLES OF THE ERASMUS+ CO-FUNDED CAPACITY BUILDING IN HIGHER EDUCATION PROJECT “STRENGTHENING THE QUALITY AND RELEVANCE OF THE 3RD MISSION IN GEORGIAN UNIVERSITIES – SQUARE”

STUDY ON THE NEEDS AND SUPPORT OF THE VICTIMS OF DOMESTIC VIOLENCE AND VIOLENCE AGAINST WOMEN – THIRD MISSION PILOT ACTIVITY CONDUCTED IN THE FRAMEWORK OF ERASMUS+ CO-FUNDED CAPACITY BUILDING IN HIGHER EDUCATION PROJECT – SQUARE. ICERI 2023, სევილია, ესპანეთი 09.2021

ავტორი: ი. გრძელიძე

3.

**მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

ირმა გრძელიძე, ჰანნე შმიდტ, Impressions from the first cycle of counselling visit: National University "Yuri Kondratyuk Poltava Polytechnic", Ukraine, Bologna Hub Peer Support II ონლაინ 13.11.2023

ავტორი: ი. გრძელიძე

4.

**მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

ირმა გრძელიძე, SQUARE- dissemination of the results achieved. NOVA, ლისაბონი, 20-24 ნოემბერი, 2023

ავტორი: ი. გრძელიძე

**5.**

**მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

ირმა გრძელიძე, Assurance Qualité et Pertinence du Curriculum : dynamique et regards croisés entre universités et agences d'accréditation, 6-7 დეკემბერი 2ème Forum francophone sur la qualité dans l'enseignement supérieur - jour 1, Tirana

ავტორი: ი. გრძელიძე

**6.**

**მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

Ephemia Kharadze, Aspects of the importance of preschool education for preparing a child for school life, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიები უწყვეტი განათლების სისტემაში: სამამულო და საერთაშორისო გამოცდილება", უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მიხეილ დრაგომანოვის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, კიევი, 28-29.04.2023, https://enpuir.npu.edu.ua/handle/123456789/40011

ავტორი: ე. ხარაძე

**მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)**

მოხსენებაში საუბარია, სკოლამდელი განათლების საფეხურიდან განათლების დაწყებით საფეხურზე გადასვლის უწყვეტობის საკითხებსა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. სწავლების ფორმებისა და მეთოდების მზარდ ცვალებადობასთან ერთად, საგულისხმოა საჯარო და კერძო ბაღების განსხვავებული მიდგომები აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. კერძოდ, ჩვენს ქვეყანაში სწავლების სხვადასხვა მოდელის გაჩენასთან ერთად, თავს იჩენს სწავლების უწყვეტობის და შეუსაბამობის ნიშნები, კერძოდ, რიგ შემთხვევებში, კერძო სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფიქსირდება ადრეული სკოლამდელი ასაკის ბავშვების, განსაკუთრებით კი, წინასასკოლო ასაკის მოზარდების თავისუფალი დროის შეზღუდვა და გადაჭარბებული დატვირთვა როგორც

წინასასკოლო მოსამზადებული პროგრამის მიღმა, სასკოლო პროგრამის დაუფლების მცდელობის თვალსაზრისით, ასევე ერთზე მეტი უცხო ენის სწავლების მხრივ.

8. საერთაშორისო პროექტები

**1.**

ირმა გრძელიძე. პროექტის მონაწილე.

PROFFORMANCE + " Assessment tool and Incentives for Developing Higher Education Teachers' Performance; ERASMUS+ Initiatives to support the implementation of European Higher Education Area (EHEA) reforms EPLUS2020-EHEA 2022-2025 https://profformance.eu/en/news#profformance-project-enters-a-new-phase.

**2.**

ირმა გრძელიძე. პროექტის კოორდინატორი
Strengthening the Quality and Relevance of the 3rd mission in Georgian Universities - SQUARE 618612-EPP-1-2020-1-GE-EPPKA2-CBHE-SP funded under the Erasmus+ 'Capacity Building in Higher Education' action.
https://square.tsu.ge/.

**3.**

ირმა გრძელიძე. პროექტის მონაწილე -

Bologna Hub Peer Support, https://eu.daad.de/programme-und-hochschulpolitik/bologna/bologna-hub-peer-support/de/ 2023 ჩატარებული 4 საკონსულტაციო ვიზიტი 4 ევროპულ უნივერსიტეტში.

9.ფორუმი

**1.**

ირმა გრძელიძე- ფასილიტატორი, სესიის ხელმძღვანელი. 19-20 January 2023 - Thematic workshop EUA CDE Sustainability in doctoral education: developing a strategic approach. Cluj Napoca, Romania

**2.**

ირმა გრძელიძე- ფასილიტატორი, სესიის ხელმძღვანელი. 14-16 June 2023 - Annual meeting Engaged research - the role of communication in doctoral education
Lappeenranta–Lahti University of Technology and University of Helsinki, Finland

10. სასწავლო ვიზიტები

**1.**

ირმა გრძელიძე-პროექტის კოორდინატორი SQUARE. ბრიუსელი EFMD, ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი, ანტვერპენის ბიზნეს სკოლა - მარტი, 2023

**2 .**

ირმა გრძელიძე-პროექტის მონაწილე ETHICS. პრაღა, ჩარლზის უნივერსიტეტი- მაისი, 2023

11. მასწავლებელთა XII საუნივერსიტეტო კონფერენცია „უნივერსიტეტი სკოლას - სკოლა უნივერსიტეტს“

1.

ინტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა მასწავლებელთა XII საუნივერსიტეტო კონფერენცია „უნივერსიტეტი სკოლას - სკოლა უნივერსიტეტს“ სამუშაო თემატიკით -,, კლასგარეშე სასწავლო - სააღმზრდელო მუშაობა სკოლაში - საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება “. / 9 დეკემბერი, 2023 წ./ კონფერენცია ჩატარდა ონლაინ ფორმატით, აპლიკაცია “Google Meet”-ის საშუალებით.

12. სხვა აქტივობები

1.

ე. ხარაძე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი - საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიები უწყვეტი განათლების სისტემაში: სამამულო და საერთაშორისო გამოცდილება“, უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მიხეილ დრაგომანოვის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, კიევი, 28-29.04.2023

**2.**

ე. ხარაძე. სარედაქციო კოლეგიის წევრი - INNOVATIVE EDUCATIONAL TECHNOLOGIES: WORLD AND DOMESTIC EXPERIENCE OF US IN THE SYSTEM OF CONTINUING EDUCATION, Collective Monograph;

**3.**

ე. ხარაძე. სარედაქციო კოლეგიის წევრი - MINISTRY OF SCIENCE AND EDUCATION OF UKRAINE NATIONAL AVIATION UNIVERSITY FLIGHT ACADEMY OF NATIONAL AVIATION UNIVERSITY, SCIENTIFIC BULLETIN OF FLIGHT ACADEMY Section: Pedagogical Sciences.

13. ინსტიტუტის ფარგლებში დაცულ სადოქტორო ნაშრომთა ოდენობა:

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“ (ერთობლივი) – 2 ნაშრომი

1.

თინათინ საბაური
თემა -მოსწავლეთა ინტერესებსა და მათ პიროვნულ მახასიათებლებს შორის კავშირის კვლევა - პროფორიენტაცის ხელშეწყობის საშუალება (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე)“
სამეცნიერო ხელმძღვანელები: თსუ ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი რუსუდან სანაძე, განათლების მეცნიერებების დოქტორი; ემერიტუს პროფესორი - ბერნდ-იოახიმ ერთელთი

2.

ქეთევან ფანცულაია
თემა - ,,უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დარგობრივი უცხოური ენის სწავლების პრაქტიკის კვლევა (გერმანული ენის მაგალითზე)
სამეცნიერო ხელმძღვანელი - თსუ ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი - ეთერ ღვინერია

## დამატებითი ინფორმაცია

**წამორდგენილია სტატიების სრული ჩამონათვალს რომელიც 2023 წელს დაიბეჭდა ჩვენი ფაკულტეტის პროფესორების ავტორობით ჟურნალებში, რომლებიც ინტეგრირებულია Scopus -ის ან WoS-ის ბაზებში.**

### ფსიქოლოგიის დეპარტამენტი

1. Doghadze, Irine, and **Tamar Gagoshidze**. “Language Phenotypes in Children with Autism Spectrum Disorder, Expressive Language Disorder, and Typical Language Development.” *Applied Neuropsychology: Child* 0, no. 0 (2023): 1–11. https://doi.org/10.1080/21622965.2023.2221359.

2. Khojanashvili, Lasha, **Mzia Tsereteli**, Mariam Bakashvili, and Mehmet Aslan. “Exploring the Challenges of Transitioning to Higher Education for Students Studying Away from Home.” *Educational Psychology in Practice* 39, no. 3 (July 3, 2023): 309–30. https://doi.org/10.1080/02667363.2023.2208343.

3. **Imedadze Irakli.** “Problem of Mediating: L.S. Vygotsky, A.N. Leontiev, D.N. Uznadze”. *Cultural-Historical Psychology*. 2023. Vol. 19, no. 1, 5–12. doi:10.17759/chp.2023190101.

4. Kvitsiani, Mariam, **Maia Mestvirishvili, Khatuna Martskvishvili**, and Mariam Odilavadze. “Dynamic Model of Moral Injury.” *European Journal of Trauma & Dissociation* 7, no. 1 (March 1, 2023): 100313. https://doi.org/10.1016/j.ejtd.2023.100313.

5. **Mestvirishvili, Maia**. “The Role of Moral Foundations in the Quest for Morality.” *Current Psychology*, April 12, 2023. https://doi.org/10.1007/s12144-023-04631-z.

6. **Mestvirishvili, Maia**, Mariam Kvitsiani, Mariam Odilavadze, and Natia Mestvirishvili. “Moral Competence and Self-Control: The Moderating Role of Personality Traits.” *Studia Psychologica* 65, no. 1 (March 20, 2023): 3–17. https://doi.org/10.31577/sp.2023.01.863.

7. Meskó, Norbert, Marta Kowal, András Láng, Ferenc Kocsor, Szabolcs A. Bandi, Adam Putz, Piotr Sorokowski., …**Ekaterine Pirtskhalava**, et al. “Exploring Attitudes Toward ‘Sugar Relationships’ Across 87 Countries: A Global Perspective on Exchanges of Resources for Sex and Companionship.” *Archives of Sexual Behavior*, December 21, 2023. https://doi.org/10.1007/s10508-023-02724-1.

8. Kowal, M., Sorokowski, P., Dinić, B. M., Pisanski, K., Gjoneska, B., Frederick, D. A., Pfuhl, G., Milfont, T. L., Bode, A., Aguilar, L., García, F. E., Roberts, S. C., Abad-Villaverde, B., Kavčič, T., Miroshnik, K. G., Ndukaihe, I. L. G., Šafárová, K., Valentova, J. V., Aavik, T., **Ekaterine Pirtskhalava** … Sternberg, R. J. (2023). Validation of the Short Version (TLS-15) of the Triangular Love Scale (TLS-45) across 37 Languages. *Archives of Sexual Behavior*. https://doi.org/10.1007/s10508-023-02702-7

9. Scharbert, Julian, Thomas Reiter, Sophia Sakel, Julian ter Horst, Katharina Geukes, Samuel D. Gosling, Gabriella Harari., … **Lili Khechuashvil, Khatuna Martskvishvili**, et al. “A Global Experience-Sampling Method Study of Well-Being during Times of Crisis: The CoCo Project.” *Social and Personality Psychology Compass* 17, no. 10 (2023): e12813. https://doi.org/10.1111/spc3.12813.

10. **Pharsadanishvili, N., & Kitiashvili, A**. (2023). The influence of Negative Social Identity Management Strategies and Self-esteem on Perceived Stigma of Poverty. *Trends in Psychology*. https://doi.org/10.1007/s43076-023-00340-5

11. **Kitiashvili, A**.. (2023). Formation Of A Positive Social Identity: How Significant Are Attitudes, Subjective Norms And Perceived Similarity Concerning Group Identification. *Current Research in Social Psychology,* 32, 92-106

12. Stripp, T.A., Long, E.C., **Mosashvili, K.** et al. Training Researchers in the Field of Religion, Spirituality, and Health: Experiences from a Workshop in the United States and Recommendations for Future Workshop Curricula. J Relig Health 62, 3520–3528 (2023). https://doi.org/10.1007/s10943-023-01812-9

13. Krys, K., Haas, B.W., Igou, E.R., **Gamsakhurdia, V**., *et al.* Introduction to a Culturally Sensitive Measure of Well-Being: Combining Life Satisfaction and Interdependent Happiness Across 49 Different Cultures. *J Happiness Studies* (2022). https://doi.org/10.1007/s10902-022-00588-1

14. Gardiner, G., Lee, D. I., Baranski, E., Funder, D. C., Beramendi, M., Bastian, B., **Gamsakhurdia**, V., Cortez, D., Roth, E., Torres, A., Zanini, D. S., Petkova, K., Tracy, J., Amiot, C., Pelletier-Dumas, M., González, R., Rosenbluth, A., Salgado, S., Guan, Y., … Thi Thu Bui, H. (2023). The economic well-being of nations is associated with positive daily situational experiences. *Current Research in Ecological and Social Psychology*, *4*, 100088. https://doi.org/10.1016/J.CRESP.2023.100088

15. Sánchez-Rodríguez, Á., Uskul, A. K., Rodríguez-Bailón, R., Willis, G. B., Vignoles, V. L., Krys, K., Adamovic, M., Akotia, C. S., Albert, I., Appoh, L., Baltin, A., Barrientos, P. E., Bond, M. H., Denoux, P., Domínguez-Espinosa, A., Esteves, C. S., Fülöp, M., **Gamsakhurdia, V.,** Garðarsdóttir, R. B., … Zelenski, J. M. (2023). Unpackaging the link between economic inequality and self-construal. *Self and Identity*, *22*(5), 713–739. https://doi.org/10.1080/15298868.2023.2200032

16. Sánchez-Rodríguez, Á., Vignoles, V. L., Bond, M. H., Adamovic, M., Akotia, C. S., Albert, I., Appoh, L., Baltin, A., Barrientos, P. E., Denoux, P., Domínguez-Espinosa, A., Esteves, C. S., Fülöp, M., **Gamsakhurdia, V.,** Garðarsdóttir, R. B., Gavreliuc, A., Hanke-Boer, D., Haas, B. W., Igbokwe, D. O., … Zelenski, J. M. (2023). Self-construals predict personal life satisfaction with different strengths across societal contexts differing in national wealth and religious heritage. *Self and Identity*, *22*(5), 689–712. https://doi.org/10.1080/15298868.2023.2202413

17. Lun, V.M.-C., Smith, P.B., Grigoryan, L., Torres, C., Papastylianou, A., Lopukhova, O.G., Sunar, D., Easterbrook, M.J., Koc, Y., Selim, H.A., Chobthamkit, P., Chaleeraktrakoon, T., Gul, P., Perez Floriano, L., Diaz-Loving, R., Kwantes, C.T., Yuki, M., Ogusu, N., van Osch, Y., Mendes Texeira, M.L., Hu, P., Abbas, A., Tripodi, D., Lay, S., Efremova, M., Hassan, B., Ahmad, A.H., al-Bayati, A., Anderson, J., Cross, S.E., Delfino, G.I., **Gamsakhurdia, V.,** Gavreliuc, A., Gavreliuc, D., Gunsoy, C., Díaz Rivera, P.E. and Hakobjanyan, A. (2023), Need for approval from others and face concerns as predictors of interpersonal conflict outcome in 29 cultural groups. Int J Psychol, 58: 258-271. https://doi.org/10.1002/ijop.12895

18. **Gamsakhurdia, V**.L. Human Life Course as Constructive Migration. Integr. psych. behav. 57, 1140–1149 (2023). https://doi.org/10.1007/s12124-023-09785-w

19. **Gamsakhurdia, V. L.** (2023). Reconsidering the "Uznadze Effect" and psychology of set (Gantskoba) from a systemic cultural psychological perspective. *History of Psychology.* Advance online publication. https://doi.org/10.1037/hop0000245

განათლების დეპარტამენტი

20. Gibbs, P., **Grdzelidze, I**., & Tavadze, G. (2023). Quality assurance of higher education in the South Caucasus. *Quality in Higher Education*, *29*(1), 1–5. https://doi.org/10.1080/13538322.2022.2100598

21. **Sharvashidze, G., Grdzelidze, I**., Sikharulidze, D., & Gabrichidze, T. (2023). Data-driven analysis for evidence-based decision making at universities: Benchmarking, software tools and weighted indicators in quality assurance – analytical framework of Tbilisi State University. *Quality in Higher Education*, *29*(1), 42–59. https://doi.org/10.1080/13538322.2022.2122107

22. Gibbs, P., **Sharvashidze, G., Grdzelidze, I.,** Cherkezishvili, D., Sanikidze, T., Lazarashvili, G., & Tavadze, G. (2023). A study into Georgian universities' approach to the national standards of quality for teaching and learning. *Journal of Further and Higher Education*, *47*(1), 59–71. https://doi.org/10.1080/0309877X.2022.2091922

23. Tabatadze, S., Dundua, S., & **Chkuaseli, K.** (2023). Liberal-democratic Values and Secondary School: The Case of Georgia. *Journal of Eurasian Studies*, *14*(1), 67-81.

ფორმა №2

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** - - - - - - - - - - - - - - - - - -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება** - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით** - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

ამირან ბერძენიშვილი - პროფესორი, მიმართულების ხელმძღვანელი
იაგო კაჭკაჭიშვილი - პროფესორი
სალომე ნამიჭეიშვილი - ასოცირებული პროფესორი
ნინო შატბერაშვილი - ასოცირებული პროფესორი
თამარ მახარაძე - ასოცირებული პროფესორი
ნათელა დონაძე - ასოცირებული პროფესორი
ლია წულაძე - ასოცირებული პროფესორი
ლელა გაფრინდაშვილი - ასოცირებული პროფესორი
ნინო დურგლიშვილი - ასოცირებული პროფესორი
კახა ქეცბაია - ასოცირებული პროფესორი
ანა დიაკონიძე -ასოცირებული პროფესორი
შორენა თურქიაშვილი - ასისტენტ-პროფესორი

**ამირან ბერძენიშვილი**

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2 დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.ივანე ჯავხიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო–კვლევითი პროექტი.

პროექტის სახელწოდება: „აკადემიური თავისუფლება სტუდენტურ ფოკუსში“.

მეცნ. დარგი: სოციალური მეცნიერებები.

სამეცნიერო მიმართულება: სოციოლოგია.

პროექტის დაწყებისა და დამთავრების თარიღი: 1. 04. 2023 – 31. 11. 2023 წწ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ამირან ბერძენიშვილი - პროექტის ხელმძღვანელი - სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების პროფესორი.

2. კახა ქეცბაია - თანახელმძღვანელი/შემსრულებელი - სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

3. ანანო ბერაძე - შემსრულებელი - სოციოლოგიის მიმართულების ბაკალავრიატის პროგრამის სტუდენტი.

4. ტატა ოქროჯანაშვილი - შემსრულებელი - სოციოლოგიის მიმართულების ბაკალავრიატის პროგრამის სტუდენტი.

5. ნიკა ნაკაიძე - შემსრულებელი - სოციოლოგიის მიმართულების დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტი.

*დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა თანამედროვე უმაღლესი განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის - აკადემიური თავისუფლების სტუდენტური გაგება თბილისში მოქმედი სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებელების მაგალითზე. კვლევა ჩატარდა სოციოლოგიური გამოკვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით. კვლევის შედეგები (რომელიც, საბოლოოდ, სამეცნიერო ნაშრომის - სტატიის სახით არის გამოქვეყნებული) შესაძლებელია გზამკვლევად გამოყენონ სხვადსხვა უნივერსიტეტების შესაბამისმა დაინტერესებულმა სტურუქტურებმა თავიანთი საგანმანათლებლო საქმიანობის სრულყოფისათვის, აკადემიური თავისუფლებისადმი სტუდენტების დამოკიდებულებების, მოლოდინებისა და მოთხოვნების გასაცნობად და გასათვალისწინებლად.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად შეიქმნა ახალი სამეცნიერო სოციოლოგიური ნაშრომი (სტატია), რომელიც გასაცნობად წარედგინება მეცნიერთა ფართო წრეებს (სოციოლოგები, განათლების მეცნიერების წარმომადგენლები, ფსიქოლოგები, განათლების ფილოსოფიის სპეციალისტები, უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი სტუქტურების წარმომადგენლები, რომლებიც სტუდენტთა პრობლემებით არიან დაინტერესებულნი და სხვ.).

პროექტის რეალიზაციის შედეგად მიღებული სამეცნიერო პროდუქცია ასახვას ჰპოვებს სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ისეთი საგნების სილაბუსებში, როგორებიცაა: განათლების სოციოლოგია და მეცნიერების სოციოლოგია. აგრეთვე შესაძლებელია სტუდენტთა აკადემიური თავისუფლებისადმი მიძღვნილი სასწავლო კურის მომზადება, სამეცნიერო დსკუსიების წარმართვა სტუდენტთა ფართო აუდიტორიის ჩართვით. პროექტის განხორციელბის შედეგად შეიქმნა აკადემიური თავისუფლებისადმი სტუდენტების დამოკიდებულების ამსახველი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც თსუ-ს სოციოლოგიის მიმართულების პროფესორებისა და სტუდენტების მიერ ჩატარებულ ემპირიულ სოციოლოგიურ გამოკვლევაზეა დამყარებული. თავის მხრივ, პროექტში ჩართულმა სტუდენტებმა (დარგის მომავალმა მომავალმა მკვლევრებმა და ექსპერტებმა) პროექტის მსვლელობისას გაიუმჯობესეს კვლევითი უნარ-ჩვევები. პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული ემპირიული მასალა, სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებს გამოადგებათ განათლებისა და მეცნიერების სოციოლოგიის განხრით საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისას.

პროექტის შედეგად გაკეთდა დასკვნა, რომ სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება საკანონმდებლო თვალსაზრისით (საქართველოს კონსტიტუცია, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, უნივერსიტეტების წესდება და ეთიკის კოდექსი და სხვა კანონქვემდებარე აქტები) თანამედროვე სტანდარტების დონეზეა წარმოდგენილი და დაცული, რასაც ვერ ვიტყვით სტუდენტთა ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პრაქტიკაზე, სადაც სტუდენტები არაერთ მწვავე პრობლემას აწყდებიან. მათგან უმთავრესია

კონტროლისა და ზედამხედველობის ლატენტური მექანიზმები, კონფორმისტული, ფავორიტისტული კულტურის ელემენტები, ბიუროკრატიზმი და სხვ. გარდა ამისა სტუდენტებს თავიანთი აკადემიური თავისუფლების შესახებ სრულყოფილი ცოდნა არ გააჩნიათ, ამიტომ აუცილებელია თითოეულმა სასწავლო დაწესებულებამ სიღრმისეულად შესწავლილი სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების კონტექსტი, საუნივერსიტეტო ბიუროკრატიისა და სტუდენტების სხვადასხვა ჯგუფების პერსპექტივები და საჭიროების შემთხვევაში რეაგირების სათანადო მექანიზმები შეიმუშაოს.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN;გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ამირან ბერძენიშვილი, კახა ქეცბაია. (2023). პროტოსოციოლოგია (ელექტრონული სახელმძღვანელო). ISBN 978-9941-36-112-8 (pdf). თბილისი. თსუ-ს გამომცემლობა. 698 გვერდი.

2. ამირან ბერძენიშვილი, კახა ქეცბაია. (2023). სოციოლოგია დამწყებთათვის. ISBN 978-9941-9878-2-3. თბილისი. გამომცემლობა Carpe disem. 300 გვერდი. (არასტანდარტული ზომა 125/175).

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.პროტოსოციოლოგიის სახელმძღვანელო თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „საბაკალავრო პროგრამათა საგნების სახელმძღვანელოების“ პროექტის ფარგლებშია შექმნილი. იგი მოქმედ სასწავლო სტანდარტებს (საგნის სილაბუსს) ესადაგება და სულ15თემას (სახელმძღვანელოს15თავი) მოიცავს. მასში ყველა ის აუცილებელი საკითხი, ცნება, თეორია, მიდგომა და ხედვაა შეტანილი, რომელიც საჭიროა, რომ „პროტოსოციოლოგიის“ კურსმა მისცეს მათ, ვინც ამ მეცნიერების შესწავლას იწყებს. ყოველ სალექციო თემატიკას თან თეორიული და პრაქტიკული ხასიათის კითხვები და შესაბამისი დავალებები, თემის შესახებ არსებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა (ქართული და უცხოური)ერთვის; ავტორებს მიაჩნიათ, რომ პროტოსოციოლოგიიდან მოტანილი არაერთი საინტერესო მასალა, სხვადასხვა სახის საკითხავები, ძირითადად, სოციალური აზრის კლასიკოსთა ნააზრევი სტუდენტებს სოციოლოგიური წარმოსახვისა და თვალსაწიერის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში წარმატებით უნდა დაეხმაროს. ყოველივე ამას თან სალექციო თემების განხილვის პროცესში გამოყენებული ძირითადი სოციოლოგიური ცნებების და ტერმინების განმარტებებიერთვის. ყოველი თემის განხილვის პროცესში ნაჩვენებია საკითხისადმი, პრობლემისადმი, ცნებისადმი სოციალური მიდგომის თავისებურებანი და სოციალური აზროვნების განვითარების ის გზა, რომელიც XIX ს-ის დასწყისში სოციოლოგიის, როგორც საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერების ჩამოყალიბებით დამთავრდა.სახელმძღვანელო პროტოსოციოლოგიის სფეროში არსებულ ავტორიტეტულ უცხოურ და ქართულ ანალოგიურ გამოცემებს ითვალისწინებს. სახელმძღვანელო საგნის სილაბუსის მიხედვით, „პოროტოსოციოლოგიაში“ განკუთვნილ კლასიკურ და თანამედროვე სავადებულო და დამხმარე სასწავლო ლიტერატურას ითვალისწინებს. სახელმძღვანელოს მეშვეობით სტუდენტი სოციალური აზრის განვითარების ისტორიული ეტაპების შესახებ, კერძოდ მე-20 საუკუნის კლასიკურ სოციალურ თეორიებამდე არსებული სოციალური თვალსაზრისების და სოციალური თეორიების შესახებ საფუძვლიან ცოდნას მიიღებს; სახელმძღვანელოში მარტივი და გასაგები თხრობითი სტილია გამოყენებული და სპეციფიკური ტერმინები სათანადოდ განმარტებული. მაქსიმალურ სიმარტივეში იგულისხმება, რომ სტუდენტი არათუ უნდა დაინტერესდეს სოციალური აზროვნების პრობლემატიკით, არამედ მას სოციოლოგიის სამომავლოდ შესწავლის სურვილი უნდა გაუჩნდეს. მარტივი სასაუბრო ენა, საილუსტრაციო მასალის სიჭარბე და ზოგჯერ დასაშვები განმეორებები სხვადასხვა სოციალური პრობლემების ახსნის პროცესში, ვფიქრობთ, რომ სტუდენტებს „პროტოსოციოლოგიის“ უკეთ შესწავლასა და გაცნობიერებაში დაეხმარება. სახელმძღვანელოს ერთვის სახელთა საძიებელი, რაც სტუდენტებს წიგნზე მუშაობას გაუადვილებს. რაც შეეხება კითხვებისა და დავალებებისა ნაწილს - ისინი შედგენილია მასალის

შესწავლის შედეგად მიღებული ცოდნის შესამოწმებლად; დავალებების სახით უმთვარესად მოცემულია საპრეზენტაციო თემები და სახელმძღვანელოს თემატიკიდან გამომდინარე ისეთი სახის ამოცანები, რომლებიც კრიტიკული აზროვნებისა და სოციალური წარმოსახვის უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული.

2. წიგნს „სოციოლოგია დამწყებთათვის" საფუძვლად უდევს ამირან ბერძენიშვილისა და კახა ქეცბაიას ავტორობით სხვადსხვა დროს გამოცემული სახელმძღვანელოები სოციოლოგიის სფეროში და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათ მიერ წაკითხული ლექციები სოციოლოგიის შესავალში, რომელთა გადამუშავებით მომზადდა იგი, სპეციალურად მათთვის, ვინც სოციოლოგიის შესწავლას იწყებს. მასში განხილულია სოციოლოგიის ძირითადი ცნებები და პრობლემები და ნაჩვენებია სოციოლოგიური აზროვნების ძირითადი თავისებურება.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფი კაციოკოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა.

1. ანანო ბერაძე, ამირან ბერძენიშვილი, ნიკა ნაკაიძე, ტატა ოქროჯანაშვილი, კახა ქეცბაია. (2023). სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება ექსპერტთა გამოკითხვის მიხედვით, ჟურნ. „ქართველი მეცნიერები", Vol. 5 No. 4 (2023). https://doi.org/10.52340/2023.05.04.01 ჟურნალის IMPACT FACTOR 0.62. თბილისი, „ასოციაცია მეცნიერებისათვის". გვერდების რაოდენობა 13.

სტატიის ელ. მისამართი: https://journals.4science.ge/index.php/GS/article/view/2135

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

სტატია თვისებრივ კვლევას - ექსპერტულ ინტერვიუს ემყარება. ექსპერტების სახით ინტერვიუში მონაწილეობა მიიღო 14 პროფესიონალმა საქართველოს საგანმანათლებლო და საუნივერსიტეტო კონტექსტის მცოდნე შემდეგი სფეროებიდან: ფილოსოფია, განათლების მეცნიერება, სოციოლოგია, უმაღლესი განათლების მართვისა და მენეჯმენტის სფეროს ყოფილი და ახლანდელი წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, რომლბსაც ქართველი საზოგადოება სხვადსხვა მედიის საშუალებით განათლების ექსპერტებად იცნობს. კვლევა თბილისში 2023 წლის ივლისსა და აგვისტოში ჩატარდა. ემპირიულ კვლევასთან ერთად გაანალიზებულ იქნა აკადემიური თავისუფლების შესახებ არსებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა და სხვადსხვა მეორადი მონაცემი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უნივერსიტეტებს საქართველოში აკადემიური თავისუფლების მხრივ სერიოზული პროგრესი ჯერ კიდევ არ განუცდია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია უმაღლეს დონეზე იცავს აკადემიურ თავისუფლებას, ზოგადი სიტუაცია ქვეყანაში, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში – ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა, შრომითი უფლებების დაუცველობა, განათლებისა და მეცნიერების მწირი დაფინანსება – ხელსაყრელ პირობებს ვერ ქმნის უნივერსიტეტთა სათანადო განვიტარებისთვის. შესაბამისად, აკადემიური თავისუფლების, როგორც საუნივერსიტეტო საქმიანობის ორგანიზების და ფუნდამენტური ღირებულების მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ასპექტები დღემდე აქტუალურია ჩვენში. მათ შორისაა ასტუდენტთა აკადემიური თავისუფლებაც. კვლევის შედეგად გამოკვეთეთა, რომ სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება შეზღუდულია. ხოლო ის ფაქტორები, რომლებცი სტუდენთა აკადემიურ თავისუფლებას ზღუდავს შრომის ბაზრის მოთხოვნები, სწავლასა და კვლევაში შეზღუდული თავისუფალი არჩევანი, უნივერსიტეტების მართვაში არსებული ხელოვნული ბარიერები, სტუდენტთა ინტერესების დამცავი მოძრაობებისა და ორგანიზაციების სისუსტე, აკადემიური თავისუფლების დასაცავად საჭირო გამოცდილების უქონლობა, კონფორმისტული კულტურა, ფავორიტიზმი, ზეწოლისა და კონტროლის

ფარული მექანიზმები, ბიუროკრატიზმი და ა.შ. ყოველივე ეს ხელს უშლის სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების რეალიზაციას.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის და სახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა.

1. ამირან ბერძენიშვილი, კახა ქეცბაია, (2023). Z. BAUMAN – Holosaust goes on (A brief sociological sketch) (ინგლ. ენაზე.) „ფილოსოფიური ძიებანი", ტ. 27. ISSN 1512-2468 UDC (უაკ) 1 (479.22) (061.2) ფ. 56. (მთ. რედ. ი. კალანდია). თბილისი. გამ. „უნივერსალი". 10 გვ.

2. ამირან ბერძენიშვილი, კახა ქეცბაია, (2023). სოციოლოგიის კლასიკოსები - გეორგ ზიმელი და ფერდინანდ თიონისი რელიგიის შესახებ, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ჟურნალი „რელიგია", #3, ISSN 1512-1423, თბილისი, 9 გვ.

3. ამირან ბერძენიშვილი, კახა ქეცბაია, (2023). ინტელექტუალი და იდეოლოგი: ინტელექტუალის სოციალური ფუნქცია, ფილოსოფიურ - თეოლოგიური მიმომხილველი #13, ISSN 2233-3568. UDC (უაკ) 1+2-21] (051.2) ფ – 562 F – 52. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნ. ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო - სამეცნიერო ინსტიტუტი, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა. 10 გვ. (ნომრის რედაქტორები: დ. ჯალაღონია. ა. ზაქარიაძე).

4. ამირან ბერძენიშვილი, (2023). ჯეფრი ალექსანდერი: სოციოლოგიის ძირითადი ცნებები, „ფილოსოფიური ძიებანი", ტ. 27. ISSN 1512-2468 UDC (უაკ) 1 (479.22) (061.2) ფ. 56. (მთ. რედ. ი. კალანდია). თბილისი. გამ. „უნივერსალი". 29 გვ.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. სტატიაში გაანალიზებულია ცნობილი სოციოლოგის ზ. ბაუმანის სკანდალური მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჰოლო კოსტი კი არ დამთავრებულა, არამედ დღესაც გრძელდება. ამ შემთხვევაში სტატიის ავტორები ემყარებიან ზ. ბაუმანის ცნო ბილ წიგნს ჰოლოკოსტის აქტუალობა (დედნის სახელწოდებაა - თანამედროვეობა და ჰოლოკოსტი), რომელმაც, თავის დრო ზე, დიდი ხმაური გამოიწვია. კითხვაზე იყო თუ არა ჰოლოკოსტი რაციონალური მოვ ლენა, ზ. ბაუმანის პასუხი დადებითია. უფრო მეტიც, მისი აზ რით, სწორედ, თანამედროვე რაციონალურმა საზოგადოებამ გახადა ჰოლოკოსტი შესაძლებელი. ჰოლოკოსტი მოდერნისათ ვის დამახასიათებელი რაციონალობის წიაღში ჩაისახა და გან ვითარდა. რაციონალიზმის ერთ-ერთი გამოვლინებაა ბიუროკ- 118 რატია. არც რაციონალიზმი და არც ბიუროკრატია ჯერჯერო ბით არსად არ გამქრალა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰოლოკოსტი კი არ დამთავრდა, არამედ პერმანენტულად გრძლედება. რაც ბაუმანის ერთ-ერთი სკანდალური მოსაზრებაა. იგი აჩვენებს, რომ ანტისემიტიზმი ჰოლოკოსტისათვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი ფაქტორი იყო. ებრაელების გარდა დევნის ობი ექტი იყვნენ ბოშები, ჰომოსექსუალები, ფსიქიკურად დაავადე ბული ადამიანები, რელიგიური უმცირესობების წარმომად გენლები, რაც ჰოლოკოსტის პრივატიზებას უმართებულოს ხდის, ამიტომ, გაბატონებული აზრის საწინააღმდეგოდ, ზ. ბაუ მანი ამტკიცებს, რომ ჰოლოკოსტი სოციალური მოვლენა იყო, რომელიც დღემდე გრძელდება. ოღონდ ამ შემთხვევაში გაზის კამერები საზოგადოების ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური მარ წუხებით არის შეცვლილი. მას მიაჩნია, რომ ჰოლოკოსტი სუ ლაც არ არის ჰიტლერის სიგიჟის ან `კომუნისტების პათო ლოგიურობის˜ შედეგი. ამგვარი მოსაზრებები სირაქლემას პო ზაა და მეტი არაფერი. ცნობილი ფაქტია, რომ ებრაელთა განდგურების თანამო ნაწილენი არც პათოლოგიური სადისტები ყოფილან და არც თვითდაჯერებული ანტისემიტები. ისიც ცნობილია, რომ თავი დან ებრაელების მასობრივი განადგურების საკითხი არც იდგა. ბიუროკრატიამ თავიდან ებრალებისაგან გერმანიის გაწ მენდის ამოცანა მიიღო და რეიხის ტერიტორიიდან მათი დე პორტაცია დაიწყო, მაგრამ მეორე მსოფლიო ომში გერმანელე ბის

წარმატებასთან ერთად ებრაელებისაგან გაწმენდის ამო ცანა ლოგიკურ ბიუროკრატიულ დასასრულამდე მივიდა. ბიუ როკრატიამ ყოველივე აწონ-დაწონა, დაიანგარიშა რესურსები, საშუალებები და ამოცანის განხორციელებას შეუდგა. იძულე ბით დეპორტაციასა და ფიზიკურ განადგურებას შორის არჩე ვანი უბრალოდ ტექნიკური საკითხი იყო. ებრალეთა განდგუ რება მიზანი კი არა, არამედ მიზნის მიღწევის საშუალება იყო. ზ. ბაუმანის აზრით, დიდ საშინელებას ჰოლოკოსტის ფაქტი კი არა, ჰოლოკოსტის ზღვრული რაციონალობა წარმო ადგენდა. სწორედ ის არის ჰოლოკოსტის მიზეზი მიზეზთაგანი. რომ არა რაციონალობა, იგი შეუძლებელი იქნებოდა. დისციპლინა, ეკონომია, სპეციალიზაცია, მოვალეობათა განაწილე ბა, ბიუროკრატიზაცია, რუტინიზაცია, ტექნიკური ოპრეციონა ლიზმი ე. წ. სახელგანთქმული ეფექტურობა, რომლითაც თა ნამედროვე ცივილიზაცია ამაყობს, ყოველივე ეს ჰოლოკოსტის საიდუმლოს გასაღებს წარმოადგენს. ზ. ბაუმანის ჰოლოკოსტის სოციალურ კონცეფციას ითვალისწინებს თანამედროვე სოციოლოგი ჯ. რიტცერი, რო მელსაც მიაჩნია, რომ ჰოლოკოსტი თანამედროვე სოციალუ რი ინჟინერიის მაგალითს იძლევა, რომელიც რაციონალიზე ბულმა საზოგადოებამ ჩაიდინა. ამდენად, პოსტთანამედროვე, მაკდონალდიზებული საზოგადოების შემთხვევაში ჰოლოკოს ტის ყველა ძირითადი კრიტერიუმი სახეზეა. ესენია: - ადამიანთა განდგურების ეფექტური მექანიზმები _ მა სობრივი დახვრეტები, გაზის კამერების გამოყენება, პატიმრები ბანაკის პერსონალის როლში; - ყურადღების გამახვილება რაოდენობაზე - მცირე დროში დიდი რაოდენობით ადამიანების განადგურება; - მკვლელობათა წინასწარგანსაზღვრულობა კონვეიერული წარმოების ყველა ნიშნის გათვალისიწნებით; - გიგანტური არაადამიანური ტექნოლოგიის საშუალებით ადამიანების კონტროლი და დამორჩილება. ამ ყოველივეს შემდეგ, თამამდ შეიძლება ითქვას, რომ ჰოლოკოსტი კი არ დამთავრებულა, არამედ გრძელდება! ზ. ბაუმანის მიხედვით, ჰოლოკოსტში როგორც წვეთ წყალში შეიძლება დავინახოთ იმის ასახვა, თუ რა შეუძლია თა ნამედროვე ცივილიზაციასა და საზოგადოებას თავიანთი ეფექტურობით, ლოგიკითა და რაციონალიზმით. ამგვარად, საზოგადოების არსებული რაციონალური და დისციპლინური წყობის პირობებში ებრაელების სრული განად გურების მცდელობა სულაც არ არის ნორმიდან გადახრა, ექსცესი ან პათოლოგია. ეს იმის ნიშანია, რომ ზედაპირზე ამოდის შესაძლებლობათა ის საშინელი პოტენციალი, რომელსაც თავის თავში სოციუმი შეიცავს (არა ადამიანები, არამედ სოციალური ორგანიზაცია _ ბიუროკრატია). ამ ლოგიკის ბოლომდე მიყოლით ჩვენ დღემდე ჰოლოკოსტურ ცივილიზაციაში ვხცოვ რობთ. არც ერთი ის ფაქტორი, რომელთა წყალობითაც ჰოლო კოსტი შესაძლებელი გახდა არ აღმოგვიფხვრია. ჰოლოკოსტის გამოცდილებას ზ. ბაუმანი სანაქებო სისტემის - ბიუროკრატი ისა და გაუცხოების - საპირისპიროდ იყენებს. ჰოლოკოსტის ანალიზისას კიდევ ერთ-ერთი საკვანძო საკითხი მორალს შეეხება. ამ შემთხვევაში ზ. ბაუმანის პოზიცია სოციოლოგიურია. მას მიაჩნია, რომ მორალი, ზნეობა და ცნებები კარგი და ცუდი სოციალური კატეგორიებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი საზოგადოების გარეშე არ არსებობენ, მაგ რამ განა ჰოლოკოსტმა არ მოახდინა იმის დემონსტრირება რა არის „მორალური“ და ასოციალური? საბოლოო გადაწყვეტილების აღმსრულებლები მასობრივ მკვლელებთან ერთად კანონმორჩილი მოქალაქეები, თავიანთი ქვეყნის პატრიოტები და კეთილსინდისიერი მოსამსახურეები (ჩინოვნიკები) იყვნენ, რომლებიც, უბრალოდ, თავიანთ საქმეს აკეთებდნენ. დავა ლების შესრულებაზე უარის შემთხვევაში ისინი ასოციალურები იქნებოდნენ. სწორედ, ნორმალურობის, კეთილსინდისერების, რაციონალობის და ლოგიკურობის ძალით ასრულებდნენ ისინი სადისტურ დავალებებს. ამით ჩვენ თვალწინ ინგრევა ის ფუნ დამენტი რაზეც თანამედროვე ცივილიზაცია დგას: ბოროტება თითქოს ცხოველური, ირაციონალური ადამიანური საწყისდი დან მომდინარეობს და უნდა ვუმადლოდეთ საზოგადოებას, რომ ადამიანში ჩაბუდებულ ამ ცხოველს მორალისა და კანონის არტახებში გამომწყვდევით უმკლავდება, მაგრამ ზ. ბაუმანის ზემოხსენებული წიგნი აჩვენებს, რომ დანაშაულის იარაღი, მე თოდი სწორედ კანონი და წესრიგი ხდება, თანაც განუზომლად ეფექტური იარაღი, ვიდრე ცხოველური ჟინის ნებისმიერი ამოფრქვევა. ამ შემთხვევაში ჩნდება კითხვა: საზოგადოება ბოროტებაა? ეს კითხვა დამოკლეს მახვილივით ჰკიდია არა მხო ლოდ სოციოლოგიის, არამედ ნებისმიერი ადამიანის თავზე.

2. სტატიაში სოციოლოგიის კლასიკოსები - გ. ზიმელისა და ფ. თინისის რელიგიის სოციოლოგიური კონცეფცია არის განხილული. სატატის ავტორთა აზრით, გ. ზიმელის ნააზრევს რელიგიის სოციოლოგიაში დღემდე ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ამ მხრივ, იგი თითქოს დიდი ავტორიტეტების - ვებერისა და

დიურკემის ჩრდილშია მოქცეული მაშინ, როდესაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტერმინ „რელიგიის სოციოლოგიის" ფუძემდებელი სწორედ ზიმელია. ზიმელი რელიგიას მეტად რთული - ფორმალური სოციოლოგიური კატეგორიების ჭრილში განიხილავს და მიაჩნია, რომ რელიგიის შესაწავლით შესაძლებელია საზოგადოების შესწავლა ანუ რელიგია იგივე სოციოლოგიის სახელმძღვანელოა. რაც შეეხება ფ. თიონისს, მას სპეციალური ნაშრომი რელიგიის სოციოლოგიაში არ დაუწერია, მაგრამ რელიგიას განსაკუთრებული როლი ენიჭება მის საყოველთაოდ ცნობილ წიგნში: „თემი და საზოგადოება": აქ რელიგია სწორედ რომ „გემაინშაფტისა" და „გეზელშაფტის" თვალსაზრისით განიხილება. კერძოდ, ნაჩვენებია რელიგიის განსაკუთრებული მნიშვნელობა „თემური" ურთიერთობების პირობებში და შემდეგ ის, საზოგადოების ახალი ტიპის ჩამოყალიბების კვალდაკვალ როგორ კარგავს იგი ამ მნიშვნელობას. ამით ფერდინანდ თიონისმა ხაზი გაუსვა ეპოქის სულისკვეთებას, რომელიც ნელ-ნელა „გემაინშაფტური", ტრადიციული და რელიგიური ძალებისაგან იცლება და მის ადგილზე დესაკრალიზებული რეალობა ჩნდება. ამ პრობლემის აქტუალიზების წყალობით, დიდია თიონისის როლი რელიგიის სოციოლოგიაში.

3. ინტელექტუალის სოციალური ფუნქციის შესახებ საკითხი ქართველი ფილოსოფოსისა და ინტელქტუალის პროფ. ვ. ერქომაიშვილის ცხოვრების მაგალითზეა განხილული. ინტელექტუალისა და იდეოლოგის ურთიერთმიმართების საკითხი არც ერთ ეპოქაში არ კარგავს თავის აქტუალობას. ჩვენში ეს საკითხი საბჭოთა, ტოტალიტარული იდეოლოგიის მსხვრევის პროცესში გახდა მეტად აქტუალური. ინტელექტუალთა ერთ ნაწილს ე. წ. პარტიულ ინტელიგენციას იდეოლოგიის გარეშე არსებობა ვერ წარმოედგინა, მეორე ნაწილი ახალი - ეროვნული იდეოლოგიის მოხრედ მიიჩნევდა საკუთარ თავს. ქართველ ინტელექტუალთა შორის იყვნენ გამონაკლისებიც, რომლებიც უარს ამბობდნენ ყოველგვარ იდეოლოგიაზე. ამ პოზიციის და დაცვა იმ დროისათვის დიდ გმირობას მოითხოვდა. ქართველ ინტელექტუალთა ამ ნაწილს მიეკუთვნებოდა პროფესორი ვახტანგ ერქომაიშვილი, რომელიც თავის პრინციპულ მოსაზრებებს იდეოლოგიასთან დაკავშირებით არა მხოლოდ ფილოსოფიურად, ასე ვთქვათ, თეორიულად ასაბუთებდა, არამედ სოციალურ, ცხოვრებისეულ პრაქტიკაში ანხორციელებდა. ამ შემთხვევაში მხდველობაში გვაქვს მისი პრინციპულობა, შინაგანი, სულიერი ავტონომიურობა და დამოუკიდებლობა და ყველა ის ნიჭი და უნარი ნამდვილი ინტელექტუალისა, რომლებიც ზემოთ გვქონდა განხილული. აქტუალობას არ კარგავს პროფ. ვ. ერქომაიშვილის ფილოსოფიური და პუბლიცისტური წერილები იდეოლოგიის რაობაზე და მის სოციალურ დანიშნულებაზე. მაჰნაიმის მსგავსად, მასაც იდეოლოგია „ყალბ ცნობიერებად" და საზოგადოებისათვის ზიანის მომტანი ტენდენციის გამოვლინებად მიაჩნდა, რადაგანაც ფიქრობდა, რომ ყოველი იდეოლოგიის დანიშნულება ადამიანთა რომელიმე ჯგუფის ინტერესების გამართლება და ძალაუფლებრივი ბატონობის გამოვლინებაა ვ. ერქომაიშვილი ყოველგვარი იდეოლოგიას ბატონობის, ძალადობის იარაღად მიიჩნევდა, რის გამოც მას დაუნდობლად ატარებდა კრიტიკის ქარცეცხლში. იგი როგორც რაციონალისტური აზროვნების პრინციპების დამცველი, მხოლოდ ობიექტურ, მეცნიერულად შემოწმებული ცოდნის სისტემას ანიჭებდა უპირატესობას, რადგანაც კარგად უწყოდა საბჭოთა პერიოდში ერთადერთი მეცნიერული იდეოლოგიის ცხოვრებაში გატარების ტოტალიტარული და თავისუფლების დამთრგუველი ბუნება, ამიტომ ყველას უნდა გვაღელვებდეს საქართველოში „ტოტალიტარული იდეოლოგიის" თუნდაც მცირედი გამოვლინება, რაც, ვფიქრობთ, სასიკეთოდ არ წაადგება თანამედროვე ადამიანსა და საზოგადოებას.

4. ნაშრომში გაანალიზებულია კულტურალური სოციოლოგიის, როგორც სოციალურ-ფილოსოფიური აზროვნების ახალი პარადიგმის თეორიულ - მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების ისეთი ძირითადი ცნებები, როგორებიცაა:კულტურული მობრუნება/ბრუნი, კულტურის შედარებითი დამოუკიდებლობა,კულტურალური სოციოლოგია, კულტურის სოციოლოგია, სოციალური ცხოვრების საზრისი, აღნიშვნა, პერფორმატიულობა.კულტურული და სოციალური ტრავმა,ტექნოლოგია როგორც კულტურალური წესრიგის ნაწილი. ნაჩვენებია სოციალური ცხოვრების საზრისთა როლების ინტერპრეტაციებისადმი ახალი მიდგომები, რომლებიც თანამედროვე სოციუმის, მისი ამბივალენტობის დინამიკის უფრო ღრმა გაგების შესაძლებლობებს იძლევიან.დასაბუთებულია, რომ სოციალური რეალობები გარკვეულ ღირებულებით შინაარსს, მხოლოდ აღნიშვნის, კოდირების პროცესის შედეგად იძენენ, რომლის

არსის კვლევაც სოციალური ტრავმების კონსტრუირების, სამოქალაქო სფეროს ინტერპრეტაციების, ხელისუფლებისათვის დემოკრატიული ბრძოლის ანალიზის მაგალითებზე ხდება. ალექსანდერის კულტურალური სოციოლოგია სოციალური აზრის ერთ-ერთი პერსპექტიული პარადიგმაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვირტუალური რეალობის ამბივალენტურობა და პარადოქსები შევისწავლოთ, ცხადისა და ფარულის თანაფარდობა, საქმისა და პერფორმანსის არსება, განზრახულ და განუსაზღვრელ შედეგთა როგორც ადამიანურ ურთიერთობათა რეზულტატი შევისწავლოთ. ის აგრეთვე შესაძლებლობას იძლევა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე და ადამიანთა ქცევებზე სიმბოლოთა გავლენა მათი საზრისების მეშვეობით გავაანალიზოთ. საზრისთა წარმოებისა და გავლენების კვლევა აქტიურ როგორც სოციოლოგიურ, ისე ფილოსოფიურ ინტერესს ნამდვილად წარმოადგენს.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულისდასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ამირან ბერძენიშვილი, კახა ქეცბაია, (2023). Virtualization of Religious Life and the Apocalyptic Society (Sociological Sketch), IPRPD International Journal of Business and Management Studies Volume 04; Issue no 11: November, 2023 ISSN 2694-1430 (Print), ISSN 2694-1449 (Online) DOI: 10.56734/ijbms. USA. 6 გვერდი.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. სტატიაში აღნიშნულია, რომ საზოგადოების პოსტმოდერნულმა ტრანსფორმაციამ მტკივნეულად იმოქმედა რელიგიაზე. ამ შემთხვევაში, რელიგიური მეინსტრიმი მკვეთრად იცვლება. შესაბამისად, მასობრივი კულტურა ხდება დომინანტი პოსტმოდერნულ საზოგადოებაში. „დიდი ნარატივების“ უარყოფას - და რელიგია ასეთი დიდი ნარატივების ერთ-ერთი სახეობაა, - მოჰყვა რელიგიის დესაკრალიზაცია და რელიგიური ცხოვრების ვირტუალიზაცია და პროფანაცია, რისი შედეგია ცინიკური და ზიზღის შემცველი დამოკიდებულება ტრადიაციული რელიგიური ცხოვრების მიმართ და ა.შ. ყოველი ეს, რელიგიური ინტერპრეტაციის მიხედვით, აპოკალიფსური საზოგადოების ნიშნებია. ამ შემთხვევაში აქტუალური ხდება რელიგიის როლის შესახებ საკითხი აპოკლიფსურ საზოგადოებაში. სწორედ და ეს არის ამ სოციოლოგიური ეტიუდის მთავარი საკითხი.

**სალომე ნამიჭეიშვილი**

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

პროექტის დასახელება: „ფსიქოსოციალური მომსახურების ეფეტქიანობის მხარდაჭერა / Support of Psychosocial service effectiveness“.

საიდენტიფიკაციო კოდი: პროექტი დაფინანსებულია ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2022 წლის კონკურსში გამარჯვების შედეგად. N FR-22-8261

დაწყების და დასრულების თარიღი: მარტი, 2023 - მარტი, 2026

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

• ნინო შატბერაშვილი - პროექტის ხელმძღვანელი

• ნათელა ფარცხალაძე - კოორდინატორი

• სალომე ნამიჭეიშვილი - ექსპერტი

• თეა გველესიანი - ექსპერტი

• რასა ნაუჯანიენე - კონსულტანტი

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

პროექტი ჯერ განხორცილების ფაზაშია.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.Gvelesiani, Sadzaglishvili, Gigineishvili, Lekishvili, Namitcheishvili; "Frontiers in Psychology" - "Improved professional practices in social services though Emotional Labor strategies"; Frontiers in Psychology https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fpsyg.2023.1145175/full

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

აღნიშნული კვლევა აანალიზებს ემოციურ შრომას და მის სოციალურ შედეგებს სოციალურ სფეროში მომუშავე პრაქტიკოსებისთვის. ის იკვლევს ორგანიზაციული მახასიათებლების გავლენას ემოციურ შრომასა (EL) და სამუშაო შედეგებს შორის ურთიერთობაზე, როგორიცაა პროფესიული გადაწვა და პიროვნული მიღწევები. ემოციური შრომა უკავშირდება მომსახურების სფეროს, სადაც მომსახურე პერსონალს უწევს პირდაპირი კავშირი კლიენტებთან. კმაყოფილი კლიენტები მნიშვნელოვანია მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციებისთვის, მაგრამ საკითხავია როგორ ფასობს ემოციური შრომა, რომელსაც მუშაკები ასრულებელ? განაპირობებს თუ არა ის პროფესიულ გადაწვას ან პიროვნულ მიღწევებს? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად შერეული მეთოდები იქნა გამოყენებული. რაოდენობრივი კვლევის მეთოდი დაეფუძნა პროფესიული გადაწვის კითხვარს (Maslach & Jackson, 1981) და ემოციური შრომის შეფასების კითხვარს (Questionnaire (Kruml and Geddes, 2000; Grandey and DeLay, 1999). კვლევაში მონაწილეობა მიიღო სოციალურ მუშაკთა ასოციაციის 165 წევრმა სოციალურმა მუშაკმა. დამატებით 6 ფოკუს ჯგუფი ჩატარდა იმ ფაქტორების განსასაზღვრად, რომლებიც ხელს უწყობს პროფესიულ გადაწვას და სამუშაოთი კმაყოფილებას. ჯამში 70 ადამიანმა მიიღო ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა. კვლევამ აჩვენა ემოციური შრომის სხვადასხვა სტრატეგიების კავშირი სოციალური მუშაკების ფუნქციონირების ისეთ მახასიათებლებთან, როგორებიცაა ემოციური გამოფიტვა, დეპერსონალიზაცია და სხვა. კვლევის შედეგები პრაგმატულია და ეხმიანება სოციალური მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებს, რათა მათ შეძლონ ორგანიზაციული მიდგომების გაუმჯობესება, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სოციალურ მუშაკთა ემოციურ შრომასას,

რასაც შეუძლია დადებითი გავლენა მოახდინოს სოციალური მუშაკების კლიენტებისათვის მიწოდებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. სალომე ნამიჭეიშვილი, ნინო შატბერაშვილი; Social Work History and Present Situation in Georgia; გამოყენებით მეცნიერებათა კათოლიკური უნივერსიტეტი, ფრაებურგი, გერმანია- 10 მაისი, 20223 Social Inclusion of Vulnerable Groups – in the Field of Social Science and Health Care Studies and Research

*ანოტაცია (ქართულ ენაზე):*

სოციალური მუშაობა ახალბედა პროფესიაა საქართველოში, თუმცა ბოლო 20 წლის განმავლობაში პროფესია დინამიკურად ვითარდება. მოხსენება განიხილავს სოციალური მუშაობის განვითარების თავისებურებებს საქართველოში მიკრო, მეზო და მაკრო დონეებზე.

**ნინო შატბერაშვილი**

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. N. Shatberashvili, Sadzaglishvili (2023). Rethinking Social Work Education in Light of the COVID-19 Pandemic: Lessons Learned from Social Work Scholars and Leaders, In Y. Latzer & L. Shklarski, (Eds.). *Social Work Education and the COVID-19 Pandemic: International Insights toward Innovation and Creativity.* Routledge, London, UK.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

სტატიაში წარმოდგენილია პანდემიის დროს სოციალური მუშაობის საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების სფეციფიკა საქართველოში. ის აანალიზებს სწავლების ტრადიციდული მეთოდების განახლების შედეგად წარმოქმნილ პრობლემებს და ამ სიახლეების მომხიბლავ ასპექტებს, რომელთა შენარჩუნება პოსტ პანდემიურ პერიოდშიც მიზანშეწონილია.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ნინო შატბერაშვილი**; მულტიდისციპლინური მუშაობის სპეციფიკა ფსიქოსოციალური მომსახურების მიწოდებისას; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია; პრაქტიკისა და კვლევის კავშირი სოციალური მეცნიერებებში, 2023

2. **ნინო შატბერაშვილი**; სოციალური მუშაკის როლი ინკლუზიური განათლების მხარდამჭერ სისტემაში; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია; "ინკლუზიური განათლება საქართველოში - მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები -2023

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ნინო შატბერაშვილი**; განათლება სოციალურ მუშაობაში; სოციალური მუშაობის ევროპული სკოლების (EASSW) საერთაშორისო კონფერენცია; „ევროპული კონფერენცია სოციალური მუშაობის განათლებაზე" ("European Conference on Social Work Education") პორტოში, პორტუგალიაში, 2023.

**2. ნინო შატბერაშვილი**; სოციალური მუშაობა საქართველოში: ადგილობრივი განვითარება გლობალურ კონტექსტში; ლაპლანდიის უნივერსიტეტი, როვანიემი, ლაპლანდია, 2023 - სოციალური მუშაობა გლობალური პერსპექტივიდან

**თამარ მახარაძე**

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. პროექტი ,,მასწავლებლები ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად", სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები; ხორციელდება სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, საგრანტო პროექტი №FR-21-3869.
2022-2024 წწ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **თამარ მახარაძე** - პროექტის ხელმძღვანელი. პროექტში სულ ჩართულია 21 პირი, აქედან: 7 მკვლევარი, 4 კონსულტანტი: 2 ქართველი, 2 უცხოელი, 5 დამხმარე პერსონალი და კოორდინატოორი.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. კვლევის მიზანი იყო საქართველოში ინკლუზიური განათლების ხარისხის შესწავლა და მისი გაუმჯობესების გზების დასახვა. კერძოდ, პროექტში ჩართულ პარტნიორ უნივერსიტეტებში (თსუ, ბსუ, აწსუ, თესაუ) შესწავლილ იქნა სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებები და დამოკიდებულებები ინკლუზიური განათლების მიმართ; სპეციალური ფოკუსი გაკეთდა განათლების მეცნიერებათა სპეციალობის სტუდენტებზე - გაანალიზდა მათი მზადყოფნა იმუშაონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან. კვლევითი პროექტის ფარგლებში, ასევე გაანალიზებულ იქნა ინკლუზიური განათლების პროცესში ჩართული მოქმედი მასწავლებლების გამოწვევები. საგანგებოდ შექმნილი რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტებით ჩატარდა კვლევა: სამიზნე უნივერსიტეტების სტუდენტების მასობრივი გამოკითხვა, სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები უნივერსიტეტების აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, აგრეთვე შშმპ

სტუდენტებთან, ფოკუს ჯგუფები მოქმედ მასწავლებლებთან. მონაცემების დიდი ნაწილი დამუშავებულია და წარმოდგენილია სამეცნიერო კონფერენციაზე ინკლუზიური განათლება საქართველოში - მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები - 2023; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 29-30 ივნისი, 2023 წელი.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი.

1)**თამარ მახარაძე, ანასტასია ქიტიაშვილი და თამარ გაგოშიძე** (თსუ)
უნივერსიტეტების ინკლუზიურობის აღქმა განათლების მეცნიერებათა მიმართულების სტუდენტებში
სამეცნიერო კონფერენცია ინკლუზიური განათლება საქართველოში - მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები - 2023; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 29-30 ივნისი, 2023 წელი
იხ. შესაბამისი ბმული: http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/2232

**ლია წულაძე**

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. „მედიატიზებული ევროკავშირი: ევროკავშირის შესახებ მედიით გაშუალებული დისკურსები და მათი რეპრეზენტაცია საზოგადოებრივ განწყობებში." 2021-2024. კვლევისა და ინოვაციის პროგრამა, ჰორიზონტი 2020, ევროკომისია. დარგი: სოციალური მეცნიერებები, სოციოლოგია/ინტერდისციპლინური. საგრანტო ხელშეკრულება #101004534.

პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით):

ლია წულაძე, პროექტის ავტორი და ემპირიული კვლევის ხელმძღვანელი.

ქართული გუნდი შედგება კიდევ 5 მკვლევრისგან - მარიამ ამაშუკელი, დიანა ლეჟავა, ლელა ჯავახიშვილი, ირინა ოსეფაშვილი და ნინო აბზიანიძე, - რომელთაგან პირველი სამი წევრი ლია წულაძის დოქტორანტებია. კონსორციუმი შედგება 7 ქვეყნისგან.

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

პროექტის მიზანია, სამიზნე ქვეყნების მედიის დისკურსების შესწავლა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს „ევროპული პროექტის" განხორციელებას. ამასთან, პროექტი იკვლევს, თუ როგორ რეაგირებს ამ დისკურსებზე საზოგადოება. ევროპეიზაციის შესახებ მედიატიზებული პოლიტიკური დისკურსების კვლევას ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, ე.წ. ძველი ევროპის, ახალი ევროპისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ევროპეიზაციის შესახებ დამოკიდებულებების სიღრმისეულად გააზრებისთვის. პროექტში გამოვიყენებთ შერეული ტიპის მეთოდოლოგიას, რაც გულისხმობს როგორც რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების, ასევე დელიბერაციული მეთოდის გამოყენებას; კერძოდ, პროექტის ფარგლებში განხორციელდება მედიის დისკურსების კვლევა დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეთოდის საშუალებით, ჩატარდება სიღრმისეული ინტერვიუები პოლიტიკურ ელიტასა და მედიის წარმომადგენლებთან, მოხდება მოსახლეობის რაოდენობრივი გამოკითხვა ქვეყნის

მასშტაბით და ბოლოს, გაიმართება დელიბერაციული დისკუსიები საზოგადოებასთან. აღნიშნული საველე სამუშაოები ჩატარდება თითოეულ სამიზნე ქვეყანაში, რაც საშუალებას მოგვცემს, შვიდი ქვეყნის შედარებითი ანალიზი განვახორციელოთ და პოლიტიკის რეკომენდაციები შევიმუშაოთ პოლიტიკის შემქმნელებისთვის ეროვნულ და ევროკავშირის დონეებზე.

ამ ეტაპისთვის პროექტის ემპირიული ველი დასრულებულია, ანუ ჩატარებულია მედიის ანალიზი, სიღრმისეული ინტერვიუები პოლიტიკურ ელიტასა და მედიის წარმომადგენლებთან, ასევე მოსახლეობის გამოკითხვა ქვეყნის მასშტაბით. სამივე ანგარიში გაგზავნილია ევროკომისიაში.

2. „ბაზრები: გამოწვევები და შესაძლებლობები განვითარებადი ბაზრებისთვის: არაფორმალური ბარიერები, ბიზნესგარემო და სამომავლო ტენდენციები აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში." 2020-2023. მარი კურის კვლევისა და ინოვაციის პროგრამა, ჰორიზონტი 2020, ევროკომისია. დარგი: სოციალური მეცნიერებები, სოციოლოგია/ეკონომიკა/ინტერდისციპლინური. საგრანტო ხელშეკრულება # 861034.

პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით):

ლია წულაძე, კონსორციუმის ქართული წარმომადგენლობის ხელმძღვანელი და პროექტში ჩართული ახალგაზრდა მკვლევრის, მარგარიტა გობატის (ბრემენის უნივერსიტეტი) სადოქტორო ნაშრომის თანახელმძღვანელი. კონსორციუმი შედგება 9 ქვეყნისგან.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

პროექტის მიზანია იმ ფორმალური და არაფორმალური პრაქტიკების შესწავლა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს ბიზნესგარემოს განვითარებას აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. ეს ფაქტორები მოიცავს როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ და კულტურულ ფაქტორებსაც, როგორიცაა კულტურული ღირებულებები და არაფორმალური სოციალური ნორმები. პროექტს ორმაგი მიზანი აქვს: ერთი მხრივ, სიღრმისეულად შეისწავლოს სამიზნე რეგიონებში არსებული ბიზნესგარემო და მისი ცვლილების ტენდენციები; მეორე მხრივ კი, აღნიშნული საკითხების სიღრმისეული ცოდნით აღჭურვოს ახალგაზრდა მკვლევრები, რომლებიც უახლესი თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების საფუძველზე იკვლევენ სამიზნე რეგიონებში მიმდინარე სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებს. ეს უკანასკნელი კომპონენტი მოიცავს პროექტში მონაწილე ორგანიზაციების მიერ დოქტორანტების ხელმძღვანელობას, რომლებიც მოცემული რეგიონით არიან დაინტერესებულნი და ორგანიზაციის ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ, პროექტის დასრულებისთვის, შესაბამის თემაზე სადოქტორო დისერტაციას დაიცავენ. ლია წულაძე ხელმძღვანელობს იტალიელ დოქტორანტს, რომელიც კონსორციუმის პარტნიორი უნივერსიტეტებიდან ჩარიცხულია ბრემენის უნივერსიტეტში და მუშაობს არაფორმალური სოციალური ნორმების როლზე ღვინის ექსპორტისას ევროკავშირის ბაზარზე (საქართველოს და მოლდოვას შედარებითი ანალიზი).

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN;

გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ლია წულაძე; (2023) სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 282 გვერდი. ISBN 978-9941-36-077-0

2. ლია წულაძე; (2023) კულტურის სოციოლოგია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 168 გვერდი. ISBN 978-9941-36-148-7

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. მოცემული სახელმძღვანელო სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივ მეთოდებს ეძღვნება და საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებზეა გათვლილი, რომლებიც კვლევის მეთოდების შესავლის კურსს იცნობენ (თუმცა, სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებსაც გამოადგებათ). სახელმძღვანელო 8 თავისგან შედგება და ლოგიკურად მიყვება კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპებს, კვლევის დიზაინით დაწყებული და კვლევის ანგარიშით დასრულებული. ავტორი რაოდენობრივი კვლევის სამ ძირითად მეთოდზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც სოციოლოგებისთვის განსაკუთრებით რელევანტურია: მასობრივი გამოკითხვა, რაოდენობრივი კონტენტანალიზი და Q მეთოდოლოგია. ამასთან, თითოეული თავის ბოლოს შესაბამისი ემპირიული ნიმუშებია წარმოდგენილი ავტორის და მისი კოლეგების კვლევებიდან. ამდენად, სახელმძღვანელოს სტრუქტურა და შინაარსი ავტორის თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას ეფუძნება.

2. მოცემული სახელმძღვანელო, თანამედროვე თეორიული მოდელებისა და ემპირიული კვლევების გათვალისწინებით, კულტურის სოციოლოგიაში ქართულენოვანი სახელმძღვანელოს შექმნის ერთ-ერთი პირველი მცდელობაა. სახელმძღვანელო 9 თავისგან შედგება და ინტერდისციპლინური ხასიათისაა, კერძოდ, კულტურის სოციოლოგიის, კულტურის ანთროპოლოგიისა და კულტურის ფსიქოლოგიის მიდგომებს ეფუძნება. პირველ თავში კულტურის ცნების კლასიფიკაციაა წარმოდგენილი, აგრეთვე მისი გაგება თანამედროვე მომხმარებლურ საზოგადოებაში. მომდევნო ორ თავში კულტურის ცნება განხილულია კლასიკოსი და თანამედროვე სოციოლოგების კვლევებში. ავტორი კულტურის სოციოლოგიურ შესწავლაში ორ მნიშვნელოვან ეტაპს განიხილავს: „კულტურულ ბრუნამდე" და „კულტურული ბრუნის შემდეგ". კულტურის შესწავლაში სოციოლოგების თეორიულ წვლილთან ერთად, ავტორი მათ მეთოდოლოგიურ მიღწევებსაც განიხილავს, განსაკუთრებით, „ჩიკაგოს სკოლისა" და ბირმინგემის „თანამედროვე კულტურის კვლევების ცენტრის" მიდგომების საფუძველზე. მომდევნო თავები აგებულია სოციალურ რეალობაზე კულტურის გავლენის მიკრო დონიდან მაკრო დონის შესწავლის მიმართულებით, კერძოდ, კულტურის გავლენა იდენტობაზე პირველადი ჯგუფით – ოჯახით – დაწყებული, მეორადი ჯგუფებით – სუბკულტურებით – გაგრძელებული და საზოგადოებრივი დონით – ერი-სახელმწიფოთი – დასრულებული. ბოლო ორი თავი თანამედროვე პირობებში მიმდინარე გლობალურ ცვლილებებსა და მულტიკულტურული იდენტობების ფორმირებაზე მათ გავლენას განიხილავს.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Tsuladze, L., Abzianidze, N., Amashukeli, M. and Javakhishvili, L. (2023). De-Europeanization as Discursive Disengagement: Has Georgia "Got Lost" on its Way to European Integration? Journal of European Integration. https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/07036337.2023.2278072

2. Tsuladze, L. (2023). Euro-optimism Intertwined with Pragmatism: Elite and Popular Discourses on Georgia's Europeanization through Q Methodology. Special issue: Georgia's Strategic Path. Caucasus Survey, 11, 216-240. doi:10.30965/23761202-bja10013

3. Tsuladze, L. (2023). Georgia's Contested European Trajectory Current History, 122 (846), 255-260. University of California Press. https://doi.org/10.1525/curh.2023.122.846.255

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1) ეს სტატია განიხილავს დე-ევროპეიზაციას, როგორც პროგრესულ ჩართულობას ადგილობრივ ხელისუფლებასა და ევროკავშირის აქტორებს შორის, რომელიც გამოიხატება მათი დისკურსებით. ავტორები განიხილავენ დისკურსიულ გათიშვას, როგორც ორ ძირითად ასპექტს: დისკურსული წინააღმდეგობა შიდა ხელისუფლებასა და ევროკავშირს შორის, რომელიც აისახება მათ წინააღმდეგობრივ განცხადებებში და ამ დისკურსული ოპოზიციის გაძლიერება, რომლის დროსაც შიდა ხელისუფლების დისკურსები თავდაცვითიდან შეტევაზე გადადის. ავტორები თვალყურს ადევნებენ შესაბამის მოვლენებს საქართველოს შემთხვევის საფუძველზე, 2021 წლის ივლისიდან 2022 წლის ივნისამდე ქართულ სატელევიზიო მედიაში ადგილობრივ და ევროკავშირის მსახიობებს შორის დისკურსიულ ურთიერთქმედებას. კვლევამ გამოავლინა საქართველოს ხელისუფლების დისკურსიული წინააღმდეგობა ევროკავშირის აქტორების მიმართ ფასადის მიღმა. ერთი შეხედვით პროევროპულ განცხადებებზე. რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, ეს დისკურსიული ოპოზიცია გამწვავდა და შეურაცხმყოფელი გახდა. ავტორები იყენებენ რაოდენობრივ შინაარსობრივ ანალიზს აქტორ-დისკურსის ქსელების გამოსათვლელად, ასევე კრიტიკული დისკურსის ანალიზს დეევროპეიზაციის დისკურსის უფრო ღრმა ფენების გამოსავლენად.

2) სტატიაში განხილულია ქართული პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტების და მოქალაქეების დისკურსები ქვეყნის ევროპეიზაციის შესახებ პრაგმატული და იდენტობის მოსაზრებების კონტექსტში. კვლევა ეფუძნება Q მეთოდოლოგიას, რომელიც, მისი ტრადიციული გამოყენებისგან განსხვავებით, ინტეგრირებულია პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ელიტებთან სიღრმისეულ ინტერვიუებში და მოქალაქეებთან ფოკუს ჯგუფურ დისკუსიებში. Q ანალიზი ცხადყოფს, რომ როგორც ელიტებს, ასევე მოქალაქეებს ახასიათებთ ევროოპტიმისტური შეხედულებები, რომლებიც აღიქვამენ საქართველოს ევროპეიზაციას პრაგმატული მოსაზრებების გათვალისწინებით. ძირითადი პრაგმატული ფაქტორები დაკავშირებულია ადამიანის უფლებების გაუმჯობესებულ დაცვასთან და ქვეყნის უსაფრთხოების დაცვასთან. წინა კვლევებისაგან განსხვავებით, მიმდინარე კვლევა აჩვენებს, რომ, ყოველ შემთხვევაში, რიტორიკულ დონეზე, საქართველოს ევროპეიზაცია არ აღიქმება როგორც საფრთხე ეროვნული იდენტობისთვის.

3)საქართველოში დღევანდელმა მმართველმა პარტიამ გამოიყენა ევროინტეგრაციის პროცესი როგორც დისკურსული, ასევე სტრატეგიული მიზნებისთვის, მას შემდეგ რაც ხელისუფლებაში მოვიდა, 2012 წელს. ქართული ოცნების ერთი შეხედვით ბოლოდროინდელ გადახრას ევროპული კურსიდან, ფაქტობრივად, უფრო გრძელი ისტორია აქვს; ეს უკვე ხილული იყო 2014 წელს. ეს პროცესი კიდევ უფრო გააქტიურდა 2019

წელს და გამწვავდა რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ უკრაინაში 2022 წლის თებერვალში, როდესაც პარტიამ უარი თქვა შეუერთდა ევროკავშირის სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ და დაიწყო ღიად კრიტიკა ევროპელი ოფიციალური პირების მიმართ, ამავდროულად ესკალაცია გაუკეთა თავდასხმებს. ლიბერალური ღირებულებები.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ლია წულაძე. ევროინტეგრაცია, როგორც დისკურსული მანიპულაცია: მედიის დისკურსები საქართველოში. DiscourseNet კონგრესი: „დისკურსები და მათი გავლენა მსოფლიო კრიზისებზე." 25-28 ივლისი, 2023. ვალენსიის უნივერსიტეტი, ესპანეთი.

2. ლია წულაძე. პრორუსული/ანტიდასავლური პროპაგანდის დინამიკა: საქართველოს შემთხვევა. ანტიკური და თანამედროვე კულტურების დეპარტამენტის საზაფხულო სკოლა: „ენა, როგორც მასობრივი დარწმუნების იარაღი." 17-21 ივლისი, 2023. მესინას უნივერსიტეტი, იტალია.

3. ლია წულაძე. უხვევს თუ არა საქართველო ევროპული კურსიდან? პოლარიზებული პოლიტიკური და მედიის დისკურსები. „ევროპის წარსული, აწმყო და მომავალი: უტოპია და დისტოპია." 27-29 ივნისი, 2023. ევროპული კვლევების საბჭო (CES), ისლანდიის უნივერსიტეტი, რეიკიავიკი, ისლანდია.

**ლელა გაფრინდაშვილი**

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2.

1)დასრულებულიპროექტისდასახელებამეცნიერებისდარგისადასამეცნიერომიმართულებისმითითებით; პროექტისდაწყებისდადამთავრებისწლები

1. ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა ოდეტ კევის წიგნისა „Au Pais de la Toisond'or – En Georgie MenchevisteIndependante" Paris, Ernest Flamarion . Editeur, 1923/ ოქროს საწმისის ქვეყანაში - დამოუკიდებელ, მენშევიკურ საქართველოში, პარიზი, 1923 (წიგნი გამოიცა გამომცემლობაში „cezanne", 2023. ISBN 978-9941-8-4678-6. 267 გვ.

წიგნი ითარგმნა და გამოიცა ფრიდრიხ ებერტის ფონდის (FES) ფინანსური მხარდაჭერით.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულისროლისმითითებით)

1. ლელა გაფრინდაშვილი - პროექტის ავტორი, სამეცნიერო რედაქტორი

2. ელენე მარგველაშვილი - მთარგმნელი

3. ნიკა გელოვანი - მთარგმნელი

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ოდეტ კენის წიგნის ქართულ ენაზე გამოცემა საინტერესოა როგორც მეცნიერული , ისე პრაქტიკული პერსპექტივიდან, რადგან იგი

1. აცოცხლებს ევროპელი მწერალი ქალის თვალსაწიერიდან დანახულ, საუკუნის წინანდელი ქართულ რეალობას

2. ხელს უწყობს, სტიმულს აძლევს ამ მიმართულებით სამომავლო, სამეცნიერო კვლევებს

3. საშუალებას გვაძლევს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ვითარება დავინახოთ

4. საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ საუკუნის წინანდელი და თანამედროვე საქართველოს პრობლემატიკა.

**ნინო დურგლიშვილი**

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **თ. უკლება, რ. შენგელია, ნ. დურგლიშვილი;** სოციოლოგიურ და ეთიკის ფაქტორთა მნიშვნელობა და შედეგები დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაში; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 17, N. 1, 2023

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

სპორტსმენების მიერ დოპინგის გამოყენება მწვავე და სწრაფად მზარდი გლობალური პრობლემაა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია პირველადი პრევენციული ღონისძიებების განხორციელება. ინტერვენციები, საგანმანათლებლო პროგრამების სახით, ორიენტირებული უნდა იყოს სპორტსმენებზე და მათ დამხმარე პერსონალზე. რაც მოითხოვს საკმაოდ სერიოზულ კვლევით მხარდაჭერას, როგორც მათი განვითარებისა და მათი ეფექტურობის შეფასების თვალსაზრისით.

სტატია ეფუძნება რაოდენობრივ კვლევას, რომელიც ჩატარდა 2019-2020 წლებში მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს კითხვარის გამოყენებით: სოციალური მეცნიერების კვლევის პაკეტი ანტიდოპინგური ორგანიზაციებისთვის. გამოკითხვა ჩატარდა ორ ტალღად: თავდაპირველად გამოიკითხა 215 სპორტსმენი (პირველი ტალღა).

მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს საგანმანათლებლო რესურსის შესაბამისად ჩატარებული ტრენინგის დასრულების შემდეგ, ისინი კვლავ გამოიკვლიეს იმავე კითხვარის საფუძველზე (მეორე ტალღა).

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ანტიდოპინგური განათლება და ცნობიერება ძალზე მნიშვნელოვანია სპორტსმენებში ანტიდოპინგური დამოკიდებულების ჩამოყალიბებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას რეკომენდებულია იმ ფაქტორების როლისა და სპეციფიკის გათვალისწინება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სპორტსმენთა დამოკიდებულებაზე დოპინგის, სხვადასხვა მახასიათებლების გათვალისწინებით (ასაკი, შეჯიბრების გამოცდილება, სპორტი და ა.შ.)

კახა ქეცბაია

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის და სახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა.

1. **კახა ქეცბაია, (2023) ფილოსოფია და რელიგია,** „ფილოსოფიური ძიებანი“, ტ. 27. ISSN 1512-2468 UDC (უაკ) 1 (479.22) (061.2) ფ. 56. (მთ. რედ. ი. კალანდია). თბილისი. გამ. „უნივერსალი“. 6 გვ.
2. **კახა ქეცბაია, (2023). Ecce Homo,** თავისუფალ შემოქმედთა გაერთიანების საზოგადოებრივი ჟურნალი „მიჯნა“ #2 (25), მაისი, ISSN 2449-237X. 3 გვ.
3. **კახა ქეცბაია, (2023). სუიციდური ცივილიზაციის პერიპეტიები,** თავისუფალ შემოქმედთა გაერთიანების საზოგადოებრივი ჟურნალი „მიჯნა“ #3, 2023 წ. ISSN 2449-237X. 4 გვ.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. სტატიაში შეჯამებულია რელიგიისა და ფილოსფიის ურთიერთმიმართების საკითხი. მასში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისტორიულად ფილოსოფიამ განუზომლად დიდი როლი ითამაშა რელიგიური მსოფლმხედველობის განმტკიცებაში. რელიგიას იმთავითვე ფილოსოფიური შინაარსი ჰქონდა და აქვს. ყველა დროის დიდი ფილოსოფოსები რელიგიური მოაზროვნეები იყვნენ. ისიც ცნობილია, რომ ფილოსოფია და რელიგია ძალიან ხშირად ერთმანეთს იმდენად ერწყმოდა, რომ მათი ცალ-ცალკე წარმოდგენა შეუძლებელი ჩანდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამის საილუსტრაციოდ ჰეგელის ფილოსოფიაც კმარა. რელიგია და რელიგიურობა ადამიანის სულის განუყრელი თვისებაა. თვითონ ათეისტებიც კი, დიდი მცდელობის მიუხედავად, მას ბოლომდე თავს ვერ აღწევენ. ფილოსოფია ადამიანის სულიერების ამ ფუნდამენტური სფეროს ერთგული და საიმედო თანამგზავრია; ეს არის მისი ერთ-ერთი დიდი დამსახურება, რაც უდავოს ხდის ადამიანისათვის მის საჭიროებასა და აუცილებლობას.

2. ფილოსოფიური ხასიათის სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კაცთა მოდგმის ისტორია, სხვა არაფერია თუ არა სრულყოფილებისაკენ სწრაფვა. ინდივიდუალურ, პიროვნულ დონეზე ეს სრულყოფილი კაცის ძიებაა. ნამდვილი სრულყოფილება მხოლოდ ქრისტეა - საკვირველი ღმერთკაცი, სრულყოფილი სიკეთე. იგი ყველანაირად - ადამიანურად და ღვთაებრივად რეალურია. მასზე უფრო სრულყოფილი კაცის წარმოდგენა შეუძლებელია. ის არის ის სრულყოფილი ადამიანი, რომელსაც კაცთა მოდგმა, ადამიანური აზროვნება და შემოქმედება, ფილოსოფია, რელიგია და ხელოვნება, გული და გონება გამუდმებით ეძებს. ამიტომ ცივლიზაციისა და კულტურის განვითარებაში პირველ ადგილზე უნდა იდგეს ღმერთი, მერე ადამიანი. დროა ღმერთის გარეშე დარჩენილმა კულტურამ, მეცნიერებამ, ტექნიკამ, პოლიტიკამ, ეკონომიკამ,

მოდამ, მედიამ და მთლიანად კაცობრიობამ ყოველივე ეს გააცნობიეროს და სათანადო დასკვნები გამოიტანოს.

3. სტატიაში თანამედროვე ცივილიზაციის უმთავრესი ექზისტენციალური პერიპეტიებია გადმოცემული, რომლის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ სახეზეა ცივილიზაციის ახალი ტიპი, რომელსაც იგი სუიციდურს უწოდებს. ავტორის აზრით, ონტოლოგიურ სტატუსს მოკლებულმა ცივილიზაციამ ამოწურა თავისი თავი და საზოგადოებისა და ცივილიზაციის ახალი ტიპი გაჩნდა, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ სუიციდური. შექმნილ ვითარებაში საკითხავია სადამდე მივა თვითმკვლელი ცივილიზაცია და რას მოუტანს მას „ხარაკირი“?

**ანა დიაკონიძე**

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Ana Diakonidze; Internalising precariousness: experiences of Georgian platform workers.

DOI: https://doi.org/10.1177/10242589231186963

TRANSFER: European Review of Labour and Research

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. სტატიის მიზანია კრიტიკულად შეაფასოს პლატფორმული სამუშაოს პრეკარულობა განვითარებადი ეკონომიკის კონტექსტში. BOLT-ის აპლიკაციით მომუშავე 40 მძღოლ-პარტნიორთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე სტატია განიხილავს იმ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ მშრომელებს შორის აღნიშნული ტიპის დასაქმების პრეკარულობის ბუნებრივ მოცემულობად აღქმას. პლატფორმული შრომა საქართველოში (ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში) აკმაყოფილებს „პრეკარული შრომის“ განსაზღვრებას - შრომითი უფლებების მუდმივი დარღვევა, დასაქმების გარანტიების ნაკლებობა/სიმწირე, არასტაბილურობა და ა.შ. კვლევამ აჩვენა, რომ ქართველი პლატფორმული მუშაკები, მართალია, კარგად აცნობიერებდნენ თავიანთი შრომის პრეკარულობას, თუმცა ამავდროულად სრულიად „ბუნებრივად“ მიიჩნევდნენ ამას. სტატიას შემოაქვს „პრეკარულობის ინტერნალიზების“ გაგება, რომელიც აღნიშნავს ისეთ მდგომარეობას, როდესაც მშრომელი შრომითი ურთიერთობის პრეკარულ ბუნებას მოცემულობად აღიქვამს. კვლევამ აჩვენა, რომ ქართველ პლატფორმულ მუშაკებში პრეკარულობის ინტერნალიზების ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორებია ტრადიციულ, ფორმალურ შრომის ბაზარზე პრეკარული შრომითი პირობების დომინაცია და სოციალური უსაფრთხოების (დაცვის) ნაკლებობა. უფრო მეტიც, დაქირავებით დასაქმებულთა უმეტესი ნაწილისთვის იმდენად მწირია სოციალური დაცვის გარანტიები და იმდენად მცირეა ანაზღაურება, რომ მასთან შედარებით პლატფორმული შრომა, რომელიც მეტი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობას იძლევა, სრულიად მისაღები აღმოჩნდა ქართველი სამუშაო ძალისთვის, მიუხედავად მისი პრეკარული ბუნებისა.

ფორმა №2

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** - - - - - - - - - - - - - - - - - -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება** - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური მიმართულება
**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით** - - - - - - - - -

რევაზ ჯორბენაძე - პროფესორი, მიმართულების ხელმძღვანელი
ნოდარ ბელქანია - პროფესორი
მარინა მუსხელიშვილი - პროფესორი
გუგული მაღრაძე - პროფესორი
მედეა ბადაშვილი - ასოცირებული პროფესორი
ჯაბა უროტაძე - ასოცირებული პროფესორი
ზურაბ აბაშიძე - ასოცირებული პროფესორი
თამარ ვეფხვაძე - ასოცირებული პროფესორი
ფარცხალაძე ნათელა-ასოცირებული პროფესორი
თეონა მატარაძე - ასოცირებული პროფესორი
ლაშა ტუღუში - ასისტენტ-პროფესორი

**მედეა ბადაშვილი**

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. რუსეთისა, აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის ცენტრი და ილინოისის უნივერსიტეტის სლავური საცნობარო სამსახური ურბანა-შამპეინში

50-ე ყოველწლიური საზაფხულო კვლევითი ლაბორატორია (SRL). პროგრამა ჩატარდა 2023 წლის 12 ივნისიდან 4 აგვისტომდე. ნაწილობრივ დაფინანსებული იყო აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მე-VIII პროგრამის მიერ, SRL პროგრამა უზრუნველყოფს კვლევით მხარდაჭერას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში და ყოფილი საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელ სახელმწიფოებში; ივნისი-აგვისტო, 2023

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

პროექტის ხელმძღვანელი-მედეა ბადაშვილი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მე მქონდა პატივი მიმეღო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სტიპენდია და მონაწილეობა მივიღე 2023 წლის საზაფხულო კვლევით პროექტში

ილინოისის უნივერსიტეტში, ქალაქ ურბანაში - შემფეინში, 2023 წლის 14-21 ივნისს.

ჩემი ყოფნის პერიოდში დავესწარი სემინარებს, ვიმუშავე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, წარმოვადგინე ჩემი კვლევის პროქტი - „ომი უკრაინაში: სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები და მათი გავლენა ქართულ საზოგადოებაზე“, მივიღე ძალიან მნიშვნელოვანი შენიშვნები და რეკომენდაციები. კვლევა უკვე ჩატარებულია, სტატიის წერის პროცესში ვიმყოფები.

ვრცელი ანოტაცია

1. კვლევა ჩატარდა ტეხასის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ერთად 2019 წელს საქართველოში და ტეხასის შტატში. კვლევის მიზანს წარმოადგენდა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხების შესწავლა და შედარება საქართველოსა და ტეხასის შტატში. ნაშრომში შევისწავლეთ და განვიხილეთ რა როლს ასრულებს სამედიცინო დაწესებულებების ადგილმდებარეობა, რამდენად მისაწვდომია ფართო საზოგადოებისათვის და გავლენას ახდენს თუ არა გეოგრაფიული მდებარეობა ადამიანების ნდობაზე. ამ ნაშრომში ჩვენ განვიხილეთ, შეუძლია თუ არა სამედიცინო დაწესებულებებთან და პროფესიონალებთან მანძილის შემცირებამ დედატა ჯანდაცვის სისტემისადმი ნდობის გაუმჯობესება. საქართველოში კვლევა გაკეთდა სამედიცინო სისტემაში ცვლილებებზე ფოკუსირებით, რაც აისახა 2013 წლიდან მთავრობის მხრიდან არა მეტი ობიექტების აშენებით/ ან მეტი პერსონალის დაქირავებით, არამედ ეროვნული ქსელის არსებული ობიექტების და პროფესიონალების განახლებითა და დაფინანსებით ადგილობრივ დონეზე სერვისის უზრუნველყოფის უკეთ კოორდინირებისთვის. რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგად, ჩვენ შევადარეთ GPS კოორდინატები მანძილის გასაზომად და გამოვიყენეთ რეგრესიის ანალიზი იმის დემონსტრირებისათვის, თუ როგორ აუმჯობესებს სისტემისადმი ინსტიტუციურ ნდობას წვდომა დედათა და ბავშვთა ჯანდაცვაზე საჭირო ყველა ადგილას და დროს. კვლევის შედეგების გამოყენება და გამოქვეყნება ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა არა მხოლოდ მკვლევართა ჯგუფისთვის, არამედ მოხდა მონაცემების განზოგადდება როგორც საქართველოს დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სისტემისთვის, არამედ ჩვენი ამერიკელი კოლეგებისთვისაც.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. მედეა ბადაშვილი/ირმა გრძელიძე/ეკატერინე ფირცხალავა /მ.გოგნელაშვილი/ ზ,ქიტიაშვილი/ რ,სანაძე/ს.იდაძე

„ოჯახური ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებებისა და მხარდაჭერის შესწავლა“,

განათლების, კვლევისა და ინოვაციების (ICERI-2023) მე-16 წლიური საერთაშორისო კონფერენცია,

13-15 ნოემბერი, ქ. სევილია, ესპანეთი უნივერსიტეტის მესამე მისიის პილოტური აქტივობის ფარგლებში განხორციელებული პროექტი

„Study on the Needs and Support of the Victims of Domestic Violence and Violence Against Women“ – Third Mission Pilot Activity Conducted in the Framework of Erasmus+ Co-Funded Capacity Building in Higher Education Project-SQUARE; Appears in: ICERI2023 Proceedings

https://iated.org/concrete3/paper_detail.php?paper_id=107974

2. მედეა ბადაშვილი/ეკატერინე ფირცხალავა / ი. შანავა

„ქართველი მიგრანტები დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში: ადაპტაციის შემთხვევები“

კროს-კულტურული ფსიქოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის 27-ე რეგიონულ ევროპული კონფერენცია

31 ივლისი - 5 აგვისტო, 2023 - ლიმერიკის უნივერსიტეტი, ქ. ლიმერიკი, ირლანდია

“Georgian Migration in Western Europe and in the USA: the Cases of Adaptation” the 27th Regional European Conference of the International Association for Cross-Cultural Psychology- organized by the Department of Psychology of the University of Limerick, Ireland

3. მედეა ბადაშვილი/ეკატერინე ფირცხალავა; „ადამიანური აგენტობა (უნარი შექმნას საკუთარი სუბიექტურობა) მიგრაციაში: მიგრაციის გავლენა სოციალურ და კულტურულ იდენტობაზე“

ინტერდისციპლინარული სოციალური მეცნიერებების მეთვრამეტე საერთაშორისო კონფერენცია, 19-21 ივლისი, ოქსფორდ ბრუქსის უნივერსიტეტი, ქ. ოქსფორდი, დიდი ბრიტანეთი

“Human Agency in Migration: its impact on social and cultural identity”

Eighteenth International Conference on Interdisciplinary Social Sciences. Oxford Brookes University. Oxford, United Kingdom of Great Britain and Northern Ireland

**ნათელა ფარცხალაძე**

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Partskhaladze, N. & Shatberashvili, N. (2023). History of Social Work Development in Georgia. Social Work Experience and Methods, 29 (1)

Socialinis Darbas. Patirits Ir Metodai. Vilnius, Lithuania - ISSN 2029-0470 / ISSN 2029-5820

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სოციალური მუშაობის პროფესიის დაარსება დამოუკიდებელ საქართველოში ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს დაიწყო და უკავშირდებოდა ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმასა და ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზების პროცესს. სტატიაში განხილულია ამ პროცესის ძირითადი ეტაპები, მიღწევები და გამოწვევები, რომლებმაც განსაზღვრა სოციალური მუშაობის განვითარების ტრაექტორია.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Partskhaladze, N. International Conference on Social Work and Social Research. Financial Capability and Asset Building for All. Online presentation on Implementation of New Service for Elderly in Georgia (Partskhaladze, Sadzaglishvili, Gigineshvili). Baku, Azerbaijan. 24-25 November, 2023

2. Partskhaladze, N. 6th International Conference on Practice Research in Social Work 2023. Presentation on Quality of Life as a Measurement of Achieving SDGs. Aalborg, Denmark. 7-9 June, 2023

3. Partskhaladze, N. Summit 2023 – “Starting A New Chapter in Hong Kong Social Welfare.” Poster presentation on Social Protection System in Georgia. Hong-Kong. 29 May, 2023

მოხსენების ანოტაცია

1) 2014 წლის აღწერის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 14.3 პროცენტი ხანდაზმულია, ხოლო 3.1 პროცენტი, 80 წელზე უფრო დიდი ასაკისაა. ქვეყანაში ხანდაზმულთა წილის ზრდის ფონზე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მათ ცხოვრების ხარისხზე ზრუნვა. კვლევის მიზანია ხანდაზმულთა დღის ცენტრების მომხმარებელი პირების ცხოვრების ხარისხის კვლევა.

2) ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმის ფარგლებში, საქართველოში დაიხურა ბავშვთა რეზიდენტული დაწესებულებები და მოხდა იქ მცხოვრები პირების დეინსტიტუციონალიზება. წარმოდგენილი კვლევის მიზანია ოჯახებში დაბრუნებული ბავშვების ცხოვრების ხარისხის შედარება, დაწესებულებების დახურვამდე იქ მცხოვრები ბავშვების ცხოვრების ხარისხთან. პრეზენტაციაში ასევე საუბარია ათასწლეულის მიზნების მისაღწევად ცხოვრების ხარისხის გაზრდის მნიშვნელობაზე.

3) დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში დაიწყო სოციალური დაცვის სისტემისა და ბავშვთა კეთილდღეობის სისტემების რადიკალური რეფორმა. პრეზენტაციაში საუბარია საქართველოში დემოგრაფიული სტრუქტურის ცვლილებასა და სოციალური დაცვის სისტემის ძირითადი კომპონენტების შესახებ.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

გაეროს ბავშვთა ფონდი და სოციალური მომსახურებების გლობალური ალიანსი (2023). სოციალური მომსახურებების მუშაკთა დატვირთვის განსაზღვრის სახელმძღვანელო. UNICEF ნიუ იორკი - თანაავტორი

**თეონა მატარაძე**

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Mataradze, T., & Kaplanishvili, A. (2023). Youthful Perspectives: National Identity Trends in Georgia's Gen Z. Georgian Scientists, 5(4), 226–252. https://doi.org/10.52340/gs.2023.05.04.21

თეონა მატარაძე, ანნა ყაფლანიშვილი, 2023. ახალგაზრდული პერსპექტივა: საქართველოს თაობა Z-ის ეროვნული იდენტობის ტენდენციები. https://doi.org/10.52340/gs.2023.05.04.21; ქართველი მეცნიერები, 5(4), 226–252.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მეორეული რაოდენობრივი მონაცემების, 2023 წლის მარტის აქციების მოხსენებების და სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილ სტატიაში განხილულია თაობა Z-ის (18-26 წწ-ის ფრაგმენტი) ეროვნული იდენტობის მახასიათებლები. ქართული ნაციონალიზმის განვითარების კონტექსტისა და თაობათაშორისი განსხვავებების საერთაშორისო ტენდენციების განხილვის შემდეგ, სტატიაში წარმოჩენილია ინტერნეტითა და გლობალური კავშირით გაჯერებულ სამყაროში დაბადებული თაობის მიერ ქართველობის, საქართველოს მოქალაქეობის და ერი-სახელმწიფოს აღქმა. კვლევა ავლენს თაობათა ცვლის პარალელურად ნაციონალიზმის სახეცვლილებას და ახალი თაობისთვის დამახასიათებელ ეროვნულ მარკერებს. Z თაობისთვის გლობალურად დამახასიათებელი ტენდენციების მსგავსად, ქართველ ახალგაზრდებში ვლინდება თანასწორობის გაძლიერებული განცდა, ინკლუზიურობისადმი მიდრეკილება, პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ სკეპტიციზმი და ლიბერტარიანული იდეოლოგიისთვის უპირატესობის მინიჭების ტენდენცია. ინტერნეტისა და სოციალური მედიის ეპოქაში გაზრდილი Z თაობა ნაკლებად ენდობა მედიას და ფართოდ გავრცელებული დეზინფორმაციის პირობებში ხაზს უსვამს

ინფორმაციის გადამოწმების აუცილებლობას. თაობა Z იზიარებს გლობალურ მსოფლმხედველობას, გამოირჩევა საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ ნდობითა და ერი-სახელმწიფოს მნიშვნელობის გააზრების კვალდაკვალ ხაზს უსვამს NATO-სა და ევროკავშირში გაწევრიანების მნიშვნელობას. მსოფლიოს ახალგაზრდების მსგავსად, ქართველ თაობა Z-ში მცირდება რელიგიურობის დონე, თუმცა რელიგიური ინსტიტუტები კვლავ ახერხებენ ნდობის მანდატის შენარჩუნებას. მიუხედავად ამისა, მართლმადიდებლობა აღარ აღიქმება ეროვნულობის მარკერად. ეთნიკური ნაციონალიზმიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისაკენ გადახრის მაჩვენებლებია: სამოქალაქო აქტივიზმის, პროტესტის მნიშვნელობის, ქართველობასა და საქართველოს მოქალაქეობას შორის განსხვავების შემცირების და ეთნიკური უმცირესობების ერის განუყოფელ ნაწილად აღიარების ტენდენციები. სამოქალაქო დემონსტრაციების დროს გამოვლენილი ცალკეული ნიშნებია: ქართველი ხალხისადმი მყარი მიჯაჭვულობა; საბჭოთა კავშირისა და რუსეთის მტრის ხატი; ემოციური კავშირი ისეთ ეროვნულ სიმბოლოებთან, როგორებიცაა რუკა, დროშა, ქართული ეროვნულ განმათავისუფლებელი გმირები და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ისტორია. ამდენად, წარმოდგენილი სტატია ემსახურება ქართული იდენტობის ფორმირების შესახებ დისკურსის გამდიდრებას პრემორდიალისტურიდან კონსტრუქტივისტული ტენდენციების გაჩენაზე ხაზგასმით. გამოვლენილი ეროვნული მარკერები - სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა, რუსეთის მტრის ხატი და საქართველოს სიმბოლოებთან ემოციური კავშირი - თაობა Z-ის ეროვნული იდენტობის მატერიალიზებული გამოხატვაა და მათთვის სიამაყის წყაროს წარმოადგენს.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

1. Rano Turaeva, Teona Mataradze, Wladimir Sgibnev and Zarina Adambussinova. 2023. Mining cities in Central Asia and the South Caucasus: survival strategies under conditions of extreme peripheralization (Introduction) pp. 7-13 https://nbn-resolving.org/urn:nbn:de:0168-ssoar-85231-7

რანო ტურაევა, თეონა მატარაძე, ვლადიმირ სგიბნევ და ზარინა ადამბუსინოვა. 2023. ცენტრალური აზიისა და კავკასიის სამთამადნო ქალაქები: გადარჩენის სტრატეგიები უკიდურესი პერიფერიალიზაციის პირობებში. შესავალი. გვ. 7-13 (შრომათა კრებულში თავი).

2. Teona Mataradze, 2023. Comparative overview of survey data from three mining cities. In: Mining cities in Central Asia and the South Caucasus: survival strategies under conditions of extreme peripheralization. Pp. 14-28.

თეონა მატარაძე. 2023. სამი სამთამადნო ქალაქის შედარებითი ანალიზი. გვ. 14-28 (შრომათა კრებულში თავი).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1) საბჭოთა კავშირის დაშლა არაპროგნოზირებადი იყო და მას მძიმე და ფართომასშტაბიანი შედეგები მოჰყვა, არა მხოლოდ ცალკეულ ინდივიდის ცხოვრებაში, არამედ ურბანულ დასახლებებში, რომლებიც ისინი თითქმის ნანგრევებად იქცნენ (Siegelbaum 1997). ახლადშექმნილი პოსტსოციალისტური ქვეყნების ეკონომიკა და პოლიტიკა სწრაფი ცვლილებებითა და არასტაბილურობით ხასიათდებოდა, ამ პროცესში კი შეიქმნა მარგინალიზებული სივრცეები და მონოინდუსტიური ქალაქები ტრანზიციის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. ამ პროცესმა დიდი გავლენა მოახდინა სამთამადნო ქალაქებზე: დასაქმების შესაძლებლობებზე, ინფრასტრუქტურაზე, ინდუსტრიაზე და ყოველდღიურ ცხოვრებაზე. პოსტსოციალისტური ქვეყნების სამთამადნო ქალაქებისთვის დამახასიათებელია შემცირება (Shrinking) სხვადასხვა მიმართულებით, ეს არის დემოგრაფია, სამთომადნო მოპოვება, ინვესტიცია, ინფრასტრუქტურა თუ ამ ქალაქების პოლიტიკური მნიშვნელობა. სამუშაო პირობები რადიკალურად გაუარესდა, შემცირდა ანაზღაურება, გაუარესდა უსაფრთხოება, რადგან შახტები კერძო საკუთრებაში გადავიდა და მათ მფლობელებს მასშტაბური სარემონტო თუ აღდგენითი სამუშაოების გატარება არ შეეძლოთ. არასაკმარისი მუნიციპალური თანხების გამო ადგილობრივი საქალაქო თვითმმართველობები უფრო მეტად დამოკიდებული გახდა სამთამადნო

კომპანიებზე. სამთამადნო კომპანიები კი ქალაქისთვის ძლიერ პოლიტიკურ ძალაუფლების მატარებლებად იქცა, რომლებზეც ქალაქის ბედ-იღბალი იყო დამოკიდებული. კრებულის შესავალ ნაწილში განხილულია სამი შემთხვევა: საქართველოდან - ქალაქი ჭიათურა, ტაჯიკეთიდან - ქალაქი შურაბი და ყაზახეთიდან - ქალაქი ჯანატასი. აღნიშნული ქალაქებისათვის დამახასიათებელია უკიდურესი პერიფერიალიზაცია, დემოგრაფიული და ეკონომიკური ვარდნა, ინფრასტრუქტურის გაუარესება და მზარდი სტიგმატიზაცია. კვლევისას მთავარი კვლევითი კითხვა იყო, სამთამადო საქმიანობის შემცირების პარალელურად რა გადარჩენის სტრატეგიები შეიმუშავა ადგილობრივმა მოსახლეობამ. კვლევამ აჩვენა, რომ სამთამადნო ინდუსტრია აღარ არის მთავარი ეკონომიკური მხარდამჭერი ადგილობრივებისთვის და მათი თავის გატანა დამოკიდებულია მრავალფეროვან და ინოვაცურ აქტივობებზე, რომელთა შორისაა მიგრაცია, საჯარო სამსახურში დასაქმება, ვაჭრობა, მეწარმეობა და არაფორმალურ სექტორში დასაქმება.

2) ანოტაცია: შედარებითი ანალიზი ეყრდნობა რაოდენობრივი კვლევის შედეგებს, რომელიც ჩატარდა სამ სამთამადნო ქალაქში ერთმანეთის პარალელურად (საქართველოში, ქალაქი ჭიათურა, ტაჯიკეთში, ქალაქი შურაბი და ყაზახეთში ქალაქი ჯანატასი). მოსამზადებელ ეტაპზე შემუშავდა სტრუქტურირებული საერთო კითხვარი, მოხდა კითხვარის პილოტური შემოწმება. ჭიათურაში ჩატარდა 281 პირისპირი ინტერვიუ, ჯანატასში 151, ხოლო შურაბში 100. მონაცემები დამუშავდა SPSS-ს პროგრამით.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სამ ქალაქს შორის შურაბის ეკონომიკური მდგომარეობა და შინამეურნეობების შემოსავალი ყველაზე დაბალია, თუცა დემოგრაფიული სურათი დამაკმაყოფიილებელი. ქალაქების მოსახლეობის განათლების პროფილი შეესაბამება ქვეყნების მონაცემებს. უმუშევრობა მაღალია ყველა ქალაქში, თუმცა განსაკუთრებით მაღალი შურაბშია. შინამეურნეობების ბიუჯეტი არ არის მხოლოდ ხელფასზე დამოკიდებული, არამედ ივსება მიგრანტთა გზავნილებით, პენსიით, სოციალური დახმარებით თუ არაფორმალური შემოსავლებით. ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაცია მაღალია შურაბსა და ჭიათურაში. თუ ცენტრალურ აზიაში მიგრანტები ძირითადად მამაკაცებია და მათ იშვიათად თან მიჰყავთ ქალები, ჭიათურაში ქალთა მიგრაცია უფრო გავრცელებული პატერნია. ჭიათურაში მიგრანტების დიდი ნაწილი შუა ასაკისაა, მაშინ როცა ცენტრალურ აზიაში ახალგაზრდა მამაკაცების მიგრაცია უფრო გავრცელებულია. კვლევამ აჩვენა, რომ დასაქმების სტატუსი მიგრაციას არ აფერხებს, რადგან ფორმალური დასაქმებიდან შემოსავლები ძალზე დაბალია. საბჭოთა საბინაო პოლიტიკის შედეგად სამთამადნო ქალაქის მაცხოვრებლების უმრავლესობას კერძო საკუთრებაში აქვს ბინა ან სახლი, თუმცა პოსტსოციალისტურ ხანაში საბინაო პირობები უკვე გაუარესებულია და მისი გაუმჯობესებისთვის ეკონომიკური რესურსი ნაკლებად აქვთ. ყველა სამთამადნო ქალაქის ინფრასტრუქტურა გაუარესებულია, გზები, სატრანსპორტო სისტემა, განათება, კანალიზაცია, წყალი, ისევე როგორც კულტურული დაწესებულებების ინფრასტრუქტურა. მოსახლეობის ურბანული კმაყოფილების დონე კორელაციაშია ქალაქის ინფრასტრუქტურასთან, ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობასა და ადგილთან ემოციურ მიჯაჭულობასთან. ამიტომაც ჯანატასის მაცხოვრებლები უფრო კმაყოფილნი არიან ქალაქით, შემდეგ კი ჭიათურის მცხოვრებნი; შურაბის მკვიდრნი ყველაზე უკმაყოფილონი არიან საქალაქო ცხოვრებით. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური აზიისა და კავკასიის სამთამადნო ქალაქები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მათ მაინც აღენიშნებათ საერთო ნიშნები, რაც პირველ რიგში არის სოციალიზმის პირობებში ძლიერი ეკონომიკა, რომელიც პოსტსოციალიზმის დროს განადგურდა. მიუხედავად იმისა, რომ საქალაქო ეკონომიკის ცენტრალური წამყვანი კვლავ სამთომოპოვებაა, ამ ინდუსტრიიდან შემოსავალი აღარ წარმოადგენს შინამეურნეობების ძირითადი შემოსავლის წყაროს. განათლების მაღალი ცენზის მქონე რესპონდენტები უფრო სკეპტიკურად უყურებენ ქალაქების მომავალს და უფრო უკმაყოფილონი არიან ურბანული გარემოთი; თუმცა ქალაქში ოჯახის ცხოვრების ხანრგძლივობა გავლენას ახდენს განწყობაზე. იმ შემთხვევაში თუ ოჯახის რამდენიმე თაობა სამთამადნო ქალაქში ცხოვრობს, მათი ლოალობა ქალაქის მიმართ, კმაყოფილება და მომავლის პერსპექტივა უფრო პოზიტიურ ტენდენციას აჩვენებს.

ფორმა №2

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** - - - - - - - - - - - - - - - - - -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება** - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით** - - - - - - - - -

მალხაზ მაცაბერიძე - პროფესორი, მიმართულების ხელმძღვანელი
ალექსანდრე კუხიანიძე - პროფესორი
კორნელი კაკაჩია - პროფესორი
ავთანდილ ტუკვაძე - ასოცირებული პროფესორი
სალომე დუნდუა - ასოცირებული პროფესორი
ზვიად აბაშიძე - ასოცირებული პროფესორი
თამარ ქარაია - ასისტენტ- პროფესორი
გიორგი მელიქიძე - ასისტენტ-პროფესორი
ვალერიან დოლიძე - ასისტენტ-პროფესორი
ვლადიმერ ნაფეტვარიძე- ასისტენტ-პროფესორი
სანდრო ტაბატაძე-ასისტენტ-პროფესორი

**ალექსანდრე კუხიანიძე**

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **კუხიანიძე ალექსანდრე, კუხიანიძე ნინო;** Crime and Corruption in Soviet and Post-Soviet Russia. თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალი "გარემო და საზოგადოება**,“ 12 გვ., *ISSN 2667-9620.* (2023).

2. **Kukhianidze, A.** (2023). The Armenian and Azeri Communities in Georgia: On Georgia's Nationalities and Foreign Policies. In *Commonwealth and Independence in Post-Soviet Eurasia*. Coppieters, B., Zverev, A., and Trenin, D. (Eds.). First published in 1998 in Great Britain by Frank Cass Publishers. This edition first published in 2023 by Routledge in New York. ISBN: 978-1-003-34037-9 (Volume 5) (ebk), DOI: 10.4324/9781003340379, გვ. 111-124. (2023).

*ვრცელი ანოტაცია*

1. ეს ნაშრომი აანალიზებს სახელმწიფო ტერორს, ორგანიზებულ დანაშაულს და კორუფციას საბჭოთა პერიოდში, 1917 წლიდან 1991 წლამდე, ისევე როგორც რუსეთის პირველი პრეზიდენტის ბორის ელცინის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდს 1991-1999 წლებში. ეს ხელს უწყობს ვლადიმერ პუტინის ხელმძღვანელობით თანამედროვე რუსული სახელმწიფოს ჩამოყალიბების წინაპირობების უკეთ გააზრებას.

დღეს სხვადასხვა მკვლევარი რუსეთის ფედერაციას მაფიოზურ, კრიმინალურ ან განგსტერულ სახელმწიფოდ მიიჩნევს. სტატია გვეხმარება იმის გაგებაში, რომ პუტინიზმი არ აღმოცენებულა არსაიდან, მისი ფესვები საბჭოთა და პოსტსაბჭოთა წარსულში უნდა ვეძიოთ.

საბჭოთა პერიოდში სახელმწიფო ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის საკითხების განხილვა შეზღუდული იყო და ინფორმაცია კონტროლდებოდა. ამ პრობლემების მასშტაბები უფრო აშკარა გახდა 1991 წლის დეკემბერში სსრკ-ს დაშლის შემდეგ, როდესაც არქივები გაიხსნა და მეცნიერებმა უფრო მეტი წვდომა მიიღეს ადრე საიდუმლო ინფორმაციაზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ პრობლემების ნაწილი შენარჩუნდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებში და ნაწილობრივ საქართველოში განხორციელდა პოზიტიური ცვლილებები. დღეს კორუფცია და კრიმინალი განსაკუთრებით მნიშვნელოვან პრობლემად რჩება რუსეთის ფედერაციაში.

2. ეს თავი აანალიზებს საქართველოში სომხური და აზერბაიჯანული თემების მდგომარეობას, ამოსავალ პუნქტად აღებულია საქართველოს ნეიტრალიტეტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტში. ავტორი განიხილავს როგორც საქართველოს საგარეო პოლიტიკას, ასევე მის პოლიტიკას ეროვნული უმცირესობების მიმართ. თავში გაანალიზებულია გეოპოლიტიკური ვითარება კავკასიაში, საქართველოს ინტერესები რუსეთს, ირანს, თურქეთსა და დასავლურ ძალებს შორის გლობალურ კონკურენციაში და საქართველოს პოლიტიკა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის ჭრილში. გამოკვლეულია აზერბაიჯანულ და სომხურ უმცირესობებსა და საქართველოს ხელისუფლებას, აგრეთვე თვით ამ უმცირესობებს შორის ურთიერთობები.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ალექსანდრე კუხიანიძე;** საუნივერსიტეტო განათლების როლი კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის პრევენციაში. (The Role of University Education in Preventing Corruption and Organized Crime.) 4th Anti-Corruption Academic Symposium. Atlanta, United States of America, 9-10 December 2023.

***მოხსენების ანოტაცია***

საუნივერსიტეტო განათლება აუცილებელია კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის პრევენციისთვის. იგი ხელს უწყობს არა მხოლოდ დემოკრატიული ღირებულებების, პატიოსნებისა და გამჭვირვალობის კულტურის ჩამოყალიბებას პროფესორ-სტუდენტებს შორის, არამედ ამ კულტურის გავრცელებას უნივერსიტეტების გარეთაც. ანტიკორუფციული ცოდნის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესია ქცევის ანტიკორუფციული წესების დანერგვა, კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის პრევენციის კურსების სწავლება, აკადემიური დისკუსიები და კონფერენციები, აგრეთვე კვლევითი და სასწავლო ცენტრების შექმნა, რომლებშიც მონაწილეობენ პროფესორები და სტუდენტები. უნივერსიტეტების მჭიდრო თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასთან და საშუალო სკოლებთან, ხელს უწყობს საზოგადოებაში უნივერსიტეტებში შეძენილი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გავრცელებას. ამრიგად, არსებითია უნივერსიტეტების წვლილი საზოგადოების სტაბილურობაში და მოქალაქეების უსაფრთხოებაში.

საქართველო ერთ-ერთია იმ ქვეყნებს შორის, სადაც კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის დონე უკიდურესად მაღალი იყო. თუმცა, ანტიკორუფციული და ანტიკრიმინალური რეფორმების შედეგად ქვეყანამ სერიოზული პროგრესი განიცადა და დღეს ითვლება ერთ-ერთ ქვეყნად, სადაც კორუფცია დაბალია და ორგანიზებული დანაშაული თითქმის არ არის. ამ მხრივ, საქართველო არის ევროპის ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა. უმაღლესი განათლების რეფორმამ საქართველოში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მძიმე კრიმინალური მემკვიდრეობის დაძლევაში.

**ავთანდილ ტუკვაძე**

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ავთანდილ ტუკვაძე; „ინტელექტუალური ელიტის როლი პოლიტიკური ტრანსფორმაციის პროცესში“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორ რევაზ გაჩეჩილაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“ 2023, 21–22 ივნისი.

**სალომე დუნდუა**

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. სანდრო ტაბატაძე, სალომე დუნდუა, ქეთევან ჭკუასელი (2023) Liberal-democratic Values and Secondary School: The Case of Georgia, Journal of Eurasian Studies. SAGE Publications, Vol. 14, issue 1, p. 67-81, https://doi.org/10.1177/1879366522113430

2. სანდრო ტაბატაძე, სალომე დუნდუა (2023), What Makes Education Policy Transfer Successful? The Case of the National Assessment and Examination Center of Georgia, Transylvanian Review of Administrative Sciences, Vol. 19, issue 68 gv. 114-131, DOI: http://dx.doi.org/10.24193/tras.68E.7

3. სანდრო ტაბატაძე,სალომე დუნდუა (2023), Education Policy Transfer and Policy Change: Examining the Case of the National Assessment and Examination Center of Georgia, Research in Educational Administration and Leadership, vol. 8, issue 1, pp. 188-221. https://doi.org/10.30828/real.1156035

4. ს.დუნდუა, თ.ქარაია, ს.ტაბატაძე (2023), THE STRATEGY PECULIARITIES IN THE PROTEST FOR SAVING URBAN FABRIC IN TBILISI., Studia Politica: Romanian Political Science Review, Vol. 23, Issue 1, ISSN 1582-4551

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ზოგად განათლებაში ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების შესწავლაზე. პოლიტიკური სოციალიზაციის სოციალური ინტერაქციის მიდგომაზე დაყრდნობით, სტატია აფასებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა პოზიციებს ლიბერალური და დემოკრატიული პრინციპებისა და ღირებულებების მიმართ. კვლევის პროცესში გამოიკითხა 297 მოსწავლე და 121 მასწავლებელი. შედეგები აჩვენებს, რომ მასწავლებლები უფრო ლიბერალურ-დემოკრატიულ პოზიციებს ავლენენ, ვიდრე მოსწავლეები. ასევე, გოგონები ნაკლებად უჭერენ მხარს ავტორიტარულ მთავრობებს და იზიარებენ უფრო ლიბერალურ მიდგომებს, ვიდრე ბიჭები. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება კერძო და საჯარო სკოლების მოსწავლეების შედარებისას. კვლევის პროცესმა ანახა, რომ რაც უფრო

ლიბერალურ-დემოკრატიულ პოზიციებს იზიარებენ რესპონდენტები, მით უფრო სავარაუდოა, რომ „ქართული" და „ლიბერალური" შეუთავსებელია. ასევე, რესპონდენტები, რომლებიც საქართველოს დემოკრატიულ ქვეყნად აღიქვამენ და უფრო მეტად ამაყობენ ქართული საზოგადოების წევრებით, იზიარებენ ნაკლებად ლიბერალურ და დემოკრატიულ პრინციპებს და პირიქით. შედეგებისა და დისკუსიის საფუძველზე, ჩამოყალიბებულია ახალი კვლევის კითხვები, რომლებიც ეხება გენდერს, თაობათა განსხვავებას და სკოლის ტიპის მნიშვნელობას. ნაშრომში ნავარაუდებია, რომ მოცემული ასპექტების გათვალისწინებით, მომავალში აღნიშნული საკითხი უფრო ფრთხილად უნდა იქნას შესწავლილი სოციალური ინტერაქციის მიდგომისა და ხარისხობრივი მეთოდებისა და ტექნიკის გამოყენებით

2. განათლების პოლიტიკის შემუშავებაში პოლიტიკის ტრანსფერი შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ პრაქტიკულ ინსტრუმენტად. პროცესის მინუსები და დადებითი მხარეები აშკარად ვლინდება პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, სადაც განათლების სისტემამ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაიწყო ფუნდამენტური ცვლილებები, რომელიც გამოწვეული იყო დონორი ორგანიზაციების მხრიდან გაზრდილი ინტერესით. მოცემული სტატია ეხება განათლების პოლიტიკის ტრანსფერის პროცესის განხილვას საქართველოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მაგალითზე დაყრდნობით. პოლიტიკის გადაცემისა და მონაცემთა ანალიზის შემოთავაზებული ორთოდოქსული ჩარჩო საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ ძირითადი დასკვნები საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად: რა განაპირობებს განათლების პოლიტიკის ტრანსფერის წარმატებულობას? შემაფერხებელი ფაქტორების გარდა, როგორიცაა რთული სოციალურ-კულტურული გარემო და განათლების სისტემის ვერტიკალური ადმინისტრირება, არსებობს რამდენიმე ხელშემწყობი ფაქტორი: მუდმივი პოლიტიკური მხარდაჭერა, მოტივირებული გუნდი, რომელმაც იცის როგორ ააშენოს ორგანიზაციული კულტურა, ეფექტური კომუნიკაცია ყველა დაინტერესებულ მხარესთან, გრძნობს ადგილობრივ კონტექსტს და ცდილობს შექმნას საგარეო პოლიტიკის გადაცემის ქსელები. ამ ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორებს შეუძლიათ განათლების პოლიტიკის ტრანსფერი წარმატებული გახადონ. სტატიის მეთოდოლოგიური მიდგომა და დასკვნები შეიძლება გამოიყენონ პოსტსოციალისტური განათლების კვლევის მეცნიერებმა და მის ფარგლებს გარეთ, რომლებიც დაინტერესებულნი არიან განათლების პოლიტიკის ტრანსფერის მიზეზებისა და შედეგების დადგენით.

3. პოლიტიკის ცვლილება თანამედროვე განათლების პოლიტიკის შემუშავების პროცესის განუყოფელი ნაწილია. პოლიტიკის ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ინსტრუმენტით, რომელთაგან ერთ-ერთი პოლიტიკის ტრანსფერია. განათლების პოლიტიკის ცვლილებისა და ტრანსფერის უარყოფითი მხარეები და დადებითი მხარეები სრულყოფილად ჩანს პოსტსოციალისტურ სახელმწიფოებში, რადგან განათლების სისტემა ძირეულად შეიცვალა ტრანსფერის პოლიტიკის და მისი მიზნების, შინაარსისა და ინსტრუმენტების შესაბამისად. სტატია ეხება განათლების პოლიტიკის ტრანსფერისა და ცვლილების პროცესს საქართველოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (NAEC) საფუძველზე. სტატია ცდილობს დაადგინოს კავშირები პოლიტიკის ცვლილებასა და პოლიტიკის ტრანსფერს შორის და გამოავლინოს განათლების პოლიტიკის ცვლილების ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები NAEC-ის შემთხვევაში. შედეგები აჩვენებს, რომ ყველა ხელისშემშლელი ფაქტორი მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია საბჭოთა ინერციასთან და პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობასთან: სოციალური შიშები და ზეწოლა და პოლიტიკის შემუშავების ზეცენტრალიზებული გზა ანელებს განათლების პოლიტიკის გადაცემის გზას. თუმცა, თუ პოლიტიკური, ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერა, როგორც ქვეყნის გარეთ, ისე ქვეყნის შიგნით, ემთხვევა, უფრო სავარაუდოა, რომ განათლების პოლიტიკის ტრანსფერი და ცვლილება წარმატებული იქნება.

4. 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველო ყველა მიმართულებით მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, ისევე როგორც ყველა სხვა პოსტკომუნისტური ქვეყანა. ამიტომ, ამ ფონზე დღის წესრიგში ნაკლებად იდგა ურბანულ და ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე, ეკოლოგიურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შედეგად განხორციელდა სხვადასხვა რეფორმა. სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერების შემდეგ დღის წესრიგში თანდათან დადგა ქალაქების ხელახალი ურბანიზაციის საკითხი. ამავდროულად, მზარდმა ურბანიზაციამ გამოიწვია მწვანე სივრცის

მკვეთრი დეფიციტი და საქართველოში ურბანული მოძრაობების გააქტიურება. ჩვენ შევარჩიეთ საქართველოს დედაქალაქ თბილისში განვითარებული ურბანული მოძრაობის სამი შემთხვევა. „გადავარჩინოთ გუდიაშვილის მოედანი", „დაიცავი ვაკის პარკი" და „არა პანორამა თბილისს!". მიუხედავად იმისა, რომ ეს შემთხვევები თითქმის ერთდროულად მოხდა და მათში ჩართული აქტივისტებიც ერთიდაიგივე იყო, მოძრაობების მიღწევები განსხვავებულია. წარმოდგენილი კვლევა ცდილობს დაადგინოს ის გამოწვევები, რომლებიც წარმოიშვა ურბანული მოძრაობის დღის წესრიგის ფორმირებისას და შეისწავლოს აქტივიზმის სტრატეგია და როგორ იმოქმედა მან მოძრაობების შედეგებზე. სხვადასხვა მეთოდის ტრეანგულაციის გზით - პირველადი და მეორადი წყაროების ანალიზით და ჩართული აქტორების ინტერვიუებით - სტატიაში ვამტკიცებთ, რომ მოძრაობების სტრატეგიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა (თუმცა არა გადამწყვეტი) შესწავლილ სამოქალაქო აქტივიზმში

**თამარ ქარაია**

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. მეხსიერების „დაუსრულებელი" პროექტები თანამედროვე საქართველოში; YS-21-995; 2021-2023წწ

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

**თამარ ქარაია** - პროექტის ხელმძღვანელი

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არსებობდა მოლოდინი, რომ საქართველოც ჩაერთვებოდა მეხსიერების პოლიტიკის იმ „ინდუსტრიაში", რომელიც ამ მიმართულებით კვლევების გააქტიურებას ითვალისწინებდა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე დამოუკიდებელ საქართველოში საბჭოთა კავშირის დისტანცირებასა და სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში წარსული მაგალითების ჩართვა და მისი საჭიროებისამებრ ინტერპრეტაცია ყოველდღიურობის ნაწილს წარმოადგენდა, მაგრამ ეს ასე არ მომხდარა. საქართველოში მეხსიერების პოლიტიკის კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი ასპექტი მისი ეპიზოდური, „დაუსრულებელი" ხასიათია. ყველა ხელისუფლება ააქტიურებდა მეხსიერების კონკრეტულ ვერსიას -„პროექტს"; გვთავაზობდა მის ახლებურ ინტერპრეტაციას შესაბამისი ფაქტების სელექციით, ან ცვლიდა მის მიერვე შემოთავაზებულ ინტერპრეტაციას გარემოებათა ცვლილების შესაბამისად, რაც ამ „პროექტების" კვლევას საინტერესოს ხდის.

განსახილველად წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე არსებული ძირითადი მეხსიერების „პროექტების" შესწავლა. ესენია: „სახელმწიფოებრიობის მშენებლობის თავიდან დაწყება და მიზნების კორექტირება", „უცნობი წარსულის აღმოჩენა და მისი ინტერპრეტაციები", „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შეფასება", „1918-21 წწ. რესპუბლიკის შეფასება" „საბჭოთა ნარატივისგან დისტანცირება", „მსხვერპლის მეხსიერების შექმნა", „დაპირებული ლუსტრაცია", „ჩუმი 90-იანები", „ზვიად გამსახურდიას შეფასება". ეს პროექტები პერიოდულად, სხვადასხვა ინტენსივობით ჩნდება საზოგადოების ცხოვრების დღისწესრიგში, და როგორც წესი, მათ გაჩენას და დამკვიდრების მცდელობებს სხვადასხვა არგუმენტები უძღვის წინ.

განსახილველად წარმოდგენილი პროექტის მიზანია, ზემოთ მოყვანილი კონკრეტული შემთხვევების გაანალიზების საფუძველზე, განსაზღვროს: რა ფაქტორები განაპირობებს საქართველოში მეხსიერების „პროექტების“

„დაუსრულებელ“ ხასიათს და მათ საზოგადოების დღის წესრიგში გაჩენას; როგორ აგებენ ერთიან ე.წ. მასტერ ნარატივს; ასევე შეისწავლის, ამ პროცესის წარმართველ აქტორებს და მათ მონაცვლეობის განმაპირობებელ ფაქტორებს. კვლევა დაფუძნებულია თვისებრივი კვლევის მეთოდებზე. კერძოდ: ე.წ. სამაგიდო კვლევის პირობებში გაანალიზდება ბეჭდური და სოციალური მედიის მასალები, სამთავრობო დოკუმენტები, ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართვები, ინტერვიუები, განცხადებები. ასევე გაანალიზდება ე.წ. „მეხსიერების ადგილები“, რაც მოიცავს დღესასწაულებს, მუზეუმებს, არქივებს და ა.შ. მიღებული მონაცემები გაანალიზდება კრიტიკული დისკურს ანალიზის გამოყენებით, რომლის დროს მთავარი აქცენტი გაკეთდება ვოდეკისულ მიდგომაზე. მონაცემების მოსაპოვებლად ასევე გამოვიყენებთ სიღრმისეული ინტერვიუებს პოლიტიკოსებთან და ექსპერტებთან, რომლებიც ჩართული იყვნენ პოლიტიკის შემუშავების, გადაწყვეტილების მიღებისა და იმპლემენტაციის პროცესში. ხელისუფლების წარმომადგენელთა გამოსვლების, მიმართვების, ინტერვიუების და ა.შ. გასაანაიზებლად გამოვიყენებთ თვისებრივ კონტენტ ანალიზს, რომელიც ოფიციალური დოკუმენტების და ტექსტური, ვიდეო და აუდიო მასალების შინაარსის გაანალიზების საშუალებას იძლევა.

მოცემული კვლევის სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ განსხვავებით ადრე არსებული კვლევებისაგან, ის კონკრეტული ერთი შემთხვევის გაანალიზებას არ ისახავს მიზნად, არამედ კომპლექსური ხასიათისაა და ნარატივების ფორმირება/ტრანსფორმაციის ერთიანი სურათის შექმნას ისახავს მიზნად.

მიღებული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე მომზადდა სტატია, რომელიც გაგზავნილია გამოიცემა მაღალრეიტინგულ რეფერირებად ჟურნალში რედაქტირებისთვის. ასევე მზადდება ქართულენოვანი მონოგრაფია, რომელიც გამოიყენება როგორც ძირითადი სასწავლო მასალა საუნივერსიტეტო კურსის ფარგლებში. ასევე გაკეთდა ორი მოხსენება საერთაშორისო კონფერენციებზე

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ქარაია თ. ჭრიკიშვილი თ,** (2023) ელექტრონული მმართველობა, როგორც მოქალაქეთა ჩართულობის ხელშემწყობი ფაქტორი საქართველოში (Ichange.gov.ge მაგალითზე). პოლიტიკა #4

*ვრცელი ანოტაცია*

საჯარო მმართველობის რეფორმა (PAR) საქართველოში, რომელიც 2015 წელს დაიწყო, თანხვედრაშია ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასა და ევროკავშირში ინტეგრაციასთან. მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის შექმნილია შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლები, www.ichange.gov.ge – ელექტრონული პეტიციის პლატფორმა, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას ელექტრონული მონაწილეობის ხელშეწყობის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ციფრული საშუალებები, ელექტრონული მექანიზმები 21-ე საუკუნეში ამარტივებს მოქალაქეთა ჩართულობას და მეტიც, აძლიერებს ჩართულობის კომპონენტებს, საქართველოში ციფრული ჩართულობა რიგი გამოწვევების წინაშე დგას.

ბოლოდროინდელი კვლევები, საერთაშორისო ინდექსები ცხადყოფს საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარებას. თუმცა, ამის პარალელურად, ელექტრონული მონაწილეობის სიმცირე მიუთითებს www.ichange.gov.ge პლატფორმის ძლიერი მხარეებისა და გამოწვევების კრიტიკული შეფასების აუცილებლობაზე, ასევე, მსგავსი კომპლექსური ანალიზი საშუალებას იძლევა ხელი შეეწყოს ელექტრონულ მონაწილეობასა და მოქალაქეთა ჩართულობას ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესში. ნაშრომში წარმოდგენილია პეტიციების ელექტრონული პლატფორმის ანალიზი სერვისების მიწოდებასთან, ტექნიკურ ასპექტებთან და ელექტრონულ მონაწილეობასთან მიმართებით; წარმოდგენილი კრიტერიუმებით ფასდება

პეტიციების ელექტრონული პორტალის ეფექტურობა მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის კუთხით. აქვე, აქცენტი კეთდება სამთავრობო პლატფორმის ფუნქციონირების კუთხით, არსებული შეზღუდვების მოგვარების მნიშვნელობასა და საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობაზე.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. თამარ ქარაია; „ბუჩამდე უკრაინაში, საქართველოში იყო აფხაზეთი" . რუსეთ უკრაინის ომის გავლენა ომის დანაშაულებების შეფასებაზე აფხაზეთში. 2023 წ. 24-25 დეკემბერი,ლისაბონი, პორტუგალია.

2. თამარ ქარაია; როგორ „განვაარქივოთ" საბჭოთა არქივები საქართველოში; ტარტუ, ესტონეთი; 2023წ

*მოხსენების ანოტაცია*

1) მოხსენება მიზნად ისახავს გაანალიზოს რუსეთ უკრაინის ომის ზეგავლენა საქართველოში კონფლიქტის შეფასებაზე. ეს განსაკუთრებით ეხება აფხაზეთს. ამ შემთხვევის აქტუალიზაცია დაკავშირებულია არასამთავრობო სექტორის მიერ წამოწყებულ კამპანიასთან „ბუჩამდე იყო აფხაზეთი" რომლის ფარგლებშიც ჩატარდა გამოფენები, პრეზენტაციები, მოეწყო ინსტალაციები და ა.შ. აღნიშნულმა კამპანიამ საზოგადოებაში საფუძველი დაუდო დისკუსიას, თუ რა იყო ამ კამპანიის გრძელვადიანი მოსალოდნელი შედეგი და რამდენად შეუწყობდა ის ხელს მშვიდობის მშენებლობას.

მოხსენება რუსტაველის ეროვნული სამეცნირო ფონდის მიერ დაფინასებული პრექტის ფარგლებში განხორციელდა. დაეყრდნო დაახლოებით 18 ნახევრადსტრუქტურირებულ ინტერვიუს.

2) მოხსენება მიზნად ისახავს გაანალიზოს პოსტსაბჭოტა საქართველოში საბჭოთა არქივების მართვის პოლტიკა. გამოკვეთოს ის ძირითადი მახასიათებლები რომელიც მის ცვლილებაზე ახდენს გავლენას. კვლევა დაფუძნებულია თვისებრივ კვლევის მეთოდებზე, კერძოდ ჩატარდა 11 სიღრმისეული ინტერვიუ , ასევე გაანალიზდა მეორადი მასალა.

მოხსენება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინასებული პრექტის ფარგლებში ჩატარდა

**გიორგი მელიქიძე**

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **გიორგი მელიქიძე;** ეფექტიანი გადაწყვეტილებების გამოწვევები: თბილისის მერიის მაგალითზე; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 2023 წლის 22 ივნისი.
2. **გიორგი მელიქიძე;** ტელედემოკრატია: მედიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია საქართველოში, 2023 წლის 17 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*მოხსენების ანოტაცია*

1) საჯარო პოლიტიკა გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული პრობლემის მოგვარების გზას, მეთოდს და საშუალებას. ეფექტიანად შეიძლება მივიჩნიოთ გადაწყვეტილება, რომელიც აგვარებს არსებულ

პრობლემას ან თუნდაც მცირედით მაინც აუმჯობესებს არსებულ მდგომარეობას. ეფექტიანი გადაწყვეტილების მისაღებად საჯარო პოლიტიკაში საჭიროა გადაწყვეტილების მიმღების ხელთ არსებული რესურსები, ცოდნა და გამოცდილება და შესაბამისი ,,თამაშის წესები,“ ხოლო ეფექტიანობის შესაფასებლად უნდა გავითვალისწინოთ სფეროს მახასიათებლები, პრობლემის განვითარების დინამიკა და მოქალაქეთა ჩართულობა პრობლემის მოგვარების პროცესში. ამგვრად, თუკი აქტორებს შეექმნებათ ხელოვნური ბარიერი დაიცვან საკუთარი პოზიცია და წარადგინონ პრობლემის მოგვარების ალტერნატივა, მიღებულ გადაწყვეტილებას ეფექტიანად ვერ განვიხილავთ.

დინებების მოდელი გულისხმობს სამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ დინებას, რომელიც გადადის შესაძლებლობის ფანჯარაში და იქ მიიღება გადაწყვეტილება. აღნიშნულ დინებებს წარმოადგენს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში არსებული პრობლემების დინება, პრობლემებით დაინტერესებული აქტორების დინება და პრობლემების გადაწყვეტილების შესაძლო ალტერნატივების დინება. დასახელებული მოდელის მთავარი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ დინებები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მიედინება და არ აქვთ ერთმანეთზე გავლენის მოხდენის საშუალება. კერძოდ, რაც არ უნდა გავლენიანი იყოს პრობლემის აქტორი ის ვერ ახდენს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკუთარი ალტერნატივის ლობირებას. აღნიშნული მოდელით იქნა გატარებული ეგრედ წოდებული ტაქსების რეფორმა თბილისში. მერიამ გაატარა ტაქსების ქაოტური ბაზრის დასარეგულირებლად შესაბამისი პოლიტიკა. აღნიშნულ პრობლემას არაერთი მომიჯნავე პრობლემა გაუჩნდა, რაც მის სიმწვავეს განაპირობებდა. მათ შორის მოიაზრება გადასახადების ადმინისტრირების პრობლემა, კრიმინალის საფრთხე და სერვისის დაბალი ხარისხი. პრობლემის მოგვარების ალტერნატივებიდან ქმედითი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ის პოლიტიკა, რაც შექმნიდა საშუალებას ჩამოყალიბებულიყო ერთიანი სისტემა, ასეთ დროს მხოლოდ ხელისუფლებას შეეძლო მარეგულირებელი პოლიტიკის გატარება. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და ამ დროისთვის ტაქსების რეფორმის მესამე ეტაპი ხორციელდება.

რაუნდების მოდელი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ძალთა დაპირისპირებისა და კომპრომისის მოდელი, სადაც ყოველი ახალი რაუნდი პრობლემის მოგვარების ახალი შესაძლებლობაა, თუმცა ამ დროს შედეგს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ის, თუ რა ძალისა და გავლენების პატრონია აქტორი და რამდენად შეძლებს ოპონენტების გადმობირებას ან მათზე ზეგავლენას. ამ მოდელის მთავარი ნაკლი სწორედ ის არის, რომ გავლენები და გადმობირება საშუალებას აძლევს აქტორს არათანაბარი პირობებით ისარგებლოს და ხელი შეუშალოს ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებას. ამ მოდელით მოხდა მერიის მიერ თბილისში მიუსაფარი ძაღლებისთვის თავშესაფრის მშენებლობის გადაწყვეტილების მიღება. კერძოდ, აღნიშნული პრობლემის აქტუალურობა ეტაპობრივად მატულობდა და საბოლოოდ ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემად იქცა, როგორც ცხოველების მომრავლების, აგრეთვე გადამკვეთი პრობლემების გაჩენის გამო (ცხოველთა მდგომარეობა, მოქალაქეების უსაფრთხოება, სანიტარული პირობები). შესაძლებლობის ფანჯარაში აქტორად მოგვევლინა მერია, კერძო სექტორი და ცხოველთა უფლების დამცველები. თავდაპირველად ცხოველთა

უფლებადამცველების და მერიის შეთანხმებით მოხდა ცხოველთა სტერილიზაცია. თბილისში მოქმედებდა კერძო მეპატრონის საკუთრებაში არსებული თავშესაფარი. მომდევნო რაუნდში მერიამ და კერძო სექტორმა ერთობლივად გადაწყვიტეს თავშესაფრის აშენება (კერძო სექტორის ინვესტიციით) და მათი შეთანხმებით, ის უფლებადამცველები, რომლებიც არ მიიჩნევენ სწორად ძაღლების თავშესაფარში გადაყვანას აღმოჩნდნენ უმცირესობაში.

პუნქტუაციური ეკვილიმბრიუმი არის მოდელი, რომელიც აღწერს შემთხვევას, თუ რამდენად შეიძლება ჩაიკეტოს საჯარო პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღების პროცესი მხოლოდ იმის გამო, რომ პრობლემის აქტორები შეთანხმდნენ ერთმანეთთან და ბლოკვენ ახალი აქტორის შემოსვლას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რაუნდების მოდელისგან განსხვავებით ამ მოდელის მთავარი ნაკლი არა გავლენიანი აქტორი, არამედ პროცესში ჩართული აქტორების შეთანხმებაა, რათა არ შემოვიდეს პროცესში ახალი აქტორი, რომელიც შესაძლოა ყველაზე მეტად ქმნიდეს ეფექტიანი გადაწყვეტილებისთვის ალტერნატივას, თუმცა სხვა აქტორებისთვის მიუღებელს. აღნიშნული მოდელის მაგალითს წარმოადგენს თბილისის მერიის მიერ სამშენებლო ნებართვების პოლიტიკა. კერძოდ, ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ 2018 წლის 14 დეკემბერს წარდგენილ ანგარიშში მითითებულია, რომ მერიაში მოქმედი ზონალური საბჭო, ბიზნესი და პოლიტიკური აქტორები ქმნიდნენ ერთგვარ ეკვილიმბრიუმსს, რაც  ხელს უწყობდა ეგრედ წოდებული კ2 კოეფიციენტის ზრდას. დოკუმენტის თანახამდ, 2014-2016 წლებში 54%-ით გაიზარდა კ2 კოეფიციენტი 2009-2013 წლებთან შედარებით. ამგვარად, გადაწყვეტილება მიიღებოდა სწორედ ,,პუნქტუაციური ეკვილიმბრიუმის“ მიხედვით და იბლოკებოდა ახალი აქტორის შესვლა პროცესში

მხარდამჭერი კოლიციების მოდელი გულისხმობს გადაწყვეტილების პროცესში კოლიციების ფორმირების პროცესს, რომლებიც საკუთარი შესაძლებლობების და მიზნების გათვალისწინებით კომპრომისულ პოზიციაზე თანხმდებიან, რაც საბოლოოდ ყალიბდება, როგორც მიღებული გადაწყვეტილება. ამ მოდელის მთავარი ნაკლი სწორედ აქტორის შესაძლებლობის და რესურსის შესაძლო ნაკლებობაა, რაც მას ოპონენტთან დათმობაზე წასვლას აიძულებს და საბოლოო გადაწყვეტილებაზეც აისახება. აღნიშნული მოდელით იქნა მიღებული გადაწყვეტილება თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტთან დაკავშირებით. ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ 2016 წელს საუბრობდა შემოვლითი რკინიგზის პროექტის დასრულების აუცილებლობაზე, რომელიც 2010 წელს დაიწყო, თუმცა ახალი ხელისუფლების პირობებში შეჩერდა. საკითხის ირგვლივ ჩამოყალიბდა ორი კოლიცია ოპოზიცია / არასამთავრობო სექტორი და ხელისუფლება. ხელისუფლებამ ქალაქის გენერალური გეგმის დამტკიცებამდე პროექტის შეჩერება აუცილებლად ჩათავალა და ამ არგუმენტით  პროექტი შეჩერდა.

აღნიშნული კვლევის მიზანია შევისწავლოთ თითოეულ შემთხვევაში, თბილისის მერიის მაგალითზე, გადაწყვეტილების მიღების ალტერნატიული მოდელებიდან რომელი მოდელები იქნა გამოყენებული და რამდენად ეფექტიანი შედეგით. კვლევის დროს მივმართეთ თვისებრივი კვლევის მეთოდს case-stady-ს (შემთხვევის ანალიზი), რომლის მეშვეობითაც შევისწავლეთ თბილისის მერიაში მიღებული, ზემოთ

განხილული გადაწყვეტილებები. თითოეული დასახელებული მოდელი გვეხმარება შევაფასოთ საჯარო პოლიტიკაში მიღებული გადაწყვეტილება, ვიმსჯელოთ პროცესის მართებულობაზე და ნაბიჯ-ნაბიჯ გავაანალიზოთ მიღებული შედეგი. თითოეულ მოდელს გააჩნია საკუთარი ნაკლოვანებები და უპირატესობები, თუმცა ეს უნდა იქნას შეფასებული კონტექსტიდან გამომდინარე, კერძოდ, რა პირობებში იქნა მიღებული გადაწყვეტილება. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კინგდონის დინებების მოდელი გადაწყვეტილების მიღებისას მაღალი ეფექტიანობით გამოირჩევა, რადგან თანაბარ პირობებში აყენებს თითოეულ პრობლემას, პოლიტიკურ აქტორსა და ალტერნატივას და გადაწყვეტილების მისაღებად ქმნის ოპტიმალურ საფუძველს.

2) მედიატიზაციის თეორიის თანახმად, პოლიტიკაში დღის წესრიგს ქმნის მედია. მედიატიზაციის ამოსავალი წერტილი არის არგუმენტი, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება გაჯერებულია მედიით, უფრო ზუსტად, იგი ტელემედიის გავლენის ქვეშაა. გავრცელებული მოსაზრებით, მედიის კონტენტი აღარ არის ნაკარნახევი "პოლიტიკური ლოგიკით", არამედ "მედია ლოგიკა" უქმნის პოლიტიკურ აქტორებს დღის წესრიგს. მედიატიზაცია არის მეტაპროცესი და გლობალიზაციასთან ერთად გავლენას ახდენს პოლიტიკურ პროცესებსა და დემოკრატიულ გარდაქმნებზე.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა დაგვედგინა, თუ როგორ მოხდა საქართველოში მედიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია და რა თანმდევი მახასიათებლებით გამოირჩეოდა ეს პროცესი. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მედიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია ახალი დემოკარტიების პირობებში, სადაც მას თანაარსებობა უწევს მეტად მყიფე სოციალურ და სახელმწიფო ინსტიტუტებთან. კვლევის დროს გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი, ექსპერტული და სიღრმისეული ინტერვიუები, როგორც მედია ექსპეტებთან და პოლიტიკურ აქტორებთან, აგრეთვე ამომრჩეველთან. რესპონდენტების შერჩევა მოხდა არაალბათურად, მიზნობრივი შერჩევის მეშვეობით.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა დაგვედგინა, თუ როგორ მოხდა საქართველოში მედიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია და რა თანმდევი მახასიათებლებით გამოირჩეოდა ეს პროცესი. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მედიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია ახალი დემოკარტიების პირობებში, სადაც მას თანაარსებობა უწევს მეტად მყიფე სოციალურ და სახელმწიფო ინსტიტუტებთან. კვლევის დროს გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი, ექსპერტული და სიღრმისეული ინტერვიუები, როგორც მედია ექსპეტებთან და პოლიტიკურ აქტორებთან, აგრეთვე ამომრჩეველთან. რესპონდენტების შერჩევა მოხდა არაალბათურად, მიზნობრივი შერჩევის მეშვეობით.

დემოკრატიული ტრანზაციის პირობებში, როდესაც არ არის დასრულებული სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა, საზოგადოება სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული მედიაზე, განსაკუთრებით ტელემედიაზე და ამ პროცესს უწოდებენ ტელედემოკრატიას. რატომ აქვს ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ტელევიზიას? ამაზე ორგვარად შეგვიძლია ვუპასუხოთ. ამის უპირველესი მიზეზი თავად ტელევიზიის მუშაობის სპეციფიკაა, რაც სხვა მედიასაშუალებებისგან განსხვავებით ქმნის ეგრედ წოდებული ,,დასწრების ეფექტს“ და მეორე, ტელევიზია მისი სპეციფიკის გათვალისწინებით კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მედიასაშუალებად. ამგვარად, პოლიტიკოსები ცდილობენ გამუდმებით იყვნენ ტელევიზიის ობიექტივში, ისაუბრონ საკითხებზე, რომელსაც გაშუქების მეტი პერსპექტივა აქვს და უკეთეს შემთხვევაში ფლობდნენ ან გავლენა ჰქონდეთ სატელევიზიო მაუწყებელზე.

საქართველოში ტელევიზიამ დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე წლებში პოლიტიკური ინსტრუმენტის ფუნქცია შეიძინა. იმ დროისათვის არ არსებობდა კერძო მაუწყებელი, თუმცა პოლიტიკური

დაპირისპირების ეპიცენტრად სახელმწიფო ტელევიზია იქცა, საქართველოს უახლეს ისტორიაში არსებობს ცნობილი კადრები, როდესაც გამსახურდიას ხელისუფლებასთან დაპირისპირებული ჟურნალისტები სახელმწიფო ტელევიზიის კიბეებზე აკეთებდნენ მოწოდებებს. ჩვენ კვლევის პროცესში ქრონოლოგიურად შევისწავლეთ პირველი კერძო ტელევიზიებიდან ,,მერმისიდან“ და ,,იბერვიზიადან“ დღემდე მოქმედი ტელემაუწყებლების როლი პოლიტიკურ პროცეში და მათი პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია. ტელემედია მეტად აქტიურად იყო ჩართული და პოლიტიკური აქტორის როლსაც ასრულებდა ყველა გარდამტეხი პოლიტიკური მოვლენის დროს, აქ მოვიაზრებთ, როგორც ,,ვარდების რევოლუციას,“ აგრეთვე 2012 წლის ეგრედ წოდებულ ,,ციხის კადრებს.“

**ვალერიან დოლიძე**

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და  ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **Valerian Dolidze/Avtandil Tukvadze;** Democrativ evolution of Georgia and authoritarian cycles. E3S Web of Conferences 420, 08015 (2023) https://doi.org/10.1051/e3sconf/202342008015 EBWFF 2023 https://www.e3s conferences.org/articles/e3sconf/abs/2023/57/e3sconf_ebwff2023_08015/e3sconf_ebwff2023_08015.html

*ვრცელი ანოტაცია*

საქართველოს დემოკრატიზაცია არის ლიბერალიზაციის შედეგი, რომელიც დაიწყო გრადაქმნისა და

საჯაროობის პერიოდში, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში. სკკპ მიერ კონსტიტუციური სტატუსისი დაკატგვის შემდეგ საქართველო გადადის დემოკრატიზაციის პირველ ციკლში, რომელიც მთავრდება გამსახურდიას მოავლით ხელისუფლებაში. მას ცვლის ავტორიტარიზაციის პირველი ციკლი, რომელიც შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც გაჩერებული ტრანზიტის შედეგი, რის გამოც მან მიიღო ელექტორალური-ავტორიტარიზმის ფორმა, რომელიც გადადის დემოკრატიზაციის მეორე ციკლში, როცა შევარდნაძემ უარი თქვა პრეზიდენტად მესამე ვადით არჩვაზე და მარტველმა პარტიამ წააგო ადგილობეივი არცევნები და მოხდა მართველი ელტის გახლეჩვა. დემოკრატიზაციის ამ მეორე ციკლს ცვლის ავტორიტარიზმის მესამე ციკლი- სააკაშვილის ელექტორალური ავტორიტარიაზმი, რომელიც გაგადის დემოკრატიზაციის მესამე ციკლში 2012 წელს, როცა ხელისუფლებაში მოდის ოცნება. ელეატორალური ავტორიტარული რეჟიმების პირობებშიც კი არ სეწყვეტილა საქართველოს დემოკრატიული განვითარება. დემოკრატიზაციის მესამე ციკლი ფუნქციონირებს ავტორიტარული ზეწოლის პირობებში.

**7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**

**7.1. საქართველოში**

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ვალერიან დოლიძე;** პოლიტიკის ფორმირება ბინათმშენებლობის სექტორში: საქართველოს შემთხვევა;

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორ რევაზ გაჩეჩილაძის 80 წლის იუბილესადმი

მიძღვნილი XI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

“სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა”

**2. ვალერიან დოლიძე;** უმუშევრობა ყველასათვის და არა მხოლოდ მდიდრებისათვის. შრომის საწინააღმდეგო მოძრაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკისმცოდნეობის 24-ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია; 2023 16-20 მაისი

*მოხსენების ანოტაცია*

1. მოხსენებაში გაანალიზებულია პოლიტიკის ფორმირება ბინათმშენებლობის პროცესში.

გაკეთებულია დასკვნა, რომ ბინათმსნებლობის პოლიტიკა მთლიანად ექვემდებარება

სამშენებლო სექტორის ინსაიდურ ლობიზმს, რასაც ეწირება ქალაქის ინტერესები. ამის მიზეზებია ის, რომ ბინათმშენებლობის პოლიტიკას ნაკლებ ყურადღებას უთმობს სამოქალაქო საზოგადოება და ოპოზიცია; არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსების სიმწირე; შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციების დეფიციტი; სამშენებლო ლობის როლი პოლიტიკური ფინანსების ფორმირებაში; პრობლემის სპეციფიკა,რომლის სიმწვავის გაცნობიერება საჭიროებს სპეციალურ ცოდნას; საზოგადოების ქვეშევრდომლური პოლიტიკური კულტურა; პოლიტიკოსებისათვის არ *არის ხელსაყრელი ამ პრობლემისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა.*

2. მოხსენებაში გაანალიზებულია ინტერნეტში წარმოშობილი ამ სოციალური მოძრაობის „უმუშევრობა ყველასათვის და არა მხოლოდ მდირებისათვის“ მიზეზები, გაკეთებულია დასკვნა, რომ შრომის საწინააღმდეგო მოძრაობა ხელს უწყობს თანამედროვე მენეჯმენტის პრობლემების გაცნობერიებასა და გაადჭრის გზების ძიებას. აგრეთვე ნაჩვენებია, ინტერნეტის მნიშვნელობა სოლიდარობის განვითარებაში, კოლექტიური მოქმედებების წარმოშობასა და მისი ეფექტურობის ზრდაში.

**7.2. უცხოეთში**

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **VAlERIAN DOLIDZE/ AVTANDIL TUKVADZE;** "THIRD CYCLE OF DEMOCRATIZATION OF GEORGIA " 12th International Scientific Conference "CAUCASUS OF THE 21st CENTURY" Online October 28, 2023 Rzeszów E3S Web of Conferences 420, 08015 (2023) https://doi.org/10.1051/e3sconf/202342008015 EBWFF 2023

*მოხსენების ანოტაცია*

მოხსენებაში გაანალიზებულია საქართველოს დემოკრატიული ევოლუციის თავისებურებები, რპმელიც ციკლურ ხასიათს ატარებდა. საქრთველო პერიოდულად გადადიოდა დემოკრატიზაციის ცილებიდან ავტორიტარულ ციკლებში. საქართველოში არსებობდა ელექტორალური ავტორიტარული რეჟიმები, რომლებიც არა მხოლოდ ანაცვლებდნენ ხოლმე დემოკრატიზაციის ცკლებს, არამედ ხელსაც უწყობდნენ დემოკრატიის განვითარებას. ამჟამად საქართველო იმყოფება ემოკრატიზაციის მესამე ციკლში, რომლის ხანგრძლივობა არემატება, არა მარტო დემოკრატიზაციის წინა ორ ციკლს, არამედ აგრეთვე ვტორიტარიზმის ყველა ციკლსაც.

ვლადიმერ ნაფეტვარიძე

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

**ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტი - YS-21-2606;** 2021-2024

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ვლადიმერი ნაფეტვარიძე (პროექტის ხელმძღვანელი)

2. მალხაზ მაცაბერიძე (ახალგაზრდა მეცნიერის სამეცნიერო ხელმძღვანელი)

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

მოცემული პროექტის, სახელწოდებით „ხელოვნური ინტელექტი სახელმწიფო მართვის პროცესში" უმთავრეს მიზანს წარმოადგენს უახლესი ტექნოლოგიების, კერძოდ კი ხელოვნური ინტელექტის სახელმწიფო მართვის პროცესში ინტეგრაციის ევროპული გამოცდილების შესწავლა და აღნიშნული კვლევის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტის შემუშავება.

21 საუკუნეში ინტერნეტის და კომპიუტერული სისტემების სწრაფ განვითარებასთან ერთად, სახელმწიფოს მართვის პროცესი სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდებოდა თანამედროვე ტექნოლოგებზე, რამაც სამყარო ელექტრონული მმართველობის კონცეფციამდე მიიყვანა. ელექტრონული მმართველობა მოიცავს ციფრული კომუნიკაციის ისეთ ფორმასაც, როდესაც სახელმწიფო სტრუქტურები საზოგადოებს საჯარო სერვისებს ციფრული გზების გამოყენებით აწვდიან, რათა საჯარო მმართველობის პროცესი გაცილებით გამჭვირვალე, ეფექტიანი და ეკონომიური იყოს.

ინფორმაციულ ეპოქაში სახელმწიფოები, თუ სხვადასხვა ორგანიზაციები, მოქალაქეთა შესახებ დიდი მოცულობის მონაცემებს ფლობენ, რომელთა შესაბამისი გადამუშავება, კიდევ უფრო განავითარებს ელექტრონული მმართველობის მოდელს. თანამედროვე

განვითარებული სახელმწიფოები, უკანასკნელ წლებში ნერგავენ სხვადასხვა ტიპის მონაცემთა დამუშავების განსხვავებულ მეთოდებს, რომელთა გამოყენება სახელმწიფო მართველობის პროცესის ეფექტიანობის გასაზრდელად ხდება. იმისთვის, რომ მოხდეს არსებული მონაცემების დამუშავება, ბევრ ქვეყანაში დაიწყეს ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, რომელიც უფრო და უფრო აქტიურად ინერგება ისეთ სფეროებში, როგორიცაა ჯანდაცვა, ეკოლოგია, სახელმწიფო გადასახადები და ა.შ.

საკითხი იმდენად აქტუალური გახდა, რომ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანამ შეიმუშავა ხელოვნური ინტელექტის დანერგვის და განვითარების სახელმწიფო სტრატეგია/სამოქმედო გეგმა. ხელოვნური ინტელექტის სახელმწიფო მართვის პროცესში გამოყენება ინოვაციური ფენომენია, აქედან გამომდინარე, აღნიშნული საკითხის შესახებ სამეცნიერო კვლევების დეფიციტია, არ არსებობს შესაბამისი კვლევითი ინსტრუმენტები, თუ საყოველთაოდ აღიარებული თეორიული ჩარჩო და ა.შ.

მოცემული პროექტის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ევროპის ქვეყნებში ხელოვნური ინტელექტის დანერგვის სახელმწიფო პოლიტიკის მიმდინარეობა და მისი შედეგები ასახვა, შესწავლა განსხვავებული ქვეყნების სამოქმედო გეგმების, რომელთა საფუძველზე, მოხდება გამოვლენა იმ პროექტებისა, რომელიც მიზნად ისახავს ხელოვნური ინტელექტის დანერგვით საჯარო ადმინისტრირების, თუ მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის გაზრდას, საბოლოო ჯამში კი ისეთი დოკუმენტის შექმნა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება ხელოვნური ინტელექტის სახელმწიფო სტრატეგიის დაგეგმვის პროცესში. მსგავსი ტიპის ნაშრომი განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს საქართველოსთვის და სხვა ისეთი სახელმწიფოებისთვის, რომელთაც ჯერაც არ აქვს ხელოვნური ინტელექტის დანერგვის სახელმწიფო პოლიტიკა შემუშავებული.

კვლევის მესამე და მეოთხე პერიოდის განმავლობაში პროექტის ხელმძღვანელი ვლადიმერ ნაფეტვარიძე სამეცნიერო კვლევითი ვიზიტით ესტუმრა ბელგიას, სადაც გამართა შეხვედრები ხელოვნური ინტელექტის სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩართულ პირებს კერძო, საჯარო და აკადემიური სექტორებიდან. კვლევის პროცესში მიღებული შედეგები კი წარადგინა 2023 წლის 22-24 ივნისს საქართველოში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“. https://es.tsu.ge/index.php/es/article/view/147

მეოთხე საანგარიშო პერიოდში, ნაფეტვარიძემ პროექტის შეჯამებული შედეგები, თემით: „ AI State Policy: Comparative analyses of Belgium, Estonia, and Georgian cases“, წარადგინა საქართველოში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე „GITI 2023” (Georgian IT Innovations 2023). https://giti.ictbc.ge/agenda

მიმდინარე ეტაპზე, ინგლისურენოვანი სტატია გაგზავნილის მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში, ამასთან ერთად გამოსაცემად მზადდება ქართულენოვანი მონოგრაფია.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ვლადიმერი ნაფეტვარიძე; ხელოვნური ინტელექტის კვლევის მახასიათებლები;**
**ჟურნალი „პოლიტიკა“ ნომერი 5; ტომი 7; ISSN: 2449-2833 (online).**
**ISSN: 2449-2825 (print). (11გვ.)**
https://www.psage.tsu.ge/index.php/Politics/article/view/373/pdf

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ხელოვნური ინტელექტის განვითარება მეცნიერთა აზრით სამყაროსთვის ისეთივე მნიშვნელობის შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც აქამდე მომხდარი ინდუსტრიული რევოლუციები. აღნიშნული ტექნოლოგია იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ მეცნიერება ვერ ახერხებს სათანადოდ აუწყოს ფეხი და იკვლიოს როგორც მისი ამჟამინდელი განვითარების ტემპი, ასევე სამომავლო ტენდენციები.

მოცემული ნაშრომის მიზანია, მოხდეს ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული სხვადასხვა ათწლეულში გამოცემული სამეცნიერო ნაშრომების შედარებითი ანალიზი, რათა შესაძლებელი გახდეს აღნიშნული დარგის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ცვლილების დინამიკის გაანალიზება.

**7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ვლადიმერი ნაფეტვარიძე;** „ხელოვნური ინტელექტი სახელმწიფო მართვის პროცესში:ქართული და ბელგიური გამოცდილება; ივანე ჯავახისვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო კონფერენცია - სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა . 2023 წელი https://es.tsu.ge/index.php/es/article/view/147

2. **ვლადიმერი ნაფეტვარიძე;** „AI State Policy: Comparative analyses of Belgium, Estonia, and Georgian cases“, „GITI 2023” (Georgian IT Innovations 2023). https://giti.ictbc.ge/agenda

ფორმა №2

**2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** - - - - - - - - - - - - - - - - - - -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება** - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით** - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -
მანანა შამილიშვილი - პროფესორი, მიმართულების ხელმძღვანელი
ნინო ჭალაგანიძე - ასოცირებული პროფესორი
ხათუნა კაჭარავა - ასოცირებული პროფესორი
ხათუნა მაისაშვილი - ასოცირებული პროფესორი
მარი წერეთელი - ასოცირებული პროფესორი
მაია ტორაძე - ასოცირებული პროფესორი
ნანული ტალახაძე - ასოცირებული პროფესორი
ნათია კუპრაშვილი - ასოცირებული პროფესორი
თინათინ მაჭარაშვილი- ასისტენ- პროფესორი
თამარ ბელქანია - ასისტენტ-პროფესორი
თეა მჟავანაძე - ასისტენტ-პროფესორი
სვანიძე ნათია-ასისტენტ-პროფესორი

**ნინო ჭალაგანიძე**

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. ქართული მწერლობა მსოფლიოს მასშტაბით, SPG-23-553, წამყვანი ორგანიზაცია: კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი; ძირითადი პერსონალი. 2023 (მიმდინარე პროექტი); https://rustaveli.org.ge/res/docs/182010a02f9bd9411b64d2135f3a156591131277.pdf

https://drive.google.com/file/d/1vdBUXbQJCa9XQgSYyGU3YeJoQ6mIdN4v/view?usp=sharing

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ირმა რატიანი -პროექტის ხელმძღვანელი; ლილი მეტრეველი - პროექტის კოორდინატორი; მაკა ელბაქიძე - ძირითადი პერსონალი; გაგა ლომიძე - ძირითადი პერსონალი; თათია ოზოლაძე - ძირითადი პერსონალი; ნინო ჭალაგანიძე - ძირითადი პერსონალი.

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

პროექტი წარმოადგენს ქართული მწერლობის მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში განხილვის საყურადღებო ცდას. ესაა ქართული ლიტერატურის სისტემური ანალიზი მსოფლიო ლიტერატურაში მიმდინარე პროცესების კვალდაკვალ. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტში გამახვილებულია ყურადღება თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობისათვის ისეთ აქტუალურ საკითხზე, რომელთაც ადრე ნაკლებად შეისწავლიდნენ. ქართული ლიტერატურა,- მთელი თავისი თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ცდილობს იყოს გლობალური, მნიშვნელოვანი, გავლენიანი ლიტერატურული პროცესების შუაგულში.

პროექტის მიზანია მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში ლიტერატურის მკვლევრებისა და სტუდენტებისთვის ქართული ლიტერატურის პოპულარიზაცია და კომპარატივისტული კვლევის შედეგების გაცნობა. პროექტი აღრმავებს ქართული კულტურისადმი ინტერესს. ხოლო ლექციების ს ვიზუალიზაცია კიდევ უფრო ზრდის ქართული კულტურით დაინტერესებულ ადამიანთა რიცხვს.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. „ქართული საბავშვო ლიტერატურა - დედაენიდან სალამურამდე“,

- სამეცნიერო-დოკუმენტური ფილმი; სამეცნიერო მიმართულება: ჰუმანიტარული

მეცნიერებები, მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი,

პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი: SPG-22-213; პროექტის დაწყებისა და დასრულების

წლები: 1.09.2022-1.07.2023.

ბმული: https://rustaveli.org.ge/res/docs/7ee2eb209d71143ad9db108a253554ae60648412.pdf

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

• პროექტის ხელმძღვანელი: ი. რატიანი;

• პროექტის კოორდინატორი: ლ. მეტრეველი;

• პროექტის ძირითადი პერსონალი, პროდიუსერი: ნ. ჭალაგანიძე,

• პროექტის დამხმარე პერსონალი, რეჟისორი: ს. მელაძე;

• პროექტის დამხმარე პერსონალი, ჟურნალისტი: ლ. ზამბახიძე;

• პროექტის დამხმარე პერსონალი, ოპერატორი: ე. შაყულაშვილი;

• პროექტის დამხმარე პერსონალი: ლ. მებურიშვილი.

**დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის ფარგლებში პროექტი: ქართული საბავშვო მწერლობა. „დედაენიდან“ „სალამურამდე“ მოიცავს ცხრა საუბარს იმ ქართველი ავტორების ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის განვითარებაში. ეს ავტორებია:

• იაკობ გოგებაშვილი;

• აკაკი წერეთელი;

• ვაჟა-ფშაველა;

• შიო მღვიმელი;

• ეკატერინე გაბაშვილი;

• რევაზ ინანიშვილი;

• ოტია იოსელიანი;

• ნოდარ დუმბაძე;

• არჩილ სულაკაური.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დღემდე, საბავშვო მწერლობა ქართული ლიტერატურის ყველაზე ნაკლებად შესწავლილ სფეროს წარმოადგენს და მხოლოდ ერთეული სამეცნიერო გამოკვლევები არსებობს აღნიშნულ თემაზე.

შესაბამისად, პროექტი ძალზე საინტერესო და დროული გამოწვევ იყო. სამეცნიერო-შემეცნებითი ფილმები, ფაქტობრივად,იყო პირველი მცდელობა, სადაც დავიწყეთ ღია საუბრები უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქართული საბავშვო ლიტერატურის შესახებ. წამყვანი ქართული ლიტერატურათმცოდნეებმა, აგრეთვე, თანამედროვე საბავშვო მწერლებმა, წარმოადგინეს საკუთარი რეფლექსიები საბავშვო მწერლობის კლასიკოს ავტორებზე, შეაფასეს მათი მნიშვნელობა და გავლენა თანამედროვე ქართული საბავშვო ლიტერატურის ფორმირების პროცესზე.

პროექტს განსაკუთრებული ხიბლი შესძენა ფილმების ჩაწერის ლოკაციებმა, ვინაიდან გადაღებების სივრცეებად მოვიაზრეთ საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსების სახლ-მუზეუმები და საცხოვრებელი სახლები.

პროექტის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ქართველი საბავშვო მწერლებისა და მათი ღვაწლის წარდგენა, ერთი მხრივ, ქართული, მეორე მხრივ, კი მსოფლიო საზოგადოებისთვის. ფილმები მომზადდება ქართულ ენაზე და, დამატებით, ითარგმნა ინგლისურ ენაზეც. თარაგმანი დაერთო ტიტრებად, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა საერთაშორისო აუდიტორიის ინტერესი და გაადვილა ფილმის გავრცელება საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ნინო ჭალაგანიძე, მარიამ მხითაროვა; სარეკლამო პოსტერების გენდერული თავისებურებები; რეფერირებადი, რეცენზირებადი საერთაშორისო ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში;

International Journal of Social Sciences Caucasus International University Volume 3, Issue 1 Journal homepage: http://journal.ciu.edu.ge/ DOI: https://doi.org/10.55367/JDKQ9809 Gender characteristics of advertising posters Nino Chalaganidze, PhD in Journalism, Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Mariam Mkhitarova, PhD student, Caucasus International University, http://journal.ciu.edu.ge/storage/articles/June2023/hp5gbG7acgcYwJ4K9Yzy.pdf?fbclid=IwAR07jMnvGHwrn5lFysCwlxJZODvc7uU8eUf89I9ZfbH2DfTCrCFOWKRsL-o

2. ნინო ჭალაგანიძე, სოსო გაზდელიანი; ქართული საინფორმაციო სააგენტოების მიერ ბავშვთა საკითხების გაშუქების თავისებურებები (INTERPRESSNEWS.GE და PRIMETIME.GE), რეფერირებადი, რეცენზირებადი საერთაშორისო ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში, (E-ISSN 2720-8036), 2023 — Issue 2, http://journal.ciu.edu.ge/article/24?fbclid=IwAR3fYHmlP9_p1GDPZ3QUCY8lQpfXYsoC0DScjk_PuVPOOkGI6zuj2wEf6V0

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. რეკლამის არსი და განვითარების გზა გულისხმობს, ერთი მხრივ, მის მასობრივი კომუნიკაციის საშუალებად ჩამოყალიბებას, ხოლო, მეორე მხრივ, სოციუმის ცხოვრების ნაწილად ქცევას. ამ გრძელი და რთული პროცესის განმავლობაში, სარეკლამო ინდუსტრიამ არაერთხელ ცხადყო, რომ დადებით თვისებებთან ერთად, შეიცავს საფრთხეებს - შეითვისოს და გააძლიეროს საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები. ასეთ შემთხვევაში ის საკუთარი პასუხისმგებლობის საპირისპიროდ მუშაობს და ინფორმაციას საზოგადოების რომელიმე ჯგუფისათვის საზიანოდ წარმოაჩენს. რეკლამაში ანარეკლივით აისახება ამა თუ იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი ტენდენციები, რომელთა უტრირებული სახით წარმოჩენა დეზინფორმაციას ან საზოგადოებაში სტერეოტიპული აზროვნების გამყარებას უწყობს ხელს. აღნიშნული პროცესების შესწავლა კიდევ ერთხელ ცხადყოფს რეკლამის გავლენის სიძლიერეს და მისი მექანიზმების ყურადღებით გამოყენების აუცილებლობას. სარეკლამო ბიზნესის განვითარების ისტორია ასახავს გენდერული სტერეოტიპების პრობლემატიკას, რაც კვლევის საგანი გახდა. საკითხი გაანალიზებულია სარეკლამო პოსტერების მაგალითზე და მიზნად ისახავს, გამოავლინოს გენდერული რეკლამების თავისებურებები, მათი სტერეოტიპული ბუნება იმის მიხედვით, თუ რა თვისებები აქვთ მინიჭებული პერსონაჟებს; გაანალიზოს, რამდენად იმეორებს იგი საზოგადოებაში დამკვიდრებულ ტენდენციებს. კვლევის მიზანია, გენდერთან დაკავშირებული რეკლამების წარმოშობის ისტორიის შესწავლა. გენდერული სტერეოტიპების საკითხის განხილვა. თეორიულ ბაზისთან თანხვედრაში ემპირიული ველის გაანალიზება დაგვეხმარება მკაფიოდ წარმოვაჩინოთ რეკლამაში გენდერული თავისებურებები და სტერეოტიპული გაშუქების საფრთხეები. საკვანძო სიტყვები: გენდერული სტერეოტიპები, გენდერული რეკლამა, სარეკლამო პოსტერები, გენდერის ასახვა.

2. საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ბავშვები შეადგენენ. ისინი განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობენ, თუმცა სოციუმის მაინც ყველაზე დაუცველ წევრებად რჩებიან. ვინაიდან ბავშვზე ზემოქმედება მარტივია, ამ ასაკში მიღებულმა უარყოფითმა იმპულსებმა შესაძლოა, მთელ მის ცხოვრებაზე ნეგატიურად იმოქმედოს. ბავშვის უფლებების დარღვევა, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, მედიის მიერ მათთან დაკავშირებული საკითხების არასათანადო გაშუქებამაც შეიძლება გამოიწვიოს. შესაბამისად, ბავშვებზე მომზადებული მედიამასალები გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვან სარედაქციო გადამოწმებას საჭიროებს. მოზარდთა სოციალიზაციის საკითხში მედიის როლი განუზომელია, შესაბამისად, მან ყველა

ღონეს უნდა მიმართოს, რათა დაიცვას ბავშვის უფლებები და ინტერესები, ხელი შეუწყოს მის განვითარებას და დისკრიმინაციული ფაქტების მუდმივი ექსპოზიციით საზოგადოების დანარჩენ წევრებს დაანახოს, რამდენად მნიშვნელოვანია ამ რგოლის განსაკუთრებული მობილიზება და გაძლიერება. წინამდებარე ნაშრომში ბავშვთა საკითხების გაშუქების საგულისხმო ტენდენციები ონლაინგამოცემების მაგალითებზე გამოვავლინეთ. საკვლევ ობიექტებად განვსაზღვრეთ შემდეგი საინფორმაციო სააგენტოები: interpressnews.ge და primetime.ge. ნაშრომის მიზანია: ბავშვთა საკითხებზე ონლაინგამოცემათა მუშაობის სპეციფიკის გაცნობა; ბავშვთა საკითხების გაშუქების ტენდენციების დადგენა და ხარვეზების გამოკვეთა; კვლევის შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება. კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს წარმოადგენს: კონტენტ-ანალიზის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები, შედარებითი ანალიზი. რაც შეეხება თეორიულ ჩარჩოს, ის შემდეგ კონცეფციებს აერთიანებს: დღის წესრიგის, ფრეიმინგისა და პრაიმინგის თეორიები. ემპირიული ველის დეტალურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება კვლავაც რიგი გამოწვევების წინაშეა, რომლებიც, მეტწილად, პროფესიულ-ეთიკურ გადაცდომებს უკავშირდება. ამასთან, თხრობა ზედაპირული, ხოლო პერიოდულობა - ნაკლებსახარბიელოა. ბავშვთა საკითხების სათანადოდ გაშუქება ჟურნალისტური საქმიანობის მნიშვნელოვანი ასპექტია, შესაბამისად, კვლევის საგნად სწორედ ეს ზეაქტუალური საკითხი შევარჩიეთ.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ნინო ჭალაგანიძე, ნათია კუპრაშვილი; დეზინფორმაცია სოციალურ ქსელებში: მდგომარეობა და პერსპექტივები, ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში, გამომცემელი: Batumi Shota Rustaveli State University, ISSN 1987-7625; მიმდინარე გამოცემა ტომ. 4 (2022) გამოქვეყნებული 2023-03-14; სრული გამოცემა,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV“; მომხსენებელი, პირველი სხდომის თავმჯდომარე და სამეცნიერო საბჭოს წევრი. ნაშრომის გამოქვეყნება იგეგმება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებად ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალში: „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV“; (ჟურნალის საიტი იყენებს ღია ჟურნალის სისტემას (Open Journal System) და ხელმისაწვდომი იქნება ონლაინ.

https://his.openjournals.ge/index.php/his

https://his.openjournals.ge/index.php/his/article/view/6401

2. ნინო ჭალაგანიძე, ლია ზამბახიძე; პირველი „აქტუალებიდან“ სატელევიზიო დოკუმენტალისტიკამდე (თეორიული და მეთოდური მიდგომები), რეფერირებადი, რეცენზირებადი საერთაშორისო ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში, (E-ISSN 2720-8036), 2023 — Issue 2; http://journal.ciu.edu.ge/article/26

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ნაშრომში განხილულია თანამედროვე მედიაკვლევების სფეროშიგამორჩეულად აქტუალური დეზინფორმაციის კონცეფცია. შესწავლილია მისი როლი და ადგილი მასმედიის დისკურსში ე.წ. პოსტ-ჭეშმარიტების ეპოქის კონტექსტში, სადაც სიმართლესა და სიცრუეს შორის ზღვრები ბუნდოვანია, მზარდია საზოგადოებაში გაურკვევლობის ხარისხი; ობიექტურ ფაქტებს კი სუბიექტური შეფასებები და მოსაზრებები ცვლის. ამ შემთხვევაში დეზინფორმაცია გაგებულია, როგორც ყალბი ინფორმაციის შეგნებულად გადაცემა

ზიანის მიტანის მიზნით. დეზინფორმატორი ხელმძღვანელობს განზრახვით-შეცდომაში შეიყვანოს ადრესატი და, მანიპულირების მიზნით მოახდინოს დეზინფორმაციული ეფექტი სხვადასხვა ლინგვისტური საშუალებებით. ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა პოსტ-სიმართლის ეპოქისთვის დამახასიათებელი რამდენიმე ყველაზე ტიპური ნარატივი. ნაშრომის ჰიპოთეზაცა და შედეგებიც უკავშირდება სოციალურ ქსელებში მანიპულირების მექანიზმს, რაც კიდევ უფრო დესტრუქციული ხდება, როცა „იმოსება" მითებითა და ემოციებით, მედია მომხმარებლის განწყობების ცვლილებით და რეალობას სულ უფრო შორდება. განსაკუთრებით სახიფათოა დეზინფორმაცია, თუ იგი, ერთი შეხედვით, უწყინარ მედია-ნაკადშია „ჩაკარგული", სადაც შეუიარაღებელი თვალით სიმართლისა და პროპაგანდის გარჩევა ჭირს. ნაშრომში ასევე განხილულია ე.წ. საინფორმაციო ხმაურის თავისებურებები. დეზინფორმაცია, ცხადია, *ინფორმაციული ხმაურის შემადგენელი ნაწილია, თუმცა მისი გავრცელება ყოველთვის გარკვეულ მიზანს ემსახურება, ხოლო ხმაური, როგორც წესი, საბაზისა და მიზეზის გარეშე ავსებს საინფორმაციო სივრცეს და უკონტროლო ნაკადები საინფორმაციო ველის დაბინძურებას იწვევს. საკვანძო სიტყვები: დეზინფორმაცია, მისინფორმაცია, მედია, ყალბი ამბები, ინფორმაციული ხმაური.

2. კინემატოგრაფიის პირველ ნიმუშად საზოგადოების ყოველდღიურობის ამსახველი „აქტუალური ფილმები" მიიჩნევა. მექანიკურად გადაღებული, ავთენტური მასალა, სრული სიზუსტით ასახავდა ფოკუსში მოხვედრილი ყოფიერების რამდენიმე წამს. რეალობის ტრანსლაციის მსგავსი, არაერთი მცდელობა საბოლოოდ 1895 წელს, კინოს დაბადებით დაგვირგვინდა. პირველი ფილმების დოკუმენტური ხასიათის მიუხედავად, თავად ტერმინი რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ჩნდება და მასალის უტყუარობასთან, სანდოობასთან, შემეცნებით ხასიათთან ასოცირდება. დროთა განმავლობაში კადრებს მთხრობლის ხმა და ხმაური დაემატა, დაიხვეწა გადაღების ტექნიკა, რაკურსი, ხედი. მონტაჟის კონცეფციამ ავტორებს სათქმელის მაყურებლამდე მიტანის კიდევ უფრო ეფექტური გზები დაანახა. ამ ყველაფერმა, ერთად და ცალ-ცალკე, დოკუმენტალისტიკას განუზომელი შესაძლებლობა მისცა, გავლენა მოეხდინა აუდიტორიის ემოციებზე, ცოდნასა და განწყობაზე. ისტორიულმა ანალიზმა ცხადყო, რომ გამომგონებელთა მისწრაფება, სრული სიზუსტით, მოძრაობაში აესახათ მოვლენები სავსებით სცდებოდა კინოს შექმნის მიზანს. რეალურად, მხოლოდ ტექნიკურ განვითარებაზე ორიენტირებული მცდელობების შედეგად, მივიღეთ პირველი „აქტუალები" (actualities). დოკუმენტური ფილმების კონტენტანალიზის საფუძველზე, ნაშრომი თანმიმდევრულად ასახავს რა გავლენას ახდენდა გამოსახვის ფორმებსა და საშუალებებზე ტექნიკური განვითარების ეტაპები, დროთა განმავლობაში სოციუმში გავრცელებული სოციოკულტურული მიმდინარეობები. როგორ იცვლებოდა ავტორთა ხედვები, მისწრაფებები და მიზნები. შეუქცევადი ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად, მედიასივრცეში ჩნდებოდა ახალი ჟანრები. დოკუმენტური ფილმი ეტაპობრივად ითვისებდა თხრობის თანამედროვე ტექნიკას. საბოლოოდ კი ჟურნალისტური მიდგომების კინოხელოვნებასთან ასიმილაციით ახალ ჰიბრიდულ ფორმად - ტელედოკუმენტალისტიკად ჩამოყალიბდა.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Lia Zambakhidze, Nino Chalaganidze. (2023) Importance of the Inclusive Reporting in the Process of Civil Integration of Persons with Disabilities (Georgian Public Broadcaster First Channel, 2021). International Journal of Innovative Technologies in Social Science. 1(37). doi: 10.31435/rsglobal_ijitss/30032023/7966

PUBLISHED 30 March 2023. file:///C:/Users/user/Downloads/2525-Article%20Text-5172-1-10-20230401%20(1).pdf

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. მორალზე და კანონზე დაფუძნებული მკაფიოდ ჩამოყალიბებული დამოკიდებულება აიძულებს ნებისმიერ მოქალაქეს, აღიაროს თითოეული ადამიანის ინდივიდუალიზმი, მისი უნიკალურობა და თანასწორობა.

ასეთი დემოკრატიული ღირებულებებისა და მიღწევების მქონე საზოგადოების ჩამოყალიბება და აბსოლუტური თანასწორობა ნებისმიერ ქვეყანაში მთავარ გამოწვევად რჩება. აღნიშნული განსაკუთრებით შშმ პირებს ეხება.

საზოგადოებაში დანერგილი დამოკიდებულების გადაფასება ძირითადად გარანტირებულია ინკლუზიური ანგარიშგებით თავისი სპეციფიკითა და მახასიათებლებით.

წინამდებარე კვლევა, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მაგალითზე ჩატარდა და გვიჩვენებს ნიშური ინფორმაციის მიწოდების სპეციფიკას.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ნინო ჭალაგანიძე, ნათია კუპრაშვილი; დეზინფორმაცია სოციალურ ქსელებში: მდგომარეობა და პერსპექტივები; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV"; მომხსენებელი, პირველი სხდომის თავმჯდომარე და სამეცნიერო საბჭოს წევრი. ნაშრომის გამოქვეყნება იგეგმება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებად ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალში: „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV"; (ჟურნალის საიტი იყენებს ღია ჟურნალის სისტემას (Open Journal System) და ხელმისაწვდომი იქნება ონლაინ.

სტატიას მიენიჭება ობიექტის ციფრული იდენტიფიკატორი -DOI.). 2023-03-14 https://his.openjournals.ge/index.php/his

https://his.openjournals.ge/index.php/his/article/view/6401

2. ნინო ჭალაგანიძე; საინფორმაციო პროგრამის წამყვანის როლი ტელესივრცის ეკრანული მოდელირების პროცესში (საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მაგალითზე) ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში" 2023 წელი. (მასალა გამოქვეყნდა, მაგრამ ინტერნეტში მისაწვდომი ჯერაც არაა)

*მოხსენების ანოტაცია*

ტელეწამყვანის, როგორც შემოქმედებითი პროფესიის მქონე ადამიანის საქმიანობა მრავალმხრივია. მისი ინდივიდუალიზმი ასახვას ჰპოვებს ეკრანულ სახეში, რომელიც ვარსკვლავური გარეგნობით კი არა, კომუნიკაციური მახასიათებლებით (ხმის ტემბრი, დიქცია, საუბრის მანერა, დამაჯერებლობა, სანდოობა და სხვ.). ხდება ტელემაყურებლისთვის მისაღები.

ზეპირმეტყველება ტელეწამყვანისთვის იმდენადვე მნიშვნელოვანია, როგორც მისი

გარეგნობა, რადგან სწორედ ამ ორი მახასიათებლით ხდება შესაძლებელი, მაყურებელმა შეიცნოს წამყვანის ფსიქოემოციური და ინტელექტუალური მდგომარეობა.

ასახვის მეთოდის სპეციფიკა ტელეეკრანზე მჭიდროდაა დაკავშირებული კომუნიკატორთან, ვინაიდან მისი პიროვნება ასახვის რეალიზებასთან კავშირში განიხილება.

სწორედ ტელეწამყვანი წარმოადგენს თავისი კოლეგების საქმიანობის პროდუქტიულობასა და შედეგს.

**ხათუნა კაჭარავა**

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ეკა თხილავა, ხათუნა კაჭარავა; ქალთა ხმა საბჭოთა პლაკატიდან ; „მოამბე" XLVII. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია; საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი; 2023; 23-27 გვ. https://journals.4science.ge/index.php/moambe

DOI: https://doi.org/10.52340/gbsab.2023.05; ISSN;2233-3606(Print); ISSN:2960-98IX(Online)

2. ქეთევან ტყეშელაშვილი, ხათუნა კაჭარავა;

მოსამართლისა და ჟურნალისტის მორალი და პროფესიულ-ეთიკური დილემა -

„მოამბე" XLVIII. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია; საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი;

https://journals.4science.ge/index.php/moambe DO

https://doi.org/10.52340/gbsab

ISSN;2233-3606(Print)

ISSN:2960-98IX(Online)

***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1) ნაშრომში - „ქალთა ხმა საბჭოთა პლაკატებიდან" შესწავლილია 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდგომ პერიოდში გამომავალი ანტირელიგიური ჟურნალები; ყურადღება გამახვილებულია ქალთა სახეებზე - იმ მიზნებზე, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება უსახავდა ახალ ეპოქაში მათ; საუბარია ქალთა საბჭოურ მისიებზე, მათ როლზე სოციალისტური რეალობის ჭრილში.

სტატიაში განხილულია „ძველის" „სიკვდილისა" და კოლექტიური „სიცოცხლის" არსებითი დეტალები, განწყობის ფენომენი და მრავალი სხვ.

მიმოხილულია საბჭოეთის მძიმე შედეგები და გაკეთებულია დასკვნა, რომ ადამიანი, ადრე თუ გვიან, მაინც უბრუნდება თავის ადამიანურ წიაღს და რეალურ მისიას...

2 )კაცობრიობას ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი იქამდე, რომ საბოლოოდ მიხვდეს, რომ სამართალი არის მხოლოდ ერთადერთი მთავარი მარეგულირებელი და დომინანტი ქვეყანაში, რადგან ,,სამართალმცოდნეობაში მიღებულია თვალსაზრისი, რომ ზნეობა არის სამართლის მაქსიმუმი, ხოლო სამართალი არის ზნეობის მინიმუმი". სასურველი შედეგის მიღწევა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლები საბოლოოდ გააცნობიერებენ რომ აკადემიური ჟურნალისტიკა მორალური და ეთიკური პრინციპების პატივისცემასა და დაცვას ნიშნავს.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1.ხათუნა კაჭარავა - Challenges Posed by the Pandemic and Post-Pandemic Era to the Higher Education System in Georgia

პანდემიისა და პოსტპანდემიის გამოწვევები და პრობლემები საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

FORMS OF INEQUALITY AND THE LEGITIMACY OF GOVERNANCE.

International Interdisciplinary Conference,

Montecatini Terme, Italy - 28-31 July 2023

2023 International Conference | International Urban Symposium - IUS https://www.internationalurbansymposium.com/events/2023-2/

*მოხსენების ანოტაცია*

წარმოდგენილ მოხსენებაში შესწავლილია საქართველოში პანდემიისა და პოსტპანდემიის გამოწვევები უმაღლესი განათლების სისტემაში; ნაჩვენებია ურთულესი პროცესი, რომელიც შემლებისდაგვარად დაძლია ქართულმა განათლების სისტემამ - დაიწყო დისტანციური სწავლების მრავალფეროვანი სერვისების დანერგვა ქვეყანაში; შეიქმნა არა ერთი ღია რესურსი როგორც საერთაშორისო, ასევე განათლების მიმართულებით მომუშავე ადგილობრივი ორგანიზაციების ჩართულობით და შედეგმაც არ დააყოვნა. სტატიაში ნაჩვენებია ეს შედეგებიც და ის გამოწვევებიც, რომელიც პოსტპანდემიურმა პერიოდმა დაუტოვა ქართულ საგანმანათლებლო სისტემას.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

Workshop ‘Countering Digital Disinformation’. Tbilisi; Georgia; 2023; International Media Academy; Journalism Resourse Center.

ვორქშოფის მონაწილე -“ ბრძოლა ციფრული დეზინფორმაციის წინააღმდეგ ” - თბილისი, საქართველო. მედიის საერთაშორისო აკადემია, ჟურნალისტიკის რესურსცენტრი.

**ხათუნა მაისაშვილი**

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციოკოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Khatuna Maisashvili, When Knowledge Takes Over Action: A Narrative Analysis of Three Georgian Conflict-Sensitive Films: The Other Bank, Tangerines, and Corn Island. Senses of Cinema (ISSN 1443-4059). January 2023, Issue

104, Copyright Act 1968. Senses of Cinema is indexed in the MLA (Modern Language Association of America) International Bibliography and is listed in the MLA Directory of Periodicals (Australia),

https://www.sensesofcinema.com/2023/feature-articles/when-knowledge-takes-over-action-a-narrative-analysis-of-three-georgian-conflict-sensitive-films-the-other-bank-tangerines-and-corn-island/

2. Khatuna Maisashvili, On the Issue of the Achievability of Conceptual Unity in Teaching the Introductory Courses to Journalism/Mass Communication, Advances in Journalism and Communication > Vol.11 No.1, March 2023, DOI: 10.4236/ajc.2023.111004, 50-63.

https://www.scirp.org/journal/paperinformation.aspx?paperid=123838

3. Khatuna Maisashvili, Ketevan Mumladze, Mediterreanization as a Developmental Phase of Media in Transitional Democracies: Case of Georgia, 2023/7, Volume 19, Issue 20, 1-25. doi.org/10.19044/esj.2023.v19n20p1; https://eujournal.org/index.php/esj/article/view/17030?fbclid=IwAR03b1o7P-He4vwCId8J5c2iOhKoqNtMn6h2HhzCULhHAN0I20F1GmbwLeQ

4. Khatuna Maisashvili, Dilemmas in Creating Content and Teaching Approaches for the Course Introduction to Journalism and Mass Communication, Advances in Journalism and Communication > Vol.11 No.3, September 2023, DOI: 10.4236/ajc.2023.113023, 327-249

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. სტატია წარმოადგენს სამი, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ შექმნილი ქართული მხატვრული ფილმის ("მანდარინები", „გაღმა ნაპირი", „სიმინდის კუნძული") ნარატოლოგიურ ანალიზს, რომელიც პროპის სინტაგმური სტრუქტურისა და ბარტის ნარატივის კოდების სინთეზურ სქემას ეყრდნობა. სტატიაში ავტორი მკაფიოდ მიჯნავს ორ ასპექტს: ტრავმული რეფლექსიის სოციალურ-კულტურულ კონტექსტს და საკუთრივ ტექსტურ ანალიზს. სტატია შედგება შემდეგი ნაწილებისგან: დაგვიანებული მხატვრული რეფლექსია ომსა და კონფლიქტზე - ფსიქოლოგიური და კულტურული მიზეზები; პუბლიცისტური რეფლექსიის დომინაცია; ნარატივის პრინციპები აკადემიურ ლიტერატურაში; ფილმების განხილვა a პრიორი შემუშავებული კატეგორიების მიხედვით. სტატიის მთავარი მიგნება თხრობის დაუსრულებლობა ან გაგრძელების პოტენციალია, რადგან ამ ფილმების დასკვნით ნაწილში წონასწორობის ახალი წერტილი არ იძებნება.

2. სტატია არის პირველი ნაწილი ავტორის მიერ განხორციელებული კვლევისა ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის შესავალი კურსის აგების პრინციპების და სწავლების მეთოდების შესახებ (კვლევა განხორციელდა ორგანიზაცია „World Chicago" და "საქართველოს მედიაგანმანათლებელთა ასოციაციის" დაფინანსებით, საქართველოში აშშ საელჩოს ეგიდით). სტატიის აბსტრაქტში ავტორი ამბობს, რომ „იმ დროს, როცა მთელი მსოფლიოს მკვლევრები ჟურნალისტიკის სწავლების ასპექტებს გლობალური მასშტაბით შეისწავლიან, აანალიზებენ და საგანმანათლებლო კონცეფციებისა და მიდგომების გადაკვეთის წერტილებს ეძებენ, შესაძლებელია, კონცეფციური ერთიანობის პრობლემა ლოკალურ დონეზე წარმოიშვას: ერთი ქვეყნის შიგნით, ერთ საგანმანათლებლო სისტემაში და ერთი სასწავლო კურსის წიაღშიც კი. კონცეფციურ ერთიანობაში ავტორი გულისხმობს სასწავლო კურსის შინაარსისა და სწავლების მიდგომების მეტ-ნაკლებ ჰომოგენურობას. სტატია აანალიზებს პროგრამის ხელმძღვანელების ატიტუდებს, დამოკიდებულებებსა და განწყობებს შესავალი კურსის სწავლებისადმი საქართველოს იმ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მაგალითზე, რომლებსაც მედიასკოლები, ჟურნალისტიკის ფაკულტეტები ან ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებები აქვთ და ეს საფაკულტეტო სტრუქტურები ბაკალავრიატის საფეხურზე ფუნქციონირების 5 წელიწადზე მეტს ითვლიან (სტუდენტთა საერთო რაოდენობა 1055 შეადგენს). ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით გამოიკითხა 8 საბაკალავრო პროგრამის

ხელმძღვანელი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (2), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან, საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტიდან. ანალიზის ეტაპზე მოხდა მიღებული შედეგების სკალირება და სტატისტიკური დამუშავება.

სტატიის შესავალ ნაწილში ავტორი მსჯელობს საკუთრივ „შესავლის“ ცნების მიხედვით – როგორც შინაარსობრივად, ისე ფუნქციურად და სტრუქტურულად., – თუ რა მნიშვნელობა აქვს „შესავალს“ და ცოდნის რა მოცულობასა და რა მიმართებებს გულისხმობს თავის თავში „შესავალი“. მთავარი მიგნება არის გამოკვეთილი დისპროპორცია ორ დისციპლინას, ცოდნის ორ არეალს შორის: ჟურნალისტიკა/მედია და კომუნიკაცია.

3. სტატია წარმოადგენს პაოლო მანჩინისა და დენიელ ჰალინის/ჰოლინის თეორიის კრიტიკულ გააზრებას თანამედროვე ქართული მედიის კონტექსტში. ავტორები სტატიის ანოტაციაში წერენ, რომ თითქმის სამი ათწლეულის განმავლობაში პოსტ-კომუნისტური, ტრანზიციის მდგომარეობაში მყოფი მედია შეისწავლებოდა და განიხილებოდა როგორც საბჭოთა იდეოლოგიური მემკვიდრეობისა და დასავლური ლიბერალური ღირებულებების ნაერთი პროდუქტი. გარდამავალ პერიოდში მედიაპლურალიზმი მედიის განუყოფელ ნაწილად იქცა, განსხვავებით საბჭოთა პერიოდისგან, თუმცა საკუთრივ პლირალიზმსაც მრავალი გამოვლინება და ტიპი აქვს დასავლურ მედიურ სისტემებში, რასაც ცხადად ადასტურებს ჰალინისა და მანჩინის ნაშრომი. ავტორები, ექსპერტებთან ჩაღრმავებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით, შეისწავლიან მედიტერანიზაციის, როგორც პოლარიზებული პლურალიზმის, გამოვლინებებს ქართულ მედიაში: მედიის დღის წესრიგს, სახლმწიფოს გავლენას მედიაზე, მედიისა და პოლიტიკური ელიტების ინტეგრაციისა და პარალელიზმის ხარისხს, ჟურნალისტების პროფესიონალიზციას და ინსტუმენტალიზაციას, ასევე დდამოუკიებლობის პერიოდის ფართო სოციალურ და კულტურულ კონტექსტს.

4. სტატია წარმოადგენს მე-2 სტატიის გაგრძელებას. ავტორი ამ ჯერზე საკვლევ პოპულაციად ირჩევს „ჟურნალისტიკაში/ჟურნალისტიკასა და მასკომუნიკაციაში შესავალი კურსის“ მასწავლებლებს, სილაბუსის ავტორებსა და საკუთრივ საგნის წამკითხველებს – ამჯერად ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარებულია 10 პროფესორთან საქართველოში აკრედიტებული 8 უმაღლესი სასწავლებლიდან. მკვლევარი ხელმძღვნელობდა დაშვებით, რომ ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დარგების სწრაფმა ტექნოლოგიურმა და კულტურულმა განვითარებამ შეუძლებელი გახადა ორივე დარგის, სფეროს ერთ სასწავლო კურსში მოქცევა. მთავარი მიგნება უკავშირდება სწავლების ორ, რადიკალურად განსხვავებულ მიდგომას: შესავალი კურსი ორიენტირებული ხდება ან მედიისა და დემოკრატიის შესწავლაზე, ან – მნიშვნელობის შექმნაზე კომუნიკაციის პროცესში.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ხათუნა მაისაშვილი, გიორგი თოდაძე, „ჟურნალისტ თეიმურაზ მამალაძის უბის წიგნაკის ჩანაწერები „ტანგო ესპანეთი“ - ნარატივის ანალიზი“. სემიოტიკის მე-13 საერთაშორისო კონფერენცია. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, სემიოტიკის კვლევითი ცენტრი. 16-17 დეკემბერი, 2023.

**მარი წერეთელი**

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. **სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით** ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **მანანა შამილიშვილი, მარი წერეთელი, ნათია სვანიძე, თინათინ მაჭარაშვილი** -,,კონსტრუქციული ჟურნალისტიკა როგორც სენსაციურობის ალტერნატივა -სპეციფიკა და ამოცანები. ჟურნალი ,, ქართველი მეცნიერები“, (Georgian Scientists/Vol. 5 Issue 4, 2023 https://doi.org/10.52340/gs.2023.05.04.03. გვ.21-36. 15 გვ.

*ვრცელი ანოტაცია*

ნაშრომი თეორიული ხასიათისაა, მასში ასახულია ყველა ის ახალი და მნიშვნელოვანი კვლევა, რომელიც შეეხება კონსტრუქციულ ჟურნალისტიკას და მასთან დაკავშირებულ სადღეისო ამოცანებს. როგორც ცნობილია, თანამედროვე ეტაპზე კარგად მომზადებული ახალი ამბავი ძირითადად ხუთ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს: უნდა იყოს ოპერატიული, მნიშვნელოვანი, შეეძლოს იდენტიფიცირება, შეიცავდეს სენსაციასა და კონფლიქტს. თუმცა, აშკარაა, რომ ამ კრიტერიუმებით მომზადებულ „კარგ ახალ ამბავს“ დღითიდღე უმცირდება მაყურებელი, რადგან ჟურნალისტი კარგავს ნდობას. სწორედ ამიტომ, აღნიშნული კრიტერიუმები ხშირად გამხდარა ფართო განხილვის საგანი. ამ რეალობამ ბიძგი მისცა ახალი ხედვის ჩამოყალიბებას, რომლის მიხედვითაც კარგად შედგენილი ახალი ამბავი კი არ უნდა კარგავდეს მაყურებელს, არამედ უნდა განამტკიცებდეს ნდობას მედიასა და მოქალაქეებს შორის. ჟურნალისტიკის მხოლოდ ასეთ მოდელს შეუძლია დემოკრატიული დიალოგის გაძლიერება და საზოგადოების ერთიანობის ხელშეწყობა. გამოსავლის ძიებაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა (Solution Journalism) შეიძლება ჩაითვალოს ჟურნალისტიკის კონტექსტურ ფუნქციად, ჟურნალისტიკის უფრო საფუძვლიან სახეობად, რომელსაც ასევე მოიხსენიებენ, როგორც „ინტერპრეტაციული გაშუქებას. გადაწყვეტილებების ჟურნალისტიკა ასევე შეიძლება განთავსდეს მსგავს, მაგრამ უფრო სპეციფიკურ კატეგორიაში, რომელსაც ეწოდება კონსტრუქციული ჟურნალისტიკა, რომელიც „მოიცავს პოზიტიური ფსიქოლოგიის ტექნიკის გამოყენებას ახალ ამბებზე მუშაობაში, რათა შეიქმნას უფრო პროდუქტიული, ჟურნალისტიკის ძირითადი ფუნქციების ერთგული საინტერესო ისტორიები“.მაგალითად, მკვლევარი მაკინტაირი აღწერს კონსტრუქციულ ჟურნალისტიკას, როგორც „კონტინიუმს“ და არა დიქოტომიას. აქცენტი გაშუქების „პირდაპირი“ სტილიდან (მაგ., მშვიდობა კონფლიქტის წინააღმდეგ), გადააქვს ყოვლისმომცველ საგამოძიებო გაშუქებაზე. „კონსტრუქციული ჟურნალისტიკა არის პასუხი თანამედროვე მედიის ახალი ამბების მზარდ ტაბლოიდურობაზე, სენსაციონალიზმსა და ნეგატიურ მიკერძოებაზე“ (იორდგენსენი ქ. ლ., რისბრო ი.,2021). ნეგატიური მიკერძოება აძლიერებს ადამიანის ბუნებრივ მიდრეკილებას, მიანიჭოს უფრო მეტი ღირებულება ნეგატიურ ამბავს, ვიდრე პოზიტიურს. ამასთანავე, ცნობილია, რომ ნეგატიურ ამბავს უფრო დიდი გავლენა აქვს ადამიანზე და გონებაში დიდხანს რჩება. ამ ფენომენს შეისწავლის სოციალური ფსიქოლოგია. შედეგად, თანამედროვე ჟურნალისტებს, რომლებიც უნდა განვითარდნენ „fake news“-ისა და ე.წ. პოსტ-სიმართლის ერაში, მთელ მსოფლიოში აკრიტიკებენ მზარდი ნეგატიური ახალი ამბების გაშუქების გამო. გამოსავალი კონსტრუქციული ჟურნალისტიკაა, რომელიც საშუალებას მისცემს თანამედროვე მედიას, დაიბრუნოს საზოგადოების ნდობა, რაკი მას შესთავაზებს წამოჭრილი პრობლემებიდან გამოსავლის ძიების გზას. საკვანძო სიტყვები: კონსტრუქციული ჟურნალისტიკა, გამოსავლის ძიებაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა, პოზიტიური ფსიქოლოგია. „გადაწყვეტილებების

ძიების ჟურნალისტიკის“ ცნება, რომელიც ასევე ცნობილია პროფესიულ ლექსიკაში, როგორც „კონსტრუქციული ჟურნალისტიკა“ ან „SoJo“, გაჩნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1990-იანი წლების ბოლოს. 2007 წელს, New York Times-ის რედაქციასა და დანიაში, პრეს-ჯგუფ Berlingske Media-ს გაუჩნდათ სურვილი, განეხორციელებინათ ჟურნალისტური მიდგომა, რომელიც სოციალური პრობლემების მოგვარებას შეუწყობდა ხელს. ფრანსუაზა ლაჟეს მიხედვით, „გადაწყვეტილებების ძიების ჟურნალისტიკა“ ( “journalisme de solutions”) ან „გავლენის ჟურნალისტიკა“ (“journalisme d’impact”) წარმოდგენილია, როგორც ინფორმაციის ტრადიციული დამუშავების ალტერნატივა, რომელიც ძირითადად პრობლემებზეა ორიენტირებული, ანუ ეს არის ჟურნალისტური მუშაობის კონცეფცია, რომელსაც შეუძლია მოქალაქეების ჩართვა საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაში. ჟურნალისტიკის ეს მეთოდი თავდაპირველად ემყარებოდა გამოძიებასა და „დღის წესრიგის“ თეორიებს (მაკკომბსი და შოუ, 1972).

სტატიაში შესწავლილი და ასახულია კონსტრუქციული ჟურნალისტიკის სპეციფიკის ამსახველი ნაშრომები. ეს ავტორები არიან: უნი ფრომი და ნეტე კრისტენსენი,როლებიც აღნიშნავენ, რომ ,, კონსტრუქციული ჟურნალისტიკა არის კონცეფცია, რომელიც შემუშავებულია ახალი ამბების რედაქციის სპეციალისტების მიერ. ავტორების აზრით, ახალი ამბების შემქმნელებმა უნდა შეცვალონ თავიანთი დომინანტური რეპორტაჟები კონფლიქტების შესახებ, უფრო კონსტრუქციული და გამოსავლის ძიებაზე ორიენტირებული რეპორტაჟებით. კონსტრუქციული ჟურნალისტიკის კვლევები შეზღუდულია და ხშირად ასოცირდება მოქმედების, გამოსავლის და მშვიდობის ჟურნალისტიკასთან. ამ კონკრეტულ კვლევაში წარმოდგენილია ანალიზი, თუ როგორ შეუძლია კონსტრუქციულ ჟურნალისტიკას უზრუნველყოს პოლიტიკასთან დაკავშირებული კონფლიქტების გადაწყვეტა.ჰერმანისა და გილდენსტედის ( 2019) მიერ აღწერილი მოვლენების კონსტრუქციული გაშუქების მეთოდები ზრდის ნდობას ახალი ამბების მიმართ, აუმჯობესებს განწყობას (ან ამცირებს ახალი ამბების უარყოფით გავლენას განწყობაზე) და ზრდის მომხმარებელთა აღქმის სიზუსტეს. ტანჯა აიტამურტო და ანიტა ვარმა ნაშრომში - „ჟურნალისტიკის კონსტრუქციული როლი“, საუბრობენ კონსტრუქციული, „გამოსავლის“, ჟურნალისტიკის ნორმატიულ როლზე, ორიენტირებული ჟურნალისტიკის მეტაჟურნალისტური დისკურსის ანალიზის საფუძველზე. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ კონსტრუქციული და ,,გამოსავლის“ ჟურნალისტიკის განსაზღვრება ანალოგიურია - ორივე აღიარებს ტრადიციულ ანგლო-საქსონურ ჟურნალისტურ ნორმებსა და პრაქტიკას, მაშინაც კი, როდესაც ფოკუსი პრობლემებიდან გამოსავალზე გადააქვთ. მეტა-ჟურნალისტური დისკურსი მიუთითებს ჟურნალისტიკის ნორმატიულ როლებთან დაკავშირებულ პრობლემებზე.კონსტრუქციული როლის ძირითადი გამორჩეული ასპექტებია სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე ფოკუსირება, სოციალური პროგრესის იდეალი, იმედზე ორიენტირებული რეპორტაჟები, ჩართულობის მაღალი დონე და ჟურნალისტის წარმოჩენა, როგორც ადამიანის, რომელსაც კრუგერი (2017) უწოდებს "ცვლილების აგენტს". კონსტრუქციული როლი მოიცავს ჟურნალისტური სფეროების ფართო სპექტრს, როგორებიცაა ადვოკატირების ჟურნალისტიკა, გავლენის ჟურნალისტიკა, ინსპირაციული ჟურნალისტიკა, მომავალზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა, ტრანსფორმაციული ჟურნალისტიკა, განვითარების ჟურნალისტიკა და ემანსიპაციის ჟურნალისტიკა. ჟურნალისტიკა იშვიათად ჯდება ერთ ნორმატიულ კატეგორიაში, მაგრამ ამ კატეგორიების გამიჯვნა და განვითარება კონცეპტუალურად სასარგებლოა სხვადასხვა ტიპის ჟურნალისტიკის გამორჩეული მოტივებისა და მისწრაფებების გასაგებად.

განსხვავებულ და საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობენ მკვლევრები: ნატაშა ვან ანტვერპენი, დებორა ტერნბული და რეიჩელ ა. სირსტონა ნაშრომში: „კონსტრუქციული რეპორტაჟების გამოყენება და უპირატესობები დეზინფორმაციასთან ბრძოლაში“. კვლევის ავტორების აზრით, დეზინფორმაციის გავრცელება თანამედროვე საინფორმაციო გარემოში ხელს უწყობს პოლარიზაციის ზრდას და ინსტიტუტებისა და ჟურნალისტების მიმართ ნდობის შემცირებას, ეს კი თავისთავად განაპირობებს. დეზინფორმაციის გავრცელებას.ფრანგული ასოციაციის, Reporters d'Espoirs - „იმედის ჟურნალისტების“ - ოფიციალურ ვებგვერდზე სხვადასხვა საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით კონსტრუქციული ჟურნალისტიკის შესახებ. ერთ-ერთ სტატიაში: „გამოსავლის ჟურნალისტიკა: რაზე ვსაუბრობთ?“,

ვკითხულობთ: „იმედის ჟურნალისტების“ მიერ შემოთავაზებულ განმარტებებს კონსტრუქციული ჟურნალისტიკის არსის და მიზნების შესახებ. „გამოსავლის ჟურნალისტიკა მიმართულია იმ ინიციატივების ანალიზსა და მათ შესახებ ცოდნის გავრცელებაზე, რომლებიც გვაძლევენ კონკრეტულ, რეპროდუქტიულ პასუხებს სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ პრობლემებზე“.

როგორც აღვნიშნეთ, კონსტრუქციული ჟურნალისტიკა არ გულისხმობს განუსაზღვრელ პოზიტივიზმს და იმის მტკიცებას, რომ ყველაფერი კარგადაა, პრობლემების, სირთულეების, კატასტროფების არსებობის უარყოფას, არამედ პასუხების იდენტიფიცირებას და გასაჯაროებას, რომლებიც ხელს უწყობს პრობლემის გადაჭრას, გადაწყვეტილებების მიღებას.

ამგვარად, განხილული მოსაზრებები ცხადყოფს, რომ განსაკუთრებით პოლარიზებულ ქვეყნებში მზარდია კონსტრუქციული ჟურნალისტიკის როლი, რომელიც ხელს უწყობს გახლეჩილი საზოგადოების გაერთიანებას პრობლემების გადაჭრის გზების ერთობლივად ძიებაში.

**თინათინ მაჭარაშვილი**

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **„კონსტრუქციული ჟურნალისტიკა ქართული სატელევიზიო ახალი ამბების პრიზმაში“ ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია**

2. 2023 წლის აპრილი-2023 წლის ნოემბერი

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **თინათინ მაჭარაშვილი** , თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასისტენტ პროფესორი , პროექტის ხელმძღვანელი

2. **მანანა შამილიშვილი** , თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების პროფესორი , კონსულტანტი

3. **მარი წერეთელი**, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი , კონსულტანტი

4. **ნათია სვანიძე** , თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასისტენტ პროფესორი , თანახელმძღვანელი

5. **ელენე ქურდაძე,** თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების მაგისტრატურის მე-**2** სემესტრის სტუდენტი , ძირითადი შემსრულებელი

6. **ქრისტინა კვაჭანტირაძე**, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების მაგისტრატურის მე-**2** სემესტრის სტუდენტი , ძირითადი შემსრულებელი

7. **ნიკა გვასალია** , თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ბაკალავრიატის მე-**6** სემესტრის სტუდენტი, ძირითადი შემსრულებელი

*დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

კვლევითი პროექტის „კონსტრუქციული ჟურნალისტიკა ქართული სატელევიზიო ახალი ამბების პრიზმაში" შედეგად შესწავლილი იქნა ქართულ ტელესივრცეში შექმნილი მედიაპროდუქტები კონსტრუქციული ჟურნალისტიკის პრინციპების საფუძველზე. ემპირიულ მასალად შერჩეული იქნება 2022 წლის „საზოგადოებრივი მაუწყებლის", „იმედი ტვ", „რუსთავი 2" და „მთავარი არხის" მთავარი საიფორმაციო გამოშვებების რეპორტაჟები და სიუჟეტები. კვლევამ გამოავლინა, თუ რამდენად პასუხობს თანამედროვე ქართული სატელევიზიო მედია მის წინაშე მდგარ გამოწვევას, კერძოდ, კი მაყურებლის ნდობის მოპოვებას, აწვდის თუ არა საზოგადოებას კონსტრუქციულ პრიზმაში ახალ ამბებს, ცდილობს თუ არა ნეგატივიზმის შეცვლას ახლებური ხედვით - პრობლემის გადაჭრის გზების ძიებით, რაც პოლარიზებული საზოგადოებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს, რათა არ დაკარგოს დემოკრატიული გზით განვითარების კურსი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მცდელობა, დანერგოს ახალი ამბების კონსტრუქციული ჟურნალისტიკის პრინციპებით გაშუქება. ის ფაქტი, რომ ამ კუთხით 2021 წლიდან მიმდინარეობს „მოამბის" ჟურნალისტთა გადამზადება დანიის კონსტრუქციულ ინსტიტუტში, ადასტურებს, რომ ქვეყნის ტელეაუდიტორიას სჭირდება სწორედ ისეთი ჟურნალისტური ინსტრუმენტის გამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობს დემოკრატიული დიალოგის წამოწყებას დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის, რათა საზოგადოება გაერთიანდეს პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაში. მედია, განსაკუთრებით კი ტელევიზია, რომელიც ციფრულ ეპოქაში მაინც რჩება ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ, უნდა იქცეს ამ დიალოგის პლატფორმად. კვლევამ აჩვენა, რომ ქართულ ტელესივრცეში შეიმჩნევა კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ელემენტების გამოყენება, თუმცა, ტელეჟურნალისტები ავლენენ მხოლოდ დილეტანტთა დონეზე მათ ცოდნას. ჩვენი პროექტის შედეგი არის ის სარეკომენდაციო ბუკლეტი, რომელიც მომზადდა პრაქტიკოსი ჟურნალისტებისთვის და ახალი საგნის „კონსტრუქციული ჟურნალისტიკა" სილაბუსი

**7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**

**7.1. საქართველოში**

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **თინათინ მაჭარაშვილი, ნათია სვანიძე; „ნეგატივიზმისგან დაცლის ტენდენცია ქართულ პოლიტიკურ რეკლამაში"** (2014-2021 წლების ქართული პოლიტიკური სარეკლამო ვიდეორგოლების მაგალითზე), 22-24 ივნისი 2023, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, XI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა".

*მოხსენების ანოტაცია*

პოლიტიკური რეკლამის შემქმნელები, ოსტატურად უნდა იყენებდნენ ვიზუალურ კომპონენტს, რადგან ეს უკანასკნელი, უმეტეს წილად, უფრო მეტად არის გაჯერებული იმპლიციტური შეტყობინებებით. შესაბამისად, ინფორმაციული ველის ზრდის ხარჯზე, მომხმარებელზე ზემოქმედების ხარისხის გაზრდაა შესაძლებელი. იმ მიზნით, რომ გაგვეზომა, რა ტენდენციები შეიმჩნევა ამ მხრივ ქართულ პოლიტიკურ მარკეტინგში, გავაანალიზეთ 2014 - 2021 წლების სხვადასხვა არჩევნებზე გამოყენებული სარეკლამო ვიდეორგოლები.

საკვლევი პერიოდის განსაზღვრა განპირობებული იყო შემდეგი ფაქტით: 2014 წლიდან ქართული პოლიტიკური პარტიების მიერ დამკვიდრებულ ღია პოლიტიკურ რეკლამათა ნაირსახეობას - კონტრრეკლამა, პროპაგანდა - „ქართულმა ოცნებამ" შემატა ახალი მოდელი - კანდიდატის მრავალმხრივ პოზიციონირება. ჩვენი მიზანიც ის იყო, რომ დავაკვირვებოდით, როგორ ტრანსფორმაციას განიცდიდა პოლიტიკური რეკლამა და შევისწავლეთ 2014 წლიდან 2021 წლის მუნიციპალურ ორგანოთა არჩევნების ჩათვლით პერიოდში მედიით გავრცელებული პოლიტიკური სარეკლამო ვიდეორგოლები.

პროექტის მსვლელობაში გამოვლინდა შემუშავებული უსმ-ის როგორც დიდი სამუშაო რესურსი (სტენდური გამოცდები), ასევე მისი უპირატესობები კონვენციურ (ცენტრიფუგულ) ტუმბოსთან შედარებით, რაც გამოიხატა ექსპერიმენტების მსვლელობაში მის მიერ უზრუნველყოფილი სისხლნაკადის ჰემოდინამიკური პარამეტრების ფიზიოლოგიურთან მაქსიმალურად მიახლოებაში. კერძოდ, უსმ-ის ტუმბო თირკმლისა და ღვიძლის არტერიაში უზრუნველყოფდა მართვად წნევას 120/80 mm.Hg (სტენდზე: 250/150 mm.Hg), ფიზიოლოგიური სისტოლურ-დიასტოლური გრადიენტით, რომლის მიღწევაც შეუძლებელია ცენტრიფუგული ტუმბოთი. ასევე, შესაძლებელი გახდა წნევის უცვლელად შენარჩუნების პირობებში  გვემართა სისხლნაკადის წუთმოცულობა თირკმლის არტერიაში 3-6 მლ/წთ/გ (სტენდზე: 0 10 ლ/წთ) ფარგლებში, ხოლო ღვიძლის არტერიაში 0,2-0,5 მლ/წთ/გ ფარგლებში და პირიქით, უცვლელი სიხლნაკადის პირობებში გვეცვალა წნევის სიდიდე. ეს ეფექტი მიიღწეოდა ტუმბოს მოპულსირე რეჟიმში მუშაობისას სისტოლისა და დიასტოლის

პროცენტული ხვედრითი წილის ცვალებადობის (როგორც ნატიური გულის ფიზიოლოგიური მახასიათებლები) შესაძლებლობით (სტენდზე: სისტოლის ხვედრითი წილი 5-75%).
ამგვარად, შემუშავებული უსმ ექსპლანტირებული ორგანოს შენახვის გაუმჯობესებული, ფიზიოლოგიურთან მაქსიმალურად მიახლოებული პირობების გამო უზრუნველყოფს მის ფუნქციურად „ვარგისიან" მდგომარეობას ტრანსპორტირების ყველა ეტაპზე. ამ მოწყობილობის სტენდური და ექსპერიმენტული აპრობაციის შედეგები მოხსენდა კვლევის მეორე ეტაპზე დაგეგმილ როგორც საუნივერსიტეტო, ისე საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე, გაკეთდა საპატენტო განაცხადი.

<u>განხორციელებული პროექტის გავლენა მიმართულების სფეროზე ან მის განვითარებაზე:</u>
საქართველოში, დღეისათვის, მხოლოდ თირკმლის გადანერგვის რამოდენიმე ათეული და ღვიძლის გადანერგვის ოცამდე შემთხვევის გამოცდილება არსებობს. ამდენად, ტრანსპლანტოლოგიის განვითარება წარმოადგენს როგორც სამედიცინო-სოციალურ, ისე ორგანიზაციულ გამოწვევას, რომელიც ქვეყანამ უნდა მიიღოს. ამჟამად, რამოდენიმე დიდი კლინიკა გამოთქვამს მზადყოფნას, აქტიური ნაბიჯები გადადგას ტრანსპლანტოლოგიის თანდათანობით განვითარების და დამკვიდრების მიმართულებით. ასეთ ვითარებაში, ტრანსპლანტანტების დაზიანების რისკის შემცირების შესაძლებლობა, მნიშვნელოვანი სტიმულია ქვეყანაში დარგის განვითარებისათვის.
წარმოდგენილი პროექტი რეანიმაციისა და ტრანსპლანტაციის განვითარებაში ჩვენს მიერ შემუშავებული ახალი კონცეპციის ნაწილს წარმოადგენს. კონცეპციის არსი შემდეგში მდგომარეობს: ექსტრაკორპორული რეანიმაციის შედეგებს კიდევ უფრო გააუმჯობესებს მისი მოპულსირე ხსმა–ით ჩატარება. ხოლო იმ შემთხვევებში, თუ მიუხედავად რეანიმაციული ღონისძიებებისა, გულის მუშაობის აღდგენა მაინც ვერ მოხერხდა (სტატისტიკური მონაცემებით – 60%–მდე), მოპულსირე ხელოვნური სისხლმიმოქცევის გაგრძელება სხვა ორგანოებში ადექვატური პერფუზიის შენარჩუნების საშუალებას მოგვცემს. სხვანაირად რომ ვთქვათ: ე.წ. „გულგაჩერებულ პაციენტებს" გადავაქცევთ „ხელოვნური გულით სისხლმიმოქცევა შენარჩუნებულ " პოტენციურ დონორებად.

**4.2. ეროვნული პატენტები**

**საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი**

1. „ხელოვნური სისხლნაკადის მართვის პორტატიული აპარატი".
გამომგონებლები: ნოდარ ხოდელი; ზურაბ ჩხაიძე; ოთარ შენგელია; დავით სონღულაშვილი
სასარგებლო მოდელი - U 2022 2139 Y. საქპატენტი. თბილისი. 2022.
2. „სისხლის მოპულსირე ნაკადის შემქმნელი მოწყობილობა".
გამომგონებლები: ზურაბ ჩხაიძე; ნოდარ ხოდელი; ოთარ შენგელია; დავით სონღულაშვილი.
სასარგებლო მოდელი - U 2023 2149 Y. საქპატენტი. თბილისი. 2023.

**6.3. სტატიები**

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის

მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა


1. Gvidiani S, Gulbani L, Svanadze L, Tsomaia K, Bebiashvili I, Kordzaia D. Ductular Reaction in Total and Partial Biliary Obstruction in Experimental Settings. Gene Expression. 2023 May DOI: 10.14218/GE.2023.00002S.
2. Gulbani L., Jariwala D., Goderdzishvili V., Kherodinashvili G., Kordzaia D. Moynihan's Hump: A Rare Anatomical Variation of the Right Hepatic Artery Encountered During Laparoscopic Cholecystectomy.Translational and Clinical Medicine-Georgian Medical Journal. 2023 March, 8(1):36-9. E-ISSN 2346-8491
3. Nodar Khodeli, Otar Pilishvili, Dimitri Kordzaia, Zurab Ckhaidze. Perfusion scheme for long-term preservation of isolated pig liver in an experiment. Translational and Clinical Medicine-Georgian Medical Journal. 2023 December, 8(2):20-24. E-ISSN 2346-8491
4. Pilishvili O., Chkhaidze Z., Jinchveladze D., Dzamukashvili M., Khodeli N. "Ex Vivo" Machine Preservation of the Abdominal Organs of a Pig. Georgian Medical News. 2023.#1(334). pp.29-35. https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/36864789/ PMID: 36864789


*წარმოდგენილ ნაშრომთა ანოტაცია*

1. ნაშრომში განხილულია დუქტულური რეაქციის და ბილიარული ტრაქტის რემოდელირების თავისებურებები ექსპერიმენტულ მოდელებში - ტოტალური და ნაწილობრივი ბილიური ოკლუზიის პირობებში. ნაჩვენებია, რომ დუქტულური რეაქციის ინტენსივობა, ისევე როგორც დუქტულური პროფილების ფორმა, რაოდენობა და ტოპოგრაფია ნაღვლის საერთო სადინრის ოკლუზიის შემდეგ მჭიდრო კავშირშია ბილიარული ობსტრუქციის ხანგრძლივობასთან. გარდა ამისა, ახალი დუქტულური პროფილების ფორმირება შეიძლება მოხდეს არსებული ნაღვლის სადინარების/დუქტულების გაფართოებით, ქოლანგიოციტების პროლიფერაციის, ჰეპატოციტების ტრანსდიფერენციაციის და/ან ღეროვანი/პროგენიტორული უჯრედების გააქტიურებისა და დიფერენციაციის შედეგად. გაკეტებულია დასკვნა, რომ ნაღვლის საერთო სადინარის ოკლუზიით გამოწვეული დუქტულური რეაქცია შედგება ყველა ტიპის დუქტულური რეაქციის კომპონენტებისგან, მათ შორის I, II (A და B) და III, რაც ზრდის ინტერესს ამ მოდელის შემდგომი კვლევების მიმართ. წილოვანი ბილიარული ობსტრუქციის დროს, ნაღვლის საერთო სადინარის ოკლუზიისთვის დუქტულური რეაქციების გამოვლენის სრული დიაპაზონი არ არის დამახასიათებელი, თუმცა, დადასტურებულია ბილიარული ტრაქტის დიდი კომპენსატორული პოტენციალი, რაც აისახება შეგუბებულ და შეუგუბებელ ნაღვლის სადინარებს შორის ახალი კოლატერალების წარმოქმნით.

2. ნაშრომში აღწერილია Moynihan's Hump-ის ორი შემთხვევა, აღმოჩენილი ნაღვლის ბუშტის ლაპაროსკოპიული რეზექციის დროს; აღწერილი ვარიაციები ძალიან იშვიათია და მათი ცოდნა მნიშვნელოვანია ოპერაციის უსაფრთხოდ ჩატარებისათვის.

3. კვლევის მიზანია შემუშავებული პერფუზიის აპარატის ტესტირება ღვიძლის გრძელვადიანი პრეზერვაციისათვის, პერფუზიის სქემის შეფასება, რომელიც უზრუნველყოფს ორ განსხვავებულ (არტერიულ და ვენურ) ნაკადს და ღვიძლის

პარალელური პერფუზიის ჰემოდინამიკის შეფასებას. შემუშავებულ მოწყობილობაში მუდმივი სისხლის ნაკადი გარდაიქმნება პულსირებულ სისხლის ნაკადად საკუთარი დიზაინის მოწყობილობის - პულსატორის გამოყენებით. მოწყობილობა გამოიცადა 6 ღორზე, რომელთა ღვიძლი და თირკმელი დაექვემდებარა პერფუზიულ კონსერვაციას. ორგანოები აორტასთან და კაუდალურ ღრუ ვენასთან ერთად იყო ამოღებული იყო მუცლის ღრუდან საერთო სისხლძარღვთა ფეხზე. პერფუზია განხორციელდა აორტისა და კარის ვენის გამოყენებით. მუდმივი ნაკადის ტუმბოს საშუალებით, სისხლის ნაწილი მიმართული იყო სითბოს გადამცვლელის, ჟანგბადის და პულსატორის მეშვეობით და მიეწოდებოდა ორგანოებს აორტის გავლით. მეორე ნაწილი იგზავნებოდა ზედა რეზერვუარში, საიდანაც სისხლი გრავიტაციულად მიეწოდებოდა კარის ვენაში. ორგანოები გარედან ინამებოდა თბილი ფიზიოლოგიური ხსნარით. ერთი ექსპერიმენტი ტექნიკური პრობლემების გამო დასრულდა დროზე ადრე. 5 ექსპერიმენტში, 6-საათიანი პერფუზიის დროს, ყველა ფიზიოლოგიური პარამეტრი ნორმალურ დიაპაზონში რჩებოდა. კონსერვაციის პროცესში აღინიშნა გაზთა ცვლის პარამეტრების უმნიშვნელო, გამოსწორებადი ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენდნენ pH სტაბილურობაზე. აღინიშნა ღვიძლის მიერ ნაღვლის, ხოლო თირკმლის მიერ შარდის წარმოქმნა. ექსპერიმენტების შედეგები - სტაბილური 6-საათიანი პერფუზიის შენარჩუნებით ღვიძლისა და თირკმლის დადასტურებული ფიზიოლოგიური აქტივობით, შესაძლებელს ხდის აღწერილი მიდგომა განხილულ იქნას არჩევით მეთოდად.

4. კვლევის მიზანს წარმოადგენს ღვიძლისა და თრკმლის ერთდროული პრეზერვაციის ოპტიმალური სქემის შემუშავება და მისი ექსპერიმენტული გამოცდა ღორის მუცლის ღრუს შესაბამის ორგანოებზე. ღვიძლი და თირკმელი ექსპლანტირებული იყო საერთო სისხლძარღვოვანი ფეხის შენარჩუნებით, ერთდროულად კაუდალური ღრუ ვენისა და აორტის კონპლექსის ჩათვლით. მოხდა აორტის ანტეგრადული და კაუდალური ღრუ ვენის ინფრაჰეპატური მონაკვეთის კანულირება. სისხლის ტუმბოს გავლის შემდეგ სისხლის ნაკადი იყოფოდა ორად: ერთი ოქსიგენატორის და პულსატორის გავლით მიემართებოდა ღვიძლის არტერიაში; მეორე ნაკადი ვენური სისხლით ნაწილობრივ ერეოდა არტერიულს და მიეწოდებოდა აპარატის ზემო რეზერვუარს, საიდანაც მიეწოდებოდა კარის ვენაში. ღვიძლიდან ჯამური ვენური სისხლი აიწოვებოდა კაუდალური ღრუ ვენიდან, რომლის სუპრაჰეპატური მონაკვეთი იყო ლიგირებული და გროვდებოდა ქვემო რეზერვუარში.
ექსპერიმენტებმა აჩვენა აღწერილი საპერფუზიო სქემის მართებულობა და ეფექტურობა, რაც დადასტურდა ექსპერიმენტების მიღებული შედეგებით.

**7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**

**7.1. საქართველოში**

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5-6 October 2023 | INTERNATIONAL CONFERENCES ON SEM | SEM of corrosion casts of biliary Network – | მომხსენებელი დიმიტრი კორძაია | თბილისი, საქართველო |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | Opportunities of Scanning Electron Microscopy in Research of Different Disease and Experimental Models | Experimental study | | |

**7.2. უცხოეთში**

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

| თარიღი | ღონისძიების დასახელება | მოხსენების სათაური | მომხსენებელი | ჩატარების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 17-19 May, 2023 | Liver Transplantation Research International Meeting - Tbilisi State University & University of Seville | Ductular reaction in biliary obstruction and liver regeneration; | დიმიტრი კორძაია | სევილია, ესპანეთი |
| 17-19 May, 2023 | Liver Transplantation Research International Meeting - Tbilisi State University & University of Seville | Development of an automatic life support system for long-term preservation of an isolated liver in experimental settings; | ნოდარ ხოდელი | სევილია, ესპანეთი |
| 17-19 May, 2023 | Liver Transplantation Research International Meeting - Tbilisi State University & University of Seville | The study of the regeneration of the liver lobe under conditions oflong-term machine preservation; | ზურაბ ჩხაიძე | სევილია, ესპანეთი |
| 17 November, 2023 | International Conference dedicated to memory of Professor Artashes Aznaurian | SEM of corrosion casts in research of biliary pathways – the findings and perspectives | დიმიტრი კორძაია | ერევანი, სომხეთი |

**გრანტი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 2023-2025 | თანამედროვე ტრანსლაციური ნეირომეცნიერების პროგრამის შემუშავება და დანერგვა საქართველოს უნივერსიტეტებში უმაღლესი სამედიცინო განათლების სრულყოფის მიზნით | ხელმძღვანელი<br><br>დიმიტრი კორძაია | კონკურენტული ინოვაციის ფონდი (CIF)<br>საგრანტო ხელშეკრულება №CIF-2023-01 |

**დამატებითი ინფორმაცია**

**პრემიები, გამოგონებები, პატენტები**

| **თარიღი** | **სახელწოდება** | **ქვეყანა, დონორი** |
|---|---|---|
| 15.05.2023 | სისხლის მოპულსირე ნაკადის შემქმნელი მოწყობილობა. (#U 2023 2149 Y)<br>ავტორები: ნოდარ ხოდელი, ზურაბ ჩხაიძე | საქპატენტი (საქართველო) |
| 05.10.2023 | 2020-2021 წლებში მორფოლოგიის დარგში საუკეთესო მაშრომთა ციკლისათვის აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის პრემიით და მედლით დაჯილდოვდა პროფესორი დიმიტრი კორძაია (მედიცინის დოქტორ ქეთი ცომაიასთან ერთად) | თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტი |

ყურადღება!

* სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.

* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.

* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.

* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით “არ შეფასდა”.

ანგარიშის ფორმა №2

(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება: ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება: ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის კათედრა

კათედრის ხელმძღვანელი: თენგიზ ცერცვაძე.

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

- კლინიკური კვლევა „მრავალცენტრული, ადაპტირებული, რანდომიზებული, კონტროლირებადი კვლევის პლატფორმა, რესპირატორული ინფექციების მქონე ჰოსპიტალიზებული პაციენტების სტრატეგიებისა და მკურნალობის, უსაფრთხოებისა და ეფექტურობის შესაფასებლად” (STRIVE).

კვლევის პერიოდი: **იანვარი 2023 წ. - დეკემბერი 2024 წ.**

განმახორციელებელი დაწესებულება: ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი.

კვლევის სპონსორი: მინესოტას უნივერსიტეტი; Rigshospitalet-ის ჯანმრთელობის, იმუნურობის და ინფექციების ცენტრი (CHIP), ქ. კოპენჰაგენის უნივერსიტეტი.

კვლევის ხელმძღვანელი: **თენგიზ ცერცვაძე**. კვლევის კოორდინატორი: **აკაკი აბუთიძე**. მკვლევარები: **რევაზ მეჭურჭლიშვილი, მარინა ენდელაძე.**

*გარდამავალი კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

აღნიშნული კვლევის მიზანია მკურნალობის სტანდარტის გაუმჯობესება მოქნილი კვლევითი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფით, რომელსაც აქვს უნარი უსწრაფესად შეაფასოს ინტერვენციები საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენის მქონე ერთი ან მეტი რესპირატორული პათოგენის ეპიდემიური გადაცემის დროს. კვლევის ფარგლებში ჩატარებული კვლევები შეიძლება იყოს ადაპტაციური, იქნება რანდომიზებული, და მათ მიენიჭება უპირატესობა, როგორც პირველად მიზანს. კვლევებში შესაძლებელია ერთმანეთთან შედარებული იყოს: არარეგისტრირებული საშუალებები და შენიღბული პლაცებო პლუს მკურნალობის სტანდარტი (SOC); დაუმტკიცებელი ჩვენებებით გამოყენებული პრეპარატი და შენიღბული პლაცებო პლუს SOC; რამდენიმე აქტიური

ინტერვენცია (შენიღბული ან შეუნიღბავი; ე.ი. შედარებითი ეფექტიანობის კვლევა) ან მკურნალობის სხვადასხვა სტრატეგიები.

დიზაინი: შეფასდება COVID-19-ით ჰოსპიტალიზებული პაციენტების გამოსავლები სხვადასხვა საკვლევი მედიკამენტებით, მათ შორის პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული (DAA) პრეპარატებით, რათა შემცირდეს ვირუსის მიმდინარე რეპლიკაციით გამოწვეული პათოლოგია. ამ კვლევაში შეფასდება S-217622-ს, SARS-CoV-2-ის 3C-ის მსგავსი პროტეაზას ინჰიბიტორი (protease inhibitor, PI), რომელიც შეიმუშავა კომპანიამ Shionogi & Co. Ltd.

კვლევის დიზაინი არის რანდომიზებული, პლაცებოთი კონტროლირებული, მრავალცენტრული საერთაშორისო კლინიკური კვლევა, რომელიც შეაფასებს S-217622-ის კლინიკურ ეფექტიანობას სტანდარტულ მკურნალობასთან (standard of care, SOC) ერთად მიღებისას COVID-19-ით დაავადებულ ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში. SOC განისაზღვრება ადგილობრივად დაწესებული სახელმძღვანელო რეკომენდაციებით და იგი შეიძლება მოიცავდეს დამატებით DAA-ს (მაგ., რემდესივირი) და იმუნომოდულატორული მკურნალობის სტრატეგიებს. სტანდარტული მკურნალობის (SOC) კონკრეტული რეჟიმები წინასწარ იქნება განსაზღვრული რანდომიზაციამდე.

პირველადი მოსალოდნელი შედეგი: ძირითადი მიზანია S-217622-ის უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის დადგენა პლაცებოსთან შედარებით, როდესაც ის SOC-თან ერთად მიიღება. ამ კვლევის პირველადი მოსალოდნელი შედეგი არის დღეები გამოჯანმრთელების სკალაზე, შეფასებული 60 დღის განმავლობაში

საკვლევი პოპულაცია: მოზრდილები (≥18 წლის), რომლებსაც აქვთ დოკუმენტურად დადასტურებული SARS-CoV-2 ინფექცია კვლევაში ჩარიცხვიდან 14 დღის განმავლობაში და რომლებიც ჰოსპიტალიზებული არიან COVID-19-ის მართვის მიზნით. კვლევაში ჩარიცხვის უფლება ექნებათ სტაციონარულ პაციენტებს დაავადების ნებისმიერ სტადიაზე, მათ შორის მათ, ვინც არ ღებულობს ჟანგბადის დანამატს, ასევე პაციენტები, რომლებიც ღებულობენ ჟანგბადის დანამატს დაბალინაკადიანი აპარატით, მაღალნაკადიანი ცხვირის კანულის ან არაინვაზიური ვენტილაციის საშუალებით. კვლევაში ჩარიცხვის კრიტერიუმი შეიძლება გაფართოვდეს და მოიცვას ინვაზიური მექანიკური ვენტილაცია ან ექსტრაკორპორალური მემბრანული ოქსიგენაცია კვლევაში ჩართვის დროს.

**კვლევის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:**

- კლინიკური კვლევის პროტოკოლის თარგმანი ქართულ ენაზე
- ძირითადი ინფორმირებული თანხმობის ფორმის თარგმანი ქართულ ენაზე და შესაბამისობაში მოყვანა ადგილობრივ რეგულაციებთან
- დამოუკიდებელი ეთიკის კომიტეტის ფორმირება და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება
- რეგულირების სააგენტოში კვლევის დასამტკიცებლად წარსადგენი განაცხადის და თანმხლები დოკუმენტაციის მომზადება
- კლინიკური კვლევის განხორციელებისთვის საჭირო აპარატურის/აღჭურვილობის კალიბრაციების ჩატარება
- კლინიკურ კვლევაში მონაწილე პერსონალის (ფარმაცევტები, ექთნები) ტრენინგი

კვლევაში ამ ეტაპზე სულ ჩართული იქნა ინფექციური პათოლოგიის და შიდსის ცენტრში ჰოსპიტალიზებული 17 COVID-19-ით ავადმყოფი. კვლევაში სუბიექტების ჩართვა გრძელდება.

**2) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

- **კლინიკური კვლევა „მესამე ფაზის, რანდომიზებული, ღია ეტიკეტის, პარალელურ ჯგუფიანი კვლევა, 180 მკგ პეგინტერფერონ ლამბდა-1A-ის (ლამბდა) 48 კვირიანი კანქვეშა ინექციების, უსაფრთხოებისა და ეფექტურობის შესაფასებლად ქრონიკული დელტა ჰეპატიტის (HDV) ინფექციის მქონე პაციენტებში".**

კვლევის განხორციელების პერიოდი: **26 იანვარი-20 დეკემბერი, 2023 წ.**

განმახორციელებელი: ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი

კვლევის სპონსორი: ფარმაცევტული კომპანია Eiger BioPharmaceuticals. Biorasi.

კვლევის ხელმძღვანელი: **თენგიზ ცერცვაძე.** კვლევის კოორდინატორი: **აკაკი აბუთიძე.** მკვლევარები: **ლალი შარვაძე, თამარ გეგეშიძე, რევაზ მეჭურჭლიშვილი, ვახტანგ ქერაშვილი.**

***გარდამავალი კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე).***

კვლევის მიზანია ქრონიკული HDV ინფექციით პაციენტებში ლამბდა ინტერფერონით მკურნალობის ეფექტიანობის შეფასება.

ეს არის რანდომიზებული, ღია ეტიკეტის, პარალელურ მხრიანი კვლევა, რომელიც განახორციელებს ქრონიკული HDV ინფექციის მქონე პაციენტების რანდომიზაციას ორიდან ერთ-ერთ მკურნალობის ჯგუფში, 2:1 განაწილების თანაფარდობის გამოყენებით: ლამბდა ინტერფერონი 48 კვირის განმავლობაში 24 კვირის შემდეგ მკურნალობის შემდგომი დაკვირვებით (ჯგუფი 1) ან მკურნალობის გარეშე 12 კვირის განმავლობაში, რასაც მოჰყვა ლამბდა ინტერფერონით მკურნალობა 48 კვირის განმავლობაში 24 კვირის შემდეგ მკურნალობის შემდგომი დაკვირვებით (ჯგუფი 2). ყველა პაციენტს კვლევის განმავლობაში ჩაუტარდება თანმდევი თერაპია ანტი-HBV ნუკლეოზიდის ანალოგით (ტენოფოვირით ან ენტეკავირით).

მკურნალობის დროს პაციენტის ვიზიტები განხორციელდება საწყის ეტაპზე და კვლევის ფარგლებში მკურნალობისას (ST) 1, ST 2, ST 3, ST 4, ST 5, ST 6, ST 7 და შემდგომ ყოველ 4 კვირაში ST 16/კვლევის დასრულებამდე. ყველა პაციენტზე ჩატარდება დაკვირვება დამატებითი 24 კვირის განმავლობაში საკვლევი პრეპარატის ბოლო დოზის მიღების შემდეგ (მკურნალობის შემდგომი კვირები 4, 8, 12, 16, 20 და 24) ლამბდას რეაქციის ხანგრძლივობისა და უსაფრთხოების პარამეტრების მონიტორინგისთვის.

კვლევის სავარაუდო ხანგრძლივობა თითოეული პაციენტისთვის არის 84-96 კვირა, მათ შორის შესავალი პერიოდი მინიმუმ 12 კვირა, მკურნალობის პერიოდი 48-60 კვირა და მკურნალობის შემდგომი დაკვირვების პერიოდი 24 კვირა.

კვლევაში ჩართული იქნებიან 18-70 წლის მამრობითი ან მდედრობითი სქესის პაციენტები, რომელთაც აქვთ ქრონიკული HDV ინფექციის დიაგნოზი მინიმუმ 3 თვის განმავლობაში.

სუბიექტები უნდა აკმაყოფილებდნენ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომლებიც დაფუძნებულია ადგილობრივ ლაბორატორიული კვლევების შედეგებზე და სამედიცინო ისტორიაზე სკრინინგის ვიზიტზე 1. დამატებითი კრიტერიუმები საჭიროა სკრინინგის მე-2 ვიზიტზე რანდომიზაციამდე და დაფუძნებული იქნება ცენტრალური ლაბორატორიის შედეგებზე.

**1-ლი სკრინინგის პერიოდში სულ ჩართულ იქნა 8 პაციენტი ქრონიკული HDV ინფექციით. ყველა პაციენტს ჩაუტარდა შემდეგი შეფასება/კვლევები:**

- ინფორმირებული თანხმობა
- ჩართვის/გამორიცხვის კრიტერიუმების შეფასება
- სამედიცინო ისტორიის შეგროვება
- დემოგრაფიული მონაცემების შეგროვება
- სასიცოცხლო პარამენტრების შეფასება
- ელექტროკარდიოგრამა
- კლინიკური ლაბორატორიული ანალიზები: სისხლის საერთო ანალიზი, ბიოქიმიური კვლევა, შარდის ანალიზი, კოაგულოგრამა, თირკმლის ფუნქციები, თირეოიდული პანელი, ალფაფეტროპროტეინი
- HBV გენოტიპირებისთვის სისხლის აღება და გაგზავნა
- HBV დნმ-ის ვირუსული დატვირთვა, HBV სეროლოგია, HCV რნმ-ის ვირუსული დატვირთვა, HDV რნმ-ის ვირუსული დატვირთვა და HIV რნმ-ის ვირუსული დატვირთვა
- HCV რნმ-ის ვირუსული დატვირთვა, HCV სეროლოგია, HDV სეროლოგია, HDV რნმ-ის განსაზღვრა, HIV რნმ-ის ვირუსული დატვირთვა, HIV სეროლოგია
- ანტი-HBV ნუკლეოზიდებით თერაპია
- თანმხლები მედიკამენტების შესახებ ინფორმაციის შეგროვება
- გვერდითი მოვლენების შეფასება
- PHQ 9 კითხვარის შევსება

ყველა პაციენტს დაეინიშნა 3-თვიანი მკურნალობა ნუკლეოზეოდის ანალოგით: ტენოფოვირით/ენტეკავირით. აღსანიშნავია, რომ კვლევას გამოეთიშა 2 პაციენტი (1 პაციენტში დაფიქსირდა HDV რნმ-ის არაგანსაზღვრადი შედეგი, ხოლო მე-2 პაციენტს აღმოაჩნდა ონკოლოგიური პათოლოგია). შესაბამისად ნუკლეოზეოდის ანალოგით 3 თვიანი მკურნალობის შემდეგ 6 პაციენტს ჩაუტარდა სკინინგი 2-ისთვის გათვალისწინებული კვლევები. მე-2 სკრინინგის შემდეგ კვლევაში დარჩა 2 პაციენტი, რომლებმაც დაიწყეს საკვლევი მედიკამენტით - ლამბდა ინტერფერონით მკურნალობა.

**3) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

**პროექტი „HCV ინფექციაზე სკრინინგის და გამარტივებული მიდგომებით მკურნალობის სერვისების ინტეგრირება საქართველოს პირველადი ჯანდაცვის რგოლში".**

პროექტის განხორციელების პერიოდი: **2018-2024 წწ.**

განმახორციელებელი: **ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი**

კვლევის ხელმძღვანელი: **თენგიზ ცერცვაძე.** მკვლევარები: **ლალი შარვაძე, აკაკი აბუთიძე**.

კვლევის მიზანს წარმოადგენს HCV ინფექციაზე სკრინინგის გამარტივებული მიდგომებით საერთაშორისო სტანდარტის მკურნალობის მოდელის ინტეგრირება საქართველოს პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში და შესაბამისად, აღნიშნული მოდელის ეფექტურობის შეფასება. სპეციალიზირებული კლინიკებისგან განსხვავებით პირველადი ჯანდაცვის რგოლისთვის მოწოდებულია HCV დიაგნოსტიკური კვლევების და ანტივირუსული მკურნალობის მონიტორინგის შედარებით გამარტივებული მოდელი. კერძოდ: პირველადი ჯანდაცვის ქსელში HCV ანტივირუსული მკურნალობა ჩაუტარდებათ მხოლოდ იმ ქრონიკული C ჰეპატიტით პაციენტებს, რომელთაც აქვთ ღვიძლის მსუბუქი დაზიანება (FIB-4 ქულა < 1.45) და რომელთაც წარსულში ანტივირუსული მკურნალობა არ ჩატარებიათ. HCV ინფექციით ავადმყოფების ანტივირუსული მკურნალობის წინა გამოკვლევების ალგორითმი შედგება შემდეგი საფეხურებისგან: 1. საწყისი დიაგნოსტიკა 2. მკურნალობის წინა დიაგნოსტიკა.

1. საწყისი დიაგნოსტიკა: საწყისი დიაგნოსტიკა უტარდებათ მხოლოდ იმ პაციენტებს, რომელთაც სკრინინგული გამოკვლევით დადგენილი აქვთ Anti-HCV (+) დადებითი შედეგი. საწყისი დიაგნოსტიკა მოიცავს შემდეგს: ექიმის კონსულტაცია; ქრონიკული C ჰეპატიტის დიაგნოზის დადასტურება რომელიმე კონფირმაციული (დამადასტურებელი) ლაბორატორიული ტესტით (GeneXpert, HCV core ანტიგენი, HCV რნმ-ის განსაზღვრა პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მეთოდით). პაციენტები, რომელთაც ქრონიკული C ჰეპატიტის დიაგნოზი არ დაუდასტურდებათ, აღარ განიხილებიან მკურნალობის კანდიდატებად (ბენეფიციარებად) და მათ შემდგომი გამოკვლევები აღარ ჩაუტარდებათ. პაციენტები, რომელთაც ქრონიკული C ჰეპატიტის დიაგნოზი დაუდასტურდებათ, განიხილებიან მკურნალობის კანდიდატებად (ბენეფიციარებად) და მათ ჩაუტარდებათ მკურნალობის წინა დიაგნოსტიკური კვლევები.

2. მკურნალობის წინა დიაგნოსტიკა პირველადი ჯანდაცვის რგოლში

ანტივირუსული მკურნალობის გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელია განისაზღვროს ღვიძლის დაზიანების სიმძიმე. ამისათვის საჭიროა ავადმყოფს ჩაუტარდეს:

- FIB-4 ქულის დათვლა (სპეციალური ფორმულის გამოყენებით).
- პაციენტებს, რომელთაც FIB-4 ქულა აღმოაჩნდებათ ≥1.45 აღარ განიხილებიან პირველადი ჯანდაცვის რგოლში მკურნალობის კანდიდატებად და აღნიშნული პაციენტები გადამისამართდებიან სპეციალიზირებულ კლინიკაში (HCV ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის პროვაიდერ კლინიკაში) შემდგომი გამოკვლევებისა და მკურნალობისთვის.
- პაციენტებს, რომელთაც FIB-4 ქულა აღმოაჩნდებათ < 1.45, განიხილებიან პირველადი ჯანდაცვის რგოლში მკურნალობის კანდიდატებად და აღნიშნულ პაციენტებს ჩაუტარდებათ მკურნალობის წინა გამოკვლევები გამარტივებული ალგორითმითHCV ანტივირუსული მკურნალობის მონიტორინგი პირველადი ჯანდაცვის რგოლში

პირველად ჯანდაცვის რგოლში ისევე, როგორც მკურნალობის წინა გამოკვლევები, HCV ინფექციის ანტივირუსული მკურნალობის მონიტორინგიც შედარებით გამარტივებულია (გამოიყენება მონიტორინგის გამარტივებული სქემა). პაციენტებს, რომელთაც ანტივირუსული მკურნალობა უტარდებათ რიბავირინის შემცველი რეჟიმით (სოფოსბუვირი/ლედიპასვირი + რიბავირინი) მკურნალობის პერიოდში ჩაუტარდებათ სისხლის საერთო ანალიზი და ALT აქტივობის განსაზღვრა ყოველ 4 კვირაში ერთჯერ (მე-4, მე-8 და მე-12 კვირა). პაციენტებს, რომელთა ანტივირუსული მკურნალობის რეჟიმი არ შეიცავს რიბავირინს, მკურნალობის პერიოდში ყოველ 4 კვირაში ერთხელ (მე-4, მე-8 და მე-12 კვირა) ჩაუტარდებათ მხოლოდ ALT აქტივობის განსაზღვრა. HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრა უნდა მოხდეს მკურნალობის დასრულებიდან 12 ან 24 კვირის შემდეგ. ანტივირუსულ მკურნალობაზე მყოფი პაციენტებისთვის ყოველ 4 კვირაში დაგეგმილია ექიმთან ვიზიტი კლინიკური შეფასების მიზნით.  პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების მედდის მიერ  კვირაში ერთხელ პაციენტთან სატელეფონო კონტაქტის გზით მოხდება მკურნალობაზე დამყოლობის (treatment adherence) და ასევე ანტივირუსული მედიკამენტების გვერდითი ეფექტების კონტროლი. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებიდან ანტივირუსული მედიკამენტების  გაცემა   პაციენტისთვის მოხდება თვეში ერთხელ.

2023 წლის ნოემბრის მონაცემებით, სულ 10 პირველადი ჯანდაცვის რგოლის დაწესებულებამ განახორციელა C ჰეპატიტის მკურნალობისა და მოვლის სერვისების მიწოდება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ინტეგრირებული მოდელი დაფუძნებული იყო “ერთი ფანჯრის” პრინციპზე, რომლის მიხედვითაც პაციენტებმა მიიღეს HCV სკრინინგის, მკურნალობის და მოვლის სერვისები პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში. ამ ცენტრებში მკურნალობა უტარდებოდა წარსულში არანამკურნალებ და ღვიძლის მსუბუქი ხარისხის დაზიანების მქონე პაციენტებს, ხოლო ღვიძლის შორსწასული ფიბროზის / ციროზის მქონე პირები გადამისამართდნენ სპეციალიზირებულ კლინიკებში. მკურნალობა ჩატარდა Sofosbuvir / Ledipasvir და / ან Sofosbuvir / Velpatasvir შემცველი რეჟიმებით 12 კვირის განმავლობაში. მდგრადი ვირუსული პასუხი (SVR) განისაზღვრა, როგორც არაგანსაზღვრადი ვირუსი თერაპიის დასრულებიდან 12-24 კვირის თავზე.

შედეგები: 2023 წლის ნოემბრამდე პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში აქტიური HCV ინფექციით 1881 პაციენტს ჩაუტარდა FIB4 ტესტირება;  1238 პაციენტმა დაიყო მკურნალობა; 1,162 -მა დაასრულა მკურნალობა; 1,134 პაციენტს ეკუთვნოდა SVR კვლევა. 889 პაციენტიდან, რომლებშიც შეფასდა SVR, განკურნება მოხდა 874 პაციენტში (SVR მაჩვენებელი - 98,3%).

დასკვნა: ჩვენმა კვლევამ აჩვენა HCV დიაგნოსტიკის და მკურნალობის გამარტივებული მოდელის მიზანშეწონილობა და ეფექტიანობა პირველადი ჯანდაცვის რგოლში.  ქვეყნის მასშტაბით ამ მოდელის გაფართოება აუცილებელია იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს პაციენტების კლინიკურ სერვისებში ჩართულობის და შენარჩუნების მაჩვენებლები.

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

**2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**
2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
*დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

**3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები**
3.1. გარდამავალი პროექტი

**1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

- **პროექტი - „C ჰეპატიტის რეინფექციის სიხშირე და მასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორები საქართველოს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში“.**

პროექტის დამფინანსებელი - აშშ დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრები (CDC)/Integral Global Health.

**კვლევის განმახორციელებლები:** ჰეპატოლოგიური კლინიკა ჰეპა; ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი.

კვლევის ხელმძღვანელი: **თენგიზ ცერცვაძე**

მკვლევარები: ნიკოლოზ ჩხარტიშვილი, **ლალი შარვაძე, აკაკი აბუთიძე.**

კვლევის განხორციელების პერიოდი: **1 მარტი 2023 წ - 31 მარტი, 2024 წ.**

***გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

კვლევის მოკლე აღწერილობა:

საქართველოს C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებების მიუხედავად, HCV რეინფექციის რისკი სერიოზულ გამოწვევად უნდა ჩაითვალოს. საჭიროა შემდგომი კვლევა, რათა განისაზღვროს C ჰეპატიტისგან განკურნებულ პაციენტებში HCV რეინფექციის სიხშირე და რისკის ფაქტორები ზოგადი პოპულაციის დონეზე.

კვლევის მიზნები:

- C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში C ჰეპატიტისგან განკურნებულ პაციენტებში HCV რეინფექციის სიხშირის დადგენა.
- HCV რეინფექციასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების შეფასება.

დიზაინის მიხედვით კვლევა მოიცავს 2021-2022 წწ. ქ. თბილისში წარმატებით ნამკურნალებ მოზრდილ პირებს. შედეგების მაღალი სამეცნიერო სარწმუნოების და პოპულაციის წარმომადგენლობითობის უზრუნველსაყოფად კვლევის მონაწილეები შერჩეულ იქნებიან რანდომული წესით თბილისის მასშტაბით 2021-2022 წწ. განკურნებული ყველა პაციენტს შორის. პროპორციული სტრატიფიცირებული რანდომული შერჩევის პრინციპით კვლევაში ჩართული იქნება 200 პირი, რომლებსაც HCV რეინფექციის დასადგენად ჩაუტარდებათ HCV რნმ-ზე კვლევა და სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მეშვეობით გამოკითხულ იქნებიან რე-ინფექციის შესაძლო რისკის ფაქტორების შესახებ. კვლევის შედეგები გაზიარებულ იქნება საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ხელმძღვანელებთან და შესაბამის ექსპერტებთან შემდგომი ნაბიჯების დასაგეგმად. შედეგები ასევე გამოქვეყნებულ იქნება საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში. კვლევა ჩატარდება ბიოსამედიცინო ეთიკის საერთაშორისოდ აღიარებული ნორმებისა და ეროვნული რეგულაციების შესაბამისად.

კვლევაში მონაწილეობის წახალისების მიზნით გამოყენებული იქნება წახალისებული მიდგომა, კერძოდ პაციენტებს შეუფასდებათ ღვიძლის მდგომარეობა. ეს მოიცავს სისხლის საერთო ანალიზს, ALT და AST-ს კვლევას ღვიძლის ფიბროზის FIB-4 ინდექსის გამოსათვლელად და მუცლის ღრუს ორგანოების ულტრაბგერით გამოკვლევას. სისხლის

ნიმუშები აღებული იქნება ყველა თანხმობის მქონე პირისგან და შემოწმდება HCV რნმ-ზე. გარდა სისხლის ნიმუშების შეგროვებისა, თითოეულ პაციენტს მოეთხოვება შეავსოს კითხვარი, რათა შეგროვდეს ინფორმაცია პოტენციური რისკ-ფაქტორების შესახებ.

მოსალოდნელი შედეგები:

აღნიშნული კვლევის ფარგლებში პირველად საქართველოში მეცნიერულად სარწმუნო მიდგომებით დადგინდება C ჰეპატიტის რეინფექციის პრობლემის აქტუალობა და მასშტაბი, განისაზღვრება მისი სიხშირე და ხელისშემწყობი რისკ-ფაქტორები. მიღებული შედეგები დიდად შეუწყობს ხელს პროგრამის ეფექტიან დაგეგმარებას და მთლიანად ელიმინაციის მიზნის მიღწევას.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა წინამოსამზადებელი სამუშოები, კერძოდ შემუშავდა:

- კვლევის პროტოკოლი, რომელიც დეტალურ აღწერს კვლევის მიზნებს, ამოცანებს, მეთოდოლოგიას და მონაცემთა შეგროვების და დამუშავების პროცედურებს;
- პაციენტის თანხმობის ფორმა
- კვლევაში ჩასართავი პაციენტებისათვის სატელეფონო ინტერვიუს ტექსტი
- კითხვარი, რომელიც შეაგროვებს ინფორმაციას HCV რეინფექციის შესაძლო რისკის ფაქტორების შესახებ, როგორიცაა: ინექციური ნარკოტიკების მოხმარება, სისხლის გადასხმა, ინვაზიური სამედიცინო პროცედურები (ოპერაცია, სტომატოლოგიური მოვლა, სამედიცინო ინექციები), მაღალი რისკის მქონე სექსუალური ქცევები (დაცული და დაუცველი ჰეტეროსექსუალური და ჰომოსექსუალური კონტაქტები) და სხვ. შეგროვდება ასევე მონაცემები სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების თაობაზე.

კვლევაში სუბიექტების ჩართვა დასრულდა. სულ კვლევამ მოიცვა 200 პაციენტი განკურნებული C ჰეპატიტით. მიმდინარეობს მონაცემების შეტანა ელექტრონულ ბაზაში, რის შემდეგად დაიწყება მონაცემთა ანალიზი.

**2) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

პროექტი: **საქართველოში მცხოვრებ აივ/შიდსით ავადმყოფებში არაინფექციური თანმხლები დაავადებების მართვის გაუმჯობესება.**

პროექტის დამფინანსებელი - WEEPI. Rigshospitalet-ის ჯანმრთელობის, იმუნურობის და ინფექციების ცენტრი (CHIP), ქ. კოპენჰაგენის უნივერსიტეტი.

კვლევის განმახორციელებელი: ჰეპატოლოგიური კლინიკა ჰეპა; ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი.

პროექტის განხორციელების პერიოდი: **2022-2025 წწ.**

**პროექტში მონაწილე ძირითადი პერსონალი: თენგიზ ცერცვაძე,** ნინო რუხაძე, ოთარ ჩოკოშვილი.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

კვლევის მიზანია საქართველოში მცხოვრებ აივ/შიდსით ავადმყოფებში არაინფექციური თანმხლები დაავადებების მართვის გაუმჯობესება. კერძოდ, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, თირკმლის ქრონიკული დაავადებების და მეტაბოლური დარღვევების დროული გამოვლენა აივ/შიდსით პაციენტებში და მათი მართვის გაუმჯობესება. ზემოთ აღნიშნული გააუმჯობესებს საქართველოში მცხოვრები აივ/შიდსით ავადმყოფების სიცოცხლის ხარისხს და გაზრდის სიცოცხლის ხანგრძლივობას.

კვლევის შედეგად შემუშავდება არაინფექციური თანმხლები დაავადებების მართვის სახელმძღვანელო-რეკომენდაცია, რომელიც ადაპტირდება საქართველოს რეალობასთან და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს აივ/შიდსის თანმხლები არაინფექციური პროფილის დაავადებების მართვის დღევანდელ მოდელს.

კვლევაში ჩართული იყო 2000 პაციენტი; გამოყენებულ იქნა კითხვარი არაინფექციური თანმხლები დაავადებების შესახებ პაციენტების ცოდნის დონის გამოსავლენად, რომელიც შევსებული იყო კვლევაში ჩარიცხვის დროს. შეიქმნა ელექტრონული პლატფორმა პერსონალური მონაცემების შეყვანისა და შემდგომი სტატისტიკური ანალიზისთვის.

პაციენტთა 79%-ს ჰქონდა ინფორმაცია არაგადამდები დაავადებების შესახებ. იყო თუ არა ინფიცირებულთა შორის არაგადამდები დაავადებების უფრო მაღალი სიხშირე - პაციენტთა 57%-მა არ იცოდა. პაციენტთა 98% ეთანხმება, რომ მოწევა მავნებელია და იგივე პროცენტი ეთანხმება იმას, რომ მოწევა აზიანებს ფილტვებს და გულს. ჰიპერტენზიის შესახებ იცოდა გამოკითხულთა 64%-მა. შაქრიანი დიაბეტი – რესპონდენტთა 99,3%-მა იცოდა ეს დაავადება, ხოლო 95%-მა დიაბეტი ასოცირდება შაქრის მაღალ დონესთან.

გამოკითხულთა 83%-ს არ ჰქონია მაღალი წნევის ეპიზოდი. გამოკითხულთა მხოლოდ 12% იღებს ანტიჰიპერტენზიულ საშუალებებს და მათ უმრავლესობას უჭირს წამლის დასახელება. ასპირინს იღებს გამოკითხულთა 5,1%. გამოკითხულთა მხოლოდ 5.2%-მა აღნიშნა სისხლში შაქრის მომატებული დონე. ბოლო 12 თვის განმავლობაში 3.6%-მა მიიღო მედიკამენტები დიაბეტის ან სისხლში მაღალი შაქრის სამკურნალოდ. გამოკითხული პაციენტების 0,9% ინსულინზეა

დისლიპიდემია: 260 (14%) გამოკითხულმა პაციენტმა აღნიშნა ლიპიდური მეტაბოლიზმის დარღვევა. გამოკითხულთა 5%-მა აღნიშნა, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში იღებდა სტატინებს. პაციენტების 3.5% ამჟამად ღებულობს სტატინებს. პაციენტთა 1.6%-მა (29) აღნიშნა თირკმლის ქრონიკული დაავადება. გამოკითხულთა 0,4% დიალიზზეა. გრძელდება მონაცემების ანალიზი.

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

**5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში**
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

5.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და  ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით**

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

- **The prevalence of non-AIDS comorbidities among people living with HIV in Tbilisi, Georgia**. Pati Gabunia, Nikoloz Chkhartishvili, **Akaki Abutidze**, Tea Borkowska, Otar Chokoshvili, Revaz Metchurtchlishvili, **Tengiz Tsertsvadze**. Publication date 2023/8/6. Journal Translational and Clinical Medicine-Georgian Medical Journal Volume 8 Issue 1. Pages 7-11.

აბსტრაქტი. Abstract
Background: Georgia has made significant accomplishments in the effective delivery of HIV treatment and care. However, little is known about the burden of non-AIDS comorbidities (NACM) in Georgia. The objectives of the study were to estimate the burden of NACM among people living with Human Immunodeficiency Virus (HIV) infection in Georgia, establish a Georgian NACM cohort, and estimate the prevalence of NACM. Methods: A cross-sectional study was conducted to assess the burden of NACM among people living with HIV infection receiving care at the Infectious Diseases, AIDS, and Clinical Immunology Research Center (IDACIRC). Statistical software R version 4.1.2, along with its packages for statistical analysis was used to conduct statistical analysis. Results: Overall, 1200 patients were included in the study. The prevalence of hypertension was 65% in male participants. Other comorbidities, such as cardiovascular disease (CVD) -- 55 (65%), chronic kidney disease (CKD) -- 8 (73%), diabetes mellitus (DM) -- 67 (83%), and dyslipidemia -- 120 (58%) -- were more prevalent in female participants. The risk of NACM increases with age. Conclusions: Long-term healthcare management and long-term health outcomes could be improved for people living with human immunodeficiency virus infection by careful HIV management according to current recommendations with optimal selection of antiretrovirals and early management of comorbidities through recommended lifestyle improvements and preventative measures.

**6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში**

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.

2.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
1.
2.

## 6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **Impact of Hepatitis C Virus Infection and Treatment on Mortality in the Country of Georgia, 2015-2020.** Lia Gvinjilia, Davit Baliashvili, Shaun Shadaker, Francisco Averhoff, Levan Kandelaki, Maia Kereselidze, **Tengiz Tsertsvadze**, Nikoloz Chkhartishvili, Maia Butsashvili, David Metreveli, Amiran Gamkrelidze, Paige A Armstrong. Clin Infect Dis. **2023** Aug 14;77(3):405-413. doi: 10.1093/cid/ciad182.

*ანოტაცია*

**აბსტრაქტი.** Abstract
Background: Mortality related to hepatitis C virus (HCV) infection is a key indicator for elimination. We assessed the impact of HCV infection and treatment on mortality in the country of Georgia during 2015-2020.
Methods: We conducted a population-based cohort study using data from Georgia's national HCV Elimination Program and death registry. We calculated all-cause mortality rates in 6 cohorts: (1) Negative for anti-HCV; (2) anti-HCV positive, unknown viremia status; (3) current HCV infection and untreated; (4) discontinued treatment; (5) completed treatment, no sustained virologic response (SVR) assessment; (6) completed treatment and achieved SVR. Cox proportional hazards models were used to calculate adjusted hazards ratios and confidence intervals. We calculated the cause-specific mortality rates attributable to liver-related causes.
Results: After a median follow-up of 743 days, 100 371 (5.7%) of 1 764 324 study participants died. The highest mortality rate was observed among HCV infected patients who discontinued treatment (10.62 deaths per 100 PY, 95% confidence interval [CI]: 9.65, 11.68), and untreated group (10.33 deaths per 100 PY, 95% CI: 9.96, 10.71). In adjusted Cox proportional hazards model, the untreated group had almost 6-times higher hazard of death compared to treated groups with or without documented SVR (adjusted hazard ratio [aHR] = 5.56, 95% CI: 4.89, 6.31). Those who achieved SVR had consistently lower liver-related mortality compared to cohorts with current or past exposure to HCV.
Conclusions: This large population-based cohort study demonstrated the marked beneficial association between hepatitis C treatment and mortality. The high mortality rates observed among HCV infected and untreated persons highlights the need to prioritize linkage to care and treatment to achieve elimination goals.

2. **Economic evaluation of the Hepatitis C virus elimination program in the country of Georgia, 2015 to 2017.** Tskhomelidze I, Shadaker S, Kuchuloria T, Gvinjilia L, Butsashvili M, Nasrullah M, Gabunia T, Gamkrelidze A, Getia V, **Sharvadze L, Tsertsvadze T,** Zarqua J, Tsanava S,

Handanagic S, Armstrong PA, Averhoff F, Vickerman P, Walker JG. Liver Int. **2023** Mar;43(3):558-568. doi: 10.1111/liv.15431. Epub 2022 Oct 4. PMID: 36129625

*ანოტაცია*

აბსტრაქტი. Abstract
Background and aims: In 2015, the country of Georgia launched an elimination program aiming to reduce the prevalence of Hepatitis C virus (HCV) infection by 90% from 5.4% prevalence (~150 000 people). During the first 2.5 years of the program, 770 832 people were screened, 48 575 were diagnosed with active HCV infection, and 41 483 patients were treated with direct-acting antiviral (DAA)-based regimens, with a >95% cure rate.
Methods: We modelled the incremental cost-effectiveness ratio (ICER) of HCV screening, diagnosis and treatment between April 2015 and November 2017 compared to no treatment, in terms of cost per quality-adjusted life year (QALY) gained in 2017 US dollars, with a 3% discount rate over 25 years. We compared the ICER to willingness-to-pay (WTP) thresholds of US$4357 (GDP) and US$871 (opportunity cost) per QALY gained.
Results: The average cost of screening, HCV viremia testing, and treatment per patient treated was $386 to the provider, $225 to the patient and $1042 for generic DAAs. At 3% discount, 0.57 QALYs were gained per patient treated. The ICER from the perspective of the provider including generic DAAs was $2285 per QALY gained, which is cost-effective at the $4357 WTP threshold, while if patient costs are included, it is just above the threshold at $4398/QALY. All other scenarios examined in sensitivity analyses remain cost-effective except for assuming a shorter time horizon to the end of 2025 or including the list price DAA cost. Reducing or excluding DAA costs reduced the ICER below the opportunity-cost WTP threshold.
Conclusions: The Georgian HCV elimination program provides valuable evidence that national programs for scaling up HCV screening and treatment for achieving HCV elimination can be cost-effective.

3. **Association of Treated and Untreated Chronic Hepatitis C With the Incidence of Active Tuberculosis Disease: A Population-Based Cohort Study.** Davit Baliashvili, Henry M Blumberg , David Benkeser, Russell R Kempker, Shaun Shadaker , Francisco Averhoff , Lia Gvinjilia , Natalia Adamashvili, Matthew Magee, George Kamkamidze, Mamuka Zakalashvili, **Tengiz Tsertsvadze, Lali Sharvadze**, Mamuka Chincharauli, Nestan Tukvadze, Neel R Gandhi. Clin Infect Dis. **2023** Jan 13;76(2):245-251. doi: 10.1093/cid/ciac786.

*ანოტაცია*

აბსტრაქტი. Abstract
Background: Hepatitis C virus (HCV) infection causes dysregulation and suppression of immune pathways involved in the control of tuberculosis (TB) infection. However, data on the role of chronic hepatitis C as a risk factor for active TB are lacking. We sought to evaluate the association between HCV infection and the development of active TB.
Methods: We conducted a cohort study in Georgia among adults tested for HCV antibodies (January 2015-September 2020) and followed longitudinally for the development of newly diagnosed active TB. Data were obtained from the Georgian national programs of hepatitis C and TB. The exposures of

interest were untreated and treated HCV infection. A Cox proportional hazards model was used to calculate adjusted hazard ratios (aHRs).
Results: A total of 1 828 808 adults were included (median follow-up time: 26 months; IQR: 13-39 months). Active TB was diagnosed in 3163 (0.17%) individuals after a median of 6 months follow-up (IQR: 1-18 months). The incidence rate per 100 000 person-years was 296 among persons with untreated HCV infection, 109 among those with treated HCV infection, and 65 among HCV-negative persons. In multivariable analysis, both untreated (aHR = 2.9; 95% CI: 2.4-3.4) and treated (aHR = 1.6; 95% CI: 1.4-2.0) HCV infections were associated with a higher hazard of active TB, compared with HCV-negative persons.
Conclusions: Adults with HCV infection, particularly untreated individuals, were at higher risk of developing active TB disease. Screening for latent TB infection and active TB disease should be part of clinical evaluation of people with HCV infection, especially in high-TB-burden areas.

4. **Effect of remdesivir on mortality and the need for mechanical ventilation among hospitalized patients with COVID-19: real-world data from a resource-limited country**. Metchurtchlishvili R, Chkhartishvili N, **Abutidze A**, Endeladze M, Ezugbaia M, Bakradze A, **Tsertsvadze T.** Int J Infect Dis. **2023** Apr;129:63-69. doi: 10.1016/j.ijid.2023.01.021. Epub 2023 Jan 20. PMID: 36690139

*ანოტაცია*

აბსტრაქტი. Abstract
